

# გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე



მაია ნინიძე. ნათია სიხარულიძე. თეა თვალავაძე  
ლევან ბებურიშვილი. საბა მეტრეველი



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნაშრომი მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროექტის FR-21-964 – „ახალი ტექსტოლოგიური კვლევები და გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანე (ორენოვანი გამოცემა)“ ფარგლებში.

This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia under grant No. FR-21-964, “New Textual Scholarship Investigations and the Chronology of Galaktion Tabidze’s Life and Work (Bilingual Edition).” All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

[www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge)

უფასო გამოცემა

რედაქტორები  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები:  
მაია ნინიძე და თეიმურაზ დოიაშვილი

პირთა საძიებლები მოამზადა ფ. მ. დ. მაია ჯანგიძემ

© შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

ISBN 978-9941-9956-0-6(PDF)

ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და  
ციფრული ჰუმანიტარის ასოციაცია

თბილისი  
2025



## წინასიტყვაობა

„გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთან“ ბიობიბლიოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია მეოცე საუკუნის ამ უდიდესი ქართველი პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული, მკვლევართათვის ხელმისაწვდომი და დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტები. გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც ბრწყინვალე შემოქმედება და მდიდარი დოკუმენტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა. არის ქართული ლექსის რეფორმატორი და თანამედროვე პოეტური აზროვნებისა და მოდერნისტული პოეზიის ფუძემდებელი ჩვენს ქვეყანაში. ის დაიბადა მაშინ, როდესაც საქართველო ანექსირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ, ჭაბუკობისას სამი წელი იცხოვრა დამოუკიდებელ საქართველოში, მთელი დანარჩენი 38 წელი კი – კომუნისტური რეჟიმის პირობებში გაატარა. ეს სხვადასხვაგვარი სოციო-პოლიტიკური ვითარება და ისტორიული კონტექსტი ფართოდ ირეკლება პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანში, რის გამოც წიგნს არა მხოლოდ ლიტმცოდნეობითი და ბიოგრაფიული, არამედ მნიშვნელოვანი ისტორიული ღირებულებაც აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი იკვლევს, ძალზე დიდი ყურადღება ექცევა და რეგულარულად გამოდის კრებული „გალაკტიონოლოგია“, მატთანის შესადგენად მაინც შრომატევადი ტექსტოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი და ბიოგრაფიული კვლევები გახდა საჭირო. თითოეული ანოტაციის დასაწერად აუცილებლად უნდა გადამოწმებულიყო და დაზუსტებულიყო წყაროში წარმოდგენილი ინფორმაცია, გარკვეულიყო დაუთარილებელ მოვლენათა დრო, დადგენილიყო პირთა ვინაობა, გასწორებულიყო მექანიკური შეცდომები, მომზადებულიყო სამეცნიერო აპარატი და სხვ. 2013 წლიდან, მას შემდეგ რაც ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა მატთანის შედგენის პროცესი ფუნდამენტურ კვლევებს დაუკავშირა და აკადემიური სახე მისცა, ბიობიბლიოგრაფიის შექმნასთან ერთად ყოველთვის მზადდებოდა ტექსტოლოგიური კვლევების სამეცნიერო კრებული. ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და გურამ რჩეულიშვილის ბიობიბლიოგრაფიებში ცალკეული კვლევები სამეცნიერო აპარატშიც იყო წარმოდგენილი, მაგრამ, რამდენადაც გალაკტიონ ტაბიძის მატთანე მოცულობით რამდენჯერმე აღემატება ამ ავტორებისას, ერთი წიგნი მთელ ამ ინფორმაციას ვერ დაიტევდა. ამიტომ კვლევითი ნაწილი სრული სახით შევიტანეთ მონოგრაფიაში „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ტექსტოლოგიური და ინტერდისციპლინური კვლევები“ და მატთანის სამეცნიერო აპარატში რუბრიკას „წყარო“ დავამატეთ მითითებები ამ წყაროზე. რამდენადაც ანოტაციასთან მიმართებით ფუნდამენტური კვლევები ორ ძირითად მიზანს ემსახურება – დაათარილოს ტექსტი და მოვლენა და დააზუსტოს ანოტაციაში მოცემული ინფორმაცია, რუბრიკას „წყარო“ დავამატეთ შესაბამისი ქვერუბრიკები: „დათარილებისთვის“, „ინფორმაციის დაზუსტებისთვის“ ან „ინფორმაციის დაზუსტებისა და დათარილებისთვის“. ორივე წიგნი, როგორც „მატთანე“, ისე „კვლევები“ განთავსებული იქნება ელექტრონულ ბიბლიოთეკა „ივერიელზე“ და მკითხველისთვის მათი პარალელურად გამოყენება უპრობლემოდ იქნება შესაძლებელი. იმ შემთხვევებში, როცა უთარილო ტექსტის დათარილებასთან დაკავშირებით არ იყო საჭირო საგანგებო ფუნდამენტური კვლევა და მკითხველისთვის საკმარისი იქნებოდა უბრალოდ იმაზე მითითება, თუ რის საფუძველზე დავადგინეთ კონკრეტული თარიღი, სამეცნიერო აპარატის რუბრიკაში „დათარილება“ მივუთითეთ ეს საფუძველი, მაგალითად: „ვათარილებთ პირველი პუბლიკაციის მიხედვით“, „ვათარილებთ რვეულში მის წინ მოთავსებული თარიღიანი ტექსტის მიხედვით“, „ვათარილებთ უბის წიგნაკში მის შემდეგ მოთავსებული თარიღიანი ჩანაწერის მიხედვით“ და სხვ.

რუბრიკაში „შენიშვნა“ შევიტანეთ ისეთი ტიპის ინფორმაციები, როგორცაა, მაგალითად, ანოტაციაში მოხსენიებული ტექსტის განსხვავებული სათაურები, წყაროში დაშვებული შეცდომის კონიექტურა, როგორი შემოკლებებით ან ფსევდონიმებით არიან პირები მოხსენიებულნი წყაროში და სხვ.

ხშირად ამა თუ იმ კონტექსტში გალაკტიონ ტაბიძის გვარი წყაროებში მოხსენიებულია ბევრ სხვა პირთან ერთად, მაგალითად, ნათქვამია, მის გარდა კიდევ ვინ მონაწილეობდა შემოქმედებით საღამოში, მასთან ერთად ვინ აირჩიეს რომელიმე საბჭოში, კომისიაში და სხვ. ამ ჩამონათვალში ისეთი შემთხვევითი პირებიც არიან ხოლმე, რომლებიც სხვაგან აღარ გვხვდებიან. რამდენადაც ეს გალაკტიონ ტაბიძის მატიაწეა, გვარების ვრცელი ჩამონათვალებით მკითხველი რომ არ გადაგვეღალა, გადავწყვიტეთ ანოტაციებში ისინი არ მოგვეხსენიებია. მეორე მხრივ, გავითვალისწინეთ ისიც, რომ შეიძლება რომელიმე მკვლევარს განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდეს ამგვარი ინფორმაციისადმი. ამიტომ ეს ჩამონათვალები, ზუსტად იმ სახით, როგორც წყაროშია, გავიტანეთ რუბრიკაში „შენიშვნა“. აქ მკითხველს იმაზეც შეუძლია დაკვირვება, პირთა ვრცელ ჩამონათვალში გალაკტიონი რომელ ადგილზეა მოხსენიებული.

მატიანის მკითხველად მოიაზრება არა მხოლოდ სპეციალისტთა წრე, არამედ ფართო საზოგადოება. ამიტომ მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ ანოტაციები განგვეტვირთა სპეციფიკური ტერმინებისგან, უცხო სიტყვების, ფსევდონიმებისა და კრიპტონიმებისგან. როდესაც წყაროში ასეთი ქარაგმები და მინიშნებები გვხვდებოდა, მათ თანამედროვე მკითხველისთვის გასაგები სახით წარმოვადგენდით, მაგრამ ავთენტური ინფორმაციის შენარჩუნების მიზნით, ამის შესახებ მივუთითებდით სამეცნიერო აპარატის რუბრიკაში „შენიშვნა“.

ანოტაციებში ყველა პირს მოვიხსენიებთ სახელითა და გვარით, მაგრამ ისეთებს, რომლებიც თავიანთი ერთი რომელიმე ფსევდონიმით უფრო არიან საზოგადოებისთვის ცნობილი, ვიდრე საკუთარი გვარ-სახელით, ანოტაციაში ამ ფსევდონიმებით ვახსენებთ.

გალაკტიონის დედას – მაკრინე ადგიშვილსა და ძმას – აბესალომ (პროკლე) ტაბიძეს, რომლებიც მატიაწეში ძალზე ხშირად იხსენიებიან, ტექსტის გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით, ხშირად წარმოვადგენთ მხოლოდ ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვებით: „დედა“ და „ძმა“.

როდესაც წყაროში პირები გვართ და სახელის ინიციალით, ფსევდონიმით, კრიპტონიმით ან რაიმე მინიშნებით არიან მოხსენიებულნი, მაგრამ მათი ვინაობა საეჭვო არ არის, ანოტაციაში პირდაპირ წარმოვადგენთ სახელით და გვარით, მაგრამ თუ იმის ალბათობა არსებობს, რომ იდენტიფიცირებაში შეიძლება შევცდეთ, შენიშვნაში ვუთითებთ, წყაროში როგორ იყო წარმოდგენილი.

რამდენადაც მატიაწე გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას ასახავს, ანოტაციების უდიდესი ნაწილი მისი, როგორც მოქმედი პირის სახელითა და გვარით უნდა დაგვეწყოს: „გალაკტიონ ტაბიძე წერს... გალაკტიონ ტაბიძე მიემგზავრება... გალაკტიონ ტაბიძე არედაქტირებს... და სხვ., რაც მომბაზრებელი იქნებოდა. ამიტომ ყველგან, სადაც ანოტაციის დასაწყისში სხვა არავინ იყო ნახსენები და ეს გაუგებრობას არ გამოიწვევდა, გალაკტიონ ტაბიძის სახელსა და გვარს ან უბრალოდ არ ვწერდით ან ვანაცვლებდით ნაცვალსახელით. შესაბამისად, ყველა ანოტაციის დასაწყისში, სადაც მოქმედი პირი არ ჩანს, იგულისხმება გალაკტიონი.

საბჭოთა პერიოდში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ პერიოდული ორგანოს ან კრებულის გამომცემელი პოეტის თანხმობის გარეშე აქვეყნებდა მის ლექსებს. ყველა ასეთი შემთხვევის იდენტიფიცირება გართულდებოდა. ამიტომ ანოტაციებში ასეთ ფრაზას: „გაზეთ „თემში“ აქვეყნებს ლექსს...“ ვამჯობინეთ ფრაზა: „გაზეთ „თემში“ იბეჭდება ლექსი...“

**დამუშავებული წყაროები:** მატიაწის მოსამზადებლად დამუშავებულ იქნა არა მხოლოდ ხელნაწერთა უდიდეს საცავებში დაცული საარქივო მასალა, არამედ ის 1687 ერთეულიც, რომელიც ინახებოდა პოეტის ძმისწულის – ნოდარ ტაბიძის ოჯახში და დღემდე მიუწვდომელი იყო მკვლევართათვის. ამ მასალის ციფრული ბაზა ინახება ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაციაში და მის მონაცემებს მატიაწიდან პირველად გაეცნობა მკითხველი. ასევე პირველად არის მატიაწეში თავმოყრილი

ინფორმაცია გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცული გალაკტიონის პირადი ბიბლიოთეკის წიგნებზე გაკეთებული მინაწერების შესახებ.

ნებისმიერი ავტორის ბიობიბლიოგრაფიის შექმნა შრომატევადი საქმეა, მაგრამ ეს ამოცანა კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ეხება ისეთ ნაყოფიერ, საქვეყნოდ ცნობილ და მნიშვნელოვან პიროვნებას, რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში თავადაც ბევრს წერდა და აქვეყნებდა და მასზეც ბევრს წერდნენ. წინამდებარე ბიობიბლიოგრაფიის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ არსებულიყო მწერლის სიცოცხლისდროინდელი გამოცემები, თხზულებათა თორმეტტომეული, აკადემიური თხზომეტტომეულის პირველი ხუთი ტომი, ლიტერატურის მუზეუმის საარქივო გამოცემა 25 ტომად, იოსებ ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი სამი წიგნი: „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა“, „ბიბლიოგრაფია“ და „გალაკტიონ ტაბიძე: ცხოვრების გზა და შემოქმედებითი ბიოგრაფია“, ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“ და მამუკა შელეგიას მიერ მომზადებული „გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანის“ პირველი ნაწილი. ეს ის წიგნებია, რომლებმაც მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა წინამდებარე „მატიანეს“. კვლევისას დიდი დახმარება გაგვიწია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულმა ბიბლიოთეკა „ივერიელმა“ და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ მომზადებულმა ვებგვერდმა, რომელზეც გალაკტიონ ტაბიძის საარქივო მასალაა წარმოდგენილი. წიგნში ასევე სრულად აისახა ამავე მუზეუმის თანამშრომლის – ნანა კობალაძის მიერ მატთანისთვის წარმოებული ტექსტოლოგიური კვლევის შედეგები.

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანზე მუშაობისას ყურადღებით შევისწავლეთ ავტორის სიცოცხლისდროინდელი ყველა გამოცემა და მათში დათარიღების თვალსაზრისით დიდ შეუსაბამობებს წავაწყდით. აღმოჩნდა, რომ გალაკტიონ ტაბიძის 1937, 1952, 1954 და 1959 წლების გამოცემები ამ თვალსაზრისით სრულიად არასანდო წყაროებია. ასობით ლექსი ამ გამოცემებში დაწერის თარიღად მითითებულზე უფრო ადრეა არა მხოლოდ დაწერილი, არამედ გამოქვეყნებულიც კი. მაგალითად, 1913 წელს გამოქვეყნებულ ლექსთან „ჩემს ირგვლივ“ 1937 წლის გამოცემაში თარიღად მიწერილია 1915, 1914 წელს გამოქვეყნებულ ლექსებთან „კორდზე“, „ბინდის სტუმარი“ და „მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას...“ – 1915, 1914 წელს გამოქვეყნებულ ლექსებთან „ახალ ცისკართან“, „განწირულება“, „ქარი“, „უკანასკნელ დღეს“ და „მოგონება“ – 1916, 1914 წელს გამოქვეყნებულ ლექსთან „სარკესთან“ – 1917, 1914 წელს გამოქვეყნებულ ლექსთან „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“ – 1918. 1913 წელს გამოქვეყნებულ ლექსთან „სად?“ 1937 წელს გამოცემულ თხზულებათა პირველ ტომშიც და 1954 და 1959 წლების „რჩეულებშიც“ თარიღად მითითებულია 1914, 1914 წელს გამოქვეყნებულ ლექსებთან: „ჭკნება“, „ბედს იქით!“ და „დაღლილ წამწამთ ქვეშ...“ 1937 წელს გამოცემულ თხზულებათა პირველ ტომში და 1959 წლის რჩეულში თარიღად მითითებულია 1915, 1914 წელს დაწერილ ლექსთან „სიცივე“ – 1916, 1912 წელს დაწერილ ლექსთან „დახუჭული თვალები“ – 1915. 1912 წელს გამოქვეყნებული ლექსი „შემოდგომის ფოთოლი“ 1937 წელს გამოცემულ თხზულებათა პირველ ტომში და 1954 წლის რჩეულში დათარიღებულია 1914 წლით. 1910 წელს გამოქვეყნებული ლექსი „ყვავილები“ („ყვავილებისას გვირგვინებს ვწნავდი...“) 1937 წლის გამოცემაში დათარიღებულია 1915 წლით, 1954-ისაში კი – 1911-ით. ასევე 1910 წელს გამოქვეყნებული ლექსი „რა მშვენიერი იყო ნამი...“ 1937 წლის გამოცემაში დათარიღებულია 1915 წლით, 1954-ისაში კი – 1913-ით. მსგავსი მაგალითები უამრავია. როგორც ვხედავთ, ისეთი უტყუარი ფაქტი, როგორც ლექსების პუბლიკაციაა, ცალსახად ადასტურებს მითითებული თარიღების არასანდოობას. თან აღსანიშნავია, რომ ეს არ არის თარიღების მექანიკური გადატანა ერთი გამოცემიდან სხვებში. ასე რომ ყოფილიყო, ყველა თარიღის უზუსტობას ამათგან პირველ, 1937 წლის გამოცემას მივაწერდით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თარიღები ერთმანეთისგან განსხვავებულია და არცერთი არ არის სწორი.

არის შემთხვევები, როდესაც გამოცემებში მითითებული თარიღებიდან ზოგი მისი გამოცემის დროზე ადრეულია, ზოგი კი შემდეგდროინდელი. მაგალითად, 1914 წელს გამოქვეყნებული ლექსი „მგზავრის სიმღერა“ 1937 წლის ლექსების კრებულში, თხზულებათა პირველ ტომსა და

1959 წლის გამოცემაში დათარიღებულია 1916 წლით, მაგრამ 1954 წლის გამოცემაში – 1909-ით. 1914 წელს გამოქვეყნებული ლექსი „განახლდა გული“ 1937 წელს გამოცემულ ლექსებში და თხზულებათა პირველ ტომში დათარიღებულია 1917 წლით, მაგრამ 1954 და 1959 წლების რჩეულებში – 1911-ით. 1937 და 1959 წლების გამოცემებში ლექსი „წუხელი, ღამით...“ დათარიღებულია 1915 წლით, 1954 წლისაში კი – 1910-ით. მართალია, მსგავს ვითარებაში ზოგიერთი თარიღის უარსაყოფად იმ არგუმენტს ვეღარ მოვიხმობთ, რომ ეს კონკრეტული ლექსი მის თარიღად მითითებულ წელზე ადრე ვერ იქნებოდა გამოქვეყნებული, მაგრამ სხვადასხვა გამოცემებში აღნიშნული წლების ერთმანეთთან შეუსაბამობამ და ათეულობით შემთხვევამ, რომლებშიც ცალსახად დადასტურდა ამ გამოცემებში სხვა ლექსებთან მითითებული წლების უზუსტობა, მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საერთოდ არ უნდა დავერდნობოდით ამ გამოცემებში მითითებულ წლებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ყველა გამოცემაში ერთი და იგივე წელი იყო მითითებული და იგი წინააღმდეგობაში არ მოდიოდა გამოცემის დროსთან. შესაბამისად, იძულებული გაგხდით, რომ ასობით ლექსი, რომლებსაც გალაკტიონ ტაბიძის სიცოცხლისდროინდელ გამოცემებში ესა თუ ის კონკრეტული თარიღი ჰქონდა მითითებული, მათი პირველი პუბლიკაციის მიხედვით დაგვეთარიღებინა. ზემოხსენებულ გამოცემებში მოცემული თარიღების არასანდოობა ჩვენამდე გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თხუთმეტტომეულის შემდგენლებმა შენიშნეს. პირველი ტომის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „დათარიღებისადმი გალაკტიონის თავისუფალ დამოკიდებულებაზე“ და ზემოხსენებულ გამოცემებში მითითებული თარიღების არასანდოობაზე მეტყველებს იმ ლექსების სტილური და ვერსიფიკაციულ-პოეტური ანალიზიც, რომლებსაც არასწორი თარიღები აქვს მიწერილი“. შესაბამისად, სტილურ და ვერსიფიკაციულ ანალიზსაც იმავე დასკვნამდე მივყავართ, რომ ამ თარიღებზე დაყრდნობა არ შეიძლება.

რამდენადაც მატიანე თხზულებათა ბიბლიოგრაფიასაც მოიცავს, სასურველი იყო, მასში მითითებული ყოფილიყო ამა თუ იმ ტექსტის ყველა ავთენტური წყარო – როგორც ავტოგრაფები, ისე სიცოცხლისდროინდელი გამოცემები. თუ ლექსის ავტოგრაფებს შორის იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები არ იყო, რომ ისინი ერთი თხზულების სხვადასხვა რედაქციებად ჩაგვეთვალა, ყველა ავტოგრაფს ვუთითებდით იმ ანოტაციასთან, რომელშიც საუბარია თხზულების დაწერის შესახებ, თითოეულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით კი ვაკეთებდით ცალკე ანოტაციას და წყაროდ ვუთითებდით ამ პუბლიკაციას. თუ ავტოგრაფებს შორის რედაქციული სხვაობა იყო, მაშინ იმდენ ანოტაციას ვაკეთებდით, რამდენი რედაქციაც მოგვეპოვებოდა. თუ ვერ ხერხდებოდა ტექსტის შემდგომი რედაქციების ზუსტი დათარიღება, მათ ვათარიღებდით ლექსის დაწერის შემდგომი პერიოდით და თითოეულ რედაქციასთან ვუთითებდით მხოლოდ ტექსტზე მუშაობის შესაბამისი ეტაპის ამსახველ ავტოგრაფს.

რამდენადაც ავტოგრაფები და სიცოცხლისდროინდელი წყაროები მკითხველისათვის იოლად ხელმისაწვდომი არ არის, გადავწყვიტეთ, რომ იმ ანოტაციაში, რომელშიც ესა თუ ის თხზულება პირველად იხსენიება, აუცილებლად მიგვეთითებინა სანდო თანამედროვე გამოცემა. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული ტექსტისა და მისი ვარიანტების შესახებ ყველაზე სრული ინფორმაცია თხზულებათა აკადემიურ გამოცემაშია, იმ ტექსტებისა და სამეცნიერო აპარატის გვერდებს, რომლებიც შეტანილია მწერლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის დღეისათვის გამოცემულ ხუთ ტომში, ვუთითებდით ამ წყაროდან, ტექსტების იმ ნაწილთან კი, რომლებიც ამ გამოცემაში არ შედის (რადგან ქრონოლოგიურად სცილდება ამ ხუთ ტომში წარმოდგენილ პერიოდს), ვუთითებდით ლიტერატურის მუზეუმის საარქივო გამოცემიდან ან თორმეტტომეულიდან.

ლექსის დასაწყისს (ინციპიტი), როგორც წესი, უთითებენ ხოლმე მხოლოდ უსათაურო ლექსების წინ და ერთნაირი სათაურის მქონეების განსასხვავებლად. თავდაპირველად ჩვენც ამ წესს მივყვებოდით, მაგრამ გალაკტიონის ციფრულ არქივში აღმოჩნდა ასობით დღემდე უცნობი ლექსი და წინასწარ იმის განსაზღვრა, რომელიმეს სათაური განმეორდებოდა თუ არა,



წარმოუდგენელი იყო. ამიტომ გადავწყვიტეთ, თავი დაგვეზღვია და დასაწყისები მიგვეთითებინა ყველა ასეთ ლექსთან. ლექსის დასაწყისი ნაწარმოების იდენტიფიცირებისთვის მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებშიც, როდესაც ეს ლექსები უსათაუროდ იბეჭდებოდა პოემების შემადგენლობაში.

**ქრონოლოგია:** ანოტაციები, რომლებიც თარიღდება მხოლოდ კონკრეტული წლის კონკრეტული თვით, მატიაწეში თავსდება ამ თვის ზუსტი თარიღის მქონე ანოტაციების შემდეგ. ასევე ხდება წელთან მიმართებითაც: მხოლოდ კონკრეტული წლით დათარიღებული ანოტაციები თავსდება ამ წლის ზუსტი თარიღის მქონეთა შემდეგ. დათარიღების კატეგორია „1915 ან შემდეგ“ წინ უსწრებს იმას, რომელშიც დასახელებული წელი არ შედის – „1915 შემდეგ“. როდესაც მოვლენას აქვს ფართო თარიღი, მაგალითად, 1907-1909, ანოტაცია თავსდება დროითი ინტერვალის ზედა ზღვართან მხოლოდ ამ წლით (1909) დათარიღებული მოვლენების წინ. არის შემთხვევები, როდესაც მოვლენის წლის ზედა ან ქვედა ზღვარი მიახლოებით დგინდება, მაგრამ ცნობილია ზუსტი თვე და რიცხვი. მაგალითად, „1927 ან შემდეგ 11 იანვარი“. ანოტაცია მიგვანიშნებს, რომ ფაქტი მოხდა 1927 წლის ან პოეტის გარდაცვალებამდე რომელიმე მომდევნო წლის 11 იანვარს და იგი თავსდება 1927 წლის 11 იანვრის ანოტაციის შემდეგ. გალაკტიონის მიერ სხვებისთვის გაგზავნილი წერილების ანოტაციებს მატიაწეში ვათავსებთ მათი დაწერის ან გაგზავნის დროის მიხედვით, მაგრამ გალაკტიონისათვის გაგზავნილ წერილებს, რომლებიც მას შეიძლება იმავე დღეს ვერ მიეღო, ვათარიღებთ ამ თარიღის მომდევნო პერიოდით.

გალაკტიონ ტაბიძის საარქივო მასალებში რამდენიმე ათასი უთარიღო ხელნაწერია, რომელთა დათარიღებაც მათი შინაარსის ისტორიულ და ბიოგრაფიულ კონტექსტებთან მიმართების დადგენის საფუძველზე ვერ ხერხდებოდა. თეორიულად, ისინი პოეტს შეიძლებოდა დაეწერა თავისი ცხოვრების თითქმის ნებისმიერ ეტაპზე – წერა-კითხვის შესწავლიდან გარდაცვალებამდე, მაგრამ გამოცემას აბსურდულ სახეს მისცემდა ამ უამრავი ტექსტის შექმნასთან დაკავშირებული ზღვა ინფორმაციის 6-7 წლის ასაკთან ან გარდაცვალების წინა დღესთან ჩასმა. აქ უდიდესი დახმარება გაგვიწია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ხელნაწერთა დათარიღების გრაფიმატული კვლევა და მეთოდოლოგია“ შედეგებმა, რომლებიც პირდაპირ გამოვიყენეთ თითოეულ ასეთ გამოუვალ სიტუაციაში. მართალია, გრაფიმატული კვლევით ძირითადად ტექსტების მიახლოებითი დათარიღება ხდება, მაგრამ მწერლის ბიოგრაფიისა და ბიობიბლიოგრაფიისთვის ესეც განუზომლად მნიშვნელოვანია.

**ფორმატი:** ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ელექტრონულ მატიაწეებს, რომლებიც მსგავსი პროექტების ფარგლებში მომზადდა, აქვს ჰიპერლინკებიანი PDF ფორმატი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მარტივად გადავიდეთ ანოტაციებიდან მათ სამეცნიერო აპარატზე და პირიქით, მაგრამ „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიაწე“ თითოეულ ამ წიგნზე სამჯერ და მეტჯერ დიდი მოცულობისაა, რაც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ თითო ანოტაციას თითო დამატებითი გვერდი გვერდი მიეზას ჰიპერლინკით. ზემოხსენებული წიგნების მსგავსი დაკაბადონებით ამ მატიაწეს, რომელიც 14 ათასამდე ანოტაციისგან შედგება, კიდევ ამდენი გვერდი დაემატებოდა და ჰიპერლინკების მექანიზმი გამართულად ვერ იმუშავებდა. შესაბამისად, გალაკტიონის მატიაწეში გამოვიყენეთ ტექსტის ბოლოს მიბმული სქოლიოების, ე. წ. „ენდნოუთების“ სისტემა. თითოეული ანოტაციის ბოლოს არის სქოლიოს ნომერი, რომლითაც შეგიძლიათ იპოვოთ ამ ანოტაციის სამეცნიერო აპარატი: წყაროები, შენიშვნები და დათარიღება. ანოტაციების ბოლოს, სამეცნიერო აპარატამდე მოთავსებულია ანბანურ რიგზე დალაგებული პირთა სამიხეობელი.

**კალენდარული სტილი:** 1918 წლის 18 აპრილამდე თარიღები მატიაწეში მითითებულია ძველი კალენდარული სტილით, ამ დღის შემდეგ კი – ახლით. 1918 წლის 18 აპრილის ნაცვლად წერია „1 მაისი“ და ყველა მომდევნო – შესაბამისად. რუსული მასალების დამუშავებისას ასევე

გათვალისწინებულია, რომ რუსეთის ტერიტორიაზე კალენდარული ცვლილება მოხდა 1918 წლის თებერვლიდან – 1 თებერვლის ნაცვლად მიღებულ იქნა 14 თებერვალი და ა. შ.

**წიგნში გამოყენებულია შემდეგი შემოკლებები და აბრევიატურები:**

„თხუთმეტტომეული“ – გ. ტაბიძე, თხზულებანი თხუთმეტ ტომად.

„თორმეტტომეული“ – გ. ტაბიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად.

„კვლევები“ – „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ტექსტოლოგიური და ინტერდისციპლინური კვლევები“.

სგ – გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა 25 წიგნად.

ქლმ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

მკს – მწერალთა კავშირის საქმეების ასლები, რომლებიც დაცულია ლიტერატურის მუზეუმში.

გტსმ – გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი (თბილისის).

გტსმ-ჭ – გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმი (ჭყვიშის).

გტცა – გალაკტიონ ტაბიძის ციფრული არქივი, რომელიც დაცულია ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარის ასოციაციაში.

მაია წინიძე

## 1892-1904

1891

### 5 ნოემბერი

იბადება იმერეთის სოფელ ჭყვიშში. დედა არის 24 წლის მაკრინე გიორგის ასული ადვიშვილი, მამა – ვასილ სტეფანეს ძე ტაბიძე, რომელიც ამ დროს ექვსი თვის გარდაცვლილია. ჰყავს უფროსი ძმა – ორი წლის აბესალომი.

➤1

1892

### 3 იანვარი

ინათლება სოფელ ჭყვიშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. ნათლობის საიდუმლოს აღასრულებს მისი ბაბუა – მღვდელი სტეფანე ტაბიძე, მიმრქმელია დედის – ეკატერინე ადვიშვილის ქმარი: მღვდელი თადეოზ ნამიჭვიშვილი. მიმრქმელი ახალშობილს მართლმადიდებლური ტიპიკონის მიხედვით მისი დაბადების დღეს მოსახსენიებელი სირიელი წმინდანის – გალაკტიონის სახელს არქმევს.

➤2

1892

### 31 დეკემბერი

გალაკტიონის ბიძის – იუსტინე ტაბიძის მეუღლე – ელისაბედ ფხაკაძე ფეხმძიმედ არის, სიარული უჭირს და წევს. დედამთილს ახალი წლის ღამეს მასთან საგანგებოდ მიჰყავს პატარა გალაკტიონი და ეუბნება, კარგი ფეხის არისო.

➤3

1893

### 1 იანვარი

დამოუკიდებლად დგამს პირველ ნაბიჯებს.

➤4

### 1894 და შემდეგ

#### 1 იანვარი

ახალი წლის დღესასწაულებზე მეკვლედ მიდის ბიძის – იუსტინეს ოჯახში, სადაც სიხარულით ხვდებიან, როგორც კარგ ფეხადს და ვერცხლის აბაზიანებს ჩუქნიან.

➤5

1894

### 3 ნოემბერი

გარდაეცვალა ბაბუა – მღვდელი სტეფანე ტაბიძე.

➤6

1894

### 16 დეკემბერი

მამამთილის გარდაცვალების შემდეგ გალაკტიონის დედა ობლებისთვის სახელმწიფო მეურვეობას ითხოვს. ამასთან დაკავშირებით აღიწერება აბესალომ და გალაკტიონ ტაბიძეების ქონება და დგინდება, რომ მათ ამ დროისთვის აქვთ პატარა საცხოვრებელი სახლი, სასიმიინდე და ორ ქცევაზე ცოტა მეტი მიწა, რომელიც მთლიანად 615 მანეთად ფასდება. ასევე, აქვთ მამის ძმებთან საზიარო 1600 მანეთამდე ქონება და 222 მანეთი ვალი.

➤7

### 1895 ან შემდეგ

## **შემოდგომა**

გალაკტიონის ეზოში მისი ბიძის, იუსტინე ტაბიძის დამხმარე ბიჭი ტაბიძეების საზიარო ყურძენს კრეფს. გალაკტიონი გოდრიდან ერთ მტევანს იღებს. გაბრაზებული ბიჭი უყვირის და სახლამდე ლანძღვით მისდევს.

➤8

## **1897 წლამდე**

სწავლობს წერა-კითხვას.

➤9

## **1897**

მეზობლის ბავშვი იღუპება ტუპერკულოზით. გალაკტიონი ამ ამბავს ძალიან განიცდის და ოცნებობს „ჭლექის ექიმი“ გამოვიდეს.

➤10

## **1899**

### **27 აგვისტომდე**

დეიდის ქმარს, მღვდელ თედორე ნამიჭივილიძეს, რომელიც გალაკტიონის მამის გარდაცვალების შემდეგ მეურვეობას უწევს მას და მის ძმას, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის სახელზე შეაქვს მეტრიკული ამონაწერი და თხოვნა, რომ გალაკტიონ ტაბიძე მიიღონ მოსამზადებელ კლასში.

➤11

## **1899**

### **ზაფხული**

იმყოფება სოფელ დუცხუნში დეიდის, ანასტასია ადეიშვილის ოჯახში. შემდეგ დეიდასთან და დეიდაშვილთან, ამბერკ ჯულაყიძესთან ერთად ბრუნდება ჭყვიშში.

➤12

## **1899**

### **27 აგვისტო**

ძმასთან აბესალომ ტაბიძესთან, დედასთან მაკრინე ადეიშვილთან, დეიდასთან ანასტასია ადეიშვილთან და დეიდაშვილთან ამბერკ ჯულაყიძესთან ერთად ჭყვიშიდან ქუთაისში მიემგზავრება, სადაც დედა მისთვის ქირაობს ბინას.

➤13

## **1898-1899 სექტემბრამდე**

სწავლობს სოფლის სკოლაში.

➤14

## **1899**

### **1 სექტემბერი**

სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩაბარებისთვის მოსამზადებლად შეჰყავთ დეკანოზ ნესტორ ყუბანიშვილის კერძო ერთკლასიან სკოლაში, რომელიც ქუთაისში ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან მდებარე ამავე დეკანოზის სახლშია განთავსებული. გალაკტიონის მასწავლებელია ნადია მაჩიტაძე. იმისათვის, რომ შვილს ყურადღება მიაქციოს, დედა – მაკრინე ადეიშვილი ქუთაისში სასწავლებელთან ახლოს არქიელის გორაზე აზნაურ ანდრო წერეთლის სახლში ქირაობს ბინას და იქ გადადის საცხოვრებლად.

➤15



## 1899 ან შემდეგ

წერს ლექსს „ბაგრატის ტაძრის გალავანში“.

➤16

## 1900

### 23 აგვისტო

გალაკტიონის მეურვეს, მღვდელ თედორე ნამიჭეიშვილს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის სახელზე შეაქვს განცხადება, რომლითაც ითხოვს გალაკტიონ ტაბიძის მიღებას მოსამზადებელ კლასში.

➤17

## 1900

### 1 სექტემბერი

იღებენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პირველ მოსამზადებელ კლასში. ქართულს ასწავლის ცნობილი პედაგოგი მელიტონ ჩოგოვაძე, დამრიგებელია ივანე გიორგაძე და მის კლასში 57 მოსწავლეა.

➤18

## 1900

### 1 სექტემბრის შემდეგ

მერხიდან იატაკზე უვარდება სამელნე და გულმოსული მასწავლებელი ილარიონ მატარაძე ყვირილით გაემართება მისკენ. გალაკტიონი ისე მშვიდად უხსნის, რომ სამელნე უცაბედად გადაუვარდა და სთხოვს, არ გაბრაზდეს, რომ მასწავლებელი დასარტყამად შემართულ სახაზვს დაბლა სწევს და ამის შემდეგ მეტი პატივისცემით ექცევა.

➤19

## 1900

### 1 სექტემბრის შემდეგ

ეწერება ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკაში, გამოაქვს წიგნები და ბევრს კითხულობს.

➤20

## 1900

### 1 სექტემბრის შემდეგ

დედას სთხოვს ხოლმე ჩონგურზე დაკვრას. მასთან და ძმასთან ერთად მღერის: „მიყვარს ფაცხა მე მეგრული...“, „სამი ქალი თივას თიბდა...“, „სერზე მიდის სამი მგელი...“ და სხვა სიმღერებს.

➤21

## 1900

წერს ლექსებს „ნანგრევის საიდუმლო“ და „ფიქრი ფაზისის პირად“.

➤22

## 1900 ან შემდეგ

აივანზე ზის და კითხულობს. უცებ დედა, რომელიც ამ დროს სარეცხს რეცხავს, ეუბნება, რომ საქონელი მორეკვს და ეზოში შეიყვანოს. გალაკტიონი დედის თხოვნას ასრულებს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ მისი შერეკილი საქონლიდან არცერთი არ არის მათი. მაკრინე და გალაკტიონი იძულებულნი არიან, სხვისი საქონელი ისევ გარეთ გაუშვან და საკუთარი შერეკონ ეზოში. დედა გალაკტიონს საყვედურობს, რომ დახმარების ნაცვლად დრო დააკარგვინა.

➤23

## 1901

### ზაფხული

დეიდასთან დუცხუნში ყოფნისას წერს პირველ ლექსს და მდინარე ყუმურის პირას კითხულობს.  
➤24

1901

### 1 სექტემბერი

გადადის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეორე მოსამზადებელ კლასში. მასწავლებლები არიან ჯაჯანიძე და პ. კვიციანიძე. ბინად არის ვინმე „კოტეს“ სახლში.  
➤25

1902

### 1 სექტემბრიდან

გადადის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე მოსამზადებელ კლასში. ბინად არის ნაცვალაძის სახლში. კითხულობს აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, გიორგი ჭალადიდელის, დუტუ მეგრელის, იროდიონ ევდოშვილის ნაწარმოებებს.  
➤26

1903

### 22 აპრილამდე

დედა – მაკრინე ადგილობრივი იძულებულია ქუთაისიდან ისევ ჭყვიშში დაბრუნდეს და მეურნეობას მიხედოს, გალაკტიონს კი მასზე ორი წლით უფროს ძმასთან ტოვებს. დედის მუდმივ მეთვალყურეობას მიჩვეული გალაკტიონი მის გარეშე ნაკლებს მეცადინეობს.  
➤27

1903

### 22 აპრილი

აბესალომ ტაბიძე თავისი და გალაკტიონის სახელით წერილს უგზავნის დედას, უყვება თავიანთ ამბავს და ატყობინებს, რომ გალაკტიონი კარგად სწავლობს.  
➤28

1903

### 22 აპრილის შემდეგ

ქუთაისში იღებს დედის, მაკრინე ადგილობრივის მიერ ჭყვიშიდან გაგზავნილ წერილს და სამმანეთნახევარს. დედა სთხოვს, რომ კარგად იმეცადინოს, გაგზავნილი თანხიდან დიასახლისს ბინის ქირა გადაუხადოს და წერილი აუცილებლად მისწეროს.  
➤29

1903

### ზაფხულამდე

მაკრინე ადგილობრივი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე მოსამზადებელ კლასში მყოფ გალაკტიონს გამოცდებისთვის მოსამზადებლად მიაბარებს ამ სასწავლებლის მოსწავლე ილია თევზაძეს, მაგრამ გალაკტიონი ვერ ხვდება პირველ ძირითად კლასში და მაკრინე სტუდენტს თანხის ნახევრის უკან დაბრუნებას სთხოვს.  
➤30

1903

### ზაფხულამდე

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სტუდენტი ილია თევზაძე, ვინც გალაკტიონს ამზადებდა გამოცდებისთვის, წერილს უგზავნის მაკრინე ადგილობრივს. უხსნის, რომ ბავშვი კარგად იყო მომზადებული, მაგრამ ადგილების ნაკლებობის გამო დარჩა სასულიერო სასწავლებლის პირველ

კლასში ჩაურევნი. ბოდიშს უხდის, რომ მისგან მოთხოვნილი თანხა იმ დროს არა აქვს, მაგრამ ჰპირდება, რომ დაუბრუნებს.

➤31

**1903**

### **ზაფხული**

იმის გამო, რომ ვერ გადადის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე მოსამზადებელ კლასში, წერილს უგზავნის დედას და სთხოვს შინ დასაბრუნებელ თანხას, რომ ჭყვიშში ჩავიდეს და გიმნაზიისთვის მოემზადოს.

➤32

**1903**

### **ზაფხული**

საპასუხო წერილს იღებს დედის, მაკრინე ადგიშვილისგან. სწერს, რომ გიმნაზიაში ჩასაბარებლად მომზადებას თანხა სჭირდება, თავად სწავლაც ფასიანია და სასულიერო სემინარიაზე იოლი არ არის, მათ კი ამის საშუალება არა აქვთ. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ისევ სასულიერო სასწავლებელში დარჩენაა. დედა ფიქრობს, რომ გალაკტიონმა რომ კურსი ვერ დახურა, მისი გარემოცვის ბრალიც იყო. ამიტომ ავალეებს, რომ ბინა კარგ ამხანაგებთან ერთად იქირავოს და სწავლით გამოიჩინოს თავი, რომ მომდევნო წელს სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში სახელმწიფო ხარჯზე მიიღონ. გამოცდებისთვის მომზადებაში ძმა აბესალომი და ბიძაშვილი გერასიმე დაეხმარებიან. უგზავნის 5 მანეთს ბინის საქირავებლად და სწერს, რომ თმაც შეიმოკლოს სასწავლებელში წასვლამდე.

➤33

**1903**

### **1 სექტემბრიდან**

კიდევ ერთხელ გადის სასულიერო სასწავლებლის მესამე მოსამზადებელი კლასის პროგრამას.

➤34

**1902-1903**

სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთაგან თავის უახლოეს მეგობრებს ბაგრატის ტაძრის გალავანში უკითხავს თავის ლექსებს.

➤35

**1903**

ილია ჭავჭავაძის პოეზიის შთაგონებით წერს ლექს „ჩვენი ერი“.

➤36

**1903**

დედასთან ერთად ქუთაისში ცხოვრობს ნაცვალაძის გორაზე, ეკარგებათ ძროხა, რომელსაც დიდხანს ამაოდ ეძებენ, შემდეგ კი გალაკტიონის დეიდაშვილი ეპიფანე რუსაძე პოულობს.

➤37

**1904**

### **19 მაისი**

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის უფროს მოსამზადებელ კლასს ასრულებს შემდეგი ნიშნებით: საღმრთო სჯული – 3 ½, რუსული ენა – 4/4 ½, ქართული ენა – 3 ½, არითმეტიკა – 4, სლავური საეკლესიო გალობა – 5, ქართული საეკლესიო გალობა – 4, სუფთა წერა – 4, ყოფაქცევა – 5. არდადეგები აქვს 31 აგვისტოს ჩათვლით და მიდის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.

➤38

**1904**

**1 სექტემბერი**

სწავლას აგრძელებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში.

➤39

**1904**

**27 სექტემბერი**

აბესალომ ტაბიძე ქუთაისიდან წერილს უგზავნის დედას და სთხოვს, რომ მალე ჩააკითხოს შვილებს, რადგან გალაკტიონს ფეხსაცმელი აღარ აქვს და ფეხშიშველი დადის.

➤40

**1904**

**5 ნოემბრამდე**

კითხულობს ადამ მიცკევიჩის პოეზიას და იმდენად მოსწონს, რომ მისი საყვარელი პოეტი ხდება.

➤41

**1899-1904**

ინტერესდება არქანჯელო ლამბერტის წიგნით „სამეგრელოს აღწერა“ და ყურადღებით ათვალთვლებს.

➤42

**1902-1904**

დეიდაშვილს ამბერკ ჯულაყიძეს უკითხავს ლექსებს.

➤43

**1903-1904**

ცხოვრობს ქუთაისში მარჯანიშვილებისგან ნაქირავებ ბინაში.

➤44

**1905**

**1905**

**28 თებერვალი**

ის და მისი ძმა აბესალომი წერილს იღებენ დედის ძმისშვილის, ივანე ადგიშვილისაგან.

ადრესანტი მოიკითხავს მათ და სწერს, რომ მათთან სოფელში ჩასვლას აპირებდა მათი ნათესავი აკაკი.

➤45

**1905**

**ივლისი**

წერს მოთხრობას „ყაჩაღები“.

➤46

**1905**

**1 სექტემბერი**

სწავლას აგრძელებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასში.

➤47

**1905**

**9 ოქტომბერი**

იწყებს ხუთმოქმედებიანი ტრაგედიის წერას სათაურით „ქრისტეს მცნებანი“.



➤48

1905

ნოემბრამდე

უსათაუროდ თარგმნის უოლტ უიტმანის ტექსტს „მოუწყენარ ჩვენს მებრძოლებს...“

➤49

1905

ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ცისკრის ვარსკვლავი კაშკაშებს...“

➤50

1905

ნოემბრამდე

წერს ლექსს „სურათი“ („კოკის პირულად წვიმა გადმოქუხს...“).

➤51

1905

ნოემბრამდე

წერს ლექსს „ოთხი...“ („დღეს რაზედ ელტვის ქვეყანა...“).

➤52

1905

ნოემბრამდე

წერს ლექსს „ბედს“ („ნუ, ნუ მტანჯავ ჩემო ბედო...“).

➤53

1905

ნოემბრამდე

წერს ლექსს „გაზაფხული“ („ეალერსება მზე მთის წვერებს...“).

➤54

1905

ნოემბრის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს იმის შესახებ, რომ საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“ ქალმა რედაქტორებმა 1905 წლის ნოემბერში პავლე თუმანიშვილს გადასცეს.

➤55

1905

ნოემბრის შემდეგ

წერს ლექსს „რთველი“ („მალიდგან მწიფე მარცვლები...“).

➤56

1905

ნოემბრის შემდეგ

წერს ლექსს „ქრისტე აღსდგა“ („ცა დასცქერის მხიარულად...“).

➤57

1905

ნოემბრის შემდეგ

წერს ლექსს „მერცხლები“ („ჩემს დერეფანთან დილას მერცხლები...“).

➤58

1905

**ნოემბრის შემდეგ**

აკეთებს უსათაურო მონახაზს საბავშვო პროზაული მინიატიურისათვის, რომლის მოქმედი პირები არიან ნიკო, თამარი და ნუცა.

➤59

1905

**ნოემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ნუ, ნუ მტანჯავ მოლოდინში...“.

➤60

1905

**ნოემბერ-დეკემბერი**

სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასში იღებს შემდეგ შეფასებებს: საღმრთო სჯული – 3, რუსული 4/4, ქართული ენა – 4, არითმეტიკა – 3, სლავური საეკლესიო გალობა – 4, ქართული საეკლესიო გალობა – 3, სუფთა წერა – 4, ყოფაქცევა – 4.

➤61

1905

**23 დეკემბერი ან უფრო ადრე**

სახელმძღვანელოდან „Родное слово“ თარგმნის ნაწყვეტს ალექსეი კოლცოვის ლექსიდან „მოსავალი“.

➤62

1905

**23 დეკემბერი**

რუსული ენის სახელმძღვანელოდან თარგმნის ლექსს „მეხრე და ყვავილი“.

➤63

1904-1905

ცხოვრობს ქუთაისში ნაცვლიშვილებისგან ნაქირავებ ბინაში.

➤64

1905

წერს ლექსს „გაზაფხულის დილა“.

➤65

1905

წერს ლექსს „ზამთარი“.

➤66

1905

**27 იანვრის შემდეგ**

ბრუნდება სოფელ ჭყვიშში, რადგან მოსწავლეთა მღელვარების გამო სასულიერო სასწავლებელი ერთი წლით იხურება.

➤67

1905

**ზაფხული ან შემდეგ**

აღტაცებულია გურიაში განვითარებული მოვლენებით.

➤68

1905

წერს პიესას რევოლუციის შესახებ და ტიცვიან ტაბიძესთან ერთად დგამს თავის სახლში. გალაკტიონი თამაშობს ყაჩაღის როლს.

➤69

1905

კითხულობს და ამუშავებს შემდეგ თხზულებებს: „ბეჟანიანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის „თხზულებანი“, დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“, ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი ?!“, აკაკი წერეთლის „ნათელა“, „თორნიკე ერისთავი“, თხზულებათა I ტომი, იაკობ გოგებაშვილის „საარაკო თავგადასავალი“, „ასპინძის ომი“, „მოსავლის მცველნი“, „ხატის მიზეზით“, ალექსანდრე ყაზბეგის „მოდღვარი“, „ციცია“, ნიკო ლომოურის „ქაჯანა“, „ალი“, ანტონ ფურცელაძის „ვაი მართალთა“, „სამთა თავგადასავალი“, მელანთას „ბნელო“, მოსე ჯანაშვილის „საქართველოს მოკლე ისტორია“, 1893 წლის „კვალი“, სერვანტესის „დონ კიხოტი“.

➤70

1905

ადგენს მოკლე ანოტაციებს რუსულად წაკითხული შემდეგი წიგნების შესახებ: ალექსანდრე პუშკინის „პუგაჩოვის ისტორია“, ლევ ტოლსტოის „ადდგომა“, ალექსანდრე ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები“, ჰენრიკ იბსენის „ექიმი შტოკმანი“ და სხვ.

➤71

**1905 შემდეგ**

წერს ლექსს „დაჰკა“, რომელშიც აყალიბებს თავის აზრს მწერლის დანიშნულებაზე.

➤72

**1906**

1906

**30 იანვარი**

რუსულ ენაზე დაწერილი განცხადებით გალაკტიონ და აბესალომ ტაბიძეები თხოვნით მიმართავენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველ ლეონიდ კოლტიპინს, რომ გაითვალისწინონ ობლების – აბესალომ და გალაკტიონ ტაბიძეების მძიმე მდგომარეობა და გაუწიონ მატერიალური დახმარება.

➤73

1906

**30 იანვრის შემდეგ**

თხოვნის საფუძველზე აბესალომ და გალაკტიონ ტაბიძეები სასულიერო სასწავლებლიდან იღებენ დახმარებას 5 მანეთის ოდენობით.

➤74

1906

**20 თებერვალი**

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი აძლევს ცნობას, რომ ის არის ამ სასწავლებლის მეორე კლასის მოსწავლე.

➤75

1906

**22 აპრილამდე**

წერილს უგზავნის დედას. ატყობინებს, რომ ადრესატის დიშვილმა ეპიფანე რუსაძემ ძმისშვილს, სერაპიონ ადეიშვილს, რომელთანაც გალაკტიონი იმხანად ცხოვრობდა, 7 მანეთი დაუტოვა, მაგრამ ის გალაკტიონს უარს ეუბნება თანხის მისი დიასახლისისთვის მიცემაზე. გალაკტიონი დედას სთხოვს, საჩქაროდ მისწეროს სერაპიონს და სთხოვოს ფულის დიასახლისისთვის გადახდა. ატყობინებს, რომ მის მიერ გატანებული თანხიდან 90 კაპიკად იყიდა გერბიანი ქუდი, 20 კაპიკად ფეხსაცმელი და 15 კაპიკად რვეულები.

➤76

1906

**23 აპრილი**

გალაკტიონთან ქუთაისში მიდის მისი ბიძაშვილი სერაპიონ ადეიშვილი და ეუბნება, რომ მის დიასახლისს სამი მანეთი მისცა და ერთი ამდენი დედამისს მაკრინეს დაუტოვა სოფელში. თან აფრთხილებს, ამის შესახებ დიასახლისს არ გაუმხილოს, რადგან იმისთვის არ უთქვამს სოფელში გამოვლის შესახებ. დიასახლისი გალაკტიონს მაინც არ ასვენებს, ეუბნება, ან დედაშენმა ფული გამოაგზავნოს ან გადადიო.

➤77

1906

**25 აპრილი**

იღებს აბესალომ ტაბიძის მიერ 22 აპრილს გაგზავნილ წერილს. მმა სწერს, რომ მათმა ბიძაშვილმა სერაპიონ ადეიშვილმა ერთი მანეთი გალაკტიონს უნდა მისცეს ფეხსაცმლის შესაძენად, დანარჩენი თანხა კი მის დიასახლისს. მაგრამ თუ ფული უკვე მთლიანად გადასცა დიასახლისს, მაშინ გალაკტიონმა ერთი მანეთი ამ უკანასკნელს უნდა გამოართვას. ატყობინებს, რომ მალე ჩააკითხავენ და დიასახლისთან ანგარიშს გაასწორებენ.

➤78

1906

**27 აპრილი**

ქუთაისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას, მაკრინე ტაბიძეს და სთხოვს, თუ თავისმა ძმისშვილმა სერაპიონ ადეიშვილმა ფული მართლა დაუტოვა, აუცილებლად საჩქაროდ გაუგზავნოს გალაკტიონის დიასახლისს.

➤79

1906

**აპრილი ან ადრე**

არდადეგების შემდეგ ბრუნდება ქუთაისში და დედის მიერ გატანებული ფულით ყიდულობს გერბიან ქუდს, 2 საგაზახულო ფეხსაცმელს და რვეულებს.

➤80

1906

**აპრილი ან ადრე**

ქუთაისში აკითხავს ბიძა, გადასცემს დედის წერილს და უხსნის, რომ მაკრინემ მისთვის გამოსაგზავნი ფული ვერ იშოვა.

➤81

1906

**აპრილი**



ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში რუსულ ენაზე წერს თემას „რას საქმიანობენ გლეხები ზამთარში, გაზაფხულზე, ზაფხულში და შემოდგომაზე“.

➤82

**1906**

**27 მაისი ან შემდეგ**

ლექსით ეხმაურება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველ იპოლიტ გრეკოვის მკვლელობას.

➤83

**1906**

**28 მაისის შემდეგ**

ქუთაისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ მისი სასწავლებლის ზედამხედველის, იპოლიტ გრეკოვის მკვლელობის გამო მოსწავლეები დაითხოვეს, მაგრამ მისი დიასახლისი სახლიდან არ უშვებს, რადგან ბინის ქირა არ აქვს გადახდილი. სთხოვს, რომ თანხა სასწრაფოდ გაუგზავნოს, რომ შეძლოს სოფელში დაბრუნება.

➤84

**1906**

**30 მაისი**

ამთავრებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასს.

➤85

**1906**

**მაისი**

წერს პოემას „სატანა“ („არ სძინებია სელიმს... უეცრად...“), რომლის პერსონაჟებიც არიან სელიმი და ლელე.

➤86

**1906**

**ივნისამდე**

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას, მაკრინე ადგიშვილს და ატყობინებს, რომ მას და გალაკტიონს ძალიან უჭირთ, კაპიკი არ გააჩნიათ და, თუ დროზე არ ჩააკითხავს, შიმშილით დაიხოცებიან. სწერს იმასაც, რომ სასწავლებელში ახალი რევიზორი მივიდა და გალაკტიონს გაცვეთილი ტანსაცმლით კლასში აღარ შეუშვებენ.

➤87

**1906**

**ივნისამდე**

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ მისი დატოვებული ფული გალაკტიონმა მაშინვე პურში დახარჯა. სწერს, რომ გალაკტიონს ერთი ლექსიკონი სჭირდება და ორი შაურიანი რვეული. სთხოვს, რომ ამ თანხასთან ერთად ხილიც გაუგზავნოს.

➤88

**1906**

**19 აგვისტოს შემდეგ**

რუსეთის იმპერიაში მოქმედებას იწყებს სამხედრო-საველე სასამართლოები, რომლებიც ტერორისტებისა და რევოლუციონერების საქმეებს დაჩქარებული წესით იხილავენ. ჭყვიშში კაზაკები მოსახლეობას ჩხრეკენ. გალაკტიონის უფროსი ძმა აბესალომ ტაბიძე სახლში არსებულ

არალეგალურ ლიტერატურას, გაზეთს „ბრძოლა“ და სხვა არალეგალურ გაზეთებსა და ფურცლებს მიწაში ფლავს, რაზეც გალაკტიონს გული სწყდება.

➤89

**1906**

### **1 სექტემბერი**

სწავლას აგრძელებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასში.

➤90

**1906**

### **სექტემბერი ან შემდეგ**

ქუთაისშია. იღებს დედის წერილს და ერთ მანეთს. მაკრინე ადგიშვილი აცნობებს, რომ რამდენიმე დღეში ჩაკითხავს, მანამდე კი თავის ბიძაშვილ სერაპიონ ადგიშვილთან მივიდეს და მაკრინეს წერილი აჩვენოს. თუ სერაპიონი დათანხმდება, დროებით მასთან დარჩეს, თუ არა, მიღებული მანეთით დედის ჩასვლამდე როგორმე თავი შეინახოს და შემდეგ რაიმეს მოახერხებენ.

➤91

**1906**

### **სექტემბერი ან შემდეგ**

ბინავდება თავის ბიძაშვილ სერაპიონ ადგიშვილთან და ელოდება დედის ჩასვლას, რომ საცხოვრებლად სხვაგან გადავიდეს.

➤92

**1906**

### **სექტემბერი ან შემდეგ**

მაკრინე ადგიშვილი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილს, აბესალომს, ულოცავს სემინარიაში მოხვედრას და ატყობინებს, რომ გალაკტიონი ქუთაისში ჩაიყვანა და ტოვებს თავის ძმისშვილ სერაპიონ ადგიშვილთან.

➤93

**1906**

### **სექტემბრის შემდეგ**

მაკრინე ადგიშვილი წერილს უგზავნის ძმისშვილებს – სერაპიონ, ისაკო და კაკინო ადგიშვილებს, ბოდიშს უხდის, რომ ხელში შეატოვა გალაკტიონი, ამდენ ხანს ვერც ჩაკითხა და ვერც ვერაფერი გაუგზავნა. კაკინოს სთხოვს, რომ გალაკტიონს ტანსაცმლის დაკრება თუ დასჭირდება, დაუკეროს.

➤94

**1906**

### **4 ოქტომბრის შემდეგ**

იღებს 4 ოქტომბერს გაგზავნილ წერილს აბესალომ ტაბიძისაგან, რომელიც სთხოვს გააგებინოს, მიიღო თუ არა მის მიერ გაგზავნილი წიგნები და აცნობოს, როგორ ნიშნებს იღებს. ადრესანტი ურჩევს, კარგად იმეცადინოს, რადგან მესამე კლასში რთული საგნები მოელის.

➤95

**1906**

### **14 ოქტომბრამდე**

მოსწავლის ხელით იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წიგნებს და წერილს, რომელშიც მარკაც დევს საპასუხო წერილისთვის.

➤96

1906

22 ოქტომბრამდე

უცვლიან რუსულის მასწავლებელს.

➤97

1906

22 ოქტომბრამდე

იგებს, რომ მისი ძმა, აბესალომი, რომელიც თბილისში სწავლობდა, ავად გამხდარა და ორი კვირა საავადმყოფოში იწვა.

➤98

1906

22 ოქტომბრამდე

იღებს ძმის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წიგნებს.

➤99

1906

22 ოქტომბერი

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს. ატყობინებს, რომ დედა ჭყვიშიდან მასთან ჯერ არ ჩამოსულა და ამიტომ ის სერაპიონ ადგიშვილთან არის ბინად. წერს, რომ მისგან წიგნები გადასცეს და სთხოვს, თუ კიდევ აქვს, მიაწვდინოს. უხსნის, რომ მარკა დაკარგა და წერილი ამიტომ დაუგვიანა. მოკითხვას გადასცემს ბიძაშვილების: სერაპიონის, კაკინოსა და მიხაკოსგან.

➤100

1906

22 ოქტომბერი

იღებს დედის გაგზავნილ წერილს და იგებს, რომ ავადმყოფობდა.

➤101

1906

22 ოქტომბერი

ქუთაისიდან ჭყვიშიში წერილს უგზავნის დედას. ატყობინებს თბილისში მყოფი აბესალომის ავადმყოფობისა და გამოჯანმრთელების ამბავს. სწერს, რომ ის სახელმწიფო ხარჯზე სწავლობს. ასევე ატყობინებს, რომ მისი დედის ძმისშვილი კაკინო ადგიშვილი ჯერ ქუთაისიდან წასვლას არ აპირებს.

➤102

1906

27 ოქტომბერი

აბესალომ ტაბიძე თბილისიდან ჭყვიშიში წერილს უგზავნის დედას და ინტერესდება, როგორ გრძნობს თავს ქუთაისში ბიძაშვილ სერაპიონ ადგიშვილთან დატოვებული გალაკტიონი.

➤103

1906

10 დეკემბრის შემდეგ

იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ 10 დეკემბერს გაგზავნილ წერილს. ადრესანტი სთხოვს, გულმოდგინედ იმეცადინოს და თავისი ამბები დაუყოვნებლივ მისწეროს.

➤104

1906

**25 დეკემბრის შემდეგ**

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და ინტერესდება, გალაკტიონი სახლში არის თუ ქუთაისში. სთხოვს, თუ სახლშია, წერილი მისწეროს.

➤105

1905-1906

წერს ლექსს „ჩემი მოგონებანი“, რომელშიც დედისადმი დიდი სიყვარულია გამოხატული.

➤106

1905-1906

ცხოვრობს ქუთაისში წერეთლებისგან ნაქირავებ ბინაში.

➤107

1906

გამოსცემს ხელნაწერ ჟურნალს „დღიური“, რომელშიც ათავსებს საკუთარ ლექსებს, პოემებსა და მოთხრობებს.

➤108

1906

არდადეგებზე ქუთაისიდან ჭყვიშისკენ მგზავრობისას ძმას, აბესალომს ეჯიბრება რითმების მოფიქრებაში და ვერსიფიკაციულ შეჯიბრში პირველად სჯობნის.

➤109

1906

ლექსს უძღვნის მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – ია ეკალაძეს (იაკობ ცინცაძეს).

➤110

1906

სადვთო სჯულის მასწავლებელი ტრიფონ ჯაფარიძე გაკვეთილზე სვამს კითხვას, რატომ უჭირთ მდიდრებს მოწყალების გაცემა, რაზეც ერთი მოსწავლე პასუხობს, რომ საერთოდ მდიდრებს უჭირთ მოწყალების გაღება და ამ პასუხში ფრიადს იმსახურებს. გალაკტიონი ეჭვობს, რომ პასუხი ასეთ მაღალ შეფასებას იმსახურებს და ამის შესახებ აღნიშნავს თავის დღიურში.

➤111

**1906 ან შემდეგ**

კითხულობს რუსულენოვან გამოცანების წიგნს და ზოგიერთს უწერს პასუხს.

➤112

1907-მდე

სამსონ წითელიშვილი, რომელსაც ვანის მამასახლისის – ვამეხ მალლაკელიძის მკვლევლობისთვის პოლიცია ეძებს, თავისი რაზმის წევრებთან ერთად ტიციან ტაბიძის ოჯახს აფარებს თავს, რადგან ტიციანის მამა იუსტიწე მღვდელია და მასზე ეჭვს არ აიღებენ. ტიციანს ამ დროს სასკოლო არდადეგები აქვს, სახლშია და სტუმრებს ესაუბრება. გამთენიისას სტუმრები ემშვიდობებიან მასპინძლებს და უჩინარდებიან. დილით გალაკტიონი აკითხავს ბიძაშვილს და ტიციანი უყვება წითელიშვილის სტუმრობის ამბავს.

➤113

**1907**  
**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1907**

**იანვრიდან**

რვეულში იწერს ლათინურ სიტყვებს და უწერს რუსულ მნიშვნელობებს.

➤114

**1907**

**6 იანვრამდე**

გალაკტიონის დედა – მაკრინე წერილს უგზავნის თავის ძმისშვილს, სერაპიონ ადგიშვილს, რომელიც ქუთაისში მაკრინეს დისა და სიმის ეკატერინე და თადეოზ ნამიჭიშვილებისგან ნაქირავებ სახლში ცხოვრობს და ატყობინებს, რომ, ბინის მეპატრონეებთან შეთანხმებისამებრ, თუ ადრესატი გალაკტიონს თავისთან აცხოვრებს, მაკრინე ფქვილით და საჭმლით მოამარაგებს და ბინის პატრონებიც – მაკრინეს და და სიმე ბინის ქირის აღებისას გარკვეულ თანხას გამოუქვითავენ. სერაპიონი ამბობს, რომ ნამიჭიშვილებთან ასეთი შეთანხმება არ ჰქონია და უარს ამბობს გალაკტიონის მასთან ცხოვრებაზე.

➤115

**1907**

**6 იანვრამდე**

მაკრინე ადგიშვილი წერილს უგზავნის დას – ეკატერინესა და მის მეუღლეს – თადეოზ ნამიჭიშვილს და უყვება იმის შესახებ, რომ მათგან ნაქირავებ ქუთაისის სახლში მცხოვრები მათი ძმისშვილი სერაპიონ ადგიშვილი უარს ამბობს გალაკტიონის მასთან ცხოვრებაზე. უხსნის, რომ სერაპიონისთვის ფული აქვს მისაცემი, გალაკტიონიც უბინაოდ რჩება და ძალიან სთხოვს საქმის მოგვარებაში დახმარებას.

➤116

**1907**

**7 იანვარი**

მშობლიურ სოფელში საშობაო არდადეგებზე ყოფნის შემდეგ ისევ ბრუნდება ქუთაისში.

➤117

**1907**

**8 იანვარი**

ორშაბათი დღეა და მიდის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ მეცადინეობები არ ტარდება, რადგან მოსწავლეების დიდი ნაწილი ჯერ დაბრუნებული არ არის არდადეგებიდან.

➤118

**1907**

**9 იანვარი**

მიდის სასწავლებელში, სადაც უტარდება მხოლოდ მათემატიკის გაკვეთილი.

➤119

**1907**

**12 იანვარი**

ქუთაისში დიდი თოვლია. დიასახლისი მდგმურებს ეუბნება, რომ თუ სასწავლებელში წავლენ, შეიძლება ავად გახდნენ, მაგრამ ისინი მაინც გადაწყვეტენ წასვლას. პირველი გაკვეთილი აქვს მათემატიკა, მეორე გაკვეთილზე მასწავლებელი მელიტონ ჩოგოვამე ამთავრებს კითხვას და ანალიზს პიესისას მთიელთა ცხოვრებაზე. მესამე გაკვეთილი აქვს გეოგრაფია, შემდეგი – ლათინური არ უტარდება იმის გამო, რომ მასწავლებელი თეოდორ ბოგოლიუბოვი დიდი

თოვლის გამო ვერ ცხადდება. მეხუთე გაკვეთილი აქვს „სამოქალაქო ისტორია“ და ამ საგნის მასწავლებელთან დაკავშირებით ახსენდება ქართული ანდაზა „არც ისე წვიმს, როგორც ქუხს“.

➤120

1907

13 იანვარი

პირველი გაკვეთილი აქვს „რუსული ენა“, მეორე – „ბუნება“, მესამე – „სამოქალაქო ისტორია“, მეოთხე – „გალობა“. მეხუთე გაკვეთილი – „ლათინური ენა“ უცდება. გალაკტიონი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ბევრს უნდა ლათინურის სწავლა, მაგრამ მასწავლებელი სულ აცდენს.

➤121

1907

13 იანვარი

გ. ფაზისპირელის ფსევდონიმით წერს ლექსს „ჩემს სამშობლოს“ („საქართველოვ, მიყვარს შენი...“).

➤122

1907

13 იანვრის შემდეგ

გ. ფაზელის ფსევდონიმით წერს ლექსს „აღსდეგ ჩაგრულო“ („ჩაგრულო, დროა, შეგონდი...“).

➤123

1907

14 იანვარი

არ ესწრება ლიტურგიას. სათავადაზნაურო სკოლის მოსწავლის, გალაქტიონ ლორიასაგან იგებს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროკლამაციების გავრცელებისთვის დაკავებული ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები: შ. ჩიქვინიძე, ი. მახარაშვილი, ა. ყიფიანი და გ. ენუქიძე, რომლებიც 10 იანვარს ქალაქის ბაღთან დააკავეს ადგილობრივი ადმინისტრაციის განჩინებით გადასახლებულები იქნებიან ვიატკის გუბერნიაში.

➤124

1907

14 იანვარი

საღამო ხანს სოფლიდან ქუთაისში აკითხავს დედა – მაკრინე ადგიშვილი.

➤125

1907

15 იანვარი

პირველი გაკვეთილი აქვს „კატეხიზმო“, მეორე – „ქართული ენა“. მესამე – „ლათინური ენა“ არ უტარდება იმიტომ, რომ მოსწავლეები ყვირილით უცხადებენ პროტესტს მასწავლებელს, ტოვებენ გაკვეთილს და მიდიან სახლებში. ისინი განცხადებით მოითხოვენ სხვა პედაგოგის დანიშნას.

➤126

1907

16 იანვარი

გ. ფაზელის ფსევდონიმით წერს ლექსს „პასუხად ვ. N.N.N.“ („სწორედ მაკვირვებს ჩვენი ცხოვრება...“).

➤127

1907

**17 იანვარი**

დილით გალაკტიონის დედა – მაკრინე ადგიშვილი უკან მიემგზავრება სოფელ ჭყვიშში.

➤128

1907

**17 იანვარი**

პირველი გაკვეთილი აქვს „კატეხიზმო“, მეორე – „გეოგრაფია“, მესამე – „ქართული ენა“, მეოთხე – „რუსული ენა“. ამის შემდეგ, ლათინურის გაკვეთილზე კლასში შედის ჯერ სასწავლებლის ინსპექტორი ტრიფონ ჯაფარიძე და შემდეგ ზედამხედველი მამა ზინობი დროზდოვი. ის ეკითხება მოსწავლეებს, რა პრეტენზიები აქვთ ლათინურის მასწავლებელ თეოდორ ბოგოლიუბოვის მიმართ. როცა სტუდენტები ხმამაღლა გამოხატავენ პროტესტს და ამბობენ, რომ არ უნდათ ასეთი მასწავლებელი, ზედამხედველი აფრთხილებს, რომ ასეთი ხმამაღალი პროტესტი დემონსტრაციას ჰგავს და ადმინისტრაცია რეპრესიებს მიმართავს. გალაკტიონი დღიურში იწერს, ვნახოთ, რა იქნება ხვალ.

➤129

1907

**18 იანვარი**

პირველი გაკვეთილი აქვს „კატეხიზმო“, მეორე – „ქართული ენა“. მასწავლებელი იწყებს ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ კითხვას და მოსწავლეებს ეუბნება, რომ სომხების თემაზეა. მესამე გაკვეთილი აქვს „არითმეტიკა“, მეოთხე – „საეკლესიო სლავური გალობა“, ბოლო გაკვეთილი აქვს „ლათინური ენა“, რომელიც, გალაკტიონისთვის გასაოცრად, მოსწავლეთა მხრიდან მშვიდ გარემოში ტარდება. პოეტი ფიქრობს, რომ მის თანაკლასელებზე იმოქმედა თეოდორ ბოგოლიუბოვის სიტყვებმა იმის თაობაზე, რომ იგი მოსწავლეებისთვის ცუდს არაფერს გააკეთებს. ასე რომ არ იყოს, დიდი ხნის წინ შეატყობინებდა ხელმძღვანელობას გაკვეთილებზე მათ მიერ მოწყობილი პროტესტების შესახებ.

➤130

1907

**19 იანვარი**

პირველი გაკვეთილი აქვს „რუსული ენა“, მეორე – „ქართული ენა“, მესამე – „გეოგრაფია“, მეოთხე – „ლათინური ენა“, მეხუთე – „სამოქალაქო ისტორია“.

➤131

1907

**19 იანვარი**

საგანგებოდ ყიდულობს რვეულს, რომ მასში წიგნებიდან გადახატოს ცნობილი მწერლების, მეფეებისა და წინამძღოლების გამოსახულებები. იმავე ხატავს რუსი მწერლის – ივან მიატლოვისა და ანტონ ფურცელაძის სახეებს. დღიურში უნდა რაღაცის ჩაწერა, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს ვიღაცისთვის შეურაცხყოფელი იქნება და გადაწყვეტს, არ ჩაწეროს.

➤132

1907

**23 იანვარი**

პირველი გაკვეთილი აქვს „კატეხიზმო“, მეორე, „ქართული გალობა“, მესამე „ქართული ენა“. მასწავლებელი აგრძელებს „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ კითხვას და ანალიზს. დასაწერად აძლევს თემას „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“. მეოთხე გაკვეთილი

აქვს „სამოქალაქო ისტორია“. თბილისიდან იღებენ ინფორმაციას, რომ ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს გიმნაზიის მოსწავლე და მისი მშობლებისგან გამოსასყიდს ითხოვენ.

➤133

1907

24 იანვარი

პირველი გაკვეთილი აქვს „არითმეტიკა“, მეორე – „სამოქალაქო ისტორია“, მესამე – „გეოგრაფია“, მეოთხე – „რუსული ენა“ უცდება და ამ გაკვეთილზე კითხულობენ რომელიღაც მოსწავლის მიერ მოტანილ ბროშურას „ვინ ჩაგრავს გლეხს“. კითხვას აპლოდისმენტებით ამთავრებენ.

➤134

1907

25 იანვარი

დილით კითხულობს დილის ლოცვებს. პირველი გაკვეთილი აქვს „კატეხიზმო“, მეორე – „გეოგრაფია“, მესამე – „ქართული ენა“, რომელზეც აგრძელებენ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ კითხვას. მეოთხე აქვს „ლათინური ენა“.

➤135

1907

25 იანვარი

საღამოს იწყებს ქართული ენის მასწავლებლის, მელიტონ ჩოგოვაძის მიერ დავალებად მიცემული თხზულების წერას სათაურით „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“. დავალების შესრულების ბოლო ვადაა 29 იანვარი.

➤136

1907

30 იანვარი

დილის საეკლესიო მსახურების შემდეგ ზედამხედველი ივანე კობახიძე სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს უცხადებს, ვინ რომელი „ჟამი“ უნდა წაიკითხოს ღვთის მსახურებაზე. გალაკტიონს წილად ხვდება მეექვსე ჟამი. პირველი გაკვეთილი აქვს „კატეხიზმო“, მეორე – „გეოგრაფია“, მესამე – „საეკლესიო სლავური გალობა“, მეოთხე – „ქართული ენა“ და გალაკტიონი მასწავლებელს გადასცემს თავის თხზულებას „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“. მეხუთე გაკვეთილი აქვს „ლათინური ენა“.

➤137

1907

30 იანვარი

დღიურში იწერს, რომ უკვე ექვსი წელია სასულიერო სასწავლებელში სწავლობს და ასეთი უწესრიგობა არასოდეს ყოფილა. მოსწავლეები თითქმის ყველაფერზე ჩხუბობენ და პედაგოგები და ზედამხედველები უკვე აღარც კი ერევიან მათ დამშვიდებაში. გალაკტიონი წერს, რომ მხოლოდ მიმდინარე დღეს 10 ჩხუბი იყო და სარკმელიც ჩაამტვრიეს. მასწავლებლებს ეშინიათ, რადგან ხშირად ხდება, რომ სასულიერო სასწავლებლის დაუმორჩილებელი მოსწავლეები სცემენ მასწავლებლებს ან რევოლვერსაც კი ესვრიან. მალე სასულიერო სასწავლებელი „ყაჩაღების“ ბუდედ იქცევა. ის მოსწავლეები, რომლებიც 12 იანვარს დააკავეს, უკვე თავისუფლები არიან და სასწავლებელში დაბრუნდებიან.

➤138

1907

30 იანვარი



საღამო ხანს სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი ტრიფონ ჯაფარიძე და ზედამხედველი კონსტანტინე მაჭარაძე მიდიან გალაკტიონთან, ბინაში და ატყობინებენ, რომ სამმოს საბჭომ მისთვის გამოყო 5 მანეთი.

➤139

1907

### 30 იანვრამდე

საპასუხო წერილს იღებს დედის – მაკრინე ადვიშვილისგან. დედა გახარებულია იმით, რომ გალაკტიონს სასწავლებელში მატერიალურ შემწეობას დაჰპირდნენ. სთხოვს, როცა ფულს მისცემენ, მაშინვე თავის დიასახლის დესპინეს გადასცეს და თუ რაიმეში ძალიან დასჭირდება, ცოტა გამოართვას. აფრთხილებს, რომ თუ ბიძია თადეოზი შეივლის დესპინესთვის ფულის დასატოვებლად, მის მიერ აღებული შემწეობის შესახებ არ უთხრას.

➤140

1907

### იანვარი ან შემდეგ

გალაკტიონის დედა – მაკრინე წერილს უგზავნის თავის დას და სიძეს, ეკატერინე და თადეოზ ნამიჭივილებს და ატყობინებს, რომ სერაპიონი მისი სახლიდან სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად.

➤141

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1907

### 1 თებერვალი

აკეთებს ჩანაწერს, რომ აღტაცებულია ქართულის მასწავლებლის, მელიტონ ჩოგოვადის გაკვეთილებით და კერძოდ მის მიერ ახსნილი ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილით“.

➤142

1907

### 1 თებერვალი

გ. ფაზისპირელის ფსევდონიმით თარგმნის ივან მიატლოვის ლექსს „ყვავილები“ („რა კარგნი, რა მშვენნიერნი იყვნენ ყვავილნი ჩემს ზაღში...“).

➤143

1907

### 1 თებერვალი

გ. ფაზისპირელის ფსევდონიმით წერს ლექსს „სევდა და მწუხარებანი...“.

➤144

1907

### 1 თებერვალი

დილით კლასში შესვლისას რომელიღაცა მოსწავლე მიამახებს, ნახე ჭერზე ბუზი ზისო და როდესაც გალაკტიონი ზემოთ აიხედავს, ყველანი ერთხმად შესძახებენ „დღეს პირველი თებერვალიაო“. ასევე მიახედებენ უკან მამა ზინობის და შემდეგ ისევ იმახიან, დღეს პირველი თებერვალიაო. მეორე „არითმეტიკის“ გაკვეთილია და გალაკტიონს იმახებენ, მაგრამ არ იცის, რა ნიშანს უწერს მასწავლებელი. მესამე აქვს „ქართული ენა“. ასრულებენ „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ კითხვას. დღიურში წერს, რომ უყვარს ქართულის გაკვეთილები, რადგან ბევრ ახალ რამეს სწავლობს. მეხუთე აქვს „ლათინური ენა“.

➤145

1907

**1 თებერვალი**

სასულიერო სასწავლებლის ბიბლიოთეკიდან გამოაქვს ნიკოლაი რუბაკინის წიგნი „ადამიანის გონების გამირობათა ამბები“.

➤146

1907

**3 თებერვალი**

ავად არის. სიცხე აქვს და სალამოს ლოცვიდან, მას შემდეგ, რაც ჯვარს ემთხვევიან, მიდის სახლში.

➤147

1907

**4 თებერვალი**

მიუხედავად იმისა, რომ ავად არის და ძალიან სტკივა თავი, მაინც მიდის წირვაზე.

➤148

1907

**5 თებერვალი**

პირველი გაკვეთილი უნდა ჰქონოდა „კატეხიზმო“, მაგრამ მასწავლებელი აცდენს და უტარდება „გეოგრაფია“. მეორე აქვს „ქართული ენა“.

➤149

1907

**5 თებერვალი**

პირველი გაკვეთილი აქვს „კარნახი“, მეორე – „ბუნება“, მესამე – „ლათინური ენა“, მეოთხე – „საეკლესიო სლავური გალობა“. დღიურში წერს, რომ ხუთი დღეა, რაც ჩანაწერები არ გაუკეთებია, მაგრამ ბევრი რამ მოხდა.

➤150

1904-

**1907 6 თებერვალი**

რუსული ენის მასწავლებელი გრიგორი ვამჟენკო სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს კვირაობით უკითხავს სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებს, აჩვენებს ნახატებს და ზრუნავს მათ ზოგად განათლებაზე.

➤151

1907

**6 თებერვალი**

უნიშნავენ „რუსული ენის“ ახალ მასწავლებელს – მიხეილ ბისტროვს.

➤152

1907

**9-10 თებერვალი**

წერს ლექსს „ჩემ წინ ქალაქი“ („თვალწინ მიდგება მთელი ზღვა...“).

➤153

1907

**10 თებერვალი**

ბიბლიოთეკაში აბრუნებს ნიკოლაი რუბაკინის წიგნს და გამოაქვს ალექსანდრ გრიბოედოვის თხზულებათა სრული კრებული, რომელშიც შედის ამ ავტორის ყველაზე ცნობილი ნაწარმოები, კომედია „ვაი ჭკუისაგან“.

➤154

1907

**10 თებერვალი**

სადამო ხანს ჩანახატებისთვის განკუთვნილ რვეულში ხატავს ალექსანდრ გრიბოედოვის გამოსახულებას.

➤155

1907

**13 თებერვალი**

ზოოპარკში წასასვლელად შეგროვებულ თანხას გადასცემენ ინსპექტორ ტრიფონ ჯაფარიძეს. მთელი სასწავლებელი მიდის ზოოპარკში, გალაკტიონის გარდა და გული სწყდება. პირველი გაკვეთილი აქვს „არითმეტიკა“, მეორე – „რუსული ენა“. ამ გაკვეთილზე ურიგდებთ შაბათს დაწერილი „კარნახის“ რვეულები და იგებს, რომ 4 მიიღო. რუსულის მასწავლებელი იძახებს და აყოლებს ეპიზოდს ალექსანდრ პუშკინის პოემიდან „პოლტავა“, სათაურით „კოჩუბი საპატიმროში“. ამ პასუხშიც იღებს ოთხიანს.

➤156

1907

**13 თებერვალი**

თარგმნის ალექსანდრ პუშკინის ლექსს „ძეგლი“ („მე აღვაგე ხელთუქმნელი, დიდებული ძეგლი წმიდა...“).

➤157

1907

**14 თებერვალი**

პირველი გაკვეთილი აქვს „ქართული ენა“, მეორე – „საეკლესიო სლავური გალობა“, მესამე – „გეოგრაფია“ და მეოთხე – „რუსული ენა“.

➤158

1907

**16 თებერვალი**

პირველი გაკვეთილი აქვს „რუსული ენა“, მეორე – „საეკლესიო სლავური გალობა“, მესამე – „გეოგრაფია“ და მეოთხე – „რუსული ენა“, რომელზეც აბარებენ რამდენიმე გაკვეთილის მასალის საფუძველზე მომზადებულ ნარკვევს.

➤159

1907

**16 თებერვალი**

დღიურში წერს სასწავლებლის მმართველობაში არსებული კრიზისის შესახებ. ადრე თუ ღარიბ მოსწავლეებს 10 მანეთით ეხმარებოდნენ, ახლა გალაკტიონსაც და სხვებსაც მხოლოდ 5 მანეთი შეხვდათ. საშინელი ზამთრის პირობებში საკლასო ოთახები არ თბება და ბევრი სხვა რამ არის მოუწესრიგებელი.

➤160

1907

**18 თებერვალი**

წირვას ესწრება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ტაძარში.

➤161

1907

### 18 თებერვალი

დღიურის ჩანაწერში წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსული ენის ძველი მასწავლებლის – გრიგორი ვაშჩენკოსგან განსხვავებით, ახალი პედაგოგი ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეების ზოგად განათლებას.

➤162

1907

### 18 თებერვალი

კითხულობს ალექსანდრ პუშკინის მოთხრობას „კაპიტნის ქალიშვილი“.

➤163

1907

### 19 თებერვალი

ზეიმით აღნიშნავენ ყმობისაგან გლეხთა გათავისუფლების დღეს. მეცადინეობები არ უტარდება და მიდის ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ტაძარში, მაგრამ მსახურებას არ ესწრება და მეგობართან ერთად მიდის ქალაქის ბიბლიოთეკაში გაზეთების წასაკითხად. კითხულობს გაზეთს „მიწა“, რომელიც გლეხებს მოუწოდებს, ზეიმით აღნიშნონ ეს დღე. ასევე კითხულობს იმის შესახებ, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეები აღნიშნავენ 15 თებერვალს, როგორც სემინარიელთა პირველი გაფიცვის დღეს, მასწავლებელთა ყრილობაზე კი საუბარი იყო პირველი და მეორე კლასების დახურვაზე. ბიბლიოთეკიდან ისევ ბრუნდებიან გიმნაზიის ეკლესიაში, სადაც თავს იყრიან გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლის, სემიონოვის დაკრძალვასთან დაკავშირებით. ესწრება დაკრძალვას საფიჩხიის სასაფლაოზე. პროცესიაზე უამრავი ხალხია. სახლში დაბრუნებული თავის დიასახლისს უყვება თბილისის სემინარიის ამბებს, რადგან იცის, რომ მისი შვილი იქ სწავლობს და დააინტერესებს.

➤164

1907

### 20 თებერვალი

კითხულობს მღვდელ ერმოლოზ კანდელაკის ბროშურას „ჩვენი უკუღმართობა“.

➤165

1907

### 20 თებერვალი

წერს კრიტიკულ მიმოხილვას ერმოლოზ კანდელაკის ბროშურისა „ჩვენი უკუღმართობა“.

➤166

1907

### 21 თებერვალი

„გა-ვა-ტა“-ს ფსევდონიმით წერს ლექსს „ანდერძი“ („ამხანაგებო! ეს არი...“).

➤167

1907

### 21 თებერვალი

პირველი გაკვეთილი აქვს „კატეხიზმო“ და მისი მასწავლებელი პირველად ატარებს გაკვეთილს ორთვიანი ავადმყოფობის შემდეგ. მეორე გაკვეთილი აქვს „რუსული ენა“, მესამე – „ქართული ენა“. მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება ეპიზოდებს მოთხრობიდან „სოლომონ ისაკიჩ

მეჯღანუაშვილი“. მეოთხე გაკვეთილი აქვს „საეკლესიო სლავური გალობა“, მეხუთე კი – „ლათინური ენა“. მასწავლებელ თეოდორ ბოგოლიუბოვს ისევ არ ემორჩილებიან და ყვირიან. გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეები ინსპექტორ ტრიფონ ჯაფარიძისგან ითხოვენ სასწავლო წლის მიმდინარე მეოთხედის ნიშნების გამოცხადებას. გალაკტიონი დღიურში წერს, რომ მასწავლებლებს ურჩევნიათ, დააკმაყოფილონ მოსწავლეების მოთხოვნები.

➤168

1907

## 22 თებერვალი

სასწავლებელში ძალიან ადრე მიდის და მარტოა. პირველი „კატეხიზმო“ უნდა ჰქონდეთ, მაგრამ მამა ზინობი არ არის და ტრიფონ ჯაფარიძე ესაუბრებათ იმის შესახებ თუ როგორ მოხდა ბატონყმობის ჩამოყალიბება რუსეთში მეფე თეოდორ იოანეს ძე რიურიკისა და ბორის გოდუნოვის დროს და შემდეგ როგორ გავრცელდა იგი კავკასიაში. მესამე გაკვეთილი აქვს „ქართული ენა“, მეოთხე – „ლათინური ენა“. გაკვეთილების შემდეგ უცხადებენ სასწავლო წლის მეორე მეოთხედის ნიშნებს.

➤169

1907

## 22 თებერვალი

ბიბლიოთეკაში აბარებს ალექსანდრ გრიბოედოვის თხზულებათა ტომს და გამოაქვს ალექსეი ტოლსტოის რომანის „თავადი სერებრიანი“ შემოკლებული ვერსია, რომელსაც იმავე დღეს კითხულობს ვლადიმერ ხილიაკის წიგნთან „ორი მოხუცი“ ერთად.

➤170

1907

## 22 თებერვალი

სასწავლებელი აძლევს 5 მანეთს დახმარების სახით.

➤171

1907

## 23 თებერვალი

პირველი გაკვეთილი აქვს „რუსული ენა“, მეორე – „სამოქალაქო ისტორია“, მესამე – „გეოგრაფია“, მეოთხე – „ლათინური ენა“ და ამ გაკვეთილზე წესრიგის დარღვევის გამო უსაძილოდ ტოვებენ. გალაკტიონი ტიციანთან და იეზუკიელთან ერთად მიდის პოლიექტოსის მოსანახულებლად. საღამოს ესწრება ლოცვას, რის შემდეგაც მეგობარ დავით დემეტრაშვილთან ერთად მიდის ქალაქის ბიბლიოთეკაში. გაზეთში „ახალი ცხოვრება“ კითხულობს იროდიონ ევდოშვილის სტატიას გაზეთის „მიწა“ საპასუხოდ. ეს გაზეთი მოუწოდებდა გლეხებს, რომ 19 თებერვალს აღენიშნათ მათი თავისუფლების დღე, იროდიონ ევდოშვილი კი წერს, რომ გლეხები ჯერ კიდევ არ არიან თავისუფლები და საზეიმო არაფერია. გაზეთში „წინ“ კითხულობს ინფორმაციას ცნობილი ატამანის – აფრასიონ მერკვილაძისა და მისი ორი მეგობრის მკვლელობის შესახებ სოფელ სვერში. მერკვილაძე ადრე უბრალო ყაჩაღი იყო, მაგრამ განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების შემდეგ მის სამსახურში ჩადგა.

➤172

1907

## 23 თებერვალი

წერს ლექსს „ჩონგური“ („ახ ჩონგურო, შენი კვნესა...“).

➤173

1907

### 23 თებერვალი

დღიურში იწერს, რომ ჯვრისწერის შემდეგ სასულიერო სასწავლებლის ტამარში ვიღაც ჩუმად დარჩენილა, სამი მანეთი აუღია, ღვინო და წმინდა პური მიურთმევია და წასულა. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ღამის ქურდს საეკლესიო მვირფასეულობისთვის ხელი არ უხლია.

➤174

1907

### 24 თებერვალი

წირვაზე დგომისას იგებს აფეთქების ხმას და საეკლესიო მსახურების დასრულების შემდეგ არკვევს, რომ თავდასხმა ყოფილა ფოსტის სალაროზე. პირველი ბომბით მოკლეს ქუთაისის ჟანდარმერიის უფროსი „ჩაჩანი სულთანა“ და ორი მცველი. ლიტურგიის შემდეგ მეგობართან ერთად მიდის ქალაქის ბიბლიოთეკაში. გზაში უამრავი კაზაკია ჩაყენებული. ბიბლიოთეკაში ბევრი ხალხია და ყველას გაზეთები აინტერესებს. გალაკტიონი კითხულობს გაზეთებს: „წინ“, „ისარი“, „ახალი ცხოვრება“, „ბაქო“ და ილუსტრირებულ ჟურნალს „ნოვოე ვრემია“. იგებს მერკვილაძესთან ერთად მოკლული ადამიანების გვარებს: გაჩეჩილაძე და ბოჭორიშვილი.

➤175

1907

### 24 თებერვალი

მეგობართან ერთად მიდის ბიბლიოთეკაში, სადაც ეცნობა ქართულ და რუსულ გაზეთებს. ერთ-ერთ რუსულ გაზეთში კითხულობს ავსტრიელი თეატრალური კრიტიკოსის იოსებ ლევინსკის ნეკროლოგს. გაზეთში „რუსსკიე ვედომოსტი“ კითხულობს, როგორ დაჭრეს ადმირალი ივან ნეპლიუევი და როგორ გაუგზავნა შემდეგ იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ მადლობის წერილი. თითქმის ყველა გაზეთშია მღვდელ გრიგორი პეტროვის ისტორია, რომელიც გადასახლებულ იქნა რომელიღაც მონასტერში, მაგრამ მაინც იქნა არჩეული სახელმწიფო საბჭოში. ასევე კითხულობს, რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრად სამეგრელოდან არჩეული ბიკენტი ლომთათიძე უკვე გაემგზავრა პეტერბურგში. იქვეა დაბეჭდილი ვლადიმერ ხილიაკის ნეკროლოგი და გალაკტიონს ახსენდება, რომ მისი წიგნი „ორი მოხუცი“ ზუსტად ორი დღის წინ წაიკითხა.

➤176

1907

### 24 თებერვალი

წერს ლექსს „სიმღერა“ („მიყვარს სამშობლო, მისთვის ვშრომობ მე...“), რომელსაც რეფრენად გაჰყვება სხვა ავტორის სიტყვები „მას ვენაცვალე, მისი ჭირიმე“.

➤177

1907

### 24 თებერვლის შემდეგ

გ. ფაზელის ფსევდონიმით წერს ლექსს „ჩანგი“ („შენ ჩემო ჩანგო წკრიალა...“).

➤178

1907

### 25 თებერვალი

კვირა დღეა. დილით როცა იღვიძებს, ხედავს, რომ თოვლი მოსულა. დიასახლისი ავად არის და ჯერ კიდევ სძინავს. გალაკტიონი თავად იშაადებს ჩაის და შემდეგ მიდის ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ტამარში წირვაზე დასასწრებად. საგალობლები ქართულად სრულდება. წირვის დასრულების შემდეგ მოსწავლეები გუნდაობენ. ასევე ბევრს საუბრობენ აფრასიონ მერკვილაძისა და მისი მეგობრების მკვლელობაზე.

➤179

1907

**25 თებერვლის შემდეგ**

ამონაწერებს აკეთებს „სიტყვიერების თეორიიდან“. მათ შორის, იწერს განმარტებებს, რა არის: პოემა, რომანი, არაკი, იდილია, ბალადა, ოდა, ელეგია და სხვ.

➤180

1907

**25 თებერვალი**

წერს ლექსს „ზღვას“ („ზღვა შფოთავს და მწარედ გრგვინავს...“).

181

1907

**25 თებერვლის შემდეგ**

გაზეთში „ისარი“ კითხულობს ძმის, აბესალომ ტაბიძის მიერ თარგმნილ ტექსტს „წვიმა“ და ძალიან უხარია.

➤182

1907

**26 თებერვლამდე**

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ბავშვების დიდ ნაწილს ურიგებენ უფასო ტანსაცმელს, მაგრამ გალაკტიონი მათ რიცხვში არ არის. მაკრინე ადგიშვილის ყურამდე მიდის, ალბათ ან კარგად არ სწავლობს ან ყოფაქცევა არ უვარგა, თორემ მშობლებიან ბავშვებსაც კი მისცეს ტანსაცმელი, არათუ მამით ობლებსო. სასწავლებლის ინსპექტორიც მიანიშნებს გალაკტიონის დედას, თუ კარგად ისწავლის და წესიერად მოიქცევა, ყურადღებას არ მოვაკლებთო.

➤183

1907

**26 თებერვლამდე**

ქუთაისში იღებს დედის – მაკრინე ადგიშვილის წერილს. ადრესანტი უგზავნის სამ მანეთს და სთხოვს, დაამატოს ეს თანხა სასწავლებლიდან მიღებულ დახმარებას და გადასცეს თავის დიასახლის დესპინეს. სამგზავროდ უგზავნის სამ აბაზს. სთხოვს გულმოდგინედ იმეცადინოს და როგორც კი სწავლას მორჩება, სოფელში წავიდეს, რომ დედას დაეხმაროს არყის გამოხდაში ან რაიმე სხვა საქმეში, რითაც შეძლებენ მისთვის ცოტაოდენი თანხის შეგროვებას. სთხოვს, რომ სხვა წიგნების კითხვას თავი დაანებოს. წელიწადნახევარიღა დარჩა და სხვა წიგნების კითხვას მერეც მოასწრებს.

➤184

1907

**26 თებერვალი**

პირველი გაკვეთილი აქვს „ქართული საეკლესიო გალობა“, მეორე – „კატეხიზმო“, მესამე – „ქართული ენა“, მეოთხე – „ლათინური ენა“ და მეხუთე – „სამოქალაქო ისტორია“. გალაკტიონს სასწავლებელში მიაქვს ერმოლოაზ კანდელაკის ბროშურა „ჩვენი უკუღმართობა“, რომელსაც ბევრი კითხულობს და შემდეგ მსჯელობენ. გაკვეთილების შემდეგ ბიბლიოთეკაში აბრუნებს წიგნს „თავადი სერებრიანი“ და მის ნაცვლად გამოაქვს ელიზავეტა ვოდოვოზოვას წიგნის „ევროპის ხალხთა ცხოვრება“ მესამე ტომი. ასევე იწყებს მარგარიტა იამშჩიკოვას მოთხრობის „ასან ხიზ“ კითხვას. სადამოს ბიბლიოთეკაში კითხულობს რუსულ გაზეთებს და ერთ-ერთში ნახულობს სახელმწიფო საბჭოს დეპუტატ მღვდელ გრიგორი პეტროვის პორტრეტს, რომელიც მიტროპოლიტ ანტონ ვადკოვსკისთვის გაგზავნილი კრიტიკული წერილის გამო იმხანად

გადაყვანილი იყო ჩერემენეცის მონასტერში. გაზეთში „ისარი“ კითხულობს ძმის, აბესალომ ტაბიძის თარგმანს სათაურით „წვიმა“ და ძალიან კმაყოფილია.

➤185

1907

**27 თებერვალი**

ფიქრობს, რომ დაითხოვენ და სასწავლებელში წიგნების გარეშე მიდის, მაგრამ პირველი გაკვეთილი „კატეხიზმო“ უტარდება და მხოლოდ მეორეს – „რუსული ენის“ შუიდან ათავისუფლებენ. კლასში შედიან ზედამხედველები და ურიგებენ ბილეთებს სახლებში წასასვლელად. გალაკტიონი იმავე დღეს მიემგზავრება ჭყვიშში და თან წასაკითხად მიაქვს ელიზავეტა ვოდოვოზოვას წიგნის „ევროპის ხალხთა ცხოვრება“ მესამე ტომი. 4-ის ნახევარზე ჯდება მატარებელში თავის მეგობრებთან, ბოლქვაძესა და კობრეიძესთან ერთად. სადგურ იანეთში კობრეიძე ჩამოშორდებათ, ბოლქვაძე და გალაკტიონი კი ფეხით მიდიან ჭყვიშამდე. ბოლქვაძე იმ დამეს ტაბიძეების ოჯახში რჩება და დილით აგრძელებს გზას საპაიჭაოსკენ.

➤186

## მ ა რ ტ ი

1907

**6 მარტი**

წერს ლექსს „იაპონია“ („მრავალხნობით დაჩაგრულმა...“).

➤187

1907

**7 მარტი**

წერს ლექსს „რუსეთი“ („თურქები და მონგოლები...“).

➤188

1907

**28 თებერვალი - 10 მარტი**

სოფელში ყოფნისას კითხულობს ლევ ტოლსტოის მოთხრობის „ბატონი და მოჯამაგირე“ 1895 წლის გამოცემას, კლავდია ლუკაშევიჩის მოთხრობას „ერთი ლუკმა პური“, ვოლტერის „უმანკოს“ 1892 წლის ქართულ გამოცემას და სხვა წიგნებს.

➤189

1907

**27 თებერვალი – 11 მარტი**

არდადეგებზე ჩადის დედასთან სოფელ ჭყვიშში და 14 დღით წყვეტს დღიურში ჩანაწერების წარმოებას.

➤190

1907

**11 მარტამდე**

იმყოფება მშობლიურ სოფელ ჭყვიშში, ესწრება წირვებს და ეზიარება.

➤191

1907

**11 მარტი**

დილით მიემგზავრება ჭყვიშიდან და სალამოს უკვე ქუთაისშია.



➤192

1907

11 მარტი

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს. გადასცემს დედის თხოვნას, რომ გაუგოს, მისცემენ თუ არა გალაკტიონს მომდევნო 1908 წლის სექტემბერში სემინარიაში ჩაბარების უფლებას.

➤193

1907

12 მარტი

სასულიერო სასწავლებელში ეწყება მეცადინეობები. პირველი გაკვეთილი აქვს „სამოქალაქო ისტორია“ და მასწავლებელი ითხოვს პროგრამის გამეორების დაწყებას სულ თავიდან. მეორე გაკვეთილი აქვს „ქართული ენა“. მოსწავლეებიდან 20 ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა არდადეგებიდან.

➤194

1907

13 მარტამდე

გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისიდან წერილს უგზავნის თბილისში ძმას - აბესალომს, რაღაცებზე ეკითხება აზრს, მაგრამ არ სწერს იმის შესახებ, თუ როგორი წარმატებები აქვს სწავლაში.

➤195

1907

13 მარტი

ქართულის მასწავლებელი მელიტონ ჩოგოვაძე დასაწერად აძლევს თემას „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, რომელიც უნდა დაწეროს იროდიონ ევდოშვილის პოემის მიხედვით. დრო მიცემული აქვს 19 მარტამდე. არდადეგების შემდეგ მოსწავლეებიდან ცხრა ჯერ არ დაბრუნებულა. კამათობს მეგობართან ავგუსტ ბებელის წიგნის „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ შესახებ.

➤196

1907

14 მარტი

დილის ორმოცდაათწუთიანი ღვთისმსახურების შემდეგ „კატეხიზმოს“ გაკვეთილი სულ 10 წუთს გრძელდება. შემდეგ აქვს „რუსული ენა“, მესამე გაკვეთილია „ქართული ენა“, მეოთხე – „გეოგრაფია“. ამის შემდეგ მესამე კლასის მოსწავლეები იკრიბებიან იმის გასარკვევად, მიითვისა თუ არა ერთმა მათგანმა მეორის წიგნი „ქართველი მწერლები“.

➤197

1907

16 მარტი

დილის ღვთისმსახურების შემდეგ აქვს რუსული ენის გაკვეთილი, რომელზეც ავალებენ თხზულების დაწერას „პოლტავის ბრძოლის აღწერა“ პუშკინის ამავე დასათაურების ლექსის მიხედვით. მეორე აქვს ქართულის გაკვეთილი, რომელზეც მასწავლებელი იწყებს გიორგი წერეთლის მოთხრობის „რუხი მგელის“ კითხვას და განხილვას. მესამე გაკვეთილი აქვს „გეოგრაფია“, მეოთხე – „ლათინური ენა“. გალაკტიონზე საშინელ ზემოქმედებას ახდენს ის ფაქტი, რომ ლათინურის გაკვეთილზე კლასში შედიან ზედამხედველები ზინობი დროზდოვი და ტრიფონ ჯაფარიძე და მასწავლებელ თეოდორ ბოგოლიუბოვს სთხოვენ, დაასახელოს ის მოსწავლეები, რომლებიც აურზაურს აწყობენ კლასში და ის ასახელებს ყველაზე უდანაშაულო

მოსწავლეებს: მეზურიშვილს, ჩახუნაშვილს, გალაკტიონ ტაბიძესა და კიდევ რამდენიმე სხვას. რეალურად წესრიგის დამრღვევი გორდელაძე, სირბილაძე და უკლება კი სხედან და ვერავინ ვერაფერს უბედავს. მათ რევოლუციით ჰყავთ არაერთხელ დაშინებული თეოდორ ბოგოლიუბოვი, რომ მათ უწესობაზე ხმა არ ამოიღოს და სულ მაღალი ნიშნები უწეროს. გალაკტიონს ეგონა, რომ ლათინურის მასწავლებელი მის მიმართ კეთილგანწყობილი იყო და საშინელ იმედის გაცრუებას განიცდის. ფიქრობს, როგორ უნდა გააგრძელოს სწავლა, თავადაც რევოლუციით დააშინოს პედაგოგები?

➤198

1907

16 მარტი

ამთავრებს ალექსეი ტოლსტოის რომანის „თავადი სერებრიანი“ მიხედვით გამოცემული 248 გვერდის მოცულობის წიგნის კითხვას. ეს არის შედარებით სრული ვერსია იმ მოკლე, 80-გვერდიან გამოცემასთან შედარებით, რომელიც მანამდე ჰქონდა წაკითხული. განზრახული აქვს კიდევ უფრო სრული ვერსიის შოვნა და წაკითხვაც.

➤199

1907

16 მარტი

მეგობარი ათხოვებს გუსტავ დანილოვსკის წიგნს და ჰპირდება მეორე დღეს ამავე ავტორის კიდევ ერთი წიგნის მიტანას. ავადმყოფობის გამო 27 თებერვლის შემდეგ სასწავლებელში პირველად გამოჩნდება ახლო მეგობარი დავით დემეტრაშვილი. გალაკტიონს ძალიან აწუხებს ის ფაქტი, რომ მისი კლასის ყოფაქცევით სასწავლებლის ხელმძღვანელობა ძალიან უკმაყოფილოა.

➤200

1907

16 მარტი

კითხულობს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლის მიერ გადმოკეთებულ მოთხრობას „კარელაანთ კომკის ფერია“, თედო რაზიკაშვილის „ფალავნებს“, ნიკო ხუცესიშვილის (ხუციშვილის) „გულწრფელ პასუხს“ და ალექსი ბარნოვის მიერ თარგმნილ გოტჰოლდ ლესინგის იგავ-არაკს „ინდოეთის ძაღლები“.

➤201

1907

17 მარტი

რუსული ენის გაკვეთილზე წერენ კარნახს. მეორე გაკვეთილი აქვს „გეოგრაფია“, მესამე – „ლათინური ენა“, მეოთხე – „სამოქალაქო ისტორია“, მეხუთე – „სლავური საეკლესიო გალობა“. იგებს იმ დღეს ქუთაისში მომხდარი არაერთი ინციდენტის შესახებ. გიმნაზიის მოსწავლე ვაჟმა ლალატის გამო ქალს სამჯერ ესროლა ბულვართან, მაგრამ სამჯერვე ააცილა. ხიდთან რევოლუციით მოკლეს ვინმე ბეგოვი, რომელიც ძმასთან ერთად სეირნობდა, არქიელის გორაზე მედუქნე მაქსიმემ რევოლუციით თავში დაჭრა თათარი, რომელთანაც შელაპარაკება მოუვიდა. რეალური სასწავლებლის დირექტორს ბომბი შეუგდეს, შენობის კედელში კი დინამიტი ჩაამაგრეს, მაგრამ არავინ დაზარალებულა.

➤202

1907

18 მარტი

არ ესწრება წირვას. ნათესავთან ერთად მიდის ჯერ საფიჩხიის სასაფლაოზე, შემდეგ – მოწამეთასა და გელათის მონასტრებში.

➤203

1907

**21 მარტი**

პირველი გაკვეთილი აქვს „კატეხიზმო“. მეორე, რუსულის გაკვეთილზე მასწავლებელს მოაქვს „კარნახის“ გასწორებული რვეულები და გალაკტიონი ნახულობს, რომ ოთხიანი მიიღო. ქართული ენის გაკვეთილზე მასწავლებელი ასრულებს გიორგი წერეთლის „რუხი მგელის“ კითხვას. მეოთხე გაკვეთილი აქვს „გეოგრაფია“.

➤204

1907

**23 მარტი**

გ. ფაზისისპირელის ფსევდონიმით წერს სატირულ ლექსს „ჩვენი კლასის გმირები“ („ვინ გვყავს გმირები? – ყველა ვირები...“).

➤205

1907

**23 მარტი**

პირველი გაკვეთილი აქვს „გეოგრაფია“, მეორეზე – ქართული ენის გაკვეთილზე მასწავლებელი – მელიტონ ჩოგოვაძე იწყებს ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „მაკბეტის“ კითხვას. მესამე გაკვეთილი აქვს „რუსული ენა“, მეოთხე – „ლათინური ენა“.

➤206

1907

**26 მარტი**

დღიურში იწერს, რომ ამ დღეს რევოლვერით დაჭრეს საკონდიტროს მეპატრონე სიმონ მუნჯიევი. განმარტავს მიზეზს, რატომ არ არის დღიურში 24-25 მარტის ჩანაწერები. წერს, რომ ეს უბის წიგნაკი ათხოვა თავის მეგობარ გენადი მიხელიძეს.

➤207

1907

**26 მარტი**

კითხულობს ეგნატი პოტაპენკოს მოთხრობას „აზორკა“. ქართულის მასწავლებელს მოაქვს გასწორებული ნაშრომები „ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში“. ზოგადად უკმაყოფილოა შედეგებით. ამბობს, რომ აზრები გაუმართავია და პუნქტუაციის ნიშნები არასწორად უწერიათ, გალაკტიონი კი იღებს შეფასებას 5. გეოგრაფიაში ავალებენ თხზულების დაწერას სათაურით „ტუნდრა“. 31 მარტისთვის რუსულის მასწავლებელს უნდა ჩააბაროს თხზულება „როგორ გავატარე საშობაო არდადეგები“. სამოქალაქო ისტორიაში წარსადგენი აქვს თხზულება „სამების ტაძრის დაარსება“.

➤208

1907

**26 მარტი**

წერს თხზულებას „სასულიერო სასწავლებლები და სემინარიები კავკასიაში“. მასში ნათქვამია, რომ არცერთი სხვა სასწავლებელი ისე არ ემსახურება განათლების გავრცელებას ქართველთა შორის, როგორც სასულიერო სემინარიები. ის ხელმისაწვდომია სოფლის მცხოვრებლებისთვისაც. საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში სწავლობენ მხოლოდ ქართველები და დიდი ყურადღება ეთმობა ქართულის სწავლებას. აქ გაიზარდნენ ისეთი პატრიოტები, როგორებიც არიან ნოე ჟორდანი, ფილიპე მახარაძე, ია ეკალაძე და სხვები.“

➤209

1907

27 მარტი

რუსული ენის მასწავლებელი არიგებს კარნახის რვეულებს და ირკვევა, რომ გალაკტიონს ძალიან ცოტა შეცდომა აქვს.

➤210

1907

29 მარტი

წერს ვოდევილს „ქათმის ფხარი“. მოქმედი პირები არიან ვაჭრები: ივანე და პეტრე.

➤211

1907

30 მარტამდე

წერს პიესას „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. მოქმედი პირები არიან: მდიდარი ვაჭარი გაბრიელი, მისი ცოლი თეკლე, შვილები: თამრო და იასონი, მსახურები და ყაჩაღები. დრამაში ასახულია, გაძარცვის მიზნით როგორ კლავენ პატიოსან ვაჭარ გაბრიელ მაყალოვს ავაზაკები და როგორ აბრალებენ სოციალ-დემოკრატებს.

➤212

1907

30 მარტი

გ. ფაზელის ფსევდონიმით წერს ლექსს „კრიტიკოსი“ (ვუძღვნი ჩემს მოპირდაპირეს) („ვისაც ენა აქვს, ცოტა კი გრძელი...“).

➤213

1907

30 მარტი

გალაკტიონის ნაქირავებ ბინაში პოეტის ამხანაგები: გენადი მიხელიძე, აკაკი დევდარიანი, ვ. გოგომე, მ. ყიფშიძე, პ. ჩარკვიანი და სხვები წარმოადგენენ მის ორმოქმედებთან პიესას „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“. გენადი მიხელიძე საქმეს სერიოზულად ეკიდება, სხვები კი სპექტაკლის დროს სიცილს ვერ იკავებენ და გალაკტიონს გული სწყდება.

➤214

1907

31 მარტამდე

რამდენიმე დღეში კითხულობს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებს: „სიმონა“, „ცუდი სენი“, „ჯანყი გურიაში“ (ნახევარს), ავქსენტო ცაგარლის დრამებს „ერთი ნაბიჯი წინ“, „ხანუმა“, „ოინბაზი“, „მშვენიერი ელენეს მამებარნი“ და სერვანტესის რომანს „დონ-კიხოტ ლამანჩელი“.

➤215

1907

31 მარტი

განაახლებს დღიურში ჩანაწერების გაკეთებას. 28-დან 30 მარტამდე დღიურის ჩანაწერებს არ აკეთებს, რადგან უბის წიგნაკი ათხოვა გიმნაზიის მეხუთე კლასის მოსწავლეს, რომელსაც აინტერესებდა მისი ნაწარმოებების წაკითხვა.

➤216

1907

31 მარტი

მეგობრები ისევ წარმოადგენენ გალაკტიონის დრამას „სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“.

➤217

1907

31 მარტი ან შემდეგ

წერს ლექსს „ჩემს მეგობრებს“ („მეგობრებო, ერთმანეთსა...“).

➤218

## აპრილი

1907

2 აპრილი

ქუთაისიდან ჰყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ სააღდგომოდ სასწავლებლიდან სახლში არ უშვებენ. წერილის ბოლოს დიასახლისის – დესპინეს კარნახით დედას მისი სახელით სწერს, რომ ბინა ძვირად აქვს ნაქირავები და გალაკტიონს შვიდ მანეთზე ნაკლებად ვერ აცხოვრებს და სთხოვს, რომ ფული იუსტინეს გაატანოს.

➤ 219

1907

2 აპრილი

გალაკტიონი და მისი თანაკლასელები წერილს იღებენ თბილისის სასულიერო სემინარიიდან და იგებენ პირველ კლასში მომხდარი გაფიცვის და მოსწავლე მელიტონ კუხელაშვილის ცემის შესახებ.

➤ 220

1907

2 აპრილი

ქართული ენის მასწავლებელი ავალებს შექსპირის ტრაგედიის „მაკბეტი“ წაკითხვას. რუსული ენის მასწავლებელი არიგებს კარნახის რვეულებს და გალაკტიონი ნახულობს, რომ მიიღო 4.

➤ 221

1907

4 აპრილი

ამჩნევს, რომ ქუთაისში პირველი მერცხლები დაბრუნდნენ.

➤222

1907

4 აპრილი

სცემენ გალაკტიონის მეგობარს, აკაკი დევდარიანს და პოეტი დღიურში იწერს ამის შესახებ.

➤223

1907

5 აპრილი

ქართული ენის გაკვეთილზე ამთავრებენ შექსპირის „მაკბეტის“ კითხვას.

➤224

1907

5 აპრილი

დღიურში იწერს, რომ სათავადაზნაურო გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლის მოსწავლეებს სააღდგომო არდადეგებზე 7 აპრილს უშვებენ, სასულიერო სასწავლებლისას კი – 13-15 აპრილს.

➤225

1907

5 აპრილი

სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები წარმოადგენენ 1906 წელს ჟურნალში „ნაკადული“ დაბეჭდილ საბავშვო კომედიას „ყვავილთა დედოფალი“. სუფლიორობს აკაკი დევდარიანი.

➤226

1907

12 აპრილი

გალაკტიონი და სასულიერო სასწავლებლის სხვა მოსწავლეები მოითხოვენ, რომ შემდეგ კლასში უგამოცდოდ გადაიყვანონ. გაფიცვა წყდება იმის გამო, რომ უცხადებთ არდადეგები და მიდიან სახლებში.

➤227

1907

12 აპრილი

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასის მესამე მეოთხედს ამთავრებს შემდეგი შეფასებებით: საღმრთო სჯული – 4, რუსული ენა 3 და 4, ლათინური ენა 3 და 3, ქართული ენა 5 და 4, გეოგრაფია 3 და 3/4, არითმეტიკა 2 და 3, სლავური გალობა 4 და 4, ქართული გალობა 3, მართლწერა 4 და 2, ყოფაქცევა 5 და 4. 30 აპრილამდე უშვებენ სააღდგომო არდადეგებზე მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.

➤228

1907

27 აპრილი

წერს მოთხრობას „მსაჯულების წინაშე“.

➤229

1907

27 აპრილი

თარგმნის ლევ ტოლსტოის მოთხრობას „სადაც სიყვარულია, ღმერთიც იქ არის“.

➤230

1907

აპრილი

შექსპირის ტრაგედიის „მაკბეტი“ კლასში წაკითხვის შემდეგ პედაგოგი მელიტონ ჩოგოვაძე გალაკტიონს ავალებს ტრაგედიის მოკლე შინაარსის მოყოლას. მოსწავლე ამას ისე ჩინებულად ახერხებს, რომ მასწავლებელი აქებს.

➤231

## მ ა ი ს ი

1907

24 მაისი

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი 1 სექტემბრამდე უშვებს არდადეგებზე და აძლევს შესაბამის მოწმობას და ნიშნების ფურცელს, რომლის მიხედვითაც ჰყავს შემდეგი ნიშნები: ყოფაქცევაში – 5, საღმრთო სჯულში, რუსულ ენაში, ქართულ ენაში, სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიაში, გეოგრაფიაში, არითმეტიკაში, ქართულსა და რუსულ საეკლესიო გალობებში – 4 და ლათინურ ენაში – 3. გალაკტიონი იმავე დღეს ჩადის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.

➤232

## ი ვ ნ ი ს ი

1907

**3 ივნისის შემდეგ**

რუსეთის იმპერიის ორი სახელმწიფო სათათბიროსა და მათი ხელმძღვანელების – სერგეი ვიტესა და პეტრე სტოლიპინის დაპირისპირების თემაზე წერს ლექსს „ორი საეშმაკო“ („ერთხელ ვიტეს ეშმაკებმა სიზმრად პილში მოაჩვენეს...“).

233

1907

**13 ივნისის შემდეგ**

მინაწერით „ფულის გატაცება ხაზინიდან. სამი ბომბის სროლა“, ფურცელზე ხატავს 1907 წლის 13 ივნისს თბილისის ბანკის ძარცვას.

➤234

1907

**13 ივნისის შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „რიონის პირად“ („აგერ რიონი დუდუნებს...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤235

**ა გ ვ ი ს ტ ო**

1907

**15 აგვისტომდე**

თარგმნის ვან-ვორსტის მოთხრობის „რად დაივიწყა მასწავლებელმა თმის გადავარცხნა“ ერთ ნაწილს.

➤236

1907

**მაისი-აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „მთისა მწვერვალთა ბრწყინავს ჭაღარა...“.

➤237

1907

**მაისი-აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „ნუთუ არც შენ გაქვს ბედნიერება...“.

➤238

1907

**მაისი-აგვისტო**

უსათაუროდ იწყებს ლექსის წერას „რა სიჩუმეა! აგერ საცაა...“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤239

1907

**აგვისტო**

წერს პიესას, რომლის მოქმედი პირები არიან ეშმაკები.

➤240

**ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი**

1907

## 1 სექტემბერი

ბიძასთან, იუსტინესთან ერთად მატარებლით მგზავრობისას რიონის სადგურზე გაზეთიდან იგებს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავს.

➤241

1907

## 1 სექტემბერს ან შემდეგ

ილია ჭავჭავაძის მკვლელობას დიდი გულისწყრომითა და აღშფოთებით ეხმაურება ლექსით, რომლის ხელნაწერი ციხის ექიმ დავით ჯაფარიძეს მიაქვს ქუთაისის ციხეში მჯდომი პოლიტიკური პატიმრებისთვის.

➤242

1907

## 1 სექტემბერი

სწავლას აგრძელებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასში.

➤243

1907

## 9-17 სექტემბერი

სემინარიელი სტუდენტისგან იღებს თბილისიდან ქუთაისში მმის, აბესალომის მიერ მისთვის გაგზავნილ წერილს. აბესალომი დაწვრილებით აღწერს ილია ჭავჭავაძის დაკრძალვას და აღნიშნავს, რომ მსგავსი გრანდიოზული პროცესია საქართველოს არ ახსოვს. არიგებს, რომ საკუთარ თავზე იზრუნოს და მოახერხოს, რომ სემინარიაში უგამოცდოდ მიიღონ. ატყობინებს, რომ 18 სექტემბერს გამოცდებს დაამთავრებს და სოფელში დაბრუნდება.

➤244

1907

## 20 სექტემბერი

ქუთაისიდან ჭყვიშში თავისი ნათესავი აკაკის ხელით წერილს უგზავნის დედას. ატყობინებს, რომ სასწავლებელში ორი ახალი ენის სწავლება შემოიღეს ნებაყოფლობით, ფრანგულის და გერმანულის, მაგრამ სწავლა ფასიანია და აინტერესებს, მოახერხებენ თუ არა გადახდას. სწერს, რომ დესპინემ ისინი მოატყუა და ბინის ქირა გაუზარდა. გალაკტიონის აზრით, შვიდ მანეთად გორაზე იქირავებს უკეთეს ბინას მოსე თევზაძის ქალიშვილისგან, სადაც ნაკლები ბავშვები არიან და მეტი სიმშვიდეა. წერს, რომ ამ სახლში მეცადინეობა შეუძლებელია, რის გამოც ან კლასშივე მეცადინეობს და ან ძალიან ადრე დგება. სთხოვს, მალე შეატყობინოს გადაწყვეტილება. გარდა ამისა, გაუგზავნოს ფეხსაცმლის დასაკრებელი და რვეულების საყიდელი ფული.

➤245

1907

## 22 სექტემბერი

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მესამე და მეოთხე კლასების მოსწავლეები იფიცებიან.

➤246

1907

## 23 სექტემბერი ან შემდეგ

გალაკტიონ ტაბიძეს და მის თანაკლასელებს სემინარიიდან ითხოვენ სინოდის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. პოეტი მიემგზავრება მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.

➤247

1907



## **25 სექტემბრამდე**

მაკრინე ადემიშვილი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილს, აბესალომს და ატყობინებს, რომ გალაკტიონი სოფელში ჩავიდა და ძალიან დასწყდა გული, რომ მძა არ დახვდა. სწერს, თუ ისიც გადაწყვეტს ჭყვიშში ჩასვლას, მანჯგალაძესთან არ შეიაროს, რადგან ოჯახში ყვავილი აქვთ. ასევე აცნობებს, რომ დეიდა მართამ თავისთან დაპატიჟა გალაკტიონი ისრითში. ის ჯერ დათანხმდა, მაგრამ შემდეგ აბესალომის გარეშე მარტო წასვლა დაეზარა.

➤248

1907

## **25 სექტემბერი და შემდეგ**

დილით საწოლიდან ვერ დგება და მასთან მისულ უმცროს ბიძაშვილს – სიმონ ტაბიძეს ეუბნება, რომ ავად არის. სიმონის მამა იუსტინე როცა ნახულობს მის მდგომარეობას, შვილს აგზავნის მეზობლად მცხოვრები რემანოზ ბახტაძის მოსაყვანად, რომელიც ხვდება, რომ ბავშვს ყვავილი აქვს. რამდენადაც გალაკტიონის დედას – მაკრინეს ეს ინფექციური დაავადება გადატანილი არ აქვს, გალაკტიონის მოვლას თავად რემანოზი იღებს თავის თავზე. „ყვავილი“ ასევე გადატანილი აქვს გალაკტიონის ბიძა იუსტინესაც და ის და რომანოზი ავადმყოფს ჩონგურის დაკვრით ართობენ.

➤249

1907

## **სექტემბერი**

წერს მოთხრობას „ბიჭია უგრეხელიძე“.

➤250

## **ო კ ტ ო მ ბ ე რ ი**

1907

## **19 ოქტომბერი**

ოცდასამდღიანი ავადმყოფობის შემდეგ სრულ გამოჯანმრთელებას გრძნობს, მაგრამ სახეზე გამონაყარისგან ნაწიბურები რჩება.

➤251

1907

## **28 ოქტომბრამდე**

მისი სოფელში ყოფნის დროს იღებენ მოსავალს, მაგრამ დიდი ზარალი აქვთ. 240 კონა შეკრულ ჩალას საქონლები უნიავებენ, მოზიარეები მოტანილ სიმინდში რამდენიმე გოდორ დამპალს აპარებენ, ვაშლის ხეებს კი თითოს რამდენიმე ცალი ასხია.

➤252

1907

## **28 ოქტომბერი**

ჭყვიშიდან ბრუნდება ქუთაისში და ბინავდება თავის ნათესავ დესპინესთან.

➤253

1907

## **28 ოქტომბერი**

ქუთაისშია და წერს ძმისთვის, აბესალომ ტაბიძისთვის თბილისში გასაგზავნ წერილს. უყვება, სასულიერო სასწავლებელში მომხდარი გაფიცვისა და შემდეგდროინდელ ამბებს. კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ მისი ავადმყოფობა „ყვავილი“ დედას არ გადაედო, მიუხედავად იმისა, რომ თავზე ადგა. გადასცემს მის თხოვნას, რომ აბესალომი აუცილებლად აიცრას ჭყვიშში ჩასვლამდე.

უყვება მათი ოჯახის მეურნეობისა და მოსავლის ამბებს, საიდანაც ჩანს, რომ დიდი ზარალი ნახეს.

➤254

1907

**29 ოქტომბრამდე**

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. აინტერესებს, როგორ არის გალაკტიონი და ხომ არ იცის დედის ამბავი. საყვედურობს, რომ წინა ორ წერილზე გალაკტიონს არ უპასუხია. კონვერტში უდებს მარკას და სთხოვს პასუხის გაგზავნას.

➤255

## ნოემბერი

1907

**5 ნოემბერი**

ქუთაისიდან თბილისში აგზავნის ძმისთვის 28 ოქტომბერს დაწერილ წერილს.

➤256

## დეკემბერი

1907

**27 დეკემბერი**

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას თბილისიდან და ინტერესდება გალაკტიონის წარმატებებით სწავლაში. სწერს, რომ უნდოდა საშობაო არდადეგებზე შინ ჩასვლა, მაგრამ ზედმეტი 5 მანეთი არა აქვს. ბოდიშს უხდის გალაკტიონს, რომ, დაპირებისამებრ, წიგნები ვერ ჩაუტანა, მაგრამ ჰპირდება, რომ როცა ჩავა, ჩაუტანს.

➤257

1907

**დეკემბერი**

სასულიერო სასწავლებელში რუსულ ენაზე წერს საღვთისმეტყველო თემას „შინაგანი ღვთაებრივი კანონი, ანუ სინდისის მოწმობა“, რომელსაც პედაგოგი, მღვდელმონაზონი ვასილი აძლევს შეფასებას „4.5. ძალიან კარგი“.

➤258

1907

წერს ლექსს „ჩემს სამშობლოს“.

➤259

1907

წერს ლექსს „აღსდევ ჩაგრულო“.

➤260

1907

წერს ლექსს „ჩანგო“.

➤261

1907

წერს ლექსს „იაპონია“.

➤262

1907

წერს ლექსს „რუსეთი“.

➤263

1907

წერს პოემას „სამოცი გმირი“.

➤264

1907

უბის წიგნაკში ფანქრით იხატავს ანტონ ფურცელაძის, ივან კრილოვის, მიხეილ ლერმონტოვის, ჩარლზ დიკენსის, ნაპოლეონ ბონაპარტის, ნიკოლოზ კარამზინის, კოტე მესხის, ილია ჭავჭავაძის, მამია გურიელის, ალექსანდრ პუშკინის, ჩარლზ დარვინის და დავით გიორგი მესამის ძე ბატონიშვილის პორტრეტებს.

➤265

1907

რვეულში იწერს გიორგი ჭალადიდელის (ქოჩაკიძე) ლექსს „გორდის მთაზე“ („მაღლა ცაზედ მშვიდ დარია...“).

➤266

1907

სასულიერო სასწავლებელში წერს თემას „მდინარე ვოლგა და მისი მნიშვნელობა რუსეთისათვის“. ნაშრომი პედაგოგის დადებით შეფასებას იმსახურებს. ნამუშევრისადმი დართულ მცირე კომენტარში იგი აღნიშნავს, რომ მოსწავლეს აქვს სათქმელის პოეტურად გამოხატვის უნარი.

➤267

1907

ძღვნით „N-სადმი“ წერს ლექსს „ახალ წლის ღამეს“ („ჩირადნებით გავანათე სევდიანი ჩემი ბინა...“) და წარუმიძღვარებს ივან ბუნინის ფრაზას: „ბნელ ღამეში საშინლად უჭირს დაღლილ გულს“.

➤268

1907 ან შემდეგ

კითხულობს კავკასიის გეოგრაფიული პუნქტებისა და იქ მცხოვრები ტომების შესახებ მასალების კრებულს, აკეთებს ხაზგასმებსა და აღნიშვნებს.

➤269

1907

საპაიჭაოშია დეიდა ანასტასიას ოჯახში. დეიდაშვილ ამბერკი ჯულაყიძესთან ერთად მიდის სოფლიდან 2 კილომეტრით დაშორებულ სასადილოში. უკან დაბრუნებისას წვიმაში მოყვებიან. დეიდაშვილის ნათლიდედა სახლში მიიპატიჟებს და შესანიშნავად უმასპინძლებს. აქ პირველად გაბედავს რამდენიმე ჭიქის დაღევას. შინ დაბრუნებულს დეიდა შეამჩნევს ნასვამობას. მას არაფერს ეუბნება, მაგრამ ამბერკის კი სჯის, გალაკტიონს ღვინო რატომ დააღვეინეო.

➤270

1908

ი ა ნ ვ ა რ ი

1908

1 იანვარი

წერს ლექსს „ახალი წელიწადი“ („პირზე ღიმილით, სიცილით...“).

➤271

1908

**1 იანვარი ან შემდეგ**

რუსულ ენაზე წერს გეგმას თემისთვის „ახალი წელი სოფლად“ და ფურცლის ბოლოში აკეთებს ჩანახატს. უღვაშიანი და ცილინდრიანი კაცის გამოსახულება, რომელსაც აწერია „ახალი წელიწადი“, ხელის კვრით დევნის წელში მოხრილ და თავდახრილ ფიგურას, რომელსაც აწერია „შური“.

➤272

1908

**7 იანვრის შემდეგ**

წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს.

➤273

1908

**13 იანვრამდე**

ქირაობს ბინას ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში, იხდის ნახევარი თვის ქირას, 4 მანეთს და აღარ რჩება კალოშების საყიდელი თანხა.

➤274

1908

**13 იანვარი ან ადრე**

ფიქრობს, რომ ჯარში გაიწვევენ. ამიტომ განიზრახავს ქუთაისში დარჩენას და „თავისუფალ ჯარისკაცად“ მოსამზადებელი სამხედრო წვრთნის გავლას, რის შესახებაც წერილობით ატყობინებს ძმას – აბესალომ ტაბიძეს.

➤275

1908

**13 იანვარი**

წერილს უგზავნის დედას, სწერს, რომ გადავიდა ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში და სთხოვს, გაუგზავნოს სამმანეთ-ნახევარი დიასახლისისათვის დასამატებლად.

➤276

1908

**20 იანვრამდე**

განცხადება შეაქვს მესამე მასწავლებლად დანიშვნის თხოვნით.

➤277

1908

**28 იანვარი**

წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს. სწერს, რომ სასწავლებელში ინტერესდებიან, ვინ აპირებს სემინარიაში სწავლის გაგრძელებას. აცნობებს მასწავლებელთა ნათქვამს, რომ ორ ძმას ერთად სახელმწიფო ხარჯით სწავლის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

➤278

1908

**იანვარი**

წერს ლექსს „ბარიკადაზე“ („მეგობრებო, თვით განგებამ ბედისწერად დაგვახატა...“).

➤279

1908

## იანვარი

იწყებს ძმისთვის, აბესალომისთვის გასაგზავნი წერილის წერას, მაგრამ აღარ ამთავრებს და იმავე ფურცელზე ხატავს სასულიერო პირს.

➤280

## 1908

### იანვარი

წერს საახალწლო ეტიუდს „ხვალ ოთხმოცი წლის შევიქმნები“.

➤281

## თებერვალი

## 1907

### 1 თებერვალი ან შემდეგ

იღებს აბესალომ ტაბიძის წერილს. სწერს, რომ დედა აღშფოთებულია გალაკტიონის ნიშნებით მათემატიკასა და ყოფაქცევაში. სთხოვს, საკუთარ ქცევას ყურადღება მიაქციოს და მათემატიკაში დახმარება სთხოვოს ბიძაშვილ აკაკის.

➤282

## 1908

### 1 თებერვალი

წერს ლექსს „შუადამისას“ („მუზას ვეძახდი... გადაკარგულს...“).

➤283

## 1908

### 28 იანვარი - 2 თებერვალი

იღებს აბესალომ ტაბიძის საპასუხო წერილს. იგი არ იწონებს გალაკტიონის განზრახვას ქუთაისში დარჩენასა და სამხედრო წვრთნის გავლასთან დაკავშირებით. სწერს, რომ კენჭისყრით ჯარში გაწვევა რომც შეხვდეს, მისგან გათავისუფლების არაერთი ხერხი არსებობს. იმედს გამოთქვამს, რომ სექტემბრამდე მასწავლებლის ადგილს იშოვის და, თუ არა, სემინარიისთვის მოემზადება. ჰპირდება, რომ 1 თებერვალს საღამოს ჩააკითხავს და ყველაფერს გაარკვევენ.

➤284

## 1908

### 6 თებერვლის შემდეგ

იღებს აბესალომ ტაბიძის მიერ 6 თებერვალს გაგზავნილ წერილს. ადრესანტი აცნობებს, რომ სიმართლეს არ შეესაბამება მისი მასწავლებლების ნათქვამი, თითქოს, ორ ძმას არ შეუძლია სემინარიაში სახელმწიფოს ხარჯზე სწავლა. სთხოვს, ეცადოს სასწავლებლიდან მოიპოვოს რეკომენდაცია სემინარიისათვის.

➤285

## 1908

### 11 თებერვალი

წერს პიესას „მგოსანი“, რომლის მოქმედი პირები არიან: მგოსანი აკაკი გენიოსიძე, ოფიცერი მიხაილ ივანიჩი, მისი ამხანაგი ლეტო და მოსამსახურე.

➤286

## 1908

### 16 თებერვალი

მიხეილ ბოჭორიშვილი „მ. დაჩაგრულის“ ფსევდონიმით უძღვნის ლექსს „ყოველ ჭაბუკის ვალია...“.

➤287

1908

**21 თებერვლამდე**

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასის პირველ სემესტრს ამთავრებს შეფასებებით: ყოფაქცევასა და ქართულ ენაში – „ფრიადი“, საღვთო სჯულში, კატეხიზმოში, რუსულ ენაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბუნებისმეტყველებასა და ქართულ გალობაში – „კარგი“, არითმეტიკასა და ლათინურ ენაში – „დამაკმაყოფილებელი“.

➤288

1908

**21 თებერვალი**

საადდგომო არდადეგებზე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი აძლევს უფლებას, რომ მიმდინარე წლის 3 მარტამდე დაბრუნდეს მშობლიურ სოფელ ჭყვიშში. სასწავლებლის წესების მიხედვით, დღესასწაულებზე ვალდებულია დაესწროს ღვთისმსახურებას, თქვას აღსარება და ეზიაროს.

➤289

1908

**23 თებერვლის შემდეგ**

იღებს ტიციან ტაბიძის მიერ 23 თებერვალს გაგზავნილ წერილს. ადრესანტი სთხოვს, გაუგოს პედაგოგიურ ჟურნალ „განათლების“ წინა წლის ნომრების ფასი. უყვება აკაკი წერეთლის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საიუბილეოდ 8 იანვარს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეების მიერ ორგანიზებული საღამოს შესახებ, რომელზეც მოხსენებით გამოვიდნენ მოსწავლეები – იოველ ჟორდანიას და აკაკი შანიძე. სწერს იმასაც, რომ აკაკი შანიძის მოხსენებამ დირექცია გაანაწყენა.

➤290

**მ ა რ ტ ი**

1908

**2 მარტამდე**

იმყოფება მშობლიურ სოფელ ჭყვიშში და იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. აბესალომი სთხოვს, მისწეროს, როგორ მიდის სახლის გადახურვა და მისი სწავლის ამბები.

➤291

1908

**2 მარტი**

ჭყვიშიდან ბრუნდება ქუთაისში.

➤292

1908

**2 მარტი**

იგებს, რომ სასულიერო სასწავლებელში ახალი ინსპექტორი დაუნიშნავთ.

➤293

1908

**2 მარტი**

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს. სწერს, რომ მისი სწავლის საქმე ძალიან არეულია. ტრიფონ ჯაფარიძე სხვაგან გადაიყვანეს, რის გამოც სხვა მასწავლებლები თავის ნებაზე არიან მიშვებულები და ხშირად უცდება გაკვეთილები. ამის გამო მეოთხე კლასის

მოსწავლეები სულ ქეიფზე არიან გადასულები. გალაკტიონი თავს არიდებს მათთან ლოთობას. ასევე ატყობინებს, რომ სახლის გადასახურად უკვე ჩამოიტანეს ექვსი საპალნე ყავარი.

➤294

1908

8 მარტამდე

სქელ რვეულში, რომელსაც გარეკანზე აწერს „გ. ტაბიძე“, სუფთად გადაწერს თავის ნაწერებს. განყოფილებაში „პროზა“ ათავსებს 1907-1908 წლებში დაწერილ ორ მოთხრობას: „ბიჭია უგრეხელიძე“ და „ხვალ ოთხმოცი წლის შვეიქნები“ (საახალწლო ეტიუდი); მეორე განყოფილებაში ათავსებს დრამას „მგოსანი“, რომლის პროტაგონისტია აკაკი გენიოსიძე და ლექსებს: „კალამს“, ... „ნურვინ მეტყვის, რომ ჩვენს წერას...“, „ჩონგურის ხმაზე“ და „კუპლეტები ინტელიგენტის დღიურიდან“. რვეულს ჩუქნის თავის სატრფოს – ელენე გოდაბრელიძე-წერეთელს.

➤295

1908

20 მარტი

თანაკლასელებთან ერთად ესწრება ნიკოლაი გოგოლის საიუბილეო ლიტერატურულ სადამოს, რომელსაც რუსული სიტყვიერების მასწავლებელი ვ. პრეობრაჟენსკი წარმართავს. მოსწავლეები კითხულობენ ნაწყვეტებს გოგოლის ნაწარმოებებიდან: „შინელი“, „რევიზორი“ და „მკვდარი სულები“.

➤296

1908

29 მარტამდე

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასს ამთავრებს შეფასებებით: ყოფაქცევასა და ქართულ ენაში – „ფრიადი“, რუსულ ენაში – 4/5, კატეხიზმოში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, არითმეტიკასა და ქართულ გალობაში – „კარგი“, ლათინურ ენასა და ბუნებისმეტყველებაში – „დამაკმაყოფილებელი“ და აძლევენ რეკომენდაციას თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩასაბარებლად.

➤297

1908

29 მარტი

ბრუნდება მშობლიურ სოფელ ჭყვიშში. სასწავლებელში აქვს არდადეგები 23 აპრილამდე.

➤298

1908

მარტი

წერს ლექსს „კალამს“ („როდესაც რომ საჭიროა...“).

➤299

1908

მარტი

წერს უსათაურო ლექსს „ნურვინ მეტყვის, რომ ჩვენს წერას არ ელოდეს განთიადი...“.

➤300

1908

მარტი

წერს ლექსს „ჩონგურის ხმაზე“ („ათრთოლდა სიმი და აჟღერდა კვალად ჩონგური...“).

➤301

1908

მარტი

წერს ლექსს „კუპლეტები ინტელიგენტის დღიურიდან“ („ბედნიერად ჰრაცხს თავისთავს...“).

➤302

1908

აპრილამდე

ქეთევანის ხსოვნას უძღვნის ლექსს „ბანოვანო“ („ედემიდან ამოსულის, განათებულ ამოსულის...“).

➤303

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „კუბოსთან“ („სანთლები სტიროდენ თავლის ცრემლებით...“).

➤304

1908

აპრილამდე

წერს უსათაურო სატირულ ლექსს „ქმარი ცოლს ეყრება...“.

➤305

1908

აპრილამდე

წერს უსათაურო ლექსს „წუთის წინ გრძნობას ვახალისებდი...“.

➤306

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „ალავერდი“ („ამივსეთ თასი... ამივსეთ ღვინით...“).

➤307

1908

აპრილამდე

წერს სათაურს „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან“.

➤308

1908

აპრილამდე

წერს სათაურს „წიგნებთან“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს.

➤309

1908

აპრილამდე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ღრუბელი“ („მთას ჩამოაწვა ღრუბელი...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤310

1908



**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სიზმარი“ („მე დამესიზმრა, თითქო ძირს უფსკრულს მაღალი კლდიდან გადავსცქეროდი...“).

➤311

**1908**

**აპრილამდე**

წერს სათაურს „სამშობლოს“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს.

➤312

**1908**

**აპრილამდე**

წერს სათაურს „ზამთარი“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს.

➤313

**1908**

**აპრილამდე**

წერს ლექსს „განთიადი“ („ცამ შავი ბადე გადაიშორა...“).

➤314

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სამშობლოზე „რა ნაპერწკალი სიყვარულისა გულსა აღმიგზნებს, ჩემო სამშობლოვ...“, მაგრამ ბერჯერ ცვლის და გადახაზავს დასაწყისს.

➤315

**1908**

**აპრილამდე**

წერს ლექსს „მებრძოლი“ („ბნელა... წვიმს და ქარიშხალი...“).

➤316

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ეპიტაფია“ („რა მზე დიადი ჩაესვენება...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤317

**1908**

**აპრილამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მიყვარს ცისკარი, როცა ტოროლა...“.

➤318

**1908**

**აპრილამდე**

წერს მოთხრობას მეფის ასულ მარგარიტაზე, რომლის შესახებაც მეფეს უწინასწარმეტყველეს, რომ თუ ვარდს დაყნოსავდა, პეპელას შეეხებოდა ან ბულბულის ხმას გაიგონებდა, მოკვდებოდა.

➤319

**1908**

**აპრილამდე**

წერს ჩანახატს სასწავლებლის ცხოვრების შესახებ.

➤320

1908

აპრილამდე

თარგმნის ნარკვევს „ჭლექი და იმის გაჩენის მიზეზი“.

➤321

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „ალავერდი“ („ძმებო, ვისაც მკაცრ ბრძოლის დროს...“).

➤322

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „მუზას“ („არ მსურს ამ ქვეყნად მე არც სიმდიდრე...“).

➤323

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „სიკვდილით დასასჯელის აღსარება“ („ამხანაგებო, უკანასკნელი მე აღსარება...“).

➤324

1908

აპრილამდე

წერს ნაწყვეტს თავისივე ლექსიდან („რას ველით შემდეგ? მხოლოდ წამებას...“).

➤325

1908

აპრილამდე

„ტოროლას“ ფსევდონიმით წერს ლექსს „შეუბრალებელი“ („ერთი რაღაც გოლიათი დაიბადა შორს, რუსეთში...“).

➤326

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „ელეგია“ („მიყვარს ცისკარი როს გაზაფხულის...“).

➤327

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „ნანა“ („სუ, სუ... ნანა, ჩემო გიჟო...“).

➤328

1908

აპრილამდე

რუსულ ენაზე იწერს უცხო სიტყვათა განმარტებებს.

➤329

1908

**აპრილამდე**

წერს ლექსს „ნიავი“ („დაღვრემილა მთა კლდოვანი...“).

➤330

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს მოთხრობის წერას სათაურით „რაინდი“.

➤331

**1908**

**აპრილამდე**

წერს ლექსს „უმანკო სული“ („რა გამეფდება ქვეყნად სიჩუმე...“).

➤332

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს პოემის წერას სათაურით „მოჩვენება“ („მზე მთას გაუთანასწორდა...“).

➤333

**1908**

**აპრილამდე**

წერს ლექსს „ს“ („ოჰ, აღარ ძალმიძს ამ საუბართან...“).

➤334

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მინდვრად“ („საღამო ზღვის პირს...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤335

**1908**

**აპრილამდე**

წერს სათაურს „შაშვი“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს.

➤336

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ფიქრები“ („აგერ, ჩუ, ზარას დაურაკუნეს...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤337

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ნაძვი საფლავზედ“ („შვალამეა... დედამიწა მიმოუცვავს...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤338

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ფიქრები“ („ბნელი აჩრდილი მომავალისა...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤339

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ღრუბელი“ („მოწმედილს ცაზე ღრუბელი...“), მაგრამ არ ამთავრებს.

➤340

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „განთიადისას“ („ვარსკვლავთა კრება ციმციმით ქრება...“), მაგრამ არ ამთავრებს.

➤341

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „რომანსი“ („ნიავო, რისთვის...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤342

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ღრუბელი“ („მოწმენდილს ცაზე ღრუბელი...“), მაგრამ მალე წყვეტს.

➤343

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „რომანსი“ („ვით ნაკადულის უმწიკვლო წვეთებს...“), მაგრამ არ ასრულებს.

➤344

**1908**

**აპრილამდე**

სათაურით „ფიქრი“ („არ შეგიბრალებს აღელვებული...“) თარგმნის მიხეილ ლერმონტოვის ლექსს.

➤345

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „პატიმარი“ („ტყეში რა ჩიტი გაინავარდებს...“).

➤346

**1908**

**აპრილამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „რომანსი“ („ქვეყნად რა არის სასიხარულო...“).

➤347

**1908**

**აპრილამდე**

წერს ლექსს „ტუსაღის სიმღერა“ („გათენდა... ჩუმად შემოანათა...“).

➤348

1908

აპრილამდე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ნიაჲს“ („ნიაჲვ, შენსა ლხენასა...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤349

1908

აპრილამდე

ფსევდონიმით „ცრემლი“ წერს ლექსს „მწუხარე ჰანგი“ („დეე მესმოდეს ეს ხმა ციური...“) და ეპიგრაფად წარუმიძღვარებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ფრაზას: „ჰოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს / ხმა მხიარული შენი მსმენოდეს / რომ უკუმყოდეს მე სევდიანსა გულისა სენი“.

➤350

1908

აპრილამდე

ხალხურ მოტივებზე წერს ლექსს „ღრუბელი“ („შენ შემოგნატრი, ღრუბელო...“).

➤351

1908

აპრილამდე

წერს მოგონებას თავის ბავშვობაზე. მამით ობოლი და შუბლშეჭმუხნული ხალხით გარემოცული მუდამ ნატრობდა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც შეხვედროდა ისეთი კეთილი ადამიანი, როგორც კედელზე გაკრულ ქაღალდზე იყო გამოსახული. ეს იყო იესო ქრისტეს ხატი, რომელიც ასახავდა, როგორ აკურთხებდა ის თავშეყრილ ბავშვებს. როდესაც პოეტი დედას თავის ამ ნატვრას უმხელდა, დედა გულში იკრავდა და ეუბნებოდა, ვიცი, მამა არა გყავს და სითბო გაკლია, მაგრამ, აი, მოიზრდები, სასწავლებელში წახვალ და იქ მამობრივი ზრუნვით შეგხვდებიანო. გალაკტიონიც ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე კეთილ მასწავლებლებს, მაგრამ ისე დაამთავრა სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელი განყოფილება, რომ ასეთი პედაგოგი არც კი შეხვედრია.

➤352

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „ალავერდი“ („ოჰ, ტოლუმბაშო, შენ არ გვარგისარ...“).

➤353

1908

აპრილამდე

ფურცელზე იწერს ადამიანის ანატომიასთან დაკავშირებულ ცალკეულ მონაცემებს და რუსულ ენაზე წერს სხვადასხვა დაავადებისა და ეპიდემიების შესახებ.

➤354

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „მომაკვდავი“ („მზე დასავლეთით გადაიხარა...“).

➤355

1908

აპრილამდე

თარგმნის ფრანკ ვედეკინდის პიესას „გაზაფხულის გამოღვიძება“. მოქმედი პირები არიან ქალბატონი ბერგმანი, ინა მიულერი, ექიმი ბრაუზეკულფორი, ვენდლა, ელფრიდა ფონ ვიცლებენი და სხვანი.

➤356

**1908**

**აპრილამდე**

წერს ლექსს „ლოცვა“ („ძალნო ზენანო! ბოროტის ყოფად ოდეს მეწვიოს ნაღველი მწარე...“).

➤357

**1908**

**აპრილამდე**

წერს ლექსს „ადდგომის ზარი“ („ვარსკვლავთ კრება ჰქრება, სცხრება...“).

➤358

## აპრილი

**1908**

**8 აპრილი**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემო სამშობლოვ, გაგიჟებით მისთვის მიყვარხარ...“.

➤359

**1908**

**13 აპრილამდე**

წერილს უგზავნის დედას, მაკრინე ადეიშვილს.

➤360

**1908**

**20 აპრილი**

წერს ლექსს „მამ“.

➤361

## მაისი

**1908**

**3 მაისამდე**

წერილს უგზავნის მშობლიურ სოფელში თავის მეზობლებს ტარასის და ეპრასის. ატყობინებს, რომ მათი ქალიშვილი ნატალია ავად არის და, ტრიფონ ჯაფარიძისა და ნესტორ ყუბანეიშვილის აზრით, ბატონები უნდა ჰქონდეს. დედასთან, მაკრინე ადეიშვილთან აბარებს, რომ გამოცდები 3 მაისიდან 10 ივნისამდე გაგრძელდება და სთხოვს, ნაქირავები ოთახის თანხა დიასახლისს დროულად მიაწოდოს.

➤362

**1908**

**3 მაისი**

წერს ლექსს „საღამო“.

➤363

**1908**

**9 მაისი ან შემდეგ**

იღებს აბესალომ ტაბიძის მიერ 7 მაისს გაგზავნილ წერილს. ძმა ატყობინებს, რომ სემინარიის გახსნა ქუთაისში ვერ ხორციელდება. ამიტომ ორიენტაცია ისევ თბილისზე უნდა აიღონ. ურჩევს, კარგად იმეცადინოს და სთხოვს, აცნობოს, როდის დაამთავრებს გამოცდებს.

➤364

**1908**

**9-10 მაისი**

იწყებს პოემის წერას სათაურით „ბუნების შვილი“ („ოჰ, მეგობარო, არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება...“) და ხელს აწერს ფსევდონიმით „აკკორდი“. შემდეგ ხელახლა იწყებს წერას, ძველ სათაურს გადახაზავს, წერს ახალს „ერთხელ“ („დავკარგე დედა, ეს საყვარელი ჩემი ნუგეში, ჩემი მფარველი...“) და ქვეშ მიაწერს: „ვუძღვნი ჩვენის პოეზიის ბრწყინვალე მნათობს ვაჟა ფშაველას“. შემდეგ იმავე რვეულში აგრძელებს ეპიზოდით „ნიავო, ცელქო ნიავო...“

➤365

**1908**

**31 მაისამდე**

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგ ფხაკაძეს მერხებს შორის ჩამოვლისას არ მოსწონს ალექსანდრე უკლებას ნაწერი და სილას აწნავს. შემდეგ კი, როდესაც შეამჩნევს გალაკტიონის აღმფოთებას, მასაც არტყამს და კლასიდან აგდება.

➤366

**1908**

**მაისამდე**

თარგმნის მიხეილ ლერმონტოვის პოემის „დემონი“ დასაწყისს.

➤367

**1908**

**მაისამდე**

იღებს დედის, მაკრინე ადეიშვილის მიერ გაგზავნილ 60 კაპიკს და წერილს. სთხოვს, როგორც კი დაითხოვენ, მაშინვე სოფელში წავიდეს. ჯობს, თუ ამხანაგთან ერთად იმგზავრებს და არ დაიღამებს. არიგებს, რომ თუ ფული დარჩება, ფეხსაცმელი დააკერებინოს. დედის ქმარმა, ალმასხან ჯულაყიძემ თუ ფულის მიცემა შესთავაზოს, არ გამოართვას და უთხრას, რომ დედამისის დაუტოვოს სოფელში.

➤368

**1908**

**3-31 მაისი**

აბარებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამოსაშვებ გამოცდებს.

➤369

**1908**

**31 მაისი**

ამთავრებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს, სხვა კურსდამთავრებულებთან ერთად ეცნობა თბილისის სასულიერო სემინარიის 1908 წლის 16 მაისის მიმართვას სემინარიაში მიღების წესების შესახებ და ხელმოწერით ადასტურებს ამ დოკუმენტის გაცნობას. იმ 34 მოსწავლიდან, რომლებიც მასთან ერთად ამთავრებენ, თბილისის სემინარიაში სწავლის გაგრძელების რეკომენდაციას მის გარდა იღებს კიდევ 25 მოსწავლე. გალაკტიონსა და კიდევ ოთხს აქვთ პირველი ხარისხის მოწმობა.

➤370

1907-1908

**ზაფხულამდე**

ცხოვრობს ქუთაისში თათეიშვილებისგან ნაქირავე ბინაში.

➤371

1908

**ზაფხულამდე**

ბოლო გამოცდის ჩაბარების წინა დღეს ესაუბრება თანაკლასელ გენადი მიხელიძეს. სიხარულს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მალე დაამთავრებენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს და თბილისში წავლენ.

➤372

1908

**ზაფხულამდე**

პედაგოგ ანთიმოზ გორგაძეს მოსწავლეები თვეში ერთხელ მიჰყავს კინოთეატრში „რადიუმი“ საგმირო ხასიათის ფილმების სანახავად.

➤373

1908

**ზაფხულამდე**

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ბიბლიოთეკიდან ისე ხშირად გააქვს კლასგარეშე ლიტერატურა, რომ ბიბლიოთეკარი და რუსული ენის მასწავლებელი პავლოვი ინტერესდებიან, ამდენ წიგნს მართლა კითხულობს თუ არა. ერთხელაც, როდესაც გალაკტიონი ბიბლიოთეკაში აბრუნებს ნიკოლაი გოგოლის „ტარას ბულბას“, პავლოვი მის შინაარსს ეკითხება. გალაკტიონი მოკლედ და სხარტად უყვება შინაარსს, რაც მასწავლებელს ეჭვებს უფანტავს და გალაკტიონს უფლებას აძლევენ, ისევ ისე ინტენსიურად გაიტანოს წიგნები.

➤374

1908

**ზაფხულამდე**

ქართულის პედაგოგი მელიტონ ჩოგოვაძე გაკვეთილს ეკითხება. გალაკტიონს გაკვეთილი მზად არ აქვს, მაგრამ მასწავლებელი უარყოფით ნიშანს მაინც არ უწერს. როდესაც მოსწავლეები გაიკვირვებენ, პასუხობს, გალაკტიონმა თითქმის მთლიანად გადაიკითხა ძველი და ახალი ქართული მწერლობა, თითქმის ზეპირად ისწავლა „ვეფხისტყაოსანი“, ასეთ მშვენიერ ლექსებს წერსო და უკითხავს მის ლექსს „მაშინ ფოთოლნი მოშრიალენი...“.

➤375

1908

**ზაფხულამდე**

მეგობარ გოგონასთან – ელენე (ელიკო) გოდაბრელიძე-წერეთელთან ერთად, რომელიც ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მოსწავლეა, უქიმიერიონისკენ მიმავალ გზაზე სტუმრობს გიმნაზიის მოსწავლე გოგონას, ფარადოვას, რომელსაც ფარულად უყვარს გალაკტიონი.

➤376

1908

**ზაფხულამდე**

ელენე (ელიკო) გოდაბრელიძე-წერეთელს უწერს მოკლე ლექსს: „რარიგად გშვენის შავი ხალები / შენ გენაცვალოს თათრის ქალები“.

➤377



## ივნისი

1908

### 12 ივნისი

საყვარელ მასწავლებელს, მელიტონ ჩოგოვაძეს უძღვნის იტალიელი პოეტისა და ჟურნალისტის, ედმონდო დე ამიჩისის პოეზიის შთაგონებით დაწერილ ლექსს „ყმაწვილის შეხედულობა სამშობლოზედ“ („ჩემო სამშობლოვ, ჩემო ძვირფასო...“).

➤378

1908

### 17 ივნისი ან შემდეგ

იღებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობის მიერ გაცემულ მოწმობას, რომლითაც დასტურდება, რომ გალაკტიონ ტაბიძემ 1908 წელს დაასრულა აღნიშნული სასულიერო სასწავლებელი. მოწმობაში პოეტის დაბადების თარიღად მითითებულია 1891 წლის 5 ნოემბერი.

➤379

1908

### 12 ივნისი

ასრულებს ვან-ვორსტის მოთხოვნის „რად დაივიწყა მასწავლებელმა თმის გადავარცხნა“ თარგმნას.

➤380

1908

### 21 ივნისი

რუსულ ენაზე წერს უსათაურო ლექსს „მე რატომ არ...“.

➤381

## აგვისტო

1908

### 20 აგვისტო

წერს პატრიოტულ ლექსს „სიმღერა“.

➤382

## სექტემბერი

1908

### 1 სექტემბრამდე

ქუთაისში მყოფს ხვდება ნაცნობი სემინარიელი, რომელიც ეუბნება, რომ თბილისში მარტო არ იქნება და იქ ერთი პოეტი, ქუჩუ ქავთარაძე, იგივე „დემონი“ დახვდება. გალაკტიონი მოუთმენლად ელის მის გაცნობას.

➤383

1908

### 1 სექტემბრამდე

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. საყვედურობს, რომ ჭყვიშში გავლით აპირებს ჩასვლას და იმავე დღეს თბილისში გამგზავრებას. სწერს, რომ რაღაც ფინანსური პრობლემები აქვთ და საჭიროა მისი ჭყვიშში ჩასვლა თუნდაც ერთი დღით.

➤384

1908

## 1 სექტემბრამდე

სემინარიაში სასწავლად გადადის თბილისში. ცხოვრობს შორეულ ნათესავთან, რომელიც რკინიგზაზე მუშად მუშაობს და პატარა ქოხი აქვს ნამალადევში.

➤385

1908

## 1 სექტემბრამდე

თბილისის სასულიერო სემინარიის რუსული ლიტერატურისა და სიტყვიერების თეორიის მასწავლებელი იპოლიტე ვართაგავა სემინარიაში მისაღებ კანდიდატებს რუსულ ენაში შესამოწმებელ გამოცდაზე აწერინებს თხზულებას „რთველი საქართველოში“ და განსაკუთრებით მოსწონს გალაკტიონ ტაბიძის ნაშრომი, რომელიც ლამაზი მხატვრული ენით არის ნაწერი.

➤386

1908

## 1 სექტემბრამდე

აგრძელებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „ტყვილა ვემებდი მე შენს ალერსს...“

➤387

1908

## 1 სექტემბრამდე

რუსულ ენაზე წერს განცხადებას ქართლ-კახეთის არქიეპისკოპოსის, ეგზარქოს ინოკენტი ბელიაევის სახელზე და, როგორც თბილისის მართლმადიდებელი სასულიერო სემინარიის პირველი კლასის აღსაზრდელი, ითხოვს სწავლის გადასახადისგან გათავისუფლებას.

➤388

1908

## 1 სექტემბერი

სასულიერო სემინარიის კანცელარიაში მოხუცი პედაგოგი ატყობინებს, რომ სასწავლებელში მიღებულია სახელმწიფო ხარჯზე. ბინავდება საერთო საცხოვრებელში, ე. წ. „ბურსაში“.

➤389

1908

## 1 სექტემბერი ან შემდეგ

სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ ამჩნევს, რომ სემინარიელები გარს შემორტყმინ მდიდრულად ჩაცმულ ჭაბუკს და გატაცებით უსმენენ მის საუბარს ქართული ლიტერატურის შესახებ. გალაკტიონი მაშინვე ხვდება, რომ ახალგაზრდა პოეტი ქუჩუ ქავთარაძე, იგივე „დემონი“ უნდა იყოს. იგებს, რომ „დემონი“ ლათინური ენის გამო კლასში ჩაუტოვებიათ.

➤390

1908

## 1 სექტემბრის შემდეგ

სემინარიელებთან ერთად ესწრება ღვთისმსახურებას. მის ყურადღებას იპყრობს სემინარიელი ქუჩუ ქავთარაძე, რომელიც მონუსხულია საეკლესიო საგალობლებით. ეს უკანასკნელი ღვთისმსახურებისას კედელს ეყრდნობა, რასაც მასა და ზედამხედველს შორის შელაპარაკება მოსდევს. გალაკტიონი ყურადღებით ადევნებს თვალს ამ ინციდენტს.

➤391

1908

## 1 სექტემბრის შემდეგ

სემინარიის სამკითხველოში სემინარიელები აცნობენ ქუჩუ ქავთარაძეს. „დემონი“ ამბობს, რომ სმენია გალაკტიონის შესახებ. როდესაც სემინარიელები ინტერესდებიან, თუ საიდან, ქუჩუ ქავთარაძე პასუხობს, რომ წაუკითხავს მისი ხელნაწერი ლექსები. გალაკტიონი უხერხულობას გრძნობს და ცდილობს, საუბარი სხვა საკითხზე გადაიტანოს. ლაპარაკი ჩამოვარდება აკაკის იუბილეს შესახებ. ქავთარაძე ამბობს, რომ სემინარიამ აუცილებლად უნდა მიიღოს მონაწილეობა დღესასწაულში.

➤392

1908

### 1 სექტემბრის შემდეგ

იპოლიტე ვართაგავა პირადად ეცნობა იმ თხზულების ავტორს, რომლის ნაშრომიც რუსულის გამოცდაზე ყველაზე მეტად მოეწონა. გალაკტიონ ტაბიძე მასზე ახდენს ზრდილობიანი და მორცხვი ჭაბუკის შთაბეჭდილებას, რადგან იგი მასწავლებელთან საუბრისას თავს უხერხულად გრძნობს, ვერ ისვენებს და არ იცის, ხელები სად წაიღოს, თუმცა, მიუხედავად ამისა, აზრს დახვეწილად და სრულყოფილად აყალიბებს.

➤393

1908

### 5 სექტემბერი

აბესალომ ტაბიძე თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ გალაკტიონს დაბალი ჩექმები უყიდა, მაგრამ მისი შარვალი გახვევაზე და არც ქუდი აქვს. სთხოვს, გალაკტიონისთვის გაუგზავნოს ორი წყვილი საცვალი, პირსახოცები, შალის პერანგი და ფული, შარვლის შესაძენად. მართალია, პალტოები და ქურთუკები არ აქვთ, მაგრამ, სწერს, რომ როგორმე გაიტანენ ამ ზამთარს. წუხს, რომ სახელმწიფომ ძმებს სწავლის თანხა მხოლოდ ნახევარ-ნახევარი დაუფინანსა. აპირებს სინოდისგან სრული დაფინანსების მოთხოვნას, მაგრამ არ იცის, რა გამოუვა.

➤394

1908

### 24 სექტემბერი

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას. წუხს, რომ უკვე მესამე წერილს აგზავნის და დედისგან პასუხი არ მიუღია. სწერს, რომ გალაკტიონს სასწრაფოდ სჭირდება შარვალი და პერანგებიც აღარა აქვთ. გალაკტიონის პერანგი გასარეცხად რომ მისცა, ძმას თავისი ათხოვა და ისე დაიხა, რომ აღარ ჩაიცმევა. სთხოვს, გაუგზავნოს საცვლები, გალაკტიონისთვის პერანგი, შარვლების თანხა და 3 მანეთი სახარჯოდ.

➤395

1908

### 28 სექტემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „მთვარე კაშკაშებს...“.

➤396

1908

### 28 სექტემბრამდე

წერს ლექსს „სქელი ღრუბელი“.

➤397

1908

### 28 სექტემბრამდე

მიდის გაზეთ „ამირანის“ რედაქციაში, სადაც მის მიერ გამოსაქვეყნებლად მიტანილ ლექსების რვეულს კითხულობს დომინიკა ერისთავი. იგი განცვიფრებულია, რომ ასეთ ახალგაზრდა ასაკში ჭაბუკი პოეტი მშვენიერ ლექსებს წერს. ეუბნება, რომ ლექსს „მთვარე კაშკაშებს“ აუცილებლად დაუბეჭდავენ, მაგრამ მისგან ნებართვას იღებს, რომ სიტყვა „ბინდ-ბუნდი“ ჩაანაცვლონ სიტყვით „ბურუსი“.

➤398

1908

### 28 სექტემბერი

ჟურნალში „ჩვენი კვალი“ „გალ. ტაბიძის“ ხელმოწერით აქვეყნებს უსათაურო ლექსს „სქელი ღრუბელი...“.

➤399

1908

### 28 სექტემბერი

გაზ. „ამირანი“ „გალ. ტ-ბ-ძე“-ს ხელმოწერით აქვეყნებს უსათაურო ლექსს „მთვარე კაშკაშებს...“.

➤400

1908

### 28 სექტემბერი

კვირა დღეა. გალაკტიონი შოულობს გაზეთებს „ამირანი“ და „ჩვენი კვალი“, რომლებშიც პირველად ქვეყნდება მისი ლექსები და სემინარიის სტუდენტებს აჩვენებს. წირვის შემდეგ მისი კლასელები: ფილიპე შავგულიძე, იროდიონ სურგულაძე, ვანო ჩლაიძე და გენადი მიხელიძე სემინარიის ეზოში მდებარე შადრევანთან პატარა საზეიმო შეხვედრას უწყობენ.

➤401

1908

### 28 სექტემბრის შემდეგ

ჟურნალის „ახალი კვალი“ რედაქტორი ვლადიმერ დარჩიაშვილი გულთბილად იღებს რედაქციაში და ჟურნალის თანამშრომლებთან წარადგენს, როგორც „საქართველოს ამომავალ მნათობს“.

➤402

1908

### 30 სექტემბერი

თბილისის სასულიერო სემინარიის მისამართზე იღებს ტყიბულიდან მისი მეგობრის – მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ გაგზავნილ საპასუხო წერილს. ადრესანტი მადლობას უხდის გახსენებისთვის. გული სწყდება, რომ სემინარიაში სწავლა ვერ გააგრძელა და მეგობრებს ჩამოშორდა. წუხს, რომ წასაკითხ წიგნებსაც კი ვერ შოულობს. ძალიან უნდა სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში წასვლა, მაგრამ არ იცის, შეძლებს თუ ვერა.

➤403

1908

### სექტემბერი ან შემდეგ

სხვა სემინარიელებთან ერთად იმყოფება ალექსანდრეს (ახლანდელი 9 აპრილის) ბაღში, სულ ათნი არიან. იქვე, აღმართზე შენიშნავენ ონკანს და მოწყურებული ახალგაზრდები გადაწყვეტენ წყლის დაღევას. ონკანს გალაკტიონი ხსნის, წყალი ისეთი სიძლიერით გადმოდის, რომ ვერცერთი ვერ ახერხებს მის ჩაკეტვას. დიდი ხნის წვალების შემდეგ სემინარიელები ტოვებენ მოშველებულ ონკანს და მიდიან, გალაკტიონს კი ეს ამბავი სამუდამოდ ამახსოვრდება, რადგან ონკანი თვითონ გახსნა და ამის გამო თავს უხერხულად გრძნობდა.

➤404

1908

**სექტემბერი ან შემდეგ**

„ცრემლის“ ფსევდონიმით ამზადებს ხელნაწერი ბროშურის „ჩემი ბიბლიოთეკა“ პირველ ნომერს. ციკლის, რომლის მიზანია სემინარიის მოსწავლეთა ტიპების დახასიათება, პირველი ტექსტია „ჩვენი გელა“. ბროშურის ბოლო გვერდზე მიწერილია, რომ შემდეგ ნომერში წარმოდგენილი იქნება „გოგრა ძლევა-მოსილი“.

➤405

1908

**სექტემბერი ან შემდეგ**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიის წინ ხვდება სატირული ჟურნალის „ნიშადური“ რედაქციიდან გამომავალ იოსებ გრიშაშვილს, რომელიც მიდის მასთან, ეცნობა, თავისი საქმიანობის შესახებ ეუბნება, რომ ეხმარება ვალერიან გუნიას და მიხეილ გაჩეჩილაძეს და აჩვენებს თავის ნაწერებს.

➤406

**ო კ ტ ო მ ბ ე რ ი**

1908

**8 ოქტომბერი**

სასულიერო სემინარიისთვის წერს თხზულებას „ქართველთა გაქრისტიანება“.

➤407

1908

**8 ოქტომბერი**

სასულიერო სემინარიის პედაგოგი ონიფანტე გამზარდია უსწორებს ნაშრომს „ქართველთა გაქრისტიანება“ და უწერს 4 ქულას.

➤408

**ნ ო ე მ ბ ე რ ი**

1908

**2 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „რომანსი“ („გახსოვს ბუნება აყვავებული...“).

➤409

1908

**2 ნოემბერი**

ჟურნალში „საქართველო“ „ტაბი“-ს ხელმოწერით ბეჭდავს ლექსს „რომანსი“ („გახსოვს ბუნება აყვავებული...“).

➤410

1908

**8 ნოემბერი**

აბესალომ ტაბიძე თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ იავადმყოფა, მაგრამ ახლა კარგად არის. სთხოვს საცვლების გაგზავნას გალაკტიონისთვის. სწერს, რომ გალაკტიონის დაბალი ჩექმები უხარისხო ტყავისა გამოდგა და სულ დაეხა, რის გამოც, აღარ იცის, როგორ მოიქცეს. ასევე ატყობინებს, რომ აპირებს, მთავრობას მიმართოს თხოვნით, რათა ტანსაცმლის შექმნაში დაეხმარონ.

➤411

1908

## 9 ნოემბრამდე

აარსებს ყოველკვირეულ ხელნაწერ ჟურნალს „შუქი“ და იწყებს მასალის შეგროვებას.

➤412

1908

## 9 ნოემბრამდე

წერს ლექსს „შუქი“.

➤413

1908

## 9 ნოემბერი

თბილისის სასულიერო სემინარიის ხელნაწერ ჟურნალში „შუქი“ ხელმოწერით „გა“ აქვეყნებს ლექსებს: „შუქს“ და „ნიავი“, აგრეთვე წერილებს: „თბილისი, 9 ნოემბერი“, „როდის ჩამოგვწვდება შუქი“ და „აკაკის იუბილეი“. ჟურნალი მთლიანად მისი ხელით არის გადაწერილი და ბოლოს მიწერილი აქვს „რედაქტორ-გამომცემელი გა“

➤414

1908

## 15 ნოემბერი

ხელნაწერ ჟურნალში „შუქი“ ხელმოწერით „გა“ აქვეყნებს ლექსებს: „ნორჩი გულია მისი თავდები“ და „მისთვის შევცქერი (ვუძღვნი აკაკის)“ და სტატიებს. ჟურნალი მთლიანად მისი ხელით არის გადაწერილი.

➤415

1908

## აპრილი-ნოემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ნუ, ნუ დამიშლით გრძნობის გამოთქმას...“

➤416

1908

## აპრილი-ნოემბერი

იწყებს საყმაწვილო მოთხრობის წერას სათაურით „ხელს ნუ მკრავ“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤417

1908

## აპრილი-ნოემბერი

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „თითქო კიდევაც მოსწყდა ქვეყანას...“, მაგრამ მეორე სტროფზე წყვეტს.

➤418

1908

## აპრილი-ნოემბერი

წერს პროზაულ ჩანახატს „ნუ თუ?“ („ნუ, ნუ იკვანძები ცხოვრების გზავ...“).

➤419

1908

## აპრილი-ნოემბერი

წერს ლექსს „ვარსკვლავი“ („ღამეა... ცაზედ მთვარე კაშკაშებს...“).

➤420

1908

**აპრილი-ნოემბერი**

წერს ლექსს „ეპიტაფია“ („ვინც ხალხის კეთილდღეობისათვის...“).

➤421

1908

**აპრილი-ნოემბერი**

სათაურით „ვარსკვლავი“ წერს ნაწყვეტს პოემისა, რომლის მთავარი გმირია თამარი.

➤422

1908

**აპრილი-ნოემბერი**

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ („ცამ შავი ბადე გადაიშორა...“).

➤423

1908

**აპრილი-ნოემბერი**

წერს ლექსს „შემოდგომა“ („აქ ყურძენი შემოსულა...“).

➤424

1908

**ნოემბერი**

თბილისის სასულიერო სემინარიიდან იპარება ჭყვიშში. უნდა, რომ დედა გაახაროს 28 სექტემბერს ჟურნალში „კვალი“ და გაზეთში „ამირანი“ დაბეჭდილი ლექსებით – „მთვარე კაშკაშებს“ და „შავი ღრუბელი“. მასთან ერთად ქუჩუ ქავთარაძეც აპირებს გამგზავრებას, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვეღარ ახერხებს.

➤425

1908

**ნოემბრის ბოლო**

ცდილობს იშოვოს თბილისის სახაზინო თეატრში აკაკი წერეთლის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეზე დასასწრები ბილეთი, მაგრამ ვერ ახერხებს.

➤426

1908

**7 დეკემბრამდე**

ხელნაწერ ჟურნალში „შუქი“ ქვეყნდება გალაკტიონის წერილი აკაკი წერეთლის შესახებ. სემინარიელები იწყებენ იუბილესთვის სამზადისს. ეწყობა ყველა კლასის წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც იუბილეზე დასასწრებად და სიტყვის წარმოსათქმელად ირჩევენ გალაკტიონ ტაბიძეს. ჟურნალი „ჯაშუში“ სასტიკად ილაშქრებს გალაკტიონის წინააღმდეგ და ითხოვს მის შეცვლას ქუჩუ ქავთარაძით. ეს უკანასკნელი ჟურნალში „წვეთი“ ათავსებს საპასუხო წერილს, რომელშიც აპროტესტებს „ჯაშუშის“ პოზიციას და გადაჭრით იცავს გალაკტიონის კანდიდატურას. საქმე იქამდე მიდის, რომ ეს ამბავი ხმაურდება, მიდის სემინარიის ადმინისტრაციის ყურამდე და შედეგად მოჰყვება აკაკის იუბილეში სემინარიელთა მონაწილეობის აკრძალვა.

➤427

**დეკემბერი**

1908

**7 დეკემბერი**

აკაკი წერეთლის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის ქუჩები სავსეა ხალხით. იუბილარი ჯერ სიონის ტაძარში მიჰყავთ წირვაზე დასასწრებად, შემდეგ კი სახაზინო თეატრში – საიუბილეო სადამოწმე. გალაკტიონი სიონშიც მიდის და თეატრთანაც და ცდილობს, სადმე მაინც მოჰკრას თვალი საყვარელ პოეტს, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ვერ ახერხებს.

➤428

1908

### 12 დეკემბერი

მაკრინე ადგილობრივი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილს, აბესალომს. ატყობინებს, რომ გალაკტიონის თაობაზე წერილი მიიღო სემინარიიდან. შეატყობინეს, რომ ქართულსა და ისტორიაში სამეტი ჰყავს, სხვა საგნებში კი – ორები. დედა საყვედურობს აბესალომს, დროზე რატომ ვერ ნახე შენი ძმის ნიშნები და, თუ რომელიმე საგანში უჭირდა, რატომ არ დაეხმარე ან სხვა რატომ არ დაახმარეო. იმასაც ჯავრობს, ტანსაცმელი რომ არ ჰქონდა, იქნებ იმიტომ გაუფუჭდა სწავლის საქმეო. სთხოვს, ახლა მაინც უყიდოს ან პალტო, ან ქურთუკი. ვერ გაუგია, რა სჭირს უმცროს ვაჟს, რატომ არის ასე იმედეგაცრუებული და რატომ ფლანგავს თავის ნიჭს.

➤429

1908

### 13 დეკემბრამდე

თბილისშია და იღებს ჭყვიშიდან დედის მიერ გაგზავნილ წერილს, რომელშიც საყვედურებია გამოთქმული გალაკტიონის მიერ ცუდი ნიშნების მიღების გამო.

➤430

1908

### 13 დეკემბერი

თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და აღუწერს, რა გაუსაძლის პირობებშია სემინარიასა და პანსიონში. ყველაფერზე შენიშვნებს აძლევენ. განსაკუთრებით ცუდ დღეში არიან მასავით ქუთაისის სასწავლებლიდან ჩამოსულები. ორები კი არა, უკვირს, რომ ამათ ხელში „ერთები“ არ აქვს.

➤431

1908

### 21 დეკემბრამდე

წერს ლექსს „ვითარცა გედი“.

➤432

1908

### 21 დეკემბერი

გაზეთ „დროებაში“ ხელმოწერით „გალ. ტ-ბ-მე“ აქვეყნებს უსათაურო ლექსს „ვითარცა გედი ზღვისა სივრცეში...“.

➤433

1908

### 22 დეკემბერი

მაკრინე ადგილობრივი წერილს სწერს თბილისში შვილს, აბესალომს და ატყობინებს, რომ გაუგზავნა გალაკტიონისთვის საცვლები და 13 მანეთი. ავალებს, უყიდოს ძმას შარვალი და პალტო ან ქურთუკი. სთხოვს, ამეცადინოს და ცუდი ნიშნები გამოასწორობინოს, მაგრამ ნურც ძალიან გაუბრაზდება და ნურც ამხანაგებში შეარცხვენს, როცა მარტონი იქნებიან, ჭკუა მაშინ დაარიგოს.



➤434

1908

**28 დეკემბერი**

აბესალომ ტაბიძე თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ კარგად არიან, გალაკტიონი უკეთ სწავლობს, ნიშნები გამოასწორა და სახელმწიფო ხარჯის გაუქმების საშიშროებაც აღარ არსებობს, თუმცა ჩითის პერანგი, შარვალი და ფეხსაცმელი სულ დახეული ჰქონდა და ახლები უყიდა.

➤435

1908

**30 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „როცა ბულბული განთიადისას“.

➤436

1908

**30 დეკემბერი**

ჟურნალში „საქართველო“, „ტაბი“-ს ხელმოწერით ქვეყნდება მისი უსათაურო ლექსი „როცა ბულბული განთიადისას...“. ათსტროფიანი ლექსი ჟურნალის მდივანს იოსებ გრიშაშვილს 10 სტრიქონამდე დაჰყავს და ბოლოში ორ ტაეჰს თავად ამატებს. გრიშაშვილს არ მოსწონს გალაკტიონის სახელი და ლექსთან უთითებს მხოლოდ მისი გვარის შემოკლებულ ფორმას – „ტაბი“.

➤437

1908

**დეკემბერი**

წერს ლექსს „მსახიობ ქალს“ („როცა ფიქრებით დატყვევებული...“).

➤438

1908

**დეკემბერი**

თარგმნის ლორდ ჯორჯ ბაირონის ლექსს „მოგონება“ („აღსრულდა! გაჰქრა, როგორც სიზმარი...“).

➤439

1908

**დეკემბერი**

წერს ლექსს „უცხოეთში“ („ტურფად, ლამაზად გადაფენილს ბუჩქებს და მინდვრებს...“).

➤440

1908

**დეკემბერი**

ფსევდონიმით „ცრემლი“ წერს ლექსს „ჰანგები საქართველოზე“ („სადაც მარადჟამს ზღვის ციმციმ-კამკამს...“).

➤441

1908

**დეკემბერი**

წერს ლექსს „ელეგია“ („მგოსანო, შენს სამშობლოშიც...“).

➤442

1908

**დეკემბერი**

წერს ლექსს „ელიკო“ („მშვიდ მიდამოსი ვნების სამოსი ნისლად გაიბნა ცის სივრცეზედა...“).

➤443

1908

**დეკემბერი**

წერს ლექსს „სასაფლაოზე“ („დაღვრემილა არე-მარე, ნისლი ფარავს ბუმბერაზ მთებს...“).

➤444

1908

**დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „თითქო განგებით ყველა სუფევდა...“.

➤445

1908

**დეკემბერი**

იწყებს წერილის წერას გენადი მიხეილაძისადმი, მაგრამ წყვეტს.

➤446

1908

**დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მაგრამ იმ დღეებს ვერ დავივიწყებ...“.

➤447

1908

**აპრილი-დეკემბერი**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ის მოდის“ („ის მოდის, როგორც ღამის შვენება...“), მაგრამ მალე წყვეტს.

➤448

1908

**აპრილი-დეკემბერი**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „თუ ზეცაშიაც“ („თუ ზეცაშიაც სული ინახავს...“), მაგრამ მეორე სტროფის შემდეგ წყვეტს.

➤449

1908

**აპრილი-დეკემბერი**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ვარსკვლავო“ („ჰე, მზეო, ძილგატეხილთა...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤450

1908

**აპრილი-დეკემბერი**

იწყებს ჯორჯ ბაირონის პოემის „შილიონის ტყვე“ თარგმნას.

➤451

1908

**აპრილი-დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მისი ბედი ნუ დაგავიწყდება...“.

➤452

**1908**

**აპრილი-დეკემბერი**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ღრუბელი“ („შენ შემოგნატრი, ღრუბელო...“), მაგრამ მალე წყვეტს.

➤453

**1908**

**აპრილი-დეკემბერი**

იწყებს მელიტონ ჩოგოვაძისადმი მიძღვნილი მოთხრობის წერას სათაურით „დედინაცვალი“.

➤454

**1908**

**აპრილი-დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „შენ ჰქვითინებდი – მე ყურს გიგდებდი...“.

➤455

**1908**

ფსევდონიმით „ცრემლი“ წერს პოემას „ბუნების მკერდზე“ („დიდი ხანია, რაც მან დაჰკარგა...“).

➤456

**1908**

წერს ლექსს „მრავალს ჰქონდა წინათგრძნობა...“, რომელშიც გამოხატავს გულისწყრომას 1905-1907 წლის რევოლუციის მარცხის გამო.

➤457

**1908**

წერს ლექსს „ქებათა-ქება“ („ვერც ნაზი ია ბუჩქს ქვეშ მიკრული...“).

➤458

**1908**

წერს ლექსს „რისთვის“ („რისთვის ყრმობაში ვხედავდი მეტად...“).

➤459

**1908**

საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილი“ 1907 წლის სექტემბრის ნომერს აშიასა და ტექსტზე აწერს ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს: „სიკვდილმა ჩამოიარა / ჩამორებითა გველურით, / წიწამურს ამოეფარა / განზრახვებითა ველურით. / მთებით დააცხრა არწივი, / სადაც არაგვის ჩრდილია, / ვერ გაგიგია, სიკვდილო? / უკვდავი არის ილია“.

➤460

**1908 ან შემდეგ**

სოსიკო მერკვილაძე ჩუქნის აკაკი წერეთლის საიუბილეო კრებულს წარწერით: „ჩვენს ძვირფას მგოსანს და მამულიშვილს – გალაკტიონ ტაბიძეს, უღრმესის პატივისცემით“.

➤461

**1908 ან შემდეგ**

წერს ტექსტს საგაზეთო სტატიისთვის სოფელ ჭყვიშის სავალალო მდგომარეობის შესახებ და იხსენებს, როგორ აქებდა 1882 წელს გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი იქაურ სკოლას, სადაც ასწავლიდა მამამისი – ვასილ ტაბიძე.

➤462

### 1908 ან შემდეგ

აკაკი წერეთლის საიუბილეო კრებულში ალექსანდრე ცაგარლის სტატიის „აკაკი, გიხაროდენ“ წაკითხვის შემდეგ, ხაზს უსვამს ბოლო ფრაზას „უბედურებამ კაცს ჭკუა უნდა ასწავლოს“ და წერს უსათაურო ლექსს: „ამხანაგებო, ჩვენ სურვილი ვისწავლოთ მათგან... / უბედურობამ ხომ კაცს ჭკუა უნდა ასწავლოს“.

➤463

## 1909

### ი ა ნ ვ ა რ ი

#### 1909

##### 1 იანვარი

ხვდება იოსებ გრიშაშვილს, რომელიც ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად ყორღანაშვილის ქუჩაზე საქეიფოდ მიდის.

➤464

#### 1909

##### 21 იანვარი

აბესალომ ტაბიძე თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ მიიღო მისი გაგზავნილი 22 მანეთი, მაგრამ ამ ფულით პალტოს ვერ იყიდის, რადგან გალაკტიონს საჭმლისა და ბინის ფული სჭირდება.

➤465

#### 1909

##### 25 იანვრამდე

ეცნობა და უახლოვდება ჟურნალ „ფასკუნჯის“ რედაქტორს – სამსონ ფირცხალავას, რომელიც იწვევს თანამშრომლად. ჟურნალში ამ დროს თავიანთ ნაწარმოებებს ბეჭდავენ ისეთი ცნობილი პოეტებიც კი, როგორებიც არიან აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა.

➤466

#### 1909

##### 25 იანვრამდე

წერს ლექსს „ღამე“ („მწუხრმა სიბნელის ზეწარი ქვეყანას გადააფინა...“).

➤467

#### 1909

##### 25 იანვარი

ჟურნალში „ფასკუნჯი“ „გ. ტაბიძის“ ხელმოწერით იბეჭდება ლექსი „ღამე“ („მწუხრმა სიბნელის ზეწარი ქვეყანას გადააფინა...“).

➤468

### თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

#### 1909

##### 1 თებერვალი

ჟურნალში „ფასკუნჯი“ „გა“-ს ხელმოწერით იბეჭდება ლექსი „ნიავი“.

➤469

1909

### 6 თებერვალი

ჰაინრიხ ჰაინედან თარგმნის ლექსს „თვითმკვლელის ყვავილი“ („შორს, შესახვევში, ქვიშათ საფლავში...“).

➤470

1909

### 12 თებერვლის შემდეგ

იღებს ტიციან ტაბიძის მიერ 12 თებერვალს გაგზავნილ ბარათს. ადრესანტი სწერს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო დროულად ვერ შეეხმიანა. აცნობებს, რომ წაიკითხა მისი ლექსები „ჩვენს კვალში“, „ამირანსა“ და „საქართველოში“. განსაკუთრებით მოსწონს „ფასკუნჯში“ დაბეჭდილები. ატყობინებს, რომ მას აქებენ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგი – მელიტონ ჩოგოვაძე და პოეტი პარმენ ცახელი.

➤471

1909

### 26 თებერვლამდე

წერს უსათაურო ლექსს „მაშინ ტანჯვები სულს მიხუთავენ...“

➤472

1909

### 26 თებერვალი

მამის გარდაცვალებიდან 18 წლის შემდეგ იწყებს ნარკვევის წერას სოფელ ჭყვიშში არსებული ვითარების შესახებ. 1892 წლის 21 მარტს გაზეთის „ივერია“ რუბრიკაში „დაბა და სოფელი“ გამოქვეყნებული იყო სტატია სოფელ ჭყვიშის შესახებ, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლეოდა გალაკტიონის მამის, იმხანად ერთი წლის გარდაცვლილი ახალგაზრდა მასწავლებლის, ვასილ ტაბიძის ღვაწლს და პოეტს სურვილი გაუჩნდა, წარმოეჩინა, რა ვითარება იყო სოფელში იმხანად.

➤473

## მ ა რ ტ ი

1909

### 1 მარტამდე

ტიციან ტაბიძეს უკითხავს ლექსებს „ნიავი“ და „მომაკვდავი“. ტიციანს მოსწონს, მაგრამ იმ დროს ვერც კი წარმოიდგენს, თუ ისინი ქვეყნის ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალ „ფასკუნჯში“ გამოქვეყნდება.

➤474

1909

### 1 მარტი

ჟურნალში „ფასკუნჯი“ „გ. ტაბიძის“ ხელმოწერით იბეჭდება ლექსი „მომაკვდავი“.

➤475

1909

### 17 მარტის შემდეგ

იღებს წერილს ტიციან ტაბიძისგან, რომელიც აღფრთოვანებულია ჟურნალში „ფასკუნჯი“ გამოქვეყნებული მისი ლექსით „მომაკვდავი“. ადრესანტი ატყობინებს, რომ 17 მარტს გრიგოლ რობაქიძემ წაიკითხა ლექცია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაზე და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ტიციანი სთხოვს, შეატყობინოს, როგორ ჩაატარეს სემინარიელებმა აკაკი წერეთლის იუბილე. აღნიშნავს, რომ გაუხარდა „დემონის“ ვინაობის შეტყობა. ითხოვს ცნობებს ალექსანდრე

შანშიაშვილზე, ვარაუდობს, რომ იგი გიმნაზიის მოწაფე უნდა იყოს. მოიკითხავს მათ საერთო ბიძაშვილს – გერასიმეს და გალაკტიონის ძმას – აბესალომს.

➤476

1909

20 მარტი

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ გალაკტიონს ორიანი მხოლოდ მათემატიკაში აქვს. მართალია, თავდაპირველად ვერ შეეგუა აქაურობას, მაგრამ ახლა თავს კარგად გრძნობს და ნიშნებსაც უკეთესს იღებს.

➤477

1909

22 მარტამდე

წერს ლექსს „ფიქრი“ („როგორც აჩრდილი, ჩადრგადახდილი...“).

➤478

1909

22 მარტი

ჟურნალში „ფასკუნჯი“ „გ. ტაბიძის“ ხელმოწერით იბეჭდება ლექსი „ფიქრი“ („როგორც აჩრდილი, ჩადრგადახდილი...“).

➤479

1908

აპრილამდე

წერს ლექსს „სიკვდილი არ მოგატყვილებს“ („დღეს გავიგე, რომ ჩემს სატრფოს არ ვუყვარდი... არ ვუყვარდი...“).

➤480

## აპრილი

1909

5 აპრილამდე

წერს ლექსს „გაზაფხულის მოლოდინში“.

➤481

1909

5 აპრილი

ჟურნალში „ფასკუნჯი“ „გ. ტაბიძის“ ხელმოწერით იბეჭდება ლექსი „გაზაფხულის მოლოდინში“.

➤482

1909

5 აპრილის შემდეგ

კრებულში „ახალი ჩანგი“ იბეჭდება ლექსი „გაზაფხულის მოლოდინში“.

➤483

1909

11 აპრილამდე

წერს სააღდგომო ეპიგრამებს, რომლებიც ეძღვნება: ივანე გომართელს, ვალერიან გუნიას, იოსებ გრიშაშვილს, ალექსანდრე შანშიაშვილს, ილია ალაძეს, იპოლიტე ვართაგავას, გრიგოლ რობაქიძეს, პეტრე დადვაძეს, პოლიო ირეთელს, ცქვიტს (ანა ხახუტაშვილს), იროდიონ ევდოშვილს, კოტე მაცაშვილს, გიორგი გვაზავას და კიტა აბაშიძეს.

➤484

1909

12 აპრილამდე

წერს ლექსს „ნორჩია, ნორჩი!“ („ყვავილთა გუნდში სული უმანკო...“).

➤485

1909

12 აპრილამდე

წერს უსათაურო ლექსს „ვარდი მისთვის გადიშლება...“.

➤486

1909

12 აპრილი

წერს რომანსს „მხოლოდ ერთხელ“ („როდესაც ვხედავ შენს ტანჯულ სახეს...“).

➤487

1909

18 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „გაჰქრნენ წუთები სიხარულისა...“.

➤488

1909

18 აპრილი

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ კარგად არიან, მეცადინეობენ, გამოცდები მას 29 მაისს, ხოლო გალაკტიონს 27 მაისს უმთავრდება და ამიტომ 30 მაისამდე სოფელში ვერ დაბრუნდებიან.

➤489

1909

18 აპრილის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ფრთები რომ მქონდეს...“ (გაზაფხულია... მზე დაჰქათქათებს...“).

➤490

1909

18 აპრილის შემდეგ

წერს სატირულ ლექსს „ბედნიერება“ („ქართველებისთვის ბედნიერება არ იხატება ღვინისა სმაში...“).

➤491

1909

19 აპრილამდე

წერს უსათაურო ლექსს „ვარდი, კოკობი...“.

➤492

1909

19 აპრილი

ჟურნალში „ფასკუნჯი“ იბეჭდება უსათაურო ლექსი „ვარდი კოკობი, გადაფურჩქვნილი...“

➤493

1909

20 აპრილის შემდეგ

თარგმნის ალექსანდრ პუშკინის პიესას „მოცარტი და სალიერი“.

➤494

1909

20 აპრილის შემდეგ

წერს ლექსს „სტირის სამშობლო ქვეყნის მთა-ბარი“ („შენ მოკვდი, მაგრამ ცოცხალ ხარ მარად...“).

➤495

1909

26 აპრილამდე

წერს ლექსს „სასაფლაოზე“ („მიყვარს საღამო წყნარი, მშვიდი და მოწყენილი...“).

➤496

1909

26 აპრილი

ჟურნალში „ფასკუნჯი“ იბეჭდება მისი ლექსი „სასაფლაოზე“ („მიყვარს საღამო წყნარი, მშვიდი და მოწყენილი...“).

➤497

1909

27 აპრილი

თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგები გამოცდების შედეგებზე დაყრდნობით იღებენ გადაწყვეტილებას, რომ გალაკტიონი არ გადაიყვანონ მეორე კლასში.

➤498

## მ ა ი ს ი

1909

13 მაისის შემდეგ

მაკრინე ადგილობრივი წერილს უგზავნის შვილს, აბესალომს და აცნობებს რომ 13 მაისს სემინარიიდან მიიღო შეტყობინება, რომლის მიხედვითაც გალაკტიონს გამოცდებზე არ უშვებენ და არ გადაჰყავთ მომდევნო კლასში. დედას ვერ გაუგია, თუ დაითხოვეს, სახლში რატომ არ წავიდა, მაგრამ რადგან მალე აბესალომიც გათავისუფლდება, ბარემ ურჩევნია, ძმებმა ერთად იმგზავრონ.

➤499

1909

15 მაისი

წერს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „ზაფხულის ღამე“ („არ იძვრის ქარი, ნიავი არ ჰქრის...“).

➤500

1909

15 მაისის შემდეგ

წერს სამსონ ფირცხალავასადმი მიძღვნილ ლექსს „სარკმელთან“ („რა მშვენიერი რამ ხარ, სატრფოვ...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤501



1909

**15 მაისის შემდეგ**

ფსევდონიმით „გრემლი“ წერს ლექსს „ორგვარი ჰანგი“ („მიყვარდა მუსიკა და ეხლაც მიყვარს ის...“), რომელსაც წარუმიძღვარებს დუტუ მეგრელის სიტყვებს: „მიყვარს მუსიკა, მაგრამ არა დამატკობელი“.

➤502

1909

**15 მაისის შემდეგ**

წერს ბაბუცი კ-სადმი მიძღვნილ ლექსს „რომანსი“ („მსურს ნაღველი საბოლოო...“).

➤503

1909

**25 მაისი**

აბესალომ ტაბიძე თბილისიდან მოკლე წერილს უგზავნის დედას ჭყვიშში და ატყობინებს, რომ გალაკტიონი კარგად არის, გამოცდები 27 მაისს უმთავრდება და სთხოვს სახლში წასასვლელი თანხის გაგზავნას.

➤504

1909

**27 მაისი**

თბილისის სასულიერო სემინარიაში აძლევენ ნიშნების ფურცელს და უშვებენ არდადეგებზე 21 აგვისტომდე. უწყისის მიხედვით, აქვს შემდეგი ნიშნები: წმინდა წერილი – 5, ძირითადი ღვთისმეტყველება – 4, ზნეობითი ღვთისმეტყველება – 4, ბიბლიური ისტორია – 4, მხილებითი ღვთისმეტყველება – 4, ეკლესიის ზოგადი ისტორია – 5, რუსეთის საეკლესიო ისტორია – 5, ქართული ენა და ქართული ეკლესიის ისტორია – 5, ლიტურგიკა – 5, ჰომილეტიკა – 4, პრაქტიკული დარიგებანი მოძღვრებისთვის – 4, განხეთქილების ისტორია და მხილება – 5, დიდაქტიკა – 4, ფსიქოლოგია – 5, ლოგიკა – 4, რუსული სიტყვიერება – 5, სამოქალაქო ისტორია – 5, მათემატიკა და ფიზიკა – 5, ძველი ენები – 5, სლავური საეკლესიო გალობა – 5, ქართული, იმერული გალობა – 5, ახალი ენები – 5, თხზულება – 5, ყოფაქცევა – 5.

➤505

1909

**30 მაისი**

არდადეგებზე ჩადის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.

➤506

**ივნისი**

1909

**26 ივნისი**

წერს ლექსს „26 ივნისი 1909 წ.“ („გინახავთ ზეცა, შავის ღრუბლებით...“).

➤507

1909

**26 ივნისის შემდეგ**

არედაქტირებს ლექსს „26 ივნისი 1909 წ.“

➤508

1909

**26 ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „გემი“ („საბრალო გემი... უცებ შავ კლდეს გადაეჯახა...“).

➤509

1909

**ივნისი ან შემდეგ**

წერს იგავ-არაკს ლექსად „მთა და ღრუბელი“.

➤510

1909

**ივნისის შემდეგ**

წითელი ფანქრით არედაქტირებს იგავ-არაკს „მთა და ღრუბელი“. გადახაზავს სათაურს, ქვეშ ფრჩხილებში მიწერილ სიტყვას (იგავ-არაკი) და ზემოდან აწერს „მზე ხან გზაზე, ხან ჭალებში“.

➤511

1909

**ივნისი ან შემდეგ**

წერს ლექსს „რისთვის აენტო აღმოსავლეთი...“.

➤512

1909

**ივნისი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ნათელი დღისა, სევდა ღამისა...“.

➤513

## ა გ ვ ი ს ტ ო

1909

**აგვისტომდე**

წერს უსათაურო ლექსს „აჰა, ეს გული, აჰა, სიცოცხლე...“.

➤514

1909

**აგვისტომდე**

წერს ლექსს „ლურჯი ჩიტი“ („შენ მას ეძიებ? მითხრა მუზამ...“).

➤515

1909

**8 აგვისტო**

წერს პოემას განდეგილობაზე, მეუდაბნეობაზე („რამდენი მსხვერპლი კვლავ შეეფარვის...“).

➤516

1909

**20 აგვისტომდე**

ჭყვიშში ყოფნისას ეპატიჟებიან შუამთელი ნაფეტვარიძის მაყრიონში, რომელსაც სოფელ დიხაშხოდან მოჰყავს პატარძალი. გალაკტიონს შეურჩევენ თეთრ ცხენს, დედა მამისეული შავი ნაბდით და თეთრი ყაბალახით მოსავს, შიგნით კი სემინარიელის ფორმა აცვია. მშვენიერი დარია და მაყრიონი სიმღერით მიუყვება გზას. მომღერლების ხმებში ერევა გალაკტიონის ალტიც. ვანის ბაზართან ჩავლისას ურიადნიკ ბაგრატ ბაკურაძეს ეს საქორწილო მაყრიონი რევოლუციონერ სამსონ წითელიშვილის რაზმი ჰგონია და თავისი ჩაფრებით გზას უღობავს. მაგრამ დეკანოზი იუსტინე მამფორია ვითარებას უხსნის და გზას აგრძელებენ. მდინარე სულორის პირას, სოფელ საქორხიდის (სალხინო) ფონთან მაყრიონს სოფელ ტყელვანის მღვდელი, გალაკტიონის ნათლია და დეიდის, ეკას მეუღლე თადეოზ ნამიჭივილი უერთდება ვაჟებთან ერთად. წყალგაღმა გასულ მაყრიონს გალაკტიონი ჩამორჩება და დიხაშხოს მღვდლის თეოფანე ნადირაძის ოჯახის

მონახულებას განიზრახავს, რომლის ვაჟები მისი თანაკლასელები არიან. წისქვილის არხში გავლისას მის ცხენს ფეხი ეყვლიფება, კოჭლობას იწყებს და გალაკტიონი იძულებულია, ჩამოქვეითდეს. იმის გამო, რომ ასეთი სახით სტუმრად მისვლა ეუხერხულება, გალაკტიონი გზას აგრძელებს და დიდ მუხნართან მაყრიონს უერთდება. შემდეგ ფეხით გადადიან დიხაშხოში, სადაც ნეფე პატარძალი ჯვარს იწერს. იმ ღამესაც და მეორე დღესაც კარგად ქეიფობენ და გალაკტიონი პირველად თვრება. მესამე დღეს საღამო ხანს მდინარე ბონკოს პირას ცეკვა-თამაში და ჯირითი იმართება, მაგრამ კოჭლი ცხენის გამო გალაკტიონი შეჯიბრში ვერ მონაწილეობს, უგუნებოდ არის და შინ დაბრუნებას გადაწყვეტს. ბიძა და დეიდაშვილები მხარს არ აუბამენ, მაგრამ ამ დროს გალაკტიონი ხალხში რევოლუციონერ სამსონ წითელიშვილს შენიშნავს, რომელიც დიხაშხოში სტუმრად არის და დათიკო შევარდნამესთან სურებში აპირებს წასვლას გალაკტიონის დედულეთის, საპაიჭოს გავლით. წითელიშვილი იგებს, რომ გალაკტიონი მასზე ნაწარმოების დაწერას აპირებს და სთავაზობს ერთად წასვლას და თავისი ამბების გზაში მოყოლას. ღრიანცელის ღელეში უსახურავო წისქვილთან ნადიაკვნარი მეწისქვილე ნექტარიოზ ბაღდავაძე კურდღლის საცივით და არყით უმასპინძლებათ, მაგრამ გალაკტიონი ისეთი დაქანცულია მგზავრობითა და უძილობით, რომ ჭამაზე უარს ამბობს და ნაბდით თივის ზვინში წვება. ტყის ხმაურში ეჩვენება, თითქოს ბონდის ხიდზე ოქროსფერთმიანი ჭინკები გადი-გამოდიან. როდესაც ზენობნისკენ გააგრძელებენ გზას, გალაკტიონის ცხენს ძალიან გაუჭირდება და პოეტი სოფლის მასწავლებლის დავით ბაღდავაძის ოჯახში რჩება. მეორე დილით იგი ტყე-ტყე გადადის ტყელვანში დეიდასთან, ეკატერინე ადეიშვილთან.

➤517

1909

20 აგვისტო

არდადეგების შემდეგ სოფელ ჭყვიშიდან ბრუნდება თბილისში.

➤518

1909

24 აგვისტომდე

სასულიერო სემინარიაში აქვს მეორე კლასში გადასასვლელი გამოცდა. იმის გამო, რომ მისი პედაგოგი სარევიზიოდ არის წასული ოზურგეთში, გამოცდას უტარებს სემინარიის რექტორი – არქიმანდრიტი პიმენი. ის ნახევარი საათის განმავლობაში, განსაკუთრებული დაჟინებით, ცდის გალაკტიონ ტაბიძეს. გალაკტიონი სხვა მოსწავლეებზე სწრაფად და კარგად პასუხობს, მაგრამ დიდ სტრესს განიცდის, რადგან ეჭვი უჩნდება, რომ შეიძლება მისი მეორე კლასში გადაყვანა არ უნდოდეთ.

➤519

1909

24 აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „მესაფლავე“ („მსურს ცრემლი ვღვარო, მაგრამ არ ვიცი...“).

➤520

1909

24 აგვისტო

წერს ლექსს „ვუძღვნი N-ს“ („ოჰ, ნაზო იავ, დავღვარე...“).

➤521

1909

24 აგვისტოს შემდეგ

არ იცის გადაიყვანენ თუ არა სასულიერო სემინარიის მეორე კლასში. თვითმკვლელობის სურვილი გაუელვებს. ფიქრობს, რომ თუ უკანასკნელ იმედს დაკარგავს, შეიძლება „ერთ დღეს მტკვრის თავზე დატრიალდეს.“

➤522

1909

24 აგვისტო

წერილს უგზავნის დედას. უყვება, როგორ აწვალა გამოცდაზე არქიმანდრიტმა პიმენმა, სემინარიაში არსებულ ვითარებას „ჯოჯოხეთს“ უწოდებს და ამბობს, რომ შეიძლება ასეთმა წნეხმა ის თვითმკვლელობამდე მიიყვანოს.

➤523

1909

25 აგვისტო

წერს ლექსს „ხალხურ კილოზე“ („გამიშვი, დედავ, თავს მოვიწამლავ...“).

➤524

1909

26 აგვისტო

წერს ლექსს „ალსარება“ („მე შემემლო რომ უკვდავ მეყო ჩემი სახელი...“).

➤525

1909

24-31 აგვისტო

იგებს, რომ სემინარიის მეორე კლასში არ გადაჰყავთ და პირველი კლასის კურსის გამეორება მოუწევს. დეპრესიაშია და თვითმკვლელობის მიზნით სვამს კარბოლის მჟავას.

➤526

1909

აგვისტო ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „წყვდიადი ფარავს, დაფენილს სოფელს...“.

➤527

1909

აგვისტო ან შემდეგ

სუფთად ნაწერ უსათაურო ლექსს „წყვდიადი ფარავს, დაფენილს სოფელს...“, რომელსაც ეპიგრაფად აქვს ალექსანდრ პუშკინის სიტყვები „И может быть на мой закат печальный / Блеснет любовь улыбкою прощальной“ არედაქტირებს, ეპიგრაფს გადახაზავს და სათაურად აწერს „გამოსალმება“.

➤528

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „შემოდგომა“ („ობოლ ფოთლებს, ნაზ ყვავილებს...“).

➤529

1909

აგვისტო ან ადრე

წერს პოემას „მწვავე გენია“ („განთიადია... ვარსკვლავთ კრებული...“) და ეპიგრაფად წარუმიძღვარებს ფრანგი რომანტიკოსის – ალფონს ლამარტინის ფრაზას „მწვავე გენია მუდამ თან დამდევის, წამართვა შვება და მოსვენება“.

➤530

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „ტყვილა ვეძებდი მე შენს ალერსს...“.

➤531

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „მახსოვს, ვიდეგი გარინდებული...“.

➤532

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „სადამო შემოდგომისა“ („სარკმელთან ვზივარ, ცის ყვავილები...“).

➤533

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „სიცოცხლე და სიკვდილი“ („მახსოვს, ბილიკზედ...“).

➤534

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „ბრბო უმეცარი, შეუგნებელი...“.

➤535

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი...“.

➤536

1909

აგვისტო ან ადრე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „პოეტი“ („შენს ციურ ხმებს, გულის ამბგერთ...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤537

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „ჰე, გონდოლიერ!...“.

➤538

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „ღრუბელი“ („ახ, ნუ დაახშობ მზის სხივებს...“).

➤539

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „მაღალი წრის კაცი“.

➤540

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „არ გალხენს, სულო...“.

➤541

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „ელეგია“ („მიშფოთავს სული... შავ-ბნელ წყვდიადს შთაუნთქავს არე...“).

➤542

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „სდუმს არე-მარე...“.

➤543

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „ჩამოკრეს ზარი... აი კიდეც მოასვენებენ“.

➤544

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „გვირგვინი“.

➤545

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „მუხამბაზი“.

➤546

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „ოცნება“ („გადავფრინდები უცხო მხარეში...“).

➤547

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „პოეტი“ („ეს ის ქნარია...“).

➤548

**1909**

**აგვისტო ან ადრე**

წერს ლექსს „ჩვენება“ („შუალამეა, მთვარე კაშკაშებს...“).

➤549

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „ჩემს იას“ (ვუძღვნი N-ს).

➤550

1909

აგვისტო ან ადრე

სათაურებით: „სარკმლიდან“, „სასაფლაოზე“ და „სიმღერა“ წერს ლექსებს „საგაზაფხულო სიმღერები“ („რა თბილი დღეა, მზე დაქათქათებს...“).

➤551

1909

აგვისტო ან ადრე

თარგმნის ნაწყვეტს პოლონელი პოეტის კაზიმეჟ ტეტმაიერიდან („და უნუგემოდ თავი დაჰკვიდა...“).

➤552

1909

აგვისტო ან ადრე

წერს პოემას სათაურით „საბედისწერო ფიქრი“ და ეპიგრაფებად წარუძღვარებს მონტესკიესა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს.

➤553

1909

აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „სუმბული“ („ბუჩქის ძირს ფრთხილად გარინდული...“).

➤554

1909

აგვისტო ან ადრე

კოტე მესხს უძღვნის ლექსს „ნაპოლეონი“ („სიჩუმე არის დაურღვეველი...“).

➤555

1909

აგვისტო ან ადრე

➤იწყებს ლექსის წერას სათაურით „იდილია“ („ოხ, რა კარგია, როცა გარემო...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤556

1909

აგვისტო ან ადრე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „თავდავიწყებას“ („გამომყე, სატრფოვ! იქ ვიპოვით თავდავიწყებას...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤557

1909

აგვისტო ან ადრე

უსათაუროდ იწყებს ლექსის წერას „ჰაერი დღისგან შეხუთული, განაცრისფერდა...“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤558

1909

ავგისტო ან ადრე

წერს ლექსს „საღამო“ („დისკო გადახრით დასავლეთით...“).

➤559

1909

ავგისტო ან ადრე

წერს ლექსს „თასი“ („ავსეთ თასი, აავსეთ ჩქარა / სიცოცხლის ფასი ჯერ არ დამჰკნარა...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤560

1909

ავგისტო

ფურცელზე წარწერის ქვეშ „კარგი ლექსები“ წერს შემდეგი ლექსების სათაურებს: „ჩემს იას“ (ვუძღვნი N-ს), „ჩვენება“, „მიშფოთავს სული... შავბნელ წყვიდადს...“, „მახსოვს, ვიდეგი გარინდებული“, „ტყვილა ვეძებდი მე შენს ალერსს...“, ნაწყვეტი (კ. ტეტმაიერიდან), „სუმბული“ („ბუჩქის ძირს ფრთხილად გარინდული...“), „სიმღერა“, „ოცნება“, „მწვავე გენია“ (ლამარტინიდან), „ჩამოკრეს ზარი“, „სდუმს არე-მარე... ზეციდან მთვარე...“, „არ გალხენს, სულო“, „სიცოცხლე და სიკვდილი“, „გვირგვინი“, „მუხამბაზი“, „შემოდგომა“, „საღამო შემოდგომისა“, „ღრუბელი“, „გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი“, „ჰე, გონდოლიერ!..“ და პოემას „საბედისწერო ფიქრი“. სათაურით „სხვა ლექსები“ ჩამოწერს თავისი ლექსების სათაურებს: „ნაპოლეონი“, „ბრბო უმეცარი, შეუგნებელი...“, „რა თბილი დღეა...“, „კოლხიდა“, „პოეტი“ და „მაღალი წრის კაცი“. იქვე აღნიშნავს, რომ სოფელში აქვს კიდევ ბევრი დაბეჭდილი და დაუბეჭდავი ლექსი.

➤561

1909

ზაფხული

სემინარიაში ერთი გამოცდა რჩება ჩაუბარებელი და სექტემბერში უნდა გადააბაროს. ზაფხულს ჭყვიშში ატარებს და როდესაც დედა ეუბნება, რომ იმეცადინოს, პასუხობს, რომ საგნის მოსამზადებლად ორი კვირაც ეყოფა. ავგისტოს ბოლოს მათთან შეივლის დეიდა ანასტასია, ქმარ-შვილით – აღმასხან და ამბერკი ჯულაყიძეებით და თავისთან ეპატიჟებიან საპატიჟაოში. მაკრინეს ეუბნებიან, რომ გალაკტიონი ამბერკის ამეცადინებს და თავადაც მათთან უფრო კარგად მოემზადება გამოცდისთვის.

➤562

1909

ავგისტო ან შემდეგ

მუქი მელნით არედაქტირებს ლექსის „ვარდი მისთვის გადიშლება...“ ბოლო სტროფს.

➤563

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

1909

1 სექტემბერი

ოთხი ამხანაგი სახლში აკითხავს გასამხნეველად და უსაზღვროდ გახარებულია მათი თანადგომით.

➤564

1909

1 სექტემბრის შემდეგ



სემინარიაში ისევ პირველი კლასის პროგრამას გადის, სწავლაზე გული აქვს აცრუებული და გაკვეთილებს იშვიათად ამზადებს. ახლო მეგობრები არ ჰყავს, სულ განმარტოებით ზის ხოლმე და თუ ვინმე რამეს ჰკითხავს, პასუხობს, მაგრამ საუბარს არ უბამს.

➤565

1909

### 7 სექტემბერი

მაკრინე ადგილობრივი წერილს უგზავნის თბილისში მყოფ ძმისშვილ მიხაკოს. შეწუხებულია იმით, რომ გალაკტიონი თავს არ ანებებს სხვადასხვა წიგნის კითხვას და ერთი გამოცდა გადასაბარებელი აქვს. მართალია, თავად დედას ეუბნება, რომ ამის მოსამზადებლად ორი კვირა ეყოფა და პრობლემა არ არის, მაკრინე მძიმედ განიცდის და ადრესატს სთხოვს, ყურადღება მიაქციოს მის შვილს. თუ რაიმე დასჭირდება, ფულიც ასესხოს და მერე თავად გადაუხდის.

➤566

1909

### 8 სექტემბერი ან შემდეგ

იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ სამტრედიიდან თბილისში გაგზავნილ ორ წერილს და 5 მანეთს.

➤567

1909

### 10 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ვისაც სიყვარულს ვეფიცებოდი, ის საფლაგშია...“.

➤568

1909

### 11 სექტემბერი

წერს ლექსს „სიჩუმეში“ („სიმი შეირხა... ათრთოლდა ჩანგი...“).

➤569

1909

### 11 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „გვირგვინი ობოლ საფლავს ამშვენებს...“.

➤570

1909

### 16 სექტემბრამდე

რუსულ ენაზე ფსევდონიმით „გალ-ლილეი“ წერს ორსტროფიან ლექსს „შემოდგომა“.

➤571

1909

### 16 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „სიცოცხლისავე საფლავს მაგონებს...“

➤572

1909

### 16 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ნიავი ნელი, ეთამაშება...“

➤573

1909

**17 სექტემბერი**

თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ ერთ ამხანაგთან ერთად იქირავა ბინა ათ მანეთად, რაშიც შედის საწოლი და დილა-სალამოს ჩაი. შესაბამისად, სასწრაფოდ სჭირდება ქვეშაგები და ცოტაოდენი თანხა. აცნობებს, რომ აბესალომი სახელმწიფო ხარჯზეა სემინარიაში მიღებული და დანიშნული აქვს 150 მანეთი.

➤574

1909

**17 სექტემბერი**

წერს ლექსს „არტიტის დღიურიდან“ („დღეს ოცდახუთი შესრულდა წელი...“).

➤575

1909

**18 სექტემბერი**

უთანხმოება მოსდის რუსული სიტყვიერების თეორიის მასწავლებელთან. პედაგოგის ირონიულ სიტყვებზე: უნდა დაგვემორჩილო, ის პასუხობს, არავის დაემორჩილება, რადგან საკუთარი ნება აქვს. ამას მოჰყვება კამათი, რაც აკრძალულია სემინარიაში. განრისხებული მასწავლებელი „იდიოტს“ უწოდებს და კლასიდან აძევებს.

➤576

1909

**19 სექტემბერი**

წერს ლექსს „მარტოობაში“ (ვუძღვნი N-ს) და ეპიგრაფად წარუმძღვარებს აკაკი წერეთლის სიტყვებს „ია და ვარდი დამჭკნარი / ხვალ ახლად გამიხარეო...“).

➤577

1909

**19 სექტემბერი**

წერს ლექსს „ჩემს მწარე ქვითინს ყურს არვინ უგდებს...“.

➤578

1909

**19 სექტემბერი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ სემინარიაში მალე უნდა წარადგინოს თხზულება: „ბიბლიური სწავლება კაცთა მოდგმის ერთიანობის შესახებ“.

➤579

1909

**19 სექტემბერი**

წერს ლექსს „მეგობარს“ („ვიცი, ვიცი, რასაც ფიქრობ ან რას მოელი...“).

➤580

1909

**20 სექტემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მე შენს თვალებში მწარე სევდა ამოვიკითხე“.

➤581

1909

**21 სექტემბერი**

წერს ლექსს „N-ს“ („შენს სიმთა ჟღერას...“).

➤582

1909

### 21 სექტემბრის შემდეგ

იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ 21 სექტემბერს გაგზავნილ წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ მასაც და დედასაც ცხელება ჰქონდათ, მაგრამ ახლა უკეთ არიან. ანუგეშებს, რომ კლასში დარჩენა პრობლემა არ არის, მაგრამ სთხოვს, მისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს, გააგრძელებს სემინარიაში სწავლას თუ გიმნაზიაში გადასვლაზე ან სხვა რამეზე იფიქრონ. ინტერესდება, ბინა თუ იშოვა და ქვეშაგები ჩაუტანონ თუ არა.

➤583

1909

### სექტემბერი ან შემდეგ

მაკრინე ადგილობრივი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილებს, აბესალომსა და გალაკტიონს. ადრესანტი აბესალომს სთხოვს, თუ გალაკტიონს რომელიმე საგანი უჭირდეს, დაეხმაროს და მაგალითისთვის მოჰყავს ტიციან ტაბიძის მაგალითი, რომელიც ძალიან ეხმარება თავის ძმას, სიმონს.

➤584

## ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

1909

### 3 ოქტომბერი

წერს ლექსს „არ მეღირსება“ („ველი განთიადს, ველი მზის სხივებს...“).

➤585

1909

### 15 ოქტომბერი

სურათს იღებს თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებთან.

➤586

1909

### 19 ოქტომბერი

აბესალომ ტაბიძე თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ გალაკტიონი კარგად არის და გაკვეთილებს ესწრება, მაგრამ დიასახლისი საუზმისთვის ჩაისა და შაქრის მიცემას კი არ დაჰპირებია, როგორც მას ეგონა, არამედ მხოლოდ მდუღარე წყლისას. შესაბამისად, თანხა საუზმეზეც დასჭირდება და სადილზეც.

➤587

1909

### 20 ოქტომბერი

ღამის ხუთ საათზე ბრუნდება მეჯლისიდან, რომელზეც ქართველი ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ არც ქართულად საუბრობდნენ და არც ქართული სული ტრიალებდა. განიცდის ერის გადაგვარებას და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤588

1909

### 29 ოქტომბერი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც აღნიშნავს, რომ მომდევნო დღეს სასწავლო კურსის მეოთხედი მთავრდება და ნიშნებსაც დაწერენ. ღელავს ისტორიაში, გალობაში, ფრანგულსა და რუსულ სიტყვიერებაში მოსალოდნელი დაბალი ნიშნების გამო. წუხს, რომ საინტერესო საგნებიც კი გაუთავებელ „საზეპიროებად“ აქციეს.

➤589

1909

### ოქტომბერი

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდების აღმანახში „პირველი ნაბიჯი“ იბეჭდება ინფორმაცია სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მოსწავლე ახალგაზრდა პოეტ „გ. ტ“-ს თვითმკვლევლობის მცდელობის შესახებ. ნათქვამია, რომ ის ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა.

➤590

1909

### ოქტომბერი

რუსულ ენაზე კითხულობს წიგნებს, რომელთა შორისაა: ონორე დე ბალზაკის „გამზარა“ და „დაწყვეტილი შვილი“, მარიან გავალევიჩის „ცოლების სილუეტები“, მაქსიმ გორკის „ბრმები“, მიხაილ არციბაშევის „შეხვედრა“, მორის მეტერლინკის „ლურჯი ფრინველი“, ლეონიდ ანდრეევის „შვიდი ჩამოხრჩობილის ისტორია“, ჯორჯ ბაირონის: „მანფრედი, „კაენი“, „დონ-ჟუანი“, „ებრაული მელოდია“, „ტასოს გულისწყრომა“, „ლექსები“, „შილიონის პატიმარი“, „გიაური“, „ზღვის ყაჩაღი“, „ლარა“, „მაზეპა“, „ჩაილდ ჰეროლდი“ და სხვ. ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების ორი ტომი, მიხეილ ლერმონტოვის „დემონი“, „მწირი“, „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“, „კავკასიის ტყვე“, „მეზნილი“, „სიკვდილის ანგელოსი“, „მასკარადი“, „ჩვენი დროის გმირი“ და სხვა პოემები და ლექსები და ჟურნალის „ყველასათვის“ მესამე ნომერი. ქართულად წაკითხულ წიგნებს შორისაა: შიო არაგვისპირელი მეორე და მესამე ტომებში დაბეჭდილი მოთხრობები, ზაქარია ჭიჭინაძის „დავით ერისთავი“, ნოე ჟორდანიას წერილების კრებული „ქართული პრესა“, ია ეკალაძის თხზულებათა პირველი ტომი, დავით კარიჭაშვილის „თამარ მეფე“, ალექსანდრე ფრონელის „ამბოხება კახეთისა“, ემილ ზოლას „გამარჯვება ჩვენია“, იროდიონ ევდოშვილის „ლექსები და პოემები“, ჰენრიკ სენკევიჩის წიგნის „ცეცხლითა და მახვილით“ გრიგოლ ყიფშიძისეული თარგმანის ნახევარი, ანტონ ფურცელაძის „ჩვენებური საქმის ბოლო“ და „ვაი მართალთა“, აკაკი წერეთლის მეორე ტომი, ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდრის“ 1895-1897 წლების გამოცემები, სოფრომ ტარუაშვილის მიერ „ს. გლახაშვილის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული სამმოქმედებიანი დრამა „წყურვილი“, ვალერიან გუნიას „დედის ერთა“, ნადეჟდა ლუხმანოვას დრამა „სიკვდილი ნაპოლეონისა“, თეოდორ დოსტოვესკის რომანის „დანაშაული და სასჯელი“ შალვა დადიანისეული თარგმანი, ალექსანდრე მოვსესიანის (შირვანზადეს) „ნამუსისთვის“, მაკო საფაროვა-აბაშიძის მიერ გადმოკეთებული ვოდევილი „გულმა იგრძნო“ და „მრავალი და მრავალი სხვანი“. მათ შორის ზოგიერთ ნაწარმოებს უკვე ხელმეორედ კითხულობს, ალექსანდრ პუშკინის „ბაღჩისარაის შადრევანს“ კი – მეხუთედ.

➤591

## ნოემბერი

1909

### 1 ნოემბრამდე

წერს ლექსს „ფანტაზია“ („ოცნება ტკბილი და ნეტარება...“).

➤592

1909

### 1 ნოემბერი

აღმანახ „პირველ ტალღაში“ ბეჭდავს ლექსს „ფანტაზია“ („ოცნება ტკბილი და ნეტარება...“).

➤593

1909

**14 ნოემბერი**

სემინარიისა და სათავადაზნაურო გიმნაზიის სტუდენტებისთვის საჯაროდ კითხულობს პოემას „ქართველი ქალი“. განხილვას სხვა დაინტერესებული პირებიც ესწრებიან. პოემის ფორმა ძირითადად მოწონებას იმსახურებს, მაგრამ გამოითქმის კრიტიკული შენიშვნებიც. თ. იაკობაშვილის აზრით, ეს უფრო ლექსია, ვიდრე პოემა და გალაკტიონ ტაბიძე ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოემების გავლენას განიცდის. დავით თურდოსპირელის აზრით კი მისი სიუჟეტი მოძველებულია. პოემის იდეის დაწუნებას გალაკტიონი იმით ხსნის, რომ დამსწრეთაგან თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატია, მათ ღირებულებებში კი „სამშობლო“ „კაცობრიობამ“ ჩაანაცვლა.

➤594

1909

**25 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „კოლხიდა“ („იქ ნაკადული მთის კალთიდან...“).

➤595

1909

**25 ნოემბერი**

გაზეთი „დროება“ აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ 29 ნოემბერს გამოვა ყოველთვიური აღმანახის „პირველი ნაბიჯი“ მეორე ნომერი, რომელშიც იბეჭდება გ. ტაბიძის ლექსი „კოლხიდა“.

➤596

1909

**29 ნოემბერი**

აღმანახში „პირველ ნაბიჯი“ აქვეყნებს ლექსს „კოლხიდა“.

➤597

1909

**მეორე ნახევარი**

წერს ლექსს „პოეზია“ („კვნესა-გასაჭირს არ შევუკრთები...“).

➤598

**დეკემბერი**

1909

**1 დეკემბერი**

წერს ლექსს „რისთვის?“ („სევდიანი და დაღვრემილი...“) და ეპიგრაფად წარუმძღვარებს დანტესეულ ციტატას: „შემომსვლელებმა თავი ანებეთ ყოველგვარ იმედს“.

➤599

1909

**6 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „მწუხარება“ („სიცოცხლით სავსეს, ოცნებაში მყოფს...“).

➤600

1909

**6 დეკემბერი**

აღმანახში „პირველი ტალღა“ ბეჭდავს ლექსს „მწუხარება“ („სიცოცხლით სავსეს, ოცნებაში მყოფს...“).

➤601

1909

### 6 დეკემბრის შემდეგ

კითხულობს ჟურნალის „საქართველოს მოამბე“ მეექვსე ნომერს, რომელშიც მისთვის უცნობი ლექსის „ყვავილი“ ავტორად არის დასახელებული. ამის შემდეგ ხვდება თავის ბიძაშვილ ტიციან ტაბიძეს, რომელიც საყვედურობს ლექსის მითვისების გამო. გალაკტიონი თავს იმართლებს და ეუბნება, რომ ამ საქმესთან არაფერი აკავშირებს.

➤602

1909

### 7 დეკემბერი ან შემდეგ

არქიმანდრიტ პიმენის განკარგულებით, სასულიერო სემინარიის სხვა მოსწავლეებთან ერთად საეგზარქოსო მოედანზე ესწრება საქართველოს ეგზარქოსად ინოკენტი ბელიაევის დანიშვნის ცერემონიალს.

➤603

1909

### 12 დეკემბერი

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ ის და გალაკტიონი ჯანმრთელად არიან, მაგრამ საშობაოდ სოფელში ვერ მიდიან. სწერს, რომ ვერც პალტო იყიდა და ვერც შარვალი, რადგან ბინის ქირა ჰქონდა გადასახდელი და გალაკტიონსაც თვეში 12 მანეთი მაინც სჭირდება.

➤604

1909

### 19 დეკემბერი

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ, რაც შეეძლო ჰკუთას არიგებდა გალაკტიონს, კარგად ესწავლა, მაგრამ ვერაფერს გახდა. თუმცა, ამ თვეში ცოტა გამოასწორა სწავლის საქმე და მხოლოდ ორი ორიანი აქვს. იმედოვნებს, რომ ამის შემდეგ კარგად ისწავლის და რომ ცუდი ნიშნების გამო სახელმწიფო დაფინანსებას არ შეუწყვეტენ. სწერს, რომ მისგან მიღებული თანხით გალაკტიონისთვის ტანისამოსს აკერვინებს.

➤605

1909

### 19 დეკემბრის შემდეგ

აბესალომ ტაბიძე იღებს დედის, მაკრინე ადგიშვილის წერილს. დედა ძალიან გახარებულია იმით, რომ გალაკტიონს ნიშნები გამოუსწორებია.

➤606

1909

### 17-28 დეკემბერი

სათაურით „ანრის დღიური“, თარიღებით: 17, 20, 28 დეკემბერი წერს სამ პატარა ლექსს („ვინ რას დამაკლებს... ჩემში ძალაა...“).

➤607

1909

წერს პოემას „მწყემსი“, რომელიც იწყება პოეტური მიძღვნიტ იოსებ გრიშაშვილისადმი.

➤608

1909

გიორგი შინატეხელი (მანთაშოვი) უძღვნის ლექსს „ახალგაზრდა პოეტებს, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძეს“.

➤609

1909

**მეორე ნახევარი**

წერს უსათაურო ლექსს „ჩაგრულო ერო, მძიმე უღელქვეშ...“.

➤610

1909

**მეორე ნახევარი**

წერს უსათაურო ლექსს „ფეხ-ქვეშ გათელილს შენს აღმაფრენას...“.

➤611

1909

**მეორე ნახევარი**

წერს უსათაურო ლექსს „მე მიყვარს მისი სიმშვენიერე...“.

➤612

1909

**აგვისტოს შემდეგ**

არედაქტირებს ლექსს „მაღალი წრის კაცი“ და სათაურად აწერს: „მოჩვენება მაღალი წრიდან“.

➤613

**1909 ან შემდეგ**

რვეულში ანბანზე დალაგებულად წერს თავისი ქართულ და რუსულენოვანი წიგნების კატალოგს და იქვე უწერს ფასებს.

➤614

**1909 ან შემდეგ**

წერს პიესას, რომლის მთავარი გმირები არიან ნათელა და პირიმზე.

➤615

**1909 ან შემდეგ**

რუსულ ენაზე წერს მ. ნ.-სადმი მიძღვნილ ლექსს „რომანსი“.

➤616

**1909 ან შემდეგ**

ფსევდონიმით „ცრემლი“ წერს უსათაურო ლექსს „დაღამდა... მთვარე ეშხით მგზნებარე...“.

➤617

**1909 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ქნარი როცა დაგუგუნებს...“.

➤618

**1909 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ციცინათელა“ („ღამეა... ხან აქ და ხან იქ...“).

➤619

**1909 ან შემდეგ**

თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „გაზაფხული“ („მიდუდუნებენ ზვირთნი მდინარის...“).

➤620

### 1909 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ფსიხეა“ („გული უფეთქავს, ხელში კი...“).

➤621

### 1909 ან შემდეგ

ჰაინრიხ ჰაინედან თარგმნის ლექსებს: „დოქტრინა“ („დაჰკა ბარაბანს...“) და „საიდუმლო“ („ჩვენ არა ვკვნესით...“).

➤622

### 1909 ან შემდეგ

ლათინურად იწერს სიტყვებს, რომლითაც იწყება ღვთისმშობლის ჰიმნი, დიდ ხუთშაბათს და ვნების კვირაში და რომელიც გამოხატავს დედის მწუხარებას იესოს ჯვართან. ამავე ფურცელზე წერს ცალკეულ სიტყვათა განმარტებას.

➤623

### 1909 ან შემდეგ

წერს ლექსს „ჩემს ზიულიას“ („შეხედე ცისკარს, იქ განთიადზე...“).

➤624

### 1909 ან შემდეგ

წერს ლექსს „დაბლა მიწა, მაღლა ზეცა“ („რაკი მზე გორაკს თავს დაადგება...“).

➤625

### 1909 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „წერილი“.

➤626

### 1909 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „მუსიკა“.

➤627

### 1909 ან შემდეგ

რუსულ ენაზე კითხულობს გაბრიელა რევალის წიგნს „გიმნაზიის მოსწავლე გოგონები“ და რვეულში აკეთებს ამონაწერებს.

➤628

### 1909 ან შემდეგ

რუსულ ენაზე კითხულობს სერგეი გუსევი-ორენბურგსკის მოთხრობას „შვილები“ და აკეთებს ამონაწერს.

➤629

### 1909 ან შემდეგ

რუსულ ენაზე კითხულობს ვიქტორ ჰიუგოს რომანს „მმა ძმის წინააღმდეგ“.

➤630

### 1909 ან შემდეგ

რუსულ ენაზე კითხულობს ანატოლ ფრანსის მოთხრობას „ქუჩის მოვაჭრე“.



➤631

### 1909 ან შემდეგ

მარიეტა შაგინიანის წიგნში „პირველი შეხვედრები“ ლექსების ტაეპებს უწერს პწკარედულ თარგმანებს.

➤632

\* \* \*

### 1910-მდე

1910 წლის კალენდარში იბეჭდება გალაკტიონის ლექი „ფიქრი“.

➤633

## 1910

### ი ა ნ ვ ა რ ი

#### 1910-იანი წლების დასაწყისი

გატაცებულია რუსი სიმბოლისტებით: კონსტანტინ ბალმონტით, ანდრეი ბელითა და ალექსანდრ ბლოკით.

➤634

### 1910

#### იანვრის დასაწყისი ან ადრე

წერს ნაწყვეტს ლექსისა „საახალწლო“ („...და ისევ მარტო, დაობლებული მე ვეგებები ახალ წელიწადს...“).

➤635

### 1910

#### 2 იანვარი

აბესალომ ტაბიძე მოკლე წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ გალაკტიონმა სოფელში წასვლა გადაიფიქრა.

➤636

### 1910

#### 2 იანვარი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „მსახიობ ქალს“ („როცა ფიქრებით დატყვევებული...“).

➤637

### 1910

#### 17 იანვრამდე

ალმანახისთვის „ახალი ტალღა“ წერს საპროგრამო ლექსს სათაურით „ახალ ტალღას“ („მუდამ თანმსრბოლი ფიქრი მწვავდა...“).

➤638

### 1910

#### 17 იანვრამდე

წერს ლექსს „პოეზია“ („ახ, ნუ შეახებთ ხელს ჩანგის სიმებს...“).

➤639

### 1910

#### 17 იანვარი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „პოეზია“ („ახ, ნუ შეახებთ ხელს ჩანგის სიმებს...“).

➤640

1910

17 იანვარი

ალმანახში „ახალი ტალღა“ იბეჭდება ლექსი „ახალ ტალღას“.

➤641

1910

18 იანვარი

თავს იკლავს სემინარიაში მისი უახლოესი მეგობარი პოეტი დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძე, რასაც იმდენად განიცდის, რომ თავადაც ფიქრობს თვითმკვლელობაზე.

➤642

1910

18 იანვრის შემდეგ

სემინარიელი მეგობრის – დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძის ხსოვნას უძღვნის პოემას „შანში“.

➤643

1910

18 იანვრის შემდეგ

დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძის თვითმკვლელობის გამო იმდენად დეპრესიულ ხასიათზეა, რომ სემინარიას აცდენს და სოფელში მიდის. ამასთან დაკავშირებით უსიამოვნება მოსდის ოჯახის წევრებთან, რომლებიც დიდი გაჭირვების ფასად ახერხებდნენ მის განათლებაზე ზრუნვას.

➤644

1910

18 იანვრის შემდეგ

მეგობრის, ქუჩუ ქავთარაძის („დემონის“) ხსოვნას უძღვნის ელეგიას „საფლავის ქვაზე“ („კორდს ეტმასნება სიო მდელოსი...“).

➤645

1910

18 იანვრის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერებს სათაურით „შინაური საქმეები გარეულ საქმეებზე“, რომელშიც საუბარია გაზეთში „შინაური საქმეები“ სემინარიელი პოეტის ქუჩუ ქავთარაძის, იგივე „დემონის“ „გასამართლებაზე“ და იქვე იწყებს ამ თემაზე ლექსის დაწერას „აღელდა და აბობოქრდა „შინაური საქმეები...“.

➤646

1910

25 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „მე დავიბადე განთიადისას...“.

➤647

1910

25 იანვარი

მისი მეგობრის – დიმიტრი ქავთარაძის დაკრძალვაზე ძველ სენაკში კითხულობს ლექსს „მე დავიბადე განთიადისას...“. დაკრძალვა საპროტესტო ხასიათს იღებს.

➤648

1910

**30 იანვარი**

აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც ასახულია მისი მძიმე სულიერი მდგომარეობა დიმიტრი (ქუჩუ) ქავთარაძის გარდაცვალების გამო.

➤649

1910

**31 იანვარი**

გარდაიცვალა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მისი საყვარელი მასწავლებელი მელიტონ ჩოგოვაძე, რომელიც გალაკტიონს ძალიან ამხნევებდა და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

➤650

1910

**31 იანვრის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს, რომელსაც უძღვნის ახლადგარდაცვლილ პედაგოგს მელიტონ ჩოგოვაძეს. გალაკტიონი მასწავლებელს ახასიათებს, როგორც მშობლიური ლიტერატურის ღრმად მცოდნესა და მოსწავლეებისადმი მეგობრულად განწყობილ პიროვნებას.

➤651

1910

**31 იანვარი ან შემდეგ**

წერს ლექსს „საფლავზე“ („მე ვინახულე სევდიანი მგოსნის საფლავი...“), რომელსაც უძღვნის მელიტონ ჩოგოვაძის ხსოვნას.

➤652

1910

**იანვარი**

სასულიერო სემინარიისთვის წერს ნარკვევს „გიორგი ბრწყინვალე“, რომელშიც იღებს შეფასებას 4+. პედაგოგი ონიფანტე გამზარდია კომენტარში ძალიან აქებს გალაკტიონის მონაცემებს, აღნიშნავს, რომ ავტორს ეხერხება მოკლედ და მკვეთრად თქმა ბევრისა, მისი ენა წმინდად ლიტერატურულია, ისტორიული რეალობის აღწერა უნიკალურია და რომ ასეთი თხზულების წაკითხვა სასიამოვნოა.

➤653

1910

**იანვარი**

წერს ლექსს „ჰიმნი“ („ჰე, ცაო, ცაო!...“).

➤654

**თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი**

1910

**თებერვლამდე**

წერს ლექსს „ოცნება კლდეზე“ („ვა ვარსკვლავებით შემოიჭედა...“).

➤655

1910

**7 თებერვლამდე**

წერს ლექსს „მსახიობის დღიურიდან“.

➤656

1910

**7 თებერვალი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „მსახიობის დღიურიდან“.

➤657

1910

**12 თებერვალი**

წერს უსათაურო ლექსს „მე ვსწერდი წყნარად, ციურ ფრთებით...“

➤658

1910

**20 თებერვლამდე**

თბილისის სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მეორე მეოთხედს ამთავრებს ნიშნებით: ყოფაქცევა – 5; სიტყვიერების თეორია – 3; საყოველთაო სამოქალაქო ისტორია – 2; ალგებრა – 2; ლათინური ენა – 3; ფრანგული ენა – 2+; ქართული ენა – 3.

➤659

1910

**21 თებერვლამდე**

წერს ლექსს „ბრძოლაში ვეძებ“ („ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას...“).

➤660

1910

**21 თებერვალი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „ბრძოლაში ვეძებ“ („ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას...“).

➤661

1910

**21 თებერვალი**

რვეულში რუსულად იწერს ტექსტს „რა მნიშვნელობა აქვს ქრისტიანისთვის ცხოვრებაში საეკლესიო საიდუმლოებებს“.

➤662

1910

**21 თებერვალი ან შემდეგ**

რვეულში რუსულ ენაზე ჩაწერილი საღვთისმეტყველო ტექსტის ბოლო გვერდზე აწერს პოეტურ ფრაზას „და შენთან ერთად უდარდელად სატრფო მღეროდეს“.

➤663

1910

**თებერვალი**

ალმანახში „ჩვენი ნაბიჯი“ იბეჭდება უსათაურო ლექსი „ცა ვარსკვლავებით შემოიჭედა...“.

➤664

**მ ა რ ტ ი**

1910

**1 მარტი**

მაკრინე ადგილობრივი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილს, აბესალომს. წუხს გალაკტიონის სწავლის გამო, რადგან, სემინარიიდან მიღებული მოწმობის მიხედვით, სამიანი ჰყავს. სთხოვს, არ გაუწყრეს, მაგრამ თუ რამეს შეაგნებინებს, კარგი იქნება.

➤665

1910

6 მარტი

წერს ლექსს „შენ არ მოჰკვდები“ („ნათელი სხივი განთიადისა...“).

➤666

1910

7 მარტამდე

წერს ლექსს „მხოლოდ ბუნება“ („ნუ მომაგონებ, ჩემო ღვთაებავ...“).

➤667

1910

7 მარტი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „მხოლოდ ბუნება“ („ნუ მომაგონებ, ჩემო ღვთაებავ...“).

➤668

1910

28 მარტამდე

წერს ლექსს „დემონი“ („გაშლილ წალკოტში ნორჩ ყვავილის მოწყვეტა მსურდა...“).

➤669

1910

28 მარტამდე

წერს ლექსს „ოჰ, ვის, ვის ესმის ჩემი კვნესა...“.

➤670

1910

28 მარტი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსები „დემონი“ („გაშლილ წალკოტში ნორჩ ყვავილის მოწყვეტა მსურდა...“) და „ოჰ, ვის, ვის ესმის ჩემი კვნესა...“.

➤671

1910

29 მარტი

გაზეთში „ხალხი“, „მენავის“ ფსევდონიმით ნიკო კურდღელაშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილში „ჩვენი კრიტიკოსები“, გალაკტიონ ტაბიძე დასახელებულია პერსპექტიულ ახალგაზრდა პოეტთა შორის.

➤672

1910

30 მარტი

მაკრინე ადგილობრივი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილებს, აბესალომსა და გალაკტიონს. ლოცულობს, რომ ისინი არ შერცხვენილიყვნენ არც ღმერთთან და არც კაცთან. იბოდიშებს, რომ 20 მანეთზე მეტს ვერ უგზავნის. წუხს იმის გამო, რომ არაერთხელ მისწერა გალაკტიონს წერილი, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

➤673

აპრილი

1910

## 1 აპრილი ან შემდეგ

რუსი მხატვრის, მიხეილ ვრუბელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერს მოკლე ნარკვევს მის მოღვაწეობაზე.

➤674

1910

## 7 აპრილამდე

მაკრინე ადგიშვილი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილს, აბესალომ ტაბიძეს. ატყობინებს, რომ ელოდა გალაკტიონს, მაგრამ ამაოდ და არც მისი წერილი მიუღია. საყვედურობს, რომ არაფრად აგდებენ დედის წყენასა და დარდს. სთხოვს, კარგად იმეცადინონ, რომ ეგებ რამე საშველი დაადგეს ოჯახს. წინდება გზავნის ორივესთვის და სთხოვს, ხილის ნახევარი გალაკტიონს გადასცეს.

➤675

1910

## 7 აპრილამდე

მაკრინე ადგიშვილი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილს, აბესალომ ტაბიძეს. ულოცავს ქრისტეს აღდგომას და სთხოვს, მანაც და გალაკტიონმაც გამოცდებისთვის კარგად იმეცადინონ. უგზავნის ტკბილ კვერსა და ჩურჩხელებს.

➤676

1910

## 7 აპრილამდე

მაკრინე ადგიშვილი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილებს, აბესალომსა და გალაკტიონს. აინტერესებს, რა ნიშნებზე სწავლობს გალაკტიონი. ურჩევს, გალაკტიონი გაზეთში თუ რამეს დაბეჭდვას განიზრახავს, ძმას აჩვენოს.

➤677

1910

## 7 აპრილამდე

მაკრინე ადგიშვილი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილებს, აბესალომსა და გალაკტიონს. წუხს, იმის გამო, რომ ფული ვერ გაუგზავნა და ახლაც მხოლოდ სამ მანეთსა და ორ შაურს უგზავნის. ჰპირდება, თუ რამე იშოვა, კიდევ გაუგზავნის.

➤678

1910

## 7 აპრილი

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ მისგან მიღებული 20 მანეთით მან და გალაკტიონმა შარვლები შეიკერეს და, გარდა ამისა, გალაკტიონს დახეული ფეხსაცმელები შეუკეთა. საყვედურზე, გალაკტიონი წერილებს რატომ არ მწერსო, პასუხობს, რომ მაგდენი 7 კაპიკი არ აქვთ და არ შეუძლიათ, ყოველ ჯერზე საპასუხო წერილი გაუგზავნონ. ასევე აცნობებს, რომ სააღდგომოდ სოფელში ვერ ჩავლენ, რადგან მალევე ეწყებათ გამოცდები და უნდა მოემზადონ.

➤679

1910

## 8 აპრილი ან შემდეგ

უკრაინელი თეატრალური მოღვაწის, მარკ კრაპივნიცკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერს მოკლე ნარკვევს მის მოღვაწეობაზე.

➤680

1910

18 აპრილამდე

თარგმნის ჰენრიკ იბსენის დრამას „ბრანდი“.

➤681

1910

18 აპრილამდე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ახ, რა რიგ შევსცდი...“ და იქვე წყვეტს.

➤682

1910

18 აპრილამდე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მზე“ („მზე სხივებად იფანტება...“) და მალევე წყვეტს.

➤683

1910

18 აპრილამდე

წერს სათაურს „რად შემიყვარდა“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს.

➤684

1910

18 აპრილამდე

წერს სათაურს „ბუჩქს ქვეშ“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს.

➤685

1910

18 აპრილამდე

წერს სათაურს „მადონა“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს.

➤686

1910

18 აპრილამდე

წერს ლექსს „დეზდემონა“ („ჩემს სიმღერას გულწრფელ გრძნობით...“).

➤687

1910

18 აპრილამდე

წერს ლექსის „დეზდემონა“ ახალ ვარიანტს, რომელსაც სათაურად აწერს: „სამარე ობლად“ და იწყებს სიტყვებით: „როგორც ცის სევდა, დამციმციმებდა...“.

➤688

1910

18 აპრილამდე

წერს ლექსს „სასაფლაოზე“ („მზეს შევნატროდით, ვკვნესოდით...“).

➤689

1910

18 აპრილი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „სასაფლაოზე“ („მზეს შევნატროდით, ვკვნესოდით...“).

➤690

1910

18 აპრილი

ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ სათეატრო ამბებში ქვეყნდება ინფორმაცია, რომ გალაკტიონ ტაბიძე თარგმნის ჰენრიკ იბსენის პიესას „ბრანდი“.

➤691

1910

26 აპრილი

ჩადის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.

➤692

## მ ა ი ს ი

1910

8 მაისამდე

ქართულ თეატრთან ხვდება იოსებ გრიშაშვილს, რომელიც ატყობინებს, რომ გრიგოლ რობაქიძემ მიიწვია ქართულ თეატრში ლიტერატურულ სადამოში მონაწილეობის მისაღებად და აპირებს წაიკითხოს ლექსი: „ბარაშკაჯან, არ შეგცივდეს“. გალაკტიონს უკვირს ეს არჩევანი, რადგან, მისი აზრით, ეს ქუჩის ლექსია. გრიშაშვილი პასუხობს, რომ იცის და მისი ჩანაფიქრიც სწორედ ეს არის. უამბობს, საიდან მოდის ეს ფრაზა. როდესაც რომელიმე მანდილოსანი დუქნებში უსაქმოდ მჯდარი ვაჭრების წინ გაივლიდა, დუქნებიდან გადამახილი იწყებოდა: არ შაგცივდეს, ბარაშკაჯანო. დარცხვენილი ქალი ნაბიჯს უმატებდა, ქუჩა კი გრიალებდა: არ შაგცივდეს, არ შაგცივდესო. ბოლოს კი, როდესაც ქალი მიიმალებოდა, იყო საერთო მიკიტნური ხარხარი. გალაკტიონი ისევ თავის აზრზე რჩება, მაგრამ გრიშაშვილი ამბობს, რომ მისთვის სულერთია, რაც მთავარია ხალხს მოეწონება და ტაშისცემა იქნება. გალაკტიონი ხვდება, რომ გრიშაშვილი გადაწყვეტილებას არ შეიცვლის და თავს ანებებს მის გადარწმუნებას.

➤693

1910

9 მაისამდე

წერს ელ. N-სადმი მიძღვნილ ლექსს „ფარვანა“ („ნათელს აღვზნებულს, სხივით ანთებულს...“).

➤694

1910

9 მაისი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „ფარვანა“.

➤695

1910

16 მაისამდე

მოხიბლულია 17 წლის გოგონათი, სახელად მარო და უძღვნის უსათაურო ლექსს „რა მშვენიერი იყო ნამი...“.

➤696

1910

16 მაისი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „რა მშვენიერი იყო ნამი...“.



➤697

1910

18 მაისი

აბესალომ ტაბიძე საპასუხო წერილს უგზავნის დედას. სწერს, რომ მართალია, გალაკტიონი გამოცდებზე არ დაუშვეს, მაგრამ ამაში თავად დამნაშავე არ არის, რადგან სულ ავადმყოფობდა და მეცადინეობების გაცდენა უხდებოდა. მისი აზრით, იქნებ ეს უკეთესიც იყოს, რადგან სემინარიაში გალაკტიონი მაინც ვერ ისწავლიდა და იქნებ გიმნაზიაში გააგრძელოს სწავლა. ჰპირდება, რომ სწავლა როცა დამთავრდება, გიმნაზიის პროგრამას და წიგნებს წაუღებს გალაკტიონს. სწერს, რომ გალაკტიონს სახლის და სახარჯო ფული სჭირდება და ორივეს სჭირდებათ სამგზავრო ფული. ამიტომ ითხოვს 13 მანეთის გაგზავნას.

➤698

1910

18 მაისის შემდეგ

სინჯავს ექიმი ჯაში, რომელიც ურჩევს, სუსტი ფილტვების გამო სიგარეტს თავი დაანებოს, ღვინის მიღება შეზღუდოს, კარგად იკვებოს და დღეში თითო ლიტრი რძე სვას.

➤699

1910

18 მაისის შემდეგ

აბესალომ ტაბიძე დედას წერილით ატყობინებს, რომ გალაკტიონი ჰყავდა ექიმ ჯაშთან, რომელმაც გასინჯა და თქვა, ფილტვები ჰქონია სუსტი, რძე უნდა სვას, ღვინოს ერიდოს და სიგარეტის წევას თავი დაანებოსო. ასევე ურჩია, მეცადინეობით ძალიან გადატვირთვაც არ შეიძლებაო. აბესალომი წერს, რომ 20 მანეთით თავისთვის და გალაკტიონისთვის შარვლები შეაკვრივინა და გალაკტიონის დახეული ფეხსაცმელი შეაკეთებინა. უხსნის, რომ წერილებს ხშირად იმიტომ ვერ სწერენ, რომ ფოსტით გასაგზავნი 7 კაპიკი არ აქვთ ხოლმე.

➤700

1910

გაზაფხული

საპიორების, ამჟამინდელი თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ დარბაზში ნიკო სულხანიშვილი უმოწმებს ხმას, მოსწონს მისი ხავერდოვანი და წკრიალა ალტი, რომელიც, მისი თქმით, ასაკის მატებასთან ერთად ბარიტონად იქცევა და იღებს თავისი მომღერალთა გუნდის წევრად.

➤701

1910

ზაფხულამდე

რუსულ ენაზე წერს თხოვლებას „პედაგოგის ზნეობრივი თვისებები“, რომელშიც გამოთქვამს თავის აზრს იმის შესახებ, თუ როგორი გულწრფელად მორწმუნე, ყურადღებიანი, ნებისყოფიანი და თბილი უნდა იყოს პედაგოგი, როგორ უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა, რომ მოსწავლეებსაც შეაყვაროს.

➤702

1910

ზაფხულამდე

თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკიდან გამოაქვს ბაირონის პოეტური კრებული. კითხვისას გახაზავს ცალკეულ ადგილებს და აკეთებს მინაწერებს.

➤703

1910

**ზაფხულამდე**

თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის მოადგილის ს. მურახოვსკის გაკვეთილის შემდეგ დასვენებაზე დერეფანში გული უწუხდება და ძლივს ასულიერებენ.

➤704

1910

**ზაფხულამდე**

სატირულ ლექსს „ბალი“ („დღეს თავად ბესოს დიდი ლხინი აქვს...“).

➤705

## ი ვ ნ ი ს ი

1910

**6 ივნისამდე**

წერს ლექსს „დილა“ („თვალუწვდენი, მღელვარე ტბა...“).

➤706

1910

**6 ივნისი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „დილა“ („თვალუწვდენი, მღელვარე ტბა...“).

➤707

1910

**6 ივნისი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ „ნარის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „ქართველ ახალგაზრდა პოეტთა ბედი“, გალაკტიონ ტაბიძე დასახელებულია ახალგაზრდა ნიჭიერ ლირიკოსთა შორის და გამოთქმულია სურვილი, რომ შემდგომი განვითარებისთვის ჟურნალ-გაზეთებმა ასეთ ახალგაზრდებს მეტი ინფორმაცია მიაწოდონ მსოფლიო ლიტერატურის ახალი მიმართულებების შესახებ.

➤708

1910

**13 ივნისამდე**

წერს ლექსს „ყვავილები“ („ყვავილებისას გვირგვინებს ვწნავდი...“).

➤709

1910

**13 ივნისი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „ყვავილები“ („ყვავილებისას გვირგვინებს ვწნავდი...“).

➤710

1910

**20 ივნისამდე**

წერს ლექსს „ლორჯი ცა“.

1910

**20 ივნისამდე**

წერს ლექსს „პოეტი“ („შორს, მთის მწვერვალზე ისმის სიმღერა...“).

➤711

1910

20 ივნისამდე

„ბაბუცი კ-ს“ უძღვნის ლექსს „სიმღერა“ („არ მშორდება სევდა მწარე...“).

➤712

1910

20 ივნისი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება უსათაურო ლექსი („არ მშორდება სევდა მწარე...“).

➤713

1910

ივნისი ან უფრო ადრე

წერს ლექსს „გაზაფხულის ყვავილები“ („ათას ფერად მოქარგული...“).

➤714

1910

ივნისი ან უფრო ადრე

წერს ლექსს „ნანა“ („იძინე, ყრმაო, უშფოთველად...“).

➤715

1910

ივნისი

ჟურნალში „ნაკადული“ იბეჭდება უსათაურო ლექსი „ათას ფერად მოქარგული...“.

➤716

## ი ვ ლ ი ს ი

1910

1 ივლისის შემდეგ

ძმასთან, აბესალომ ტაბიძესთან ერთად იღებს მეგობრის, ანდრო ანჯაფარიძის წერილს, რომელიც დაკავებულია და პატიმრობა ემუქრება.

➤717

1910

4 ივლისი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „ნიაღვარი“ („როცა მზე მწვერვალს...“).

➤718

1910

10 ივლისი

მიხეილ ადგიშვილი წერილს უგზავნის თავის ნათესავს, მაკრინე ადგიშვილს და სწერს, რომ გალაკტიონმა მისგან კარგა ხანია ისესხა 12 მანეთი და 25 კაპიკი და დღემდე არ დაუბრუნებია. სთხოვს, მან მაინც გადაუხადოს ვალი.

➤719

## ა გ ვ ი ს ტ ო

1910

1 აგვისტო

ტოვებს ჭყვიშს.

➤720

1910

**1 აგვისტოს შემდეგ**

მუდმივად თანამშრომლობს ჟურნალთან „თეატრი და ცხოვრება“.

➤721

1910

**1 აგვისტოს შემდეგ**

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის იოსებ იმედაშვილს. სთხოვს, გაუგზავნოს ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ სათანამშრომლო ბილეთი, რომ თეატრსა და სხვა დაწესებულებებში თავისუფლად დასწრება შეძლოს. აცნობებს, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ქუთაისში დიდხანს დარჩენა უწევს. უგზავნის მარკასა და მისამართს: ქუთაისი, მესხეთის ქუჩის შესახვევი, პავლე საღირაშვილის სახლი. ჰპირდება, რომ ჟურნალისთვის რეცენზიებს მიაწვდის, თუ მიუდგომლობაში ენდობა.

➤722

1910

**31 აგვისტომდე**

იღებს დედის მიერ ჭყვიშიდან გაგზავნილ წერილს, რომელშიც საყვედურობს წერილების მიუწერლობისთვის.

➤723

1910

**აგვისტო ან ადრე**

საერთო სათაურით „გაზაფხულის მოტივები“ წერს ლექსებს: „ფრთა-აღძრული, შვებით სრული, ჩამჩურჩულებს ნელი სიო...“, „ყვავილის გულზე“ („ყვავილის გულზე ნამი თრთის...“), „სარკმლიდან“ („რა თბილი დღეა... მზე დაჰქათქათებს...“).

➤724

1910

**აგვისტო ან ადრე**

წერს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „მეგობარს“ („წყნარი ნიავი. წყნარი ლელვა. ჯეჯილი შორი“).

➤725

1909-

**1910 აგვისტო**

მუშაობს მისტერიაზე „სატანა“.

➤726

1909-

**1910 აგვისტო**

თარგმნის სცენას გოეთეს „ფაუსტიდან“. მოქმედება მიმდინარეობს ზღვის ნაპირას და წარმოდგენილია ფაუსტისა და მეფისტოფელის დიალოგი.

➤727

1909-

**1910 აგვისტო**

წერს ლექსს „მაისის ვარდი“ („ზამთრის სუსხში...“).

➤728

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „მაისი“ („მიმზიდველი და წარმტაცი ველი...“).

➤729

1909-

1910 აგვისტო

წერს ერთმოქმედებიან პიესას ლექსად სათაურით „ვაი დღენი... დღენი“. მოქმედი პირები არიან: ჩინოვნიკი ვახტანგ მამულიშვილი, მისი ცოლი ქეთევანი, ქალიშვილი ნინო და მასწავლებელი ჟორჟი.

➤730

1909-

1910 აგვისტო

რუსულ ენაზე წერს ლექსს „სასაფლაოსთან“, რომელიც ეძღვნება „დ. კ-ძეს“ და ხელმოწერილია „ბ. ტ. ცრემლი“.

➤731

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „პოეტი“ („ცისკენ აფრენა... ტკბილი, ლამაზი...“).

➤732

1909-

1910 აგვისტო

წერს სათაურს „ცისფერ თვალეზში“, მაგრამ ტექსტის წერას აღარ აგრძელებს.

➤733

1909-

1910 აგვისტო

წერს სათაურს „ნიავი და ფიქრი“, მაგრამ ტექსტის წერას აღარ აგრძელებს.

➤734

1909-

1910 აგვისტო

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „ნავს მივაცურებ ბობოქარ ზღვაში...“.

➤735

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „მთების მწვერვალებს, მინდვრებს და ჭალებს...“.

➤736

1909-

1910 აგვისტო

ძღვნიტ „N-სადმი“ წერს ლექსს „უკანასკნელი სხივები“ („არ მსურდა, არა, დავშორებოდი...“).

➤737

1909-

1910 აგვისტო

ორი დღის განმავლობაში რამდენჯერმე აკითხავს ბინაში თავის ყოფილ მასწავლებელს, ტრიფონ ჯაფარიძეს, მაგრამ ვერ ნახულობს და უტოვებს ბარათს.

➤738

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „გამომეცხადე“ („გახსოვს, რა წრფელად, აღტაცებით...“).

➤739

1909-

1910 აგვისტო

წერს მინიატიურას „წერილი“ („ახლად გაფურჩქვნილ...“).

➤740

1909-

1910 აგვისტო

წერს მაროსადმი მიძღვნილ ლექსს „ნიაღვარი“ („როცა მზე მწვერვალს გადმოანათებს...“).

➤741

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სამშობლო“ („სამშობლოვ, მიყვარს შენი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤742

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „საფლავის ქვაზე“ („მე ნავი ვარ ზღვის სივრცეზე...“).

➤743

1909-

1910 აგვისტო

იწყებს მიხეილ ლერმონტოვის ლექსის „კავკასი“ თარგმნას („და კავკასიის მთათ...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤744

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მაისი“ („წყნარი ნალველი, სევდის აღმძვრელი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤745

1909-

1910 აგვისტო

სათაურით „მელოდიები“ ფურცელზე აკეთებს ნუსხას თავისი ლექსებისას, რომლებზეც სიმღერებია დაწერილი. ჩამონათვალშია: „ოჰ, გევედრები თუ კვლავ...“, „ჰე, გონდოლიერ...“, „ღამის საიდუმლონი“, „არ ვნაღვლობ, ტურფავ...“, „მახსოვს, ვიდეგი გარინდებული...“, „ღრუბელი“, „ნათელი დღისა, სევდა ღამისა...“, „ვარდი მისთვის გადიშლება...“, „მზე კვლავ ამოვა

ცისა ლაჟვარდზე...“ , „დემონი“ , „ქანცმილეული, ღონემიხდილი...“ , „ცისფერ თვალეზში...“ , „ნუთუ  
ის ჩრდილი, რომელიც მზეზე...“ და „ჩემს ზევით ზეცა მხიარულობდა...“.

➤746

1909-

1910 აგვისტო

ფსევდონიმით „ცრემლი“ წერს ლექსს „რომანსი“ („უკანასკნელად სხივები მზისა...“).

➤747

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „ენა“ („მე ყურს ვუგდებდი ბუნებისას იდუმალ ჩურჩულს...“).

➤748

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „სადამო“ („ვისხედით ზღვის პირს...“).

➤749

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „გაზაფხულია.. მაისია...“ („მგზნებარ სიმებს აციმციმებს...“).

➤750

1909-

1910 აგვისტო

წერს სემინარიის მეგობრებისადმი მიძღვნილ ექსპრომტს „კედლები“ („ველარ გვწვდება დღის  
შვენება...“). ლექსში გატარებულია აზრი, რომ სემინარიის კედლებს ბევრი მსხვერპლი ჰყავს  
შეწირული და კიდევ ბევრს იმსხვერპლებს.

➤751

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „ი. ევლოშვილს“ („მგზავრო, ნუ ფიქრობ უბედობაზე...“).

➤752

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „ჩემი სიმღერა“ („მე ვსწერ... ფიქრი და ნაღველი...“).

➤753

1909-

1910 აგვისტო

წერს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „ნუ მღერი“ („ტანჯვის სიმღერას... ჩემს  
ბედისწერას...“).

➤754

1909-

1910 აგვისტო

რუსულ ენაზე წერს ლექსს „შემოდგომის მოტივები“.

➤755

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „ლოდინი“ (გელოდი, სატროფოვ...“).

➤756

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ („ტურფავ, რას დასჩერებიხარ მდინარის ზვირთთა დენასა...“), მაგრამ მეორე სტროფს აღარ ამთავრებს.

➤757

1909-

1910 აგვისტო

იწყებს კონსტანტინ ბალმონტის ლექსის თარგმნას სათაურით „ჩამავალი სხივები“ („ჰოი, შვენებავ ცის დასავალის...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤758

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ღამის წყვდიადში“ („ცის შორი სივრცე ბნელმა დაფარა...“), მაგრამ მალევე გადახაზავს სათაურს და წყვეტს წერას.

➤759

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ („ზღვის ტალღები დუმილში ისვენებენ...“), მაგრამ მეორე სტროფზე წყვეტს.

➤760

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ვგმე სოფელი გრძნობა დახშული“ („ცხოვრებამ ადრე მტყორცნა ისარი...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤761

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „მოგონება“ („მოგონებებში გადაფრენილი...“).

➤762

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „მე მინდა ტალღას ეხეთქებოდეს...“

➤763

1909-

1910 აგვისტო



ჩამოწერს სათაურებს: „მყინვარი“ და „დამარხა“ (იპ. ვართაგავას), მაგრამ თავად ტექსტების წერას არ იწყებს.

➤764

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ზაფხულის ღამე“ („შეხედე ცის რკალს“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤765

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „იდილია“ („ზაფხულის ღამე... გახსოვს, ლამაზო“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤766

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „კუბოში“ („ვის შეუძლია, რომ ჩემს გულში“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤767

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის თარგმნას სათაურით „ბაირონიდან“ („მშვიდობით!.. და თუ ზეცა მიიღებს...“), მაგრამ მეორე სტროფზე წყვეტს.

➤768

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის თარგმნას სათაურით „ბაირონიდან“ („ოჰ, მიწუხს სული...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤769

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „ცელქობს, ნარნარობს, სტკბება და ხარობს...“

➤770

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ჯორჯ ბაირონის ლექსის „გლადიატორი“ („მომძისაგანვე დაუნდობლად გულგანგმირული...“) თარგმნას, მაგრამ ბოლომდე არ ასრულებს.

➤771

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „ჰიმნი“ („ერთი ნუგეში და მისწრაფება...“).

➤772

1909-

1910 აგვისტო

ლექსის „ჰიმნი“ („ერთი ნუგეში და მისწრაფება...“) სუფთად გადაწერილი ტექსტის ქვეშ აკეთებს კომენტარს, რომ ეს ლექსი წაიკითხა ერთ წრეში, სადაც დაუწუნეს მისი დედა აზრი. ფიქრობს, რომ ნაწარმოების მთავარი სათქმელი შეიძლება მართლაც უვარგისი იყოს მათთვის, ვინც ჩვენს წარსულს არაფრად აგდებს.

➤773

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „ია-ვარდები“ („რომ მქონდეს ფრთები, რა აღტაცებით...“).

➤774

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს სათაურით „დღიურიდან“ („დღე სევდითაა გარემოცული...“).

➤775

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს სათაურით „დღიურიდან“ („საბრალო მონავ, შენი ხვედრია...“).

➤776

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „ეჰ, მუზავ, ხედავ ცის ჩამქრალ ვარსკვლავს...“

➤777

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „დიდი ხანია დავუმეგობრდი სიკვდილის სახეს...“

➤778

1909-

1910 აგვისტო

წერს არსენა ჯორჯიაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს სათაურით „არ. ჯ-შვილი“ („მახსოვს, ვიდეგი გარინდებული...“).

➤779

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „მელოდია“ („ოჰ, გევედრები, თუ კვლავ პატივს სცემ...“).

➤780

1909-

1910 აგვისტო

წერს პიესას, რომლის მოქმედი პირები არიან ლოლა და ფერია.

➤781

1909-

1910 აგვისტო

წერს იგავ-არაკის ეპიზოდს („საცმელი წინას არ გავსო...“).

➤782

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „განთიადისას“ („კვალად გათენდა... კვლავ სიდიადით...“).

➤783

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „ცისფერ თვალებში...“

➤784

1909-

1910 აგვისტო

ფსევდონიმით „გალ-ლილეი“ რუსულ ენაზე წერს ლექსს „შემოდგომა“.

➤785

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „საუცხოვოა სუყველაფერი...“.

➤786

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „ნუ გეშინია... ეგ ქარიშხალი...“.

➤787

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „ქალოჯან, ბერი ხომ არ ვარ, რომ არავინ არ მიყვარდეს?..“.

➤788

1909-

1910 აგვისტო

წერს პოემის „მელოდია“ („ჰანგსა ვმღეროდი სამგლოვიაროს...“) სხვადასხვა ეპიზოდს.

➤789

1909-

1910 სექტემბრამდე

უსათაუროდ წერს ლექსს („მონა, ტანჯული გარემოსაგან...“).

➤790

1909-

1910 აგვისტო

წერს ორ თავს პოემისა „ამირანი“ („ნუ გასთელავთ ადამიანს...“).

➤791

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს სათაურით „სონეტი“ („ჩემგან შორს მყოფი ჩემს სულს იჭვნეულს...“).

➤792

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ („ზღვაა გული... ერთ მძლავრ ტალღას...“), მაგრამ არ ასრულებს.

➤793

1909-

1910 აგვისტო

ფსევდონიმით „გ. ტ. ცრემლი“ რუსულ ენაზე წერს ლექსს „გაზაფხულზე“.

➤794

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „ოჰ, თუ შენთანაც, სულო ციურო...“, მაგრამ არ ასრულებს.

➤795

1909-

1910 აგვისტო

სემიონ ნადსონის პოეზიის შთაგონებით წერს ლექსს „ცხოვრება“ („ნუ დაენდობი იმის სახეს კეთილს, მომხიბლავს...“), მაგრამ არ ამთავრებს.

➤796

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „დედა“ („რა თბილი დღეა... მზე დაქათქათებს...“).

➤797

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს სათაურით „მ. ნ.-ს“ („შავი აჩრდილი, მკაცრი და ფრთხილი...“).

➤798

1909-

1910 აგვისტო

წერს სათაურს „დღიურიდან“ და ეპიგრაფად წარუმიძღვარებს სემიონ ნადსონის სიტყვებს „რა ცოტა ვიცხოვრეთ და რა ბევრი გადავიტანეთ“.

➤799

1909-

1910 აგვისტო

წერს პირველ სცენას დრამატულ ნაწარმოებისა „ფეოდალი“, რომლის მოქმედი პირები – მამა და შვილი საუბრობენ ძველი და ახალი დროის შესახებ.

➤800

1909-

1910 აგვისტო

იულია თ-შვილის ხსოვნას უძღვნის დრამატულ ნაწარმოებს „სამი სურათი“. მოქმედი პირები არიან: თამარი, ამურები და სულელები.

➤801

1909-

1910 აგვისტო

წერს ნაწყვეტს პიესიდან, რომლის პერსონაჟები არიან ადამი და ევა („დიდება შემქმნელს სამყაროსას...“).

➤802

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „ნორჩი ყვავილი“ („ველზე ვიწექი სევდიანი, გარინდებული...“).

➤803

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ფერხულში“ („როცა ბრბომ წარმტაც სიამოვნებით...“), მაგრამ არ ამთავრებს.

➤804

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „ფრთები“ („მომეცით ფრთები, მომეცით...“).

➤805

1909-

1910 აგვისტო

იწყებს პოემის წერას სათაურით „მწვავე გენია“ („განთიადია.. ვარსკვლავთ კრებული...“), რომელსაც წინ წარუმძღვარებს ალფონს ლამარტინის სიტყვებს: „მწვავე გენია მუდამ თან დამდევის / წამართვა შვება და მოსვენება“.

➤806

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „საფლავებს“ („რა წარმტაცია და მომხიბლავი მაისის ღამე...“).

➤807

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „სიმღერა“ („ჩემგან შორს მყოფს, გადახვეწილს...“).

➤808

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს სათაურით „წითელი...“ („დავიღალენით ცხოვრების გზაზე...“).

➤809

1909-

1910 აგვისტო

უსათაუროდ იწყებს პიესის წერას, რომელშიც მოქმედება ხდება მდიდარი ქართველი ინტელიგენტის, პეტრეს ოჯახში, ვის ცოლსაც შეუყვარდება ქმრის მიერ მათი შვილის მასწავლებლად მიწვეული უცხოელი.

➤810

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „არწივი და სიყვარული“ („ვერ შეაკავებს მოხეტიაელ ზვავებს...“).

➤811

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „საფლავს მივეცი ცივი სხეული...“

➤812

1909-

1910 აგვისტო

ნინა გრიზის პოეზიის შთაგონებით წერს ლექსს „რომანსი ...-ს“ („გელოდი, სატრფოვ... ტანჯვა-შფოთვაში...“).

➤813

1909-

1910 აგვისტო

წერს ნარკვევს სათაურით „ვახტანგ VI“.

➤814

1909-

1910 აგვისტო

იწყებს მოთხრობის წერას სათაურით „მეგობრები“. მთავარი პერსონაჟები არიან მოსწავლეები: ვასიკო და გიგო. მოქმედება ხდება სასწავლებელში, სადაც მასწავლებლის უგუნური ქმედება ამწვავებს ამ ბავშვებს შორის არსებულ ისედაც დაძაბულ ურთიერთობას.

➤815

1909-

1910 აგვისტო

უსათაუროდ მუშაობს პოემაზე, რომლის თემა მსხვერპლის გაღებაა („მისი ბედი ნუ დაგავიწყდება...“).

➤816

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „გაზაფხულდება...“ („მსურს სხვა ღმერთთაგან შენ ერთი მწამდე...“).

➤817

1909-

1910 აგვისტო

უსათაუროდ წერს პოემის XI თავის ეპიზოდს („ყოველ მკრთალ წერტილს, ყოველ შემთხვევას...“).

➤818

1909-

**1910 აგვისტო**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ია“ („მე მოგილოცავ, ტურფავ, გაზაფხულს...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤819

**1909-**

**1910 აგვისტო**

იწყებს ლექსის წერას სათაურით სონეტი“ („ჩვენ ვსაუბრობდით, გახსოვს, ლამაზო?“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤820

**1909-**

**1910 აგვისტო**

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ („შენ, მეგობარო, შენ ხარ ჩემი ტკბილი იმედი...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤821

**1909-**

**1910 აგვისტო**

იწყებს ნინო ს-სადმი მიძღვნილი ლექსის წერას სათაურით „სუმბული“ („ვეღარ გწვდება დღის შვენება...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤822

**1909-**

**1910 აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „მაგრამ იმ დღეებს ვერ დავივიწყებ...“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤823

**1909-**

**1910 აგვისტო**

წერს ლექსს „ლერწამი ჭინჭრებში“ („აგერ აწითლდა აღმოსავლეთი...“).

➤824

**1909-**

**1910 აგვისტო**

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ („განთიადისას, როცა ცისკარი...“).

➤825

**1909-**

**1910 აგვისტო**

წერს ლექსს „საფლავი“ („მახსოვს სადამო... რა საუცხოვოდ...“).

➤826

**1909-**

**1910 აგვისტო**

წერს ლ-სადმი მიძღვნილ ლექსს „მოგონება“ („ვდგევარ მარტოკა, კვლავ ძველ ნანგრევებს...“).

➤827

**1909-**

**1910 აგვისტო**

წერს პოემას სათაურით „მონასტერში“ („მთის წვერზე... სოფელს მოშორებული...“).

➤828

1909-

1910 აგვისტო

წერს მონახაზს ხუთმოქმედებიანი დრამატული პოემისათვის, სათაურით „მონასტერში“ და თავად პოემას, რომელიც შედგება 26 თავისაგან. მოქმედი პირები არიან: წინამძღვარი მამა იოანე, ბერები პეტრე და თორნიკე, ახალგაზრდა ბერები მინდია და გიორგი, ხატის კაცი იაკობი, და-მმა ნინო და ირაკლი, მათი მშობლები თამარი და ქაიხოსრო, ღმერთი, ანგელოზები, დემონი, გლეხები და ქალები.

➤829

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სულამითი“ („ოდესმე კიდეც მოვიგონებ შენს ძვირფას სახელს...“), მაგრამ არ ასრულებს.

➤830

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „დედავ ქართლისავ, შენი ხსენება არ დამარხულა სხეულთან ერთად...“.

➤831

1909-

1910 აგვისტო

ჯორჯ ბაირონიდან უსათაუროდ თარგმნის ლექსს, რომელსაც იწყებს სიტყვებით: „რაა დიდება სამარადჟამო...“.

➤832

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მარტოობაში“ („მე ლოცვა მსურს... მარტოობის ბინდში ვკრებდე...“), მაგრამ მალევე წყვეტს

➤833

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ფიქრთა ნაკადი“ („მე, სიზმარი და შენ...“) და იქვე წყვეტს.

➤834

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „მგოსნის ფიცი“ („დამიგდე ყური, წარსულის ხმათ გულს კვლავ აჩნია...“).

➤835

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „ერთს კოცნას ვსთხოვდი, ვსთხოვდი აღზნებით...“

➤836



1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „გიყვარვარ თუ არა, მითხარი...“

➤837

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „აჰა ეს გული, აჰა სიცოცხლე“.

➤838

1909-

1910 აგვისტო

ადგენს თავისი ნაწარმოებების კატალოგს. სიაშია 62 თხზულება: პოემა „საბედისწერო ფიქრი“, დრამატული ნაწყვეტი „სამი სურათი“, „ჰე, გონდოლიერ“, „სიმღერა“, „აჰა ეს გული, აჰა სიცოცხლე“, „პოეზია“, „საფლავი“, „გვირგვინი, „მახსოვს, ვიდექი გარინდებული“, „მე შენს სამარეს“, „მეგობარს“, „სდუმს არე-მარე, ზეციდან მთვარე“, „ვისაც სიყვარულს ვეფიცებოდი“, „მგონის საფლავი“, „ღრუბელი“, „ჩამოკრეს ზარი“, „სიცოცხლე და სიკვდილი“, „ნაწყვეტი კ. ტეტმაიერიდან“, „სუმბული“, „ვარდი მისთვის გადიშლება“, „ტყვილა ვეძებდი მე შენს ალერსს“, „საღამო შემოდგომისა“, „მიშვოთავს სული“, „შემოდგომა“, „ოცნება“, „ნუ მეუბნები, რომ ის მკვდარია“, „მარტოობაში“, „შემოდგომისა ქარიშხალი“, „გამოგიცდიათ შავ-ბნელი ღამე“, „სქელი ღრუბელი, შავი და ბნელი“, „მთვარე კაშკაშებს“, „როცა ბულბული განთიადისას“, „რომანსი“, „ვითარცა გედი“, „ღამე“, „ნიავი“, „მომაკვდავი“, „ფიქრი“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „ვარდი კოკობი“, „სასაფლაოზე“, „არ გალხენს სულო“, „ბოროტი გენია“ ლამარტინისა, „მწუხარება“, „პოეტს“, „მთვარიანი ღამე“, „ნათელი დღისა, სევდა ღამისა“, „ბრბო უმეცარი“, „ლოდინი“, „არტისტის დღიურიდან“, „ერთ კოცნას ვთხოვდი“, „გიყვარვარ თუ არა?“

➤839

1909-

1910 აგვისტო

წერს პოემას „სიყვარული“ („ზღვის გაღმა, შორს, შორს, ობოლ კუნძულზე...“).

➤840

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „სონეტი“ („ოჰ, მე არ მინდა, რომ სიყვარული...“).

➤841

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „უკვდავი სული“ („მზის სხივებზე, მდუმარ მთებზე...“).

➤842

1909-

1910 აგვისტო

წერს პოემას „კენი“ („არ ასვენებს კაინს შური...“).

➤843

1909-

1910 აგვისტო

წერს კომედიას ხუთ მოქმედებად „საშვა ფრანტიშვილი“.

➤844

1909-

1910 აგვისტო

წერს პოემას სათაურით „ამურის ძებნაში“ („სევდიანი და დაფიქრებული იდგა დემონი...“).

➤845

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „გახალისდება იმედით გული...“.

➤846

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „პოეზია“ („ბავშვს, წრფელ იმედით გასხივოსნებულს...“).

➤847

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „პოეზია“ („მე შემეყვარდა ჩემი მადონა...“).

➤848

1909-

1910 აგვისტო

ქართულ ეკლესიებში რუსული წირვა-ლოცვის თემაზე წერს უსათაურო ლექსს „სიონში ვიყავ, სიონში. ტყუილს არ ამბობს აკაკი...“

➤849

1909-

1910 აგვისტო

უსათაუროდ იწყებს ლექსის წერას („მგოსანი კვნესით ჩანგს აჟღერებდა...“) და იქვე წყვეტს.

➤850

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მელოდიები“ („შენსკენ ვილტვოდი ცხოვრებისაგან...“).

➤851

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სიკვდილი“ („როცა სველ კედლებს შორის მდებარეს...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤852

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „პოეტი“ („შენს ჩანგის ჟღერას და ხმას ზეციურს...“).

➤853

1909-

1910 აგვისტო

ფრიდრიხ ბოდენშტედტის უსათაურო ლექსის სემიონ ნადსონისეული რუსულენოვანი თარგმანიდან ქმნის ქართულ თარგმანს სათაურით „ბოდენშტადტიდან“ („ჩვენს წინ ყვავილი გადახრილიყო...“).

➤854

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ („მითხარი, რისთვის არ გხიბლავს ზეცა...“), მაგრამ მესამე სტროფზე გადახაზავს და წყვეტს წერას.

➤855

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სონეტი“ („ნუ დამივიწყებ ყველასგან დევნილს“), მაგრამ იქვე გადახაზავს და წყვეტს წერას.

➤856

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „მე მეგობრებო, არასდროს ისე...“.

➤857

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „უკანასკნელად მსურს ბედი ვსცადო...“ და აძლევს მას მკვეთრად გამოხატული გრაფიკული გამოსახულების ფორმას.

➤858

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „პოეზია“ („ბავშვს, წრფელ იმედით გასხივოსნებულს...“).

➤859

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო პოემის III-X თავებს. ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირია მარო.

➤860

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „სევდა მეწვია, ნისლმა დაბურა...“.

➤861

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „პირველი ტალღა“ („ტბა მშვენიერი აბობოქრდა...“).

➤862

1909-

**1910 აგვისტო**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შუალამისას“ („ოჰ ღამევ, ღამევ, მახსოვს რა მკაცრად...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤863

**1909-**

**1910 აგვისტო**

წერს ლექსს „ტალღებში“ („სადაც ნაზად სივრცე შორი...“).

➤864

**1909-**

**1910 აგვისტო**

იწყებს მსახიობ კოტე მესხისადმი მიძღვნილი ლექსის „ქანდაკება ნაპოლეონისა“ („გულხელდაკრებით ის გასცქეროდა...“) წერას.

➤865

**1909-**

**1910 აგვისტო**

რუსულად წერს ნარკვევს ძველი ათენელი სახელმწიფო მოღვაწის არისტიდის შესახებ და ვრცლად მიმოიხილავს მისი და თემისტოკლეს ურთიერთობას.

➤866

**1909-**

**1910 აგვისტო**

წერს ლექსს „წვიმა“ („ეს ცრემლებია, ცის თვალთაგან გადმოხეთქილი...“).

➤867

**1909-**

**1910 აგვისტო**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ჰანგსა ზეციურს“ („ჰე, ბევრი კვნესა და ვაება გამომიცდია...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤868

**1909-**

**1910 აგვისტო**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ბიბლიურ ჰანგზე“ („უდაბნოში ეს ვინ მოსჩანს, რა მოსჩანს?“), მაგრამ მალევე წყვეტს და გადახაზავს.

➤869

**1909-**

**1910 აგვისტო**

სათაურით „ერთხელ... საღამოს...“ წერს ერთმოქმედებიან პიესას ლექსად, რომლის მოქმედი პირები არიან: ქეთევანი, მისი შვილი ნინო, მასწავლებელი პეტრე და პოეტი თომა.

➤870

**1909-**

**1910 აგვისტო**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სიმღერა“ („ამდენ წამების და ამდენ ტანჯვის...“), მაგრამ მალევე წყვეტს და ყველაფერს გადახაზავს.

➤871

1909-

1910 სექტემბრამდე

ქვესათაურით „იდილია“ წერს ლექსს „ნაკადი“ („მთის წიალიდან მოჩქრიალებს...“).

➤872

1909-

1910 აგვისტო

გ. ფაზელის ფსევდონიმით იწყებს ლექსის წერას სათაურით „რომანსი“ („მზე სხივებს გვაფრქვევს... სისინებს ქარი...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤873

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სიმღერები“ („მშვიდი ღამე დაქათქათებს არემარეს...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤874

1909-

1910 აგვისტო

იწყებს რომანსის წერას სათაურით „გალია“ („ეხვეწებოდა გალიას შიგ დამწყვდეული ფრინველი...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤875

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „სახალწლო“ („მარტოდ მარტო ვარ, შავი ფიქრები...“).

➤876

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ორი ყვავილი“ („ერთი წყაროს პირს ყვავილთა გუნდში...“), მაგრამ მალევე წყვეტს და ყველაფერს გადახაზავს.

➤877

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ბიბლიურ ჰანგზე“ („წარვიდნენ დღენი...“), მაგრამ იქვე წყვეტს და ტექსტს გადახაზავს.

➤878

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „პოეტი“ („ოცნების ფრთაზე შვების ცრემლს ღვრიდა...“).

➤879

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ფერფლი“ („ვინ იცის, როცა ერთი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤880

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს სათაურით „ვუძღვნი მაროს“ („რაც უფრო დღენი მიისწრაფვიან...“).

➤881

1909-

1910 აგვისტო

წერს სონეტს „სტიროდე“ („ველარ ვიხილავთ დღესა საამოს...“).

➤882

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „მელოდია“ („დავლიოთ, ძმებო, დავლიოთ...“).

➤883

1909-

1910 აგვისტო

წერს ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსს „მგოსნის საფლავზე“ („უმანკო ჩვილი, სევდით აღვსილი...“).

➤884

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „პოეზია“ („არა... ფეხქვეშ ის არ ითელეზა...“), მაგრამ მალევე წყვეტს და ყველაფერს გადახაზავს.

➤885

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „პოეზია“ („ტყისა სიღრმეში ნიავს გავანდე...“).

➤886

1909-

1910 აგვისტო

იწყებს პოემის წერას სათაურით „გვირგვინოსანი“ („არ სძინებია მეფეს, როდესაც...“).

➤887

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „სამშობლო“ („სისხლში ნაღეო და განაზანო...“).

➤888

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „ქებათა-ქება“ („ვზივარ სარკმელთან ვალმოხდილი...“), რომელსაც ეპიგრაფად წარუძღვარებს ალფონს ლამარტინისეული სიტყვების საკუთარ თარგმანს („გაჰქრება ტრფობა, როგორც სიზმარი...“).

➤889

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „გაზაფხულს, მხოლოდ გაზაფხულს!“ („ახ, მიყვარს, როცა წალკოტში...“).

➤890

1909-

1910 აგვისტო

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „შენ უმღერდი გაზაფხულზე ობლად შთენილს მინდვრად საფლავს...“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤891

1909-

1910 აგვისტო

იწყებს ლექსის წერას სათაურით „გაზაფხული“ („ტურფა ველო, უზრუნველო...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤892

1909-

1910 აგვისტო

წერს ლექსს „მაისი“ („ნელი ნიავი ტყის ფოთლებს ეჭურჩულება, თავს ივლებს...“).

➤893

1909-

1910 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „გამოგიცდია შავბნელი ღამე...“

➤894

1909-

1910 აგვისტო

წერს დრამას „გულია ჩემი სამშობლო“, რომლის მოქმედი პირები არიან: უცხოელი მასწავლებელი საშუა დუნკანი, უცხოელი პოეტი რიგოლიუსი, თავადი ილია ამირჯანოვი, მისი მეუღლე თამარი და ქალიშვილი ნინო.

➤895

1909-

1910 სექტემბრამდე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ბიბლიურ ჰანგზე“ („უდაბნოში ეს ვინ მოსჩანს...“), მაგრამ მალე წყვეტს.

➤896

1909-

1910 აგვისტო

„გ. ცქვიტიშვილის“ ფსევდონიმით წერს სატირულ ლექსს „ქართველი ერი“ („ქართველი ერი ბედნიერებას...“).

➤897

1909-

1910 აგვისტო

უსათაუროდ წერს ნაწყვეტს პოემიდან („დილით მსწავლულთა გროვაში გართულს...“), რომლის მთავარი გმირია უცხოეთში მცხოვრები, მაგრამ იქაურთაგან თავისი ბუნებრიობით გამორჩეული ლოლა.

➤898

1909-

1910 აგვისტო

წერს თანამედროვე ქართველი ქალის შესახებ მოხსენების გეგმას და აკეთებს ჩანაწერებს.

➤899

1909-

1910 აგვისტო

ფურცელზე წერს თავისი ლექსების ნუსხას, რომელშიც 91 ერთეულია: „ჰიმნი“, „მწვავე გენია“ (ლამარტინიდან), „შემოდგომა“ (ვუძღვნი ...ს), „ცა ვარსკვლავებით შემოიჭედა“, „ნაპოლეონი“ („სიჩუმე არის დაურღვეველი...“), „მსახიობ ქალს“ („ფარდა ახადეს.. სიჩუმეა...“), „მწუხარება“, „ოცნება“ („გადავფრინდები უცხო მხარეში...“), „მგოსნის საფლავი“, „ნუ, ქარიშხალო, ნუ შემობრალე“, „პოეზია“ „მუზა“ (შუალამისას მუზა...), „მახსოვს, ვიდეგი გარინდებული“, „საფლავი“ (ნაზი პეპელა თავს დასციმციმებს), „მარტოობაში“ (ვეძებდი ერთხელ მივუახლოვდი), „სუმბული“ (ბუჩქის ძირს ფრთხილად გარინდული), „ტყვილა ვეძებდი მე შენს ალერსს, შენსა სიყვარულს“, „სადამო შემოდგომისა“ („სარკმელთან ვზივარ ცის ყვავილები...“), „მე შენს სამარეს, მშვიდს და მდუმარეს“, „მე მსურს“ (როცა ოცნება მომავლისკენ), „პოეტს“ (შენს სიმთა ჟღერას), „მამულიშვილო!“ (მამულიშვილო, სამშობლო მხარე დიდი ხანია განსაცდ...), „დიდი ხანია დავუმეგობრდი სიკვდილის სახეს, შავს მოჩვენებას, „სიცოცხლე და სიკვდილი“ (მახსოვს ბილიკზედ), „შემოდგომისა ქარიშხალი დაძრწის, ზუზუნებს“, „არ გალხენს სულო“, „აჰა, ეს გული, აჰა, სიცოცხლეც“, „დავასაფლავეთ“ (ნაზი ყვავილი ობოლ საფლავსა), „ღრუბელი“ („ახ, ნუ დაახშობ მზის სხივებს...“), „მაღალი წრის კაცი“, „მიშფოთავს სული შავ-ბნელ წყვდიადს“, „ჩამოკრეს ზარი, „ნაწყვეტი“ (კ. ტეტმაიერიდან), „ველი განთიადს, ველი მზის სხივებს“, „ჩვენება“, „მე მინდა შენი ნაზი ღიმილი“, „როცა ცის სივრცეს მიმოებნევა“, „სიყვარული“ (ფანტაზია), „მგოსნის სიტყვებზე“, „მეგობარს“ (ისევ ის სევდა, ისევ კვნესა), „ამური“, „ქანდაკება“, „ქებათა ქება“, „პოეტს“ (და თუ კიდევ სულის სიღრმეს), „საათი“ (სატირა), „რითმები“, „ხმა ჩაიკმიდეთ, ვერაგებო!“, „წყვდიადი ფარავს დაფენილს სოფელს“, „ფანტაზია“ (ოცნება ტკბილი და ნეტარება), სონეტი: „არ ვნადვლობ ტურფავ“, „ზეცას გულდახშულს მე არ ვთხოვ შველას“, „გაზაფხულის მოტივები“, „ქარიშხალი“, „როცა სხვის საფლავს მე ვაცქერდები“, „ჭალადიდელის ხსოვნას“, „ჯვარი“, „სადამო“, „პოეტი და მწუხარება“, „მოგონებებში გადაფრენილი“, „დემონი“ („შუალამისას ცის კალთებზე...“), „პირველ ტალღას“, „ლამის საიდუმლონი“, „მუხამბაზი“, „გვირგვინი“, „მთვარე კაშკაშებს“, „როცა ბულბული განთიადისას“, „პოეზია“.

➤900

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1910

3 სექტემბერი

წერს ლექსს „სიმღერა“ („ქალო, ნუ ატკობს სხვას...“).

➤901

1910

3 სექტემბერი ან შემდეგ

ალექსანდრე აბაშელს უძღვნის ლექსს „პოეტი“ („ღამეა... ნისლი თავზე დასცქერის...“).

➤902

1910



### **3 სექტემბერი ან შემდეგ**

წერს ლექსს „სუსტო ფოთოლო“ („სუსტო ფოთოლო, შემოდგომის ნაზო ფოთოლო...“).

➤903

1910

### **5 სექტემბრამდე**

ფსევდონიმით Accordi წერს პოემას „ქართველი ქალი“ („მე მიყვარს, როცა ფანდურით ხელში...“) და ეპიგრაფად წარუმიძღვარებს მთელ სტროფს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო...“.

➤904

1910

### **5 სექტემბრამდე**

პოემის „ქართველი ქალი“ შესავალში აკეთებს ჩანაწერს ქართველი ქალების შესახებ („არ შემიძლია ცოტა რამ არა ვსთქვა...“). არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ქართველი ქალები მხოლოდ გარეგნობით არიან მშვენიერნი, იდეურად კი ჩამორჩენილები არიან.

➤905

1910

### **5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „გაზაფხულის მოტივები“ („სხივი. მძივი. ნაკადული...“).

➤906

1910

### **5 სექტემბრამდე**

იწყებს მოთხრობის „პირველი კოცნა“ წერას.

➤907

1910

### **5 სექტემბრამდე**

იწყებს პოემის წერას სათაურით „ცივს სამარესთან“ („მხოლოდ წამებას, კიცხვას ველოდი...“), მაგრამ მხოლოდ ერთ გვერდს წერს და წერას წყვეტს.

➤908

1910

### **5 სექტემბრამდე**

აპირებს ერთმოქმედებიანი პიესის დაწერას სათაურით „სარეცელთან“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤909

1910

### **5 სექტემბრამდე**

სიტყვებით „ის დღეს ჯვარს იწერს, ის ვინც მე მიყვარს...“ უსათაუროდ იწყებს პიესის წერას, რომლის მოქმედი პირები არიან: ნინო და მსახური ქალი.

➤910

1910

### **5 სექტემბრამდე**

იწყებს იბსენის პიესის „ბრანდი“ თარგმნას „ცელქო ნაკადო!..“ და იქვე წყვეტს.

➤911

1910

**5 სექტემბრამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მზე“ („მზე სხივებად იფანტება...“) და მალევე წყვეტს.

➤912

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „ლავერდი“ („გაჰქრა ბრძოლა და იმედი...“).

➤913

1910

**5 სექტემბრამდე**

არჩევს ფსევდონიმებს. მოინიშნავს შემდეგ ვარიანტებს: „ლაგ-ატ“, „გალაკტიონ“, „მელი ტონ“, „ტონ-კ-მელი“, „კტიონტგალა“ და „ნიაგატუ“.

➤914

1910

**5 სექტემბრამდე**

იწყებს რომანის წერას სათაურით „მომავლის შხამი“. შემდეგ ძველ სათაურს გადახაზავს და წერს ახალს – „ზვირთებში“. ამ სათაურის ქვეშ წერს ჯერ ორგვერდიან შესავალს საქართველოში ქალის როლის დაკნინების შესახებ და ხელს აწერს ფსევდონიმით „გ. ტ.“ შემდეგ ფრაგმენტებს რომანის პირველი და მეორე ნაწილიდან და ჩამოწერს მოქმედი პირების სიას: ანდრო, მიტო, ბაბო, ტასიკო, მელანო, თედო.

➤915

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს მოკლე ლექსს „შემოდგომა“ („ოჰ ჩუმად, ჩუმად დამაცა...“), რომელსაც ეპიგრამად წარუმიძღვარებს რუსულ ფრაზას „ერთხელ გავიღვიძე და უცებ აღმოვაჩინე, რომ ცნობილი ვარ...“.

➤916

1910

**5 სექტემბრამდე**

იწყებს წერას ლექსისა სათაურით „რა, მარტოობა“ („მარტოდ მარტო ვარ...“) და მალევე წყვეტს.

➤917

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „მოგონება“ („დამეა, უხვად გაბრწყინებული...“).

➤918

1910

**5 სექტემბრამდე**

ფსევდონიმით „ია ტაბიძე“ წერს ლექსს სათაურით „ელიკოს“ („მესიზმრება სადმე ჩემს ჰანგს...“).

➤919

1910

**5 სექტემბრამდე**

იწყებს წერას ლექსისა „შენ დამესიზმრე“ („შენ დამესიზმრე, ვითომ ბურუსში...“), მაგრამ მალევე წყვეტს და გადახაზავს.

➤920

1910

5 სექტემბრამდე

იწყებს წერას ლექსისა „სამშობლო“ („უცხო ღიმილი მაგ შენს სახეზე...“), მაგრამ მალევე წყვეტს და გადახაზავს.

➤921

1910

5 სექტემბრამდე

იწყებს წერას ლექსისა „წვიმის წვეთები“ („წვეთმა სთქვა ტიალ მინდორზე...“) და მალევე წყვეტს.

➤922

1910

5 სექტემბრამდე

იწყებს წერას ლექსისა „ფოთოლი“ („ქარიშხალს, გრძნეულს, საზარს, იჭვნიელს...“).

➤923

1910

5 სექტემბრამდე

წერს სტროფს „ბუნება დედა არის სიცოცხლის...“.

➤924

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ზაფხულის ღამე“ („ცელქი სიო აღტაცებით...“), რომელსაც უძღვნის „მ. ნ.-ს“

➤925

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ტოროლამ ცისკენ გაინავარდა“.

➤926

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ღამის კაეშანს“ („მზე კვლავ ამოვა ცისა ლაჟვარდზე...“).

➤927

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ოჰ, თუ ზეცაშიც ნაზ სულს შვება არ ეღირსება...“.

➤928

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „თვითმკვლელთ ყვავილი...“.

➤929

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „სადამო“ („მნათობი მთებში გადაიმალა...“).

➤930

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მეზღვაურის სიმღერა“ („მიჰქრის ნავი.. მივატოვეთ...“).

➤931

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ქარი“, რომელიც არის ნაწილი „მეზღვაურის სიმღერისა“.

➤932

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ქარიშხალო, დამიბრუნე“ („ოჰ, ქარიშხალო, მე გაზაფხულზე...“).

➤933

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ბოროტი სული“ („ვერა, ვერ ვუცქერ გულდამშვიდებით...“).

➤934

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ვისაც ცხოვრების უსამართლობამ...“.

➤935

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „შემოდგომა“ („დავიღალე... საოცნებო განსვენება სულს სწყურია...“).

➤936

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „გაზაფხულის მზეს შესთამაშებს შენი არსება...“.

➤937

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მელოდია“ („ნელი ნიავი ატოკებს...“).

➤938

1910

5 სექტემბრამდე

თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „გავიქცეთ, სატრფოვ...“.

➤939

1910

5 სექტემბრამდე

თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „ციდან რისხვით მოგზავნილმა...“.

➤940

1910

5 სექტემბრამდე

თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „ფიჭვი მათ საფლავს...“.

➤941

1910

5 სექტემბრამდე

თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „პატიმრის სიმღერა“.

➤942

1910

5 სექტემბრამდე

თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „ლოყით მომეპყარ ჩემსა ლოყაზე...“.

➤943

1910

5 სექტემბრამდე

თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „სამხრეთის მთათა პიტალო წვერზე...“.

➤944

1910

5 სექტემბრამდე

თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „მე დამესიზმრა ხელმწიფის ქალი...“.

➤945

1910

5 სექტემბრამდე

თარგმნის ჰაინრიხ ჰაინეს ლექსს „მარტოდ და ობლად, შორს, მინდორ-სოფლად...“.

➤946

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ის აჟღერებდა ნაღვლიან სიმებს...“.

➤947

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ელენეს“ („ნამვი გულსაკლავს მოელის საფლავს...“).

➤948

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ოჰ, რა წარმტაცად, ტკბილად და ნაზად...“.

➤949

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ფერი“ („ოჰ, ფერი მიყვარს შენი წარმტაცი...“).

➤950

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მშვიდობით“.

➤951

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „საფლავზე“ („საფლავო, ობლად მიტოვებულო...“).

➤952

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ნუთუ ის ჩრდილი, რომელიც მზეზე...“.

➤953

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ჩემს ზევით ზეცა მხიარულობდა...“.

➤954

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ქანცმილეული, ღონემიხდილი, ჩრდილად ქცეული...“.

➤955

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „დეე დამწველმა სევდა-ნაღველმა საბედისწეროდ გაშალონ ფრთები“.

➤956

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ტურფავ, მომიახლოვდი, ნუთუ არ გაგონდები...“.

➤957

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ნულარ მაჩვენებ მხიარულ სახეს“.

➤958

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „განთიადი“ („აგერ ჩანელდა ცისა ტატნობზე...“).

➤959

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „სამი ხმა“. I „სასაფლაოზე ვნახე...“, II „ჰანგი ისმის...“, III „დღეს სასაფლაოს...“.

➤960

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მსახიობ ქალს“ („ფარდა ახადეს. სიჩუმეა...“).

➤961

1910

5 სექტემბრამდე

ანტონ კანდაუროვის ნახატის „აბრაამი, რომელიც გაჰყურებს სოდომს და გომორას“ მიხედვით ფანქრით ხატავს ბიბლიურ აბრაამს კვერთხით ხელში.

➤962

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ნაპოლეონი“ („მე უკვდავი ვარ...“).

➤963

1910

5 სექტემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ნათელი სხივი განთიადისა ტყვილა ველოდი...“.

➤964

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ალბომში შუტუს“ („ახ, მეც მინდა, რომ ამ ჟამად...“).

➤965

1910

5 სექტემბრამდე

თავის გარდაცვლილ მეგობარს – ქუჩუ ქავთარაძეს უძღვნის ლექსს „დემონის ხსოვნას“ („შენ საფლავში უგრძნობელი განისვენებ...“).

➤966

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მწუხარება“ („შავად გაშლილის ღამის იჭვით შემოხვეული...“).

➤967

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ამონაკვნესი“ („ბრბო უმეცარი ჩემს სიმღერას...“).

➤968

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მაისის ღამე“ („რა წარმტაცად ფშვენს...“).

➤969

1910

**5 სექტემბრამდე**

მიძღვნით „ა. დ.-ს“ წერს ლექსს „მეგობარს“ („ნუ, ქარიშხალო, ნუ შემობრალებ...“).

➤970

1910

**5 სექტემბრამდე**

თავისი გარდაცვლილი მეგობრის – ქუჩუ ქავთარაძის ხსოვნას უძღვნის ლექსს „მგოსნის ანდერძი“.

➤971

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „გაზაფხულდება?!“ („ჩემო კარგო, როდი მინდა...“).

➤972

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „ი. ევდოშვილს“ („მგზავრო, ნუ ფიქრობ უბედობაზე...“).

➤973

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „ალბომში“ (ოჰ, მეგობარო, შენს ალბომში მთელი ზღვა დრტვინავს...“).

➤974

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „სახალწლო ფიქრი“ („კვლავ მარტოდ მარტო...“).

➤975

1910

**5 სექტემბრამდე**

ძღვნით მეგობარი დემონისადმი (ქუჩუ ქავთარაძისადმი) წერს ლექსს „ცხოვრებასთან“ („დეე შავბნელმა სევდა-ნაღველმა...“).

➤976

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „ქართული მელოდია“ („ტყის სიღრმეში ღამ-ღამობით ნუ დადიხარ...“).

➤977

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „მუზა“ („შუალამისას მუზა...“).

➤978

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „საფლავი“ („ნაზი პეპელა თავს დასციმციმებს...“).



➤979

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „პოეტი მარად თავისუფალი თავისუფლების მორევში დაჰქრის...“.

➤980

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ნინოს“.

➤981

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „შუალამის ჟამს გაბრწყინებული“ (თავისუფლება).

➤982

1910

5 სექტემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „მსურს კვლავ ახალი ვიწყო ცხოვრება!..“.

➤983

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ჩამოკრა სიმებს და სევდიან ხმებს...“.

➤984

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მარტოობაში“ („ვეძებდი, ერთხელ მივუახლოვდი...“).

➤985

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „სიმღერა“ („ცა ღრუბლით შებურვილია, ჩრდილოეთიდან ქრის ქარი...“).

➤986

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „სიმღერა“ („უფსკრულის პირს გაშლილიყო...“).

➤987

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მე შენს სამარეს, მშვიდს და მდუმარეს...“.

➤988

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ნუ მეუბნებით, რომ ის არ სცოცხლობს...“.

➤989

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მე მსურს“ („როცა ოცნება მომავლისკენ...“).

➤990

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „პოეტს“ („შენს სიმთა ჟღერას...“).

➤991

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მამულიშვილო!“ (მამულიშვილო, სამშობლო მხარე დიდი ხანია განსაცდელშია...“).

➤992

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „დიდი ხანია დავუმეგობრდი სიკვდილის სახეს, შავს მოჩვენებას...“.

➤993

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „შემოდგომისა ქარიშხალი დაძრწის, ზუზუნებს...“.

➤994

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „დავასაფლავეთ“ („ნაზი ყვავილი ობოლ საფლავსა...“).

➤995

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ყვავილის გულზე ნამი თრთის...“.

➤996

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მზეო, როდესაც შენი სხივი მომხვდება გულზე...“.

➤997

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „სასაფლაოზე“ („მიყვარს, როცა ყვავილებით იმოსება არე-მარე...“).

➤998

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მგოსანი და ყაყაჩო“ („მარტოდმარტო ხარ?... რაზედ ოცნებობ...“).

➤999

1910

5 სექტემბრამდე

წერს რომანის სათაურს „ცისფერ თვალებში“, მაგრამ წერას აღარ აგრძელებს.

➤1000

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „იასამანო!“.

➤1001

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „უთხარი“.

➤1002

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ღამის ფიქრები“ („მთვარე კამკამებს. მომხიბლავ ჰანგებს...“).

➤1003

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ატომთ გუნდი მხიარული... ცის კამარას ოდნავ ხაზავს...“.

➤1004

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ექსპრომტი“.

➤1005

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ყაყაჩო“ („მითხარ, ნამი გაზაფხულზე...“).

➤1006

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „არწივი და სიყვარული“.

➤1007

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „კორდიდან“ („სძინავს ღრმა ძილით მოქანცულ სოფელს...“).

➤1008

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ბიბლიურ ჰანგზე“ („ვიყავ მდიდარი, ვიყავი მწვრთნელი...“).

➤1009

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ია“ („მზის სხივს ელოდა, ცელობდა, თრთოდა...“).

➤1010

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ყვავილები“ („ყვავილებისგან ვსწნავდი გვირგვინებს...“).

➤1011

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „საადღგომო ეპიგრამები“.

➤1012

1910

5 სექტემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „მე ვსწერდი წყნარად ციურ ფრთებით ზე-შთაგონება...“.

➤1013

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ვფიცავ ცის ღმერთებს, ჩემში არ არი...“.

➤1014

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ალბომში“ („წუთთა შვენება თანდათან ჰქრება...“).

➤1015

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ერთ კოცნას ვსთხოვდი...“.

➤1016

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მე მინდა შენი ნაზი ღიმილი...“.

➤1017

1910

5 სექტემბრამდე

კონსტანტინ ბალმონტის მოტივებზე წერს ლექსს „წმიდაო ღმერთო“ („როცა ცის სივრცეს მიმოებნევა...“).

➤1018

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „სიყვარული“ (ფანტაზია).

➤1019

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მგოსნის სიტყვებზე“.

➤1020

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მეგობარს“ („ისევ ის სევდა.. ისევ კვნეს...“).

➤1021

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „რომანსები“ („წყნარად მისცურავს ნარნარი მთვარე...“).

➤1022

1910

5 სექტემბრამდე

წერს ელენე (ელიკო) გოდაბრელიძე-წერეთლისადმი მიძღვნილ ლექსს „მისთვის მიყვარს“ („სადაც ნაზი გრძნობათ თასი...“).

➤1023

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ამური“ („ასულო ტურფავ!..“).

➤1024

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ქანდაკება“ („ხელს ნუ შეახებთ ქანდაკებას, არ გამიფუჭოთ...“).

➤1025

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „პოეტს“ („და თუ კიდევ სულის სიღრმეს...“).

➤1026

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „რიტმები“ („ღვინო მომეცი, ღვინო მწყურია...“).

➤1027

1910

5 სექტემბრამდე

წერს სატირულ ლექსს „საათი“ („პროგრესისტები თათბირობდნენ...“).

➤1028

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ხმა ჩაიკმიდეთ, ვერაგებო...“.

➤1029

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „რომანსი“ („არ ვდარდობ, ტურფავ, დაკარგულ იმედს...“), მაგრამ მალე წყვეტს.

➤1030

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „ზეცას, გულდახშულს მე არ ვთხოვ შველას...“.

➤1031

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „ქარიშხალი“ („ცა მოქუშული. წვიმა ცვარ-ცვარი...“).

➤1032

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „როცა სხვის საფლავს მე ვაცქერდები...“ და ავტოგრაფში მას აძლევს მკვეთრად გამოხატულ გრაფიკულ ფორმას.

➤1033

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს პოეტი გიორგი ჭალადიდელისადმი მიძღვნილ ლექსს „ჭალადიდელის ხსოვნას“ („მახსოვს პირველად სასწავლებელში...“).

➤1034

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „ჯვარი“ და ხელნაწერში აძლევს მას ჯვრის (X) გრაფიკულ ფორმას.

➤1035

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ოჰ, მეგობრებო, თქვენ არ იცით, რარიგ მსურს ბრძოლა...“ და აძლევს მას მკვეთრი გრაფიკული გამოსახულების სახეს.

➤1036

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „შენი შვენება და სინარჩარე ცისფერ თვალებში გამოხატულა...“.

➤1037

1910

**5 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „მელოდია“ („ოჰ, გევედრები, თუ კვლავ პატივს სცემ...“).

➤1038

1910

5 სექტემბრამდე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შუალამისას“ („ის მე მომელის...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1039

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „პოეტი და მწუხარება“ („მგოსანი სახე გაბრწყინებული...“).

➤1040

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „დემონი“ („შუალამეა. ცის კალთებზე ვარსკვლავნი კრთიან...“).

➤1041

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ახ, რისთვის მიყვარს ეგ სავსე ღამე...“.

➤1042

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ჩემო მადონნავ!“ („გულატოკებით, ტკბილ ფიქრთა გზნებით...“).

➤1043

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „რომანსი“ („მრავალთა დღეთა შავ-ბნელ წყვილიადში...“).

➤1044

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „საიდუმლოა“ („მთვარე ფერმკრთალი, ვარსკვლავთ ციმციმი...“).

➤1045

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ზამთრის საღამო“ („სულს მოსწყინდა ერთფერობა...“).

➤1046

1910

5 სექტემბრამდე

წერს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ ერთსტროფიან ლექსს „ნუ მღერი“ („ნუ მღერი ჰანგებს, იმ ჰანგს რომელიც...“).

➤1047

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მხოლოდ შენ“ (დღიურიდან).

➤1048

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „სალამო“ („განცხრა დასავლით დღისა...“).

➤1049

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „დატანჯულს და განაწვალებს საით აგზნებ...“.

➤1050

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „შემლილი“.

➤1051

1910

5 სექტემბრამდე

უსათაუროდ წერს ლექსს („ზეცას გულ-დახშულს მე არ ვთხოვ შველას...“).

➤1052

1910

5 სექტემბრამდე

წერს ლექსს „თვალეზი“.

➤1053

1910

5 სექტემბრამდე

რვეულში, სათაურით „ჩემი ლექსები (დაბეჭდილი და დაუბეჭდავი)“ ჩამოწერს 211 ლექსის სათაურს: „ტოროლამ ცისკენ გაინავარდა“, ნაწყვეტი იბსენის „ბრანდიდან“, „ლამის კაემანს“ (მელოდია), „პიშინი“ (ჰე, ცაო, ცაო!), „მე ვსწერ.. ფიქრი და ნაღველი...“, „ოჰ, თუ ზეცაშიც ნაზ სულს შვება არ ეღირსება...“, „თვითმკვლელთ ყვავილი“, „ბოროტი გენია“ (ლამარტინიდან), „სალამო“ („დისკო გადახრით დასავლეთით...“), „ქართველი ქალი“ (პოემა), „მეზღვარის სიმღერა („მიჰქრის ნავი.. მივატოვეთ...“), „ოჰ, ქარიშხალო.. მე გაზაფხულზე...“, „ბოროტი სული“, „მზეს შევნატროდით“, „ვისაც ცხოვრების უსამართლობამ...“, „შემოდგომა“ (გუძღვნი ...ს), „ცა ვარსკვლავებით შემოიჭედა“, „გაზაფხულის მზეს შესთამაშებს შენი არსება“ (მელოდია), „მელოდია“ („ნელი ნიავი ატოკებს...“), „შუალამისას“ („მუზას ვეძახდი გადაკარგულს...“), „ჰეინედან“ („გავიქცეთ, სატრფოვ...“), „ჰეინედან“ („ციდან რისხვით მოგზავნილმა...“), „ფიჭვი მათ საფლავს...“ (ჰეინედან), „ჰეინედან“ (პატიმრის სიმღერა), „ლოყით მომეპყარ ჩემსა ლოყაზე“ (ჰეინედან), „ჰეინედან“ („სამხრეთის მთათა პიტალო წვერზე...“), „ჰეინედან“ („მე დამესიზმრა ხელმწიფის ქალი...“), „ჰეინედან“ („მარტოდ და ოზლად, შორს, მინდორ-სოფლად...“), „ის აჟღერებდა ნაღვლიან სიმებს“, „ელენეს“ („ნაძვი გულ-საკლავ...“), „ოჰ, რა წარმტაცად, ტკბილად და ნაზად“, „ოჰ, ფერი.. მიყვარს შენი წარმტაცი...“, „მშვიდობით“, „საფლავზე“ („საფლავო, ოზლად მიტოვებულო...“), „ნუ თუ ის ჩრდილი, რომელიც მზეზე...“ (მელოდია), „ჩემს ზევით ზეცა მხიარულობდა“ (მელოდია), „ქანცმილეული, ღონემიხდილი, ჩრდილად ქცეული...“ (მელოდია), „დეე დამწველმა, სევდა-ნაღველმა საბედისწეროდ გაშალონ ფრთები...“, „ტურფავ, მომიახლოვდი, ნუთუ არ გაგონდები?“, „ნულარ მაჩვენებ მხიარულ სახეს...“, „განთიადი“ („აგერ ჩანელდა ცისა ტატნობზე...“), „სამი ხმა“ (1. „საფლავზე ვნახე...“, 2. „ჰანგი ისმის...“, 3. „დღეს



სასაფლაოს...“), „ნაპოლეონი“ („სიჩუმე არის დაურღვეველი...“), „მსახიობ ქალს“ („ფარდა ახადეს.. სიჩუმეა...“), „ნაპოლეონი“ („მე უკვდავი ვარ...“), „ნათელი სხივი განთიადისა ტყვილა ველოდი“, „დავასაფლავეთ“ („მშვიდი ღამეა. ნიავე ნელი...“), „ალბომში შუტუს“ („ახ... მეც მინდა, რომ ამჟამად...“), „მსახიობ ქალს“ („როცა ფიქრებით დატყვევებული...“), „დემონის ხსოვნას“ (წაკითხული დემონის გავ.), „მწუხარება“, „ოცნება“ („გადავფრინდები უცხო მხარეში...“), „ამონაკვნესი“ („ბრბო უმეცარი ჩემს სიმღერას...), „ჰე, გონდოლიერ...“, „ვისაც სიყვარულს ვეფიცებოდი...“, „სიმი შეირხა, ათრთოლდა ჩანგი...“, „მგოსნის საფლავი“, „რისთვის აენტო აღმოსავლეთი“, „სიმღერა“ („ჩემგან შორს მყოფს, გადახვეწილს), „მაისის ღამე“ („წარმტაცად ფშვენს...“), „ბრბოლაში ვეძებ“, „ნუ, ქარიშხალო, ნუ შემიბრალებ“, „მგოსნის ანდერძი“ (დემონის ხსოვნას), „გაზაფხულდება?!“ („ჩემო კარგო, როდი მინდა...“), „ი. ევდოშვილს“ (მგზავრო, ნუ ფიქრობ უბედობაზე), „სიმღერა“ („უფსკრულის პირს გაშლილიყო...“), „ალბომში“ (ოჰ, მეგობარო, შენს ალბომში მთელი ზღვა დრტვინავს...), „გემი“ (საბრალო გემი უცებ კლდეზე გადაეჯახა), „გინახავთ ზეცა, შავის ღრუბლებით“, „ნანინა..“ (იძინე ყრმაო უშფოთველად), „გაზაფხულის ყვავილები“ („ათას ფერად მოქარგული...“), „ვარდი მისთვის გადიშლება“, „პოეზია“ (კვნესა გასაჭირს არ შევეუკრთები), „საახალწლო ფიქრი“ (კვლავ მარტოდ მარტო), „ცხოვრებასთან“ (დეე შავ-ბნელმა), „ქართული მელოდია“ (ტყის სიღრმეში ღამ-ღამობით ნუ დადიხარ), „მუზა“ (შუალამისას მუზა...), „რისთვის?“ (სევდიანი და დაღვრემილი), „მახსოვს, ვიდეგი გარინდებული“, „საფლავი“ (ნაზი პეპელა თავს დასციმციმებს), „პოეტი მარად თავისუფალი თავისუფლების მორევში დაჰქრის“, „ნინოს“, „სიმღერა“ (ცა ღრუბლით შებურვილია, ჩრდილოეთიდან ქრის ქარი), „მთა და ღრუბელი“ (იგავ-არაკი), „შუალამის ჟამი გაბრწყინებული“ (თავისუფლება), „მსურს კვლავ ახალი ვიწყო ცხოვრება!..“, „კოლხიდა“ (იქ, სადაც მთები დარაჯად უდგან), „ჩამოკრა სიმებს და სევდიან ხმებს“, „მარტოობაში“ (ვეძებდი ერთხელ მივუახლოვდი), „სუმბული“ (ბუჩქის ძირს ფრთხილად გარინდული), „ტყვილა ვეძებდი მე შენს ალერსს, შენსა სიყვარულს“, „სალამო შემოდგომისა“ (სარკმელთან ვზივარ ცის ყვავილები...), „მე შენს სამარეს, მშვიდს და მდუმარეს“, „მეგობარს“ (ვიცი, ვიცი, რასაც ფიქრობ ან რას მოელი), „ნუ მეუბნებით, რომ ის არ სცოცხლობს“, „მე მსურს“ (როცა ოცნება მომავლისკენ), „ლურჯი ჩიტი“, „სიმღერა“ (ბინდი ღამისა ჰქრება ისე, ვით მოჩვენება), „პოეტს“ (შენს სიმთა ჟღერას), „მამულიშვილო!“ (მამულიშვილო, სამშობლო მხარე დიდი ხანია განსაცდ...), „დიდი ხანია დავუმეგობრდი სიკვდილის სახეს, შავს მოჩვენებას“, „სიცოცხლე და სიკვდილი“ (მახსოვს ბილიკზედ), „შემოდგომისა ქარიშხალი დამრწის, ზუზუნებს“, „გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი, ჩემი ნატვრა“, „არ გალხენს სულო“, „ვისაც სიყვარულს ვეფიცებოდი“, „ნათელი დღისა, სევდა ღამისა“, „აჰა, ეს გული, აჰა, სიცოცხლეც“, „დავასაფლავეთ“ (ნაზი ყვავილი ობოლ საფლავსა), „ღრუბელი“ („ახ, ნუ დაახშობ მზის სხივებს...“), „მაღალი წრის კაცი“, „მიშფოთავს სული შავ-ბნელ წყვიდადს“, „ყვავილის გულზე ნამი თრთის“, „მზეო, როდესაც შენი სხივი მომხვდება გულზე“, „მიყვარს, როცა ყვავილებით იმოსება არე-მარე“, „მგოსანი და ყაყაო“. „იასამანი“, „უთხარი“, „ღამის ფიქრები“ (მთვარე კამკამებს, მომხიბლავ ჰანგებს), „ატომთ გუნდი, მხიარული... ცის კამარას ოდნავ ხაზავს“, „ბრბო უმეცარი, შეუგნებელი [თრთოლით] თავს უხრის“, „გამომეცხადე!“, „ექსპრომტი“, „ყაყაო“ (მითხარ ნამი გაზაფხულზე), „ნამი“ (რა მშვენიერი იყო ნამი ყვავილის გულზე), „ნიაღვარი“ (როცა მზე მწვერვალს), „არწივი და სიყვარული“, „პოეტი“ ეს ის ქნარია“, „კორდიდან“ (სმინავს ღრმა ძილით მოქანცულ სოფელს), „ბიბლიურ ჰანგზე“ (ვიყავ მდიდარი, ვიყავი მწვრთნელი), „ია“ (მზის სხივს ელოდა, ცელქობდა, თრთოდა), „ყვავილები“ (ყვავილებისგან ვსწნავდი გვირგვინებს), „სააღდგომო ეპიგრამები“, „მე ვწერდი წყნარად ციურ ფრთებით ზემთავონება“, „ვფიცავ ცის ღმერთებს, ჩემში არ არი“. „გოდება“ (სადაც მარადჟამ ზღვის ციმციმ-კამკამს), „ალბომში“ (წუთთა შვენება თანდათან ჰქრება), „ენა“ (მე ყურს ვუგდებდი ბუნებისას იღუმალ ჩურჩულს), „ჩამოკრეს ზარი, აი, კიდეც მოასვენებენ“, „ნაწყვეტი“ (კ. ტეტმაიერიდან), „ველი განთიადს, ველი მზის სხივებს“, „ერთ კოცნას ვსთხოვდი“, „ჩვენება“, „მე მინდა შენი ნაზი ღიმილი“, „როცა ცის სივრცეს მიმოებნევა“, „სიყვარული“ (ფანტაზია), „მგოსნის სიტყვებზე“, „მეგობარს“ (ისევ ის სევდა, ისევ კვნესა), „რომანსები“ (წყნარად მისცურავს ნარნარი მთვარე), „მისთვის მიყვარს“, „ამური“ (ასულო ტურფავ), „ქანდაკება“, „ქებათა ქება“, „პოეტს“ (და თუ კიდეც სულის სიღრმეს), „საათი“ (სატირა), „რითმები“, „ხმა ჩაიკმიდეთ,

ვერაგებო!“, „წყვდიადი ფარავს დაფენილს სოფელს“, „ფანტაზია“ (ოცნება ტკბილი და ნეტარება), „არ ვნაღვლობ ტურფავ“, „ზეცას გულდახშულს მე არ ვთხოვ შველას“, „გაზაფხულის მოტივები“, „ქარიშხალი“, „როცა სხვის საფლავს მე ვაცქერდები“, „ჭალადიდელის ხსოვნას“, „ჯვარი“, „სალამო“, „ოჰ, მეგობრებო, თქვენ არ იცით, რარიგ მსურს ბრძოლა), „შენი შვენება და სინარნარე“, „ოჰ, გვედრები, თუ კვლავ პატივს სცემ“, „პოეტი და მწუხარება“, „კოლხიდა“ („იქ ნაკადული მთის კალთიდან...“), „მოგონებებში გადაფრენილი“, „დემონი“ (შუალამისას ცის კალთებზე), „ახ, რისთვის მიყვარს ეგ სავსე ღამე), „ახალ ტალღას“, „გაზაფხულია.. მაისია“ (მგზნებარ სიმებს აციმციმებს), „ჩემო მადონნავ“, „რომანსი“ (მრავალთა დღეთა შავ-ბნელ წყვდიადში), „ღამის საიდუმლონი“, „ზამთრის საღამო“, „ფარვანა“, „ნუ მღერი“, „მაისის ღამე“ („არ იძვრის ქარი...“), „მუხამბაზი“, „გვირგვინი“, „სქელი ღრუბელი“, „მთვარე კაშკაშებს“, „ვითარცა გედი“, „როცა ბულბული განთიადისას“, „რომანსი“, „ღამე“, „ნიავი“, „მომაკვდავი“, „ფიქრი“, „ვარდი კოკობი“, „გაზაფხულის მოლოდინში“, „სასაფლაოზე“, „მწუხარება“, „პოეზია“, „მსახიობის დღიურიდან“, „მხოლოდ ბუნება“, „დემონი“, „კედლები“, „მხოლოდ შენ“ (დღიურიდან), „გაზაფხულია“, „სალამო“ (იდილია) განცხრა დასავლით დღისა), „დატანჯულს და განაწვალებს საით აღზნებ“, „შემლილი“, „თვალეები“.

➤1054

1910

### 5 სექტემბერი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „გაზაფხულის ღამე“ („ცელქი სიო აღტაცებით...“).

➤1055

1910

### 15 სექტემბერი

არედაქტირებს პოემას „სატანა“, სათაურად აწერს „ძველი კოშკი“ და უძღვნის მელიტონ ჩოგოვადის ხსოვნას. მოქმედი პირები არიან: ძველი კოშკის მფლობელი იოველი, მისი ვაჟი – იორამი და ქალიშვილი – ზულიმა.

➤1056

1910

### 15 სექტემბრის შემდეგ

არედაქტირებს პოემას „ძველი კოშკი“, გადახაზავს მიძღვნას მელიტონ ჩოგოვადისადმი და პოემის ტექსტში სადაც გვხვდება პერსონაჟი „სელიმი“, მის სახელს ანაცვლებს სიტყვით „მგოსანი“.

➤1057

1910

### 19 სექტემბერი

თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ გამოცდები მომდევნო დღეს ეწყება. ატყობინებს, რომ დიასახლისი ბინაში ითხოვს 14 მანეთს და თანხა დროულად გაუგზავნონ. თავის მხრივ, ყველაფერს გააკეთებს, რომ კარგად ჩააბაროს.

➤1058

1910

### 19 სექტემბერი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ „ნარის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „ბუნება პოეზიაში“ ბუნების მხატვრული განსახიერების თვალსაზრისით მაღალი შეფასება ეძლევა გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს: „ნიაღვარი“, „ღამე“, „ნიავი“, ფიქრი“ და „სასაფლაოზე“ („მზეს

შეენატროდით, ვკენესოდით...“), რომლებშიც, კრიტიკოსის აზრით, ვხვდებით ბუნების თედორე ტიუტჩევისებურ აღქმას.

➤1059

1910

### 26 სექტემბრამდე

ხშირად დადის ბაგრატის ტაძრის ტერიტორიაზე, საათობით აკვირდება ქუთაისის ციხესიმაგრის ნანგრევებს. აქვე წერს ლექსს „კოლხიდაში“ („მთის კოცონებს, მთის მწვერვალებს...“), რომელშიც გამოხატულია მისი იმდროინდელი სულიერი განწყობა.

➤1060

1910

### 26 სექტემბერი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „კოლხიდაში“ („მთის კოცონებს, მთის მწვერვალებს...“).

➤1061

1910

### 27 სექტემბრის შემდეგ

ქუთაისში ცხოვრობს მესხეთის ქუჩაზე პავლე საღირიშვილის ბინაში და იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ ტყიბულიდან თბილისში გაგზავნილ წერილს. ადრესანტი წუხილს გამოთქვამს, რომ გამოცდების დროს გალაკტიონის გვერდით არ არის და არ გულშემატკივრობს. სწერს, რომ ძალიან დაკავებულია. სამსახურში ბევრი საქმე აქვს და დაიწყო პიესის წერა სათაურით „ოჯახი“. სთხოვს გაზეთის „თეატრი და ცხოვრება“ იმ ნომრის გაგზავნას, რომელშიც გალაკტიონის ლექსი დაიბეჭდა და ჰპირდება, რომ თანხას თბილისში ჩასვლისას აუნაზღაურებს. ინტერესდება, გამოიტანა თუ არა ატელიედან მათი სურათები.

➤1062

1910

### სექტემბერი ან შემდეგ

თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლესთან საუბრისას სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი პიმენი ეჭვს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მან თემის დროულად დაწერა მოასწროს და ეუბნება, გალაკტიონ ტაბიძე ხომ არა ხარ, შთაგონება მოგივიდეს და უცებ დაწერო.

➤1063

## ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

1910

### 22 ოქტომბერი

სკოლების მთავარი მეთვალყურე თედო ჟორდანია აკმაყოფილებს გალაკტიონ ტაბიძის განცხადებას და ნიშნავს მას მასწავლებლად ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალის დაწყებით სკოლაში. ის საცხოვრებლად ჩერდება ლადიმე ხარაძის სახლში და მეორე კლასელებს ასწავლის ქართულ ენასა და არითმეტიკას. გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებს სკოლის ეზოში დამატებით ამეცადინებს და საბავშვო წიგნებს უკითხავს.

➤1064

1910

### 22 ოქტომბრის შემდეგ

მასწავლებლად მუშაობის დაწყების წინ მცირეოდენი გამოცდილების შეძენის მიზნით სტუმრობს ზესტაფონის სოფლის ილემის სკოლას, რომელშიც მისი ამხანაგი ალექსანდრე გორგაძე მუშაობს.

➤1065

1910

**22 ოქტომბრის შემდეგ**

ორ ლექსს და მოკლე წერილს უგზავნის თბილისში ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ რედაქტორ იოსებ იმედაშვილს. წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბედმა უბრალო სოფლის მასწავლებლობა არგუნა. იმედოვნებს, რომ სოფლიდან ხალხურ ლექსებს მაინც გაუგზავნის.

➤1066

1910

**22 ოქტომბრის შემდეგ**

სოფელ ფარცხნალაში მასწავლებლად მუშაობისას ძალიან ზრუნავს მოსწავლეებზე, ზოგჯერ მათთვის საკუთარი ხარჯითაც კი ყიდულობს წიგნებს და სხვა სასწავლო ნივთებს, მაგალითად, მოსწავლე პოლინა ბირკაძეს ჩუქნის იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარს“. გაკვეთილების ახსნისას იყენებს თვალსაჩინოებებს, ასწავლის ტექსტის მხატვრულად კითხვას, ახატვინებს და აპერწინებს თიხისა და აყალო მიწისაგან. დასვენების დროსაც მოსწავლეებთან არის და მათ თამაშს ადევნებს თვალს, მიჰყავს ექსკურსიებზე. განსაკუთრებით ხშირად დადიან საბადურის მთაზე. გამორჩეული მზრუნველობით უვლის სკოლის ეზოში მოსწავლეების დარგულ ცაცხვის ხეს. რომელსაც ამის გამო გალაკტიონის ცაცხვს ეძახიან.

➤1067

1910

**22 ოქტომბრის შემდეგ**

ძალიან განიცდის, რომ ფარცხნალაში მისთვის ახალი გაზეთები ხელმძღვანელობდა. ამიტომ წერილით მიმართავს რუსულ გაზეთ „კუტაისსკი ლისტოკის“ რედაქციას. აცნობებს, რომ ხარაგაულში მსახურობს მასწავლებლად და თუ გაზეთის ნომრებს უფასოდ გაუგზავნიან, მზად არის მიაწოდოს კორესპონდენციები. სწერს, რომ ასეთი გარიგება უკვე აქვს გაზეთების „ზაკავკაზიისა“ და „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქციებთან.

➤1068

1910

**22 ოქტომბრის შემდეგ**

დასვენების დღეს სოფელ ფარცხნალიდან საგანგებოდ მიდის ხარაგაულის სადგურში, რომ თბილისიდან ჩასულ ვინმე ნაცნობს შეხვდეს და იქაური ამბები გაიგოს. მატარებელი ჩერდება, არავინ ჩამოდის, მაგრამ უცებ ერთ-ერთი ფანჯარა იღება, ვაგონში მჯდარ აკაკი წერეთელს ხედავს და აღფრთოვანებული თვალს ვერ ამორებს.

1069

1910

**22 ოქტომბრის შემდეგ**

წერს ლექსს „ლოცვა“ („კახორის მთაზე მოსჩანს ნანგრევი...“).

➤1070

1910

**22 ოქტომბრის შემდეგ**

ფარცხნალის სკოლაში აკითხავს ალექსანდრე გორგაძე, გაკვეთილების შემდეგ გალაკტიონის ნაქირავებ სახლში მიდიან და ბევრს საუბრობენ. პოეტი უყვება, რომ ფარცხნალაში მასწავლებლად დანიშვნის შემდეგ ხშირად ახსენდება ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „უცნაური ამბავი“ და თავს მოთხრობის გმირ სოლომანად მიიჩნევს, რომელსაც უყვარს პედაგოგობა და საკუთარი მოსწავლეები. სადილის შემდეგ გალაკტიონთან მიდიან ლიტერატურული წრის წევრები

სოფლის ახალგაზრდები და განიხილავენ ილია ჭავჭავაძის პოემას „განდეგილი“. შემდეგ მათ გალაკტიონი საკუთარ ლექსებს უკითხავს. ახალგაზრდების წასვლის შემდეგ ადგილობრივი გლეხები აკითხავენ, რომელთაც გალაკტიონი ჯერ ეგნატე ნინოშვილის მოთხრობას „გოგია უიშვილი“ უკითხავს და შემდეგ პრესის სიახლეებს აცნობს.

➤1071

1910

27 ოქტომბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „შორს მოჩანს მიწა აზვირთებული...“.

➤1072

1910

27 ოქტომბრამდე

წერს ლექსს „ვნების ყვავილი“ („გარინდებული ბუჩქს ქვეშ ვიდექი...“).

➤1073

1910

27 ოქტომბრამდე

წერს ფორმის თვალსაზრისით ნოვატორულ ლექსს „ტყეში“ („ზეფირს ფოთლებით...“).

➤1074

1910

27 ოქტომბერი

„სახალხო გაზეთში“ იბეჭდება ლექსი „ტყეში“ („ზეფირს ფოთლებით...“).

➤1075

## ნოემბერი

1910

12 ნოემბერი

„სახალხო გაზეთში“ იბეჭდება ლექსი „შემოდგომა“ („ობოლ ფოთლებს, ნაზ ყვავილებს...“).

➤1076

## დეკემბერი

1910

4 დეკემბრის შემდეგ

იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის წერილს. ადრესანტი სიხარულს გამოხატავს მისი მასწავლებლად დანიშვნის გამო. იმედს გამოთქვამს, რომ ჯამაგირით თავისი თავის გაძლოლას შეძლებს. სთხოვს, ღვინის სმას არ მიეჩვიოს.

➤1077

1910

15 დეკემბრის შემდეგ

სოფელ ფარცხნალში იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ თბილისიდან გაგზავნილ ბარათს. ადრესანტი საყვედურობს ამბის შეუტყობინებლობისთვის და სთხოვს აცნობოს, როგორ შეეწყო მასწავლებლობას. აინტერესებს, წაიკითხა თუ არა 12 დეკემბრის გაზეთი, რომელშიც მათ ბიძაშვილ ტიციან ტაბიძეზე იყო საუბარი. სწერს, რომ იქვე გამოქვეყნებული იოსებ გრიშაშვილის ლექსი ძალიან ჰგავდა მისი ლექსის დასასრულს: „მსურს ნალველი...“. სთხოვს, სასმელს ერიდოს, რომ საქმე სანაწებლად არ გაუხდეს.

➤1078

1910

**24 დეკემბერი**

სამობაო არდადეგებზე ითხოვს ფარცხნალის სკოლაში თავის მოსწავლეებს და მიდის ქუთაისში.

➤1079

1910

**24-25 დეკემბერი**

ქუთაისში ყიდულობს პალტოს და ქუდს, ხვდება თავის ბიძაშვილ ტიცინს და ერთად ჩადიან ჭყვიშში.

➤1080

1910

**სექტემბერ-დეკემბერი**

წერს პიესას „მცნება“. მოქმედება მიმდინარეობს სასაფლაოზე და მოქმედი პირები არიან ხმები და სულელები.

➤1081

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს ლექსს „გულცივი სიმშვიდე“ („როა ქარიშხლისგან მოტეხილი ხე...“).

➤1082

1910

**სექტემბერ-დეკემბერი**

წერს ლექსს „ექსპრომტი“ („არ ვიცოდი, მაგრამ ერთხელ საუბარში გაკვრით მითხრეს...“).

➤1083

1910

**სექტემბერ-დეკემბერი**

წერს ლექსს „პოეტი“ („შენ პოეტი ხარ, პოეტი ერის...“).

➤1084

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს ლექსს „ორთეოსი“ („ბინდი ღამისა შეეხვია აყუდებულ მთებს...“).

➤1085

1910

**სექტემბერ-დეკემბერი**

თარგმნის ნიკოლაუს ლენაუს ლექსებს: „ჩუმი განდობა“ და „მწარე საღამო“.

➤1086

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს პოემას „იაიროზის ასული“.

➤1087

1910

**სექტემბერ-დეკემბერი**

წერს ლექსს „ქ-ნ ოლღას“ („ვერ გიცნობ, მაგრამ მაინც მსურს შორით...“).

➤1088

1910

სექტემბერი-დეკემბერი

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ („ღამეა, წყვდიადს ფრთა გაუშლია...“), მაგრამ არ ამთავრებს.

➤1089

1910

სექტემბერი-დეკემბერი

იწყებს პიესის წერას სათაურით „ყვავილები ოთახში“ („ცელქი ნაკადი ნორჩ ყვავილს ცრემლს ბანს...“), მაგრამ არ ამთავრებს.

➤1090

1910

სექტემბერი-დეკემბერი

წერს პოემას „შადრევანი“ („მითხარ რად გიკვირს, რომ გრძნობის...“). მოქმედი პირები არიან შადრევანა, ათაბეგი, სტუდენტი, ვასილი და პეტრე.

➤1091

1910

სექტემბერი-დეკემბერი

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ოდესმე“ („დღეს მე ყვავილი ჩავდევი წიგნში...“), რომელიც ეძღვნება რაისას.

➤1092

1910

სექტემბერი-დეკემბერი

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სიამე“ („წვიმის წვეთი გულს მეცემა...“).

➤1093

1910

სექტემბერი-დეკემბერი

წერს პოემას „სიჩუმის ანგელოსი“ („ნაზი კორდი მთვარის სხივებს...“).

➤1094

1910

სექტემბერი-დეკემბერი

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „ეჰ, წამკითხველო, დამიგდე ყური...“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1095

1910

სექტემბერი-დეკემბერი

იწერს სხვადასხვა ავტორთა გამონათქვამებს ქალის ბუნების შესახებ. ციტირებულთა შორის არიან პეტრე ნევეჟინი, პავლე ზასოდიმსკი, ნადეჟდა ლუხმანოვა და ოლღა შაპირი.

➤1096

1910

სექტემბერი-დეკემბერი

წერს ლექსს „მუსიკა“ („ფანჯრიდან მთვარის მოსჩანს გულ-მკერდი...“), რომელსაც ეპიგრაფად წარუმიძღვარებს ფრაზას თავისი მეგობრის „დემონის“ (ქუჩუ ქავთარაძის) ლექსიდან: „ტკბილი მუსიკა მე არ მაწყნარებს / უფრო მაშფოთებს, უფრო მამწარებს...“.

➤1097

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

რუსულ ენაზე იწყებს „XXX“-სადმი მიძღვნილი უსათაურო ლექსის წერას, მაგრამ მალე წყვეტს.

➤1098

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „რ-ს“ („წრფელის გრძნობით დახატული...“), მაგრამ შემდეგ გადახაზავს.

➤1099

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს ლექსს „წინასწარმეტყველი“ („დავდივარ ობლად... დავდივარ ერთი...“).

➤1100

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

რუსულად იწყებს ლექსის წერას სათაურით „ფიქრი“.

➤1101

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს სახელს „ელიკო“ და გვერდით რამდენჯერმე რუსულად უწერს „ელენე გოდაბრელიძე“. იქვე რუსულადვე წერს ჰოლა ლომთათიძის ფსევდონიმს „სპირიდონ მცირიშვილი“.

➤1102

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

იწყებს მოთხრობის წერას სათაურით „ნადიკო“ („შემოდგომის ცივი დღეა...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1103

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მეძავე“ („შემოდგომა... მრისხანე ქარი...“), მაგრამ არ ამთავრებს.

➤1104

1910

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს ლექსს „დიდება“ („ქვეყნის დიდება დიდებას ეძებს...“).

➤1105

1910



**სექტემბერი-დეკემბერი**

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ („ალ-ნაკვერჩხლებში აღველფებული...“).

➤1106

**1910**

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს დრამატული ნაწარმოების მონახაზს სათაურით „უკვდავება“.

➤1107

**1910**

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს ლექსს „მოგონება“ („ცის ეთერი, ცით ლტოლვილი, ფიქალ კლდეზედ გაწოლილი...“).

➤1108

**1910**

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს ლექსს „მოგონებანი“ („იყო დრო, როცა შენ ღიმილით მიჩვენე ზეცა...“).

➤1109

**1910**

**სექტემბერი-დეკემბერი**

იწყებს პოემის წერას სათაურით „ცხოვრების შინაარსი“ („ტოლ-მეგობრებში ამაყობდი შენს „ზე-კაცობით“...), რომელსაც უძღვნის იოსებ გრიშაშვილს.

➤1110

**1910**

**სექტემბერი-დეკემბერი**

იწყებს სამმოქმედებიანი დრამის წერას სათაურით „ვიდოდა მწირი მიუსაფარი“.

➤1111

**1910**

**სექტემბერი-დეკემბერი**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სიმღერა“ („ლურჯი ნისლი ლურჯ ცას მოსწყდა...“), რომელსაც უძღვნის ნოე ჟორდანიას, მაგრამ მალევე გადაშლის და წყვეტს წერას.

➤1112

**1910**

**სექტემბერი-დეკემბერი**

Accordi-ს ფსევდონიმით წერს ლექსს „მარტოობა“ („ფიქრი ვით ნათელს...“).

➤1113

**1910**

**სექტემბერი-დეკემბერი**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ნისლი“ („ლურჯი ნისლი ლურჯის მთების...“), რომელსაც უძღვნის გიორგი ქუჩიშვილს, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1114

**1910**

**სექტემბერი-დეკემბერი**

წერს ლექსს „ახალი გზის წინ“ („სიო ღრუბელს ფრთით...“).

➤1115

1910

სექტემბერი-დეკემბერი

ფსევდონიმით „Accordi“ წერს ლექსს „შემოქმედების ტანჯვები“ („მწუხარებისას შევქმნი სახეს...“).

➤1116

1910

სექტემბერი-დეკემბერი

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მუშის სიმღერა“ („ლურჯ ზღვამ ზეცის ლურჯი ნისლი...“),

➤1117

1910

სექტემბერი-დეკემბერი

წერს უსათაურო ლექსს „სასიხარულო და სანეტარო ტანჯვამ დამიხშო ბედის კარები...“

➤1118

1910

სექტემბერი-დეკემბერი

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მზე ჩაესვენა“ („ყველა კვდება, ყველა ჰქრება...“).

➤1119

1910

სექტემბერი-დეკემბერი

წერს ლექსს „ღამის ფრინველი“ („ღამის სივრცეში სატრფოს ალერსს ვევედრებოდი...“).

➤1120

1910

სექტემბერი-დეკემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ღამეა მყუდრო... მრისხანე ღრუბელს...“.

➤1121

1910

სექტემბერი-დეკემბერი

ფსევდონიმით „ცრემლი“ წერს ლექსს „კუპიდონი“ („სანამ არ გიყვარს – ხარ კაემანი...“), მაგრამ წერას წყვეტს და ნაწერს გადახაზავს.

➤1122

1910

სექტემბერი-დეკემბერი

წერს უსათაურო ლექსს „მთვარეს შუქი სიყვარულის მოხდენილად ტანთ აცვია...“

➤1123

1910

დეკემბერი

წერს საახალწლო ეპიგრამებს, რომელთა ადრესატები არიან: აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, დომინიკა ერისთავი, იროდიონ ევლოშვილი, ვარლამ რუხაძე, ბარბარე ხოსიტაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, მელიტონ გობეჩია, ნესტორ კალანდაძე, დუტუ მეგრელი, იოსებ გრიშაშვილი და ელისაბედ ორბელიანი.

➤1124

1910

**დეკემბერი**

წერს იუმორისტულ ჰიმნს „ყუთო სანაგვევ“ („ჩემს წმიდა ლექსებს...“).

➤1125

1910

**დეკემბერი**

წერს სატირულ ლექსს „ზოგიერთების ფიქრი“ („მე ვარ ზეკაცი... ჩემისთანა არავინ არის...“).

➤1126

1910

**დეკემბრის ბოლო**

წერს ლექსს „ახალი წელი“ („წვიმის წვეთები მეცემიან აღზნებულ გულზე...“).

➤1127

1910

**დეკემბრის ბოლო**

წერს ლექსს „ახალ წელს“ („რაოდენ ფიქრებს / მწარედ დამწველი / თვალწინ მაზვირთებს / ახალი წელი...“).

➤1128

1910 ან ადრე

წერს ივან კრილოვის იგავ-არაკის „დემიანის წვნიანი“ განხილვას.

➤1129

1910

წერს უსათაურო ლექსს „ისევ ცრემლები... მზის სხივით...“.

➤1130

1910

წერს ლექსს „რომ შემემდლოს“.

➤1131

1910

წერს დრამას: „ფული“.

➤1132

1910

გაიცნობს შიო არაგვისპირელს.

➤1133

1910

თანამშრომლობს ილია ზახტაძესთან, რომელიც გამოსცემს იუმორისტულ ალმანახებს: „თავს ვეძებთ“ და „ქუთაისის საქმიანობა“.

➤1134

1910

სათაურით „ამოკრეფილი სიტყვები და აზრები“ რვეულში იწერს სხვადასხვა აზრებს და შემდეგ ზოგ მათგანთან, რომელთა გამოყენებაც უნდა ლექციისთვის, აწერს „ლექც“.

➤1135

1910

წერს ლექსს „ბაირონისებური“ („გულს სევდა ღრღინის...“).

➤1136

1910

წერს ლექსს „ლერმონტოვისებური“ („სულს მოსწყინდა, სევდა სძალავს...“).

➤1137

1910

გალაკტიონის დედა მაკრინე ტაბიძე ცდილობს აიღოს მოწმობა, რომ 18 წელია, რაც ქმარი გარდაეცვალა და მარტო ზრდის შვილებს – აბესალომსა და გალაკტიონს. გალაკტიონი ახლა მის კმაყოფაზეა და საშუალება არა აქვთ, რომ აბესალომის თბილისში ცხოვრება და სემინარიაში სწავლის დასრულება უზრუნველყონ.

➤1138

1910

წერს ლექსს „ჭკნობა“.

➤1139

1911

ი ა ნ ვ ა რ ი

1911

1 ი ა ნ ვ ა რ ი

გალაკტიონი ზედმეტად მოწყენილია და დედა მის გასამხიარულებლად ყველა სურვილს უსრულებს – უკრავს ჩონგურზე, ეთამაშება კარტს და ცოტა ამხიარულებს.

➤1140

1911

6 ი ა ნ ვ ა რ ი ს შ ე მ დ ე გ

იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ ახალ წლამდე დაწერილ და 6 იანვარს გაგზავნილ წერილს.

➤1141

1911

6 ი ა ნ ვ ა რ ი ს შ ე მ დ ე გ

ჭყვიშში ძალიან თოვს. გალაკტიონი ფარცხნალში წასვლას ვეღარ გადადებს, მაგრამ სამგზავრო თანხა საკმარისი არ აქვს და დედას სთხოვს დამატებას. მაკრინე ადვიშვილი ერთ მანეთამდე მოუგროვებს. მეტი არც მას აქვს და გალაკტიონი გულდაწყვეტილი მიდის. დედას ჰპირდება, რომ ამზავს შეატყობინებს. მგზავრობს ბიძაშვილთან – ტიცვიან ტაბიძესთან ერთად.

➤1142

1911

10 ი ა ნ ვ ა რ ი ს შ ე მ დ ე გ

მაკრინე ადვიშვილი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილს, აბესალომს. უყვება გალაკტიონის ჭყვიშში ყოფნის ამბავს და სურვილს გამოთქვამს, რომ სააღდგომოდ მთელმა ოჯახმა ერთად მოიყაროს იქ თავი. დედა ძალიან წუხს, რომ გალაკტიონი „გულდაკოდილია“.

➤1143

1911

14 ი ა ნ ვ ა რ ა მ დ ე

მუშაობს პოემაზე, რომლის მთავარი გმირის პროტოტიპია მისი შეყვარებული, სასულიერო სასწავლებელში მისი ყოფილი ქართული ენის მასწავლებლის რაფიელ ჩიხლაძის ქალიშვილი რაისა, რომელიც იმჟამად ქუთაისის ქალთა სასწავლებლის მოსწავლე იყო.

➤1144

1911

#### 14 იანვარი

ფარცხნალიდან ქუთაისში წერილს უგზავნის რაისა ჩიხლაძეს. აცნობებს, რომ პოემას წერს, რომლის ერთ გმირს „რაისა“ ჰქვია. ბოდიშს უხდის, რომ ქუთაისში ვერ შეიარა და დანაპირები ვერ ჩაუტანა. სწერს, რომ ჰენრიკ იბსენის პიესა „ბრანდის“ თარგმანსაც მას უძღვნის.

➤1145

1911

#### 15 იანვრის შემდეგ

ფარცხნალში იღებს კონსტანტინე გამსახურდიას წერილს. მას გაუგია, რომ იოსებ გრიშაშვილი გალაკტიონს წიგნის გამოცემაში დახმარებას ჰპირდება, მაგრამ სკეპტიკურად უყურებს ამ ფაქტს და გალაკტიონს სწერს, რომ თავისი პუბლიკაციები მას გაუგზავნოს და გრიშაშვილთან საქმეს ის გაარკვევს. სწერს, რომ ბოლო ხანებში ჟურნალში „ცხოვრება და ხელოვნება“ გამოაქვეყნა მოთხრობა „სევდის ყვავილი“ და გალაკტიონსაც ურჩევს ამ ჟურნალთან თანამშრომლობას. სწერს, რომ სწავლაზე არ იდარდოს, ფული დააგროვოს და მოგვიანებით გააგრძელოს. სთავაზობს, თუ მისი სურვილიც იქნება, ზაფხულში ერთად მოიარონ ფეხით მთელი საქართველო. სთხოვს, გულს ნუ აყვება და დეპრესიაში ნუ ჩავარდება. უმხელს, რომ ასეთი განცდები მანაც გამოიარა და თავის მოკვლაც კი უნდოდა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, რომ ცოტა ხანს კიდევ გააგრძელებდა ბრძოლას. წერილის ბოლოს ათას ხვევნას უგზავნის მეგობარს და სთხოვს, რომ ამ გულწრფელ წერილზე მანაც გულწრფელად უპასუხოს.

➤1146

1911

#### 15 იანვრის შემდეგ

კონსტანტინე გამსახურდიას სთხოვს ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში მოწყობაში დახმარებას. გამსახურდია გიმნაზიის დირექტორ პეტრე ოცხელსა და სილოვან ხუნდაძესთან შუამდგომლობს. ისინი მზად არიან გალაკტიონი გამოცდის გარეშე დასვან მემზიდე კლასში და კონსტანტინე მას ამის შესახებ ატყობინებს, მაგრამ გალაკტიონი გადაიფიქრებს.

➤1147

1911

#### 15 იანვრის შემდეგ

ლექსებს აგზავნის ჟურნალში „ცხოვრება და ხელოვნება“, მაგრამ არ უბეჭდავენ.

➤1148

1911

#### 15 იანვრის შემდეგ

ყოველკვირეული ჟურნალისთვის „ცხოვრება და ხელოვნება“ წერს სტატიას მიმდინარე ლიტერატურული პროცესებისა და მწერლების შესახებ. აღნიშნავს, რომ სტატიას ლიტერატურის შესახებ პირველად წერს, მაგრამ ამას აკეთებს იმიტომ, რომ ხედავს აუცილებლობას. გულახდილად საუბრობს იმაზე, რომ ზოგ მკითხველს მწერალი განსხვავებული ადამიანი ჰგონია, რომელსაც არა აქვს ჩვეულებრივი საჭიროებები.

➤1149

1911

## 20 იანვრამდე

იოსებ გრიშაშვილს აინტერესებს გალაკტიონის ამბები და მისი მისამართი. რამდენადაც ვასილ გორგაძემ მისამართი არ იცის, ის ტიცინასა და სერგო კლდიაშვილს ეკითხება.

➤1150

1911

## 27 იანვარი

დავით ჩხეიძე „დ. დიმიშვილის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „ცხოვრება და მწერლობა (ახალგაზრდა მწერლები)“, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძე მოხსენიებულია იმ პოეტთა შორის, რომლებსაც მხოლოდ საკუთარი „მე“ აინტერესებთ და გულგრილები არიან სოციალური საკითხებისადმი.

➤1151

1911 ან შემდეგ

## 27 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენი თაობის ვიწრო საკანი...“.

➤1152

1911

## იანვრის ბოლომდე

გატაცებულია ქრისტიანული ლიტერატურის კითხვით, ფიქრობს როგორც ამქვეყნიურ ბედნიერებაზე, ისე სულის უკვდავებაზე. შეეყვარებულია რაისა ჩიხლაძეზე და იგი „ღირსეულ მადონად“ მიაჩნია, მაგრამ მისგან საპსუხო გრძნობას ვერ იღებს.

➤1153

1911

## იანვრის ბოლომდე

წერილს უგზავნის მიხეილ ბოჭორიშვილს, რომელშიც უყვება თავისი საქმიანობისა და რაისა ჩიხლაძისადმი ცალმხრივი სიყვარულის ამბავს. ურჩევს, რომ ქართული წიგნები უფრო მეტი იკითხოს, რადგან ადრესატი რომანების წერას ცდილობს.

➤1154

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1911

## 9 თებერვალი

ფარცხნალიდან თბილისში მოკლე წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს. სწერს, რომ სამი თვეა გაზეთები არ წაუკითხავს და მოწყვეტილია სამყაროს. სთხოვს, მისწეროს და თავადაც ჰპირდება უფრო ვრცელი წერილის გაგზავნას.

➤1155

1911

## 12 თებერვლამდე

გაზეთში „კოლხიდა“ აქვეყნებს ლექსს „მწუხარება“ („სიცოცხლით სავსეს, ოცნებაში მყოფს...“).

➤1156

1911

## 12 თებერვლის შემდეგ

იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ ტყიბულიდან 12 თებერვალს გაგზავნილ წერილს. ადრესანტი უყვება, როგორ საშინელ ამინდში მოუწია მგზავრობა, რომ იმ სკოლაში ჩასულიყო, სადაც გაანაწილეს. მღვდელმა, რომელსაც ამ სკოლის საქმეები ებარა დააძალა, ან წინა

მასწავლებლისგან საცხოვრებელი სახლი შეისყიდე ან შენი ჯამაგირის მესამედი მას აძლიეო. როდესაც მიხეილმა უარი უთხრა, 100 მანეთი მოსთხოვა საქმის მოსაგვარებლად. მიხეილს უნდოდა მეორე დღეს, წირვაზე თავად დალაპარაკებოდა ხალხს, მაგრამ მღვდელმა განზრახ არ ჩაატარა წირვა, რომ ეს ვერ მოეხერხებინა და მიხეილი ხელმოცარული დაბრუნდა ტყიბულში. სწერს, რომ ძალიან უხარია გალაკტიონის სიყვარულის ამბავი და თავადაც სიყვარულით იმსჭვალეზა რაისა ჩიხლაძისადმი. სწერს, რომ მართლაც სიხარულით იკითხავდა ქართულ წიგნებს, მაგრამ ვერ ყიდულობს და იძულებულია, წაიკითხოს ის, რაზეც ხელი მიუწვდება. სწერს, რომ ძალიან მოეწონა გაზეთ კოლხიდაში გამოქვეყნებული მისი ლექსი „მწუხარება“.

➤1157

1911

#### 14 თებერვლის შემდეგ

იღებს ძმის – აბესლომ ტაბიძის მიერ 14 თებერვალს გაგზავნილ წერილს. ადრესანტი საყვედურობს, რომ დედას არ აგებინებს თავის ამბავს. სთხოვს, შეატყობინოს, რაზე მუშაობს, რას კითხულობს, წერს თუ არა დღიურებს. ახსენებს დავით ჩხეიძის სტატიას, რომელშიც გალაკტიონისა და ტიცციანის შესახებ უსამართლო ბრალდებები იყო გამოთქმული. სთავაზობს, მოაწიყონ მისი და ტიცციანის ლექსების საჯარო კითხვა. ურჩევს, ლექსების წერა არ შეწყვიტოს და გააგრძელოს მუშაობა იდეალებისთვის, არდადეგებზე კი დედასთან ჩავიდეს სოფელში.

➤1158

1911

#### 16 თებერვლის შემდეგ

იღებს აბესლომ ტაბიძის მიერ 16 თებერვალს გაგზავნილ წერილს. ადრესანტი ინტერესდება, შეეჩვია თუ არა ახალ სამუშაოს. ურჩევს, თუ ასაკის მხრივ შეზღუდვა არ ექნება, ჩააბაროს გამოცდა გიმნაზიაში მეექვსე კლასში მოსახვედრად. სთხოვს, ამ საკითხზე რჩევა ჰკითხოს სილოვან ხუნდაძეს.

➤1159

1911

#### 17 თებერვალი

გიორგი ჭუმბურიძე სტატიაში „ახალი მიმართულების ნიშნები ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში“ გალაკტიონ ტაბიძეს მოიხსენიებს იმ პოეტთა შორის, რომელთა შემოქმედებაშიც ვლინდება სიმბოლიზმის ნიშნები.

➤1160

1911

#### 19 თებერვალი

მონაწილეობს ქუთაისში გამართულ სოფლის მასწავლებელთა ყრილობაში. აკრიტიკებს აღსაზრდელებთან მუშაობის ფორმებს და სასწავლებლებიდან ქართული ენის განდევნის პოლიტიკას.

➤1161

1911

#### 26 თებერვლამდე

ძმის, აბესლომის პირით დედა უთვლის, რომ ძალიან ნერვიულობს მისგან წერილების მიუღებლობის გამო და თუ მალე არ მიიღებს წერილს, ფარცხნალში ჩააკითხავს ამბის გასაგებად.

➤1162

1911

#### 26 თებერვალი

ფარცხნალიდან წერილს უგზავნის დედას ამშვიდებს, რომ არაფერი უჭირს და მისი ჩასვლა საჭირო არ არის. აცნობებს, რომ წერილი ადრეც გაუგზავნა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. თუ რაიმე დასჭირდება, გააგებინებს. სწერს, რომ აღდგომამდე სახლში ჩასვლას ვერ მოახერხებს.

➤1163

## მ ა რ ტ ი

1911

### 2 მარტის შემდეგ

იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ პირველ მარტს გაგზავნილ წერილს. საყვედურობს მოუწერლობის გამო და აცნობებს, რომ თუ დედა ორ-სამ დღეში მისგან წერილს არ მიიღებს, ჩაკითხვას აპირებს ფარცხნალში. შეახსენებს, რომ ფოსტაში მოიკითხოს ძმის მიერ გაგზავნილი წინა წერილები, რომლებიც ჯერ არ წაუღია.

➤1164

1911

### 7 მარტი

ხარაგაულის ფოსტაში იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ ტყიბულიდან გაგზავნილ წერილს. უყვება თავისი მძიმე პირობების შესახებ სკოლაში. აღფრთოვანებულია კნუტ ჰამსუნის რომანით „შიმშილი“ და აინტერესებს, გალაკტიონს თუ აქვს წაკითხული. სწერს, რომ 20 თებერვალს ქუთაისში ესწრებოდა სახალხო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ბატონყმობის გადავარდნის 50 წლის იუბილეს. მის გვერდით აღმჩნდა რაისა ჩიხლაძე, მაგრამ არ მოეწონა მასთან ჯდომა და სხვაგან გადაჯდა. ეკითხება, როგორ მიდის მუშაობა მის პოემაზე „შადრევანი“ და სთხოვს, რომ წერილი აუცილებლად მისწეროს.

➤1165

1911

### 7 მარტის შემდეგ

იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ ტყიბულიდან გაგზავნილ საპასუხო წერილს. სთხოვს, რომ ღვინის სმას თავი დაანებოს, რადგან ეს კარგს არაფერს მოუტანს. უკვირს, რომ გალაკტიონს რაისა ჩიხლაძისთვის უთქვამს, თუ არ გიყვარვარ, თავს მოვიკლავო. სწერს, რომ თავის მოკვლა არავისთვის არ შეიძლება, რადგან ჩვენ მხოლოდ ჩვენს თავს არ ვეკუთვნით. უხსნის, რა ძვირფასია გალაკტიონი პირადად მისთვის, როგორი მნიშვნელოვანია მასთან მეგობრობა და რომ ეს ქალის სიყვარულზე ნაკლები არ არის.

➤1166

1911

### 23 მარტი

ფარცხნალიდან წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს. სწერს, რომ მისი ცხოვრება ერთფეროვნად და მოსაწყენად მიედინება, ცდილობს, ჩვეულებრივი ადამიანივით იცხოვროს და ანიავეს ძველ ოცნებებს. პრესას თვალს ვერ ადევნებს და არც უნდა, რადგან სამწერლო კარიერა თბილისთან ერთად დაკარგა. სოფელში ცხოვრებამ თითქოს დააბერა და კიდევ ერთი წელიც რომ მოუხდეს იქ დარჩენა, ბოლო მოეღება. ნატრობს სამსახურის შოვნას ქალაქში.

➤1167

1911

### 26 მარტამდე

ფარცხნალშია და იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. უყვება, რომ სემინარიაში რაღაც ამბები მოხდა და რომ ჩავა, დაწვრილებით მოუყვება. საყვედურობს წერილების მიუწერლობისთვის. სთხოვს სამგზავროდ 2 მანეთისა და 50 კაპიკის გაგზავნას და იმედს გამოთქვამს, რომ ჭყვიშში შეხვდებიან.

➤1168



1911

**26 მარტი**

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ ხუთი დღის შემდეგ დაითხოვენ და შეუძლია სოფელში წასვლა. ამიტომ გალაკტიონს წერილი გაუგზავნა და სთხოვა ორმანეთნახევრის გაგზავნა. მოსწავლეები ექსკურსიით აპირებენ წასვლას ქუთაისში და აპირებს, რომ მათ გაჰყვეს.

➤1169

**აპრილი**

1911

**8 აპრილი**

ფარცხნალიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს. უბოდიშებს, რომ ქუთაისში ჯამაგირი ვერ აიღო, ისევ სოფელში დაბრუნდა, ისესხა და ახლა იქიდან უგზავნის თანხას.

➤1170

1911

**10 აპრილის შემდეგ**

ორ გიმნაზიელთან ერთად პატიჟებენ წვეულებაზე, სადაც ძალიან თვრებიან. უკან დაბრუნებისას გალაკტიონი და მისი ერთი თანამგზავრი საცალფეხო ხიდიდან პატარა მდინარეში ვარდებიან და მეორეს გამოჰყავს.

➤1171

1911

**10 აპრილის შემდეგ**

ფარცხნალიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს. ბოდიშს უხდის წერილების მიუწერლობისთვის. უხსნის, რომ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ხელფასი ტანსაცმლისა და წერილების გასაგზავნი მარკებისთვისაც კი არ ყოფნის. არავინა ჰყავს გვერდით თანამოაზრე და წასაკითხ წიგნებსაც ვერ შოულობს. სწერს, რომ ძალიან განიცდის შუაზე გაწყვეტილ სწავლას და დედის იმედების გაცრუებას. ვედარ უძლებს, როდესაც სოფელში ჩასულს დედა ჯამაგირს სთხოვს. ატყობინებს, რომ წერას კი აგრძელებს, მაგრამ წიგნების კითხვას მოწყვეტილი ვერაფერს ღირებულს ვერ ქმნის და რასაც წერს, იმას არცერთი რედაქტორი არ დაბეჭდავს. სთხოვს, რომ როცა გამოცდებს ჩააბარებს და სოფელში დაბრუნდება, წიგნები წამოუღოს, რადგან იმ დროს გალაკტიონიც ჰყვიშში იქნება.

➤1172

1911

**13 აპრილი**

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედასა და ძმას. გალაკტიონს სთხოვს, რომ ფული ღვინოსა და სიგარეტში არ გაფლანგოს. აცნობებს, რომ შეიძინა არჩილ ჯორჯაძის წიგნი „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ და ასევე აპირებს გოგებაშვილის წიგნის ყიდვას, თუ გალაკტიონს უკვე არა აქვს შეძენილი, რადგან მასწავლებლებისთვის ძალიან კარგია. უყვება სასულიერო სემინარიაში რექტორის ცვლილების შესახებ და ისტორიას სემინარიაში ლიტურგიკისა და ჰომილეტიკის მასწავლებელ ვინმე რუს ბერ პორფირეზე, რომელმაც ვერ აიტანა, რომ თომა ჩიქვანაია, რომელსაც ძმები იცნობდნენ, ლიტურგიის დროს ექვს ფსალმუნს ქართულად კითხულობდა. პორფირემ საეკლესიო სამოსელი გაიხადა, გამოვარდა ტამრიდან და პეტერბურგში გაიქცა.

➤1173

1911

**18 აპრილი**

ხარაგაულის ფოსტაში იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ ტყიბულიდან გაგზავნილ წერილს. მეგობარი ატყობინებს, რომ გაზეთი „თემი“ 1 ივნისს პოეზიის კონკურსს მართავს, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ ლიტერატურულ ასპარეზზე 1900 წლის შემდეგ გამოსულ ავტორებს. ატყობინებს, რომ დაწვრილებითი ინფორმაცია ამის შესახებ „სახალხო გაზეთშია“ გამოქვეყნებული და აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა, რადგან სხვამ ვინ უნდა გაიმარჯვოს თუ არა გალაკტიონმა. უხარია, რომ გალაკტიონმა მოახერხა რაისას ნახვა. სთხოვს, მისწეროს, რას ფიქრობს ადრესანტის რომანსა და პიესაზე. მისი ერთადერთი მრჩეველი გალაკტიონია და თუ ის ფიქრობს, რომ მისგან მწერალი არ გამოვა, ჯობს დროულად მოკიდოს ხელი სხვა საქმეს.

➤1174

1911

**26 აპრილი**

აკაკი პაპავას სტატიაში „ჩვენი ახალგაზრდა პოეტები და იმპრესიონისტული მეთოდი“ გალაკტიონ ტაბიძის შესახებ აღნიშნულია, რომ განიცდის კონსტანტინ ბალმონტის გავლენას და აქვს იმპრესიონისტული ხელწერა.

➤1175

## მ ა ი ს ი

1911

**3 მაისი**

გიორგი ჭუმბურიძის სტატიაში „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი“ გალაკტიონ ტაბიძე ალექსანდრე შანშიაშვილთან, ალექსანდრე აბაშელთან და იოსებ გრიშაშვილთან ერთად გამოცხადებულია თანამედროვე „სიმბოლიკურ-ლირიკული პოეზიის“ მიმდევრად.

➤1176

1911

**5 მაისი**

გიორგი ჭუმბურიძის სტატიის „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი“ გაგრძელებაში აღნიშნულია, რომ ალექსანდრე აბაშელისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისთვის დამახასიათებელია ამქვეყნიურის უარყოფა, ოცნებების მიკედლება და მშვენიერი სულის იდეალიზაცია.

➤1177

1911

**6 მაისი**

გიორგი ჭუმბურიძე სტატიის „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი“ გაგრძელებაში ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ისეთ ნიშნებზე, როგორებიცაა: სევდა, სულიერი ობლობა, არსებული სინამდვილით უკმაყოფილება. ავტორი განიხილავს მის რომანტიკულ-ნატურალისტურ და სიმბოლურ-ფსიქოლოგიურ ელემენტებს და წერს, რომ პოეზიის ახალი ფორმა ებრძვის ძველს.

➤1178

1911

**7 მაისამდე**

წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს. წუხს, რომ პატარა ხელფასი აქვს და ძალიან ეტყობა უიმედობა.

➤1179

1911

**7 მაისის შემდეგ**

იღებს აბესალომ ტაბიძის მიერ 7 მაისს გაგზავნილ საპასუხო წერილს. ადრესანტი ამხნევეს, რომ უსწავლელად არ დატოვებს, როგორც კი სემინარიას დაამთავრებს, მის მომავალზეც იზრუნებს,

შესაძლოა პირდაპირ სიმწიფის ატესტატისათვის მოამზადოს. საყვედურობს, რომ ფულს სასმელში ფლანგავს. ურჩევს, მონაწილეობა მიიღოს გაზეთ „თემის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რაც სახელისთვისაც კარგია და ფულადი ჯილდოც ახლავს. სთავაზობს, თუ ლექსს მას გაუგზავნის, თავად გადაუთეთრებს და საკონკურსოდ წარადგენს გაზეთის რედაქციაში. ატყობინებს, რომ მის შემოქმედებას ეხება გიორგი ჭუმბურიძე წერილში „უკანასკნელი წლების სიმბოლოზიმი საქართველოში“.

➤1180

1911

8 მაისი

ფარცხნალიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის რაისა ჩიხლაძეს. სწერს, რომ სახლში ვერ ჩერდება და სულ მთებში დადის. ეკითხება, როდის მიემგზავრება ჭიათურიდან.

➤1181

1911

9 მაისი

ხარაგაულის ფოსტაში იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ ტყიბულიდან გაგზავნილ საპასუხო წერილს. მეგობარი მადლობას უხდის, რომ თავისი ამბები დაწვრილებით შეატყობინა, სწერს, რომ ძალიან უყვარს და მისთვის სახრჩობელაზეც კი ღიმილით ავიდოდა. სთხოვს, როცა ქუთაისში ჩავა, თავისი პოემა „შადრევანი“ წაუღოს წასაკითხად. სწერს, რომ ერთი მისი მეგობარი ქალი იცნობს რაისა ჩიხლაძეს, რომელმაც წააკითხა გლაკტიონისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი, რომელშიც აკროსტიქულად იკითხებოდა სახელი „გალაკტიონი“, მაგრამ ეს ქალი ფიქრობდა, რომ რაისა ძალიან გულცივი ქალი იყო და, შესაძლოა, სიყვარული საერთოდ არ შეეძლო. სწერს, რომ ჭორები რაისას გათხოვებაზე მართალი არ უნდა იყოს, თორემ მის ყურამდეც მივიდოდა.

➤1182

1911

23 მაისის შემდეგ

იღებს წერილს მიხეილ ბოჭორიშვილისგან, რომელიც უყვება, თავისი სკოლის მღვდლის საჩივრის გამო როგორ ჩაუტარა თედო ჟორდანიამ რევიზია. მისგან მეტ სიმკაცრეს მოელოდა, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ კეთილგანწყობილი იყო. ძალიან არ უნდოდა, მაგრამ აიძულეს, თავის მომჩივან მღვდელს შერიგებოდა და ხელზე მთხვეოდა. სწერს, რომ აგრძელებს მუშაობას თავის პროზაულ ნაწარმოებზე „მწუხრიშვილი“ და რომ ჰიპნოზის შესახებ წიგნის დასაბეველად სამი მანეთი გაგზავნა.

➤1183

1911

27 მაისამდე

წერილს იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძისგან, რომელიც აცნობებს, რომ 28 ან 29 მაისს ჩავა ჭყვიშში და აინტერესებს, გალაკტიონი როდის მორჩება ბავშვებთან მეცადინეობას. უკვირს, რატომ არ გაუგზავნია ლექსი გაზეთ „თემის“ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, რომლის ვადაც 1 ივნისამდეა და საუკეთესო ლექსები დაჯილდოვდება 50 და 30 მანეთით.

➤1184

1911

30 მაისის შემდეგ

30 მაისით დათარიღებულ წერილს იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძისგან, რომელიც აცნობებს, რომ ჩამოვიდა თბილისიდან და გალაკტიონი ჭყვიშში ეგონა, მაგრამ აფრივან ჩიჯავაძისგან გაიგო, რომ ივნისის ბოლომდე სკოლიდან არ გაათავისუფლებდნენ. იმედს გამოთქვამს, რომ ზაფხულისათვის გალაკტიონი შეძლებს ფულის დაზოგვას.

➤1185

## ი ვ ნ ი ს ი

1911

### 1 ივნისამდე

წერს ლექსს „ირემი და ქალი“ („ისმენს, ისმენს კლდის ირემი...“) და აგზავნის გაზეთის „თემი“ მიერ გამოცხადებულ პოეზიის კონკურსზე.

➤1186

1911

### 18 ივნისი

ფარცხნალშია და გადაამუშავებს დავიწყებულ რვეულში დაწერილ ლექსს „ანდერძი“ („ოჰ, ნუ დამარხავ...“), რომელსაც მოგვიანებით სათაურად აწერს „მგოსნის გვირგვინი“.

➤1187

1911

### 18 ივნისის შემდეგ

წერს ეპიგრამას „ათასნაირი ჭორები...“.

➤1188

1911

### 18 ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „ნაძვის ზღაპარი“ („ნისლში შეჭრილ ნიავევით...“).

➤1189

1911

### ივნისის ბოლო - ივლისის დასაწყისი

წერილს უგზავნის იოსებ გრიშაშვილს. ინტერესდება, მართლა მართავს თუ არა იგი ქუთაისში სალიტერატურო სადამოს და აღნიშნავს, რომ დიდი სიამოვნებით მიიღებს მონაწილეობას ღონისძიებაში. წერილის ბოლოს გალაკტიონი საკუთარ თავს უწოდებს გრიშაშვილის „ნიჭის თაყვანისმცემელს“.

➤1190

## ი ვ ლ ი ს ი

1911

### 1 ივლისამდე

წერს უსათაურო ლექსს „შუადამეა... ზღვის ნეტარ გულში...“.

➤1191

1911

### 1 ივლისამდე

რაისა ჩიხლაძეს უძღვნის ლექსს „მონაზონ ქალს“.

➤1192

1911

### 1 ივლისი

აკაკი პაპავა სტატიაში „შენიშვნები სამშობლო ლიტერატურაზე (ჩვენი დროის ინდივიდუალიზმი)“ გალაკტიონ ტაბიძეს საყვედურობს, რომ მას ბუნებასთან კავშირი დაკარგული აქვს, იცის, რომ გაზაფხული მოდის, მაგრამ მისი გული მაინც ისევ მარტოსული რჩება. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავს ამონარიდები ლექსიდან „გაზაფხულის მოლოდინში“.

ახალგაზრდა პოეტების მარტოსულობის მიზეზს სტატიის ავტორი ხედავს მათ მიერ დასახულ მიზნებსა და მოტივებში, რომლებიც მათივე ინდივიდუალისტური სამყაროს ნაწილია.

➤1193

1911

### 1 ივლისი

ტიციან ტაბიძეს ქუთაისში გაზეთ „კოლხიდის“ რედაქციაში ატანს თავის ორ ლექსს. რედაქტორი სილოვან ხუნდაძე მათ გამოქვეყნებაზე თანხმდება, მაგრამ ლექსებში გარკვეული ცვლილებები შეაქვს.

➤1194

1911

### 2 ივლისის შემდეგ

ქუთაისიდან იღებს 2 ივლისის გაგზავნილ წერილს ტიციან ტაბიძისგან, რომელიც აცნობებს, რომ „კოლხიდის“ რედაქცია მისი ორივე ლექსის გამოქვეყნებაზე დათანხმდა, მაგრამ სილოვან ხუნდაძემ რაღაცები ჩაასწორა. ურჩევს, სწორებებს ნუ დაიწუნებს, რადგან უამისოდ სილოვანი არავის უბეჭდავს. სთავაზობს, კიდევ გაუგზავნოს და დააბეჭდვინებს.

➤1195

1911

### 2 ივლისის შემდეგ

ხატავს მეგობრულ შარჟს. მასზე სილოვან ხუნდაძის თავი სიმელოტის გამო ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც მთვარე, რომელსაც ის შეჰყურებს სიტყვებით: „მთვარე რაღაცას მაგონებს, მაგრამ რას?“. იქვე, გვერდის მეორე ნახევარზე ხატავს გრძელ სკამზე ერთმანეთთან მჭიდროდ მსხდომ ქალბატონს და სასულიერო პირს, რომელსაც მისთვის ხელი აქვს მოხვეული. ქვეშ რუსულად მიწერილია, რომ სიყვარულს ყველა ასაკი ემორჩილება.

➤1196

1911

### 13 ივლისი

გაზეთ „კოლხიდაში“ ქვეყნდება მისი უსათაურო ლექსი „შუადამეა... ზღვის ნეტარ გულში...“.

➤1197

## ი ვ ლ ი ს ი

1911

### 28 ივლისი

წერილს სწერს იოსებ გრიშაშვილს. წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბოლო დროს მარტოობის უჩინარი და საშინელი სენი შეეპარა, მწვავედ განიცდის სულით ობლობასა და უთვისტომობას.

➤1198

## ა გ ვ ი ს ტ ო

1911

### აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „მითხარ ნანა“ („მალე, მალე. საიდუმლო ფერი დაჰკრავს ცისა ტატნობს...“).

➤1199

1911

### აგვისტო ან ადრე

წერს ლექსს „სტრიქონები“ („მალე დაბერავს შემოდგომის მწუხარე ქარი...“).

➤1200

1911

### 7 აგვისტომდე

იოსებ გრიშაშვილი ხვდება ვასილ გორგაძეს და ესაუბრება გალაკტიონზე. ინტერესდება ლექსები ბევრი აქვს თუ არა და როდესაც დადებით პასუხს იღებს, ამბობს, რომ გამოცემაში დაეხმარება. წუხს, რომ ინტელიგენცია მის ნიჭს სათანადო ყურადღებას არ აქცევს და ვასილის პირით პოეტს უთვლის, როცა თბილისში ჩავა, ღამის გასათევად მასთან მივიდეს.

➤1201

1911

### 7 აგვისტოს შემდეგ

იღებს 7 აგვისტოს გაგზავნილ წერილს ვასილ გორგაძისგან, რომელიც დაწვრილებით მოუთხრობს იოსებ გრიშაშვილთან მისი შეხვედრის ამბავს, მის აზრს გალაკტიონზე და დახმარების სურვილს.

➤1202

1911

### 7 აგვისტოს შემდეგ

სოფელ ჭყვიშიდან დაბა სამტრედიაში გაზეთების საყიდლად ჩადის და სადგურში მოულოდნელად ხვდება იოსებ გრიშაშვილს, რომელმაც იქ სალიტერატურო სადამო ჩაატარა. ისინი პირველი კლასის ბუფეტში ელოდებიან მატარებლის ჩამოდგომას. გრიშაშვილი ჩაის ითხოვს. გალაკტიონი ამჩნევს, რომ პოპულარობის მოპოვების შემდეგ ის უფრო მედიდურობს. მეორე ზარის შემდეგ, გრიშაშვილი დიდი პათოსით დგება და საჩაიედან გადის. გალაკტიონიც მიჰყვება და ჰგონია, რომ პირველი თუ არა, მეორე კლასის ვაგონში მაინც ჩაჯდება, მაგრამ გრიშაშვილი საბარგო ვაგონთან მიდის. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებულ სადამოს კარგი შემოსავალი ჰქონდა, იგი ფულს ზოგავს, საბარგო ვაგონით მგზავრობს, ღვინოს არ სვამს, ამხანაგებში არ დადის და ერთადერთი, რაშიც ფულის ხარჯვა არ ენანება, იაფფასიანი წიგნებია. გალაკტიონი დღიურში წერს, რომ ეს არის მისი „აზარტი“.

➤1203

1911

### 9 აგვისტო

გაზეთში „კოლხიდა“ უსათაუროდ იბეჭდება ლექსი „ოჰ, რა ტკბილად ეძინება ღამეს მდუმარს და ფერმიხდილს...“.

➤1204

1911

### 12 აგვისტოს შემდეგ

იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ ქუთაისიდან გაგზავნილ წერილს. ატყობინებს, რომ გალაკტიონისა და თავისი სახელით განცხადება შეიტანა მასწავლებლის ადგილის თხოვნით, მაგრამ იმედს არ იძლევიან, თქვენ უკვე მოგეცით ერთხელ ადგილი. ბრაზდება ასეთ პასუხზე, რადგან იქ, სადაც გაანაწილეს, საცხოვრებლით არ უზრუნველყვეს. წერს, სახლის აშენება რომ შემძლებოდა, მასწავლებლობა რაღად მენდომებოდაო. აცნობებს, რომ თხუთმეტი რიცხვიდან დაიწყება სხდომები, რომლებზეც უნდა გადაწყდეს მათი დასაქმების საკითხი. ურჩევს, ჩავიდეს ქუთაისში, რომ საბჭოს წევრებს დაელაპარაკონ და უადგილოდ არ დარჩნენ. სწერს, რომ გალაკტიონის მიერ „კოლხიდაში“ გამოქვეყნებული ლექსი არ მოეწონა და ეჭვი გაუჩნდა, რომ რედაქციაში დაუმახინჯეს. სთხოვს, როცა ქუთაისში ჩავა, ის ნაწერები წაუღოს, რომელთა გარედაქტირებაც ადრესანტმა სთხოვა. ასევე შეახსენებს, რომ ბიბლიოთეკისთვის წიგნებს დაჰპირდა. მოკითხვას გადასცემს ბიძაშვილი ტიცინისგან.

➤1205

1911

**14 აგვისტოს შემდეგ**

იწყებს თანამშრომლობას ჟურნალთან „მნათობი“.

➤1206

1911

**17 აგვისტომდე**

კალმით ხატავს საკუთარ პორტრეტს. ნახატზე პოეტს უჭირავს საქადალდე, რომელზეც რუსული წარწერაა: „საქმე N16“ და იქვე მითითებულია მისი გვარი. იმავე ფურცელზე მიწერილია სიტყვები: „ქედს ნუ მოიხრი“, „დასთრგუნე ფიქრი“.

➤1207

1911

**17 აგვისტო**

მხურვალედ მლოცველი მშვენიერი მონაზონი ქალის – მარიამის ხილვით შთაგონებული სოფელ ხრეთში წერს ლექსს „ჰამლეტის ქნარით“ და უძღვნის ამ ქალბატონს.

➤1208

1911

**18 აგვისტომდე**

ჩადის ქუთაისში და ბინავდება ბალახვანის ქუჩის №37-ში კონსტანტინე მუსერიძის სახლში.

➤1209

1911

**18 აგვისტომდე**

აცხადებს ხელმოწერას ლექსების წიგნზე.

➤1210

1911

**18 აგვისტომდე**

ქუთაისის ბულვარში სეირნობისას პოეტი აკაკი მარგიანი გალაკტიონს აცნობს იუმორისტული ჟურნალების რედაქტორსა და გამომცემელ სერგო გერსამიას.

➤1211

1911

**18 აგვისტო**

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის იოსებ გრიშაშვილს. აცნობებს, რომ მისი რჩევით გადაწყვიტა საკუთარი ნაწერების გამოცემა, რისთვისაც ქუთაისში ხელმოწერებს აგროვებს. სთხოვს, დაელაპარაკოს ქალაქისა და სტამბის საკითხზე მიხეილ გაჩეჩილაძეს, რომ ძვირი არ დაუჯდეს. გადაწყვეტილი აქვს, რომ წიგნი პატარა იყოს და 10 კაპიკად გაიყიდოს. უგზავნის მისამართს და სწერს, რომ ქუთაისში დაელოდება მის პასუხს.

➤1212

1911

**18 აგვისტოს შემდეგ**

ქუთაისელ ახალგაზრდებთან: აკაკი მარგიანთან, სერგო გერსამიასთან, პროკოფი გუჯაბიძესთან, არჩილ ფარადაშვილსა და გიორგი ბრეგაძესთან ერთად ყოველდღე დადის ქუთაისის ბიბლიოთეკა-სამკითხველოში, ასევე, ესწრება ლექციებს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში. მათთან ერთად ხშირად იმყოფება უფროსი თაობის მწერალი ია ეკალაძე-ცინცაძე. ახალგაზრდები ეცნობიან როგორც ადგილობრივ, ისე რუსეთში გამომავალ ჟურნალ-გაზეთებს,

თვალს ადევნებენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას და საუბრობენ მიმდინარე პროცესებზე. მსჯელობა, არცთუ იშვიათად, პესიმისტურ ხასიათს იღებს და მეგობრები ცდილობენ, დარდი პაპიროსითა და ღვინით ოდნავ მაინც შეიმსუბუქონ.

➤1213

1911

### 18 აგვისტოს შემდეგ

ყოველდღიური ურთიერთობა აქვს ქუთაისელ ახალგაზრდობასთან, რომელთა შორის განსაკუთრებით პოპულარულია რუსი მწერალ-დრამატურგის – ლეონიდ ანდრეევის სტუდენტების სიმღერა პიესიდან „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, რომელიც ასე იწყება: „სწრაფია, ვით ტალღა, ცხოვრება ჩვენი“, რადგან ეს ტექსტი ზუსტად შეესაბამება ახალი თაობის სულიერ განწყობას.

➤1214

1911

### 18 აგვისტოს შემდეგ

ქუთაისელ ახალგაზრდებთან აკაკი მარგიანთან, სერგო გერსამიასა და სხვებთან ერთად იმყოფება ქუთაისის ბულვარში, ისმენს თანატოლების გაცხარებულ კამათს, მაგრამ თვითონ მსჯელობაში არ ერევა, პაპიროსს ეწევა, ხანაც – ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებს. რადგან მსგავსი რამ პირველად არ ხდება, მისი ქმედება აკაკი მარგიანის ყურადღებას იქცევს. იგი ცდილობს გაარკვიოს, პოეტს ეროვნული საკითხი და ქვეყნის მომავალი საერთოდ არ აინტერესებს, თუ რა არის მისი დუმილის მიზეზი. გალაკტიონი, შენიშვნის პასუხად, ამბობს, რომ ყბედობით არაფერი გამოვა, ამასთანავე, მისი აზრით, მხოლოდ საუბარი, საქმის გარეშე, მიყუჩებულ ჭრილობებს აღიზიანებს და გულს ატკივებს ადამიანს, რის გამოც, თუ შესაძლებელია, ქმედებაზე უნდა გადავიდნენ, თუ არა, აჯობებს, ტყუილ ლაპარაკს თავი დაანებონ.

➤1215

1911

### 18 აგვისტოს შემდეგ

უიმედოდ არის განწყობილი ყველაფრის მიმართ, რასაც, გარდა არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა, ხელს უწყობს მისი პირადი პრობლემები და მატერიალური სიდუხჭირე. მართალია, მიუხედავად სიღარიბისა, მუდამ კარგად აცვია, მაგრამ ყოველდღიური სახარჯო ფული თითქმის არ აქვს. საკუთარ გაჭირვებას არავის უმჟღავნებს, არც მეგობრებთან საუბრობს ამ საკითხზე, არავისგან ითხოვს ფულს სასესხებლად და დარდს გულში იკლავს.

➤1216

1911

### 18 აგვისტოს შემდეგ

გატაცებულია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიით. ასევე, ხშირად კითხულობს სემიონ ნადსონის სამოქალაქო სევდის გამომხატველ ნაწარმოებებს. ნადსონით დაინტერესებას განაპირობებს ისიც, რომ ამ რუსი პოეტის ტექსტებით იმდროინდელი ახალგაზრდობაა გატაცებული, რადგან რუსი ავტორის ლექსები 1905 წლის რევოლუციის შემდეგდროინდელ განწყობილებებს ეხმაურება.

➤1217

1911

### 18 აგვისტოს შემდეგ

ქუთაისში, ჯაჭვის ხიდის მახლობლად, მიაბიჯებს ნიკოლოზ ბარათაშვილის კრებულით ხელში. გზად ხვდებიან მეგობრები: არჩილ ფარადაშვილი და სერგო გერსამია. ფარადაშვილი გალაკტიონს წიგნს გამოსტაცებს, ავტორს დახედავს და სიცილით აღნიშნავს, რომ ჭაბუკი პოეტი ისევ და ისევ ბარათაშვილის ლექსებს კითხულობს. გალაკტიონი იწყებს საუბარს ამ წიგნზე,



მეგობრებს განუმარტავს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის მნიშვნელობას, ამბობს, რომ პატარა ფორმატის კრებულში ზღვა აზრებია ჩატეული. ასევე აღნიშნავს, რომ ბარათაშვილის განწყობილებები მისთვის ახლოა და ძვირფასი. გულდაწყვეტილია, რომ ისეთ გენიოსს, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილია, არ იცნობს მსოფლიო.

➤1218

1911

**18 აგვისტოს შემდეგ**

თავისი ლექსების კრებულზე ხელმოწერების შესაგროვებლად დახმარებას სთხოვს: ისიდორე კვიციანიძეს, სერგო კლდიაშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, სერგო გერსამიას, მიხეილ ბოჭორიშვილს და სხვებს, სულ 24 ადამიანს. კრებულის სახელწოდებად მოფიქრებული აქვს „გრძნობათა ნიაღვარი“ და წერს წინასიტყვაობის მონახაზსაც, რომელშიც აღნიშნავს, რომელ პერიოდულ ორგანოებში არის გამოქვეყნებული ეს ტექსტები, გამოუქვეყნებლბთან დაკავშირებით კი აღნიშნავს, რომ ისინი ლიტერატურის მცოდნე პირთა დახმარებით შეარჩია.

➤1219

1911

**27 აგვისტომდე**

წერს ლექსს „პირველი ენკენისთვე“ („დილის ნიაგმა გაყვითლებულ მთებით დაჰბერა“).

➤1220

1911

**27 აგვისტო**

წერს ლექსს „ზღვაზე“.

➤1221

1911

**27 აგვისტომდე**

ჟურნალში „განათლება“ აქვეყნებს ლექსს „პირველი ენკენისთვე (დღიურისებურიდან)“.

➤1222

1911

**27 აგვისტო**

წერს ლექსს „ზღვაზე“ („ზღვაზე ვსცურავ...“).

➤1223

1911

**27 აგვისტოს შემდეგ**

წერს ლექსს „მომაკვდავი ღამე“ („ღამის წყვილადს ბოროტ გულში...“).

➤1224

1911

**27 აგვისტოს შემდეგ**

წერს ლექსს „იწვის“ („ჯახორის ტყეებს მზის ნათელი...“).

➤1225

1911

**31 აგვისტო**

ადგენს განცხადების ტექსტს, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა, გამოცდილი მასწავლებელი აიყვანს დაბალი კლასის რამდენიმე მოსწავლეს და ამეცადინებს ყველა საგანში. მისი მთავარი პირობაა ცალკე ოთახი.

➤1226

1911

### აგვისტოს შემდეგ

წერს განცხადებას იმერეთის სკოლების ხელმძღვანელობის მიმართ აგვისტოს ხელფასის ანაზღაურების თხოვნით.

➤1227

1911

### ზაფხული

ოლია ოკუჯავა ქუთაისის პარკში თვალს მოკრავს მასწავლებლებთან მდგარ მაღალ, წელში მოხრილ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც მუქი პერანგი აცვია და გახუნებული კეპი ახურავს. იგებს, რომ ეს გალაკტიონ ტაბიძეა, პოეტი, რომელიც სოფლის სკოლაში მასწავლებლობდა და ახლახან დაანება თავი. ოლია ამჩნევს მის სახეზე ტანჯვის კვალს, ფიქრობს, რომ ის სხვებისგან გამორჩეულია და მისდამი გრძნობა უჩნდება.

➤1228

1911

### სექტემბრამდე

უთანხმოება მოსდის სკოლების მეთვალყურე თედო ჟორდანიასთან, იხურება სოფელ ფარცხნალის სკოლა და გალაკტიონ ტაბიძე სამსახურის გარეშე რჩება.

➤1229

1911

### სექტემბრამდე

გაზეთიდან იწერს სხვადასხვა სახის მოკლე ინფორმაციებს. მათ შორის არის ცნობები იმის შესახებ, რომ სემინარიის მოსწავლეებმა ორი დღის წინ ჩააბარეს სოფლის მასწავლებლობის გამოცდები, რომ სოფელ ჭყვიშის ერთკლასიანი სკოლა ორკლასიანად გადაკეთდა და რემონტი უტარდება, რომ სოფელ ფარცხნალის სკოლა დაიხურა, სადაც მასწავლებლად იყო „ახალგაზრდა მწერალი გ. ტაბიძე“.

➤1230

1911

### სექტემბრამდე

რუსულ ენაზე წერს განცხადებას იმერეთის საეპარქიოს სასწავლო საბჭოს სახელზე. განმარტავს, რომ 1910 წლის ნოემბრიდან მუშაობდა ფარცხნალის სკოლაში, მაგრამ შენობის უვარგისობის გამო სკოლა დაიხურა და ითხოვს გადაყვანას შენობით უზრუნველყოფილ რომელიმე სხვა სკოლაში.

➤1231

1911

### სექტემბრამდე

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „მალე, მალე ცისკრის სხივი ააღელვებს ცისა ტატნობს...“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1232

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1911

## **5 სექტემბრის შემდეგ**

წერს პროზაულ ტექსტს „შავი არშია“, რომელშიც საუბარია 1 სექტემბერს ოპერის თეატრში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეზე პეტრე სტოლიპინზე თავდასხმისა და ოთხ დღეში მისი გარდაცვალების შესახებ.

➤1233

1911

## **5 სექტემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სიჩუმეში უდარდელი დაჰქრის ზეფირი...“.

➤1234

1911

## **6 სექტემბერი**

გაზეთ „მნათობში“ პოლიევქტოს კალანდაძე „შხამაძის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „სოფელი ფარცხნალი“, რომელშიც საუბარია იქაური ეკლესიის დეკანოზის – კირილე კელენჯერიძისადმი მტრულად განწყობილი სასულიერო პირების მიერ ამ ეკლესიის ეზოში გახსნილი სკოლის მიმართ დაპირისპირებაზე, რასაც მისი დახურვა მოჰყვა. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ ამ სკოლას ბოლო წლებში ღირსეული მასწავლებელი ჰყავდა – ახალგაზრდა პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, ახლა კი 200 ოჯახი სკოლის გარეშეა დარჩენილი.

➤1235

1911

## **7 სექტემბრამდე**

წერილს უგზავნის თბილისში ძმას – ახესალომ ტაბიძეს და სთხოვს, გაუგოს, რა შესაძლებლობები არსებობს მისთვის სასულიერო სემინარიაში ან სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად.

➤1236

1911

## **7 სექტემბრამდე**

წერს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ პოემას „მწყემსი“.

➤1237

1911

## **7 სექტემბრის შემდეგ**

იღებს ვასილ გორგაძის წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ ძალზე მოეწონა მისი პოემა „მწყემსი“. ფიქრობს, რომ ცოტა ნაჩქარეობა ეტყობა, მაგრამ ბუნების სურათები გენიოსურია. ფიქრობს, რომ ძალიან ნიჭიერია და აუცილებლად ბევრი უნდა იკითხოს.

➤1238

1911

## **7 სექტემბრის შემდეგ**

იღებს 7 სექტემბრით დათარიღებულ წერილს ძმის – ახესალომ ტაბიძისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ სემინარიის მესამე და მეოთხე კლასებში უკვე ბევრი მოსწავლე მიიღეს და უმჯობესია, ეცადოს, ისევ მასწავლებლობა ითხოვოს. აცნობებს, რომ პოემა „მწყემსი“ ჯერ არ მიუტანია „თემის“ რედაქციაში.

➤1239

1911

## **12 სექტემბერი ან შემდეგ**

იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის მიერ სამტრედიიდან გაგზავნილ წერილს. ატყობინებს, რომ კოწია სამსახურიდან მიდის და თუ მუშაობის დაწყება უნდა, მეორე დღესვე ჩავიდეს. ასევე სწერს, რომ საბჭოში ადგილების შესახებ ჯერ არ ყოფილა მსჯელობა.

➤1240

1911

### 13 სექტემბრამდე

განცხადებით მიმართავს გაზეთის „კოლხიდა“ რედაქტორ-გამომცემელ არისტო ჭუმბაძეს. სწერს, რომ მასწავლებლად მსახურობდა, მაგრამ ამჟამად უმუშევარია. აღნიშნავს, რომ შეუძლია თარგმნა, წერა და სწორება და სთხოვს რედაქციაში თანამშრომლად მიღებას. ამბობს, რომ „როგორც ლიტერატორი ცნობილი არ არის“, მაგრამ შრომით შეავსებს ამ ნაკლს.

➤1241

1911

### 13 სექტემბერი

მუშაობას იწყებს გაზეთის „კოლხიდა“ რედაქციაში. მუშაობს დილის 8 საათიდან საღამოს 7 საათამდე და თვეში იღებს 20 მანეთს, რომლიდანაც 5 მანეთს იხდის ბინის ქირად.

➤1242

1911

### 16 სექტემბრის შემდეგ

იგებს ქართველი მეცნიერისა და სასულიერო მოღვაწის – მიხეილ თამარაშვილის ტრაგიკული გარდაცვალების ამბავს და იწყებს ლექსის წერას სათაურით „გმირი“ („შესდექით! ზვირთებს შეყვირა გმირმა...“), მაგრამ მეორე სტროფზე წყვეტს წერას.

➤1243

1911

### 16 სექტემბრის შემდეგ

წერს ლექსს „16 სექტ[ემბერი]“ („გრიგალმა გადაიარა, შეუსვენებმა, მქუხარემ...“).

➤1244

1911

### 20 სექტემბერი ან შემდეგ

ქუთაისშია და იღებს ძმის მიერ 19 სექტემბერს თბილისიდან გაგზავნილ წერილს.

➤1245

1911

### 20 სექტემბერი

ქუთაისიდან წერილს სწერს დედას – მაკრინე ადგიშვილს. სთხოვს კიდევ გაუგზავნოს ფული, რადგან წინა გზავნილი საკმარისი არ იყო და ძალიან სჭირდება, მაგრამ, თუ არა აქვს, სთხოვს, არ იდარდოს.

➤1246

1911

### 20 სექტემბერი

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს. სწერს, რომ მოეწყო გაზეთის „კოლხიდა“ რედაქციაში. აინტერესებს, როგორ არის მისი პოემის საქმე. სთხოვს, ვრცელი წერილი გაუგზავნოს გაზეთის რედაქციის მისამართზე და რითმე დააიმედოს, თორემ ძალიან პესიმისტურ განწყობაზეა.

➤1247

1911

### 20 სექტემბრის შემდეგ

დაგვიანებით იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ 12 სექტემბერს გაზეთის „კოლხიდა“ რედაქციაში მისთვის გადასაცემად გაგზავნილ წერილს. ძმა ატყობინებს, რომ გალაკტიონი სამასწავლებლო ინსტიტუტში ორი წლის განმავლობაში ვერ ჩააბარებს, რადგან, ვისაც ჯარში გაწვევა უწევს, არ ღებულობენ. ამიტომ ფიქრობს, რომ ისევ სემინარია უნდა სცადოს. სთხოვს, ძალიან ხელმომჭირნედ იცხოვროს, ბინა იქირავოს, მათემატიკაში, ლათინურსა და გერმანულში მოემზადოს. სწერს, რომ „თემის“ რედაქციაში მისი პოემიდან „მწყემსი“ ამოიღეს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნა, რადგან ვერ გაიგეს, რატომ უძღვნიდა მას. სწერს, რომ მასწავლებლის ადგილი ისევ ეძებოს.

➤1248

1911

### 23 სექტემბერი

გაზეთ „კოლხიდაში“ მინაწერით: „ვუძღვნი მონაზონ ქალს რ-ს“ ბეჭდავს ლექსს „ჰამლეტის ქნარით“.

➤1249

1911

### 23 სექტემბრის შემდეგ

იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ 23 სექტემბერს 20 სექტემბრის ბარათზე საპასუხოდ გაგზავნილ წერილს. ადრესანტი სწერს, რომ სასოწარკვეთის მიზეზი არა აქვს. ურჩევს კარგად იკვებოს, რადგან სისხლნაკლულია და სემინარიის მესამე კლასისთვის მოემზადოს. ასევე ურჩევს, ხშირად მოიკითხოს მასწავლებლის ადგილი, რომ სემინარიაში ვერ მოხვედრის შემთხვევაში მუშაობა დაიწყოს და ჯარში არ წაიყვანონ. აცნობებს, რომ მისი პოემა „მწყემსი“ რედაქციაში მიიტანა და ორი დღის შემდეგ გაიგებს პასუხს. აინტერესებს, როგორ მიდის მისი ლექსების წიგნის გამოცემის ამბები.

➤1250

1911

### 24 სექტემბერი

გაზეთი „კოლხიდა“ აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ წინა დღეს გაზეთში არასწორად დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ჰამლეტის ქნარით“ დასაწყისი და მკითხველს სთავაზობს სწორ ვარიანტს.

➤1251

1911

### 26 სექტემბერი

მის მიერ ლეგენდის საფუძველზე დაწერილ პოემას „სატანა“ წერილთან ერთად უგზავნის უცნობ ადრესატს, აღნიშნავს, რომ ეს ტექსტი ხუთი წლის წინ დაწერა, სთხოვს, წაიკითხოს და თავისი აზრი შეატყობინოს.

➤1252

1911

### 26 სექტემბრის შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „ელეგია“, რომელსაც უძღვნის „მ. ნ.-ს“.

➤1253

1911

### **30 სექტემბრის შემდეგ**

გაზეთში „კოლხიდა“ კითხულობს გიორგი ფარქოსაძის მიერ გუცას ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ჩანახატს „იჭვი“, რომელშიც სატრფოს მიერ უარყოფილი ყმაწვილკაცის სევდიანი განწყობაა გამოხატული და ამ ჩანახატის შთაგონებით წერს ლექსს „ეჭვი“ („აუსრულდა სიოს ნატვრა...“).

➤1254

1911

### **სექტემბერი ან შემდეგ**

წერილს იღებს დედისგან, მაკრინე ადგიშვილისგან. სწერს, რომ ინსპექტორს, რომელზეც არის დამოკიდებული მისთვის მასწავლებლის ადგილის შოვნა, არ უყვარს ახალგაზრდები, რომლებიც გრძელ თმას ატარებენ და სთხოვს, ქუთაისში რომ ჩავა, თმა დაიმოკლოს, ამ წვრილმანის გამო საქმეს ნუ გაიფუჭებს.

➤1255

## **ოქტომბერი**

1911

### **1 ოქტომბერი**

გაზეთი „მნათობი“ აქვეყნებს ცნობას, რომ ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს, ქუთაისის თეატრში გაიმართება სალიტერატურო საღამო, რომელშიც აკაკი წერეთელთან ერთად საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ ახალგაზრდა პოეტები: ალექსანდრე აბაშელი, ვარლამ რუხაძე, ნოე ჩხიკვაძე, გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები.

➤1256

1911

### **5 ოქტომბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „შუადამისას, როცა მიდამოს...“.

➤1257

1911

### **5 ოქტომბერი**

გაზეთში „კოლხიდა“ ბეჭდავს ლექსს „მუსიკა“ („ფანჯრიდან მთვარის მოსჩანს გულმკერდი...“).

➤1258

1911

### **5 ოქტომბერი**

გაზეთი „მნათობი“ აქვეყნებს ცნობას, რომ მიმდინარე დღეს ქუთაისის თეატრში გაიმართება სალიტერატურო საღამო, რომელშიც აკაკი წერეთელთან ერთად საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ ახალგაზრდა პოეტები: ალექსანდრე აბაშელი, ნოე ჩხიკვაძე, ვარლამ რუხაძე, ბარნაბ გელაზანია, გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები.

➤1259

1911

### **5 ოქტომბერი**

ქუთაისის თეატრში იმართება სალიტერატურო საღამო, რომელზეც აკაკი წერეთელთან ერთად საკუთარ ლექსებს კითხულობენ ახალგაზრდა პოეტები და მათ შორის გალაკტიონ ტაბიძე.

➤1260

1911

### **5 ოქტომბერი**

ქუთაისის თეატრში გამართულ სალიტერატურო საღამოზე აკაკი წერეთელს მოსწონს გალაკტიონის მიერ მელოდიურად წაკითხული ლექსები და ეკითხება, რაჭველი ხომ არ ხარო. საღამოს ორგანიზატორი ჰონორარებს მხოლოდ აკაკი წერეთელს აძლევს და თავის სიძეს (დის ქმარს) ნოე ჩხიკვაძეს. ღონისძიების შემდეგ გალაკტიონი აბაშელთან და ჩხიკვაძესთან ერთად ვახშმოზს რესტორანში.

➤1261

1911

### 7 ოქტომბერი

გაზეთში „კოლხიდა“ ქვეყნდება წერილი „სალიტერატურო საღამო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხუთ ოქტომბერს გამართა სალიტერატურო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა პოეტებმა: ალექსანდრე აბაშელმა, ვარლამ რუხაძემ, ნოე ჩხიკვაძემ, გიორგი ქუჩიშვილმა, გალაკტიონ ტაბიძემ და სხვებმა. სტატიის ავტორი ამ პოეტთაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსებად მიიჩნევს ალექსანდრე აბაშელსა და გიორგი ქუჩიშვილს.

➤1262

1911

### 7 ოქტომბერი

წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს და აცნობებს, რომ გაზეთის „კოლხიდა“ რედაქციიდან, სადაც დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე მუშაობს, ხელფასის სახით 20 მანეთს იღებს და აქედან 5-ს ბინაში აძლევს. ინტერესდება, ბეჭდავს თუ არა გაზეთი „თემი“ ადრესანტის მიერ მიტანილ მის პოემას „მწყემსი“. აცნობებს, რომ მალე „კოლხიდაში“ დაბეჭდავს პოემას „სატანა“. სწერს, რომ წიგნის გამოცემა 200 მანეთი უჯდება და არ იცის, სად იშოვოს.

➤1263

1911

### 8 ოქტომბერი

„სახალხო გაზეთში“ „დამსწრის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „სალიტერატურო საღამო ქუთაისში“ აღნიშნულია, რომ 5 ოქტომბერს გამართულ ღონისძიებაზე აკაკისთან ერთად ლექსები წაკითხეს ახალგაზრდა პოეტებმა: ალექსანდრე აბაშელმა, ვარლამ რუხაძემ, ნოე ჩხიკვაძემ, გიორგი ქუჩიშვილმა, გალაკტიონ ტაბიძემ და სხვებმა. მიმომხილველი დანაწიებით ამბობს, რომ არცერთ მათგანს ლექსის კითხვა არ ეხერხება, ზოგი ჩქარობს, ზოგს კი პარტიული აქცენტები შეაქვს ლექსში და ამით უკარგავს ქართულ ხასიათს.

➤1264

1911

### 12 ოქტომბერი

გაზეთში „მნათობი“ აქვეყნებს საგაზეთო შენიშვნას აგურის ქუჩის მოუწყობლობის შესახებ.

➤1265

1911

### 15 ოქტომბერი

ფსევდონიმით „გალაშკა“ წერს ფელეტონს „ქართულ თეატრში“ („მომაპყარით სმენა...“).

➤1266

1911

### 15 ოქტომბერი

წერილთან ერთად საკუთარი წიგნის გამოცემაზე ხელმოწერის განცხადებას და ქვითრებს უგზავნის სერგო გერსამიას. სთხოვს განცხადების სამკითხველოში გაკვრას და ხელმოწერების შეგროვებას. აცნობებს, რომ წიგნის მოცულობა იქნება 240 გვერდი და დაიბეჭდება ორ თვეში.

იმედს გამოთქვამს, რომ ორმოციოდე ხელმომწერს მაინც უშოვის და სთხოვს, რომ თანხა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ტიცვიან ტაბიძის სახელზე გაუგზავნოს.

➤1267

1911

**16 ოქტომბერი**

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას, მაკრინე ადგიშვილს და ამშვიდებს, რომ გალაკტიონი კარგად არის. სოფელში ის დიდხანს მაინც ვერ გაძლებდა, რედაქცია კი განვითარებაში შეუწყობს ხელს და მერე სხვაგან შეეძლება გადასვლა. მეზობლების შესახებ ირონიით სწერს, რა ქნეს, ხომ დამშვიდდნენ გალაკტიონი რომ წამოვიდაო.

➤1268

1911

**20 ოქტომბრამდე**

წერს ლექსს „დარიალისა ვიწრო კლდეებში“.

➤1269

1911

**20 ოქტომბერი**

გაზეთში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „დარიალისა ვიწრო კლდეებში“.

➤1270

1911

**23 ოქტომბერი**

გაზეთ „კოლხიდაში“ მინაწერით „ძღვნად გუცას“ ბეჭდავს მწერალ გიორგი ფარქოსაძისადმი მიძღვნილ ლექსს „ეჭვი“.

➤1271

1911

**28 ოქტომბრამდე**

წერს ლექსს: „სიჩუმის ანგელოზი“.

➤1272

1911

**28 ოქტომბერი**

გაზეთში „კოლხიდა“ ბეჭდავს ლექსს: „სიჩუმის ანგელოსი“.

➤1273

1911

**31 ოქტომბერი**

გაზეთ „თემში“ იწყება პოემის „მწყემსი“ ბეჭდვა.

➤1274

1911

**31 ოქტომბრის შემდეგ**

წერს ლექსს „სიჩუმე“ („არ იძვრის სიო...“),

➤1275

1911

**31 ოქტომბრის შემდეგ**



რვეულში იწერს აღმანახში „ახალი ტალღა“ და გაზეთებში: „კოლხიდა“, „მნათობი“ და „თემი“ დაბეჭდილი საკუთარი ლექსებისა და პოემის სათაურებს. ესენია: „პირველი ენკენისთვე“, „ჰამლეტის ქნარით“, „მუსიკა“, „დარიალისა ვიწრო კლდეებში“, „ეჭვი“, „სიჩუმის ანგელოსი“ და „მწყემსი“.

➤1276

1911

### 31 ოქტომბრის შემდეგ

იწყებს რაისა ჩიხლაძისადმი მიძღვნილი ლექსის წერას სათაურით „თეთრი ღამე“ („ოჰ, ფრთხილათ, ფრთხილათ, არ შეეხო გულს...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1277

1911

### 31 ოქტომბრის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ახალი წელი“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1278

1911

### 31 ოქტომბრის შემდეგ

რვეულში რუსულად აკეთებს ჩანაწერებს ლექციისათვის „თანამედროვე ქალი“.

➤1279

## ნოემბერი

1911

### 3 ნოემბერი

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის თბილისიდან ჭყვიშში დედას. სწერს, რომ გალაკტიონისგან წერილებს ღებულობს და კარგად არის. გაზეთში წაუკითხავს ინფორმაცია და ინტერესდება მათ სოფელში სკოლის გახსნის პერსპექტივით. თანასოფლელებს უთვლის, რომ გალაკტიონისგან იქ სამსახურის დაწყების ნუ შეეშინდებათ.

➤1280

1911

### 4 ნოემბრამდე

გაზეთის „კოლხიდა“ რედაქციაში ჩატარებული ღონისძიების შესახებ წერს იუმორისტულ ფელეტონს „ლექცია“ („ემპირიული სული ქმნის...“).

➤1281

1911

### 4 ნოემბრამდე

გაზეთის „კოლხიდა“ რედაქციაში იწყებს ლექსის წერას სათაურით „უკვდავი მწუხარება“ („ეს მწუხარება შვებას არ მისცემს...“).

➤1282

1911

### 4 ნოემბრამდე

აკეთებს ჩანაწერს სათაურით „ჩემი კანონები“ და მუხლებად ჩამოწერს, რომ არავისთან უნდა ილაპარაკოს თავის სიღარიბეზე, არასოდეს უნდა დაივიწყოს, რომ მწერალია, არ უნდა იყოს მეტიმეტად გულახდილი, რადგან ეს სიტიტველეს გავს და სირცხვილია, როცა რამეს აკეთებს, მთლიანად ამ საქმეზე უნდა იყოს კონცენტრირებული, არ უნდა დაუახლოვდეს ცუდ ნაცნობებს და უნდა იყოს მათდამი გულგრილი.

➤1283

1911

**4 ნოემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „გონება ირგვლივ ნისლივით უვლის...“.

➤1284

1911

**4 ნოემბრამდე**

რუსულ ენაზე წერს ლექსს „შორით ელავს ქუთაისი...“.

➤1285

1911

**4 ნოემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ნუ მეუბნები, რომ ტრფობა ჰქრება...“

➤1286

1911

**4 ნოემბრამდე**

უთანხმოება მოსდის გაზეთის „კოლხიდა“ რედაქციასთან, ტოვებს იქ სამსახურს და გადადის „მნათობის“ რედაქციაში, სადაც ანაზღაურებაც მეტია და სოციალ-დემოკრატებს გარემოც მისთვის უფრო მისაღები აქვთ.

➤1287

1911

**4 ნოემბრის შემდეგ**

სატირულ ჩანაწერებს აკეთებს გაზეთ „კოლხიდის“ რედაქტორ არისტო ჭუმბაძეზე.

➤1288

1911

**4 ნოემბრის შემდეგ**

ლექსად წერს პატარა ფელეტონს სათაურით „რედაქტორი“ („ზოგიერთი რედაქტორი აღვირ-  
აყრილ ვირსა ჰგავს...“).

➤1289

1911

**4 ნოემბრის შემდეგ**

იწყებს კრიტიკული წერილის წერას სილოვან ხუნდაძის შესახებ.

➤1290

1911

**4 ნოემბრის შემდეგ**

„გალაშკას“ ფსევდონიმით წერს პიესას „ცოცხალი ლეში“. მოქმედი პირები არიან: სილოვან ხუნდაძე, „შოლტი“, „კვირიკე“, გრიგოლ ყიფშიძე, „ულმოზელი“, იმნაიშვილი, გრიგოლ გველესიანი, ნინო ნაკაშიძე და იაკობ გოგებაშვილი.

➤1291

1911

**6 ნოემბერი**

ქუთაისის განაპირას დაქირავებული სახლიდან თეატრისკენ მიდის და შენიშნავს წითელკაბიან უცნობ ახალგაზრდა ქალს (ოლია ოკუჯავას) მეგობართან ერთად. როდესაც გალაკტიონს

გვერდს ჩაუვლიან, ქალი თვალებში შეხედავს და რუსულად ჩაილაპარაკებს: „ხოოო, მგოსანი“.

გალაკტიონი დიდ სიამაყეს გრძნობს მისდამი ასეთი დამოკიდებულებით.

➤1292

1911

### 8 ნოემბერი

გაზეთში „მნათობი“ აქვეყნებს შენიშვნებს მიხეილ ბოჭორიშვილის პიესა „მიდიას“ და სოფელ ჭყვიშში ერთკლასიანი სკოლის ორკლასიანად გადაკეთების შესახებ.

➤1293

1911

### 13 ნოემბერი

მაკრინე ადგილობრივი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილს, აბესალომს. სწერს, რომ გალაკტიონს 30 მანეთი ჰქონია ხელფასი, კარგად არის, მაგრამ ახალი ტანსაცმელი არ შეუძენია. წუხს იმაზე, რომ დიდი ხელფასიც რომ ჰქონდეს, თუ სკოლაში არ დაიწყო მუშაობა, ეს სამსახური ვერ დაიფარავს ჯარისგან. ატყობინებს, რომ მათი სოფლის სკოლაში მასწავლებლის ადგილი იუსტინე მამფორიასაც უნდა თავისი ქალიშვილისთვის და ამიტომ გალაკტიონმა დროულად უნდა დაწეროს განცხადება.

➤1294

1911

### 15 ნოემბერი

გაზეთში „მნათობი“ აქვეყნებს შენიშვნას არქიელის გორის შესახებ.

➤1295

1911

### 18 ნოემბერი

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს, ატყობინებს თავის გადასვლას „მნათობის“ რედაქციაში და უხსნის, რომ „კოლხიდაში“ სილოვან ხუნდაძესთან ერთად ყველა ეუფროსებოდა და ამიტომ ვერ გაძლო.

➤1296

1911

### 21 ნოემბერი

გაზეთ „თემში“ გრძელდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის „მწყემსი“ ბეჭდვა.

➤1297

1911

### 23 ნოემბერი

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას. სთხოვს თანხის გაგზავნას და ატყობინებს, რომ გალაკტიონისგან წერილი მიიღო და კარგად არის.

➤1298

1911

### 30 ნოემბრამდე

აბესალომ ტაბიძე თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ თავის ძმას ურჩია, მასწავლებლის ადგილი ეშოვნა. აცნობებს იმასაც, რომ გალაკტიონის ამჟამინდელი მისამართია: ქუთაისი, ივანე კილაძის ტიპოგრაფია.

➤1299

1911

### 28 ნოემბერი

გაზეთ „თემში“ სრულდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის „მწყემსი“ გამოქვეყნება.

➤1300

## დეკემბერი

1911

### 8 დეკემბერი

წერს ფელეტონს „ქალაქის სამკითხველოში“.

➤1301

1911

### 11 დეკემბრამდე

წერს ლექსს „შემოდგომა“ („დავიღალე... საოცნებო განსვენება სულს სწყურია...“).

➤1302

1911

### 11 დეკემბერი

ჟურნალში „განათლება“ ბეჭდავს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „შემოდგომა“ („დავიღალე... საოცნებო განსვენება სულს სწყურია...“).

➤1303

1911

### დეკემბერი

წერს ეპიგრამებს სათაურით „საახალწლო მილოცვები ქუთათურებს“. ადრესატები არიან: სილოვან ხუნდაძე, ვასილ წერეთელი, გრიგოლ გველესიანი, ვარლამ რუხაძე, დავით მესხი (ფსევდ. „სამშაბათელა“ და „კვირიკე“), არისტო ჭუმბაძე (ფსევდ. „სინდიოფალა“), დავით ნიჟარაძე, გრიგოლ გიორგაძე, დავით კლდიაშვილი, ისიდორე კვიციანიძე, ლადო ბზვანელი, შალვა შარაშიძე (ფსევდ. „თაგუნა“), ნესტორ კალანდაძე (ფსევდ. „ემმაკი“), დავით აკოფაშვილი, ტრიფონ ჯაფარიძე, ნინო ჩხეიძე, ლეო ნათაძე, იასონ ნიკოლაიშვილი, პარმენ ცახელი და სტეფანე ძიმისტარაშვილი (ფსევდ. „კორტოხა“).

➤1304

1911

### დეკემბრის ბოლო

წერს ერთსტროფიან ლექსებს სათაურით „საშინაო ეპიგრამები“ („ჩერჩეტია და მაინც რომ...“).

➤1305

1911

### დეკემბრის ბოლო

საშობაო არდადეგებზე ქუთაისში ჩასული ოლია შორიდან ხედავს ხოლმე გალაკტიონს და მისდამი ინტერესი უღვივდება, მაგრამ როდესაც გაცნობას სთავაზობენ, უარს ამბობს. ერთხელ შენიშნავს, რომ გალაკტიონი ცოტა ნასვამია და ვილაცას ეუბნება, რომ იმ დღეს მატარებლით მიემგზავრება. შეყვარებული ოლია შეუმჩნევლად მიჰყვება სადგურზე და შორიდან ადევნებს თვალს სანამ მატარებელი დაიძვრება.

➤1306

1911

### დეკემბერი

წერს ნაწყვეტს პოემიდან, რომელიც იწყება სიტყვებით: „მსურს დავიწყების მივეცე ზვირთებს...“.

➤1307

1911

### 31 დეკემბრის შემდეგ

იღებს მიხეილ ბოჭორიშვილის 1911 წლის 31 დეკემბრის წერილს. ადრესანტი უყვება სხვადასხვა წიგნების წაკითხვით მიღებულ შთაბეჭდილებებს და უმხელს, რომ არ მოეწონა მისი პიესა „ბრანდი“. სთხოვს, სიტყვა შეაწიოს ჟურნალ „ცხოვრება და ხელოვნების“ რედაქტორ ნიკო ლორთქიფანიძესთან, რომელთანაც გაგზავნილი აქვს თავისი ნაწერები. აცნობებს, რომ წიგნი ჰიპნოზის შესახებ, რომლის გამოწერაც უნდოდა, ფულის მახე ყოფილა.

➤1308

1911

წერს ლექსს „საფლავთან“.

➤1309

1911

წერს ლექსს „ველნი ჰყვავიან“ და ეპიგრაფად წაუმძღვარებს ჰაინესეულ ფრაზას: „ველნი ჰყვავიან, სულო, დაწყნარდი!“.

➤1310

1911

წერს ლექსს „სადამო ტბის პირად“.

➤1311

1911

წერილზე, რომელშიც თავის სიყვარულზე ესაუბრება რაისა ჩიხლაძეს, იღებს მისთვის არასასურველ პასუხს. რაისას თავისი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ მოჰყავს ოტო ვეინინგერის ციტატა, რაც გალაკტიონს აღიზიანებს. საპასუხო წერილში პოეტი იხსენებს, როგორ დაინახა ერთხელ ქუთაისში შორიდან მისთვის სანატრელი რაისა და როგორ უწოდა მას გალაკტიონის მეგობარმა ანგელოზი. გალაკტიონი წერს, რომ მის სიყვარულს გულიდან ვერ ამოშლის და მასთან მხოლოდ სიყვარულზე შეუძლია საუბარი.

➤1312

1911

წერს ღია წერილის ტექსტს, რომლის ადრესატები არიან შალვა შარაშიძე („თაგუნა“) და ნესტორ კალანდაძე („ემმაკი“). მასში საუბარია იმაზე, რომ „მნათობში“ კორექტურული შეცდომები ბევრად ნაკლებია, ვიდრე გაზეთებში „კოლხიდა“, თემი“ და „სახალხო გაზეთი“.

➤1313

1911

„უხიაკის“ ფსევდონიმით წერს ფელეტონს ლექსად სათაურით „გოდება“ („სულის სალარო, ძვირფასო თედო...“) და აგზავნის გაზეთში გამოსაქვეყნებლად.

➤1314

### 1911 ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „ახირებული სულიერი განწყობილება...“.

➤1315

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსის „მაისი საზღვარგარეთ“ ორ ვარიანტს.

➤1316

**1911 ან შემდეგ**

წერს 8 პუნქტიან გეგმას სათაურით „უცხო ცის ქვეშ“.

➤1317

**1911 ან შემდეგ**

თარგმნის ედვარდ უაითის მოთხრობის „მწევარი“ დასაწყისს.

➤1318

**1911 ან შემდეგ**

წერს მოგონებას ნიკო სულხანიშვილზე.

➤1319

**1911 ან შემდეგ**

წერს მოგონებას განდეგილზე (დომინიკა ერისთავზე).

➤1320

**1911 ან შემდეგ**

წერს მოგონებას ლადო დარჩიაშვილზე.

➤1321

**1911 ან შემდეგ**

წერს მოგონებას „ხე მეფისჭალაში“.

➤1322

**1911 ან შემდეგ**

იწყებს უსათაურო ლექსის „უნდა, თავგამეტებით გადალახო სიყალბე...“ წერას.

➤1323

**1911 ან შემდეგ**

წერს მასალებს ავტობიოგრაფიისთვის.

➤1324

**1911 ან შემდეგ**

წერს 9 გამოსვლას უსათაურო პიესისთვის „ლოზენი სთხოვს იმპერატორს...“.

➤1325

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „შენ ცხრაასიდან იყავი ლომი...“.

➤1326

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გული, ოჰ, გული...“.

➤1327

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რომელთაც ჩემზე სურთ უფროსობა...“.

➤1328

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გროში...“.

➤1329

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მე მეზიზღება მყუდრო ნაპირი...“.

➤1330

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სანამ წვიმა გადივლიდეს...“.

➤1331

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვერ გაიგონებს ძახილს ვერავინ...“.

➤1332

### 1911 ან შემდეგ

კითხულობს ედგარ ალან პოს „მალშტრემს“ და თარგმნის დასაწყისს.

➤1333

### 1911 ან შემდეგ

ედგარ ალან პოს „მალშტრემის“ წაკითხვის შემდეგ იწყებს უსათაურო ლექსის „რა კი მივალწიეთ მწერვალს ნაპრაღისას...“ წერას.

➤1334

### 1911 ან შემდეგ

ედგარ ალან პოს „მალშტრემის“ წაკითხვის შემდეგ წერს უსათაურო ლექსს „ვერ მივალწიე სასურველ მიზანს...“.

➤1335

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ხშირად დავდივარ სარკმელთა ახლო...“.

➤1336

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „იელვებს, კიდევ იელვებს“ („გაიელვებს ერთი წუთით...“).

➤1337

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ტბა შრიალებდა, როგორც შოპენის...“.

➤1338

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „დრო აღარ არის ბოდვის...“ და აწერს „თვითმკვლელობა არის ლაჩრობა“.

➤1339

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსის „მახსოვს ხორაგაულის...“ ორ ვარიანტს.

➤1340

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გული მთხოვე, მეგონა...“.

➤1341

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ესაა“ („აღტაცება სულს რომ ფარავს – ესაა...“).

➤1342

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მოსჩანს შორი ქედი...“.

➤1343

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სადამოთი ნაცნობ შარით...“.

➤1344

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსის „სემინარიიდან“ („გასული მინდვრებში სემინარიიდან...“) ორ ვარიანტს.

➤1345

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ორთქლმავალი – ლაღზე ლაღი...“.

➤1346

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ოთახი. ღამე. შრიალის შიში...“.

➤1347

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ვნებავ, რისთვის მომალდი...“.

➤1348

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მშვენიერია ზღვა მთვარეული...“.

➤1349

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მოგონების ნაზი მტვერი...“.

➤1350

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მას სიარული სხვებთან ერთად არ ეხერხება...“.

➤1351

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჰაერიდან თუ რკინიდან...“.

➤1352

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „პირველი მერიდიანი“ („გულიდან გულმა გაგიყოლიოს...“).



➤1353

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „რომ გაუყვე გზას...“.

➤1354

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ო, ჩემო ლექსო! როს წვეულება...“.

➤1355

### 1911 ან შემდეგ

წერს N-სადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „ჩემო იმედო, დაუვიწყარო...“.

➤1356

### 1911 ან შემდეგ

რუსულ ენაზე თარგმნის საკუთარ ლექსს „ხანდახან მშფოთვარ ქალაქის ხმაში“.

➤1357

### 1911 ან შემდეგ

რვეულში იწერს დასავლეთ საქართველოში წიგნის გამავრცელებელი აგენტების სიას იმ წიგნისთვის, რომლის გამოცემასაც აპირებს.

➤1358

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსებს „გუგუნს იწყებს ტყე და ფოთოლთ აირევა ჯარი...“ და „შრიალი“, შემდეგ ამ ტექსტების გაერთიანების საფუძველზე ქმნის ლექსს „ფოთლების შრიალი (ღმერთებთან)“

➤1359

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „იყავი ჩემთვის, იყავი ჩემთან...“.

➤1360

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ტრიოლეტები“ („მე მომაქვს, მე მომაქვს ყვითელი სანთლები...“).

➤1361

### 1911 ან შემდეგ

ფიოდორ ტიუტჩევის „თხზულებათა სრული კრებულიდან“ იწერს წიგნის წინასიტყვაობის ავტორის ვალერი ბრიუსოვის ციტატებს ტიუტჩევის შემოქმედების შესახებ.

➤1362

### 1911 ან შემდეგ

ფიოდორ ტიუტჩევის „თხზულებათა სრული კრებულიდან“ იწერს შიდა რითმების, ალიტერაციის, ასონანსის, ანაფორის, ონომატოპოეტური მეტყველების შემცველ ცალკეულ სტროფებსა და სტრიქონებს და ზოგან გვერდით უწერს მაგალითებს ქართული პოეზიიდან, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და ალექსანდრე აბაშელის ლექსებიდან.

➤1363

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ყვითელი ფოთოლი“ („ბავშობაში ყვითელ ფოთოლს მეძახოდენ...“).

➤1364

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „პოეტი“ („ყოველი სიტყვა მწარე ცრემლებით...“).

➤1365

**1911 ან შემდეგ**

რვეულში იწერს დიმიტრი მერეჟკოვსკის ლექსის „დამის შვილები“ სტროფებს და იქვე მიუწერს ქართულ პოეტურ ფრაზას: „მე თვით ჩემში ვარ დატყვევებული, / მარტოობაა ჩემი საკანი“.

➤1366

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სონეტი“ („ოჰ, ჩემს მკვდარ სხეულს...“).

➤1367

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მეგობარს“ („კაემანი ნანას მიმღერს...“).

➤1368

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მთვარის სონატა“ („მე ვჭკნები, ვჭკნები სიმწუხარეში...“) და შემდეგ ამ ტექსტის გადამუშავებით ქმნის ახალ ტექსტს „ახალი წელი“ („ჩვენ ვჭკნებით, ვჭკნებით სიმწუხარეში...“).

➤1369

**1911 ან შემდეგ**

ფსევდონიმით „გალაშკა“ წერს უსათაურო ლექსს „ჰეი, თქვენ ბრძენო...“.

➤1370

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ბედნიერებო, წამოდით ჩემთან...“.

➤1371

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ნიავივით, ნიავივით...“ და იმავე მელნიტ ფურცელზე აკეთებს ჩანახატებს.

➤1372

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სონეტი“ („მითხარი, რისთვის გაუნავარდა...“).

➤1373

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მთებში“ („როცა ღრუბელთ სარეცელზე განისვენებს მკრთალი მთვარე...“).

➤1374

**1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ორი ქვეყანა“ („მიეცით თქვენს სულს უნაპირო თავისუფლება...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1375

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „საფლავთ ღაღადი“ („გვირგვინოსანი სამარეში იქ განისვენებს...“).

➤1376

### 1911 ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ნოტების ფრაგმენტს და აწერს „მუსიკა გალაკტიონ ტაბიძის“.

➤1377

### 1911 ან შემდეგ

მინაწერით „დ. მეგრელის სურათზე“ წერს ლექსს „სევდიანი დღე“ („სარკმლიდან ვხედავ მოქარგულ მინდორს...“).

➤1378

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ბინდი ღამისა“ („ბინდი ღამისა დასცურავს...“).

➤1379

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „პოეტი“ („ლტოლვა უსაზღვრო...“).

➤1380

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ჩამოჰკარ სიმებს...“.

➤1381

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ფერფლი“ („ცელქო ქალო, ცელქო გოგო...“).

➤1382

### 1911 ან შემდეგ

იწყებს პროზაული ტექსტის წერას სათაურით „შემოდგომის ღამე“, მაგრამ მალე წყვეტს.

➤1383

### 1911 ან შემდეგ

რვეულში იწერს ლეგენდას იმის შესახებ, როგორ მოკლა დედამიწამ ღმერთი და როგორ უნდოდა ცაზე დაქორწინება.

➤1384

### 1911 ან შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „ვერცხლისფერ ქსელს მზის სხივები...“.

➤1385

### 1911 ან შემდეგ

რვეულში იწერს ხატოვან გამოთქმებს და სიტყვათა განმარტებებს რუსულ ენაზე.

➤1386

### 1911 ან შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „ყვითელ ფოთლებით ზღის ბილიკი...“.

➤1387

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „განდევილი“ („იქ, სადაც გადაგრეხილი...“), მაგრამ მალევე წყვეტს და გადახაზავს.

➤1388

### 1909-1910

წერს ლექსს „N-ს“ („მინახავს ცეცხლი კვალდაფარული...“).

➤1389

### 1911 ან შემდეგ

წერს პიესის „ელიზბარ ბატონიშვილი“ პირველ მოქმედებას. მოქმედი პირები არიან ორი ახალგაზრდა და ციხე-დარბაზის პატრონის, ლევანის ცოლი.

➤1390

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გლოვობს მთელი ჩვენი მხარე იმას, რომ დაშორდა ცისარტყელა წვიმას...“.

➤1391

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გრიგალს ვერ ეტყვი: „ვიშ! ზარაქელა...“.

➤1392

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს ლექსს „მელოდია“ („მარტო ვარ, მარტო... საღამოს ზარი...“).

➤1393

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ავდრიანი დღე“ („გაუმჭირვალი ნისლი ხვევია შენს მსუბუქ ფიქრებს...“).

➤1394

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შემოდგომა“ („შემოდგომაა... ცის დახშულ გულზე...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1395

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „შემოდგომა“ („სერს სევდიანსა, სერს მოღრუბლულსა...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1396

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სიზმარი“ („მისთვის მოვფრინდი, რომ დამტანჯველი შეგიმსუბუქო სევდა-ნაღველი...“).

➤1397

### 1911 ან შემდეგ

ალექსანდრე შანშიაშვილს უძღვნის ლექსს „ქარიშხალი“ („რისთვის აანთე კერაში ცეცხლი...“), რომელსაც ეპიგრაფად წარუმძღვარებს ალფონს ლამარტინის სიტყვებს გრძნობის გაცივების შესახებ.

➤1398

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „თოვლი“ („ვერა ხედავ, თეთრი თოვლი მთის ხრიოკებს ათანაბრებს...“).

➤1399

**1911 ან შემდეგ**

იწერს ციტატებს ვახტანგ ორბელიანის ლექსებიდან.

➤1400

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სიცოცხლე“ („ერთხელ ქუჩაში მიმოდოდა სიცოცხლე ბნელი, სიცოცხლე შავი...“).

➤1401

**1911 ან შემდეგ**

წერს ახალ ვარიანტს ლექსისა „სევდიანი დღე“ სათაურით „გაზაფხულის დღე“ („ავტომობილი სცილდება მინდორს, ყვავილებით და სხივებით შემკულს...“).

➤1402

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „წყევა“ („ბზის რტოებისას შენს კარავს...“).

➤1403

**1911 ან შემდეგ**

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „ელოდე ჩემგან, შენ, გენიის ამეტყველებას]...“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1404

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მთვარეს შუქი შუქი სიყვარულის მოხდენილად ტანთ აცვია...“.

➤1405

**1911 ან შემდეგ**

წერს ექვს ტაეპს უსათაურო ლექსისა „მაისივით თვალჟუჟუნა, იასავით სევდის თვალი...“, რომელშიც აკროსტიქით იკითხება „მიყვარს...“.

➤1406

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გიორგი, ჰაი, ჰაი! გიორგი!...“.

➤1407

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ყველას უფლება აქვს დაიძახოს...“.

➤1408

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ანალოგია“ („მიყვარს ზაფხულის მიწურული თვეები წყნარი...“).

➤1409

**1911 ან შემდეგ**

მუშაობს პოემაზე „შავი სატანა“ („მტრედისფერ ცაზე რონინებდა ფერმკრთალი მთვარე...“).

➤1410

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ტალღების სიმღერა“ („ფიქრები ირევა გრიალით, ტრიალით, დულილით...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1411

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შერიგება“ („ღამეს ნისლში ჩამოწოლილს შეურიგდა ზღვის კამარა...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1412

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მე კვლავ ვნახულობ შენსა სამარეს ობლადა შთენილს...“.

➤1413

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „უკანასკნელო სიყვარულო, შენ გაზაფხულის...“.

➤1414

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ყვითელ ფოთლებით და რტოებით დაფარულ ბაღში...“.

➤1415

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ტბის ბროლები ელექტრონის სიცილს იჭერს...“.

➤1416

### 1911 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „ვარდი“.

➤1417

### 1911 ან შემდეგ

წერს ორტაეპედს: „რისთვის აღმოხდი ჩემო ვარსკვლავო ასე უეცრად და ასე ადრე“ და სვამს დახვეული ეტრატის მსგავს ფორმაში.

➤1418

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ლოცვა“ („როცა მარტო ვარ და ბნელი ღამე...“).

➤1419

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „7 მაისი“ („ნუ მომატყვილებ დღევ დღევანდელი...“).

➤1420

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ბედნიერია ვისიც გული ყმაწვილურად ფეთქს...“.

➤1421

### 1911 ან შემდეგ

წერს პროზაულ ნაწევებს საუნივერსიტეტო განათლებაზე ახალგაზრდების საუბრის შესახებ.

➤1422

### 1911 ან შემდეგ

არედაქტირებს ლექსს „ბინდი ღამისა“ („როცა მიდამოს წყნარად, გულგრილად...“).

➤1423

### 1911 ან შემდეგ

წერს სათაურს „ტყის შრიალი“, მაგრამ ლექსის წერას აღარ აგრძელებს.

➤1424

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „ჩვენი ახალგაზრდა მგოსნები“ წერს ეპიგრამას ვარლამ რუხაძეზე.

➤1425

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „წვეთი წვეთებზე გადადის, წვეთი წვეთებზე ირხევა...“.

➤1426

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „კვნესა“ („ტყის ფოთლებიან ნაზ კარავს...“) და აძლევს მარცხნივ დახრილი სვეტის გრაფიკულ ფორმას.

➤1427

### 1911 ან შემდეგ

ხატავს ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილს, ინტელიგენტს და სახელმწიფო მოხელეს.

➤1428

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „შვალამე იყო... სასაფლაოს არეს ვეწვიე...“.

➤1429

### 1911 ან შემდეგ

ჰაინრიხ ჰაინეს პოეზიის შთაგონებით წერს ლექსს „ქართველი მგოსნების სიმღერა“ („მე რომ მხატვარი ვყოფილიყავი...“).

➤1430

### 1911 ან შემდეგ

თარგმნის ალექსანდრ პუშკინის პოემის „სალთან მეფის ზღაპარი“ რამდენიმე გვერდს.

➤1431

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სადღეგრძელო“ („მაშ იყვეს ღვინო, უნდა ვილხინო...“).

➤1432

### 1911 ან შემდეგ

ეპიგრამებს უძღვნის: გრიგოლ რობაქიძეს, პავლე დადვამეს („ახალს“), კიტა აბაშიძეს, პოლიო კალანდაძეს (ირეთელს), ანა ხახუტაშვილს (ცქვიტს) და ილია აღლაძეს.

➤1433

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სულთა თანა განუსვენე უფალო“ („ოჰ, ნუ წაყვები სევდიან ზეფირს...“).

➤1434

**1911 ან შემდეგ**

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „იხეტიალა მარტოდმარტო ერთმა ფოთოლმა...“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1435

**1911 ან შემდეგ**

თარგმნის ალფრედ დე ვინის ლექსს „მეჯლისი“ („ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა...“).

➤1436

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „გამარჯვება“ („ნუ მეუბნები: იყავ მშვიდობით...“).

➤1437

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ახლო ნუ მოხვალ, ლამაზო ქალო...“.

➤1438

**1911 ან შემდეგ**

წერს საახალწლო ეპიგრამებს „გამოცანები ჩვენს პოეტებს“.

➤1439

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ვაი მას, ვისაც წილად ერგო...“.

➤1440

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ქებათა ქება“ („ოცნებათ გუნდი სიმღერათ შევკარ...“).

➤1441

**1911 ან შემდეგ**

იწყებს პიესის წერას ლექსად სათაურით „შუადამისას“ („მსურდა სიცოცხლის დღეთა ბედკრულთა...“. მოქმედი პირები არიან აჩრდილი და მგოსანი.

➤1442

**1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სტრიქონები“ („მე ვსწერ სტრიქონებს მკვდართა საფლავზე...“).

➤1443

**1911 ან შემდეგ**

რუსულ ენაზე იწყებს ლექსის წერას სათაურით „მადონა“, მაგრამ მალევე გადახაზავს.

➤1444

**1911 ან შემდეგ**

რუსულ ენაზე იწყებს ლექსის წერას სათაურით „იუდეველთა მოთქმა“, მაგრამ მალევე გადახაზავს.



➤1445

### 1911 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „არფა“.

➤1446

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ზვირთებში“ („გესმისთ, მუსიკამ დაიგრილა...“).

➤1447

### 1911 ან შემდეგ

წერს ეპიგრამებს დავით მესხზე (თომა პუსაზე), ალექსანდრე შანშიაშვილზე, იოსებ გრიშაშვილზე, ნესტორ კალანდაძეზე (ემმაკზე), იოსებ იმედაშვილზე და სილოვან ხუნდაძეზე.

➤1448

### 1911 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „სონეტი“.

➤1449

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ფრანსუა კოპეს კომედიის „გამვლელი“ თარგმნას.

➤1450

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ხსოვნა“ („ჰოი, ბანოვანო, ზეცა სუფევს შენს მტკიცე გულში...“), მაგრამ მეორე სტროფზე წყვეტს.

➤1451

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვარსკვლავნი ბანოვანნი გულით ხარობენ...“.

➤1452

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სერენადა“ („ეჰ, ღამევ... ჩქარა გადააფარე...“).

➤1453

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ციმბირის მელოდიები“ („საქართველოვ, საქართველოვ... არ ვიცი, რად მაგონდები...“).

➤1454

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „ყვითელი ფოთოლი“ წერს გიმნაზიის მოსწავლე პატარა ბიჭის დაკარგვის ამბავს და მისი მამის საუბარს გიმნაზიის მმართველთან. საუბრიდან ჩანს გიმნაზიაში გაბატონებული სისასტიკე.

➤1455

### 1911 ან შემდეგ

არედაქტირებს ლექსს „ქეიფი“ („დავლიოთ, ძმებო, დავლიოთ, აავსეთ ღვინით ეგ თასი...“).

➤1456

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „გაუგზავნელი წერილი“ („ნუ გეგონება, რომ სიყვარულზე კვლავ ჩამოვადებ საუბარს... არა...“) და ეპიგრაფად წარუძმდვარებს კოწია ერისთავის ერთ სტროფს „ყვავილი კიდეც იყვავილებდა...“.

➤1457

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ერთადერთ ალერსს“ („მზეო, ნუ ატკობ მის დაშხამულ გულს...“).

➤1458

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ველზე“ („არ ვიცი მე კვლავ რისთვის მეწვია...“).

➤1459

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ყვავილს ნაღველი დადაგულ გულის...“.

➤1460

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „გამოცანა“ („ცელქო ნიავო, მთით მოწყვეტილო...“).

➤1461

### 1911 ან შემდეგ

ნინუცა დადემქელიანს უწერს ლექსს „ალბომში“ „ცელქო ქალო, შენს ალბომში რა ჩავსწერო რომ არ ვიცი?“

➤1462

### 1911 ან შემდეგ

ქართულ და რუსულ ენებზე წერს განცხადების ტექსტს. მასში ნათქვამია, რომ 18 სექტემბერს გალაკტიონ ტაბიძე მართავს ლიტერატურულ საღამოს, რომელზეც ვლადიმერ ბაქრაძე წაიკითხავს ლექციას. თავად ორგანიზატორის გარდა მონაწილეობას მიიღებენ: პარმენ ცახელი, დავით კლდიაშვილი, სტეფანე ძიმისტარაშვილი (კორტოხა), იასონ ნიკოლაიშვილი, ვარლამ რუხაძე, შალვა შარაშიძე (თაგუნა), ვასილ ბალანჩივაძე, კონსტანტინე გამსახურდია (აბაშისპირელი), გიორგი ფარქოსაძე (გუცა), ილია ბახტაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ნოე ჩხიკვაძე, დავით მეზუკე (ცვარ-ნამი) და ჯაჯუ ჯორჯიკია.

➤1463

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „მგოსნის ქვითინით“ („რად მდევნით, რისთვის არ მამღევთ პასუხს...“).

➤1464

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სიმღერა“ („დილ-დილ ვოდილა, ვოდილა, ამომავლო მზის სხივო...“) და წარუძმდვარებს ფრანგი ფილოსოფოსის – მიქელ მონტენის სიტყვებს ხალხის მასაში ადამიანის მართლობის შესახებ: „In solis sis tibi turba locis“, მაგრამ მალე წყვეტს წერას,

➤1465

### 1911 ან შემდეგ

წერს მინიატიურას „სული მწერლისა“, რომელშიც საუბრობს იმაზე, რომ შემოქმედებაში ეძებს მწერლის სულს, ურომლისოდაც მშვენიერ ნაწერსაც კი ფასი ეკარგება.

➤1466

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „კარაბადინში“ („ადრე დასჭკნება შენი ყვავილი...“).

➤1467

### 1911 ან შემდეგ

ხატავს ხელში ყვავილებით მდგარი კაცის კარიკატურას და აწერს: „ახალგაზრდა მგოსანი: „დააკვირდით ამ ყვავილს, ის ჩემს სატრფოს ჰგავს, რადგან ჩემი სატრფო ყვავილია“.

➤1468

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ტბაზე“ („ლურჯი კამარა მთის ლურჯ მწვერვალს იწვევს, იერთებს...“).

➤1469

### 1911 ან შემდეგ

წერს მოთხრობას სათაურით „სამშობლო“, რომლის მოქმედი პირები არიან პატარა შიუკა და მისი მშობლები.

➤1470

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვფიცავ ნაზ ღიმილს ალექსანდრისას...“.

➤1471

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „შუალამისას“ („ბანოვანო, გულაღზნებით ეგრე მთვარეს ნუ შესცქერი...“).

➤1472

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სოფლად“ („მზე ჩამავალი მთის მწვერვალს ნაღმივით წითლავს...“).

➤1473

### 1911 ან შემდეგ

თოთხმეტ მუხლად ჩამოწერს თავისი ლექსების სათაურებს.

➤1474

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ელეგია“ („გადმომცქეროდა ზეციდან მთვარე...“).

➤1475

### 1911 ან შემდეგ

ფსევდონიმით „ცრემლი“ წერს მინიატიურას სათაურით „საღამოს“. რომლის მოქმედი პირები არიან ახალგაზრდა პოეტი და უდროოდ გარდაცვლილი გოგონა მარო.

➤1476

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ელენე გოდაბრელიძე-წერეთლისადმი მიძღვნილი ლექსის წერას სათაურით „რომანსი“ („ჩემს წკრიალა ქნარს შენ ყურს უგდებდი...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1477

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ვარსკვლავთ კაშკაში მხურვალე ცაში...“, მაგრამ შემდეგ მთლიანად გადახაზავს.

➤1478

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „როცა ვკვდებით“ („რისთვის ამბობ – როცა ვკვდებით...“).

➤1479

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ლეგენდა“ („იქ მთის მწვერვალზე სდგას პროზერპინა...“).

➤1480

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სისხლისაგან მთლად დაცლილი უნუგემო ველად გპოვე...“.

➤1481

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „აღარ ხარ ცოცხლად... შავი მიწა დაგიფლობს მარად...“.

➤1482

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „გზაზე“ („მე მივდიოდი, მე მოვდიოდი...“).

➤1483

**1911 ან შემდეგ**

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „სტირის ნიავი...“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1484

**1911 ან შემდეგ**

წერს ფრაზას ძველი ზღაპრებიდან: „ახ, სულო, გულო, ავგუსტინ, დრონი იცვალნენ, იცვალნენ“.

➤1485

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „საფლავი“ („იპოვე ჩემი საფლავი, სევდის ხმა, კაემნის მგვრელი...“).

➤1486

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „წამწამთ ქოხში დამკვიდრებულს, სევდის თვალებს, ცისფერ თვალებს...“.

➤1487

**1911 ან შემდეგ**

წერს რაისა ჩიხლაძისადმი მიძღვნილ ლექსს სათაურით „N-ს“ („არის ის ცეცხლი მოხეტიალე...“).

➤1488

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „როცა ცხოვრების წრფელ ტალღებში...“.

➤1489

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „დ. თომაშვილის სიმღერა“ („მე ვარ და ჩემი კალამი...“).

➤1490

### 1911 ან შემდეგ

წერს სატირას „ჩვენი მწერლები და პოეტები“ („ჩვენაც გვყავს ბაირონი გვარად მჭედლიშვილია...“). ხელს აწერს ფსევდონიმებით: „ერთი მტირალთაგანი“ და „სატირიკონი“.

➤1491

### 1911 ან შემდეგ

წერს ჩანახატს სათაურით „ბურსა“, რომელშიც ასახულია თბილისის სასულიერო სემინარიის საერთო საცხოვრებლის გარემო.

➤1492

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „რომანსი“ („გაზაფხულია... ველს თრთის ნიაღვარი...“).

➤1493

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ასე იციან“ („ღრუბელთა გუნდში, თეთრ სარეცელზე...“).

➤1494

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სევდავ“ („მე სევდიანად სიმს დავკარ ხელი...“).

➤1495

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ახალი წელი“ („დღეს დღე მოსდევს, როგორც ტალღა...“).

➤1496

### 1911 ან შემდეგ

წერს თავისი 15 ლექსის სათაურს.

➤1497

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „წერილი რედაქციის მიმართ“ („რედაქტორო, რომ იცოდე...“).

➤1498

### 1911 ან შემდეგ

რაისა ჩიხლაძეს უძღვნის ლექსს „ციგნური რომანსები“ („ბესარაბიის ტყის კალთებზე ნისლი აცურდა...“).

➤1499

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ციგნური სერენადები“ („თეთრ სარეცელზე როცა მძინავს, ნუგეშო ჩემო...“).

➤1500

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ციგნური რომანსი“ („ელილა შენი ტანი ელვარებს...“).

➤1501

**1911 ან შემდეგ**

იწყებს ნოველის წერას სათაურით „ორი სართული“.

➤1502

**1911 ან შემდეგ**

ხატავს ხეს და წერს სათაურს „დაკარგული მოტივი“, მაგრამ ლექსის წერას აღარ აგრძელებს.

➤1503

**1911 ან შემდეგ**

იწყებს ნოველის წერას სათაურით „იოველ“, მაგრამ იმავე გვერდზე წყვეტს.

➤1504

**1911 ან შემდეგ**

წერს რეცენზიას ვარლამ ხუროძის (მალაქიაშვილის) რომანზე „შოთა ბროლიძე“.

➤1505

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სოფლიდან“ („ბინდი ჰქრება, ბინდი ჰქრება... სდუმს მიდამო, სდუმს მთა-ბარი...“), მაგრამ წყვეტს წერას და ტექსტს მთლიანად გადახაზავს.

➤1506

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ახალი წელი“ („ჩემებრ მარტო და ობლად შთენილი...“).

➤1507

**1911 ან შემდეგ**

რუსულ ენაზე იწერს ფრაზებს რუსული ლიტერატურიდან და მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებების თარგმანებიდან.

➤1508

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სადაც სძინავდა წლის პირს...“.

➤1509

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „თვითმკვლელი“ („ოჰ, თუ ზეცაშიც ნაზ სულს შვება არ ეღირსება...“).

➤1510

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ნუ, მეგობარო ნუ მაჩვენებ შენს მწუხარ აჩრდილს...“.

➤1511

**1911 ან შემდეგ**

წერს დასაწყისს დრამატული ნაწარმოებისა „ცოცხალი სურათი“.

➤1512

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სიყმაწვილე გაგვიფრინდა...“.

➤1513

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „თეთრი ღამე“ („ყვავილთა შორის იწვა თამარი...“).

➤1514

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ღამე“ („შენ ამბობ ექიმო, რომ...“), მაგრამ გადახაზავს და აღარ აგრძელებს.

➤1515

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ქებათა ქება“ („ზვირთები ოდეს შემოგხაროდეს...“ და ეპიგრაფად წარუმძღვარებს ფრაზას გოტფრიდ ბიურგერის ლექსის „ლამაზმანი ზუსხენი“ ლეონიდ ანდრუსონის თარგმანიდან.

➤1516

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ადდგომა“ („აჰა, ნათლდება ცა მტრედისფერი...“).

➤1517

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს ლათინური სათაურით De profundis („რად ჩხავიან ნეტა? ძმებო ამიხსენით...“), რომელშიც გამოხატავს თავის ღრმა გულისტკივილს პოეტებისადმი კრიტიკოსების არასათანადო დამოკიდებულების გამო.

➤1518

### 1911 ან შემდეგ

წერს სატირულ პიესას, რომლის ერთ-ერთი გმირი თავად არის. სხვა პერსონაჟებია: სანდრო, კარისკაცი, ივანე და ჯაშუში.

➤1519

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „მარსელიეზა“ („ფერმკრთალი, დაღონებული, მთვარე ცის სივრცეს ანთებდა...“).

➤1520

### 1911 ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს იმის შესახებ, რომ საჭიროა დაარსდეს სალიტერატურო ფონდი, რომელიც დაეხმარება მწერლებს.

➤1521

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ბიბლიურ ჰანგზე“ („მე შევიქმენი ქვეყნის მეფე, კაცი მდიდარი...“).

➤1522

### 1911 ან შემდეგ

წერს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „ოჰ, შენ ყვავილებს თან დაატარებ...“.

➤1523

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ანტისა“ („უბრძანეთ არწივს, მთის მწვერვალიდან...“).

➤1524

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „მაპატივე“ („მე მეგონა, არ მიყვარდი...“).

➤1525

### 1911 ან შემდეგ

წერს ეპიგრამას სათაურით „პროვოკატორი“ („უცნაური დრო დაგვიდგა...“).

➤1526

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „გული მტკივა“ („ჩემო კარგო, ვერა ხედავ? ვით ელვარებს ცის კიდური...“).

➤1527

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არასდროს, როცა არაფრად ვაგდებ...“.

➤1528

### 1911 ან შემდეგ

წერს თავისი ლექსებისა და პოემების პირველი წიგნის გარეკანზე გასაკეთებელ წარწერებს და უთითებს, რომ გამომცემელია ი. ხეთერელი.

➤1529

### 1911 ან შემდეგ

წერს წიგნში შესატანი ლექსებიდან რომელი როდის და სად იყო გამოქვეყნებული.

➤1530

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ცელქი რითმები“ („დაბერდა ხანი – დაბერდა ჟამი...“).

➤1531

### 1911 ან შემდეგ

საერთო სათაურის ქვეშ „სახალწლო სიმებიდან“ წერს ნოველას, რომლის პერსონაჟებია: იოველი, იორამი და ლიზა.

➤1532

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „შერიგება“ („დიდხანს ვებრძოდით ცხოვრების ტალღებს...“).

➤1533

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სიზმარი“ („ღრუბელს ჩაკიბულს, უჩვეულო სევდით ავყევი...“).

➤1534

### 1911 ან შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „სიზმრადა გხედავ, სიზმრადა გხედავ...“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1535

### 1911 ან შემდეგ



იწყებს უსათაურო ლექსის წერას „რა გენაღვლება, რა გედარდება...“, მაგრამ მეორე სტროფზე წყვეტს.

➤1536

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შემოდგომა“ („წვიმის წვეთები მღერიან...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1537

### 1911 ან შემდეგ

იწყებს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსის წერას სათაურით „მეგობარს“ („ცის ყვავილებად ღრუბელთა გუნდი...“), მაგრამ მეორე სტროფზე წყვეტს.

➤1538

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „პირველი ენკენისთვე“ („ბალი ჩაყვითლდა...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1539

### 1911 ან შემდეგ

ფსევდონიმით „Accordi“ წერს ლექსს „ორი ხმა“ („წყნარად დასცურავს ნიავი კორდთა შეფოთლილ კალთებზე...“).

➤1540

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მალე დაბერავს შემოდგომის მწუხარე ქარი...“.

➤1541

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „იადონი“ („შენ გესმის იგი როგორ კვნესის...“) და ეპიგრაფად წარუმიძღვარებს ორ ტაეპს ფრანგული სიმღერიდან: „ბულბული იმღერებს ჩვენი სასოწარკვეთილების ხმაზე...“.

➤1542

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ხანჯალი“ („დამცინის ბედი და მეც დავცინებ...“).

➤1543

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შორიდან სუნთქვა...“ („ამიხსენ, რად გსურს, რომ ჩუმი გული...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1544

### 1911 ან შემდეგ

ხელმოწერით „ლ. ბაირონი“ იწყებს პიესის წერას ქუთაისის თეატრის მატერიალური ხელმოკლეობის თემაზე.

➤1545

### 1911 ან შემდეგ

წერს მოგონებას „მე და დემონი“.

➤1546

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მამია გურიელის საფლავზე“ („თავ-დახრილი, მწუხარე...“).

➤1547

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დაჰქროლა სიომ... დაჰქროლა წყნარად...“.

➤1548

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ჩემს სულში დაჰქრის ბრწყინვალეობა და ელვარება...“.

➤1549

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გრძნობა აღელდა, სული ამბოხდა...“.

➤1550

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემს წინ ცაცხვის ხეს მაღალ მწერვალით...“.

➤1551

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ღრუბელს“ („ოჰ, ნუ დაახშობ მზის სხივებს...“).

➤1552

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ეხლა დამეა... და მეც არ ვიცი...“.

➤1553

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ორი პოეტი“ („ვარდს ვინ არ აქეხს? ის კი ობოლი...“).

➤1554

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „დანგრეული ტაძარი“ („წმიდათა წმიდას ვინ შეახო ხელი გრძნეული?..“).

➤1555

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრისა“ („მიწიდან ლალის ალი ავარდა...“).

➤1556

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „იავ-ნანა (ვუძღვნი ჯარისკაცების შვილებს)“ („ნუ შრიალებ აღვის ტოტო...“).

➤1557

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მიკელ-ანჯელო“ („ტიტანიური ანგელოსი...“).

➤1558

**1911 ან შემდეგ**

ფურცელზე იწერს ეპიზოდებს „აბესალომ და ეთერიდან“, ფოლკლორულ ლექსებს და ანდაზებს.  
➤1559

### 1911 ან შემდეგ

წერს N-სადმი მიძღვნილ ლექსს „ცისფერ თვალებს ამჭვირვალებს...“.  
➤1560

### 1911 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „მწუხარება“.  
➤1561

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ფოთოლი ჭკნება უმიზნო ფიქრით...“  
➤1562

### 1911 ან შემდეგ

წერს ერთმოქმედებიან ვოდევილს სათაურით „მეორედ მოსვლა“. მოქმედი პირები არიან სტუდენტები: იორამი, კატო და თომა.  
➤1563

### 1911 ან შემდეგ

ფურცელზე წერს დიალოგს, რომელიც ეხება ებრაელებისადმი დამოკიდებულებას.  
➤1564

### 1911 ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს პოეზიისადმი თავისი დამოკიდებულებისა და სხვადასხვა ეგზისტენციალური საკითხის შესახებ. წერს, რომ მისი პიროვნება სავსეა უკვდავი ქართველებისა და რომაელების აზრებითა და პრინციპებით. რამდენადაც პოეტთა წრეში უხდება ყოფნა, მუდამ თან სდევს შური და კრიტიკა, ბევრს უყვარს და უფრო მეტს ეზიზღება, მაგრამ პირადად მას არავის მიმართ არ აქვს მტრული განწყობა. როდესაც თავს ესხმიან, მშვიდად იწერს პირჯვარს და ღმერთს სთხოვს, რომ ამ თავდამსხმელებს აპატიოს. ფიქრობს, რომ პოეზია გამოცანაა. თუ პოეზია არ გადის უფსკრულის პირას, იმაზე მეტ ყურადღებას არ იმსახურებს, რამდენსაც ყოველივე ის, რაც იმავე უფსკრულში იჩეხება. პოეტის აზრით, ხელოვნების რომელიმე დარგში წარმატებული რომ იყო, მის სხვა სფეროებშიც უნდა ერკვეოდე, რადგან მათ შორის ძალზე მჭიდრო კავშირია.  
➤1565

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „სულთა თანა“ წერს „პატარა ფელეტონს“ დავით მესხის შესახებ.  
➤1566

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „ბიოგრაფიები“ და ფსევდონიმით „გალაშკა“ წერს ეპიგრამებს სილოვან ხუნდაძეზე, ვასილ წერეთელზე, რომელიც იყენებდა ფსევდონიმს „ულმოზელი“ და გრიგოლ გველესიანზე.  
➤1567

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ის მაშინ მოკვდა, როცა ატოკდა...“.  
➤1568

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სიყვარულს, ძმობას და მეგობრობას...“.

➤1569

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მოკვდა, აღარ გვყავს... რა გაგვიფანტავს...“.

➤1570

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ეკალი“ („გულის ვარდი დასჭკნა ადრე...“).

➤1571

### 1911 ან შემდეგ

წერს ახალ ვარიანტს ლექსისა „სულამითი“ („მოხუცო, შენს სულს განსპეტაკებულს...“), მაგრამ არ ასრულებს.

➤1572

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სიმღერა“ („წყნარი ნაღველი სულსა მიშფოთებს...“).

➤1573

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ლურჯი ცა“ („ლურჯი ცა ლურჯ მთებს იწვევს, იერთებს...“).

➤1574

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ნირვანა“ („ყოფნის ზღვაზე კაცთა ყოფნა უხილავად იქარგება...“), მაგრამ პირველ სტროფზევე წყვეტს.

➤1575

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „კრიტიკოსი“ („გადაბრუნდა ჩარხი დროსი. ერთი გუნდა კრიტიკოსი შეეპარა ფაზის გაზეთს...“).

➤1576

### 1911 ან შემდეგ

საფუძვლიანად არედაქტირებს ლექსს „ჰიმნი“ („ჰე, ცაო, ცაო!..“).

➤1577

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სიკვდილი“ („ძირს, ძირს ჩამოსდე ეგ გვირგვინი...“).

➤1578

### 1911 ან შემდეგ

იწყებს პოემის წერას სათაურით „ბიძია თომა“, მაგრამ არ ასრულებს.

➤1579

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს სათაურით „Derrière l'omnibus“ („აბა ჰე, გასწი... გასწი მეეტლევ...“).

➤1580

### **1911 ან შემდეგ**

ფურცელზე იწერს ფრინველის – ღამის ბუს გარეგან აღწერას, სად ცხოვრობენ, როგორი ხმა აქვთ და აღნიშნავს, რომ მათ მტრობენ დღის ფრინველები.

➤1581

### **1911 ან შემდეგ**

წერს სათაურს „ზღაპარი“, მაგრამ აღარ იწყებს ლექსის წერას.

➤1582

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ზამთარი“ („თეთრი თოვლი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1583

### **1911 ან შემდეგ**

წერს სათაურს „დილა“, მაგრამ აღარ იწყებს ლექსის წერას.

➤1584

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ: „მთვარე ფერმკრთალი ცის / მისცირავს, ვინ იცის...“, მაგრამ მესამე ტაეპზე წყვეტს.

➤1585

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შემოდგომა“ („გაპარტახებულ ცის ტატნობს, შემკულს მიბნედილ მთიებით...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1586

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მგოსნის კვნესა“ („მე გავნადგურდი მის მერე, რაც სევდის ჰანგი ვიმღერე...“), მაგრამ მალე წყვეტს.

➤1587

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შემოდგომა“ („ხევ-ხუვში ნისლთა ქარავანს სძინავს...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1588

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მზის სურვილი“ („თივთიკივით მსუბუქ ნისლს...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1589

### **1911 ან შემდეგ**

წერს სათაურს „მგოსნის სურვილი (ნაწყვეტი)“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს.

➤1590

### **1911 ან შემდეგ**

წერს სათაურს „სიმღერა ტბაზე“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს..

➤1591

### 1911 ან შემდეგ

წერს სათაურს „მგოსნის სურვილი“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს..

➤1592

### 1911 ან შემდეგ

წერს სათაურს „მთის მწვერვალებში“, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს..

➤1593

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „შუალამისას“ („მზე მოელვარე, მგზნებარე სხივებს...“).

➤1594

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სიმღერა“ („ოჰ, რა ღამეა... რა აღგზნებულად...“).

➤1595

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „კაემნის ნამი“ („როს მწუხარების მწვავე აჩრდილი...“).

➤1596

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სინანული“ („ვიდეგ მთის წვერზე... მთვარე ნათელს მიდამოს ჰვენდა...“).

➤1597

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „პოეტი, მარად თავისუფალი...“.

➤1598

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ოჰ, ქრისტე, ქრისტე, შენი ტაძარი...“.

➤1599

### 1911 ან შემდეგ

წერს რეცენზიას იაკობ გოგებაშვილის 1910 წელს გამოცემულ წიგნზე „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“. საუბრობს ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემის მნიშვნელობაზე.

➤1600

### 1911 ან შემდეგ

ფურცელზე იწერს მოკლე ფრაზებს: „მაგრამ ლოცვებს არ მოჰყავთ დარი მზიანი“, „ხალხს მარხავენ წესაუგებლად“, „მთელი საიდუმლო კოსმოსის“, „მატერია და მოძრაობა“ და სხვ.

➤1601

### 1911 ან შემდეგ

„გალაშკას“ ფსევდონიმით წერს ფელეტონს „კოლხიდის“ მართლწერა, რომელშიც საუბრობს იაკობ გოგებაშვილის სტატიაზე ენის სიწმინდესთან დაკავშირებით და თავადაც უარყოფითად აფასებს სილოვან ხუნდაძის მიერ ნოვატორობის სახელით ენის შერყვნას.

➤1602

### 1911 ან შემდეგ

წერს ეტიუდს „ორნი“.

➤1603

### 1911 ან შემდეგ

იაკობ გოგებაშვილს უძღვნის ლექსს „სახალწლო“ („ღამეა... ნისლი გარს შემორტყმია...“).

➤1604

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სამშობლო!“ („ნისლი ირგვლივ შემორტყმია...“).

➤1605

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მეუდაბნოე დაბნელებულ ცის ვარსკვლავთა შორის მიიპარება...“.

➤1606

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მიჰქრიან დღენი და მკაცრი სენი...“.

➤1607

### 1911 ან შემდეგ

ფურცელზე იწერს სიტყვებს, რომელთა გამოყენებასაც აპირებს ლექსებში და ზოგან მათი გამოყენებით ადგენს ფრაზებს, მაგ. „ამოვიდა მთვარე და ლამპის აბაჟურით დაადგა მთას“, „ავტომობილის ფონარით ელვარებდა მზე“, ავტომობილის ბორბალივით უცებ გადასრესდა ფიქრი – მოგონება“ და სხვ.

➤1608

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ანალოგია“ („ნისლს იზიდავს ცის უფსკრული...“).

➤1609

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „ინგლისელების მიერ წამებული“ ფურცელზე იწერს ფაბულას ისტორიული რომანისა, რომლის მოქმედება მიმდინარეობს 1815 წელს პარიზში, ვანდომის მოედანზე და პერსონაჟები არიან ჰერცოგი დანციგელი და მისი მეუღლე.

➤1610

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „ქართველი მწერლის ტრაგედია“ ინიშნავს საკითხებს: უცხო მწერლები ჩვენში, ყავს თუ არა მკითხველი ქართველ მწერალთა გამოცემებს, იცის თუ არა ვინმემ პოეტი გიორგი თუმანიშვილი, სად არის ივანე მაჩაბელი, რას აძლევს მწერლობა მწერლებს, მწერლის დაკრძალვა საქართველოში და სხვაგან, მწერლობა, როგორც პროფესია და სხვ.

➤1611

### 1911 ან შემდეგ

წერს დაპირისპირებული მნიშვნელობის სიტყვებს: მტრობა და მეგობრობა, სინათლე და სიბნელე, ქარიშხალი და მშვიდი დღე და სხვ.

➤1612

### 1911 ან შემდეგ

რასა ჩიხლაძეს უძღვნის ლექსს „ღამის სერენადები“ („მე მიყვარს, როცა ვარსკვლავთა გუნდი დასერავს ცის ტატნობს...“).

➤1613

**1911 ან შემდეგ**

თარგმნის ანრი დე რენიეს ლექსს „ზღვასთან“ („დაწექ ზღვის პირად და ნელ-ნელა აკრიბე ქვიშა...“).

➤1614

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ზამთრის საღამო“ („მნათობი ღრუბლებს ამოეფარა...“), მაგრამ მალე წყვეტს.

➤1615

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „შემოდგომა“ („ნაზი თვალების ცისფერობა მე მიყვარს შენი...“).

➤1616

**1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სილამაზე“ („თვალდახუჭული, მაგ გულ-მკერდის ვნებით დამტკბარი...“), მაგრამ შემდეგ გადახაზავს და წყვეტს წერას.

➤1617

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მოხვალ თუ არა?“ („ერთხელ, როდესაც მწარედ ვიგრძენი ჩემის სიცოცხლის რბენა უტოლო...“).

➤1618

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ყორანი“ („და ეპიგრაფად წარუმძღვარებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს: „უკან მომჩხავის...“).

➤1619

**1911 ან შემდეგ**

სათაურით „ცოლ-ქმარი“ წერს პროზაული ტექსტის გეგმას, რომლის პროტაგონისტია ივანე.

➤1620

**1911 ან შემდეგ**

წერს ფრაზას „თვალახვეული ბედი ჰქრის“ და შემდეგ გადახაზავს.

➤1621

**1911 ან შემდეგ**

➤1622

**1911 ან შემდეგ**

წერს მოგონებას: „ულამაზესი ქალი, მერი შერვაშიძე...“.

➤1623

**1911 ან შემდეგ**

წერს მოგონებას: „ალექსანდროვის ბაღში სურათს იღებს სამი ახალგაზრდა...“.

➤1624



### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ძეგლი“ (ჰორაციუსის მიბადვა).

➤1625

### 1911 ან შემდეგ

წერს პიესის „ცეცხლი“ დასაწყისს.

➤1626

### 1911 ან შემდეგ

წერს სცენებს უსათაურო პიესისთვის – მოქმედება I „შემოდინან ცოლქმარი ოთარბეგები...“; მოქმედება II „ალუჩა“.

➤1627

### 1911 ან შემდეგ

წერს პროზაულ ტექსტს: „მაკ-დარა გრძნობდა, რომ მის თავზე მალე რაღაც უბედურება უნდა დატრიალებულიყო...“.

➤1628

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „და ამაოდ გეძებენ...“.

➤1629

### 1911 ან შემდეგ

წერს ავტობიოგრაფიულ ფრაგმენტს „ქუთაისიდან 30 ვერსის მანძილზე მდებარეობს ჩემი სამშობლო სოფელი ჭყვიში...“.

➤1630

### 1911 ან შემდეგ

წერს ავტობიოგრაფიულ ფრაგმენტს „დავიბადე 1892 წელს. მამის, სახალხო მასწავლებლის გარდაცვალებიდან 7 თვის შემდეგ...“.

➤1631

### 1911 ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერებს სათაურებით: „ვეშაპი“, „ალპები“, „კიფერონომია“.

➤1632

### 1911 ან შემდეგ

წერს ტექსტს: „მანქანათა რახრახი ძრავს სტამბის კედლებს...“.

➤1633

### 1911 ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს: „ჩემი ტვინი დაიღალა გამოცანებით...“.

➤1634

### 1911 ან შემდეგ

წერს სტატიას „იდუმალი ნათესავობა (ჰანთეისტური მადრიგალი)“.

➤1635

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ნება მომეცით, ვიყო თქვენს ახლო...“.

➤1636

**1911 ან შემდეგ**

წერს გეგმას სათაურით „უცხო ცის ქვეშ“.

➤1637

**1911 ან შემდეგ**

თარგმნის სტუარტ ედუარდ უაიტის მოთხრობას „მწევარი“.

➤1638

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ეკლის ხეები“ („სულ წინად ამ ადგილს...“).

➤1639

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ზამთარი, ზამთარი...“.

➤1640

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გამაგებინე, ჩემს წარსულში რაა ისეთი...“.

➤1641

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსის „ვაიმე, ვაიმე...“ ორ ვარიანტს.

➤1642

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსის „მაინც რა ვიცი...“ ორ ვარიანტს.

➤1643

**1911 ან შემდეგ**

წერს ტექსტს: „ახირებული სულიერი განწყობილება...“.

➤1644

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ცისკარი“ („შენს სიმაღლეზე, აჭარა...“).

➤1645

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მთელი კვირა დავყავი...“.

➤1646

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მიტოვებული კომპი რას სტირის...“.

➤1647

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „არაჩვეულებრივი ზამთარი 1911 წელს“.

➤1648

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „\*-ს“ („ნისლში ვსცოცხლობთ...“), მაგრამ არ ამთავრებს.

➤1649

### 1911 ან შემდეგ

ფსევდონიმით „გალაკტიონ იმერელი“ რუსულ ენაზე წერს ლექსს „კოლხიდაში“.

➤1650

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „გამოცანა“ („არის ერთი ხროვა მწერალთ...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1651

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „გველი“ („როდესაც ხალხში გავერევი მხიარულ სახით...“).

➤1652

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „რომანსი“ („სიცალიერე მთლად მიბოჭავს დაცლილ გულისთქმას...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1653

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „საახალწლო ალბომი ახალგაზრდა ქალისა ახალგაზრდა პოეტთა ლექსებით“ წერს პაროდებს იოსებ გრიშაშვილისა და ალექსანდრე შანშიაშვილის სახელით („მე სულ არ მსურს შენს ალბომში...“).

➤1654

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ჩემი ქნარი“ („იზიდა! გულს ცეცხლი კვლავ სურს...“).

➤1655

### 1911 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „საფლავი“.

➤1656

### 1911 ან შემდეგ

ფურცელზე წერს მითოსურ, ბიბლიურ და მხატვრულ პერსონაჟთა და ისტორიულ პირთა სახელებს და ცალკეულ თხზულებათა სათაურებს.

➤1657

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „იცვალა ფერი“ („აჰა, ჩემს ირგვლივ ყველაფერმა იცვალა ფერი...“).

➤1658

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ღამე მდინარეზე“ („მაღალი მთიდან ძირს დაეშვა სადამოს ჩრდილი...“).

➤1659

### 1911 ან შემდეგ

წერს რომანს „დაეხსენ“ („დაეხსენ – გული მოჰკვდეს წამებით...“).

➤1660

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ბუნებავ, შენი ძლიერი ხელი...“.

➤1661

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სადამო არის. სასაფლაოზე...“.

➤1662

### 1911 ან შემდეგ

აპირებს რომანის დაწერას და ჩამოწერს საკითხებს გასააზრებლად. აღნიშნავს, რომ საქართველო არის გზა, სადაც იკვეთება სხვადასხვა ქვეყნის ინტერესები. ინტერესდება შუამდინარეთით, როგორც უძველესი ცივილიზაციის აკვნით, რელიგიური აზროვნების სათავეებით, რელიგიისა და მითოლოგიის ურთიერთმიმართებით, აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოების პერსპექტივებით.

➤1663

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „დღენო გამქრალის სიყმაწვილისა...“.

➤1664

### 1911 ან შემდეგ

წერს სათაურს „ყვავილთა ვალსი“, მაგრამ ტექსტის წერას აღარ იწყებს.

➤1665

### 1911 ან შემდეგ

კითხულობს მოთხრობას, რომელშიც ახალგაზრდა საყვედურობს თავის ოჯახს, რომ მათ სიცოცხლე დაუმსხვრიეს, „გადაუსრისეს“ და აგონდება თავისი განცდები დედისა და ძმის მიმართ.

➤1666

### 1911 ან შემდეგ

წერს მოკლე მიმოხილვას დავით კლდიაშვილის მოთხრობისა „მრევლში“. აღნიშნავს, როგორ ლაკონურად ამბობს ავტორი დიდ სათქმელს.

➤1667

### 1911 ან შემდეგ

წერს გეგმას დრამატული ნაწარმოებისთვის სათაურით „წყეული შვილი“ და წერს დასაწყისს („გარედ მრისხანე ყვიროდა ქარი...“). გეგმიდან ჩანს, რომ სიყვარულში იმედგაცრუებული ახალგაზრდა სახლიდან უნდა წასულიყო, ეხეტიალა სიმდიდრის მოსაპოვებლად, მდგარიყო მოკვლის საშიშროების წინაშე, მოხვედრილიყო იაპონელთა რაზმში და სპარსეთის გავლით დაბრუნებულიყო სახლში.

➤1668

### 1911 ან შემდეგ

წერს პიესას, რომლის მოქმედი პირები არიან სასულიერო სასწავლებლის მეოთხეკურსელები: შიუკა, ტიტე, და ალექსი, ინსპექტორი და სასწავლებლის ზედამხედველები. ინსპექტორი

არკვევს, რომ ყველა სემინარიელი უნივერსიტეტში აპირებს სწავლის გაგრძელებას და შემფოთებულა.

➤1669

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს პიესის წერას, რომლის მოქმედი პირები არიან მამა და შვილი.

➤1670

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სევდავ“ („რად, რად ტრიალებ დატანჯულს და წამებულს გულში...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1671

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სადამოს“ („ოჰ, თუ გიხილავს როს დასავლით მზე წყნარად ჩადის...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1672

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ზვირთთა ღულუნი“ („ვერცხლისფერ სხივით თვალწარმტაცად გადაფერილი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1673

### **1911 ან შემდეგ**

წერს სათაურს „სადამოს“, მაგრამ ტექსტის წერას აღარ იწყებს.

➤1674

### **1911 ან შემდეგ**

რუსულ ენაზე იწყებს ლექსის წერას სათაურით „შემოდგომის მოტივებიდან“, მაგრამ აღარ აგრძელებს.

➤1675

### **1911 ან შემდეგ**

რუსულ ენაზე იწყებს ლექსის წერას სათაურით „ალბომში“.

➤1676

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ცრემლი კუპიდონისა“ („სანამ არ გიყვარს – ხარ კაემანი...“).

➤1677

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მარტოობაში“ („გინახავთ ზვირთი ოკეანესი...“), მაგრამ აღარ აგრძელებს.

➤1678

### **1911 ან შემდეგ**

წერს მოგონებას „აკაკის ნაკვალევზე“. მასში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ გადადიოდა ბარათაშვილის ბეჭედი ერთი პოეტიდან მეორის ხელში და როგორ ხვდა ბოლოს აკაკი წერეთელს.

➤1679

### **1911 ან შემდეგ**

წერს მოგონებას იმის შესახებ, როგორ გახდა პოპულარული მისი ერთ-ერთი ლექსი და ერთხელ სახლისაკენ მიმავალს, როგორ გადმოუგდო ლამაზი შენობის ფანჯრიდან ვიღაცამ ყვავილების გვირგვინი.

➤1680

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „წარა-მარა“ („მიმღერე რამე... სევდიანი და მოსაწყენი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1681

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შემოდგომა“ („დაეშვი ნისლო, დაეშვი ბარად...“), შემდეგ გადახაზავს და ხელახლა იწყებს წერას სათაურით „მგოსნის ფიქრები“ და დასაწყისით „ჩემო ფერიავ, დამიგდე ყური...“).

➤1682

### 1911 ან შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „აი, გაიღო კიდეც კარები...“.

➤1683

### 1911 ან შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „ცის უდაბნოზე სევდიანი მისცურავს მთვარე...“.

➤1684

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ახალი წელი“ („ჯერ სარკმლის მინებს არ გასცლოდა შვალამის ბინდი...“).

➤1685

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „შორი ალერსი“ („გადამავიწყდა ჩემგან თქმული სიმღერა ძველად...“).

➤1686

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „შორი გაზაფხული“ („დაე ვცდებოდე, მატყვილებდეს ოცნება ჩემი...“).

➤1687

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „შორი სიახლოვე“ („სადღაც მინახავს მგოსნის სახე წრფელ მოკაშკაშე...“).

➤1688

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „დაჰქრის სიო, დაჰქრის წყნარი ლიხს იქით და ლიხს გადმოღმა...“.

➤1689

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ოჰ, ხშირად ვფიქრობ, როცა მარტო ვარ...“.

➤1690

### 1911 ან შემდეგ

იტალიურად იწერს ციტატას ანტუან არნოს ლექსიდან: „მივდივარ იქ, სადაც მივყავარ ქარს, ჩივილისა და შიშის გარეშე“.

➤1691

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ღამეა ყრუ და შავად გამლილი...“.

➤1692

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „დაღლილ ღამესთან დღე მისცურავს გამოსათხოვრად...“.

➤1693

### 1911 ან შემდეგ

იტალიელი პოეტის, ადა ნეგრის ლექსის „მანც გიღალატებ“ შთაგონებით წერს ლექსს „ველური კოცნა“ (მიყვარს მე მუშის, უბრალო მუშის მძლავრი მოხვევნა...“).

➤1694

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „გიმუშავნია?“ („შენ შეგიყვარდი და სიყვარულის...“).

➤1695

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ცრემლი“ („ოჰ, რისთვის არხევ ნაკადის ზვირთებს...“).

➤1696

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ყვავილი ცისფერი“ („ცისფერი ყვავილი მდებლოზე ჰყვავოდა...“).

➤1697

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს სათაურით „ბაშვირცევას“ („შენ უკვდავი ხარ, როგორც ტალღა...“).

➤1698

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ოდეს ძილის წინ ლოცვის მაგივრად...“.

➤1699

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „საღამოს ყვავილები“ („ოჰ, საღამოს ყვავილებო, ოჰ, მზის სხივებო...“).

➤1700

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „მშვენიერი რიფსიმე“ („სთვლემს და ისვენებს ღრუბელთა ჯარი...“).

➤1701

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „წყეული შვილი“ („დღე ბნელ ღამესთან მოსახვეველად...“).

➤1702

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სიზმარი“ („ბედნიერების სახე ნეტარი...“).

➤1703

### 1911 ან შემდეგ

წერს სათაურს „ვერხვი“, მაგრამ ტექსტის წერას აღარ აგრძელებს.

➤1704

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ზვირთი“ („მე ერთხელ ვნახე ბედნიერება...“).

➤1705

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შუაღამეა“ („შუაღამეა... ვერცხლისფერ სხივით გადაჩადრულა არე-მიდამო“) და წარუმძღვარებს ლამარტინის სიტყვებს: „ოდნავ სისინებს ცელქი ნიავი...“.

➤1706

### 1911 ან შემდეგ

წერს სათაურს „დუღუნი“, მაგრამ ტექსტის წერას აღარ აგრძელებს.

➤1707

### 1911 ან შემდეგ

წერს სათაურს „ჩემს სიყვარულში“, მაგრამ ტექსტის წერას აღარ აგრძელებს.

➤1708

### 1911 ან შემდეგ

წერს იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „პატარა ფელეტონი“ („რაზედ ამბობ, ვირი ვარო, პარნასელო მეგობარო?...“).

➤1709

### 1911 ან შემდეგ

იროდიონ ევდოშვილს უძღვნის ლექსს „ქარი“ („ოჰ, გვედრები, შორს ნუ განმდევნი...“).

➤1710

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „კარაბადინი“ („ოჰ, დამერწმუნეთ, კაცის ლამაზ სულს...“).

➤1711

### 1911 ან შემდეგ

წერს მაჯამას სათაურით „ნანგრევებზე“ („ხა, ხა, ხა, ხა, რაღას ვუცდით...“).

➤1712

### 1911 ან შემდეგ

წერს მაჯამას სათაურით „განადგურდა“ („გამინადგურდა, მებარა რაცა...“).

➤1713

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ „ციხე-დარბაზი მიუვალ კლდეზე დაკიდებული...“.

➤1714

### 1911 ან შემდეგ



წერს პოემას „ზერდაგი“ („კოლხიდის შვილო, ხედავ იქ, მაღლა...“).

➤1715

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „რას დამღერიან გიტარაზე ქალები სამტრედიაში“ წერს ლექსს („შენთვის არავის უძღვნია ლექსი...“).

➤1716

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „თაფლი“ („ყმაწვილებო, მიგდეთ ყური...“).

➤1717

### 1911 ან შემდეგ

წერს პოემას „ცოდვა“, რომლის მთავარი მოქმედი გმირია „ელენე“. ფაბულის მიხედვით, ის სხვა ყმაწვილზე არის შეყვარებული და მამა სხვაზე ათხოვებს. ნაწარმოებს ბოლოში ურთავს ძღვნას: „მეგობარო! შენ გინახავს მდუმარ ტბაზე ხის ფოთოლი?...“.

➤1718

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „გახსოვს ის ღამე... სხივს ვერცხლისფერს გარს ყრიდა მთვარე...“.

➤1719

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „როცა სხეული ლოდქვეშ იხრწნება...“.

➤1720

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ახალგაზდა უსახლკარო“ („ტყის პირად თვალის მოსატყვილებლად...“).

➤1721

### 1911 ან შემდეგ

არედაქტირებს პოემის „ფერფლი“ („ცა სიყვარულით განათებული...“) ცალკეულ სტროფებს. გარდა ამისა, ფანქრით ხატავს პოემის ილუსტრაციას სათაურით „დაკარგული უმანკობა“.

➤1722

### 1911 ან შემდეგ

არედაქტირებს ლექსს „სასაფლაოზე“ („მიყვარს საღამო მშვიდი...“) და გადახაზავს სათაურს.

➤1723

### 1911 ან შემდეგ

წერს პიესა-ფანტაზიას „მეფის სიკვდილი“. მოქმედი პირები არიან: დონა, კლარა და მისანი.

➤1724

### 1911 ან შემდეგ

წერს ზღაპრის სათაურს „ბედნიერების მხარეში“, მაგრამ წერას იქვე წყვეტს.

➤1725

### 1911 ან შემდეგ

თარგმნის ჯორჯ ბაირონის პოემას „ოსკარ ალველი“ („ცის მიმკრთალ სივრცეს მთვარე ანათებს...“) და შემდეგ პირველ გვერდს განივად აწერს „აკაკის განუსაზღვრელ პატივისცემის ნიშნად უძღვნის ამ ნაწერს ავტორი“.

➤1726

### 1911 ან შემდეგ

გალაშქას ფსევდონიმით წერს ფელეტონს „რედაქტორი“.

➤1727

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ნუ შეგაწუხებს, ნუ დაგაღონებს...“.

➤1728

### 1911 ან შემდეგ

ჩამოწერს სიტყვებს და ყოფს მარცვლებად: მაგ. „ბ-ია“, „სა-ბანი“, „ი-რე-მი“ „პირ-ველი“, „თუ-თუ-ნი“, „ო-ბოლი“, შემდეგ კი ადგენს გამოცანებს ამ სიტყვებზე: „პირველიდან შემდეგ ანბანს, გაზაფხულის ყვავილს პირველს...“.

➤1729

### 1911 ან შემდეგ

წერს სათაურს „როგორ მომწყინდა“, მაგრამ ტექსტის წერას არ აგრძელებს.

➤1730

### 1911 ან შემდეგ

წერს სათაურს „სტუდენტების სიმღერა“ („ეი, თქვენ მშრალ-მშრალი მორალისტებო...“.

➤1731

### 1911 ან შემდეგ

უსათაუროდ წერს ლექსს „ლბილ სარეცელზე სძინავდა ქალწულს...“.

➤1732

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მახსოვს, როდესაც გეთხოვებოდი...“.

➤1733

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ქართველი ქალი“ („ლეკურს კვლავ უვლის ქართველი ქალი...“).

➤1734

### 1911 ან შემდეგ

წერს გეგმას თავისი ავტობიოგრაფიისთვის და 19 მუხლად ჩამოწერს მინიშნებებს სხვადასხვა თემაზე.

➤1735

### 1911 ან შემდეგ

უსათაუროდ იწყებს ლექსის წერას „ლამის ზეწარი გადაგვეფარა...“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1736

### 1911 ან შემდეგ

აკორდის ფსევდონიმით წერს ლექსს „სიმღერები“ („ვიბრძოლოთ მასთან...“), მაგრამ შემდეგ სათაურს გადახაზავს.

➤1737

#### 1911 ან შემდეგ

წერს პაროდულ განცხადებებს: „თავის ტკივილის ექიმი სერაპიონ ცაგარეიშვილი იღებს...“.

➤1738

#### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს: „გრწამდეს, გჯეროდეს, რომ არ მიყვარხარ...“.

➤1739

#### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ: „სწერე, სწერე, ავი გითხარ...“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1740

#### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ზამზახი“ („მკერდგადაშლილი ზამზახი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1741

#### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მკათათვე“ („იგონებს ვარდის თვეებს ბუნება... სიო ყვავილებს ედუდუნება“), მაგრამ მალევე წყვეტს წერას.

➤1742

#### 1911 ან შემდეგ

რუსულ ენაზე იწყებს ლექსის წერას სათაურით „წერილი“.

➤1743

#### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „წამების ჯვარზე“ („ოჰ, მაცხოვარო, მაცხოვარო, რაჟამს სოფელი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1744

#### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსებს სათაურით „სატირები“ („ამ ჩვენს დროში, როცა ყველას...“).

➤1745

#### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „აღდგომის ზარი“ („შუალამე იწვის, იწვის... შუალამე დნება, დნება!).

➤1746

#### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ: „მწუხარე ღამე მწუხარეა, ვით ჩუმი სული...“, მაგრამ მთლიანად გადახაზავს და წყვეტს წერას.

➤1747

#### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ხველა ბატონები“ („ადარ არის ყურთა სმენა...“).

➤1748

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „წავყვეთ ზღვის ტალღებს“ („დიდი ხანია...“).

➤1749

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „მილოცვები ქუთათურებს“ წერს: „ქუთაისი ასეთია, მიეთია, მოეთია...“).

➤1750

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არასდროს ისე არ მენატრება...“.

➤1751

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სთქვი, სთქვი, ნანა...“.

➤1752

### 1911 ან შემდეგ

იუზა ზარდალიშვილს სწერს, რომ წაიკითხავს სამ ლექსს: „ნიავივით, ნიავივით“, „ყვითელი ფოთოლი (ელეგია)“ და „ჰამლეტის ქნართ“.

➤1753

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „ვინ რას ნატრულობს საადდგომოდ“ წერს, რას ნატრობს სილოვან ხუნდაძე და ისიდორე კვიციანიძე.

➤1754

### 1911 ან შემდეგ

წერს პოეტურ ფრაზას „ერთადერთ იმედს შვილის სიცოცხლის მამა მუდამყამს თან ატარებდა“.

➤1755

### 1911 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „შემოდგომა“ და ითვლის მარცვლებს სტრიქონებში.

➤1756

### 1911 ან შემდეგ

წერს პიესას („ოთახში შემოდის ორი ახალგაზრდა ქალი...), რომლის მოქმედი პირები არიან გიმნაზიის კურსდამთავრებულები ელენე და ნინო.

➤1757

### 1911 ან შემდეგ

სასწავლებლის ცხოვრების შესახებ წერს პროზაულ ჩანახატს „ყვითელი ფოთოლი“.

➤1758

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „შემოდგომა“ („ალაყაფს მოხსნეს კარები ძველი...“).

➤1759

### 1911 ან შემდეგ

ფურცელზე იწერს სიტყვათშეერთებებს: „უმტკივნეულო ნიავი“, „უდანაშაულო გრიგალი“, „დაუბრუნებელი წამები“, „უგემური სიცოცხლე“, „უგემოვნო პოეტი“ და სხვ.

➤1760

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ქალი და ხელოვნება“ („სატანამ ჰანგი ისმინა...“).

➤1761

### 1911 ან შემდეგ

წერს პროზაულ ჩანახატს აღმოსავლეთზე და ულამაზეს ფერად ხალიჩებზე.

➤1762

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვხედავ, ვხედავ, მეგობრებო...“.

➤1763

### 1911 ან შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „ჩემო კარგო, ძლიერა მსურს, მოსალხენი გითხრა რამე...“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1764

### 1911 ან შემდეგ

იწყებს პიესის წერას და აღწერს გარემოს: ქალაქგარეთ მდებარე სახლს, ბაღში გამავალი ფანჯრებით. მოქმედება იწყება იმით, რომ აივნიდან სახლში ძვრება ორი კაცი.

➤1765

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სუსტია“ („სუსტია გული, ძალმიხდილი და დაქანცული...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1766

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ეპიგრამების წერას სათაურით „სახალწლო სალამი“. პირველ ეპიგრამას წერს იოსებ მჭედლიშვილის სახელით: „თუ ასე მწარედ დავღონდებოდი, ნეტავი კი არ შემყვარებოდი“, შემდეგ კი წერას წყვეტს.

➤1767

### 1911 ან შემდეგ

წერს ფელეტონს „საჭიროა თუ არა კიდევ საერთაშორისო ომი?“.

➤1768

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ქალი და კატა“ („ჩარგო თავი ყვავილებში და მიეცა ყნოსვის ცოდვას...“).

➤1769

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ტექსტის წერას სათაურით „წინასიტყვაობა“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1770

### **1911 ან შემდეგ**

წერს კნუტ ჰამსუნის რომანის „შიშხილი“ მოკლე შინაარსს.

➤1771

### **1911 ან შემდეგ**

სათაურით „ბაღში“ ქმნის პროზაულ ჩანახატს. პერსონაჟები არიან მთხრობელი, შეყვარებული გიმნაზიელი ქალ-ვაჟი, ახალგაზრდა პოეტი და სხვანი.

➤1772

### **1911 ან შემდეგ**

სათაურით „უმანკოა, ნორჩია!“ წერს პროზაულ ჩანახატს დემონის, ანგელოზისა და მომაკვდავი მოხუცის შესახებ („ღამის წყვდიაღში ტოტებგადაბარდნილი მუხა...“).

➤1773

### **1911 ან შემდეგ**

წერს პოემას, რომელიც იწყება ახალგაზრდა ქალის გარდაცვალებით და მშობლების სასოწარკვეთილი მდგომარეობით.

➤1774

### **1911 ან შემდეგ**

ქუთაისის თეატრის შესახებ წერს პატარა ფელეტონს ლექსად სათაურით „კრება“ („ბატონებო, ჩვენი საქმე ფულმა მეტად შეაფერხა...“. ნახსენებია ილია ჩიქოვანი, დავით მესხი, მიხეილ ქორელი, ვარლამ რუხაძე, ნოე ჩხიკვაძე, ვასილ წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე და ალექსანდრე თუმანიშვილი.

➤1775

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სიტყვებით: „მართალს ტობიას ანგელოზი გამოეცხადა...“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1776

### **1911 ან შემდეგ**

წერს რომანის „შადრევანი“ გეგმას და ეპიზოდებს სათაურებით: „ბუზნის ჯარისკაცი“ და „ახალი ხანის დასაწყისი“. ერთ-ერთი მოქმედი გმირია იოველი.

➤1777

### **1911 ან შემდეგ**

გაზეთში გამოსაქვეყნებლად წერს „შეცდომის გასწორებას“, რომელშიც ნათქვამია, რომ წინა დღეს დაბეჭდილ განცხადებაში არ ყოფილა ნათქვამი, რომ ავტორები წაიკითხავენ „ბელეტრისტიკას“ და ეს იყო ასოთამწყობის შეცდომა.

➤1778

### **1911 ან შემდეგ**

ფურცელზე წერს განცხადებას, რომ რედაქციამ მიიღო წიგნი „დიდებული ადამიანები“, რომლის ფასია 25 კაპიკი. აქვე აკეთებს ჩანაწერს მშვენიერი დალისას შესახებ, რომელსაც დიდებული ადამიანები სიყვარულს უხსნიდნენ.

➤1779

### **1911 ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მარიამ ეგვიპტელი“ („და მთელმა ალექსანდრიამ იცოდა ქალის სახელი...“), მაგრამ მეორე სტროფზე წყვეტს.

➤1780

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „მწუხარე გვირგვინოსანი“ წერს ნარკვევს ავსტრიის იმპერატორ ფრანც იოზეფის შესახებ.

➤1781

### 1911 ან შემდეგ

წიგნებში ეძებს და 28 მუხლად იწერს დიოსკურიის შესახებ ინფორმაციას.

➤1782

### 1911 ან შემდეგ

წერს პროზაულ ჩანახატს სპარსული სიმღერის შესახებ, სათაურით „მშვენიერი სიმღერა“.

➤1783

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სიმღერა“ („ბნელს ხეივანში ვხეტიალობდი...“).

➤1784

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ეგ შენი სახე, ნაზი, ციური...“.

➤1785

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ცის სივრცეში, მხიარულნი ვარსკვლავები ნაზად ჰკრთიან...“.

➤1786

### 1911 ან შემდეგ

წერს ქალ-ვაჟის დიალოგს ჩაბნელებულ ოთახში. საუბრობენ დემონური ძალის გავლენაზე. პროტაგონისტი ქალის სახელია ევა.

➤1787

### 1911 ან შემდეგ

ფურცელზე წერს, რომ ივანე მაჩაბელი აგონებს წინასწარმეტყველ აგეოსს, რომელმაც დაგვიტოვა მხოლოდ ერთი ფურცელი, მაგრამ ისიც წიგნად იწოდება. თუმცა, არიან მწერლები, რომლებიც ბევრ ტომს წერენ, მაგრამ ვერცერთს ვერ უწოდებ წიგნს.

➤1788

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მაკოცე მხოლოდ... შენს სიყვარულზე...“.

➤1789

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვით მეტეორი მსოფლიო ცაში, მეც გავკრთები ჩვენს პოეზიაში...“.

➤1790

### 1911 ან შემდეგ

წერს პოემას „მონასტერში“ („ცაზე დასცურავს თეთრი ყვავილი“).

➤1791

**1911 ან შემდეგ**

წერს პროზაულ ჩანახატს სათაურით „სალამი“, რომელშიც საუბარია გერმანიის ქალაქ ბადენ-ბადენსა და მის მკვიდრ გოგონა ჰენრიეტაზე.

➤1792

**1911 ან შემდეგ**

„გალაშკას“ ფსევდონიმით წერს უსათაურო ლექსს „რათ მდევნით, რისთვის არ მამლევთ პასუხს...“.

➤1793

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ეკლიან გზაზე“ („დღეს გავიმარჯვებ... არ უნდა ფიცი...“).

➤1794

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სონეტი“ („ფიჭვი ფიჭვს ერთვის, ნაძვს ობოლი ბზა...“).

➤1795

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მეგობარს“ („ნაცნობი სიო ძლიერ ძვირად გამომიქროლებს...“), შემდეგ გადახაზავს და იმავე სათაურით იწყებს სხვაგვარად: „ხან დამშვიდდება ყრუ სიმშვიდით...“.

➤1796

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მანიფესტი“ („პოეტს, რომელიც დაეძებს ტემას...“).

➤1797

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ნისლი“ („თეთრი ბურუსი მთვლემარე ზღვას გადასწოლია...“).

➤1798

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მეორთაყვირე“ („მეორთაყვირე მღეროდა გამოსათხოვარ სიმღერებს...“).

➤1799

**1911 ან შემდეგ**

კავკასიის შესახებ რუსულენოვანი წიგნიდან ქართულად იწერს ინფორმაციას გეოგრაფიული ადგილების შესახებ.

➤1800

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ხმა სატანასი“ („დავსცალე ვნებით წამების თასი...“).

➤1801

**1911 ან შემდეგ**

სათაურით „სტრიქონები“ ინგლისურიდან თარგმნის ლექსს, რომელშიც ნათქვამია, რომ სახრჩობელის წინ მდგარი რობერტ ემეტი ყვავილების გვირგვინებით იყო შემკული.

➤1802



### 1911 ან შემდეგ

უსათაუროდ იწყებს ლექსის წერას „სიცოცხლე, ჩემო [...] სიცოცხლე / რად მომცემიხარ, ვერ გამიგია“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1803

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „შემოდგომისას“ („ნუ მაგონებ მომავალს...“).

➤1804

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სიმღერა“ („ცა ღრუბლით შებურვილია...“).

➤1805

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „გედი“ („მე გედი ვარ ლაჟვარდ ზღვისა...“).

➤1806

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ქვა“ („მშფოთვარე ზღვაზე უზარმაზარ ზვირთის კედელი...“).

➤1807

### 1911 ან შემდეგ

იწერს პოეტურ ფრაზას: „შენი ოცნება ზამბახივით მუდამ ნაზია“).

➤1808

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „დამნაშავე“ („დამნაშავეა ვარდი კოკობი...“).

➤1809

### 1911 ან შემდეგ

სათაურით „გამოსადეგი აზრები და რითმები“ რვეულში იწერს მისთვის საინტერესო მასალას. აქ არის სიმბოლოები (ლურჯი ყვავილი, დამქვანარი ლურჯი ყვავილი), მითიური პერსონაჟები (ლინოსი, ანთეოსი და სხვ.), ისტორიული ფაქტები და ადგილები (თამარისციხე, ფარცხისის ომი) და როგორც ცალკე რითმები, ისე გართმული ფრაზები.

➤1810

### 1911 ან შემდეგ

ფსევდონიმით „accordi“ რუბრიკისთვის „პატარა ფელეტონი“ წერს ლექსს „აღდგომა დღეს“ („სწუხს დარეჯანი... ლობიოს ერთ ქვაბს...“).

➤1811

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „თაიგული“ („ერთხელ, ლამაზო, არ ვიცი რაზე...“).

➤1812

### 1911 ან შემდეგ

ალექსანდრე აბაშელს უძღვნის ლექსს „რიჟრაჟი“ („ტყეს გადაკვრია ზეწარი შავი...“).

➤1813

### 1911 ან შემდეგ

ხატავს ტახტზე ჩამომსხდარ ორ გოგონას და წერს მათ დიალოგს იმის შესახებ, თუ როგორ დაარიგა ხარაგაულის ოლქის მთავარხუცესმა მამა ერმალოზ ვეფხვაძემ მასწავლებელი ქალები, რომ არ ჩაეცვათ „მანტეკლერის“ კაბები.

➤1814

### 1911 ან შემდეგ

ხატავს კარიკატურებს. ქალის კარიკატურის ქვეშ სათაურით „სცენა ხარაგოულში“, წერს ორტაეპიან ლექსს: „წინ და უკან საბუდარი / არაფერი საკუთარი“.

➤1815

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მე უკვდავების ლურჯი კამარა...“.

➤1816

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „დასჭკნა ყვავილი“ („დასჭკნა ყვავილი...“).

➤1817

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ლანდი“ („მენავე, ხედავ... ჩვენს შორიახლოს“).

➤1818

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „პოეტი“ („წყაროს ჩუხჩუხში, როცა ბარს სძინავს...“).

➤1819

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სიომ ნისლი გადაფანტა...“.

➤1820

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „სული შვებისა“ („ჯერ არ სძინავს...“).

➤1821

### 1911 ან შემდეგ

წერს ტექსტს სათაურით „პატარა საბიოგრაფიო ცნობები“, რომელშიც აღწერს თავის ცხოვრებას დაბადებიდან გაზეთების „მნათობი“ და „ცხოვრება“ რედაქციებში მუშაობამდე.

➤1822

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „იდუმალი ქვეყანა“ (ქვეყანა ჩემი, იდუმალი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1823

### 1911 ან შემდეგ

იწყებს პროზაული ტექსტის წერას, რომლის მოქმედი პირია მამა ექვთიმე. აღწერილია, როგორ მიდის დილით სასულიერო პირი პატარა რუსთან პირის დასაბანად და როგორ მოასწრებს ძალდი წყლის ამღვრევას.

➤1824

### 1911 ან შემდეგ

ფსევდონიმით „accordi“ წერს ლექსს „ქართული სიმღერები“ („ქალო, შენი სილამაზე...“).

➤1825

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ზღაპარი“ („როცა ზღვაზე იწურება...“).

➤1826

### 1911 ან შემდეგ

რვეულში წერს გართიმულ ფრაზებს: „სადაც შენ სუნთქავ“ – „გულს ნუ მითუთქავ“, „სდუმს სევდა ცისფერთვალეზა“ – „ახ... მეყო ტანჯვა-წვალება“, „კვნესა ფარული / ისმის სადღაცა“ – „ჩუმაღ... დამაცა!“ და სხვ.

➤1827

### 1911 ან შემდეგ

იწყებს ეპიგრამის წერას „თაგუნას კუდი“ („ცუდია, ცუდი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1828

### 1911 ან შემდეგ

წერს გიორგი ფარქოსაძისადმი მიძღვნილ ეპიგრამებს „შენი სატრფო ჩემო გუცა...“.

➤1829

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „მოჩვენება“ („ცას შუა ღამის დაჰკვრია ბინდი...“).

➤1830

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ლეგენდა“ („დიდხანს ვატარე წამების ჯვარი...“).

➤1831

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „არ წაიკითხო...“ („არ წაიკითხო ჩემი დღიური...“).

➤1832

### 1911 ან შემდეგ

თარგმნის მისი თანამედროვე გერმანელი პოეტების ლექსებს: მარიამ ეშენზახის „პატარა სიმღერას“ და გერმან კონრადის „მეტეორს“.

➤1833

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ოქროს სიმი“ („ოქროს სიმი ქნარისათვის...“).

➤1834

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „დაღლილის ლექსი“ („მსურდა დამერქვა ამ ლექსისთვის ამონაკვნესი...“).

➤1835

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „გზაჯვარედინზე“ („არ გიყვარვარ“ – ჩუმაღ ვკითხე...“).

➤1836

**1911 ან შემდეგ**

ცდილობს კროსვორდის შედგენას სიტყვების: გალაკტიონი, აკაკი, ვაჟა და სხვათა გამოყენებით.

➤1837

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „გზაჯვარედინზე“ („ყომრალ ნისლში გახვეული...“).

➤1838

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „წინასწარმეტყველი“ („მე შორს ჭვრეტით ბურუსს ვანგრევ...“).

➤1839

**1911 ან შემდეგ**

წერს სამმოქმედებიან პიესას ლექსად „აბესალომ და ეთერი“.

➤1840

**1911 ან შემდეგ**

ფურცელზე იწერს რითმებსა და პოეტურ ფრაზებს.

➤1841

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ეს იყო ბუქი, ლურჯი ცისფერი...“.

➤1842

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ავადა ხარ ცხოვრებისგან...“.

➤1843

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ნათელი დღეა, მზიანი ტევრი...“.

➤1844

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ყოფა ცხოვრების ძველის კომმარო...“.

➤1845

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ოჰ, მეც ვლოცულობ...“.

➤1846

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ვნებავ, რისთვის მომალდი...“.

➤1847

**1911 ან შემდეგ**

უსათაურო ლექსის „ვნებავ, რისთვის მომალდი...“ უკანა გვერდზე წერს, რომ „ინტერნაციონალის“ მოტივის არც ერთი ლექსწყობა ისე არ ესადაგება, როგორც რვამარცვლოვანი. გარდა იმისა, რომ ეს ვერსიფიკაცია მსუბუქი და ელასტიურია, ნამდვილი ქართული წყობაა,

მთელი ქართული პოეზია რვამარცვლიანია, რუსთაველმა კი შეაერთა ორი რვამარცვლოვანი და მიიღო თექვსმეტმარცვლოვანი წყობა.

➤1848

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „21 მარტი“ („ოცდა ერთი მარტი...“).

➤1849

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „აბა, თვალწინ ვით არ მედგას...“.

➤1850

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სიკვდილს ვერავინ ვერ მოატყვილებს...“.

➤1851

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მე მინდვრებიდან მოგკარი თვალი...“.

➤1852

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მანამდის ცა გამქრობია...“.

➤1853

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ნათელი დღეა, მზიანი ტევრი...“.

➤1854

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მიყვარს მაისი..“.

➤1855

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „საქართველო ახალ გზებით...“.

➤1856

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ეპიტაფია გურამიშვილის საფლავზე“ („დავიდარაბით, დავით...“).

➤1857

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსის „ზოგს შოვინისტს კვლავ სჯერა...“ ორ ვარიანტს.

➤1858

### 1911 ან შემდეგ

წერს ლექსს „ლანდი“ („ისევ ახალი ელვარებს ჩემი დიდების...“).

➤1859

### 1911 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ხდება რაღაც უცნაურად: სტიქიური უბედობა...“.

➤1860

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „წარსულში რაღაც ახალ ბალებით...“.

➤1861

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ვარსკვლავია“ („ეხლა გამახსენდა: როცა ყოველივე...“).

➤1862

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „საათი“ („მეომარი მიდიოდა ხმელეთი და ნაოსანი...“).

➤1863

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მომღერლის გული სხვაა...“.

➤1864

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსის „ძველი“ („როდესაც პოეტი ყალბი პოეტია...“) ორ ვარიანტს.

➤1865

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მე გაზაფხულს ვეგებები...“.

➤1866

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რა ბედნიერი ვარ მამულო...“.

➤1867

**1911 ან შემდეგ**

წერს რომანის „სურო და ალვა“ დასაწყისს.

➤1868

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ვარსკვლავი ცისკრისა ცაშია შობილი...“.

➤1869

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გრიალებდა როიალი...“.

➤1870

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მთელი კვირა დავყავი...“.

➤1871

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „იგრძნობს პოეტი ახალ კოცონებს“ („...ვთვრები ვარდებით და ყველაფერით...“).

➤1872

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ილაპარაკე, ტალღავ, დენი-დენ...“.

➤1873

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ფოსტალიონის სიმღერა“ („მე ვარ ფოსტალიონი...“).

➤1874

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ჯენტლმენი“ („ფარდებს ოდნავ არხევს ქარი...“).

➤1875

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მატარებელის კვიღის...“.

➤1876

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენი ხომალდი ეხლა აღარ დგას...“.

➤1877

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მსურს გითხრა პოეტის კვნესაზე...“.

➤1878

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ზეცა მიფარავს...“.

➤1879

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „წყალდიდობებმა ჭალა მოსილა...“.

➤1880

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ემებდა სული, ენახა სრული...“.

➤1881

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ქვეყნად მარტო სურვილი საკმარისი როდია“ („გაუდგა გზას, სად ია...“).

➤1882

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სილაში ვარდი“.

➤1883

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ვარდი სილაში“.

➤1884

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჟუჟუნა წვიმამ შვება საერთო...“.

➤1885

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან“.

➤1886

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დანისლულ მთის წვერს თოვლი ედება...“

➤1887

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ფრთხილად და შიშით შევალე კარი...“

➤1888

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სიონის მტრედო!“

➤1889

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ნაწყვეტები“ („ყაყაჩო აყვავებულა...“).

➤1890

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „გამოთხოვება“.

➤1891

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ვარსკვლავი“ („თქვენ გხიბლავსთ ზეცა...“)

➤1892

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ლამპარი“.

➤1893

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ზღვაზე“ („საბრალო ნავი...“).

➤1894

**1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ნ. ბარათაშვილი“.

➤1895

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სულ ტყეა და ტყე... აჰა, ბნელდება...“

➤1896

**1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მთვარე ღრუბელქვეშ შუადამისას...“

➤1897



### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „როგორც სატანა“.

➤1898

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მოხუცო სხივო, შენ კანკალებ...“

➤1899

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სამარესთან“.

➤1900

### **1911 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „იყო დრო, როცა მე ცხოვრებას ზღვას ვადარებდი...“

➤1901

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „პროლოგი“ („თამარის დაშლილი თმის შავი გიშერის...“).

➤1902

### **1911 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სამარესთან“.

➤1903

### **1911 მეორე ნახევარი ან შემდეგ**

რუსულ ენაზე წერს, რომელ ქალაქში ვის აქვს მინდობილი მისი წიგნის გავრცელება.

➤1904

### **1911 შემდეგ**

მუშაობს გაზეთ „მნათობის“ და გაზეთ „ცხოვრების“ რედაქციებში კორექტორად და ზოგჯერ მოკლე შენიშვნებსაც აქვეყნებს ხელმოუწერლად.

➤1905

## **1912**

### **ი ა ნ ვ ა რ ი**

#### **1912**

##### **1 იანვარი**

წერს ფელეტონს „ენა და კორექტურა“.

➤1906

#### **1912**

##### **1 იანვარი**

ახალ წელს ხვდება მშობლიურ სოფელ ჭყვიშში.

➤1907

#### **1912**

##### **3 იანვარი**

წერს ფელეტონს „პოლემიკა“.

➤1908

1912

**იანვრის შუა რიცხვები ან ადრე**

წერს ლექსს „უხილავი“ („აზვირთებულ, მძვინვარ ზღვაზე მოგრიალე ტალღათ ქშენა...“).

➤1909

1912

**15 იანვრამდე**

ფურცელზე ჩამოწერს იმჟამინდელი ქართველი პოეტებისა და ბელეტრისტების სიას. იწყებს აკაკი წერეთლითა და ვაჟა-ფშაველათი.

➤1910

1912

**16 იანვრამდე**

გაზეთ „თემის“ ლიტერატურულ კონკურსზე წარადგენს ლექსს „უხილავი (აივაზოვსკის სურათის წინ)“.

➤1911

1912

**16 იანვარი**

გაზეთ „თემის“ ლიტერატურულ კონკურსში, რომელზეც გალაკტიონ ტაბიძეს წარდგენილი აქვს თავისი ლექსი „უხილავი (აივაზოვსკის სურათის წინ)“, პირველი პრემია არავის არ ენიჭება, მეორე პრემიას აკუთვნებენ ალექსანდრე აბაშელის ლექსს „მზე“, მესამეს კი – გალაკტიონის „უხილავი“ იღებს 3 დადებით და 5 უარყოფით ხმას. ჟიურიში შედიან: აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, კიტა აბაშიძე, იაკობ ნიკოლაძე, ვლადიმერ ბაქრაძე, გრიგოლ რცხილაძე, ალექსანდრე ყანჩელი, ნიკოლოზ ქართველიშვილი და აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები.

➤1912

1912

**25 იანვრამდე**

იწყებს საკუთარი ლექსების კრებულის გამოცემაზე ზრუნვას. წიგნის დასაბეჭდად აპირებს შეაგროვოს ხელმოწერები და ამ მიზნით ადგენს ქვიტორის შაბლონს.

➤1913

1912

**25 იანვრამდე**

პერიოდულ პრესაში გამოსაქვეყნებლად წერს განცხადების ტექსტს თავისი ლექსების წიგნზე ხელმოწერების შეგროვების შესახებ. განცხადებაში ნათქვამია, რომ წიგნს გამოსცემს ზაქარია ჭელიძე.

➤1914

1912

**25 იანვარი**

„ბათუმის გაზეთში“ ქვეყნდება განცხადება, რომ 15 თებერვლამდე მიიღება ხელმოწერები ახალგაზრდა პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ლექსებისა და პოემების წიგნზე, ფასი 50 კაპიკი. ხელმოწერის პუნქტებად დასახელებულია: ისიდორე კვიციანიძის ჟურნალ-გაზეთების სადისტრიბუციო ცენტრი „იმერეთი“, გოგიბერიძის წიგნის მაღაზია, წიგნის მაღაზია „პროვინციაში“. ასევე ნათქვამია, რომ ხელმოწერისთვის ტყიბულში შეუძლიათ მიმართონ მიხეილ ბოჭორიშვილს და ხარაგაულში – სერგო რუხაძეს.

➤1915

1912

**26 იანვრამდე**

იწყებს ლექსის წერას, წერს სათაურს „შემოდგომა“ და იქვე წყვეტს.

➤1916

1912

**26 იანვრამდე**

ფსევდონიმით „აკკორდი“ წერს ლექსს „ლამაზ რაისას“ („მე არ მსურს, რომ დამივიწყო...“).

➤1917

1912

**26 იანვრამდე**

ელოდება, რომ მალე გამოვა მისი პირველი წიგნი და ფურცელზე წერს: „გამოვიდა და ისყიდება. გ ტაბიძე“.

➤1918

1912

**26 იანვარი**

ფურცელზე წერს განცხადების ტექსტს. ჩანაწერის მიხედვითაც 28 იანვარს მან უნდა გამართოს სალიტერატურო და სამუსიკო სადამო, რომელზეც ქართველ ახალგაზრდა მწერლებზე მოხსენებას წაიკითხავს დიმიტრი უზნაძე, კიტა აბაშიძე, გრიგოლ გველესიანი ან რომანოზ ფანცხავა (ხომლელი), საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: არისტო ჭუმბაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ნოე ჩხიკვაძე, ვარლამ რუხაძე, ბარნაბ გელაზანია (გელა), გიორგი ქუჩიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია (აბაშისპირელი), სილოვან ხუნდაძე, პარმენ ცახელი, ტიციან ტაბიძე, დარია ახვლედიანი, ვასილ წერეთელი და დავით კლდიაშვილი, მესამე განყოფილებაში გამოვლენ: დავით მესხი, მიხეილ ჯანოევი (ნემო), ვასილ ურუშაძე, ვასილ ბალანჩივაძე და შალვა შარაშიძე (თაგუნა), მეოთხე განყოფილებაში კი წარმოდგენილი იქნება მომღერალთა გუნდი.

➤1919

1912

**30 იანვარი**

გაზეთი „თემი“ იუწყება, რომ მიიღება ხელმოწერა გ. ტაბიძის წიგნზე: „ლექსები და პოემები“. ფასი 50 კაპიკი. ხელმოწერის პუნქტებად დასახელებულია: ისიდორე კვიციანიძის ჟურნალ-გაზეთების სადისტრიბუციო ცენტრი „იმერეთი“, გოგიბერიძის წიგნის მაღაზია, წიგნის მაღაზია „პროვინციაში“. ასევე ნათქვამია, რომ ხელმოწერისთვის ტყიბულში შეუძლიათ მიმართონ მიხეილ ბოჭორიშვილს და ხარაგაულში – სერგო რუხაძეს.

➤1920

1912

**იანვრიდან**

თანამშრომლობს სერგო გერსამიას რედაქტორობით გამოცემულ იუმორისტულ აღმანახებთან: „მაშხალა“, „ჯოჯოხეთის მაშხალა“, „ემშაკის მაშხალა“ და „ანკესი“. ამ პერიოდული გამოცემების ზოგიერთ ნომერში ფსევდონიმით „გ“ აქვეყნებს მასალებს, მათ შორის, დაწუნებული ტექსტების ავტორებისადმი იუმორისტულ პასუხებს.

➤1921

**თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი**

1912

**1 თებერვალი ან შემდეგ**

თანამშრომლობს ახლად დაარსებულ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ „ცხოვრებასთან“. მუშაობს ქრონიკორად და მონაწილეობს პარტიული ორგანიზაციების სასარგებლოდ გამართულ საღამოებში.

➤1922

1912

## 2 თებერვალი

გაზეთი „ცხოვრება“ აქვეყნებს ცნობას, რომ ახალგაზრდა პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ამთავრებს ოთხმოქმედებიან პიესას ლექსად: „სიკვდილის ანგელოსი“.

➤1923

1912

## 2 თებერვალი

გაზეთი „ცხოვრება“ იუწყება, რომ მიიღება ხელმოწერა გ. ტაბიძის წიგნზე: „ლექსები და პოემები“. ფასი 50 კაპიკი. ხელმოწერის პუნქტებად დასახელებულია: ისიდორე კვიციანიძის ჟურნალ-გაზეთების სადისტრიბუციო ცენტრი „იმერეთი“, გოგობერიძის წიგნის მაღაზია, წიგნის მაღაზია „პროვინციაში“. ასევე ნათქვამია, რომ ტყიბულში მიმართონ მიხეილ ბოჭორიშვილს და ხარაგაულში – სერგო რუხაძეს.

➤1924

1912

## 7 თებერვალი

გაზეთი „კოლხიდა“ იუწყება, რომ მიიღება ხელმოწერა გ. ტაბიძის წიგნზე: „ლექსები და პოემები“. ფასი 50 კაპიკი. ხელმოწერის პუნქტებად დასახელებულია: ისიდორე კვიციანიძის ჟურნალ-გაზეთების სადისტრიბუციო ცენტრი „იმერეთი“, გოგობერიძის წიგნის მაღაზია, წიგნის მაღაზია „პროვინციაში“. ასევე ნათქვამია, რომ ტყიბულში მიმართონ მიხეილ ბოჭორიშვილს და ხარაგაულში – სერგო რუხაძეს.

➤1925

1912

## 8 თებერვალი

გაზეთი „ცხოვრება“ აქვეყნებს ცნობას, რომ „ჟურნალ-გაზეთების კანტორამ „იმერეთი“ მიიღო გალაკტიონ ტაბიძის წიგნის – „ლექსები და პოემები“ ხელმოწერის ქვითრები და რომ თითო ხელმოწერის ფასია 50 კაპიკი.

➤1926

1912

## 13 იანვარი - 9 თებერვალი

გალაკტიონ ტაბიძის წიგნზე ხელმომწერებს გადაეცემათ ქვითრები, რომ გადაიხადეს 50 კაპიკი.

➤1927

1912

## 10 თებერვლამდე

ქართულ და რუსულ ენებზე წერს განცხადებას, რომ პარასკევს, 10 თებერვალს, 7 საათზე ქალაქის თეატრში გალაკტიონ ტაბიძე წაიკითხავს ლექციას „სიმბოლიზმის ელემენტები თანამედროვე ფრანგულ, რუსულ და ქართულ პოეზიაში“.

➤1928

1912

## 10 თებერვალი

გაზ. „ცხოვრება“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მიმდინარეობს ხელმოწერა გალაკტიონ ტაბიძის წიგნის „ლექსები და პოემები“ პირველ რვეულზე და რომ ხელმოწერის ფასია 50 კაპიკი.

➤1929

## მ ა რ ტ ი

1912

7 მარტი

გაზეთებში „ცხოვრება“ და „კოლხიდა“ ქვეყნდება განცხადება, რომ 11 მარტს ქუთაისში იმართება იოსებ გრიშაშვილის საღამო-მეჯლისი, რომელშიც თავად იოსებ გრიშაშვილთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები.

➤1930

1912

11 მარტი

მონაწილეობს ქუთაისში გამართულ იოსებ გრიშაშვილის საღამოში.

➤1931

1912

17 მარტი

ქუთაისშია და წერს ლექსს სათაურით „N-აია“ („რისთვის გსურს სევდის...“).

➤1932

1912

იანვარი - 25 მარტამდე

იმყოფება ქუთაისში. პროკოფი გუჯაბიძესთან ერთად მონაწილეობს სერგო გერსამიას რედაქტორობით გამოსაცემი იუმორისტული ჟურნალის „მაშხალა“ პირველი ნომრის მომზადების პროცესში.

➤1933

1912

25 მარტამდე

წერს „სააღდგომო კუპლეტებს“, რომელთა ადრესატები არიან: იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ვალერიან გუნია, ივანე გომართელი, იროდიონ ევდოშვილი, სოფრონ მგალობლიშვილი, ბეგლარ ახოსპირელი, ნესტორ კალანდაძე (ეშმაკი), დომენტი ოყრეშიძე (დ. თომაშვილი), ვასილ ურუშაძე, დუტუ მეგრელი, შიო არაგვისპირელი, დავით მესხი (თომა პუსა), სამსონ ფირცხალავა (სიტყვა), მიხაკო წერეთელი (Baton), მიხეილ კინწურაშვილი (იასამანი), სილოვან ხუნდაძე, იოსებ იმედაშვილი, იპოლიტე ვართაგავა, გიორგი ქუჩიშვილი, მსახიობები და დებიუტანტი პოეტები.

➤1934

1912

25 მარტი

იუმორისტულ ჟურნალში „მაშხალა“ აქვეყნებს საინფორმაციო ხასიათის ტექსტებს სათაურით „ახალი ამბები“, სადაც სახუმარო ინტონაციით გადმოგვცემს კულტურის სფეროში არსებულ სიახლეებს.

➤1935

1912

25 მარტი

იუმორისტულ აღმანახში „მაშხალა“ ნემსის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ კუპლეტებში სათაურით „საადღომო მილოცვები“, ნახსენებია ვარლამ რუხაძესთან ერთად: „აღსდგა ქრისტე, პოეტებო?!“.

➤1936

1912

**მარტის შემდეგ**

იხურება გაზეთი „ცხოვრება“ და გალაკტიონი უმუშევარი რჩება.

➤1937

1912

**მარტის შემდეგ**

ოცდაოთხ მუხლად ჩამოწერს ეტაპებს თავისი ცხოვრებიდან.

➤1938

## აპრილი

1912

**6 აპრილი**

ახალგაგნობილი კ. კობახიძე გაზეთის „ცხოვრება“ რედაქციაში უგზავნის მისდამი მიძღვნილ ლექსს „დაიჭი ჩანგი“.

➤1939

1912

**7 აპრილამდე**

ოლია ოკუჯავა ქუთაისში საადღომო არდადეგებზე ყოფნისას რამდენჯერაც დაინახავს გალაკტიონს, ჩუმიად აედევნება უკან და რუსულად ხმამაღლა ამბობს, ო, ეს ტაბიძეა.

➤1940

1912

**7 აპრილი**

ქუთაისის თეატრში ესწრება 30 წლის პოლონელი ვირტუოზის – ბრონისლავ გუბერმანის კონცერტს. მუსიკოსი უკრავს პაგანინის ვიოლინოზე და მისი შესრულება საოცარ აღფრთოვანებას იწვევს გალაკტიონში. ის ისეთი უკიდურესი ემოციითა და ტაშით გამოხატავს თავის განცდებს, რომ ყურს არ უგდებს პოლიციელის გაფრთხილებას და აკავებენ.

➤1941

1912

**7 აპრილი**

დედა და ძმა მოუთმენლად ელიან გალაკტიონის ქუთაისიდან მშობლიურ სოფელში ჩასვლას, მაგრამ ვერც ჩასვლას ახერხებს და ვერც აბესალომისთვის სამგზავრო ფულის გაგზავნას.

➤1942

1912

**7 აპრილის შემდეგ**

ქუთაისში აკითხავს ძმა და სთხოვს თბილისში გასამგზავრებელი თანხის შოვნას, გალაკტიონს თხუთმეტი მანეთი აქვს რედაქციიდან ასაღები, მაგრამ მთელი დღის მანძილზე 50 კაპიკს ძლივს შოულობს. როდესაც აბესალომი ეკითხება, რად უნდა ასეთი სამსახური, პასუხობს, რომ ლიტერატურული სადამოს გამართვას აპირებს, რომელზე შემოსული თანხითაც წიგნს გამოსცემს და რედაქციაში სამსახურსაც თავს დაანებებს.

➤1943

1912

**7 აპრილის შემდეგ**

წერს განცხადებას, რომ კვირას, საღამოს 8 საათზე გაიმართება ლიტერატურულ-დრამატული საღამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ნადეჟდა ლუხმანოვას პიესა „ნაპოლეონის სიკვდილი“ და ვასილ ბალანჩივადის ერთმოქმედებიანი ვოდევილები: „კუდიანი ვარსკვლავი“ და „უბედური დღე“.

➤1944

1912

**7 აპრილის შემდეგ**

წერს ლექსს „გუბერმანის კონცერტზე“.

➤1945

1912

**7 აპრილის შემდეგ**

წერს ლექსს „პოეტი და ოკოლოდოჩნიკი“.

➤1946

1912

**7 აპრილის შემდეგ**

წერს პროზაულ ტექსტს „პოეტი თეატრში“.

➤1947

1912

**25 მარტიდან 8 აპრილამდე**

იმყოფება ქუთაისში. პროკოფი გუჯაბიძესთან ერთად მონაწილეობს სერგო გერსამიას რედაქტორობით გამომავალი იუმორისტული ჟურნალის „ჯოჯოხეთის მაშხალა“ პირველი ნომრის მომზადებაში.

➤1948

1912

**8 აპრილამდე**

მუშაობს ალმანახის „ჯოჯოხეთის მაშხალა“ რედაქციაში და იღებს ძალიან მცირე ხელფასს. თამბაქოს საყიდელი ფული ხშირად არ აქვს და უკვე მოწეულის ნამწვავებს არ ყრის, რომ, როცა საყიდელი ფული არ ექნება, გამოიყენოს.

➤1949

1912

**8 აპრილამდე**

ფსევდონიმით „მ-იმოზა“ წერს ნოველას „ნამწვავები“.

➤1950

1912

**8 აპრილი**

იუმორისტულ ჟურნალში „ჯოჯოხეთის მაშხალა“ ფსევდონიმით „გალაშკა“ აქვეყნებს ნოველას „ნამწვავები“, რომელშიც არეკლილია მწერალთა მატერიალური მდგომარეობა, პურის ფულს რომ სესხულობენ, სიგარეტის ნამწვავებს კი არ ყრიან და შავი დღისთვის ინახავენ.

➤1951

1912

## 8 აპრილი

იუმორისტულ ჟურნალში „ჯოჯოხეთის მაშხალა“ აქვეყნებს საინფორმაციო ხასიათის ტექსტებს სათაურით „ახალი ამბები“, რომელშიც სახუმარო ინტონაციით გადმოგვცემს კულტურის სფეროში არსებულ სიახლეებს.

➤1952

1912

## 8 აპრილი ან შემდეგ

წერს ფელეტონს „საუბარი დრამატურგთან“.

➤1953

1912

## 8 აპრილის შემდეგ

იმყოფება არჩილ ფარადაშვილთან და სხვა ქუთაისელ ახალგაზრდებთან ერთად. ფარადაშვილი მეგობრებს უამბობს, თუ როგორ დაიწუნა იგი სატრფომ მხოლოდ იმის გამო, რომ მუდმივად ძველი ქუდი ეხურა და თან ხელის თხოვნის დროს უხეშად მიახალა, ქუდი ვერ გამოგიცვლია და ოჯახი როგორ უნდა შეინახო. არჩილის მონათხრობმა ყველა გაამხიარულა, ხოლო გალაკტიონმა ამ ამბის მიხედვით დაწერა იუმორისტული მოთხრობა „ძველი ქუდი“.

➤ 1954

1912

## 8 აპრილის შემდეგ

იუმორისტულ ჟურნალის „ჯოჯოხეთის მაშხალა“ მეორე ნომერში ფსევდონიმით „გალაშკა“ აქვეყნებს მოთხრობას „ძველი ქუდი“, რომელიც ნამდვილი ამბის მიხედვით არის დაწერილი.

➤1955

1912

## 15 აპრილამდე

წერს უსათაურო ლექსს „გწამდეს, გჯეროდეს...“.

➤1956

1912

## 15 აპრილამდე

ფურცელზე წერს 15 აპრილს მის მიერ ორგანიზებული საღამოს განაცხადს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ივანე გომართელი.

➤1957

1912

## 15 აპრილამდე

აბესალომ ტაბიძე ვრცელ წერილს უგზავნის დედას. სწერს, რომ ქუთაისიდან თბილისში გამგზავრებამდე გალაკტიონს საბნის საქმე მოაგვარებინა და საცვლები და პერანგი დაუტოვა. უკმაყოფილებას გამოთქვამს მისი უსუფთაობის გამო და იმასთან დაკავშირებით, რომ დიასახლისისთვის სამი თვეა თანხა არ გადაუხდია.

➤1958

1912

## 15 აპრილამდე

წერს განცხადებას, რომ კვირას, 15 აპრილს გალაკტიონ ტაბიძე გამართავს სალიტერატურო საღამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ცნობილი ქართველი მწერალი ივანე გომართელი.

➤1959



1912

**15 აპრილამდე**

წერს უსათაურო ლექსს „გწამდეს გჯეროდეს...“.

➤1960

1912

**15 აპრილამდე**

წერს ლექსს „გაუგზავნელი წერილი“, რომელსაც უძღვნის თავადის ასულ „ნ...ს“.

➤1961

1912

**17 აპრილი**

გაზეთი „ზაკავკასკაია რეჩ“ ეხმაურება მევიოლინე გუბერმანის კონცერტზე მომხდარ ინციდენტს, როდესაც ჟანდარმმა მაყურებელი, იგულისხმება გალაკტიონ ტაბიძე, დააპატიმრა გადამეტებული ოვაციების გამო და ამ ფაქტს ადამიანის პირად ცხოვრებაში უხემ ჩარევად აფასებს.

➤1962

1912

**17 აპრილის შემდეგ**

წერილს იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძისგან, რომელმაც შემთხვევით წაიკითხა გაზეთი „ზაკავკასკაია რეჩში“, რომ გალაკტიონი კონცერტზე ტაშის დაკვრის გამო დააკავეს და ინტერესდება, იმავე დღეს თუ გამოუშვეს და უსიამოვნება ხომ არ შემთხვევია.

➤1963

1912

**17 აპრილის შემდეგ**

ქუთაისშია და იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. ეკითხება, დაუბრუნეს თუ არა პასპორტი და ჩაატარა თუ არა ლიტერატურული საღამო. ინტერესდება, თუ საღამო ჩაატარა, დარჩა თუ არა თანხა. არიგებს, რომ ფულს გაუფრთხილდეს, თეთრეული იყიდოს და თუ შეძლებს, აბესალომსაც გაუგზავნოს. სწერს, რომ ის თანხა, რომელიც წინა შეხვედრისას დაუტოვა, დედას გამოართვა და უნდა დაუბრუნოს. გარდა ამისა, გამოცდის ჩაბარებას აპირებს დაწყებითი სასწავლებლის ზედა კლასების მასწავლებლის წოდების მოსაპოვებლად და ფული ამისთვისაც დასჭირდება.

➤1964

1912

**21 აპრილი**

„ბათუმის გაზეთი“ აქვეყნებს ცნობას, რომ 28 აპრილს ბათუმში, შმავესკის თეატრში გაიმართება ქართული საღამო-მეჯლისი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მგოსნები: ვარლამ რუხაძე, ირაკლი გოგოლაძე, ნოე ზომლეთელი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვ.

➤1965

1912

**26 აპრილი**

„ბათუმის გაზეთი“ აქვეყნებს ცნობას, რომ 28 აპრილს დანიშნული საღამო-მეჯლისი, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძესაც უნდა მიეღო მონაწილეობა, გადაიდო 3 მაისისთვის.

➤1966

1912

## **29 აპრილი**

„ბათუმის გაზეთი“ იმეორებს ცნობას, რომ 28 აპრილს დანიშნული სადამო-მეჯლისი, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძესაც უნდა მიეღო მონაწილეობა, გადაიდო 3 მაისისთვის.

➤1967

## **მაისი**

### **1912**

#### **2 მაისი**

„სახალხო გაზეთში“ ქვეყნდება ცნობა, რომ მსახიობ გუგუშვილს ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო 3 მაისს ფოთში და 4 მაისს ლანჩხუთში გამართოს ლიტერატურული სადამოები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ: ლეო ნათაძე, ნესტორ კალანდაძე, შალვა შარაშიძე, ვარლამ ხუროძე, ილია ბახტაძე, ვარლამ რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი, ბარნაბ გელაზანია და სხვ.

➤1968

### **1912**

#### **6 მაისამდე**

წერს სარეკლამო განცხადებას, რომ კვირას, 6 მაისს სადამოს ცხრის ნახევარზე ქუთაისის თეატრში გალაკტიონ ტაბიძე მართავს სალიტერატურო სადამოს, რომელზეც ივანე გომართელი გამოვა მოხსენებით თემაზე „ოჯახი და კაცობრიობა“. საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: პარმენ ცახელი, დავით კლდიაშვილი, ვარლამ რუხაძე, იასონ ნიკოლაიშვილი, შალვა შარაშიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, სტეფანე ძიმისტარაშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია და გალაკტიონ ტაბიძე. მესამე განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ვასილ ბალანჩივაძე, ილია ბახტაძე, ვასილ ურუშაძე, პლატონ კორიშელი, ილია ჩიქოვანი, გიორგი ფარქოსაძე, შალვა დადიანი და დავით მესხი. მოხსენებაში ნათქვამია, რომ გალაკტიონი წაიკითხავს ლექსს „ნიავივით, ნიავივით...“.

➤1969

### **1912**

#### **6 მაისამდე**

წერს ლექსს „შვადამისას, როცა სოფელს...“.

➤1970

### **1912**

#### **6 მაისამდე**

რუსულ ენაზე წერს განცხადებას იმის შესახებ, რომ 6 მაისს ქალაქის თეატრში მართავს ლიტერატურულ სადამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი და სხვა ქართველი მწერლები.

➤1971

### **1912**

#### **6 მაისი**

„ბათუმის გაზეთი“ აქვეყნებს ცნობას, რომ 6 მაისს ლანჩხუთში იმართება ლიტერატურული სადამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ალექსანდრე აბაშელი, გიორგი ქუჩიშვილი, ვარლამ ხუროძე, ბარნაბ გელაზანია და გალაკტიონ ტაბიძე.

➤1972

### **1912**

#### **6 მაისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ფრთხილად, ფრთხილად, არ შემეხოთ...“.

➤1973

1912

6 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „არასდროს ისე არ მენატრება...“.

➤1974

1912

6 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „სთვლემს ტყის ნაპირი...“.

➤1975

1912

11 მაისამდე

აბესალომ ტაბიძე იღებს დედის, მაკრინე ადგიშვილის წერილს. დედა მოიკითხავს, უყვება თავის ამბებს და სთხოვს, გალაკტიონს გააგებინოს, რომ 11 ივნისს სასამართლოშია დაბარებული. მიზეზი ვერ გაარკვია.

➤1976

1912

11 მაისამდე

იღებს თბილისიდან ქუთაისში ძმის, აბესალომ ტაბიძის მიერ მისთვის გაგზავნილ წერილს, იგებს, რომ 11 ივნისისთვის სასამართლოშია დაბარებული, მაგრამ ვერ გაურკვევია, რა მიზეზით.

➤1977

1912

11 მაისი

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს და უყვება, რა მძიმე მატერიალურ და სულიერ მდგომარეობაშია. უხსნის, რომ დედამ მისთვის ისედაც ბევრი გააკეთა და არ უნდა, რომ ახლა ასაკში შესულსაც ისევ მას მიმართოს დახმარებისთვის. უფრო მეტიც, უნდა, შეატყობინოს, რომ კარგად არის, მაგრამ წერილის გასაგზავნი ფულიც კი არ აქვს.

➤1978

1912

12 მაისამდე

ლექსს სათაურით „ალბომში“ („აბა მითხარი, რა დავიფიცო...“) უძღვნის რაისა ჩიხლაძეს.

➤1979

1912

12 მაისამდე

წერს ლექსს „პოეტი“ („თვით ქარიშხალი...“).

➤1980

1912

12 მაისამდე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ღამის წუხილი“ („მოგონება გულს შვების სწორს...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤1981

1912

12 მაისამდე

წერს ლექსის სათაურს „ლოცვა“, მაგრამ იქვე წყვეტს წერას.

➤1982

1912

12 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „– მიყვარხარ მოდი.. შენ გწყურია ტრფობა ალერსი?“.

➤1983

1912

12 მაისამდე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სერენადა“ („უკვდავი ხსოვნა უკვდავ ლექსებში...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1984

1912

12 მაისის შემდეგ

თარგმნის ავსტრიელი პოეტის – ნიკოლაუს ლენაუს ლექსს „შერიგება“ („გულის სატრფოვ, საიდუმლო მსურს აგიხსნა, ყური მიგდე...“).

➤1985

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „შედარებები“ („და ისევე წინ...“).

➤1986

1912

12 მაისის შემდეგ

წერს ლექსს „ყვითელი ფოთლები“ („შემოდგომა.. სევდიანი წვიმის წვეთები...“), მაგრამ არ ამთავრებს.

➤1987

1912

12 მაისის შემდეგ

ლექსს „სიყმაწვილის ყვავილები“ („რამდენი არის ედემის ჯერ ნისლით მოცულ მხარეში...“), ფსევდონიმით „გალაშკა“ უძღვნის ახალგაზრდების მეგობარს – გრიგოლ დიასამიძეს.

➤1988

1912

12 მაისის შემდეგ

ფსევდონიმით „სისინი“ წერს უსათაურო ლექსს „მთვარიანი ღამე არი...“.

➤1989

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას, რომლის სათაურადაც ჩაფიქრებული აქვს ჯერ „ღამის ფიქრები“, შემდეგ კი „სიჩუმე“ („მღერის მთის წყარო..“), მაგრამ ორივე სათაურს გადახაზავს და ლექსს არ ამთავრებს.

➤1990

1912

12 მაისის შემდეგ

წერს ლექსებს: „სველი საფლავი“, „შენ არ მოჰკვდები“, „ნანინა“, „მაცდური“, „ტაძარი“, „სიკვდილი და სიცოცხლე“.

➤1991

1912

12 მაისის შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ლექსს „ლოცვა“.

➤1992

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სიტყვებით „მე შენ გელოდი...“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1993

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს წერას ლექსისა „შეერთდით!“ („შეერთდით: კვნესა მოისმის...“).

➤1994

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს წერას ლექსისა „ოცნება“ („ლურჯ მდელოზე ავაშენე...“).

➤1995

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სიტყვებით „სიჩუმით კვნესის / მიდამო შორი..“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤1996

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს პიესის წერას „ვისია, ვისია ლამაზი ქალი?...“.

➤1997

1912

12 მაისის შემდეგ

პატარა ფელეტონის სახით წერს სატირულ ლექსს „რედაქტორი“ („ზოგიერთი რედაქტორი / უკან იხევს, როგორც ჯორი...“) და გამოსაქვეყნებლად უგზავნის „სახალხო გაზეთის“ რედაქტორს.

➤1998

1912

12 მაისის შემდეგ

წერს უსათაურო იგავს ლექსად „ქართველ მხეცებს მოუვიდათ ერთხელ დიდი მასლაათი...“.

➤1999

1912

12 მაისის შემდეგ

ლექსს სათაურით „აკაკის“ („მოხუცო სხივო...“) უძღვნის აკაკი წერეთელს.

➤2000

1912

**12 მაისის შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ორი სევდა“ („ლურჯი ცა ლურჯ მთებს...), რომელსაც უძღვნის ალექსანდრე აბაშელს.

➤2001

1912

**12 მაისის შემდეგ**

წერს ლექსს „შავი გალობა“ („ღამის წყვდიადში ისმის სიმღერა...“).

➤2002

1912

**12 მაისის შემდეგ**

იწყებს დრამის წერას სამ მოქმედებად და ოთხ სურათად, სათაურით „სულის მიმღები ანგელოსი“. პიესაში მოქმედება მიმდინარეობს ბურსაში, მოქმედი პირები არიან 13-14 წლის გოგონა ზულეიმა, ზულეიმას მამა სათარი, საროსკიპოს მფლობელი ქალი ხალივა, ახალგაზრდა ყმაწვილი სანდრო, პოლიციელი და სხვ.

➤2003

1912

**12 მაისის შემდეგ**

წერს ლექსის სათაურს „მგოსნის სიმღერა“, შემდეგ გადახაზავს და წერს ახალ სათაურს „მქვია მგოსანი“ („ოდისეიმ სთქვა: მქვია მგოსანი...“).

➤2004

1912

**12 მაისის შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ემიგრანტის სიმღერა“ („შორის მხრიდან ცივი ქარი მიგვაქროლებს შორსა მხარეს...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤2005

1912

**12 მაისის შემდეგ**

ფურცელზე ჩამოწერს მცენარეთა სახელებს.

➤2006

1912

**12 მაისის შემდეგ**

გადაამუშავებს ჩერქეზული რომანის მოტივებზე დაწერილ ლექსს „მთებში“, რომელსაც უძღვნის თავად „ნ. დ-ს ასულს“.

➤2007

1912

**12 მაისის შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მზე ვიყავ...“ („მთვლემარე ბაღში მთვლემარე შვადლე...“).

➤2008

1912

**12 მაისის შემდეგ**

რვეულში იწერს მცენარეებისა და ცხოველ-ფრინველთა სახელებს.

➤2009

1912

12 მაისის შემდეგ

ალექსანდრე აბაშელს უძღვნის უსათაურო ლექსს „გრიგალი მთისას / იმეორებს ხმებს...“

➤2010

1912

12 მაისის შემდეგ

უსათაუროდ თარგმნის გოტფრიდ ბიურგერის ლექსს „ველური კვნესით დაჰქრის გრიგალი...“.

➤2011

1912

12 მაისის შემდეგ

წერს ლექსს „რას მეტყვი ისეთს“ („მიანარნარებს ზვირთებს ეთერი...“).

➤2012

1912

12 მაისის შემდეგ

ალექსანდრე აბაშელს უძღვნის ლექსს სათაურით „სევდა“ („მე რომ შევიქმნე ღმერთი ძლიერი...“).

➤2013

1912

12 მაისის შემდეგ

წერს ლექსს „სანთელი“ („სადაც მიმოქრის უზრუნველი სიო მდელოსი...“).

➤2014

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სამშობლო“, მაგრამ სათაურსაც და ლექსის დასაწყისსაც გადახაზავს და წერას წყვეტს.

➤2015

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ზეფირი“ („რა თვალწარმტაცად მოსხმია...“).

➤2016

1912

12 მაისის შემდეგ

წერს სათაურს „ძველი ტამარი“, მაგრამ იქვე წყვეტს ლექსის წერას.

➤2017

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მელოდია“ („მაშ იმღერე ისეთი რამ...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤2018

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ყვითელი ფოთლები“ („მე წიგნში ვნახე ერთხელ ფოთოლი...“).  
➤2019

1912

12 მაისის შემდეგ

წერს ლექსს „გვირგვინი“ („აი, გვირგვინი რომ ამკობს საფლავს...“).

➤2020

1912

12 მაისის შემდეგ

წერს ლექსს „მონაზვნის სიზმარი“ („გადაშლილ წიგნზე დაეძინა...“).

➤2021

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს წერას ლექსისა „მონასტერში“ („ემილია წყნარათ სთვლემდა...“).

➤2022

1912

12 მაისის შემდეგ

რვეულში იწერს ძღვნას ნოე ხომერიკისადმი, მაგრამ ლექსის წერას აღარ იწყებს.

➤2023

1912

12 მაისის შემდეგ

წერს ლექსს „შემოდგომა“ („მინას ეცემა წვიმის წვეთები...“).

➤2024

1912

12 მაისის შემდეგ

პატარა ფელეტონის სახით წერს ლექსს „სილოვანის გრამატიკა“ („მას შემდეგ რაც კვირიკელამ...“).

➤2025

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს წერას ლექსისა სათაურით „ანტისას“ („ძვირფასო, როცა გიგონებ...“).

➤2026

1912

12 მაისის შემდეგ

წერს ლექსს „შერიგება“ („დიდხანს მწყუროდა ქვეყნად ვინმე შემყვარებოდა...“).

➤2027

1912

12 მაისის შემდეგ

იწყებს რომანის წერას ლექსად, სათაურით „დალილა“ („იქ, სად მინდვრებს გადაწოლილს თვალიც კი ვერ გადასწვდება...“).

➤2028

1912



**13 მაისი**

„ბათუმის გაზეთი“ აქვეყნებს ცნობას, რომ სამშაბათს, 22 მაისს, რკინის თეატრში შედგება გადადებული საღამო-მეჯლისი.

➤2029

**1912**

**16 მაისი**

„ბათუმის გაზეთი“ აქვეყნებს ცნობას, რომ სამშაბათს, 22 მაისს გაიმართება საღამო-მეჯლისი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: დავით კლდიაშვილი, პარმენ ცახელი, გიორგი ქუჩიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

➤2030

**1912**

**19 მაისი**

თბილისიდან ჭყვიშში აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და სწერს, გალაკტიონს მივწერე, რაზე ხარ დაბარებული, უწყება რომ მოგსვლიაო და მიპასუხა, არაფერი შემმოხვევია და წარმოდგენა არ მაქვსო.

➤2031

**1912**

**22 მაისის შემდეგ**

იღებს თბილისიდან ქუთაისში ძმის მიერ გაგზავნილ საპასუხო წერილს. აბესალომი შემფოთებულია მისი პესიმისტური განწყობით. უყვება თავის ამბებს, რომ გამოცდები აქვს და რამდენიმე დღეში ამთავრებს სემინარიას. ასარჩევად ყველაზე რეალური ორი ვარიანტი აქვს, 30-მანეთიანი ხელფასით სოფლის მასწავლებლობა ან მღვდლობა, რაც ვერ გადაუწყვეტია. მისი სურვილი სასულიერო აკადემიაში სწავლის გაგრძელებაა, რისთვისაც ცოტა მომზადება დასჭირდება. იმ ოთხი წლის განმავლობაში, სანამ ის სემინარიაში ისწავლის, გალაკტიონმა მასწავლებლად უნდა იმუშავოს და როცა აბესალომი დაამთავრებს, მასაც მიხედავს. ადრესანტი სთხოვს, რომ წერილის მიღებისთანავე წავიდეს სოფელში და ამ გეგმების შესახებ მოელაპარაკოს დედას, რომელსაც ეცოდინება, იხსნება თუ არა მათ სოფელში ორკლასიანი სასწავლებელი. სთხოვს, რომ სასწრაფოდ წერილით გააგებინოს დედის აზრი, რომ იცოდეს, წიგნები თან წაიღოს მოსამზადებლად თუ არა და სხვას არავის არაფერი უთხრას. ურჩევს, რომ ზაფხული ქუთაისში გაატარონ.

➤2032

**1912**

**27 მაისამდე**

ფურცელზე აკეთებს აფიშის ჩანახატს. ნათქვამია, რომ კვირას, 27 მაისს გალაკტიონ ტაბიძის თაოსნობით გაიმართება სალიტერატურო საღამო-მეჯლისი, რომელზეც გიორგი ჭუმბურიძე წაიკითხავს ლექციას. ახალ პოეზიას წარმოადგენენ: ალექსანდრე შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, გალაკტიონ ტაბიძე, ბარბარე ხოსიტაშვილი (ზაბილინა) და სხვები. გამომსვლელთა შორის მოხსენიებულია აკაკი წერეთელი.

➤2033

**1912**

**27 მაისამდე**

სათაურით „აკაკის“ („შულამისას, როცა ცის თაღზე...“) წერს აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ ლექსს.

➤2034

1912

**28 მაისამდე**

წერილს იღებს მიხეილ ბოჭორიშვილისგან. ადრესანტი ეკითხება, დაასრულა თუ არა რომანზე მუშაობა და უზიარებს თავის აზრს, რომ ფსიქოლოგიური წიაღსვლებით გალაკტიონის პროზა პოლონელი მწერლის – სტანისლავ ჰშიბიშევსკის ნაწარმოებებს აგონებს. მიხეილი გალაკტიონს სთხოვს, შეატყობინოს, როგორ მიდის წიგნის გამოქვეყნების საქმე, რომ ხელმომწერები ანუგეშოს. ასევე ინტერესდება, მიაწვდინა თუ არა ადრესანტის მოთხოვნა „მიმოზა“ გაზეთ თემის რედაქციას.

➤2035

1912

**28 მაისის შემდეგ**

მიხეილ ბოჭორიშვილისგან იღებს 28 მაისს გაგზავნილ საპასუხო წერილს. ადრესანტი უყვება, რომ დაიწყო თავისი რომანის „მწუხრიშვილი“ გადაწერა, მაგრამ არ იცის, როდის მოახერხებს დამთავრებას. ინტერესდება, რა ბედი ეწია მის „მიმოზას“, დაიბეჭდა თუ არა გაზეთ „თემში“. ასევე აცნობებს, რომ 15 ივნისს მართავს სალიტერატურო საღამოს ბავშვებისთვის და დაუყოვნებლივ სჭირდება გალაკტიონის ლექსები: „პირველი ენკენისთვე“, „დემონი“ ან რაიმე სხვა.

➤2036

1912

**გაზაფხული**

ცხოვრობს ქუთაისში ბალახვანის ქუჩაზე ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად. იღებს ოლია ოკუჯავას ღია ბარათს. ქალი აღწერს ბუნების სურათებს, საუბრობს თავის სიყვარულსა და განცდებზე. როგორც ჩანს, გალაკტიონზე ნაწყენია. წერს, რომ მას უყვარს გალაკტიონი, რომელიც თავის წარმოსახვაში შექმნა და ბარათს ამთავრებს სიტყვებით „მორებელი მუდამ შენთვის“.

➤2037

1912

**გაზაფხული ან ადრე**

რაისა ჩიხლაძეს უძღვნის ლექსს სათაურით „ცელქი რითმები“ („ახ, სად არი იგი მხარე...“).

➤2038

1912

**გაზაფხული ან ადრე**

რაისა ჩიხლაძეს უძღვნის ლექსს სათაურით „მოხვევს სიმღერა“ („ქალაუ ვდნები.. ვიწვები...“), მაგრამ მალევე წყვეტს წერას.

➤2039

1912

**მაისი ან შემდეგ**

რუსულ ენაზე წერს ლექსს „ჭკნება გვირგვინი მშვენიერი...“.

➤2040

1912

**მაისი ან შემდეგ**

მაკრინე ადგილობრივი მოკითხვის წერილს უგზავნის შვილს, აბესალომს. ატყობინებს, რომ გალაკტიონი ურჩევს აბესალომის უმაღლეს სასწავლებელში გაუმვას. თუ მიმდინარე წელს არ მოხერხდება, შეუძლიათ შემდეგი წლისთვის დააგროვონ წასასვლელი თანხა. სწერს, რომ გალაკტიონმა მასწავლებლის ადგილი გაყიდა და თავადაც აპირებს სასწავლებლად წასვლას.

➤2041

1912

**მაისი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „წყალს, გადაშვებულს ტბიდან ანაზღადა...“.

➤2042

1912

**მაისი ან შემდეგ**

ვინმე „ჩიქოვანის ქალს“ სათაურით „განდეგილი“ უძღვნის სიტყვებს: „მარტოთ ქვითინი, მარტოთ ცრემლთ ფრქვევა / ბედნიერება არის ერთგვარი“.

➤2043

## ი ვ ნ ი ს ი

1912

**1 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დაგინახავთ ოზობა ბუზს...“.

➤2044

1912

**1 ივნისის შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ი. გოგებაშვილის ხსოვნას“ („მსურს მეც ცრემლად გადავიქცე...“).

➤2045

1912

**1 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ყვავილზე თურმე ცის ცვარს ეძინა...“.

➤2046

1912

**1 ივნისის შემდეგ**

ხელმოწერით „მარგარიტა გოტიე“ წერს უსათაურო ლექსს „ყოფნის ზვირთთან აღარ ძალმიძს...“.

➤2047

1912

**1 ივნისის შემდეგ**

რვეულში ათეთრებს უსათაურო ლექსს „გაზაფხულია, ტბის ნაპირები...“), რომელიც ეძღვნება ნინო დადიანს.

➤2048

1912

**1 ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „ტბაზე“ („მეხვევა გარს ფიქრთ სამოსი...“).

➤2049

1912

**1 ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „იჭვი“ („აუსრულდა სიოს ნატვრა...“).

➤2050

1912

**1 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ბურუსში გამოჩადრული...“.

➤2051

1912

**1 ივნისის შემდეგ**

წერს პროზაულ ტექსტს სათაურით „ზულიმა“, რომელშიც აღწერს გიმნაზიის მოწაფე ყმაწვილის ურთიერთობას რვა წლის თათარი ეროვნების გოგო ზულიმასთან.

➤2052

1912

**1 ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს სათაურით „ია – ოცნება“ („გარდაიცვალა ია – ოცნება...“).

➤2053

1912

**1 ივნისის შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ტბის ნაპირად“ („ნაზი, მსუბუქი ლერწამი სტირის...“).

➤2054

1912

**1 ივნისის შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ქალი და ხელოვნება“ („ირემი ისმენს ბალახის ჩურჩულს...“), რომელსაც ეპიგრაფად წარუმძღვარებს ფრანგი პოეტის სიული პრიუდომის სიტყვებს: „გეშინოდეს პოეტო თაყვანისმცემელი ცბიერი ქალების“. შემდეგ ხელახლა წერს სათაურს და იწყებს სიტყვებით: „სად? სად შეჰქმენი, საუცხოვო ჰანგი ასეთი...“. ბოლოს, ერთხელ კიდევ განაახლებს ამ ლექსის წერას და იწყებს სიტყვებით: „ნუ ენდობი გარინდებულს და ანთებულს ცისა ტატნობს...“

➤2055

1912

**3 ივნისამდე**

ქართულ და რუსულ ენებზე წერს განცხადებას, რომ კვირას, 3 ივნისს გალაკტიონ ტაბიძის ხელმძღვანელობით გაიმართება ლიტერატურულ-დრამატული სადამო, რომლის დროსაც წარმოდგენილი იქნება ვასილ ბალანჩივაძის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „კუდიანი ვარსკვლავი“ და მონაწილეობას მიიღებენ მწერლები.

➤2056

1912

**3 ივნისამდე**

არედაქტირებს ლექსს „სიკვდილი არ მოგატყვილებს“ („დღეს გავიგე, რომ ჩემს სატრფოს არ ვუყვარდი... არ ვუყვარდი...“).

➤2057

1912

**3 ივნისამდე**

წერს ლექსს „შემოდგომის მელოდია“ („ცელქი სიო მთის ყვავილებს ნაზად ხრის...“).

➤2058

1912

**3 ივნისი**

„ბათუმის გაზეთში“ ქვეყნდება ცნობა, რომ უახლოეს ხანში ახალგაზრდა პოეტის გალაკტიონ ტაბიძის თაოსნობით ქუთაისის თეატრში გაიმართება საინტერესო სალიტერატურო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი ბელეტრისტები, პოეტები და იუმორისტები.  
➤2059

1912

**8 ივნისამდე**

რუსულ ენაზე წერს განცხადებას ქუთაისის გუბერნატორის სახელზე 8 ივნისს ხონში და 9 ივნისს ქუთაისის თეატრში ლიტერატურულ-დრამატული საღამოების ჩატარების ნებართვის თხოვნით.  
➤2060

1912

**8 ივნისამდე**

დღიურში იწერს ასო „ს“-ზე დაწყებულ სიტყვებს.  
➤2061

1912

**8 ივნისი**

საღამოს გასამართად პირველად ჩადის ხონში, მოხიბლულია ამწვანებული ეზოებით და აკვირვებს სკოლების სიმრავლე.  
➤2062

1912

**8 ივნისი**

გაზეთი „კოლხიდა“ აქვეყნებს ცნობას, რომ შაბათს, 9 ივნისს ქალაქის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი წერეთელი, პარმენ ცახელი, შალვა დადიანი და სხვა პოეტები.  
➤2063

1912

**9 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ჰქრის ნიაგ-ქარი... ზვირთი ზვირთს არხევს...“.  
➤2064

1912

**9 ივნისამდე**

წერს განცხადებას, რომ შაბათს, 9 ივნისს, ქალაქის თეატრში ჩატარდება სალიტერატურო საღამო, რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ქართველი პოეტები და მწერლები.  
➤2065

1912

**9 ივნისამდე**

ფურცელზე წერს განცხადების ტექსტს 9 ივნისს ქალაქის თეატრში გასამართი სალიტერატურო საღამო-ზეიმის შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოთხოვნილებს, ნოველებსა და მინიატურებს წაიკითხავენ: შალვა დადიანი, ვარლამ მაღალაქიაშვილი (ხუროძე), ჯაჯუ ჯორჯიკია, იასონ ნიკოლაიშვილი და თეოფილე ხუსკივაძე. ლექსებს წაიკითხავენ: აკაკი წერეთელი, პარმენ ცახელი, ვარლამ რუხაძე, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, სტეფანე ძიმისტარაშვილი (კორტოხა) და სხვები. ასევე იქნება იუმორისტული ნომრები.

➤2066

1912

### 9 ივნისი

გაზეთი „კოლხიდა“ აქვეყნებს ცნობას, რომ ქუთაისის თეატრში მიმდინარე დღეს, საღამოს ცხრის ნახევარზე გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი წერეთელი, პარმენ ცახელი, ვარლამ რუხაძე და სხვები. ასევე ნათქვამია, რომ საღამოზე გალაკტიონ ტაბიძე და ვარლამ რუხაძე თავიანთ ნაწერებს წაიკითხავენ იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად.

➤2067

1912

### 9 ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „საიდუმლო“ („მოჰკვდა, როცა ღამის ჩადრქვეშ ივსებოდა ნორჩი დილა...“).

➤2068

1912

### 9 ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „მოვალეობა“ („არ გაიფიქრო, შენდამი ტრფობამ...“).

➤2069

1912

### 10 ივნისამდე

რუსულ ენაზე წერს განცხადებას, რომ კვირას, 10 ივნისს გალაკტიონ ტაბიძის ხელმძღვანელობით გაიმართება ლიტერატურულ-დრამატული საღამო, რომლის დროსაც წარდმოდგენილი იქნება ვასილ ბალანჩივასი ერთმოქმედებიანი ვოდევილი „კუდიანი ვარსკვლავი“ და მონაწილეობას მიიღებენ მწერლები.

➤2070

1912

### მაისი-ივნისი

წერს პიესას „ბინდი“, რომლის მთავარი მოქმედი პირები არიან: მხატვარი, მისანი, კუპიდონი, მგზავრი და ბრბო. პირველი ნაწილის მოქმედებათა ქვესათაურებია: „ტანჯვა შემოქმედებისა“, „შემოქმედება“, „ბრბო“, „არარაობა“, „ყოფნის მიზანი“, „შორსჭვრეტა კაცთა“, „შექმნილი ფერიები“, „ეჭვი“ და „სიმღერა ძებნის“. მეორე ნაწილის სათაურია „დიდ-დედა დრო“, მოქმედებებისა კი: „ყოფნის უბსკრული“ და „სიჩუმის სიმღერა“.

➤2071

1912

### მაისი-ივნისი

ფურცელზე 174 ერთეულად ჩამოწერს თავისი ლექსების ნუსხას, რომელთა შეტანასაც აპირებს თავის პირველ წიგნში. მათგან 56 ლექსი პოეტმა აღარ შეიტანა 1914 წლის გამოცემაში: „ჰარემის ბაღი“, „ხეტიალი“, „მგოსნის ქვითინი“, „ლოცვა“, „სიმღერა სასოწარკვეთილისა“, „ფარვანა“, „რიჟრაჟი“, „უკვდავება“, „მკვდრის მწუხარება“, „მარტოობაში“, „ხმა სატანასი“, „მეგლი მგოსნისა“, „ღამის ფიქრები“, „ბიბლიურ ჰანგზე“, „მაცდური“, „გასწი, მენავე!“ „ლამპარი“, „თაიგული“, „სტრიქონები“, „ნანა“, „დროთა მდინარე“, „ღმერთს დაემებს“, „კოლხიდაში“, „ოჰ, რა ტკბილათ ეძინება“, „ზღვაზე“, „სიყვარული“ („მე ვაღმერთებ...“), „ქნარი“ („ეს ის ქნარია...“), „ფიქრი ზღვის პირად“, „საღამო შემოდგომისა“, „მითხარი ნანა“, „ორთეოსი“, „არ გალხენს, სულო“, „ახალი გზის წინ“, „მქვია მგოსანი“ (მგოსნის დღიურიდან), „ვარსკვლავი“, „სამარესთან“, „ღამე“, „როცა ბუღბუღი განთიადისას“, „მხოლოდ ბუნება“, „ლეგენდა“, „სიცოცხლე და სიკვდილი“,

„გვირგვინი“, „ტყის სიღრმეში“, „ნიავი“, „ფიქრი“, „ნ. ბარათაშვილი“, „სტიროდა ზეცა“, „სევდიანი დღე“, „გაუგზავნელი წერილი“, „საფლავთ ღაღადი“, „პოეტი“, „ლოდინი“, „ღრუბელს ჩაკიბულს“, „ძველი ტამარი“, „მალე მოგვკვდები“.

➤2072

1912

**მაისი-ივნისი**

ფურცელზე 24 მუხლად ჩამოწერს იმ დაწესებულებებს და აგენტების ვინაობას, ვინც მისი წიგნის გავრცელებაში იქნება ჩართული.

➤2073

1912

**მაისი-ივნისი**

აგროვებს თავის ხელნაწერებს და უგზავნის რაისა ჩიხლაძეს. სწერს, რომ აქ ყველაფერი არ არის, მაგრამ აზრის ჩამოსაყალიბებლად საკმარისია. სთხოვს, რომ თავისი გულწრფელი აზრი უთხრას. არ უნდა უსაფუძვლო არც ქება და არც ძაგება, სურვილი აქვს, რომ ვინმემ მისი ნაწერები საქმიანად განიხილოს.

➤2074

1912

**მაისი-ივნისი**

წერს უსათაურო ლექსს „ფოთოლს, დაფარულს ყვავილთა მტვერით...“.

➤2075

1912

**მაისი-ივნისი**

წერს ესსეს „იმპრესიონიზმი, ე. ი. ახალი პოეზია“ და მსჯელობას იწყებს ოპტიმიზმისა და პესიმიზმის ფსიქოლოგიის შესახებ.

➤2076

1912

**მაისი-ივნისი**

წინუცა ქავთარაძეს ალბომში უწერს ლექსს „რა ჩავსწერო შენს ალბომში, რომ მოგხიბლოს იმისთანა?..“.

➤2077

1912

**მაისი-ივნისი**

წერს ლექსს „შემოდგომის მზე“ („გახსოვს, გახსოვს ის ქარბუქი, აფიშებს რომ ჰხეცდა დილით?“).

➤2078

1912

**მაისი-ივნისი**

წერს ლექსს „რეგენატის სიმღერა“ („რაც მოვისურვე, შევიქმენ, ავცდი მონებს და გმოხილებს...“).

➤2079

1912

**ივნისი ან შემდეგ**

წერილს იღებს მიხეილ ბოჭორიშვილისგან, რომელიც ატყობინებს, ინფორმაცია გავრცელდა, გალაკტიონის ლექსების წიგნი გამოვიდა და უკვე რიგდებაო. სწერს, რომ რამდენადაც ამ წიგნზე

ხელმოწერებს გალაკტიონისთვის მიხეილიც აგროვებდა, ხელმოწერები მას მიადგნენ წიგნების მისაღებად. მიხეილი გალაკტიონს სთხოვს რამდენიმე წიგნის გაგზავნას მაინც, თუნდაც თანხის საფასურად. სწერს, რომ ბარათს ნაცნობს ატანს. სთხოვს, მისამართი გაუგზავნოს და ოლია ოკუჯავას მოკითხვა გადასცეს.

➤2080

1912

### იენისი ან შემდეგ

წერილს იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძისგან. აცნობებს, რომ ქუთაისში ყოფნისას შეხვდა მიხეილ ბოჭორიშვილს, რომელმაც სთხოვა, გალაკტიონისთვის ეთხოვნა ხელმოწერებისთვის დასარიგებელი წიგნების გაგზავნა. აბესალომს მიაჩნია, რომ რედაქციაში მუშაობამ შეიძლება გალაკტიონი დაპატიმრებამდე მიიყვანოს. ურჩევს, იქ მუშაობას თავი დაანებოს, მასწავლებლის ადგილზე იზრუნოს და სანამ იშოვიდეს, სოფელში ჩავიდეს დედასთან. არიგებს, რომ წიგნებიც თან წაიღოს და ჯარისგან თავის დახსნაზე იფიქროს.

➤2081

## ი ვ ლ ი ს ი

1912

### 3 ივლისამდე

წერს ლექსს „რა ვქნა?“ რომელსაც ქვეშ მიწერილი აქვს, რომ ეძღვნება „თავ.-ს ასულს ზ-ს“.

➤2082

1912

### 3 ივლისი

გაზეთში „ჩვენი ცხოვრება“ მინაწერით: „ძღვნად თავ.\*\*\*-ს ასულს ზ-ს“ აქვეყნებს ლექსს „რა ვქნა?“.

➤2083

1912

### 21 ივლისი

კადრებში ხვდება ქუთაისში, აკაკი წერეთლის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დასაწყისის გადაღებისას.

➤2084

1912

### ზაფხული

იღებს დედის – მაკრინე ადგიშვილის წერილს. ადრესანტი სთხოვს, გაუფრთხილდეს თავს, თუ ვერ ეგუება სამსახურს, ეცადოს სხვა იშოვოს და თუ ახალ სამსახურს ვერ მონახავს, მასთან ჩავიდეს სოფელში და სექტემბრამდე დარჩეს. სწერს, რომ თუ აბესალომი ჩაკითხავს, კარგი შავი მატერიის შარვლები იყიდონ.

➤2085

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1912

### სექტემბრამდე

წარუმატებლად მთავრდება წიგნის გამოცემის მცდელობა, რადგან 15 ხელმოწერზე მეტს ვერ აგროვებს. ამ ხელმოწერებისგან აღებული თანხის გარდა აქვს ქუთაისში ნაქირავები სახლის დიასახლისის, სასადილოების, სადალაქოებისა და რძის მაღაზიების ვალი და საშინელ დეპრესიაშია. ამ დროს აკითხავს ძმა – აბესალომ ტაბიძე და იმ მიზნით, რომ ქუთაისში ცხოვრებამ კიდევ უფრო დიდ ვალებსა და დეპრესიაში არ ჩააგდოს, მიჰყავს მშობლიურ სოფელ ჭყვიშში. იქ გალაკტიონი შედარებით მშვიდდება და წერს ასამდე წერილს ლექსს.

➤2086



1912

### სექტემბრამდე

წერილს იღებს ოლია ოკუჯავასგან და ფოთიდან ჭყვიშში მიმავალი სამტრედიის სადგურზე უწერს პასუხს. აღნიშნავს, რომ დედასთან დასვენებას აპირებს და იქ მისი მეგობრები მხოლოდ წიგნები და ოლიას წერილები იქნება.

➤2087

1912

### 25 სექტემბერი

წერს ლექსს „სად არის მხარე“ („სად არის მხარე, სად სიყვარულით...“).

➤2088

1912

### სექტემბერი ან შემდეგ

წერს ლექსს „მშვიდობით!“ („ასე, მშვიდობით. მიყვარდი ისე...“).

➤2089

1912

### სექტემბერი და შემდეგ

ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან და კოლაუ ნადირაძესთან ერთად ხშირად სტუმრობს სამეგრელოს ყოფილი მარშლის კოვი დადიანის ოჯახს ქუთაისში.

➤2090

1912

### სექტემბერი ან შემდეგ

ძმა, აბესალომ ტაბიძე ვინმე მამა ტარასისთან ატანს წერილს, რომელშიც ადრესატს სთხოვს, დაეხმაროს გალაკტიონს მასწავლებლის ადგილის შოვნაში, კერძოდ, დაარიგოს ვის მიმართოს. აღნიშნავს, რომ კარგი იქნებოდა ხელფასიანი სამსახური, მაგრამ თუ მაინცადამაინც ეს არ მოხერხდება, სთხოვს, რომ უხელფასო სამსახურში აბესალომის სკოლაში გაამწესონ მესამე მასწავლებლად.

➤2091

## ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

1912

### 20 ოქტომბერი

სამტრედიიდან მშობლიურ სოფელ ჭყვიშში აწვდიან ძმის, აბესალომ ტაბიძის მიერ საჯავახოს სოფელ ჭოკნარიდან გაგზავნილ წერილს. ატყობინებს, რომ ჯერ ნორმალურ ბინაში ვერ დაბინავდა და გადასვლას აპირებს. ინტერესდება, მოილიეს თუ არა რთველი და ჰპირდება, რომ 8 დღეში აუცილებლად ჩავა.

➤2092

1912

### 21 ოქტომბერი

ფიქრობს, რომ ბედნიერებისთვის სჭირდება მხოლოდ თანამგრძნობი ლამაზი ქალი და მყუდრო ცხოვრება, თუნდაც პატარა ქოხში, ამქვეყნიური ბოროტი ღრენისა და დრტვივნისგან მოშორებით. ამ განწყობით წერს ლექსს „შერიგება“ („ალბათ ღამით ყინვა მინებს...“).

➤2093

1912

### 22 ოქტომბრამდე

მშობლიურ სოფელში გალაკტიონი მშვიდდება, დღე და ღამ მუშაობს და წერს ასამდე წვრილ ლექსს.

➤2094

1912

22 ოქტომბრამდე

წერს მისტიკურ პოემას „ალვის ხეები“.

➤2095

1912

22 ოქტომბრამდე

წერს რომანს ლექსად „მველი კომკი“ (შუაღამისას, როს სხივი წმიდა...“).

➤2096

1912

22 ოქტომბრამდე

წერს მოთხრობას „ორი მეგობარი“.

➤2097

1912

22 ოქტომბრამდე

თარგმნის ჰომეროსის „ოდისეას“ ერთ მესამედს.

➤2098

1912

22 ოქტომბრამდე

გეგმავს მუშაობას პოემაზე „ქრისტე უდაბნოში“ და კითხულობს საღვთისმეტყველო ლიტერატურას.

➤2099

1912

22 ოქტომბრამდე

წერილს იღებს მიხეილ ბოჭორიშვილისგან. ადრესანტი გალაკტიონზე ძალიან ნაწყენია იმის გამო, რომ მან თავისი წიგნის გამოსაცემად ხელმომწერებისგან თანხა შეაგროვებინა, გამოართვა და ვერც წიგნი გამოსცა და ვერც თანხას უბრუნებს. წუხს, რომ გალაკტიონს ლიტერატურული საღამოდანაც არ შემოსვლია თანხა. სთხოვს, დაწვრილებით მისწეროს, რას აპირებს ხელმომწერებთან დაკავშირებით, რადგან, თუ თანხა ადრესატის გადასახდელია, ურჩევნია, რომ ამის შესახებ დროულად გაიგოს.

➤2100

1912

22 ოქტომბერი

არის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში, წერილს იღებს მიხეილ ბოჭორიშვილისგან და მაშინვე სწერს პასუხს. უზიარებს საკუთარ გულისტკივილს იმასთან დაკავშირებით, რომ ადამიანთა საზოგადოებაში ობლად გრძნობს თავს, არ იზიარებს მოსაზრებას, თითქოს ადამიანის გული სფინქსივით ამოუცნობია. წერს, რომ ადამიანის გულის ოთხ მეხუთედში „გარეული ნადირია“ და ამიტომ არსად ისე ობლად არ გრძნობს თავს, როგორც საზოგადოებაში. სიხარულს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ საკუთარი აზრების უცებ, წერილობით ჩამოყალიბება ბოლო ხანებში ბევრად უკეთ გამოსდის და ბევრს წერს. ბოდიშს უხდის, რომ ადრესატი მისი მიზეზით ჩავარდა ვალეებში და ჰპირდება, რომ იმ თანხას, რომელიც მან გალაკტიონის ნაცვლად უკან

დაუბრუნა ხელისმომწერებს, აუცილებლად აუნაზღაურებს. უგზავნის საკუთარ ლექსს „შერიგება“ და უყვება იმ განცდების შესახებ, რომლებმაც ის დააწერინა. სწერს, რომ მიხეილის მოთხრობას „მიმოზა“, რომელიც რამდენჯერმე გადაიკითხა და ძალიან შეუყვარდა, ქუთაისში დაუტოვებს. იმედს გამოთქვამს, რომ ლუარსაბ ზოცვაძე მის „მწუხრიშვილს“ აუცილებლად დაბეჭდავს.

➤2101

1912

**23 ოქტომბრამდე**

წერს ლექსს „დახუჭული თვალები“.

➤2102

1912

**23 ოქტომბრამდე**

სალიტერატურო კრებულში „გრდემლი“ იბეჭდება ლექსი „დახუჭული თვალები“.

➤2103

1912

**23 ოქტომბერი**

„სახალხო გაზეთში“ ქვეყნდება ცნობა, რომ თბილისის წიგნის მაღაზიაში იყიდება ახლად გამოცემული კრებული „გრდემლი“, რომლის ერთ-ერთ ავტორადაც დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤2104

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

ჟურნალის „დეკუტატის არჩევანი“ მეორე ნომერში კითხულობს „მადელენის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიას „საარჩევნო პროვოკაცია“ და რვეულში იწერს, რომ მადელენი ნიჭიერი ქართველი პუბლიცისტია.

➤2105

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ხიბლი“, მაგრამ იქვე წყვეტს და სათაურთან ერთად ტექსტის დასაწყისსაც გადახაზავს.

➤2106

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს სათაურს „ხომლი“, გადაშლის და წერს – „გამომახილი“, შემდეგ ქვეშ მიუწერს ახალ სათაურს „მგზავრი“ („დიდი ხანია, რაც...“), მაგრამ ამათაც გადახაზავს და წყვეტს ლექსის წერას.

➤2107

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს სათაურს „საქართველო“, შემდეგ ქვეშ მიუწერს ახალს – „მეგობარს“ („შორი სიმღერა...“), მაგრამ იქვე წყვეტს წერას და ყველაფერს გადახაზავს.

➤2108

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს სათაურს „მეგობარს“, შემდეგ გადახაზავს და ქვეშ მიუწერს ახალს – „ალბომში“ („რას გეტყვის შავის ზეციდან...“), მაგრამ ლექსის წერას არ ასრულებს.

➤2109

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „დაქანცული“ („ახ, ჰენრიეტა! მტანჯველო ჩემო...“) და ქვეშ მიაწერს: „დღიურიდან“, მაგრამ მეორე სტროფს აღარ ასრულებს.

➤2110

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს პატარა ფელეტონის სათაურს „ინდივიდუალიზმი“, მაგრამ აღარ აგრძელებს.

➤2111

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

რვეულში რამდენჯერმე წერს ნიკოლოზ გოგოლის მოთხრობის – „ტარას ბულბას“ პერსონაჟის – მამაც მემომარ კუკუბენკოს გვარს.

➤2112

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს ლექსს „პოეტი“ („გახსოვს, საღამო, როცა...“).

➤2113

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს ლექსის სათაურს „სიამოვნება“, მაგრამ წერას აღარ აგრძელებს.

➤2114

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „წყნარი დუმილით მიდუღუნებს...“.

➤2115

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გული სავსე მაქვს გამოუთქმელ სევდის ჰანგებით...“.

➤2116

1912

**ოქტომბერი ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მაისი მოდის“ („სად ვჰპოვო შვება...“), ძღვნით ტრიფონ ჯაფარიძისადმი, მაგრამ იქვე წყვეტს წერას.

➤2117

1913

**ოქტომბერი ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მოგონება“ და ძღვნით ტრიფონ ჯაფარიძისადმი, მაგრამ იქვე წყვეტს წერას.

➤2118

1913

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მიდამოვ! შენში ვერ ვპოვე ბინა...“, მაგრამ იქვე გადახაზავს.

➤2119

## ნოემბერი

1912

**1 ნოემბრის შემდეგ**

წერილს იღებს მიხეილ ბოჭორიშვილისგან, რომელიც ურჩევს მასწავლებლის ვაკანსიებთან დაკავშირებით დაელაპარაკოს წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის პედაგოგ სტეფანე ძიმისტარაშვილსა და ავერკიევს და სთხოვს გაუსწოროს მისი მოთხოვნის – „მიმოზა“ ენა. ადრესანტი უზიარებს თავის განცდებს. სწერს, რომ ერთადერთი მეგობარი ქალი ჰყავდა და ისიც გაუთხოვდა. უყვება იმის შესახებ, რომ ლუარსაბ ბოცვაძე აპირებს მისი „მწუხრიშვილის“ დაბეჭდვას. აცნობებს, რომ წერს ახალ მოთხოვნას „ვნების ტალღებში“. ძალიან დარდობს, რომ ფული არა აქვს გალაკტიონის წიგნის ქვითრებში გადასახდელად.

➤2120

1912

**5 ნოემბერი ან შემდეგ**

წერს ლექსს „დაბადების დღე“.

➤2121

1912

**12 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ბებერი მუხა“ („მუხა პირველი იგრძნობს ალიონს...“).

➤2122

1912

**12 ნოემბერი**

გაზეთ „თემში“ ბეჭდავს ლექსს „ბებერი მუხა“.

➤2123

1912

**15 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „წამი შემოქმედებისა“ („მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს განუსაზღვრელი...“).

➤2124

1912

**15 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „შემოდგომის ფოთოლი“ („შემოდგომისა ველურ ჰანგში ჭკნება ფოთოლი...“).

➤2125

1912

**15 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „მალე, სულ მალე!“ („სარკმელთან ვზივარ. მალე, სულ მალე...“).

➤2126

1912

15 ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ხშირად ვოცნებობ...“.

➤2127

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „ხომლი“ („ნათელი ღამე, გაშლილი ზღვა, ცის დასავალი...“).

➤2128

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „AVE MARIA“ („ელვარებს, დნება წმინდა ნათელი...“).

➤2129

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „სასაფლაოზე“ („ნიავი დაჰქრის... სასაფლაოზე...“).

➤2130

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „გამოსალმება“ („მყინვარო, რისთვის ჩაფიქრებულხარ...“).

➤2131

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „ჩალვადარი“ („გზაზე ღამე გაწოლილა და ნიავი დაჰქრის წყნარი...“).

➤2132

1912

15 ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ჩამოყვითლდა, გაიცრიცა ბალი...“.

➤2133

1912

15 ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „წვიმა სცრის, კვნესის, ოხრავს ჭადარი...“.

➤2134

1912

15 ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „სევდავ, გააპე შვა-ღამის ბინდი...“.

➤2135

1912

15 ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „შემოდგომისა ველურ ჰანგში კვდება ფოთოლი...“.

➤2136

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „აკვანთან“ („ნუ სტირი ყრმაო...“).

➤2137

1912

15 ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „დღით ყვავილოვან ველზე ვხარობდით...“.

➤2138

1912

15 ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ხშირად ვოცნებობ და შევსცქერი ცას...“.

➤2139

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „ღრუბელი“ („ღრუბელი ცას ეტანება, მალე მთვარეს გადაფარავს...“).

➤2140

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „რად მინდა?“ („რად მინდა ნიჭი, ჩემო ლამაზო...“).

➤2141

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „რომანსი“ („ზღვის ნაპირზე მდგომარე...“).

➤2142

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „დიანა“ („თვალთა ნათელი ტყვედ ხდის ობოლ სულს...“).

➤2143

1912

15 ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „სარკმელთან ვზივარ... მალე, სულ მალე...“.

➤2144

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „ბაიათი“ („სანამ ოქროს აზარფეშით...“).

➤2145

1912

15 ნოემბრამდე

ჟურნალში „განათლება“ საერთო სათაურით „გრძნობათა ფერფლი“ იბეჭდება გალაკტიონის ათი ლექსი: „შემოდგომის ფოთოლი“ („შემოდგომისა ველურ ჰანგში ჭკნება ფოთოლი...“), „AVE MARIA“, „მალე, სულ მალე!“, „სასაფლაოზე“ („ნიავი დაჰქრის... სასაფლაოზე...“), „ველნი

ჰევაიან“, „ხომლი“, „სერენადა“, უსათაურო „ხშირად ვოცნებობ...“, „გამოსალმება“ („მყინვარო, რისთვის ჩაფიქრებულხარ...“) და „შემოქმედება“ .

➤2146

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „გამოსალმება“ („მყინვარო, რისთვის ჩაფიქრებულხარ...“).

➤2147

1912

15 ნოემბრამდე

წერს ლექსს „დაისვენე“ („ხის ფოთოლი არ ირხევა...“).

➤2148

1912

15 ნოემბერი

„სახალხო გაზეთი“ აქვეყნებს ცნობას, რომ რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების“ IX ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის „გრძნობათა ფერფლი“.

➤2149

1912

შემოდგომა ან შემდეგ

ეცნობა გერჰარტ ჰაუპტმანის კომედიას „შლიუკი და იაუ“.

➤2150

## დეკემბერი

1912

24 დეკემბერი

გაზეთში „თემი“ ქვეყნდება სარეკლამო განცხადება, რომელშიც ჩამოთვლილია სამოცდასამი ქართველი მწერალი, ვინც 1912 წელს ბეჭდავდა ამ გაზეთში და აღნიშნულია, რომ ისინი მომავალ წელსაც აპირებენ „თემთან“ თანამშრომლობას. ავტორთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤2151

1912 ან ადრე

წერს ლექსს „ჩამავალი მზე“.

➤2152

1912 ან ადრე

რაისა ჩიხლაძეს უძღვნის ლექს აკროსტიხს „გაზაფხული“.

➤2153

1912 ან ადრე

წერს ლექსს „გაზაფხულდა“. ლექსი აკროსტიქია, სტროფების პირველი ასოები განსხვავებული და ხაზგასმულია და იკითხება: „რაისა“.

➤2154

1912 ან ადრე

წერს ლექსს „დაკარგული სამოთხე“ („გმართებს ტირილი და ცრემლთა ფრქვევა...“), მიძღვნილ „მონაზონ ქალს ოფელიას“. იქვე მიწერილია სიტყვები: „რა ღმერთი გიწყობა“.

➤2155



**1912 ან ადრე**

წერს ლექსს „რომ არ ვიცი, რა დავწერო“.

➤2156

**1912 ან ადრე**

რაისა ჩიხლაძეს უძღვნის ლექსს „ლეგენდა“ („იქ, მთის მწვერვალზე...“).

➤2157

**1912 ან ადრე**

წერს ლექსს „გაზაფხული“ („ოჰ, რა კარგია მაღალის მთიდან...“).

➤2158

**1912 ან ადრე**

წერს ლექსს „საფლავთა შორის“ („ბინდი ღამისა მოჰქრის, მოღელავს...“).

➤2159

**1912 ან ადრე**

წერს ლექსს „სევდა“, „რ-ს“ („დაორთქლილ სარკმელს...“).

➤2160

**1912 ან ადრე**

წერს კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილ ლექსს „წერილი მეგობარს“, ვუძღვნი კ. აბაშიძეპირელს („სევდა მიწვევდა...“).

➤2161

**1912 ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „ახ, ბანოვანო ველად ამოსულს...“.

➤2162

**1911-1912**

წერს რუსულენოვან ლექსებს: „შტოთა ცრემლები“, „მეგობარ ახოსპირელს“, „ბუნება“, „რომანსი“, „უთხარით მას“ და სხვ.

➤2163

**1911-1912**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ლურჯი ცა“ და ძღვნით „მონაზონ ქალს“ („ახლოს სურათი იდუმალსა ჰქარგავს შვენებას...“).

➤2164

**1912**

წერს პროზაულ მინიატიურას „მოხუცი“.

➤2165

**1912**

წერს უსათაურო ლექსს „ახალგაზრდობა? მე იგი მახსოვს...“, რომელშიც ყრმისა და მოხუცის დიალოგია წარმოდგენილი.

➤2166

**1912**

მუშაობას იწყებს არალეგალურ ბოლშევიკურ უჯრედში და ბეჭდავს პროკლამაციებს.

➤2167

1912

უბის წიგნაკში იწერს გრიგოლ ორბელიანის სტროფს: „სიცოცხლევ, ფუჭო...“.

➤2168

1912

უბის წიგნაკში აკეთებს ფილოსოფიური ხასიათის ჩანაწერებს.

➤2169

1912

წერს დანახარჯებს, რომელთა შორის არის: სადილი, თუთუნი, ასანთი, ბორნით მგზავრობა და სხვ.

➤2170

1912

წერს უსათაურო ლექსს „ნიაჲმა წყნარად წაისისინა...“.

➤2171

1912

წერს გეგმას ნაწარმოებისთვის „კინტო“.

➤2172

1912

უბის წიგნაკში რუსულად იწერს ფრაზას სასულიერო ლიტერატურიდან იმის შესახებ, რომ ქრისტიანობა ცდილობს შეეხოს ადამიანის გულს და არა გონებას. მისი მიზანი არის არა ადამიანის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, არამედ მისი სურვილებისა და ვნებების წარმართვა სულიერი სამყაროსაკენ.

➤2173

1912

უბის წიგნაკში იწერს ფრაზას სასულიერო ლიტერატურიდან იმის შესახებ, რომ ვინც მართლა თანაეზიარა ქრისტიანობრივ ცხოვრებას, ბედნიერია.

➤2174

1912

აკეთებს ჩანაწერს: ადამიანები ხშირად მხოლოდ იმიტომ ახლოვდებიან, რომ რაღაცისთვის სჭირდებათ ერთმანეთი და როცა ეს საჭიროება აღარ არის, იოლად შორდებიან. ჩანაწერს სათაურად აქვს ფრანგული სიტყვები: „Derriere L' Omnibus“ („უკანასკნელი ომნიბუსი“).

➤2175

1912

წერს ლექსს „მიყვარს მარტო ქარიშხალი“.

➤2176

1912

წერს ლექსს „მიყვარდა ჰანგი“.

➤2177

**1912**

წერს სატირულ ეპიგრამებს სათაურით „მომენტალური ფოტოგრაფია“ და აპირებს გაზეთ „თემში“ გაგზავნას გრიგოლ დიასამიძესთან. ლექსების ადრესატები არიან: ილია ჩიქოვანი, ნესტორ კალანდაძე, დავით მესხი, არტემ ახნაზაროვი და ნიკოლოზ თათარიშვილი.

➤2178

**1912**

წერს ლექსის სათაურს „მწუხრი“, ეპიგრაფად წერს ფრაზას კონსტანტინ ბალმონტის ლექსიდან „იმღერე“, მაგრამ წერას აღარ აგრძელებს.

➤2179

**1912**

წერს ლექსს „იალბუზის მწვერვალიდან“ („სძინავს მთაბარს, წყნარად სძინავს...“).

➤2180

**1912**

სათაურით „კოლხიდის“ რედაქციის გასტროლები“ წერს, რომ კოლხიდის რედაქციის თანამშრომლები დაბა-სოფლებში მოგზაურობენ და სალიტერატურო სადამოებს აწყობენ.

➤2181

**1912**

სახარებისეული ლექსიკისა და სტილის მიზამდვით წერს ფელეტონს „სახარება ივანესი“. ტექსტში საუბარია მოძღვარ ივანეზე, მის მოსწავლეებსა და ცხონების თემაზე.

➤2182

**1912**

ანგარიშობს, წიგნის ორიათასიანი ტირაჟით გამოცემის შემთხვევაში, რამდენი ცალი სად შეიძლება გაგზავნოს გასაყიდად: 300-300 ცალი თბილისსა და ქუთაისში, 100 – ბათუმში, 50 – ოზურგეთში, ფოთში, ხონსა და სამტრედიასში, 30 – ბაქოში, 20 – ზუგდიდში, სენაკში, ყვირილაში, გორში, თელავში, სოხუმსა და ჭიათურაში, 10 – სურამში, ლანჩხუთში, ერევანში, ყარსში, შორაპანსა და მუხურაში.

➤2183

**1912**

წერს ლექსს „კუპიდონი“ („სძინავს ფსიხეას და ხედავს სიზმარს...“).

➤2184

**1912**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ილიუზია“ („ღამის ბინდბუნდი გაირღვა ვნებით...“), მაგრამ მალე წყვეტს.

➤2185

**1912**

ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოზე მხატვარი გრიგოლ მესხი ხატავს გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტს. ჭაბუკი გალაკტიონის დაფიქრებული ფიგურა გამოსახულია სასაფლაოს მწვანე პეიზაჟის ფონზე. პოეტს გახუნებული პიჯაკი აცვია, ამიტომ მხატვარი საკუთარ მოსასხამს მოახურავს.

➤2186

**1912**

ფსევდონიმით „Avec Maria“ წერს ლექსს „Bis“ („ჩააჩუმეთ ეგ ლექტორი...“).

➤2187

1912

წერს მინიატიურას „პატარა ბავშვი“ („ვინა ხარ შენა?“).

➤2188

1912

წერს ლექსს „პოეტი და მკითხველი“ („ეჰ, ბატონო, მეკითხებით...“).

➤2189

1912 ან შემდეგ

წერს რეცენზიას ბეგლარ ახოსპირელის ლექსების კრებულზე „ჩემი სიმღერა“ და იქვე ამ ტექსტს თარგმნის რუსულ ენაზე.

➤2190

1912 შემდეგ

ოლია ოკუჯავას მშობლები იგებენ, რომ ის და გალაკტიონი შეყვარებულები არიან, მაგრამ გალაკტიონი სასიძოდ არ მოსწონთ და ქალიშვილს მასთან შეხვედრას უკრძალავენ.

➤2191

1912

უბის წიგნაკში იწერს ბერძნულ მითოსურ ისტორიას აგამემნონის მკვლელობასა და ორესტის მიერ შურისძიებაზე და ბოლოში დაურთავს შენიშვნას, რომ იგივე ისტორია ჰომეროსის „ოდისეაშიც“ არის, მაგრამ განსხვავებულად.

➤2192

1912

უბის წიგნაკში იწერს სხვადასხვა გამონათქვამს და სიტყვებს განმარტებებით.

➤2193

1912

უბის წიგნაკში აკეთებს ამონაწერს იმის შესახებ, რომ ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია.

➤2194

1912

უბის წიგნაკში აკეთებს ამონაწერებს სიყვარულის, სიკვდილის შიშის, საოცნებო ქალისა და სხვა თემებზე.

➤2195

1912

უბის წიგნაკში იწერს რითმებს: „სიო, მკაფიო, მსოფლიო, ავსწიო, გამოვიკვლიო“ და სხვ.

➤2196

1912

უბის წიგნაკში იწერს ფრაზებს ხალხური ლექსებიდან და სხვადასხვა ტექსტებიდან.

➤2197

1912

წერს უსათაურო ლექსს „ბინდი ღამისა გაჰქრა...“.

➤2198

1912

ინტერესდება მოდერნისტული პოეზიით. ეცნობა დიმიტრი მერეჟკოვსკის, ფიოდორ სოლოგუბის, კონსტანტინ ბალმონტის, ალექსანდრ ბლოკის, ვალერი ბრიუსოვის პოეზიას.

➤2199

1912

უბის წიგნაკში ჩამოწერს საკუთარი ნაწარმოებების ნუსხას. აქ არის სათაურები ლექსებისა: „წამების ბაღი“, „ოქროს საწმისი“, „ღამის სერენადები“, „ზღაპრული ხმები“, „ფარვანა“, „ყვითელი ფოთოლი“, „ალერსის ბაღი“, „საფლავთ ყვავილი“, „ბინდი ღამისა გაჰქრა“, „სიმღერები“, „ზეფირის კოცნა“, „მთიები“, „ოდეს სტიროდე“, „შადრევანთან“, „იალქანი“, „ფოთლები ცვივა“, „უბსკრულთან“, ნოველები და პოემები: „ალვის ხეები“, „მეშვიდე ცა“, „მწყემსი“ და „ძველი კოშკი“.

➤2200

1912

წერს მოგონებას თავისი საყვარელი მასწავლებლის – მელიტონ ჩოგოვადის შესახებ.

➤2201

1912 ან შემდეგ

წერს ლექსს „სიცივეში“.

➤2202

1912 ან შემდეგ

წერს ლექსს „გამომეცხადე“.

➤2203

1912 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ცხელ უდაბნოს...“.

➤2204

1912 ან შემდეგ

იწყებს მუშაობას მოთხრობაზე „ქარიშხლიანი ღამე“.

➤2205

1912 ან შემდეგ

რვეულში იწერს ალექსანდრ კუპრინის პროზაული ციკლის „კიევური ტიპები“ მოთხრობათა ჩამონათვალს.

➤2206

1912 ან შემდეგ

ოლია ოკუჯავა რვეულში უწერს გალაკტიონის ლექსის „შავი ყორანი“ საკუთარ თარგმანს.

➤2207

1912 ან შემდეგ

ოლია ოკუჯავა რვეულში უწერს რობერტ ბერნსის ლექსის „ძველი კარგი დრო“ ლეონიდ ანდრუსონისეულ რუსულ თარგმანს.

➤2208

1913

1 იანვრამდე

არედაქტირებს „N-სადმი“ მიძღვნილ ლექსს „ახალ წლის ღამეს“ და იწყებს ფრაზით: „ჩირაღდნებით გავაშუქე სევდიანი ჩემი ბინა...“.

➤2209

1913

ი ა ნ ვ ა რ ი

1913

1 იანვარი

გაზეთ „თემის“ საახალწლო ნომერში აქვეყნებს ლექსს „ახალ წლის ღამეს“.

➤2210

1913

4 იანვარი

აკაკი პაპავას წერილში „ფიქრები სამშობლო ლიტერატურაზე“ გალაკტიონ ტაბიძე მოხსენიებულია იმ მწერალთა შორის, რომლებსაც საზოგადოება გაზეთ „კოლხიდაში“ პუბლიკაციებამდეც იცნობდა.

➤2211

1913

4 იანვარი

მღვდელი ივანე ადგიშვილი წერილს უგზავნის თავის დას, მაკრინე ადგიშვილს და ახალ წელს ულოცავს მას და მის ვაჟებს.

➤2212

1913

20 იანვრამდე

წერს ლექსს „Requiescat in pace“ (განისვენე მშვიდად).

➤2213

1913

20 იანვრამდე

ჟურნალ „განათლებაში“ ბეჭდავს ლექსს: „Requiescat in pace“ (განისვენე მშვიდად).

➤2214

მ ა რ ტ ი

1913

30 მარტი

გაზეთში „დილა“ ქვეყნდება ცნობა, რომ კვირას, 31 მარტს ქუთაისის თეატრში იოსებ გრიშაშვილი გამართავს სადამო-მეჯლისს, რომელზეც საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: დავით კლდიაშვილი, კოლა ერისთავი, ნიკო ლორთქიფანიძე, დომენტი ოყრეშიძე, ვარლამ რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე.

➤2215

ა პ რ ი ლ ი

1913

7 აპრილი

ესწრება თეოდორ სოლოგუბის ლექციას, რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე.

➤2216

1913

**14 აპრილამდე**

წერს ლექსს „გაუგზავნელი წერილი“ („ეხლა, როდესაც ამ წერილსა ვსწერ...“) და ფურცლის მეორე მხარეს ხატავს სასაფლაოს და აწერს „ქრისტე აღსდგა“.

➤2217

1913

**23 აპრილი**

გაზეთი „დილა“ აქვეყნებს ცნობას, რომ რაჟდენ დათეშიძემ გადაწყვიტა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ცალკე წიგნად გამოცემა, საამისოდ ოფიციალური უფლება შეიძინა და უკვე შეუდგა საქმეს. პუბლიკაციაში ასევე ნათქვამია, რომ წიგნი ხელმისაწვდომ ფასებში გაიყიდება.

➤2218

1913

**26 აპრილი**

გაზეთში „თანამედროვე ქვეყანა“ იბეჭდება ცნობა, რომ ხუთშაბათს, 2 მაისს, ქუთაისის თეატრში გალაკტიონ ტაბიძე მართავს სალიტერატურო-სამხატვრო და სამუსიკო სადამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფერმწერი გრიგოლ მესხი და კრიტიკოსი რომანოზ ფანცხავა.

➤2219

1913

**30 აპრილი**

გაზეთში „თანამედროვე ქვეყანა“ იბეჭდება ცნობა, რომ ხუთშაბათს, 2 მაისს, ქუთაისის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის სამხატვრო-სალიტერატურო და სამუსიკო სადამო, რომლის სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ აპოლონ წულაძე, შალვა შარაშიძე, ილია ბახტაძე და სხვები.

➤2220

**მაისი**

1913

**მაისამდე**

წერს ლექსს „სიჩუმე..“ („მეხვევა გარს ფიქრთ სამოსი...“).

➤2221

1913

**5 მაისამდე**

არედაქტირებს I-XVII თავებს პოემისა „საბედისწერო ფიქრი“, რომელსაც ეპიგრაფად წარუმიძღვარებს ბაირონის სიტყვებს: „და რა ცხოვრების საიდუმლოებს / მე ვუკვირდები: / რა ვარ? რა ვრჩები? / – სრულად ეძლევა გული შავ ფიქრებს“.

➤2222

1913

**5 მაისამდე**

რვეულში იწერს სიტყვათა მნიშვნელობებს. განმარტებულია ცბიერი დალილა, ავრორა, ტაძარი სოლომონისა, სარდისი, გეაცინტი და სხვ.

➤2223

1913

**5 მაისამდე**

წერს ლექსს „კაიაფა“ („ანგელოსი სულის მიმღები...“) და ეპიგრაფად წარუმიძღვარებს სიტყვებს მარკოზის სახარებიდან: „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანო“ („ღმერთო ჩემო რაისათვის დამიტევე მე“).

➤2224

1913

7 მაისამდე

განცხადებას წარადგენს მასწავლებლის ვაკანსიაზე. კომისიაზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ უპირატესობას წვრილშვილიან კანდიდატს ანიჭებენ.

➤2225

1913

7 მაისი

წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს. აცნობებს, რომ სადამო ჩაუშალეს და მოგვიანებით შეატყობინებს დეტალებს. სწერს, რომ აქვს რაჟდენ დათეშიძის ჰონორარის იმედი და გეგმავს სადამოებს სამტრედიასა და ჭიათურაში. უყვება, როგორ აჯობა მასწავლებლის ვაკანსიაზე წვრილშვილიანმა კანდიდატმა, მაგრამ მეორე ადგილი გამოჩნდა და დაუყოვნებლივ აპირებს განცხადების შეტანას.

➤2226

1913

13 მაისამდე

წერს ლექსს „დაფნა და ეკალი“.

➤2227

1913

13 მაისი

გაზეთში „თემი“ „გ. ტაბიძის“ ხელმოწერით იბეჭდება ლექსი „გზაზე“.

➤2228

1913

მაისი ან შემდეგ

იწყებს პოემის წერას სათაურით „ჯადოქარი“ („ლეღეს სახლში რაღაც ძალმა...“).

➤2229

1913

მაისი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ნეტარება მათ, ვინც...“

➤2230

1913

მაისი ან შემდეგ

წერს ლექსს „ზღვაზე“ („სძინავთ, სძინავთ ტბის ფერიებს...“), მაგრამ მალევე წყვეტს.

➤2231

1913

მაისი ან შემდეგ

წერს ლექსს „მგოსნის საიდუმლო“ („მთის მწვერვალზე გარინდებით...“), მაგრამ არ ასრულებს.

➤2232



1913

**მაისი ან შემდეგ**

წერს ნოველას სათაურით „თვალეზი“.

➤2233

1913

**მაისი ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ბავშვები და წყარო“, მაგრამ უცებ ყველაფერს გადახაზავს და წერას წყვეტს.

➤2234

1913

**მაისი ან შემდეგ**

წერს ლექსს „სოფლად“ („გამოვშორდი სულის კვნესას...“), მაგრამ შემდეგ გადახაზავს.

➤2235

1913

**მაისი ან შემდეგ**

რვეულში იწერს, რა თანხა მისცა დიმიტრის და რამდენი დარჩა მისაცემი.

➤2236

1913

**მაისი ან შემდეგ**

წერს პატარა ფელეტონს „სახალხო გაზეთის“ შესახებ, სათაურით „ცხვირი“.

➤2237

1913

**19 მაისამდე**

წერს ლექსს „ქალი და ხელოვნება“ („ხავერდოვან მინდვრის ბალახს მოზიზინე არხევს ქარი...“).

➤2238

1913

**19 მაისი**

ჟურნალში „ოქროს ვერძი“ აქვეყნებს ლექსს „ქალი და ხელოვნება“ („ხავერდოვან მინდვრის ბალახს მოზიზინე არხევს ქარი...“).

➤2239

1913

**19 მაისი**

ჟურნალის „ოქროს ვერძი“, ქრონიკაში, იბეჭდება ინფორმაცია, რომ რაჟდენ დათეშიძე შეუდგა ახალგაზრდა პოეტ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების გამოცემას.

➤2240

1913

**20 მაისამდე**

გალაკტიონ ტაბიძე წერს განცხადებას მასწავლებლად მისი დანიშვნის შესახებ და იმედოვნებს, რომ დააკმაყოფილებენ.

➤2241

1913

## 26 მაისი

ჟურნალში „ოქროს ვერძი“ ბეჭდავს ლექსს „უხილავი (აივაზოვსკის სურათის წინ)“, რომელსაც ახლავს რედაქციის მინაწერი, რომ ამ ლექსმა წინა წელს გაზეთ „თემის“ მიერ გამართულ კონკურსში ალექსანდრე აბაშელის ლექსის შემდეგ, ყველაზე მეტი ხმა მიიღო და მეორე ადგილი დაიკავა.

➤2242

## 1913

### 26 მაისი

ჟურნალში „ოქროს ვერძი“ ქვეყნდება ცნობა, რომ 26 მაისს სამტრედიაში, კლუბის დარბაზში გაიმართება საღამო სალიტერატურო განყოფილებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსახიობი ვასილ ბალანჩივაძე და ახალგაზრდა პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

➤2243

## 1912 -

### 1913 მაისი

ქუთაისში მიმავალ სიმონ ტაბიძეს გალაკტიონის დედა – მაკრინე ადგიშვილი შვილთან მცირედენ ძღვენს ატანს. როდესაც სიმონი გაზეთ „კოლხიდას“ რედაქციას უახლოვდება, დაინახავს, რომ ჟანდარმები ემზადებიან შიგ შესასვლელად. სიმონი მათ დაასწრებს და ნანახის შესახებ გალაკტიონს აცნობებს. ის, თავის მხრივ თანამშრომლებს აფრთხილებს და ჟანდარმების შენობაში შესვლამდე ყველანი ახერხებენ გაქცევას. ტარდება ჩხრეკა და რედაქცია იხურება.

➤2244

## 1913

### მაისი ან შემდეგ

წერს ლექსს „აფთარი“ („ორფე სიმებს რომ ააკვნესებდა...“) და შემდეგ გადახაზავს.

➤2245

## 1913

### მაისი ან შემდეგ

აპირებს ლექსის მიძღვნას ალექსანდრე შანშიაშვილისადმი და წერს სათაურს „შვების თავადი“, მაგრამ წერას აღარ აგრძელებს.

➤2246

## 1913

### მაისი ან შემდეგ

წერს ლექსს „ლეგენდა“ („კვნესის, კვნესის დედამიწა...“).

➤2247

## 1913

### მაისი ან შემდეგ

წერს მიხეილ ბოჭორიშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „მ. დაჩაგრულს“ („ლურჯ ცის ქვეშ ლურჯით მოსილნი...“).

➤2248

## 1913

### მაისი ან შემდეგ

წერს ლექსს „ჰანგი“ („შენ არ გძინავდა...“).

➤2249

1913

**მაისი ან შემდეგ**

წერს ლექსს „მტირალი ცა“ („ჩემს ობოლ ღმერთს და ჩემს კარავს...“).

➤2250

1913

**მაისი ან შემდეგ**

რვეულში მუხლებად ჩამოწერს სადამოუხე წასაკითხი ნაწარმოებების თანმიმდევრობას და ჩასართავი სიმღერა-მელოდიების ნუსხას.

➤2251

1913

**მაისი ან შემდეგ**

წერს ლექსს „როდესაც“ („ღიმილით ჰკვდება ტბის ღაწვზე სხივი...“), მაგრამ შემდეგ სათაურს გადახაზავს.

➤2252

1913

**მაისი ან შემდეგ**

რვეულში იწერს რაისა ჩიხლაძისადმი მიძღვნილ ლექსს „მოხვევს სიმღერა“ („ქალაუ ვდნები.. ვიწვები...“).

➤2253

1913

**მაისი ან შემდეგ**

წერს ლექსს „წყურვილი“ („მომეცით ფრთები, მომეცით...“), მაგრამ შემდეგ სათაურს გადახაზავს.

➤2254

1913

**მაისი ან შემდეგ**

სათაურით „ციმბირის მელოდიები“ ლექსის მიძღვნას აპირებს ვინმე ჯაბასთვის, მაგრამ იქვე წყვეტს წერას.

➤2255

1913

**მაისი ან შემდეგ**

რვეულში იწერს პოეტურ ფრაზას „ყველგან მარტო, უთვისტომო...“.

➤2256

1913

**მაისი ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მუნადის“ („ცის გუმბათზე ვარსკვლავთ შორის...“) და იქვე ინიშნავს რითმას „მუნადის“ – „მუნამდის“.

➤2257

1913

**მაისი ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „საიდუმლონი“ („გულს ამოება ჟამთ ამოება...“), მაგრამ არ ასრულებს.

➤2258

1913

**მაისი ან შემდეგ**

რვეულში წერს რუსულ დიალოგს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. მოსწავლე უხსნის, რომ წინა დღეს სტუმრები ჰყავდათ და ვერ იმეცადინა.

➤2259

1913

**მაისი ან შემდეგ**

წერს ლექსს „დევიზი“ („დაღამდა... ზვირთი ამაყ ზვირთებზე...“), მაგრამ იქვე გადახაზავს.

➤2260

1913

**მაისი ან შემდეგ**

ჰაინრიხ ჰაინედან თარგმნის უსათაურო ლექსს „დილით გიგზავნი იის თაიგულს...“.

➤2261

1913

**მაისი ან შემდეგ**

რვეულში იწერს პოეტურ ფრაზას: „და ჰქრება.. ჰქრება, ვითარცა წუთი / საუკუნეთა ოკეანეში“.

➤2262

1913

**მაისი ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას რუსულად „ყველაფერი გაელვებული წამიერია...“.

➤2263

1913

**მაისი ან შემდეგ**

წერს ლექსს „ფიქრი“ („სული გავსტყორცნე...“) და ეპიგრაფად წარუმძღვარებს ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს: „გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს“.

➤2264

1913

**მაისი ან შემდეგ**

უსათაუროდ იწყებს ლექსის წერას „კვლავ იმდერე თუ კი...“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤2265

1913

**მაისი ან შემდეგ**

ფურცელზე ხატავს სამი დახურული ქუთაისური გაზეთის „მნათობი“, „ცხოვრება“ და „კოლხიდა“ საფლავის ქვებს.

➤2266

**ივნისი**

1913

**16 ივნისამდე**

წერს ლექსს „მე და ღამე“.

➤2267

1913

**16 ივნისი**

ჟურნალში „ოქროს ვერძი“ აქვეყნებს ლექსს „მე და ღამე“.

➤2268

**1913**

**16 ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „სახელოვანი მიცვალებული“ („ღრმათ ნუ ამოთხრით მებრძოლის საფლავს...“).

➤2269

**1913**

**16 ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „მანიფესტი“ („ეკლის გვირგვინი, გთხოვთ, მიიღო[თ]...“).

➤2270

**1913**

**28 ივნისამდე**

წერს ლექსს „ნიბლია“ („ღამეა.. „წადი არ მიყვარხარო...“).

➤2271

**1913**

**28 ივნისი ან შემდეგ**

იწყებს ახალი ლექსის წერას სათაურით „საიდუმლო“ („მთას ბილიკი აჰყოლია...“).

➤2272

**1912**

**28 ივნისი ან შემდეგ**

წერს პოემას „ტანჯვა შემოქმედებისა“ („მთა კაეშნიანს გარს იხვევს ჩადრებს...“).

➤2273

**1912**

**28 ივნისი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „უკვდავება ქალი არი...“

➤2274

**1912**

**28 ივნისი ან შემდეგ**

მცირეოდენი ცვლილებები შეაქვს პოემა „მწყემსის“ ერთ ეპიზოდში, რომელიც იწყება სიტყვებით: „სდუმდა მიდამო განცვიფრებული...“.

➤2275

**1913**

**30 ივნისი**

ჟურნალში „ოქროს ვერძი“ ალექსანდრე აბაშელის „მზის სიცილის“ შესახებ გამოქვეყნებულ ანონიმურ რეცენზიაში გალაკტიონ ტაბიძის ლექსები შედარებულია ნოე ჩხიკვაძისა და გიორგი ქუჩიშვილის პოეზიასთან და ნათქვამია, რომ შეიძლება იგი ბევრმა არ გაუტოლოს ზემოხსენებული ორი პოეტისას, მაგრამ პუბლიკაციის ავტორისათვის მისი „სისხლის წვეთებით დაწერილი“ ლექსები უსაყვარლესია.

➤2276

**ი გ ლ ი ს ი**

**1913**

#### 14 ივლისამდე

გალაკტიონს ეჭვი ეპარება ოლია ოკუჯავას ერთგულებაში და უთანხმოება მოსდით, რის შემდეგაც ოლია ბორჯომში მიდის დასასვენებლად და ძალიან დიდ განცდებშია.

➤2277

1913

#### 15 ივლისამდე

წერს ლექსს „ჩემს ირგვლივ“.

➤2278

1913

#### 15 ივლისი

გაზეთში „თემი“ აქვეყნებს ლექსს „ჩემს ირგვლივ“.

➤2279

1913

#### 22 ივლისი

ოლია ოკუჯავა დილიდანვე ელოდება გალაკტიონისგან წერილის მიღებას, მაგრამ ფოსტაში წასული მისი მეგობარი ნინა გვახარია ხელცარიელი ბრუნდება. ოლია განიცდის, რომ გალაკტიონს მისი არ სჯერა. მართალია, დღიურებში სულ მას მიმართავს და გულწრფელად უყვება ყველაფერს, მაგრამ წერილით თავის გრძნობებზე ვერ ესაუბრება და ძალიან ნატრობის მის ახლოს ყოფნას.

➤2280

1913

#### 23 ივლისი

ოლია ოკუჯავა ნინა გვახარიასთან ერთად არის ბაკურიანში და ძალიან დასევდიანებულია. როდესაც ისინი საუბრისას ახსენებენ ღალატს, ოლიას ახსენდება გალაკტიონი. ძალიან უნდა იქვე ჰყავდეს, მოეხვიოს და დაარწმუნოს, რომ ისევ უყვარს. დეპეშის გაგზავნაც კი უნდა მისთვის ამის ასახსნელად.

➤2281

1913

#### 26 ივლისი

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, როდის და როგორ გაიცნო გალაკტიონი.

➤2282

1913

#### 26 ივლისი

ოლია ოკუჯავა შეყვარებულია გალაკტიონზე და სულ მის გვერდით ყოფნას ნატრობს. ის და მისი მეგობარი ნინა გვახარია ბაკურიანში სურათს იღებენ და ოლიას დიდი სურვილი აქვს ერთი სატრფოს გაუგზავნოს, მაგრამ ვერ ბედავს. თავის განცდებს მხოლოდ დღიურს ანდობს.

➤2283

1913

#### 28 ივლისი

ოლია ოკუჯავა ბორჯომშია, დღიურში აკეთებს ჩანაწერს და საყვედურობს გალაკტიონს მისდამი უნდობლობის გამო. წერს, რომ ძალიან ენატრება და ღამით სულ ტირის. ორი კვირის განმავლობაში ძალიან ცუდად გრძნობს თავს და მოუთმენლად ელის ამ წლის გავლას, რომ ისევ

გააგრძელოს თავისი საქმიანობა სოციალ-დემოკრატი წრეებში. ამასთანავე, ეშინია, იცოცხლებს კი მომავალ წლამდე?

➤2284

1913

28 ივლისი

ოლია ბაკურიანშია. ნინა გვახარიასთან ერთად მიდის ვაგზალზე და იმედი აქვს, რომ გალაკტიონი ჩავა, მაგრამ ნატვრა არ უსრულდება. თავს დამნაშავედ გრძნობს და ძალიან უნდა შერიგება.

➤2285

## ა გ ვ ი ს ტ ო

1913

1 აგვისტომდე

წერს ლექსს „წუთი“.

➤2286

1913

1 აგვისტომდე

წერს ლექსს „ვწყვევლი სიყვარულს!“.

➤2287

1913

1 აგვისტომდე

წერს ლექსს „სად?“.

➤2288

1913

1 აგვისტომდე

წერს უსათაურო ლექსს „მალე ფერგადაშლილი...“.

➤2289

1913

1 აგვისტომდე

წერს ლექსს „შორეულს“.

➤2290

1913

1 აგვისტომდე

წერს ლექსს „AURORA“.

➤2291

1913

1 აგვისტო

გაზეთში „განთიადი“ აქვეყნებს პოეტურ ციკლს „წუთი გრძნობათა“, რომელიც მოიცავს ლექსებს: „წუთი“, „ვწყვევლი სიყვარულს“, „სად?“ „მალე ფერგადაშლილი...“, „შორეულს“, „Aurora“, „მარტონი ვართ (... ს)“.

➤2292

1913

1-2 აგვისტო

ავგუსტ ბებელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გაზეთ „განთიადის“ შეკვეთით სახელდახელოდ წერს უსათაურო ლექსს „ირგვლივ, გარშემო...“.

➤2293

1913

## 2 აგვისტო

გაზეთში „განთიადი“ ავგუსტ ბებელის პორტრეტის ქვეშ იბეჭდება მისდამი გალაკტიონის მიერ მიძღვნილი უსათაურო ლექსი „ირგვლივ, გარშემო...“.

➤2294

1913

## 25 აგვისტო

გაზეთში „განთიადი“ ქვეყნდება მწერალთა კოლექტიური წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყვეტენ გაზეთ „თემთან“ თანამშრომლობას, რადგან სრულად იზიარებენ გაზეთ „თემის“ წინააღმდეგ მიმართული მუშათა საპროტესტო წერილების აზრს. განცხადებას ხელს აწერენ: ნოე ჩხიკვაძე, ვარლამ ხუროძე, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ კინწურაშვილი, ბარნაბ გელაზანია და რუბენ ყიფიანი.

➤2295

1913

## ზაფხული

ხონში სტუმრობს ილია რუხაძეს და ათვალიერებს რაიონის ღირსშესანიშნაობებს. მასპინძლის თხოვნით მონაწილეობს ლიტერატურულ საღამოში და მონაწილეობთან ერთად იღებს ფოტოს.

➤2296

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1913

## სექტემბრამდე

ტიციან ტაბიძეს, რომელიც ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის მეშვიდე კლასში სწავლობს ბინაზე აკითხავენ გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილთან, ნოე ჩხიკვაძესთან და ვარლამ რუხაძესთან ერთად. ბიძაშვილი შინ არ ხვდება. მეგობრები საწოლებზე ჩამოსხდებიან და ელოდებიან. გიორგი ქუჩიშვილს მუზა მოსდის და ნახშირით აწერს ბუხარზე ლექსს. მოდის ტიციანი, ძალიან უხარია მათი ნახვა და კარგად მოუღხენენ.

➤2297

1913

## 2 სექტემბერი

გაზეთი „თემი“ გულისწყრომით ეხმაურება ნოე ჩხიკვაძის, ვარლამ ხუროძის, გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ კინწურაშვილის ბარნაბ გელაზანიასა და რუბენ ყიფიანის გადაწყვეტილებას გაზეთთან თანამშრომლობის შეწყვეტის თაობაზე და აცნობებს მათ, რომ უკან დაუბრუნდებათ გამოსაქვეყნებლად გაგზავნილი ნაწარმოებები.

➤2298

1913

## 5 სექტემბერი

გაზეთში „სიმართლის ხმა“ ხელმოწერით „გ. ტაბიძე“ ბეჭდავს სტატიას „მცირე განმარტება „თემს“. ეს არის გამოხმაურება გაზეთში „თემი“ 2 სექტემბერს გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილზე, რომელიც მოჰყვას თანამშრომლების პროტესტს და მათ მიერ ამ გაზეთთან ურთიერთობის გაწყვეტას. დაპირისპირება ეხებოდა ილია ჭავჭავაძისადმი დამოკიდებულებას. „თემის“ სარედაქციო წერილში ნათქვამი იყო, ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე, სოციალისტებისაგან განსხვავებით, კერძო საკუთრების მომხრე იყო, არ ნიშნავს, თითქოს ის



გლებებს უდიერად ექცეოდა, ეს იმიტაც დასტურდება, რომ გაზეთ „მოგზაურში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია, თითქოს დიდმა მწერალმა გლებების ასაწიოკებლად საგურამოში ჯარი გამოიძახა, ჭორი აღმოჩნდა. გრიგოლ დიასამიძეს მიაჩნდა, რომ გლებებისადმი ილიას დამოკიდებულება ცალკე საკითხია და საგანგებო შესწავლა სჭირდება, ამაში კი გაზეთ „მოგზაურში“ გამოქვეყნებულის მსგავსი ცილისმწამებლური კორესპონდენციები საზოგადოებას ვერ დაეხმარებოდა. „თემის“ რედაქტორის ნათქვამი მოწინააღმდეგეებმა ისე შეატრიალეს, თითქოს იგი სოციალისტებს სდებდა ბრალს ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში. სწორედ ამის გამო დაუპირისპირდნენ გაზეთ თავისი თანამშრომლები და მათ შორის გალაკტიონ ტაბიძეც. გაზეთში „სიმართლის ხმა“ გამოქვეყნებულ განმარტებაში პოეტი აღნიშნავს, რომ მისთვის მიუღებელია გაზეთ „თემის“ პოზიცია ილია ჭავჭავაძის ირგვლივ გამართულ პოლემიკაში. გალაკტიონი აცხადებს, რომ არასოდეს მიიჩნევდა თავს „თემის“ თანამშრომლად, მიუხედავად იმისა, რომ თავად გაზეთი მას თანამშრომელთა შორის ასახელებდა ხოლმე. გალაკტიონის თქმით, არავისთვის აქვს სახვეწარი ლექსების გამოქვეყნება და მას შემდეგ, რაც ამ გაზეთმა „თავი შეირცხვინა“, იქ დასაბეჭდად აღარაფერი გაუგზავნია.

➤2299

1913

### 11 სექტემბრამდე

ჩადის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში და იგებს, რომ ჯარიდან გაათავისუფლეს. მთელი ოჯახი გახარებულია და გალაკტიონი ხალისიანად ატარებს დროს დიდი ხნის უნახავ თანასოფლელებთან.

➤2300

1913

### 12 სექტემბერი

აკითხავს გიორგი ფარქოსაძე და ეუბნება, რომ სამ დღეში მუხიანში ხსნიან აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკას და სთავაზობს, რომ სხვებთან ერთად ისიც თან გაჰყვეს. გალაკტიონი აღფრთოვანებულია.

➤2301

1913

### 15 სექტემბერი

ადრიანად მიდის ანასტასია და ეკატერინე ნიკოლაძეების სახლში, სადაც აკაკი წერეთელია გაჩერებული და თავს იყრიან მისი თანმხლები პირები: დავით კლდიაშვილი, ვარლამ რუხაძე, ვასილ ამაშუკელი და ლადო ნაცვლიშვილი. თერთმეტის ნახევარზე შვიდი ეტლით მიემგზავრებიან მუხიანისკენ, სადაც საზეიმო ვითარებაში იხსნება ბიბლიოთეკა.

➤2302

1913

### 15 სექტემბერი

გაზეთი „თემი“ აქვეყნებს ცნობას მუხიანში აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ და ღონისძიებაზე დამსწრეთა შორის მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤2303

1913

### 15 სექტემბერი

მუხიანში აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნის შემდეგ დამსწრე საზოგადოება იღებს ფოტოს, მაგრამ გალაკტიონი კადრში ვერ ხვდება.

➤2304

1913

**17 სექტემბერი**

გაზეთი „სიმართლის ხმა“ აქვეყნებს სტატიას მუხიანში აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნის შესახებ. აღწერილია მოგზაურობა, სადღილი და მილოცვები. ნათქვამია, რომ საპატო სტუმარს ლექსით მიმართა გალაკტიონ ტაბიძემ.

➤2305

1913

**21 სექტემბრამდე**

ქუთაისში ფოტოს იღებს ოლია ოკუჯავასთან ერთად.

➤2306

1913

**21 სექტემბერი**

ოლია ოკუჯავა დილიდანვე ელის გალაკტიონის წერილს, მაგრამ იმედი უცრუვდება, შემდეგ მატარებლის ხმას იგებს ვაგზლიდან და მიდის იმ იმედით, რომ შეიძლება ჩააკითხოს, მაგრამ ამაოდ. დღიურში საყვედურობს შეყვარებულს და იმით ემუქრება, რომ არასდროს ეტყვის, როგორ უყვარს. ნატრობს იმ ფოტოს ნახვას, რომელიც ერთად გადაიღეს, რადგან მასზე რწმენით არის სავსე, ახლა კი მისი აღარ სჯერა.

➤2307

1913

**22 სექტემბერი**

გალაკტიონისგან წერილის მიუღებლობის გამო გაბრაზებული ოლია ოკუჯავა წერს, რომ ის ეგოისტია, თავად მიიღო წერილები და არ აინტერესებს, რომ სხვაც ელოდება მისგან ამბის შეტყობას.

➤2308

1913

**23 სექტემბერი**

გალაკტიონზე გაბრაზებული ოლია დღიურში წერს, რომ არასდროს აღარ ეტყვის, რომ უყვარს და ყოველთვის იქნება მისგან შორს, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც ჩავა ხოლმე, სადაც ის იქნება, რომ შორიდან შეხედოს. ფიქრობს, რომ ასეთ გაურკვევლობაში ყოფნას ჯობს, გალაკტიონმა პირდაპირ უთხრას, რომ არ უყვარს.

➤2309

1913

**24 სექტემბრამდე**

სამხედრო კომისარიატიდან მისდის უწყება, რომ ის შეცდომით იქნა სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებული და საქმის გასარკვევად უნდა ჩავიდეს ქუთაისში.

➤2310

1913

**24 სექტემბერი**

ქუთაისიდან საჯავახოში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს. სწერს, რომ გასათავისუფლებლად სჭირდება 100 მანეთი, რომლის შოვნასაც ახერხებს. პრობლემად რჩება სასტუმროში ყოფნის ხარჯი, რომელსაც ასევე ისესხებს, მაგრამ დასაბრუნებლად დასჭირდება აბესალომის დახმარება. სთხოვს, რომ საკუთარ თავზეც იზრუნოს.

➤2311

1913

**25 სექტემბრამდე**

ქუთაისში ჩასული ბინავდება სასტუმროში „გურია“ და ხვდება ოლია ოკუჯავას მეგობარს – ნინა გვახარიას, რომელიც ოლიას წერილებს გადასცემს. იგებს, რომ ოლია ჭიათურაში კარგად მოეწყო, მაგრამ ცოტა იავადმყოფა.

➤2312

1913

**25 სექტემბრამდე**

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას, უყვება სოფელში ყოფნის და ქუთაისში ჩასვლის ამბებს. სწერს, რომ მისი ჯარში გაწვევის პრობლემა თვენახევარზე ადრე არ გადაწყდება. ამიტომ უარესის მოლოდინში იძულებულია, იმეცადინოს, რომ თუ გაწვევა ხდება წილად, სწავლის გაგრძელებით დაიხსნას თავი. ჰპირდება, რომ თუ ჯარში გაწვევას გადარჩა, ტრიუმფით ჩააკითხავს ჭიათურაში.

➤2313

1913

**25 სექტემბერი**

ღამის თერთმეტის ნახევარზე ქუთაისიდან გასვლის წინ საკონდიტროში წერილს სწერს ოლია ოკუჯავას. აცნობებს, რომ ქალაქიდან მიდის და საშინელი განცდა ეუფლება. უჩივის სულიერ ობლობას. აღნიშნავს, რომ ბავშვობიდანვე სწამდა ბედისწერის და ეშინია მისი ხვედრისა. ფიქრობს, რომ ოლია არის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მისი უბედურების გაგება გულს ატკენს.

➤2314

1913

**27 სექტემბრამდე**

სიყვარულში უტყდება ოლია ოკუჯავას.

➤2315

1913

**27 სექტემბერი**

ოლია ოკუჯავა იგონებს გალაკტიონს, მათ პირველ კოცნას და საყვედურით წერს დღიურში, რომ ის ისეთი ფაქიზი სულის ადამიანი ეგონა და რატომ ვერ ხვდება, რომ წერილის მიუწერლობით ძალიან ანერვიულებს.

➤2316

1913

**30 სექტემბერი**

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, როგორ ნატრობს გალაკტიონის გვერდით ყოფნას და ალერსს.

➤2317

**ო კ ტ ო მ ბ ე რ ი**

1913

**8 ოქტომბერი**

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, რომ ოჯახური ცხოვრება მისთვის არ არის, არ უნდა არც არავისი სიყვარული, არც არავისთან სიახლოვე და თავადაც არავითარი გრძნობა არა აქვს.

➤2318

1913

**28 ოქტომბერი**

ოლია ოკუჯავა წერილს იღებს თავისი ძველი შეყვარებული სანდროსგან, რომელთანაც 15-დღიანი სიახლოვე აკავშირებდა, მაგრამ წელიწადზე მეტის წინ დაშორდა. ამ სიყვარულმა ოლიას ერთი თავყანისმცემლის – ჟენიას სიცოცხლე შეიწირა და ფიქრობს, რომ გალაკტიონთანაც იგივე არ განმეორდეს. ოლია ფიქრობს, რომ სანდროს ბედი მისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იქნება და ყოველთვის მზად იქნება გასაჭირში მოუსმინოს, მაგრამ მხოლოდ გასაჭირში. სხვა შემთხვევაში საერთოდ არ უნდა მასთან ურთიერთობა.

➤2319

1913

### ოქტომბერი

ქუთაისიდან ჭიათურაში მატარებლით აცილებს ოლია ოკუჯავას, მისი ოჯახის წევრებთან ერთად.

➤2320

## ნოემბერი

1913

### 5 ნოემბერი

ოლია ოკუჯავა ისევ ელოდება ჭიათურაში გალაკტიონის ჩასვლას, მაგრამ იმედი კვლავ უტრუფდება და ბრახდება. ეჭვიანობს ვიღაც ქალზე, რომელსაც თურმე გალაკტიონი „ანგელოზს“ უწოდებდა. ფიქრობს ექიმის მიერ დასმულ დიაგნოზზე და იმაზე, რომ შეიძლება დიდხანს სიცოცხლე არ უწერია.

➤2321

1913

### 6 ნოემბერი

წერს საჯავახოში ძმისთვის, აბესალომ ტაბიძისთვის გასაგზავნ წერილს. სწერს, რომ უფულობის გამო არსად არ დადის. რედაქციაში მუშაობას დიდხანს ვერ გააგრძელებს, რადგან მის არყოფნაში სხვას შეპირებთან მის ადგილს. აინტერესებს მისი ჯარში გაწვევის შესახებ რაიმე საბუთი ხომ არ მისულა სოფელში.

➤2322

1913

### 7 ნოემბერი

ოლია ოკუჯავა დღიურში მიმართავს გალაკტიონს, რომ ძალიან უნდა მის გვერდით ყოფნა და მოუთმენლად ელის მის ჩასვლას ჭიათურაში. შემდეგ იგებს, რომ გალაკტიონს ჰყავდა შეყვარებული, რომელსაც „ანგელოზს“ ეძახდა და გაბრაზებული ამბობს, რომ დაივიწყებს გალაკტიონს, წავა მოსკოვში, არ იმკურნალებს და მალე მოკვდება.

➤2323

1913

### 8 ნოემბერი

ქუთაისის ფოსტიდან აგზავნის 6 ნოემბერს ძმის, აბესალომ ტაბიძისთვის დაწერილ ბარათს.

➤2324

1913

### 9 ნოემბერი

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, რომ მთელი ზაფხული უაზროდ გაატარა. არ მოელოდა, თუ გალაკტიონი ასეთი უხეში იქნებოდა. მათი ურთიერთობა წარმოედგინა მხოლოდ ერთმანეთის ახლოს ყოფნად და ზოგჯერ კოცნად.

➤2325

1913

**13 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ტყემ წამიყვანა“.

➤2326

1913

**13 ნოემბერი**

გაზეთში „მერცხალი“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი „ტყემ წამიყვანა“.

➤2327

1913

**19 ნოემბერი.**

გაზეთში „მერცხალი“ ქვეყნდება ცნობა, რომ კვირას, 24 ნოემბერს, ქუთაისის თეატრში მომდერალ გ. თუთბერიძის მონაწილეობით გაიმართება მუსიკალურ-ლიტერატურული და დრამატული საღამო. მონაწილეთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤2328

1913

**24 ნოემბრამდე**

თენგიზ ჟღენტი აკაკი გაბრიჩიძესთან და გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად მიდის ია ეკალაძესთან, რომ 24 ნოემბერს ქუთაისის თეატრში დანიშნულ მუსიკალურ-ლიტერატურულ-დრამატულ საღამოში მონაწილეობაზე დაითანხმოს და უმხელს, რომ რეალურად საღამოს მიზანი სოციალ-დემოკრატების შეკრებაა. ია ეკალაძე პასუხობს, რომ სოციალ-დემოკრატების მხარდამჭერი არ არის, მაგრამ დიდ პატივს სცემს გალაკტიონს და ამიტომ საღამოში მონაწილეობას მიიღებს.

➤2329

1913

**24 ნოემბერი**

გაზეთში „მერცხალი“ ქვეყნდება ცნობა, რომ მიმდინარე დღეს, საღამოს 8 საათზე, ქუთაისის თეატრში გაიმართება მუსიკალურ-ლიტერატურულ-დრამატული საღამო და მონაწილეთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤2330

1913

**24 ნოემბერი**

მონაწილეობას იღებს ქუთაისის თეატრში გამართულ მუსიკალურ-ლიტერატურულ საღამოში.

➤2331

1913

**26 ნოემბრამდე**

წერს პოემის „შუანეთა“ გეგმას

➤2332

1913

**26 ნოემბრამდე**

წერს პოემას „შუანეთა“ („დაღალული, ფერმიხდილი, სარეცელზე იწვა ქალი...“). პროტაგონისტები არიან შუანეთა და ამილბარი.

➤2333

1913

## **26 ნოემბერი**

გაზეთში „მერცხალი“ ქვეყნდება ცნობა, რომ კვირას, 24 ნოემბერს, ქალაქის თეატრში გაიმართა მუსიკალურ-ლიტერატურული და დრამატიული საღამო. მონაწილეთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძეც და ნათქვამია, რომ მისი ლექსები შინაარსის მხრით საინტერესო იყო, მაგრამ სუსტად წაიკითხა.

➤2334

1913

## **26 ნოემბერი**

პოემას „შუანეთა“ კითხულობს მეგობართა წრეში.

➤2335

1913

## **28 ნოემბერი**

გაზეთში „მერცხალი“ ქვეყნდება ცნობა, რომ გალაკტიონ ტაბიძემ თავისი ახალი პოემა „შუანეთა“, საჯაროდ წაიკითხა და დიდი მოწონება დაიმსახურა პოემის როგორც შინაარსმა, ისე ფორმამ და გრძნობათა სიუხვემ.

➤2336

## **დეკემბერი**

1913

## **2 დეკემბერი**

ოლია ოკუჯავა იხსენებს გალაკტიონთან ერთად გატარებულ ზაფხულს. ძალიან ენატრება მასთან ყოფნა და ბრაზობს, რომ არც ჭიათურაში ჩადის და არც ეხმიანება.

➤2337

1913

## **4 დეკემბერი ან ადრე**

წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას ჭიათურაში. სწერს, რომ ძალიან პესიმისტურ განწყობაზე იყო და თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობდა.

➤2338

1913

## **4 დეკემბერი**

ოლია ოკუჯავა იღებს გალაკტიონის წერილს, რომელიც სავსეა უიმედობით. მანამდე მისგან წერილების დაგვიანებას ოლია უყურადღებობითა და უსიყვარულობით ხსნიდა და იმის გაგება, რომ გალაკტიონი თავად არის სასოწარკვეთილებაში, მასში საპირისპირო რეაქციას იწვევს. ის მხნევედება, რადგან შეყვარებულის ტანჯვა აფიქრებინებს, რომ მარტო არ არის.

➤2339

1913

## **5 დეკემბერი**

ოლია ოკუჯავა დღიურში მიმართავს გალაკტიონს, რომ ძალიან ელოდა ქუთაისიდან ჭიათურაში მის ჩასვლას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა და საშინლად განიცდის. ბრაზობს გალაკტიონის მისდამი უყურადღებობაზე და ფიქრობს, რომ ტანჯვას ვერ გაუძლებს.

➤2340

1913

## **8 დეკემბერი**

გაზეთში „სიტყვა“ ქვეყნდება ცნობა, რომ 12 დეკემბერს სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობით ჭიათურაში იმართება ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. ლექტორი

გრიგოლ გიორგაძე წაიკითხავს ლექციას: „მაქსიმე გორკი როგორც ჭეშმარიტების მაძიებელი“.

ლიტერატურული განყოფილების მონაწილეთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤2341

**1913**

**12 დეკემბერი**

გაზეთში „სიტყვა“ ქვეყნდება ცნობა, რომ ჭიათურაში 12 დეკემბერს უნდა გამართულიყო სადამო, რომელზეც ლექცია უნდა წაეკითხა გრიგოლ გიორგაძეს, მაგრამ მისი დაპატიმრების გამო ღონისძიება გადაიდო.

➤2342

**1913**

წერს ლექსს „სჩანს ახლოა ქარიშხალი“.

➤2343

**1913 ან შემდეგ**

ივანე ჯავახიშვილის წიგნში „ქართველი ერის ისტორია“ აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤2344

**1913 ან შემდეგ**

კითხულობს ფიოდორ ტიუტჩევის ლექსების სრულ კრებულს, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤2345

**1913 ან შემდეგ**

წერს ავტობიოგრაფიულ ფრაგმენტს „დავიბადე 1892 წელს. ვმუშაობდი ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ ბუნებით პოეტად ვრჩებოდი...“.

➤2346

**1913 ან შემდეგ**

აგრონომი ილია ტყემელაშვილი ჩუქნის ივან ტროიანოვსკის წიგნს „ორქიდების კულტურა“.

➤2347

**1914**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1914**

**6 იანვრამდე**

ქუთაისიდან ქუთაისშივე მოკლე ბარათს უგზავნის ოლია ოკუჯავას. ემადლიერება რვეულებისთვის და სწერს, რომ სწორედ ახლა აპირებს ღუმელში ცეცხლის დანთებას და იწყებს გადაწერას.

➤2348

**1914**

**6 იანვრამდე**

ჭყვიშიდან ქუთაისში იღებს დედის – მაკრინე ადგიშვილის წერილს. ოთხწელიწადნახევარია, რაც გალაკტიონი მასზე და ძმაზე განაწყენებულია მისდამი უნდობლობისა და მის ცხოვრებაში ჩარევის გამო. დედა პატიებას და შერიგებას სთხოვს. გალაკტიონს იგი ეცოდება, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ ივიწყებს იმას, თუ როგორ აკლდა მისი მხარდაჭერა ბოლო წლების განმავლობაში.

➤2349

**1914**

## **6 იანვრამდე**

ქუთაისიდან ჭიათურაში მატარებლით აცილებს ოლია ოკუჯავას. იქვე არიან ამ უკანასკნელის ოჯახის წევრებიც, მაგრამ გალაკტიონი მათდამი არავითარ სიახლოვეს არ გრძნობს. იცის, რომ ოლიას ჩამოსვლამდე საერთოდ აღარ შეხვდება მათ, რადგან ერთმანეთისთვის თითქოს „გადამთიელები“ არიან.

➤2350

1914

## **6 იანვარი**

წერილს სწერს ქუთაისიდან ჭიათურაში ოლია ოკუჯავას. უზიარებს განცდებს მისი წასვლით გამოწვეული სიცარიელის, ოლიას ახლობლების დამცინავი დამოკიდებულებისა და მათთან გაუცხოების გამო. არ სურს ოლიას ოჯახის წევრებთან ურთიერთობა, რადგან მისი დედისთვის არასასიამოვნო პირია და არც სხვების მიმართ გრძნობს სულიერ კავშირს. ამიტომ მათ გვერდით ყოფნისას სულ ნიღბის აფარება უწევს.

➤2351

1914

## **15 იანვრამდე**

ქუთაისში იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ჭიათურიდან გაგზავნილ დეპეშას, რომლითაც სთხოვს, სასწრაფოდ მასთან ჩასვლას. გალაკტიონს სიჩქარეში სტამბაში რჩება თავისი პოემა „შუანეთა“.

➤2352

1914

## **15 იანვარი**

ჭიათურაში არის ოლია ოკუჯავასთან და გვიანამდე უკითხავს თავის ლექსებს. ოლია გრძნობს, რომ მანამდე მისით მხოლოდ გატაცებული იყო, ახლა კი ნამდვილი სიყვარული ეწყება.

➤2353

1914

## **16 იანვარი**

გალაკტიონი დილით ადრე მიდის ჭიათურიდან და ოლია საოცარ სიცარიელეს გრძნობს. ოთახს ათვალთვლებს, რომ იპოვოს, ერთი ფურცელი მაინც ხომ არ დარჩა, რომ მისი სიახლოვე კვლავ იგრძნოს. ნანობს, რომ წინა დღეს მოერიდა დათანხმებოდა, როდესაც სთავაზობდა, თუ გინდა, რაიმე ლექსს დაგიწერ და დაგიტოვებო.

➤2354

1914

## **16 იანვრის შემდეგ**

ჭიათურიდან ქუთაისში იღებს ოლია ოკუჯავას წერილს. ადრესანტი აცნობებს, რომ მისი ლექსების მოსმენის შემდეგ იგრძნო პოეტის შეფარული სევდა და უკეთ დაინახა მისი შინაგანი მე. წუხს, რომ მიუხედავად შეთავაზებისა, არ დაიტოვა გალაკტიონის ლექსის ხელნაწერი. უმისოდ საშინლად გრძნობს თავს. სთხოვს, შეატყობინოს, როგორ და სად დააპატიმრეს მისი პოემა „შუანეთა“.

➤2355

1914

## **17 იანვარი**

ოლია ოკუჯავას დილით ბელურების ჟღერტული აღვიძებს, აგონდება გალაკტიონი და ცრემლი სდის. ფიქრობს, რა კარგი იქნებოდა, რომ შეეძლოს უცებ მასთან მიფრენა, როგორც პეპელა



მიფრინდება ხოლმე ყვავილთან. წარმოიდგენს, რომ ასე სულ ერთად იქნებიან და ბოლოს გადაიქცევიან ქვის ყვავილად და ქვის პეპლად – მარადიული სიყვარულის სიმბოლოდ.

➤2356

1914

19 იანვარი

გაზეთში „ერი“ ხელმოწერით „მასწავლებელთაგანი“ ქვეყნდება განცხადება. ავტორი ითხოვს, ჟურნალ-გაზეთების კანტორამ „იმერეთი“ აცნობოს, მიიღებს თუ არა გალაკტიონ ტაბიძისა და ნოე ჟორდანიას წიგნებს, რომლებიც 1912 წელს გამოიწერა.

➤2357

1914

20 იანვარი

ოლია ოკუჯავა ნაწყენია გალაკტიონზე. დღიურში წერს, რომ მას უფრო სულიერი ურთიერთობები იზიდავს, გალაკტიონი კი ხორციელს მოითხოვს და სულ არ არის ისეთი ფაქიზი, როგორც ეგონა. ბრაზდება, რომ წერილებს არ სწერს. ფიქრობს, რა იქნება, რომ წავიდეს საზღვარგარეთ და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდეს. წარმოიდგენს, რომ გალაკტიონი ცოლიანი დახვდება და ცრემლებს ვერ იკავებს.

➤2358

1914

24 იანვარი

გაზეთში „ერი“ ისიდორე კვიციანიძე აქვეყნებს განცხადებას, რომ 1912 წელს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებულის გამოცემას აპირებდა რაჟდენ დათეშიძე და თუ წიგნი რაიმე მიზეზით არ გამოიცემა, ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“ თანხას უკან დააბრუნებს.

➤2359

1914

27 იანვარი

გაზეთი „ერი“ აქვეყნებს განაცხადს, რომ გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი სუსტი, უძლური და სასაცილო დეკლამატორები არიან.

➤2360

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1914

13 თებერვლამდე

ჩადის ქუთაისში და ბინას ქირაობს პუშკინის ქუჩაზე ანდრო ჭეიშვილის სახლში. ქვეშაგები არა აქვს და ამიტომ თანხა ბევრი ეხარჯება.

➤2361

1914

13 თებერვალი

ქუთაისიდან სოფელ ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას – მაკრინე ადგიშვილს. სწერს, რომ ბედნიერ ქალად უნდა თვლიდეს თავს და თავაწეული დადიოდეს, რადგან ორივე შვილი პატიოსნად აღზარდა. მართალია, გალაკტიონი ფულს ვერ უგზავნის, მაგრამ მართლა არა აქვს და თან იცის, რომ დედას ისე არ უჭირს, როგორც მას. დედას შეიძლება სულელი ჰგონია, მაგრამ სხვები ნიჭიერ კაცად თვლიან და პატივს სცემენ. ექიმებმა დასვენება ურჩიეს, მაგრამ წასასვლელი არსად აქვს, სოფელში კი რომ ჩავიდეს, სამი-ოთხი დღის შემდეგ ისევ გასაქცევად გაუხდინან საქმეს. საყვედურობს, რომ ქვეშაგები აქამდე არ მიაწვდინა. სთხოვს, თუ ვერავის ნახავს, რომ გაატანოს, სამტრედიიდან საბარგო გზავნილით გაუგზავნოს. სწერს მისამართს და სთხოვს, რომ საბარგო გზავნილის ქვითარი წერილში ჩადოს და დასახელებულ მისამართზე მიაწვდინოს.

➤2362

1914

**18 თებერვლამდე**

ჭიათურიდან ქუთაისში იღებს ოლია ოკუჯავას ბარათს. სწერს, რომ უბედურია და ავად არის, წუხს დაკარგული იმედებისა და აუსრულებელი მიზნების გამო.

➤2363

1914

**18 თებერვალი**

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს სწერს ოლია ოკუჯავას. ურჩევს, დარდი და წუხილი დაივიწყოს და ექიმს მიმართოს. ისე იცხოვროს, როგორც სურს და არ დაემდუროს ბედს, რადგან ის უყვართ და მას უყვარს. ისინი ახალგაზრდები არიან. ეს ის საუკეთესო ხანაა, რომელიც ალამაზებთ და ამის დაკარგვა სიგიჟედ მიაჩნია. ფიქრობს, რომ მწუხარება და ნაღველი სიცოცხლეს უმახინჯებთ, ხელიდან არ უნდა გაუშვან არც ერთი წუთი, რომელსაც მათთვის ბედნიერების მინიჭება შეუძლია. ჰპირდება, რომ აუცილებლად ერთად იქნებიან, თუ ზაფხულში არა, მაშინ მოსკოვში და თუ მოსკოვშიც არა, სადმე სხვაგან. აღნიშნავს, რომ სტიპენდიის იმედი არა აქვს და გული შურით აევსება, როცა ზაფხულში რუსეთიდან და უცხოეთიდან ჩასული სტუდენტები მოიყრიან თავს ქუთაისში.

➤2364

1914

**18 თებერვალი**

გაზეთი „სიმართლის გზა“, რუბრიკით „ახალი ამბები“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ქუთაისში, სხვა ქალაქებსა და დაბა-სოფლებში დაწყებულია ხელმოწერა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების პირველ ტომზე, რომელსაც გამოსცემს ტუტკუ გვარამია. იქვე აღნიშნულია, რომ წიგნში განთავსდება ავტორის ფოტო, დაუბეჭდავი ლექსები, ბიოგრაფია და კრიტიკული განხილვა და რომ გამოცემა ხელმოწერით ეღირება 50 კაპიკი.

➤2365

1914

**19 თებერვლის შემდეგ**

სიტყვებით „დაუვიწყარ პოეტს გ. ტ.“ იღებს ღია ბარათს ლიუდვიგ ბეთჰოვენის ფერწერული გამოსახულებით.

➤2366

1914

**26 თებერვალი**

მიხეილ წულუკიძე ტუტკუ გვარამიას უწონებს გალაკტიონ ტაბიძის წიგნის გამოცემის განზრახვას და თანხმდება ლექსების კრიტიკული განხილვის დაწერაზე.

➤2367

1914

**28 თებერვლამდე**

ჭიათურიდან ქუთაისში იღებს საპასუხო წერილს ოლია ოკუჯავასგან. გალაკტიონის რჩევას, რომ დაივიწყოს სევდა და გამხიარულდეს, ის პასუხობს, რომ მუდამ მხიარულება მხოლოდ სულელს, ბრმასა და ყრუს შეუძლია.

➤2368

1914

## **28 თებერვლამდე**

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველი კრებულისთვის ივანე გომართელი წერს შესავალ სტატიას „სევდის მგოსანი“, რომელიც პოეტს ძალიან მოსწონს.

➤2369

1914

## **28 თებერვალი**

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. უხსნის, რომ ცდილობს მოიწყოს ცხოვრება თავისი სურვილის მიხედვით. ყველა ადამიანს აქვს საწუხარი, მაგრამ სულელია ის, ვინც თავისი მწუხარების გარდა ვერაფერს ხედავს. სურს, ზაფხულში გადაიკარგოს ქუთაისიდან და აღარასდროს დაბრუნდეს, რადგან ირგვლივ ბოროტი ადამიანები არიან. სწერს, რომ ვანო ტუაფსეში გაამგზავრეს, ერთი ღამე მასთან გაატარეს და ნინო გვახარიამ ბულბულივით იმღერა. აცნობებს, რომ წიგნის გამოცემის საქმე დიდებულად მიდის და ივანე გომართელმა მასზე მშვენიერი კრიტიკული წერილი დაწერა.

➤2370

## **მ ა რ ტ ი**

1914

## **მარტამდე**

წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. სწერს, რომ გაზაფხულის მოახლოებას ძალიან კარგი განწყობა შემოაქვს მასში და იმედიანად არის, მაგრამ ოლიას გაბრაზების მიზეზი არ ესმის, რადგან ფიქრობს, რომ მის წერილებში არაფერი იყო გამაღიზიანებელი.

➤2371

1914

## **მარტის დასაწყისამდე**

ჭიათურიდან ქუთაისში გაგზავნილ წერილს იღებს ოლია ოკუჯავასგან, რომელიც საყვედურობს, რომ გალაკტიონმა მის განცდებს არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთა, ბევრი ცუდი მიაწერა და ამის შემდეგ უჭირს მასთან გულწრფელი ლაპარაკი.

➤2372

1914

## **მარტის დასაწყისი**

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. უზიარებს იდუმალ და სასიხარულო განწყობას გაზაფხულის დადგომის გამო. გრძნობს, რომ რაღაც ახალი მოხდა ან უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში, რის გამოც მთელი ქვეყანა უყვარს. პატიებას სთხოვს, რომ გულწრფელი იყო და არ უნდოდა მისი წყენინება. მხოლოდ სურს, რომ ოლია ჯანმრთელად და მხიარულად იყოს. თანდათან რწმუნდება, რომ მთელ დედამიწის ზურგზე არავისთან გულწრფელი საუბარი და წერილის მიწერა არ შეუძლია, რაც მისი ღრმა ტრაგედიაა. უნდა, რომ თქვას და დაწეროს ის, რასაც ფიქრობს, მაგრამ ისე გამოსდის, რომ არავის სიამოვნებს.

➤2373

1914

## **3 მარტამდე**

ფსევდონიმით „ახალგაზდა მგოსანი“ წერს დავით მესხისადმი მიძღვნილ ჰამფლეტს ლექსად „შეკითხვა სამშაბათელას“ („სალამი სამშაბათელას... გწერ საჩქაროდა ორ სიტყვას...“), რომელშიც პლაგიატში ამხელს ადრესატს.

➤2374

1914

## **3 მარტი**

გაზეთი „შრომა“ აქვეყნებს გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნის ხელმოწერის განცხადებას. აღნიშნულია, რომ წიგნი იქნება 200-250-გვერდიანი, განთავსდება ავტორის დაუბეჭდავი ლექსები, ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი და ივანე გომართელის კრიტიკული წერილი. წიგნის შეკვეთა შესაძლებელია კავკასიის ყველა დაბა-ქალაქში და ხელმოწერა მიიღება სხვა აგენტებთანაც, ხელმოწერის ღირებულებაა 50 კაპიკია და მიმოწერა წარმოებს ქუთაისში, ტუტკუ გვარამიას სახლში ალექსანდრეს ქუჩაზე.

➤2375

1914

7 მარტამდე

დედას უთვლის, რომ ქვეშაგები გაუზავნოს.

➤2376

1914

7 მარტი

გალაკტიონ ტაბიძის დედა – მაკრინე ადგილობრივი თავის უფროს ვაჟს – აბესალომს წერილს უგზავნის სოფელ ჭოკნარში და დიდ უკმაყოფილობას გამოთქვამს გალაკტიონთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ის დედას წერილებს არ სწერს. წუხს, რომ ქვეშაგების გაგზავნა სთხოვა, მაგრამ არ იცის, სად გაუზავნოს.

➤2377

1914

8 მარტამდე

წერილებს უგზავნის ოლია ოკუჯავას, რომლებშიც გამოთქვამს ეჭვს მისი გრძნობის სიწრფელესთან დაკავშირებით. ოლია ფიქრობს, რომ უაზრო ჭორებზე თავის მართლება არ ღირს და არ ეხმიანება.

➤2378

1914

8 მარტი

ოლია ოკუჯავა ნაწყენია გალაკტიონზე მისი ბოლო წერილების გამო, ფიქრობს, რომ ასეთი დამოკიდებულება არ დაუმსახურებია და უნებლიედ აგონდება მასზე უიმედოდ შეყვარებული ჟენია, რომელსაც ამალღებული გრძნობით უყვარდა და ორი წლის წინ თავი მოიკლა.

➤2379

1914

9 მარტამდე

წერილს უგზავნის ჭიათურაში ოლია ოკუჯავას. ინტერესდება, როგორ ატარებს დროს და ვისთან ერთად.

➤2380

1914

9 მარტი

ოლია ოკუჯავა სამინლად მარტო გრძნობს თავს ჭიათურაში და უკვირს გალაკტიონის შეკითხვა, ვისთან ერთობიო. ის დღიურში იწერს, რომ არავისთან არ დადის, რადგან უაზრო ჭორაობა არ აინტერესებს. ბრაზდება გალაკტიონზე, რომელიც მის სიტყვებს არასწორად იგებს ხოლმე.

➤2381

1914

9 მარტი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში 23 მარტს გაიმართება დიდი ლიტერატურული, მუსიკალური და დრამატული საღამო გალაკტიონ ტაბიძის, ვარლამ რუხაძისა და დავით აკოფაშვილის მონაწილეობით.

➤2382

1914

9 მარტი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნის ხელმოწერის განცხადებას. აღნიშნულია, რომ წიგნი იქნება 200-250 გვერდამდე, განთავსდება ავტორის დაუბეჭდავი ლექსები, ბიოგრაფია, ფოტოსურათი, ივანე გომართელისა და მიხეილ წულუკიძის კრიტიკული წერილები. ფასი ხელმოწერით იქნება 50 კაპიკი.

➤2383

1914

11 მარტი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ერთ-ერთ სტამბაში მიიტანა პოემა „შუანეთა“, რომელიც ჭიათურაში სასწრაფოდ გამოძახების გამო, სტამბაში დარჩა. ამის შესახებ მან სადგურიდან რედაქციას აცნობა, მაგრამ პოემას ვეღარ მიაკვლიეს. ქუთაისში დაბრუნების შემდეგ, გალაკტიონ ტაბიძე შეუდგა ძიებას, მაგრამ უშედეგოდ. რედაქცია სთხოვს მპოვნელს, პოემა რედაქციაში მიიტანოს, რისთვისაც გასამრჯელოს მიიღებს.

➤2384

1914

13 მარტამდე

წერს ლექსს „ქრისტე“ („მწარე ბრძოლის ცეცხლ-ალმულში...“).

➤2385

1914

13 მარტი

გაზეთში „აზრი“ ხელმოწერით „გ. ტაბიძე“ ქვეყნდება ლექსი „ქრისტე“ („მწარე ბრძოლის ცეცხლ-ალმულში...“).

➤2386

1914

13-18 მარტამდე

ბარნაბ გელაზანიას მოსანახულებლად ღამით ეტლით მიდის საავადმყოფოში და უკანა გზაზე ეტლიდან ვარდება. მიღებული დაზიანებების გამო წევს და სახლიდან არ გადის.

➤2387

1914

16-21 მარტი

ეტლიდან გადმოვარდნის შემდეგ პირველად დგება საწოლიდან. სახეზე დაზიანებები ჯერ კიდევ ეტყობა და ამიტომ სახლიდან მხოლოდ ღამით გადის. მოულოდნელად ხვდება ნინო გვახარიას, რომელიც ეკითხება, რა დაემართა და გალაკტიონიც უყვება.

➤2388

1914

17-22 მარტი

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. უბოდიშებს წერილების მიუწერლობისთვის, რაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხდება. ატყობინებს, რომ ვერ

მოახერხებს მასთან ჩასვლას წიგნის საქმის, რედაქციაში მუშაობისა და კვირას თეატრში გასამართი დიდი სალიტერატურო საღამოს გამო.

➤2389

1914

**23 მარტი**

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ქუთაისში იმართება დიდი ლიტერატურული, მუსიკალური და დრამატული საღამო ვარლამ რუხაძის, დავით აკოფაშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა მონაწილეობით.

➤2390

1914

**23 მარტი**

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ჭიათურაში მოკლე ხანში გაიმართება საღამო გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილის მონაწილეობით.

➤2391

## აპრილი

1914

**6 აპრილამდე**

წერს ლექსს „გეთსიმანიის ბაღში“ („სიჩუმეა... მხოლოდ წყნარად თუ ირხევა დაფნის ტოტი...“).

➤2392

1914

**6 აპრილი**

გაზეთში „აზრი“ ხელმოწერით ქვეყნდება ლექსი „გეთსიმანიის ბაღში“.

➤2393

1914

**6 აპრილი**

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა მონაწილეობით, საღამოები გაიმართება ჩოხატაურსა და ხიდისთავში 8 აპრილს, ოზურგეთში – 9 აპრილს, ლანჩხუთში – 10 აპრილს, სამტრედიიაში – 11 აპრილს, ზუგდიდში – 12 აპრილს, ყვირილაში – 13 აპრილს და სხვ.

➤2394

1914

**6 აპრილი**

გალაკტიონ ტაბიძე და გიგლა მებუკე აღდგომას ეწვევიან ია ეკალაძეს, სადაც ხვდებით თბილისიდან ჩასული შიო მღვიმელი. უკანა გზაზე ეტლით მგზავრობის საფასურის არქონის გამო, გალაკტიონი მეეტლეს მოაჩვენებს, ვითომ ცდილობს ეტლის ფანრების ჩაღებვას, მეეტლე გარბის და თანხის გადახდას გადარჩებიან.

➤2395

1914

**10 აპრილი**

მონაწილეობს დაბა ლანჩხუთში გამართულ იაკობ გოგებაშვილის საღამოში. ის და გიორგი ქუჩიშვილი კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ მსმენელებზე.

➤2396

1914

## **20 აპრილამდე**

მონაწილეობს გურიის დაბა-სოფლებში გამართულ სალიტერატურო-სამუსიკო საღამოებში, სადაც ხალხი ყველგან აღტაცებით ხვდება.

➤2397

1914

## **21 აპრილი**

გაზეთი „შრომა“ რუბრიკით „ახალი ამბები“ აქვეყნებს განცხადებას, რომ იბეჭდება და მალე ხელმომწერებს დაურიგდება გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი.

➤2398

1914

## **25 აპრილი**

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ პოლიციელებმა შაბათს, ღამით დააკავეს და გაჩხრიკეს პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, მაგრამ მისი საწინააღმდეგო ვერაფერი იპოვეს.

➤2399

1914

## **27 აპრილი**

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ იბეჭდება და მალე ხელმომწერებს დაურიგდება გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი.

➤2400

## **მ ა ი ს ი**

1914

## **28 აპრილამდე**

ღია ბარათით მოკლე წერილს უგზავნის ვლადიმერ ჯაველიძეს და წუხილს გამოთქვამს, რომ 28 აპრილს მის შემოქმედებით საღამოზე დასასწრებად ბათუმში ჩასვლას ვერაფრით შეძლებს.

➤2401

1914

## **3 მაისამდე**

წერს ლექსს „გურიის მთები“.

➤2402

1914

## **3 მაისი**

გაზეთში „აზრი“ ქვეყნდება ლექსი „გურიის მთები“.

➤2403

1914

## **3 მაისის შემდეგ**

ქუთაისში ეტლით მიდის სტუმრად ქსენია ბიბინიშვილის ოჯახში, სადაც მასპინძლების თხოვნით კითხულობს ლექსს „გურიის მთები“ და აღტაცებაში მოჰყავს იქ მყოფი საზოგადოება. ამავე საღამოს გაიცნობს ოლია ოკუჯავას დეიდაშვილს, ვასილ კიკვაძეს.

➤2404

1914

## **7 მაისი**

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ იბეჭდება და მალე ხელმომწერებს დაურიგდება გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი.

➤2405

1914

11 მაისამდე

ქუთაისიდან თბილისში ამანათს უგზავნის იპოლიტე ვართაგავას, რომელშიც ბარათი და მისი პირველი წიგნისთვის გამზადებული მასალებია. გალაკტიონი თავის ყოფილ პედაგოგს სთხოვს, გულდასმით წაიკითხოს ყველაფერი და დაწეროს წინასიტყვაობა ამ წიგნისთვის.

➤2406

1914

11 მაისის შემდეგ

იპოლიტე ვართაგავა აღფრთოვანებული რჩება გალაკტიონის ლექსებით, მაგრამ თხოვნას წიგნის წინასიტყვაობის დაწერის შესახებ ვერ უსრულებს.

➤2407

1914

11 მაისი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ იბეჭდება და მალე ხელმომწერებს დაურიგდება გალაკტიონ ტაბიძის ნაწერების პირველი წიგნი. მასში განთავსდება ავტორის ფოტო, ავტობიოგრაფია, დაუბეჭდავი ლექსები და ივანე გომართელის, მიხეილ წულუკიძისა და იპოლიტე ვართაგავას კრიტიკული წერილები. წიგნი იქნება 200-250-გვერდიანი და დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე. გამოცემა ხელის მოწერით ეღირება 50 კაპიკი. ხელის მოწერა მიიღება ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში, კავკასიის ყველა ქალაქსა და დაბაში. გამომცემელია ტუტკუ გვარამია.

➤2408

1914

14 მაისი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ იბეჭდება და მალე ხელმომწერებს დაურიგდება გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი.

➤2409

1914

18 მაისი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ იბეჭდება და მალე ხელმომწერებს დაურიგდება გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი.

➤2410

1914

20 მაისი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ იბეჭდება და მალე ხელმომწერებს დაურიგდება გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნი.

➤2411

1914

25 მაისამდე

წერს ლექსს „ვერსად, ვერასდროს“.

➤2412



1914

25 მაისი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ხელმოწერით „გ. ტაბიძე“ ქვეყნდება ლექსი „ვერსად, ვერასდროს...“.

➤2413

1914

25 მაისი

მონაწილეობს ქუთაისის თეატრში ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ სალიტერატურო დილაში. საუკეთესოდ კითხულობს ლექსს და საზოგადოება ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებს.

➤2414

1914

26 მაისი

გაზეთი „თემი“ „რუ-ილ“-ის ფსევდონიმით აქვეყნებს ილია რუხაძის სტატიას. ავტორი აღნიშნავს, რომ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, ნოე ჩხიკვაძის, კოტე მაყაშვილის თხზულებანი, რომლებშიც კრიტიკული წერილების სიჭარბეა. მისი თქმით, გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს სამი კრიტიკოსის წერილი ექნება დართული, რაც მკითხველს საკუთარი აზრის ჩამოყალიბების საშუალებას არ მისცემს. სტატიის ავტორი ფიქრობს, რომ ამას გამომცემელი „რეკლამისთვის“ აკეთებს და ხელს უშლის მკითხველს იმ მწერლის რეალური ღირსების დანახვაში, რომელსაც ის პირველად ეცნობა.

➤2415

1914

28 მაისი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში 29 მაისს გაიმართება სალიტერატურო დრამატულ-მუსიკალური საღამო და მონაწილეთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤2416

1914

29 მაისი

გაზეთი „აზრი“, რუბრიკით „ახალი ამბები“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მწერლები და მომღერლები, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძე, იმოგზაურებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, კახეთსა და შავიზღვისპირეთში და გამართავენ საღამოებს.

➤2417

1914

29 მაისი

გაზეთში „აზრი“ იბეჭდება „ნარინის“ სტატია „ნინოშვილის დილა“, რომელშიც საუბარია ქუთაისის თეატრში ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებიდან 20 წლისთავის აღსანიშნავად 25 მაისს გამართული სალიტერატურო დილის შესახებ, რომელზეც საუკეთესოდ გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძე.

➤2418

1914

29 მაისი

აკაკი წერეთელთან ერთად მონაწილეობს ქუთაისის თეატრში გამართულ სალიტერატურო-საკონცერტო დრამატულ საღამოში.

➤2419

1914

**29 მაისი ან შემდეგ**

ქუთაისში ლიტერატურულ საღამოზე გალაკტიონის მიერ წაკითხულ საკუთარ ლექსს „ყვითელი ფოთოლი“ ისმენს აკაკი წერეთელი, ძალიან მოსწონს მისი დეკლამაცია, ტაშს უკრავს და ახალგაზრდა პოეტს თავისთან იხმობს. მხცოვანი პოეტი ეკითხება, რომელიმე გუნდში ხომ არ მღერის ან რაჭველი ხომ არ არის, რადგან რაჭველებს უყვართ გაბმით, სიმღერასავით საუბარი და ადრე ასე წამღერებით კითხულობდნენ ლექსებს.

➤2420

1914

**30 მაისი**

სალიტერატურო საღამოს მეორე დღეს აკაკი წერეთელთან და სხვა მონაწილეებთან ერთად იღებს ფოტოს. სურათის გადაღების შემდეგ სადილად დასხდომამდე ლადო დარჩიაშვილი ახალგაზრდა პოეტებზე ჩამოაგდებს საუბარს და აკაკის სთხოვს მათ შესახებ აზრის გამოთქმას. აკაკი პასუხობს, რომ ყველაზე დიდ იმედს გალაკტიონ ტაბიძეზე ამყარებს. ამასვე იმეორებს იგი დარია ახვლედიანთან საუბარშიც.

➤2421

1914

**31 მაისი**

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ 29 მაისს ქუთაისში გამართული სალიტერატურო საღამოს მონაწილეებმა 30 მაისს ჟურნალ-გაზეთების კანტორის გამგის – ისიდორე კვიციანიძის ინიციატივით „საოჯახო ბაღში“ ფოტო გადაიღეს. ფოტოზე არიან: აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ია ეკალაძე, იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე, დავით მეზუკე და აკაკი მარგიანი.

➤2422

1914

**31 მაისი**

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ იბეჭდება და მოკლე ხანში ხელმომწერებს ➤2423

1911-

**1914 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „არ მინდა სიტყვა, არ მინდა სიტყვა!“

➤2424

1911-

**1914 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „დღეს ჩემი დღეა, დაბადების დღე...“.

➤2425

1911-

**1914 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „გარედ სწვიმს და თოვს...“.

➤2426

1911-

1914 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „მე გულ-აღმად დავემხვე...“.

➤2427

1911-

1914 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „მდინარის პირზე ვნახე ტირიფი...“.

➤2428

1911-

1914 ივნისამდე

წერს ლექსს „ყვავილს“ („გაზაფხულისა ველთა შვენებავ...“).

➤2429

1911-

1914 ივნისამდე

ფურცელზე იწერს თავისი ლექსების „რომანსი“ („ცელქი ნაკადი ნორჩ ყვავილს მკერდს ბანს...“) და „მთვარე ღრუბელქვეშ შუადამისას...“ ბაზილინა ხოსიტაშვილისეულ თარგმანებს.

➤2430

1914

გაზაფხული

ქუთაისში პირველად ნახულობს თვითმფრინავს. აპარატი სულ 30 წუთის განმავლობაში დაფრინავს და დიდი შთაბეჭდილებას ახდენს იქ მყოფ ახალგაზრდებზე, განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდიაზე. საფრენი აპარატისთვის თვალის დევნებისას გალაკტიონი ხვდება ყოფილ გიმნაზიელ ლორთქიფანიძეს, რომელიც გიმნაზიიდან გარიცხვის გამო ჯარში გაიწვიეს.

➤2431

## ი ვ ნ ი ს ი

1914

4 ივნისამდე

თარგმნის ფრაგმენტს ბაირონის დრამატული პოემიდან „მანფრედი“.

➤2432

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „სარკესთან“ (გუმინ მთელი დღე...“).

➤2433

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ქალწულის ოცნება“.

➤2434

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „გული სწუხს“ („გული სწუხს და სწუხს...“).

➤2435

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „წუხელი, დამით...“.

➤2436

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ჭმუნვარება“ („როცა მზის სხივი...“).

➤2437

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ყოველ დილით“ („მახსოვს ქალი მოდიოდა...“)

➤2438

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მზე დასავლით ესვენება...“

➤2439

1914

**4 ივნისამდე**

იწყებს პოემის წერას სათაურით „ქარიშხლის შემდეგ“ („მთებში, სიმშვიდით გარემოცული...“).

➤2440

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ძველი ზღაპარი“ („იყო, სცოცხლობდა...“).

➤2441

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ოჰ, ვითარ გსურდა...“.

➤2442

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ჩემი ქნარი“ („როდესაც ხალხთა ჟრიალში...“).

➤2443

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „მთაწმინდაზე“ („მახსოვს, ჩემს ბედკრულ სიყმაწვილეში...“) და ეპიგრაფად წარუმიძღვარებს ნიკოლოზ ბარათაშვილისეულ ფრაზას ლექსიდან „შემოღამება მთაწმინდაზედ“: „რომ ჩემებრ იგი იყო მწუხარ და სევდიანი“.

➤2444

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „განწირულება“ („ერთ კედელს იქით...“).

➤2445

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „სიცოცხლის ახლო“ („მქონდა გვირგვინი...“).

➤2446

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ტყის პირად“.

➤2447

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „მიმღერე რამე“.

➤2448

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „რომ თაყვანი სცეს“.

➤2449

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „პოეტი“ („რამდენჯერა ვსთქვი, თუ ვისთვის მინდა...“).

➤2450

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „კორდზე“.

➤2451

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „დუმილი“.

➤2452

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ახალ ცისკართან“.

➤2453

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „უდაბნო“.

➤2454

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „დაკარგული ედემი“.

➤2455

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „სოფელში“ („ყრუ ხმაურობა – ქუხილისგან გამოქცეული...“).

➤2456

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „განახლდა გული“.

➤2457

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „უკანასკნელი დღე“.

➤2458

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „დიდი ხანია“.

➤2459

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „მგზავრის სიმღერა“.

➤2460

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „მეზნა“.

➤2461

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „შორი გაზაფხული“.

➤2462

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „შორი ალერსი“.

➤2463

1914

**ივნისის ბოლომდე**

წერს ლექსს „შორი სიახლოვე“.

➤2464

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ASTRE“.

➤2465

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ვარდის ფოთოლი“.

➤2466

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს!“

➤2467

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ტყის პირად“.

➤2468

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „სიმღერა“ („ოდესღაც, სადღაც მარტოობაში...“).

➤2469

1914

ივნისის ბოლომდე

წერს ლექსს „სინანული“.

➤2470

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „სანამ შორს იყავ...“.

➤2471

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ქარი“.

➤2472

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „როგორც აჩრდილნი...“.

➤2473

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „უკანასკნელ დღეს“.

➤2474

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ორი პეპელა“ („აცვივდა, ნისლით შემოიბურა...“).

➤2475

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „მშვენიერება“ („მაღლობზე იდგა ქალი შიშველი...“).

➤2476

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მწყუროდა, ქალო, კვლავ მოსმენა შენს ტკბილი ხმისა...“.

➤2477

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „სევდა მეწვია... დამწუხრებულ გულს...“.

➤2478

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „მომაკვდავი“ („ნათესავები და მეგობრები...“).

➤2479

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „მოგონება“ („ტყის ფართო გზაზე, მახსოვს, ეტლი მიგვაქროლებდა...“).

➤2480

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ელეგია“ („წვიმის წვეთები დასცურავენ ფანჯრის მინებზე...“).

➤2481

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „რომანსი“ („ცელქი ნაკადი ნორჩ ყვავილს მკერდს ბანს...“).

➤2482

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ჭკნება“.

➤2483

1914

**ივნისის ბოლომდე**

წერს ლექსს „გახსოვს?“.

➤2484

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „შემოდგომის დღე“.

➤2485



1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „იმ ნეტარ ღამეს...“.

➤2486

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „სიზმარი“ („შუაღამისას ჩემს სარეცელთან...“).

➤2487

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ბინდის სტუმარი“.

➤2488

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ლაურა“.

➤2489

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ბედს იქით!“.

➤2490

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ოჰ, ნუ იფიქრებ...“.

➤2491

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ერთმა წუთმა“.

➤2492

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „გული სწუხს და სწუხს...“.

➤2493

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას...“.

➤2494

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ახალი წელი“ („და კვლავ იწყება ახალი წელი...“).

➤2495

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მარტოობის ჟამს...“.

➤2496

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მყუდრო ნაპირზე...“.

➤2497

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „თვალები“.

➤2498

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ფანტაზია“ („რომ მომცა ფრთები, ავფრინდებოდი...“).

➤2499

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ორი ზარი“.

➤2500

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „გემზე“.

➤2501

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „პოეტი“ („ვნახე მგოსანი ზღვის პირად მდგარი...“).

➤2502

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „დაღლილ წამწამთ ქვეშ...“.

➤2503

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში...“.

➤2504

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ჯვარი“.

➤2505

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „უსიყვარულოდ“.

➤2506

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“.

➤2507

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ოჰ, როგორ მსურდა!“.

➤2508

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა...“.

➤2509

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ის ჩამომშორდა, როგორც სიზმარი...“.

➤2510

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „მუსიკა“ („გუმინ, როცა არემარეს შუქს აფრქვევდა მთვარე ციდან...“).

➤2511

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „სიზმარში ვნახე...“.

➤2512

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „როგორც სიზმარი“.

➤2513

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „მე ცის ვარსკვლავს არ შევნატრი...“.

➤2514

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ჰორიზონტი ოდნავ დელავს...“.

➤2515

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „არვინ არის“.

➤2516

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „განთიადზე“.

➤2517

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „სადამო“.

➤2518

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ყველა დასრულდა...“.

➤2519

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „...და გაფითრდა...“.

➤2520

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „ქალის ლანდი“.

➤2521

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „მე და ზამზახი“.

➤2522

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „სიცივე“.

➤2523

1914

**4 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემი ვარსკვლავი...“.

➤2524

1914

**4 ივნისამდე**

წერს ლექსს „მაისის ღამეს“.

➤2525

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ესკიზი“.

➤2526

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ამაო ძახილი“.

➤2527

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „საიდუმლო“.

➤2528

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „სიცოცხლის აჩრდილს...“.

➤2529

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „დგება ნაზი შემოდგომა“.

➤2530

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „რა წამებაა...“.

➤2531

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „თეთრ თოვლის ქვეშ...“.

➤2532

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „იზობოქრე, ცხოვრების ზღვაგ...“.

➤2533

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „წამების ღამე“.

➤2534

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ალბომში“ („მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე...“).

➤2535

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „პოეტს“.

➤2536

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ქალწული“.

➤2537

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „სამშობლოში“.

➤2538

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „უცხო მოგონება“.

➤2539

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ამოდ ცდილობ“.

➤2540

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ერთხელ...“.

➤2541

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „სიკვდილი“.

➤2542

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ედემის კარებთან“.

➤2543

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „თვით მიმოზა“.

➤2544

1914

4 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „როგორც სინათლე მოხეტიალე...“.

➤2545

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „იდეალი“.

➤2546

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „სიწითლე“.

➤2547

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „მე მესიზმრება“.

➤2548

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „სიყვარული და ხელოვნება“.

➤2549

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ქალწულის ოცნება“.

➤2550

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „გეტერა“.

➤2551

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „შავი ყორანი“.

➤2552

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ხელოვნება“.

➤2553

1914

4 ივნისამდე

წერს ლექსს „ჩვენება“ („ბნელი ბინდ-ბუნდით მოცულ მხარიდან...“).

➤2554

1914

4 ივნისამდე

წერს ექსპრომტს „ტუტკუს“.

➤2555

1914

#### 4 ივნისამდე

იღებს ფოტოს პირველი კრებულისთვის „ლექსები“.

➤2556

1914

#### 4 ივნისამდე

გალაკტიონის პირველი კრებულისთვის „ლექსები“ ივანე გომართელი წერს შესავალ სტატიას სათაურით „სევდის მგოსანი“. კრიტიკოსი ახალგაზრდა პოეტს მსოფლიო სევდის გამომხატველ ავტორთა რიგს მიაკუთვნებს. მისი აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ, მართალია, ქართული ლირიკა საკმაოდ განვითარდა, მაგრამ რომანტიზმის გზას ასცდა; პოეზიის უმთავრეს საგნად ქვეყნის ეროვნული მდგომარეობა იქცა, რამაც განაპირობა ისიც, რომ თანამედროვე პოეტების სევდა უმთავრესად ეროვნულია, საზოგადოებრივი. კრიტიკოსის აზრით, ამ ავტორთაგან გალაკტიონს განასხვავებს ის, რომ მის შემოქმედებაში მსოფლიო სევდის მოტივი იჩენს თავს, კერძოდ, იგი ისევე ეძებს სიცოცხლის მიზანს, როგორც რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ივ. გომართელი განიხილავს გალაკტიონის მიერ სულით ობლობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს და დაასკვნის, რომ ახალგაზრდა პოეტმა ღრმად იგრძნო ყოველი ადამიანის სევდა და სულის სწრაფვა, ნიკოლოზ ბარათაშვილს გამოეხმაურა და თავისი ხმა მსოფლიო სევდის გამომხატველ მგოსანთა ხმებს შეუერთა.

➤2557

1914

#### 4 ივნისამდე

გალაკტიონის პირველი კრებულისთვის „ლექსები“ გრიგოლ მესხი მისი თხოვნით ყდაზე დასაბეჭდად ხატავს ვარდების გვირგვინის ჩარჩოში გამოსახულ ქალს, რომელიც ქნარზე უკრავს.

➤2558

1914

#### 4 ივნისის შემდეგ

იმყოფება ქუთაისში, ისიდორე კვიციანიძის კიოსკში, სადაც ეცნობა ახალგაზრდა პოეტს – გრიგოლ ცეცხლაძეს. გრიგოლი ეუბნება, რომ მისი ლექსებით აღფრთოვანებულია, ამავე დროს, არ უმხელს, რომ თვითონაც წერს ლექსებს. ახალგაზრდები საუბარს სწავლა-განათლებაზე აგრძელებენ. ირკვევა, რომ გრიგოლი ატესტატის ასაღებად ემზადება. გალაკტიონი ურჩევს, წავიდეს მოსკოვში და შანიავსკის უნივერსიტეტში თავისუფალი მსმენელის სტატუსით ისწავლოს, ისე, როგორც ამას თავად აპირებს. ამასთანავე, განუმარტავს, რომ ამ უნივერსიტეტში სწავლისათვის სავალდებულო არ არის საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატის წარდგენა.

➤2559

1914

#### 4 ივნისის შემდეგ

ქუთაისში გოკიელოვის სახლში გამართულ სტამბაში „მშობა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პირველი პოეტური კრებული „ლექსები“. წიგნი აერთიანებს 157 ნაწარმოებს. ეს ლექსებია: „ხელოვნება“, „მიმდერე რამე“, „შავი ყორანი“, „რომ თავყანი სცეს“, „პოეტი“ („რამდენჯერა ვსთქვი, თუ ვისთვის მინდა...“), „შემოდგომა“ („ობოლ ფოთლებს“), „გზაზე“, „ტყეში“, „კორდზე“, „დუმილი“, „სარკესთან“, „ახალ ცისკართან“, „წუხელი, ღამით“, „ყვითელი ფოთოლი“, „სარკმელთან“, „ხშირად ვოცნებობ...“, „ჭმუნვარება“, „განწირულება“, „ნიაღვარი“, „უდაბნო“, „დაკარგული ედემი“, „მთაწმინდაზე“, „სოფელში“, „ხომლი“, „AVE MARIA“, „ჩემი ქნარი“, „განახლდა გული“, „უკანასკნელი დღე“, „სასაფლაოზე“ („ნიავე დაჰქრის... სასაფლაოზე...“),



„დიდი ხანია“, „მგზავრის სიმღერა“, „დარიალისა ვიწრო კლდეებში“, „მებნა“, „ქარიშხლის შემდეგ“, „შორი გაზაფხული“, „შორი ალერსი“, „შორი სიახლოვე“, „მუხა“, „ASTRE“, „ვარდის ფოთოლი“, „არ მინდა სიტყვა...“, „ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს!“, „ტყის პირად“, „რა მშვენიერი იყო ნამი“, „ყვავილები“ („ყვავილებისას გვირგვინებს ვწნავდი...“), „სიმღერა“ („ოდესღაც, სადღაც...“), „მწუხარება“ („შავად გაშლილის...“), „სინანული“, „სანამ შორს იყავ“, „ქარი“, „როგორც აჩრდილნი...“, „უკანასკნელ დღეს“, „მდინარის პირზე“, „ორი პეპელა“, „მომაკვდავი“ („ნათესავები და მეგობრები“), „მოგონება“, „დემონი“ („გაშლილ წალკოტში ნორჩ ყვავილის მოწყვეტა მსურდა...“), „წამი შემოქმედებისა“, „წუთი“, „ვწყველი სიყვარულს!“, „სად?“, „მაღლე ფერგადაშლილი...“, „შორეულს“, „AURORA“, „მარტონი ვართ!“, „ელეგია“ („წვიმის წვეთები დასცურავენ ფანჯრის მინებზე...“), „ჭკნება“, „გახსოვს?“ „შემოდგომის დღე“, „იმ ნეტარ ღამეს...“, „სიზმარი“, „ბინდის სტუმარი“, „ლაურა“, „ბედს იქით!“, „ოჰ, ნუ იფიქრებ...“ „ერთმა წუთმა“, „გული სწუხს და სწუხს...“, „დახუჭული თვალები“, „მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას...“, „ახალი წელი“, „მარტოობის ჟამს...“, „მყუდრო ნაპირზე...“, „მე დავიბადე განთიადისას...“, „თვალები“, „ბედნიერება“, „ფანტაზია“ („რომ მომცა ფრთები, ავფრინდებოდი...“), „არასდროს ისე არ მენატრება...“, „სთვლემს ტყის ნაპირი...“, „ორი ზარი“, „გემზე“, „პოეტი“ („ვნახე მგოსანი ზღვის პირად მდგარი“), „დაღლილ წამწამთ ქვეშ...“, „ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში...“, „ჯვარი“, „რომანსი“ (პოემიდან), „უსიყვარულოდ“, „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“, „ოჰ როგორ მსურდა“, „მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა...“, „ის ჩამომშორდა როგორც სიზმარი...“, „მუსიკა“ („გუშინ, როცა არემარეს“), „ჩვენება“, „სიზმარში ვნახე...“, „როგორც სიზმარი“, „მე ცის ვარსკვლავს არ შევნატრი...“, „კვენესა“, „ჰორიზონტი ოდნავ ღელავს...“, „არვინ არის“, „ტყემ წამიყვანა“, „განთიადზე“, „სალამო“, „ყველა დასრულდა!..“, „და გაფითრდა“, „ქალის ლანდი“, „მე და ზამბახი“, „სიცივე“, „ჩემი ვარსკვლავი...“, „მაისის ღამეს“, „ესკიზი“, „ამაო ძახილი“, „საიდუმლო“, „სიციცხლის აჩრდილს...“, „ქრისტე“ („მწარე ბრძოლის ცეცხლ-ალმულში...“), „დგება ნაზი შემოდგომა“, „რა წამებაა...“, „თეთრ თოვლის ქვეშ...“, „იბოზოქრე, ცხოვრების ზღვა...“, „წამების ღამე“, „ალბომში“ („მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე...“), „პოეტს“, „ჩემს ირგვლივ“, „ქალწული“, „სამშობლოში“, „ვერსად, ვერასდროს“, „უცხო მოგონება“, „ამაოდ ცდილობ“, „ერთხელ...“, „სიკვდილი“, „ედემის კარებთან“, „უხილავი“, „თვით მიმოზა“, „ქალი და ხელოვნება“, „როგორც სინათლე მოხეტიალე...“, „იდეალი“, „სიწითლე“, „მე მესიზმრება“, „სიყვარული და ხელოვნება“, „მე და ღამე“, „ქალწულის ოცნება“, „გეთსიმანიის ღამე“, „გურიის მთები“, „გეტერა“, „მესაფლავე“.

➤2560

1914

#### 4 ივნისი ან შემდეგ

თავისი ლექსების პირველ წიგნს პირადად მიაართმევს აკაკი წერეთელს სხვიტორში.

➤2561

1914

#### 4 ივნისის შემდეგ

ქუთაისშია და ხვდება ვარდენ ყიფიანს, რომელიც საყვედურობს, რომ მისი ლექსების პირველი ტომი პესიმისტურია და ვერ ხვდება, ახალგაზრდები სულ „მესფლავესა“ და „მე და ღამეს“ რატომ გაიძახიან. თან დასძენს, ამდენი ცრემლის ღვრა მხედველობას აფუჭებსო. ამ დროს ვარდენს ხელში აქვს მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის ნაწერების პირველი ტომი. გალაკტიონი სთხოვს, წაიკითხოს ილიას ლექსი, რომელიც ასმეთეთართმეტე გვერდზეა: „ვაჟკაცს ცრემლსა რად უძრახვენ? / რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი / ცაცთ და პირუტყვთ გასარჩევად / ღმერთმა შეჰქმნა მარტო ცრემლი“. ვარდენი კითხულობს და მაშინვე უკან იხევს, ილია თუ ასე წერს, აღარაფერი მეთქმისო.

➤2562

1914

## 7 ივნისამდე

იროდიონ ევდომვილი სთხოვს თავის ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობას. გალაკტიონი სიამოვნებით თანხმდება, მაგრამ ეჭვს გამოთქვამს, რომ, შეიძლება მისმა სახელმა პუბლიკა დიდად ვერ მიიზიდოს. იროდიონ ევდომვილი არ ეთანხმება გალაკტიონს და ეუბნება, რომ ახალგაზრდობა მისით აღფრთოვანებულია და თეატრი გადაჭედელი იქნება.

➤2563

1914

## 7 ივნისი

მონაწილეობს აკაკი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის ხელშეწყობით ქუთაისის თეატრში გამართულ იროდიონ ევდომვილისადმი მიძღვნილ სალიტერატურო საღამოში.

➤2564

1914

## 7 ივნისი

ქუთაისის თეატრში გამართული იროდიონ ევდომვილისადმი მიძღვნილი სალიტერატურო საღამოს შემდეგ გალაკტიონი აკაკი წერეთელთან და სხვა მონაწილეებთან ერთად იმყოფება ისიდორე კვიციანიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში „იმერეთი“ და მოჯადოებული უსმენს აკაკი წერეთლის საუბარს. ამ დროს ოთახში ჟანდარმები შედიან. აკაკი თითქოს თვალთ ანიშნებს გალაკტიონს, რომ ჟანდარმებს განერიდოს, მაგრამ ახალგაზრდა პოეტს აზრად არ მოსდის, თავს უშველოს და მხცოვანი მგოსანი შეატოვოს ჟანდარმებს. ყველაფერი მშვიდობიანად მთავრდება, რადგან წესრიგის დამცველებს თავადაც ეუბნებულა აკაკი წერეთლის თანდასწრებით ჩხრეკის ჩატარება ან ვინმეს დაკავება. ნირწამხდარი ჟანდარმი გალაკტიონს აკაკი წერეთელზე მიანიშნებს და ეკითხება, ვინ არისო და როდესაც მისგან პასუხს იღებს, სხვა ჟანდარმებთან ერთად ტოვებს შენობას. მათი წასვლის შემდეგ აკაკი ნინო წერეთელს მიუთითებს გალაკტიონის ახალგამოცემულ წიგნზე, რომელზეც გამოსახულია ქალი ქნარით და სთხოვს, პირველი სტრიქონის წაკითხვას. ნინო კითხულობს: „ვის უნახავს შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით, დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით?“ და აკაკი რამდენჯერმე ამეორებიანებს, შემდეგ კი ცოცხლად აგრძელებს საუბარს, რომელიც ჟანდარმებმა შეაწყვეტინეს. ამავე დღეს კანტორაში შეკრებილი საზოგადოება იღებს ერთობლივ ფოტოს.

➤2565

1914

## 7 ივნისის შემდეგ

გალაკტიონს გული სწყდება, რომ აკაკი წერეთელთან გადაღებულ ჯგუფურ ფოტოზე ისინი ერთმანეთისაგან შორი-შორს არიან, აკაკი წინა რიგის შუაში ზის, გალაკტიონი კი უკანა რიგში მარცხნიდან პირველი დგას. ამიტომ ამ ფოტოდან ჭრის თავისი და აკაკის გამოსახულებებს, ერთმანეთის გვერდით ათავსებს, ფოტოგრაფს ადიდებინებს და მუყაოზე აკრავს.

➤2566

1914

## 14 ივნისი

გაზეთი „იმერეთი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ პარასკევს, 20 ივნისს, ქუთაისის თეატრში გაიმართება იოსებ მჭედლიშვილის სალიტერატურო-მუსიკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2567

1914

## 19 ივნისი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ კვირას, 22 ივნისს ქუთაისის თეატრში გაიმართება მოლიერის კომედია „სკაპენის ცულლუტობა“, დივერტისმენტში სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2568

1914

22 ივნისი

მონაწილეობს ქუთაისის თეატრში გამართული წარმოდგენის „სკაპენის ცულლუტობა“ დივერტისმენტში.

➤2569

1914

22 ივნისი

მონაწილეობს ჭიათურაში გამართულ ეგნატე ნინოშვილის სალიტერატურო სადამოში.

➤2570

1914

27 ივნისი

გაზეთი „იმერეთი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ შაბათს, 28 ივნისს, გაიმართება ნოე ჩხიკვაძის სადამო, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს და ახალ ნაწარმოებებს წაიკითხავს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2571

## ი ვ ლ ი ს ი

1914

2 ივლისი

გაზეთი „იმერეთი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში სალიტერატურო სადამოებს გამართავენ ახალგაზრდა მწერლები, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძე.

➤2572

1914

2 ივლისი

ახალგაზრდა მწერლებთან ერთად მიემგზავრება საქართველოს რაიონებში სალიტერატურო სადამოების გასამართად.

➤2573

1914

3 ივლისი

გაზეთი „აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ რედაქციამ მიიღო ტუტკუ გვარამიას გამოცემული გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა კრებული.

➤2574

1914

4 ივლისი

გაზეთი „აზრი“ რუბრიკით „ახალი ამბები“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ახალგაზრდა მწერლები სალიტერატურო სადამოებს გამართავენ 4 ივლისს ოზურგეთში, 5 ივლისს ჩოხატაურში, 6 ივლისს ხიდისთავში, 7 ივლისს ლანჩხუთში.

➤2575

1914

#### **4 ივლისი**

ქურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ოზურგეთის ახალ თეატრში 4 ივლისს დანიშნული ქართველ პოეტთა ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო გალაკტიონ ტაბიძესაც, ზოგი მონაწილის დაუსწრებლობის გამო არ შედგა.

➤2576

**1914**

#### **6 ივლისი**

გიორგი ქუჩიშვილს უძღვნის ედგარ პოს ლექსის „ყორანი“ („კვვენესდი, ვჩიოდი...“) თარგმანს.

➤2577

**1914**

#### **6 ივლისი**

იმყოფება ქუთაისში და წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. აცნობებს, რომ ძალიან კარგ განწყობაზეა, მაგრამ საღამოს სახლში არ იქნება, რადგან ტუტკუ გვარამიას უნდა შეხვდეს წიგნის ჰონორარზე სასაუბროდ, მომდევნო დღეს კი მიდის ლანჩხუთში ლიტერატურულ საღამოზე. სთხოვს, დილით მივიდეს მასთან. სწერს, რომ თარგმნის ედგარ პოს „ყორანს“.

➤2578

**1914**

#### **7 ივლისი**

გაზეთი „შრომა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მგოსნის, გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა კრებულის პირველი ტომი, ტუტკუ გვარამიას გამოცემა. აღნიშნულია, რომ წიგნი მოზრდილი ფორმატისაა და ღირს 60 კაპიკი.

➤2579

**1914**

#### **8 ივლისი**

გაზეთი „აზრი“, რუბრიკით „ახალი ამბები“, აქვეყნებს განცხადებას, რომ მოკლე ხანში ფოთში საღამოს გამართავენ გიორგი ქუჩიშვილი, ნოე ჩხიკვაძე და გალაკტიონ ტაბიძე.

➤2580

**1914**

#### **11 ივლისამდე**

ფურცელზე წერს იმ ობიექტებს და პირებს, რომლებიც დაეხმარებიან წიგნის გავრცელებაში. ჩამონათვალშია წიგნის მაღაზიები, სასწავლებლები, სამკითხველოები, გაზეთის „აზრი“ რედაქცია, ბაქო, ხარკოვი, კიევი, მოსკოვი, პეტროგრადი, საქართველოს ქალაქები და სოფლები და იქ მცხოვრები კერძო პირები.

➤2581

**1914**

#### **13 ივლისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „შორის ქვეყნიდან მოგვიდის გულგამგმირავი ამბები...“.

➤2582

**1914**

#### **13 ივლისამდე**

ფურცელზე იწერს განცხადების მონახაზს, რომლის მიხედვითაც 13 ივლისს ის გიორგი ქუჩიშვილთან და ნოე ჩხიკვაძესთან ერთად მონაწილეობს ქალაქ ფოთში დაგეგმილ

ლიტერატურულ და დრამატულ სადამოში, რომელზეც ასევე წარმოდგენილი იქნება ავქსენტი ცაგარლის ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“.

➤2583

1914

13 ივლისი

გაზეთი „იმერეთი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ფოთში იმართება სადამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤2584

1914

12-13 ივლისი

გიორგი ქუჩიშვილთან ერთად იმყოფება ფოთში, სადაც მუშები ათვალერებინებენ ქალაქს, პალიასტომის ტბის შემოგარენს და ღამეს ერთი მუშის ბინაში ათევინებენ. გალაკტიონი მთელი ღამე ფხიზლობს და წერს ლექსს „მომაკვდავი გედის სიმღერა“, რომელსაც მეორე დღეს გამართულ შეხვედრაზე კითხულობს.

➤2585

1914

14 ივლისამდე

წერს ლექსს „საუბარი ვალსში“.

➤2586

1914

14 ივლისი

გაზეთში „მრომა“ იბეჭდება ლექსი „ქალს მთებიდან“.

➤2587

1914

14 ივლისი

გაზეთი „მრომა“ ბეჭდავს აკაკი პაპავას სტატიას „გალაკტიონ ტაბიძის ლექსები“. ავტორი წერს, რომ პოეტის წიგნი ნაზ და სევდიან განწყობილებას ქმნის, მაგრამ არ ახასიათებს ის გაურკვეველობა, რაც სხვა მგოსნების შემოქმედებას, რომლებშიც ერთად არის უკიდურესი სიხალისე და საშინელი სასოწარკვეთა. მიუხედავად ღრმა მწუხარებისა, არ იგრძნობა ბედის წყევლა და ცხოვრების მრისხანე გმობა. მისი სევდა ყველასთვის ძვირფასია, რადგან ხელოვნურად შექმნილ განწყობაში იშლება მკითხველის დარდი. პოეტს უწოდებს ეპოქის ღვიძლ შვილს, ქართული ინტელიგენციის სახესა და სულის სარკეს. აღნიშნავს, რომ იგი მარადიულზე და ცხოვრების საიდუმლოებაზე ფიქრობს, ეს მუსიკალური პოეზიის ნაზი აკორდია და ვისაც უყვარს მწუხარების ლამაზი ტანჯვა, შეიყვარებს ამ წიგნს.

➤2588

1914

18 ივლისი

გაზეთი „იმერეთი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ჟურნალ-გაზეთების კანტორამ „იმერეთი“ მიიღო ხელმომწერთათვის დასარიგებლად და გასაყიდად გალაკტიონ ტაბიძის ლექსების წიგნი, რომლის ფასია 60 კაპიკი.

➤2589

1914

21 ივლისამდე

ქუთაისიდან მიემგზავრება ჭყვიშში.

➤2590

1914

21 ივლისი

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველო თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსთან გზავნის საიდუმლო მიწერილობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ გაზეთის „ახალი აზრი“ მთავარი ხელმძღვანელი გალაკტიონ ტაბიძე რამდენიმე დღით ადრე გაემგზავრა ქუთაისიდან, მასზე დაწესებულია მეთვალყურეობა და უკან დაბრუნებისთანავე დაპატიმრებულ იქნება. ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ ის ექვემდებარება ჯარში გაწვევას.

➤2591

1914

24 ივლისი

ჭყვიშიდან ჩადის სამტრედიის, სადაც იგებს, რომ ომი იწყება, მატარებლით მიმოსვლა შეწყვეტილია და ბრუნდება ჭყვიშში.

➤2592

1914

24 ივლისი

იმყოფება ჭყვიშში და ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. აღწერს ჭყვიშის წარმტაც ბუნებას. აცნობებს, რომ ქალაქის დრტვინვას განშორებული მყუდროდ და ბედნიერად გრძნობს თავს. ტიციან ტაბიძესთან ერთად კითხულობს წიგნებს, საუბრობს, მდინარეში ბანაობს, ნავით სეირნობს და თევზაობს. ზოგჯერ დაჭერილ თევზებს ბავშვები ჰპარავენ, რაზეც ტიციანი ძალიან ბრაზდება, გალაკტიონი კი ხალისობს. ტიციანი უამბობს მოსკოვის ამბებს, ის კი – ქუთაისისას. მისი დაბრუნებით გახარებულ დედას უნდოდა დიდი ღვინის გადახდა, მაგრამ გალაკტიონმა არ მოინდომა სოფლის მყუდროების დარღვევა.

➤2593

1914

ივლისი ან შემდეგ

ხვდება გრიგოლ ცეცხლაძეს და ეუბნება, რომ წაიკითხა მისი ლექსი „ზღვაზე“. ცოტა ხნის წინ გაცნობილ გრიგოლს გალაკტიონი ამ ლექსს უქებს, თან საყვედურობს, იმის გამო, აქამდე რომ არ უთხრა ლექსებს თუ წერდა. შემდეგ თავად უკითხავს საკუთარ ახალ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ლექსებს და თან იწვევს, რომ გრიგოლმაც გააცნოს თავისი ნაწარმოებები.

➤2594

## ა გ ვ ი ს ტ ო

1914

10 აგვისტომდე

გაზეთი „იმერეთი“ შეცდომით აქვეყნებს განცხადებას, რომ რედაქციამ მიიღო ტიციან ტაბიძის (უნდა იყოს „გალაკტიონ ტაბიძის“) ლექსების პირველი ტომი, რომელსაც დართული აქვს ავტორის სურათი, მოკლე ბიოგრაფია და ივანე გომართელის კრიტიკული წერილი. წიგნი კარგად არის გამოცემული, შედგება 192 გვერდისგან და ღირს 60 კაპიკი.

➤2595

1914

10 აგვისტო

ტუტკუ გვარამია გაზეთ „იმერეთის“ რედაქციას გადასცემს გალაკტიონის ლექსების პირველი კრებულის ორ ეგზემპლარს, მათ შორის, ერთს – ია ეკალაძისთვის.

➤2596

1914

**12 აგვისტო**

გაზეთი „იმერეთი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ რედაქციამ მიიღო გალაკტიონ ტაბიძის და არა ტიცინ ტაბიძის ლექსების პირველი ტომი, როგორც შეცდომით იყო აღნიშნული გაზეთის 10 აგვისტოს განცხადებაში.

➤2597

1914

**14 აგვისტოს შემდეგ**

ქუთაისში დაბრუნებულ გალაკტიონს ია ეკალაძე რამდენჯერმე სთხოვს თავისი ლექსების კრებულის ჩუქებას და, მიუხედავად იმისა, რომ წიგნის გამომცემელს მისთვის წიგნი რედაქციაში ჰქონდა დატოვებული, პოეტი ხელახლა ჩუქნის და ზედ უწერს ლექსს „წარწერა წიგნზე“ („როცა უმიზნოთ, უშინაარსოდ...“).

➤2598

1914

**14 აგვისტოს შემდეგ**

წერს ლექსს „წერილები კოშკიდან“.

➤2599

1914

**15 აგვისტო**

გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნის გამომცემელი – ტუტკუ გვარამია მიმართავს გაზეთის „იმერეთი“ რედაქტორს და ბოდიშს იხდის, რომ წიგნი დროულად ვერ დაურიგა ხელმომწერებს, რადგან დააპატიმრეს. სთხოვს ხელმოწერათა შემგროვებელ აგენტებს, აცნობონ მისამართები და გადახდილი თანხის რაოდენობა, რომ წიგნები გაუგზავნოს.

➤2600

1914

**16 აგვისტოს შემდეგ**

ხვდება ია ეკალაძე, რომელიც ეუბნება, რომ გადაწყვიტა მის წიგნს წერილით გამოეხმაუროს და სთხოვს ნებართვას, წერილი დაიწყოს იმ ლექსით, რომელიც გალაკტიონმა მას მიუძღვნა. პოეტი თავდაპირველად თანხმდება, თუმცა ცოტა ხნის შემდეგ ბარათს უგზავნის ეკალაძეს, რომ არ გამოაქვეყნოს მისი ლექსი, რადგან იგი სუსტია, საზოგადოებრივი ღირებულება არ აქვს და მისი დაბეჭდვა ავტორს არაფერს შემატებს.

➤2601

1914

**30 აგვისტო**

ქუთაისიდან ჭიათურაში აცილებს ოლია ოკუჯავას, შემდეგ კი ბრუნდება სახლში ბარგის შესაკვრელად და ახალ ბინაში გადასასვლელად. მასთან დასახმარებლად არიან დედა და ძმა, მაგრამ, რამდენადაც მათ მატარებელზე აგვიანდებათ, ბარგის შეკვრას ვერ ასწრებენ და ახალ ბინაში გადასვლაც ვერ ხერხდება.

➤2602

1914

**30 აგვისტო**

სალამო ხანს მიდის ქუთაისის თეატრში დავით ჩარკვიანის მიერ ავადმყოფ თამარ ივანიძის სასარგებლოდ გამართულ ლიტერატურულ-დრამატულ საღამოში მონაწილეობის მისაღებად.

დარბაზში ხვდება ოლიას ძმას, მიხეილ ოკუჯავას, რომელიც გალაკტიონს ეკითხება, ვინ მონაწილეობს სადამოში და იღებს თუ არა მონაწილეობას თავად. გალაკტიონი პასუხობს, რომ სადამოში მონაწილეები ყველანი სულელები არიან და მათ შორის არის თავადაც. მიხეილი პასუხობს, რომ ის სხვებისგან გამოირჩევა. გალაკტიონი არ არის სცენაზე გამოსვლის ხასიათზე, მაგრამ იმის გამო, რომ თანხმობა აქვს მიცემული, უარს აღარ ამბობს. იწყებს ლექსს „მე და ღამე“, მაგრამ ავიწყდება და გამოსავალს იმაში პოულობს, რომ იქვე კათედრაზე დადებული ვიღაცის ლექსს კითხულობს. მაყურებელი ხვდება, რომ თავისი ლექსი დაავიწყდა და მქუხარე ოვაციებით ითხოვს მის ხელახლა გასვლას, მაგრამ სცენაზე აღარ გადის. თეატრიდან გამოსვლისას მისთვის უამრავი ყვავილი მიაქვთ.

➤2603

1914

### 30 აგვისტო

ლიტერატურულ-დრამატული სადამოს დასრულების შემდეგ ერთ-ერთ მონაწილე ლადო მაჭავარიანთან ერთად ვახშმობს რესტორანში და იქიდან მიემართებიან ქუთაისის გორაზე გალაკტიონის ნაქირავები ბინისკენ. სახლი დაკეტილი ხვდებათ და მეპატრონე კარს არ აღებს. ნახევარი საათი ელოდებიან და ბრუნდებიან ქალაქში. სასტუმროში იაფიან ნომრებს ვერ შოულობენ, გარეთ დგანან და ფიქრობენ, რა ქნან, როდესაც მათ გვერდს ჩაუვლის სათავადაზნაურო გიმნაზიის ხუთი მოსწავლე ორ ახალგაზრდა ქალთან ერთად. ერთ-ერთი გიმნაზიელი უხეშად გაკვრავს მხარს გალაკტიონს და ბოდიშის მოხდის ნაცვლად დამცინავად უყურებს. გაბრაზებული გალაკტიონი ოლიას ნაჩუქარ ხელჯოხს არტყამს მას და მის დასახმარებლად მისულებსაც ამავე ხელჯოხით ფანტავს, გაქცეულ გიმნაზიელებს კი ლადო მაჭავარიანი დაერევა. ბოლოს გალაკტიონი და თანმხლები ქალები ძლივს აშველებენ მათ. ამის შემდეგ გალაკტიონი და ლადო ისევ გორაზე მიდიან და თენდება კიდეც. გალაკტიონი ორი საათით იძინებს თავის ოთახში, გამოღვიძებულზე მარტოობა ტანჯავს და ქალაქში ჩადის, რომ ოლიას წერილი მისწეროს.

➤2604

1914

### 31 აგვისტო

ხვდება ქუთაისში ჩასულ მიხეილ ბოჭორიშვილს, რომელსაც უყვება მისი წინააღმდეგი ჩხუბის ამბავს, მიხეილი ძალიან ამტყუნებს, მაგრამ გალაკტიონი არ აპროტესტებს, რადგან ახლა მასაც რცხვენია.

➤2605

1914

### 31 აგვისტო

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას და დაწვრილებით უყვება 30 აგვისტოს, მისი გაცილების შემდეგ ქუთაისის თეატრში გამართული სადამოსა და გიმნაზიელებთან გამართული ჩხუბის შესახებ. საშინლად განიცდის იმას, რომ ადამიანები ჯოხით სცემა. ფიქრობს, ოლია რომ მასთან ყოფილიყო ასეთი რამ არასოდეს დაემართებოდა. სწერს, რომ უზომოდ უყვარს და მის გარეშე არ შეუძლია, მაგრამ ეეჭვება, რომ ოლიასაც ძველებურად უყვარდეს. აინტერესებს, რომ მოკვდეს, ოლია იტირებს თუ არა. სწერს, რომ ბევრი წყენა მიაყენა, მაგრამ ევედრება, რომ მასზე ცუდი არ იფიქროს, რადგან არავისთვის ცუდი არ უნდა. მოკითხვას უთვლის ოლიას მეგობარ ვერა ხალვაშს და ბოდიშს უხდის უწყინარი ტყუილისთვის. სწერს, რომ როდესაც ქუთაისში ჩასულმა მიხეილ ბოჭორიშვილმა მისი წინააღმდეგი ჩხუბის ამბავი გაიგო, ძალიან გაამტყუნა, მაგრამ გალაკტიონს არ გაუპროტესტებია, რადგან ახლა მასაც რცხვენია. ოლიას სთხოვს, რომ თავს მოუაროს, რომ არ გახდეს და არ დაავადდეს.

➤2606



1914

**აგვისტო**

ჟურნალში „ცხოვრება და მეცნიერება“ ქვეყნდება ივანე ყიფიანის სტატია. ავტორი საუბრობს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველ კრებულზე. მისი აზრით, მას ნიკოლოზ ბარათაშვილის გავლენა აქვს, პესიმოზმი ახასიათებს, ხორციელად და სულიერად იტანჯება და სიკვდილს ნატრობს. სტატიის ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა პოეტი სხვა თემებზეც წერს და სამომავლოდ იმედს იძლევა.

➤2607

1914

**აგვისტო ან შემდეგ**

ხვდება გრიგოლ ცეცხლაძეს. იწყებენ ლაპარაკს მწერლებსა და ლიტერატურაზე. საუბრისას გალაკტიონი ზეპირად წარმოთქვამს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლის ნაწარმოებებს. გარდა ამისა, მეგობარს უკითხავს თავის გამოუქვეყნებელ ლექსებს. მსჯელობენ თანამედროვე პოეზიის შესახებაც. გრიგოლი ამჩნევს, რომ გალაკტიონს არ სიამოვნებს იმ დროისათვის სახელგანთქმული პოეტების – იოსებ გრიშაშვილისა და ალექსანდრე შანშიაშვილის ხსენება, მით უფრო, მათი ქება. ასევე, შენიშნავს, როგორ მფარველურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს გალაკტიონი ვარლამ რუხაძის, ნოე ჩხიკვაძისა და გიორგი ქუჩიშვილის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მათ თავის თანასწორ პოეტებად არ მიიჩნევს.

➤2608

**ს ე ქ ე მ ბ ე რ ი**

1914

**5 სექტემბრამდე**

ჭიათურიდან ქუთაისში იღებს ოლია ოკუჯავას წერილს, რომელიც საყვედურობს რაისა ჩიხლაძესთან ურთიერთობის გამო.

➤2609

1914

**5 სექტემბერი**

ქუთაისიდან ჭიათურაში მოკლე წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. არწმუნებს, რომ მხოლოდ ის უყვარს და სთხოვს, ჭორებს არ აჰყვეს.

➤2610

1914

**5 სექტემბრის შემდეგ**

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. აცნობებს, რომ ძალიან დამწუხრებულია მისგან მიღებული ბარათის გამო. უხსნის, რომ ჭორებს არ უნდა აჰყვეს და არ უნდა დაუჯეროს შეთითხნილ ამბებს, რომლებსაც ბავშვობიდან უგონებენ. მას რაისა ჩიხლაძე არც ჰყვარებია და არასდროს შეიყვარებს. სთხოვს, აცნობოს ჭორის გამავრცელებლის ვინაობა, რომ მას პასუხი მოსთხოვოს. ქუთაისში ცხოვრება და დაუსრულებელი ინტრიგები საშინლად მოსწყინდა და თუ ასე გაგრძელდა, თავს შეაკლავს ვინმეს. თავის მოკვლა არ სურს, მაგრამ სხვებიც არ კლავენ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ მისცა ამის საბაბი.

➤2611

1914

**სექტემბერი ან შემდეგ**

იმყოფება ქუთაისის ბულვარში ლადო მაჭავარიანთან, ნიკანდრო ასათიანთან და გრიგოლ ცეცხლაძესთან ერთად. ახალგაზრდები ათვალიერებენ ჟურნალ-გაზეთებს. გალაკტიონის ყურადღებას იქცევს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის პერიოდული გამოცემა „სახალხო

გაზეთი“ და მისი საკვირაო ლიტერატურული დამატება, რომელიც კარგი ხარისხის ქაღალდზე ლამაზად არის დაბეჭდილი. პოეტი იმ პერიოდში სოციალ-დემოკრატებს თანაუგრძნობს, ამიტომ „სახალხო დამატებასთან“ არ თანამშრომლობს, თუმცა, ეტყობა, გული წყდება ამის გამო და ამრეზით ამბობს, რომ „სახალხო გაზეთის“ დამატებაში მუდმივად სიკო ფაშალიშვილის და იოსებ მჭედლიშვილის ტექსტები იბეჭდება.

➤2612

## ოქტომბერი

1914

5 ოქტომბრამდე

წერს ლექსს „სანთლები“ („შორს, ზურმუხტისფერ სივრცეს იქით...“).

➤2613

1914

5 ოქტომბერი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „სანთლები“.

➤2614

1914

20 ოქტომბრამდე

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და ატყობინებს, რომ 21 ოქტომბერს ქუთაისში ჩავა და ნახავს ძმას. სწერს, რომ გალაკტიონის ჭყვიშში ყოფნა საფრთხილოა, რადგან ჯარში გაწვევა უწევს და შეიძლება ვინმემ დაასმინოს.

➤2615

## ნოემბერი

1914

2 ნოემბერი

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს გალაკტიონ ტაბიძე მართავს ლიტერატურულ-მუსიკალურ-დრამატულ საღამოს.

➤2616

1914

2 ნოემბერი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს განცხადებას, რომ მიიღეს ტუტკუ გვარამიას მიერ გამოცემული გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველი ტომი, ავტორის სურათით, მოკლე ბიოგრაფიითა და ივანე გომართელის წერილით „სევდის მგოსანი“. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ წიგნის თავდაპირველი ფასი 60 კაპიკი იყო, მაგრამ იყიდება 50 კაპიკად და რომ რედაქცია ამ გამოცემის საგანგებო მიმოხილვასაც ამზადებს.

➤2617

1914

8 ნოემბერი

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში 19 ნოემბერს გაიმართება სალიტერატურო საღამო გალაკტიონ ტაბიძის სწავლის გაგრძელების სასარგებლოდ.

➤2618

1914

16 ნოემბერი

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში 19 ნოემბერს გალაკტიონ ტაბიძე მართავს დიდ სალიტერატურო-სამუსიკო დრამატულ საღამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მწერლები და დეკლამატორები, ვიოლინოზე და ვიოლონჩელოზე დამკვრელები. წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი ვოდევილი „მოჩვენება“ და ცოცხალ სურათებს დადგამს გრიგოლ მესხი.

➤2619

**1914**

**18 ნოემბერი**

გაზეთი „ახალი ივერია“ შეახსენებს საზოგადოებას, რომ 19 ნოემბერს ქუთაისის თეატრში იმართება დიდი სალიტერატურო-სამუსიკო-მხატვრულ-დრამატული საღამო გალაკტიონ ტაბიძის სასარგებლოდ, რომელიც ახალგაზრდა მწერლებს შორის საუკეთესოა. რედაქცია იმედოვნებს, რომ საღამოს ბევრი ხალხი დაესწრება და პატივს სცემს პოეტის ნიჭს.

➤2620

**1914**

**19 ნოემბერი**

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 19 ნოემბერს ქუთაისის თეატრში გალაკტიონ ტაბიძე მართავს დიდ სალიტერატურო-სამუსიკო-დრამატულ საღამოს.

➤2621

**1914**

**20 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ელეგია“ („სარკმლიდან ვუცქერ, თუ თეთრი თოვლი...“).

➤2622

**1914**

**20 ნოემბერი**

გაზეთში „ახალი აზრი“ ხელმოწერით „გ. ტაბიძე“ იბეჭდება ლექსი „ელეგია“ („სარკმლიდან ვუცქერ, თუ თეთრი თოვლი...“).

➤2623

**1914**

**21 ნოემბერი**

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ გალაკტიონ ტაბიძის საღამო, რომელიც ვერ შედგა 19 ნოემბერს, გაიმართება 24 ნოემბერს და ლექციას წაიკითხავს სერგო ქავთარაძე.

➤2624

**1914**

**23 ნოემბერი**

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 24 ნოემბერს ქუთაისის თეატრში ვრცელი პროგრამით გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო ცნობილი მწერლების მონაწილეობით. მხატვარი გრიგოლ მესხი დადგამს „ცოცხალ სურათებს“ მიმდინარე ომიდან.

➤2625

**1914**

**24 ნოემბრამდე**

ქუთაისიდან ჭყვიშში ჩასულ სიმონ ტაბიძეს ბიცოლამისი – მაკრინე ადვიშვილი ეკითხება, როგორ არის გალაკტიონი. სიმონი პასუხობს, რომ გალაკტიონს შემოქმედებითი საღამო აქვს ქუთაისის თეატრში. მაკრინე სთხოვს, რომ ისიც თან წაიყვანოს და შვილისთვის გაუმხელად

დაასწროს მის სადამოს. სიმონი თხოვნას უსრულებს. ის გალაკტიონს სადამოზე შესასვლელ ბილეთს სთხოვს. გალაკტიონს ზედმეტი ბილეთი აღარ აღმოაჩნდება, მაგრამ როდესაც სიმონი ეუბნება, რომ მისი ერთი ღარიბი თაყვანისმცემლისთვის უნდა, გალაკტიონი თეატრის მოლარესთან ატანს წერილს და ბილეთს აძლევს.

➤2626

1914

#### 24 ნოემბერი

ქუთაისის თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო სადამო.

➤2627

1914

#### 2 ნოემბერი

სადამოს წარმატებით დასრულების შემდეგ სიმონ ტაბიძეს გალაკტიონთან მიჰყავს დედა და პოეტს ძალიან უხარია, რომ ის მის სადამოს დაესწრო.

➤2628

1914

#### 30 ნოემბერი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნის ყდის კლიშეს, შესრულებულს გრიგოლ მესხის მიერ – ვარდების გვირგვინის ჩარჩოში გამოსახულია ქალი, რომელიც ქნარზე უკრავს.

➤2629

### დეკემბერი

1914

#### 4 დეკემბერი

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 9 დეკემბერს ქუთაისის თეატრში გაიმართება სალიტერატურო-მუსიკალური სადამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤2630

1914

#### 5 დეკემბერი

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 9 დეკემბერს ქუთაისის თეატრში გაიმართება სალიტერატურო-მუსიკალური სადამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤2631

1914

#### 6 დეკემბერი

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 9 დეკემბერს ქუთაისის თეატრში გაიმართება სალიტერატურო-მუსიკალური სადამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤2632

1914

#### 9 დეკემბერი

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს ქუთაისის თეატრში გაიმართება სალიტერატურო-მუსიკალური სადამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤2633

1914

#### 16 დეკემბერი

გაზეთი „ახალი ივერია“ ბეჭდავს შენიშვნას, რომ 9 დეკემბრის ლიტერატურული სადამოს ერთ-ერთ მონაწილედ დასახელებული იყო გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც ამ სადამოში მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომ სათანადო დონეზე ვერ ჩატარდა. შესაბამისად, სადამოების ორგანიზატორებს სთხოვენ, საზოგადოება ნუ შეჰყავთ შეცდომაში.

➤2634

1914

### 20 დეკემბერი ან შემდეგ

ქუთაისის ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელ ორგანიზაციაში „იმერეთი“ იღებს საჯავახოდან ძმის მიერ გაგზავნილ წერილს. აბესალომი სთავაზობს, რომ 22 დეკემბერს ორივენი ერთად ჩავიდნენ დედასთან. სთხოვს, თან წამოიღოს ის კალათი, რომელიც წინაზე გაატანეს სოფლიდან.

➤2635

1914

### 28 დეკემბერი

ქუთაისში პანიკაა პირველი მსოფლიო ომით შექმნილი მდგომარეობის გამო. გუბერნატორის მიერ ქალაქში გაკრული განცხადებები მოუწოდებს მოსახლეობას, სასწრაფოდ დატოვონ ქალაქი, შეძლებული მოსახლეობა გარბის, რჩებიან მხოლოდ ხელმოკლე მოქალაქეები. ხალხის ნაწილი დარწმუნებულია, რომ თურქები უკვე გაბაშვილის გორაზე დგანან.

➤2636

1914

### 28 დეკემბერი

ქუთაისის თეატრში ესწრება „მეფე ლირის“ დადგმას. სპექტაკლზე ასევე არიან მტრის შემოჭრის საფრთხის გამო თავადაზნაურობის წინამძღოლის მიერ შეკრებილი რაზმის წევრები, რომლებიც წესრიგის დაცვის ნაცვლად თავად იქცევიან უწესოდ. ერთ-ერთი მათგანი ქალბატონს ავიწროებს. გალაკტიონი აფრთხილებს, რომ უკადრისი ქცევა შეწყვიტოს. ახალგაზრდა მის შესაშინებლად ხანჯალს დაწვდება და ქარქაშიდან წამოსწევს, მაგრამ გალაკტიონი უცებ გაუკავებს ხელს და ეუბნება, თუ ასეთი ვაჟკაცია, თავისი ძალა თურქების წინააღმდეგ გამოიყენოს. ეს სიტყვები ყმაწვილს უცებ მოიყვანს გონზე, მაგრამ რაზმის სხვა წევრები მიდიან მის დასახმარებლად და გალაკტიონს მუქარით ეკითხებიან, რაშია საქმე. გალაკტიონი მშვიდად პასუხობს: არაფერი, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოებაო და ღიმილით შორდება მათ.

➤2637

1911-1914

წერს განცხადებას სალიტერატურო სადამოს შესახებ, რომელშიც ვარლამ რუხაძესთან, დავით მესხთან, ვასილ ბალანჩივაძესთან და მიხეილ ჯანოვეთან ერთად თავადაც იღებს მონაწილეობას. განცხადებაში ნათქვამია, რომ პირველ განყოფილებაში გაიმართება „გასამართლება“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: დიმიტრი უზნაძე, ვლადიმერ ბაქრაძე, გრიგოლ გიორგაძე და კარპეზ დონდუა. ნათქვამია, რომ დამსწრე საზოგადოებას დაურიგდება ჟურნალები, რომლებზეც ისინი საკუთარ აზრს გამოთქვამენ გასამართლებასთან დაკავშირებით და შემდეგ მსაჯულთა კოლეგია შეაჯამებს.

➤2638

1913-1914

მონაწილეობს გაზეთის „ჩვენი აზრი“ დასახმარებლად გამართულ ლიტერატურულ სადამოში, კითხულობს ორ ლექსს და სხვა მონაწილეებთან: იასონ ნიკოლაიშვილთან, ვარლამ რუხაძესთან, ია ეკალაძესთან, მიხეილ კინწურაშვილთან და ვარლამ ხუროძესთან ერთად იღებს სურათს.

➤2639

1914

წერს სატირულ ლექსს „თაგვი“ („თაგვი ვინმე კუდა-გრძელა...“) და უგზავნის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს – იოსებ იმედაშვილს.

➤2640

1914

წერს ლექსს, რომლის პირველი სტროფი მთავრდება სიტყვებით: „ნელი ნიავი უმღერის ნანას / მშვენიერ მხარეს, მშობელთ ქვეყანას“.

➤2641

1914 ან შემდეგ

ქუთაისში პირველად ხვდება ია ეკალაძესთან სტუმრად მყოფ დავით კასრაძეს და ორთავეს ეპატიჟება ჯაჭვის ხიდის თავზე მდებარე დიანოზ კობერიძის სახელგანთქმულ რესტორანში. სადილის შემდეგ ბაგრატიის ტაძრისაკენ მიემართებიან და გზად პოეზიაზე საუბრობენ. ია ეკალაძე პოლ ვერლენის ნათქვამს იგონებს, რომ პოეზიაში მუსიკაა უმთავრესი და გალაკტიონს საყვედურობს, რომ მან ეს დაივიწყა და წინ აზრი წამოსწია. ამაზე პოეტი პასუხობს, განა აზრი მუსიკა არ არისო?

➤2642

1914 ან შემდეგ

გალაკტიონის ოთახს მეზობლის ხანდაზმული ქალი ალაგებს და იცის რა მისი სიყვარული ვარდებისადმი, საწერ მაგიდაზე წითელი ვარდების თაიგულს უდებს. შინ ია ეკალაძესთან და დავით კასრაძესთან ერთად მისული გალაკტიონი ყვავილებს კოცნის და სტუმრებს ეუბნება, რომ ვარდები მისი უმაღლესი სიამოვნება, ნეტარება და პოეზიაა, შემდეგ კი მათ უკითხავს ახლადდაწერილ ლექსს „ვარდები“. ია ეკალაძე შენიშნავს, რომ ლექსი გადატვირთულია ცნობილი მწერლებისა და პოეტების სახელებით და არაფერს მატებს მის პოეტურობას. გალაკტიონი მორიდებით ისმენს ყოფილი მასწავლებლის შენიშვნას. შემდეგ ყველანი დიდხანს მსჯელობენ დეკადენტობაზე.

➤2643

1914 ან შემდეგ

ქუთაისში პირველად მყოფ დავით კასრაძეს ათვალიერებინებს ქალაქის ისტორიულ უბნებს.

➤2644

1914 ან შემდეგ

რვეულში იწერს ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტის“ რუსული თარგმანის თერთმეტ გვერდს.

➤2645

1914 ან შემდეგ

წერს რეცენზიას ჯაჯუ ჯორჯიკიას თხზულებათა კრებულზე. ჩანაწერში მიუთითებს, რომ ჯორჯიკია „უსახო“ და „ყოველგვარ პრეტენზიას მოკლებული“ მწერალია. გალაკტიონი არ ეთანხმება კიტა აბაშიძის აზრს, რომ ჯორჯიკია ოსკარ უაილდის სტილში წერს და კრიტიკოსსაც ზედაპირულ აზროვნებას საყვედურობს. პოეტის თქმით, ჯაჯუ ჯორჯიკიასათვის უცხოა აზროვნების სიღრმე და შემოქმედებითი აღმაფრენა. რაც შეეხება ჯორჯიკიას თხზულებათა კრებულზე დართულ მიხეილ წულუკიძის შესავალ წერილს, მას გალაკტიონი კურიოზად მიიჩნევს.

➤2646

1914 ან შემდეგ

გიორგი ქუჩიშვილის ლექსების კრებულში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤2647

### 1914 ან შემდეგ

ნიკოლაი გუმბლიოვის მიერ რუსულად ნათარგმნ თეოფილ გოტიეს ლექსების კრებულში „მინანქრები და კამეები“ ხაზს უსვამს და ნომრავს სტრიქონებს.

➤2648

### 1914 ან შემდეგ

პროზაულად თარგმნის თეოფილ გოტიეს ლექსს „იდუმალი ნათესავობა“ (პანთეისტური მადრიგალი)“.

➤2649

### 1914 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ნება მომეცით, ვიყო თქვენ ახლო...“.

➤2650

\* \* \*

### 1915-მდე

იწყებს ფრანგი მწერლისა და დრამატურგის ვილიე დე-ლილ-ადანის დრამის „თავისუფლება“ თარგმნას. წერს მოკლე ინფორმაციას იმის შესახებ თუ სად და როდის დაიდგა იგი ავტორის სამშობლოში პირველად და ჩამოწერს მოქმედ პირებს: პანიოლე, ლიუსიენ, ნათლია მათე, ჟანდარმი – უნტეროფიცერი, პირველი ჟანდარმი, მეეტლე, ციხის დარაჯი, მარიანა, დიდედა ივონი.

➤2651

### 1915-მდე

ფურცელზე წერს, რომ სოლომონ ზურგიელიძე არის კაცი, რომელიც ყოველთვის გადარჩა.

➤2652

### 1915

#### იანვრამდე

წერს ლექსს „ბედისწერა“.

➤2653

## 1915

### ი ა ნ ვ ა რ ი

### 1915

#### 1 იანვრის შემდეგ

აპირებს 1914 წლის გაზეთების მიმოხილვის დაწერას და იწყებს ზოგადი მსჯელობით იმის შესახებ, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა იბეჭდებოდეს გაზეთებში და რა სახისა – არა. შედარებისთვის მოაქვს ორი მაგალითი, როდესაც გაზეთი იუწყება აკაკი წერეთლის ქუთაისში ჩასვლას და როდესაც ის იუწყება საზოგადოებისთვის უცნობი ვინმეს გადაადგილებას. წერს, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია ფართო საზოგადოებას უნდა აინტერესებდეს.

➤2654

### 1915

#### 4 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „რა სევდიან ზღაპარს ამბობს ქარი...“.

➤2655

1915

**4 იანვარი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ქვეყნდება ლექსი „რა სევდიან ზღაპარს ამბობს ქარი...“.

➤2656

1915

**5 იანვარი**

გაზეთი „შადრევანი“ ბეჭდავს მიხეილ წულუკიძის სტატიას „გ. ტაბიძის ლექსები“. ავტორი პოეტის პირველ წიგნს აკრიტიკებს უკიდურესი პესიმიზმის გამო. წერს, რომ ამ ლექსების ავტორმა არ იცის, ვის მიმართოს, ვისთვის აჟღეროს „მოწყენილი“ ქნარი და მისთვის „ყველაფერი ამაოა“. მიხეილ წულუკიძის აზრით, ამის მიზეზია ის, რომ პოეტი რეაქციის პერიოდში, 1908 წელს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, მაგრამ მაინც მიაჩნია, რომ ასეთი უიმედობა არ შეჰფერის ახალგაზრდა მგოსანს.

➤2657

1915

**5 იანვარი**

გაზეთში „შადრევანი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პირველი პოეტური კრებულის ყდა, რომელიც მხატვარ გრიგოლ მესხის მიერ არის შესრულებული.

➤2658

1915

**6 იანვარი**

ჭიათურაში აცილებს ოლია ოკუჯავას. შემდეგ ბაღში სეირნობს ვიღაც მღვდელთან ერთად და ხედავს ბაღის სკამზე მსხდომ ოლიას ძმას – ნიკოლოზ ოკუჯავასა და მის საცოლეს ნინა გვახარიას, რომლებიც რაღაცაზე სერიოზულად საუბრობენ.

➤2659

1915

**8 იანვარი**

ქუთაისში არაჩვეულებრივი ამინდია და საუზმის შემდეგ გადაწყვეტს ქალაქგარეთ გასეირნებას. კარგა ხნის სიარულის შემდეგ მიადგება სოფელ ქვიტირის ეკლესიას, ათვალიერებს მის ეზოში მოფენილ საფლავის ქვებს და კარგა ხანს წევს ერთ-ერთ მათგანზე. ფიქრობს მის პირველ წიგნთან დაკავშირებით მიხეილ წულუკიძის მიერ გამოქვეყნებულ რეცენზიაზე, ადამიანებზე, სამოთხესა და ჯოჯოხეთზე. შემდეგ უცებ ელიმება, სწრაფად დგება და შინ ბრუნდება, სადაც ოლია ოკუჯავას მიერ გაგზავნილი ორი წერილი ხვდება.

➤2660

1915

**8 იანვარი**

სასაფლაოდან დაბრუნებული იწყებს ოლია ოკუჯავასთვის საპასუხო ბარათის წერას და იუმორისტულ სტილში აღწერს სასაფლაოზე ყოფნის ამბავს, სადაც ვითომ მიცვალებულებს ეკამათებოდა პოეზიაზე და ერთ-ერთმა მათგანმა იმის დასამტკიცებლად, რომ ის ვერაფერი პოეტია, გაზეთი „შადრევანი“ ამოიღო და მიხეილ წულუკიძის სტატიაზე მიანიშნა. წერილის წერას ვერ ამთავრებს, რადგან დიასახლისის შვილი სამელნესა და კალმისტარს თხოულობს მისგან.

➤2661

1915



## 11 იანვრამდე

საღამო ხანს ბაღში გადის სასეირნოდ, ყიდულობს იებს და დაფიქრებული დადის. უცებ ოლიას უმცროსი დის – მანიას ხმა ესმის, მიიხედავს და მასთან ერთად ხედავს ოლიას ოჯახის სხვა წევრებსაც: დედას – ელისაბედ პერემუშევას, დეიდას, ძმებს: შალვას და ვასილს და სხვებს. ხვდება, რომ ოლიას ნათესავები დამახეხას არ აპირებდნენ, ოლიას დას რომ მის ხელში იები არ დაენახა. ყვავილებს მანიას ჩუქნის, ყველას ხელს ართმევს და მალევე მიდის.

➤2662

1915

## 11 იანვრამდე

წერს ლექსს „Art Poétique“ („ვით უსაზღვროა ვნება და ქარი...“).

➤2663

1915

## 11 იანვარი

ასრულებს ოლია ოკუჯავასთვის გასაგზავნი წერილის წერას. უყვება, რომ არსად არ დადის და მასთანაც არ დადიან. საკუთარი ძმა სულ ერთხელ ნახა და შეიძლება უკვე წასულიც კი იყოს სოფელში. ასევე ერთხელ გავიდა საღამო ხანს სასეირნოდ, როდესაც ოლიას ნათესავები შეხვდნენ.

➤2664

1915

## 11 იანვარი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „Art Poétique“, ფაქსიმილით „გ. ტაბიძე“. ამავე ნომერში ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის ფოტო და იოსებ იმედაშვილის სტატია „ქართველი მწერლები – გალაკტიონ ტაბიძე (მისი ლექსების გამოცემის გამო)“. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ პოეტი სრულიად განკერძოებით დგას და თავისი პოეზიით მსოფლიო სევდის მგოდებლებს, ქართველთაგან კი, ნიკოლოზ ბარათაშვილს, უახლოვდება. იოსებ იმედაშვილს ახალგაზრდა პოეტი დიდი ყურადღების ღირსად მიაჩნია და მკითხველებს ურჩევს, დატკბნენ მისი მშვენიერი ლექსებით.

➤2665

1915

## 12 იანვარი

გაზეთი „შადრევანი“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის პირველი წიგნის ყდის კლიშეს, შესრულებულს გრიგოლ მესხის მიერ.

➤2666

1915

## 14 იანვარი

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ გალაკტიონ ტაბიძის წიგნი იყიდება ბათუმში, მარინეს პროსპექტზე მდებარე წიგნის მაღაზიასა და ჟურნალ-გაზეთების კანტორაში „განთიადი“.

➤2667

1915

## 15 იანვრამდე

ჟურნალის „განთიადი“ რედაქტორთან რომანოზ ფანცხავასთან მიაქვს თავისი ლექსი „ბედისწერა“. რედაქტორი თავაზიანად იღებს, კითხულობს ტექსტს, გახარებული გადაეხვევა, ეუბნება, რომ გენიოსია და გულუხვად უმასპინძლდება.

➤2668

1915

**15 იანვარი**

ჟურნალში „განთიადი“ ქვეყნდება ლექსი „ბედისწერა“, რომელსაც ახლავს რედაქციის შენიშვნა, რომ ლექსი მე-4 გვერდზე უნდა მოთავსებულიყო, მაგრამ შეცდომით 26-ზე დაისტამბა.

➤2669

1915

**19 იანვარი**

გაზეთში „შადრევანი“ ქვეყნდება სანდრო აბაშელის სტატია „ყვითელი ფოთოლი“. ავტორი აღნიშნავს, რომ ბევრს აღონებს პოეტთა განსაცვიფრებელი სიმრავლე, მაგრამ ნამდვილ პოეტი ძლიერ ცოტაა. ამ რჩელთა შორის პირველ ადგილს მიაკუთვნებს ახალგაზრდა პოეტს, გალაკტიონ ტაბიძეს. მისი პოეზია ღვთიური ცეცხლითაა დაჯილდოებული, მისი სევდა უნივერსალური მსოფლიო სევდაა. ლექსი „ყვითელი ფოთოლი“ პოეტის ლირიკის ემბლემაა. ლექსების წყობის სისადავე ნათლით მოსავს გულწრფელი გრძნობების სათუთ სიმებს. ის ისე მოველინა ქართულ მწერლობას, როგორც მოულოდნელი სიმღერა.

➤2670

1915

**22 იანვარი**

გამოდის ჟურნალ „განთიადის“ მეორე ნომერი, რომელშიც იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ბედისწერა“.

➤2671

1915

**22 იანვარი**

გაზეთი „იმერეთი“ აქვეყნებს განცხადებას იმის შესახებ, რომ ჟურნალ „განთიადის“ მეორე ნომერში იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ბედისწერა“.

➤2672

1915

**26 იანვრამდე**

ფურცელზე წერს ქართველი მწერლებისა და პოეტების გვარებს.

➤2673

1915

**26 იანვრამდე**

წერს ლექსს „ზღვაზე“ („შორს მოსჩანს ნისლი გაურკვეველი...“).

➤2674

1915

**26 იანვრამდე**

რუსულ ენაზე წერს შემოქმედებით საღამოზე გამომსვლელთა ნუსხას. მათ შორის არიან: აკაკი წერეთელი, პარმენ ცახელი, იოსებ გრიშაშვილი, დავით კლდიაშვილი, შალვა დადიანი, ვარლამ ხუროძე (მალაქიაშვილი), ჯაჯუ ჯორჯიკია, შალვა შარაშიძე, თეოფილე ხუსკივაძე, გიორგი ფარქოსაძე („გუცა“), დავით მესხი, ვასილ ბალანჩივაძე და სხვები.

➤2675

1915

**26 იანვრამდე**

უმის წიგნაკში სათაურით „საქართველოში გამხიარულდებით“ რუსულ ენაზე წერს აკაკი წერეთლის ხუმრობებს.

➤2676

1915

### 26 იანვრამდე

ჩამოწერს ლიტერატურული საღამოს მონაწილეებს. გიორგი ჭუმბურიძე წაიკითხავს ლექციას „რა არის ახალი ჩვენს პოეზიაში“. მონაწილეთა შორის არიან: აკაკი წერეთელი, პარმენ ცახელი, გიორგი ფარქოსაძე (გუცა), დავით კლდიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ვასილ მალაქიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, დავით მესხი, თაგუნა, ვასილ ბალანჩივაძე, ვალერიან ურუშაძე, მიხეილ ჯანოევი (ნემო), შალვა შარაშიძე და სხვები.

➤2677

1915

### 26 იანვრამდე

ოლია ოკუპავა დღიურის ჩანაწერში მიმართავს გალაკტიონს და უყვება, როგორ იტანჯება მისდამი სიყვარულითა და მართობით. წერს, რომ ეშინია გალაკტიონის რვეულებისა და წერილების შეხება, რომ უცებ ნაწერები არ გაქრეს, წარმოიდგენს როგორ პოულობენ მთვრალ გალაკტიონს ქუჩაში გარდაცვლილს. ბუნებას სთხოვს, რომ დაიფაროს მისი სიცოცხლე.

➤2678

1915

### 26 იანვარი

გაზეთი „თემი“ ბეჭდავს გ. რ.-ს სტატიას „მისაზადი მაგალითი“. ავტორი აქებს სანდრო აბაშელის მიერ „შადრევანში“ გამოქვეყნებულ სტატიას „ყვითელი ფოთოლი“ და აღნიშნავს, რომ მგოსანს კარგად უგრძნია მეორე მგოსნის – გალაკტიონ ტაბიძის პოეზია.

➤2679

1915

### 26– 31 იანვარი.

წერს ლექსს „აკაკის გარდაცვალების გამო“.

➤2680

1915

### იანვარი

ჟურნალში „განთიადი“ იბეჭდება ლექსი „ბედისწერა“.

➤2681

1915

### იანვარი

წერს ლექსს „სიკვდილის ბრწყალეებში“.

➤2682

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1915

### 1 თებერვლამდე

წერს ლექსს „ვაგნერი“.

➤2683

1915

## 1 თებერვალი

ჟურნალში „განთიადი“ იბეჭდება ლექსები – „აკაკის გარდაცვალების გამო“ და „ვაგნერი“.

➤2684

1915

## 2 თებერვალი

გაზეთი „შადრევანი“ აქვეყნებს თბილისის კომიტეტის გადაწყვეტილებას, რომ საჩხერეში აკაკის ცხედრის ცოცხალი ყვავილებით შესამკობად სხვა ახალგაზრდა მგოსნებთან ერთად გააგზავნონ გალაკტიონ ტაბიძე.

➤2685

1915

## 3 თებერვალი

ვარლამ რუხაძესთან და პაოლო იაშვილთან ერთად ქუთაისიდან ჩადის სხვიტორში, რათა მონაწილეობა მიიღოს აკაკი წერეთლის ნეშტის თბილისში გადასვენებაში.

➤2686

1915

## 4 თებერვალი

დილის 10 საათზე ესწრება საჩხერიდან აკაკი წერეთლის ნეშტის გამოსვენებას და წესის აგებას. ცხედარს მიასვენებენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი ლასხიშვილი, ნოე ჟორდანიას, კიტა აბაშიძე და ახალგაზრდა პოეტები: ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, ვარლამ რუხაძე და გალაკტიონ ტაბიძე.

➤2687

1915

## 4 თებერვალი

ოლია ოკუჯავა ესწრება აკაკი წერეთლის წესის აგებას სხვიტორში. ჭიათურაში დაბრუნებული რკინიგზის სადგურში მდგარი მატარებლის ვაგონში ნახულობს გალაკტიონს. დიდი სურვილი აქვს, რომ თავადაც გაჰყვეს ამ მატარებელს, მაგრამ თავს იკავებს და შემდეგ დღიურში წერს ამის შესახებ.

➤2688

1915

## 7 თებერვალი

გაზეთი „შრომა“ ბეჭდავს სამსონ ფირცხალავას სტატიას „აკაკის გამოსვენება საჩხერიდან“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძე სხვა მწერლებთან და მოღვაწეებთან ერთად იღებდა მონაწილეობას აკაკის ცხედრის ჩამოსვენებაში საჩხერიდან თბილისში.

➤2689

1915

## 8 თებერვალი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში 10 თებერვალს გაიმართება პავლე ფრანგიშვილის სალამო-მეჯლისი, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2690

1915

## 10 თებერვალი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში მიმდინარე დღეს გაიმართება პავლე ფრანგიშვილის საღამო-მეჯლისი, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2691

1915

15 თებერვალი

ჟურნალი „განთიადი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ რედაქციამ მიიღო გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველი წიგნი.

➤2692

1915

15 თებერვალი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს განცხადებას, რომ გალაკტიონ ტაბიძე წერს დიდ რომანს.

➤2693

## მ ა რ ტ ი

1915

1 მარტამდე

წერს ლექსს „ფანტაზია“ („რომ მომცა ფრთები, ავფრინდებოდი...“).

➤2694

1915

1 მარტი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ფაქსიმილით „გ. ტაბიძე“ იბეჭდება ლექსი „ფანტაზია“ („რომ მომცა ფრთები, ავფრინდებოდი...“).

➤2695

1915

1 მარტი

გაზეთში „სამშობლო“, ხელმოწერით „გ.“ ჯაჯუ ჯორჯიკიას წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, აქვეყნებს ინფორმაციას „ჯაჯუ ჯორჯიკია“. მოკლე მიმოხილვაში გალაკტიონი აქებს ახალგაზრდას, განათლებულ ავტორს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს ლიტერატურა და საქართველო. იმედოვნებს, რომ ის თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ქართულ მწერლობაში.

➤2696

1915

4 მარტამდე

პაოლო იაშვილი იოსებ გრიშაშვილს ურჩევს, რომ ქუთაისში 5 მარტს გასამართი მისი საღამოს აფიშაში მონაწილედ დაასახელოს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2697

1915

4 მარტამდე

ჭიათურისგან ქუთაისში წერილს უგზავნის იოსებ გრიშაშვილს და უბოდიშებს, რომ მასთან ძალიან შერცხვენილია, რადგან ქუთაისიდან ჭიათურისკენ მიმავალს მძიმე ავადმყოფობა შეხვდა. ორი კვირაა, რაც ამხანაგის ბინაში წევს. ჰპირდება, რომ მალე დაბრუნდება ქუთაისში და დანაპირების მოუგვარებს.

➤2698

1915

**4 მარტი**

გაზეთი „სამშობლო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ 5 მარტს, ქუთაისის თეატრში სხვა მწერლებთან ერთად გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით გაიმართება იოსებ გრიშაშვილის საღამო.

➤2699

1915

**5 მარტი**

პატარა დაბის ქუჩაში გაკრულ აფიშებზე კითხულობს თავის გვარს და ინფორმაციას, რომ ის დიდ სალიტერატურო საღამოში იღებს მონაწილეობას. მის გაკვირვებას საზღვარი არ აქვს, რადგან პირობა არავისთვის მიუცია. ინკოგნიტოდ ესწრება საღამოს, რომელზეც მისთვის უცნობი პირი აცხადებს, რომ გალაკტიონ ტაბიძე ავადმყოფობის გამო ვერ იღებს საღამოში მონაწილეობას.

➤2700

1915

**18 მარტი**

გაზეთის „თანამედროვე აზრი“ რუბრიკაში „წერილები რედაქციის მიმართ“ აქვეყნებს განცხადებას, რომელშიც განმარტავს, რომ ხშირად ხვდება მასთან შეუთანხმებლად აფიშებზე მიწერილ თავის სახელსა და გვარს. ასახელებს „სამშობლოში“ გამოქვეყნებულ განცხადებას იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული საღამოს შესახებ, რომელშიც თითქოს უნდა მიეღო მონაწილეობა. განცვიფრებულია, რომ გრიშაშვილმაც იგივე ჩაიდინა, რაც სხვებმა. რამდენადაც მან იცოდა, რომ იმ დროს გალაკტიონ ტაბიძე ქუთაისში არ იქნებოდა, მის საქციელს შანტაჟს უწოდებს. მიიჩნევს, რომ ასეთი დამოკიდებულების გამო თავად შეურაცხყოფილია, საზოგადოება კი – მოტყუებული.

➤2701

1915

**18-20 მარტი**

იოსებ გრიშაშვილი წერილს უგზავნის პაოლო იაშვილს და აცნობებს, რომ გაზეთში „თანამედროვე აზრი“ გამოქვეყნდა გალაკტიონ ტაბიძის განცხადება, რომ ქუთაისში 5 მარტს გამართულ იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობა მასთან შეთანხმებული არ იყო და ისე დაიწერა აფიშებში. საყვედურობს, რომ ადრესატმა აიძულა ასეთი ნაბიჯის გადადგმა. სთხოვს, მისწეროს, როგორ გამოეხმაურონ ამ განცხადებას.

➤2702

1915

**20 მარტი**

გაზეთის „თანამედროვე აზრი“ 18 მარტის ნომერში გალაკტიონ ტაბიძის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ 5 მარტს გამართულ იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურულ საღამოში მისი მონაწილეობა მასთან შეთანხმებული არ იყო, პაოლო იაშვილი იოსებ გრიშაშვილს უგზავნის საპასუხო ბარათს. ის წერს, რომ გაოცებულია ბრალდებით, თითქოს ეს მისი დანაშაულია და ამის გამო დიდი უბედურება ეწვია გრიშაშვილს. უხსნის, რომ აფიშაში გალაკტიონ ტაბიძის გვარი ჩააწერინა იმიტომ, რომ მასთან მეგობრობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა მას სხვა მეგობრები გაუჩენია და სხვა გზაზე დაუყენებიათ. ჰპირდება, რომ გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას წაიკითხავს, საპასუხო განცხადების ტექსტს გადაუგზავნის და სადაც მოინდომებს, იქ დაბეჭდოს.

➤2703

1915

**20 მარტის შემდეგ**

გაზეთის „თანამედროვე აზრში“ 18 მარტის ნომერში გალაკტიონ ტაბიძის მიერ გამოქვეყნებული განცხადების გამო, რომ ქუთაისში 5 მარტს გამართულ იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურულ საღამოში მისი მონაწილეობა შეთანხმებული არ იყო მასთან, პაოლო იაშვილი იოსებ გრიშაშვილს უგზავნის საპასუხო განცხადების ტექსტს. ურჩევს, რომ უცვლელად დაბეჭდოს გაზეთში „სახალხო ფურცელი“ და თავის მხრივ, აუცილებლად დაუმატოს, რომ გალაკტიონი ამოშალეს მონაწილეთა სიიდან, რადგან ვერ დაუკავშირდნენ მისი მონაწილეობის შესატანხმებლად.

➤2704

1915

**22 მარტამდე**

ტიციან ტაბიძე უბის წიგნაკში რუსულად უწერს თავის მისამართს მოსკოვში და ხელს აწერს „ტიტე ტ“.

➤2705

1915

**22 მარტამდე**

ძმა აბესალომ ტაბიძე უბის წიგნაკში უწერს, რომ, დაპირებისამებრ, ნახოს ვიღაც სტუდენტი, რასაც გარკვევს ყველაფერი მისწეროს და დანაპირები გაუგზავნოს საჯეჯახოს უფასო სამკითხველოში.

➤2706

1915

**22 მარტამდე**

იწყებს წერილის მიწერას ძმისთვის, მაგრამ წყვეტს.

➤2707

1915

**22 მარტამდე**

წერს განცხადებას, რომ მიიღება ხელმოწერა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომზე, და რომ წიგნის ფასი ხელმოწერით იქნება ოთხი აბაზი, აგრეთვე ადგენს ჟურნალ-გაზეთების სიას სადაც ამ განცხადების გამოქვეყნებას გეგმავს და იმ პირთა სიას, რომელთაც წიგნის ხელმოწერით გამოსაცემი ფულის შეგროვებას მიანდობს.

➤2708

1915

**22 მარტამდე**

უბის წიგნაკში აკეთებს პორტრეტულ ჩანახატებს.

➤2709

1915

**22 მარტამდე**

უბის წიგნაკში უსათაუროდ წერს ლექსის „მთაწმინდის მთვარე“ პირველ ორ სტროფს.

➤2710

1915

**22 მარტამდე**

წერს ლექსს „ატმის ყვავილები“.

➤2711

1915

**22 მარტი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ხელმოწერით „გ. ტაბიძე“ ქვეყნდება ლექსი „ატმის ყვავილები“.

➤2712

**1915**

**22 მარტი**

გაზეთი „შადრევანი“ ბეჭდავს ალექსანდრე გამსახურდიას მიერ სურახანიდან გაგზავნილ ღია წერილს ტუტკუ გვარამიასადმი. მასში აღნიშნულია, რომ წელიწადზე მეტია, რაც 5 მანეთი გაუგზავნა გალაკტიონ ტაბიძის 10 წიგნის მისაღებად, მაგრამ ის დუმს და საშინელ მდგომარეობაში ამყოფებს ხელისმომწერლების წინაშე. წერილის ავტორი ითხოვს, გაუგზავნონ კუთვნილი წიგნები.

➤2713

**1915**

**29 მარტი**

გაზეთი „სამშობლო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ სამშაბათს, 31 მარტს, ქუთაისის თეატრში გაიმართება ნოე ჩხიკვაძის ლიტერატურული საღამო, რომელზეც, სხვა პოეტებთან ერთად, გალაკტიონ ტაბიძეც წაიკითხავს გამოუქვეყნებელ ლექსს.

➤2714

**1915**

**30 მარტი**

გაზეთი „შადრევანი“ ბეჭდავს ტუტკუ გვარამიას მიმართვას რედაქტორისადმი. აღნიშნავს, რომ ალექსანდრე გამსახურდიას მის სახელზე ფული არ გაუგზავნია და იმ პირს, რომელსაც ფული გაატანა, ტუტკუმ ოთხ თვეზე მეტია, წიგნები გაუგზავნა. აგენტებისგან მოითხოვს, თუ ხელისმომწერებისთვის ჯერ კიდევ არ გაუგზავნიან წიგნები, თანხა უკან დაუბრუნონ მათ, რადგან გამომცემელთან წიგნები აღარ არის.

➤2715

**1915**

**31 მარტი**

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ სამშაბათს, 31 მარტს, ქუთაისის თეატრში გაიმართება ნოე ჩხიკვაძის ლიტერატურული საღამო, რომელზეც სხვა პოეტებთან ერთად გალაკტიონ ტაბიძეც წაიკითხავს გამოუქვეყნებელ ლექსს.

➤2716

**1915**

**31 მარტამდე**

წერს ლექსს „აკაკის ლანდი“ („მდუმარე მხარეს შორი მთებისას...“).

➤2717

**1915**

**31 მარტი**

ქუთაისის თეატრში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე კითხულობს ლექსს „აკაკის ლანდი“.

➤2718

**1915**

**31 მარტის შემდეგ**

რვეულში აკეთებს ჩანახატებს: „გაზეთების დამტარებლები“, „ძველი სახლი“ და „პორტრეტი“.



➤2719

1915

**მარტი**

კითხულობს ფრანგი პოეტის სიული პრიუდომის რუსულ თარგმანებს და იწყებს ლექსის „Будь я творцом“ ივან თხორჟევსკის მიერ შესრულებული თარგმანის ქართულად თარგმნას. წერს სათაურს „რომ ვიყო ღმერთი“ და შემდეგ გადადის სულ სხვა ლექსის „იდეები და ფორმები“ ოლგა ჩიუმინასეული ტექსტის თარგმნაზე, მაგრამ სათაურად იყენებს ლექსის პირველ სტრიქონს „მე თავის თავს პოეტად ვთვლი“. სათაურის ქვეშ უთითებს, რომ ლექსი სიული პრიუდომს ეკუთვნის.

➤2720

## აპრილი

1915

**1 აპრილის შემდეგ**

იღებს წერილს აბესალომ ტაბიძისგან. ძმა ეხუმრება, რადგან ჟურნალ-გაზეთები ჰონორარს არ გაძლევენ, მე დაგინიშნავ გასამრჯელოს, ოღონდ ამის წაკითხვისთანავე დედას – მაკრინე ადეიშვილს წერილი გაუგზავნე და ჩასვლით გაახარეო.

➤2721

1915

**3 აპრილი**

გაზეთში „თანამედროვე აზრი“ იბეჭდება ვარლამ რუხაძის ლექსი „გ. ტაბიძეს“.

➤2722

1915

**5 აპრილამდე**

ოლია ოკუჯავა რუსულ ენაზე ფსევდონიმით „კალამი“ („Перо“) წერილს სწერს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას, რომ ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს – გალაკტიონ ტაბიძეს, რომელსაც გამოსაცემად მზად აქვს უკვე მეორე წიგნი, თუმცა ხელმოკლეობის გამო ხშირად მშიერი და დასუსტებულია, 3-4 წლით დაუნიშნონ სტიპენდია რუსეთში განათლების მისაღებად.

➤2723

1915

**5 აპრილი**

იმართება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის ფილიალის სხდომა, რომელზეც განიხილება გალაკტიონ ტაბიძისათვის სწავლის გასაგრძელებლად სტიპენდიის მინიჭების საკითხი და მისი თხოვნა არ კმაყოფილდება.

➤2724

1915

**5 აპრილის შემდეგ**

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისგან სწავლის გასაგრძელებლად მისთვის სტიპენდიის გამოყოფის თხოვნაზე უარის მიღების გამო წერს ლექსს „მეფე რომ ვიყო“ (მიზამცა სიული პრიუდომისა).

➤2725

1915

**9 აპრილი**

გაზეთის „თანამედროვე აზრი“ რუბრიკაში „წერილები რედაქციის მიმართ“ ქვეყნდება პაოლო იაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის განცხადება. პაოლო იაშვილი განმარტავს, რომ იოსებ გრიშაშვილს მან ურჩია 5 მარტის საღამოზე გამომსვლელთა შორის გალაკტიონ ტაბიძის გვარის შეტანა, რადგან იცოდა იოსებ გრიშაშვილის აზრი მასზე და გალაკტიონ ტაბიძეც ყოველთვის სიამოვნებით კითხულობდა ლექსებს მის საღამოზე. გალაკტიონ ტაბიძე კი ამტკიცებს, რომ მის სახელს ხშირად აცხადებენ სხვადასხვა საღამოზე მონაწილეთა შორის მასთან შეუთანხმებლად, უკანასკნელ შემთხვევასაც სხვა შემთხვევებს ადარებს და ყველას ერთად შანტაჟს უწოდებს. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძე მიიწვიეს მხოლოდ ერთი მოსაზრებით, რომ მისთვის პატივი ეცათ და შანტაჟი არაფერ შუაშია. იოსებ გრიშაშვილი ამბობს, რომ რახან გალაკტიონ ტაბიძე ვეღარ ინახულებს, მისი სახელი ამოშალეს გაზეთის განცხადებიდან და მის ნაცვლად მიიწვიეს ახალგაზრდა პოეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე.

➤2726

1915

11 აპრილამდე

საცხოვრებლად გადადის ქუთაისშივე ალექსანდროვის ქუჩის სამ ნომერში, გრიგოლ ხაჩატუროვისგან ნაქირავებ სახლი.

➤2727

1915

11 აპრილამდე

ჭიათურიდან ქუთაისში ოლია ოკუჯავას ორ წერილს თითო კვირის დაგვიანებით იღებს, რადგან კონვერტზე მისამართი არასწორად ეწერა.

➤2728

1915

11 აპრილამდე

წერს ლექსს „მერი“ („შენ ზღვის პირათ მიდიოდი, მერი...“).

➤2729

1915

11 აპრილამდე

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას და აზუსტებს, რომ მისი მისამართია ალექსანდრეს ქუჩა ნომერი სამი, გრიგოლ ხაჩატუროვის სახლი. ატყობინებს, რომ დაწერა ერთი პატარა ლექსი, რომელიც მას უნდა უძღვნას.

➤2730

1915

15 აპრილი

ჟურნალში „განთიადი“ ხელმოწერით „გ. ტაბიძე“ აქვეყნებს ლექსს „მერი“ („შენ ზღვის პირათ მიდიოდი, მერი...“).

➤2731

1915

16 აპრილამდე

წერს უსათაურო ლექსს „ყოველ თეთრ ღამეს...“.

➤2732

1915

16 აპრილი

გაზეთში „თანამედროვე აზრი“ აქვეყნებს ლექსს „ყოველ თეთრ ღამეს...“.

➤2733

1915

25 აპრილი

ქუთაისიდან თბილისში წერილს უგზავნის კოტე მაცაშვილს. უბოდიშებს, რომ პირადად მოსალაპარაკებლად თბილისში ვერ ჩავიდა მრავალი მიზეზის გამო და წერილობით აწუხებს მისთვის სრულიად უცნობი პიროვნება. აცნობებს, რომ სექტემბრიდან მოსკოვში აპირებს წასვლას შანიავსკის უნივერსიტეტის კურსებზე სასწავლად, მაგრამ უღარიბესი ოჯახის შვილია და სურს, სტიპენდიის დასანიშნად განცხადება შეიტანოს თბილისის სათავადაზნაურო ბანკში. სჭირდება რჩევები შემდეგ საკითხებზე: არის თუ არა თავისუფალი სტიპენდია, ვის უნდა მიმართოს, როდის უნდა წარადგინოს და მიიღებენ თუ არა ახალგაზრდა მწერლის თხოვნას. სტიპენდიას თუ არა, დახმარებას მაინც თუ მისცემენ. სთხოვს, რომ პასუხს ნუ დაუგვიანებს და და შეტყობინება გაუგზავნოს მისამართზე: ქუთაისი, ალექსანდროვის სამი ნომერი, ხაჩატუროვის სახლი.

➤2734

1915

28 აპრილი

ქუთაისის თეატრში გამართულ ლიტერატურულ-მუსიკალურ-დრამატულ საღამოზე ორიგინალურად და გრძნობით კითხულობს ლექსს „მე და ღამე“ და დამსწრე საზოგადოება თაიგულებს ესვრის.

➤2735

## მ ა ი ს ი

1915

4 მაისი

გაზეთში „ახალი კვალი“ ქვეყნდება ლექსი „აკაკის ლანდი“.

➤2736

1915

7 მაისი

გალაკტიონის ძმა, აბესალომ ტაბიძე აკითხავს ქუთაისში, ხაჩატუროვებისგან ნაქირავებ სახლში, მაგრამ იგებს, რომ ქალაქში არ არის და შემფოთებულია. გარკვეული დროის შემდეგ დიასახლისი, მარია ხაჩატუროვა წერილით ატყობინებს, რომ ის ოლია ოკუჯავასთანაა ჭიათურაში და კარგად არის.

➤2737

1915

11 მაისამდე

პეტრე გელიეშვილი უთვლის, რომ ივნისამდე საღამო არ გამართოს სამტრედიაში, ივნისში კი ერთ საღამოში 150 მანეთს იშოვოს.

➤2738

1915

11 მაისი

ქუთაისიდან ბათუმში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას, რომელიც დეიდის – მაკრინე ოკუჯავა- კიკვაძის ოჯახში ცხოვრობს. აცნობებს, რომ მისი საღამო ივნისამდე ვერ მოეწყობა. ამიტომ იძულებული გახდა, ფული ესესხა. თბილისიდან არც ერთ წერილზე პასუხი არ მიუღია

და თუ როდისმე ძალა ექნება, ამ უსინდისო ხალხს სეირს აყურებინებს, ახლა კი იმათ ხელშია და ვერაფერს გააწყობს. მოიკითხავს ზღვას.

➤2739

**1915**

**11 მაისი**

გაზეთი „ახალი კვალი“ აქვეყნებს ლექსის „აკაკის ლანდი“ ერთ ტაეპში გაპარული შეცდომის გასწორებას: „გაგვინათებს დღეს, გაგვინათებს ღამეს...“ ნაცვლად უნდა იყოს: „გაგვინათებს დღეს, გაგვითევს ღამეს“.

➤2740

**1915**

**15 მაისი**

გაზეთი „სამშობლო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში 16 მაისს გაიმართება სალიტერატურო დრამატული საღამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤2741

**1915**

**16 მაისამდე**

წერილს იღებს რომანოზ ფანცხავასგან, რომელიც აცნობებს, რომ 16 მაისს ქართულ თეატრში იმართება მისი საღამო და სთხოვს მონაწილეობის მიღებას.

➤2742

**1915**

**24 მაისი**

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში მიმდინარე დღეს გაიმართება ლიტერატურულ-დრამატულ-მუსიკალური დილა, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2743

**1915**

**24 მაისი**

გაზეთი „სამშობლო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში, მიმდინარე დღეს გაიმართება ლიტერატურული დილა, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2744

**1915**

**25 მაისი**

თხოვნას უგზავნის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას. სწერს, რომ მატერიალურ გაჭირვებას ბევრი ახალგაზრდა მწერალი განიცდის, მაგრამ სულ სხვაგვარია მისი მდგომარეობა, რადგან უღარიბესი მშობლების შვილია და ვერავითარ დახმარებას ოჯახიდან და მეგობრებიდან ვერ იღებს, რომ შეძლოს ამ მდგომარეობიდან თავდაღწევა. ბავშვობიდანვე სურვილი აქვს უმაღლესი განათლების მიღების. ერთადერთ გზად მიაჩნია მისთვის სტიპენდიის დანიშვნა ქ.შ.წ.კ.გ. საზოგადოებისაგან, რითაც შეეძლება განათლების მიღება მოსკოვში, შანიავსკის უნივერსიტეტში. სთხოვს, ქ.შ.წ.კ.გ.-ს ქუთაისის განყოფილებამ გაითვალისწინოს მისი მდგომარეობა და უშუამდგომლოს თბილისის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობასთან სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

➤2745

1915

**26 მაისი**

გაზეთში სამშობლო ფსევდონიმით „ახალი მწიგნობარი“ აქვეყნებს რეცენზიას ჯაჯუ ჯორჯიკიას თხზულებათა კრებულზე და უარყოფით შეფასებას აძლევს მას.

➤2746

## ივნისი

1915

**6 ივნისამდე**

ქუთაისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს, აცნობებს თავის მატერიალურ სივიწროვეს და სთხოვს დახმარებას.

➤2747

1915

**7 ივნისი**

იღებს ჭყვიშიდან ქუთაისში ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ გაგზავნილ წერილს, რომელიც აცნობებს, რომ მისმა უცნაურმა ბარათმა ყველა ცუდ ხასიათზე დააყენა. ძმა ურჩევს, თავს მოუფრთხილდეს და რაიმე გზას დაადგეს. დედა დაჟინებით სთხოვს თავისი ბარგით სოფელში დაბრუნებას.

➤2748

1915

**13 ივნისამდე**

ფურცელზე წერს განცხადებას „სალამო-ზეიმის“ შესახებ, რომელიც უნდა გაიმართოს 13 ივნისს ქუთაისის თეატრში. მონაწილეთა შორის დასახელებულები არიან: აკაკი წერეთელი, პარმენ ცახელი, დავით კლდიაშვილი, შალვა დადიანი, შალვა შარაშიძე, ვასილ მალაქიაშვილი, ჯაჯუ ჯორჯიკია, თეოფილე ხუსკივაძე, ვარლამ რუხაძე, იოსებ გრიშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, დავით მესხი და სხვები.

➤2749

1915

**17 ივნისი**

გაზეთი „სამშობლო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ სოფელ შროშაში, კვირას, 21 ივნისს, ზალიკო ჩიხლაძის თაოსნობით, გაიმართება წარმოდგენა სალიტერატურო განყოფილებით, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2750

1915

**21 ივნისი**

გაზეთი „სამშობლო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ სოფელ შროშაში, 21 ივნისს, გაიხსნა აკაკი წერეთლის სახელობის წიგნთსაცავი-სამკითხველო. ქუთაისიდან ჩავიდნენ მწერლები, მაგრამ მათ შორის არ ყოფილა გალაკტიონ ტაბიძე. რაისა ჩიხლაძემ მეზობლებს ბედნიერი დღე მიულოცა.

➤2751

1915

**24 ივნისი**

ქუთაისიდან მიემგზავრება ბაკურიანში.

➤2752

1915

## **24 ივნისის შემდეგ**

ბაკურიანიდან დადის წალვერში, ნახულობს ცხრაწყაროს მთიდან მზის ამოსვლას, ნათხოვარი ცხენით სეირნობს, პარკში თამაშობს კეგლს, ლაონ-ტენისს და ლოტოს, მაგრამ მაინც ისეთ პესიმისტურ განწყობაზეა, რომ არაფერი ართობს. ფიქრობდა წალვერში გადასვლას, მაგრამ იქ ძალიან ოფიციალური გარემოა. ყველა ისეთი გამოწყობილი დადის, სულ არ ეტყობათ დასასვენებლად ყოფნა. ხვდება თავისი ძმის – აბესალომის მეგობარს – ინოკენტი სხირტლაძეს, რომელიც იქ მღვდლად მსახურობს. ბაკურიანში მისი ყოფნისას რამდენიმე ქუთაისური ოჯახიც ჩადის, მაგრამ მათთან ურთიერთობა გალაკტიონს ქუთაისშიაც არ სიამოვნებდა.

➤2753

1915

## **24 ივნისის შემდეგ**

იმყოფება წალვერში და წერს ლექსს „თეთრი ლანდებით“.

➤2754

1916

## **24 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ღამემ მოვერცხლილ ძაფების გროვა...“.

➤2755

1915

## **27 ივნისამდე**

წერს ლექსს „პოეტი“ („მიჩვენეთ ქვეყნად ბედნიერება...“).

➤2756

1915

## **27 ივნისამდე**

იწერს მოგონებას, როგორ ადღეგრძელა ერთ შეკრებაზე ვაჟა-ფშაველა, რომლის გაკვალული გზაც, მისი თქმით, სალოცავია ახალგაზრდებისთვის და როგორ გადავიდა ალავერდს იოსებ გრიშაშვილთან.

➤2757

1915

## **27 ივნისამდე**

უსათაუროდ წერს ლექსის ერთ სტროფს „მზის სხივები... მზის სხივები უზრუნველად კვდება ზღვაზე...“.

➤2758

1915

## **27 ივნისამდე**

წერს ლექსს „პოეტი“ („მიჩვენეთ ქვეყნად ბედნიერება...“).

➤2759

1915

## **27 ივნისამდე**

წერს ლექსს „ორი გრძნობა“ („შემოდგომისას მხოლოდ ჩემს თვალში...“).

➤2760

1915

## **27 ივნისამდე**

წერს ლექსს „ისე სძინავთ, ისე სძინავთ მთის ფერდობზე ამაყ მუხებს...“.

➤2761

1915

### 27 ივნისამდე

წერს ლექსს „თვალეზი“ („ერთხელ, როცა უნუგეშო, ბედის ჩარხით ნაწვალეზი...“) და ეპიგრაფად წარუძმდვარებს ალექსანდრე ჭავჭავაძის სიტყვებს: „თვალი გულს სცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას ემსჭვალეზის...“.

➤2762

## ი ვ ლ ი ს ი

1915

### 1 ივლისი

მოულოდნელად იგებს, რომ იმერეთში წყალდიდობები იყო და წერს დედის – მაკრინე ადეიშვილისა და ძმის – აბესალომ ტაბიძისთვის გასაგზავნ წერილს. აღნიშნავს, რომ ბაკურიანში არც გაზეთებია და არც ბევრი მოაგარაკე და შემთხვევით გაიგო წყალდიდობის ამბავი. ევედრება, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, წერილის მიღებისთანავე გაუგზავნონ პასუხი და მისწერონ მათი ამბავი.

➤2763

1915

### 2 ივლისი

ბაკურიანიდან ჭყვიშში აგზავნის დედისა და ძმისთვის დაწერილ წერილს.

➤2764

1915

### 3 ივლისის შემდეგ

ბაკურიანში იღებს ძმის - აბესალომ ტაბიძის ორ წერილს.

➤2765

1915

### 12 ივლისი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს მიხეილ აბრამიშვილის სტატიის „ღამის მგოსანი (გალაკტიონ ტაბიძის ლექსები)“ დასაწყისს. ავტორი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა პოეტებში ხელოვნების თავისუფლება ისე არავის უგრძნია და დაუცავს, როგორც გალაკტიონ ტაბიძეს. ის ყველასაგან განმარტოებით დგას და მსოფლიო საკითხებს დასტრიალებს თავს.

➤2766

1915

### ივლისის შუა რიცხვებამდე

ბაკურიანიდან წერილს უგზავნის ძმას - აბესალომ ტაბიძეს. აცნობებს, რომ სულიერი შფოთვის, აპათიისა და ჩვეული მელანქოლიის გამო კალმის ხელში აღება და მისთვის ბარათის გაგზავნა დიდხანს ვერ შეძლო. უყვება ბაკურიანის ამბებს და მის მეგობარ ინოკენტი სხირტლამესთან შეხვედრის ამბავს, რომელიც მღვდელი გამხდარა, მაგრამ ძალიან სასაცილოდ გამოიყურება.

➤2767

1915

### 19 ივლისი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს მიხეილ აბრამიშვილის სტატიის „ღამის მგოსანი (გალაკტიონ ტაბიძის ლექსები)“ გაგრძელებას. ავტორი აღნიშნავს, რომ მგოსნის სულში

რაციონალისტსა და მისტიკოსს შორის ბრძოლა მიმდინარეობს, თუმცა, მაინც პირველი იმარჯვებს.

➤2768

1915

26 ივლისი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს მიხეილ აბრამიშვილის სტატიის „ლამის მგოსანი (გალაკტიონ ტაბიძის ლექსები)“ გაგრძელებას. ავტორი აღნიშნავს, რომ პოეტს ცხოვრება ცვალებადობად და გარდაქმნად აქვს წარმოდგენილი. მიაჩნია, რომ მისი ტრაგედია ცხოვრების შეუცნობლობა და ბურჟუაზიის მოცულობაა.

➤2769

1915

ივლისი

ბაკურიანში წერს ლექსს „რას ამბობენ ვერხვები“.

➤2770

## ა გ ვ ი ს ტ ო

1915

9 აგვისტო

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს მიხეილ აბრამიშვილის სტატიის „ლამის მგოსანი (გალაკტიონ ტაბიძის ლექსები)“ გაგრძელებას. ავტორი აღნიშნავს, რომ პოეტი, რომელიც ცხოვრებისგან გარიყულია, თავის თავის საწინააღმდეგოდ ქმნის ცრემლით სავსე ლექსებს.

➤2771

1915

22 აგვისტო

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს მიხეილ აბრამიშვილის სტატიის „ლამის მგოსანი (გალაკტიონ ტაბიძის ლექსები)“ დასასრულს. ავტორი აღნიშნავს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე სრულიად განსხვავდებიან ტემპერამენტით. პირველი ტიტანია, მოძრაობს და იბრძვის, მეორე კი – დგას როგორც უდაბნოს მწირი და აღავლენს მელოდიურ ლოცვას. ემპირიული სინამდვილით დამარცხებული პოეტი გონებით ქმნის ახალ სამყაროს, რომელიც მისთვის რეალობას წარმოადგენს.

➤2772

1915

29 აგვისტო

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს მიხეილ წულუკიძე ქუთაისის თეატრში წაიკითხავს ლექციას „ვაჟა-ფშაველა“. ლიტერატურულ ნაწილში სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2773

1915

30 აგვისტო

ქუთაისის თეატრში სალიტერატურო საღამოს დაწყებამდე ფოიეში ნახულობს ოლია ოკუჯავას ძმას – მიხეილს, რომელსაც აინტერესებს, ვინ ღებულობს მონაწილეობას საღამოში. გალაკტიონი იუმორით პასუხობს, რომ ყველა სულელი და მათ შორის თავადაც. მიხეილი, რომელსაც გულწრფელად მოსწონს მისი პოეზია, ეუბნება, რომ ის ყველასნაირი არ არის, გამორჩეულია.

➤2774

1915



### **30 აგვისტო**

მსახიობი დავით ჩარკვიანი ავადმყოფი თამარ ივანიძის სასარგებლოდ ქუთაისში მართავს ლიტერატურულ-დრამატულ სადამოს, სხვა მწერლებთან ერთად გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით. გალაკტიონი კითხულობს ლექსს „მე და ღამე“, რომელიც ავიწყდება. უცებ, კათედრაზე დარჩენილ სხვის ლექსს მოჰკრავს თვალს და იმას კითხულობს, საზოგადოება აღფრთოვანებული რჩება, მხურვალე ტაშით და ყვავილების თაიგულებით აჯილდოვებენ.

➤2775

1915

### **30 აგვისტო**

ქუთაისის თეატრიდან გამოსული გალაკტიონ ტაბიძე ლადო მაჭავარიანთან ერთად რესტორანში ვახშმობს, შემდეგ კი მისი ბინისკენ მიდიან, მაგრამ კარი დაკეტილი ხვდებათ. ნახევარი საათის განმავლობაში ცდილობენ დიასახლისს გააგონონ, მაგრამ ვერ ახერხებენ. იძულებულნი არიან ისევ ქუთაისში დაბრუნდნენ, რომ სასტუმროში გაათიონ ღამე, მაგრამ ვერც იაფ სასტუმროს შოულობენ. დგანან და ფიქრობენ, რა უნდა ქნან, როცა მათ წინ ჩაივლის სათავადაზნაურო გიმნაზიის 5 მოსწავლე ორ ქალთან ერთად. ერთ-ერთი გიმნაზიელი გამომწვევად გაჰკრავს მხარს გალაკტიონს და ბოდიშს არ უხდის. გალაკტიონი ღიზიანდება მისი დამცნავი მხერით და ოლიას ნაჩუქარ ჯოხს არტყამს. ატყდება ჩხუბი. ლადო მაჭავარიანი გაქცეულებსაც კი უკან მისდევს და არ ეშვება, მაგრამ ბოლოს გალაკტიონი და თანმხლები ქალები აჩერებენ. სანამ გალაკტიონი გორაზე მდებარე თავის სახლამდე მივა, უკვე თენდება და ძლივს იძინებს.

➤2776

1915

### **30 აგვისტო**

ოლია ოკუჯავას აცილებს ჭიათურისკენ მიმავალ მატარებელზე. შემდეგ მიდის სახლში და დედისა და ძმის დახმარებით კრავს ბარგს, რომ სხვა ნაქირავებ ბინაში გადაიტანოს. იმის გამო, რომ ოჯახის წევრებს მატარებელზე აგვიანდებათ, ბარგის გადატანას ვეღარ ასწრებენ. ისინი სადგურზე მიდიან, გალაკტიონი კი – თეატრში.

➤2777

1915

### **31 აგვისტო**

სოფლიდან ქუთაისში ახლად ჩასული მიხეილ ბოჭორიშვილი იგებს წინა ღამით გამართული ჩხუბის ამბავს, რომელშიც გალაკტიონი მონაწილეობდა და მეგობარს საყვედურობს.

➤2778

1915

### **31 აგვისტო**

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. უზიარებს თეატრში გამართულ სადამოზე ლექსის დავიწყებითა და შემდეგ ქუჩაში ჩხუბით გამოწვეულ განცდებს. სთხოვს, მალე ჩავიდეს ქუთაისში. ეკითხება, ისევ უყვარს თუ არა. იცის, ლერმონტოვი, ბაირონი ან გოეთე რომ იყოს, შეიყვარებდნენ, მაგრამ თუ შეიძლება გალაკტიონის შეყვარება? აინტერესებს, რომ მოკვდეს, იტირებს თუ არა ოლია. სთხოვს, რომ ყველას ნუ ენდობა, თავს კარგად მიხედოს, ნორმალურად იკვებოს და არ გახდეს.

➤2779

## **ს ე ქ ე მ ბ ე რ ი**

1915

### **1 სექტემბრამდე**

ასრულებს წერას ლექსისა „ყვითელი ფოთოლი“ („ბავშობისას ყვითელ ფოთოლს მეძახოდნენ...“).

➤2780

1915

**1 სექტემბერი**

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ იუწყება, რომ ჟურნალის „განათლება“ სექტემბრის ნომერში სხვა ავტორების ნაწარმოებებთან ერთად იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ყვითელი ყვავილი“.

➤2781

1915

**1 სექტემბრის შემდეგ**

ჟურნალში „განათლება“ ხელმოწერით „გ. ტაბიძე“ იბეჭდება ლექსი „ყვითელი ფოთოლი“.

➤2782

1915

**5 სექტემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი...“.

➤2783

1915

**5 სექტემბერი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ხელმოწერით „გ. ტაბიძე“ იბეჭდება ლექსი „MERI“ („შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი...“).

➤2784

1915

**6 სექტემბერი**

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისში, გალაკტიონ ტაბიძის თაოსნობით, არსდება სალიტერატურო წრე, რომელშიც იმუშავებენ ცნობილი ლიტერატორები. ამ მიზნით ქუთაისის გუბერნატორთან შუამდგომლობას აღძრავენ. ასევე, მოკლე ხანში გალაკტიონ ტაბიძე გამართავს სალიტერატურო-მუსიკალურ-დრამატულ-იუმორისტულ საღამოს.

➤2785

1915

**8 სექტემბერი**

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში 10 სექტემბერს გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤2786

1915

**10 სექტემბერი**

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში მიმდინარე დღეს გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤2787

1915

**10 სექტემბერი**

ვარლამ რუხაძესთან, შალვა დადიანთან და მიხეილ წულუკიძესთან ერთად მონაწილეობს ქუთაისის თეატრში გამართულ საღამოში.

➤2788

1915

### 13 სექტემბერი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისის თეატრში კვირას, 20 სექტემბერს გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤2789

1915

### 16 სექტემბერი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს ია ეკალაძის სტატიას „დავეხმართ მგოსანს“, რომელიც აღნიშნავს, რომ სიტყვით ვერ გადმოსცემს გალაკტიონ ტაბიძის ნიჭის ძლიერებას, ის კი უმწეო მდომარეობაშია, იძულებულია, ხელი გაიშვიროს და თავის სასარგებლოდ 20 სექტემბერს ქუთაისის თეატრში გამართოს ლიტერატურული საღამო. მოუწოდებს საზოგადოებას, რომ თეატრში მივიდეს და გროშების გაღებით, ცოტა ხნით მაინც დაავიწყოს პოეტს ლუკმა პურისთვის ზრუნვა.

➤2790

1915

### 16 სექტემბერი

გაზეთი „სამშობლო“ იუწყება, რომ მხატვარმა გრიგოლ მესხმა დახატა გალაკტიონ ტაბიძის დიდი ფერწერული პორტრეტი, რომელიც სხვა სურათებთან ერთად უნდა გამოფენილიყო საშემოდგომო გამოფენაზე, მაგრამ ეთნოგრაფიული საზოგადოების დაუხმარებლობის გამო გამოფენა აღარ გაიმართება.

➤2791

1915

### 17 სექტემბერი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 19 სექტემბერს მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე გამართავს კონცერტს ხუთ განყოფილებად. სალიტერატურო განყოფილებაში სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2792

1915

### 17 სექტემბერი

გაზეთი „სამშობლო“ ასწორებს შეცდომას ია ეკალაძის სტატიაში „დავეხმართ მგოსანს“ – ფრაზის „მეც სიტყვით ვერ გადმოგცემთ ძალას და ძლიერებას გ. ტაბიძისას“ ნაცვლად უნდა იყოს „მეც სიტყვით ვერ გადმოგცემთ ძალას და სინაზეს გ. ტაბიძის პოეზიისას. იგი უხილავი ტრფობაა დამწვარის გულისა“.

➤2793

1915

### 19 სექტემბერი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე გამართავს კონცერტს ხუთ განყოფილებად გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤2794

1915

### 19 სექტემბერი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ კვირას, 20 სექტემბერს ქუთაისის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო „საქართველოს ყვავილები“. აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი იქნება: პაოლო იაშვილის მოხსენება „სამშობლოს გარედ ომის დროს...“

იმპრესიონისტული შთაბეჭდილებანი“. დრამა ერთ მოქმედებად „სიკვდილი ნაპოლეონისა“. პოეზიის და მუსიკის განყოფილებები.

➤2795

1915

### 20 სექტემბრამდე

ჭიათურიდან ქუთაისში იღებს ოლია ოკუჯავას წერილს.

➤2796

1915

### 20 სექტემბრამდე

ქუთაისში სადილობს ოლიას ძმასთან, ვასილ ოკუჯავასთან ერთად და იგებს, რომ ვასილ წიფწივამის სასამართლო საქმეზე, რომელიც 12 ოქტომბრისთვისაა დანიშნული, მის ინტერესებს დაიცავს ოლიას მეორე ძმა – მიხეილი და ეს იქნება მისი პროფესიული დებიუტი. გალაკტიონი პროცესზე დასწრებას აპირებს და უნდა, რომ ოლიაც ჩავიდეს ჭიათურიდან.

➤2797

1915

### 20 სექტემბრამდე

ქუთაისის ბიბლიოთეკაში ათვალეიერებს ახალმიღებულ წიგნებს, რომელთა შორისაა: დიმიტრი მერეჟკოვსკის, კონსტანტინ ბალმონტის, ვალერი ბრიუსოვისა და ვიაჩესლავ ივანოვის წიგნები.

➤2798

1915

### 20 სექტემბრამდე

ქუთაისიდან ჭიათურაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. აცნობებს, რომ ვერ მოახერხა სხვა ბინაში გადასვლა, 20 სექტემბერს საღამო აქვს და თუ კარგად ჩაივლის, კარგა ხნით უზრუნველყოფილი იქნება. ურჩევს, დატოვოს შავი და უმზეო ჭიათურა, სადაც თვითონ ერთ საათსაც არ გაჩერდებოდა, და ქუთაისისკენ გასწიოს, სადაც მალე შინაარსიანი და მშვენიერი ცხოვრება მოეწყობა. სწერს, რომ დაარსდა მსახიობთა ამხანაგობა შალვა დადიანის რეჟისორობით, რომელიც წარმოდგენების გამართვას იწყებს. მოკლე ხანში სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები ჩატარდება, დაარსდება სალიტერატურო წრე და ჟურნალიც გამოვა. ირონიით ეკითხება, რებეკა ვაშაძემ მიიღო თუ არა წერილი კონსტანტინე გამსახურდიასგან, რადგან იგი ამ წერილებს მეგობარ გოგოებს ხმამაღლა უკითხავდა. უყვება პოეტ სიმონ წიველთან შეხვედრის ამბავს და მოკითხვას გადასცემს მისგან.

➤2799

1915

### 20 სექტემბერი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს შალვა ამირეჯიბის სტატიას „მშვენიერ პიპიტებს“, რომელშიც აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძე საღამოს მართავს თავის სასარგებლოდ. ყველა ახალგაზრდა მწერლის ტრაგედია სიღარიბეა, რაც მძიმე სირცხვილად აწევს საზოგადოებას. მოუწოდებს ჟურნალისტებს, სტატიების წერით გამოხატონ პოეტის ნიჭისადმი ღრმა და გულწრფელი პატივისცემა.

➤2800

1915

### 20 სექტემბერი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ იმ დღეს იმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤2801

1915

**20 სექტემბერი**

ქუთაისის თეატრში მართავს საღამოს „საქართველოს ყვავილები“, რომელსაც ბევრი ხალხი ესწრება და უამრავ თაიგულს იღებს საჩუქრად.

➤2802

1915

**20 სექტემბერი**

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისელ ახალგაზრდა მწერალთა ერთ ჯგუფს, გალაკტიონ ტაბიძის მეთაურობით, სურს, დაარსოს მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთა წრე.

➤2803

1915

**26 სექტემბერი**

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს ინფორმაციას, რომ გალაკტიონ ტაბიძის საღამომ „საქართველოს ყვავილები“ ბევრი ხალხი მიიზიდა და პოეტს უამრავი თაიგული მიართვეს.

➤2804

**ოქტომბერი**

1915

**3 ოქტომბერი**

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს ინფორმაციას, რომ 20 სექტემბერს, ქუთაისის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის საღამო „საქართველოს ყვავილები“. თეატრი სავსე იყო ხალხით, საზოგადოება ყველა მონაწილეს ტაშით მიეგება პოეტს და ყვავილები მიართვეს.

➤2805

1915

**4 ოქტომბერი**

გაზეთი „მეგობარი“ ბეჭდავს ინფორმაციას, რომ ქუთაისში დიდი სიხარულით ელიან კონსტანტინე ბალმონტს. მის შესახვედრად შედგა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდა რამდენიმე მწერალი, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძე და სხვადასხვა კულტურული დაწესებულების თითო წარმომადგენელი.

➤2806

1915

**5 ოქტომბერი**

ქუთაისში, ორშაბათს, 12 საათზე ჩადის ცნობილი რუსი მწერალი კონსტანტინე ბალმონტი. საზოგადოება ტაშით ეგებება, სადგურის ბუფეტში კი ესალმებიან გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და შოთა დადიანი.

➤2807

1915

**7 ოქტომბერი**

კონსტანტინე ბალმონტთან და ქუთაისის წარჩინებულ საზოგადოებასთან ერთად ათვალიერებს ბაგრატის ტაძარს და იღებენ ფოტოს. ბაგრატის ტაძრის დათვალიერების შემდეგ ბალმონტთან და ვარლამ რუხაძესთან ერთად ისევ იღებს ფოტოს ჟურნალ-გაზეთების კანტორაში „იმერეთი“. სტუმარი აღნიშნავს, რომ კმაყოფილია სურათების გადაღებით და სამახსოვროდ დარჩება არა მარტო მას, არამედ ისტორიასაც.

➤2808

1915

**7 ოქტომბრის შემდეგ**

ივანე ყიფიანთან ერთად მიდის ქუთაისის საგუბერნიო ციხეში სერგო გერსამიას მოსანახულებლად. ახალგაზრდები მთავრობის განკარგულებით დაპატიმრებულ მეგობარს მოუთხოვრებენ ახალ ამბებს, უპირველესად კი, ესაუბრებიან რუსი პოეტისა და მთარგმნელის – კონსტანტინ ბალმონტის საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. ივანე ყიფიანი აღტაცებულია ბალმონტით, ხოლო გალაკტიონი აზრის გამოთქმისაგან ჯერ თავს იკავებს, შემდეგ კი ამბობს, რომ კონსტანტინ ბალმონტს დიდი სახელი აქვს, უეჭველად ნიჭიერი პოეტია და ფრიად განვითარებული კაციც არის, ამასთანავე, თავისებური ხასიათისა ჩანს, ახირებულობა ეტყობა. თუმცა იქვე დასძენს, რომ მის ხასიათთან ქართველებს არაფერი ესაქმებათ და ახლა მთავარია, მან „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნოს კარგად, ისე რომ, პოემა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიცნოს. სერგო გერსამია ეკითხება გალაკტიონსა და ივანეს, მოისმინეს თუ არა ბალმონტის მიერ შესრულებული თარგმანის ფრაგმენტები და სთხოვს, აზრი გამოთქვან თარგმანის შესახებ. მეგობარს ორივე ერთნაირ პასუხს სცემს, მიიჩნევენ რომ ბალმონტის თარგმანი დედანს ძლიერ არის დაშორებული, რის გამოც იგი თავისუფალ თარგმანად უნდა ჩაითვალოს.

➤2809

1915

**13 ოქტომბერი**

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ჟურნალ-გაზეთების კანტორაში „განთიადი“ აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამოცემებთან ერთად იყიდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების წიგნი.

➤2810

1915

**25 ოქტომბერი**

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას ქუთაისიდან. ატყობინებს, რომ მასწავლებელთა გამოცდა კარგად ჩააბარა და რომ გალაკტიონი კარგად არის.

➤2811

1915

**25 ოქტომბერი**

აბესალომ ტაბიძე მოკლე წერილს უგზავნის დედას ჭყვიშში. ატყობინებს, რომ ერთი კვირით არის ქუთაისში, გალაკტიონს ხშირად ნახულობს და კარგადაა.

➤2812

1915

**27 ოქტომბერი**

გაზეთებში „სამშობლო“ და „მეგობარი“ ქვეყნდება განცხადება, რომ მიმდინარე დღეს ქუთაისის თეატრში იმართება ილია ჭავჭავაძის საღამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤2813

**ნ ო ე მ ბ ე რ ი**

1915

**7 ნოემბერი**

ქუთაისიდან ჭოკნარში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს. სწერს, რომ ის საქმე, რომელიც ჩაფიქრებული აქვთ, გამოვა. „ი“-ს იმედი დიდად არ აქვს, მაგრამ „კ“ ორშაბათს დაბრუნდება თბილისიდან და აუცილებლად დაელაპარაკება. სწერს, რომ დიასახლისს თანხა გადაუხადა და სთხოვს, დაელოდოს მის შემდეგ წერილს.

➤2814

1915

### 8 ნოემბერი

გიორგი ქუჩიშვილთან ერთად მიწვეულია დაბა ყვირილაში სალიტერატურო სადამოში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც იმართება ადგილობრივ კულტურულ საზოგადოებათა სასარგებლოდ.

➤2815

1915

### 13 ნოემბერი

გიორგი ქუჩიშვილთან ერთად დაბა ზესტაფონში მართავს სადამოს, რომელსაც ბევრი ხალხი ესწრება და ვახშმით მთავრდება.

➤2816

1915

### 15 ნოემბერი

ჟურნალი „ცხოვრება“ ბეჭდავს ინფორმაციას, რომ ისიდორე კვიცარიძემ თავის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში „იმერეთი“ ფოტოგრაფ ნიკოლოზ სადარაძეს პოეტების ინდივიდუალური ფოტოების გარდა, გადააღებინა კონსტანტინე ბალმონტი ვარლამ რუხაძესა და გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად. ფოტოები სატახტო ქალაქის ჟურნალ-გაზეთებში გაიგზავნება დასაბეჭდად.

➤2817

## დეკემბერი

1915

### 20 დეკემბერი

გაზეთი „მეგობარი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ახალი წლის შემდეგ მთელ საქართველოში და რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში დაიწყება ხელმოწერა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომზე. წიგნში მოთავსებული იქნება მრავალი დაუბეჭდავი ლექსი. აღნიშნულია, რომ ერთი წლის წინ დაბეჭდილი პირველი ტომის 3000 ეგზემპლარი მოკლე ხანში გაიყიდა.

➤2818

1915

### 22 დეკემბერი

გაზეთი „საქართველო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ახალი წლის შემდეგ მთელ საქართველოსა და რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში დაიწყება ხელმოწერა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომზე.

➤2819

1915

### 26 დეკემბერი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ახალი წლის შემდეგ მთელ საქართველოსა და რუსეთის ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში დაიწყება ხელმოწერა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომზე. აღნიშნულია, რომ ერთი წლის წინ დაბეჭდილი პირველი ტომის 3000 ეგზემპლარი მოკლე ხანში გაიყიდა.

➤2820

1915

### 31 დეკემბერი

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ წიგნის მაღაზიებში და ჟურნალ-გაზეთების აგენტებთან იყიდება კონსტანტინე თავართქილაძის შედგენილი და კანტორის

„განათლება“ მიერ გამოცემული 1916 წლის კედლის კალენდარი, რომელშიც სხვა ავტორების ნაწარმოებებთან ერთად მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

➤2821

1910-1915

წერს ლექსს „ვარსკვლავედი“ („არ ვიცი, რომელ ღმერთზე ვმდებროდი...“).

➤2822

1910-1915

წერს ლექსს „სიმღერა“ („გამიგონია მე სიმღერა დაბურულ ტყეში...“).

➤2823

1910-1915

წერს უსათაურო ლექსს „ყვავილთ სული მოგიპარავს...“.

➤2824

1910-1915

წერს უსათაურო ლექსს „მიდის სილურჯე დილის...“.

➤2825

1910-1915

წერს ლექსს „გვიან გავიგე...“ („ჩემი გულწრფელი გატაცება წაშალა დრომა...“).

➤2826

1910-1915

წერს ლექსს „ფიქრი“ („მამულიშვილნო! თქვენს სევდიან ძილს...“).

➤2827

1910-1915

წერს უსათაურო ლექსს „ნუ შეგაწუხებს წვიმა და ქარი...“.

➤2828

1910-1915

წერს ლექსს „შექმნის გენია“ („სუყველასაგან დავიწყებულს და...“).

➤2829

1910-1915

წერს უსათაურო ლექსს „როდესაც გხედავ ტუჩზე ღიმილით...“.

➤2830

1910-1915

წერს უსათაურო ლექსს „არსად არა ვგრძნობ ისე ობლად თავს...“.

➤2831

1910-1915

წერს ლექსს „რად გაურბიხარ ყმაწვილურ ვნებას...“.

➤2832

1910-1915

წერს ლექსს „ვანტაზია“ („ხედავ, მთას ცაში რომ აზიდულა...“).



➤2833

**1910-1915**

წერს ლექსს „ზამთრის ღამე“ („გაგრძელდა ღამე... აღარ თენდება...“).

➤2834

**1910-1915**

წერს ლექსს „ნანა“ („ძილს მისცემია მაღლა ცის სივრცე...“).

➤2835

**1910-1915**

წერს ლექსს „მითხარი ნანა“ („უიალქანოდ, უგზო-უკვლოდ მიცურავს ნავი...“).

➤2836

**1910-1915**

წერს ლექსს „წადი... იარე!“ („ვიცი, გატყდება სადმე ეგ ნავი...“).

➤2837

**1910-1915**

წერს უსათაურო ლექსს „მთვარევ, რადა ხარ ეგრე ფერმკრთალი...“.

➤2838

**1910-1915**

ფურცელზე იწერს ლეგენდას ბრძენი იუკოლის შესახებ.

➤2839

**1910-1915**

წერს ლექსს „ტბაზე“ („ხშირად დავდივარ ტბის კიდეზე...“).

➤2840

**1910-1915**

წერს ლექსს „სატირა იუბენალისა“ („როცა ჩემს წინ პოეტები...“).

➤2841

**1910-1915**

წერს ლექსს „ციცინო“ („სოფელს კიდევ არა სძინავს...“).

➤2842

**1910-1915**

წერს ლექსს „უდაბნოში“ („ეჰ, ნულარ ელი ჩემგან ისევ ლოცვა-ვედრებას...“).

➤2843

**1910-1915**

წერს ლექსს „შუაღამე“ („ვარსკვლავი იწვის... ვარსკვლავი ბრწყინავს...“).

➤2844

**1910-1915**

წერს უსათაურო ლექსს „განვლილთა დღეთა გაზაფხულო...“).

➤2845

**1910-1915**

წერს ლექსს „მოგონება“ („ტყის ფართო გზაზე, მახსოვს, ეტლი მიგვაქროლებდა...“).

➤2846

**1910-1915**

უსათაუროდ წერს ლექსს „დილით ადრე, სანამ მთებში...“.

➤2847

**1910-1915**

წერს ლექსს „დღიურიდან“ („როგორ მომწყინდა! გუშინ ის შემხვდა...“).

➤2848

**1910-1915**

წერს ლექსს „ცხოვრების ნიშნი“ („ყოველთა კაცთა გულის პასუხს ნუ განუცხადებ...“).

➤2849

**1910-1915**

წერს ლექსს „წუხელის ღამით“.

➤2850

**1910-1915**

წერს ლექსს „ელეგია“ („შემოდგომის ქარი ჰქრის...“).

➤2851

**1910-1915**

ჰაინრიხ ჰაინედიან თარგმნის თითო სტროფს ლექსებისა: „ამ სახლის წინ როდესაც კი მომიხდება გავლა...“ და „აგნეს, მიყვარხარ“.

➤2852

**1910-1915**

წერს ორტაეპიან ლექსს „მე არა ერთხელ მიფიქრია, რათ არის ასე...“ და ხატავს მამაკაცის გამოსახულებას.

➤2853

**1910-1915**

ფსევდონიმით „გალაშკა“ რუსულ ენაზე წერს ლექსებს: „უთხარით მას“ (ნაწყვეტები გაუგზავნელი წერილიდან) და „რომანსი“ (ემღვნება ბატონის ასულ ა. ლ-ს).

➤2854

**1910-1915**

წერს ლექსს „გადავცურდები“ („ეჰ, მენავევ! რაღას ელი...“).

➤2855

**1910-1915**

რუსულ ენაზე წერს პროზაულ ტექსტს, რომელშიც საუბარია რიონის ნაპირას მცხოვრებ ყმაწვილსა და მის ძალღ გიშერაზე.

➤2856

**1910-1915**

წერს ლექსს „საფლავთან“ („ბადის ბილილავ და ცვარო...“).

➤2857

1910-1915

წერს ლექსს „ყრუ ხმები“ („ჰეი, ვინა ხართ...“).

➤2858

1911-1915

კითხულობს მიხაილ ლერმონტოვის თხზულებების I ტომს. აკეთებს ხაზგასმებს, კომენტარებსა და ჩანახატებს.

➤2859

1911-1915

რვეულში იწერს შემოქმედებითი სადამოს პროგრამას, რომლის პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება ლადო ალექსი-მესხიშვილის „შემლილის წერილები“, მეორეში – სიმფონიურ ორკესტრთან ერთად იმღერებენ ენრი ბროჯი და სხვები, მესამეში კი იქნება კუპლეტები „ვაი-ვუის“ ხმაზე.

➤2860

1911-1915

მიხაილ ლერმონტოვის თხზულებების I ტომში ხატავს ტაძარს და აწერს: „ნეტა, ვინ ააგო, რა ნიჭმა ააგო...“.

➤2861

1911-1915

მიხაილ ლერმონტოვის თხზულებების I ტომის დასასრულს წერს უსათაურო ლექსს „მიდის სილურჯე დილის...“.

➤2862

1911-1915

იწყებს რომანის წერას სათაურით „მოზარდი თაობა“, რომლის პროტაგონისტია იმერელი თავადი იორამ ცერელიძე.

➤2863

1911-1915

წერს უსათაურო ლექსს „მთვარე ფერმკრთალი ცის მისცურავს... ვინ იცის...“.

➤2864

1911-1915

წერს ორტაეპედს: „მაგრამ სიტყვიდან საქმემდე მისვლა /ეხლა არ არის ისე ადვილი“.

➤2865

1911-1915

წერს უსათაურო ლექსს „მკათათვის მზე ამწვანებულს უვლის ველს...“.

➤2866

1911-1915

წერს ლექსს „მე“ („მუდამ თან მდევდა ჩურჩული ნელი...“).

➤2867

1911-1915

წერს ფელეტონს „მგზავრის წერილები“ ქართველი ახალგაზრდისა და ორი უცხოელის საუბრის შესახებ.

➤2868

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „აღვის ხის ფოთლებს ზეფირი ჰკოცნის...“.

➤2869

**1911-1915**

სუფთად იწერს ლექსს „სტრიქონები“ („ადვილად ჰკვდება, ვისაც სიკვდილის...“) და არედაქტირებს.

➤2870

**1911-1915**

პარმენ ცახელს უძღვნის ლექსს „სოფლად“ („მისცემია სოფელი ძილს, არ შრიალებს ტყის ფოთოლი...“).

➤2871

**1911-1915**

წერს ლექსს „რად არის აგრე“ („რად არის აგრე, რომ ერთ არსების...“).

➤2872

**1911-1915**

წერს ლექსს „მგზავრის სიმღერა“ („თავგანწირულად მინდორ-ველად მიმაფრენს ცხენი...“).

➤2873

**1911-1915**

წერს ლექსს „ზღაპრული ყვავილი“ („ყვავილი ზღაპრული, ყვავილი ცისფერი...“).

➤2874

**1911-1915**

წერს ლექსს „ნილაზი“ („გაჩირაღდნდა მთელი ბინა...“).

➤2875

**1911-1915**

წერს ლექსს „მამა და შვილი“ („გარედ მრისხანედ დაფრინავს ქარი...“).

➤2876

**1911-1915**

წერს ლექსს „ფოთოლი“ („დაჰბერა ქარმა, შესძრა ხის ბოლი...“).

➤2877

**1911-1915**

წერს ლექსს „სიმღერა“ („მეც არ ვიცი, რისთვის ვმღერი...“).

➤2878

**1911-1915**

წერს ლექსს „ნ. ბარათაშვილის სურათთან“ („ბარათაშვილო! როგორც ძველად, ისე ჩვენს დროში...“).

➤2879

1911-1915

წერს ლექსს „კიდევ რომ მოკვდე“ („კიდევ რომ მოკვდე, როგორც...“).

➤2880

1911-1915

წერს დრამატულ ეკლოგას სათაურით „შეშლილის სიკვდილი“, რომლის მოქმედი პირები არიან: ავადმყოფი, მისი შუახნის დედა და ახალგაზრდა და.

➤2881

1911-1915

წერს ლექსს „მოტეხილი რტო“ („ვნახე ქარისგან მოტეხილი რტო...“).

➤2882

1911-1915

წერს უსათაურო ლექსს „ვიცი, ყორანო, ჩვეულება შენი საზარი...“.

➤2883

1911-1915

წერს უსათაურო ლექსს „ჩემო ბალო, აგრე ადრე რად დამჭკნარხარ...“.

➤2884

1911-1915

წერს ლექსს „თვალეები“ („სანთელი ჰქრება... მბჟუტავი ალი...“).

➤2885

1911-1915

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ჩემი სიმღერა“ („მე რასაც ვმღერი, მას გული მღერის...“).

➤2886

1911-1915

წერს ლექსს „ვამპირი“ („მე მოგონება მეწვია, ოცნების მხრიდან მოსული...“).

➤2887

1911-1915

წერს ლექსს „ახალი წელი“ („შუადამისას მესმა სიმღერა...“).

➤2888

1911-1915

მ. ნ.-ს უძღვნის ლექსს „განშორების ჟამს“ („ვერ შეგბორკავს ჩემი სული, ვერც კაემნის ჩემის ბინდი...“).

➤2889

1911-1915

ფურცელზე ხატავს რუსი მწერლების კარიკატურებს. მათ შორის არიან: ალექსანდრ პუშკინი, მიხეილ ლერმონტოვი, ლევ ტოლსტოი, იგორ სევერიანინი, მიხეილ არციბაშევი, ნიკოლაი გოგოლი, კონსტანტინ ბალმონტი, მაქსიმ გორკი, არკადი ავერჩენკო და სხვები.

➤2890

**1911-1915**

წერს პიესას, რომლის მოქმედი პირები არიან მხატვარი და სურათი („ვერ გაიგებენ იმ ნეტარ მცნებას...“).

➤2891

**1911-1915**

წერს ლექსს „ია“ („ეს „ინი“ არის, ეს „ანი“! სულ მთელი სიტყვა? იაა...“), მაგრამ შემდეგ გადახაზავს.

➤2892

**1911-1915**

წერს სატირულ ლექსს „ვირის-ტყაოსანი“ („იყო კოლხეთსა ივანე...“).

➤2893

**1911-1915**

წერს ლექსს „ოჰ, დღე არ გავა“ („ოჰ, დღე არ გავა, არ შემიყვარდეს...“).

➤2894

**1911-1915**

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „ნეტავი იმას, ვინაც სამოთხედ...“, მაგრამ მალე წყვეტს.

➤2895

**1911-1915**

აკეთებს პროზაულ ჩანახატს ქალ-ვაჟის სიყვარულის შესახებ. ქალის სახელია ზულიმა.

➤2896

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემო კარგო, როდი მიყვარს...“.

➤2897

**1911-1915**

წერს სტატიას „დეკადანსი და ქართველი ახალგაზრდა მწერლები“.

➤2898

**1911-1915**

წერს მოთხრობის ესკიზს პიანისტის ცხოვრების შესახებ სათაურით „ღამის აკორდი“.

➤2899

**1911-1915**

წერს პოემას „თასი“ („მწარე დუდუნით იგონებდა...“).

➤2900

**1911-1915**

წერს ლექსს „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან“ (მიბაძვა). „ცის კაბადონს ანათებს მთვარე ცეცხლად ნთებული...“.

➤2901

**1911-1915**

წერს ლექსს „ბრწყინავს ვარსკვლავი“ („ცა მხიარულობს...“).

➤2902

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „დამნაშავე ხარ...“.

➤2903

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „თანდათან ბნელდება, ბნელდება, ბნელდება...“.

➤2904

**1911-1915**

წერს ლექსს „ხატის წინ“ („ისმოდა ჩქარი გრგვინვით „ოსანნა“...“).

➤2905

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „აცივდა, მალე მოვა ზამთარი...“.

➤2906

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „მივეპრივარ და სიყრმიდან...“.

➤2907

**1911-1915**

წერს ესკიზს „პოეტი და სიკვდილი“.

➤2908

**1911-1915**

წერს ლექსს „მეოთხე მხარე“ („ვარსკვლავთა ზევით, ვარსკვლავთა ზევით...“).

➤2909

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „ვიდექი ხიდთან... ხავსიან კლდეს გადაყრდნობილი...“.

➤2910

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „მიყვარდა იმ დროს...“.

➤2911

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „ოცნებავ, ღმერთავ!..“.

➤2912

**1911-1915**

წერს ლექსს „ვარდი სილაში“ („ქარმა კარები შემომამტვრია...“).

➤2913

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „პირველი ფოთლით იმოსება ტყე...“.

➤2914

**1911-1915**

წერს უსათაურო ლექსს „ხედავ ამ ყვავილს...“.

➤2915

1911-1915

წერს ლექსს „საშემოდგომო ოკტავეები“ („დათვერი განა? განა მოგწყინდა?..“).

➤2916

1911-1915

წერს ლექსს „ელეგია“ („მე ვიგონებდი სიყმაწვილის დროს“...).

➤2917

1915 ან ადრე

წერს ლექსს „დილა“ („შავი ზღვის ნისლი...“) და ფურცლის მეორე მხარეს ხატავს ფოსტალიონს, დეპეშებით ხელში.

➤2918

1915

იოსებ იმედაშვილი სათაურით „მუდამ მამიებელი“ უძღვნის მცირე ესეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ გალაკტიონი ადამიანის და ბუნების სულის მესაიდუმლეა, იგი მსოფლიო სევდას ჰგოდებს და თავისი შემოქმედებით სრულიად განცალკევებით დგას.

➤2919

1915

ქუთაისის კაფეში საუბრობს იონა მეუნარგიასთან, რომელიც ეუბნება, რომ გრიგოლ ორბელიანი მის თანამედროვეთა შორის ყველაზე დიდი გაქანების პოეტი იყო, რაშიც სულ მალე ყველა დარწმუნდება. გალაკტიონი მის ამ მოსაზრებას არ ეთანხმება.

➤2920

1915

წერს ლექსს „ღამე ხეობაში“.

➤2921

1915

მონაწილეობს ქუთაისის გუბერნიის საერო აგრონომიული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო აღწერაში. მისი უბანია ბაღდათის საბოქაულო. ორჯერ ჩადის იქ და ადგილობრივები არაჩვეულებრივად ხვდებიან. ახლოს ეცნობა იქაური გლეხების შეჭირვებულ მდგომარეობას და თანაუგრძნობს. ადგილობრივები ისე ეჩვევიან, რომ მასთან განშორება უჭირთ.

➤2922

1915

ოლია ოკუჯავას ჩუქნის ნიკოლაუს ლენაუს რჩეული ლექსების რუსული თარგმანების კრებულს წარწერით: „დაუვიწყარ ოლკინს გალონ“.

➤2923

\* \* \*

1916

იანვრამდე

ოლია ოკუჯავა გალაკტიონისადმი მიმართვით და სიტყვებით „სიყვარულის ჩუმ, მაგრამ ველურ შვილს, ჩემს გალონს“ იწყებს მოთხრობის წერას, რომლის პროტაგონისტია უზომოდ შეყვარებული ქალი „ლია“.

➤2924



1916

**იანვრამდე**

ოლია ოკუჯავას უძღვნის ლექსს „აღვის ხე“.

➤2925

1916

**ი ა ნ ვ ა რ ი**

1916

**1 იანვარი**

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ბეჭდავს გრიგოლ რობაქიძის სტატიას „ფრაგმენტები“, რომელშიც ავტორი საუბრობს გალაკტიონ ტაბიძის პირველ წიგნზე. აღნიშნავს, რომ ოთხი-ხუთი ლექსია მხოლოდ ნამდვილად პოეტური, მაგრამ ნიჭის დასაფასებლად ესეც საკმარისია. მისი აზრით, გალაკტიონის თვისებებია: უშუალობა, გულდია და ნერვიული პოეტური ტემპერამენტი, სილამაზის ფაქიზი გრძნობა და თავდაჭერა. აქებს უკანასკნელ ლექსს „მერი“.

➤2926

1916

**1 იანვარი**

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ გაზეთის „შრომა“ თანამშრომელთა თაოსნობით, იანვრის ბოლოს ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ-მხატვრული კრებული „სხივი“ გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤2927

1916

**5 იანვარი**

გაზეთი „საქართველო“ ბეჭდავს ტიციან ტაბიძის სტატიის „მარტოობის ორდენის კავალერი (გალაკტიონ ტაბიძე)“ დასაწყისს. ავტორი აღნიშნავს, რომ პირველი მარტოობის კავალრების – ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მამია გურიელის შემდეგ გამოჩნდა ახალი კავალერი – გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც მორცხვად შედგა ფეხი ქართულ მწერლობაში. ის საინტერესოა არა მხოლოდ პოეტური ნიჭით, არამედ უფრო წერის მანერითა და ლიტერატურული გავლენით. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ მწერლობაში შემოსვლას იწყებს სიმბოლიზმი და ეს სახეთა ცვლა კარგად ჩანს პოეტის შემოქმედებაში.

➤2928

1916

**5 იანვარი**

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 6 იანვარს დაბა ყვირილაში გაიმართება ლიტერატურულ-დრამატული საღამო, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2929

1916

**6 იანვარი**

დაბა ყვირილაში მონაწილეობს ლიტერატურულ-დრამატულ საღამოში და გიორგი ქუჩიშვილთან ერთად უღებენ ფოტოს.

➤2930

1916

**6 იანვარი**

გაზეთი „საქართველო“ ბეჭდავს ტიციან ტაბიძის სტატიის „მარტოობის ორდენის კავალერი (გალაკტიონ ტაბიძე)“ დასასრულს. ავტორი აღნიშნავს, რომ ლექსს „უდაბნო“ რაღაც უჩვეულო ჯადო აქვს, მასში ფერები ბრწყინავენ, სიტყვები რიტმულად ცეკვავენ და საკვირველი მუსიკა ბუნებრივად არის გამოწვეული. ლექსს „ტყეში“ ადარებს ვერლენის პოეზიას. წერს, რომ პოეტს აქვს მთელი ციკლი რომანტიკული პიესებისა საქართველოს წარსულიდან, ფიქრობს, რომ საქართველოს პოეტისთვის ჯერ მხოლოდ ტანჯვის და წამების მიცემა შეუძლია, მაგრამ ეს დიდი ძღვენია, რადგან მისმა პოეზიამ უნდა აამღეროს ეს ტანჯვა და მაშინ მოწყენილი ტანჯვა წაიყვანს დიდებისაკენ.

➤2931

1916

6 იანვარი

გაზეთი „მეგობარი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისში გამოვა ლიტერატურულ-მხატვრული

➤2932

1916

6 იანვარი

გაზეთში „კუტაისსკიე ვესტი“ რუბრიკით „ახალგაზრდა ქართველი პოეტები“, ქვეყნდება გალაკტიონის ლექსის „ჯვარი“ არკადი ბელოვოლენკოსეული რუსული თარგმანი.

➤2933

1916

3-8 იანვარი

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ სხვადასხვა ნომერში ბეჭდავს განცხადებას, რომ წიგნის მაღაზიებში და ჟურნალ-გაზეთების აგენტებთან იყიდება კონსტანტინე თავართქილაძის შედგენილი და კანტორის „განათლება“ მიერ გამოცემული 1916 წლის კედლის კალენდარი, რომელშიც სხვა ავტორების ნაწარმოებებთან ერთად მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

➤2934

1916

15 იანვარი

ჟურნალი „ცხოვრება“ ბეჭდავს რომანოზ ფანცხავას მიმოხილვას „ქართული მწერლობა 1915 წ.“, რომელშიც აღნიშნულია, რომ წინა წელს საზოგადოების ყურადღება გალაკტიონ ტაბიძემ და იოსებ გრიშაშვილმა მიიპყრეს. საუკეთესოდ მიაჩნია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „აკაკის გარდაცვალების გამო“, რომლითაც პოეტი ანუგეშებს ეროვნული უბედურებით გულმოკლულ ქართველებს.

➤2935

1916

17 იანვარი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ აკაკი წერეთლის გარდაცვალების წლისთავის აღსანიშნავად, ქუთაისის საზოგადო საკრებულოში 26 იანვარს გაიმართება პოეტის საღამო, რომელზეც გალაკტიონ ტაბიძე წაიკითხავს ლექსს „აკაკის ლანდი“.

➤2936

1916

19 იანვარი

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქუთაისის საზოგადო საკრებულოში 26 იანვარს გაიმართება აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც გალაკტიონ ტაბიძე წაიკითხავს ლექსს „აკაკის ლანდი“.

➤2937

**1916**

**23 იანვარი**

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ კვირას, 24 იანვარს ქუთაისის ქართულ თეატრში ქალთა წრე გამართავს ლექციას, რომლის სალიტერატურო განყოფილებაში სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2938

**1916**

**24 იანვარი**

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს, 12 საათზე ქუთაისის თეატრში ქალთა წრე მართავს ლექციას სალიტერატურო განყოფილებით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2939

**1916**

**იანვრის ბოლოდან**

ია ეკალაძე იწვევს სათანამშრომლოდ თავის ყოველდღიურ გაზეთში „სამშობლო“, რომელსაც აქვს ყოველკვირეული სურათებიანი დამატება. გალაკტიონი ასრულებს ტექნიკურ სამუშაოებს, ასწორებს კორექტურას და თარგმნის დეპეშებს.

➤2940

**1916**

**თებერვლამდე**

წერს ლექსს „ციხის ნანგრევებთან“.

➤2941

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

**1916**

**5 თებერვალი**

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ პაოლო იაშვილის რედაქტორობით დაიწყო ჟურნალის „ცისფერი ყანწები“ ბეჭდვა და რომ აღმანახში სხვა ავტორებთან ერთად მონაწილეობას იღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2942

**1916**

**7 თებერვალი**

ოლია ოკუჯავა გალაკტიონის რვეულში აღმოაჩენს ლექსს „ალვის ხე“, რომელსაც მიწერილი აქვს „ო. ლიას“. ოლიას სახელის ასეთი დაწერილობით გალაკტიონი მიაჩნებოდა ოლიასავე შექმნილ პროზაულ პერსონაჟ „ლიაზე“. გახარებული ოლია და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤2943

**1916**

**8 თებერვალი**

ოლია ოკუჯავა მძიმე განცდებშია იმასთან დაკავშირებით, რომ გალაკტიონი სხვა ქალებთან ღალატობს. ფიქრობს, იმსახურებს კი გალაკტიონი, რომ მას შესწიროს თავისი სიყვარული და ახალგაზრდობა?

➤2944

1916

### 9 თებერვალი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 14 თებერვალს გამოვა ჟურნალი „ცისფერი ყანწები“. აღმანახში მონაწილეობას იღებენ: გრიგოლ რობაქიძე, იოსებ გრიშაშვილი, ელენე დარჩანი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები.

➤2945

1916

### 10 თებერვალი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 14 თებერვალს ჭიათურაში ადგილობრივი დრამატული საზოგადოება, ამავე საზოგადოების სასარგებლოდ, მართავს სალიტერატურო საღამოს, რომელზეც მიწვეულია ნიჭიერი მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე.

➤2946

1916

### 10 თებერვალი

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, როგორ ელის გაზაფხულს და ცვლილებებს. წარმოიდგენს, რომ ის ქანდაკებაა, რომელსაც გალაკტიონი გააცოცხლებს თავისი პოეზიით.

➤2947

1916

### 11 თებერვლამდე

წერს ლექსს „ლორჯა ცხენები“.

➤2948

1916

### 11 თებერვალი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 14 თებერვალს გამოვა აღმანახი „ცისფერი ყანწები“.

➤2949

1916

### 15 თებერვალი

„ცისფერყანწელთა“ საღამოს მოსაწვევ ბარათზე აკეთებს ჩანაწერს, რომ მომავალი საღამოებისთვის მოსაგვარებელია ანონსების, აფიშების, თეატრის დაქირავებისა და ბილეთების გაყიდვის საკითხები და ჩამოწერს შეხვედრების განრიგს: სამშაბათს, 29 თებერვალს ქუთაისში. ხუთშაბათს, 2 მარტს – ხონში. შაბათს, 4 მარტს – ყვირილაში. კვირას, 5 მარტს – ჭიათურაში. სამშაბათს, 7 მარტს – სამტრედიაში. ხუთშაბათს, 9 მარტს – ლანჩხუთში. კვირას, 12 მარტს – ოზურგეთში. ხუთშაბათს, 16 მარტს – ახალსენაკში. კვირას, 19 მარტს – ფოთში. კვირას, 26 მარტს – თბილისში.

➤2950

1916

### 15 თებერვალი

ხვდება ქუთაისში ჩასულ ძმას, აბესალომ ტაბიძეს.

➤2951

1916

**16 თებერვალი**

აბესალომ ტაბიძე წერილს უგზავნის დედას და უყვება წინა დღეს გალაკტიონთან შეხვედრის ამბავს.

➤2952

1916

**16 თებერვალი**

გაზეთი „მეგობარი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ალმანახის „ცისფერი ყანწები“ გაგზავნა პროვინციაში ვერ მოესწრო, გასაყიდად გამოვა და პროვინციაში დაიგზავნება 21 თებერვალს.

➤2953

1916

**17 თებერვალი**

ოლია ოკუჯავა დღიურში მიმართავს გალაკტიონს, უხმობს თავისთან და სთხოვს, რომ უყვარდეს. ის აღწერს, როგორ ელის მის ნახვას და როგორ უსრულდება ნატვრა.

➤2954

1916

**17 თებერვალი**

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ იბეჭდება და 20 თებერვალს გამოვა ლიტერატურული ალმანახი „ახალი ცისკარი“, რომელშიც მონაწილეობენ: ია ეკალაძე, გალაკტიონ ტაბიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი. ალმანახში მოთავსებული იქნება კოტე მაცაშვილის კრიტიკული სტატია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ.

➤2955

1916

**17 თებერვალი**

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს ინფორმაციას, რომ 14 თებერვალს ქუთაისში ჩატარდა შიო მღვიმელის საიუბილეო დილა სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლის გამო, რომლის მოწყობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გალაკტიონ ტაბიძემ.

➤2956

1916

**18 თებერვლამდე**

კრებულში „სხივი“ საერთო სათაურით „მთვარის ლანდები“ იბეჭდება ოთხი ლექსი: „თეთრი ლანდებით“, „ალვები თოვლში“, „ვერხვები“ და „Nocturne“.

➤2957

1916

**18 თებერვალი**

გაზეთი „მეგობარი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ გამოვიდა და იყიდება გაზეთის „შრომა“ რედაქციის მიერ გამოცემული ლიტერატურულ-მხატვრული კრებული „სხივი“, რომელშიც საერთო სათაურით „მთვარის ლანდები“, დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები: „თეთრი ლანდებით“, „ალვის ხე თოვლში“, „ვერხვები“ და „Nocturne“.

➤2958

1916

## 20 თებერვალი

ოლია ოკუპაცია დღიურში უყვება გალაკტიონს წინა ღამის სიზმარს, როგორ ისხდნენ ის და გალაკტიონი მთვარის სხივების საქანელაზე და როგორ აფრქვევდა მათ ცა ყვავილებს.

➤2959

1916

## 23 თებერვალი

გაზეთი „სამშობლო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მალე გამოვა ალმანახი „ახალი ცისკარი“, რომელშიც იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „კოშკი“ და კოტე მაყაშვილის კრიტიკული სტატია „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“.

➤2960

1916

## 26 თებერვალი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 28 თებერვალს გამოვა ალმანახი „ახალი ცისკარი“, რომელშიც მოთავსებული იქნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „კოშკი“.

➤2961

1916

## 27 თებერვალი

გაზეთი „მეგობარი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ დაიბეჭდა და კვირას, 28 თებერვალს გამოვა ალმანახი „ცისფერი ყანწები“, რომელშიც იბეჭდება პაოლო იაშვილის პირველთქმა, გრიგოლ რობაქიძის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ელენე დარიანის ლექსები.

➤2962

1916

## 26 თებერვლამდე

წერს ლექსს „კოშკი“.

➤2963

1916

## 28 თებერვალი

გაზეთი „მეგობარი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ გამოვიდა ალმანახი „ცისფერი ყანწები“, რომელშიც დაიბეჭდა პაოლო იაშვილის პირველთქმა, გრიგოლ რობაქიძის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ელენე დარიანის ლექსები.

➤2964

1916

## 28 თებერვალი

ჟურნალში „ცისფერი ყანწები“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსები: „მთაწმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“.

➤2965

1916

## 28 თებერვალი

ჟურნალში „ცისფერი ყანწები“ იბეჭდება ტიცვიან ტაბიძის სტატია „ცისფერი ყანწებით“, რომელშიც ავტორი გალაკტიონ ტაბიძის შესახებ აღნიშნავს, რომ მის პირველ წიგნს „ნერვების ტოკვაზე ეტყობა, რომ გაზრდის შხამიან ყვავილს სიმბოლიზმისას“. სტატიის ავტორის აზრით, რაც არ უნდა მაღალი შეფასება მიეცეს ამ წიგნს, იგრძნობა, რომ ამ პოეტისაგან კიდევ უფრო მეტია მოსალოდნელი.

➤2966

1916

### 28 თებერვალი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება მხატვარ ს. გოლაძის მიერ ყვირილაში 1916 წლის 6 იანვარს გამართული სალიტერატურო სადამოს დროს გადაღებული გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ქუჩიშვილის ფოტო.

➤2967

## მ ა რ ტ ი

1916

### 1 მარტი

ალმანახში „ახალი ცისკარი“ ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „კოშკი“, ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე“. აქვეა რედაქციის ცნობა, რომ მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ნომერში ვერ მოთავსდა ყველა მასალა და მომავლისთვის გადაიდო კ. მილის სტატიის „გ. ტაბიძის შემოქმედება“ გამოქვეყნება.

➤2968

1916

### 1 მარტი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ რედაქციამ მიიღო ორი ალმანახი „ახალი ცისკარი“, რომელიც ღირს 10 კაპიკი, და „ცისფერი ყანწები“. აღნიშნულია, რომ ეს უკანასკნელი ძვირფასად არის გამოცემული, მაგრამ მისი შინაარსი გარეგნული მხარის შესაფერი ვერ არის. ასევე ნათქვამია, რომ მომავალში გაზეთში გამოქვეყნდება ამ ალმანახში შემავალი მასალის ჩამონათვალი.

➤2969

1916

### 1 მარტი

ალმანახში „ახალი ცისკარი“ ქვეყნდება ალექსანდრე აბაშელის სტატია „პოეტიკა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „Art Poetique“, პოლ ვერლენის მოწოდების მსგავსად, იყო პირველი მანიფესტი – მუსიკისა და სილამაზისკენ მოწოდება. სტატიის ავტორის აზრით, პირველი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ გალაკტიონს ჰქონდა ასეთი მოწოდების უფლება. უკანასკნელი წლების მანძილზე არც ერთ მწერალზე იმდენს არ წერენ, რამდენსაც გალაკტიონ ტაბიძეზე, მაგრამ მაინც გაუშუქებელია მისი წერის მანერა და სხვა მხარეები. პოეტიკა სრულიად ახალია და ყველა პოეტს შეუძლია, ისარგებლოს ამ სიახლით.

➤2970

1916

### 9 მარტი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს მიხეილ ასათიანის განცხადებას, რომ საზოგადოება გულისწყრომას გამოხატავს გალაკტიონ ტაბიძის მიმართ ისეთ უნიადაგო და გამრყენელ ჟურნალში მონაწილეობის გამო, როგორც „ცისფერი ყანწები“.

➤2971

1916

### 9 მარტი

მონაწილეობს ქუთაისის საკონდიტროში „ფინჯანი ჩაი“ გამართულ სადამოში, რომელზეც სიტყვას წარმოთქვამს კიტა აბაშიძე. ის „ცისფერი ყანწების“ შესახებ აღნიშნავს, რომ ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა ახალი მიმართულება და მას საზოგადოების ერთი ნაწილი პროტესტს

უცხადებს. შეახსენებს დამსწრეებს, რომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლასაც თანადროული საზოგადოება ასეთივე დაპირისპირებით შეხვდა. კიტა აბაშიძის გამოსვლას საზოგადოება სიჩუმით ხვდება, მაგრამ ჯავრს პაოლო იაშვილზე იყრინ. ქალები მოითხოვენ პაოლო იაშვილის გაგდებას, ვალერიან გაფრინდაშვილს კი ლექსის წაკითხვას არ აცლიან. დამსწრეებს სურთ ცისფერყანწელი ლადო ჯაფარიძის მიერ დახატული შოთა რუსთაველის პორტრეტის ჩამოხსნა, რადგან ეს შოთას შეურაცხყოფად მიაჩნიათ. ისინი მოითხოვენ, ლექსები წაიკითხონ ნოე ჩხიკვაძემ, გალაკტიონ ტაბიძემ და ლადო მაჭავარიანმა, რომლებსაც მხურვალე ტაშით აჯილდოებენ.

➤2972

1916

10 მარტი

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ბეჭდავს ფილიპე მახარაძის სტატიას „საბრალონი“. ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძის პესიმისტურ პოეზიას საერთო არ აქვს ლოთი ბიჭების ვაკხანალიასთან. მიიჩნევს, რომ „მთაწმინდის მთვარე“ და „ლურჯა ცხენები“ დისონანსი და აშკარა წინააღმდეგობაა ჟურნალში „ცისფერი ყანწები“ მოთავსებული ლექსებისა. არ ჰგონია, რომ გალაკტიონ ტაბიძე კარგად გრძნობს თავს ელენე დარიანისა და გრიგოლ რობაქიძის გვერდით და დარწმუნებულია, რომ ის მის მიერ არჩეულ გზას ბოლომდე მიჰყვება.

➤2973

1916

12 მარტი

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 13 მარტს თეატრში ქუთაისის „ქალთა საზოგადოების“ გამგეობა მართავს სალიტერატურო დილას, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2974

1916

14 მარტი

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ საზოგადოების შეგნებულმა ნაწილმა ერთხმად დაგმო და სამარცხვინო ბოძზე გააკრა „ცისფერყანწელები“.

➤2975

1916

14 მარტი

გაზეთი „ახალი კვალი“ ბეჭდავს ცაცა დარახველიძის განცხადებას, რომ ინტელიგენტ ქალებს „ცისფერი ყანწების“ ვრცლად განხილვა ქართველი ქალისათვის დამამცირებლად მიაჩნიათ. ისინი ამ გახრწნილებას დუმილით შეხვდებოდნენ, ჟურნალში ქალის სახელი რომ არ იყოს. მათ დაუჯერებლად მიაჩნიათ, რომ ქართველმა ქალმა სირცხვილი დაკარგა. ეეჭვებათ, რომ ის მართლაც ელენე იყოს, ამიტომ მიმართავენ „ცისფერი ყანწების“ იმ ავტორებს – ნიკო ლორთქიფანიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, ივანე ყიფიანსა და აკაკი ფაღავას – რომელთა ადამიანობის ჯერ კიდევ სჯერათ, ჩამოხადონ ნიღაბი ელენე დარიანს და დაანახვონ მისი ნამდვილი სახე. წერენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, უფლება ეძლევათ, სხვებსაც ისეთივე სახელი უწოდონ, როგორც პაოლო იაშვილს.

➤2976

1916

15-16 მარტი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს ია ეკალაძის სტატიის „სამი ჟურნალი: „სხივი“, „ცისფერი ყანწები“, „ახალი ცისკარი“ დასაწყისს, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ დევნილსა და მშვიერ-მწყურვალ



კაცს არაფერი მოეთხოვება იმის მეტი, რასაც ის აწვდის საზოგადოებას, რომ გალაკტიონ ტაბიძე და ნოე ჩხიკვაძე მხოლოდ ოცნებით, ცრემლებითა და ჰაერით იკვებებიან. უკვირს, როგორ აქვთ წერის ხალისი და ფიქრობს, რომ განგებას მათთვის საარაკო ძალა მიუცია.

➤2977

1916

18 მარტი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს ია ეკალაძის სტატიის „სამი ჟურნალი: „სხივი“, „ცისფერი ყანწები“, „ახალი ცისკარი“ გაგრძელებას, რომელშიც აღნიშნავს, რომ სანდრო შანშიაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის და სხვათა შესახებ ყოველდღე უნდა იწერებოდეს სტატიები და მათი თხზულებები ხელმისაწვდომ ფასად უნდა ვრცელდებოდეს ხალხში.

➤2978

1916

მარტი

იმყოფება ქუთაისში, ჟურნალ-გაზეთების კანტორაში „იმერეთი“, სადაც ხვდება სერგო გერსამიას. საუბრისას გალაკტიონი სერგოს ეუბნება, რომ მოსწყინდა ია ეკალაძის გაზეთის „სამშობლო“ რედაქციაში მუშაობა, დეპეშების თარგმნა, ტექსტების კორექტურა და სტილის სწორება. რის გამოც იგი ცოტა ხნის წინ წამოვიდა რედაქციიდან.

➤2979

## აპრილი

1916

4 აპრილის შემდეგ

მოსკოვიდან ქუთაისში იღებს ტიცთან ტაბიძის წერილს. აინტერესებს, რა ამბებია ქუთაისში და საყვედურობს, რომ არ სწერს. ადრესანტი აცნობებს, რომ გალაკტიონისთვის ერთი საქმე ეწყობა მოსკოვში, მაგრამ აუცილებელია, რომ ის, როგორც ესთეტი და პოეტი, იყოს მარტო. სთხოვს, თუ პაოლო იაშვილი ვერ გაუგებს სამხედრო ბეგარის ამბავს, გალაკტიონი დაეხმაროს.

➤2980

1916

9 აპრილი

პაოლო იაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის მიერ 1915 წლის 9 აპრილს გაზეთში „თანამედროვე აზრი“ გამოქვეყნებული განცხადების საპასუხოდ, ერთი წლის დაგვიანებით გაზეთში „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს კრიტიკულ შენიშვნას. წერს, რომ ზედმეტად მიაჩნია, გაიმეოროს ყველასთვის ცხადი ჭეშმარიტება, მაგრამ აიძულებენ. აინტერესებს, საიდან შეიძლებოდა სცოდნოდათ იოსებ გრიშაშვილსა და პაოლო იაშვილს, რომ 5 მარტის საღამოში მონაწილეობის მიღებაში მას ხელს არ შეუშლიდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზები, თუ ამის შესახებ თავად გალაკტიონს წინასწარ არ ჰკითხავდნენ და მის სახელსა და გვარს მონაწილეთა შორის მისგან თანხმობის აღებამდე დაასახელებდნენ. იოსებ გრიშაშვილის თავის მართლებას კი, როცა ვერ დაგიკავშირდით, შენს ნაცვლად მონაწილეთა სიაში კონსტანტინე ჭიჭინაძე ჩავსვითო, აბსურდულად მიიჩნევს, რადგან გაზეთის „სამშობლო“ როგორც 1915 წლის 4 მარტის განცხადებაში, ისე ახალ ამბავში ორივეს გვარი ერთად არის მითითებული: კონსტანტინე ჭიჭინაძისა და გალაკტიონ ტაბიძის.

➤2981

1916

10 აპრილი

გაზეთი „სამშობლო“ ფსევდონიმით ჯაფარ-ფაშა ბეჭდავს სტატიას „გრ. რობაქიძის ლექცია“. მასში აღნიშნულია, რომ „ცისფერი ყანწების“ გარშემო ატეხილი უსიამოვნების შესამსუბუქებლად, გრიგოლ რობაქიძე, როგორც ამ ჟურნალის ერთ-ერთი მონაწილე,

იძულებული გახდა, საჯარო ლექცია გაემართა და თავდასაცავი სიტყვით მიემართა ქუთაისის საზოგადოებისთვის. ლექტორმა დაახასიათა სიმბოლოზმი და ნიკო ლორთქიფანიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიცვიან ტაბიძის, არისტო ჭუმბაძის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და სხვათა ნაწარმოებების გარჩევით წარმოაჩინა მათი ნიჭი და ღირებულება.

➤2982

1916

10 აპრილი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს ყაზანში მყოფი სიკო ლეონიძის სტატიას „სხივი“, ლიტერატურულ-სამხატვრო კრებული“. ავტორი აღნიშნავს, რომ „სხივში“ დაბეჭდილი გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მთვარის ლანდები“ თითოეული სტრიქონი მშვენიერების განსახიერებაა, თითოეულ სიტყვაში სიძლიერე და სინაზე იგრძნობა. მიაჩნია, რომ დიდი ნაკლი არ არის, მაგრამ ჯობდა პოეტს გამოეყენებინა მდიდარი და მრავალშინაარსიანი მშობლიური ენის სიტყვები, რადგან ისეთი „ევროპიზმები“, როგორცაა „პაჟი“, „პრინცესა“ და „სილუეტები“, მკითხველზე ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

➤2983

1916

16 აპრილი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს („შენი ღიმილი ლეონარდო და ვინჩის ხელის...“).

➤2984

1916

16 აპრილი

შალვა ქართველიშვილს უბის წიგნაკში უწერს უსათაურო ლექსს „შენი ღიმილით ლეონარდო-და-ვინჩის ხელის...“ და ხელს აწერს.

➤2985

1916

16 აპრილი

გაზეთში „თანამედროვე აზრი“ იბეჭდება ლექსი „ყოველ თეთრ ღამეს“.

➤2986

1916

16 აპრილი

გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ ბეჭდავს „კირას“ სტატიას „გრიგოლ რობაქიძის ლექცია“. ავტორი აღნიშნავს, რომ ბევრის მტრულმა განწყობამ „ცისფერი ყანწებისადმი“ შეაშინა ალმანახის რამდენიმე მონაწილე და მზად იყვნენ, უარი ეთქვათ თანამშრომლობაზე. ამიტომ გრიგოლ რობაქიძის ლექციამ ძალიან დააინტერესა საზოგადოება. გრიგოლ რობაქიძე ამტკიცებდა, რომ „ცისფერი ყანწების“ ყველა მონაწილეს მრავალი რამ აერთიანებს და მათი დაშორება ავნებს ახალ ქართულ ხელოვნებას. გაარჩია ლექსები, ისაუბრა იოსებ გრიშაშვილის ვირტუოზობასა და გალაკტიონ ტაბიძის მისტიციზმზე, რომელიც ხშირად ისე ღრმავდება, როგორც ეს არის „ლურჯა ცხენებში“. რობაქიძე მის უმთავრეს ნაკლად ასახელებს ჰარმონიის ნაკლებობას.

➤2987

1916

26 აპრილი

გაზეთი „სამშობლო“ „ერთი მრავალთაგანის“ ფსევდონიმით აქვეყნებს სტატიას „ცისფერ ყანწების“ აპოლოგეტის ბ. რობაქიძის ლექცია“, რომელშიც ციტატის სახით მოყვანილია გრიგოლ

რობაქიძის სიტყვები: „გალაკტიონ ტაბიძე უთუოდ წავა სიმვოლისტების გზაზე, მისი „ლურჯა ცხენები“ მისტიურია, მას მხოლოდ ფორმისა და შინაარსის ჰარმონია აკლია“.

➤2988

1916

27 აპრილი

გაზეთი „სამშობლო“ აქვეყნებს ია ეკლამის სტატიის „სამი ჟურნალი: „სხივი“, „ცისფერი ყანწები“, „ახალი ცისკარი“ გაგრძელებას. ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძის ჩანგი სევდიანია, ნაზი და ფაქიზი. ის ამაღლებული სულისა და დაჩაგრული სიამაყის პოეტია. თავის ლექსებს განიცდის მხოლოდ თვითონ და შეგნებულად ნატანჯი და ნაბრძმედი მკითხველი. ამიტომ გალაკტიონ ტაბიძე ნაკლებად გასაგებია საშუალო მკითხველისთვის. წუხს, რომ გალაკტიონ ტაბიძე და ნიკო ლორთქიფანიძეც აღმოჩნდნენ ჟურნალში „ცისფერი ყანწები“, რომელიც, სტატიის ავტორის აზრით, არც „ფუტურიზმი“, არც „სიმბოლიზმი“ და არც სხვა რაიმე ახალი მიმართულება, არამედ არის სქესობრივ ნიადაგზე დაავადებულთა „პოეზია“.

➤2989

1916

28 აპრილი

გაზეთი „სამშობლო“, რუბრიკაში „ახალი ამბები“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ახალგაზრდა ლექტორი გრიგოლ ხაინდრავა 1 მაისს ფოთში, ადგილობრივი საკრებულოს დარბაზში, გამართავს სალიტერატურო სადამოს, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤2990

1916

28 აპრილი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს ქალთა საზოგადოების გამგეობის განცხადებას, რომ მიიღეს გადაწყვეტილება, მოეწყოს ქალთა დღე და ამ დღისთვის გამოიცეს ალმანახი. ასევე განცხადებაში ნათქვამია, რომ მასალებისთვის უნდა მიმართონ გამოჩენილ ლიტერატორებს, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძეს.

➤2991

## მ ა ი ს ი

1916

1 მაისი

გაზეთი „სამშობლო“ ბეჭდავს განცხადებას, რომ გრიგოლ ხაინდრავას თაოსნობით, 1 მაისს ფოთში დანიშნული სალიტერატურო დილა, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძესაც უნდა მიეღო მონაწილეობა, სხვადასხვა მიზეზით 8 მაისისთვის გადაიდო და ამავე პროგრამით 9 მაისს ლანჩხუთშიც გაიმართება.

➤2992

1916

22 მაისი

ქუთაისის საკრებულოს დარბაზში გამართულ შეხვედრაზე გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი კითხულობენ საკუთარ ლექსებს.

➤2993

1916

28 მაისი

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ბეჭდავს განცხადებას, ქუთაისის საკრებულოში გამართული შეხვედრის შესახებ. მასში ნათქვამია, რომ დავით ონიაშვილმა წაიკითხა ლექცია „ეროზა კავკასიაში“, ხოლო გალაკტიონ ტაბიძემ და გიორგი ქუჩიშვილმა – ლექსები.

➤2994

## ი ვ ნ ი ს ი

1916

### 17 ივნისი

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე კრებული ახლო მომავალში გამოიცემა.

➤2995

1916

### 24 ივნისი

ქუთაისიდან სამტრედიის რაიონის უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს და სთხოვს, რომ ორ დღეში აუცილებლად გაუგზავნოს მისი სიღარიბის მოწმობა ორ ეგზემპლარად. სწერს, რომ ეს საბუთი ერთი მნიშვნელოვანი საქმისთვის სჭირდება, რომლის შესახებაც შემდეგ დახურული წერილით შეატყობინებს. ასევე აცნობებს, რომ უახლოეს დღეებში თვენახევრით მიდის დასასვენებლად.

➤2996

1916

### 24 ივნისის შემდეგ

ბაკურიანშია დასასვენებლად და ყიდულობს ვლადიმირ რანცოვის წიგნს „მსოფლიო და რუსეთის ისტორიის ქრონოლოგია“ და ზედ აწერს: „გ. ტაბიძე. ბაკურიანი. 1916. თიბათვე“.

➤2997

## ი ვ ლ ი ს ი

1916

### 13 ივლისის შემდეგ

წერს ლექსს „15 პოეტი“ („ჩვენ ერთად ვთარგმნიდით ნაზონს და ოვიდის...“).

➤2998

1916

### 25 ივლისამდე

წერს ლექსს „გზაში“ („ლურჯი აჩრდილი ცხელ ჰაერში დგას...“).

➤2999

1916

### 25 ივლისი

გაზეთში „ახალი კვალი“ ბეჭდავს ლექსს „გზაში“.

➤3000

## ა გ ვ ი ს ტ ო

1916

### 19 აგვისტო

ქუთაისიდან წერილს უგზავნის ვარლამ ბურჯანაძეს. შეახსენებს, რომ ისინი ოდესღაც იცნობდნენ ერთმანეთს, მაგრამ არ იცის, ადრესატს ახსოვს თუ არა და ამის გამო უხერხულობას გრძნობს. სწერს, რომ თავისი უსაშინლესი მდგომარეობის გამო მიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რათა ეშუამდგომლათ მთავარ გამგეობასთან მისთვის სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე. გამგეობამ თხოვნა შეიწყნარა და შუამდგომლობა მის თხოვნასთან ერთად თბილისში გააგზავნა. სთხოვს, დაეხმაროს, ყველას გააცნოს, როგორ საშინელ სიღარიბეში უხდება ცხოვრება. აცნობებს, რომ აპირებს წასვლას

მოსკოვში, შანიავსკის უნივერსიტეტში სასწავლად და უსამართლობა იქნება, სტიპენდია ვერ მიიღოს იმის გამო, რომ არავის იცნობს.

➤3001

1916

20 აგვისტო

გაზეთის „სამშობლო“ რედაქციაში ახალგაზრდები მიდიან გალაკტიონ ტაბიძის სანახავად. ეუბნებიან, რომ შეიტყვეს მისი მოსკოვში გამგზავრების განზრახვა, წარმატებას უსურვებენ და ჩუქნიან ვერცხლისფრთიან კალამს. გახარებული პოეტი ყმაწვილებს გულში იკრავს.

➤3002

1916

24 აგვისტო

წერილს უგზავნის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას. სთხოვს, შევიდნენ მის მდგომარეობაში და მისცენ სტიპენდია მოსკოვში შანიავსკის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. მისი აუტანელი პირობები და ის, თუ რისი გაკეთება შეუძლია, იცის მთელმა საქართველომ და სრული იმედი აქვს, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ანგარიშს გაუწევს და მისცემს საშუალებას სწავლის დასამთავრებლად.

➤3003

1916

26 აგვისტო

ერთი დღით ჩადის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში და ემშვიდობება დედას და ძმას. აბესალომი 30 მანეთს აძლევს.

➤3004

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

1916

2 სექტემბერი

ოლია ოკუჯავასთან ერთად მიემგზავრება მოსკოვში. რიონის სადგურში, ღამის 2 საათზე ხვდება ძმას. აბესალომი გზას ულოცავს და წვრილმანი ხარჯებისათვის 5 მანეთს აძლევს.

➤3005

1916

2 სექტემბრის შემდეგ

მოსკოვის მატარებლით მგზავრობისას ოლიას მიმართ ზედმეტ ყურადღებას იჩენს ერთი ჯარისკაცი და ოლიაც გატაცებული ჩანს მისით. გალაკტიონი ცალკე ხვდება ჯარისკაცს და აფრთხილებს, რომ თუ მათი ვაგონიდან არ გადაიკარგება, სანანებლად გაუხდის საქმეს. შეშინებული ჯარისკაცი მართლაც აღარსად ჩანს. ოლია ამ ფაქტით გაკვირვებული და კმაყოფილია. ის გალაკტიონს გულწრფელად ეუბნება, რომ შეიძლებოდა მისთვის ეღალატა და ბედად გადარჩა ამ შეცდომის ჩადენას.

➤3006

1916

3 სექტემბერი

გრიგოლ რობაქიძე ვალერიან გაფრინდაშვილისადმი გაგზავნილ წერილში გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას ადარებს მდინარე განგს, რომელზეც შუალამისას ლანდებით სავსე ნავეები დასრიალებენ და აღნიშნავს, რომ უყვარს მისი მთვარეული სიზმარი, რომელშიც პოეტი ათას ლანდში ერთით არის მომთვარული.

➤3007

1916

#### 14 სექტემბერი

ჩადის მოსკოვში და ბინავდება არბატის რაიონში, პოვარსკაიას (მზარეულების) ქუჩაზე.

➤3008

1916

#### 14 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მითხარ კიდევ ლექსი...“

➤3009

1916

#### 14 სექტემბრის შემდეგ

გალაკტიონთან ერთად მოსკოვში მყოფი ოლია ქუჩაში ეცნობა ვიღაც მამაკაცს და მათთან ერთად მიჰყავს თავიანთ ბინაში. ისინი დიდხანს ისეთი გატაცებით საუბრობენ, რომ გალაკტიონი ავიწყდებათ. პოეტს მოთმინების ფიალა ევსება, ჩავლებს ხელს ამ მამაკაცს და აფრთხილებს, რომ სასწრაფოდ დატოვოს ოთახი. ოლია შეშინებული ჩადგება მათ შორის. შეშინებული უცნობი მიდის, გალაკტიონი კი მალევე მშვიდდება.

➤3010

### ოქტომბერი

1916

#### 1 ოქტომბრის შემდეგ

მოსკოვში იღებს ტუტკუ გვარამიას მიერ მისთვის მოსკოვში გადაგზავნილ ნაცნობი მუშის, აკაკი გაბრიჩიძის წერილს. ადრესანტი სწერს, რომ ტუტკუ გვარამიამ მას მიაწოდა გალაკტიონის ლექსების კრებული და აღფრთოვანებული დარჩა. მართალია, გალაკტიონის მაღალ შემოქმედებით ოსტატობას კრიტიკოსებიც აღიარებენ, მაგრამ აკაკი გაბრიჩიძის აზრით ისიც ძალზე მნიშვნელოვანია, თუ როგორ აღიქვამს მის პოეზიას უბრალო მუშები.

➤3011

1916

#### 9 ოქტომბრამდე

მოსკოვში იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის ორ წერილს.

➤3012

1916

#### 13 ოქტომბერი

მოსკოვიდან საჯავახოში საპასუხო წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს. ატყობინებს, რომ ჯერ არასად მოწყობილა, რადგან იანვარში ქუთაისში უნდა დაბრუნდეს ჯარში გაწვევის პრობლემის მოსაგვარებლად. მანამდე ბევრს მეცადინეობს ხან შანიავსკის უნივერსიტეტში, ხან სხვაგან. არ უნდა უკან დაბრუნება, რადგან ისედაც ბევრი დრო დაკარგა, რომელიც ცოდნის შესაძენად უნდა გამოეყენებინა. სწერს, რომ პირობები ძალიან ცუდი აქვს, ზამთარი იწყება, ფული თითქმის გამოელა, სულიერი განწყობაც თანდათან უუარესდება და წინანდელი აღფრთოვანება უნელდება. ზოგჯერ ჰგონია, რომ უზარმაზარი ქალაქი იმსხვერპლებს, მაგრამ მაინც ძალიან ბევრს წერს. აცნობებს, რომ ფული საჩქაროდ სჭირდება, რადგან არ იცის, მომავალში რა ელის. ფიქრობს, ჯობდა არ წასულიყო მოსკოვში, მაგრამ რახან წავიდა, ეცდება, რომ სირთულეების მიუხედავად, თავისი გაიტანოს. სთხოვს, დედას – მაკრინე ადვიშვილს მისწეროს, რომ კარგად არის და მისგან წერილს ელის. ურჩევს, გული არ გაიტეხოს და იბრძოლოს.

➤3013

1916

**13 ოქტომბერი**

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ მიხეილის პროსპექტზე მდებარე ჟურნალ-გაზეთების კანტორაში „განთიადი“ იყიდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების წიგნი.

➤3014

1918

**23 ოქტომბერი**

მოსკოვში მყოფი ოლია ოკუჯავა ღამით ფიქრობს გალაკტიონზე და დღიურში იწერს, რომ ბედნიერებაა იყო პოეტი, წერდე ლექსებს და შენი პოეზიის ყვავილებით იზიდავდე გულებს.

➤3015

**ნოემბერი**

1916

**3 ნოემბერი**

გაზეთი „საქართველო“ ბეჭდავს ლეო ქიაჩელის სტატიას „შემოქმედება და კრიტიკა“. ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძე მკითხველებს ტირილში ათრობს და ამ ნაზ სევდას ისინი უფრო გრძნობენ, ვიდრე იგებენ. მისი გრძნეული ლექსების კითხვისას მკითხველები ავტორთან სულის ინტიმურ ნათესაობას განიცდიან. პოეტი მხოლოდ თავის გულისტკივილს შლის, სხვის გულში აღარ იხედება და ამაშია მისი სიძლიერე და ამავდროულად სისუსტეც.

➤3016

1916

**6 ნოემბრამდე**

მოსკოვში იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის წერილებს.

➤3017

1916

**6 ნოემბერი**

მოსკოვიდან საპასუხო წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს. აცნობებს, რომ მის წერილებს იღებს და თვითონაც პასუხობს, მაგრამ არ იცის, აბესალომამდე აღწევს თუ არა. სთხოვს, მალე გაუგზავნოს ფული, რომელიც ძალიან სჭირდება. ძმას განუმარტავს, რომ მან არ იცის მოსკოვის გაჭირვება – სადმე ან გაიყინები, ან შიმშილით ამოგხდება სული და არავინ შეგიბრალებს. ყოველ წამს გრძნობ, თუ რა საშინელი წყევლაა კაცისთვის ღარიბად დაბადება. გალაკტიონს არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, მაგრამ მასში ბევრი ცეცხლი იყო, ბევრი სიცოცხლე, ბევრი სულიერი ელვა. ახლა კი გრძნობს, რომ თანდათან ცივდება, ბერდება, გული ეყინება და ტირილი უნდება, როდესაც ხედავს, რომ თვალებში ქრება ის, რაც ახალგაზრდობას ეკუთვნოდა. აბესალომმა რომ იცოდეს, რა ტანჯვა გადაიტანა მისმა ძმამ, აუცილებლად აქამდეც გაუგზავნიდა ფულს, რადგან მოსკოვში უფულობა წარმოუდგენელია. უფულობაზე მეტად აწუხებს სულიერი ტანჯვა. წლების განმავლობაში ინსტინქტურად გრძნობს, რომ ახლობელი და პატრონი არ ჰყავს.

➤3018

1916

**8 ნოემბერი**

იმართება თავად-აზნაურობის დეპუტატთა და წინამძღოლთა კრება ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელზეც თავად-აზნაურობის საზოგადო კრების მიერ გადადებული ფულიდან 300-300 მანეთი გამოეყოფათ იოსებ გრიშაშვილს, მიხეილ ჭიაურელს, დიმიტრი შევარდნაძესა და გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3019

1916

## 9 ნოემბერი

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ბეჭდავს ინფორმაციას წინა დღეს თავად-აზნაურობის დეპუტატთა და წინამძღოლთა კრების შესახებ, რომელზეც გადაწყდა გალაკტიონ ტაბიძისთვის დახმარების გამოყოფა.

➤3020

1916

### 17 ნოემბრამდე

ატარებს სამსაათიან გაკვეთილებს, რაშიც იღებს თვეში 50 მანეთს.

➤3021

1916

### 17 ნოემბრამდე

მოსკოვში გაზეთიდან იგებს, რომ თბილისის სათავადაზნაურო ბანკს მისთვის 300 მანეთის გაგზავნა გადაუწყვეტია. რამდენადაც მას უშუალოდ ბანკისთვის არ მიუმართავს, ფიქრობს, რომ ეს კოტე მაყაშვილის დამსახურებაა.

➤3022

1916

### 17 ნოემბრამდე

მზად აქვს მეორე წიგნი, რომლითაც მისივე თქმით „ყალყზე დააყენებს“ მთელ საქართველოს.

➤3023

1916

### 17 ნოემბრამდე

მოსკოვში ათვალეურებს ტრეტიაკოვის გალერეას, ალექსანდრე III-ის მუზეუმს, რუმბინცევის ეთნოგრაფიულ მუზეუმს, სამხატვრო თეატრს, კრემლს და აღტაცებულია ნანახით.

➤3024

1916

### 17 ნოემბრამდე

მანეთად ყიდულობს რუსი სიმბოლისტების მიერ არაჩვეულებრივად გამოცემულ ჟურნალს „უღელტეხილი“.

➤3025

1916

### 17 ნოემბრამდე

მოსკოვში არაერთხელ ხვდება თავის ბიძაშვილს – ტიცინ ტაბიძეს, რომელსაც არ მოსწონს ადგილობრივი გარემო და ქართველი სტუდენტების მუდმივი წუწუნი სიღარიბეზე.

➤3026

1916

### 17 ნოემბრამდე

მოსკოვში იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის გაგზავნილ წერილებს და თანხას.

➤3027

1916

### 17 ნოემბერი

მოსკოვიდან წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს. აცნობებს, რომ მისგან მიღებულმა ფულმა დროულად მიუსწრო და საქმე ძალიან კარგად ეწყობა. შეიძლება, მოსკოვის ქართული



საზოგადოების მიერ დანიშნული სტიპენდია – 30 მანეთი 50-მდე გაუზარდონ, ასევე მიიღებს მსუბუქ სამუშაო ადგილს, თვიურად 110 მანეთით. წუხს, რომ მუშაობს 9 საათიდან 4 საათამდე და სამეცადინოდ დრო არ რჩება. ატყობინებს, რომ საზოგადოება კარგად ეპყრობა, ყველაზე მეტად დაუახლოვდა ქართველ ექიმს, რომელმაც მისთვის სტიპენდია დაანიშნინა და თუ მოინდომებს, გაუგრძელებენ ხუთი-ექვსი წლით. სამსაათიანი გაკვეთილებიც მან უშოვა და შეუძლია მთელი ზაფხული ყირიმში გაატაროს ბავშვთან ერთად. მაგრამ გაზაფხულზე საქართველოში უნდა ჩავიდეს ჯარში გაწვევასთან დაკავშირებით. თავისუფალი დრო ცოტა აქვს, თუმცა, მუშაობასა და კითხვას ახერხებს. ელის ომის დამთავრებას, რომ იმოგზაუროს და მთელ დედამიწას შემოუაროს. განზრახული აქვს მოსკოვში გამართოს დიდი ქართული საღამო, რომლითაც მთელ მოსკოვს მისებურად აალაპარაკებს და, შესაძლებელია, მსოფლიოში ცნობილი კაციც კი გახდეს.

➤3028

1916

24 ნოემბერი

მოსკოვიდან მიემგზავრება ქუთაისში.

➤3029

1916

29 ნოემბერი

დილით ჩადის ქუთაისში და საფოსტო ბარათზე წერს მოსკოვში ოლია ოკუჯავასთვის გასაგზავნად წერილს. აცნობებს, რომ ბედნიერია, რადგან, როგორც კი როსტოვს გასცდა, დაინახა ლურჯი ცა და იგრძნო მხურვალე მზე. ქუთაისში გაზაფხული და სითბოა. ჩავიდა თუ არა, ღვინოს მიაშურა, სვამს და წერს ბარათს. ჰპირდება, რომ მალე ჩავა, მაგრამ არ იცის, როგორ გადაიტანს მოსკოვის სიცივეს. საქართველოში გრძნობს, რომ ღმერთია. სთხოვს, იცხოვროს ისე, როგორც შეშვენის ქალს, რომელიც მგოსნის რჩეულია – როგორც „პრინცესამ“.

➤3030

1916

29 ნოემბერი

ქუთაისში მიდის ოლია ოკუჯავას მშობლებთან. ყველანი კარგად ხვდებიან: დედა – ელისაბედ პერემუშევა-ოკუჯავა, მამა – სტეფანე ოკუჯავა, და – მარიამი, რძალი ნინა გვახარია და ოლიას ძმები: შალვა და ვასილი. ოლიას უმცროსი და დაახვედრებს კალმისტარს, რომ წერაში ხელი არ შეეშალოს. სითბოს და ყურადღებას დანატრებული გალაკტიონი თავს ბედნიერად გრძნობს და ყველა უყვარს გარშემო, მაგრამ ისეთი დაღლილია, რომ დილით დაწოლილი ღამითღა იღვიძებს.

➤3031

1916

30 ნოემბერი

ქუთაისშია და საფოსტო ბარათზე წერს ოლია ოკუჯავასთან მოსკოვში გასაგზავნად წერილს. უყვება, როგორი სითბოთი შეხვდა მისი ოჯახი, როგორი ბედნიერი იყო ამით, მაგრამ ამავე დროს საკუთარ თავს გრძნობდა უბედურ, დაწყევლილ ქუჩის ბიჭად.

➤3032

1916

30 ნოემბერი

ქუთაისშია და საფოსტო ბარათზე წერს ოლია ოკუჯავასთან მოსკოვში გასაგზავნად მეორე წერილს. სწერს, რომ თუ ჯარიდან გათავისუფლება მოახერხა, მალე საკუთარ საღამოს გამართავს და ფული შეუვა. აღტაცებულია საოცრად თბილი ამინდებით. სურს, რომ იები დაკრიფოს და ოლიას წაუღოს. აინტერესებს, მას თუ მიუტანენ ყვავილებს თავის საღამოზე.

➤3033

1916

**30 ნოემბერი**

ზის კაფეში და საფოსტო ბარათზე წერს ოლია ოკუჯავასთან მოსკოვში გასაგზავნ კიდევ ერთ წერილს. მეორე დღეა ქუთაისშია და თავისი გარემოცვიდან არავინ უნახავს. უცებ კაფეში შედის გრიგოლ ლალიძე, ყველას ესალმება, მას კი არ იმჩნევს. გალაკტიონი ისეთ ხასიათზეა, რომ ეჩვენება, აღარც ოლიას უყვარს და არც ვინმე სხვას, სიკვდილი უნდა, მაგრამ იცის, რომ ჯერ არ მოკვდება, რადგან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. ამიტომ ბრაზდება და „მთელ დედამიწას დუელში იწვევს“. მთელ ამ ამბებს და განწყობებს წერს ბარათში და სხვა სამ ბარათთან ერთად უგზავნის ოლიას.

➤3034

1916

**დეკემბრამდე**

ქუთაისის თეატრის ფოიეში დგას პაოლო იაშვილთან ერთად. მათთან მიახლოებული დავით ქებაძე ირონიულ მზერას ესვრის პაოლოს და ეუბნება: „პავლე, რომ დაიყვანე, სადაა შენი ყანწები“, რითაც მიაწინებს ჟურნალის „ცისფერი ყანწები“ მეორე ნომრის გამოსვლის დაგვიანებაზე. გალაკტიონს არ სიამოვნებს მისი ეს რეპლიკა.

➤3035

## დეკემბერი

1916

**11 დეკემბერი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იბეჭდება ლექსი „ჩემო მადონნავ!“.

➤3036

1916

**15 დეკემბრამდე**

მხატვარ თეოდორ ჩუდეცკის სახლში, სადაც იმხანად ცხოვრობს გალაკტიონ ტაბიძე, სტუმრად მიდის მხატვარი ვასილი კროტკოვი და დიდ ქაღალდზე, პროფილში ხატავს გალაკტიონის პორტრეტს, შემდეგ კი მის ხატვას იწყებს თეოდორ ჩუდეცკიც.

➤3037

1916

**15 დეკემბრამდე**

იგებს, რომ ქუთაისში გაგზავნილ წერილებში ტიცინ ტაბიძე მას ირონიულად იხსენიებს და გრძნობს, რომ ეს მათ ურთიერთობას დასასრულისკენ წაიყვანს.

➤3038

1916

**15 დეკემბრამდე**

უსიამოვნო დაპირისპირება აქვს ვალერიან გაფრინდაშვილთან და პაოლო იაშვილთან. ერთმანეთს ისეთ საწყენ რამეებს ეუბნებიან, რომ მომავალში კვლავ დაახლოება გაუჭირდებათ, მაგრამ გალაკტიონი არ ნანობს.

➤3039

1916

**15 დეკემბერი**

ქუთაისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის მეუღლეს – ოლია ოკუჯავას. აცნობებს, რომ ჯერ სიახლეები არ აქვს, მაგრამ როდესაც საქმეებს ბოლომდე მიიყვანს, შეატყობინებს. ცხოვრება

მიდის ჩვეულებრივად, უფერულად და უსიხარულოდ. 23 დეკემბერს ქუთაისის თეატრში აქვს სალიტერატურო სადამო და ძალიან უშლიან ხელს მის ორგანიზებაში. ატყობინებს, რომ ჯარში გაწვევის საქმე ჯერ კიდევ გაურკვეველია და ეშინია გამოცხადება. ფიქრობს, რომ ნერვებად არის გადაქცეული და ძალიან მწარეა მისი ცხოვრება. ნატრობს, რომ ისიც ოლიასთან იყოს მოსკოვში. სთხოვს, თავს გაუფრთხილდეს და ილოცოს მისთვის, რომ გაიმარჯვოს დაგეგმილ სადამოზე. დარწმუნებულია, რომ არავინ მიუტანს ყვავილებს, მაგრამ იმ დღეს მასთან განუყრელად იქნება ოლიას ოცნება და ეს გაამხნევეს. მიაჩნია, რომ ქუთაისში ყველა მტრობს. იმედოვნებს, რომ ჩავა მოსკოვში და იცხოვრებენ ერთად კარგ ოთახში, ყველასგან მოშორებით.

➤3040

1916

### 16 დეკემბერი

გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ პარასკევს, 23 დეკემბერს, ქუთაისის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო სადამო.

➤3041

1916

### 21 დეკემბერი

გაზეთი „სამშობლო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ პარასკევს, 23 დეკემბერს, ქუთაისის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო სადამო, რომელზეც პოეტი წაიკითხავს გამოუქვეყნებელ ლექსებს. გაზეთი ასევე იუწყება იმის შესახებაც, რომ მხატვარმა – ვასილი კროტოვმა დახატა პოეტის პორტრეტი.

➤3042

1916

### 23 დეკემბერი

ქუთაისის თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის სადამო. ღონისძიება იწყება ალექსანდრე წერეთლის ლექციით. ცოცხალ სურათად წარმოდგენილია სამი ქალი თეთრ მოსასხამში, ქალი ჭიანურით ხელში და თეთრ სვეტს მიყრდნობილი, ნაბადმოსხმული პოეტი. ჭიანურის ფონზე, ლექსს „მერი“ ლოჟიდან კითხულობს პაოლო იაშვილი ისე ხმამაღლა, რომ ლექსს ელფერს უკარგავს. ლელი ჯაფარიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი კითხულობენ ლექსებს: „მე და ღამე“, „ვერხვები“ და სხვ. ბოლო განყოფილებაში საკუთარ ლექსებს თავად გალაკტიონ ტაბიძე კითხულობს. დები იშხნელები გიტარის თანხლებით მღერიან მის ლექსებს. საზოგადოება მხურვალე ტაშით აჯილდოებს პოეტს.

➤3043

1916

### 25 დეკემბერი

გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ 23 დეკემბერს, ქუთაისის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის ტრადიციული სადამო. აღნიშნულია, რომ ეგონათ, მგოსნის სახელი გარანტია იქნებოდა საზოგადოების პატივისცემისა და საინტერესო სადამოს ბევრი ხალხი დაესწრობოდა, მაგრამ თეატრში არ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც სიტყვიერად გალაკტიონ ტაბიძის სახელით ამაყოფენ.

➤3044

1916

### 25 დეკემბერი

ჟურნალის „ცისფერი ყანწები“ მეორე ნომერში იბეჭდება გრიგოლ რობაქიძის ლექსი „სონეტი ლოცვის“ მიძღვნიტ: „ახალ მხედართ: ვ. გაფრინდაშვილს, პ. იაშვილს, ტ. ტაბიძეს, გ. ტაბიძეს“.

➤3045

1916

**23-28 დეკემბერი**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ მოსკოვიდან გაგზავნილ წერილებს. ბარათებს, რომლებიც მისთვის გასაგზავნად ჰქონდა გამზადებული, ხევს და წერს ახალ, საპასუხო წერილს. აცნობებს, რომ საღამო საცოდავად ჩატარდა, არავინ მივიდა და რცხვენია. ჯარში გაწვევის საქმეც გაურკვეველია. წერს, რომ მალე ჩავა მოსკოვში. ქუთაისში ძლიერ ცუდად გრძნობს თავს და სულ ქეიფობს.

➤3046

1916

**25-28 დეკემბერი**

ოლია ოკუჯავასთვის მოსკოვში გასაგზავნად წერს შობა-ნათლისღების დღესასწაულების მისალოც ბარათს.

➤3047

1916

**28 დეკემბერი**

წერს მოსკოვში ოლია ოკუჯავასთვის გასაგზავნად ბარათს. აცნობს თავის გადაწყვეტილებას, რომ როდესაც მოსკოვში ჩავა, აუცილებლად ერთად უნდა იცხოვრონ. აპირებს, რომ წასვლამდე რაიმე ტანსაცმელი უყიდოს თავის „დედოფალს“. ოცნებობს მასთან ყოფნაზე და ბავშვზე. აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა იანვრიდან შანიავსკის უნივერსიტეტში ჩაწერა, რის გარეშეც სტიპენდიას არ დაუნიშნავენ. ამ ბარათს მანამდე დაწერილ ორ ბარათთან ერთად აგზავნის მოსკოვში.

➤3048

1916

**29 დეკემბერამდე**

მოსკოვიდან ქუთაისში იღებს ოლია ოკუჯავას წერილს.

➤3049

1916

**29 დეკემბერი**

სტუმრად მიდის ოლია ოკუჯავას მშობლებთან ოლიას წერილისა და ტიცინის ფოტოს წასაღებად. წერილს აძლევენ, მაგრამ ტიცინის სურათს ვერ პოულობენ. ადგილზე იგებს, რომ ოლიას ძმას – მიხეილს და მის მეუღლე ეკატერინე ხალვაშს ბავშვი შეეძინათ. ნახულობს ახალშობილს და მშობლებს ულოცავს, მაგრამ დიდხანს ვერ რჩება, რადგან ეტლი უცდის. მათგან გამოსული წერილში აღწერს ამ ამბებს და უგზავნის ოლიას.

➤3050

1916

**დეკემბერი**

ქუთაისში ცხოვრობს მხატვარ თეოდორ ჩუდეცკისთან და გაიცნობს მასთან სტუმრად მისულ აკაკი ვასაძეს, რომელიც მხატვრობითაა გატაცებული. გალაკტიონი სთხოვს მისი ჩანახატის გაკეთებას. პოეტს შავი სატინის ხალათი აცვია, მხრებზე ლაბადა აქვს მოსხმული და შავი ბელგიური ქუდი ახურავს. ვასაძე ოცი წუთის განმავლობაში ცდილობს მის დახატვას, მაგრამ რწმუნდება, რომ პოეტის უსაზღვროდ მოძრავი სახის დახატვა მის შესაძლებლობებს აღემატება.

➤3051

1916

**დეკემბერი**

წერს ლექსს „ოთხი დრო“, ავტოგრაფზე აღნიშნულია თარიღი „1916 წ. ზამთარი“.

➤3052

**1916**

წერს ლექსს „ათი ქალწული“.

➤3053

**1916**

წერს ლექსს „ჩემო გულისთქმავ“.

➤3054

**1916 ან შემდეგ**

იწყებს ოთხმოქმედებიანი პიესის წერას სათაურით „მგლოვიარე სერაფიმები“. გეგმის მიხედვით მოქმედება უნდა განვითარდეს წელიწადის დროების მიხედვით, მაგრამ მალევე წყვეტს წერას.

➤3055

**1916 ან შემდეგ**

მიხეილ გაჩეჩილაძის შედგენილი კრებულის „ჩანგი“ რუბრიკაში „ახალგაზრდა ქართველი მგოსნები“ კითხულობს ალექსანდრე აბაშელის ლექსებს და იწერს რითმებს. აღნიშნავს, რომ „შეცდომების გასწორების“ სამ სტრიქონში 10 შეცდომაა დაშვებული,

➤3056

**1916 ან შემდეგ**

კითხულობს ვლადიმერ ნევესკის ლექსების კრებულს „ტფილისი“ და იქვე წერს ერთ-ერთი ლექსით გამოწვეულ მოგონებას. წიგნზე მინაწერში ნათქვამია, რომ 1915-1916 წლებში, როდესაც გალაკტიონი მოსახლეობის აღწერაზე დადიოდა მათთან ერთად იყო ერთი მასწავლებელი, გვარად ჟორჟოლიანი. ის ყველა სოფელში ეძებდა გასათხოვარ მზითვიან ქალს. თან დაჰქონდა სკივრი ჩოხა-ახალუხით. მაჭანკლითა და რამდენიმე ამხანაგით მიდიოდა ქალის სანახავად. ოჯახი დიდებულად ხვდებოდა, სასიძო კი დიდხანს ათვალიერებდა პატარძალს როგორც საყიდელ ნივთს და დამშვიდობებისას შუამავლი ეუბნებოდა მათ, სასიძომ თქვენი ქალი დაიწუნაო. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ეს იყო ქალისთვის საშინლად შეურაცხმყოფელი ვაჭრობა.

➤3057

**1916 ან შემდეგ**

სათაურით „წერილები შორიდან“ („სულ ამაო ყოფილა წუთისოფლის დარება...“) იწყებს ლექსის წერას, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤3058

**1916 შემდეგ**

წერს მოგონებას ცისფერყანწელებზე: „აქ ალი არსენიშვილმა თავის გულწრფელ სიტყვაში...“.

➤3059

**1916 შემდეგ**

წერს ლექსს „ეპოქა გალაკტიონისა“ („საქართველოში დღეს ყოველ მგოსანს...“).

➤3060

**1917**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1917**

**1 იანვრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „დედაო ღვთისავ, დედოფალო წმიდა მარიამ...“.

➤3061

1917

**1 იანვარი**

ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ საახალწლო ნომერში ქვეყნდება ლექსი „დედაო ღვთისავ!“ („დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!..“).

➤3062

1917

**2 იანვარი**

ტიციან ტაბიძე ვალერიან გაფრინდაშვილს მოსკოვიდან სწერს, რომ აინტერესებს 23 დეკემბერს ქუთაისში როგორ ჩაიარა გალაკტიონ ტაბიძის საღამომ, რომლის შესახებაც რეცენზია წაიკითხა გაზეთში „ჩვენი მეგობარი“. მართალია, პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ საინტერესო საღამო იყო, მაგრამ, მისი აზრით, გიტარის რომანსები გარდა იმისა, რომ პროვინციულია მიუღებელიცაა.

➤3063

1917

**6 იანვარი**

ძმისშვილი ივანე ადეიშვილი წერილს უგზავნის გალაკტიონის დედას, მაკრინეს და მოიკითხავს მის ვაჟებს, აბესალომსა და გალაკტიონს. ინტერესდება, სად არიან და როგორ.

➤3064

1917

**11 იანვარი**

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს აკაკი პაპავას სტატიის „წლის ნაკვეთები“ დასაწყისს. ავტორი აღნიშნავს, რომ ალექსანდრე შანშიაშვილს, რომელიც პოემების წერამ გაიტაცა, კარგი მოწაფე გამოუჩნდა ლირიკაში. ახალი პოეზიის ეს დარგი გალაკტიონ ტაბიძემ ღირსეულად დაამუშავა და ორიგინალური სახე მისცა. ის ძალიან საყურადღებო პოეტია და მისი სათუთი შემოქმედება დიდი გულწრფელობით, ნაზი მუსიკითა და მომხიბლავი უცხო ჰანგებით გამოირჩევა.

➤3065

1917

**12 იანვარი**

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ აქვეყნებს აკაკი პაპავას სტატიის „წლის ნაკვეთები“ დასასრულს. ავტორი აღნიშნავს, რომ სიკო ფაშალიშვილის პოეზიას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მსგავსად მუსიკალური, ძლიერი ტონები და იდუმალი განცდები ახასიათებს.

➤3066

1917

**17 იანვრის შემდეგ**

ოლია ოკუჯავა რუსულ ენაზე მხატვრულ-ესეისტურ სტილში წერს წინასიტყვაობას გალაკტიონის ლექსების წიგნისთვის.

➤3067

1917

**22 იანვარი**

მიდის ვასილი კროტკოვის სახელოსნოში სადაც მხატვარი ასრულებს მის პორტრეტზე მუშაობას. პორტრეტზე იგი ანფასშია გამოსახული.

➤3068

1917

**24 იანვარი**

გაზეთში „კუტაისსკიე ვესტი“ რუბრიკით „ქართული ლიტერატურის გვერდები“, ქვეყნდება გალაკტიონის ლექსის „დედაო ღვთისავ!“ არკადი ბელოვოლენკოსეული თარგმანი სათაურით „პოეტის აღსარება“ .

➤3069

1917

**29 იანვარამდე**

გაიცნობს ქუთაისში ჩასულ პოპულარულ რუს პოეტს – იგორ სევერიანინს, რომელიც მასზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

➤3070

1917

**29 იანვრამდე**

შემთხვევით ხვდება ოლიას დედას – ელისაბედ პერემუშევა-ოკუჯავას, რომელიც ძალიან აღელვებულია და საყვედურობს ოლიასთვის წერილების მიუწერლობისთვის.

➤3071

1917

**29 იანვარი**

ქუთაისიდან მოსკოვში ბარათს უგზავნის ოლია ოკუჯავას. შეახსენებს, რომ აპირებს თავისი ლექსების რუსული თარგმანების წიგნად გამოცემას და ამიტომ ოლიამ მისთვის შესავალი წერილის დაწერა მანამდე უნდა მოასწროს. ჰპირდება, რომ მოსკოვში გამგზავრების თარიღს დეკემბით შეატყობინებს.

➤3072

1917

**29 იანვარი**

ქუთაისიდან მოსკოვში კიდევ ერთ ბარათს უგზავნის ოლია ოკუჯავას. აცნობებს, რომ საქმე ძალიან არეულად აქვს, ყველაფერი მოსწყინდა, ჯარში გაწვევასაც ვერაფერი მოუხერხა, არც კი გამოცხადებულა. მისი თქმით, არაფერს აკეთებს, რადგან არც კი იცის, ღირს თუ არა ქართველებისთვის თავის გაწირვა. ჰპირდება, რომ თუ ჯარის საქმეს მოაგვარებს, მოსკოვში ტრიუმფით ჩავა. სწერს, რომ უხარია მისი სამსახურში მოწყობა და სთხოვს, რომ თავს მიხედოს.

➤3073

1917

**იანვარი ან ადრე**

მშობლიურ სოფელში იღებს ძმის წერილს. აბესალომი აფრთხილებს, რომ ვიღაცეებმა ისინი დაასმინეს ჯარიდან თავის დახსნის გამო. არიგებს, რომ სახლში ყოფნა უსაფრთხო არ არის და რომელიმე ნათესავთან გადავიდეს. ასევე, თუ ჰკითხავენ, უპასუხოს, რომ ჯარიდან ორივე ძმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაათავისუფლეს.

➤3074

1917

**იანვარი**

ქუთაისის თეატრში ესწრება თბილისელი მსახიობების წარმოდგენას და ამჩნევს, რომ სუფლიორი ბეგლარ ახოსპირელი, რომელიც ყოველთვის ზომაზე მეტად ხმამაღლა კარნახობდა ხოლმე მსახიობებს და დარბაზის გულისწყრომას იმსახურებდა, ამჯერად იმდენად სუსტი ხმით

სუფლიორობს, რომ სპექტაკლის მონაწილეებს ძლივს ესმით. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ბეგლარს შიმშილისაგან ჩაუწყდა ხმა და, მიუხედავად იმისა, რომ პირადად არ იცნობს, გადაწყვეტს წარმოდგენის შემდეგ ვახშამზე დაპატიჟებას. ღამის 12 საათზე თეატრიდან რესტორანში მიდიან, სადაც უკვეთავენ საუკეთესო ღვინოს, საცივს, ღომს, სულგუნსა და მწვადს. ბეგლარი ეუბნება, რომ მასაც ჰქონდა გალაკტიონის გაცნობის სურვილი, მაგრამ იმის გამო, რომ ის ხან თბილისში იყო წასული, ხან პეტროგრადში, მოსკოვსა და კიევში, ეს სურვილი ვერ განახორციელა. რაკი სიტყვა მოგზაურობაზე ჩამოვარდება, ბეგლარი უკითხავს საკუთარ ლექსს უგზო-უკვლოდ ხეტიალში დაკარგული მეგობრის შესახებ. ქეიფის შემდეგ, შეზარხომებულებს უთანხმოება მოსდით პოლიციელთან, რომელსაც ბეგლარი ეპოლეტს ჩამოახევს. გალაკტიონი და მისი სტუმარი გზას აგრძელებენ, მაგრამ პოლიციის სამმართველოსთან რომ ჩაივლიან, უცებ სადღაც დან ისევ ის პოლიციელი გამოჩნდება, ორივეს აკავებს და ღამეს სატუსალოში ატარებინებს. დილით გუბერნატორთან წარსადგენად იგივე პოლიციელი ოქმს ადგენს და დაკავებულებს დროებით ათავისუფლებს. გუბერნიის სამმართველოში ოქმი ხვდება ვინმე დადიანის ხელში, რომელიც შორიდან იცნობს გალაკტიონს და არ უნდა მისი დაკავება. ის ამ ოქმს გუბერნატორთან წარდგენის ნაცვლად ქაღალდების დასტის ქვეშ დამალავს, რომ საქმე გააჭიანუროს. კვირანახვერის შემდეგ პოლიციელი თავად აცნობებს გუბერნატორს, რომ მისთვის ასეთი ოქმი უნდა წარედგინათ და დადიანი იძულებულია დამალული საბუთი გამოაჩინოს. გალაკტიონს და ბეგლარ ახოსპირელს პატიმრობას უსჯიან, მაგრამ დადიანი დროულად აფრთხილებს გალაკტიონს, რომ ბინაზე მიაკითხავენ. ამიტომ ის მეგობარ მხატვართან – თეოდორე ჩუდეცკისთან გადადის საცხოვრებლად და ქუჩაში გამოსვლას ერიდება. ასევე იმალება ახოსპირელიც.

➤3075

1917

**იანვარი ან შემდეგ**

ქართულად თარგმნის იგორ სევერიანინის ლექსს „პოეზია გახელილი თვალების“.

➤3076

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1917

**25 თებერვლამდე**

ცხოვრობს ქუთაისში, მხატვარ თეოდორ ჩუდეცკისთან ერთად, პაოლო იაშვილის მამის – ჯიბო იაშვილის სახლში და შთაგონებისთვის საწერ მაგიდაზე ბაგრატის ტაძრის ნანგრევიდან წამოღებული ქვის ორნამენტი უდევს. მატერიალურად გამოუვალ მდგომარეობაშია. თუ ფულს იშოვის, დროს რესტორნებში ატარებს, მეორე დღეს კი კომმარებსა და სრულ უიმედობაშია. არ მუშაობს, ოჯახთან არ აქვს კავშირი, რადგან არაფერი გააჩნიათ და ვერაფრით ეხმარებიან. რედაქციებშიც საქმე ცუდად მისდის.

➤3077

1917

**25 თებერვალი**

რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებით ქუთაისშიც არეულობა და აპატიმრებენ თავად იმ პოლიციის უფროსს – ლავრენტი მახარაძეს, რომელსაც უნდა დაეკავებინა გალაკტიონი.

➤3078

1917

**25 თებერვლის შემდეგ**



ქუთაისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას, მაკრინე ადვიშვილს. უბოდიშებს, რომ ვერ ჩადის სოფელში, რადგან დიდი საქმეები ქუთაისის მიტოვების ნებას არ აძლევს. ურჩევს, გამაგრდეს და გამხიარულდეს, იმიტომ რომ მთელი ქვეყანა გახარებულია თავისუფლებით.

➤3079

1917

### 25 თებერვლის შემდეგ

წითელი და ლურჯი ფანქრებით არედაქტირებს ათი წლით ადრე დაწერილ ლექსს „ორი საემბაკო“, სათაურად აწერს „ერთხელ ვიტტეს და სტოლიპინს“ და ამატებს ბოლო სტროფს, რომელშიც ნახსენებია 1917 წლის რევოლუცია.

➤3080

1917

### 26 თებერვალი

ქუჩაში ხვდება ოლია ოკუჯავას მამას, სტეფანე ოკუჯავას, რომელიც თბილად ესაუბრება.

➤3081

1917

### 27 თებერვალი

ქუთაისიდან მოსკოვში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. სწერს, რომ ჯერჯერობით მოსკოვში გამგზავრებას ვერ ახერხებს, რადგან საქმეები ცუდად მისდის. შეიძლება წიგნი გამოსცეს და დასჭირდეს მოსკოვში დატოვებული ხელნაწერების გაგზავნა. თუ ასე იქნება, შეატყობინებს.

➤3082

1917

### 28 თებერვლამდე

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, რომ ის ცხოვრების ზღაპარს ეძებს, გალაკტიონი კი ამას ვერ აძლევს. უკვირს, როგორ არის ბუნებით ისეთი უხეში ადამიანი, რომლის წერილებიც კომერსანტის ნაწერს ჰგავს, პოეტი.

➤3083

1917

### 28 თებერვალი

მოსკოვში მყოფი ოლია ოკუჯავა დღიურში აღწერს, როგორი აღტაცებით შეუერთდა რევოლუციონერებს, როგორ ეძახდა აჯანყებულთა მხარეზე გადასულ ოფიცრებს ქართულად სიტყვებს „შენ გენაცვალე“, რომლებითაც ის, ჩვეულებრივ, მხოლოდ თავის სატრფოს, გალაკტიონს მიმართავს ხოლმე.

➤3084

## მ ა რ ტ ი

1917

### 1 მარტი

რომანოზ ფანცხავა წერილს უგზავნის ახესალომ ტაბიძეს და ატყობინებს, ახალ წელს გალაკტიონმა მოთხრა თქვენზე, თითქოს ჯარში გიწვევდნენ, მიხარია, რომ ეს არ გამართლდა და თქვენს მოთხოვნებს დიდი სიამოვნებით გადავცემ რედაქციასო.

➤3085

1917

### 13 მარტი

ქუთაისშია და წერს ლექსს „დროშები ჩქარა!“ („გათენდა! ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...“).

➤3086

1917

**14 მარტი ან შემდეგ**

ხატავს მღვდელს, რომელიც მათეს სახარებას ქადაგებს. მღვდელს, გულის მხარეს, რუსულად აქვს მიწერილი ნიკოლაი ნიკოლაევიჩი.

➤3087

1917

**14 მარტი ან შემდეგ**

რვეულში იწერს მიხაილ ლერმონტოვის ლექსის „გამოვდივარ გზაზე მარტო“ პირველ სტროფს, რომელშიც ლირიკული გმირი ნისლით შებურვილ ქვიან გზაზე მარტო მიდის, ღამე ჩუმია, უდაბნო უსმენს ღმერთს და ვარსკვლავი ვარსკვლავს ებაასება.

➤3088

1917

**14 მარტი ან შემდეგ**

რვეულში აკეთებს მამაკაცის ანფასის გრაფიკული ჩანახატს და აწერს მთარგმნელ არკადი ბელოვოლენკოს სახელს.

➤3089

1917

**14 მარტი ან შემდეგ**

რვეულში ზეპირად წერს სტრიქონებს ალექსეი ტოლსტოის პოემიდან „იოანე დამასკელი“ – „სანამ სამუდამო ძილით მძინავს, ჩემი სიყვარული არ კვდება“ და შეცდომით აწერს ლერმონტოვის გვარს.

➤3090

1917

**14 მარტი ან შემდეგ**

ორჯერ ხატავს კეპიან მამაკაცს პროფილში.

➤3091

1917

**14 მარტი ან შემდეგ**

ხატავს სკვერს, ლობეს, ძელსკამს და ხეს, რომლის უკანაც მოჩანს ეკლესიის გუმბათი.

➤3092

1917

**14 მარტი ან შემდეგ**

რვეულში რუსულად წერს, რომ არ უნდა ატაროს ყვავილები იმან, ვისაც ყვავილები არ უყვარს. იქვე ხატავს დიდყურებიანი წვერმოშვებული კეპიანი მამაკაცის სახეს.

➤3093

1917

**19 მარტი**

გალაკტიონ ტაბიძის თაოსნობით, ქუთაისში იწვევენ ხელოვანთა კრებას, რომელზეც არსდება ხელოვანთა საზოგადოება და ამ საზოგადოების გამგეობა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დროებით კომიტეტს, რომელმაც თავი რუსეთის იმპერიის მმართველ ორგანოდ გამოაცხადა, მისალმების დეკემას უგზავნის.

➤3094

1917

**21 მარტი**

გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ ქუთაისში, სათავადაზნაურო ბანკში, გაიმართა ქართველ ხელოვანთა კრება იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ ხელოვანებს ახალი ვითარებისადმი და რამდენად სასურველია ქართველ ხელოვანთა საზოგადოების დაფუძნება. აირჩიეს საზოგადოების საორგანიზაციო ბიურო – ნინო ჩხეიძის, აკაკი ფაღავას, ჯაჯუ ჯორჯიკიას, გალაკტიონ ტაბიძის, კოტე ფოცხვერაშვილისა და გრიგოლ მესხის შემადგენლობით.

➤3095

1917

**23 მარტი**

ახალდაარსებულ გაზეთში „სოციალ-დემოკრატი“ ხელმოწერით „გალაქტიონი“ ქვეყნდება ლექსი „დროშები ჩქარა!“

➤3096

1917

**24 მარტი**

წერს ლექსს „ნიკოლოზ II“.

➤3097

1917

**25 მარტი**

გაზეთში „სოციალ-დემოკრატი“ ხელმოწერით „გალაქტიონ ტაბიძე“ იბეჭდება ლექსი „ნიკოლოზ II (სონეტი)“.

➤3098

1917

**25 მარტი**

ხარება დღეა, ოლია ოკუჯავა მოსკოვშია, ახველებს და ექიმთან მიდის, მაგრამ ადგილზე არ ხვდება. თავს მარტო გრძნობს და მოუთმენლად ელის გალაკტიონისგან წერილის მიღებას ან მის ჩასვლას, მაგრამ ამაოდ. მოსკოვის ქუჩები სავსეა სადღესასწაულოდ მორთული ხალხით. ოლია კინოთეატრში შედის, სადაც გადის ფილმი „ფარდა ჩამოშვით“, ახალგაზრდა შეყვარებულ მევიოლინეს გალაკტიონს ადარებს და თანაუგრძნობს.

➤3099

1917

**26 მარტი**

ოლია ოკუჯავა ტიციან ტაბიძისგან იგებს, რომ გალაკტიონი ქუთაისშია და ძალიან ბრაზდება, რომ მის წერილებს არ პასუხობს. დღიურში მიმართავს მას მუქარით, რომ მსახიობი გახდება, ძალიან კარგად ითამაშებს როლებს და მას და მისნაირებს თავის ჭკუაზე ხან ატირებს, ხან აკვნესებს, ხან აცინებს, ხან სინანულში ჩააგდებს და ამით გადაუხდის სამაგიეროს. ადანაშაულებს, რომ მხოლოდ საკუთარ საქმეზე ფიქრობს და კარიერისტს უწოდებს.

➤3100

**აპრილი**

1917

**3 აპრილი**

წერს სატირულ ლექსს „შენიშნული“ („ერთს რამეს ჩემს შენიშნულსა...“).

➤3101

1917

### 3 აპრილის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს თბილისში მოდად ქცეული ერთი უაზრო ფრაზის შესახებ „გაუშვი, წავიდეს!“ და წერს ორსტროფიან ლექსს ამის შესახებ „თუ მდიდრათ გამოწყობილსა გადაედობე ქუჩაში...“.

➤3102

1917

### 5 აპრილის შემდეგ

რვეულში წერს, რომ გიგლა მებუკე და ნიკოლო მიწიშვილი თანამშრომლობენ გაზეთ „შრომასთან“, „ირდი“ სტატიებს ბეჭდავს გაზეთში „სამშობლო“, ხოლო არკადი ბელოვოლენკო თანამშრომლობს რუსულ გაზეთთან „კუტაისსკიე ვესტი“.

➤3103

1917

### 5 აპრილის შემდეგ

რვეულში წერს ქუთაისში გამომავალი პერიოდული გამოცემების სახელებს: „სოციალ-დემოკრატი“, „ჩვენი მეგობარი“, „სამშობლო“, „შრომა“, „ხმა ქართველი ქალისა“, „გოლოს სოლდატა“, „პრავდივოე სლოვო“, ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ და იმ დროს არსებული დაწესებულებების სიას: „მუშათა საბჭო“, „ადმსარულებელი კომიტეტი“, „ხელოვანთა ბიურო“, „ჯარისკაცთა საბჭო“.

➤3104

1917

### 5 აპრილის შემდეგ

მუშაობს ლექსზე სათაურით „მძინარე ქაოსი“.

➤3105

1917

### 25 აპრილი

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ვალერიან გუნიას სასცენო მოღვაწეობის 35-ე წლისთავთან დაკავშირებით 29 აპრილისთვის დაგეგმილი საღამოს მონაწილეთა შორის ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3106

1917

### 28 აპრილი

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 1 მაისს გამოვა ახალი ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო, სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ალიონი“, რომელშიც სხვა ავტორებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3107

1917

### აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი

უბის წიგნაკში ხატავს სხვადასხვა აბსტრაქტულ ჩანახატებს და პორტრეტებს.

➤3108

1917

### აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი

წერს პერიოდული გამოცემებისა და პირების სიას რომელთანაც მოსკოვში გამგზავრების წინ წერილის გაგზავნას აპირებს. ესენია გაზეთების „სოციალ-დემოკრატი“, „ერთობა“, „ჩვენი ქვეყანა“ „ალიონი“ და ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ რედაქციები, და კერძო პირები: ხარიტონ ვარდოშვილი, გრიგოლ ურატაძე, მაკრინე ადეიშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, თევდორე ჩუდეცკი, კოტე მათაშვილი და იოსებ კაკაბაძე.  
➤3109

1917

**აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

წერს სამოქმედო გეგმას და შესაძენი ნივთების სიას. ინიშნავს, რომ საშოვნელია ბინა და დასაგზავნია წერილები. გეგმავს აბანოში მისვლას. სურს შეიძინოს საპარსი საშუალებები, პერანგი, რამდენიმე საყელო და მანჟეტი, რვეულები, ეპითეტების წიგნი, რამდენიმე ჰალსტუკი, ფეხსაცმელები, სავიზიტო ბარათები და სადილის აბონიმენტი.  
➤3110

1917

**აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

წერს დეპეშის ტექსტს ოლია ოკუჯავას სახელზე, ატყობინებს, რომ ჯანმრთელადაა, კოცნის და სთხოვს, რომ ვალერიან გაფრინდაშვილის სახელზე არაფერი გაუგზავნოს.  
➤3111

1917

**აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

რვეულში იწერს, რომ როდესაც ტოლუმბაშს ირჩევენ, ერთი კვირით ადრე ატყობინებენ.  
➤3112

1917

**აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

ქუთაისიდან მიემგზავრება მოსკოვში.  
➤3113

1917

**აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

რვეულში წერს, რომ როდესაც ედგარ პო კვდებოდა, მას გულს კატა უთბობდა და ძველი ფარაჯა, ხოლო ვერლენი ძველ სასტუმროში მოკვდა.  
➤3114

1917

**აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

რვეულში იწერს დეტალებს ედგარ პოს, პოლ ვერლენისა და კარლ მარქსის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების შესახებ.  
➤3115

1917

**აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

ელიზავეტპოლიდან, ამჟამინდელი განჯიდან, ჰყვიშში წერილს უგზავნის დედას – მაკრინე ადეიშვილს. აცნობებს, რომ დიდი ხანია, გაემგზავრა ქუთაისიდან, მაგრამ გზაში ავად გახდა და მატარებლით ვეღარ იმგზავრა. მესამე დღეა, ელიზავეტპოლშია და ღამით მოსკოვში გამგზავრებას აპირებს. მოსკოვში დიდი ამბებია და ძალიან უხარია იქ ჩასვლა. ჰპირდება, რომ

მალე მეხივით დაიგრიალე მთელ დედამიწაზე და მტრებს გაანადგურებს, რადგან სახუმარო კაცი არ არის.

➤3116

1917

#### **აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

მოსკოვისკენ მგზავრობისას მატარებელში ხედავს უამრავ ჯარისკაცს. კაზაკები ბოდიშს უხდიან სხვა მეომრებს 1905 წელს მათი აჯანყების ჩახშობაში მონაწილეობის გამო. მეომრებს მკერდზე წითელი ნიშნები უკეთიათ. იგრძნობა საერთო ენთუზიაზმი და ურთიერთნდობა.

➤3117

1917

#### **აპრილის ბოლო - მაისის დასაწყისი**

იწყებს განცხადების წერას ქუთაისის სააზნაურო საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის სახელზე მისთვის მოსკოვში წასასვლელად სტიპენდიის დანიშვნის თხოვნით.

➤3118

### **მ ა ი ს ი**

1917

#### **მაისამდე**

იწყებს ნარკვევის წერას იტალიელი მხატვრების შესახებ. თავდაპირველად საუბრობს მე-19 საუკუნის ნაკლებად ცნობილი მხატვრის, კარლ ბრიულოვის მოსწავლის – ლუიჯი გალის შესახებ, რომლის ორი ნახატიც იმხანად 18 ათას ფრანკად გაიყიდა.

➤3119

1917

#### **მაისამდე**

წერს სატირულ ლექსს „ზამთარში ჩვენს ქალაქს არ შორდება ტლაპო...“.

➤3120

1917

#### **მაისამდე**

წერს პიესას, რომლის მოქმედი პირები არიან: ივანე, მისი ქალიშვილი ქეთო, კარისკაცი და სხვანი.

➤3121

1917

#### **1 მაისი**

პავლე საყვარელიძის რედაქტორობით, სანდრო აბაშელის, ვარლამ ბურჯანაძის, დავით თურდოსპირელის, გალაკტიონ ტაბიძის, ლეო ქიაჩელისა და სხვათა მონაწილეობით გამოდის ახალი ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო, სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ალიონი“.

➤3122

1917

#### **5 მაისის შემდეგ**

რუსულ ენაზე წერს სტატიას „აკაკი წერეთელი – დიდი ქართველი პოეტი“. წერილში წარმოჩენილია აკაკის პიროვნული და ლიტერატურული პორტრეტი. გალაკტიონი მიუთითებს, რომ აკაკი იყო ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ფართო მასების უდიდესი სიყვარულით იყო გარემოსილი. მან შექმნა ახალი ლიტერატურული ენა და

თავის თანამოაზრეებთან – ილია ჭავჭავაძესთან, გიორგი წერეთელთან და სხვებთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

➤3123

1917

10 მაისი

ტიციან ტაბიძე ელენე ბაქრაძეს სწერს, რომ მოსკოვში ჩავიდა გალაკტიონ ტაბიძე და როგორც ყოველთვის, საქართველოზე ცუდ ამბებს ყვება.

➤3124

1917

11 მაისი

მოსკოვის დიდი თეატრის დარბაზში ესწრება მაქსიმ გორკის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას, რომელზეც ხდება პოზიტიური მეცნიერებების განვითარებისა და გავრცელების თავისუფალი ასოციაციის შექმნის მხარდაჭერა. ამ ღონისძიებაზე გალაკტიონი პირველად ხვდება მაქსიმ გორკის.

➤3125

1917

20 მაისი

ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიული კავშირის სასარგებლოდ იმართება ლიტერატურული საღამო, რომელზეც ვარლამ ხუროძე კითხულობს ლექციას ქართული ლიტერატურის შესახებ და ერთ რიგში აყენებს: ნოე ზომლეთელს, ვარლამ რუხაძეს, გიორგი ქუჩიშვილს, ნოე ჩხიკვაძეს, გალაკტიონ ტაბიძეს და სხვებს, მეორე რიგში კი – სანდრო შანშიაშვილს, იოსებ გრიშაშვილსა და ფუტურისტებს.

➤3126

1917

25 მაისი

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ მოკლე ხანში თბილისში გამოვა პერიოდული მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „ამირანი“ და საგანგებოდ მიწვეულ მწერლებს შორის იქნება გალაკტიონ ტაბიძე.

➤3127

1917

მაისი ან შემდეგ

ვისენტე დე პარედისის ფერწერული ტილოს „ბაირონი და შელი ქენევის ტბაზე“ გამოსახულებიანი ღია ბარათის უკანა მხარეს წერს „ექსპრომტს“ („ორი ზღვა შეხვდა ერთიმეორეს...“), რომელსაც უძღვნის ოლია ოკუჯავას („ძღვნად ოლ-ოლს“).

➤3128

1917

მაისი ან შემდეგ

ირაკლი ამირეჯიბთან ერთად სტუმრობს ელენე ქართველიშვილ-ბაქრაძეს, შუალამმდე წრუპავენ თბილისიდან ჩატანილ კონიაკს, იგონებენ წარსულს და კითხულობენ ლექსებს. შემდეგ ემშვიდობებიან ახალგაზრდა, ცოცხალ და განათლებულ დიასახლისს და შინისკენ მიდიან. გზად ჩერდებიან გოგოლის ძეგლთან და დიდხანს უცქერენ, რადგან ორივეს მოსწონს. ამ დროს საიდანღაც გაისმა სროლის ხმა.

➤3129

1917

### 8 ივნისი

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, რომ მას და გალაკტიონს ერთმანეთის მიმართ მოვალეობის გრძნობა აქვთ და იმიტომ არიან ერთად.

➤3130

1917

### 8 ივნისის შემდეგ

იხსენებს და რვეულში ჩამოწერს მისი შემოქმედების შესახებ პირველ წერილობით გამოხმაურებებს. დასახელებულია ივანე გომართელის მიმოხილვა პოეტის პირველი წიგნისთვის და სტატიები: აკაკი პაპავას „გალაკტიონ ტაბიძის ლექსები“, ივანე ყიფიანის „გ. ტაბიძის ლექსები“ და გიორგი ჭუმბურიძის „უკანასკნელი წლების სიმბოლიზმი“. გალაკტიონი წერს, რომ აკაკი პაპავა მიიჩნევდა მის ლექსებს „ნამდვილი თანამედროვეობის გამოხატულებად“, ივანე ყიფიანი კი ძირითადად იმეორებდა ივანე გომართელის შეხედულებებს და ერთადერთი ის დაამატა, რომ გალაკტიონი ნიკოლოზ ბარათაშვილზე შორს წავიდა თავისი პესიმიზმით.

➤3131

1917

### 17 ივნისი

გაზეთი „სახალხო ფურცელი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების საბჭო და მწერალთა საგანგებო კომისია კვირას, 9 ივლისს იწვევს ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის მწერლების ყრილობას თბილისში. ბიურო მოუწოდებს მონაწილეებს, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძეს, მიიღონ ყრილობაზე დასასწრები ბარათები.

➤3132

1917

### 18 ივნისი

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ კვირას, 9 ივლისს 12 საათზე ახალი კლუბის დარბაზში გაიმართება ქართველ მწერალთა ყრილობა და ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების საბჭოსა და მწერალთა საგანგებო კომისიისაგან შემდგარი ბიუროს სახელით მიწვეულ პირებს სთხოვს, დროულად აიღონ ყრილობაზე დასასწრები ბარათები. მიწვეულთა სიაში დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძეც.

➤3133

1917

### 18 ივნისი

ჭყვიშში იხსნება გალაკტიონ ტაბიძის სახელობის უფასო წიგნთსაცავი-სამკითხველო.

➤3134

1917

### 21 ივნისი

მოსკოვშია და საღამოს 10 საათზე წერს ლექსს, სათაურით „გული“, შემდეგ სათაურს გადახაზავს და აწერს „პრელუდიები“. ბოლოს იმასაც გადახაზავს და აწერს „გედები, ვარდები“.

➤3135

1917

### 11 ივლისამდე

იღებს ჭყვიშიდან მოსკოვში დედის – მაკრინე ადგიშვილისა და ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ გაგზავნილ წერილს.



➤3136

1917

**11 ივლისი**

მოსკოვიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას – მაკრინე ადგიშვილსა და ძმას – აბესალომ ტაბიძეს. აცნობებს, რომ ძალიან კარგად არის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნოემბრამდე მონაწილეობას ვერ მიიღებს, რადგან მთელი დღეებისა და ღამეების მანძილზე მეორე წიგნს ამზადებს, ნაწერებს ასწორებს. ფიქრობს, რომ წიგნს შინაარსის მხრივ, ვერავინ დაიწუნებს, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ლექსი იქნება. აპირებს, იანვრამდე წიგნი აუცილებლად დაბეჭდოს, სიცოცხლედაც რომ დაუჯდეს, მაგრამ ამ ამბავს ჯერ საიდუმლოდ ინახავს. იცის, რომ მეორე წიგნით ყველაფერი გადაწყდება. ფიქრობს, რომ ასეთ წიგნს ბევრს ვეღარ დაწერს, მაგრამ თუ ვერ დააფასებენ, არც ამაზე დაწყდება ძალიან გული, მისთვის უმთავრესია, რომ ვალი მოიხადოს ხელოვნების წინაშე.

➤3137

1917

**28 ივლისამდე**

მზად აქვს მრავალი საინტერესო ისტორიული გამოკვლევა და წერილები ხელოვნებაზე – ქანდაკებაზე, პოეზიაზე და სხვა. მოსკოვის მუზეუმებში პოულობს ბევრ მასალას საქართველოს წარსულის გასაშუქებლად. კითხულობს არაერთ ისეთ წიგნს, რომელიც ჯერ არავის გამოუყენებია.

➤3138

1917

**28 ივლისამდე**

ივანე ტაბიძე გალაკტიონის ოჯახს მასთან გასაგზავნად აწვდის წერილს, რომლითაც პოეტს აცნობებს, რომ მასთან დალაპარაკება ვერ მოახერხეს და ამიტომ შეუთანხმებლად გახსნეს მისი სახელობის სამკითხველო. ამ სამკითხველოს მხარდაჭერა აღუთქვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებამაც. სთხოვს თანხმობას და თანადგომას, რადგან ხალხის გადაწყვეტილებაა, რომ სამკითხველო გალაკტიონის სახელს ატარებდეს.

➤3139

1917

**28 ივლისი**

მოსკოვიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას – მაკრინე ადგიშვილს და ძმას – აბესალომ ტაბიძეს. უბოდიშებს, რომ წერილი დაუგვიანდა, მაგრამ მისი ბრალი არ არის, მოსკოვი აღელვების ცეცხლში იყო გახვეული და დამშვიდდა საშინელი ბედისწერის მოლოდინში. იმედოვნებს, რომ მისი წიგნი გამოვა. აქვს მასალები მრავალი საინტერესო წერილისა და ისტორიული გამოკვლევებისთვის. სთხოვს, არავის უთხრან ამის შესახებ, რადგან არ უნდა, ვინმემ იცოდეს მისი მიზნები. ყველაფრის მოსაწესრიგებლად დრო სჭირდება და მომდევნო წლის ივნისამდე ვერ ჩავა საქართველოში. სექტემბრისთვის აპირებს ფრანგული, გერმანული და ინგლისური ენების შესწავლას უნივერსიტეტში, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მიიღებენ მისი ლექსების მეორე წიგნს. აცნობებს, რომ მისი სახელობის სამკითხველოს გახსნის შესახებ შეიტყო მათი წერილებიდან და იმ ოთხი ქართული გაზეთიდან, რომლებიც მას მისდის: „სოციალ-დემოკრატი“, „ერთობა“, „ალიონი“ და „ჩვენი ქვეყანა“. სთხოვს, არ შეარცხვინონ და სამკითხველო არ დახურონ უსახსრობის გამო, რადგან მეორედ და მესამედ აღარ დაარქმევენ მის სახელს. აინტერესებს, სად არის და რას აკეთებს ტიციან ტაბიძე, რომელსაც მოუთმენლად ელოდება მოსკოვში.

➤3140

1917

**20 აგვისტო**

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის მიხედვით ისაკ ხინველის მიერ დაწერილ მელოდრამას „მესაფლავე“ სამ ცოცხალ სურათად.

➤3141

**ოქტომბერი**

1917

**28 ოქტომბრამდე**

მოსკოვში ოლია ოკუჯავა გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ ერთხელ მას ესტუმრა ქუთაისში. ფართო ოთახის ფანჯრებზე ცისფერი ფარდები ეკიდა. საწერ მაგიდაზე წიგნები იყო მომოფანტული, სპარსელი, ფრანგი, ბერძენი, ქართველი და სხვა პოეტების ლექსებით. იქვე იდო უთავსახურო სამელნე კალმით და სქელი, მწვანეყდიანი რვეული ქართულ ენაზე ახალდაწერილი ზღაპრული ლექსებით.

➤3142

1917

**28 ოქტომბრამდე**

იწყებს რომანის წერას სათაურით „ევა“. მოქმედება ქუთაისში მიმდინარეობს ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან. ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მოსწავლეები ხვდებიან მოხუც მასწავლებელს, რომელიც მათ სთხოვს, რომ არასოდეს დაივიწყონ მრავალწამებული სამშობლო, ამბობს, რომ მათ არ იციან სამშობლოს სიყვარული, რადგანაც მათ ეს გრძნობა წართვეს. იგი წუხს, რომ მისი მოსწავლეები არ არიან მზად მომავალი ცხოვრებისათვის. მას არ ეთანხმება ახალგაზრდა ქალი, რომელიც ციტირებს მასწავლებლისგან ნასწავლ აკაკი წერეთლის სტრიქონებს: „თავგანწირულად, ლომივით შევებრძოლები ქვეყანას... რას მომცემს, ან რას დამაკლებს, გული რომ დამწყდეს მისთანას?“. ეს გოგონა ძალიან წუხს, რომ ქართულად ლაპარაკი არ ეხერხება. მასწავლებელი წყევლას უთვლის მათ, ვინც ახალგაზრდებს თვალებში ცეცხლი ჩაუქრო. ტექსტში მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, რომ მთავრობა გასაქანს არ აძლევს ნიჭიერ ახალგაზრდობას და განათლების კარს უხშობს. მხოლოდ რენეგატებისთვის არის ყველა გზა ხსნილი.

➤3143

1917

**28-29 ოქტომბერი**

იმყოფება მოსკოვში და რუსულად წერს უსათაურო ლექსს „სალამი, ჩემო ძველო გენიავ...“.

➤3144

1917

**29 ოქტომბერი ან შემდეგ**

რვეულში იწერს ციმბირელი პოეტის დიმიტრი დავიდოვის სიმღერად ქცეული ლექსის დაუსრულებელ სტრიქონს „დიდებული ზღვა, დალოცვილი...“, მარსელიეზის სათაურს და ხალხის ჯგუფებიდან გაგონილ რევოლუციურ შემახილებს.

➤3145

1917

**29 ოქტომბრის შემდეგ**

რვეულში ოლია ოკუჯავასთან ერთად აკეთებს ამონაწერებს რუდოლფ შტეინერის მიერ 1909 წლის 23 ოქტომბერს წაკითხული ლექციის „ხელოვნებათა საფუძვლები“ სტენოგრაფიული ჩანაწერიდან.

➤3146

1917

**29 ოქტომბრის შემდეგ**

რვეულში აკეთებს ჩანაწერს შარლ ბოდლერის დასაფლავების შესახებ. ჩანაწერში ნათქვამია, რომ ბოდლერი შემოდგომაზე გარდაიცვალა. მონ-პარნასის სასაფლაოზე მიწას მიაბარეს ცხედარი მგოსნის, რომლის ცხოვრებაც საოცრად ჰგავდა მწუხარე ღრუბლებით სავსე შემოდგომის ცას. მის დაკრძალვას დაესწრო ორი თუ სამი მეგობარი, რამდენიმე ნათესავი და პრესის წარმომადგენლები.

➤3147

1917

**29 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსის „ნეტა სად იზრდება ასე მშვენიერი...“ პირველ სტროფს, მაგრამ არ ამთავრებს.

➤3148

1917

**29 ოქტომბრის შემდეგ**

იწყებს მუშაობას პიესაზე რომელსაც ზღაპრული სიუჟეტი აქვს და რომლის პერსონაჟები ფერიები არიან, მაგრამ მუშაობას არ აგრძელებს.

➤3149

**ნოემბერი**

1917

**ნოემბერი**

წერს ლექსს „რამდენიმე დღე პეტროგრადში“.

➤3150

**დეკემბერი**

1917

წერს ლექსს „ქალის ქანდაკება“.

➤3151

**1918**

**იანვარი**

1918

**25 იანვარი**

სწავლას იწყებს მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის პირველ ხუთთვიან სარეჟისორო კურსებზე.

➤3152

1918

**იანვრიდან**

რუსეთში საშინელი სიღარიბეა და თავის რჩენა ჭირს. საარსებო თანხის საშოვნელად გალაკტიონ ტაბიძე მუშაობს კომისიაში, რომელსაც ევალება მოსკოვის მოსახლეობის აღწერა და ადგილობრივ მცხოვრებთა უკიდურესი სიდუხჭირე მასზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს.

➤3153

1918

**იანვრიდან**

მოსახლეობის აღწერის დროს მოსკოვის სხვადასხვა უბანში ნანახი სიდუხჭირის შთაბეჭდილებით წერს ლექსს „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“.

➤3154

**თებერვალი**

1918

## 27 თებერვალი

მოსკოვის პოლიტექნიკური მუზეუმის დიდ დარბაზში ესწრება პოეტების მეფის არჩევის ღონისძიებას და ულოცავს კონკურსში გამარჯვებულ იგორ სევერიანინს.

➤3155

1918

### იანვარი-თებერვალი

წერს ლექსს „ათოვდა ზამთრის სასახლის ბაღებს“ („ათოვდა ზამთრის ბაღებს...“).

➤3156

1918

### იანვარ-თებერვალი

პეტერბურგთან ახლოს მდებარე ცარსკოე სელოს აგარაკზე წერს უსათაურო ლექსს „ელვარე თოვლში მიჰქრის მარხილი...“ და სათაურად აწერს ფრაზას: „შეხვედრა ქართან ყრუ სიშორეში“.

➤3157

1918

### იანვარ-თებერვალი

პეტერბურგის ერთ-ერთი სავაჭრო სახლის სარეკლამო ფურცლების თავისუფალ ველებზე წერს 322 სარითმო წყვილს.

➤3158

1918

### თებერვალი

ჟურნალი „ასი“ აწყობს „რითმების ტურნირს“, რომელშიც მონაწილეობს 15 ქართველი პოეტის ლექსები და ბეჭდავს გამორჩეულ, საავტორო რითმებს. გალაკტიონ ტაბიძის ლექსებიდან შერჩეულია რითმები: „ასოები - სასოებით“ და „სილაში ვარდი - სილაჟვარდე“.

➤3159

## მ ა რ ტ ი

1918

### 7 მარტი

შებინდებისას ოლია ოკუჯავასთან ერთად თორმეტფურცლიან რვეულში აკვარელით ხატავს ყვავილებიან ლარნაკს. ქვეშ რუსულად აწერენ, რომ მხატვრები არიან ოლი და გალლი და უთითებენ დროს.

➤3160

1918

### 31 მარტის შემდეგ

წერს ლექსს „მივარდნილი აივანი“ („ამპარტავანი თათარი, ეზოში დადის მამალი...“), რომელშიც საგრძნობია ისტორიული ფაქტის – ოსმალების მიერ ბათუმის დაკავების გამოძახილი.

➤3161

## ა პ რ ი ლ ი

1918

### 17 აპრილის შემდეგ

ხელოვნებისა და ლიტერატურის ყოველთვიური რუსულენოვანი ჟურნალი „Ars“ ბეჭდავს გრიგოლ რობაქიძის სტატიას „ქართული მოდერნიზმი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1915 წელს ახალგაზრდა დამწყებმა პოეტებმა: პაოლო იაშვილმა, გალაკტიონ ტაბიძემ, ტიცთან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა და ლელი ჯაფარიძემ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის დამკვიდრებით გამოაცოცხლეს ქუთაისი. იგი წერს, რომ მათი საყრდენი გახდა „სიცოცხლის განცდის მოდერნისტული სტილი მხატვრული სიტყვის განხორციელებაში“. რობაქიძე

აღნიშნავს, რომ მოდერნისტების ამ ჯგუფს მოგვიანებით ჩამოშორდა გალაკტიონ ტაბიძე, მაგრამ ის ჩამოშორდა ჯგუფს და არა სიმბოლიზმს, რადგან სიმბოლიზმთან მისი განშორება „შემოქმედებითი თვითმკვლევობის“ გარეშე შეუძლებელია. სტატიაში ნათქვამია, რომ „ლურჯა ცხენები“ ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსია ქართულ პოეზიაში, სრულიად სიმბოლისტური. კრიტიკოსის აზრით ეს ლექსი ცნობილი რუსი სიმბოლისტის – კონსტანტინე ბალმონტის გავლენას განიცდის, მაგრამ არაფრით ჩამოუვარდება მას.

➤3162

**1918**

**აპრილი**

წერს ლექსს „შენი ღიმილი (ნაწყვეტი ალბომიდან)“.

➤3163

## ი ვ ნ ი ს ი

**1918**

**1 ივნისამდე**

უბის წიგნაკში რუსულ ენაზე ადგენს მოსაწვევ ბარათს შაბათს, 1 ივნისს მოსკოვის ქართული საზოგადოების დარბაზში გალაკტიონ ტაბიძის მოწყობილ ქართულ საღამო-სპექტაკლზე დასასწრებად.

➤3164

**1918**

**1 ივნისამდე**

მოსკოვის ქართული საზოგადოების დარბაზში ამზადებს ქართულ საღამო-სპექტაკლს.

➤3165

**1918**

**1 ივნისამდე**

ხატავს კიბის ზედა საფეხურზე დამჯდარ შემობრუნებულ მელიას რომლის გვერდით ქართულად წერს: ტიტე ტაბიძე.

➤3166

**1918**

**14 ივნისამდე**

ცხოვრობს მოსკოვის ქართულ საზოგადოებაში, პოვარსკაიას ქუჩის 29 ნომრის მე-18 ბინაში.

➤3167

**1918**

**14 ივნისამდე**

საქართველოსა და რუსეთს შორის საფოსტო კავშირი შეფერხებულია. მოსკოვში მყოფი გალაკტიონი ყოველდღე ათვალთვლებს გაზეთებს, რომ იქიდან მაინც შეიტყოს, რა ხდება მის სამშობლოში, მაგრამ ინფორმაცია ძალიან ცოტაა და რაც არის, არც ის ეჩვენება სარწმუნოდ. განსაკუთრებით ნერვიულობს იმაზე, მტერმა მის სოფლამდე ხომ არ მიაღწია ან მისი ძმა – აბესალომი ჯარში ხომ არ გაიწვიეს.

➤3168

**1918**

**14 ივნისამდე**

მოსკოვში ყოფნისას მსახურობს იუსტიციის კომისარიატში და, მიუხედავად დიდი სიძვირებისა, ხელფასი საარსებოდ ჰყოფნის.

➤3169

1918

**14 ივნისამდე**

მოსკოვში მყოფს ხმები მისდის ოსმალეთის გამარჯვებაზე და ეშინია საქართველოში თურქების შეჭრის. პოლიტიკური არეულობის გამო რუსეთიდან გამგზავრების შემთხვევაში შეიძლება სახლამდე ვერ მიაღწიოს. ამიტომ ფიქრობს, რამდენიმე თვე ადგილზე დარჩეს და საქართველოში შემოდგომამდე დაბრუნდეს.

➤3170

1918

**14 ივნისი**

მოსკოვიდან სოფელ ჭყვიშში ნაცნობის ხელით წერილს უგზავნის დედას – მაკრინე ადვიშვილს. სწერს, რომ რუსეთში ყოფნის პერიოდში უამრავი უბედურება გადახდა თავს, მაგრამ ახლა კარგად არის. იცის, რომ თავად დედა და საქართველოში მყოფი მისი ახლობლებიც არ იქნებიან დალხენილად, მაგრამ იმედოვნებს, რომ ამ ყველაფერს მშვიდობით გადაიტანენ. სწერს, რომ პოლიტიკური სიტუაციის გამო სახლში წერილებს ვერ გზავნის და ქვეყნისა და ოჯახის ამბებსაც ვერ იგებს. მოსკოვში ათასამდე ქართველია ჩასული, რომლებიც სპირტით ვაჭრობენ, მდიდრდებიან და ისე უღირსად იქცევიან, რომ სხვებსაც არცხევენ. ძალიან სთხოვს დედას, რომ წერილის მიღებისთანავე დეპეშით აცნობოს მისი და ახესალომის ამბავი. მართალია, დეპეშასაც შეიძლება დააგვიანდეს, მაგრამ წერილზე უფრო სანდოა. სწერს, რომ „გადავიღის ეს ქარიშხალი“, ვითარება შეიცვლება, ღვთისა და ოჯახის დახმარებით ყველანი გადარჩებიან და ბედნიერები იქნებიან.

➤3171

1918

**25 ივნისამდე**

დგამს სადიპლომო სპექტაკლს, ალექსანდრ ოსტროვსკის კომედიას ხუთ მოქმედებად „ტყე“.

➤3172

1918

**25 ივნისი**

ამთავრებს მოსკოვის სცენისმოყვარეთა ლიგის მიერ დაარსებულ პირველ ხუთთვიან სარეჟისორო კურსებს და იღებს მოწმობას, რომ მოისმინა საგნები: რეჟისურა, სცენის მოწყობა და არქიტექტურა, ყოფისა და ჩაცმულობის სტილის ისტორია, გრიმის თეორია და პრაქტიკა, თეატრის ისტორია, მხატვრული კითხვისა და დიქციის ისტორია და სახალხო თეატრების ორგანიზება.

➤3173

1918

**ივნისი**

მოსკოვში კითხულობს ნიკო მარის რუსულად გამოცემულ წიგნს „საქართველოს ისტორია“ და აკეთებს ხაზგასმებს.

➤3174

**ი ვ ლ ი ს ი**

1918

**2 ივლისი**

მონაწილეობს მოსკოვის ქართული მხატვრულ-ლიტერატურული წრის მიერ თეატრ „გროტესკში“ გამართულ „ლიტერატურულ დილაში“.

➤3175

1918

**4 ივლისი**

საშინელ წვიმაში მიდის მოსკოვის დიდ თეატრში სრულიად რუსეთის საბჭოების მეხუთე ყრილობის გახსნაზე. საგამოფენო დარბაზ „მანეჟთან“ ისეთი ნიაღვარი დგას, რომ გალაკტიონი ფეხსაცმელს იხდის, ზურგზე გადაიკიდებს და მუხლამდე წყალში განაგრძობს გზას.

➤3176

1918

**6 ივლისი**

მიდის მოსკოვის აკადემიურ დიდ თეატრში სრულიად რუსეთის საბჭოთა მეხუთე ყრილობის სხდომაზე დასასწრებად, მაგრამ ყრილობა არ ტარდება. მემარცხენე ესერები, გერმანიასთან ომის პროვოცირების მიზნით, კლავენ მათ ელჩს რუსეთში, გრაფ ვილჰელმ მირბახს. ესერთა ლიდერი მარია სპირიდონოვა სკამზე ადის და აცხადებს, რომ მათ ყველას დააპატიმრებენ. ის და მისი მომხრეები მღერიან რევოლუციურ სიმღერებს. თეატრს გარს ერტყმება წითელარმიელთა ხუთი წრე, მაგრამ გალაკტიონს დაუბრკოლებლად ატარებენ.

➤3177

1918

**6 ივლისის შემდეგ**

მოსკოვის საზოგადოება გრანდიოზულ გამოსათხოვარ საღამოს უმართავს, რომელზეც სიტყვით გამოდის ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი.

➤3178

1918

**ივლისის შუა რიცხვებამდე**

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილთან ერთად სურს მოსკოვში ქართული გაზეთის გამოცემა, რაზეც სტამბის სომეხი პატრონისგან, რომელიც დაშნაკების პარტიის წევრია, უარს იღებს ქართული შრიფტის არქონის საბაბით.

➤3179

1918

**ივლისის შუა რიცხვებამდე**

მოსკოვში ტვერის ქუჩაზე მდებარე კინოთეატრში გვერდით უჯდება ლამაზი უცნობი ქალი. როდესაც დარბაზში შუქი ქრება ის გალაკტიონს ხელზე ხელს უჭერს და დიდხანს არ უშვებს. პოეტი ამ ქალს თავის წარმოსახვაში ხან თეოფილ გოტიეს რომანის გმირ მადლენ დე მოპენს ადარებს, ხან ევას და ხან ალექსანდრ ბლოკის ლექსის „უცნობ ქალს“. როდესაც ის ამ შემთხვევის შესახებ ტიცთან ტაბიძეს უამბობს, ბიძაშვილი მის რომანტიკულ განწყობას ცივ წყალს ასხამს სიტყვებით, რომ ის ქალი მეძავი იქნებოდა.

➤3180

1918

**ივლისის შუა რიცხვები ან შემდეგ**

გერმანიიდან საქართველოსკენ მიმავალ ახალგათავისუფლებულ ქართველ ტყვეებთან ერთად მათი ეშალონით მოსკოვიდან მიემგზავრება ოდესაში.

➤3181

1918

**ივლისის შუა რიცხვები ან შემდეგ**

ახალგათავისუფლებულ ქართველ ტყვეებთან ერთად მოსკოვიდან ეშალონით მიემგზავრება ოდესისკენ. გზაში საშინელ სირთულეებს აწყდება და გერმანიის მიერ ოკუპირებულ ქალაქ ნეჟინის სადგურზე ხდება იმის მოწმე, თუ როგორ ხვრეტენ ჰაიდამაკები დაჭრილ პარტიზანებს.  
➤3182

1918

**22 ივლისი ან უფრო ადრე**

წერს ლექსს „ზღვასთან“ („ზღვაზე გადვისვრი ბედითი ბადეს...“), რომელსაც უძღვნის ნ. ჩარტორიავსკასა და ზინა ოდოევსკის ასულს. შემდეგ სათაურს გადაშლის და აწერს ახალს – „მიმავალ ხომალდს“.  
➤3183

1918

**22 ივლისი ან ადრე**

ოდესიდან გემით „დალანდი“ მოცურავს საქართველოში.  
➤3184

1918

**22 ივლისის შემდეგ**

წერს ლექსს „გემი „დალანდი“ („გამომავლია ღამის ალმა ნელმა და ქურდმა...“).  
➤3185

1918

**24 ივლისი ან ადრე**

გემით „დალანდი“ ჩადის ბათუმში.  
➤3186

1918

**24 ივლისი**

ბათუმში წერს უსათაურო ლექსს „შუადღის სიცხის არაა ბოლო...“.  
➤3187

**ა გ ვ ი ს ტ ო**

1918

**3 აგვისტოს შემდეგ**

გამოდის გაზეთ „შრომის“ ლიტერატურული დამატება ჟურნალი „ლიგია“, რომლის პირველ გვერდზე იბეჭდება გალაკტიონის ლექსი „შენი ღიმილი (ნაწყვეტი ალბომიდან)“.  
➤3188

**ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი**

1918

**1 ოქტომბრამდე**

ბრუნდება თბილისში.  
➤3189

1918

**1-5 ოქტომბერი**

გაზეთი „ერთობა“ ბეჭდავს განცხადებას, რომ შაბათს, 5 ოქტომბერს თბილისში, გრიბოედოვის ქუჩის 8 ნომერში, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სადამო, ბილეთების შეძენა შესაძლებელია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.  
➤3190



1918

**5 ოქტომბრამდე**

თბილისში ბინავდება სასტუმრო „პრიმაში“, განთიადისას მის კარზე აკაკუნებს პოლიციელი, რომელსაც დავალებული აქვს ჩხრეკის მოწყობა, რადგანაც ქალაქში დადის ხმა რომ რუსეთიდან „ბოლშევიკი“ ჩამოვიდა, თუმცა მან იცის, რომ გალაკტიონი პოეტია. იგი ათვალეიერებს გალაკტიონის ჩემოდნებში არსებულ ხელნაწერებს და დიდხანს კითხულობს გალაკტიონის ლექსს „დაბრუნება“. ეკითხება, რა არის „გემი „დალანდი“ და რას უნდა ნიშნავდეს ამ ლექსში ლენინის სახელი.

➤3191

1918

**5 ოქტომბრამდე**

წერს ლექსს „თოვლი“ („ მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის...“).

➤3192

1918

**5 ოქტომბერი**

გაზეთი „ერთობა“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში ბეჭდავს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს, 5 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, თბილისში, გრიბოედოვის ქუჩის 8 ნომერში, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო, რომელზეც წაკითხული იქნება პოეტის მრავალი ახალი ლექსი, წარმოთქმული იქნება სიტყვები და სხვ. აღნიშნულია, რომ ბილეთების შეძენა შესაძლებელია კონსერვატორიაში.

➤3193

1918

**5 ოქტომბერი**

იმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო, რომელიც ორი განყოფილებისგან შედგება. პირველ განყოფილებაში მისი შემოქმედების შესახებ სიტყვით გამოდიან: გრიგოლ რობაქიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიცვიან ტაბიძე და ალი არსენიშვილი. მეორე განყოფილებაში გალაკტიონ ტაბიძე თავისებური მანერით კითხულობს ლექსებს „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაში ვარდი...“ და სხვ. ამის შემდეგ საკუთარ ლექსებს კითხულობენ პოეტები: ტიცვიან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, გიორგი ქუჩიშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე და ლელი ჯაფარიძე.

➤3194

1918

**5 ოქტომბერი**

კონსერვატორიის დარბაზში გამართულ საკუთარ საღამოზე გაიცნობს პოეტსა და დრამატურგ არჩილ კორინთელს.

➤3195

1918

**7 ოქტომბერი**

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს კონსერვატორიის დარბაზში გამართული გალაკტიონ ტაბიძის საღამოს კრიტიკულ მიმოხილვას. სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ საღამო „აღმოსავლური ტრადიციით“ საათნახევრით გვიან დაიწყო და ეს უფრო „ცისფერი ყანწების“ საღამო იყო, რადგან გალაკტიონის, გიორგი ქუჩიშვილის და ვახტანგ კოტეტიშვილის გარდა დანარჩენი გამომსვლელები „ცისფერყანწელთა“ პოეზიის დემონსტრაციას ახდენდნენ. წერს, რომ ალი არსენიშვილი, ტიცვიან ტაბიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი შეეცადნენ გალაკტიონის პოეზიის არსის გარკვევას და დახასიათებას, თუმცა ოდნავადაც ვერ ასახეს მის პოეზიაში ჩამარხული

მოტივების სიდიადე და ახალიც ვერაფერი თქვეს, რადგან ივანე გომართელის აზრებს დასტრიალებდნენ. ალი არსენიშვილის სიტყვა მოსაწყენი იყო, რადგან რაღაც პარტიულობის ხსენებით მსმენელები დააბნია. უფრო საგულისხმო იყო გრიგოლ რობაქიძის მოკლე გამოსვლა, რომელშიც მან ისაუბრა პოეტის „მესხურ გამოხედვაზე“ და გულმოდგინედ აკინძა მის პოეზიაში მიმოხეული „სალი კულტურის ნატეხები“. სადამოზე აღინიშნა გალაკტიონის „ახლობლობა და ნათესაობა“ „ცისფერყანწელებთან“, რომელთაც საუბედუროდ ერთი დიდი ნაკლი აქვთ – განდიდების მანია, თუმცა, წერილის ავტორის აზრით, მათ შორის განსხვავება მსგავსებაზე უფრო მეტია. ავტორი თვლის, რომ ამ მხრივ მართალია ტიციან ტაბიძე, რომელმაც გალაკტიონს „მარტოობის ორდენის კავალერი“ უწოდა. მიმოხილვის ავტორის აზრით გალაკტიონსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს მარტოობა ანათესავებთ და არ ეთანხმება ვახტანგ კოტეტიშვილს, რომელმაც ეს უარყო. აღნიშნავს, რომ გალაკტიონის უკანასკნელი ლექსი, ქართული პოეზიის მარგალიტია, „ლურჯა ცხენები“ კი მისი ახალგაზრდული შემოქმედების შედეგია. სადამოზე ასევე ითქვა, რომ მიუხედავად ღონისძიების არაერთი ხარვეზისა, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა გამომსვლელების ახალმა ლექსებმა ეს ნაკლი გადაფარა.

➤3196

1918

### 8 ოქტომბერი

გაზეთი „სახალხო საქმე“ რუბრიკაში „თეატრი და ხელოვნება“ აქვეყნებს განცხადებას, რომ თბილისში, კონსერვატორიის დარბაზში ჩატარდა გალაკტიონ ტაბიძის სადამო.

➤3197

1918

### 28 ოქტომბრის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას უსათაუროდ „გააფთრებულ შეტევაზე გადმოსულ...“.

➤3198

1918

### 28 ოქტომბრის შემდეგ

წერს სათაურს „გერმანიის პრესის პესსიმიზმი“, მაგრამ ტექსტის წერას აღარ იწყებს.

➤3199

1918

### 28 ოქტომბრის შემდეგ

წერს ლექსს „უშიშროების კომისიის სესიაზე“ („ბევრი ბელგია, ჩილი, კანადა...“).

➤3200

## ნოემბერი

1918

### 10 ნოემბერი

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს გრიგოლ რობაქიძის წერილს „სონეტი საქართველოში“, რომლის დასასრულს აღნიშნულია, რომ ტიციან და გალაკტიონ ტაბიძეების სონეტები ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლამდე, ანუ 1916 წლამდე, კლასიკური სონეტები არ იყო და ამას, გრიგოლ რობაქიძის აზრით, თავად ავტორებიც აცნობიერებენ.

➤3201

1918

### 11 ნოემბრამდე

უბის წიგნაკში იწერს რომელიღაც კრიტიკოსის ნათქვამს, რომ დღევანდელ საზოგადოებას ომის მიმდინარეობის შესახებ ახალ-ახალი ამბები უფრო აინტერესებს, ვიდრე უზარმაზარი რომანი

თანამედროვე ცხოვრებაზე. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ჩვენში არაფერი დაწერილა გარდა ვაჟას ლექსებისა, არც პოეზია, არც ბელეტრისტიკა, არც კრიტიკა და არც დრამატურგია.

➤3202

## დეკემბერი

1918

### 19 დეკემბრამდე

ნოე ჟორდანიას მიწვევით გალაკტიონ ტაბიძე ინიშნება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მდივნად. პოეტს ეს ამბავი ახარებს და მეგობართა წრეში საკუთარ თავს „სასახლის მდივნად“ მოიხსენიებს ხოლმე.

➤3203

1918

### 19 დეკემბერი

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მდივნად მიწვეულ იქნა გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც უკვე შეუდგა მოვალეობის აღსრულებას.

➤3204

1918

### დეკემბერი

გაიცნობს კოტე რატიშვილს (ქსნისპირელი), ხშირად სტუმრობს მას თბილისში ანდრიას ქუჩაზე, უკითხავს საკუთარ ლექსებს და ინტერესდება მისი შემოქმედებით.

➤3205

1918

ჟურნალში „ლიგია“ ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე“ იბეჭდება ლექსი „მენი ღიმილი“.

➤3206

1918

წერს უსათაურო ლექსს „ცივი, შავად მოელვარე თვალებით...“.

➤3207

1918

წერს ლექსს „წერილი მეგობრებისადმი“.

➤3208

1918

წერს უსათაურო ლექსს „ზღვაზე სცურავს ნაფოტივით...“.

➤3209

1918

წერს ლექსს „ხომალდი“.

➤3210

### 1918 ან შემდეგ

ვალერი ბრიუსოვის წიგნის „გამოცდილებები მეტრიკისა და რიტმიკის, ევფონიისა და ბგერათა შეთანხმების, სტროფიკისა და ფორმების შესახებ“ შესავალი წერილის „პოეტის ხელოვნება“ და ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს. ლექსზე „Речт тень“ აწერს თავის ლექსების სათაურებს: „ატმის ყვავილებს“ და „მერი“, ლექსზე „Лесные Тропинки“ კი – „ნიავექარს, ნიავეჭეს, ნიავეთარს“. ნომრავს 24 სტრიქონს ლექსისას „Треугольник“ და აწერს: „ო, დროა“.

➤3211

**1919**  
**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1919**

**23 იანვარი**

როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მდივანი ხელმოწერით ადასტურებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხდომის ჟურნალიდან გაკეთებულ ამონაწერს ამიერკავკასიის დროებითი ვალუტის – ზონის გამოშვების შესახებ.

➤3212

**1919**

**29 იანვარი**

დილიდან ელოდება ანასტასია ციციშვილის მასთან მისვლას მთავრობის სასახლის საშვის ასაღებად, მაგრამ ამოდ. მოგვიანებით უგზავნის წერილს, ეკითხება მიუსვლელობის მიზეზს და თან იმასაც დასძენს, რომ ადრესატს ბილეთი არც სჭირდება, რადგან მის მიერ „მოჯადოებული“ დარაჯები ისედაც შეუშვებენ.

➤3213

**თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი**

**1919**

**20 თებერვალი**

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ კვირას, 23 თებერვალს ქართულ კლუბში ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ სასარგებლოდ ჩატარდება სამხატვრო-სალიტერატურო სადამო და მონაწილეთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤3214

**მ ა რ ტ ი**

**1919**

**2 მარტი**

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ მარტის შუა რიცხვებიდან ქუთაისში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი „თეატრი და მუსიკა“, რომელთანაც სხვა ავტორებთან ერთად ითანამშრომლებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3215

**1919**

**17 მარტი.**

ქუთაისში სტუმრობს სიმონ ჩხეიძეს და ალბომში უწერს ხალხურ ლექსს: „გაუსვი და გამოუსვი, ვითომ ჭიანჭურიაო...“.

➤3216

**1919**

**18 მარტი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს განცხადებას, რომ განზრახულია „პოეტების კარვის“ მოწყობა, რომელსაც უხელმძღვანელებენ გალაკტიონ ტაბიძე, რაჭდენ გოგოხია და სიმონ გაჩეჩილაძე. კარავს აკადემიური ხასიათი ექნება და არ იქნება რომელიმე ლიტერატურული სკოლის კუთვნილება.

➤3217

**1919**

**18 მარტი**

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ორშაბათს, 24 მარტს სახელმწიფო თეატრში გაიმართება იოსებ გრიშაშვილის ტრადიციული საღამო, რომლის მესამე განყოფილებაში „პოეტების ოჯახი“ სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3218

1919

24 მარტი

სახელმწიფო თეატრში იოსებ გრიშაშვილის მიერ გამართულ ტრადიციულ საღამოზე კითხულობს საკუთარ ლექსებს და ღონისძიების დასრულების შემდეგ სხვა მონაწილეებთან ერთად სამახსოვრო ხელმოწერას აკეთებს ამ საღამოს პროგრამის რევერსზე.

➤3219

1919

27 მარტი

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს ცნობას, რომ შაბათს, 29 მარტს, ფოსტის კანტორის სათეატრო დარბაზში ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ გაიმართება სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. მონაწილეთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤3220

1919

28 მარტი

გაზეთი „საქართველო“ ავრცელებს ცნობას, რომ იბეჭდება და სულ მალე გამოვა პოეტ გალაკტიონ ტაბიძის წიგნი.

➤3221

1919

30 მარტამდე

წერს ლექსს „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ („ამ მაისს, ამ ივნისს, ამ ივლისს გადირეკს ნოემბრის ბალები...“).

➤3222

1919

30 მარტი

ჟურნალში „თოლაბულისის სარტყელი“ იბეჭდება ლექსი „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“.

➤3223

1919

30 მარტი

ჟურნალში „თოლაბულისის სარტყელი“ ქვეყნდება ინფორმაცია, რომ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე წიგნი.

➤3224

1919

30 მარტი

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ გამოვიდა ჟურნალი „თოლაბულისის სარტყელი“. გამოქვეყნებულ ავტორთა შორის მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤3225

1919

**მარტი**

წერს მცირე პიესას: „თეატრები“ (რეჟისორის, ჰამლეტისა და ოფელიას პოლემიკა).

➤3226

1919

**მარტი**

ჟურნალში „თეატრი და მუსიკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის მცირე პიესა: „თეატრები“ (რეჟისორის, ჰამლეტისა და ოფელიას პოლემიკა).

➤3227

1919

**მარტის შემდეგ**

უსათაუროდ თარგმნის ვალერი ბრიუსოვის ლექსს „ამხანაგ ინტელიგენტებს“ („ჯერ ისევ გუმინ შენ თავზე იდევ...“).

➤3228

1919

**მარტის შემდეგ**

ფურცელზე იწერს ფრაზას ვალერი ბრიუსოვის ლექსიდან „ამხანაგ ინტელიგენტებს“ და ლევ ტროცკის ციტატის ქართულ თარგმანს რომელიღაც მწერლის ვულგარული ენის შესახებ.

➤3229

## აპრილი

1919

**1 აპრილი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ იუწყება, რომ გამოვიდა ჟურნალი „თოლაბულისის სარტყელი“. გამოქვეყნებულ ავტორთა შორის მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤3230

1919

**10 აპრილი**

გაზეთში „ჩვენი ქვეყანა“ იბეჭდება ვასილ გორგაძის რეცენზია ჟურნალ „თოლაბულისის სარტყელის“ პირველ ნომერზე და ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“.

➤3231

1919

**11 აპრილი**

გაზეთში „ჩვენი ქვეყანა“ „მარინეტის“ ფსევდონიმით იბეჭდება რეცენზია ჟურნალ „თოლაბულისის სარტყელის“ პირველ ნომერზე. გალაკტიონ ტაბიძის ლექსთან „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“ დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ მისი თარიღი – „1917 წელი“ სწორი არ უნდა იყოს, რადგან ორიოდე თვის წინ დაწერილს ჰგავს.

➤3232

1919

**12 აპრილი**

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ 17 აპრილს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ტიციან ტაბიძის საღამო. მონაწილეთა შორის სხვებთან ერთად დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤3233

1919

**13 აპრილი**

ოლია ოკუჯავა სასწავლებლის დადგმაში საუკეთესოდ თამაშობს თავის როლს და როდესაც აქებენ, ახსენდება გალაკტიონი და ნატრობს მის მოსკოვში ჩასვლას.

➤3234

1919

**18 აპრილამდე**

წერს ლექსს „ღრუბლები ოქროს ამურებით“.

➤3235

1919

**18 აპრილი**

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ მორიგი, მეოთხე ნომერი საადგომოდ გამოვა და ამ ნომერში მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ღრუბლები ოქროს ამურებით“.

➤3236

1919

**13 აპრილი**

პედაგოგებს ძალიან მოსწონთ ოლია ოკუჯავას თამაში სცენაზე. ოლია დარდობს, რომ ერთ კვირაში აღდგომა და გალაკტიონი მის გვერდით არ არის.

➤3237

1919

**20 აპრილი**

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს გალაკტიონის ფოტოს წარწერით: „პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“ და ლექსს „ღრუბლები ოქროს ამურებით“ („ღრუბლები ოქროს ამურებით დასახლებული, ვეზუვის ფერფლი!..“).

➤3238

1919

**25 აპრილამდე**

ლადო გუდიაშვილი ზეთით ხატავს „გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტს“.

➤3239

**მ ა ი ს ი**

1919

**4 მაისი**

დიდების ტაძარში იხსნება გამოფენა „თანამედროვე ქართული მხატვრობა და ქანდაკება“, რომელზეც წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილო „გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი“.

➤3240

1919

**9 მაისი**

გაზეთში „საქართველო“ იბეჭდება გრიგოლ რობაქიძის წერილი „ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა“. მწერალი მაღალ შეფასებას აძლევს ლადო გუდიაშვილის შემოქმედებას, მაგრამ თვლის რომ გუდიაშვილი როგორც პორტრეტისტი სუსტია და მისი გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის და პაოლო იაშვილის პორტრეტები ნაკლებ შთაბეჭდილებას ტოვებს.

➤3241

1919

11 მაისი

რუბრიკაში „კრიტიკული შენიშვნები“ სათაურით „ჩვენი სიმბოლისტები“ იბეჭდება ვლადიმერ ბაქრაძის სტატია, რომელშიც ის მწვავედ აკრიტიკებს ცისფერყანწელებს, გალაკტიონ ტაბიძეს კი მათგან ცალკე გამოყოფს. ავტორი წერს: „რობაქიძის კოჭლს და პრეტენციოზულ ლექსებთან თქვენ შეხვდებით ისეთ მხატვრულ შედეგს, როგორც არის, მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მთაწმინდის მთვარე“, მოჰყავს ერთი სტროფი ლექსიდან და ემოციურად დასძენს „აი, სად არის ნამდვილი პოეზია! კიდევ მეტი, ნამდვილი მუსიკა“. კრიტიკოსის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონიც ცისფერყანწელთა წრეში ტრიალებს, თავისი ბუნებრივი ნიჭის, პოეტური ტემპერამენტის, მხატვრული ტაქტის, ესთეტიური გემოვნებისა და ზომიერების გრძნობის წყალობით ის თავიდან ირიდებს მათ ზეგავლენას, რჩება თავისუფალი და ინდივიდუალური.

➤3242

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „საუბარი ედგარზე“ („ლანდებს სასახლეში მხოლოდ მაშინ ელი...“).

➤3243

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „უნაზესი ხელნაწერი“ („როცა დიდი ხნით დახურული გავხსენი ყუთი...“).

➤3244

1919

24 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ტოტებს ქარისას გადაყვა მარტი!..“.

➤3245

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „პოეტი ბრბოში“ („დღეს გაასვენეს შემოდგომით გაწვალებული რეგის ღერი...“).

➤3246

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „პირიმზე“ („დავიწყებული ჭიშკრის კარბაზე...“).

➤3247

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „VOILES“ („საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალების...“).

➤3248

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „გრადაცია“ („ფარულ ტკივილების ბაღი დაბურული...“).

➤3249



1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „შემოდგომის ფრაგმენტი“ („ოჰ, ეს ფოთლები, ცვენილი ქარით...“).

➤3250

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ყორანი“ („ყოველთვის მგონია: გადიფრენს ყორანი...“).

➤3251

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „სამრეკლო უდაბნოში“ („ზღაპრების თეთრი კვამლით ქალთა სუნთქვაში დაფარული...“).

➤3252

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „გული“ („მის სუფევას ვგრძნობ, როცა თვალთგან ცრემლები მდივა...“).

➤3253

1919

24 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „აჰყვე კიბეებს – სადაც სფინქსი ქვებს ეფარება...“.

➤3254

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ჭიანურები“ („მიდის ოპერა ლაკმე...“).

➤3255

1919

24 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „მთის გაგიჟებულ რუებს...“.

➤3256

1919

24 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „მიმაფრენდა ნაპრალებზე ლურჯა ცხენი...“.

➤3257

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „სიკვდილი მთვარისგან“ („წაკითხულ წიგნთა საღამოსის მსუბუქი ბინდი...“).

➤3258

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ვუალისა და ვიოლდეს შესახებ“ („ვენერა სარკესთან. ეგონა ფრაგონარს...“).

➤3259

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „კონტრასტები“ („იასამანთა გროვად გროვდება...“).

➤3260

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ფარდების შრიალი“ („დადის და აზმორებს...“).

➤3261

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ჩვენი საუკუნე“ („ღამეა. მთვარე. ხეივანი...“).

➤3262

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „გობელენი“ („იქაური ცა ფოთლით ქსოვილი...“).

➤3263

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „შიშველი“ („სიმაღლე ლაჟვარდთა, ვარსკვლავთა სიმაღლე...“).

➤3264

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „მიცვალებულის ხსოვნა“ („გგონია: ბინდი ვარსკვლავთაგან გემუდარება...“).

➤3265

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ზღაპარი“ („მდინარის პირად, ხეივანში ყოველ საღამოს...“).

➤3266

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ორხიდეები“ („აველ დაღლილი მარმარილოს თლილ კიბეებით...“).

➤3267

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „მგლოვიარე სერაფიმები“ („მარმალილოს ქვეშ (მწუხარება უამრავ დროთა!..“).

➤3268

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ავდრის მოლოდინი“ („წარსულმა ღამემ შენს ფანჯარაში...“).

➤3269

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „არ-დაბრუნება“ („აი: გრიგალმა გაიტაცა წითელი ლერწი...“).

➤3270

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „მას გახელილი დარჩა თვალები“ („მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო...“).

➤3271

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ი. ა.“ („ქალაქში, მტვერში...“).

➤3272

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „სიბერე“ („მე მიღალატეს ძველმა რითმებმა...“).

➤3273

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ედგარი მესამედ“ („ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი...“).

➤3274

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „შენ და დემონი“ („სადამოვ, ვიცი, ბაღში შეხვალ ეკლესიიდან...“).

➤3275

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ახალი მოსახლეობა“ („ჩვენ ერთად ვუცდიდით ღამეში თეთრ სანთელს...“).

➤3276

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „თიბათვე გავიდა“ („თიბათვე გავიდა. აჭრელდა ქათიბი...“).

➤3277

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „არაგვი“ („თან მიმყოლი ჩრდილები. აუხსნელი ქარაგმი...“).

➤3278

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ჩონგურისათვის“.

➤3279

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „დამშვიდობება“.

➤3280

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „შენი სადღეგრძელო“.

➤3281

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ცამეტი წლის ხარ“.

➤3282

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ლოდთან“.

➤3283

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „გვიანი ოცნება“.

➤3284

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „სანთელი“ („ღამის ნათელში, მტვერში, მთვარეში...“).

➤3285

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „მფარველი იალქნები“.

➤3286

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ნუგეში“.

➤3287

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „აუზისაგან“.

➤3288

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ოცნება გასამგზავრებლად“.

➤3289

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „უცნაური სასახლე“.

➤3290

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „მამული“ („ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული...“).

➤3291

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „მწუხარება შენზე“.

➤3292

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „შენ ერთი მაინც“.

➤3293

1919

24 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „შეღამდა. მე წაველ იქ...“.

➤3294

1919

24 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ძვირფასო, ძვირფასო! ბედი კლავს ჩემს სხეულს...“.

➤3295

1919

24 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ვით ლოცვა – ედება საღამო მთის კალთებს...“.

➤3296

1919

24 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელ-ცოდვილს...“.

➤3297

1919

24 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „აზიის დაშლილი თმის შავი გიშერის...“.

➤3298

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „მწოლარე“.

➤3299

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „წმ. გიორგი“.

➤3300

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „სროლის ხმა მთაში“.

➤3301

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ძველი რვეულიდან“.

➤3302

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „მზის ჩასვლა“.

➤3303

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „ხელები“.

➤3304

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „დაბრუნება“.

➤3305

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „შიში“.

➤3306

1919

24 მაისამდე

წერს ლექსს „დომინო“.

➤3307

1919

24 მაისამდე

საქართველოში ძალზე ჭირს წიგნის გამოცემა. ამიტომ გალაკტიონი პირდაპირ შედის ნოე ჟორდანიასთან და ეუბნება, რომ ლექსების კრებულის გამოცემა უნდა. ჟორდანია გამოიძახებს სტამბის მფლობელ ბართლომე კილაძეს და პირდაპირ ავალეებს ამ წიგნის გამოცემას. ის ყველაფერს აგვარებს, რომ წიგნი დროულად გამოიცეს.

➤3308

1919

**24 მაისამდე**

თბილისში გამოდის გალაკტიონ ტაბიძის მეორე კრებული, სათაურით „Grüne aux fleurs artistiques“ („თავის ქალა არტისტული ყვავილებით“) რომელშიც იბეჭდება პოეტის 1914-1919 წლებში დაწერილი 86 ლექსი: „შემოდგომა უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „ლურჯა ცხენები“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „საუბარი ედგარზე“, „მარიამ ანტუნეტა“, „თოვლი“, „უნაზესი ხელნაწერი“, „შერიგება“, „პოეტი ბრბოში“, „პირიმზე“, „Voiles“, „მერი“ („შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!..“), „ალვები თოვლში“, „გრადაცია“, „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“, „შემოდგომის ფრაგმენტი“, „ყორანი“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „სამრეკლო უდაბნოში“, „გული“, „მარმარილო“, „ატმის ყვავილები“, „ღრუბლები ოქროს ამურებით“, „ჭიანურები“, „საღამო“, „ვინ არის ეს ქალი?“, „სიკვდილი მთვარისგან“, „ის“, „ვუალისა და ვიოლდეს შესახებ“, „ვერხვები“, „პარალელი“, „ფარდების შრიალი“, „ჩვენი საუკუნე“, „მთაწმინდის მთვარე“, „გობელენი“, „შიშველი“, „მიცვალებულის ხსოვნა“, „ზღაპარი“, „ორხიდეები“, „მგლოვიარე სერაფიმები“, „ავდრის მოლოდინი“, „არდაბრუნება“, „მივარდნილი აივანი“, „აკაკის ლანდი“, „მას გახელილი დარჩა თვალები“, „როგორ ებრძოდენ ზარებს ზარები“, „ი. ა.“, „სიბერე“, „ედგარი მესამედ“, „შენ და დემონი“, „ახალი მოსახლეობა“, „თიბათვე გავიდა“, „არავი“, „სახლი ტყის პირად“, „დამშვიდობება“, „პრიმიტივი“, „შენი სადღეგრძელო“, „ცამეტი წლის ხარ“, „ლოდთან“, „გვიანი ოცნება“, „სანთელი“, „მფარველი იალქნები“, „ნუგეში“, „აუზისაგან“, „მზადება გასამგზავრებლად“, „უცნაური სასახლე“, „მამული“, „მწუხარება შენზე“, „შენ ერთი მაინც“, „სიზმრები“, „მე მოვალ“, „ლოცვისთვის“, „სასწაულს“, „დრო“, „მწოლარე“, „წმ. გიორგი“, „სროლის ხმა მთაში“, „ძველი რვეულიდან“, „მზის ჩასვლა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „ხელები“, „გემი დაღანდი“, „დაბრუნება საქართველოში“, „გზაში“, „შიში ხოლერას გამო“, „დომინო“.

➤3309

1919

**24 მაისამდე**

წერს ლექსს „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“.

➤3310

1919

**24 მაისამდე**

ჟურნალში „თოლაბულისის სარტყელი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“.

➤3311

1919

**24 მაისამდე**

ჟურნალი „თოლაბულისის სარტყელი“ აქვეყნებს ცნობას, რომ დაიბეჭდა და იყიდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე წიგნი: „Cräne aux fleurs artistiques (1914-1919)“.

➤3312

1919

**24 მაისის შემდეგ**

აკეთებს რუსულ პწკარედებს თავისი ლექსებისას „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“, „ლურჯა ცხენები“ და „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი...“.

➤3313

1919

**25 მაისი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს განცხადებას, რომ საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის თბილისის სარაიონო გამგეობა გამართავს დიდ სადღესასწაულო საოჯახო საღამო-კაბარეს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ვანო სარაჯიშვილი, მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული და პოეტები: იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, მარიჯანი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები.

➤3314

**1919**

**26 მაისი**

გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ იბეჭდება ლექსი „დაბრუნება“ („გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის...“).

➤3315

## ივნისი

**1919**

**4 ივნისს**

იხურება ქართველ მხატვართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ლადო გუდიაშვილის ფერწერული ტილო „გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი“.

➤3316

**1919**

**8 ივნისი**

გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ იბეჭდება ცნობა, რომ გამოვიდა და იყიდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომი. აღნიშნულია, რომ კრებული ჯერჯერობით იყიდება სასახლეში და გაზეთების „ერთობა“ და „საქართველოს რესპუბლიკა“ რედაქციებში.

➤3317

**1919**

**11 ივნისი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს ცნობას, რომ მიმდინარე დღეს სახალხო სახლში გაიმართება დიდი სალიტერატურო საღამო, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3318

**1919**

**11 ივნისი**

გაზეთი „ერთობა“ რუბრიკაში „ახალი ამბავი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს სახალხო სახლში გაიმართება სალიტერატურო საღამო, რომლის მეორე ნაწილში ლექსებს წაიკითხავენ გალაკტიონ ტაბიძე და სხვა პოეტები.

➤3319

**1919**

**11 ივნისის შემდგომ**

ტერენტი გრანელი და არჩილ კორინთელი პუშკინის ქუჩაზე შემთხვევით ხვდებიან გალაკტიონს და კორინთელი ორივეს შინ ეპატიჟება. გალაკტიონი აღფრთოვანებულია მასპინძლის ეზოში გაფურჩქნული ყვავილებით და თვალს ვერ წყვეტს. სუფრასთან გამართული საუბრიდან პოეტი იგებს, რომ ვალერიან გაფრინდაშვილს, ირაკლი ყანჩელს, არჩილ კორინთელსა და ტერენტი გრანელს გადაწყვეტილი ჰქონდათ დასურათებული ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა. მათ პლენხანოვზე ხელოსანთა კლუბი დაუქირავებიათ და საღამო-კონცერტების მოწყობით ფიქრობდნენ ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭირო თანხის მოგროვებას, ბილეთებიც გაყიდეს, მაგრამ ხალხი არ მივიდა. გალაკტიონი თანაუგრძნობს მათ და დახმარებას ჰპირდება.



ეუბნება, რომ გიორგი ქუჩიშვილთან ერთად ზუბალაშვილების მიერ დაარსებულ სახალხო სახლში გამართავს საღამოს და მიღებული შემოსავლიდან მატერიალურად დაეხმარება. ყველანი კარგ ხასიათზე დგებიან, გალაკტიონი გიტარას მოითხოვს და ყვავილების თემაზე მის მიერ დაწერილ ლექსებზე შექმნილ მელოდიებს ამღერებს.

➤3320

1919

### 13 ივნისი

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს ცნობას, რომ რედაქციამ მიიღო გალაკტიონ ტაბიძის კრებული: „Crâne aux fleurs artistiques (1914-1919)“, რომელიც ლამაზად არის გაფორმებული, შეიცავს 126 გვერდს და ღირს 25 მანეთი.

➤3321

1919

### 13 ივნისი

გაზეთი „ერთობა“ ახალი ამბების რუბრიკაში აქვეყნებს ცნობას, რომ 14 ივნისს, შაბათს, კახეთის ქუჩის პირველ ნომერში მდებარე ავლაზრის კლუბში საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კოლექტივი მართავს დიდ საღამოს კულტურული მიზნების ფონდის გასამდიერებლად. მოხსენებას თანამედროვე ვითარებაზე გააკეთებს ივანე გომართელი, ლიტერატურულ განყოფილებაში ლექსებს წაიკითხავენ გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ქუჩიშვილი. წარმოდგენილი იქნება მესამე მოქმედება სპექტაკლიდან „მათიკო“ და პიესა „უბედური დებიუტი“. იმღერებს გუნდი, გაიმართება ვახშამი, საზანდარი, ფოსტა და აუქციონი.

➤3322

1919

### 14 ივნისი

გაზეთი „სახალხო საქმე“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს ცნობას, რომ საჩაიეში „მმური ნუგეში“ მიმდინარე დღეს გაიმართება ღონისძიება საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა თბილისის კომიტეტის სასარგებლოდ. დილიდან დაუკრავს ორკესტრი, ხოლო საღამოს ლექსებს წაიკითხავენ პოეტები: სიკო ფაშალიშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, ტიცვიან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ლელი ჯაფარიძე და სხვანი.

➤3323

1919

### 16 ივნისს ან შემდგომ

ჟურნალის „კრონოსის სარკე“ დასახმარებლად იგეგმება შემოქმედებითი საღამო. გალაკტიონის დახმარებით ქიროზენ სახალხო სახლის დარბაზს. ბეჭდავენ და ქალაქის თვალსაჩინო ადგილებში გამოფენენ აფიშებს სალიტერატურო-მუსიკალური საღამოს შესახებ. ღონისძიების დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სალაროში ფეხზე დასადგომი ბილეთებიც კი აღარ რჩება გაუყიდავი. სცენაზე პირველად გალაკტიონი გამოდის, მას დარბაზი ხვდება ოვაციებით და შემახილებით „გალაკტიონს გაუმარჯოს“, „დიდება ჩვენს გალაკტიონს“. ის ლექსებს ჩვეული მანერით კითხულობს. წარმატებით გამოდის გიორგი ქუჩიშვილიც, გიორგი მაისურამის მომღერალთა გუნდს კი მაყურებელი რამდენჯერმე ამეორებინებს მუსიკალურ ნომრებს.

➤3324

1919

### 8-17 ივნისი

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომი პირველ ხანებში გაიყიდება მთავრობის სასახლის სახაზინო განყოფილებაში და გაზეთების „ერთობა“ და „საქართველოს რესპუბლიკა“ რედაქციებში.

➤3325

1919

**18 ივნისამდე**

სანდრო ცირეკიძეს ქუთაისში გამოცემულ კრებულში „ახალი პოეზიის ანტოლოგია“ შეაქვს გალაკტიონ ტაბიძის სამი ლექსი: „მე და ღამე“, „ლურჯა ცხენები“ და „დედაო ღვთისავ“.

➤3326

1919

**22 ივნისი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს ქართულ კლუბში ჩატარდება მესხეთ-ჯავახეთის დღე, საღამოს კი იგეგმება დიდი სეირნობა და კონცერტი. პოეზიის განყოფილებაში ლექსებს წაიკითხავენ: პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე, გალაკტიონ ტაბიძე და შალვა შარაშიძე.

➤3327

1919

**28 ივნისი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს ორთაჭალის გვარდიელთა ოჯახების დამხმარე კომისიის განცხადებას, რომ ორთაჭალის მუშათა საზაფხულო კლუბში კვირას, 29 ივნისს, საღამოს 5 საათზე გაიმართება ფრონტზე მყოფ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ დიდი სეირნობა-საღამო, რომლის მესამე ნაწილის დივერტისმენტში გამოვლენ გალაკტიონ ტაბიძე და სხვა პოეტები.

➤3328

1919

**29 ივნისი**

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს ორთაჭალის გვარდიელთა ოჯახების დამხმარე კომისიის განცხადებას, რომ ორთაჭალის საზაფხულო მუშათა კლუბში მიმდინარე დღეს, საღამოს 5 საათზე ფრონტზე მყოფ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ გაიმართება დიდი სეირნობა-საღამო, რომლის მესამე ნაწილის დივერტისმენტში სხვა პოეტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3329

1919

**ივნისი ან შემდეგ**

გრიგოლ ცეცხლაძესთან, ნიკოლო მიწიშვილთან, სერგო კლდიაშვილთან, ლადო მაჭავარიანთან, ივანე ყიფიანთან და ალექსანდრე ლორდელთან ერთად იმყოფება დავით მებუკის ოჯახში. უკვე შეზარხოშებულები არიან, როცა თამადა მიწიშვილის სადღეგრძელოს ამბობს. გალაკტიონი ჭიქას იღებს და ნიკოლოს მოიხსენიებს, როგორც უნიჭიერეს, შესანიშნავ, შეუდარებელ პოეტს. გადაჭარბებულ ქებას მიწიშვილი ირონიად მიიჩნევს, რადგან ბოლო დრომდე იგი, ძირითადად, მცირე მოთხრობების ავტორი იყო და ლექსების ბეჭდვა ახალი დაწყებული აქვს. ამის გამო ნიკოლო გაბრაზებით ეუბნება გალაკტიონს, რომ მისი პირფერობა არავის სჭირდება, აჯობებს ის თქვას, რაც გულში აქვს და მართალი სიტყვებით ისაუბროს. ამგვარი შეპასუხება ნასვამი გალაკტიონის აღშფოთებას იწვევს, იგი უხეშად ეუბნება მიწიშვილს, რომ მართალ სიტყვას მისნაირ კაცს არ ეტყვის, რადგან თუ მართალი სიტყვის თქმა მოუწდება, მაშინ მართალ კაცს მოძებნის. ასეთი ადამიანის მაგალითად კი იქვე მყოფ ალექსანდრე ლორდელს ასახელებს. ამგვარი პასუხის შემდეგ გალაკტიონი და მიწიშვილი ერთმანეთისკენ საჩხუბრად იწვევენ, მაგრამ თანამესუფრეები ახერხებენ მათ გაშველებას.

➤3330

1919

### 9 ივლისი

გაზეთი „სახალხო საქმე“ რუბრიკაში „ბიბლიოგრაფია“ აქვეყნებს რაუდ გოგობიას რეცენზიას გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე წიგნზე: „Crâne aux fleurs artistiques (1914-1919)“. კრიტიკოსი წერს, რომ გალაკტიონ ტაბიძის მეორე წიგნი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ახალ ქართულ პოეზიაში. ის თანამედროვე ქართული ლირიკის „წელში გამართვაა“, შედეგია, ხოლო მისი ავტორი დიდი ნიჭის პატრონი. თუმცა ადარებს რა ამ წიგნს გალაკტიონის ლექსების პირველ ტომს, ასკვნის რომ პირველი წიგნის შინაარსის სიმარტივე ხელს უშლის გალაკტიონის გიგანტად აღიარებას. მიაჩნია, რომ პოეტის შემოქმედება იმდენად განსხვავებულია, რომ მას წინაპარი არ ჰყოლია და „ბოდლერის ხაშხაში და გალაკტიონის ღვინო“ სხვადასხვა ნიადაგზე აღმოცენებული, რადგან გალაკტიონის სულიერი სიფაქიზე „გახრწნილებას“ ვერას დროს ვერ შეიგუებს“. კრიტიკოსი განსაკუთრებით აღნიშნავს, გალაკტიონის ლექსის მაღალ „ტექნიკას“. დასასრულს რაუდ გოგობია გულისტკივილს გამოთქვამს, რომ წიგნი არ არის რიგიანად გამოცემული. იწუნებს, ყდას და ქალაღდს, ასევე არ მოსწონს, რომ წიგნის სათაური და ავტორი ყველა გვერდზე მეორდება.

➤3331

1919

### 15 ივლისი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს გალაკტიონის პორტრეტს წარწერით: „პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, მისი ლექსების მეორე ტომის გამოცემის გამო“.

➤3332

1919

### ივლისი ან უფრო ადრე

წერს ლექსს „ხიდი „რიალტო“ მთის მდინარეზე“.

➤3333

1919

### ივლისი

ჟურნალი „სმარაგდი“ აქვეყნებს ვასილ გორგაძის რეცენზიას გალაკტიონ ტაბიძის მეორე წიგნზე: „Crâne aux fleurs artistiques (1914-1919)“. ავტორი წერს, რომ გალაკტიონ ტაბიძის დაფასება, როგორც პოეტისა და მხატვრისა, მომავლის საქმეა. სტატიის ავტორი თვლის, რომ უახლესი ქართული პოეზია ახალი გზების ძიებაშია, ხოლო გალაკტიონის შემოქმედება მოწმობს, რომ ახალმა პოეზიამ ერთგვარად მიაღწია მიზანს და მალე მტკიცე ეროვნულ ნიადაგზე დამკვიდრდება. კრიტიკოსის აზრით ხელოვნების ყველა ნაწარმოებს უნდა ახასიათებდეს მარადი სიახლე, რომლის გარეშე ნაწარმოები კარგავს ფასეულობას, ამიტომ იგი ერიდება „პოეზიის დაუსრულებელ სივრცეზე“ გამოჩენილი „დაუსრულებელი პროფილების“ შესახებ საუბარს, რათა არ გაიმეოროს იმ კრიტიკოსთა შეცდომები, ვინც გრიშაშვილის, შანშიაშვილის, მჭედლიშვილის, რუხაძის და ქუჩიშვილის შემოქმედებაში ხედავდა „მომავალი პოეზიის ბუმბერაზებს“. ვასილ გორგაძე წერს, რომ ზოგიერთი პოეტი პუბლიცისტიკით არის გატაცებული, პოეზიით სარგებლობენ პროზისთვის და რუსთაველის შემდეგ ქართული პოეზია ასცდა პოეტურ გზას, ხოლო ახალი პოეზია ცდაა ამ გზის განახლების. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძის წიგნი ახალ პოეზიაში წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია, იშველიებს ანდრეი ბელის სტრიქონს გალაკტიონის პოეზიის დასახასიათებლად და წერს, რომ ამ წიგნში გალაკტიონი წარმოჩნდება, როგორც ნიჭიერი ხელოვანი, რომლის მხატვრულ პრიზმაში მაგიურად გროვდება „ცისარტყელის ფერებად დატეხილი“ სული, რომ გალაკტიონის შემოქმედება მრავალსიმიანი და თავისუფალია. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ წიგნში მოთავსებული არ არის 1914 წელს და ადრე დაწერილი რჩეული ლექსები „ლურჯა ცხენები“, „მერი“, „სილაჟვარდე ანუ სილაში ვარდი“ და „მთაწმინდის მთვარე“. მისი აზრით, ახალ ლექსთა

შორის აღსანიშნავია „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“ და „რამდენიმე დღე პეტროგრადში“. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ დასახელებულთაგან პირველ ლექსში არის „ვერხარენის ამაყი თავის ამართვა და მძლავრი ოცნების რკინის ფრთებით გაქანება“, „ბრინჯაოს სიმტკიცე და ჭაობის სისოვლე“. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ საბიბლიოგრაფიო წერილში მეტის თქმა შეუძლებელია და მკითხველს მომავალში ჰპირდება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის გაცნობას და პოეტური პორტრეტის დახვეწას.

➤3334

1919

ივლისი

ჟურნალი „სმარაგდი“ რუბრიკაში „სამხატვრო მატთანე“ ბეჭდავს ცნობას, რომ აგვისტოში თბილისში გამოვა ლადო მაჭავარიანის ჟურნალის „აისი“ მეორე ნომერი, რომელშიც დაიბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

➤3335

1919

ივლისი

ჟურნალი „სმარაგდი“ აქვეყნებს ლექსს „ხიდი „რიალტო“ მთის მდინარეზე“.

➤3336

## ა გ ვ ი ს ტ ო

1919

8 აგვისტომდე

ოლია ოკუჯავა შაბათობაში მონაწილეობის დროს იზიანებს მარჯვენა ხელს. ეს იწვევს სისხლის მოწამლვას და, მიუხედავად იმისა, რომ ამპუტაციაზე უარს ამბობს და ხელი უნარჩუნდება, მასში მგრძნობელობა არ აქვს და ვერ ამოძრავებს.

➤3337

1919

8 აგვისტო

ოლია ოკუჯავა მოსკოვთან ახლოს სანატორიუმში მკურნალობს და დღიურში გამოსამშვიდობებელ სიტყვებს უწერს ახლობლებს. გალაკტიონს სთხოვს, რომ ლექსის ძეგლი დაუდგას.

➤3338

1919

20 აგვისტო

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, რომ გალაკტიონი თავისი ლექსების „ყვავილებით“ ადამიანთა გულს იზიდავს.

➤3339

1919

24 –27 აგვისტო

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ყველა წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი – გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომი (1914-1919). წიგნის ფასი 25 მანეთია. მსურველებს იგი გადაეგზავნება პროვინციაში, რისთვისაც უნდა მიმართონ „ერთობის“ რედაქციას.

➤3340

1919

28 აგვისტო

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს 6 ლექსს გალაკტიონ ტაბიძის უკანასკნელი წიგნიდან „Cräne aux fleurs artistiques“: „მთაწმინდის მთვარე“, „თოვლი“, „ატმის ყვავილები“, „შიშველი“, „სიკვდილი მთვარისაგან“, „შენ ერთი მაინც“.

➤3341

1919

28 აგვისტო

გაზეთი „ერთობა“ სათაურით „გალაკტიონ ტაბიძის ლექსები“ აქვეყნებს ორ ლექსს მისი ახალი წიგნიდან „Crane aux fleurs“: „მას გახელილი დარჩა თვალები“ და „რამდენიმე დღე პეტროგრადში“.

➤3342

1919

29 აგვისტო

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ყველა წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი – გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე ტომი (1914-1919). წიგნის ფასი 25 მანეთია. მსურველებს იგი გადაეგზავნება პროვინციაში, რისთვისაც უნდა მიმართონ „ერთობის“ რედაქციას.

➤3343

1919

29 აგვისტო

გაზეთი „სახალხო საქმე“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს, პარასკევს, 29 აგვისტოს სახელოსნო კლუბში გაიმართება პროფესორ ენრი ბროჯის კონცერტი, აკაკი პაპავას მოხსენება ხელოვნებაზე და პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: სიკო ფაშალიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ მჭედლიშვილი.

➤3344

1919

31 აგვისტო

გაზეთი „სახალხო საქმე“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს განცხადებას, რომ ენრი ბროჯის კონცერტი, აკაკი პაპავას მოხსენება ხელოვნებაზე და პოეზიის საღამო სიკო ფაშალიშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ მჭედლიშვილის მონაწილეობით, რომლებიც სახელოსნო კლუბში 29 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო, 3 სექტემბრისთვის გადაიდო.

➤3345

1919

ზაფხული ან შემდეგ

თბილისის სადგურის მოედანზეა და კახეთის მატარებლით აპირებს თელავში გამგზავრებას, როდესაც შემთხვევით ხვდება მოსკოვიდან ახალდაბრუნებული იოსებ ფანცხავა მეგობართან ერთად. ისინი გალაკტიონს კახეთში გამგზავრებას გადააფიქრებინებენ, ჯერ ხარფუხში მდებარე რესტორან „მოსკოვში“ ჰპატიჟებენ, იქიდან კი გოგირდის აბანოებში მიჰყავთ, სადაც მანამდე არასოდეს ყოფილა.

➤3346

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1919

3 სექტემბერი

გაზეთი „სახალხო საქმე“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს გაიმართება პროფესორ ენრიკო ბროჯის კონცერტი და პოეზიის საღამო. აკაკი პაპავა გამოვა მოხსენებით: „თქმა ხელოვნებაზე“. ლექსებს წაიკითხავენ პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ მჭედლიშვილი, სიკო ფაშალიშვილი, გიორგი ლეონიძე, და სხვები.

➤3347

1919

**16-25 სექტემბერი**

გაზეთში „სახალხო საქმე“ იბეჭდება განცხადება, რომლის მიხედვითაც 16-25 სექტემბერს გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით სალიტერატურო დილა-სადამოები გაიმართება ხაშურში, ქუთაისში, ხონში, სამტრედიისში, ახალ-სენაკსა და ოზურგეთში.

➤3348

1919

**აგვისტო-სექტემბერი**

ოლია ოკუჯავა მკურნალობს სანატორიუმში, რომელიც მდებარეობს მოსკოვის ოლქის ვერცხლისფერწიწვოვან ტყეპარკში.

➤3349

**ოქტომბერი**

1919

**23 ოქტომბერი**

პედაგოგები ოლია ოკუჯავას სცენარს კურსზე საუკეთესოდ მიიჩნევენ. სახლში მისული ოლია დღიურში მიმართავს გალაკტიონს, რომ მის გვერდით ყოფნას ნატრობს, რადგან მის გარეშე სიხარულიც მოსაწყენია.

➤3350

1919

**21 ოქტომბრამდე**

➤ჩადის ქუთაისში.

3351

1919

**21 ოქტომბერი**

ქუთაისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის დედას. მადლობას უხდის ხილით სავსე კალათისთვის, რომელიც აბესალომს გაატანა მასთან, მაგრამ აბესალომმავე შეჭამა. სთხოვს, თავს გაუფრთხილდეს, რადგან ჯანმრთელობა ყველაზე მნიშვნელოვანია.

➤3352

1919

**26 ოქტომბერი**

ქუთაისშია და სადამო ხანს არქიელის გორიდან ქუთაისისთვის გადმოხედვის სურვილი უჩნდება. გორაზე სიმონ ჩხეიძესთან ერთად ასვლის შემდეგ ბრუნდება მის ოჯახში, სადაც ვახშმის შემდეგ საოჯახო ალბომში აკეთებს ჩანაწერს მათი მარადიული მეგობრობის შესახებ.

➤3353

1919

**ოქტომბერი**

ჟურნალ „შვიდ მნათობში“ „ვ. ჩ.-ს“ ფსევდონიმით იბეჭდება ვასილ ჩხენკელის რეცენზია გალაკტიონ ტაბიძის წიგნზე „Crâne aux fleurs artistiques“. ლექსები. წიგნი მეორე. (1914-1919)“. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მიუხედავად უკანასკნელ დროს კაცობრიობის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებისა, რომლებიც გარდაუვალ ზღუდედ დაედო ძველსა და ახალს, ქართველმა პოეტებმა ამ ცვლილებებს ალლო ვერ აუღეს და საქართველოს არ ჰყავს „თანამედროვე“ პოეტი. იგი წერს, რომ გალაკტიონ ტაბიძის ახალი კრებული თვით სათაურიდან და ეპიგრაფებიდან გამომდინარე წარსული დღის „თეთრ გედებზე“ და „ლურჯ ფრინველებზე“

მოგვითხრობს, რაც უკვე ჩაბარდა წარსულს. იგი თვლის, რომ გალაკტიონ ტაბიძე „დანთქმულია განმარტოებულ სულის მეღანქოლიაში“, რომ მას „მუდამ მოგონებებით სავსეს“, არ სურს არსებულის შეცვლა. კრიტიკოსი იმოწმებს გალაკტიონის ლექსებს „ლურჯა ცხენები“ და „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ და აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ „დაიმსხვრა ოცნება და რომანტიკა“ და გალაკტიონი ემშვიდობება მათ, მას არ ძალუძს „მოშორდეს და დაივიწყოს იგი“. ავტორი წერს, რომ გალაკტიონი „წმინდა წყლის რომანტიკოსია. მის პოეზიაში მოდერნიზმი და მისი უკანასკნელი ზედნაქსოვები ახალი რომანტიზმის საღებავებშია გავლებული. მისი ფუტურიზმიც კი უაღრესად რომანტიკულია“. კრიტიკოსი თვლის, რომ გალაკტიონის სტიქია არის „გალრმავებული პირადი გრძნობა“ და რომ ამაშია მისი ძალაც და სისუსტეც. წერს, რომ პოეტის მთავარი პრობლემა ის არის, რომ იგი ვერ შეიმეცნებს თანამედროვე ცხოვრებას, „ობივატელის“ პოზიციიდან აფასებს რევოლუციას და მის ეტაპებს, რომელმაც „ავტორს ფიზიკურად შეუშალა ცხოვრების გეზი“. ამ აზრის საილუსტრაციოდ კრიტიკოსი იმოწმებს ლექსებს: „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „გემი დალანდი“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“. ავტორი წერს, რომ ამავე „მეღანქოლიური გრძნობით“ აღწერს პოეტი ბუნებას, თუმცა აღნიშნავს, რომ ბუნების აღწერისას იგი „სწყვეტს ვიწრო სკოლის ბორკილებს“ და ნამდვილი პოეზიის სულით აღბეჭდილ სურათებს შლის, დასახელებულია: „ატმის ყვავილები“, „ვერხვები“, „მთაწმინდის მთვარე“. აკრიტიკებს ლექსს „ღრუბლები ოქროს ამურებით“, თვლის რომ ამგვარი ლექსები „მღვრიე წყალს ურევვენ“ პოეზიის ღვინოში და კრებულში მათი არმთავსება მის ღირსებას ასწევდა. თვლის, რომ მოწოდებები: „საქართველო შენ მოვალე ხარ“ მშვიერი მოსახლეობის ყურადღებას ვერ მიიპყრობს, ბაზარი სდუმს და პოეზიის რეკლამირების სხვა გზებია მოსაძიებელი. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ კრებული შეიცავს 128 გვერდს და მასში მოთავსებულია უკანასკნელი 5 წლის მანძილზე დაწერილი 86 ლექსი, რომ წიგნი გარეგნულად არ არის ხეირიანად გამოცემული და სამწუხაროდ კორექტურა მოიკოჭლებს, რაც ლექსთა კრებულისთვის შეუწყნარებელია. თუმცა აღნიშნავს რომ მათთვის, ვინც ქართულ პოეზიას თვალყურს ადევნებს ამ კრებულის შეძენა აუცილებელია.

➤3354

## ნ ო ე მ ბ ე რ ი

1919

### 9 ნოემბრამდე

გალაკტიონის ლექსზე „მერი“ ვალერიანე ჯვარშიევილი ქმნის რომანსს და თავადვე ასრულებს სხვადასხვა შეხვედრაზე. გალაკტიონ ტაბიძეს ყურში უხეზად ხვდება მუსიკოსის გრძელი და ძნელად წარმოსათქმელი სახელი და გვარი და ფსევდონიმის გამოყენებას ურჩევს. იოსებ იმედაშვილი სთავაზობს შემოკლებულ ფორმას – „ვალერი ჯვარიძე“ და თავის ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ახალგაზრდა კომპოზიტორს ამ ფსევდონიმით წარუდგენს მკითხველს.

➤3355

1919

### 9 ნოემბრამდე

ფრანგი კომპოზიტორის მასნეს ცნობილ მელოდიას გალაკტიონი უსადაგებს სიტყვებს „ოჰ, დღეს შემოდგომაა...“ და სიმღერას „მერის“ უწოდებს.

➤3356

1919

### 9 ნოემბერი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს მხატვარ დავით კაკაბაძის შესრულებულ გალაკტიონის პორტრეტს წარწერით: მგოსანი გ. ტაბიძე, ახალი რომანსის – „მერის“ სიტყვების ავტორი და ვალერიანე ჯვარშიევილის ფოტოსურათს წარწერით: „ვალერი ჯვარიძე, ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი, „მერის“ შემსრულებელი“.

➤3357

## დ ე კ ე მ ბ ე რ ი

1919

**6 დეკემბრამდე**

სერგეი სუდეიკინი კაფეში „ქიმერიონი“ ხატავს გალაკტიონის პორტრეტს.

➤3358

1919

**12 დეკემბრამდე**

ვასილი კროტკოვი ხატავს გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტს.

➤3359

1919

**12 დეკემბერი**

დიდების ტამარში იხსნება გამოფენა „თანამედროვე ქართული მხატვრობა და ქანდაკება“, სადაც წარმოდგენილია ვასილი კროტკოვის „გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი“.

➤3360

1919

**21 დეკემბერი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მიმდინარე დღის 12 საათზე ქართულ კლუბში გაიმართება სალიტერატურო დილა სტუდენტთა სალიტერატურო წრის სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი პაპავა, დუტუ მეგრელი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და სიკო ფაშალიშვილი.

➤3361

1919

**26 დეკემბერი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს განცხადებას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სალიტერატურო წრე კვირას, 28 დეკემბერს დილის 10 საათზე ქართულ კლუბში გამართავს სალიტერატურო დილას. მაცურებლები დაიშვებიან 21 დეკემბრისთვის გაყიდული ბილეთებით. მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი პაპავა, დუტუ მეგრელი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და სიკო ფაშალიშვილი.

➤3362

1919

**28 დეკემბერი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ „ახალი ამბავის“ რუბრიკაში აქვეყნებს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს, კვირას, 28 დეკემბერს დილის 10 საათზე ქართულ კლუბში გაიმართება სალიტერატურო დილა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი პაპავა, დავით კლდიაშვილი, დუტუ მეგრელი და გალაკტიონ ტაბიძე.

➤3363

1919

მუშაობს ნარკვევზე ქართველი მწერლებისა და მათი დაკრძალვის ადგილების შესახებ. განიხილავს შოთა რუსთველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მამია გურიელის, ეგნატე ნინოშვილისა და სხვათა შემოქმედებასა და ღვაწლს, შემდეგ კი მოკლედ საუბრობს ახალ ლიტერატურულ მიმდინარეობაზე, რომელიც „1908 წლიდან დაიწყო“ და „შეეცადა წარსულისაგან შეუსრულებელ იდეების გატარებას“. პოეტის აზრით, მათ შემოიტანეს ახალი სტილი „სტილი უფრო ღრმა, რთული, ხელოვნური ნიუანსებით და ძიებებით სავსე“.

➤3364



**1919**

კრებულში „ახალი პოეზიის ანტოლოგია“ იბეჭდება ლექსი „ლურჯა ცხენები“.

➤3365

**1919**

იმყოფება თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში ლადო მაჭავარიანთან, ვასო გორგაძესთან, ანდრო შილაკაძესთან, სავლე აბულაძესთან და სხვებთან ერთად. შეკრებილები, რომელთა რაოდენობა ოცს აღწევს, აპირებენ, დააარსონ საზოგადოება „თეთრი გიორგი“, რომლის მიზანიც ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა და სალიტერატურო სადამოების მოწყობა იქნება. საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ გალაკტიონს. პოეტი მაძლობას იხდის და სიტყვას წარმოთქვამს „თეთრი გიორგის“ მუშაობის შესახებ: აღნიშნავს, რომ ეს საზოგადოება ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებს. დამსწრეებს აოგნებს გალაკტიონის მიერ გამოთქმული აზრი, რომ არც გამგეობის წევრების, არც თავმჯდომარის მოადგილის და მდივნის არჩევა აღარ არის საჭირო, რადგან საზოგადოების სამართავად მხოლოდ თავმჯდომარეც საკმარისია. გალაკტიონის ამგვარ პოზიციას განაპირობებს ის, რომ მას არ მოსწონს შეკრებილთა მიერ დასახელებულ პოზიციებზე შეთავაზებული კანდიდატები. რადგან „თეთრი გიორგის“ წევრები მთავარ საკითხებზეც ვერ თანხმდებიან, საზოგადოება დაარსებისთანავე იშლება.

➤3366

**1919**

გალაკტიონი ცდილობს რევოლუციური ჟურნალის დაარსებას და თანამოაზრეებს იკრებს თავის გარშემო, მაგრამ სანდრო აბაშელი საქმეს უფუჭებს, ყველას შეახსენებს გალაკტიონის მიერ ლექსში „გემი „დალანდი“ ლენინის ხსენებას. ამით მენშევიკების თვალში უარყოფითად წარმოაჩენს და თავად აარსებს მენშევიკურ ჟურნალს „ცისარტყელა“.

➤3367

**1919 ან შემდეგ**

რუსი რევოლუციონერისა და დიპლომატის პლატონ კრეჟენცევის მიერ და „ვ. კრეჟენცევის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წიგნის „შემოქმედებითი თეატრი“ სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს.

➤3368

**1919 ან შემდეგ**

კითხულობს ერნსტ მეიმანის წიგნის „ესთეტიკა“ რუსულ თარგმანს. აკეთებს ხაზგასმებსა და აღნიშვნებს.

➤3369

**1919 ან შემდეგ**

წერს ტექსტს: „ბავშობიდანვე ჩემი ყვავილებისადმი არაჩვეულებრივი სიყვარულის გრძნობა...“.

➤3370

**1919 შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს, რომ ერთი ამბავია ატეხილი კაფე „ქიმერიონში“ ჩატარებული კონფერენციებისა და ლექციების შესახებ, რომლებიც სინამდვილეში არ გამართულა. ამ აურზაურის გამო დაასკვნის, რომ საქართველო ფილისტერებიტაა სავსე.

➤3371

**1920**

**1 იანვრამდე**

წერს ლექსს „ტფილისი“ („ქალაქზე ნელმა ალმა იფეთქა...“) და გადასცემს ახალდაარსებულ ჟურნალ „ტფილისში“ დასაბეჭდად.

➤3372

### 1910-ანი წლები

ინტერესდება რუდოლფ შტაინერის ნაშრომით „სულიერების საფუძვლები“ და თარგმნის მის ფრაგმენტს.

➤3373

### 1919 ან შემდეგ

თარგმნის ვადიმ შერშენევიჩის მიერ 1919 წლის გაზაფხულზე დაწერილ ლექსს „პრინციპი არაკის“, რომელსაც ორიგინალშივე აქვს ქვეშ მიწერილი, რომ ეძღვნება ალექსანდრ კუსიკოვს.

➤3374

### 1920-მდე

წერს უსათაურო ლექსს „ჰაეროვანი ფრთა შემოდგომის...“.

➤3375

## 1920 ი ა ნ ვ ა რ ი

### 1920

#### 1 იანვარი

ჟურნალი „ტფილისი“ ბეჭდავს გალაკტიონის ლექსს „ტფილისი“ („ქალაქზე ნელმა ალმა იფეთქა...“).

➤3376

### 1920

#### 1 იანვარი

ჟურნალი „ტფილისი“ „ი. ი-ანის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ივანე იოსელიანის სტატიას „გენიალური გალაკტიონი“. ავტორი ვერ ფარავს გალაკტიონის მეორე წიგნით განცდილ აღფრთოვანებას. იგი თვლის, რომ ამ წიგნით დასრულდა მამულიშვილური და პროგრამული პოეზიის ხანა, დასრულდა აკაკი წერეთლის მიმზამველობის პერიოდი, რომელსაც არაერთი ნიჭი ემსხვერპლა, ხოლო ახალი ქართული პოეზია, რომელიც აქამდე შაბლონსა და უფერულ სიმარტივეს ვერ გასცდა და სრულყოფილად ვერ ეზიარა ახალ კულტურას, ზეიმობს თავის ფერისცვალებას, ამ განახლების პირველი წრფელი აღსარებაა გალაკტიონ ტაბიძის წიგნი „Crane aux fleurs“. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ „საქართველოში მოდის დიდი მწერალი და მას გზას ულოცავს ერის ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლება“. ხელოვნება აღარ იქნება არც მხოლოდ ბრძოლის საყვირი და არც სათნოებისა და სიბრალულის ფსალმუნი. გალაკტიონის პოეზიის მთავარი მიღწევა და დევიზი ყოველგვარი დოგმატებისგან გათავისუფლებაა. ავტორი თვლის, რომ შეუძლებელია გალაკტიონის პოეზიას პესიმიზმი და ცხოვრების უარყოფა დაერქვას, რადგან პოეტის უნაზესი სევდა დიდი სიყვარულის და გრძნობათა სიჭარბის ნაყოფია. აღნიშნავს, რომ მან შექმნა საკუთარი „წმინდა ესთეტიური“ სკოლა. წერს, რომ გალაკტიონი თავისი „ტემპერამენტით, შეშლილი ნერვებით და ნაღვლიანი ოცნებით ახალი კულტურის წინამორბედია“, აღნიშნავს გალაკტიონის ბუნებრიობას, ესთეტიკურ სისპეტაკესა და ლიტერატურულ სინდისიანობას, მისი რიტმის გრძნეულებას კი შოპენის მუსიკას ადარებს.

➤3377

### 1920

#### 1 იანვარი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს ილო მოსაშვილის სტატიას „სალიტერატურო სილუეტები“, რომელშიც ქართველ თანამედროვე მწერალთა შორის გალაკტიონ ტაბიძე დახასიათებულია, როგორც ღამის უგზობაში გამოჩენილი „ტანზე ნაბად შემოხვეული“ მარტოსული გვიანი მგზავრი. ავტორი აღნიშნავს, რომ პოეზია „განმწმენდი ცეცხლი“ უნდა იყოს და სინაზე უნდა ახასიათებდეს, გალაკტიონის პოეზიაში კი ეს ყველაფერი უხვადაა. იგი წერს, რომ ქართველ ფუტურისტებს ეს მხარე დავიწყებული აქვთ და შიშს გამოთქვამს, რომ თუკი ისინი ასე განაგრძობენ, მათი პოეზია შეიძლება მათთან ერთად მოკვდეს. სტატიის ავტორი თვლის, რომ გალაკტიონ ტაბიძე უნდა სცადოს „საშუალო გზაზე დადგომა“, რადგან მის პოეზიაში იგრძნობა ამის პერსპექტივა.

➤3378

1920

### 1 იანვარი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს განცხადებას, რომ დაიბეჭდა და 15 მანეთად იყიდება გალაკტიონის ლექსზე „მერი“ შექმნილი სიმღერის ნოტები. მუსიკა ეკუთვნის ჟიულ მასენეს, სიმღერა კი ვალერი ჯვარიძეს.

➤3379

1920

### 1 იანვარი

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ იანვარში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი „შვილდოსანი“, რომელშიც ითანამშრომლებენ: შალვა ამირეჯიბი, ალი არსენიშვილი, შალვა აფხაიძე, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები.

➤3380

1920

### 3 იანვარი

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს ივანე გომართელის კრიტიკულ მიმოხილვას „ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წ.“, რომელშიც მაღალ შეფასებას აძლევს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. ავტორის აზრით „უტყუარი ნიჭი“ და ბარათაშვილთან სულიერი ნათესაობა მისი პირველივე წიგნიდან ჩანდა. კრიტიკოსი წუხილს გამოთქვამს, რომ 1914 წელს გამოცემული პირველი წიგნის შემდეგ პოეტის მეორე წიგნს დააგვიანდა. მისი აზრით მეორე წიგნში გალაკტიონი წარმოუდგენლად გაიზარდა და ესოდენ დიდი ნაბიჯი იშვიათი მოვლენაა ქართულ მწერლობაში. ივანე გომართელი მიიჩნევს, რომ გალაკტიონ ტაბიძის მეორე წიგნი საოცარი ლირიზმით არის გაჟღენთილი და ახალი პოეზიის „ერთი საუკეთესო თვალია“. ეს წიგნი პოეტის სულის სარკეა და ბარათაშვილის შემდეგ გრძნობა ასეთი სისავსით არავის გამოუხატავს. სტატიის ავტორი ცალკე აღნიშნავს რითმებისა და ასონანსების მრავალფეროვნებას და მხოლოდ გალაკტიონის პოეზიისთვის დამახასიათებელ პოეტურ ტექნიკებს. მისი აზრით, გალაკტიონის მეორე წიგნი გარკვეულწილად სიმბოლისტების გავლენას განიცდის, მაგრამ ეს არ არის მისთვის ორგანული, სასურველია, მისგან დროულად გათავისუფლდეს და მიჰყვეს მხოლოდ საკუთარ ნაზ, ლამაზ, „სევდით დათენთილ აღმაფრენას“. გალაკტიონმა იცის თავისი ნიჭისა და სულიერი ძალის სიდიდე, მაგრამ რეალობა არ აძლევს საშუალებას, რომ „დაუბრკოლებლად გაშალოს ფრთები“. ივანე გომართელი გალაკტიონში ისეთ გამორჩეულ ნიჭს ხედავს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება და დაფასება სჭირდება.

➤3381

1920

### 11 იანვრამდე

იოსებ გრიშაშვილი „მარუთა შუამდინარელის“ ფსევდონიმით ჟურნალში „ლეილა“ აქვეყნებს რეცენზიას გალაკტიონ ტაბიძის მეორე წიგნზე: „Crane aux fleurs artistiques (1914-1919)“. ის

აღნიშნავს, რომ გალაკტიონი პოეტებში პიროვნულად გამორჩეული „ფანტასტიური ადამიანია“. დასავლეთ საქართველოს პოეტებს ქართული ენა კარგად არ ეხერხებათ და ხშირად იყენებენ პროვინციულ სიტყვებს, მაგრამ გალაკტიონმა, რომელიც მეტი სიყვარულით ეკიდება მშობლიურ ენას, ეს ნაკლი დასძლია. რეცენზენტი აქებს მის ხალას ნიჭს, მაგრამ მიიჩნევს, რომ როგორც პირველ, ისე მეორე წიგნში მხოლოდ რამდენიმე ლექსია კარგი და ავტორისთვის დამახასიათებელი. სტატიაში წუხილია გამოთქმული იმასთან დაკავშირებით, რომ კრიტიკოსები ამ წიგნზე სდუმან და „სიმბოლისტების დაბალი შკოლა“ (ჩამოთვლილია ჟურნალები: „კრონოსის სარკე“, „სმარაგდი“, „აისი“, „თოლაბულისის სარტყელი“ და სხვ.) უფრო აინტერესებთ, ვიდრე თვითნაბადი ხალასი ნიჭი. გრიშაშვილი დარწმუნებულია, რომ არცერთ პოეტს არ ეხერხება ასონანსები ისე, როგორც გალაკტიონს. რეცენზენტი განსაკუთრებით გამოყოფს ლექსებს „ლურჯა ცხენები“, „მერი“ და „პირიმზე“ და ამბობს, რომ ამ უკანასკნელში „თინათინობს“ საქართველოს წარსული სევდა.

➤3382

1920

14 იანვარი

გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების მეგობრებს ავადმყოფი და უგრძობლად მყოფი ტიციანი მისი ქორწილის დღეს საქორწილო ოთახიდან გადაჰყავთ სასტუმრო „კავკაზში“. ტიციანს ფილტვების ანთება აღმოაჩნდება და მთელ თავლობის თვეს ავადმყოფობაში ატარებს.

➤3383

1920

14 იანვარი

ჟურნალში „მუშათა ცხოვრება“ „ალფას“ ფსევდონიმით და სათაურით „წიგნი არამრავალთათვის“ იბეჭდება გრეცენზია გალაკტიონის მეორე კრებულზე. ავტორი მას მაღალ შეფასებას აძლევს, თავად გალაკტიონს კი თანამედროვე პოეტთა შორის უპირველესს უწოდებს.

➤3384

1920

16 იანვარი

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს აკაკი პაპავას კრიტიკული მიმოხილვის „ფიქრები მშობლიურ ლიტერატურაზე (1919 წ. ერთი თვალის გადავლებით)“ პირველ ნაწილს. რეცენზენტი წერს, რომ გალაკტიონს და მის შემოქმედებას ახასიათებს ინდივიდუალურობა და სუბიექტურობა. იგი მსოფლიოში ყველა მოვლენას ეხმაურება, მაგრამ ეს ვერ ჩრდილავს მის პიროვნულ „მეს“. მისი რელიგია მწუხარებაა, მაგრამ არასოდეს გაცვლის მას ლხინში.

➤3385

1920

17 იანვარი

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს აკაკი პაპავას კრიტიკული მიმოხილვის „ფიქრები მშობლიურ ლიტერატურაზე (1919 წ. ერთი თვალის გადავლებით)“ გაგრძელებას. იგი აღნიშნავს, რომ გალაკტიონი „არისტოკრატია ჩვენს პოეზიაში ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით“. კრიტიკოსი ვრცლად მიმოხილავს გალაკტიონის ლექსებს და აღნიშნავს, რომ მართლაც ასაზრდოვეს მის არისტოკრატიზმს, ესთეტიზმს და უკიდურეს სუბიექტივიზმს.

➤3386

1920

17 იანვარი

გაზეთი „ვოზროჟდენიე“ რუსულ ენაზე აქვეყნებს განცხადებას, რომ შაბათს, 17 იანვარს „არტისტული საზოგადოების“ დარბაზში თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიის მერვე კლასის

უსახსრო მოწაფეთა სასარგებლოდ ეწყობა მეჯლისი-კაბარე. განცხადებაში ნათქვამია, რომ ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: პაოლო იაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ლელი ჯაფარიძე, გალაკტიონ ტაბიძე და ვასილი კამენსკი.

➤3387

1920

### 25 იანვრამდე

ჟურნალი „შვილდოსანი“ აქვეყნებს ვალერიან გაფრინდაშვილის სტატიას „რიტმა და ასონანსი“, რომელშიც მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძე. ავტორი აღნიშნავს, რომ „ვისაც შეუძლია მოიგონოს ასეთი რიტმა: სილაში ვარდი – სილაჟვარდე (გალაქტიონი), უკაცრავად – დაუკაწრავად (პაოლო) – იმას აქვს რიტმის მჭერმეტყველი ფანტაზია და რიტმის ხილვა“.

➤3388

1920

### 25 იანვრამდე

ჟურნალი „შვილდოსანი“ აქვეყნებს კოლაუ ნადირაძის სტატიას „ქართული პოეზია“, რომელშიც ავტორი განიხილავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე კრებულის „Crâne aux fleurs artistiques (1914-1919)“ ავ-კარგიანობას. იგი თვლის, რომ გალაკტიონი მაღალი რანგის ჭეშმარიტი პოეტია. მას ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ მოთავსებული ლექსების შემდეგ, დასრულებულ პოეტად მიიჩნევდნენ, თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა. წერს, რომ „ლურჯა ცხენები“ „შედეგია, თუმცა გალაკტიონ ტაბიძის ქმედით ინდივიდუალობას არ ეთვისება“. ნადირაძე წერს, რომ ახალ კრებულში აღარსად არის ირაციონალური პოეზია და „ლურჯა ცხენების“ დინამიკა, ამიტომ მიიჩნევს, რომ ეს ლექსი პოეტისთვის შემთხვევითი იყო, „ალკოგოლის კომმარი, ცრემლებით და რიტმით გაკეთილშობილებული“. რეცენზენტი აღნიშნავს, რომ წიგნში არ არის დაცული ესთეტიკური კულტურა და მხატვრული სისწორე, არის ძალიან სუსტი, არამხატვრული და ბუტაფორიული ადგილებიც, ზოგიერთი შედარება და მეტაფორა რუსულიდან არის ნასესხები, მაგრამ „წიგნში არის ამღერება“, „თუ სამი სტრიქონი ყალბია, მეოთხეში დიდ პოეტს იგრძნობთ“. კოლაუ ნადირაძე აკრიტიკებს იმ რეცენზენტებს, ვინც დადებითად შეაფასა გალაკტიონ ტაბიძის მეორე კრებული (ივანე გომართელი, აკაკი პაპავა), კვალიფიკაციას უწუნებს მათ, და „აგრარულ საკითხზე ჭკუა დაქნილ კრიტიკოსებს“, უწოდებს. მისი აზრით გალაკტიონისთვის ასეთი ქება სახიფათოა.

➤3389

1920

### 25 იანვარი

გაზეთი „ერთობა“ ახალი ამბების რუბრიკაში აქვეყნებს განცხადებას, რომ რედაქციამ მიიღო სუფთად გამოცემული ყოველკვირეული ჟურნალი „ტფილისი“, რომელშიც გამოქვეყნებულია გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი საგანელისა და სხვათა ნაწარმოებები. აღნიშნულია, რომ ჟურნალი შეიცავს 16 გვერდს და ღირს 10 მანეთი.

➤3390

1920

### 31 იანვრამდე

ჟურნალი „ცისარტყელა“ აქვეყნებს ვარლამ ხუროძის სტატიას გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე. კრიტიკოსის შეფასებით, პოეტის ორივე წიგნი ძვირფასი მარგალიტია და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ „ჩვენი ლიტერატურის კეთილმსურველნი“. იგი წერს, რომ გალაკტიონი ზოგადსაკაცობრიო საკითხებზე გოდებს, მის წუხილს ბაირონისა და ბარათაშვილის გოდებას ადარებს და ახალ ბარათაშვილს უწოდებს. აღნიშნავს, რომ გარდა პესიმოზმისა, არსებობს პოეტის შემოქმედების მეორე მხარეც, იმედიანობა, ბრძოლის წყურვილი, თუმცა მეორე წიგნში ისინი აღარ შეინიშნება და აქ გალაკტიონი შორდება ბარათაშვილს. ყოველივე ამას კრიტიკოსი

უკავშირებს 1905 წლის რევოლუციას და მის შემდეგ განვითარებულ პროცესებს. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ გალაკტიონ ტაბიძე მეორე რევოლუციას წამიერი აღტაცებით შეხვდა ლექსით „დროშები ჩქარა“, იგი ამ უდიდესმა ტალღამაც კი ვერ აიყოლია, „კოლექტივიზმმა ვერ სძლია ინდივიდუალიზმს“, თავიდანვე უნიკალური იყო და ასეთად დარჩა. ლექსი „დროშები ჩქარა“ პოეტს არ შეუტანია ლექსთა მეორე კრებულში, რადგან თავად პოეტი „არ სთვლის ამ ლექსს მისი დღევანდელი სულიერი მდგომარეობის დამახასიათებლად“. კრიტიკოსი წერს, რომ გალაკტიონის მუსიკალურობა უმაღლეს მწვერვალზეა, ხოლო რითმა ისეთი „სადა, მომხიბლავი და ძალდაუტანებელია“, რომ თანამედროვეთაგან ვერავინ შეედრება და პირდაპირ აკაკისთან ავლენს სიახლოვეს. აღნიშნავს, რომ გალაკტიონს „უთუოდ მოელის დიდი პოეტის გვირგვინი“. კრიტიკოსი არ ეთანხმება „ლურჯა ცხენების“ ფილოსოფიას, არ თანაუგრძნობს სიმბოლიზმს და ამის გამო პოეტის მეორე ტომი პირველზე ნაკლებად მოსწონს, მაგრამ იმედოვნებს, რომ გალაკტიონი დასძლევს სიმბოლიზმის მისტიურ ნისლს და კვლავ დაუბრუნდება ამქვეყნიურ სიღუბეში წერას.

➤3391

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1920

### 1 თებერვალი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს პოლიო კეკელიას სტატიის „ქართული პოეზია (1919)“, პირველ ნაწილს. ავტორის აზრით თანამედროვე პოეზიაში ხშირია ფილოსოფიური წიაღსვლები. იმ ავტორთა შორის, რომლებსაც ეს ახასიათებთ, ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილსა და ალექსანდრე აბაშელს. ამასთან ერთად იგი მიიჩნევს, რომ ეს პოეტები ჯერ კიდევ ძიების პროცესში არიან, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ.

➤3392

1920

### 11 თებერვალი

გაზეთი „სახალხო საქმე“ რუბრიკაში „სოფლად და ქალაქად“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ხუთშაბათს, 12 თებერვალს გიორგი ქუჩიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით მოხეტიალე მუსიკოსის – ილიკო ქურხულის სადამო ჩატარდება ქალაქ ხაშურში, ხოლო შაბათს, 14 თებერვალს ასეთივე სადამო ჩატარდება სურამში.

➤3393

1920

### 15 თებერვალი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ აქვეყნებს პოლიო კეკელიას სტატიის „ქართული პოეზია“ დასასრულს, რომელშიც საუბარია ტანჯვის პრობლემაზე პოეზიაში და ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში სიცოცხლე და ტანჯვა ერთმანეთისგან განუყრელია. კრიტიკოსის აზრით, თეოდორ დოსტოვესკი ტანჯვის მიზეზების ძიებამ სოციალურ თემებამდე მიიყვანა და გალაკტიონ ტაბიძესთანაც ხედავს ტენდენციას, რომ პოეტურ სისტემაში შეკრიბოს სოციალური ელემენტები. კრიტიკოსის აზრით გალაკტიონმა ინტელიგენციის სევდისა და ტანჯვის პრობლემები, რომლებსაც ადრე ასახავდა, უნდა გაასაზოგადოებრივოს და დაუმატოს, ძველისგან რადიკალურად განსხვავებული, უკანასკნელი ათწლეულის ინტელიგენციისთვის დამახასიათებელი. პოეტის მეორე წიგნი მოწმობს, რომ მას ეს შეუძლია. გალაკტიონს თავისი ძლიერი და მნიშვნელოვანი პოეტური სკოლა არა აქვს და მისმა ნიჭმა ზემოხსენებული მიმართულებით უნდა შეიძინოს განსაკუთრებული მნიშვნელობა. კრიტიკოსის აზრით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასონანსებს, გალაკტიონის შემოქმედება ფორმის თვალსაზრისით, არსებითად არ განირჩევა სხვა თანამედროვე პოეტთა ნაწარმოებებისგან და სცდებიან ის შემფასებლები, რომელთა აზრითაც გალაკტიონმა უნდა დატოვოს ძველი გზა და ახალს მიჰყვეს.

➤3394

1920

**15 თებერვალი**

გაზეთი „ერთობა“ ახალი ამბების რუბრიკაში სათაურით „გალაკტიონის საღამო“ აქვეყნებს ცნობას, რომ მოკლე ხანში სახელმწიფო თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤3395

1920

**17 თებერვალი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს ცნობას, რომ მოკლე ხანში სახელმწიფო თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤3396

1920

**26 თებერვალი**

გაზეთი „საქართველო“ სამხატვრო ქრონიკაში აქვეყნებს ცნობას, რომ ოთხშაბათს, 3 მარტს, სახელმწიფო თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ვასილ ბარნოვი, იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, პავლე ინგოროყვა, კოტე მაყაშვილი, და სხვები. წარმოდგენილი იქნება ოპერა „ალეკო“ და გაიმართება ბალეტი სახელმწიფო თეატრის პრიმა ბალერინა ბაუერზაკის მონაწილეობით.

➤3397

1920

**29 თებერვალი**

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ პირველ გვერდზე აქვეყნებს მხატვარ დავით კაკაბაძის შესრულებულ გალაკტიონის პორტრეტს და ინფორმაციას, რომ მისი საღამო ოთხშაბათს, 3 მარტს გაიმართება სახელმწიფო თეატრში.

➤3398

1920

**29 თებერვალი**

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილი „იოსებ არიმათიელის“ ფსევდონიმით, სათაურით „თეთრი მეფე“ აქვეყნებს ემოციურ განცხადებას გალაკტიონ ტაბიძისა და მისი საღამოს შესახებ. იგი არაერთ ხატოვან შედარებას იყენებს გალაკტიონის შემოქმედების შესაფასებლად, ადარებს მას მზის პირველ სხივებს, ახალგაფურჩქნილ სურნელოვან ვარდს, უძირო ზღვას და დუდილის პროცესში მყოფ საუკეთესო ღვინოს. ავტორი წერს, რომ გალაკტიონმა ათი წლის წინ აიდგა ფეხი ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ და დღეს უკვე სახელმოხვეჭილი მგოსანია, რომელსაც მხოლოდ სანდრო შანშიაშვილი თუ შეედრება. სტატიის ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ, მიუხედავად ცუდი ამინდისა, 3 მარტს მის საღამოზე თავს მოიყრიან სილამაზის, უმაღლესი განცდებისა და მშვენიერების თაყვანისმცემლები. პუბლიკაციის დასასრულს ავტორი გალაკტიონს ჩვენი გრძნობების „თეთრ მეფეს“ უწოდებს და გულითადად მიესალმება.

➤3399

**მ ა რ ტ ი**

1920

**2 მარტი**

გაზეთი „საქართველო“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ოთხშაბათს, 3 მარტს, სახელმწიფო თეატრში შედგება გალაკტიონ ტაბიძის საღამო. ივანე გომართელი წარმოთქვამს სიტყვას გალაკტიონის პოეზიის შესახებ. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: ვასილ ბარნოვი, იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, პავლე ინგოროყვა, კოტე მაყაშვილი, დუტუ მეგრელი, ვარლამ რუხაძე, ტრიფონ რამიშვილი, შალვა შარაშიძე, ნიკო შიუკაშვილი და გიორგი ქუჩიშვილი. წარმოდგენილი იქნება

ოპერა „ალეკო“ და გაიმართება ბალეტი სახელმწიფო თეატრის პრიმა ბალერინა ბაუერზაკის მონაწილეობით.

➤3400

1920

## 2 მარტი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ რუბრიკაში „ხელოვნება“ ინიციალებით „ვ. გ.“ აქვეყნებს ვასილ გორგაძის სტატიას „გალაკტიონ ტაბიძე“. ავტორი წერს, რომ მომდევნო დღეს გალაკტიონის საღამოა და საშუალება მიეცა განიხილოს მისი შემოქმედებითი გენია. ავტორის აზრით, ბარათაშვილის შემდეგ გალაკტიონი არის უდიდესი პოეტი-ფილოსოფოსი, რომლის პესიმისტური მსოფლმხედველობა „ჰამლეტის ტრაურის“ თანაბარია. გალაკტიონი „რიტმის ჯადოსანია“ და სიტყვათა კომბინაციებით ქმნის მუსიკალურ კასკადს. მის რიტმებში არის მინორი, შეიძლება რითმამ უმტყუნოს, მაგრამ რიტმი განუყოფლად მასთან არის. გალაკტიონი ესთეტიკა, „ლამაზი შემეცნების პოეტი“, „ფაქიზი და უნაზესი სულის პატრონი“ და არც ერთ სხვა პოეტს არ ჰგავს. სტატიის ავტორის თქმით, გალაკტიონი მეტი ყურადღების ღირსია და მომავალში უფრო ფართოდ შეეხება მის შემოქმედებას.

➤3401

1920

## 21 თებერვალი – 3 მარტი

გაზეთის „ერთობა“ პირველ გვერდზე იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის საღამოს აფიშა, რომელზეც გამოსახულია მისი პორტრეტი, შესრულებული მხატვარ დავით კაკაბაძის მიერ და განცხადება, რომ ოთხშაბათს, 3 მარტს, საღამოს 8 საათზე სახელმწიფო თეატრში შედგება პოეტ გალაკტიონ ტაბიძის საღამო. განცხადებაში ნათქვამია, რომ ღონისძიება გაიხსნება ივანე გომართელის სიტყვით გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ. გალაკტიონის გარდა საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები და მწერლები: ალექსანდრე აბაშელი, ვასილ ბარნოვი, იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, შოთა დადიანი, პავლე ინგოროყვა, კოტე მაცაშვილი, დუტუ მეგრელი, ვარლამ რუხაძე, ტრიფონ რამიშვილი, შალვა შარაშიძე, ნიკო შიუკაშვილი და გიორგი ქუჩიშვილი, რომლებიც წაიკითხავენ ლექსებს, მოთხრობებსა და ნოველებს. მეორე განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება რახმანინოვის ერთმოქმედებიანი ოპერა „ალეკო“, ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით. მესამე განყოფილებაში გამოცხადებულია ბალეტი ერთ მოქმედებად „კავალერიის ბანაკი“, პრიმა-ბალერინა ბაუერზაკის მონაწილეობით. საღამოს ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის საღაროში.

➤3402

1920

## 3 მარტი

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს გალაკტიონ ტაბიძის საღამოს აფიშას, რომელზეც არის მხატვარ დავით კაკაბაძის მიერ შესრულებული პოეტის პორტრეტი და ნათქვამია, რომ საღამო გაიმართება ოთხშაბათს, 3 მარტს საღამოს 8 საათზე სახელმწიფო თეატრში, ივანე გომართელი წარმოთქვამს სიტყვას გალაკტიონის პოეზიის შესახებ, მონაწილეობას მიიღებენ: ვასილ ბარნოვი, იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, პავლე ინგოროყვა, კოტე მაცაშვილი, დუტუ მეგრელი, ვარლამ რუხაძე, ტრიფონ რამიშვილი, შალვა შარაშიძე, ნიკო შიუკაშვილი და გიორგი ქუჩიშვილი. წარმოდგენილი იქნება ოპერა „ალეკო“ და გაიმართება ბალეტი „კავალერიის ბანაკი“ სახელმწიფო თეატრის პრიმა ბალერინა ბაუერზაკის მონაწილეობით.

➤3403

1920

## 3 მარტი



გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალის „თებერვალი“ გამოსვლის შესახებ. განხილულია გამოცემაში გამოქვეყნებული ნაწარმოებები და ერთ-ერთი ახალგაზრდა ავტორის – მიტო ჯავახიშვილის ლექსზე „ფიქრთა ნაქარგი“ ნათქვამია, რომ ის გალაკტიონ ტაბიძის გავლენას განიცდის, მისით სუნთქავს, მაგრამ სრულებით არ ეხერხება ტრიოლეტების წერა და ძალიან სუსტია.

➤3404

1920

3 მარტი

სახელმწიფო თეატრში იმართება გალაკტიონის საღამო, რომელსაც ბევრი ხალხი ესწრება. მსურველი კიდევ უფრო მეტია, მაგრამ უბილეთობის გამო ვერ ახერხებენ თეატრში შესვლას.

➤3405

1920

5 მარტამდე

ჟურნალი „შვილდოსანი“ ბეჭდავს კოლაუ ნადირაძის კრიტიკულ მიმოხილვას: „ქართული პოეზია“, რომელშიც განხილულია 1919 წელს ჟურნალის „შვიდი მნათობი“ ოქტომბრის ნომერში, მიხეილ ბოჭორიშვილის წიგნში „ეტიუდები“ და ყოველკვირეული ჟურნალის „ტფილისი“ პირველი ნომერში გამოქვეყნებული მასალები. ავტორი მკაცრად აკრიტიკებს ჟურნალ „ტფილისს“, და მის მესვეურებს. აღნიშნავს, რომ გალაკტიონის ლექსი „ტფილისი“ კარგია, თუმცა რატომღაც ძველი მანერით, ბუნების აღწერით იწყება, ზედმეტად გრძელია, პირველი და მეშვიდე ტაქტები კი სუსტია. პუბლიკაციის ავტორი აკრიტიკებს ასევე ჟურნალში „ტფილისი“ ივანე იოსელიანის მიერ გამოქვეყნებულ რეცენზიას „გენიალური გალაკტიონი“. კოლაუ ნადირაძე წერს, რომ ის და მისი თანამოაზრეები არ იზიარებენ გალაკტიონისთვის ასეთი „უხერხული პრივილეგიის“ მინიჭებას და ეჭვობს, რომ რეცენზიის ავტორის მიერ გაცემული გენიალურობის „პატენტი“ მართებული იყოს.

➤3406

1920

5 მარტი

გაზეთი „ერთობა“ რუბრიკაში „ახალი ამბები“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ სახელმწიფო თეატრში ჩატარებულ გალაკტიონ ტაბიძის საღამოს ბევრი ხალხი დაესწრო და კიდევ უფრო მეტი უბილეთობის გამო უკან გაბრუნდა.

➤3407

1920

7 მარტი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ რუბრიკაში „სახიობა, მუსიკა და მხატვრობა“ ფსევდონიმით „წერი“ აქვეყნებს იოსებ იმედაშვილის მიმოხილვას 3 მარტს სახელმწიფო თეატრში გამართული გალაკტიონ ტაბიძის საღამოს შესახებ. ავტორი აცხადებს, რომ დარბაზი სავსე იყო, საზოგადოება ახალგაზრდა პოეტს თბილად შეხვდა და საღამო რჩეულ ქართველ მოსანთა აღლუმად იქცა. იგი გახსნა ივანე გომართელმა გალაკტიონ ტაბიძის დახასიათებით. საკუთარი ლექსები წაიკითხეს: დუტუ მეგრელმა, ვარლამ რუხაძემ, გიორგი ქუჩიშვილმა, იოსებ გრიშაშვილმა, შალვა შარაშიძემ, კოტე მაცაშვილმა და გალაკტიონ ტაბიძემ. რიურიკ ივანემა კი წაიკითხა გალაკტიონ ტაბიძისა და ნიკოლოზ შენგელიას ლექსების საკუთარი თარგმანები.

➤3408

1920

19 მარტი

ოლია ოკუჯავა მონაწილეობს სტუდენტურ სპექტაკლში. როდესაც როლის წარმატებით შესრულებას ულოცავენ, ეხვევიან და კოცნიან, ნატრობს, რომ მასთან იყოს ერთადერთი ადამიანი – გალაკტიონი.

➤3409

1920

**23 მარტი**

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ კვირას, 4 აპრილს, საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით ჩატარდება საქართველოს მწერალთა II ყრილობა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ყრილობის დღის წესრიგი გამოქვეყნდება 28 მარტს. ყრილობაზე მიწვეულ მწერალთა სიაში 120-ე ნომრით მოხსენიებულია მწერალთა კავშირის წევრი „ტაბიძე გალაკტიონი“.

➤3410

1920

**24 მარტი**

გაზეთი „ერთობა“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს განცხადებას, რომ საზოგადოების თხოვნით ოთხშაბათს, 7 აპრილს, ხარება დღეს, სახელმწიფო თეატრში მეორედ გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო და რომ ბილეთები 24 მარტიდან იყიდება მხოლოდ სახელმწიფო თეატრის საღაროში.

➤3411

1920

**25 მარტი**

გაზეთი „ერთობა“ პირველ გვერდზე აქვეყნებს ჩარჩოში ჩასმულ განცხადებას, რომ ოთხშაბათს, 7 აპრილს, სახელმწიფო თეატრში მეორედ გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო და რომ ბილეთები იყიდება თეატრის საღაროში.

➤3412

1920

**26-27 მარტი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს განცხადებას, რომ კვირას, 28 მარტს, დილის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრის თაოსნობით გაიმართება სალიტერატურო დილა რომელზეც ლექციას „უგზობა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ წაიკითხავს ვახტანგ კოტეტიშვილი, ხოლო ლიტერატურულ ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი პოეტები, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძე. აღნიშნულია, რომ ბილეთები იყიდება სტუდენტთა სასადილოსა და უნივერსიტეტის საჩაიეში, საღამოს დღეს კი გაიყიდება ქართული კლუბის საღაროში.

➤3413

1920

**27 მარტი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ პირველ გვერდზე აქვეყნებს ჩარჩოში ჩასმულ განცხადებას, რომ ოთხშაბათს, 7 აპრილს, სახელმწიფო თეატრში მეორედ გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო და რომ ბილეთები იყიდება თეატრის საღაროში.

➤3414

1920

**27 მარტი**

გაზეთი „ერთობა“ ქართული კლუბის სახელით აქვეყნებს განცხადებას, რომ კვირას, 28 მარტს, დილის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სალიტერატურო წრის თაოსნობით გაიმართება სალიტერატურო დილა, რომელზეც ლექციას „უგზოობა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“ წაიკითხავს ვახტანგ კოტეტიშვილი, ხოლო ლიტერატურულ ნაწილში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი პოეტები, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძე.

➤3415

1920

28 მარტი

გაზეთი „სახალხო საქმე“ პირველ გვერდზე აქვეყნებს ჩარჩოში ჩასმულ განცხადებას, რომ ოთხშაბათს, 7 აპრილს, სახელმწიფო თეატრში მეორედ გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო და რომ ბილეთები იყიდება თეატრის საღაროში.

➤3416

1920

28 მარტი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 15 აპრილს გამოვა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალის „პარნასი“ მეორე ნომერი. ჟურნალის რედაქტორია შალვა იმედაშვილი, მხატვარი – მოსე თოიძე და მასში სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3417

1920

30 მარტი

გაზეთი „სახალხო საქმე“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 15 აპრილს გამოვა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალის „პარნასი“ მეორე ნომერი, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3418

1920

31 მარტი

გაზეთი „სახალხო საქმე“ პირველ გვერდზე აქვეყნებს ჩარჩოში ჩასმულ განცხადებას, რომ ოთხშაბათს, 7 აპრილს, სახელმწიფო თეატრში მეორედ გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო და რომ ბილეთები იყიდება თეატრის საღაროში.

➤3419

## აპრილი

1920

1 აპრილი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებს „აქეთურის“ ფსევდონიმით შედგენილ „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს“, ქვესათაურებით „ცისარტყელა“, ყოველთვიური ჟურნალი №1, 2, 3“. „შვილდოსანი“ ლიტერატურული ჟურნალი №1, 2 და 3 და „ნიამორები“ ლიტერატურული ჟურნალი №1, 2 და 3“. შესავალში საუბარია ლიტერატურული ცხოვრების აღორძინებაზე და უკანასკნელ ხანებში გამოცემულ წიგნებს შორის, მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძის მეორე ტომი, ხოლო წერილის დასასრულს ავტორი აკრიტიკებს კოლაუ ნადირაძეს, რომელმაც გალაკტიონ ტაბიძის მეორე წიგნის რეცენზენტს ივანე გომართელს აგრარულ საკითხში ჭკუა დაქნილი კრიტიკოსი უწოდა.

➤3420

1920

4 აპრილი

გაზეთი „ერთობა“ ორ განცხადებას აქვეყნებს ოთხშაბათს, 7 აპრილს სახელმწიფო თეატრში დაგეგმილი გალაკტიონ ტაბიძის საღამოს შესახებ. პირველი არის მოკლე ანონსი, მეორეში კი ნათქვამია, რომ საღამოზე აკაკი პაპავა წაიკითხავს მოხსენებას ქართულ პოეზიაზე, სათაურით „ქარიშხლის ჩადგომისას“. ამ განცხადების მიხედვით, საღამოს მეორე ნაწილში გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და მსახიობები: ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, ნიკოლოზ ერისთავი, რიურიკ ივნივი, კარა-დარვიში, კოტე მაყაშვილი, ვარლამ რუხაძე, ტრიფონ რამიშვილი, აკაკი ფაღავა, გიორგი ქუჩიშვილი, შალვა შარაშიძე, გრიშა ჯაფარიძე და სხვ. ასევე წარმოდგენილი იქნება ოპერა „თავადი იგორი“, რომლის მესამე მოქმედების საბალეტო დადგმა ეკუთვნის სახელმწიფო თეატრის ანტრეპრენიორ სერგო ევლახიშვილს. იქვე ნათქვამია, რომ ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის სალაროში.

➤3421

1920

4 აპრილი

გაზეთი „ახალი ნაკადი“ ბეჭდავს ტერენტი გრანელის სტატიას „გალაკტიონ ტაბიძის საღამოს გამო“. სტატიაში ნათქვამია, რომ შვიდ აპრილს სახელმწიფო თეატრში განმეორებით გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო და ავტორს სურს, მოკლედ მიმოიხილოს პოეტის შემოქმედების ზოგიერთი ასპექტი. მისი თქმით, გალაკტიონ ტაბიძის პოეზია თავისებურია, რაც მისი შემოქმედების დადებით მხარეს წარმოადგენს. წერს, რომ გალაკტიონმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს პოეზიის რენესანსში, იგი სიმბოლისტია – თავის განცდებს სიმბოლურად გვიხატავს და მის ლექსებში სიფაქიზის და სინაზის მისტიციზმი გამოსჭვივის. ამავე დროს არის ინდივიდუალისტი. მისი შემოქმედებითი სამყარო ხილული ქვეყნის ანარეკლია და მასში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ასონანსებს. გალაკტიონი „საგნების გადაღმა ეძებს მსოფლიოში გაბნეულ ფერებს“, უყვარს მუსიკისა და განცდის ერთმანეთთან შეხამება. იგი ვიწრო ყალიბში ვერ თავსდება და თავისი შეუკავებელი სულით ლიცენციისკენ მიისწრაფის. სტატიის ავტორის რწმენით „ლურჯა ცხენები“ შედევრია და მისი დინამიკა უმაღლეს მწვერვალზე ადის. სჯერა, რომ გალაკტიონ ტაბიძე დაიკავებს იმ ხაზს, რომლის წიაღშიც მოხდება პოეზიის აბსოლუტური გამარჯვება. სტატია მთავრდება მოწოდებით, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით დაინტერესებულებმა პოეტის პატივისცემა მის საღამოზე დასწრებით გამოხატონ.

➤3422

1920

7 აპრილი

გაზეთი „საქართველო“ რუბრიკაში „სამხატვრო ქრონიკა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს სახელმწიფო თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤3423

1920

7 აპრილი

გაზეთი „ერთობა“ „განცხადებების“ და „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს ორ განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს, 7 აპრილს, სახელმწიფო თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის მეორე საღამო.

➤3424

1920

10 აპრილი

აღდგომა დღეა და ოლია ოკუჯავა იმედს არ კარგავს, რომ გალაკტიონი მოსკოვში ჩააკითხავს, მაგრამ ის არ ჩანს.

➤3425

1920

**10 აპრილი**

ოლია ოკუჯავას სასწავლებელში ყველა აქებს და ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ის დღიურში წერს, რომ მისთვის თავისი საყვარელი გალაკტიონის შეფასება ყველაზე ძვირფასია.

➤3426

1920

**15 აპრილი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ ბეჭდავს განცხადებას, რომ უახლოეს დღეებში ქართველი მწერლების თაოსნობით კახეთში გაიმართება სალიტერატურო საღამოები. თელავში გამართულ პირველ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: ვახტანგ კოტეტიშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვ.

➤3427

**მაისი**

1920

**7 მაისი**

გაზეთში „პოეზიის დღე“ იბეჭდება აკაკი პაპავას სტატია „ქაოსის ძლევა“. ავტორის აზრით, გალაკტიონის იქვნეული სიყვარული, ისევე, როგორც გრიშაშვილის ვნებიანი კოცნა, ამოკრეფილია აღმოსავლეთის ზღაპრული სამყაროს ქაოსიდან, რომელიც ფანტაზიის აკვანია.

➤3428

1920

**გაზაფხული**

ტიციან ტაბიძესთან ერთად სტუმრობს სოფელ შუამთის სკოლას, სადაც დირექტორად მუშაობს გალაკტიონის ძმა აბესალომი. მოსწავლეები და მასწავლებლები სიყვარულით ხვდებიან. ტიციანი გიმნაზიას მოკლე ექსპრომტს უძღვნის, შემდეგ კი აბესალომთან ერთად დილიჯანსით მიემგზავრებიან ჭყვიშისკენ.

➤3429

**ივნისი**

1920

**ივნისი**

ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“ ფსევდონიმით „ტრისტან მაჩაბელი“ აქვეყნებს ტიციან ტაბიძის სტატიას „ქართული პოეზია“, რომელშიც განხილულია კოლაუ ნადირაძის წიგნში „ბალდახინი“ და 7 მაისს მწერალთა კავშირის საბჭოს მიერ გამოცემულ გაზეთში „პოეზიის დღე“ გამოქვეყნებული ლექსები. სტატიაში ციტირებულია სტროფი კოლაუ ნადირაძის ლექსიდან „საქორწინო მოგზაურობა მთვარესთან ერთად“ და აღნიშნულია, რომ ამ შესანიშნავ სტრიქონებს ვერ დაწერდა ვერც სანდრო შანშიაშვილი, ვერც იოსებ გრიშაშვილი და ვერც გალაკტიონ ტაბიძე.

➤3430

**ივლისი**

1920

**2 ივლისი**

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ 3 ივლისს, ნოე ჩხიკვაძის გარდაცვალებიდან 40 დღის აღსანიშნავად მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში გაიმართება საქველმოქმედო ლიტერატურული საღამო, ნოე ჩხიკვაძის ობლების სასარგებლოდ. საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: ია ეკალაძე, ვარლამ რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და სხვები.

➤3431

1920

**10 ივლისი**

გაზეთი „ერთობა“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 10 ივლისს იმართება გიორგი ქუჩიშვილის სადამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ვახტანგ კოტეტიშვილი, ვარლამ რუხაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ობოლი მუშა, გრიგოლ ცეცხლაძე, გიორგი შინატეხელი.

➤3432

1920

14 ივლისი

გაზეთი „ერთობა“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ხუთშაბათს, 15 ივლისს მეორე ქართულ კლუბში გაიმართება ლადო მაჭავარიანის სადამო, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე. სადამო გაგრძელდება ღამის 3 საათამდე.

➤3433

1920

22 ივლისი

გაზეთი „სახალხო საქმე“ აქვეყნებს განცხადებას, რომ ხუთშაბათს, 22 ივლისს მეორე ქართულ კლუბში საგანგებო ბატალიონისა და ინჟინერთა გუნდის კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია აზერბაიჯანთან ომის დროს ამავე ბატალიონის დაღუპულ გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ მართავს სადამო-სეირნობასა და დივერსიმენტს. მონაწილეობენ: ვარლამ რუხაძე, გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, სიკო ფაშალიშვილი, ივანე ყიფიანი და პლატონ ლეჟავა.

➤3434

## აგვისტო

1920

10 აგვისტო

რუსთაველის გამზირზე ხვდება გერონტი ქიქოძეს, რომლისგანაც იგებს, რომ კოტე მაცაშვილი რაღაც საქმესთან დაკავშირებით კითხულობდა და იმავე დღეს მიდის მასთან. მაცაშვილი ეუბნება, რომ ვალიკო ჯუღელს სჭირდება ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი, რომელიც ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ გამოცემაში დაეხმარება და რომ მან გალაკტიონს გაუწია რეკომენდაცია.

➤3435

1920

10 აგვისტო ან მომდევნო დღეები

შეხვედრაზე მიდის ვალიკო ჯუღელთან. საქართველოს სახალხო გვარდიის სარდალი მოკლედ აცნობს მუშაობის პირობებს. ეუბნება, რომ სთავაზობს ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ პასუხისმგებელი მდივნის ადგილს. რედაქცია იქნება მისი კაბინეტის გვერდით, თვითონ ხელფასი ექნება 7300 მანეთი, დამატებით მიიღებს ოფიცრის „უღლუფას“ და წინასწარ გადაუხდინა ერთი თვის ხელფასს. ჯუღელი სთავაზობს, რომ მეორე დღესვე დაიწყოს მუშაობა.

➤3436

1920

აგვისტოს შუა რიცხვები

იწყებს ჟურნალის „სახალხო გვარდიელი“ პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის შესრულებას.

➤3437

1920

24 აგვისტო

გაზეთი „საქართველო“ ბეჭდავს გრიგოლ რობაქიძის სტატიას „ქართული რიტმიული მახვილი და რითმა“. ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აუცილებელია „დაბორკილი სიტყვის გაშლა“. ამ მხრივ შეუწყნარებლად მიაჩნია გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონი „ისე სავსე უხვ გრძნობებით“, რადგან აქ ორი სიტყვის გასაყარზე ექვსი თანხმოვანი იყრის თავს „ხვგრძნ“ და „სტრიქონი სრულიად ნადგურდება.“

➤3438

## სექტემბერი

1920

### 1 სექტემბერი

ფრანგ პოეტს, თეოფილ გოტიეს უძღვნის ლექსს „გოტიეს“.

➤3439

1920

### 2 სექტემბერი

გაზეთი „ერთობა“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „გოტიეს“.

➤3440

1920

### 15 სექტემბერი

გაზეთი „ერთობა“ ბეჭდავს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრის – ანანია სალუქვაძის თანხლებით პოეტები გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და გვარდიასთან არსებული მსახიობთა დასი დავით აბდუშელის ხელმძღვანელობით თბილისიდან რეგიონებში მიემგზავრებიან. ისინი მონაწილეობას მიიღებენ სახალხო გვარდიის ეგიდით გამართულ საღამოებში: ხაშურში 16 სექტემბერს, ჭიათურაში 18-ში, ქუთაისში 19-ში, ხონში 20-ში, სამტრედიასში 21-ში, ახალსენაკში 22-ში, ფოთში 23-ში, ოზურგეთში 25-ში, ბათუმში 26-ში და სხვ.

➤3441

1920

### 17 სექტემბერი

გაზეთი „ერთობა“ განმეორებით ბეჭდავს განცხადებას იმის შესახებ, რომ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და გვარდიასთან არსებული მსახიობთა დასი დავით აბდუშელის ხელმძღვანელობით 16-17 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებენ სახალხო გვარდიის ეგიდით დასავლეთ საქართველოში გამართულ საღამოებში.

➤3442

1920

### 17-18 სექტემბერი

გიორგი ქუჩიშვილთან ერთად მონაწილეობს ჭიათურაში გამართულ საღამო-კონცერტში, კითხულობს ლექსს „მე და ღამე“ და მსმენელთა საოცარ აღტაცებას იმახურებს.

➤3443

1920

### 18 სექტემბერი

გაზეთი „ერთობა“ განმეორებით ბეჭდავს განცხადებას იმის შესახებ, რომ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და გვარდიასთან არსებული მსახიობთა დასი დავით აბდუშელის ხელმძღვანელობით სექტემბერში მონაწილეობას მიიღებენ სახალხო გვარდიის ეგიდით დასავლეთ საქართველოში გამართულ საღამოებში.

➤3444

1920

### 21 სექტემბერამდე

წერს ლექსს „დგება შემოდგომა“.

➤3445

1920

**21 სექტემბრამდე**

თბილისშია და წერს ლექსს „შენ და შემოდგომა“ („შენს სიყმაწვილეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნის ქარის!..“).

➤3446

1920

**21 სექტემბრამდე**

თბილისშია და წერს ლექსს „შენ და შემოდგომა“ („არის ნეტარება - ხშირად მოაგონდეს...“).

➤3447

1920

**21 სექტემბერი**

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს გალაკტიონ ტაბიძის სამ ლექსს: „შენ და შემოდგომა“ („არის ნეტარება - ხშირად მოაგონდეს...“), „შენ და შემოდგომა“ („შენს სიყმაწვილეს ახსოვს მხოლოდ ზუზუნის ქარის...“) და „დგება შემოდგომა“.

➤3448

1920

**21 სექტემბერი**

ჩადის სამტრედიიაში, სადაც რკინიგზელთა კლუბში გიორგი ქუჩიშვილთან ერთად მართავს პოეზიის საღამოს. შემდეგ ჟურნალისტ ნოე კალანდაძის სახლში გამართულ ნადიმზე იწვევენ. მასპინძლის მეუღლეს ნინო ავალიანს უძღვნის ექსპრომტს, რომლითაც დამსწრენი აღფრთოვანებულები რჩებიან და კიდევ ერთხელ სვამენ მის სადღეგრძელოს.

➤3449

1920

**24 სექტემბერი**

გაზეთი „ერთობა“ ბეჭდავს განცხადებას, რომ ხაშურში 16 ენკენისთვის, ჭიათურაში 17 და 18, ქუთაისში 19, ხონში 20, სამტრედიიაში 21, ახალ-სენაკში 22, ფოთში 23 და ოზურგეთში 25, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების ფონდის გასაძლიერებლად გაიმართება გრანდიოზული საღამო-სეირნობა. პირველ ნაწილში იქნება მოხსენებები: 1. „სახალხო გვარდიის მიზნები კულტურა-განათლების სფეროში. მეორე განყოფილებაში: წარმოდგენილი იქნება ნიკოლოზ გერგესელის დრამა ერთ სურათად „თავისუფლების გარიჟრაჟზე“ და ავქსენტის ცაგარლის კომედიის „მათიკო“ მეოთხე მოქმედება. მესამე განყოფილებაში გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი და სხვა მწერლები წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებებს. საღამოზე ჩატარდება აუქციონი, სამაგიდო აზარტული თამაში პტი-შვო, ფოსტა, ყვავილთა შეჯიბრი და აზიური კიოსკი. დიდი ვახშამი გაგრძელდება გათენებამდე, დაუკრავს გვარდიის ორკესტრი და იქნება ცეკვები.

➤3450

1920

**25 სექტემბერი**

გიორგი ქუჩიშვილთან ერთად მონაწილეობას იღებს ოზურგეთში გამართულ ლიტერატურულ-შემოქმედებით საღამოში და რამდენიმე დღე რჩება ოზურგეთში. გალაკტიონი ესაუბრება მოსწავლეებს, უკითხავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „შემოდამება მთაწმინდაზე“ და საკუთარ ლექსებს: „პოეტი“, „ცამეტი წლის ხარ“, „მესაფლავე“, „მერი“, „მე და ღამე“ და „მთაწმინდის მთვარე“.

➤3451



1920

### 14 ოქტომბერი

შალვა კარმელი კოლაუ ნადირაძეს სწერს, რომ გალაკტიონ ტაბიძის 170-გვერდიანი მესამე წიგნი სტამბაში იწყობა და ერთ თვეში გამოვა.

➤3452

## ნოემბერი

1920

### 5 ნოემბერი

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ სახალხო გვარდიის საგანგებო ბატალიონისა და საინჟინრო გუნდის კულტურულ-საგანმანათლებლო სექცია 6 ნოემბერს ხსნის კარლ კაუცკის სახელობის სახალხო გვარდიის თეატრს. ამასთან დაკავშირებით გაიმართება საღამო, რომელზეც ვალიკო ჯუღელი წაიკითხავს მოხსენებას, გაიმართება სპექტაკლი, საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ პოეტები: გიორგი ქუჩიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, სოლომონ თავაძე და ვარლამ რუხაძე.

➤3453

1920

### 15 ნოემბრის შემდეგ

ჟურნალში „მზიური საქართველო“ იბეჭდება ლექსი „ქალის ქანდაკება“. აქვე რედაქცია ბეჭდავს განცხადებას, რომ მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ამ ნომერში არ იბეჭდება კ. მილის სტატია „გ. ტაბიძის შემოქმედება“.

➤3454

1920

### 15 ნოემბრის შემდეგ

ჟურნალში „მზიური საქართველო“ ფსევდონიმით N. N. იბეჭდება უსათაურო ლექსი „ღია კარი“.

➤3455

1920

### 24 ნოემბერი

გარდაიცვალა ლადო ალექსი-მესხიშვილი, მისი გარდაცვალებით შეძრული გალაკტიონი გაზეთ „ერთობის“ რედაქციაში წერს ლექსს „ლადო მესხიშვილი“.

➤3456

1920

### 27 ნოემბერი

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მიმდინარე დღეს, ავლაზრის მუშათა კლუბში კახეთის ქუჩაზე, ამავე კლუბის სასარგებლოდ გაიმართება დიდი საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, ხარიტონ ვარდოშვილი და სოლომონ თავაძე.

➤3457

1920

### 28 ნოემბერი

გაზეთში „ერთობა“ იბეჭდება ლექსი „ლადო მესხიშვილი“.

➤3458

## დეკემბერი

1920

### 7 დეკემბერი

წერს უსათაურო ლექსს „სადაც ტყეების ისმოდა დარდი...“.

➤3459

1920

### 8 დეკემბერი

გაზეთი „ერთობა“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს განცხადებას, რომ 12 დეკემბერს სახალხო გვარდიის დღის აღსანიშნავად გამოვა ჟურნალის „გვარდიელი“ პირველი ნომერი, რომელშიც დაიბეჭდება კარლ კაუცკის, ვალიკო ჯუღელის, აკაკი ჩხენკელის, სეიდ დევდარიანის, ივანე გომართელის, ბიქტორ თევლათელის, იაკობ ცინცაძის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, ვარლამ რუხაძის და სხვათა სტატიები და ლექსები.

➤3460

1920

### 11 დეკემბერი

გაზეთი „ერთობა“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს განცხადებას, რომ გამოვიდა ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ პირველი ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა ვალიკო ჯუღელის, სილიბისტრო ჯიბლაძის, კარლ კაუცკისა და სხვათა წერილები, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილისა და ვარლამ რუხაძის ლექსები.

➤3461

1920

### 11 დეკემბერი

ჟურნალ „სახალხო გვარდიელში“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „საქართველო“ („სადაც ტყეების ისმოდა დარდი...“).

➤3462

1920

### 12 დეკემბრამდე

ქართული გვარდიის შექმნის სამ წლისთავთან დაკავშირებით გამოსაქვეყნებლად ამზადებს სამ ლექსს: „სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა...“, „თვალს ნაზი და მთვარეული აღელვებდენ ლანდები...“ და „ვდღესასწაულობთ პირველ თაველებს...“. სამივეში შეაქვს ისეთი ფრაზები, რომლებითაც აკავშირებს ეროვნულ გვარდიასთან: „და გვარდია მიყვარს. მასთან ნახევარ / გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ...“, „წინ, გვარდია!! შენი ხმები / მხოლოდ სხვაზე დარდია“ და „უეცრად მტერი ავშალეთ მთაში...“.

➤3463

1920

### 12 დეკემბერი

გაზეთში „ერთობა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის სამი ლექსი ერთნაირი სათაურით: „გვარდია“ და შემდეგი დასაწყისებით: „სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა...“, „თვალს ნაზი და მთვარეული აღელვებდენ ლანდები...“ და „ვდღესასწაულობთ პირველ თაველებს...“.

➤3464

1920

### 18 დეკემბრამდე

წერს ლექსს „შავი პელიკანი“.

➤3465

1920

### 18 დეკემბერი

ჟურნალი „აისი“ აქვეყნებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „შავი პელიკანი“.

➤3466

**1920 ან შემდეგ**

**22 დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „ისეთ ნაირად გაჰქრა...“.

➤3467

**1920**

რუსეთში მყოფი ოლია ოკუჯავას ბედზე ფიქრისას წერს ლექსს „1920“ („მზეო-ღვთისმშობელო, მზეო-ნებიერო...“).

➤3468

**1920**

წერს ლექსს „ტალახში“ („ქალაქებიდან სოფლებისკენ დაიძრა ჩარჩი...“).

➤3469

**1920**

იბეჭდება ანანია სალუქვაძის წიგნი „ტყის ზღაპარი“, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის ერთი სტროფი გალაკტიონის ლექსიდან „გზაში“.

➤3470

**1920 ან შემდეგ**

კითხულობს შალვა ამირეჯიბის პოეტურ კრებულს „მინანქრები“ და მინაწერებს აკეთებს წიგნზე.

➤3471

**1920 ან შემდეგ**

ტერენტი გრანელს უძღვნის ლექსს „პირველი თოვლი“.

➤3472

**1920 ან შემდეგ**

იწყებს ნარკვევის წერას „რევოლუცია და ქართული ხელოვნება“. ლაპარაკობს რევოლუციის საბედისწერო შედეგებზე, რომელსაც იწვევს შეძლებული კლასის გაჩუმება დაშინების გამო და გამარჯვებული კლასის მიერ ხელოვნების მნიშვნელობის არცოდნა. გალაკტიონი ახსენებს ბალმონტის ლექსს, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ რევოლუციის დღეებში როგორ გადააფიქრებინა ანატოლი ლუნაჩარსკიმ ჩაქუჩმომარჯვებულ რუს რევოლუციონერს აპოლონ ბელვედერელის ქანდაკების განადგურება.

➤3473

**1920 ან შემდეგ**

კითხულობს გიორგი უსტინოვის რუსულ წიგნს ლევ ტროცკიზე „რევოლუციის ტრიბუნი“ და აკეთებს ხაზგასმებს.

➤3474

**1920 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „როგორც ხის რტოებს აპრილის დღემდე...“.

➤3475

**1920 ან შემდეგ**

კითხულობს ჰერბერტ ჯორჯ უელსის რომანის „დროის მანქანა“ რუსულ თარგმანს, წინათქმაში აკეთებს ხაზგასმებსა და და თარგმნის სტრიქონებს.

➤3476

1920 ან შემდეგ

წერს ლექსს „ტივები მტკვარზე“.

➤3477

1920 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მშვენიერია ზღვა მთვარეული!..“.

➤3478

1920 ან შემდეგ

წერს ლექსს „გაზაფხული“.

➤3479

\* \* \*

1920 ან შემდეგ

წერს ლექსს „ქარში ის იდგა და შენ იწევი...“.

➤3480

1920 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „თენდება და ბილიკით...“.

➤3481

1920 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სდგას ყვავილთა ნოხები...“.

➤3482

1921

1 იანვრამდე

წერს ლექსს „გადია“ („გადია ჩემის სიზმრის სიალით...“).

➤3483

1921

1 იანვრამდე

წერს ლექსს „აჰა, ბინდდება“ („აჰა, ბინდდება. კვლავ დამესია...“).

➤3484

1921

1 იანვრამდე

წერს ლექსს „მოხუცი ქალი“ („ჩვენი დღის ამბებს – ძალიან მწყრალი...“).

➤3485

1921

1 იანვრამდე

წერს ლექსს „მაგრამ მე რა ვქნა?“ („მაგრამ მე რა ვქნა, მე, ვისაც სული...“).

➤3486

1921

1 იანვრამდე

წერს ლექსს „მაგიდა ალემბიკებით“ („აჩრდილმა მაღალ ლურსმებს აკიდა...“).

➤3487

**1921**  
**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1921**

**1 იანვარი**

გაზეთი „ერთობა“ აქვეყნებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „გადია“ (ფრაგმენტი)“.

➤3488

**1921**

**1 იანვარი**

ჟურნალში „სახალხო გვარდიელი“ იბეჭდება ლექსი „1920“ („მზეო-ღვთისმშობელო, მზეო-ნებიერო...“).

➤3489

**1921**

**22 იანვრამდე**

გიონ საგანელის ორგანიზატორობით პოეტების ერთი ჯგუფი მართავს კონკურსის „პოეტების მეფის“ სახელის მოსაპოვებლად. ყველა მონაწილე სპეციალურად კონკურსისთვის დაწერილ ლექსს წარადგენს. გალაკტიონი წარადგენს ლექსს „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

➤3490

**1921**

**22 იანვარი**

დავით პავლიაშვილი „პარდონის“ ფსევდონიმით გაზეთ „საქართველოში“ აქვეყნებს ეპიგრამებს ქართველ პოეტებზე. მათ შორის არიან გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეებიც: „მხოლოდ ახსენე თავო ჩემო ორი ტაბიძე, – / მათი სახელი ყველამ იცის, თუგინდ დაფიცე“.

➤3491

**1921**

**22 იანვარი**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით იაკობ ცინცაძე „ია ეკალაძის“ ფსევდონიმით წერს, რომ ის ხმას აძლევს გალაკტიონ ტაბიძეს, როგორც დიდი სევდის მატარებელ მგოსანს.

➤3492

**1921**

**25 იანვრამდე**

ხარიტონ ვარდოშვილს მოსაწვევს აძლევს პოეტთა მეფის არჩევის ცერემონიალზე. ვარდოშვილი მოსაწვევს უკან უბრუნებს წარწერით, რომ ის სოციალ-დემოკრატია და მეფეებს არ ცნობს.

➤3493

**1921**

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით ტერენტი გრანელი წერს, რომ სრულიად საქართველოს პოეტთა მეფობისათვის ხმას აძლევს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3494

**1921**

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით გრიგოლ ორაგველიძე წერს, რომ ხმას აძლევს პოეზიით დასწრულს, გამორჩეულს და საქართველოს პოეტ-მეფეს – გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3495

1921

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით გიორგი საგანელი წერს, რომ სრულიად საქართველოს პოეტთა მეფობისთვის ხმას აძლევს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3496

1921

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით გობრონ ციციშვილი „აგარელის“ ფსევდონიმით წერს, რომ საქართველოს პოეტთა მეფე არის გალაკტიონ ტაბიძე.

➤3497

1921

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით გიორგი გამყრელიძე „გრ. ზოდელის“ ფსევდონიმით წერს, რომ სრულიად საქართველოს პოეტთა მეფობისთვის ხმას აძლევს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3498

1921

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით ალექსანდრე კალანდაძე წერს, რომ პოეტების მეფედ ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3499

1921

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით არტემ გაბუნია წერს, რომ საქართველოში პოეზიის გვირგვინოსნობაზე ხმას აძლევს ჩვენს დიდებულ გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3500

1921

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით ირაკლი ყანჩელი „ჰერკულეს ყანჩელის“ ფსევდონიმით საქართველოში პოეტთა უპირველესობისთვის ხმას აძლევს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3501

1921

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით უცნობი პირი წერს, რომ ხმას აძლევს პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს, რომელსაც ეკუთვნის იყოს სრულიად საქართველოს მგოსანთა მეფე.

➤3502

1921

**25 იანვარი ან ადრე**

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით გრიგოლ ორაგველიძე პოლიო აბრამიას, მიქელ რაბიანისა და სიმონ ჩიქოვანისგან იღებს რწმუნებულებას, რომ მათი სახელით ხმები მისცეს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3503

1921

25 იანვარი

პოეტთა მეფის არჩევნებთან დაკავშირებით იოსებ იმედაშვილი წერს, რომ ვერცერთი თანამედროვე მწერალი ჯერ კიდევ ვერ მისწვდა უმაღლეს წერტილს და ამიტომ მგოსანთა მეფის არჩევა ამ ეტაპზე უდროოდ მიაჩნია, მაგრამ რადგან სთხოვეს საუკეთესოს დასახელება, „ოქროს კალამს გალაკტიონ ტაბიძეს მიაართმევს“, როგორც მსოფლიო ჰანგთა მატარებელს. მეორე მხრივ, იმედაშვილი სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს ალექსანდრე შანშიაშვილს და ფიქრობს, რომ შეიძლება მან გალაკტიონს პირველობა ჩამოართვას.

➤3504

1921

25 იანვარი

თბილისში საპიორნის (ამჟამინდელი ძნელაძის) ქუჩაზე, ექიმ როკვაკას სახლის პირველ სართულზე მიმდინარეობს „პოეტების მეფის“ არჩევნების კენჭისყრის შედეგების დათვლა. პოეტების მეფედ ცხადდება გალაკტიონ ტაბიძე და დამსწრე პოეტები მას ხმაურიან ოვაციას უწყობენ.

➤3505

1921

25 იანვარიდან

წერს დიალოგს პიესისთვის: „მეფე პოეტების“ („გალაკტიონ ტაბიძე: ქიმერა, რასა მალავ?..“).

➤3506

1921

25 იანვრის შემდეგ

წერს მოგონებას 1918 წლის ქარიშხლიანი ღამეებისა და გამოსაცემად გამზადებული წიგნით გემი დაღანდით სამშობლოში დაბრუნების შესახებ. ახსოვს, როგორ დაიძახა გემზე ვიღაცამ მისი სახელი და რა ოვაციებით შეხვდა ხალხი. აღნიშნავს, რომ საქართველოში ისე არავინ უყვარდათ, როგორც ის, რადგან არავინ იყო მასზე ძლიერი. მოგონებას წყვეტს პოეტების მეფედ მისი არჩევის ისტორიაზე.

➤3507

1921

25 იანვრის შემდეგ

მუშათა ნაწილს აღიზიანებს ის ფაქტი, რომ გალაკტიონს „პოეტების მეფედ“ მოიხსენიებენ. პოეტი წერს რედაქციაში გასაგზავნ წერილს, რომელშიც ცდილობს განმარტოს, რომ ამ წოდებას რეალურ „მეფობასთან“ არაფერი აქვს საერთო.

➤3508

1921

25 იანვრის შემდეგ

ხალხურ მოტივებზე წერს უსათაურო ლექსს „ჰოი, ლალები, ლალები, შევარდენს გიგავს თვალები...“

➤3509

1921

**25 იანვრის შემდეგ**

წერს ლექსს „9 სიყვარული“.

➤3510

1921

**26 იანვარი**

გაზეთი „სახალხო საქმე“ ბეჭდავს განცხადებას, რომ 26 იანვარს, სტუდენტთა ტრადიციულ დღეს, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა მართავს საღამო-მეჯლისს... „მგოსანთა ოჯახში“ მონაწილეობენ: პაოლო იაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, სიკო ფაშალიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, შალვა შარაშიძე, გიორგი ლეონიძე.

➤3511

1921

**29 იანვარი**

რუსული გაზეთი „ბორბა“ რუბრიკაში „ქრონიკა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ 25 იანვარს საქართველოს ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ „პოეტების მეფე“ ერთხმად აირჩია. აღნიშნულია, რომ ამ საპატიო ხარისხში სამუდამოდ აყვანილ იქნა პოეტებიდან ყველაზე ღირსეული გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც მთელ ქართულ პოეზიაზე უდიდესი გავლენა აქვს და იქ დამსწრე ახალგაზრდა პოეტებმა მას ხმაურიანი ოვაცია მოუწყვეს. სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ ეს ტრადიცია საფრანგეთიდან იღებს სათავეს და რომ ამ ტიტულის პირველი მფლობელი პოლ ვერლენი იყო.

➤3512

1921

**30 იანვარი**

რუსთაველის გამზირზე ნინო ნაკაშიძის კაფეში სხედან პაოლო იაშვილი და ალი არსენიშვილი და წინა დღეს გამოცემულ გაზეთში „ბორბა“ კითხულობენ ინფორმაციას გალაკტიონის პოეტების მეფედ არჩევის შესახებ. ისინი საშინლად ბრაზდებიან, ხვდებიან ტიციან ტაბიძეს, ერთად მიდიან გაზეთის „ბორბა“ რედაქტორ დავით შარაშიძესთან და კატეგორიულად ითხოვენ გამოქვეყნებული განცხადების უარყოფას. იქვე წერენ უარყოფის ტექსტს და უტოვებენ დასაბეჭდად.

➤3513

1921

**იანვრის ბოლომდე**

თბილისიდან ჭყვიშში წერილს უგზავნის ძმას – აბესალომ ტაბიძეს და ულოცავს დღესასწაულებს. აცნობებს, რომ წიგნის გამოცემა ვერ მოახერხა. სწერს, რომ მუშაობს ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ პასუხისმგებელ მდივნად და ძალიან დაკავებულია. მიუხედავად იმისა რომ ჯამაგირად აქვს 7300 მანეთი და ოფიცრის ულუფასაც იღებს, თანხა მაინც ძლივს ჰყოფნის. სთხოვს, რომ დედის შესახებ დაწვრილებით მისწეროს და სასწრაფოდ გაუგზავნოს რუსულ ჟურნალში „ნოვოე სლოვო“-ში დაბეჭდილი წერილი „კასპარ ჰაუზერის ისტორია“, რომელიც სტატიის დასაწერად სჭირდება. ატყობინებს, რომ თბილისში სიძვირე და შიმშილია. ამას ერთვის თოვლი და ყინვა, ხალხი კი შეშასაც ვერ ყიდულობს. ფიქრობს, რომ ასეთ ვითარებაში სოფელში ცხოვრება ჯობს. წერილზე საკუთარ მისამართად უთითებს გვარდიის მთავარ შტაბთან არსებულ „სახალხო გვარდიელის“ რედაქციას.

➤3514

1921

**იანვარი**



ჟურნალი „ხელოვნება“ აქვეყნებს სოსო ასლანიშვილის სტატიას „ქართული პოეზია“ – „მეოცნეზე ნიამორები“ და „შვილდოსანი“. ავტორი წერს, რომ 1919 წელს ქუთაისში გამოვიდა ჟურნალი „მეოცნეზე ნიამორები“ და 1920 წელს ჟურნალი „შვილდოსანი“. ამ ორ ჟურნალს კავშირი აქვს ქართული მწერლობის ახალ მიმართულებასთან – ქართულ მოდერნიზმთან და ახალგაზრდა მგოსანთა პლედასთან, რომელთაც 1916 წელს თავიანთი ნაწარმოებები გამოაქვეყნეს ჟურნალში „ცისფერი ყანწები“ და დიდი ცვლილებები მოიტანეს. ჩამოთვლილ პოეტთა შორის გალაკტიონი მოხსენიებული არ არის, თუმცა მკვლევარი წერს, რომ 1918 წლიდან პაოლო იაშვილს, გალაკტიონ და ტიცინი ტაბიძეებს ვხედავთ დედაქალაქში, სადაც ეს ჯგუფი ისევ ახმაურდა. ციტირებს გრიგოლ რობაქიძის ჟურნალ „Ars“-ში დაბეჭდილი წერილის ფრაგმენტს, რომელშიც მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤3515

1921

იანვარი

ჟურნალი „ხელოვნება“ რუბრიკაში „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“ აქვეყნებს მიხეილ ბოჭორიშვილის რეცენზიას გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე წიგნზე: „Crâne aux fleurs artistiques“. კრიტიკოსი წერს, რომ როდესაც გალაკტიონ ტაბიძის ნაზი სევდით მონაქარგი ლექსების მეორე კრებულს ადარებს პირველ კრებულთან, აღფრთოვანებას ეძლევა, რადგანაც ახალგაზრდა მგოსანი გიგანტური ნაბიჯით მიიწევს წინ. თვლის, რომ გალაკტიონ ტაბიძე ქართულ პოეზიაში ობლად მოხეტიალე ვარსკვლავია, განდეგილი მეუდაბნოეა, რომელიც ვერავის ვერ ანდობს თავისი გულის ზრახვას, მაგრამ საკმარისია გადაიკითხო მისი სტრიქონები, რომ გაიგო ავტორის სევდა და შეუძლებელია არ შეიყვარო სულის გამოუცნობი ფიქრების მესაიდუმლე მგოსანი. კრიტიკოსი ადარებს რა პირველ და მეორე კრებულებს, თვლის, რომ პირველი კრებული უფრო ლამაზად არის გამოცემული და ამას წიგნის გამოცემის გაძვირებით ხსნის. ფიქრობს, რომ მეორე წიგნი მოიგებდა, გალაკტიონ ტაბიძეს წიგნში ზოგიერთი ლექსი სულ რომ არ შეეტანა, მაგრამ არ ასახელებს ამ ლექსებს.

➤3516

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1921

2 თებერვალი

რუსული გაზეთი „ბორბა“ რედაქციის სახელით აქვეყნებს განცხადებას, რომ 29 იანვრის ნომერში დაბეჭდილ ინფორმაციაში პოეტების მეფის არჩევის შესახებ, როგორც ამას მწერალთა კავშირი ადასტურებს, გაიპარა უზუსტობები.

➤3517

1921

6 თებერვალი

გაზეთი „სახალხო საქმე“ „განსანის“ ფსევდონიმით აქვეყნებს ტერენტი გრანელის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სტატიას „სამგლოვიარო ხაზები“. ავტორი წერს, რომ ტერენტი გრანელის პოეზიით ისე ტკბება, რომ ექვი იპყრობს, გალაკტიონ ტაბიძეს ხომ არ კითხულობს. თვლის, რომ გალაკტიონის სკოლის გავლენა ტერენტი გრანელზე მეტად დიდია, რაც მეტყველებს ტერენტი გრანელის ნიჭიერებაზე.

➤3518

1921

20 თებერვლამდე

წერს ლექსს „ტფილისთან“ („სადღეგრძელო იყოს მისი, ვინც ომებში იწოდა...“), რომლითაც ეხმაურება დედაქალაქის მისადგომებთან, საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად გამართულ უთანასწორო ბრძოლას რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ.

➤3519

1921

**20 თებერვალი**

ჟურნალ „სახალხო გვარდიელში“ ხელმოუწერლად იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ანტიბოლშევიკური ლექსი „ტფილისთან“ („სადღეგრძელო იყოს მისი, ვინც ომებში იწოდა...“).

➤3520

1921

**25 თებერვლამდე**

თბილისში საღამოს ქუჩაში შემთხვევით ხვდება გიორგი ლეონიძეს, შედიან ლურჯ მონასტერში და შემდეგ აკვირდებიან ეკლესიის კარზე გამოკვეთილ ჩუქურთმას.

➤3521

**1920 დეკემბერი - 1921 თებერვალი**

ცხოვრობს პოლიკარპე კაკაბაძის ნაქირავებ ბინაში და ზოგჯერ ეტლით მიჰყვება საცოლის – ლიუდმილა მიხაილიძის სანახავად.

➤3522

**მ ა რ ტ ი**

1921

**2 მარტი**

ფანქრით ხატავს ვინმე კოროლკოვის პორტრეტს.

➤3523

1921

**7 მარტის შემდეგ**

წერს ლექსს „თოვლი“ („ხეები თოვლით დაფენილია...“).

➤3524

1921

**12 მარტამდე**

რუსულ ენაზე კითხულობს ფრანგი მწერლის ჟორის-კარლ ჰიუისმანსის რომანს „ბუნების წინააღმდეგ“, უბის წიგნაკში იწერს მისთვის საინტერესო სახელებს, შედარებებს და ლექსიკონით თარგმნის უცნობ სიტყვებს.

➤3525

1921

**12 მარტამდე**

იწყებს უსათაურო ლექსის „ისევ ცეცხლთან თამაში...“ წერას, მაგრამ არ ამთავრებს.

➤3526

1921

**12 მარტამდე**

რუსულ ენაზე წერს რომანის „იულიუს კეისარი“ მოკლე კონსპექტს.

➤3527

1921

**12 მარტამდე**

იწყებს უსათაურო ლექსის „ჩვენ ძლიერ მაგრად ჩაკვეტოთ კარი...“ წერას, მაგრამ არ ასრულებს.

➤3528

1921

**12 მარტამდე**

კითხულობს თეოდორ დოსტოევსკის მოთხრობას „სოფელი სტეფანჩიკოვო და მისი მოსახლეობა“, საიდანაც უბის წიგნაკში იწერს მოთხრობის პერსონაჟის ცრუ-პოეტის გრიგორი ვილოპლიასოვის ერთერთ ფსევდონიმს ესსბუკეტოვი და წინადადებს: „უკვე მესმის ცარიელი სივრცის სტვენა“, რომელსაც ქართულად თარგმნის და განავრცობს: „როგორც გველის სლიანი კრთება დღე ნისლიანი“, იქვე ხატავს ლაბირინთებს და კარიკატურულ სახეებს. ამ სტრიქონის გამოყენებით იწყებს ლექსის წერას.

➤3529

1921

**12 მარტამდე**

იწყებს უსათაურო ლექსების „დასცხრი, გულო! ზღვაო, რა მოგივიდა...“ და „დატვირთული მრავალ უამიდობით...“ წერას, მაგრამ არ ასრულებს.

➤3530

1921

**12 მარტამდე**

იწყებს ლექსის „წიწამურში რომ მოკლეს ილია“ წერას. წერს რამდენიმე ვარიანტს.

➤3531

1921

**12 მარტამდე**

მუშაობს პოემაზე „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, რომლის მთავარი პერსონაჟები არიან ლუჩიო და ევა.

➤3532

1921

**12 მარტამდე**

წერს ლექსს „სარკეების ქროლაში“ („მე, შეიძლება, თვით სამარეც ვერ შემაჩერებს...“).

➤3533

1921

**12 მარტამდე**

გეგმავს პოეტების მეფის საღამოს ჩატარებას. უნდა რომ საღამო იყოს ინტერნაციონალური.

➤3534

1921

**12 მარტამდე**

ხატავს წმინდანს, რომელსაც გულზე ჯვარი ჰკიდია. ნახატს ხელს აწერს გ. ტაბიძე.

➤3535

1921

**12 მარტამდე**

მუშაობს ლექსზე „დღიურ პროზიდან“, წერს უსათაურო სტროფს „ჩურჩული, სიტყვა ნაწყვეტ-ნაწყვეტი“.

➤3536

1921

## 27 იანვარი-12 მარტი

ჩანაწერებს აკეთებს ლიტერატურულ ასპარეზზე თავისი გამოჩენის შესახებ, რომლებშიც საკუთარ თავს მესამე პირში მოიხსენიებს. წერს, რომ 1907 წელს, როდესაც წიწამურში მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე, დასრულდა ერთი ხანა ქართული პოეზიისა და იმავე წელს ქართულ პოეზიაში იფეთქა ახალმა მიმართულებამ. აღნიშნავს, რომ 1908 წელს სალიტერატურო ასპარეზზე ახალგაზრდა პოეტებისა და მათ შორის გალაკტიონ ტაბიძის გამოსვლით დაიწყო ახალი ხანა ქართულ პოეზიაში. ახსენებს მის მეღანქოლით სავსე ხმას და ჩამოთვლის პირველ პუბლიკაციებს: ლადო დარჩიაშვილის ჟურნალ „ახალ კვალსა“ და გაზეთ „ამირანში“. წერს, რომ იგი კრიტიკამ მალე შეამჩნია და მოჰყავს კრიტიკოსთა შეფასებები. „ნარის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ „გ. ტ. საოცრად გამოირჩევა ყველა თანამედროვე პოეტებისაგან“, რომ გიორგი ჭუმბურიძე 1909 წელს მას უპირველესთა რიგში აყენებდა და გაზეთი „ხალხის ხმა“ უკეთეს პოეტთა რიცხვში იხსენიებდა.

➤3537

1921

## 12 მარტი

რუსულ ენაზე წერს პროზაულ ტექსტს ბავშვის შესახებ, რომელიც ღრმად გულში ატარებდა ბოროტების რელიგიას.

➤3538

1921

## 25 მარტამდე

მშობლიური სოფლიდან თბილისისკენ მიმავალი მატარებელში ხვდება ნიკოლოზ შენგელაიას, რომელიც უყვება, როგორ აპირებდნენ მის იძულებით წაყვანას სამხედრო სამსახურში და როგორ დააღწია თავი ხიდიდან წყალში გადახტომით.

➤3539

1921

## 25 მარტი

ჭყვიშიდან თბილისში დაბრუნებულს ნებას აძლევენ, რომ დაიკავოს ერთი ოთახი სერგის ქუჩის 13 ნომერში მდებარე „ხელოვნების სასახლის“ შენობაში და დროებით იქ ბინავდებო. მისდამი დამოკიდებულებით კმაყოფილია, მაგრამ აფიქრებს შენობის ნომერი – 13.

➤3540

1921

## მარტი

წერს უსათაურო ლექსს „აგერა! აჰანდე...“.

➤3541

## აპრილი

1921

## 25 მარტი-2 აპრილი

ხელოვნების სასახლეში ყველას ნახულობს პოლიკარპე კაკაბაძის გარდა. იგებს, რომ ბარონ ბიბინეიშვილი არის მთავრობის საქმეთა გამგე, მიხეილ ოკუჯავა – სურსათის კომისარი, არჩილ მიქაძე – შრომის კომისრის თანაშემწე, დავით ჭიპაძე – საზღვაო კავშირის უფროსი. ეცნობა რევოლუციური კომიტეტის მდივან შოთა გაბრიჩიძეს. ფიქრობს, რომ ყველანი სასიამოვნო ადამიანები არიან. აპირებს სახელმწიფო თეატრში საღამოს გამართვას, რაც მის მდგომარეობას გააუმჯობესებს, როგორც ამბობენ, შესაძლებელი იქნება წიგნების გამოცემაც. იმედოვნებს, რომ ასე იქნება. იგებს, რომ დანიშნულია ხელოვანთა კომიტეტის არჩევნები. ფიქრობს, რომ ხელისუფლება ხელოვანებს დიდი ყურადღებით ეპყრობოდა და რომ არც თვითონ დაიჩაგრება.

სრულიად არ იცის, როგორ წარიმართება მისი მომავალი საქმიანობა, მაგრამ ოდნავი ეჭვიც არ ეპარება ბრწყინვალე მომავალი ელის

➤3542

1921

**2 აპრილი**

უბის წიგნაკში წერს, რომ მისი სოფლიდან დაბრუნების შემდეგ თბილისი ცოტა გამოცვლილი ეჩვენება, მაგრამ კომუნისტები რეპრესიებს არ მიმართავენ.

➤3543

1921

**2 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში რუსულად ინიშნავს, რომ შეიძლება დაიწეროს ლექსი ფიოდორ დოსტოევსკის შესახებ.

➤3544

1921

**2 აპრილის შემდეგ**

კითხულობს 1913 წლის ჟურნალის „აპოლონი“ მეორე ნომერში დაბეჭდილ გეორგი ლუკომსკის წერილს „ახალი პეტერბურგი“. ნაშრომში მოხსენიებულია სხვადასხვა ავტორი, რომელთაც პეტერბურგის შესახებ ალტაცებული გამოხმაურებები აქვთ. მათ შორის ლუკომსკი ასახელებს მხატვარ სტეფანე გალაკტიონოვს, პოეტი უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ „ეს ისეა: მოულოდნელად რომ ვინმე შენს სახელს ამოიძახებს“.

➤3545

1921

**2 აპრილის შემდეგ**

კითხულობს სტატიას ლევ ტოლსტოის შესახებ და უბის წიგნაკში იწერს ტექსტის ზოგიერთ მონაკვეთს.

➤3546

1921

**2 აპრილის შემდეგ**

რუსულ ენაზე კითხულობს ფრანგი პოეტის ემიეს ლექსებს და უბის წიგნაკში იწერს 1911-1915 წლებში მის მიერ ოდესაში დაწერილი ლექსების სტრიქონებს.

➤3547

1921

**2 აპრილის შემდეგ**

კითხულობს ედგარ პოს ლექსის „ლეონენი“ ვალერი ბრიუსოვისეულ თარგმანს და ლექსის პირველ სტროფს იწერს უბის წიგნაკში.

➤3548

1921

**2 აპრილის შემდეგ**

მუშაობს უსათაურო ლექსზე „ვარდების ფენით ტრიალებს ჟინი“.

➤3549

1921

**2 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს რუსი პოსტიმპრესიონისტი მხატვრის – პიოტრ კონჩალოვსკის ნახატის „მევიოლინე გრიგორ ფიოდოროვიჩ რომაშკოვის პორტრეტი“ – სახელწოდებას.

➤3550

1921

## 2 აპრილის შემდეგ

ნიკოლო მიწიშვილისგან სესხულობს 5000 მანეთს.

➤3551

1921

## 2 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს სხვადასხვა პირების მისამართებს. აღნიშნავს, რომ მიშა ოკუჯავა ცხოვრობს რუსთაველის გამზირის 10 ნომერში. წერს ვერა შავერზაშვილის, ბაბილინას, გიგლა მეტუკის, ვარლამ ძიძიგურის და სხვათ მისამართებს. აღნიშნავს რომ ბევრი ახალი ადამიანი გაიცნო.

➤3552

1921

## 2 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს მომდევნო დღეს გასაკეთებელი საქმეების სიას. სურს დაიბრუნოს წიგნები, ან წიგნების ფული, წიგნების დასაბრუნებლად თეო კველიძესთან ერთად აპირებს წასვლას. სახელმწიფო თეატრში გეგმავს სალამოს გამართვას და აპირებს სალამოსთვის დღის დასაჯავშნად თეატრში მისვლას. წერს, რომ თუ მოახერხა სალამოს აღება, მის ჩასატარებლად უნდა ისესხოს ფული. გეგმავს საქმიან შეხვედრას ფილიპე მახარაძესთან. აინტერესებს ჩამოვიდა თუ არა მიხეილ ოკუჯავა. აქვს იმედი, რომ არავინ დაასწრებს სალამოს ჩატარებას და ფიქრობს, რომ თუ ოპერის თეატრის დაჯავშნა ვერ მოხერხდება, სალამო გამართოს ხელოვნების სასახლეში, ან სხვაგან. მოსწონს ხელოვნების სასახლეში სალამო-სეირნობის იდეა და თვლის, რომ იქ სტილისტური სალამო უნდა მოეწყოს.

➤3553

1921

## 2 აპრილის შემდეგ

გეგმავს, რომ ვინმესგან ისესხოს ფული ახალი წინდების საყიდლად, მოიმარაგოს წყალი, მიაკითხოს გაბუნიას შაქრისა და პაპიროსის ასაღებად, გარეცხოს ტანსაცმელი, შეაკეთებინოს სკამი და ელექტროენერჯის ჩამრთველი.

➤3554

1921

## 2 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს გიორგი ქუჩიშვილისადმი მიძღვნილ სახუმარო ლექს-ეპიტაფიას: „დღეში ათასჯერ გიყვარს ღვინის სმა, ცხოვრება გათრობს, როგორც თილისმა“.

➤3555

1921

## 2 აპრილის შემდეგ

გეგმავს პოეზიის სალამოს ჩატარებას, რისთვისაც ჯავშნის ოპერის თეატრის დარბაზს. შალვა დადიანი ღონისძიებაში მონაწილე მსახიობების შერჩევაში ჰპირდება დახმარებას, ხოლო გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი – სალამოსთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებაში.

➤3556

1921

## 2 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში ხატავს ამომავალ მზეს და აწერს ხელს.

➤3557

1921

## 2 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში ხატავს მამაკაცის პორტრეტულ ჩანახატს ანფასში.

➤3558

1921

## 2 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში რუსულად იწერს ნიკოლაი ნეკრასოვის ლექსის „პოეტი და მოქალაქე“ სტრიქონებს: „შენ შეიძლება არ იყო პოეტი, მაგრამ შენი ვალია, რომ იყო მოქალაქე“.

➤3559

1921

## 2 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში რუსულად იწერს სტრიქონს სემიონ ნადსონის შემოქმედების შესახებ „უსასრულოდ გულის წამლებად ბურღავს საკუთარ სულს“.

➤3560

1921

## 2 აპრილის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას ვენერა მილოსელის ხელის შესახებ, მაგრამ არ ამთავრებს.

➤3561

1921

## 2 აპრილის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „მონასტერი“, მაგრამ არ ამთავრებს.

➤3562

1921

## 2 აპრილის შემდეგ

კითხულობს 1913 წლის ჟურნალის „აპოლონი“ მეორე ნომერში დაბეჭდილ ნიკოლაი გუმილიოვის კრიტიკულ რეცენზიას „თანამედროვე პოეზიის ანთოლოგიაზე“, რომელიც კიევში, 1912 წელს გამოიცა. უბის წიგნაკში რუსულად იწერს გუმილიოვის ფრაზას იმის შესახებ, რომ ფრანგულ განყოფილებაში ახალი პოეზია იწყება ბოდლერით, დამყარებული ტრადიციის მიუხედავად რომლის მიხედვითაც მას ტეოფილ გოტიე ხსნიდა.

➤3563

1921

## 2 აპრილის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გულში ღამე სუფევდა, თმაში თეთრი მერია“, მაგრამ არ ამთავრებს.

➤3564

1921

## 2 აპრილის შემდეგ

წერს თავისი საღამოს სავარაუდო მონაწილეთა და სტუმართა სიას. სურს, რეჟისორად მოიწვიოს მიხეილ ჭიაურელი.

➤3565

1921

## 2 აპრილის შემდეგ

ჩამოწერს რითმებს, მათ შორის ასონანსურ რითმას: „ამეტისტი - მეტისმეტი“.

➤3566

1921

## 2 აპრილის შემდეგ

წერს ორსტროფიან უსათაურო ლექსს „წინანდალს ვაზი აშვენებს“, რომელსაც ასრულებს საზომი რეფრენით: „ჰეი, ჰეი ჭრელთვალა,/ ჰეი, ჰეი, ჭრელთვალა,/ ჰეი, ჰეი, ჭრელქუდა,/ შენ გენაცვალე მუდამ“.

➤3567

1921

## 2 აპრილის შემდეგ

კითხულობს 1912 წლის ჟურნალის „აპოლონი“ მეორე ნომერში დაბეჭდილ ალექსანდრ გიდონის წერილს „სიკვდილი ოსკარ უაილდისა“ და უბის წიგნაკში იწერს სტატიის სათაურს.

➤3568

1921

## 2 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს ფრაზას „ქართული პანი. ვაჟა-ფშაველა – ეს ქართველი პანი“.

➤3569

1921

## 2 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს მიქელ პატარძის სიტყვებს „მქონდეს ნახევარი გირვანქა პური, ოღონდ ნეტავი დილიდან საღამომდე მამუშავა“.

➤3570

1921

## 9 აპრილი

განცხადებით მიმართავს რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს კავკასიის სამმართველოს გამგეს, სერგეი ზოგდატიევს. სწერს, რომ მისი ლექსების მეორე ტომის 2000 ეკზემპლიარი 1919 წლის მაისში დაბეჭდა საკუთარი ხარჯით და გადაიხადა 25000 მანეთი. წიგნების ნაწილი უფასოდ დაარიგა სალიტერატურო სადამოებზე, ხოლო ნაწილი აგენტებმა წაიღეს და არც თანხა მიუციათ და არც გაუყიდავი წიგნები დაუბრუნებიათ. ამიტომ მან არა თუ ჰონორარი ვერ მიიღო, გამოცემის ხარჯებიც კი ვერ აინაზღაურა. მიმართავს თხოვნით, რომ დარჩენილი 500 ეკზემპლიარი შეიძინონ თითო ათას მანეთად, ან დაუბრუნონ. განცხადებას თან ურთავს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის პოლიტიკური განათლების მთავარი გამგეობის საბუთს, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს წიგნების წართმევას.

➤3571

1921

## 19 აპრილამდე

აპირებს დაწეროს ლიტერატურული მანიფესტი, რისთვისაც ადგენს საჭირო მასალის სიას. ჩამონათვალი აერთიანებს ვალერი ბრიუსოვის „ცდებს“, გრიგოლ რობაქიძის „პორტრეტებს“, რუსული პროლეტკულტელების ჟურნალ „ვზმახის“ პუბლიკაციებს და სახარებას.

➤3572



1921

**19 აპრილამდე**

ფიქრობს, რომ უნდა ჩამოყალიბდეს „ორდენი მსოფლიო ხელოვნებისა“ და რომ „ეს იქნება კოლოსალური მოძრაობა“.

➤3573

1921

**19 აპრილამდე**

უბის წიგნაკში იწერს 1921 წლის თებერვალში გამოქვეყნებული ანტისაბჭოთა ლექსის – „ტფილისთან“ შემოკლებულ, უსათაურო ვარიანტს („სადღეგრძელო იყოს მისი, ვინც ომებში იწოდა...“).

➤3574

1921

**19 აპრილი**

უბის წიგნაკში წერს, რომ თბილისში არიან გერონტი ქიქოძე, შალვა ამირაჯიბი, მელიტონ ბალანჩივაძე და თამარ შავერზაშვილი.

➤3575

1921

**19 აპრილი**

უბის წიგნაკში წერს, რომ მისი საღამო იქნება ინტერნაციონალური და წერს საღამოს ჩატარების სავარაუდო გეგმას. ვარაუდობს, რომ მის საღამოში მონაწილეობას მიიღებს იოსებ გრიშაშვილი. სურს „ცოცხალი სურათების“ მოწყობა პირველ წიგნში გამოქვეყნებული ლექსებისთვის.

➤3576

1921

**19 აპრილი**

ესწრება აკადემიის სხდომას და დღიურში იწერს, რომ იყო მორიგი სისულელეები.

➤3577

1921

**20 აპრილამდე**

ბოლშევიკური რეპრესიების შიშით წვავს საკუთარი ნაწერების ათ ყუთს.

➤3578

1921

**20 აპრილი**

დილით სვამს ერთ ჭიქა კონიაკს და მიემშურება საქმეების მოსაგვარებლად.

➤3579

1921

**20 აპრილი**

კადეტთა კორპუსში თავისი წიგნების ან შესაბამისი თანხის დაბრუნების საკითხის გასარკვევად ყოფნისას ხვდება სახელმწიფო შინაგან საქმეთა კომისრის მდივანს, რომელიც ცნობს და დიდებულად იღებს. პოეტს უხარია, რომ საზოგადოებაში პატივისცემით სარგებლობს და იმედი უჩნდება, რომ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდება.

➤3580

1921

## 20 აპრილი

საღამოს ტარდება აკადემიის სხდომა, რომელზეც გრიგოლ რობაქიძე კითხულობს ლექციას ნოვალისის პოეტიკის შესახებ. გალაკტიონის აზრით ეს ლექცია ამტკიცებს რობაქიძის არაპოეტობას და ამისთვის შესაფერი საფუძვლების ძიებას. უბის წიგნაკში ინიშნავს საკუთარ აზრებს ნოვალისის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ, წუხს, რომ ვერ გაიგო პავლე ინგოროყვას აზრი გრიგოლ რობაქიძის ლექციის შესახებ. გრიგოლ რობაქიძის მოხსენების შემდეგ ლაპარაკობს კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც აღნიშნავს მუსიკის არარსებობას საზოგადოდ პოეზიაში, რაც გალაკტიონის აღშფოთებას იწვევს. მას სურს დაარწმუნოს ყველა, რომ პოეზიაში არის მუსიკა და ეს მუსიკა არის „არა ქვების (მაღლარმე), არა არტიკლების (გერმანელი პოეტები), არა ვერლენის (ნიუანსები), არამედ სხვა... ნიჭის, ნიჭის და კიდევ ნიჭის“. საღამოს შემდეგ ტიციან ტაბიძე ირონიულად ეუბნება, რომ როდესაც რობაქიძე ბარათაშვილს ახსენებდა, დარბაზმა გალაკტიონს გადახედა. გალაკტიონი მისდამი ასეთ დამოკიდებულებას განიცდის, მაგრამ გრძნობს, როგორ უნდა მოიქცეს მომავალში.

➤3581

1921

## 20 აპრილი

გრიგოლ რობაქიძის ლექციის შემდეგ სხვებთან ერთად ჩაიზე სტუმრობს პაოლო იაშვილს და თავს ობლად გრძნობს, რადგან ობსტრუქციას უწყობენ და ცუდად ეხუმრებიან.

➤3582

1921

## 20 აპრილი

დღიურში წერს, რომ განიცდის უბოლოო მწუხარებას და მარტობას, რადგან დაკარგა ყველაფერი რაც ბავშვობიდან უწერია, დღიურები, ლექსები, მასალები დიდი რომანისათვის, წიგნები. წერს, რომ გაჰქრა წარსული და მომავალზე ფიქრი აშინებს. არ იცის, რა ელის მომავალში და ვინ დაუჭერს მხარს.

➤3583

1921

## 20 აპრილის შემდეგ

წერს ლექსს „დღეს დღეები ეცლება“.

➤3584

1921

## 21 აპრილი

სთავაზობენ პოეზიის დღის – შვიდი მაისის გაზეთში მონაწილეობის მიღებას და ამზადებს მანიფესტს. უხარია შალვა კარმელის კეთილი სიტყვები, რომ მას გალაკტიონ ტაბიძე ეგონა ყაჩაღი და აღმოჩნდა მეტად მშვიდობიანი ადამიანი.

➤3585

1921

## 21 აპრილი

საღამოს კონსერვატორიაში ესწრება სერგეი ბოგდატიევის მოხსენებას ტოლსტოის შესახებ და ძალიან არ მოსწონს დიდი მწერლის ასე დაკნინება. გაკვირვებულია, რომ ლექციის კითხვისას ბოგდატიევი მხოლოდ მას უყურებს. საღამოზე ვიღაც ლამაზი ქალბატონი არაჩვეულებრივად კითხულობს ნაწყვეტებს ტოლსტოის „ანა კარენინადან“. გალაკტიონი მოხიბლულია, მაგრამ იცის, რომ მალე დაავიწყდება. კარა-დარვიში გალაკტიონს ვიღაც ლამაზ სომეხ ქალბატონთან წარადგენს სიტყვებით „პოეტების მეფე“.

➤3586

1921

**21 აპრილი**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც თავს იმხნეებს, რომ ის არავის წინაშე დამნაშავე არ არის და ყველას და ყველაფერს თამამად უნდა გაუსწოროს თვალი. გრძნობს საკუთარ სიდიადეს, წუხს, რომ ბევრი რამ დაკარგა, მაგრამ არ უნდა შეშინდეს, რადგან ქვეყნად ბევრი უნუგეშოა და მას შეუძლია მათი ნუგეშისცემა.

➤3587

1921

**22 აპრილი**

ესწრება აკადემიის სხდომას. აღნიშნავს, რომ არ არის გარკვეული აკადემიის წევრთა ვინაობა. თვლის, რომ არავის არა აქვს იმდენი ფარული პოეტური ენერგია, რამდენიც მას და ელის მსოფლიო რეზონანსს.

➤3588

1921

**22 აპრილი**

წუხს, რომ არტემ გაბუნია, რომელმაც იცის, რომ გალაკტიონი უკვე ერთი თვეა რაც თბილისში დაბრუნდა, არ ცდილობს მასთან შეხვედრას. ვარაუდობს, რომ არტემს იგი ორპირი და გაფუჭებული ადამიანი ჰგონია და განიცდის ამას. არ მოსწონს, რომ არტემმა ცოლად უშნო ქალი შეირთო და თვლის, რომ იგი დაილუპა.

➤3589

1921

**22 აპრილი**

უბის წიგნაკში წერს, რომ უნდა ერიდოს გიორგი საგანელს. საკუთარ თავს ახსენებს, რომ საჭიროა დიპლომატია.

➤3590

1921

**24 აპრილი**

დღიურში წერს, რომ საკუთარ თავში გრძნობს დიდ ძალას, ნიჭსა და ღირსებას და რომ მისი „შუქმოსილი ბრწყინვალეობა“ დააბნელებს ირგვლივ ყველაფერს.

➤3591

1921

**26 აპრილის შემდეგ**

რუსულ ენაზე იწყებს ლექსის წერას სათაურით „ჩემო სამშობლო“, მაგრამ არ ამთავრებს.

➤3592

1921

**26 აპრილის შემდეგ**

რუსულ ენაზე იწყებს ლექსის წერას სათაურით „თავი დამანებე“, მაგრამ არ ამთავრებს.

➤3593

1921

**26 აპრილის შემდეგ**

რუსულ ენაზე წერს ბეგლარ ახოსპირელისადმი (აღაიანისადმი) მიძღვნილ ლექსს „მეგობარს“.

➤3594

1921

**28 აპრილი**

თავისი ცოლისძმის, მიხეილ ოკუჯავას გარდაცვლილი მეუღლის – ეკატერინე ხალვაშის ხსოვნის საპატივცემულოდ წერს უსათაურო ლექსს „ირგვლივ ნისლი სუფევდა...“.

➤3595

1921

**აპრილი**

უბის წიგნაკში იწერს ისტორიული მოთხრობების სათაურებს: „ძველი რომი“, „იულიუს კეისარი“, „კორნელია, გრაკების დედა“, „სერვილია“, „ფიცი ეროსის ტაძარში“, „ოჯახური მყუდროება, სიმშვიდეს ვერ ანიჭებდენ“, „კლეოპატრა“, „გლადიატორი“, „პანოპტიკუმი“ და „ვერსალი“.

➤3596

1921

**აპრილი**

უბის წიგნაკში იწერს მესამე ტომში დასაბეჭდი ლექსების სათაურებს: „მანიფესტი მუსიკალური“, „შემოდგომა“, „ვ. მესხიშვილის ხსოვნას“. იქვე იწერს რითმებს და თემებს ლექსებისათვის.

➤3597

**მ ა ი ს ი**

1921

**1 მაისამდე**

სანდრო ეულის რედაქტორობით მზადდება ქართულ-რუსული ლიტერატურული კრებული „პირველი მაისი“. ამ ჟურნალის ქართული განყოფილების ძირითადი თანამშრომელი გრიგოლ ცეცხლაძე სთხოვს გალაკტიონს, მიუტანოს ლექსი კრებულში დასაბეჭდად. პოეტი ჰპირდება, რომ ლექსს აუცილებლად მიუტანს და იმაზეც უთანხმდება გრიგოლს, რომ მისი ნაწარმოები რედაქციამ პირველ გვერდზე უნდა დაბეჭდოს. მიუხედავად შეთანხმებისა, გალაკტიონს ლექსი აღარ მიაქვს, რადგან საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ნაწარმოებების აქტიურად ბეჭდვისგან, ზოგადად, თავს იკავებს.

➤3598

1921

**3 მაისი**

უბის წიგნაკში იწერს, ციტატას სახარებიდან: „და იყო მწარე ხილი იგი ვითარ აბზინდი“.

➤3599

1921

**4 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“ ინიციალებით „N N“ აქვეყნებს ეკატერინე ხალვაში-ოკუჯავასადმი მიძღვნილ ლექსს „სტრიქონები“

➤3600

1921

**18 მაისი**

ოლია ოკუჯავა ბრუნდება თბილისში, მაგრამ გალაკტიონს არ აგებინებს.

➤3601

1921

## 22 მაისამდე

განზრახული აქვს, რომ 22 მაისს სახელმწიფო თეატრში გამართოს პოეზიის, მუსიკის, დრამის და მხატვრობის საღამო და დააწესოს საკუთარი ფასები. დღიურში წერს განცხადების მონახაზს ხელოვნების მთავარი განყოფილების ხელმძღვანელის ფილიპე მახარაძის სახელზე.

➤3602

1921

## 22 მაისამდე

კითხულობს რუსი პროლეტარი პოეტების: ვლადიმირ კირილოვის, ალექსეი გასტევის, ვასილი ალექსანდროვის, სერგეი მაღაშკინის ნაწარმოებებს. უბის წიგნაკში იწერს ნაწყვეტებს ამ ტექსტებიდან. თვლის, რომ უმთავრესია მოინახოს შემოქმედების ფორმა, ხოლო პროლეტარ პოეტებს ჯერჯერობით ასეთი ფორმა არ გააჩნიათ.

➤3603

1921

## 22 მაისამდე

კითხულობს სერგეი ესენინის წიგნის „რადუნცა“ მეორე 1918 წლის გამოცემას, იწერს ნაწყვეტს წინასიტყვაობიდან და სტროფს ესენინის ლექსიდან „ფერისცვალება“.

➤3604

1921

## 22 მაისამდე

უბის წიგნაკში იწერს პიესის ნაწყვეტს, რომლის პერსონაჟებიც არიან პანიოლი და ნათლია მათე.

➤3605

1921

## 22 მაისამდე

უბის წიგნაკში წერს პოემის „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ პროზაულ ვარიანტს პიესად. ნაწარმოების პროტაგონისტია ევა.

➤3606

1921

## 22 მაისამდე

უბის წიგნაკში აკეთებს დონ ჟუანის პორტრეტულ ჩანახატს.

➤3607

1921

## 22 მაისამდე

უბის წიგნაკში მუშაობს სტრიქონებზე სათაურით „რითმების ექო“.

➤3608

1921

## 22 მაისამდე

უბის წიგნაკში წერს, რომ არ უნდა დაავიწყდეს ის რაც ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანია, ესენია: ახალგაზრდობა, სილამაზე, სიმდიდრე, დიდება, ქალები, ღვინო, ყვავილები და გონება.

➤3609

1921

## 22 მაისამდე

წერს ლექსს სათაურით „Nocturnes“, „შვიდი მათისი“ („ღამეს შემოაქვს მკვლელობის შიში...“), ამავე ფურცელზე წერს სხვადასხვა სარიტმო წყვილებს.

➤3610

1921

22 მაისი

დილით იგებს, რომ ოლია ოკუჯავა ერთი კვირის დაბრუნებულია თბილისში და ტიციან ტაბიძემ მას და მის ძმას ავტომობილში მსხდომებს მოჰკრა თვალი. გალაკტიონი აპირებს, რომ შეხვდეს.

➤3611

1921

22 მაისი

საღამო ხანს გალაკტიონთან მიდის ოლია ოკუჯავას უმცროსი ძმა ვასილი, ეუბნება, რომ ოლია ჩამოვიდა და მათთან ოჯახში ეპატიჟება. გალაკტიონი მალევე მიდის ოკუჯავებთან. ოლია ძალიან შეცვლილი და ავადმყოფობის გამო დასუსტებული ჩანს. როდესაც გალაკტიონი გადაკოცნის, ის უხერხულად გრძნობს თავს. ოლია პოეტს ეუბნება, რომ უცხოეთში სხვა კაცთან ცხოვრობდა, მისგან დარჩა შვილი და გადამდები ავადმყოფობა, ამაში კი გალაკტიონს ადანაშაულებს, რომელმაც მოსკოვში მარტო დატოვა. გალაკტიონს არ სჯერა მისი სიტყვების. ოლია ამბობს, რომ ექიმებმა ყირიმში გამგზავრება ურჩიეს ტალახის აბაზანებზე, მაგრამ მას ასე შორს წასვლას პიატიგორსკში გამგზავრება ურჩევნია.

➤3612

1921

23 მაისი

ოლია მიდის გალაკტიონთან და პოეტი იგებს, რომ ბავშვის გაჩენისა და გადამდები ავადმყოფობის ამბავი მოგონილი იყო, მაგრამ ოლიას პრობლემა აქვს ხელზე. შაბათობაზე რაღაცის ხერხვის დროს, ჟანგიანი ხერხით გაიკაწრა ხელი, საიდანაც ინფექცია შეეჭრა. ჭრილობა იმდენად გაურთულდა, რომ ხელის მოკვეთის საფრთხის წინაშე იდგა. მან ამპუტაციაზე უარი თქვა და ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდა იმისთვის, რომ ხელი შეენარჩუნებია, თუნდაც მგრძნობელობის გარეშე.

➤3613

1921

23 მაისი

ხვდება მოსკოვიდან ახალდაბრუნებულ თეო კეკელიძეს, რომლისგანაც იგებს, რომ ოლია ოკუჯავა მოსკოვში ვიღაც ლატვიელთან ერთად ცხოვრობდა. ეს გალაკტიონისთვის საშინელი დარტყმაა, მაგრამ ფიქრობს, რომ ოლიას ავადმყოფობის გამო მას ვერ ეტყვის, რომ მისი ღალატის შესახებ იცის.

➤3614

1921

24 მაისი

ოლია ისევ მიდის გალაკტიონთან. ისინი საუბრობენ ერთად გატარებულ 7 წელზე, ხელახლა უტყდებიან ერთმანეთს სიყვარულში და გეგმავენ ერთად ცხოვრებას.

➤3615

1921

25 მაისი

ოლიას დალატით შეძრწუნებული იხსენებს და უბის წიგნაკში იწერს იმ შემთხვევებს, როდესაც ოლია მამაკაცებს ეარშიყებოდა და რომ არა გალაკტიონის ჩარევა, ალბათ მაშინაც უღალატებდა. ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ოლიას ის მოეკლა, ვიდრე ეღალატა.

➤3616

1921

### 27 მაისის შემდეგ

იღებს ძმის – აბესალომ ტაბიძის მიერ ჭყვიშიდან თბილისში გაგზავნილ წერილს. ადრესანტი წუხს, რომ გალაკტიონის თბილისში დაბრუნების შემდეგ მისგან წერილი არ მიუღიათ. სწერს, რომ, შეპირებისამებრ, ელოდებოდნენ დღესასწაულებზე მის ჭყვიში ჩასვლას. დედა უთვლის, რომ რაც კი რამ გასარეცხი ექნება, სოფელში თან წაიღოს.

➤3617

1921

### მაისი ან შემდეგ

საინფორმაციო წერილი მისდის მიხეილ აბრამიშვილისგან. ადრესანტი აცნობებს, რომ სალიტერატურო განყოფილების საგამომცემლო სექცია შეუდგა ყოველკვირეული ჟურნალის „ხელოვნება“ გამოცემას და სთავაზობს თანამშრომლობას. სწერს, რომ ჰონორარის ტარიფები უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება.

➤3618

1921

### მაისი ან შემდეგ

წერს ლექსს „საქართველოში არ არის სახლი, სადაც არ სდუმდეს ღრმა მწუხარება“ („დღემდე შენ თუმცა გქონდა სასოწარკვეთა მწველი...“).

➤3619

1921

### მაისი ან შემდეგ

საზოგადოებრივი აზრის გასაგებად ადგენს გამოკითხვის ანკეტას. ქართველ მწერლებს ეკითხება, რა აზრისანი არიან მამია გურიელის პოეზიაზე; მოსწავლე ახალგაზრდობისგან აინტერესებს, ვინ მოსწონთ ქართველ ბელეტრისტებსა და ძველ პოეტებში, ჟურნალის „ხელოვნება“ მკითხველებს კი ეკითხება, რომელი წერილი მოეწონათ ყველაზე მეტად.

➤3620

1921

### მაისი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს, რომ საინტერესო რამ აღმოაჩინა, პირველ პირში უნდა ილაპარაკო რაიმე საგნის ან ცოცხალი არსების სახელით და გამოდის საინტერესო რამ. მაგალითად მოჰყავს ბორის სადოვსკის ლექსის „თეთრყვავილას“ სტროფი, აღნიშნავს, რომ ამ ლექსში არ არის სრულყოფილად გადმოცემული ის, რაც მას სურს. წერს, რომ პოეტი უნდა გამოდიოდეს ამ ყვავილის სახელით. ფიქრობს, რომ ამ იდეის განსახორციელებლად შეუძლია გამოიყენოს მრავალი წიგნი, აღწერანი ბუნებისმეტყველებიდან, ზოოლოგიიდან, პათოლოგიიდან და სხვა. იდეის განსავითარებლად ჩამოწერს სხვადასხვა ძვირფასი თვლების სახელებს, მათ თვისებებსა და წარმომავლობას. გეგმავს თორმეტი სონეტის დაწერას.

➤3621

1921

### მაისი ან შემდეგ

წერს ტაეპიან ლექსს „ძლიერ მსურდა, ამ ალბომში მეც სხვებივით ჩამეწერა“.

➤3622

1921

**მაისი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში მუშაობს ლექსზე, რომელშიც ნათქვამია, რომ პროლეტარიატმა დაამსხვრია მეფობა და მოსპო მეფის გვირგვინი, ხოლო გალაკტიონ ტაბიძეს, რომელიც რჩეული მგოსანია, ვით პოეტთა მეფეს, დაფნის გვირგვინი მიანიჭა.

➤3623

1921

**მაისი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს, რომ საზოგადოება უნდა დააინტერესოს იმით, რაც თავად აინტერესებს.

➤3624

1921

**მაისი ან შემდეგ**

წერს „პოეტების მეფის საღამოს“ გეგმას. ვარაუდობს, რომ საღამო გაიხსნება მისი „პოეზიის ჰიმნით“, რომლის მუსიკა ეკუთვნის მელიტონ ბალანჩივამეს, ორკესტრს კი ვალერიან მიზანდარი უდირიჟორებს. მოხსენებას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ წავიკითხავს გერონტი ქიქოძე.

➤3625

1921

**გაზაფხული**

წერს ლექსს „მიცქირე თვალში“ („მიცქირე თვალში. შენ დადუმდი?“).

➤3626

1921

**გაზაფხული**

კითხულობს იტალიელი სასამართლო ფსიქიატრისა და ანთროპოლოგის, ჩეზარე ლომბროზოს, წიგნის „გენიალობა და შეშლილობა“ რუსულ თარგმანს.

➤3627

## ივნისი

1921

**ივნისის დასაწყისი ან შემდეგ**

მოკლე ბარათს უგზავნის სახელმწიფო გამომცემლობის სტამბას და ითხოვს, რომ წერილის მიმტანის ხელით გაუგზავნონ მისი საღამოს ბილეთები.

➤3628

1921

**11 ივნისამდე**

წერს 12 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გასამართი თავისი საღამოს განცხადების მონახაზს. რუსულ ენაზე ტექსტს სათაურად აქვს „პოეტების მეფის საღამო“. ნათქვამია, რომ მოხსენებას გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ წავიკითხავს ალექსანდრე წერეთელი. იმ მონაწილეთა გარდა, რომელთა გვარებიც 11 ივნისს ოფიციალურ განცხადებაში გამოქვეყნდა, აქ ნახსენებია სერგეი რაფალოვიჩი, ნიკოლოზ ხოდოტოვი, ოვანეს თუმანიანი, კარა-დარვიში, ალექსანდრე აბაშელი, ალექსანდრე იმედაშვილი და შალვა დადიანი.

➤3629

1921

**11 ივნისი**



ორკვირეული სახელოვნო-საინფორმაციო ჟურნალი „ხელოვნება“ აქვეყნებს ცნობას, რომ კვირას, 12 ივნისს სახელმწიფო თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤3630

1921

11 ივნისი

გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს ორ განცხადებას, პირველში ნათქვამია, რომ კვირას, 12 ივნისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო და რომ საღამოს პროგრამა შინაარსიანი და საინტერესოა. მეორე ვრცელი განცხადება ქვეყნდება რუბრიკაში „ხელოვნება“ სათაურით „გალაკტიონ ტაბიძის საღამო“. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ კვირას, 12 ივნისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი მწერლები. მოხსენებას „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ გააკეთებს ალექსანდრე წერეთელი. სახელმწიფო დრამის თეატრის მსახიობები წაიკითხავენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს მისი წიგნებიდან, მათ შორის იქნება: „მერი“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „მე და ღამე“, „ვლ. ალექსი-მესხიშვილის ხსოვნას“, „რევოლუცია“, „პოეტების მეფედ გამოცხადების გამო“ და სხვ. მეორე და მესამე წიგნებიდან ლექსებს წაიკითხავს თავად პოეტი. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მომღერლები სახელმწიფო ოპერის თეატრიდან. ცოცხალ სურათებად დაიდგმება გალაკტიონ ტაბიძის რამდენიმე ლექსი. უფასოდ დარიგდება ეგზემპლიარები პოეტის უკანასკნელი წიგნისა „Crane aux fleurs“. აღნიშნულია, რომ ბილეთების ფასი ამ საღამოსთვის დაკლებულია და მათი ნაწილი გადადებულია მსურველთათვის უფასოდ დასარიგებლად.

➤3631

1921

11 ივნისი

გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ „ახალი ამბების“ რუბრიკაში აქვეყნებს განცხადებას, რომ კვირას, 12 ივნისს, სახელმწიფო დრამის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები, ქართველი და უცხოელი მწერლები. მოხსენებას „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ გააკეთებს ალექსანდრე წერეთელი. სახელმწიფო დრამის თეატრის მსახიობები წაიკითხავენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს მისი წიგნებიდან, მათ შორის იქნება: „მერი“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „მე და ღამე“, „ვლ. ალექსი-მესხიშვილის ხსოვნას“, „რევოლუცია“, „პოეტების მეფედ გამოცხადების გამო“ და სხვ. საკუთარ ლექსებს წაიკითხავს თავად პოეტი. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მომღერლები სახელმწიფო ოპერის თეატრიდან. ცოცხალ სურათებად დაიდგმება გალაკტიონ ტაბიძის რამდენიმე ლექსი. უფასოდ დარიგდება ეგზემპლიარები პოეტის უკანასკნელი წიგნისა „Crane aux fleurs“. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ბილეთების ფასი დაკლებულია და ბილეთების ნაწილი დარიგდება უფასოდ.

➤3632

1921

12 ივნისამდე

ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი ქუჩაში ხევენ გალაკტიონის შემოქმედებითი საღამოს აფიშებს.

➤3633

1921

12 ივნისი

გაზეთი „კომუნისტი“ რუბრიკაში „ხელოვნება“ აქვეყნებს განცხადებას, რომ კვირას, 12 ივნისს, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო, რომლის შინაარსი მრავალფეროვანი და საინტერესოა.

➤3634

1921

15 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ „სანდროს“ ფსევდონიმით იბეჭდება სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს რევოლუციური მთავრობა მფარველობას უწევს ქართულ ხელოვნებას და ყოველ ღონისძიებას მიმართავს ხელოვანთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მწერლები, პოეტები და მსახიობები რევოლუციას დაეხმარონ და მუშათა სახელმწიფოს განმტკიცებას შეუწყონ ხელი, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებას უტიფრად სცემენ ზურგში ლახვარს. იგი წერს, რომ ამას ამტკიცებს იოსებ მჭედლიშვილის ლექსები, იოსებ გრიშაშვილის და გალაკტიონ ტაბიძის საღამოები. აღნიშნავს, რომ „ამ ვაჟბატონებს“ სამშობლოს სიყვარულის ფრაზეოლოგიით სურთ „შავი ზრახვების“ დაფარვა. ავტორი წერს, რომ: გრიშაშვილის გამოსვლა ტაბიძის საღამოზე თავის ლექსით, რომელშიც ფრაზა „ლამაზი ფეხები“ „რუსის ჩექმებით“ შეცვალა და დარბაზი აცინა, იმის მაჩვენებელია, რომ მისი პოეზია გახრწნას განიცდის“.

➤3635

1921

21 ივნისი

თბილისიდან ბორჯომში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. ჰპირდება მალე ჩასვლას და შემდეგი წერილით ლექსების გაგზავნას. ატყობინებს, რომ ბევრი ლექსი დაწერა და ძალიან ენატრება. ხელს აწერს რუსულად: გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს პოეტების მეფე.

➤3636

1921

22 ივნისი

რაჟდენ კალაძე „რ. კ.“-ს ფსევდონიმით გაზეთში „კომუნისტი“ აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ნათქვამია, რომ მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მტრები ვერ ისვენებენ. ავტორი აღმფოთებულია, რადგანაც საბჭოთა საქართველოს რევოლუციურმა მთავრობამ ყოველმხრივ უზრუნველყო დამსახურებული ხელოვანები და გამოსადეგი ინტელიგენტები, მაგრამ „კუზიანს სამარე ასწორებს“. აღნიშნავს, რომ ქართულ ნაციონალისტურ პოეზიაში შოვინისტური ვაკხანალიაა გამართული. წერს, რომ თეატრებში იდგმევა „ლალატი“ და „სამშობლო“, ოპერაში ისმის „კოტე და ქეთოების“, „არშინ-მალ-ალანების“ და სხვა გამრყენელი მუსიკის ჟრიაშული. აღნიშნავს, რომ ნაციონალისტი მგოსნები „ბუზღუნებენ“ სამშობლოზე, გრიშაშვილის და გალაკტიონის „უკვდავი“ საღამოები აღაგზნებს და სამტროდ მართავს საზოგადოების „უსაქმურ“ ნაწილს. წერს, რომ ეს მტრების სასარგებლო აგიტაციაა. აღნიშნავს, რომ მოლალატეები და გამოუსწორებელი კუზიანები უფსკრულში გადაიჩეხებიან.

➤3637

1921

26 ივნისი

ორკვირეული სახელოვნო-საინფორმაციო ჟურნალი „ხელოვნება“ ფსევდონიმით „ობოლი მუშა“ აქვეყნებს სოლომონ თავაძის ლექსს „გალაქტიონ ტაბიძე“.

➤3638

ი ვ ლ ი ს ი

1921

10 ივლისი

გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ 12 ივლისს ქართული კლუბის საზაფხულო ბაღში გაიმართება რეპორტიორ დავით პავლიაშვილის საინტერესო საღამო. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, იაკობ ცინცაძე, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები.

➤3639

1921

17 ივლისი

გაზეთში „სოციალისტ-ფედერალისტი“ რუბრიკაში „პატარა ფელეტონი“ გიორგი ქუჩიშვილი აქვეყნებს ვრცელ ლექსს „ჩემი ანდერძი“, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძე მოხსენიებულია როგორც „ტიტულით მეფე-მგოსანი“.

➤3640

1921

21 ივლისი

1919 წელს გამოცემულ ლექსების მეორე წიგნს „Crâne aux fleurs artistiques“ („თავის ქალა არტისტული ყვავილებით“) ჩუქნის გიორგი ქუჩიშვილს წარწერით: „ძვირფას გიორგის, გალაკტიონ ტაბიძე – 1921, ტფილისი, 21 ივლ.“.

➤3641

1921

31 ივლისი

ალექსანდრეს ბაღში წერს სიჭაბუკის მეგობრის – მიხეილ ბოჭორიშვილისათვის მიძღვნილ უსათაურო ლექსს „დღემ გაიარა...“, რომელშიც ადრესატს მოაგონებს იმ დროს, როდესაც ის თავის ლოლაზე, გალაკტიონი კი რაისა ჩიხლაძეზე იყვნენ შეყვარებულები.

➤3642

1921

ივლისი ან ადრე

განათლების სახალხო კომისარიატში თავისუფლდება ლიტერატურის განყოფილების გამგის თანამდებობა, 500 000 მანეთი ხელფასით და კვების ტალონით, რომლითაც მომხმარებელს უფასოდ ეძლევა დიდი რაოდენობით სხვადასხვა სურსათი. ასეთი შეღავათით საქართველოში სულ სამი ხელოვანი სარგებლობს: გრიგოლ რობაქიძე, მელიტონ ბალანჩივაძე და შალვა დადიანი. კომისარიატმა მწერალთა კავშირის მთავარ გამგეობას ამ თანამდებობაზე წარსადგენად სამი კანდიდატურის დასახელება სთხოვა და მათ დაასახელეს: ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე აბაშელი და აკაკი ჰაპავა. გალაკტიონს ხელფასზე და შეღავათებზე მეტად ხიბლავს ლიტერატურული მუშაობის გაშლის მრავალმხრივი შესაძლებლობები, მაგრამ, რამდენადაც ამ თანამდებობაზე აყვანის საქმეს წყვეტს ა. თუმანოვი, რომელსაც პირადად არ იცნობს, ცდილობს, რომ ოლია ოკუჯავას დის – მარიამის და რძლის – ნინა გვახარიას შუამდგომლობით მოახერხოს საქმეში მარიამ ორახელაშვილისა და სხვების ჩარევა ამ ადგილის დასაკავებლად.

➤3643

1921

ივლისი ან ადრე

მისი თხოვნის საფუძველზე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია უკან უბრუნებს მის მიერ 1919 წელს გამოცემული ლექსების წიგნის ტირაჟიდან დარჩენილ 500 ეგზემპლარს.

➤3644

1921

## **ივლისი ან ადრე**

თბილისიდან ბორჯომში საპასუხო წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. სწერს, რომ მოხიბლულია მისი წერის მანერით და „პოეტური ტემპერამენტით“. ურჩევს ნოველების წერას. სთხოვს, რომ იზრუნოს ჯანმრთელობაზე, რომ შემოდგომაზე სრულიად გამოჯანმრთელდეს და ერთად შეუდგნენ ახალ ცხოვრებას. უყვება განათლების კომისარიატში არსებული ვაკანსიის შესახებ და სთხოვს, რომ მანაც სთხოვოს თავის დას და რძალს ამ საქმეში აქტიური ჩარევა.

➤3645

## **ა გ ვ ი ს ტ ო**

1921

### **2 აგვისტომდე**

წერს მოხსენებას ხელოვნებასთან დაკავშირებით თავისი შეხედულებების შესახებ. აღნიშნავს, რომ პოეტობაც ისეთივე თანდაყოლილი ნიჭია, როგორც გარეგნული სილამაზის ან უნიკალური ხმის ქონა. ერთმანეთისგან მიჯნავს ლექსის შემოქმედებით და ტექნიკურ მხარეებს, რომელთაგან სწორედ პირველი არის ის, რომელიც ბუნებით არის მონიჭებული და არ ისწავლება. ლაპარაკობს ენისადმი თანამედროვეობის დამოკიდებულებაზე და მოჰყავს ოსვალდ შპენგლერის სიტყვები, რომელიც ევროპულ ლექსს „სონატას“ უწოდებს. გალაკტიონი იზიარებს იმ აზრს, რომ პოეტებსაც სჭირდებათ სათანადო განათლება ისე, როგორც ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არ არსებობს „პოეზიის აკადემია“. იმის დასამტკიცებლად, რომ ცოდნა პოეტისთვისაც აუცილებელია, ადარებს დიდი ქართველი პოეტების: ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ახალგაზრდობისდროინდელ და მოგვიანო ლექსებს და მიუთითებს, რომ მათში იგრძნობა თითოეულის შემოქმედებითი ზრდა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ქართველ პოეტებს დიდად შეუწყობდა ხელს ლექციების მოსმენა ლექსის ტექნიკის თემაზე: ლექსთწყობასა და ლექსის ხმოვანების მხარეზე. პოეტი საუბრობს ლექსის ტრადიციულ ფორმებზე: ტრიოლეტზე, გაზელაზე, სექსტინასა და სხვებზე, სილაბურ და ტონურ ლექსთწყობაზე, იამბიკოზე. წერს, რომ ეს საკითხები უცხოური ლექსთწყობის მაგალითებზე კარგად არის შესწავლილი, მაგრამ ქართულში მახვილი სხვაგვარია და ძალიან ცუდია, როცა რითმა და მახვილი ერთმანეთს შორდება. ხსნის, რატომ ირღვევა რიტმი და რატომ არის ცუდი სიტყვების „მინანქარი“ და „ქარი“ გართიმვა. საუბრობს ვირგილიუსის მიერ გამოყენებულ ხმათამბაძვის ტექნიკაზე და ქართულიდან მოჰყავს თავის ლექსების მაგალითები. ჩამოთვლის რითმათა 15 სახეობას და მოჰყავს მაგალითები. საუბრობს ანბანთქებასა და პალინდრომზე და სალექსო ფორმებზე: ტერცინა, სონეტი, რონდო, რიტორნელი, ბალადა, კანცონა, სექსტინა, გაზელა, სპარსული ოთხსტრიქონიანი ლექსი, რონდო უბოლოოსა და განმეორებით რითმებზე.

➤3646

1921

### **7 აგვისტოს შემდეგ**

წერს ლექსს „ადარ არის მენესტრელი“.

➤3647

1921

### **10 აგვისტო**

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში ადგენს, რომ მწერალთა ერთ ჯგუფს და, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძეს მიეცეს ერთდროული დახმარება – 50000 მანეთი.

➤3648

1921

### **19 აგვისტო**

ილია აგლაძესთან ერთად მიმართავს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს წინადადებით, რომ სახელოვნო ცენტრს ლექციების გამართვის ორგანიზებისას კავშირი ჰქონდეს არა ხელოვნების აკადემიასთან, არამედ მწერალთა კავშირთან.

➤3649

1921

21 აგვისტო

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე ია ეკალაძესთან და შალვა აფხაიძესთან ერთად ირჩევენ ძველი და თანამედროვე ქართველი მწერლების გამოცემის კოლეგიის წევრად.

➤3650

1921

31 აგვისტო

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი ადგენს, აღიძრას შუამდგომლობა, რომ მწერალთა ერთ ჯგუფს და, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძეს მიეცეს აკადემიური ულუფა.

➤3651

## ს ე კ ტ ე მ ბ ე რ ი

1921

9 სექტემბერი

გაზეთი „ტრიბუნა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ შეიქმნა ძველი და თანამედროვე ქართული მწერლობის გამოცემის სახელოვნო კომიტეტის კოლეგიები, რომელთა წევრებად აირჩიეს: იაკობ ცინცაძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ იმედაშვილი და შალვა აფხაიძე.

➤3652

1921

18 სექტემბერი

ესწრება საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლის დროს დაღუპულთა გარდაცვალებიდან ნახევარი წლის აღსანიშნავად კათოლიკოსის ამბროსი ხელაიას მიერ გადახდილ პანაშვიდსა და წირვას სამხედრო ტაძარში და სიტყვას წარმოთქვამს იუნკრების სამმო საფლავთან.

➤3653

1921

ნოემბერი ან შემდეგ

ნიკოლო მიწიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობაში რუსულ ენაზე იბეჭდება პოეტური კრებული „საქართველოს პოეტები“, რომელშიც შესულია გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიცინ ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე აბაშელის, კოლაუ ნადირაძის, ნიკოლოზ მიწიშვილის, გიორგი ლეონიძის, ლელი ჯაფარიძის, შალვა ამირეჯიბის, ელენე დარიანის, შალვა აფხაიძის, შალვა კარმელის, რაჟდენ გვეტაძის, ნოე ჩხიკვაძის და სანდრო ცირეკიძის რუსულად ნათარგმნი ლექსები. გალაკტიონის პოეზიიდან აქ არის ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ ნათარგმნი „მე და ღამე“ და ნიკოლაი ბობირიოვის ნათარგმნი „მთაწმინდის მთვარე“.

➤3654

## ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

1921

5 ოქტომბრის შემდეგ

წერს ლიტერატურული მანიფესტის გეგმას. იწყებს იმ გავლენის ხაზგასმით, რაც მოიტანა 1914 წლის 1 აგვისტოს პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ. ჩაინიშნავს, რომ უნდა დაწეროს სანგრების ლაბირინთებზე, ჰოსპიტლების ანტისანიტარიაზე, მუხლუხა ტანკებზე, ჰაეროპლანებზე, პროჟექტორებზე, გარდაცვლილებზე, დასისხლიანებულ დაჭრილებზე. დაგრეულ ქალაქებზე, ურიცხვ ცრემლებზე, სანგრებსა და ქალაქებში გაშლილ დროშებზე. მსჯელობს იმ ცვლილებებზე, რაც დრომ მოიტანა. აღნიშნავს, რომ ინდივიდუალიზმის დრო წავიდა. ყველა იმას უნდა ლაპარაკობდეს, რასაც განიცდის მასა. ანტიინდივიდუალისტური

მსოფლმხედველობა მოიტანა ამ ომმა. „პოეზია გაიყინა, გაჩერდა, დამბლა დაეცა“. პოეტი ჩამოთვლის იმ უცხოელ პოეტებს, რომელთა ხმაც ისმოდა ამ მძიმე ომის დროს: პოლ კლოდელი, ფრანსის ჟამი, ედმონ როსტანი, ანდრე სიუარესი, პოლ ფორი, ანა დე ნოაი, რიხარდ დემელი, ერნსტ ლისაუერი და გაბრიელე დ'ანუნციო. ბოლო თემა, რომლის შესახებაც ის აპირებს დაწერას, არის მწერალთა ინტერნაციონალი, მწერალთა საერთაშორისო ორგანიზაცია.

➤3655

1921

### 12 ოქტომბრამდე

წერს მწერალთა კავშირის წინაშე სიტყვით გამოსვლის ტექსტს, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ მწერალთა კავშირის შიგნით არის დაჯგუფებები, რომელთაგან თითოეული აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი საბჭოში. გაკვირვებას გამოხატავს ზოგიერთების განზრახვის გამო, არ შეეყვანათ ის ამ საბჭოში. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ჯგუფის, წიგნისა და ჟურნალის კოლექტივთან და არა აქვს მნიშვნელობა, რომელი მათგანის სახელით ილაპარაკებს, ამას ვერავინ უკარნახებს.

➤3656

1921

### 12 ოქტომბერი

საქართველოს მწერალთა კონფერენციაზე ირჩევენ საბჭოს წევრად.

➤3657

1921

### 12 ოქტომბერი

ქართველ მწერალთა ახლადარჩეულმა საბჭომ შექმნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარე – კოტე მაყაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგები – იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი და გალაკტიონ ტაბიძე.

➤3658

1921

### 12 ოქტომბერი

საქართველოს მწერალთა კონფერენციაზე ქართველ მწერალთა ახალი საბჭოს დადგენილებით, მწერალთაგან ნაწარმოებების შესასყიდად და გამოსაცემად იქმნება მწერალთა კავშირის გამოცემათა სარედაქციო კომისია, რომლის წევრებად ირჩევენ გალაკტიონ ტაბიძეს, ლეო ქიაჩელს და კონსტანტინე გამსახურდიას.

➤3659

1921

### 15 ოქტომბერი

მოხსენებით გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს სხდომაზე. აღნიშნავს, რომ მას დაევალა მწერალთა კავშირის ოფიციალური ორგანოს ყოველკვირეული ლიტერატურული გაზეთის „უწყებანი სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა“ გამოცემა. გაზეთში დაიბეჭდება სტატიები თანამედროვე პოეტიკის, პოეზიისა და პროზის პრობლემებზე, ყურადღება მიექცევა სიტყვაკაზმული ლიტერატურის აღორძინებას, გამოქვეყნდება ლექსები, მოთხრობები და ნოველები. დიდი ზომის ნაწარმოებებისთვის მწერალთა კავშირი მოგვიანებით იზრუნებს ჟურნალის გამოცემაზე. გაზეთში ასევე დაიბეჭდება წერილები ქართული მეტრის, რიტმის, ხმოვანების, ფორმების, რითმისა და ასონანსების შესახებ, შესწავლილი იქნება ლათინური ანთოლოგია, რომელსაც ადრე გავლენა ჰქონდა ქართულ პოეზიაზე. მომხსენებლის თქმით, გაზეთის გამოცემა იგეგმება ორი კვირის ფარგლებში.

➤3660

1921

**15 ოქტომბერი**

გალაკტიონ ტაბიძე და ოლია ოკუჯავა სამოქალაქო წესით ქორწინდებიან.

➤3661

1921

**15 ოქტომბრის შემდეგ**

წერს ლექსს „ხელოვნება“ („რომ დავიწყება შემეძლოს რითმე...“).

➤3662

1921

**21 ოქტომბერი**

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე კითხულობს მოხსენებას ლიტერატურული ჟურნალის გამოცემის საკითხზე. იღებენ დადგენილებას, რომ ჟურნალი გამოიცეს ყოველკვირეულად თუ არა, თვეში ერთხელ მაინც და მისი მოცულობა იყოს 32-დან 64 გვერდამდე.

➤3663

1921

**26 ოქტომბერი**

გაზეთი „ტრიბუნა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ საქართველოს მწერალთა საბჭო შეუდგა მუშობას. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია კოტე მაცაშვილი, მის თანაშემწეებად: იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი და გალაკტიონ ტაბიძე.

➤3664

1921

**30 ოქტომბერი**

მოხსენებით მიმართავს მწერალთა კავშირის საბჭოს ყოველკვირეული ჟურნალის „უწყებები სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა“ გამოცემასთან დაკავშირებით. მოხსენებაში წარმოდგენილია ჟურნალის შედგენილობა და თან ახლავს ხარჯთაღრიცხვა. გეგმავს, რომ ჟურნალი მხატვრულად გააფორმოს იოსებ შარლემანმა.

➤3665

1921

**ოქტომბერი ან შემდეგ**

ფურცელზე წერს სიტყვათშეთანხმებას „ოქტომბრის ირმიგალი“.

➤3666

1921

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს უსათაურო, სატირულ ლექსს „გამიგია, როდესაც თხა გასუქდა...“.

➤3667

1921

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ლორთქიფანიძეს ჭკუა აქვს არეული...“.

➤3668

1921

## ოქტომბერი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მინდა ვთქვა რამე, ენა მაქვს დაბმული...“.

➤3669

## ნოემბერი

1921

### 9 ნოემბერი

გაზეთი „ტრიბუნა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მწერალთა კავშირის ინიციატივით ხელოვნების სასახლეში გაიმართება „ლიტერატურული ხუთშაბათი“, ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის შესახებ მოხსენებებს წაიკითხავენ: იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გალაკტიონ ტაბიძე, კოკი აბაშიძე და აკაკი შანიძე. ამასთან ერთად, ავტორები წაიკითხავენ საკუთარ ლექსებს და მოთხრობებს.

➤3670

1921

### 10 ნოემბერი

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილავენ ივანე კორინთელის განცხადებას ბიბლიოთეკისთვის მისი წიგნების შესყიდვის შესახებ. მათი შერჩევა და მოლაპარაკება პირობებთან დაკავშირებით ევალუბათ გალაკტიონ ტაბიძეს და იოსებ გრიშაშვილს.

➤3671

1921

### 21 ნოემბერი

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე პერიოდული ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრებად ირჩევენ კონსტანტინე გამსახურდიას და ლეო ქიაჩელს, ხოლო თავმჯდომარედ – გალაკტიონ ტაბიძეს. არჩეული პირები იღებენ დავალებას, რომ დაუყოვნებლივ შეუდგნენ მასალების შეგროვებას, შეარჩიონ ჟურნალის სახელი და მოახსენონ კოლეგიას.

➤3672

1921

### 21 ნოემბრის შემდეგ

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს სახელით განცხადებით მიმართავს სახალხო განათლების კომისარს. წერს, რომ მწერალთა კავშირმა გადაწყვეტილება მიიღო გამოსცეს ყოველკვირეული ჟურნალი და პასუხისმგებელ რედაქტორად დაინიშნა გალაკტიონ ტაბიძე. სთხოვს ერთ-ერთ სახელმწიფო სტამბაში ჟურნალის დაბეჭდვის ნებართვას.

➤3673

1921

### 21 ნოემბრის შემდეგ

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს სახელით განცხადებით მიმართავს სახალხო განათლების კომისარს, აცნობებს, რომ მწერალთა კავშირმა დაადგინა ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალის გამოცემა, რომლის მასალებს წინასწარ განიხილავს ცენზურა. სთხოვს ნებართვას ჟურნალის გამოცემასა და მის დაბეჭდვაზე სახელმწიფოს რომელიმე სტამბაში.

➤3674

1921

### 29 ნოემბერი



გაზეთი „ტრიბუნა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ პირველი იანვრისთვის გამოვა ახალი ჟურნალი – „მწერალთა კავშირის უწყებები“, რომლის სარედაქციო კოლეგიაში შედიან გალაკტიონ ტაბიძე, ლეო ქიაჩელი და კონსტანტინე გამსახურდია.

➤3675

1921

### შემოდგომა

წერს ლექსს „პირველი შემოდგომა“ („ვარდებში ქარი ფათურებს“), რომელშიც ქვეყნის საბჭოთა ოკუპაციით გამოწვეული სევდიანი განცდებია ასახული.

➤3676

1921

### გვიანი შემოდგომა

შუალამისას ვერის ხიდის გაღმა მდებარე სასაუზმეში შეესწრება, რომ მედუქნე პურისთვის მისულ ახალგაზრდას უარით ისტუმრებს. გალაკტიონს ბიჭი შეეცოდება, დახლიდარს სთხოვს გადანახული ნახევარი პური დაუთმოს და ფულს უხდის. შემდეგ ბიჭს ვერის ხიდიდან უნივერსიტეტში მიაცილებს. იგებს, რომ მისი სახელი და გვარია იასე ცინცამე და არის სტუდენტი. სთხოვს, თავისი ბინის ჩვენებას, რადგან ძალიან აინტერესებს, როგორ ცხოვრობენ ქართველი სტუდენტები. უხარია, რომ სამეცადინო მაგიდაზე იასეს და მის მეგობარს ბიბლია და ლექსიკონები უწყვიათ. აქებს მათ და 10 მანეთს ჩუქნის. სტუდენტები უარობენ, მაგრამ ქუჩაში მის გასაცილებლად გამოსულებს ეტლში ჩაჯდომამდე მაინც უტოვებს ფულს და და სწრაფად მიდის.

➤3677

## დეკემბერი

1921

### 2 დეკემბერი

გაზეთ „კომუნისტის“ რუბრიკაში „განცხადებანი“ აღნიშნულია, რომ 1922 წლის პირველი იანვრიდან გამოსვლას იწყებს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ჟურნალი „ლომისი“. იქვე, რუბრიკაში „ქრონიკა“ დაკონკრეტებულია ჟურნალის მიმართულება და აღნიშნულია, რომ მასალები უნდა გადაეცეს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს – გალაკტიონ ტაბიძეს, რომლის ნახვა შეიძლება ყოველდღე, ხელოვნების სასახლეში, სერგის ქუჩის №13 ნომერში 12-დან 2 საათამდე.

➤3678

1921

### 11 დეკემბერი

გაზეთი „ტრიბუნა“ აქვეყნებს განცხადებას, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ რედაქციას მიმართა თხოვნით გამოაცხადოს, რომ მოხსენება „ი. გრიშაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე“ მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით გადაიდება ახლო მომავლისთვის.

➤3679

1921

### 23 დეკემბრამდე

იბეჭდება ქართველი პოეტების რუსული თარგმანების კრებული, რომელშიც ცისფერყანწელთა ლექსების გარდა შედის ალექსანდრე აბაშელის, გალაკტიონ ტაბიძისა და შალვა ამირეჯიბის ლექსები. გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამეს“ თარგმანი ეკუთვნის ვალერიან გაფრინდაშვილს.

➤3680

1921

### 23 დეკემბერი

გაზეთში „ტრიბუნა“ ფსევდონიმით „მ. რინდი“ იბეჭდება მიქელ პატარიძის სტატია „ბიბლიოგრაფიული შენიშვნები“, რომელშიც განხილულია რუსულენოვანი კრებული „საქართველოს პოეტები“. ავტორი აღნიშნავს, რომ კრებულში ძირითადად შეტანილია ცისფერყანწელების ლექსთა თარგმანები და აგრეთვე ალექსანდრე აბაშელის, გალაკტიონ ტაბიძისა და შალვა ამირეჯიბის ლექსები. ავტორის თქმით, გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მე და ღამე“ ვალერიან გაფრინდაშვილისეული თარგმანი ნაზად და მუსიკის სრული დაცვით არის შესრულებული.

➤3681

1921

**დეკემბერი**

ჟურნალ „ლომისისთვის“ ამზადებს მოწინავე სტატიას „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

➤3682

1921

**დეკემბერი**

1919 წელს გამოცემულ ლექსების მეორე წიგნს „Cräne aux fleurs artistiques“ („თავის ქალა არტისტული ყვავილებით“) ჩუქნის ლეო ქიაჩელს წარწერით: „ლეო ქიაჩელს – ნიშნად მეგობრობისა. გალაკტიონ ტაბიძე – დეკემ., 1921, ტფილისი“.

➤3683

1911-1921

წერს უსათაურო ლექსს „ორიანტში ამას წინად...“.

➤3684

1921

დღიურში იწერს შენიშვნებს აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით.

➤3685

1921

წერს ლექსს „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“ („ატმის რტოო, დაღალულო რტოო...“).

➤3686

1921

წერს ლექსს „ეს მძინარე მთა და ველი“ („მწუხარება, როგორც გველი...“).

➤3687

1921

წერს ლექსს „ხსოვნას“ („მოუწოდეს იმას ძველად...“).

➤3688

1921

წერს უსათაურო ლექსს „ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა...“.

➤3689

1921

წერს უსათაურო ლექსს „ო, ყოველდღე მზეები...“.

➤3690

1921

წერს უსათაურო ლექსს „შემოდგომის ყვავილებს...“.

➤3691

1921

წერს ლექსს „სასაფლაოზე“ („რაც უფრო შორს ხარ...“).

➤3692

1921

წერს ლექსს და ანდაზის „იოსელიანის პურმარილით ავალიანი შეიწყალეს“ ანალოგიით ასათაურებს სიტყვებით „გალაკტიონის პურმარილით მამაშვილი შეიწყალეს“.

➤3693

1921

გალაკტიონი მწერალთა კავშირში ცხოვრობს, იმ ოთახში, სადაც ადრე უორდროპი რჩებოდა ხოლმე. ერთხელ კარზე საშინელი ბრაზუნის ესმის. ტიცინ ტაბიძე, პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი აბრაზუნებენ და იგინებიან. გალაკტიონი კარს არ აღებს, მაგრამ მეორე დღეს იმავე სახლის ვესტიბიულში ხვდება ტიცინს და წინა დღის ქმედებაზე განმარტებას სთხოვს. ტიცინი უკან არ იხევს და ჩხუბობენ, სანამ ნიკოლოზ შენგელაია არ ჩაუდგება შუაში. გალაკტიონი სთხოვს, რომ არავის უთხრას.

➤3694

1921 ან შემდეგ

ვასილ ბარნოვის მონოგრაფიაში „არსენა“ სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤3695

1921 ან შემდეგ

რადიკალური ცვლილებები შეაქვს ლექსში „შენ არ მოჰკვდები“ („ნათელი სხივი განთიადისა...“). ტექსტის ახალ რედაქციას არქმევს „ჩასვლა მაღაროში“ და იწყებს სიტყვებით: „შევედით ვიწრო გამოქვაბულში...“.

➤3696

1921 ან შემდეგ

რადიკალური ცვლილებები შეაქვს ლექსში „ორთეოსი“ („ბინდი ღამისა შეეხვია აყუდებულ მთებს...“). ტექსტის ახალ რედაქციას არქმევს „მოტორი“ და იწყებს ფრაზით „მოტორი მღერის აღლავებულს და წარმტაც ჰანგებს...“.

➤3697

1921 ან შემდეგ

იწყებს რედაქციაში გასაგზავნი წერილის წერას. განმარტავს, რომ მისთვის გასაგებია მუშებისგან გაგონებული საყვედური, თითქოს ამაყობდეს „პოეტების მეფის“ ტიტულით. ადასტურებს, რომ ეამაყება ეს სახელი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მართლაც მეფედ გრძნობს თავს.

➤3698

1921 ან შემდეგ

საერთო სათაურით „ოქროს ლექსები“ წერს ლექსს „თითქოს სიუხვის გრძნობით მზავთავი...“.

➤3699

1921

7 მაისამდე

ვალერი ბრიუსოვის ლექსების წიგნში „ასეთ დღეებში“ სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს და კომენტარებს. პწკარედულად თარგმნის ლექსის „ამხანაგ ინტელიგენტებს“ მეოთხე სტროფს („დღეს ჩვენი დღეა, მამასადამე, თანამედროვე პროზის ბურუსიდან პოეზიის უფრო დაბურულ საოცრებაში ვართ ასროლილი“), ლექსის „მხოლოდ რუსი“ პირველ ორ სტროფს: („მხოლოდ ქართველ პოეტ[ს], რომელმაც ბავშობიდანვე იცოდა მარადი დევნა, რომელმაც სიმწრით დასცალა წარსულის მღვრიე თასი, რომელმაც კეთილშობილურად მიიღო წინაპართა მხურვალე ოცნებები, სრულის შეგნებით შეუძლია, იამაყოს მრავალი გამარჯვებით“) და ლექსის „ვარშავისკენ“ მეოთხე სტროფს („ჩვენი ქვეყნის მემატინანე... ათასწლოვანი ადგილებიდან მოსწყდენ მდიდარი სასახლეები, უძძიმესი ტაძრები, მიუვალ კლდეები. საქართველოზე გადაიარა სამუშა“). ლექსის „ამბოხება“ მეორე სტრიქონზე მიაწერს: „საქართველოში დღეს გრგვინავს ერთი გიგანტიური ქნარი და საუკუნეებს უკარნახებს თავის ნებას“.

➤3700

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „ხომალდი კაპზე“.

➤3701

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „ქვიშა ზღვისპირად“.

➤3702

### 1921 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ნათელი და მშვიდი...“

➤3703

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „მუსიკა“ („მსუბუქი ფრთებით ამოდრავდნენ ჰანგთა ზვირთები...“).

➤3704

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „Ars poetique“ („ათასი ლექსით...“).

➤3705

### 1921 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მე თან წავიღებ უცხო მხარეში...“

➤3706

### 1921 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „დიდის ჭრიჭინით, მაგრამ მაინც მიდის ურემი...“

➤3707

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „ვიცი მხოლოდ“.

➤3708

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „ეხლა დამშვიდდა საქართველო“.

➤3709

### 1921 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „რა ამოდ გუგუნებს წუთისოფლის დარდება...“

➤3710

### 1921 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მდინარის პირს შუალამით ისმის ჩურჩული...“

➤3711

### 1921 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „აი, ჩემს თვალწინ ძველი სიონი...“

➤3712

### 1921 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არ გვაშინებდა ტყვია, ლახვარი...“

➤3713

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „ყინვის ძალა“.

➤3714

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „შეცდომა“.

➤3715

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „ჟამთა ბორანი“.

➤3716

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „ნუ დაგვარგავთ ხსოვნას“.

➤3717

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „საიდანაც მზე ამოდიოდა“.

➤3718

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „გული და მზე“.

➤3719

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „თეთრი ოცნება“.

➤3720

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „იალქნები“.

➤3721

### 1921 ან შემდეგ

წერს ლექსს „ნავის დაღუპვა“.

➤3722

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „დროშა შრომისა“.

➤3723

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „შრომა ერთად ერთი“.

➤3724

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „დაფიქრდი, როგორ შრომობენ სხვები“.

➤3725

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „შემოდგომის ფრაგმენტებიდან“.

➤3726

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მხედარს ბრძოლების იტაცებს ჟინი“.

➤3727

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ქალაქისკენ ურმულით“.

➤3728

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „იქ, სადაც სინათლეა“.

➤3729

**1921 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მოგონება ყველაფრის შეიძლება, მაგრამ...“

➤3730

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ორივე – ჭაღარით შემოსილი“.

➤3731

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „აი, რა დროს იგრძნო სიცოცხლის ფასი!“

➤3732

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „როდის ენანება წუთისოფლის დატოვება?“

➤3733

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „გუშინ დღეს და ხვალ“.

➤3734

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სიცოცხლე ყველაფერი“.

➤3735

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ვარსკვლავთმრიცხველს რომ შეესწავლა“.

➤3736

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „იძინე, მთაო, თავისუფალო“.

➤3737

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „იმ სოფლიდან მეორე დღესვე წავედით გორში“.

➤3738

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მოვიდა ახალ სანახაობათ“.

➤3739

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ზღვა უფრო მკაცრი“.

➤3740

**1921 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ნავთი ქვანახშირი, ოქრო, ჰაერი“.

➤3741

**1921 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დრო აღარაა ბოდვის...“.

➤3742

**1922**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1922**

**1 იანვრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „დგება თეთრი დღეები...“.

➤3743

**1922**

**1 იანვრამდე**

წერს ლექსს „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით“ („სად ოდესმე მეოცნებე აფრებით...“).

➤3744

**1922**

**1 იანვრამდე**

წერს ლექსს „ზამთარი“ („ხომალდს მიყვება თოვლის მადონა...“).

➤3745

1922

**1 იანვარი**

იწყებს ჟურნალ „ლომისის“ გამოცემას.

➤3746

1922

**1 იანვარი**

ჟურნალში „ლომისი“ ბეჭდავს ლექსს „ზამთარი“ და საპროგრამო სტატიას „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

➤3747

1922

**1 იანვარი**

ჟურნალში „ლომისი“ ბეჭდავს კონსტანტინე გამსახურდიას წერილს „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი“, რომელშიც მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძეც. ავტორი წერს, რომ ქართული ლიტერატურის ახალ ეპოქას ხსნიან ალექსანდრე შანშიაშვილი და იოსებ გრიშაშვილი, ხოლო მათ შორის განმარტოებით დგას გალაკტიონ ტაბიძე.

➤3748

1922

**1 იანვრის შემდეგ**

წერს ბიბლიოგრაფიულ, მიმოხილვით სტატიას ჟურნალ „ლომისის“ პირველი ნომრის შესახებ. წერილში აღნიშნულია, რომ მწერალთა კავშირმა აქამდე ვერ მოახერხა საკუთარი ორგანოს დაარსება, მხოლოდ 1922 წლიდან გახდა შესაძლებელი ჟურნალ „ლომისის“ გამოცემა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გალაკტიონ ტაბიძე; მიუთითებს, რომ ჟურნალი იხსნება მისი სამი შედევრით. აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ბევრი ავტორი გადაიმტერა და მისთვის ვერავინ შეძლო წაერთმია უპირველესი პოეტის სახელი. გალაკტიონი ტონს აძლევს თანამედროვე პოეზიას; მის შესახებ მრავალი წერილი დაიწერა, თუმცა კრიტიკოსები ოდნავადაც ვერ მიუახლოვდნენ მის შემოქმედებას. აღნიშნულია, რომ პოეტი პუბლიკას აოცებს თავისი თავდაჭერილობით, რომელიც გასაოცარია რეკლამების ხანაში.

➤3749

1922

**1 იანვრის შემდეგ**

საერთო რვეულის ყდის ორივე მხარეს აწებებს ჟურნალ „ლომისიდან“ ამოჭრილ ჟურნალის სახელწოდებას და მწერალთა კავშირის ლოგოტიპს, რომელსაც რუსთაველის პორტრეტი ამშვენებს, აწერს თავის სახელს: გალაკტიონი და ათარიღებს: 1922. რვეულში გეგმავს ლომისში გამოსაქვეყნებელ მასალებზე მუშაობას.

➤3750

1922

**1 იანვრის შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს ორ სტრიქონს: იგი ბავშვობაში არ იყო ასეთი, უყვარდა ტოლსტოი, გერცენი, გაზეთი. ასათაურებს: „ავტოპორტრეტი“, „პორტრეტი ლოთის“, ნაწერს შლის და ხატავს ავტოპორტრეტს, რომელსაც ინიციალებით აწერს ხელს და ათარიღებს 1922.

➤3751

1922

**1 იანვრის შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს მოდერნისტულ ჩანახატს.



➤3752

1922

### 1 იანვრის შემდეგ

უბის წიგნაკში რუსულიდან ქართულად თარგმნის ფრანგი მწერლის ჟორის-კარლ ჰიუისმანის რომანის „ბუნების წინააღმდეგ“ ნაწყვეტს, რომელშიც მოყვანილია რომანის მთავარი გმირის დეზესენტის დახასიათება. ამავე გვერდზე იწერს „ვეფხისტყაოსნის“ პირველ ორ სტროფს როსტევიან მეფის შესახებ.

➤3753

1922

### 1 იანვრის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ინტერესდება პოემის მიმართებით სპარსულ პოეზიასთან, სპარსული მინიატურებითა და რუსთველის პორტრეტით. ასევე, ვერ გაუგია, რატომ არის ტაეპებს შორის „და“ კავშირი.

➤3754

1922

### 1 იანვრის შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „უცხო მხარეში მივდეგ კრეისერს...“.

➤3755

1922

### 2 იანვარი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომლის დღის წესრიგშია დანტეს სიკვდილიდან 600 წლის შესრულების აღსანიშნავად ჩასატარებელი საზეიმო სხდომა. იოსებ გრიშაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, ოზოლ მუშასა და კონსტანტინე გამსახურდიას ევალეზათ თარგმნონ და წაიკითხონ ნიმუშები დანტეს შემოქმედებიდან.

➤3756

1922

### 2 იანვრის შემდეგ

სიმონ ტაბიძეს მისთვის მიაქვს ახესალომ ტაბიძის წერილი, რომლითაც ძმა სთხოვს უქმეებზე აუცილებლად ჩასვლას სოფელში და თუ ამას ვერ მოახერხებს, წერილით შეატყობინოს. ერთი ბარათი სამტრედიისში გაუგზავნოს და ერთი ტობანიერში და მისწეროს, რა უნდა, რომ გაუგზავნონ.

➤3757

1922

### 7 იანვარი

ჟურნალში „ბარრიკადი“ იბეჭდება „ბიბლიოგრაფია“, რომელშიაც მკვახედ არის გაკრიტიკებული გალაკტიონ ტაბიძის რედაქტორობით დაბეჭდილი მწერალთა კავშირის ჟურნალი „ლომისი“. წერილის ავტორი ჟურნალის მესვეურებს ჩიჩიკოვებად მოიხსენიებს და მათ „მკვდარი სულებით“ ვაჭრობას აბრალებს, ვინაიდან მისი თქმით, ისინი ძველ მწერლებს ეფარებიან. იგი წერს, რომ ჟურნალში დაბეჭდილია ლექსი ერთი მგოსნის, რომელსაც გიონ საგანელის ჟურნალ „ტფილისის“ გარდა ლექსი არ დაუბეჭდია, ეს ლექსი კი გადამღერება ნადსონის მოტივების, რომელსაც მხოლოდ „კუხარკები“ კითხულობენ“ და, მიუხედავად იმისა, რომ კუხარკების მოვალეობას ახლა ბევრი ასრულებს, ეს არაფერს შემატებს გალაკტიონ ტაბიძის სახელს. კრიტიკოსი თვლის, რომ გალაკტიონს არა აქვს პოეტური კონცეფცია, სახე და ტემპერამენტიც ჩამორჩება თავის მეტოქეს გიორგი საგანელს. კრიტიკოსი აცხადებს, რომ გალაკტიონი „უფრო

გათავხედებულია, როცა ქართულ პოეზიას ეხება“. წერს, რომ გალაკტიონი არის თვითნასწავლი და არავის სჯერა მისი „ერუდიტობა“.

➤3758

1922

### 7 იანვრის შემდეგ

ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილთან ერთად ბიძაშვილი სიმონ ტაბიძე გადასცემს მის დანაბარებს, რომ პასუხი იქვე დაწეროს და ისევ სიმონს გაატანოს, მაგრამ გალაკტიონი მას პასუხს მაინც არ ატანს.

➤3759

1922

### 7 იანვრის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს ტიციან ტაბიძის მიერ 7 იანვარს ჟურნალში „ბარრიკადი“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის საპასუხო წერილს. აღნიშნავს, რომ ტიციან ტაბიძის აღტყინება სხვათა წინააღმდეგ პათოლოგიად იქცა და რომ მისთვის უმჯობესია თავი მიანებოს უშნო ლექსების წერას და თავის ნამდვილ მოწოდებას, ანუ სპეკულაციას მიჰყოს ხელი. მოჰყავს ტიციანის ლექსის „ცხენი ანგელოზით“ ნაწყვეტი და აღნიშნავს, რომ სწორედ ეს ლექსი არის ნადსონის მოტივების გადამღერება და ამავე დროს ტიტე ტაბიძის ავტოპორტრეტიც, იქვე აღნიშნავს, რომ მისი მეორე ავტოპორტრეტი ყანწია. წერს, რომ ტიციან ტაბიძეს, უპირველეს ყოვლისა „მოიჯარადრეს“, არა აქვს უფლება საკუთარ თავს „პოეტი“ უწოდოს, რადგანაც ის არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება პოეტი.

➤3760

1922

### 7 იანვრის შემდეგ

დღიურში აკეთებს ჩანაწერს გაზეთ „ბარრიკადის“ მეოთხე ნომრის შესახებ. მკვახე სიტყვებით მოიხსენიებს მეთაური წერილის ავტორს, ტიციან ტაბიძეს, უწოდებს მას შურიანსა და ბოლმიანს, პროვოკატორს, რომელიც ვერ მოისვენებს, სანამ გალაკტიონ ტაბიძე არსებობს.

➤3761

1922

### 12 იანვრამდე

უბის წიგნაკში წერს ჟურნალში „ლომისი“ „ხელოვნების მატრიანეში“ გამოსაქვეყნებელი მასალების სიას, მათ შორის ახსენებს, რომ მწერალთა კავშირში ჩატარდა მეშვიდე საღამო, რომელიც დანტე ალიგიერის მიეძღვნა.

➤3762

1922

### 13 იანვარი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას. სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძეს და იოსებ გრიშაშვილს ეძლევათ წინადადება, რომ მომავალ ორშაბათამდე, 23 იანვრამდე დაცალონ მწერალთა სასახლის ოთახები რომელშიც ცხოვრობენ.

➤3763

1922

### 13 იანვრის შემდეგ

წერს ანგარიშს მწერალთა საბჭოს საგამომცემლო სექციის მუშაობის შესახებ. აღნიშნავს, რომ გეგმავს სერიის „პოეზია საქართველოსი“ 10 ტომად გამოცემას. მასში შეტანილი იქნება ქართული პოეზიის ნიმუშები უძველესი დროიდან მიმდინარე პერიოდამდე. აღწერს, რა ძმობე პირობებში

ხდება წიგნის მომზადება და როგორ არავინ უწყობს ხელს. გაოგნებულია იმით, რომ განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელმა მწერალთა სასახლის იმ ოთახის დაცლაც კი მოსთხოვეს, რომელიც დროებით საცხოვრებლად ჰქონდა გამოყოფილი. უკვე გამოსაცემ წიგნებს შორის ასახელებს სარგის კაკაბაძის მიერ მომზადებულ „ვეფხისტყაოსანს“, შიო არაგვისპირელის ერთ ტომს, ვასილ ბარნოვის წიგნებს: „ამქრის მშვენება“ და „ხაზართა სასძლო“ და მიხეილ ბოჭორიშვილის რომანს „სიყმაწვილე“.

➤3764

1922

16 იანვარი

მიხეილ კინწურაშვილი, ფსევდონიმით „იასამანი“, უძღვნის ლექსს „ბედი პოეტის“.

➤3765

1922

29 იანვრამდე

უბის წიგნაკში წერს ჟურნალში „ლომისი“ „ხელოვნების მატრიანეში“ და „ბიბლიოგრაფიაში“ გამოსაქვეყნებელი მასალების სიას, მათ შორის ახსენებს ლეო ნათაძის გარდაცვალებას, ზაქარია ჭიჭინაძის 50 წლის იუბილეს, იოსებ გრიშაშვილის რუსულად გამოცემულ წიგნს, თედო რაზიკაშვილის მკვლელობას, მიხეილ ბოჭორიშვილის ახალ წიგნს და სხვა მასალებს.

➤3766

1922

29 იანვრის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს სტატიის შესავალს მელიტონ ბალანჩივაძის შესახებ, სადაც მსჯელობს ქართული საერო და სასულიერო მუსიკასა და მისი განვითარების ეტაპებზე.

➤3767

1922

31 იანვარი

განცხადებით მიმართავს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს დაეხმარონ მისი ლექსების მესამე ტომის გამოცემაში. საჭირო ქალაქდისა და სხვა ხარჯების სანაცვლოდ სთავაზობს დაიტოვონ წიგნის იმდენი ეგზემპლარი, რამდენიც გაანადღებს გაწეულ ხარჯებს და, აგრეთვე, მწერალთა კავშირს მისცემს განსაზღვრულ მოგებასაც. წერს, რომ გამოცემას თავად უხელმძღვანელებს, და რომ წიგნის გამოსაცემად საჭიროა 25 ფუთი ქალაქი და 15 მილიონი მანეთი წიგნის ასაწყობად, დასაბეჭდად და ყდაში ჩასასმელად.

➤3768

1922

იანვრის ბოლო

ჟურნალში „ხომალდი“ ხომალდელის ფსევდონიმით იბეჭდება ალექსანდრე აბაშელის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა, რომელიც ჟურნალ „ლომისს“ ეძღვნება. კრიტიკოსი აქებს მწერალთა კავშირის ჟურნალის მესვეურებს, ვინაიდან ამ ყოველკვირეული ჟურნალის ოთხი ნომერი ისე გამოვიდა, რომ არცერთს არ დაუგვიანია. აღნიშნავს, რომ ჟურნალის პირველი ნომერი გაიხსნა გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „ზამთარი“, კრიტიკოსის აზრით, ეს არ არის მისი საუკეთესო ლექსი. იგი თვლის, რომ ამ ლექსში ბევრია წყალი და ჰაერი, ხოლო ცეცხლი ოდნავ ბჟუტავს. ასევე კრიტიკოსს არ მოსწონს გალაკტიონ ტაბიძის საპროგრამო წერილი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, იგი წერს, რომ მისთვის გაუგებარია ეს გასული წლის მიმოხილვაა, თეთრი ლექსი თუ ლირიკა პროზით. აღნიშნავს, რომ ვერ დაუჯერებს ავტორს, რომ მას შეუძლია საკუთარი სიმთვრალის გაკონტროლება, როგორც ამას აცხადებს წერილში. თვლის, რომ გალაკტიონი წერს ერესს და საკუთარ თავს იქებს. ფიქრობს, რომ პოეტის პრესტიჟისათვის

უკეთესი ექნებოდა, რომ ეს ყველაფერი ეთქვა რომელიმე მკვლევარს პოეზიისას, მაგალითად 1932 წელს. ასევე, კრიტიკოსი წერს, რომ წერილის მეორე ნახევარში გალაკტიონი ხშირად ახსენებს ხალხს და ეს მას პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოს ლოზუნგებს აგონებს.

➤3769

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1922

### 5 თებერვალი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას რომელზეც განიხილება მისი წიგნის გამოცემის საკითხი. პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ საკითხის განხილვა მოხდება საბჭოს საგანგებო სხდომაზე 7 თებერვალს.

➤3770

1922

### 7 თებერვალი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას. ლეო ქიაჩელთან და ილია აგლაძესთან ერთად ირჩევენ სარედაქციო კოლეგიის წევრად. გალაკტიონის თხოვნის მიუხედავად, მისი ლექსების მესამე ტომის გამოცემის საკითხს არ განიხილავენ.

➤3771

1922

### 10 თებერვალი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას. ისმენს მისი ლექსების მესამე კრებულის გამოცემის საკითხის შესახებ საგამომცემლო კომისიის მოხსენებას. კომისიის აზრით, პირველ სერიაში უნდა გამოიცეს ჭოლა ლომთათიძის, ნოე ჩხიკვაძის, კოტე მაყაშვილის და გალაკტიონ ტაბიძის წიგნები. იღებენ დადგენილებას, რომ ოთხივე წიგნი გამოიცეს პარალელურად.

➤3772

1922

### 13 თებერვალი

წერს უსათაურო ლექსს „ცხოვრება ჩემი...“

➤3773

1922

### თებერვალი

ჟურნალში „ილიონი“ იბეჭდება დემნა შენგელაიას სტატია „გალაკტიონ ტაბიძე: სილუეტი“, რომელშიც ავტორი ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონისა და მკითხველის ურთიერთგაგებასა და თანაგრძნობაზე.

➤3774

## მ ა რ ტ ი

1922

### მარტამდე

წერს უსათაურო ლექსს „დიდის ჭრიჭინით, მაგრამ მაინც მიდის ურემი...“.

➤3775

1922

### 3 მარტი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას. ირჩევენ ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით მცირე საიუბილეო კომისიის წევრად ლეო ქიაჩელთან და კოკი აბაშიძესთან ერთად. კომისიამ უნდა იზრუნოს იუბილეს

მოსაწყობად. ამასთანავე გალაკტიონს ევალეზა, მოამზადოს წიგნი ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

➤3776

1922

**3 მარტის შემდეგ**

წერს ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის 50 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიების გეგმას.

➤3777

1922

**6 მარტი**

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის „ლიტერატურულ ხუთშაბათებზე“ კოკი აბაშიძე კითხულობს მოხსენებას „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“.

➤3778

1922

**6 მარტი**

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებაში აძლევენ ბელინსკის (ამჟამად თამარ ჭოველიძის) ქუჩის 9 ნომერში მდებარე ბინის ორდერს.

➤3779

1922

**17 მარტი**

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომელზეც განიხილება ჟურნალ „ლომისის“ საკითხი. პრეზიდიუმი იღებს დადგენილებას, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ჯამაგირისა და ჰონორარის ანგარიშში მიეცეს ერთი მილიონი მანეთი.

➤3780

1922

**26 მარტამდე**

წერს სტატიას ზაქარია ჭიჭინაძის შესახებ სახელწოდებით „ღია ბარათი“ და ხელს აწერს „ლომისის ლომი“.

➤3781

1922

**26 მარტი**

ჟურნალში „ლომისი“ ფსევდონიმით ნ. ნ. აქვეყნებს წერილს „ზაქარია ჭიჭინაძე“.

➤3782

1922

**26 მარტი**

ჟურნალში „ლომისი“ აქვეყნებს ცნობას, რომ გამოსაცემად მზად არის გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა მესამე წიგნი და რომ მის ბეჭდვას უახლოეს მომავალში შეუდგებიან.

➤3783

1922

**29 მარტამდე**

ოჯახი იგებს გალაკტიონის ოლია ოკუჯავაზე დაქორწინების ამბავს.

➤3784

1922

**მარტი**

უბის წიგნაკში იწყებს პროზაულ ტექსტის – „ბალადა ბროლის კომპისა“ წერას. ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია თინათინ ბაგრატიონი.

➤3785

1922

**მარტი**

უბის წიგნაკში წერს საკუთარი ლექსის „ანგელოზი პერგამენტი“ რუსულ პწკარედულ თარგმანს.

➤3786

1922

**მარტი ან შემდეგ**

იგონებს როგორ ინტენსიურ აგიტაციას ეწეოდა ალექსანდრ კერენსკი ჯარისკაცებში, 1916 წელს გალაკტიონის მოსკოვში ყოფნისას როგორ იმართებოდა პუშკინის მოედანზე დაუსრულებელი მიტინგები და როგორი ხალხი ესწრებოდა მათ.

➤3787

1922

**მარტი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ქვეყნად სახლებია, ზღვებზე გემებია...“.

➤3788

1922

**მარტი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ოდეს სილაჟვარდეს ნავი გადალახავს...“.

➤3789

1922

**მარტი ან შემდეგ**

წერს ლექსს „ქარების გუგუნია“ („გამოიღვიძეთ, გამოიღვიძეთ...“).

➤3790

1922

**მარტი ან შემდეგ**

წერს ლექსს „დალილა“ („გსურს რამ გითხრა? მე გიგდებ ყურს...“).

➤3791

1922

**მარტი ან შემდეგ**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „არ დაგავიწყდეს“, მაგრამ იქვე წყვეტს.

➤3792

## აპრილი

1922

**2 აპრილი**

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ცნობა, რომ 6 აპრილს ხელოვნების სასახლეში გაიმართება საღამო, რომელზედაც კოკი აბაშიძე წაიკითხავს მოხსენებას „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“.

➤3793

1922

7 აპრილი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომელზეც კითხულობს მოხსენებას პოეზიის დღის მოწყობის საკითხზე. სხდომა ადგენს, რომ პოეზიის დღე გაიმართოს ოპერის თეატრში და საჭიროა თეატრის 7 მაისისთვის დაკავება. გაზეთისთვის „პოეზიის დღე“ მასალების შეგროვებას და გაზეთის გამოცემას ავალებენ გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3794

1922

9 აპრილი

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ცნობა, რომ შედგა ახალგაზრდა ლიტერატორთა წრე, რომელსაც განზრახული აქვს კონსერვატორიის დარბაზში გამართონ შეხვედრები, რომლებზეც გაარჩევენ ძველი და ახალი მწერლების ნაწარმოებებს. სადამოებისთვის შერჩეულ პოეტთა სიაში დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤3795

1922

15 აპრილი

წერს, რომ იხსნება „პოეზიის აკადემია“.

➤3796

1922

15 აპრილი

წერს, რომ პოეზიაში არავინ და არაფერი აღარ აკმაყოფილებს, არც წარსული ენატრება და არც აწმყო მისაღები. აინტერესებს მხოლოდ, რა იქნება მომავალში, რა დაიწერება უახლოესი ასი წლის განმავლობაში. ფიქრობს, რომ პოეზია ჩიხშია შესული და გმირობაა საჭირო გამოსავალი გზის საპოვნელად.

➤3797

1922

16 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „მოვიდა ვიღაც...“

➤3798

1922

23 აპრილამდე

წერს ლექსს „ლოთის პორტრეტი“ („ამღვრეულ თვალებს ენატრებათ მღვრიე ქვევრები...“).

➤3799

1922

23 აპრილი

ოლია ოკუჯავა სახლში უტოვებს წერილს, რომ ლექციების დამთავრებამდე ვერ დაბრუნდება, მაგრამ თუ გალაკტიონი მოახერხებს, ლექციების დამთავრების დროისთვის ანუ 10 საათისთვის მიაკითხოს სასამართლოს ქუჩაზე.

➤3800

1922

23 აპრილის შემდეგ

ოლია ოკუჯავა სახლში უტოვებს წერილს, რომ მიდის გამოცდაზე, უნდა ჩააბაროს საგანი საბჭოთა სავაჭრო სისტემაში ფასების პოლიტიკის შესახებ. ეწყება 5 საათზე და, სავარაუდოდ,

სახლში იქნება 8-ზე. გალაკტიონსაც სთხოვს, მალე დაბრუნდეს, რომ კინოში წავიდნენ. საყვედურობს, რომ თამბაქოს თანხა არ დაუტოვა და იძულებულია ისესხოს.

➤3801

1921

**აპრილი**

ესწრება სხდომას მწერალთა კავშირში, სადაც მიმდინარეობს მსჯელობა იმის შესახებ, რა მიმართულების უნდა იყოს პოეზიის აკადემია, მართლაც აკადემიური, თუ ბუნტარული, ანუ აკადემიზმის წინააღმდეგ მიმართული. უკმაყოფილოა პოეტების მსჯელობით, რომელთაც არ სურთ პოეზიის ანბანიდან სწავლის დაწყება. ციტირებს პაოლო იაშვილის სიტყვებს იმის შესახებ, რომ პოეტების უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს ლექსთწყობის წესებზე, რაც ხელს არ უშლით იყვნენ პოეტები. მიაჩნია, რომ საქართველოში არ არიან ლექსთმცოდნეები, ვისთანაც შესაძლებელია ამ საკითხზე ლაპარაკი, მათ შორის ასახელებს გრიგოლ რობაქიძეს. ფიქრობს, რომ ეს არ შეიძლება იყოს არც ძველი აკადემიზმი და არც თანამედროვე ფუტურიზმი. წუხს, რომ პოეზიის დარგში არ შექმნილა აკადემიური ხასიათის არც ერთი თეორიული ნაშრომი. აღნიშნავს, რომ „ცისფერყანწელებს“ აკადემიის დაარსება სურთ ჯგუფის სახელით, თუმცა, აკადემიზმს არ აღიარებენ. თანდათან ირკვევა, რომ მათ არაფერი ცოდნით ლექსთწყობაზე და მოუხდებათ პოეზიის ლაბორატორიაში პოეზიის ანა-ბანას სწავლა. ფიქრობს, რომ სიამოვნებით დაესწრება ამ შეკრებებს, არა რაიმის შესასწავლად, არამედ გასართობად, რადგან პოეტური ლაბორატორია მას შინ აქვს. წერს, რომ კრებაზე გაირკვა, რომ ერთიანი აკადემია ვერ დაერქმევა იმას, რაც არ არის აკადემია და ამიტომ ყველა მიმდინარეობა იარსებებს დამოუკიდებლად. აღნიშნავს, რომ არ იცის, რა არის „ცისფერი ყანწების“ მიმდინარეობა და იცის მხოლოდ მშობლიური ტრადიცია. წერს, რომ ცუდად ხდის არაპოეტების დარიგებები. ასკვნის, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მუშაობა საინტერესო იქნება.

➤3802

1921

**აპრილი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს უსათაურო ლექსს „თავის ქალა და ცხვირის ბოლო“, მაგრამ არ ამთავრებს. იქვე წერს სარიტმო წყვილებს.

➤3803

1921

**აპრილი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ მდიდარი რითმები ქართულ პოეზიაში შემოიტანა აკაკი წერეთელმა და მაგალითად მოჰყავს მისი ლექსი „საიდუმლო ბარათი“.

➤3804

1921

**აპრილი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს უსათაურო ლექსს „ვარ თუ არა მე დიდი პოეტი“, მაგრამ არ ამთავრებს. იქვე წერს „რად ხმაურობენ საცოდავი ჩემი მტრები“.

➤3805

1921

**აპრილი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს უსათაურო ლექსს „დასტოვა გოტემ ზუზუნნი ქარის“, მაგრამ არ ამთავრებს. ლექსის ზემოთ კალიგრაფიული ასოებით წერს „გალაკტიონ ტაბიძე“, „გალაკტიონ“.

➤3806



1921

**აპრილი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში მუშაობს უსათაურო ლექსზე „ისევ გრიგალი იტაცებს...“, მაგრამ ნამუშევარზე ეღვრება მელანი.

➤3807

**მ ა ი ს ი**

1922

**7 მაისამდე**

წერს ლექსს „ავდრები“ („მძაფრი ბურუსი იტაცებს ბურუსს...“).

➤3808

1922

**7 მაისამდე**

ოცდაათ მუხლად ჩამოწერს თემებს ზაქარია ჭიჭინაძის შესახებ დასაწერი ნარკვევისთვის.

➤3809

1922

**7 მაისამდე**

ფურცელზე იწერს, რომ ლექსი „ოფორტი“ უნდა დაიბეჭდოს ბათუმის გაზეთში „პოეზიის დღე“, ხოლო „ავდრები“ რომელიმე სხვა წიგნში.

➤3810

1922

**7 მაისი**

აჭარისტანის ქართველ მწერალთა გამოცემაში „პოეზიის დღე“ იბეჭდება ლექსები „ავდრები“ და „ოფორტი“.

➤3811

1922

**7 მაისი**

სრულიად საქართველოს მწერალთა საბჭოს გაზეთში „პოეზიის დღე“ იბეჭდება მისი მოწინავე სტატია „პოეზიის დღე“, რომელშიც საუბარია პოეზიის მნიშვნელობაზე საქართველოში და პოეტებისთვის ახალი ფორმების ძებნის აუცილებლობაზე.

➤3812

1922

**7 მაისი**

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს გაზეთში „პოეზიის დღე“ იბეჭდება კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურული მიმოხილვა, რომელშიც ჟურნალ „ლომისში“ დასტამბულ მასალებს მიმოიხილავს. იგი წერს, რომ „პირველი ნომერი გალაკტიონ ტაბიძის ზამთარმა გახსნა ლურჯთვალეზიანი რომანტიკა აღმაცერი ღამეების“. კრიტიკოსი არ იშურებს მეტაფორებს გალაკტიონის ლექსის აღსაწერად, თუმცა ამავე ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილს „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ მკაცრად ეპყრობა და აღნიშნავს, რომ მომავლის ფანტასტიკურ კიბეზე ამომავალი პოეტი ერთბაშად „ხალხთან მისვლაზე“ და „ხალხში ტრიალზე“ გველაპარაკება და ამ ხალხოსნურ კოლექტივისტურ სულს დისჰარმონია შეაქვს მის პოეტურ სოლიფსიზმით გამსჭვალულ წერილში. კონსტანტინე გამსახურდია წერს, რომ ხალხი უნდა მივიდეს მწერლებთან და აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართული საზოგადოება საკმაოდ გულგრილად ექცეოდა ყოველგვარ საზოგადო საქმეს და განსაკუთრებით ქართულ

მწერლობას, ხელოვანთა სასახლეში მოხსენებების კითხვას ახალგაზრდები გულმოდგინედ ესწრებოდნენ და რომ ერთ-ერთი მოხსენება სწორედ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ იყო.

➤3813

**1922**

**9 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ცნობა, რომ გამოვიდა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ტრადიციული სადღესასწაულო დღის, 7 მაისის გაზეთი „პოეზიის დღე“, გამოქვეყნებულია გაზეთში დაბეჭდილი ნაწარმოებების სათაურები და ავტორების ვინაობა. ნათქვამია, რომ გაზეთი იხსნება გალაკტიონ ტაბიძის მოწინავე წერილით „პოეზიის დღე“.

➤3814

**1922**

**11 მაისი**

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ცნობა, რომ რედაქციამ მიიღო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის გამოცემა „პოეზიის დღე“, ანბანურ რიგზე გამოქვეყნებულია გაზეთში დაბეჭდილი ავტორების ვინაობა. მათ შორის არის გალაკტიონ ტაბიძე.

➤3815

**1922**

**20 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ცნობა, რომ რედაქციამ მიიღო ქ. ბათუმში გამოცემული გაზეთი „პოეზიის დღე“. აღნიშნულია რომ გაზეთში მონაწილეობს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3816

**1922**

**21 მაისამდე**

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაკავებულია, ამზადებს და ფსევდონიმით „ნ. ნ.“ გამოსცემს წიგნს „ზაქარია ჭიჭინაძე“.

➤3817

**1922**

**21 მაისი**

სახელმწიფო ოპერის თეატრში მწერალთა კავშირის თაოსნობით იმართება ზაქარია ჭიჭინაძის სამწერლო ასპარეზზე 50 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე. ამ დღისათვის გალაკტიონ ტაბიძის ავტორობით საგანგებოდ გამოდის წიგნი „ზაქარია ჭიჭინაძე“.

➤3818

**1922**

**22 მაისი**

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო უგზავნის შუამდგომლობას საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს სესხად მიეცეს ოცდახუთი მილიონი მანეთი ტრადიციული საღამოს გასამართავად. შუამდგომლობაში ნათქვამია, რომ მთელი საქართველოს მიერ ქართული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლად აღიარებული ცნობილი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე 18 ივლისს მართავს ტრადიციულ საღამოს ოპერის თეატრში და თანხა ამ საქმისთვის სჭირდება. აქვე აღნიშნულია, რომ აღმასრულებელ კომიტეტს თანხა დაუბრუნდება საღამოს გამართვისთანავე. მწერალთა კავშირი იმედოვნებს, რომ აღმასრულებელი კომიტეტი ამ სახით დაეხმარება ნივთიერად ხელმოკლე პოეტს.

➤3819

1922

31 მაისი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომელზეც განიხილება ზაქარია ჭიჭინაძის ბიოგრაფიის შემდგენელისთვის ჰონორარის გამოყოფის საკითხი. პრეზიდიუმი იღებს დადგენილებას, რომ გალაკტიონ ტაბიძეს მიეცეს საავტორო ხუთი მილიონი მანეთი, ხოლო წიგნის რედაქტორ-კორექტორს ლეო ქიაჩელს ორნახევარი მილიონი მანეთი.

➤3820

## ივნისი

1922

4 ივნისი

მონაწილეობს თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში გამართულ იოსებ გრიშაშვილის საღამოში.

➤3821

1922

9 ივნისი

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება გრიგოლ ცეცხლაძის გალექსილი სატირა „ნაწყვეტები ძველი მწერალთა კავშირის წევრების ნაწერებიდან“, პირველი სატირა ეხება გალაკტიონ ტაბიძეს. მასში პირველ პირში ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძის მეფობა გაჰქრა, ქიმერასავით გაჰქრა მისი საღამოც, რომ დარჩა მარტო და იგონებს მერის, ეწვევა მთაწმინდის მთვარეს და გრძნობს, რომ უნდა კახური არაყი“.

➤3822

1922

19 ივნისი

ლავროსი მიძიგური წერს ლექსს „გალაკტიონ ტაბიძეს“ („ფანტასტიურო, თან დაგდევენ ეფემერები...“).

➤3823

1922

20 ივნისი

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ცნობა, რომ რუსთაველის თეატრში გაიმართება კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3824

1922

20 ივნისი

მონაწილეობს რუსთაველის თეატრში გამართულ კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოში და კითხულობს ლექსს.

➤3825

1922

22 ივნისი

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ცნობა, რომ შაბათს, 24 ივნისს, საღამოს 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში კონსტანტინე გამსახურდია გამართავს გოეთესადმი მიძღვნილ საღამოს. სხვა მწერლებთან ერთად საღამოში მონაწილეობას იღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3826

1922

**23 ივნისამდე**

იბეჭდება აფიშა, რომელშიც ნათქვამია, რომ 25 ივნისს ოპერის თეატრში იმართება საქართველოს პოეტების მეფის გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო.

➤3827

1922

**23 ივნისი**

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ცნობა, რომ 25 ივნისს გაიმართება მგოსან გალაკტიონ ტაბიძის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული ხელოვნების საუკეთესო ძალები.

➤3828

1922

**23 ივნისი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში ტარდება პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც განიხილავს გალაკტიონ ტაბიძისთვის საყვედურის გამოცხადების საკითხს. სხდომას ესწრებიან: თავმჯდომარე კოტე მაცაშვილი, ილია აგლაძე, კოკი აბაშიძე, ვარლამ რუხაძე, ალექსანდრე აბაშელი და სხდომის მდივანი მიხეილ ბოჭორიშვილი. ისმენენ გალაკტიონ ტაბიძის საღამოს აფიშების შინაარსს, რომლებშიც გალაკტიონ ტაბიძე გამოცხადებულია პოეტების მეფედ. საბჭო შეუფერებლად მიიჩნევს ასეთ საქციელს საბჭოს წევრისა და პოეტის სახელისთვის და გალაკტიონ ტაბიძეს უცხადებს საყვედურს იმ მოტივით, რომ არც ერთი ორგანიზაციის ან საზოგადოების მიერ ის არ არის არჩეული პოეტების მეფედ. გარდა ამისა, ვინაიდან საზოგადოებაში გავრცელებულია ხმები, რომ გალაკტიონ ტაბიძის საღამო გაიმართა მწერალთა კავშირის საბჭოს ინიციატივით, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პრესის მეშვეობით გამოაცხადოს, რომ მას არა აქვს არავითარი დამოკიდებულება ამ საღამოსთან.

➤3829

1922

**24 ივნისი**

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება შიო მღვიმელის მიერ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი „ნატვრა“.

➤3830

1922

**24 ივნისი**

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ია ეკალაძის სტატია „ძღვნად გალაკტიონ ტაბიძეს“. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ 25 ივნისს იმართება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო და სურს თბილი სიტყვებით მიმართოს პოეტს. ია ეკალაძე გალაკტიონს გამორჩეულ შემოქმედად მიიჩნევს, რომელიც მას განმარტოებით მდგარ, თავდახრილ ძეწნას აგონებს. ია ეკალაძის თქმით, ქეშმარიტი პოეზია სულის ფსალმუნებია, რომელიც ამაღლებს და ქვენა გრძნობათაგან ათავისუფლებს ადამიანს. სწორედ ასეთ პოეზიას ქმნის გალაკტიონ ტაბიძე.

➤3831

1922

**25 ივნისამდე**

მხატვარი ირაკლი თოიძე ხატავს გრაფიკულ პორტრეტს „პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“.

➤3832

1924

**25 ივნისი**

გაზეთის „ტრიბუნა“ მესამე გვერდი მთლიანად ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძეს. ფურცლის შუაში დაბეჭდილია პოეტის პორტრეტი და მისადმი მიძღვნილი ლექსები და სტატიები.

➤3833

1922

25 ივნისი

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება მხატვრის ირაკლი თოიძის შექმნილი გრაფიკული პორტრეტი „პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“.

➤3834

1922

25 ივნისი

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ნაწყვეტი გიორგი ქუჩიშვილის ლექსიდან „ანდერძი“, რომელშიც ავტორი ნატრობს: „ჩემს პროცესიას ამშვენებდეს გალაკტიონი, გვარათ ტაბიძე და ტიტულით მეფე-მგოსანი“.

➤3835

1922

25 ივნისი

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ლავროსი მიძიგურის ლექსი „გალაკტიონ ტაბიძეს“.

➤3836

1922

25 ივნისი

გაზეთი „ტრიბუნა“ ფსევდონიმით „ქნარი“ ბეჭდავს ბეგლარ ახოსპირელის (აღაიანის) გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსს „გალაკტიონ ტაბიძეს“.

➤3837

1922

25 ივნისი

გაზეთი „ტრიბუნა“ ფსევდონიმით „განდევილი“ ბეჭდავს დომინიკა ერისთავის მიერ გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „მე ჩავჭურჩულე დამის ზეფირს მშვენება შენი...“.

➤3838

1922

25 ივნისი

გაზეთში „ტრიბუნა“ „იასამანის“ ფსევდონიმით იბეჭდება მიხეილ კინწურაშვილის ლექსი „ბედი პოეტის (გალაკტიონს)“.

➤3839

1922

25 ივნისი

გაზეთი „ტრიბუნა“ ომეგას ფსევდონიმით ბეჭდავს პლატონ ქიქოძის გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ სტატიას „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც პოეტს ქართული მუზის ტყვექმნილ და დამწვარ მიჯნურს, მის მუზას კი ცხოვრების ტბის ნაპირას განმარტოებით მდგარ ტირიფს უწოდებს, რომელიც სევდით დამძიმებული თვალებით ტბის სიღრმეში დაემებს სიცოცხლის საიდუმლოებას.

➤3840

1922

## 25 ივნისი

გაზეთში „ტრიბუნა“ „ხომლელის“ ფსევდონიმით იბეჭდება რომანოზ ფანცხავას სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“. კრიტიკოსის თქმით, რევოლუციამ გადატრიალება მოახდინა ცხოვრებაში და სოფლის ჰეგემონია ქალაქისამ ჩაანაცვლა. ლიტერატურასაც ქალაქი დაეუფლა. ასეთი ლიტერატურის ნიმუში საქართველოში გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის სახით ჩნდება. პოეტის ლექსების მეორე წიგნი მისი იმპრესიონისტული ხელწერის დასტურია. რომანოზ ფანცხავას აზრით, ქართველ მწერალს ძალა არ შესწევს, დიდხანს შეჩერდეს ერთ აზრზე, ერთ გრძნობაზე, ამიტომ თანამედროვე ქართველი პოეტების უმრავლესობა, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძეც, იმპრესიონისტია. იგი ცდილობს გადმოგვცეს მოკლე-მოკლე შთაბეჭდილებები, განცდათა ნაწყვეტები. კრიტიკოსის შეხედულებით, პოეტისათვის ძვირფასია არა ობიექტური სინამდვილე, არამედ სუბიექტური, ინდივიდუალური შთაბეჭდილებები ამ სინამდვილის შესახებ.

➤3841

1922

## 25 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება სიკო ფაშალიშვილის 24 ივნისით დათარიღებული მიმართვა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოსადმი სათაურით „ღია ბარათი“. ავტორი წერს, რომ გაზეთებში გამოქვეყნებული ქრონიკის საშუალებით შეიტყო, რომ 25 ივნისს იმართებოდა პოეტის გალაკტიონ ტაბიძის საღამო. აღნიშნულია, რომ როგორც ერთ-ერთ მწერალს, გალაკტიონ ტაბიძეს აქვს უფლება ჩაატაროს შემოქმედებითი საღამო და როგორც მწერალთა კავშირი, ასევე საზოგადოებაც მორალურად ვალდებულია დახმარება გაუწიოს მას, მაგრამ გამოიკრა სკანდალური აფიშები ქართულ და რუსულ ენებზე, რომელშიც ნათქვამია, რომ იმართება „საქართველოს პოეტების მეფის გალაკტიონ ტაბიძის“ საღამო. აფიშაში ჩამოთვლილი მწერლები, რომელთაც მონაწილეობა უნდა მიიღონ საღამოში, უმეტესად არიან სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრები, ხოლო საღამოს ხსნის ამავე კავშირის თავმჯდომარე კოტე მაცაშვილი. ავტორი წერს, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს მწერალთა კავშირი აფუძნებს „დინასტიას“ და მეფობის ტიტულს აძლევს „რამდენიმე კარგი ლექსის ავტორს“. იგი თვლის, რომ ამ გამოსვლას აქვს იაფი ცირკის ხასიათი, რომელიც შეურაცხყოფს ქართული ლიტერატურის ღერძს და თუკი ეს მწერალთა კავშირის საბჭოს ხელმძღვანელობით ხდება, სამართლიანია ის აღშფოთება, რომელიც საზოგადოებაში გაჩნდა. ავტორი აღნიშნავს, რომ მონაწილეობდა სრულიად საქართველოს მწერალთა ყველა კონფერენციაში, სადაც ირჩეოდა პროფესიონალური საკითხები და „არც ერთ კონფერენციას არ მოსვლია ისეთი სულელური აზრი, რომ საბჭოსთვის მიეცა ინსტრუქცია მეფეების დანიშვნისათვის“. იგი აღნიშნავს, რომ იგივე ხდებოდა უკანასკნელ კონფერენციაზეც, რომელმაც აირჩია ახალი საბჭო, რომელშიც პერსონალურად იყო შეყვანილი გალაკტიონ ტაბიძეც. ავტორი საბჭოს სთხოვს პასუხს, თუ რის საფუძველზე მისცეს თავს უფლება და რა მიზანი აქვს ასეთი „დინასტიის“ დაწყებას. იმ შემთხვევაში, თუკი ეს „შანტაჟი“ კერძო პირისგან ხდება, მწერალთა კავშირის საბჭომ თავის სახელის აღსადგენად და „ასეთი კრიმინალური ტიპის თავის წრიდან განსადევნად“ უნდა განაცხადოს, რა ზომებს მიმართავს.

➤3842

1922

## 25 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს „წერილი რედაქციის მიმართ“. მასში აღნიშნულია, რომ ვინაიდან საზოგადოებაში გავრცელებულია ხმები, თითქოს გალაკტიონ ტაბიძის საღამო, რომელიც იმართება მიმდინარე დღეს ოპერის თეატრში ორგანიზებულია საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს მონაწილეობით და აცხადებს, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს ამ საღამოსთან და რომ იგი იმართება პირადად გალაკტიონ ტაბიძის ინიციატივით.

➤3843

1922

**25 ივნისი**

„საქართველოს პოეტების მეფის გალაკტიონ ტაბიძის“ საღამო ოპერის თეატრში არ ტარდება.

➤3844

1922

**25 ივნისის შემდეგ**

საბოლოო წერილს უტოვებს დომინიკა ერისთავს, რადგან გაზეთისთვის „ტრიბუნა“ გადაცემულ მასალას შემთხვევით შეაყოლა მწერალი ქალის ლექსი და იქ ავტორთან შეუთანხმებლად დაიბეჭდა. სთხოვს, დაესწროს სამშაბათს ოპერის თეატრში მისი პოეზიის საღამოს და ჰპირდება, რომ მოსაწვევს თვითონ გადასცემს.

➤3845

1922

**27 ივნისი**

გაზეთი „ტრიბუნა“ ბეჭდავს მწერალთა კავშირის განცხადებას „წერილი რედაქციის მიმართ“. მასში აღნიშნულია, რომ საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, თითქოს გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი საღამო ოპერის თეატრში მწერალთა კავშირის საბჭოს ინიციატივით იმართება, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. პუბლიკაციაში განმარტებულია, რომ ეს საღამო გალაკტიონ ტაბიძის კერძო ინიციატივით იმართება და საბჭოს მასთან კავშირი არ აქვს.

➤3846

1922

**ივნისი**

ჟურნალში „კანდელი“ იბეჭდება ლექსი „ვილანელი“.

➤3847

**ი ვ ლ ი ს ი**

1922

**2 ივლისი**

გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს ცნობას, რომ გალაკტიონ ტაბიძის საღამო, რომელიც უნდა შემდგარიყო 25 ივნისს, ჩატარდება ოთხშაბათს, 5 ივლისს. აქვე ნათქვამია, რომ გაყიდული ბილეთები ძალაშია, ხოლო დარჩენილი ბილეთები იყიდება სალაროში.

➤3848

1922

**3 ივლისი**

საქართველოს მწერლების კავშირში დგება პრეზიდიუმის სხდომა, რომლის დღის წესრიგშია გალაკტიონ ტაბიძის საღამოს შესახებ სიკო ფაშალიშვილის წერილის საკითხი. სხდომას ესწრებიან: სხდომის თავმჯდომარე კოტე მაცაშვილი, ლეო ქიაჩელი, სოლომონ თავაძე, ილია აგლაძე, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია და სხდომის მდივანი მიხეილ ბოჭორიშვილი. საბჭო განიხილავს ამ წერილზე პასუხის გაცემის მიზანშეწონილობას. ვინაიდან ხმები შუაზე იყოფა, საკითხი გადაიდება შემდეგი სხდომისთვის.

➤3849

1922

**7 ივლისი**

გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს ცნობას, რომ პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ამჟამად ავად არის და წევს საკუთარ ბინაში.

➤3850

1922

12 ივლისი

გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს ცნობას, რომ პოეტი გალაკტიონ ტაბიძე რომელიც ავად იყო ერთი კვირის განმავლობაში სრულიად გამოჯანმრთელდა და მოკლე ხანში გაიმართება მისი საღამო.  
➤3851

1922

17 ივლისი

წერს ლექსს „გზით მიმავალი გზად“ („ალვა მწვერვალსა ხრის...“).  
➤3852

1922

ივლისი

ჟურნალში „კანდელი“ იბეჭდება ამ პერიოდული გამოცემის თანამშრომელთა სია, რომელშიც, სხვებთან ერთად, დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.  
➤3853

1922

ივლისი

ჟურნალში „კანდელი“ იბეჭდება ლექსი „კომპი“ („ინგრევა კომპი საუკუნით აშენებული!..“).  
➤3854

1922

ივლისი

წერს ლექსს „მეგობარს“ („წვიმა და ოფლი...“).  
➤3855

## ა გ ვ ი ს ტ ო

1922

4 აგვისტო

უბის წიგნაკში წერს, რომ ბევრი ქება-დიდება მოისმინა და რომ ახლა ძალიან გაითქვა სახელი.  
➤3856

1922

15 აგვისტო ან ადრე

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ აპირებს ველისციხის, გურჯაანის, თელავისა და სიღნაღის მონახულებას.  
➤3857

1922

15 აგვისტო

დილით ადრე დგება, იღებს ხოლერის საწინააღმდეგო აცრის საბუთს, პირადობის მოწმობას, ერთ ბოთლ კონიაკს და გოგისთან ერთად ფეხით მიდის სადგურზე. შენიშნავს, რომ თეთრი გიორგის ქანდაკება ჯერ არ მოუხსნიათ და წითელი დროშა უკავია. სადგურზე ათვალიერებს კახეთისკენ მიმავალ მგზავრებს, რომლებთან ერთადაც მოუწევს მგზავრობა. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ბუფეტი და საპარიკმახერო ღიაა და ცხოვრება უბრუნდება ჩვეულ რიტმს. აწუხებს ის, რომ ჯიბეში გროშიც კი არა აქვს.  
➤3858

1922



**16 აგვისტომდე**  
იწერს ანეკდოტებს.

➤3859

1922

**16 აგვისტო**

არის მუკუზანში კოტე ნაკაშიძესთან.

➤3860

1922

**16 აგვისტო ან შემდეგ**

წერს „ალზიორას“ მნიშვნელობას. იგი აერთიანებს მდინარეების სახელებს – ალაზანი და იორი.

➤3861

1922

**17 აგვისტო**

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ცნობა, რომ 20 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ტერენტი გრანელის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3862

1922

**18 აგვისტო**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ცნობა, რომ 20 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ტერენტი გრანელის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3863

1922

**19 აგვისტო**

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ცნობა, რომ 20 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ტერენტი გრანელის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤3864

1922

**20 აგვისტო**

გაზეთებში გამოცხადებული ცნობების მიუხედავად მონაწილეობას ვერ იღებს ტერენტი გრანელის საღამოში ვინაიდან იმყოფება კახეთში.

➤3865

1922

**29 აგვისტო**

სოფელ მუკუზანში მყოფს, ადგილობრივი მკვიდრი თამარა ნაკაშიძე უბის წიგნაკში სახსოვრად უწერს აკაკი წერეთლის ლექსის „განთიადი“ ერთ სტროფს.

➤3866

1922

**30 აგვისტომდე**

კითხულობს ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენს“ და აკეთებს ამონაწერებს

➤3867

1922

**30 აგვისტომდე**

ცდილობს მოძებნოს რითმები სიტყვისთვის „ეფემერა“.

➤3868

**1922**

**30 აგვისტომდე**

ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენის“ შთაბეჭდილებით წერს ლექსს „ეფემერა“ („უკანასკნელი საზღვარი...“)

➤3869

**1922**

**30 აგვისტო**

სიღნაღში ადგილობრივი მკვიდრი უბის წიგნაკში უწერს რომ უყვარს და პატივს სცემს პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤3870

**1922**

**აგვისტო**

წერს ლექსს „სადამო“.

➤3871

**1922**

**აგვისტო**

წერს ლექსს NNN.

➤3872

**1922**

**აგვისტო**

წერს ლექსს „კახეთის მთვარე“.

➤3873

**1922**

**აგვისტო**

წერს ლექსს „ალაზნთან“.

➤3874

**1922**

**აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „მხოლოდ გული...“.

➤3875

**1922**

**აგვისტო**

უბის წიგნაკში უსათაუროდ იწერს 1920 წელს დაწერილ ლექსს „გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს...“.

➤3876

**1922**

**აგვისტო**

უბის წიგნაკში აკეთებს პორტრეტულ და თემატურ ჩანახატებს.

➤3877

1922

აგვისტო

უბის წიგნაკში აკეთებს ლავროსი ძიმიგურის პორტრეტულ ჩანახატს.

➤3878

1922

აგვისტო

უბის წიგნაკში იწერს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გაზეთ „ტრიბუნის“ რედაქტორის თედორე ლლონტის სახელს და გვარს და შემოხაზავს.

➤3879

1922

აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი...“.

➤3880

1922

აგვისტო ან შემდეგ

უბის წიგნაკში ადგენს იმ ადგილთა სიას, სადაც შესაძლებელია მისი გამოსაცემი წიგნის გაყიდვა-გავრცელება. სია 88 პუნქტისგან შედგება და დასათაურებულია: „პოემა ადგილთა, სადაც უნდა გაიყიდოს წიგნები“.

➤3881

1922

აგვისტო ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწყებს პალინდრომებზე და ზმაზე მუშაობას. წერს ცალკეულ სიტყვებს და სტრიქონებს და ადგენს სტროფს.

➤3882

1922

აგვისტო ან შემდეგ

ფიქრობს „ტფილისის ახალგაზრდა ხელოვანთა წრის“ ჩამოყალიბებაზე.

➤3883

1922

აგვისტო ან შემდეგ

ამუშავებს ლექსების „რაც არ ყოფილა – არის“, „კახეთის მთვარე“ და ახალ პოეტურ ფრაზებს.

➤3884

1922

აგვისტო ან შემდეგ

უბის წიგნაკში მუშაობს ლექსზე სათაურით „ოქროს ნავით“, გადახაზავს სათაურს და პირველ სტრიქონს და ტოვებს ტექსტს, რომელიც იწყება სიტყვებით „წყალი დაიფერა...“.

➤3885

1922

აგვისტო ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს სტრიქონებს: „არ მშორდება შენზე ფიქრი, ნეტავ შენ თუ გახსოვარ“, მაგრამ აღარ აგრძელებს, იქვე ხატავს ისრით გაპობილ ორ გულს.

➤3886

1922

### დეკემბრის დასაწყისი ან შემდეგ

სათაურით „ივერიის არევა“ წერს ერთსტროფიან ლექსს. ფრაზები „აი რა მზის სიზმარია...“ და „აირევი ივერია“ პალინდრომებია.

➤3887

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1922

### 1 სექტემბერი

იმყოფება სიღნაღში და დღიურში წერს, აგვისტო-სექტემბერის რომელი რიცხვებიდან რა ცხოველ-ფრინველზე შეიძლება ნადირობა.

➤3888

1922

### 1 სექტემბერი

იმყოფება სიღნაღში და წერს უსათაურო ლექსს „შავით შემოსილხარ, როგორც ელეგია...“.

➤3889

1922

### 2 სექტემბრამდე

კითხულობს ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენის“ რუსულ თარგმანს და ფურცელზე აკეთებს ცალკეული პასაჟების ამონაწერებს ქართულად.

➤3890

1922

### 2 სექტემბრამდე

ჯეკ ლონდონის „მარტინ იდენის“ ცალკეული ეპიზოდების შთაგონებით წერს უსათაურო ლექსს „უკანასკნელი საზღვარი...“.

➤3891

1922

### 2 სექტემბერი

ლავროსი ძიძიგური უბის წიგნაკში უწერს ერთსტროფიან ლექსს, რომელშიც ნათქვამია, რომ კახეთმა უწყვეტად ალხინა პოეტები, ხოლო ქიზიყმა ყველაფერი დაატოვებინათ და უკან მშვირები გაისტუმრა. ამ სტრიქონებს გალაკტიონი ეთანხმება.

➤3892

1922

### 14 სექტემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ქართული დრამის მსახიობების, რეჟისორების, სუფლიორებისა და სცენარისტების გვარ-სახელებს.

➤3893

1922

### 17 სექტემბერი

ვარაუდობს, რომ მწერალთა კავშირის საბჭომ დაუნიშნა პენსია.

➤3894

1922

**19 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ სამშაბათს, 19 სექტემბერს გაიმართება ოპერის მომღერლის ვასო შარაშიძის საღამო.

➤3895

1922

**19 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ალექსანდრე რუხაძე მუშაობს განათლების საბჭოს გამგეობაში. იწყებს მისდამი მიძღვნილი ლექსის წერას, მაგრამ გადახაზავს.

➤3896

1922

**19 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს ბრიტანელი პოეტის ოუენ ბარფილდის ლექსის „იხტიოზავრი მოდერნის შუქით“ სათაურს და წერს ცალკეულ სტრიქონებს.

➤3897

1922

**26 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს რომ სამშაბათს 26 სექტემბერს გაიმართება ნოე ზომღეთელის საღამო.

➤3898

1922

**26 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ სამშაბათს 26 სექტემბერს უნდა მივიდეს ქალაქის სააღმსრულებლო კომიტეტში (გორისპოლკომში) ჩიმიშკრიანთან.

➤3899

1922

**26 სექტემბერი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ოთხშაბათს 27 სექტემბერს უნდა მივიდეს მუნიციპალური სახლების კანტორის გამგესთან შალვა ბუაჩიძესთან ბინის მიღების თაობაზე განცხადების დასაწერად.

➤3900

1922

**26 სექტემბერს ან შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ტერენტი გრანელს შეუძლია დაწეროს კარგი წერილები.

➤3901

1922

**26 სექტემბერს ან შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ჩამოვიდა განათლების საბჭოს გამგეობის წევრი ალექსანდრე რუხაძე და აპირებს მასთან დაუყოვნებლივ მისვლას.

➤3902

1922

**29 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში იწერს რუსთაველის პორტრეტის ავტორების, მხატვრების ძმების გრიგოლ და ლადო ჯაფარიძეების მისამართს.

➤3903

1922

### 29 სექტემბერი

მიდის სახელმწიფო გამომცემლობაში, რომლის გამგე ზუმბაძე პირობას აძლევს, რომ ნოემბრის დამლევს წიგნის გამოსაცემად 40 ფუტ კარგ ქაღალდს გამოუყოფს. მან არ იცის ზუმბაძის სახელი, მაგრამ იმედი აქვს რომ ის თავის დაპირებას უსათუოდ შეასრულებს. აპირებს წიგნის გადაწერას.

➤3904

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს კომპოზიტორ თამარ შავერზაშვილის მისამართს. აღნიშნავს, რომ მისი ლექსის სიტყვებზე ამ კომპოზიტორს დაწერილი აქვს მუსიკა რომანსისთვის.

➤3905

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს ოლია ოკუჯავასადმი მიმართულ სიტყვებს: „რაღაც იმსხვრევა სასტიკად და დაუბრუნებლად. შესაძლებელია სულიერმა კატასტროფამ დაამსგავსოს ყველაფერი უდაბნოს“.

➤3906

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

აწუხებს ოლია ოკუჯავას მდგომარეობა. აპირებს ფულის შოვნას.

➤3907

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

ელოდება კოტე ნაკაშიძის თბილისში ჩასვლას.

➤3908

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

ფიქრობს, რომ დემნა შენგელაიას შეუძლია მესამე ტომისთვის კარგი წინასიტყვაობის დაწერა.

➤3909

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

აპირებს მისვლას სახალხო განათლების კომისარიატში („ნარკომპროსში“) სანდრო ეულთან.

➤3910

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

სურვილი აქვს, რომ ხარიტონ ვარდოშვილს აგრძნობინოს თავისი შეცდომები.

➤3911

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ანდრია ბალანჩივამ დაუწერია მისი ლექსების მელოდეკლამაცია.  
➤3912

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

იწვევენ თანამშრომლად ჟურნალში „ხომალდი“.

➤3913

1922

### 29 სექტემბრის შემდეგ

ქუთაისის სამეურნეო ტექნიკუმის გამგე მწერალი ჯაჯუ ჯორჯიკია ჰპირდება თანამშრომლობას „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ და სთხოვს მომავალი ჟურნალის მიწოდებას.

➤3914

1922

### სექტემბერი

კონსტანტინე გამსახურდია უბის წიგნაკში უწერს, რომ გაზეთ „ლომისში“ დაბეჭდილი ბიბლიოგრაფია, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით „გ. ტ.“ ეკუთვნის ტერენტი გრანელს. შეცდომა დაშვებულია რედაქტორის მიერ, რომელმაც „ტ. გ.“-ს ნაცვლად მიაწერა „გ. ტ.“. გამსახურდია იქვე წერს, რომ ამ ფსევდონიმს გალაკტიონს როგორც „ლომისის“ საბჭოს წევრს უმხელს.

➤3915

1922

### სექტემბერი

წერს განცხადებას მეორე შრომა-გასწორების სახლის უფროსის სახელზე, რომელშიც თხოვს პატიმართან შეხვედრის ნებართვას.

➤3916

1922

### სექტემბერი

წერს განცხადებას სახალხო განათლების კომისრის სახელზე, რომელშიც ატყობინებს, რომ სურდა გამოეცა თავისი ლექსების მესამე ტომი, რომელიც დიდი ხანია დამზადებული აქვს, მაგრამ გამოცემა ვერ მოახერხა ქალაქის და ფინანსების უქონლობის გამო. წერს, რომ ჰქონდა იმედი, რომ არ მოუწევდა განათლების კომისარიატის შეწუხება, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული კომისარიატი არა ერთ პოეტს დაეხმარა წიგნის გამოცემაში. თვლის, რომ მისი წიგნის გამოცემას მნიშვნელობა ექნება ქართული პოეზიისათვის და ეს გარემოება აბედინებს, რომ მიმართოს კომისარიატს თხოვნით, რომ გამოუყონ საბეჭდი ქალაქი. წერს, რომ სჭირდება მხოლოდ 95 ოზმა ქალაქი, რადგან წიგნი იქნება დაახლოვებით 300 ფურცელი და ქალაქის საფასურში სთავაზობს დაბეჭდილ წიგნებს.

➤3917

## ოქტომბერი

1922

### 15 ოქტომბერი

დიდუბეში იპოდრომზე ესწრება დოღს, ზის პირველ რიგში. აღნიშნავს, რომ ორგანიზებულია ტოტალიზატორი. უბის წიგნაკში ინიშნავს სტრიქონებს: „ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები“, „ფერადი ქარები“, „მწვანე ნიავი“.

➤3918

1922

## 15 ოქტომბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ უნდა დაწეროს წერილი სათაურით „მე როგორც პიროვნება“, რომელშიც ნახსენები იქნება მხოლოდ ნერვები და მერი შერვაშიძე შერვაშიძეთა ხაზიდან.

➤3919

1922

## 15 ოქტომბრის შემდეგ

ზრუნავს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ განსათავსებელ რეკლამებზე. აღნიშნავს, რომ ჟურნალში ადგილი დაეთმო მხიველ მამულაშვილის ყვავილების მაღაზიის „სოლეილდორის“ რეკლამას.

➤3920

1922

## 15 ოქტომბრის შემდეგ

ხვდება გიგლა მებუკეს.

➤3921

1922

## 17 ოქტომბერი

შეაქვს განცხადება სახელმწიფო გამომცემლობის გამგის ზუმბაძის სახელზე. განცხადებაში ითხოვს, ნება დართონ გამოსცეს სამხატვრო-სალიტერატურო ყოველკვირეული ჟურნალი სახელწოდებით „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“. აღნიშნავს, რომ პერიოდული ორგანო გამოიცემა ცენზურით და მასში დაიბეჭდება ლექსები, მოთხრობები, ნოველები, წერილები და სხვა მასალები.

➤3922

1922

## 17 ოქტომბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ სახელმწიფო გამომცემლობამ მისი განცხადება ჟურნალის გამოცემის თაობაზე რეგისტრაციაში გაატარა ნომრით 2191.

➤3923

1922

## 17 ოქტომბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს სახელმწიფო გამომცემლობის გამგის – ზუმბაძის სიტყვებს, რომ სურვილის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ჟურნალისთვის სახელწოდების შეცვლა.

➤3924

1922

## 17 ოქტომბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში ხატავს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ პირველი ნომრის ყდის მაკეტს.

➤3925

1922

## 17 ოქტომბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს იმ ორგანიზაციების სახელწოდებების და პირების სიას, რომელთაც შეიძლება გამოაქვეყნონ სარეკლამო განცხადებები მის ჟურნალში.

➤3926

1922



**17 ოქტომბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს ლექსის სტრიქონებს: „რადაც კარგი სამუდამოდ დავკარგე, ვერც ქალაქთა შფოთი და სიავკარგე“, მაგრამ აღარ აგრძელებს.

➤3927

**1922**

**25 ოქტომბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მზად არის ორი სარეკლამო განცხადება „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალისთვის“ - „ქიმერიონის“ და „სასახლის ნომრების“.

➤3928

**1922**

**25 ოქტომბერი**

მიხეილ ბოჭორიშვილი უარს ეუბნება 20 მანეთის მიცემაზე.

➤3929

**1922**

**25 ოქტომბერი ან შემდეგ**

ანგარიშობს ხარჯებს, თვლის, რომ ჟურნალის გამოცემისთვის თვეში 80 მილიონი დასჭირდება.

➤3930

**1922**

**25 ოქტომბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ როდესაც არტურ ლაისტის იუბილეზე იყო, გაიგონა მარიჯანის მიერ ნათქვამი სიტყვა „მოვრალი“.

➤3931

**1922**

**25 ოქტომბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს მხატვარ ვასილი კროტკოვის მისამართს.

➤3932

**1922**

**25 ოქტომბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში გრაფიკულად ალაგებს სტრიქონებს ლექსებიდან „ქარი ქრის“ და „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“ და ხელს აწერს ფსევდონიმით ლ. რიმანელი.

➤3933

**1922**

**29 ოქტომბრამდე**

გეგმავს შეხვედრას შალვა იმედაშვილთან.

➤3934

**1922**

**29 ოქტომბრამდე**

გეგმავს შეხვედრას საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს წევრ იაშვილთან.

➤3935

**1922**

**29 ოქტომბრამდე**

გეგმავს შეხვედრას სახალხო ბანკში იასონ ლორთქიფანიძესთან.

➤3936

1922

29 ოქტომბრამდე

გეგმავს შეხვედრას სახალხო ბანკში იასონ ლორთქიფანიძესთან.

➤3937

## ნოემბერი

1922

2 ნოემბერი

განცხადებით მიმართავს თამბაქოს ტრესტის გამგეს. წერს, რომ მომდევნო კვირიდან მისი რედაქტორობით გამოდის ყოველკვირეული ჟურნალი. სთხოვს, რომ მასში გამოსაქვეყნებლად მიაწოდონ განცხადებები. წერს, რომ ეს მნიშვნელოვანია ჟურნალის არსებობისთვის.

➤3938

1922

7 ნოემბრამდე

მიმართავს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს ხუთი ფუთი ქაღალდის სესხად გამოყოფის თხოვნით.

➤3939

1922

7 ნოემბერი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომლის დღის წესრიგშია გალაკტიონ ტაბიძის თხოვნა სესხად გამოეყოს ხუთი ფუთი ქაღალდი. გადაწყვეტილების მიღება გადაიდება შემდეგი სხდომისთვის.

➤3940

1922

21 ნოემბრამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს ფინანსთა სახალხო კომისარიატში მისვლის თარიღს: 21 ნოემბერი.

➤3941

1922

ნოემბერი

ხელოვანთა სასახლეში გამოდის სიტყვით, რომელშიც მწერლებსა და ხელოვანებს ახალი ეპოქისათვის შესაფერისი ახლებური ხელოვნების შედეგებით წარმოჩენისკენ მოუწოდებს.

➤3942

1922

ნოემბერი

წერს წინასიტყვაობას „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის პირველი ნომრისთვის“. მასში საუბარი აქვს იმაზე, თუ როგორ მუდმივ მოძრაობაშია ჩვენი პლანეტა, როგორ გამუდმებით იბადება ახალი ეფემერა და მისსავე კლანჭებში შეუბრალებლად იხრჩობა ძველი; როგორ ეცემა მონარქიები და იმარჯვებს რევოლუცია. წერს, რომ პოეზიაც ეპოქის შესაფერისი უნდა იყოს და ისიც არჩევანის წინაშე დგას „სიკვდილი ან განახლება“.

➤3943

## დეკემბერი

1922

დეკემბრის დასაწყისი ან შემდეგ

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ბლანკზე წერს: „მაგრამ რა მეკოცნება? / მაგრამ რა მევარდება? / მაგრამ რა მემღერება?“.

➤3944

1922

### დეკემბრის დასაწყისი ან შემდეგ

ფურცელზე წერს ნიზამი განჯელთან დაკავშირებულ თემებს და უთითებს ლიტერატურას. ასევე ინიშნავს საკითხებს თავისი 1915 წლის მოგონებების შესახებ განჯაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებაზე ამ ქალაქში, სპარსელი პოეტების: ჰაფიზის, საადისა და ჯამის შესახებ. იწერს ნიზამის ბიოგრაფიულ ცნობებს.

➤3945

1922

### დეკემბრის დასაწყისი ან შემდეგ

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ბლანკზე გაკრული ხელით მიაწერს ფრაზას: „თუ კომუნიზმი საზოგადოდ მოტყუებაა, შენ ნუ აღელდები, გალაკტიონ“.

➤3946

1922

### დეკემბრის დასაწყისი ან შემდეგ

იწყებს ბალადის წერას სათაურით „არწივი ცეცხლში“ („ანთებულიყო სალამო და ტყე იწოდა, იწოდა“), ეპიგრაფად წარუმიღვარებს ვაჟა-ფშაველას სიტყვებს „არწივი ვნახე დაჭრილი...“, მაგრამ იქვე წყვეტს წერას.

➤3947

1922

### დეკემბრის დასაწყისი ან შემდეგ

ფურცელზე დიდი ასოებით წერს რომანის სათაურს „მანიფესტი“ და შემდეგ განმარტავს, რომ „მანიფესტი“ ჯგუფის სახელია.

➤3948

1922

### დეკემბრის დასაწყისი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს: „გზაზე მიდის პოლკები: პოლკი მხოლოდ სამია...“.

➤3949

1922

### დეკემბრის დასაწყისი ან შემდეგ

მწერალთა კავშირში ხვდება ახალბედა პოეტ არნო ონელს, გულითადად ესაუბრება, კითხულობს მის ლექსებს, ჰპირდება, რომ უსათუოდ დაბეჭდავს მათ საკუთარ ჟურნალში და სჩუქნის საკუთარი ლექსების მეორე ტომს მიძღვნით: „ჩემს ახალგაცნობილ რაჭველ პოეტს არნო ნაქერალელს გალაკტიონ ტაბიძისგან.“

➤3950

1922

### 2 დეკემბრის შემდეგ

ფურცელზე წერს სიტყვებს „გალაკტიონის ჟურნალი“, რითმებს და აკეთებს ადამიანთა ფიგურების გრაფიკულ ჩანახატებს.

➤3951

1922

### 3 დეკემბრამდე

ფურცელზე იწერს სტროფებს ალფრედ დე მიუსეს ლექსის „მანდალი“ ივან ტურგენევისეული თარგმანიდან და ვალერი ბრიუსოვისადმი მიძღვნილი ლექსიდან. თარგმნის ცალკეულ ფრაზებს.

➤3952

1922

### 3 დეკემბრამდე

ფურცელზე წერს განცხადების ტექსტს ჟურნალის „ქართული სატირიკონი“ შესახებ, რომელშიც მუდმივად ითანამშრომლებს გალაკტიონ ტაბიძე და რომელსაც თანამშრომლები ეყოლება საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და დაბა-სოფელში.

➤3953

1922

### 3 დეკემბრამდე

ოპერისა და ბალეტის თეატრში ესწრება ვასილ ბარნოვის იუბილეს და მოსწონს იპოლიტე ვართაგავას გამოსვლა. ღონისძიების დასრულების შემდეგ ხვდება მას, და სთხოვს, მისცეს ეს მოხსენება „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ გამოსაქვეყნებლად. ვართაგავა უყოყმანოდ თანხმდება და მოხსენებას გადასცემს. გალაკტიონი დაპირებას ასრულებს და ყოფილი პედაგოგის წერილს სათაურით „ვასილ ბარნოვი“ ბეჭდავს საკუთარი ჟურნალის პირველ ნომერში.

➤3954

1922

### 3 დეკემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „არა ზეცა, არა ლანდი...“.

➤3955

1922

### 3 დეკემბრამდე

საერთო სათაურით „შინაარსი“ ფურცელზე ჩამოწერს ტექსტებს, რომელთა შეტანასაც აპირებს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ პირველ ნომერში. ჩამონათვალშია: თავისი „წინასიტყვაობა“ და ლექსები ციკლიდან „ალზიორა“, ევა რიმანელის წერილები.

➤3956

1922

### 3 დეკემბერი

იწყებს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ გამოცემას. აცხადებს, რომ ჟურნალი იქნება ყოველკვირეული.

➤3957

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ სარედაქციო გვერდზე ბეჭდავს მეთაურ წერილს, რომელშიც საუბრობს კაცობრიობის მარადიულ წინსვლაზე და ძველისა და ახლის მუდმივ შეჯახებაზე, რომლის დროსაც იმარჯვებს ის, ვინც უფრო ძლიერია. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ემხოზა მონარქიები და მათ ადგილს იკავებს რევოლუციის ნიაღვრები. ამ ნიაღვარში იმარხება ძველი ფორმები და გზა ეხსნება ახალ, ფანტასმაგორიულ რეალობას. გალაკტიონი მიმართავს პოეტებს, მხატვრებს და ზოგადად ხელოვანებს, შეძლებენ თუ არა ისინი, განიცადონ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა, გრძნობენ თუ არა, რომ თანამედროვე

ეპოქას სჭირდება თავისი შესაფერისი ხელოვნება. პოეზია, რომელიც ერიდება უფსკრულის პირზე გავლას, ისევე ნაკლები ყურადღების ღირსია, როგორც ყველაფერი, რაც ამ უფსკრულში იჩეხება. პოეტის აზრით, ახლა ის დროა, როცა უდიდებულეს რითმებში უნდა ისმოდეს პლანეტათა შეჯახების ხმა. ის მიმართავს ხელოვანებს, რომ ამაოდ ეძებენ სიმშვიდეს და მოსვენებას, რადგან საქართველოს ვერცერთ კუთხეში ჰპოვებენ მას. ნახვევს მხოლოდ წარსულის ნანგრევებს. ამიტომ უნდა აირჩიონ ორიდან ერთი – განახლება ან სიკვდილი. ახალგაზრდობამ უნდა შეითვისოს და შეიყვაროს ახალი საქართველოს ხმა. მომავლის წინაშე ის უნდა წარსდგეს ამაყი იმით, რომ „ამ პლანეტათა კვილში და ქვეყანათა ნგრევის გრიალში“ მისი დევიზია „სიკვდილი ან განახლება“.

➤3958

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ ხელმოუწერლად აქვეყნებს სტატიას „სამწუხარო მარტიროლოგი“, რომელშიც მიუთითებს, რომ 1917-19 და 1920-21 წლები საბედისწერო გამოდგა მონარქთა და რჩეულ ხელოვანთათვის, რადგან დასახელებულ პერიოდში ბევრი მათგანი გარდაიცვალა.

➤3959

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ ხელმოუწერლად ბეჭდავს სტატიას „ფოსტა. ტფილისი №N<sup>o</sup>-ს“, რომელშიც პასუხობს ჟურნალის რედაქციაში მიღებულ წერილობით შეკითხვას. გალაკტიონი აკმაყოფილებს წერილის ავტორის თხოვნას და ინფორმაციას იძლევა აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმის – გაზელას (ყაზალის) შესახებ. თავის განმარტებაში პოეტი მიუთითებს, რომ დასახელებული სალექსო ფორმა სპარსულ პოეზიაში ჩაისახა და მისი ოსტატები იყვნენ ჯალალედინ რუმი, ნიზამი, ომარ ხაიამი და ჰაფეზი. საქართველოში მსგავსი სტრუქტურის ლექსები დაწერეს ბესიკმა, ალექსანდრე ჭავჭავაძემ და საიათნოვამ, თუმცა მათ ნიმუშებში არ იყო ბოლომდე დაცული მყარი სალექსო ფორმის ნიშნები.

➤3960

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ იბეჭდება გიორგი ქუჩიშვილის „ლექსი ანდერძიდან“: „ჩემს პროცესიას ამშვენებდეს გალაკტიონი / გვართ ტაბიძე და ტიტულით მეფე-მგოსანი, / მის ლექსთა თქმაზე ქვითინებდეს ძველი სიონი / და მწუხარებით დაიბუროს მზე სხვიოსანი“.

➤3961

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ იბეჭდება ირაკლი ტოფაძის ლექსი „გალაკტიონი“.

➤3962

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ ფსევდონიმით „იასამანი“ იბეჭდება მიხეილ კინწურაშვილის გალაკტიონისამი მიძღვნილი ლექსი „ბედი პოეტის“.

➤3963

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ იბეჭდება ლავროსი დიდიგურის ლექსი „გალაკტიონ ტაბიძეს“.

➤3964

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ ფსევდონიმით „ქნარი“ იბეჭდება იოსებ გვანცელაძის ლექსი „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤3965

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ იბეჭდება ია ეკალაძის წერილი „ძღვნად გალაკტიონ ტაბიძეს“. ავტორი გალაკტიონს იმ ძეწნას ადარებს, რომელიც განმარტოებით დგას, ამქვეყნიური ჭუჭყისგან შორს არის და საოცნებოდ იწვევს ადამიანებს.

➤3966

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ „ხომლელის“ ფსევდონიმით იბეჭდება რომანოზ ფანცხავას წერილი „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤3967

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ იბეჭდება ლექსების ციკლი „ალზიორა, კახეთში დაწერილი ლექსები“. მათ შორის არის: „შავმა ნისლმა დანისლა...“, „ეს მშობლიური ქარია...“ და „შუქი გაიშალა...“.

➤3968

1922

### 3 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ მცირე ნარკვევში სალექსო ფორმა „გაზელას“ შესახებ აქვეყნებს უსათაურო ლექსს „არა ზეცა, არა ლანდი...“.

➤3969

1922

### 3 დეკემბერი

გიორგი ქუჩიშვილთან, სეზმან ერთაწმინდელსა და ვახტანგ ფხალაძესთან ერთად სტუმრობს სოფელ დიღმის სკოლას, სადაც არნო ონელი პედაგოგად მუშაობს. შესავალი სიტყვით გამოდის არნო ონელი და მოხსენებას აკეთებს ვახტანგ ფხალაძე. გალაკტიონი კითხულობს ლექსებს: „მთაწმინდის მთვარე“ „მერი“ და „მესაფლავე“ დარბაზში აპლოდისმენტები არ წყდება. შემდეგ გიორგი ქუჩიშვილი კითხულობს საკუთარ რევოლუციურ ლექსებს. სადამოს დასასრულს სოფლის ახალგაზრდები კითხულობენ საკუთარ ლექსებს.

➤3970

1922

### 7 დეკემბერი

მონაწილეობს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ხუთმზაბათებზე გამართულ ტერენტი გრანელის საღამოში.

➤3971

1922

10 დეკემბრამდე

კითხულობს ალექსანდრ ბლოკის პიესას „ვარდი და ჯვარი“.

➤3972

1922

10 დეკემბრამდე

სათაურით „რომანტიზმი“ წერს ესეს მის თანამედროვე „დამნაცრებელ დროზე“, რომელიც კლავს რომანტიზმის უნაზეს სულს.

➤3973

1922

10 დეკემბერი

ესწრება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომლის დღის წესრიგშია გალაკტიონ ტაბიძისთვის „ცეკავშირის“ სტამბაში ჟურნალ „ლომისზე“ მონარჩენი ქაღალდის სესხად მიცემის საკითხი. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას რომ გადაეცეს სესხად ჟურნალისთვის „ლომისი“ განსაზღვრული ქაღალდის ის რაოდენობა, რომელიც აღმოჩნდება ცეკავშირის სტამბაში.

➤3974

1922

10 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ აქვეყნებს ხელოვნების სასახლეში დაწერილ ღია წერილს იაკობ ნიკოლაძისადმი „იაკობ ნიკოლაძეს ჩემი გულწრფელი სალამი...“, რომელშიც საუბრობს ქართველი მოქანდაკის განზრახვაზე, მიქელანჯელოს იდეის მიხედვით ზღვის სანაპიროზე კლდეში გამოკვეთოს უზარმაზარი გამოსახულებები, რომლებიც დიდი მანძილიდან იქნება შესამჩნევი. წერილში ასევე საუბარია ეპოქალურ ძირეულ ცვლილებებზე ხელოვნებაში.

➤3975

1922

17 დეკემბრამდე

ჯეკ ლონდონის რომან „მარტინ იდენის“ შთაგონებით ხელოვნების სასახლეში წერს უსათაურო ლექსს „ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები...“.

➤3976

1922

17 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ აქვეყნებს ლექსს „ეფემერა“.

➤3977

1922

17 დეკემბერი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მესამე ნომერში იბეჭდება ნ. გერგესელის (ნიკოლოზ კვერნაძის) კრიტიკული ესკიზი „სამრეკლო უდაბნოში“, რომელშიც ავტორი გალაკტიონს ორიგინალურსა და განუმეორებელს უწოდებს. მისი აზრით, იგი ბევრს მოსწონს, მაგრამ სიღრმისეულად არ არის გაგებული. მის მეორე წიგნს ერთგვარ სიმბოლისტურ მანიფესტს უწოდებს ქართულ ლიტერატურაში.

➤3978

1922

**24 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „რა ამოდრავებს კიპარისის ტანს...“.

➤3979

1922

**24 დეკემბერი**

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ აქვეყნებს ლექსს „ისევ ეფემერა“.

➤3980

1922

**25 დეკემბერი**

გაზეთში „ზნამია ისკუსტვა“ იბეჭდება გიორგი კოსტელანსკის ესეე „ქართული პოეზიის სილუეტები“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს 1921 წელს ნიკოლო მიწიშვილის რედაქტორობით და წინასიტყვაობით რუსულ ენაზე დაბეჭდილ წიგნს „საქართველოს პოეტები“, და გალაკტიონ ტაბიძის შესახებ წერს, რომ იგი ძველი გზით მიდის, არ აწუხებს სიმბოლისტური მღელვარებანი, ტკბება მთვარის ჭვრეტით და „ყურს უგდებს „მარტოხელა ქარის ზღაპრებს“.

➤3981

1922

**25 დეკემბერი ან შემდეგ**

აღშფოთებულია რომ თბილისში გამომავალი რუსული ჟურნალი „ზნამია ისკუსტვა“ ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

➤3982

1922

**25 დეკემბრის შემდეგ**

გალაკტიონი უბის წიგნაკში რუსულად იწერს ქართველი სტუდენტებისა და პოეტების განცხადებას ჟურნალ „ზნამია ისკუსტვას“ მიერ მის წინააღმდეგ გალაშქრების დასაგმობად. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ შურიანების ტალახი მზემდე ვერ მიაღწევს. განმცხადებლებს შორის არიან: არჩილ სიხარულიძე, ივანე მესხი და ნინო ციციშვილი.

➤3983

1922

**29 დეკემბრის შემდეგ**

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „იმ ათასცხრას ჩვიდმეტი წლის ალური გზნებით...“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤3984

1922

**29 დეკემბრის შემდეგ**

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „სად უძველეს, სად უძველეს ხეებს ლეწს და აქცევს...“, მაგრამ მალევე წყვეტს.

➤3985

**1922 ან ადრე**

წერს ლექსს „ვილანელი“.

➤3986



## 1922 ან ადრე

უსათაუროდ იწყებს ლექსის წერას „იმ ცაცხვებს გაუმარჯოს, იმ ცაცხვის ყვავილებს...“.

➤3987

## 1921-1922

წერს ლექსს „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“.

➤3988

## 1921-1922

წერს უსათაურო ლექსს „შემოსილნო გამჭვირვალე ბლონდებით...“.

➤3989

## 1922

წერს ლექსს „ვერ გაიგონეს...“.

➤3990

## 1922

ქვესათაურით „ბალადა“ წერს ლექსს „ვეფხვი მოკლული ტფილისთან“

➤3991

## 1922

წერს ლექსს „ბავშვის დღიური“.

➤3992

## 1922

წერს ლექსს „სული უსახლო“.

➤3993

## 1922

წერს უსათაურო ლექსს „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...“.

➤3994

## 1922

მწერალთა კავშირში აარსებს ლიტერატურულ წრეს, რომელზეც ხუთშაბათობით იკრიბებიან ახალგაზრდა პოეტები და ისმენენ გალაკტიონის რჩევა-დარიგებებს.

➤3995

## 1922

1919 წელს გამოცემულ ლექსების მეორე წიგნს „Cräne aux fleurs artistiques“ („თავის ქალა არტისტული ყვავილებით“) ჩუქნის კოკი აბაშიძეს წარწერით: „კოკი აბაშიძეს – ღრმა პატივისცემის ნიშნად გალაკტიონ ტაბიძე. 1922 წ. ტფილისი“.

➤3996

## 1922

მოკლე წერილს უგზავნის ლავრენტი ძიძიგურს და ატყობინებს, რომ მიმდინარე დღეს თეატრში მისთვის მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა და ოთხ ადგილს უტოვებს ლოჯაში მისთვის და გალაკტიონის ერთგული მკითხველებისთვის.

➤3997

**1922**

უბის წიგნაკში იწერს შალვა ასათიანის მისამართს: სოლოლაკის ქუჩა N14.

➤3998

**1922**

რვეულში აკეთებს პორტრეტულ ჩანახატებს.

➤3999

**1922**

წერს უსათაურო ლექსს „მე წინდაწინვე ვთვრები...“.

➤4000

**1922**

წერს უსათაურო ლექსს „ეჭემერა – ეს არის სიტყვა საშინელი და უკანასკნელი...“

➤4001

**1922**

წერს ლექსს „შურიანი პოეტი“.

➤4002

**1922**

წერს უსათაურო ლექსს „... ბენუარიდან ხედავდა თვალი...“

➤4003

**1922**

წერს ლექსს „პოლკი“.

➤4004

**1922 ან შემდეგ**

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს ლექსში „მგოსნის ფიქრები“ „ჩემო ფერიავ, დამიგდე ყური...“) და ახალ სათაურად აწერს „კრეისერების სიხარული“.

➤4005

**1922 ან შემდეგ**

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს უსათაურო ლექსში „აი, გაიღო კიდეც კარები...“ და სათაურად აწერს „მოსკოვი კანანადის მოლოდინში“.

➤4006

**1922 ან შემდეგ**

ნიკოლოზ ბარათაშვილის წიგნში „ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები“ აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. ითვლის ლექსის „ჩონგური“ სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობას და აღნიშნავს, რომ ერთგან რიტმი ირღვევა.

➤4007

**1922 ან შემდეგ**

კითხულობს ვლადისლავ ხოდასევიჩის სტატიების წიგნს რუსული პოეზიის შესახებ და ეხმაურება მის აზრს გავრილ დერჟავინის შესახებ. წერს, რომ ეს უკანასკნელი უკვდავი არ არის, მისი ვნებათაღელვა გულუბრყვილო და ამაზრზენია. ის სრულიად მივიწყებულია და თუ ვინმე მისით ინტერესდება, მხოლოდ რაიმე სარგებლის მოპოვების მიზნით. გალაკტიონს უკვირს ასეთი სტატიის დაწერა 1916 წელს, მსოფლიო იმპერიალისტური ომის ჭექა-ქუხილის ფონზე,

ვლადიმირ მაიაკოვსკის რევოლუციური გამოსვლების დროს. სტატიის წაკითხვის შედეგად ირკვევა, რამდენად დაშორდნენ იმ პერიოდის ყველა პოეტს, თითქოს იმდენი ხნის წინ იყო, რომ გახსენებაც ჭირს.

➤4008

### 1922 ან შემდეგ

ვლადისლავ ხოდასევიჩის რუსული პოეზიის შესახებ სტატიების წიგნში დებს ოლია ოკუჯავას მოკლე ბარათს, რომელშიც ეს უკანასკნელი სთხოვს, რომ ერთად ისადილონ.

➤4009

### 1922 ან შემდეგ

კითხულობს გიორგი ქუჩიშვილის ლექსების მეხუთე გამოცემას, აკეთებს სიტყვებზე ხაზგასმებს და უსადაგებს თავის რითმებს.

➤4010

### 1922 ან შემდეგ

მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს უსათაურო ლექსში „აი, გაიღო კიდეც კარები...“ და სათაურად აწერს „მოსკოვი კანონადის მოლოდინში“.

➤4011

### 1922 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „აბინდება ნათელ მზის...“.

➤4012

## 1923

### ი ა ნ ვ ა რ ი

#### 1923-მდე

რუსულიდან თარგმნის ანრი ბარბიუსის რომანის „ცეცხლი“ ორ თავს.

➤4013

#### 1923-მდე

ემებს რითმებს ფრაზისთვის „მეტი არაფერი“.

➤4014

### 1923

#### 1 იანვრამდე

წერს ლექსს „ზღვის ეფემერა“.

➤4015

### 1923

#### 1 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ეს იყო ოქტომბრის დამლევს...“.

➤4016

### 1923

#### 1 იანვარი

გამოდის „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეხუთე ნომერი, რომელშიც იბეჭდება მისი ლექსები: „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“, „საახალწლო ეფემერა“ და „ზღვის ეფემერა“.

➤4017

### 1923

## 1 იანვარი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეხუთე ნომერში „მირბახის“ ფსევდონიმით იბეჭდება მიხეილ ბოჭორიშვილის სტატია „1922 წ. ლიტერატურულ კრიტიკის მიმოხილვა“. ავტორი იწონებს გალაკტიონ ტაბიძის წერილში „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ და გაზეთ „პოეზიის დღის“ მოწინავეში დასახულ გეზს, რომელიც უნდა აიღოს ქართველმა ხელოვანმა ახალ რეალობაში.

➤4018

1923

## 1 იანვარი

გაზეთში „ლომისი“ ფსევდონიმით „ლ. ქ.“ იბეჭდება ლეო ქიაჩელის სტატია „1922 წლის ლიტერატურული შთაბეჭდილება“, რომელშიც საუბარია გალაკტიონის გავლენის მასშტაბებზე. ავტორი მიიჩნევს, რომ მისი მეორე წიგნი - „არტისტული ყვავილები“ - არის ახალი დროის უდიდესი მიღწევა.

➤4019

1923

## 1 იანვარი

გაზეთში „ტრიბუნა“ ფსევდონიმით „დონ ბაზილი“ იბეჭდება იუმორისტული კუპლეტები: ვასილ პატარაიას პაროდიები: „საახალწლო გოზინაყები, გალაქტიონ ტაბიძეს“ და ფსევდონიმით – „მაღალი“ დავით ნაცვლიშვილის „საახალწლო მილოცვები: ბახტრიონს, ლომისს, ილიონს და გ. ტაბიძის ჟურნალს“.

➤4020

1923

## 3 იანვარი

გაზეთში „ბახტრიონი“ „გალლის“ ფსევდონიმით იბეჭდება გიორგი ლეონიძის მიმოხილვა „1923 წლის ლიტერატურული ქრონიკები“. სტატიის ავტორის აზრით, 1922 წელს გამოშვებულ ჟურნალში „ლომისი“ „ვინეგრეტივით“ იყო ერთმანეთში არეული ბანალური მინიატურები და გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯი მონტევიდეო“. მწვავედ არის გაკრიტიკებული „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომელიც მიმომხილველს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სუროგატად მიაჩნია. იგი წერს, რომ გალაკტიონის ახალგამოქვეყნებული ლექსები: „საახალწლო ეფემერა“, „ზღვის ეფემერა“ და სხვ. როგორც თავად მისი, ისე სხვათა ძველი თემების გადამღერებაა. სტატიის ავტორი წერს: „გ. ტაბიძეს აქვს თავისი წარსული, ამიტომაც მას „ხარის“ ანდაზის უნდა ეშინოდეს“. სავარაუდოდ, გულისხმობს ქართულ ანდაზას „ხარი ხართან რომ დააბა ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“ და იმაზე მინიშნება სურს, რომ ცისფერყანწელებთან დაშორება და სხვებთან თანამშრომლობა მის შემოქმედებაზე ცუდად აისახება. სტატიაში „უბადრუკ“ გამოცემებად არის მოხსენიებული 1922 წლის მასში ბათუმში გამოქვეყნებული გაზეთი „პოეზიის დღე“ და ჟურნალი „კანდელი“. პირველში დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები „ავდრები“ და „ოფორტი“ და მეორეში – „ვილანელი“ და „კოშკი“. მართალია, სტატიის ავტორი ამ ლექსებზე არაფერს ამბობს, მაგრამ დამცინავი დამოკიდებულება, ბუნებრივია, ვრცელდება ამ გამოცემებში წარმოდგენილ ავტორებზეც.

➤4021

1923

## 7 იანვრამდე

წერს ლექსს „ეფემერა“.

➤4022

1923

## 7 იანვრამდე

პეტერბურგის ერთ-ერთი სავაჭრო სახლის ბლანკზე წერს სარიტმო სიტყვების 322 წყვილს. ცალკეულ შემთხვევებში გარიტმულია არა ორი, არამედ რამდენიმე სიტყვა.

➤4023

1923

7 იანვრამდე

წერს ლექსს „ეფემერა“ („შეხედე, მშვიდი შენი დობილი...“).

➤4024

1923

7 იანვარი

გამოდის „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც იბეჭდება ლექსები: „ეფემერა“ („შეხედე, მშვიდი შენი დობილი...“) და „მშობლიური ეფემერა“.

➤4025

1923

7 იანვარი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ იბეჭდება გერცელ ბააზოვის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი „მესია“.

➤4026

1923

14 იანვრამდე

წერს ლექსს „ქალაქში“.

➤4027

1923

14 იანვარი

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ აქვეყნებს ლექსს „ქალაქში“.

➤4028

1923

18 იანვრამდე

ჟურნალში „ილიონი“ იბეჭდება ალექსანდრე წერეთლის სტატია „ახალ საზღვართან“, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძე იმ ნიჭიერ მწერალთა შორისაა მოხსენიებული, რომელთა სახელსაც უკავშირდება „ახალი სტილის შექმნის ცდა“.

➤4029

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1923

თებერვლამდე

წერს უსათაურო ლექსს „როცა გარშემო ღამე ბნელია...“.

➤4030

1923

1 თებერვალი

გაზეთის „კომუნისტი“ რუბრიკაში „პატარა ფელეტონი“ ფსევდონიმით Diton იბეჭდება სატირული ლექსი „გვეტაძის ვირი ტიცციანის ანგელოსით“, რომელშიც ნახსენებია გალაკტიონი: „მეფე გალაკტიონ ვინდა გაგმარცვა / – ტერენტიმ, ტერენტიმ! /... რაჟდენი მეფობდეს / ვესენხა შეფობდეს / ტაბიძე (N1) თვრებოდეს...“.

➤4031

1923

## 2 თებერვალი

ესწრება საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომელზეც კოკი აბაშიძესა და ვარლამ რუხაძესთან ერთად ირჩევენ აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან რვა წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების კომისიის წევრად. დაგეგმილია ლიტერატურული ხუთშაბათობის გამართვა, საღამოს მოწყობა და 18 თებერვალს პოეტის საფლავის გვირგვინით შემკობა.

➤4032

1923

## 4 თებერვალი

გამოდის „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მერვე ნომერი, რომელშიც იბეჭდება ევგენი სიდოშვილის ლექსი „ლანდი“ (გალაკტიონ ტაბიძეს) და ვახტანგ გარრიკის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“. სტატიაში გალაკტიონი ახალი შემეცნების, ახალი ესთეტიკის იმ ავტორადაა მოხსენიებული, ვინც გაითავისა მშობლიური კულტურა და, ასევე, ეზიარა დასავლურ ხელოვნებას. სტატიაში ნათქვამია, რომ მისი ლექსების რიტმი მუსიკალური ჯადოსნობითაა გამართული და ვირტუოზული ტექნიკის ნიმუშად დასახელებულია „ლურჯა ცხენები“.

➤4033

1923

## 6 თებერვალი

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის თავმჯდომარეს მამია ორახელაშვილს და ითხოვს თავისი რედაქტორობით ქართულ ენაზე გამომავალ ყოველკვირეულ სამხატვრო-სალიტერატურო „ჟურნალს“ მიეცეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებების განცხადებების ბეჭდვის ნებართვა.

➤4034

1923

## 6 თებერვალი ან შემდეგ

გალაკტიონ ტაბიძის განცხადებას მისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების განცხადებების ბეჭდვის უფლებასთან დაკავშირებით მამია ორახელაშვილი ზემოდან აწერს, რომ კერძო გამომცემები საბჭოთა დაწესებულებათა განცხადებებს ვერ მიიღებენ. ამ რეზოლუციასთან დაკავშირებით კი გალაკტიონი მიაწერს, რომ „რუბიკონიც“ კერძო გამომცემაა, მაგრამ მასში საბჭოთა ორგანიზაციების განცხადებებიც იბეჭდება.

➤4035

1923

## 11 თებერვალი

გაზეთის „ტრიბუნა“ იუმორისტულ დამატებაში „სატირიკონი“ „ტრა-დიციას“ ფსევდონიმით იბეჭდება ვასილ პატარაიას ლექსი „გალაკტიონ ტაბიძე (ავტოსონეტი)“.

➤4036

1923

## 11 თებერვალი

გაზეთ „რუბიკონში“ ვალერიან გაფრინდაშვილი აქვეყნებს სტატიას „რიტმა 1922 წელში“ და ასახელებს აღნიშნულ წელს გალაკტიონ ტაბიძის მიერ გამოყენებულ ორიგინალურ რიტმებს: „არ საამსოფლო – სამშობლო, ევროპა – დაუდევრობა, ბურუსს – კენგურუს, ტანზე – ჩიმპანზე, აჩნია – გამაჩნია, ცეცხლ-მოდებული – აშფოთებული“.

➤4037

1923

**15 თებერვალი**

ხელოვნების სასახლეში გამართულ მორიგ ლიტერატურულ ხუთშაბათზე კითხულობს ლექსს „აკაკის საზეიმო საღამო“.

➤4038

1923

**16 თებერვალი**

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე ირჩევენ „ლიტერატურული ხუთშაბათებისათვის“ მოხსენებათა გეგმის შემმუშავებელი კომისიის წევრად.

➤4039

1923

**18 თებერვალი**

გაზეთში „ასპიროზი“ იბეჭდება პოლიო აბრამიას წერილი „ბიბლიოგრაფიის მაგიერ (გახსნილი რკალები), გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, №№ 1922-1923 წწ,“ რომელშიც უარყოფითადაა შეფასებული გალაკტიონის ჟურნალის როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური მხარე.

➤4040

1923

**25 თებერვალი**

გაზეთში „ასპიროზი“ ფსევდონიმით „ინას“ იბეჭდება ტროფიმე ინასარიძის „კრიტიკული შენიშვნები“, რომელშიც განხილულია გალაკტიონის საპროგრამო წერილში გამოთქმული მოწოდება „განახლება ან სიკვდილი“. ავტორის აზრით, ამ მოწოდებაში არ ჩანს, როგორ აქვს წარმოდგენილი ახალგაზრდა გალაკტიონს ახალი შემოქმედებითი გზები, იგი ფიქრობს, რომ ამგვარ თამამ მოწოდებს ძალა არ ექნება და მშრალ პროპაგანდად დარჩება, თუ პოეტი ხალხის მესაიდუმლე არ გახდება.

➤4041

1923

**25 თებერვალი**

გაზეთში „ლომისი“ მარუთა შუამდინარელის ფსევდონიმით იბეჭდება იოსებ გრიშაშვილის სტატია „რითმებით აშორდიობა“, რომელშიც ავტორი აკრიტიკებს ვალერიან გაფრინდაშვილის პუბლიკაციას („რითმები 1922 წელში“). იოსებ გრიშაშვილის აზრით, გალაკტიონის პოეზიიდან უკეთესი რითმების მოყვანა შეუძლებოდა, ხოლო მოყვანილთაგან ორი რითმა არ ეკუთვნის გალაკტიონს.

➤4042

1923

**თებერვალი**

სურათს იღებს ტერენტი გრანელთან, მიხეილ ბოჭორიშვილთან და ხარიტონ ვარდოშვილთან ერთად.

➤4043

**მ ა რ ტ ი**

1923

**3 მარტამდე**

წერილს იღებს ძმისგან. აბესალომი სთხოვს, რომ მათი მშობლიური სახლის გადასახურად როგორმე მთავრობისგან იშოვოს ორი ათასი კრამიტი და ორი ან სამი კასრი ცემენტი. იმ პირობით, რომ თანხას ნაწილ-ნაწილ გადაიხდიან.

➤4044

1923

### 3 მარტის შემდეგ

მოკითხვის წერილს იღებს ძმისგან. აბესალომი საყვედურობს წინა წერილზე პასუხის გაუცემლობისთვის და სთხოვს მოერიდოს არაყსა და ღვინოს. ატყობინებს, რომ მასწავლებლებმა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ ერთი თვის ეგზემპლარებისთვის 200 000 მანეთი გაუგზავნეს ფოსტით, მაგრამ თებერვლის ჟურნალები ჯერ კიდევ არ მიუღიათ. აინტერესებს, რამ გამოიწვია ეს. უგზავნის თავის დაწერილ ორ პატარა ესკიზს გალაკტიონის ჟურნალში და ან „ლომისში“ გამოსაქვეყნებლად და სთხოვს, რომ შემდეგ ჟურნალის ეს ნომრები გაუგზავნოს. გადასცემს დედის მოკითხვას და თხოვნას, რომ მისწეროს, როდის ინახულებს.

➤4045

1923

### 6 მარტამდე

ფურცელზე ჩამოწერს იმ ჟურნალ-გაზეთების ნუსხას, რომელთაგანაც აპირებს განცხადებების გადაბეჭდვას „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“.

➤4046

1923

### 18 მარტი

გაზეთში „რუბიკონი“ იბეჭდება შალვა აფხაიძის წერილი „მთვარე პოეზიაში“, რომლის ერთი მონაკვეთი ეთმობა მთვარის ესთეტიკას გალაკტიონის შემოქმედებაში და დახასიათებულია ლექსები: „სიკვდილი მთვარისგან“, „მთაწმინდის მთვარე“ და „შიში“.

➤4047

1923

### 26 მარტის შემდეგ

წერს ლექსს „სარა ბერნარი“ და ქვესათაურად უწერს „ექტრისა“.

➤4048

## აპრილი

1923

### 2 აპრილამდე

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალს“ იწერს და 400 000 მანეთს იხდის სოხუმის ქართული კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

➤4049

1923

### 2 აპრილი

6 მაისამდე აძლევენ ვადას, რომ დაფაროს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ რედაქციის შენობის ქირა – 19 მილიონი.

➤4050

1923

### 4 აპრილი



მოხსენებითა და ლექსებით გამოდის სახელმწიფო კონსერვატორიაში ახალგაზრდა მხატვრის, დიმიტრი შევარდნაძის საღამოზე.

➤4051

**1923**

**13 აპრილი**

სიტყვით გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის მეოთხე კონფერენციის სხდომაზე და მოითხოვს საბჭოს წევრთა რიცხვის თხუთმეტამდე გაზრდას. ამავე საღამოზე ფარული კენჭისყრით ირჩევენ საბჭოს წევრად.

**4052**

**1923**

**15 აპრილი**

ესწრება საქართველოს მწერალთა კავშირის კრებას, რომელზეც ირჩევენ სალიტერატურო საღამოების მომწყობი კომისიის წევრად.

**4053**

**1923**

**17 აპრილი**

გაზეთი „ტრიბუნა“ აქვეყნებს ცნობას, რომ 13 აპრილს გალაკტიონ ტაბიძე აირჩიეს მწერალთა კავშირის 13-კაციანი საბჭოს წევრად.

➤4054

**1923**

**19 აპრილი**

წერს ლექსს „მე ერთადერთი მქონდა წუხილი“ („მინდოდა წყაროს წყალი გემოთი...“).

➤4055

**1923**

**22 აპრილი**

ესწრება საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას. ირჩევენ იმ ხუთკაციანი კომისიის წევრად, რომელსაც პრეზიდიუმთან ერთად ევალება პროგრამის შემუშავება სასახლეში გასამართი საღამოსათვის, ასევე, აკაკი წერეთლის ძეგლის კურთხევის ცერემონიალისა და სურათების გადაღების ორგანიზება.

➤4056

**1923**

**29 აპრილი**

ირჩევენ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს წევრად.

➤4057

**1923**

**30 აპრილი**

ესწრება საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომელზეც განიხილავენ „პოეზიის დღის“ მოწყობის საკითხს. გალაკტიონ ტაბიძეს ირჩევენ ერთ-ერთ ორგანიზატორად, რომელმაც სხვებთან ერთად უნდა მოამზადოს პოეტების გამოსვლა.

➤4058

მ ა ი ს ი

**1923**

**2 მაისი**

წერილს იღებს ძმისგან, აბესალომ ტაბიძისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ მიწები აზომეს და გაანაწილეს. თავად აბესალომს, როგორც მოსამსახურეს, ნახევარი ნორმა მისცეს, ხოლო გალაკტიონი ცოლთან ერთად ჩათვალეს ორ ადამიანად და არა ცალკე მოსახლედ. ამიტომ 3600 კვ. მ. მიწის ნაკვეთის ჩამორთმევას უპირებენ, თუ რაიმეს არ იღონებს. ამიტომ საჩქაროდ უნდა დაწეროს თხოვნა, რომ დედასთან ერთად ჩათვალონ ცალკე მოსახლედ, დაუტოვონ ნახევარი ნორმა ან საეზოვე მიწის ნაკვეთი. სთხოვს, რომ როცა სოფელში წავა, თან წაიღოს თავისი ძველი ტანისამოსი, რადგან ოჯახში დამხმარე ბიჭი ჰყავთ და გამოადგება. ინტერესდება, მიიღო თუ არა გალაკტიონმა მისი ჟურნალის მისამართზე აბესალომის მიერ გამოსაქვეყნებლად გაგზავნილი ორი პატარა ესკიზი.

➤4059

**1923**

**3 მაისი**

სრულიად საქართველოს მწერალთა ფედერაციის საბჭო შუამდგომლობს ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის წინაშე, რომ გალაკტიონ ტაბიძეს უფასოდ დაეთმოს ჟურნალის რედაქციის ფართი. შუამდგომლობაში ხაზგასმულია „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ პოზიტიური როლი ქართული პოეზიის აღორძინების პროცესში.

➤4060

**1923**

**7 მაისამდე**

დიმიტრი არაყიშვილი წერს მუსიკას გალაკტიონ ტაბიძის ლექსისთვის „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

➤4061

**1923**

**7 მაისი**

გაზეთი „პოეზიის დღე“ „მარუთა შუამდინარელის“ ფსევდონიმით აქვეყნებს იოსებ გრიშაშვილის სტატიას „პოეზიის ქრონიკები“, რომელშიც უარყოფით კონტექსტშია მოხსენიებული „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“. ნათქვამია, რომ აქ დაბეჭდილი ზოგიერთი მასალა საბავშვო ჟურნალისთვისაც კი სათაკილოა, დაწუნებულია ჟურნალის ტექნიკური მხარე და აღნიშნულია სარეკლამო განცხადებების სიუხვე.

➤4062

**1923**

**7 მაისამდე**

დავით კასრაძე რამდენიმე სხვა მწერალთან ერთად იწვევს ახლად დაარსებულ სალიტერატურო გაზეთში „მწვერვალი“ სათანამშრომლოდ და გალაკტიონი თანხმდება.

➤4063

**1923**

**7 მაისი**

გაზეთში „პოეზიის დღე“ იბეჭდება ცნობა იმის შესახებ, რომ ბათუმის ქართველ მწერალთა კავშირის თაოსნობით გამოვა ჟურნალი „მწვერვალები“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤4064

**1923**

**7 მაისი**

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი დღესასწაულობს ტრადიციულ „შვიდმაისობას“ და ხელოვანთა სასახლეში იმართება საღამო, რომელზეც დამსწრე საზოგადოება ისმენს ამ დღისთვის საგანგებოდ დაწერილ „პოეზიის ჰიმნს“. ტექსტი ეკუთვნის გალაკტიონ ტაბიძეს, მუსიკა კი – დიმიტრი არაყიშვილს. ჰიმნი იწვევს მსმენელთა აღფრთოვანებას და ითხოვენ მის განმეორებით შესრულებას. ლექსებს კითხულობენ გალაკტიონი და სხვა პოეტები.

➤4065

1923

8 მაისი

ლექსებს კითხულობს რუსთაველის თეატრში გამართულ დიდ ლიტერატურულ საღამოზე.

➤4066

1923

10 მაისი

გაზეთი „ტრიბუნა“ „ვ. ბუთ-ლის“ ფსევდონიმით ბეჭდავს ვანო ბუთლიაშვილის სტატიას „პოეზიის დღე“, რომელშიც საუბარია 7 მაისს ხელოვანთა სასახლეში გამართულ საღამოზე და ნახსენებია „პოეზიის ჰიმნი“, რომლის სიტყვები ეკუთვნის გალაკტიონს. ასევე, ნათქვამია, რომ მან, სხვა პოეტებთან ერთად, წაიკითხა ლექსები.

➤4067

1923

11 მაისი

გაზეთი „ტრიბუნა“ აქვეყნებს ბესარიონ ჟღენტის წერილს „პოეზიის დღე“, რომელშიც გაკიცხულნი არიან ცისფერყანწელები. ნათქვამია, რომ ისინი 2-3 წელი ეფარებოდნენ გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილის სახელებს.

➤4068

1923

13 მაისი

გაზეთში „ლომისი“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხელოვანთა სასახლეში გამართულ პოეზიის დღისადმი მიძღვნილ საღამოზე შესრულდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ დიმიტრი არაყიშვილის მიერ დაწერილი ჰიმნი.

➤4069

1923

20 მაისი

გაზეთი „ტრიბუნა“ აქვეყნებს ცნობას, რომ 5 ივნისს რუსთაველის თეატრში გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤4070

1923

23 მაისი

წერს ლექსს „შენ ემართლები მიმქრალ სახეებს“.

➤4071

1923

23 მაისი

წერს ლექსს „რა დროს რომანსეროა“.

➤4072

1923

**მაისი ან ადრე**

მწერალთა კავშირში გაიცნობს ლიდია მეგრელიძეს.

➤4073

1923

**მაისი**

წერს ლიდია მეგრელიძისადმი მიძღვნილ ლექსს „ელეგია (ლ. მ.)“.

➤4074

1923

**გაზაფხული**

ბათუმში სეირნობისას ხვდება ლეო თურქიას, რომელიც აცნობს ახალგაზრდა პარმენ ლორიას. ჭაბუკი აღფრთოვანებულია გალაკტიონის პოეზიით და ეუბნება, რომ ისიც „წერს და პოეტობს“. გალაკტიონი პარმენისთვის ხელის ჩამორთმევისას ზუსტად იმეორებს ამ სიტყვებს და დაამატებს: „წეროს, იპოეტოს“, რაც ახალგაზრდაში იმედგაცრუებას იწვევს.

➤4075

## ი ვ ნ ი ს ი

1923

**ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ტკბილად ეძინათ საქართველოში“.

➤4076

1923

**ივნისის დასაწყისი ან შემდეგ**

ფურცელზე იწერს თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის საიუბილეოდ რა აქვს გასაკეთებელი ტექნიკურ კომისიას: დასაბეჭდია ბროშურა და ღია ბარათები, გაზეთებში „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“, „ტრიბუნა“, „მუშა“, „ლომისი“ და „რუბიკონი“ გამოსაქვეყნებელია განცხადებები, დასაბეჭდი და გასაკვრელია აფიშები და სხვ.

➤4077

1923

**3 ივნისი**

ესწრება საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომელზეც განიხილავენ „ქართულ კლუბში“ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს გამართვის საკითხს. ღონისძიების ჩასატარებლად ნებართვის აღებას ავალებენ მას და ვარლამ რუხაძეს.

➤4078

1923

**10 ივნისი**

ქუთაისში ტარდება გალაკტიონ ტაბიძის პოეტური მოღვაწეობის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც ვანიონ დარასელი ხსნის. დია ჩიანელი მიმოიხილავს პოეტის თხუთმეტწლიან შემოქმედებით გზას და ყურადღებას გალაკტიონისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიების მსგავსებაზე ამახვილებს. გალაკტიონს სიტყვით მიმართავს ია ეკალაძე, გიორგი ქუჩიშვილი კითხულობს მისდამი მიძღვნილ ლექსს და ესალმებიან ქუთაისელი მოსწავლეები.

➤4079

1923

**10 ივნისი**

გაზეთი „ტრიბუნა“ აქვეყნებს გალაკტიონთან დაკავშირებულ ორ განცხადებას. ერთში ნათქვამია, რომ კვირას, 17 ივნისს, რუსთაველის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, ამავე გაზეთის მესამე გვერდზე კი არის საღამოს მომწყობი კომისიის განცხადება, რომელშიც გალაკტიონი, როგორც პოეტი, ეპოქალურ მოვლენადაა გამოცხადებული და ნათქვამია, რომ მისნაირი ხელოვანი საუკუნეში ერთი თუ დაიბადება.

➤4080

1923

### 10 ივნისის შემდეგ

ხვდება ტერენტი გრანელსა და დავით კობიძეს. მეგობრებს სურვილი აქვთ, რომ აღნიშნონ გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის იუბილე, მაგრამ ფული არ აქვთ. ტერენტი იქვე ქუჩაში ამოარჩევს კეთილი შესახედაობის მდიდარ უცნობს და ფულს სთხოვს.

➤4081

1923

### 15 ივნისი

ესწრება საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომელზეც განიხილავენ „ზარია ვოსტოკას“ პუბლიკაციას გალაკტიონ ტაბიძის იუბილესთან დაკავშირებით. აღნიშნავენ, რომ გაზეთის „ახალ ამბებში“ მოთავსებული ცნობა, თითქოს საბჭო მოღვაწეობის 15 წლის იუბილეს უმართავს გალაკტიონ ტაბიძეს, გაუგებრობას იწვევს წევრთა შორის. იღებენ გადაწყვეტილებას, მისწერონ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას, რომ ეს ინფორმაცია სინამდვილეს მოკლებულია.

➤4082

1923

### 17 ივნისი

რუსთაველის თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. იმდენი ხალხი მოდის, რომ ბილეთები აღარ ჰყოფნით და ხალხის ნაწილი ეზოში ელის საღამოს დასრულებას, რათა თეატრიდან გამოსულ პოეტს თავისი სიყვარული და აღტაცება გაუმჟღავნოს. გუნდი ასრულებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ დიმიტრი არაყიშვილის მიერ დაწერილ ჰიმნს. დავით კობიძესა და ტერენტი გრანელს პარტერში პირველი რიგის ბილეთები აქვთ. თანხმდებიან, რომ საღამოს შემდეგ თეატრის წინ მდებარე ჭადართან შეხვდნენ ერთმანეთს, ცოტა წაიპურმარილონ და საღამოს შთაბეჭდილებები ერთმანეთს გაუზიარონ. კობიძეს უკვირს, გალაკტიონს ტერენტი დივერტისმენტში მიწვეული რომ არ ჰყავს, მაგრამ არაფერს ამბობს. საღამოს დასასრულს იუბილარი კითხულობს ლექსს „მერი“ და კობიძე ამჩნევს როგორ უთრთის მღელვარებისგან მუხლები. საღამოს დასრულების შემდეგ მეგობრები დათქმულ ადგილზე დგანან და ხედავენ როგორ დინჯად გამოდის გალაკტიონი ულამაზეს გოგონასთან ერთად თეატრიდან. გოგონას ხელში „არტისტული ყვავილები“ უჭირავს და პოეტს გატაცებით ესაუბრება. მეგობრები ფიქრობენ, რომ გალაკტიონს ახლა მათი შეხვედრისთვის არ სცალია და წასვლას აპირებენ, მაგრამ იგი შორიახლო ემშვიდობება ქალიშვილს და მეგობრებს უერთდება. შემდეგ ბაასსა და ქეიფში თავზე ათენდებათ.

➤4083

1923

### 17 ივნისი

გაზეთი „ტრიბუნა“ ბეჭდავს ვასილ პატარაიას ლექსს „ანთებული სინაზე“ (ძღვნად გ. ტაბიძეს).

➤4084

1923

**20 ივნისი**

გაზეთი „ტრიბუნა“ ბეჭდავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მოკლე ხანში ხელოვანთა სასახლეში გაიმართება ტერენტი გრანელის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.  
➤4085

1923

**21 ივნისი**

წერილს იღებს ძმისგან, აბესალომ ტაბიძისაგან, რომელიც ულოცავს სამწერლო მოღვაწეობის მეთხუთმეტე წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობასა და წინსვლას. ატყობინებს, რომ უამბეს მისი საიუბილეო საღამოს შესახებ.  
➤4086

**ი ვ ლ ი ს ი**

1923

**28 ივლისი**

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება სოხუმის ქართული კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგის წერილი იმის შესახებ, რომ გამოწერილ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და მათ შორის „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალს“ დაგვიანებით იღებენ.  
➤4087

**ა გ ვ ი ს ტ ო**

1923

**12 აგვისტომდე**

წერს ლექსს „ცისფერი“.  
➤4088

1923

**12 აგვისტომდე**

წერს ლექსს „გრიგალი“.  
➤4089

1923

**12 აგვისტო**

გამოდის „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეცხრე ნომერი, რომელშიც იბეჭდება მისი ლექსი: „გრიგალი“ (ბათომი, 1923 წ.)“ და ფსევდონიმით „№ № – ლექსი „ცისფერი“ და ფელეტონი „სახელმწიფო გამომცემლობა“.  
➤4090

1923

**12 აგვისტო**

„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეცხრე ნომერში № №-ის ხელმოწერით იბეჭდება მისი სტატია „სახელგამომცემლობა“, რომელშიც უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ თბილისი და, ზოგადად, საქართველო მოფენილია რუსული წიგნებით, ხოლო ქართული წიგნი იმდენად ცოტაა, რომ არც კი ჩანს ბაზარზე. ამას გარდა, პოეტი წუხს, რომ სახელმწიფო გამომცემლობის წიგნები დროსთან შეუსაბამოდაა დასტამბული.  
➤4091

1923

**12 აგვისტოს შემდეგ**

ადგენს განცხადების ტექსტს სათაურით „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, რომელშიც აღნიშნავს, რომ უკვე გამოვიდა ჟურნალის ცხრა ნომერი, რედაქციაში მეცხრე ნომრის მხოლოდ რამდენიმე ცალია დარჩენილი და, ფაქტობრივად, უკვე მზადაა მეათე ნომერიც, რომელიც უფრო დიდი იქნება მოცულობით (126 გვერდი) და ამასთანავე დასურათებული. ჟურნალი ეღირება 500.000 მანეთი და მკითხველთა მხრიდან გამოვლენილი განსაკუთრებული ინტერესის გამო დაიბეჭდება 10.000-იანი ტირაჟით.

➤4092

1923

29 აგვისტო

იღებს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოსა და ამავე კავშირის წევრობის დამადასტურებელ მანდატს.

➤4093

1923

ზაფხული

ბაკურიანში ხვდება გრიგოლ ორაგველიძეს, მაგრამ თბილისში წამოსვლისას ვედარ ნახულობს და უტოვებს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეცხრე ნომერს.

➤4094

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1923

1 სექტემბრის შემდეგ

წერილს იღებს გრიგოლ ორაგველიძისგან. მადლობას უხდის „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეცხრე ნომრის დატოვებისთვის. სწერს, რომ მისი ლექსი „გრიგალი“ შედეგია და წერილიც „სახელგამომცემლობა“ მარგალიტივითაა, მაგრამ სხვების მასალები კი სუსტი და უაზროა. წერს, რომ გალაკტიონსა და სხვა ავტორებს შორის ისეთივე დიდი სხვაობაა, როგორც ცასა და დედამიწას, ალექსანდრ პუშკინსა და ნესტორ კუკოლნიკს შორის და ამიტომ ურჩევს, რომ გაემიჯნოს მათ. ფიქრობს რომ გალაკტიონმა ახალგაზრდებში უნდა ეძიოს ნიჭიერები. სწერს, რომ წაღვერში შეხვედრისას იოსებ გრიშაშვილმა სთხოვა მისი ჟურნალი, მაგრამ ვერ მისცა, რადგან მას აღარ დარჩებოდა. სთხოვს თბილისიდან ახალგამოსული საინტერესო წიგნების გაგზავნას და ჰპირდება, რომ თანხას მაშინვე გაუგზავნის.

➤4095

1923

1 სექტემბერი ან შემდეგ

იღებს გრიგოლ გორგაძის მიერ 1 სექტემბერს გაგზავნილ წერილს, რომელშიც ადრესანტი უზიარებს შთაბეჭდილებებს ბათუმში 12 აგვისტოს გამოქვეყნებული „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეცხრე ნომრის შესახებ.

➤4096

1923

1 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არის მორგანი, როკფელლერი...“.

➤4097

1923

20 სექტემბერი

გაზეთის „მწვერვალი“ რედაქტორი დავით კასრაძე გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მის მიერ შესყიდული მასალები

გალაკტიონ ტაბიძემ და სხვა ავტორებმა მასთან შეთანხმების გარეშე სხვა პერიოდულ გამოცემებში გამოაქვეყნეს.

➤4098

## ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

1923

### 22 ოქტომბერი

ესწრება საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომელზეც ირჩევენ საგამომცემლო კომისიის წევრად.

➤4099

1923

### 23 ოქტომბერი

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება ანონსი, რომ გამოვა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეათე ნომერი, რომელიც იქნება დიდი ფორმატის, დასურათებული, ელირება 500 000 მანეთი და დაიბეჭდება 10 000 ტირაჟით.

➤4100

1923

### 25 ოქტომბერი

სხვა მწერლებთან ერთად თხოვნით მიმართავს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს, რათა აღიძრას შუამდგომლობა ქალაქის უძრავ ქონებათა სამმართველოს წინაშე უბინაო მწერლებისათვის ერთი საცხოვრებელი სახლის გამოყოფის შესახებ.

➤4101

1923

### 27 ოქტომბერი

ესწრება მწერალთა მეხუთე გამაერთიანებელ კონფერენციას, რომელზეც ირჩევენ მწერალთა საბჭოსა და საგამომცემლო-საჟურნალო სექციის წევრად.

➤4102

1923

### 28 ოქტომბერი

ესწრება საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, რომელზეც განიხილავენ ალმანახის გამოცემის საკითხს და ირჩევენ სარედაქციო კომისიის წევრად.

➤4103

## ნ ო ე მ ბ ე რ ი

1923

### 1 ნოემბერი

განცხადებით მიმართავს ქალაქის უძრავ ქონებათა სამმართველოს და ითხოვს, რომ მას, როგორც უბინაოს, ქალაქის ცენტრში საცხოვრებლად გამოუყონ ერთი ოთახი.

➤4104

1923

### 7 ნოემბერი

ჟურნალი „დროშა“ მკითხველებს აუწყებს, რომ იანვრიდან „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ ახალი შემადგენლობითა და შინაარსით გამოიცემა.

➤4105

1923

### 9 ნოემბერი



გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება განცხადება, რომ კვირას, 11 ნოემბერს, რუსთაველის თეატრის საინსტიტუტო დარბაზში გაიმართება ტერენტი გრანელის სადამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤4106

**1923**

**11 ნოემბერი**

გაზეთში „ტრიბუნა“ იბეჭდება განცხადება, რომ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“ იანვრიდან ახალი შემადგენლობითა და შინაარსით გამოვა.

➤4107

## დეკემბერი

**1923**

**4 დეკემბერი**

ეკატერინე გაბაშვილი უბის წიგნაკში უწერს, რომ აღფრთოვანებულია მისი ნიჭითა და ოსტატობით.

➤4108

**1923**

**დეკემბერი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ო, შენს გარეშე...“

➤4109

**1922-1923**

თბილისში, მწერალთა სასახლის ბაღში იღებენ ვიდეოფირზე.

➤4110

**1923**

ჟურნალში „კოლხეთი“ იბეჭდება ვასილ წერეთლის წერილი „ძველი და ახალი (გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის მიმოხილვა)“, რომელშიც ნათქვამია, რომ გალაკტიონის ჟურნალი არ ღირს იმ შრომად და ქაღალდად, რომელიც იხარჯება. ამ გამოცემაში დაბეჭდილ გალაკტიონის „ეფემერასა“ და „ისევ ეფემერას“ რეცენზიის ავტორი უარყოფითად აფასებს, არ მოსწონს პირველის მანერულობა და მეორის ტექნიკა.

➤4111

**1923**

წერს ლექსს „სულ მალე“.

➤4112

**1923**

ჩანაწერს აკეთებს თანამედროვე მწერლებთან მისი ურთიერთობის შესახებ. აღნიშნავს, რომ იოსებ გრიშაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, პაოლო იაშვილთან და გრიგოლ რობაქიძესთან მისი ურთიერთობა გაუმჯობესდა. განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ლეო ქიაჩელთან, რომელიც ლექციის მომზადებას აპირებს მისი შემოქმედებების შესახებ. იქვე აღნიშნავს იმასაც, რომ კონსტანტინე გამსახურდია გენიოსს უწოდებს.

➤4113

**1923**

წერს უსათაურო ლექსს „მთელი დღე ვგრძნობდი...“.

➤4114

**1923**

ვარდისუბნის ქუჩაზე ხშირად სტუმრობს არნო ონელს.

➤4115

**1923**

წერს ლექსს „მოგვეკონდა მკრთალი პასტორალები...“.

➤4116

**1923**

წერს უსათაურო ლექსს „წელიწადის ნაზო დროო, ნაადრევო შემოდგომა...“

➤4117

**1923**

წერს უსათაურო ლექსს „რა სიჩუმეა, შორით შორს...“

➤4118

**1923**

წერს ლექსს „გამოფხიზლება“.

➤4119

**1923**

წერს ლექსს „მშვიდობიანი“.

➤4120

**1923**

წერს უსათაურო ლექსს „არ მოხერხდება, განა...“

➤4121

**1923 ბოლო 1924 დასაწყისი**

თავის შემოქმედებით სადამოებზე აკომპანიატორად ხშირად იწვევს ანდრია ბალანჩივაძეს.

➤4122

**1923**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში იმართება გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 15 წლისთავის საიუბილეო საღამო.

➤4123

**1923**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 15 წლისთავის საიუბილეო საღამოზე შიო მღვიმელი უძღვნის უსათაურო ლექსს „როცა ვმდერი ყვავილთათვის...“.

➤4124

**1923**

შიო მღვიმელი უძღვნის ლექსს „გალაქტიონ ტაბიძეს“ („გალაქტიონ, იცი კარგად...“).

➤4125

**1923 ან შემდეგ**

რუბრიკით „პატარა ფელეტონი“ წერს ლექსს „ხელოვნება“ („იმედაშვილს უპარტო ხელოვნების მოაქვს დროშა...“).

➤4126

### 1923 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გასწი! მე მესმის შენი წუხილი...“.

➤4127

### 1923 ან შემდეგ

წერს ლექსს „ზღვაზე“ („ძლივს მოსჩანს...“).

➤4128

### 1923 ან შემდეგ

წერს ეპიგრამებს „გამარჯვებათ... აბა ყველამ დამიკარით ერთხმად ტაში...“.

➤4129

### 1923 ან შემდეგ

თარგმნის მცირე მონაკვეთს გერმანელი ფილოსოფოსის ოსვალდ შპენგლერის ნაშრომიდან „ლირიკის ფილოსოფია“.

➤4130

### 1923 ან შემდეგ

კითხულობს კორნეი ჩუკოვსკის წიგნს „მომავალი დემოკრატიის პოეზია“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤4131

### 1923 ან შემდეგ

იწყებს ღია წერილის წერას რევოლუციონერისა და თანამდებობის პირის – ლადო სუხიშვილის სახელზე.

➤4132

## 1924

### ი ა ნ ვ ა რ ი

#### 1924

##### 16 იანვრამდე

კითხულობს გრიგოლ ცეცხლამის ლექსს „პოეტის ყეფა“. ტექსტში ნახსენები ფრაზა „სისულელეა მიმართვა: თქვენ, ცის თავანებო, მთაწმინდავ, მადათოვო!..“, რატომღაც მის წინააღმდეგ გალაშქრებად ეჩვენება. ამაზე განაწყენებული ერთვება რუსთაველზე მიმავალი, ნასვამი პოეტი ახალგაზრდა ფუტურისტებისა და გრიგოლ ცეცხლამის კამათში და უპირისპირდება ამ უკანასკნელს. გრიგოლი ჯერ ხუმრობით ცდილობს გალაკტიონთან კონფლიქტის არიდებას, შემდეგ ასევე ხუმრობით სთავაზობს დავის ფიზიკური ორთაბრძოლით გადაწყვეტას. გალაკტიონი თანხმდება. ახალგაზრდა ფუტურისტები სეირის მოლოდინში არიან. გალაკტიონი პიჯაკს იხდის და საჩხუბრად ემზადება, ასევე, მკლავებს იკაპიწებს გრიგოლი, თუმცა როცა მეგობარს უახლოვდება, სიცილით ეუბნება: „ტოროლას მაინც არ მოგვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალიო“ და გარტყმის მაგივრად შესარიგებლად უწვდის ხელს. გალაკტიონი ოდნავ ყოყმანობს, შემდეგ კი საერთო ხარხარში მეგობრები ერთმანეთს გადაეხვევიან და რიგდებიან.

➤4133

#### 1924

##### 19 იანვარი

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო თხოვნით მიმართავს თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმს, რომ ბინით უზრუნველყოფაში დაეხმაროს გალაკტიონ ტაბიძეს, რომელიც უბინაოდაა და ზამთრის ცივ ღამეებში ლამის ქუჩაში უხდება დარჩენა.

➤4134

1924

იანვარი

გაზეთში „ქართული სიტყვა“ იბეჭდება ვარლამ რუხაძის „კრიტიკული შენიშვნები“, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძე მოხსენიებულია ერთ-ერთ იმ პოეტად, რომელმაც მეოცე საუკუნის დასაწყისში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ქართული პოეზიის განახლების პროცესში.

➤4135

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1924

თებერვლამდე

წერს ლექსს „მღვრიე ქარი“ („თოვლის მხარე, ნისლიანი მთა და ბარი...“).

➤4136

1924

თებერვლამდე

წერს ლექსს „იტალიანური შობის ხე ტრიპოლისში“ („მოდის ახალი წელი...“).

➤4137

1924

თებერვლამდე

წერს ლექსს „ქარი ამწევი ფარდის“ („სიკვდილის პირას ოდეს ვიქნები...“).

➤4138

1924

თებერვლამდე

წერს ლექსს „ზღვა იყო წყნარი“ („აგვისტო თბილი...“).

➤4139

1924

თებერვლამდე

წერს ლექსს „ქარი მოგონებათა“ („არა ერთი და ორი...“).

➤4140

1924

თებერვლამდე

წერს ლექსს „ქიმიურ საგნებთან“ („მე არ მოვდივარ ქალაქის ჰაერიდან...“).

➤4141

1924

თებერვალი ან ადრე

წერს ლექსს „იტალიანური შობის ხე ტრიპოლისში“.

➤4142

1924

თებერვალი ან ადრე

უმის წიგნაკში იწერს შემზარავ ისტორიას იმის შესახებ, რომ 1919 წელს ახალ წელს იტალიელი კოლონიზატორების წინააღმდეგ აჯანყებულმა ლიბიელებმა იტალიელთა ცხედრები პალმის ხეზე ნაძვის ხესავით ჩამოჰკიდეს.

➤4143

1924

25 აპრილი

ჟურნალის „მნათობი“ მეორე ნომერში ერთ ციკლად, საერთო სათაურით „ქარი“, იბეჭდება ლექსები: „მღვრიე ქარი“, „ქარი არხევდა იტალიანურ შობის ხეს ტრიპოლისში“, „ქარი, მსოფლიო ომის მაუწყებელი“, „ქარი ამწევი ფარდის“, „ქარი მოგონებათა“, „ქიმიურ საგნებთან“. თავის მხრივ, „ქარი მოგონებათა“ სამნაწილიანია და აერთიანებს ლექსებს: „ავვისტო თბილი, სამხრეთის ქარი“, „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“ და „არა ერთი და ორი“.

➤4144

## მ ა რ ტ ი

1924

მარტამდე

წერს ლექსს „ეფემერა“ („ცეცხლმოდებული დღეა მკათათვის...“).

➤4145

1924

9 მარტის შემდეგ

წერს ლექსს „უკანასკნელი თანამგზავრი“ („გადაქცეული მწარე გრძნობებად...“).

➤4146

1924

21 მარტი

მხატვარი დავით გველესიანი ფანქრით ხატავს მის პორტრეტს ანფასით და ყელზე დიდი ბაფთით.

➤4147

1924

24 მარტი

განცხადებით მიმართავს განათლების კომისარს, რომ უშუამდგომლონ საქართველოს უმაღლესი მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარესთან და გაუხსნან კრედიტი ტანისამოსისა და ფეხსაცმლის მისაღებად.

➤4148

## ა პ რ ი ლ ი

1924

6 აპრილი

გაზეთში „ქართული სიტყვა“ იბეჭდება არჩილ ჯაჯანაშვილის „კრიტიკული შენიშვნები“. ავტორი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ გამოცემული არ არის გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა სრული კრებული.

➤4149

## მ ა ი ს ი

1924

15 მაისის შემდეგ

წერილს იღებს ძმისგან, აბესალომ ტაბიძისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ დედა სუსტადაა და მოუთმენლად ელის მის ნახვას. საყვედურობს იმის გამო, რომ დიდი ხანია არ მიუწერია და ოთხი წელია, რაც ჭყვიშში არ ყოფილა.

➤4150

1924

25 მაისი

თხოვნით მიმართავს ხელოვნების მუშაკთა კავშირის სამდივნოს, რომ მისცენ ერთი ოთახი მათ განკარგულებაში არსებულ რომელიმე სახლში.

➤4151

## ი ვ ნ ი ს ი

1924

1 ივნისი

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ მკითხველს აუწყებს, რომ ოთხშაბათს, 11 ივნისს, გაიმართება ამ ჟურნალის სადამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤4152

1924

12 ივნისი

გადაამუშავებს ლექსს „ეფემერა“ და არქმევს „აღმოსავლეთი“.

➤4153

1924

22 ივნისი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „აღმოსავლეთი“ და ფსევდონიმით №№ მისივე რეცენზია „კონსტანტინე ჭიჭინაძე – „რჩეული ლექსები“.

➤4154

1924

23 ივნისი

წერილს სწერს ოლია ოკუჯავას. აღშფოთებულია იმით, რომ ხელოვანთა სასახლეში დაუდევრად ექცევიან. მიუხედავად იმისა, რომ აღარა აქვთ ჟურნალები „კავკასიონი“ და „ქართული სიტყვა“, მაინც ახერხებენ მასთან დაპირისპირებას. დარწმუნებულია, რომ დადგა მწვავე, შეურიგებელი ბრძოლის დრო. მადლობას უხდის ოლიას იმისთვის, რომ თავისი მხარდაჭერით ამხნევებდა.

➤4155

## ი ვ ლ ი ს ი

1924

4 ივლისი

ჟურნალი „H2SO4“ აქვეყნებს წერილს, რომელშიც უარყოფით კონტექსტში არიან მოხსენიებული გალაკტიონი, ტიცთან ტაბიძე და იოსებ გრიშაშვილი. ასევე ნათქვამია, რომ პირველ ეტაპზე ცისფერყანწელები ეფარებოდნენ გალაკტიონისა და გრიშაშვილის სახელებს.

➤4156

1924

7 ივლისამდე

აპირებს დაიწყოს მუშაობა პოემაზე „ჯონ რიდი“ და ფურცელზე ინიშნავს ნაწარმოების გეგმას.

➤4157

1924

7 ივლისი

ასრულებს მუშაობას პოემაზე „ჯონ რიდი“.

➤4158

1924

**7 ივლისი ან შემდეგ**

პოემა „ჯონ რიდი“, რომელზე მუშაობაც ცოტა ხნის წინ დაასრულა, მიაქვს ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში გამოსაქვეყნებლად.

➤4159

1924

**18 ივლისამდე**

იწყებს თავისი წიგნის გადაწერას, აპირებს, რომ პირველი აგვისტოდან შეუდგეს ბეჭდვას და დაამთავროს 15-ში.

➤4160

1924

**18 ივლისამდე**

იგებს, რომ ჟურნალი „მნათობი“, რომელშიც ქვეყნდება მისი პოემა „ჯონ რიდი“ უკვე დაბეჭდილია და უახლოეს დღეებში გამოვა.

➤4161

1924

**18 ივლისამდე**

ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში, სადაც იმჟამად მუშაობს გალაკტიონი, ცვლილებებია. ვალია ბახტაძემ რამდენიმე ფუტურისტი მიიწვია სარედაქციო კოლეგიის წევრებად. მართალია, გალაკტიონს სამსახურის დაკარგვა არ ემუქრება, მაგრამ შიშობს, რომ ეს ახალი ხალხი საქმეს არევეს.

➤4162

1924

**18 ივლისამდე**

იღებს შვებულების ფულს და მის ნაწილს აძლევს ოლიას დას – მანიას, ზეწრისა და სხვა რაღაცების საყიდლად.

➤4163

1924

**18 ივლისამდე**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ბორჯომის სანატორიუმიდან გაგზავნილ წერილს. აცნობებს, რომ ავადმყოფობის გამო ვერ გადაამოწმა, მაგრამ გალაკტიონისთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ორი-სამი ღამის გათევა ოლიას სანატორიუმში. სწერს, რომ ბორჯომში არიან პეტრე ურუშაძე და მოხუცი აკოფიანი ქალიშვილთან ერთად. სთავაზობს, გაიაროს სამედიცინო კომისია, რადგან 5-6 დღეში თბილისიდან ბორჯომისკენ მიდის სანიტარული მატარებელი და შეეძლება მას გაჰყვეს. სთხოვს, მისიანებთან შეიაროს და გაუგოს, როგორ არის დედამისი, რომელიც შეუძლოდ დატოვა.

➤4164

1924

**18 ივლისამდე**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ბორჯომის სანატორიუმიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი უყვება წინა ღამის საშინელი ამინდის, ქარიშხლისა და თავსხმა წვიმის შესახებ, რომელმაც არ დააძინა. სთხოვს, დაწვრილებით გააგებინოს, როგორ არიან მისი ოჯახის წევრები და, როცა გალაკტიონი ჩასვლას გადაწყვეტს, წინასწარ მისწეროს. ურჩევს, აუცილებლად იქონიოს თბილი

მოსაცმელი, გზაში შავი პერანგი ჩაიცვას, თეთრი კი გამოსაცვლელად წაიღოს. ინტერესდება, როდის ეწყება შვებულეა.

➤4165

1924

18 ივლისი

სასწრაფოდ უხდება კოჯორში გამგზავრება, სადაც ეუბნებიან, რომ მისი ცოლისძმა, მიხეილ ოკუჯავა დანიშნეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად.

➤4166

1924

18 ივლისი

თბილისიდან ბორჯომში წერილს სწერს ოლია ოკუჯავას ატყობინებს, რომ მისიანები კარგად არიან, დედა თანდათან მომჯობინდა, ძმის – მიხეილ ოკუჯავას შესახებაც ამბობენ, რომ ერთ თვეში სრულიად გამოჯანმრთელდება. ბოდიშს უხდის, რომ ბორჯომში ვერ ჩააკითხა საქმეების გამო. სწერს, რომ თუ მის გვერდით ოთახი გათავისუფლდება, თავად იქირავებს. სთხოვს, თუ ფული დასჭირდება, შეატყობინოს.

➤4167

1924

18 ივლისის შემდეგ

წერილს იღებს ქუთაისში მასწავლებლებისა და გამგეების გადამზადების კურსებზე მყოფი ძმისგან. აბესალომი ატყობინებს, რომ იძულებული გახდა ამ ერთთვიან კურსებზე ქუთაისში წასულიყო და დედა სოფელში მარტო დაეტოვებინა. სთხოვს ჩავიდეს და ერთი-ორი კვირით მაინც დარჩეს მასთან.

➤4168

1924

20 ივლისი

ოლია ოკუჯავასთან გასაგზავნ 18 ივლისის წერილს მიაწერს ახალ ინფორმაციას: ატყობინებს, რომ ადრესატის ძმა, მიხეილი, დანიშნეს კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად.

➤4169

1924

23 ივლისი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება პოემა „ჯონ რიდი“.

➤4170

1924

24 ივლისი

გაზეთში „კომუნისტი“ ფსევდონიმით „გურული“ იბეჭდება ჟურნალ „მნათობის“ მესამე ნომრის მიმოხილვა, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „აღმოსავლეთი“ შესახებ ნათქვამია, რომ ის წარმოადგენს სიახლეს როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ.

➤4171

## ა გ ვ ი ს ტ ო

1924

აგვისტო

დავით კობიძე ჩუქნის თავის წიგნს „ლითონის ფრინველები“ წარწერით: „გალაქტიონს. დავით კობიძე“.

➤4172



1924

**აგვისტო ან შემდეგ**

დავით კობიძის ნაჩუქარ წიგნში „ლითონის ფრინველები“ ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს და სიტყვებს უსადაგებს რითმებს: „ეცემა – სიმხეცემა, მაჯის – ქაჯი, ეცხელება – გახელება, შრიალია – შეალია, ზანზარი – ხანძარი, ფარფატით – შარბათით, ატამი – ადამი, ციდან – წმინდან, გადარია – შესადარია, კივის – სხივი, ათოვს – მნათობს, არღანი – ჭარხალი...“.

➤4173

1924

**30 აგვისტოს შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მოწმეა რბევის და თარეშის ხვადგურის“.

➤4174

1924

**აგვისტო ან შემდეგ**

წერს ლექსს „ჩასძინებოდათ არწივებს“.

➤4175

**ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი**

1924

**4 სექტემბერი**

წერს ლექსს „მაინც დავიმსახურე“.

➤4176

1924

**13 სექტემბერი**

გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ კვირას, 14 სექტემბერს, ლენინის სახელობის კლუბში გაიმართება პროლეტარული პოეზიის საღამო, რომელშიც სხვა პოეტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤4177

1924

**24 სექტემბრამდე**

მუშაობს აგვისტოს აჯანყებისადმი მიძღვნილ ანტისაბჭოთა შინაარსის პოემაზე „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, წერს ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებს.

➤4178

1924

**24 სექტემბერი**

გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს განცხადებას, რომ მალე გასაყიდად გამოვა ჟურნალ „მნათობის“ მეხუთე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“.

➤4179

1924

**24 სექტემბრის შემდეგ**

ჟურნალის „მნათობი“ ახალი, მეხუთე ნომერი იხსნება გალაკტიონის ანტისაბჭოთა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისადმი მიძღვნილი პოემით „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“.

➤4180

1924

### 24 სექტემბრის შემდეგ

1924 წლის აგვისტოს აჯანყებისადმი მიძღვნილი, ანტისაბჭოთა შინაარსის პოემის „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ ჟურნალში „მნათობი“ პუბლიკაციის გამო გალაკტიონ ტაბიძეს აპატიმრებენ, გადაჰყავთ მეტეხის ციხეში და ჟურნალის თითქმის მთელი ტირაჟიდან ჭრიან იმ გვერდებს, რომლებზეც ეს პოემაა დაბეჭდილი.

➤4181

1924

### სექტემბრის ბოლო

ოლია ოკუჯავას ძმების მიერ საქმეში შინაგან საქმეთა კომისარიატის უფროსის, კოტე ცინცაძის, ჩარევის შედეგად პატიმრობიდან ათავისუფლებენ.

➤4182

1924

### სექტემბერი

იმის გამო, რომ არ ეძლევა საშუალება, მონაწილეობა მიიღოს ჟურნალის „კავკასიონი“ საქმეებში და მისი შეთავაზებები უყურადღებოდ რჩება, ტოვებს ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას.

➤4183

## ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

1924

### 5 ოქტომბრამდე

ლიტერატურისა და გამომცემლობების საკითხების მთავარი სამმართველო – „მთავლიტი“ ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის „ჯონ რიდის“ დასაბეჭდად გადაცემას და იწყება წიგნის გამოცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤4184

1924

### 5 ოქტომბრამდე

ირაკლი გამრეკელი ამზადებს წიგნის ყდის გაფორმებას გალაკტიონის წიგნისთვის „ჯონ-რიდი“.

➤4185

1924

### 5 ოქტომბერი

გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს ცნობას, რომ იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა გალაკტიონ ტაბიძის ახალი პოემა „ჯონ რიდი“.

➤4186

1924

### 5 ოქტომბრის შემდეგ

ცალკე წიგნად გამოდის გალაკტიონ ტაბიძის პოემა „ჯონ რიდი“.

➤4187

1924

### 8 ოქტომბერი

წერს ლექსს „მსოფლიო ორკესტრი“, რომელსაც ერთ-ერთ ავტოგრაფში ეპიგრაფად წარუმიძღვარებს ფრაზებს ლენინის სიტყვებიდან: „ბრწყინვალე გამარჯვება... ძღვევამოსილება... წელი მეტად მდიდარი ისტორიული ამბებით... გიგანტიური დაპყრობა...“.

➤4188

1924

**9 ოქტომბერი**

ჟურნალის „მნათობი“ რედაქციაში ყოფნისას შეიტყობს ვალერი ბრიუსოვის გარდაცვალების ამბავს.

➤4189

1924

**9 ოქტომბრის შემდეგ**

წერს ლექსს „უკანასკნელი დეპეშა“ („დეპეშას მოაქვს ცნობა მისი გარდაცვალების...“).

➤4190

1924

**9 ოქტომბრის შემდეგ**

წერს ლექსს „ვალერი ბრიუსოვის ხსოვნას“ („მოაქვს დეპეშებს შავი სვეტებით...“).

➤4191

**ნოემბერი**

1924

**6 ნოემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „1917“ („ეს ლექსი ხანას იგონებს ნეტარს...“). ამავე ნომერში რედაქციის განცხადებაა, რომ „მნათობში“, სხვებთან ერთად, თანამშრომლობს გალაკტიონ ტაბიძე.

➤4192

1924

**7 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ გამოვიდა „მნათობის“ მეექვსე ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „1917...“.

➤4193

1924

**11 ნოემბრამდე**

ვანო სარაჯიშვილთან ერთად ილხენს დუქანში. უცებ გრამაფონში გაისმის სარაჯიშვილის ხმა და მომღერალი თანამეინახეებს ეკითხება, თუ გამოიცნობთ, ვინ მღერისო. გალაკტიონი უსმენს მელოდიას და აკვირდება გასახმობად ჩამოკიდულ ტარანებს, რომლებიც ქარში ისე ირხევიან, თითქოს ცეკვავენ.

➤4194

1924

**11 ნოემბრამდე**

მომღერალ ვანო სარაჯიშვილთან და ჟურნალისტ დათიკო ჰავლიაშვილთან ერთად ილხენს რესტორან „კახეთიაში“ და მღერიან მრავალჯამიერს.

➤4195

1924

**შემოდგომა**

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური საორგანიზაციო კომიტეტი ნოე ჟორდანიას წერილობით ატყობინებს, რომ ბოლშევიკები სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ და პრესა ცენზურის წნეხში იმყოფება. ამის დასტურად წერილში ნახსენებია ფაქტი, როგორ

მოახდინეს ჟურნალ „მნათობის“ მეხუთე ნომრის სრული კონფისკაცია, რომელშიც დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“. წერილში აღნიშნულია, რომ ნაწარმოებში უცხოელი ხალხის მღელვარებაა აღწერილი, თუმცა ბოლშევიკებმა მასში საკუთარი თავი შეიცნეს და ამის გამო ავტორი დაპატიმრებული ჰყავდათ.

➤4196

## დეკემბერი

1924

### 7 დეკემბერი

ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ კრიპტონიმით „გ. ნ.“ იბეჭდება გიორგი ნათაძის სტატია „მნათობი №6“, რომელშიც ნათქვამია, რომ ლექსი „1917“ იმ ისტორიულ თარიღთან შედარებით, რომელსაც იგი ეძღვნება, სუსტი ნაწარმოებია.

➤4197

1924

### 21 დეკემბერი

გამოდის გაზეთი „ტერენტი გრანელი“, რომელშიც ნათქვამია, რომ სხვადასხვა მიზეზით არ დაიბეჭდა რამდენიმე წერილი, მათ შორის აპოლონ ქელბაქიანის: „გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი“.

➤4198

1924

### 25 დეკემბერი

წერს ლექსს სათაურით „ლექსი მომავალ ქიმიურ ომს“ („გულში იმავე გრძნობით ბრუნდება...“).

➤4199

1924

### 25 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ აქვეყნებს ლექსს „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ („გულში იმავე გრძნობით ბრუნდება...“).

➤4200

1924

### 31 დეკემბერი

ახალი წლის ღამეს წერს დამდეგი 1925 წლის სამოქმედო გეგმას და პერსპექტივებს. აღნიშნავს, რომ წარსულში მან გაიმარჯვა და მომავალიც უნდა იყოს მისი. წერს, რომ უნდა ებრძოლოს საკუთარ უმოქმედობას, ადარ უნდა დალიოს ღვინო, უნდა იმუშაოს თავგამეტებით და უნდა დაიწყოს მისი ცხოვრების გრანდიოზული ეპოპეა.

➤4201

1924

### 31 დეკემბრის შემდეგ

დეპეშას უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს და კითხულობს დედის ჯანმრთელობის მდგომარეობას.

➤4633

1926

29 დეკემბერი

მიხეილ ჯავახიშვილი ჩუქნის თავის წიგნს „თეთრი საყელო“ წარწერით: „დიდს პოეტს, გალაქტიონ ტაბიძეს ავტორისაგან“.

➤4634

1926

წერს ლექსს „ბორკილი“ („გაზაფხულია... არე-მიდამოს სიმწვანე ფარავს...“).

➤4635

1926

იწყებს ლექსის წერას სათაურით „საფლავის ქვაზე“ („მე ვინახულე საფლავი, ცრემლი დავდვარე და მერე...“ მაგრამ იქვე წყვეტს.

➤4636

1926

იწყებს ლექსის წერას სათაურით „თქვენ არ მომკვდარხართ“ („სძინავს ნიაგ-ქარს, სიო მიდამოს უამბობს ზღაპარს...“).

➤4637

1926

წერს ლექსს „ელექტრონის სადგურის გამოცდა მთაში“ („დასძარ, დროა, მზეა. ინჟინერია...“).

➤4638

1926

წერს ლექსს „მარსელიეზა“ („დე ისე დავჭკნე, როგორც საფლავზე...“).

➤4639

1926

წერს სათაურს „ლიბანის სანატორიუმის გახსნა“, მაგრამ ლექსის წერას აღარ აგრძელებს.

➤4640

1926

წერს ლექსს „ცელი კივის“.

➤4641

1926

წერს გიორგი ქუჩიშვილის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის 20 წლისთავის აღნიშვნაზე წარმოსათქმელი სიტყვის გეგმას და გამოსვლის ტექსტს.

➤4642

1926 ან შემდეგ

კითხულობს ბორის სიგალის ნაშრომს „მოქალაქეების – ივან და აგაფია მიტროხინოვების სასამართლო, რომლებმაც გამოიწვიეს მუშაკის ტუბერკულოზით დაავადება“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. მისთვის საინტერესოა, რომ სოფლიდან სტუდენტებს ჩააქვთ კახური არაყი, თავიანთ ბინებში ყიდიან იაფად და ამ თანხით განაგრძობენ უნივერსიტეტში სწავლას.

➤4643

1926 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ვასილი შულგინის წიგნისთვის „1920 წელი“ წამმდვარებული სერგეი პიონტკოვსკისეული წინასიტყვაობის ანალიზს.

➤4644

1926 ან შემდეგ

წერს დაწვრილებით გეგმას ლექსისთვის „ჯეკ ლონდონს რომ აქვს ერთი ამბავი...“ და გეგმას სათაურად აწერს „ასოთამწყობს ტფილისიდან მოაქვს პროკლამაციები“.

➤4645

1926 შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს საკუთარი შემოქმედების შესახებ. აღნიშნავს, რომ მისი პოეზიის მნიშვნელობაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტი: მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერის ნიკო მარის მიერ უკანასკნელ ხანს რუსულ ენაზე იაფეტური ენების შესახებ გამოქვეყნებულ ნაშრომში მოყვანილი ქართული მწერლობის ნიმუშები იწყება უძველესი თხზულებებით და სრულდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსებით.

➤4646

**1927-მდე**

წერს უსათაურო ლექსს „მე თვითონ ვიცი ჩემი ამბავი...“

➤4647

**1927**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1927**

**2 იანვრის შემდეგ**

წერილს იღებს ძმისგან, აბესალომ ტაბიძისაგან, რომელსაც აინტერესებს, ხომ არ შეფერხდა გალაკტიონის წიგნის ბეჭდვა, რადგან არც პრესაშია ამის შესახებ ინფორმაცია და არც თავად იწერება. ისევ წყენას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ გალაკტიონი არც წერილებს გზავნის და არც სოფელში ჩადის, მაგრამ სწერს, რომ ის, „ცხოვრებაში ბავშვი და აღმაფრენით კი დიდი პოეტი“ მაინც ყველაზე ძვირფასია თავისი ძმისთვის და დედისთვის, რომელსაც მისი სახელის ხსენებაზე თვალები უბრწყინავს, სახე უღიმის და სიამაყით ივსება. ატყობინებს, რომ თავისი სახლის მოწყობა ჯერ არ დაუმთავრებია და არ გადასულა. ამბერკი ჯულაყიდის ვალი – 1000 მანეთი უკვე სრულად დაფარა, ახლა კი პოლიკარპესთვის აქვს მისაცემი 200 მანეთი და ჩასასესხებლად ეძებს.

➤4648

**1927**

**3 იანვარი**

ლექსების რვეულს უბრუნებს იოსებ გოგომეს და სწერს, სწერს, რომ უბრუნებს ლექსების რვეულს, რომელსაც გულდასმით გაეცნო. ფიქრობს, რომ კარგი ლექსებია და მათ არავითარი სწორება არ სჭირდება, რადგან ეს უფრო დააზიანებს. ბოდიშს უხდის, რომ პასუხი დროულად ვერ დაუბრუნა.

➤4649

**1927**

**3 იანვრის შემდეგ**

მოკლე წერილს უგზავნის ვინმე სანდროს და აცნობებს, რომ გაეცნო იოსებ გოგომის ლექსების ორ რვეულს და ფიქრობს, რომ გამოქვეყნება შეიძლება, რადგან უსწავლელი კაცის პირობაზე კარგია და წერა-კითხვის პროპაგანდასაც შეუწყობს ხელს.

➤4650

**1927**

**19 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „ვით ძველი დროის არგონავტები...“.

➤4651

**1927**

**24 იანვრამდე**

პავლე საყვარელიძე წინააღმდეგობას უწევს გალაკტიონის წიგნის გამოცემას. გალაკტიონი გაკვირვებულია, რადგან რუსეთში ალექსანდრ ბლოკის, სერგეი ესენინისა და ნიკოლოზ გუმილიოვის ლექსები იბეჭდება. ფიქრობს, რომ ეს ამ პატარა ჩინოსნის მეტიჩრობაა. უკვირს, აკადემიკოსი ნიკო მარი მაფასებს, მთელი ქვეყანა მაფასებს და ეს პავლე საყვარელიძე ვინ არის, რომ თავისი ძალის დემონსტრირების მიზნით ამბობს, ეს წიგნი ქართულ ენაზე ვერ გამოვაო.

➤4652

1926

**24 იანვრამდე**

იბეჭდება გალაკტიონის ლექსების პირველი „რჩეული“, მაგრამ გასაყიდად არ გამოაქვთ, რადგან არა აქვს წინასიტყვაობა.

➤4653

1927

**24 იანვარი**

განცხადებით მიმართავს ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვით განყოფილებას. წერს, რომ დიდი ხანია დამთავრდა მისი წიგნის ბეჭდვა, მაგრამ გასაყიდად არ გამოდის წინასიტყვაობის არქონის გამო. რამდენადაც მოკლე ხანში კარგ წინასიტყვაობას ვერავინ დაწერს, ითხოვს, გასცენ განკარგულება, რომ წიგნი მის გარეშე გამოუშვან.

➤4654

1927

**24 იანვარი**

გალაკტიონ ტაბიძის განცხადებას მისი წიგნის წინასიტყვაობის გარეშე დაბეჭდვის თხოვნით, გრიგოლ მუშიშვილი ადებს რეზოლუციას ნიკოლო მიწიშვილის სახელზე: „წიგნი გაუშვით, წინასიტყვაობა შეიძლება მოიხსნას“.

➤4655

1927

**28 იანვარი**

გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს ცნობას, რომ, პარასკევს, 28 იანვარს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მუსიკალურ-ვოკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤4656

1927

**30 იანვარი**

გაზეთი „კომუნისტი“ ფსევდონიმით „ბო...“ აქვეყნებს მიმოხილვას „ლიტერატურული წელი (დისპუტი ხელოვნების სასახლეში)“. სტატიის მიხედვით, დისპუტის ერთ-ერთმა მონაწილემ – შალვა რადიანმა ისაუბრა „თანამგზავრობის“ პრობლემაზე ქართულ მწერლობაში და გალაკტიონ ტაბიძე მოიხსენია, როგორც „ლიტერატურულ დაჯგუფებათა გარეშე მდგომი“ თანამგზავრი.

➤4657

**თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი**

1927

**8 თებერვალი**

მწერალი და მთარგმნელი კოლაუ ჩერნიავესკი ჩუქნის თავის ახლახან გამოცემულ ლექსების კრებულს „წერილები“ (ლექსები) წარწერით: „ქართველ პოეტთა მეფეს. კოლაუ ჩერნიავესკი. 8 თებერვალი, 27“.

➤4658

1927

**13 თებერვალი**

ლამით ოლია ოკუჯავა დღიურში მიმართავს გალაკტიონს, რომ მასთან საუბარი უნდა. ალბომში სურათებს რომ ათვალეიერებდა, იპოვა მისი და გალაკტიონის ერთადერთი სურათი, რომელიც ძალიან უყვარდა, მაგრამ იქვე ნახა გალაკტიონისთვის ნაჩუქარი თავისი პორტრეტი და გაუკვირდა, რომ ის პოეტს მოგზაურობაში თან არ მიჰქონდა, ალბათ არ იყო მისთვის ძვირფასი.

➤4659

1927

**13 თებერვალი**

ღამით თბილისიდან მატარებლით მიდის ბათუმში, საიდანაც გემით უნდა გაემგზავროს სოხუმში დასასვენებელ სახლში რეაბილიტაციისთვის. თბილი ტანსაცმელი არ აქვს. ოლია სთავაზობს, რომ პალტოს შიგნით მისი ჟაკეტი ჩაიცვას, მაგრამ უარს ეუბნება და ძველი, თხელი პალტოთი მიდის.

➤4660

1927

**13 თებერვლის შემდეგ**

თბომავლით: „თეოდორ ნეტე“ ბათუმიდან ჩადის სოხუმში.

➤4661

1927

**13 თებერვლის შემდეგ**

არედაქტირებს ლექსს „ფანტაზია“ („ხედავ, მთას ცაში რომ აზიდულა...“) და სათაურად აწერს „სასტუმრო „სან-რემო“.

➤4662

1927

**13 თებერვლის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერებს სათაურით „სოხუმი“.

➤4663

1927

**13 თებერვლის შემდეგ**

რვეულში იწერს დედის მხრიდან თავის გენეალოგიას: დედა – მაკრინე ადგიშვილი დაიბადა ტოზანიერში, დედის დედა, გვარად ბერიძე გათხოვდა იმერეთში, ზების დედა, გვარად შერვაშიძე გათხოვილი იყო ბერიძეზე გურიაში.

➤4664

1927

**13 თებერვლის შემდეგ**

წერს მონახაზს კოსტიუმირებული, მხატვრულად და მუსიკალურად გაფორმებული სადამოსთვის, რომელსაც ფონად გასდევს აფხაზური სიმღერა „ჩარდა“.

➤4665

1927

**13 თებერვლის შემდეგ**

ავტომობილით მიჰყავთ ახალი ათონისა და გუდაუთის დასათვალიერებლად. გუდაუთის ქართულ დაწყებით სკოლაში მასავლებლები და მოსწავლეები სახელდახელო შეხვედრას უწყობენ. პოეტი მასპინძლებს უმხელს, რომ დაინტერესებულია აფხაზთა ადათ-წესებით და განზრახული აქვს ეწვიოს რომელიმე ადგილობრივ სოფელს. ამ საქმეში დასახმარებლად და სოფელში ლიხნი გასაცილებლად მას გააყოლებენ ახალგაზრდა მასწავლებელ არტემ ჯანჯღავას. აქ გალაკტიონი ორი-სამი დღე რჩება, იქაურები სიხარულით იღებენ, ყველა ცდილობს მის მიპატიჟებას. ესაუბრება სოფლის უხუცესებს, სურათს იღებს არტემ ჯანჯღავასთან და უბის წიგნაკში იწერს საინტერესო მასალებს. შემდეგ სოხუმში ბრუნდება და ბინავდება სასტუმროში „რიწა“.

➤4666

1927

### 13 თებერვლის შემდეგ

სათაურით „მარტოობა“ წერს ეპიზოდს პროზაული ტექსტისთვის, რომლის პერსონაჟები არიან იოჰანესი, არუთინ ივანეს ძე მკრტჩიანი, იოველი და მარიამი.

➤4667

1927

### 14 თებერვალი

ოლია ოკუჯავა ძალიან ნერვიულობს იმის გამო, რომ ის და გალაკტიონი ცუდად დაშორდნენ ერთმანეთს. გალაკტიონს ირონიულ ღიმილს ჰგვრის, როდესაც ოლია მისდამი თავის სიყვარულზე ელაპარაკება. დღიურში ოლია მიმართავს მას, რომ თავი ხელში აიყვანოს, სიგარეტსა და ღვინოს თავი დაანებოს და საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნოს.

➤4668

1927

### 15 თებერვალი

ჩადის სოხუმში. გემბანიდან სხვა მგზავრებთან ერთად ამჩნევს უძველესი ქალაქ დიოსკურიის ნანგრევებს, ბინავდება სასტუმროში „რიწა“. უახლოვდება ქალაქის ინტელიგენციას, მსახიობ ილიკო ჯუღელს და სცენისმოყვარეებს. სისტემატურად ესწრება მათ რეპეტიციებსა და სპექტაკლებს.

➤4669

1927

### 16 თებერვალი

სოხუმში მყოფი პირველ შეხვედრას ქალაქის მეორე ქართული სკოლის მასწავლებლებთან აწყობს. სადამოზე მოსწავლეები და მასწავლებლები გულთბილად მიმართავენ გალაკტიონს და მის ლექსებს კითხულობენ. თავად ლექსებს არ კითხულობს, რადგან როგორც ამბობს, უყვარს, როცა მის ლექსებს სხვები კითხულობენ. სადამოს შემდეგ იმართება ვახშამი, რომელზეც პოეტი მრავალ ექსპრომტს წარმოთქვამს.

➤4670

1927

### 16 თებერვალი

გაზეთ „კომუნისტის“ რუბრიკაში „სახელგამის ახალი გამოცემანი“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ სახელმწიფო გამომცემლობის რედკოლეგიამ გამოსაცემად მიიღო და ისტამბუბა გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

➤4671

1927

### 24 თებერვალი

ოლია ოკუჯავა მძიმე სულიერ განწყობაზეა გალაკტიონთან დამაბული ურთიერთობის გამო. აგონდება ქუთაისში მათი პირველი შეხვედრა, ჭიათურა, იები, ენძელები და იასამნები.

➤4672

1927

### 25 თებერვალი

ოლია ოკუჯავა იხსენებს, როგორ დაინახა პირველად გალაკტიონი და როგორ შეხვდა მათი თვალები ერთმანეთს. წერს, როგორ გაურბოდა მის გაცნობას და უნდოდა მხოლოდ შორიდან ედევნებინა თვალი, მაგრამ გაცნობა მაინც მოუწყვეს.



➤4673

1927

**ზამთარი**

სოხუმიდან ლეო ქიაჩელთან ერთად მომავალი ზუგდიდში ორი დღით ჩერდება ქიაჩელის ნათესავ პოეტ ალექსანდრე თირქიას ოჯახში. გახარებული მასპინძელი გალაკტიონის პატივსაცემად ჰპატიუებს სახელგანთქმულ ხალხურ მომღერლებს გალაქტიონ ჭელიძესა და რემა შელეგის. პოეტი ძალიან ისიამოვნებს მათი სიმღერებით და უბის წიგნაკში იწერს მასპინძლებისგან მონათხრობ საინტერესო ამბებს.

➤4674

1927

**ზამთარი**

ლეო ქიაჩელთან და ალექსანდრე თირქიასთან ერთად საშინელ ქარბუქში ცხენებით მოივლიან ზუგდიდის შემოგარენს. ათვალიერებენ რუხის ციხესა და სოფელ ცაიშს. შემდეგ მასპინძელი ცხენებით ჯირითში იწვევს სტუმრებს. გალაკტიონი შესანიშნავ ბედაურზე ზის და სწრაფად წინაურდება. ქალაქში დაბრუნებულები ხვდებიან ერთ მოხუც კაცს, დადიანების გვარიდან, რომელსაც გაცრეცილი ნაბადი აქვს მოსხმული. გალაკტიონი ახლადშემძენილ ძვირფას შავ ნაბადს მოხუცს სჩუქნის და თავად მოხუცის ნაბდით ცხენზე ამხედრებული წინ მიუძღვის თანამგზავრებს. ეს ისეთი შთამბეჭდავი სურათია, რომ ლეო ქიაჩელი გალაკტიონს მეფე ლირს ადარებს.

➤4675

## მ ა რ ტ ი

1927

**მარტამდე**

იღებს საბეჭდ მანქანაზე ნაბეჭდ ანონიმურ წერილს მამაკაცისგან, რომელიც შეყვარებულია ოლია ოკუჯავაზე, ლანძღავს და არცხვენს გალაკტიონს ცოლის მიმართ უყურადღებობის, ლოტობისა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ურთიერთობის გამო. დაჟინებით მოითხოვს, რომ სასწრაფოდ გაუგზავნოს ოლიას წერილი თბილისში, უთხრას, რომ მათი ურთიერთობა დასრულდა და ათავისუფლებს.

➤4676

1927

**3 მარტი**

სოხუმში მისდამი მიძღვნილი დიდი საღამოს შემდეგ ორგანიზატორებთან და მონაწილეებთან ერთად იღებს ფოტოსურათს. ჯგუფში არიან საღამოს ორგანიზატორები: მარიამ დადიანი-ანჩაბაძე, სოხუმელი პედაგოგები პეტრე და ლიდა გუგუნავები და სხვ.

➤4677

1927

**4 მარტი**

ოლია ოკუჯავა დღიურის ჩანაწერში იხსენებს როგორ დადიოდა გალაკტიონი კამოს, ამჟამინდელი დიმიტრი უზნაძის ქუჩიდან ტიპოგრაფიაში და როგორი რუდუნებით იცავდა თითოეულ თავის პოეტურ სიტყვას. მას ზამთარშიც კი უპოვარივით თხლად ეცვა და „მარადიულობისთვის ძღვნად მიჰქონდა უჭკნობი, სურნელოვანი თაიგული“.

➤4678

1927

**5 მარტი**

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციასთან ჩავლისას ოლია ოკუჯავას სიხარული იპყრობს, რადგან იქ ბეჭდავენ გალაკტიონის ნაწარმოებს და შესაძლოა არც კი იცოდნენ ასოთამწყობებმა და მკითხველებმა, როგორი დიდი გენიაა მისი ავტორი.

►4679

1927

## 8 მარტამდე

თბილისში გამოდის გალაკტიონ ტაბიძის კრებული, სათაურით „ლექსები“, რომელშიც იბეჭდება 650 ლექსი: „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „ეს მშობლიური ქარია“, „მივდიოდით ალაზნის ველად“, „კახეთის მთვარე“, „(წინანდალელი ნათელა...“), „მხოლოდ გული“, „ალაზნთან“, „გახედე, კახეთი!“, „ტფილისი“, „თეთრი პელიკანი“, „სალამო“, „სანთელი“, „ქრონიკა ერთი დღის“, „ტფილისის ზეცა მოწამეა“, „მთაწმინდის იქით“, „მეტეხი იდგა რუხი, პიტალო“, „უცნობი ქუჩის დასასრულთან“, „(„დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია...“), „აივანზე“, „(„როცა დაეცა შური ბინდისა...“), „ადრიანი გაზაფხული“, „ტფილისს სძინავს მძიმე ძილით“, „კაკლის ხე მთაწმინდაზე“, „(„ვეფხვი კასპიის პირად...“), „15 საუკუნე“, „(„სდგას ხეივანი სასახლის წინ. მთვარიან ღამით...“), „ოპერის თეატრთან“, „პირიმზე“, „ახალი მზე“, „იშლებიან ყანები“, „აი, რა მზის სიზმარია“, „მთა“, „სერენადა“, „ზღაპრებიდან“, „გამოსალმება“, „პირიმზე“, „ზღაპარი“, „უნაზესი ხელნაწერი“, „მამული“, „არაგვი“, „სალამო“, „არწივებს ჩასძინებოდათ“, „ომნიბუსით“, „ქარხალი“, „წერილი სოფლიდან“, „შენ რაღას იტყვი“, „მზადება გასამგზავრებლად“, „იქით ნუში, აქეთ ნუში“, „ალვის ხის გადარჩენა“, „მინდისის ჭადრებს“, „მოდის ჭალების სული მცურავი“, „სადღეგრძელო იყოს მისი“, „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“, „ყვავილები და ღვინო“, „ალის თასი“, „მივაშუროთ!“, „ღვინოს დააბრალებენ“, „ეს მძინარე მთა და ველი“, „ძველის ძველ ღვინოს“, „(„ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა...“), „დროა“, „ჩემო იარალი“, „ცხოვრება ჩემი“, „მივარდნილი აივანი“, „როდესაც მთვარე ანათებს დღისით“, „ტყე დაბურული“, „როგორც წუხილი არაგვის კიდის“, „შუადღის გულმოდგინება“, „გზაში“, „თიბათვე გავიდა“, „(„გაგონდება თუ არა...“), „ძველი რვეულიდან“, „ბალახები“, „მუხები“, „ყანები“, „ეს წინად იყო“, „ქაჯები, ალები, ჭინკები“, „მთვარე ჭაში“, „ცელი ჰკვივს“, „ყვავილებულ ველებს სალამი“, „შენ რაღას იტყვი, ყანა?“, „მოგონება ჩვენი ჭალისა“, „პირველ თაველებს“, „აგერა! აჰანდე!, „ძველი წისქვილი“, „ქალავ!“, „გზად ეშურება მგზავრი“, „შორი ყინული კავკასიონის“, „ქალს მთებიდან“, „ციხის ნანგრევებთან“, „დღე გაფითრდა იაგუნდის“, „(„ჩვენ ავაშენეთ მაღალი კოშკი...“), „(„კარს გაუღებენ მას წინაპრები...“), „იცვალენ დრონი“, „სასახლე ძველი“, „დაგიფარავენ“, „გახსოვს? რა დრო იყო ის დრო!“, „(„აქ მარმალაილოს მაღალი სვეტი...“), „მცხეთამდე“, „ავჭალას იქით“, „ზაპესთან“, „მცხეთიდან“, „გორიდან“, „დაბრუნება“, „(„ელვარე და ლომ-ფერი...“), „ჰქროდენ სიონი“, „მხოლოდ ნანა“, „რა მშვენიერი მინდვრებია“, „გავსცდით ხანდაკს“, „თითქო არა აქ“, „გვირაბებიდან“, „(„სადაც ტყეების ისმოდა დარდი...“), „სამხედრო გზაზე...“, „(„ჩვენი დღის ამბებს – ძალიან მწყრალი...“), „ჩვენი საუკუნე“, „ღამე ხეობაში“, „მშობლიური ეფემერა“, „პოეზია – უპირველეს ყოვლისა“, „როცა აკტეონი, ძეა არისტეას“, „წელიწადები წავლიან ძველნი“, „ძველი ჟურნალები“, „ჩვენი ჟურნალი“, „კაფემი“, „ქუჩა 30-ან წლების“, „მგლოვიარე სერაფიმები“, „(„სხვები ჩხავიან როგორც ყვავები...“), „(„მიყვარდა ჰანგი გრძნობით გამთბარი...“), „უნაზესი ხელთნაწერი“, „შენ ერთი მაინც“, „(„ზნეობის სიტყვა ყრმას თუ შეჰფერის...“), „არ ღირს იმ ერთ ცრემლად“, „მე არა ერთხელ მქონია ფრთები...“, „კაცი, რომელმაც გაბედა“, „ხან უფსკრულები, ხან მწერვალები“, „იქ პოეტების ფრიალებს დროშა“, „შერიგება“, „წინამურში რომ მოჰკლეს ილია“, „აკაკის ლანდი“, „პოემა ვეფხისა“, „გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი“, „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“, „მიშველი“, „ვიგონებ რა იმ მიქელ-ანჯელოს“, „ობელისკი“, „(„ლეგენდარული შენი დიდება“), „აუჩქარა ცხენმა გზაში“, „მარმალაილო“, „ჭორები“, „იხდება ფარდა“, „(„მაღლე ფერ-გადაშლილი...“), „ვაგნერი“, „ედარებოდა შეშლილს“, „ის დირიჟორი“, „მუსიკალური ფანტაზმა“, „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“, „მუსიკა – უეცარი“, „აჰა, ბინდდება“, „გოტიეს“, „(„ორი ზღვა შეხვდა ერთი მეორეს...“), „(„როცა გარშემო ღამე ბნელია...“), „რუს პოეტს“, „ადარ არის მენესტრელი“, „უკანასკნელი დეპეშა“, „შავი სვეტები“, „პროლოგი 100 ლექსის“, „პარალელი“, „ხელოვნება“, „წერილი მეგობრებისადმი“, „ქალი და ხელოვნება“,

„დაფნა“, „დიდება იგი“, „რაა ეს გრძნობა?“, „შემოქმედება“, „ხსოვნას“, „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“, „ისევ ეფემერა“, „თოვლი“ („მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის...“), „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „თოვლით და ყინვით“, „ოფორტი“, „გადია“, „ალვები თოვლში“, „თეთრი ქარები“, „ყვავილებს თეთრებს“, „(„თეთრ თოვლის ქვეშ სიზმრებს წაჰყვამთისგრეხილი უხმო შორი...“), „ზამთარი ძნელი“, „(„დგება თეთრი დღეები“), „(„ხომალდს მიყვება თოვლის მადონა...“), „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“, „ზამთრის მოტივებიდან“, „თოვლი“ („ხეები თოვლით დაფენილია...“), „ვინ არის ეს ქალი?“, „მწუხარება შენზე“, „რაც უფრო შორს ხარ“ „(„და თუ არა ხარ ის, ვისაც ვფიქრობ...“), „(„დაიწვას გული უცნაურ ტრფობით...“), „(„ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს...“), „სინამდვილეში ოცნებისას“, „სადღაც მინახავს“, „გავიდა ხანი“, „სიშორით შენით“, „ის“, „ნუგეში“, „ძველი მოტივით“, „შენი სადღეგრძელო“, „Voiles“, „მოვა, მაგრამ როდის?“, „მერი“ („შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!“), „შენ ზღვისპირად“, „(„ო, დღეს შემოდგომაა...“), „არ-დაბრუნება“, „(„ეს იყო ოქტომბრის დამლევს...“), „მე და ღამე“, „სიჩუმის ანგელოსი“, „უხილავი“, „ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს!“, „კორდზე“, „დუმილი“, „სარკესთან“, „ახალ ცისკართან“, „(„ხშირად ვოცნებობ და შევსცქერი ცას...“), „ხომლი“, „ცად აზიდულა ვით მარმარილო“, „სიჩუმეა“, „გუშინ, მთელი დღე“, „დასძინებია ალერსიან ბაღს“, „მთვარე მთას ამოეფარა“, „კვლავ აელვარდა ირმის ნახტომი“, „ბრძოლა ღმერთთან“, „სიხარული ბრძოლაში“, „სულ ადვილია რწმენა“, „მარსი“, „კვენესის ვოლტორნი“, „ცა თოვლით ფენილი“, „ღამევ, რა მოგივიდა?“, „(„აჩრდილი ჩუმი და მოთარეშე“), „ამ ბნელი ღამით“, „ჭოტი“, „ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი“, „პრიმიტივი“, „სიკვდილი მთვარისაგან“, „უდაბნო“, „იდუმალი მეორე სახე“, „რევოლვერი“, „ის მიდიოდა ქუჩაში ერთი“, „ჩუმი შრიალით ხის ფოთლები მეგებებიან“, „როგორც სინათლე მოხეტიალე“, „სარკმელთან“, „დღეს დღეები ეცლება“, „სამრეკლო უდაბნოში“, „ჭიანურები“, „ავდრის მოლოდინი“, „განწირულება“, „უკანასკნელ დღეს“, „სიბერე“, „(„გემბდი ყველგან... მახრჩობდა სიციხე...“), „მე მოვალ“, „სიზმრები“, „ფარდების შრიალი“, „სად?“, „ბედს იქით!“, „(„ის წაიყვანა ოცნებამ მისმა...“), „დამშვიდობება“, „რომელი საათია?“, „ატმის ყვავილები“, „ატმის რტო, დაღალულო რტო“, „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“, „(„იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ...“), „დომინო“, „უცნაური სასახლე“, „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“, „უსიყვარულოდ“, „ღამე დღეს შეხვდა“, „(„ველთა შორის გამოისმა ხმაურობა მშვიდი, წყნარი...“), „რა რიგ მწყურია“, „ჩემი ვარსკვლავი“, „ნიაღვარი“, „მივალ გადავკოცნი...“, „ღელავდენ...“, „თვალეები“, „შენ, ყოველთვის კარგი ხარ“, „ქალმა დამწყევლა ღამაზმა“, „ეჭვი“, „ღვინისფერო მდინარე!“, „მთელი დღე ვგრძნობდი“, „როდესაც მთვარით დაპყრობილ ვიქმენ“, „დამწველი თავის სიმშვენით“, „თქვენ გართობდათ“, „ალვის ხეები მშვილდისარს ხრიან“, „დაიჯერე თუ არ გჯერა“, „(„გზა არ ღირს დავიდარაბად...“), „ზღვაზე სცურავს ნაფოტივით“, „ინიესა“, „ორი ასული ნეტარი“, „გაოცდა უფრო“, „თვალს ნაზი და მთვარეული“, „ცამეტი წლის ხარ“, „არსებობის გული“, „ხელები“, „აუხისაგან“, „ვისმენ დანატრულ ხმას“, „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით“, „დადგა აგვისტო“, „მაინც დავიმსახურე“, „ხალხური მოტივებიდან“, „მოგონება“, „იბრძოდენ შურნი“, „ეს იყო თხუთმეტი წლის წინად“, „ვერსად, ვერასდროს...“, „ლანდი – არა-ქვეყნიური“, „ერთ დროს“, „გული გრძნობს“, „მე ვინც მიყვარდა“, „სანამ შორს იყავ“, „შენ თუ მოელი?“, „ათი ქალწული“, „10 წლის წინად“, „(„მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა...“), „ახსნა“, „გული“, „ხიდი რიალტო მთის მდინარეზე“, „(„გასაოცარი მისი შვენება...“), „წერილიდან მისდამი“, „წარწერები“, „მაისის ისრით“, „მაისი ჰყვავის“, „ყველა საქმეები“, „ისევ მაისის მათრობს თვალეები“, „ისევ ოცნება და სიყვარული“, „შენ ალტაცებით ისევ ენთები“, „მწოლარე“, „მატარებელში“, „მოადგა ნაპირს ათასი ნავი“, „შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“, „შემოდგომის ფრაგმენტი“, „გობელენი“, „სალამო სოფლად“, „შემოდგომის ყვავილები“, „შემოდგომის მოტივებიდან“, „ავადმყოფს“, „შემოდგომა“, „გაჰქრენ ზაფხულის დღენი“, „შემოდგომა“, „ყვითელი ფოთოლი“, „უკანასკნელი დღე“, „შემოდგომის დღე“, „დგება ნაზი შემოდგომა“, „ფოთლები“, „ჰორიზონტი ოდნავ დეღავს“, „მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა“, „ასე, რისთვის?“, „სიმების კვდომა...“, „შენ და შემოდგომა“, „ღიაა ქალაქის ქალა“, „მოსვლას აპირებს წვიმა“, „უკანასკნელი თანამგზავრი“, „შემოდგომის დღე“, „ღრუბლები ჰგვანან ამღვრეულ ტვინებს“, „სულ რამდენიმე წლის წინ“, „ქარი ქანაობს ქნარად“, „მადრევენების ვედრება“, „გზაზე ფოთლები ჰყრია“, „შემოდგომის დილა“, „გულო, რა გემართება“, „ძველი

წიგნების გვერდებს არეულს“, „შრიალებს ჩალა“, „მღვრიე დაღლილი რასსა“, „დგება შემოდგომა“, „შენ და შემოდგომა“, „ერთხელ...“, „ქარი“, „ელეგია“, „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა“, „ქარით დატირებული“, „შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით“, „რა სევდიან ნანას ამბობს ქარი...“, „შეშლილივით დააღებს კარებს“, „გვიანი ოცნება“, „დღემ გაიარა!“, „ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა...“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „სახლი ტყის პირად“, „მწვანე ბუმბერაზი“, „ტყეში“, „მუხა“, „ტყემ წამიყვანა!“, „მწვანე ზოლი მთის“, „დაღამდება ტყეში ოდეს“, „ტყე“, „როგორც კი დილა გათენდება“, „ყვავის სიმღერა“, „ცხენით ხიდზე“, „ვერხვები“, „ვარ გენია რიმანელი“, „იარე, კაცი შენ აღარ გქვია“, „ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა“, „მხოლოდ ბრძოლების სურვილით სავსეს“, „უბედურ საათს არვინ დაგიცავს“, „მე მძინარე ვარ“, „მწარე იავნანა“, „დღეთა კარებთან ვდგევარ წუხილით“, „ითვლის თვითეულ მისხლით“, „ვერ გაიგონეს...“, „გაიცქირება მომავლისაკენ“, „სამშობლო შავი ლიუციფერის“, „მიცქირე თვალში“, „ჩვენ ვხვდებით ისევ“, „ეს შეღამება“, „სული უსახლო“, „დალუქულ ფოლიანტთან“, „მისი პათოსი“, „არც ერთ ეპოქას არ აქვს უფლება“, „ბრმა ცალი თვალით“, „ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი“, „ყველაფერმა იცვალა ფერი“, „დემონის სიმღერიდან“, „სული მწუხარე“, „სხვა... ყველაფერი...“, „ბინდის სტუმარი“, „ერთმა წუთმა“, „ამაოცდა“, „ფრთხილად“, „სიმღერებიდან“, „მას სიკვდილის დროს ეჩვენებოდა“, „შენ და დემონი“, „შეუნდე ლიუციფერს“, „მაგიდა ალემბიკებით“, „მაგრამ მე რა ვქნა“, „სამგლოვიარო ეტლების ფრენა“, „ოთხი დემონი“, „შავით შემოსილხარ როგორც ელეგია“, „დაუმეგობრდა“, „გრძნობა რომელიც დაკარგულია“, „სხვის სისპეტაკე უფრო აგიჟებს“, „არ არის იგი იმდენად ტკბილი“, „(„ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვინვის წუთისოფელია...“), „ბედისწერა“, „ორი ზარი“, „დახუჭული თვალები“, „ბნელ ქიმერებში“, „ქალწული“, „არ განახლდება, არ დაბრუნდება“, „და ბევრი რამ მინდა გაამბო“, „უკანასკნელ დღეს“, „შემდეგაც, მაინც“, „ორხიდეები“, „მიცვალეულის ხსოვნა“, „ფოთლების ლანდი“, „ორი“, „ლოდთან“, „სამი ღრუბელი“, „ახალი მოსახლეობა“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“, „თვალუწვდენელი, დაუსაბამო“, „საღამო“ („დანამულ ბალახებს მძინარე ტყის პირად...“), „ღრუბლები ოქროს ამურებით“, „ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების“, „მოჩვენება ნანგრევებში“, „მზის ჩასვლა“, „საუბარი ედგარზე“, „დაღლილ წამწამთ ქვეშ“, „სინანული“, „ვით აფეთქება“, „ქარებს ქარობა!“, „ყორანი“, „ედგარი მესამედ“, „ეფემერა“, „სად დასასრული იყო“, „საახალწლო ეფემერა“, „გეტერა“, „ჰაერი“, „მესაფლავე“, „ერთი გავარდნილი კაცი“, „ქარიშხალის შემდეგ“, „განახლდა გული“, „მგზავრის სიმღერა“, „შავი ყორანი“, „მიმღერე რამე“, „მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას“, „ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი“, „პორტრეტი“, „დარიალისა ვიწრო კლდეებში“, „გმირის გარდაცვალება“, „ოცნება კლდეზე“, „არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება“, „სამშობლოში“, „ოცნება ბორკილებში“, „(„იქ, ნაკადული მთის კალთიდან გადმოჩქრიალებს...“), „(„სქელი ღრუბელი...“), „გუბე“, „ბრძოლაში ვეძებ...“, „მე ამ ყვავილებს“, „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“, „ჰეი, გაიღვიძე!“, „მიყვარს მარტო ქარიშხალი“, „ეს გრიგალია სიახლის“, „ის გრიგალს ელის“, „სულ მალე“, „წუთი“, „ავრორა“, „სიმღერავ, უხმე...“, „გურიის მთები“, „ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში“, „დღე“, „უცებ შემკრთალი ღამე“, „აელვარებულ ღუმელთა შორის“, „ავტომობილი“, „მადაროში“, „უეცარი ქალაქი“, „რას ჰკვივის ქუჩა?“, „ქალაქი სიბნელებში“, „პლაკატების კივილი“, „პანიკა“, „როგორც სიზმარი“, „აფიშა, როგორ...“, „შეღამება“, „ახალ მერნების წყება“, „როდესაც ყველას სძინავდა“, „პირველი ვარდი“, „რა მშვენიერი იყო ნამი...“, „ყვავილები“, „მე დავიბადე განთიადისას“, „მე და ზამბახი“, „ყვავილები – წუთები“, „ყვავილების ქალი“, „დედოფალა“, „ი. ა.“, „ყორანის ცრემლები“, „სროლის ხმა მთაში“, „ბავშობის დღეები“, „ბავში გაზეთებში“, „ქუჩაზე“, „უბინაო ბავშვები“, „ბავშვები კაფეში“, „ალუჩა, შვიდი წლის ბავში“, „მეხლავართ ღვინო დაურიგდება“, „იბობოქრე“, „ამაო ძახილი“, „ჯვარი“, „გემზე“, „ზღვის ფსკერიდან“, „დაიღუპა ის ხომალდი“, „ანძები“, „ლურჯი ხომალდი“, „ლილიან ფრთებით“, „სანთლები“, „შენ გვიანდები“, „მეოცნებე მოსვენებაზე“, „მიწა გამოჩნდა“, „მღელვარება“, „შენ ზღვის პირად“, „წყნარი ზღვა“, „მაისმა ისევ მოიტანა ლაჟვარდი ზღვები“, „რა ღრიანცელში ვიდოდა გემი“, „გემი „დაღანდი“, „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით“, „ქალაქი წყალზე“, „მფარველი იალქნები“, „ზღვის ეფემერა“, „ტრანშეებში“, „ცეცხლიან ფერფლით“, „ბაწარზე“, „ტალახში“, „მთელი საუკუნე მიდის“, „სანატორია“, „მე ერთად ერთი მქონდა წუხილი“, „რა დროს რომანსეროა?“, „ლოცვაზე უფრო“, „რაც იქნეს – იქნეს“, „სად იყო სმენა და გაგონება?“, „ცეცხლი“, „დრო“, „ფარულ ტკივილებით“

„სასაფლაონი“, „წამი წამს ეზიდება“, „შიში“, „დროშები ჩქარა!“, „(„ათრობდა ხალხის მწუხარება, სისხლის აუზი...“), „(„რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!...“), „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „მას გახელილი დარჩა თვალები“, „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“, „ეს ლექსი“, „მღვრიე ქარი“, „ქარი არხევდა იტალიანურ შობის ხეს ტრიპოლისში“, „ქარი, მსოფლიო ომის მაუწყებელი“, „ქარი, ამწევი ფარდის“, „ქარი მოგონებათა“, „ქიმიურ საგნებთან“, „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის...“, „არა ერთი და ორი“, „(„იყო ბურუსი გაურღვეველი...“), „გრიგალი“, „ჯონ რიდი“, „აღმოსავლეთი“, „ცხრაას თვრამეტი“, „ქალაქში“, „ორად გაიპო წითელი კლდე“, „გრიგალს, ქარიშხალს ვსვამთ ამის შემდეგ“, „დროის უარყოფელი“, „ფანტასტიური იმპერატორი“, „(„ცხრაას-ჩვიდმეტი. ჭიხვინებდა შავი მერანი...“), „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“, „ძველი ხელები წყდება კალიპსოს“, „მოგონება ყრუ შესახვევის“, „ცეცხლი, მახვილი“, „ჩაჰკეტა კარი“, „აწ კივილისთვის ირევიან“, „(„მშვიდზე მშვიდი...“), „არასდროს ბედი არ ყოფილა ისე ცბიერი“, „არიან დღენი“, „(„მან მოიტაცა ველები თოვლის...“), „(„1. ირგვლივ ნისლი სუფევდა...“), „თქვენი ბინა“, „ისევე ტყეში“, „მშვიდობიანი სიმღერა დების“, „არ დაღუპულა“, „ბინდი ღამისა გაჰქრა“, „მეგობარს“, „შენ, ამხანაგო, დღიურ პროზიდან“, „ილიმებიან სახლები“, „თუ ბრძოლა არ არის“, „დაბრუნდა გრძნობა და სისადავე“, „ქაოსიდან გზებზე გავედით“, „(„მდუმარე სმენით...“), „სანატორიაში“, „(„მე მარწმუნებდენ: ფოთლები გაჰქრა...“), „ქარებმა კარი შემოაჯახეს“, „(„ის, როგორც დენდი, შესული შავში...“), „(„უცხო მხარეში მივსდევ კრეისერს...“), „რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს“, „ეჯახებიან პლანეტები ერთი მეორეს“, „(„ვით ლოცვა – ედება საღამო მთის კალთებს...“), „ო, გადავეშვათ უფიქრებლად“, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „კოსმიური ორკესტრი“.

➤4680

1927

8 მარტი

ოლია ოკუჯავა გამოფენაზე ნახულობს გალაკტიონის ახალ წიგნს. შემდეგ საგანგებოდ ჩამოივლის წიგნის მაღაზიებს იმის გასარკვევად, არის თუ არა მათში შეტანილი. არკვევს, რომ ამიერკავკასიის გამომცემლობის მაღაზიაში არ არის, ერთ მაღაზიაში კი მტვრიანი ვიტრინების შიგნითაა.

➤4681

1927

8 მარტის შემდეგ

ფურცელზე იწერს თავისი ლექსების რჩეულის სარჩევს.

➤4682

1927

8 მარტის შემდეგ

თედო ბეგიაშვილი თავის რეცენზიაში გალაკტიონ ტაბიძის 1927 წელს გამოცემულ „რჩეულზე“ ლაპარაკობს ამ წიგნის პოპულარობაზე და საქართველოში გალაკტიონ ტაბიძის განსაკუთრებულ გავლენაზე.

➤4683

1927

25 მარტი

სოხუმელი მერვე კლასის მოსწავლე გიორგი ბასილაია უძღვნის ლექსს „ძღვნად საქართველოს პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს“ („გალაკტიონ! მე მომწყურდა ლექსი შენთვის დასაწერი...“).

➤4684

1927

3 მარტი

სოხუმის დრამატული წრის წევრებთან და ელო ანდრონიკაშვილთან ერთად იღებს ფოტოსურათს.

➤4685

1927

30 მარტი

ოლია ოკუჯავა რეკავს სახელმწიფო გამომცემლობის სავაჭრო განყოფილების გამგესთან და ეკითხება, თუ გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის წიგნი. ის პასუხობს, რომ გამოვიდა. ოლია ეუბნება, რომ ეს არ იგრძნობა, რადგან წიგნი მაღაზიებში არ არის და არც გაზეთები იუწყება რაიმეს მის შესახებ. მხოლოდ ერთ მაღაზიაში ნახა ეს წიგნი და ისიც მტვრიან ვიტრინაში. მადლობას უხდის ინფორმაციის მიწოდებისთვის და ეუბნებია, რომ გაითვალისწინებენ.

➤4686

1927

30 მარტი

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ახალი კრებული გასაყიდად შეაქვთ თბილისის მაღაზიებში.

➤4687

1927

31 მარტი

ოლია ოკუჯავა ისევ ჩამოვიღის წიგნის მაღაზიებს და ამჯერად ნახულობს, რომ გალაკტიონის „რჩეული“ ყველგან შეუტანიათ გასაყიდად და თვალსაჩინოდ გამოუფენიათ.

➤4688

1927

31 მარტი

ფურცელზე იწერს, რომ მიიღო ამხანაგ ლ. სიხარულიძისგან 55 მანეთი.

➤4689

1927

მარტი

წერილს უგზავნის თბილისში ოლია ოკუჯავას. უყვება მის მიერ მიღებული ანონიმური წერილის შესახებ და ინტერესდება, ხომ არ იცის ოლიამ, ვის შეიძლებოდა ის დაეწერა. ამბობს, რომ მისი ასეთი ლანძღვა ყოვლად მიუღებელია და აპირებს წერილს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში მიტანას ავტორის დასადგენად.

➤4690

1927

მარტი ან შემდეგ

მოკლე ბარათს უგზავნის სახელმწიფო გამომცემლობის ბუღალტერს და ითხოვს, რომ მისი წიგნის ჰონორარის ანგარიშში გაუგზავნონ წიგნის 100 ცალი.

➤4691

## აპრილი

1927

2 აპრილამდე

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ბერძნულიდან“ („ბევრი ციხე მინახავს ძველთა დროთა მსახველი...“, მაგრამ მეორე სტროფზე წყვეტს.

➤4692

1927

## 2 აპრილამდე

სოხუმში იგეგმება გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი დიდი სადამო. იბეჭდება სპეციალური პროგრამა-მოსაწვევი, რომელსაც წინ უძღვის წერილი პოეტის ღვაწლის შეფასებით ახალი ქართული პოეზიის წინაშე.

➤4693

1927

## 2 აპრილამდე

გალაკტიონ ტაბიძის სადამოსათვის საჭირო თანხის შესაგროვებლად სოხუმელი სცენისმოყვარეები ქალაქის მოსახლეობაში აგროვებენ საჭირო თანხებს. განსაკუთრებით ქართველი ვაჭრები გულუხვობენ, ვაჭარი ერქომაიშვილი სამ საკოსტუმე ქსოვილს უძღვნის გალაკტიონს, ხოლო სმენადაქვეითებული ხალხური ცეკვის დიდოსტატი დ. აფაქიძე მათ უსასყიდლოდ უკერავს.

➤4694

1927

## 2 აპრილამდე

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „მიკვირდა წინად და ეხლაც თითქმის მიკვირს ძალიან...“, მაგრამ მალევე წყვეტს წერას.

➤4695

1927

## 2 აპრილამდე

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „მიდიოდი ველად – როგორც ღვინისფერი მდინარე...“, მაგრამ მალევე წყვეტს წერას.

➤4696

1927

## 2 აპრილამდე

ბლოკნოტში იწერს, 2 აპრილისთვის დაგეგმილი თავისი სადამოს პირველ განყოფილებაში რა ორგანიზაციების მისალმებები იქნება. ჩამონათვალშია: ქართველ ქალთა, სოხუმის საზოგადოება, სოხუმის დრამწრე, სოხუმის აღმასრულებელი კომიტეტი, აფხაზეთის ცენტრალური კომიტეტი, სახელგამის სოხუმის განყოფილება და ცალკეა აღნიშნული მილოცვები ლექსებით.

➤4697

1927

## 2 აპრილი

სადამოს ცხრის ნახევარზე სოხუმის პირველ აკადემიურ თეატრში მაშო დადიანი-ანჩაბაძის თაოსნობით იმართება გალაკტიონის სადამო. გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებას პედაგოგი აბულაძე აკეთებს. მსახიობი ჯ. სანიკიძე სცენაზე გამოდის და გალაკტიონს მკერდზე ქალაქის ქართველობის მიერ მიძღვნილ ოქროს ღირას აბნევს. ღონისძიების დასაწყისში ახალგაზრდები კითხულობენ მის ლექსებს, შემდეგ არის საბალეტო წარმოდგენა გორელოვის ხელმძღვანელობით და მხატვრული დადგმა გალაკტიონის ნაწარმოებებიდან, შემდეგ ისევ იმართება გალაკტიონის ლექსების კითხვა. პოეტი კითხულობს ლექსს „ლურჯა ცხენები“ და ნაწყვეტს ლექსიდან „მესაფლავე“. სრულდება სიმღერები მის ლექსებზე: „კიდევ ბევრი სადღეგრძელო“, „ქარი ჰქრის“, „ატმის რტო“ და სხვ. სადამოს მუსიკალურად აფორმებს სიმებიანი ორკესტრი. სცენისმოყვარეები წარმოადგენენ რამდენიმე სცენას გედევანიშვილის „სინათლიდან“.

➤4698

1927

**2 აპრილი**

დიმიტრი სემიონოვი უძღვნის რუსულ ენაზე დაწერილ უსათაურო ექსპრომტს („Милая Грузия, кровью облитая...“).

➤4699

1927

**2 აპრილი**

სოხუმში მის პატივსაცემად მართავენ ბანკეტს, რომელსაც 20-25 კაცი ესწრება.

➤4700

1927

**2 აპრილი ან შემდეგ**

შავი და იასამნისფერი მელნით ხატავს ზღვის პეიზაჟს.

➤4701

1927

**აპრილის დასაწყისი ან შემდეგ**

სოხუმში ციხის ნანგრევებთან ზღვის სანაპიროზე ქალაქის ინტელიგენციასთან იღებს ფოტოსურათს.

➤4702

1927

**3 აპრილის შემდეგ**

წერილს იღებს მიხეილ ჯავახიშვილისგან, რომელიც წუხს, რომ ვერ მოასწრო მასთან დაწვრილებით საუბარი. ადრესანტი უგზავნის არიფიონელთა დეკლარაციას, სთხოვს, ხელი მოაწეროს და მასთან ერთად გაუგზავნოს ორი ლექსი ალმანახ „არიფიონში“ დასაბეჭდად. წერს, რომ მისი „მყივარი და მქუხარი“ ლექსები ძველებურად დაიჭექებს, მისი სახელი და ოსტატური ხელი ყოველივეს მოერევა.

➤4703

1927

**4 აპრილი ან შემდეგ**

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის 31 მარტით დათარიღებულ წერილს. საყვედურობს, რომ წერილებს არ წერს. ადრე წიგნზე მუშაობას იმიზეზებდა, ახლა კი წიგნი უკვე გამოსულია და რა აკავებს. უყვება, რომ ვანის ცხრაწლედში რევიზიაზე ჩასული იყო ვინმე ოკუჟავა. აბესალომმა მაშინ არ იცოდა თუ ოლიას რძალი იყო და არ გამოცნაურებია. სწერს, რომ დედა სულ სთხოვს ექიმთან წაყვანას, მაგრამ აბესალომი ვერ ახერხებს, გალაკტიონს კი ყველანი დავიწყებული ჰყავს და 7 წელია სოფელში არ ყოფილა.

➤4704

1927

**5 აპრილი**

ოლია ოკუჟავა ფიქრობს მისი და გალაკტიონის ურთიერთობაზე. ღირს კი ასე გაგრძელება? სულ მისი სიყვარულის მოლოდინში ყოფნა?

➤4705

1927

**5 აპრილის შემდეგ**



წერილს იღებს ვასილ გორგაძისგან, რომელიც უგზავნის „არიფონის“ განცხადებას და სთხოვს, მალე აცნობოს საკუთარი აზრი.

➤4706

1927

**6 აპრილი**

ოლია ოკუჯავა აპირებს გალაკტიონთან შეხვედრას კინოთეატრში „არფასტო“. სურვილი აქვს, გამომწვევად მოიქცეს, რომ ამით მას შეურაცხყოფა მიაყენოს და შური იძიოს.

➤4707

1927

**6 აპრილი**

ოლია ოკუჯავა ფიქრობს, რომ გალაკტიონისგან ყურადღების მიღების მოლოდინში დრო არ უნდა დაკარგოს და საკუთარ თავზე უნდა იზრუნოს. კინოში ეპატიჟებიან და აპირებს წასვლას. არ ადარდებს ის ფაქტი, რომ ჭორიკნებმა შეიძლება მის ქმარს ენა მიუტანონ და უთხრან, რომ უწესო ქალზე იქორწინა. ფიქრობს, რომ ანერვიულოს და ასე იძიოს შური.

➤4708

1927

**6 აპრილი**

წერილობით ადასტურებს, რომ ლ. სიხარულიძისგან მიიღო 30 მანეთი.

➤4709

1927

**9 აპრილის შემდეგ**

ლექსის „ციცინათელა“ სათაურს წინ ამატებს სიტყვას და ქმნის ახალ, მნიშვნელოვნად განსხვავებულ რედაქციას „გიგანტიური ციცინათელა“.

➤4710

1927

**9 აპრილის შემდეგ**

აგრძელებს 1912 წელს დაწერილ ლექსზე N-აია („რისთვის გსურს სევდის...“) მუშაობას. სათაურს გადახაზავს და აწერს ახალს: „ძველი ფარანი გორაზე“.

➤4711

1927

**9 აპრილის შემდეგ**

იწყებს ხუთმოქმედებიანი პიესის წერას სათაურით „წვეთები გადაღებული წვიმისა“. მოქმედება ხდება მოსკოვში პუშკინის ძეგლთან. მალევე წყვეტს წერას.

➤4712

1927

**9 აპრილის შემდეგ**

ბლოკნოტში აკეთებს ამონაწერებს რუსულენოვანი ტექსტიდან. ციტატებში საუბარია იმაზე, რომ ქართველმა მწერლებმა ყოველთვის იცოდნენ თავიანთი კუთვნილი ადგილი, იცოდნენ, რომ თითოეული განუმეორებელია. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური წარსულის გათვალისწინების საჭიროებასა და სხვა საკითხებზე.

➤4713

1927

## 9 აპრილის შემდეგ

ბლოკნოტში წერს ცალკეულ პოეტურ ფრაზებს: „უარშიო ზღვა“, „ზვირთების ხმა ზედი-ზედი“, „ბატისტის მსუბუქ დრუბელთა შორის გამოჩნდა მკაცრი ხაზების წყება“ და სხვ.

➤4714

1927

## 9 აპრილის შემდეგ

წერს ლექსს „ზაჰესთან“.

➤4715

1927

## 9 აპრილის შემდეგ

ლექსის „ტბაზე“ („ხშირად დავდივარ ტბის კიდეზე...“) ავტოგრაფის სათაურს წინ წითელი ფანქრით ამატებს სიტყვას „ზაჰესის“ და ღებულობს სათაურს „ზაჰესის ტბაზე“.

➤4716

1927

## 9 აპრილის შემდეგ

რუსულ ენაზე წერს მინიატიურას „ქალაქი წყალქვეშ“.

➤4717

1927

## 9 აპრილის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „წინათ მეტეხის ბურჯი და ნარიყალა აგეს...“.

➤4718

1927

## 14 აპრილი

ბარონ შიბინეიშვილი სოხუმის სახელგამს უგზავნის დეპეშას, რომ გალაკტიონ ტაბიძეს გადაუხადონ 300 მანეთი.

➤4719

1927

## 14 აპრილი

სოხუმიდან თბილისში დეპეშას უგზავნის მიხეილ ჯავახიშვილს. სწერს, რომ არიფიონელთა ლიტერატურულ მანიფესტს იზიარებს და სთხოვს, მის ნაცვლად მოაწერონ ხელი. აცნობებს, რომ მალე დაბრუნდება.

➤4720

1927

## 23 აპრილის შემდეგ

იღებს ე. წ. ალექსანდრეს საავადმყოფოში, ოპერაციამდე ერთი კვირით ადრე ოლია ოკუჯავას მიერ დაწერილ წერილს. ადრესანტი გამოხატავს წუხილს იმის გამო, რომ გალაკტიონი, რომელიც მას ძალიან უყვარდა, არ ეხმიანება და მის ამბავს არ კითხულობს, მაგრამ ამაში გარემოებებს ადანაშაულებს და არა გალაკტიონს. სწერს, რომ კომუნისტური პარტიის რიგები კარგა ხანია, დატოვა და არ იცის, მომავალში რა ელის. აწმყო აშინებს.

➤4721

1927

## 28 აპრილი

ოლია ოკუჯავას საავადმყოფოდან უგზავნის წერილს აბესალომ ტაბიძეს და ჰპირდება, რომ მისი რძალი – ნინა გვახარია ადრესატს აუცილებლად დაეხმარება. სწერს, რომ ძალიან ნაწყენია გალაკტიონზე, რომელიც დიდხანს იყო სოხუმში და რომ ჩამოვიდა ოლიას არც კი ნახულობს.

➤4722

1927

**29 აპრილი**

ბათუმის სადგურში იხდის ბარგის გადასახადს.

➤4723

1927

**29 აპრილი**

ოლია ოკუჯავას მომდევნო დღის ოპერაციისთვის ამზადებენ და დღიურში წერს გამოსათხოვარ სიტყვებს. ოჯახის წევრებს სთხოვს, რომ გალაკტიონს ისე მოექცნენ, როგორც ახლობელს, რადგან ოლია რომ ცოცხალი დარჩენილიყო, გალაკტიონი მას არ გადაიყვარებდა. თავად გალაკტიონს სწერს, რომ ძალიან უყვარდა, მაგრამ მათ ვერასდროს ვერ შეძლეს ერთმანეთისთვის გრძნობის ბოლომდე ჩვენება.

➤4724

1927

**აპრილი ან ადრე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ლირიკის ფილოსოფია“ („ბრიტანელებო, ვისთვის გაქვთ სახნისი და კავი...“), მაგრამ მალე წყვეტს.

➤4725

1927

**აპრილი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „თქვენ, პოეტებო მისთვის გიყვართ ვარდების ფენა...“

➤4726

1927

**აპრილი ან ადრე**

ბლოკნოტში აკეთებს მოკლე ჩანაწერს არიფიონის გამოსვლასთან დაკავშირებით ახალი ლიტერატურული სკოლის დაფუძნების შესახებ.

➤4727

1927

**აპრილი ან ადრე**

ბლოკნოტში წერს პიესის „გადაღებული წვიმის წვეთები“ რომელი მოქმედება სად განვითარდება. ჩამონათვალ ადგილებს შორისაა: მოედანი პუშკინის ძეგლთან, რკინიგზის სადგური, სახლის ეზო და თეატრი.

➤4728

## მ ა ი ს ი

1927

**6 მაისი**

ჟურნალი „ქართული მწერლობა“ აქვეყნებს ბესარიონ ჟღენტის წერილს „1926 წელი ქართულ ლიტერატურაში“. სტატიაში გალაკტიონ ტაბიძის შესახებ ნათქვამია, რომ მან ამ წელს მხოლოდ ორი ლექსი დაბეჭდა, რომლებიც არ იძლევა ავტორის შესახებ ახალი სიტყვის თქმის საშუალებას.

➤4729

1927

**7 მაისამდე**

არსდება ლიტერატურული კორპორაცია „არიფიონი“, რომლის წევრები არიან გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, კონსტანტინე კაპანელი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, დავით სულიაშვილი, ვასილ გორგაძე, ილო მოსაშვილი, იოსებ ტატიშვილი, პეტრე ქავთარაძე, ლევან მეტრეველი.

➤4730

1927

**7 მაისი**

მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ლიტერატურული კორპორაციის „არიფიონი“ წევრს, ჩუქნის თავის წიგნს „კურკას ქორწილი“ წარწერით: „მვირფას არიფს, გალაკტიონ ტაბიძეს – ავტორი მ. ჯავახიშვილი, 7/V. 1927“.

➤4731

1927

**7 მაისი**

ჟურნალი „მნათობი“ იუწყება, რომ გამოვიდა და სახელგამის მაღაზიებში იყიდება გალაკტიონ ტაბიძის „ლექსები“, წიგნი, რომელიც მოიცავს 542 გვერდს და ღირს 5 მანეთი.

➤4732

1927

**10 მაისის შემდეგ**

წერილს იღებს სერგო ჯინჭველაშვილისგან, რომელიც მძიმე მატერიალურ მდგომარეობას განიცდის და სურვილი აქვს, ფასიანი საღამო გამართოს მცირეოდენი შემოსავლის მისაღებად. გალაკტიონს სთხოვს, მონაწილეობა მიიღოს ამ საღამოში და აცნობებს, რომ ამავე თხოვნით მიმართავს მსახიობებს: დოდო ნათაძესა და უშანგი ჩხეიძეს და პოეტებს: სოლომონ თავაძესა და ვარლამ რუხაძეს.

➤4733

1927

**11 მაისი ან ადრე**

ჟურნალ „მემარცხენეობის“ ხელმოუწერელ მეთაურ წერილში პოეზიის კრიზისზე საუბრისას ნახსენებია „ტაბიძეების დეგენერატული ისტერიკის“ გამოცოცხლება. ამავე ჟურნალში კრიპტონიმით „ბ. ა.“ ბიძინა აბულაძე აკრიტიკებს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს იმის გამო, რომ მისი ლექსები მუსიკალურად განიცდის გალაკტიონის გავლენას. „მემარცხენეობის“ ამავე ნომერში კრიპტონიმით „ს. ჩ.“ სტატიაში „პროლეტარული მწერლობა“ სიმონ ჩიქოვანი აკრიტიკებს გალაკტიონის გავლენას ალიო მაშაშვილზე.

➤4734

1927

**მაისის შუა რიცხვები**

გალაკტიონი მიდის ე.წ. ალექსანდრეს საავადმყოფოში ოლია ოკუჯავას მოსანახულებლად. ესაუბრება მას, მის გვერდით მყოფ პაციენტებსა და მათ მნახველებს. პალატაში სხვა ქალებიც არიან და გალაკტიონის წასვლის შემდეგ ჭიკობენ, რომ ის მათ ეარშიყებოდა.

➤4735

1927

**მაისის შუა რიცხვები ან შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას წერილს, რომელშიც საყვედურობს, რომ გენიოსები ასე არ იქცევიან, ასე არ ტანჯავენ მათზე შეყვარებულ ადამიანებს და არ ცვლიან მათ მსუბუქი ყოფაქცევის ცბიერ ქალებზე. საყვედურობს იმის გამო, როგორც იქცეოდა საავადმყოფოში მისი მონახულებისას, როდესაც თავს აწონებდა მის პალატაში მყოფ ქალებს. სწერს, რომ მალე წავა ლურჯა ცხენებით სამუდამო მხარეში და დაისვენებს მუდმივი წვლებისგან.

➤4736

1927

### 20 მაისამდე

იღებს ზაქარია ჭიჭინაძის წერილს. ადრესანტი აცნობებს, რომ უტოვებს ნარკვევს ახალგაზრდა პოეტების შესახებ, რომელშიც რეალისტური კრიტიკის (პისარევის, ჩერნიშევსკის) შესწავლის აუცილებლობის თაობაზეა საუბარი. მისი აზრით, რეალისტური კრიტიკის საფუძვლიანად გაცნობა სიმბოლისტებსა და ფუტურისტებს დაეხმარება, უფრო ფართოდ შეიმეცნონ პოეზიის რაობა.

➤4737

1927

### 30 მაისი

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, რომ ავადმყოფს და სასოწარკვეთილს გალაკტიონმა ზურგში შხამიანი ლახვარი ჩასცა. დღიურში წერს, რომ საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ ყურადღება და ალერსი დასჭირდება და მისცემს კი ამას გალაკტიონი?

➤4738

1927

### 30 მაისი ან შემდეგ

ოლია ოკუჯავა ნერვიულობს იმაზე, რომ ორ დღეში საავადმყოფოდან გაწერენ და გალაკტიონი მას არ ელის. დღიურში სასოწარკვეთილი იწერს, რომ თუ ასეა, მაშინ ტერენტი გრანელს შესთავაზებს თავის ალერსს.

➤4739

1927

### 30 მაისის შემდეგ

გალაკტიონი მოკლე ბარათს სწერს ოლია ოკუჯავას და პასუხობს მის ბრალდებას, რომ შხამით არ ჰკურნავენ მეგობრებს. სწერს, რომ თავად მეტი შხამი ახსოვს მისგან. რაც შეეხება წერილების მიუწერლობას, ფიქრობს, რომ სულ არ არის საჭირო ყოველწუთს წერილები. ის არავის არ სწერს ხოლმე და ამის გამო არავინ უბრაზდება.

➤4740

1927

### 31 მაისამდე

მიხეილ ოკუჯავას სახლიდან საცხოვრებლად გადადის ცალკე.

➤4741

1927

### 31 მაისის შემდეგ

წერილს იღებს ძმისგან. აბესალომი ძალიან განაწყენებულია იმის გამო, რომ მისგან ერთი წელია წერილი არ მიუღია, არ აგებინებს, ვალების გასტუმრებაში თანხით დაეხმარება თუ არა და თავის მისამართსაც კი არ ატყობინებს, რის გამოც წერილის გაგზავნა ხან ოკუჯავებთან და ხან „მნათობის“ რედაქციაში უხდება. ადრე თუ გალაკტიონი წიგნზე მუშაობით დაკავებულიობას

იმიზეზებდა, ახლა წიგნი გამოცემულია, გალაკტიონი სოხუმშიც კი იყო და სახლში ისევ არ გაუვლია. სთხოვს, რომ წიგნის ჰონორარიდან თუ რამე დარჩა, გაუგზავნოს, რადგან ათას მანეთამდე ვალი აქვს ან მისწეროს, არის თუ არა თანახმა მათი საზიარო მშობლიური სახლის გაყიდვაზე.

➤4742

1927

### 31 მაისის შემდეგ

კიდევ ერთ წერილს იღებს ძმისგან. აბესალომი ძალიან განაწყენებულია იმის გამო, რომ არ აგებინებს, ვალების გასტუმრებაში თანხით დაეხმარება თუ არა და თავის მისამართსაც კი არ ატყობინებს. რის გამოც წერილების გაგზავნა ხან ოკუჯავებთან უხდება და ხან სახელმწიფო გამომცემლობაში ნიკოლო მიწიშვილის სახელზე.

➤4743

1927

### მაისი ან შემდეგ

1927 წლის მაისში გამოცემული წიგნის სარჩევში ამატებს იმ ლექსების სათაურებს, რომლებიც ნუსხიდან გამორჩენილია: „ძველი მოტივით“, „შენი სადღეგრძელო“, „Voiles“, „მოვა, მაგრამ როდის?“, „მერი“, „Astre“, „გვიანი ოცნება“, „ღამემ გაიარა“, „ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა...“.

➤4744

1927

### გაზაფხული

დგას სავაჭრო ჯიხურთან და სიგარეტის საყიდლად მისულ უცნობ ახალგაზრდას ეუბნება, ხედავთ? მეფის ყოფილი გენერლის მეუღლე დღეს თამბაქოს ყიდისო.

➤4745

## ივნისი

1927

### 1 ივნისი ან შემდეგ

ოლია ოკუჯავა ღამის 10 საათზე სახლში უტოვებს წერილს. სწერს, რომ დიდხანს ელოდა და რომ ასეთ უყურადღებობას სიყვარული არ ჰქვია. სწერს, რომ მისი ფული აიღო რამდენიმე დღით, რადგან ძალიან სჭირდება. გალაკტიონთან ვიღაც ნაცნობი კაცი იყო მისული და როდესაც ოლიამ უთხრა, რომ ავად იყო და ის მის სანახავად არცერთხელ არ მისულა, გაუკვირდა, როგორ განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებენ ადამიანები ერთი შეხედვით და როგორი უფულოები არიან რეალურად. ოლია წერს, რომ აღარ აპირებს მასთან მეტჯერ მისვლას და ქუჩაშიც არ მიესალმება. გალაკტიონს ისედაც ბევრი მეგობარი და ბევრი ისეთი ქალი ჰყავს, რომლებთანაც კარგად ერთობა.

➤4746

1927

### 10 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „დეღვის დროს გემზე...“

➤4747

1927

### 10 ივნისი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „ქალაქი წყალქვეშ“.

➤4748

1927

## 15 ივნისი

გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს ცნობას, რომ 19 ივნისს მუშათა ახალი კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤4749

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება ვასილ ბარნოვის საიუბილეო მიმართვა „გალაკტიონ ტაბიძეს“, რომელშიც გალაკტიონის პოეზია დახასიათებულია, როგორც ჰაეროვანი, მგრძობიარე ქართული სულის გამომხატველი. მასში ვხვდებით „მთელ ლაშქარს საარაკო სახეებისა“. ცნობილი მწერალი მოუწოდებს გალაკტიონს, რომ დროა, უკვე პოემებად ჩამოქნას თავისი სათქმელი.

➤4750

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება ზაქარია ჭიჭინაძის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ“. ავტორი ძალიან იწონებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ახალ წიგნს, რომელიც დიდი მოცულობისაა არის და ლექსების ხარისხითაც საუკეთესოა. ამიტომ მიიჩნევს, რომ ამ ახალგაზრდა პოეტის გვარი უნდა დაემატოს საქართველოს საუკეთესო პოეტების ჩამონათვალს.

➤4751

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება ვალერიან გუნიას ესე „ტემპერამენტი“, რომელშიც ავტორი გალაკტიონის პოეზიის მომხიბვლელობას ახალგაზრდა პოეტის ჭარბ ტემპერამენტს უკავშირებს.

➤4752

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება სანდრო შანშიაშვილის წერილი „დიდი ლირიკი“. ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონს თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის ტოლი არა ჰყავს. მისმა პოეზიამ დაჩრდილა ძველი და ახალი პოეტები. გალაკტიონი ღრმად ჩასწვდა ეპოქის სულს. მისი ლექსები ლოცვებს ჰგავს, რომლებსაც იზეპირებენ მორწმუნეები. წერილის ავტორის თქმით, გალაკტიონი არაა არც ერთი ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელი. შანშიაშვილი გალაკტიონის პოეზიის დასახასიათებლად მკითხველს სთავაზობს სიტყვას „ბიონოვია“, რაც მისი თქმით, ახალ ცხოვრებას ნიშნავს.

➤4753

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება დავით კლდიაშვილის წერილი „შვენება და სიამაყე ქართული ლირიკული პოეზიის“. ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონის ლირიკა მხოლოდ მგოსნის სულის მოძრაობის გამომხატველი კი არაა, არამედ ათასობით ადამიანის სულისკვეთებისა. სწორედ ეს მისია დააკისრა განგებამ გალაკტიონ ტაბიძეს.

➤4754

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება შალვა დადიანის წერილი „გალაკტიონის ახლოს“. ავტორი გალაკტიონის შემოქმედებით პროცესს მღვდელმოქმედებას ადარებს, პოეტს კი ქურუმს, რომელიც თავისი ღვთაებრივი პოეზიით აოცებს მკითხველებს.

➤4755

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება დომინიკა ერისთავის წერილი „სადღეისო“. ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონი სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა ქართული პოეზიის ისტორიაში და ამიტომაც უწოდეს მას პოეტების მეფე. გალაკტიონი არაა ჩვეულებრივი პოეტი, ამიტომაც მას დიდი სისათუთით უნდა ეპყრობოდეს მშობელი ერი.

➤4756

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება ია ეკალაძის წერილი „მკითხველებს“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ქართულ მწერლობაში შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე და ურჩევს მკითხველს, მოწყენის ჟამს მიმართოს გალაკტიონის ჯადოსნურ პოეზიას, რომელიც სუნთქავს მაღალი იდეალებით. მისი ლექსები დედის რძესავით ტკბილია და ისეთ ხმებს გამოსცემს, რომელთა მოსმენაც მხოლოდ ას წელიწადში ერთხელ თუა შესაძლებელი. გალაკტიონი „ნათლულია თვით პოეზიის ღმერთისა“.

➤4757

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება ტრიფონ რამიშვილის ესე „სასიქადულო, დიდად ნიჭიერი“. გალაკტიონი იმ თაობის პოეტთა თვალსაჩინო წარმომადგენლადაა გამოცხადებული, რომელთაც ქართული პოეზიის რეფორმა განახორციელეს საუკუნის დასაწყისში და გააფართოვეს მშობლიური ლიტერატურის საკითხთა წრე.

➤4758

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება თედო ბეგიაშვილის წერილი „რევოლუციის მგოსანი“. სტატიაში აღნიშნულია, რომ ქართველმა პოეტებმა ადვილად გამონახეს საერთო ენა რევოლუციასთან და მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო გალაკტიონ ტაბიძე. მან სწორად განჭვრიტა რევოლუციის პერსპექტივები და ინტუიციით იგრძნო მისი განვითარება აღმოსავლეთის მიმართულებით. ამგვარად იგი რევოლუციის წინასწარმეტყველად იქცა.

➤4759

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება ნიკო კურდღელაშვილის ესე „მკრთალი პორტრეტი“. მასში იმპრესიონისტული დაკვირვებებია წარმოდგენილი პოეტის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ მელანქოლიაზე, რომელიც მუდამ თან სდევს გალაკტიონის შემოქმედებას და მის წყაროდ პოეტის მიერ მამულზე წუხილს თვლის.

➤4760

1927



## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება ვასილ ალანას ესე „ჩემი ტკბილი მოგონება“. მასში ავტორი იხსენებს, თუ როგორი პოპულარული პოეტი იყო გალაკტიონი 10-იანი წლების დასაწყისში და როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა მისი ნახვა ახალგაზრდა მკითხველებზე. ალანია იმასაც აღნიშნავს, რომ 1917 წელს ვრცელდებოდა ხმები, თითქოს გალაკტიონი დაიღუპა რევოლუციის ბარიკადებზე.

➤4761

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება აკაკი ფალავას მინიატურული ჩანახატი „განდგომილი პოეტი“. მასში გალაკტიონის გარეგნული და შემოქმედებითი პორტრეტია წარმოსახული.

➤4762

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება გრიგოლ მაჭავარიანის წერილი „გამარჯვებული პოეტი“. ავტორი გალაკტიონს ასახელებს ღვთაებრივი ნიჭის პოეტად, რომლის თანამგზავრობაც ბევრს სურს, მაგრამ მისი მიყოლის ძალა არავის გააჩნია. ამიტომაც გალაკტიონი ეულად მიაბიჯებს პოეზიის გზაზე.

➤4763

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება ვახტანგ ვაჩნაძის წერილი „გილიოტინა და ეშაფოტი“. მასში აღნიშნულია, რომ საქართველო ხელოვანთათვის მუდამ გილიოტინა და ეშაფოტი იყო. ამის დასტურად ავტორი მოიხმობს ბარათაშვილის პიროვნულ ხვედრს. ახალ დროში რომანტიკოსი პოეტის მემკვიდრე გალაკტიონ ტაბიძეა. გალაკტიონის ლირიკა საოცარი კონტრასტებითაა დატვირთული, მისი ლექსის მხატვრული ფორმა კი ჯადოსნური მუსიკალურობითაა გამორჩეული.

➤4764

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ „ოლიმპიელის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ ჩანახატში „გალაკტიონ“ იგი უდიდეს ლირიკოსად და ღრმა განცდების პოეტადაა დახასიათებული.

➤4765

1927

## 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება გაიოზ იმედაშვილის წერილი „გალაკტიონ ტაბიძე, პოეტი საქართველოსი“. სტატიაში ნათქვამია, რომ გალაკტიონი ურთულესი მოვლენაა ქართული პოეზიის ისტორიაში და მისი მხატვრული სიმბოლოების გაშიფვრა თითქმის შეუძლებელია. წერილის ავტორის თქმით, ვერც ერთმა თანამედროვე ქართველმა პოეტმა ვერ აარიდა თავი გალაკტიონის გავლენას. მის თითოეულ ლექსს თან სდევს მთელი ეპოქის შეგრძნება.

➤4766

1927

#### 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები: შიო მღვიმელის „მებაღე“, გიორგი ქუჩიშვილის „გალაკტიონ ტაბიძეს“, ნოე ზომლეთელის „მგოსნის გატაცება“, დარია ახვლედიანის „გალაკტიონ ტაბიძეს“, ლიდია მეგრელიძის „გალაკტიონს“ და „გალაკტიონ ტაბიძეს“, ილო მოსაშვილის „არიფს გალაკტიონს“, ვარლამ რუხაძის „პოეზიის უტეხი ძალა“, ლავროსი ძიძიგურის „გალაკტიონ ტაბიძეს, შალვა ჯანბერიძის „გალაკტიონი“, ჰერცელ ბააზოვის „მესსია“. გაზეთში ასევე იბეჭდება ცნობა, რომ 26 ივნისს 9 საათზე მუშათა ახალ კლუბში იმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო. ამასთან აღნიშნულია, რომ სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა და უკვე იყიდება გალაკტიონ ტაბიძის „ლექსები“, რომლის ფასია 5 მანეთი.

➤4767

1927

#### 24 ივნისი

სალიტერატურო ბიულეტენში „გალაკტიონი“ იბეჭდება ცნობა, რომ 26 ივნისს 9 საათზე მუშათა ახალ კლუბში იმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო. ამასთან აღნიშნულია, რომ სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა და უკვე იყიდება გალაკტიონ ტაბიძის „ლექსები“, რომლის ფასია 5 მანეთი.

➤4768

1927

#### 24 ივნისის შემდეგ

პაოლო იაშვილი და ტიცინ ტაბიძე გაღიზიანებულები არიან გალაკტიონისადმი მიძღვნილი ბიულეტენის გამოსვლით, ყიდულობენ და საჯაროდ ხევენ.

➤4769

1927

#### 27 ივნისი

გალაკტიონზე განრისხებული ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, რომ ტერენტი გრანელთან გაატარებს დროს, რადგან 10 წელია მხეცის ტყვეობაშია და მეტი აღარ შეუძლია.

➤4770

1927

#### 30 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ ჩოდრიშვილისა და კეცხოველის სახელობის ტრამვაის კლუბში გაიმართება დიდი ლიტერატურული, მუსიკალური და მხატვრული საღამო, რომელშიც, სხვებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონ ტაბიძე.

➤4771

1927

#### ივნისი

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მწერალ ჯაჯუ ჯორჯიკიას ლიტერატურული დილა იმართება. პოეტი შაჰრუხ ჩარკვიანი და დავით თაქთაქიშვილი გადაწყვეტენ ამ საღამოსთვის წყალტუბოდან გალაკტიონ ტაბიძე ჩამოიყვანონ და ქალაქში ცნობილი მეეტლის კარანაძის ეტლით წყალტუბოში ჩადიან. გალაკტიონი სტუმრებს სიხარულით ხვდება, მეეტლეს ესალმება და ცხენს ეალერსება, შემდეგ კი, ვიდრე ქუთაისისკენ გაემგზავრებოდნენ, სოფელ თერნალში ბზიკაძის სასადილოში შესანიშნავი იმერული სადილით უმასპინძლდება ყველას.

➤4772

1927

**ივნისი**

წერს უსათაურო ლექსს „ან კიდევ აგერ: ბრგე ჯორა ხარი...“

➤ 5120

**1928**

**16 ივნისამდე**

წერს ლექსს „ლეჩაქები ჯაგებზე“ („მატარებელიც მოიჭრა თუჯის...“).

➤ 5121

**1928**

**16 ივნისამდე**

წერს ლექსს „ყველაფერს ხედავს“ („ის მედგრად ცდილობს...“).

➤ 5122

**1928**

**16 ივნისამდე**

წერს ლექსს „ერთხელ საღამოთი“ („ბათუმის მზე ჩასავალად ენთო...“).

➤ 5123

**1928**

**16 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ეხლა, „დენდი“ დარაბის...“

➤ 5124

**1928**

**16 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ოცნება იგივე სინამდვილეა...“

➤ 5125

**1928**

**16 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „თქვენი წიგნია: ქართველი ქალი...“

➤ 5126

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „აწ რკინადაა გული ქცეული“ („ახალგაზრდობა, მომავლის ძალა“.

➤ 5127

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „უცდიან ახალ მიქელ ანჯელოს“ („ის ხელოვნება კიდევ აღდგება...“).

➤ 5128

1928

16 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა...“

➤ 5129

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „არგონავტები ახალი დროის“ („ახალი დროის არგონავტები...“).

➤ 5130

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „კატორღიდან დაბრუნებულს“ („შენს ხომალდზე ავდარებში...“)

➤ 5131

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „მეცნიერება მედგარ შრომასთან“ („დეკემბერია, ყინვა, რუსეთი...“).

➤ 5132

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „გულში ცეცხლია“ („გულში ცეცხლია, ტყეშიც ცეცხლია...“).

➤ 5133

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე“ („მკათათვის მზე ამწვანებულს უვლის ველს...“).

➤ 5134

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „მამა და შვილი“ („ეგ ყველა ერთი არ არის ჩემთვის...“)

➤ 5135

1928

16 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ეუბნებოდნენ – სთქვიო ზღაპარი...“

➤ 5136

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „აჰა, თენდება“ („აჰა, თენდება! ოქროსფერ სხივით...“).

➤ 5137

1928

16 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „მთელი ქვეყანა რომ გადაიწვეს...“

➤ 5138

1928

16 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „გამოსულა ტიტველი და ბაზარზე დიდგულობს...“

➤ 5139

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „შენ, ფოლადივით ცივი თვალებით“.

➤ 5140

1928

16 ივნისამდე

წერს სტროფებს ლექსისა „სად ათეული ათასი რიცხვი...“.

➤ 5141

1928

16 ივნისამდე

ფურცელზე ჩაინიშნავს თბილისში გასტროლოგებზე მყოფი ბელორუსი საოპერო მომღერლის ირმა იაუნზენის სახელსა და გვარს.

➤ 5142

1928

16 ივნისამდე

წერს, რომ ხუთი წელია მუშაობს ჟურნალში „მნათობი“.

➤ 5143

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „არიფიონული სალამი“ („დიდი კულტურის ნამდვილ სამჭედლოს...“).

➤ 5144

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „სადამოხანად მძიმე ლონდონს დაფარავს ნისლი...“.

➤ 5145

1928

16 ივნისამდე

ლექსს „თაიგული“ („ერთხელ, ლამაზო, არ ვიცი რაზე...“) გადაამუშავებს და სათაურად აძლევს „მუშა დაფიქრებული მანქანასთან“.

➤ 5146

1928

16 ივნისამდე

უსათაუროდ წერს ლექსს („დაიძინე ალვისტანა...“).

➤ 5147

1928

16 ივნისამდე

ჰაინრიხ ჰაინეს ლექსის „გაზაფხული“ თარგმანს გადააკეთებს ორიგინალურ უსათაურო ლექსად „მოდუდუნებენ ზვირთნი მტკვარისა...“.

➤ 5148

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „კასპში ცემენტის არის ბუდობი“ („კასპში ცემენტის არის ბუდობი...“).

➤ 5149

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „ლითონის ქარხანა დიდუბეში“ („საქართველოში ინდუსტრიალურ...“).

➤ 5150

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „ჰაერში“ („ფიფქს რომ ააცლის გზას საბერველი...“).

➤ 5151

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „ელექტრონი“ („ბატარეები, რომლებშიდაც ელექტრონია...“).

➤ 5152

1928

16 ივნისამდე

წერს სოფელში დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფნის შემდეგ ისევ ჩასული კაცისა და თანასოფლელის დიალოგს. ქალაქელი ინტერესდება, რა დარჩა ძველებურად და რა შეიცვალა.

➤ 5153

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „ბზრიალა ქალაქი“ („დაჰკვირვებიხარ ტრიალა კარებს?...“).

➤ 5154

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „ალოო! გარაჟი!“ („დღითა და ღამით ტელეფონები...“).

➤ 5155

1928

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „სასტუმროში“ („ამ ცხოვრებაში ბევრია შხამი...“).

➤ 5156

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „გემთან“ („როს მტვირთავები ტვირთავენ გემებს...“).

➤ 5157

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „კულისებში“ („დეკორატივი ამზადებს ფარდებს...“).

➤ 5158

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „სახურავებზე“ („ავაშენებო როდისმე დოკებს...“).

➤ 5159

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „რკინიგზის სახელოსნოები“ („ღვიძავს რკინიგზის სახელოსნოებს...“).

➤ 5160

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „გამოფენაზე!“ („გამოფენაზე იდგა სასწორი...“).

➤ 5161

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „მხატვარი ფერადი შუშების“ („ამ ფერადებში შველა არაა...“).

➤ 5162

1928

16 ივნისამდე

წერს ლექსს „სარკის ქარხნები“ („გადიკეცება შუშაზე შუშა...“).

➤ 5163

1928

16 ივნისამდე

ჟურნალში „მნათობი“ იწყება პოემის „ეპოქა“ ბეჭდვა.

➤ 5164

1928

16 ივნისი

გაზეთი „კომუნისტი“ იუწყება, რომ „გამოვიდა და იყიდება ჟურნალის „მნათობი“ მეხუთე ნომერი, რომელშიც მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის პოემა „ეპოქა“.

➤ 5165

1928

**16 ივნისის შემდეგ**

აკაკი ვასაძეს თავის საესტრადო რეპერტუარში შეაქვეს გალაკტიონ ტაბიძის პოემა „ეპოქა“. გალაკტიონი არაერთხელ ესწრება მის გამოსვლას ოპერის თეატრში და მოსწონს, მაგრამ მსახიობი საკუთარი თავით ბოლომდე კმაყოფილი არ არის. ის ვერ ბედავს პოეტის შედეგების: „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“ და „მერი“ საჯაროდ წაკითხვას ვიდრე ერთხელ არ მოისმენს თავად გალაკტიონის მიერ წაკითხულ „მთაწმინდის მთვარეს“ და მის მიდგომას არ გაითავისებს.

➤ 5166

1928

**26 ივნისამდე**

იწყებს ლექსის წერას სათაურით „წერილი მაქსიმ გორკის“ („სიხარულს ჩემსას შთაგონება შეარხევს მშვიდი...“), მაგრამ იქვე წყვეტს.

➤ 5167

1928

**26 ივნისი**

ჟურნალში „ქართული მწერლობა“ იბეჭდება ლექსი „მოგონება გორკიზე“.

➤ 5168

1928

**ივნისის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს ბანოვანის (დესპინე გელოვანის) მოთხრობას „სამართალს სისხლით მოვძებნი“. სათაურთან აწერს მაქსიმ გორკის ფრაზას: „აზრს სისხლით ვერ ჩაახშობთ“. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. აინტერესებს სვანეთის ზნე-ჩვეულებები და ტერმინები.

➤ 5169

**ი გ ლ ი ს ი**

1928

**8 ივლისი**

შალვა კაშიაძე ჩუქნის ფსევდონიმით „სილეო-რეან“ გამოქვეყნებულ თავის წიგნს „შემოდგომიდან ქარიშხალამდე“ წარწერით. „პატივცემულ და საყვარელ პოეტს გალაკტიონს ავტორისაგან“.

➤ 5170

1928

**8 ივლისი ან შემდეგ**

შალვა კაშიაძის ნაჩუქარი წიგნის „შემოდგომიდან ქარიშხალამდე“ კონტრტიტულზე წერს უსათაურო ლექსებს: „მუდამდამე ცოლის ჩხუბმა...“ და „ვანელების ეკლესიას...“.

➤ 5171

1928

**24 ივლისი**

ქართველ მწერლებთან ერთად ხვდება თბილისში ჩასულ მაქსიმ გორკის და იღებს მასთან ჯგუფურ სურათს.

➤ 5172

1928

## 24 ივლისი

ქართველ მწერლებთან ერთად ესწრება მაქსიმ გორკის პატივსაცემად გამართულ ბანკეტს, რომლის შემდეგაც ესაუბრება რუსი მწერლის შვილს, მაქსიმს. ისმენს გორკის საუბარს, რომელიც ძალიან ნიჭიერ მწერლად ახასიათებს ჭოლა ლომთათიძეს.

➤ 5173

## 1928

### 24 ივლისი

მაქსიმ გორკისთან და მარიამ ორახელაშვილთან ერთად მიდის კოჯრის ბავშვთა სახლის მოსანახულებლად.

➤ 5174

## 1928

### 24 ივლისი

უბის წიგნაკში იწერს, რომ მაქსიმ გორკი მწერალთა სასახლეში მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე გალაკტიონს მიეგება ფრაზით თავისი პიესიდან „ფსკერზე“: „ადამიანი ჟღერს ამაყად“ და დაამატა, რომ გალაკტიონის სახელიც ჟღერს ამაყად. შემდეგ რუსმა პოეტმა აჩუქა თავისი წიგნი წარწერით: „გალაკტიონ ტაბიძეს, პოეტს ლეგენდარული დიდებით“. გალაკტიონი ჩანაწერში იქვე დასძენს, რომ მაქსიმ გორკი ყოველთვის თავშეკავებული იყო სხვათა შეფასებისას და ასეთი ქება არ წარმოუთქვამს ვლადიმირ მაიაკოვსკის შესახებაც კი.

➤ 5175

## 1928

### 24 ივლისი

მწერალთა სასახლეში ესწრება მაქსიმ გორკისთან შეხვედრას. სასახლის ბაღში გორკისთან და სხვა მწერლებთან – ალექსანდრე აბაშელი, ტიციან ტაბიძე, პავლე ინგოროყვა, ნიკოლო მიწიშვილი, მარიამ ორახელაშვილი, მაქსიმ გორკი, სილიბისტრო თოდრია, ბორის კომინოვ, ➤ ვარლამ რუხაძე, პლატონ კეშელავა, კარლო კალაძე, ერვანდ ასრიბეკოვ, მიხეილ ჯავახიშვილი, ბენიტო ბუაჩიძე, ალექსანდრე სულავა, შალვა რადიანი, არკადი სიტკოვსკი, გიორგი კრეიტანი, გიორგი ქუჩიშვილი – ერთად იღებს ფოტოს.

➤ 5176

## 1928

### 25 ივლისი

სასტუმროში „ინტურისტი“ სხვა მწერლებთან ერთად ხვდება მაქსიმ გორკის.

➤ 5177

## 1928

### 27 ივლისი

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ესწრება მაქსიმ გორკის თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ გამართულ საზეიმო საღამოს.

➤ 5178

## 1928

### 27 ივლისის შემდეგ

წერილს იღებს აბესალომ ტაბიძისგან. მმა სწერს, რომ გალაკტიონი ყველაფერში გამარჯვებულია და აუცილებლად მოახერხებს ღვინოზე გამარჯვებასაც. სთხოვს, არაფხიზელ მდგომარეობაში არ წავიდეს არცერთ კრებაზე ან საღამოზე. ამავე ფურცელზე აბესალომი ცალკე მიმართავს ოლია ოკუჯავას და სწერს, რომ, მიუხედავად მოუცლელობისა, რაკი ბედმა ასეთ დიდ კაცთან



დააკავშირა, უნდა ეცადოს, რომ ცხოვრების გზა შეუმსუბუქოს. სთხოვს, რომ აგვისტოს ბოლოს აუცილებლად ეწვიონ.

➤ 5179

**1928**

**28 ივლისი**

ინიშნავს ცნობებს ევროპაში, კერძოდ, ინგლისსა და პოლონეთში მიმდინარე საპროტესტო მოძრაობების შესახებ.

➤ 5180

**1929**

**28 ივლისის შემდეგ**

ადგენს საინფორმაციო განცხადების ტექსტს, რომლის მიხედვითაც, მალე წიგნად გამოიცემა მისი პოემა „ეპოქა“. აღნიშნავს, რომ წიგნი აერთიანებს პოეტის მიერ გასულ წელს დაწერილ ლექსებს. წიგნის ყდა გაფორმებულია მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ.

➤ 5181

## ა გ ვ ი ს ტ ო

**1928**

**1 აგვისტომდე**

თბილისიდან მატარებლით მიემგზავრება მოსკოვში კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 კონგრესზე დასასწრებად. ვაგონში გაიცნობს ამიერკავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტ აზერბაიჯანელ ყმაწვილს და რუს მესაზღვრე ჯარისკაცს. გზაში საუბრობენ და ერთმანეთს უმასპინძლებიან სამგზავროდ წაღებული თუ გზაში ნაყიდი პროდუქტებით. გალაკტიონი ფანჯრიდან ათვალიერებს აზერბაიჯანის დანგრეულ და გადამწვარ სოფლებს, მაგრამ ასევე ხედავს ხალხის დაუღალავ შრომას და ფიქრობს, რომ მალე ბაქო თბილისს ყველაფერში გაუსწრებს, თუ უკვე არ გაუსწრო. გზაში ყიდულობს და კითხულობს რუსულ გაზეთს „მოლოტ“.

➤ 5182

**1928**

**1 აგვისტო**

ჩადის მოსკოვში და ოლია ოკუჯავას დასთან, მანიასთან ერთად დეპემას უგზავნის ბორჯომში მყოფ მეუღლეს. აცნობებს, რომ მშვიდობიანად ჩავიდა.

➤ 5183

**1928**

**1 აგვისტოს შემდეგ**

გამოსვლისთანავე ყიდულობს ნიკო ლომოურის 16-გვერდიან წიგნს „ქრისტიანი ლექვები“, მაგრამ ვერ ახერხებს წაკითხვას.

➤ 5184

**1928**

**1 აგვისტოს შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ბორჯომიდან მოსკოვში გაგზავნილ წერილს, რომელშიც მოუწოდებს, რომ იცოცხლოს და გააგრძელოს ბრძოლა დიდებული, ლამაზი ცხოვრებისათვის, სადაც არ იქნებიან მონები. მოუწოდებს, რომ შექმნას მსოფლიო რევოლუციის ჰიმნი. ურჩევს, დაათვალიეროს ყველა მუზეუმი, ინახულოს დიდი გენიოსის – ლენინის მავზოლეუმი, გაიხსენოს ადგილები, სადაც ერთად დადიოდნენ. მოკითხვას უთვლის თავის დას – მანიას და სწერს, რომ ძალიან უნდა მათ გვერდით ყოფნა. უყვება, რომ ბორჯომის ჯიხურებში იყიდება მისი პორტრეტები. სთხოვს, რომ მოსკოვიდან რაიმე პატარა სამახსოვრო ნივთი ჩაუტანოს.

➤ 5185

1928

**1 აგვისტოს შემდეგ**

მოსკოვში მშვენიერ, დიდ ბინაში სტუმრობს შალვა ოკუჯავას ცოლს – აშხენ ნალბანდიანს და ნახულობს მეუღლის ნათესავებს.

➤ 5186

1928

**4 აგვისტომდე**

ჟურნალში „მნათობი“ გრძელდება პოემის „ეპოქა“ ბეჭდვა.

➤ 5187

1928

**4 აგვისტო**

გაზეთი „კომუნისტი“ იუწყება, რომ გამოვიდა ჟურნალი „მნათობი“, რომელშიც იბეჭდება პოემა „ეპოქა“.

➤ 5188

1928

**4 აგვისტო**

ფურცელზე იწერს კომუნისტური ინტერნაციონალის მოწოდებას მუშებისა და გლეხებისადმი, რომ მოემზადონ ახალი მსოფლიო ომის მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის.

➤ 5189

1928

**5 აგვისტო**

ინიშნავს ცნობას, რომ გერმანიის ქალაქებში მიმდინარეობს დემონსტრაციები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, პარიზში კი მოხდა შეტაკებები პოლიციასა და მშვიდობიან დემონსტრანტებს შორის.

➤ 5190

1928

**5 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს ერთ-ერთი სიმფონიური მუსიკის სადამოზე მიღებულ შთაბეჭდილებებს. აღნიშნავს, რომ გაკვირვებული დარჩა იმ აპლოდისმენტებით, რომლითაც თავისი მოვალეობის დიდებულად შემსრულებელი ორკესტრის ნაცვლად მაყურებელმა ერთი საშუალო დონის მომღერალი დააჯილდოვა. ფიქრობს, რომ სიმფონიური მუსიკის კონცერტზე არ არის მომღერლების ადგილი და მუსიკოსებს ეტყობოდათ გულგრილობა თავისი საქმისადმი, როდესაც საქმეში მომღერალი ერთვებოდა.

➤ 5191

1928

**9 აგვისტო**

მოსკოვში შამშე ლეჟავა ეუბნება, რომ ის დიდი ნიჭის კაცია, ჰყავს ისეთი მფარველი, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ კახიანია და მწერალთა კავშირი ვერაფერს დააკლებს.

➤ 5192

1928

## 11 აგვისტო

მოსკოვში თეატრალურ მოედანზე ხვდება შამშე ლეჟავას, რომელსაც სტუმრად მიჰყავს თავის სახლში. შამშე უყვება, რომ ბათუმიდან ლენინგრადამდე რკინიგზის სადგურების ბუფეტებში თითქმის სულ ქართველები მუშაობენ, რადგან სარფიანი საქმეა. მისივე თქმით მოსკოვში 1500 ქართველი ცხოვრობს, რომელთა დიდი ნაწილი ძარცვა-ყაჩაღობას მისდევს და გალაკტიონს სთხოვს, რომ დაეხმაროს ამ პრობლემის მოგვარებაში.

➤ 5193

1928

## 12 აგვისტო

მოსკოვიდან ბორჯომში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას და უყვება, თუ როგორი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე დარუბანდმა, ჩრდილოეთ კავკასიამ, გროზნომ, ბესლანმა, პროხლადნაიამ, გიორგიევსკმა. აღფრთოვანებულია იმით, რომ სულ ახლოს ჩანდა კავკასიონის მთები და თვით იალბუზი.

➤ 5194

1928

## 14 აგვისტომდე

უბის წიგნაკში იწერს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანთან – მიხეილ კახიანთან მოსალოდნელ სატელეფონო საუბარს. აპირებს, გაუზიაროს ის სიხარული, რაც გამოიწვია მისმა გამამხნეველმა შეხედულებებმა გალაკტიონის უკანასკნელი ნაწარმოებების შესახებ და ეცდება უფრო ნაყოფიერად იმუშაოს. მოსკოვში ჩასულია ლიტერატურული მიზნებით და უნდა იქ დარჩენა, რის შესახებაც სურს შეხვედრა და მისთვის რამდენიმე მოსაზრების გაცნობა.

➤ 5195

1928

## 14 აგვისტო

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი, მიხეილ კახიანი ჰპირდება, რომ ორი კვირის შემდეგ გადაიყვანს ჟურნალის „მნათობი“ მუდმივ თანამშრომლად.

➤ 5196

1928

## 28 აგვისტო

მოსკოვში სურათს იღებს ია ეკალაძესთან ერთად.

➤ 5197

1928

## 30 აგვისტო

იმყოფება მოსკოვში. წერს უსათაურო ლექსს „ვერაფრით დამძალავდა ბედი...“.

➤ 5198

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

1928

## 1 სექტემბრამდე

იმყოფება მოსკოვში და მონაწილეობს კომუნისტური ინტერნაციონალის მეექვსე კონგრესის მუშაობაში.

➤ 5199

1928

## 1 სექტემბერი

ნახულობს გასაოცარ სიზმარს – წიგნებით სავსე დიდ ოთახს.

➤ 5200

1928

### 1 სექტემბრის შემდეგ

კომინტერნის მეექვსე კონგრესის დელეგატებთან ერთად მოგზაურობს დონბასის, უკრაინისა და ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში. მოგზაურობისას უახლოვდება დელეგატთა შორის მყოფ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივან ანტონინ ზაპოტოცკის და მის მეუღლე მარიას, რომლებსაც საქართველოში ეპატიჟება.

➤ 5201

1928

### 1 სექტემბრის შემდეგ

მეგზაურობას უწყევს კომინტერნის მეექვსე კონგრესზე თბილისში მყოფ ანტონ ზაპოტოცკისა და მის მეუღლეს – მარიას. დელეგატების მოგზაურობას იღებს სახელმწიფო კინოქრონიკის სექტორი კინოსიუჟეტისთვის „კომინტერნის მეექვსე კონგრესის მონაწილენი თბილისში“.

➤ 5202

1928

### 1 სექტემბრის შემდეგ

ანტონ და მარია ზაპოტოცკებს ათვალეიერებინებს საქართველოს ღირსშესანიშნაობებს. ამ ფაქტს ამუშეებს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“.

➤ 5203

1928

### 17 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „მაგია მზისა, მაგია მთვარის...“

➤ 5204

1928

### სექტემბერი

ჟურნალში „მნათობი“ გრძელდება პოემის „ეპოქა“ ბეჭდვა.

➤ 5205

1928

### სექტემბერი ან შემდეგ

განცხადებას წერს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნის მიხეილ კახიანის სახელზე, შეახსენებს, რომ მოსკოვში ყოფნის დროსაც ელაპარაკა თავის გადაწყვეტილებაზე, რომ მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო გადასულიყო ჟურნალ „მნათობთან“ მუდმივ თანამშრომლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით ის კარგავდა ამ ჟურნალში გამოქვეყნებული მასალის ჰონორარს, მუდმივი ხელფასი მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

➤ 5206

1928

### სექტემბრის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს, რომ ლევ ტოლსტოის ძალიან უყვარდა მეხუთე სიმფონიის მოსმენა.

➤ 5207

1928

### სექტემბრის შემდეგ

აკეთებს ამონაწერს ილია ჭყონიას მოგონებებიდან ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ, რომლის თანახმადაც, მწერალს გაზეთ „დროების“ რედაქცია არ სთხოვდა დამთავრებული თხზულებების მიტანას. ისინი მზად იყვნენ, თუნდაც ცალკეული თავები დაებეჭდათ.

➤ 5208

## ოქტომბერი

1928

### ოქტომბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ჯეკ ლონდონს რომ აქვს ერთი ამბავი“.

➤ 5209

1928

### 2 ოქტომბერი

ჟურნალში „მნათობი“ გრძელდება პოემის „ეპოქა“ ბეჭდვა.

➤ 5210

1928

### 2 ოქტომბერი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება შალვა რადიანის წერილი „ლიტერატურული თანამგზავრები საქართველოში (გალაქტიონ ტაბიძე)“, რომელშიც მიმოხილულია პოეტის შემოქმედებითი გზა, ნათქვამია, რომ გალაკტიონის მსოფლმხედველობა არ არის ერთიანი. პოეტის ლირიკა იყოფა ორ ნაწილად: 1917 წლამდე და 1917 წლის შემდეგ. ბოლო პერიოდის შემოქმედების მიხედვით კი აღნიშნავს, რომ გალაკტიონი პროლეტარული რევოლუციის ლიტერატურული თანამგზავრია.

➤ 5211

1928

### 21 ოქტომბერი

ტარდება არიფონელების შეკრება, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად ესწრებიან: მიხეილ ჯავახიშვილი, ლევან მეტრეველი, სანდრო შანშიაშვილი, ლეო ქიაჩელი, შალვა დადიანი, პეტრე ქავთარაძე, ილო მოსაშვილი, დავით სულიაშვილი, კონსტანტინე კაპანელი, გერონტი ქიქოძე, ვასო გორგაძე და იოსებ ტატიშვილი. მიხეილ ჯავახიშვილი გამოდის ინიციატივით, რომ არიფონელებმა შეიმუშაონ საკუთარი ჯგუფის მართლწერა, რომელიც გულისხმობს ძველი ქართული „იოტას“ და „მ“ პრეფიქსის აღდგენას. კენჭისყრის დროს გალაკტიონი თავს იკავებს, სხვათა ხმები კი ზუსტად შუაზე იყოფა. შეკრებაზე ასევე მსჯელობენ იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჯგუფის ჟურნალი, რამდენად მყარი იქნება მათი ურთიერთობები და რა გავლენას იქონიებს „არიფონის“ არსებობა ზოგად ლიტერატურულ პროცესებზე. შეხვედრის ბოლოს თანხმდებიან, რომ ორი დღის შემდეგ შეიკრიბებიან კახეთში.

➤ 5212

1928

### 22 ოქტომბერი

იმყოფება სიღნაღში ილო მოსაშვილთან და წერს ლექსს „სანამ არ დამსხვრეულა ჩანგები და არფები...“.

➤ 5213

1928

### 23 ოქტომბერი

კახეთში, ილო მოსაშვილის სახლში ტარდება შეკრება, რომელსაც მასპინძლისა და გალაკტიონ ტაბიძის გარდა ესწრება ათი არიფიონელი და გრიგოლ მუშიშვილი. ქეიფობენ, მიირთმევენ მაჭარს და საუბრობენ ლიტერატურაზე.

➤ 5214

**1928**

#### **24 ოქტომბერი**

თბილისში ხვდება ლეო ქიაჩელს და აცნობს თავის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კარგი იქნებოდა, „არიფიონს“ თავისი გაზეთიც ჰქონოდა. ამ სურვილს შემდეგ უზიარებენ მათთან მისულ სანდრო შანშიაშვილს, რომელიც ეუბნება, მეც სულ მაგას ვამბობდიო. გადაწყვეტენ, რომ არიფიონელთა შემდეგ შეკრებაზე აუცილებლად დასვან ეს საკითხი.

➤ 5215

### **ნოემბერი**

**1928**

#### **22 ნოემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ გრძელდება პოემის „ეპოქა“ ბეჭდვა.

➤ 5216

**1928**

#### **ნოემბერი ან ადრე**

სათაურით „ცეცხლი ფიქრიანია“ და ქვესათაურით „მე და ვერონიკა“ წერს ლექსს („ვერონიკა დაფიქრებით, ლაღი...“).

➤ 5217

### **დეკემბერი**

**1928**

#### **დეკემბრის მეორე ნახევარი**

მისი ძმა აბესალომი თბილისში ჩადის და უნდა გალაკტიონთან შეხვედრა, მაგრამ მისი იმჟამინდელი მისამართი არ იცის, ვერსად პოულობს და მისთვის გადასაცემ ბარათს ოლია ოკუჯავას უტოვებს.

➤ 5218

**1928**

ჟურნალში „რევოლუციის მატთანე“ იბეჭდება თენგიზ ჟღენტის წერილი „ზოგიერთი ეპიზოდები პარტ. მუშაობიდან 1905 წ. შემდეგ“, მასში საუბარია თუ როგორ მოაწყვეს ქუთაისში სოციალ-დემოკრატების შეკრება, რომელსაც რეალური შინაარსის შესანიღბად გალაკტიონის სალიტერატურო სადამო უწოდეს და ღონისძიებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი მას გადასცეს. სადამოს მონაწილეთა უმრავლესობა სოციალ-დემოკრატების მხარდამჭერი იყო, ზოგი კი, მაგალითად ია ეკალაძე, სადამოში მხოლოდ გალაკტიონისადმი პატივისცემით მონაწილეობდა.

➤ 5219

**1928**

თბილისში გაიცნობს ფილოლოგსა და პედაგოგ იოსებ მეგრელიძეს.

➤ 5220

**1928**

წერს ლექსს „კარგია ლექსი“.

➤ 5221

**1928**

იბეჭდება ვარლამ ხუროძის წიგნი „ქართული ლიტერატურის თემატიურად განხილვა მე-XIX საუკუნიდან თებერვლის რევოლუციამდე“, რომელშიც ერთი ქვეთავი ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძეს. წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონი არც ერთ თანამედროვე ქართველ პოეტს არ ჰგავს. იგი ბარათაშვილისებურად აღიქვამს სინამდვილეს. ვარლამ ხუროძე მიუთითებს, რომ გალაკტიონი ვერ შეეთვისა რევოლუციურ სინამდვილეს და მელანქოლია გაუმძაფრდა. რადგან გალაკტიონი ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტია, წიგნის ავტორი არ გამოორიცხავს, რომ მომავალში ის შეიძლება გარდაიქმნას.

➤ 5222

**1928**

ლეო ქიაჩელი ჩუქნის თავის წიგნს „თავადის ქალი მათა“ წარწერით: „გალაკტიონ ტაბიძეს, ავტორი“.

➤ 5223

**1928**

ქუთაისის სამაზრო აღმასკომი უგზავნის უწყებას და ავალდებულებს 6 მანეთისა და 50 კაპიკის გადახდას იმის საკონპენსაციოდ, რომ არ ღებულობდა მონაწილეობას საგზაო მშენებლობაში.

➤ 5224

**1928**

ბლოკნოტში წერს, რომ ფოტოგრაფია დიდი და კარგი ხელოვნებაა, აღნიშნავს იმასაც, რომ ყველა ფოტოში გარგად გამოდის, თუმცა ეს არაა საკმარისი, რადგან აუცილებელია გამოიყენონ კინემატოგრაფიული სინათლის შესახებ ლუი დელიუკის პრინციპები.

➤ 5225

**1928**

წერს უსათაურო ლექსს „ნუ მორთავთ კისკისს...“, იქვე თარგმნის რუსულად და სათაურად აწერს „მინაწერი ტაციტუსის ხელნაწერზე“.

➤ 5226

**1928**

კითხულობს გიორგი ერისთავის წიგნს „დავა“, ტიტულზე სათაურის ზემოთ აწერს: „კაპიტალი ფეოდალის ხელში“ და აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 5227

**1928**

წერს უსათაურო ლექსს „ღუტუ ენგურს მიადგა...“

➤ 5228

**1928**

კრებულში „პატარა ჩანგი“ იბეჭდება ლექსი „მთაწმინდის მთვარე“.

➤ 5229

**1928**

წერს უსათაურო ლექსს „ღუტუ იღებს ჭიქას ბროლს...“

➤ 5230

**1928 ან შემდეგ**

ლეო ქიაჩელის ნაჩუქარ წიგნის „თავადის ქალი მათა“ სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 5231

### 1928 ან შემდეგ

წერს ფელეტონს „ინტერნაციონალი“.

➤ 5232

### 1928 ან შემდეგ

ანდრეი ბელის წიგნში „ქარი კავკასიიდან“ აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 5233

### 1928 ან შემდეგ

იწერს ხალხურ ლექსებსა და ანდაზებს.

➤ 5234

### 1928 ან შემდეგ

წერს ლექსს „ლომი კბილებში ხარით“ („ღობესთან იდგა ბრგე ჯორა ხარი...“).

➤ 5235

### 1928 ან შემდეგ

კითხულობს გრიგოლ ორბელიანის ლექსების კრებულს. ვახტანგ კოტეტიშვილის შესავალ წერილში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. აღნიშნავს, რომ პოეტების ამ თაობას ასევე დიანებდა არა მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა და რუსეთის პოლიციური რეჟიმის დამყარება, არამედ მათ შემოქმედებაში ჩანდა ფეოდალების განწირულება, რომლებიც კარგავდნენ სარჩო-საბადებელს, სასახლეებსა და ძველ მყუდროებას. წერილში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, რომ გრიგოლ ორბელიანმა ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ დაწერა 76 წლის ასაკში, ასკვნის მისი დაბადების თარიღს – 1801 წელს, ამ წელს აკლებს წიგნში ლექსებზე მითითებულ თარიღებს და ანგარიშობს პოეტმა რამდენი წლისამ დაწერა ესა თუ ის ლექსი.

➤ 5236

### 1928 ან შემდეგ

მესამე პირში წერს ტექსტს, რომელშიც შეფასებულია მისი ოცწლიანი ლიტერატურული მოღვაწეობა. ტექსტში აღნიშნულია, რომ ოცი წლის განმავლობაში გალაკტიონ ტაბიძე იყო 50-მდე ქართული ჟურნალისა და გაზეთის თანამშრომელი, მწერალთა კავშირის პირველი პერიოდული ორგანოს – „ლომისის“ რედაქტორი, „მნათობის“ დამფუძნებელი და ძირითადი თანამშრომელი, საკუთარი ორგანოს – „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ გამომცემელი. პოეტს მონაწილეობა აქვს მიღებული 300-მდე ლიტერატურულ სადამოში. მისი შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებულია 500-მდე წერილი და გამოხმაურება, რომელთა ავტორები არიან: ნიკო მარი, აკაკი წერეთელი, კიტა აბაშიძე, ივანე გომართელი, ფილიპე მახარაძე, შალვა დადიანი, გრიგოლ რობაქიძე და ქართული ინტელიგენციის სხვა ცნობილი წარმომადგენლები. ცოტა ხნის წინ გამოიცა პოეტის 500-გვერდიანი წიგნი, რომელიც მოიცავს მისი შემოქმედების დაახლოებით მეოთხედ ნაწილს. ჩანაწერის მიხედვით, კრიტიკოსები გალაკტიონს ახასიათებენ ეპითეტებით: „მეფე პოეტების“, „თეთრი მეფე“, „გენიალური გალაკტიონი“, „ცენტრალური ფიგურა თანამედროვე პოეზიაში“.

➤ 5237

### 1928 შემდეგ

წერს ლექსს „საეკლესიო შაირები“.

➤ 5238



**1928 31 დეკემბერი**

**1929 1 იანვარი**

ოლია ოკუჯავა ელოდება, რომ გალაკტიონი მიაკითხავს და ახალ წელს ერთად შეხვდებიან, მაგრამ პოეტი სხვებთან ატარებს დღესასწაულს. ოლია ორივეს სახელით უგზავნის ახალი წლის მილოცვას გალაკტიონის ძმას, რადგან იცის, აბესალომს არ გაუხარდება იმის გაგება, რომ ისინი ცალ-ცალკე შეხვდნენ ახალ წელს.

➤ 5239

**1929**

**1 იანვრის შემდეგ**

იწყებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „რამდენიმე დღე მივდივარ...“.

➤ 5240

**1929**

**1 იანვრის შემდეგ**

ოლია ოკუჯავა ბინაში აკითხავს გალაკტიონს. ის სახლში არ ხვდება და უტოვებს წერილს. სწერს, რომ ახალ, 1929 წელს გალაკტიონი უნდა დაფიქრდეს თავის ყოფაზე, მოშორდეს იმ საზოგადოებას, რომელიც ფსკერისკენ ექაჩება და ისევ დაუმეგობრდეს კალამს, რადგან მისი კალამთან მეგობრობა შობს დიდ სიყვარულს და შეებრძოლება ბოროტებას. სთხოვს, რომ მიაკითხოს მეორე დღესვე ვაგზლის ქუჩის 16 ნომერში და მოუყვეს, რა გეგმები აქვს სამომავლოდ. სწერს, რომ გალაკტიონის ძმას ორივეს სახელით საახალწლო მილოცვა გაუგზავნა. ის იფიქრებდა, რომ ისინი ერთად იყვნენ და გაუხარდებოდა, სინამდვილეში კი გალაკტიონი სხვებთან შეხვდა ახალ წელს.

➤ 5241

**1929**

**14 იანვარი**

ჟურნალში „მნათობი“ სრულდება პოემის „ეპოქა“ ბეჭდვა.

➤ 5242

**1929**

**18 იანვრის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს ლიტერატურული თანამგზავრობის შესახებ. მიუთითებს, რომ ეს ტერმინი რუსულის კალკია და მისი გამოყენება საერთოდ მიუღებელია ლიტერატურის მიმართ. თანამგზავრობის კონცეფციას იგი ტროცკისტულ თვალსაზრისად მიიჩნევს, რომლის თანახმადაც თანამგზავრი მგზავრს მიჰყვება განსაზღვრულ ეტაპამდე და შეიძლება საერთოდაც შუა გზაში მიატოვოს იგი. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ეს ტერმინი არ ვარგა და მით უმეტეს შეურაცხმყოფელია ქართველი მწერლებისათვის, რომელთა გულწრფელობაშიც მას ეჭვი არ ეპარება.

➤ 5243

**1929**

**18 იანვრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ამხანაგებო! გამოჩნდა მტერი!“

➤ 5244

**1929**

**25 იანვრის შემდეგ**

წერილს იღებს ძმისგან, აბესალომ ტაბიძისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ დაოჯახდა და ცოლად შეირთო ქალი, რომელიც მასთან ერთად მუშაობს მასწავლებლად. სწერს, რომ სახლში ბუხრები გააკეთა. ინტერესდება, როგორ არიან გალაკტიონი და ოლია და როგორი მატერიალური მდგომარეობა აქვთ.

➤ 5245

**1929**

### **29 იანვარი ან შემდეგ**

წერილს სწერს ოლია ოკუჯავას. ატყობინებს, რომ გარდაიცვალა ნიჭიერი, სანდომიანი, ინტელიგენტი ასაკოვანი პოეტი ქალი, ალექსანდრ გრიბოედოვის არაჩვეულებრივად მთარგმნელი, დომინიკა ერისთავი. გალაკტიონს გულს უჩუყებს იმ ფრაზების გახსენება, რომლებითაც ამკობდა მას გარდაცვლილი თავის ბოლო წერილში: „დიდი პოეტია, უდიდესი განცდებით და უნაზესი გადმოცემებით“, „განცალკევებული მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში“, „სათუთის გრძნობით უნდა ეკიდებოდეს თავისი ერი“. გალაკტიონი შეახსენებს ოლიას, რომ ამ ქალბატონს თავადაც იცნობდა და ძალიან სთხოვს, რომ მიცვალებულთან მიიტანოს ყვავილები ან გვირგვინი წარწერით: „ოლია ოკუჯავასგან“.

➤ 5246

**1929**

### **30 იანვარი**

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის, წერილს.

➤ 5247

**1929**

### **30 იანვარი**

მუშათა სასახლის დიდ დარბაზში იმართება ლიტერატურული შეხვედრა მუშებთან, რომელზეც პლატონ ქიქოძე მოხსენებაში „ქართული მხატვრული პოეზია და პროზა 1928 წელს“ აღნიშნავს გალაკტიონ ტაბიძის დიდ მიღწევებს. ასევე აქებს ფრიდონ ნაროუშვილს, სხვებს კი აკრიტიკებს.

➤ 5248

**1929**

### **30 იანვარი**

დღიურში იწერს, რომ უფულოდაა.

➤ 5249

**1929**

### **31 იანვარი**

ესწრება თათბირს მწერალთა სასახლეში, რომელსაც ოცამდე მწერალი ესწრება, მაგრამ უღიმღამოდ ტარდება. გალაკტიონი კმაყოფილია მისდამი სხვების დამოკიდებულებით.

➤ 5250

**1929**

### **31 იანვარი**

დღიურში იწერს, რომ ისევ უფულოდაა.

➤ 5251

## **თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი**

**1929**

### **1 თებერვალი**

წერს მოგონებას. იხსენებს, რომ ერთხელ ჭყვიშში მშობლიურ სახლში ყოფნისას მთელი დამე გატაცებით კითხულობდა ჩარლზ დიკენსის რომანს „დიდი იმედები“. დილით შთაბეჭდილების ქვეშ მყოფს აუწერელი სიხარული მიანიჭა ფანჯარაში შემოსულმა მზის შუქმა და ფანჯრის მინას კოცნა დაუწყო. ამ ფაქტს შეესწრო ოთახში შემოსული გალაკტიონის დედა და შემფოთებულმა ჰკითხა, ხომ არ გადაირიეო. გალაკტიონმა მხოლოდ ორი სიტყვის თქმა მოახერხა: „დიდი იმედები“. დედამ ვერაფერი გაუგო მის ნათქვამს და გული წაუვიდა. გალაკტიონმა განიცადა, რომ დედა მის გამო გახდა ცუდად და მზის სხივიც აღარ მოეჩვენა ისე დიდებულად. მოგონება მთავრდება სიტყვებით: „გასცდა ჩვენს ფანჯარას ის მზის შუქიც... ვინ იცის, დაბრუნდება ისევ, თუ არა?“

➤ 5252

1929

#### 1 თებერვალი

დღიურში ჩამოწერს, რომ იყიდა ვაშლი, კაკალი, პაპიროსი, ასანთი, ყველი, კვერცხი და პური, მაგრამ ფული საერთოდ აღარ დარჩა. წუხს, რომ იმედიც არავისი და არაფრის შერჩა.

➤ 5253

1929

#### 4 თებერვალი

თხოვნით მიმართავს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს, რომ მისცენ კავშირის წევრობისა და უმუშევრობის მოწმობა.

➤ 5254

1929

#### 4 თებერვალი

თხოვნით მიმართავს გამომცემლობას „შრომა“ გამოსცენ მისი რჩეული ნაწერები. ჰპირდება, რომ ამისათვის წარადგენს I, II და III წიგნებიდან ამოკრეფილ მასალას.

➤ 5255

1929

#### 4 თებერვლის შემდეგ

განცხადებით მიმართავს გამომცემლობას „შრომა“ და ითხოვს, რომ გამოსაცემად მიტანილი მისი წიგნის „რჩეული“ ანგარიშში გამოუწერონ 100 მანეთი.

➤ 5256

1929

#### 9 თებერვალი

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისგან იღებს წევრობისა და უმუშევრობის ცნობას.

➤ 5257

1929

#### 14 თებერვალი

დახმარების სათხოვნელად მიმართავს „მთავარხელოვნებას“. განცხადებაში ვრცლად აღწერს საკუთარ მიღწევებს და დამსახურებას ქართული ლიტერატურის წინაშე, მსჯელობს ჟურნალ-გაზეთებთან მუდმივ თანამშრომლობაზე, უკვე გამოცემული და გამოსაცემი წიგნების მოცულობასა და შინაარსზე, ხაზს უსვამს, რომ იგი კრიტიკის მიერ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდანვე აღიარებულია პირველხარისხოვან პოეტად. ამავე დროს, აღნიშნავს, რომ 1917 წლის რევოლუციის პერიოდი გაატარა მოსკოვსა და პეტროგრადში და ამ გარემოებამ მისცა შესაძლებლობა, პირველს გადაედგა ნაბიჯი რევოლუციური პოეზიის შესაქმნელად საქართველოში, მაგრამ ამავე გარემოებამ იგი ფიზიკურად დაავადმყოფა. მომდევნო წლების

შიმშილმა, უბინაობამ, უტანსაცმლობამ სრულიად გაანადგურა და ამჟამადაც მოკლებულია ფიზიკური არსებობის ყოველგვარ საშუალებას. ასეთ კატასტროფულ მდგომარეობას ზედ დაერთო მისი ავადმყოფობა, რომელიც საშუალებას არ აძლევს მშვიდად ემსახუროს საყვარელ საქმეს. იმედი აქვს, რომ მათი მზრუნველობა ხელოვნების მსახურთადმი და, აგრეთვე, სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის მე-20 საიუბილეო წელი მისცემს შესაძლებლობას, ცოტათი მაინც ადამიანურად მოაწყოს ცხოვრების, შესაძლოა, უკანასკნელი დღეები.

➤ 5258

1929

15 თებერვალი

მოკლე წერილს სწერს დედას, მაკრინე ადვიშვილს, ულოცავს უფროსი ვაჟის დაოჯახებას, ატყობინებს, რომ ელოდება ახალი წიგნის ბეჭდვას, მოკითხვას გადასცემს ოლია ოკუჯავასაგან და ჰპირდება მალე მონახულებას.

➤ 5259

## მ ა რ ტ ი

1929

22 მარტი

ავადაა. არა აქვს ფული, გადაუხდელია წყლისა და ბინის ქირა. მთავარხელოვნებიდან მისი მოღვაწეობის 20 წლის იუბილეს გადახდასთან დაკავშირებით პასუხი არ მიუღია, არც სახელგამიდანაა პასუხი „ეპოქის“ გამოცემის შესახებ და არც „მნათობიდან“ შეუტყობინებიათ რამე თანამშრომლობის თაობაზე. გამომცემლობა „შრომა“ თანახმაა, გამოსცეს რჩეული ლექსები, თუმცა ეს წიგნი გამოვა რამდენიმე თვის შემდეგ, მანამდე კი შეიძლება უფულობის გამო ან ბინა დაკარგოს ან შიმშილისგან დაიღუპოს. დაიწყო „ეპოქის“ გადამუშავება. მთელი დღე ზის სამკითხველოში, შემდეგ დახეტილობს. თოვს. გაიარა პლექხანოვის პროსპექტი ვორონცოვის ხიდამდე, შეხვდა ლაუ სორტელს, რომელიც გამოელაპარაკა და შესთავაზა მის ნაცნობებთან ერთად დაღევა. დალიეს მეკუბოვეებთან და მესაფლავეებთან. განიცდის, რომ შიმშილის გამო ამ სიტუაციამდე მივიდა. სახლში დაბრუნებული შეზარხოშებული წერს, რომ ამ სახლში, კრილოვის 10 ნომერში არავინ პატივს არ სცემს.

➤ 5260

1929

22 მარტის შემდეგ

ხდება ჟურნალ „მნათობის“ მუდმივი თანამშრომელი.

➤ 5261

1929

22 მარტის შემდეგ

განცხადებით მიმართავს განათლების მუშაკთა კავშირს, რომ აირჩიონ ამ ორგანიზაციის წევრად. განცხადებას თან ურთავს ცნობას ჟურნალ „მნათობში“ თავისი თვითრედაქციის შესახებ.

➤ 5262

1929

23 მარტი

დილით მიდის ხელოვნების სამმართველოში, პასუხი არ არის მის განცხადებაზე. მერე შეივლის სამკითხველოში გაზეთებისთვის. ხვდება ბენო გორდეზიანს, რომელსაც ესაუბრება ქართული ყოველკვირეული გაზეთის დაარსების შესახებ. ბენო ეუბნება, რომ თანხმობას არ მისცემენ, რადგან ძალიან რთული ვითარებაა. ამბობს, რომ მოსკოვში „ლეფელებს“ სტატიების ქვეშ თავიანთი გვარის მოწერაც კი აუკრძალებს. გალაკტიონი აღშფოთებულია. გორდეზიანი ამბობს, რომ ასეთ დროს მოცდაა საჭირო, რადგან ვითარება აუცილებლად შეიცვლება.

➤ 5263

1929

23 მარტი

ხვდება ნინო მაყაშვილს, რომელიც აღფრთოვანებით უამბობს სოფლის ამბებს.

➤ 5264

1929

24 მარტი

ორი დღის უჭმელია. დილით გაივლის რუსთაველის პროსპექტზე, ბრუნდება შინ, იწყებს რჩეულ ლექსებზე მუშაობას. ღამით სიზმარში ერთად ნახულობს სტალინს და ტროცკის, ხოლო თავად მას დაბლობიდან მთაზე თავისი ხელით ააქვს უზარმაზარი მატარებელი. ფიქრობს, რომ ეს სიზმარიც კი რეალობაზე უკეთესია. „მსოფლიო შემოსილია მხოლოდ შავი, საშინელი სინამდვილით“ და საბრალო პოეტმა არ იცის, რა ქნას.

➤ 5265

1929

31 მარტამდე

წერს ლექსს „ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“.

➤ 5266

1929

31 მარტამდე

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება „ლექსი დაწერილი „მნათობის“ 5 წლის არსებობის გამო.“ აქვე არის ამ ჟურნალში 1924 წლის თებერვლიდან 1925 წლის მარტამდე დაბეჭდილი მასალების ბიბლიოგრაფია და გალაკტიონ ტაბიძის რა ლექსები დაიბეჭდა ამ პერიოდში. ჩამონათვალში არის ლექსები: „ქარი“, „ადმოსავლეთი“, „ჯონ რიდი“, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“, „1917“, „ეს არის გუგუნი მთელი ეპოხის“, „ასი ლექსი“, „პოემა ვეფხვისა“, „კოსმიური ორკესტრი“, „პოეტის შეხვედრა მოჩვენებებთან რევოლუციური მუზეუმის წინ 7 ნოემბერს 1917 წ.“, „ეპოქა“, „ლექსი დაწერილი „მნათობის“ ხუთი წლის არსებობის გამო“. ნუსხაში ასევე შეტანილია გობრონ აგარელის რეცენზია პოემაზე „ჯონ რიდი“.

➤ 5267

## აპრილი

1929

აპრილი

რუსულ ჟურნალში „ნა რუბეჟე ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონის პოემის „ჯონ რიდი“ ნაწყვეტის ელენე შერვაშიძისეული (შერი) თარგმანი.

➤ 5268

1929

აპრილი

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ იბეჭდება ბენიტო ბუაჩიძის წერილი „ქართული მწერლობის გზები“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. ბენიტო ბუაჩიძის შეხედულებით, თანამედროვე ქართული მწერლობა მთლიანად ვერ ჩაითვლება საბჭოთა ლიტერატურად. კრიტიკოსი ახასიათებს საქართველოში 20-იან წლებში არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებებს. გალაკტიონის შესახებ ბუაჩიძე მიუთითებს, რომ იგი პროლეტარული რევოლუციის გულწრფელი თანამგზავრია, რითაც ძალზე მოვგავონებს ალექსანდრ ბლოკს. გალაკტიონს ნაკლებად ეხერხება სოციალისტური მშენებლობის პროცესის ასახვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პოეტი მიისწრაფვის თანამედროვეობის ორგანული შეთვისებისაკენ. ეს ფაქტი, კრიტიკოსის აზრით, მას უკვე აყენებს მემარცხენე თანამგზავრების რიგებში.

➤ 5269

1929

#### აპრილის შემდეგ

თხოვნით მიმართავს აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირს, იზრუნონ „ჯონ რიდის“ რუსულ ენაზე გამოსაცემად. აცნობებს, რომ დასახელებული პოემის რუსულ ენაზე პირველი გამოცემის უფლება ავტორს გადაცემული აქვს მისი მთარგმნელისთვის, ელენე ნიკოლოზის ასულ შერვაშიძისთვის, რომელიც იბეჭდებოდა ფსევდონიმით „შერი“.

➤ 5270

### მაისი

1929

#### 1 მაისი

ესწრება საპირველმაისო აღლუმს და ფიქრობს, რომ ღონისძიება ტარდება უღიმღამოდ, მანიფესტანტები მიდიან უხმოდ, წარბშეჭმუხნილნი, დაღვრემილნი. ეს არის ძალით გამოყვანილი მასა. მილიციის უფროსი მომღერლებს სთხოვს, ომახიანად იმღერონ, მაგრამ არაფერი გამოდის. არ ჩანს სადღესასწაულო განწყობა.

➤ 5271

1929

#### 6 მაისამდე

წერს გეგმას 6 მაისს გასამართი ლიტერატურული საღამოსათვის. არჩევს წასაკითხ ლექსებს. ფიქრობს, რომ საღამო უნდა დაიდგას ისე, როგორც პიესა. გეგმავს დეკორაციების მოძიებას, საღამოს გაფორმებას მუსიკალური, საბალეტო ან პანტომიმის ნომრებით.

➤ 5272

1929

#### 7 მაისი

აკეთებს ჩანაწერს, რომ მალე 15 წელი შესრულდება, პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან და მას შემდეგ კაცობრიობა სანგრებში ცხოვრობს.

➤ 5273

1929

#### 13 მაისი

საღამოს 7 საათზე საქართველოს მწერალთა დელეგაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობს ბაქოს რადიოგადაცემაში და რუსულად კითხულობს ლექსს „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“.

➤ 5274

1929

#### 16 მაისი

გალაკტიონ ტაბიძე საქართველოს მწერალთა დელეგაციასთან ერთად ნაშუაღამევს მიემგზავრება ბაქოში ამიერკავკასიის ეროვნებათა კულტურული ერთობის კვირეულზე დასასწრებად.

➤ 5275

1929

#### 17 მაისი

გალაკტიონ ტაბიძე საქართველოს მწერალთა დელეგაციასთან ერთად მატარებლით თვრამეტსაათიანი მგზავრობის შემდეგ ჩადის ბაქოში, სადაც გრანდიოზულ შეხვედრას უწყობენ და აზინავებენ სასტუმროში „ახალი ევროპა“.

➤ 5276

**1929**

**17 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 16 მაისს გალაკტიონ ტაბიძე საქართველოს მწერალთა დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა ბაქოში ამიერკავკასიის ეროვნებათა კულტურული ერთობის კვირეულზე დასასწრებად.

➤ 5277

**1929**

**18 მაისი**

ჟურნალში „ქართული მწერლობა“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის წერილი „ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული დაკავშირებისათვის“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბაქოს რადიოსადგურმა მოაწყო რადიო-გადაცემა ქართველ მწერალთა მონაწილეობით და სხვებთან ერთად ლექსები წაიკითხა გალაკტიონ ტაბიძემ.

➤ 5278

**1929**

**მაისი**

ლიდია მეგრელიძე უძღვნის ლექსს „შენი წიგნი“ („ნუ დამაყვედრებ ამ სტრიქონებს...“).

➤ 5279

## ივნისი

**1929**

**1 ივნისამდე**

ისმენს ვილაცის ომახიან მოხსენებას მსოფლიო ვითარების შესახებ. საუბარია კაპიტალისტურ ქვეყნებში კლასობრივ ბრძოლაზე და მაგალითად მოხმობილია ბომბეის ფეიქართა აჯანყების ახალი ტალღა.

➤ 5280

**1929**

**1 ივნისამდე**

უბის წიგნაკში იწერს პოეტურ ფრაზას: „ამაყი იმით, რომ ვარ ქართველი...“.

➤ 5281

**1929**

**1 ივნისამდე**

ბაღში ისმენს 6-7 წლის გოგონას საუბარს დედასთან. ბავშვი ხედავს, რომ მებაღე რწყავს ბაღს და სურვილი უჩნდება, რომ თავადაც ბაღახი იყოს. პოეტი ფიქრობს იმაზე, რომ ზოგადად, პატარა ბავშვებს სჩვევიათ ყველაფრის ნატვრა: ნეტავი ჩიტი ვიყო, რომ ფრენა შეემძლოს, ნეტავი მთასავით შორს ვიყო, მარადი ვიყო და სხვ.

➤ 5282

**1929**

**1 ივნისამდე**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს სათაურით „ომის მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. ჩანაწერში საუბარია პოლონეთის ფაშისტების პროვოკაციულ გამოსვლაზე, ჩინეთში, ხარბინში საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმაზე,

➤ 5283

**1929**

**1 ივნისის შემდეგ**

უმის წიგნაკში იწერს ტიცთან ტაბიძის ფრაზას: „ვისზე რა ნაკლები ვარ?“ და მრავალმნიშვნელოვნად პასუხობს, „არავისზე, არავისზე“.

➤ 5284

1929

### 1 ივნისის შემდეგ

აინტერესებს, საიდან არის სიტყვა „საათი“. წერს, რომ ედგარ პოს „ყორანი“ ფაქტობრივად საათია და მთელი ჩვენი ცხოვრებაც არის საათი. შემდეგ იწერს სხვადასხვა ინფორმაციას საათის შესახებ. მათ შორის არის მითითებები შარლ ბოდლერის, კნუტ ჰამსუნის, მარსელ პრუსტის, ედგარ პოს, თეოფილ გოტიეს, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ნაწარმოებებზე. იხსენებს სხვადასხვა საათებს: სუდეიკინის ნახატს კაფე ქიმერიონში, მამის საათს, ვაჟას, ილიასა და აკაკის საათებს, საათს კრემლზე, ერევნის (ამჟამინდელი თავისუფლების) მოედანზე, გერმანელების ეკლესიაზე, ფოსტა-ტელეგრაფის შენობაზე, რკინიგზის სადგურზე და სხვ.

➤ 5285

1929

### 1 ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ალო! – ჩემის ხმით – ლაპარაკობს ტფილისი...“.

➤ 5286

1929

### 1 ივნისის შემდეგ

რადიოგაზეთიდან რუსულ ენაზე იწერს ინფორმაციას თბილისის ახალი რადიოგადამცემი ხაზის შესახებ.

➤ 5287

1929

### 1 ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „იყო კალანდაი, მარა კალანდაში...“.

➤ 5288

1929

### 1 ივნისის შემდეგ

ადგენს გეგმას ლიტერატურული სადამოსათვის, რომელშიც ჩართულები იქნებიან მხატვრები და მუსიკოსები.

➤ 5289

1929

### 1 ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ბედო, ჩემი უარყოფა დაგიჯდება ძვირი...“.

➤ 5290

1929

### 1 ივნისის შემდეგ

ადგენს გეგმას გამოფენისთვის. სურს, რომ წარმოდგენილი იყოს მისი ყველა წიგნი, ყველა ჟურნალი და გაზეთი მისი პუბლიკაციებით და სტატიებით მასზე და ყველა პორტრეტი.

➤ 5291

1929

### 5 ივნისი



საღამოს ქართველ და აზერბაიჯანელ მწერალთა დელეგაციებთან ერთად მიემგზავრება ერევანში.

➤ 5292

1929

6 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გალაკტიონ ტაბიძე ქართველ და აზერბაიჯანელ მწერალთა დელეგაციებთან ერთად 5 ივნისს გაემგზავრა ერევანში. ქრონიკაში ნათქვამია, რომ 3-4 დღის შემდეგ ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის დელეგაცია ერთად ჩამოვა თბილისში, სადაც გაიმართება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მწერალთა დაახლოების კვირეული.

➤ 5293

1929

7 ივნისი

ერევნის კულტურის სახლის დარბაზში ესწრება კულტურული შეკავშირების საღამოს და კონცერტს.

➤ 5294

1929

8 ივნისი

საქართველოს მწერალთა დელეგაციასთან ერთად ათვალიერებს ერევნის ქარხნებს და უნივერსიტეტის კომპლექსს.

➤ 5295

1929

9 ივნისი

საქართველოს მწერალთა დელეგაციასთან ერთად ათვალიერებს ეჩმიაძინის მონასტერს, ბიბლიოთეკას და სომხეთის კოლმეურნეობებს.

➤ 5296

1929

9 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ სტატიაში „საქართველოს მწერლები ბაქოში“ ვანო წულუკიძე განსაკუთრებით გამოყოფს ბაქოს რადიოგადაცემაში გალაკტიონ ტაბიძის მიერ წაკითხულ ლექსს, რომლის დედააზრი გადმოცემულია სიტყვებში: „რევოლუციის გრიგალებს ვუმდერთ ჩვენ, – პოეტები საქართველოსი“.

➤ 5297

1929

10 ივნისი

საქართველოს მწერალთა დელეგაციასთან ერთად დილიდან სტუმრობს სომხეთის ქალაქ ქამარლიუს (ამჟამინდელ არტაშატს), საღამოს კი მიემგზავრება ლენინაკანში, სადაც ათვალიერებს საფეიქრო ფაბრიკას და ჰიდროელექტროსადგურს.

➤ 5298

1929

11 ივნისი

დილით ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ მწერლებთან ერთად სტუმრობს ქალაქ ლენინაკანს, სადაც უმართავენ დიდ შეხვედრას, სადამოს 10 საათზე კი ამიერკავკასიის დასახელებული ქვეყნების დელეგაციები მიემგზავრებიან თბილისში.

➤ 5299

1929

12 ივნისი

დილით ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ მწერალთა დელეგაციებთან ერთად ჩამოდის თბილისში, სადაც სადგურზევე უწყობენ გრანდიოზულ დახვედრას და იმართება მიტინგი.

➤ 5300

## ი ვ ლ ი ს ი

1929

3 ივლისი

დავით გაბრუაშვილი ჩუქნის თავის წიგნს „ჩემი ქნარი“ წარწერით: „ჩემს ძვირფასს მეგობარს გალაქტიონ ტაბიძეს“.

➤ 5301

1929

3 ივლისი ან შემდეგ

დავით გაბრუაშვილის ნაჩუქარი წიგნის „ჩემი ქნარი“ ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 5302

1929

28 ივლისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ვედარ დაუგებს მახეს...“.

➤ 5303

1929

28 ივლისი

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს ვანო წულუკიძის სტატიას „ხორურდინ ჰაიასტან“, რომელშიც საუბარია ქართველ და აზერბაიჯანელ მწერალთა დელეგაციების ვიზიტზე სომხეთში.

➤ 5304

1929

28 ივლისი

შალვა აფხაიძე აპირებს, შეხვდეს მაჩაიძეს გალაქტიონ ტაბიძის „რჩეული ლექსების“ გამოცემასთან დაკავშირებით. პოეტი ფიქრობს, რომ სახელმწიფო გამომცემლობის ქალაქი ხარისხიანი არ არის, მაგრამ არჩევანი არ აქვს.

➤ 5305

1929

28 ივლისის შემდეგ

თავის პოემას „ეპოქა“ წიგნად გამოსაცემად გადასცემს პირველ სტამბას. წიგნის კორექტორად ინიშნება არნო ონელი. ჰპირდებიან, რომ ბეჭდვა ერთ კვირაში გათავდება.

➤ 5306

1929

## **28 ივლისის შემდეგ**

იწყებს განცხადების წერას სახელმწიფო გამომცემლობის გამგის სახელზე, რომ დასაბუქდად გადაცემული მისი წიგნის „ეპოქა“ ჰონორარიდან წინასწარ გამოუწერონ 100 მანეთი.

➤ 5307

1929

## **28 ივლისის შემდეგ**

იწყებს განცხადების წერას სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის სახელზე. აღნიშნავს, რომ მეტად შევიწროებულ მატერიალურ მდგომარეობაშია და არა აქვს მკურნალობის გაგრძელების საშუალება. ამიტომ ითხოვს თავისი ჰონორარიდან ორი თვის – ივლისისა და აგვისტოს თანხის ერთად გადაცემას.

➤ 5308

1929

## **28 ივლისის შემდეგ**

დღიურში იწერს დღის გეგმებს. ჩანს, რომ ნახევარი საათით მისასვლელია სტამბაში, ასევე, სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატში, გამომცემლობაში „შრომა“ და სახელმწიფო გამომცემლობაში. ბოლო ორში მოსაგვარებელი აქვს ავანსის აღების საკითხები.

➤ 5309

1929

## **30 ივლისი**

საგანგებოდ მიდის მოსკოვის წიგნის სააგენტოს მაღაზიაში თავისი 1927 წელს გამოცემული წიგნისთვის და აღმოაჩენს, რომ გასაყიდად არ აქვთ გამოტანილი არც ის და არც „ჯონ რიდი“.

➤ 5310

1929

## **30 ივლისი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მისი წიგნები გასაყიდად არ არის გამოტანილი არც სახელგამის, არც მოსკოვის სააგენტოს და არც სხვა მაღაზიაში და ასე გრძელდება 5 წელია.

➤ 5311

1929

## **30 ივლისი**

მუშათა სასახლეში ხვდება დამბლადაცემული ახალგაზრდა მუშა, რომელიც რკინიგზაში დამლაგებლად მუშაობს თვეში 8 მანეთად. მას უნდა კავშირის წევრობა და გალაკტიონი მიასწავლის, სად მივიდეს.

➤ 5312

1929

## **30 ივლისი**

მიდის სახელმწიფო გამომცემლობის მაღაზიაში და იგებს, რომ მოხუც იმერელ კაცს, რომელიც შვეიცარად მუშაობდა და მას ყოველთვის თბილად ექცეოდა, დამბლა დასცემია და კვდება. ფიქრობს, რა საშინელებაა დამბლა.

➤ 5313

1929

## **30 ივლისი**

ხვდება აზერბაიჯანის მთავარი ლიტერატურული განყოფილების გამგეს, რომელიც უყვება, როგორ დასდეს ბრალი აზერბაიჯანის განათლების კომისარს თანამდებობაზე თავისი ნათესავის მოწყობაში და, ზოგადად, რა ხდება ბაქოში.

➤ 5314

1929

### 30 ივლისი

მუშათა სასახლის წინ ამჩნევს ახალგაზრდა კაცს, რომელიც კიბესთან დგას და უყურებს ზემოდან ჩამომავალ ქალებს, რომ მათ შიშველ მუხლებს მოჰკრას თვალი. გალაკტიონს ეცოდება მისი დაუკმაყოფილებელი ახალგაზრდობა და ამის შესახებ დღიურში წერს.

➤ 5315

1929

### 30 ივლისი

კონსტანტინე წიგწივაძე უყვება, რომ ჩიკაგოს 30-მილიონსიტყვიან ენციკლოპედიაზე მუშაობს 300 გამოჩენილი მეცნიერი, მაგრამ ექსპერტად ჰყავთ შვიდწლედის მოწაფე და თუ ენციკლოპედიაში მისთვის უცნობი სიტყვა მოხვდება, მაშინვე იღებენ წიგნიდან. წიგწივაძე ხუმრობს, გრიგოლ რობაქიძისთვის სად ვიშოვო ასეთი ექსპერტიო.

➤ 5316

1929

### 30 ივლისის შემდეგ

გამომცემლობაში „შრომა“ ხვდება ადამიანებს, რომლებიც ძველი ნაცნობებივით პატივისცემით და ზრდილობიანად ესალმებიან, თავად კი ვერ სცნობს და ნერვიულობს, რომ მეხსიერება ღალატობს.

➤ 5317

1929

### 30 ივლისის შემდეგ

ღამით ბაღლინჯოები არ აძინებენ და დილიდან ხელები უკანკალებს. ახსენდება, რომ ვლადიმერ მაიაკოვსკის უკანასკნელი პიესა არის „ბაღლინჯო“.

➤ 5318

## ა გ ვ ი ს ტ ო

1929

### 1 აგვისტო

წიგნად გამომავალ პოემას „ეპოქა“ წარუმიძღვარებს წარწერას, რომ უძღვნის მარჯორი პოლიტს და კომინტერნის VI კონგრესის სხვა თორმეტ დელეგატს, რომლებთანაც ერთადაც კონგრესის დასრულების შემდეგ იმოგზაურა საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებში

➤ 5319

1929

### აგვისტო

ოლიას ლენინგრადში წასვლის შემდეგ კრილოვის ქუჩაზე გალაკტიონ ტაბიძის მეზობლად მცხოვრები ქალები კიდევ უფრო აქტიურდებიან. მის ფანჯარასთან აივნის მხრიდან თავიანთ მაგიდას მისწვენ და მთელი ღამე პურს ხუხავენ, კარს საწოლს მიადგამენ და წყვილები მთელი ღამე მოურიდებლად აჭრაჭუნებენ, აივნიდან გარეთ გადაეყუდებიან და შიშველ ბარძაყებს აჩენენ, რაღაცებს თხოულობენ და ადარ უბრუნებენ, მის კართან გროვად ყრიან პაპიროსის ნამწვავებს. გარდა ამისა, მეზობელი დემეტრაძეები პარტორგანიზაციაში გალაკტიონის წინააღმდეგ აწარმოებენ პროპაგანდას. წერილის ტექსტთან გალაკტიონი ხატავს მოზეიმე ვირთხებს ღვინის ბოთლებით.

➤ 5320

1929

**აგვისტო**

წერილს უგზავნის ოლიას ლენინგრადში. უყვება, რომ წინა დღეს სახლში ღამით დაბრუნდა, აივანზე ნავთის ბოთლები წაქცეული დახვდა და საშინელ სუნში ეძინა. ასევე დაწვრილებით მოუთხრობს მისი მეზობელი ქალბატონების გამომწვევი ქცევების შესახებ და მათ რისხვაზე იმის გამო, რომ გალაკტიონს მხოლოდ ოლია აინტერესებს, მათ ქალებად ვერ აღიქვამს, და ჩვეულებრივ ბოზებად მიიჩნევს.

➤ 5321

1929

**ზაფხული**

ოთხ საათზე კრილოვის ქუჩაზე მასთან სახლში მიდის ოლია ოკუჯავა, რომელიც იმხანად დედასთან ცხოვრობს, მაგრამ უნდა კრილოვის ქუჩის იმ მეზობლებთან დალაპარაკება, რომლებიც გალაკტიონს ავიწროებენ. პოეტი შინ არ არის. ოლია სვამს ჩაის და ატანს სულ ცოტა პურს, რომ გალაკტიონსაც დაუტოვოს. ქმრისგან ფულის სესხება უნდა, მაგრამ იცის, რომ გალაკტიონსაც არ ექნება. როდესაც ხედავს, რომ მათი „აზნაური“ მეზობელი სახლში ბრუნდება, საგანგებოდ გადის აივანზე, რომ დაენახვოს, მაგრამ მეზობელი თავს არიდებს.

➤ 5322

1929

**ზაფხული**

ოლია ოკუჯავა მოკლე ბარათს უტოვებს კრილოვის ქუჩის ბინაში. სწერს, რომ უკვე ოთხჯერ იყო მასთან, რომ მათ თავხედ მეზობლებს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ისინი მას ერიდებიან, გალაკტიონს კი ნელა ახრჩობენ. იმერელ აზნაურს უბარებს, რომ თავისი ემმაკური ხრიკები შეწყვიტოს და ოლიას დედის ბინაში მიაკითხოს სალაპარაკოდ. ამხნეებს, რომ აუცილებლად დაამარცხებენ ასეთ ადამიანებს. სთხოვს, რომ მეორე დღეს 1 საათის შემდეგ მივიდეს მასთან და თუ ვერ მივა, თავად ოლია მიაკითხავს.

➤ 5323

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1929

**5 სექტემბრამდე**

სადამო ხანს კრილოვის ქუჩაზე მასთან მიდის თავისი კარის მეზობელი სამხედრო პირი და კატეგორიულად ითხოვს, რომ გალაკტიონმა მისი დიდი, აზაზანიანი ოთახი გაუცვალოს პატარა, უაზაზანო ოთახში. გალაკტიონის პასუხზე, რომ ოლია თანახმა არ არის, სამხედრო პასუხობს, რომ ოლიას მძა შალიკო, რომლის დამსახურებითაც ამ ბინაში არიან, საქმის კურსშია და ოლია ვერაფერს გახდება, რადგან ის და გალაკტიონი სამხედროები არ არიან. თუ ნებით არ დათანხმდებიან, ძალით მოუწევთ გადასვლა. მეზობელი ამბობს, რომ 6 წელია სამხედრო სამსახურშია და იმსახურებს უკეთესად ცხოვრებას. აფრთხილებს, რომ გალაკტიონის და ოლიას განზრახვა აივნის ხარჯზე მეორე ოთახის მიმატებაზე, არ გამოვა, რადგან მეზობლები მას დაუჭერენ მხარს. სამხედრო პირი გამუდმებით იმეორებს, რომ მათგან უარის თქმა კომუნისტური ეთიკის დარღვევაა და ამით ცდილობს გალაკტიონის დაშინებას.

➤ 5324

1929

**5 სექტემბერი**

ხაშურიდან იღებს უცნობი პირის წერილს. მას, როგორც ჩანს, ოლია ოკუჯავასგან გაუგია, როგორ ავიწროებენ გალაკტიონს თავისი მეზობლები კრილოვის ქუჩის ათ ნომერში. ამიტომ ფიქრობს ადგილზე ჩასვლას და ამ კულაკურ-აზნაურული ელემენტებისთვის ჭკუის სწავლებას.

➤ 5325

1929

#### 14-16 სექტემბერი

იმყოფება გორში და წერს ლექსს „სადღაც მთვრალის მოისმოდა ჰარიალალე...“.

➤ 5326

1929

#### 16 სექტემბერი

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობას და სთხოვს, რომ მისი წიგნის „ეპოქა“ ანგარიშში გამოუწერონ 150 მანეთი, რომლის ალბასაც მისი ავადმყოფობის გამო ანდობს მეუღლეს, ოლია ოკუჯავას.

➤ 5327

1929

#### 17 სექტემბრამდე

წერს ესსეს რევოლუციური ხელოვნების შესახებ. აქცენტებს აკეთებს ხელოვნებისა და ხელოვნობის ურთიერთმიმართებაზე, რომანტიზმის სულზე პოეზიაში, ხალხთან დაახლოვებაზე, ყალბ კოლექტივიზმზე, ახალი მოძრაობის რიტმსა და სხვა საკითხებზე.

➤ 5328

1929

#### სექტემბერი

წერილს იღებს დედის, მაკრინე ადვიშვილისაგან, რომელიც საყვედურობს ჩაუსვლელიობისა და წერილის მიუწერლობისთვის. ატყობინებს, რომ გალაკტიონის ძმას, აბესალომს ვაჟი შეეძინა, რომელმაც ცოტა იავადმყოფა, მაგრამ უკვე კარგად არის. სწერს, რომ მის სახელზე გზის შეკეთების გადასახადის ქვითარი მიიღეს და არ იციან, უნდა გადაიხადონ თუ არა. ეპატიჟება თავისთან და სთხოვს, თუ ოლია შეძლებს, ისიც წაიყვანოს.

➤ 5329

### ოქტომბერი

1929

#### 9 ოქტომბერი

წერს უსათაურო ლექსს „წამართვა ცხოვრებამ ოცნება...“.

➤ 5330

1929

#### 10 ოქტომბერი

იმყოფება თბილისის მეტალისტების კლუბში, რომელშიც არის 900 რუსი მკითხველი და მხოლოდ 100 ქართველი. აინტერესებს, რატომ ხდება ასე, რატომ არ არის სალიტერატურო წრე. ფიქრობს, რომ კლუბების მუშაობას კარგად უნდა გამორკვევა. კლუბში ფილმის დასაწყისი იმ დღეს გამოცხადებულია 9 საათზე, მაგრამ გაცილებით მეტი დრო გავიდა და არავინ იცის, როდის დაიწყება.

➤ 5331

1929

#### 10 ოქტომბერი

უბის წიგნაკში წერს, რომ პროფესია მოქმედებს ორგანიზმზე, როდესაც მუდამივად წერ წელში იხრები. ფიქრობს, რომ რევოლუციამ გაათანაბრა ფიზიკურად და გონებრივად მომუშავეები, მანამდე კი, წინ იდგნენ გონებრივად მომუშავენი, დიდი გონებრივი მუშაობა დამოკიდებულია დიდ ფიზიკურ შესაძლებლობაზე. ფიზიკურად განადგურებული ადამიანი, გონებრივად ბევრს

ვერაფერს აკეთებს. მძიმე ათლეტიკა საჭიროდ არ მიაჩნია, რადგან საკმარისია ჩვეულებრივი ვარჯიში. აღნიშნავს, რომ ლენინი ფიზიკურად ძალიან განვითარებული იყო, ასევე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და ყველა დიდი მოღვაწე. აინტერესებს, რა გავლენას ახდენს გონებაზე ტუბერკულოზი და მაგალითებად მოჰყავს არჩილ ჯორჯაძე და ეგნატე ნინოშვილი.

➤ 5332

**1929**

### **11 ოქტომბერი**

ელოდება რუსი პოეტების ჩასვლას თბილისში.

➤ 5333

**1929**

### **11 ოქტომბერი**

ორ კვირაში უნდა გამოვიდეს მისი წიგნი „ეპოქა“. ამიტომ უხდება ზრუნვა იმაზე, რომ სტამბას ჰქონდეს ქალაქი, დროზე გაკეთდეს კლიშეები და ყდა.

➤ 5334

**1929**

### **12 ოქტომბერი**

მოხიბლულია მიგა ვერტოვის სურათით „ადამიანი კინოაპარატით“. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მასში არც სიუჟეტია და არც წარწერები, ნაჩვენებია მხოლოდ თანამედროვე ქალაქის მკვეთრი დინამიურობა.

➤ 5335

**1929**

### **12 ოქტომბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს, რომ საქართველოში პოეზია ვერ ახერხებს გზის გაკვალვას და საჭიროებს ერთგვარ დახმარებას იდეური, კლასიკური ხაზის მოსანახად. პოეზია გაყოფილია ორ ნაწილად: ერთი, რომელიც ასე თუ ისე მოქმედებს შემოქმედებითად და მეორე სრულიად გარიყულია უმოქმედობით, რადგან ვერ ახერხებს არსებობას თავისით. აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ ხელოვნების დამოუკიდებლობა და ზეკლასიურობა არაფერია, რაც დაამტკიცა რევოლუციამ.

➤ 5336

**1929**

### **12 ოქტომბრის შემდეგ**

წერს ლექსს „ქალები, რომლებიც მე შემხვედრიან“ („როცა ვიგონებ ძვირფას სახელებს...“.

➤ 5337

**1929**

### **12 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო სახუმარო ლექსს „ინტლიგენტო“! შენ დაგიდგეს თვალები...“.

➤ 5338

## **ნოემბერი**

**1929**

### **14 ნოემბერი**

ხელოვნების სასახლეში ხვდება ბენიტო ბუაჩიძეს, რომელიც აცნობებს, რომ შაბათს იმართება პროლეტარული მწერლობის ასოციაციის პლენუმი და სთხოვს, დაესწროს. ბუაჩიძე ასევე აჩვენებს ნიკოლო მიწიშვილის მოხსენებას, რომელიც, მისი თქმით, ავითარებს თვალსაზრისს,

რომ მთელი ქართული მწერლობა კონტრევოლუციურია. გალაკტიონი მიუგებს, რომ მიწიშვილის შეხედულებები მის შესახებ უსამართლოა, რაზეც ბუაჩიძეც თანხმდება და აღნიშნავს, რომ რევოლუციის პირველი თანამგზავრი გალაკტიონია და არა ვინმე სხვა. შემდეგ ბენიტო ბუაჩიძე გალაკტიონს სთავაზობს მოამზადონ საფუძველი თანამშრომლობისათვის და ამ მიზნით ურჩევს, შეიტანოს პლენუმზე განცხადება, რაზეც გალაკტიონი თანხმდება, თუმცა აღნიშნავს, რომ ერთი დღე განცხადების მოსამზადებლად საკმარისი არ არის.

➤ 5339

1929

### 17 ნოემბრამდე

დღიურში აკეთებს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმისადმი მიმართვის მონახაზს.

➤ 5340

## დეკემბერი

1929

### 28 დეკემბრამდე

გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგანგებო სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძის მეუღლეს – ოლია ოკუჯავას კონტრევოლუციური და ტროცკისტული საქმიანობისთვის უსჯიან შუა აზიაში სამი წლით გადასახლებას.

➤ 5341

1929

### 28 დეკემბრამდე

ოლია ოკუჯავას გადასახლებაში, შუა აზიაში გაგზავნის დღეს გალაკტიონი სადგურზე ყვავილებით მიდის. იქ ასევე არიან მიხეილ ოკუჯავას ცოლისდა – ვერა ხალვაში, დედასთან, ფედოსიასთან ერთად, ოლიას ბიძაშვილები მარიამ და ელენე ოკუჯაგები და დეიდაშვილი ვასილ კიკვაძე.

➤ 5342

1929

### 28 დეკემბრის შემდეგ

იღებს გადასახლებამისჯილი ოლია ოკუჯავას მიერ კრასნოვოდსკიდან 28 დეკემბერს გაგზავნილ ორ წერილს. მეუღლე უყვება, რომ კასპიის ზღვაზე იმგზავრეს სულ პატარა გემით, რომლითაც ადრე 26 კომისარი წაუყვანიათ დასახვრეტად. გემს გზადაგზა უხდებოდა ყინულების გაჭრა. თავს ძალიან ცუდად გრძნობს, ავად არის, მაგრამ სთხოვს, რომ დედას არ გაუმხილოს. მიემგზავრებიან სამარყანდისკენ, მაგრამ იქიდან, სავარაუდოდ, სხვადასხვა ადგილებში გადაანაწილებენ. ჰპირდება, როგორც კი გაიგებს, საბოლოოდ სად იქნება, მაშინვე შეატყობინებს.

➤ 5343

1929

### 29 დეკემბრის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ აშხაბადიდან გაგზავნილ წერილს. ქალი უყვება, რომ წინა დღეს მატარებლით გაიარეს ის ადგილი, სადაც დახვრიტეს 26 კომისარი და ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს მათი ყვირილი ესმოდა. აღფრთოვანებას ვერ მალავს იმასთან დაკავშირებით, რომ წინა საღამოს ვაგონში ვიღაცა ხმამაღლა აქებდა ტროცკის. სწერს, რომ უახლოვდება აშხაბადს, მომდევნო დღეს ჩავლენ სამარყანდში, შემდეგ რა იქნება კი არ იცის. წუხს გალაკტიონზე, აინტერესებს, ხომ არ შიმშილობს, არიგებს, რომ საკვები დღეებზე გადაანაწილოს. ინტერესდება, ხომ არ გამოსულა მისი წიგნი.

➤ 5344

1929



### **30 დეკემბრის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ პატარა ქალაქ ჩარჯუიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი აღწერს უდაბნოს თითქოსდა გოფირირებული ქვიშის სილამაზეს და ნატრობს იქ გალაკტიონის ყოფნას. ცრემლებს ვერ იკავებს. ძალიან ეცოდება შინ დარჩენილი დედა და უმცროსი ძმა ვასია. გალაკტიონს სთხოვს, ხანდახან გაუაროს მათ და კინოში წაიყვანოს. სთხოვს, თუ ფული ექნება, ჩააკითხოს. წერს, რომ უახლოვდება ახალ ბუხარას, რითაც დამთავრდება თურქმენეთი და დაიწყება უზბეკეთი.

➤ 5345

1929

### **30 დეკემბრის შემდეგ**

წერილს იღებს ძმისგან. აბესალომი სწერს, რომ მისი ნახვა ვერ მოახერხა, ისე ბრუნდება თბილისიდან სოფელში. ატყობინებს, რომ მის ცხოვრებაში რაღაც ცვლილებაა და სთხოვს, რომ ერთი კვირით მაინც ჩავიდეს ჭყვიშში.

➤ 5346

1929

### **10 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე**

წერილს იღებს დედის, მაკრინე ადგიმვილისაგან, რომელიც მოიკითხავს მონატრებულ შვილს. წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ არც წერილებს უგზავნის და არც მეუღლე გააცნო. მოკითხვას გადასცემს თავისი რძლის – ტატიანა ცინცაძისგან და სთხოვს, ორ-სამ დღეში აუცილებლად ჩავიდეს სოფელში.

➤ 5347

1929

### **10 ოქტომბრიდან წლის ბოლომდე**

საპასუხო წერილს უგზავნის დედას, მაკრინე ადგიმვილს. აღელვებულია მისი საყვედურის გამო, ჰპირდება, რომ შეურცხვენლად გაატარებს თავის ახალგაზრდობას. უხსნის, რომ სწორედ ახლა იბეჭდება მისი ოთხი წიგნი და როგორც კი ეს წიგნები გამოიცემა, აუცილებლად ჩავა სოფელში და მოინახულებს.

➤ 5348

### **1929 ბოლომდე**

ცალკეული პოეტური ფრაზებით, როგორებიცაა: „ო, ისტორიას ერთი წიგნისას / მთელი ეპოხის აქვს ისტორია“ გამოხატავს თავის ემოციებს ახალი წიგნის „ეპოქა“ გამოსვლასთან დაკავშირებით.

➤ 5349

1920-1929

ლიტერატურული სადამოს შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე დასავლეთ საქართველოდან თბილისისკენ მიემგზავრება. გამთენიისას წიფის გვირაბში მატარებელი სვლას ანელებს და ჩერდება. პოეტი ხედავს ლიანდაგზე მდგარ შავით მოსილ ლამაზ ბორჯომელ ქალს, გვარად ხალვაშს. მას აპატიმრებენ და მიჰყავთ, მაგრამ ირკვევა, რომ ამასობაში რევოლუციონერებს გაჩერებული მატარებლის იარაღით დატვირთული ვაგონი დაუცარიელებიათ. ამის შემდეგ გალაკტიონს ხშირად წარმოუდგება ხოლმე თვალწინ ორთქმავლის წინ მდგარი ლამაზი ქალი წიფის გვირაბში.

➤ 5350

1929 ან ადრე

წერს პოემას „იგი - ომია“.

➤ 5351

**1929**

დღიურში აკეთებს ავტობიოგრაფიის მონახაზს.

➤ 5352

**1929**

წერს უსათაურო ლექსს „დღეს ერთმა საოცარმა ამბავმა“.

➤ 5353

**1929**

განცხადებით მიმართავს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილებას. უხსნის, რომ მათთან გამოსაცემად წარადგინა თავისი პოემის „ჯონ რიდი“ რუსული თარგმანი, შესრულებული ელენე შერვაშიძის (შერის) მიერ. წერს, რომ მას ეკუთვნის წიგნის პირველად გამოცემის უფლება და სთხოვს, რომ მწერალთა კავშირმა გამოუცეს ის რუსულ ენაზე.

➤ 5354

**1929**

წიგნში „არსენას ლექსი 12 სურათით“ ქვეშ გახაზავს მოქმედ პირებს და ადგენს მათ სიას: მესტვირე, არსენა, ზაალი, გოგო, თორმეტი ბიჭი, გუბერნატორი, ყაზახები და მათი უფროსი, ურიები, ხახამი, ქვრივი და საწყალი, პატარძლები, სომეხი, ფარსადან ბოდბისხეველი და მისი ამქარი, ნათლიდედა, ათი-თორმეტი მეცხვარე, მთელი ქალაქის ბიჭები, იმერლები, სომხები, ოსები, რუსები, ბებრები, უფროსი, ოფიცერი, ყარაულები, მიკიტნები, სირაჯები, სალდათები. წერს, რომ ეს საინტერესო დეტალია რითმებისთვის.

➤ 5355

**1920 იანი წლები**

თბილისში, ალექსანდრეს ბაღში სურათს იღებს ქუჩის ბავშვებთან.

➤ 5356

**1929 ან შემდეგ**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს ვანლერ დაისელის წიგნის – „ბალადა ტფილისთან დაღუპულ ვეფხვზე“ – შესახებ. წიგნის ღირსებად მიიჩნევს: ყდას, გაფორმებას, ავტორის გულწრფელობას, ზრდილობას, სიახლისადმი მისწრაფებას და ტრადიციების პატივისცემას, სიტყვის ეკონომიას, დახვეწილ შედარებებს. ნაკლად თვლის რითმას, გაურკვეველ პოლიტიკურ პოზიციას.

➤ 5357

**1929 ან შემდეგ**

წერს პროზაულ მონახაზს პიესისათვის „გამომიგზავნე, ევროპა, ფული!“

➤ 5358

**1929 ან შემდეგ**

წითელარმიელთა ბიბლიოთეკის სერიით დაბეჭდილ ანატოლი ბუისკის ისტორიული მოთხრობის „საქმე სოფელ კასანში“ გარეკანის ნახატზე აწერს, რომ უნდა აღიწეროს. აკეთებს ხაზგასმებსა და რუსულ მინაწერებს, რომ საჭიროა ამ სოფლის რუკაზე პოვნა, რუსებს შამილის მიმდევრები უწოდებდნენ „ურუსებს“.

➤ 5359

**1929 ან შემდეგ**

კითხულობს ჰაინრიხ ლენობლის ბროშურას „წესები დამწყები სცენარისტისთვის“ და წინათქმაში აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 5360

\* \* \*

1930

1 იანვრამდე

წიგნად გამოდის პოემა „ეპოქა“.

➤ 5361

1930

ი ა ნ ვ ა რ ი

1930

1 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „ამერიკისა იმგვარ სცემს გული...“

➤ 5362

1930

1 იანვარი

ჟურნალში „დროშა“ სათაურით „გალაკტიონ ტაბიძე: „ეპოქა“ იბეჭდება გიგლა მეზუკის რეცენზია, რომელშიც ნათქვამია, რომ პოეტის ყოველი ახალი წიგნი წინ გადადგმული ნაბიჯია, რომელიც უფრო აახლოვებს მას მუშათა კლასთან, რევოლუციასთან. შემდეგ განხილულია გალაკტიონის ახალი წიგნი „ეპოქა“, რომელსაც მეზუკის თქმით, პოემას ვერ ვუწოდებთ, რადგან ერთიანი სიუჟეტი არა აქვს, მაგრამ მასში საოცრად მარჯვედ არის ასახული ეპოქის მახასიათებლები და ლექსის ფორმის თვალსაზრისით ვირტუოზულია.

➤ 5363

1930

4 იანვარი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება დიმიტრი ბენაშვილის რეცენზია გალაკტიონის წიგნზე „ეპოქა“. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ, საზოგადოდ, გალაკტიონმა „ძალიან გვიან, მაგრამ მაინც მოასწრო სიმღერა რევოლუციაზე“. კრიტიკოსი თემატურად მიმოიხილავს პოემას და აღნიშნავს, რომ წიგნში გამოვლენილი მხატვრულ-იდეური კონცეფცია განსხვავდება ავტორის ადრინდელი შეხედულებებისაგან. ამ პოემით იგი დაუპირისპირდა ქართული მწერლობის რეაქციულ ფრთას. გალაკტიონმა ბლოკისებურად აღიქვა რევოლუცია. დიმიტრი ბენაშვილი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რევოლუციის გარეგნული სიმშვენიერით კმაყოფილი პოეტი „მასთან ძმაბიჭურად მიდის“. მისი ტონი ზოგჯერ ზედმეტად აწეული და „მყვირალაა“. ავტორისათვის რევოლუცია საინტერესოა არა იმიტომ, რომ დაამსხვრია მონობის ხუნდები, არამედ იმიტომ, რომ გარეგნულად მომხიბლავი და გრანდიოზულია. კრიტიკოსს არ მოსწონს „ეპოქის“ ავტორის „სენტიმენტალური გულთბილობა“, ლიბერალური ქადაგება ძმობის ერთობისა და თავისუფლების შესახებ, რაც მისი აზრით, ზედმეტია ნაწარმოებში. დიმიტრი ბენაშვილი „ეპოქაში“ ამჩნევს ნაციონალისტურ მოტივებსაც. მისი თქმით, პოეტის მიზანსწრაფვას, რომ ქართული ენა იქცეს საერთაშორისო ენად, ვერ შეიწყნარებს რევოლუცია. მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, კრიტიკოსის დასკვნით, პოემა უცილობლად შევა რევოლუციური ლიტერატურის საგანძურში.

➤ 5364

1930

8 იანვრის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ 7 იანვარს სამარყანდიდან გაგზავნილ წერილს. ატყობინებს, რომ გზიდან არაერთი წერილი გაუგზავნა და სთხოვს, რომ კვირაში ერთხელ მაინც მისწეროს. ინტერესდება, გამოვიდა თუ არა მისი წიგნი.

➤ 5365

1930

**12 იანვარი**

იუმორისტული ჟურნალის „ტარტაროზი“ რუბრიკაში „ლიტერატურული დომხალი“, სათაურით „გალაქტიონ ტაბიძე პოემიდან „ეპოქა“ გაიოზ ყირიმელის ფსევდონიმით იბეჭდება გრიგოლ ცეცხლაძის პაროდია გალაკტიონის ამ ნაწარმოებზე.

➤ 5366

1930

**15 იანვარი**

მწერალთა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი შალვა რადიანი განცხადებით მიმართავს საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს გაუზარდონ პენსია. ბიოგრაფიული ცნობები მისი მოღვაწეობის შესახებ წარდგენილია სოცუზრუნველყოფის კომისარიატში.

➤ 5367

1930

**29 იანვარი**

გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგანგებო სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძის მეუღლეს – ოლია ოკუჯავას კონტრრევოლუციური და ტროცკისტული საქმიანობისთვის უსჯიან შუა აზიაში სამი წლით გადასახლებას.

➤ 5368

1930

**29 იანვრის შემდეგ**

ნიკოლაი გრიგის წიგნის „ტურკსიბზე“ წინასიტყვაობაში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. ციმბირიდან შუა აზიამდე რკინიგზის გაყვანის მიზანს – შუა აზიის იაფი პურით მომარაგებასა და მრეწველობის განვითარებას – ადარებს სურამის უღელტეხილის ელექტრიფიკაციას ზაჰესთან და რიონჰესთან შეერთებით. ფიქრობს, რომ რკინიგზა გამოიწვევს თანამედროვე კულტურის შეჭრას ჩამორჩენილ და უძველესი კულტურის მოგონებით კმაყოფილ შუა აზიაში, რასაც წინასწარმეტყველებდნენ. აინტერესებს, რას ნიშნავს სიტყვა „უდაბნო“. ინიშნავს მოგზაურობას შუა აზიაში.

➤ 5369

1930

**იანვარი ან ადრე**

წერს ლექსს „19–“ („მიწას კვლავ ეფინება...“).

➤ 5370

1930

**იანვარი ან ადრე**

წერს ლექსს „გაცივანით – პაციფისტია“ („იყო საღამო სუსხიანი, ჩუმი, ფარული...“).

➤ 5371

1930

**იანვარი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „ათას რვაას სამოცდაათ ზოლიდან...“

➤ 5372

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „პარიზელები უჩივიან მოწყენილობას“ („გზად ფრანგ გლეხებს მიესალმნენ...“).

➤ 5373

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „კაცი სათვალეებით“ („სათვალეებში მყოფი თვალეები...“).

➤ 5374

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს ლონდონი სდუმს. არ აქვს გრძნობა...“

➤ 5375

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „მოხუცი ქალი“ („ყოველ სადამოს მოხუცი ქალი...“).

➤ 5376

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „ოპერიდან გამოვიდა გვიან“.

➤ 5377

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „მია, ვის ეძებთ?“ („კვლავ მას უცქერენ გულცივად...“)

➤ 5378

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „მიეც ქარიშხალს თავშესაფარი“ („როცა გარშემო სისხლის მდინარე...“)

➤ 5379

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „ჟენევის პირად მდგარო ტირიფო“.

➤ 5380

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ქუხილო, გელით, შენთან ვიბრძოლებო...“

➤ 5381

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „აუჩქარებლად, დინჯად, დროდადრო...“

➤ 5382

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „აჰ, შორს გაისმის ფოთლების ვალსი...“

➤ 5383

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „როცა ანტანტა შეუდგა სამხარს...“

➤ 5384

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „პაციფიზმს აქვს თავის პრესა“.

➤ 5385

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „ევროპავ, გახსოვს?“ („ევროპავ, გახსოვს, რომ გარიგებდენ...“).

➤ 5386

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ევროპა, როგორ არ იცი...“

➤ 5387

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „გულს ნუ მოიყვან, ჩან-კაი,ში...“

➤ 5388

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „მათ ბევრი ჰყავთ ხელოვანნი...“

➤ 5389

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ენაზე აკრავს ხალხი, ნაცია...“

➤ 5390

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „ბოგემა“ („იქ მათი ცხოვრება არაფერსა ჰგავს...“).

➤ 5391

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ეხლაც ბევრი სწერს ფერდზე...“

➤ 5392

1930

**იანვარი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „იმ ერთა ლიგას მოხსნეს კარები...“

➤ 5393

**1930**

**იანვარი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „ქსენძიც ამბობდა: ვარსკვლავთა ზევით...“

➤ 5394

**1930**

**იანვარი ან ადრე**

წერს ლექსს „იქაურ გულსაც დახედა დრომა“ („მიწას გული აქვს მურივით შავი...“).

➤ 5395

**1930**

**იანვარი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „თეთრი იმახის: ჰოი, რუსეთი...“

➤ 5396

**1930**

**იანვარი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „ევროპაში რომ მუშა და ვაჭარი...“

➤ 5397

**1930**

**იანვარი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „მთებს გახედავ: სიზმარია და სიზმარიც მწარეა...“

➤ 5398

**1930**

**იანვარი ან ადრე**

წერს ლექსს „და სისინებდენ, სისინებდენ ჩალის ღერები“

➤ 5399

**1930**

**იანვარი ან ადრე**

წერს ლექსს „მიწის თხრაში მთიელს ვერვინ ჯობნის“ („ბრწყინავს, მთებო, ცეცხლისფერი დილა...“).

➤ 5400

**1930**

**იანვარი ან ადრე**

წერს ლექსს „რადიო“ („ხედავ, რაგვარად შეამოკლა რადიომ სივრცე...“).

➤ 5401

**1930**

**იანვარი ან ადრე**

წერს ლექსს „კიდევ რამდენს იტყვის ჟამთა გაქანება“ („გრიგალი მოჰქრის სავსე ზმანებით...“).

➤ 5402

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „როგორ არ გახსოვს ბავში, ალტაცებაში მყოფი“.

➤ 5403

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „ჩვენ არა ერთი ცხოვრების კიდე“ („ჩვენ არა ერთი ვიპოვეთ კიდევ...“).

➤ 5404

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „შეტაკება“ („ბანკირებო, მასის ოფლი...“).

➤ 5405

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „1927. VI. ვენა“ („ბარიკადებზე! დაიწყო ბრძოლა!..“).

➤ 5406

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „ინდოელების იყო მიტინგი“.

➤ 5407

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „რედაქტორი გრეი იძლევა რჩევას...“

➤ 5408

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „ინგლისი და შეერთებული შტატები“ („აქ კი ინგლისი და ამერიკა...“)

➤ 5409

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „აგერ ინგლისი იწვევს საფრანგეთს...“

➤ 5410

1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ეს იყო ცხრაას ოცდაექვს წელში...“

➤ 5411

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „გერმანია. 4 აგვისტო“ („ძირს ერთა ლიგა, ლიგა ომისა...“).

➤ 5412



1930

იანვარი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ივრში დანიშნეს დემონსტრაცია...“

➤ 5413

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „ძირს პაციფიზმი“ („ძირს პაციფიზმი – გრიალებდა უბნები რურის...“).

➤ 5414

1930

1 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „ახალი წელი, ვთქვათ ლონდონი ან ვთქვათ ბერლინი...“

➤ 5415

1930

იანვარი ან ადრე

წერს ლექსს „დაჰკა წერაქვი“ („დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი...“).

➤ 5416

1930

იანვარი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება პოემა „პაციფიზმი“. მას ეპიგრაფად წამმღვარებული აქვს ვლადიმერ ლენინის ფრაზა პაციფიზმის შესახებ და ამონარიდი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 კონგრესის მოწოდებიდან მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისაკენ.

➤ 5417

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1930

2 თებერვლამდე

რამდენიმე დეპეშას უგზავნის გადასახლებამისჯილ ოლია ოკუჯავას.

➤ 5418

1930

2 თებერვლის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას დეპეშას კოკანდიდან. სთხოვს, შეატყობინოს ჯანმრთელობის მდგომარეობა.

➤ 5419

1930

2 თებერვლის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ უზბეკეთიდან გაგზავნილ წერილს. ოლია შეწუხებულია იმის გამო, რომ ბაქოდან მოყოლებული გზიდან ყველას არაერთი წერილი გაუგზავნა, მათგან კი არცერთი არ მიუღია. ატყობინებს, რომ მისგან, დედასგან და მიშა ოკუჯავასგან მიიღო მხოლოდ დეპეშები და დედასგან ორჯერ ფული. ურჩევს, რომ თავისი პოეზიის ახალი ფერებით გასამდიდრებლად მიატოვოს ყველაფერი, ჩაალაგოს ბარგი, ჩააკითხოს და იქ იმუშაოს. სახალხო კომისარიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს ნიჭიერ პოეტს, რომ გაეცნოს შუა აზიის ცხოვრებას. თუ წასვლას გადაწყვეტს, საბინაო კომიტეტს გააგებინოს, რომ ავადმყოფი ცოლის სანახავად მიდის, რომ ბინა არ ჩამოართვან. აცნობებს, რომ ადრესატის დედას და ძმას დეპეშა და დახურული წერილი გაუგზავნა. სთხოვს, მის ძმას, კოლიას ჩაუტანოს მეუღლის წერილი.

➤ 5420

1930

**6 თებერვლამდე**

ძმა, აბესალომ ტაბიძე გალაკტიონ ტაბიძის მეუღლისგან, ოლია ოკუჯავასგან შუა აზიიდან იღებს დეპეშას, რომელშიც ადრესანტი კითხულობს, სად და როგორ არის გალაკტიონი.

➤ 5421

1930

**6 თებერვალი**

ძმა, აბესალომ ტაბიძე გალაკტიონ ტაბიძის მეუღლისგან, ოლია ოკუჯავასგან შუა აზიიდან იღებს წერილს, რომელშიც ადრესანტი კითხულობს მის ამბებს და ადგილსამყოფელს.

➤ 5422

1930

**7 თებერვლის შემდეგ**

ნაცნობი გადასცემს ძმის – აბესალომ ტაბიძის წერილს. ადრესანტი საყვედურობს, რომ არც იწერება და არც ჩადის სოფელში. აცნობებს, რომ სოფელ ჭყვიშის თემი კოლექტივიზაციაზეა გადასული. მასწავლებლებს, მათ შორის, აბესალომსაც მარტო ეზო და სახლ-კარი დაუტოვეს. დედა ძალიან წუხს და სახლის გაყიდვას ფიქრობენ. ამიტომ მისი ჩასვლა აუცილებელია. თუ გზის ფული არ აქვს, სთხოვს, რომ ისესხოს და შემდეგ დაუბრუნებს, ოღონდ დედის საყვედურებს გადაარჩინოს. ატყობინებს ოლიასგან მიღებული დეპეშისა და წერილის შესახებ და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმით, რომ მისი მისამართიც კი არ იციან ახლობლებმა.

➤ 5423

1930

**17 თებერვლამდე**

17 თებერვლისთვის გეგმავს ლიტერატურულ-თემატურ სადამოს პაციფიზმის წინააღმდეგ, რომელზეც გამოვლენ შამშე ლეჟავა, ფილიპე მახარაძე და სხვები. წაიკითხავენ ლექსებს წიგნებიდან „ეპოქა“, „ჯონ-რიდი“, „პაციფიზმი“.

➤ 5424

1930

**26 თებერვლამდე**

წერს პოემის „კლასობრივი ბრძოლა“ 65 სტროფს.

➤ 5425

1930

**26 თებერვლამდე**

ავადმყოფობს და ხელოვნების სასახლეში შევლასაც ვერ ახერხებს.

➤ 5426

1930

**26 თებერვლამდე**

წიგნად გამოსაცემად მიაქვს „პაციფიზმი“ და დასაბეჭდად ამზადებს სხვა მასალებსაც.

➤ 5427

1930

**10-26 თებერვალი**

ფიქრობს შუა აზიაში გამგზავრებაზე, სადაც მისი მეუღლე – ოლია ოკუჯავაა გადასახლებული კონტრევოლუციური საქმიანობისთვის.

➤ 5428

1930

### 26 თებერვალი

საპასუხო წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს, უზიარებს სამომავლო გეგმებს, სთხოვს, დედა გაამხნევოს და უთხრას, რომ მალე ჩავა. სახლის შესახებ სთავაზობს, რომ საკუთარი შეხედულებისამებრ და მეზობლების რჩევის მიხედვით მოიქცეს.

➤ 5429

1930

### 26 თებერვალი

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიმართავს განცხადებით, რომ ერთი წლით ამიერკავკასიის რკინიგზაზე მუშაობის ნება დართონ, რათა უკეთ ადევნოს თვალი დიდ სოციალისტურ გარდატეხას და დაწეროს წიგნი.

➤ 5430

1930

### თებერვალი

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ ფსევდონიმით „გ. ნ.“ იბეჭდება გიორგი ნატროშვილის რეცენზია გალაკტიონის ახალ წიგნზე „ეპოქა“. წერილის ავტორის თქმით, გალაკტიონ ტაბიძე ქართულ ლიტერატურაში რევოლუციის ერთ-ერთ პირველ თანამგზავრად გვევლინება. ნატროშვილის შეფასებით, გალაკტიონმა ვერ მოახერხა ასცდენოდა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის დამახასიათებელ მერყეობას და შემოქმედების პირველ ეტაპზე მყარად დაადგა პესიმიზმის გზას. პოეტის ამ ხანის ლირიკა, რეცენზენტის თქმით, გადაიქცა „ქართული ოზივატელის ესთეტიკურ სახარებათ“. რევოლუცია პოეტმა აღიქვა ლირიკოსის თვალთ. აქედან გამომდინარეობს, კრიტიკოსის აზრით, პოემა „ეპოქის“ მთავარი ნაკლოვანება. ნატროშვილის დასკვნით, „ეპოქა“ უთავბოლო ნაწარმოებია, რომელსაც არ მოეპოვება მყარი კომპოზიცია. აქ არის „წყალდიდობის რომანტიზმი“, რომელზე უარის თქმის შემთხვევაშიც, პოეტის სათქმელი 10 გვერდზე დაეტეოდა და საჭირო აღარ იქნებოდა 200 გვერდის დახარჯვა. მიუხედავად ამ ნაკლისა, კრიტიკოსის თქმით, „ეპოქა“ მაინც პროგრესული მოვლენაა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, რადგან პოეტი გრძნობს ოქტომბრის განუზომელ როლს, ასახავს სოციალისტური წარმოების ელემენტებს და ევროპის პროლეტარიატის დიდ გაჭირვებას.

➤ 5431

## მ ა რ ტ ი

1930

### 3 მარტამდე

დღიურში იწერს შუა აზიის ჟურნალების სიას, ციტატებს, ლანდშაფტის აღწერებს. საჭიროდ მიაჩნია რომელიმე უზბეკი მწერლის ავტობიოგრაფიის გაცნობა და შუა-აზიის შემსწავლელი წრის დაარსება.

➤ 5432

1930

### 3 მარტამდე

საუბრობს მხატვარ გიგო გაბაშვილთან შუა აზიის შესახებ. მხატვარი აღნიშნავს, რომ იქ დიდხანს ცხოვრობდა, მშვენიერი მხარეა და ამ თემაზე 500-ზე მეტი ნახატი აქვს. მათგან ნაწილი ამერიკელმა მილიონერმა შეიძინა, ნაწილი კი – პეტერბურგისა და მოსკოვის მუზეუმებშია. ბევრი კერძო კოლექციონერმა იყიდა და არავინ იცის, სად არის.

➤ 5433

1930

### 3 მარტამდე

სტუმრობს მხატვარ რიხარდ ზომერს და შუა აზიის შესახებ ნამუშევრების სანახავად მეორედაც აპირებს მისვლას, მხატვარ ნიკოლაი პოპოვთან ერთად.

➤ 5434

1930

### 3 მარტამდე

შუა აზიაში დაგეგმილი გამგზავრების გამო, აინტერესებს, როგორ მოგზაურობდნენ იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ჯორჯ გორდონ ბაირონი, ალექსანდრ პუშკინი და ილია ჭავჭავაძე.

➤ 5435

1930

### 3 მარტამდე

დღიურში სათაურით „პაციფიზმის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ“ წერს, რომ მოახლოებულია ომის საშიშროება, ამიტომ კარგი იქნებოდა, ომის საშინელებების წინააღმდეგ თემატური სადამოს მოწყობა, თუნდაც, იმპერიალისტური I მსოფლიო ომის მონაწილეების მოგონებების სადამო.

➤ 5436

1930

### 3 მარტი

საუბრობს ილიოდორე ჩხაიძესთან, რომელიც ურჩევს საკუთარი სადამოს გამართვას, რადგან ეს მნიშვნელოვანია სახელისთვისაც, ავტორიტეტისთვისაც და მასისთვისაც. გალაკტიონი პასუხობს, რომ ასეთი სადამოს გასამართად აუცილებელია, რომ კომპოზიტორებმა დაწერონ შესაფერისი ნაწარმოებები. ილიოდორე სთავაზობს თავის დახმარებას და ეუბნება, რომ ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, კონსტანტინე ფოცხვერაშვილი და კონსტანტინე მელვინეთუხუცესი – არცერთი არ იტყვის უარს ამაში დახმარებაზე. გალაკტიონი ეუბნება, რომ მალე გამოვა მისი წიგნი. როდესაც ის გაიყიდება და ცოტა თანხას იშოვის, დაუკავშირდება, რომ ერთად შეადგინონ სადამოს პროგრამა. ილიოდორე სთავაზობს, რომ ჟურნალის „ტექნიკა და შრომა“ რედაქციაში მიაკითხო. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ამ სადამოს გამეორება შემდეგ შესაძლებელი იქნება კლუბებში, კინოთეატრებსა და სასწავლებლებშიც. ილიოდორე აღფრთოვანებით ამბობს, რომ სადამოს მოწყობა უდიდესი საქმე იქნება და გალაკტიონიც კმაყოფილია.

➤ 5437

1930

### 3 მარტი

სახელგამში ალექსანდრე აბაშელი ატყობინებს, რომ სადამოს კრებაა და ჟურნალების თაობაზე ცეკაში იბარებენ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე ჟოჟიკაშვილთან. შალვა რადიანი ამცნობს, რომ კრებაზე იქნებიან ის, ბენიტო ბუაჩიძე და სხვები. პოეტი დღიურში წერს, რომ ძალიან მოსწონთ „პაციფიზმი“ და მის ცალკე წიგნად გამოცემასაც ურჩევენ. ნიკოლო მიწიშვილი კიბეზე ხვდება და ისიც ეუბნება ცეკაში დაბარების შესახებ. ვნახოთ, რა იქნებაო, ფიქრობს პოეტი და ადრე მისვლას აპირებს ჟოჟიკაშვილთან, რომ ცალკე დაელაპარაკოს და დაუახლოვდეს. როდესაც გალაკტიონი ამ შეხვედრაზე მიდის, თავს ზედმეტად აგრძნობინებენ, აშკარად არ სიამოვნებთ მისი მისვლა და ეუბნებიან, „ვერ დავეტევიო“.

➤ 5438

1930

### **3 მარტის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „თეთრად უვრცესი უდაბნოს იქით...“.

➤ 5439

**1930**

### **17 მარტი**

შალვა რადიანი მწერალთა სასახლეში მისვლას სთხოვს.

**5440**

**1930**

### **17 მარტის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ იოსებ გრიშაშვილს მხარს უჭერს ძველი ფედერალისტი და გაზეთის „დროება“ რედაქტორი ილია ალლაძე, რომელიც პატრიოტია თავისი ძველი თანამშრომლების. ასევე, მარიჯანი და მისი მეუღლე, მაგრამ ფიქრობს, რომ ისინი მალე წაეჭხუბებიან ერთმანეთს.

**5441**

**1930**

### **17 მარტის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ კარგი იქნება გიონ საგანელის საღამოს გამართვა და მისი წიგნის „დრუმო“ გაცოცხლება. ეს იყო კაცი, რომელსაც დასცინოდნენ და თვითონაც სასტიკად დასცინოდა ყველას. ის იყო კარგი მოჭადრაკე და არ იყო სიკვდილის ღირსი.

➤ 5442

**1930**

### **17 მარტის შემდეგ**

ბენიტო მუაჩიძე ჰპირდება, სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის აღრიცხვიდან მოხსნას და სახალხო განათლების კომისარიატში გადაყვანას, რის შედეგადაც მოემატება 300 მანეთი.

➤ 5443

**1930**

### **23 მარტის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ბელოგორსკიდან გაგზავნილ დეპეშას. სწერს, რომ მისგან არცერთი წერილი არ მიუღია და ინტერესდება, რატომ.

➤ 5444

**1930**

### **23 მარტის შემდეგ**

ოლია ოკუჯავასგან ბელოგორსკიდან გაგზავნილი დეპეშის ბლანკზე აწერს სტროფს: „წინ ერთის მიზნით, / უმთავრეს მიზნით / ინტერნაციონალ / სოციალიზმით“.

➤ 5445

**1930**

### **24 მარტის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ბელოგორსკიდან გაგზავნილ საფოსტო ბარათებს. სწერს, რომ მგზავრობის 11 დღის განმავლობაში თავს სულ ცუდად გრძნობდა და იწვა. მატარებლით გაიარეს შუა აზია და ჩავიდნენ მოსკოვში. იქ 15 წუთით შეხვდა თავის დას, მანიას და დეიდაშვილ გოგი კიკვაძეს. შემდეგ მატარებელმა გზა განაგრძო, ორ დღეში სიმფეროპოლში ჩავიდნენ და გაჩერდნენ სასტუმროში „ლენინგრადი“, იქიდან კი 23 მარტს ავტობუსით ერთ საათში ჩავიდნენ ბელოგორსკში. დაბინავდა გლეხთა სახლის ერთ ნომერში, სადაც ნორმალური პირობებია. სწერს, რომ ერთი ქალაქის გავლისას ვიტრინაში გულის ფორმის გულსაბნევი დაინახა და

გალაკტიონისთვის იყიდა, მაგრამ ახლა ეჭვი ეპარება, სჭირდება კი მას ან ოლიას სუვენირი ან თავად ოლია?

➤ 5446

1930

### 27 მარტის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ბელოგორსკიდან გაგზავნილ წერილს. ქალი ატყობინებს, რომ ამ ქალაქში 23 მარტს ჩავიდა და დაწვრილებით აღუწერს მას. უყვება, რომ ცხოვრობს ასაკოვანი ცოლ-ქმრისგან ნაქირავები სახლის ერთ ოთახში, აღუწერს პირობებს და ფასებს. სთავაზობს, რომ ჩავიდეს მასთან და იქ იმუშაოს. არიგებს, რა უნდა წაიღოს თეთრეულიდან და ტანსაცმლიდან. სთხოვს, წაუღოს მისი წიგნი „ეპოქა“, ოლიას საწოლთან რომ გალაკტიონის ფოტო კიდეა, ასევე ოლიას დედისა და ოჯახის წევრების ფოტოები. ურჩევს, საბინაო კომიტეტში განაცხადოს, რომ ავადმყოფი მეუღლის მოსანახულებლად მიდის 2-3 თვით, რომ ბინაში ვინმე არ შეუსახლონ. უხსნის, რომ უნდა გაჰყვეს თბილისი-მოსკოვი-სიმფეროპოლის მატარებელს. მოსკოვში გაჩერების დროს შეძლებს ოლიას დის, მანასა და სხვა ნათესავების ნახვას, იქიდან კი სიმფეროპოლში ორ დღეში იქნება. სიმფეროპოლში ჩასვლისას სასტუმროში გაათევეს ღამეს, იქიდან კი ოლიას ნაქირავებ სახლამდე ერთი საათის სავალია ავტობუსით. ურჩევს, რომ ოლიას მისამართზე გამოიწეროს გაზეთი „კომუნისტი“ და ჟურნალი „მნათობი“. უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ თბილისში რევოლუციის მუზეუმშიც კი ანტისაბჭოთა, ბურჟუაზიული ელემენტები მუშაობენ.

➤ 5447

1930

### 29 მარტამდე

ხვდება მოსე გოგიბერიძეს. საუბრობენ პოემის „პაციფიზმი“ ჟურნალში „ცისკარი“ დაბეჭდვის თაობაზე. გოგიბერიძე აღნიშნავს, რომ პოემა პირდაპირ ლენინის პრინციპზეა შექმნილი. ასეთი რამ რუსეთშიც კი არ დაწერილა და ვერც ერთი ქართველი პროლეტარი პოეტი – პეტრე სამსონიძე, ალიო მაშაშვილი, სანდრო ეული – ვერ დაწერს მსგავსს. ფიქრობს, რომ არ დაჰპირებოდა, არ მისცემდა ჟურნალში დასაბეჭდად, რადგან მენშევიკების სალაპარაკო გახდება და დამცველი არავინ ეყოლება. მისი აზრით, პოემა სრულად უნდა დაიბეჭდოს ერთ ნომერში, პირველ ადგილას, რომ შთაბეჭდილება მოახდინოს. თუ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი „ჯაყოს ხიზნები“ ერთ ნომერში განთავსდა, ეს პოემაც მოთავსდება. წინააღმდეგია სტრიქონების შეერთების, რადგან ლექსთა ციკლის „ეპოქა“ ბეჭდვის დროსაც შეცდა, რომ ამაზე დათანხმდა. თუ მეტს არ მისცემენ ჰონორარს, სტრიქონში ითხოვს 35 კაპიკს, როგორც „ეპოქაში“ გადაუხადეს.

➤ 5448

1930

### 29 მარტამდე

ჟურნალის „მნათობი“ პირველ ნომერში იბეჭდება პოემა „პაციფიზმი“.

➤ 5449

## აპრილი

1930

### 3 აპრილი

ბიძაშვილი იოსებ ტაბიძე საპასუხო წერილს უგზავნის აბესალომს ტობანიერში. ამშვიდებს, რომ გალაკტიონი კარგადაა, მოსუქებულია. წინა დღესაც კი შეხვდა ქუჩაში. აბესალომის მიერ დატოვებული წერილი ადრესანტმა ბინაზე დაუტოვა. ის ისევ პასკევიჩის ქუჩაზე ცხოვრობს ძირითადად, მაგრამ, როგორც უთქვამს, სხვა ბინაც აქვს.

➤ 5450

1930

#### **4 აპრილი**

მწერალთა სასახლეში ესწრება უკრაინელი ავანგარდისტი პოეტისა და კრიტიკოსის ვალერიან პოლიშჩუკის ლექციას. აღიზიანებს მისი პიჯაკის ჯიბიდან ამოყოფილი ცხვირსახოცის წვერი და როცა ის მადლობას იხდის დარბაზში ხალხის სიმრავლისთვის, გალაკტიონი გრძნობს უკრაინელი „ველიკოდერჟავნიკის“ ირონიასა და მუქარას. ფიქრობს რომ პოლიშჩუკი ლიტერატურულად მემარჯვენეა როგორც გრიგოლ რობაქიძე და მიხეილ ჯავახიშვილი.

➤ 5451

**1930**

#### **4 აპრილის შემდეგ**

ორთვიანი ავადმყოფობის შემდეგ ძლივს გამოდის სახლიდან და მიდის „ორბელიანების“ აბანოში. გამგე სთავაზობს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრების განსაკუთრებულ ნომერს, მაგრამ გალაკტიონი პასუხობს, რომ ის მარტოა და პატარა ნომერიც ეყოფა. როდესაც ის მიდის ამ პატარა ნომრისკენ, გამგესთან მივარდება ძვირადღირებული მატერიის – კოვერკოტისგან შეკერილ სამოსში გამოწყობილი კაცი და მრისხანედ მიმართავს, რომ არ მისცეს ნომერი. გამგე უხსნის, რომ ცნობილი პოეტი დიდი ხანია ელოდება რიგს, უცნობი კი პასუხობს, რომ კარგად იცის, რომ ის არ არის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და ითხოვს, რომ აჩვენოს შესაბამისი მოწმობა, მაგრამ გალაკტიონი პასუხობს, რომ უცნობებს არ ემორჩილება. უცნობი ემუქრება, რომ მის ვინაობას გამოარკვევს და სეირს აყურებინებს. აბანოდან გამოსვლის შემდეგ, კვლავ წინ ეღობება და გამგეს უბრძანებს პოეტის ვინაობისა და მისამართის ჩაწერას. შემდეგ აცხადებს, რომ ის არის პარტიის წევრი – გიორგი სულუხია.

➤ 5452

**1930**

#### **4 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში დაწვრილებით აღწერს გიორგი სულუხიასთან აბანოში მომხდარ უსიამოვნო ინციდენტს, წერს, რომ ის ისე ატრიალებდა ხელში თავის პარტილეთს, როგორც „ძველი პრისტავი მათრახს“ და აპირებს გაარკვიოს, რომელი რაიკომის დაწესებულებაში მუშაობს, არის თუ არა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და კულტურული მუშაკი, ვინ არიან მისი მეგობრები, ვინ არის შთამომავლობით. იცის თუ არა, ვინ არის გალაკტიონ ტაბიძე, რატომ თქვა ირონიულად, რომ იცნობს და წინასწარ ხომ არ იყო დაგეგმილი ეს პროვოკაცია.

➤ 5453

**1930**

#### **4 აპრილის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ ანატოლ ფრანსისა და გუსტავ ფლობერის ტექსტებში შეამჩნია მშვენიერი ხერხი. ანატოლ ფრანსს ინტიმური საუბარი გადააქვს საზოგადოებრივ ადგილას – თეატრში, სცენაზე მიმავალ მოქმედებასა და მონოლოგებში, რაც შესანიშნავ ეფექტს ქმნის. გუსტავ ფლობერს კი, ინტიმური საუბარი გადააქვს საზოგადოებრივ გამოფენაზე, სასოფლო-სამეურნეო მოსაწყენ კრებაზე, ერთ ადამიანს უნდა, რომ დაიმორჩილოს მეორე და ეფექტი გენიალურია. აღნიშნავს, რომ ასეთივე მომენტი აქვს პიერ ამპს „ოქროსმამიებელში“.

➤ 5454

**1930**

#### **4 აპრილის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ მუშათა ცენტრალური კლუბის ბიბლიოთეკა და სამკითხველო „ველიკოდერჟავნიკული“ რუსული ორგანიზაციაა. იქ მოქმედებენ რუსები და მართავს გიორგი კრეიტანი. საუბარია მხოლოდ რუსულ ლიტერატურაზე, ჰქვია „რუსული სექცია“ და შოვინისტური ბუდეა. აპირებს გარკვევას, ვის ეკუთვნის ბიბლიოთეკა, ვინ ხელმძღვანელობს მხოლოდ რუსების ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას, რამდენი ქართველი მკითხველია

ბიბლიოთეკაში, რამდენი თანამშრომელია შტატში. აინტერესებს, რატომ გააგდეს იქიდან ანეტა კაპანაძე, ფიქრობს, რომ ბრძოლა მიმდინარეობს და საჭიროა ამ აუდიტორიის განადგურება.

➤ 5455

1930

#### 4 აპრილის შემდეგ

დღიურში წერს, რომ სტალინს ისეთივე პატარა შუბლი აქვს, როგორც ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთელს.

➤ 5456

1930

#### 12 აპრილამდე

წიგნად იბეჭდება პოემა „პაციფიზმი“.

➤ 5457

1930

#### 12 აპრილი

სახელმწიფო გამომცემლობას მიმართავს განცხადებით, რომ შეიძინონ მისი წიგნის „პაციფიზმი“ (ტირაჟი – 2500) 1900 ეგზემპლარი, თითო 60 კაპიკად და ანგარიში წიგნის მაღაზიაში ჩაბარებისთანავე გაუსწორონ, რადგან მოკლე ხანში აპირებს შუა აზიაში გამგზავრებას და თანხა არა აქვს.

➤ 5458

1930

#### 14 აპრილამდე

წერს ესეს სათაურით „მაიაკოვსკი“. წერს, რომ ის ფუტურისტია და აპირისპირებს ვლადიმერ მაიაკოვსკისა და ალექსანდრ კრუჩონიხს. წერს, რომ კრიუჩონიხი სრულიად ახალია თავისი სიტყვისა და ბგერის კონსტრუქტივიზმით. მიუხედავად იმისა, რომ კრუჩონიხი ნამდვილი რუსია, არავისგან არ გამოდის, მაიაკოვსკი კი, თუმცა თითქოს ცდილობს პუშკინისთვის გვირგვინის ჩამორთმევას, სწორედ პუშკინისგან გამოდის.

➤ 5459

1930

#### 14 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ლავრენტი კვირიკაძის მოგონებას ვლადიმერ მაიაკოვსკისა და მისი მამების მეგობრობის შესახებ და პატარა ვლადიმერ მაიაკოვსკისთან და მის დედასთან შეხვედრას ავტობუსში ქუთაისიდან ბაღდათისკენ მგზავრობისას.

➤ 5460

1930

#### 26 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის „წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი“, რომელშიც პოეტი ფედერაციის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებს მოუწოდებს რეალობას თვალი გაუსწორონ, გმობს მათ სისუსტეს, რაც მათი მემარჯვენეობით არის გამოწვეული. მიიჩნევს, რომ ისინი ავანტიურებით და ქრონიკული კომპრომისებით უახლოვდებიან ნაპრალს, რომელიც მათ უცილობელ დაღუპვას უქადის. მათი მემარჯვენე დაჯგუფება ხელოვნურად აკავენს რევოლუციურ-ლიტერატურული ჯგუფების გაერთიანების პროცესს. მათ ვატერლოოს ძველ გვარდიას ადარებს, რომელიც სასიკვდილო საფრთხის მიუხედავად არ დანებდა. მოუწოდებს გამბედაობა მოიკრიბონ, დაყარონ ფარ-ხმალი, აღიარონ საკუთარი უძლურება და გზა სხვას დაუთმონ. დასასრულს აღნიშნავს, რომ ამას ხალხის,



რევოლუციის სიყვარული ალაპარაკებს და ბრწყინვალე მომავლის იმედი აქვს, როგორც პროლეტარული რევოლუციური იდეებისათვის აქტიურ მებრძოლს.

➤ 5461

1930

### 26 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ პოემის „ეპოქა“ შესახებ იბეჭდება ბენიტო ბუაჩიმის სტატია „რევოლუციონური ეპოქის ენთუზიასტი“. ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად გალაკტიონ ტაბიძის სოციალური წარმომავლობისა დამპალი და უძარღვო წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციიდან, მასში მოხდა რადიკალური გარდატეხა. რევოლუციის „ძლევამოსილმა ელვარებამ დაიპყრო და აღაფრთოვანა“ მისი სულისკვეთება. მართალია, ზოგან პოეტს მხატვრული ალღო ღალატობს, რის გამოც „ეპოქაში“ გვხვდება სუსტი, ბუნდოვანი ადგილებიც, მაგრამ ეს დეფექტები ვერ ჩრდილავს პოემის მხატვრულ-საზოგადოებრივ ღირებულებებს. სტატიის ავტორი პოეტს რევოლუციის თანამგზავრად მოიხსენიებს.

➤ 5462

1930

### 26 აპრილის შემდეგ

მიდის გაზეთის „ახალი სოფელი“ რედაქციაში და ნახულობს ილო მოსაშვილს, რომელიც გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს ბენიტო ბუაჩიმის წერილს გალაკტიონის შესახებ, სათაურით „რევოლუციონური ეპოქის ენთუზიასტი“. გალაკტიონი სთავაზობს, რომ ერთმანეთს შეხვდნენ და ისაუბრონ და მოსაშვილიც თანხმდება.

➤ 5463

1930

### 26 აპრილის შემდეგ

გზაზე ხვდება წიგნების დამტარებელ დ. ბაქრაძეს, რომელიც ეკითხება, რამ გამოიწვია გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებული მისი წერილი და ვინ არიან მემარჯვენეები. როდესაც გალაკტიონისგან პასუხს იღებს, ეუბნება, რომ ახლა ტყუილს უფრო იჯერებენ, ვიდრე მართალს, მაგრამ მწერალთა წრეებში მაინც გალაკტიონი გაიმარჯვებს.

➤ 5464

1930

### 26 აპრილის შემდეგ

განათლების სახალხო კომისარიატში ხვდება პოლიო აბრამია, რომელიც ეუბნება, რომ ცოტა ხნის წინ წაიკითხა მისი წერილი. გალაკტიონი ეკითხება, ვის ემხრობა, მემარჯვენეებს თუ მემარცხენეებს. აბრამია თავს არიდებს პირდაპირ პასუხს და ეუბნება, რომ „რემედასში“ მუშაობს და, თავისთავად ცხადია, ვის მიემხრობა.

➤ 5465

1930

### 26 აპრილის შემდეგ

ოპერის თეატრის წინ ხვდება ივანე ჩერქეზიშვილს, რომელიც ეუბნება, რომ ქართულ გაზეთებს არ კითხულობს და არ არის გარკვეული, მაგალითად, შალვა დადიანი მემარჯვენეა თუ მემარცხენე, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია, რომ გალაკტიონის წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი უნდა ითარგმნოს რუსულად და გაიგზავნოს „ლიტერატურნაია გაზეტაში“.

➤ 5466

1930

### 26 აპრილის შემდეგ

რუსთაველის გამზირზე ხვდება შალვა რადიანს, რომელიც ეპატიჟება ხელოვნების სასახლეში, სადაც რაღაც ღონისძიებებს აწყობენ და მიაჩნია, რომ გალაკტიონი მოვლენების ცენტრში უნდა იყოს.

➤ 5467

**1930**

**26 აპრილის შემდეგ**

ხვდება თავისი ცოლისძმის – ნიკოლოზ ოკუჯავას მეუღლეს, ნინა (ნუცა) გვახარიას, რომელიც ეუბნება, რომ მისი სტატია წაიკითხეს.

➤ 5468

**1930**

**26 აპრილის შემდეგ**

ხვდება ილია ბახტაძეს, რომელსაც ისე მოეწონა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული გალაკტიონის სტატია „წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი“, რომ ურჩევს ამ გაზეთის 10 ეგზემპლარი შეიძინოს.

➤ 5469

**1930**

**26 აპრილის შემდეგ**

ხვდება თავის ბიძაშვილს, ტიციან ტაბიძეს და ეკითხება აზრს მის მიერ გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ წერილზე საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი, მაგრამ ტიციანი ეუბნება, რომ სტატიის შესახებ არაფერი იცის.

➤ 5470

**1930**

**26 აპრილის შემდეგ**

ხვდება გიორგი ლეონიძეს და კითხვაზე, მემარჯვენეა თუ მემარცხენე, პასუხად იღებს, რომ „სტალინისტია“.

➤ 5471

**1930**

**26 აპრილის შემდეგ**

ხვდება კონსტანტინე ჭიჭინაძეს, რომელიც მემარჯვენეა, როგორც ჩანს, გალაკტიონის წერილი წაიკითხა და უცნაურად „იბღინებდა“.

➤ 5472

**1930**

**26 აპრილის შემდეგ**

ქუჩაში ხედავს მიხეილ ჯავახიშვილს, რომელიც თვალს არიდებს და ქუჩის მეორე მხარეს გადადის.

➤ 5473

**1930**

**26 აპრილის შემდეგ**

ხედავს, რომ პაოლო იაშვილი თავის მეგობრებთან ერთად დემონსტრაციულად დადის ქუჩებში ავტომობილით და ცდილობს გალაკტიონის წერილის სათავესოდ გამოყენებას.

➤ 5474

**1930**

## 26 აპრილის შემდეგ

ხვდება ალექსანდრე (საშა) ძნელაძეს, რომელიც გაზეთში „კომუნისტი“ გალაკტიონის მიერ გამოქვეყნებული წერილის წაკითხვის შემდეგ ფიქრობს, რომ ის გაკომუნისტადა.

➤ 5475

1930

## 26 აპრილის შემდეგ

ხვდება ლიდია მეგრელიძეს, რომელიც გაზეთში „კომუნისტი“ გალაკტიონის მიერ გამოქვეყნებულ წერილთან დაკავშირებით ეუბნება, რომ ასე არ შეიძლება.

➤ 5476

1930

## 26 აპრილის შემდეგ

მიდის სახელგამში, სადაც პავლე საყვარელიძის ოთახში პავლესთან ერთად არიან ნიკო ლორთქიფანიძე, ალექსანდრე აბაშელი და სხვები, კითხულობენ გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ გალაკტიონის წერილს და სახეზე დაინტერესება ეტყობათ.

➤ 5477

1930

## 26 აპრილის შემდეგ

სანდრო შანშიაშვილი გაკვირვებული რჩება გაზეთ „კომუნისტში“ გალაკტიონის მიერ გამოქვეყნებული წერილის წაკითხვით და ინტერესდება, თავად დაწერა თუ დააწერინეს. გალაკტიონი კითხვაზე კითხვით პასუხობს, თავად ის მემარჯვენეა თუ მემარცხენე, რაზეც პასუხად იღებს, რომ ის თავისთვის არის.

➤ 5478

1930

## 26 აპრილის შემდეგ

ჰერცელ ბაზოვი ეუბნება, რომ აღფრთოვანებულია გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებული მისი წერილით და, მიუხედავად იმისა, რომ არცერთ დაჯგუფებას არ ეკუთვნის, მზად არის, ყოველთვის იყოს მის გვერდით.

➤ 5479

1930

## 26 აპრილის შემდეგ

ხვდება კონსტანტინე დემეტრაძეს, რომელიც კმაყოფილებას გამოთქვამს გაზეთის „კომუნისტი“ იმ გვერდის შესახებ, რომელზეც საუბარია მწერლების ფედერაციის რეორგანიზაციაზე, მოთავსებულია გალაკტიონის წერილი და ბენიტო ბუაჩიძის სტატია მის შესახებ. გალაკტიონიც კმაყოფილებით პასუხობს, რომ კარგად „მისცხო“ მემარჯვენეებს. დემეტრაძეს მოსწონს ბენიტო ბუაჩიძის სტატიის დასასრულიც.

➤ 5480

1930

## 26 აპრილის შემდეგ

ხვდება თავის მეგობარ გიორგი ქუჩიშვილს, რომელიც უწონებს გაზეთში „კომუნისტი“ მოთავსებულ სტატიას და მემარჯვენეების წინააღმდეგ ფრონტის გაშლას. უყვება, რომ შეხვდა გრიგოლ მაჭავარიანი (საქარიქედელი), რომელიც გალაკტიონის ამ გამოსვლას ჯაშუშობას უწოდებს. ქუჩიშვილს უთქვამს, რომ იმავე გვერდზე გამოქვეყნებული მისი წერილი „მწერალთა რიგების გადახალისებისათვის“ უარესი იყო. ის გალაკტიონთან დასძენს, მაჭავარიანი სხვაგან ჩემს წერილზეც ასე იტყვისო, შემდეგ კი ურჩევს, რომ ერიდოს ღვინის სმას, რადგან ათასგვარ

ხიფათს შეიძლება გადაყარონ. ქუჩიშვილის წასვლის შემდეგ გალაკტიონი ფიქრობს, საერთოდ, რა მწერალია საქარიქედელი და რა უფლება აქვს მასზე ასე ლაპარაკის, ქუჩიშვილთან დაკავშირებით კი ფიქრობს, რომ ის ძალიან ფრთხილობს.

➤ 5481

1930

### 26 აპრილის შემდეგ

ხვდება დომენტი არონიშიძეს, რომელიც ეუბნება, რომ მისი წერილი გაზეთში „კომუნისტი“ დიდებულია, რადგან პოეტი, აკაკისა არ იყოს, „გარემოების საყვირია“. მიიჩნევს, რომ მთავარია „ჯგუფი“, „მიმდინარეობა“ არ დაიშალოს. გალაკტიონი ვერ ხვდება, რა ჯგუფის თუ მიმდინარეობის წევრად მიაჩნია იგი.

➤ 5482

1930

### 26 აპრილის შემდეგ

ხვდება გრიგოლ მეგრელიშვილს, რომელიც ეუბნება, რომ მთლიანად იზიარებს გაზეთში „კომუნისტი“ მის მიერ გამოქვეყნებული წერილის აზრს. ჰპირდება, რომ მას გაჰყვებიან და მთლიანად მასზე იქნება დამოკიდებული მათი ბედი.

➤ 5483

1930

### 26 აპრილის შემდეგ

ხვდება ლავროსი ძიძიგურს, რომელიც უწონებს, რომ ასე კარგად დასცხო მემარჯვენებს. გალაკტიონი ფიქრობს, ნეტავი, როგორ ელაპარაკება მის მოწინააღმდეგე გრიგოლ მაჭავარიანს (საქარიქედელს).

➤ 5484

1930

### 26 აპრილის შემდეგ

ხვდება სახალხო პოეტობის პრეტენზიის მქონე ლ. მირიანაშვილს, რომელიც გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებული სტატიის „წერილი საბჭოთა მწერლების ფედერაციისადმი“ შესახებ ეუბნება, არა უშავდაო.

➤ 5485

1930

### 26 აპრილის შემდეგ

დღიურში იწერს, ვის რა რეაქცია ჰქონდა გაზეთში „კომუნისტი“ მის მიერ გამოქვეყნებული წერილისა და მის შესახებ ბენიტო ბუაჩიძის სტატიის შესახებ.

➤ 5486

1930

### 26 აპრილის შემდეგ

წერს ერთსტროფიან ლექსს: „ო, თბილისელო ჯაყო / ქუთაისელი ხიზნით / ნება მომეცი გაქო / გაბითურების მიზნით“.

➤ 5487

1930

აპრილი

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. რომელშიც ადრესანტი საყვედურობს დედისადმი უყურადღებობისა და რვა თვის ძმისშვილის, ვასილის უნახაობის გამო. სთხოვს, რომ წერილი გაუგზავნოს ტობანიერში და თავისი მისამართი გააგებინოს.

➤ 5488

## მაისი

1930

### 5 მაისამდე

დღიურში სათაურით „ძირს „ნევრასტენია გრავია“ წერს, რომ ნერვიულობით არაფერი გამოდის. მშვიდად და დინჯად მოსაუბრეებად ასახელებს მაქსიმ გორკისა და ფილიპე მახარაძეს. არ მოსწონს, რომ ახალგაზრდებისთვის დამახასიათებელი ეგზალტაცია მასაც გადაედო. ფიქრობს, რომ ნევრასტენია წარსულის გადმონაშთია და ცუდ გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე.

➤ 5489

1930

### 14 მაისი

მიემგზავრება სოხუმში. მასთან ერთად მგზავრობს ელენე ანდრონიკაშვილი და სოხუმში ჩასულს სამახსოვროდ უძღვნის რვეულს წარწერით.

➤ 5490

1930

### 14 მაისი

სოხუმშია და წერს ლექსს „მყინვარი“, რომელიც ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.

➤ 5491

1930

### 14 მაისის შემდეგ

წერს ფრაზას: „გამარჯობა, სოხუმის / ბაღებო და ბილიკო...“.

➤ 5492

1930

### 14 მაისის შემდეგ

წერს ლექსს „პოეტის დღიური“ („მე არ მინახავს შენნაირი და!..“).

➤ 5493

1930

### 14 მაისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვ. ჰიუგო: მე ვუმღეროდი ნოემბრის ფოთლებს“.

➤ 5494

1930

### 14 მაისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ყვირის, მოძრაობს, ბრუნავს ბაზარი“, მეორე ვარიანტს კი ასათაურებს: „დილა“.

➤ 5495

1930

### 14 მაისის შემდეგ

წერს ლექსს „ყოფილი გაქეცილი აზნაურის აბლაკატის მრწამსი“ („მრწამს ყოვლის შემძლე ოქროს კერპი...“).

➤ 5496

1930

**14 მაისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დიდი ძალა აქვს ფულს – მოთვალთმაქცეს...“.

➤ 5497

1930

**14 მაისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ღრმა მწუხარება აღარ მანებებს...“.

➤ 5498

1930

**14 მაისის შემდეგ**

პოემისთვის „კლასობრივი ბრძოლა“ წერს პროზაულ ტექსტებს სათაურებით: „მზიანი დღე, როდესაც თოხნაა“, „მოსავალის აკრეფის დრო მოახლოვდა“ და „კრუხის პალო“.

➤ 5499

1930

**14 მაისის შემდეგ**

ხვდება დოდო ანთაძე და მისთვის უცნობი პირი, რომლებიც ნასვამები არიან. საუბრობენ ორი საათის მანძილზე, ეუბნებიან, რომ ქართული პოეზიის ვაჟა-ფშაველა და გენიაა. აღნიშნავს, რომ საზოგადოდ იცნობენ.

➤ 5500

1930

**14 მაისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ციდან ლეგიონი თეთრი ვარსკვლავების...“.

➤ 5501

1930

**14 მაისის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ პატარა ერში მწერლობა თავის განწირვას ნიშნავს.

➤ 5502

1930

**14 მაისის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ ორთაჭალა, კრწანისი და ავჭალა კარგი საქეიფო ადგილებია.

➤ 5503

1930

**14 მაისის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ გასარკვევია, კარგავს თუ არა ქართული ლექსი მუსიკალურობას. თუ ეს მოხდება, შესასწავლი იქნება ამ მოვლენის მიზეზები – საგაზეთო ენა, უცხო სიტყვების სიმრავლე, პოეტური კულტურის დონის დაწევა, პროლეტარიატის გამოუცდელობა ახალი კულტურის შესაქმნელად. შემდეგ უნდა შეუდგნენ ლექსის კულტურის დაფუძნებას. ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ხალხური პოეზია, რომელიც გამოირჩევა სიმსუბუქით, უბრალოებითა და მუსიკალურობით. ის ბუნებრივი და წმინდაა.

➤ 5504

1930

## 15 მაისი ან შემდეგ

კითხულობს ჟურნალს „ტექნიკა და შრომა“, აკეთებს ხაზგასმებსა და მინაწერებს.

➤ 5505

1930

## 15 მაისის შემდეგ

დღიურში წერს, რომ სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი გალაკტიონ ტაბიძის ახალი წიგნის „ეპოქა“ მოთხოვნა შეიძლება ყველგან. აპირებს, რომ წიგნები საჩუქრად გადასცეს დავით კანდელაკს, სილიბისტრო თოდრიას, შალვა რადიანსა და ბენიტო ბუაჩიძეს, სანდრო ეულთან დაკავშირებით ჭოჭმანობს.

➤ 5506

1930

## 15 მაისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ეს ცხოვრება დენაა...“.

➤ 5507

1930

## 15 მაისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სისულელეა ხომ თვითმკვლელობა...“.

➤ 5508

1930

17 მაისი

გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის პოემას „ეპოქა“.

➤ 5509

1930

18 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „გართმევთ პოეტობას? გირჩევთ: მენანებით...“

➤ 5510

1930

18 მაისი

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთდროულ ორგანოში „დამკვრელი გაზეთი“ ქვეყნდება ლექსი „პასუხი ზოგიერთ შეკითხვებზე“.

➤ 5511

1930

18 მაისი

გაზეთ „კომუნისტში“ იბეჭდება განცხადება საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთდროული ორგანოს „დამკვრელი გაზეთი“ გამოსვლის შესახებ და ჩამოთვლილია პუბლიკაციები. მათ შორის არის დასახელებული გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „პასუხი ზოგიერთ შეკითხვებზე“.

➤ 5512

1930

18 მაისი

„დამკვრელი გაზეთი“ ბეჭდავს შალვა რადიანის სტატიას „თანამგზავრები ახალ ეტაპთან“, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძის შესახებ ნათქვამია, რომ ის ცდილობს ახალი ეპოქის სახე გადაიტანოს თავის შემოქმედებაში, ენთუზიაზმით ხატავს სასოფლო კოლექტივიზაციის სურათებს, მაგრამ ჯერ კიდევ აქვს სიმბოლიზმის „მახინჯი ტრადიციები“, ამიტომ მის ზოგიერთ ლექსს დეკლარაციულად მიიჩნევს. აღნიშნავს, რომ პოემაში „ეპოქა“ იგრძნობა სენტიმენტალური განწყობაც, რაც თანამედროვეობისათვის მიუღებელია.

➤ 5513

**1930**

**18 მაისი**

პროლეტარულ მწერალთა ერთჯერად ორგანოში „დამკვრელი გაზეთი“ ქვეყნდება შარჟი ქართველ მწერლებზე, რომლებიც ერთმანეთს ერკინებიან ჰეგემონიის მოსაპოვებლად. გალაკტიონი დახატულია განცალკევებით, როგორც თავისთვის, მოწყენით მჯდომარე, რომელიც ბრძოლაში არ ერევა.

➤ 5514

**1930**

**18 მაისის შემდეგ**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც პროლეტარულ მწერლობასთან თავის დამოკიდებულებაზე მსჯელობს. აღნიშნავს, რომ პროლეტმწერალთა „დამკვრელი გაზეთი“ არათანმიმდევრულად ეპყრობა მას. მიუხედავად იმისა, რომ აქ მისი ლექსი გამოქვეყნდა, გაზეთში მასზე ძალიან ორაზროვანი შარჟიცაა დაბეჭდილი.

➤ 5515

**1930**

**გაზაფხული**

თბილისში ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის ადგილას ივანე პაპიაშვილი თავის გუნდს ასწავლის ნიკო სულხანიშვილის სიმღერებს და იქ სადაც რუსეთის ბატონობის სიმბოლო იდგა, გაისმის რაფიელ ერისთავის: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“. გალაკტიონი ქვაზე კვეთავს ინიციალებს „გ. ტ.“

➤ 5516

**1930**

**მაისი ან შემდეგ**

შაქრო ნავთლულელი ჩუქნის ჟურნალს „ჩვენი მიზანი“ წარწერით: „ძვირფას მეგობარს და ამხანაგს – გალაკტიონ ტაბიძეს“.

➤ 5517

## ი ვ ნ ი ს ი

**1930**

**3 ივნისი**

განცხადებით მიმართავს ცეკავშირს, რომ შეიძინოს მისი წიგნის „პაციფიზმი“ 900 ეგზემპლარი. ხელმოკლეობის გამო, იაფად, 60 კაპიკის ნაცვლად, 35-30 კაპიკად უთმობს.

➤ 5518

**1930**

**9 ივნისი**

ცეკავშირის კულტურის განყოფილება იძენს „პაციფიზმის“ 450 ეგზემპლარს, თითოს 45 კაპიკად.

➤ 5519



1930

**9 ივნისი**

ცეკავშირის კულტურის განყოფილებას მიმართავს განცხადებით, გადაუხადონ მათ მიერ შეძენილი „პაციფიზმის“ 450 ცალისთვის საფასური, 141 მანეთი და 75 კაპიკი.

➤ 5520

1930

**10 ივნისის შემდეგ**

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს აცნობებს, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი შუამდგომლობს, ახალი წიგნის დასაწერად მიეცეს ამიერკავკასიის რკინიგზით მოგზაურობის საშუალება.

➤ 5521

1930

**10 ივნისის შემდეგ**

შუა აზიაში გადასახლებულ ოლია ოკუჯავას კარასუბაზარში უგზავნის დეპეშას. აცნობებს, რომ ძლიერ იავადმყოფა, უკვე სრულიად კარგად არის. მასაც უსურვებს ჯანმრთელობას და ჰპირდება, რომ წერილს მისწერს.

➤ 5522

1930

**10 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „უნდა აჩქარდე - და შენ კი...“.

➤ 5523

1930

**10 ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „კაცი-ჭამია“.

➤ 5524

1930

**20 ივნისი**

საქართველოს ეროვნულ გალერეას გადასცემს მის მიერ მოპოვებულ ნახატს, ფიროსმანის „პატარა მეთევზეს“.

➤ 5525

**ი ვ ლ ი ს ი**

1930

**1 ივლისი**

სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში კითხულობს მოხსენებას თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ.

➤ 5526

1930

**3 ივლისი**

გაზეთ „კომუნისტში“ იბეჭდება განცხადება, რომ ხელოვნების სასახლეში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მიერ მოწვეულია მწერალთა აქტივის თათბირი, საგაზაფხულო თესვის კამპანიის შედეგებისა და მომავალი საშემოდგომო კამპანიის შესახებ. თათბირს უნდა დაესწროს გალაკტიონ ტაბიძეც.

➤ 5527

**1930**

**19 ივლისი**

წერილს სწერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარ ადმინისტრატორ ვასილ პატარაიას. ემაღლიერება კეთილგანწყობისთვის და ატყობინებს, რომ მოულოდნელად აფხაზეთში უწევს წასვლა და სთხოვს, თეატრში 24 ივლისს დაგეგმილი საღამო, შემოდგომისთვის გადადონ.

➤ 5528

**1930**

**19 ივლისი**

მიემგზავრება აფხაზეთში.

➤ 5529

**1930**

**30 ივლისამდე**

ოლია ოკუჯავას გადასახლებაში უგზავნის 300 მანეთს.

➤ 5530

## ა გ ვ ი ს ტ ო

**1930**

**7 აგვისტოს შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ სიმფეროპოლიდან ტობანიერში აბესალომ ტაბიძის სახელზე 30 ივლისს გაგზავნილ წერილს, რომლითაც ადრესანტი ატყობინებს, რომ მიმდინარე დღეს მიემგზავრებიან მოსკოვში.

➤ 5531

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

**1930**

**7 სექტემბრამდე**

დღიურში წერს, რომ ნიკოლაი პოპოვი და ნიკოლოაი ვერჟბიცკი შოვინისტები და დამპყრობლები არიან. მისი აზრით, საჭიროა სიფრთხილე და სულიერად გაცვეთილი ხალხის მოშორება.

➤ 5532

**1930**

**7 სექტემბრამდე**

გეგმავს ლიტერატურულ ოლიმპიადას, აპირებს რომანსებისა და დეკლამაციების შეკვეთას კომპოზიტორებისთვის: თამარ შავერზაშვილი, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეები, კოტე ფოცხვერაშვილი, ზაქარია და ლევან ფალიაშვილები, კონსტანტინე მეღვინეთუხუცესი და ვიქტორ დოლიძე. საჭიროდ მიაჩნია კავშირი მოსკოველ ლიტერატორებთან და ხელოვანებთან. ადგენს ლექსების მთარგმნელების სიას: ელენე შერვაშიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ვლადიმირ ბოგდანოვსკი, ფიოდორ პეჩალინი და კოლაუ ჩერნიავესკი.

➤ 5533

**1930**

**7 სექტემბრამდე**

დღიურში იწერს, რომ პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე და ტიცვიან ტაბიძე ცუდად ექცევიან და კარგს არაფერს იმსახურებენ.

➤ 5534

**1930**

**7 სექტემბრამდე**

გიორგი ლომიძე აცნობებს, რომ ერთი თვის შემდეგ ხელოვნების სასახლეში წაიკითხავს მასზე მოხსენებას. მოხსენების გაკეთება სურს ლავროსი კალანდაძესაც.

➤ 5535

1930

### 7 სექტემბრამდე

დღიურში წერს საჭირო წიგნების სიას: ავქსენტი ცაგარლის ყველა ტომი, ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატი“, ვასო აბაშიძის „ჩანგი“, იოსებ გრიშაშვილის „ძველი ტფილისის ბოჰემა“, ლადო გუდიაშვილის შესახებ წიგნი, აკაკი წერეთლის „კინტო“, ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“, ალექსანდრე ჭავჭავაძის „ვაჰ, დრონი, დრონი!“, ფილიპე მახარაძის წერილი „კომუნისტში“, ოსკარ შმერლინგის კარიკატურები, სიკო ფაშალიშვილის კინტაური, მუნიციპალური მუზეუმის (თბილისის ისტორიის მუზეუმი/ქარვასლა) ნახატები, გიორგი სკანდაროვის „სალხინო საზანდარი“, დავით დონდუას „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი“, ცნობარი „ძველი ტფილისი“.

➤ 5536

1930

### 7 სექტემბერი

ხვდება ფრიდონ ნაროუშვილი და ეუბნება, რომ მართალია, გალაკტიონმა არ აჩუქა თავისი წიგნი „ეპოქა“, მაგრამ ის მისცემს თავისი პოემების წიგნს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ კარგი ბიჭია და ეტყობა, რომ კმაყოფილია წიგნის გამოსვლით.

➤ 5537

1930

### 7 სექტემბერი

დღიურში იწერს მოსმენილ ამბებს, როგორი ვითარებაა მოსავალთან დაკავშირებით. აღნიშნავს, რომ ყურძენი ჯერ არ დამწიფებულა, კიტრი მიიღია, არის ლეღვი, ჭყინტი სიმინდი, ღვინო და არაყი.

➤ 5538

1930

### 9 სექტემბერი

ტრამვაის მუშაკთა კლუბში ესწრება უფასო სადამოს. ბაღი განათებულია და უკრავს ორკესტრი, მაგრამ ხალხი ცოტაა. ექიმი კითხულობს ლექციას ნიკოტინის მავნებლობასა და ჰიგიენაზე. მისი თქმით, ადამიანებმა ფანჯრებზე ფარდები უნდა ჩამოხსნან და სახლში სუფთა ჰაერი შეუშვან. დარბაზიდან ხმები ისმის, რომ ბუზების ოთახებში შესვლას ისევ ფარდების ჩამოფარება ჯობს. იქვე კინოთეატრში წითელარმიელთა შესახებ კომედიის გასვლამდე აჩვენებენ ჟურნალს მშვენიერი კადრებით. გალაკტიონს მოსწონს ნიუ-იორკის, ბერლინის, ლონდონისა და პარიზის ცათამბრჯენები, ეკრანზე ნანახი ჯავშნიანი მატარებელი და წყალქვეშა ნავი.

➤ 5539

1930

### 15 სექტემბერი

უკრაინელი პოეტი ვარვარა ჩერედნიჩეკო ჩუქნის პავლო ტიჩინას რუსულად ნათარგმნი რჩეული ლექსების კრებულს წარწერთ: „პატივცემულ ამხანაგ გალაკტიონ ტაბიძეს, უკრაინელი მომღერლის მიერ მისი ლექსებივით ახმოვანებული ლექსები“.

➤ 5540

1930

### 23 სექტემბრის შემდეგ

მოსე გოგიბერიძე წერილით ატყობინებს, რომ პოემის „რევოლუციური საქართველო“ დაბეჭდვა გადაწყვეტილია, მაგრამ რამდენიმე ადგილია შესასწორებელი. სთხოვს, შეიაროს ცეკას კულტურის განყოფილების პროფკავშირში დავით დემეტრაძესთან, რომელიც მიუთითებს შესასწორებელ ადგილებს, რის შემდეგაც შეუძლია პოემა სტამბას გადასცეს.

➤ 5541

1931

26 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ნავთის ამოღება“ („როგორც მიწიდან ამოაქვთ ნავთი...“).

➤ 5542

1930

27 სექტემბრამდე

კითხულობს ჰაინრიხ ტიადენის ფანტასტიკური ჟანრის რომანს „ტრესტი „ატლანტიდა“.

➤ 5543

1930

27 სექტემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „არ რჩება ფრთები ყმაწვილურ სურვილს...“.

➤ 5544

1930

27 სექტემბერი

დღიურში მოკლე-მოკლე ჩანაწერებს აკეთებს კოლორადოში ჩაცმა-დახურვის ხელოვნების დახვეწილობაზე, ბრეტ ჰარდტზე, ჩვენს ჰავაზე, რომელიც კლავს კობის ბაცილებს, მაქსიმ გორკის აზრზე ხელოვნების შესახებ, მერისთან მეგობრობაზე, წერს, რომ გუშინდელ დღესავით ახსოვს ნიკოლოზ მეორის გადადგომა, რომ არ წაუკითხავს ჰერბერტ უელსის „ექიმ მოროს კუნძული“, რომ აღარაფერი არ აკვირვებს, რომ მის ცოლს ნიჰილისტურ-ანარქისტული სული აქვს, რომ აღარავის აღელვებს რევოლუციონერების ციხიდან გაქცევა ან წარსულ გმირებზე საუბარი, ოქტომბერმა ხელოვნებაში თავისი ადგილი ვერ იპოვა, ევამ კი ეს შეძლო. წერს, რომ ცოფმორეული ადამიანის ცხოვრებაზე საინტერესო ტომ სოიერის თავგადასავალია. აღფრთოვანებულია თანამედროვე ქირურგიის მიღწევებით და ნატრობს, რომ გულის განკურნებაც შეეძლოთ. წერს, რომ ადამიანი შესაძლოა თავის პროფესიაში არაჩვეულებრივი იყოს, მაგრამ სხვა საკითხები არ იცოდეს, თუმცა ზოგიერთი ისე საუბრობს თემაზე, რომლის შესახებაც წარმოდგენაც არა აქვს, თითქოს კარგად ერკვეოდეს.

➤ 5545

1930

29 სექტემბერი

გამოსაცემად ამზადებს ლექსს „დამკვრელი პოეტი“.

➤ 5546

1930

29 სექტემბერი

სტამბიდან მოაქვს იქ დატოვებული მასალები.

➤ 5547

1930

29 სექტემბერი

კითხულობს ჟურნალ „ტარტაროზის“ ახალ ნომერს, რომელშიც დასცინიან ჟურნალ „მნათობის“ უბინაობას. ამას აკავშირებს იმ ფაქტთან, რომ მოსე გოგიბერიძე წამოსვლას აპირებს ამ ჟურნალის რედაქციის მდივნობიდან.

➤ 5548

1930

### 29 სექტემბრამდე

დღიურში იწერს იმ 19 პერიოდული ორგანოს დასახელებას, რომელიც გამოდის საქართველოში. გეგმავს მათში თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნებას. 16 დღეში აპირებს 161 ლექსის დაწერას, ფიქრობს, რომ სჭირდება 170 ახალი ნაწარმოები, მაგრამ ჯერჯერობით მზად აქვს მხოლოდ 9 ლექსი.

➤ 5549

1930

### 29 სექტემბრამდე

დღიურში იწერს, რომ ბალადის სტილში უნდა გადააკეთოს თავისი ლექსი „რად მინდა თავი ცოცხალი...“.

➤ 5550

1930

### 29 სექტემბრამდე

ამზადებს მასალებს ჟურნალებისათვის: „დროშა“, „შოლტი“, „უღმერთო“, „ტარტაროზი“ და „პიონერი“. დღიურში იწერს ჟურნალების სახელწოდებებს და გვერდით უთითებს პასუხისმგებელ პირებს: „უღმერთო“ - მოსე გოგიბერიძე. „დროშა“ - სანდრო შანშიაშვილი. „ტარტაროზი“ - ილია ხინველი. „შოლტი“ - პავლე საყვარელიძე, „პიონერი“ - ალიო მამაშვილი.

➤ 5551

1930

### სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „რევოლუციონურ საქართველოს“.

➤ 5552

1930

### სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „თანდათან, თანდათან ახალი ქვეყანა შენდება“ („რამდენიც მძლავრი მკვიდრდება სახლი...“).

➤ 5553

1930

### სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „ისტორიის ბორბლების რიტმი მიგვაქანებს რიონჰესისკენ“ („მატარებელი მიგვაქროლებს...“).

➤ 5554

1930

### სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს თანამედროვე გიგანტიური ხმა უკარნახებს საუკუნეებს“ („რამდენიმე ათასი მუშა კი მღერის...“).

➤ 5555

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „თავისუფლების გრძნობაში“ („რიონჰესი საქართველოსთვის არის უმაღლესი...“).

➤ 5556

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „რიონჰესით საქართველომ მონახა ახალი ხმები და სახეები“ („რიონჰესი თავბრუდამხვევი გატაცებაა...“).

➤ 5557

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „მშვენიერი და ძლიერი ადამიანისათვის“ („ასეთ ჯანმრთელ ბუნებაშია...“).

➤ 5558

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „კოლექტიური ხელების ეტიუდი“ („აი, დასავლეთის ქარმა ცაზე...“).

➤ 5559

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „ახალი გზებით“ („ეს ხელები შეინახა დრომ...“).

➤ 5560

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „სიტყვა არ წამოგცდეს, რომ შენ დაილაღე...“

➤ 5561

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „რევოლუციის ნიაღვრები“ („გამოეშურეთ ყოველი მხრით, მძაფრო დღეებო...“).

➤ 5562

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „კარებთან გვიცდის ხელოვნებათ ძლიერი გროვა“ („მე ვარ პოეტი, შენ – მხატვარი...“).

➤ 5563

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ორი ქვეყანა ერთმანეთს რომ დაეჯახება...“

➤ 5564

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ვისთვის უნდა იხედებოდეს ვინმე დაუკმაყოფილებელი...“

➤ 5565

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „ავტომობილი და ურემი“ („ახალთახალ შარაზე მიჰქრის...“).

➤ 5566

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „აბრეშუმის გვსურს და არა ძონძეები...“

➤ 5567

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ვინ იფიქრებდა, რომ ამოდენა გრანდიოზული...“

➤ 5568

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ვდგევართ რატაციონის მანქანასთან...“

➤ 5569

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ვის არ ახსოვს პატარა...“

➤ 5570

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „სიმღერა“ („ვჭექოთ – სიმღერა თუჯის...“).

➤ 5571

1930

ნოემბერი ან ადრე

წერს ლექსს „ათასის მხედველობა, ათასის იერი!“ („იყო ომი. რაც სისხლი აქვ დაღვრილა...“).

➤ 5572

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „რევოლუციონური საქართველოს ცხოვრების ფურცლებიდან“ („იყო საქართველო მძიმე მონობაში...“).

➤ 5573

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „აბა რაა ეს?“ („მტერი მტარვალთა წესწყობილების...“)

➤ 5574

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „ქარბუქი მუსიკის ხმათა“ („სახელოვანი და სანაქებო და უფრო მეტი...“).

➤ 5575

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „რიტმი – საწყისი შრომის“ („მე ბავშობიდან მჯეროდა რიტმი...“).

➤ 5576

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „უდიადესი თუ რაიმე მოვა ხმელეთზე“ („ძვირფასი, უკანასკნელი და პირველი...“).

➤ 5577

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „მხარი მხარს, მხარი მხრას“.

➤ 5578

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „პირველჯერ“ („პირველჯერ! პირველჯერ!..“).

➤ 5579

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „ახალი „ნიკორა“ („თუჯის ფილტვებში – ფერდგადახსნილ...“).

➤ 5580

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „მეხი მეხს, ქარი ქარს, ჩვენ კი მივსცეთ მხარი მხარს“ („აქ ჯერ არაა პროლეტარი...“).

➤ 5581

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „შრომა ხმაურობს – ხმაურობს პოეზია!“ („ქალაქებიდან ჩამოსულა სოფელში მუშა...“).

➤ 5582

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „მზე თვალეებში ჩაგეწვეთება და თვალს სინათლე მოემატება!“ („როცა ხნულები ეფინება ველებს სვეტებად...“).

➤ 5583

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „ხმამაღლა! ხმამაღლა! ხმამაღლა!“.

➤ 5584

1930

სექტემბერი ან ადრე



წერს ლექსს „მოგზაურობა ვერცხლისფერი ბილიკით“ („ჩვენ მოვიარეთ მიწა და წყალი...“).  
➤ 5585

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „აი ქარხანაც. მკვიდრდება სახლი...“

➤ 5586

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ეს სურათი საზღვარგარეთიდან მოიტანა ინჟენერმა მხატვარმა...“

➤ 5587

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „მწვერვალები ახალ მთების“ („კავკასიის მაღალ ქედზე მიდიოდენ სვანები...“).

➤ 5588

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „გოგონა“ („გამიგონე, არა ერთი ასეთი მშვენიერი...“).

➤ 5589

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „კოლხიდის დაბლობზე“ („მალარია! ხან სიმინდი უტყვია...“).

➤ 5590

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „თვითეული პოეტი ეხლა ინჟენერია“.

➤ 5591

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „მმურად შევკავშირდეთ“ („რაც გაკეთდა და კეთდება უფრო ენამჭევრია...“).

➤ 5592

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „რად გვინდა თავი ცოცხალი“ („ორთქლმავალს სოციალისტურ მტერი ჰყავს არამოწყალე...“).

➤ 5593

1930

სექტემბერი ან ადრე

წერს ლექსს „ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა, ჩვენ არ გვინდა ომი“.

➤ 5594

1930

**სექტემბერი ან ადრე**

წერს ლექსს „ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით“ („ქვეყნად ბევრი არმიაა – სულ სხვადასხვა ფერია...“).

➤ 5595

**1930**

**სექტემბერი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „განა მისთვის ამშვენებს მას წითელი ორდენი...“

➤ 5596

**1930**

**სექტემბერი ან ადრე**

წერს ლექსს „ხუთწლედით ოთხ წელიწადში“ („არა გადაზვირთება, არა სიტყვა ლიტონი...“).

➤ 5597

**1930**

**სექტემბერი ან ადრე**

წერს ლექსს „მოდის მშენებელი, მოაქვს აგურები“.

➤ 5598

**1930**

**სექტემბერი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „ნათქვამია – ხელი ხელს...“

➤ 5599

**1930**

**სექტემბერი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „აი, გეგმაც: აბა მოდი, სუფთა ხელთათმანით...“

➤ 5600

**1930**

**სექტემბერი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „ატესტატის წყალობით, თვალთმაქცური...“

➤ 5601

**1930**

**სექტემბერი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „წავიდეთ ქარხნებში, ავტეხოთ განგაში...“

➤ 5602

**1930**

**სექტემბერი ან ადრე**

წერს ლექსს „ძველი და ახალი ხიდი“ („მცხეთის ახლოს, სადაც მტკვარის მორევია დიდი...“).

➤ 5603

**1930**

**სექტემბერი ან ადრე**

წერს ლექსს „უბინაო ბავშვების შესახებ“ („რევოლუციონურ საქართველოში თუ გააკეთებ...“).

➤ 5604

1930

**სექტემბერი ან ადრე**

წერს ლექსს „პიონერო, იყავ ღირსი ახალ ყოფა-ცხოვრების!“ („სხვა ბავში კი რომ აღტაცებით აწყდება შკოლას...“).

➤ 5605

1930

**სექტემბერი ან ადრე**

წერს ლექსს „სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის“ („საქართველოში მძლავრზე მძლავრი არის ხმაური...“).

➤ 5606

1930

**სექტემბერი ან ადრე**

წერს უსათაურო ლექსს „უნდა შეავსოს ხვალემ და ზეგმა...“

➤ 5607

1930

**სექტემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის „რევოლუციონურ საქართველოს“ დასაწყისი.

➤ 5608

**ოქტომბერი**

1930

**1 ოქტომბერი**

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. ადრესანტი საყვედურობს, რომ თავის ამბავს ოჯახს არ აგებინებს. სთხოვს ოლია ოკუჯავას მისამართს, რომ საჭირო ნივთები გაუგზავნოს. აინტერესებს, როგორ მოაგვარა პალტოს საქმე და დაუნიშნეს თუ არა პენსია.

➤ 5609

1930

**5 ოქტომბრამდე**

ხელოვნების სასახლეში დგება მწერალთა დამკვრელი ბრიგადები, რომლებიც წარმოებათა მუშაობას უნდა გაეცნონ. პროლეტმწერლები თავიანთ თავს ლიდერებად მიიჩნევენ, არაპროლეტმწერლებს კი, რაოდენ სახელოვანნიც არ უნდა იყვნენ, თავიანთ თანამგზავრებად და მეკავშირეებად. ასეთ თანამგზავრთა შორის ყველა გაზეთი უპირველეს ყოვლისა გალაკტიონ ტაბიძეს ასახელებს. პოეტი ძალზე შემართულია და მთელი ენერგიით ემზადება „დამკვრელი თვის“ ლიტერატურული კამპანიისათვის.

➤ 5610

1930

**5 ოქტომბრამდე**

ჟურნალი „მნათობი“ იწყებს ლექსების ციკლის „რევოლიუციონური საქართველო“ ბეჭდვას.

➤ 5611

1930

**5 ოქტომბრამდე**

თბილისში დგება წარმოებაზე მიმდგრებულ მწერალთა 8 დამკვრელი ბრიგადა. ერთ-ერთ მათგანში არის გალაკტიონიც, მაგრამ თავისი ბრიგადის წევრები დიდად არ მოსწონს.

➤ 5612

1930

**5 ოქტომბრამდე**

თბილისში ცოტა აცივდა, მაგრამ გალაკტიონს პალტო დაგირავებული აქვს და სანამ ჰონორარს არ აიღებს, გამოხსნას ვერ ახერხებს.

➤ 5613

1930

**5 ოქტომბერი**

ხელოვნების სასახლიდან დაბრუნებულს ხვდება ძმის, ახესალომ ტაბიძის წერილი და წერს პასუხს, მაგრამ ბოლოს გადახაზავს.

➤ 5614

1930

**5 ოქტომბერი**

აკეთებს ჩანაწერს დღიურში. აღნიშნავს საკუთარ წარმატებებს, მიიჩნევს, რომ დამკვერელი ბრიგადების ხელმძღვანელობას მისი დისკრედიტაცია აქვს გამოიზნული პროლეტარული მწერლების დაჯგუფების სასარგებლოდ და ამას ბოლო უნდა მოუღოს.

➤ 5615

1930 ან შემდეგ

**6 ოქტომბერი**

წერს უსათაურო ლექსს „ხშირად მე შემომხვდება...“.

➤ 5616

1930

**7 ოქტომბრამდე**

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ჰპირდება, რომ ორ დღეში ერთხელ მის ლექსებს დაბეჭდავს, გალაკტიონი კი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა ყოველ დღე დაებეჭდათ.

➤ 5617

1930

**7 ოქტომბრამდე**

ლექსების მიწოდებაზე შეთავაზებას იღებს ჟურნალ „პიონერის“ რედაქციისგან.

➤ 5618

1930

**7 ოქტომბრამდე**

მასალის გამოქვეყნებაზე დასტური აქვს მიღებული შვიდი პერიოდული ორგანოდან. ესენია: „კომუნისტი“, „მნათობი“, „მუშა“, „მოჯამაგირის ხმა“, „დროშა“, „ტარტაროზი“ და „პიონერი“.

➤ 5619

1930

**7 ოქტომბრამდე**

მწერალთა მეოთხე ბრიგადა, რომელშიც ის განაწილებისას ხვდება, მიმაგრებულია სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის შემკრებ, ჩამომსხმელ და სამჭედლო ცეხებზე.

➤ 5620

1930

## 7 ოქტომბრამდე

იგებს, რომ ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში მის მიერ მიტანილი მასალა მოსწონთ.

➤ 5621

1930

## 7 ოქტომბრამდე

კითხულობს გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ გამოქვეყნებულ სტატიას „პროლეტმწერლები წარმოებაში“ და ხვდება, რომ წარმოებებთან ურთიერთობის დროს წამყვანი როლი პროლეტმწერლებს ექნებათ, სხვები კი, მათ შორის ის და სხვა ცნობილი მწერლები, თითქოს ბუქსირით იქნებიან მათზე მიბმული.

➤ 5622

1930

## 7 ოქტომბრამდე

წარმოებასთან მიმაგრებული იმ ბრიგადის ხელმძღვანელი, რომელშიც ის ხვდება, მიხეილ ჩიქოვანი, გულწრფელად ართმევს ხელს და გააცნობს მისთვის უცნობ ერთ წევრს, რომლის შესახებ გალაკტიონმა ისიც კი არ იცის, პოეტია თუ პროზაიკოსი.

➤ 5623

1930

## 7 ოქტომბრამდე

ფიქრობს, რომ წარმოებასთან მიმაგრებულ ბრიგადაში მის მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ ფრთხილად უნდა იყოს. ვერ ენდობა ორ-სამ ადამიანს, რომლებიც ლიდერობას ჩემულობენ. ამასთან დაკავშირებით ენიშნება ალაღბედად გადაშლილ წიგნში ამოკითხული თეოფილ გოტიეს სტროფი. მასში საუბარია დიდებულების განცდაზე, რომელსაც აჩენს „ოქტომბრის“ მიერ ნაჩუქარი გვირგვინები. გოტიესთან ეს სიტყვები მიემართება წაბლის ხეებს პოლიტიკური ქვეტექსტის გარეშე, გალაკტიონს კი სწორედ ამ კუთხით ენიშნება.

➤ 5624

1930

## 7 ოქტომბრამდე

ფიქრობს, რომ უნდა ჩაიძიროს დამკვერელურ მუშაობაში, მაგრამ, რამდენადაც არ არის გამორიცხული რაიმე სკანდალი, იქიდან გამოსასვლელიც წინასწარ უნდა ჰქონდეს ნაპოვნი.

➤ 5625

1930

## 7 ოქტომბრამდე

ეცნობა მწერალთა დამკვერელური ბრიგადების სიას. უკვირს, რომ ვერ ნახულობს იქ გიორგი ქუჩიშვილის გვარს. ვარაუდობს, რომ ეს ლოთობის გამო ხდება და ის მოგვიანებით ჩაერთვება.

➤ 5626

1930

## 7 ოქტომბრამდე

ლეო ქიაჩელი პირად საუბარში ეუბნება, რომ მუშებთან დაახლოება შეიძლება მათ გვერდით ცხოვრებით, წარმოებაში მათთან მუშაობით, ერთად საუზმობით და პაპიროსის მოწვევით. ქიაჩელის თქმით, ასეთ ვითარებაში ისინი გულს გახსნიან და ალაპარაკდებიან, რითაც გალაკტიონი უკეთ შეიძლება მათ გაგებას და მათთან დაახლოვებას.

➤ 5627

1930

## 7 ოქტომბრამდე

წარმოებაში ჩასაბმელად ჩამოყალიბებული მწერალთა ბრიგადების კრებაზე გალაკტიონი ამბობს, რომ საერთო საქმისთვის საჭიროა მუშების ჩაბმა ლიტერატურულ პროცესებში და კრების წევრებს მისი აზრი მოსწონთ.

➤ 5628

1930

## 7 ოქტომბრამდე

დიდხანს საუბრობს ლევან ასათიანთან. მსჯელობის თემაა რკინიგზისა და ტრამვაის მუშების რევოლუციური განწყობები და „მუშა“ პატრიოტიზმი. გალაკტიონს მოსწონს ეს ახალგაზრდა კრიტიკოსი და გონივრულად მიიჩნევს მის აზრს იმასთან დაკავშირებითაც, რომ კარგი იქნებოდა მატარებლისა და ტრამვაის უფასო ბილეთები ჰქონოდათ.

➤ 5629

1930

## 7 ოქტომბრამდე

რაჟდენ გვეტაძე ფიქრობს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს არ უნდოდა მასთან ერთად მოხვედრა ბრიგადაში და მოახერხა კიდეც, პოეტი კი უხსნის, რომ საერთოდ არ უფიქრია ასეთ რამეზე და გაზეთიდან გაიგო, რომელ ბრიგადაში გაანაწილეს.

➤ 5630

1930

## 7 ოქტომბერი

დღიურში მინიშნებით იწერს, რომ ცალკეული პირები განზრახ არ წამოდგნენ ფეხზე მისი დანახვისას, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ოდესმე იგივენი მოწიწებით წამოუდგებიან.

➤ 5631

1930

## 7 ოქტომბერი

დღიურში წერს, რომ ახალი დიადი გზით სიარულისთვის საჭიროა ბევრი რამისგან გათავისუფლება. ფიქრობს, რომ კომკავშირელი მწერლები ქედმაღლურად უყურებენ ინტელიგენტ მწერლებს. ტიციან ტაბიძე მაღლიდან დასცქერის ყველას. არისტო ჭუმბაძე ცდილობს საერთო ენის გამონახვას ხელმძღვანელობასთან, ლეო ქიაჩელი თავმოყვარეობაშელახულია, რომ ხელმძღვანელობას არ სთავაზობენ. მიხეილ ჯავახიშვილი ყოველთვის მართა და უკანა რიგში ზის, თითქოს ვიღაცას ეპარება, გრიგოლ რობაქიძე მხოლოდ ერთხელ დაესწრო სხდომას. სერგო კლდიაშვილი პატარა წერტილივით მოსჩანს სულ უკან. მწერალთა ბრიგადების ყველა ხელმძღვანელი კომკავშირელია, სხვა მწერლები კი თითქოს ბუქსირით მიჰყავთ, მაგრამ გალაკტიონისთვის ეს ვითარება მისაღებია. ფიქრობს, რომ ასე მეტის გაკეთებას შეძლებენ.

➤ 5632

1930

## 7 ოქტომბერი და შემდეგ

აგროვებს ყველანაირ მასალას რკინიგზის შესახებ.

➤ 5633

1930

## 8 ოქტომბერი

მწერალთა კავშირიდან უგზავნიან მანდატს, რომ მწერალთა მეოთხე ბრიგადის წევრია და სამუშაოდ სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაზეა მიმაგრებული.

➤ 5634

1930

### 9 ოქტომბერი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი „პროლეტ. მწერლები წარმოებაში“, რომელშიც ნათქვამია, რომ საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 3 სექტემბრის მიმართვის რეალობისათვის მწერალთა აქტივი მიმაგრებულია საწარმოებზე. ასევე აღნიშნულია, რომ საორგანიზაციო თათბირზე სიმონ წვერავას მიერ გაკეთებულ მოხსენებასთან დაკავშირებით კამათში გამოვიდნენ: ტიციან ტაბიძე, არისტო ჭუმბაძე, სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ ბრიგადული მუშაობისა და წარმოებებზე მწერლების მიმაგრების საჭიროებას. მეოთხე ბრიგადა, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად შედიან მწერლები: სიმონ წვერავა, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლო მიწიშვილი, მატინიანი, ნ. ასლამაზიშვილი, მიხეილ ჩიქოვანი და ბენიტო ბუაჩიძე, მიმაგრებულია სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის შემკრებ, ჩამომსხმელ, სამჭედლო და სხვა საამქროებზე.

➤ 5635

1930

### 9 ოქტომბერი

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს, რომ საბჭოთა მწერლების ფედერაცია კოტე გორდელადის რედაქტორობით იწყებს „სალიტერატურო გაზეთის“ გამოცემას. მოადგილე იქნება ნიკოლო მიწიშვილი და წევრები: ტიციან ტაბიძე, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი და სხვები. გალაკტიონი შიშობს, რომ გაზეთს პრობლემები შეექმნება.

➤ 5636

1930

### 9 ოქტომბრამდე

კრებაზე ისმენს, რომ მწერალთა ამა თუ იმ საწარმოზე მიმაგრებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებდა მათ „ლიტერატურულ ფიზიონომიას“, ჟანრს, რომელშიც მუშაობენ და დამოკიდებულებას ბრიგადის სხვა წევრებისადმი. გალაკტიონი კმაყოფილია, რომ მოხვდა რკინიგზელების ცეხებში, სადაც იჭედება ფოლადი და პროლეტარიატის ნებისყოფა. ფიქრობს, რომ მაუდის და ტყავის ქარხნები მისთვის ნამდვილად არ იქნებოდა შესაფერი.

➤ 5637

1930

### 9 ოქტომბრამდე

წარმოებებთან მიმაგრებული ბრიგადების მეორე კრებაზე დემნა შენგელაია კრიტიკულად იხსენიებს კედლის გაზეთებს და მათ ჟურნალ „ტარტაროზს“ ადარებს. მის ამ სიტყვებს არავინ აპროტესტებს და არ ცდილობს „ტარტაროზის“ დაცვას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟურნალის სახელი უკავშირდებოდა ლიტერატურულ წრეებში გაბატონებული სილიბისტრო თოდრიასა და სანდრო ეულის სახელებს. ფაქტს, რომ დემნა შენგელაიამ „ტარტაროზი“ მასების გამრყვნელ გავლენებში დაადანაშაულა და არავინ შეკამათებია, გალაკტიონი იმის ნიშნად მიიჩნევს, რომ მოსალოდნელია ამ „საზიზღარი“ ჟურნალის წინააღმდეგ კამპანიის წამოწყება.

➤ 5638

1930

### 9 ოქტომბერი

განცხადებით მიმართავს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატს, რომ არც ტანსაცმელი აქვს და არც ფეხსაცმელი და ამ პრობლემის მოსაგვარებლად ითხოვს კუთვნილი 50 მანეთის ღირებულების ობლიგაციების დახურდავების ნებართვას.

➤ 5639

1930

9 ოქტომბერი

საქართველოს სახელმწიფო სავაჭრო ამხანაგობა აძლევს ორდერს ერთი წყვილი ფეხსაცმლისა და კოსტიუმის შესაძენად.

➤ 5640

1930

10 ოქტომბრამდე

გადასახლებიდან ბრუნდება ოლია ოკუჯავა. ის ავად არის, პასკევიჩის, ამჟამინდელი გერონტი ქიქოძის ქუჩის 9 ნომერში ცხოვრობს დედასთან და წყალტუბოში აპირებს სამკურნალოდ წასვლას.

➤ 5641

1930

10 ოქტომბერი

ძმას, აბესალომ ტაბიძეს უგზავნის წერილს. ატყობინებს, რომ ჟურნალი „მნათობი“ ლექსების ციკლის „რევოლუციონური საქართველო“ პირველი 16 გვერდის ბეჭდვას იწყებს, მომდევნო ნაწილს სხვა ნომრებში გააგრძელებენ, დასრულებისას კი წიგნად გამოცემას ჰპირდებიან. გაარკვია, რომ იანვრამდე პენსიის საკითხი არ გადაწყდება და სთხოვს, თუთუნი გაუგზავნოს. აცნობებს, რომ მწერალთა ბრიგადიდან რკინიგზის სახელოსნოებში უნდა იმუშაოს. მოკითხვას უთვლის დედას, რძალ ტატიანას და ძმისშვილ ვასიკოს.

➤ 5642

1930

10 ოქტომბერი

შემთხვევით შეესწრება ულტრამემარჯვენე მწერალთა შესახებ საუბარს და იგებს, რომ იოსებ გრიშაშვილი თავისი ბიბლიოთეკის საჩვენებლად იწვევს მოწინავე მუშებს. გალაკტიონს უკვირს, რომ იმ, მისი აზრით, ნაყარ-ნუყარი წიგნებით იწონებს თავს.

➤ 5643

1930

10 ოქტომბერი

მუშა ასოთამწყობი ვანო ბერიკაციშვილი ეკითხება, რა ურთიერთობა აქვს იოსებ გრიშაშვილთან, გალაკტიონი პასუხობს, რომ ძალზე მემარჯვენედ მიაჩნია. შემდეგ საუბარში ბერეკაციშვილი აქებს გალაკტიონის ლექსს „რა ამოდრავებს კიპარისის ტანს“.

➤ 5644

1930

10 ოქტომბერი

ვასო ალანია დაცივით ეკითხება, რომელ ბრიგადაზეა მიმაგრებული, რაზედაც მისთვის ყბაში მუშტის დარტყმის სურვილი უჩნდება.

➤ 5645

1930

10 ოქტომბერი

სახელმწიფო გამომცემლობაში ხვდება იოსებ გრიშაშვილს და ეკითხება, თუ ბეჭდავს რამეს. იოსები რუსულად პასუხობს, რომ ბეჭდავს თარგმანებს, საერთოდ თუ იბეჭდება რამე.

➤ 5646



1930

**10 ოქტომბერი**

ანტერესებს, ვინ ცდილობს მისი სახელისა და გვარის დისკრედიტაციას. ფიქრობს სიმონ წვერავაზე, ბენიტო ბუაჩიძესა და პანტელეიმონ ჩხიკვაძეზე. დარწმუნებულია, რომ საკმაოდ კარგად ერკვევა სიტუაციაში, რომ იმათ თავიანთი არ გაატანინოს. მთავარია, ღვინოს ერიდოს და მუშებთან ახლო კონტაქტი ჰქონდეს.

➤ 5647

1930

**10 ოქტომბერი**

თეატრალური სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით გეგმავს აბონემენტების შექმნას ოპერისა და ბალეტის, მარჯანიშვილისა და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრებში და ყველა კინოთეატრში.

➤ 5648

1930

**10 ოქტომბერი**

დღიურში იწერს იმ კომპოზიტორების, მომღერლების, რეჟისორების, დეკლამატორების, მთარგმნელებისა და მსახიობების გვარებს, რომლებიც დასჭირდება სადამოების მოსაწყობად. აქვე აღნიშნავს, რომ სჭირდება კარგი დრამატურგი.

➤ 5649

1930

**10 ოქტომბერი**

ათვალისწინებს ახალგამოსულ ჟურნალს „ჩვენი მიზანი“ და ფიქრობს, რომ ძველი „გამოკრეტილებული“ მუშების ასეთ ორგანოს დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

➤ 5650

1930

**10 ოქტომბერი**

მიიჩნევს, რომ „ცისფერყანწელებს“ მისი წარმატება აშფოთებთ და პარტიას სთხოვენ დახმარებას მის შესაფერხებლად. ფიქრობს, რომ „სალიტერატურო გაზეთში“ პროლეტმწერლობა ითამაშებს ხელმძღვანელ როლს და ეცდება მათთან მოლაპარაკებას, რომ პირველობა არ დათმოს და ახალი გზები გამოიხსნოს. ცდილობს ადამიანებთან ურთიერთობა და ნორმალური საუბარი ისწავლოს, რომ სათქმელი გააგებინოს. წუხს ხმის დიდებული ტემბრის დაკარგვის გამო და იმედოვნებს, რომ აუცილებლად დაიბრუნებს სიტყვის სითამამეს და თან ღვინის გარეშე.

➤ 5651

1930

**10 ოქტომბერი**

დღიურში იწერს თავის უარყოფით დამოკიდებულებას ჟურნალ „ტარტაროზის“ მიმართ. იგონებს, როგორ ვერ აღიქვეს მისი პოემის „ეპოქა“ მნიშვნელობა და როგორი შარჟი გამოაქვეყნეს მის შესახებ. სიკო ფაშალიშვილს ქიზიყელ „დიდყუროვნად“ მოიხსენიებს.

➤ 5652

1930

**10 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში „სტროიკა“ კითხულობს ბესარიონ საიანოვის პუბლიკაციას „წერილი მოსკოველ მეგობარს“ და გიორგი გორბაჩევის სტატიას ალექსანდრ ბეზიმენსკის პოეზიის შესახებ, რომელიც ავტორს დემიან ბედნის შემდეგ პირველ პროლეტარ პოეტად მიაჩნია.

➤ 5653

1930

#### 10 ოქტომბერი

დღიურში იწერს საკუთარ აზრებს რუსი პოეტების ბესარიონ საიანოვისა და ალექსანდრ ბეზიმენსკის შესახებ. ფიქრობს, რომ ადრე ორივე რომანტიკოსი იყო, მაგრამ საიანოვი დღემდე იმეორებს გასული საუკუნის 30-იანი წლების ტაეპებს, მიაკვლევს ეფერება და იცავს, ბეზიმენსკი კი პარტიული გახდა, სქემატიკოსი და პროპაგანდისტი. ისინი თავ-თავისი გზებით ივლიან და მათი გზები არ გადაიკვეთება, გალაკტიონი კი წერს, რომ მან იცის, რა პრობლემა აქვს თითოეულს. ეს არის ბეზიმენსკის ყოყლოჩინობა, რაც მას ხელს შეუშლის მასებთან დაახლოვებაში, საიანოვის სენტიმენტალურობა, რაც აშორებს ეპოქის სახისგან და მისი გულწრფელობა. გალაკტიონი თავის თავს უსვამს კითხვას, არის თუ არა დღეს საჭირო გულწრფელობა.

➤ 5654

1930

#### 10 ოქტომბერი

დღიურში იწერს, როგორ საშინლად დამთვრალან წინა დღეს ვერის სასაფლაოზე გიორგი ქუჩიშვილი და არნო ონელი.

➤ 5655

1930

#### 10 ოქტომბერი

დღიურში იწერს სხვადასხვა პერიოდული ორგანოს გამოსვლასთან დაკავშირებით ლიტერატურული წრეების აზრს. ჩანაწერის მიხედვით, ვლადიმერ ნორაკიძე ფიქრობს, რომ ქართული „ლიტერატურული გაზეთი“ ამავე დასახელების რუსული პერიოდული ორგანოს გადამღერება იქნება, რაშიც სანდრო ეულიც ეთანხმება. მათ ღიმილს ჰგვრის იოსებ იმედაშვილის განზრახვა ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ განახლებასთან დაკავშირებით. ფიქრობენ, რომ იმედაშვილი ილუზიებში ცხოვრობს და ეს ჟურნალი თავს ვერ გაიტანს.

➤ 5656

1930

#### 10 ოქტომბერი

გადასახლებიდან დაბრუნდნენ გაიოზ დევდარიანი და შალვა ოკუჯავა, მალე გალაკტიონის მეორე ცოლისძმა მიხეილიც დაბრუნდება და პოეტს იმედი ეძლევა, რომ ყველაფერი დამშვიდდება.

➤ 5657

1930

#### 10 ოქტომბერი

დღიურში იწერს, რომ დავით არსენიშვილი კარგი ორგანიზატორია და როდესმე ალბათ გამოადგება დიდი საღამოს მოწყობაში.

➤ 5658

1930

#### 10 ოქტომბერი

დღიურში იწერს, რომ ის პროლეტარული მწერლობის მოკავშირეა და არა მოჯამაგირე, დამოუკიდებელი პოეტია და არა ვისიმე ეპიგონი და რომ ეს საკმარისად მკაფიოდ ჩანს მთელი მისი ლიტერატურული საქმიანობის განმავლობაში.

➤ 5659

1930

### 10 ოქტომბერი

დღიურში იწერს, რომ პროლეტარი მწერლები თავიანთ პერიოდულ ორგანოებში – „ახალგაზრდა კომუნისტსა“ და „ტარტაროზში“ გალაკტიონის დისკრედიტაციას ეწევიან და მარტოსულად წარმოაჩენენ.

➤ 5660

1930

### 10 ოქტომბერი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ ცისფერყანწელები მშვენივრად მოეწყვნენ: ტიცინი სახელმწიფო კინოწარმოებაში, გრიბოდოვის მუზეუმში, „სალიტერატურო გაზეთში“ და სხვადასხვა კომისიებში მუშაობს, გრიგოლ რობაქიძე – მწერალთა კავშირში და არა მხოლოდ იქ, პაოლო იაშვილი მოსკოვშია და როცა დაბრუნდება, კიდევ უფრო გამაგრდებიან. გული სტკივა ტიცინის მისდამი დამამცირებელი დამოკიდებულების გამო, რითაც სხვებსაც უმხედრებს. ფიქრობს, რომ ცისფერყანწელები მხოლოდ საკუთარ განდიდებაზე ფიქრობენ და ამიტომ არასდროს შეურიგდება მათ. გადაწყვეტილი აქვს, ერთგული ადამიანები შემოიკრიბოს გარშემო, მაგრამ ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა გამარჯვებულს დაინახავენ.

➤ 5661

1930

### 10 ოქტომბრის შემდეგ

წერილს იღებს დავით არსენიშვილისგან, რომელიც აცნობებს, რომ მიმდინარე დღის საღამოს 10 საათზე მიემგზავრება მოსკოვში. როგორც კი იქაურ მწერალთა კავშირს მოელაპარაკება საღამოს მოწყობასთან დაკავშირებით, შეატყობინებს. ამიტომ გალაკტიონი მზად უნდა იყოს გამგზავრებისთვის. წერს, რომ ეს საქმე გასაკეთებელია წლის ბოლომდე.

➤ 5662

1930

### 12 ოქტომბერი და უფრო ადრე

უკიდურეს გასაჭირშია, ფეხსაცმელიც დაგლეჯილი აქვს, არა აქვს პალტო, პაპიროსისა და ტრამვაის ფულიც კი არ ეპოვება და სახლიდან თუ გადის, განაპირა ქუჩებს ირჩევს, რომ ვინმეს არ შეხვდეს. მოუთმენლად ელოდება ჰონორარს ჟურნალ „მნათობისგან“, მაგრამ თანხა ისევ არ ჩანს და პოეტი ბრაზობს მოსე გოგიბერიძეზე. თავს შეუძლოდ გრძნობს და ავად გახდომის ემინია, მაგრამ დასძენს, რომ სიღარიბეს არასდროს დანებდება.

➤ 5663

1930

### 12 ოქტომბერი

გაზეთში კითხულობს, რომ გასაყიდად გამოდის სანდრო ეულის თხზულებათა კრებული პირველი ტომი და ამის შესახებ ჩანაწერს აკეთებს დღიურში.

➤ 5664

1930

### 12 ოქტომბერი

იგებს, რომ წინა დღეს უნდა მისულიყო რკინიგზის სახელოსნოებში და არ შეატყობინეს.

➤ 5665

1930

13-15 ოქტომბერი

თავს იკავებს პაპიროსის მოწევისა და სასმელისაგან.

➤ 5666

1930

16 ოქტომბერი

ირჩევენ სარემონტო ქარხნის ბეჭდური ყოველდღიური გაზეთის „მანევრების შტაბი“ თანამშრომლად.

➤ 5667

1930

16 ოქტომბერი

მწერალთა კავშირის ფედერაცია იღებს საბჭოთა ენციკლოპედიის მოსკოვის სააქციო საზოგადოებიდან 4 ოქტომბერს გამოგზავნილ წერილს, რომ სტატიისთვის სასწრაფოდ აცნობონ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების თარიღი.

➤ 5668

1930

16 ოქტომბერი

გაზეთში „რელიგიის წინააღმდეგ“ გამოსაქვეყნებლად მასალას გადასცემს მოსე გოგიბერიძეს და მისგან იღებს დაპირებას, რომ პირველ რიგში გამოაქვეყნებს.

➤ 5669

1930

16 ოქტომბერი

საქართველოს მწერალთა ფედერაციას პროლეტარ მწერალთა ასოციაციის მასებთან მუშაობის სექტორის გამგისგან მისდის ოფიციალური შეტყობინება, რომ მიმდინარე დღეს სარემონტო ქარხნის პროფკავშირების კომიტეტში შედგება მწერალთა 1-4 ბრიგადის წევრთა თათბირი ქარხნის ყველა ცეხის კედლის გაზეთის კორესპონდენტებთან ერთად. ეს ეხება გალაკტიონ ტაბიძესაც, როგორც მეოთხე ბრიგადის წევრს.

➤ 5670

1930

16 ოქტომბერი

გაზეთში „იზვესტია“ კითხულობს აბელ ენუქიძის სტატიას საბჭოებში არჩევნების შესახებ. იგებს, რომ იქმნება კომისიები და დიდი სამზადისია.

➤ 5671

1930

16 ოქტომბერი

4 საათზე მიდის სარემონტო ქარხნის პროფკავშირების კომიტეტში, სადაც ადგენენ სამოქმედო გეგმას და მეორე დღიდან გადაწყვეტენ მუშაობის დაწყებას. ათვალეიერებენ ჩამომსხმელ, სამჭედლო, ელდენისა და შემდუღებელ ცეხებს. როდესაც ხედავს როგორი ხმაურით გადაადგილდება ცეხში უზარმაზარი ორთქლმავალი, 1917 წელი აგონდება. გაზეთის გამოცემაზე მორიგეობა წილად ხვდება 19 ოქტომბრისთვის.

➤ 5672

1930

**16 ოქტომბერი**

სარემონტო ქარხანაში კრებაზე ყოფნისას სანდრო ეული ამბობს, რომ ჟურნალ „ტარტაროზის“ სპეციალური ნომრის გამოცემას აპირებს. გალაკტიონ ტაბიძეს ძალიან არ მოსწონს ეს ჟურნალი და გაიფიქრებს, „ტარტაროზი მიაკვდა სულშიო“. გული სწყდება, რომ პროლეტპოეტებს ლიდერად სანდრო ეული ურჩევნიათ.

➤ 5673

1930

**16 ოქტომბერი**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ ქარხანაში მუშაობის მხრივ არავითარი ჩამორჩენა არა აქვს, რადგან მასზე ადრე სხვა მწერლებიც არ მისულან იქ. წერს, რომ სარემონტო ქარხანაში კრებას მის გარდა ესწრებოდნენ სანდრო ეული, სიმონ წვერავა, დემნა შენგელაია, კალე ბობოხიძე, ნიკო ასლამაზიშვილი, გიორგი კრეიტანი, მოსე გვასალია და მიხეილ ჩიქოვანი. ლექსიკონის სახით იწერს ქარხნის პროფილის შესაბამის ლექსიკას რუსულ და ქართულ ენებზე. ასევე გაკვირვებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნების ჩასატარებელ საგანგებო კომისიაში ვინც კი აირჩიეს, არცერთი არ არის საზოგადოებისთვის ნაცნობი.

➤ 5674

1930

**16 ოქტომბერი**

იგებს, რომ წიგნის მაღაზიაში დარჩენილია მისი წიგნის „პაციფიზმი“ 400 ცალი და ფიქრობს მათ გამოყენებაზე.

➤ 5675

1930

**16 ოქტომბერი**

გამოსაქვეყნებლად სხვადასხვა მასალას უგზავნის ჟურნალ-გაზეთებს: „კოლექტივიზაცია“, „სოცშეჯიბრება“, „შოლტი“ და „პროლეტარული სტუდენტობა“. დღიურში ინიშნავს, რომ ასათვისებელი აქვს: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „კოოპერატიული ცხოვრება“, „წითელარმიელი“ და „განათლების მუშაკი“.

➤ 5676

1930

**17 ოქტომბერი**

დღიურში იწერს, რომ მესამე ბრიგადის წევრებმა საგაზეთო სტატიაში თამბაქოს ქარხნის მუშებისთვის საწარმოში ჰაერის ვენტილაცია მოითხოვეს და ხელმძღვანელობისგან საყვედური მიიღეს. იქვე აღნიშნავს, რომ ლექსი უნდა გაუგზავნოს გაზეთს „წითელი არმიელი“.

➤ 5677

1930

**18 ოქტომბერი**

გაზეთებში კითხულობს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მიმართვას დამკვერელი ბრიგადებისადმი, რომ თავიანთი წრეებიდან გამოყონ ლიტერატურული ძალები. გალაკტიონს ახსენდება, რომ ეს იდეა მან წამოაყენა მწერალთა ბრიგადების პირველ კრებაზე და ისე იყენებენ, რომ მის სახელს არც კი ახსენებენ.

➤ 5678

1930

**18 ოქტომბერი**

იგებს, რომ გამომცემლობა „შრომასთან“ არსდება სპეციალური გამომცემლობა მუშათა წრეებისთვის და მასაც მოუხდება იქ მუშაობა.

➤ 5679

1930

### 18 ოქტომბერი

ლომბარდიდან გამოისყიდის პალტოს და ორდერით იძენს ფეხსაცმელს, მეორე დღისთვის კი გეგმავს კოსტიუმის შექმნას.

➤ 5680

1930

### 18 ოქტომბერი

სამუშაოდ ირჩევს სამჭედლო ცეხს და მუშაობის დასაწყებად ჩამოწერს საკითხებს, რომელთა გარკვევაც აუცილებლად მიაჩნია. მათ შორის არის პოეზიის ნიჭის მქონე ადამიანთა გამოვლენა არა მხოლოდ დამკვერელ მუშათა შორის, არამედ ზოგადად ცეხში მომუშავეებში. ფიქრობს, რომ „დამკვერელ მუშათა“ მწერლობაში გაწვევის მიზანიც სწორედ ეს არის. თუ ეს შესაძლებელი იქნება, სურვილი აქვს, დააარსოს სალიტერატურო წრე.

➤ 5681

1930

### 20 ოქტომბერი

ლიტერატურა დიდი ცვლილებების წინაშე დგას და ამ გადატრიალებას, გავრცელებული აზრით, ახდენს „სალიტერატურო გაზეთი“. გალაკტიონ ტაბიძე იგებს, რომ ამ გაზეთის ხელმძღვანელობა სურთ ტიცინ ტაბიძეს და ნიკოლო მიწიშვილს, მაგრამ სხვები მათ კანდიდატურას დიდი ენთუზიაზმით არ ხვდებიან.

➤ 5682

1930

### 21 ოქტომბრის შემდეგ

დღიურში იწერს განცხადების მონახაზს, რომ ცხოვრობს კრილოვის ქუჩის 10 ნომერში, მესამე სართულზე. ბინაში ბუხრისა და ღუმელის დადგმა ვერ ხერხდება და იყინება. სთხოვს, ლიტერატურული საქმიანობის გასაგრძელებლად, ელექტროღუმელის დადგმის ნება დართონ.

➤ 5683

1930

### 22 ოქტომბერი

ძარცვავენ. მიაქვთ პალტო, ფეხსაცმელი და მცირეოდენი თანხა.

➤ 5684

1930

### 22 ოქტომბერი

გამოდის ჟურნალი „მნათობი“, რომელშიც იბეჭდება პოემის „რევოლიუციონური საქართველო“ პირველი ნაწილი.

➤ 5685

1930

### 22 ოქტომბრის შემდეგ

არკვევს, რომ ჟურნალისთვის „მნათობი“ გადაცემული ლექსთა ციკლი „რევოლიუციონური საქართველო“ აწყობილი და დაბეჭდილია და სამჯერ მიდის ბარონ ბიბინეიშვილთან, მაგრამ სამჯერვე უარს იღებს ჰონორარის გამოწერაზე ჟურნალის გასაგრძელებლად გამოსვლამდე.

➤ 5686

1930

**22 ოქტომბრის შემდეგ**

აუტანელი მატერიალური მდგომარეობა აქვს და ეძებს სამსახურს.

➤ 5687

1930

**22 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „შენ ასე თავში იანგარიშე...“.

➤ 5688

1930

**22 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსის „მაშ, აზიდე ჩირაღდანი...“ ორ ვარიანტს.

➤ 5689

1930

**22 ოქტომბრის შემდეგ**

დღიურში კრებს ინფორმაციას სტალინის სახელობის სარემონტო ქარხნის იმ სამჭედლო ცეხის შესახებ, რომელშიც მწერალთა მეოთხე ბრიგადის განაწილებისას ხვდება. აინტერესებს ცეხის სახელწოდება და არსებობის პერიოდი. წარმოებაში მუშათა რაოდენობა ნიკოლოზ II-ის, მენშევიკების დროს და თანამედროვეობაში. სადემონსტრაციო-ტექნიკური პერსონალისა და საწარმოო იარაღების რაოდენობა. სურს, დააკვირდეს, თითოეული მუშა რას აწარმოებს და რა მასალისგან, როგორია პროდუქციის რაოდენობას, სარემონტო მასალის შემოსვლა და დეფექტები. მუშათა დაწინაურების, დამკვრელური მუშაობისა და სოცშეჯიბრის საკითხები. შესასწავლი აქვს ქარხნის საუკეთესო მხარეები და მუშური ჟარგონი.

➤ 5690

1930

**22 ოქტომბრის შემდეგ**

დღიურში ჩამოთვლის, რომელ ნაწარმოებებში წერს ავტომობილის შესახებ: ლექსები ციკლებიდან „პაციფიზმი“, „ეპოქა“, „რევოლიუციონური საქართველო“ და პოემა „ჯონ რიდი“.

➤ 5691

1930

**26 ოქტომბერი**

გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს განცხადებას, რომ საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ბრიგადა 6 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანაში აწყობს ლიტერატურულ-მხატვრულ საღამოს, რომელზეც მხატვრულ ნაწარმოებებს წაიკითხავენ პროლეტარული და თანამგზავრი მწერლები, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 5692

1930

**30 ოქტომბერი**

რადიოში აქებენ მის შემოქმედებას.

➤ 5693

1930

**22-31 ოქტომბრამდე**

იმის გამო, რომ არ ჰქონდა პალტო და ფეხსაცმელი, ავადმყოფობს და ვერ გადის სახლიდან.

➤ 5694

1930

**31 ოქტომბრამდე**

იღებს, რომ პაოლო იაშვილს თბილისში ჩამოჰყავს ბორის პასტერნაკი, რაც არ მოსწონს ოსიპ მანდელშტამს. ტიციან ტაბიძეს, თავის მხრივ, არ უყვარს მანდელშტამი.

➤ 5695

1930

**31 ოქტომბრამდე**

უთანხმოება აქვს მეზობლებთან საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით.

➤ 5696

1930

**31 ოქტომბრამდე**

ეცნობა მე-15 საუკუნეში სვანებსა და რაჭველ ჯაფარიძეებს შორის გაჩენილი შუღლის ისტორიას, რომელთან დაკავშირებითაც მეფე სოლომონ დიდმა საგანგებო განჩინება გამოიტანა და ამ თემაზე წერს ლექსს სახელწოდებით „მწვერვალები ახალ მთების“.

➤ 5697

1930

**22-31 ოქტომბერი**

მოკლე წერილს იღებს შალვა რადიანისგან, რომელიც სთხოვს პოემის „რევოლუციონური საქართველო“ გაგრძელების სასწრაფოდ მიწოდებას ხელოვნების სასახლეში ჟურნალში „მნათობი“ გამოსაქვეყნებლად.

➤ 5698

1930

**31 ოქტომბერი**

ხელოვნების სასახლეში იმართება პროლეტარულ მწერალთა პლენუმი, რომელზეც ახალგაზრდა მწერალი კარლო მელაძე თავის სიტყვაში აქებს პოემას „პაციფიზმი“.

➤ 5699

1930

**31 ოქტომბერი**

დღიურში აღწერს ბოლო დღეების მოვლენებს: ბენიტო ბუაჩიძის მოხსნას პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარეობიდან და ცისფერყანწელების პოზიციების გამაგრებას. ცუდად ენიშნება ის ფაქტი, რომ მისი მასალის „მნათობში“ გამოქვეყნებას პირველად შეექმნა პრობლემა. ვარაუდობს, რომ მოსალოდნელია, მისი დისკრედიტაცია. უკმაყოფილოა იმით, რომ მას არავინ იცავს. ფიქრობს, რომ პოეზიის პრესტიჟის ასამაღლებლად კარგი იქნება დაარსდეს „პოეტების კავშირი“ ან „პოეტების ცეხი“.

➤ 5700

1930

**31 ოქტომბრის შემდეგ**

იღებს ნინო გვეტაძის წერილს, რომელიც აცნობებს, რომ ჟურნალ „მნათობის“ შემდეგი ნომერი უკვე გამოდის და მოსე გოგიბერიძე უთვლის, თუ სურს პოემის დაბჭდვა, სასწრაფოდ მიიტანოს სტამბაში.

➤ 5701



1930

### 31 ოქტომბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემა. რედაქცია საჭიროდ თვლის ტექსტიდან რამდენიმე სტროფის ამოღებას, მაგრამ გალაკტიონს ამის თქმას ვერ უბედავენ. ამ დროს რედაქციაში კორექტორად მუშაობს რაჟდენ გვეტაძის მეუღლე ნინო ბაქრაძე და ის საკუთარ თავზე იღებს ამ საქმის მოგვარებას, ამბობს, სტროფებს ისე ამოვიღებ, ვერც კი შეამჩნევსო და ასეც იქცევა. გალაკტიონი პოემის დაბეჭდვამდე ვერაფერს ამჩნევს და როცა ეუბნებიან რაც მოხდა, იღიმება და არ ბრაზობს.

➤ 5702

1930

### 31 ოქტომბრის შემდეგ

წერილს იღებს ნინო გვეტაძისგან, რომელიც აცნობებს, რომ მეტს ველარ დაელოდებიან. თუ მეორე დღის თორმეტ საათამდე ვერ შეძლებს სტამბაში მისვლას, ჟურნალში „მნათობი“ მის პოემას საავტორო კორექტურის გარეშე დაბეჭდავენ.

➤ 5703

1930

### ოქტომბერი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ „ეპოქა“ უნდა გაეგზავნოს სახალხო კომისართა საბჭოს ყველა წევრს: სტალინს, ფილიპე მახარაძეს, აბელ ენუქიძეს, შალვა ელიავასა და სხვა პარტიულ ხელმძღვანელებს, ასევე პროლეტარულ მწერლებს: გრიგოლ მუშიშვილს, გიორგი ქუჩიშვილს და სხვებს.

➤ 5704

## ნოემბერი

1930

### 3 ნოემბერი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ დიდებული რამ წერია მის შესახებ. ნათქვამია, რომ მისი პოემა „რევოლუციონური საქართველო“ „ობოლი ვარსკვლავით“ ბრწყინავს ჟურნალ „მნათობის“ რუხ ფონზე. იქვე აღნიშნავს, რომ ამ ჟურნალის შემდეგი ნომერიც იბეჭდება.

➤ 5705

1930

### 4 ნოემბერი

იღებს შალვა რადიანის წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ ცეკას კულტურის პროპაგანდის განყოფილების ხელმძღვანელი – კოტე გორდელაძე სთხოვს, ორ-სამ დღეში „სალიტერატურო გაზეთში“ დასაბეჭდად მიაწოდოს ლექსი ან, თუ შესაძლებელია, ჟურნალში „მნათობი“ მისი პოემის „რევოლუციონური საქართველოს“ დაუბეჭდავი მასალიდან ამოიღონ მცირე მონაკვეთი.

➤ 5706

1930

### 5 ნოემბერი

ყიდულობს ფანერებს იმისათვის, რომ აივანი მეზობლის აივნისგან გამიჯნოს.

➤ 5707

1930

### 5 ნოემბერი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ მწერალთა ფედერაციისგან მიიღო მიწვევა „სალიტერატურო გაზეთთან“ თანამშრომლობაზე და რომ სატელეფონო ქსელის გამგე ჰპირდება ტელეფონის დადგმას.

➤ 5708

1930

6 ნოემბერი

შალვა რადიანს გადასცემს ლექსს „სალიტერატურო გაზეთში“ დასაბეჭდად.

➤ 5709

1930

7 ნოემბრამდე

გაზეთში „დაეხმარე ინვალიდს“ მოწინავე გვერდზე იბეჭდება ლექსი „სამარე უცხო ჯარისკაცისა“.

➤ 5710

1930

7 ნოემბერი

კითხულობს გაზეთების ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ნომრებს და არ მოსწონს მათი შედგენილობა. დღიურში იწერს, რომ გაზეთში „დაეხმარე ინვალიდს“ მისი ლექსი კარგ ადგილზეა დაბეჭდილი, მაგრამ ჟურნალი „მნათობი“ ისევ იგვიანებს. ასევე აღნიშნავს, რომ ვალერიან გუნია თავის გარშემო შოვინისტებს იკრებს.

➤ 5711

1930

7 ნოემბერი

კარგავს ცეხებში შესასვლელ მანდატს. ახლის მიცემაზე უარს ეუბნებიან, მაგრამ ცდილობს, როგორმე მოაგვაროს ეს პრობლემა.

➤ 5712

1930

8 ნოემბრამდე

კითხულობს გერმანელი მწერლის ოსკარ მარია გრაფის მოთხრობას „მარტლი“, რომლის სიუჟეტი ვითარდება გერმანიის სოფელში. მისი პროტაგონისტია სამხედრო სამსახურგამოვლილი ახალგაზრდა გლეხი მარტლი. ცოლობაზე ქალისგან მიღებული უარი და მეზობლების დაცინვა მას საკუთარ თავში ჩაკეტვისა და გაბოროტებისკენ უბიძგებს. მოთხრობაში ჩანს, რომ ამაში დამნაშავეა საზოგადოებაც, რომელმაც იგი გარიყა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ გრაფი საინტერესო მწერალია და ვარაუდობს, რომ იგი პოეტიც იქნება.

➤ 5713

1930

11 ნოემბრამდე

კითხულობს გუსტავ ერიკსონის რომანს „მოხეტიალე ამერიკა“ და ძალიან მოსწონს. ფიქრობს, რომ არსებულ ვითარებაში მხოლოდ უცხოელი მწერლების კითხვა ღირს.

➤ 5714

1930

11 ნოემბრამდე

მატერიალურად უკიდურესად უჭირს და ძალიან ცდილობს რაიმე სამსახურის დაწყებას, მაგრამ ხელს უშლიან ერთი მხრივ ხელისუფლება, მეორე მხრივ – კოლეგა „პოეტები“.

➤ 5715

1930

**11 ნოემბერი**

ფიქრობს ახალ ნაწარმოებზე, სათაურით „ბოგემა“. ამ თემით მის დაინტერესებას იწვევს უცხოური ლიტერატურა: კნუტ ჰამსუნის რომანი „შიმშილი“, ლეონიდ ანდრეევის რომანი „მეფე შიმშილი“, ჯონ ლოკის ლექსი „პოეტი მოხეტე“, გუსტავ ერიკსონის რომანი „მოხეტიალე ამერიკა“, ოსკარ მარია გრაფის მოთხრობა „მარტლი“ და ბრუნო იასენსკის რომანი „მე ვწვავ პარიზს“.

➤ 5716

1930

**11 ნოემბერი**

ოლია ოკუჯავა ავადმყოფობს, მეზობელი ქალი მათგან აბაზანის გაკეთებას ითხოვს, გალაკტიონი კი აბსოლუტურად უფულოდ არის, არა აქვს პალტო, ფეხსაცმლიდან თითი მოუჩანს და შიშით მოელის ზამთრის დადგომას.

➤ 5717

1930

**11 ნოემბერი**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო არ შედგა, ვერ მოესწრო ვერც „მნათობის“ გამოცემა და ვერც „სალიტერატურო გაზეთის“.

➤ 5718

1930

**11 ნოემბერი**

იგებს, რომ გიორგი ქუჩიშვილს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში სკანდალი აუტეხია პენსიასთან დაკავშირებით და დაპირებიან, რომ პირდაპირ მთავრობასთან უშუამდგომლებენ. ფიქრობს, რომ თავადაც დაუყოვნებლივ უნდა იზრუნოს თავის პენსიაზე.

➤ 5719

1930

**11 ნოემბრის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის „რევოლუციონურ საქართველოს“ გაგრძელება („მხარი მხარს, მხარი მხარს!...“).

➤ 5720

1930

**15 ნოემბრამდე**

ტარდება საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყრილობა. მის პრეზიდიუმში 19 კაცია, გალაკტიონს კი რიგით წევრად ირჩევენ.

➤ 5721

1930

**15 ნოემბრამდე**

ჟურნალი „მნათობი“ გადადის მწერალთა ფედერაციის გამგებლობაში და კოტე გორდელაძე გალაკტიონ ტაბიძეს ჟურნალ „მნათობის“ პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობას ჰპირდება. ახალ ვითარებაში საკუთარი პოზიციების განმტკიცებას ცდილობენ ცისფერყანწელებიც.

➤ 5722

1930

## 15 ნოემბრამდე

აკეთებს ჩანაწერს საბჭოთა კავშირის თავდაცვის დეკადის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

➤ 5723

1930

## 15 ნოემბერი

კითხულობს რუსულ გაზეთს „ლიტერატურნაია გაზეტა“, ჩამოწერს გამოცემებთან და საყოფაცხოვრებო პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს, აღნიშნავს, რომ მეორე დღეს აპირებს კიდევ 100 მანეთის გამოტანას.

➤ 5724

1930

## 15 ნოემბერი

ქართველ პროლეტარ მწერალთა ასოციაციისა და მწერალთა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი პანტელეიმონ ჩხიკვაძე გალაკტიონ ტაბიძის შესახებ ამბობს, რომ მისი გზა პროლეტარული მწერლებისკენ მიდის.

➤ 5725

1930

## 15 ნოემბრის შემდეგ

დღიურში სათაურით „აკადემიური ჯგუფი“ ჩამოთვლის აკადემიური მწერლობის ასოციაციის წევრებს. ჩამონათვალშია: სანდრო აბაშელი, დუტუ მეგრელი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და სიკო ფაშალიშვილი. მათ ავანტიურისტებს უწოდებს. გვიან ხვდება, რომ ისინი არიან მემარჯვენე მწერლები და მათი მეჯლისი დამთავრებულია, რადგან 1930 წლის 15 ნოემბერს ჩატარებულ მწერალთა ფედერაციის საბჭოს მეოთხე პლენუმზე, სხვა მწერლების მოთხოვნის საფუძველზე, ალექსანდრე აბაშელმა ჯგუფი დაშლილად გამოაცხადა.

➤ 5726

1930

## 15 ნოემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „საღამო დავაგრილოთ...“.

➤ 5727

1930

## 15 ნოემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არვინ გაცმევს ჯვარზე...“.

➤ 5728

1930

## 15 ნოემბრის შემდეგ

15 პუნქტად წერს, როგორი უნდა იყოს პოეზია რეკონსტრუქციის პერიოდში. გმობს უგეგმობისა და უკულტურობის ნიმუშებს, ხალტურას, ჟურნალის „ტარტაროზი“ და კომკავშირლების ჯგუფებს; სანდრო ეულის, სილიბისტრო თოდრიას, ერემია ასტვაცატუროვის „ძმაბიჭურ“ კრიტიკას; თანამედროვე მწერალთა კავშირის ბუნებას; აღნიშნავს, რომ სახელგამი ბლოკავს თანამგზავრ მწერლებს და აუარესებს მათ მატერიალურ მდგომარეობას; აინტერესებს რამ გამოიწვია გაზეთების – „კომუნისტი“ და „მუშა“ უპასუხისმგებლობა ხელოვნების საქმეში და მხოლოდ ოპერა რატომ მიაჩნიათ ხელოვნებად, რატომ არ გამოეხმაურნენ მის წიგნს „პაციფიზმი“.

➤ 5729

1930

**16 ნოემბერი**

გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს ინფორმაციას საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პლენუმის გამართვის შესახებ. აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძე აირჩიეს 18 კაცისგან შემდგარ პრეზიდიუმში.

➤ 5730

1930

**17 ნოემბერი**

ტიციან ტაბიძეს თავად ცისფერყანწელები სდებენ ბრალს, რომ უსამართლოდ გავიდა მწერალთა ფედერაციის მდივნად, ის კი პასუხობს, რომ როცა მდივანი არ იყო, მაშინაც კი ის ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირს. გალაკტიონ ტაბიძე უბის წიგნაკში ამას თაღლითობას უწოდებს.

➤ 5731

1930

**17 ნოემბერი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ დიდი პოლიტიკური ცვლილებები ხდება მწერალთა სასახლეში, სადაც კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ნიკოლო მიწიშვილს, დავით დემეტრაძეს, ალექსანდრე ქუთათელს, რაჟდენ გვეტაძესა და სიმონ ჩიქოვანს სრული იდილია აქვთ.

➤ 5732

1930

**25 ნოემბერი**

მიდის სტამბაში, შემდეგ შალვა დემეტრაძესთან, კოტე გორდელაძესთან, ბარონ ბიბინეიშვილთან, მაგრამ ვერცერთგან ვერ აგვარებს საქმეს. „კომუნისტის“ რედაქტორი დავით გვაზავა ბარონ ბიბინეიშვილის უბამს მხარს, პავლე საყვარელიძე კი რისხვით უყურებს გალაკტიონს.

➤ 5733

1930

**28 ნოემბერი**

შემნახველი სალაროს ანგარიშზე თანხა ერიცხება და ახერხებს ტელეფონის გადასახადის დაფარვას.

➤ 5734

1930

**29 ნოემბერი**

„ლიტერატურული გაზეთიდან“ იგებს, რომ თბილისს სტუმრობს ჟურნალისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი ალექსეი სელივანოვსკი.

➤ 5735

1930

**29 ნოემბერი**

რადაც საქმეზე მიდის პლექანოვის ქუჩის №55-ში. როგორც ჩანს, საქმეს ვერ აგვარებს და უკან დაბრუნებული დღიურში იწერს, რომ იქ ყველანი ყრუები და მუნჯები არიან.

➤ 5736

1930

**შემოდგომა**

აკეთებს ჩანაწერს თბილისის ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის შესახებ. აღნიშნავს, რომ ეს ეკლესია ისეთსავე სიძულვილს იწვევდა, როგორც ალექსანდრე მესამის ძეგლი პეტერბურგში. იგი განასახიერებდა ბნელ, სტიქიურ ძალას და იყო საქართველოს დამონების სიმბოლო. საბჭოთა ხელისუფლებამ უმაღლვე გადაწყვიტა მისი აღება, თუმცა ამოცანა რთულად შესასრულებელი აღმოჩნდა და დროში გაიწელა.

➤ 5737

## დეკემბერი

1930

### 13 დეკემბრამდე

გრიპით ავადმყოფობს.

➤ 5738

1930

### 13 დეკემბრის შემდეგ

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. ადრესანტი წუხს მის ჯანმრთელობაზე. ინტერესდება, გამოიხსნა თუ არა პალტო, რისთვისაც სპეციალურად გაატანა თანხა და ვარგოდა თუ არა მის მიერ გაგზავნილი თუთუნის. სთხოვს, ცოტა ხნით ჩავიდეს სოფელში და მყუდრო გარემოში იმუშაოს. აინტერესებს, კრილოვის ქუჩიდან სხვაგან ხომ არ გადასულა საცხოვრებლად, დაბრუნდა თუ არა თბილისში და მასთან ერთად არის თუ არა ოლია ოკუჯავა. სწერს, რომ ალბათ დროა, ოჯახმა მისი ცოლი გაიცნოს.

➤ 5739

1930

### 18 დეკემბერი ან შემდეგ

კითხულობს რუსული ჟურნალის „ოგონიოკ“ დამატებას „დასავლეთის თანამედროვე რევოლუციური პოეზია“, აკეთებს ხაზგასმებს, კომენტარებსა და ჩანახატებს, ვარჯიშობს რუსული ფაქსიმილეების წერაში.

➤ 5740

1930

### 23 დეკემბრამდე

ემზადება მბეჭდავთა კლუბში საღამოს გასამართად. მთავარ საკითხად მიაჩნია პრესა, რეკლამა და აფიშები. ფიქრობს, დაამზადებინოს დიდი პლაკატი წარწერით „გალაკტიონ ტაბიძე მართავს საღამოს“, აფიშები და საინფორმაციო ფურცლები გააკრან ტრამვაის ვაგონებზე. პლაკატი უნდა დაამზადოს კლუბის მხატვარმა, ხელოვანთა სასახლემ კი 50-50 მოსაწვევი: ქართველი მწერლებისათვის, სომეხი მწერლებისათვის, რუსი მწერლებისათვის, მარჯანიშვილის თეატრის დასისტვის, მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრისთვის, სამხატვრო აკადემიისათვის, მთავრობის წევრებისათვისა და ცენტრალური კომიტეტისთვის. თუ ბაღში 6.000 კაცი ეტევა, უნდა აიყვანოს 10.000-მდე, ბილეთები კი უნდა იყოს უფასო ან ფასდაკლებული. დაესწრებიან სტუდენტები, ფიზკულტურლები, შუა ესტრადაზე დაუკრავს სასულე ორკესტრი, საღამოს ფარგლებში გაუშვებენ ორ კინოსურათს, იმუშავენს ბუფეტი. მონაწილეობას მიიღებენ ოპერისა და ბალეტის მსახიობები, თანამედროვე პოეზიის შესახებ შესავალი სიტყვით გამოვა განათლების სახალხო კომისარი – დავით კანდელაკი.

➤ 5741

1930

### 27 დეკემბერი

წერს, რომ გუმინდელი დღესავით ახსოვს ნიკოლოზ მეორის ტახტიდან გადაყენება.

➤ 5742

1930

**დეკემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის „რევოლუციონურ საქართველოს“ გაგრძელება („ქვეყნად ბევრი არმიაა...“).

➤ 5743

1930

**დეკემბერი**

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ იბეჭდება კარლო მელაძის სტატია „შენიშვნები ლიტერატურული თანამგზავრობის შესახებ“, რომელშიც წამოყენებულია მოსაზრება, რომ უკვე დამთავრდა „ნეიტრალიზების“ დრო და მწერლებმა გარკვევით უნდა გამოხატონ თავიანთი პოზიცია – რეალურად ერთგვებიან სოციალისტურ მშენებლობაში, თუ არა. ავტორის თქმით, საბჭოთა კრიტიკა ძალზე ფრთხილად უნდა იყოს, როდესაც ამა თუ იმ პოეტს აკუთვნებს „თანამგზავრობის“ სახელს, რადგან არაერთი მწერალი მიმართავს „წითელ ხალტურას“. კრიტიკოსი გაკვირვებას ვერ ფარავს, რომ ზოგიერთებს უნდოდათ ტიციან ტაბიძისათვისაც კი მიეკუთვნებინათ „თანამგზავრობის“ წოდება. მისი აზრით, რევოლუციის რეალური თანამგზავრი ქართველ პოეტთა შორის არის გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც თანდათანობით რევოლუციური ეპოქის ენთუზიასტი ხდება.

➤ 5744

1925-1930

წერს უსათაურო ლექსს „მრავალ სახიდან გაქრა ობლობა“.

➤ 5745

1930 ან ადრე

ესწრება გრიგოლ რობაქიძის ლექციას, რომლის თემაა ქართული პროზა. მომხსენებელი განიხილავს სანდრო ცირეკიძის ნაწარმოებებს, მაგრამ კრიტიკულად მოიხსენიებს ზოგადად ქართულ მწერლობას და ქართველ პოეტებს. გალაკტიონი, რომელიც მომხსენებლის შემდეგ გამოდის, აღნიშნავს, რომ ქართულ პროზაზე ასეთი მწირი მასალით საუბარი არ შეიძლება და რომ ქართული პოეზია არავისი ხელწამოსაკრავი არ არის.

➤ 5746

1930

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს: „სული ცისფერი უღვაშების“ – ამ ლექსით გათავდება პოეტის 300 ნაწარმოების ჩამოთვლა“.

➤ 5747

1930

თანამგზავრობებთან ერთად აგვიანდება კოტე მარჯანიშვილის მიერ პერსი შელის პიესის „ბეატრიჩე ჩენჩი“ მიხედვით დადგმულ სპექტაკლზე. კოტე მარჯანიშვილი ადგილებს პარტერში უნახავს სტუმრებს. გალაკტიონი აღტაცებულია უშანგი ჩხეიძის ოსტატობით, რომელიც ბეატრიჩეს მამას თამაშობს და მოსწონს თამარ ჭავჭავაძის დიდებული შესრულებაც. სპექტაკლის დასრულების შემდეგ პოეტი ჯერ მარჯანიშვილს გადაეხვევა, შემდეგ კი სცენაზე ადის და მსახიობებს ულოცავს.

➤ 5748

1930

ღამით ჩაეძინება რიყის მიდამოებში. დილით, როდესაც იღვიძებს, ხედავს, რომ ფეხსაცმელები მოუპარავთ. სახლში ეტლით ბრუნდება.

➤ 5749

**1930**

იბეჭდება სერგი გორგაძის მონოგრაფია „ქართული ლექსი“, რომელშიც ავტორს მარცვალკვეცილი დაქტილური ტრიმეტრის მაგალითად მოტანილი აქვს გალაკტიონის ლექსი „ღიაა ქალაქის ქალა“, სრული დაქტილური ჰეგზამეტრის ნიმუშად – ლექსი „ბავშვობის დღეები“, სრული დაქტილური ოქტომეტრის მაგალითად – „არ ღირს იმ ერთ ცრემლად“, წინაცეზურული რითმების ნიმუშებად კი – ნაწყვეტები ლექსებიდან: „ლურჯა ცხენები“, „მშობლიური ეფემერა“ და „ცეცხლი“.

➤ 5750

**1930**

სახალხო სახლში იმართება პოეტ ხარიტონ ვარდომეილის საღამო, რომელშიც, სხვებთან ერთად გალაკტიონიც მონაწილეობს. როდესაც ის კითხულობს ლექსს „მე და დამე“. დარბაზიდან ვიღაც ესვრის ვარდს. გალაკტიონი მადლობით იღებს ყვავილს და ვარდომეილს გადასცემს, რისთვისაც დარბაზი მხურვალე ტაშით აჯილდოებს.

➤ 5751

**1930**

ევგენი დვალის წიგნის „ტყის კაცი“ უკანა გარეკანზე წერს ლექსის „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ ერთ სტროფს.

➤ 5752

**1930**

სერგი გორგაძის წიგნის „ქართული ლექსი“ სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. მიმოიხილავს ქვეთავს „მახვილი“ და წერს, რომ პოეზიაში დიდხანს იყო გავრცელებული აზრი, თითქოს ქართულ ენას არ ახასიათებდა მახვილი. ეს აზრი განხორციელებულია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის პოეტიკაში. ისინი რითმისთვის სამმარცვლოვან სიტყვებს უთანაბრებდნენ ერთმანეთს (მე-რა-ნი – ყო-რა-ნი) და მახვილს უგულუბელებოდნენ, შესაბამისად, მახვილი სამმარცვლოვან სიტყვაში პირველ მარცვალზე კი არა, მეორეზე მოდიოდა. ერთმარცვლიანი სიტყვის ძლიერი მახვილის მაგალითად მოჰყავს თავისი ლექსი „ქარი ჰქრის“ და ასკვნის, რომ ლექსს სხვანაირად უნდა წაკითხვა.

➤ 5753

**1930**

სერგი გორგაძის წიგნის „ქართული ლექსი“ სარჩევის ბოლოს ჩამოწერს გვერდებს, რომლებზეც ლექსთწყობის ნიმუშებად მოყვანილია სტროფები მისი ლექსებიდან და პოემებიდან: „არ ღირს იმ ერთ ცრემლად“, „ვისმენ დანატრულ ხმას“, „ბავშვობის დღეები“, „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „წარსულის ჩრდილები“, „ვარსკვლავიანი კამარა ცურავს“, „ქარი“, „მშობლიური ეფემერა“, „იგი ომია“ და „ლურჯა ცხენები“.

➤ 5754

**1930**

სერგი გორგაძის წიგნში „ქართული ლექსი“ აკეთებს სტრიქონებზე ხაზგასმებსა და კომენტარებს. ქვეთავთან „მახვილი“ წერს, რომ ლექსის მუსიკალობა ურითმოდ ძნელი წარმოსადგენია, რითმა კი უმახვილოდ არ არსებობს. არ ეთანხმება ნიკო მარისა და სერგი გორგაძის შეხედულებას, რომ ერთმარცვლოვან სიტყვას მახვილი არ აქვს, რადგან მახვილი აქვს ყოველ ქართულ სიტყვას. ერთმარცვლოვანი სიტყვებით უკვე ლექსები იწერება, მაგალითად მოჰყავს თავისი „ქარი ჰქრის“.

➤ 5755

**1930**



კითხულობს პიოტრ სკოსირევის წიგნს „თეთრი ოქროს ქვეყანაში“, რომელშიც მიმოხილულია უზბეკეთში მოგზაურობა, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. აღნიშნავს, რომ საჭიროა ქალაქების სახელწოდებების ნამდვილი მნიშვნელობის გაგება და არა გაცემა ამ სახელებით. აინტერესებს, შუა აზიის ქვეყნების მამოძრავებელი ძალა არის თუ არა ბამბა, ჩრდილოვანი მწვანე ქალაქები და ოაზისები. ასევე ინტერესდება ქალის როლით.

➤ 5756

**1930**

პიოტრ სკოსირევის წიგნში „თეთრი ოქროს ქვეყანაში“ თარგმნის ავტორის ფრაზას შუა აზიაში მოგზაურობის შესახებ: „მე კი მომიხდა გამგზავრება პირველად“ და წერს, რომ თვითონ იქ რამდენიმე რევოლუციონერთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო 1917 წელს სმოლნიდან, რადგან მაშინ იქაც იყო მზადება თებერვლის რევოლუციისთვის.

➤ 5757

**1930**

პიოტრ სკოსირევის წიგნში „თეთრი ოქროს ქვეყანაში“ თარგმნის ავტორის ფრაზას, რომ შესაძლებელია, დიდხანს იცხოვრო რომელიმე ქვეყანაში და მაინც ვერ შეიცნო ის მხარე. აღნიშნავს, რომ მოგზაურობის არსი კარგად ესმოდათ იოჰან ვოლფგანგ გოეთეს, ჯორჯ გორდონ ბაირონსა და პერსი ბიში შელლის.

➤ 5758

**1930**

წერს პიესის „მდიდარი მემკვიდრის საიდუმლო“ მოქმედ პირებსა და მოკლე შინაარსს.

➤ 5759

**1930**

„მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის“ მერვე ტომში იბეჭდება პლატონ ქიქოძის მცირე საენციკლოპედიო სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც აღნიშნულია, რომ გალაკტიონი არის რომანტიკოსი პოეტი, რევოლუციამდე – სიმბოლისტი, რომლის შემოქმედებაც არსებითად გარდაიქმნა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. გალაკტიონი დასახელებულია „თანამგზავრად“, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ქართულ სინამდვილეში დაიწყო წერა ინდუსტრიულ თემებზე. აღნიშნულია, რომ პოეტის შემოქმედება საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

➤ 5760

**1930**

კითხულობს იოჰან შერრის წიგნის „ლიტერატურის ზოგადი ისტორია“ რუსულ თარგმანს. პირველ ნაწილში „აღმოსავლეთი“ აკეთებს ხაზგასმებსა და მინაწერებს. აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის არა მხოლოდ პოეზია, არამედ მთელი ლიტერატურა პოეტურია. ტექსტს უსადაგებს თავის მოსაზრებებს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. წერს, რომ პოემაში შეჯვარებულია საბერძნეთისა და ინდოეთის პოეზია, „ვეფხისტყაოსანი“ უნდა განიხილებოდეს არა როგორც სრულიად ქართული, არამედ არაბული, ინდური და სპარსული პოეზიის ნიმუში, რადგან ამ თვალსაზრისით პოემა უკეთესად გაშუქდება და მეტ ელფერს შეიძენს. გასაოცრად მიაჩნია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ რითმა არ მეორდება. აღნიშნავს, რომ ვეფხვის ტყავი შესანიშნავი ტანსაცმელია და დენდიზმის გამოხატულება. აინტერესებს, რა მსგავსებაა ვეფხვსა და ტარიელს შორის. ფიქრობს, რომ არაბეთის რაინდული სული შესანიშნავად არის დახასიათებული პოემაში, მაგრამ რადგან არაფერია ნათქვამი ისლამის შესახებ, სავარაუდოა, რომ გენიალური ავტორი პოემას წერდა მხოლოდ საქართველოსთვის და მასში ბევრი ადგილი ქრისტიანულ კულტს წარმოაჩენს. იოლი წარმოსადგენია თამარ მეფის აღტაცება „ვეფხისტყაოსნით“. ასკვნის, რომ სამომავლოდ ერთბაშად უნდა გამოეცალოს ყალბი ნიადაგი „ვეფხისტყაოსანზე“ ცრუ

შეხედულებათა კოლოსალურ შენობას და უნდა აიგოს ახალი მსოფლიო ლიტერატურის პარალელების საფუძვლებზე დაფუძნებული შენობა, რადგან სხვანაირად პოემის გაგება ქართველებშიც შეუძლებელი იქნება. ეს გარემოება განგებ იჩრდილება პატრიოტული მოსაზრებით და ხელს უშლის ქართული პოეზიის განვითარებას. საინტერესოდ მიაჩნია ფილიპე მახარაძის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“.

➤ 5761

**1930**

იოჰან შერრის წიგნის „ლიტერატურის ზოგადი ისტორია“ პირველ ნაწილში „აღმოსავლეთი“ არაბული ზღაპრების კრებულის „ათას ერთი ღამე“ მიმოხილვას რუსულად აწერს, რომ ეს წიგნი ქართულად ნათარგმნი არ არის, რომ თეოფილ გოტიეს აქვს ნოველები „ათას მეორე ზღაპარი“ („Тисяча вторая сказка“) და „ჰაშიშისტების კლუბი“ („Клуб Гашишистов“). იქვე წერს, რომ მწერალი ენას ისე უნდა ფლობდეს, როგორც ნიკოლო პაგანინი ვიოლინოს.

➤ 5762

**1930**

იოჰან შერრის წიგნის „ლიტერატურის ზოგადი ისტორია“ მეორე ნაწილში „ქრისტიანობა, საეკლესიო და ახალი ლათინური პოეზია...“ კითხულობს ჯუზეპე ჯუსტის იტალიური ლექსის „Gingillino“ რუსულ სიტყვასიტყვით თარგმანს და ქართულად თარგმნის უსათაუროდ „მრწამს ყოვლის შემძლე ოქროის კერპი...“.

➤ 5763

**1930**

წერს უსათაურო ლექსს „აზურმუხტა ზღვა ლაღი“.

➤ 5764

**1930**

წერს ლექსს „კინო“ („ჩემო ლანდო, ჩემთან იარ...“).

➤ 5765

**1930**

იოჰან შერრის წიგნის „ლიტერატურის ზოგადი ისტორია“ ბოლოს წერს უსათაურო ლექსს: „ნეტა მყოლოდა შენისთანა და / მშვენიერი და ნეტა მყოლოდა – / არ დამყოლოდა მწუხარება და – / დღევანდელ დღემდე არ მიმყოლოდა. / ნეტა ბავშობა მქონოდა...“. ნაწარმოებს ბოლომდე არ ასრულებს.

➤ 5766

**1930**

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „ჩვენ არ გვინდა მომავალში...“.

➤ 5767

**1930**

წერს უსათაურო ლექსს „მეტეორიტის, ბოლიდის ან მთვარის ნატეხის...“.

➤ 5768

**1930 ან შემდეგ**

სიმონ ჩიქოვანის ლექსზე „ხევსურული ძროხა“ წერს პაროდias „ხევსურის ბუღა“.

➤ 5769

**1930 ან შემდეგ**

აკეთებს ამონაწერებს „მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის“ მერვე ტომის საენციკლოპედიო სტატიიდან საკუთარი თავის შესახებ.

➤ 5770

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვეფხი და გიჟი ტყეს ეხმაუროს...“.

➤ 5771

### 1930 ან შემდეგ

კითხულობს პროსპერ მერიმეს წიგნს „კარლ IX-ის ეპოქის ქრონიკა“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს, თარგმნის ფრანსუა რაბლესა და ლოპე დე ვეგას ეპიგრაფებს, დასასრულს კი აღნიშნავს, რომ უბრალო სულის შესანიშნავი წიგნია.

➤ 5772

### 1930 ან შემდეგ

პროსპერ მერიმეს წიგნში „კარლ IX-ის დროის ქრონიკა“ პირველ თავზე წამმღვარებულ ფრანსუა რაბლეს ეპიგრაფს აწერს, რომ რასაც სარაცინები და ბარბაროსები ოდესღაც გმირობად და სიმამაცედ თვლიდნენ, რაბლე კი უწოდებდა დარბევასა და ბოროტმოქმედებას, თავად არქმევს ცინიზმი. ოსმალეებმა დაანგრეს ხუროთმოძღვრების უმესანიშნავესი ძეგლი – ბაგრატის ტაძარი და ეს გმირობად მიაჩნდათ. აღნიშნავს, რომ ეს იყო ტერორი და უკვირს, რატომ ხდებოდა რბევა და ნგრევა ომიანობის დროს.

➤ 5773

### 1930 ან შემდეგ

ფურცელზე იწერს ლიბრეტოს მონახაზს სათაურით „აღმოსავლეთი“ და მუსიკალური გაფორმების ავტორთა გვარებს. მათ შორის არიან: ზაქარია ფალიაშვილი, გიორგი სვანიძე, მელიტონ ბალანჩივაძე, კონსტანტინე მეღვინეთუხუცესი, ვიქტორ დოლიძე და დიმიტრი არაყიშვილი. ნაწარმოებში ნაჩვენებია უნდა ყოფილიყო, როგორ იქმნება აღმოსავლეთში მშვენიერი ხალიჩები, მინიატურები და გაზელები.

➤ 5774

### 1930 ან შემდეგ

კითხულობს წიგნს „პოლიტიკანმანათლებელი მუშაობა სოფლად“. ტიტულზე სათაურთან აღნიშნავს, რომ საინტერესოა, არის თუ არა ქობ-სამკითხველო მცხეთაში. ჩამოწერს მცხეთაზე არსებული მასალების სიას: მიხეილ ლერმონტოვის „მწირი“, გერონტი ქიქოძის წერილი არიფიონში, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, სვეტიცხოველი, ანდრეი ბელის „ქარი კავკასიიდან“, ალექსანდრე პუშკინის ლექსიდან „ხმაურობს არაგვი...“, არსენას ლექსი, მცხეთელი მოჭიდავე სანდრო კანდელაკი, არმაზის წარწერა, „ქართლის ცხოვრება“.

➤ 5775

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სანამ ვიყავ ახალგაზრდა...“.

➤ 5776

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვინ სთქვა მგოსანი ცუდი და კარგი...“.

➤ 5777

### 1930 ან შემდეგ

წერს ლექსს „ეზო“ („გარეცხილი წინდა...“).

➤ 5778

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ლაშქარი რომ შეიჭურვა...“.

➤ 5779

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „შენი დიდება, სამშობლოო, მითქვამს ათასჯერ...“.

➤ 5780

### 1930 ან შემდეგ

იწყებს მუშაობას ლექსზე „ცხოვრება ჩვენთვის მოცემული“, თუმცა ექვსი სტრიქონის შემდეგ წერას აღარ აგრძელებს.

➤ 5781

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „აი, ფანჯარა იმ სახლის...“.

➤ 5782

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მორჩა! სტიქიის თავდება რიგი...“.

➤ 5783

### 1930 ან შემდეგ

წერს ლექსს „აჭარისტანის რუქა მრავალ ხვეული ხაზით“ („ველარ ვიცანი ნაცნობი ტანი...“).

➤ 5784

### 1930 ან შემდეგ

წერს ლექსს „ისმენდა ნევა ტყვიების ხმაურს“ („მაგრამ სხვა დღეთა...“).

➤ 5785

### 1930 ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „ჩვენი რევოლუციონური პოეზიის მიღწევები“, რომელშიც მიუთითებს, რომ ახალი პოეზიის უპირველესი მიღწევაა ლიტერატურიდან ღმერთის გაქრობა. უზენაესს აღარავინ შესთხოვს დახმარებას და არსობის პურს. მიუთითებს, რომ მეცხრამეტე საუკუნის ქართველ პოეტთა უმრავლესობა რელიგიური ფანატიზმით იყო შეპყრობილი. ისინი წერდნენ ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ლოცვა, ჯვარი, ეკლესია, ღმერთი. რევოლუციურმა პოეზიამ სრულიად განდევნა ეს თემები და ღმერთად მსოფლიო რევოლუციის იდეა აქცია. პოეზიიდან გაქრა ემმაკიც, გაქრნენ წმინდანები და წინასწარმეტყველები, მეფეები, თავადები და ბატონყმობა.

➤ 5786

### 1930 ან შემდეგ

წერს ლექსს „აგერ გამოჩნდა ვარშავა“ („აგერ გამოჩნდა ვარშავა...“).

➤ 5787

### 1930 ან შემდეგ

წერს ლექსს „შეფილდი“ („დაუღლეღად ქსოვს ევროპა...“).

➤ 5788

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ტბა შრიალებდა, როგორც შოპენის...“.

➤ 5789

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსებს: „ჩვენ გვჭირდება ლითონის...“, „ჩვენს დროშაზე აწერია...“, „ეს მქუხარე ნახევარი...“, „ესე ქალი გამოვხატე ფარშავანგად, არა ქალად...“, „ფორთოხალს ვზრდიდეთ ჩვენ მოფერებით...“, „რიონს გზები შეუცვლია...“; „მსოფლიო გზებზე სხივთა მფენელი...“; „ფარჩად და შალითად...“; „მებრძოლს მიტაცებს ზღვა უდაბური...“, „ცხოვრების გზაზე, ობოლი მგზავრი...“, „შენ ცხრაასიდან იყავი ლომი...“, „უსმენს მოხუცს ცხენოსანი...“, „ბაღდათელი ხარ, სასმისს...“, „საქართველო ამნაირი...“, „აგერ ყანა გაიშალა...“, „დღემდე პარნასის შემდეგ...“, „ო, სიმღერავ!“, „ყოფა-ცხოვრების ძველის კოშმარო...“.

➤5790

### 1930 ან შემდეგ

წერს ლექსს „მოცხარი“.

➤5791

### 1930 ან შემდეგ

წერს ლექსს „მთიბავის სიმღერა“.

➤5792

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „აგერ ლაბა და ღვინია“.

➤5793

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ქვეყანა რომ მომივლია...“.

➤5794

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვით არ ვიტყვი ოცნების ხმაზე?...“.

➤5795

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით...“.

➤5796

### 1930 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ორთქლმავალი – ლაღზე ლაღი...“.

➤5797

### 1930 ან შემდეგ

წერს ლექსს „ის, რაზედაც ჩუმიად არიან“.

➤5798

### 1930 ან შემდეგ

წერს ლექსს „ურმის მარტოობა“.

➤5799

1931  
ი ა ნ ვ ა რ ი

1931

**იანვრამდე**

წერს პოემას „კლასობრივი ბრძოლა“.

➤ 5800

1931

**21 იანვრამდე**

წერს უსათაურო ლექსის „არსენა ოძელაშვილი, ვაჰ, რა ბიჭია, დელია!..“ სამ ვარიანტს.

➤ 5801

1931

**21 იანვრამდე**

აპოლონ წულაძე 21 იანვარს 20 პოეტთან ერთად ეპატიჟება საქეიფოდ სულგუნზე, გოჭსა და კარგ ღვინოზე.

➤ 5802

1931

**21 იანვრის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ ცუდ ხასიათზეა და აუცილებლად უნდა გადავარდეს.

➤ 5803

1931

**21 იანვრის შემდეგ**

წერს განათლების სახალხო კომისარ გაიოზ დევდარიანთან გასაგზავნ წერილს, რომელშიც მაღლობას უხდის მასზე გაწეული ზრუნვისთვის იმ უმძიმესი ათი წლის განმავლობაში, როდესაც საშინლად აწუხებდა უმუშევრობა, სისტემატიური დევნა, უბინაობა და შიმშილი.

➤ 5804

1931

**29 იანვრის შემდეგ** ლიტერატურულ-მხატვრულ კრებულში „საბჭოთა პოეტები და მწერლები საქართველოს“ შესავალი წერილისა და ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს, ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსიდან „ვლადიკავკაზი-ტფილისი“ და იწერს პირველ სტროფს. იქვე იწერს ბოლო სტროფს სიმონ კირსანოვის ლექსიდან „პირველად აქ“.

➤ 5805

1931

**30 იანვრის შემდეგ**

ოლია ოკუჯავა სახლში უტოვებს ბარათს, რომელშიც ყურადღებას მიაქცევენებს 1931 წლის 30 იანვრის გაზეთ „პრავდის“ ნომერზე, რომელშიც საინტერესო მასალაა მსოფლიოს ორი ბობოქარი ძალის დაპირისპირების შესახებ.

➤ 5806

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1931

**7 თებერვალი ან შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას წერილს, რომელშიც ის წერს, რომ გალაკტიონის ლექსებში ასახულია მის მიერ განვლილი თითოეული ეპოქა. მან დიდი შრომა გასწია იმისათვის, რომ არცერთი ძაფი არ გამორჩენოდა. ამიტომ გამოთქვამს სურვილს, რომ შთამომავლობისთვის არ დაიკარგოს გალაკტიონის არცერთი წამი. ურჩევს, თავის ნაწერებს ყოველთვის მიაწეროს დრო, რომ არ დარჩეს ისინი უთვისტომოდ, „დროის, ეპოქისა და სივრცის გარეშე“. დრო ულმობელი ყველას და ყველაფერს წაშლის, მაგრამ დარჩება მისი ლექსები.

➤ 5807

1931

### 15 თებერვლამდე

სახლში აკითხავს ოლია ოკუჯავა. ის მშიერია, მაგრამ სახლში არ ხვდება არც გალაკტიონი, არც პური ან საჭმელი და არც ნავთი. უტოვებს ბარათს, რომ სირცხვილი და დანაშაულია ასე ცხოვრება. სთხოვს, იყიდოს პური და ნავთი. ვერ გაუგია, როგორ გააფუჭა ოლიას მიერ დიდი წვალეებით ნაყიდი კალოშები.

➤ 5808

1931

### 15 თებერვალი

სახლში აკითხავს ოლია ოკუჯავა, მიაქვს 20 ფუნტი ნავთი უწმენდს ნავთქურას, ლამპას და ორივეს ავსებს ნავთით, დანარჩენს კი მარაგისთვის ასხამს აივანზე მდგარ ბოთლებში, რომ გალაკტიონს ბინაში სულ ჰქონდეს სითბო და სინათლე. პურის და საჭმლის ყიდვაც უნდა, მაგრამ რჩება მხოლოდ უკან ტრამვაით დასაბრუნებელი ფული. უტოვებს წერილს, რომ მიდის სხდომაზე და მომდევნო დილას მიაკითხავს. სთხოვს, რომ თუ მის სამსახურთან ახლოს აღმოჩნდება, 4 საათზე შეუაროს, თუ არა, ქუჩაში დროს ნუ დახარჯავს, სახლში იმუშაოს, ამასობაში ოლიაც მივა, ერთად ისადილებენ და წავლენ კინოში ან სადმე სხვაგან.

➤ 5809

1931

### 17 თებერვალი

ესწრება მწერალთა კლუბის საზეიმო გახსნას და ბანკეტს.

➤ 5810

1931

### 18 თებერვალი

თბილისში საშინლად წვიმს. ოლია ოკუჯავა სამსახურის შემდეგ, საღამოს რვის ნახევარზე გაივლის მაღაზიაში, რაღაცებს ყიდულობს და ადის გალაკტიონთან. კარიც და დარაბებიც ჩაკეტილი ხვდება და დიდხანს აბრაზუნებს. ეჭვი უჩნდება, რომ გალაკტიონი სახლშია, მაგრამ მარტო არ არის და იმიტომ არ უღებს კარს.

➤ 5811

1931

### 19 თებერვალი

ოლია ოკუჯავა ქუჩაში ხედავს გალაკტიონს ვიღაც ქალთან ერთად, მაგრამ არცერთი არ იმჩნევს. შემდეგ ოლია ადის მასთან სახლში და უტოვებს წერილს, რომელშიც წერს, როგორ დახვდა წინა საღამოს დაკეტილი მისი კარი და ერთი საათის წინ როგორ დაინახა ქუჩაში ვიღაც ქალთან ერთად.

➤ 5812

1931

### 20 თებერვალი

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის VI სესიაზე აცხადებენ ამ ორგანიზაციის წევრობის კანდიდატად.

➤ 5813

1931

### 21 თებერვალი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება განცხადება, რომლის მიხედვითაც საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია მწერალთა კლუბში აწყობს საქართველოს გასაბჭოების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას. საზეიმო საღამოზე მოხსენებას წაიკითხავს პეტრე შარია, ხოლო საკუთარ ნაწარმოებებს საზოგადოებას გააცნობენ პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ტიცვან ტაბიძე, ალიო მამაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სანდრო ეული, გრიგოლ ხეჩუაშვილი, გრიგოლ ნარუაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი კაჭახიძე და კალე ბობოხიძე.

➤ 5814

1931

### 25 თებერვლამდე

წერს ლექსს „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ დროის ეპოქის და სივრცის გარედ“ („არათუ წლები გადემზა ტყდომად...“).

➤ 5815

1931

### 25 თებერვალი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება დიმიტრი ბენაშვილის სტატია „პროლეტარული ლიტერატურის ათი წელი“, რომელშიც საქართველოს გასაბჭოების შემდგომი ქართული ლიტერატურაა მიმოხილული. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ გასაბჭოების დღიდან მწერლობის მემარჯვენე ნაწილი ცდილობს ხელი შეუშალოს საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. მაგალითად, ალექსანდრე აბაშელმა გასაბჭოება აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას შეადარა. გერონტი ქიქოძე და სეით დევდარიანი გადავიდნენ ფარული ბრძოლის ეტაპზე. ასეთ პირობებში ქართულ პროლეტარულ მწერლობას გალაკტიონისა და სიმონ ჩიქოვანის სახით ჰყავს ძლიერი მოკავშირე მწერლები.

➤ 5816

1931

### 25 თებერვალი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ბენიტო ბუაჩიძის წერილი „ქართული მწერლობის ათი წელი“, რომელშიც 1921-1931 წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურაა შეფასებული. წერილის ავტორის თქმით, ქართველ მენშევიკებს ჰყავდათ თავიანთი კადრები ლიტერატურაში, რომელნიც მტრულად შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და ასეთ ხელოვანთა შორის ასახელებს: იოსებ გრიშაშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას, ალექსანდრე აბაშელს, ვახტანგ კოტეტიშვილს, პავლე ინგოროყვას, შალვა დადიანს, „ცისფერყანწელებს“. ბუაჩიძის აზრით, პირველი პოეტი, რომელიც დაადგა თანამგზავრობის მართალ გზას, დაგმო საკუთარი წარსული და ჩადგა სოციალიზმის მშენებელთა რიგებში იყო გალაკტიონ ტაბიძე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავზე მან შეძლო თანამგზავრობის გზის გავლა და გახდა რევოლუციის ნამდვილი მოკავშირე.

➤ 5817

1931

### 25 თებერვალი



გაზეთში „სალიტერატურო გაზეთი“ სათაურით „ეს ათი წელი“ იბეჭდება ფრაგმენტი პოემიდან „რევოლუციონური საქართველო“.

➤ 5818

1931

### 25 თებერვლის შემდეგ

წერს ლექსს „პრესა“.

➤ 5819

1931

### 25 თებერვლის შემდეგ

დღიურში წერს შენიშვნებს ქართული პოეზიის შესახებ. მოჰყავს ფრანგული აკადემიის წევრისა და პიერ-ჟან დე ბერანჟეს საუბარი. ახალგაზრდა პოეტი ამბობს, რომ ცდილობს ლექსებში ყოველი საგანი ახსენოს თავისი სახელით და არა იგავურად, ზღვას უწოდებს უბრალოდ ზღვას და სრულიად ამოშლის ნეპტუნის, ტეისის, აფროდიტასა და ნერეიდას სახელებს. მისთვის ასეთი უბრალო და ნათელი მიდგომა პოეზიისადმი მისაღებია. რევოლუციის წინა პერიოდში ამგვარი მითოლოგიური სახელები ისევ გააცოცხლა ზოგიერთმა პოეტმა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სავსებით უნდა დაევიწყებინათ ეს სასაცილო, მასისთვის გაუგებარი სახელები. მაგრამ რევოლუციიდან თოთხმეტი წლის შემდეგ საქართველოში კვლავ იბეჭდება მითოლოგიური ამბებით სავსე ნაწარმოებები – კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, ტიციან ტაბიძის „ახალი კოლხიდა“, რომელშიც მედეაზეა საუბარი და მწერლის გაგებით, მედეას საწამლავი ყოფილა ის ჭაობები, რომელთა ამოშრობა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლებამ. აღნიშნავს, რომ ქართული პოეზია ისევე ბამავს რუსულ პოეზიას, როგორც ცირკის რუსი მსახიობის – ვლადიმირ დუროვის თბილისში ჩაყვანილი მაიმუნი ტეკო ბამავდა მის გამწვრთნელს. ხიბლავს რომაელი პოეტი, ლირიკული მელოდიების ავტორი – ჰორაციუსი, რომელიც მასების თავდასხმისაგან იცავდა პოეზიის „მსუბუქ შემოლილობას“ და ამტკიცებდა, რომ პოეტები სახელმწიფოსთვის მრავალმხრივ სასარგებლო მოქალაქეები არიან.

➤ 5820

1931

### თებერვალი ან ადრე

წერს ლექსს „მოდინ ლეგიონები“ („დამკვრელებს ვაშა! სალამი!..“).

➤ 5821

1931

### იანვარ-თებერვალი

ჟურნალში „მნათობი“ აქვეყნებს პოემას „კლასობრივი ბრძოლა“.

➤ 5822

1931

### თებერვალი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის „რევოლუციონურ საქართველოს“ დასასრული („ხმამაღლა, ხმამაღლა, ხმამაღლა...“).

➤ 5823

1931

### თებერვალი

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ იბეჭდება ვალერიან ლუარსაბიძის სტატია „მდგომარეობა ლიტერატურის ფრონტზე“, რომელშიც მიმოხილულია მიმდინარე ლიტერატურული პროცესები. ნაშრომში მწვავედ არიან გაკრიტიკებულნი გრიგოლ რობაქიძე და

„ცისფერყანწელები“, რომელთაც, ავტორის თქმით, ალლო ვერ აუღეს რევოლუციურ სინამდვილეს და მხოლოდ დეკლარაციულად ცდილობდნენ გამხდარიყვნენ „თანამგზავრები“. იმ მწერალთა შორის, რომლებიც ცდილობენ გახდნენ პროლეტარული რევოლუციის მოკავშირეები, კრიტიკოსი ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს, რაჟდენ გვეტაძესა და სიმონ ჩიქოვანს, რომელნიც, მიუხედავად წვრილბურჟუაზიული მერყეობისა, ცდილობენ უჩვენონ სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული პროცესები.

➤ 5824

1931

**თებერვალი**

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ იბეჭდება ლექსი „მოდინ ლეგიონები“.

➤ 5825

1931

**თებერვალი**

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ სათაურით „მწერალთა რეზოლუცია“ იბეჭდება მაქსიმ გორკის მხარდასაჭერი განცხადება. ქართველი ავტორები თანადგომას უცხადებენ საბჭოთა მწერლობის მედროშეს – მაქსიმ გორკის, რომელსაც დასავლეთის ბურჟუაზია დევნის. განცხადებას სხვა მწერლებთან ერთად ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 5826

1931

**თებერვლის შემდეგ**

კითხულობს ჟურნალს „მნათობი“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. სიმონ ჩიქოვანის ლექსს „პოეტის სიტყვა“, რომლითაც იწყება ნომერი, აწერს შეკითხვებს – რატომ იხსნება ფედერაციის ჟურნალის პირველი ნომერი სიტყვით „მე“ და რას ნიშნავს ლექსის სხვა სიტყვები.

➤ 5827

1931

**თებერვლის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს ნოე ზომლეთელის ლექსს „საბჭოთა საქართველო“, აინტერესებს – რა საუბარია ცის შესახებ, სად გაგონილა ასეთი რამ, აჯამეთი არაფერ შუაშია. სტროფს „რამდენი ნიშა-ხარი დაუკლავთ ან რამდენ ცხვრისგან შემდგარი ფარა“ აწერს ხალხური ლექსის სტრიქონებს: „ასი სული ცხვარი დაჰკლა და ორასი ნიშა ხარი“, აღნიშნავს, რომ ეს ძველი ლექსია და არ არის საჭირო მისი თანამედროვეობაში გადმოტანა.

➤ 5828

1931

**თებერვლის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს გიორგი ლეონიძის ლექსს „შემკეთებელ ქარხანაში სტალინის სახელობისა“, ხაზავს სტრიქონებს, აჭრელებს კითხვის ნიშნებით და თავზე აწერს, რომ ლექსის ავტორი მთაწმინდის მწერალთა (ალექსანდრ გრიბოედოვის, ალექსანდრე ჭავჭავაძის და სხვ.) მუზეუმის გამგეა და ეს ლექსი ერთგვარი ფარია, რომ ადგილი შეინარჩუნოს.

➤ 5829

1931

**თებერვლის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს რაჟდენ გვეტაძის ლექსს „მერკვილადის დები“, აწერს, რომ ლექსი კი არა იდიოტიზმია – იდეალიზაციაა კვარის, მთვარის, აკვნის, კერის.

➤ 5830

1931

**თებერვლის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანს „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“. აინტერესებს, შეიძლება თუ არა ასგვერდიანი უხეირო მასალის მოთავსება ჟურნალში, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ არის კარგი ადგილებიც.

➤ 5831

1931

**თებერვლის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ დაბეჭდილ დიმიტრი ბენაშვილის ბიბლიოგრაფიაში ფრიდონ ნაროშვილის პოემების შესახებ აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. ასკვნის, რომ ბავშვური რეცენზიაა.

➤ 5832

**მ ა რ ტ ი**

1931

**6 მარტამდე**

ირჩევნ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

➤ 5833

1931

**6 მარტი**

იღებს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრობის მანდატსა და სამკერდე ნიშანს.

➤ 5834

1931

**6 მარტი**

იღებს მთელ ამიერკავკასიაში რკინიგზითა და გემით მოგზაურობის ბილეთს.

➤ 5835

1931

**20 მარტი**

წერს უსათაურო ლექსს „დილა ბრწყინავს როგორც სარკე...“.

➤ 5836

1931

**მარტი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატიის „ქართული მწერლობის ათი წელი“ დასასრული, რომელშიც ნათქვამია, რომ ძველი თაობის მწერლებიდან ყველაზე ღრმა გარდატეხა რევოლუციური იდეების მიმართულებით მოხდა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. ავტორის თქმით, პოეტს შიგადაშიგ ჰქონდა ჩავარდნები, მაგრამ მისი პოეზიის ძირითადი ხაზი სწორი იყო. პროლეტარული რევოლუციის თანამგზავრად გახდომის საფუძველზე მან შექმნა ლექსები: „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „ეს არის გუგუნის მთელი ეპოქის“, „აღმოსავლეთი“, „ეს ლექსი“, „ჯონ რიდი“, „პაციფიზმი“, „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“ და სხვ. გალაკტიონ ტაბიძე გრძნობს, რომ ხელოვნების ფრონტის მომუშავე ახალ ცხოვრებას უნდა უდგეს გვერდში.

➤ 5837

**ა პ რ ი ლ ი**

1931

**8 აპრილი**

გაზეთში „მუშა“ იბეჭდება ცნობა ჟურნალ „მნათობის“ ახალი, №1-2-ის გამოსვლის თაობაზე, რომელშიც სხვა ავტორთა ნაწარმოებებთან ერთად ქვეყნდება გალაკტიონის პოემა „რევოლუციონურ საქართველოს“.

➤ 5838

1931

14 აპრილი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება ინფორმაცია ჟურნალის „პროლეტარული მწერლობა“ №1-2-ის დაბეჭდვის შესახებ, რომელშიც სხვა მასალასთან ერთად ქვეყნდება გალაკტიონის ლექსი „მოდინ ლეგიონები“.

➤ 5839

1931

16 აპრილი

რაჟდენ გვეტამე შალვა სოსლანთან გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ მწერალთა სასახლეში გამართულ დისკუსიაზე, რომელიც სწორედ იმ დღეს მთავრდება, საგულისხმო არაფერი მომხდარა. გამოირჩეოდა სანდრო შანშიაშვილი, რომელმაც დაუმსახურებლად მიიჩნია გალაკტიონ ტაბიძის ასეთ მწვერვალზე აყვანა და მაგალითებად მოიყვანა მისი ლექსებიდან სუმბურული ადგილები. ფიქრობს, რომ გალაკტიონს ასეთი არა მხოლოდ ადგილები, მთელი ლექსებიც აქვს, მაგრამ ეს თემა ტაბუირებულია.

➤ 5840

1931

29 აპრილი

ესწრება დავით კლდიაშვილის დაკრძალვას, სადაც მის ყურს ხვდება მემარჯვენეების ნათქვამი მის შესახებ, გალაკტიონმა შემოიტანა ლიტერატურული დემპინგი, უმაღლესი ხელოვნება დაიყვანა მასამდე და ჩალის ფასად ყიდისო.

➤ 5841

1930 ნოემბერი -

1931 აპრილი

6 თვის განმავლობაში გადააქვს ბევრი განსაცდელი. უმუშევრობისა და უფულობის გამო სოფელში მიდის ძმასთან. აბესალომი ეხმარება და პალტოსაც აძლევს, მაგრამ სოფლიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ დეპრესიაშია.

➤ 5842

## მ ა ი ს ი

1931

1 მაისამდე

პენსიაზე ემატება 150 მანეთი და სულ უხდება 200.

➤ 5843

1931

1 მაისამდე

ხელი სტკივა. იკეთებს ოპერაციას, მაგრამ თითი მაინც არ ურჩება.

➤ 5844

1931

1 მაისი

დღიურში წერს, რომ მის შესახებ გამოქვეყნდება სტატიები გაზეთებში – „ნა რუბეჟე ვოსტოკა“, „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, სომხურ ჟურნალსა და ჟურნალში

„პროლეტარული მწერლობა“. მისი აზრით, ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ ცენტრალური ფიგურაა ქართულ პოეზიაში.

➤ 5845

**1931**

**1 მაისი**

დღიურში წერს, რომ ბინა კრილოვის ქუჩაზე მისთვის საუკეთესოა და იმ დროისთვის სხვა ბინაზე არ ფიქრობს.

➤ 5846

**1931**

**1 მაისი**

დღიურში 9 პუნქტად წერს სამომავლო გეგმას: „რევოლიუციონური საქართველოს“ წიგნად გამოცემა, 25 მაისს გრანდიოზული საღამოს მოწყობა, რუსეთში წიგნის გამოცემა, ჯანმრთელობის აღდგენა, დედისა და ოლიას დახმარება, იერიშის მიტანა ხელოვნების სასახლეზე, პოეზიის ფრონტის განსამტკიცებლად რუსული გაზეთის გამოყენება, ყველა გაზეთში „რევოლიუციონური საქართველოს“ დემონსტრირება, მწერლების, არტისტებისა და მეგობრების დარაზიმა პროპაგანდისთვის. ყველაფერი უნდა გაკეთდეს დაკვირვითი წესით, ყველაფერი უნდა აწონ-დაწონოს და ყოველი საათი დაიგეგმოს. ენერგიულად უნდა იმოქმედოს და მაშინ გაიმარჯვებს. მასებში პროპაგანდისა და ავტორიტეტის განსამტკიცებლად სჭირდება გაზეთი. არ უნდა მოერიდოს შავ სამუშაოს, მოელაპარაკოს მწერალთა კავშირსა და განათლების სახალხო კომისარიატს, რომ დაეხმარონ საღამოს მოწყობაში.

➤ 5847

**1931**

**1 მაისი**

დღიურში წერს, რომ პირველ მაისს თბილისი ზეიმობს დროშებითა და ხალისით. ოცდაოთხი დღის შემდეგ, 25 მაისს კი მისი პოეზიის საღამოს გამო იქნება სიხარული და აღტაცება.

➤ 5848

**1931**

**1 მაისი**

დღიურში წერს, რომ დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მემარჯვენეები ლიტერატურულ დემპინგში სდებენ ზრალს. ფიქრობს, რომ საღამოს მოწყობისას ვერც მათ და ვერც ცისფერყანწელებს ვერ დაეყრდნობა. უნდა მიმართოს მხოლოდ პროლეტარულ მწერლებს და სხვებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელთათვის იქნება საჭირო.

➤ 5849

**1931**

**1 მაისი**

დღიურში წერს, რომ მეზობელი კომუნისტის ცოლმა გააგდო მოსამსახურე ქალი, იმიტომ რომ პირველი მაისის დემონსტრაციაში იღებდა მონაწილეობას. აღნიშნავს, რომ საზიზღარია ყველა, ვისაც უმუშევრობა არ გამოუცდია და, ზოგადად, საზიზღარია ცხოვრება.

➤ 5850

**1931**

**7 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გრიგოლ ხოფერიას სტატია „გალაქტიონ ტაბიძე. ეპოქა“, რომელიც წარმოადგენს რეცენზიას პოეტის ახალ წიგნზე. წერილის ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომ გალაკტიონი იყო რევოლუციის პირველი თანამგზავრი ქართველ მწერალთა

შორის, ახლა კი იგი უკვე თანამგზავრზე მეტია და მისი პოეზიაც რევოლუციურ სიმაღლეზეა აზიდული. რეცენზენტის თქმით, გალაკტიონმა გააღრმავა ბარათაშვილის პესიმისტური ლირიკა და უკიდურესობამდე მიიყვანა იგი. პოეტის შემოქმედების პირველი ხანა განუსაზღვრელი პესიმიზმის სუდარაშია გახვეული. გალაკტიონმა რევოლუციის ეპოქაში საკუთარი ხელით დაამსხვრია საკუთარი ქნარი და წარმოუდგენელი ფერისცვალება განიცადა. იგი ქართველ მაიაკოვსკიდ იქცა. გრიგოლ ხოფერიას თქმით, გალაკტიონმა გაიმეორა ბრიუსოვის საქციელი, როცა არათუ უბრალოდ მიიღო რევოლუცია, არამედ შეუერთდა მას. პოეტის ახალი წიგნი „ეპოქა“ რევოლუციის მხატვრული დიდებაა. აქ დახატულია თანამედროვე ეპოქა მხატვრის დიდებული ხელით. რეცენზენტის შეფასებით, წიგნში არის მხატვრულად სუსტი ადგილებიც, მაგრამ ეს ბუნებრივია. მთავარია, პოემის კითხვისას, ვგრძნობთ რომ სიტყვის დიდ ოსტატთან, დიდ ხელოვანთან გვაქვს საქმე.

➤ 5851

1931

10 მაისი

მემარჯვენე რეაქციულ მწერლებთან დაკავშირებით მწერალთა ფედერაციის საბჭოს 1930 წლის 15 ნოემბრის დადგენილებით ტარდება ფედერაციის წმენდა. პაოლო იაშვილი, მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლებთან ერთად, ილაშქრებს გალაკტიონ ტაბიძის წინააღმდეგ, ამტკიცებს, რომ თანამგზავრები არ არსებობენ, მაგრამ მას არ ეთანხმებიან და მოითხოვენ დარბაზიდან მის გაგდებას.

➤ 5852

1931

10 მაისი

მწერალთა ფედერაციის წმენდასთან დაკავშირებით ჩატარებული სხდომის შემდეგ, დღიურში წერს, რომ ბენიტო ბუაჩიძე აპირებს მემარჯვენეების ჯგუფის განადგურებას. ფიქრობს, რომ მოსალოდნელია დიდი ლიტერატურული ომები. თანამგზავრები გაერთიანდებიან პროლეტარულ მწერლებთან, მემარჯვენეები კი, ყველანაირ ძალას გამოიყენებენ მის წინააღმდეგ და საჭიროა მათთან მედგარი ბრძოლა.

➤ 5853

1931

მაისი ან ადრე

წერს ლექსს „მხურვალე სალამი პროლეტარულ მწერლებს“ („დახე, რანაირია დედამიწის ტრიალი...“).

➤ 5854

1931

მაისი

ჟურნალში „დროშა“ ქვეყნდება კარლო მელაძის სტატია „შენიშვნები მიმდინარე ლიტერატურაზე“, რომელშიც სხვა ავტორთა ტექსტებთან ერთად გალაკტიონის ნაწარმოებებიც არის მიმოხილული. კ. მელაძე მიიჩნევს, რომ გალაკტიონ ტაბიძე სოციალისტური ეპოქის უპირველეს მომღერლად იქცა, რასაც, კრიტიკოსის აზრით, ადასტურებს პოემა „რევოლუციონური საქართველო“.

➤ 5855

1931

მაისი

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ იბეჭდება ლექსი „მხურვალე სალამი პროლეტარულ მწერლებს!“.

➤ 5856

## ი ვ ნ ი ს ი

1931

### 14 ივნისი

გულდაწყვეტილი წერს, რომ ერთი წლის განმავლობაში ქართულ თეატრში ერთი წარმოდგენაც არ უნახავს.

➤ 5857

1931

### 16 ივნისი

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნო მოუწოდებს პროლეტარ მწერლებს და მათ უახლოეს თანამგზავრებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტური მშენებლობის გმირების მხატვრულ ლიტერატურაში სათანადოდ ასახვის პროცესში. ამ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ლიტერატურული ამოცანის გადასაჭრელად სამდივნო იღებს დადგენილებას, რომლის მიხედვითაც მწერლები გადანაწილებულნი და მიმაგრებულნი არიან კონკრეტულ ადგილებსა და წარმოებებზე. სამდივნოს გადაწყვეტილებით, გალაკტიონი ირაკლი აბაშიძესთან, იაკინთე ლისაშვილთან და კარლო კალაძესთან ერთად განაწილებულია აბრეშუმის ქარხანაში. სამდივნოს მიერ გამოყოფილია სამკაციათი კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მწერლებს. კომისიაში შედიან: სიმონ წვერავა (ხელმძღვანელი), ვარლამ ლუარსაბიძე და ალექსანდრე სულავა. სამდივნოს გადაწყვეტილებით, სხვადასხვა დაწესებულებაში განაწილებულმა მწერლებმა მხატვრული ნაწარმოებები უნდა წარადგინონ არა უგვიანეს ერთი თვისა, ამის შემდეგ კი ნაწერები განხილული იქნება როგორც კომისიის მიერ, ისე დამკვერელ მუშათა წრეში. მწერლების მიერ ერთი თვის განმავლობაში შექმნილ ნაწარმოებებს კომისია გადააგზავნის სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში დასაბეჭდად, გარდა ამისა, გამოიცემა კრებულები, რომელშიც შეტანილი იქნება ნაწერები ხუთწლედის გმირების შესახებ.

➤ 5858

## ი ვ ლ ი ს ი

1931

### 13 ივლისი ან შემდეგ

ოლია ოკუჯავა სოფელ ტობანიერის სკოლაში წერილს უგზავნის აბესალომ ტაბიძეს. უბოდიშებს, რომ გალაკტიონი ვერასდროს ვერ იცლის მათთვის მისაწერად და მათ მოსანახულებლად. წერს, რომ ძალიან დაკავებულია. სთხოვს, არ იფიქრონ, რომ ამის მიზეზი ოლიაა. მოიკითხავს დედას და ბავშვებს.

➤ 5859

1931

### 19 ივლისი

გაზეთში „მუშა“ სათაურით „ბიბლიოგრაფია“ ქვეყნდება ჟურნალის „პროლეტარული მწერლობა“ 1931 წლის პირველი სამი ნომრის მიმოხილვა. მიმოხილველი საუბრობს გალაკტიონის ლექსზე „მოდინ ლეგიონები“. მისი შეფასებით, ამ ნაწარმოებით გალაკტიონი ახლოს მიდის პროლეტარულ მწერლობასთან და იგი ხდება უფრო ახლობელი პროლეტარული მწერლობისთვის, ვიდრე მოკავშირეობაა. მიმოხილვაში ასევე ნათქვამია, რომ პოეტი რევოლუციის თემატიკასთან დაკავშირებით ენთუზიაზმის ცეცხლს ანთებს.

➤ 5860

1931

### 23 ივლისამდე

წერს ლექსი „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“ ორ ვარიანტს: პირველს უსათაუროდ „მენატრებოდა თეთრი ქალაქი...“, მეორეს კი, სათაურით „ო, ავანტიურისტებო!“.

➤ 5861

1931

### 23 ივლისამდე

ხელოვნების სასახლეში ერთი მწერალი ეკითხება, როგორ უნდა მიეცეს ქართული ლიტერატურის ინტერნაციონალურ შინაარსს ნაციონალური ფორმა, როცა უმთავრეს პრობლემაზე – ენაზე არავინ ზრუნავს. მეორე იშველიებს გრიგოლ ორბელიანის სიტყვებს: „რა ენა წაბდეს, ერიც დაეცესო“. მესამე კი ამბობს, რომ რუსთველის ენა, რომელიც ევოლუციის გზით მიდიოდა, უცებ დაეცა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ძირშია მოსაჭრელი იმის ენა, ვინც ამგვარად მსჯელობს. მისი აზრით, იყო საღვთო წერილის ენა, რუსთაველის ენა, ანტონ კათოლიკოსის ენა და მეცხრამეტე საუკუნის ენა მრავალგვარი ცვლილებებით. ბოლოს მოვიდა რევოლუციური ენა ახალი სიტყვებით, რომლებითაც ხალხი ლაპარაკობს: ეპოქა, ინდუსტრია, კომუნიზმი, ხუთწლედო. ეს ნიშნავს, რომ ენა მდიდრდება ახალი სიტყვებით, იღებს ახალ იერს. ის კიდევ უფრო განვითარდება ნაციონალური ფორმითა და ინტერნაციონალური შინაარსით, სანამ კაცობრიობას არ ექნება ერთი, ინტერნაციონალური ენა.

➤ 5862

1931

### 23 ივლისამდე

თბილისის 1929-1930 წლის მისამართების ცნობებისა და ქალაქის გეგმის გზამკვლევაში აკეთებს ხაზგასმებს, კომენტარებსა და ჩანახატებს. წერს, რომ აინტერესებს, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ვინ განაგებს დახურულ სასაბჭოებსა და კოოპერატივზე მიმდგრებას. ფიქრობს, რომ დასჭირდება პირადობის მოწმობა მწერალთა ფედერაციიდან.

➤ 5863

1931

### 23 ივლისამდე

თბილისის 1929-1930 წლის მისამართების ცნობებისა და ქალაქის გეგმის გზამკვლევაში წერს, რომ 24-ში აიღებს 300 მანეთს, აქედან ქუდის შეძენას სჭირდება 50 მანეთი, პალტოს – 50, თავის ფეხსაცმელს – 50 და ოლია ოკუჯავას ფეხსაცმელს – 50 მანეთი.

➤ 5864

1931

### 23 ივლისი

განცხადებას წერს მომარაგების სახალხო კომისარიატის სახელზე. აცნობებს, რომ არის საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის VI მოწვევის კანდიდატი, მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალის „მნათობი“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, ლიტერატურული წრეების ხელმძღვანელი, ამზადებს წიგნებს და დაკვრითი წესით მუშაობს მეტად რთულ კულტურულ, კერძოდ, ლიტერატურულ ფრონტზე, რომელიც მოითხოვს დიდ და ინტენსიურ შრომას. სთხოვს, სასწრაფოდ მიამაგრონ დახურულ გამანაწილებელს, რადგან მატერიალურად უკიდურესად უჭირს.

➤ 5865

1931

### 23 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „იგი დაშორდა სამუდამოდ გადაბურულ მთას...“.

➤ 5866

1931

### 23 ივლისის შემდეგ

წერს ლექსს „რევოლუციონური პოეზიის დაფუძნება“.



➤ 5867

1931

### 23 ივლისის შემდეგ

დღიურში წერს ავტობიოგრაფიულ მონაცემებს. აღნიშნავს, რომ რევოლუციის მეზობლთა გვერდით, დაძლია უამრავი დაბრკოლება, პარტიის დახმარებით, 1914 წელს გამოსცა მისი პირველი წიგნი. სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გახდა ახალი პოეზიის ცენტრალური ფიგურა. ესწრებოდა კონსპირაციულ კრებებს, მუშაობდა აქტიურად ლიტერატურული განხრით, სხვა რევოლუციონერ პოეტებთან ერთად მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ლექსებით ენერგიულად ეწეოდა სალიტერატურო პროპაგანდას, რაც რეაქციით დაშინებულ დაბა-სოფლებში აღფრთოვანებას იწვევდა. ბურჟუაზიას სასტიკად არ უყვარდა, განსაკუთრებით – კიტა აბაშიძეს, მაგრამ ამაში რეჟიმი იყო დამნაშავე. თანადროულ ქართულ მწერლობაში ის უმთავრეს როლს თამაშობს. მოსკოვში ყოფნისას დაერღვა ჯანმრთელობა. სთხოვდნენ, ემკურნალა, მაგრამ არ უნდოდა იმ ქალაქის დატოვება, რომელიც ახლოს იყო მის გულთან.

➤ 5868

1931

### 23 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ინტელიგენტი, და პირმშო შვილი...“.

➤ 5869

1931

### 23 ივლისის შემდეგ

წერს ლექსს „ავუგოთ ძეგლი“.

➤ 5870

1931

### 23 ივლისის შემდეგ

ადგენს წერილს რევოლუციური საქართველოს სრული გამარჯვების, სულიერი სიმტკიცისა და ძლიერებისათვის მედგრად მეზობლი და თავდადებული ვეტერანი ბელადისთვის. აცნობებს, რომ აფხაზეთიდან დაბრუნებისას, როდესაც ენგურზე გადადიოდნენ, ავარიის შედეგად, ავტომობილი ჩავარდა შუა მდინარეში და ფიცარს ჩაჭიდებულნი ძლივს გადარჩნენ. საბედნიეროდ, გადაარჩინა ილღიაში ამოღებული თავისი ნაწარმოებიც „რევოლუციონური საქართველო“, რომლის ფურცლები ჯერ კიდევ სველია ენგურის ზვირთებით.

➤ 5871

1931

### ივლისი ან ადრე

წერს ლექსს „ყველა წითელარმიელი იდგეს, როგორც ლომი“ („თუ რომელიმე სასახლეს აგებს...“).

➤ 5872

1931

### ივლისი

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ იბეჭდება ლექსი „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“.

➤ 5873

1931

### ივლისი

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ იბეჭდება ალექსანდრე სულავას სტატია „ომი და ლიტერატურა“. ავტორი ერთმანეთს ადარებს საბჭოთა და ევროპული მწერლობის ცალკეულ ტენდენციებს და აღნიშნავს, რომ იმპერიალისტურ ომსა და რევოლუციაზე დაწერილ შესანიშნავ წიგნად უნდა ჩაითვალოს გალაკტიონ ტაბიძის „ეპოქა“.

➤ 5874

**1931**

**ივლისი**

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ იბეჭდება ვალერიან ლუარსაბიძის სტატია „ქართული ჟირონდის მწერლობა“, რომელშიც სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებასთან ერთად, ზოგადად არის მიმოხილული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება. კრიტიკოსის აზრით, 1914-1921 წლებში გალაკტიონი მისტიკოსი და პესიმიზმის პროპაგანდისტი იყო. იგი მიიჩვევს, რომ პოეტი ამჟამად ცდილობს საკუთარ შემოქმედებაში სათანადო ადგილი დაუთმოს საზოგადოების ცხოვრების, სოციალური პრობლემების ასახვას, რადგან პროლეტარულმა რევოლუციამ გალაკტიონი ახალი ეპოქის, ახალი ქვეყნის ენთუზიასტად აქცია.

➤ 5875

## ა გ ვ ი ს ტ ო

**1931**

**13 აგვისტო**

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება განცხადება, რომ გამოვიდა და იყიდება ჟურნალის „პროლეტარული მწერლობა“ 1931 წლის მეოთხე-მეხუთე ნომერი. აქვეა დაბეჭდილი გამოცემის სარჩევი, რომელშიც სხვა მასალასთან ერთად დაბეჭდილია გალაკტიონის ლექსი „სალამი პროლეტარულ მწერლებს“.

➤ 5876

**1931**

**14 აგვისტო**

გაზეთში „მუშა“ სათაურით „ბიბლიოგრაფია“ იბეჭდება ჟურნალ „მნათობის“ 1931 წლის პირველი ოთხი ნომრის მიმოხილვა. მიმოხილველი მსჯელობს გალაკტიონის პოემაზე „რევოლუციონური საქართველო“, რომლის ცალკეული მონაკვეთები ამ ჟურნალის პირველ-მეორე ნომერში დაიბეჭდა და აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები ლალი აღმაფრენითა და დიდი რევოლუციური ცეცხლით დაწერილი ტექსტია. მისი აზრით, პოეტი კარგად ერკვევა თანამედროვე ეპოქის წვრილმანებში, რის გამოც, იგი საკოლმეურნეო მშენებლობის მიღწევებს და სიმწელებს რეალური ფერებით ხატავს.

➤ 5877

**1931**

**28 აგვისტო**

რადიოს ქართული სექციის გამგე სთხოვს მასალას რადიოგაზეთისთვის. ფიქრობს, რომ უნდა მისცეს ფრაგმენტი „რევოლუციონური საქართველოდან“ წიგნის გამოსვლის დღეებში. სასურველად მიაჩნია სპეციალურად წიგნის გამოსვლისადმი მიძღვნილი რადიოსადამო, რომლისთვის უნდა დაიწეროს კარგი მოხსენება და მსახიობებს დაურიგდეს ლექსები.

➤ 5878

**1931**

**28 აგვისტოს შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „უფრო ადვილია ეკლარის კლდისაგან...“.

➤ 5879

**1931**

## **28 აგვისტოს შემდეგ**

დღიურში წერს, რომ ორიოდე ყანწის დაღვევის შემდეგ ღვინო ანელებს გულის მწუხარებას. ღვინის დაღვევის შემდეგ, მჟღავნდება ყველა საიდუმლო, აღარ გეჩვენება, რომ კედლებსაც სმენა აქვს, დატრიალდება მთები, აირევა ღრუბლები. ღვინოს ისეთი ძალა აქვს, ტურას ხახაში რომ ჩაასხა, მგელს მოერევა.

➤ 5880

## **ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი**

**1931**

### **3-5 სექტემბერი**

მწერალთა სასახლეში ტარდება პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის VI პლენუმი, ბენიტო ბუაჩიძე თავის მოხსენებაში ილაშქრებს მემარჯვენე მწერლების – ყოფილი აკადემიური ასოციაციის წევრებისა და ცისფერყანწელების წინააღმდეგ, პროლეტარული მწერლობის ლიტერატურულ თანამგზავრებად და მოკავშირეებად კი, დაასახელა გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, რაჟდენ გვეტაძე და სერგო კლდიაშვილი.

➤ 5881

**1931**

### **5 სექტემბერი**

პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის VI პლენუმზე კარლო მელაძე სასაცილოდ იგდებს გრიგოლ მუშიშვილის მოსაზრებას, რომ გალაკტიონ ტაბიძე არის ქართველი ჯორჯ ბაირონი და უნდა გარდაიქმნას ვლადიმერ მაიაკოვსკად. დამსწრე საზოგადოებაც იცინის. გალაკტიონს აინტერესებს, არის თუ არა კარლო მელაძის გამოსვლაში ცინიზმი.

➤ 5882

**1931**

### **5 სექტემბერი**

პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის VI პლენუმზე ბენიტო ბუაჩიძე საუბრობს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების სქემატურობაზე, ეს ახარებს ტიციან ტაბიძესა და ალექსანდრე აბაშელს, რადგან სქემატურობაში ბრალდებულები მხოლოდ თავად არ არიან.

➤ 5883

**1931**

### **5 სექტემბერი**

პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის VI პლენუმის შემდეგ ფიქრობს, კარლო მელაძისა და ბენიტო ბუაჩიძის გამოსვლები ხომ არ არის მის წინააღმდეგ გადადგმული პირველი ნაბიჯები და რაიმე გეგმა ხომ არ აქვთ სამომავლოდ, მაგრამ სხვა თანამგზავრებისადმი მიმართულ აგრესიასთან შედარებით მაინც უბრალო ამბად თვლის. მას აუცილებლად მიაჩნია რაიმე ნაბიჯის გადადგმა, აქტიური საჯარო დემონსტრაცია, სადამოები და კრიტიკული წერილები, მაგრამ მარტო ვერაფერს გახდება და სჭირდება ერთგული დამხმარეები. ასკვნის, რომ პროლეტარი და სხვა მწერლები მასზე ვერ გაიმარჯვებენ.

➤ 5884

**1931**

### **6 სექტემბერი**

ზის თავისუფლების მოედნის ბაღში, რომელმაც დასავლეთ ნაწილის ჩამოჭრით მიიღო რევოლუერის კაბურის ფორმა. ბაღში უჩვეულო მოძრაობაა, რადგან ვერის დაღმართთან ტრამვაის ხაზი დახურულია რემონტის გამო. დაქრიან ავტომობილები, დროგები, ფურგონები. შუაში ალექსანდრ პუშკინის ბიუსტია. ბაღის ფოტოგრაფი დგას სამფეხა აპარატით და რეტუმს უკეთებს სურათს. ბაღში სხედან უმუშევრები, დამსვენებლები და დედა ჩვილი ბავშვით,

რომელიც ტირის. გალაკტიონი დღიურში აღნიშნავს, რომ ქუჩის ხმაურში ჰექტორ ბერლიოზმა აღმოაჩინა რიტმი და შრომის საწყისი.

➤ 5885

1931

### 6 სექტემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ ავტორის მიუთითებლად იბეჭდება სტატია „საქ. პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის პლენუმი“. მოყვანილია ხელოვნების სასახლეში 3 სექტემბერს გახსნილი VI პლენუმის მოხსენებათა ფრაგმენტები. აღნიშნულია, რომ კამათში გამოსულმა მწერლებმა გრიგოლ მუშიშვილს მიუთითეს დიდ შეცდომაზე, რომელიც მან დაუშვა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შეფასებისას. ის გალაკტიონს ჯორჯ გორდონ ბაირონს ადარებდა, რომელიც უნდა გახდეს ვლადიმერ მაიაკოვსკი.

➤ 5886

1931

### 8 სექტემბერი

დღიურში წერს, რომ გაზეთის „კომუნისტი“ 6 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა სტატია საქართველოს პროლეტარული მწერლობის ასოციაციის გამგეობის VI პლენუმის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ გრიგოლ მუშიშვილმა დაუშვა დიდი შეცდომა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შეფასებისას, როდესაც ამტკიცებდა, რომ ის ბაირონია და უნდა გახდეს მაიაკოვსკი. აინტერესებს, რას ნიშნავს ეს ორაზროვნება. ფიქრობს, რომ წერილი რაჟდენ გვეტაძის დაწერილია.

➤ 5887

1931

### 8 სექტემბრის შემდეგ

შალვა მამალაძე აცნობებს, რომ ალექსანდრე დუდუჩავას შეუძლია მისი სადამოსთვის კინოქრონიკის შერჩევა და ძვირიც არ დაუჯდება.

➤ 5888

1931

### 11 სექტემბერი

დღიურში წერს, რომ მემარჯვენეები სამუდამოდ დამარცხდნენ პროლეტმწერლობის VI პლენუმის შემდეგ პროლეტმწერლებმა მასზეც შეიძლება მიიტანონ იერიში. გაზეთში „კომუნისტი“ გრიგოლ მუშიშვილის წინააღმდეგ მიმართულ ინფორმაციაში, მასაც გადაკრეს.

➤ 5889

1931

### 19 სექტემბერი

გაზეთიდან „ზარია ვოსტოკა“ იწერს ცნობას, რომ 26 სექტემბერს იქნება მთვარის სრული დაბნელება, რომელიც შესამჩნევი იქნება საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნებისმიერი წერტილიდან.

➤ 5890

1931

### 19 სექტემბერი

მოსკოვის გაზეთებში კითხულობს, რომ 26 სექტემბერს, მოსკოვის დროით 20 საათსა და 54 წამზე, დაიწყება მთვარის სრული დაბნელება, რომლის დანახვა შესაძლებელი იქნება მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მთვარე თანდათან დაიფარება ბნელი ჩრდილით და სრული

დაბნელებისას ინათებს მკრთალი მეწამული დისკოს სახით, გაგრძელება 1 საათისა და 25 წამის მანძილზე. აპირებს დაკვირვებას.

➤ 5891

1931

### 19 სექტემბრის შემდეგ

ფიქრობს რადიოსადამოს გამართვას, რომლის დროსაც მის ლექსებს წაიკითხავენ აკაკი ვასაძე და თამარ ჭავჭავაძე.

➤ 5892

1931

### 19 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „პირველზე პირველი მაგალითი...“.

➤ 5893

1931

### 19 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსის „შენ მოელოდი, არა?..“ ორ ვარიანტს.

➤ 5894

1931

### 19 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ქისტაურის მასწავლებელს...“.

➤ 5895

1931

### 19 სექტემბრის შემდეგ

ცალკე წიგნად გამოდის გალაკტიონ ტაბიძის პოემა „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“.

➤ 5896

1931

### 26 სექტემბერი

დგას აივანზე და მიუხედავად იმისა, რომ სცივა და სურდო აქვს, აკვირდება მთვარის დაბნელებას. საათი არ აქვს და არ იცის, ზუსტად როდის დაიწყება. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები ნესვის გულის ფერია და პოეტი თითქოს გემოსაც კი გრძნობს. ბოტანიკური ბაღის იქით ხედავს ქლიავისფერ ღრუბელს, რომელიც მძიმე ვეშაპივით მიიწევს აღმოსავლეთისაკენ. არასდროს უნახავს ასეთი მშვენიერი მთვარე, რომელიც მეფურად აშუქებს ცას და მთელი ქვეყნის ამბების მოყოლა შეუძლია, რადგან მთელ მსოფლიოს დაჰყურებს. იწყება დაბნელება აღმოსავლეთის მხრიდან – ჯერ ჩნდება ჩრდილი მარცხნივ, ედება ნაწილს, თანდათან იზრდება და შემდეგ სრულიად ბნელდება. ხატავს მთვარის დაბნელებას ეტაპების მიხედვით.

➤ 5897

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, თუ რა უქნეს პროლეტმწერლებმა ცისფერყანწელებს. ისინი ერთმანეთს შეაჯახეს, ტყავტრესტში მიიყვანეს, ჰალსტუხები და ჩოხები გამოაცვლევინეს, სონეტი წაართვეს, რითმა მიუნგრის, ასონანსი შეამულეს, დაემუქრნენ და დააწერიეს ლექსი, რომლისაც თვითონ ეშინიათ და ამით წერტილი დაუსვეს.

➤ 5898

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ ოსკარ უაილდი, მისივე მტკიცებით, საკუთარ შეცდომებს იმ დროს უფრო აცნობიერებდა, როდესაც ირგვლივ ყველა ეთანხმებოდა. ასეთი რამ ახასიათებთ რევოლუციონერებსაც, თავად გალაკტიონის აზრით კი ჭეშმარიტების უარყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ყველა ეთანხმება, საშიში პოლიტიკური სნობიზმია.

➤ 5899

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ ისე ნერვიულად გაატარა ზამთარი, თვითონაც არ იცოდა, რა ემართებოდა, ცუდი ამინდები იყო და ცხოვრება ცხოვრებას არ ჰგავდა. ზამთრის დასრულების შემდეგ კარგად გახდა, მაგრამ მატერიალურად არაფერი გამოსწორებულა. იმედოვნებს, რომ ყველაფერი გამოკეთდება.

➤ 5900

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ კინოფილმი „ჩანგი“ შესანიშნავია და ვინც ნახა, არასდროს დაავიწყდება.

➤ 5901

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში იწერს მარკ ტვენის სიტყვებს, რომ მის საუკუნეში ორი შესანიშნავი ადამიანი იყო – ნა-პოლეონ ბონაპარტი და ჰელენ კელერი. ექიმმა კი თქვა, რომ ჰელენ კელერი უფრო მაღლა იდგა, რადგან იყო ყრუ-მუნჯი, თითქმის ბრმა, არ ჰქონდა ყნოსვა და ჰქონდა მხოლოდ შეხების გრძნობა. შეხების გრძნობით შეისწავლა ოთხი ენა და იყო თავისი დროის გამოჩენილი ადამიანი.

➤ 5902

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ პროფესია დაღს ასვამს ორგანიზმს. ადამიანმა მუდამ რომ წეროს, მოიხრება და კუზი გაუჩნდება.

➤ 5903

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ დიდი გონებრივი მუშაობა დამოკიდებულია დიდ ფიზიკურ შესაძლებლობაზე. სპეციალისტების დასკვნის მიხედვით, თუ ადამიანი ფიზიკურად განადგურებულია, გონებრივადაც ბევრს ვერაფერს გააკეთებს.

➤ 5904

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში აკეთებს ამონაწერებს სხვადასხვა წყაროებიდან. წერს, რომ სქესობრივი ანომალიების განვითარებას ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა და ჩვეულებრივი ვარჯიში.

➤ 5905

1931

## 26 სექტემბრის შემდეგ

ფაბრიკას ადარებს დზიგა ვერტოვის ფილმს „ადამიანი კინოაპარატით“ და ყურადღებას თვლის რომ მასშიც, ისევე როგორც ვეტროვის ფილმში არც სიუჟეტია და არც წარწერები, მხოლოდ თანამედროვე ფაბრიკის დინამიურობაა.

➤ 5906

1931

## 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ პოეზია საჭიროებს დახმარებას იდეური, კლასობრივი ხაზის მოსძებნად. მწერლების ნაწილი არ შეუძლია შემოქმედებითად საქმიანობა, ნაწილს კი, შემოქმედების უნარი აქვს, მაგრამ გარიყულია უმოქმედობის გამო, რადგან ვერ ახერხებს არსებობას დამოუკიდებლად. ასკვნის, რომ რევოლუციამ დაამტკიცა ხელოვნების დამოუკიდებლობისა და ზეკლასიურობის არარსებობა.

➤ 5907

1931

## 26 სექტემბრის შემდეგ

წერს ლექსს „სერგეი ესენინს“.

➤ 5908

1931

## 26 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსის „არა ერმილე, არა პეტრე, არა ივანე...“ ორ ვარიანტს.

➤ 5909

1931

## 26 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არ არის ჟურნალი...“.

➤ 5910

1931

## 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ ბინებისთვის გამოიგონეს ახალი ორასსანთლიანი ელექტრონათურა, იგივე ულტრაიისფერი მზე, რომელიც დავოსის მზის მაგივრობას სწევს და საექიმო თვისებებიც აქვს. იგი ხარჯავს საათში 3-ნახევარ კაპიკს, თვეში კი, 2 მანეთსა და 10 კაპიკს.

➤ 5911

1931

## 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ მეგრულ ენას, რომელზეც საუბრობს 50.000 კაცი, აქვს თავისი ლიტერატურა და მეგრულად წერს სულ ასამდე კაცი. ფიქრობს, რომ ყოველგვარი მშობლიურისადმი გულ-წრფელ სიყვარულს შეეძლო აღედრა წერის სურვილი იმ კილოკავზე, რომელიც არ ვრცელდება ჭალადიდს იქით.

➤ 5912

1931

## 26 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ ბავშვობაში არაერთხელ უნახავს, პატარა ჯალათები მინდორში როგორ გამოიყვანდნენ დაჭერილ თავგებს, სეირისთვის გადაასხამდნენ ნავთს, წაუკიდებდნენ ცეცხლს და გაუშვებდნენ მინდვრებში, ცეცხლმოკიდებული თავგები კი გარბოდნენ. ეს ამბავი აგონებს

ექსპერიმენტებს მემარჯვენე მწერლობაზე, რომლებმაც ბევრი ნავთი და ცეცხლი იწვნიეს და უტიფარი ხუმრობისგან საგრძნობლად კანდამწვარებს მხოლოდ გაღებული ფანჯრებიდან შემოსული ნიავი უგრძობებთ კანს. ფიქრობს, რომ ბევრი ექსპერიმენტი უნახავს, მაგრამ ასეთი არაფერი და მაინც კარგია, რადგან ცეცხლწაკიდებულებს გულწრფელად სჯერათ, რომ ღია ფანჯრიდან გრილი ნიავის შემოიჭრება.

➤ 5913

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსის „არც სილაჟვარდე გამოჩნდა ზეცის...“ ორ ვარიანტს.

➤ 5914

1931

### 26 სექტემბრის შემდეგ

ტრამვით მგზავრობისას წინ უზის ქალი, ძველებური ფართო ქუდითა და ზედ შამფურისოდენა ქინძისთავით, რითაც აწუხებს ტრანსპორტში მსხდომთ. ფიქრობს, რომ მისი მხრიდან არაესთეტიური იქნება რამის თქმა, მაგრამ ბოლოს გადაწყვეტს, რომ პოეტმა გვერდი არ უნდა აუაროს თავის მოვალეობას და ქალბატონს შენიშვნას აძლევს. ამის პასუხად, ქალი ეუბნება, რომ ახსოვს მისი ადრინდელი გენიალური ლექსები, მაგრამ ახლა, ალბათ, თვითონაც არ იცის, რას მიედ-მოედება და სამუდამოდ იტეხავს სახელს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ქალბატონი ისევ ძველი გზით მიდის მაშინ, როდესაც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა. ის ვერ ხვდება, რომ წინანდელი ლექსების დრო სამუდამოდ გაქრა.

➤ 5915

1931

### 29 სექტემბერი

წერს განცხადებას საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელზე და ითხოვს კუთვნილ ჯამაგირს 30 მანეთს, შემდეგ კი ხელმოწერით ადასტურებს თანხის მიღებას.

➤ 5916

1931

### სექტემბერი

ჟურნალში „პროლეტარული მწერლობა“ იბეჭდება ბენიტო ბუაჩიძის სტატია „მხატვრული მწერლობის განვითარებას გეგმიანი ხელმძღვანელობა სჭირდება“, რომელშიც საუბარი თანამედროვე სალიტერატურო პროცესსა და ქართული ლიტერატურის განვითარების პერსპექტივებზე. კრიტიკოსი სხვა ავტორთა შემოქმედებასთან ერთად მსჯელობს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ და აღნიშნავს, რომ პოეტის იდეოლოგიური განვითარება უკვე თვალსაჩინო გახდა, იგი დაუახლოვდა პროლეტარულ მწერლობას და ჩამოყალიბდა, როგორც საუკეთესო მოკავშირე მწერალი. სტატიის ავტორის აზრით, გალაკტიონს ჯერ კიდევ სჭირდება მუშაობა სინამდვილის ღრმად ასათვისებლად. იგი მიიჩნევს, რომ პოეტი ყველა სიმწელეს დაძლევს, რის იმედსაც, მისი ვარაუდით, აშკარად იძლევა გალაკტიონის მიერ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული ნაწარმოებები.

➤ 5917

## ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

1931

### 3 ოქტომბერი

კოტე მარჯანიშვილის შეხვედრაზე საშეფო წარმოების სტამბის კოლექტივთან თამარ ჭავჭავაძე კითხულობს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს – „დამკვრელებს“ და „რევოლიუციონური საქართველოდან“.



➤ 5918

1931

#### 4 ოქტომბერი

ხვდება ვარლამ მიქაძე, რომელიც უკებს წინა დღეს საშეფო წარმოების სტამბის კოლექტივთან კოტე მარჯანიშვილის შეხვედრაზე თამარ ჭავჭავაძის მიერ წაკითხულ ლექსებს – „დამკვრელებს“ და „რევოლიუციონური საქართველოდან“.

➤ 5919

1931

#### 4 ოქტომბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენ არმიასთან ვიბრძოლებთ ყველა...“.

➤ 5920

1931

#### 18 ოქტომბერი

წერს ადრეულ ვარიანტს ლექსისა „სიკვდილი უმუშევარისა“.

➤ 5921

### ნოემბერი

1931

#### 1 ნოემბრამდე

ადგენს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და მწერალთა კავშირის პრეზიდუმისადმი გასაგზავნ განცხადებას. წერს, რომ მოკლე ხანში აპირებს დიდი სალიტერატურო სადამოს ან დილის გამართვას თბილისის რომელიმე თეატრში ან კლუბში. პროგრამა მუშავდება და ეცნობებათ. სადამოს მთავარი მიზანია რევოლუციური და პროლეტარული პოეზიის განმტკიცება და ფართო მასების დაინტერესება. ითხოვს სადამოს მოსაწყობად დახმარებას, იდეოლოგიურ და ტექნიკურ რჩევებს, რომლებიც უფრო გამოაცოცხლებს და ენერგიას შემატებს მას.

➤ 5922

1931

#### 1 ნოემბრამდე

ადგენს განათლების სახალხო კომისარიატის სახელოვნო განყოფილებაში გასაგზავნ განცხადებას. წერს, რომ 15 ნოემბერს აპირებს დიდი სალიტერატურო დილის გამართვას თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში. სთხოვს თეატრის დათმობას ამ დღისთვის.

➤ 5923

1931

#### 1 ნოემბრამდე

ადგენს განათლების სახალხო კომისართან, გაიოზ დევდარიანთან გასაგზავნ განცხადებას. წერს, რომ 15 ნოემბერს აპირებს საჩვენებელი სალიტერატურო დილის გამართვას თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრში. სთხოვს, გასცეს განკარგულება, რომ დილას დაესწრონ თბილისის სასწავლებლების მოწაფეები და მასწავლებლები.

➤ 5924

1931

#### 1 ნოემბერი

წერს ლექსს „ძირს ცინიზმი“.

➤ 5925

1931

**10 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ნავთიანი ადგილის ბურღვა“ („მიწას რომ ბურღვენ...“).

➤ 5926

1931

**10 ნოემბერი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ლექსი „ნავთიანი ადგილის ბურღვა“ („მიწას რომ ბურღვენ...“).

➤ 5927

1931

**14 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ახმაურდეს“.

➤ 5928

1931

**14 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ორთქმავალი რკინისგზის შემკრებ, ჩამომსხმელ და სამჭედლო ცეხიდან ესალმება მე-14 ოქტომბერს“ („ოკეანეს აპობს გეზი გიგანტიურ ლაინერის...“).

➤ 5929

1931

**14 ნოემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ველად მწვანობს ბალახი...“.

➤ 5930

1931

**14 ნოემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მილიონერის თვალით...“.

➤ 5931

1931

**14 ნოემბერი**

ხედავს ბიჭს, რომელიც შურდულით კლავს ბელურებს. ის აუცდენლად ისვრის და ჯიბეები სავსე აქვს მოკლული ბელურებით. გალაკტიონი დღიურში აღწერს ამ სურათს.

➤ 5932

1931

**14 ნოემბერი**

გაზეთში „სალიტერატურო გაზეთი“ აქვეყნებს ლექსს „ორთქმავალი რკინის-გზის შემკრებ, ჩამომსხმელ და სამჭედლო ცეხიდან ესალმება მე-14 ოქტომბერს“.

➤ 5933

1931

**21 ნოემბერი**

გვერდით ოთახიდან ესმის მთვრალი სტუმრების საუბარი მის შესახებ, რასაც ეთანხმებიან მეზობლებიც. ახალგაზრდა ქალი ჰყვება, თითქოს გალაკტიონი ავიწროებს დემეტრადებს, მოუწოდებს ყველას, რომ სცემონ ან ფანჯრიდან გადააგდონ. ისინი კი პასუხობენ, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან იგი შალვა ოკუჯავას სიძეა. ფიქრობს, რომ გრძელდება ძველი

შეტევა, ეს გაუგონარი მუქარაა, მისადმი უპატივცემულობისა და ზიზღის გამოხატულება, მხოლოდ შალვა ოკუჯავას უწევენ ანგარიშს და არა მას. ამ პროვოკაციის მიზანია, რომ დაატოვებინონ ოთახი, სადაც სრულიად მარტოა. ძლივს იკავებს ბოღმას და ნანობს, რომ არ აქვს იმდენი ფიზიკური ძალა, რომ ამ ხალხს აგრძნობინოს მათი უსინდისობა. ასკვნის, რომ საჭიროა ფხიზლად ყოფნა.

➤ 5934

1931

### შემოდგომა

წერს ლექსს „ბავშვი გუგუსა და ჩიტი გუგული“.

➤ 5935

## დეკემბერი

1931

### 24 დეკემბერი

ოლია ოკუჯავასთან ერთად თარგმნის ინგლისელი მწერლისა და ფილოსოფოსის გილბერტ კით ჩესტერტონის რომანში „მფრინავი სამიკიტნო“ შეტანილ ერთ-ერთ უსათაურო ლექსს „ჭაობიან ქალაქში“.

➤ 5936

1931

### 24 დეკემბრის შემდეგ

ინგლისელი მწერლისა და ფილოსოფოსის გილბერტ კით ჩესტერტონის რომანში შეტანილი ერთ-ერთი ლექსისაგან („ჭაობიან ქალაქში“) მიღებული შემოქმედებითი იმპულსით წერს უსათაურო ლექსს „დიდად მჭევრმეტყველობენ“.

➤ 5937

1931

### 24 დეკემბრის შემდეგ

ოლია ოკუჯავა პროფკავშირებთან ელოდება გალაკტიონის მისვლას, მაგრამ რომ არ მიდის, მიაქვს კანფეტები, პაპიროსი, ილუსტრირებული ყოველკვირეული ჟურნალი „სტროიკა“ და სახლში აკითხავს. გალაკტიონი არც სახლში ხვდება. ოლია ულაგებს, ურეცხავს და უტოვებს წერილს, ალბათ ფული აიღე და ახლა დროს ატარებ, თუ ადრე დაბრუნდები, დამირეკე და მოვალე. სწერს, რომ მომდევნო დღეს ისვენებს და სთავაზობს სადმე გასეირნებას.

➤ 5938

1931

წერს ლექსს „ბევრნაირი ახდა ნატვრა“.

➤ 5939

1931

### დეკემბერი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „ორი პოეტი“, რომელიც ეძღვნება გიორგი ქუჩიშვილისა და ფრიდონ ნაროუშვილის შემოქმედებას. სტატიის ავტორის თქმით, 1905 წლის რევოლუციის მარცხის მომდევნო პერიოდში გამოსულ მწერალთა უმეტესობას რევოლუციისგან გაქცევა ახასიათებდა. ერთ-ერთ მთავარ გზად, რომლითაც მიემართებოდა ამ პერიოდის ლიტერატურა, იყო პესიმიზმი და ამ ავტორთაგან პირველ ადგილზე დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 5940

1930-1931

წერს ლექსს „მომავალს რომ ეფერება“ („მომავალს რომ ეფერება...“).

➤ 5941

**1931**

იბეჭდება შალვა რადიანის წიგნი „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“, რომელშიც ერთი ნარკვევი ეთმობა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. კრიტიკოსი ახასიათებს პოეტის ადრეულ ლირიკას, მიმოიხილავს ძირითად პოეტურ კონცეპტებს და სიმბოლოებს (ქარი, ღამე, მარტოობა). აღნიშნავს, რომ გალაკტიონმა ბლოკისებურად, ესთეტიკურ ასპექტში აღიქვა რევოლუცია, როგორც ძველი ქვეყნის რღვევის სტიქია. შალვა რადიანის აზრით, პოემა „ჯონ რიდი“ საინტერესოა რევოლუციური ბრძოლების ასახვის თვალსაზრისით. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ პოეტმა კოლონიურ აღმოსავლეთსაც მიაპყრო თავისი ყურადღება და წარმოაჩინა, თუ როგორ იჩაგრება იგი იმპერიალისტური უღლის ქვეშ. მისი აზრით, გალაკტიონი წერის მანერით ტიპური სიმბოლისტია, რომელიც რომანტიზმის ტრადიციებსაც მიჰყვება. პოეტის მხატვრული სტილის საყრდენი ხერხია მეტაფორა. თავისებურია გალაკტიონის პოეტური კომპოზიცია, რომელიც ჩვეულებრივ ლოგიკას არ ექვემდებარება. კრიტიკოსი ასევე საუბრობს მხატვრულ სახეთა მოულოდნელობაზე, რომელიც მისტიკურ განწყობილებას აღძრავს მკითხველში.

➤ 5942

**1931**

წერს უსათაურო ლექსს „აი, მეტეხი, სად ჩონჩხები აწყვია ციხედ...“.

➤ 5943

**1931**

წერს უსათაურო ლექსს „რისთვის ჩაუწყდა ხმა გაბზარული...“.

➤ 5944

**1931**

წერს უსათაურო ლექსს „რევოლიუციურ ქვეყნის მუშაკი!..“.

➤ 5945

**1931**

ნათლულს, ჯუდეუ პატარაიას წარწერით ჩუქნის საკუთარ წიგნს „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“.

➤ 5946

**1931**

წერს ლექსს „ზღვა არის ჩემი ლექსების თემა“.

➤ 5947

**1931 ან შემდეგ**

კითხულობს ლუდვიგ ეკკარდის რუსულენოვან წიგნს „გზამკვლევი პოეტური ნაწარმოებების წასაკითხად“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 5948

**1931 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რასაც აზრი ჰქონია, მხოლოდ ლექსი ყოფილა...“.

➤ 5949

**1931 ან შემდეგ**

აკაკი შანიძის წიგნიდან „ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული“ იწერს ხალხური პოეზიის ნიმუშებს.

➤ 5950

### 1931 შემდეგ

იღებს დედის, მაკრინე ადგიშვილის წერილს. დედა გულდაწყვეტილია, რომ სოფლიდან ისე წავიდა, რომ არაფერი წაიღო. სთხოვს, ისევ ჩავიდეს თუნდაც ერთი დღით და ძმისშვილებს, ვასიკოს და ნოდარს სათამაშოები და კანფეტები ჩაუტანოს, გაუხარდებათ.

➤ 5951

### 1931 ან შემდეგ

კითხულობს ვლადიმერ მაიაკოვსკის რჩეულ ნაწარმოებებს, წერს რითმებს, ანგარიშობს სტროფების რაოდენობას და ბოლოს აღნიშნავს, რომ გამოადგება.

➤ 5952

## 1932

### ი ა ნ ვ ა რ ი

#### 1932

##### 13 იანვარი

საბჭოთა მწერლების ფედერაციის გაფართოებულ სხდომაზე ოცდარვა ავტორთან ერთად გალაკტიონ ტაბიძეს ასახელებენ მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად.

➤ 5953

#### 1932

##### 21 იანვარი

სხვა მწერლებთან ერთად ხელახლა ირჩევენ ჟურნალის „მნათობი“ სარედაქციო კოლეგიის წევრად.

➤ 5954

#### 1932

##### 21 იანვარი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ალიო მამაშვილის ლექსი „მწერლობის მძიმე ინდუსტრია“, რომლის ადრესატიც არის გალაკტიონ ტაბიძე. ავტორი მკვეთრად გამოხატულ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს გალაკტიონის მიმართ და ურჩევს „დაუსვას ტყვიის წერტილი განვლილ დროსა და შემოქმედებას“.

➤ 5955

#### 1932

##### 21 იანვრის შემდეგ

წერს ლექსს „ცინიკი“.

➤ 5956

#### 1932

##### 21 იანვრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „უკანასკნელი პროლეტარული...“.

➤ 5957

#### 1932

##### 23 იანვარი

ოლია ოკუჯავა სახლში ელოდება 7 საათამდე, შემდეგ კი უტოვებს წერილს. სწერს, რომ მისი და მანია ოკუჯავა ჩამოვიდა მოსკოვიდან და მის სანახავად მიდის. სთხოვს, მიაკითხოს და სახლში ერთად დაბრუნდებიან.

➤ 5958

1932

**26 იანვარი**

ბენიტო ბუაჩიძესთან საუბრობს „სალიტერატურო გაზეთში“ 21 იანვარს დაბეჭდილ ალიო მამაშვილის ლექსზე „მწერლობის მძიმე ინდუსტრია“, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძეს მოუწოდებს წერტილი დაუსვას განვლილ დროს და შემოქმედებას, ლექსი კი მიმართულია არა მხოლოდ მის, არამედ საერთოდ თანამგზავრებისა და მოკავშირეების წინააღმდეგ. უკითხავს ამ და ალიო მამაშვილის 1923 წელს დაწერილ ლექსებს. ბენიტო ბუაჩიძე პასუხობს, რომ ეს სისულელე და ბავშვობაა, არ არის ღირსი ასეთი დამოკიდებულების და უფრო დიდ დაფასებას იმსახურებს.

➤ 5959

1932

**26 იანვრის შემდეგ**

წერს ლექსს „მე XV წელი“.

➤ 5960

1932

**26 იანვრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რევოლუციონურ გერმანიის მებრძოლ პოეტებს...“.

➤ 5961

1932

**26 იანვრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჟამი გადაშლის უგონობით სავსე კომმარებს...“.

➤ 5962

1932

**იანვარი**

ჟურნალში „დროშა“ ქვეყნდება ალექსანდრე სულავას სტატია „ლოკავის მებრძოლ ლიტერატურისათვის“. ავტორი მსჯელობს წითელი არმიისა და ფლოტის ასახვის სპეციფიკაზე მხატვრულ ლიტერატურაში. აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ჩვენი მწერლობა სათანადოდ განვითარებული არ არის. მისი აზრით, პროლეტარულ პოეტთა შემოქმედებაში მცირე ადგილი ეთმობა სამხედრო თემატიკას. იგი მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს გალაკტიონის რევოლუციური, სამხედრო ლექსები, მათ შორის, „რევოლუციონური საქართველო“ და „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“. გარდა ამისა, კრიტიკოსი დადებითად აფასებს გიორგი კაჭახიძისა და ირაკლი აბაშიძის რამდენიმე ნაწარმოებსაც.

➤ 5963

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1932

**1 თებერვალი**

„სალიტერატურო გაზეთი“ ბეჭდავს საბჭოთა მწერლების ფედერაციის განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1 თებერვლიდან იწყება შემოქმედებითი დისკუსია, ამიტომაც 8 საათზე მწერალთა კლუბში მოხსენებას თემაზე „თანამგზავრობა და მოკავშირეობა“ წაიკითხავს შალვა რადიანი. ოპონენტებად კი მოწვეულნი არიან ბენიტო ბუაჩიძე, გალაკტიონ ტაბიძე და სხვანი.

➤ 5964

1932

**1 თებერვალი**

საბჭოთა მწერლების ფედერაციის სამდივნოს გადაწყვეტილებით სტალინის სახელობის ქარხანაში აგზავნიან როგორც მწერალთა პირველი ბრიგადის ერთ-ერთ წევრს. ბრიგადას დავალებული აქვს, პირველი თებერვლიდან იზრუნოს ამ ქარხნის მუშების ლიტერატურული წრის მუშაობის გააქტიურებაზე.

➤ 5965

1932

**1 თებერვალი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ბენიტო ბუაჩიმის სტატია „მწერლობის მსუბუქი ინდუსტრია“, სადაც კრიტიკოსი განიხილავს ალიო მამაშვილის ლექსს „მწერლობის მძიმე ინდუსტრია“, რომლის ადრესატიც გალაკტიონ ტაბიძეა. ბუაჩიმე აღშფოთებას გამოთქვამს მამაშვილის ტონის გამო და მიიჩნევს, რომ ამგვარი მოურიდელები და უხეში დამოკიდებულება გალაკტიონის მიმართ გაუმართლებელია.

➤ 5966

1932

**1 თებერვალი**

„სალიტერატურო გაზეთი“ ბეჭდავს შალვა რადიანის წერილს „თანამგზავრობა და მოკავშირეობა“, რომელშიც სხვა ავტორთა შემოქმედებასთან ერთად, გალაკტიონის ლექსებიც არის განხილული. კრიტიკოსის აზრით, მართალია, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გალაკტიონის შემოქმედებაში დიდი ცვლილებები იწყება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1921 წლამდე პოეტისთვის რევოლუცია, ძირითადად, რომანტიკულ განწყობილებას უკავშირდებოდა. ახლა გ. ტაბიძე რევოლუციის მოკავშირეა, თუმცა კლასობრივი ბრძოლა მის შემოქმედებაში სათანადოდ არ არის ასახული, პოეტის მსოფლმხედველობა საბოლოოდ არაა გარდაქმნილი, რის გამოც ის ჯერ ვერ ხედავს სოციალისტური მშენებლობის სირთულეს და სიღრმეს. კრიტიკოსი ფიქრობს, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში არსებული იდეოლოგიური შეცდომების მიზეზები არის არა მასალის ხასიათი, რომელზეც ის მუშაობს, არამედ – პოეტის შემოქმედებითი მეთოდის მცდარობა, კერძოდ ის, რომ გალაკტიონის მსოფლმხედველობა გარკვეულწილად ჯერ კიდევ სიმბოლიზმის გავლენას განიცდის.

➤ 5967

1932

**21 თებერვალი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „საბჭოთა ლიტერატურის თერთმეტი წელი“, რომელშიც მიმოხილულია ქართული სალიტერატურო პროცესის თავისებურება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. კრიტიკოსი საუბრობს შემოქმედებითი მოკავშირეობის ტენდენციაზე და გალაკტიონს მოიხსენიებს, როგორც პროლეტარული მწერლობის იდეურ მოკავშირეს ლიტერატურულ ფრონტზე.

➤ 5968

1932

**21 თებერვალი**

„სალიტერატურო გაზეთში“ ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის განცხადება, რომლის მიხედვითაც, 29 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ეგნატე ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში იხსნება „პოეზიის საწარმოო თათბირი“, სადაც მოხსენებებს წაიკითხავენ დიმიტრი ბენაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მოხსენებები შეეხება თემას

„მდგომარეობა პოეზიის ფრონტზე“. ღონისძიებაზე სხვა მწერლებთან ერთად მიწვეულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 5969

1932

### 23 თებერვალი

წერს ლექსს „პოეტი და ოქტომბერი“.

➤ 5970

1932

### თებერვალი

ჟურნალში „მნათობი“ ქვეყნდება მასალა საერთო სათაურით „დისკუსია“, რომელშიც გადმოცემულია მწერალთა და კრიტიკოსთა შეხედულებები თანამედროვე სალიტერატურო პროცესის შესახებ. დისკუსიის მონაწილეები, სხვა ავტორებთან ერთად, საუბრობენ გალაკტიონ ტაბიძის შესახებ. ალი არსენიშვილი აღნიშნავს, რომ, მართალია, გალაკტიონი, სიმონ ჩიქოვანი და რაჟდენ გვეტაძე პროლეტარული მწერლობის მოკავშირეებად არიან მიჩნეულნი, მაგრამ, რეალურად, მათ შემოქმედებით გზებზე ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლება იჩენს თავს, არაერთი რამ ამ ავტორთა ნაწარმოებებში გადასამუშავებელი და შესაცვლელია. ლეო ქიაჩელი იმედს გამოთქვამს, რომ დასახელებული მოკავშირე მწერლები მოკლე ხანში დაძლევენ დაბრკოლებებს და პროლეტარულ მწერლობას შეუერთდებიან. ბესარიონ ჟღენტის თქმით, გალაკტიონ ტაბიძე არის ოქტომბრის რევოლუციის წინა თაობის საუკეთესო პოეტი. მისი აზრით, საჭირო იყო განსაკუთრებული ძალა, რომ პოეტს თავის იდეალისტურ მსოფლმხედველობაზე ეთქვა უარი და პროლეტარიატის მოკავშირე გამხდარიყო. კრიტიკოსის აზრით, მისთვის შემდეგი ამოცანა ის არის, რომ უფრო სადად, რეალურად და მეტი სიცხადით აჩვენოს თავის ნაწარმოებებში სოციალისტური აღმშენებლობა. ბესარიონ ჟღენტი მიიჩნევს, რომ გალაკტიონი უფრო ძლიერი პოეტი იყო მაშინ, როცა „ლურჯა ცხენებს“ წერდა, ვიდრე ახლა, როცა რევოლუციურ თემებზე წერს. სწორედ ამის გამო, კრიტიკოსი ფიქრობს, რომ საჭიროა პოეტმა ახალი შინაარსის შესაფერისი, ორგანული მეთოდი მოიხსოს და ისე გამოხატოს სათქმელი.

➤ 5971

1932

### თებერვალი

ჟურნალში „მნათობი“ ქვეყნდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „გადამწყვეტი წელი ქართულ ლიტერატურაში“, რომლის ერთი მონაკვეთი გალაკტიონს ეთმობა. კრიტიკოსი განმარტავს, თუ როგორი ტიპის მწერალი შეიძლება იყოს პროლეტარიატის შემოქმედებითი მოკავშირე. ზოგადი მიმოხილვის შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ მოკავშირეობის სპეციფიკური პროცესის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს გალაკტიონ ტაბიძის მხატვრული პრაქტიკა. კრიტიკოსის აზრით, ქართული მოდერნისტულ-დეკადენტური მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლის შემოქმედებაში გაბატონებული იყო უიმედობა, სკეპსისი, მისტიციზმი, უსაგნო ესთეტიზმი, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გალაკტიონმა დაიწყო რევოლუციის, როგორც ნგრევითი სტიქიის ესთეტიზაცია და თანდათანობით მიუახლოვდა კონკრეტულ, საბჭოთა თემატიკას. ჟღენტი მიიჩნევს, რომ განვითარების თვალსაზრისით გალაკტიონის შემოქმედებაში თავისებურ ეტაპს წარმოადგენს წინა წელს გამოქვეყნებული პოემა „რევოლუციონური საქართველო“, რომელშიც სოციალიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანესი მომენტებია დახატული. მიუხედავად იმისა, რომ პოემის ძირითადი ნაწილი გალაკტიონისათვის დამახასიათებელი ექსპრესიითაა დაწერილი, ტექსტის გარკვეულ მონაკვეთს ეტყობა მასალისადმი ზედაპირული მიდგომა და მხატვრული დამუშავების შედარებით დაბალი დონე. კრიტიკოსის აზრით, გალაკტიონის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ პოეტისთვის დაუძლეველი სირთულეები არ არსებობს, ამის გათვალისწინებით



კი, იგი მოახერხებს გადაჭრას უმთავრესი ამოცანა – სოციალიზმის მშენებლობა გამოხატოს უფრო მაღალმხატვრულად, თანაც ახლებური მხატვრული მიდგომების გამოყენებით.

➤ 5972

## მ ა რ ტ ი

1931-1932

22 მარტი

დღიურში ინიშნავს, რომ დილით „მნათობის“ რედკოლეგიის სხდომაა, საღამოს კი – მწერალთა ფედერაციის პრეზიდიუმის.

➤ 5973

## ა პ რ ი ლ ი

1932

აპრილამდე

წერს ლექსს „ოქტომბრის სიმფონია“ („ქუჩებში ქუხდენ ორატორები...“).

➤ 5974

1932

აპრილამდე

წერს ლექსს „ოქტომბერის გამარჯვებისთვის“.

➤ 5975

1932

აპრილამდე

წერს ლექსს „ეროვნებათა მარში“.

➤ 5976

1932

23 აპრილამდე

რუსულ ენაზე ადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა აღინიშნოს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. გეგმის მიხედვით, საქართველო საბჭოთა მწერლების ფედერაციამ ორგანიზება უნდა გაუწიოს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, საქართველოს ქალაქებიდან მწერლების ჩამოყვანას თბილისში. ტელეფონით, ტელეგრაფითა და რადიოთი მთელს საბჭოთა კავშირში და მსოფლიოში უნდა გადაიცეს ცნობები პოეტის ლიტერატურული და რევოლუციური მოღვაწეობის 25 წლისთავის საიუბილეო ღონისძიების შესახებ. იუბილარის შესახებ მოხსენებას წაიკითხავენ მწერლები და კრიტიკოსები. პერიოდულ პრესაში დაიბეჭდება იუბილარისადმი მიძღვნილი წერილები, ლექსები, მოგონებები. საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებენ მხატვრები, სკულპტორები, მსახიობები. იუბილეს დღეები აღბეჭდილ იქნება კინოფირზე. უნივერსიტეტში დაარსდება იუბილარის სახელობის სტიპენდია. რაიონებში მოეწყობა იუბილარისადმი მიძღვნილი საღამოები და გამოფენები. თბილისის საბჭოს გაეგზავნება თხოვნა, თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო ქუჩას ეწოდოს იუბილარის სახელი. სახელმწიფო გამომცემლობა დაბეჭდავს პოეტის თხზულებათა დიდტანიან ერთტომეულს და შეუდგება მუშაობას თხზულებათა სრული კრებულის გამოცემაზე. იუბილარს მიენიჭება „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო პოეტის“ წოდება. რუსულ ენაზე გამოიცემა პოეტის თხზულებათა კრებულები.

➤ 5977

1932

23 აპრილამდე

სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით რუსულ ენაზე მესამე პირში წერს ტექსტს, რომელშიც წარმოჩენილია მისი დამსახურება საბჭოთა ლიტერატურის წინაშე. ტექსტში აღნიშნულია, რომ იმართება იუბილე პოეტისა, რომელიც მუდამ

მტერი იყო ლიტერატურული ვულგარულობისა, ლირიკული მოდუნებულობის, მოსაწყენი ყოველდღიურობის, პეიზაჟისტების ნეიტრალური პოეზიისა. იგი ცოცხალი სიმბოლოა საბჭოთა პოეზიის გამარჯვებისა სიმბოლისტურ მისტიკაზე, წარსულის ყალბ რომანტიკაზე. პოეტი პროლეტარული რევოლუციის პირველივე დღიდან გახდა მისი მოკავშირე. მისი პოეტური გზა არის გზა რევოლუციასთან სულ უფრო მეტად მიახლოებისა. მისი თხზულებები: „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „რევოლუციური საქართველო“, „ჯონ რიდი“, „აღმოსავლეთი“ და რევოლუციის შემდგომი ლექსები პოეტური ზრდის საუკეთესო ნიმუშებია. იგი პროლეტარული პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია, რომელიც თავის ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო რევოლუციური პოეზიის ისტორიაში.

➤ 5978

**1932**

### **23 აპრილი**

ძალიან გახარებულია, რომ როგორც იქნა ფული იშოვა და მკერავისგან გამოიტანა ახალი კოსტიუმი.

➤ 5979

**1932**

### **23 აპრილის შემდეგ**

მწერალთა კავშირის კრებათა დარბაზში მიმდინარე პოეზიის სადამოხე ქალაქის პარკით შედის და ჯდება უზურგო ლამაზ სავარძელზე, რომელიც, ჩვეულებრივ, კონსტანტინე გამსახურდიას ეკავა ხოლმე. კონსტანტინე არაფერს იმჩნევს და მის გვერდით უბრალო სკამზე ჯდება. მცირე ხნის შემდეგ გალაკტიონი პარკიდან იღებს სურნელოვან წითელ ატამს და კონსტანტინეს ალერსიანად სთავაზობს. გამსახურდია გოროზად შეხედავს, არაფერს პასუხობს და ადგილს იცვლის.

➤ 5980

**1932**

### **27 აპრილი**

აკეთებს ჩანაწერს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 25 აპრილის დადგენილების შესახებ, რომლის მიხედვითაც, უქმდება პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და იქმნება საბჭოთა მწერლების ერთიანი კავშირი. აღნიშნავს, რომ ამ დადგენილებამ თავისი მოულოდნელობით არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა. ფიქრობს, რომ მას მოჰყვება მნიშვნელოვანი შედეგები: გაფართოვდება პროლეტარული მწერლობის ვიწრო ჩარჩოები, რომლებიც ზღუდავდა მხატვრული შემოქმედების ფართოდ გაშლის შესაძლებლობას. დაიძლევა ვიწრო ჯგუფური მისწრაფებები. პროლეტარ მწერალთა წრეს ჩამოსცილებიან შემთხვევითი ადამიანები. მწერლობა უკეთესად შეასრულებს აგიტაციურ ამოცანებს. ეს გადაწყვეტილება დააცხრობს იმ მასობრივ უკმაყოფილებას, რასაც იწვევდა პროლეტარ მწერალთა ასოციაციის არსებობა, რადგან თვით პარტიის წევრთა უმრავლესობასაც კი არ სწამდა მათი. მათ ვერ მოიპოვეს ინტელიგენციის, მუშათა კლასის კეთილგანწყობა. უსუსურ მდგომარეობაში მოხვედრილი პროლეტმწერლები იძულებულნი იყვნენ, ებრძოლათ იმ მეთოდებით, რომლებიც მათ მორალურ სახეს აკარგვინებდა. გალაკტიონის აზრით, პარტიის ეს გადაწყვეტილება მრავალ გაუგებრობას მოუღებს ბოლოს, თუმცა არავინ იცის, როგორი იქნება გარდამავალი ეტაპი.

➤ 5981

**1932**

### **აპრილი**

ჟურნალში „საბჭოთა მწერლობა“ იბეჭდება ლექსი „ოქტომბრის სიმფონია“ („ქუჩებში ქუხდენ ორატორები...“).

➤ 5982

**1932**

**აპრილი**

ჟურნალში „საბჭოთა მწერლობა“ იბეჭდება ალექსანდრე სულავას სტატია „ოქტომბერი და მწერლობა“. კრიტიკოსი მიმოიხილავს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაწერილ ნაწარმოებებს და საგანგებოდ გამოჰყოფს გალაკტიონ ტაბიძის პოემას „ეპოქა“.

➤ 5983

**1932**

**აპრილი**

ჟურნალში „მნათობი“ აქვეყნებს ლექსს „ეროვნებათა მარში“.

➤ 5984

## მ ა ი ს ი

**1932**

**16 მაისი**

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობას და ითხოვს, რომ მისი წიგნის „ეპოქა“ ჰონორარის ანგარიშში გამოუწერონ 300 მანეთი.

➤ 5985

**1932**

**24 მაისამდე**

ოქტომბრის 15 წლისთავისთვის „ოქტომბრის სიმფონიის“ მოსამზადებლად, რადიოს სამხატვრო-სალიტერატურო სექცია, სამას მანეთს აძლევს ავანსად, მაგრამ უცბად ხარჯავს.

➤ 5986

**1932**

**24 მაისი**

განცხადებით მიმართავს რადიოს სამხატვრო-სალიტერატურო სექციას. წერს, რომ გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად ოქტომბრის 15 წლისთავის აღსანიშნად უნდა მოემზადებინა წიგნი „ოქტომბრის სიმფონია“, მაგრამ ხელშეკრულებაში მითითებული ვადა – 10 დღე საკმარისი არ აღმოჩნდა ამისათვის და ითხოვს ორი თვის დამატებას. იმ პირობით, რომ თუ ამ დროში წიგნი მზად არ იქნება, თავად გადაიხდის ხელშეკრულებაში მითითებულ თანხას.

➤ 5987

## ი ვ ნ ი ს ი

**1932**

**1 ივნისი**

ოლია ოკუჯავა გალაკტიონ ტაბიძეს დღიურში უწერს, რომ მისი ყველა პორტრეტის თაიგული თვალწინ აქვს, ერთად გატარებული დღეების მოგონებები ჯადოსნურ ოცნებებში შეშდებიან. პორტრეტები ზედიზედ იცვლებიან ჩქარი ეპოქის რიტმში, მსოფლიო ოკეანეებისა და ცეცხლოვანი ეპოქების ქარიშხლის ქვეშ, რასაც თან სდევს შეტევა, უკან დახევა, ისევ იერიში და გამარჯვება. მოუწოდებს, რომ აშენოს გიგანტები და გადალახოს ყველა ბარიერი.

➤ 5988

**1932**

**8 ივნისამდე**

ფურცელზე იწერს პოეტურ და პოლიტიკურ ფრაზებს და პოლიტიკოსთა გვარებს. მათ შორისაა ბრიტანელი პოლიტიკოსები ჯეიმს მაკდონალდი, ჯოინსონ ხიკსი და პროფკავშირების ლიდერი ბენჟამინ ტილეტი.

➤ 5989

1932

**8 ივნისამდე**

წერს ლექსს „გაზაფხულის ნიაღვრებს“ („ცა პირიდან წვიმას აქცევს...“).

➤ 5990

1932

**12 ივნისამდე**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „ეროვნებათა მარში“.

➤ 5991

1932

**12 ივნისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ საერთო სათაურით „მივსცეთ წიგნი სოფელს“ იბეჭდება მწერალთა განცხადებები. ავტორები ასახელებენ წიგნების იმ რაოდენობას, რომლის პირადად გადაცემასაც აპირებენ სოფლის სამკითხველოებისათვის და, ამავე დროს, წიგნების გაჩუქებისკენ მოუწოდებენ სხვა საზოგადო მოღვაწეებსაც. ალი არსენიშვილის განცხადებაში ნათქვამია, რომ იგი სიმონ ჩიქოვანის გამოწვევით ებმება ამ საქმეში და სოფლის სამკითხველოებს გადასცემს ოც წიგნს, ამასთანავე, კრიტიკოსი ოფიციალურად იწვევს გალაკტიონ ტაბიძეს, შალვა ალხაზიშვილსა და პლატონ კემელავას, რათა ისინიც შეუერთდნენ ამ კეთილშობილურ საქმეს.

➤ 5992

1932

**12 ივნისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება „ლიტერატურული ქრონიკა“, რომელშიც ნათქვამია, რომ გამოიცა ჟურნალ „მნათობის“ ახალი, მესამე-მეოთხე ნომერი, სადაც სხვა ავტორთა ნაწარმოებებთან ერთად, გალაკტიონ ტაბიძის ლექსია დაბეჭდილი.

➤ 5993

1932

**25 ივნისამდე**

წერს ლექსს „გაუშვი, ზენა ქარია“.

➤ 5994

1932

**25 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „დღეს ერთმა შეხვედრამ ილანდა...“.

➤ 5995

1932

**25 ივნისი**

დღიურში წერს, რომ საქართველოს მწერლების საგანგებო პირველი ყრილობა იმ დღეს უნდა შემდგარიყო, მაგრამ არაერთგზის გადადების შემდეგ, ბოლოს დაინიშნა 27 ივნისისთვის. ეს ფაქტი კი მიანიშნებს იმაზე, რამდენად მოუმზადებლები არიან 23 აპრილის დადგენილებისთვის, რომლითაც პარტიამ გააუქმა ცალკეული მწერლური ორგანიზაციები. აინტერესებს, ვინ არის დამნაშავე ამ განგებ შექმნილ ანარქიაში, რომლის მიზანია, თავისუფლად იმოქმედონ საერთო დაბნეულობის დროს. ფიქრობს, რომ ასეთი თეთრი ძაფებით ნაკერი პოლიტიკის შედეგები მალე გამოჩნდება, რასაც ხვდება დიდი ხნის გამოცდილებითა და მწერალთა ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკით. აღნიშნავს, რომ საჭიროა გულწრფელი მიდგომა მწერლებისადმი და არა მათი აბუჩად აგდება. 23 აპრილის შემდეგ მთელი სამი თვის მანძილზე ყრილობისთვის მზადება შემოიფარგლა რამდენიმე უმნიშვნელო წერილით „ლიტერატურულ გაზეთში“, პროვინციებში

გამგზავრებითა და საორგანიზაციო კომიტეტის რამდენიმე კრებით. არავის უცდია, რომ სერიოზული საკითხების გადაწყვეტაში ჩაებათ მწერლობის მთელი აქტივი და ყურადღება ექცეოდა მხოლოდ თავმჯდომარისა და მოადგილეების სავარძლებს.

➤ 5996

**1932**

### **25 ივნისის შემდეგ**

დღიურში წერს, როგორ უნდა გამოიცეს სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნი, ამისთვის უნდა ისარგებლოს შალვა რადიანის რედაქტორობით გამოცემული პირველი წიგნით და დაემატოს კიდევ ბევრი ლექსი, რომ მიიღოს 256 გვერდი. წინა წიგნი იყო 84-გვერდიანი და უნდა შეავსოს კიდევ 172 გვერდი. ჩამოწერს ჩასამატებელი ლექსების სიას.

➤ 5997

**1932**

### **27 ივნისი**

საქართველოს საბჭოთა მწერლობის საგანგებო ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის მდივანი გიორგი ყურულაშვილი კითხულობს მოხსენებას „საკ.კ.პ.(ბ) ცეკას 23/IV-ის დადგენილება და საქ. საბჭ. მწერლების ამოცანები“, რომელშიც საუბრობს ქართული მწერლობის წინსვლის თაობაზე. მომხსენებლის აზრით, ლიტერატურის სფეროში არსებულ მიღწევებზე მეტყველებს მთელი რიგი ნაწარმოებებისა გამოქვეყნებული ისეთ თანამგზავრ ავტორთა მიერ, როგორებიც არიან: გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, რაჟდენ გვეტაძე და სერგო კლდიაშვილი.

➤ 5998

**1932**

### **27 ივნისი**

საღამოს 9 საათზე ეგნატე ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში იმართება საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობა. ღონისძიებას ხსნის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი პანტელეიმონ ჩხიკვაძე. ამის შემდეგ გალაკტიონს ირჩევენ საქართველოს მწერალთა კავშირის ჩვიდმეტკაციან პრეზიდიუმში.

➤ 5999

**1932**

### **28 ივნისი**

ესწრება ეგნატე ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში გამართულ საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობას.

➤ 6000

**1932**

### **29 ივნისი**

მუშაობას ასრულებს საქართველოს მწერალთა საგანგებო ყრილობა. ირჩევენ მწერალთა კავშირის საბჭოს 47 კაცის შემადგენლობით. საბჭოს წევრთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6001

**1932**

### **30 ივნისამდე**

ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების ათი წლისთავთან დაკავშირებით, ლიტერატურის ფრონტზე ნაყოფიერი მუშაობისა და ამიერკავკასიის მშრომელ ხალხთა კულტურათა დაახლოების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, საპატიო სიგელით ჯილდოვდებიან მწერლები: გუგული ბუხნიკაშვილი, ნოე ზომლეთელი, გიორგი ქუჩიშვილი,

ალიო მამაშვილი, პეტრე სამსონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე და სანდრო ეული.

➤ 6002

## ი ვ ლ ი ს ი

1932

### 1 ივლისი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ცნობა, რომ ეგნატე ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში გამართულ საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პირველ სხდომაზე ირჩევენ მწერალთა ორმოცდაშვიდეკაციანი საბჭოს შემადგენლობაში.

➤ 6003

1932

### 1 ივლისი

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობას და ითხოვს, რომ მისი პოემის „ეპოქა“ ანგარიშში გამოუწერონ 300 მანეთი.

➤ 6004

1932

### 7 ივლისი

ეგნატე ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში მალაქია ტოროშელიძის თავმჯდომარეობით იმართება საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზეც ირჩევენ ბეჭდვითი ორგანოების სარედაქციო კოლეგიებს. ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად სიმონ ჩიქოვანთან, სანდრო ეულთან, ტიციან ტაბიძესთან, პანტელეიმონ ჩხიკვაძესთან და სხვა მწერლებთან ერთად ირჩევენ გალაკტიონს.

➤ 6005

1932

### 20 ივლისის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გიორგი ყურულაშვილის სტატია „საკ.კ.პ.(ბ) ცეკას 23/IV-ის დადგენილება და საქ. საბჭ. მწერლების ამოცანები“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, საუბარია ლიტერატურის სფეროში არსებულ მიღწევებზე. ამგვარ წინსვლაზე, კრიტიკოსის აზრით, აშკარად მეტყველებს ისეთ თანამგზავრ ავტორთა ნაწარმოებები, როგორებიც არიან გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი, რაჟდენ გვეტაძე და სერგო კლდიაშვილი.

➤ 6006

1932

### 30 ივლისი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 30 ივლისს მწერალთა კავშირი და საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭო მართავს სხდომას თბილისის პროფკავშირების აქტივთან ერთად. ღონისძიებაზე სხვა მწერლებთან ერთად საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავს გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6007

## ა გ ვ ი ს ტ ო

1932

### 5 აგვისტო

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება სტატია „ჩვენი ამოცანები ლიტერატურის ფრონტზე“, რომელიც წარმოადგენს მწერალთა საგანგებო ყრილობაზე გიორგი ყურულაშვილის მიერ გაკეთებული მოხსენების ფრაგმენტს. ავტორი მსჯელობს ქართველ მწერალთა ბოლო პერიოდის მიღწევებზე და მიმდინარე სალიტერატურო პროცესის ანალიზის ფონზე განსაკუთრებით გამოჰყოფს გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის, რაჟდენ გვეტაძესა და სერგო კლდიაშვილის

დამსახურებას. მისი აზრით, ამ მწერალთა მხატვრული პროდუქცია ადასტურებს, რომ ისინი ცდილობენ, ახლოს მივიდნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან და შეითვისონ ის ამოცანები, რომლებიც პარტიამ დაუსახა ლიტერატურას.

➤ 6008

1932

**6 აგვისტო**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება სტატია „ოქტომბრის 15 წლისთავისათვის“, რომელშიც ნათქვამია, რომ მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა აპირებს რუსულ ენაზე გამოსცეს კრებული „მწერლები და პოეტები დიად ოქტომბერს“. წიგნის გამოცემა იგეგმება ორ ტომად და მის მეორე ტომში, სხვა საბჭოთა მწერალთა ნაწარმოებებთან ერთად, დაიბეჭდება ორი ქართველი ავტორის – გალაკტიონ ტაბიძისა და სიმონ ჩიქოვანის ლექსები.

➤ 6009

1932

**აგვისტო**

„საქართველოს ჩაი“ ამღვეს ხუთას მანეთს შემოქმედებითი მივლინებისთვის, მაგრამ ხუთ დღეში ხარჯავს და ვერ მიდის ჩაის მეურნეობაში.

➤ 6010

1932

**აგვისტო**

თვითთრონით წერს თავისი ზაფხულის გეგმებისა და გაცრუებული იმედების შესახებ. ამდღეობული მიზნებისა და შემოქმედებითი ექსპედიციების ნაცვლად აგვისტოს საშინელ სიცხეებში ხელში რჩება მივლინება გურიის, აჭარისა და სამეგრელოს ჩაის პლანტაციებში, რათა იქიდან ჩამოიტანოს „ამბავი ქვეყნის გადარჩენისა“.

➤ 6011

1932

**აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „საქართველო ამნაირი...“.

➤ 6012

1932

**აგვისტო**

გეგმავს საზღვარგარეთ წასვლას, ან ჩრდილოეთ პოლუსის რომელიმე ექსპედიციასთან ერთად გემით „შალიგინი“ გამგზავრებას, ან შუა აზიაში მოგზაურობას, ან რომელიმე კურორტზე დასვენებას, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებად რჩება, რადგან ავალეებენ საქართველოს ჩაის პლანტაციების აღსაწერად გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში წასვლას. ფიქრობს, რომ სხვა გზა არ აქვს და უნდა მოიაროს მალარიანი ჭაობები, რომ შიმშილით არ მოკვდეს.

➤ 6013

1932

**ზაფხული ან შემდეგ**

ჭყვიშში ყოფნისას ხშირად სვამს, რითაც ძალიან ანაწყენებს დედას.

➤ 6014

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

1932

**2 სექტემბერი**

მხატვარი დავით გველესიანი ფანქრით ხატავს მის პორტრეტს პროფილში.

➤ 6015

1932

### 18 სექტემბერი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის ტექსტი „შემოქმედებით მივლინებაში“, რომელშიც ნათქვამია, რომ ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში წარმოებული სოციალისტური მშენებლობის შესახებ ნარკვევების, ლექსების, პოემებისა და მოთხრობების დასაწერად მწერალთა კავშირმა რესპუბლიკის მთავარ რაიონებში მიავლინა მწერლები, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6016

1932

### 25 სექტემბერი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის ტექსტი, რომელშიც ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძე მწერალთა დელეგაციასთან ერთად მიემგზავრება სამხრეთ ოსეთში, სადაც დარჩება რამდენიმე დღის განმავლობაში და მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.

➤ 6017

1932

### 27 სექტემბერი

წერილს იღებს სანდრო ეულისგან. აცნობებს, რომ მწერალთა დელეგაცია ოსეთში გასამგზავრებლად მიმდინარე დღის პირველ საათზე თავს იყრის გამომცემლობაში „ფედერაცია“.

➤ 6018

1932

### ოქტომბრამდე

წერს ლექსს „სადაც ეხლა ზვირთებს სძინავთ“.

➤ 6019

## ოქტომბერი

1932

### 10 ოქტომბერი

სახლში აკითხავს ოლია ოკუჯავა. კარი გაღებული ხვდება, ისე, როგორც ოჯახში მიცვალებულის დასვენების დროს იციან. ფრთხილად შედის, რომ არ გააღვიძოს, მაგრამ გალაკტიონი სახლში არ არის. ყველაფერს მტვერი ადევს. ხელნაწერები სევდიანად გამოიყურებიან, კალამი თითქოს თავის ძველ, აქტიურ ცხოვრებას მისტირის. თითქოს ქარიშხალმა გადაიქროლა და დატოვა მხოლოდ ცხოვრების ნამსხვრევები. ოლია უყურებს კედელზე ჩამოკიდებულ თავის ფოტოს, ჩამოხსნა უნდა, მაგრამ შეხებასაც ვერ ბედავს, რადგან ეშინია, რომ დაიკვნესებს. სულში შხამიანი ტკივილი ეჭრება, თავისი განცდები წერილში გადააქვს და გალაკტიონს უტოვებს.

➤ 6020

1932

### 11 ოქტომბერი

წერილს იღებს ალექსანდრე ჩაჩიკოვისგან. შეახსენებს, რომ ამიერკავკასიის წიგნის გამომცემლობამ ტელეგრაფით აცნობა, რომ მათთან შეეველო და საიუბილეო კრებულისთვის დანაპირები ლექსები მიეწოდებინა. ყველას მასალა მზად არის და მხოლოდ მასლა ელოდებიან, რადგან ამიერკავკასიის პოეტების კრებულის გამოცემა გალაკტიონის ლექსების გარეშე გაუმართლებელი იქნება. სწერს, რომ მოსკოვიდან ჩამოვიდა ნემჩინოვი, რომელსაც ძალიან უნდა გალაკტიონის „ეპოქის“ შოვნა და რომელიც მას დაელოდება ამიერკავკასიის წიგნის გამომცემლობაში 13 ოქტომბერს 11-დან 12 საათამდე.



➤ 6021

1932

11 ოქტომბერი

სახლში ელოდება ოლია ოკუჯავას, მაგრამ ოლია ვერ მიდის, რადგან მისი ტრამვაი ორი საათი აგვიანებს და იძულებული ხდება, დედასთან დაბრუნდეს.

➤ 6022

1932

11 ოქტომბერი

გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა, რომლებსაც დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, რიგდებიან და ამ ფაქტს რესტორანში აღნიშნავენ, შემდეგ კი გალაკტიონის დღიურში აკეთებენ ჩანაწერებს ამის შესახებ. გალაკტიონი ოლიას ჰპირდება, რომ თავისი თხოვლებების მომდევნო ტომს მას უძღვნის, როგორც თავის „ხეტიალთა თანამგზავრს“.

➤ 6023

1932

11 ოქტომბერი

წერს ლექსს „არის ერთგვარი ბედი“.

➤ 6024

1932

11 ოქტომბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „იმ ოქტომბერმა დასდგა კედელი...“.

➤ 6025

1932

11 ოქტომბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ბოსტნიდან, სადაც კამა და ქინძი...“.

➤ 6026

1932

11 ოქტომბრის შემდეგ

ოლია ოკუჯავა უწერს ვრცელ წერილს. უყვება, რომ მანამდეც დაუნახავს ვიღაც ქალთან ერთად მასაც და დედამისსაც, მაგრამ არ იმჩნევდა, ამჯერად კი ვიღაცამ სუფრასთან დედამისის თანდასწრებით დაწვრილებით დაიწყო მის სასიყვარულო ინტრიგაზე საუბარი. იმედი ჰქონდა, რომ გალაკტიონი თავად აღიარებდა თავის შეცდომებს და მოიხსნიდა ნიღაბს, მაგრამ ასე არ მოხდა და ამიტომ ოლია იძულებულია, თავად გამოააშკარავოს. სწერს, რომ სამშაბათს მიემგზავრება. ამიტომ გალაკტიონი მივიდეს მასთან სახლში, როცა ის არ იქნება და თავისი ნივთები წაიღოს. სთხოვს, რომ დაუბრუნოს თავისი სურათი და ნულარ მოატყუებს, რომ მისთვის წიგნის მიძღვნას აპირებს.

➤ 6027

1932

12 ოქტომბერი

ოლია ოკუჯავა სახლში აკითხავს, გასარეცხად მიაქვს ფარდები და უტოვებს წერილს. სწერს, რომ მომდევნო დღეს მისი და მანია მიემგზავრება თბილისიდან. ამიტომ მიმდინარე დღეს სადამოს საათებში ვერ გაუვლის, მივა მხოლოდ მომდევნო დღეს, დის გაცილების შემდეგ. ჰპირდება, რომ 14 ოქტომბერს მიიყვანს დამხმარე ქალს და მათ ბინას კარგად დაალაგებინებს. წუხს, რომ მისი წიგნის ძებნისას უამრავი ისეთი რამ ნახა, რომლებიც ჯობდა, რომ არ ენახა.

➤ 6028

1932

16 ოქტომბერი

განცხადებით მიმართავს საპენსიო სამსახურს. წერს, რომ დედა ჰყავს ძლიერ ავად, განიცდის მატერიალურ გაჭირვებას და ითხოვს, რომ წინასწარ მისცენ ნოემბრის თვის პენსია.

➤ 6029

1932

16 ოქტომბერი

ავადმყოფობის გამო მინდობილობას უწერს ოლია ოკუჯავას, რომ მან აიღოს მისი ნოემბრის პენსია და ჰონორარი 200 მანეთი ჟურნ. „საბჭოთა მწერლობისგან“.

➤ 6030

## ნოემბერი

1932 ან ადრე

9 ნოემბერი

წერს ლექსს „იდეა“.

➤ 6031

1932

9 ნოემბერი

დღიურში წერს იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც მოსაგვარებელი აქვს. მწერალთა ფედერაციამ მოსთხოვა ანგარიში, რა გააკეთა მივლინებაში ყოფნის დროს. იძულებულია, ოფიციალურად უპასუხოს, რომ ჩაის მეურნეობაში მუშაობისას დააგროვა და მნიშვნელოვანწილად დაამუშავა მასალები, რომლებიც უნდა გადაწეროს და დაბეჭდოს რომელიმე ჟურნალში. ასე უნდა მოიქცეს, რომ თავი დააღწიოს ბრალდებებს მწერალთა პლენუმზე. უნდა რაიმე მოუხერხოს „ეპოქის“ საკითხსაც. ფული აღებული აქვს, წიგნი კი არ ჩაუბარებია. გასამართლებლად შეუძლია თქვას, რომ უქალაქობისა გამო მაინც არ დაიბეჭდებოდა.

➤ 6032

1932

11 ნოემბერი

წერს უსათაურო ლექსის „ეხლა კი მშვიდობით! ნახვამდის!..“ ორ ვარიანტს.

➤ 6033

1932

15 ნოემბერი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „მეთხუთმეტე ოქტომბერი და ქართული მწერლობა“. კრიტიკოსი ზოგადად მიმოიხილავს 1921 წლის შემდგომი პერიოდის ქართულ მწერლობას, ძალიან მოკლედ საუბრობს, მისი აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ავტორების, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძის შესახებ და აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში პოეტი არღვევს მისტიციზმის, უიმედობის რკალს და თავისი შემოქმედების ძირითად თემად აქცევს სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას.

➤ 6034

1932

16 ნოემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „მაგრამ აჭარას მოსწყინდა ყოლა...“.

➤ 6035

1932

**16 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ჩემი შუადღე“.

➤ 6036

1932

**16 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ჰაეროპლანით“.

➤ 6037

1932

**16 ნოემბერი**

წერს ლექსს „ზამთარი“.

➤ 6038

1932

**17 ნოემბერი**

მწერალთა კავშირიდან იღებს საკვებ პროდუქტებს.

➤ 6039

1932

**19 ნოემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ზამთრის დღეები...“.

➤ 6040

1932

**19 ნოემბერი**

დღიურში წერს, რომ სიდიადის შესაქმნელად საჭიროა მთელი ძალის ერთი იდეისკენ მიმართვა. თუ ინტუიცია ადამიანს შეაძლებინებს მეორე სიდიადის დანახვასა და მასთან მტკიცედ დაკავშირებას, ეს იქნება მისთვის დიადის შექმნის პირველი შანსი. გალაკტიონს სურს, რომ დღიურში გადმოსცეს ის წვრილმანები, რომელთაც უხვად იძლევა დიადი თანამედროვეობა. მეტი მიღწევა უფრო გაანათებს იმ გზას, რომელსაც ერთი წერტილისკენ მიჰყავს ძლიერი ადამიანის ნებისყოფა. ფიქრობს, რომ კოლექტივის იდეაში გადასული პიროვნების იდეა არის უმშვენიერესი და მისთვის ღირს ცხოვრება და ბრძოლა.

➤ 6041

1932

**20 ნოემბრამდე**

მწერალთა სასახლეში ხსნიან დახურულ განმანაწილებელს მწერლებისათვის. ფიქრობს, რომ ეს გარემოება არ ცვლის ამ სახლის მოწყენილობას, რომელიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში აქ მიმდინარე ლიტერატურული ომების მუნჯი მოწმეა.

➤ 6042

1932

**20 ნოემბერი**

მწერალთა სასახლეში ხვდება „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქტორი – დავით დემეტრაძე, რომელიც საყვედურობს, რომ გვერდს უვლის მის გაზეთს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ეს მანევრია და თვითონ უვლიან მას გვერდს.

➤ 6043

1932

**20 ნოემბერი**

მწერალთა სასახლეში ესწრება იონა ვაკელის, აკაკი ბელიაშვილისა და ლევან მეტრეველის საუბარს კინოს კრიზისზე, ნოე ზომლეთელის, კოტე ფირცხალაიშვილისა და პოლიო აბრამიას საუბარს – კოლმეურნეთა ბაზრობის კომიკურ მხარეებზე, ალი არსენიშვილისა და სხვების მსჯელობას – პალტოებისა და ლიტერატურული წრეების შესახებ. აღნიშნავს, რომ ყველა მოსამსახურე ქალი და მწერალთა ცოლები მუდამ დახურულ განმანაწილებელში არიან, რადგან სხვა საქმე არ აქვთ და აქიდან დაიწყება ჭორიკნობა. აინტერესებს, ვინ გახდება პირველი მსხვერპლი.

➤ 6044

1932

**20 ნოემბერი**

მწერალთა სასახლეში ხვდება ნიკოლო მიწიშვილს, რომელიც უამბობს, რომ მწერლებს ჰონორარი მიუმატა, გაუხსნა განმანაწილებელი, აპირებს სასადილოს გახსნას და ამ საქმესაც რომ გააკეთებს, შემდეგ წავა თავისთვის. ამ საქმეების გამო აქებს მას.

➤ 6045

1932

**20 ნოემბერი**

მწერალთა სასახლეში ხვდება სიმონ ჩიქოვანს, რომელიც წუხს, რომ მისი ლექსი ცუდად არის ნათარგმნი, გალაკტიონი კი, სხვანაირად ფიქრობს.

➤ 6046

1932

**20 ნოემბერი**

მწერალთა სასახლეში ხვდება ვანო წულუკიძესა და ფიოდორ ჩუდეცკის, რომლებიც შესჩივიან უფულობას.

➤ 6047

1932

**20 ნოემბერი**

მწერალთა სასახლეში ხვდება გრიგოლ მესხს, რომელიც სამხატვრო აკადემიაში ეძებს ადგილს და სთხოვს შუამდგომლობას დავით კაკაბაძესთან.

➤ 6048

1932

**20 ნოემბერი**

მწერალთა სასახლეში ხვდება დავით კასრაძეს, რომელიც ეუბნება, რომ სულ კაბინეტში არ უნდა იყოს და საჭიროა პრაქტიკული ცხოვრებაც, მაგრამ თავადაც არაპრაქტიკულია და ფეხსაცმელიც კი არ აქვს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ კარგი კაცია.

➤ 6049

1932

**20 ნოემბერი**

მწერალთა სასახლეში ივანე მაჩაბელზე საუბრისას, არ მოსწონს პროლეტარული პოეტის – ალექსი გომიაშვილის შეუფერებელი ნათქვამი აკაკი წერეთლის შესახებ.

➤ 6050

1932

**20 ნოემბერი**

დღიურში წერს, რომ „სალიტერატურო გაზეთში“ 15 ნოემბერს დაბეჭდილ ბესარიონ ჟღენტის სტატიაში „მეთხუთმეტე ოქტომბერი და ქართული მწერლობა“ მის შესახებ გამოთქმული აზრი ტრაფარეტულია და საჭიროა უკეთესი სტატიის დაწერა.

➤ 6051

1932

**20 ნოემბერი**

გვიან ღამით სტუმრობს პოეტი კოტე რატიშვილი და საუბრობენ. დღიურში იწერს, რომ იგი ძალიან კარგი ადამიანია.

➤ 6052

1932

**20 ნოემბერი**

დღიურში აჯამებს განვლილ დღეს და კმაყოფილია. აღნიშნავს, რომ მწერალთა სასახლეში პატარა ხალხის ფუსფუსი, გამწარებული არასერიოზული ბრძოლა ერთმანეთთან და ცხოვრებასთან, ჩუმი ხითხითი და არა გულიანი ხარხარი მისთვის სრულიად გაუგებარია. მაგრამ ვერავის ამტყუნებს, რადგან კარგად იცის ყველაფრის მიზეზები და სათავეები. გალაკტიონის აზრით, რაიმე დიადის შესაქმნელად საჭიროა ამ ხალხის გაცხრილვა და საუკეთესო თანამგრძნობელთა მოძიება.

➤ 6053

1932

**20 ნოემბერი**

ოლია ოკუჯავას უმთავრდება შვებულება და გადის სამსახურში, სადაც ის გამოკრულია წითელ დაფაზე.

➤ 6054

1932

**20 ნოემბერი**

დღის 2 საათამდე კითხულობს ჩარლზ ნორისის რომანს „ლუკმა პურისათვის“. რომანის მთავარი გმირი ქალი, ჯინეტი იბრძვის არსებობისთვის. ნიუ-იორკი სავსეა მისი მსგავსი ქალებით, რომლებიც თავს აკლავენ სამსახურს და უყვართ ეს სამსახური. ჯინეტა ტოვებს ქმარს, არ სურს დედობა, უშვებს შეცდომებს. ის ძლიერი პიროვნებაა, მაგრამ გაღებულ მსხვერპლს მიჰყავს საშინელ მარტოობამდე. გალაკტიონი ასკვნის, რომ რომანი რეალისტურია, მაგრამ როგორც სხვა უცხოელი მწერლები, ნორისი არ მიუთითებს გამოსავლისკენ, რომანში ნაკლებად ჩანს ამერიკის სპეციფიკა, თეოდორ დრაიზერი, ეპტონ სინკლერი, სინკლერ ლუისი გაცილებით უფრო ამერიკელები არიან.

➤ 6055

1932

**20 ნოემბერი**

2 საათზე მიდის ხელოვნების სასახლეში. იგებს, რომ დეკემბრიდან იწყება „შემოქმედების საღამოები“, რომელიც გაიხსნება მასზე მოხსენებით.

➤ 6056

1932

**20 ნოემბერი**

საღამოს ოღია ოკუჯავასთან ერთად კითხულობს ლეონარდ ფრანკის რომანს „ოქსენფურტის მა-  
მაკაცთა კვარტეტი“. მთელი დღე არაფერს წერს, მაგრამ მაინც კარგი დღე აქვს.

➤ 6057

1932

### 21 ნოემბერი

12 საათზე ქარსა და ყინვაში გადის სახლიდან. მგზავრებით დატვირთული ტრამვაი ზემელთან  
ფუჭდება და ფეხით მიუყვება რუსთაველის პროსპექტს, რომელზეც ახალდაგებული ასფალტი  
ბრწყინავს. სოციალური უზრუნველყოფის თანამშრომელ ტარასი მახარაძეს გადასცემს წიგნებს  
წითელი კუთხისთვის, შემნახველი სალაროდან იღებს პენსიას – 180 მანეთს და ყიდულობს  
თუთუნს.

➤ 6058

1932

### 21 ნოემბერი

რუსთაველის პროსპექტზე ხვდება ბათუმში მიმდინარე კინოგადაღებიდან ახალდაბრუნებული  
მსახიობი ვასო არაბიძე, რომელიც ნაწყენია „სალიტერატურო გაზეთზე“, რადგან მაქსიმ გორკის  
შესახებ მოგონება არ დაუბეჭდეს. ამბობს, რომ მაქსიმ გორკი თვითონ იხსენიებს მას კამოსთან  
ერთად. გალაკტიონი ამშვიდებს. ფიქრობს, რომ ძალიან ცოცხალი არტისტია, ასაკი სრულიად არ  
ეტყობა, ახალგაზრდას ჰგავს.

➤ 6059

1932

### 21 ნოემბერი

რუსთაველის პროსპექტზე ხვდება ქობულეთიდან ახალდაბრუნებული მხატვარი ნიკოლოზ  
მარიაში. აოცებს მისი ენერჯია და ჯენტლმენობა, რომელიც მიუხედავად მრავალი განსაცდელისა  
არ დაუკარგავს.

➤ 6060

1932

### 21 ნოემბერი

სადილობს რესტორანში, შინ მიაქვს ღვინო, აკეთებს გაფუჭებულ ელექტროლუმელს, ოღია  
ოკუჯავა ბრუნდება გვიან, შლიან სუფრას და ერთმანეთს უზიარებენ დღის შთაბეჭდილებებს.

➤ 6061

1932

### 21 ნოემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ მოგზაურობა შეიძლება დაიწყოს აპრილიდან, გასტანოს სექტემბრის  
ჩათვლით და მოიაროს თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი და ახალციხის  
მხარე (სამცხე-საათაბაგო).

➤ 6062

1932

### 22 ნოემბერი

ოღია ოკუჯავას საწოლში მიაქვს მისთვის ჩაი და თავად სამსახურში მიდის. გალაკტიონი  
კითხულობს რომენ როლანის რომანს „ანეტა“. მოსწონს სიტყვები, რომ ეს წიგნი შინაგანი  
ცხოვრების ისტორიაა, რომელიც გულწრფელია, სავსეა სიხარულითა და მწუხარებით,  
წინააღმდეგობებით და გზასაცდენებით, ისწრაფვის მიუღწეველ ჭეშმარიტებამდე და სულის  
ჰარმონიამდე. თბილ, მზიან გალერეაში გასვლისას, გრძნობს ძლიერ სიხარულს, რომლის მსგავსი

მხოლოდ ბავშვობაში უგრძვნია. ცისარტყელას ფერები ეხვევა მის მომავალსა და მთელ მსოფლიოს. ფიქრობს, რაიმე დიადი რომ შექმნას, ბევრი ასეთი დღე უნდა ჰქონდეს.

➤ 6063

1932

### 22 ნოემბერი

ტრამვაიში წინა ბაქნიდან ასვლისთვის აჯარიმებენ 3 მანეთით.

➤ 6064

1932

### 22 ნოემბერი

სადამოს დომენტი არონიშიძეს ბოდბის მოხდით მიაქვს მისთვის ნათხოვარი თავისი ლამპა. გალაკტიონი რჩება სიბნელეში, რადგან მისი ელექტროლამპა დიდი ხანია გადამწვარია. ოლია ოკუჯავას სამსახურიდან დაბრუნებისას შინ მიაქვს სამოცდათხუთმეტსანთლიანი ნათურა და ანათებენ ოთახს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ რაიმე დიადის შესაქმნელად ბევრი სინათლეა საჭირო. კითხულობს ივან ბუნინის ლექსებს.

➤ 6065

1932

### 23 ნოემბერი

მზიანი ამინდია და აქვს კარგი სულიერი განწყობილება. მისთვის ოთხშაბათი რჩეული დღეა, როგორც ოდესღაც მარჩიელმა უთხრა. მაგრამ დღე აღმოჩნდება მისთვის მოულოდნელი კომპარებით სავსე: კარგავს შარფს, კალოშსა და ფულს.

➤ 6066

1932

### 25 ნოემბერი

ყინავს და არა აქვს პალტო, არც ფეხსაცმელი, არც ქუდი. ტელეფონი არ მუშაობს გადაუხდელობის გამო, გადაუხდელი აქვს ბინის ქირაც, ვერ გამოიხსნა შესაკეთებლად მიბარებული მისთვის ძვირფასი ნივთი და ალბათ გაუყიდიან, ვერ იღებს ჰონორარს, შვიდი თვე აგარაკზე ყოფნის შემდეგ ბრუნდებიან საზიზღარი მეზობლები, რომელთა არყოფნით ძლივს დაისვენა.

➤ 6067

1932

### 25 ნოემბერი

მიდის გიორგი ქუჩიშვილთან, სადაც ხვდება შალვა რადიანი, რომელიც ბევრს საუბრობს თავის გაჭირვებაზე. ხვდება, რომ ისინი მასზე უარეს მდგომარეობაში არიან.

➤ 6068

1932

### 25 ნოემბერი

უბის წიგნაკში წერს, რომ ხელოვნების სასახლეში ადამიანი გაიყინება როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად და არავითარი პერსპექტივა არ არის, რომ იქ შეიქმნას რაიმე დიადი.

➤ 6069

1932

### 25 ნოემბერი

მწერალთა სასახლეში ხვდება პლატონ კეშელავას, რომელიც საყვედურობს, რომ ორი თვის წინ გალაკტიონმა მასზე ილაპარაკა როგორც ცინიკოსზე.

➤ 6070

1932

**25 ნოემბერი**

ტრამვაიში ხვდება პანტელეიმონ ჩხიკვაძე, რომელიც აცნობებს, რომ 10 დეკემბერს მწერალთა სასახლეში ჩატარდება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პირველი პლენუმი, რის გამოც ის დაიბარეს ცენტრალურ კომიტეტში აზრის გამოსათქმელად. მან უთხრა, რომ ფედერაციაში ცუდი მდგომარეობაა და სანდრო ეული ვერ გაუძღვება ასეთ დიდ საქმეს. ის ცდილობს ცისფერყანწელების შემოკრებას სხვა ძალების ჩამოსაშორებლად, ყანწელები კი ჩვეულებრივად განაგრძობენ გალაკტიონის წინააღმდეგ ბრძოლას. ჩხიკვაძის თქმით, ის მათ დაუმტკიცებს, რომ ყველანი გალაკტიონისგან მოდიან და რომ გალაკტიონის რამდენიმე ლექსი იყიდის ყველა მათგანს. პოეტი ფიქრობს, რომ პანტელეიმონ ჩხიკვაძე აპირებს იერიშის მიტანას სანდრო ეულზე და ცდილობს ამ მიზნით მწერლების ნაწილის გადაბირებას. ფიქრობს, რომ არ გაბრიყვდება და მისი და ყანწელების დაპირისპირების გამოყენებით მათ თავიანთ საქმეს არ გაკეთებინებს.

➤ 6071

1932

**25 ნოემბერი**

მწერალთა სასახლეში ხვდებიან: ვასილ ბარნოვი, აპოლონ წულაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, შალვა კაშმაძე, ელიზბარ პოლუმორდვინოვი, რედაქტორები და მდივნები. ყველას ზრდილობიანად ხვდება, მაგრამ გულში ყველა ეზიზღება. ამიტომ არ არის თავის თავით კმაყოფილი.

➤ 6072

1932

**25 ნოემბერი**

მატერიალური გაჭირვების გამო ყიდის შარვალს.

➤ 6073

1932

**27 ნოემბერი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება დავით ნაცვლიშვილის („დონის“) მიერ დახატული, „ლიტერატურის გაზეთში“ მონაწილე მწერლების კარიკატურა, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძე გიორგი ქუჩიშვილთან ხელგადახვეული დგას.

➤ 6074

1932

**27 ნოემბერი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ალი არსენიშვილის სტატია „გარდაქმნის ნიშნის ქვეშ“, რომელშიც მიმოხილულია ქართული მწერლობის პრობლემები ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. აღნიშნულია, რომ ლენინური მსოფლმხედველობის გათავისება არ მომხდარა ერთი ხელის მოსმით. კლასობრივად უცხო იდეოლოგიის გავლენების აღმოფხვრის ამოცანა დგას ისეთი პოტენციის მქონე ძალებისა და საბჭოთა ლიტერატურის ოსტატობისთვის შეჯიბრებაში მდგომი მწერლების წინაშე, როგორცაა გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი და სერგო კლდიაშვილი.

➤ 6075

1932

**ნოემბერი**



მოსკოვის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ და სამეცნიერო-პოპულარულ ილუსტრირებულ ჟურნალში „30 დღე“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პრესა“ თარგმანი.

➤ 6076

1932

### ნოემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვიღაცამ თავის გამიხსნა ქალა...“.

➤ 6077

## დეკემბერი

1932

### დეკემბრამდე

საბჭოთა მწერლების კავშირთა სამხედრო კომისიის ხელმძღვანელობით გაზეთთან „წითელარმიელი“ არსდება ცენტრალური სამხატვრო-ლიტერატურული წრე, რომლის თავმჯდომარედ ირჩევენ გალაკტიონ ტაბიძეს და ამის შესახებ ინფორმაცია იბეჭდება ჟურნალში „მნათობი“.

➤ 6078

1932

### 3 დეკემბერი

დილით იღებს გრიგოლ ცეცხლადის წერილს, რომ მწერალთა კლუბის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს მისი შემოქმედების სადამოს გამართვა. სთხოვს, წერილის მიღებისთანავე, მივიდეს მწერალთა სასახლეში ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად.

➤ 6079

1932

### 3 დეკემბერი

მიდის მწერალთა სასახლეში გრიგოლ ცეცხლადესთან სადამოს შესახებ მოსალაპარაკებლად, მაგრამ აგვიანდება და ცეცხლადე არ ხვდება. მასობრივი სექტორის გამგისგან – რაჟდენ გვეტაძისგან იგებს, რომ სადამოს ორგანიზატორია მასსექტორი და მომხსენებლად შერჩეულია გიორგი ნატროშვილი, რომელმაც წინასწარ უნდა წარადგინოს თეზისები მონაწილეთათვის დასარიგებლად. გვეტაძის აზრით, ის ოპოზიციაში მყოფ ალი არსენიშვილზე უფრო ობიექტური იქნება. გალაკტიონი ასევე იგებს, რომ 16 დეკემბერს გამოვა „სალიტერატურო გაზეთის“ სპეციალური ნომერი ლექსით, წერილითა და სურათით. სადამო მოეწყობა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პირველ პლენუმამდე, რადგან პლენუმის შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძის სადამოა დანიშნული. გვეტაძე ჰპირდება, რომ სადამოს კარგად მოაწყობს.

➤ 6080

1932

### 3 დეკემბერი

მწერალთა სასახლეში იგებს, რომ პოეტი ივანე ყიფიანი ძალიან ავად არის.

➤ 6081

1932

### 3 დეკემბერი

მწერალთა სასახლეში მწერალთა კავშირის თანამშრომელს ნინო კლდიაშვილს უტოვებს განცხადებას სამოთახიანი ბინის თხოვნით.

➤ 6082

1932

### 3 დეკემბერი

ოლია ოკუჯავასთან ერთად სადილობს რესტორანში „პალასი“.

➤ 6083

1932

**3 დეკემბერი**

სალამოს მიდის სამკითხველოში და ათვალერებს გაზეთებს. ფიქრობს, რომ შემოქმედებითი სალამოს ჩატარება სახუმარო საქმე არ არის, დიდი გონიერება და ტაქტიკაა საჭირო.

➤ 6084

1932

**6 დეკემბერი**

დღიურში წერს, რომ „სალიტერატურო გაზეთში“ დაბეჭდილ ბესარიონ ჟღენტის სტატიაში „მეთხუთმეტე ოქტომბერი და ქართული მწერლობა“ და იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ ალი არსენიშვილის სტატიაში „გარდაქმნის ნიშნის ქვეშ“ მის შესახებ იყო შენიშვნები.

➤ 6085

1932

**6 დეკემბერი**

დღიურში წერს, რომ მოსკოვის ჟურნალში „როსტ“ დაბეჭდილ წერილში ბენიტო ბუაჩიძე ისევ იმავე საქებარ სიტყვებს იმეორებს გალაკტიონის შესახებ, რომლებსაც 5-6 წლის წინ წერდა. იმავე ნომერში დაბეჭდილია მისი წიგნის „ეპოქა“ ყდა.

➤ 6086

1932

**6 დეკემბერი**

მწერალთა სასახლეში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების სალამო ინიშნება 16 დეკემბერს, მომხსენებლად მიწვეულია შალვა რადიანი. გალაკტიონი ფიქრობს, რომ საჭიროა დიდი ენერგია და ტაქტიკა.

➤ 6087

1932

**6 დეკემბერი**

ირჩევენ „საბჭოთა მწერლობასთან“ არსებული სამხედრო კომისის წევრად.

➤ 6088

1932

**6 დეკემბერი**

წინა დღის დაუდევრობის გამო მთელი დღე და ღამე წევს საწოლში. არა აქვს ფული, პალტო და ფეხსაცმელი.

➤ 6089

1932

**6 დეკემბერი**

ამთავრებს რომენ როლანის მე-VI ტომის კითხვას და იწყებს მიხეილ ბაკუნინზე ვიაჩესლავ პოლონსკის მონოგრაფიას.

➤ 6090

1932

**6 დეკემბერი**

წითელი არმიის შტაბში ესწრება ცენტრალური სამხედრო სალიტერატურო წრის დამფუძნებელ კრებას. მტკიცდება დებულება და კალენდარული გეგმა. იღებენ გადაწყვეტილებას, რომ გამოვა დეკადური სამხედრო სალიტერატურო გაზეთი და ყოველთვიური ჟურნალი. გალაკტიონს ირჩევენ მთავარ ხელმძღვანელობაში, აქტიურად მომუშავე წითელარმიელ მწერალთა ბიუროს თავმჯდომარედ. ჰყავს მოადგილე და მდივანი. წრეს ექნება კავშირი პერიფერიებთან, მთელი საქართველოს წითელ ჯართან. ეს სამუშაო ძალიან აინტერესებს და ყველა სიმპატიით უყურებს.

➤ 6091

1932

### 6 დეკემბერი

წითელი არმიის შტაბში გამართულ ცენტრალური სამხედრო სალიტერატურო წრის დამფუძნებელ კრებაზე ირაკლი აბაშიძე ეუბნება, რომ ქართული ლიტერატურის შესახებ ახალგამოცემულ წიგნში მიხეილ ზანდუკელი გალაკტიონის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევს.

➤ 6092

1932

### 8 დეკემბერი

დღიურში წერს მწერალთა კავშირთან არსებული სამხედრო კომისიის წევრთა სიას: კალე ბობოხიძე, სიმონ ჩიქოვანი, ერასტი ტოროტაძე, ნიკოლოზ ბლუაშვილი, იოსებ ბუაჩიძე, გიორგი ჯიბლაძე, გრიგოლ ცეცხლაძე, დავით სულიაშვილი, ალექსანდრე ყანჩელი, კარლო კალაძე. აღნიშნავს, რომ იმ საღამოს კრებას დაესწრებიან საბჭოთა მწერლების კავშირიდან სამხედრო თემებზე მომუშავე ყველა მწერალი და არმიის ნაწილებიდან დამწყები სამხედრო მწერლები. წარმატების მისაღწევად მთავარ საკითხად მიაჩნია ხალხის შერჩევა და სიტუაციის სწორად გამოყენება.

➤ 6093

1932

### 9 დეკემბერი

მიდის ხელოვნების სასახლეში, სადაც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პირველი პლენუმისთვის მზადებაა, რომელიც ძირითადად გამოიხატება ზურგს უკან ერთმანეთის დაცინვასა და ლანძღვაში. ფიქრობს, რომ უმთავრეს როლს ითამაშებს პარტიის ცენტრალური კომიტეტი, გაიმარჯვებენ და სათავეში მოხვდებიან ისინი, რომლებსაც მეგობრული ან ნათესაური ურთიერთობა აქვთ ცეკასთან, მაგრამ არ ენდობიან მწერლები. არ იცის, იქნება თუ არა მისი მხარდამჭერი ცეკაში მომუშავე გიორგი ყურულაშვილი, რომელსაც დაეყრდნობიან ცისფერყანწელები და სხვები, თუ არ აჩვენა საბუთი, რომ ის მუშაობს. თუმცა, თვითონ უნდა იცოდნენ, რომ არ მისცეს მუშაობის შესაძლებლობა და მწერლებსაც ძალით ჩამოაშორეს.

➤ 6094

1932

### 9 დეკემბერი

დღიურში წერს, რომ „სალიტერატურო გაზეთის“ ნომერი იგვიანებს, შემდეგი ნომერი კი, რომელიც უნდა მიედგინას მის შემოქმედებით საღამოს, 16 დეკემბრისთვის ვერ მოესწრება და საღამოც ვერ გაიმართება. ამიტომ მთელი ენერჯია და ყურადღება უნდა მიმართოს სამხედრო წრისა და პლენუმისაკენ, მწერალთა მასისა და ცენტრალური კომიტეტისკენ. იქ უნდა გადაწყდეს მისი ფიზიკური და მორალური არსებობის საკითხი. აპირებს ცეკასთან დაკავშირებას, რომ ნიღაბი ახადოს მოწინააღმდეგეებს და ძვირად დაუჯინოს „საბჭოთა მწერლებს“ მისადმი არა-ადამიანური დამოკიდებულება. დიდი ხნის გამოცდილებიდან იცის, ვინ არის მტერი და ვინ

მოყვარე. მასაც აქვს შანსები და მომხრეებმა ხმა უნდა ამოიღონ, რადგან ნეიტრალურობის დრო აღარ არის.

➤ 6095

1932

### 9 დეკემბერი

გრიგოლ ცეცხლაძე ეუბნება, რომ თბილისში სხვადასხვა პროფესიულ ორგანიზაციასთან არსებობს ექვსი სალიტერატურო წრე. ეს ორგანიზაციებია: ტრამვაის თანამშრომელთა კლუბი, სტალინის სახელობის კლუბი, მეტყავეთა, აბრეშუმის ფაბრიკასთან არსებული და სხვ. გალაკტიონი ფიქრობს ყველა ამ წრის გამოყენებას საიუბილეოდ.

➤ 6096

1932

### 9 დეკემბერი

დღიურში წერს საპლენუმო მანევრების შესახებ. ტიცინ ტაბიძე აგინებს ყველას, ამბობს, რომ სიმონ ჩიქოვანი თანახმდება, იმუშაოს კალე ბობოხიძესთან. ეწყობა სუფრები, სადაც მწერლები ხვდებიან ერთმანეთს. სასადილოს მოწყობა ნიკოლო მიწიშვილისთვის თავის გასამართლებელი მიზეზი იქნება კითხვაზე – თუ რატომ არ გამოიციემა წიგნები. პაოლო იაშვილი მუშათა კლუბებში კითხულობს ლექსებს. გალაკტიონი ასკვნის, რომ ყველაფერი საიდუმლოების ბურუსითაა მოცული.

➤ 6097

1932

### 9 დეკემბერი

დღიურში წერს, რომ სამხედრო სალიტერატურო წრეს იმთავითვე უთხრიან ძირს. სხვა მხრივ ვერ აიხსნება წითელი არმიის შტაბში წრის დამფუძნებელ კრებაზე მწერლების – სიმონ ჩიქოვანის, ტიცინ ტაბიძის, კარლო კალაძის, ალიო მამაშვილის, ფრიდონ ნაროშვილის, გიორგი კაჭახიძის, ალექსანდრე სულავას, ვარლამ ჟურულის, გრიგოლ ცეცხლაძის, ალიო ადამიას, ვიქტორ გაბესკირიას, კარლო მელაძე, ბორის ჩხეიძისა და მიხეილ ჩიქოვანის – დაუსწრებლობა, რაც უმაგალითო ბოიკოტია.

➤ 6098

1932

### 9 დეკემბერი

დღიურში წერს, რომ საზიზღრობაა სახელგამის კრებაზე სიმონ ჩიქოვანის განაცხადი, რომ კალე ბობოხიძესთან მუშაობას ვერ იკადრებს. უკვირს, რატომ არ უნდა იკადროს სიმონ ჩიქოვანმა ბობოხიძესთან მუშაობა, რომელიც დადებითი ახალგაზრდა მწერალია, შეუძლია მუშაობა და ხელმძღვანელობა, არ აქვს თავზე დიდი წარმოდგენა, აქვს ანალიზის უნარი. ფიქრობს, რომ მათ უნდათ უფროსობა და ვერ იმუშავენ იქ, სადაც გალაკტიონ ტაბიძეა, რომლის ავტორიტეტი დიდი ხანია აშინებთ. ეს შეცდომად მიაჩნია, რადგან ის ხელს არავის უშლის და მანც ეშინიათ მისი არარსებული მედიდურობის. ამის დამღვევა შეიძლება სოლიდარობით, მაგრამ მათ ეს გრძნობა არ აქვთ და საჭიროა ბრძოლა. კალე ბობოხიძე აფასებს მას და ყველა მწერალზე წინ აყენებს, გაჰყავს ბიუროს თავმჯდომარედ. მათ კი უნდათ, პლენუმის წინ გზა მოუჭრან და ჩიხში შეიყვანონ. მას თავმჯდომარეობა არ უნდა, მხოლოდ სურს დაცინვას გადააჩვიოს ზოგიერთი ცინიკოსი. ასკვნის, რომ რაიმე დიადის შესაქმნელად არ უნდა ეშინოდეს მომავალი დღის და საჭიროა კარგი რეკლამა.

➤ 6099

1932

### 9 დეკემბერი

დღიურში წერს, რომ „ფედერალისტები“ გამოცოცხლდნენ. პეტრე მირიანაშვილმა წაიკითხა „ილიადასა“ და „ოდისეის“ თარგმანების ფრაგმენტები, მომდევნო დღეს კი ხელოვნების სასახლეში კონსტანტინე ჭიჭინაძე აპირებს ეპოსის „სიმღერა ნიბელუნგებზე“ თარგმანის წაკითხვას. გალაკტიონს აინტერესებს, ვინ დაესწრება ამ ღონისძიებას, ზოგადად, ვინ ეხმარება ფედერალისტებს მწერალთა კავშირში და ვინ იყო მწერალთა გამცხრილავ ბიუროში წინა პლენუმის დროს. წუხს, რომ თავად ვერ დაესწრება 10 დეკემბრის საღამოს, რადგან სამხედრო წრის კრებაზე უნდა იყოს.

➤ 6100

1932

10 დეკემბერი

გაზეთში „წითელ-არმიელი“ იბეჭდება ცნობა გალაკტიონ ტაბიძის „ცენტრალური სამხედრო სალიტერატურო წრის“ თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ.

➤ 6101

1932

11 დეკემბერი

„სალიტერატურო გაზეთის“ ახალ ნომერში კითხულობს, რომ მწერალთა სასახლეში მისი საღამო უნდა გაიმართოს 16 დეკემბერს. ფიქრობს, რომ იქ არავინ იცის, ვინ რას აკეთებს – გრიგოლ ცეცხლაძემ გადაადო საღამო, რაჟდენ გვეტაძემ კი, გაზეთში გამოაცხადა საღამოს ჩატარების შესახებ ცნობა, როცა ერთმანეთს ერთი ოთახი აშორებთ. რადგან რაჟდენ გვეტაძე ცისფერყანწელია, ასკვნის, რომ ყანწელები მის წინააღმდეგ პროვოკაციის მოწყობას ცდილობენ.

➤ 6102

1932

11 დეკემბერი

დღიურში წერს, რომ სამხედრო ლიტერატურული წრე თანდათან მტკიცდება, მაგრამ ორგანიზება აკლია – არ ჩატარებულა ფართო კამპანია სამხედრო მწერლების აღრიცხვაზე ასაყვანად, არ აქვს ფული, გაუგებარი დაბნეულობაა და მწერლების დამოკიდებულება ისევ ძველებურია. ფიქრობს, რომ ამას ბოლო უნდა მოეღოს.

➤ 6103

1932

11 დეკემბერი

ესწრება მეორე დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსთან – პლატონ მიროტაძესთან ჩატარებულ კრებას, რომელზეც წყდება ჟურნალის გამოცემის საქმე. ფულს მისცემთ განათლების სახალხო კომისარიატი. ხელოვნების სასახლეში გასამართ სამხედრო საღამოზე მოხსენებით გამოვა დივიზიის უფროსი – ნიკოლოზ ბლუაშვილი.

➤ 6104

1932

11 დეკემბერი

გაზეთში „წითელარმიელი“ გამოსაქვეყნებლად მიაქვს უსათაურო ლექსი „რწმენით იარ, იარ, იარ...“. ხვდება ქუთაისელ ახალგაზრდა პოეტს ექვთიმე ჭანიშვილს, რომელსაც მიაქვს უზარმაზარი ლექსი და იცავს ფრაზას: „ღამე სხდებოდა მთაში გლეხურად“.

➤ 6105

1932

11 დეკემბერი

მწერალთა სასახლეში ალექსანდრე ქუთათელი ეუბნება, რომ ჟურნალი „საბჭოთა მწერლობა“, რომლისგანაც გალაკტიონი ჰონორარს ელოდება, 13 დეკემბერს გამოვა, სტამბაში კი იგებს, რომ ამ დროისთვის ვერ მოესწრება. უბის წიგნაკში იწერს, რომ ქუთათელმა ისევ მოატყუა.

➤ 6106

1932

11 დეკემბერი

მწერალთა სასახლეში დაპირისპირებებია. კალე ბობოხიძე კომკავშირელ ალექსი გომიაშვილს ამბიციურობაში ამხელს, რაზეც ის პასუხობს, როდემდე უნდა ეფარო სხვის ჩრდილსო. სამხედრო სალიტერატურო წრის წევრი – სიმონ ჩიქოვანი კალე ბობოხიძეს ეუბნება, ვინ მიბედავს კატეგორიული განცხადებების წერასო, ის კი პასუხობს, თუ არ გნებავს მუშაობა, სხვას გამოგზავნიანო. გალაკტიონი აკვირდება ამ ურთიერთობებს და ცდილობს გამოიცნოს, ვინ როგორია და რა ამოძრავებთ.

➤ 6107

1932

11 დეკემბერი

რაჟდენ გვეტაძე ეუბნება, წითელ დაფაზე უნდა გამოგაკრათო და თან „სალიტერატურო გაზეთში“ განცხადებას აძლევს მწერალთა სასახლეში გალაკტიონ ტაბიძის დაგეგმილი სადამოს შესახებ, კალე ბობოხიძისთვის კი თითქოს უთქვამს, გალაკტიონი ვერ იმუშავებსო. პოეტი ფიქრობს, რომ არ უნდა ენდოს ასეთ პიროვნებას, რომელიც ათას რამეს ჰპირდება, მაგრამ არაფერს აკეთებს.

➤ 6108

1932

11 დეკემბერი

გალაკტიონს კარგი წარმოდგენა უყალიბდება კალე ბობოხიძეზე. ფიქრობს, რომ ის არ არის ამბიციური, მუშაობაც შეუძლია და ხელმძღვანელობაც. ამის შესახებ პოეტი დღიურში წერს და იქვე იმედს გამოთქვამს, რომ არ ცდება.

➤ 6109

1932

11 დეკემბერი

მწერალთა სასახლეში სანდრო ეული ეკითხება უპალტოობის შესახებ.

➤ 6110

1932

11 დეკემბერი

მწერალთა სასახლეში იგებს, რომ ალი არსენიშვილს სამხედრო მწერლების წრეში ჰყავს 40 კაცი.

➤ 6111

1932

11 დეკემბერი

მწერალთა სასახლეში პლატონ მიროტაძე ეუბნება, რომ მისი შემოქმედებითი სადამოს მოწყობას მხოლოდ ერთი დღე სჭირდება.

➤ 6112

1932

11 დეკემბერი

მწერალთა სასახლეში კალე ბობოხიძე ეუბნება, რომ მისი შემოქმედებითი საღამო აუცილებლად უნდა ჩატარდეს და რომ ამის შესახებ სანდრო ეულისთვის უნდა ეთქვა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ არაფერი აქვს ვინმესთვის შესახვეწი.

➤ 6113

1932

### 11 დეკემბერი

დღიურში წერს, რომ მის გარშემო იგრძნობა ინტრიგები, საბჭოთა მწერლობის პირველი პლენუმის მოახლოების გამო, რადგან ის ძალაა და სხვადასხვა ჯგუფი ცდილობს მის გადაბირებას. ამიტომ მისი შემოქმედებითი საღამოსთვის მედგრად უნდა ემზადოს, რადგან ფედერაციის მხრიდან დიდ უსინდისობას გრძნობს და უნდა ანანებინოს.

➤ 6114

1932

### 11 დეკემბერი

მიდის სტამბაში, სადაც იბეჭდება გაზეთი „წითელარმიელი“ მისი ლექსით „რწმენით იარ, იარ, იარ...“.

➤ 6115

1932

### 12 დეკემბერი

გაზეთში „წითელარმიელი“ აქვეყნებს უსათაურო ლექსს „რწმენით იარ, იარ, იარ...“.

➤ 6116

1932

### 12 დეკემბერი

ნახულობს გაზეთში „წითელარმიელი“ პირველ ადგილას, ორ სვეტად მოთავსებულ მის ლექსს „რწმენით იარ, იარ, იარ...“, რომლის პირველი სტრიქონები უფერულია და საერთოდ არ ჩანს. სურვილი აქვს, შეიტყოს, რატომ მოხდა ასე – სტამბას არ აქვს კარგი საღებავი თუ პიროვნული დაუდევრობაა.

➤ 6117

1932

### 12 დეკემბერი

დღიურში წერს, რომ დღემ ჩაიარა შესანიშნავად, მისი შინაგანი მეორე „მე“ იყო მშვიდი და ნათელი.

➤ 6118

1932

### 14 დეკემბერი

ხელოვნების სასახლეში ესწრება კარლო კალაძის მოხსენებას ქართული თანამედროვე ლიტერატურის შესახებ. საუბრობს ყველაზე, მათ შორის, გალაკტიონზეც. ამბობს, რომ ის უდიდესი თანამედროვე პოეტია, მოკავშირე და თანამგზავრი, მაგრამ ხანდახან იმას ლაპარაკობს, რაც ენაზე მოადგება. კალე ბობოხიძე კითხულობს გალაკტიონის ლექსს და საუბრობს თავდაცვით ლიტერატურაზე. სიმონ ჩიქოვანი ცდილობს ფრაქციის შექმნას. გამსახურდია თავისთვის არის, სიმონ ჩიქოვანი ახსენებს რაღაც ნარკვევს, რომელსაც თითქოს წამყვანი როლი აქვს ქართულ ლიტერატურაში. ის თავის გვერდით ასახელებს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, კარლო კალაძეს და ფრიდონ ნაროუშვილს, რაზეც გალაკტიონი ფიქრობს, რომ ის ტიპური ფრაქციონერია. ხვდებათ კრიტიკოსებსაც. პოეტი ასკვნის, რომ შეკრებაზე მწერალთა

ჯგუფობრიობა გამოჩნდა ისე, როგორც არასდროს და ყოველივე ეს მანევრებია საქართველოს საბჭოთა მწერლობის პირველი პლენუმისათვის.

➤ 6119

1932

**6-15 დეკემბერი**

ას მანეთს ართმევს ბარონ ბიბინეიშვილს შემოქმედებითი საღამოს მოსაწყობად.

➤ 6120

1932

**15 დეკემბერი**

კალე ბობოხიძე მედიდური ტონით ეუბნება, დღეს მასალები მზად უნდა იყოსო, არადა თავად არ გააკეთა ის, რაც ევალეზოდა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ბობოხიძე სანდრო ეულის გავლენის ქვეშ არის და რაღაცებში მას ბაძავს. ასეთი დამოკიდებულება გალაკტიონს ბრძოლის ძალას და გამარჯვების რწმენას ჰმატებს.

➤ 6121

1932

**16 დეკემბრამდე**

განცხადებით მიმართავს მეორე დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროს პლატონ მიროტაძეს და როგორც სამხედრო მწერალთა ცენტრალური წრის თავმჯდომარე აცნობებს, რომ არა აქვს ზამთრის პალტო და ფეხსაცმელი და ითხოვს, რომ გამოუყონ მაზარა და ჩექმები.

➤ 6122

1932

**16 დეკემბრამდე**

ესწრება სანდრო ეულის საღამოს, რომელიც ძალიან უგულოდ ტარდება. ფიქრობს, რომ ხალხი ენერგიას ინახავს საქართველოს საბჭოთა მწერლობის პირველი პლენუმისთვის.

➤ 6123

1932

**16 დეკემბერი**

ხელოვნების სასახლეში მწერალთა პრეზიდიუმის კრებაზე შალვა რადიანს უტყვევენ. სახელმწიფო გამომცემლობა ეყრდნობა მწერალთა ფედერაციის გავლენიან წევრებს და მას ძალიან ცუდად ექცევიან. რადიანი ისეთი დაშინებულია, რომ ჟურნალის „საბჭოთა მწერლობა“ მეორე ნომრის მასალაზე ლაპარაკისას, გალაკტიონ ტაბიძეს ძლივს ახსენებს. გალაკტიონისთვის გასაგებია, რადგან ხშირად საუბრობენ წითელ და თეთრ ხალტურაზე, მას უნდათ მიაწერონ პირველი ეპითეტი, მაგრამ არ გაუვათ, სალიტერატურო გაზეთი უნდა აიღოს იერიშით. მასზე იერიშითვე მიდიან ის მწერლებიც, რომლებსაც თავიანთ სასარგებლოდ სურთ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 23 აპრილის დადგენილებისა და მწერალთა ცალკეული ორგანიზაციების გაუქმების გამოყენება.

➤ 6124

1932

**16 დეკემბერი**

ხელოვნების სასახლეში თავმჯდომარეობს სამხედრო მწერლების კრებას.

➤ 6125

1932

**16 დეკემბერი**



დღიურში წერს, რომ დაუშვა დიდი შეცდომა, როდესაც მეორე დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსს – პლატონ მიროტაძეს განცხადებით მიმართა და პალტოს უქონლობის გამო, მისთვის სამხედრო მაზარის მიცემა ითხოვა. ფიქრობს, რომ არ უნდა გადაედგა ჯერჯერობით ეს ნაბიჯი. იქვე აღნიშნავს, რომ სამხედრო ლიტერატურული წრის ხელმძღვანელს – კალე ბობოხიძეს, სამხედრო სამუშაოზე მეტად პირადი საქმეები აინტერესებს. ის არაფერს აკეთებს წითელარმიელებში წრეების ჩამოსაყალიბებლად და ძალიან იჭრება გალაკტიონის, როგორც თავმჯდომარის ფუნქციებში. ბობოხიძე უმიზეზოდ დაესხა თავს დავით დემეტრაძეს, ებრძვის ალექსი გომიაშვილს და სიმონ ჩიქოვანს. გიორგი ნატროშვილს მისი წიგნის წინასიტყვაობის მოპარვას აბრალებს და სხვ. ამით კალე ბობოხიძე გალაკტიონსაც აყენებს უხერხულ მდგომარეობაში, რადგან ბევრს ჰგონია, რომ ის ბობოხიძეს ემხრობა. ბობოხიძე სანდრო ეულის იმედით არის დიდ გულზე და არ იცის, რომ ის მემარჯვენეებს ეყრდნობა.

➤ 6126

1932

### 16 დეკემბერი

ხელოვნების სასახლეში ესწრება მწერალთა პრეზიდიუმის კრებას, რომელზეც ალექსი გომიაშვილი გაკვირით ლაპარაკობს გალაკტიონის შემოქმედებითი სადამოს შესახებ. ვარლამ ჟურული კითხულობს, პირველ ადგილზე ყოველთვის გალაკტიონს რატომ აყენებენ.

➤ 6127

1932

### 16 დეკემბერი

ტიციან ტაბიძე ხელოვნების სასახლეში გამართულ მწერალთა პრეზიდიუმის კრებაზე გალაკტიონის შემოქმედებით სადამოსთან დაკავშირებით აცხადებს, დავით დემეტრაძემ შემოგვთავაზა, დროულად შევატყობინოთ მისი ჩატარების დრო, რომ გაზეთში მასალები გამოაქვეყნონო.

➤ 6128

1932

### 24-28 დეკემბერი

ავადმყოფობს, წევს საწოლში, შიმშილობს, სასოწარკვეთილია უპალტობის გამო და არავინ კითხულობს მის ამბავს. წუხს, რომ ოლია ოკუჯავაც სწორედ მაშინ იკარგება, როდესაც ავად არის და წყლის მიმწოდებელი არ ჰყავს.

➤ 6129

1932

### 31 დეკემბრამდე

ბევრჯერ მარცვავენ – ართმევენ პალტოს, პიჯაკს დოკუმენტებით, ფეხსაცმელებს და კალოშებს, სამ ქუდს და ორ ახალი კაშნეს.

➤ 6130

1932

### 31 დეკემბრამდე

მთელი წლის განმავლობაში ძალიან ცუდად იკვებება. ეს აისახება მის განწყობაზე და ყველაფრის ხალისს ჰკარგავს.

➤ 6131

1932

### 31 დეკემბრამდე

ხდება გესლიანი, იშორებს ბევრ კარგ მეგობარს და იახლოვებს მათ, რომლებიც მარცვავენენ.

➤ 6132

**1932**

**31 დეკემბრამდე**

პენსიის ფულს ყოველთვის წინასწარ იღებს, მაგრამ მხოლოდ ორი დღე ყოფნის.

➤ 6133

**1932**

**31 დეკემბრამდე**

„ეპოქის“ ჰონორარს ნაწილ-ნაწილ იღებს და მალევე ეხარჯება.

➤ 6134

**1932**

**31 დეკემბრამდე**

ას მანეთს სესხულობს აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისგან და ვერ უბრუნებს.

➤ 6135

**31 დეკემბრამდე**

ას მანეთს ართმევს რომელიღაც ორგანიზაციას, რომლის სახელი არ ახსოვს.

➤ 6136

**1932**

**31 დეკემბრამდე**

თბილისში მასთან ჩადის ძმა, აბესალომ ტაბიძე. ცდილობს, ცხოვრების წესი შეაცვლევინოს, მაგრამ გალაკტიონი არ უსმენს და უკან ბრუნდება.

➤ 6137

**1932**

**17-31 დეკემბერი**

ქართულ კლუბში 16 დეკემბერს დანიშნული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო არ ტარდება, რადგან გალაკტიონს მის ორგანიზებაში არავინ ეხმარება.

➤ 6138

**1932**

**17-31 დეკემბერი**

ყველა რაღაცას საყვედურობს, არ აქვს ფული, დადის დახეული ფეხსაცმლით და ამ საშინელი კრიზისის დროს ხელს არავინ უწვდის.

➤ 6139

**1932**

**17-31 დეკემბერი**

დღიურში წერს, რომ აქვს ერთადერთი მიღწევა – შოულობს პალტოს.

➤ 6140

**1932**

**17-31 დეკემბერი**

ფიქრობს თვითმკვლელობაზე, თუმცა, ეგონა, რომ ეს ფიქრი სამუდამოდ ჰქონდა ჩამოშორებული.

➤ 6141

1932

**27-31 დეკემბერი**

ესწრება ეგნატე ნინოშვილის სახელობის მწერალთა კლუბში გამართულ საქართველოს მწერლების კავშირის პირველ პლენუმს, ისმენს მოხსენებებს და მონაწილეობს კამათში.

➤ 6142

1932

**27-31 დეკემბერი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პირველ პლენუმზე ისეთი კრიტიკული სიტყვით გამოდის, რომ ყველა მწერალს ანაწყენებს.

➤ 6143

1932

**31 დეკემბერი**

დღიურში აჯამებს განვლილი წლის მოვლენებს. რადგან ბევრი შეცდომა დაუშვა, ძალიან ცოტა რამ იყო კარგი – წიგნად გამოიცა ლექსების ციკლი „რევოლიუციონური საქართველო“ და იმოგზაურა. ცუდი კი, იმდენი გადაიტანა, რომ გახსენებაც არ უნდა. მასთან ხუთი წლის მანძილზე არც ერთი მეგობარი მისულა. ფიქრობს, რომ უბედურებაა, მოკვდეს თავის ოთახში და გაიგონ მხოლოდ 15 დღის შემდეგ, როდესაც გახრწნის სუნი ეზოში გავა.

➤ 6144

1932

**31 დეკემბერი**

საათს აყენებს სწორედ თორმეტზე, რომ მისმა რეკვამ შეატყობინოს ახალი წლის დადგომა. ასუფთავებს ოთახს, ანთებს ელექტრონათურებს. უნდა, რომ მხიარულად შეხვდეს ახალ წელს და დაივიწყოს უკანასკნელი დღეების კომმარები.

➤ 6145

1932

**დეკემბერი ან შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს კარლო კალაძის პოემას „უჩარდიონი“ და პირველ გვერდზე აწერს შენიშვნებს.

➤ 6146

1932

მარჯანიშვილის თეატრის წინ ქუჩაზე გადასვლისას ორი უცნობი ახალგაზრდა ეხმარება და გალაკტიონი მათ რესტორანში პატიჟებს. თანხის გადახდას რომ დააპირებს, აღმოჩნდება, რომ ფული არ ჰყოფნის და ძალიან შეწუხდება. ოფიციალტი ეუბნება, რომ არაფერია საჭირო რადგან წინა სადილობისას დანახარჯზე ორჯერ მეტი თანხა დაუტოვა. გალაკტიონი მადლობას უხდის და ახალგაზრდებს, რომელთაგან ერთი წალენჯიხელი პოეზიის მოყვარული იროდიონ ხარჩილავაა, მომდევნო დღეს თავისთან ეპატიჟება.

➤ 6147

1932

იროდიონ ხარჩილავა და მისი მეგობარი გალაკტიონთან მიდიან და გულთბილად საუბრობენ. როდესაც სტუმრები ტერენტი გრანელს ახსენებენ, გალაკტიონი ეუბნება, რომ ტერენტი მისი სულიერი მეგობარია, აქებს მის გენიალურ, ხალას ნიჭს და გამოთქვამს წუხილს მისი უკურნებელი ავადმყოფობის გამო.

➤ 6148

**1932**

წერს ლექსს „მკვლელების კაფე“.

➤ 6149

**1932**

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავისადმი მიძღვნილ ლექსთა კრებულში „ერთხმად“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „პოეტი და ოქტომბერი“.

➤ 6150

**1932**

წერს ლექსს „N-ს“ („რასა გეცხარ! ცბიერი...“).

➤ 6151

**1932**

**22 მაისი**

სალამოს 7 საათსა და 40 წუთზე წერს უსათაურო ლექსს „მზე შენს ცდაში გადიხარა...“.

➤ 6152

**1932**

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავისადმი მიძღვნილ ლექსთა კრებულში „ერთხმად“ ირაკლი აბაშიძის, ალექსანდრე აბაშელის, ვალერიან გაფრინდაშვილის, რაჟდენ გვეტაძის, ვასილ გორგაძის, სანდრო ეულის, ნოე ზომლეთელის, პაოლო იაშვილის, კარლო კალაძის, გიორგი კაჭახიძის, გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ალიო მაშაშვილის, ილო მოსაშვილის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 6153

**1932**

ენისა და ტერმინოლოგიის კომისიისა და სახელმწიფო გამომცემლობის კურს-კონფერენციის „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის“ ბუკლეტში აკეთებს ხაზგასმებს და წერს შენიშვნებს: „Goethe – გოთე“-სთან დაკავშირებით. წერს, რომ არსებობს სხვა ფორმებიც – გიოტე (ილია ჭავჭავაძე), გიოთე და გოეთე (გრიგოლ რობაქიძე), გეტე (ტიციან ტაბიძე), გოეტე (კონსტანტინე გამსახურდია), გოთე (სიმონ ჯანაშია). Ct კომპლექსის ქტ-დ და არა კტ-დ გადმოცემაზე – აღნიშნავს, რომ შესასწავლია, რადგან ეწინააღმდეგება სილოვან ხუნდაძის სწორ შეხედულებას: კტ (მაგარ ასოსთან მაგარი) და ქთ (რბილთან რბილი). ფიქრობს, რომ ძალიან რბილში გადასვლა აუპიროვნებს ენას და ამას ცდილობენ მეგრელები, რომლებიც ბავშვებივით იჩლექენ ენას. მართალია, ამ წერილის ავტორი არამეგრელი სიმონ ყაუხჩიშვილია, მაგრამ, გალაკტიონის აზრით, ის გვერდით უდგას მეგრულ სიმონ ჯანაშიას.

➤ 6154

**1933**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1933**

**12 იანვარი**

ყიდულობს თბილისიდან ბათუმამდე რკინიგზის და ბათუმიდან სოხუმამდე გემის ბილეთს. გადაწყვეტილი აქვს, უკანასკნელი 14 დღის განმავლობაში განცდილი სამინელებების გამო, როცა არაფრის და არავის იმედი აღარ აქვს, ღამით გემიდან ზღვაში გადავარდეს.

➤ 6155

**1933**

## 12 იანვარი

ბათუმისკენ მიმავალ მატარებელში დაემგზავრება მთავრობასთან შერიგებული ორი ყაჩაღი და სამი ქალი, ერთი მდინარე დონის აუზიდან, მეორე გურიიდან და მესამე – კომკავშირელი. დიდხანს საუბრობენ.

➤ 6156

## 1933

### 13 იანვარი

ჩადის ბათუმში, თბილა, ზღვა წყნარია, ყვავიან პალმები და მანდარინები. ხვდება მაჰმადიანი აჭარელი, რომელიც აოცებს თავისი სტუმართმოყვარეობით, ასევე ენთუზიასტი ახალგაზრდები. ნავსადგურში დგას უცხოელების რამდენიმე მშვენიერი გემი. სულიერი განწყობილება დიდი წვალეების შემდეგ თანდათან უუმჯობესდება და თვითმკვლელობაზე ფიქრები ქრება.

➤ 6157

## 1933

### 14 იანვარი

ბრუნდება ბათუმიდან თბილისში, სადაც საშინლად ცივა და გადაუღებლად თოვს.

➤ 6158

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

## 1933

### 3 თებერვალი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება „სამხედრო მწერლები რადიოში“, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე დღის საღამოს 9 საათზე მოეწყობა სამხედრო ლიტერატურული რადიო-გადაცემა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ილო მოსაშვილი, კალე ბობოხიძე და სხვები.

➤ 6159

## 1933

### 14 თებერვალი

უძღვნიან ლექსს, რომელიც აღაშფოთებს.

➤ 6160

## 1933

### 17 თებერვალი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება „სამხედრო ლიტერატურული რადიო გადაცემა“. მასში ნათქვამია, რომ მიმდინარე დღეს საღამოს 8 საათზე მოეწყობა სამხედრო ლიტერატურული რადიო-გადაცემა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, კალე ბობოხიძე, ალექსანდრე შანიძე, რაჟდენ გვეტაძე, ირაკლი აბაშიძე და სხვა ავტორები, ასევე, დამწყები მწერლები წითელი არმიის ნაწილებიდან.

➤ 6161

## 1933

### 18 თებერვალი

14 თებერვალს მისთვის მიძღვნილ ლექსს იმავე ფურცელზე მიაწერს, რომ ამ ლექსში მისი დახასიათება კი არა, საზიზღარი დაცინვაა.

➤ 6162

## 1933

### 21 თებერვალი

გაზეთის „კომუნისტი“ რუბრიკაში „ქრონიკა“ სათაურით „წითელარმიის 15 წლისთავის აღსანიშნავი ლიტერატურული საღამო“ იბეჭდება განცხადება, რომ მიმდინარე დღეს, საღამოს 8 საათზე მეექვსე სამხედრო დანაყოფში გაიმართება ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მწერლები: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კალე ზობოხიძე, გიორგი კაჭახიძე, ექვთიმე ჭანიშვილი და სხვები.

➤ 6163

**1933**

### **21 თებერვალი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ქრონიკა, რომ წითელი არმიის 15 წლისთავის აღსანიშნავად იმ დღეს მე-6 ლეგიონში იმართება ლიტერატურული საღამო გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილისა და სხვა მწერლების მონაწილეობით.

➤ 6164

**1933**

### **21 თებერვალი**

მწერალთა კლუბში იმართება წითელი არმიის 15 წლისთავის აღსანიშნავი ლიტერატურული საღამო გალაკტიონ ტაბიძის მონაწილეობით.

➤ 6165

**1933**

### **21 თებერვალი**

წერს უსათაურო ლექსს „ოღლია თუ ზადეა...“.

➤ 6166

**1933**

### **23 თებერვლამდე**

წერს ლექსს „ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს“.

➤ 6167

## **მ ა რ ტ ი**

**1933**

### **1 მარტი**

„სალიტერატურო გაზეთში“ რუბრიკით „შევქმნათ ძლიერი თავდაცვითი ლიტერატურა“ იბეჭდება ალექსანდრე სულავას წერილი „წითელი არმია და მწერლობა“, რომელშიც ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძე თავდაცვითი ლიტერატურის შემქმნელთა მოწინავე რიგებში დგას. არმიასთან დაკავშირებული თემებისადმი მიძღვნილი ლექსებიდან დასახელებულია მისი: „ყველა წითელარმიელი იდგეს, როგორც ლომი...“, „პაციფიზმი“, „რწმენით იარ!“ და „რევოლუციონური საქართველო“. სტატიაში ჩართულია ფოტო „საქართველოს თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურული კომისია“, რომელზეც გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად არიან: ნიკოლოზ ბლუაშვილი, პლატონ მიროტაძე, კალე ზობოხიძე, ვლადიმერ დიდძე და გიორგი ქუჩიშვილი.

➤ 6168

**1933**

### **1 მარტი**

„სალიტერატურო გაზეთში“ რუბრიკით „რაზე ვმუშაობთ“ იბეჭდება კარლო მელაძის ანგარიში. ავტორი აღნიშნავს, რომ მზად აქვს დასაბეჭდად „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, რომელშიც მოცემულია ქართველი მწერლების ნაწარმოებების „კონკრეტული“ კრიტიკა“. სხვა მწერლებთან ერთად დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6169

**1933**

**1 მარტი**

მის გვერდით ბინაში სახლდებიან ახალი მეზობლები.

➤ 6170

**1933**

**1 მარტი**

ვერ ესწრება ლიტერატურულ საღამოს ხელოვნების სასახლეში.

➤ 6171

**1933**

**1 მარტი**

ფერ გადასცემს ლექსს სამხედრო კრებულში გამოსაქვეყნებლად და წუხს.

➤ 6172

**1933**

**2 მარტი**

მწერალთა სასახლეში მასსექტორი რაჟდენ გვეტაძის ხელმძღვანელობით მუშაობას განაგრძობს კრებების მოწვევით, მაგრამ მას არ ეპატიჟებიან და არ უგზავნიან ცნობებს.

➤ 6173

**1933**

**2 მარტი**

რადიოში ისმენს ინფორმაციას ბერლინში რაიხსტაგის შენობის დაწვის შესახებ.

➤ 6174

**1933**

**2 მარტი**

დღიურში წერს, რომ იმ დღეს ხელფასები არსად დაურიგებიათ და ირგვლივ ყველა ჩივის ნავთის, პურისა და ღვინის არქონას. ნიკო ლორთქიფანიძე ეძებს ფულს, რადგან ჯიბეში მხოლოდ 70 კაპიკი აქვს.

➤ 6175

**1933**

**2 მარტი**

ლადო ცაგარელი საინტერესოდ ჰყვება კრწანისის ომის შესახებ. უკვირს, საიდან იცის ამდენი ამბავი ამ ძველმა სამხედრო კაცმა, რომელიც ამბობს, რომ გული სხვას ფიქრობს და კალამი სხვას წერს.

➤ 6176

**1933**

**2 მარტი**

ოლია ოკუჯავას მისთვის სახლში მიაქვს პაპიროსი, პური და ერთი მანეთი.

➤ 6177

**1933**

**2 მარტი**

დღიურში წერს, რომ არ უნდა დაავიწყდეს თავდაცვის ახალი მეთოდი – შინაგანად გამაგრება და არა თავდასხმა. აღმოსაჩენია თემები. მათგან ერთი უკვე აღმოჩენილია ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე, რისთვისაც სჭირდება ერთგული კორესპონდენტები.

➤ 6178

**1933**

**2 მარტი**

დღიურში წერს, რომ იოსებ გრიშაშვილი საღამოს გამართავს 7 მარტს, იმის გამო, რომ 8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა და ამ დღის სამზადისში ქალები შინაურულ რეკლამას გაუწევენ მას. შესაძლებელია, თვითონ ისინი არიან საღამოს ინიციატორები. საჭიროდ მიაჩნია ბილეთის შოვნა.

➤ 6179

**1933**

**3 მარტამდე**

ქუჩაში ხედავს იოსებ გრიშაშვილს, რომელიც თვალს არიდებს.

➤ 6180

**1933**

**3 მარტის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს თბილისში არსებული უწესრიგობის შესახებ. აღნიშნავს, რომ სახლთან, რომელსაც ამშვენებს მემორიალური დაფა, რომ აქ ცხოვრობდა პუშკინი, გასაყიდად მოუტანიათ თევზი და არის უსაშველო აყალმაყალი.

➤ 6181

**1933**

**3 მარტის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული საღამოს შესახებ. აღნიშნავს, რომ გრიშაშვილს ემშაკურად შეუდგენია ღონისძიების აფიშა. იგი თავისი მიზნისათვის იყენებს კოტე მარჯანიშვილის სახელს. ამასთან აფიშაში აღნიშნულია, რომ ღონისძიებას საქველმოქმედო ხასიათი აქვს და მიზნად ისახავს პოეტის დახმარებას. გალაკტიონს აინტერესებს, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს ეს აფიშა მწერლებზე.

➤ 6182

**1933**

**3 მარტის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს, რომ პარიკმახერს მანეთზე მეტს არ აძლევს, თუნდაც ეწყინოს, რადგან ფული არ აქვს.

➤ 6183

**1933**

**3 მარტის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს, რომ მას ჯერჯერობით მხოლოდ ბესარონ ჟღენტი სჭირდება და ასევე ახალი კადრები, რკინის მკვნეტელი ბიჭები.

➤ 6184

**1933**

**3 მარტის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს, რომ რაიხსტაგის ხანძრის შესახებ საბჭოთა პერიოდიკის ტონი ოპტიმისტური და ნაწილობრივ ირონიულია. ფიქრობს, რომ ეს კარგია.

➤ 6185



1933

### 3 მარტის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს, რომ ცოტა მეგობარი ჰყავს, მაგრამ მათ ძალიან უფრთხილდება და არასოდეს შეეღებოდა.

➤ 6186

1933

### 3 მარტის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს, რომ სახელმწიფო გამომცემლობაში შეხვდა მიხეილ ჯავახიშვილი, ბარონ ბიზინეისი და კონსტანტინე გამსახურდია. გალაკტიონის თქმით, ჯავახიშვილი კითხვებს უგულოდ პასუხობდა და კოლეგებისათვის მისალმების ნიშნად თავის დაკვრაც არ უნდოდა. ფიქრობს, შეიძლება მისი მედიდურობა გამოწვეული იყოს იმით, რომ „არსენა მარაბდელი“ რუსეთში „მოაწყო“. ჯავახიშვილისაგან გალაკტიონი იგებს, რომ ტიცინან ტაბიძე ავადაა და მოსკოვში დარჩა. ჩანაწერში პოეტი ახსენებს ასევე ახალგაზრდა კრიტიკოს აკაკის, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილი გულითადად მიესალმა. ფიქრობს, რომ ეს აკაკი უცხვირპირო ადამიანია და ყველა მწერალთან ერთნაირი დამოკიდებულება აქვს. მიიჩნევს, რომ ეს ახალგაზრდა არაფერში გამოადგება.

➤ 6187

1933

### 20 მარტამდე

ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობა იღებს გადაწყვეტილებას რუსულ ენაზე გამოსცეს გალაკტიონის ლექსებისა და პოემების წიგნი. საქმეში ერთვებიან მთარგმნელები: ბორის ბრიკი, ელენე შერი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალექსანდრე ყანჩელი. წიგნის გაფორმება ევალებათ მხატვრებს: იოსებ შარლემანსა და დავით კაკაბაძეს, წინასიტყვაობის მომზადება – ბესარიონ ჟღენტს.

➤ 6188

1933

### 20 მარტი

ალექსანდრე ნემჩინოვსა და ბორის ბრიკს გადასცემს ლექსის „აღმოსავლეთი“ პწკარედულ თარგმანს. ფიქრობს, რომ აჩქარება არ არის საჭირო, მაგრამ გასაძლიერებელია ტემპი, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი ლექსების რჩეული თარგმანების კრებული 12 აპრილისთვის მოესწროს.

➤ 6189

1933

### 21 მარტი

ადგენს გეგმას, ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი ლექსების რჩეული თარგმანების კრებულში რომელი წიგნებიდან უნდა შეიტანოს ლექსები: 4 ლექსი 1914 წლის გამოცემიდან, 4 ლექსი „არტისტული ყვავილებიდან“, ლექსები 1927 წლის წიგნიდან, „ეპოქიდან“, „პაციფიზმიდან“, „რევოლიუციონიური საქართველოდან“, პოემებიდან „პრესა“ და „ოქტომბრის სიმფონია“, რომელთა ნაწილი უკვე ნათარგმნია, ნაწილი კი – სათარგმნი. საჭიროდ მიაჩნია კარგი წინათქმა, პორტრეტი, კარგი ყდა და ქალაქი, წიგნის ბოლოს კი – ნაწარმოებების ბიბლიოგრაფია.

➤ 6190

1933

### 21 მარტი

მოსწონს ბორის ბრიკის მიერ ნათარგმნი ლექსი „აღმოსავლეთი“, მაგრამ მიაჩნია, რომ ლენინგრადულად ცივია, ვერ გადმოსცემს ლექსის ორიგინალობას, თუმცა, მისი ზოგიერთი მითითება, მაგალითად ძველ ბერძნულ მითოლოგიაში პერიკლეს სატრფოს, ჰეტერა ასპაზიას შესახებ დასაფასებელია. ფიქრობს, რომ ოთხსტრიქონელები უნდა გაერთიანდეს.

➤ 6191

**1933**

**21 მარტი**

ბორის ბრიკს სათარგმნად გადასცემს ლექსს „პოეტს“.

➤ 6192

**1933**

**22 მარტი**

არ მოსწონს და ფიქრობს, რომ გასასწორებელია ბორის ბრიკის მიერ ნათარგმნი ლექსი „პოეტს“. მიუხედავად ამისა, სათარგმნად მაინც გადასცემს სხვა ლექსს „არწივების თავდასხმა ჰაეროპლანზე“.

➤ 6193

**1933**

**24 მარტი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის სტატია სათაურით „თავდაცვითი მხატვრულ-სალიტერატურო კომისიის მუშაობა“. სტატიაში მიმოხილული და შეჯამებულია იმ კომისიის მუშაობა, რომლის წევრადაც გალაკტიონი აირჩიეს წინა წლის 7 ოქტომბერს.

➤ 6194

**1931**

**29 მარტი**

კალენდარზე ინიშნავს, რომ წითელი არმიის საღამოა ავლაბარში.

➤ 6195

## აპრილი

**1933**

**3 აპრილი**

ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია შუამდგომლობით მიმართავს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს, რომ დაიგეგმოს ჟურნალის ძველი თანამშრომლის, პოეტ გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილე. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი იღებს დადგენილებას იუბილეს გამართვის შესახებ. იქმნება სპეციალური საორგანიზაციო კომისია პავლე საყვარელიძის, სანდრო ეულის, დავით დემეტრაძისა და შალვა დუდუჩავას შემადგენლობით.

➤ 6196

**1933**

**3 აპრილის შემდეგ**

ჟურნალ „მნათობში“ ქვეყნდება განცხადება, რომ ჟურნალის მომავალ ნომერში სპეციალური განყოფილება მიეძღვნება გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 და ჟურნალ „მნათობში“ მუშაობის 10 წლის თავს. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ჟურნალში გამოქვეყნდება პოეტის თხზულებები, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილები, ლექსები, მოგონებები და მწერლების ანკეტა იუბილარის შესახებ.

➤ 6197

1933

**15 აპრილი**

წერს განცხადებას. აღნიშნავს, რომ ავად არის და ითხოვს მისთვის მიცემული 120 მანეთის ღირებულების ობლიგაციების განაღდებას უფლებას.

➤ 6198

1933

**19 აპრილამდე**

წერილს იღებს ნიკოლო მიწიშვილისგან. ულოცავს ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავს და აცნობებს, რომ უგზავნის გიორგის, რომელიც მოელაპარაკება მისი წიგნის თაობაზე და შემდეგ გალაკტიონის აზრს გამომცემლობას გააგებინებს.

➤ 6199

1933

**19 აპრილამდე**

ჟურნალ „მნათობისა“ და „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქციები იღებენ გადაწყვეტილებას, თითო ნომერი მიუძღვნან გალაკტიონის იუბილეს.

➤ 6200

1933

**19 აპრილამდე**

კომპოზიტორი ივანე გოკიელი გალაკტიონის ლექსზე დაყრდნობით წერს მარშს „ლეგიონები“.

➤ 6201

1933

**19 აპრილამდე**

პეტრე მირიანაშვილი, რომელსაც ძალიან მოსწონს გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მხარი მხარს!“, კომპოზიტორ თამარ შავერზაშვილს სთავაზობს დაწეროს მუსიკა, რადგან ამაზე უკეთეს ტექსტს ვერ იშოვის სიმღერისთვის.

➤ 6202

1933

**19 აპრილამდე**

თამარ შავერზაშვილი წერს სიმღერას გალაკტიონის ლექსზე „მხარი მხარს!“.

➤ 6203

1933

**19 აპრილი**

მოკლე წერილს იღებს მხატვარ ალექსეი ნემჩინოვისგან. აცნობებს, რომ მისგან მოელის დანაპირებ ლექსებს, იოსებ შარლემანი კი პორტრეტის დასახატად ელოდება 21 აპრილს დილის 11-დან 12 საათამდე.

➤ 6204

1933

**19 აპრილის შემდეგ**

ჟურნალში „პიონერი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსისთვის „მხარი მხარს!“ თამარ შავერზაშვილის მიერ დაწერილი მუსიკის ნოტები.

➤ 6205

1933

## 20 აპრილის შემდეგ

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. სწერს, რომ ჯერ დედამ იავადმყოფა და შემდეგ მან, მაგრამ უკვე კარგად არიან. აწუხებთ, რომ არაფერი იციან გალაკტიონის შესახებ. აბესალომი შემფოთებულია ფასების ზრდის გამო, მაგრამ ფიქრობს, რომ გალაკტიონს ამ მხრივ პრობლემა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და სახელოვანი პოეტია. ურჩევს, როგორმე დაძლიოს ღვინოზე დამოკიდებულება. სთხოვს, თავს გაუფრთხილდეს, რადგან ტიფია გავრცელებული. სწერს, რომ მთელი ოჯახი მას ელოდება, პატარა ვასიკოც კი ეკითხება ხოლმე, გალაკტიონი რატომ არ ჩამოიყვანო.

➤ 6206

1933

## 23 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება, რომლის მიხედვითაც მიმდინარე დღეს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში იმართება საკავშირო ცეკას „23 აპრილის ისტორიული დადგენილების“ წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო. ღონისძიებაზე ახალ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე გომიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, კარლო კალაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ქუჩიშვილი და სხვა მწერლები.

➤ 6207

1933

## 26 აპრილი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი გიორგი ყურულაშვილი ჟურნალის თანამშრომლებს უგზავნის წერილს, რომლითაც აცნობებს, რომ „მნათობის“ შემდეგი ნომერი ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს და სთხოვს მათ 5 მასამდე წარმოადგინონ მასალები (ლექსები, წერილები, მოგონებები) იუბილარის შესახებ.

➤ 6208

1933

## 26 აპრილი

წერს ლექსს „პირველი მაისი“ („პირველი მაისი, პირველი მაისი, პირველი მაისი მოვიდა ამაყი...“).

➤ 6209

1933

## 28 აპრილი

განცხადებით მიმართავს გამომცემლობას „ფედერაცია“ და ითხოვს, რომ მათთვის გამოსაცემად გადაცემული წიგნის „ოქტომბრის სიმფონია“ ჰონორარის ანგარიშში გამოუწერონ სამასი მანეთი.

➤ 6210

1933

## 29 აპრილი

„სალიტერატურო გაზეთის“ სტატიაში „ისტორიული დადგენილების წლის თავზე“ საუბარია იმ მიღწევებზე, რომლებსაც საქართველომ ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის დადგენილების შემდეგ მიაღწია სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის მხრივ. ქვეყნის აღმშენებელთა შორის, რომელთაც ერთი წლის განმავლობაში შექმნეს მნიშვნელოვანი მხატვრული პროდუქცია, დასახელებულნი არიან: სიმონ ჩიქოვანი, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ალექსანდრე შანშიაშვილი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლო მიწიშვილი, ლეო ქიაჩელი, დავით სულიაშვილი, სერგო კლდიაშვილი, ილო მოსაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი და ალექსანდრე ქუთათელი.

➤ 6211

1933

29 აპრილი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის რეცენზია ჟურნალ „მნათობის“ კუბლიკაციებზე. მასში ნათქვამია, რომ გასულ წელს „მნათობში“ იბეჭდებოდა საბჭოთა პოეტური კულტურის ერთი მნიშვნელოვანი ძალთაგანი – გალაკტიონ ტაბიძე. მისი „ეროვნებათა მარში“ და სხვა ლექსები შესრულებულია პოეტისთვის ჩვეული გულწრფელობითა და ექსპრესიით.

➤ 6212

1933

29 აპრილი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ფოტო და მოკლე ინფორმაცია სათაურით „გ. ტაბიძის იუბილე“, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა და ჟურნალ „მნათობის“ რედაქციამ გადაწყვიტეს გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს გადახდა. ამისათვის გამოყვეს სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა საჭირო საიუბილეო ღონისძიებების დაგეგმვა.

➤ 6213

1933

29 აპრილი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ჟურნალ „მნათობში“ 1932 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოებების მიმოხილვა. მიმოხილვის ავტორი, ბესარიონ ჟღენტი, სხვა მწერლების ტექსტებთან ერთად მსჯელობს გალაკტიონის ნაწარმოებების შესახებაც. მისი თქმით, გალაკტიონი საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოეტია, ხოლო „მნათობში“ გასულ წელს დაბეჭდილი მისი ლექსი „ეროვნებათა მარში“ და დანარჩენი ნაწარმოებები შესრულებულია პოეტისთვის დამახასიათებელი გულწრფელობითა და ექსპრესიით.

➤ 6214

1933

29 აპრილი

ხელოვნების სასახლეში ტარდება გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლის 25 წლისთავის საიუბილეო საღამოს გენერალური რეპეტიცია. საღამოს ხსნის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე. ის ამბობს, რომ გალაკტიონ ტაბიძე ეპოქის ლიტერატურული ევერესტია და მისგან ახალ და ახალ შედეგებს ელიან. შემდეგ სიტყვით გამოდის კრიტიკოსი შალვა რადიანი, რომელიც გალაკტიონის პირველი პერიოდის პესიმიზმს ხსნის 1905 წლის რევოლუციის მარცხით, მაგრამ აღნიშნავს, რომ ეს პესიმიზმი სრული უიმედობა არ არის. მან იმედი კი არ გადაიწურა, არამედ მუდამ იყო ახალი რევოლუციის მოლოდინში და განიცდიდა მის დაგვიანებას. კრიტიკოსმა აღნიშნა, რომ გალაკტიონი თავის შემოქმედებაში ადიდებს სოციალისტურ აღმშენებლობას, მაგრამ ეს მოტივი მთლიანად არ მოიცავს მისი პოეზიის სიღრმეებს. შემდეგ გამოდიან სხვა პოეტები და კრიტიკოსები, ძირითადად ახალი თაობისანი, კითხულობენ მისდამი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს ან თავად მის ლექსებს. საღამოს ბოლომდე გალაკტიონი არის ფერმკრთალი და მოკრძალებული, თითქოს განსასჯელის სკამზე მჯდარიყოს.

➤ 6215

1933

29 აპრილის შემდეგ

ოლია ოკუჯავა რუსულ ენაზე ამზადებს გალაკტიონის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისადმი მიძღვნილ ვრცელ ნარკვევს. აღნიშნავს, რომ არაერთი სტატია გამოქვეყნდა ამ

დღესთან დაკავშირებით, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ ასახავს პოეტის შემოქმედებას ისე, როგორც საჭიროა. ისინი, მეტწილად, საქებარ სიტყვებს წერენ ანალიზის ნაცვლად.

➤ 6216

1933

### 29 აპრილის შემდეგ

მთავარი საიუბილეო საღამოს წინ გალაკტიონი ძალიან ნერვიულობს. მას წამდაუწუმ იძახებენ იუბილესთან დაკავშირებული დეტალების დასაზუსტებლად, ხან გამომცემლობიდან აკითხავენ, ხან რადიოდან და ხან კინოს სამმართველოდან. ზოგიერთი სათარგმნად ლექსების პწკარედებისთვისაც კი მას აკითხავენ. ოღია ოკუჟავა იძულებულია, რომ ზოგჯერ მოიტყუოს, რომ ის სახლში არ არის და ასე აარიდოს თავიდან ზედმეტი სანერვიულო. პოეტს საიუბილეო საღამოზე გამოსასვლელი კოსტიუმი და ფეხსაცმელიც კი არა აქვს და არც ფული აქვს, რომ შეიკეროს.

➤ 6217

1933

### მაისამდე ან შემდეგ

ლადო გუდიაშვილი ხატავს მეგობრულ შარჟს, სათაურით „სწრაფი გრგვინვა-გრიალით / ჰქრიან ლურჯა ცხენები...“.

➤ 6218

## მ ა ი ს ი

1933

### 7 მაისი

გიორგი ქუჩიშვილი წერს სტატიას „გალაქტიონ ტაბიძე“ („იშვიათად მიცდია კალამი საპუბლიცისტიკო წერილზე...“). მასში ნათქვამია, რომ გალაკტიონი მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია, რასაც მისი მოწინააღმდეგეებიც კი ვერ უარყოფენ. მისი უაღრესად მუსიკალური პოეზიის გავლენას განიცდიან არა მხოლოდ ახალგაზრდები, არამედ სახელმძღვანელო პოეტებიც.

➤ 6219

1933

### 9 მაისი

მხატვარი იოსებ შარლემანი ასრულებს გალაკტიონის სურათის ხატვას.

➤ 6220

1933

### 9 მაისი

საქართველოს რადიო იღებს გადაწყვეტილებას, მოაწყოს გალაკტიონის შემოქმედებითი საღამო.

➤ 6221

1933

### 14 მაისი

თბილისის საქალაქო საბჭო იღებს დადგენილებას, ქალაქის ერთ-ერთი ქუჩას ეწოდოს გალაკტიონის სახელი.

➤ 6222

1933

### 14 მაისი

საქართველოს მწერალთა კავშირი სახალხო კომისართა საბჭოსა და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში აღძრავს შუამდგომლობას გალაკტიონ ტაბიძისათვის რესპუბლიკის სახალხო პოეტის წოდების მინიჭების შესახებ.

➤ 6223

**1933**

**მაისი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ფოტოპორტრეტი და, რუბრიკით „გალ. ტაბიძის პოეტური მუშაობის ოცდახუთი წელი“, ქვეყნდება მისი ლექსები „პირველი მაისი“ („პირველი მაისი, პირველი მაისი, პირველი მაისი მოვიდა ამაყი...“) და „იდეა“ („რწმენით იარ, იარ, იარ!...“).

➤ 6224

**1933**

**მაისი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გიორგი ნატროშვილის სტატია „გალაქტიონ ტაბიძე“. მასში მიმოხილულია პოეტის შემოქმედება სოციალისტურ რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ. ნათქვამია, რომ მოღვაწეობის პირველ პერიოდში მისთვის დამახასიათებელი იყო პესიმიზმი და ფრანგული დეკადანსით გატაცება, მაგრამ რომანტიული მოტივებიც ჰქონდა. ამიტომ კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ ის იყო რომანტიული სიმბოლიზმის მიმდევარი. რევოლუციამ მოუსწრო, როცა მის შემოქმედებაში გაბატონებული იყო მხოლოდ ბოჰემა. ამიტომ რევოლუცია აღიქვა, როგორც მარადიული ჯანყი, ნგრევა და გრიგალი. ამაში სცდებოდა, მაგრამ მაინც სწორ მხარეს დადგა და, ჰაინეს მსგავსად, რომანტიზმის ცისფერი ყვავილი რევოლუციურ სიმღერაზე გასცვალა. ამის შემდეგ მისი ლექსების „იდეური არსება“ აღმავალი ხაზით იზრდება და ის უკვე მოწინავე საბჭოთა მწერლის პოზიციაზე დგას. მან თავისთავში დასძლია წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტის მერყეობა და რთული შემოქმედებითი გზა განვლო. რევოლუციამ ის განკურნა პესიმისტური ჭრილობებისა და მისტიური ფანტაზიის ტკივილებისგან და იდეურად გააჯანსაღა. მისი ლექსების თემა დღეს არის არა „ცისფერი ყვავილი“ და „მთაწმინდის მთვარე“, არამედ დამკვრელი მუშა და მოწინავე მშრომელი.

➤ 6225

**1933**

**მაისი**

ჟურნალში „მნათობი“ რუბრიკით „მწერლები გალ. ტაბიძის შესახებ“ იბეჭდება 1927 წლის სალიტერატურო ბიულეტენიდან „გალაქტიონი“ გადმობეჭდილი სტატიები: დავით კლდიაშვილის „გალაქტიონ ტაბიძე“ („ასე დასევდიანებული იყო ახალგაზრდობისას...“) და ვასილ ბარნოვის „გალაქტიონ ტაბიძე“ („ლექსთა კრებული მომძიმო ტანის...“). აქვე ქვეყნდება გიორგი ქუჩიშვილის 1933 წლის 7 მაისით დათარიღებული წერილი „გალაქტიონ ტაბიძე“ („იშვიათად მიცდია კალამი საპუბლიცისტიკო წერილზე...“) და სათაურით „გალაქტიონ ტაბიძე რეაქციის პერიოდში“ გადმობეჭდილია თენგიზ ჟღენტის „რევოლუციის მატინის“ 1928 წლის ნომერში გამოქვეყნებული მოგონება. ბოლოში არის ლადო გუდიაშვილის მეგობრული შარჟი, სათაურით „სწრაფი გრგვინვა-გრიალით / ჰქრიან ლურჯა ცხენები...“.

➤ 6226

## ივნისი

**1933**

**8 ივნისი**

განცხადებით ითხოვს, რომ თანხიდან, რომელიც გადადებულია მის სასარგებლოდ, გამოუწერონ 300 მანეთი.

➤ 6227

1933

#### 10 ივნისი

განცხადებით მიმართავს გამომცემლობას „ფედერაცია“ და ითხოვს, რომ მათთვის გამოსაცემად გადაცემული წიგნის „ოქტომბრის სიმფონია“ ჰონორარის ანგარიშში გამოუწერონ სამასი მანეთი.

➤ 6228

1933

#### 14 ივნისი

განათლების სახალხო კომისარიატში იმართება სპეციალური სხდომა გალაკტიონის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მოხსენებას კითხულობს ბესარიონ ჟღენტი. ამტკიცებენ საიუბილეო კომისიის შემადგენლობას და გასამართი ღონისძიებების ნუსხას.

➤ 6229

1933

#### 15 ივნისი

განცხადებით მიმართავს გამომცემლობას „ფედერაცია“ და ითხოვს, რომ მათთვის გამოსაცემად გადაცემული წიგნის „ოქტომბრის სიმფონია“ ჰონორარის ანგარიშში გამოუწერონ ორასი მანეთი.

➤ 6230

1933

#### 16 ივნისი

„სალიტერატურო გაზეთის“ რუბრიკაში „მწერლის ტრიბუნა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ფოტო და ლევან ასათიანის სტატია „გალაქტიონ ტაბიძე“. ავტორი საუბრობს გალაკტიონ ტაბიძის სიტყვისა და ფორმის ოსტატობაზე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ასათიანი მოიხსენიებს პოეტს, როგორც ქართული ლექსის ნოვატორს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია თანამედროვე ქართულ პოეზიაზე. სტატიაში პარალელია გავლებული გალაკტიონისა და ალექსანდრ ბლოკის პოეზიას შორის და წარმოჩენილია გალაკტიონის განსხვავება დეკადენტებისგან. ნათქვამია, რომ რევოლუციის პათოსმა სრული გარდატეხა მოახდინა მის პოეტურ შემეცნებაზე.

➤ 6231

1933

#### 18 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი „გალაკტიონ ტაბიძის იუბილეი“. მასში ნათქვამია, რომ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დააკმაყოფილა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის შუამდგომლობა პოეტ გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მუშაობის 25 წლის იუბილეს ორგანიზების შესახებ და შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე იუბილარისთვის რესპუბლიკის სახალხო პოეტის წოდების მისანიჭებლად. იუბილეს ჩასატარებლად არჩეული საიუბილეო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარეა ფილიპე მახარაძე და თავმჯდომარე – ერმილო ბედია. 19 ივნისს შედგება კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზეც განისაზღვრება იუბილეს ჩატარების დღე. 23 ივნისს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მწერალთა სასახლეში აწყობს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით საღამოს.

➤ 6232

1933

#### 19 ივნისი

ტარდება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელზეც გალაკტიონ ტაბიძის იუბილეს ჩატარების დღედ განისაზღვრა 5 ივლისი.



➤ 6233

1933

20 ივნისი

განათლების სახალხო კომიტეტში ტარდება გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო კომიტეტის პირველი სხდომა, რომელზეც დგინდება, რომ 29 ივნისს საბჭოთა მწერლების კლუბში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების საღამო. მასზე მოხსენებას გააკეთებს შალვა რადიანი, ლექსებით გამოვლენ პოეტები და მონაწილეობას მიიღებს თავად იუბილარი. 5 ივლისს თეატრში შედგება საიუბილეო საღამო, რომელზეც სიტყვით გამოვლენ მთავრობის, პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მსახიობები წაიკითხავენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს და იქნება მუსიკალური განყოფილება.

➤ 6234

1933

20 ივნისი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება ცნობა, რომ გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით აღძრულია შუამდგომლობა მისთვის სახალხო პოეტის წოდების მინიჭების თაობაზე. ასევე შექმნილია საიუბილეო კომისია, რომლის ორგანიზებითაც გაიმართება პოეტის შემოქმედებითი საღამო.

➤ 6235

1933

21 ივნისი

საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იღებს დადგენილებას, რომლის მიხედვითაც: 1. გალაკტიონ ტაბიძეს ენიჭება სახალხო პოეტის წოდება, 2. სოცუზრუნველყოფის კომისარიატს ევალება მისთვის პერსონალური პენსიის დანიშვნა, 3. მომარაგების სახალხო კომისარიატს ევალება მისი უზრუნველყოფა სპეციალური მომარაგებით, 4. ჯანმრთელობის კომისარიატს ევალება მისი კურორტზე გაგზავნა მთელი სეზონით, 5. სახელმწიფო გამომცემლობას ევალება მისი თხზულებების სრული აკადემიური კრებულის გამოცემა. დადგენილებას ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე და კომიტეტის მდივანი თენგიზ ჟღენტი.

➤ 6236

1933

22 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი „გალაქტიონ ტაბიძის სამწერლო მუშაობის 25 წლის თავისთვის“, რომელშიც ნათქვამია, რომ იუბილეს აღსანიშნად არჩეულია საზოგადოებრივი კომიტეტი, რომლის საპატიო თავმჯდომარეა ფილიპე მახარაძე, თავმჯდომარე – ერმილო ბედია, მოადგილე – ჭიჭიკო იმედაძე, ხოლო წევრები: სანდრო ახმეტელი, დიმიტრი არაყიშვილი, რაფიელ აღამალიანი, ვასილ ანთიძე, მწერალთა კავშირის თურქული სექციის „ასკერის“ წარმომადგენელი, ლევან აღნიაშვილი, ბარონ ბიბინეიშვილი, ჟორა გიორგობიანი, გიორგი გრებენშჩიკოვი, ლადო გუდიაშვილი, შურა დუდუჩავა, დავით დემეტრაძე, მატეოს დარბინიანი, ამბროსი თითბერიძე, ნიკო კიკნაძე, პლატონ მიროტაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა რადიანი, კარლო ორაგველიძე, პავლე საყვარელიძე, თომა სიხარულიძე, პეტრე სამსონიძე, ბესარიონ ჟღენტი, მალაქია ტოროშელიძე, უშანგი ჩხეიძე, კანდიდ ჩარკვიანი, გიორგი ყურაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სიმონ ხუნდაძე და კორნელი ქაცარავა, ხოლო კომიტეტის მდივანია ლევან ასათიანი.

➤ 6237

1933

## 22 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის განცხადება, რომლის მიხედვითაც, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე, ამავე გაზეთის რედაქციაში გაიმართება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ მწერლები: გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ირაკლი აბაშიძე და სხვები.

➤ 6238

1933

## 23 ივნისი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მწერალთა სასახლეში აწყობს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით საღამოს.

➤ 6239

1933

## 24 ივნისი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება ცნობა, რომ 29 ივნისს მწერალთა სასახლეში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები.

➤ 6240

1933

## 29 ივნისი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ერემია ასტვაცატუროვის წერილი „მოწინავე საბჭოთა მწერალი“, რომელშიც საუბრობს თებერვლის რევოლუციამდე გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში არსებულ პესიმიზმზე, რევოლუციების დროს მომხდარ გარდატეხასა და საბჭოთა პერიოდის სახეცვლილებაზე.

➤ 6241

1933

## 29 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება, რომლის მიხედვითაც, მიმდინარე დღეს, საღამოს 8 საათზე მწერალთა კავშირი მართავს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მუშაობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს. ანონსის თანახმად, ღონისძიებაზე სიტყვით გამოვა მალაქია ტოროშელიძე, მოხსენებას გააკეთებს შალვა რადიანი და ახალ ლექსებს წაიკითხავს გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6242

1933

## 29 ივნისი

„სალიტერატურო გაზეთში“ სათაურით „გალაქტიონ ტაბიძის იუბილე“, იბეჭდება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები ტარდება პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ნათქვამია, რომ არჩეულ იქნა საიუბილეო კომიტეტი, რომლის საპატიო თავმჯდომარეა ფილიპე მახარაძე, თავმჯდომარე – ერმილო ბედია, მოადგილე – ჭიჭიკო იმედაძე, ხოლო წევრები: სანდრო ახმეტელი, დიმიტრი არაყიშვილი, ლევან ასათიანი, რაფიელ აღამალიანი, ვასილ ანთიძე, მწერალთა კავშირის თურქული სექციის „ასკერის“ წარმომადგენელი, ლევან აღნიაშვილი, ბარონ ბიბინეიშვილი, ჟორა გიორგობიანი, გიორგი გრებენჭიკოვი, ლადო გუდიაშვილი, შურა დუდუჩავა, დავით დემეტრაძე, მატეოს დარბინიანი, ამბროსი თითბერიძე, ნიკო კიკნაძე, იაკინთე ლისაშვილი, პლატონ მიროტაძე, ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა რადიანი, კარლო ორაგველიძე, პავლე საყვარელიძე, თომა სიხარულიძე, პეტრე სამსონიძე, ბესარიონ ჟღენტი, მალაქია ტოროშელიძე, უმანგი ჩხეიძე, კანდიდ ჩარკვიანი,

გიორგი ყურაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სიმონ ხუნდაძე და კორნელი ქაცარავა. შემდეგ არის ინფორმაცია 5 ივლისს ოპერის თეატრში და მიმდინარე დღეს მწერალთა სასახლეში დაგეგმილი საღამოების შესახებ, სადაც მოხსენებას წაიკითხავს შალვა რადიანი. იქვე ნათქვამია, რომ საიუბილეო კომიტეტი აღძრავს შუამდგომლობას მთავრობის წინაშე, რომ გალაკტიონ ტაბიძეს მიენიჭოს სახალხო პოეტის სახელი, დაენიშნოს პერსონალური პენსია და მთელი სეზონით გაიგზავნოს აგარაკზე. აქვეა ინფორმაცია 29 ივნისს მწერალთა სახლში დაგეგმილი საიუბილეო საღამოს შესახებ, რომელზეც მოხსენებას წაიკითხავს შალვა რადიანი, კომიტეტის დადგენილებით სახელმწიფო გამომცემლობას ევალება იუბილარის თხოვლობათა სრული აკადემიური გამოცემის დაბეჭდვა რამდენიმე ტომად და თან პირველი ტომის გამოცემა მიმდინარე წელსვე. სალიტერატურო გაზეთს ევალება მასიური ბროშურის მომზადება პოეტის პორტრეტით, ბიოგრაფიითა და კრიტიკული წერილებით, რომელსაც გამოსცემს „ფედერაცია“. ჟურნალ „მნათობს“ ევალება რომ უახლოეს ნომერში გალაკტიონ ტაბიძეს მიეძღვნას მთელი განყოფილება. პროფკავშირთა საბჭოს და საბჭოთა მწერლების კავშირს ევალებათ ივლის-აგვისტოში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოების ჩატარება მუშათა კლუბებში.

➤ 6243

**1933**

**29 ივნისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ სათაურით „სომეხთა ხელოვნების სახლში“ იბეჭდება ინფორმაცია გადაწყვეტილების შესახებ, რომ საღამო მიუძღვნან გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების განხილვას.

➤ 6244

**1933**

**29 ივნისი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მწერალთა სასახლეში მართავს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით საღამოს, რომელზეც შესავალი სიტყვით გამოდის მალაქია ტოროშელიძე, მოხსენებას კითხულობს შალვა რადიანი, სიტყვით გამოდიან: ფრიდონ ნაროშვილი და სომეხი მწერალი გეორგ გრიგორიანი, ლექსებს კითხულობენ: გიორგი ქუჩიშვილი, კალე ზობოხიძე, ბორის ბრიკი, დასასრულ კი ახალ ლექსებს კითხულობს თავად იუბილარი, რომელსაც საზოგადოება ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს.

➤ 6245

**1933**

**30 ივნისი**

სომხეთის ხელოვანთა სასახლეში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხური ფრაქცია მართავს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით საღამოს.

➤ 6246

**1933**

**30 ივნისი**

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება სტატია „გალაკტიონ ტაბიძის 25 წლის იუბილე“, რომელშიც აღნიშნულია, რომ პოეტის საიუბილეო ღონისძიება გიმართება 5 ივლისს ოპერის თეატრში და იუბილეს მომწყობი კომიტეტი სთხოვს ორგანიზაციებს, რომელთაც ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება სურთ, ამის შესახებ კომიტეტს აცნობონ არაუგვიანეს 3 ივლისისა. აქვე ნათქვამია, რომ 30 ივნისს სომხეთის ხელოვანთა სასახლეში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხური ფრაქცია გამართავს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს. სურენ ავჩიანი წაიკითხავს მოხსენებას „გალაკტიონ ტაბიძე და მისი შემოქმედება“.

➤ 6247

1933

## 2 ივლისი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება სრულიად საქართველოს აღმასრულებელი ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გალაკტიონ ტაბიძისათვის სახალხო მწერლის წოდების მინიჭების შესახებ.

➤ 6248

1933

## 3 ივლისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი „გ. ტაბიძის იუბილეს გამო“, რომელშიც ნათქვამია, რომ პოეტის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები: თბილისის მუშათა ყველა კლუბში საღამოების გამართვა, მუშათა ძირითად ბიბლიოთეკებში მკითხველთა აქტივის შეხვედრების მოწყობა პოეტთან, მუშათა ლიტერატურული წრეების მიერ თემად გალაკტიონის შემოქმედების აღება. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ საიუბილეო საღამოები გაიმართება საქართველოს საბჭოთა მწერლების ქუთაისის, აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის განყოფილებების მიერაც, სადაც პრეზიდიუმის დადგენილებით მივლინებული იქნებიან მომხსენებლები. საიუბილეო დღისთვის „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქცია გამოსცემს სპეციალურ კრებულს პოეტის ბიოგრაფიითა და კრიტიკული წერილებით მისი შემოქმედების შესახებ.

➤ 6249

1933

## 4 ივლისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება თენგიზ ჟღენტის მოგონება „გალაქტიონ ტაბიძის იუბილეს გამო“. ავტორი იხსენებს პოეტის სიჭაბუკეს, 1905 წლის შემდგომ პერიოდს, იგონებს, თუ როგორ გაჭირვებაში იმყოფებოდა ახალგაზრდა გალაკტიონი. ასევე იხსენებს, ბოლშევიკური პარტიის წევრებმა შესანიშნავად ლიტერატურული ღონისძიებას გალაკტიონ ტაბიძის საღამო რომ დაარქვეს და შემდეგ შემოსავალი პოეტს გაუნაწილეს.

➤ 6250

1933

## 4 ივლისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება, რომლის მიხედვითაც, 5 ივლისს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

➤ 6251

1933

## 5 ივლისამდე

გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად იბეჭდება საინფორმაციო ფურცელი 1000 ტირაჟით. მოკლე ბიოგრაფიული ცნობების შემდეგ აღნიშნულია, რომ მის პირველ ორ წიგნში გამოხატულია 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული ღრმა სოციალური სევდა და უიმედობა. 1917 წლის პროლეტარულმა რევოლუციამ კი პოეტი გამოაფხიზლა და მას შემდეგ მაღალ მხატვრულ კულტურასა და ოსტატობის შეუდარებელ უნარს ახმარს მშრომელთა აღზრდას და ქმნის შესანიშნავ პოეტურ ტილოებს. ამიტომ პროლეტარული საზოგადოება დიდი ზეიმით აღნიშნავს მისი მოღვაწეობის 25 წლისთავს, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება აფასებს მის დამსახურებას ქართული მწერლობის წინაშე და ანიჭებს რესპუბლიკის სახალხო პოეტის წოდებას.

➤ 6252

1933

**5 ივლისამდე**

უბის წიგნაკში წერს მწერალთა კავშირის შუამდგომლობას სატელეფონო სადგურისადმი, რომ გალაკტიონ ტაბიძეს მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ჩაურთონ გათიშული ტელეფონი და ფულს გადაიხდის საიუბილეო საღამოს გამართვის შემდეგ.

➤ 6253

1933

**5 ივლისამდე**

წერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში იუბილეს ჩასატარებლად მოსაგვარებელი საკითხების სიას. ნუსხაშია: მთელი დასის – მომღერლების, რეჟისორების, მხატვრების, პიანისტების, ორკესტრისა და გუნდის ჩართვა საიუბილეო საღამოში, ერთი აქტის წარმოდგენა ოპერიდან „აბესალომი და ეთერი“, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების გამოსვლა, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციასთან შეთანხმება განცხადებების იაფად განთავსების თაობაზე, ბილეთებისა და აფიშების მომზადება. ეს ყველაფერი საჭიროა იმისათვის, რომ დილით საიუბილეო სხდომა, საღამოს კი იუბილე ანშლაგით ჩატარდეს. ფიქრობს, რომ საღამოს ორგანიზატორები არავის წინაშე პასუხისმგებლობას არ გრძნობენ. ამიტომ თავად უნდა იზრუნოს ყველაფერზე.

➤ 6254

1933

**5 ივლისამდე**

უბის წიგნაკის გარეკანზე არსებულ რუსულ ბეჭდურ წარწერას: „არ არსებობს ცუდი და კარგი ქარხნები, ფაბრიკები, დაწესებულებები. არიან ცუდი და კარგი ხელმძღვანელები“ – ქვეშ უწერს უსათაურო ლექსს „ვინ სთქვა ფაბრიკა ცუდი ან კარგი...“.

➤ 6255

1933

**5 ივლისამდე**

წერს ლექსს „პეტრეპავლეს ციხე“.

➤ 6256

1933

**5 ივლისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ნინას ჰყავდა ერთი შაშვი...“.

➤ 6257

1933

**5 ივლისამდე**

იეთიმ გურჯი უძღვნის ოთხ ლექსს: „პოეტს გ. ტ.“, „გალაკტიონ ტაბიძეს“, „სიმღერა“, „ძვირფას პოეტს გ. ტაბიძეს“.

➤ 6258

1933

**5 ივლისამდე**

ამზადებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთვის გამოსასვლელ სიტყვას. მაღლობას უხდის ყველას, ვისაც ეს დღე მიაჩნია არა მარტო მის, არამედ მისი ყველა თანამებრძოლის დღედ და საბჭოთა მწერლობის ზეიმად. მთელმა

საქართველომ იცის, რომ მწერალი მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაში არის ნამდვილად დაფასებული, მხოლოდ აქ არის მწერლობის აყვავების შესაძლებლობა.

➤ 6259

1933

### 5 ივლისამდე

გამომცემლობა „ფედერაცია“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობისადმი მიძღვნილ სპეციალურ კრებულს „გალაქტიონ ტაბიძე 1908-XXV-1933“, რომელშიც წარმოდგენილია პოეტის ბიოგრაფია და ქართველი კრიტიკოსების – ლევან ასათიანის, სიმონ ხუნდაძის, შალვა რადიანისა და გიორგი ნატროშვილის სტატიები პოეტის შემოქმედების შესახებ.

➤ 6260

1933

### 5 ივლისამდე

გამომცემლობა „ფედერაცია“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულს „გალაქტიონ ტაბიძე 1908-XXV-1933“. კრებულში გამოქვეყნებულ წერილში ლევან ასათიანი გამოთქვამს აზრს, რომ გალაკტიონი ქართული პოეზიის დიდი ნოვატორია, რომლის წვლილიც კიდევ უფრო ნათლად მაშინ გამოიკვეთება, როცა მის შემოქმედება მეტრულ-რიტმული თვალსაზრისით იქნება შესწავლილი. სტატიაში ნათქვამია, რომ გალაკტიონი ქართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია. მისი ადრეული ლირიკისათვის დამახასიათებელი იყო ინდივიდუალიზმი, პესიმიზმი, რელიგიური ექსტაზი, გულგრილობა სოციალური მოტივებისადმი, ბუნდოვანება. პოეტი მისდევდა პრინციპს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. კრიტიკოსი ხაზს უსვამს, რომ გალაკტიონის სიმბოლისტური პოეზია განსხვავდებოდა ამავე მიმდინარეობის სხვა ქართველ ავტორთა – „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებისგან სიმახინჯის კულტის, ბოჰემის, ეროტიკის მიმართ გამოხატული გულგრილობით. კრიტიკოსის თქმით, ისევე როგორც ალექსანდრ ბლოკისათვის, გალაკტიონისთვისაც რევოლუცია უპირველესად არის „გრანდიოზული ნგრევის სტიქიონი“. ლევან ასათიანი ასევე მიუთითებს გალაკტიონისა და ბლოკის სატრფიალო ლირიკის მსგავსებაზე და გახაზავს ბლოკის „უცნობი ბანოვანისა“ და გალაკტიონის „მერის“, „თოვლის“ მოტივებისა და სახეობრივი აზროვნების სიახლოვეს. ლიტერატურის ტრადიციასთან პოეტის დამოკიდებულებაზე მსჯელობისას კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ გალაკტიონმა ქართული რომანტიკული პოეზიის ტრადიცია ააღორძინა და „მერანის“ შორეულ გამოხმაურებად ისმის „ლურჯა ცხენები“. მოკლედ საუბრობს კრიტიკოსი გალაკტიონის პოეტურ ეპოსზე. გალაკტიონის პოემებისათვის, მისი თქმით, დამახასიათებელია პათეტიზმი, ფაბულური მრავალფეროვნება კი ავტორს შესაძლებლობას არ აძლევს, მყარ კომპოზიციურ მთლიანობად შეკრას ეს თხზულებები. ლევან ასათიანის მტკიცებით, გალაკტიონის ადრეულ ლირიკაშივე დასტურდება საზოგადოებრივი, რევოლუციური შინაარსის ლექსები, ოღონდ ისინი არ წარმოადგენს არსებით მხარეს მისი პირველი პერიოდის შემოქმედებისა. თავისი თაობის პოეტთაგან გალაკტიონი პირველი იყო, ვინც დადგა რევოლუციის მხარეს, მართალია, იგი უმთავრესად ლირიკოსია, თუმცა არ რჩება მხოლოდ ვიწროდ პიროვნულ განცდათა სფეროში და ლირიკას საზოგადოებრივ შინაარსს სძენს. მისი გავლენა ახალგაზრდა პოეტებზე ბუნებრივია და სავსებით კანონზომიერი.

➤ 6261

1933

### 5 ივლისამდე

გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნებულ ნარკვევში სიმონ ხუნდაძე თავდაპირველად მიმოიხილავს პოეტის ადრეულ ლირიკას. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ პირველსავე არალეგალურ ლექსში „პირველი მაისი“ (1908) გამოვლინდა პოეტის მისწრაფება ბრძოლისაკენ. ადრეული გალაკტიონი, როგორც სიმბოლისტი,

აყურადღებს თავის შინაგან სამყაროს, საკუთარ სულში მიმდინარე პროცესებითაა დაინტერესებული. სიმონ ხუნდაძე გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში ამჩნევს სიმბოლისტურ თვალსაზრისს ადამიანური ენის შეზღუდულობის თაობაზე, რომლის თანახმადაც, ყოფით, ჩვეულებრივ ენას არ ძალუძს გამოხატოს სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესების სიღრმე. კრიტიკოსის თქმით, რადგან ტრადიციული, ყოფითი ენა გამოუსადეგარი იყო ამ მიზნისათვის, გალაკტიონის წინაშე დადგა ახალი პოეტური ენის გამომუშავების ამოცანა. კრიტიკოსისათვის პოეტის სიმბოლისტური აზროვნების დასტურია იდუმალი სახეები, სიმბოლოები, რომლებიც რაღაც არაჩვეულებრივზე მიმთითებლად გვევლინება. სიმონ ხუნდაძის თქმით, პოეტის ვერსიფიკაციული ოსტატობა დიდწილად განსაზღვრა სიმბოლიზმის თეორიული პრინციპების ათვისებამ. სიმონ ხუნდაძის თვალსაზრისით, გალაკტიონის სიმბოლიზმი შედარებით ჯანსაღი იყო და განსხვავდებოდა „ცისფერყანწელთა“ სიმბოლიზმისაგან. გალაკტიონს ბევრი რამ აკავშირებს კლასიკური რომანტიზმის ტრადიციებთან. ეს კავშირი ვლინდება არამხოლოდ მხატვრული აზროვნებისა და პოეტური ლექსიკის, არამედ განწყობილებათა დონეზეც. მართალია, გალაკტიონის მსოფლხედვა გარკვეულად განსხვავდება ნიკოლოზ ბარათაშვილის მრწამსისაგან, მაგრამ „მისტიკური მელანქოლია დაკარგულ „ტკბილ ყრმობაზე“ და მეტაფიზიკური სურვილი „ბედის საზღვრის“ გადალახვისა თავისებურ კავშირს აბამს ამ ორ პოეტს შორის“. კრიტიკოსის აზრით, ბარათაშვილის „სულო ბოროტოს“ თავისებური ექო ისმის გალაკტიონის „ელეგიაში“. ისევე როგორც ბარათაშვილისთვის, გალაკტიონისთვისაც სიყვარული უფრო ტრაგიკულ განცდათა წყაროა, ვიდრე სიხარულისა და სიმშვიდისა.

➤ 6262

1933

### 5 ივლისამდე

აკეთებს ჩანაწერს, რომ სრულდება მისი ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლიდან 25 წლის იუბილე. აღნიშნავს, რომ შემოქმედებითი საქმიანობის თითოეული წელი მისთვის იყო გამოწვევა, ქცეულიყო ეპოქის ჭეშმარიტ შვილად. მიუთითებს, რომ ეს მისწრაფება მის არსებაში ებრძოდა დაღლილობას, სიცოცხლის უარყოფას და აუცილებელი იყო სიმტკიცის გამოვლენა, რათა ბრძოლა გამოეცხადებინა ყველაფრისათვის, რაც მის არსებაში ავადმყოფური იყო. აღნიშნავს, რომ ამის შესაძლებლობა მისცა რევოლუციამ. ახლა პესიმიზმი მისი განვლილი ავადმყოფობაა.

➤ 6263

1933

### 5 ივლისამდე

გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნებულ შალვა რადიანის ნარკვევში წარმოდგენილია პოეტის შემოქმედებითი ევოლუციის გზა. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ გალაკტიონი სიმბოლიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იყო ქართულ ლიტერატურაში. პოეტის ადრეული შემოქმედების ტრადიციული დახასიათების შემდეგ კრიტიკოსი მიუთითებს, რომ საქართველოს გასაბჭოებამ პოეტს შემოქმედებითი ზრდისათვის შესანიშნავი პირობები შეუქმნა. პოემები „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“ მაღალი იდეურ-პოლიტიკური პათოსით და რეალისტური სისადავითაა გამორჩეული. შეიცვალა გალაკტიონის პოეტური სტილი. იდეალიზმიდან იგი სოციალისტური რეალიზმის მეთოდამდე მივიდა. კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, თუ როგორ იცვლება პოეტისა და პოეზიის დანიშნულების გაგება გალაკტიონის პოსტრევოლუციურ ლირიკაში. თუ ადრე მისთვის ხელოვანი ერთგვარად მასისაგან დისტანცირებული, ღვთაებრივი შემოქმედი იყო, სოციალისტურ სინამდვილეში პოეტი ლიტერატურის დანიშნულების რეალისტურ გაგებას იძენს. პოეზიას იგი უკვე აღიქვამს კლასობრივი ბრძოლის იარაღად. ეს ბუნებრივიცაა, რადგან შეიცვალა პოეტის აუდიტორიის სოციალური შემადგენლობა. გალაკტიონის ლექსმა შეიძინა სისადავე და სასაუბრო ინტონაცია.

რევოლუციური სინამდვილის მიღებამ გალაკტიონის ლირიკას ჩამოაშორა „რომანტიული სილბილე“.

➤ 6264

1933

### 5 ივლისამდე

გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნებულ სტატიაში გიორგი ნატროშვილი იმეორებს იმ დებულებებს, რომლებიც 30-იანი წლების საბჭოთა კრიტიკაში გალაკტიონის შემოქმედების ირგვლივ ჩამოყალიბდა. სხვათა მსგავსად იგი გალაკტიონის პოეზიას ყოფს ორ ეტაპად: რევოლუციამდე და რევოლუციის შემდგომ პერიოდებად. კრიტიკოსის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ეტაპზე გალაკტიონ ტაბიძე სიმბოლიზმის მისტიკურ ტრადიციებს მიჰყვებოდა, იგი მაინც ნაციონალურ პოეტად რჩებოდა, რადგან ღრმად იყო დაკავშირებული ეროვნული მწერლობის ჯანსაღ ტრადიციებთან. გიორგი ნატროშვილის თქმით, ევროპული პოეზიის გავლენამ გალაკტიონი ვერ მოსწყვიტა მშობლიურ ლიტერატურას და ქართული რომანტიზმის სულიერი გაქანება კვლავ რჩებოდა მისი პოეზიის მამოძრავებელ ძალად.

➤ 6265

1933

### 5 ივლისამდე

გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს წინა პერიოდში ყველაფერზე მასთან მიდიან და ეკითხებიან. აკითხავენ მთარგმნელები, გაზეთები, რადიო. ოლია ოკუჯავა ბრაზდება, ვერ გაუგია, ყველა წვრილმანზე პოეტს რატომ აწუხებენ. რას აკეთებს საიუბილეო კომისია. რატომ არავინ კითხულობს, აქვს თუ არა გალაკტიონს კოსტიუმი და ფეხსაცმელი, რადგან კარგი იქნებოდა, სცოდნოდათ, რომ ორივე დახეულია.

➤ 6266

1933

### 5 ივლისი ან ადრე

სიო ხიდისთაველი (კალანდაძე) უძღვნის ლექსს „გალ. ტაბიძეს“ („საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასი...“).

➤ 6267

1933

### 5 ივლისი ან ადრე

ოპერის თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო, რომელიც ფასიანია და პოეტი მისგან გარკვეულ შემოსავალს ელის. პოეტის გამოსვლისა და ლექსების კითხვის შემდეგ საღამოს თავმჯდომარე იწყებს მილოცვების კითხვას, რომელთა შორის არის ია ეკალაძის გალექსილი რუსული სახუმარო მილოცვა. მისი შინაარსი ასეთია, გილოცავ, გეხვევი და შემოსავლის ნაწილს ვსესხულობ შენგანო. გალაკტიონი კიდევ ერთხელ კითხულობს ამ მილოცვას და იქვე პასუხობს, ვერ შევასრულებ ბატონ ია ეკალაძის თხოვნას, რადგან მეც ვიცი და თვითონაც, რომ ჩვენ ამ მხრივ სანდონი არ ვართ, ვალს არავის ვუბრუნებთ და რომ ვასესხო, ფული დამეკარგება. თუ არ გჯერათ, ბატონი ია ეკალაძე აგერ ზის და თავად ჰკითხეთო. დარბაზში ისმის ტაში და სიცილი და ხმამაღლა იცინის თავად ია ეკალაძეც.

➤ 6268

1933

### 5 ივლისი

გალაკტიონი მხოლოდ დღის მეორე ნახევარში შოულობს თანხას მკერავისგან ახალი კოსტიუმის გამოსასყიდად, მიდის სახლში, ნახევარი საათით ისვენებს და გარბის ოპერის თეატრში, სადაც



ტარდება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 25 წლის აღსანიშნავი იუბილე. აღმოაჩენს, რომ ბილეთების ნაწილი დროულად ვერ მიეწოდა ორგანიზაციებს და გაუყიდავი დარჩა. ბრახდება, იმაზე, რომ საიუბილეო კომისიამ მისი სურვილის წინააღმდეგ ბილეთების ნაწილი ფასიანი გახადა. საღამოს დაწყების წინ თეატრი ბოლომდე ივსება, ოღია კულისებში შედის და გალაკტიონისთვის წიგნები მიაქვს. პოეტს მღელვარებისგან ხელები უკანკალებს. იწყება საღამო, გამოდიან სხვადასხვა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, კითხულობენ მის ლექსებს, ჰპირდებიან თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადების დაწყებას, მისი ლექსების თარგმნას სხვადასხვა ენაზე და ქუჩისთვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის დარქმევას. აღნიშნავენ, რომ ამ ასაკში არავის ჰქონია იუბილე, მაგრამ გალაკტიონი გამორჩეულია. საღამოს ბოლოს დეკორაციები აქეთ-იქით იწევს სცენა და დარბაზი ერთიანდება და საღამო კულმინაციას აღწევს.

➤ 6269

1933

5 ივლისი

გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეზე, ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობა, პასუხისმგებელი რედაქტორის – პარუირ ფოლიანის ინიციატივით, პოეტს ასაჩუქრებს ვერცხლის ორნამენტებითა და წარწერებით დამშვენებული პორტსიგარით.

➤ 6270

1933

5 ივლისი

თბილისის ოპერის თეატრის მისამართზე გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავის აღნიშვნის დღეს მიდის დეპუტა, რომლითაც დედა მაკრინე ადგილობრივი ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს ჯანმრთელობას.

➤ 6271

1933

5 ივლისი

საღამოს შემდეგ სასტუმროში „პალასი“ იმართება დიდი საიუბილეო ვახშამი. სუფრასთან გალაკტიონი გატაცებით საუბრობს მუსიკაზე. ერთმანეთს ადარებს ბიზესა და ვაგნერს და უპირატესობას ბიზეს ანიჭებს.

➤ 6272

1933

5 ივლისი

გაზეთში „საბჭოთა ხელოვნება“ იბეჭდება დადგენილება გალაკტიონ ტაბიძისათვის სახალხო მწერლის წოდების მინიჭების თაობაზე.

➤ 6273

1933

5 ივლისი

გაზეთში „საბჭოთა ხელოვნება“ იბეჭდება ცნობა, რომ 29 ივნისს მწერალთა სასახლეში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო, რომელზეც შესავალი სიტყვით გამოვიდა მალაქია ტოროშელიძე, კრიტიკული მოხსენება გააკეთა შალვა რადიანმა, იუბილარმა კი დამსწრეებს წაუკითხა ახალი ლექსები.

➤ 6274

1933

5 ივლისი

გაზეთში „საბჭოთა ხელოვნება“ იბეჭდება რედაქციის საიუბილეო მისალმება გალაკტიონ ტაბიძისადმი. მასში გამოთქმულია რწმენა, რომ ის დიდი ჯილდო – სახალხო მწერლის წოდება – რომლითაც საბჭოთა ხელისუფლებამ ის დააჯილდოვა, გახდება მლიერი იმპულსი პოეტისათვის, რომ ენერგიულად ემსახუროს სოციალისტურ აღმშენებლობას.

➤ 6275

1933

### 5 ივლისი

გაზეთში „საბჭოთა ხელოვნება“ იბეჭდება სიმონ ხუნდაძის სტატია „გ. ტაბიძე და თანადროულობა“. წერილის ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომ გალაკტიონ ტაბიძე მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია. მან განვლო საინტერესო გზა სიმბოლიზმიდან რევოლუციური რომანტიზმისაკენ. სხვა საბჭოთა კრიტიკოსების მსგავსად სიმონ ხუნდაძეც ორ პერიოდად ყოფს პოეტის შემოქმედებას. გალაკტიონის სიმბოლიზმზე მსჯელობისას კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მისი სიმბოლიზმი შედარებით ჯანსაღი იყო და განსხვავდებოდა „ცისფერყანწელებისგან“. გალაკტიონის ვერსიფიკაციული ოსტატობა დიდწილად განსაზღვრა სიმბოლიზმის თეორიული პრინციპების შესწავლამ. სიმონ ხუნდაძის თვალსაზრისით, გალაკტიონმა გარდაქმნა საკუთარი პოეზიის არამხოლოდ შინაარსი, არამედ – ფორმაც და ამ პროცესში დიდ წარმატებებსაც მიაღწია. პოეტმა დასძლია აბსტრაქტულობა და სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული სურათები მოგვცა.

➤ 6276

1933

### 5 ივლისი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მისალმება გალაკტიონ ტაბიძისადმი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით. მიმართვაში გალაკტიონი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ უდიდეს ოსტატადაა გამოცხადებული, რომელიც იმთავითვე რევოლუციის მხარეზე დადგა და შექმნა ისეთი მაღალხარისხოვანი ნაწარმოებები, როგორებიცაა „ეპოქა“ და „რევოლუციონური საქართველო“.

➤ 6277

1933

### 5 ივლისი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის მოკლე ბიოგრაფია.

➤ 6278

1933

### 5 ივლისი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება ბესარიონ ჟღენტის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზა“, რომელშიც პოეტი მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვან წარმომადგენლადაა გამოცხადებული. წერილის ავტორის თქმით, გალაკტიონი იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც ეტაპებს ქმნიან ლიტერატურის ისტორიაში. შემოქმედების პირველ ხანაში პოეტისათვის დამახასიათებელი იყო სკეფსისი, უიმედო განწყობილებანი, თუმცა რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი სოციალისტური სინამდვილის მომღერალი გახდა. მისი პოეტური გარდაქმნა არ ყოფილა უმტკივნეულო პროცესი და ცალკეული ჩავარდნებიც ჰქონდა, თუმცა საბოლოოდ შექმნა ისეთი შესანიშნავი თხზულებები, როგორებიცაა „ეპოქა“, „პაციფიზმი“ და „რევოლუციონური საქართველო“.

➤ 6279

1933

### 5 ივლისი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება ცნობა, რომ 5 ივლისს ოპერის სახელმწიფო თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პარტიული ხელმძღვანელები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეები.

➤ 6280

**1933**

### **5 ივლისი**

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება თენგიზ ჟღენტის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის იუბილეს გამო“, რომელშიც ავტორი იგონებს, თუ როგორ მოაწყვეს ქუთაისში ბოლშევიკებმა პარტიის ბიუჯეტის გასაზრდელად გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული საღამო, შემოსავლის ნაწილი პოეტს გადასცეს, ნაწილი კი პროკლამაციების დაბეჭდვას და სხვა პარტიულ საქმეებს მოახმარეს.

➤ 6281

**1933**

### **5 ივლისი**

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ ქვეყნდება გიორგი ლომიძის სტატია „ეპოქის დიდი პოეტი“, რომელშიც მიმოხილულია გალაკტიონის შემოქმედებითი ევოლუციის გზა. კრიტიკოსის თანახმად, პოეტის ადრეული შემოქმედება იყო ორი ძალის – პესიმიზმისა და რევოლუციური ოპტიმიზმის ჭიდილის ასპარეზი. 1905-7 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ გალაკტიონი თითქოს დასძლია ძველმა ტრადიციამ, მისი პოეტური კილო უფრო ნაღვლიანი გახდა, თუმცა, მეორე მხრივ, ამავე პერიოდში პოეტი წერს ლექსს „პირველი მაისი“. გალაკტიონი რევოლუციამ გამოაფხიზლა, თუმცა, ბლოკის მსგავსად არც მას ჩაუხედავს რევოლუციური პროცესების სიღრმეში, ორივე პოეტმა „რევოლუცია აითვისეს, როგორც გიჟური სიმფონია, როგორც ნგრევის და განადგურების ქარიშხალი“. წერილის ავტორის აზრით, „მენშევიკურმა საქართველომ შებოჭა პოეტი“. მისი შესაძლებლობები სრულად გამოვლინდა გასაბჭოების შემდეგ. ახლა გალაკტიონი უმდერის განახლებულ სოფელს, მშენებლობას, წითელ არმიას. „ეპოქა“, „პაციფიზმი“ და „რევოლუციონური საქართველო“ სოციალისტური რეალიზმის მეთოდით შექმნილი სამაგალითო თხზულებებია.

➤ 6282

**1933**

### **5 ივლისი**

გაზეთში „წითელარმიელი“ „თომაზ ბორელის“ ფსევდონიმით იბეჭდება პლატონ კემელავას სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც განვითარებულია საბჭოთა კრიტიკაში დამკვიდრებული თვალსაზრისი პოეტის შემოქმედების ორი პერიოდის შესახებ. წერილის ავტორის მტკიცებით, მანამდე ინდივიდუალისტ გალაკტიონს რევოლუციამ შემატა ბრძოლის ძალა და უნაზესი ლექსების გვერდით შექმნა „თავდაცვითი პოეზიის“ ნიმუშები, რომლითაც რევოლუციის ინტერესებს დაუკავშირდა.

➤ 6283

**1933**

### **5 ივლისი**

გაზეთში „წითელარმიელი“ იბეჭდება ფრუნზეს სახელობის ქართველ მსროლელთა მეორე დივიზიის მეზრძოლთა მისალმება გალაკტიონ ტაბიძისადმი. მეზრძოლები საქართველოს საყვარელ პოეტს, „რევოლუციონური საქართველოსა“ და „პაციფიზმის“ ავტორს უსურვებენ დაუშრეტელ შემოქმედებით ენერგიას სოციალისტური სამშობლოსათვის მხატვრული სიტყვით მსახურების საქმეში.

➤ 6284

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „წითელარმიელი“ ქვეყნდება საქართველოს თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის კომისიის მისალმება გალაკტიონ ტაბიძისადმი, რომელშიც პოეტი მოხსენიებულია, როგორც თავდაცვითი ლიტერატურის შექმნისათვის თავდადებული მებრძოლი, წარსულის მესაფლავე და რევოლუციური ეპოქის ენთუზიასტი.

➤ 6285

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „წითელარმიელი“ იბეჭდება რედაქციის საიუბილეო მიმართვა გალაკტიონ ტაბიძისადმი, რომელშიც იგი დახასიათებულია, როგორც „საბჭოთა საქართველოს უძლიერესი პოეტი“, საუკეთესო ლექსებისა და პოემების ავტორი. ასევე ნათქვამია, რომ ძველი თაობის პოეტთაგან ყველაზე ადრე მან იგრძნო რევოლუცია და აქტიურად ჩაება სოციალიზმის მშენებლობის პროცესში.

➤ 6286

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „წითელარმიელი“ იბეჭდება ვერა შუბლადის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი „სახელოვან იუბილიარს“.

➤ 6287

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „წითელარმიელი“ იბეჭდება ვანიონ დარასელის „ღია წერილი გალაკტიონ ტაბიძეს“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ წაუკითხა ერთ-ერთ სამხედრო შენაერთს მეთაურმა წვრთნის შემდეგ, შესვენებაზე გალაკტიონის ლექსი „ყველა წითელარმიელი იდგეს, როგორც ლომი“, რასაც მებრძოლთა ერთსულოვანი აღტაცება და ტაშის გრიალი მოჰყვა.

➤ 6288

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ქვეყნდება შალვა რადიანის წერილი „გალაკტიონ ტაბიძე – ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავისათვის“, რომელშიც განხილულია პოეტის შემოქმედებითი ევოლუცია. რადიანი აღნიშნავს, რომ გალაკტიონი სიმბოლიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია ქართულ ლიტერატურაში. იგი თავდაპირველად წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გამომხატველი იყო, 1917 წლის შემდეგ კი გახდა რევოლუციის რომანტიკოსი. მენშევიკურმა „დემოკრატამ“ მას ვერ მისცა შემოქმედებითი აღმაფრენა, საქართველოს გასაბჭოებამ კი პოეტს შემოქმედებითი ზრდისთვის შესანიშნავი პირობები შეუქმნა. გალაკტიონმა დაძლია წვრილბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი და სოციალისტური მშენებლობის მომღერლად იქცა. პოემები „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“ მაღალი იდეურ-პოლიტიკური პათოსით და რეალისტური სისადავითაა გამორჩეული. შეიცვალა გალაკტიონის პოეტური სტილი. იდეალიზმიდან იგი სოციალისტური რეალიზმის მეთოდამდე მივიდა. გალაკტიონის შემოქმედების ნაკლად კრიტიკოსს ის მიაჩნია, რომ პოეტს უჭირს სოციალისტური მშენებლობის კონკრეტული სურათების წარმოჩენა, თუმცა მკითხველი იმედით მოელის გალაკტიონისგან სოციალისტური ეპოქის შესაფერის ვრცელ ტილოებს.

➤ 6289

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი“ სათაურით „გალაქტიონ ტაბიძე“ იბეჭდება 26 ივნისს მწერალთა კლუბში მალაქია ტოროშელიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა. მასში ნათქვამია, რომ ჩვენმა ეპოქამ ქართულ პოეზიას შემატა კიდევ ერთი მწვერვალი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების სახით და რომ პოეტმა შეძლო თავისი უდიდესი ნიჭის სწორად წარმართვა ხალხის საკეთილდღეოდ. მან უკან ჩამოიტოვა პროლეტარიატთან ლიტერატურული თანამგზავრობის სტადია და უფრო ორგანულად ჩაება მუშათა კლასის მხატვრული კულტურის მშენებლობაში. ტოროშელიძე იმედს გამოთქვამს, რომ ქართველი საბჭოთა მწერლები შეძლებენ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ღირსეულ შეფასებას.

➤ 6290

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „საბჭოთა მწერლობის ზეიმი“, რომელშიც ავტორი პროლეტარული მწერლობის მიღწევად მიიჩნევს ისეთი საუკეთესო პოეტის მიმხრობას, როგორც გალაკტიონ ტაბიძეა. იგი წერს, რომ საოცრად მდიდარია გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ხერხების არსენალი, ის რითმისა და ასონანსების დიდოსტატია, რევოლუციურ ძვრებში პოეტმა ჰპოვა ახალი იმპულსები და მისი შემოქმედება ჯანსაღი ენთუზიაზმით აამოძრავა.

➤ 6291

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „გალაქტიონ ტაბიძე“, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება დაყოფილია ორ პერიოდად, რევოლუციამდელად და მის შემდგომად. პირველ პერიოდში მის შემოქმედებაში მოისმოდა დეკადენტური პოეზიისთვის დამახასიათებელი მოტივები, მეორეში კი მასში მოხდა გარდატეხა, მაგრამ იდეოლოგიური თვალსაზრისით მაინც შეინიშნება ნაკლოვანებები. მის ლექსებში არ ჩანს ბრძოლა თემის ღრმა განვითარებისათვის და უფრო მეტად ზოგადი სიტყვებია. მიუხედავად ამისა, პესიმისტი პოეტიდან იგი პროლეტარული რევოლუციის მოკავშირე პოეტად იქცა.

➤ 6292

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი“ იბეჭდება მისი ფოტო და იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსები: საფო მგელაძის „გალაქტიონ ტაბიძეს“ („თუ წინად თეთრი გედი...“) და გიორგი ქუჩიშვილის „გალაქტიონ ტაბიძეს“ („არა ღმერთების პარნასის მთიდან...“)

➤ 6293

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი“ იბეჭდება საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წლის 21 ივნისის დადგენილება გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით.

➤ 6294

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი“ იბეჭდება საკავშირო მწერალთა საორგანიზაციო კომიტეტისა და დრამატურგთა ავტონომიური სექციის მისალმება, რომელსაც ხელს აწერენ ალექსანდრ ფადეევი, ვალერი კირპოტინი, ვლადიმირ სტავსკი, სერგი ამალლობელი და ლევ სუბოცკი.

➤ 6295

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი“ იბეჭდება საქართველოს პროფკავშირის საბჭოს მისალმება, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ დაძლია პოეტმა უიმედობა, შეეგება პროლეტარიატს და ჩადგა მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

➤ 6296

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი“ იბეჭდება ნაწყვეტი გალაკტიონ ტაბიძის პოემიდან „რევოლუციონური საქართველო“ („არა თუ წლები...“).

➤ 6297

1933

**5 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „გ. ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წელი“ იბეჭდება პოეტის ბიოგრაფიული ცნობები. ტექსტის ბოლოს არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოეტი არის მეექვსე მოწვევის საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და მინიჭებული აქვს სახალხო პოეტის წოდება.

➤ 6298

1933

**5 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება სიმონ ხუნდაძის სტატია „გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზები“. ავტორი ქრონოლოგიურად მიმოიხილავს პოეტის მიერ განვლილ შემოქმედებით გზას, საუბრობს გალაკტიონის ლექსის გარეგან ფორმაზე, სახეებზე, რითმაზე, რიტმზე და ასონანსების სიმდიდრეზე, რუსი სიმბოლისტების გავლენაზე, საბჭოთა პერიოდში განცდილ ცვლილებებზე და ამბობს, რომ მას კიდევ ბევრი გაკეთება შეუძლია სოციალისტური პოეზიის გასამდიდრებლად.

➤ 6299

1933

**5 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“, სათაურით „გალაქტიონ ტაბიძე“, იბეჭდება მალაქია ტოროშელიძის მიერ 29 ივნისს გალაკტიონ ტაბიძის მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ შემოქმედებით საღამოზე წარმოთქმული სიტყვა. მომხსენებლის თქმით, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება გარკვეულ პერიოდში უაღრესად ინდივიდუალისტური და პესიმისტური იყო, მიაღწია დეკადენტური პოეზიის უმაღლეს ფორმებს და ჩავარდა იდეურობისგან დაცლის საფრთხეში, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იგი ჩამოყალიბდა როგორც დიდი ხელოვანი, რომელიც ასახავს სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილ პროცესებს.

➤ 6300

1933

**5 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძისადმი გიორგი ქუჩიშვილის მიერ მიძღვნილი ლექსი, სათაურით „მეგობარ პოეტს“ („შენ ჩვენ შორის აღმართულხარ...“).

➤ 6301

1933

**5 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება დავით კაკაბაძის პორტრეტი „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 6302

1933

**5 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „ოცდახუთი წლის მანძილზე“, რომელიც მიმოიხილავს გალაკტიონის შემოქმედებას მისი პირველი ლექსებიდან ბოლო პერიოდამდე. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ პოეტის წინაშე გადაუდებელ ამოცანად დგას ბრძოლა სოციალისტური რეალიზმის სტილისთვის. თუ ადრე მას მთელი ყურადღება მიჰყვებოდა ჰქონდა მუსიკალური ლექსისკენ, ახლა თეთრი ლექსითაც იწყო წერა.

➤ 6303

1933

**5 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება კალე ბობოხიძის ლექსი „გალაკტიონ ტაბიძეს“ („გაჰყევი ტემპებს გიგანტურ ძალით...“).

➤ 6304

1933

**5 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ „ლ“-ს ხელმოწერით იბეჭდება სტატია „გალაკტიონ ტაბიძე: ბიოგრაფიული ცნობები“.

➤ 6305

1933

**5 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება იოსებ გრიშაშვილის სტატია „ჩემი მოგონება გალაკტიონზე“, რომელშიც იგი იხსენებს, ჟურნალში „საქართველო“ მუშაობისას როგორ შეუმოკლა და გადაუკეთა გალაკტიონს გამოსაქვეყნებლად მიტანილი ერთი ლექსი და როგორ გამოუგონა ფსევდონიმი „ტაბი“. შემდეგ ყვება, გაზეთში „ერი“ მუშაობისას როგორ მიაწერა გალაკტიონს ტიციან ტაბიძის ლექსი, რადგან არ იცოდა, რომ სხვა ტაბიძეც წერდა ლექსებს. გრიშაშვილი ასევე იგონებს მისი და გალაკტიონის ახლო ურთიერთობის პერიოდს და გალაკტიონის მიერ მისდამი მიძღვნილ ორ ლექსს, ბოლოს კი აღნიშნავს დიდი პოეტის ერთ თავისებურებას, გალაკტიონს სხვა პოეტებზე კარგის თქმა არ უჭირს, მაგრამ ყოველთვის ახერხებს, რომ მასთან ერთად თავისი სიდიადეც წარმოაჩინოსო და შედარებისთვის მოჰყავს ვალერი ბრიუსოვის პოეტური ციტატა, რომლის შინაარსიც ასე ჟღერს: „ის პოეტების პრეზიდენტია და ვაძლევ მას ჩემს მეფურ ხმას“.

➤ 6306

1933

**5 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება მიმდინარე დღეს ოპერის თეატრში დაგეგმილი გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოს აფიშა.

➤ 6307

1933

### 5 ივლისი

ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის ორგანიზებით თბილისის ოპერის თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო. ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელია შალვა დადიანი, რეჟისორები – მიხეილ ჭიაურელი და ნიკოლოზ შენგელაია და მხატვარია ლადო გუდიაშვილი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოდის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე, იუბილარს მიესალმებიან სახელმწიფო, პარტიული, პროფესიული და კულტურულ-საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს კითხულობენ მსახიობები: ვერიკო ანჯაფარიძე, ხათუნა ჭიჭინაძე, დიმიტრი გაგუა, მწერლები და პოეტები: შალვა დადიანი, ნიკოლორთქიფანიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ფრიდონ ნაროშვილი, საფო მგელაძე, ილო მოსაშვილი, გრიგოლ ცეცხლაძე, ვასო გორგაძე, გიორგი კაჭახიძე და კალე ბოზოხიძე. მონაწილეობენ: მომღერლები: დავით ანდლულაძე, დავით ბადრიძე, შალვა ცირღილაძე, ანა კოლომეიცივა, პეტრე ამირანაშვილი, ეკატერინე სოხაძე, ნადეჟდა ცომიაია, ელისაბედ გასტენინა და ვოკალური კვარტეტი გრიგოლ კოკელაძის ხელმძღვანელობით, შოთა ცირღილაძის, ბორის კორინთელის, გიორგი გოგიჩაძისა და ვლადიმერ გერმესაშვილის მონაწილეობით. გალაკტიონ ტაბიძე კითხულობს თავის ახალ ლექსებს და როიალის აკომპანირებას უწევენ მ. როგოვსკაია და ი. ბარათაშვილი.

➤ 6308

1933

### 5 ივლისი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ინფორმაცია 29 ივნისს მწერალთა კლუბში ჩატარებული გალაკტიონ ტაბიძის საღამოს შესახებ. წერია, რომ საღამო გახსნა მალაქია ტოროშელიძემ, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა შალვა რადიანმა, მისალმებებით და სიტყვებით გამოვიდნენ: ფრიდონ ნაროშვილი და გიორგი ქუჩიშვილი.

➤ 6309

1933

### 5 ივლისი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ 30 ივნისს სომხეთის ხელოვანთა სასახლეში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო გამართა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხურმა ფრაქციამ.

➤ 6310

1933

### 5 ივლისი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება გალაკტიონის მოკლე ბიოგრაფია, ნაწყვეტები პოემიდან „რევოლუციონური საქართველო“ და გაზეთის რედაქციის მისალმება შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. უსურვებენ დღეგრძელობას და ახალ შემოქმედებით მიღწევებს სოციალისტური ლიტერატურის პოზიციების განსამტკიცებლად.

➤ 6311

1933



## 5 ივლისის შემდეგ

ოლია ოკუჯავა გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკში იწერს იმ წიგნების სიას, რომლებიც 1933 წლის 5 ივლისს ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 25 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე მიართვის პოეტს.

➤ 6312

1933

## 5 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ბრწყინავს თეატრი, სინათლე ბადრი...“.

➤ 6313

1933

## 5 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „როგორც მენავემ ძველი სანავე...“.

➤ 6314

1933

## 5 ივლისის შემდეგ

წერს ლექსს „ასფალტი“.

➤ 6315

1933

## 5 ივლისის შემდეგ

ხელნაწერ ჟურნალში გამოსაქვეყნებელ ლექსთან ერთად წერილს უგზავნის რკინიგზის N4 ქალთა სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეებს. სწერს, რომ მათმა ბარათმა თავისი მოწაფეობის ხანა გაახსენა, როდესაც თავადაც გამოსცემდა ხელნაწერ ჟურნალს. მაშინ ბევრი წინააღმდეგობა ხვდებოდათ, ახლა კი შეუძლიათ მეტი ცოდნით შეიარაღდნენ და წვლილი შეიტანონ სამშობლოს აღმშენებლობაში. ხელს აწერს, როგორც საქართველოს სახალხო პოეტი.

➤ 6316

1933

## 5 ივლისის შემდეგ

ოლია ოკუჯავა დღიურში წერს, რომ ლიტერატურულ ასპარეზზე გალაკტიონ ტაბიძის გამოსვლიდან მას გამუდმებით ბრძოლაში უხდებოდა ყოფნა. მისი მოღვაწეობის დაწყებიდან 25 წლისთავის აღსანიშნი იუბილეს წინ ჟურნალ-გაზეთები მთელი კვირის განმავლობაში ბჭობდნენ მისი შემოქმედების შესახებ, მაგრამ ერთი ღრმა ანალიზიც კი არ გამოჩენილა. ოლიას უკვირს, რომ საქართველოში არ მოიძებნა კრიტიკოსი, რომელიც უბრალოდ ქებას კი არ დაუწყებდა პოეტს, არამედ კულტურულად გააანალიზებდა მის შემოქმედებას. ოლია ფიქრობს, რომ სადამომ ხელოვნების სასახლეში ნორმალურად ჩაიარა, მაგრამ წუხს, რომ ჯერ კიდევ არ გამოჩნდა ლიტერატურათმცოდნე, რომელიც გალაკტიონის პოეზიას სათანადოდ შეაფასებდა.

➤ 6317

1933

## 6 ივლისი

გაზეთში კოლექტივიზაცია „ა. ბ-ლი“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „გალაკტიონ ტაბიძე“ წარმოდგენილია პოეტის ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები.

➤ 6318

1933

## 6 ივლისი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება ერემია ასტვაცატუროვის სტატია „გალაქტიონ ტაბიძე“. წერილის ავტორის თქმით, გალაკტიონი ჩვენს ლიტერატურაში სიმბოლიზმის კლასიკური წარმომადგენელია და მისი პოეზია მიმდინარე ლიტერატურული პროცესის ცოცხალი შენაკადია. კრიტიკოსის შეხედულებით, სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელია გულგრილობა სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკისადმი, ინდივიდუალიზმი, მისტიციზმი, აბსტრაქტული სიმბოლოებითა და მხატვრული სახეებით აზროვნება. ამ ნიშნებით ხასიათდება გალაკტიონის პირველი პერიოდის პოეზიაც. ასტვაცატუროვის აზრით, სხვა სიმბოლისტებისაგან გალაკტიონს განასხვავებდა ის ფაქტი, რომ მას არ ჰქონდა „მთლიანი მსოფლმხედველობა“, მისი მრწამსი წინააღმდეგობრივი იყო, არაჯანსაღი ტენდენციების გვერდით ჯანსაღი სულისკვეთებაც შეინიშნებოდა. გალაკტიონის ცნობიერებაში გარდატეხა მოახდინა ოქტომბრის რევოლუციამ, რომლის უშუალო მოწმეც გახდა. წერილის ავტორის თქმით, პოეტი მენშევიკურ საქართველოში დაბრუნების შემდეგ კვლავ შეიპყრო პესიმიზმმა, რომელიც დაძლეულ იქნა გასაბჭოების შემდეგ. ამ დროიდან მან პრინციპი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ შეცვალა ხელოვნების უტილიტარული გაგებით. მისი სახეობრივი აზროვნებაც გათავისუფლდა სიმბოლისტური ბუნდოვანებისაგან. გალაკტიონ ტაბიძემ გააკეთა მაქსიმუმი იმისათვის, რომ ქცეულიყო მოწინავე საბჭოთა მწერლად.

➤ 6319

**1933**

**6 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი სათაურით „გ. ტაბიძის 25 წლის სამწერლო მოღვაწეობის საიუბილეო საღამო“, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს საღამო ჩატარდა წინა დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში. იგი გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარემ, მალაქია ტოროშელიძემ, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ რაფიელ აღამალიანი, ვალერიან იმედაძე, ბესარიონ ჟღენტი, დავით დუმბაძე. საზოგადოება ტაბიძის შემხვდა გალაკტიონ ტაბიძისთვის სახალხო პოეტის წოდების მინიჭებას. გალაკტიონ ტაბიძისა და საკუთარი ლექსები წაიკითხეს: გიორგი ქუჩიშვილმა, ვასილ გორგაძემ, საფო მგელაძემ, კალე ბობოხიძემ, უშანგი ჩხეიძემ, დიმიტრი გაგუამ, ხათუნა ჭიჭინაძემ და სხვებმა.

➤ 6320

**1933**

**6 ივლისი**

გაზეთში „ტიფლისკი რაბოჩი“ ქვეყნდება სტატია, რომელშიც წარმოდგენილია გალაკტიონის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითადი თარიღები.

➤ 6321

**1933**

**6 ივლისი**

დღიურში წერს, რომ მისი სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე დიდებულად იქნა გადახდილი წინა დღეს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

➤ 6322

**1933**

**6 ივლისის შემდეგ**

კითხულობს 1914 წელს მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებების I ტომს. ლექსებიდან: „ბაზალეთის ტბა“, „ყვარლის მთებს“, „სანთელი“, „ხმა სამარიდან“, „სიმღერა“, „გუთნის დედა“, „ლოცვა“, „მეც შავს თვალებს“, „კაცო, გიყვარდეს...“ და „მთვარეს“ იწერს ცალკეულ სიტყვებს, ფრაზებს და აკეთებს შენიშვნებს. აღნიშნავს ადგილებს, სადაც „ტლანქი ენა“ ან ცეზურები დარღვეულია.

➤ 6323

1933

### 8 ივლისი

გაზეთში „კოლექტივიზაცია“ იბეჭდება წერილი „გ. ტაბიძის საიუბილეო საღამო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 5 ივლისს თბილისის საოპერო თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის თავმჯდომარემ მალაქია ტოროშელიძემ და საკუთარი სიტყვის ბოლოს წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გალაკტიონ ტაბიძისათვის სახალხო პოეტის წოდების მინიჭების თაობაზე. სამხარეო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ აღამალიანმა განაცხადა, რომ იგი პირადად უზრუნველყოფს გალაკტიონის წიგნების გამოცემას სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე. თბილისის საბჭოს წარმომადგენელმა კი აღნიშნა, რომ გალაკტიონ ტაბიძის სახელი ეწოდება თბილისის მე-12 სკოლას და ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას. ასევე დაარსდება გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტიპენდია. იუბილარმა ფულადი საჩუქრები მიიღო ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიული საბჭოებისგან.

➤ 6324

1933

### 8 ივლისი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ქვეყნდება სტატია „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილე“, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ჩაიარა პოეტის საიუბილეო ღონისძიებამ თბილისის ოპერის თეატრში 5 ივლისს.

➤ 6325

1933

### 8 ივლისი

გაზეთში „ტიფლისკი რაზოჩი“ ქვეყნდება ცნობა, რომ 5 ივლისს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. აღნიშნულია, რომ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა იწყებს პოეტის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას. საქართველოს კინოსტუდიამ გადაწყვიტა გალაკტიონის ერთ-ერთი პოემის მიხედვით გადაიღოს ფილმი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის ფაკულტეტზე დაინიშნება გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტიპენდია. აჭარის ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადაწყვეტილებით, აჭარაში ერთ-ერთ სკოლას ეწოდება გალაკტიონ ტაბიძის სახელი და დაარსდება პოეტის სახელობის 5 სტიპენდია.

➤ 6326

1933

### 9 ივლისი

გაზეთში „მოლოდოი რაზოჩი“ ქვეყნდება ცნობა, რომ 5 ივლისს თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო. საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის თავმჯდომარემ მალაქია ტოროშელიძემ წაიკითხა შესავალი სიტყვა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გალაკტიონ ტაბიძისათვის სახალხო მწერლის წოდების მინიჭების თაობაზე. მოხსენება იუბილარის შემოქმედების შესახებ გააკეთა ბესარიონ ჟღენტმა. სამხარეო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგემ რაფიელ აღამალიანმა განაცხადა, რომ იგი პირადად უზრუნველყოფს გალაკტიონის წიგნების გამოცემას მოძმე რესპუბლიკების ენებზე. პოეტმა მილოცვები მიიღო რუსეთის, სომხეთისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების მწერალთა ორგანიზაციებიდან. ღონისძიების ბოლო ნაწილი დაეთმო მუსიკალურ განყოფილებას.

➤ 6327

1933

**9 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ბენიტო ბუაჩიძის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“. ავტორი მიმოიხილავს პოეტის შემოქმედებით გზას, მსჯელობს მის ადრეულ ლირიკასა და ბოლო პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებზე. იგი მიიჩნევს, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ქართული ლექსი დახვეწა, გაამდიდრა როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმის თვალსაზრისით. კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს პოეტის ნაწარმოებების თემატურ მრავალფეროვნებაზე და მისი ლექსების მხატვრულ დამაჯერებლობაზე. იგი ფიქრობს, რომ გალაკტიონის, როგორც პოეტის უდიდესი ღირსება ეპოქის მოწინავე იდეების და დროის გამმაფრებული შეგრძნებაა. ბუაჩიძე მიიჩნევს, რომ სწორედ ამ თვისებებმა აქცია გალაკტიონი საქართველოს მუშათა კლასის საყვარელ პოეტად. ის ფაქტი, რომ იგი პირველი პოეტია საქართველოში, რომელსაც სახალხო მწერლის სახელი მიენიჭა, კრიტიკოსის შეხედულებით, მოწმობს, თუ რამდენად აფასებს საბჭოთა ხელისუფლება მწერალს.

➤ 6328

1933

**10 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტური განათლება“ „გ. მ“-ს ფსევდონიმით იბეჭდება სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც პოეტის ძირითადი ბიოგრაფიული ცნობებია წარმოდგენილი.

➤ 6329

1933

**11 ივლისი**

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობის გამგეს ბარონ ბიბინეიშვილს და ითხოვს, რომ გამოუწერონ ჟურნალ „მნათობის“ ჰონორარი 50 მანეთი.

➤ 6330

1933

**11 ივლისი**

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში თეატრის ღია სცენაზე იმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო, რომელსაც ხსნის მემანქანე სოლომონ დოლიძე. მოხსენებით გამოდის ბესარიონ ჟღენტე, საკუთარ ლექსებს კითხულობენ ვასო გორგაძე და კირილე ლორთქიფანიძე, ხოლო მსახიობები: უშანგი ჩხეიძე, ხათუნა ჭიჭინაძე და ვერიკო ანჯაფარიძე კითხულობენ გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსებს. ამავე დღეს კლუბთან არსებულ ლიტერატურულ წრეს ანიჭებენ გალაკტიონ ტაბიძის სახელს.

➤ 6331

1933

**14 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი სათაურით „სახალხო მწერლის გალაკტიონ ტაბიძის საღამო“, რომელშიც ნათქვამია, რომ პოეტის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა 11 ივლისს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, შესავალი სიტყვები წარმოთქვეს ბესარიონ ჟღენტმა და სიკო დოლიძემ, კლუბის სამკითხველოს სახელით მიესალმა გ. ჩარხიშვილი, ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა: უშანგი ჩხეიძემ, ხათუნა ჭიჭინაძემ და ვერიკო ანჯაფარიძემ, მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა: ვასილ გორგაძემ და კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, ბოლოს კი ლექსები წაიკითხა თავად იუბილარმა.

➤ 6332

1933

## 15 ივლისი

ჟურნალში „დროშა“ იბეჭდება ბენიტო ბუაჩიძის სტატია „რევოლუციის დიდი შემოქმედი“. მასში მიმოხილულია ისტორიული ვითარება, რომლის დროსაც გალაკტიონ ტაბიძე გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე. ბუაჩიძის აზრით, იგი უდიდესი ლირიკოსია, რომლის აზრები და განცდებიც უმშვენიერეს მხატვრულ ფორმაშია ჩამოსხმული. მის შემოქმედებას ახასიათებს რევოლუციის რომანტიკა და შეიცავს სოციალისტური რეალიზმის ელემენტებს. ავტორი პოეტის უდიდეს ღირსებად ასახელებს ეპოქის მოწინავე იდეებისა და დროის უღრმეს შეგრძნებას. ამით ხსნის იმას, რომ ქართველ მწერალთაგან მას პირველს მიენიჭა სახალხო პოეტის წოდება.

➤ 6333

## 1933

### 15 ივლისი

ჟურნალში „დროშა“ სათაურით „გ. ტაბიძის იუბილე“ იბეჭდება პოეტის ბიოგრაფიული ცნობები და დავით კაკაბაძისეული პორტრეტი.

➤ 6334

## 1933

### 18 ივლისი

თბილისის აბრეშუმის ფაბრიკაში ტარდება შეხვედრა საბჭოთა მწერლებთან, რომლის დროსაც საფუძველი ეყრება ლიტერატურულ წრეს. საკუთარი ნაწარმოებებს კითხულობენ: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, შალვა დადიანი და სხვები.

➤ 6335

## 1933

### 21 ივლისი

გაზეთის „კომუნისტი“ რუბრიკაში „ქრონიკა“ სათაურით „გ. ტაბიძის საღამო“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ მიმდინარე დღეს, 21 ივლისს პლექანოვის სახელობის კლუბში ჩატარდება გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავი საღამო, რომელსაც კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკასთან ერთად მართავს სალიტერატურო წრე.

➤ 6336

## 1933

### 21 ივლისი

პლექანოვის სახელობის კლუბში იმართება გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზეც მოხსენებით გამოდის ბესარიონ ჟღენტი და გალაკტიონ ტაბიძეს ესალმებიან მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

➤ 6337

## 1933

### 21 ივლისი

შეხვედრას უმართავენ თბილისის სტალინის სახელობის ორთქმავალშემკეთებელი ქარხნის მუშებთან. ღონისძიებაზე გალაკტიონის პოეზიის შესახებ მოხსენებას კითხულობს ბესარიონ ჟღენტი და სიტყვით გამოდიან ქარხნის მუშები.

➤ 6338

## 1933

### 23 ივლისი

გაზეთში „ჩვენი საყვირი“ იბეჭდება დ. ჯღარკავას სტატია „გ. ტაბიძის საიუბილეო საღამო ჩვენთან“, რომელშიც საუბარია 21 ივლისის თბილისის სტალინის სახელობის

ორთქლმავალშემკეთებელ ქარხანაში სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან გამართული შეხვედრის შესახებ.

➤ 6339

1933

24 ივლისი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ვანო წულუკიძის სტატია „გალაკტიონ ტაბიძის იუბილე“. ავტორი აღნიშნავს, რომ ოპერის თეატრში 5 ივლისს სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამო მწერლის განვლილი გზის შეფასებაა. საიუბილეო სადამოს თავმჯდომარის – მალაქია ტოროშელიძის თქმით, გალაკტიონ ტაბიძემ ნამდვილად დაიმსახურა ის, რომ კომუნისტურმა პარტიამ და მუშათა კლასმა აღიარეს თავიანთ პოეტად.

➤ 6340

1933

24 ივლისი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ოპერის თეატრში 5 ივლისს სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სადამოზე გალაკტიონ ტაბიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა და დავით ნაცვლიშვილის (დონი) მეგობრული შარჟი. პოეტი აღნიშნავს, რომ აღელვებულია მისდამი გამოჩენილი დიდი სიყვარულითა და დაფასებით, რაც ინტენსიური მუშაობისთვის ძალასა და ენერგიას მატებს. გამოსვლას ამთავრებს ლექსით „რევოლუციონურ საქართველოს“ („რევოლუციონურს, ჯერარნახულს, ჯერარგაგონილს...“).

➤ 6341

1933

24 ივლისი

გაზეთში „მოლოდოი რაზოჩი“ „გ“-ს ფსევდონიმით ქვეყნდება სტატია „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების 25 წელი“, რომელშიც მიმოხილულია პოეტის ევოლუციის გზა. გალაკტიონის ადრეული ლირიკა შეფასებულია, როგორც წვრილბურჟუაზიული დაცემულობის განწყობილებათა გამომხატველი. წერილის ავტორის თქმით, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გალაკტიონი თავისუფლდება უწინდელ განწყობათაგან და უახლოვდება სოციალიზმის მშენებელთა წრეებს, რის შემდეგაც ქმნის თავის საუკეთესო ლექსებს. გალაკტიონი ინტელიგენციის იმ ნაწილის წევრადაა გამოცხადებული, რომელთაც უყოყმანოდ მიიღეს რევოლუცია და დადგნენ მუშათა კლასის გვერდით. სტატიაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო გამომცემლობა მალე დაბეჭდავს პოეტის ლექსებს რუსულ ენაზე.

➤ 6342

1933

24 ივლისი

გაზეთში „მოლოდოი რაზოჩი“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსის – „აფხაზეთი“ – ბორის ბრიკისეული თარგმანი.

➤ 6343

1933

24 ივლისი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება საინფორმაციო სტატია „მწერლები აბრეშუმის ფაბრიკაში“, რომელშიც საუბარია მიმდინარე წლის 18 ივლისს თბილისის აბრეშუმის ფაბრიკაში გალაკტიონ ტაბიძესთან და სხვა მწერლებთან შეხვედრის შესახებ.

➤ 6344

1933

**24 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება განცხადება იმის შესახებ, რომ სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი 29 ივლისს მწერალთა სასახლეში 7 საათზე მართავს დისკუსიას თემაზე „საბჭოთა პოეზიის შემოქმედებითი საკითხები“, რომელზეც მოხსენებას კითხულობს შალვა რადიანი და კამათში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან: გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, სანდრო ეული, ტიცინა ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები.

➤ 6345

1933

**24 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება სტატია „შევქმნათ მაღალხარისხოვანი თავდაცვითი ლიტერატურა“, რომელშიც ნათქვამია, რომ სამხედრო სალიტერატურო კომისიამ თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ჩააბა მწერლები: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ირაკლი აბაშიძე და ვალერიან გაფრინდაშვილი, რომლებიც უკვე ქმნიან მაღალხარისხოვან თავდაცვით ლიტერატურულ პროდუქციას.

➤ 6346

1933

**24 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება საინფორმაციო სტატია სათაურით „მუშათა კლუბებში“, რომელშიც საუბარია 11 ივლისს ორჯონიკიძის სახელობის ბაღში და 21 ივლისს პლენარის სახელობის კლუბში გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოების შესახებ.

➤ 6347

1933

**24 ივლისი**

გაზეთის „კომუნისტი“ რუბრიკაში „ქრონიკა“ სათაურით „გ. ტაბიძის საღამო“ იბეჭდება განცხადება, რომ 25 ივლისს საღამოს 8 საათზე ნავთლუღის რკინიგზის მუშათა კლუბში ამავე კლუბის გამგეობისა და ლიტერატურული წრის თაოსნობით გაიმართება სახალხო მწერლის, გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავი საღამო. ასევე ნათქვამია, რომ ხსენებულ ლიტერატურულ წრეს ენიჭება გალაკტიონ ტაბიძის სახელი.

➤ 6348

1933

**24 ივლისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ სათაურით „თანამედროვეობის დიდი პოეტი“ იბეჭდება მალაქია ტოროშელიძის სიტყვა, წარმოთქმული 5 ივლისს ოპერის თეატრში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოზე. მასში მიმოხილულია პოეტის შემოქმედება სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლიდან უკანასკნელ პერიოდამდე. პოეტის ლექსში „გურიის მთებს“ მომხსენებელი ხედავს რეალობისგან, ქვეყანაში გამეფებული რეაქციისგან გაქცევის სურვილს. შემდეგ აღნიშნავს, როგორ შეეგება პოეტი რუსეთის რევოლუციას ლექსით „დროშები ჩქარა“ და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ როგორ ჩაება ქვეყნის აღმშენებლობაში. ტოროშელიძე გამოსვლას ამთავრებს სიტყვებით: „გაუმარჯოს თანამედროვეობის დიდ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს“, რასაც საზოგადოება მქუხარე ოვაციებით ხვდება.

➤ 6349

1933

## 24 ივლისი

„სალიტერატურო გაზეთში“ „ვ. წ-მე“-ს ფსევდონიმით იბეჭდება ვანო წულუკიძის სტატია „არა გვირგვინი, არამედ პატაკი“, რომელშიც ის საუბრობს იმაზე, თუ როგორ დაუფასა პროლეტარიატმა და საბჭოთა ხელისუფლებამ პოეტს ოცდახუთწლიანი ღვაწლი, როგორ გამოდიოდნენ მის საიუბილეო საღამოზე ოპერის თეატრში სხვადასხვა ქარხნის მოწინავე მუშები და სთხოვდნენ წვლილის შეტანას ახალგაზრდების აღზრდაში. საღამოზე გამოითქვა სურვილი, რომ გალაკტიონის შემოქმედება ითარგმნოს ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე. სტატიის ავტორს ასეთი დამოკიდებულება და დაფასება მიაჩნია იმ ჯილდოდ, რომელიც პოეტმა მიიღო თავისი 25-წლიანი თავდადებული შრომისთვის.

➤ 6350

1933

## 24 ივლისი

„სალიტერატურო გაზეთში“ სათაურით „გ. ტაბიძის გამოსვლა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა 5 ივლისს ოპერის თეატრში მისი მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. ის მაღლობას უხდის ყველას მისი და ზოგადად ქართული მწერლობის ასეთი დაფასებისთვის და გამოსვლას ამთავრებს ლექსით „რევოლუციონურ საქართველოს“. პუბლიკაციაში ჩართულია დავით ნაცვლიშვილის მეგობრული შარჟი „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 6351

1933

## 25 ივლისი

საღამოს 8 საათზე ნავთლუღის რკინიგზის მუშათა კლუბში ამავე კლუბის გამგეობის, კოტე რატიშვილისა და ლიტერატურული წრის თაოსნობით იმართება სახალხო მწერლის, გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის აღსანიშნავი საღამო და ხსენებულ ლიტერატურულ წრეს ენიჭება გალაკტიონ ტაბიძის სახელი. საღამოს მეუღლესთან, ოლია ოკუჯავასთან ერთად ესწრება. კითხულობს ლექსებს: „მერი“ და „მე და ღამე“. საღამოს შემდეგ ვახშამს უმართავენ. მაგრამ იმის გამო, რომ გვიანია, ოლია ვახშამზე არ ტოვებს. გალაკტიონი მეუღლეს სახლში მიაცილებს და თავად ისევ ვახშამზე ბრუნდება.

➤ 6352

1933

## 26 ივლისი

ილო ტერელაძე ჩუქნის თავისი ლექსების წიგნს წარწერით: „ძღვნად პატივცემულ, სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს ავტორისაგან. 1933 წ. 26/VII. ტფილისი“.

➤ 6353

1933

## 26 ივლისი ან შემდეგ

ილო ტერელაძის მიერ ნაჩუქარ ლექსების წიგნში „სისხლი და ზეიმი“ ხაზს უსვამს სტრიქონს – „ქარი ჰქერის, ქარი, კედლები ფანდურს“ და გვერდით წერს უსათაურო ლექსს „მახსოვს: ქარი სძრავდა...“.

➤ 6354

1933

## 27 ივლისი

ძმას, აბესალომ ტაბიძეს თბილისიდან ჭყვიშში დედასთან ატანს მოკლე ბარათს, რომელშიც სწერს, რომ მალე ინახულებს.

➤ 6355



1933

**29 ივლისი**

მონაწილეობას იღებს მწერალთა სასახლეში 7 საათზე გამართულ დისკუტში თემაზე „საბჭოთა პოეზიის შემოქმედებითი საკითხები“.

➤ 6356

**ა გ ვ ი ს ტ ო**

1933

**13 აგვისტო**

ვოროშილოვის სახელობის მუშათა კლუბში ტარდება მისი საიუბილეო საღამო. სიტყვით გამოდიან კლუბისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მუშათა წარმომადგენლები. საღამოში მონაწილეობენ მწერლები: გიორგი ქუჩიშვილი, საფო მგელაძე და სხვები, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ კი მოხსენებით გამოდის ბესარიონ ჟღენტი.

➤ 6357

1933

**15 აგვისტო**

ჟურნალში „დროშა“ იბეჭდება შალვა რადიანის წერილი „ლირიკის დასაცავად“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სტროფი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „წინ, ამხანაგო, წინ!“ („პოეტი არის მეზრძოლი...“). სტატიაში საუბარია იმის შესახებ, რომ არ შეიძლება ლირიკის წმინდა კამერულ ჟანრამდე დაყვანა და რომ სოციალისტური მშენებლობის ეპოქასაც თავისი ლირიკა აქვს.

➤ 6358

1933

**24 აგვისტო**

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება ინფორმაცია 13 აგვისტოს ვოროშილოვის სახელობის მუშათა კლუბში გამართული მისი საიუბილეო საღამოს შესახებ.

➤ 6359

1933

**24 აგვისტო**

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ სექტემბრიდან გამოიცემა ახალი ჟურნალი „ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურა და ხელოვნება“, რომლის პასუხისმგებელი რედაქტორია გიორგი ტატულოვი, პასუხისმგებელი მდივანი – ბესარიონ ჟღენტი და სარედაქციო კოლეგიაშია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6360

**ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი**

1933

**15 სექტემბრამდე**

აპირებს, გაარკვიოს, ვისგან შედგება სახელმწიფო კინომრეწველობის სამხატვრო-პოლიტიკური საბჭო, ვინ არის მწერლებთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ განცხადების ავტორი და რა მიზეზით არის თვითონ გამოტოვებული. ფიქრობს, რომ კინემატოგრაფიის თვალსაზრისით აქტიურობა სჭირდება.

➤ 6361

1933

**15 სექტემბრამდე ან შემდეგ**

ჭომისაკენ მეგობართან, ინჟინერ ვლადიმერ ჯიქიასთან ერთად მიმავალი გალაკტიონი შენიშნავს წყაროს და თავის თანამგზავრს, რომელიც იმხანად რიონჰესის მშენებლობას ხელმძღვანელობს,

ეუბნება, ამ ადგილის კეთილმოწყობას ასიოდე აგური და ორი ტომარა ცემენტი ეყოფა, თუ გააკეთებ, ქართველი კაცი გაივლის, წყურვილს მოიკლავს და დაგლოცავსო. ვლადიმერ ჯიქია ჰპირდება, რომ აუცილებლად გააკეთებს.

➤ 6362

1933

### 15 სექტემბრამდე

იმყოფება ქუთაისში და ცდილობს, ისიდორე კვიცარიძის სახლთან შეუმჩნევლად ჩაიაროს. მაინც ხედავენ და შინ იპატიჟებენ, მაგრამ არ უმასპინძლდებიან. ფიქრობს, რომ ისიდორე კრეტინი იმერელია და არა ინტელიგენტი, რომელმაც მთელი ცხოვრება პირადი კეთილდღეობისთვის ბრძოლას შეაღია. მასპინძელი საუბრობს გალაკტიონის პოეზიაზე და პოეტს ეუბნება, თითქოს კირილე ლორთქიფანიძეს მისთვის ეთქვას, რომ გალაკტიონს დიდებული ქართული ენა აქვს. პოეტს ჰგონია, რომ ატყუებს, რადგან კირილე ლორთქიფანიძესთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია.

➤ 6363

1933

### 15 სექტემბერი

ქუთაისში ესწრება მწერალთა პრეზიდიუმის სხდომას. აღნიშნავენ, რომ თბილისის მწერალთა კავშირი ყურადღებას არ აქცევთ, როდესაც სჭირდებათ სახლები, ფული და ბევრი სხვა რამ.

➤ 6364

1933

### 15 სექტემბერი

ქუთაისში ადგილობრივ მწერალთა პრეზიდიუმის კრებაზე საუბრობენ გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე, მაგრამ დღე არ აქვთ დანიშნული. მეორე მხრივ, შარუხ ჩარკვიანი ითხოვს კოსტა თავბერიძის იუბილის გადახდას. გალაკტიონი ფიქრობს, რომ შარუხი პროვოკატორია და აღარ უნდა მასთან შეხვედრა. ადგილობრივი მწერლებიც ვერაფერში დაეხმარებიან, მხოლოდ უაზროდ ებლაუჭებიან.

➤ 6365

1933

### 15 სექტემბერი

დღიურში მიმოიხილავს იმ დღის „სალიტერატურო გაზეთში“ (№19) გამოქვეყნებული სხვადასხვა სტატიის დამაფიქრებელ ლაფსუსებს. „საბჭოთა მწერლობის და კინოს“ ავტორი ტიცინ ტაბიძე არ ასახელებს თავს მიუღებელ სცენარისტა შორის. სანდრო ეულის შესახებ წერილის დასაწყისში უარყოფილია მისი პოემის მხატვრულობა, ბოლოს კი, აღიარებულია. გიორგი ლეონიძის წერილი „მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი“ ანტიმარქსისტულია, რადგან მისი აზრით, იღუპება ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობა და მხოლოდ ის ცდილობს ამ მემკვიდრეობის გადარჩენას. პლატონ ქიქოძის წერილი არბილებს საერთო აზრს კარლო კალაძის პოემის „უჩარდიონის“ შესახებ. გალაკტიონი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ალი არსენიშვილის სტატიაზე „პილნიაკი მწერლებს შორის“ და ასკვნის, რომ თავად ანადგურებს თავის „დიალექტიკურ მატერიალიზმს“, რადგან აშკარა სიმპათიას გამოხატავს ბორის პილნიაკისადმი. ამით იწყება ალი არსენიშვილის უკან დახევა ან ორ სკამზე ჯდომა. ვერ ხვდება, რა მნიშვნელობა აქვს სამხარეთმცოდნეო-სალიტერატურო მუზეუმის შესახებ პილნიაკის აზრს ან რა საჭიროა ასეთი მნიშვნელოვანი მუზეუმის გახსნა ყაზბეგში. ფიქრობს, რომ ალი არსენიშვილი ეხმარება ტიცინ ტაბიძეს, რომლის იდეაც არის ამ მუზეუმის გახსნა. ასკვნის, რომ ამგვარი სიყალბეებითაა სავსე გაზეთის ეს ნომერი.

➤ 6366

1933

### 15 სექტემბერი

ქუთაისში მწერლების პრეზიდიუმის კრებაზე შედის ქართული თეატრის დამსახურებული მსახიობი გრიგოლ ჩარკვიანი, რომელსაც პერანგი და ფეხსაცმელი არ აცვია. აძლევს წერილს, რომელსაც ახლავს „შემწეობის სია“ და სთხოვს დახმარებას როგორც შეგნებულ და გულკეთილ ადამიანს. აცნობებს, რომ მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებმა ცხრა თუმანი შეუგროვეს და შარვალი იყიდა. გალაკტიონი ართმევს წერილს და ჰპირდება ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან შუამდგომლობას პენსიის მომატების თაობაზე.

➤ 6367

1933

### 20 სექტემბერი

დღიურში წერს, რომ ყველა კაცი მისნაირი რომ იყოს, ქვეყნად მილიციელი საჭირო აღარ იქნებოდა.

➤ 6368

1933

### 20 სექტემბრის შემდეგ

ფიქრობს, მე რომ სადმე დიდი ხნით გადამხვეწონ: სვანეთში, კიროვბადში, დონბასში ან რომელიმე სხვა მხარეში, იქაური ვერ გავხდებიო და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 6369

1933

### 20 სექტემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ პოეზიაში საქართველო ისტორიულად მოწინავეა.

➤ 6370

1933

### 24 სექტემბრის შემდეგ

კიდევ ერთ წერილს იღებს ქუთაისელი მსახიობის გრიგოლ ჩარკვიანისგან. სთხოვს, რომ ისეთ ადამიანებთან უშუამდგომლოს, რომლებიც მის დახმარებას შეძლებენ და ჰპირდება, რომ პრესის საშუალებით ყველას მაძღობას გამოუცხადებს.

➤ 6371

1933

### 30 სექტემბერი

გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ რედაქტორი ევდოკიმე ენუქიძე გაზეთის რედაქციაში იწვევს გალაკტიონ ტაბიძეს და სთხოვს კომკავშირზე ლექსი დაწეროს. გალაკტიონი ექსპრომტად ეუბნება: „ბევრი ლექსების სისხლის სიმძიმე ამიწვევია-დამიწვევია, მეპატიოს მე, რომ კომკავშირზე ჯერ არაფერი დამიწერია.“

➤ 6372

## ოქტომბერი

1933

### 1 ოქტომბრამდე

დღიურში წერს, რომ ქუთაისში მისი საიუბილეო საღამოს მოწყობა იგეგმება 1-დან 10 ოქტომბრამდე, მაგრამ არ იცის, კონკრეტულად რომელ რიცხვში. ამიტომ მანამდე დრო უნდა გამოიყენოს თბილისში სტალინის სახელობის კლუბში მოულოდნელი საღამოს გასამართად. აფიშიდან დაწყებული პროგრამამდე ყველაფერი უნდა გაკეთდეს დიდი ხელოვნებით. ფიქრობს, საქმე დიდებულად მოეწყობა.

➤ 6373

1933

**5 ოქტომბერი**

კრილოვის ქუჩაზე თავის ბინაში წერს ლექსს „მზეა ისე მგზნებარე“.

➤ 6374

1933

**5 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ხეო, შენ ვერ მოგჭერ...“.

➤ 6375

1933

**6 ოქტომბერი**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება ცნობა, რომ ოქტომბრიდან რუსულ ენაზე გამოიცემა ახალი ჟურნალი „ლიტერატურნოე ზაკავკაზიე“, რომელიც დაეთმობა ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნებასა და ლიტერატურას. სარედაქციო კოლეგიის წევრთა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6376

1933

**7 ოქტომბერი**

საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირთან ყალიბდება თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის კომისია, რომლის წევრადაც სხვა მწერლებთან ერთად ირჩევენ გალაკტიონ ტაბიძეს.

➤ 6377

1933

**10 ოქტომბერი**

ოლია ოკუჯავა უბის წიგნაკში უწერს, რომ ქარვისფერ-წითელ ფოთლებს ქარიშხალში მიაქვს გრანდიოზული მშენებლობისა და სამყაროს გარდაქმნის დიდებული, 1933 წლის უკანასკნელი დღეები. ამ წელს დაემთხვა მისი შემოქმედების უდიადესი შეფასება, ამიტომ მას მართებს მშვილდის ძლიერად მომართვა და ახალი შედეგების შექმნა.

➤ 6378

1933

**11 ოქტომბერი**

მოსკოვში გამოსაცემი რუსული თარგმანების წიგნზე მოსალაპარაკებლად ხვდება ნიკოლაი ტიხონოვს, რომელიც, როგორც ყოველთვის, ძალიან თავაზიანია მის მიმართ.

➤ 6379

1933

**11 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გავიდა იმ ომიდან...“.

➤ 6380

1933

**11 ოქტომბრის შემდეგ**

მოსკოვში გამოსაცემი წიგნისთვის „რჩეული ლექსები“ ადგენს იმ პირთა სიას, რომელთაც შეუძლიათ ლექსების თარგმნა: ოლია ოკუჯავა, დომენტი არონიშიძე, ალი არსენიშვილი, შალვა

ქართველიშვილი, ალექსანდრე სულავა, შაქრო ბუსურაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გობრონ აგარელი, ვასილ გორგაძე.

➤ 6381

1933

### 11 ოქტომბრის შემდეგ

მოსკოვში გამოსაცემი წიგნისთვის „რჩეული ლექსები“ ადგენს მთარგმნელთა სიას: ბორის პასტერნაკი, ვლადიმერ ელსნერი, ბორის ბრიკი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პანტელეიმონ პეტრენკო, ნიკოლაი ტიხონოვი, კონსტანტინ ბოგდანოვსკი, სანდრო ყანჩელი, ელენა შერრი. ფიქრობს, რომ ბორის პასტერნაკს უნდა ათარგმნინოს ლექსები – „მთაწმინდის მთვარე“, „ტყემ წამიყვანა“, „პირველი მაისი“ და „პარიჟს“.

➤ 6382

1933

### 11 ოქტომბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ პირველ იანვრამდე პავლე დადვამეს უნდა გაუმზადოს დაახლოებით 5-6 ლექსი 500 სტრიქონის ოდენობით, მოსკოვში წასაღებად, სადაც განზრახულია მისი დიდი წიგნის გამოცემა.

➤ 6383

1933

### 11 ოქტომბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გულო ჩემო, მღელვარევ...“.

➤ 6384

1933

### 11 ოქტომბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „იგი არ არის მხოლოდ თქვენი...“.

➤ 6385

1933

### 12 ოქტომბერი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება ცნობა, რომ გამოსვლას იწყებს ჟურნალი „ლიტერატურნოე ზაკავკაზიე“, რომელშიც დაიბეჭდება ამიერკავკასიელ შემოქმედთა თხზულებების საუკეთესო რუსული თარგმანები. ფართო პროფილის ჟურნალს ეყოლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კოლეგია. ერთ-ერთ წევრად დასახლებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6386

1933

### 12 ოქტომბერი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს ახლად გარდაცვლილი ია ეკალაძის შესახებ. აღნიშნავს, რომ ბედნიერია ის, ვინც მისნაირად უეცარი სიკვდილით გარდაიცვლება და არა ხანგრძლივი ავადმყოფობით.

➤ 6387

1933

### 12 ოქტომბერი

წერს უსათაურო ლექსს „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის...“.

➤ 6388

1933

**16 ოქტომბერი**

ოლია ოკუჯავა უძღვის უბის წიგნაკს – ცოცხალი სახეებით გაჯერებული კაშკაშა პოემის, თუნდაც დრამებისა და ლექსების დასაწერად. ქალი დარწმუნებულია, რომ გალაკტიონი „იფრენს“ და შექმნის შედეგებს.

➤ 6389

1933

**16 ოქტომბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში სათაურით „ლაბორატორია“ პუნქტებად იწერს ციტატებს „ყარამანიანის“ თარგმანიდან.

➤ 6390

1933

**16 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ეს საქართველო...“.

➤ 6391

1933

**12-19 ოქტომბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მეც იმ ჭაპანზიდვამ...“.

➤ 6392

1933

**12-19 ოქტომბერი**

დღიურში წერს, რომ ლექსის მრავალფეროვნება როგორც თემატიურად, ისე ფორმით, მოითხოვს თანამედროვე რუსი პოეტების, მაგალითად, ილია სელვინსკის შემოქმედების ღრმა შესწავლას. აღნიშნავს, რომ სელვინსკის პოეზიაში ახალია ის, რაც განარჩევს ან ახასიათებს მხოლოდ მას.

➤ 6393

1933

**12-19 ოქტომბერი**

წერს უსათაურო სახუმარო ლექსს „მატარებელი თვალს მიეფარა...“ და ხატავს მატარებელსა და მზეთავ მუშას.

➤ 6394

1933

**23 ოქტომბერი**

ბორის პასტერნაკი ტიციან ტაბიძეს სწერს, რომ სურს, სხვა პოეტებთან ერთად თარგმნოს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებიც და სჭირდება ნოემბრის ბოლომდე პწკარედების მიწოდება, თორემ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, შემდეგ ვეღარ თარგმნის.

➤ 6395

**ნ ო ე მ ბ ე რ ი**

1933

**3 ნოემბერი**

განცხადებით მიმართავს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმს. განუმარტავს, რომ 5 ივლისს სახელმწიფო ოპერის თეატრში ჩატარებული მისი სადამოსთვის პროფკავშირებს გამოყოფილი ჰქონდა 3000 მანეთი. ამ თანხიდან მიღებული აქვს მხოლოდ 1300 მანეთი, დანარჩენ 1700 მანეთს

კი პროფკავშირები უგვიანებს. მატერიალური სივიწროვის გამო ითხოვს მისთვის ამ თანხის დროულად გადარიცხვას.

➤ 6396

1933

#### 20 ნოემბერი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება სტატია „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია თბილისში“, რომელშიც აღნიშნულია, რომ საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა პიოტრ პავლენკომ ისაუბრა ქართველი მწერლების ჩართვაზე 1934 წელს გასამართი მწერალთა საკავშირო ყრილობის მუშაობაში. პავლენკომ აცნობა ქართველ კოლეგებს, რომ ბორის პასტერნაკმა დაიწყო მუშაობა ქართველი პოეტების – გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, პაოლო იაშვილისა და სხვათა ლექსების თარგმნაზე.

➤ 6397

1933

#### 28 ნოემბერი

მოკლე წერილს უტოვებს სასტუმროში თბილისში მყოფ ნიკოლაი ტიხონოვს და სთხოვს, რომ მომდევნო დღეს როგორმე მოახერხოს მასთან შეხვედრა. სთავაზობს, რომ შეხვედრის დროის შესახებ ბარათი დაუტოვოს ადმინისტრატორთან.

➤ 6398

1933

#### 28 ნოემბერი

სასტუმროს ადმინისტრატორისგან იღებს რუსი მწერლის ნიკოლაი ტიხონოვის მიერ მისთვის გადასაცემად დატოვებულ მოკლე ბარათს. ტიხონოვი სწერს, რომ დიდი სიხარულით შეხვდება მას მომდევნო დღეს სასტუმროს მეცხრე ნომერში 11-დან 1 საათამდე. ასევე აცნობებს, რომ ბორის პასტერნაკს და ვიქტორ გოლცევეს ძალიან დასწყდათ გული, რომ 27 ნოემბერს ჩაეშალათ მასთან შეხვედრა და ამიტომ 29-ში სასტუმროში ისინიც მივლენ.

➤ 6399

1933

#### 30 ნოემბერი

ვიქტორ გოლცევი ტიცთან ტაბიძეს სწერს, რომ ბენიტო ბუაჩიძე მის წინააღმდეგ ინტრიგანობს მოსკოვში. მას არკადი სიტკოვსკისთვის უთქვამს, რომ მოსკოვში დაინტერესებულები არიან ტიცთან ტაბიძის პოეზიით, მაგრამ დიდ პოეტად მიაჩნიათ გალაკტიონ ტაბიძე და არა ის.

➤ 6400

### დეკემბერი

1933

#### 4 დეკემბერი

ეკატერინე გაბაშვილი უბის წიგნაკში უწერს, რომ გალაკტიონს უნახავს და უგრძვნია რუსეთის დიდი რევოლუცია, ნიჭიც ხელს უწყობს, ემსახუროს მას. როგორც ქართველ ქალს მისი ნიჭი აკვირვებს და ახარებს. უსურვებს დღეგრძელობას, გამარჯვებას და მადლობას უძღვნის. აღნიშნავს, რომ იდეალურ პოეტად არის აღიარებული, რადგან ხალხის გულეზამდე მივიდა მისი სათქმელი, ამიტომაც ლიტერატურული საზოგადოება და განათლებული მკითხველები ეთაყვანებიან.

➤ 6401

1933

#### 4 დეკემბრის შემდეგ

ადგენს პანტელეიმონ პეტრენკოს მიერ 1933 წელს ნათარგმნი ლექსების სიას: „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „მერი“, „გურიის მთები“, „პირველი მაისი“, „ორი ნაპირი“.

➤ 6402

1933

#### 4 დეკემბრის შემდეგ

პანტელეიმონ პეტრენკო უბის წიგნაკში უწერს ლექსის „თოვლი“ თარგმანს.

➤ 6403

1933

#### 4 დეკემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ჩემი უბის წიგნაკებით...“.

➤ 6404

1933

#### 9 დეკემბრის შემდეგ

კიდევ ერთ წერილს იღებს ქუთაისელი მსახიობის გრიგოლ ჩარკვიანისგან. ჩარკვიანი ულოცავს ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს და გაკვირვებას გამოხატავს, რომ მეოთხე წერილს უგზავნის და გალაკტიონს პასუხი არცერთზე არ მიუწერია. სწერს, რომ ქუთაისში ნახა ლადო ბზვანელი, რომელმაც უთხრა, რომ გალაკტიონს ადრესანტისთვის ფულის შეგროვება რცხვენია. სთხოვს, რომ თუ ასეა, სია უკანვე გაუგზავნოს.

➤ 6405

1933

#### 7-11 დეკემბერი

მონაწილეობს მწერალთა სასახლეში პლატონ ქიქოძის მოხსენების „საქართველო რევოლუციური რომანტიზმის ქვეყანაა“ ირგვლივ გამართულ დისკუტში.

➤ 6406

1933

#### 15 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „ნა რუბეჟე ვოსტოკა“ იბეჭდება საუბარი ბორის პასტერნაკთან, რომელშიც აღნიშნულია, რომ მწერლების მოსკოვის ამხანაგობას მასთან დადებული აქვს ხელშეკრულება ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელისა“ და გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების ერთტომეულის გადათარგმნის თაობაზე. ასევე, მის მიერ ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ტიციან ტაბიძის, ალექსი გომიაშვილის, კარლო კალაძის, ფრიდონ ნაროუშვილისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსები შევა 1934 წელს გამოსაცემ ქართველ პოეტების დიდ ანთოლოგიაში.

➤ 6407

1933

#### 25 დეკემბერი

განცხადებით მიმართავს თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს ვალერიან ბაქრაძეს. წერს, რომ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ფილიპე მახარაძის განკარგულების თანახმად ადრესატმა მას გამოუყო ბინა კომუნალური ბანკის ახალი შენობის მესამე სართულზე, მაგრამ გულის ავადმყოფობის გამო მას გაუჭირდება მაღალ სართულზე ცხოვრება და ხელი შეეშლება მუშაობაში. ამიტომ სთხოვს, ბინის გამოყოფას მეორე სართულზე. განცხადებას თან ურთავს ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოსთან და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული კომისიის ცნობას.

➤ 6408



1933

**27 დეკემბერი**

წერილს იღებს იპოლიტე ვართაგავასგან. აცნობებს, რომ 25-დან დადის ხელოვანთა სასახლეში, მაგრამ ვერ მოახერხა მისი ნახვა, რათა უკვე დასრულებული თარგმანი ერთად წაეკითხათ. სწერს, რომ მომდევნო დღესაც იქნება ხელოვანთა სასახლეში 12-დან 1 საათამდე და იქნებ შეხვდნენ ერთმანეთს.

➤ 6409

1933

**29 დეკემბრამდე**

რვეულში იწერს იმ პირებს, რომელთა მისამართებიც სჭირდება.

➤ 6410

1933

**29 დეკემბერი**

„სალიტერატურო გაზეთში“ სათაურით „რევოლუციური რომანტიზმის პრობლემა“ იბეჭდება მწერალთა სასახლეში პლატონ ქიქოძის მოხსენების „საქართველო რევოლუციური რომანტიზმის ქვეყანა“ 7-11 დეკემბერს გამართული დისპუტის მიმოხილვა. მასში მოკლედ არის გადმოცემული მომხსენებლის შეხედულებები. მაგალითად, ნათქვამია, რომ უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ვითარდებოდა რევოლუციური რომანტიზმის გზით. ამ მოსაზრებას არ დაეთანხმნენ კამათში გამოსული დავით დემეტრაძე და ბესარიონ ჟღენტი. მათი აზრით, ლიტერატურული მიმდინარეობა, რომლის მიმართულებითაც ვითარდება საბჭოთა მწერლობა, არის სოციალისტური რეალიზმი და არა რევოლუციური რომანტიზმი.

➤ 6411

1933

**დეკემბერი**

მოსკოვში გამოსაცემი რუსული წიგნისთვის ადგენს გეგმას და ჩამოთვლის პწკარედების ავტორებს: ოლია ოკუჯავა, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ალი არსენიშვილი, გობრონ აგარელი, ს. კვიციანიძე, ვასილ გორგაძე, პავლე დადვაძე, აკაკი გაწერელია. და მთარგმნელების სიას: ვალერიან გაფრინდაშვილი, ბორის ბრიკი, პანტელეიმონ პეტრენკო, ბორის პასტერნაკი, ნიკოლაი ტიხონოვი, მიხეილ სვეტლოვი, ოსიპ მანდელშტამი, კოლაუ ჩერნიავსკი, კონსტანტინ ბოგდანოვსკი და რიურიკ ივნევი.

➤ 6412

1933

**დეკემბერი**

მოსკოვში გამოსაცემი რუსული წიგნისთვის ადგენს მთარგმნელების სიას, რომელთაც უნდა გადასცეს 500-500 სტრიქონი: ვალერიან გაფრინდაშვილი, ბორის ბრიკი, პანტელეიმონ პეტრენკო, ბორის პასტერნაკი, ნიკოლაი ტიხონოვი, მიხაილ სვეტლოვი, ოსიპ მანდელშტამი, კოლაუ ჩერნიავსკი, კონსტანტინ ბოგდანოვსკი და რიურიკ ივნევი. ჩამოთვლის სათარგმნი ლექსების სიასა და სტრიქონების რაოდენობას 1927 წლის წიგნიდან და ციკლებიდან „ეპოქა“ და „პაციფიზმი“.

➤ 6413

**1933 ან ადრე**

თარგმნის გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომის „ვაგნერიანობის საკითხი“ შესავალ ნაწილს.

➤ 6414

**1933**

მოკლე წერილს აგზავნის მოსკოვიდან. წერს, რომ იქ იმყოფება ერთი კვირით. აღნიშნავს, რომ სახელმწიფო გამომცემლობასთან ხელშეკრულების გაუფორმებლობა ვერ შეაშინებს და ადრესატმაც არ იდარდოს.

➤ 6415

**1933**

იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული თარგმანების კრებული „რჩეული ლექსები“ შალვა რადიანის შესავალი სტატიით.

➤ 6416

**1933**

თბილისში რუსულ ენაზე გამოდის კრებული „ამიერკავკასიის პოეტები“, რომელშიც სანდრო ეულის, ალიო მაშაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძისა და სხვათა თხზულებებთან ერთად იბეჭდება გალაკტიონის ლექსებიც.

➤ 6417

**1933**

თბილისში გიორგი ტატულოვის წინასიტყვაობით რუსულ ენაზე გამოდის კრებული „ამიერკავკასიის ხალხთა პოეზია“, რომელშიც სანდრო ეულის, ალიო მაშაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ტიციან ტაბიძის, ფრიდონ ნაროუშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, ალექსანდრე აბაშელის, გრიგოლ ცეცხლადის, გიორგი ქუჩიშვილის,ა და სხვათა თხზულებებთან ერთად იბეჭდება გალაკტიონის ლექსებიც.

➤ 6418

**1933**

იბეჭდება შალვა რადიანის წიგნი „შემოქმედება და კრიტიკა“, რომელშიც ერთი ნარკვევი ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძეს. კრიტიკოსი ავითარებს თავის ადრინდელ ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს გალაკტიონის პოეზიის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ თავიდან პოეტს იტაცებდა რევოლუცია, როგორც აბსტრაქტული მოძრაობა, დღეს კი მისი ძირითადი განწყობილებაა „რევოლუციური რომანტიკა“. პოემები „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“ წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის და ბრძოლის ჰიმნს. შალვა რადიანის თქმით, კონტრრევოლუციონერი კრიტიკოსები ცდილობენ გალაკტიონის შემოქმედებითი კრიზისის შესახებ დაყარონ ხმები და აიდეალებენ პოეტის დეკადენტურ ლირიკას. გალაკტიონმა დეკადენტურ მოტივებს თავი დააღწია. კრიტიკოსი ამბობს, რომ თუ პოეტი ადრე ლექსის მუსიკალურობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ახლა თეთრი ლექსითაც დაიწყო წერა და საბჭოთა პოეზიაში იგი აქტიური მებრძოლია თავისუფალი ლექსის დამკვიდრებისათვის.

➤ 6419

**1933**

წერს ლექსს „უმაღლეს მწვერვალთა მსუბუქო ღრუბელო“.

➤ 6420

**1933**

განცხადებით მიმართავს ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის პასუხისმგებელ რედაქტორ პარუირ ფოლიანს და წარუდგენს 1908-1933 წლების ლექსების რუსული თარგმანების წიგნის „რჩეული ლექსები“ გეგმას. სათაურებთან მიუთითებს, რომლებია თარგმნილი და რომელთა პწკარედული თარგმანები არსებობს. სულ არის 12 პოემა და 120 ლექსი, დაახლოებით

12 ათასი სტრიქონი. მთარგმნელებად ასახელებს ბორის ბრიკს და პაველ პეტრენკოს, საჭიროების შემთხვევაში კი ვარაუდობს სხვების ჩართვასაც. რამდენადაც საჭიროა, რომ წიგნი მოესწროს მწერალთა ყრილობამდე, ითხოვს, რომ მასთან და მთარგმნელებთან ხელშეკრულებები დროულად გაფორმდეს.

➤ 6421

**1933**

დღიურში წერს იმ პირობებს, რომლებიც საჭიროა ხელოვანის კულტურულად ცხოვრებისთვის. აქვს ერთი ოთახი, თუ საშუალება ექნება, სასურველია, იყოს ორი. კრილოვის ქუჩის 10 ნომერში მდებარე მის ბინაში არის ელექტროგანათება, წყალი, აბაზანა, მაგრამ ამასთანავე აქვს ბევრი ნაკლი, რომელთა გამოსწორება შესაძლებელია.

➤ 6422

**1933**

დღიურში წერს, რომ ბინაში წყალი აქვს, რაც უმთავრესია ფიზიკური არსებობისა და ჰიგიენისთვის – მცირე სარეცხის გასარეცხად, ყოველდღე იატაკისა და კვირაში ორჯერ ფანჯრების დასაწმენდად, ყოველ საღამოს ჭურჭლის გასარეცხად, სველი ჩვრით ავეჯისა და ნივთების გასაწმენდად, დილა-საღამოს და კვირაში ორჯერ თავის დასაბანად, სხეულის დასაზეღად, ყოველდღე აბაზანის მისაღებად, კბილებისა და ფრჩხილების დასასუფთავებლად, დილა-საღამოს ჩაის და ყოველთვის გადადუღებული წყალის დასალევად, ყვავილებისთვის ყოველდღე წყლის გამოსაცვლელად, ხილის გასარეცხად.

➤ 6423

**1933**

დღიურში წერს, რომ აქვს 50-სანთლიანი ნათურა და ორი ჩამრთველი შუქისთვის საღამოს სამუშაოდ, ამათ გარდა ბინაში ელექტროენერგია საჭიროა უთოსთვის, წყლის მადუღარასთვის, ზაფხულში ვენტილატორისა და თმის საშრობისთვის.

➤ 6424

**1933**

დღიურში წერს, რომ ცხოვრობს მესამე სართულზე 6 კვადრატულ მეტრ ოთახში, სადაც არ არის ჰიგიენური პირობები და საკმარისი ჰაერი, ფანჯრების გაღების დროს კი აივნებიდან შემოდის მტვერი. მისი ფილტვებისთვის ყველაფერზე მეტად საშიშია მტვერი. ჰაერი საღი და საკმარისი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აივანი გადაიღობება. აივნის ამოშენება ხელს შეუწყობს ოთახის სისუფთავეს და ბინის სიმყუდროვეს. შესაძლებელი გახდება ქვეშაგებისა და ტანსაცმლის ყოველთვის გამზეურება, ფანჯრების ნებისმიერ დროს ღიად დატოვება და ჰაერის გაჯანსაღება.

➤ 6425

**1933**

დღიურში წერს, რომ მისი წიგნების კარადა ძალიან არეულია, ამის გამო თითქმის ვერ სარგებლობს ხელნაწერებითა და წიგნებით. წიგნი კი მის ცხოვრებაში გაიგივებულია წყალთან, ელექტრონთან და ჰაერთან. ფიქრობს, რომ წიგნები განაწილდეს დარგებად – ქართული და რუსული პოეზია, რომანები და მოთხრობები, ქართული და რუსული ჟურნალები და კრებულები, პოლიტიკური და ეკონომიკური წიგნები. უნდა შედგეს ამ წიგნების საერთო კატალოგი კატეგორიებად – ლექსები, მოთხრობები და რომანები, კრიტიკული წერილები, კრებულებისა და ჟურნალების სტატიები. ქვედა ნაწილში არსებული გაზეთები უნდა დაიკეცოს, მაგრამ რადგან გაზეთების წიგნების კარადაში შენახვა არ შეიძლება, საინტერესო მასალა ამოიჭრას და განთავსდეს ცალკე საქაღალდეებში. ხელნაწერებში უნდა გაიმიჯნოს პოეზია, პროზა, წერილები, დღიურები და შენიშვნები. კარადაში არ შეიძლება იყოს საჭმელი, თეთრეული და პატარა საგნები.

ყოველი საჭირო წიგნის მოძებნა მაშინვე უნდა შეძლოს და უსაჭიროესი წიგნები ყდაში ჩაისვას. მაგიდაზე არ უნდა ეწყოს ზედმეტი წიგნები და ნივთი, რადგან ხელს უშლის მუშაობას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. სჭირდება უფრო მეტი წიგნი.

➤ 6426

**1933**

დღიურში წერს, რომ უნდა შეიძინოს საათი, რადგან აუცილებელია სამუშაო დროის ზუსტად გასანაწილებლად – რამდენი დრო უნდა მოახმაროს დაწესებულებებში ყოფნას, დასვენებას, ძილს, თეატრში წასვლას, კლუბში ყოფნას. საათი მისთვის კულტურული ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია, უაღრესად სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, მორალისთვის, ეთიკისთვის, სიცოცხლის ყოველი წამის მათემატიკური სიზუსტით და მიზანშეწონილად გამოყენების საშუალებას იძლევა ტექნიკისა და მეცნიერების ეპოქაში. ფრაზა „რომელი საათია“ - არის მოწოდება მოქმედებისა და ბრძოლისკენ. ადამიანმა თავის ცხოვრების თითოეული წამი სწავლას, ბრძოლასა და წინსვლას უნდა მოახმაროს.

➤ 6427

**1933**

დღიურში წერს, რომ მისი ოთახისთვის მწვავე საკითხია პაპიროსი, რადგან ნიკოტინი მავნებელია ფილტვებისთვის, წამლავს და აგუბებს ჰაერს, ოთახს ფერფლითა და ნაწვავებით ანაგვიანებს, სპეციფიკური სუნით ჟღენთს არსებულ საგნებს, უმიზნო მატერიალურ ხარჯს იწვევს, ადამიანს უკარგავს ჭამა-სმის მადას, უშფოთებს ძილს, ნერვიულად ხდის. საჭიროა ნორმის დაცვა პაპიროსის წევაში, მუდამ ღია ფანჯრები, ოთახში ნამწვავების დიდხანს არდატოვება.

➤ 6428

**1933**

დღიურში წერს ოთახისთვის საჭირო ავეჯისა და ნივთების სიას: ტახტი, სკამები, სელის დასასვენებელი სავარძელი, პატარა ფორტეპიანო, ტუალეტის მაგიდა, ქალაღდის ჩასაყრელი კალათი, რადიო, ტელეფონი, ქეჩა საწოლთან, ფარდები აივნისათვის, მტვერის საწმენდი, ყოველდღიური გაზეთები, რამდენიმე ჟურნალი, გაზეთების ამონაჭრებისა და ხელნაწერებისთვის საქალაქდებები, სურათები, ჩუსტები, საოჯახო ხალათი, ასევე მოსამსახურე. ანგარიშობს, რომ ყველაფერი ერთად ეღირება 230 მანეთი. ამათ გარდა, საჭიროდ მიაჩნია: წიგნის თარო, მაგიდა, სარკე, კედლის საათი, ვენტილატორი, ფეხის საწმენდი, ფანჯრების ფარდები, ელექტრონათურები და ჩამრთველები.

➤ 6429

**1933**

წერს უსათაურო ლექსს „დაიმახსოვნე დარიგება ჩემი, ოლია...“.

➤ 6430

**1933**

წერს ლექსს „იმერლის მონოლოგი“ („ეხლა რა ვარ...“).

➤ 6431

**1933**

წერს უსათაურო ლექსს „მორს არაა დღე...“.

➤ 6432

**1933**

თბილისში ამიერკავკასიის გამომცემლობა ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის კრებულს „რჩეული ლექსები“, რომელსაც წინ უძღვის შალვა რადიანის წინასიტყვაობა.

➤ 6433

**1933**

მამია ორახელაშვილის სახელობის კლუბში იმართება გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის საიუბილეო საღამო.

➤ 6434

**1933**

მამია ორახელაშვილის სახელობის კლუბში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის საიუბილეო საღამოზე კოტე რატიშვილი უძღვნის ლექსს „მან იოლდამ, გალაკტიონ!“.

➤ 6435

**1933**

დღიურში წერს, რომ ამერიკა მის ბავშვობაში ასოცირდებოდა მსოფლიო გლობუსზე ასახულ მის გამოსახულებასთან. იცოდა მისისიპის, ორინოკოსა და სხვა უდიდესი მდინარეების შესახებ. ამერიკა აინტერესებდა იმ მხრივაც, რომ იქ ცხოვრობდა ოდესღაც ისეთი ხალხი, რომელიც აღწერილი აქვს ფენიმორ კუპერს რომანში „უკანასკნელ მოჰიკანი“. ამერიკა გაცოცხლდა ბიჩერ სტოუს რომანითაც „ბიბია თომას ქოხით“. 1880 წელს გამოცემულ ქართულ კალენდარში მოთავსებული იყო ამერიკაში გამართული მსოფლიო გამოფენის პავილიონების სურათები. ჟურნალში „კვალი“ გაეცნო სტატიებს პანამის არხის გაყვანაზე, გიორგი წერეთლის წერილს უდიდეს ადამიანზე – თომას ედისონზე. შემდგომ ამერიკაზე წარმოდგენა შეივსო ედგარ პოს უკვდავი ლექსით „ყორანი“ და უოლტ უიტმენის ლექსებით. „კვალშივე“ წაიკითხა სტატია ქრისტეფორე კოლუმბის მოგზაურობისა და ამერიკის აღმოჩენის შესახებ. შეიტყო, რატომ ერქვა ამერიკას ამერიგო ვესპუჩის სახელი და არა კოლუმბის და ცრემლებს ღვრიდა აღმომჩენის საზარელ ბედზე. ფიქრობს, რომ ასეთია ბედი ყოველი გამომგონებლის დღესაც ამერიკაში. რადის აღმომჩენს საშუალებას არ აძლევენ, დაკვირვების გასაგრძელებლად ამ ნივთიერების რამდენიმე გრამი იშოვოს. ბურჟუაზიისთვის ღირებულია არა მეცნიერი, არამედ ფული. „ადამიანები იღუპებიან ლითონისათვის“ – ეს დებულება ყველაზე მეტად მართლდება ამერიკაში. ფიქრობს, თვითონ რომ გამომგონებელი იყოს, მთელი ენერგიით დაფარავდა იმ აღმოჩენას, რომლითაც შემდეგ მილიარდერები ისარგებლებდნენ.

➤ 6436

**1933 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დიდება ხალხს, მდგარს მშვიდობის სარდლად...“ („სულ წინად ამ ადგილს...“).

➤ 6437

**1933 შემდეგ**

აკეთებს ამონაწერს აბრამ ეფროსის წიგნიდან „პოეტის ჩანახატები“, რომელიც ეძღვნება ალექსანდრ პუშკინის ნახატებს.

➤ 6438

**1933 შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს რუსთაველის გამზირის შესახებ. აღნიშნავს, რომ იგი უნდა იქცეს სანიმუშო ქუჩად და ბოლოსდაბოლოს უნდა მოგვარდეს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ძეგლის საკითხი. ფიქრობს, რომ ოპერის გვერდით ასევე უნდა დაიდგას ვანო სარაჯიშვილის, ზაქარია ფალიაშვილისა და კოტე მარჯანიშვილის ჯგუფური ძეგლი, უნდა შეიცვალოს აკაკის მონუმენტი

უფრო დიდი მარმარილოს ფიგურით, ხოლო ბაღი, რომელშიც ეგნატე ნინოშვილის ძეგლია, უნდა გადაიქცეს ქართველ მწერალთა ბაღად.

➤ 6439

## 1934 ი ა ნ ვ ა რ ი

1934

### 1 იანვარი

ახალ წელს ხვდება ოლია და ვასილ ოკუჯავებთან ერთად თავიანთ ოთახში. მიუხედავად უფულობისა, სუფრაზე აქვთ პური, ყველი, ხილი და 2 ბოთლი ღვინო. თამადაობს, სვამენ ჯანმრთელობის სადღეგრძელოს. ბევრს საუბრობენ ლიტერატურაზე, საერთაშორისო და საბჭოთა კავშირის მდგომარეობაზე. ამბობს, რომ პირადად მისთვის 1933 კარგი წელი იყო. 12 საათზე ადღეგრძელებენ ახალ წელს.

➤ 6440

1934

### 7 იანვარი

სტუმრად ყოფნისას პარავენ პალტოს წიგნებთან, ხელნაწერებთან და თანხასთან ერთად. ფული არ აქვს, რომ ახალი პალტო იყიდოს და ძალიან განიცდის.

➤ 6441

1934

### 8 იანვარი

ოლიასთან ერთად ყიდულობს რუსულ გაზეთს „ნა რუბეჟე“, რომელშიც დაბეჭდილია საუბარი ბორის პასტერაკთან. ამბობს, რომ რუსულად უნდა თარგმნოს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებული. პოეტი კმაყოფილია. ემინია, ვაითუ ლექსები კარგად ვერ თარგმნოს და დაამახინჯოს, მაგრამ ფიქრობს, რომ ამჯერად უნდა დათანხმდეს, შემდეგ კი გამოჩნდებიან უკეთესი მთარგმნელები.

➤ 6442

1934

### 9 იანვარი

გაზეთ „კომუნისტის“ არშიაზე სტალინის შესახებ წერს 10-სტრიქონიან კრიტიკულ ლექსს, მაგრამ იქვე გადაშლის.

➤ 6443

1934

### 9 იანვარი

პალტო არ აქვს და იძულებულია, ცივ ოთახში იჯდეს, იკითხოს გაზეთები, ჟურნალები და წიგნები. ფიქრობს, რომ გაზეთების გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. ოლია ოკუჯავას სახლში მისვლა ახარებს როგორც პატიმარს, რომელსაც დიდი ხანია არ უნახავს სინათლე და ახლობლები.

➤ 6444

1934

### 10 იანვარი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „პოეზია ახალი ამოცანების სიმადლეზე“, რომელშიც მიმოხილულია ბოლო წლების განმავლობაში გამოქვეყნებული პოეტური კრებულები. კრიტიკოსი პოეზიის ფრონტზე ინტენსიურად მომუშავე ავტორთა შორის ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს, რომელმაც ბოლო პერიოდში რამდენიმე პოემა გამოაქვეყნა ცალკე წიგნების სახით. შალვა რადიანი მიიჩნევს, რომ ჯერ კიდევ არასაკმარისად მიმდინარეობს

ბრძოლა ახალი შინაარსის შესატყვისი ფორმების მოსაძიებლად ლიტერატურაში და ეს ხარვეზი თანაბრად ახასიათებს ყველა თანამედროვე ავტორს. სტატიის დასასრულს კრიტიკოსი პოეტებს შეახსენებს პარტიის წინაშე ვალდებულებას: მათ საბჭოთა პოეზია უნდა აიყვანონ ახალი ამოცანების სიმაღლეზე.

➤ 6445

**1934**

**10 იანვარი**

აბესალომ ტაბიძეს გალაკტიონთან და ოლიასთან მიაქვს „ლიტერატურული გაზეთი“, რომელშიც გამოქვეყნებულია მივიწყებული მწერლების პორტრეტები. ხმამაღლა კითხულობენ, აკრიტიკებენ თითოეულ მათგანს და იცინიან, ახარებთ, რომ მათ შორის არ არის გალაკტიონის პორტრეტი.

➤ 6446

**1934**

**10 იანვარი**

ოლია ოკუჯავასთან ერთად ახარისხებს 1933 წელს ოპერის თეატრში გადახდილი სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებულ მასალებს, ადგენს სტატიებისა და მიძღვნილი ლექსების სიას. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო შემოქმედებმა მიუძღვნეს გულწრფელი წერილები და ლექსები, მაინც ვერ შეძლეს გალაკტიონის ბუმბერაზი და მძლავრი, ეპოქის სუნთქვით გაჯერებული და მაღალმხატვრული ფორმებით მდიდარი პოეზიის სათანადოდ გაშუქება.

➤ 6447

**1934**

**11 იანვრამდე**

უპალტოობის გამო სახლიდან ვერ გადის. იგებს, რომ დახურულ გამანაწილებელში შემოტანილია პალტოები და რამდენადაც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ის მიმაგრებულია სპეცმომარაგებაზე, ითხოვს მისთვის პალტოს მიცემას ან მიყიდვას, მაგრამ უარს ეუბნებიან.

➤ 6448

**1934**

**11 იანვარი**

მასთან სტუმრად მიდის პანტელეიმონ პეტრენკო. გალაკტიონი და ოლია ოკუჯავა ისეთ ცხარე კამათში არიან, რომ ყურადღებას ვერ აქცევენ. სტუმარი მიდის და უტოვებს უკმაყოფილო წერილს. გალაკტიონს ეცინება, მაგრამ განიცდის.

➤ 6449

**1934**

**11 იანვარი**

ოლია ოკუჯავასთან ერთად სოფელში აცილებს ძმას. სადამოს მეუღლეს უკითხავს ინფორმაციას ფაშისტურ გერმანიაში ბან დე ლიუბეს დასჯის შესახებ.

➤ 6450

**1934**

**11 იანვარი**

მომარაგების სახალხო კომისარიატის სახელზე წერს განცხადებას, რომ გასცენ შესაბამისი განკარგულება დახურული გამანაწილებლიდან მისთვის პალტოს მიყიდვის შესახებ.

➤ 6451

1934

12 იანვარი

არ აქვს პალტო, სასტიკი ყინვაა და იმ დღესვე უნდა მიმართოს დახურული გამანაწილებლის ხელმძღვანელს, რომ პალტო მიჰყიდოს. ძალიან ეუხერხულება ძმის გაცვეთილი პალტოთი სიარული, მაგრამ იძულებულია, რომ იბრძოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ძვირი ეჩვენება, 167 მანეთად ყიდულობს პალტოს ბეწვის საყელოთი.

➤ 6452

1934

12 იანვარი

სადამოს კინოდან ბრუნდება შთაგონებული სახით და ჰგავს დიდი ეპოქის მებრძოლს. მეუღლესთან ერთად სვამს ღვინოს და არჩევს ერნსტ მეიმანის „ესთეტიკას“. კითხულობს ივან ბუნინის ლექსს „სადამო“ და მაშინვე წარმოთქვამს ზეპირად, ამბობს, რომ ოპტიმისტური ლექსია და იმეორებს სტრიქონებს – ბედნიერება ყველგან არის, თუ იპოვი.

➤ 6453

1934

15 იანვარი

იწყებს ალექსანდრ ბლოკის ლექსის „პუმკინის სახლის“ თარგმნას უსათაუროდ – „პუმკინის სახლის სახელწოდება...“.

➤ 6454

1934

22 იანვარი

მიდის ცირკში, განსაკუთრებით მოსწონს ცხენებად გარდასახული ძაღლები, მაიმუნები და მოცეკვავე გოჭები. სახლში დაბრუნების შემდეგ ოლია ოკუჯავასთან ერთად იცინის ცირკის შთაბეჭდილებებზე.

➤ 6455

1934

23 იანვარი

ოლია ოკუჯავა მთელი ღამე ელოდება და საშინლად ღელავს. ეძებს ქუჩებში, მაგრამ ის არ ჩანს. ფიქრობს, რომ იქნებ დაჭრილია ან დამნაშავეებმა დაიჭირეს გამარცვის მიზნით და აწამებენ, ან ავტომობილმა გაიტანა. განწყობის მიხედვით, არჩევს და საოცარი სისწრაფით ამზადებს მისი ლექსების რუსულ პწკარედებს, იმიტომ რომ წარმოსახვით მასთან საუბრობს.

➤ 6456

1934

23 იანვარი

დღიურში იწერს, რომ ღვინო დალუპავს.

➤ 6457

1934

23 იანვარი

ოლია ოკუჯავასთან ერთად აწესრიგებს გაზეთებს, ჟურნალებსა და ხელნაწერებს.

➤ 6458

თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1934

21 თებერვალი



გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის სტატია „მზადება მწერალთა კავშირის ყრილობისთვის“, რომელშიც ნათქვამია, რომ „ლენინგრადელ მწერალთა გამომცემლობა“ აპირებს გამოსცეს გალაკტიონ ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ლექსების კრებულები.

➤ 6459

**1934**

**24 თებერვალი**

გვიან ღამემდე ოლია ოკუჯავასა და პანტელეიმონ პეტრენკოსთან ერთად გულწრფელად და მეგობრულად საუბრობს ლიტერატურაზე.

➤ 6460

**1934**

**25 თებერვალი**

ლიტერატურულ საქმეებთან დაკავშირებით მიემგზავრება ერევანში და ძლივს ასწრებს მატარებლამდე მისვლას.

➤ 6461

**1934**

**25 თებერვალი**

ოლია ოკუჯავა განიცდის, რომ ერევანში მარტო გამგზავრებისას გალაკტიონი ბავშვივით უსუსურად გამოიყურებოდა. ცდილობს, მის დაბრუნებამდე დაამთავროს პოემის „პაციფიზმი“ პჭკარედული თარგმანი.

➤ 6462

**1934**

**26 თებერვალი**

ოლია ოკუჯავა იგებს, რომ ერევანში მიმავალი მატარებელი, გალაკტიონის გამგზავრების დღეს ავარიამი მოხვდა. წარმოიდგენს, რომ მის მეუღლეს უბედურება შეემთხვა და მიდის ვაგზალზე. არკვევს, რომ მარცხი მოუვიდა არა სამგზავრო, არამედ სატვირთო მატარებელს და გალაკტიონთან ერთად სხვა მრავალი ადამიანი გადარჩა.

➤ 6463

**1934**

**26-28 თებერვალი**

სურს ნახიჩევანში ჩასვლა, მიდის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტსა და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, მაგრამ არ რთავენ ნებას.

➤ 6464

**1934**

**26-28 თებერვალი**

ერევანში ყოფნისას მის ლექსს „პრესა“ თარგმნიან სომხურ ენაზე და იღებს ჰონორარს – 400 მანეთს.

➤ 6465

**მ ა რ ტ ი**

**1934**

**1 მარტი**

მატარებლის საერთაშორისო ვაგონით ერევნიდან ბრუნდება თბილისში.

➤ 6466

**1934**

**1 მარტი**

მიდის სამტრედიისში, ბათუმსა და სოხუმში სამოგზაუროდ. მანამდე ოლია ოკუპაციისთვის ყიდულობს ჟოლოსფერ ბერეტს, აბრეშუმის ჯემპრსა და ქამარს, თავისთვის კი – ჩემოდანს. მეუღლესთან ერთად სადილობს სტალინის სახელობის კლუბში.

➤ 6467

**1934**

**2 მარტი**

ჩადის ბათუმში და ჩერდება სასტუმრო „აჭარისტანში“.

➤ 6468

**1934**

**2-4 მარტი**

ნახულობს დავით დუმბაძეს, რომელიც აცნობებს, რომ მისი საიუბილეო საღამო ჩატარდება ბათუმში 20-24 აპრილს. საიუბილეო კამპანია პრესაში დაიწყება 5 აპრილიდან. ჰპირდებიან თანხით დახმარებას ცენტრალურ ადმინისტრაციულ კომიტეტსა და სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქუჩის გახსნას ბათუმში, სახლს ქობულეთში. ამ საქმეების მოსაგვარებლად თბილისიდან ვინმე უნდა ჩავიდეს.

➤ 6469

**1934**

**2-4 მარტი**

იმყოფება ბათუმში, წერს უსათაურო ლექსს „გადამწვანებულ მწვერვალებიდან...“.

➤ 6470

**1934**

**4 მარტი**

გემით „საქართველო“ მიემგზავრება სოხუმში.

➤ 6471

**1934**

**4 მარტის შემდეგ**

წერილს სწერს ჟურნალისტ დავით დუმბაძეს და ინტერესდება, დაიბეჭდა თუ არა ის მასალები, რომლებიც დაუტოვა. გამოთქვამს სურვილს, რომ ისინი გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანში“ გამოქვეყნდეს და არავითარ შემთხვევაში სხვა რომელიმე გამოცემაში.

➤ 6472

**1934**

**6 მარტი**

სოხუმში ხვდება რიურკ ივნევს, პანტელეიმონ პეტრენკოს, ლ. ხრამელს. ზღვის პირას ამბობენ ლექსებს და სვამენ ღვინოს.

➤ 6473

**1934**

**6 მარტი**

გემით „ლენინი“ მიემგზავრება სოხუმიდან და წერს უსათაურო ლექსს „აჭარისტანი, დღე საიდანაც...“.

➤ 6474

**1934**

**6 მარტი**

სოხუმიდან გემით „ლენინი“ მგზავრობისას წერს უსათაურო ლექსს „ტალღები გლეჯენ ერთი მეორეს...“.

➤ 6475

**1934**

**6 მარტი**

ოლია ოკუჯავა სახლში აკითხავს, ელოდება მის ჩამოსვლას მოგზაურობიდან და მხოლოდ გვიან ღამით ბრუნდება დედასთან.

➤ 6476

**1934**

**6 მარტი**

გალაკტიონი წასულია შავიზღვისპირეთში და ოლია ოკუჯავამ, რომელიც ავადმყოფ დედასთან ცხოვრობს, არ იცის, როდის დაბრუნდება. ის ყოველდღე გალაკტიონის დაბრუნების მოლოდინშია, აკითხავს სახლში ულაგებს ხელნაწერების ერთ ნაწილს, რუსულად თარგმნის მის პოემას „პაციფიზმი“, საღამოს 8 საათამდე ელოდება, შემდეგ კი მაგიდაზე უტოვებს წერილს და თავად დედასთან მიდის. სწერს, რომ ძალიან უყვარს, უმისოდ ვერ ძლებს და სთხოვს, თუ დაბრუნდება და ძალიან გვიანი არ იქნება, დედასთან გაუაროს და ერთად დაბრუნდებიან სახლში. იმედოვნებს, რომ შავიზღვისპირეთში და მშობლიურ სოფელში ყოფნის შემდეგ კარგი შთაბეჭდილებებით იქნება.

➤ 6477

**1934**

**7 მარტი**

ოლია ოკუჯავა ისევ აკითხავს სახლში და წინა დღის დაწერილ წერილს ამატებს სიტყვებს, რომ გალაკტიონი ისევ არ ჩამოსულა.

➤ 6478

**1934**

**7 მარტი**

ჩადის სამტრედიისში, ხვდება ძმას, სესხულობს ფულს და ღამის მატარებლით ბრუნდება თბილისში.

➤ 6479

**1934**

**7 მარტი**

სამტრედიიდან თბილისში მიმავალ მატარებელში წერს უსათაურო ლექსს „სახეს გადაჰკრავს მოგზაურთა...“.

➤ 6480

**1934**

**7 მარტი**

სამტრედიიდან თბილისში მიმავალ მატარებელში წერს უსათაურო ლექსს „ფაცხა მეგრული, ოდა გურული...“.

➤ 6481

**1934**

**7 მარტი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ვარ გალაკტიონ ტაბიძე...“.

➤ 6482

**1934**

**8 მარტი**

ბრუნდება თბილისში და დედასთან მწოლ ავადმყოფ ოლია ოკუჯავას უგზავნის ნაღების კარაქს, საპონსა და სხვა პროდუქტებს.

➤ 6483

**1934**

**11 მარტი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება კალე ბობოხიძის სტატია „თავდაცვითი ლიტერატურული მუშაობა“, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში, 1932 წლამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა სამხედრო მხატვრული ლიტერატურის განვითარებას, 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების შემდეგ კი საკავშირო მწერალთა კომიტეტთან ჩამოყალიბდა თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის კომისია, რომელიც ამ დრომდე ნაყოფიერად მუშაობს. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ამ კომისიის მიერ ჩატარებულ ოცდაათამდე საღამოში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი მწერლები: გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, ირაკლი აბაშიძე და სხვები.

➤ 6484

**1934**

**19 მარტის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ რუსულ ენაზე დაწერილ მხატვრულ ესკიზებს მწარე ყოფით რეალობაზე. ოლია ეკითხება, ხედავს თუ არა გალაკტიონი ახალი სამყაროს ყვავილებით მოფენილ ნაპირს, რომელიც დასახლებულია გენიოსებითა და ტალანტებით. მათ სახეზე ფიქრი და სიხარულია აღბეჭდილი. ოლია ამბობს მომავალი მსოფლიო ოქტომბრისა და დამდეგი ლამაზი ცხოვრების სადღეგრძელოს და ალავერდს გალაკტიონთან გადადის.

➤ 6485

**1934**

**20 მარტის შემდეგ**

ოლია ოკუჯავა უგზავნის რუსულ ენაზე დაწერილ წერილს, რომელიც აგებულია გალაკტიონის ლექსების მხატვრულ სახეებზე. წერილის ბოლოს ვკითხულობთ, რომ მშობლიური ქარები ატმის ყვავილებს ზღაპრულ ქვეყნებზე ეჭურჩულება, ირხევა ატმის რტოები, ცვივა ყვავილები და ამ ვარდისფერი ფანტელებით დაფარული გალაკტიონი ჯადოქარივით ქმნის ახალ პრელუდიას.

➤ 6486

**1934**

**29 მარტი**

ლენინგრადში გამოსაცემი რუსული თარგმანების წიგნისთვის წერს ოლია ოკუჯავასადმი მიძღვნას: „სულით და გულით!!! ჩემს ოლიას: ადამიანს, ამ სიტყვის უაღრესი მნიშვნელობით, ჩემთა ხეტიალთა თანამგზავრს“.

➤ 6487

**1934**

**21 მარტი**

წერილს იღებს ლენინგრადის მწერალთა ლიტერატურული ფონდის დირექტორ ი. ვ. ხასკინისგან, რომელიც ითხოვს გალაკტიონის ლექსების თარგმანებისა და პწკარედების გაგზავნას.

➤ 6488

## აპრილი

1934

### 3 აპრილი

ხელმოწერილ ხელშეკრულებასთან ერთად რუსულ ენაზე დაწერილ წერილს უგზავნის ლენინგრადის მწერალთა ლიტერატურული ფონდის დირექტორ ი. ვ. ხასკინს. ატყობინებს, რომ თავისი ლექსების რუსულ თარგმანებსა და პწკარედებს 20 აპრილს გაუგზავნის და თავადაც მალე ეწვევა ლენინგრადს, რომ უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა თავისი ლექსების თარგმანების მომზადებაში.

➤ 6489

1934

### 4 აპრილამდე

შუადღით ხვდება ოლია ოკუჯავას და ჰპირდება, რომ სახლში მალე მივა. ოლია სახლში დიდხანს ელოდება, შემდეგ კი წერილს უტოვებს და მიდის. საყვედურობს, რომ სიტყვა არ შეასრულა. წერს, რომ ორი კვირის განმავლობაში უკვე მიეჩვია მის ოთახს. სთხოვს, საღამოს ან მომდევნო დღეს შეუაროს.

➤ 6490

1934

### 6 აპრილი

„სალიტერატურო გაზეთში“ ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის სტატია „ქართული მხატვრული ლიტერატურა რუსულ ენაზე“, რომელშიც წარმოდგენილია ნიკოლო მიწიშვილის მიერ 1934 წლის 7 მარტს, სპეციალური კომისიის თათბირზე წაკითხული მოხსენების ფრაგმენტები. სტატიაში ნათქვამია, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის (ახლანდელი პეტერბურგი) გამომცემლობებმა მიიღეს განცხადებები ქართველ მწერალთა – გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, ლეო ქიაჩელის, პაოლო იაშვილის და სხვა ავტორთა წიგნების რუსულ ენაზე გამოცემის თაობაზე. ამ წიგნების გამოქვეყნების პასუხისმგებლობა აიღეს დასახელებულმა გამომცემლობებმა და ახლა მათი წარმომადგენლები ითხოვენ ქართველი ავტორებისაგან ნაწარმოებების რუსული თარგმანების საჩქაროდ გაგზავნას, რათა გამომცემლობებმა შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა და დადგინდეს ვადებში გამოსცენ კრებულები.

➤ 6491

1934

### 11 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება, რომლის მიხედვითაც, მომდევნო დღეს, შუადღის 2 საათზე, იმავე გაზეთის რედაქციაში უნდა გაიმართოს მწერალთა და კრიტიკოსთა თათბირი. განცხადებაში მითითებულია სია იმ ავტორებისა, რომლებიც უნდა დაესწრონ თათბირს. სხვა მწერლებთან ერთად სიაში დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6492

1934

### 15 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ საერთო სათაურით „ქართველი საბჭოთა მწერლების მხურვალე საღამო არქტიკის გმირებს“ ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ნიკოლო მიწიშვილისა და ლეო ქიაჩელის მისასალმებელი სიტყვები. მწერლები მიმართავენ ჩელუსკინელებს – ორი თვის წინ არქტიკის ყინულებში გაუჩინარებული ხომალდის გადარჩენილ მგზავრებს. გალაკტიონი აღტაცებულია ჩელუსკინელების სიმტკიცით. მისი თქმით, კაცობრიობის ისტორიამ ბევრი არ იცის ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება და მხოლოდ

სოციალიზმის მშენებელ ქვეყანას შეეძლო წარმოეშვა ლომივით ხალხი, ვინც თავის ნებას დაუმორჩილა სტიქიის ძალები.

➤ 6493

1934

17 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ვიქტორ გოლცევის რეცენზია „ახალი წიგნი ქართულ ლიტერატურაზე“, რომელშიც განხილულია ბენიტო ბუაჩიდის 1930 წელს რუსულ ენაზე გამოცემული კრიტიკული სტატიების კრებული „თანამედროვე ქართული ლიტერატურის გზები“. სხვა მასალასთან ერთად, რეცენზენტი ეხება წიგნში შეტანილ, გალაკტიონისადმი მიძღვნილ ორ სტატიასაც. გოლცევის აზრით, ბენიტო ბუაჩიძე ცდილობს შეაღამაზოს გალაკტიონის შემოქმედებითი ევოლუციის გზა და ამის გამო მის ნაწერს ქების, პანეგირიკის ხასიათი უფრო აქვს, ვიდრე კრიტიკული სტატიისა. გოლცევი მიიჩნევს, რომ არადაამაჯერებელი და წარუმატებელია ბუაჩიდის ნაშრომის ის მონაკვეთი, რომელშიც იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ გალაკტიონი არასდროს ყოფილა ნამდვილი სიმბოლისტი. გოლცევის აზრით, აჯობებდა კრიტიკოსს ეჩვენებინა, თუ რაოდენ დიდი გავლენა მოახდინა სიმბოლისტური კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებზე პროლეტარულმა რევოლუციამ და როგორ მოახერხეს ამ მწერლებმა გეზის ცვლილება, როგორ გაჰყვნენ ისინი სოციალიზმის მშენებელ პროლეტარიატს. გოლცევი მიიჩნევს, რომ ბუაჩიძეს აუცილებლად უნდა აღენიშნა გალაკტიონის ზოგიერთი ლექსის ნაკლი – მათი რიტორიკული ხასიათი და ზედაპირულობა, მით უფრო, რომ საქართველოს სახალხო პოეტს თანამედროვე ეპოქის უფრო ღრმად ასახვა მოეთხოვება.

➤ 6494

1934

19 აპრილი

ოლია ოკუჯავასთან ერთად ჭრის პოემას „პაციმიზმი“ ცალკეულ ლექსებად და აკრავს ქაღალდებზე აკადემიური გამოცემისთვის მასალის მოსამზადებლად.

➤ 6495

1934

20 აპრილი

ოლია ოკუჯავასთან ერთად ჭრის თავის პოემას „ეპოქა“ ცალკეულ ლექსებად და აკრავს ქაღალდებზე თხზულებების მეორე ტომის მოსამზადებლად.

➤ 6496

1934

20 აპრილი

მიდის ხელოვნების სასახლეში კრებაზე.

➤ 6497

1934

20 აპრილი

მიხეილ ჯავახიშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, ნიკო ლორთქიფანიძესთან ბესარიონ ჟღენტთან და სხვა მწერლებთან ერთად ირჩევენ სანდრო ეულის საიუბილეო კომიტეტის წევრად. კომიტეტის წევრებმა ორგანიზება უნდა გაუწიონ 20 მაისს სანდრო ეულის მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას.

➤ 6498

1934

23 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „მხატვრული ლიტერატურა ორი წლის მანძილზე“, რომელშიც მიმოხილულია მიმდინარე სალიტერატურო პროცესი და ნათქვამია, რომ საბჭოთა მწერლობის დადებით მონაპოვარს წარმოადგენს გალაკტიონ ტაბიძის ლექსები. გარდა ამისა, კრიტიკოსი ჩამოთვლის საბჭოთა ლიტერატურის აქტიურ შემოქმედებით კადრებს და სიის დასაწყისში გალაკტიონ ტაბიძეს ასახელებს.

➤ 6499

**1934**

**30 აპრილი**

ლენინგრადის სახელმწიფო გამომცემლობის თხოვნით, ლექსების რუსული თარგმანის გამოსაცემად, წინასწარ დაგეგმვის გარეშე, სასწრაფოდ მიემგზავრება ლენინგრადში, ამჟამინდელ პეტერბურგში და ლენინგრადის მწერალთა სახლის ქართველ მწერალთა სექციაში წარადგენს საქართველოდან წადებულ დოკუმენტს.

➤ 6500

## მ ა ი ს ი

**1934**

**4 მაისის შემდეგ**

ბინადება ლენინგრადის, ამჟამინდელი პეტერბურგის სასტუმროში „ჰერმესი“.

➤ 6501

**1934**

**10 მაისის შემდეგ**

სანდრო ეულის წიგნში „ფოლადის პოეტი“ ლექსის „ფიქრები დაზგასთან“ პირველ სტროფს აწერს: „იხ. ჩემი ლექსი რევოლიუციის „მუზეუმიდან“. ლექსის „თათბირი კრემლში“ სათაურთან არსებულ ნახატზე აღნიშნავს, რომ კრემლს არ ჰგავს და ბენო გორდეზიანის დახატული უნდა იყოს. აინტერესებს, რატომ ჰქვია ლექსის გმირს „ეპოქის“ პოეტი, მასზე ხომ არ არის დაწერილი, რადგან თვითონ არის „ეპოქის“ ავტორი, მაგრამ იქვე ირონიულად დასძენს, რომ შეცდა და წიგნს ჰქვია „ფოლადის პოეტი“. გაოცებულია, რომ ლექსის მოქმედი გმირი – სტალინი, ბავშვობაში დაწერილი ლექსების მიუხედავად, თავს პოეტად არ მიიჩნევს, ახლა სხვა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს და პოეზიაში ახალ თაობაზე ამყარებს იმედს, სანდრო ეული კი უმტკიცებს, რომ ის ფოლადის პოეტია და სხვა არავინ არის მისი მსგავსი. წიგნი საინტერესოდ მიაჩნია როგორც დოკუმენტი. აინტერესებს, კრემლში მართლა იყო თუ არა პოეტების თათბირი და როდის, მართლა ასეთი სიტყვებით მიმართა თუ არა სტალინმა ეულს. აღნიშნავს, რომ ავტორი მანია გრანდიოზით არის შეპყრობილი, რაც ახასიათებს მისი თაობის სხვა მწერლებსაც: ალიო მაშაშვილს, პეტრე სამსონიძეს, ირაკლი აბაშიძეს, იოსებ ნონეშვილს, რევაზ მარგიანს. ასკვნის, რომ ეს არის ავადმყოფური სიმბოლიზმის, ინდივიდუალობის, ფუტურისტობისა და ვლადიმერ მაიაკოვსკის მიმბაძველობის გამოვლინება.

➤ 6502

**1934**

**12 მაისი**

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“, წერს მასში გამოქვეყნებულ ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიების, ლექსებისა და ილუსტრაციების სიას.

➤ 6503

**1934**

**24 მაისი**

ლენინგრადში, ამჟამინდელ პეტერბურგში, გამოსაცემი წიგნის გამო იწერს იქ მცხოვრები მწერლების, მთარგმნელებისა და რედაქციის თანამშრომლების – ვსევოლოდ როჟდესტვენსკის,

ნიკოლაი ტიხონოვის, ალექსანდრ პროკოფიევის, შოთა ძიძიგურის, მიხაილ კუზმინის, ვარლამ დუნდუას, კონსტანტინე ქავთარაძის, ოლგა ფორშის, ალექსანდრა ბრიკის, ელენა ბრიკ-ირადოვას, ივან რუდოლფის მისამართებს.

➤ 6504

**1934**

**24 მაისი**

რეკავს ლენინგრადშივე მყოფ შოთა ძიძიგურთან და თანხმდება შეხვედრაზე მეორე დღისთვის.

➤ 6505

**1934**

**24 მაისი**

ხვდება ვარლამ დონდუას, რომელთანაც უნდა გადავიდეს საცხოვრებლად, რადგან ლენინგრადის სასტუმროში „ჰერმესი“ ცხოვრობს თითქმის ოცი დღეა და ძალიან ძვირი უჯდება.

➤ 6506

**1934**

**25 მაისი**

დღიურში იწერს, რომ ზაფხულის გატარება ლენინგრადში, ამჟამინდელ პეტერბურგში, მოუწევს, მაგრამ რამდენადაც პოეტები მალე გავლენ დასასვენებლად, თავისი საქმეები მანამდე უნდა მოასწროს. ეს საქმეებია წიგნის მომზადება გამოსაცემად და მეცნიერებათა აკადემიაში შეხვედრის ორგანიზება. ელოდება ნიკოლოზ ტიხონოვის მოსკოვიდან ლენინგრადში ჩასვლას, რომ შეუთანხმოს წიგნში ლექსების განლაგება და ლექსების განაწილება მთარგმნელებისთვის. სურვილი აქვს, რომ წიგნის პუბლიკაციამდე მასში შესატანი ლექსები გაზეთებში დაიბეჭდოს. ფიქრობს პრესის ყურადღების მისაზიდად თავისი სალამოს გამოყენებას.

➤ 6507

**1934**

**27 მაისის შემდეგ**

კარპეზ და ვარლამ დონდუების ოჯახში გალაკტიონთან შესახვედრად მისული იოსებ მეგრელიძე ამჩნევს, რომ ბინაში ვიწროდ არიან და გალაკტიონს მასთან გადასვლას სთავაზობს. პოეტი თანხმდება.

➤ 6508

**1934**

**27 მაისის შემდეგ**

ლენინგრადში დაკავებულია კრებულის გამოცემის საქმეებით. ზოგიერთი ლექსის თარგმანს გამომცემლები უწუნებენ, ზოგს პირადად აზუსტებს და ბევრს მუშაობს. პოეტებს თავად უკეთებს საკუთარი ლექსების პწკარედებს და იოსებ მეგრელიძეს, ელენე ვირსალაძეს, ვარლამ დონდუას, შოთა ძიძიგურსა და ვალერიან ურუშაძეს სთხოვს მთარგმნელებს დაეხმარონ ამ პწკარედების აზრის სწორად გაგებაში.

➤ 6509

## ი ვ ნ ი ს ი

**1934**

**1 ივნისი**

განცხადებით მიმართავს ლენინგრადის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს. აცნობებს, რომ ჩასულია საქართველოდან და აქვს მატერიალური პრობლემები. რამდენადაც მისი წიგნი უკვე გადაცემულია დასაბეჭდად, სთხოვს, უშუამდგომლონ გამომცემლობის წინაშე, რომ წინასწარ მისცენ მისთვის განკუთვნილი ჰონორარი.

➤ 6510



1934

**5 ივნისი**

რუსულ ჟურნალში „ოგონიოკ“ (№11) იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ ვალერიან გაფრინდაშვილისეული თარგმანი „Мы, поэты Грузии“.

➤ 6511

1934

**11 ივნისის შემდეგ**

ვალერიან ურუშაძე და იოსებ მეგრელიძე გადაწყვეტენ ლენინგრადის მწერალთა სახლის ქართული სექციის წევრების მხარდაჭერით გალაკტიონ ტაბიძეს მოღვაწეობის 25 წლის იუბილე გადაუხადონ. ამზადებენ აფიშებს, მოსაწვევებს და იმ მიზნით, რომ ლონისძიების ჩასატარებლად ნებართვა რომ უფრო იოლად მოიპოვონ, მას შემოქმედებით სადამოს არქმევენ და არა იუბილეს. ორგანიზატორები ხელისუფლებისგან უარს იღებენ იმ მიზეზით, რომ შეხვედრაზე ტემპერამენტის კავკასიელი ახალგაზრდები შეიკრიბებიან და არავინ იცის რა მოხდება. მათი რჩევაა, რომ გალაკტიონი რუს პოეტებს საქართველოში შეხვდეს. პოეტი ეჭვობს, რომ ვიღაც საქართველოდან უშლის ხელს და იმედი აღარ აქვს, მაგრამ ინიციატორები საქმეში პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის ჩართვას ახერხებენ და ნებართვას იღებენ. ნიკო მარის სახელის მოშველიებით ხერხდება ისიც, რომ სადამო ისაკის ტაძრის მოედანზე ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიის დარბაზში ჩატარდეს. გალაკტიონს სურს, ეს შეხვედრა მწერლების მეცნიერებთან თანამშრომლობის ეგიდით აღინიშნოს, ადგენს გეგმას და ანგარიშობს კონცერტის გამართვისათვის საჭირო ხარჯებს. მას სურს, გაკეთდეს სადამოზე წარმოთქმული სიტყვების სტენოგრამა და იუბილეს დასრულების შემდეგ წერილები აკადემიის სახელით დაიბეჭდოს გაზეთებში: „ლენინგრადსკაია პრავდა“, „ლიტერატურნი ლენინგრად“, „კრასნაია გაზეტა“, „იუნი პროლეტარი“, ჟურნალში „რეზეც“ და სხვა. აპირებს, რომ გეგმა მიაწვდინონ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატსაც.

➤ 6512

1934

**15 ივნისამდე**

ლენინგრადშია და იგებს, რომ თბილისში მყოფი ოლია ოკუჯავა ავად არის.

➤ 6513

1934

**15 ივნისი**

ლენინგრადიდან თბილისში თავისი პენსიის ასაღებ მინდობილობასთან და დეპეშასთან ერთად მოკლე წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. სთხოვს, რომ თავს მოუაროს და თავად, როგორც კი ყრილობა დამთავრდება, მაშინვე დაბრუნდება.

➤ 6514

1934

**15 ივნისი**

ლენინგრადიდან თბილისში დეპეშას უგზავნის დავით დემეტრაძესა და ბესარიონ ჟღენტს. სთხოვს, აცნობონ, არის თუ არა საბჭოთა კავშირის მწერალთა პირველი ყრილობის დელეგატთა სიაში.

➤ 6515

1934

**16 ივნისამდე**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ თბილისიდან ლენინგრადში, ამჟამინდელ პეტერბურგში, გაგზავნილ დეპეშას. ქალი ინტერესდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით.

➤ 6516

1934

### 17 ივნისამდე

იოსებ მეგრელიძე და ვალერიან ურუშაძე საჭირო თანხის გამოყოფის თხოვნით მიმართავენ ლენინგრადის ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიას. თავდაპირველად იღებენ დაპირებას გალაკტიონისთვის 1000 მანეთის გამოყოფაზე, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ 500 მანეთს იღებენ. გალაკტიონი ამითაც კმაყოფილია.

➤ 6517

1934

### 17 ივნისამდე

რუსულად წერს ავტობიოგრაფიის ფრაგმენტს. აღნიშნავს, რომ მისი ლექსი პირველად გამოქვეყნდა ვლადიმერ დარჩიაშვილის გამოცემულ სოციალ-დემოკრატიულ ჟურნალში „ჩვენი კვალი“ 1908 წელს. იბეჭდებოდა ყველა რევოლუციურ ჟურნალში. სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში „აზრი“ გამოქვეყნდა 1913 წელს რევოლუციური ლექსი „გურიის მთები“, რის გამოც მოხდა გაზეთის ნომრის კონფისკაცია და გამოცემა აიკრძალა. ამ მეტად პოპულარულ ლექსში არის მინიშნება 1905 წელს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გურიის გმირული ბრძოლის შესახებ, ნახსენებია აჯანყებული გურულებისა და მეფის მოხელეების ბრძოლის ცნობილი ადგილი – ნასაკირალი.

➤ 6518

1934

### 17 ივნისი

ლენინგრადში ხელოვნებათმცოდნეობის სახელმწიფო აკადემიაში მის პატივსაცემად გამართულ საღამოზე ჩუქნიან ნიკო მარის წიგნს „იაფეტური სემინარიები“, რომელიც იწყება ქართული ენის უძველესი ნიმუშების განხილვით და მთავრდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსებით.

➤ 6519

1934

### 17 ივნისი

მის საღამოს ლენინგრადში დიდძალი ქართველობა ესწრება: ოლღა ბარათაშვილი დედასთან, თებრონე მაყაშვილ-ნაცვლიშვილთან ერთად, მესტამბე ალექსანდრე არაბიძე, აკაკი ბოხუა, ელენე (ლოლიტა) და თინათინ ვირსალაძეები, ვარლამ და კარპეზ დონდუები, კიტა მეგრელიძე, ავლიპ ზურაბაშვილი, გრიგოლ და ელენე ჩხიკვაძეები და სხვ. აქვე არიან რუსი, სომეხი, დაღესტნელი და ოსი მწერლები. მოხსენებას გალაკტიონის შემოქმედებაზე ელენე ვირსალაძე აკეთებს, კომპოზიტორთა სახელით საზოგადოებას პავლე ხუჭუა ესალმება და ჰპირდება, რომ ლენინგრადის კონსერვატორიაში მოღვაწე ქართველი კომპოზიტორები გალაკტიონის ლექსებზე ჰიმნებს შექმნიან. ლენინგრადის მწერალთა სახელით ადრესს მართმევს ალექსანდრ პროკოფიევი, ლამაზად გაფორმებულ და ხელმოწერილ ადრესს გადასცემენ ქართველი ასპირანტები. ანტონ შვარცი კითხულობს გალაკტიონის თარგმანებს, ოვაციებს იმსახურებენ თამარ დავითაშვილისა და ელენე გაჩეჩილაძე-ვირსალაძის მიერ შესრულებული რომანსები. საღამოში მონაწილეობს ქართული ხალხური სიმღერების მოყვარულთა ჯგუფი დავით დოლიძის ხელმძღვანელობით, კრიმანჭულს ასრულებს მიხეილ ჩხაიძე. თავის სიტყვაში პოეტი მაღლობას უხდის დამსწრე საზოგადოებას, ქართულად კითხულობს ლექსებს: „მერი“ „მთაწმინდის მთვარე“, „გემი დალანდი“, „მესაფლავე“ და „ლურჯა ცხენები“, შემდეგ კი ისევ ორატორები გამოდიან და ერთმანეთს ეცილებიან გალაკტიონისა და საქართველოს ქება-დიდებაში.

➤ 6520

**1934**

**17 ივნისი**

გალაკტიონის შემოქმედებითი საღამოს საზეიმო ნაწილის დასრულების შემდეგ, ავტობუსითა და ავტომანქანებით ისაკის ტაძრის მოედნიდან მიდიან დეკაბრისტების ქუჩაზე ოლღა ბარათაშვილის ბინაში 70 კაცისთვის მოწყობილ ბანკეტზე. ქართული მუსიკა და ცეკვა ისეთი ოსტატობით ერწყმის ერთმანეთს, რომ ლიტერატურის ინსტიტუტის აღფრთოვანებული თანამშრომელი მათ აკადემიაში იწვევს და რადიო გადაცემის ორგანიზებას ჰპირდება. გახალისებული გალაკტიონი ექსპრომტებს უძღვნის მასპინძელ და კონცერტის მუსიკალური ნომრების შემსრულებელ ქალბატონებს. სუფრა დილამდე გრძელდება. პოეტს უკვირს, როგორ მოახერხეს იუბილეს ორგანიზატორებმა ლენინგრადში ასეთი ჩინებული ქართული სუფრის გამლა.

➤ 6521

**1934**

**17 ივნისი**

დღიურში წერს ლენინგრადის ხელოვნებათმცოდნეობის სახელმწიფო აკადემიაში მის პატივსაცემად გამართული საღამოს პროგრამას: აკადემიის პარტკომის – გრიგოლ ნუცუბიძის შესავალი სიტყვა. ლიტერატურის ისტორიის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტის – ელენე (ლოლიტა) ვირსალაძე-ხიდაშელის მოხსენება. ლენინგრადელი თაყვანისმცემლების სახელით – ვარლამ დონდუას, აკადემიის სახელით – დოცენტი ჭყონიას, მეცნიერ-მუშაკების სახელით – ალექსანდრე კობახიძის, რუსული ლიტერატურის აკადემიის სახელით – კამსარ გრიგორიანის, საბჭოთა მწერლების საორგანიზაციო კომიტეტის სახელით – ალექსანდრე პროკოფიევის, სახელმწიფო კონსერვატორიიდან, ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიის პრეზიდიუმიდან – მისალმებები. ლექსებს კითხულობს ანტონ შვარცი, რომანსებს მღერის თამარ დავითაშვილი და სხვ. დასასრულს თვითონ წარმოთქვამს სამადლობელ სიტყვას და კითხულობს ლექსებს.

➤ 6522

**1934**

**17 ივნისი**

საქართველოს რადიოთი გადაიცემა ინფორმაცია გალაკტიონის საიუბილეო ღონისძიების შესახებ.

➤ 6523

**1934**

**17 ივნისი**

მუშაობას ასრულებს საქართველოს მწერალთა კავშირში წევრთა მიმღები კომისია, რომლის გადაწყვეტილებითაც, მწერალთა კავშირის წევრებად ხელახლა ამტკიცებენ 94 ადამიანს. გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება „საქართველოს მწერალთა კავშირში წევრებად მიღებულთა სია“, რომელშიც სხვა მწერლებთან ერთად დასახელებულია საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6524

**1934**

**17 ივნისი ან შემდეგ**

ლენინგრადის იუბილეს შთაბეჭდილებებით აღსავსე წერს ლექსს „აკადემიის გულში ჩემი საღამო ჰქუხს...“.

➤ 6525

1934

**17 ივნისის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ უსაზღვროდ მადლიერია მსოფლიო მეცნიერების სიამაყის, აკადემიკოს ნიკო მარის, რომელმაც თავისი დიდებული წიგნი ქართული ენის შესახებ „იფეტური სემინარიები“ დაასრულა მისი ლექსების განხილვით.

➤ 6526

1934

**17 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სადაც მერანი სდგას პეტრე დიდის...“.

➤ 6527

1934

**17 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რა საწყაულით ჩემს ბედს აწყვიდე...“.

➤ 6528

1934

**17 ივნისის შემდეგ**

იოსებ მეგრელიძესთან ერთად მიდის ნიკო მარის მოსანახულებლად, მის მეუღლეს გადასცემს დიდი მეცნიერისადმი მიძღვნილ ერთტომეულს და მოკითხვის წერილს.

➤ 6529

1934

**17 ივნისის შემდეგ**

ლენინგრადის მწერალთა სახლში იოსებ მეგრელიძე გალაკტიონს წარადგენს მხატვარ ნ. შვედერადლოვასთან. მხატვარი ეუბნება, რომ ის იცნობს ტიციან ტაბიძეს, რომელიც მართლაც პოეტივით გამოიყურება, გალაკტიონი კი ბრძენს უფრო ჰგავს. მეგრელიძე პასუხობს, რომ გალაკტიონი უბრალო პოეტი კი არ არის, პოეტების მეფეა.

➤ 6530

1934

**17 ივნისის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს ლენინგრადის ხელოვნებათმცოდნეობის სახელმწიფო აკადემიაში მის პატივსაცემად გამართული საღამოს შესახებ და აჯამებს ჩატარებულ ღონისძიებას.

➤ 6531

1934

**18 ივნისი**

ოლღა ბარათაშვილი ურეკავს იოსებ მეგრელიძეს და სთხოვს ყაზანის ტაძრის სკვერიდან გალაკტიონი ისევ მასთან ოჯახში მიიყვანოს. მეგრელიძეს ეტლით მიჰყავს გალაკტიონი. გზად „ბრინჯაოს მხედრის“ ქანდაკების დანახვისას გალაკტიონი ამბობს, რომ მისი ხილვით უკვე მერამდენედაა აღფრთოვანებული. იოსები უყვება, რომ ის და შოთა ძიმიგური იქვე ახლოს მდებარე ტაძრის ეზოში გალაკტიონის ლექსების თქმაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. გახარებული გალაკტიონი გულთბილად გადაეხვევა იოსებს.

➤ 6532

1934

**20 ივნისამდე**

საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის პლენუმზე შალვა რადიანი კითხულობს მოხსენებას „საბჭოთა პოეზიის შემოქმედებითი საკითხები“. მომხსენებელი მსჯელობს თანამედროვე პოეტების შემოქმედებითი მუშაობის შესახებ და განიხილავს, თუ რა ცვლილებები მოხდა მათ შემოქმედებაში 1932 წლის 23 აპრილის იმ ისტორიული დადგენილების შემდეგ, რომლის საფუძველზეც აიკრძალა მწერალთა განკერძოებული ჯგუფების არსებობა და მომზადდა ნიადაგი საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის დასაფუძნებლად. მომხსენებელი სხვა ავტორთა ტექსტებთან ერთად ეხება საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიასაც.

➤ 6533

**1934**

### **23 ივნისის შემდეგ**

ლენინგრადშია და იღებს ოლია ოკუჯავას მიერ 16 ივნისს გაგზავნილ წერილს. ოლია გაკვირვებას გამოთქვამს, რომ გალაკტიონს ორი სიტყვაც კი არ მიუწერია, როგორ არის. სწერს, რომ დაწვა მიხეილის სახელობის საავადმყოფოში და ემზადება ოპერაციისთვის. ნაწყენია და საყვედურობს, რომ ადამიანობა არასდროს უნდა დაკარგოს.

➤ 6534

**1934**

### **28 ივნისი**

ლენინგრადში ვარლამ დონდუა წარწერით – „გალაკტიონს“ ჩუქნის პუშკინის სახლის აღმანახს „ცისარტყელა“.

➤ 6535

**1934**

### **30 ივნისი**

„სალიტერატურო გაზეთში“ ქვეყნდება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში ხელახლა მიღებულ წევრთა სია, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, გიორგი ლეონიძესთან და სხვა მწერლებთან ერთად დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6536

**1934**

### **ივნისის მეორე ნახევარი**

მოსკოვში მცხოვრები ოლღა ბარათაშვილის დედასთან ერთად მიდის ვოლკოვის სასაფლაოს მწერალთა პანთეონში „ლიტერატურნიე მოსტკი“ 1903 წელს გარდაცვლილი პოეტის, გრიგოლ დავითის ძე აბაშიძის საფლავის მოსანახულებლად. ცრემლი მოსდის და ამბობს, რომ მისი სამუდამო განსასვენებელი დიდუბის პანთეონში უნდა იყოს და არა აქ. გალაკტიონის აზრით, გარდაცვლილი პოეტის ლექსი „სიმღერა სასოწარკვეთილებისა“ ისეთი კარგია, რომ ბევრი პოეტი ინატრებდა მის ავტორობას.

➤ 6537

## **ი ვ ლ ი ს ი**

**1934**

### **11 ივნისი - 2 ივლისი**

ქალაქ ლენინგრადშია და წერს ლექსს „ლენინგრადში“.

➤ 6538

**1934**

### **12 ივლისი**

რუსულენოვან გამოცემაში „ლიტერატურნაია გაზეტა“ სათაურით – „წიგნიდან „ეპოქა“ – იბეჭდება გალაკტიონის ლექსის „შენ, ფოლადივით ცივი თვალებით...“ ნიკოლაი ტიხონოვისეული თარგმანი.

➤ 6539

**1934**

**4 მაისი – 14 ივლისი**

ლენინგრადში ვარლამ დონდუა ჩუქნის ნიკო მარის წიგნს „ანისის XI არქეოლოგიური კამპანია“ წარწერით „გალაკტიონს“.

➤ 6540

**1934**

**14 ივლისი**

ბრუნდება ლენინგრადიდან ზანგივით გაშვებული. ლენინგრადის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი მასალები თითქმის მზად აქვს, ნიკოლაი ტიხონოვის თარგმანების ნაწილი ჩამოაქვს ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობისთვის, ნაწილს კი კარგავს.

➤ 6541

**1934**

**15 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება შალვა რადიანის სტატია „პოეზია ახალი ამოცანების სიმაღლეზე“, რომელშიც ავტორი მსჯელობს თანამედროვე ლირიკის ბოლო პერიოდის მიღწევებზე. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ იდეური გარდაქმნისა და უფრო მაღალ შემოქმედებით საფეხურზე ასვლის ნიშნუშებს ქმნიან პოეტები: ალექსანდრე შანშიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი და ილო მოსაშვილი.

➤ 6542

**1934**

**20 ივლისი**

სილოვან ხუნდაძის წიგნს „ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები“ სატიტულე გვერდზე აწერს მიმდინარე დღის თარიღს.

➤ 6543

**1934**

**13-23 ივლისი**

დღიურში სხვადასხვა წყაროდან იწერს პოეტისა და ჟურნალისტის – პეტრე შალიკაშვილის შესახებ ცნობებს. ვრცლად საუბრობს დენის დავიდოვისა და პეტრე შალიკაშვილის ეპიგრამებზე და ასკვნის, რომ შალიკაშვილს XIX საუკუნის რუსეთში დიდი გავლენა ჰქონდა, რადგან ლიტერატურულ პაექრობაში გამოიწვია ისეთი გაღმერთებული პიროვნება, როგორც იყო დავიდოვი. ფიქრობს, რომ ნიკოლაი გოგოლის „მკვდარ სულებში“ შალიკოვზე შენიშვნები საინტერესოა ამ ადამიანის ხასიათის გამოსაკვლევად. მოსაძებნი აქვს ალექსანდრე პუშკინისა და პეტრე შალიკაშვილის ურთიერთობის შესახებ ჩანაწერები. აბრამ ეფროსის წიგნიდან „პოეტის ნახატები“ ციტირებს პუშკინის ნახატის „თავადი შალიკოვი ლორნეტით“ აღწერილობას.

➤ 6544

**1934**

**29 ივლისი**

ვლადიმერ ჯიქიასგან იღებს მომდევნო დღეს ქუთაისში გასამართი ღონისძიების – სტალინის სახელობის რიონჰესის გახსნის მოსაწვევს.

➤ 6545

1934

**29 ივლისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სერზე მიდის სამი ძმა...“.

➤ 6546

1934

**31 ივლისი**

უბის წიგნაკში წერს, რომ ხუთი დღის განმავლობაში თავი უნდა დაანებოს ლექსებზე ფიქრს, რადგან უმთავრესი ყურადღება უნდა დაუთმოს სრულიად საბჭოთა კავშირის მწერლების პირველ ყრილობას. ფიქრობს, რომ აქვს ყრილობაზე გამგზავრების შანსი, რადგან დავით დემეტრაძე და ბესარიონ ჟღენტი ჰპირდებიან საქმის მოგვარებას, მაღაქია ტოროშელიძე კი ხელახლა დასვამს საკითხს.

➤ 6547

1934

**ივლისი**

იმყოფება გორის რაიონის სოფელ კარალეთში. მკის დროა. ქალები კალოზე პურს ლეწავენ. გალაკტიონი მიდის მათთან და ესაუბრება პურის ჯიშებსა და მოსავლის ბარაქიანობაზე. შემდეგ შორიახლოს დგება. ხელში გაზეთების დასტა უჭირავს და დაფიქრებული გასცქერის სოფლის პეიზაჟს. როდესაც ხვდებიან, ვინ არის, სოფლის ხელმძღვანელობას ატყობინებენ. პოეტს მაშინვე სთავაზობენ მანქანასა და სასტუმროს და სადილზეც ჰპატიჟებენ. გალაკტიონი მადლობას უხდის შეთავაზებისთვის და უხსნის, რომ ორიოდ ნაცნობი ბილიკის მონახულება აქვს განზრახული და მალევე უნდა წავიდეს.

➤ 6548

1934

**ივლისის შემდეგ**

მისი ნაწარმოებების აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებით ოლია ოკუჯავა უბის წიგნაკში უწერს, რომ მომზადებლებმა უნდა იხელმძღვანელონ ისეთი ავტორიტეტული წყაროებით, როგორცაა ლენინის ნაწარმოებების ტომები, სონეტების, გაზელებისა და სხვა სალექსო ფორმების პოეტური განმარტებებისთვის კი ორიენტირდნენ კლასიკოსების, მაგალითად, ვალერი ბრიუსოვის წიგნებზე.

➤ 6549

**ა გ ვ ი ს ტ ო**

1934

**5 აგვისტო**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის ტექსტი „სახელგამი – ყრილობისთვის“, რომელშიც ჩამოთვლილია მწერალთა საკავშირო ყრილობასთან დაკავშირებით გამოცემული წიგნები, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული თარგმანების კრებული „რჩეული ლექსები“.

➤ 6550

1934

**6 აგვისტო**

კითხულობს ამბროზ ბირსის „ემშაკის ლექსიკონს“.

➤ 6551

1934

## 7 აგვისტო

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, პირადი განცხადების საფუძველზე მიღებულია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის წევრად.

➤ 6552

1934

## 7 აგვისტო

დღიურში იწყებს ჩაწერას 7 აგვისტოდან 15 აგვისტომდე რამდენი საათია სახლში და სულ რამდენი ლექსის შემოწმებას ახერხებს რუსული გამოცემისთვის. აჯამებს, რომ საათში 4 ლექსს ნახულობს და 140 საათის მანძილზე შემოწმებული აქვს 550 ლექსი.

➤ 6553

1934

## 7 აგვისტო

ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი მეორე რუსული წიგნისთვის „ლექსები და პოემები“, ადგენს თბილისში მცხოვრები მთარგმნელების სიას: ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე ბოგდანოვსკი, პანტელეიმონ პეტრენკო, სანდრო ყანჩელი, პ. შალიგინი.

➤ 6554

1934

## 8 აგვისტო

ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის რუსული წიგნისთვის აპირებს ციკლიდან „ეპოქა“ ლექსების შერჩევას, 1927 წლის წიგნში შეტანილი ლექსების, ასევე ლექსების „პრესა“ და „ლენინი“ და ახალი ლექსების გადაწერას, სათაურების ჩამოწერას, დანომრვას და შინაარსის შედგენას.

➤ 6555

1934

## 20 აგვისტო

მალაქია ტოროშელიძე მწერალთა საკავშირო ყრილობაზე კითხულობს მოხსენებას ქართული ლიტერატურის შესახებ. სხვა საკითხებთან ერთად იგი მსჯელობს მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის შესახებაც. მომხსენებელი მიიჩნევს, რომ რევოლუციის წინა პერიოდის პოეტური კულტურის წარმომადგენელთაგან, რომლებმაც შეძლეს წარსულის ტრადიციების ჩამოშორება და მოწინავე ადგილის დაკავება საბჭოთა პოეზიაში, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გალაკტიონ ტაბიძე. იგი მსჯელობს გალაკტიონის რევოლუციამდელ შემოქმედებაზე, აღნიშნავს, რომ პოეტის ადრეულ ნაწარმოებებში სევდისა და მწუხარების მოტივები ჭარბობდა, ხოლო 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პოეტმა გაარღვია თავისი შემოქმედების მისტიკურ-დეკადენტური რკალი და აღფრთოვანებით გამოეხმაურა სოციალურ ძვრებს. მალაქია ტოროშელიძე იმასაც აღნიშნავს, რომ გალაკტიონმა ბოლომდე ვერ დააღწია თავი წარსულის პოეტურ ტრადიციათა ნაშთებს, ვერ შეძლო შეემუშავებინა ისეთივე ღრმა და სრულყოფილი ფორმები თანამედროვე თემატიკისათვის, როგორც ის მიმართავდა „მთაწმინდის მთვარის“, „ლურჯა ცხენებისა“ და სხვა მსგავსი ლექსების წერისას. მომხსენებლის აზრით, სწორედ ამ სიძნელის გადალახვაა ახლა პოეტის მთავარი ამოცანა.

➤ 6556

1934

## 20 აგვისტოს შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება მალაქია ტოროშელიძის სტატია „ქართული ლიტერატურა“. მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომში ავტორი მსჯელობს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ და ცალკე მონაკვეთს უთმობს გალაკტიონის შემოქმედებას. მისი აზრით, გალაკტიონ



ტაბიძემ ჯერ კიდევ ვერ შეიმუშავა თანამედროვე თემატიკის შესაფერისი პოეტური ფორმები. ამდენად, პოეტის მთავარი ამოცანა ამჟამად სწორედ ამ სიძნელის გადალახვაა.

➤ 6557

**1934**

**21 აგვისტო**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება 1937 წლის ოქტომბერში შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების გამართვის შესახებ. დადგენილების მიხედვით, საიუბილეო ზეიმის მოსაწყობად და რუსთაველის ძეგლის შესარჩევი კონკურსის ჩასატარებლად არსდება კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან ერთად შეყვანილია საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6558

**1934**

**21 აგვისტო**

რუსული გაზეთი „ტიფლისსკი რაბოჩი“ აქვეყნებს საქართველოს რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას – 1937 წელს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის იუბილის მთელ საქართველოში სახალხო დღესასწაულად აღნიშვნის შესახებ. საიუბილეო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტში არჩეულია გალაკტიონ ტაბიძე. ოლია ოკუჯავა ფიქრობს, რომ მომდევნო საუკუნეებში ასევე აღინიშნება გალაკტიონის იუბილეები და შიშობს, რომ დრომ არ გაანადგუროს და დაამახინჯოს მისი გამოუქვეყნებელი მშვენიერი ხელნაწერები.

➤ 6559

**1934**

**21 აგვისტო**

მოსკოვის მწერალთა სახლში იმართება პირველი საკავშირო ყრილობის ქართველ და რუს მონაწილეთა შემოქმედებითი შეხვედრა, რომელზეც ბორის პასტერნაკი და ნიკოლაი ტიხონოვი კითხულობენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანებს.

➤ 6560

**1934**

**22 აგვისტო**

გაზეთში „ვეჩერნიაია მოსკვა“ ა. კუტ-ის ხელმოწერით იბეჭდება საინფორმაციო ცნობა, რომ წინა საღამოს, მოსკოვის მწერალთა სახლში გაიმართა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის ქართველი და რუსი მონაწილეების შემოქმედებითი შეხვედრა, რომელზეც ბორის პასტერნაკმა და ნიკოლაი ტიხონოვმა წაიკითხეს „საუკეთესო ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ბრწყინვალე თარგმანები“. წყაროში ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ვერ მოახერხა ყრილობაზე ჩასვლა.

➤ 6561

**1934**

**22 აგვისტო**

ოლია ოკუჯავა კითხულობს რუსულ გაზეთში „ნა რუბეჟე ვოსტოკა“ ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებული განცხადება იმის შესახებ, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული კრებული გამოიცემა შემოდგომაზე. პუბლიკაცია მის აღშფოთებას იწვევს, რადგან წიგნი უნდა მოსწრებულყო 1934 წლის 17 აგვისტოდან 1 სექტემბრის ჩათვლით მოსკოვში ჩატარებული საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობისთვის.

➤ 6562

1934

23 აგვისტო

ნასვამს უკითხავენ განაცხადს რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის საიუბილეო ღონისძიებების საორგანიზაციო კომიტეტის წევრად მისი არჩევის შესახებ, ამით იქცევენ მის ყურადღებას და პარავენ სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეზე ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობისგან მიძღვნილ ძვირფას პორტსიგარს.

➤ 6563

1934

28 აგვისტო

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება მაღაქია ტოროშელიძის მიერ მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 20 აგვისტოს წაკითხული მოხსენება, რომლის ერთი მონაკვეთი გალაკტიონ ტაბიძეს ეთმობა. მაღაქია ტოროშელიძე აღნიშნავს, რომ გალაკტიონმა ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი წარსულის პოეტურ ტრადიციათა ნაშთებს, ვერ შეძლო შეემუშავებინა ისეთივე ღრმა და სრულყოფილი ფორმები თანამედროვე თემატიკისათვის, როგორც ის მიმართავდა „მთაწმინდის მთვარის“, „ლურჯა ცხენებისა“ და სხვა მსგავსი ლექსების წერისას. მომხსენებლის აზრით, სწორედ ამ სიძნელის გადალახვა და თანამედროვე თემატიკისთვის ახლებური, სრულყოფილი ფორმების ძიება უნდა იყოს პოეტის ამოცანა.

➤ 6564

1934

29 აგვისტო

ხვდება ფილიპე მახარაძეს, რომელიც კარგად იღებს და დიდხანს საუბრობენ ლიტერატურაზე. გალაკტიონი კმაყოფილი ბრუნდება შინ.

➤ 6565

1934

30 აგვისტო

ამიერკავკასიის ფედერაციის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აჯილდოებს საპატიო სიგელით „ამიერკავკასიის ფედერაციის განმტკიცებისათვის“.

➤ 6566

1934

აგვისტოს შემდეგ

უბის წიგნაკში რუსულ ენაზე აკეთებს ჩანაწერებს სოციალისტური რეალიზმის შესახებ. სვამს კითხვას, რამდენად არის სოციალისტური რეალიზმი მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურის მეთოდი, თუ იგი საზოგადოდ მსოფლიო რევოლუციური ლიტერატურის მეთოდად გვევლინება? საბჭოთა ლიტერატურა ამკვიდრებს „ახალი ადამიანის“, მშენებლისა და მეზრძოლის სახეს. გალაკტიონი იწერს მაქსიმ გორკის სიტყვებს, რომ ხელოვნების უმთავრესი დანიშნულებაა სინამდვილეზე ამაღლება და მიმდინარე დღისათვის მშრომელთა კლასის იდეალების პოზიციიდან შეხედვა. ყურადღებას ამახვილებს გორკის შეხედულებაზე რევოლუციური რომანტიზმის შესახებ, რომ ამ მეთოდმა უნდა გამოავლინოს ცხოვრების წინააღმდეგობები. მიუთითებს, რომ სოციალისტური რომანტიკა სოციალისტური რეალიზმის შემადგენელი ნაწილია.

➤ 6567

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1934

17 აგვისტო – 1 სექტემბერი

მოსკოვში ტარდება საბჭოთა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა, რომელზეც იგზავნება 30 ქართველი დელეგატ და მათ შორის არ არის გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6568

1934

#### 4 სექტემბერი

სათაურით „სისხლის მწოველი მწერლები“ დღიურში იწერს ციტატას გაზეთის „კომუნისტი“ №205-ე ნომერში გამოქვეყნებული ალექსანდრე მინდაძის სტატიიდან „ტროპიკულ სნეულებათა ბრძოლა ჩვენში“, რომლის მიხედვითაც, რომ ტროპიკულ სნეულებათა დიდი ნაწილი სისხლის მწოვ მწერების საშუალებით ვრცელდება.

➤ 6569

1934

#### 4 სექტემბერი

სახელმწიფო გამომცემლობაში ესწრება კამათს საბჭოთა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობაზე ნიკოლაი ბუხარინის მოხსენების გარშემო. ვასილ გორგაძე აღნიშნავს, რომ სცოდნოდა ბუხარინს გალაკტიონ ტაბიძის შესახებ, მასზე უნდა ესაუბრა და არა პავლო ტიჩინაზეო. გიორგი კაჭახიძე ამბობს, საქართველოდან ბევრი უფერული მწერალი გაიგზავნა და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გალაკტიონი იქ არ იქნებოდაო. ნიკოლოზ ქავჭავაძეც ეთანხმება. ვასილ მასხულიას აზრით, გალაკტიონზე უკეთესი პოეტი არ არის რუსეთში. შალვა რადიანი და ბენიტო ბუაჩიძე აღმფოთებულები არიან ამ დიდი უსინდისობით, ეს არ უნდა მომხდარიყო. ლევან ასათიანი ეუბნება, რომ ყრილობაზე დიდი მითქმა-მოთქმა იყო გალაკტიონის გამო და ნიკოლაი ტიხონოვმა წაიკითხა მისი ლექსების თარგმანები.

➤ 6570

1934

#### 4 სექტემბერი

გალაკტიონი ვერ ხვდება საბჭოთა მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატთა სიაში, რაც საზოგადოებას ძალიან აკვირვებს. პოეტი დღიურში კმაყოფილებით წერს, რომ ყველა მის მხარესაა და, შესაძლოა, ხელმძღვანელობა იძულებული გახდეს, ბოდიში მოიხადოს. გულს არ იტეხს და ფიქრობს, რომ უფრო მაღლა და წინ უნდა იაროს.

➤ 6571

1934

#### 4 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექს „სანამ ჰქონდა, ქარს გაჰქონდა...“.

➤ 6572

1934

#### 4 სექტემბერი

სათაურით „უფრო მაღლა და წინ“ დღიურში წერს, რომ 1 სექტემბერს თბილისში ჩატარებულ ახალგაზრდობის XX საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება სტატია „მოდის ბრწყინვალება და სიხარული“, რომელიც იწყება მისი ცნობილი ლექსის სტრიქონებით: „ასე მშვიდი, ასე წყნარი ჯერ ცა მე არ მახსოვს“ და აღნიშნულია, რომ იმ დღეს, მართლაც, იშვიათად მშვიდი და წყნარი საღამო იყო და სიხარულს გვრიდა მშრომელებს“. ფიქრობს, რომ ეს სტრიქონები საგულისხმოა მათთვის, ვისაც „მთაწმინდის მთვარე“ პესიმისტური ლექსი ჰგონია. გაზეთში კი უკავშირდება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღიად დღეს, ბრწყინვალეებისა და სიხარულის დღეს. მაღლიერია „კომუნისტის“ რედაქციის.

➤ 6573

1934

#### 4 სექტემბერი

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის შესახებ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილება, რომელშიც ჩამოთვლილია იუბილესთან დაკავშირებული საკითხების გადასაჭრელად სახალხო კომისართა საბჭოსთან შექმნილი კომისიის წევრები და მათ შორის არის სახალხო მწერალი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6574

1934

#### 5 სექტემბრის შემდეგ

მალაქია ტოროშელიძის რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „ქართული ლიტერატურა“ გალაკტიონ ტაბიძე გამოცხადებულია იმ პოეტად, რომელმაც მოახერხა ახალ სინამდვილეში ლიტერატურულ წარსულთან განშორება და საბჭოთა პოეზიის ფრონტზე მოწინავე ადგილის დაკავება. წიგნის ავტორი მიუთითებს, რომ ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებიდან გალაკტიონ ტაბიძემ უარყო მისტიკური და დეკადენტური კონცეფციები. ტოროშელიძის აზრით, პოეტი ჯერ კიდევ არ გათავისუფლებულა მთლიანად ლიტერატურული წარსულის ნარჩენებისაგან და არ გამოუმუშავებია ღრმა და შესატყვისი ფორმები თანამედროვე სინამდვილის ასახვისათვის. ეს არის ის მთავარი სირთულე, რაც მოცემულ მომენტში დგას გალაკტიონ ტაბიძის წინაშე.

➤ 6575

1934

#### 23 სექტემბერი

წერილს იღებს ბესარიონ ჟღენტისგან. ატყობინებს, რომ მომდევნო დღეს საღამოს 9 საათზე პლენანოვის პროსპექტზე „არტოს“ ბაღში იმართება ქართული პოეზიის საღამო, რომელზეც გალაკტიონის გამოსვლა არათუ სასურველი, აუცილებელიცაა. ამიტომ უკვე შეტანილია აფიშებშიც. ჰონორარი არის 200 მანეთი. იმედს გამოთქვამს, რომ ადრესანტი მივა და წაიკითხავს ლექსს.

➤ 6576

1934

#### 24 სექტემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „ქართული მწერლობა ყრილობაზე“, რომელშიც ნათქვამია, რომ დიდი ინტერესი გამოიწვია ყრილობის მიმდინარეობისას მწერალთა სახლში გამართულმა პოეზიის საღამომ გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, ტიცვიან ტაბიძის და სხვა პოეტთა მონაწილეობით.

➤ 6577

1934

#### 26 სექტემბრამდე

მწერალთა სასახლე აწვდის ოფიციალურ წერილს მაქსიმ გორკისგან. ცნობილი რუსი მწერალი ატყობინებს, რომ არჩეულია საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ალექსანდრ პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნად შექმნილი კომიტეტის შემადგენლობაში. რამდენადაც ამ კომიტეტის სრული შემადგენლობის შეკრება ვერ ხერხდება, ადრესანტი თითოეული წევრისგან ითხოვს დასტურს, რომ დაუყოვნებლივ შეიქმნას სამუშაო კომისია, რომელიც წინასწარ განიხილავს სასურველ ღონისძიებებს და თვეწახევარში წარუდგენს კომიტეტის პლენუმს. კომისიის თავმჯდომარედ დასახელებულია ლევ კამენევი. იქვე არის წევრების ჩამონათვალი და მაქსიმ გორკი, როგორც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

პუშკინის კომიტეტის თავმჯდომარე ითხოვს, შეატყობინონ, რაიმე ხომ არა აქვთ კომისიის ამ შემადგენლობით დამტკიცების საწინააღმდეგო.

➤ 6578

1934

### 26 სექტემბერი

სახელმწიფო გამომცემლობას დასაბეჭდად გადასცემს თხზულებათა რვატომეულის II ტომს.

➤ 6579

1934

### 26 სექტემბერი

რუსულ გაზეთში „ლიტერატურნაია გაზეტა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „და სისინებდენ, და სისინებდენ ჩალის ღერები“ ნიკოლაი ტიხონოვისეული თარგმანი.

➤ 6580

1934

### 26 სექტემბრის შემდეგ

ტიპოგრაფი მაისურაძე წარწერით ჩუქნის თავისი ლექსების კრებულს, რომელშიც მოთავსებულია გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი. გახარებულია, რადგან ძალიან უყვარს ტიპოგრაფები.

➤ 6581

1934

### სექტემბერი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ანონსი, რომელშიც დასახელებულია, თუ რომელი ავტორების ტექსტების პუბლიკაცია იგეგმება 1935 წელს ამ პერიოდულ გამომცემაში. ჩამოთვლილ ნაწარმოებებს შორის არის გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

➤ 6582

1934

### სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთ-ახალი...“.

➤ 6583

1934

### ადრიანი შემოდგომა

წერს უსათაურო ლექსს „წყალტუბოდან ქუთაისში...“.

➤ 6584

1934

### ადრიანი შემოდგომა

ქუთაისშია, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან ქვაზეა ჩამომჯდარი, როდესაც მას თვალს მოკრავენ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი გრიგოლ იარალოვი და მისი თანმხლები პირები. გალაკტიონი მათ მეგზურობას თავის თავზე იღებს და უქიმერიონის გორას ათვალერებინებს. როდესაც იგებს, რომ იარალოვი წყალტუბოში ისვენებს, ჰპირდება, რომ მომდევნო დღეს იქ ჩააკითხავს და სიტყვას ასრულებს. იარალოვთან შეხვედრისას მასთან არის ცნობილი კავალერისტი და დარდიმანდი სიმონ ფხაკაძე. გალაკტიონი და იარალოვი საუბრობენ გალაკტიონის თხზულებათა მეორე ტომზე, რომელიც გადაცემულია დასაბეჭდად. იქვე, წყალტუბოს აბანოებთან ისინი ხვდებიან კათოლიკოს პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს, რომელიც წყალტუბოში სამკურნალოდ არის და ძალიან კმაყოფილია. გალაკტიონი და

პატრიარქი დიდხანს საუბრობენ საქართველოს ისტორიაზე. როდესაც პატრიარქს აბაზანებზე იხმობენ, მართო დარჩენილი იარაღოვი გალაკტიონს ეკითხება, წყალტუბო რომ ასე უყვარს, მასზე რატომ არცერთი ლექსი არ დაწერა. გალაკტიონი იღიმება, უბის წიგნაკში რაღაცას წერს, შემდეგ ფურცელს ხევს და იარაღოვს აწვდის. ეს არის ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში...“ იარაღოვს ლექსი იმდენად მოსწონს, რომ მალევე აჩვენებს ნიჭიერ მუსიკოს ბიძინა ლოლობერიძეს, რომელიც ამ ტექსტზე მუსიკას წერს.

➤ 6585

1934

**ადრიანი შემოდგომა ან შემდეგ**

კომუნართა ბადის წინ ხვდება ავაკი გაწერელის და და სთხოვს „გლეხთა სახლის“ ქვეშ სასადილოში შეყვეს. მაგიდასთან პორტფელიდან ფურცლებს ალაგებს და გაწერელია ინტერესდება ფურცელზე ფანქრით ნაწერი რამდენიმე ტაეპით, რაზეც პოეტი პასუხობს, ქუთაისზე პოემას ვწერო. გაწერელია სთხოვს წაუკითხოს. გალაკტიონი ფურცელს წასაკითხად თანამოსაუბრეს აწვდის. ეს არის ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში“. გაწერელია აღფრთოვანებული რჩება.

➤ 6586

## ოქტომბერი

1934

**5 ოქტომბერი**

გაზეთში „ნა რუბეჟე ვოსტოკა“ „გ. ბ“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „ლიტერატურის დათვალიერება“ მოკლედაა მიმოხილული საბჭოთა სახელმწიფოში მხატვრული ლიტერატურის გამოცემის ისტორია. აღნიშნულია, რომ მაღალ დონეზეა გამოცემული ისეთი მწერლების წიგნები, როგორებიც არიან: დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ლეო ქიაჩელი და სხვ.

➤ 6587

1934

**6 ოქტომბერი**

კითხულობს „ლიტერატურულ გაზეთს“, ხაზს უსვამს პაოლო იაშვილისა და ნიკოლო მიწიშვილის ლექსების სტრიქონებს და ბესარიონ ჟღენტის სტატიას.

➤ 6588

1934

**9 ოქტომბერი**

ავადმყოფობის გამო მინდობილობას უწერს ოლია ოკუჯავას, რომ მან აიღოს მისი ჰონორარი 100 მანეთი.

➤ 6589

1934

**10 ოქტომბრამდე**

ტერენტი გრანელი უძღვნის ლექსს „გალაკტიონს“ („ერთად ვხეტიალობდით თბილისის ბულვარებში...“).

➤ 6590

1934

**10 ოქტომბრამდე**

ტერენტი გრანელი უძღვნის ლექსს „დაღამება (გალაკტიონს)“.

➤ 6591

1934

**10 ოქტომბრამდე**

ტერენტი გრანელი უძღვნის ლექსს „ეს დღე შორს წავა, ეს დღე მოკვდება...“

➤ 6592

1934

**10 ოქტომბრამდე**

ტერენტი გრანელსა და გენო ქელბაქიანთან ერთად სტუმრობს მხატვარსა და პოეტ კორნელი სანაძეს. მასპინძლის დედა სუფრას უწყობთ და როცა გალაკტიონი იგებს დიასახლისის გურული წარმომავლობის შესახებ, უკითხავს ლექსს „გურიის მთები“.

➤ 6593

1934

**10 ოქტომბრამდე**

გენო ქელბაქიანთან ერთად მოსანახულებლად და საკვების მისატანად მიდის ხოლმე ავადმყოფ ტერენტი გრანელთან, რომელიც პლენანოვის ქუჩაზე მთავარი ფოსტის მოპირდაპირე შენობის სარდაფს აფარებს თავს.

➤ 6594

1934

**10 ოქტომბერი**

სხვა 30 პოეტთან ერთად მონაწილეობს თბილისის პირველი (არამიანცის) საავადმყოფოდან ტერენტი გრანელის ცხედრის გადასვენებაში.

➤ 6595

1934

**15 ოქტომბრის შემდეგ**

სიმონ ჩიქოვანის ლექსებისა და პოემების პირველი წიგნის დასასრულს, პოსტ სკრიპტუმად წერს სალალბო ლექსს: „ჩაჩავა და ჩიქოვანი / ლექსს ვერ გადავაჩვიე... / ამიტომაც ამ ორ რომარს / თავზე გადა...ი, ე! N.“.

➤ 6596

1934

**18 ოქტომბერი**

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის სტატია „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. სტატიაში დასახელებულია ის კონკრეტული ამოცანები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია საიმისოდ, რომ მწერლობამ შეასრულოს პარტიისა და ქვეყნის წინაშე ნაკისრი მოვალეობები. თავის მხრივ, სახელმწიფო იღებს მწერალთა მატერიალური პირობების გაუმჯობესების პასუხისმგებლობას და აცხადებს, რომ საქართველოს მომარაგების სახელმწიფო კომისარიატის უწყებაზე მიმაგრებულნი იქნებიან დამსახურებული ავტორები: ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, შიო მღვიმელი, დუტუ მეგრელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, გიორგი ქუჩიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6597

1934

**23 ოქტომბერი**

წერის იღებს „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორ პლატონ ქიქოძისგან. საყვედურობს, რომ ლექსის მიცემას დაჰპირდა და ამაოდ ელოდა სასახლეში მის მისვლას. სწერს, რომ მომდევნო

დღესაც დაელოდება 4 საათამდე. შეახსენებს, რომ თემა არის სოციალისტური სამშობლოს საკითხები და საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მასალის მიწოდება.

➤ 6598

**1934 ან ადრე**

**29 ოქტომბერი**

ოლია ოკუჯავა სახლში უტოვებს წერილს, რომ ღვინო არ იყო, 18 კაპიკად იყიდა მეორე დღისთვის სადილის პროდუქტები, შემდეგ სახლში მოიყვანა ბოთლების ჩამზარებელი, ჩააბარა 14 მანეთის და 28 კაპიკის ბოთლები. 2 მანეთად იყიდა კარტოფილი და დანარჩენი თანხა დაიტოვა გალაკტიონისთვის მისაცემად.

➤ 6599

## ნოემბერი

**1934**

**20 ნოემბრამდე**

ჩადის მცხეთაში და ხვდება ექიმ ალექსანდრე დიასამიძეს.

➤ 6600

**1934**

**20 ნოემბრამდე**

ექიმ ალექსანდრე დიასამიძისგან იღებს წერილს, რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ ხალხური მედიცინა საქართველოში ძალიან მრავალმხრივია. იშვიათია ისეთი მოქალაქე, რომ მკურნალობა არ იცოდეს. თითქმის ყველა სოფელში, უმველესი დროიდან კარაბადინებით ან ზეპირ-სიტყვიერად შენახულია მრავალი სამკურნალო საშუალება და ოსტატობა. მედიცინის დარგში დიდ ისტორიულ მემკვიდრეობაზე მეტყველებს წარმართული დროიდან მომდინარე ავგაროზები, მკითხაობა, შელოცვები, ქადაგად დაცემა, რაც ქართველი ხალხის კუთვნილებაა და თანამედროვე მეცნიერებით შესწავლილი ისევე ხალხს უნდა დაუბრუნდეს.

➤ 6601

**1934**

**20 ნოემბრამდე**

ძალიან ავად არის და ექიმ ალექსანდრე დიასამიძეს წერილს უგზავნის ლექსად: „თუმც ცოცხალი ვარ...“.

➤ 6602

**1934**

**20 ნოემბრამდე**

ექიმი ალექსანდრე დიასამიძე გალაკტიონის ლექსის „თუმც ცოცხალი ვარ...“ მიღებისთანავე მცხეთიდან თბილისში ჩადის და მკურნალობს მას.

➤ 6603

**1934**

**20 ნოემბერი**

გალაკტიონ ტაბიძის თხოულებათა რვატომეულის მეორე ტომი სახელმწიფო გამომცემლობის ვიზირებით გადაეცემა წარმოებას და იწყება წიგნის რედაქტირება.

➤ 6604

**1934**

**24 ნოემბერი**

„ლიტერატურულ გაზეთში“ ქვეყნდება ინფორმაცია, რომ უკვე იბეჭდება და მოკლე ხანში გამოიცემა გალაკტიონ ტაბიძის თხოულებათა მეორე ტომი.



➤ 6605

## დეკემბერი

1934

### 1 დეკემბერი

ავადმყოფობის გამო მინდობილობას უწერს ოლია ოკუჯავას, რომ მან აიღოს მისი ჰონორარი 1000 მანეთი.

➤ 6606

1934

### 2 დეკემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის განცხადება, რომლის მიხედვითაც, 2 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე მწერალთა სახლში მოწვეულია თავდაცვითი ლიტერატურული კომისიის სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ: პლატონ მიროტაძე, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, პაოლო იაშვილი და სხვა მწერლები.

➤ 6607

1934

### 6 დეკემბერი

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება ცნობა, რომ სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებთან ერთად სომხურ ენაზე ითარგმნა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „პრესა“.

➤ 6608

1934

### 15 დეკემბერი

სათაურით „ხალხური“ წერს ლექსს „დილით ადრე მივდოდი...“.

➤ 6609

1934

### 15 დეკემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ შესრულდა მრავალი წელი მას შემდეგ, რაც პირველად აირჩიეს პოეტების მეფედ. ვინც ის აირჩია, არც ერთი ცოცხალი ადარ არის და გასულია მათ მიერ დანიშნული ვადა. ითხოვს, თუ მისი ხაზი არასწორი იყო და უკმაყოფილონი არიან, ტრადიციისამებრ აირჩიონ სხვა. მწარედ იგონებს, როგორ ებრძოდა ხელისუფლება იზოლაციით, შიმშილ-წყურვილით, დევნით, უბინაობით და უჟურნალ-გაზეთობით.

➤ 6610

1934

### 15 დეკემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს: „რომ ისეთი დაღუპული...“.

➤ 6611

1934

### 15 დეკემბრის შემდეგ

წერს უსათაურო სახუმარო ლექსს: „ყველაზე დიდი უბედურება...“.

➤ 6612

1934

### 18 დეკემბერი

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის სტატია „ქართველი მწერლები რუსულად“, რომელშიც ნათქვამია, რომ „ოგონიოკის“ ბიბლიოთეკამ გამოსცა კრებული „საბჭოთა

საქართველოს პოეტები“. წიგნი აერთიანებს ბორის ბრიკის მიერ ნათარგმნ ნაწარმოებებს. სხვა ქართველ ავტორთა ტექსტებთან ერთად კრებულში შეტანილია გალაკტიონის ლექსების თარგმანებიც.

➤ 6613

1934

## 22 დეკემბრამდე

გამომცემლობა „ოგონიოკის“ ბიბლიოთეკა აქვეყნებს კრებულს „საბჭოთა საქართველოს პოეტები ბორის ბრიკის თარგმანებში“, რომელიც აერთიანებს გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, კოლაუ ნადირაძის, რაჟდენ გვეტაძის, სანდრო ეულის, სიმონ ჩიქოვანის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, ალექსანდრე გომიაშვილის, ირაკლი აბაშიძის და ვარლამ ჟურულის ლექსების რუსულ თარგმანებს. გალაკტიონის ლექსებიდან შეტანილია ორი – „მწვერვალები ახალი მთების“ („То была в старину“) და „აფხაზეთი“ („Абхазия“).

➤ 6614

1934

## 22 დეკემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ცნობა, რომ გამომცემლობა „ოგონიოკმა“ გამოსცა კრებული „საბჭოთა საქართველოს პოეტები“, რომელშიც ბორის ბრიკის მიერ რუსულ ენაზე ნათარგმნ სხვა ავტორთა ლექსებთან ერთად შეტანილია გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებები.

➤ 6615

1934

## 23 დეკემბრამდე

კრილოვის ქუჩის 10 ნომერში გალაკტიონის მეზობლად ცხოვრობს სამხედრო პირი, კომუნისტური პარტიის წევრი ვინმე შონია, რომელიც ვერ ეგუება იმ აზრს, რომ საერთო ტუალეტი გალაკტიონის ბინის შიგნითაა. ამის გამო აწყობს პროვოკაციებს, ტეხს ხმაურს და საშინლად ლანძღავს გალაკტიონსა და ოლია ოკუჯავას და ცდილობს მათ დაშინებას. იძახის, გალაკტიონ ტაბიძე ჩვენ, ბოლშევიკებმა ავწიეთ მაღლა და ახლა ისევ დავანარცხებთო.

➤ 6616

1934

## 23 დეკემბერი

ვრცელი განცხადებით მიმართავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს. აღუწერს, როგორ ავიწროებს თავისი კარის მეზობელი, სამხედრო პირი და პარტიის წევრი ვინმე შონია. სთხოვს, მიიღონ რაიმე ზომები.

➤ 6617

1934

## 30 დეკემბერი

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება საინფორმაციო სტატია „რაზე მუშაობენ მწერლები“, რომელშიც ნათქვამია, რომ ოთხ იანვარს ლენინის რაიონის რაიკომში (ახლანდელი ნაძალადევის რაიონი) დაგეგმილია მწერლების შეხვედრა ამ რაიონის ხელმძღვანელობასა და კომკავშირელებთან. შეხვედრას ექნება თათბირის ხასიათი და ავტორები დამსწრე საზოგადოებას გააცნობენ მიმდინარე შემოქმედებითი საქმიანობის დეტალებს. ღონისძიება სადამოს შვიდ საათზე დაიწყება და მასში მონაწილეობას მიიღებენ: პაოლო იაშვილი, სანდრო ეული, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, დემნა შენგელაია, სიმონ ჩიქოვანი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე და მიხეილ ჯავახიშვილი.

➤ 6618

1934

**დეკემბრამდე**

წერს ლექსს „ბრძოლა დიდი, მსოფლიო გენიალური ჰარმონიისთვის“.

➤ 6619

1934

**ნოემბერი ან დეკემბერი**

მიემგზავრება ბათუმში ახალი ფეხსაცმლით, აბრეშუმის წინდებით, ორი ხელსახოცით, ჯიბეში პაპიროსის კოლოფითა და 3 მანეთით.

➤ 6620

1934

**დეკემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ აქვეყნებს ლექსს „10 წელი მსოფლიო, გენიალური ჰარმონიისათვის“.

➤ 6621

1934

**დეკემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გიორგი ლეონიძის კრიტიკული სტატია „თავდაცვით მხატვრულ-ლიტერატურული კრებული – პლატონ მიროტაძის საერთო რედაქციით“. წიგნის მიმართ ზოგადი კრიტიკული შენიშვნების შემდეგ ავტორი დასძენს: „არ შეიძლება უსაყვედუროთ დაიტოვოს გალაქტიონ ტაბიძე, რომელიც აქ საერთოდ საშუალო ღირსების ლექსითაა წარმოდგენილი“. ლეონიძის თქმით, პოეტს ამ თემაზე უკეთესი ლექსებიც აქვს დაწერილი და მათი გამოქვეყნებით კრებული მოიგებდა.

➤ 6622

1933-1934

წერს უსათაურო ლექსს „უროებს, გრდემლებს...“.

➤ 6623

1934

წერს ლექსს „ლექსი დაწერილი ავადმყოფობის დროს“.

➤ 6624

1934

წერს უსათაურო ლექსს „საქართველოს კარებს გასცდა...“.

➤ 6625

1934

შალვა რადიანს სჩუქნის სურათს წარწერით „ჩემს ძმას, ჩვენს ოქროს შალვას.“

➤ 6626

1934

წერს ლექსს „ლაჟვარდი ზღვა და ლაჟვარდი ზეცა“.

➤ 6627

1934

იბეჭდება შალვა რადიანის წიგნი „ლიტერატურული პორტრეტები“, რომელშიც ერთი ნარკვევი ეძღვნება გალაქტიონ ტაბიძეს. შალვა რადიანისთვის გალაქტიონი „თანამედროვე ქართული

ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია“. კრიტიკოსის თანახმად, მისი ადრეული ლირიკა სიმბოლიზმიდანაა ამოზრდილი. ადრეული გალაკტიონისათვის დამახასიათებელია სიკვდილის ესთეტიზაცია. ისევე როგორც ნოვალისისა და ჯაკომო ლეოპარდისათვის, მისთვისაც სიკვდილი ტანჯვისაგან თავის დაღწევის საშუალება იყო. შალვა რადიანის თქმით, გალაკტიონის პოეზიაში ჩანს ორი სამყაროს – რეალურისა და იდეალურის არსებობის რწმენა. რომანტიკულ-სიმბოლისტურად აღიქვამდა პოეტი ბუნებას, რომელიც მისთვის „შინაგანი მდგომარეობის სიმბოლიზაციის საშუალება“ იყო. რადიანი ფიქრობს, რომ გალაკტიონი თავისი შემოქმედებითი ბუნებით ლირიკოსია და ეპოსი მისთვის, როგორც ტიპური იმპრესიონისტიკისათვის, მიუღწეველი დარჩა. კრიტიკოსის აზრით, რევოლუციის შემდეგაც ჰქონდა პოეტს ცალკეული ჩავარდნები, რისი დასტურიცაა მისი „ასი ლექსი“, სადაც „ჯანსაღ განწყობილებებთან ერთად გალაკტიონ ტაბიძე გამოეხმაურა თავის ძველ, დაცემულობის განწყობილებებს“. შალვა რადიანის თქმით, გალაკტიონის რევოლუციური ლირიკა არაა სრულყოფილი. მაღალმხატვრული ლექსების გვერდით პოეტს აქვს „სუსტი, რიტორიკული და მდარე ლექსები“. ზოგან იგი იძლევა კლასთა ბრძოლის პრიმიტიულ გაგებას.

➤ 6628

**1934**

ალიო მირცხულავასთან და გიგლა მეზუკესთან ერთად თბილისის ბინაში სტუმრობს გურჯაანის სკოლის დირექტორ იერემია ქარელიშვილს. სვამენ შესანიშნავ კახურ ღვინოს და ძალიან შეუღამდებათ. შეხარბოშებული ალიო და გიგლა სუფრიდან იპარებიან. მასპინძელი გალაკტიონს ღამით მასთან დარჩენას სთავაზობს, მაგრამ პოეტი უარს ეუბნება, რადგან თბილისში სხვაგან დარჩენას ჩვეული არ არის. იერემია მელიქიშვილის ქუჩაზე ეტლში სვამს სტუმარს და სახლამდე აცილებს. ის გალაკტიონს გურჯაანის სკოლაში მასთან შეხვედრის მოწყობას სთავაზობს და მისგან თანხმობას იღებს.

➤ 6629

**1934**

წერს უსათაურო ლექსს „მისდევს რგოლს რგოლი...“.

➤ 6630

**1934**

ლენინგრადული ლიტერატურული წრეებისა და მკითხველების სახელით წერილს უგზავნის პროლეტარ მწერალთა ასოციაციის წევრი ალექსანდრ პროკოფიევი. ულოცავს ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლისთავს, იწონებს მის რევოლუციურ შემართებას, და ქართული პოეზიის გაყვანას მსოფლიო ასპარეზზე. წერს, რომ გალაკტიონი არის ნოვატორი, აგრძელებს ქართველ კორიფეთა გზას და ამდიდრებს ქართულ პოეზიას ახალი, ინტერნაციონალური თემატიკით.

➤ 6631

**1934**

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით საბავშვო ლიტერატურის განვითარებისა და მწერალთათვის ხელის შეწყობის მიზნით მწერლები თავიანთი სურვილისამებრ შემოქმედებითი მივლინებით უნდა გაიგზავნონ რაიონებში. გალაკტიონი მიდის მწერალთა კავშირში და ინტერესდება მსურველ მწერალთა სიით. გადახედავს და გაკვირვებული რჩება რჩება იმით, რომ ამ სიაში აღმოაჩენს მხცოვან ეკატერინე გაბაშვილს. გალაკტიონი აღფრთოვანდება მისი ენთუზიაზმით და ახალგაზრდა პოეტ სალომე ბუზარიაშვილთან ერთად მიდის მის მოსანახულებლად. მათი სტუმრობით გახარებულ მასპინძელს პოეტი ხელზე ეამბორება, გაბაშვილი კი შუბლზე ჰკოცნის და დედაშვილურად მკერდში იკრავს.

➤ 6632

**1934**

წერილს იღებს ხელოვნებათმცოდნეობის სახელმწიფო აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორატისგან. სწერენ, რომ აღიარებენ მისი ხელოვნების უდიდეს მნიშვნელობას და უსურვებენ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური პოეზიის შექმნაში. დიდი პატივისცემის ნიშნად უგზავნიან ადრესს და აკადემიის ერთ-ერთ ძვირფას გამოცემას.

➤ 6633

### **1934 ან შემდეგ**

ლენინის, ამჟამინდელი თავისუფლების მოედანზე მდგარ ჩაფიქრებულ გალაკტიონს აკაკი გაწერელია ესალმება და ფიქრს აწყვეტინებს. გალაკტიონი აღმასკომის წინ აღმართულ ორ პატარა ხეზე მიუთითებს და ეუბნება, რომ ისინი ქოლგებიანი ძმებივით დგანან.

➤ 6634

\* \* \*

### **1935 წლამდე**

წერს ლექსს „დაღუპულთ – გამოუსვლელობისგან“ („მედგრად მიიკვლევს გზას...“).

➤ 6635

## **1935**

### **ი ა ნ ვ ა რ ი**

#### **1935**

##### **6 იანვრამდე**

წერს ლექსს „ოცნება აჭარისწყალთან“.

➤ 6636

#### **1935**

##### **6 იანვარი**

გაზეთში „ლიტერატურული აჭარისტანი“ იბეჭდება ლექსი „ოცნება აჭარისწყალთან“.

➤ 6637

#### **1935**

##### **8 იანვრამდე**

წერს უსათაურო სახუმარო ლექსებს: „რობაქიძე სად წავიდა?..“, „გრიშაშვილი სად წავიდა?..“, „აბაშელი სად წავიდა?..“, „ეს პაოლო რით გავიდა?..“.

➤ 6638

#### **1935**

##### **8 იანვრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გადაქცეულნო მხოლოდ სიმარდეთ“.

➤ 6639

#### **1935**

##### **8 იანვრის შემდეგ**

წერს ლექსს „ნატალიას ეპიტაფია“.

➤ 6640

#### **1935**

##### **9 იანვარი**

წერს ლექსს „დღევანდელი დღის თვალი და ფიქრი“.

➤ 6641

**1935**

**10 იანვრამდე**

საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის სამდივნო ამტკიცებს თავდაცვითი ლიტერატურის სექციის ბიუროს პლატონ მიროტაძის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, არჩილ ჩაჩიბაიას და ალექსანდრე გომიაშვილის შემადგენლობით.

➤ 6642

**1935**

**12 იანვრამდე**

წერს ლექსს „გაზი“.

➤ 6643

**1935**

**12 იანვრამდე**

წერს ლექსს „სიმღერის მინდა მე წამოწყება“.

➤ 6644

**1935**

**12 იანვრამდე**

წერს ლექსს „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“.

➤ 6645

**1935**

**12 იანვრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „სალამოს მთების, დღისით ზღვაური...“.

➤ 6646

**1935**

**12 იანვრამდე**

წერს ლექსს „ვერდამლეული“.

➤ 6647

**1935**

**12 იანვრამდე**

წერს ლექსს „მიდიოდა თეთრის ჯარი“.

➤ 6648

**1935**

**12 იანვრამდე**

წერს ლექსს „შვებული“.

➤ 6649

**1935**

**12 იანვრამდე**

წერს ლექსს „არმიელი ვარ“.

➤ 6650

**1935**

**12 იანვრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ეს ძველი მუზა ცბიერ გველივით...“.

➤ 6651

1935

12 იანვრამდე

წერს ლექსს „თვალეზით თვალში“.

➤ 6652

1935

12 იანვარი

„ლიტერატურულ გაზეთში“ აქვეყნებს ლექსს „დღევანდელი დღის თვალი და ფიქრი“.

➤ 6653

1935

12 იანვარი

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება იმ ავტორთა სია, რომელთა წიგნებიც მალე უნდა გამოსცეს „სახელმწიფო გამომცემლობამ“. ჩამონათვალში შეტანილია გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მეორე ტომი.

➤ 6654

1935

14 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ვრცელი ტექსტი სათაურით „საქართველოს კულტურულ მუშაკთა არმიის მისალმება საკ.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტს – ამხ. სტალინს!“. კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მიმართავენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს – იოსებ სტალინს და გამოთქვამენ მადლიერებას იმ მიღწევებისთვის, რაც დიდმა სოციალისტურმა აღმშენებლობამ მოიტანა. მისალმების ტექსტს მეცნიერებთან, რეჟისორებთან, მხატვრებთან, მოქანდაკეებთან, არქიტექტორებთან და ინჟინრებთან ერთად ხელს აწერენ მწერლები: ნიკო ლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, ტიციან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, პაოლო იაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, რაჟდენ გვეტაძე, ალექსანდრე ქუთათელი, გიორგი ლეონიძე, ბესარიონ ჟღენტაი, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე და დავით დემეტრაძე.

➤ 6655

1935

16 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება საქართველოს განათლების სახალხო კომისრის აკაკი თათარიშვილის ვრცელი მოხსენების „განათლების სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ“ ბოლო ნაწილი. მოხსენების ერთი მონაკვეთი მხატვრულ ლიტერატურას ეძღვნება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მხატვრული ინტელიგენციის იმ ძალებს შორის რომელთაც შეძლეს საბჭოთა მწერლობის მოწინავე პოზიციებზე გადასვლა, პირველ რიგში დასახელებულ უნდა იქნას გალაკტიონ ტაბიძე. მართალია, რევოლუციის პირველ წლებში პოეტი სინამდვილეს გამოხატავდა აბსტრაქტული სქემების სახით და რევოლუციას აღიქვამდა როგორც ნგრევის სტიქიას და ქაოსს, მაგრამ ბოლო პერიოდში გალაკტიონი უფრო ორგანულად დაუახლოვდა სოციალისტურ სინამდვილეს და მის ლირიკაში უკვე გამოჩნდა ამ სინამდვილის კონკრეტული შინაარსი. ავტორი მიიჩნევს, რომ გალაკტიონის პოზიციის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს პოემა „რევოლუციონური საქართველო“.

➤ 6656

1935

## 16 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება შალვა რადიანის სტატია „მნათობი“. კრიტიკოსი საუბრობს ამ ჟურნალის მნიშვნელობის შესახებ და იმ ავტორთა შორის, რომლებიც წლების განმავლობაში აღნიშნულ პერიოდულ გამოცემაში მნიშვნელოვან მასალებს აქვეყნებდნენ, ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤ 6657

## 1935

### 18 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს: „არის ხანდახან მწარე...“.

➤ 6658

## 1935

### 22 იანვრამდე

წერს ლექსს „შეხედე!“.

➤ 6659

## 1935

### 22 იანვარი

გაზეთში „საბჭოთა აჭარისტანი“ აქვეყნებს ლექსს „სადამო ჩაის ჭალებში“.

➤ 6660

## 1935

### 24 იანვრამდე

წერს ლექსს „კომინტერნის ყრილობაზე“.

➤ 6661

## 1935 ან ადრე

### 24 იანვარი

ოლია ოკუჯავა სახლში აკითხავს ღამის 11 საათზე, მაგრამ გალაკტიონი არ ხვდება და იწყებს მისი ლექსებისთვის რუსული პწკარედების კეთებას. დილის 4 საათზე მუშაობას წყვეტს, წერილს უტოვებს და სახლიდან გადის გალაკტიონის სამებრად.

➤ 6662

## 1935

### 24 იანვარი

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ფოტო წარწერით, რომ სახალხო პოეტი არჩეულია საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) წევრად.

➤ 6663

## 1935

### 24 იანვარი

გაზეთში „საბჭოთა აჭარისტანი“ იბეჭდება ლექსი „ასფალტი“.

➤ 6664

## 1935

### 25 იანვარი

გაზეთში „ლიტერატურული აჭარისტანი“ იბეჭდება ლექსი „სადამო ჩაის ჭალებში“.

➤ 6665



1935

25 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი...“.

➤ 6666

1935 ან ადრე

26 იანვარი

ოლია ოკუპაციას დილით გალაკტიონი წასული ხვდება და ფიქრობს, რომ საათმა მოატყუა. უტოვებს წერილს, რომ სამსახურში შეუაროს.

➤ 6667

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1935

7 თებერვალი

წერს ლექსს „ფერად-ფერადი“.

➤ 6668

1935

7 თებერვალი

„ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქტორისაგან იღებს წერილს, რომ ბატონ სმირნოვს მისწეროს თავისი მისამართი ჰონორარის გადასარიცხად და ასეც იქცევა.

➤ 6669

1935

9 თებერვალი

ლენინგრადში (ახლანდელი პეტერბურგი) ქართველ მწერალთა დელეგაციისათვის გამართულ ლიტერატურულ საღამოზე ბორის პასტერნაკი, ნიკოლაი ტიხონოვი, ოსიპ ბრიკი, არონ ერლიხი და ვლადიმირ ლუგავსკოი კითხულობენ ქართველი პოეტების ნაწარმოებების თარგმანებს. მართალია, გალაკტიონი დელეგაციასთან ერთად ლენინგრადში არ იმყოფება, მაგრამ კითხულობენ მის ლექსებსაც.

➤ 6670

1935

11 თებერვალი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „მნათობის“ ათი წელი“. კრიტიკოსი მიმოიხილავს ქართული მწერლობისთვის უმნიშვნელოვანესი ჟურნალის ისტორიას და იმ ავტორთა შორის, ვინც დაარსებისთანავე თანამშრომლობდა „მნათობთან“, უპირველესად ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤ 6671

1935

11 თებერვალი

სხვა მწერლებთან ერთად მონაწილეობს ხელოვანთა სასახლეში „მნათობის“ ათი წლისთავის აღსანიშნავად გამართულ საზეიმო საღამოში და კითხულობს ფრაგმენტებს პოემიდან „რევოლიუციონური საქართველო“.

➤ 6672

1935

14 თებერვალი

წერს ლექსს „მატარებლის ფანჯრიდან“.

➤ 6673

1935

**20 თებერვლამდე**

ფურცელზე წერს მშობლიურ სოფელთან დაკავშირებულ საქმეებს. ჩამონათვალშია: სახლის გადახურვა, მოსამსახურის აყვანა და ტანსაცმლის ყიდვა დედისთვის.

➤ 6674

1935

**20 თებერვალი**

იღებს ჭყვიშიდან გაგზავნილ დეპეშას, დედის ავადმყოფობის შესახებ.

➤ 6675

1935

**20 თებერვალი**

გამომცემლობას სწერს წერილს, რომ დედის ავადმყოფობის გამო სასწრაფოდ მიემგზავრება სოფელში და სთხოვს, მისი თხოვლებების მეორე ტომის ბეჭდვა არ შეაჩერონ. გაურკვევლობის შემთხვევაში სთავაზობს ამოიღონ სტრიქონი, ტაეპი, შესაძლოა მთელი ლექსი, მაგრამ წიგნის ბეჭდვას ნუ შეაჩერებენ და როდესაც დაბრუნდება, ყველაფერს მოაგვარებს.

➤ 6676

1935

**21 თებერვალი**

ჩადის მშობლიურ სოფელ ჭყვიშში. დედა ძალიან გახარებულია და ოთახიდან არ უშვებს. გალაკტიონიც ამშვიდებს, რომ არსად წავა და საწოლთან უზის.

➤ 6677

1935

**26 თებერვალი**

ყიდულობს გაზეთ „კომუნისტს“, რომელშიც მისი ბიძაშვილის – ტიცინ ტაბიძის სტატიაა დაბეჭდილი „გაიხსნა საქართველოს დაბორკილი მარღვი (ქართული დეკადა მოსკოვსა და ლენინგრადში)“ და აკითხებს ავადმყოფი დედის სანახავად მათთან მისულ ტიცინის დედას ელისაბედ ფხაკაძეს. ბიცოლა ელისაბედი კმაყოფილებით ეუბნება, რომ პოეტების საქმე წერაა. ელისაბედი იხსენებს, რომ ბავშვობაში გალაკტიონი ყოველ წელს მათი მეკვლე იყო, კარგი ფეხი ჰქონდა და ორსულობის დროსაც ახალ წელს დედამთილმა გალაკტიონი შეუყვანა სიტყვებით: კარგი ფეხის არისო.

➤ 6678

1935

**26 თებერვლის შემდეგ**

დედას – მაკრინე ადვიშვილს ექიმი ისეთ წამლებს უწერს, რომლებიც ადგილზე არ იყიდება და გალაკტიონი იძულებულია მათ საშოვნელად თბილისში გაემგზავროს.

➤ 6679

1935

**თებერვლის ბოლო ან შემდეგ**

თბილისში დედისთვის წამლებს შოულობს და ჭყვიშში ბრუნდება, მაგრამ დედა გარდაცვლილი ხვდება. დიდხანს ვერ შედის მიცვალებულის ოთახში და ცხარე ცრემლებით ტირის.

➤ 6680

1935

**მარტის დასაწყისი ან შემდეგ**

სოფელ ჭყვიშში ასაფლავებენ გალაკტიონ ტაბიძის დედას – მაკრინე ადვიშვილს. დედის დაკრძალვის შემდეგ პოეტი რამდენიმე დღის განმავლობაში განთიადზე დგება, ადის დედის საფლავზე და ზოგჯერ რაღაცას წერს.

➤ 6681

1935

**მარტის დასაწყისი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ცრემლი მახრჩობს. გულს ედება სევდა...“.

➤ 6682

1935

**მარტის დასაწყისი ან შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს სათაურით „დავკარგე დედა“.

➤ 6683

1935

**5 მარტამდე**

წერს ლექსს „ორი მხედარი“ („აქეთ გორა, იქით ხევი...“).

➤ 6684

1935

**5 მარტამდე**

მხატვარი ნიკოლაი ჩერნიშკოვი ხატავს გალაკტიონის პორტრეტს თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომისთვის.

➤ 6685

1935

**5 მარტი**

ლიტერატურისა და გამომცემლობების საკითხების მთავარი სამმართველო – „მთავლიტი“ ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომის დასაბეჭდად გადაცემას და იწყება წიგნის გამოცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤ 6686

1935

**5 მარტის შემდეგ**

ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომი, რომელშიც შეტანილია 336 ლექსი. ეს ნაწარმოებებია: „დროშები ჩქარა!“, „ათრობდა ხალხთა მწუხარება“, „პროლოგი 500 ლექსის“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „გრიგალი“, „კოსმიური ორკესტრი“, „სიმღერის მინდა მე წამოწყება“, „ეკახებიან პლანეტები ერთი მეორეს“, „რა დამშვიდებით“, „ტყვია-წამალის ბოლი“, „დაბრუნდა გრძნობა და სისადავე“, „გზებზე გავედით“, „თუ ბრძოლა არ არის“, „ქარი ვარდებში“, „დღიურ პროზიდან“, „ხელი იმ წამების დროს რომ არ გამოგიწოდეს“, „რევოლუციონერის ხსოვნას“, „მშვიდზე-მშვიდი“, „ჩაჰკეტა კარი“, „ურიცხვ დროშებში“, „არიან დღენი“, „ცხრაას თვრამეტი“, „იყო“, „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის“, „ქიმიურ საგნებთან“, „ქარი ამწევი ფარდის“, „ქარი არხევდა იტალიანურ შობის ხეს ტრიპოლისში“, „ეს ლექსი“, „მღვრიე ქარი“, „მას გახელილი დარჩა თვალები“, „როგორ ებრძოდენ ზარებს ზარები“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „რა საჭიროა სიტყვები მჯერა!“, „ჯონ რიდი“, „ლენინი“, „(„მისდევს რგოლს რგოლი, ასე: ტოლ-ტოლი...“), „ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“, „იგი – ომია“, „აღმოსავლეთი“, „ეპოქა იშვა და გაიზარდა“, „საღამოხანად

მთაწმინდას რომ დაფარავს ნისლი“, „იმიტომ ხდება რევოლუცია“, დაკვირვებიხარ ტრიალა კარებს?“, „დღითა და ღამით“, „ამ ცხოვრებაში ბევრია შხამი“, „სცენა – სუნთქვაა გახშირებული“, „ღვიძავს რკინისგზის სახელოსნოებს“, „უზარმაზარი რეზერვუარის“, „ფერადი შუშები“, „ინდუსტრიული ნანა“, „ორი სიმღერა“, „ბეწვზე გადარჩენილს“, „ეჯახება ბორბალს ბორბალი“, „ნავთსადგურთან“, „მეზღვარებო“, „უძლეველი არმია“, „მჭედლების ქუჩა“, „აქ საიდუმლო პატარა ქოხის – საიდუმლოა კაცობრიობის“, „პროჟექტორი ეძებდა მტერს“, „რევოლუციური პლაკატები“, „ისევ პოეტი და მასსა“, „ფიქრები რატაციონის გრგვინვაში“, „მწარე გათიშვა ოცნებასა და სინამდვილეს შორის“, „ნამდვილი და ხელოვნური ყვავილები“, „სინამდვილეზე უფრო ძლიერი“, „ფელეტონების შემდეგ“, „წარწერა წიგნზე“, „მოგონება“, „რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული“, „ელოდენ რევოლუციას“, „შორს ალპების წყაროზე წმინდა, სამხრეთის მხეზე უდიადესი“, „რომ დაეუფლო ახალ მწვერვალებს“, „სიმღერავ“, „ფიქრი ზღვის პირას“, „ახლო ქვაფენილს გაეკრა ლანდი“, „ჩემო მენავე“, „ნუ დაუმაღავ ხალხს შენს იარებს“, „გულს მიეც სული და დაიქუხებს სიმღერის ლტოლვა ტიტანიური“, „მეტეხის იქით ცა, ჰა ნათლდება“, „რაც დავიწყებით არ იბინდება“, „სამაისო სიმღერებიდან“, „აყვავილებულ საღამოს“, „პორტრეტები“, „კარგი პიესა“, „მატერია“, „დემონიური“, სტრიქონები“, „იქ იყო ყველა!“, „რა იყო შენი ბავშვობა?“, „გახსოვს ის ქარბუქი?“, „კლდეებს ამტვრევენ“, „ეფინება სიხარული“, „ერთი სახე და ერთი ფერი“, „სიმღერა კარგი მხოლოდ მასისთვის“, „საღამო ხანად ისევ იმ ნანად“, „ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა!“, „სხვა სტრიქონები“, „შენ ობლად კვლავ ადგებარ გზას“, „ძლიერ მომავალს უმღერდა მომავლის ქნარი“, „სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში“, „სიხარულით ეგებება დღის საღამი“, „დიზელების შემოჭრა“, „ელსადგური ტყეში“, „ცისარტყელა“, „მემჩანური გული“, „ახალი გზებით მოდის რაინდი“, „იყავ გულწრფელი გაიგონე ხმა ანთებული“, „ღელავს – ფერადები“, „ვინ არ დაფიქრდეს ან არ აღელდეს“, „უზარმაზარი მსოფლიო ქნარი“, „ხელოვნური და ბუნებრივი შუქი“, „ზეკაცობიდან“, „მთელი თაობა გარდამავალი“, „იგი დრო ენამ ვერ გამოხატა“, „თქვენ, აჩრდილებო წარსულისა!“, „დრომ შუბლს ნაოჭი გადაუხარა“, „რომ ლტოლვა დიდი არ დაიჩრდილოს“, „სარდალი საუკუნეთა გაქროლების“, „ამდენ ცეცხლიდან მზეების თალი“, „შენ, შუქთა მხარე“, „მე მასთან ვარ ისევ ისე“, „გასწი, იარე!“, „შორეულ ყინულთა მხარე“, „შავი ზღვის პირად“, „გიგანტიური შუქიდან“, „მკაცრია ამ დროს“, „სიჩუმეა ეს?“, „განთიადზე კი...“, „ალტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას“, „უტეხი ხმებით“, „ჰყვება ტფილისი სხედასხვა ჰანგებს“, „ახალი იმედით“, „ჩრდილმა გადაიქროლა“, „მიდუღუნებენ ზვირთნი მტკვარისა“, „მიბნედილ მაშუქას“, „შენ მიდიხარ“, „მატარებელში“, „სწორეთ ისეთი როგორც ვიყავ ოცი წლის წინად“, „ცა, ზღვა და მიწა“, „თავისუფალი და ძლიერი ადამიანი“, „მწვერვალი დაიხარა“, „ისტორიული გემი“, „ჩემი სამშობლო მანჰატანია“, „ხალისიანი კრთომა“, „ცეცხლის სახმილი გამოცდის რკინას“, „სიცოცხლის მტევნები“, „გზაზე“, „მხოლოდ ეს გული“, სტანსები“, „სიტყვა – რადიო“, „ავდარი“, „ქუჩებს ყვავილი მოეფინება“, „სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით“, „ყოველ სტრიქონზე“, „საღამი ახალ გაერთიანებულ საქართველოს!“, „დიდი ზამთარი“, „მშვენიერი წიგნი“, „ჩვენ, ჩვენ“, „გამარჯვებული ბრძოლების რიგით“, „ქალაქად და სოფლად“, „მარადისი იმედი“, „იყო იმედის გასხვიოსნება“, „მე მიმღები ვარ, შენ კი სტუმარი“, „შრომის გვირგვინით“, „თემა“, „გრიგალმა გადაიარა“, აფრიალებულ ყორნების გუნდი“, „მამ გაუმარჯოს“, („ხანდახან, როცა გაზაფხულები...“), „არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს“, „სადღეგრძელო“, „არგონავტები ახალი დროის“, „დაჰკარ, ორკესტრო!“, „ტალღებთან შებმა“, „ბრძოლათა თასი“, „ფიქრი თვალს აწევს“, „დღემ გაიარა“, „გვინდა, ვეძიებთ, გვწყურის!“, „ყველგან დირიჟორად არის ინჟინერი“, „წყალს იქით რომ ერთი სახლია“, „ელვარება“, „გზა ახალ-ახალ გადამთოვრების“, „მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს“, „გადაეფარა იგი მრავალ ხმას“, „დიდი მარაგი“, „ელექტრონის საუკუნე“, „ოქროს ტყავები“, „მარადიული ოქროს კალმებით“, „მადაროებში“, „მრავალი მონათესავე“, „მრავალი მონათესავე“, „მზის კაშკაში“, „მოტორი მღერის“, „სხვადასხვა გული“, „სხივი ტალღებში“, „სტრიქონები“, „ახლა – განა ისეთი დროა?“, „მოელვარე გზით“, „ფრაგმენტი“, „მსოფლიო ჩრდილი“, „უკმარობის ნიაღვარი“, „ქარის პირდაპირ, ქარის პირდაპირ!“, „მშვიდი ბედით“, „ხვალ მაისია“, „ეპოქას მოაქვს ახალი შვენება“, „თანასწორი“, („ჰქუხდე,

გულისთქმავ! სული მღელვარებს...“), „(რაც არ ყოფილა – არის...“), „ჩვენ ის გვიყვარს“, „მაინც სწამდა გამარჯვება!“, „მხოლოდ იდეა“, „ჩვენ ავდიოდით საღრჩობელაზე“, „რამდენ ღამეს მოელო ბოლო“, „დამშვიდდი, ქარო!“, „მზის სალამი“, „ქარი ანიავებს ფერფლს“, „ხერხი, შალაშინი“, „როგორც ცხენოსანთა ჯარი“, „ოცნებაო, მოიგონე“, „ის დროება სიზმარივით წავიდა“, „ვერ აშორებ ელვას თვალებს“, „(„გორა-გორა, ვაზი-ვაზი“), „ო, ჩემო ჩანგო!“, „იალქანი დაუცხრომელი“, „ბევრი ჩიხი, ბევრი ხვეული“, „დილის ნაპირზე შემოხვეული“, „ბორკილის მეტს ის არაფერს ჰკარგავს“, „რევოლუცია არის გრიგალი“, „გაფიცვა“, „ღიმილი“, „რვა მარტი“, „როდესაც სოფლებს ვეთხოვებოდით“, „ფრაგმენტებიდან: ცეცხლი ფიქრიანია!“, „არწივების თავდასხმა ჰაეროპლანზე“, „ლეჩაქები ჯაგებზე“, „ყველაფერს ხედავს“, „მამა და შვილი“, „აწ რკინადაა გული ქცეული“, „უცდიან ახალ მიკელ ანჯელოს“, „როცა ტფილისში ტყე მღელვარებდა“, „არგონავტები ახალი დროის“, „კატორღიდან დაბრუნებულს“, „მეცნიერება მედგარ შრომასთან“, „გულში – ცეცხლია“, „მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე“, „აჰა, თენდება“, „გაუმარჯოს მებრძოლ თაობას“, „(„მთელი ქვეყანა რომ გადაიწვას...“), „გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი“, „ცეცხლი ქუთაისში“, „დრამა – ერთი ბინისა“, „საბავშვო ჟურნალიდან“, „გამბედაობა“, „ინტერნაციონალი“, „ბოდთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი“, „ქალაქი წყალქვეშ“, „შენ, ფოლადივით ცივი თვალებით“, „თვალებით თვალში“, „19–?“, „გაციანით პაციფისტია“, „პარიზელები უჩივიან მოწყენილობას“, „კაცი სათვალეებით“, „მოხუცი ქალი“, „ოპერიდან გამოვიდა გვიან“, „ძია, ვის ეძებ?“, „მიეც ქარიშხალს თავშესაფარი“, „ჟენევის პირად მდგარო ტირიფო!“, „(„ქუხილო, გელით!..“), „ბოგემა“, „იქაურ გულსაც დახედა დრომა“, „და სისინებდნენ, სისინებდნენ ჩალის ღერები“, „მიწის თხრაში მთიელს ვერვინ სჯობნის“, „კიდევ რამდენს იტყვის ჟამთა გაქანება“, „როგორ არ გახსოვს ბავში აღტაცებაში მყოფი!“, „ჩვენ, არაერთი ცხოვრების კიდე“, „შეტაკება“, „ძირს პაციფიზმი“, „დაჰკა წერაქვი!“, „რევოლუციონურ საქართველოს“, „თანდათან, თანდათან, თანდათან ახალი ქვეყანა შენდება“, „ისტორიის ბორბლების რიტმი მიგვაქანებს რიონჰესისკენ“, „თანამედროვე გიგანტიური ხმა უკარნახებს საუკუნეებს!“, „თავისუფლების გრძნობაში“, „რიონჰესით საქართველომ მონახა ახალი ხმები და სახეები“, „მშვენიერი და ძლიერი ადამიანისთვის!“, „კოლექტიური ხელების ეტიუდი“, „ახალი გზებით“, „ყოველი მხრიდან“, „რევოლუციის ნიაღვრები“, „კარებთან გვიცდის ხელოვნებათ ძლიერი გროვა“, „ავტომობილი და ურემი“, „სიმღერა“, „რევოლუციონური საქართველოს ცხოვრების ფურცლებიდან“, „ათასი მხედველობა, ათასი იერი!“, „აბა რაა ეს?“, „ქარბუქი მუსიკის ხმათა“, „რიტმი – საწყისი შრომის“, „უდიადესი თუ რაიმე მოვა ხმელეთზე“, „მხარი მხარს, მხარი მხარს!“, პირველჯერ“, „ახალი „ნიკორა“, „მეხი მეხს, ქარი ქარს, ჩვენ კი მივსცეთ მხარი მხარს!“, „შრომა ხმაურობს – ხმაურობს პოეზია!“, „მზე თვალებში ჩაგეწვეთება და თვალს სინათლე მოემატება“, „ხმამალა! ხმამალა! ხმამალა!“, „კლასობრივი ბრძოლა“, „მოგზაურობა ვერცხლისფერი ბილიკით“, „მწვერვალები ახალი მთების“, „კოლხიდის დაბლობზე“, „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“, „შეხედე!“, \*\*\* (სალამოს მთების, დღისით ზღვური“), „დაუძლეველი“, „თვითეული პოეტი ეხლა ინჟინერია“, რად გვინდა თავი ცოცხალი“, „ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა, ჩვენ არ გვინდა ომი“, „ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით“, „მოდის მშენებელი, მოაქვს აგურები“, „ძველი და ახალი ხიდი“, „უბინაო ბავშვების შესახებ“, „პიონერო, იყავ ღირსი ახალ ყოფა-ცხოვრების“, „სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის“, „მოდის ლეგიონები!“, „ცეცხლოვანი ბზრიალა“, „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ დროის, ეპოქის და სივრცის გარედა“, „პრესა“, „პოეტი და ოქტომბერი“, „ოქტომბრის სიმფონია“, „ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს“, „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“, „მიდიოდა თეთრის ჯარი“, „გაზი“, „შვებული“, „იდეა“, „მოხუც პაპას“, „მზეა ისე მგზნებარე“, „სანამ არ დამსხვრეულან“, „(„საქართველოს კარებს გასცდა...“), „უმაღლეს მწვერვალთა მსუბუქო ღრუბელო“, „(„როგორც მენავემ ძველი სანავე...“), „ლექსი დაწერილი ავადმყოფობის დროს“, „(„ეს ძველი მუზა ცბიერ გველივით“), „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“ და „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ-ახალი“.

➤ 6687

## 5 მარტის შემდეგ

კითხულობს თავისი თხზულებების II ტომს, ასწორებს სტრიქონებს, ინიშნავს ნათარგმნ ლექსებს.

➤ 6688

1935

## 9 მარტის შემდეგ

თხზულებების II ტომს ჩუქნის წიგნის რედაქტორს – შალვა რადიანს წარწერით: „ჩემს ძვირფას ძმას, ჩვენ ოქრო შალვას“.

➤ 6689

1935

## 11 მარტი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს აკაკი გაწერელიასა და ფორმალისტების შესახებ.

➤ 6690

1935

## 11 მარტი

წერს უსათაურო ლექსს „რა მეშველება“.

➤ 6691

1935

## 11 მარტი

წერს ლექსს „მოგონებები“.

➤ 6692

1935

## 11 მარტი

იგონებს დიდი ხნის წინანდელ ამბავს, ვანო სარაჯიშვილთან ერთად დუქანში რომ იჯდა, გრამოფონიდან მის სიმღერას ისმენდა და გასახმობად ჩამოკიდულ ტარნებს ქარი რომ „აცეკვებდა“.

➤ 6693

1935

## 11 მარტის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსებს „მოიტა, ჩანახი...“ და „ამბობენ, რომ გრიშაშვილს...“.

➤ 6694

1935

## 11 მარტის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც იგონებს, როგორ მიასერიწებდა ბავშვობაში მასზე უფროსი ქალიშვილი ქუთაისის ბაღში და როგორ აიღო ძირს დაგდებული ვარდი, რაზედაც ქალიშვილმა კისკისით უთხრა: გადააგდე, ვინ იცის, რომელი სომეხი ყნოსავდაო.

➤ 6695

1935

## 11 მარტის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს სტრიქონებს აკაკი წერეთლის სატირული ლექსიდან „გამოცვლილი დრო“: „სომეხმა ხმალი აიღო, ქართველმა – სომხის დავთარი“.

➤ 6696

1935

### 11 მარტის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს იუმორისტულ ჩანაწერს მეგრელებისა და გურულების ბრძოლის შესახებ. მეგრელებმა ტყვედ ჩაიგდეს პატარა გურული ბიჭი, რაზეც წინამძღოლისგან საყვედური მიიღეს, ასეთი პატარა ბიჭი რამ დაგატყვევებინათო და იძულებული გახდნენ, გაეშვათ. ბიჭს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია და როდესაც მიზეზი უკითხავთ, რატომ არ მიდიხარო, მიუგია: სირცხვილით სად გავამხილო, მეგრელებმა დამატყვევესო.

➤ 6697

1935

### 11 მარტის შემდეგ

წერს უსათაურო სახუმარო ლექსებს „შენ რუსი ხარ...“, „რა ვქნა, რა მეშველება...“, „ამასწინად, კვირა დღეს...“

➤ 6698

1935

### 11 მარტის შემდეგ

აკეთებს სახუმარო ჩანაწერს გურულის შესახებ, რომელმაც ღლავი დაიჭირა, გზაში ყველა მსურველს უნაწილებდა და სახლში მხოლოდ თავი მიიტანა. ცოლმა უსაყვედურა, ბოლო უნდა შეგენახა, როგორ არ იცოდი, რომ თევზის კუდი უფრო გემრიელიაო. მეორედ გურულმა კობრი დაიჭირა, გზაში ისევ ბევრს უწილადა და მხოლოდ თევზის კუდი მიიტანა სახლში. ცოლმა ისევ უსაყვედურა, არ იცოდი, კობრის თავია გემრიელი, შენ კი კუდი მოგიტანიაო. გურული გაცხარდა, როგორც ჩვენი ქალების, ისე ამ თევზების თავი და ბოლო ვერ გამიგიაო.

➤ 6699

1935

### 15 მარტის შემდეგ

წერს ლექსს „ორდენოსანი საქართველო“.

➤ 6700

1935

### 23 მარტი

ოლია ოკუპაცია ქუჩაში თვალს მოკრავს გალაკტიონს, რომელსაც დამტკვერილი ტანსაცმელი აცვია.

➤ 6701

1935

### 28 მარტი

ოლია ოკუპაცია, რომელიც იმხანად ავადმყოფ დედასთან ცხოვრობს და თავადაც არ არის ჯანმრთელად, აკითხავს გალაკტიონს და მიაქვს მისთვის პური და კვერცხი. პოეტი შინ არ ხვდება. ოლია უკერებს წინდებს, უმზევებს თეთრეულს, უტოვებს ტრამვაის ფულს და წერილს, რომელშიც სთავაზობს, რომ მომდევნო დღეს წაიღოს გამოსაცვლელი ტანსაცმელი და მიაკითხოს დედასთან. ოლია მისცემს ზეწარს, საპონს და აბანოს ფულს, რომ კარგად იბანავოს. ოლია საყვედურს გამოთქვამს, რომ არ შეიძლება კულტურული ადამიანი ასეთ პირობებში ცხოვრობდეს. ჰპირდება, რომ ორ დღეში მიიყვანს დამხმარე ქალს და მის ბინას საფუძვლიანად დაალაგებინებს.

➤ 6702

1935

### მარტი, ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსებს „ვინც მე მიყვარს...“ და „სოფელი მუქთი სარკვა...“.

➤ 6703

1935

**მარტი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ საშინელი ავადმყოფობის და სიკვდილიანობის წელია. ფიქრობს, რომ საჭიროა მთავრობის, ხალხისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობა ამ პრობლემის გადასაჭრელად.

➤ 6704

1935

**მარტი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც აღწერილია, რომ გიჟებმა საავადმყოფოს ზედამხედველს თავი მოაჭრეს, ცოტა მოშორებით დამარხეს და ხითხითებდნენ, აბა, თუ იპოვის საკუთარ თავს ზედამხედველიო.

➤ 6705

1935

**მარტი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც უკმაყოფილებას გამოთქვამს თბილისის რესტორნებში გამეფებული ატმოსფეროთი. აღნიშნავს, რომ ეს დაწესებულებები სავსეა ყოვლად უკულტურო, უსინდისო, ბინძური გამომეტყველების მქონე მიკიტნებით, რომელთათვისაც დამახასიათებელია ვულგარული ქცევა და უხამსი საუბარი. წუხს იმის გამო, რომ დაიკარგა ქართული ზრდილობა, რომელსაც უნივერსიტეტსა და მწერალთა სასახლეშიც ვეღარ შეხვდებით, ხოლო თუ სადმე კიდევ არსებობენ ზრდილობიანი და კულტურული ოჯახები, ისინი ტრაგედიით სავსენი არიან. მიუთითებს, რომ იგი არასოდეს უმღერდა საზიზღარ, უკულტურო საზოგადოებას და მისი იდეა სულ სხვა ხალხის გარშემო ტრიალებდა.

➤ 6706

1935

**მარტი ან შემდეგ**

წერს ლექსს „ვარდების გამარჯვება“.

➤ 6707

## აპრილი

1935

**4 აპრილამდე**

ოლია ოკუჯავა აკითხავს სახლში, მიაქვს საათი, აყენებს დროს და უტოვებს წერილს. სწერს, რომ სამსახურის შემდეგ მივა და აუხსნის, როგორ იმართება ახალი საათი. უხარია, რომ ამიერიდან საათის ისრების მეშვეობით თავს შეახსენებთ ეპოქის ყოველი წუთი.

➤ 6708

1935

**4 აპრილამდე**

სახლში აკითხავს ოლია ოკუჯავა, მიაქვს სულგუნი, პური და თამბაქო, იხდის ელექტროენერჯის საფასურს, ურეცხავს იატაკს, ულაგებს სახლს და უტოვებს 1 მანეთს. მას გული სწყდება გალაკტიონის უყურადღებობაზე. ფიქრობს, რომ ის სხვებთან ატარებს კარგ დროს და ისიც კი ზედმეტად ეჩვენება, რომ ოლიას ამის შესახებ გულწრფელად უთხრას.

➤ 6709

1935



#### **4 აპრილამდე**

ოლია ოკუჯავა და გალაკტიონი განმარტოებას ვერ ახერხებენ და ოლია ჩუმად უწერს მოკლე ბარათს, რომ ენატრება და მასთან ყოფნა უნდა. სთხოვს, მომდევნო დღეს დაურეკოს.

➤ 6710

1935

#### **4 აპრილამდე**

ოლია ოკუჯავა სახლში უტოვებს მოკლე ბარათს, რომ მათ ურთიერთობაში რაღაც გაწყდა და მეტჯერ აღარ უნდა მასთან მისვლა. სწერს, რომ უყვარს ქარიშხალი, მაგრამ არა ფერფლი.

➤ 6711

1935

#### **4 აპრილამდე**

ოლია ოკუჯავა სახლში უტოვებს ლობიოს, თხილს და მოკლე ბარათს. ჰპირდება, რომ მომდევნო დღის 10 საათზე მოიკითხავს მის საკვებ ულუფას. რასაც მისცემენ, წამოუღებს, გალაკტიონმა კი უნდა მიაკითხოს დაპირებულ კარაქს, ზეთს, ბრინჯს და თუ კიდევ იქნება რამე.

➤ 6712

1935

#### **4 აპრილამდე**

ოლია ოკუჯავა დილით აკითხავს, მაწონს უტოვებს და სიგარეტის კოლოფზე უწერს, რომ ჭამოს, დაიძინოს და შვიდი საათისთვის თავადაც დაბრუნდება.

➤ 6713

1935

#### **4 აპრილამდე**

აკითხავს ოლია ოკუჯავა, თეთრეული მიაქვს მრეცხავთან, 2 საათამდე უცდის გალაკტიონს და ბოლოს ისევ სიგარეტის კოლოფზე უწერს, რომ დიდხანს ელოდა, რადიოში უსმენდა სტენკა რაზინის თემაზე დაწერილ სიმღერას, ირგვლივ არავინ იყო და ორღანის ხმამ ტირილის ხასიათზე დააყენა.

➤ 6714

1935

#### **4 აპრილი**

გარდაეცვალა სიდედრი – ელისაბედ პერემუშევა-ოკუჯავა.

➤ 6715

1935

#### **4 აპრილის შემდეგ**

ესწრება ოლია ოკუჯავას დედის – ელისაბედ პერემუშევა-ოკუჯავას დაკრძალვას ვაკის სასაფლაოზე.

➤ 6716

1935

#### **12 აპრილი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება, რომლის მიხედვითაც, მომდევნო დღეს, საღამოს 8 საათზე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში უნდა გაიმართოს მწერალთა და კრიტიკოსთა თათბირი. აქვეა გამოქვეყნებული სია იმ ავტორებისა, რომლებიც უნდა დაესწრონ ღონისძიებას. სხვა მწერლებთან ერთად სიაში დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6717

1935

14 აპრილი

წერს ლექსს „დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ“.

➤ 6718

1935

15 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „აბა, კარგად დაფიქრდი...“.

➤ 6719

1935

17 აპრილი

ალექსანდრეს ბაღში ხვდება პავლე აკობიას, რომელიც შავი პურის ქერქს ღრღნის, გალაკტიონის დანახვაზე ზრდილობიანად წამოდგება და ესალმება. როდესაც პოეტი მას ეუბნება, მოხუცებული კაცი ხარ, პენსია უნდა გქონდესო, აკობია პასუხობს: ხუთი წელია მეხვეწებიან, აილეო, მაგრამ მე არ ვიღებ, რადგან ჯერ კიდევ შრომის უნარი არ დამიკარგავსო. ასეთ პასუხს გალაკტიონი თანამოსაუბრის მეგრული თავმოყვარეობით ხსნის.

➤ 6720

1935

20 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს ჟორესის ქუჩაზე მდებარე საკუთარი ახალი ბინის ტექნიკურ მონაცემებს.

➤ 6721

1935

21 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „ჩამავალი მზის ფერადო კიდევ...“.

➤ 6722

1935

21 აპრილი

წერს ლექსს „სევილია“.

➤ 6723

1935

21 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „მეტყვი: როგორც ეს გრიგალი...“.

➤ 6724

1935

21 აპრილი

წერს ლექსს „რეინი“.

➤ 6725

1935

21 აპრილი

იმყოფება თბილისში, წერს უსათაურო ლექსს „მახსოვს ზამთრის შეღამება...“.

➤ 6726

1935

**22 აპრილამდე**

აკეთებს ამონაწერებს ლევ გუმბელის წიგნიდან „რუდოლფ დიზელი, ცხოვრება და მოღვაწეობა“. იწერს ციტატას, რომ ყველა გამომგონებელი ოპტიმისტი უნდა იყოს.

➤ 6727

1935

**22 აპრილი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს სიდერის – ელისაბედ პერემუშევას ავადმყოფობის შესახებ გარდაცვალების წინ. აღნიშნავს, რომ იგი ისეთსავე მძიმე დღეში იყო, როგორშიც გალაკტიონის დიასახლისი დესპინე 1907 წელს. ექიმიც ვერ იძლეოდა დამაიმედებელ პროგნოზს. ოლია ოკუჯავას ძმა – ვასილი ტირილით ამბობდა, რომ სჯობდა ავადმყოფის ტანჯვა მალე დასრულებულიყო და სხვებსაც დაესვენათ, ოლია კი პასუხობდა, რომ არ უნდა ყოფილიყვნენ ეგოისტები.

➤ 6728

1935

**22 აპრილი**

ცნობილი რევოლუციონერის ვასილ კიკვიძის პატივსაცემად წერს ლექსს „მე-16 მსროლელი დივიზია“ („უმცროსმა ჩემზე...“).

➤ 6729

1935

**22 აპრილი**

წერს უსათაურო ლექსს „ბერიკაცს ქუდი წარბამდე ხურავს...“.

➤ 6730

1935

**23 აპრილამდე**

უბის წიგნაკში იწერს ანეკდოტს თათრის შესახებ, რომელიც ხორცს მიირთმევდა, თითქმის დაასრულა ჭამა და შემდეგ ჰკითხა გამყიდველს, რისი ხორციაო, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: ხორცს შენ ჭამ და მე მეკითხებიო?

➤ 6731

1935

**23 აპრილი**

ირაკლი აბაშიძე აცნობებს ნიკოლაი ასევევის ჩამოსვლის შესახებ და გადასცემს მის ნათქვამს, რომ ერთი სული აქვს, როდის შეხვდება გალაკტიონს. მიიჩნევს, რომ ასევეს გულწრფელად უყვარს იგი.

➤ 6732

1935

**23 აპრილის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მე იდეა მაქვს სხვა განაზრახი...“.

➤ 6733

1935

**23 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მწერალმა ჯაჯუ ჯორჯიკიამ გარდაცვლილ მეუღლეს დასაფლავების დღეს დაატირა, რომ ცოლს აღარასოდეს მოიყვანდა და ორი კვირის შემდეგ დაოჯახდა.

➤ 6734

1935

**23 აპრილის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს სამხედრო ექიმის მიხეილ იაშვილის შესახებ, რომელსაც გიმნაზიის დამამთავრებელ კლასში ძალიან სურდა ქირურგი გამოსულიყო, თუმცა ამხანაგები ეუბნებოდნენ, სუსტი გული გაქვს და ვერ შეძლებო. თავისი გულადობის დასამტკიცებლად იაშვილს ხელში ექსკრემენტი აუღია.

➤ 6735

1935

**23 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ გამოარკვიოს, ვისი გაფორმებულია განცხადება, რომელიც ეროვნულ გალერეაში ქართველი მხატვრების გამოფენას ამშვენებს. ფიქრობს, რომ შეიძლება ასეთი განცხადება გამოიყენოს საკუთარ ღონისძიებებზე.

➤ 6736

1935

**23 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს სახუმარო ამბავს მეგრელის შესახებ, რომელმაც პაპიროსის ნამწვი ქუჩაში გადაადგო და მილიციელმა მისი დაჯარიმება განიზრახა. გონებამახვილმა მეგრელმა თავი იმართლა, ბატონო, ცოტა ხნით დავდე აქ პაპიროსი და ახლავე ავიღებო, ნამწვი აიღო და იქაურობას გაეცალა.

➤ 6737

1935

**23 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს მეგრელი დიაკვნისა და გურული გლეხის დიალოგს. გურულს უკითხავს დიაკვნისთვის, ვინმე რომ მოვიდეს და გამუდმებით გაიმეოროს: „მამაო უტუ, მამაო უტუ“, რას იზამო? დიაკვანს მიუგია, კარგად მივალანძღავო. გურულს უპასუხია, აბა, რატომ დაგიჟინებია სულ ეს „უფალო, შეგვიწყალო“.

➤ 6738

1935

**23 აპრილის შემდეგ**

წერს ერთ სტროფს უსათაურო ლექსისა „მკაცრი დრაკონი, *Tabes dorsalis*...“.

➤ 6739

1935

**24 აპრილი**

წერს უსათაურო ლექსს „ფერი მზეესა და ქარს მოჰყავს...“.

➤ 6740

1935

**24 აპრილის შემდეგ**

აგრძელებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „ფერი მზეესა და ქარს მოჰყავს...“.

➤ 6741

1935

**30 აპრილი**

წერს ლექსს „ნეაპოლში“.

➤ 6742

## მაისი

1935

30 აპრილი- 1 მაისი

წერს ლექსს „ვეზუვი“.

➤ 6743

1935

1 მაისი

წერს უსათაურო ლექსს „სიკვდილს მე როდი შევუშინდები...“.

➤ 6744

1935

1 მაისი ან შემდეგ

აგრძელებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „სიკვდილს მე როდი შევუშინდები...“.

➤ 6745

1935

1 მაისი ან შემდეგ

აგრძელებს მუშაობას ლექსზე „ქვის გული“.

➤ 6746

1935

6 მაისის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ძალზე მოეწონა სტალინის სიტყვა წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე. ახასიათებს ამ გამოსვლას, როგორც მოკლეს, სხარტსა და ამომწურავს.

➤ 6747

1935

9 მაისი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს თხზულებათა მეორე ტომის შესახებ. აღნიშნავს, რომ წიგნი არის მოცულობით 600 გვერდი (900-ის მაგივრად), ბევრი ლექსია ამოღებული, უკანასკნელი ლექსები არ ჩანს. ასევე არ ჩანს ლექსების ორიგინალები, რომლებიც უნდა ჰქონდეს სტამბას. რედაქტორები საქმეს აძნელებენ და არც ერთი გვერდი წიგნისა მისთვის არ მიუციათ გადასათვალისწინებლად. ფიქრობს, რომ ყველანაირად ცდილობენ, წიგნი იყოს არა ავტორის, არამედ რედაქტორების.

➤ 6748

1935

9 მაისი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც მიზნად ისახავს გამოარკვიოს, როგორია ამჟამად „ცისფერყანწელთა“ მდგომარეობა, რა ვითარებაა ჟურნალ „მნათობში“, რას საქმიანობს მწერალთა კავშირის ახალი თავმჯდომარე, რას აკეთებს ბესარიონ ჟღენტი. ფიქრობს, რომ ის სიჩუმე, რომელიც მწერალთა ორგანიზაციაშია დასადგურებული, მისთვის უკეთესია.

➤ 6749

1935

9 მაისი

უმის წიგნაკში აკეთებს იუმორისტულ ჩანაწერს, რომელშიც აღწერილია ვინმე მეგრელის მცდელობა, თავისი ლექსი სადმე „მიაბეჭდოს“. როდესაც ეკითხებიან, რა ლექსის მიბეჭდვას აპირებს, მეგრელი პასუხობს, რომ „ხევსურის ძროხას“ მიაბეჭდავს.

➤ 6750

1935

14 მაისი

წერს ლექსს „ბადთან ძეგლია“.

➤ 6751

1935

14 მაისი

წერს ლექსს „მე გამოვშორდი ავადმყოფ მხარეს“.

➤ 6752

1935

21 მაისი

მიღებაზე იბარებენ ლავრენტი ბერიასთან, რომელიც მას მეგობრულად ხვდება, კომპლიმენტებს ეუბნება და აცნობებს, რომ ქართველ მწერალთა სახელით იგი უნდა გაემგზავროს პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ კონგრესზე. იქვე გალაკტიონი ხვდება სომეხ მწერალს ვაჰრამ გაბუზიანს, იმავე ვაჰრამ ალაზანს და იგებს, რომ მათ ერთად აგზავნიან პარიზში. ბერია დისციპლინასთან დაკავშირებით „ამხანაგურ“ რჩევებს აძლევს მწერლებს. გალაკტიონი ცდილობს დაადგინოს, თუ რატომ შეაჩერეს არჩევანი მასა და ვაჰრამ ალაზანზე.

➤ 6753

1935

22 მაისი

პარიზში გასამგზავრებელი ვიზის მისაღებად ავსებს ანკეტას და აგზავნის მოსკოვში.

➤ 6754

1935

22 მაისი

იწყებს პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ კონგრესზე გამოსასვლელი სიტყვისათვის ტექსტის მომზადებას.

➤ 6755

1935

22 მაისის შემდეგ

ამზადებს პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ კონგრესზე გამოსასვლელი სიტყვის ტექსტს, რომელშიც მიმოხილულია ქართული მწერლობის განვითარების გზა შუა საუკუნეებიდან პოეტის თანამედროვეობამდე. ტექსტის შინაარსობრივ მხარეს აკონტროლებენ პარტიის იდეოლოგები.

➤ 6756

1935

28 მაისამდე

მხატვარი ნიკალაი ჩერნიშკოვი სპეციალურად რუსული კრებულისთვის ქმნის გალაკტიონის პორტრეტს (გრაფიურა), რომელიც პოეტს ძალიან მოსწონს.

➤ 6757

1935

28 მაისი

გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ თანამშრომელ გიორგი ბებუთოვს უგზავნის რუსულ ენაზე გამოსაცემი რჩეული ლექსების სტრუქტურას. მისი სურვილია, რომ წიგნი დაიყოს 10 განყოფილებად: 1908-1912 წლების, 1914 წლის წიგნიდან ამოკრეფილი, არტისტული ყვავილებიდან, „მნათობში“ გამოქვეყნებულები, „ჯონ რიდიდან“, 1927 წლის კრებულიდან, წიგნებიდან: „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „რევოლიუციური საქართველო“, „პრესიდან“ და სხვ. ფურცლის უკანა მხარეს წერს ბარათს, რომ ახალი ქართული კრებულისთვის ძალზე სჭირდება მხატვარ ნიკალაი ჩერნიშკოვის მიერ დახატული მისი პორტრეტის ორიგინალი და გიორგი ბებუთოვს სთხოვს, რომ გადასცეს მხატვარს.

➤ 6758

1935

მაისი

წერს ლექსს „დედა“.

➤ 6759

1935

მაისი

წერს ლექსს „უმუშევარი“.

➤ 6760

1935

მაისი

წერს ლექსს „ქარი“.

➤ 6761

1935

გაზაფხული

ჟორესის (ამჟამად მარჯანიშვილის) ქუჩის N4-ში მის მეზობლად მცხოვრები მწერლის – მარიამ გარიყულის (რატიანის) კარზე აკაკუნებს. შინ მხოლოდ ბავშვები ხვდებიან, რომლებიც ოთახში იწვევენ და სავარძელში სვამენ. ნაბახუსევს დაჯდომისთანავე ეძინება. ცოტა ხნის შემდეგ იმავე კარზე მეეტლე აკაკუნებს და გაკვირვებულ ბავშვებს უხსნის, რომ მათმა სტუმარმა დილით დაიქირავა მისი ეტლი, მთელი თბილისი შემოატარა და ფული არ გადაუხდია. როდესაც ბავშვები ეუბნებიან, რომ მისი მგზავრი გალაკტიონი იყო, ბოდიშს იხდის და მიდის. გაღვიძებისას პოეტს ეტყობა, რომ რაღაცაზე განაწყენებულია, ამბობს, რა უნდათ ჩემგან, „ბარამკაჯან“ ხომ არ დამიწერია, „მერი“ დავწერეო და მალევე მიდის. კიბეზე ჩასვლისას ბუტბუტებს სიტყვებს გრიშაშვილის ლექსიდან „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“.

➤ 6762

## ივნისი

1935

4 ივნისი

საქართველოდან ერთადერთია შერჩეული და მიემგზავრება პარიზში მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ კონგრესზე, რომ ხმა აიმაღლოს ომის წინააღმდეგ. ეს მისი პირველი მოგზაურობაა საზღვარგარეთ.

➤ 6763

1935

6 ივნისი

უმის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს ახალგაზრდა პოეტისა და პროზაიკოსის ვაჰრამ გაბუზიანის შესახებ, რომელსაც ახასიათებს რბილი ხასიათის, ფხიზელ, ანგარიშიან პიროვნებად, რომელმაც კონგრესის შესახებ ყველაფერი იცის.

➤ 6764

1935

#### 6 ივნისი

დედის დაკრძალვის შემდეგ ბორჯომში ჩასული ოლია ოკუჯავა იგონებს გალაკტიონს, რომელსაც ასევე გარდაეცვალა დედა და მისი დაკარგვით განიცადა დიდი ტკივილი. ფიქრობს, რომ მას ბედმა გაუღიმა, შესაძლებლობა გაუჩნდა პარიზში წასვლის, თუმცა, სულ მარტოა თბილისში ამ სამზადისში.

➤ 6765

1935

#### 6 ივნისი

ბორჯომში მყოფი ოლია ოკუჯავა დღიურში მიმართავს გალაკტიონს. წერს, რომ მათ ჰქონიათ რთული წუთებიც, მაგრამ ახლახანს გარდაცვლილი მათი დედების სახსოვრად სულ წინ უნდა იარონ.

➤ 6766

1935

#### 7 ივნისამდე

დღიურში წერს ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილების შესახებ. აღნიშნავს, რომ ქართულში „და“ კავშირი ხშირია და აუცილებელიცაა, მაგრამ ლექსში იშვიათად გვხვდება რითმად, ის მომავლის რითმა გახდება, როგორც სასაუბრო ენის უაღრესად ცოცხალი ნაწილი – „კარგია ტბაზე ტყის ფოთოლი და / ხავერდისფერი ნაპირების ყდა“. უცვლელი ნაწილი „და“, რომელიც მხოლოდ სტრიქონში გვხვდებოდა, გადადის სტრიქონის რითმად, ლექსის ტექნიკისთვის უაღრესად მნიშვნელოვან ადგილას. ამ უცვლელ ნაწილს ტექნიკური გამოყენების მიზნით, პირველად მან მისცა ალიტერაციის სახე გაზეთში „თემი“ 1912 წელს გამოქვეყნებულ ლექსში „ახალი წლის ღამე“. წერს, რომ მიმბაძველებმა აბსურდამდე დაიყვანეს კეთილი სურვილით გამოწვეული მისი წამოწყება და ამაგებს ცუდ მიმბაძველობას. ფიქრობს, რომ რითმისთვის ასევე დიდ საშუალებას იძლევა კავშირი „ცა“ („ც“) და მოჰყავს ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღიდან“ მაგალითი: „ყველა დადუმდა, დღით ფეთქავს რაცა / დამშვიდებულა მიწაც და ცაცა“.

➤ 6767

1935

#### 7 ივნისამდე

დღიურში წერს რეკლამის პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ, რომ ამერიკაში მას უდიდესი როლი ენიჭება და მისთვის მილიონები იხარჯება. საბჭოთა კავშირშიც რეკლამას უწოდებენ აგიტაცია-პროპაგანდას პრესის საშუალებით და მის საჭიროებას აღიარებენ. მაგრამ პოეტებს რეკლამის თავისი სურვილის მიხედვით გამოყენების საშუალება არ აქვთ. აღნიშნავს, რომ რეკლამის ხერხები და ფართო მასისთვის ჯერ კიდევ უცნობი ახალი მიღწევები შესასწავლია, რადგან კარგად გამოყენებულ რეკლამას სრულ გამარჯვებამდე მიჰყავს პოეტი. ფიქრობს, რომ ბარელიეფსა და ქანდაკებას აქვს რეკლამის მნიშვნელობა, ასახელებს მოქანდაკე გიორგი სესიაშვილს.

➤ 6768

1935

#### 7 ივნისამდე



დღიურში აღწერს მამის, ვასილ ტაბიძის კუთვნილი წიგნის „სწავლანი სულიერნი ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე აღმსარებლისა სტოდიელთა წინამძღვარისა თვისთა მოწაფეთა მიმართ“ – მინაწერებს, ყდისა და ტექსტის ზომებს, გვერდებისა და სიტყვების რაოდენობას. აღნიშნავს, რომ მისთვის უცნობია, ტექსტი ორიგინალურია თუ ნათარგმნი. საუკეთესო კალიგრაფის გადაწერილია წვრილი ასოებით, ისე რომ ნაბეჭდ ტექსტს ჰგავს, არ ახლავს ასოთა შემკულობა, ნახატები და ნუმერაცია.

➤ 6769

1935

#### 7 ივნისამდე

დღიურში წერს, რომ 1908 წელი მეტად საგულისხმო თარიღია ქართული პოეზიის ისტორიაში. ამ წელს საქართველომ იდეასაწაულა აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილე და სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდა პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც ყურადღება მიიქცია არაჩვეულებრივი ტემპერამენტითა და ლექსის ახალი ტექნიკით.

➤ 6770

1935

#### 7 ივნისამდე

ლექსების რუსული გამოცემებისთვის ადგენს გეგმას: ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის 1935 წელს დასაბეჭდი წიგნისთვის 1933 წლის გამოცემის დათვალიერება, ლექსების საერთო სიის შედგენა, ნათარგმნი ლექსების დალაგება, სათარგმნი ლექსების შერჩევა მოსკოვისა და ადგილობრივი მთარგმნელებისთვის, სათაურის შერჩევა. ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობისთვის სამი-ოთხი ათასი სტრიქონის, ლენინგრადის სახელმწიფო გამომცემლობისთვის და მოსკოვში 1937 წელს გამოსაცემი წიგნისთვის იმდენივე სტრიქონის მიცემა, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობასთან შეთანხმების დასრულება, სტალინზე ლექსების შერჩევა და დიდი სადამოსთვის მზადება.

➤ 6771

1935

#### 7 ივნისამდე

ლექსების რუსული გამოცემებისთვის არჩევს მთარგმნელებს და ითვლის მათ მიერ სათარგმნი სტრიქონების რაოდენობას: პანტელეიმონ პეტრენკოს – 200, ვალერიან გაფრინდაშვილს „ეპოქიდან“ – 500, რიურიკ ივენეს – 500, ვლადიმირ ელსნერს – 500, გიორგი კრეიტანს – 200, კონსტანტინ ბოგდანოვსკის – 200, სანდრო ყანჩელს – 100. მოსკოველ მთარგმნელებისთვის გადაცემული აქვს 1000 სტრიქონი. გობრონ აგარელს უნდა შეუთანხმდეს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის თაობაზე. საჭიროა ქალაქი და პორტრეტი.

➤ 6772

1935

#### 7 ივნისამდე

წერს ახალ რედაქციას ლექსისა „სიკვდილი უმუშევარისა“.

➤ 6773

1935

#### 7 ივნისი

მატარებლით მიემგზავრება მოსკოვში. შუაღამისას მატარებელი ჩერდება ტყეში. ისმენს და ტკბება ბუღბუღების გალობით.

➤ 6774

1935

**13 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს გერმანიის სოფელ რეინსდორფში სამხედრო ქარხნის ავეთქების შესახებ, რომელმაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია. აღნიშნავს, რომ ნაცისტები გერმანელ ახალგაზრდობას სამხედრო ეგზალტაციით ზრდიან და ახალი ომის დასაწყისი ნამდვილი სიკვდილის ტრიუმფი იქნება. აღწერს, თუ როგორი პატივით დაკრძალა ჰიტლერის ხელისუფლებამ გარდაცვლილები, ხელისუფლების უმაღლესი პირებისა და სასულიერო პირთა მონაწილეობით.

➤ 6775

1935

**16 ივნისი**

ბელორუსიის დასახლება ნეგორელოედან დეპეშას უგზავნის ოლია ოკუჯავას. სწერს, რომ პარიზში ბერლინის გავლით 18 ივნისისათვის ჩავა.

➤ 6776

1935

**16 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „უცხოეთის გზიდან გზამდე...“.

➤ 6777

1935

**17 ივნისი ან ადრე**

პარიზში ჩასვლისას კონგრესის ორგანიზატორები გადასცემენ ღონისძევათა პროგრამას.

➤ 6778

1935

**17 ივნისი**

ათვალისწინებს ნოტრდამს. ტაძრის მახლობლად თვალს ადევნებს შუა საუკუნეების ფრანგი ღვთისმეტყველის არნულ გრებანის თხზულების მიხედვით გამართულ კათოლიკურ მისტერიას.

➤ 6779

1935

**17 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს „ქართველი ემიგრანტების მდგომარეობა“. მასში გადმოცემულია პარიზში გამომავალ ემიგრანტულ რუსულ გაზეთ „ვოზროჟდენიეში“ გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ქართველი ემიგრანტი ექიმი ა. ხუნწარია აღნიშნავს, რომ იძულებულია დატოვოს პარიზი და დაბრუნდეს სამშობლოში, რადგან საფრანგეთის ხელისუფლებამ აუკრძალა საექიმო საქმიანობა. გალაკტიონი ამ ფაქტს ურთავს კომენტარს, რომ ესაა თვალსაჩინო ნიმუში იმისა, რა პირობებში უწევთ ყოფნა ემიგრანტებს. იქვე პოეტი აღნიშნავს, რომ ქართველი ემიგრანტები აპირებენ აღნიშნონ „ნაციონალური გმირის“ ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარდაცვალების ხუთი წლისთავი და გადაიხადონ მისი პანაშვიდი.

➤ 6780

1935

**17 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს „ცოტა რამ საშუალო საუკუნეების ჰუმანიზმზე, მისტერია წვიმაში“. მასში აღწერილია ნოტრ-დამის მახლობლად გამართული კათოლიკური მისტერია, რომელიც კოკისპირულმა წვიმამ ჩაშალა.

➤ 6781

1935

**17 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს „ეხლანდელი ჰუმანიზმი (მადაროები)“, რომელშიც აღწერილია კანზასის ციხის კატორღელებსა და პოლიციელებს შორის მომხდარი სასტიკი დაპირისპირება.

➤ 6782

1935

**18 ივნისი ან შემდეგ**

პარიზის ქუჩებში სეირნობისას ყიდულობს შარლ ბოდლერისა და არტურ რემბოს წიგნებს.

➤ 6783

1935

**18 ივნისი ან შემდეგ**

პარიზში მყოფ გალაკტიონთან მიდის სომეხი მწერალი ავეტიკ ისაკიანი და სთხოვს დაეხმაროს ემიგრაციიდან საბჭოთა კავშირში დასაბრუნებლად ნებართვის მიღებაში.

➤ 6784

1935

**18 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ილია ერენბურგის ნათქვამს ფრანგი მწერლის რენე კრეველის შესახებ, რომ მან ჯერ ტყვია დაიხალა და რომ გადარჩა, მეორე დღეს გაზით გაიგუდა თავი, იმის გამო, რომ მას არ მისცეს ანტიფაშისტურ კონგრესზე სიტყვით გამოსვლის საშუალება. მიუხედავად ამისა, კრეველის ხსოვნას კონგრესის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით მიაგეს პატივი და წაიკითხეს მისი წერილი პირველი მაისის დღესასწაულის შესახებ.

➤ 6785

1935

**19 ივნისი**

პარიზის სასტუმროშია სომეხ მწერალ ვაჰრამ გაბუზიანთან ერთად. დილით ადრე ეღვიძება. გაღიზიანებულია იმის გამო, რომ ვაჰრამი მთელი ორი საათი არ გამოდის აბაზანიდან. თავად მას ერთი საათი ჰყოფნის.

➤ 6786

1935

**19 ივნისი**

იმყოფება საფრანგეთში, ანტიფაშისტურ კონგრესზე. წერს უსათაურო ლექსს „მახსოვს, ოდესღაც ზღვაზე...“.

➤ 6787

1935

**19 ივნისი**

იმყოფება საფრანგეთში, ანტიფაშისტურ კონგრესზე და წერს ლექსს „პროლოგი“ („მოკლე, შორი ხმა...“).

➤ 6788

1935

**19 ივნისი**

პარიზში 9 ფრანკად ყიდულობს თეოფილ გოტიეს წიგნს „მინანქრები და კამეები“. გამყიდველს სთხოვს წიგნის ქალაქში გახვევას, ის კი სხვა წიგნს აძრობს სუპერს და მისას უკეთებს.

➤ 6789

1935

**21 ივნისი**

პარიზში მიუტიუალიტეს სასახლეში გახსნილ კონგრესზე ირჩევენ კონგრესის პრეზიდიუმში.

➤ 6790

1935

**23 ივლისი**

მოხსენებით „ეროვნება და კულტურა“ გამოდის კონგრესის სადამოს სხდომაზე. ეხება საბჭოეთში პატარა ერების თავისუფლების საკითხს და ხაზს უსვამს საქართველოს კულტურის და ლიტერატურის ვრცელ ისტორიას. მოკლედ მიმოიხილავს ძველ ქართულ მწერლობას და ვრცლად საუბრობს „ვეფხისტყაოსანზე“. აღნიშნავს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის მსოფლიო მწერლობასთან კავშირს და იმედს გამოთქვამს, რომ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა მსოფლიო ლიტერატურაში, ერთიანი ფრონტით იბრძოლებს მშვიდობის მტრის, ფაშიზმის წინააღმდეგ. გალაკტიონის გამოსვლა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს კონგრესის მონაწილეებზე, განსაკუთრებით კონგრესის თავმჯდომარე ანდრე მალროა აღტაცებული. უმეგობრდება გალაკტიონს და საკუთარ წიგნს სჩუქნის. გალაკტიონი კმაყოფილია საჩუქრით და მალროს უძღვნის ლექსს „მკვეთრი, როგორც ნაპერწკალი, მოხატული ვითა ვაზა, მოქარგული ვითა ხალი, მალრომ წიგნი მითავაზა“.

➤ 6791

1935

**24 ივნისი**

ესწრება კონგრესის სხდომას, რომელზეც ვრცელი სიტყვით გამოდის ანრი ბარბიუსი და საბჭოთა დელეგაციის რამდენიმე წარმომადგენელი.

➤ 6792

1935

**24 ივნისი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს პარიზის მწერალთა ანტიფაშისტურ კონგრესზე გამომსვლელთა ვინაობას.

➤ 6793

1935

**25 ივნისი**

პარიზის მწერალთა ანტიფაშისტურ კონგრესზე გერმანელი ფოტოგრაფი ქალი გიზელე ფროინდი იღებს ფოტოს – ოთხი პროფილი. ფოტოზე წინა რიგში მაგიდასთან სხედან ერთ მხარეს ანრი ბარბიუსი და ისააკ ბაბელი, და მეორე მხარეს – გალაკტიონი და ბორის პასტერნაკი.

➤ 6794

1935

**25 ივნისი**

ოლია ოკუჯავა გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკში წერს, რომ ყველა გაზეთში დაბეჭდილია ცნობა პარიზში გამართულ მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ კონგრესზე პოეტის სიტყვით გამოსვლის შესახებ. წუხს, რომ თვითონ არ უდგას გვერდით ასეთი მღელვარების დროს, რომ შეძლებოდა დღიურის წარმოებას ევროპაში და კონგრესზე ნანახისა და გაგონილის შესახებ, მასალის შეგროვებას და მეუღლისთვის შრომის შემსუბუქებას, რადგან მას შენიშვნების ჩაწერის დროც არ ექნებოდა.

➤ 6795

1935

21-26 ივნისი

პარიზში წერს ლექსს „ორი სამყარო“.

➤ 6796

1935

21-26 ივნისი

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიუროს დავალებით პარიზში ვიზიტად მყოფ გალაკტიონ ტაბიძეს ხვდება დავით შარაშიძე და ნოე რამიშვილისგან გადასცემს ემიგრაციაში გადაყვანის შეთავაზებას. გალაკტიონი უარს ამბობს იმ მიზეზით, რომ საქართველოში მეტის გაკეთებას შეძლებს თავისი ქვეყნისთვის.

➤ 6797

1935

21-26 ივნისი

პარიზის ანტიფაშისტურ კონგრესზე ხვდება ალექსეი ტოლსტოის და შეახსენებს მის მიერ აკაკი წერეთლის შესახებ 1915 წელს გამოქვეყნებულ წერილს, რაც რუს პოეტს არ სიამოვნებს. მოგვიანებით უსიამოვნო განწყობა გაივლის და ისინი დამეგობრდებიან.

➤ 6798

1935

21-26 ივნისი

პარიზში გამართულ მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ კონგრესზე ილია ერენბურგი ჩუქნის თავის წიგნს „Виза Времени“ („დროის ვიზა“) წარწერით: „პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს მთელი გულით, პარიზში ჩვენი შეხვედრის მოსაგონებლად“.

➤ 6799

1935

17-26 ივნისი

სტუმრობს პარიზის „პეტი პალეს“ ხელოვნების მუზეუმს და ათვალისწინებს იტალიელ ხელოვანთა გამოფენას. ხედავს, რომ მუზეუმში იყიდება ბენიტო მუსოლინის ფოტოები და წიგნები.

➤ 6800

1935

17-26 ივნისი

ალექსეი ტოლსტოი ეკითხება, იცის თუ არა ფრანგული ენა, რაზეც გალაკტიონი მიუგებს: – შესაძლებელია, თვითონ ფრანგმა არ იცოდეს კარგად ფრანგული ენა. ტოლსტოი პასუხობს: – კარგი, მაგრამ ფრანგებს არ უყვართ, როდესაც ცუდი ფრანგულით ლაპარაკობენო.

➤ 6801

1935

17-26 ივნისი

პარიზის სასტუმროში ორჯერ აკითხავს ილია ზდანევიჩი, ვერ ნახულობს და უტოვებს მოკლე ბარათს. სწერს, რომ ვერც კონგრესზე ნახა და ვერც ნომერში და აცნობებს, რომ მომდევნო დღეს 10 საათამდე ისევ შეუვლის.

➤ 6802

1935

17-26 ივნისი

ილია ზდანევიჩი პარიზის სასტუმროში უტოვებს ბარათს და ბილეთს და სთხოვს, რომ საღამოს 9-ის ნახევარზე აუცილებლად მივიდეს ტროკადოროს სასახლეში.

➤ 6803

1935

17-26 ივნისი

ილია ზდანევიჩი უტოვებს ბარათს. სწერს, რომ რამდენჯერმე მიაკითხა და მასთან შეხვედრა მაინც ვერ მოახერხა. ბედნიერ მგზავრობას უსურვებს და მოიკითხავს მეგობრებს.

➤ 6804

1935

17-26 ივნისი

პარიზში ანტიფაშისტურ კონგრესზე ყოფნისას შეზარხოშებულ გალაკტიონს ერთი პოეტი, რომელსაც გრძელი თმა აქვს, ძალით მიჰყავს საპარიკმახეროში და თმას აჭრევენებს, რითაც მის განაწყენებას იწვევს.

➤ 6805

1935

17-26 ივნისი

წერს ლექსს „მისტერია წვიმაში“.

➤ 6806

1935

17-26 ივნისი

წერს ლექსს „ილია ერენბურგს“.

➤ 6807

1935

17-26 ივნისი

წერს ლექსს „მალროს“.

➤ 6808

1935

17-26 ივნისი

რუსი მწერალი ვსევოლოდ ივანოვი ჰპირდება თავის წიგნს „ალექსანდრე პუშკინი და მისი დრო“.

➤ 6809

1935

17-26 ივნისი

სტუმრობს ლუვრის მუზეუმს. ათვალიერებს ექსპონატებს, ვენერა მილოსელის ქანდაკებას, ბოტიჩელისა და ვერონეზეს ნამუშევრებს.

➤ 6810

1935

17-26 ივნისი

სტუმრობს საფრანგეთის აკადემიას. შთაბეჭდილებებს იწერს უბის წიგნაკში. მიუთითებს, რომ საფრანგეთის აკადემიის წევრებს „უკვდავის“ სახელწოდებით მოიხსენიებენ და ამ „უკვდავთა“ შორის არ მოხვედრილან ისეთი დიდი მწერლები, როგორებიც არიან: მოლიერი, ბალზაკი, ფლობერი და სხვ., სამაგიეროდ, აკადემიის წევრი იყო ჰერცოგი დე რიშელიე, დიდი კარდინალის შთამომავალი, რომელსაც ხეირიანად წერილის დაწერაც კი არ შეეძლო.

➤ 6811

1935

17-26 ივნისი

პარიზში ყოფნისას ისმენს, როგორ ასრულებს ფრანგული ორკესტრი „სულიკოს“, გაცეცხული და გახარებულია ამ ფაქტით.

➤ 6812

1935

21-26 ივნისი

პარიზის ანტიფაშისტურ მსოფლიო კონგრესზე ყოფნისას ყიდულობს კედელზე ჩამოსაკიდ ოვალურ სუვენირს, რომელსაც შუაში პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის გამოსახულება და ირგვლივ ორნამენტები აქვს.

➤ 6813

1935

21-26 ივნისი

ყიდულობს პატარა საბეჭდ მანქანას და საათს საჩუქრად მეუღლის ოლია ოკუჯავასთვის.

➤ 6814

1935

21-26 ივნისი

გერმანული წარმოშობის ფრანგი ფოტოდოკუმენტალისტი ქალი ჟიზელ ფროინდი მალროს მიწვევით ფირზე იღებს კონგრესის მონაწილეებს, მათ შორის საბჭოთა დელეგაციის წევრებს. მის მიერ გადაღებულ ფოტოზე სხედან ანრი ბარბიუსი, ალექსეი ტოლსტოი, გალაკტიონ ტაბიძე და ბორის პასტერნაკი.

➤ 6815

1935

21-26 ივნისი

პარიზში ყოფნისას ქუჩის მეორე მხარეს ხედავს ბალმონტს, რომელიც ძალიან დაბერებულია, უნდა, რომ მივიდეს და გადააკონოს, მაგრამ ქუჩაზე ვერ გადადის.

➤ 6816

1935

21-26 ივნისი

პარიზში ტაქსით მგზავრობისას მძღოლი უცებ ქართულად უწყებს ლაპარაკს, ეკითხება, თქვენ გალაკტიონი არა ხართო, ცრემლი ადგება და გადაეხვევიან ერთმანეთს.

➤ 6817

1935

21-26 ივნისი

ბორის პასტერნაკთან და სხვა საბჭოთა დელეგატებთან ერთად ათვალიერებინებენ პარიზს, მიჰყავთ იმ სახლთან, რომელშიც ცხოვრობდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლიდერი მარატი. ეზოში ძველი აბაზანა გდია. პასტერნაკი ხუმრობით ეუბნება, რომ მარატი ალბათ ამ აბაზანაში მოკლეს, გალაკტიონი კი მის ნათქვამს სერიოზულად იღებს.

➤ 6818

1935

21-26 ივნისი

საბჭოთა დელეგაციის წევრებთან ერთად პარიზში სეირნობისას ადის ეიფელის კოშკზე, რომლის მეოთხე სართულზე მოხუცი ფრანგი მხატვარი აკეთებს მისი პროფილის შავ სილუეტს.

➤ 6819

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „კონგრესის დელეგატები“, რომელშიც აღწერს, თუ როგორ მიმდინარეობდა მწერალთა ანტიფაშისტური კონგრესი.

➤ 6820

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „აკადემია“, რომელშიც იმოწმებს გაზეთ „ტაიმსის“ თანამშრომლის აზრს იმის შესახებ, რომ საფრანგეთის აკადემია სახელმწიფო ძალაუფლების იარაღი და მისი ნების გამტარებელია. მიუთითებს, რომ ისტორიულად აკადემია სიახლეებისადმი მტრულად იყო განწყობილი და მისი წევრები ვერ გახდნენ ისეთი დიდი მწერლები, როგორებიც იყვნენ: მოლიერი, დიდრო, ბალზაკი, ფლობერი და სხვები.

➤ 6821

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „ნეიტრალიზაციის წინააღმდეგ“, რომელშიც უპირისპირდება მოსაზრებას, რომლის თანახმადაც მწერალი პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს. მიუთითებს, რომ კონგრესის ზოგიერთი დელეგატის გამოსვლამ მოაგონა სახელმწიფო სათათბიროს წევრის ივანე გომართელის სიტყვა 1906 წელს, რომელშიც იგი აღნიშნავდა, რომ ჯარი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში.

➤ 6822

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერებს პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილეთა თაობაზე. მიუთითებს, რომ ევროპელმა ინტელექტუალებმა იგრძნეს, რომ ფაშიზმის დამარცხება მხოლოდ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობითაა შესაძლებელი. გალაკტიონის თქმით, გამორჩეული იყო ანდრე ჟიდის გამოსვლა, რომელმაც გამოააშკარავა კაპიტალიზმის მანკიერება.

➤ 6823

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „ანდრე მალრო“, რომელშიც იმოწმებს ანრი ბარბიუსის აზრს, რომ ანდრე მალროს „ზიზლის ხანა“ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო რომანია. გალაკტიონის აზრით, მალრო უკვე მსოფლიოში აღიარებული მწერალია.

➤ 6824

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილის, გერმანელი პროზაიკოსის ჰაინრიხ მანის შესახებ. მიუთითებს, რომ მის სიტყვებში აღარ იგრძნობოდა უწინდელი გაურკვევლობა. გერმანელმა მწერალმა აღნიშნა, რომ ფაშისტები ვერაფერს დააკლებენ მარქსიზმს, რომელიც მათ ბატონობას ბოლოს მოუღებს.



➤ 6825

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს გერმანული ანტიფაშისტური მწერლობის შესახებ. აღნიშნავს, რომ მათ კონგრესზე თავისი წარმომადგენელი გააგზავნეს, რომლის გამოსვლამაც დამსწრეებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა.

➤ 6826

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს ინგლისელი მწერლის ოლდოს ჰაქსლის შესახებ. აღნიშნავს, რომ ჰაქსლი შესანიშნავად ასახავს ინგლისელი ინტელიგენციის ყოფას და თანდათანობით მემარცხენე ხდება.

➤ 6827

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს ფრანგი მწერლისა და ფილოსოფოსის, ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილის, ჟულიე ბენდას გამოსვლის შესახებ. მიუთითებს, რომ ბენდამ წამოაყენა მოსაზრება, რომლის თანახმადაც, კომუნისტური ეთიკა სულის პრიმატს ანაცვლებს ეკონომიკის პრიმატით.

➤ 6828

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „მწერალი და საზოგადოება“, რომელშიც იმოწმებს ჰაინრიხ მანის მოსაზრებას, რომ საბჭოთა კავშირში შექმნილია შესანიშნავი პირობები მწერლის შემოქმედებითი მუშაობისათვის.

➤ 6829

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „სიურეალიზმი“, რომელშიც ამ ესთეტიკურ მიმდინარეობას ახასიათებს, როგორც სიცოცხლისადმი გულგრილ, სიკვდილზე შეყვარებულ პათოლოგიურ მოძღვრებას.

➤ 6830

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „პიროვნების თავისუფლება“, რომელშიც მოყვანილია ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილის, საბჭოთა მწერლის, ალექსეი ტოლსტოის გამოსვლის ძირითადი მოსაზრებები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მწერლის ხვედრის შესახებ.

➤ 6831

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილის, რუსი მწერლის მიხაილ კოლცოვის გამოსვლის შესახებ. მიუთითებს, რომ კოლცოვმა გაიხსენა პარიზში 1872 წელს გამართული კონგრესი, რომელსაც ვიქტორი ჰიუგო თავმჯდომარეობდა და რომელზეც რუსმა მწერალმა ივან ტურგენევიმაც წარმოთქვა სიტყვა. გალაკტიონის თქმით, კოლცოვმა ყურადღება გაამახვილა მწერლის სოციალური როლის ცვლილებაზე საბჭოთა სინამდვილეში.

➤ 6832

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „საერთო აზრი“, რომელშიც აღნიშნავს, რომ პარიზის ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილენი მივიდნენ საერთო დასკვნამდე, რომ ევროპაში ფართო მასები გაუცხოებულნი არიან მაღალ კულტურასთან და ჭეშმარიტი შემოქმედი მასისაგან იზოლირებულია.

➤ 6833

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „პოეზიის შემოსავლიანობა“, რომელშიც მიუთითებს, რომ ევროპაში მწერლები უკვე ვეღარ ახერხებენ იარსებონ საკუთარი შრომით. ერთადერთი გამონაკლისია პოლ ვალერი. დანარჩენი ავტორები იძულებულნი არიან, რომ საარსებო საშუალების მოსაპოვებლად სხვა პროფესია შეითავსონ.

➤ 6834

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „დეტექტიური რომანები“, რომელშიც მიუთითებს, რომ ლონდონში არსებობს დეტექტიური რომანების მწერალთა კლუბი, რომლებიც ზრუნავენ ამ ჟანრის ნაწარმოებთა ხარისხის ამაღლებაზე.

➤ 6835

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს მდინარე სენას შესახებ. აღნიშნავს, რომ ამ მდინარეში არაერთმა გამწარებულმა ადამიანმა დაიხრჩო თავი. მისი აზრით, ადამიანური სასოწარკვეთის დაძლევა შეუძლებელია იმის გააზრების გარეშე, რომ სულიერი ცხოვრება განუყოფელია მატერიალურისაგან.

➤ 6836

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „აფიშის ამბავი“, რომელშიც მიუთითებს, რომ მისი პარიზში ყოფნის პერიოდში ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, რომელმაც ბევრი რამ დააზიანა. გალაკტიონის თქმით, სწორედ ამ დღეს მან შენიშნა, რომ პარიზის ქუჩაში ორმა თეთრგვარდიელმა ჩამოხია აფიშა, რომელსაც ხალხი დიდი ინტერესით ათვალიერებდა. აღმოჩნდა, რომ ეს ანტიფაშისტური კონგრესის აფიშა იყო და იგი პოეტმა თან წამოიღო სამშობლოში. გალაკტიონი იმოწმებს რუსული ემიგრანტული პრესის მასალებს, იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ მტრულადაა განწყობილი რუსული ემიგრაცია საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ.

➤ 6837

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „უცხოეთის პრესა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ევროპის ავტორიტეტული პრესა პარიზის ანტიფაშისტური კონგრესის იგნორირებას ახდენდა, მაგრამ ღონისძიება გაუშუქებელი არ დარჩენილა, რადგან იყო ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც მისით ინტერესდებოდნენ.

➤ 6838

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუციის შესახებ, რომელშიც შეჯამებულია მონაწილეთა საერთო მიზნები და ამოცანები.

➤ 6839

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „ილია ერენბურგი“, რომელშიც აღწერს, თუ როგორ მოუთხრო საზოგადოებას რუსმა მწერალმა მის მიერ წინააღმდეგობებით განვლილი შემოქმედებითი გზის შესახებ.

➤ 6840

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „სტალინი“. რომელშიც იმოწმებს რომენ როლანის მოგონებას იმის თაობაზე, თუ როგორ უხსნიდა იოსებ სტალინი რუსეთში სტუმრად მყოფ აღიარებულ მწერალს, ჰერბერტ უელსს ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობის არსს.

➤ 6841

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „ვაიან კუტიურე“, რომელშიც რომელშიც აყალიბებს პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილის, კომუნისტი ფრანგი მწერლის პოლ ვაიან კუტიურეს გამოსვლის ძირითად დებულებებს.

➤ 6842

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილე მწერლების უილიამ ელისის და მაიკლ გოლდის გამოსვლების შესახებ, რომელთაც აღუნიშნავთ, რომ სერიოზული მხატვრული ნაწარმოებები დასავლეთში იდევენება „ბურჟუაზიული ხალტურით“, ხოლო ფაშიზმი ცდილობს ლიტერატურა ნაციონალისტურ ჩარჩოებში მოამწყვდიოს.

➤ 6843

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს ფრანგი მწერლის ანდრე მალროს შესახებ. მიუთითებს, რომ იგი შესანიშნავად იცნობს ფართო მასების მისწრაფებებს და გრძნობს კაცთა შორის ძმობის სიდიადეს. ამის დასტურად გალაკტიონს მიაჩნია ის წიგნი, რომელიც მალრომ გულითადად წარწერით უსახსოვრა მას. პოეტის თქმით, მალრომ მას შემოუთვალა, რომ მთელ კონგრესზე ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას მასზე ახდენს გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 6844

1935

### 26 ივნისის შემდეგ

აკეთებს მოკლე ჩანაწერებს პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტურ კონგრესში მონაწილე მწერლების პოლ ელუარის, ანდრე შანსონის, ერნსტ ბლოხის და სხვ. გამოსვლების შესახებ.

➤ 6845

1935

### 26 ივნისის შემდეგ

იწერს პარიზის მწერალთა და ხელოვანთა კონგრესზე თომას მანის მიერ ნათქვამ ფრაზას, რომ თუ მას შესთავაზებდნენ არჩევანს ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის, იგი აირჩევდა კომუნიზმს.

➤ 6846

1935

### 27 ივნისამდე

აკეთებს ჩანაწერს პარიზის მწერალთა და ხელოვანთა ანტიფაშისტური კონგრესის შესახებ. მიუთითებს, რომ ევროპაში ყოფნისას ნახა ადამიანთა მძიმე ექსპლუატაცია, ანარქია, მატერიალური და სულიერი კრიზისი. აღნიშნავს, რომ ევროპას ემუქრება დიდი საფრთხე ფაშიზმის სახით. ჩანს მსოფლიო ომისა და კაცობრიობის საუკუნეების განმავლობაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მოსპობის საფრთხე.

➤ 6847

1935

### 27 ივნისის შემდეგ

პარიზის მწერალთა ანტიფაშისტურ კონგრესიდან სამშობლოსაკენ გამგზავრებულ საბჭოთა დელეგაციის წევრებს ალექსანდრ შჩერბაკოვსა და ბორის პასტერნაკს ცნობილი უკრაინელი პოეტი პავლო ტიჩინა უკითხავს მის მიერ თარგმნილ გალაკტიონის ლექსებს და გალაკტიონი პასტერნაკს გაკვირვებას ატყობს.

➤ 6848

1935

### ივნისი

წერს ლექსს „ტირიფი“.

➤ 6849

1935

### ივნისი

წერს ლექსს „იმ დღეს რომ იყო“.

➤ 6850

## ივნისის შემდეგ

1935

### ივნისის შემდეგ

პარიზიდან დაბრუნებულ გალაკტიონს დამით მძარცველები ტანსაცმლის წართმევას უპირებენ, მაგრამ ის წინააღმდეგობას უწევს და ყვირის. ძახილზე პოლიციელი სტვენას იწყებს და მძარცველები გარბიან.

➤ 6851

1935

### ივნისის შემდეგ

რუსულ ენაზე წერს მიმართვის ტექსტს სათაურით „საფრანგეთის პოეტებს – კულტურის დაცვის კონგრესის მონაწილეებს“, რომელშიც იხსენებს პარიზში ჩატარებულ ანტიფაშისტურ კონგრესს და მოუწოდებს მასში მონაწილე ფრანგ მწერლებს, არ დაივიწყონ ერთმანეთისათვის მიცემული პირობა – იბრძოლონ ომის წინააღმდეგ, მშვიდობის დამყარებისათვის.

➤ 6852

1935

**იენისის შემდეგ**

წერს ლექსს „გვადალკვირი“.

➤ 6853

**1935**

**იენისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენს იქ ყოფნაში საფრანგეთის აკადემიას...“.

➤ 6854

**1935**

**იენისის შემდეგ**

წერს ლექსს „ვიქტორ გიუგო“.

➤ 6855

**1935**

**იენისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „აყვავილდა ყაყაჩო...“.

➤ 6856

**1935**

**იენისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „იმ დღეს რომ იყო კოხი და თქეში...“.

➤ 6857

**1935**

**იენისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „შენ ისვენებდი მრავალის მომსწრე...“.

➤ 6858

**1935**

**იენისის შემდეგ**

წერს ლექსს „საწყალი პიერი“.

➤ 6859

**1935**

**იენისის შემდეგ**

პარიზის კონგრესიდან ძვირფასად ჩაცმული ბრუნდება. ჩამოაქვს რაღაც ნივთები, მათ შორის, საუკეთესო ფოტოაპარატი, რომელსაც თავის ბიძაშვილ იოსებ ტაბიძეს ჩუქნის.

➤ 6860

**1935**

**იენისის შემდეგ**

წერს ლექსს „წარწერა წიგნზე“.

➤ 6861

**1935**

**იენისის შემდეგ**

უბის წიგნაკში სვამს რიტორიკულ კითხვას, უნდა ჩაუთვალოს თუ არა ღმერთმა ეს საშინელი წელი სიცოცხლის წლებში.

➤ 6862

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „მარტოობა პარიზელ პოეტის“, შემდეგ ტექსტს ასწორებს და სათაურად აწერს „გარსია ლორკა“.

➤ 6863

1935

**ივნისის შემდეგ**

აგრძელებს მუშაობას ტექსტზე „გარსია ლორკა“, ფიქრობს მის გადაკეთებას პოემად და ტექსტის გადათეთრებულ ნაწილს სათაურად აწერს: „შესავალი“ („შენი სახელი, სისხლის მსმელო, კაპიტალია...“).

➤ 6864

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რიჟრაჟია ჯერ ტრამვაი...“.

➤ 6865

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „ზედმეტი რიცხვი“.

➤ 6866

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „კრიზისისაგან თავის დაღწევა“.

➤ 6867

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „აუწერელი გარყვნილება და ფუფუნება...“.

➤ 6868

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ეხლა, ძვირფასო მეგობრებო, გიამბოთ მინდა...“.

➤ 6869

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ისევ ერთად მივალთ მთვრალი...“.

➤ 6870

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ბრწყინავს დილა...“.

➤ 6871

1935

**იენისის შემდეგ**

წერს ლექსს „სამშობლო“ („სამი დიდი ოკეანე...“).

➤ 6872

1935

**იენისის შემდეგ**

წერს ლექსს „ვერსალი ოქროში“.

➤ 6873

1935

**იენისის შემდეგ**

წერს სრულიად ახალ ვარიანტს უსათაურო ლექსისას „მკაცრი დრაკონი, Tabes dorsalis...“, სათაურით „Tabes Dorsalis“.

➤ 6874

1935

**იენისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მზემ ისრები შემართა...“.

➤ 6875

1935

**იენისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მზემ ისრები შემართა...“.

➤ 6876

1935

**იენისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „პარიზი იმნაირია...“.

➤ 6877

1935

**იენისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ნოტრდამო, გული საგულეში არ დამეტია...“.

➤ 6878

1935

**იენისის შემდეგ**

წერს ლექსს „შორს იალქნები სჩანან“.

➤ 6879

1935

**იენისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დღეს შორ მთებში გრიგალი და ქარია...“

➤ 6880

1935

**იენისის შემდეგ**

ქუთაისში იღებს სურათს იუზა ზარდალიშვილთან, გიორგი ჯიბლაძესთან, პარმენ შელეგიასთან, მამია ასათიანთან, ზონდო კეშელავასთან, მიხეილ დავითაშვილთან, იროდიონ ხანთაძესთან, ნიკა აგიაშვილთან ერთად.

➤ 6881

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მივდიოდი ელისეის ველით...“, შემდეგ ასწორებს ხელნაწერს და ლექსს სათაურად აწერს: „ალპიური ზონა“.

➤ 6882

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „პარიზიდან ბერლინამდე...“.

➤ 6883

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ძმური სალამი საფრანგეთის...“.

➤ ➤ 6884

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არის ჩემს გულში სიმღერა ერთი...“.

➤ 6885

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ღვინოს ვერიდებოდი...“.

➤ 6886

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ძირს მუქთახორა...“.

➤ 6887

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გათენებიდან ბაზრად ჰყვიან...“.

➤ 6888

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ერთსტროფიან ლექსს „მე ქვეყნად ძეგლი მინახავს ბევრი...“.

➤ 6889

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „კიდევ რამდენს, კიდევ რამდენს...“.

➤ 6890

1935

ივნისის შემდეგ



წერს უსათაურო სატირულ ლექსს „ჩვენს პოეტებს გაზაფხულზე...“.

➤ 6891

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გამარჯვება, პარიზო...“.

➤ 6892

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გულში მწუხარე ის მორევია...“.

➤ 6893

1935

ივნისის შემდეგ

იწყებს ლექსის წერას სათაურით „სიტროენი“ („ყრმობისას მდიდარ ბაღში შეველი...“), შემდეგ ასწორებს ტექსტს და ასათაურებს ასე: „მილიონებში ხელის მრეველი“.

➤ 6894

1935

ივნისის შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „რომ ქაოსიდან შექმნა წესრიგი...“ და მალევე წყვეტს.

➤ 6895

1935

ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „სადამო პარიზში...“, მოგვიანებით კი – მის ახალ ვარიანტს, სათაურით „გათიშვა კულტურასა და მასებს შორის“.

➤ 6896

1935

ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „პარიზის ჯურღმულებში“, შემდეგ გადაშლის პირველ სიტყვას და სათაურად რჩება „ჯურღმულებში“.

➤ 6897

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „შეხვედრა გემზე...“.

➤ 6898

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ჰგავდა კონგრესის კულუარები...“.

➤ 6899

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენს კომკავშირელს კი განაზრახი...“, მოგვიანებით კი – მის ახალ ვარიანტს სათაურით „შეხვედრა ბერლინში“.

➤ 6900

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მთვარით თითქო ედემია...“. სწორების შემდეგ ლექსს ასათაურებს ჯერ როგორც „თეზიკო“, შემდეგ კი – „პატარა დარიკო“.

➤ 6901

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ნახტომი ვის სჩვევია ვეფხვისთანა...“

➤ 6902

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „ნობათი“ („ლამდება, ღამის დღის შუქთან ბრძოლა...“).

➤ 6903

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „გაზაფხული“ („ნაკადულო, ნაკადულო...“).

➤ 6904

1935

**ივნისის შემდეგ**

რუსულ ენაზე წერს, რომ ზოგი პოეტი ხმას თავისუფლად არ გამოსცემს, თითქოს დახურული პირით მღერის, თავად კი ზოგჯერ არ ერიდება მკვეთრ, მაღალ, განმგმირავ ბგერებსაც კი. აღნიშნავს, რომ აკორდის ყველა ნოტი ერთდროულად უნდა გამოსცემდეს ხმას და რომ პოეზია უნდა ჟღერდეს უფრო მშვიდად, ნელა და დიდებულად.

➤ 6905

1935

**ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს თავისი ლექსის „მერი“ („შენ ჯვარს იწერდი...“) შესახებ. თავდაპირველად იხსენებს ერთ კურიოზს: ერთხელ ახალგაზრდებს ძალიან უქიათ ეს ლექსი ზაქარია ჭიჭინაძესთან, რაზეც ცნობილ მწიგნობარს უპასუხია, რომ ეს ლექსი სამცხე-ჯავახეთშიც ძალიან გავრცელებულია. როდესაც ჭიჭინაძემ წარმოთქვა ერთი ტაეპი ამ ლექსიდან: „მე რომ მოვკვდე, მე რისთვისა, გადამთიელ მერისთვისა“ ცხადი გახდა, რომ ის სულ სხვა ლექსზე საუბრობდა. ჩანაწერში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ სახელი „მერი“ მას არ გამოუფონია, მაგრამ ლექსის ობიექტად ქართულ სინამდვილეში პირველად მან შემოიტანა. ეს სახელი გვხვდება ბაირონის, შელის, პუშკინის, ლერმონტოვის ლირიკაში, ასევე ინგლისურ და ფრანგულ რომანებში, თუმცა არც ერთი პოეტის მერი არ ჰგავს ერთმანეთს. გალაკტიონი თვლის, რომ ბლოკის მერი სიმბოლური სახეა, მისი მერი კი – რომანტიკული. ამიტომ სცდებიან, როდესაც ცდილობენ, რომ აქ გალაკტიონზე ბლოკის გავლენა დაინახონ. ამავე ჩანაწერში პოეტი იგონებს, რომ ერთხელ ოპერის თეატრში „მერი“ ცოცხალ სურათებად დადგეს და მერის განასახიერებდა მსახიობი ნინო დავითაშვილი. იგი კვარცხლბეკზე იდგა, გალაკტიონი კი ქვემოთ და კითხულობდა ლექსს ანთებული შუშხუნების ფონზე. პოეტის თქმით, „მერი“ პირველად მის დაუკითხავად დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ და ძალიან მალე გახდა პოპულარული. როდესაც „არტისტულ ყვავილებში“ ავტორმა იგი მცირედი ცვლილებით

გამოაქვეყნა, საზოგადოებას, რომელმაც ლექსი ზეპირად იცოდა, არ მოეწონა და ამბობდა, ძველი ჯობდაო.

➤ 6906

1935

ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „შოთა რუსთაველი“.

➤ 6907

1935

ივნისის შემდეგ

თარგმნის ფედრუსის იგავ-არაკს „მგელი და ბატკანი“ და ბოლოში მიაწერს საკუთარ ორ სტროფს, რომლითაც მას თანამედროვეობასთან აკავშირებს.

➤ 6908

1935

ივნისის შემდეგ

დღიურში იწერს შელოცვის მოკლე-მოკლე ტექსტებს.

➤ 6909

1935

ივნისის შემდეგ

დღიურში წერს საბავშვო ლექსებს საერთო სათაურით „კაკლის ხის ფოთლებიდან“.

➤ 6910

1935

ივნისის შემდეგ

წერს ლექსს სათაურით „ეიფელის კოშკზე“.

➤ 6911

1935

ივნისის შემდეგ

რუსულად წერს ორ ფრაზას პორტ პირველი მაისის შესახებ.

➤ 6912

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „თანაბარს მრავალს ანბანს...“.

➤ 6913

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ექვსი საათია, საცაა ლაჟვარდი...“.

➤ 6914

1935

ივნისის შემდეგ

ფრიდრიხ შილერის „ვილჰელმ ტელის“ შთაგონებით წერს ლექსს „ვილჰელმ ტელლი, აქტი მეოთხე“ („რა საშინელი ტალღები...“), შემდეგ კი სათაურს გადახაზავს.

➤ 6915

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ცხოვრება არის ხმოვანი კინო...“

➤ 6916

1935

ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს საკუთარ ლექსს „აკაკის ლანდი“ და ასწორებს ცალკეულ სტრიქონებს.

➤ 6917

1935

ივნისის შემდეგ

წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსს „ულევი, უანგარიშო...“.

➤ 6918

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „როგორ სწოვდა ცოცხალ ბაგეს...“.

➤ 6919

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „დროს, რომელიც იყო, გაჰქრა...“.

➤ 6920

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ახალი გზა ეკონება...“.

➤ 6921

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „დღეებს, ამხანაგო სტალინ...“.

➤ 6922

1935

ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს ცნობას, რომ ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ზეინკალი გიორგი ქველაშვილი ჩაის მანქანის დეტალებს ორი-სამი საათის ნაცვლად 7-8 წუთში ამზადებს.

➤ 6923

1935

ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ქველაშვილმა აითვისა...“.

➤ 6924

1935

ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს ცნობას, რომ სტალინის სახელობის მაღაროს მუშამ გრიგოლ გიორგაძემ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში თვიური დავალება 296 პროცენტით შეასრულა.

➤ 6925

**1935**

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გიორგაძე გრიგოლ, შრომის...“.

➤ 6926

**1935**

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მიდის დღე-ღამ თავდადებით...“.

➤ 6927

**1935**

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მოხუცს ქუდი წარბზე ხურავს...“.

➤ 6928

**1935**

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „საქართველოს გზას მრავალფერს...“.

➤ 6929

**1935**

**ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს მიმართვას იოსებ სტალინისადმი, რომელშიც აღნიშნავს, რომ მის გულში ღრმად აღიბეჭდა სტალინის სიტყვები კადრებისადმი სათუთ მოპყრობაზე. მიუთითებს, რომ სწორედ სტალინის ზრუნვამ აღზარდა ათობით ათასი მოწინავე მებრძოლი სოციალისტური მშენებლობისა, იზრდება და ფართოვდება სტახანოვური მოძრაობა. ყოველი დღე აღინიშნება სტახანოვური რეკორდებითა და გამარჯვებებით.

➤ 6930

**1935**

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მტერს ეგონა, ჩვენი კარი...“.

➤ 6931

**1935**

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დიდო სტალინ, გვაბინადრებს...“.

➤ 6932

**1935**

**ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ჭიათურის მარგანეცის მადნის მუშამ, ვასილ სამხარაძემ თვიური ნორმა 268 პროცენტით შეასრულა.

➤ 6933

**1935**

### ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „იცნობს ჭიათურის ბორცვებს...“.

➤ 6934

1935

### ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს ცნობას, რომ ბათუმის ნავთგამომხდელი ქარხნის მუშა, დომენტი სალუქვაძე აჭარბებს ნავთის გაწმენდის ნორმას და უზრუნველყოფს წელიწადში 2.100 ტონა ბენზინის მიღებას.

➤ 6935

1935

### ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სალუქვაძემ საქმის ჟინი...“.

➤ 6936

1935

### ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს ცნობას, რომ სოციალისტური შრომის ნაყოფიერების უმაღლეს დონეს მიაღწიეს სტალინის სახელობის ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის სტახანოველმა მუშებმა: გეწაძემ, რუხაძემ, ჯანვერდაშვილმა, მამულაშვილმა, ასევე ბერიას სახელობის ვაგონების შემკეთებელი ქარხნის სტახანოველმა მუშებმა: ეკალაძემ, ხალიაპინმა და ჯაგაევმა.

➤ 6937

1935

### ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მათ გვიჩვენეს უდიდესი...“.

➤ 6938

1935

### ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მდინარე რიონი, რომელიც აჭაობებდა ქალაქ ფოთს და მკირფასი კულტურებისათვის გამოსადეგ მიწებს, ამიერიდან ახალი კალაპოტით წავა.

➤ 6939

1935

### ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში რუსულად აკეთებს ჩანაწერს „მეათე საუკუნის სამწიგნობრო ენა“, რომელშიც აყალიბებს მითითებებს, თუ რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ძველი ქართული ენის შესწავლისას. გეგმავს დააკვირდეს ძველი ქართული ენის სტილს, სიტყვათშეთანხმებებს, სასვენიშნებს, აპოსტროფებს, შემაერთებელ ნიშნებს და მეათე საუკუნის ქართული ენის გრამატიკას თანამედროვე ქართულის გრამატიკასთან მიმართებით.

➤ 6940

1935

### ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ცალკეული ქართული სიტყვების არქაულ ფორმებს და გვერდით უთითებს რუსულ შესატყვისებს.

➤ 6941

1935

**ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ქართველ მხატვართა და კომპოზიტორთა სიას.

➤ 6942

1935

**ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ აპირებს პიანინოს შეძენას.

➤ 6943

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო იუმორისტულ ლექსს „საქართველოს დიდება...“.

➤ 6944

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „შემოსილი მძიმე ღრუბლით, გერეოდა მარად მუმლი...“.

➤ 6945

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს ლექსს „საღამო პარიზში...“.

➤ 6946

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჰყვება უცნობი, თუ გერმანიის...“.

➤ 6947

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მაშინ, ქიმერავ, სხვა გზა არ არის...“.

➤ 6948

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დაბლა ჰყრია ქვა და გუნდა...“.

➤ 6949

1935

**ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სიყვითლით და დაობებით...“.

➤ 6950

1935

**ივნისის შემდეგ**

ვასილ კიკვიძისადმი მიძღვნილ ლექსს „მე-16 მსროლელი დივიზია“ („უმცროსმა ჩემზე...“)  
გადაამუშავებს და უძღვნის ფრანგ პოეტს ანდრე მალროს.

➤ 6951

1935

### იენისის შემდეგ

ჩადის ბორჯომში, მაგრამ სასტუმროში თავისუფალი ნომრები აღარ არის და დგას საშიშროების წინაშე, რომ ღამით ქუჩაში დარჩეს. მისი ერთ-ერთი თანმხლები ადმინისტრატორს სთხოვს, რომ გალაკტიონ ტაბიძისთვის როგორმე თავისუფალი ნომერი გამოიხსნოს. პოეტის სახელის გაგონებაზე იქ მდგომი ახალგაზრდა გიორგი მანია იმიზეზებს, რომ გადაიფიქრა ბორჯომში დარჩენა და თავის ნომერს გალაკტიონს უთმობს. პოეტი ჯერ უარობს, მაგრამ ჭაბუკის დაჟინებული თხოვნის შემდეგ თანხმდება, ეცნობა ახალგაზრდას და ეკითხება იცნობს თუ არა მის პოეზიას და რომელი ლექსები მოსწონს. მანია ქალაქის სკვერში ათენებს ღამეს და დილით პარკში შემთხვევით ისევ ხვდება გალაკტიონს, რომელიც უმაღლვე სცნობს კეთილისმყოფელს, კიდევ მაღლობას უხდის და მოტყუებისთვის საყვედურობს. უამბობს თავის სიყმაწვილეზე, პარიზის კონგრესში მონაწილეობაზე. შემდეგ აძლევს თავის მისამართს და სთხოვს თბილისში აუცილებლად ეწვიოს.

➤ 6952

1935

### იენისის შემდეგ

ესაუბრება ფატი დიდიას, რომელსაც აინტერესებს ვინ იყო მერის პროტოტიპი. გალაკტიონი ჯერ თავს იკავებს საუბრისგან, შემდეგ კი პასუხობს, რომ ეს ლექსი ვინმეს გავლენით დაწერილი არ არის და რომ პოეტი ასეთ ნაწარმოებს პირადი განცდის გარეშე ვერ შექმნის. კითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა, რომ მერის პროტოტიპი ვინმე, პირობითად, თამრო ყოფილიყო, ამბობს, რომ კი. როდესაც ფატი დიდია არ ეშვება და სურს გაიგოს მერიზე დაწერილი ლექსებს აქვს თუ არა კავშირი მერი შერვაშიძესთან, გალაკტიონი ადასტურებს, რომ კი და მათ შორის პარიზში დაწერილ ლექსთანაც. შემდეგ დასძენს, რომ ლექსის „მერი“ გამოსვლისთანავე არ ასვენებდნენ კითხვებით, ვინ იგულისხმებოდა მასში. ის კი პასუხობდა, რომ მერი მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო. ბევრი მაინც არ უჯერებდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქალბატონი ხმას ავრცელებდა, რომ ლექსი მას ეძღვნებოდა და გალაკტიონსაც ერიდებოდა ამის უარყოფა.

➤ 6953

1935

### იენისის შემდეგ

წერილს იღებს ანატოლი კრუინოვისგან. სთხოვს, რომ რუსული გაზეთებისთვის „სოვეტსკოე ისკუსტვო“ და „ლიტერატურნაია პრავდა“ დაწეროს თავისი შთაბეჭდილებები პარიზის კონგრესის შესახებ. აინტერესებთ მისი შენიშვნები იქ ნანახი ფილმების, სპექტაკლებისა და გამოფენების შესახებ. სწერს, რომ მეორე დილით 10 საათისთვის ელოდება.

➤ 6954

1935

### იენისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვინც ევროპას გავამგზავრეთ...“.

➤ 6955

1935

### იენისის შემდეგ

წერს ლექსს „პოეზიის შემოსავლიანობა“.

➤ 6956

1935



## 6 ივლისი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ რუსი მწერალი ანნა კარავაევა ცდილობს მის გაზიარებას სხვადასხვა ხერხით და ძალზე ბოროტი, პროვოკატორი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს. გალაკტიონი გეგმავს, რომ მასთან ურთიერთობაში მოიქცეს რუსული ანდაზის მიხედვით: რუსს სანამ არ სცემ, მეგობრად არ გაგიხდებაო.

➤ 6957

1935

## 8 ივლისამდე

პარიზიდან საქართველოსკენ მომავალი ჩერდება ბერლინში, სადაც წერს ლექსს „სადღაც კი...“.

➤ 6958

1935

## 8 ივლისი

პარიზიდან საქართველოსკენ მგზავრობისას გაჩერებულია ბელორუსიის დასახლება ნეგორელოეში, როდესაც მასთან ოთახში მწერალ ვსევოლოდ ივანოვს შეჰყავს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს წარმომადგენელი ბერლინში, უფროსი მაიორი ბორის გორდონი. ეს უკანასკნელი უყვება გრიგოლ რობაქიძის ცოლის – ელენე ფიალკინას ვიზიტზე მასთან. ფიალკინას უთქვამს, გრიგოლმა იცოდა კონგრესში გალაკტიონის მონაწილეობის შესახებ და იმედი ჰქონდა, რომ ბერლინში გავლისას ინახულებდა მასო, რაზეც. გორდონს უპასუხია, გალაკტიონს არავითარი კავშირი არ აქვს რობაქიძის პოლიტიკურ პოზიციასთან და ალბათ ამიტომ არ ინახულაო. ელენე ფიალკინას გორდონისთვის ასევე მოუყოლია, რომ მის ქმარს ძალიან უნდოდა საქართველოში დაბრუნება და დაჟინებით ითხოვდა მისთვის საბჭოთა პასპორტის მიცემას. ასევე უთქვამს, რომ ის მთლიანად მისტიკაშია გადავარდნილი და 1936 წლის 1 იანვარს ბერად აღკვეცას აპირებს. მატერიალურად ძალიან უჭირდათ, გრიგოლი წიგნებიდან მიზერულ შემოსავალს იღებდა, ელენას კი უხდებოდა საცვლების კერვა, რომ რაღაცით მაინც ერჩინათ თავი. გორდონი გალაკტიონ ტაბიძეს ასევე ესაუბრება გრიგოლ ლორთქიფანიძეზე, რომელსაც ჯერ კიდევ ციმბირიდან იცნობს და ამბობს, რომ ის ნამდვილი საბჭოთა ადამიანია.

➤ 6959

1935

## 8 ივლისი ან შემდეგ

წერს ლექსს „ნეგორელოე“.

➤ 6960

1935

## 8-12 ივლისი

იმყოფება მოსკოვში და კმაყოფილია ადგილობრივთა დახვედრით.

➤ 6961

1935

## 15 ივლისი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ ღმერთმა დაიფაროს, ვინმემ კარგად ჩაცმულმა გაიაროს მოსკოვის გარეუბნებში. ხალხი მაშინვე დაიწყებს ყვირილს: „პოეტი, პოეტი!“ ამას რუსი ბოჰემელების გავლენას უკავშირებს, რომლებიც გარეუბნებს აფარებენ თავს.

➤ 6962

1935

## 15 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „კაცი, რომელიც დაჰყრის იარაღს...“.

➤ 6963

1935

15 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მსურს მოვიგონო ავადმყოფობა...“.

➤ 6964

1935

15 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მე ხომ აქ ვყოფილვარ, მე ხომ ეს მინახავს...“.

➤ 6965

1935

15 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ამ ბაღში ოცი წლის წინად...“.

➤ 6966

1935

15 ივლისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ალექსანდრ შჩერბაკოვის სიტყვებს პარიზის ანტიფაშისტური კონგრესის არსისა და მნიშვნელობის შესახებ.

➤ 6967

1935

15 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „წახვალ, მაგრამ რით?...“.

➤ 6968

1935

15 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „თვით აღარ ვიცი...“.

➤ 6969

1935

15 ივლისის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერებს პარიზის მწერალთა ანტიფაშისტურ კონგრესის შესახებ.

➤ 6970

1935

15 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ერთსტროფიან ლექსს „ვიყავ უცხო მოყმე ვინმე“.

➤ 6971

1935

15 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ერთსტროფიან ლექსს „როგორ თავს არ გადააგდებს“.

➤ 6972

1935

## 15 ივლისის შემდეგ

წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსს „შუადამით მოკვივარო ჭოტო“.

➤ 6973

1935

## 15 ივლისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს რუსი პოეტის ვიტალი ლაზარევის ლექსს თბილისზე.

➤ 6974

1935

## 18 ივლისამდე

მოსკოვში გამოდის მოხსენებით პარიზში გამართული კულტურის დაცვის კონგრესის შესახებ. დასაწყისში მოკლედ მიმოიხილავს ქართული მწერლობის ისტორიას და საუბრობს თანამედროვე ლიტერატურაზე. გარდა ამისა, ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, თუ რაოდენ შთამბეჭდავად იყო წარმოდგენილი საბჭოთა დელეგაცია ანტიფაშისტურ კონგრესზე. აღნიშნავს იმასაც, რომ საფრანგეთში ყოფნისას არაერთი უცხოელი მწერალი გაიცნო. პოეტი საზოგადოებას უზიარებს პარიზულ შთაბეჭდილებებს და ეუბნება, რომ ამ შთაბეჭდილებების შესახებ წიგნს წერს, რომელიც მალე გამოქვეყნდება.

➤ 6975

1935

## 21 ივლისი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ კრებამ მოიწონა საბჭოთა დელეგაციის საქმიანობა კონგრესზე.

➤ 6976

1935

## 21 ივლისი

იმყოფება მოსკოვში და უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ილია ზდანევიჩს ხუთასი ფრანკი აქვს შემოსავალი და არ ჰყოფნის.

➤ 6977

1935

## 30 ივლისი

გაზეთ „კომუნისტში“ აქვეყნებს ლექსს „ორდენოსან სამშობლოსათვის“.

➤ 6978

1935

## ივლისი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მე არ ვიცი იმდარი ელისეის მინდორი...“.

➤ 6979

## ა გ ვ ი ს ტ ო

1935

## 4 აგვისტო

პარიზსა და მოსკოვში მოგზაურობის შემდეგ ბრუნდება თბილისში სუფთად და ელეგანტურად გამოწყობილი. ჩემოდნიდან ალაგებს წიგნებს, მათ შორის, ილია ერენბურგისა და ანდრე მალროს წარწერებით, ოლია ოკუჯავასთვის ნაყიდ ბრწყინვალე საათს და მათ საოცნებო პატარა საბეჭდ მანქანას. ჰყვება უამრავ ახალ ამბავს.

➤ 6980

1935

#### **4 აგვისტოს შემდეგ**

თბილისში დაბრუნებული გალაკტიონი ასრულებს ავეტიკ ისაკიანის თხოვნას, მიდის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, გადასცემს მის თხოვნას და გამოხატავს მხარდაჭერას. თავად სომეხი პოეტიც ყველაფერს აკეთებს დასაბრუნებლად და ბოლოს მართლაც ბრუნდება. თავიდან გალაკტიონთან კარგი ურთიერთობა აქვს, მაგრამ შემდეგ თავის დაფასებას იწყებს.

➤ 6981

**1935**

#### **11 აგვისტო**

ოლია ოკუჯავა უტოვებს წერილს, რომ წავიდა თელასში მრიცხველის საკითხზე და ნათურების საყიდლად. სთხოვს, მოხსენებისთვის მზადება სახლში მისვლისთანავე დაიწყოს და ჰპირდება, რომ მალე დაბრუნდება.

➤ 6982

**1935**

#### **16 აგვისტო**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს ვინმე იაშვილის შესახებ, რომელიც მას უცერემონიოდ მიუჯდა გვერდით და უყვებოდა, რომ მისი ცოლი ოკუჯავების ახლობელია და ოლია ოკუჯავა მის ხელშია გაზრდილი, თავად კი რაიონის ფინანსური ინსპექტორი და ამავდროულად პაოლო იაშვილის ნათესავია. ამ ვითომდა ახლობელს საუბარში ავიწყდება გალაკტიონის სახელი და პოეტი ფიქრობს, რომ „ძალათ მაცხოვნეს ტიპია“.

➤ 6983

**1935**

#### **ზაფხულის მეორე ნახევარი**

ისვენებს წყალტუბოში.

➤ 6984

**1935**

#### **ზაფხულის მეორე ნახევარი**

წყალტუბოდან მიდის ქუთაისში ნაცნობი ქალის დაკრძალვაზე, სასაფლაოდან კი შეივლის გაზეთის „სიტყვა და საქმე“ რედაქციაში, სადაც ხვდებიან იქ მომუშავე ნიკა აგიაშვილი, იმხანად მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე მამია ასათიანი და სხვა მწერლები. კარგახანს საუბრობენ და დავით ბახტაძე უღებთ სურათს. რედაქციიდან გამოსულ გალაკტიონს სურათს უღებენ მარტოსაც, ხის ქვეშ.

➤ 6985

**1935**

#### **ზაფხულის მეორე ნახევარი**

ქუთაისის გაზეთის „სიტყვა და საქმე“ რედაქციის თანამშრომლები საღამოს ჰპატივებენ რესტორანში „აზიური“ და კარგად მოიღებენ. სუფრას მსახიობი იუზა ზარდალიშვილი თამადაობს და როდესაც ის გალაკტიონის აკაკისადმი მიძღვნილ ლექსს კითხულობს, პოეტს გული უჩუყდება. ის გადაეხვევა თამადას და სამადლობელს აღტაცებით სვამს. ვახშმობის შემდეგ პარმენ შელეგიას და რედაქციის თანამშრომლებს გალაკტიონი მანქანით მიჰყავთ წყალტუბოში.

➤ 6986

**1935**

#### **ზაფხულის მეორე ნახევარი**

შეხვედრას უწყობენ ქუთაისის სახელმწიფო თეატრში, რომელზეც კითხულობს ლექსებს: „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „მთაწმინდის მთვარე“ და „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

➤ 6987

## სექტემბერი

1935

### 4 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს, რომ ჟორესის ქუჩაზე ცხოვრება ჰგავს არა სახლში, არამედ რკინიგზის მოძაგმაგე ვაგონში ცხოვრებას, ხოლო აქ მუშაობა – გემის კაიუტაში მუშაობას. ამ ქუჩაზე დასვენება ისევე შეიძლება, როგორც დანტეს ჯოჯოხეთში. ამ ქუჩაზე ვისაც სძინავს, აუცილებლად შფოთიან სიზმრებს ხედავს და ქუჩის ხმაურისგან ძილში იკლავება.

➤ 6988

1935

### 5 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „პარიზი მაინც მე არ მესმის! ის ვერ გავიგე...“.

➤ 6989

1935

### 5-6 სექტემბერი

ფანჯრიდან იყურება ეზოში. ხედავს, რომ დემნა შენგელაიასთან დიდი სუფრაა გამლილი. სტუმართა შორის ამჩნევს ირაკლი აბაშიძეს, ალიო მირცხულავას, სიმონ ჩიქოვანს, მიკოლა ბაჟანს, ტიციან ტაბიძეს, ასევე უცნობ ქალებს. ხედავს, რომ სუფრაზე ხელჩართული ჩხუბი იწყება და დღიურში წერს, რომ „ჭუჭყიანი საზოგადოება“ შეკრებილი.

➤ 6990

1935

### 5-6 სექტემბერი

შუალამისას აღვიძებს ხმამაღალი ძახილი ქუჩიდან. ვიღაც მთვრალი ხმამაღლა ყვირის, რომ იგი გალაკტიონს არ აღიარებს. გალაკტიონი საწოლიდან დგება და ფანჯარაში იხედება. ხედავს თეთრ პიჯაკსა და შარვალში გამოწყობილ კაცს, რომელთანაც ცოტა ხანში მეორე, შავებში გამოწყობილი პირი მიდის. პოეტს ესმის იმავე ხმის ნათქვამი: „ქუჩიშვილი ნამირალაა... ასევე გალაკტიონიც... ოჰ, გენიოსი... არ ვაღიარებ“. გალაკტიონი ასკვნის, რომ უცნობი ძალიან აღელვებულია. იგი განაგრძობს ყვირილს: „გალაკტიონი და ქუჩიშვილი სხვებს ოჯახებში უვარდებიან, თავად კი კარს არავის უღებენ“. გალაკტიონი ასკვნის, რომ უცნობები ინტელიგენციის წრიდან არ უნდა იყვნენ. ვარაუდობს, რომ ან მოგზავნილები არიან, ან გიორგი ქუჩიშვილს მოუხდა სადმე უსიამოვნება და ახლა სამაგიეროს უხდიან. პოეტს აფიქრებს ის, რომ მის სახელს ქუჩიშვილთან აკავშირებენ. გაკვირვებულია უცნობის ნათქვამის გამო, რადგან მას არ ახასიათებს ოჯახებში ძალით შეჭრა. არ გამორიცხავს, რომ შეიძლება ეს უსიამოვნება მეზობლების მიერაა მოწყობილი. ღელავს იმის გამო, რომ ეს ამბავი უცებ გავრცელდება.

➤ 6991

1935

### 6 სექტემბერი

წერს ლექსს „ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე“.

➤ 6992

1935

### 6 სექტემბერი

დილით ესაუბრება საწყობის დარაჯს, რომელიც, მისი აზრით, შუალამისას შეესწრო ფაქტს, თუ როგორ ლანძღავდნენ უცნობები გალაკტიონსა და გიორგი ქუჩიშვილს. ეკითხება, საიდან მოვიდნენ ისინი, რაზეც დარაჯი პასუხობს, რომ არავინ დაუნახავს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ დარაჯი ურცხვად იტყუება და სინამდვილეში ყველაფერი დაინახა.

➤ 6993

1935

**6 სექტემბერის შემდეგ**

წერს ლექსს „ოცნებათა შემოწმება“.

➤ 6994

1935

**6 სექტემბერის შემდეგ**

წერს ლექსს „სტრიქონები“.

➤ 6995

1935

**6 სექტემბერის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ფარეხიდან რომ გამოდიან თეთრი ბატკნები...“.

➤ 6996

1935

**6 სექტემბერის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მონმარტრზე სადაც სნეული...“.

➤ 6997

1935

**6 სექტემბერის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჟღერს ჩემი ბინა...“.

➤ 6998

1935

**8 სექტემბერი**

წერილს იღებს გიორგი ბებუთოვისგან. უგზავნის ნუსხას იმ ლექსების თარგმანებისას, რომლებიც მას მოეპოვება. სთხოვს, მიუწეროს დაწერის თარიღები და დართოს ნება, რომ წიგნში მასალა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგოს. სთხოვს, გაუგზავნოს ელენე შერის თარგმანები. აცნობებს, რომ წიგნს ასოთამწყობს გადასცემს 15 სექტემბერს.

➤ 6999

1935

**9 სექტემბერის შემდეგ**

რუსულ ენაზე იბეჭდება წიგნი „საქართველოს პოეტები“, რომელშიც ქვეყნდება ნიკოლაი ტიხონოვის მიერ თარგმნილი ნაწყვეტები გალაკტიონის პოეტური ციკლებიდან „ეპოქა“ და „რევოლუციონური საქართველო“. ამავე კრებულის წინათქმამში ნიკოლო მიწიშვილი თანამედროვე ქართულ პოეზიაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ქართველი პოეტების მნიშვნელოვანი ნაწილი წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური განწყობილებებიდან მივიდნენ ოქტომბერთან და შემდეგ ჩადგნენ საბჭოთა ლიტერატურის ავანგარდში. მაგალითად დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 7000

1935

**10 სექტემბერი**

ოლია ოკუჯავა დღიურში იწერს, რომ გალაკტიონის მიერ მწერალთა სასახლეში წაკითხული მოხსენება პარიზის ანტიფაშისტური კონგრესის შესახებ იყო პოეტის ტრიუმფი. მან საათზე მეტ

ხანს ისაუბრა ბრწყინვალედ, ღრმად, მხატვრულად და ცოცხლად. დამსწრეები უსმენდნენ სიყვარულითა და აღტაცებით.

➤ 7001

1935

### 10 სექტემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის განცხადება, რომლის მიხედვითაც, 10 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში საქართველოს სახალხო პოეტი, პარიზის საერთაშორისო კონგრესის დელეგატი – გალაკტიონ ტაბიძე კითხულობს მოხსენებას თემაზე „კულტურის დაცვის საერთაშორისო კონგრესი პარიზში“.

➤ 7002

1935

### 10 სექტემბერი

პარიზის ანტიფაშისტური კონგრესიდან დაბრუნების შემდეგ საკუთარი შთაბეჭდილების შესახებ მწერალთა სასახლეში კითხულობს მოხსენებას. აცხადებს, რომ დაიწყო ლექსების ციკლის წერა მოგზაურობის შთაბეჭდილების შესახებ. მწერალთა კითხვაზე თუ რომელი ქართველი მწერალი ახსენა კონგრესზე, პასუხობს, ყველა მოგიხსენეთ, ვინც აქ ხართ.

➤ 7003

1935

### 12 სექტემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება, რომლის მიხედვითაც, ავკალაში 13 სექტემბერს საღამოს 6 საათზე უნდა მოეწყოს საბჭოთა მწერლების შეხვედრა წითელარმიელებთან. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ: გალაკტიონ ტაბიძე, ალიო მაშაშვილი, ნოე ზომლეთელი, გიორგი ქუჩიშვილი, ვასილ გორგაძე, ირაკლი აბაშიძე, არჩილ ჩაჩიბაია, ვიქტორ გაბესკირია და ბესარიონ ჟღენტი.

➤ 7004

1935

### 13 სექტემბერი

შალვა ოკუჯავა ნიჟნი ტაგილიდან, სადაც ის ქალაქკომის პირველი მდივანია, წერილს უგზავნის თავის უფროს დას ოლიას. მოიკითხავს გალაკტიონს, წერს, რომ მოენატრა მისი ხმა, სურს მიიწვიოს და ურალის ტყეებში აახმიანოს მისი ლექსები.

➤ 7005

1935

### 13 სექტემბერი

არედაქტირებს ლექსს „მალროს“ და სათაურად ამღევს „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“.

➤ 7006

1935

### 13 სექტემბერი

მწერალთა კავშირი აწყობს მწერლების შეხვედრას ფრუნზეს სახელობის დივიზიასთან. ღონისძიებაში მონაწილე მწერლები: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ალიო მაშაშვილი, ნოე ზომლეთელი, ბესარიონ ჟღენტი, ვასილ გორგაძე და არჩილ ჩაჩიბაია დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსთან – პლატონ მიროტაძესთან ერთად ათვალიერებენ მეგრძოლთა საგამოფენო-საჩვენებელ კარვებს და ბიბლიოთეკას. ამის შემდეგ ეწყობა შეხვედრა მეგრძოლებთან. ღონისძიებაზე მოხსენებას კითხულობს ბესარიონ ჟღენტი, საკუთარ ნაწარმოებებს კითხულობენ პოეტები, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძე. შეხვედრის დასასრულს

მწერლები იღებენ თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის შექმნისა და წითელ არმიასთან უფრო ახლო ურთიერთობის დამყარების ვალდებულებას.

➤ 7007

## ოქტომბერი

1935

17 ოქტომბერი

ავადმყოფობის გამო მინდობილობას უწერს ოლია ოკუჯავას, რომ მან აიღოს მისი ჰონორარიდან კუთვნილი თანხა.

➤ 7008

1935

22 ოქტომბერი

თავისი ნაცნობი მხატვრის შვილს, სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტ ვიკა მარიაშს ალბომში უწერს ექსპრომტს „ჩემო კარგო ვიკა...“.

➤ 7009

1936 ან ადრე

29 ოქტომბერი

ოლია ოკუჯავა სახლში უტოვებს წერილს, რომ ღვინო არ იყო, 18 კაპიკად იყიდა მეორე დღისთვის სადილის პროდუქტები, შემდეგ სახლში მოიყვანა ბოთლების ჩამზარებელი, ჩააბარა 14 მანეთის და 28 კაპიკის ბოთლები. 2 მანეთად იყიდა კარტოფილი და დანარჩენი თანხა დაიტოვა გალაკტიონისთვის მისაცემად.

➤ 7010

1935

30 ოქტომბერი

ოლია ოკუჯავასთან ერთად იხდის მეეზოვისა და წყლის თანხას – 7 მანეთსა და 60 კაპიკს, და პურის ფულიც არ რჩებათ.

➤ 7011

1935

30 ოქტომბერი

ინტერვიუსთვის აძლევს წერილობით პასუხებს საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს (ტასს) თანამშრომელს ზოგადად ქართული პოეზიისა და თავისი წარსული, თანამედროვე და მომავალი მოღვაწეობის შესახებ.

➤ 7012

1935

30 ოქტომბერი

ოლია ოკუჯავასთან ერთად გზად ხვდება შამშე ლეჟავას, რომელიც ძალიან სთხოვს მონაწილეობის მიღებას რაჭის გზის გახსნის ღონისძიებაში და ჰპირდება მანქანის გაგზავნას.

➤ 7013

1935

30 ოქტომბერი

პატიჟებენ მის პატივსაცემად გურჯაანში 2 ნოემბრისთვის დაგეგმილ სადამოხე.

➤ 7014

1935

30 ოქტომბერი



გურჯაანში, სადაც 2 ნოემბერს მის პატივსაცემად უნდა გაიმართოს საღამო, გზავნის დეკემას.

➤ 7015

**1935**

**ოქტომბერი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება სია „ახალი წიგნები“, რომელშიც შეტანილია გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომი.

➤ 7016

## ნოემბერი

**1935**

**2 ნოემბერი**

საგარეჯოში იმართება გალაკტიონისადმი მიძღვნილი საღამო.

➤ 7017

**1935**

**3 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ საერთო სათაურით „რაზე მუშაობენ ჩვენი მწერლები“ იბეჭდება საუბარი მიხეილ ჯავახიშვილთან, გალაკტიონ ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან, შალვა დადიანსა და ტიცვიან ტაბიძესთან. მწერლები მსჯელობენ თავიანთი შემოქმედებითი მიღწევებისა და სამომავლო გეგმების შესახებ. გალაკტიონი ამბობს, რომ იგი სამ ახალ წიგნზე მუშაობს. პოეტის თქმით, პირველი წიგნი, 600 გვერდიანი კრებული, ოქტომბრის რევოლუციის 18 წლისთავს მიემდვნება და ასახავს საბჭოთა ხალხის დიადი ბრძოლის სიმწვლეებს და კოლოსალურ მიღწევებს. მეორე წიგნი საქართველოს გასაბჭოების 15 წლისთავს მიემდვნება და გააერთიანებს გალაკტიონის მიერ 15 წლის მანძილზე შექმნილ პოემებს, მათ შორის, „ზაკესსა“ და „რიონჭესს“. მესამე წიგნი, რომელზეც პოეტი ამჟამად მუშაობს, მისი, როგორც პარიზის კონგრესის დელეგაციის წევრის შთაბეჭდილებებს გააერთიანებს.

➤ 7018

**1935**

**3 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება, რომლის მიხედვითაც, 4 ნოემბერს ამავე გაზეთის რედაქციაში ეწყობა მწერალთა თათბირი. იმ ავტორთა შორის, რომლებიც აუცილებლად უნდა დაესწრონ თათბირს, დასახელებულია საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 7019

**1935**

**5 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება, რომლის მიხედვითაც, 6 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში იმართება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავდაცვითი ლიტერატურის სექციის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ: პლატონ მიროტაძე, პაოლო იაშვილი, არჩილ ჩაჩიბაია, ალექსანდრე გომიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ალიო მამაშვილი, ნოე ზომლეთელი და გიორგი ქუჩიშვილი.

➤ 7020

**1935**

**14 ნოემბერი**

„სალიტერატურო გაზეთში“ იბეჭდება ლექსების ციკლი სათაურით „ორთქმავალი რკინის-გზის შემკრებ, ჩამომსხმელ და სამჭედლო ცეხიდან ესალმება მე-14 ოქტომბერს“.

➤ 7021

1935

**16 ნოემბერი**

სახელგამიდან ჰონორარის სახით იღებს 245 მანეთს.

➤ 7022

1935

**16 ნოემბერი ან შემდეგ**

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატიიდან აკეთებს ამონაწერებს, თუ როგორ ებრძვიან ხმაურს ნიუ-იორკში.

➤ 7023

1935

**17 ნოემბერი**

საქართველოს მომარაგებას უხდის შეშის თანხას – 215 მანეთს, ყიდულობს სიგარეტს და პროდუქტებს. სულ ეხარჯება 275 მანეთი.

➤ 7024

1935

**17 ნოემბერი**

დილიდან შუადამემდე სტუმრობს ცოლისძმა ვასილ ოკუჯავა.

➤ 7025

1935

**18 ნოემბერი**

დილიდან შუადამემდე სტუმრობს ცოლისძმა ვასილ ოკუჯავა. გალაკტიონი შეწუხებულია ვასილის, მისი თანმხლები მარგარიტას და ოლიას ქცევით და იმით, რომ სტუმრების გამო სახლიდან გასვლას ვერ ახერხებს.

➤ 7026

1935

**20 ნოემბერი**

გალაკტიონის თხოულებების მეორე ტომის 10 ეგზემპლარი მიაქვთ მთავლიტში ვალერიან ლუარსაძისთან. გალაკტიონს გამომცემლობაში ეუბნებიან, რომ საავტორო ეგზემპლარები გადაეცემა 23 ნოემბერს.

➤ 7027

1935

**21 ნოემბერი**

გალაკტიონის თხოულებების მეორე ტომს გამომცემლობაში ეცნობიან გიორგი ქუჩიშვილი და პეტრე სამსონაძე, რომლებსაც გალაკტიონი ატყობს ახალი გამოცემით დაინტერესებას.

➤ 7028

1935

**21 ნოემბერი**

მოკლე ბარათს იღებს ლავრენტი ძიძიგურისგან. სწერს, რომ ხელფასისა და ჰონორარის დაგვიანების გამო იძულებულია სთხოვოს 50 მანეთის სესხება.

➤ 7029

1935

**24 ნოემბერი**

გალაკტიონის თხოვლებების მეორე ტომის ტირაჟის ნაწილი სტამბიდან გადააქვთ საწყობში და პოეტი ელის ცნობას მთავლიტიდან.

➤ 7030

1935

### 25 ნოემბერი

რუსულ ენაზე აკეთებს ჩანაწერს სიმფონიური ორკესტრის შესახებ. მიუთითებს, რომ უცნაურია, როდესაც კონცერტის დროს თავისი მოვალეობის ბრწყინვალედ შემსრულებელი მუსიკოსების მაგივრად ოვაციას იმსახურებს საშუალო ნიჭის მომღერალი. ფიქრობს, რომ ასე არ შეიძლება. სიმფონიურ კონცერტზე საერთოდ არ არის მომღერლების ადგილი, რადგან როდესაც ის სიმღერას იწყებს, იგრძნობა მუსიკოსთა ენთუზიაზმის განელება საკუთარი საქმისადმი.

➤ 7031

## დეკემბერი

1935

### 3 დეკემბრამდე

უბის წიგნაკში იწერს საფლავის ქვებზე არსებულ ლექსებსა და ეპიტაფიებს.

➤ 7032

1935

### 3 დეკემბერი

ბესარიონ ჟღენტი მწერალთა სხდომაზე კითხულობს მოხსენებას მიმდინარე წლის ლიტერატურული მოსავლის შესახებ და არ ახსენებს გალაკტიონს, რის გამოც მწერლები საყვედურს ეუბნებიან. ჟღენტი თავს იმით იმართლებს, რომ წელს გალაკტიონს არაფერი დაუწერია. პასუხობენ, რომ ვინც დაწერა, დიდად არ ვარგა, ამასთანავე, წელს გალაკტიონის წიგნი გამოვიდა. ჟღენტი ამბობს, რომ წიგნი ჯერ არ უნახავს.

➤ 7033

1935

### 3 დეკემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს იმის შესახებ, რომ სახელმწიფო გამომცემლობაში კოლაუ ნადირაძეს, სიმონ ჩიქოვანს, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ქუჩიშვილსა და დავით გაჩეჩილაძეს შორის ჩამოვარდნილა საუბარი, რომლის დროსაც გაჩეჩილაძეს დაუსვამს კითხვა, აკაკი წერეთელი სჯობია თუ გალაკტიონ ტაბიძეო და უპასუხიათ, რომ გალაკტიონი.

➤ 7034

1935

### 3 დეკემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სადაც გავა, გავად გავა...“.

➤ 7035

1935

### 4 დეკემბერი

უბის წიგნაკში წერს გამომცემლობა „ფედერაციაში“ წარსადგენი განცხადების მონახაზს. ითხოვს, რომ 1936 წლის გეგმაში შეიტანონ მისი ახალი წიგნი, დაახლოებით 500 გვერდის მოცულობით.

➤ 7036

1935

### 6 დეკემბერი

უცნობი პირი გალაკტიონს უბის წიგნაკში სახსოვრად უწერს ერთ სტროფს ინოკენტი ომულევსკის ლექსიდან „ინათა, მეგობარო!“

➤ 7037

1935

**16 დეკემბრის შემდეგ**

მონაწილეობს პუშკინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საკავშირო კომიტეტის სხდომებში, ატარებს ღონისძიებებს და პოპულარიზაციას უწევს დიდი რუსი პოეტის შემოქმედებას. რისთვისაც კომიტეტი ბრინჯაოს მედლით აჯილდოებს.

➤ 7038

1935

**20 დეკემბრამდე**

ფრანგული ჟურნალის „La Literature Internationale“ მეორე ნომერში მის შესახებ იბეჭდება წერილი, სათაურით „საქართველოს პოეტი“.

➤ 7039

1935

**20 დეკემბერი**

ალექსანდრე პუშკინის გარდაცვალების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მოსაწყობად საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აფუძნებს პუშკინის საკავშირო კომიტეტს, რომლის შემადგენლობაშიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან არიან შეყვანილი მწერლები. საქართველოდან კომიტეტის წევრად დასახელებულნი არიან გალაკტიონ ტაბიძე და მიხეილ ჯავახიშვილი.

➤ 7040

1935

**20 დეკემბერი**

შოულობს ფრანგულ ჟურნალ „La Literature Internationale“-ს, რომელშიც მის შესახებ წერილია გამოქვეყნებული.

➤ 7041

1935

**20 დეკემბერი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ მისი თხზულებების მეორე ტომი სტამბიდან ლიტერატურისა და საგამომცემლო მთავარ სამმართველოში წაიღეს და მალე მიიღებს საავტორო ეგზემპლარებს.

➤ 7042

1935 ან ადრე

**21 დეკემბერი**

ოლია ოკუჯავა უწერს ვრცელ წერილს და საყვედურობს იმის გამო, რომ თავისი დაცემული ცხოვრებით ახარებს მტრებს. ფიქრობს, რომ კარგი იქნებოდა გადაეღო მისი სახე სიმთვრალისას და გამოფხიზლებულისთვის ეჩვენებინა. დაინახავდა, როგორ კარგავს ადამიანურ სახეს, რას ლაპარაკობს და როგორ ამარჯვებინებს ცხოველურ ინსტინქტებს. ოლია წერს, რომ დიდხანს იბრძოდა მისთვის ადამიანური სახის დასაბრუნებლად, მაგრამ უკვე ყველანაირი იმედი ამოეწურა. წუხს, რომ მისმა ხანგრძლივმა ტანჯვამ და მცდელობამ ამაოდ ჩაიარა. სწერს, რომ კარგი იქნებოდა მმას თავისთან გადაეყვანა საცხოვრებლად, რომ ერთ დღესაც სადმე ქუჩაში არ მომკვდარიყო სამარცხვინოდ.

➤ 7043

1935

## 22 დეკემბერი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს პოეტების მარტოობის შესახებ. აღნიშნავს, რომ მაიაკოვსკი მარტო დარჩა, ვერ მონახა დასაყრდენი იმ ადამიანებში, რომელნიც გარს ეხვივნენ. მასზე ერთი კარგი წიგნიც კი არ არის დაწერილი, მხოლოდ საგაზეთო, ტრაფარეტული სტატიებია. ასე იყო პუშკინიც. პოეტთაგან არავის შეემლო მეგობრებში ყოფნა.

➤ 7044

1935

## 23 დეკემბერი

წერს ლექსს „სადამო წყნარი, უღრუბლო სახეთ...“.

➤ 7045

1935

## 23 დეკემბრის შემდეგ

წერს ლექსს „გემი“.

➤ 7046

1935

## 23 დეკემბრის შემდეგ

აგრძელებს მუშაობას ლექსებზე „სადამო წყნარი, უღრუბლო სახეთ...“ და „გემი“.

➤ 7047

1935

## 24 დეკემბერი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს მავანთა შესახებ, რომ ისინი სინამდვილეში მეგობრები კი არა, მოღალატეები არიან, ამიტომ დღევანდელი ამბავი უკანასკნელი უნდა იყოს. გეგმავს გასაღების შეცვლას.

➤ 7048

1935

## 25 დეკემბერი

უბის წიგნაკში იწერს მოქმედების გეგმას. აღნიშნავს, რომ მისი წიგნის გამოსვლა კიდევ ერთხელ უნდა იქნას საგანგებოდ ხაზგასმული.

➤ 7049

1935 ან ადრე

## 25 დეკემბერი

სადამოს ოლია ოკუჯავა აკითხავს სახლში და ელოდება, შემდეგ კი ფანჯრის რაფაზე უტოვებს თავის თბილ კაბას ტანსაცმლის შიგნით ჩასაცმელად.

➤ 7050

1935 ან ადრე

## 26 დეკემბერი

ოლია ოკუჯავა ამჯერად დღისით აკითხავს, ისევ ვერ ნახულობს და უტოვებს ბარათს. ინტერესდება, რა ქნა პალტოს, ფეხსაცმელსა და კალოშებთან დაკავშირებით.

➤ 7051

1935

## 27 დეკემბერი

მკურნალობს საავადმყოფოში.

➤ 7052

1935

**27 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „საწყალ ვერლენის შხამი უმანკო...“.

➤ 7053

1935

**27 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ვიყავ სვანეთში... გულით ვერთობი...“.

➤ 7054

1935

**27 დეკემბრის შემდეგ**

წერს ლექსს „იუმანიტე...“.

➤ 7055

1935

**ნოემბერი-დეკემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ალექსანდრე აბაშელის მოგონება „აკაკის შარავანდედი“. ავტორი იხსენებს, 1915 წლის 3 თებერვალს აკაკი წერეთლის თბილისში გადასასვენებლად როგორ შეიკრიბა ას კაციანი დელეგაცია. თბილისიდან ჩასულთა შორის იყვნენ სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი და ალექსანდრე აბაშელი, ხოლო ქუთაისიდან ჩავიდნენ ვარლამ რუხაძე, პაოლო იაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 7056

1935

**ნოემბერი-დეკემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „სოციალისტური რეალიზმის პოეზიისათვის“. კრიტიკოსი მსჯელობს მიმდინარე სალიტერატურო პროცესზე და სხვა ავტორთა ტექსტებთან ერთად მიმოიხილავს ცოტა ხნით ადრე გამოცემულ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომს. კრიტიკოსის აზრით, ეს ტომი საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ, თუ რა გააკეთა გალაკტიონმა რევოლუციის შემდგომ პერიოდში, როგორ წარიმართა მისი პოეტური გზა და რა ადგილი უჭირავს მის ნაწარმოებებს საბჭოთა პოეზიაში. ავტორი მიიჩნევს, რომ გალაკტიონის შემოქმედებაში ბოლო წლების განმავლობაში თითქმის მთლიანად გაქრა დეკადენტური განწყობილებები, სანაცვლოდ თავი იჩინა სოციალისტური მშენებლობის ამსახველი ტექსტების სიუხვემ. კრიტიკოსის აზრით, გალაკტიონ ტაბიძის ცდა ეპოსზე მუშაობისა ვერ აღმოჩნდა მაინცდამაინც გამართლებული. მისი შეხედულებით, ამას ადასტურებს პოემები „ეპოქა“ და „რევოლუციონური საქართველო“, რომლებიც, რეალურად, ლირიკული ლექსების კრებულებია. შალვა რადიანი გამოთქვამს იმედს, რომ გალაკტიონის პოეტური „მარაგი“ ჯერ არ ამოწურულა და იგი კიდევ არაერთ შედეგს დაწერს.

➤ 7057

1924-1935

წერს პოემას „იგი - ომია“.

➤ 7058

1931-1935

წერს ლექსს „ვჭედოთ მედგრად“.

➤ 7059

### 1935 ან ადრე

სახლში აკითხავს ვარლამ ჟურული, რომელიც პოეტის მეუღლესთან საკუთარი თავის წარდგენისას ამბობს, რომ ის არის პოეტი ვარლამ ჟურული. გალაკტიონი ამაზე ღიმილით დასძენს, რას არ მოიგონებენ კომუნისტები, პოეტი და ვარლამ ჟურული? როდესაც სტუმარს წყენას ატყობს, უყვავებს და ეუბნება, რომ თითო-ოროლა ლექსის დაწერა არაა საკმარისი პოეტად წოდებისათვის. პოეტობას ღვთიური ნიჭი სჭირდება.

➤ 7060

### 1935

თბილისში რუსულ ენაზე წიგნად გამოდის გალაკტიონ ტაბიძის „ლექსები და პოემები“.

➤ 7061

### 1935

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ გამოსარკვევია, რა ახალი სიტყვები და მხატვრული სახეები გამოჩნდა პუშკინის შემოქმედებაში საქართველოში მოგზაურობის შემდეგ.

➤ 7062

### 1935

წერს ლექსს „მონ-პარნასი“.

➤ 7063

### 1935

წერს უსათაურო ლექსს „სადამოხანად...“.

➤ 7064

### 1935

წერს ლექსს „აბესინელო“ („იტალიიდან თავს დაგტრიალებს...“).

➤ 7065

### 1935

წერს ლექსს „მწერალი გრიმით – პარიზის კონგრესზე“.

➤ 7066

### 1935

წერს ლექსს „მოდის“.

➤ 7067

### 1935

წერს ლექსს „ლუმანიტე“.

➤ 7068

### 1935

წერს უსათაურო ლექსს „ლანკაშირში...“.

➤ 7069

### 1935

წერს ლექსს „ეიფელის კოშკზე“.

➤ 7070

**1935**

წერს ლექსს „ევროპის უფერული დღე“.

➤ 7071

**1935**

წერს ლექსს „რური“.

➤ 7072

**1935**

წერს ლექსს „ევროპის დიპლომატი“.

➤ 7073

**1935**

წერს ლექსს „ბანანები“.

➤ 7074

**1935**

წერს ლექსს „უცხოელი ბავშვი“.

➤ 7075

**1935**

წერს ლექსს „უბინაო დედა“.

➤ 7076

**1935**

წერს ლექსს „რეიმსი“.

➤ 7077

**1935**

წერს ლექსს „ულევი, უნგარიშო“.

➤ 7078

**1935**

წერს ლექსს „მუშის სიტყვა“.

➤ 7079

**1935**

წერს ლექსს „თვითმფრინავით“.

➤ 7080

**1935**

წერს ლექსს „გუსურვოთ ესპანეთს“.

➤ 7081

**1935**

წერს ლექსს „აბისინელი ჯარისკაცი“.

➤ 7082

**1935**

წერს ლექსს „მგელი და ცხვარი“.



➤ 7083

**1935**

წერს ლექსს „რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ“.

➤ 7084

**1935**

წერს ლექსს „ტბა ალპიურ ზონაზე“.

➤ 7085

**1935**

წერს ლექსს „ერთხელ დილით“.

➤ 7086

**1935**

უსათაუროდ წერს ლექსს „ამაოების ღრუბელი პარიზის ზეცას ეხურა...“.

➤ 7087

**1935**

წერს ლექსს „კრიზისისაგან თავის დაღწევა“.

➤ 7088

**1935**

წერს ლექსს „პარიზის სეზონი“.

➤ 7089

**1935**

წერს ლექსს „გიგანტი ყოველი დროის“.

➤ 7090

**1935**

წერს ლექსს „ლუმპენი“.

➤ 7091

**1935**

წერს უსათაურო ლექსს „აყვავილდა ყაყაჩო...“.

➤ 7092

**1935**

წერს ლექსს „ჰეინეს სტრიქონის გამო“.

➤ 7093

**1935**

რუსულ ენაზე გამოსაცემი კრებულის გეგმის შედგენისას, გამოყოფს რუბრიკას „1927 წლის ლექსების კრებულიდან“. გიორგი ბებუთოვის კითხვაზე, რატომ აკეთებს აქცენტს წარსულის ერთ-ერთ წელზე, გალაკტიონი პასუხობს. რომ ამ ლექსებში აღბეჭდილია ნაკვალენი ოქტომბრის რევოლუციის პირველ ათწლეულში განცდილისა და ნააზრევისა. შედარებისთვის მას მოჰყავს ვლადიმერ მაიაკოვსკის შემთხვევა, რომელიც წერდა, რომ ასევე რევოლუციის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი მისი პოემა „კარგი!“ მნიშვნელობას არ დაკარგავდა არც 20 და არც 40 წლის შემდეგაც.

➤ 7094

**1935**

კითხულობს რუსულ წიგნს „იმპერატორ ალექსანდრე III-ის რუსული მუზეუმი“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. აზნაცს, რომელშიც საუბარია, რომ პირველ სართულზე გამოფენილ ნახატებში იგრძნობა უცხოეთის გავლენა, რადგან მათი ავტორები გაგზავნილი იყვნენ სასწავლებლად იტალიასა და საფრანგეთში, აწერს უსათაურო ლექსის „ვინც ევროპას გავემგზავრეთ...“ პირველ სტროფს.

➤ 7095

**1935**

წერს ლექსს „მისი ბუნება“ („აუწერელი გარყვნილება და ფუფუნება...“).

➤ 7096

**1935**

წერს ლექსს „მოდუდუნებს ვისლა“ („მოდუდუნებს აგერ ვისლა...“).

➤ 7097

**1935**

წერს ლექსს „ფიქრები სამშობლოზე“ („ნავთსადგური დიდი, ვრცელი...“).

➤ 7098

**1935**

წერს ლექსს „მოგონება მშობლიურ მხარის“.

➤ 7099

**1935**

წერს ლექსს „სმენას ტალღების გრგვინვა კვლავ სწყურის“ („სმენას ტალღების გრგვინვა კვლავ სწყურის...“).

➤ 7100

**1935**

წერს ლექსს „ოქრო“ („რაც ამ დიდებულ სასახლეებს ჰფენია ოქრო...“).

➤ 7101

**1935**

წერს ლექსს „ბარელიეფი“ („მარჯვენა მკლავზე დაყრდნობით გძინავს...“).

➤ 7102

**1935 ან შემდეგ**

თავისი ბინის აივანზე გადის და ჯიბეებში ხელჩაწყობილი ერთ წერტილს გასცქერის. ქუჩიდან ჯერ ერთი გამვლელი მოჰკრავს თვალს და ჩერდება, შემდეგ სხვები. შეგროვილი ხალხის დანახვაზე თანდათან მანქანებიც ჩერდებიან და ისმის გაბმული სირენების ზუზუნი, გალაკტიონი კი ისევ დინჯად გაჰყურებს ერთ წერტილს, შემდეგ უცებ ტრიალდება, ოთახში შედის და ქუჩაც თავდაპირველ რიტმს უბრუნდება.

➤ 7103

**1935 ან შემდეგ**

ქუჩაში წააწყდება შავებში ჩაცმულ მოხუც ქართველ ქალს, რომლისთვისაც ახალგაზრდას ხელიდან ჯოხი გამოუტაცია და გაქცეულა. მოხუცი ქალი ისე მწარედ ტირის, რომ გალაკტიონს

ახსენდება დედის ცრემლები, როდესაც საყვედურობდა ოთხი წლის განმავლობაში უნახავობის გამო.

➤ 7104

### 1935 ან შემდეგ

ფურცელზე იწერს გერმანელი ექსპრესიონისტის იაკობ ვან ჰოდისის ფრაზებს.

➤ 7105

### 1935 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არ გაგიშვებთ ჟრიამული...“.

➤ 7106

### 1935 ან შემდეგ

ეცნობა უცხოური მუსიკალური ტერმინების ლექსიკონს, აკეთებს ხაზგასმებს და ნომრავს ტერმინებს. აღნიშნავს, თითქოს აღდგა მოცარტისა და ბეთჰოვენის ეპოქა. იწერს პარიზის შთაბეჭდილებებს.

➤ 7107

### 1935 ან შემდეგ

კითხულობს რუსულად ნათარგმნ ანატოლ ფრანსის წიგნს „კრენკებილი“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 7108

### 1935 შემდეგ

წერს ლექსს „ქობულეთი“.

➤ 7109

### 1935 შემდეგ

თავისი სახლის კაბინეტში იღებენ კინოფირზე.

➤ 7110

### 1935 შემდეგ

აკეთებს ჩანაწერებს თავისი პოეტური ციკლების – „ეპოქა“, „პაციფიზმი“ და „საით მიდის რევოლუციონური საქართველო“ – შესახებ. მიუთითებს, რომ ამ „ეპოქის“ მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის შეტანილი თხზულებათა მეორე ტომში. აღნიშნავს, რომ ეს პოეტური ციკლი იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“, რომლის რედაქციამაც პოეტის ხელნაწერიდან ამოიღო არაერთი ლექსი, ზოგიერთი მათგანი კი დაიკარგა იმ სტამბაში, სადაც ჟურნალი იბეჭდებოდა. გალაკტიონის თქმით, მთლიანობაში „ეპოქა“ თითქმის ორჯერ უფრო დიდი მოცულობისა იყო. პოეტს შეუძლებლად მიაჩნია დაკარგული ლექსების აღდგენა. ამასთანავე იგი მიუთითებს, რომ ცალკე წიგნად გამოცემული „ეპოქა“ სავსეა ტექნიკური ხარვეზებითა და კორექტურული შეცდომებით. თხზულებათა მეორე ტომში მნიშვნელოვანი ხარვეზებითაა დაბეჭდილი „პაციფიზმი“ და „რევოლუციური საქართველო“, რომელთა ნაწილებიც ასევე დაიკარგა სტამბაში.

➤ 7111

### 1935 შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს პოეტისა და მთარგმნელის, გრიგოლ ცეცხლადის შესახებ. მიუთითებს, რომ იგი არაა დიდი ნიჭისა და ჭკუის მქონე პოეტი. გალაკტიონის შეფასებით, მისი ლირიკა რომანტიკოსთა მოტივების ზერელე გადამღერებაა. გრიგოლ ცეცხლადის მცდელობა, შეექმნა საკუთარი სკოლა, ფიასკოთი დასრულდა. გალაკტიონის თქმით, ცეცხლადე კრიტიკოსების თათბირზე იმ ახალგაზრდა პოეტების დასაცავი სიტყვით გამოვიდა, რომელთაც

თანამედროვეობისაგან გათიშვა ახასიათებთ. ჩანაწერში აღნიშნულია, რომ ცეცხლადის პოეზიაში თითქმის არ ვხვდებით თანამედროვე თემატიკას. გალაკტიონის შეფასებით, გრიგოლ ცეცხლაძე ცდილობს შეეფაროს „ევგენი ონეგინის“ თარგმანს და ამ სფეროში მას თავს არავინ ესხმის.

➤ 7112

### 1935 ან შემდეგ

წერს ლექსს „ესპანეთი“ („გუგუნებს ესკადრილია...“).

➤ 7113

### 1935 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ქართლის ცხოვრება მძიმეა, ეკლიანია სავალი...“.

➤ 7114

### 1935 შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს ძველი მეგობრების შესახებ. აღნიშნავს, რომ აღარ ისმის ძველი მეგობრების ხმა, რომლებიც ამხნევებდნენ და მხარს უჭერდნენ. წავიდა ის დრო, როდესაც ისინი ერთად ებრძოდნენ ცხოვრების ტალღებს, გაქრა უბედნიერესი დღეები. გალაკტიონის თქმით, მეგობართა შორის არ არსებობდა შური, იყო მხოლოდ გულწრფელი თაყვანისცემა ხელოვნებისა და ხელოვანთადმი, იყო ახალგაზრდული აღტაცება. ახლა კი როდესაც მოუხმობს მეგობრებს, ეს ძახილი ამაოდ რჩება.

➤ 7115

## 1936

### ი ა ნ ვ ა რ ი

### 1936

#### 1 იანვარი

წევს საავადმყოფოში.

➤ 7116

### 1936

#### 1 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გამომცემლობა „ფედერაციის“ 1936 წლის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ახალი კრებულის გამოქვეყნება.

➤ 7117

### 1936

#### 4 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის სტატია „დისკუსია პოეზიის საკითხებზე“, რომელშიც გადმოცემულია მწერალთა სახლში გამართული დისკუსიის მოკლე შინაარსი. სტატიაში ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძემ გამოსცა ლექსების წიგნი, რომელიც ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენს, რადგან იძლევა საშუალებას მთელი სისრულით გავითვალისწინოთ თუ რამდენი რამ გააკეთა გალაკტიონმა რევოლუციისათვის. აღნიშნულია ისიც, რომ პოეტი სინამდვილეს მხოლოდ და მხოლოდ ლირიკული სახეების საშუალებით გადმოგვცემს.

➤ 7118

### 1936

#### 7 იანვარი

საავადმყოფოში მყოფი გალაკტიონი ესაუბრება ხანში შესულ ქართულ მასწავლებელს, თავადის ასულს, ერთ-ერთი პაციენტის დედას, რომელიც მას აწვდის ინფორმაციას, რომ გორში მცხოვრებ ექიმ ელიოზიშვილს აქვს ცნობები სოფელ ნიქოზში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერის შესახებ. ქალის თქმით, ექიმს თბილისიდან მიუღია წერილი, რომ როგორმე ხელთ ეგდო წიგნი, რის შემდეგ წასულა იმ ოჯახში, სადაც „ვეფხისტყაოსანი“ ეგულეობდა. ხელნაწერის გარდაცვლილი მფლობელის დებს უთქვამთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ხელნაწერებთან ერთად დაწვეს თონეში, რადგან ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ ხმები დადიოდა, რომ ვის ოჯახშიც ძველ ხელნაწერებს აღმოაჩენდნენ, პრობლემებს შეუქმნიდნენ.

➤ 7119

1936

### 7 იანვრის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს ნიქოზთან ახლოს მცხოვრები თაქთაქიშვილების შესახებ, რომლებიც ცნობილი იყვნენ იმით, რომ გველებს ჰიპნოზს უკეთებდნენ და ნერწყვით არჩენდნენ გველის ნაკბენს.

➤ 7120

1936

### 7 იანვრის შემდეგ

არ ასვენებს ფიქრი ნიქოზის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ შეიძლება კაცი ჩავიდეს ადგილზე რამდენიმე დღით და გამოარკვიოს ხელნაწერის გაუჩინარების ამბავი. ეჭვობს, რომ შესაძლოა წიგნი გადამალული იყოს. მიუთითებს, რომ ნიქოზი შინდისის რაიონია. შინდისში კი ცხოვრობდა პოეტი ქალი ნინო ყარანგოზიშვილი, რომლის მშვენიერი ლექსი „შინდისის ჭადრებს“ ადრე წაუკითხავს.

➤ 7121

1936

### 8 იანვარი

წერს ლექსებს: „იმდენს იმეტებს ბედი იმედებს...“ და „შუქი დასავლეთიდან“.

➤ 7122

1936

### 8 იანვარი

წერს ლექსს „სიმფონია მცენარეების“.

➤ 7123

1936

### 8 იანვრის შემდეგ

აგრძელებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „იმდენს იმეტებს ბედი იმედებს...“ და სათაურად აწერს „დღესასწაულის გამო“.

➤ 7124

1936

### 8 იანვრის შემდეგ

აგრძელებს მუშაობას ლექსზე „შუქი დასავლეთიდან“ და სათაურად აწერს „შუქი დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან“.

➤ 7125

1936

### 8 იანვრის შემდეგ

წერს ლექსს „ნაფარეული ბერლინში სურიცთან“.

➤ 7126

1936

9 იანვარი

წერს ლექსს „ბერლინი“ („რაიხსტაგის წინ რომ ეგდო ჩვარი...“).

➤ 7127

1936

9 იანვარი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს ჩელიუსკინელების ხიდზე არსებული მაღაზია „გასტრონომის“ თანამშრომლის, ვინმე არტოს და მისი ძმის შესახებ. არტოს ძმას ქალი დაუნიშნავს სენაკში და ოჯახის წევრები პატარძალს უფლებას არ აძლევენ ხუთ დღეზე მეტხანს დარჩეს დედაქალაქში, რაზეც არტოს ძმა გამწარებით იძახის, რომ ახლად ჯვარდაწერილებს ხუთი დღე არ ეყოფათ.

➤ 7128

1936

9 იანვარი

საავადმყოფოს პალატაში მყოფი ესაუბრება ავადმყოფს, მსახიობ ნატო გაბუნიას დისშვილს, რომელიც მოუთხოვს ცნობილი დრამატურგის, ავქსენტი ცაგარლის შესახებ, იხსენებს, როგორ უქებდა ილია მას დრამატურგიულ ოსტატობას, ასევე როგორ უთხრა ხუმრობით ნატო გაბუნამ თავის იუბილეზე ცერემონიმეისტერად მყოფ ვალერიან გუნიას, რომ მის დაკრძალვაზეც მას მოუწევდა ცერემონიმეისტრობა და ბედის ირონიით როგორ აუხდა გუნიას ეს წინასწარმეტყველება ერთი წლის შემდეგ.

➤ 7129

1936

9 იანვარი

წერს ლექსს „ჰიტლერი“.

➤ 7130

1936

10 იანვარი

იმყოფება საავადმყოფოში. წერს უსათაურო ლექსს „მხატვრების, დენდის, მწერლის, არტისტის...“.

➤ 7131

1936 ან ადრე

13 იანვარი

შუადღის პირველ საათზე ოლია ოკუჯავა გალაკტიონთან სახლში შეივლის და უტოვებს ბარათს, რომ სადამოსაც მივა. ინტერესდება, სურათები მოეწონა თუ არა.

➤ 7132

1936

10 იანვრის შემდეგ

აგრძელებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „მხატვრების, დენდის, მწერლის, არტისტის...“

➤ 7133

1936

10 იანვრის შემდეგ

წერს ლექსს „პოეზია“.

➤ 7134

1936

10 იანვრის შემდეგ

აგრძელებს მუშაობას ლექსზე „პოეზია“ და სათაურად აწერს: „გაზაფხულის მდინარეები“.

➤ 7135

1936

11 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ სათაურით „ბიბლიოგრაფია“ იბეჭდება მოსე გვასალიას რეცენზია გალაკტიონის თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომზე. სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ ეს წიგნი წარმოდგენას იძლევა იმ სიძნელეებით აღსავსე გზაზე, რომელიც განვლო პოეტმა რევოლუციიდან დღემდე. რეცენზენტის აზრით, რევოლუციასთან დამოკიდებულების მხრივ გალაკტიონი მოგვაგონებს ალექსანდრ ბლოკს. იგი აღნიშნავს, რომ ადრე დამოუკიდებელ პოემებად გამოქვეყნებული „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“ ამ წიგნში ცალკეული ლექსების სახით არის დაბეჭდილი. ეს ფაქტი მოსე გვასალიას გალაკტიონის მიერ მიღებულ სწორ გადაწყვეტილებად მიაჩნია. იგი გამოცემის ერთგვარ ნაკლად თვლის იმას, რომ წიგნს არ ერთვის არც შესავალი სტატია და არც შენიშვნები. რეცენზენტი მიუთითებს, რომ გამოცემის ტექნიკური მხარე დამაკმაყოფილებელია, იგი დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, აქვს კოლენკორის გარეკანი და ღირს 12 მანეთი.

➤ 7136

1936

12 იანვარი

უბის წიგნაკში აკეთებს ირონიულ ჩანაწერს, რომელშიც გადმოცემულია ვიღაც მკითხველის სიტყვები: ისე დავარქვი საკუთარ შვილს ლია, რომ იოსებ გრიშაშვილის ლექსი არ მქონია წაკითხული, ხოლო როცა პოეტი შემხვდა და გაიგო ჩემი შვილის სახელი, სიხარულით გადამეხვიაო. ჩანაწერი სრულდება ტაეპებით: „ლია, ლია, ლია, ლია, გაზაფხულის შრიალია“.

➤ 7137

1936

19 იანვარი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს სომეხი ვართანასა და თავად ნიკოს საუბრის შესახებ. ვართანა ამბობს, რომ ქართველებმა ქეიფში გაფლანგეს ქონება, მაგრამ მათ ქეიფი მაინც შერჩათ და სომხებს კი ყველაფერი ჩამოართვეს.

➤ 7138

1936

20 იანვარი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს საავადმყოფოს ხნიერი პაციენტის, გიგა ქიზიყელის შესახებ, რომელიც იხსენებს, თუ როგორ გაიტაცეს „პარტიული დავალებით“ ცნობილი ვაჭრის მიქაელ არამიანცის ვაჟი გამოსასყიდის მისაღებად და როგორ გაათავისუფლეს იგი 100 000 მანეთის სანაცვლოდ.

➤ 7139

1936

20 იანვარი

უბის წიგნაკში წერს მონახაზს გორში ექიმ კონსტანტინე ელიოზიშვილისათვის გასაგზავნი წერილისათვის. აღნიშნავს, რომ მისთვის, როგორც რუსთაველის კომიტეტის წევრისთვის,

უძვირფასესია „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ არსებული ყველა ცნობა და სთხოვს, თუ შეძლებს, მიაწოდოს ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ნიქოზური ხელნაწერის შესახებ – ვის ოჯახში და როგორ პირობებში ინახებოდა, როგორ გამოიყურებოდა, რა ვითარებაში განადგურდა და სხვ.

➤ 7140

**1936**

**20 იანვრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „პოეტი, ვინაც წრფელია გულით...“.

➤ 7141

**1936**

**20 იანვრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გახსოვს შორი გზა...“.

➤ 7142

**1936**

**20 იანვრის შემდეგ**

წერს ლექსს „ახალ ცხოვრებას“.

➤ 7143

**1936**

**23 იანვარი**

უბის წიგნაკში რუსულ ენაზე იწერს ციტატას არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ რუსული თარგმანის შესახებ ვალენტინ ასმუსის მიერ გამოქვეყნებული რეცენზიიდან.

➤ 7144

**1936**

**23 იანვარი**

წევს საავადმყოფოში. ოლია ოკუჯავას სტამბიდან გამოაქვს მისი თხზულებების II ტომის 15 საავტორო ეგზემპლარი.

➤ 7145

**1936**

**24 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „არ ვარ გადამთიელი...“.

➤ 7146

**1936**

**24 იანვარი**

საავადმყოფოში მონახულებს ბენიტო ბუაჩიძე, რომელიც აცნობებს, რომ მინსკში ჩატარდება მწერალთა მორიგი საკავშირო ყრილობა, რომელზეც ქართული პოეზიის შესახებ მომხსენებლად გამოვა დიმიტრი მირსკი და ცისფერყანწელების სხვა მეგობრები. გალაკტიონის რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის რედაქტორობას ანდობენ ვალერიან გაფრინდაშვილს. ბუაჩიძე ეუბნება, რომ გაფრინდაშვილს რედაქტორად ისევ შალვა რადიანი ან ლიდა გასვიანი სჯობს.

➤ 7147

**1936**

**24 იანვარი**

საავადმყოფოში მონახულებს მთარგმნელი გიორგი ბებუთოვი, რომელიც სთხოვს, მიაწოდოს წერილი ალექსანდრ პუშკინზე.



➤ 7148

**1936**

**24 იანვარი**

საავადმყოფოში იღებს მხატვარ თეოდორ ჩუდეცკის წერილს, რომელშიც გალაკტიონი „პოეზიის მარშლადაა“ მოხსენიებული.

➤ 7149

**1936**

**25 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „ფერი მზესა და ქარს მოჰყავს...“.

➤ 7150

**1936**

**25 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „გაზაფხულია...“.

➤ 7151

**1936**

**25 იანვარი**

წერს ლექსს „ამ არემარეზე“.

➤ 7152

**1936**

**25 იანვარი**

წერს ლექსს „იპატი“.

➤ 7153

**1936**

**25 იანვარი**

წერს ლექსს „ოფორტი“.

➤ 7154

**1936**

**25 იანვრის შემდეგ**

აგრძელებს მუშაობას ლექსზე „ოფორტი“.

➤ 7155

**1936**

**25 იანვარი**

უბის წიგნაკში იწერს სარიტმო წყვილებს.

➤ 7156

**1936**

**25 იანვარი**

უბის წიგნაკში იწერს ალექსანდრ ტროიანოვსკის რუსულენოვან ციტატას ლენინის შესახებ, თუ როგორ უყვარდა „დიდ ბელადს“ მხატვრობა, კერძოდ, რუბენსის შემოქმედება.

➤ 7157

**1936**

**25 იანვარი**

წერს ლექსს „იპატიევის მონასტრიდან ინჟინერ იპატიევის სახლამდე“.

➤ 7158

**1936**

**25 იანვრის შემდეგ**

აგრძელებს მუშაობას ლექსზე „იპატიევის მონასტრიდან ინჟინერ იპატიევის სახლამდე“ და ასათაურებს მას, როგორც „რუსი ემიგრანტი პარიზში“.

➤ 7159

**1936**

**25 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „კარგია უბის გარღვევა ალით...“.

➤ 7160

**1936**

**25 იანვარი**

წერს ლექსს „ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი...“.

➤ 7161

**1936**

**25 იანვრის შემდეგ**

აგრძელებს მუშაობას ლექსზე „ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი...“.

➤ 7162

**1936**

**26 იანვარი**

წერს ლექსს „გარეუბნებში, სად ხმა აწეულს...“.

➤ 7163

**1936**

**27 იანვარი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს ექიმი გრინოვის შესახებ, რომელიც გორში მუშაობდა და შემდეგ ბორჯომში გადავიდა, რადგან ცოლს გამოურდა და ცოლისდა შეირთო.

➤ 7164

**1936**

**27 იანვარი**

გალაკტიონის პალატაში შედის გორიდან ჩასული ექიმი კოტე ელიოზიშვილი და როდესაც პოეტი ეკითხება „ვეფხისტყაოსნის“ ნიქოზური ხელნაწერის შესახებ, პასუხობს, რომ აკაკი შანიძისაგან მიიღო წერილი, რომელიც ემყარებოდა პლატონ იოსელიანის ცნობას, თითქოს მან ნახა რუსთველის პოემის მე-14 საუკუნის ხელნაწერი ვინმე ელიოზიშვილთან. შანიძე სთხოვდა გაეგო, არსებობდა თუ არა კიდევ ეს ხელნაწერი. ელიოზიშვილი მეცნიერის თხოვნის შესასრულებლად ნიქოზში წასულა, თუმცა ვერაფრისათვის მიუგნია.

➤ 7165

**1936**

**26 იანვარი**

წერს ლექსს „ეხლა ის დრო არი...“.

➤ 7166

1936

**30 იანვარი**

ბენიტო ბუაჩიძე გაზეთში „კომუნისტი“ აქვეყნებს ლიტერატურულ პორტრეტს „გალაკტიონ ტაბიძე“. კრიტიკოსი ავითარებს მოსაზრებას, რომ უწინ ინდივიდუალისტური ლირიკით შემოფარგლული პოეტი რევოლუციურ სინამდვილესთან კავშირმა საბჭოთა ეპოქის დიდ შემოქმედად აქცია. ბუაჩიძე ეხმაურება გალაკტიონის თხზულებათა მეორე ტომის გამოსვლას და მას საბჭოთა პოეზიის ბრწყინვალე გამარჯვებად მიიჩნევს. კრიტიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ადრეულ პერიოდშივე გალაკტიონი ლექსის უდიდესი ოსტატი იყო და „სიმბოლიზმის ვიწრო და ხელოვნურ ჩარჩოებში“ ვერ თავსდებოდა, საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ კი თავი დააღწია მისტიციზმს და შეითვისა რევოლუციური ენთუზიაზმი. ბ. ბუაჩიძე საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებად მიიჩნევს ლექსს „პრესა“, დადებითად აფასებს პოემებს „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“. ამასთან ის აღნიშნავს, რომ ახალი სინამდვილის მხატვრული ასახვისას პოეტს მომავალში მეტი კონკრეტულობა დასჭირდება.

➤ 7167

1936

**30 იანვარი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ფოტო და ლექსი „პოეტი და ოქტომბერი“.

➤ 7168

1936

**31 იანვრის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს, შეიძინოს გაზეთ „ნა რუბეჟე ვოსტოკას“ 1936 წლის 15 იანვრის და მომდევნო ორი ნომერი.

➤ 7169

1936

**იანვარი**

წერს ლექსს „ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს“.

➤ 7170

1936

**იანვარი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ისევ ერთად მივალთ მთვრალი...“.

➤ 7171

**თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი**

1936

**2 თებერვალი**

საავადმყოფოში მოინახულებს ბენიტო ბუაჩიძე.

➤ 7172

1936

**3 თებერვალი**

გაზეთში „კომუნისტი“ აქვეყნებს ლექსს „მასსა – სტალინია მძლავრი და სტალინი არის მასსა“ („დაბლა ჰყრია ქვა და გუნდა...“).

➤ 7173

1936

**3 თებერვალი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ვრცელი სტატია „საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადს დიდ სტალინს“, რომლის ბოლოსაც ჩამოთვლილია იმ მწერალთა გვარები, ვინც მხატვრული სიტყვით ემსახურება ახალი ცხოვრებისთვის ბრძოლის საქმეს და პირველად დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 7174

**1936**

**3 თებერვალი**

საავადმყოფოში გალაკტიონის მოსანახულებლად მიდის ვასილ გორგაძე.

➤ 7175

**1936**

**7 თებერვალი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ ნახა სიზმარი, თუ როგორ იცავდნენ ერთგული ძაღლები მის ახალ ბინას.

➤ 7176

**1936**

**12 თებერვალი**

დღიურში ინიშნავს თემებს ლექსებისთვის.

➤ 7177

**1936**

**12 თებერვალი ან შემდეგ**

წერს ლექსს „მსგავსად ზვავთა და გლეტჩერთა...“.

➤ 7178

**1936**

**14 თებერვალი**

დღის განმავლობაში რამდენჯერმე იზომავს სიცხეს და მონაცემებს ინიშნავს უბის წიგნაკში. დილის 7 საათზე – 37.4. 10 საათზე – 37.4. საღამოს – 38.3. საღამოს 9 საათზე – 38.3.

➤ 7179

**1936**

**15 თებერვალი**

დღის განმავლობაში რამდენჯერმე იზომავს სიცხეს და მონაცემებს ინიშნავს უბის წიგნაკში. დილით – 36.9. საღამოს 7 საათზე – 38.3, საღამოს 10 საათზე – 38.2.

➤ 7180

**1936**

**16 თებერვალი**

დღის განმავლობაში რამდენჯერმე იზომავს სიცხეს და მონაცემებს ინიშნავს უბის წიგნაკში. დილით – 37. შუადღისას – 37.3, საღამოს 6 საათზე – 38.3.

➤ 7181

**1936**

**19 თებერვლის შემდეგ**

კითხულობს რუსულად ნათარგმნ ზანგური პოეზიის ანთოლოგიას, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 7182

1936

## 20 თებერვალი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება ბესარიონ ჟღენტის წერილი „ქართული მწერლობა ისტორიული ყრილობის შემდეგ“, რომელშიც განხილულია ქართული მწერლობის მდგომარეობა საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობის მომდევნო პერიოდში. კრიტიკოსი ეხება ალექსანდრე აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას. გალაკტიონის შესახებ მიუთითებს, რომ მას არ ემჩნევა საკუთარ წარსულთან მტკივნეული გამოთხოვების ნიშნები და იგი „ხალისით გარდაიქმნა“. ბ. ჟღენტი განიხილავს პოეტის ლექსებს: „დროშები ჩქარა“, „ქალაქი წყალქვეშ“ და მიუთითებს, რომ გალაკტიონს სინამდვილის კონკრეტული სურათების აღწერა არ ეხერხება.

➤ 7183

1936

## 20 თებერვალი

დღის განმავლობაში იზომავს სიცხეს და მონაცემებს ინიშნავს უბის წიგნაკში. შუადღის 5-6 საათზე – 37,5. საღამოს 8-9 საათზე – 37.

➤ 7184

1936

## 21 თებერვალი

დღის განმავლობაში იზომავს სიცხეს და მონაცემებს ინიშნავს უბის წიგნაკში. დილით – 37. 5-6 საათისთვის – 37.3.

➤ 7185

1936

## 22 მარტი

მუშაობს თავისი თხზულებათა პირველი ტომის მასალების მოსამზადებლად.

➤ 7186

1936

## 22 თებერვალი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს შენიშვნებს ბესარიონ ჟღენტის წერილის – „ქართული მწერლობა ისტორიული ყრილობის შემდეგ“ – შესახებ. არ ეთანხმება კრიტიკოსს პაოლო იაშვილისა და სიმონ ჩიქოვანის შემოქმედების შეფასებაში. მიიჩნევს, რომ არ არის სწორი წერილის ავტორის მტკიცება, თითქოს პაოლო იაშვილი სხვა დეკადენტებისაგან იმთავითვე გამოირჩეოდა მეტი რეალიზმით, მისტიციზმის ნაკლებობით, ნათელი ფერებით და სწორედ ამიტომ აღმოჩნდა მისთვის ადვილი შემოქმედებითი გარდაქმნა, რევოლუციური თემების ათვისება. ამის საპირისპიროდ გალაკტიონი ფიქრობს, რომ სინამდვილეში სწორედ პაოლო იაშვილის მეთაურობით „აყროლდა“ ქართული პოეზია და მთელი მისი წარსული არის რეალისტებთან ბრძოლა. იაშვილი გამომხატველია ავადმყოფური სკეფსისისა და მისტიციზმის. ასევე მიუღებელია გალაკტიონისათვის „ელენე დარიანის პორნოგრაფია“.

➤ 7187

1936

## 23 თებერვალი

ალექსანდრე აბაშელს მოკლე წერილთან ერთად უგზავნის ლექსის „ვინა სთქვა? („დაბლა ჰყრია ქვა და გუნდა...“) რუსულ თარგმანს და უფლებას აძლევს, გაზეთში გამოსაქვეყნებლად როგორც უნდა, ისე შეამოკლოს. სწერს, რომ ენდობა მის პროფესიონალიზმს, მაგრამ იქვე დასძენს, რომ

უკანასკნელ ხანებში ის თავის ლექსებს ხელს აწერს მხოლოდ სახელით „გალაკტიონი“ და ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ რუსულ თარგმანებშიც დაამკვიდრებს ამ პრინციპს.

➤ 7188

1936

**25 თებერვლამდე**

წერს ლექსს „დიდი, სახალხო!“.

➤ 7189

1936

**25 თებერვალი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ლექსს „დიდი, სახალხო!“.

➤ 7190

1936

**25 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ვინა სთქვა? („დაბლა ჰყრია ქვა და გუნდა...“) თარგმანი.

➤ 7191

1936

**25 თებერვალი**

სახლის აივანზე პოულობს ფურცელს, რომელზედაც რუსულად წერია „ბედნიერება“. ეს ფაქტი დააფიქრებს იმაზე, თუ რა არის ბედნიერება. გალაკტიონის აზრით, მხოლოდ არსებულით დაკმაყოფილება არაა ბედნიერება. ადამიანი მუდამ უნდა მიიწევდეს წინ, ახალი მიღწევებისაკენ. ბედნიერება შრომით მოპოვებული სიმშვიდეა, სულიერი წონასწორობა, მომავლის იმედი და რწმენაა.

➤ 7192

1936

**29 თებერვალი**

მისთვის მოკლე წერილი მიაქვთ ირაკლი აბაშიძისგან. სწერს, რომ „მნათობის“ მეორე ნომრისთვის სჭირდება გალაკტიონის ლექსი, რომელიც დაწერა გასაბჭოების 15 წლის თავზე. სთხოვს, რომ ბარათის მიმტანს გაატანოს ან თავად შეუვლის საღამო ხანს.

➤ 7193

1936

**თებერვალი**

რუსულ ჟურნალში „ნა რუბეჟე ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სასიხარულო დღესასწაული“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 7194

1936

**თებერვალი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „მასა – სტალინია მძლავრი და სტალინი – არის მასა“.

➤ 7195

1936

**თებერვალი**

ჟურნალში „მნათობი“ ქვეყნდება აკაკი თათარიშვილის სტატია „ქართული საბჭოთა მწერლობა“. კრიტიკოსი მსჯელობს თანამედროვე მწერლებზე და სხვა ავტორთა ნაწარმოებებთან ერთად მიმოიხილავს გალაკტიონის შემოქმედებასაც. იგი მიიჩნევს, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება არის რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლის იდეურ-შემოქმედებითი გარდაქმნის მკაფიო მაგალითი. ასევე, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პოეტმა პროლეტარული რევოლუციის წლებში დაძლია მისტიციზმი, რაც ადრე მისი შემოქმედების მახასიათებელი იყო და განახლებული საქართველოს მომღერალი გახდა.

➤ 7196

**1936**

**თებერვალი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება „ლექსი განახლებულ ქვეყანაზე“.

➤ 7197

## მ ა რ ტ ი

**1936**

**6 მარტი**

უბის წიგნაკში იწერს თბილისში არსებული ხიდების ჩამონათვალს.

➤ 7198

**1936**

**7 მარტი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს დუტუ მეგრელის შესახებ, რომელიც გულმოდგინედ კითხულობს გაზეთ „იზვესტიას“ საავადმყოფოს რიგში.

➤ 7199

**1936**

**12 მარტი ან შემდეგ**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს „ლიტერატურული საქართველოს“ მეორე ნომრის შესახებ. გაზეთის მეთაურ წერილს მიიჩნევს მწერლებისადმი მუქარად. მოკლედ აფასებს ალი არსენიშვილის, ილო მოსაშვილის, აკაკი გაწერელიას, დავით დემეტრაძის, ლევან ასათიანის წერილებს, ალექსანდრე აბაშელის ლექსს. ფიქრობს, რომ, საზოგადოდ, მშრალი გაზეთია. მიზნად ისახავს, რაიმენაირად ჩაერიოს გაზეთის მუშაობაში და გავლენა მოახდინოს სარედაქციო პოლიტიკაზე. აპირებს, ყურადღებით მიადევნოს თვალი „ლიტერატურული საქართველოს“ კრიტიკულ პუბლიკაციებს, რადგან მოელის, რომ გაზეთის ფურცლები დაეთმოთ „ცისფერყანწელთა“ ქებას.

➤ 7200

**1936**

**22 მარტი**

ჯილდოვდება ლენინის ორდენით.

➤ 7201

**1936**

**22 მარტის შემდეგ**

მოკლედ ბარათს უგზავნის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და ითხოვს მისთვის პალტოს, კოსტიუმისა და ფეხსაცმლის გამოწერას.

➤ 7202

**1936**

**22 მარტის შემდეგ**

მოკლე ბარათს უგზავნის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატს და ითხოვს მისთვის მატერიის გამოწერას საზამთრო პალატოსა და კოსტიუმისთვის.

➤ 7203

**1936**

**23 მარტი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო განცხადება სათაურით „საქართველოს მოწინავე ადამიანთა დაჯილდოვება“, რომელშიც 1936 წლის 22 მარტის დადგენილებით ლენინის ორდენით დაჯილდოვებულთა სიაში არის საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 7204

**1936**

**23 მარტი**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ქვეყნდება ცნობა საქართველოს მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერთა, აგრონომთა, შემოქმედებითი ინტელიგენციისა და პარტიულ მუშაკთა ორდენებით დაჯილდოების შესახებ. აღნიშნულია, რომ ლენინის ორდენით დაჯილდოვდა საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 7205

**1936**

**27 მარტი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, როგორ უნდა განაწილდეს ლექსები და დაინომროს გვერდები თხზულებათა პირველ ტომში.

➤ 7206

**1936**

**28 მარტი**

ასრულებს მასალების შეგროვებას თხზულებათა პირველი ტომისათვის. რვეულში ინიშნავს, რომ საჭიროა მასალის მოწესრიგება ლექსების სათაურებისა და რუბრიკების მიხედვით, დანომვრა, წიგნის სარჩევის შედგენა და შესწორება. ტომი გამომცემლობაში წარსადგენად მზად უნდა იყოს 31 მარტისათვის.

➤ 7207

**1936**

**28 მარტი ან შემდეგ**

განაგრძობს მასალების მოწესრიგებას თხზულებათა პირველი ტომისათვის. ინიშნავს, რომ საჭიროა ზოგან თარიღების წაშლა, მთელ წიგნს ექნება მთლიანი თარიღი – 1908-1916. ფიქრობს ლექსებიდან ნაციონალისტური და რელიგიური ელემენტების (ანგელოზები, ეკლესიები) ამოღებას.

➤ 7208

**1936**

**28 მარტის შემდეგ**

წერს ლექსს „ჩელიუსკინელების ხიდი“.

➤ 7209

**1936**

**28 მარტის შემდეგ**

წერს ლექსს „კონსტიტუცია“.



➤ 7210

1936

**28 მარტის შემდეგ**

წერს ლექსს „როცა ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.

➤ 7211

1936

**28 მარტი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება პანტელეიმონ ჩხიკვაძის სტატია „ბოდვისა და ნატურალისტური ჭაობის წინააღმდეგ“, რომელშიც ის კიცხავს ფორმალიზმსა და უხეშ ნატურალიზმს და სხვა ციტატებთან ერთად ავტორზე მიუთითებლად აკრიტიკებს გალაკტიონ ტაბიძის სტროფს პოემიდან „ეპოქა“: „წარსულს გუნდგუნდად გადაეფარა / შავი ყორნების და გახრწნის სუნი / მხოლოდ განახლდა და ისევ სცოცხლობს / კარგი გუგუნი, შრომის გუგუნი“. ამავე გაზეთის პირველ გვერდზე იბეჭდება სარედაქციო წერილი „თვითკრიტიკის მახვილი“, რომელშიც გაკრიტიკებულია პანტელეიმონ ჩხიკვაძე თვითკრიტიკის არქონის გამო და უარყოფითად არის შეფასებული ის ფაქტი, რომ ის გაზეთის ამავე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ვერ ბედავს მის მიერ გაკრიტიკებული სტრიქონების ავტორთა დასახელებას.

➤ 7212

1936

**28 მარტი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება სარედაქციო წერილი „ამხ. ლავრენტი ბერიას!“, რომელშიც მადლიერებაა გამოხატული იმის გამო, რომ ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებულთა შორის არიან ამ გაზეთის კოლექტივის წევრებიც, საუკეთესო მწერლები: გალაკტიონ ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და ალიო მამაშვილი.

➤ 7213

1936

**28 მარტი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართვა სათაურით „ორდენოსან მწერლებს“ (რესპუბლიკის სახალხო პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, ალიო მამაშვილს).

➤ 7214

1936

**28 მარტი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს სახელით იბეჭდება ალექსანდრ შჩერბაკოვისა და ვლადიმერ სტავსკის მიმართვა ორდენოსანი მწერლების: გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილისა და ალიო მამაშვილისადმი, სათაურით „მოველით თქვენგან ახალ შემოქმედებით მიღწევებს“.

➤ 7215

1936

**30 მარტი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში რუსული გაზეთიდან აკეთებს ამონაწერს „მარსიელიუზის“ ავტორის როჟე დე ლილის შესახებ, რომლის გარდაცვალებიდან 100 წელი სრულდება 26 ივნისს და ამ დღეს მის საპატივცემულოდ საფრანგეთის ყველა ორკესტრი პარალელურად დაუკრავს ამ ჰიმნს.

➤ 7216

1936

31 მარტი

მწერალთა სასახლის სხდომათა დარბაზში ესწრება ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ფორმალისტურ და ნატურალისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი მიძღვნილი დისკუსიის გახსნას, რომელზეც, როგორც სახალხო პოეტს, სიტყვით მიმართავს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი თათარიშვილი.

➤ 7217

1936

31 მარტი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „რევოლუციური საქართველო“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 7218

1936

მარტი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება დავით დემეტრაძის სტატია „ფორმალიზმისა და ნატურალიზმის შესახებ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“, რომლის ერთი მონაკვეთი ქართული მწერლობის მიღწევებს ეძღვნება. კრიტიკოსი იმ ავტორთა შორის, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ თანამედროვეობისათვის, ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤ 7219

1936

მარტი

წერს უსათაურო ლექსს „მხოლოდ მსოფლიო, გენიალურ ჰარმონიის აზრს...“.

➤ 7220

## აპრილი

1936

31 მარტი-1 აპრილი

იზიანებს ფეხს.

➤ 7221

1936

1 აპრილი

მკურნალობას იწყებს თბილისის ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში.

➤ 7222

1936

1 აპრილი

საღამოს იზომავს სიცხეს. თერმომეტრი უჩვენებს 37 გრადუსს.

➤ 7223

1936

1 აპრილი

მეუღლეს, ოლია ოკუჯავას აძლევს 30 მანეთს.

➤ 7224

1936

1 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს ორტაეპედს „ხმაურობს დოსტი...“.

➤ 7225

1936

1 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს: „ისე გავხდი, როგორც კალია“.

➤ 7226

1936

1 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს საავადმყოფოს პაციენტის ვენერა დოლიძის ნათქვამ გამოცანებს.

➤ 7227

1936

1 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს საავადმყოფოს პაციენტების – ვენერა დოლიძისა და პავლე ჩახნაშვილის – მისამართებსა და ტელეფონის ნომერს.

➤ 7228

1936

1 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს ფრაზას: „პარიზის კონგრესის დეკადა, ანუ დეკადა უცხოეთის თანამედროვე მწერლობის“ და ჩამოთვლის რამდენიმე ქართველ და რუს მწერალს, კერძოდ, ასახელებს: ლეო ქიაჩელს, გიორგი ნადირაძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს, ვასო გორგაძეს, ალი არსენიშვილს, კონსტანტინე ჭიჭინაძესა და პაველ პეტრენკოს.

➤ 7229

1936

1 აპრილის შემდეგ

დღიურში იწერს საავადმყოფოში გაცნობილი პაციენტების ჩამონათვალს.

➤ 7230

1936

1 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ, საზოგადოდ, ქალებს აქვთ ნიჭი, მოხდენილად ქცევისა, მათ შეუძლიათ შეღებილი ტუჩებით ისაუბრონ, სვან ჩაი და მიირთვან ტკბილეული, იბანაონ დახვეული თმით და სხვ. შეღებილი ტუჩებით ჭამა იმის ილუზიას ქმნის, თითქოს ცოტას მიირთმევენ, სინამდვილეში კი ხანდახან ლამის მთელ ინდაურს ათავებენ.

➤ 7231

1936

1 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ ღვინის სმა თავიდან ადამიანის ხასიათს ატკობს, შემდეგ კი ჩხუბისა და აყალმყალისაკენ უბიძგებს. განსაკუთრებით დიდი ჩხუბი მოსდევს ღვინის სმას სოფლებში.

➤ 7232

1936

1 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ურთიერთგამომრიცხავ აზრებს ქალაქ სევასტოპოლზე.

➤ 7233

1936

**1 აპრილის შემდეგ**

წნევის გაზომვის შემდეგ ექიმი ეუბნება, რომ ყველაფერი რიგზეა და ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ მისი გული ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით განიკურნება. გალაკტიონი ხუმრობით ეკითხება, რა ეშველება დარჩენილ ერთ პროცენტს.

➤ 7234

1936

**1 აპრილის შემდეგ**

ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში გადის იონური მკურნალობის პროცედურას.

➤ 7235

1936

**2 აპრილი**

ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში იწყებს წყლის აბაზანების მიღებას. გრძნობს პროცედურების დადებით გავლენას ორგანიზმზე. ნერვებიც უმშვიდდება და ფეხის ტკივილიც უამდება.

➤ 7236

1936

**2 აპრილი**

აწუხებს გული, არის სტაციონარში, უღებენ სისხლის ანალიზს და 9-დან 11 საათამდე უნიშნავენ აბაზანებს.

➤ 7237

1936

**2 აპრილი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ექიმ ტურიაშვილის ამბავს. მან გააუპატიურა ბოდბის მონასტრის ყრუმუნჯი მონაზონი, რომლის სამკურნალოდაც იყო მიწვეული. დამნაშავეს ოთხწლიანი კატორღა მიუსაჯეს, შემდეგ კი ორი წელი ჩამოაკლეს და თბილისში გააგრძელა ცხოვრება.

➤ 7238

1936

**2 აპრილი**

დილა-სადამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.6 გრადუსს უჩვენებს, სადამოთი – 37-ს.

➤ 7239

1936

**3 აპრილი**

დილა-სადამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.7 გრადუსს უჩვენებს, სადამოთი – 37.2-ს.

➤ 7240

1936

**3 აპრილი**

იწონება. სასწორი უჩვენებს 83 კილოგრამს.

➤ 7241

1936

**3 აპრილი**

იწონის 83,5 კილოს.

➤ 7242

1936

**4 აპრილი**

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.6 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 37-ს.

➤ 7243

1936

**5 აპრილი**

მწერალთა კავშირში გამართული ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ფორმალისტურ და ნატურალისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი მიძღვნილი დისკუსიის ფარგლებში სანდრო შანშიაშვილი გამოდის გალაკტიონის ბოლო პერიოდის შემოქმედების კრიტიკით.

➤ 7244

1936

**5 აპრილი**

უბის წიგნაკში მოინიშნავს თხზულების სიუჟეტს. ჭაბუკი გიმნაზიაში კარგად ვერ სწავლობს. უყვარს ჩონგური, ხანში შესული მეჩონგურე ჩუქნის ჩონგურს. გადის დრო. ყმაწვილი ამთავრებს უნივერსიტეტს, ხდება ექიმი, ჩონგური სულ თან დააქვს და შესვენებებზე ერთობა. როცა ხდება 60 წლის, ქუჩაში მიმავალს ვიღაც უკნიდან ხელს ადებს. უცნობი აღმოჩნდება 100 წლის მეჩონგურე, რომელმაც მას ჩონგური გაუკეთა. მეჩონგურე ოჯახში მიჰყავს და ყველას აცნობს.

➤ 7245

1936

**5 აპრილი**

უბის წიგნაკში მოინიშნავს თხზულების სიუჟეტს. ორი სემინარიელი ამთავრებს სასწავლებელს და ეგზარქოსთან მღვდლობის სათხოვნელად მიდის. ეგზარქოსი ამბობს, რომ მღვდლად იმას აკურთხებს, რომელიც დილით უფრო ადრე მივა. ერთი სემინარიელი, რომელიც უფრო შორს ცხოვრობს, ეგზარქოსის საწოლქვეშ იმალება, რომ დილით ადრე გამოცხადდეს. ღამით ეგზარქოსთან მოდის მონაზონი და სემინარიელი მათი ინტიმური ურთიერთობის შემსწრე ხდება.

➤ 7246

1936

**5 აპრილი**

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.6 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 37.2-ს.

➤ 7247

1936

**5 აპრილი**

მეუღლეს, ოლია ოკუჯავას აძლევს თავისი პენსიიდან 250 მანეთს.

➤ 7248

1936

## **5 აპრილი**

ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში იწყებს მასაჟებით მკურნალობას. უზელენ ფეხს. უცხრება ტკივილები, ფეხი უშუშდება. მიუხედავად ამისა, ტერფის მარცხნივ გადახრა უჭირს და ფეხის თითებიც სტკივა მოხრის დროს, ხელით გასინჯვისას გრძნობს წვივის ტკივილს. კიბეზე ნორმალურად ჩასვლას ვერ ახერხებს.

➤ 7249

**1936**

## **5 აპრილის შემდეგ**

წერს სანდრო შანშიაშვილისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს: „მწერდა, ძმაო, გალაკტიონ...“.

➤ 7250

**1936**

## **6 აპრილი**

მეუღლეს, ოლია ოკუჯავას აძლევს 280 მანეთს.

➤ 7251

**1936**

## **6 აპრილი**

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.2 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 36.3-ს.

➤ 7252

**1936**

## **6 აპრილი**

მოხუცი მექუდე იოსებ ჩაჩანიძე უყვება, ის და მისი მეგობრები სამიკიტნოში ქეიფისას როგორ ხუმრობდნენ „ალექსანდროვის“ ბაღზე, ბაღზე მეტად „ბოზხანააო“.

➤ 7253

**1936**

## **7 აპრილი**

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.4 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 36.6-ს.

➤ 7254

**1936**

## **8 აპრილი**

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.5 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 37.9-ს.

➤ 7255

**1936**

## **8 აპრილი**

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება სანდრო შანშიაშვილის გამოსვლა მწერალთა კავშირის სხდომაზე გალაკტიონ ტაბიძის კრიტიკით.

➤ 7256

**1936**

## **9 აპრილი**

იწონის 85,2 კილოს.

➤ 7257

1936

9 აპრილი

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.7 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 37.2-ს.

➤ 7258

1936

9 აპრილის შემდეგ

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. ახსენებს ნატურალიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ გამართულ დისკუსიას და ფიქრობს, რომ ალბათ უკვე დამთავრებული იქნება. სწერს, რომ ახლახანს წაიკითხა სანდრო შანშიაშვილის გამოსვლა გალაკტიონის წინააღმდეგ. ფიქრობს, რომ ამის მიზეზი ლენინის ორდენით მისი დაჯილდოებით გამოწვეული შურია, რომელმაც ბევრი ვინმე დაუპირისპირა. მოკითხვას უთვლის ოლიას და ინტერესდება, ესწრებოდა თუ არა ის ზემოხსენებულ დისკუსიას.

➤ 7259

1936

10 აპრილი

მეუღლეს, ოლია ოკუჯავას აძლევს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკადან“ მიღებული ჰონორარის ნაწილს, 100 მანეთს.

➤ 7260

1936

10 აპრილი

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს, დილით თერმომეტრი 36.6 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 37.1-ს.

➤ 7261

1936

10 აპრილი

იწონის 84,4 კილოს.

➤ 7262

1936

10 აპრილი

წერს ლექსს „ფეხით დიდებისაკენ“.

➤ 7263

1936

11 აპრილი

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.6 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 36.6-ს.

➤ 7264

1936

12 აპრილი

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.7 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 37-ს.

➤ 7265

1936

13 აპრილი

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს, დილით თერმომეტრი 36.9 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 37.3-ს.

➤ 7266

1936

14 აპრილი

ფიზიოთერაპიის ინსტიტუტში იწყებენ გალაკტიონისათვის ინექციების გაკეთებას.

➤ 7267

1936

14 აპრილი

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.7 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 37.1-ს.

➤ 7268

1936

14 აპრილი

ასრულებს ანრი ალმერასის წიგნის – „მარკიზ დე სადი“ – კითხვას.

➤ 7269

1936

14 აპრილი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ მუშაობისგან გადაღლილს მრავალჯერ უნატრია, რომ სიცხე ასწეოდა და კარგა ხნით ჩაწოლილიყო ლოგინად.

➤ 7270

1936

14 აპრილი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ მანეთი ძალიან გაუფასურდა. ერთი მანეთი სამ-ოთხი კაპიკის მსგავსად იხარჯება.

➤ 7271

1936

14 აპრილი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ ვასილ კაპანაძე ავადაა მიოკარდიტით.

➤ 7272

1936

14 აპრილი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ მრავალჯერ უსვამს არაყი ჩაის ჭიქით.

➤ 7273

1936

15 აპრილი

დილა-საღამოს იზომავს სიცხეს. დილით თერმომეტრი 36.6 გრადუსს უჩვენებს, საღამოთი – 37.2-ს.



➤ 7274

**1936**

**16 აპრილი**

მწერალთა კავშირში გამართული ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ფორმალისტურ და ნატურალისტურ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებისადმი მიძღვნილი დისკუსიის შემაჯამებელ სიტყვაში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი აკაკი თათარიშვილი აკრიტიკებს სანდრო შანშიაშვილს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების არასწორი შეფასების გამო.

➤ 7275

**1936**

**16 აპრილი**

დილით იზომავს სიცხეს, თერმომეტრი 36 გრადუსს უჩვენებს.

➤ 7276

**1936**

**17 აპრილი**

დღიურში იწერს საავადმყოფოს პაციენტის პავლე ჩახნაშვილის მიერ მოყოლილ ანეკდოტს: ერთმა სომეხმა სოფელს გლეხს შვილი მოუნათლა. იმ დღის შემდეგ სომეხი ყოველ კვირას ქალაქიდან სტუმრობდა გლეხის ოჯახს, სადაც ხელგაშლილად ხვდებოდნენ და ხორაგს ქალაქშიც ატანდნენ. სომეხმა გლეხს უთხრა, თუ ქალაქში მოხვდები, ისე არ ქნა, რომ არ მნახო. ერთხელ გლეხი ქალაქში შაბიამნის საყიდლად ჩავიდა და შემთხვევით შეხვდა სომეხს, რომელმაც სახლში დაპატიჟა. სუფრაზე მოიტანეს პატარა ბოთლით ღვინო და ცოტა ხორცეული. სომეხმა ერთ ჭიქაში უდღეგრძელა გლეხს ცოლ-შვილი და ახლობლები. შემდეგ კი ცოლს მიუბრუნდა და უთხრა: „კაპე“ (აღაგეო). გამოთხოვებისას გლეხს უკმაყოფილება არ გამოუხატავს, მაგრამ ისევ დაპატიჟა სომეხი სოფელში შვილთან ერთად. ერთი კვირის შემდეგ მართლაც ესტუმრნენ. გლეხმა სუფრა მაშინ გაშალა, როდესაც სადილის დრო უკვე გადასული იყო. სომეხს დანა არ დაუდეს და ვერაფრის ჭამას ვერ ახერხებდა. ცოტა ხნის შემდეგ გლეხმა ცოლს უთხრა: „კაპე“ (აღაგეო). სომეხს გული მოუვიდა: ჯერ მშიერი ვარ, ეგ რა ამბავიაო, რაზეც გლეხმა უპასუხა: შე ოხერო, სად გაგონილა შენსას „კაპე“ და ჩემსას „ყლაპეო“.

➤ 7277

**1936**

**17 აპრილი**

დღიურში იწერს საავადმყოფოს პაციენტ შავლეიშვილის მიერ მოთხრობილ ანეკდოტებს: ერთი კაცი კაკალს ბერტყავდა. გამოიარა მეორემ და დაუძახა: ბიჭი შეგეძინაო. სიხარულისგან თავბრუდახვეულმა გლეხმა ჭოკს ხელი გაუშვა, ხვანჯარი შეიხსნა და სარცხვინელს საკოცნელად დასწვდა: შენ გენაცვალე, შენ რომ არ იყო, ხომ არ მეყოლებოდა ვაჟიო. ამასობაში კინაღამ კაკლიდან ჩამოვარდა. მეორე გლეხს გუთანი ება და ხნავდა, როცა ვაჟის შეძენა ახარეს. გლეხმა მახარობელს უთხრა: ამოირჩიე, რომელ ხარიც გინდა, მიჩუქნიაო. მახარობელმა იუარა: ხარი რად მინდაო. გლეხმა მიუგო: მაშ, შე კაი კაცო, განა მე არ ვიცოდი, რომ ან ვაჟი მეყოლებოდა, ან ქალიო.

➤ 7278

**1936**

**17 აპრილი**

დღიურში იწერს საავადმყოფოს პაციენტ შავლეიშვილის ნათქვამს ნიკოლოზ მეორის შესახებ, რაც თხამ თრიმლს უყო, ის თრიმლმა თხას უყო. რაც ნიკოლოზმა ხალხს დამართა, ხალხმა ნიკოლოზს ის დამართაო.

➤ 7279

1936

18 აპრილი

იწონის 83,8 კილოს.

➤ 7280

1936

19 აპრილი

დღიურში იწერს პაციენტ ვენერა დოლიძის მონათხრობს ვინმე ალია ჩეჩელაშვილისა და დედამისის შესახებ. ალია თურმე მთაწმინდაზე ცხოვრობდა. ერთხელ ავად გახდა და დედამ სოფლიდან ჩამოაკითხა. როდესაც შვილი მოამჯობინა, ალიას დედამ სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა. შვილმა ბოდიში მოუხადა, რომ სადგურამდე ვერ აცილებდა. დედამ დაამშვიდა, გზას ჩემითაც გავიგნებო, თუმცა სახლიდან გასვლის შემდეგ მალევე დაბრუნდა, რადგან შეეშინდა ქალაქში დაკარგვის. მან თბილისი გადმობრუნებულ ზეცას შეადარა, სადაც ძნელია ორიენტირება.

➤ 7281

1936

19 აპრილი

დღიურში იწერს პაციენტ თინა ჩაჩიბაიას მონათხრობს, თუ როგორ მოარჩინა იგი 105 წლის ბებია მისივე პატარა შვილის შარდის სმით.

➤ 7282

1936

19 აპრილი

დღიურში იწერს, თუ როგორ უმკითხავა ბანქოთი პაციენტმა თინა ჩაჩიბაიამ რამდენიმე ავადმყოფს და უწინასწარმეტყველა მომავალი, კერძოდ, მარო ზამზახიძეს – ახლობლის გარდაცვალება, ვენერა დოლიძეს – ფასეული ნივთის დაკარგვა, პავლე ჩახნაშვილს – მეგობრების მხრიდან ღალატი და როგორ ასრულდა ყოველივე.

➤ 7283

1936

19 აპრილი

დღიურში იწერს, როგორ დაარქვეს პაციენტ ვენერა დოლიძეს სოფელში ვერანა, რადგან სოფლის საქმეებში ხელმარჯვეობა ვერ გამოიჩინა.

➤ 7284

1936

19 აპრილი

დღიურში იწერს, როგორ უწოდებს ერთ-ერთი მოხუცი პაციენტი ექიმებს შარლატანებს, რადგან, იმის მაგივრად, რომ მტკივანი ფეხი მოურჩინონ, ილღიაში ჩხირის გაჩხერით (სიცხის გასინჯვით) კმაყოფილდებიან.

➤ 7285

1936

19 აპრილი

მასაჟის ოთახში ისმენს და დღიურში იწერს ერთ-ერთი პაციენტის მონათხრობს 1930-31 წლებში ჭიათურაში წამოწყებული გლეხთა საპროტესტო მოძრაობის შესახებ, რომელსაც სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ვინმე მახათაძე ხელმძღვანელობდა და სოფლის მოსახლეობას შეიარაღებული გამოსვლისაკენ მოუწოდებდა. კოლექტივიზაციის პირველ ხანებში გლეხები მას მიმხრობიან. საქმეში მღვდლებიც ჩართულან და ამბოხი ანტიკომუნისტურ მოძრაობაში

გადაზრდილა. ამბავი სტალინის ყურამდეც მისულა, რომელიც იმ დროს წყალტუბოში ისვენებდა. სახალხო მღელვარების გამო მიხეილ კახიანი თანამდებობიდან მოუხსნიათ და სხვა ადგილას გადაუყვანიათ. როდესაც მთავრობის ჯარი ჩასულა ჭიათურაში, ხალხი შერიგებია ხელისუფლებას, ბევრი დაუხვრეტიათ, მახათაძეს კი საზღვარგარეთ გაქცევა მოუხერხებია.

➤ 7286

1936

#### 20 აპრილი

დღიურში იწერს პაციენტ ვენერა დოლიძის მონათხრობს, როგორ შეხვდა ალია ჩეჩელაშვილი დაწესებულებაში ერთ კაცს, რომელიც რუსულად გამოელაპარაკა. ალიამ დამტვრეული რუსულითვე უპასუხა. უცნობი ადარ მოეშვა ალიას, მთელი ორი საათი აწვალა და რუსულად ალაპარაკა. უეცრად ალიას თანამოსაუბრეს ტელეფონთან სთხოვეს, სადაც მან ქართულად საუბარი დაიწყო. ამის გამგონე ალიამ კაცს უსაყვედურა, თუ ქართველი იყავი, რუსულად რატომ მელაპარაკებოდიო, რაზეც თანამოსაუბრემ უპასუხა, მე რა ვიცოდი, ქართველი თუ იყავიო. ალია გამწყრალა, შე ოჯახქორო, რა გაგება უნდოდა, ჩემი რუსულის სმენით კედლებმა რყევა დაიწყესო.

➤ 7287

1936

#### 20 აპრილი

დღიურში იწერს პაციენტ ვენერა დოლიძის მონათხრობს, როგორ მიართვეს საკონდიტროში ალია ჩეჩელაშვილს ნამცხვარი „ნაპოლეონი“. მას არ მოსწონებია და წასვლისას დაუბარებია, მეორედ რომ მოვალ, უსათუოდ კუტუზოვი დამახვედრეთო.

➤ 7288

1936

#### 20 აპრილი

საქართველოს მწერალთა კავშირში იმართება თავდაცვითი ლიტერატურის სექციის სხდომა, რომელზეც გალაკტიონს ირჩევენ სექციის წევრად.

➤ 7289

1936

#### 21 აპრილი

იწონის 84,8 კილოს.

➤ 7290

1936

#### 22 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „დღეებს დღე ცვლის, წუთებს წუთი...“.

➤ 7291

1936

#### 23 აპრილი

დღიურში იწერს ექიმ გაბრიელ გოკიელის მონათხრობს შარლატანი ექიმების შესახებ. ერთ ახალგაზრდა ექიმს რაიონში წაუღია ჯიბის ფარანი და რენტგენის სურათები. ავადმყოფებს ფარანს ანათებდა, შემდეგ სურათებს აჩვენებდა და დაავადებებს „მკურნალობდა“. ამ საქმიანობით მას გვარიანი ფული უშოვია. მეორე ექიმი ციხის საავადმყოფოში მუშაობდა. ერთ დამნაშავეს სასიკვდილო განაჩენი ელოდა, მისი ნათესავები მოსკოვში აწყობდნენ საქმეს განაჩენის შესაცვლელად, რასაც ერთი თვე სჭირდებოდა. საჭირო იყო როგორმე განაჩენის გადადება ერთი თვით. ექიმმა პატიმრის ნათესავებს დახმარება აღუთქვა 20 000 მანეთის სანაცვლოდ. თანხა გადაუხადეს. ექიმმა მუცლის ტიფის დიაგნოზი დაუსვა დამნაშავეს,

საავადმყოფოში გადაიყვანა და ამ გზით გადაარჩინა. საქმის გამოაშკარავების შემდეგ ექიმი დააპატიმრეს. ციხიდან მან მის მიერ გადარჩენილი ავადმყოფის ნათესავებს შეუთვალა, თუ გკითხონ, უთხარით, თანხის ნახევარი ციხის ზედამხედველმა აიღო.

➤ 7292

**1936**

**23 აპრილი**

დღიურში იწერს პაციენტ ვენერა დოლიძის მიერ მოთხოვნილ ამბავს: გურულმა მეგრელი სადილად დააპატიჟა. მეგრელი რომ მივიდა, ეზოში ბაწრით დაბმული ძაღლი დაინახა და თამამად გასწია სახლისაკენ, მაგრამ ძაღლი გაავდა, ბაწარი გაწყვიტა და მეგრელისაკენ გაექანა. მეგრელი ქვას დასწვდა, მაგრამ მიწიდან ამოღება ვერ მოახერხა და გამწარებულმა დაიძახა: გურულო, შეგარცხვინოს ღმერთმა! ეგ რა გიქნია, ძაღლი აგიშვია და ქვა კი დაგიბამსო!

➤ 7293

**1936**

**23 აპრილი**

დღიურში ინიშნავს ლექსის თემას: ორი კალამი – ბატის ფრთისა და ავტომატური.

➤ 7294

**1936**

**23 აპრილი**

დღიურში ინიშნავს პაციენტ შავლეიშვილის მისამართს.

➤ 7295

**1936**

**23 აპრილი**

დღიურში ინიშნავს, რამდენი მანეთი მისცა ოლია ოკუჯავას აპრილის თვეში.

➤ 7296

**1936**

**23 აპრილი**

დღიურში იწერს, რომ ახლა მისი გართობა ჰგავს კასრიდან მოხსნილ რგოლს. როცა გააგორებ, მთვრალივით ქანაობს, ხან ეცემა, ხან დგება, ბოლოს კი წამოდგომას ველარ ახერხებს და გდია, როგორც მკვდარი.

➤ 7297

**1936**

**23 აპრილი**

დღიურში იწერს საავადმყოფოს სააბაზანოში მოსმენილ დიალოგს. ერთი მოსაუბრე მეორეს შესწივის, ვერაფერი გამიგია დიალექტიკური მატერიალიზმისო, რაზეც თანამოსაუბრე პასუხობს, ეს ყველაფერი ალბათ გამოუცდელი პედაგოგის ბრალიაო.

➤ 7298

**1936**

**24 აპრილი**

საავადმყოფოს პაციენტი გიგო სავანელი ბანქოთი ფოკუსების გაკეთებას ასწავლის.

➤ 7299

**1936**

**24 აპრილი**

გაზეთ „მუშაში“ ქვეყნდება ცნობა, რომ 20 აპრილს შედგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავდაცვითი ლიტერატურის სექციის სხდომა, რომელმაც ხელახლა დააკომპლექტა სექცია პლატონ მიროტაძის, არჩილ ჩაჩიბაიას, ალიო მაშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ქუჩიშვილის, ვასილ გორგაძის და ალექსანდრე გომიაშვილის შემადგენლობით.

➤ 7300

1936

25 აპრილი

ოლია ოკუჯავა სახელმწიფო გამომცემლობისაგან იღებს გალაკტიონის ჰონორარს, 200 მანეთს, და პოეტს საავადმყოფოში 20 მანეთს უტოვებს.

➤ 7301

1936

25 აპრილი

დღიურში აკეთებს ჩანაწერებს საავადმყოფოში მასთან ერთად მყოფი პაციენტის, მექუდე იოსებ ჩაჩანიძის შესახებ, რომელიც მუდამ ყალიონს ეწევა და ამით სხვა პაციენტებს ძლიერ აწუხებს. იგონებს, რომ ერთ დღეს მას ყალიონში ასანთის ღერი ჩაეჭედა და ყველას ეგონა, რომ კვამლისაგან დაისვენებდნენ, თუმცა პაციენტმა გიგო სავანელმა მექუდეს ყალიონი გაუსუფთავა და მანაც მოწევა განაგრძო. როდესაც ჩაჩანიძეს კბილი ასტკივდა, მონახა ძაფი, ჩააბა კბილს და ამოიძრო, თან დაატანა, რომ ადრე არსად იყვნენ კბილის ექიმები და ხალხი სულ თვითონ იღებდა კბილებს. აივანზე ამაყად მოსიარულე იოსებ ჩაჩანიძეს პაციენტი შაქრო შავლიშვილი პოლკოვნიკს ადარებს. მოხუცი მექუდე იხსენებს ახალგაზრდობის ამბებს, როგორი დაუსახლებელი იყო თბილისის ის ადგილები, რომლებიც ახლა განაშენიანებულია. უყვარს ღვინო და ღიღინი. როდესაც ურჩევნ, რომ ქალებთან გაერთოს, პასუხობს, რომ ეს რჩევა ჭკუასთან ახლოსაა.

➤ 7302

1936

25 აპრილი

დღიურში ინიშნავს საავადმყოფოში გაგონილ დიალოგს. ერთი ავადმყოფი ეკითხება მეორეს, რა პროფესიისაა. როცა იგებს, რომ ის ვენახს ამუშავებს, ინტერესდება, კახელი ხომ არ არის და სწორად ამოიცნობს.

➤ 7303

1936

25 აპრილი

გამწყრალია სერგო კლდიაშვილზე, რომელიც „სურამის ციხეს“ აკრიტიკებს. გალაკტიონი მიიჩნევს, რომ „სურამის ციხეში“ არის ისეთი ექსპრესიით დაწერილი ადგილები, კლდიაშვილებს რომ არ მოეღანდებათ.

➤ 7304

1936

25 აპრილი

დღიურში ინიშნავს ფრაზას „აბა, მაშინ უნდა მნახო“ და კომენტარს ურთავს, რომ საერთოდ მეცხრამეტე საუკუნის ლექსებში არის ძლიერი ადგილები, რომლებიც შედევრებად გამოდგება პროზისთვის.

➤ 7305

1936

25 აპრილი

დღიურში ინიშნავს, რომ ვერის დადმართზე უცხოვრია 130 წლის კაცს. როდესაც მის სანახავად მისულან, სახლის სახურავის შესაკეთებლად ასული დახვედრიათ. ინიშნავს თემას – „ასი წლისანი, რომელთაც მე შევხვედრივარ“.

➤ 7306

1936

### 26 აპრილი

დღიურში ინიშნავს საავადმყოფოს პაციენტის მოყოლილ ანეკდოტს: სომეხი ქართველის სახლში შეიჭრა, და როცა ნახა, რომ ოჯახის უფროსი შინ არ იყო, მის მეუღლეზე იძალადა. ქართველმა გადაწყვიტა სამაგიეროს გადაეხადა. მან ქალაქში შეშა წაიღო გასაყიდად და ამ სომხის სახლთან გაჩერდა. როცა სომეხმა გამოიხედა და შეშის ფასი იკითხა, ქართველმა მიუგო: ფულად არ ვყიდი, ქალად ვყიდი, ვინც ჩემთან ღამეს გაატარებს, იმ ქალის იქნება შეშაც, ურემიც და ხარებიცო. სომეხმა ცოლი დაიყოლია, რომ ქართველთან დაწოლილიყო. ამის შემდეგ ქართველმა ხმაური ატეხა, ამ ქალმა ავი სენი დამმართაო. შეშინებულმა სომეხმა ქართველს ყველაფერი უკან დაუბრუნა და დამატებით ასი თუმანიც მისცა, ოღონდ ეს ამბავი არ გაახმაურო და თავი არ მოგვჭრაო.

➤ 7307

1936

### 26 აპრილი

დღიურში იწერს საავადმყოფოს ერთ-ერთი გურული პაციენტის მიერ მოყოლილ ამბავს მიკიტნისა და სამი ძმის შესახებ. ძმათაგან ერთი ქალაქში ყოფნისას ღამის გასათევად მიკიტნის დუქანში დარჩა. მიკიტანი ას მანეთზე დაენაძლევა, ამაღამ ფაღარათი დაგემართება და ყველაფერს წაბილწავო. ასეც მოხდა და მიკიტანმა ნიძლავი მოიგო. მსგავსადვე წააგო მიკიტანთან ასი მანეთი მეორე ძმამაც. მესამე ძმამ კი გადაწყვიტა, შური ეძია და ექვსას მანეთზე დაენაძლევა მიკიტანს. შუალამისას, როდესაც საშინელი მუცლის ტკივილი დაეწყო. ადგა და მიკიტნის ჩექმებსა და ოთახში მდგარ დოქში მოისაქმა. გამოართვა მიკიტანს ფული, შეჯდა ცხენზე და გაუდგა გზას, მაგრამ აღმოაჩინა, რომ მათრახი დარჩენოდა და დუქანში დაბრუნდა. იქ მიკიტნის ცოლზე იძალადა, მათრახიც აიღო და წავიდა. გამწარებულმა მიკიტანმა გადაწყვიტა გამოჰკიდებოდა, მაგრამ ფეხი დასვრილ ჩექმაში ჩაჰყო და როცა დაბანა გადაწყვიტა, დოქშიც წყლის ნაცვლად იგივე სიბინძურე აღმოჩნდა. მაშინ კი მწარედ დაფიქრდა მიკიტანი.

➤ 7308

1936

### 26 აპრილი

დღიურში იწერს საავადმყოფოს ერთ-ერთი გურული პაციენტის მიერ მოყოლილ ამბავს ძმების – შალიკოსა და ზალიკოს შესახებ, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ და ახალგაზრდა ცოლები ჰყავდათ. შალიკოს ცოლმა ქმარს ზალიკო სახლიდან გააგდებინა. მისცეს ერთი ვირი და ქოხი ტყის პირას. ზალიკო ვირის გასაყიდად წავიდა, რომ პური ეშოვნა, ტყეში კლდის მირას შემოაღამდა, ვირი იქ დააბა და სახლში დაბრუნდა. ცოლს უთხრა, ვირი გავყიდე და ფულს ხვალ მომცემნო. ღამით ვირი მგლებმა შეჭამეს. გამწარებულმა ზალიკომ კლდეს ქვა დაჰკრა: „კლდეო, ახლავე ვირის საღირალი ფული გადამიხადეო“ და მართლაც და ჩამოტეხილი ადგილიდან ოქრო გადმოცვივდა. როდესაც შალიკომ გაიგო, რომ მისმა ძმამ ოქრო იპოვა, მოსთხოვა, მასწავლე ის კლდე სად არისო. ზალიკომ მისაწავლა. შალიკომ ღამით დასუქებული ხარები დატოვა კლდესთან, რომლებიც მგლებმა შეჭამეს. შემდეგ მან მოსთხოვა კლდეს, გადამიხადე ხარების საფასურიო, მაგრამ ვერაფერი მიიღო. გაბრაზებულმა შალიკომ ძმა ტომარაში გაახვია და წაიყვანა, ზალიკომ ყვირილი დაიწყო, წინ ხელმწიფის ქალი მიდის, მეუბნება ცოლად წამიყვანეო, მაგრამ მე უარს ვეუბნებიო. შალიკომ – აბა, მე ჩამსვი მაგ ტომარაშიო, ჩაჯდა და დიდხანს იყურყუტა იქ. ამასობაში ზალიკომ მწყემსის ცხვარი გარეკა. ძმა დაინტერესდა, საიდან იშოვა

ამდენი ცხვარი. მან მიუგო, შენ რომ კლდიდან გადამაგდე, იქ დამხვდაო და ხარბი შალიკო თავისივე ნებით გადავარდა კლდიდან.

➤ 7309

**1936**

**26 აპრილი**

დღიურში იწერს საავადმყოფოს ერთ-ერთ პაციენტის გიორგი ბერომვილის მონაყოლ ამბავს: ერთ კაცს ცოლი ჰყავდა და ღარიბად ცხოვრობდა. ცოლმა უთხრა, რომ წასულიყო და ფული ეშოვნა. კაცი გულმოდგინედ მუშაობდა ვენახებში და კაპიკს კაპიკზე აწებებდა, მოაგროვებდა ორი ადამიანის სამყოფი თანხა და სახლში დაბრუნდა. გზაზე ძლიერ მოშივდა. დაინახა ვაშლის ხე, რომელსაც სამი ნაყოფი ება, ავიდა ხეზე, სამივე ვაშლი შეჭამა და სამი სარცხვინელი გამოეხა. სახლში მისულმა ცოლს შესჩვილა. ცოლმა დაამშვიდა, რომ ორივეს მიუჩენდა ადგილს. გიორგი ბერომვილი აქ გაჩერებულა, თითქოს ამბავი დაასრულაო. გურულ პაციენტს უკითხავს, მესამეს, მესამეს რა ბედი ეწიაო, რაზეც გიორგი ბერომვილს მიუგია, მესამე შენ გერგოო და სიცილი დაუწყია.

➤ 7310

**1936**

**26 აპრილი**

დღიურში იწერს საავადმყოფოს ერთ-ერთი პაციენტის გიორგი ბერომვილის მიერ მოყოლილ ზღაპარს. ქალი უსიყვარულოდ გაათხოვეს. თავის ნამდვილ სატრფოს რომ ვეღარ ხვდებოდა, თავი მოიძვდარუნა და ქმარი შორეულ სოფელში გაგზავნა, მხოლოდ იქაური პური მომარჩენსო. როცა ქმარი დასახელებულ სოფელში ჩავიდა, იქ ერთი კაცი გამოელაპარაკა, რომელსაც თავისი ამბავი მოუთხრო. უცნობმა უთხრა, ცოლი გასულელებს და ალბათ ახლა საყვარელთან ერთობაო. გლეხმა არ დაუჯერა მის სიტყვებს და დაენადლევა, რომ ცოლი მისი ერთგული იყო. სიმართლის გამოსარკვევად გაუდგნენ სოფლის გზას. გლეხის სახლს რომ მიუახლოვდნენ, უცნობმა ქმარი ტომარაში ჩასვა, მიადგა გლეხის ცოლს და ღამის გასათევი ითხოვა. ქალმა შინ შეიპატიჟა, სადაც სუფრასთან უცხო კაცი დახვდათ. ქალმა თარზე დაამლერა, როგორ გაისტუმრა ქმარი შორეულ სოფელში და როგორ ნატრობდა, რომ აღარ დაბრუნებულყო. შემდეგ ქმრის თანმხლებმა კაცმა მიუძღერა ტომარაში მყოფს: „მე რომ გუშინ სიტყვა გითხარ, გენიშნება თუ არაო?“. გამოვარდა ქმარი ტომრიდან, დახოცა ცოლი და საყვარელი და მის თანმხლებ კაცთან ერთად მიუჯდა სუფრას.

➤ 7311

**1936**

**26 აპრილი**

საავადმყოფოს მასაჟისტი ქალბატონი ურჩევს, რომ მსუბუქი ვარჯიშები აკეთოს და, იმისათვის, რომ მოტეხილი ფეხის ტკივილმა არ შეაწუხოს, ისეთი ფეხსაცმელი ატაროს, როგორც ეცვა ხოლმე ლენინს – მთლიანად ტყავის და მხოლოდ კოჭებზე რეზინის ქსოვილის.

➤ 7312

**1936**

**26 აპრილი**

იგებს, რომ 25 აპრილს მარცხით დასრულდა აბისინიელთა ბრძოლა იტალიელების წინააღმდეგ ოგადენის რეგიონში.

➤ 7313

**1936**

**26 აპრილი**

იწონება. სასწორი უჩვენებს 85.5 კილოგრამს.

➤ 7314

1936

26 აპრილი

დღიურში ინიშნავს, რომ მოულოდნელად გაეწერა პაციენტი პავლე ჩახნაშვილი, სიღნაღის მაზრის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, იმჟამად საქართველოს ღვინის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელი. ახასიათებს მას, როგორც საინტერესო პირს, რომელიც გარეგნობით თვითკმაყოფილ ადამიანს ჰგავს, აქვს მოსწრებული ენა, არის პირდაპირი და ცოტა უხეში. ის მოხუც პაციენტებს საიქიოს მალე გამგზავრებას და კუპრში ამოვლებას უწინასწარმეტყველებდა, ქალებს კი სულ მათ სიბერეზე ელაპარაკებოდა. ყველას მიმართ ცინიკურ დამოკიდებულებას ავლენდა, აკეთებდა, რაც მოესურვებოდა და სხვა პაციენტების ინტერესებს არ ითვალისწინებდა. კარგ ხასიათზე მაშინ დგებოდა, როცა სანოვაგეს შეუგზავნიდნენ. მექუდე იოსებ ჩაჩანიძე აღმასკომის თავმჯდომარედ მის მუშაობას კრიტიკულად აფასებდა და ამბობდა, რომ ადრე წესიერი ხალხი გაურბოდა თანამდებობებს, ახლა კი დახარბებულები არიან.

➤ 7315

1936

27 აპრილი

იწონის 83,8 კილოს.

➤ 7316

1936

28 აპრილი

გაზეთებში „ლიტერატურული საქართველო“ და „Заря Востока“ იბეჭდება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარის აკაკი თათარიშვილის სიტყვის – „ლიტერატურული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნისათვის“ – სტენოგრამა, რომელშიც შეფასებულია მწერალთა კავშირში გამართული დისკუსია ლიტერატურაში ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ. პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთმა მწერალმა სათანადოდ ვერ გაიაზრა შემოქმედებითი დისკუსიის არსი, მათ შორის სანდრო შანშიაშვილმა, რომელიც ცდილობდა განურჩევლად უარეყო სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის უდავო ღირსებები. აკაკი თათარიშვილი მიუთითებს, რომ მართალია, არც ერთი საბჭოთა მწერლის შემოქმედება, რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს მისი დამსახურება, არ შეიძლება დავაყენოთ ბოლშევიკურ თვითკრიტიკაზე მაღლა, მაგრამ უდავოდ არასწორი იყო სანდრო შანშიაშვილის მხრიდან გალაკტიონ ტაბიძის ბოლო პერიოდის ლირიკის უარყოფითი შეფასება, რაც დიამეტრულად ეწინააღმდეგება პროლეტარული საზოგადოების თვალსაზრისს.

➤ 7317

1936

28 აპრილი ან შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს „ზარია ვოსტოკას“ იმ ნომერს, რომელშიც აკაკი თათარიშვილის სიტყვის სტენოგრამა გამოქვეყნდა გალაკტიონის პოეზიის სანდრო შანშიაშვილისეული შეფასების კრიტიკით.

➤ 7318

1936

29 აპრილი

ემზადება ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის საავადმყოფოდან გასაწერად. აწესრიგებს დოკუმენტებს. ორი თვის შემდეგ გეგმავს რომელიმე კურორტზე წასვლას. გრძნობს, რომ გულის



მდგომარეობა გაუმჯობესდა. ფიქრობს, თუ მოხერხდება, მეუღლესთან ოლია ოკუჯავასთან, ერთად დაისვენოს წყალტუბოში.

➤ 7319

**1936**

**29 აპრილი**

ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის დირექტორი ივანე კონიაშვილი ურჩევს, რომ დასასვენებლად ახალ ათონში ან გაგრაში წავიდეს.

➤ 7320

**1936**

**30 აპრილი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „დიდი, სახალხო!“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 7321

**1936**

**30 აპრილი**

ასრულებს ნიკოლაი ოსტროვსკის რომანის – „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ – კითხვას და ფიქრობს, რომ საჭირო წიგნია.

➤ 7322

**1936**

**30 აპრილი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ავჭალის ბავშვთა კოლონიის გამგის მონათხრობს, რომ დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა უზარმაზარი მუწუკი კისერზე, რასაც ექიმებმა ვერაფერი მოუხერხეს, ერთ დილას კი იგი სასწაულებრივად თავისით გაუქრა.

➤ 7323

**1936**

**30 აპრილი**

დაინტერესებულია, რომ კომპოზიტორმა გიორგი სვანიძემ დაწეროს მელოდიები მის ტექსტებზე და დღიურში ინიშნავს, რომ სვანიძეს თავისი სიმფონიის გამოქვეყნება განზრახული აქვს ზაფხულში.

➤ 7324

**1936**

**აპრილი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ „ცისფერყანწელებს“ უნდა ვუყუროთ არა თვალებში, არამედ ხელებში.

➤ 7325

**1936**

**აპრილი**

ერემია ასტვაცატუროვი ჟურნალში „მნათობი“ აქვეყნებს რეცენზიას გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მეორე ტომზე – „გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ახალი წიგნი („თხზულებანი“, ტომი მეორე. სახელგამი)“. კრიტიკოსის შეფასებით, ეს წიგნი იმის დასტურია, რომ ავტორი „საბჭოთა ეპოქის საუკეთესო და ნიჭიერი პოეტია“. რეცენზენტი მიმოიხილავს მის თემატიკას, მსჯელობს რევოლუციის, ინდუსტრიალიზაციის, კლასობრივი ბრძოლის, ახალი ადამიანის ასახვის შესახებ გალაკტიონის პოეზიაში და იმეორებს საბჭოთა კრიტიკაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს გალაკტიონის შემოქმედების ორი პერიოდის თაობაზე. სტატიაში აღნიშნულია,

რომ მენშევიკების მოჩვენებით „სოციალიზმს“ არ მოუხიბლავს გალაკტიონი და ამ პერიოდში იგი „უაღრესად გაპასიურდა, თითქმის სრულიად სდუმდა“. პოეტი თავიდან სქემატურად აღიქვამდა რევოლუციას, მაგრამ ოქტომბრის პირველივე დღეებიდან სრულიად განიკურნა უიმედობისაგან და ახალი შემოქმედებითი ენერგიით აივსო. სევდისა და უიმედობის პოეტიდან ის ბრძოლისა და სიხარულის პოეტად გარდაიქმნა. მის შემოქმედებით მეთოდად კი რევოლუციური რომანტიზმი და სოციალისტური რეალიზმი იქცა. კრიტიკოსის აზრით, გალაკტიონის მსოფლმხედველობრივი მომწიფების დასტურია პოემები „ეპოქა“ და „რევოლუციური საქართველო“

➤ 7326

## მ ა ი ს ი

1936

### 1 მაისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ დავით კლდიაშვილი არ არის თანამედროვეობაში პოპულარული ავტორი და ვიღაცას ასეც კი დაუხასიათებია, თავადიშვილი იყო და ყმები ჰყავდაო.

➤ 7327

1936

### 7 მაისამდე

უბის წიგნაკში იწერს, გაარკვიოს, არის თუ არა სასტუმრო წყალტუბოში და რა ხარჯებთან იქნება დაკავშირებული კურორტზე ორი კვირის გატარება. გეგმავს, გადაიღოს კბილის რენტგენი, ასევე უთხრას ექიმს, რომ აწუხებს ხველა და სულის ხუთვა.

➤ 7328

1936

### 7 მაისამდე

გეგმავს წიგნის მაღაზიებში შეათვალიეროს უცხოური ლიტერატურის რუსულენოვანი გამოცემები, ასევე შეიძინოს მელანი ავტოკალმისათვის.

➤ 7329

1936

### 7 მაისამდე

აპირებს გაარკვიოს რა კრება გაიმართა 23 აპრილს მწერალთა კავშირში და შესაძლებელია თუ არა კრების სტენოგრაფიული ანგარიშის გადათვალიერება.

➤ 7330

1936

### 7 მაისამდე

გეგმავს ლიტერატურული ფონდიდან მიიღოს ფული და მოწმობა სამკურნალო კომისიისათვის, რათა შეძლოს კურორტზე სამკურნალოდ წასვლა.

➤ 7331

1936

### 7 მაისამდე

გეგმავს ადგილობრივი და რუსული გაზეთების გამოწერას ივნისის თვისათვის.

➤ 7332

1936

### 7 მაისამდე

აპირებს თბილისის სადგურზე შეიძინოს წყალტუბოში გასამგზავრებელი ბილეთები.

➤ 7333

1936

**7 მაისამდე**

გეგმავს გაზეთში „მუშა“ გამოაქვეყნოს განცხადება დოკუმენტების დაკარგვის შესახებ.

➤ 7334

1936

**9 მაისამდე**

ნასვამი გამოდის მარჯანიშვილის თეატრიდან. მოჰყვებიან მსახიობები: შალვა ღამბაშიძე, ვასო გოდიაშვილი, სერგო ზაქარიაძე და გიორგი შავგულიძე. ემშვიდობება მათ და მისეირნობს მარჯანიშვილის ქუჩაზე, აჩერებს უცნობ მამაკაცს და გადაკოცნის. გამვლელი ვერ ცნობს მას და გაკვირვებული რჩება მისი საქციელით.

➤ 7335

1936

**9 მაისი**

დღიურში იწერს საავადმყოფოში 82 წლის მექუდე იოსებ ჩაჩანიძესთან თავის საუბარს. თბილისში ყოფილი გოლოვინის პროსპექტზე მდებარე ძველი ცირკის შესახებ ჩაჩანიძე უყვება, როგორ აწყობდნენ უცხოელი მსახიობები სცენის შუაში სახელდახელო აუზს წყლის ატრაქციონისთვის, როგორ დააქროლებდნენ ცხენებს აკრობატი ქალები და როგორ გამოკიდეს ერთხელ ცირკის ფიცრული შენობის კედლებზე 1871 წელს პარიზის კომუნის დაცემისას სასტიკი საბრძოლო შეტაკებების ამსახველი სურათები. როცა გალაკტიონის შეკითხვაზე, როგორი რეაქცია ჰქონდა ხალხს ამ სურათების ნახვაზე, მექუდე პასუხობს, რომ ძალიან აინტერესებდათ და ფულსაც იხდიდნენ მის სანახავად, მაგრამ შემდეგ, ალბათ ვიღაცის ბრძანებით, ეს სურათები ჩამოხეული დახვდათ.

➤ 7336

1936

**20 მაისი**

იმყოფება ქუთაისში და ფოტოატელიეში იღებს ფოტოსურათს, რომელზეც აწერს თარიღს, გადაღების ადგილს და ლექსის სტროფს „შენ, გალაკტიონ, იცი? რა დაუდევრად ჩქარა, ქრება ქალების ფიცი, წყნარად იარე, წყნარად“. ფოტოს ჩუქნის ბონდო კეშელავას.

➤ 7337

1936

**მაისი**

იმყოფება წყალტუბოში.

➤ 7338

1936

**მაისი**

გიორგი ქუჩიშვილთან ერთად ქუთაისში სტუმრობს სამეურნეო სკოლის დირექტორ ჯაჯუ ჯორჯიკიას. მასთან ერთად იმყოფებიან მამია ასათიანი, დია ჩიანელი, კოტე დემეტრაძე და ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გრიგოლ გაბუნია. სადილის შემდეგ გიორგი ქუჩიშვილი და გალაკტიონი ლექსებს კითხულობენ, შემდეგ კი ფეხით მიუყვებიან გზას რიონჰესის საგუბარისკენ ჭომაში. გალაკტიონი აღტაცებით აცნობს თანამგზავრს ტერიტორიის ღირსშესანიშნაობებს. რიონჰესის კაშხალთან მისულები გზას კიბულისკენ აგრძელებენ გოდოგონის მინდვრების გავლით და მდინარე წყალწითელას უძველეს ხიდს მიადგებიან. აქ მათ რიონჰესის მმართველი ვლადიმერ ჯიქია და ინჟინერი გიორგი მიქელაძე ხვდებან. არხთან მოულოდნელად მსახიობებს: უმანგი ჩხეიძეს, შალვა ღამბაშიძეს, ივლიტა ჯორჯაძეს და პარტიის

საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტის გამგეს თედო კორსაველს წააწყდებიან. ღამბაშიძე გალაკტიონის ჯერ კიდევ დაუბეჭდავ ლექსს „წყალტუბოდან ქუთაისში“ კითხულობს და პოეტს გადაეხვევა. შემდეგ ჯიქიას თაოსნობით ახალგაზრდების საერთო საცხოვრებელში შედიან და იქაურ მაცხოვრებლებს ხვდებიან. ყოველგვარი ოფიციალური შესავლის გარეშე იწყება ლექსებისა და ნოველების კითხვა. ჯერ დია ჩიანელი იწყებს, შემდეგ ჯაჯუ ჯორჯიკია, ბოლოს გახალისებული გიორგი ქუჩიშვილი და გალაკტიონიც ერთვებიან.

➤ 7339

1936

მაისი

უბის წიგნაკში წერს სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო-საგამომცემლო სამმართველოს უფროსის ლიდა გასვიანის სახელზე გასაგზავნი დეპეშის მონახაზს. სამმართველოსგან ითხოვს, რომ წყალტუბოში გადაუგზავნონ 500 მანეთი.

➤ 7340

1936

მაისი

რუსულ ჟურნალში „ნა რუბეჟე ვოსტოკა“ იბეჭდება ნაწყვეტი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „პრესა“.

➤ 7341

1936 ან ადრე

გაზაფხული

ღამით ოლია ოკუჯავა უწერს ვრცელ წერილს და უყვება თავის მძიმე განცდებზე, რომლებიც უკავშირდება მეუღლის ლოთობას და ავადმყოფობას. ევედრება, თავი დაანებოს სმას და დაიწყოს მკურნალობა. სწერს, რომ გალაკტიონს ოლია ქვასავით უგრძნობ ადამიანად მიაჩნია იმიტომ, რომ არ იხედება მის სულში.

➤ 7342

## ი ვ ნ ი ს ი

1936

1 ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს რუსულენოვან ეპიგრამებს პაოლო იაშვილის შესახებ.

➤ 7343

1936

1 ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში რუსულ ენაზე აკეთებს ჩანაწერს, რომ თუ საბჭოთა მწერალს რაიმე დიადის, ეპოქის შესაფერისის შექმნა განუზრახავს, ის უნდა იყოს საუკეთესო მწერალი მსოფლიოში, მას უნდა ჰქონდეს შემოქმედებითი მუშაობის მყარი და ნათელი პერსპექტივა.

➤ 7344

1936

1 ივნისის შემდეგ

სახელმწიფოს განზრახული აქვს ლენინის ორდენის ლაურეატების თითო წიგნის გამოქვეყნება რუსულ ენაზე. რამდენადაც გალაკტიონს წინასწარ დაჰპირდნენ, რომ მისი წიგნი შეიძლებოდა მაქსიმალურად დიდი მოცულობისა ყოფილიყო, გადაწყვეტილი აქვს შეადგინოს ხუთასგვერდიანი წიგნი. მეტი მასალის ჩატევის მიზნით აპირებს, რომ ნიკოლაი ტიხონოვის თარგმანებში ორ-ორი სტრიქონი გააერთიანოს. ფიქრობს, გააკეთოს რუბრიკა „ნაწყვეტები ადრინდელი ლექსებიდან“. სურს, რომ კრებული აუცილებლად გაიხსნას ლექსით „ვინა სთქვა? („დაბლა ჰყრია ქვა და გუნდა...“), მაგრამ სათაურად ჰქონდეს არა „Я славлю новь“, არამედ

მხოლოდ „НОВЬ“. მისი აზრით, წიგნისთვის წასამძღვარებლად შეიძლება გამოადგეს კრემლში გადაღებული ფოტო, რომელსაც მხატვრები დაამუშავებენ, ან ახალგადაღებული. მიაჩნია, რომ, ლენინის ორდენის ყველა მფლობელის წიგნი ახლავე უნდა გამოიცეს, მაგრამ ყველა ორდენოსნის გათანაბრება არ შეიძლება თავად კომუნისტური პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს თითოეულისთვის მიგებას გაწეული შრომის მიხედვით. მისი აზრით, უმჯობესია ნიკოლაი ტიხონოვისა და ბორის ბრიკის თარგმანების დაბეჭდვა, მაგრამ ფიქრობს, რომ ლექსების ქრონოლოგიურად დაწყობა შეუძლებელია. ჯერ კიდევ არ იცის, ვინ გამოსცემს წიგნს, დართული ექნება თუ არა მისი ავტოგრაფი, როდის გამოვა და როგორი ჰონორარი ექნება.

➤ 7345

1936

1 ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ წავიდა ის დრო, როცა იკითხავდი, რამდენი მოგცეო და პასუხად მოგიგებდნენ, რამდენიც გაგიხარდებო.

➤ 7346

1936

1 ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სდგა მთა უქიმერიონი...“.

➤ 7347

1936

1 ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „უკანასკნელი ლხინი“.

➤ 7348

1936

1 ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „მზის ამოსვლა“.

➤ 7349

1936

1 ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ჩადიოდა მნათობი...“.

➤ 7350

1936

1 ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის სამეცნიერო განყოფილების თანამშრომლის გრიგოლ კალანდარიშვილის ტელეფონის ნომერს.

➤ 7351

1936

1 ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ორსტრიქონიან ლექსს „კაცმა უნდა სწორებით...“.

➤ 7352

1936

1 ივნისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს არაკს „მეწისქვილის შვილი“. მასში საუბარია იმაზე, რომ გარდაცვლილი ბოროტი მეწისქვილისადმი ხალხის გულისწყრომის შესანელებლად მისმა შვილმა მამაზე უფრო მკაცრი მოთხოვნები დაუწესა გლეხებს.

➤ 7353

1936

#### 1 ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მოგონებები – თითქო მთებია...“.

➤ 7354

1936

#### 4 ივნისი ან შემდეგ

სერგო ფარებუზოვი უკითხავს სომეხი მთარგმნელისა და კრიტიკოსის სურენ ავჩიანის სტატიას.

➤ 7355

1936

#### 4 ივნისი ან შემდეგ

იგებს, რომ ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკაში მოხსენება წაუკითხავს ვარლამ ხუროძეს.

➤ 7356

1936

#### 4 ივნისი ან შემდეგ

იგებს, რომ მწერლების ბიუსტების გამკეთებლებს თურმე ჯარიმებს ახდევინებენ.

➤ 7357

1936

#### 5 ივნისი

წერს ლექსს „ბეითალი ქალი – სახელად ვენერა“.

➤ ➤ 7358

1936

#### 5 ივნისი

დღიურში იწერს სადღაც მოსმენილი სიმღერის ტექსტს: „იას ვარდი მირჩევნია, / წყალს კი ღვინო ასპინზეო. / ყველა პოეტს მირჩევნია / გალაკტიონ ტაბიძეო“.

➤ 7359

1936

#### 8 ივნისი

მიხაილოვის (ამჟამინდელი დავით აღმაშენებლის) გამზირზე შენიშნავს მიქელ პატარიძეს, სურს, რომ გვერდი აუაროს, მაგრამ პატარიძე აჩერებს და გამოელაპარაკება. ატყობინებს, რომ რუსი მთარგმნელი და პოეტი პანტელეიმონ პეტრენკო ჩელიუსკინელების (ამჟამინდელი თამარ მეფის) ხიდიდან მტკვარში გადახტა და დაიხრჩო. იგი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობდა და მხოლოდ 600 სტრიქონის თარგმნადა ჰქონდა დარჩენილი. გალაკტიონს აფორიაქებს, რას უნდა მიეყვანა ახალგაზრდა კაცი თვითმკვლელობამდე, გულით თანაუგრძნობს მის დედას და წუხს იმაზეც, რომ ვეფხისტყაოსანს მასავით სხვა ვერ თარგმნის.

➤ 7360

1936

#### 9 ივნისი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ კითხულობს რუსი მთარგმნელის პანტელეიმონ პეტრენკოსადმი მიძღვნილ ნეკროლოგს.

➤ 7361

**1936**

**19 ივნისამდე**

წერილს იღებს სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო-საგამომცემლო სამმართველოს უფროს ლიდა გასვიანისგან. სწერს, რომ მისი პირველი ტომი კარგა ხნის წინ უნდა გამოცემულიყო, მაგრამ გალაკტიონის მიერ მასალის წარმოუდგენლობის გამო ვერ მოხერხდა. სთხოვს, რომ ტომის მასალა მომზადებული, სუფთად გადაწერილი, დალაგებული და გვერდები დანომრილი აუცილებლად წარადგინოს 19-20 ივნისისთვის, რომ მიმდინარე წელს მოესწროს მისი გამოცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ჰკონორარი იქნება.

➤ 7362

**1936**

**22 ივნისი**

იღებს მოსკოვის ამიერკავკასიის წარმომადგენლობისგან გაგზავნილ კ. ოლინის ხელმოწერილ რადიოგრამას, რომლითაც სთხოვენ 26 ივნისს მოსკოვში ჩასვლას. ტელეგრამას მწერალთა კავშირიდან გვიან უგზავნიან, რის გამოც ბევრ პრობლემას აწყდება. რკინიგზით წასვლას ვერ ასწრებს და უწევს გადაფრენა, რაც არ სურს სუსტი გულის გამო.

➤ 7363

**1936**

**23 ივნისი**

ემზადება მოსკოვში წასასვლელად და მთელი დღე დადის, ყიდულობს თვითმფრინავის ბილეთს, ლიტერატურული ფონდიდან იღებს ჰკონორარს.

➤ 7364

**1936**

**23 ივნისი**

მოკლე წერილს იღებს ლევ დემიდოვისგან. სწერს, რომ მასთან მისვლა უნდოდა, როგორც უფროს ძმასთან, მაგრამ დაეჭვდა, გაიგებდა კი მის გასაჭირს? უგზავნის მაქსიმ გორკისადმი მიძღვნილ ლექსს, რომელიც ჯერ არავისთვის წაუკითხავს. უმხელს, რომ ძალიან ამაყია. ამიტომ აღარავის შეაწუხებს და ფეხით წავა თბილისიდან.

➤ 7365

**1936**

**24 ივნისი**

დილის 4 საათზე აკითხავს მანქანა, სხვა მგზავრებთან ერთად მიდის აეროპორტში და მიფრინავს მოსკოვში.

➤ 7366

**1936**

**24 ივნისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება პარიზული ციკლის რამდენიმე ლექსი: „100, 100 და კიდევ 100 ლექსი“, „იმ დღეს რომ იყო“, „ანდრე ჟიდი და ანდრე მალრო“, „ანდრე მალრო“, „მწერალი გრიმით – პარიზის კონგრესზე“, „ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე“.

➤ 7367

**1936**

## 26 ივნისი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ანრი ბარბიუსი კონგრესზე“.

➤ 7368

## 1936

### 27 ივნისი

მოსკოვში, კრემლში ჩატარებულ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, გადასცემენ ლენინის ორდენს.

➤ 7369

## 1936

### ივნისი

რუსულ ჟურნალში „ნა რუბეჟე ვოსტოკა“ იბეჭდება ნაწყვეტი გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ცაში აიჭრა ასობით ლექსი“ ვალერიან გაფრინდაშვილისეული და ლექსის „მწერალი გრიმით“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანები.

➤ 7370

## 1935-1936

### ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „უკანასკნელი ღრუბელი“ („იმ უკანასკნელ ღრუბელში...“).

➤ 7371

## ი ვ ლ ი ს ი

### 1936 ან ადრე

#### 7 ივლისი

ოლია ოკუჯავა საღამომდე ელოდება სახლში, შემდეგ კი ბარათს უტოვებს და მკერავთან მიდის. სთხოვს, არსად წავიდეს, დაისვენოს და ისიც მალე მივა.

➤ 7372

## 1936

#### 16 ივლისი

აფრთხილებენ, დაფაროს ლიტფონდის დავალიანება 500 მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებიან მიმართონ იძულებითი გადახდის საშუალებას.

➤ 7373

## 1936

#### 24 ივლისი

რადიოთი ისმენს ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიას და უბის წიგნაკში იწერს განცდილ ემოციებს.

➤ 7374

## ა გ ვ ი ს ტ ო

## 1936

#### 11 აგვისტო

„ზარია ვოსტოკა“ ხელშეკრულებას აფორმებს მთარგმნელ დიმიტრი პეტროვსკისთან 10 ოქტომბრამდე გალაკტიონის ლექსების ათასი სტრიქონის თარგმნაზე. ბენიტო ბუაჩიძე ჰპირდება, რომ 10 დღეში მიაწვდის პჭკარელებს, მაგრამ გადის თვე და მთარგმნელს მასალა არ მისდის.

➤ 7375

## 1936

#### 21 აგვისტო



აპატიმრებენ მის ცოლისძმას, მიხეილ ოკუჯავას.

➤ 7376

1936

27 აგვისტო

წერს ლექსს „შრომა და მოსვენება“.

➤ 7377

1936

აგვისტო

აკაკი თათარიშვილთან და დუტუ მეგრელთან ერთად ხელს აწერს სტალინისადმი მიმართულ ღია წერილს, რომელიც გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება სათაურით „საქართველოს საბჭოთა მწერლების წერილი ხალხთა დიდ ბელადს ანხ. სტალინს“.

➤ 7378

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1936

4 სექტემბერი

გაზეთში „პრავდა“ იბეჭდება გალაკტიონის ფოტო წარწერით „გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით“.

➤ 7379

1936

5 სექტემბერი

მთარგმნელ დიმიტრი პეტროვსკისგან ხარკოვიდან იღებს თავისი ლექსის თარგმანს სათაურით „В этих стихах вспоминается“, ადრესანტის რჩეული ლექსების წიგნს და წერილს. პეტროვსკი ჰპირდება თავისი კიდევ ერთი წიგნის „სტუმრად ლერმონტოვთან“ მიწოდებას, როგორც კი მიიღებს მოსკოვიდან. ადრესანტი წუხს, რომ „ზარია ვოსტოკამ“ გალაკტიონის ლექსების თარგმანები შეუკვეთა, მაგრამ პწკარედები არ მიაწოდა. ინტერესდება, უკმაყოფილო ხომ არ არის გალაკტიონი მისი თარგმანებით. წერს, რომ ლექსის „დიოსკურია“ თარგმანი პირადად მას ძალიან მოსწონს. შესასწორებელია მხოლოდ ერთი ლაფსუსი, რაც შეეხება მეორე ლექსს „Близи тысяч“, თავადვე არ მოსწონდა და ხელახლა თარგმნა. სწერს, რომ ძალიან უნდა, რომ მოსკოვის მწერალთა სახლში ოქტომბრის დასაწყისისთვის დაგეგმილი გალაკტიონის სალამოსთვის მოასწროს კიდევ რამდენიმე ლექსის თარგმნა, თუ გალაკტიონი შეძლებს პწკარედების მიწვდენას. წერს, რომ „დიოსკურიის“ მისეული თარგმანი, სავარაუდოდ, დაიბეჭდება ჟურნალში „კრასნაია ნოვ“. ამ ჟურნალიდან ბენიტო ბუაჩიძეს უთვლიან, რომ მოუთმენლად ელიან მის სტატიას გალაკტიონზე. დიმიტრი პეტროვსკი ინტერესდება გამომცემლობის „საბჭოთა მწერალი“ მიერ დაგეგმილი გალაკტიონის კრებულის გამოცემით, რომელსაც რედაქტორობს ნიკოლაი ტიხონოვი. დიდი სურვილი აქვს, რომ მის მიერ გაკეთებული სამი თარგმანი ამ გამოცემაშიც შეიტანონ. ამიტომ სთხოვს პოეტს, რომ ერთი თვით შეაჩერებინოს წიგნის გამოცემა. ასევე სთხოვს, რომ ლექსის თარგმანი, რომელსაც წერილთან ერთად უგზავნის, მიაწოდოს გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ რედაქტორს ნიკოლო მიწიშვილს და სთხოვოს, რომ მთარგმნელს გაუგზავნოს ჰონორარი. ჰპირდება, რომ მომდევნო დღეებში გაუგზავნის ლექსის „გრიგალი“ თარგმანსაც.

➤ 7380

1936

5 სექტემბრის შემდეგ

თავისი ლექსის „გრიგალი“ თარგმანთან ერთად ხარკოვიდან იღებს მთარგმნელ დიმიტრი პეტროვსკის წერილს. აცნობებს, რომ ამ თარგმანის ასლი ასევე გაუგზავნა გამომცემლობას „ზარია ვოსტოკა“ რედაქტორ ნიკოლო მიწიშვილს. სწერს, რომ თუ თარგმანი მოეწონება, ამის შესახებ

აცნობოს მასაც და მიწიშვილსაც და გამომცემლობამ გაუგზავნოს ჰონორარი. ასევე ითხოვს, რაც შეიძლება მეტი პწკარედების გაგზავნას სათარგმნად.

➤ 7381

1936

### 6 სექტემბრამდე

თბილისში გალაკტიონთან ბინავდება მისი ძმა აბესალომი, რომელმაც სკოლაში სამსახური იშოვა, მაგრამ გალაკტიონი ყოველ დღე ნასვამი მიდის სახლში, საყვედურობს, რომ მასთან შეუთანხმებლად გადაიტანა ერთი ადგილიდან მეორეზე მათი მამაპაპისეული სახლი და ძმებს უთანხმოება მოსდით.

➤ 7382

1936

### 8 სექტემბერი

წერილს იღებს შალვა რადიანისგან. საყვედურობს, რომ რამდენჯერმე მისწერა, გიორგი ქუჩიშვილსაც დააბარა და გალაკტიონი მაინც არ შეხმიანებია. აცნობებს, რომ თუ 4-5 დღეში არ მიაწვდის თავისი ნაწერების პირველი ტომის მასალებს, მისი გამოცემა მიმდინარე წელს ვერ მოხერხდება. სთხოვს, რომ შეუაროს სახელმწიფო გამომცემლობაში, რადგან ახლა ამ წიგნისთვის ქაღალდიც აქვთ და სტამბასაც სცალია.

➤ 7383

1936

### 15 სექტემბერი

ხელოვანთა სასახლეში მისულს ეკითხებიან, რატომ არ ატარებს ლენინის ორდენს, რაზეც გალაკტიონის მაგიერ იქვე მყოფი ვიქტორ გაბესკირია პასუხობს, რომ გალაკტიონს არაფერში სჭირდება ორდენის ტარება, რადგან თვითონ ორდენია.

➤ 7384

1936

### 15 სექტემბერი

ოლია ოკუჯავასთან ერთად დასასვენებლად მიემგზავრება ქობულეთში, მაგრამ არ იცინა, სად გაჩერდებიან ბინად.

➤ 7385

1936

### 17 სექტემბერი ან შემდეგ

გაზეთიდან „პრავდა“ აკეთებს ამონაწერს, რომ დილით ლონდონის თავზე ხმაურით დაქროდა რეაქტიული თვითმფრინავები. მათი სტვენითა და გრიალით საბრძოლოდ განწყობილი წრეები თავს იმხნეებდნენ პარლამენტის მუშაობის დაწყების წინ.

➤ 7386

1936

### 18 სექტემბერი

იმყოფება ქობულეთში. წვიმიან ამინდში კოოპერატივში შეესწრება მოხუცი გლეხისა და ნოქრის დიალოგს. გლეხი წუხს, რომ ძროხები მინდვრებში უმწყემსოდ არიან გაშვებულნი. ვიღაც ამბობს, რომ ჯობდა ღობე გაეკეთებინათ პირუტყვისათვის. ნოქარი კი აცხადებს, რომ ახლა სხვა დროა და აღარც ღობეა საჭირო და არც ჭიშკარი. გულმოსული გლეხი ნოქარს მიმართავს, რომ თუ ეს არის სოციალიზმი, მაშინ ნოქარი რაღა საჭიროა, წავიდეს სახლში და საჭირო პროდუქტებს გლეხები თავად წაიღებენ კოოპერატივიდან. გაბრაზებულ გლეხს სხვები ანუგეშებენ, რომ ის თუ ვერა, მისი შვილი მაინც მოესწრება სოციალიზმს, რაზეც გლეხი პასუხობს, რომ შვილს თავში ქვა

უხლია, მას ის ადარდებს, რომ თავად მოესწროს. ამაზე ნოქარი ირონიულად მიუგებს, რომ იგი უთუოდ შვილზე ადრე მოესწრება სოციალიზმში შესვლას, რადგან საიქიოში შვილზე უფრო მალე წავა და ნამდვილი სოციალიზმი კი იქ არის.

➤ 7387

1936

### 18 სექტემბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება ნაწყვეტი გალაკტიონ ტაბიძის პოემის „მთებში“ ბორის ბრიკისეული თარგმანიდან.

➤ 7388

1936

### 18 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ერთსტროფიან ლექსს „ესპანეთში ამჟამად...“.

➤ 7389

1936

### 18 სექტემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს მიმართვის ტექსტს აჭარელი მშრომელებისა და მასწავლებლებისადმი.

➤ 7390

1936

### 18 სექტემბერი ან შემდეგ

წერს უსათაურო სახუმარო ლექსს „ვისაც არ ესმის სიტყვა ხალხური...“.

➤ 7391

1936

### 18 სექტემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ვიღაც ქალის რჩევას, რომელიც მას, თავის მხრივ, სოხუმელი მეზადისგან მოუსმენია: ჰორტენზიებს, შორ მანძილზე წაღებისას, სველი ტილო უნდა შემოახვიო, ხოლო ადგილზე მისვლისას ღეროები ნახევარი საათით ცხელ წყალში უნდა მოათავსო, რათა თავიდან აირიდო ყვავილების დაჭკნობა.

➤ 7392

1936

### 18 სექტემბერი ან შემდეგ

საუზმობს ქობულეთის სადგურის სასადილოში. რუსულ ენაზე ითხოვს ანგარიშს და ეუბნებიან, რომ 12 მანეთი აქვს გადასახდელი. ამის გაგონებისას იქვე მდგომი გურული ქალი, რომელსაც გალაკტიონი რუსი ჰგონია, რუსულადვე ეკითხება, მე 12 მანეთი 5 დღე მეყოფოდა საარსებოდ, თქვენ კი ერთ საუზმეში ხარჯავთო? პოეტს გულს სტკენს ის ფაქტი, რომ ხალხს ასე უჭირს.

➤ 7393

1936

### 19 სექტემბრის შემდეგ

წერილს იღებს ძმისგან. ახესალოში უყვება, რომ თბილისიდან თავადაც გალაკტიონის წასვლის დღესვე გაემგზავრა. სკოლის გამგისგან ერთი დღით გათავისუფლება ითხოვა, რადგან ფიქრობდა, რომ მალევე დაბრუნდებოდა, მაგრამ არ ასვენებდა იმაზე ფიქრი, რომ ის და გალაკტიონი ერთმანეთს ვერ შეეწყვიენ. სოფელში ჩასულს ბავშვი რომ ავად დახვდა, გადაწყვიტა თბილისში აღარ დაბრუნებულიყო და ამის შესახებ სკოლის გამგეს დეპეშით აცნობა. მესამე დღეს

დაფიქრდა, რომ მეტი მოთმინება უნდა გამოეჩინა და კიდევ ერთი დეპეშა გაგზავნა გამგესთან, ჩემს ადგილზე თუ არავინ დაგინიშნავთ, დავბრუნდებიო, მაგრამ არავინ გამოხმაურებია. მოგვიანებით თბილისის განათლების განყოფილების გამგის სახელზე განცხადება გააგზავნა მასწავლებლის ადგილის თხოვნით და პასუხი არც იქიდან მიუღია. საყვედურს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ძმისგან ხელის შეწყობის შემთხვევაში უფრო მალე მოახერხებდა ბინის ყიდვას და ცოლ-შვილიანად თბილისში დამკვიდრებას.

➤ 7394

1936

22 სექტემბერი

წერს პროზაულ ჩანახატს „მთვარე ზღვაზე“.

➤ 7395

1936

25 სექტემბერი

ჩადის ბათუმში და ბინავდება სასტუმროში „ფრანცია“, სადაც პოეტ ვიქტორ გაბესკირიას მასთან სტუმრად მიჰყავს დავით თაქთაქიშვილი. გალაკტიონი მათ სასტუმროს რესტორანში ეპატიჟება და ღირსეულად უმასპინძლდება.

➤ 7396

1936

25 სექტემბერი

იმყოფება ბათუმში, ათვალიერებს თეატრს და გეგმავს იქ პოეზიის საღამოს გამართვას.

➤ 7397

1936

25 სექტემბერი

ბათუმის სახელმწიფო გამომცემლობაში ათვალიერებს „ქართველ მწერალთა ანთოლოგიას“. ამ დროს სამი ახალგაზრდა კითხულობს იოსებ გრიშაშვილის ლექსს. ერთი ამბობს, რომ მასთან გალაკტიონ ტაბიძე ახლოს ვერ მივა. მეორე პასუხობს, რომ გალაკტიონი სულ ისე არ წერდა, როგორც ახლა წერს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ საგულისხმო საუბარს შეესწრო და მიზნად ისახავს, ყველა აალაპარაკოს თავის პოეტურ მიღწევებზე.

➤ 7398

1936

25 სექტემბერი

საღამოს მწერალთა შეხვედრაზე აქტიურად ებმება საუბარში და მრავალ საჭირბოროტო საკითხს განიხილავს. ბოლოს ერთ-ერთი დამსწრეთაგანი უსვამს შეკითხვას, რატომ იყო მისი რევოლუციამდელი ლექსები უფრო დახვეწილი, ვიდრე რევოლუციის შემდეგდროინდელი.

➤ 7399

## ოქტომბერი

1936

8 ოქტომბერი

მოკლე წერილს იღებს უნივერსიტეტის რექტორ კარლო ორაგველიძისგან. აცნობებს, რომ უნივერსიტეტს განზრახული აქვს ლექტორებისა და სტუდენტებისთვის გალაკტიონის საღამოს მოწყობა უახლოეს 10 დღეში. სწერს, რომ ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ადრესატთან აგზავნის ს. ფაჩულიას. სთხოვს, რომ მისცეს თანხმობა და რჩევა-დარიგება.

➤ 7400

1936

## **8 ოქტომბრამდე**

ქობულეთის რესტორანში სადილობისას აივნებიდან შემოიტყუებს მაწანწალა ძაღლს და მის სადღეგრძელოს სვამს.

➤ 7401

1936

## **8 ოქტომბერი**

ოლია ოკუპაციასთან ერთად ქობულეთიდან ღამით ბრუნდება თბილისში. ქუჩა ბრწყინავს ახალდაგებული ასფალტით და ჩემოდნების სახლში შეტანისთანავე გახარებული გარბის ასფალტზე სასიარულოდ.

➤ 7402

1936

## **8 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „აი, ნამდვილი გმირთაგმირობა...“.

➤ 7403

1936

## **11 ოქტომბერი**

წერილს იღებს უნივერსიტეტის თანამშრომელ ს. ფაჩულიასგან. სწერს, რომ 17 ოქტომბერს იმ მსახიობებს, რომლებმაც გალაკტიონის საღამოზე უნდა წაიკითხონ მისი ლექსები, 17 ოქტომბერს არ სცალიათ. ამიტომ საღამო დაინიშნა 16 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე. მომხსენებელი იქნება შალვა რადიანი. ლექსებს წაიკითხავენ: თამარ ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გომიაშვილი, პიერ კობახიძე და სტუდენტები. იმედს გამოთქვამს, რომ ამ დღისთვის გალაკტიონიც იქნება მზად.

➤ 7404

1936

## **14 ოქტომბერი**

წერილს იღებს უნივერსიტეტის თანამშრომელ ს. ფაჩულიასგან. სწერს, რომ 16 ოქტომბერს შალვა რადიანი, რომელიც გალაკტიონის საღამოზე მოხსენებით უნდა გამოვიდეს, სხვაგან ყოფილა დაკავებული. ამიტომ საღამო დაინიშნა 19 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე. სთხოვს, რომ ეს ცვლილება გაითვალისწინოს და უნივერსიტეტში 19 ოქტომბერს მივიდეს.

➤ 7405

1936

## **16 ოქტომბრამდე**

წერს ლექსს „ესპანეთის გმირებს“.

➤ 7406

1936

## **16 ოქტომბერი**

გაზეთში „წითელ არმიელი“ აქვეყნებს ლექსს „ესპანეთის გმირებს“.

➤ 7407

1936

## **19 ოქტომბერი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო. შესავალი სიტყვით გამოდის შურა დუდუჩავა. მოხსენებას პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ კითხულობს შალვა რადიანი. მისასალმებელი სიტყვით გამოდის

უნივერსიტეტის პრორექტორი ვუკოლ ბერიძე. სტუდენტების სახელით მისასალმებელ ლექსს კითხულობს გ. ლუდუშაური. დასასრულს გალაკტიონ ტაბიძე წარმოთქვამს სამადლობელ სიტყვას. საღამოს მეორე განყოფილებაში მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები თამარ ჭავჭავაძე და პიერ კობახიძე კითხულობენ პოეტის ლექსებს. საღამოს დასასრულს გალაკტიონის პატივსაცემად იმართება სტუდენტური თვითმოქმედების კონცერტი.

➤ 7408

**1936**

### **19 ოქტომბრის შემდეგ**

შალვა რადიანი ეუბნება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა კარლო ორაგველიძემ ჰკითხა, რამდენად კმაყოფილი დარჩა გალაკტიონი უნივერსიტეტში გამართული საღამოთი, რაზეც რადიანს უპასუხია, რომ პოეტი მხურვალე ლექსს წერს უნივერსიტეტზე. გალაკტიონი კმაყოფილია მისი პასუხით.

➤ 7409

**1936**

### **22 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „არგონავტები ახალი დროის“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 7410

**1936**

### **26 ოქტომბრის შემდეგ**

კითხულობს იური კრემლიოვის წიგნს „ჯაკომო მეიერბერი“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. ხატავს ქართველ კომპოზიტორებსა და ლოტბარებს – დიმიტრი არაყიშვილს, კოტე ფოცხვერაშვილსა და ავქსენტი მეგრელიძეს. წერს, რომ რუსუდან გედევანიშვილი მღერის არიას ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“, დიმიტრი არაყიშვილის „ივერიის მთებზე“ და „ვნახე სიზმარი“.

➤ 7411

**1936**

### **27 ოქტომბერი ან მანამდე**

ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისათვის დიდი სამზადისია. არემონტებენ იმ კორპუსის ფასადს, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძე ცხოვრობს და ამასთან დაკავშირებით საბინაო კავშირი აკისრებს 700 მანეთის გადასახადს.

➤ 7412

**1936**

### **27 ოქტომბერი ან მანამდე**

სტუმრობს მოსკოვური გაზეთის „ზა კომუნისტიჩესკოე პროსვეშჩენიე“ თანამშრომელი პაველ სტიროვი, რომელსაც გამოსაქვეყნებლად მიაქვს მისი ლექსი.

➤ 7413

**1936**

### **27 ოქტომბერი**

აწესრიგებს მოსკოვში გამომცემლობა „მხატვრული ლიტერატურისათვის“ გასაგზავნი 90-მდე ლექსის პწკარედულ თარგმანს, რომელიც ორ დღეში უნდა გადაგზავნოს. ამასთან დაკავშირებით მასთან არის ვალერიან გაფრინაშვილი.

➤ 7414

1936

**28 ოქტომბრამდე**

სახელმწიფო გამომცემლობისაგან ავანსად იღებს თბულებათა პირველი ტომის ჰონორარის ნაწილს, 2155 მანეთს.

➤ 7415

1936

**28 ოქტომბრამდე**

საქართველოს ღარიბ ებრაელთა კავშირის (ევკომბედის) ფოტოატელიეში საოქტომბრო გამოფენისათვის იღებს სურათს შალვა რადიანთან ერთად.

➤ 7416

1936

**28 ოქტომბერი ან მანამდე**

ყიდულობს ალფაბეტიან ბლოკნოტს.

➤ 7417

1936

**28 ოქტომბერი**

ქუჩაში ხვდება მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკს, რომელიც სთხოვს მივიდეს მასთან, რომ გააკეთოს მისი ბიუსტი. ფიქრობს, რომ მომავალში შეიძლება მართლაც ესტუმროს მოქანდაკეს, დროს თუ გამონახავს.

➤ 7418

1936

**28 ოქტომბერი**

დაინტერესებულია ბენიტო ბუაჩიდის წერილით, რომელიც ჟურნალ „მნათობში“ უნდა დაიბეჭდოს და უკვე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

➤ 7419

1936

**29 ოქტომბერი**

წერილს იღებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ რწმუნებულ ლეიტენანტ შარიფოვისგან. უცხადებს პატივისცემას და აცნობებს, რომ მასთან სურს კონფიდენციალური საუბარი. ამიტომ სთხოვს, ბარათის მიმტანის პირით გააგებინოს, როდის ეცლება, რომ მიაკითხოს, ხოლო თუ დროის განსაზღვრას უცებ ვერ მოახერხოს, დაურევოს სამსახურში ან სახლში წერილში მითითებულ ნომრებზე.

➤ 7420

1936

**29 ოქტომბერი ან შემდეგ**

ვარდება დიღმის ხიდიდან. იღებს ტრამვებს, დაზიანებული აქვს: „ლავიწი, ხელის მტევანი, ტერფი, წვივი, გავა და ბარძაყი“ და ხვდება „მიხაილოვის“ საავადმყოფოში.

➤ 7421

1936

**29 ოქტომბერი შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს ძმისთვის, პროკლე ტაბიძისთვის სამტრედიიაში გასაგზავნი დეპეშის მონახაზს. აპირებს, შეატყობინოს, რომ მიხეილის საავადმყოფოში წევს, სურს სთხოვოს, რომ დაუყოვნებლივ ჩააკითხოს და აუცილებლად წამოუღოს გასაღები.

➤ 7422

1936

**29 ოქტომბერი შემდეგ**

მიხეილის საავადმყოფოში აკითხავს ოლია ოკუჯავა, უტოვებს ბინის გასაღებს, თან ეუბნება, რომ მას აპატიმრებენ და გალაკტიონს სრული თავისუფლება ექნება იცხოვროს ისე, როგორც უნდა.

➤ 7423

1936

**ოქტომბერი**

ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილში „ქართული საბჭოთა პოეზია“ ბენიტო ბუაჩიძე გალაკტიონს ახასიათებს, როგორც დიდი, გამორჩეული ნიჭისა და გრძნობების პოეტს, რომელიც სრულფასოვან ადგილს იკავებს ქართული ლიტერატურის კორიფეთა შორის. კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევს პოეტის თხზულებათა მეორე ტომს და აღნიშნავს, რომ გალაკტიონის პირველი ორი წიგნიც რევოლუციამდელი პოეზიის ფონდში საპატიო ადგილს იჭერს და მას გვერდს ვერავინ აუვლის, რადგან მათ ხელი შეუწყვეს ქართული პოეზიის განახლებას. ახალმა სინამდვილემ კი ინდივიდუალისტი გალაკტიონი სახალხო შემოქმედად გადააქცია. კრიტიკოსი პარალელს ავლებს გალაკტიონსა და ალექსანდრ ბლოკს შორის და იმასაც დაასკვნის, რომ ბლოკისაგან განსხვავებით, გალაკტიონმა შეძლო ძირეულად გარდაქმნილიყო ახალი ხელოვნების მოთხოვნათა შესაბამისად. ბენიტო ბუაჩიძე თემატური თვალსაზრისით განიხილავს გალაკტიონის პოსტრევოლუციურ ლირიკას, როგორც ეპოქის მხატვრულ დოკუმენტს.

➤ 7424

**ნოემბერი**

1936

**5 ნოემბერი**

უცნობი პირი უბის წიგნაკში უწერს, რომ ჟორესის ქუჩაზე, № 4 სახლის ეზოში ერთი ფიჭვის ხე დარგულია თვით პატივცემული ამხ. გალაკტიონ ტაბიძის ხელით.

➤ 7425

1936

**5 ნოემბერი**

წერს ლექსს „ო, მაინც რომ ვერ...“.

➤ 7426

1936

**5 ნოემბრის შემდეგ**

არჩევს ლექსებს თხზულებათა მესამე ტომისათვის.

➤ 7427

1936

**5 ნოემბრის შემდეგ**

წერს ლექსს „მოგონება საავადმყოფოში“.

➤ 7428

1936

**5 ნოემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სალამოს სხივები ღრუბლებში დამრუდდა...“.

➤ 7429



1936

**5 ნოემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რა კარგია ვარდებით...“.

➤ 7430

1936

**7 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „მფრინავი სვანი“.

➤ 7431

1936

**7 ნოემბერი**

აპატიმრებენ მის უმცროს ცოლისმძას, ვასილ ოკუჯავას.

➤ 7432

1936

**7 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ აქვეყნებს ლექსს „მთებში“ („კავკასის მთები...“).

➤ 7433

1936

**11 ნოემბერი**

ტროცკისტობის ბრალდებით აპატიმრებენ გალაკტიონის მეუღლეს – ოლია ოკუჯავას.

➤ 7434

1936

**12-15 ნოემბერი**

წერს ლექსს „მერის თვალებით“.

➤ 7435

1936

**15 ნოემბრის შემდეგ**

არედაქტირებს ლექსს „მერის თვალებით“.

➤ 7436

1936

**16 ნოემბრამდე**

არედაქტირებს ლექსს „დაჰქრის სიო, დაჰქრის წყნარი ლიხს იქით და ლიხს გადმოღმა...“.

➤ 7437

1936

**16 ნოემბრამდე**

არედაქტირებს ლექსს „ოჰ, ხშირად ვფიქრობ, როცა მარტო ვარ...“, დასაწყისს ცვლის სიტყვებით: „ქალაქის გარედ, როს მძაბიჭურად...“ და რომაული ციფრით მიაწინებს, რომ იგი თავისი თხზულებების პირველ ტომში უნდა შეიტანოს.

➤ 7438

1936

**16 ნოემბრამდე**

წითელი ფანქრით არედაქტირებს ლექსს „დღენი გამქრალის სიყმაწვილისა...“, ცვლის დასაწყისის სიტყვებით „დღენი მშვენიერ სიყმაწვილისა“ და რომაული ციფრით მიანიშნებს, რომ იგი თავისი თხზულებების პირველ ტომში უნდა შეიტანოს.

➤ 7439

1936

### 16 ნოემბერი

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის პირველი ტომი სახელმწიფო გამომცემლობის ვიზირებით გადაეცემა წარმოებას და იწყება წიგნის რედაქტირება.

➤ 7440

1936

### 18 ნოემბრამდე

გალაკტიონი საავადმყოფოში წევს. მასთან სანახავად მიდის ძმა, აბესალომი, მაგრამ იძულებულია მალე წავიდეს, რადგან შინ უნდა დაბრუნდეს.

➤ 7441

1936

### 18 ნოემბრის შემდეგ

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. სწერს, რომ ძალიან ნერვიულობს მასზე. ჰპირდება, რომ 24 ნოემბერს ისევ ჩააკითხავს და სადამომდე მასთან დარჩება, ხოლო თუ 30 ნოემბრამდე დარჩება საავადმყოფოში, ჩააკითხავს და შინ გადასვლაში დაეხმარება. სთხოვს, თავი დაანებოს ღვინოს, რომელიც მისთვის დამლუპველია. უკვირს, რომ უკვე უმაღლეს მწვერვალზე მყოფი გალაკტიონი, რომელსაც სახელიც აქვს, დიდებაც და ქონებაც, ასე უაზროდ იკლავს თავს.

➤ 7442

1936

### 20 ნოემბერი

სოფელ მთისპირიდან წერილს იღებს ძველი ქუთაისელი ნაცნობის, პროკოფი გუჯაბიძისგან. სწერს, რომ ცხოვრება არ აეწყო და უნდა თბილისში ჩასვლა, მაგრამ სამგზავრო ფული არა აქვს. გალაკტიონს სთხოვს 50 მანეთის სესხად მიცემას და 50 მანეთის ნიკოლო მიწიშვილისთვის გამორთმევას მისთვის სასესხებლად. სწერს, რომ ელის 100 მანეთის გაგზავნას.

➤ 7443

1936

### 29 ნოემბრამდე

თბილისის საავადმყოფოდან სამტრედიაში რკინიგზის მუშათა მოსამზადებელ ფაკულტეტზე დეპეშას უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს. აცნობებს, რომ 29-ში ეწერება და ჩააკითხოს.

➤ 7444

1936

### 29 ნოემბრამდე

ეგრეთწოდებულ მიხეილის საავადმყოფოში მკურნალობისას ძმას, აბესალომს აგზავნის შალვა რადიანთან და სთხოვს ინახულოს. შალვა და ქეთევან ირემამე მოინახულებენ ავადმყოფს, რომელიც დიდხანს ესაუბრება ხელოვნებასა და პოეზიაზე.

➤ 7445

1936

### 29 ნოემბრის შემდეგ

საავადმყოფოდან ეწერება და სახლში დაბრუნებული სადარბაზოსთან ხუთ კაცს ხედავს. ოლია უკვე გადასახლებულია და გალაკტიონი მაშინვე ხვდება, რომ ეს გადაცმული აგენტები მის დასაჭერად არიან მისულები. უცებ გონს მოდის, ადის თავის ეზოში მდგარ დაბალ, დეკორატიულ ცემენტის ბოძზე და იწყებს ყვირილს „ხალხო!...“ იქვე გაჩერებული ტრამვიდან სწრაფად ჩამოდის ხალხი და მისკენ გარბის ყვირილით, გალაკტიონს რაღაც უჭირსო. გალაკტიონი ხელით ანიშნებს გადაცმულ აგენტებზე და ეუბნება, რისთვის უნდათ ჩემი სიკვდილიო. ხალხი მივარდა აგენტებს, მაგრამ ისინი გარბიან. უშიშროების ორგანოები ერიდებოდნენ დღისით და სხვების დასანახად ხალხის დაჭერას. მათ უფრო ჩუმად მიჰყავდათ ან აბრევიებდნენ, იბარებდნენ და მიზანში ამოღებული პირები თავისი ფეხით მიდიოდნენ განყოფილებაში. გალაკტიონი ხვდება, რომ შეიძლება ისევ მიაკითხონ და გადაწყვეტს, ღამით სახლში არ დარჩეს ხოლმე.

➤ 7446

1936

### 29 ნოემბრის შემდეგ

შინ მარტო ყოფნა ეძნელება და უსაფრთხოც არ არის. ამიტომ ღამეს ხშირად ათევს მეგობრებთან, გიგლა მებუკესთან და ლავროსი ძიმიგურთან, ნავთქურის ხელოსან მიხეილ „ტრუბკასთან“ და სხვებთან.

➤ 7447

1936

### 29 ნოემბრამდე

წერს ლექსს „იბარური“.

➤ 7448

1936

### 29 ნოემბრამდე

წერს ლექსს „ელეგია ხელების“.

➤ 7449

1936

### 29 ნოემბრამდე

წერს ლექსს „მელოდია“.

➤ 7450

1936

### 29 ნოემბერი

წვერს იპარსავს დალაქ ლევანთან, რომელიც უყვება, რომ 30 წლის მანძილზე წყნეთში, დავით სარაჯიშვილის ქარხნის გვერდით ჰქონდა სადალაქო, სადაც ხშირად სტუმრობდნენ ვაჟა-ფშაველა, შიო მღვიმელი და იროდიონ ევდოშვილი. ერთხელ მუშტაიდის ბაღში წასულან და ლოტო უთამაშიათ. პირველ თავად დალაქს მოუგია ორი ბოთლი ღვინო, რომლებიც ვაჟას და იროდიონს სულმოუთქმელად დაუცლიათ. შემდეგ იროდიონს მოუგია ქალის ფარფლებიანი ქუდი, რაზეც ვაჟას დაუცინია, მაგრამ როდესაც თავად ვაჟამ ქალის საცვალი მოიგო და ახლა იროდიონმა დასცინა, დალაქმა სიტუაციის განსამუხტად ყველანი სუფრასთან მიიწვია. მთხრობელი აღნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველა დიდებული კაცი იყო, გარეგნულად გამხდარი და ძვალმსხვილი და თვალი ჯერ არ ჰქონდა გაფუჭებული.

➤ 7451

1936

### 29 ნოემბრის შემდეგ

დღიურში აკეთებს ქართულ მუსიკის შესახებ ჩანაწერს და მოჰყავს პოეტების ნაწარმოებებიდან მაგალითები: შოთა რუსთაველის „რა ესმოდის მღერა ყმისა“, აკაკი წერეთლის პოემიდან „ნათელა“ – ჩანგი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ივანე კერესელიძე, მამია გურიელი. აღნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველას ლექსების უმეტესობის სათაურია „სიმღერა“, ბესიკი კი თვითონ არის მთლიანად სიმღერა.

➤ 7452

1936

### 29 ნოემბრის შემდეგ

წერს ლექსს „მოტივები“.

➤ 7453

1936

### 29 ნოემბრის შემდეგ

დღიურში აკეთებს ჩანაწერს „ყორანი“. აღნიშნავს, რომ ყორანს ძლიერ აქვს განვითარებული ყნოსვა, ლემის სუნს გრძნობს შორიდან და მიემურება მისკენ. როცა ადამიანი სიკვდილის პირასაა, ყორანი თავს დასტრიალებს და უცდის. ყორნის შესახებ მოჰყავს მაგალითები პოეზიიდან: ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ – „უკან მომჩხავის...“, „შავი ყორანი გამითხრის საფლავს“. ხალხური ლექსიდან „შავს კლდესა შავი ყორანი“. თავისი ლექსიდან – „დღე დაიწურვის...“, ედგარ ალან პოს „ყორანი“.

➤ 7454

1936

### ნოემბერი ან შემდეგ

წერს ლექსს „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“.

➤ 7455

## დეკემბერი

1936

### 1 დეკემბერი

შალვა კაშმაძე უძღვნის ლექსს „ექსპრომტი განუმეორებელ გალაკტიონს“.

➤ 7456

1936

### 2 დეკემბერი

შალვა კაშმაძე უძღვნის უსათაურო ლექსს „ლექსის მდინარე შოთამ ადიდა...“.

➤ 7457

1936

### 3 დეკემბრამდე

განცხადებით მიმართავს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ფონდს. წერს, რომ განიცდის მატერიალურ სივიწროვეს, რასაც თან დაერთო ავადმყოფობა და ითხოვს დახმარებას 1000 მანეთის ოდენობით.

➤ 7458

1936

### 3 დეკემბერი

მწერალთა კავშირის ლიტერატურული ფონდი აკმაყოფილებს მის წერილობით მოთხოვნას და აძლევს დახმარებას.

➤ 7459

1936

### 7 დეკემბრამდე

შალვა რადიანი წერს ნარკვევს „გალაქტიონ ტაბიძის პოეზია“, რომელიც შესავალი სტატიის სახით უნდა დაერთოს გამოსაცემად გამზადებულ გალაკტიონის თხზულებათა რვატომეულის პირველ ტომს. სტატიაში მიმოხილულია პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების გზა ადრეული წლებიდან თანამედროვე პერიოდამდე. კრიტიკოსი მიიჩნევს, რომ გალაკტიონი საქართველოში სიმბოლიზმის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია, თუმცა, მისი შემოქმედება მკვეთრად განსხვავდება სხვა სიმბოლისტების – „ცისფერყანწელების“ ლირიკისაგან. მისი აზრით, გალაკტიონის შემოქმედებითი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას, რადგან სწორედ ამ ისტორიული ფაქტის შემდეგ შეიცვალა პოეტის ნაწარმოებების თემატიკა და გალაკტიონ ტაბიძე ჩადგა ახალი სოციალისტური რესპუბლიკის მშენებელთა რიგებში. დიდი შემოქმედებითი მიღწევებისათვის კი საბჭოთა მთავრობამ გალაკტიონი დააჯილდოვა სახალხო პოეტის წოდებით და ლენინის ორდენით.

➤ 7460

1936

### 7 დეკემბერი

ლიტერატურისა და გამომცემლობების საკითხების მთავარი სამმართველო – „მთავლიტი“ ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის პირველი ტომის დასაბეჭდად გადაცემას და იწყება წიგნის გამოცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤ 7461

1936

### 24 დეკემბერი

უბის წიგნაკში იწერს ჩხარელი გლეხის მონაყოლ ამბავს, როგორ ცდილობდნენ მისი თანასოფელი, ლოგინად ჩავარდნილი იორამ რობაქიძის მოკვლას მისი ცოლი და ცოლის საყვარელი ვიღაც გურგენიძე და როგორ ემსხვერპლა ამ ამბავს იორამის ნაცვლად საწყალი მილიციელი.

➤ 7462

1936

### დეკემბერი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება აკაკი თათარიშვილის სტატია „ხალხთა მეგობრობის პოეზია“. მასში უარყოფითად არის შეფასებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლები, ნათქვამია, რომ სწორედ ამ წლებს მიემდვნა გალაკტიონ ტაბიძის სევდით აღსავსე სიტყვები და მოხმობილია ამონარიდი ლექსიდან „პრესა“, რომელიც შეტანილი იყო ციკლში „რევოლუციონური საქართველო“. ამონარიდში საუბარია ეროვნულ შუღლსა და შოვინიზმზე.

➤ 7463

1935-1936

წერს უსათაურო ლექსს „ძველ დღეებზე რაოდენ ფიქრს იტევ...“.

➤ 7464

1936

პორტრეტის დასახატად სახელოსნოში დადის კორნელი სანაძესთან. მხოლოდ ორი სეანსი უჩერდება, მოუსვენრად წრიალებს, ლექსებს თხზავს. შემდეგ მხატვარს სთავაზობს, რომ წიგნების თაროდან რომელიმე წიგნი აიღოს. მხატვარი ალექსანდრ ბლოკის კრებულს იღებს და გალაკტიონი იწყებს მისი ლექსების ციტირებას. სანაძე მისი თხოვნით წიგნში აყოლებს თვალს

და რწმუნდება, რომ ზუსტად ციტირებს. შემდეგ სანამე ბაირონის ლექსების კრებულს იღებს და იგივე მეორდება. შემდეგ გალაკტიონი მასპინძელს სთხოვს თავისი საკუთარი ლექსები წაუკითხოს. უსმენს ყურადღებით, უწონებს და აგულიანებს სიტყვებით: „რწმენით იარ, იარ, იარ, მტკიცე გქონდეს ბიჯი“. ბოლოს სანამის თხოვნით თავად კითხულობს ლექსებს „მე და ღამე“ და „მღვრიე ქარი“, სანამე კი ამ დროს ხატავს მის ფერწერულ პორტრეტს და ტილოზე ამ ლექსების განწყობა გადააქვს.

➤ 7465

1936

მოსკოვში რუსულ ენაზე ბროშურის სახით გამოდის გალაკტიონ ტაბიძესთან დაკავშირებული რადიოჩანაწერებიდან ვიქტორ გოლცევის მიერ შეკრებილი მასალა.

➤ 7466

1936

წერს უსათაურო ლექსს „სადღაც დარჩა, შორს, სტოკჰოლმი...“.

➤ 7467

1936

წერს ლექსს „წარწერა ანატოლ ფრანსის სურათზე“.

➤ 7468

1936

წერს ლექსს „პატარა პიერი“.

➤ 7469

1936

კითხულობს მიხეილ კინწურაშვილის წიგნს „რა არის მზის დაბნელება“, სათაურს ასწორებს „როგორც მზის დაბნელება“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 7470

1936

წერს ლექსს „ქუჩის მომდერალი“.

➤ 7471

1936

წერს უსათაურო ლექსს „აყვავილდა ყაყაჩო...“.

➤ 7472

1936

ადვოკატის, პოეტისა და მთარგმნელის შალვა ქართველიშვილის ოჯახში სტუმრობისას მასპინძელსა და მის მეუღლეს – ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილს უძღვნის ექსპრომტს: „რადგან ვიცი კრთომა. რადგან ვიცი კრძალვა...“.

➤ 7473

1936 ან შემდეგ

კითხულობს რუსულად ნათარგმნ ენრიკო ლარრეტას ისტორიულ რომანს „დონ რამიროს დიდება“. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 7474

1936 ან შემდეგ

წერს ლექსს „მაშ, გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ კონსტიტუციას“ .

➤ 7475

### 1936 ან შემდეგ

მოკლე ბარათს უტოვებს მთარგმნელ ბორის სერებრიაკოვს. სწერს, რომ სასწრაფო საქმეზე მიდის, მაგრამ 12 საათიდან სახლში დაელოდება.

➤ 7476

### 1936 ან შემდეგ

წერს ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრ გრიბოედოვისადმი მიძღვნილ ლექსს „ორი მოკლული პოეტი“ („თბილისის მთანი კლდიანნი...“).

➤ 7477

\* \* \*

### 1937-მდე

იოსებ გრიშაშვილთან ერთად მყოფს რუსთაველის პროსპექტზე ხვდება ოვანეს თუმანიანის ქალიშვილი აშხენი, რომელსაც გრიშაშვილი გალაკტიონს გააცნობს, როგორც პოეტ ტაბიძეს. ქალი პასუხობს, რომ პოეტი ტაბიძის შესახებ სმენია. იოსებ გრიშაშვილი ხუმრობით ეუბნება, რომ ის პოეტი ტაბიძე, ტიცვიანი, რომელიც ქალმა იცის, უფრო კრიტიკოსია, ვიდრე პოეტი, ხოლო გალაკტიონი, ნამდვილი პოეტია. ამ ამბავს თეი კეკელიძე ხუმრობით ტიცვიან ტაბიძის თანდასწრებით ჰყვება, რაც მას აღიზიანებს და თეი კეკელიძეს „ბელეტრისტიკოსს“ უწოდებს.

➤ 7478

## 1937

### ი ა ნ ვ ა რ ი

#### 1937

##### 25 იანვარი

მთვრალი გალაკტიონი საღამოს 11 საათზე მიდის ელენე ბაქრაძისა და შალვა ქართველიშვილის ოჯახში და შინამოსამსახურეს, რომელსაც მისი შეშვება არ უნდა, ამაყად მიუთითებს ლენინის ორდენზე. შინ მხოლოდ შალვა ქართველიშვილი ხვდება, რომელსაც უცხადებს, რომ სურს ნახოს ელიკო, რომ დიდი ხანია აპირებდა ამას და როგორც იქნა მოახერხა – მაგრამ, ვაი, რომ ელიკო, თითქოს ჯიბრზე, შინ არ ხვდება. შალვა ქართველიშვილი თავაზიანად სთავაზობს მურაბიან ჩაის, რაზედაც გალაკტიონი აცხადებს, რომ ჩაის, მიუხედავად მათდამი დიდი სიყვარულისა, არ მიუზრუნდება, მაგრამ თანახმაა კონიაკზე. შალვა უმასპინძლდება კონიაკით და უკითხავს პასტერნაკის ლექსებს, რომელთა მოსმენისას გალაკტიონი გულგრილია და მხოლოდ სტრიქონმა „Мне хорошо в твоей большой тени“ (თავს კარგად ვგრძნობ შენს დიდ ჩრდილში) გამოიწვია მისი ინტერესი. ვიზიტის ბოლოს ელენე ბაქრაძეს უწერს ექსპრომტს „წერილი ელიკოს“, ზეპირად უკითხავს და ღამის პირველ საათზე მიდის.

➤ 7479

### თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

#### 1937

##### 12 თებერვალი

წერს ლექსს „წარწერა ხოვლეს ორნამენტზე“.

➤ 7480

#### 1937

##### 13 თებერვლის შემდეგ

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს. ურჩევს, რომ ერთ კვირაში გაზეთ „კომუნისტში“ რაიმე კარგი ლექსი გამოაქვეყნოს. კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ გალაკტიონი საკუთარ თავს ადრინდელზე უკეთ აქცევს ყურადღებას. შეახსენებს მისამართს, რომელზეც უნდა გაუგზავნოს წერილი.

➤ 7481

1937

**15 თებერვლამდე**

წერს ლექსს „საკაცე, ჩანთა, აირწინაღი“.

➤ 7482

1937

**15 თებერვლამდე**

არჩევს მასალებს თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომისათვის.

➤ 7483

1937

**15 თებერვალი**

აგროვებს და აწესრიგებს მასალებს თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომისათვის, ძველი ხელნაწერებიდან კრებს 70 ლექსს, ადარებს ხელნაწერებსა და ნაბეჭდ ტექსტებს.

➤ 7484

1937

**15 თებერვლის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „უცდენლად, როგორც ფოტოკამერით...“.

➤ 7485

1937

**15 თებერვლის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ციტატას აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავიდან“: „ათონის მაღალ მთაზედა, / მთაწმინდად სახელდებულსა“.

➤ 7486

1937

**15 თებერვლის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ო, მერამდენედ უნდა გითხრა კიდევ მადლობა...“.

➤ 7487

1937

**15 თებერვლის შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს ალექსანდრე აბაშელის შესახებ. აღნიშნავს, რომ მისი სტრატეგია სავსებით ნათელია. იგი თავგანწირვით იბრძვის, რომ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში პოეტთა თხზულებები დაიბეჭდოს ანბანური თანმიმდევრობით, რათა გარანტირებული ჰქონდეს პირველი ადგილი. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ხელოვნებისადმი ასეთი ფორმალური მიდგომა არასამართლიანია.

➤ 7488

1937

**15 თებერვლის შემდეგ**

წერს უსათაურო ორსტრიქონედს „თბილისი იყო ის ქალი ქვრივი...“.

➤ 7489

1937

**15 თებერვლის შემდეგ**



უმის წიგნაკში იწერს გეგმას, თუ რა პრინციპით უნდა შეადგინოს თხზულებათა მესამე ტომი. გეგმავს კრებულის დაყოფას განყოფილებებად და თავებად. მიზნად ისახავს როგორც ძველი ლექსების აღრიცხვას, შესწორებას, გადაწერას და გადაბეჭდვას, ისე ახლების დაწერას თემატური განყოფილებების საჭიროების მიხედვით.

➤ 7490

**1937**

**თებერვალი**

რუსულ გაზეთში „კრასნი სვერ“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ვინა სთქვა? („დაბლა ჰყრია ქვა და გუნდა...“) თარგმანი.

➤ 7491

## მ ა რ ტ ი

**1937**

**29 მარტი**

იმყოფება კაფეში „კოლხიდა“ და წერს უსათაურო ლექსს „არ მეგონა რომ როდისმე...“.

➤ 7492

**1937**

**30 მარტის შემდეგ**

ტროლეიბუსით მგზავრობს, მძღოლს დახლზე უდებს ფულს და ხმამაღლა აცხადებს, რომ ყველა მგზავრის გადახდილია. კიბეზე ჩასვლისას კმაყოფილებით გადახედავს ხალხს და ლათინურად ამბობს ფრაზას: „პოეტური თავისუფლება!“.

➤ 7493

**1937**

**მარტი ან შემდეგ**

ძმის წერილს, რომლიდანაც ჩანს, რომ აბესალომმა მათი მამაკაპეული სახლი ერთი ადგილიდან მეორეზე გადაადგმევინა და ცოტათი კეთილმოაწყო, გაკვირვებული პასუხობს, რომ თუ სახლში საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესებულია, აბესალომი და მისი ოჯახი იქ გადასვლაზე თავს რატომ იკავებს.

➤ 7494

## ა პ რ ი ლ ი

**1937**

**19 აპრილი**

წერს უსათაურო ლექსს „ერთხელ შენ დაჰხვენ...“.

➤ 7495

## მ ა ი ს ი

**1937**

**11 მაისი**

გალაკტიონ ტაბიძის კრებული „ლექსები“ სერიით „სასკოლო ბიბლიოთეკა. მხატვრული ლიტერატურა“, სახელმწიფო გამომცემლობის ვიზირებით გადაეცემა წარმოებას და იწყება წიგნის რედაქტირება.

➤ 7496

**1937**

**18 მაისი**

მოკლე წერილს იღებს ელენე ბაქრაძისგან. სწერს, რომ უგზავნის შინამოსამსახურე ქალს, რომელიც მასთან დიდხანს მსახურობდა და ენდობა. ურჩევს, დატოვოს სახლში და მიუღაგებს ბინას. შემდეგ შეატყობინოს ადრესანტს, რომ მივიდეს და ნახოს, რამდენად კარგად შეასრულებს ყველაფერს.

➤ 7497

1937

20 მაისამდე

უბის წიგნაკში იწერს ციტატას, რომ ახალი სტალინური კონსტიტუცია მოითხოვს ხელოვნების კომიტეტსა და ხელოვნების მუშაკთა შორის ურთიერთობის ფორმების კარდინალურ გარდაქმნას.

➤ 7498

1937

20 მაისამდე

უბის წიგნაკში იწერს ციტატას თეოფილ გოტიეს ლექსის – „ხელოვნება“ – რუსულენოვანი თარგმანიდან.

➤ 7499

1937

20 მაისამდე

წერს უსათაურო სახუმარო ლექსს „როცა მიდის რუსი ქალი...“.

➤ 7500

1937

20 მაისამდე

უბის წიგნაკში წერს ვიქტორ გოლცევისათვის გასაგზავნი დეკემბის მონახაზს. ადრესატს სთხოვს, აცნობოს, როგორ არის წიგნის საქმეები და დაუყოვნებლივ გაუგზავნოს ჰონორარი.

➤ 7501

1937

20 მაისამდე

აწუხებს კარდიოლოგიური პრობლემები. სამკურნალოდ მიემგზავრება სევასტოპოლში, სეჩენევის ინსტიტუტში.

➤ 7502

1937

20 მაისამდე

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს „როგორ ჩამოვიდნენ ავადმყოფები“, რომელშიც აღწერს, თუ როგორ იქცევიან სამკურნალოდ ჩამოსული დამსვენებლები – აქვთ ორი, საშინაო და საგარეო კოსტიუმი და ფეხსაცმელი, ზედმიწევნით იცავენ რეჟიმს და ჰიგიენას.

➤ 7503

1937

20 მაისამდე

უბის წიგნაკში წერს სახელმწიფო გამომცემლობაში გასაგზავნი დეკემბის მონახაზს, რომელშიც ითხოვს ჰონორარის ნაწილის, 500 მანეთის გაგზავნას.

➤ 7504

1937

20 მაისამდე

წერს ლექსს „ავტო-მოტო-ველო“.

➤ 7505

1937

20 მაისამდე

წერს უსათაურო სტრიქონებს: „შენ მთელი ღამე, ზღვაო, ღელავდი...“.

➤ 7506

1937

20 მაისამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ სევასტოპოლის კლუბში არსებობს წრეები და თათრულ ანსამბლს განაგებს ვინმე აჩკინაძე.

➤ 7507

1937

20 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ერთჰანგა, ერთფერი...“.

➤ 7508

1937

20 მაისამდე

რუსულ ენაზე წერს უსათაურო ლექსს „В городском саду...“.

➤ 7509

1937

20 მაისამდე

რუსულ ენაზე წერს უსათაურო ლექსს „Кто смеет зренье иметь...“.

➤ 7510

1937

20 მაისი

წერს ლექსს „დემონი“.

➤ 7511

1937

20 მაისი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ ლევანევსკის ქუჩა სევასტოპოლში ძალიან ჰგავს მისი სახელობის ქუჩას თბილისში, რადგან არ დგას არცერთი ორსართულიანი სახლი, ატალახებულია, ჰგავს სოფლის შუკას, რადგან დარბიან ძაღლები და ღორები, სიგრძე ბელურას ნისკარტის ტოლი აქვს და მიუხედავად ამისა მიხვეულ-მოხვეულია.

➤ 7512

1937

20 მაისი

სევასტოპოლში ყოფნისას პაპიროსის საყიდლად შედის კიოსკში. გამყიდველი ქალი ინტერესდება, თბილისშიც ისევე ძნელია ბინის შოვნა, როგორც სევასტოპოლში, თუ არა. გალაკტიონი უდასტურებს და კითხვით მიმართავს ქალს, რატომ ჭირს ქალაქში ბინის შოვნა, რაზეც გამყიდველი პასუხობს, რომ ხალხი სოფლებიდან ქალაქს მოაწყდა.

➤ 7513

1937

28 მაისი

ლიტერატურისა და გამომცემლობების საკითხების მთავარი სამმართველო – „მთავლიტი“ ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის კრებულის „ლექსები“ დასაბეჭდად გადაცემას და იწყება წიგნის გამოცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤ 7514

1937

### 28 მაისის შემდეგ

სახელმწიფო გამომცემლობა, სერიით „სასკოლო ბიბლიოთეკა. მხატვრული ლიტერატურა“, გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის კრებულს „ლექსები“. წიგნი იხსნება რედაქციის მიერ მომზადებული საინფორმაციო ხასიათის სტატიით, რომელიც მკითხველს პოეტის ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი გზას აცნობს. კრებული აერთიანებს 49 ლექსს. ესენია: „პირველი მაისი“; „დროშები ჩქარა“, „ათრობდა ხალხთა მწუხარება“, „მიყვარს მარტო ქარიშხალი“, „გემი „დალანდი“, \*\*\* („საქართველოს კარებს გასცდა“), „გურიის მთები“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „სიმღერის მინდა მე წამოწყება“, „რევოლუციონერის ხსოვნას“, „მშვიდზე-მშვიდი“, „იყო“, „მღვრიე ქარი“, „ჩვენი მნათობი ცეცხლისფერია“, „ინდუსტრიალური ნანა“, „პოეტი და მასა“, „სიმღერავ!“, „რა იყო შენი ბავშვობა“, „ეფინება სიხარული“, „აღტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას“, „უტეხი ხმებით“, „ქუჩებს ყვავილი მოეფინება“, „სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით“, „სალამი ახალ გზით გაერთიანებულ საქართველოს“, „არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს“, „დაჰკარ, ორკესტრო!“, „მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს“, „ხვალ მაისია“, \*\*\* („ჰქუხდე გულისთქმავ!“), „ჩვენ ავდიოდით საღრჩობელაზე“, „რამდენ ღამეს მოელო ბოლო“, „ის დროება სიზმარივით წავიდა“, „რვა მარტი“, „ქალაქი წყალქვეშ“, „დაჰკა წერაქვი!“, „რევოლუციურ საქართველოს“, „თანდათან, თანდათან ახალი ქვეყანა შენდება!“, „სიმღერა“, „მხარი მხარს, მხარი მხარს“, „კოლხიდის დაბლობზე“, „პიონერო, იყავ ღირსი ახალ ყოფაცხოვრების“, „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“, „პრესა“, „შვებული“, „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „აკაკის ლანდი“, „მე და ღამე“.

➤ 7515

1937

### 30 მაისის შემდეგ

ემზადება სევასტოპოლიდან გასამგზავრებლად. აწესრიგებს ბარგს და დოკუმენტებს.

➤ 7516

1937

### 30 მაისის შემდეგ

სევასტოპოლიდან ბათუმისკენ მიემგზავრება გემით.

➤ 7517

1937

### 30 მაისის შემდეგ

რუსულ ენაზე წერს უსათაურო ლექსს „Идем посмотрим море...“.

➤ 7518

1937

### 30 მაისის შემდეგ

ბათუმიდან თბილისამდე მგზავრობს მატარებლით.

➤ 7519

ი ვ ნ ი ს ი

1937

11 ივნისი

უმის წიგნაკში წერს იუმორისტულ ჩანაწერს „ოცნება“, რომელშიც აღნიშნავს, რომ სურს ოდესმე აღწეროს სმენას მოკლებულ ადამიანთა ლხინი. იმოწმებს ბერიას სიტყვებს, რომელთაც დარბაზში სიცილი გამოუწვევია, რომ „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებითი სიმთვრალე ხშირად გადადის ლოტობაში. ფიქრობს, რომ „ცისფერყანწელთა“ ლხინი ეს არის ყმული და ჩხავილი, რომელიც შორს დგას ჭეშმარიტი მოლხენისაგან.

➤ 7520

## ი ვ ლ ი ს ი

1937

### 1 ივლისი

ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის ასამართლებენ ოლია ოკუჯავას და უსჯიან 10 წლით თავისუფლების აღკვეთას.

➤ 7521

1937

### 4 ივლისი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არა, იქ სადაც სიხარულია...“.

➤ 7522

1937

### 6 ივლისი

მოკლე ბარათს იღებს ლავრენტი ძიძიგურისგან. სწერს, რომ ვერ ნახა და სასწრაფოდ ესაჭიროება 100 მანეთი. სწერს, რომ 5-დან 7 საათამდე ყოველთვის შინ არის და ნახოს.

➤ 7523

1937

### 22 ივლისი

მწერალთა კავშირში ესწრება სხდომას, რომელზეც განიხილავენ აკაკი ბელიაშვილის საქმეს, რომელსაც ბრალად ედება იოსებ სტალინის ცუდად ხსენება. ბელიაშვილი „დანაშაულს“ არ აღიარებს და ითხოვს, უთხრან, ვინ სდებს ბრალს. პაოლო იაშვილი გვერდით მჯდომ ალექსანდრე ქუთათელს სიგარეტს სთხოვს, ანთებს და დერეფანში გადის. ცოტა ხანში ისმის თოფის ხმა. ვიღაც ყვირის, რომ პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა. გალაკტიონი სხვებთან ერთად გარბის ვესტიბიულში და შემზარავ სურათს ნახულობს.

➤ 7524

## ა გ ვ ი ს ტ ო

1937

### აგვისტოს დასაწყისი

ოლია ოკუჯავასთვის თბილისის ციხეში ჩემოდნით მიაქვს ტანსაცმელი და ახალი ფეხსაცმელი.

➤ 7525

1937

### აგვისტოს დასაწყისი

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ თბილისის ციხიდან გაგზავნილ წერილს. აცნობებს, რომ ყველაფერი მიიღო. ამჯერად სთხოვს საკვების, თანხის, ოდეკალონისა და გალაკტიონის წიგნის შეგზავნას. ატყობინებს, რომ აგვისტოს თვეში ერთი შეხვედრის უფლება აქვთ და სთხოვს, განაცხადი გააკეთოს.

➤ 7526

1937

### აგვისტო ან შემდეგ

წერს მეუღლის – ოლია ოკუჯავას გადასახლებისადმი მიძღვნილ ლექსს „უკანასკნელი მატარებელი“.

➤ 7527

1937

**აგვისტო ან შემდეგ**

ოლია ოკუჯავას გადასახლებაში გაცილების მეორე დღეს ჟორესის (ამჟამად მარჯანიშვილის) ქუჩაზე ხვდება მარიამ გარიყული, რომელიც ეკითხება, ხომ არაფერი შეუტყვია ოლიას შესახებ. გალაკტიონი ცრემლს ვერ იკავებს, ეუბნება, რომ წინა ღამით გააცილა და იმედოვნებს, რომ ოდესმე ისევ ნახავს.

➤ 7528

1937

**27 აგვისტო**

აივნიდან ადევნებს თვალს საშინელ სეტყვას, რომელიც რამდენიმე წამს გრძელდება.

➤ 7529

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1937

**25 სექტემბრის შემდეგ**

ფურცელზე ხატავს ადამიანის სახის კარიკატურულ გამოსახულებას, დიდი ყურებით, სქელი წარბებითა და უღვაშებით და ნახატის აქეთ-იქით წერს სიტყვებს „გ. მუშიშვილი“ და „მარცხი“.

➤ 7530

1937

**25 სექტემბრის შემდეგ**

ფურცელზე იწერს, რომ მაქსიმ გორკის იუბილემდე 6 თვეა დარჩენილი.

➤ 7531

1937

**25 სექტემბრის შემდეგ**

ფურცელზე აკეთებს ჩანაწერს სათაურით „ერთი ავანტიურის შესახებ“ და მის ქვეშ ჩამოწერს ორგანიზაციებსა და დაჯგუფებებს: ახალგაზრდული კავშირი, საქართველოს მთავრობის წევრები, განათლების კომისარიატი, პროფკავშირები, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, პროლეტარული მწერლობის კავშირი, მწერალთა კავშირი, სახელგამი, ცისფერი ყანწები, უნივერსიტეტი და ხელოვნების განყოფილება.

➤ 7532

1937

**25 სექტემბრის შემდეგ**

წერს თემაზე „გორკი და ახალგაზრდობა“.

➤ 7533

1937

**25 სექტემბრის შემდეგ**

ფურცელზე იწერს ძირიდან „ოქრო“ ნაწარმოებ სიტყვებს, გრამატიკულ ფორმებს და „ქრ“ ბგერათშეერთების შემცველ სხვა სიტყვებს.

➤ 7534

## ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი

1937

**9 ოქტომბერი**

ერევნის (ამჟამად თავისუფლების) მოედანთან ხვდება ტიცინ ტაბიდეს, რომელიც ეუბნება, რომ უშიშროების სამსახურშია დაბარებული. გალაკტიონი გაკვირვებული ეკითხება, რატომ მიდიხარ, ხომ იცი, იქ რაც მოხდებაო და ცდილობს, მანქანა გააჩეროს და ბიძაშვილი იქაურობას განარიდოს. აცრემლებულმა ტიცინმა იცის, წინ რაც ელის, მაგრამ ხელიდან უსხლტება, სიტყვებით: მოხდეს, რაც მოსახდენიაო, მაინც მიდის და უკან ვეღარ ბრუნდება.

➤ 7535

1937

### 15 ოქტომბრის შემდეგ

ჰომეროსის პოემის „ოდისეა“ ალექსანდრე მიქაბერიძის მიერ პროზაულად ნათარგმნ ტექსტზე აკეთებს ხაზგასმებს. ერთ-ერთ თავზე „მათხოვარი ირისი“ წერს უსათაურო ლექსის პირველ ორ სტროფს. იქვე ჩადებულია ფურცელი მომდევნო ორი სტროფის ავტოგრაფით: „მახსოვს, ოდეს მხატვრებს ლხინი / გვექონდა გამოსათხოვარი, / საზეიმო დარბაზებში შემოვიდა მათხოვარი. / მან ასწია სადღეგრძელო: / თქვა: ვინც გავლით თუნდ მცირედით / საქართველოს სამღერა / მშვენიერი ზღვისპირეთი, / შემისრულოს, ვთხოვ, მცირეზე / უფრო მცირე სათხოვარი, / მე ნუ ჩამთვლის მათხოვარად, / მე არა ვარ მათხოვარი. / ოდით ჩემი გულისცემა / სიმღერაა რჩეულთ ბედის / და სიმღერა ჩემიც არის / საიდუმლო ზღვისპირეთის“.

➤ 7536

1937

### ოქტომბერი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „ქართული საბჭოთა პოეზია“. იმის საილუსტრაციოდ, რომ საბჭოთა პოეზიაში სოციალური სევდისა და გოდების მოტივები შეცვალა ჯანსაღმა ოპტიმიზმმა და აღფრთოვანებამ, მოხმობილია ამონარიდი გალაკტიონის ლექსიდან „არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს“. სტატიის ავტორის თქმით, რევოლუციამდე გალაკტიონი გამოირჩეოდა უიმედობისა და სევდის ყველაზე მძაფრი მოტივებით, ახლა კი მისი ლექსები „სიცოცხლისა და სიხარულის აღზნებულ საგალობელს წარმოადგენს“.

➤ 7537

## ნოემბერი

1937

### 1 ნოემბრამდე

რამდენჯერმე შეუვლის მთარგმნელ ელენე შერის, მაგრამ ვერ ნახულობს.

➤ 7538

1937

### 1 ნოემბერი

წერილს იღებს ელენე შერისგან. წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მასთან რამდენჯერმე მისულმა გალაკტიონმა ვერ ნახა. სწერს, რომ მიუხედავად იმისა, რომ გრიპი აქვს, მომდევნო დღეებში 11-დან 6-7 საათამდე ელენე ახვლედიანის სტუდიაში იქნება, რადგან უნდა დაასრულოს ნახატი „ერევნის მოედანი“. სწერს, რომ ბორის ბრიკმა მოსკოვიდან ჩამოუტანა გალაკტიონის წიგნი. ძალიან უნდა, რომ რომელიმე თარგმანი მანაც დაბეჭდოს. ამიტომ სთხოვს ლექსს ოქტომბერზე და აიძულებს, რომ მოსკოველ მთარგმნელებზე ნაკლებად არ თარგმნის. სწერს, რომ დალაპარაკება უნდა თბილისში რუსულ ენაზე გამომავალ მის კრებულზეც.

➤ 7539

1937

### 7 ნოემბერი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ეს ოცი წელიწადია...“.

➤ 7540

1937

**27 ნოემბერი**

უბის წიგნაკში წერს ლექსს „ათასფუთიან ჩაქუჩის ცემით...“.

➤ 7541

1937

**28 ნოემბრის შემდეგ**

წიგნში „ორდენოსან საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ხელოვნება“ აღნიშნულია, რომ თანამედროვე პოეტებმა შექმნეს ლექსები კოლხეთის ჭაობების დაშრობის დიდმნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით და გვიჩვენებს, რომ სოციალისტური შრომა წარმატებით სძლევს ბუნების სტიქიურ ძალებს. ამის დასტურად მოტანილია სტროფი გალაკტიონის ლექსიდან „არგონავტები ახალი დროის“.

➤ 7542

**დეკემბერი**

1937

**5 დეკემბრის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი განუმარტავს, რომ გადასახლებაში ყოფნისას უფლება ექნება თვეში მხოლოდ ორი წერილის გაგზავნისა და მისგან ორის მიღების. ინტერესდება, როგორ არის ფიზიკურად და როგორ არის მისი ძმისწული ვასიკო, რომელიც ოლიას ქალაქიდან გასვლის წინ ავად იყო. დარდობს, რომ გალაკტიონს თვალები აწუხებს და სთხოვს, სამკურნალო კომბინატის ექიმ გორბოვსკის გაესინჯოს. ინტერესდება, გამოვიდა თუ არა მისი წიგნი, როგორი ყდა აქვს, რომელი ფოტო ახლავს, ვისი წინასიტყვაობა და რამდენიანი ტირაჟით არის. სთხოვს, მალე უპასუხოს.

➤ 7543

1937

**12 დეკემბერი**

უბის წიგნაკში წერს უსათაურო ლექსს „სოციალისტურ შრომის და სწავლის...“.

➤ 7544

1937

**12 დეკემბრის შემდეგ**

საბჭოთა კავშირში ჩატარებულ უმაღლესი საბჭოს პირველ არჩევნებს უძღვნის ლექსს „რა არის 12 დეკემბერი?“

➤ 7545

1937

**19 დეკემბერი**

დღიურში ინიშნავს მომავალში გამოსაცემი წიგნების ნუსხას. გამომცემლობა „ფედერაციაში“ გეგმავს ერთტომეულის, სახელმწიფო გამომცემლობაში – თხზულებათა მესამე ტომის, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“ კი – პოეტური კრებულის გამოცემას.

➤ 7546

1937

**21 დეკემბრამდე**

ჩანაწერში გამოთქვამს იმედს, რომ რესპუბლიკის სახალხო არტისტი მელიტონ ბალანჩივაძე მის მელოდიას დაამუშავებს ორკესტრისათვის, როიალისა და სოლოსათვის. რაც შეეხება შესრულებას, ყველაზე უკეთ, ფიქრობს, რომ შეასრულებს ნიკო ქუმსიაშვილი. ნახევრად სერიოზულ და ნახევრად სახუმარო ტექსტს, „ჩემი ქმარი სად წავიდა“, გალაკტიონის აზრით, დაამუშავებს ანდრია ბალანჩივაძე.



➤ 7547

1937

**21 დეკემბრის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ მისგან არც წერილები და არც 50 მანეთი ჯერ არ მიუღია, ცოტათი აწუხებს ფილტვები და ბრმა ნაწლავი. აღწერს თოვლის ფანტელებს, რომლებიც გაზაფხულის ყვავილებივით დაფარფატებს ცაში. ახსენდება გალაკტიონის ლექსები „თოვლი“ და „ატმის ყვავილები“. ინტერესდება, გამოვიდა თუ არა მისი წიგნი. ძალიან დარდობს მასზე. წერს, რომ ბევრს კოცნის მას და მის ლექსებს. ინტერესდება, აქვთ თუ არა სახლში ლევ მისი პოეზია და თუ არა აქვთ, ურჩევს, იყიდოს. წინასწარ ულოცავს დამდეგ ახალ წელს.

➤ 7548

1937

**25 დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „საბჭოთა ხალხის გმირული...“.

➤ 7549

1937

**25 დეკემბრის შემდეგ**

წერს ლექსს „უცხო კაპიტალის ქოფაკები...“.

➤ 7550

1937

**25 დეკემბრის შემდეგ**

წერს ლექსს „რა კარგია ტბა, მთაში ჩასმული...“.

➤ 7551

1937

**25 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სოციალისტურ წმინდათა-წმინდა...“

➤ 7552

1937

**25 დეკემბრის შემდეგ**

იღებს ძმის წერილს. აბესალომს უკვირს, რომ შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ საბჭოთა კავშირის მწერალთა პლენუმთან დაკავშირებით გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში გალაკტიონი არ იხსენიება. ადრესანტი ფიქრობს, რომ მისი ხმა ამ ზეიმზე აუცილებლად უნდა ისმოდეს. ჰპირდება, რომ მომდევნო წლის დასაწყისში თბილისში ჩავა და რამდენიმე დღით დარჩება.

➤ 7553

1937

**27 დეკემბერი**

ქუჩაში ხვდება ჟორა ვართანოვს და უხარია მისი დანახვა.

➤ 7554

1937

**27 დეკემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ თბილისი საქართველო არაა, თბილისი სომხეთია.

➤ 7555

1937

**27 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო სატირულ ლექსს „სარდაფს, სადაც იგი ჩავა...“.

➤ 7556

1937

**27 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „აფხაზეთს არის ქალაქი რიცა...“.

➤ 7557

1937

**27 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გამომგონებელს...“.

➤ 7558

1937

**27 დეკემბრის შემდეგ**

რუსულ ენაზე წერს გიორგი ქუჩიშვილისადმი მიძღვნილ უსათაურო სახუმარო ლექსს.

➤ 7559

1937

**29 დეკემბერი**

საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე გამოდის მოხსენებით, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძის პოემის „ეპოქა“ შესახებ ნათქვამია, რომ ის არის ჰიმნი, მიძღვნილი სოციალისტური საქართველოსა და მისი სახელოვანი ადამიანებისადმი, რომლებიც ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ.

➤ 7560

1937

**დეკემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „შოთა რუსთაველი და სოციალისტური თანამედროვეობა“, რომელშიც ის მოიხმობს გალაკტიონის ფრაზას: „ჩვენი დროც ახალ რუსთაველს ელის“ და დასძენს, რომ გალაკტიონ ტაბიძე თავის ღრმა პოეტურ დამოკიდებულებას გარემოსადმი ზოგჯერ რუსთაველის პოემის სტროფებში გარდატეხს ხოლმე და საილუსტრაციოდ მოჰყავს სიტყვები: „ცას, დედამიწას, ადამიანურს / ვეფხის სტრიქონებში ვხედავ არეულს“.

➤ 7561

1936-1937

წერს ლექსს „ატომი“.

➤ 7562

1937 ან ადრე

წერილს უგზავნის აკაკი გაწერელიას და ესაუბრება სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მიერ მოსკოვში გამოსაცემი მისი წიგნის შესახებ. გალაკტიონის წიგნი პირველად გამოდის მოსკოვში და საჭიროა ლექსების ყურადღებით შერჩევა. პოეტი გამოთქვამს სურვილს, რომ მომზადდეს ზუსტი პწკარედული თარგმანები, რომ საბოლოო თარგმანები ორიგინალის

აზრებს არ ასცდეს. მისი აზრით, წიგნში ნაკლებად უნდა იყოს წარმოდგენილი პირველი პერიოდის ლექსები.

➤ 7563

1937

გიორგი ქუჩიშვილთან ერთად შეამჩნევს, რომ მათ სახლთან ამოსული პატარა აკაცია ვიღაცას გადაუტეხავს. მეგობრები გადატეხილ ადგილს ნაჭრით შეუხვევენ და ხეს წამოაყენებენ.

➤ 7564

1937

მოსკოვში ნიკოლოზ ტიხონოვის რედაქტორობით რუსულ ენაზე გამოდის გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული ლექსები“, რომელიც მხატვრულად გაფორმებულია უჩა ჯაფარიძის მიერ და წინ უძღვის ბორის ტურგანოვის წინასიტყვაობა სათაურით „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“. წიგნში შეტანილია 1908-1921 წლების ლექსები, პოემა, ტექსტები წინა წიგნებიდან, ციკლებიდან „ეპოქა“, „პაციფიზმი“ და „რევოლუციონური საქართველო“. მთარგმნელები არიან: ნიკოლაი ბობირიოვი, პაველ ანტოკოლსკი, ნიკოლაი ტიხონოვი, რიურიკ ივნევი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ელენე შერი, დავიდ ვიგოდსკი, მიხაილ ტროიცკი, ბორის ბრიკი, კ. გორდანოვსკი, ვსევოლდ როჟდესტვენსკი, ბორის სერებრიაკოვი, ალექსანდრე ყანჩელი, ლევ პენკოვსკი, პანტელეიმონ პეტრენკი, დიმიტრი პეტროვსკი და ალექსანდრ ჩაჩიკაშვილი.

➤ 7565

1937

წერს ლექსს „მარტოობა“.

➤ 7566

1937

კრებულში „ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს“ აქვეყნებს ლექსს „პოემა ვეფხისა“.

➤ 7567

1937

წერს უსათაურო ლექსს „ეს წელიწადი მკვიდრი ფუძეა...“.

➤ 7568

1937

კრებულში „ახალი კოლხიდა“ აქვეყნებს ლექსებს „დაუძლეველი“ და „შეხედე!“.

➤ 7569

1937

მოსკოვში გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელ“ ნიკოლაი ტიხონოვის რედაქტორობით და ბენიტო ბუაჩიძის წინასიტყვაობით ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის კრებულს „რჩეული ლექსები“. თავფურცელზე მითითებულია, რომ ავტორი არის საქართველოს სახალხო პოეტი. წიგნი მხატვრულად გაფორმებულია უჩა ჯაფარიძის მიერ.

➤ 7570

1937

წერს უსათაურო ლექსს „სადღაც შრიალებს ჭაობი ჭყვიშის...“.

➤ 7571

1937

გრიგოლ ცეცხლაძესთან ერთად იმყოფება სახელმწიფო გამომცემლობის ბუღალტერიაში, სადაც იღებს ჰონორარს. რადგან გრიგოლს ჰონორარს არ აძლევენ და ფულის მისაღებად მეორე დღეს იბარებენ, გალაკტიონი ძველი მეგობარს სადილად ჰპატიუებს. მიდიან ალექსანდრ პუშკინის ქუჩაზე მდებარე რესტორანში „სიმპატია“. გზად გალაკტიონი მაღაზიაში შეივლის და ყიდულობს კონიაკს „ენისელი“, თან გრიგოლს უხსნის, რომ სასმელი შინ წასაღებად სჭირდება და შემდეგ ყიდვა რომ არ დაავიწყდეს, ამიტომ ახლავე შეიძინა. რესტორანში უკვე თავს ორ ლიტრ ღვინოს, საუზმეს და მწვადებს. ოფიციატს ახსნევინებს კონიაკსაც. იწყებენ სმას. ორი ჭიქა კონიაკის შემდეგ, გრიგოლის რჩევით, ღვინოზე გადადიან. გალაკტიონი გატაცებით უამბობს ევროპაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს. შემდეგ კვლავ კონიაკს უბრუნდება. რესტორნიდან გამოსვლისას ძალზე მთვრალია, რადგან კონიაკის ბოთლის ორი მესამედი დალია. გრიგოლი ეტლში სვამს და გაცილებას სთავაზობს, მაგრამ გალაკტიონი ამაზე უარს ეუბნება.

➤ 7572

### 1937 ან შემდეგ

ქუჩაში შეხვედრილ იპოლიტე ვართაგავას, ღიმილით მოიკითხავს და ეუბნება, რომ მასთან სახლში მისვლას აპირებდა, რადგან მოსკოვში მისი ლექსების დაბეჭდვას აპირებენ, სასწრაფოდ სთხოვენ რუსულ პწკარედებს და მისი დახმარება სჭირდება. ჰპირდება, რომ უკვე შერჩეულ ლექსებს მიართმევს და სთხოვს, რაც არ მოეწონება, ამოიღოს. იპოლიტე მაღლობას უხდის და ჰპირდება, რომ მაქსიმუმს გააკეთებს, მაგრამ გალაკტიონის ლექსების თარგმნა ძნელია და შიშობს, არაფერი დააკლოს.

➤ 7573

### 1937 ან შემდეგ

იპოლიტე ვართაგავასთან მიაქვს საკუთარი ლექსები რუსულ ენაზე ბწკარედების გასაკეთებლად და ჰპირდება, რომ წიგნის გამოსვლისას ჰონორარს მისცემს. ვართაგავა თანხის შეთავაზებას შეურაცხყოფად იღებს და გალაკტიონი თავს უხერხულად გრძნობს.

➤ 7574

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს ალექსანდრე აბაშელის ტელეფონის ნომერს.

➤ 7575

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს საუბრისას გაგონილ ფრაზას, რომ დიდ აღმართს დიდი დაღმართი მოსდევს.

➤ 7576

### 1937 ან შემდეგ

წერს უსათაურო ერთსტროფიან ლექსს „აფეთქა, როგორც ნადმმა...“.

➤ 7577

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიიდან აკეთებს ამონაწერებს კონსტანტინოპოლში მდებარე სტუდიის მონასტრის შესახებ.

➤ 7578

### 1937 ან შემდეგ

ენციკლოპედიიდან აკეთებს ამონაწერს ღირსი თეოდოსი პეჩორელის მოღვაწეობის შესახებ.

➤ 7579

### 1937 ან შემდეგ

ენციკლოპედიიდან აკეთებს ამონაწერს ათონის ივერთა მონასტრისა და ივერიის ღვთისმშობლის ხატის შესახებ.

➤ 7580

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს სტრიქონებს ალიო მირცხულავას პოემიდან „მე და ბარათაშვილი“: „ლურჯა ცხენები“ ისე არ ვარგა, როგორც მერანი ბარათაშვილის“.

➤ 7581

### 1937 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გქონდათ, ლექსებო ძველო...“.

➤ 7582

### 1937 ან შემდეგ

ვინმე თამარა ჩუჩულაშვილი უბის წიგნაკში ხუმრობით უწერს, რომ საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს სულის მიყიდვას საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძისათვის.

➤ 7583

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ აზერბაიჯანელები ერთმანეთში აზერბაიჯანულად საუბრისას გამოურევენ ხოლმე ქართულ სიტყვებს „შე კაი კაცო“.

➤ 7584

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს მოსკოვის ქიმიური ფაბრიკის „გალენ-მოსკვას“ მიერ გამოშვებული, გამონაყარისა და სისუსტის საწინააღმდეგო წამლების ანოტაციებს.

➤ 7585

### 1937 ან შემდეგ

წერს უსათაურო ერთსტროფიან ლექსს „ევროპაში რაც მტრობაა...“.

➤ 7586

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს პოპულარულ ხალხურ ლექსს „ზესტაფონო, ზესტაფონო, გშორდები...“, რომელშიც გადმოცემულია იმპერიის ჯარში გაწვეული ზესტაფონელი გლეხის განცდები და აგონდება 1921 წელს ქართველი ბოლშევიკების მიერ რუსეთის წითელი არმიის მოწვევა საქართველოს მშრომელების დასახმარებლად.

➤ 7587

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს სიტყვა „ჭყვიშის“ მნიშვნელობის შესახებ და მიუთითებს, რომ ეს სიტყვა მეგრულად ნიშნავს მწყემსს. ასევე აღნიშნავს, რომ სოფელში დარჩენილია მეგრული გვარები.

➤ 7588

### 1937 ან შემდეგ

წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსს „ცად რონინია ღრუბელთა გროვის...“.

➤ 7589

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ გამოდის ვეფხის ტყავის კეპების ტარების ინიციატივით.

➤ 7590

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს მისდამი მიძღვნილი ლექსების ავტორთა სიას.

➤ 7591

### 1937 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვწერ ვინმე მესხი მელექსე...“.

➤ 7592

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ხალხურ ლექსს „საქმე თუ ვინმეს გიჭირდეს...“.

➤ 7593

### 1937 ან შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს მოკლე ჩანაწერს, როგორ უნდა დაიწეროს „დედა-ენა“, დეფისით თუ უდეფისოდ და რომ ის უნდა გამოითქვას გადაბმით, სწრაფად.

➤ 7594

\* \* \*

### 1937 შემდეგ

რუსულ ენაზე აკეთებს ჩანაწერს „კომუნისტური მანიფესტი“, რომელშიც აღნიშნავს, რომ „კომუნისტური მანიფესტი“ ქართულ პოეზიაში პირველად ახსენა გალაკტიონ ტაბიძემ 1929 წელს, ზაჰესის მშენებლობისადმი მიძღვნილ ლექსში, რომელიც 1930 წელს დაიბეჭდა და სათაურით „ძველი და ახალი ხიდი“ მალევე ითარგმნა რუსულად ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ.

➤ 7595

### 1938-მდე

აკეთებს ჩანაწერს სათაურით „გალაკტიონ ტაბიძის დაბრუნება“. საუბრობს ძველი ხელნაწერების გამოცემაზე, რომელთა შორის არის უძველესი სიგელები, ერთი კი ჩამოტანილია ათონის მთიდან. ფიქრობს, რომ მათ შორის შეიძლება იყოს საინტერესო სახალხო პოეტების ნაწერებიც.

➤ 7596

### 1938-მდე

ემზადება ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლის იუბილესათვის. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გეგმავს გამოფენის მოწყობას, რომელშიც ასახული იქნება პოეტის ლიტერატურული გზა. გამოფენა ორ ნაწილად გაიყოფა: 1908 წლიდან 1917 წლამდე და 1917 წლიდან 1938 წლამდე. სურს გამოფინოს ქართულ და უცხოურ ენაზე გამოცემული წიგნები, ასევე გაზეთები და ჟურნალები, რომლებთანაც უთანამშრომლია, მისი წიგნების შესახებ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილები, ნარკვევები, ლექსები, ღონისძიებათა აფიშები და ფოტოსურათები. გამორჩეული ადგილის დათმობას ისახავს მიზნად პარიზის ანტიფაშისტური კონგრესისათვის.

➤ 7597

## 1938

### ი ა ნ ვ ა რ ი

### 1938

#### 1 იანვარი

მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ალიო მამაშვილი პრეზიდენტის სახელით შუამდგომლობს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა პოეტური მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავად გალაკტიონ ტაბიძეს გაუდიდდეს პერსონალური პენსია.

➤ 7598

1938

### 8 იანვარი

შუადღის ოთხ საათზე თბილისში სტუმრად მყოფი აბესალომი გალაკტიონის სახლის კიბეებზე ქალების ჩოჩოლს და მისი ძმის სახელს იგებს, საჩქაროდ ადის ბინისკენ და აღმოაჩენს კიბეებზე დაწოლილ უგონოდ მთვრალ გალაკტიონს, ჯიბიდან გასაღებს ამოცლის, სახლში შეჰყავს და საწოლზე აწვეს. გახდის დროს ამჩნევს, რომ პალტოს და შარვლის ჯიბეები დახეული აქვს და უკერებს.

➤ 7599

1938

### 8 იანვარი

აბესალომ ტაბიძე გალაკტიონის სახელით წერს ლავრენტი ბერიასთვის გასაგზავნად წერილს, რომელშიც თავის შესახებ წერს, რომ 26 წელია მსახურობს სამტრედიის რკინიგზის საშუალო სკოლაში და ოჯახით სურს თბილისში გადასვლა საცხოვრებლად, რაც გალაკტიონისთვისაც მოსახერხებელი იქნება. ადრესატისგან ითხოვს თბილისში ბინის გამოყოფას. მმა ამ წერილს უტოვებს გალაკტიონს, რომ გადაწეროს და გაუგზავნოს ბერიას.

➤ 7600

1938

### 8 იანვარი ან შემდეგ

იღებს ძმის წერილს. აბესალომი შემფოთებულია მისი ლოთობით, ურჩევს, ჯიბით ფული არ ატაროს, რომ სადმე დასაღვეად არ გაუწიოს გულმა. უკიდურეს შემთხვევაში, სჯობს ღვინო სახლში აიტანოს და იქ დალიოს. სწერს, რომ მასთან სახლში იპოვა ქვითარი, რომლიდანაც ჩანს, რომ ლომბარდში ბეჭედი და რაღაც ნივთები აქვს დაგირავებული. აფრთხილებს, რომ მეორე დღეს ვადა ეწურება და თუ არ გამოისყიდა, გაუყიდიან. სწერს, რომ პერანგი უყიდა და თუ ბინის საკითხს მოუგვარებს, საუკეთესო კოსტიუმის ყიდვასაც თავის თავზე იღებს. სთხოვს, რომ აუცილებლად გაუგზავნოს წერილი ლავრენტი ბერიას და მისთვის ბინა სთხოვოს. აუცილებლად ბინა უნდა იყოს და არა ოთახი, რადგან ოთახში ოჯახთან ერთად ვერ მოთავსდება.

➤ 7601

1938

### 9 იანვარი

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო სააფთიაქო სამმართველოს და სთავაზობს, თანამშრომლებისთვის შეიძინონ 200 ბილეთი 12 იანვარს საღამოს 9 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მისი სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავ საღამოზე დასასწრებად.

➤ 7602

1938

### 9 იანვარი

განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის გამგეობას და სთავაზობს, თანამშრომლებისთვის შეიძინონ 200 ბილეთი 12 იანვარს საღამოს 9 საათზე რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში მისი სამწერლო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავ საღამოზე დასასწრებად.

➤ 7603

1938

**10 იანვრამდე**

უბის წიგნაკში იწერს ცნობებს ბეროზაში კომიტასად წოდებული ცნობილი სომეხი მუსიკოსისა და ფოლკლორისტის სოლომონ სოლომონიანის შესახებ, რომ იგი იყო სასულიერო პირი, რომელიც კრებდა ფოლკლორს და თავადაც მღეროდა, ბოლოს წავიდა პარიზში და იქ გარდაიცვალა.

➤ 7604

1938

**10 იანვარი**

უბის წიგნაკში იწერს განცხადებას სახელმწიფო ცირკის წარმოდგენების შესახებ.

➤ 7605

1938

**20 იანვარი**

კითხულობს გაზეთს „მუშა“ და სიტყვას „მუშა“ უსადაგებს რითმებს.

➤ 7606

1938

**23 იანვარი**

იხდის ბინის ქირას, 140 მანეთს.

➤ 7607

1938

**იანვარი**

ჟურნალში „მნათობი“ ქვეყნდება კანდიდ ჩარკვიანის წერილი „საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე“, რომელშიც ავტორი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებასაც ეხება. ცნობილი პარტიული ფუნქციონერი პოემა „ეპოქას“ სოციალისტური სამშობლოსადმი მიძღვნილ ჰიმნს უწოდებს და გალაკტიონს აქებს იმ გარდაქმნისათვის, რომელიც მან განიცადა სოციალისტური რევოლუციის შემდგომ პერიოდში.

➤ 7608

**თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი**

1938

**5 თებერვლის შემდეგ**

კითხულობს წიგნს „ანტიკური პოეტები ხელოვნების შესახებ“ და აკეთებს ხაზგასმებს. წინასიტყვაობაში ალექსანდრ პუშკინის ერთ-ერთი ეპიგრამის მოკლე ელინური ფორმის სირთულის აღნიშვნის შესახებ წერს, რომ იგივე შეიძლება ითქვას ლირიკის დასაცავად. მოჰყავს „ვეფხისტყაოსნიდან“ ტაეპი: „გრძელი სტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგიო“. ფიქრობს, რომ სწორედ ამ სიმოკლესა და შემჭიდროვებაშია ლექსის ძალა.

➤ 7609

1938

**14 თებერვალი**

უბის წიგნაკში წერს სახუმარო ლექსს „ათანასეს უხარია“.

➤ 7610

1938

**23 თებერვალი**

სახლში აკითხავს ლავრენტი მიძიგური იმის სათქმელად, რომ სანდრო ეულს მისთვის გადასაცემი თანხა აქვს და უნდა მიაკითხოს, მაგრამ გალაკტიონი შინ არ ხვდება.

➤ 7611



1938

#### 24 თებერვალი

მოკლე ბარათს იღებს ლავრენტი ძიმიგურისგან. სწერს, რომ გალაკტიონისთვის თანხა აქვთ გადადებული და აუცილებლად ნახოს სანდრო ეული.

➤ 7612

1938

#### 26 თებერვალი

კარზე უკაკუნებს სახლმმართველობის თანამშრომელი. შედის სახლში და ათვალიერებს საპირფარეშოს, სადაც ზემოდან წყალი ჩაუვიდა. ის გალაკტიონს ეუბნება, რომ წყლის კვალი არსად ჩანს, რაზეც პოეტი პასუხობს, რომ წყალი არამარტო მასთან ჩამოდის, არამედ ქვედა სართულზე, აფთიაქის სამმართველოსაც აზიანებს. სახლმმართველობის თანამშრომელი ეკითხება: თქვენ ხართ მწერალი ტაბიძე? გალაკტიონი უდასტურებს და ამჩნევს, რომ სტუმარი ორაზროვნად იღიმება. შემდეგ პოეტი თავად ინტერესდება სახლმმართველობის თანამშრომლის გვართ, რაზეც მამაკაცი პასუხობს, რომ მის გვარს მნიშვნელობა არ აქვს. ერთად ჩადიან სააფთიაქო სამმართველოში, სადაც ჩასული წყლის კვალი თითქმის წაშლილია. სახლმმართველობის თანამშრომელი დაასკვნის, რომ წყალი არაა ჩასული, რასაც გალაკტიონი აპროტესტებს, თუმცა ამოდ. პოეტი აღშფოთებულია სტუმრის ბრიყვული ქცევით და ფიქრობს, რომ საეჭვო პირია.

➤ 7613

1938

#### თებერვალი ან შემდეგ

წერს ლექსს „სადღაც, ყინულზე ცეცხლი ანთია“.

➤ 7614

### მ ა რ ტ ი

1938

#### 4 მარტი

ოლია ოკუჯავა ძალიან ნერვიულობს, რომ გალაკტიონის შესახებ არაფერი იცის, ღამით ესიზმრება და დილით ცრემლიანი იღვიძებს.

➤ 7615

1938

#### 5 მარტის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი წუხს, რომ უკვე მერვე წერილს აგზავნის და პასუხი არ მიუღია. ვერ გაუგია, რაშია საქმე, გალაკტიონმაც ხომ არ დაიჯერა, რომ ის საბჭოთა ხელისუფლების მტერია. იხსენებს ივან ბუნინის ლექსს ახლობელი გულის მონატრებაზე.

➤ 7616

1938

#### 17 მარტის შემდეგ

წერილს იღებს ძმისგან. აბესალომი ატყობინებს, რომ 20 მარტს მოწაფეებს ითხოვს და 21-ში აპირებს თბილისში ჩასვლას.

➤ 7617

1938

#### 25 მარტი

რუსულ-ქართული ლექსიკონის 1118-ე გვერდის სიტყვებზე – Черногрия (იელი) და Черномазый (შავტუხა, ყარაჩი, ზანგელა) – პოულობს მაგიურ ხოჭოს, რომელსაც სვამს ასანთის კოლოფში და ფიქრობს, რომ მას არ სიამოვნებს. ახსოვს, რომ ლექსიკონში ხოჭოს აღმოჩენილი ბოტანიკური მცენარე იელი ყვითელი ყვავილია, რომლითაც დაფარული იყო ქუთაისის მიდამოები, ყარაჩი, შავტუხა, ზანგელა კი – მისი ახალგაზრდობის დროინდელი მება. სიშავე იწვევს მთაწმინდაზე შავებით მოსილი ქალების, ღამის ყორნის ფრთების, შავი თვალების, შავი ზღვის, შავი დღის, შავი აჩრდილის, შავი ბერის, შავი ღრუბლისა და შავი ფიქრების ასოციაციას.

➤ 7618

1938

27 მარტი

დილით ხვდება ელიზბარ პოლუმორდვინოვს, რომელიც ეპატიჟება რადიო-კომიტეტის ბუფეტში. გალაკტიონი უარს ეუბნება, რადგან სეირნობის ხასიათზეა, ათვალეერებს რიყის მიდამოებს, სადაც მტკვრის კალაპოტის გამაგრების სამუშაოები მიმდინარეობს, სახლს, სადაც ნიკო ფიროსმანი ცხოვრობდა, იმ ადგილს, სადაც ერთხელ ღამით ჩაეძინა და ფეხსაცმელები მოჰპარეს. შემდეგ ადის ავლაბარში და უყურებს, როგორ ცდილობენ მუშები ძველი სახლის აივნის მოშლას. სადამოს კითხულობს „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც თითქოს მოუწოდებს, რომ დროა, შექმნას რამე დიადი.

➤ 7619

1938

28 მარტი

იღებს მოსკოვის გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ გამოხმაურებებს საკუთარ რუსულენოვან წიგნზე „რჩეული ლექსები“. 13 წლის მკითხველი ივან ჩეპიკოვი სმოლენსკის ოლქიდან სწერს, რომ წიგნი მრავალჯერ გადაიკითხა და მისგან ბევრი რამ ისწავლა, რადგან ძალიან რევოლუციურად მომართული წიგნია. მისი აზრით, გალაკტიონ ტაბიძისაგან ბევრს ისწავლიან მომავალი პოეტები. მეორე მკითხველი, 17 წლის კოლმეურნე ნიკოლაი სიდამინი თავის გამოხმაურებაში აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების წაკითხვამ მასაც აღუძრა პოეტობის სურვილი. გალაკტიონს სიამოვნებს ამ წერილების კითხვა და გეგმავს, პასუხი მისწეროს ახალგაზრდა მკითხველებს.

➤ 7620

1938

28 მარტი

ეცნობა პრესას, რომელიც სავსეა მაქსიმ გორკის 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წერილებით. ფიქრობს, რომ ამ გამოხმაურებებში დაკარგულია მთავარი: დიდი მწერლის არტისტული, მუსიკალური ბუნება, რომლის გარეშეც შეუძლებელია შეიქმნას რამე დიადი.

➤ 7621

1938

28 მარტი

წერს მეგობარი მხატვრის – თედორე ჩუდეცკისადმი მიძღვნილ ლექსს „ფედია ჩუდეცკის“ („იყო ღრმა ფილოსოფოსი...“).

➤ 7622

1938

28 მარტის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს „ევროპა. პროლოგი“, რომელშიც წარმოადგენს მისივე ლექსის – „პროლოგი“ – კომენტარს. მიმოიხილავს ლექსში წამოჭრილ საკითხებს: ევროპული პრესის

მღელვარებას, კაპიტალისტური მეურნეობების რღვევას, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის კრიზისს და სხვ.

➤ 7623

1938

**28 მარტის შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს საკუთარი ლექსის „ევროპა, აბა, რად გინდა“ შესახებ, რომელშიც აღნიშნავს, რომ ამ ლექსში აღწერილია ევროპის კრიზისის უმთავრესი ნიშანი – უმაღლესი ბედნიერების გრძნობის დაკარგვა, რომლის ანაზღაურებაც შეუძლებელია გარეგნული აქტივობით.

➤ 7624

1938

**28 მარტის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ვარსკვლავი ცისკრის...“.

➤ 7625

1938

**28 მარტის შემდეგ**

წერს ლექსს „პირველი შეხვედრა“.

➤ 7626

1938

**28 მარტის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ეს იყო სივრცე...“.

➤ 7627

1938

**28 მარტის შემდეგ**

ფურცელზე ჩამოწერს სიტყვებს და ფრაზებს, რომლებიც უკავშირდება რაღაც მოგონებებს.

➤ 7628

1938

**30 მარტი**

წერს უსათაურო ლექსს „ნიავი, ია, ნარგიზი“.

➤ 7629

1938

**30 მარტის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ქართ სცადეს და ვერ გაანადგურეს...“.

➤ 7630

## აპრილი

1938

**1 აპრილი**

აკეთებს გაზაფხულზე შესასრულებელი საყოფაცხოვრებო საქმეების ჩამონათვალს.

➤ 7631

1938

**2 აპრილი**

წერს უსათაურო ლექსს „მთაგორების ზემო...“.

➤ 7632

**1938**

**3 აპრილი**

გეგმავს სახლის დალაგებას და მოწესრიგებას.

➤ 7633

**1938**

**4 აპრილი**

უბის წიგნაკში იწერს გაზეთ „პრავდას“ რედაქციისათვის გასაგზავნი წერილის მონახაზს, რომელშიც ითხოვს გაუგზავნონ გაზეთის 1936 წლის 224-ე ნომერი, რამდენსაც მოახერხებენ.

➤ 7634

**1938**

**4 აპრილი**

უბის წიგნაკში იწერს გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელისთვის“ გასაგზავნი წერილის მონახაზს, რომელშიც ითხოვს, დაუყოვნებლივ გაუგზავნონ რუსულ ენაზე გამოცემული მისი „რჩეული ლექსების“ საავტორო ეგზემპლარები.

➤ 7635

**1938**

**4 აპრილი**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) კომენდანტი ცაკის თავმჯდომარეს, ფილიპე მახარაძეს, მოახსენებს, რომ ნკვდ-ს თანამშრომელმა იპოვა გალაკტიონ ტაბიძის ბილეთი N254, რომელიც მთვრალ მდგომარეობაში დაკარგა.

➤ 7636

**1938**

**26 აპრილი**

გამომცემლობა „სოვეტსკი პისატელის“ ბლანკზე ანგარიშობს საავტორო ჰონორარის ოდენობას, რომელიც უნდა აიღოს რუსულ ენაზე გამოცემული მისი „რჩეული ლექსებისთვის“.

➤ 7637

**1938**

**5 აპრილი**

ერევნის, ამჟამინდელი თავისუფლების, მოედანზე თვალყურს ადევნებს ავტომობილების გადაადგილებას. ბლოკნოტში ინიშნავს, რომ ნახევარი საათის განმავლობაში გაიარა ორასამდე ავტომობილმა.

➤ 7638

**1938**

**6 აპრილი**

გეგმავს აბანოში წასვლას, ფეხსაცმლის შეკეთებას და შარვლის გაუთოვებას.

➤ 7639

**1938**

**8 აპრილი**

იწყებს სახლის მოწესრიგებას და ნივთების დალაგებას.

➤ 7640

**1938**

**9 აპრილი**

რეცხავს ბოთლებს, წმენდს მტვერს, ყიდულობს ორი კვირის სამყოფ თამბაქოს.

➤ 7641

**1938**

**9 აპრილი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ოქროსთან დაკავშირებულ სიტყვებს და მათ რუსულ შესატყვისებს.

➤ 7642

**1938**

**10 აპრილი**

ალაგებს ბინის აივანს. აივნიდან სამზარეულოში გადააქვს შეშა, რეცხავს და ალაგებს წინდებს.

➤ 7643

**1938**

**11 აპრილი**

ფერთხავს ნოხს და საწმენდ ტილოებს. მტვრისაგან ათავისუფლებს აივანს, ალაგებს სახლის ოთახებს, სამზარეულოს, აბაზანას და ტუალეტს, ყრის ნაგავს.

➤ 7644

**1938**

**11 აპრილი**

გალაკტიონის ბინაში შეჰყავთ ტელეფონის ხაზი.

➤ 7645

**1938**

**12 აპრილი**

ათვალიერებს ქართველი და რუსი ავტორების მიერ მისთვის ნაჩუქარ წიგნებს.

➤ 7646

**1938**

**14 აპრილი**

აკერებს წინდებს.

➤ 7647

**1938**

**14 აპრილი**

სტუმრობს შალვა რადიანი, რომელიც სესხად აძლევს 30 მანეთს.

➤ 7648

**1938**

**15 აპრილი**

ამჩნევს, რომ ნავთქურიდან ნავთი წვეთავს და იატაკს აფუჭებს. ამიტომ გეგმავს, შესაკეთებლად წაიღოს.

➤ 7649

**1938**

**15 აპრილი**

მეზობლებისაგან ჩასული წყალი უზიანებს აბაზანის ჭერს. ამიტომ მეზობელს მის ბინაში მიჰყავს ხელოსანი და პრობლემას აგვარებენ.

➤ 7650

**1938**

**16 აპრილი**

შესაკუთებლად მიაქვს ფეხსაცმელები.

➤ 7651

**1938**

**16 აპრილი**

ყიდულობს პროდუქტებს და გაზეთებს.

➤ 7652

**1938**

**16 აპრილი**

უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში პირველად სადილობს ცხელი კერძით, – მიირთმევს ლობიოს, თან წუხს, რომ ზედმეტი ხარჯი გასწია.

➤ 7653

**1938**

**16 აპრილი**

ასწორებს ლექსს „მგზავრის წერილებიდან“.

➤ 7654

**1938**

**16 აპრილი**

სამრეცხაოდან გამოაქვს პალტო, პიჯაკები და შარვალი და შეივლის ფეხსაცმლის მაღაზიაში საფენისთვის. რიგში დგომისას ჩუმად უხსნიან ჩემოდანს და ჰპარავენ პიჯაკს.

➤ 7655

**1938**

**16 აპრილი**

ურეკავს ალექსანდრე აბაშელს, რომელიც ატყობინებს, რომ მისი რუსულ ენაზე გამოსაცემი „რჩეული ლექსებიდან“ ორი ლექსი ამოუღიათ და სანაცვლოდ უმატებენ ბორის სერებრიაკოვის თარგმანებს.

➤ 7656

**1938**

**16 აპრილი**

ყიდულობს ძმარს, ჭიკარტებს, პურს, პაპიროსს, გაზეთებს და უბის წიგნაკში იწერს გადახდილ თანხას.

➤ 7657

**1938**

**16 აპრილი**

კითხულობს ალექსანდრ პუშკინის „ბორის გოდუნოვს“, რომელიც დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

➤ 7658

**1938**

**17 აპრილი**  
მიდის აბანოში.

➤ 7659

**1938**

**18 აპრილი**

ალაგებს ოთახებს, სააბაზანოს, ყიდულობს საფენებსა და სიგარეტს, აკერებს პალტოსა და პიჯაკს.

➤ 7660

**1938**

**20 აპრილი**

გამოაქვს შესაკეთებლად მიზარებული ფეხსაცმელი.

➤ 7661

**1938**

**20 აპრილი**

ხვდება შალვა რადიანი.

➤ 7662

**1938**

**21 აპრილი**

საკუთარ აივანზე პოულობს ბავშვის პატარა გიტარას და ვერ გაურკვევია, საიდან შეიძლებოდა მოხვედრილიყო იქ.

➤ 7663

**1938**

**22 აპრილი**

ქუჩაში ხვდება ივანე იოსელიანს, შემდეგ ლიდია მეგრელიძეს, დარია ახვლედიანს და თეოდორ ჩუდეცკის.

➤ 7664

**1938**

**27 აპრილი**

კმაყოფილი რჩება ხელოვნების სასახლის თანამშრომლებით.

➤ 7665

## მ ა ი ს ი

**1938**

**9 მაისი**

სახელმწიფო გამომცემლობაში ეუბნებიან, რომ მისი თხზულებათა პირველი ტომის ბეჭდვა დაწყებულია და აიძულებენ, რომ მალე დამთავრდება.

➤ 7666

**1938**

**9 მაისის შემდეგ**

ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის პირველი ტომი, რომელშიც იბეჭდება 397 ლექსი. ეს ნაწარმოებებია: „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „ეს მშობლიური ქარია“, „კახეთის მთვარე“, „(„წინანდალეული ნათელა...“), „გახედე: კახეთი“, „თბილისი“, „თეთრი პელიკანი“, „სადამო“, „სანთელი“, „ქრონიკა ერთი დღის“, „თბილისის ზეცა მოწამეა“, „მეტეხი იდგა რუხი, პიტალო“, „უცნობი ქუჩის დასასრულთან“, „(„დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია...“), „აივანზე“, „მოვა... მაგრამ როდის?“, „თბილისს სძინავს მძიმე

ძილით“, „კაკლის ხე მთაწმინდაზე“, „(„შენი სიბერე...“), „მერი“, „იშლებიან ყანები“, „შენ ზღვის პირად“, „სერენადა“, „ზღაპრებიდან“, „გამოსალმება“, „პირიმზეს“, „ზღაპარი“, „უნახესი ხელნაწერი“, „მამული“, „არაგვი“, „ძველი ორნამენტი“, „ზამთარი ძნელი“, „(„დგება თეთრი დღეები...“), „ომნიბუსი“, „ჭარხალი“, „წერილი სოფლიდან“, „შენ რაღას იტყვი?“, „იქით ნუში“, აქეთ ნუში“, „ალვის ხის გადარჩენა“, „შინდისის ჭადრებს“, „მოდის ჭალების სული მცურავი“, „სადღეგრძელო იყოს მისი“, „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“, „ყვავილები და ღვინო“, „(„ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“), „მივაშუროთ“, „ღვინოს დააბრალებენ“, „ეს მძინარე მთა და ველი“, „ძველისძველ ღვინოს“, „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“, „დროა“, „ზამთრის მოტივებიდან“, „ცხოვრება ჩემი“, „მივარდნილი აივანი“, „ტყე დაბურული“, „მწუხარება შენზე“, „შუადღის გულმოდგინება“, „გზაში“, „თიბათვე გავიდა“, „(„გაგონდება თუ არა...“), „ძველი რვეულიდან“, „რაც უფრო შორს ხარ“, „(„ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს...“), „ყანები“, „ეს წინათ იყო“, „სინამდვილეში ოცნებისას“, „სადღაც მინახავს“, „მთვარე ჭაში“, „ცელი კივის“, „ყვავილებულ ველებს სალამი“, „(„თვალთ ვეღარას ვხედავ...“), „მოგონება ჩვენი ჭალისა“, „პირველ თაველებს“, „აგერა! აჰანდე!“, „ძველი წისქვილი“, „ქალაქი“, „გზად ვეშურები მგზავრი“, „შორი ყინული კავკასიონის“, „ქალს მთებიდან“, „ციხის ნანგრევებთან“, დღე გაფითრდა იაგუნდის“, „(„კარს გაუღებენ მას წინაპრები...“), „გავიდა ხანი“, „სასახლე ძველი“, „დაგიფარავენ“, „მცხეთამდე“, „ავჭალას იქით“, „მცხეთიდან“, „(„ელვარე და ლომფერი...“), „მხოლოდ ნანა“, „თითქო არა აქ“, „გვირაბებიდან“, „სამხედრო გზაზე“, „წარსულის ჩრდილები“, „ღამე ხეობაში“, „მშობლიური ეფემერა“, „პოეზია – უპირველეს ყოვლისა“, „როცა აკტეონი, ძეი არესტეას“, „წელიწადები წავლიან ძველნი“, „ძველი ჟურნალები“, „ჩვენი ჟურნალი“, „კაფეში“, „ქუჩა“, „მარმარილოს ქვეშ“, „(„სხვები ჩხავიან როგორც ყვავები...“), „(„მიყვარდა ჰანგი გრძნობით გამთბარი...“), „შენ ერთი მაინც“, „(„ზნეობის სიტყვა ყრმას თუ შეჰფერის...“), „სიშორით შენით“, „ის“, „(„ზღვაში გადვისვრი ბედითი ბადეს...“), „შერიგება“, „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“, „აკაკის ლანდი“, „პოემა ვეფხისა“, „თეთრი ქარები“, „შიშველი“, „ვიგონებ რა იმ მიქელანჯელოს“, „ობელისკი“, „გული“, „შეჩრებული მონუმენტი“, „მარმარილო“, „იხდება ფარდა“, „(„მალე ფერ-გადაშლილი...“), „ვაგნერი“, „(„მამინ სტოვებდა ყველას და ყოველს...“), „ხიდი რიალტო მთის მდინარეზე“, „მუსიკალური ფანტაზმა“, „(„როგორც მრავალი ვარდების მფენი“), „მუსიკა – უეცარი“, „აჰა, ბინდდება“, „გოტიეს“, „(„ორი ზღვა შეხვდა ერთი მეორეს...“), „(„როცა გარშემო ღამე ბნელია...“), „ყველა საქმეები“, „ადარ არის მენესტრელი“, „ნუგეში“, „ძველი მოტივით“, „პარალელი“, „ხელოვნება“ „წერილი მეგობრებისადმი“, „ქალი და ხელოვნება“, „დაფნა“, „პოეტს“, „რაა ეს გრძნობა“, „შემოქმედება“, „ხსოვნას“, „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“, „ისევ ეფემერა“, „შენი სადღეგრძელო“, „თოვლი“, „ათოვდა ზამთრის ბადებს“, „თოვლით და ყინვით“, „ოფორტი“, „გადია“, „ალვები თოვლში“, „მაისი ჰყვავის“, „ყვავილებს თეთრებს“, \*\*\* („თეთრ თოვლის ქვეშ...“), „Voiles“, „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“, „არ დაბრუნება“, „(„ო, დღეს შემოდგომაა...“), „მერის თვალებით“, „მე და ღამე“, „(„ეძინებათ ცის ვარსკვლავებს...“), „უხილავი“, „ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს“, „კორდზე“, „დუმილი“, „ახალ ცისკართან“, \*\*\* („ხშირად ვოცნებობ და შევცქერი ცას...“), „ხომლი“, „მაისის ისრით“, „სიჩუმეა“, „გუშინ მთელი დღე“, „დასძინებია ალერსიან ბაღს“, „მთვარე მთას ამოეფარა“, „კვლავ აელვარდა ირმის ნახტომი“, „წერილი მისდამი“, „სულ ადვილია რწმენა“, „მარსი“, „კვენესის ვოლტორნი“, \*\*\* („გასაოცარი მისი შვენება...“), „ღამევ, რა მოგივიდა“, \*\*\* („ისევ მაისის მათრობს თვალეები...“), „ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი“, „პრიმიტივი“, „სიკვდილი მთვარისაგან“, „უდაბნო“, „იდუმალი მეორე სახე“, „ისევ ოცნება და სიყვარული“, „ის მიდიოდა ქუჩაში ერთი“, „ჩუმი შრიალით ხის ფოთლები მეგებებიან“, „როგორც სინათლე მოხეტიალე“, „სარკმელთან“, „სამრეკლო უდაბნოში“, „ჭიანურები“, „ავდრის მოლოდინი“, \*\*\* („მალალ სართულში როიალის ხმას...“), „უკანასკნელ დღეს“, „სიბერე“, \*\*\* („გემებდი ყველგან... მახრჩობდა სიცხე...“), „მე მოვალ“, „სიზმარი“, „ფარდების შრიალი“, „სად?“, „ბედს იქით!“, „შენ ალტაცებით ისევ ენთები“, „რომელი საათია?“, „ატმის ყვავილები“, „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“, „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“, \*\*\* („იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ...“), „უცნაური სასახლე“, „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“, „უსიყვარულოდ“, „ღამე დღეს შეხვდა“, „(„ველთა



შორის გამოისმა ხმაურობა მშვიდი, წყნარი...“), „რა რიგ მწყურია“, „ჩემი ვარსკვლავი“, „ნიაღვარი“, „მივალ, გადავკოცნი“, „დელავენენ“, „თვალეები“, „მწოლარე“, „მატარებელში“, „ღვინისფერო მდინარე!“, „მთელი დღე ვგრძნობდი“, „როდესაც მთვარით დაპყრობილ ვიქმენ“, „დამწველი თავის სიმშვენიერით“, „მოადგა ნაპირს ათასი ნავი“, „ალვის ხეები მშვილდისარს ხრიან“, „დაიჯერე, თუ არ გჯერა“, --- („გზა არ ღირს დავიდარაბად...“), „ზღვაზე სცურავს ნაფოტივით“, „ინიესა“, „ორი ასული ნეტარი“, „გაოცდა უფრო“, „თვალს ნაზი და მთვარეული“, „ცამეტი წლის ხარ“, „არსებობის გული“, „ფრთხილად“, „აუზისაგან“, „ვისმენ დანატრულ ხმას“, „რა დროს რომანსეროა“, „დადგა აგვისტო“, „მაინც დავიმსახურე“, „ხალხური მოტივებიდან“, „მოგონება“, --- („იბრძოდნენ შურნი...“), --- („სალამოვ, ვიცი, ბაღში შეხვალ ეკლესიიდან“), „ვერსად, ვერსდროს“, „ლანდი – არა ქვეყნიური“, „ერთ დროს“, „ბინდი ღამისა გაჰქრა“, „მე ვინც მიყვარდა“, „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „მაგიდა ალემბიკებით“, „10 წლის წინად“, „მაგრამ მე რა ვქნა?“, „ახსნა“, „შემოდგომის ფრაგმენტი“, „გობელენი“, „სალამო სოფლად“, „შემოდგომის ყვავილები“, „შემოდგომის მოტივებიდან“, „ავადმყოფს“, „შემოდგომა“, „ლოცვაზე უფრო“, „შემოდგომა“, „ყვითელი ფოთოლი“, „სხვა... ყველაფერი“, „შემოდგომის დღე“, „დგება ნაზი შემოდგომა“, „ფოთლები“, „ჰორიზონტი ოდნავ ელავს“, „ასე რისთვის?“, --- („სიმების კვდომა... შემოდგომის ქვითინი ნელი...“), „შენ და შემოდგომა“, \*\*\* („ჩურჩული ულურჯეს ფარჩის...“), „მოსვლას აპირებს წვიმა“, „უკანასკნელი თანამგზავრი“, „სული მწუხარე“, „მშვიდობიანი სიმღერა დების“, „გზაზე ფოთლები ჰყრია“, „შემოდგომის დილა“, „გულო, რა გემართება?“, „არ დაღუპულა“, „დგება შემოდგომა“, „შენ და შემოდგომა“, „ერთხელ“, „ქარი“, „ელეგია“, „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა“, „ქარით დატირებული“, „შემოსილნი გამჰვირვალე ბლონდებით“, „რა სევდიან ნანას ამბობს ქარი“, „გადავიარეთ მრისხანე ზღვები“, „გვიანი ოცნება“, „დღემ გაიარა“, „ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ისევე ტყეში“, „მოგონება ყრუ შესახვევის“, „ტყეში“, „მუხა“, „ტყემ წამიყვანა“, „მწვანე ზოლი მთის“, „დაღამდება ტყეში ოდეს“, „ქარი მოგონებათა“, „ცეცხლი, მახვილი“, „ვერხვები“, „ვარ გენია რიმანელი“, „დადლილ წამწამთ ქვეშ“, „ფოთლების ლანდი“, „ორხიდეები“, „პირველი მაისი“, „არ განახლდება, არ დაბრუნდება“, „ქალწული“, „დრო“, „ბედისწერა“, „ყველაფერმა იცვალა ფერი“, --- („გაშლილ წალკოტში ნორჩ ყვავილის...“), „მიცქირე თვალში“, „ჩვენ ვხვდებით ისევ“, „ფარულ ტკივილებით“, „დახუჭული თვალეები“, „ბინდის სტუმარი“, „ამაო ცდა“, „შავით შემოსილხარ როგორც ელეგია“, „ორი“, „სამი ღრუბელი“, „სალამო“, „თვალუწვდენელი, დაუსაბამო“, „მზის ჩასვლა“, „საუბარი ედგარზე“, „სად დასასრული იყო“, „საახალწლო ეფემერა“, „გეტერა“, „მესაფლავე“, --- („აშრილდა ნემო ტყეში...“), „ოცნება ბორკილებში“, არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება“, „ოცნება კლდეზე“, „განახლდა გული“, --- („იქ ნაკადული მთის...“), „ქარებს ქარობა!“, „ტალახში“, „შავი ყორანი“, „მომღერე რამე“, „მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას“, „ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი“, „მგზავრის სიმღერა“, „ავტომობილი“, „ედგარი მესამედ“, „ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში“, „უცებ შემკრთალი ღამე“, „გურიის მთები“, „დარიალისა ვიწრო კლდეებში“, „მე ამ ყვავილებს“, „ეს გრიგალია სიახლის“, „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“, „მიყვარს მარტო ქარიშხალი“, „ავრორა“, „წუთი“, „ყვავილების ქალი“, „ი. ა.“, „მე და ზამბახი“, „ყვავილები – წუთები“, „ყვავილები“, „მე დავიბადე განთიადისას“, „სიმღერავ, უხმე“, „რა მშვენიერი იყო ნამი“, „პირველი ვარდი“, „სანთლები“, „შენ გვიანდები“, „ალუჩა, შვიდი წლის ბავში“, „ბავშვები კაფეში“, „ბავშობის დღეები“, „გემზე“, „ბავში გაზეთებში“, „ანძები“, „ლილიან ფრთებით“, „როგორც სიზმარი“, „ზღვის ეფემერა“, „სროლის ხმა მთაში“, „იბობოქრე“, „ამაო ძახილი“, „ქალაქი წყალზე“, „უკანასკნელი დეპეშა“, „გემი „დალანდი“, „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით“, „მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდი ზღვები“, „წყნარი ზღვა“, „შენ ზღვის პირად“, „მეოცნებე მოსვენებაზე“ და „ეფემერა“.

➤ 7667

## ი ვ ნ ი ს ი

1938

2 ივნისის შემდეგ

წიგნში „საბჭოთა საქართველო 17 წლის მანძილზე“ აღნიშნულია, რომ სოციალისტური სინამდვილის თემებზე მუშაობამ ახალი შემოქმედებითი ძალა შემატარეველ რევოლუციამდელი ქართული პოეზიის მოწინავე ოსტატებს, რომელთა შორის არის გალაკტიონ ტაბიძე. პოეტი, რომლის შემოქმედებაშიც ადრე იმედგაცრუება ჭარბობდა, შემდეგ კი ახალი დროის გმირული დღეების შთაგონებულ მომღერლად იქცა.

➤ 7668

**1938**

**ივნისამდე**

წერს ლექსს „აწმყოს დიდება დიდი“.

➤ 7669

**1938**

**28 ივნისი**

სახლში ხვდება ძმის წერილი. აბესალომი საყვედურობს, რომ მასთან სტუმრად იყო და ის კი სად დადიოდა არ იცოდა. სწერს, რომ თეთრი ფეხსაცმელი უყიდა და დაუტოვა, მაგრამ თუ არ მოერგება, არ გაყიდოს. ურჩევს, რომ მოშორდეს თბილისს და იმ ადამიანებს, რომლებსაც ღვინოში მისი ჩახრჩობა უნდათ და სადმე სანატორიუმში წავიდეს დასასვენებლად.

➤ 7670

**1938**

**ივნისი**

ჟურნალში „მნათობი“ აქვეყნებს ლექსს „აწმყოს დიდება დიდი“.

➤ 7671

**1938**

**ივნისი**

ჟურნალში „ჩვენი თაობა“ ქვეყნდება ლევან დეისაძის სტატია „მსოფლიო ომის პრობლემა გ. ტაბიძის პოეზიაში“. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ მსოფლიო ომის საკითხი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული სიმწვავით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დადგა, თუმცა გალაკტიონს მანამდეც, „ნახევრად მისტიკური სათვალევითაც შეძლო მძაფრად განეცადა მსოფლიო ომის საშინელებანი“. ამის დასტურია ლექსი „როგორ არხევდა ქარი იტალიანურ შობისხეს ტრიპოლისში“. კრიტიკოსის აზრით, ლექსში „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ პოეტი მიგვანიშნებს, რომ კაპიტალისტები ახალ სისხლიან ომს უმზადებენ კაცობრიობას. გალაკტიონის თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთ საკვანძო თემად დეისაძეს იმპერიალიზმის მხილება მიაჩნია. მისი თქმით, პოეტი „ცდილობს დაგვანახოს მსოფლიო ომის გამოწვევის მექანიკა“. ამ თვალსაზრისით განიხილავს პოეტურ ციკლს „პაციფიზმი“ და აღნიშნავს, რომ გალაკტიონს შეუძლია დაგვისურათოს მებრძოლთა ყოფა, ომის თანამდევნი ფიზიკური და სულიერი ტკივილები. ამ სურათებისას ასახვისას, ავტორის თქმით, გალაკტიონი ზოგჯერ ნეკრასოვის მანერითაც სარგებლობს.

➤ 7672

## ი გ ლ ი ს ი

**1938**

**20 ივლისის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი სწერს, რომ ყოველ დილით აბარებს მასთან მოკითხვას მის ფანჯარასთან მიფრენილ ბელურებს და ელის პასუხს. წელიწადი და ცხრა თვეა, არაფერი იცის მის შესახებ, არც წერილი მიუღია და არც 50 მანეთი, რომელიც ოდნავ შეუმსუბუქებდა ყოფას. სწერს, რომ დიდი ჰუმანიზმის ეპოქაში არ შეიძლება ადამიანის ასეთი ტანჯვა და რამე მაინც მისწეროს.

➤ 7673

## აგვისტო

1938

### აგვისტომდე

ავადმყოფობის გამო მინდობილობას აძლევს საკუთარ ძმას, აბესალომს, რომ მის ნაცვლად აიღოს აგვისტოს თვის პენსია.

➤ 7674

1938

### 11 აგვისტოს შემდეგ

სახლში ხვდება ძმის წერილი. სოფელში დაბრუნების წინ აბესალომი ურჩევს, რომ აუცილებლად წავიდეს დასასვენებლად.

➤ 7675

1938

### 12 აგვისტო

თითქმის ორი თვე გადის, რაც გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ მის წიგნში „რჩეული ლექსები“ ხარვეზი აღმოაჩინეს და პოეტი წუხს, რომ ამდენ ხანს ვერ მოახერხეს მისი გასწორება.

➤ 7676

1938

### 14 აგვისტომდე

გალაკტიონის ახალი რუსულენოვანი წიგნის, „რჩეული ლექსები“ გასწორებული და ხელახლა აკინძული ცალები გადააქვთ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ საწყობში.

➤ 7677

1938

### 14 აგვისტომდე

დღიურში წერს, რომ სვანეთში მისი გამგზავრება სრულიად შეუძლებელია და ასახელებს მიზეზებს: გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ მიერ დასაბეჭდი მისი რჩეული ლექსების კრებული მოითხოვს ზედმიწევნით თვალყურის დევნებას, ფულის საკითხი მოუწესრიგებელი აქვს, ავტობიოგრაფიაზე მუშაობის მიზნით უნდა გაემგზავროს ჭყვიშში მასალების შესაკრებად, ასევე საჭიროა გორში ჩასვლა სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავისთვის მიძღვნილი წიგნის მოსამზადებლად, რაც სვანეთში მასალების უქონლობის გამო მოუხერხებელი იქნება.

➤ 7678

1938

### 14 აგვისტო

საქართველოს დეპუტატთა სააგენტოს და რადიოკომიტეტს გასავრცელებლად გადასცემს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მისი რუსულენოვანი წიგნი „რჩეული ლექსები“ უკვე მზად არის გასავრცელებლად.

➤ 7679

1938

### 16 აგვისტო

იღებს გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ მიერ გამოცემული „რჩეული ლექსების“ საავტორო ეგზემპლარებს.

➤ 7680

1938

**16 აგვისტო**

სადამოს 9 საათზე საქართველოს რადიო რუსულ და ქართულ ენებზე გადასცემს ინფორმაციას გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული ლექსების“ რუსულ ენაზე გამოცემის შესახებ.

➤ 7681

1938

**16 აგვისტო ან შემდეგ**

დღიურში წერს, რომ გამომცემლობამ „ზარია ვოსტოკა“ დაბეჭდა მისი წიგნი „რჩეული ლექსები“ რუსულ ენაზე, რომელშიც ორასამდე გვერდია და მოთავსებულია სამოცდაათზე მეტი ლექსი. წიგნი მოცულობით რუსულ ენაზე გაკეთებულ წინა გამოცემებთან შედარებით ყველაზე ვრცელია. 1933 წლის გამოცემაში იყო 17 ლექსი, 1935 წლისაში – 37 ლექსი, მოსკოვის 1937 წლის გამოცემაში – 37. წიგნში შესული ლექსები თარგმნა თექვსმეტმა პოეტმა: ნიკოლაი ტიხონოვმა, პაველ ანტოკოლსკიმ, ნიკოლაი ბობრიოვმა, რიურიკ ივნევა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, ელენე შერრიმ, მიხაილ ტროიციკიმ, ბორის ბრიკმა, ვსევოლოდ როჟდესტვენსკიმ, ბორის სერებრიაკოვმა, ალექსანდრე ყანჩელმა, ლევ პენკოვსკიმ, პანტელეიმონ პეტრენკომ, დიმიტრი პეტროვსკიმ და სხვ. წიგნი გააფორმა მხატვარმა გურომ.

➤ 7682

1938

**16 აგვისტოს შემდეგ**

რუსულ ენაზე მესამე პირში წერს საინფორმაციო ტექსტს სათაურით „საქართველოს სახალხო პოეტის, ორდენოსანის გალაკტიონ ტაბიძის ახალი წიგნი რუსულ ენაზე“, რომელშიც აღნიშნავს, რომ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ დაბეჭდა პოეტის „რჩეული ლექსები“, რომელიც ყველაზე სრულია მის რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნებს შორის. მიუთითებს, რომ კრებულში დაბეჭდილია 16 პოეტის მიერ შესრულებული თარგმანები.

➤ 7683

1938

**17 აგვისტო**

უკმაყოფილოა იმით, რომ რუსულ ენაზე მისი „რჩეული ლექსების“ გამოცემის შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნდა არც „ზარია ვოსტოკასა“ და „ვეჩერნი ტბილისში“ და არც ქართულენოვან გაზეთში „მუშა“. გრძნობს, რომ ამ უკანასკნელში მისდამი კეთილგანწყობილები არ არიან.

➤ 7684

1938

**17 აგვისტო**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მისი ახალი წიგნისადმი მიძღვნილი სპეციალური გადაცემები რადიოში იქნება 21 და 24 ოქტომბერს.

➤ 7685

1938

**17 აგვისტო**

გალაკტიონის რუსულად გამოცემული „რჩეული ლექსები“ იგზავნება ბაქოში, ტაშკენტში, სტალინოში (ამჟამინდელი დონეცკი), მინსკში, მახაჩკალაში, კოკანდში (უზბეკეთი), ოდესაში, სოხუმში, ნალჩიკში, ვინიცასა (უკრაინა) და დნეპროპეტროვსკში. კრებული ასევე გამოფენილია თბილისის წიგნის მაღაზიებში.

➤ 7686

1938

18 აგვისტო

უბის წიგნაკში იწერს, რომ ახალი წიგნი ჯერ არავისთვის უჩუქებია. უხარია, რომ კრებულისადმი უკვე დიდი ინტერესია გაჩენილი.

➤ 7687

1938

19 აგვისტო ან ადრე

სიმონ წვერავა კითხულობს რუსულ ენაზე გამოცემულ გალაკტიონის „რჩეული ლექსებს“ და პოეტს ეუბნება, რომ არ მოსწონს ელენა შერის თარგმანები.

➤ 7688

1938

19 აგვისტო

უბის წიგნაკში იწერს, რომ მწერალთა კავშირში იგეგმება დისკუსიის გამართვა რუსულ ენაზე ახალგამოცემული მისი „რჩეული ლექსების“ შესახებ და არჩეულია სამი მომხსენებელი.

➤ 7689

1938

26 აგვისტო ან ადრე

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ თანამშრომელი გიორგი ბებუთოვი ეუბნება, რომ არ მოსწონს რუსულ ენაზე მისი ახალგამოცემული „რჩეული ლექსების“ გაფორმება.

➤ 7690

1938

27 აგვისტო

„ზარია ვოსტოკას“ თანამშრომელი გიორგი ბებუთოვი ეუბნება, რომ მისი ახალი რუსულენოვანი წიგნის, „რჩეული ლექსების“ გავრცელება შეჩერდა, რადგან პოემაში „ჯონ რიდი“ სტრიქონებია არეული. გალაკტიონს ძალიან სწყდება გული.

➤ 7691

1938

28 აგვისტო

გალაკტიონის „რჩეული ლექსების“ რუსული გამოცემის დარჩენილ ეგზემპლარებს აბრუნებენ გამომცემლობის საამკინძაოში, რათა გაასწორონ წიგნში გაპარული ტექნიკური ხარვეზი.

➤ 7692

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

1938

4 სექტემბერი

გაზეთში „პრავდა“ გამოქვეყნებულ წერილში „ხალხთა მეგობრობის პოეზია“ აკაკი თათარიშვილი საუბრობს საქართველოში მენშევიზმის ბატონობის პერიოდზე და მიუთითებს, რომ სწორედ ამ სამარცხვინო ხანას ეხმიანებოდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „პრესა“, რომელშიც ერთა შორის ხელოვნურად გაღვივებულ შუღლზეა საუბარი.

➤ 7693

1938

6 სექტემბერი

ჩადის ბორჯომში და აბინავებენ სანატორიუმის რვაკაციან ოთახში.

➤ 7694

1938

**6 სექტემბერი**

უძილო ღამის შემდეგ დილის 6 საათზე დგება და თავს ცუდად გრძობს.

➤ 7695

1938

**6 სექტემბერი**

უჩივის უმადობას და უარს ამბობს საუზმეზე.

➤ 7696

1938

**6 სექტემბერი**

ბორჯომის სანატორიუმის მთავარი ექიმი გალაკტიონის თანდასწრებით ავსებს მის ანკეტას. პოეტი ისეთ ცუდ განწყობაზეა, რომ ემინია არ ატირდეს და არ შერცხვეს.

➤ 7697

1938

**6 სექტემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ციტატას რუსი მწერლის ნიკოლაი გოგოლის მოთხრობიდან „პორტრეტი“.

➤ 7698

1938

**6 სექტემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ 35 წლის შემდეგ ადამიანს სიმაღლე აკლდება.

➤ 7699

1938

**6 სექტემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და მწერალთა კავშირის წევრთა ტელეფონის ნომრებს.

➤ 7700

1938

**6 სექტემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ივანე ტურგენევის მიერ გუსტავ ფლობერისთვის ნათქვამს: როგორც ოთახი იჟღინთება მუსკულის სუნით, რომელსაც ვერაფრით განდევნი, ჩემს ირგვლივ გამუდმებით ვგრძნობ რღვევის, ნგრევისა და სიკვდილის სუნსო.

➤ 7701

1938

**6 სექტემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ერთი ავადმყოფის სიტყვებს, რომ ბედი არა აქვს, რადგან საჭმლის ქვაბში ქალის ერთი ღერი თმა რომ ჩავარდეს, კერძის დარიგებისას უსათუოდ მას შეხვდება.

➤ 7702

1938

**6 სექტემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ ყოფილა ვიღაც მირიანაშვილი, რომელიც სახალხო პოეტად ასაღებს თავს, კურორტებზე დადის და ფულს აკეთებს. ეს ადამიანი აგონებს გოგოლის „რევიზორის“ პერსონაჟ ხლესტაკოვს.

➤ 7703

1938

**6 სექტემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ილია ჭავჭავაძის სიტყვებს, რომ სინდისი ისეთი ბაწარია, რომელსაც უსინდისო კაცი ხან ზემოდან მოექცევა, ხან ქვემოდან.

➤ 7704

1938

**6 სექტემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ლაჟვარდის ცასთან...“.

➤ 7705

1938

**6 სექტემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში ივან ტურგენევის შესახებ რუსულ ენაზე იწერს ციტატებს, რომლებშიც ნათქვამია, რომ ტურგენევის პროზისთვის დამახასიათებელია ენობრივი სიზუსტე და რუსული ბუნების საუკეთესოდ ასახვა.

➤ 7706

1938

**7 სექტემბერი**

წერს სახუმარო ლექსს „ექიმმა მითხრა, მორჩები...“.

➤ 7707

1938

**8 სექტემბერი**

შეწუხებულია ცხელი ამინდით, მაგრამ კმაყოფილია, რომ სანატორიუმში ცალკე ოთახში გადაიყვანეს.

➤ 7708

1938

**8 სექტემბერი**

აკვირდება სანატორიუმის დამსვენებლებს, უკვირს, როგორ უცბად ეცნობიან ერთმანეთს და წყვილებიან რუსები და ამის შესახებ წერს უბის წიგნაკში.

➤ 7709

1938

**10 სექტემბრამდე**

ბორჯომის სანატორიუმში სამედიცინო შემოწმების შემდეგ უსვამენ მიოკარდიული ნევრასთენიის დიაგნოზს.

➤ 7710

1938

**10 სექტემბერი**

სინჯავს ექიმი და „ავადმყოფობის ისტორიაში“ უწერს, რომ იგი თავს კარგად გრძნობს, მაგრამ გულისცემა შესუსტებული და აჩქარებული აქვს.

➤ 7711

1938

## 12 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული პაპიროსის დასახელებებს. ჩამონათვალი ას სახელწოდებას აერთიანებს.

➤ 7712

1938

## 14 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს ბორჯომის სანატორიუმში გაკრული პლაკატის ტექსტს, რომელიც საბჭოთა მოქალაქეებს მოუწოდებს, „წამგლეჯთა, ქურდთა და მუქთახორებისაგან“ დაიცვან საზოგადოებრივი საკუთრება.

➤ 7713

1938

## 15 სექტემბერი

ბორჯომის სანატორიუმში სინჯავს ნევროპათოლოგი და უსვამს მწვავე ფუნქციური ნევროზის დიაგნოზს. უნიშნავს მინერალურ აბაზანებს და მტვრის შხაპს.

➤ 7714

1938

## 15 სექტემბერი

ბორჯომის სანატორიუმში სინჯავს ყელყურის ექიმი, უსვამს ქრონიკული ლარინგიტის დიაგნოზს და უნიშნავს ინჰალაციით მკურნალობას.

➤ 7715

1938

## 15 სექტემბერი

ისმენს რუსი ქალების სახუმარო სატრფიალო სიმღერას და უბის წიგნაკში იწერს ტექსტს.

➤ 7716

1938

## 15 სექტემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს ჩიტის სახეობის – მაქციერას – შესახებ, რომელიც დაჭერისას თავს იმკვდარუნებს. იხსენებს, რომ მისი დიასახლისი ერთ ქალს უწოდებდა ამ სიტყვას.

➤ 7717

1938

## 16 სექტემბერი

ათვალისწინებს ბორჯომის ორანჟერეას და უბის წიგნაკში იწერს ზოგიერთი მცენარის სახელს..

➤ 7718

1938

## 16 სექტემბერი

იმყოფება ბორჯომში. წერს სახუმარო ლექსს „რეცეპტი“ („ავად გაგვხდიდა დრო...“).

➤ 7719

1938

## 19 სექტემბრის შემდეგ

იღებს აბესალომ ტაბიძის მიერ სამტრედიიდან გაგზავნილ წერილს. ძმა ატყობინებს, რომ ძალიან უხარია გალაკტიონის მიერ მკურნალობის დაწყება. სწერს, რომ 18 სექტემბერს ჩავიდა თბილისში და გალაკტიონის სახლში დახვდა მისი წერილი. ტელეფონი გათიშული იყო გადაუხდელობის



გამო, მაგრამ ვერ ჩაართვევინებდა, რადგან დასვენების დღე იყო. აბესალომი სთხოვს, რომ მკურნალობა ბოლომდე მიიყვანოს და თუ შეძლებს, ძმის სამსახურის საქმესაც მიხედოს.

➤ 7720

1938

### 21 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს ცნობებს ბორჯომის გეოგრაფიული მდებარეობისა და გარემოს შესახებ.

➤ 7721

1938

### 21 სექტემბერი

სანატორიუმის რამდენიმე დამსვენებელთან ერთად ადის ცხრაწყაროს უღელტეხილზე.

➤ 7722

1938

### 22 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს ასეთ ამბავს: გლეხს, რომელსაც სამი შვილი ჰყავდა, უმცროსი ვაჟით უკმაყოფილო იყო და მუდამ ეუბნებოდა, რომ მისგან კაცი არ გამოვიდოდა. შვილი არ იღებდა მამის საყვედურს. ერთ დღესაც იგი გაუჩინარდა. მამამ დიდხანს ეძება, მაგრამ ვერ მიაგნო მის კვალს. შვილს ბედმა გაუღიმა და ვილაიეთის ფაშა გახდა. ერთხელ გადაწყვიტა თავისი ოჯახი მოენახულებინა, სოფელში დაბრუნდა და მშობლიურ სახლს მიადგა. მამა ყანაში წასული დაუხვდა და როცა შეატყობინეს, მასთან სტუმრად ფაშა იყო მისული, აღელვებული დაბრუნდა უკან. მამა ისე პასუხობდა ფაშას სამოსში გამოწყობილი შვილის კითხვებს, რომ ვერ სცნობდა მას. ასე მოუყვა, რომ ცოლი გარდაეცვალა, ერთი შვილი მოუკვდა და მეორე სხვა სოფელში ჩაესიდა. როდესაც ახსენა, რომ მესამე ვაჟი სახლიდან გაექცა, შვილმა ვეღარ მოითმინა და ამაყად უთხრა: მე ვარ შენი უმცროსი ძე, სულ რომ მეუბნებოდი, შენგან კაცი არ გამოვაო და აჰა, თუ არ გამოვიდაო! მოხუცი ერთხანს დადუმდა, შემდეგ კი ჩაილაპარაკა: შენგან რომ კაცი დამდგარიყო, მოხუც მამას შეშინებულს ყანიდან სახლში ჯოხით არ გამოაქცევდიო. ამბის თხრობის დასრულების შემდეგ გალაკტიონი უბის წიგნაკში რუსულად წერს ფრაზას: „ადამიანის შინაგანი ღირსება“.

➤ 7723

1938

### 22 სექტემბერი

უბის წიგნაკში, სათაურით „რასაც დასთეს, იმასვე მოიმკი“, იწერს ამბავს მდიდარი ვაჭრის შესახებ, რომელიც ერთ უცნობს დაუმეგობრდა და მისთვის არაფერს იშურებდა. ერთხელ ამ ვაჭარმა თავისი ნათლულის ზედამხედველობით ისეთ ადგილას გაგზავნა თავისი ქარავანი, საიდანაც გაუძარცვავე არავინ ბრუნდებოდა, მაგრამ მგზავრობა მშვიდობიანად დასრულდა. აღმოჩნდა, რომ მისი ახალი მეგობარი, ქარავნების მძარცველ ყაჩაღთაგან ერთ-ერთი ყოფილა. მან თავისი კეთილისმყოფელი ვაჭრის ნათლული იცნო და მეგობრებს ქარავანი არ გააძარცვინა. ამის სანაცვლოდ მათ შემდეგი ძარცვიდან თავისი წილიც კი დაუთმო. ქალაქში დაბრუნების შემდეგ მან ვაჭარს თავისი საქმიანობის ამბავი გაუთხილა, რადგან ჩათვალა, რომ მათ ერთმანეთისგან დასაფარავი არაფერი უნდა ჰქონოდათ.

➤ 7724

1938

### 25 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს ბორჯომის სანატორიუმში გაგონილ საუბარს. ერთი ეუბნება მეორეს, რომ ჩეხოსლოვაკიაში საყოველთაო მობილიზაციაა გამოცხადებული და მთავარსარდლად ვიღაც

ცალთვალა გენერალი დაუნიშნავთ, რაზეც მეორე პასუხობს, რომ ისეთი მდგომარეობაა, ცალთვალა კი არა, ორთვალაც ვერაფერს გახდება.

➤ 7725

**1938**

**26 სექტემბერი**

ბორჯომის სანატორიუმშია. ათვალეერებს თავის „ავადმყოფობის ისტორიას“ და დღიურში იწერს ცალკეულ მონაცემებს.

➤ 7726

**1938**

**27 სექტემბერი**

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ ბორჯომში აცივდა. თუ რამდენიმე დღის წინ 27 გრადუსი სითბო იყო, ახლა 9-მდე დაიწია.

➤ 7727

**1938**

**28 სექტემბერი**

იღებს ტალახის აბაზანებს და იტარებს ინჰალაციის სამკურნალო პროცედურას.

➤ 7728

**1938**

**28 სექტემბერი**

სტუმრობს ბორჯომის მუზეუმს.

➤ 7729

**1938**

**28 სექტემბერი**

უბის წიგნაკში იწერს თითქმის ერთთვიანი მკურნალობის შედეგებს. აღნიშნავს, რომ მოემატა მადა, უკლო ხელის კანკალმა, აღარ აქვს ალკოჰოლის მოთხოვნილება, გაუქრა ნევროზი, აღარ აქვს დევნის მანია და ადამიანების შიში, დაუბრუნდა ხმა, გამოუსწორდა ძილი. ფიქრობს, რომ მხოლოდ გულის მდგომარეობა არ გაუმჯობესებია და თბილისშიც მოუწევს მკურნალობის გაგრძელება.

➤ 7730

**1938**

**28 სექტემბერი**

ათვალეერებს ბორჯომის მუზეუმს. მოსწონს ცალკეული ექსპონატები, განსაკუთრებით ინგლისური გრავიურა, რომელზეც ირემზე ნადირობაა ასახული. შთაბეჭდილებებს იწერს უბის წიგნაკში.

➤ 7731

**1938**

**28 სექტემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მომემატა ჭამის მადა...“.

➤ 7732

**1938**

**28 სექტემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ბორჯომის რაიონში გავრცელებული მცენარეების, ცხოველებისა და ფრინველთა სახეობების ჩამონათვალს.

➤ 7733

1938

### 29 სექტემბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მისი წიგნები უნდა ითარგმნოს უკრაინულ, ტაჯიკურ, აზერბაიჯანულ, ბელორუსიულ, ყირგიზულ, რუსულ, სომხურ, უზბეკურ, თურქმენულ, ყაზახურ და აფხაზურ ენებზე.

➤ 7734

1938

### 30 სექტემბერი

ბორჯომიდან ბრუნდება თბილისში. ცდილობს, გაიგოს რა ხდება რუსულ ენაზე ახლახან გამოცემულ მისი „რჩეული ლექსების“ წიგნთან დაკავშირებით, თუმცა ვერაფერს არკვევს.

➤ 7735

## ო კ ტ ო მ ბ ე რ ი

1938

### 1 ოქტომბერი

თავისი ახალი რუსულენოვანი წიგნის, „რჩეული ლექსები“ ამბის გასარკვევად მიდის გამომცემლობაში. იქ იგებს, რომ 1000 ეგზემპლარში ხარვეზი კვლავ გასასწორებელია და არ მოსწონს სტამბაში არსებული ვითარება.

➤ 7736

1938

### 2 ოქტომბერი

იღებს საქართველოს დეპუტატთა სააგენტოს დასტურს, რომ გაავრცელებენ ინფორმაციას რუსულ ენაზე გამოცემული მისი ახალი წიგნის, „რჩეული ლექსები“ შესახებ, რადიოკომიტეტში კი ჰპირდებიან ორი საღამოს მოწყობას ქართულ და რუსულ ენებზე.

➤ 7737

1938

### 5 ოქტომბრამდე

ოლია ოკუჯავას იაროსლავლში უგზავნის 50 მანეთს.

➤ 7738

1938

### 5 ოქტომბრის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი სწერს, რომ პირველად მიიღო მისგან 50 მანეთი და გაიგო, რომ ცოცხალია. სწერს, რომ აღფრთოვანებულია გოგოლის 1937 წლის აკადემიური გამოცემით, მისი მოთხრობით „მკვდარი სულები“ და, განსაკუთრებით, ლირიკული გადახვევებით. ასევე მოსწონს ბიკენტი ვერესაევის „როგორ მუშაობდა გოგოლი“ და ურჩევს ორივე წიგნის შეძენას. სწერს, რომ ენატრება მისი ხელნაწერების სურნელი, მაგრამ ეშინია მათი მზერის და მათგან შერისხვის.

➤ 7739

1938

### 8 ოქტომბრის შემდეგ

წერილს იღებს ძმისგან, რომელიც ატყობინებს, რომ ბავშვი უწევს თბილისის ეგრეთ წოდებულ არამიანცის საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში. სწერს, რომ როცა თბილისში ჩავა, პალტოს აყიდვინებს, რომ თავისი ძველი პალტოთი არ გაატაროს ზამთარი.

➤ 7740

1938

12 ოქტომბერი

შემთხვევით ხვდება პავლე ინგოროყვას, რომელიც ეუბნება, რომ უკანასკნელ დღეებში ასე შემთხვევით უკვე რამდენჯერმე შეხვდნენ, რაც ერთმანეთისადმი დიდი სიმპათიის ნიშანი უნდა იყოს. ფიქრობს, რომ პავლე ინგოროყვა დიდებული ადამიანია.

➤ 7741

1938

14 ოქტომბერი

დღიურში იწერს, რომ მიმდინარე დღეს პოემაზე „მშვიდობის წიგნი“ არ უმუშავია და ასე არ შეიძლება.

➤ 7742

1938

14 ოქტომბერი

ქუჩაში ფეხით მიმავალს შენიშნავს ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და მანქანას უჩერებს. ერთად მიდიან რუსთაველის ძეგლამდე. ამჩნევს, როგორ იჩენს მისდამი ინტერესს მანქანაში მჯდომი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც დირექტორის მოადგილე წარუდგენს, როგორც კოლეგას.

➤ 7743

1938

14 ოქტომბერი

საქართველოს დეპუტატთა სააგენტოს და რადიოკომიტეტს გადასცემს ტექსტებს.

➤ 7744

1938

14 ოქტომბერი

მთარგმნელი გიორგი ბებუთოვი აჩვენებს „კურორტნაია გაზეტას“ 10 ოქტომბრის ნომერს. გალაკტიონის შესახებ მასში მოთავსებულია ფელეტონი – „ხალხის მომღერალი“, რაც ძალიან ახარებს პოეტს.

➤ 7745

1938

14 ოქტომბერი

ექიმ გიორგი თევდორაძისგან იღებს რჩევებს, რომლებიც საყურადღებოდ მიაჩნია.

➤ 7746

1938

15 ოქტომბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „შენ უბინო იყავი...“.

➤ 7747

1938

15 ოქტომბერი

უმის წიგნაკში ამონაწერებს აკეთებს საკუთარი პოემიდან „ეპოქა“.

➤ 7748

**1938**

**27 ოქტომბერი**

იძენს ახალ საათს.

➤ 7749

**1938**

**27 ოქტომბერი**

დავით გველესიანი იწყებს გალაკტიონ ტაბიძის ახალი პორტრეტის ხატვას.

➤ 7750

**1938**

**27 ოქტომბერი**

გეგმავს, სალიტერატურო ასპარეზზე მისი გამოსვლის 30 წლისთავის გამო დაგეგმილ საღამოებთან დაკავშირებით, უახლოეს დღეებში გაიაროს კოტე ფოცხვერაშვილთან და დიმიტრი არაყიშვილს გამართვას მის ლექსზე „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ დაწერილი სიმღერის ნოტები.

➤ 7751

**1938**

**27 ოქტომბერი**

დღიურში წერს, რომ სალიტერატურო ასპარეზზე მისი გამოსვლის 30 წლისთავის გამო დაგეგმილ საღამოებთან დაკავშირებით, გასარკვევია ქოროებისა და სოლოს საკითხი და საჭიროა დღეების დანიშვნისთვის ბრძოლა.

➤ 7752

**1938**

**28 ოქტომბერი**

გაზეთს „ლიტერატურული საქართველო“ დასაბეჭდად გადასცემს ოთხ ლექსს.

➤ 7753

**1938**

**28 ოქტომბერი**

ალიო მაშაშვილი აცნობებს, რომ სალიტერატურო ასპარეზზე მისი გამოსვლის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოების თარიღები მწერალთა პრეზიდენტი სხდომაზე მეორე ან მესამე დღეს გადაწყდება.

➤ 7754

**1938**

**28 ოქტომბერი**

შალვა რადიანი აცნობებს, რომ სალიტერატურო ასპარეზზე მისი გამოსვლის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები გაიმართება ხელოვნების სასახლეში 18 ნოემბერს, ხოლო ოპერისა და ბალეტის თეატრში 1 დეკემბერს.

➤ 7755

**1938**

**28 ოქტომბერი**

ამირან გაბისკირიასთან თანხმდება, რომ სალიტერატურო ასპარეზზე მისი გამოსვლის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ორსაათიანი რადიოსაღამო მოეწყოს 12 ნოემბერს.

➤ 7756

**1938**

**30 ოქტომბერი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ იაკობ ნიკოლაძეს, წიგნის – „საბჭოთა ხელოვნება“ – თვალყურისას მისი ვიზუალური გაფორმებით უკმაყოფილოს უთქვამს, ჩვენ, ქართველები საერთოდ არ ვსარგებლობთ თვალებითო.

➤ 7757

**1938**

**ოქტომბერი ან შემდეგ**

ოლია ოკუჯავას რჩევისამებრ, შოულობს ნიკოლაი გოგოლის „მკვდარი სულების“ 1937 წლის აკადემიურ გამოცემას, ოღლა დარიუსთან ერთად კითხულობს და იწერს კომენტარებს.

➤ 7758

## ნოემბერი

**1938**

**ნოემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ჰქუხდა ხმოვანი ქარი მრავალი...“.

➤ 7759

**1938**

**1 ნოემბერი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ უნდა შეიძინოს საკუთარი თხზულებების პირველი და მეორე ტომები. გეგმავს ვასილ ეგნატაშვილის მამის სახელის გარკვევას.

➤ 7760

**1938**

**1 ნოემბერი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ციკლს „ლექსები სიხარულისა“, რომელიც აერთიანებს სამ უსათაურო ლექსს: „საბჭოთა ხალხის გამირული...“, „ჰქუხდა ხმოვანი ქარი მრავალი...“ და „ფერი მზესა და ქარს მოჰყავს...“.

➤ 7761

**1938**

**1 ნოემბერი, ან შემდეგ**

ეცნობა „ლიტერატურული საქართველოს“ ახალ ნომერს, რომელშიც დაბეჭდილია მისი „ლექსები სიხარულისა“ და ამის შესახებ წერს უბის წიგნაკში.

➤ 7762

**1938**

**1 ნოემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ ფილარმონიის თუ ოპერის გუნდმა შეისწავლა მის ლექსებზე დაწერილი ორი სიმღერა, მათ შორის ერთი „მოდინ ლეგიონები“

➤ 7763

**1938**

**1 ნოემბრის შემდეგ**

წერს სახუმარო ლექსს „ვამ ბილეტი... კინტო-ჯანი...“.

➤ 7764

1938

### 6 ნოემბრამდე

უბის წიგნაკში იწერს თბილისში არსებული კლუბების ჩამონათვალს. ნუსხაშია: მასწავლებლის სახლი, მუმუტაიდის, ნაძალადევის, ღარიბ ებრაელთა, აისორების, სომეხთა და სხვა კლუბები.

➤ 7765

1938

### 6 ნოემბერი

აპირებს, თავისი თხოვრებების პირველი და მეორე ტომები და ლექსების რუსულ ენაზე გამოცემული წიგნები საჩუქრად გადასცეს პარტიულ ხელმძღვანელებს: ვასილ ეგნატაშვილს, ფილიპე მახარაძეს, ვალერიან ბაქრაძეს და კანდიდ ჩარკვიანს. უბის წიგნაკში იწერს წიგნებზე წასაწერი მიძღვნის ტექსტების ვარიანტებს.

➤ 7766

1938

### 19 ნოემბერი

გეგმავს სარეცხის გადარჩევას, ფეხსაცმლის, კალოშებისა და კოსტიუმის ყიდვას.

➤ 7767

1938

### 19 ნოემბრის შემდეგ

წერს ლექსს „სამშობლოს წინსვლა...“.

➤ 7768

1938

### 19 ნოემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს „ჭყუშელების კოსტიუმი“, რომელშიც აღწერს, როგორ იმოსებოდნენ ჭყვიშის მაცხოვრებლები.

➤ 7769

1938

### 19 ნოემბრის შემდეგ

წერს უსათაურო სტროფს „სამშობლოვ, სისხლით მსასოფარი...“.

➤ 7770

1938

### 19 ნოემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც მსჯელობს, სად შეიძლება იშოვოს ადამიანმა ბაგრატის ტაძრის, ან მისი მსგავსი ძველი ეკლესიის ნანგრევების კარგი აღწერა. ინიშნავს, რომ ბაირონს აქვს ლექსები, რომლებშიც ძველი ნანგრევებია აღწერილი. ფიქრობს, რომ ასევე შეიძლება გამოადგეს ლონგფელოს ლექსების ივან ბუნინისეული თარგმანი, ვახტანგ ორბელიანის ლექსი „გელათში“ და გრიგოლ ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

➤ 7771

1938

### 20 ნოემბრამდე

კარგავს ლენინის ორდენს.

➤ 7772

1938

### 20 ნოემბერი

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელზე წერს ახსნა-განმარტებას ლენინის ორდენის დაკარგვასთან დაკავშირებით. წერს, რომ დაახლოებით 1 წლის წინ წიგნზე მუშაობით დაღლილს ღამე სკვერში ჩაეძინა. ლენინის ორდენი პალტოს გულის ჯიბეში ედო, რადგანაც არ უნდოდა, რომ ტრამვაიში მისთვის ზედმეტი ყურადღება მიექციათ. შინ დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ ორდენი აღარ ჰქონდა. ამიტომ, ოფიციალურად აცხადებს დანაკარგის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სთხოვს ლენინის ორდენის აღდგენას.

➤ 7773

1938

### 20 ნოემბრის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. გალაკტიონის მონატრებაზე ადრესანტს ახსენდება აპოლონ მაიკოვის სიტყვები თავისი და იაკობ პოლონსკის სულიერი ნათესაობის შესახებ. წარმოიდგენს, რომ გალაკტიონს შემა არა აქვს, სიცივეში უხდება მუშაობა და დარდობს.

➤ 7774

1938

### 21 ნოემბერი ან შემდეგ

მარჯანიშვილის თეატრში ესწრება პოლიკარპე კაკაბაძის პიესის „კოლმეურნის ქორწინება“ წარმოდგენას და მოსწონს მსახიობ გიორგი შავგულიძის მიერ განსახიერებული როლი.

➤ 7775

1938

### 28 ნოემბრამდე

წერს ლექსს „ოქტომბრის გემი“.

➤ 7776

1938

### ნოემბერი

ჟურნალში „ჩვენი თაობა“ აქვეყნებს უსათაურო ლექსს „ულევი, უანგარიშო...“.

➤ 7777

1938

### შემოდგომა

ალექსანდრე სიგუას ოჯახში იმყოფება შალვა დადიანთან, მსახიობ გიორგი შავგულიძესთან და რეჟისორ შოთა აღსაბაძესთან ერთად. იხსენებენ ქართველ და უცხოელ მოღვაწეებთან საინტერესო შეხვედრებს. გიორგი შავგულიძე სხვადასხვა სპექტაკლებიდან კომედიურ სცენებს აცოცხლებს. შალვა დადიანი გალაკტიონისადმი პატივისცემას გამოხატავს და მას ქართული ლიტერატურის კლასიკოსს უწოდებს. ლადო გუდიაშვილი მოკრძალებით მიმართავს პოეტს, რომ ვალშია მის წინაშე მისი პორტრეტი რომ არ დაუხატავს და ჰპირდება ამ შეცდომის გამოსწორებას. გალაკტიონი პასუხობს, რომ ის ლირიკოსი პოეტია, ყველგან ლირიკას ხედავს და მხატვრობაში ლადოც ასეთად მიაჩნია. შემდეგ გალაკტიონი იხსენებს ქუთაისში შეხვედრებს აკაკი წერეთელთან, ვასო აბაშიძესთან და ლადო მესხიშვილთან. ლადო გუდიაშვილი ამ საღამოს სახსოვრად აკეთებს ჩანახატს.

➤ 7778



1938

**დეკემბრამდე**

კრებულში „სტალინურ თაობას“ აქვეყნებს ლექსს „ახალგაზრდობა“.

➤ 7779

1938

**12 დეკემბერი**

გეგმავს კოსტიუმის შექმნას, საპარიკმახეროში წასვლას და იაკობ ნიკოლაძესთან სტუმრობას.

➤ 7780

1938

**12 დეკემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს „საერთო ფრონტით“, რომელშიც აყალიბებს გეგმას, როგორ იმოქმედოს საკუთარი შემოქმედებითი საღამოს მოსაწყობად. მთავარ აქცენტს აკეთებს პერიოდიკაზე, ასევე მიზნად ისახავს საკუთარი ფოტოების შეგროვებას, ბიოგრაფიისა და ლექსების მომზადებას.

➤ 7781

1938

**12 დეკემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების ჩამონათვალს და მათი 3 თვით გამოწერის ღირებულებას.

➤ 7782

1938

**12 დეკემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, თუ როგორ შეაწყვეტინა ქუჩაში ერთმა მოხუცმა ქალებს საუბარი სიტყვებით, ერთმანეთის არშიყი შეწყვიტეთ და მიმასწავლეთ, სად არის აფთიაქიო, ხოლო როცა მიასწავლეს, უთხრა, ახლა შეგიძლიათ იარშიყოთო.

➤ 7783

1938

**14 დეკემბერი**

ემზადება ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლის იუბილესათვის. გეგმავს შიო მღვიმელის, ეკატერინე გაბაშვილის, ლადო მაჭავარიანის, შალვა კაშმაძის მისდამი მიძღვნილი ლექსების შეკრებას, ფაქსიმილესა და სურათის დაბეჭდვას და პრესისთვის ტელეფონით ინფორმაციის მიწოდებას.

➤ 7784

1938

**15 დეკემბერი**

სომხურ გაზეთში „საბჭოთა საქართველო“ იბეჭდება სურენ ავზიანის ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „თეთრების გაქცევა“ და პოეტის ფოტოპორტრეტი.

➤ 7785

1938

**14 დეკემბერი**

შალვა რადიანს ჩუქნის თავის ფოტოპორტრეტს წარწერით: „ძვირფას შალვას“.

➤ 7786

1938

**17 დეკემბერი**

აღლევებულია იმის გამო, რომ მწერალთა კავშირს ჯერ კიდევ არ გაუკეთებია ანონსი 23 დეკემბრისთვის დანიშნული მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ. ფიქრობს, რომ მწერალთა კავშირში მიზანმიმართულად მუშაობენ მის წინააღმდეგ და უარს ამბობენ გერონტი ქიქოძისა და სხვა არაერთი მწერლის მიწვევაზე.

➤ 7787

1938

**17 დეკემბრის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ საერთო სათაურით „პრელუდიები“ აქვეყნებს ოთხ უსათაურო ლექსს: „წყალტუბოდან ქუთაისში...“, „ნიავი, ია, ნარგიზი...“, „მე ხომ სხვა ვარ...“, „მთაგორების ზემო...“. ჟურნალის ამავე ნომერში, ცალკე, ამ ციკლისგან დამოუკიდებლად, იბეჭდება ლექსი „ოქტომბრის გემი“.

➤ 7788

1938

**18 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „პოეზიის ინტეგრალები“.

➤ 7789

1938

**18 დეკემბერი ან მანამდე**

ლევან ასათიანი ამზადებს გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მოსაწვევი ბარათების ტექსტს და დასაბეჭდად გადასცემს ლადო სირბილაძეს, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ აქვს შერჩეული ბარათზე დასაბეჭდი სურათი.

➤ 7790

1938

**18 დეკემბერი ან მანამდე**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ ფოტოგრაფ გიგოლაშვილის მიერ მისთვის გადაღებული პორტრეტი არ გამოდგა „ლიტერატურულ საქართველოში“ დასაბეჭდად. მისი პორტრეტი ასევე შეუკვეთეს სევერიან კეცხოველს, მაგრამ ის სადღაც გაქრა.

➤ 7791

1938

**18 დეკემბერი ან მანამდე**

მწერალთა კავშირიდან სახლში უგზავნიან ფოტოგრაფს, რომელიც უღებს სურათს საიუბილეო ღონისძიებისათვის. გალაკტიონი უკმაყოფილოა იმით, რომ მზა ფოტოებს კარგავენ და უცნობ ფოტოგრაფს უგზავნიან ახალი სურათის გადასაღებად, რომელიც არავინ იცის, როგორი გამოვა.

➤ 7792

1938

**18 დეკემბერი ან მანამდე**

შალვა კაშიაძეს გაზეთ „კომუნისტში“ დასაბეჭდად მიაქვს გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი, თუმცა გაზეთის ლიტერატურის განყოფილების გამგე ბიძინა აბულაძე უარს ეუბნება მის გამოქვეყნებაზე. მისი თქმით, სარედაქციო საბჭოს გადაწყვეტილებით, გალაკტიონს გაზეთში გვერდი არ დაეთმობა და თუ დაბეჭდავენ რამეს, მხოლოდ მის ლექსებს. გალაკტიონი

აღშფოთებულია ამ ამბით და მისდამი ასეთ დამოკიდებულებას ბიძინა აბულაძის ფუტურისტული წარსულით ხსნის.

➤ 7793

1938

### 18 დეკემბერი ან მანამდე

კანდიდ ჩარკვიანი ეუბნება ალიო მამაშვილს, რომ პარტიის ხელმძღვანელობა უკმაყოფილოა გალაკტიონით ლენინის ორდენის დაკარგვის გამო და არ აპირებენ მისთვის იუბილეს გადახდას. ამიტომ ღონისძიება ჩატარდება საღამოს ფორმატით. როცა გალაკტიონს ამას გადასცემენ, ის ფიქრობს, რომ კანდიდ ჩარკვიანის გადაწყვეტილება სამართლიანია.

➤ 7794

1938

### 18 დეკემბერი ან მანამდე

თეოდორ ჩუდეცი იწყებს მუშაობას გალაკტიონის სურათზე, რომელიც უნდა დაიბეჭდოს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“.

➤ 7795

1938

### 18 დეკემბერი ან მანამდე

შალვა რადიანთან ერთად გეგმავს, რა მასალები უნდა გამოქვეყნდეს „ლიტერატურულ საქართველოში“ მის იუბილესთან დაკავშირებით. რადიანის ქცევიდან ეჭვი უჩნდება, რომ შეიძლება ისიც ორმაგ თამაშს თამაშობდეს და ხელს უშლიდეს იუბილეს სათანადოდ ჩატარებაში.

➤ 7796

1938

### 18 დეკემბერი ან მანამდე

შალვა რადიანი ეუბნება, რომ ლიტერატურულმა ფონდმა მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით გალაკტიონისათვის გამოყო ერთჯერადი დახმარება 3000 მანეთის ოდენობით და იგეგმება მისთვის პენსიის გაზრდაც. პოეტი ფიქრობს, რომ ძალიან მცირე თანხაა. უნიჭო მხატვარიც კი ერთ ნახატში იღებს ამდენს.

➤ 7797

1938

### 18 დეკემბერი ან მანამდე

არისტო ჭუმბაძე გამოთქვამს სურვილს, რომ მონაწილეობა მიიღოს გალაკტიონის საღამოში. როდესაც გალაკტიონი ამის შესახებ ალიო მამაშვილს აცნობებს, ეს უკანასკნელი ამბობს, რომ ჭუმბაძე უმნიშვნელო ლიტერატორია და მის სიტყვას არანაირი ფასი არ აქვს.

➤ 7798

1938

### 18 დეკემბერი ან მანამდე

შალვა რადიანი ეუბნება, რომ მწერალთა კლუბი, სადაც გალაკტიონის საღამო უნდა ჩატარდეს, 21 რიცხვში გაიხსნება. მართალია, მასში გათბობის სისტემა დაზიანებულია, მაგრამ სხვა საშუალებით გაათბობენ. გარდა ამისა, რადიანი იმედს აძლევს, რომ საღამო რადიოს პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემა.

➤ 7799

1938

### 18 დეკემბერი

საიუბილეო ღონისძიებისთვის ადგენს წასაკითხი ლექსების სიას: „აწმყოს დიდება დიდი...“, „საბჭოთა ხალხის გმირული...“, „მთვარე კაშკაშებს“, „სქელი ღრუბელი...“, „სამშობლოს“, „პოეზიის ინტეგრალები“, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. აღეგებს ერთი რამ, იქნება თუ არა სადამოუხე ყვავილები.

➤ 7800

1938

### 18 დეკემბერი

ღელავს იმის გამო, რომ მისი საიუბილეო ღონისძიების პროგრამაში გამომსვლელთა შორის დასახელებულია ალექსანდრე სულავა, რომელიც დიდი სიბრძნით არ გამოირჩევა. გალაკტიონი ნერვიულობს, რომ სხვებიც სულ ახალგაზრდები არიან და არავინ იცის, ვინ რას იტყვის.

➤ 7801

1938

### 18 დეკემბერი

უბის წიგნაკში იწერს მისი 30 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის საიუბილეო ღონისძიებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული განცხადების ტექსტს.

➤ 7802

1938

### 18 დეკემბერი

უბის წიგნაკში იწერს გეგმას, რა უნდა გააკეთოს საიუბილეო ღონისძიების მოსამზადებლად. მიზნად ისახავს თვალყური ადევნოს „ლიტერატურული საქართველოს“ თანამშრომელ ნიკოლოზ ჩაჩავას, სევერიან კეცხოველს გამოართვას სურათები, „ლიტერატურული საქართველოს“ პირველ გვერდზე მოახერხოს სურათის, ფაქსიმილეს ან ლექსის გამოქვეყნება, გაზეთების – „კომუნისტი“ და „მუშა“ – რედაქციებს აუხსნას, რომ საიუბილეო სადამოს ფარგლებში მხოლოდ იუბილარის ლექსები კი არ უნდა დაიბეჭდოს, არამედ შესაძლებელია მისდამი მიძღვნილი მასალის გამოქვეყნებაც. ფიქრობს, რომ საჭიროა გადაარჩიოს ლექსები და სურათები, აქტიურად ჩართოს ღონისძიებაში რადიო, ძველი თაობის მწერლები – ანასტასია ერისთავი-ხომტარია, ილია ალაძე, შალვა დადიანი, ალექსანდრე აბაშელი. გეგმავს მოაწყოს კიოსკი, რომელთანაც გამოეკვრება მისი დიდი პლაკატი და სადაც გაიყიდება მისი წიგნები, ლიტერატურული პერიოდიკა. აუცილებლად მიაჩნია კედლის გაზეთის გაკეთება, სადამოუხე ფოტოგრაფებისა და მხატვრების დასწრება, სადამოს ფირზე გადაღება, შემცვლელ მომხსენებელთა მოძიება, იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე ძირითადი მომხსენებელი ავად გახდება.

➤ 7803

1938

### 19 დეკემბერი

დილით მიდის თეოდორ ჩუდეცკისთან, რომელიც 12 საათისთვის ამთავრებს მისი პორტრეტის ხატვას.

➤ 7804

1938

### 19 დეკემბერი

თეოდორ ჩუდეცკის მიერ დახატული სურათი მიაქვს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში და წინასწარ გრძნობს, რომ გაზეთის ზოგიერთმა თანამშრომელმა შეიძლება ნამუშევარი დაიწუნოს. ნიკოლოზ ჩაჩავა და შალვა რადიანი იწონებენ ჩუდეცკის ნამუშევარს. როდესაც მხატვარ სევერიან კეცხოველს ეკითხებიან აზრს სურათის შესახებ, იგი ნაძალადევი ღიმილით ამბობს, რომ ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს მღვდლის ცოლი. გალაკტიონის

აზრით, ამით მხატვარი მიაწინებს, რომ თეოდორ ჩუდეცკის ნამუშევარზე უკეთესად მხატვარ ალექსანდრე გიგოლაშვილის სურათს მიიჩნევს. კეცხოველის ამ სიტყვების შემდეგ ნიკოლოზ ჩაჩავაც იცვლის აზრს და ამბობს, რომ ამ ნახატს ნამდვილად გიგოლაშვილის ნამუშევარი სჯობს. შალვა რადიანი მოითხოვს, უჩვენონ გიგოლაშვილის ნახატი. უჯრიდან იღებენ გიგოლაშვილის ნამუშევარს, რომელსაც გალაკტიონი „ნაცოდვილარად“ მიიჩნევს და იწყება სჯა-ბაასი, თუ რომელი სურათია უკეთესი. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი შალვა რადიანი გადაწყვეტს, გაზეთში ჩუდეცკის სურათი დაიბეჭდოს, გალაკტიონიც ეთანხმება მის აზრს. პოეტი ამჩნევს, რომ რადიანის გადაწყვეტილების შემდეგ კეცხოველი ნირწამხდარი დგას. გალაკტიონი ისმენს კეცხოველისა და ჩაჩავას საუბარს, რომლებიც გეგმავენ ხელი შეუშალონ ჩუდეცკის ნახატის დაბეჭდვას. კეცხოველი ამბობს, რომ ჩუდეცკის სურათს რეტუშირება სჭირდება, რასაც გალაკტიონი არ ეთანხმება. დიმიტრი ბენაშვილი მხარს უჭერს გიგოლაშვილის ნახატს, ლადო სირბილაძე კი – ჩუდეცკისას.

➤ 7805

1938

19 დეკემბერი

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ყოფნისას ამჩნევს, რომ გაზეთის მისდამი მიძღვნილი საიუბილეო გვერდის მაკეტს თავზე აწერია „გალაქტიონ ტაბიძე“. არასწორად დაწერილი სახელის გამო გალაკტიონი შენიშვნას აძლევს რედაქციის თანამშრომელ ნიკოლოზ ჩაჩავას, რომელიც, მისი აზრით, წლების განმავლობაში მიზანმიმართულად ებრძვის მას. ჩაჩავა ალუთქვამს, რომ შეცდომას შეასწორებს.

➤ 7806

1938

19 დეკემბერი

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში ლადო სირბილაძე უჩვენებს ქაღალდს, რომელზეც უნდა დაიბეჭდოს მისი საიუბილეო საღამოს 300 მოსაწვევი. გალაკტიონი აძლევს ფაქსიმილეს ბარათებისათვის. იგი შიშობს, რომ შეიძლება მისმა მოწინააღმდეგეებმა გამოაცხადონ, რომ საღამოზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევი ბარათებითაა შესაძლებელი, შემდეგ კი ბარათები არ დაარიგონ და ამ გზით შეამცირონ დამსწრეთა რაოდენობა.

➤ 7807

1938

19 დეკემბერი

„ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში იგებს, რომ ნიკოლოზ ჩაჩავას ჯერ კიდევ არ გადაუცია რედაქტორისათვის მისი ლექსის ფაქსიმილე და მოითხოვს დროულად მიაწოდონ იგი შალვა რადიანს. ეს უკანასკნელი თავისთან იხმობს დიმიტრი ბენაშვილს და ბჭობის შემდეგ გადაწყვეტენ, რომ ლექსის ხელნაწერის მხოლოდ ნაწილი დაბეჭდონ. გალაკტიონი ლეღავს, რადგან მისი აზრით, არაფერი ისე არ გამოდის ხოლმე, როგორც მას სურს. შიშობს, რომ შეიძლება გაზეთში მისი სურათიც დააპატარაონ.

➤ 7808

1938

19 დეკემბერი

ლევან ასათიანი დაგვიანებით იგებს, რომ გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო ღონისძიებისათვის მეტი ფოტოსურათის დაბეჭდვაა საჭირო და პოეტს აიძულებს, რომ შეიძლება მოესწროს.

➤ 7809

1938

19 დეკემბერი

პლატონ კემელავა ეუბნება, რომ მწერალთა სასახლეში სინათლე არის, მაგრამ გათბობა – არა. ასევე აცნობებს, რომ ღონისძიების რადიოტრანსლაციის საკითხი ლევან ასათიანმა ალიო მამაშვილთან შეთანხმებით უნდა მოაგვაროს.

➤ 7810

**1938**

**19 დეკემბერი**

შალვა დადიანი ეუბნება, რომ მის საღამოზე აუცილებლად გამოვა სიტყვით, იოსებ გრიშაშვილი კი ორჭოფობს, რამდენად მოასწრებს გამოსვლისთვის მომზადებას. გალაკტიონი ფიქრობს, რომ თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევა.

➤ 7811

**1938**

**19 დეკემბერი**

ლევან ასათიანი ცდილობს მოიძიოს მსახიობები გალაკტიონის საღამოში მონაწილეობის მისაღებად.

➤ 7812

**1938**

**19 დეკემბერი**

აკაკი გაწერელია ეუბნება, რომ მის საღამოში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას მომღერალი დავით ბადრიძე, რომელიც გალაკტიონის 1933 წელს გამართულ იუბილეზეც გამოვიდა.

➤ 7813

**1938**

**19 დეკემბერი**

მხატვარ დავით გველესიანს უთანხმდება, რომ ლაქით დაფაროს მის მიერ დახატული გალაკტიონის პორტრეტი.

➤ 7814

**1938**

**20 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „მთვარის ნაამბობიდან“.

➤ 7815

**1938**

**20 დეკემბერი**

გეგმავს ჟურნალ „მნათობს“ მე-12 ნომრისათვის მიაწოდოს ლექსი.

➤ 7816

**1938**

**20 დეკემბერი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება დიმიტრი ბენაშვილის სტატია „გალაქტიონ ტაბიძე“. კრიტიკოსი უპირველესად ახასიათებს პოეტის ადრეულ ლირიკას და სულიერი ობლობის განცდას, რომელიც მასში ვლინდება, 1905-7 წლების რევოლუციის დამარცხებას უკავშირებს. რაც შეეხება მომდევნო პერიოდს, ბენაშვილის თქმით, „მენშევიკების ბატონობის წლები გალაკტიონისათვის იყო ყველაზე უფრო მწუხარე დრო“. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე პოეტი დადგა რევოლუციის მხარეს, რისი დასტურიცაა პოემები „ჯონ რიდი“ და „ეპოქა“. კრიტიკოსი გალაკტიონის დიდ დამსახურებად თვლის იმას, რომ სიჭაბუკეში თავიდან აიცილა ილიას, აკაკისა და ვაჟას ეპიგონობა. გალაკტიონისთვის ბარათაშვილი ყველაზე

ახლოვებულ პოეტად მიაჩნია, რადგან მან, ბარათაშვილის მსგავსად, შეასუსტა ლექსში რითმის მნიშვნელობა და რიტმი აქცია მის მამოძრავებელ ძალად. წერილის ავტორის აზრით, თავისი დროის ხელოვანთაგან გალაკტიონმა ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა ქართველ პოეტებზე და ეს პროცესი კვლავ გრძელდება.

➤ 7817

1938

### 20 დეკემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ საერთო სათაურით „ახალი ლექსებიდან“ აქვეყნებს შემდეგ ნაწარმოებებს: „პოეზიის ინტეგრალები“, „სამშობლოს“ („სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი“), „შრომა და მოსვენება“ და „მთვარის ნაამბობიდან“. გაზეთის იმავე გვერდზე, გალაკტიონის პორტრეტის ქვემოთ, დაბეჭდილია პოეტის ხელნაწერი – ფრაგმენტი ლექსიდან „აწმყოს დიდება დიდი“.

➤ 7818

1938

### 20 დეკემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ 23 დეკემბერს, მწერალთა კლუბში გაიმართება საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. სტატიის მიხედვით, ღონისძიებაზე მოხსენებებს წაიკითხავენ შალვა რადიანი და აკაკი გაწერელია. სიტყვით გამოვლენ სიმონ ჩიქოვანი, ზესარიონ ჟღენტი, დიმიტრი ბენაშვილი, ირაკლი აბაშიძე, ლევან ასათიანი და სხვები, საკუთარ ლექსებს წაიკითხავენ გიორგი ქუჩიშვილი, ალიო მაშაშვილი, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, კარლო კალაძე, ალექსანდრე გომიაშვილი. საღამოზე გალაკტიონის პოეტურ ნაწარმოებებს წაიკითხავენ აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სერგო ზაქარიაძე. ღონისძიების დასასრულს გალაკტიონი საზოგადოებას გააცნობს თავის ახალ ლექსებს.

➤ 7819

1938

### 20 დეკემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება აკაკი გაწერელიას სტატია „გალაქტიონ ტაბიძის ლირიკა“. მკვლევარი საუბრობს გალაკტიონის მეორე პოეტურ კრებულზე „არტისტული ყვავილები“ და აღნიშნავს, რომ ამ წიგნისთვის წამდგარებული ფრანგული ეპიგრაფებით ავტორმა მკითხველს მიანიშნა თავისი ლირიკის ევროპულ ხასიათზე, ევროპულ კულტურასთან კავშირზე. აკაკი გაწერელია მსჯელობს გალაკტიონის შემოქმედების სიმბოლიზმთან სიახლოვეზე და აღნიშნავს, რომ სიტყვისადმი ის სპეციფიკური დამოკიდებულება, რომელიც სიმბოლისტურ სკოლას ახასიათებდა ევროპასა და რუსეთში, ქართულ პოეზიაში ყველაზე ფრთხილად გალაკტიონ ტაბიძემ გაიზიარა. იგი მიიჩნევს, რომ გალაკტიონის ლირიკა ქართულ-ევროპული პოეზიის სინთეზის შედეგია. ამ აზრის საილუსტრაციოდ აკაკი გაწერელია გალაკტიონის პოეზიიდან არაერთ მაგალითს მოიხმობს. გარდა ამისა, მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონის შემოქმედებაში პეიზაჟის ხატვის პრინციპის თავისებურებაზე და რევოლუციასთან პოეტის მიმართებაზე.

➤ 7820

1938

### 20 დეკემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის ტექსტი, რომლის მიხედვითაც, გამომცემლობა „ფედერაცია“ 1939 წლის დამდეგს გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის

რჩეული ლირიკული ლექსების კრებულს. ამ ცნობის თანახმად, წიგნს წამმდვარებული ექნება აკაკი გაწერელის შესავალი წერილი.

➤ 7821

1938

### 20 დეკემბერი ან შემდეგ

საიუბილეო ღონისძიების გამართვამდე მღელვარება ეუფლება. ყოველ წუთს ელის რაიმე უსიამოვნებას. შფოთავს იმის გამო, რომ შეიძლება მომხსენებლებმა დადალონ მსმენელები და ამით წაახდინონ აუდიტორიის განწყობა, მაგრამ აქვს ახალგაზრდების მხარდაჭერის იმედი.

➤ 7822

1938

### 20 დეკემბერი ან შემდეგ

არჩევს საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში გაზეთ „კომუნისტში“ გამოსაქვეყნებელ ლექსებს.

➤ 7823

1938

### 20 დეკემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მისი შემოქმედების შესახებ შეიძლება გაიმართოს თემატური საღამოები და იქვე ინიშნავს ერთ-ერთ თემას: „გალაკტიონ ტაბიძე – ქართველ კლასიკოსთა ღირსეული გამგრძელებელი“.

➤ 7824

1938

### 20 დეკემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს 1908 წელს გამომავალი ჟურნალ-გაზეთების ჩამონათვალს.

➤ 7825

1938

### 20 დეკემბრის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი სწერს, რომ ბარათი გალაკტიონისგან ისევ არ მიუღია, ნატრობს ჩიტად ქცევას, მათ სახლთან მიფრენას და თუნდაც ფარდის მაქმანიდან შიგნით შეჭყეტას. ოლიას იმედი აქვს მისი საბრალდებულო საქმის გადახედვის. ღამით ესიზმრება გალაკტიონი, რომელიც ხელში აწვდის გათავისუფლების ფურცელს.

➤ 7826

1938

### 21 დეკემბერი

მირზა გელოვანი უძღვნის ლექსს „გალაკტიონ ტაბიძეს“ („ჯერ კიდევ ბავშმა გავშალე წიგნი...“).

➤ 7827

1938

### 22 დეკემბერი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება ლევან ასათიანის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე (პოეტური შემოქმედების 30 წლისთავის გამო“), რომელშიც საბჭოთა კრიტიკაში დამკვიდრებული მიდგომის მსგავსად, კრიტიკოსი პოეტის ადრეულ ლირიკას აკავშირებს 1905 წლის რევოლუციის მარცხთან. ასათიანი აღნიშნავს რომ გალაკტიონის ადრეულ პოეზიაში პესიმისტურ ლექსებთან ერთად თავს იჩენდა რევოლუციური ტენდენციებიც და რომ მან „ადრინდელ ეტაპებზევე შესძლო გამოველინებინა სიტყვის მუსიკითა და ფერადებით ამეტყველების უდიდესი



ოსტატობა“. მის შემოქმედებაში ქართულმა პოეტურმა კულტურამ მიაღწია ისეთ მწვერვალებს, რომლითაც გაუსწორდა თავისი დროის ევროპული და რუსული პოეზიის დონეს. ლევან ასათიანი აღნიშნავს, რომ თავისი თაობის პოეტთაგან გალაკტიონი პირველი იყო, ვინც დადგა რევოლუციის მხარეს. მართალია, იგი უმთავრესად ლირიკოსია, თუმცა არ რჩება მხოლოდ ვიწროდ პიროვნულ განცდათა სფეროში და ლირიკას საზოგადოებრივ შინაარსსაც სძენს. კრიტიკოსის შეფასებით, გალაკტიონი მემკვიდრეა მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებისა. მისი შემოქმედებითი გზა არის ქართული პოეზიის განვითარების გზა ინდივიდუალიზმიდან, პესიმიზმიდან და დეკადანსიდან სოციალისტური ლირიკის, პოლიტიკური პოეზიის მაღალ იდეალებამდე.

➤ 7828

1938

### 23 დეკემბრამდე

წერს ლექსს „გერმანიის დილა“.

➤ 7829

1938

### 23 დეკემბრამდე

მოკლე ბარათს უგზავნის ცეკავშირს. წერს, რომ 23 დეკემბერს ვოროშილოვის სახელობის კლუბში იმართება მისი ლიტერატურული საღამო და ითხოვს, რომ თავისი თანამშრომლებისთვის შეიძინონ 300 მანეთის ბილეთები.

➤ 7830

1938

### 23 დეკემბრამდე

წერს მოკლე განცხადებას, რომ 23 დეკემბერს ვოროშილოვის სახელობის კლუბში იმართება მისი ლიტერატურული საღამო და რომ ეგზავნებათ მასზე დასასწრები ბილეთები უფასოდ დასარიგებლად.

➤ 7831

1938

### 23 დეკემბერი

თბილისის ვოროშილოვის სახელობის კლუბში იმართება მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. კინოოპერატორები ფირზე აღბეჭდავენ ცალკეულ ფრაგმენტებს.

➤ 7832

1938

### 23 დეკემბერი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი სახელწოდებით „ლექსებიდან „სტალინი“ .

➤ 7833

1938

### 23 დეკემბერი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსები სათაურით „ლექსებიდან „სტალინი“ და „გერმანიის დილა“.

➤ 7834

1938

### 23 დეკემბერი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით რუსუდან ფერაძის მიერ შექმნილი ნარკვევი „სახალხო პოეტი“.

➤ 7835

1938

### 23 დეკემბერი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ ქვეყნდება ვარლამ ჟურულის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელიც პოეტის ლიტერატურული პორტრეტის წარმოჩენას ისახავს მიზნად. სტატიის ავტორი გალაკტიონის პოეტურ წინაპრად ასახელებს ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომლის შემოქმედებიდან მომდინარე სევდიანი განწყობილებები გალაკტიონის ლირიკაში თავისებურად ტრანსფორმირდა. უცხოელ პოეტთა შორის, რომელთაც გალაკტიონზე გავლენა მოახდინეს, დასახელებულნი არიან თეოფილ გოტიე, პოლ ვერლენი, შარლ ბოდლერი, ალექსანდრ ბლოკი, ინოკენტი ანენსკი, ვალერი ბრიუსოვი და ფიოდორ ტიუტჩევი. ვარლამ ჟურული მიუთითებს, რომ დასახელებულ პოეტთაგან გალაკტიონი გამოირჩევა საკუთარი პოეტური ხმით, სისადავითა და მუსიკალურობით. სტატიაში ასევე მიმოხილულია გალაკტიონის პოსტრევოლუციური შემოქმედების ძირითადი თემები.

➤ 7836

1938

### 24 დეკემბერი

გაზეთი „ინდუსტრიული ქუთაისი“ აქვეყნებს ლექსს „ჩვენი მნათობი ცეცხლისფერია“.

➤ 7837

1938

### 24 დეკემბერი

სომხურ გაზეთში „საბჭოთა საქართველო“ იბეჭდება სტატია გალაკტიონ ტაბიძეზე, ჰოვანეს კარაპეტიალის ნათარგმნი ლექსი „ყოველ სტრიქონზე“ და პოეტის ფოტოპორტრეტი.

➤ 7838

1938

### 25 დეკემბერი

თბილისში იმართება გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

➤ 7839

1938

### 26 დეკემბერი

გაზეთში „პრავდა“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ 25 დეკემბერს თბილისში გაიმართა სახალხო პოეტის, ორდენოსან გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

➤ 7840

1938

### 28 დეკემბერი

ალექსანდრე აბაშელი უძღვნის ლექსს „თოვლი“ და კითხულობს მწერალთა სასახლეში გამართულ საღამოზე.

➤ 7841

1938

## 29 დეკემბერი

წერილს იღებს სავლე აბულაძისგან. აბულაძე ბოდიშს უხდის, რომ ვერ მოახერხებს მასწავლებელთა სახლში, შეთანხმებისამებრ, მასთან შეხვედრას, რადგან შვილი ჰყავს ავად და იქვე დასძენს, რომ მისი დავალება არ დავიწყებია.

➤ 7842

1938

### 29 დეკემბერი, ან შემდეგ

სავლე აბულაძისგან მიღებულ საბოდიშო წერილზე აკეთებს მინაწერს, რომ ადრესანტის ბარათი მრავლისმთქმელია. გალაკტიონი მიუთითებს, რომ სავლე აბულაძე მასწავლებელთა სახლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელობიდან გაათავისუფლეს და შეიძლება ამის გამო გულნატკენია. პოეტი ვარაუდობს, რომ შეხვედრაზე მისი უარიც ამით უნდა იყო გამოწვეული და არა ბავშვის ავადმყოფობით.

➤ 7843

1938

### 30 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება აკაკი გაწერელიას სტატია „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა“, რომელიც მანამდე, 20 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“. ნაშრომის ავტორი თავიდანვე აღნიშნავს, რომ მალე შესრულდება ოცი წელი პოეტის მეორე წიგნის – „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“ – გამოცემიდან. ეს არის კრებული, რომელიც დღემდე ინარჩუნებს სიცოცხლეს, მიმზიდველობას და რომლითაც იხსნება ახალი ხანა ქართული პოეტური კულტურის ისტორიაში. კრიტიკოსის თქმით, გალაკტიონმა პირველივე წიგნში გამოამჟღავნა იშვიათი ოსტატობა ლირიკული თრთოლის გადმოცემის სფეროში და ამ კრებულით ამოწურა რომანტიკული ლირიკის შესაძლებლობები. მეორე წიგნში ვეცნობით „აბსოლუტური სმენით დაჯილდოებულ“ პოეტს. გაწერელიას შეფასებით, სიტყვისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით გალაკტიონი სიმბოლისტია, მაგრამ ის თავისუფალია სიმბოლისტური თემატიკისაგან. გალაკტიონ ტაბიძემ განახორციელა სინთეზი ევროპული და ქართული პოეზიისა. იგი არის უდიდესი ოსტატი არა მხოლოდ პირდაპირი სიტყვით, არამედ ნახევარტონებით საუბრისა. გალაკტიონის მეორე პერიოდის ლირიკაში ბუნების სურათები იმპრესიონისტულად არის შესრულებული და ამ თვალსაზრისით იგი უახლოვდება ბლოკსა და რილკეს. კრიტიკოსის თქმით, გალაკტიონმა გაამდიდრა ქართული ლექსი ახალი საზომებით. მან ინდივიდუალიზმის ატმოსფეროს თავი დააღწია რევოლუციის დახმარებით, პოეტის მეორე წიგნში ბუნდოვნად, მაგრამ მაინც იკვეთება რევოლუციის მოახლოება. გალაკტიონმა ბლოკისებურად მიიღო რევოლუცია – როგორც ძველი სამყაროს ნგრევისა და ახლის დაბადების დასაწყისი. კრიტიკოსის აზრით, ბოლო პერიოდში პოეტის ტონი უფრო პათეტიკური, დეკლამაციული გახდა. მისი ცდები ჟანრული სიახლის ძიებისა ყოველთვის წარმატებით არ სრულდებოდა, ამიტომაც დაშალა ციკლებად თავისი პოემები. ნაშრომის ავტორი მსჯელობას გალაკტიონის ზეგავლენაზე საუბრით ასრულებს და აღნიშნავს, რომ „30 წლის მანძილზე მისი ლირიკა ჰკვებავდა პოეტების მთელს პლეადას“.

➤ 7844

1938

### 30 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ერემია ასტვაცატუროვის სტატია კომკავშირის ოც წლისთავთან დაკავშირებით საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობის მიერ გამოცემულ კრებულზე „სტალინურ თაობას“. მასში ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ახალგაზრდობა“ ავტორისათვის დამახასიათებელი პოეტური სიმღერით ასახავს ორი სხვადასხვა სამყაროს ახალგაზრდას – ავადმყოფური ჟინით შეპყრობილ ფაშისტს და მძლე მისწრაფების მქონე საბჭოთა კომკავშირელს.

➤ 7845

**1938**

**31 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „ახალი მეკვლე“.

➤ 7846

**1938**

**31 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „გამხიარულდი, ბუხარო!“

➤ 7847

**1938**

**31 დეკემბერი**

გაზეთში „მუშა“ აქვეყნებს ლექსებს „გამხიარულდი, ბუხარო!“ და „ახალი მეკვლე“.

➤ 7848

**1938**

**31 დეკემბერი**

გაზეთში „ვეჩერნი ტბილისი“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსის „ნამვის ხეებს ელვარება...“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 7849

**1938**

**31 დეკემბერი**

გაზეთში „ფიზკულტურელი“ ქვეყნდება გალაკტიონის ლექსი „საახალწლო“.

➤ 7850

**1938**

**31 დეკემბერი**

კინოოპერატორი ფირზე აღბეჭდავს გალაკტიონის საახალწლო მილოცვას და ლექსს.

➤ 7851

**1938**

**დეკემბერი**

წერს ლექსს „საახალწლო“.

➤ 7852

**1938**

**დეკემბერი**

წერს ლექსს „გახსოვდეს მარად!“.

➤ 7853

**1938 ან ადრე**

საღამოხანია და თბილისის ერთ-ერთ გასტრონომთან მისული გალაკტიონი ხედავს ახალგაზრდა ქალს, რომელიც გამყიდველმა მაღაზიაში არ შეუშვა, უკვე დაკეტვის დროაო. გალაკტიონი უცნობ ქალბატონს ესარჩლება და მაღაზიაში შეაშვებინებს. ქალი ყიდულობს, რისი ყიდვაც სურს, მაღლობას უხდის უცნობს და თავის მეგობარ მამაკაცთან ერთად მიდის, რომლისგანაც იგებს, რომ უცნობი, რომელიც გამოესარჩლა, ცნობილი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძეა.

➤ 7854

**1938**

თბილისში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით რუსულ ენაზე წიგნად გამოდის რუსუდან ფერაძის ნარკვევი „სახალხო პოეტი“

➤ 7855

**1938**

უბის წიგნაკში შალვა დადიანის მუშაობის სტილის შესახებ რაღაცის ჩაწერას აპირებს, მაგრამ გადახაზავს და რუსულად წერს, ჯანდაბას შალვაო.

➤ 7856

**1938**

უბის წიგნაკში წერს უსათაურო ლექსს „დიდის სტალინის მარად...“.

➤ 7857

**1938**

წერს უსათაურო ლექსს „ზღვა წყნარია ნამეტანი...“.

➤ 7858

**1938**

წერს ლექსს „არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე“.

➤ 7859

**1938**

კრებულში „სამშობლო“ აქვეყნებს ლექსს „მიდიოდა თეთრის ჯარი“.

➤ 7860

**1938**

კრებულში „სამშობლო“ აქვეყნებს ლექსს „იდეა“ („რწმენით იარ...“).

➤ 7861

**1938**

თბილისში გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის კრებულს „რჩეული ლექსები“.

➤ 7862

**1938 ან შემდეგ**

უბის წიგნაკში აკეთებს ამონაწერებს რუსულენოვანი წიგნიდან „დასავლეთევროპული ლიტერატურის ქრესტომათია. შუა საუკუნეების ლიტერატურა (IX-XV სს.)“. კრებს ინფორმაციას ბალადის, რონდოსა და ვირელეს შესახებ, იწერს ფრანსუა ვიიონის ბალადებს: „შეჯიბრი ბლოაში“, „დიდი ანდერძი“, „ბალადა ძველი დროის ქალბატონებზე“, „გზავნილი მეგობრებს“ და „ეპიტაფია“ და მისსავე რონდოს: „დიდი ანდერძიდან“.

➤ 7863

**1938 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ლაღვერი (სოფელი სვანეთში, რომელიც ეხლა აღარ არსებობს)“.

➤ 7864

**1938 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მარად მეძახდენ, მიზიდავდენ ის მწვერვალები“.

➤ 7865

### 1938 ან შემდეგ

სვეტებად ჩამოწერს წყვილ თანხმომავანთა ნუსხას, სამომავლოდ, ხმოვნით დაწყებული ორმარცვლიანი სიტყვების გართიმვის დროს გამოსაყენებლად.

➤ 7866

### 1938 ან შემდეგ

წერს ლექსს „ჯიხვი“.

➤ 7867

### 1938 ან შემდეგ

ხალხური ლექსის მოტივებზე წერს უსათაურო ლექსს „მოხევის ქალო თინაო“.

➤ 7868

### 1938 ან შემდეგ

აკეთებს ამონარიდებს მიგელ დე სერვანტესის „დონ-კიხოტის“ რუსული თარგმანიდან და აკვირდება სარიტმო მარცვლებს.

➤ 7869

### 1938 ან შემდეგ

აკეთებს ჩანახატს ზაფხულის ნაღვლიან დღეზე.

➤ 7870

### 1938 ან შემდეგ

წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსს „სიმშვიდეში თვლემს“.

➤ 7871

### 1938 ან შემდეგ

იხსენებს ალექსანდრე აბაშელის 1909 წელს დაწერილ ლექსს და აეჭვებს, „კაცთა სიავით“ უწერია თუ „ჟამთა სიავით“. ასევე აგონდება, რომ „ჟამთა სიავე“ ნიკო ლორთქიფანიძის რომანის სათაურია.

➤ 7872

### 1938 ან შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ოფიციალურ მოკლე დასკვნას კალე ბობოხიძის პოემაზე „სერგო ორჯონიკიძე“. აღნიშნავს, რომ ესაა პირველი ნაწარმოები, რომელიც ეძღვნება სახელოვან ბელადს. პოემა დაწერილია გულწრფელად და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე. პრესა დადებითად გამოეხმაურა ავტორის შრომას. მიუთითებს, რომ სასურველია ნაწარმოები ითარგმნოს რუსულად.

➤ 7873

### 1938 ან შემდეგ

ადგენს საკუთარი ფოტოსურათებისა და მხატვართა მიერ დახატული თავისი პორტრეტების ჩამონათვალს.

➤ 7874

### 1938 ან შემდეგ

კითხულობს რუსულ კრებულს „საბჭოთა საქართველო 17 წლის მანძილზე“. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 7875

### 1938 ან შემდეგ

კითხულობს ალექსანდრე მაყაშვილის შედგენილ სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგიის ნაკვეთს „მემცენარეობა“. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად ნათარგმნ თითქმის ყველა მცენარის დასახელებასა თუ ტერმინს უსადაგებს რითმებს.

➤ 7876

### 1938 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს: „აზრი, რომელიც ახლავს / ამ სათესსა და სახნავს, / შუქი, რომელიც ათბობს / აყვავილებულ ბაღნარს“.

➤ 7877

### 1938 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს: იყო სისხლი და ტალახი, / იყო ლავი, / გულთა შორის საკავშირო / გაწყდა ძაფი“.

➤ 7878

\* \* \*

### 1938 შემდეგ

კითხულობს ვლადიმირ სვიატლოვსკის წიგნს „მშობლიური კურორტები“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. იგონებს, რომ ზაჰესის გახსნის დროს თბილისში ისე დაშრა მტკვარი, რომ ფეხით გადასვლა შეუძლებოდა და მდინარის ნაგუბრებში ხელით იჭერდნენ თევზებს. ეს ისეთი ლამაზი სანახავი იყო, რომ ზავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

➤ 7879

## 1939

### ი ა ნ ვ ა რ ი

1939

1 იანვარი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ აქვეყნებს ლექსს „გახსოვდეს მარად!“.

➤ 7880

1939

1 იანვარი

მიდის სტამბაში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ საახალწლო ნომრის ასაღებად, სადაც სტამბის ახალგაზრდა თანამშრომელი აღტაცებას გამოხატავს მისი ლექსებით.

➤ 7881

1939

1 იანვარი

გახარებულია იმ ფაქტით, რომ გაზეთების „მუშა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ფიზკულტურელი“ და „ვეჩერნი ტბილისი“ საახალწლო ნომრებში დაბეჭდილია მისი ლექსები, თუმცა გულდაწყვეტილია იმით, რომ გაზეთში „მუშა“ მისი სახელი დამახინჯებულია, ლექსის სტრიქონები კი – არეული. გეგმავს გაზეთების – „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“ – რედაქციების „მონადირებასაც“.

➤ 7882

1939

1 იანვარი

საღამოთი სტუმრობს პოეტ კალე ბობოხიძის ოჯახს. იქ მყოფნი პატივით ეპყრობიან და უქებენ პრესაში დაბეჭდილ ახალ ლექსებს. ერთ-ერთი სტუმარი ამბობს, რომ გაზეთში „მუშა“ დაბეჭდილი გალაკტიონის ლექსი, ერთი შეხედვით, უბრალოა, მაგრამ აზრის სიღრმით საოცარია. ამ სიტყვებზე გალაკტიონს ახსენდება, რომ აკაკი გაწერელიამაც მსგავსი მოსაზრება გამოთქვა მის პოეზიაზე.

➤ 7883

1939

1 იანვარი

კინოოპერატორი, რომელიც გალაკტიონს კალე ბობოხიძესთან სტუმრად ყოფნისას ფირზე იღებდა, ეუბნება, რომ მისთვის ეს დიდი პატივი იყო.

➤ 7884

1939

1 იანვარი

კალე ბობოხიძესთან სტუმრად მყოფი ელიზბარ პოლუმორდვინოვი იგონებს, როგორ აჩუქა გალაკტიონის პირველი წიგნი 1914 წელს ერთ მოჯამაგირეს.

➤ 7885

1939

1 იანვარი

კალე ბობოხიძე აქებს გალაკტიონს და მას მაიაკოვსკიზე მაღლა აყენებს.

➤ 7886

1939

1 იანვარი

კალე ბობოხიძესთან სტუმრობისას იქ მყოფი მწერალი მარიამ გარიყული კითხულობს გალაკტიონის ლექსს.

➤ 7887

1939

1 იანვარი

ტელეფონით ურეკავს ქეთო ჭირაქაძე და ეუბნება, რომ ის და მისი მეგობრები გალაკტიონის ლექსებს კითხულობენ.

➤ 7888

1939

1 იანვარი

კალე ბობოხიძესთან სტუმრად მყოფი კრიტიკოსი ლავროსი კალანდაძე ამბობს, რომ გალაკტიონმა კვანტი გამოუდო კრიტიკოსებს, რომლებიც მის ადრეულ ლექსებს იწუნებენ. პოეტმა სწორედ ეს ლექსები წაიკითხა თავის საღამოზე და პუბლიკის აღტაცება გამოიწვია.

➤ 7889

1939

1 იანვარი

კალე ბობოხიძესთან სტუმრობისას გიორგი ქუჩიშვილი გაოცებულია იმით, რომ გალაკტიონი ღვინოს არ სვამს.

➤ 7890

1939



## 1 იანვარი

საღამოთი მიდის კინოთეატრში, სადაც პაპიროსის მოკიდებას სთხოვს ახალგაზრდებს. ისინი ერთმანეთს ასწრებენ პოეტისათვის ასანთის შეთავაზებას და. გალაკტიონს სიამოვნებს მათი ყურადღება.

➤ 7891

1939

## 1 იანვარი

დღის შთაბეჭდილებებს აჯამებს უბის წიგნაკში. აღტაცებულია მისდამი საზოგადოების გულითადი დამოკიდებულებით. მართალია, ზოგიერთისგან გრძნობს „არც მწვადისა და არც შამფურის დაწვის პოლიტიკას“, მაგრამ მაინც სჯერა, ახალი წელი მისთვის ტრიუმფით დაიწყო და საჭიროა გამარჯვებების გაღრმავება მთელი წლის განმავლობაში.

➤ 7892

1939

## 2 იანვარი

დილით შედის სასაუზმეში და ესმის, როგორც ჩურჩულებენ მის სახელს. თავს უხერხულად გრძნობს მის მიმართ გამოვლენილი ყურადღების გამო, თუმცა თან სიამოვნებს კიდევ.

➤ 7893

1939

## 2 იანვარი

მწერალთა კავშირში ხვდება შალვა დადიანი, რომელიც შესჩივის, რომ ერთი დღის წინ დაბრუნდა ბაქოდან, სადაც მირზა ფათალი ახუნდოვის ხსოვნის საღამოში მიიღო მონაწილეობა. გალაკტიონს უკვირს მისი სიტყვები, ყველას ჭყონდიდელი მე ხომ არ ვიქნებიო. პოეტი ფიქრობს, რომ შალვა დადიანი ჭყონდიდელი კი არა, არტისტია და გულწრფელად ებრალება იგი, რადგან სინამდვილეში უბედური ადამიანია და ბევრის გადატანა უწევს სტოიკური სიდინჯითა და არტისტული ნიღბით. უბის წიგნაკში ინიშნავს, გამოარკვიოს, რა აკავშირებს მას ალიო მაშაშვილთან.

➤ 7894

1939

## 2 იანვარი

ესმის მბეჭდავი ქალების ნათქვამი, რომ 1939 ბედნიერი წელი იქნება, რადგან მასში ციფრი ცხრა ურევია და უბის წიგნაკში ინიშნავს მათ სიტყვებს.

➤ 7895

1939

## 2 იანვარი

ებრალება შალვა რადიანი, რომელსაც, როგორც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს, მწერალთა საყვედურების მოსმენა უწევს. ფიქრობს, რომ რადიანი ნამდვილად ცუდ დღეშია, რადგან მარქსისტული კრიტიკის წარმომადგენლად ასაღებს თავს, კვლევის ეს მეთოდოლოგია კი ჯერჯერობით დაუმუშავებელია.

➤ 7896

1939

## 2 იანვარი

ესაუბრება ლევან ასათიანსა და შალვა რადიანს. ასათიანი საკუთარ თავზე იღებს სახელმწიფო კონსერვატორიაში გალაკტიონის პოეზიის საღამოს ორგანიზებას. მუსიკალური ნაწილის

დაგეგმვა ევალება ნიკოლოზ ჩაჩავას, რომელიც ადგენს ღონისძიების გეგმას. საღამოს ნიშნავენ 11 იანვარს.

➤ 7897

1939

2 იანვარი

გალაკტიონი მიდის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც საღამოს გასამართად 11 იანვრისათვის ჯავშნის დარბაზს.

➤ 7898

1939

2 იანვარი

სიკო ფაშალიშვილი გალაკტიონის უკანასკნელი ლექსების თაობაზე გაზეთ „კომუნისტის“ ასოთამწყობ ვანო ბერიკაციშვილს ეუბნება, ამ ლექსებში ნამდვილი გალაკტიონი ჩანსო. ვანო, რომელიც ჯერ კიდევ „არტისტული ყვავილების“ გამოცემაში იღებდა მონაწილეობას, კარგად იცნობს გალაკტიონს და სიამოვნებით გადასცემს მას სიკო ფაშალიშვილის აზრს.

➤ 7899

1939

2 იანვარი

მთარგმნელი ბორის სერებრიაკოვი მოუთხრობს, რომ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორმა საყვედური გამოუცხადა თანამშრომლებს, რადგან მათ ვერ შეძლეს გაზეთის საახალწლო ნომრისათვის გალაკტიონის ლექსის მოპოვება, ისე, როგორც ეს მოახერხა გაზეთ „ვეკერნი ტბილისის“ რედაქციამ.

➤ 7900

1939

2 იანვარი

კონსერვატორიაში ხვდება ელენე ბაქრაძეს და ქალის დაჟინებული თხოვნით ერთად მიდიან ქეთევან მაღალაშვილთან. მასპინძელი და ელენე ღვინოსა და ლიქიორს სთავაზობენ, რაზეც გალაკტიონი თავაზიან უარს ამბობს. მხატვარი იწყებს გალაკტიონის პორტრეტზე მუშაობას. პარალელურად, პოეტი ელენესთან ერთად იხსენებს 1916 წელს, მოსკოვში ერთად ყოფნის პერიოდს, იქ გამართულ თავის პოეზიის საღამოს და იმას, თუ როგორ გულშემატკივრობდა ქალი. ამის გამო ელენემ ტიციან ტაბიძისაგან საყვედურის წერილიც კი მიიღო. გალაკტიონი აკვირდება ელენეს საქციელს, მის საუბარს, შინ დაბრუნების შემდეგ კი დღიურში წერს: „მე ძალიან კარგად ვგრძნობ, რომ ელიკოს ვუყვარვარ... ელიკოს მე ვუყვარვარ... და ვუყვარდი ჯერ კიდევ ოცი წლის წინად!“.

➤ 7901

1939

2 იანვარი

სიმონ წვერავა გეგმავს იანვრის თვეში მასწავლებელთა კლუბში ჩაატაროს გალაკტიონის საღამო, მომხსენებლად ვარაუდობს კონსტანტინე კაპანელს და ამის შესახებ ეუბნება გალაკტიონს.

➤ 7902

1939

3 იანვარი

პოეტური მოღვაწეობის 30 წლისთავის აღსანიშნავად მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში სვამს საკითხს ლიტერატურული ფონდიდან გალაკტიონ ტაბიძისთვის სამი ათასი მანეთის ოდენობით ერთჯერადი დახმარების მიცემის შესახებ.

➤ 7903

1939

**3 იანვარი**

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური მოღვაწეობის 30 წლისთავის თარიღის აღსანიშნავად შემდგარი მწერალთა კავშირის კომისია შუამდგომლობას აღძრავს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე მისთვის პერსონალური პენსიის გადიდებისა და ლიტერატურული ფონდიდან 3 ათასი მანეთის ოდენობით ერთჯერადი ფულადი დახმარების გამოყოფის შესახებ.

➤ 7904

1939

**3 იანვარი**

ისევ სტუმრობს ქეთევან მაღალაშვილის სახელოსნოს, სადაც მასპინძელი მის პორტრეტს ხატავს. მოხიბლულია მაღალაშვილის კეთილშობილური, არისტოკრატიული გარეგნობით.

➤ 7905

1939

**3 იანვარი**

მიდის მწერალთა სასახლეში, სადაც ესაუბრება ლევან ასათიანს და ნიკოლოზ ჩაჩავას. მათთან ათანხმებს, რომ 11 იანვარს კონსერვატორიაში ჩატარდება მისი საღამო. ლევან ასათიანი საღამოში მონაწილეობაზე ითანხმებს შალვა დადიანს.

➤ 7906

1939

**3 იანვარი**

მწერალთა სასახლეში ხვდება მოსკოვიდან ჩამოსულ ბესარიონ ჟღენტს, რომელიც აცნობებს, რომ გალაკტიონის წიგნი სავარაუდოდ აპრილში გამოვა და მოსკოვში აპირებენ მისი საღამოს მოწყობასაც.

➤ 7907

1939

**3 იანვარი**

ესწრება მწერალთა კავშირთან არსებულ მუშა მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის კრებას.

➤ 7908

1939

**3 იანვარი**

საღამოს სტუმრობს ანდრია ბალანჩივაძეს. მასპინძლები სუფრას უშლიან, თუმცა გალაკტიონი საჭმელ-სასმელზე უარს ამბობს. ანდრია ბალანჩივაძე ურჩევს, რომ საიუბილეო ღონისძიებაში ჩართოს კომპოზიტორთა კავშირი და პროგრამიდან ამოიღოს ვოკალური განყოფილება. გალაკტიონს ჭკუაში უჯდება მისი რჩევა.

➤ 7909

1939

**3 იანვარი**

მიდის საპარიკმახეროში.

➤ 7910

1939

**3 იანვარი**

მიდის თეატრალურ მუზეუმში, სადაც იწერენ მის ხმას. კითხულობს ლექსს „მთვარის ნაამბობიდან“.

➤ 7911

**1939**

**3 იანვარი**

ლამის 12 საათზე ბრუნდება სახლში და უბის წიგნაკში იწერს განვლილი დღის შთაბეჭდილებებს.

➤ 7912

**1939**

**4 იანვრამდე**

რამდენჯერმე ნახულობს უნგრელ რეჟისორ გერმან კოსტერლიცის მუსიკალურ კომედიას „პეტერ“, რომელშიც მსახიობი ფრანჩესკა გაალი მონაწილეობს.

➤ 7913

**1939**

**4 იანვარი**

მიდის კინოთეატრში და კიდევ ერთხელ ნახულობს ფილმს „პეტერ“, უნგრელ მსახიობ ფრანჩესკა გაალის მონაწილეობით. დარბაზში ხვდება ალექსანდრე ქუთათელს, რომელიც უნიჭო კაცად მიაჩნია.

➤ 7914

**1939**

**4 იანვარი**

იღებს ოლია ოკუჯავას წერილს იაროსლავიდან.

➤ 7915

**1939**

**4 იანვარი**

გალაკტიონის სადამოს ჩატარების ადგილი იცვლება. ღონისძიება კონსერვატორიის ნაცვლად უნდა ჩატარდეს რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. ამ ფაქტთან დაკავშირებით პოეტი ხვდება დირიჟორ ალექსანდრე გველესიანს და კომპოზიტორებს ანდრია ბალანჩივაძესა და ივანე გოკიელს.

➤ 7916

**1939**

**4 იანვარი**

მიდის მხატვარ ქეთევან მაღალაშვილის სახელოსნოში, რომელიც აგრძელებს მის პორტრეტზე მუშაობას. გალაკტიონი უყვება სემინარიაში სწავლის პერიოდის ამბებს, საუბრობენ კლასიკურ და თანამედროვე ხელოვნებაზე.

➤ 7917

**1939**

**4 იანვარი**

მწერალთა სასახლეში ხვდება მერი მიქელაძე და უყვება, რომ რკინიგზის სკოლაში ვიღაც მასწავლებელს, გვარად მშვენიერაძეს გალაკტიონი გაუვიცხავს და გაკვირვება გამოუხატავს, როგორ უხდინან იუბილეს კაცს, რომელმაც ლენინის ორდენი დაკარგა. მერი მიქელაძე ფიქრობს, რომ აუცილებელია მწერალთა კავშირის მდივნის საქმის კურსში ჩაყენება. ამასვე ურჩევს პოეტს პოლიკარპე კაკაბაძეც, გალაკტიონი კი ამბობს, რომ ეს მასწავლებელი პროვოკატორი ჩანს და ინციდენტის გახმაურება არ ღირს.

➤ 7918

1939

### 5 იანვარი

დილით ვერის ხიდზე ხვდება მთარგმნელ კონსტანტინ ბოგდანოვსკის, რომელიც უკითხავს ლექსის „გამბედაობა“ მის მიერ შესრულებულ ახალ თარგმანს. პოეტი კმაყოფილია თავისი ლექსის თარგმანითაც, დეკლამაციითაც და ფიქრობს, რომ ესაა დასტური იმისა, როგორ შეიძლება ნისლიან ამინდშიც კი ლექსი სიხარულზე მღეროდეს.

➤ 7919

1939

### 5 იანვარი

სახელოსნოში მიდის მხატვარ ქეთევან მაღალაშვილთან, რომელიც აგრძელებს მუშაობას პოეტის პორტრეტზე და სთხოვს, რომ თავი და სახე კარგად დაიჭიროს, რადგან სხვანაირად შედეგს ვერ მიაღწევენ, გალაკტიონს კი გული უგრძობს, რომ პორტრეტი კარგი გამოვა. მხატვარი მოუთხოვს, რომ იცნობდა ერთ ახალგაზრდა გურულს, სახელად ტოგოს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა გალაკტიონის ლექსები. პოეტი კი უყვება ლექსის – „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ქარო“ – შექმნის ისტორიას. მისი თქმით, ეს ლექსი წყალტუბოში პაპიროსის კოლოფზე დაუწერია, შემდეგ არ მოსწონებია, დაუხევია და გადაუყრია. ვიღაც ქალს ეს ნაგლეჯები ერთმანეთისთვის შეუწებებია და გალაკტიონის ლექსი პოპულარულ ლექსად ქცეულა. მოუთხოვს აგრეთვე აკაკი წერეთელთან შეხვედრის შესახებ 1912 წელს, როდესაც მხცოვანმა პოეტმა ლექსის კითხვის თავისებური მანერის გამო გალაკტიონს ჰკითხა, რაჭველი ხომ არ ბრძანდებითო. გალაკტიონი ასევე იხსენებს სოხუმში სალიტერატურო სადამოზე მთარგმნელ პანტელეიმონ პეტრენკოს მიერ მისი ლექსის ერთი თარგმანის წაკითხვის დროს გამოწვეულ გაუგებრობას. სადამოზე დამსწრე ერთ რუსს არასწორად გაუგია რომელიღაც ფრაზა და ძლივს მოუხერხებიათ მისი დაშოშმინება. გალაკტიონს მოსწონს ქეთევან მაღალაშვილის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად ვლადიმერ მაიაკოვსკის მკაცრი გამომეტყველებისა, მის გარეგნობაში იყო რაღაც ბავშვური, გულუბრყვილო და ლირიკული.

➤ 7920

1939

### 5 იანვარი

გაზეთი „ვეჩერნი ტბილისი“ აქვეყნებს ცნობას, რომ იანვრის შუა რიცხვებში თბილისის მასწავლებელთა სახლში გაიმართება დიდი სადამო, მიძღვნილი გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი. აქვეა ცნობა იმის შესახებაც, რომ იანვარშივე ფოთის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით გალაკტიონ ტაბიძის სადამო ფოთშიც ჩატარდება.

➤ 7921

1939

### 6 იანვარი

ფილარმონიაში ესწრება სომეხი კომპოზიტორის – კომიტასის სახელობის კვარტეტის კონცერტს და უბის წიგნაკში იწერს ცნობებს ბერობაში კომიტასად წოდებული ცნობილი სომეხი მუსიკოსისა და ფოლკლორისტის სოლომონ სოლომონიანის შესახებ, რომ იგი იყო სასულიერო პირი, რომელიც კრებდა ფოლკლორს და თავადაც მღეროდა, ბოლოს წავიდა საზღვარგარეთ და იქ გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით გალაკტიონს ახსენდება კათოლიკოს პატრიარქი ამბროსი ხელაიას სასამართლო პროცესის დამსწრე ერთი სომხის მონათხრობი. მისი თქმით, მოსამართლის მიმართვაზე: „განსასჯელო ხელაია“ იგი არ რეაგირებდა და მხოლოდ მას შემდეგ გასცა პასუხი, როცა „კათალიკოს ამბროსიდ“ მოიხსენია, თავისი ქცევა კი ასე ახსნა, რომ ის ერისკაცობაში იყო ხელაია, ახლა კი კათალიკოსი ამბროსია.

➤ 7922

1939

6 იანვარი

დიმიტრი უზნაძე გალაკტიონს ულოცავს ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს.

➤ 7923

1939

7 იანვარი

მიდის მწერალთა სასახლეში, სადაც საშინელი სიცივეა. მხოლოდ ერთ ოთახში ანთია ბუხარი და გარს უსხედან მწერლები, რომლებიც მუსიკაზე საუბრობენ. გალაკტიონი უზიარებს მათ წინა დღეს ფილარმონიაში გამართული კონცერტის შთაბეჭდილებებს. ილია ადლამე გამოთქვამს აზრს, რომ სომხურ, ისევე როგორც ინგლისურ მუსიკას, ერთხმოდანი ჰანგი ახასიათებს. მწერლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ ფაქტით, რომ რუსები ოჯახებით ჩამოდიან თბილისში და აქვე რჩებიან, რადგან საქართველო ძალიან მოსწონთ. ხარიტონ ვარდოშვილი ამბობს, რომ გურია სავსეა რუსებით, ვიქტორ გაბესკირია კი იგონებს სამეგრელოში ნანახს და გაგონილს, როგორ აგინებდა ერთი რუსის ბიჭი მეორეს მეგრულად. ილია ადლამის თქმით, რუსები რაჭაშიც მრავლად არიან. შემდეგ მწერლები იწყებენ ქართულ პოეზიაზე საუბარს. ვიქტორ გაბესკირია იწონებს გალაკტიონის ლექსებს და აბსურდულობის გამო იწუნებს სიმონ ჩიქოვანის პოეზიას. ეხებიან ჯეკ ლონდონისა და თეოდორ დრაიზერის შემოქმედებას. ლეო ქიაჩელი შალვა რადიანს ეუბნება, რომ ბევრი კრიტიკოსი წიგნის წაუკითხავად გამოთქვამს მასზე აზრს. გალაკტიონს ეუბნებიან, რომ იგი უკეთეს საიუბილეო საღამოს იმსახურებდა. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოდის იონა ვაკელი, რომელსაც ცალი კალოში ავტობუსში დაუკარგავს. გალაკტიონს ახსენდება, რომ მას არ აქვს კალოში და პალტოც დაუძველდა, თუმცა თავს რუსთველის სიტყვებით იმშვიდებს, – „თუ თავის შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“.

➤ 7924

1939

8 იანვარი

ხვდება მიხეილ ლობჯანიძე, რომელიც გულითადად ულოცავს ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს.

➤ 7925

1939

8 იანვარი

მთავლიტის თანამშრომელი გალაკტიონის საღამოს აფიშაზე პოეტის სახელში გრაფემა „კ“-ს „ქ“-თი ცვლის, რაც გალაკტიონის განრისხებას იწვევს. ის ფიქრობს, რომ მთავლიტის საქმე არ არის მისი სახელის გამოცვლა.

➤ 7926

1939

8 იანვარი

მიდის ლიტერატურულ ფონდში, სადაც ეუბნებიან, რომ კუთვნილ ჰონორარს 3000 მანეთს ერთიანად ვერ მისცემენ და როდესაც ამის შესაძლებლობა ექნებათ, ნაწილ-ნაწილ აუნაზღაურებენ.

➤ 7927

1939

8 იანვარი

ბესარიონ ჟღენტი აიძულებს, რომ მისი წიგნი რუსულ ენაზე მიმდინარე წელს გამოიცემა და აქებს მთარგმნელ ნიკოლაი ტიხონოვს. იხსენებს, როგორ წაიკითხა მან გალაკტიონის ლექსები 1934 წელს მოსკოვში მწერალთა ყრილობაზე და როგორი აღტაცება გამოიწვია ამ თარგმანებმა.

➤ 7928

**1939**

**8 იანვარი**

აღშფოთებულია იმის გამო, რომ სახელმწიფო საკონცერტო ორგანიზაციას მიაქვს მისი საღამოს შემოსავლის 30 პროცენტი და ბევრი ბილეთი.

➤ 7929

**1939**

**8 იანვარი**

ხვდება იოსებ გრიშაშვილი და გალაკტიონის ყურადღებას იქცევს იმით, რომ მდაბლად უკრავს თავს.

➤ 7930

**1939**

**9 იანვარი**

მონაწილეობას იღებს საკუთარი საიუბილეო საღამოს აფიშის დამზადებაში. კმაყოფილია ნამუშევრის ორიგინალურობითა და გაზაფხულის ფერებით. მთავლიტის თანამშრომელი კითხულობს, რატომ აწერია აფიშას „გალაკტიონი“ და არა „გალაქტიონი“, რაზეც პოეტი პასუხობს, რომ დედამ გალაკტიონი დაარქვა და ასე აწერდა მუდამ ხელს. მთავლიტის რწმუნებული კიდევ რამდენიმე შეკითხვას უსვამს და ბოლოს მოზოდიშების კილოთი ამბობს, რომ სულ რამდენიმე დღეა, რაც დაინიშნა თანამდებობაზე და ცდილობს კარგად გაერკვეს საქმეში.

➤ 7931

**1939**

**9 იანვარი**

ქუჩაზე გადასვლისას მანქანის დაჯახებისგან ბეწვზე გადაარჩენს მიშა ლობჟანიძე, რომელიც დროულად შეაჩერებს. ლობჟანიძე გაკვირვებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ გალაკტიონი თავის საიუბილეო საღამოზე ძალიან მორცხვად კითხულობდა ლექსებს. პოეტი პასუხობს, რომ იგი, ბუნებით მორცხვია და თან იმ დღეს დელავდა. თანამოსაუბრე ამბობს, რომ პოეტს საზოგადოდ უხდება სიმორცხვე, მაგრამ გალაკტიონი დასძენს, რომ არა ყოველთვის.

➤ 7932

**1939**

**10 იანვრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს ელენე ქართველიშვილის და ქეთევან მაღალაშვილის მისამართებს.

➤ 7933

**1939**

**10 იანვარი**

დილით აკრავენ აფიშებს გალაკტიონის შემოქმედებითი საღამოს შესახებ, რომლის ჩატარებაც დაგეგმილია რუსთაველის თეატრში.

➤ 7934

**1939**

**10 იანვარი**

რუსთაველის თეატრის დირექტორი პოლიკარპე მურღულია ეუბნება, რომ 12 იანვრისთვის თეატრი სადღესასწაულოდ ექნება მოწყობილი.

➤ 7935

**1939**

**10 იანვარი**

ლევან ასათიანი უკავშირდება გალაკტიონის პოეზიის სადამოში მონაწილე მწერლებს და შეახსენებს ღონისძიების ჩატარების დროს.

➤ 7936

**1939**

**10 იანვარი**

გალაკტიონის საიუბილეო ღონისძიების ბილეთები ნაწილობრივ გაყიდულია.

➤ 7937

**1939**

**10 იანვარი**

გიორგი ქუჩიშვილი, კალე ბობოხიძე და ელენე შერი თანხმობას აცხადებენ, მონაწილეობა მიიღონ გალაკტიონის სადამოში.

➤ 7938

**1939**

**10 იანვარი**

გალაკტიონი პოულობს პირს, რომელიც ღონისძიების ჩატარების დღეს გაყიდის პოეტის წიგნებსა და სურათებს.

➤ 7939

**1939**

**10 იანვარი**

მიღებაზეა პროფკავშირების პარტკომის მდივანთან, რომელიც განკარგულებას გასცემს, რომ შეიძინონ გალაკტიონის სადამოს ბილეთები.

➤ 7940

**1939**

**10 იანვარი**

გახარებულია იმით, რომ მისი საიუბილეო ღონისძიების აფიშებს ხალხი ინტერესით ეხვევა.

➤ 7941

**1939**

**10 იანვარი**

გზად ხვდება მწერალი გრიგოლ მაჭავარიანი, რომელიც ეუბნება, რომ აუცილებლად დაესწრება მის სადამოს.

➤ 7942

**1939**

**10 იანვარი**

გულდაწყვეტილია იმის გამო, რომ მწერალთა კავშირის მხრიდან ვერ ხედავს მისი საიუბილეო ღონისძიებით დაინტერესებას.

➤ 7943



**1939**

**10 იანვარი**

იმის გამო, რომ შალვა დადიანი ორჭოფობს გალაკტიონის საღამოში მონაწილეობაზე, გალაკტიონი ფიქრობს, ხომ არ მოძებნოს მისი შემცვლელი.

➤ 7944

**1939**

**10 იანვარი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მოსაგვარებელია ღონისძიების საორგანიზაციო საკითხები, კერძოდ მუსიკალური განყოფილების საქმე და დარბაზის გათბობისა და განათების საკითხი.

➤ 7945

**1939**

**10 იანვარი**

არჩევს პოეზიის საღამოზე წასაკითხ ლექსებს.

➤ 7946

**1939**

**10 იანვარი**

გაზეთ „კომუნისტში“ ქვეყნდება ცნობა, რომ თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული წრის ინიციატივით იანვრის შუა რიცხვებში ეწყობა დიდი ლიტერატურული საღამო მიძღვნილი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ პედაგოგები, მწერლები და მოსწავლეები. გალაკტიონ ტაბიძის საღამოები ჩატარდება ასევე ფოთში.

➤ 7947

**1939**

**11 იანვარი**

მწერალთა კავშირში გალაკტიონის საიუბილეო საღამოს მთავარ მომხსენებლად არჩევენ ბესარიონ ჟღენტს. გალაკტიონი კმაყოფილია, რადგან მიაჩნია, რომ ის იშვიათი ორატორი და კულტურული ადამიანია.

➤ 7948

**1939**

**11 იანვარი**

რუსთაველის თეატრის დირექტორი პოლიკარპე მურღულია და მხატვარი ირაკლი გამრეკელი გალაკტიონს უსრულებენ დანაპირებს და ამზადებენ ღონისძიების დიდ პლაკატს.

➤ 7949

**1939**

**11 იანვარი**

მხატვარ დავით გველესიანს პორტრეტისათვის უკვეთავს ჩარჩოს.

➤ 7950

**1939**

**11 იანვარი**

ლევან ასათიანი ეუბნება, რომ მწერლები დარაზმული ჰყავს საღამოში მონაწილეობის მისაღებად.

➤ 7951

**1939**

## 11 იანვარი

გაზეთში „მუშა“ ქვეყნდება ცნობა, რომ 12 იანვარს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო.

➤ 7952

1939

## 11 იანვარი

უბის წიგნაკში ინიშნავს მხატვარ დავით გველესიანის აზრს ალიო მამაშვილზე. მას მამაშვილი პუშკინის სიტყვებით დაუხასიათებია: „ჩვენ ყველას ნულეზად ვთვლით, საკუთარი თავი კი ერთიანები გვგონიაო“.

➤ 7953

1939

## 11 იანვარი

ლონისძიების შესახებ ტელეფონით ესაუბრება გაზეთების: „მუშა“, „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ვეჩერნი ტბილისი“ რედაქციებს და კმაყოფილია მათი გულითადი დამოკიდებულებით.

➤ 7954

1939

## 12 იანვარი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში ტარდება გალაკტიონის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც შესავალი სიტყვით ხსნის შალვა დადიანი. სიტყვებით გამოდიან: ლევან ასათიანი, გიორგი ქუჩიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ალიო მამაშვილი, კალე ბობოხიძე, რიურიკ ივნივი. გალაკტიონის ლექსების რუსულ თარგმანს კითხულობენ ბორის სერებრიაკოვი და ელენე შერი. ანდრია ბალანჩივაძე ასრულებს გალაკტიონის ტექსტებზე დაწერილ მუსიკალურ კომპოზიციებს. თავად გალაკტიონი კითხულობს „მე და ღამესა“ და „მთაწმინდის მთვარეს“. პოეტი ძალიან კმაყოფილი რჩება ღონისძიებით, მაგრამ დიდ დადლილობას გრძნობს.

➤ 7955

1939

## 12 იანვარი

აღშფოთებულია მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე მწერალთა კავშირის მდივნის ალიო მამაშვილის ქცევით. გალაკტიონის ეჭვით, მას სურდა თავად გაეხსნა საღამო და რადგან ეს პატივი შალვა დადიანს ერგო, გამომწვევად დაჯდა პარტერის პირველ რიგში, საღამოს დასრულების შემდეგ კი გალაკტიონს წაჰკბინა, კარგად გხსომებია ძველი ლექსებიო.

➤ 7956

1939

## 12 იანვრის შემდეგ

ლონისძიებაზე ალიო მამაშვილის ქცევით გულმოსული გალაკტიონი ქმნის ეპიგრამას: „ალიომ უთხრა ილიოს...“, რომელიც სწრაფად ვრცელდება.

➤ 7957

1939

## 13 იანვრის შემდეგ

ჟურნალში „ჩვენი თაობა“ იბეჭდება ერემია ასტვაცატუროვის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“. ავტორი აღნიშნავს, რომ პოეტი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა 1905 წლის რევოლუციის

დამარცხების დროს და პესიმიზმმა შეიპყრო, რადგან პირველ აღფრთოვანებას მოჰყვა უიმედობა, მით უფრო, რომ ის განიცდიდა ფრანგი და რუსი სიმბოლისტების გავლენას. პოეტი ფიქრობს, რომ ის არის „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“ და განახლების პერსპექტივას ვეღარ ხედავს. ადარებს ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელიც 1832 წლის შეთქმულების დამარცხების გამო მარტოობაში ემებდა ხსნას. გალაკტიონის ადრინდელი პოეზიის სისუსტედ მიიჩნევს, რომ არ ესმოდა რევოლუციის გარდაუვალობა და გამარჯვება, მაგრამ სხვა დეკადენტ-სიმბოლისტებისგან განსხვავებით, ფარულად ატარებდა იმედის ნაპერწკალს. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართველ პოეტებში პირველმა აღმართა თავისუფლების დროშა და სათავე დაუდო მებრძოლ პოეზიას. ამიტომ მისი შემოქმედება მეოცე საუკუნის პოეტური კულტურის სათავეა და სალიტერატურო მოღვაწეობის 30 წლისთავზე კვლავ ახალგაზრდული ენერგიით ქმნის პოეზიის ახალ ნიმუშებს.

➤ 7958

1939

14 იანვარი

გაზეთ „კომუნისტში“ ქვეყნდება ცნობა გალაკტიონის შემოქმედებითი სადამოს ჩატარების შესახებ.

➤ 7959

1939

14 იანვარი

ავად ხდება გრიპით.

➤ 7960

1939

14 იანვრის შემდეგ

გრიპით დაავადებულ გალაკტიონს არ აქვს საშუალება საავადმყოფოში იმკურნალოს და შინ რჩება. შეშის არქონის გამო ხშირად ცეცხლის დანთებას და სახლის გათბობასაც ვერ ახერხებს, რის გამოც ავადმყოფობა ურთულდება და ვეღარ მუშაობს.

➤ 7961

1939

იანვრის შუა რიცხვები

შეხვედრას უწყობს თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული წრე. მოხსენებით პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოდის ი. ხალიფაშვილი. გალაკტიონი კითხულობს ლექსებს „მერი“, „მე და ღამე“ და „მხარი მხარს“. ახალგაზრდების კითხვაზე, რა არის მისი შთაგონების წყარო, პოეტი პასუხობს: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

➤ 7962

1939

15 იანვრის შემდეგ

გარკვეული დროის განმავლობაში ხდება უკიდურესად დამოკიდებული სასმელზე. არყის სმისას ხელები ისე უკანკალებს, რომ სასმელი ეღვრება. ამის შემყურე კახელი გლეხი თანაგრძნობით ეუბნება, რომ ასეთ ახალგაზრდა კაცს ასეთი რამ არ უნდა სჭირდეს.

➤ 7963

1939

15 იანვრის შემდეგ

მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი გალაკტიონის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო დროებით წყვეტს მის პორტრეტზე მუშაობას.

➤ 7964

1939

**15 იანვრის შემდეგ**

გალაკტიონისაგან მიაქვთ მასალები ქართული ლიტერატურის სომხურ ენაზე გამოსაცემი ანთოლოგიისათვის.

➤ 7965

1939

**15 იანვრის შემდეგ**

გალაკტიონის ლექსზე „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალ ქარო...“ კომპოზიტორი ბიძინა ლოდობერიძე ქმნის სიმღერას.

➤ 7966

1939

**15 იანვრის შემდეგ**

ყიდულობს შეშას და ეზოდან სახლში მისი აზიდვისას მარჯვენა ხელის თითს იზიანებს. თითი უსივდება და თითქმის მთელი თვის განმავლობაში ვერ წერს.

➤ 7967

1939

**15 იანვრის შემდეგ**

ხშირად არის დეპრესიულ განწყობაზე, ეუფლება აპათია ყველაფრის მიმართ და ნელნელა შორდება მწერალთა კავშირს.

➤ 7968

1939

**16 იანვრის შემდეგ**

ჟურნალში „ოქტომბრელი“ მინაწერით „საყვარელი მწერლის საყვარელი სიტყვები“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის სტროფი უსათაურო ლექსიდან „დრო თავის შალაშინით...“, ფაქსიმილე, ფოტო და სოლომონ ცაიშვილის ბიოგრაფიული წერილი „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 7969

1939

**16 იანვრის შემდეგ**

ჟურნალში „ოქტომბრელი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „საახალწლო“.

➤ 7970

1939

**20 იანვრამდე**

ოლია ოკუჯავას იაროსლავლში უგზავნის 200 მანეთს.

➤ 7971

1939

**20 იანვრის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი აღწერს მშვენიერ დილას, რომელმაც გალაკტიონის ლექსი გაახსენა ატმის ყვავილებზე. სწერს, რომ მიიღო მისგან 200 მანეთი. სთხოვს, კარგად შეინახოს თავისი ძველი ფოტოები, რომ არ დაეკარგოს. გამოთქვამს სრულ რწმენას, რომ გალაკტიონი მას არასოდეს ატკენს გულს.

➤ 7972

1939

**22 იანვარი**

არის მხატვარ ქეთევან მაღალაშვილთან, რომელიც ხატავს მის პორტრეტს. მათთან ერთადაა ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილი, რომელმაც ისინი ერთმანეთს გააცნო.

➤ 7973

1939

**23 იანვარი**

წერილს იღებს ელენე ბაქრაძისგან. სწერს, რომ ის და ქეთევან მაღალაშვილი ელოდნენ. კარგი ღვინოც ჰქონდათ გასამასპინძლებლად. წუხილს გამოთქვამს, რომ წინა დღეს ხმა ჰქონდა წასული და ინტერესდება, ხომ კარგად არის. უხსნის, რომ სურათის დამთავრება მხატვრისთვის ისევე აუცილებელია, როგორც მისთვის ლექსის დამთავრება, მით უფრო, რომ გამოფენა ახლოვდება. რადგან მიმდინარე დღეს გალაკტიონის მისვლის იმედი აღარ აქვთ, სთხოვს, რომ მომდევნო დღეს აუცილებლად მივიდეს.

➤ 7974

**თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი**

1939

**5 თებერვლის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი წუხილს გამოთქვამს, რომ მისგან ჯერ კიდევ ამბავი არ გაუგია. სწერს, რომ ჯანმრთელობა ცოტა შერყეული აქვს. ატყობინებს, რომ ახლახან დაამთავრა ანა კარავაევას რომანის „ტყის გადამამუშავებელი ქარხანა“ კითხვა და აღფრთოვანებულია მხატვრული შედარებებით. მანამდე მეორედ წაიკითხა ალექსეი ნოვიკოვ-პრიბოის რომანი „ცუსიმა“, რომელიც ასახავს ადამიანთა ტანჯვას თვითმპყრობელობის პირობებში და უკვე იწყებს მაქსიმ გორკის წიგნის კითხვას მწერლების შესახებ.

➤ 7975

1939

**15 თებერვლამდე**

ქეთევან მაღალაშვილი და ელენე ქართველიშვილი ორჯერ აკითხავენ სახლში გალაკტიონს, წერილსაც უგზავნიან, რომ ქეთევანთან მივიდეს და პორტრეტი დაამთავრებინოს, მაგრამ პოეტი არ ეხმინება.

➤ 7976

1939

**15 თებერვალი**

ელენე ბაქრაძე წერილს უგზავნის გალაკტიონს. უხსნის, რამდენად მნიშვნელოვანია ქეთევან მაღალაშვილისთვის პორტრეტის დამთავრება, ის კი დაიკარგა და აღარ გამოჩნდა. სთხოვს, რომ დილიდანვე მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და ქეთევანთან წავიდეს.

➤ 7977

1939

**19 თებერვლის შემდეგ**

ვერა ბარდაველიძის წიგნის „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი“ დასაწყისში წერს, რომ შესაძლებელია, ყველა სარწმუნოებრივი ჩვევები მიმართული იყო ავი სულების წინააღმდეგ. საქონლის წველის გამრავლებასთან დაკავშირებით აინტერესებს, ხომ არ არსებობს ავი სული, რომელიც ხელს უშლის ზოგადად საქონლის და კერძოდ, ძროხის წველადობის მატებას.

➤ 7978

1939

### თებერვალი

მწერალთა კავშირის სამდივნოს დავალებით, საქმეთა მმართველი იროდიონ ქავჭავაძე წერილობით ატყობინებს, რომ ფოთში მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოს გამართვის შესახებ მოსალაპარაკებლად გამოცხადდეს სანდრო ეულთან.

➤ 7979

## მ ა რ ტ ი

1939

### 2 მარტის შემდეგ

წერს ლექსს „მაგრამ ის ჟღარუნის გაისმის სხვა ჩანგის...“.

➤ 7980

1939

### 4 მარტამდე

წერს ლექსს „ხმამაღლა“.

➤ 7981

1939

### 4 მარტამდე

წერს ლექსს „სუროშემოხვეული“.

➤ 7982

1939

### 4 მარტი

გაზეთში „საბჭოთა მასწავლებელი“ აქვეყნებს ლექსებს: „პირველი ენკენისთვე“, „ხმამაღლა“ და „სუროშემოხვეული“.

➤ 7983

1939

### 4 მარტი

გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი“ მთელ გვერდს უთმობს გალაკტიონის პოეზიას, მისადმი მიძღვნილ წერილებსა და ლექსებს. აქვე არის პოეტის პორტრეტი და ავტოგრაფი ლექსისა „საბჭოთა ხალხის გმირული ეპოქა იცავს ხელოვანს“.

➤ 7984

1939

### 4 მარტი

გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს: „სუროშემოხვეული“, „ხმამაღლა“ და „პირველი ენკენისთვე“.

➤ 7985

1939

### 4 მარტი

გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი“ ბეჭდავს სოლომონ ცაიშვილის წერილს „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც მიმოიხილავს პოეტის ცხოვრებისეულ და შემოქმედებით ბიოგრაფიას და აღნიშნავს, რომ გალაკტიონი იმ პოეტთაგანია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდანვე „უყოყმანოდ, მტკიცედ და მთელი თავისი პოეტური ხმის სიძლიერით“ დადგა მუშათა კლასის პოზიციაზე.

➤ 7986

1939

**4 მარტი**

გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი“ ბეჭდავს სავლე აბულაძის მიერ გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსს „გალაკტიონ ტაბიძეს“.

➤ 7987

1939

**4 მარტი**

გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი“ ბეჭდავს ვერა კუპრაშვილის მიერ გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსს საყვარელ პოეტს“.

➤ 7988

1939

**9 მარტის შემდეგ**

კითხულობს რუსულად გამოცემული ლიტერატურული ენციკლოპედიის მეთერთმეტე ტომს. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. მექსიკელი პოეტის, ხაიმე ტორეს-ბოდეტის ბიოგრაფიაში 1933 წლის რომანზე „დღის ვარსკვლავი“ და იხსენებს 1926 წელს დაწერილ თავის ფრაზას: „როდესაც მთვარე ანათებს დღისით“.

➤ 7989

1939

**10 მარტი**

ალიო მაშაშვილთან, შალვა დადიანთან და გიორგი ლეონიძესთან ერთად ხელს აწერს საქართველოს ორდენოსანი საბჭოთა მწერლების კოლექტიურ სტატია – პატაკს „ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დროში (მიღწევები XVII და XVIII პარტყრილობებს შორის განვლილი წლების მანძილზე საქართველოს საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში)“.

➤ 7990

1939

**10 მარტი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ალიო მაშაშვილის, შალვა დადიანის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა მწერალთა ხელმოწერით იბეჭდება სტატია „საბჭოთა საქართველოს მწერლები კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობისათვის“, რომელშიც საუბარია მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე ყრილობათა შუალედში მიღწეულ წარმატებებზე.

➤ 7991

1940

**19 მარტის შემდეგ**

ჟურნალში „ჩვენი თაობა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ლირიკა ხალხისთვის“.

➤ 7992

**აპრილი**

1939

**5 აპრილი**

ინტერესდება, არის თუ არა „ზარია ვოსტოკას“ საწყობში დარჩენილი მათ მიერ რუსულ ენაზე გამოცემული მისი „რჩეული ლექსები“ და იგებს, რომ მთლიანად გათავებულა.

➤ 7993

1939

**5 აპრილი**

იგებს, რომ ლიტერატურული ფონდი იძლევა მთელი თვეების პენსიას და გეგმავს ილო მოსაშვილთან მოლაპარაკებას.

➤ 7994

1939

5 აპრილი

უბის წიგნაკში იწერს, რომ 20 აპრილს „ფედერაციაში“ გიგლა მეზუკის დახმარების იმედი აქვს.

➤ 7995

1939

13 აპრილი

დარია ახვლედიანს, რომელიც უკიდურეს ხელმოკლეობას განიცდის, უგზავნის თანხას.

➤ 7996

1939

16 აპრილი

წერილს იღებს დარია ახვლედიანისგან. სთხოვს, 25 აპრილამდე ასესხოს 30 მანეთი. სწერს, რომ 13 აპრილს გაგზავნილი მთლად ვალებში დაარიგა და პურის ფულიც კი აღარ დარჩა.

➤ 7997

## მ ა ი ს ი

1939

3 მაისის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. გალაკტიონთან სიმორით გამოწვეულ განცდებთან დაკავშირებით ადრესანტს ახსენდება ალექსანდრ პუშკინის ერთი სტროფი და ნიკოლო მაკიაველის სიტყვები „დაე ბედმა ფეხქვეშ გამთელოს, მე კი ვნახავ, თუ შერცხვება“. სწერს, რომ ავად არის და ძალიან, ძალიან უნდა შინ ყოფნა.

➤ 7998

1939

18 მაისი

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება ქართველი პოეტების: გალაკტიონ ტაბიძის, ილო მოსაშვილის, სოლომონ თავაძისა და სხვათა ლექსები კოლხიდის შესახებ.

➤ 7999

1939

20 მაისის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ იაროსლავლიდან გაგზავნილ წერილს. ოლია უკიდურეს სასოწარკვეთილებაშია იმის გამო, რომ გალაკტიონისგან ერთი მოკლე წერილიც კი არ მიუღია. სწერს, რომ ფიზიკურად სუსტადაა და კითხულობს ლევ მეის ლექსებს.

➤ 8000

1939

25 მაისი

ლამით სავახშმოდ შედის რესტორანში. შეზარხოშებული ახალგაზრდები სუფრასთან იწვევენ. ერთ-ერთი მათგანი დესერტის ლანგრით სვამს ღვინოს და შემდეგ სასმისს გალაკტიონს გადასცემს. ის სულმოუთქმელად ცლის თითქმის ლიტრიან ჭურჭელს და უკიდურესად მთვრალი ბრუნდება სახლში.

➤ 8001

1939



**26 მაისი**

დილით ნაბახუსევზე ეღვიძება ჩაცმულს, ველარ ახერხებს წამოდგომას, გრძნობს გვერდის ტკივილს და ძლივს მიდის საავადმყოფოში. გასინჯვის შემდეგ ექიმი ასკვნის, რომ ნეკნები აქვს დაზიანებული და უნიშნავს მკურნალობას.

➤ 8002

**1939**

**28 მაისი**

ექიმის მიერ დანიშნული წამალი შვებას ვერ გვრის. გადაწყვეტს, დაწვეს საავადმყოფოში. გზაში ხვდება ოლღა დარიუსს, რომელიც ურჩევს, სახლში დაბრუნდეს და იქ გააგრძელოს მკურნალობა. ქალი საკუთარ თავზე იღებს გალაკტიონზე ზრუნვას, ულაგებს ბინას და იძახებს ექიმს. ექიმი პოეტს პლევრიტის დიაგნოზს უსვამს.

➤ 8003

**1939**

**28 მაისი**

ოლღა დარიუსს გალაკტიონის თეთრეული სამრეცხაოში მიაქვს და უტოვებს წერილს, რომ მომდევნო დღეს დილის 9 საათამდე გარეცხილებს მიუტანს სახლში დამხმარე ქალი. სთავაზობს, რომ მასვე შეუთანხმდეს 30 მაისს სახლის დალაგებაზე. სწერს, რომ პრობლემები არ ექნება, რადგან ადრესანტი თავად მივა და უხელმძღვანელებს ამ პროცესს. ოლღა ჰპირდება, რომ 29-შიც გაუვლის საღამოს 6 საათზე, რადგან ძალიან აფიქრებს მისი გულის მდგომარეობა.

➤ 8004

**1939**

**29 მაისის შემდეგ**

ექიმი უსვამს ნევრალგიის დიაგნოზს.

➤ 8005

**1939**

**29 მაისის შემდეგ**

სახელმწიფო გამომცემლობისთვის ამზადებს თხზულებათა მესამე ტომს.

➤ 8006

**1939**

**29 მაისის შემდეგ**

გამომცემლობა „ფედერაციასთან“ აფორმებს ხელშეკრულებას ერთი წიგნის გამოცემის შესახებ.

➤ 8007

**1939**

**მაისის ბოლო ან შემდეგ**

წერილს იღებს ოლღა დარიუსისგან. ადრესანტი იგონებს სამი დღის წინ გალაკტიონთან ერთად გატარებულ დაუვიწყარ ორ დღეს. არავისთვის უთქვამს, სად იყო და როდესაც მეგობრებმა სახლში ვერ ნახეს, რატომღაც, ეგონათ, რომ თავი მოიკლა. ამის შემდეგ გასული დღეები ადრესანტს სამ თვედ ეჩვენება და მოუთმენლად ელის გალაკტიონთან ხელახლა შეხვედრას. თავიდან თავს იკავებს დარეკვისგან. სურს, რომ გალაკტიონი თავად შეეხმიანოს, მაგრამ ბოლოს მაინც ურეკავს და რადგან არავინ პასუხობს, წერილს უგზავნის და ატყობინებს, რომ ყოველ საღამოს 8-9 საათის შემდეგ სახლში იქნება და დაელოდება მის მისვლას. ოლია ოკუჯავას გადასახლების განაჩენის გადახედვასთან დაკავშირებით დარიუსი წერს, რომ საქმის გადახედვისთვის საჭიროა რაიმე საფუძვლის მოფიქრება, რისთვისაც დასჭირდებათ იურისტის

დახმარება. წერს, რომ სხვა უფრო პირდაპირი გზაც არსებობს, მაგრამ ამის შესახებ პირადად დაელაპარაკება.

➤ 8008

## ი ვ ნ ი ს ი

1939

### 10 ივნისის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ალექსანდრე აბაშელის ლექსი „თოვლი“ – მიძღვნიტ გალაქტიონ ტაბიძეს.

➤ 8009

1939

### 14 ივნისის შემდეგ

ვლადიმირის საავადმყოფოში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. სწერს, რომ მისგან წერილებს რეგულარულად იღებს. გაოგნებულია ამ ნაზი ქალის ამტანიანობით, მხნეობითა და სულიერი სიმტკიცით. სწერს, რომ თავად ძალიან სასოწარკვეთილი და ძალაგამოცლილია. წუხს ოლიას ავადმყოფობის გამო და ძალიან უნდა, რომ რითიმე მაინც დაეხმაროს. ინტერესდება, რა სჭირდება ყველაზე მეტად, რომ ამანათით გაუგზავნოს: თბილი პალტო, ფეხსაცმელი, თეთრეული, ბამბა, ოდეკალონი, შეიძლება თუ არა საკვების გაგზავნა, მაგალითად, შაქრის, ჩაის, ყავის, კაკაოს, ორცხობილის, მურაბის, ფქვილის, ზეთის ან სხვა რაიმესი, რაც გზაში არ გაფუჭდება, სთხოვს, მისწეროს. განუმარტავს, რომ წერილებს თავისი დათრგუნული მდგომარეობის გამო არ სწერდა. აცნობებს, რომ 14 ივნისს გაუგზავნა 200 მანეთი და ახლა კიდევ უგზავნის 300-ს. სწერს, რომ მისი რჩევით იყიდა ლევ მის ლექსები და აუცილებლად წაიკითხავს. ნატრულობს, რომ შეეძლოს მისთვის მდგომარეობის შემსუბუქება.

➤ 8010

1939

### 29 მაისი – 15 ივნისი

წევს და მკურნალობს საკუთარ სახლში. თანდათანობით იწყებს გამოჯანმრთელებას. ოღლა დარიუსი გულითადად ზრუნავს ავადმყოფზე.

➤ 8011

1939

### 20 ივნისი ან შემდეგ

ეცნობა „ლიტერატურული საქართველოს“ 20 ივნისის ნომერს და გაზეთზევე აკეთებს მინაწერებს. აღნიშნავს, რომ გაზეთის მოწინავე წერილში პოეტების თვითკმაყოფილებასა და დაცემარეა საუბარი, აღნიშნულია, რომ ზოგიერთი პოეტი მხოლოდ ძველი ლექსების ხელახალი პუბლიკაციით კმაყოფილდება. გალაქტიონი ფიქრობს, შემთხვევითი არაა, რომ მაინცდამაინც პოეტზეა საუბარი და არა პროზაიკოსზე. იგი არ ეთანხმება წერილის ავტორის აზრს, რომ კარგი იქნება ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მწერლები ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთ შემოქმედებით გეგმებს. გალაქტიონის აზრით, ასეთ შემთხვევაში გზა გაეხსნება პლაგიატობას, სხვათა ჩანაფიქრის მიტაცებას. პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულება, რომ კრიტიკა და თვითკრიტიკა ძლიერ ეხმარება მწერალს, პოეტს სწორად არ მიაჩნია, რადგან, მისი შეხედულებით, ამის თქმა შეუძლებელია თანამედროვე კრიტიკაზე. იგი მიუთითებს, რომ ვანო წულუკიძის სტატია ყალბი პათოსითაა დაწერილი. ლევან მეტრეველი თავის წერილში არასწორად ხმარობს სიტყვას „რევოლუციური“ მართებული – „რევოლუციონურის“ – მაგივრად. აღნიშნავს, რომ ხარტონ ვარდოშვილის მიერ ნათარგმნ შილერის ლექსებში მხოლოდ ორიოდ რიგთან ფრაზას ვხვდებით. ილია ხომტარიას ლექსი „ჩემი სამშობლო“ „წყალწყალა და პრეტენზიით სავსეა“. გიორგი ნატროშვილის წერილი დემნა შენგელაიას მოთხრობებზე – ერთფეროვანი და მოსაწყენი. ფიქრობს, რომ აპოლონ წულაძის სტატიაში „ეთნოგრაფიული საქართველო ევრანიზაციისათვის“ მოცემულია საინტერესო ცნობა მეგრული და გურული

დატირების შესახებ. ჩანაწერში იოსებ გრიშაშვილი დახასიათებულია, როგორც „ლიტერატურული ღობემძვრალა“.

➤ 8012

1939

**20 ივნისის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას წერილს.

➤ 8013

1939

**20 ივნისის შემდეგ**

გადასახლებაში მყოფ ოლია ოკუჯავას უგზავნის 50 მანეთს.

➤ 8014

1939

**30 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს ცნობებს დიდი სპარსელი პოეტის ნიზამი განჯელის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნავს, რომ „ლიტერატურულ საქართველოში“ არასწორადაა მითითებული პოეტის საიუბილეო თარიღი.

➤ 8015

## ი ვ ლ ი ს ი

1939

**2 ივლისი**

ფოსტიდან უკან უბრუნებენ ოლია ოკუჯავასათვის გაგზავნილ დაზღვეულ წერილს.

➤ 8016

1939

**15 ივლისი**

შენახვის ვადის გასვლის გამო ფოსტიდან უკან უბრუნებენ ოლია ოკუჯავასათვის გაგზავნილ ფულს, 200 მანეთს.

➤ 8017

1939

**23 ივლისის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ვლადიმირიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი ინტერესდება, მიიღო თუ არა გალაკტიონმა მის მიერ 20 მაისსა და 14 ივნისს გაგზავნილი წერილები, რომლებშიც თავისი ავადმყოფობის შესახებ სწერდა. უგზავნის ქალაქ ვლადიმირში საფოსტო ყუთის მისამართს, სადაც უნდა გაუგზავნოს წერილები. ისევ გამოთქვამს წუხილს, რომ მის შესახებ არაფერი იცის.

➤ 8018

1939

**25 ივლისამდე**

მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე თაბაშირში ქმნის გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტს.

➤ 8019

1939

**25 ივლისამდე**

ნახულობს მხატვართა გამოფენას, სადაც ექსპონირებულია დავით გველესიანის მიერ შესრულებული გალაკტიონის პორტრეტი, იაკობ ნიკოლაძის მიერ თაბაშირისგან შესრულებული

მისი ბიუსტი და ქეთევან მაღალაშვილის ნატურმორტი თეთრი ვარდებით, რომელზეც გალაკტიონის წიგნიცაა გამოსახული. ფიქრობს, რომ ეს სამი ექსპონატი გამოფენის საუკეთესო ნიმუშებია.

➤ 8020

1939

27 ივლისი

მწერალთა კავშირში ხვდება მოხუც რკინიგზელს, რომელსაც მიტანილი აქვს წერილი რამდენიმე ხნის წინ იმერეთში მომხდარი წყალდიდობის შესახებ. მოხუცი ამბობს, რომ ასეთი წყალდიდობა 1896 წელს უნახავს. გალაკტიონს ახსოვს, რომ მის ბავშვობაში მოხდა ასეთი სტიქიური უბედურება და ცდილობს გაარკვიოს, იყო თუ არა ეს 1896 წელს მომხდარი წყალდიდობა, რომელზეც მოხუცი საუბრობს. ამ მიზნით ამოწმებს ჟურნალ „კვალის“ 1896 წლის ნომრებს.

➤ 8021

1939

27 ივლისი ან შემდეგ

უბის წიგნაკში სათაურით „ცეცხლი“ რუსული ტექსტიდან სახელდახელოდ თარგმნის ეპიზოდს ლოიდ უილისის ნოველიდან, რომელშიც მოთხრობილია, როგორ გადაარჩინა მამველმა ძაღლმა მეხანძრის ოჯახი.

➤ 8022

1939

27 ივლისი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ჩემს წინ მრისხანე ნიაღვართ მკონი...“.

➤ 8023

1939

27 ივლისი ან შემდეგ

ამონაწერებს აკეთებს პროფესორ როზალია შორის მიერ შედგენილი რუსულენოვანი წიგნის – „დასავლეთევროპული ლიტერატურის ქრესტომათია“ – შესავლიდან. მასში ნათქვამია, რომ თხზულებათა შერჩევასას ხელმძღვანელობდნენ ნაწარმოებთა მხატვრული ღირებულებითა და სოციალური მნიშვნელობით.

➤ 8024

1939

27 ივლისი ან შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს „სვანეთი მე-XVI საუკუნეში“, რომელშიც აღწერილია სვანების ბრძოლა დადემუქელიანების წინააღმდეგ სოციალური თავისუფლებისთვის.

➤ 8025

1939

28 ივლისი

უბის წიგნაკში ინიშნავს ვაშლის გამყიდველი ვაზიანელი გლეხის ფრაზას, რომელიც მას რუსი მყიდველის შენიშვნაზე, პროდუქტს ძვირად ყიდიო, უთქვამს: ვირი ისპაჰანში ერთი კიტრი ღირს, მაგრამ ვირის აქ ჩამომყვანი არავინ არისო.

➤ 8026

1939

28 ივლისი

უბის წიგნაკში ინიშნავს ცნობებს რკინიგზის პოლიტსამმართველოს ბიბლიოთეკის შესახებ. გეგმავს, გაარკვიოს, აქვს თუ არა ბიბლიოთეკას არქივი, რატომ არ აქვს შენობას წარწერები, რა გვარია კლუბის გამგე და სხვ.

➤ 8027

## ა გ ვ ი ს ტ ო

1939

### 1 აგვისტოს შემდეგ

ეცნობა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის გამოცემულ საქართველოს რესპუბლიკის პავილიონის მეგზურს. ბოლო გვერდზე წერს სამგზავრო საშუალებებს პერიოდების მიხედვით: ურემი, ვირი, ცხენი, ფაეტონი, დილიჟანსი, რკინიგზა, ავტობუსი, ტროლეიბუსი, აეროპლანი. აღნიშნავს, რომ მრავალსართულიან სახლებში ასაყვან მანქანას ჰქვია ლიფტი. ფიქრობს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა შეისწავლოს საქართველოს გეოგრაფია, მდინარეები და მთები, უნდა მოიძიოს ინფორმაცია ენციკლოპედიაში.

➤ 8028

1939

### 7 აგვისტო

მიემგზავრება კისლოვოდსკში.

➤ 8029

1939

### 8 აგვისტო ან შემდეგ

გაზეთ „პრავდის“ 8 აგვისტოს ნომერში ეცნობა ემელიან იაროსლავსკის გამოხმაურებას საბჭოთა კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოს შესახებ იოსებ სტალინის, ანდრეი ჟდანოვისა და სერგეი კიროვის მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე და აკეთებს ამონაწერებს სტატიიდან.

➤ 8030

1939

### 10 აგვისტო

კისლავოდსკის სასტუმრო „ინტურისტში“ ხვდება უშანგი ჩხეიძეს, რომელიც ძალიან გახარებულია მისი ნახვით. გალაკტიონი მოაგონებს, როგორ არაჩვეულებრივად წაიკითხა მან „მთაწმინდის მთვარე“ გალაკტიონის საიუბილეო საღამოზე 1933 წელს. უშანგი ჩხეიძე პასუხობს, რომ მისი დეკლამაცია ლექსის შინაარსთან ახლოსაც ვერ მივიდოდა.

➤ 8031

1939

### 11 აგვისტო

გეგმავს ავტომობილით მგზავრობას იალბუზზე ასასვლელად.

➤ 8032

1939

### 11 აგვისტო

კითხულობს ნიკოლაი გუბიის წიგნს „როგორ მუშაობდა ტოლსტოი“ და ფიქრობს, რომ ძალიან საჭირო ნაშრომია.

➤ 8033

1939

### 11 აგვისტო

მოხიბლულია კისლავოდსკის სასტუმრო „ინტურისტის“ გარემოთი, მუსიკითა და რესტორნით.

➤ 8034

1939

11 აგვისტო

ორ ქალს სახსოვრად უძღვნის სპილოს ძვლისაგან დამზადებულ ლირებს. გეგმავს, თბილისშიც წაუღოს ასეთი ლირები რამდენიმე მეგობარს. შესაძლებლად თვლის ასეთი ლირის გამოსახულებით გამოსცეს ერთ-ერთი წიგნი.

➤ 8035

1939

11 აგვისტო

მოსწონს ადგილობრივი ფოსტის ქაღალდები რუსი მწერლების: გრიბოედოვის, ჩეხოვის, კრილოვისა და სხვათა სურათებით. ფიქრობს, რომ კარგი იქნება, ასეთივე ბარათები საქართველოშიც შემოიღონ.

➤ 8036

1939

11 აგვისტო

გეგმავს, ლექსი მიუძღვნას უშანგი ჩხეიძეს.

➤ 8037

1939

11 აგვისტო

გეგმავს იალბუზზე აიყვანოს ოლღა დარიუსი და მისი დისშვილი ლაინე ბარტელისი. აპირებს იშოვოს რუკა და ლიტერატურა იალბუზის შესახებ.

➤ 8038

1939

11 აგვისტო

კისლოვოდსკში ათვალთვრებს ადგილობრივ მხატვართა გამოფენას და მოსწონს მათ ტილოებზე გამოსახული კავკასიონის პეიზაჟები.

➤ 8039

1939

11 აგვისტო

ათვალთვრებს კისლოვოდსკის ერთ-ერთ უძველეს ბაღს.

➤ 8040

1939

11 აგვისტო

უბის წიგნაკში ინიშნავს კისლოვოდსკში გაგონილ საუბარს ორ მოაგარაკეს შორის იმის თაობაზე, რომ კავკასიურ ღვინოებს ყირიმის ღვინოები სჯობია.

➤ 8041

1939

11 აგვისტოს შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „უშანგი ჩხეიძეს“ („რა ხანია, აქ არ არის...“).

➤ 8042

1939

11 აგვისტოს შემდეგ

მდინარე ბაქსანის ხეობიდან ადის იალბუზზე.

➤ 8043

1939

### 11 აგვისტოს შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ვლადიმირიდან გამოგზავნილ წერილს. ადრესანტი ისევ უმეორებს, რომ მისგან არცერთი წერილი არ მიუღია და სასოწარკვეთილია. სწერს, რომ კითხულობს ბიკენტი ვერესაევის წიგნს „პუშკინი ცხოვრებაში“ და ისე მოსწონს, რომ არ უნდა მალე დამთავრდეს. სწერს, რომ სიზმარში ნახა, რომ თბილისში იყო, გალაკტიონთან.

➤ 8044

1939

### 12 აგვისტო

აგრძელებს კითხვას წიგნისა „როგორ მუშაობდა ტოლსტოი“. აღფრთოვანებულია ტოლსტოის მუშაობის მეთოდით. ფიქრობს, რომ პირადად მისი მუშაობის წესი განსხვავებულია, რადგან არ აქვს მშვიდი შემოქმედებითი გარემო.

➤ 8045

1939

### 13 აგვისტო

შუალამისას ურეკავს გიორგი თავზარაშვილი, რომელიც იწვევს სასტუმრო „ინტურისტში“ ქართველების წვეულებაზე. გალაკტიონი თავიდან მოიმიზეზებს, სტუმრებს ვერ დავტოვებო და უარს ეუბნება, მაგრამ როდესაც იგებს, რომ უშანგი ჩხეიძეც მათთან იქნება, გადაწყვეტს ჩავიდეს. იგი კმაყოფილი რჩება გარემოთი და შეკრებილი საზოგადოებით.

➤ 8046

1939

### 15 აგვისტო

სომხურ გაზეთში „საბჭოთა საქართველო“, იბეჭდება ჰოვანეს კარაპეტიაჩის ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „რევოლიუციონურ საქართველოს“.

➤ 8047

1939

### 20 აგვისტოს შემდეგ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიგნის „სვანური პოეზია“ წინასიტყვაობაში, ლექსებსა და შენიშვნებზე აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. საყოფაცხოვრებო ერთ-ერთ სიმღერაში „მესტიელი ბიმურზელა“ ყველა სტროფში ხაზავს სტრიქონებს: „მიბინა ლიზი-ლიჩედი“, „დამიწყია სვლა-წასვლა“, რომლებსაც შემდგომ, 1947-1958 წლებში ხშირად იყენებს ჩანაწერებში თავისი მოქმედებების ასაღწერად. ლექსს „ჰანდუყაფარ“ აწერს ვარიანტს, რომელიც დედამისს ჩაუწერია ახალგაზრდობისას. მოგვიანებით გალაკტიონი ამ ტექსტს რთავს თავის პოემაში „დიდედას სათვალეები“. წიგნის ბოლოს წერს ლექსს „ედელვეისი“, აღწერს ჭყვიშში თავისი სახლისა და იმერეთის მეფის – სოლომონ II-ის მიერ მისი წინაპრებისთვის ნაჩუქარი „მეფის ჭალის“ მიდამოს. აღნიშნავს, რომ განვითარდა თეატრი, მუსიკა, მხატვრობა და შეიქმნა ემოციური, რომანტიკული და უაღრესად თანამედროვე ერთიანი ქართული ხელოვნება.

➤ 8048

1939

### 20 აგვისტოს შემდეგ

აკეთებს ჩანაწერებს სათაურით „მეფის ჭალა“.

➤ 8049

1939

**26 აგვისტომდე**

ირჩევენ აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავის საიუბილეო კომიტეტში.

➤ 8050

1939

**26 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კომიტეტის სხდომაზე მიღებულ საიუბილეო ღონისძიებათა გეგმას.

➤ 8051

1939

**7-27 აგვისტო**

კისლოვოდსკიდან მოგზაურობს დაღესტანში, ჩეჩნეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაის-ჩერქეზეთში, ჩრდილო ოსეთში და ადის იალბუზის მწვერვალზე.

➤ 8052

1939

**27 აგვისტო**

სამხედრო გზით ბრუნდება კისლოვოდსკიდან თბილისში.

➤ 8053

1939

**31 აგვისტო**

წერს ლექსს „სალამი ახალგაზრდობას“.

➤ 8054

1939

**აგვისტო**

ღელავს, რადგან თვენახევარი შესრულდა, რაც ოლია ოკუჯავასგან წერილი არ მიუღია.

➤ 8055

**ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი**

1939

**1 სექტემბერი**

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ აქვეყნებს ლექსს „სალამი ახალგაზრდობას“.

➤ 8056

1939

**15 სექტემბერი**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ვლადიმირიდან გამოგზავნილ წერილს. ადრესანტი წუხს, რომ გალაკტიონი ძალიან არაპრაქტიკულია და გაუჭირდება საკუთარ თავზე ზრუნვა. ურჩევს, პალტო და კალოშები მანამ იყიდოს, სანამ აცივდება და ერთი ხელი გამოსასვლელი ტანსაცმელიც აუცილებლად ჰქონდეს. მოიკითხავს ახლობლებს, წერს, როგორი სიხარულით მიიღებდა წერილს გალაკტიონისგან, როგორ დაკოცნიდა და ჩაიხუტებდა. უყვება, რომ რამდენჯერმე წაიკითხა ბიკენტი ვერესაევის „პუშკინი ცხოვრებაში“ და ძალიან განიცდიდა იმას, თუ როგორ ტანჯავდა დიდ პოეტს რუსეთის არისტოკრატიული წრეები. ასევე წაიკითხა ივან პუშკინის წიგნი ალექსანდრ პუშკინის შესახებ და ვლადიმერ ვინოგრადოვის წიგნი პუშკინის ენაზე. ოლია ურჩევს გალაკტიონს, რომ როგორმე იშოვოს და შეიძინოს ეს წიგნები. წერილს ამთავრებს სასიხარულო ამბით, გალაკტიონისგან გაგზავნილი თანხის მიღების შესახებ.



➤ 8057

1939

### 16 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს, რომ წინა დღეს მიიღო ოლია ოკუჯავას მიერ ვლადიმირიდან გაგზავნილი წერილი.

➤ 8058

1939

### 16 სექტემბერი

სხლავენ ბაღს და ჭრიან 15 ივლისს გრიგალისგან დაზიანებულ, მაგრამ მაინც ცოცხალ აკაციის ტოტს, რაც მასზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს.

➤ 8059

1939

### 16 სექტემბერი

გრიპი აქვს, გვერდი ისევ სტკივდება და ფიქრობს, რომ საშველი არ არის.

➤ 8060

1939

### 22 სექტემბრის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ ვლადიმირიდან გაგზავნილ დეპეშას. სწერს, რომ არც მის წერილებზე და არც დეპეშაზე პასუხი არ მიუღია. ქვა არ არის, რომ ამდენს გაუძლოს და ევედრება, შეატყობინოს, როგორ არის.

➤ 8061

1939

### 25 სექტემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლობის მეორე ყრილობაზე შალვა დადიანი კითხულობს მოხსენებას: „ამხანაგ სტალინის სახე ქართულ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში“. იგი ანბანური წესით ასახელებს მწერლებს, რომელნიც თავის შემოქმედებაში ახსენებენ სტალინს, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძეს. ვრცლად მიმოიხილავს სხვადასხვა მწერალთა ლექსებს და პოემებს, ზოგ მწერალს მეორედაც ასახელებს და აქებს. გალაკტიონ ტაბიძის შესახებ ამბობს, რომ იგი „რამდენიმე სტრიქონით გვაუწყებს, რომ: ადრე „იყო ბორკილი მონობის“, „ომი და ღალატი“, დღეს კი „სვიანია“ მსოფლიოს მეექვსედი, უდიდესმა ბელადმა „ასწია დროშა მაღალი კაცთა შრომის და გონების, მსოფლიო აზრის ძახილის, მიღწევის, გამოგონების“.

➤ 8062

1939

### 26 სექტემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლობის მეორე ყრილობაზე სიმონ ჩიქოვანი კითხულობს მოხსენებას: „ქართული საბჭოთა კრიტიკა“. სიტყვაში იგი ახსენებს, რომ ბოლო დროს დაიწერა რამდენიმე კარგი ლიტერატურული სტატია, მათ შორის აკაკი გაწერელიას ნაშრომი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ. ასევე აცხადებს, რომ სრულიად შეუსწავლელია და განუხილველი ქართული სიმბოლიზმი, რომ საჭიროა ლენინურ-სტალინური იდეებით განმსჭვალული ძლიერი და მკაფიო კრიტიკა წარსულისა. იგი თვლის, რომ მართალია სიმბოლიზმმა ეპოქის წინაშე სრული სიდატაკე გამოამქლავნა, იმ ხანის ყველა ნამუშევარი არ არის უარსაყოფი, „ჩვენ ის არ უნდა დავივიწყოთ, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების გარკვევა სიმბოლიზმისა და მოდერნიზმის გარეშე შეუძლებელია“, იგი თავის შემოქმედების პირველ პერიოდში დაკავშირებული იყო ფრანგ და რუს სიმბოლისტებთან და ქართული მოდერნიზმის ისტორიასთან. მან, ვალერიან

გაფრინდაშვილმა და სხვებმა შექმნეს ჩვენში პოეზიის მრავალი ლირიკული ფორმა, რომლებიც ჩვენს პოეზიაში კვლავ განაგრძობს არსებობას. მათ საკმაოდ ბევრი გააკეთეს ქართული პოეზიის კულტურისათვის და ეს უსათუოდ ჩვენი ლიტერატურის კვლევის საგანია.

➤ 8063

1939

### 28 სექტემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობის დელეგატები ფარული კენჭისყრით ირჩევენ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად.

➤ 8064

## ოქტომბერი

1939

### 7 ოქტომბერი

წერს უსათაურო ლექსს „აფხაზეთის მთებს ქალაქთ ღრუბელით...“.

➤ 8065

1939

### 11 ოქტომბერი

მოკლე ბარათს უტოვებს ლავრენტი ძიძიგური და სთხოვს რამდენიმე დღით 200 მანეთის სესხებას.

➤ 8066

1939

### 11 ოქტომბრის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან გამოგზავნილ წერილს. ადრესანტი ატყობინებს, რომ გამომჯობინდა და საავადმყოფოდან გაწერეს. უყვება წინა ღამით ნანახ სიზმარს, ვითომ გაამართლეს, გაათავისუფლეს, სახლში იყო და სოხუმში წასასვლელად ემზადებოდნენ. ნატრობს გალაკტიონის წიგნის ნახვას, რომელიც 1936 წელს უნდა გამოცემულიყო. სთხოვს, რომ თავს გაუფრთხილდეს და ექიმთან აუცილებლად მივიდეს. იმედოვნებს, რომ გალაკტიონმა მისი დეპეშა მიიღო.

➤ 8067

1939

### 18 ოქტომბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სალამი ბელორუსიისა და უკრაინის განთავისუფლებულ ძმებს“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 8068

1939

### 21 ოქტომბრის შემდეგ

კითხულობს ბორის მიხაილოვსკის წიგნს „XX საუკუნის რუსული ლიტერატურა“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. ალექსანდრე ბლოკის შემოქმედების შესახებ სტატიაზე წერს, რომ მისი პირველი წიგნი გამოიცა 1904 წელს, როდესაც იყო 24 წლის, თავისი პირველი წიგნი კი – 1914 წელს და მაშინ იყო 22 წლის.

➤ 8069

1939

### ოქტომბერი ან შემდეგ

წერს გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილ სატირულ ლექსებს „ფოლკლორ-მოლკლორი გოგლაო...“ და „ფოლკლორ-მოლკლორუს. რეცეპტი“.

➤ 8070

1939

**ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსს „სამუდამოდ დაიღუპა...“.

➤ 8071

1939

**ოქტომბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს იროდიონ ევდოშვილისადმი მიძღვნილ მოგონებას.

➤ 8072

1939

**ოქტომბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში ქართული ასოებით იწერს გოეთეს „მთის მწვერვალების“ გერმანულ ტექსტს.

➤ 8073

1939

**ოქტომბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ციტატებს ინგლისელი დრამატურგის თომას ოტუეის პიესიდან „გადარჩენილი ვენეცია, ანუ გამჟღავნებული შეთქმულება“.

➤ 8074

1939

**ოქტომბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს მარტინ ლუთერის გერმანულენოვან ციტატას, რომ ვისაც ღვინო, ქალი და სიმღერა არ უყვარს, მთელი ცხოვრება სულელი დარჩება.

➤ 8075

1939

**ნოემბრამდე**

კითხულობს ნიკოლაი ოგარიოვის წიგნს „ძველი სახლი“.

➤ 8076

## ნოემბერი

1939

**ნოემბრამდე**

ქეთევან ირემამე თარგმნის აბატი პრევოს რომანს „მანონ ლესკო“ და გალაკტიონ ტაბიძეს სთხოვს ამ წიგნისთვის წასამძღვარებელი ლექსის შექმნას, რისი პრეცედენტებიც იყო ფრანგულ და რუსულ ლიტერატურაში. გალაკტიონი თანხმდება და ირემამეს სთხოვს შეუგროვოს მანონ ლესკოსადმი მიძღვნილი ლექსები. ქეთევანი ასრულებს მის თხოვნას და ლექსების გარდა თავს უყრის ამ თემაზე დაწერილ ოპერებს, ლიბრეტოებს და იმ ფრანგი მომღერალი ქალების ფოტოებს, რომლებიც მარგარიტას ასრულებდნენ. გალაკტიონი კმაყოფილი რჩება და რამდენიმე კვირაში წერს ლექსს სახელწოდებით „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“ ქვესათაურით „ძღვნად ქეთევან ირემამეს“.

➤ 8077

1939

**ნოემბრამდე**

იბეჭდება ქეთევან ირემადის მიერ ნათარგმნი აბატი პრევოს რომანი „მანონ ლესკო“ რომელსაც წინ უძღვის გალაკტიონის მიერ ამ თარგმანის შთაგონებით დაწერილი ლექსი „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“.

➤ 8078

1939

#### 4 ნოემბრამდე

წერს ლექსს „ოქტომბრის სიმფონია“ („ოქტომბერი – გენიის უმძაფრესი ქარია...“).

➤ 8079

1939

#### 4 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ლექსს „ოქტომბრის სიმფონია“ („ოქტომბერი – გენიის უმძაფრესი ქარია...“).

➤ 8080

1939

#### 7 ნოემბერი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „გამარჯვებისკენ“.

➤ 8081

1939

#### ნოემბრის პირველი ნახევარი

მწერალი ნიკა აგიაშვილი ლადო ასათიანთან, მირზა გელოვანთან და ალექსანდრე საჯაიასთან ერთად რუსთაველის პროსპექტზე სახელგამის მაღაზიასთან თეთრ სამოსში გამოწყობილ ოდნავ შეზარხოშებულ გალაკტიონს შეამჩნევენ. ახალგაზრდა პოეტები ესალმებიან. გალაკტიონიც სალმითვე პასუხობს და ეუბნება, რომ ლადოს, მირზას და ალიოშას ლექსები წაიკითხა ჟურნალში „ჩვენი თაობა“. გახარებული მირზა შუბლზე ეამბორება. გალაკტიონი დაიმორცხვებს. შემდეგ საუბარს თავის „ლურჯა ცხენებზე“ ჩამოაგდებს და მავანი კრიტიკოსის ბრალდებას იხსენებს მისი სიმბოლისტ - დეკადენტობის შესახებ. იქვე აგრძელებს, რომ ავთანდილი ლურჯ ცხენზე იჯდა და ერეკლე მეფის და ბარათაშვილის ბედაურებიც ლურჯები იყვნენ, ამის გამო ერეკლე და ავთანდილი სიმბოლისტები არ გამხდარანო. მირზა გელოვანს სადაურობას ეკითხება და მისი სახელის ეტიმოლოგიას აცნობს. შემდეგ ახალგაზრდა პოეტებს მოუწოდებს წერონ ლექსები სულის ამოსვლამდე, მთავარია, სათქმელი არ დაელიოთ და ჰქონდეთ საკუთარი სამყარო, რომელიც არაფრით ჰგავს ნამდვილს. პოეზიას ლელობურთს ადარებს, აკაკის ლექსს „ნატვრა“ იხსენებს და გაზონებში გამუდმებით გადაადგილდება. ვაჟა-ფშაველას პოეზიის ღმერთად მოიხსენიებს, სიტყვას ნიკოლაი ოგარიოვის წიგნზე „ძველი სახლი“ ჩამოაგდებს და მოსალოდნელ მსოფლიო ომზე საუბრობს, შემდეგ ჯარში უკვე გაწვეულ მირზა გელოვანსა და ლადო ასათიანს გზას ულოცავს. შუადამისას პროსპექტზე შალვა კარმელი და ვიქტორ გაბესკირია გამოჩნდებიან და გალაკტიონს რუსთაველის ძეგლისკენ ხელკავით მიაცილებენ.

➤ 8082

1939

#### ნოემბრის მეორე ნახევარი

ლადო ასათიანი რუსთაველის პროსპექტზე გალაკტიონთან შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ წერს ლექსს „გალაკტიონს“, მაგრამ გული ეთანადრება და კიდევ ერთი ლექსის დაწერას აპირებს.

➤ 8083

1939

#### ნოემბერი

ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ იბეჭდება ალექსანდრე სულავას რეცენზია ქეთევან ირემაძის მიერ ნათარგმნი აბატი პრევოს რომანის „მანონ ლესკო“ შესახებ. რეცენზიას ეპიგრაფად უძღვის სტროფი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“, რომელიც ეძღვნება ქეთევან ირემაძეს. ავტორი აღნიშნავს, რომ წიგნში დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ბრწყინვალე ოსტატობითა და დიდი პოეტური ერუდიციით დაწერილი ლექსი, რომ რომანი XVIII საუკუნის გენიალურ ქმნილებაა, მაგრამ არანაკლებია გალაკტიონ ტაბიძის ოცსტრიქონიანი ლექსი.

➤ 8084

## დეკემბერი

1939

### 17 დეკემბრამდე

თხოვნით მიმართავს თბილისის გათბობის სამმართველოს, რომ პირადი საჭიროებისთვის ნაღდ ანგარიშზე გამოუწერონ შეშა.

➤ 8085

1939

### 17 დეკემბერი

თბილისის გათბობის სამმართველო მის განცხადებას ადებს რეზოლუციას, რომ გამოუყონ მოთხოვნილი შეშა.

➤ 8086

1936-1939

წერს ლექსს „ჩვენ შენთანა ვართ, დოლორეს!“

➤ 8087

1939

ოლია ოკუჯავას გადასახლებისა და მასთან ვერდამშვიდობების შესახებ წერს უსათაურო ლექსს „აღზად, იმიტომ ხომალდის აფრით...“.

➤ 8088

1939

წერს ლექსს „ხალიჩაზე, რომელიც გამოხატავს სტალინის პირველ შეხვედრას ლენინთან ტამერფორში 1905 წ.“

➤ 8089

1939

გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „გორი“ იხსნება, სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი, მწერალთა კავშირის გამომცემლობის „ფედერაცია“ დაბეჭდილი წიგნი „ბელადს ქართველი მწერლები“.

➤ 8090

1939

წერს ლექსს „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურ ენაზე თარგმნის გამო“.

➤ 8091

1939

წერს ლექსს „ბუნების განახლება“.

➤ 8092

1939

კრებულში „სამშობლო“ აქვეყნებს ლექსს „იდეა“. („რწმენით იარ...“).

➤ 8093

**1939**

ფიქრობს საღამოების დეკადის მოწყობაზე „გალაკტიონი და აკაკი“. წერს მომხსენებელთა სიას. პირველი საღამოს კომპოზიტორად უთითებს გრიგოლ ჩხიკვაძეს, მომხსენებლად კი – კორნელი კეკელიძეს.

➤ 8094

**1939**

წერს შენიშვნებს ვერა ბარდაველიძის წიგნზე „სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი“. მიუთითებს, რომ 1928 წელს მისი მონაწილეობით ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა დესპინე გელოვანის რომანი „სამართალს სისხლით მოვძებნი“, მაგრამ ჟურნალის ძველი ნომრების მოძიება ვერაფრით მოახერხა. საჭირო ეგზემპლარები თვით „მნათობის“ რედაქციაშიც არ აღმოჩნდა. გალაკტიონი მიუთითებს, რომ მწერლებიცა და მკითხველებიც გულგრილად ეპყრობიან ჟურნალ-გაზეთებს და ამ მიზეზით მათში გამოქვეყნებული მრავალი ეთნოგრაფიული მასალა გამოუყენებელი რჩება. პოეტი არ ეთანხმება ვერა ბარდაველიძის აზრს, რომ ბოლომდე სანდო არაა მოხუცთა მონათხრობი სვანური დღეობების შესახებ. გალაკტიონის თქმით, მართალია, ხანში შესული ადამიანი ფიზიკურად დაბუნდება, მაგრამ მათ მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი სურათების სანდოობა ეჭვქვეშ ამის გამო არ უნდა დავაყენოთ.

➤ 8095

**1939**

რუსულ ენაზე გამოდის „ლიტერატურული ენციკლოპედიის“ მე-11 ტომი, რომელშიც იბეჭდება გიორგი აბზიანიძის საენციკლოპედიო სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“. სტატიაში მოყვანილია პოეტის ბიოგრაფიული ცნობები, აღნიშნულია, რომ გალაკტიონის ადრეულ ლირიკაზე, „მერის“ ციკლზე თვალსაჩინო ზეგავლენა მოახდინა ალექსანდრ ბლოკის „ლექსებმა მშვენიერ ბანოვანზე“, თუმცა გალაკტიონის მერის სახე ბევრად უფრო რეალისტურია, ვიდრე ბლოკის სატრფიალო ლირიკის ობიექტის. სტატიაში ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძე ქართული ლექსის დიდი ნოვატორია და მის შემოქმედებაში გარდამტეხი მნიშვნელობა ოქტომბრის რევოლუციამ იქონია. მოკლედ და დახასიათებული პოეტური ციკლები: „ეპოქა“, „პაციფიზმი“ და „რევოლუციური საქართველო“.

➤ 8096

**1939**

წერს იმ რუსული კრებულების სიას, რომლებშიც მისი ლექსები დაიბეჭდა. მიუთითებს, რომ ამ პუბლიკაციებისთვის მას ჰონორარი არ მიუღია.

➤ 8097

**1939**

სათაურის ქვეშ „ერთი ღამე ტობანიერში (მოგზაურობა ცხენით)“ იწერს ათ ხალხურ ლექსს.

➤ 8098

**1939**

წერს უსათაურო ლექსს „რა რიგ კარგია, სამშობლოვ...“.

➤ 8099

**1939**

წერს უსათაურო ლექსს „ტყვიების ქარი და სისხლის წვიმა...“.

➤ 8100

**1939**

ქეთევან ირემადის მიერ ნათარგმნ „მანონ ლესკოს“ წააწერს ათიოდე წლით ადრე დაწერილ ლექსს ამ თემაზე „ავიღებ მანონს სადაც ზონარად...“

➤ 8101

**1930-იანი წლები**

წერს ლექსს „მხეცის ბრჭყალებში მყოფი ლირიკა“ („თუ ყურს დაუგდებ...“).

➤ 8102

**1939 ან შემდეგ**

კითხულობს ალექსანდრე აბაშელის ლექსების კრებულს „მზე და სამშობლო“. აკეთებს ხაზგასმებს, წინა ფორზაცზე ჩამოწერს პოეტის ლექსების ოთხ წიგნს: „მზის სიცილი“, „გაბზარული სარკე“, „ანთებული ხეივანი“, „მზე და სამშობლო“.

➤ 8103

**1939 შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს კომპოზიტორისა და ლოტბარის ალექსანდრე კავსადის შესახებ. აღნიშნავს, რომ იგი ერთადერთი კომპოზიტორი იყო, რომელიც ანგარიშს უწევდა ქართული სიტყვის თავისებურებას მუსიკის ენაზე მისი გადატანის დროს. იგი ყურადღებას აქცევდა ქართული სიტყვის მახვილს. თანამედროვე ქართული ჰიმნების ნაკლად გალაკტიონს ფორმალიზმი მიაჩნია.

➤ 8104

**1939 შემდეგ**

აკეთებს ამონაწერებს რუსულენოვანი „ლიტერატურული ენციკლოპედიის“ მე-11 ტომიდან. ინიშნავს ცალკეულ ფრაზებს საენციკლოპედიო სტატიიდან „გალაკტიონ ტაბიძე“, რომლის ავტორიც არის გიორგი აბზიანიძე.

➤ 8105

**1939 ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს შენიშვნებს ფრინველების: ბულბულის, ბეკასისა და როჭოს შესახებ, როგორ დასტირიან და ასაფლავებენ ბავშვები მკვდარ ჩიტებს, როგორ უყვართ არსენას და ასპინძის ომის თამაში და როგორ ხარობენ, როცა მზიანი დღეა. შემდეგ იწერს ფრაზას ნიკოლაი გოგოლის პიესიდან „ქორწინება“, შემთხვევას პროსპერ მერიმეს ცხოვრებიდან, ინფორმაციას სოფელ ციცხის შესახებ და „ტყის“ და მისი სიტყვათშეერთებების რუსულ მნიშვნელობებს. ბოლოს აკეთებს ამონაწერებს გოგოლის რომანიდან „მკვდარი სულები“ და შიგადაშიგ ურთავს როგორც საკუთარ კომენტარებს, ისე ფრაზებს ამა თუ იმ ეპიზოდთან დაკავშირებით ოლღა დარიუსის გამონათქვამებიდან.

➤ 8106

**1939 ან შემდეგ**

კითხულობს გიორგი კაჭახიძის წიგნს „შიო მღვიმელის ცხოვრება“. აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. დასასრულს პუნქტებად წერს გეგმას შიო მღვიმელზე მოგონებისთვის: მწერლის აზრი სერგეი ესენინზე, ვალერიან გუნიას როგორ ეხუმრებოდა, შიო მღვიმელი ბაღს როგორ ეალერსებოდა, სტუმრობა მის ოჯახში, შიო მღვიმელთან ერთად ნიკო ვალიშვილთან და ისაკოსთან, შეხვედრა „ფასკუნჯის“ რედაქციაში, შიო და მისი ჯოხი, მოწყენილი მწერალი, ის და სხვა მოხუცები.

➤ 8107

**1940 წლამდე**

წერს ლექსს „პა-დე-კალე“ („პა-დე-კალე, სადაც ერთხელ...“).

➤ 8108

**1940 წლამდე**

წერს ლექსს „ფრანგს მისდევს ინგლისელი“ („რკინისგზები დახლართული...“).

➤ 8109

**1940**

**იანვრამდე**

წერს ლექსს „იცოდეს ყველამ“.

➤ 8110

**1940**

**1 იანვრამდე**

გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ საახალწლო ნომრისთვის წერს ლექსს ხალხთა მეგობრობაზე, რომელშიც წამოჭრის ფინეთის პოლიტიკურ საკითხსაც.

➤ 8111

**1940**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1940**

**1 იანვარი**

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „მრავალ ახალ წელს“.

➤ 8112

**1940**

**1 იანვარი**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონის საახალწლო ლექსის „ხალხთა მეგობრობისთვის“ თარგმანი, რომელშიც ავტორის განწყობა მნიშვნელოვნად არის შეცვლილი.

➤ 8113

**1940**

**1 იანვარი**

ოლღა დარიუსი დღიურში წერს, რომ გალაკტიონის ორი ახალი ლექსი გამოქვეყნდა საახალწლოდ გაზეთებში. ორივე სახელდახელოდ იყო დაწერილი, გაზეთების გამოსვლამდე ერთი დღით თუ რამდენიმე საათით ადრე, მაგრამ „ზარია ვოსტოკას“ მთარგმნელმა ლექსის ჰეროიკული განწყობა და სერიოზული პოლიტიკური თემა პათეტიკურ სადღეგრძელოდ აქცია. გალაკტიონის აზრით, მთარგმნელს მისი მტრობა არ ჰქონია გულში და ეს უცოდინრობის, არაპროფესიონალიზმისა და უგემოვნობის გამო მოუვიდა. დარიუსს გული სწყდება, რომ გალაკტიონს არ დარჩა ლექსის ორიგინალის საბოლოო ვარიანტი, მაგრამ პოულობს შავ ავტოგრაფს და აკეთებს მის ბჭკარედულ თარგმანს.

➤ 8114

**1940**

**4 იანვრის შემდეგ**

წერილს იღებს ლავრენტი ძიმიგურისგან. ულოცავს კიდევ ერთ გამარჯვებას და სულ წინსვლას და წარმატებებს უსურვებს. სწერს, რომ მის ბოლო სადამოს ვერ დაესწრო, რადგან მივლინებაში



იყო. აცნობებს, რომ წინა დღეს უნივერსიტეტში ერთმა მეცნიერ-მუშაკმა სთხოვა გალაკტიონისგან ნებართვა აელო, რომ მისი ბიოგრაფიული ცნობები გამოეყენებინა შრომის დასაწერად.

➤ 8115

1940

7 იანვრის შემდეგ

ჟურნალის „მნათობი“ 1939 წლის დეკემბრის ნომერში იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის ბიბლიოგრაფია „ბელადს, ქართველ მწერალთა კრებული, მიძღვნილი დიდ სტალინისადმი“, რომელიც იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „გორი“. აღნიშნულია, რომ ეს ერთგვარი ლირიკული უვერტიურაა წიგნში აქლერებული მრავალხმოვანი ორკესტრისათვის და მასში ისმის ყველა მთავარი მოტივი, რომელსაც ახმოვანებს კრებული – ხალხის მძიმე წარსული, სტალინის მშობელი ქვეყნის უკვდავი გმირული სული, სტალინის წინამძღოლობით წარმოებული დიადი ბრძოლები, ამ ბრძოლების შედეგად აღორძინებული და აყვავებული საქართველო, ხალხის მადლიერება და ერთგულება სტალინისადმი.

➤ 8116

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „კაბინეტიდან – მასაში“.

➤ 8117

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „შუქი დასავლეთიდან“.

➤ 8118

1940

15 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ტბა მოდის და ჭია მაიის...“.

➤ 8119

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „ბაყაყების ფიგურები ვერსალის აუზში“.

➤ 8120

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „ორი მილიარდი“.

➤ 8121

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „იოველიადა“.

➤ 8122

1940

15 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „მე მახსოვს მუშა“.

➤ 8123

1940

15 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „რაც ბედმა გითხრა: არ შეშინდე...“.

➤ 8124

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „გერმანელ პოეტს“.

➤ 8125

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „პუშკინი პარიზში“.

➤ 8126

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „ფრანკი“.

➤ 8127

1940

15 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ცაზე მიდის ერთადერთი...“.

➤ 8128

1940

15 იანვრამდე

თეოფილ გოტიეს რომანისგან – „მადმუაზელ დე მოპენი“ მიღებული შემოქმედებითი იმპულსის შედეგად წერს ლექსს „გოტიეს რომანიდან“.

➤ 8129

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „ქიმერა“ („ყომრალ ღრუბლებში...“).

➤ 8130

1940

15 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ულრმეს, ურთულეს...“.

➤ 8131

1940

15 იანვრამდე

წერს ლექსს „მე მახსოვს მისი სახე“.

➤ 8132

1940

15 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „რა მშვენიერი და რა კარგი დღეა...“.

➤ 8133

**1940**

**15 იანვრამდე**

წერს ლექსს „ქალაქისაკენ“.

➤ 8134

**1940**

**15 იანვრამდე**

წერს ლექსს „რუსთაველი პარიზში“.

➤ 8135

**1940**

**15 იანვრამდე**

წერს ლექსს „დაბრუნებისას“.

➤ 8136

**1940**

**15 იანვრამდე**

წერს ლექსს „ეს წელიწადი“ („მოვითხოვ სიტყვას...“).

➤ 8137

**1940**

**15 იანვრამდე**

წერს ლექსს „რიცა“.

➤ 8138

**1940**

**15 იანვრამდე**

წერს ლექსს „პოეტი და მასა“.

➤ 8139

**1940**

**15 იანვარი**

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომი სახელმწიფო გამომცემლობის ვიზირებით გადაეცემა წარმოებას და იწყება წიგნის რედაქტირება.

➤ 8140

**1940**

**25 იანვრამდე**

წერს პროზაულ ტექსტს, სახელწოდებით „ლირიკა“, რომელშიც აყალიბებს საკუთარ თვალსაზრისს ლირიკული პოეზიის არსისა და დანიშნულების, პოეტური ოსტატობის სპეციფიკის, ლირიკის განვითარების ეტაპების, მსოფლიოს აღიარებულ ლირიკოსთა შემოქმედების თავისებურებათა შესახებ.

➤ 8141

**1940**

**25 იანვრამდე**

წერს პროზაულ ტექსტს, სახელწოდებით „აკაკი“.

➤ 8142

1940

27 იანვარი

ელენე შერვაშიძე ჩუქნის ალიო მაშაშვილის პოემის „ენგური“ მის მიერ რუსულად ნათარგმნ გამოცემას რუსული წარწერით: „გალაკტიონ ტაბიძეს, გულწრფელად მისი მოყვარული ელენე შერისგან“.

➤ 8143

1940

30 იანვარი

რადიოთი გადასცემენ, რომ გალაკტიონ ტაბიძემ წაიკითხა ახალი ლექსები, რომლებმაც კრიტიკოსთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

➤ 8144

1940

31 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ საინფორმაციო წერილში „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“ ნათქვამია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავთან დაკავშირებით გამოდის ბესარიონ ჟღენტის წიგნი „საბჭოთა ეპოქის ქართველი მწერლები“, რომელშიც ერთი სტატია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას ეძღვნება.

➤ 8145

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1940

1 თებერვალი

წერილს იღებს ვარლამ ჟურულისგან. აცნობებს, რომ გაზეთისთვის „ახალგაზრდა კომუნისტი“ გაგზავნილი ლექსები ძალიან მოეწონა, მათზე სტატიაც კი დაიწერა, მაგრამ იმ დროს რაღაც ოფიციალური მასალა მიუვიდათ გამოსაქვეყნებლად და დაგვიანებით დაბეჭდვა ეუხერხულათ. რაც შეეხება ინფორმაციას საღამოს შესახებ, გამოქვეყნდა 30 იანვრის ნომერში. სთხოვს, რომ ნუ დაივიწყებს მათ რედაქციას.

➤ 8146

1940

1 თებერვლის შემდეგ

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს, რომელიც უზიარებს თავის სიხარულს რადიოში გალაკტიონის შესახებ გადაცემული ინფორმაციისა და გაზეთებში მისი ლექსების ქების გამო. სწერს, რომ ცოლ-შვილი ჭყვიშში ჰყავს და დიდმა თოვლმა ცოტა შეაშინა. აცნობებს, რომ რკინიგზის სკოლების სამმართველომ აბესალომი წარადგინა დამსახურებული მასწავლებლის წოდებაზე და სთხოვს, დარეკოს განათლების კომისრის თანაშემწესთან და გაუგოს, როდის გადასცემენ გამარჯვებულთა სიას დასამტკიცებლად უმაღლეს საბჭოს.

➤ 8147

1940

2 თებერვალი

რუსულ გაზეთში „სავეტსკაია აფხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „შრომა და მოსვენება“ („როს ხელს გიშლის ხეობები...“) ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 8148

1940

4 თებერვალი

იღებს ოლია ოკუჯავას წერილს გადასახლებიდან და დღიურში იწერს, რომ უბედურია.

➤ 8149

1940

### 7 თებერვლის შემდეგ

სოლომონ ყუბანეიშვილის წიგნში „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“ აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 8150

1940

### 8 თებერვლამდე

ოლიას გადასახლებაში უგზავნის 300 მანეთს.

➤ 8151

1941

### 14 თებერვალი

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავს ბესარიონ ჟღენტის წერილს „ქართული საბჭოთა მწერლობის ნოვატორული თავისებურებანი“. ავტორს მოჰყავს ციტატა გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია...“ და დასძენს, რომ ეს სტრიქონები გამოხატავს ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციას და მოწმობს ამ ტრადიციის ახალი ძალით აღდგენას საბჭოთა ეპოქაში. კრიტიკოსი აღნიშნავს იმასაც, რომ ჯერ კიდევ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში სათანადოდ არ აღდგენილა და განვითარებული კლასიკური ქართული პოეზიის დიდი ეპიური ტრადიციები და გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, რაჭდენ გვეტაძის და სხვათა დღემდე გამოქვეყნებული პოემები მხოლოდ პირველ მცდელობებს წარმოადგენს.

➤ 8152

1940

### 15 თებერვლის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტს თვალწინ უდგას გალაკტიონის სოფელი, სადაც ის დაიბადა და ქუთაისის სახლი, სადაც თავად ოლია დაიბადა. აკვირდება ყინვისგან მოხატული ფანჯრის ორნამენტებს და უამრავ რამეს ხედავს მათში. სწერს, რომ წაიკითხა ონორე ბალზაკის „შაგრენის ტყავი“, ბორის ლავრენევის მოთხრობები: „დიდი მიწა“ და „ადლერის კონცხის ლატარეა“, ჟორჟ სანდის „კონსუელი“, იბანეს ბლასკოს „როზაურა სალსედო“ და იწყებს კოზმა პრუტკოვის თხზულებათა კრებულის კითხვას. აცნობებს, რომ 1 თებერვალს წერილი გაუგზავნა, მიღების დადასტურებაზე შეტყობინებით და 8 თებერვალს მიიღო 300 მანეთი.

➤ 8153

1940

### 20 თებერვლის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან გაგზავნილ წერილს. ბარათს ოლია იწყებს გოგოლის სიტყვებით „გზის“ შესახებ, რომელსაც ხშირად ხსნა მოაქვს და ნატრობს იმ დღეზე, როდესაც გზა შინისკენ წაიყვანს. უყვება, რომ კითხულობს აბრამ ლეჟნევის წიგნს „პუშკინის პროზა“. ერთბაშად იმდენი რამის დაწერა უნდა, რომ ველარაფერს ვერ წერს და ბოდიშს უხდის გალაკტიონს. ეუბნება, რომ უკვე მთვარე ამოვიდა და მასთან უამრავი კოცნა დააბარა.

➤ 8154

1940

### 20 თებერვლის შემდეგ

ჟურნალში „ჩვენი თაობა“ იბეჭდება მირზა გელოვანის ლექსი „გალაქტიონს“.

➤ 8155

1940

20 თებერვლის შემდეგ

ეცნობა ჟურნალს „კომუნისტური აღზრდისათვის“. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 8156

1940

20 თებერვლის შემდეგ

ჟურნალის „კომუნისტური აღზრდისათვის“ დასასრულს, სარჩევთან იწყებს უსათაურო ლექსის „როს დგომაა ყინულის და თოვლისა...“ წერას.

➤ 8157

1940

20 თებერვლის შემდეგ

ჟურნალის „კომუნისტური აღზრდისათვის“ სარჩევთან წერს, რომ საჭიროა ფოტოების აღრიცხვა, კინო და ჟურნალისტები. მოსწონს ვასო გორგაძის ნათქვამი, აინტერესებს სიმონ ჩიქოვანის, ვანო წულუკიძისა და მიკოლა ბაჟანის ამბები. აღნიშნავს, რომ შალვა რადიანი კარგი დამხმარე ძალაა.

➤ 8158

1940

22 თებერვალი

შუალამისას უსმენს შუბერტისა და ბახის მელოდიებს.

➤ 8159

1940

22 თებერვალი

ხვდება ძველ ნაცნობს, ვინმე არჩილს და ლუდზე პატიჟებს. იგონებენ ჟურნალისტ დათიკო პავლიაშვილს, რომელსაც „ნაპოლეონს“ ეძახდნენ.

➤ 8160

1940

22 თებერვალი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს ჟურნალისტ დათიკო პავლიაშვილის შესახებ. აღნიშნავს, რომ გარეგნულად იგი ძალიან ჰგავდა ფრანგ მხედართმთავარ ნაპოლეონს, იყო გულწრფელი და ხუმარა. ამასთანავე ჰქონდა უშველელი კუზი და გამუდმებით ეცვა გახუნებული ფრაკი. ეს ფრაკი მას „ივერიის“ რედაქციამ შეუკერა. პავლიაშვილი იუსტიციის კომისარიატში მუშაობდა, სადაც შეუყვარდა ერთი ქალი, რომელმაც კუზის გამო კვაზიმოდო შეარქვა.

➤ 8161

1940

22 თებერვლის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „აპრილი. ათას რვაას...“.

➤ 8162

1940

22 თებერვლის შემდეგ

წერს პოემის „ბამბურა მურა“ გეგმას და შემდეგ მის მიხედვით იწყებს ტექსტის წერას.

➤ 8163

1940

### 27 თებერვალი

აბარებს სისხლის ანალიზს და მონაცემებს იწერს ბლოკნოტში.

➤ 8164

1940

### თებერვალი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“.

➤ 8165

1940

### თებერვლის შემდეგ

რუსთაველის პროსპექტზე შემთხვევით შეხვედრილ პოეტ ოთარ მამფორიას მთაწმინდაზე ეპატიჟება. პანთეონთან ასულები მარცხნივ უხვევენ პატარა ბილიკზე და გალაკტიონი ამბობს, რომ ეს მისი აღმოჩენილი გზაა. ადიან ფუნიკულიორის საზაფხულო რესტორანში. პოეტი ესალმება ნაცნობ რაჭველ ოფიცინტს, შეკვეთას აძლევს და ჩაფიქრებული გადაწყურებს თბილისს. მამფორია ბლოკნოტს და ფანქარს მოიმარჯვებს რომ გალაკტიონის ნაამბობი ჩაიწეროს. პოეტი იხსენებს მისი პირველი ლექსების დაბეჭდვის შემდეგ ქუთაისელი დიასახლისი როგორ უმატებდა ჩაიში შაქრის ულუფას. რესტორნის გვერდით მაგიდაზე მსხდარი რუსი ტურისტები, რომელთა შორის ერთი ლამაზი ქალბატონია, მის ლექსზე დაწერილ სიმღერას „წყალტუბოდან ქუთაისში“ მღერიან. პოეტი სიამოვნებისგან იბადრება, მამფორიას ბლოკნოტს ართმევს და ფანქრით უხატავს მზე-გალაკტიონს, რომლის სხივებაც სიმბოლურად სხვა პოეტები არიან. რუსი ტურისტები მათ მაგიდასთან მიდიან და გალაკტიონს ადღეგრძელებენ. ლამაზი ქალი შუბლზე ეამბორება, გალაკტიონი კი ხელზე კოცნის. შემდეგ სვამს სამართლისათვის მებრძოლი ლირიკის სადღეგრძელოს და მამფორიას ეკითხება მისი „საუბარი ლირიკის შესახებ“ თუ აქვს წაკითხული. შემდეგ იხსენებს გარსია ლორკას, რომლის დახვრეტისას ჯარისკაცები მისსავე ლექსზე დაწერილ სიმღერას მღეროდნენ. მოგვიანებით გალაკტიონი და მამფორია საზოგადო მოღვაწეთა პანთეონისკენ ეშვებიან. უკვე გვიანია და კარი დაკეტილია, მაგრამ მამფორია ახერხებს მის გაღებას. ხმაურზე დარაჯი გამოდის, მაგრამ გალაკტიონის დანახვისას მოწიწებით იწვევს მათ პანთეონში. პოეტი დიდხანს თვალაპყრობილი დგას ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლთან.

➤ 8166

## მ ა რ ტ ი

1940

### 4 მარტი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი შუამდგომლობს სპეციალური სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს უფროსის ივანე ფრანგულიანის წინაშე, დაეხმარონ გალაკტიონ ტაბიძეს, რომ იმკურნალოს ალკოჰოლიზმზე მოსკოვის სათანადო საავადმყოფოში.

➤ 8167

1940

### 5 მარტი

წერილს უგზავნის უკრაინელ პოეტ მიკოლა ბაჟანს და ატყობინებს, რომ გაეცნო უკრაინულ ენაზე გამოცემულ წიგნს „საბჭოთა საქართველოს პოეზია“ და წინასიტყვაობაში აღმოაჩინა ერთი შეცდომა. წიგნის მე-20 გვერდზე წერია, რომ გალაკტიონის პოეზია განიცდის ვლადიმერ მაიაკოვსკის გავლენას. ადრესანტი აღნიშნავს, რომ, ამ უკანასკნელისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეს აზრი სინამდვილეს არ შეესაბამება, რაშიც იოლად დარწმუნდება ნებისმიერი, ვინც გალაკტიონის პოეზიას ახლოს გაეცნობა.

➤ 8168

1940

### 7 მარტის შემდეგ

კითხულობს ჟურნალის „მნათობი“ რუბრიკაში „ბიბლიოგრაფია“ დაბეჭდილ გრიგოლ იარალოვის სატატიას „ილო მოსაშვილი – ლექსები“. წერს, რომ კრიტიკოსი ამჩნევს ავტორის მიერ ლექსებში რითმების რამდენჯერმე გამეორებას, მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ გალაკტიონის რითმებს იმეორებს. ასკვნის, რომ ილო მოსაშვილი მისი სკოლის პოეტია.

➤ 8169

1940

### 14 მარტამდე

იღებს უცნობი ახალგაზრდა მკითხველის წერილს, რომელიც ინტერესდება სასკოლო სახელმძღვანელოში კორექტურული შეცდომით ხომ არ არის დაბეჭდილი პოეტის ლექსი „პირველი მაისი“.

➤ 8170

1940

### 14 მარტამდე

საპასუხო წერილს უგზავნის ახალგაზრდა მკითხველს, რომელიც დაინტერესდა, ხომ არ იყო დაშვებული კორექტურული შეცდომა სასკოლო სახელმძღვანელოში მოთავსებულ ლექსში „პირველი მაისი“. გალაკტიონი მადლობას უხდის ახალგაზრდას ყურადღებისთვის და უდასტურებს, რომ ტექსტში დაშვებულია კორექტურული შეცდომა და უნდა ეწეროს „სალამი იმ ბრძოლებს“. პოეტი აღუთქვამს ადრესატს, რომ ეს შეცდომა გასწორდება სახელმძღვანელოს მომავალ გამოცემებში.

➤ 8171

1940

### 16 მარტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII ყრილობაზე კანდიდ ჩარკვიანი კითხულობს საანგარიშო მოხსენებას „ხელოვნება და ლიტერატურა“, რომელშიც აღნიშნავს, რომ მოწინავე პოეტმა – გალაკტიონ ტაბიძემ ქართული პოეზია გაამდიდრა სტალინზე და მის სამშობლო ქალაქზე, გორზე ოსტატურად დაწერილი ლექსებით.

➤ 8172

1940

### 17 მარტი

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობას („საბლიტგამი“) დასაბეჭდად გადასცემს წიგნს „ლირიკა“ და აპირებს ჰონორარზე მოლაპარაკებას.

➤ 8173

1940

### 19 მარტი

გალაკტიონ ტაბიძის კრებული „ლირიკა“ საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის – „საბლიტგამის“ ვიზირებით გადაეცემა წარმოებას და იწყება წიგნის რედაქტირება.

➤ 8174

1940

### 20 მარტის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას დეკემას. სწერს, რომ მის უამრავ წერილსა და დეპეშაზე პასუხი არ მიუღია და ევედრება, შეეხიანოს.



➤ 8175

1940

**23 მარტის შემდეგ**

კითხულობს ნიკო მარის წიგნს „სინას მთის მონასტრის ხელნაწერთა აღწერილობა“, აკეთებს ხაზგასმებსა და აღნიშვნებს.

➤ 8176

1940

**24 მარტამდე**

წერს უსათაურო ლექსის „რად ვეგო სხვას ფიანდაზად...“ ორ ვარიანტს.

➤ 8177

1940

**24 მარტამდე**

წერს აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „ცოტა თქვა, მარა...“.

➤ 8178

1940

**24 მარტამდე**

წერს აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „ხმები ხალხში ყურმოკრული...“.

➤ 8179

1940

**24 მარტამდე**

წერს ლექსს „წიგნები - ზღვაა“.

➤ 8180

1940

**24 მარტი ან ადრე**

იგებს, რომ მისი თხოვლებების მესამე ტომის სასტამბო სამუშაოები ორ-სამ დღეში დამთავრდება და ბეჭდვაც მალე დაიწყება.

➤ 8181

1940

**24 მარტი ან ადრე**

ვერ არკვევს, როდის დაასრულებს დავით გველესიანი მის პორტრეტს.

➤ 8182

1940

**24 მარტი ან ადრე**

იგებს, რომ X კლასის სახელმძღვანელოს „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, XX საუკუნე“ ახალი გვერდები უნდა ჩაემატოს და იმედოვნებს, რომ დამატებულ მასალაში მისი ლექსებიც მოხვდება.

➤ 8183

1940

**24 მარტი ან ადრე**

დღიურში იწერს, რომ აკაკი წერეთელი 1909-1910 წლების შემოდგომა-ზამთარში პარიზში ყოფნისას დიდებულად მიიღო ქართულმა სათვისტომომ და იქვე აღნიშნავს, რომ ემიგრანტების მხრიდან ასეთი მხარდაჭერა მისთვისაც საჭიროა.

➤ 8184

1940

24 მარტი

დღიურში იწერს, რა არის საჭირო საღამოების მოსაწყობად: პრესა, რადიო, საქედესი, აფიშა, პლაკატები, წიგნის მაღაზიებისა და ვიტრინების გაფორმება რუსთაველისა და პლენანოვის პროსპექტებზე, ტრამვაი, სპეციალური გაზეთი, ოპერის თეატრის ფასადი, კომპოზიტორები და მუსიკოსები, ლიტერატურული ბრიგადა, საღამოს აგიტაცია-პროპაგანდა, ქალთა ბრიგადები, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა. ფიქრობს, რომ საღამოები უნდა ჩატარდეს ყველა სკოლაში. აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევისთვის მთავარია კანდიდ ჩარკვიანის ნებართვა.

➤ 8185

1940

24 მარტი

საღამოების მოსაწყობად ათვალეიერებს ტრამვაის გაჩერებებს, რომლებიც ამ მიზნისთვის გამოსადეგია და ითვლის მიხეილის, ამჟამინდელი დავით აღმაშენებლის, გამზირზე არსებულ 60 პუნქტს.

➤ 8186

1940

24 მარტი

ივანე გოკიელის სანახავად მიდის კომპოზიტორთა კავშირში. თანამშრომელი ქალი პასუხობს, რომ ის კიევში გაემგზავრა. შემდეგ გალაკტიონს ვინაობას ეკითხება და პასუხის მიღების შემდეგ ეუბნება, რომ ის მათი სიამაყეა და დაეხმარებიან. ფიქრობს, რომ სიამაყე კარგია, მაგრამ რომ შექმნას რაიმე დიადი, საქმე არ უნდა დაივიწყოს.

➤ 8187

1940

24 მარტი

მწერალთა კავშირიდან ტელეფონით აცნობებენ, რომ ვეტერინარულ ინსტიტუტში შედგება ორდენოსანი მწერლებისა და სტუდენტების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობენ სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე და გიორგი ლეონიძე. სთხოვენ მონაწილეობას, მაგრამ გალაკტიონი ავად არის და თან ფიქრობს, რომ მისთვის არავითარი სარგებლობის მოტანა შეუძლია ასეთ საღამოებს, მხოლოდ ნერვებს მოუშლიან და მთელი კვირა შემდეგ საწოლში უნდა გაატაროს.

➤ 8188

1940

24 მარტი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსები“. ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძე შესანიშნავი ლირიკოსი და უაღრესად რთული მოვლენაა ქართულ პოეზიაში. მან ოცდაათი წლის მანძილზე შედეგები დაწერა, მაგრამ მისი პოეზია საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. მიმოიხილავს ახალ ტექსტებს: ფრაგმენტს პოემიდან სათაურით „ვიგონებ ყრმობას“, „მთვარის ნაამბობიდან“, \*\*\* („ჩამავალი მზის ფერადო კიდევ...“), „სადღაც, ყინულზე“ და \*\*\* („საღამოს სხივები...“). აღნიშნავს, რომ პოეტს ჰქონდა იდეური და მხატვრული ჩავარდნები, რამაც გამოიწვია საუბარი მისი გზის დასასრულზე. მიუხედავად ამისა, ასკვნის, რომ გალაკტიონ ტაბიძე ქართულ პოეზიაში რჩება

რომანტიკული ლექსის ვირტუოზად და მისი უკანასკნელი პუბლიკაციები ცხადყოფს, რომ მას აქვს დიდი შემოქმედებითი პოტენცია.

➤ 8189

1940

24 მარტი

სტუმრობს ვალერიან გაფრინდაშვილს, რომელიც ფიქრობს, რომ გული ბევრმა მუშაობამ, ლუდმა და პაპიროსმა დაუავადა. მწერლის პატარა ქალიშვილი – ნანა გაფრინდაშვილი, რომელიც იქვე მეცადინეობს, აღნიშნავს ფანჯრიდან დანახული თოვლის მშვენიერებას. მამა ეუბნება, რომ გალაკტიონს აქვს კარგი ლექსები თოვლზე და ქარზე. ბავშვი ეკითხება, ლენინზე თუ აქვს ლექსებო და მამა პასუხობს, რომ ლენინზეც აქვს და სტალინზეც. სტუმარ-მასპინძელი დიდხანს საუბრობს ირაკლი აბაშიძესა და ბონდო კეშელავას შორის მომხდარ ინციდენტზე, კოლაუ ნადირაძეზე, ხარიტონ ვარდოშვილზე, ალექსანდრე აბაშელზე, სტალინისადმი მიძღვნილ წიგნზე. ვალერიან გაფრინდაშვილს უხარია, რომ სტალინზე მისი ლექსი დაბეჭდილია გალაკტიონის ლექსის გვერდით. მასპინძელი ეუბნება, რომ მოსწონს გამოხმაურება მის ბოლოდროინდელ ლექსებზე. შინ დაბრუნებული გალაკტიონი იღებს გადაწყვეტილებას, რომ აღარ მოწევს პაპიროსს.

➤ 8190

1940

24 მარტი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება კანდიდ ჩარკვიანის 16 მარტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის XIII ყრილობაზე. მასში გალაკტიონ ტაბიძეზე ნათქვამია, რომ სტალინის დაბადებებიდან 60 წლისთავისთვის შემოქმედებითად იაქტიურა მოწინავე პოეტმა და ქართული პოეზია გაამდიდრა ბელადზე და გორზე ოსტატურად დაწერილი ლექსებით.

➤ 8191

1940

24 მარტი

კითხულობს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ დაბეჭდილ კანდიდ ჩარკვიანის მოხსენებას და შალვა რადიანის წერილს „გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსები“. ორივეთი კმაყოფილია.

➤ 8192

1940

24 მარტის შემდეგ

X კლასის სახელმძღვანელოში „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, XX საუკუნე“ იბეჭდება მისი ლექსები: „ლურჯა ცხენები“, „მე და ღამე“, „სტალინი“, „პირველი მისი“, „მთაწმინდის მთვარე“, „დროშები ჩქარა“, „ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“, „დაჰკარ, ორკესტრო“, „რევოლუციურ საქართველოს“, „კოლხიდის დაბლობზე“.

➤ 8193

1940

29 მარტის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ბაღში სინათლე ჰყვავოდა თეთრი...“.

➤ 8194

1940

29-30 მარტი

აღრიცხავს, რა რაოდენობის ქალაქი აქვს სახლში და რამდენის შოვნას შეძლებს კიდევ, რომ მაკულატურაში ჩააბაროს. იმედს ამყარებს ძველ აფიშებზე და ცდილობს გაარკვიოს, სად იბეჭდება აფიშები. დღიურში ინიშნავს, რომ უნდა შეხვედეს ლადო სირბილაძეს და ნიკო კიკნაძეს. ასკვნის, რომ არაფერია უსაშველო.

➤ 8195

1940

### 30 მარტის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი უყვება სიზმარს, ვითომ თვალუწვდენელ, გადამხმარ უდაბნოში სულ მარტო იყო. სწერს, რომ სამწელიწადნახევრის განმავლობაში რეგულარულად უგზავნიდა წერილებს, სამჯერ გაუგზავნა დეპეშა, მათ შორის 1940 წლის 20 მარტსაც, მაგრამ არცერთზე პასუხი არ მიუღია და ამიტომ უკვე ყველანაირი იმედი ამოეწურა. სთხოვს, ამიერიდან ფულსაც ნუღარ გაუგზავნის, რადგან ეს შეურაცხყოფილად აგრძნობინებს თავს. მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, თავმოყვარეობა არ დაუკარგავს და არავისგან მოწყალეობას არ საჭიროებს.

➤ 8196

1940

### 31 მარტამდე

გიგო ზაზიაშვილს სურს მისი პორტრეტის დახატვა და აპირებენ დროსთან დაკავშირებით შეთანხმებას.

➤ 8197

1940

### 31 მარტი ან ადრე

საბანკო ანგარიშზე ურიცხავენ თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომის ჰონორარს.

➤ 8198

1940

### 31 მარტი

იწყებს პოემის „აკაკი წერეთელი“ საბოლოო დამუშავებას.

➤ 8199

1940

### 31 მარტი

იგებს, რომ წინა დღეს მცხეთაში გადაბრუნდა მწერალთა კავშირის ავტომობილი, რომელშიც ისხდნენ ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და ილო მოსაშვილი. სერიოზულად არავინ დაშავებულა, მაგრამ ირაკლი აბაშიძე ვერ მიდის მწერალთა კავშირში, რის გამოც ფერხდება პორტრეტის მომზადება გალაკტიონის მესამე ტომისთვის.

➤ 8200

1940

### 31 მარტი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომისთვის დასართავი მისი პორტრეტის საქმე ჭიანურდება, რადგან ბენო გორდეზიანი რაღაცას ეშმაკობს.

➤ 8201

1940

### 31 მარტის შემდეგ

წერს პროზაულ ტექსტს, სახელწოდებით „სამქედლოში“, რომლის მთავარი პერსონაჟია ახალგაზრდა მქედელი რატი.

➤ 8202

1940

### 31 მარტის შემდეგ

წერს პროზაულ ტექსტს, სახელწოდებით „დილა მთებში“.

➤ 8203

## აპრილი

1940

### 1 აპრილი

იგებს, რომ მისი წიგნის „ლირიკა“ რედაქტირების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის შალვა თაბუკაშვილს და იგი მიმდინარე დღესვე გადაეცემა სტამბას. წუხს, რომ, ამისგან განსხვავებით, სახელმწიფო გამომცემლობაში მესამე ტომის გამოცემა ნელა მიდის, რადგან არც ბენო გორდენიანი აკეთებს რამეს და ასოთამწყობიც ავადმყოფობს.

➤ 8204

1940

### 4 აპრილის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ ქვეყნდება შალვა რადიანის სტატია „ლენინი ქართულ პოეზიაში“. კრიტიკოსი ჩამოთვლის იმ პოეტებს, რომლებმაც ლენინს მიუძღვნეს ნაწარმოებები და უპირველესად ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤ 8205

1940

### 2-5 აპრილი

დღიურში ჩამოწერს 1933 წელს გამართულ მის იუბილეზე სიტყვებით გამომსვლელებსა და მწერალთა ფედერაციის ბროშურაში მონაწილე ავტორებს. მათ შორის არიან: ბესარიონ ჟღენტი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, რაფაელ აგამალიანი, დია ჩიანელი, გიორგი ლეჟავა, სავლე აბულაძე, სოლომონ ცაიშვილი, შალვა რადიანი, სიმონ ხუნდაძე, ლევან ასათიანი, გიორგი ნატროშვილი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე. აღნიშნავს, რომ მისი წიგნების გამოსვლას აფერხებს სხვადასხვა ხელის შემშლელი პირობები, მათ შორის უქაღალდობა, რადგან სტამბებში ქაღალდის მთელი მარაგი აკაკი წერეთლის იუბილესთვის იხარჯება.

➤ 8206

1940

### 6 აპრილამდე

სერგო კლდიაშვილი გალაკტიონისგან დაჟინებით ითხოვს მოსკოვში გამოსულ მის რუსულ წიგნს.

➤ 8207

1940

### 7 აპრილი

უნივერსიტეტი აპირებს აკაკი წერეთლის კრებულის გამოცემას და გალაკტიონს სთხოვენ, რომ ათ დღეში მიაწოდოს თავისი 100 ან მეტი სტრიქონი.

➤ 8208

1940

### 7 აპრილი

დღიურში ინიშნავს, რომ საჩქაროდ უნდა დაამზადოს საპირველმართისო ლექსი.

➤ 8209

1940

7 აპრილი

კონსტანტინე ბოგდანოვსკის სათარგმნად უნდა გადასცეს 1000 სტრიქონი და დღიურში იწერს, რომ არ იცის, როგორ გაართმევს იგი თავს ამ საპასუხისმგებლო საქმეს.

➤ 8210

1940

7 აპრილი

რძალი, ტატიანა ცინცაძე უამბობს, რომ მის ვაჟ ნოდარ ტაბიძეს ქუჩაში ერთმა კაცმა გვარი ჰკითხა და როცა პასუხი მიიღო, დაინტერესდა, გალაკტიონ ტაბიძე ხომ არ გაგიგონიაო. ნოდარს ამაყად უპასუხია, ჩემი ბიძააო. ამაზე უცნობს უთქვამს, გალაკტიონს ვიცნობ, ჩემი დიდი მეგობარია და რამდენჯერმე ღვინოც ერთად დაგვილევიანო. გალაკტიონი ვერ ხვდება, „ვინ ოხერი“ შეიძლება ყოფილიყო.

➤ 8211

1940

7 აპრილი

დღის ბოლოს აჯამებს მიმდინარე შედეგებს. ერთადერთი, რაც ახარებს არის ის, რომ წიგნი საბოლოოდ კორექტირებული სახით გადაეცა სტამბას. წუხს, რომ ვერ ხვდება იმ ხალხს, ვისთანაც საქმე აქვს. უკმაყოფილოა კონსტანტინე ბოგდანოვსკით.

➤ 8212

1940

9 აპრილამდე

15 თუ 17-ჯერ მიდის კორნელი სანაძესთან და პოზირებს პორტრეტის დასახატად. სეანსებზე მუდმივად მოძრაობს და კითხულობს ლექსებს მსოფლიოს შედეგებიდან. განსაკუთრებით ხშირად ციტირებს ბაირონის ლექსს მეუღლისადმი.

➤ 8213

1940

9 აპრილი

სადამოს გამართვის მიზნით ათვალისწინებს ფილარმონიას, რომელიც მასზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ოპერის თეატრთან ხვდება კარლ ცელმსს და რიგდებიან ცალკეულ საკითხებზე.

➤ 8214

1940

9 აპრილი

ნინა ესაუბრება მასისა და თეატრის ურთიერთმიმართების შესახებ, თეატრი საზოგადოებაზე დამოკიდებული, რადგან მთავრობა არავითარ დოტაციას არ აძლევსო, იმის გამო, რომ კოტე მარჯანიშვილს ცუდად მოექცნენ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრს უფრო ესწრება ხალხი, ვიდრე რუსთაველისას და ეს კანონზომიერიაო.

➤ 8215

1940

9 აპრილი

იგებს, რომ კორნელი სანაძე 2 კვირის შემდეგ, 29 აპრილს, დაასრულებს მის პორტრეტს.

➤ 8216

1940

**9 აპრილი**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ ვანო წულუკიძე და პოლიკარპე კაკაბაძე გულჩახვეულები არიან და გაურბიან ლირიკის შესახებ საუბარს. შოთა ძიძიგურს აინტერესებს, ისევე უხვად აქვს თუ არა ახალი ლექსები. ფიქრობს, რომ „საბლიტგამის“ გამოცემულ მის წიგნს უნდა დაერქვას „რჩეული ლირიკა“ ან „ლირიკა“.

➤ 8217

1940

**9 აპრილი**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ სასწრაფოდ გადასაწყვეტია ირაკლი აბაშიძის, მთარგმნელების, ქაღალდისა და ათასი სხვა საქმე.

➤ 8218

1940

**9 აპრილი**

შალვა რადიანისგან იგებს, რომ მისი რვატომეულის მესამე ტომი სამ კვირაში უკვე მზად უნდა იყოს.

➤ 8219

1940

**9 აპრილი**

მისი საღამოს ჩატარების თარიღად იგეგმება 19 მაისი და პოეტი თავს მოუწოდებს, რომ დარჩენილი 43 დღე ენერგიულად და ნაყოფიერად გამოიყენოს.

➤ 8220

1940

**10 აპრილი**

განცხადებით მიმართავს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს ბორის გოგუას. აცნობებს, რომ 19 მაისისთვის ჩანიშნულია მისი ლიტერატურული საღამოს მოწყობა ოპერის თეატრში და სთხოვს შესაბამისი განკარგულების გაცემას.

➤ 8221

1940

**10 აპრილი**

ხვდება ოპერის ადმინისტრატორ კარლ ცელმსს, რომელიც კალენდარში ინიშნავს გალაკტიონის საღამოს თარიღად – 19 მაისს და აპირებს ამასთან დაკავშირებით პოეტისთვის წერილობითი თანხმობის მიცემას, მაგრამ უცებ გადაწყვეტს, რომ საჭიროა თეატრის დირექტორთან – მაისურაძესთან შეთანხმება და მასთან შედის. დირექტორისგან გამოდის პასუხით, რომ აუცილებელია ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ნებართვა. გალაკტიონი ხვდება ბენიამინ გოგუას, რომელიც ითხოვს, რომ ეს ამბავი შეთანხმებული იყოს ცენტრალური კომიტეტის მდივან ილია თავაძესთან. გალაკტიონი იმედოვნებს, რომ ილია თავაძესთან ირაკლი აბაშიძე უშუამდგომლებს, მაგრამ ის მოსკოვშია და მისი მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულია შალვა რადიანი. შალვა ათანხმებს ილია თავაძესთან შეხვედრას მიმდინარე დღის ბოლოსთვის და გალაკტიონი შიშობს, რომ გოგუამ არ გააფუჭოს საქმე, რადგან ის უფრო ადრე ხვდება თავაძეს.

➤ 8222

1940

**10 აპრილი**

განათლების სახალხო კომისარიატი მთელი სადამოს განმავლობაში მსჯელობს ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის X კლასის სახელმძღვანელოში გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „პირველი მაისი“ გაპარულ შეცდომაზე. ნაცვლად ფრაზისა „სალამი იმ ბრძოლებს“ წერია „სალამი იმ ბორკილებს“.

➤ 8223

1940

11 აპრილი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ საბლიტგამმა მისი წიგნის გარეკანზე ლირა უნდა აღიბეჭდოს და ამიერიდან მისი ყველა ტომი ასეთი გარეკანით დაიბეჭდოს.

➤ 8224

1940

11 აპრილი

შალვა რადიანი აცნობებს, რომ ილია თავაძე ვერ ნახა, მაგრამ იმედოვნებს, რომ საქმე მაინც მოგვარდება. გალაკტიონი შეწუხებულია იმ ფაქტით, რომ ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის X კლასის სახელმძღვანელოში გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „პირველი მაისი“ დაშვებულ შეცდომას („ბრძოლებს“ ნაცვლად ეწერა „ბორკილებს“) განათლების სახალხო კომისარიატის შემდეგ ცეკაც განიხილავს. რადიანი ამშვიდებს, რომ ჟურნალში „მნათობი“ უარესი პოლიტიკური შეცდომაც იყო გაპარული და გაასწორესო.

➤ 8225

1940

11 აპრილი

შალვა რადიანს აცნობებს, რომ ვლადიმირ მაიაკოვსკის სადამოს ვერ დაესწრება.

➤ 8226

1940

11 აპრილი

ქეთევან ირემაძე უნივერსიტეტიდან ორჯერ ურეკავს, მწერალთა კავშირში და სახლში იმ სახელმძღვანელოში გაპარული კორექტორული შეცდომის გამო, რომლის შემდგენლები არიან შალვა რადიანი და პროკლე კეკელიძე, რედაქტორი კი განათლების სახალხო კომისარიატის მოადგილე – ბესარიონ კიზირია. გალაკტიონი ცდილობს, დაამშვიდოს ქეთევან ირემაძე, რომ მკითხველი მეტაფორად სიტყვას „ბორკილებს“ სიტყვის „ბრძოლებს“ ნაცვლად ვერ მიიღებს, რადგან ლექსში რიტმი ირღვევა ზედმეტი მარცვლის გამო, ამას კი მიხვდება არა მხოლოდ ყველა მასწავლებელი, არამედ ყველა მოსწავლეც, რადგან მეათე კლასში ლექსთწყობა მათ უკვე ნასწავლი აქვთ. ფიქრობს, რომ ვისაც ეს ესმის, ბოროტ განზრახვას ვერ დაინახავს, კორექტურული შეცდომები კი პირველხარისხოვან გამოცემებშიც არსებობს. აინტერესებს, ვინ გააღვივა ეს ამბავი, რომ ერთი კორექტურული შეცდომის გამო ადამიანებს ღუპავენ, მაგრამ ფიქრობს, რომ არის ხალხი, რომელიც „მხოლოდ ამნაირი ამბებით სუნთქავს“.

➤ 8227

1940

12 აპრილამდე

ხვდება სიმონ ჩიქოვანს, რომელსაც ყოველთვის ენა ებმებოდა ხოლმე, როდესაც გალაკტიონის შესახებ საუბრობდა, მაგრამ ამჯერად გამართული ენით ეუბნება აკაკი წერეთლის დღეებში მოხსენება შენ უნდა გააკეთო, რადგან ლირიკის სპეციალისტი ხარო.

➤ 8228

1940



## 12 აპრილამდე

19 მაისს ოპერაში გალაკტიონის სადამოს გამართვაზე ილია თავაძე თანხმობას არ იძლევა სანამ ვლადიმერ მაიაკოვსკის სადამო არ გაიმართება.

➤ 8229

1940

## 12 აპრილი

ფიქრობს, რომ პირველი მაისისთვის ლექსს დაბეჭდავს გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“.

➤ 8230

1940

## 12 აპრილი

მოსწონს მარჯანიშვილის თეატრის მხატვარის მიერ დახატული ასოები, რომლებიც ამ თეატრის აბრას გამოარჩევს ოპერისა და რუსთაველის თეატრების აბრებისაგან, ამიტომ სურს, გაიგოს, ვინ არის ეს მხატვარი, რომ მას დაავალოს თავისი აფიშის გაკეთება.

➤ 8231

1940

## 12 აპრილი

ურევავს ქეთევან ირემაძე, რომელსაც არ ასვენებს პროკლე კეკელიძე, რადგან ჰგონია, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „პირველი მაისი“ გაპარული შეცდომის გამო იღუპება. მისი აზრით, შველა მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძეს შეუძლია, თუ განაცხადებს, რომ შეცდომა უმნიშვნელოა. პოეტი ბრაზობს, რადგან სახელმძღვანელოში დაბეჭდვამდე ლექსი სამჯერ იყო გამოქვეყნებული: 1933 წელს „მნათობში“, 1935 წელს მის თხზულებათა მეორე ტომში და 1937 წელს სასკოლო ბიბლიოთეკის სერიით გამოცემულ მის „ლექსებში“. შეცდომა რჩება შეცდომად, მაგრამ კორექტურულია და არა ბოროტი განზრახვით ჩადენილი.

➤ 8232

1940

## 12 აპრილი

ოლღა დარიუსი ვითომ წასვლას აპირებდა გალაკტიონისგან, მაგრამ აჭიანურებს, სახლიდან ფეხს არ იცვლის, ყველანაირ წვრილმანში ეწინააღმდეგება, ხელს უშლის მუშაობაში და ემუქრება, რომ მისი რუსულენოვანი თარგმანების ტომისთვის მასალის მომზადებაში არ დაეხმარება.

➤ 8233

1940

## 12 აპრილი

იხსენებს 1938 წლის ამბებს – ფილარმონიას, „ლიტფონდს“, მწერალთა კავშირს, „სალიტერატურო გაზეთს“, „კომუნისტს“, ბრძოლას ახალ თაობასთან. ყველგან წინააღმდეგობას აწყდებოდა, ყველგან უპირისპირდებოდნენ, რომ მიჩქმალულიყო მისი 30 წლის ნაღვაწი. ახლა კი ისე წარმოაჩენენ, თითქოს მაშინ უბრალოდ პასიური იყო და ახლა გააქტიურდა.

➤ 8234

1940

## 13 აპრილი

ხვდება შალვა რადიანს, რომელსაც ძალიან შეწუხებული სახე აქვს გალაკტიონის ლექსში გაპარული შეცდომის გამო. ეუბნება, რომ აპირებენ კომისიის შექმნას და საკითხის ცეკაში განხილვას. შეკითხვაზე, სახელგამში ხომ არაფერი უთქვამთო, გალაკტიონი პასუხობს, რომ უთხრეს, მაგრამ შალვა იმ დროს მოსკოვში იყო.

➤ 8235

1940

13 აპრილი

შალვა რადიანი გადასცემს, რომ ოპერის თეატრში გალაკტიონის საღამოს მოწყობასთან დაკავშირებით ილია თავაძე არ ჩქარობს, დრო ბევრი გვაქვსო. გალაკტიონი ასკვნის, რომ თუ რაიმე სხვა გზა არ მონახა, საქმე ჩაშლილია.

➤ 8236

1940

13 აპრილი

შალვა რადიანს აცნობებს, რომ მისი წიგნი „ლირიკა“, რომელიც გამოდის საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში, აკინძულია და გადასახედად გადაეცა გიორგი იამანიძეს.

➤ 8237

1940

13 აპრილი

აგრძელებს მუშაობას პოემაზე „აკაკი წერეთელი“.

➤ 8238

1940

14 აპრილი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს ფილარმონიაში გამართული ვლადიმირ მაიაკოვსკის საღამოს შესახებ. აღნიშნავს, რომ საზოგადოება იკრიბებოდა ძალიან ნელა, დარბაზი ნახევრად ცარიელი, სულიერი განწყობილება კი საპანაშვიდო იყო. გამოფენილი ჰქონდათ მაიაკოვსკის პატარა, ლენინისა და სტალინის კი დიდი სურათები. ალიო მაშაშვილი უდიდამოდ კითხულობდა მოხსენებას და არავინ უსმენდა. ასკვნის, რომ უფერული საღამო იყო, რადგან კარგად ვერავინ გამოვიდა და საზოგადოებას არც ახლა უყვარს ვლადიმირ მაიაკოვსკი.

➤ 8239

1940

14 აპრილი

ესწრება ვლადიმირ მაიაკოვსკის საღამოს ფილარმონიაში, სადაც აცნობენ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს, ილია თავაძეს.

➤ 8240

1940

14 აპრილი

ფილარმონიაში, ვლადიმირ მაიაკოვსკის საღამოზე ხვდება შალვა რადიანს, რომელიც ეუბნება, რომ მაიაკოვსკის საღამოს შემდეგ მისი საღამოს საქმეებს შეუდგება.

➤ 8241

1940

14 აპრილი

ალექსანდრე სულავა ატყობინებს, რომ მისი წიგნი „ლირიკა“, რომელსაც გამოსცემს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა, აწყობილია და ბეჭდება იწყება.

➤ 8242

1940

14 აპრილი

ფილარმონიაში, ვლადიმირ მაიაკოვსკის სადამოზე ხვდება გივი გაჩეჩილაძეს. ის რომანტიკულად იგონებს ხელოვნების სასახლეში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის სადამოს, რომელიც რადიოთი გადასცეს.

➤ 8243

1940

15 აპრილამდე

იონა ტუსკია წერს მუსიკას გალაკტიონ ტაბიძის ლექსისთვის „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“.

➤ 8244

1940

15 აპრილი

ელენე შერს გადასათარგმნად უტოვებს 6 ლექსს.

➤ 8245

1940

15 აპრილი

შალვა რადიანიგან იგებს, რომ ილია თავაძე ჯერ კიდევ არ მოლაპარაკებია კანდიდ ჩარკვიანს გალაკტიონის სადამოსთან დაკავშირებით.

➤ 8246

1940

15 აპრილი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ ფილარმონიაში ვლადიმირ მაიაკოვსკის სადამო საზიზღრად ჩატარდა, გიორგი ლეონიძემ ტყუილებით ისახელა თავი, შალვა დადიანმა კი – არტისტული პოზით.

➤ 8247

1940

15 აპრილი

ადგენს თავისი სადამოს მოწყობის გეგმას. ფიქრობს, გამოიყენოს: იონა ტუსკიას მუსიკა „მანონ ლესკოზე“, იაკობ ნიკოლაძის ბიუსტის ფოტო, დავით გველესიანის აკვარელით ნახატი და იოსებ გვანცელაძის ლირიკული ოფორტები გალაკტიონის თემაზე. იწერს ოპერის თეატრის მთავარი ადმინისტრატორის გვარს: კარლ ცელმსი.

➤ 8248

1940

15 აპრილი

იგებს, რომ გიორგი ლეონიძე აპირებს, დარია ახვლედიანის მოგონება აკაკი წერეთლის შესახებ, რომელშიც საუბარია გალაკტიონ ტაბიძეზე, კრებულის დასაწყისში დაიბეჭდოს. გალაკტიონს დიდი იმედი არა აქვს გიორგი ლეონიძის ასეთი კეთილგანწყობის და ფიქრობს, რომ შესაძლოა აპირებდეს მის შესახებ სტრიქონების წაშლას ამ მოგონებიდან.

➤ 8249

1940

16 აპრილი

მიდის მთარგმნელ კონსტანტინ ბოგდანოვსკისთან და არკვევს, რომ თარგმანის ნახევარიც კი არ აქვს მზად. უტოვებს მირზა გელოვანის მისდამი მიძღვნილ ლექსს და თარგმნის საფასურს, 20 მანეთს.

➤ 8250

1940

**აპრილი**

ჟურნალში „ჩვენი თაობა“ იბეჭდება კანდიდ ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის XIII ყრილობაზე. მასში გალაკტიონ ტაბიძეზე ნათქვამია, რომ მან სტალინის დაბადებებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით ქართული პოეზია გაამდიდრა ბელადზე და გორზე დაწერილი ლექსებით.

➤ 8251

## მ ა ი ს ი

1940

**5 მაისი**

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სალამი ახალგაზრდობას“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 8252

1940

**მაისის მეორე ნახევრამდე**

გადასახლებაში წერილს უგზავნის ოლია ოკუჯავას. სწერს, რომ სამნახევარი წლის განმავლობაში თვეში ორჯერ იღებდა მისგან წერილებს. დიდხანს არ სწერდა, რადგან საერთოდ არაფერს წერდა, იყო ძალაგამოცლილი და დასუსტებული, მაგრამ შემდეგ ერთი ვრცელი წერილი გაუგზავნა, რომელშიც ეკითხებოდა, რა სჭირდებოდა და რა შეეძლო გაეგზავნა თბილისიდან. ამ წერილზე პასუხი არ მიუღია და მიხვდა, რომ ოლიამდე ის არ მისულა. ამიტომ უგზავნიდა მხოლოდ ფულს და დეპეშებს. ძალიან სთხოვს, რომ თანხის აღებაზე უარი არ უთხრას. ეს ზრუნვა მისი სიყვარულის გამოხატულებაა და არ უნდა იყოს ოლიასთვის დამამცირებელი. იმ უსუსურ მდგომარეობაში, რაშიც გალაკტიონი აღმოჩნდა, უჭირს წერილების წერა, მაგრამ სთხოვს, რომ ოლიამ განაგრძოს თავისი ამბების მისთვის შეტყობინება. მართალია, დიდხანს არაფერს არ წერდა, მაგრამ სტალინის 60 წლის იუბილეს მიუძღვნა პოემა, რომელშიც ასახულია მისი როლი კაცობრიობის გათავისუფლების საქმეში. თებერვალში ჟურნალში „მნათობი“ დაიბეჭდა მისი მეორე პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“. ამჟამად მუშაობს აკაკი წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვნილ პოემაზე. სწერს, რომ მალე დაიბეჭდება მისი თხზულებების მესამე ტომი, რომლის შესახებაც უკვე გამოქვეყნდა დადებითი რეცენზია „ლიტერატურულ გაზეთში“.

➤ 8253

1940

**14 აპრილი – 17 მაისი**

წერს უსათაურო ლექსს „ახალგაზრდობა სადაც დასტოვა...“.

➤ 8254

1940

**14 აპრილიდან 17 მაისამდე**

უბის წიგნაკში იწერს მწერალთა და მსახიობთა სიას – აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კოტე მესხი, ლადო ალექსი-მესხიშვილი და იაკობ ნიკოლაძის მისამართს.

➤ 8255

1940

**14 აპრილიდან 17 მაისამდე**

ხვდება ილია ალღაძეს, რომელიც ეუბნება, პოეტი ხარო და გალაკტიონს უკვირს მისგან თავისი პოეზიის აღიარება.

➤ 8256

**1940**

**14 აპრილიდან 17 მაისამდე**

ილია თავაძისგან იგებს, რომ გალაკტიონის საღამოს საკითხი მას ჯერ კიდევ არ შეუთანხმებია ხელოვნების მთავარ სამმართველოში პავლე კანდელაკთან.

➤ 8257

**1940**

**17 მაისი**

წერს უსათაურო ლექსს „ნათქვამია: როს დროების...“.

➤ 8258

**1940**

**17 მაისის შემდეგ**

წერს ლექსს „დილა“.

➤ 8259

**1940**

**17 მაისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სიზარმაცევ... სიზარმაცევ...“.

➤ 8260

**1940**

**17 მაისის შემდეგ**

იგონებს, რომ ვლადიმერ მაიაკოვსკი თბილისში 1924 წლის აგვისტოში ჩავიდა და საზოგადოება დიდი ინტერესით არ შეხვედრია. ამის მიზეზად აგვისტოს სიცხეს ასახელებს, რომელმაც მაიაკოვსკამდე სემიონ ნადსონიც გააქცია თბილისიდან და ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ ურჩიეს ექიმებმა ზაფხულში თბილისში დასვენება. გალაკტიონი იხსენებს, რომ ერთ დღეს „მნათობის“ რედაქციიდან გამოსულმა, დაინახა რუსთაველის პროსპექტზე მიმავალი და ადგილობრივი ფუტურისტებით გარშემორტყმული მაიაკოვსკი. სულ რამდენიმე ნაბიჯი აშორებდა მისგან, მაგრამ გულმა არ გაუწია, რომ მისულიყო. სხვა დროს აღარ უნახავს, რადგან მაიაკოვსკიმ იმ ღამესვე დატოვა მისთვის არასტუმართმოყვარე თბილისი.

➤ 8261

**1940**

**23 მაისამდე**

კიდევ ერთ წერილს უგზავნის გადასახლებაში მყოფ ილია ოკუჯავას.

➤ 8262

**1940**

**25 მაისი**

აპირებდა, რომ დასწრებოდა კონსტანტინე ჭიჭინაძის საღამოს მწერალთა კავშირში, თუმცა წვიმის გამო ვერ ახერხებს წასვლას.

➤ 8263

**1940**

**25 მაისი ან შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს, რომ 1940 წლის 25 მაისს, ღამით, წვიმის შემდეგ მის ოთახში შეფრინდა კოლო ანოფელესი.

➤ 8264

1940

26 მაისი

მწერალთა კავშირის სხდომათა დარბაზში მაგიდაზე პოულობს ჩანაწერს, სადაც საუბარია თანამედროვე პოეზიაზე მისი ზეგავლენის შესახებ. ვარაუდობს, რომ ქალაქში ჩამოწერილი შენიშვნები ეკუთვნის ერთ-ერთ მწერალს, რომელიც პრეზიდენტში იჯდა წინა დღეს გამართულ კონსტანტინე ჭიჭინაძის საღამოზე.

➤ 8265

1940

26 მაისი

ლიტერატურისა და გამომცემლობების საკითხების მთავარი სამმართველო – „მთავლიტი“ ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის კრებულის „ლირიკა“ დასაბეჭდად გადაცემას და იწყება წიგნის გამოცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤ 8266

1940

26 მაისის შემდეგ

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა – „საბლიტგამი“ გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის კრებულს „ლირიკა“. წიგნს უძღვის მცირე წინასიტყვაობა, რომელშიც მიმოხილულია პოეტის ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი ცხოვრების გზა. კრებული აერთიანებს ოცდახუთ ლექსს და ერთ პოემას. ეს ნაწარმოებებია: „დროშები ჩქარა“; „ათრობდა ხალხთა მწუხარება“; „იმპერიალისტური ომის კოშმარი“; „გემი „დალანდი““; „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“; „ჩვენი მნათობის ცეცხლისფერია“; „დაჰკა წერაქვი“; „რევოლუციონურ საქართველოს“; „სიმღერა“; „მხარი მხარს!“; „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“; „აკაკის ლანდი“; „მთაწმინდის მთვარე“; „ლურჯა ცხენები“; „მე და დამე“; „მესაფლავე“; „მერი“; „ატმის ყვავილები“; „თოვლი“; „მთვარის ნაამბობიდან“; „ფერი მზესა და ქარს მოჰყავს“; „საბჭოთა ხალხის გმირული ეპოქა სჭედავს ხელოვანს“; „ჩემი სიმღერა“; „ჩანგო“, პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“ და გორი“.

➤ 8267

1940

27 მაისი

მწერალთა კავშირში, წიგნის „აკაკი წერეთელი“ თაობაზე დასალაპარაკებლად ხვდება კავშირის პასუხისმგებელ მდივანს, ირაკლი აბაშიძეს. ის სთხოვს, დაესწროს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში ინტელიგენციის საერთო-სახალხო კრებას, სადაც მიხაილ კალინინიც იქნება.

➤ 8268

1940

27 მაისი

ესწრება ინტელიგენციის საერთო-სახალხო კრებას, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში. ჯდება მეორე რიგში და ესაუბრება გრიგოლ მუხაძეს. მოულოდნელად მილიციის ფორმაში გამოწყობილი კაცი სთხოვს, დატოვოს დარბაზი და ჩავიდეს კომენდატურაში, სადაც ეკითხებიან ვინაობას და სთხოვენ დოკუმენტებს. შემდგომ ბოდიშს უხდინა და მიაცილებენ დარბაზის ბოლო რიგში.

➤ 8269

1940

27 მაისი

ესწრება გეოგრაფიული საზოგადოების კრებას, ისმენს გიორგი გეხტმანისა და ანტოლი ბალაბუევის მოხსენებებს მიხაილ ლერმონტოვის შესახებ. მოხიბლულია გიორგი გეხტმანის მშვენიერი ქართულით.

➤ 8270

1940

28 მაისი

დღიურში წერს, ვინ როგორ იქცეოდა წინა დღეს ინტელიგენციის საერთო-სახალხო კრებაზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში. შალვა დადიანი გამოხატავდა ამპარტავნებას, რომ ის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელია. ბესარიონ ჟღენტი ყურადღებას იქცევდა გამომეტყველებით, რასაც დამავალბთ, ყველაფერს ავასრულებო. ირაკლი აბაშიძემ დარბაზში შესვლისთანავე რაღაც დაავალა ბესარიონ ჟღენტს. ივანე ჯავახიშვილი ყურის აპარატით ისმენდა გამოსვლებს და გაცხარებით უკრავდა ტაშს. დავით გაჩეჩილაძეს მოეწონა მიხაილ კალინინის გამოსვლა, მაგრამ არ ესიამოვნა, რომ რუსთაველის შესახებ არაფერი სმენოდა.

➤ 8271

1940

29 მაისი

დღიურში წერს 27 იანვარს ინტელიგენციის საერთო-სახალხო კრებაზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტში, რა რეაქცია ჰქონდათ მისი დარბაზიდან გაყვანის გამო ილია ალლაძეს, კალე ბობოხიძეს, ალექსანდრე გომიაშვილს და ირაკლი აბაშიძეს. აღნიშნავს მათ ვაი ინტელიგენტობას.

➤ 8272

1940

29 მაისის შემდეგ

კითხულობს წიგნად გამოცემულ თავის პოემას „აკაკი წერეთელი“, ასწორებს სტრიქონებს, ინიშნავს, რა აკლია და რა უნდა დაემატოს. აღნიშნავს, რომ ტექნიკურად გასასწორებელია. ჩამოწერს აკაკიზე დაწერილ თავის ლექსებს: „აკაკის ლანდი“, „აკაკის გარდაცვალების გამო“ „პოეტს მარხავდნენ“ („რევოლიუციურ საქართველოში“), „აკაკი ხარაგაულში“.

➤ 8273

1940

29 მაისის შემდეგ

თავის წიგნში „აკაკი წერეთელი“ წერს, რომ სიტყვა „გარდაცვალება“ უკეთესია, ვიდრე „სიკვდილი“. გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სახე ისე საოცრად იცვლება, რომ ბევრი მათგანის ცნობა შეუძლებელია.

➤ 8274

1940

29 მაისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გორი – და მერე რა გორი...“.

➤ 8275

1940

31 მაისის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი სიხარულით უყვება, რომ 23 მაისს მისგან უკვე მეორე წერილი მიიღო, მაგრამ დეპეშები, რომლებსაც გალაკტიონი ახსენებს წერილში, არ მიუღია. ძალიან წუხს, რომ გალაკტიონს უავადმყოფია და ოლია მის გვერდით არ იყო. იცის, რომ ის ბავშვივით საჭიროებს მზრუნველობას და სამუშაო პირობების შექმნას. სთხოვს, რომ აუცილებლად გაესინჯოს ექიმებს და მათი რეკომენდაციის

მიხედვით გაემგზავროს რომელიმე სანატორიუმში. ისიც ადამიანია, ქვა არ არის და დასვენება მასაც სჭირდება. იმედს გამოთქვამს, რომ მის საქმეს მალე გადახედავენ და გაათავისუფლებენ.

➤ 8276

1940

### 31 მაისის შემდეგ

მწერალთა კავშირის ფედერაციის გამომცემლობა რაჟდენ გვეტაძის რედაქტორობით 4200-იანი ტირაჟით წიგნად ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის პოემას „აკაკი წერეთელი“.

➤ 8277

1940

### 31 მაისის შემდეგ

თავის წიგნში „აკაკი წერეთელი“ აკეთებს ხაზგასმებს, ასწორებს ტექსტს, ითვლის თავისი თხზულებების V ტომისთვის სტრიქონებისა და გვერდების რაოდენობას.

➤ 8278

1940

### მაისი

რუსთაველის პროსპექტზე ბუკინისტურ მაღაზიასთან ხვდება სოფელ გალიდან ჩამოსულ სტუდენტ იროდიონ ჯგერენაიას, შედის მაღაზიაში ყიდულობს წიგნს „მველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ და წარწერით: „ეს ჩემგან სახსოვარი იყოს ტკბილი მოსაგონარი“ ჩუქნის.

➤ 8279

## ი ვ ნ ი ს ი

1940

### 3 ივნისამდე

ვალერიან გაფრინდაშვილისა და ვიქტორ გოლცევის რედაქტორობით მოსკოვში რუსულ ენაზე გამოდის გალაკტიონის „რჩეული ლექსები“. თარგმანები შესრულებულია რედაქტორების მიერვე და წიგნს წინ უძღვის შალვა რადიანის წინასიტყვაობა „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“.

➤ 8280

1940

### 3 ივნისი

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ №5-6, ჟურნალის ეს გაერთიანებული ნომერი მთლიანად ეძღვნება აკაკის იუბილეს, და მასში, სხვა მასალებთან ერთად დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“.

➤ 8281

1940

### 3 ივნისი

გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ მიმოხილვაში „გ. ტაბიძის რჩეული ლექსები რუსულად“ იბეჭდება, რომ რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ „მხატვრული ლიტერატურა“ რუსულ ენაზე მაღალი ხარისხით გამოსცა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსები. ნათქვამია, რომ წიგნი გაყოფილია სამ განყოფილებად, რომელთაგან პირველში მოთავსებულია რევოლუციამდელი ლექსები (1908-1916), მეორეში – რევოლუციის პირველი წლებისა (1917-1929) და მესამეში – ახალი (1930-1937). ლექსები თარგმნილია ვლადიმერ დერჟავინის, ვერა ზვიაგინცევის, კონსტანტინ ლიპსკეროვის, ნიკოლაი ტიხონოვის, ვალერიან გაფრინდაშვილის, პაველ ანტოკოლსკის, არსენი ტარკოვსკის, სერგეი სპასსკის, ბორის ბრიკისა და სხვათა მიერ.

➤ 8282



1940

**3 ივნისი ამ შემდეგ**

აკეთებს მინაწერს ვანო წულუკიძის მიერ გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე „კონსტანტინე ჭიჭინაძის ლირიკა“, რომელშიც აღნიშნავს, რომ „ლიტერატურული საქართველო“ არ დალატობს თავის გზას და მაშინ, როდესაც საჭიროა გალაკტიონზე ლაპარაკობდეს, საუბრობს ალექსანდრე აბაშელის, კონსტანტინე ჭიჭინაძისა და ალიო მაშაშვილის შესახებ. მიუთითებს, რომ არ არის სწორი წერილის ავტორის შეხედულება კონსტანტინე ჭიჭინაძის ლირიკის მონუმენტურობაზე. სტატიის კიდევ ერთ ნაკვალად მიაჩნია ის, რომ იგი პირდაპირ დასკვნით იწყება.

➤ 8283

1940

**9 ივნისი ან ადრე**

ეუბნებიან, რომ, კანონის მიხედვით, არც „ფედერაციის გამომცემლობას“ და არც „მნათობს“ აქვს უფლება, რომ ჰონორარები დროულად და სრულად არ მისცენ.

➤ 8284

1940

**9 ივნისი**

„ფედერაციის“ გამომცემლობის მთავარი ბუღალტერი აცნობებს, რომ მასთან საბოლოო ანგარიში გასწორებული აქვთ. გალაკტიონი უკმაყოფილოა და ფიქრობს, რომ საქმე სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.

➤ 8285

1940

**9 ივნისი**

ცნობარ-კალენდარში აკეთებს ჩანაწერებს, რომ ილო მოსაშვილი განთავისუფლებულია ლიტფონდიდან.

➤ 8286

1940

**9 ივნისი**

ადგენს მომდევნო დღის გეგმას. გასაკეთებელ საქმეთა ნუსხაშია: გაზეთიდან „კომუნისტი“ და ჟურნალიდან „პიონერი“ ჰონორარის მიღება, ბინის ქირის გადახდა და პალტოსთვის მისვლა.

➤ 8287

1940

**9 ივნისი**

დღიურში აღნიშნავს, რომ ცაზე მარჯვენა მხარეს ჩანდა ახალი მთვარე, რაზეც ოლღა დარიუსმა უთხრა, რომ კარგი ნიშანია, და მართლაც, მთელი დღე შინაარსიანი ჰქონდა.

➤ 8288

1940

**9 ივნისი**

დღიურში კმაყოფილებით იწერს, რომ გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ ქრონიკაში მას პირველად მოიხსენიებენ „სახალხო პოეტად“. ფიქრობს, რომ მწერალთა კავშირში სასიამოვნო განწყობილებაა.

➤ 8289

**1940**

**9 ივნისი**

აკნობებენ, რომ შეყვანილია მიხაილ ლერმონტოვის საიუბილეო კომიტეტში.

➤ 8290

**1940**

**9 ივნისი**

აკადემიის ფილიალიდან სახლშიც და მწერალთა კავშირშიც ურეკავენ, რომ კოჯრის გზაზე მძღოლს მანქანიდან გადმოუსვამს ახალგაზრდა ქალი, რომელსაც, ყურადღების მისაქცევად, განუცხადებია, რომ სახალხო პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ბინაში იზრდება. იგი შემდეგ კამოს ქუჩაზე ჩაუყვანიათ ბებიასთან. გალაკტიონი ვერ ხვდება, ვინ შეიძლება იყოს.

➤ 8291

**1940**

**9 ივნისი**

სალამო ხანს კინოთეატრში ნახულობს იოჰან შტრაუსის ცხოვრების შესახებ მისთვის დაუვიწყარ ფილმს „დიდი ვალსი“.

➤ 8292

**1940**

**9 ივნისი**

მწერალთა კავშირში ხვდება დარია ახვლედიანს, რომელიც ეუბნება, რომ მალე მოკვდება და გალაკტიონი ისეთი მოუცლელია, რომ მის დასაფლავებაზეც ვერ მივა.

➤ 8293

**1940**

**9 ივნისი**

ჟურნალის „მნათობი“ ბეჭდვა შეჩერებულია უქალაქობის გამო და გვიანდება გალაკტიონის პოემის „აკაკი წერეთელი“ გამოქვეყნება.

➤ 8294

**1940**

**19 ივნისი**

ესწრება ლევ ტოლსტოისადმი მიძღვნილ საღამოს. შთაბეჭდილებებს ფრაგმენტულად ინიშნავს ფურცელზე.

➤ 8295

**1940**

**19 ივნისის შემდეგ**

წერს პროზაულ მხატვრულ ტექსტს მეორე მსოფლიო ომის საწყის პერიოდში ევროპაში განვითარებული საბრძოლო მოვლენების შესახებ.

➤ 8296

**1940**

**20 ივნისი**

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის აკაკი წერეთლის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსი „აკაკი წერეთელი“.

➤ 8297

**1940**

## 20 ივნისი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ სათაურით „გალაკტიონ ტაბიძე – „აკაკი წერეთელი“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ გამომცემლობა „ფედერაციამ“ აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეებში გამოსცა სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული პოემა „აკაკი წერეთელი“, რომელიც მოიცავს 144 გვერდს, გამოცემულია მაღალი ხარისხით და ღირს 11 მანეთი და 50 კაპიკი. ინფორმაცია ამ წიგნის შესახებ ასევე შეტანილია იმავე გაზეთში გამოქვეყნებულ მიმოხილვაში „აკაკის საიუბილეო დღეები“.

➤ 8298

1940

## 22 ივნისი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერის თეატრში გამართულ აკაკი წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავს მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე ზის პრეზიდენტი.

➤ 8299

1940

## 23 ივნისი

რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში იხსნება აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმის, სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდენტი და მომე რესპუბლიკების ლიტერატურული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი გაერთიანებული სხდომა. გალაკტიონს ერთხმად ირჩევენ პრეზიდენტად, მაგრამ არ სთავაზობენ სიტყვით გამოსვლას.

➤ 8300

1940

## 28 ივნისი

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ 22 ივნისს, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენის თეატრში შედგა აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საზეიმო სხდომა. სხდომის პრეზიდენტად მყოფ სხვა მწერლებთან, მხატვრებთან და მსახიობებთან ერთად დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 8301

1940

## ივნისი

ჟურნალში „ნიანგი“ იბეჭდება ირაკლი თოიძის კარიკატურა გალაკტიონ ტაბიძეზე.

➤ 8302

1940

## ივნისი

ჟურნალი „პიონერი“ ბეჭდავს ნაწყვეტს გალაკტიონ ტაბიძის პოემიდან, სათაური „აკაკი წერეთლის ბავშობა და ყრმობა“.

➤ 8303

1940

## ივნისი

უბის წიგნაკში წერს აკაკი წერეთლის ლიტერატურული მოღვაწეობის მოკლე დახასიათებას. მიუთითებს, რომ აკაკი ქართული სამოქალაქო ლირიკის ყველაზე ძლიერი წარმომადგენელია, ის ცხოვრობდა თავისი დროის პროგრესული იდეალებით და გაბედული ლიტერატურული გამოსვლებით უდიდესი როლი შეასრულა განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

➤ 8304

## ი ვ ლ ი ს ი

1940

### 4 ივლისამდე

ოლია ოკუჯავას უგზავნის 300 მანეთს.

➤ 8305

1940

### 4 ივლისი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის „აკაკი წერეთელი“ ნაწყვეტის, სათაურით „პოეტი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 8306

1940

### 5 ივლისი

ურეკავს ასპირანტი გრიგოლ ორახელაშვილი და უყვება პროვოკაციულ ამბებს სერგი ჭილაიაზე, გიორგი ნატროშვილსა და ვლადიმირ მაიაკოვსკიზე. ეუბნება, რომ სანდრო შანშიაშვილს იუბილეს უმართავენ, რადგან უკმაყოფილება გამოუთქვამს, გალაკტიონ ტაბიძეს ყოველ 5 წელში იუბილე აქვს და მე რა დავაშავე, 60 წელია ვმუშაობო. ასევე ატყობინებს, შალვა რადიანი კვლავ ამტკიცებს, რომ 1917-მდე გალაკტიონი პესიმისტი იყო.

➤ 8307

1940

### 9 ივლისამდე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ წიგნში „აკაკი წერეთელი: საიუბილეო კრებული დაბადების 100 წლისთავისათვის“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“.

➤ 8308

1940

### 9 ივლისამდე

იწამლება ლუდით და ავადმყოფობის შედეგად რჩება სისუსტე.

➤ 8309

1940

### 9 ივლისამდე

ქურდავენ და მიაქვთ 30.000 მანეთი. მილიცია ვერ პოულობს დამნაშავეს.

➤ 8310

1940

### 9 ივლისამდე

სააგარაკოდ აძლევენ ოთახს ილია ჭავჭავაძის სახლში, საგურამოში.

➤ 8311

1940

### 9 ივლისამდე

იკერავს ახალ კოსტიუმს.

➤ 8312

1940

### 9 ივლისამდე

იღებს ფოტოს ლენინის, ამჟამინდელი მერაბ კოსტავას, ქუჩაზე.

➤ 8313

1940

9 ივლისამდე

იწყებს მუშაობას ახალ წიგნზე და პიესაზე, საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავისთვის.

➤ 8314

1940

9 ივლისამდე

ჟურნალი „მნათობი“ და გამომცემლობა „ფედერაცია“ აკლებენ ჰონორარს.

➤ 8315

1940

9 ივლისამდე

წიგნისთვის „აკაკი წერეთელი“ იღებს ჰონორარს გამომცემლობიდან „ფედერაცია“.

➤ 8316

1940

9 ივლისამდე

საქალაქდებების ლაგებისას პოულობს მასზე დაწერილ 100 სხვადასხვა პოეტის ლექსს.

➤ 8317

1940

9 ივლისამდე

ფერხდება გალაკტიონის თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომის გამოცემა.

➤ 8318

1940

9 ივლისამდე

მიდის მხატვარ გიგო ზაზიაშვილთან ხეთაგუროვის ქუჩაზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში, სადაც მხატვარი აგრძელებს მისი პორტრეტის ხატვას. გულთბილად ხვდება იქ მისულ მიხეილ ვაძბოლსკის და შალვა კაშიაძეს. აქებს გიგო ზაზიაშვილის მხატვრობას, თავის პორტრეტზე კი ხუმრობით და ქებით ამბობს, რომ თვითონ კი არა, მერიმეა. სუფრასთან საუბარი გრძელდება მხატვრობასა და მუსიკაზე.

➤ 8319

1940

9 ივლისამდე

გიგო ზაზიაშვილთან და მიხეილ ვაძბოლსკისთან ერთად ალექსანდრეს ბაღში (ამჟამად გიორგი ლეონიძის და ცხრა აპრილის ბაღები) გალაკტიონის წინადადებით იღებენ ფოტოსურათს.

➤ 8320

1940

9 ივლისამდე

ჟურნალი „მნათობი“, რომელშიც ქვეყნდება მისი პოემა „აკაკი წერეთელი“ იგვიანებს უქალაქობის გამო.

➤ 8321

1940

## 9 ივლისამდე

ვიტრინებში არ არის გამოფენილი მისი პოემა „აკაკი წერეთელი“ და უნივერსიტეტის მიერ გამოცემული საიუბილეო კრებული „აკაკი წერეთელი – დაბადების 100 წლისთავისათვის“.

➤ 8322

1940

## 9 ივლისამდე

მხატვარი ნიკოლაი ჩერნიშკოვი ხატავს გალაკტიონის კიდევ ერთ პორტრეტს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომისთვის.

➤ 8323

1940

## 9 ივლისი

სტუმრობს გიგო ზაზიაშვილი თავის მეგობართან – მხატვარ მიხაილ ვადბოლსკისთან ერთად და სასახლის ქუჩაზე ფოტოატელიეში იღებენ ფოტოს.

➤ 8324

1940

## 9 ივლისი

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმის, სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის და მოძმე რესპუბლიკების ლიტერატურული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი გაერთიანებული სხდომა გაიხსნა რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში 1940 წლის 23 ივნისს, დღის 12 საათზე. გაზეთში აღნიშნულია, რომ სცენა მორთული იყო ლენინის, სტალინისა და ბერიას პორტრეტებით. გაზეთში ნათქვამია, რომ პლენუმის პრეზიდიუმში სხვა მწერლებთან ერთად ერთხმად აირჩიეს გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 8325

1940

## 9 ივლისი

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ აკაკის საიუბილეო დღეებისთვის გამოსცა საიუბილეო კრებული „აკაკი წერეთელი“ და რომ კრებულში, სხვა მასალებთან ერთად, მოთავსებულია გალაკტიონ ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“.

➤ 8326

1940

## 9 ივლისი

მწერალთა კავშირში ხვდება აკაკი ბელიაშვილს და იგებს, რომ ჟურნალისთვის „მნათობი“ ქაღალდს როსტოვიდან ელიან და ამიტომ ჭიანჭურდება მისი პოემის „აკაკი წერეთელი“ ბეჭდვა.

➤ 8327

1940

## 9 ივლისი

მწერალთა კავშირში ხვდება სანდრო ეულს, რომელიც გაუთავებლად ესაუბრება თავისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალზე „ნიანგი“, კერძოდ, აკაკი წერეთლის იუბილესადმი მიძღვნილ ნომერზე.

➤ 8328

1940

**9 ივლისი**

იღებს მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობაში დაბეჭდილ თავის წიგნს „რჩეული ლექსები“.

➤ 8329

1940

**9 ივლისი**

მწერალთა კავშირში იბარებს ირაკლი აბაშიძე და ეუბნება, რომ კანდიდ ჩარკვიანი დაინტერესდა მათი ურთიერთობით და ირაკლიმ უპასუხა, რომ კარგი ურთიერთობა აქვთ. ინტერესდება, ხომ არ არის ნაწყენი აკაკი წერეთლის დღეებში მონაწილეობა რომ არ მიაღებინეს. გალაკტიონი პასუხობს, რომ ნაწყენია, აბაშიძე კი ყველაფერს აბრალებს სხვების ინტრიგნობას. გალაკტიონის აზრით, მას საქართველოს გასაბჭოების 20 წლის აღსანიშნად დაწყებული აქტიურობა და სტალინისთვის გაგზავნილი წერილი არ ესია მოვნა.

➤ 8330

1940

**9 ივლისი**

სახელმწიფო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომის დასაბეჭდად გადაცემას და იწყება წიგნის გამოცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤ 8331

1940

**9 ივლისის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს სათაურით „ტეხნიკურად რა არის ამ წიგნში ახალი?“, რომელშიც მსჯელობს თავისი თხზულებების მესამე ტომზე. აღნიშნავს, რომ ვერსიფიკაციული თვალსაზრისით ამ წიგნში მნიშვნელოვანი სიახლეებია, კერძოდ – ლექსის „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ გარითმვის სისტემა, კონსტრუქცია ლექსისა „მთვარის ნაამბობიდან“, თემატიკა ლექსისა „მთებში“, ბალადის ფორმით დაწერილი ლექსი „გორი“, ევროპისადმი მიძღვნილი ციკლი, პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“ და სხვ.

➤ 8332

1940

**9 ივლისის შემდეგ**

ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომი, რომელშიც იბეჭდება 149 ლექსი და 1 პოემა. ეს ნაწარმოებებია: ლექსები „ჩემი სიმღერა“, „(„დღევანდელი დღის თვალი და ფიქრი...“), „ლენინისა და სტალინის გზით“, „მთვარის ნაამბობიდან“, „მთებში“, „ეს წელიწადი“, „გორი“, „(„საბჭოთა ხალხის გმირული...“), „(„ფერი მზესა და ქარს მოჰყავს...“), „პოეზიის ინტეგრალები“ „სამშობლოს“, „შრომა და მოსვენება“, „გამხიარულდი ბუხარო“, „ახალი მეკვლე“, „აწმყოს დიდება დიდი“, „(„წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო...“), „(„ნიაღვი, ია, ნარგიზი...“), „(„მე ხომ სხვა ვარ. დღე ცისმარე...“), „(„მთაგორების ზემო...“), „ოქტომბრის გემი“, „(„ჰქუხდა ხმოვანი ქარი მრავალი...“), „სალამი ახალგაზრდობას“, „სადღაც, ყინულზე“, „(„ოდეს იყრების ომად ლაშქარი“), „სამშობლო“ „(„სამშობლოს გზას მრავალფერს“), „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“, „გამძლეობა“, „ქარი“, „ტბა ალპიურ ზონაზე“, „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“, „(„ჩამავალო მზის ფერადო კიდევ...“), „ავდარი“, „სადაც ალპებია, ველად“, „იერი“, „სანატორიუმში“, „(„ცაზე მიდის ერთად-ერთი...“), „მგზავრის სიმღერა“, „ფრაგმენტი“, „გამოცოცხლება“, „(„ზღვა წყნარია ნამეტანი...“), „აღმატება ყოველგვარ ძალას“, „ალპები“, „მატარებლიდან“, „ზღვაზე“, „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“, „გამონაკლისი“, „დიდი ქალაქი“, „(„ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი“), „(„ალბად, იმიტომ – ხომალდის აფრით...“), „ავტო-

მოტო-ველო“, “(„უღრმეს, ურთულესს...“), „რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ“, „მოგონება მშობლიურ მხარის“, „ფიქრები სამშობლოზე“, „იმ დღეს რომ იყო“, „ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე“, „ვეზუვი“, “(„უცვლელად საერთო...“), „უცხოელი პოეტი“, „წარწერა ანატოლ ფრანსის სურათზე“, „უმუშევარი“, “(„ვერ გიხსნის გენიალობა...“), „ტირიფი“, „მოდის“, „პატარა პიერი“, “(„აგერ შემოდგომების...“), „ვოლტერის ძეგლთან“, „ბარელიეფი, „გოტიეს რომანიდან“, „მელანქოლიური მოსიძღვრე“, „ხმოვანი კინო“, „რუსთაველი პარიზში“, „პუშკინი პარიზში“, “(„მზადა ვარ მარად“), “(„ვით მეომარმა“), “(„ვით პაპის-პაპა გოლიათია“), “(„რაც ბედმა გითხრა“), „მოხუცი მწიგნობარი“, „ლუმანიტი“, „ქალაქისაკენ“, „სიკვდილი უმუშევრისა“, „უცხოელი ბავშვი“, „ქუჩის მოძღვრალი“, „უბინაო დედა“, „მისტერია წვიმაში“, “(„საღამო, ჩვენს სუფრას...“), „მონ-პარნასი“, “(„შუქი ღრუბელთა შორის...“), „მონმარტრზე“, „ერთხელ დილით“, “(„ეხლა, ძვირფასო მოგონებავ...“), „ეიფელის კოშკზე“, „მკვლევლების კაფე“, „ბანანები“, „ამ არე-მარეზე“, „რური“, „რეინი“, „უცხოელ პოეტს“, „ჰეინეს სტრიქონის გამო“, „მგელი და ცხვარი“, „ნეაპოლში“, „აბისინელი ჯარისკაცი“, „იბარური“, „სევილია“, „გზა ბარსელონის და ვალენსის“, „გვადალკვივირი“, „Tabes Dorsalis“, „ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს“, “(„მეგონა...“), “(„მეტყვი: როგორც ეს გრიგალი...“), „მონ-ბლანი“, “(„სადღაც დარჩა, შორს სტოკჰოლმი...“), „მუშის სიტყვა“, „რეიმსი“, „იოველიადა“, „ორი ძალა“, “(„შენ აღარ ხარ...“), „დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ“, “(„უცხოეთის გზიდან...“), „თვითმფრინავით“, „ძირს მუქთახორა“, „აშკარა მხეცი“, „ევროპის უფერული დღე“, „ქიმერა“, „დაბრუნებისას“, „მე მახსოვს მისი სახე“, „ესპანეთის გმირებს“, “(„აყვავილდა ყაყაჩო...“), „ვით ხეს ფოთლები“, “(„ბაღთან ძეგლია...“), “(„რა მშვენიერი და კარგი დღეა...“), „ორი მილიარდი“, “(„რა წარმტაცია...“), “(„დუმილი ფარავს...“), “(„ლანკაშირში ეხლაც დგას...“), “(„მე მახსოვს მუშა“), “(„უროებს, გრდემლებს“), „მისი ბუნება“, „პოეტი, ვინაც წრფელია გულით“, „ოქრო“, “(„და მაშინ, როცა...“), “(„არ მინახავს შენი არე...“), „კრიზისისაგან თავის დაღწევა“, “(„იქ, კუთხეში კი...“), „ევროპის დიპლომატი“, „ღრუბელი ამაოების“, “(„პარიზი. ეს ხმა“), „ო, მაინც რომ ვერ...“, “(„შენ გამოშორდი ავადმყოფ მხარეს“) და პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“.

➤ 8333

1940

9 ივლისის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება პოემა „აკაკი წერეთელი“.

➤ 8334

1940

11 ივლისი

გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს სტატიას „მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის“, რომელშიც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ამ თარიღის აღსანიშნავად წერს ლექსებს.

➤ 8335

1940

11 ივლისი

რეკავს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში და იგებს, რომ მისი წიგნი „ლირიკა“ დაბეჭდილია, იკინძება, ერთვის ფოტო და ერთ კვირაში მზად იქნება.

➤ 8336

1940

11 ივლისი

ურევავს სახელგამის დირექტორ ნიკო კიკნაძეს და ინტერესდება თავისი თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომის გამოცემით. იგებს, რომ გამომცემლობა კვლავ განიცდის ქალაქის ნაკლებობას და ბეჭდვა ჭიანურდება.



➤ 8337

**1940**

**11 ივლისი**

ყიდულობს მწერალთა კავშირის წევრების ახალ სიას, რომელშიც სულ 129 წევრი და 10 კანდიდატია.

➤ 8338

**1940**

**11 ივლისი**

ცნობარ-კალენდარში იწერს, რომ ოლღა დარიუსმა შეიძინა ახალი პალატო და შენაძენს ზეიმობს.

➤ 8339

**1940**

**11 ივლისი**

გეგმავს თავისი ლექსების რუსული გამოცემების გამოფენის მოსაწყობად პროექტის შედგენას.

➤ 8340

**1940**

**12 ივლისი**

იღებს ჰონორარებს გაზეთიდან „კომუნისტი“ და ჟურნალიდან „პიონერი“.

➤ 8341

**1940**

**12 ივლისის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება უაღრესად რთულია და საჭიროა მისი საფუძვლიანად შესწავლა. ავტორი საუბრობს თანამედროვე პოეტების შემოქმედებაზე გალაკტიონის თვალსაჩინო გავლენაზე, მის პოეზიაში რიტმის არაჩვეულებრივ გრძნობაზე, მუსიკალობაზე, სულ ახალ და ახალ პოეტურ სახეებზე, ფერებისა და ბგერების ჰარმონიაზე, რითმების სიმდიდრესა და ვირტუოზულ კომპოზიციაზე. სტატიაში განხილულია სხვადასხვა პერიოდის შემოქმედება, რომანტიკული და სიმბოლისტური მოტივები, რევოლუციური გარდაქმნები და საბჭოთა პერიოდის შემოქმედებითი აღმავლობა.

➤ 8342

**1940**

**13 ივლისი**

სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელი, ერასტი ტოროტაძე ჰპირდება თხზულებათა III ტომის ბეჭდვის ერთ თვეში დაწყებას, მაგრამ არ მოსწონს ერთი გვერდიდან მეორეზე მხოლოდ ოთხი სტიქონის გადატანა. გალაკტიონი ყურადღებას არ აქცევს.

➤ 8343

**1940**

**13 ივლისი**

ბუკინისტს მისთვის მიაქვს მისი წიგნის პირველი, 1914 წლის გამოცემა, რომელიც მშვენივრად შენახული.

➤ 8344

**1940**

**13 ივლისი**

წყვეტს საგურამოში 15 ივლისს წასვლას.

➤ 8345

1940

13 ივლისი

იხდის ბინის ნახევარი წლის ქირას.

➤ 8346

1940

14 ივლისი

დილის ხუთ საათზე წერს ლექსს „გალაკტიონის მარში“ („მშობლიური ჩემო მიწავ...“).

➤ 8347

1940

15 ივლისის შემდეგ

საგურამოში ოლღა დარიუსთან ერთად ისვენებს. ოლღა რაც შეუძლია, ზრუნავს მის ჯანმრთელობასა და მყუდროებაზე და ამის შესახებ სწერს თავისი გარდაცვლილი მეუღლის დას – თამარ მამაცაშვილ-ქიქოძეს. თამარი საპასუხო წერილს უგზავნის და კმაყოფილებას გამოთქვამს ამის გამო. როდესაც პოეტი ამას იგებს, თამარ ქიქოძეს უძღვნის და უგზავნის ლექსს.

➤ 8348

1940

15 ივლისის შემდეგ

იმყოფება საგურამოში და იწყებს მუშაობას პოემაზე „ათას ცხრაას ორმოცი წელი“.

➤ 8349

1940

15 ივლისის შემდეგ

მისი საგურამოში ყოფნისას იქ ავტომობილით ჩადის ნიკოლოზ შენგელაია, ხვდება მწერლებს და შემდეგ არაგვზე მიდის სათევზაოდ. გალაკტიონ ტაბიძეს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ცნობილი რეჟისორი რაღაც ტრაგედიას განიცდის და იუმორითა და ხუმრობით ცდილობს მის დაფარვას.

➤ 8350

1940

15 ივლისის შემდეგ

საგურამოს მწერალთა კავშირის სახლში დასვენებისას კონსტანტინე გამსახურდია ყოველ დილით ასე ესალმება გალაკტიონს: გამარჯობა, ლომო! გალაკტიონი კი პასუხობს: გაგიმარჯოს ვეფხვო! ერთხელ გამსახურდია ცვლის მისალმების ტექსტს და ეუბნება: გამარჯობა ვეფხვო! და მოელის, რომ გალაკტიონი უპასუხებს: „გამარჯობა, ლომო!“, ის კი მცირე პაუზის შემდეგ პასუხობს: გაგიმარჯოს, კოწია!

➤ 8351

1940

15 ივლისის შემდეგ

საგურამოში ხვდება მაქსიმ გორკის რძალს, ნადეჟდა ვვედენსკაიას, რომელიც ეუბნება, რომ გორკი მას ხშირად ახსენებდა.

➤ 8352

1940

**14-16 ივლისი**

იღებს ჰონორარს გაზეთიდან „საბჭოთა აფხაზეთი“ .

➤ 8353

**1940**

**16 ივლისი**

დღიურში წერს, რომ 2 დღის წინ არამიანცის საავადმყოფოში გარდაიცვალა იეთიმ გურჯი და მომდევნო დღეს კრძალავენ.

➤ 8354

**1940**

**18 ივლისის შემდეგ**

იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის წიგნი „ლირიკა“.

➤ 8355

**1940**

**19 ივლისი**

წერს ლექსს „ილიას მოტივი“.

➤ 8356

**1940**

**21 ივლისის შემდეგ**

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი ნატრობს მის ახლოს ყოფნას და ალერსს. მას თითქოს ყურში ჩაესმის გალაკტიონის დამამედებელი სიტყვები, რომ მის საქმეს გადახედავენ, დარწმუნდებიან, რომ ჭორების მსხვერპლია და გაათავისუფლებენ. ძალიან სთხოვს, ჯანმრთელობას გაუფრთხილდეს, აუცილებლად იმკურნალოს და დაისვენოს, რომ შემდეგ ისევ მთელი დატვირთვით გააგრძელოს მუშაობა. ატყობინებს, რომ 4 ივლისს ისევ მიიღო მისგან 300 მანეთი და ნერვიულობს, რომ გალაკტიონი შეიძლება თავის თავს აკლებდეს აუცილებელს და მას უგზავნიდეს. ინტერესდება, მიიღო თუ არა მის მიერ 15 ივნისს გაგზავნილი წერილი.

➤ 8357

**1940**

**24 ივლისი**

საგურამოში ყოფნისას წერს უსათაურო ლექსს „გზა მშვიდობისა!..“.

➤ 8358

**1940**

**29 ივლისი**

საგურამოდან გურიაში წერილს უგზავნის გიორგი ქუჩიშვილს და უყვება, როგორ არაჩვეულებრივ გარემოში უხდება იქ ცხოვრება.

➤ 8359

**1940**

**ივლისი**

ოღლა დარიუსი იწამლება თევზით და თავს შეუძლოდ გრძნობს. როდესაც სირთულე გადაივლის, გალაკტიონი ამის შესახებ დღიურში წერს.

➤ 8360

**1940**

## **ივლისი**

ცნობარ-კალენდარში იწერს, რომ ტატიანა მეიერმა მიიღო პირველი პრემია, ვლადიმერ მეიერმა კი ღირსების ორდენი.

➤ 8361

**1940**

## **ივლისი**

ცნობარ-კალენდარში იწერს, რომ აგარაკის საქმე კრიტიკულად იყო, მაგრამ მისცეს ოთახი საგურამოში.

➤ 8362

**1940**

## **ივლისი**

განიცდის, რომ შალვა აფხაიძე და ირაკლი აბაშიძე ატყუებენ. კონსტანტინ ბოგდანოვსკი თარგმანებს აგვიანებს, „საბლიტგამში“ მალე გამოიცემა წიგნი. აღნიშნავს, რომ კატო მიქელაძეს უკვირს მისი უმოქმედობა, ლეო ქიაჩელი წუხს, რომ საქმე ცუდად არის.

➤ 8363

**1940**

## **ივლისი**

კონსტანტინ ბოგდანოვსკი თარგმანებს უგვიანებს.

➤ 8364

**1940**

## **ივლისი**

შორიდან ხედავს აგარაკიდან თბილისში დაბრუნებულ დარია ახვლედიანს და ლიდია მეგრელიძეს.

➤ 8365

## **ა გ ვ ი ს ტ ო**

**1940**

### **1 აგვისტო**

საგურამოში ოლღა დარიუსთან ერთად ყოფნისას დილით აივნის კარი ღია ხვდება და ინტერესდება, შიგნიდან იღება თუ – გარედან.

➤ 8366

**1940**

### **4 აგვისტო**

იმყოფება საგურამოში. წერს ლექსს „Ars longa, Vita brevis“.

➤ 8367

**1940**

### **9 აგვისტო**

მწერალთა კავშირში ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი – კანდიდ ჩარკვიანი და მეორე მდივანი – ილია თავაძე, ირაკლი აბაშიძისა და ალიო მაშაშვილის თანდასწრებით, გალაკტიონს უბრუნებენ დაკარგულ ორდენს, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მწერალთა კავშირის წევრებზე.

➤ 8368

**1940**

### **9 აგვისტოს შემდეგ**

კორნელი სანაძესთან მორიგ სენსზე მყოფი კოსტიუმის იმ ადგილზე იკიდებს ხელს, სადაც ლენინის ორდენი აქვს დამაგრებული და სთხოვს პორტრეტში ეს გამოუჩინოს. მხატვარი არწმუნებს, რომ გალაკტიონ ტაბიძის სიდიადისთვის ორდენი მნიშვნელოვანი არ არის, მაგრამ გალაკტიონი მაინც ითხოვს მის გამოჩენას.

➤ 8369

1940

10 აგვისტო

ოლღა დარიუსთან ერთად ავტობუსით ბრუნდება თბილისიდან საგურამოში. ახატანელ მგზავრს მისი ვინაობის შეტყობისას, სახე უნათდება, რადგან ლექსებით იცნობს და ოჯახში პატიჟებს. საუბრობენ ილია ჭავჭავაძეზე. გალაკტიონის კითხვაზე, რატომ მოკლეს ილია, მასპინძელი პასუხობს, იმ მოტივით, რომ მემამულე ოყო. მკვლელებზე ამბობს, ერთი წინამურელი იყო, მეორე – საგურამოელი, მესამე კი – ახატნელიო.

➤ 8370

1940

12 აგვისტო

წერილს იღებს გურიიდან გიორგი ქუჩიშვილისგან, რომელიც გახარებულია იმით, რომ გალაკტიონი კარგად ისვენებს, მაგრამ სწერს, რომ გურიის სილამაზეს, რომელსაც გალაკტიონმა ახალგაზრდობაში არაჩვეულებრივი ლექსი უძღვნა, ალბათ მაინც ვერ შეეძრება.

➤ 8371

1940

15 აგვისტო

შალვა აფხაიძე გადასცემს ალექსანდრე სულავას წერილს და კითხვების ჩამონათვალს მისი ბიოგრაფიისთვის. ადრესანტი სწერს, რომ მანამდე დაწერილი ყველა ბიოგრაფია მშრალია და ფიქრობს, რომ ამ კითხვებზე პასუხები გაამდიდრებს. სთხოვს, რომელიმე კითხვა თუ ზედმეტად მოეჩვენება, არ უპასუხოს და თუ რაიმე ახალ საინტერესო კითხვას მოიფიქრებს, ჩაამატოს.

➤ 8372

1940

27 აგვისტო

წერილს იღებს ალექსანდრე სულავასგან. მას შალვა აფხაიძისგან გაუგია, რომ მისი წერილი და კითხვები ბიოგრაფიისთვის გალაკტიონს გადასცა. სულავას დაწერილი აქვს სტატია გალაკტიონზე და სჭირდება მასში რაღაც ბიოგრაფიული დეტალების ჩამატება. ამიტომ ძალიან სთხოვს პოეტს, რომ კითხვებზე დროულად უპასუხოს, ან, თუ ამას ვერ ახერხებს, გააგებინოს.

➤ 8373

1940

31 აგვისტო

იმყოფება საგურამოში. წერს ლექსს „წინასიტყვაობა“.

➤ 8374

1940

31 აგვისტოს შემდეგ

ეცნობა რუსულ ჟურნალს „ლიტერატურული მიმოხილვა“. უკანა გარეკანზე წერს, რომ პოეტისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირს და ბეჭდური ორგანოებით ამ რეალობის ასახვას. აღნიშნავს, რომ მას ახალგაზრდობაში კავშირი ჰქონდა იატაკქვეშა პრესასთან, მისი ყველა ლექსი იყო ყოველდღიური ცხოვრების გამოძახილი, ვერასდროს წარმოედგინა გაზეთების, ჟურნალების, წიგნების, რედაქციის, სტამბებისა და

კორექტურის ფურცლების გარეშე ცხოვრება. ლიტერატურის ისტორიიდან მრავალი მაგალითი იცის, რომ მწერლები ცდილობენ სინამდვილიდან გაქცევას და სიმშვიდის თეორიის შექმნას, ამ ტენდენციას ახალგაზრდობიდან ებრძოდა თავისი ლიტერატურული და პრაქტიკული საქმიანობით. სვამს კითხვას, რას გულისხმობს თეორია „ხელოვნება ხელოვნებისთვის“.

➤ 8375

1940

აგვისტო

წერს ლექსს „საგურამოს ჭიჭინობელა“ („მარიობისთვის სიცხევ...“).

➤ 8376

1940

ზაფხულის შემდეგ

ოლია ოკუფაციას ძმის, შალვას ვაჟი – ბულატი დეიდას, სილვია ნალბანდიანს თბილისში ჰყავს გადმოყვანილი და გალაკტიონს წასაკითხად აწვდის მის ლექსებს. გალაკტიონი წერილს უგზავნის სილვიას, ატყობინებს, რომ ავადაა, მაღალი სიცხეები აქვს და სახლიდან ვერ გადის. წუხილს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ შეძლო ბულატის ლექსების წაკითხვა.

➤ 8377

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1940

5 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „არეს მრავალ გარდასულ წლის...“.

➤ 8378

1940

9 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „შეცდომა ქვეყნად რაოდენია...“.

➤ 8379

1940

9 სექტემბერი

იგონებს და დღიურში იწერს იმ მოხუცი ადამიანების სახელებს, ვისაც ბავშვობიდან იცნობდა.

➤ 8380

1940

9 სექტემბერი

დღიურში აკეთებს ამონაწერებს ჟან ჟაკ რუსოს ბიოგრაფიული წიგნიდან „აღსარება“. აქვე არის სხვადასხვა ფაქტები მონტესკიეს, ვოლტერის, სოკრატეს, არისტოფანეს, პლატონის, მიშელ დე მონტენის, შატობრიანის, ბეთჰოვენისა და სხვა ცნობილი ადამიანების შესახებ.

➤ 8381

1940

9 სექტემბერი

იმყოფება საგურამოში, იგონებს ადამიანებს, რომლებიც ცხოვრების მანძილზე შეხვედრიან და ფიქრობს, რომ ჩამოწეროს მათი სიები გარეგნობის, ხასიათის, ჩაცმულობისა თუ სხვა კრიტერიუმების მიხედვით. მოინიშნავს კატეგორიებს: უდროოდ დაბერებულები, მოღუშულები, გულუბრყვილოები, დაუჯერებლები, მწუხარეები, ჩოხა-ახალუხიანები, უცნაურკოსტიუმიანები, შეკუდრულები, ვიწროშუბლიანები, უცნაურები, აბეზრები და სხვ. წერს ამ კატეგორიების ადამიანთა მოკლე მახასიათებლებს.

➤ 8382

1940

### 9 სექტემბერი

თავისი ცხოვრების წლებს ყოფს ხუთწლეულებად, ათწლეულებად, თხუთმეტწლეულებად და ოცწლეულებად. ფიქრობს, რომ საჭიროა 60 თანამშრომელი და 4 ხელმძღვანელი 1892 წლიდან 1950 წლამდე 600-გვერდიანი ბიოგრაფიის მოსამზადებლად.

➤ 8383

1940

### 9 სექტემბერი

დღიურში წერს, რომ ის პოპულარული პოეტია და ქართული ლიტერატურის ისტორიის კარგად მცოდნეს გაეცინება მოსკოვის ერთ-ერთი გამომცემლობის მოულოდნელ მტკიცებაზე, რომ გალაკტიონი განიცდიდა „ცისფერყანწელთა“ გავლენას და იზიარებდა ამ ჯგუფის მსოფლმხედველობას – ქართული კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფას, რევოლუციურად განწყობილი წრეებისაგან შორს დგომას, წიგნების საჭიროების უარყოფას, ეროტიკული მიგნებების ქება-დიდებას. შეშლილობის, თვითმკვლელობის, მკვლელობის აპოლოგეტობას. ნიცშეანიზმის თაყვანისცემას. მხოლოდ დებოშებზე, რეკლამაზე, აპოლიტიკურობაზე, უცხოეთის წინაშე ქედის მოხრაზე დამყარებულ გამოსვლებს. „ცისფერყანწელებს“ უწოდებს ცინიკოსების ჯგუფს. სასაცილოდ მიაჩნია ეს ყველაფერი, რადგან ის ფაქტობრივად ჯერ კიდევ 1905 წელს, ოფიციალურად კი – 1908 წელს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე, მისი პირველი წიგნი 1914 წელს დაიბეჭდა და დასრულებულ პოეტად მოევილინა ქვეყანას, ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ კი, 1916 წელს გამოიცა და მასში არაფერი იყო კულტურული. სიახლე მხოლოდ მისი გავლენა იყო „ცისფერყანწელებზე“ და არა მათი გავლენა მასზე. ამის დასტურად ასახელებს მის შესახებ გაზეთში „ბორბა“ დაბეჭდილ სტატიებს და სხვა წერილების ავტორებს: აკაკი წერეთელს, დავით კლდიაშვილს, ვასილ ბარნოვს, ვალერიან გუნიას, შიო მღვიმელს, შალვა დადიანს, რომანოზ ფანცხავასა და ეთერ შუმანიას.

➤ 8384

1940

### 9 სექტემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რა შემთხვევებში განიცდის ადამიანი მოჭარბებულ თავისუფლებას. ეს ხდება: ლოცვისას, როცა შეზარხოშებულია, როდესაც ოცნებობს, როდესაც სძინავს, როდესაც ტოვებს ყველას და ყველაფერს და მიდის სადღაც შორს, როდესაც აღწევს მიზანს და ჰგონია, რომ ყოველგვარი სიძნელეები დასძლია, როდესაც ფიქრობს, რომ უყვარს „ის ერთადერთი“ და სხვებისთვის გული სამუდამოდ დახშულია, როდესაც იუბილარია და ჰგონია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია. მისი აზრით, ეს თავისუფლება მოჩვენებითი და დროებითია.

➤ 8385

1940

### 10 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „კლდე აფხაზეთის, თიხა ხანდაკის...“.

➤ 8386

1940

### 10 სექტემბერი

წერს ლექსს „ბუნება მოქანდაკა“.

➤ 8387

1940

### 10 სექტემბერი

იმყოფება საგურამოში. წერს ლექსს „მშობლიური ჩემო მიწავ!“.

➤ 8388

1940

### 10 სექტემბერი

მწერალთა კავშირში ხვდება იოსებ ნონეშვილი, რომელიც აცნობებს უნივერსიტეტის კომკავშირის გადაწყვეტილებას, რომ გალაკტიონთან შეხვედრის მოწყობა 15 სექტემბერს. გალაკტიონი თანხმობას უცხადებს და ეუბნება, რომ ყველაფერი რიგიანად უნდა ჩატარდეს, ისევე როგორც 1933 წელს, როცა უნივერსიტეტში მისი გრანდიოზული საღამო ჩატარდა. იოსებ ნონეშვილი აღუთქვამს, რომ კომკავშირი ყველაფერზე იზრუნებს.

➤ 8389

1940

### 10 სექტემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ იოსებ ნონეშვილი უნივერსიტეტში გასამართი მისი პოეზიის საღამოს ერთ-ერთი ორგანიზატორია. მიუთითებს, რომ ახალგაზრდა პოეტი გულწრფელი, თავმდაბალი, მორიდებული ადამიანი ჩანს. იგი არაა მწერალთა კავშირის წევრი, არც წევრობის კანდიდატი, მაგრამ მაინც სულ იქ ტრიალებს.

➤ 8390

1940

### 10 სექტემბრის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს დიმიტრი ბენაშვილის შესახებ. მიუთითებს, რომ ბენაშვილმა რამდენჯერმე დაურეკა ტელეფონით, შემდეგ კი იოსებ ნონეშვილის ხელით წერილი გაუგზავნა. აღნიშნავს, რომ ბენაშვილი ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქტორია და მის შესახებ დაწერილი აქვს მონოგრაფია, რომელზეც ახლაც აგრძელებს მუშაობას და ამბობს, რომ ეს იქნება მისი უმთავრესი შრომა. გალაკტიონი იხსენებს, რომ დიმიტრი ბენაშვილი შესანიშნავი სიტყვით გამოვიდა მის საიუბილეო საღამოზე 1938 წელს და მას ყოველთვის გულწრფელად ეგებება.

➤ 8391

1940

### 10 სექტემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „აგერ წინამძღვრიანთკარის...“.

➤ 8392

1940

### 12 სექტემბერი ან ადრე

წერს საგურამოში, მისი პოეზიისადმი მიძღვნილ საღამოზე წარმოსათქმელ სიტყვას, რომელშიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ ბედნიერება, იცხოვრონ მშვიდობიანად მაშინ, როდესაც ბურჟუაზიული ქვეყნები თავიანთი მოსახლეობის სისხლს ღვრიან. მიუთითებს, რომ მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიას ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს საბჭოთა ლიტერატურაში და იგი არათუ ჩამოუვარდება, არამედ შესაძლოა აღემატება კიდევ წინა საუკუნეების პოეზიას. ქართული პოეზიის ეს სამაგალითო დონე მიღწეულია პარტიისა და მთავრობის მიერ შექმნილი პირობების საფუძველზე.

➤ 8393

1940

### 12 სექტემბერი

საგურამოში ეწყობა გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤ 8394



1940

**12 სექტემბრის შემდეგ**

ბრუნდება საგურამოდან თბილისში.

➤ 8395

1940

**სექტემბერი**

იმყოფება საგურამოში და წერს ლექსს „დგება შემოდგომა“.

➤ 8396

**ო კ ტ ო მ ბ ე რ ი**

1940

**1 ოქტომბრამდე**

ტუბერკულოზით ავად ხდება ოლღა დარიუსის დისშვილი, ლაინე ბარტელისი და სამკურნალოდ აგზავნიან აბასთუმანში.

➤ 8397

1940

**1 ოქტომბერი**

კითხულობს ალექსანდრ პუშკინის ლექსებისა და პოემების პაოლო იაშვილისეული თარგმანების გამოცემას. წიგნის დასასრულს წერს, რომ თითქმის ყველა ლექსში უხვადაა გამოყენებული გალაკტიონის რითმები, ლექსთა წყობა და საერთო პოეტური პათოსი. ფიქრობს, რომ ეს მოხდა არა განზრახ, არამედ უნებურად, რადგან პაოლო იაშვილი ვერ ახერხებდა მისი პოეზიის გავლენისგან გათავისუფლებას, ამ პოეზიით იყო გაჟღენთილი მისი თითოეული ლექსი, ამ პოეზიის სიძლიერე ისე ჰქონდა ძვალრბილში გამჯდარი, რომ ვერ გაექცა მას. ფიქრობს, რომ მთარგმნელი დიდი სიხარულით აუვლიდა გვერდს ამ გავლენას, მაგრამ ეს მისთვის სიზიფეს შრომა იქნებოდა, თარგმანი კი ყველაფერს დაჰკარგავდა. ამიტომ მთარგმნელი შეგნებულად მთლიანად მიეცა დინებას და ველარ გაუწია ამ ომის სტიქიას წინააღმდეგობა. აღნიშნავს, რომ ალექსანდრ პუშკინის ლექსების თარგმანებმა ამ გავლენით მოიგო და მთარგმნელი უფრო დაუახლოვდა ბუნებრიობას, რომელიც არ ახასიათებდა მის ლექსებს.

➤ 8398

1940

**1 ოქტომბერი**

მიემგზავრება აბასთუმანში ოლღა დარიუსთან ერთად მისი ტუბერკულოზით დაავადებული დისშვილის – ლაინე ბარტელისის მოსანახულებლად.

➤ 8399

1940

**1 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „იარე, წარბი ნუ შეგეხრება...“.

➤ 8400

1940

**4 ოქტომბერი**

სიტყვით გამოდის მწერალთა კლუბში გამართულ ოქტომბრის რევოლუციის 23 წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ-მხატვრულ საღამოზე.

➤ 8401

1940

#### 4 ოქტომბერი

განცხადებით მიმართავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის უფროს ივანე ფიცხელაურს და სთხოვს, რომ ტუბერკულოზის ინსტიტუტში, რომელსაც ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი ხსნის აბასთუმანში, მოათავსონ მისი აღზრდილი ლაინე ბარტელსი. განცხადებას თან ურთავს ცნობას ლაინე ბარტელსის ავადმყოფობისა და აბასთუმანში მკურნალობის აუცილებლობის შესახებ.

➤ 8402

1940

#### 4 ოქტომბრის შემდეგ

წერილს უგზავნის რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის თანამშრომელ ი. ზ. ფიცხელაურს და ბოდიშს უხდის, რომ პირადად ვერ ინახულა იმჟამად აბასთუმანში მყოფი მისი აღსაზრდელის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.

➤ 8403

1940

#### 5 ოქტომბერი

უნივერსიტეტში ანდრო თევზაძე ჩუქნის თავის წიგნს „ვარსკვლავების ღიმილი“ წარწერით: „გალაქტიონ ტაბიძეს. მუდამ იმის მონატრული ვიქნები, / ჩემი ლექსიც ცას ქუხილად მოედოს. / წაიკითხე, იგრძენ ჩემი ფიქრებიც, ჩვენი დროის უდიდესო პოეტო!“.

➤ 8404

1940

#### 6 ოქტომბერი

რუსთაველის გამზირზე ხვდება სანდრო ეულსა და იონა ვაკელს. სანდრო ეული ეუბნება, რომ ვეფხვივით გამოიყურება. იონა ვაკელი კი მიმართავს ეულს, რომ, რადგან ასეა, მან უნდა დასვას პარტიულ ორგანიზაციაში გალაკტიონისათვის სტალინური პრემიის მინიჭების საკითხი. სანდრო ეული ჩაფიქრებით პასუხობს, რომ ეს, სამწუხაროდ, მასზე არაა დამოკიდებული. ვაკელი დაბეჯითებით ამბობს, რომ სწორედ მწერალთა კავშირში უნდა დაისვას ეს საკითხი, რადგან გალაკტიონისთანა პოეტი მთელ საბჭოეთში არ არის. არც ანა ახმატოვას შედარება შეიძლება მასთან. სანდრო ეული ჩაურთავს, რომ არიან ისეთებიც, რომელთაც თავი გალაკტიონზე უკეთეს პოეტებად მიაჩნიათ. იონა ვაკელი დაბეჯითებით სთხოვს ეულს, დააყენოს გალაკტიონისათვის პრემიის მინიჭების საკითხი, რადგან ამის წინააღმდეგ არ წავლენ არც კანდიდ ჩარკვიანი, არც ლავრენტი ბერია და არც თვით იოსებ სტალინი. ეს ღირსების საკითხია, რათა არ დაიჩრდილოს დიდი პოეტის მიღწევები. იონა ვაკელი ამბობს, რომ ამ საკითხს თავადაც დააყენებს მომავალ საქალაქო ყრილობაზე. ბოლოს კი დასძენს, რომ გადაუწყვეტიათ, პრემია უკანასკნელი წლის ნამუშევრის მიხედვით გასცენ, რაც არასწორია, რადგან პოეტი მთლიანობაში უნდა იყოს დანახული. საუბრის შემდეგ გალაკტიონი ასკვნის, რომ საქართველოში ეს პრემია არავის მიეცემა, მწერალთა კავშირი არ აყენებს საკუთარ კანდიდატს, არსებობენ მტრები, რომელთაც არ უნდათ, პრემია გალაკტიონმა მიიღოს. იონა ვაკელმა კი არ იცის, რომ გალაკტიონის წიგნის გამოცემას სწორედ ამიტომ აგვიანებენ.

➤ 8405

1940

#### 7 ოქტომბერი

მწერალთა კავშირში ხვდება ირაკლი აბაშიძეს და ეკითხება, რატომ გადაიდო მწერალთა საქალაქო ყრილობა. აბაშიძე პასუხობს, რომ მოსკოვიდან ელიან ამბებს და კანდიდ ჩარკვიანის დაბრუნებას. გალაკტიონი ინტერესდება პრემიის ირგვლივ არსებული სიახლეებით, რაზეც აბაშიძე ამბობს, რომ სულ ერთი კვირა დარჩა. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ეს სერიოზული საქმეა, რაზეც თანამოსაუბრე ეთანხმება. შემდეგ ირაკლი აბაშიძეს აწვდის ახლად გამოცემულ,

თავის თხზულებათა მესამე ტომს, თან დასძენს, რომ მიმდინარე წელს გამოიცა მისი რამდენიმე წიგნი, მათ შორის რუსულ ენაზეც. მის სიტყვებს მწერალთა კავშირის მდივანი დუმილით ხვდება, რაც გალაკტიონს აფიქრებინებს, რომ მისთვის პრემიის მინიჭების საკითხის დასმას არ აპირებენ. იონა ვაკელი იმედს არ კარგავს, რომ გალაკტიონს დააჯილდოებენ და პოეტს ამხნევენ. ისმენს, როგორ საუბრობენ მწერალთა წრეში გაცხარებით დემნა შენგელაიასა და კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ.

➤ 8406

1940

### 9 ოქტომბერი

მისთვის მიაქვთ წერილი დიმიტრი ბენაშვილისგან, რომელიც აცნობებს, რომ 13 ოქტომბერს თბილისის უნივერსიტეტის კლუბში სტუდენტები აწყობენ გალაკტიონის საღამოს და წერილის ავტორი არის მომხსენებელი. გამოვლენ პოეტები. სწერს, რომ უფრო დაწვრილებით შეხვედრის შესახებ მოუთხოვს ბარათის მიმტანი.

➤ 8407

1940

### 10 ოქტომბერი

აკეთებს ჩანაწერს სათაურით „ისევ ის ამბები“, რომელშიც ირონიულ კომენტარს ურთავს დემნა შენგელაიას რომანიდან – „შთაგონება“ – „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ნაწყვეტს.

➤ 8408

1940

### 10 ოქტომბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება შალვა რადიანის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსები“. კრიტიკოსის თქმით, გალაკტიონ ტაბიძე არის ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებელი და ევროპული და ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციების გამაერთიანებელი. მიუხედავად გარკვეულ ეტაპზე იდეური და მხატვრული ჩავარდნებისა, პოეტის აღმავლობა გრძელდება და აქვს დიდი შემოქმედებითი პოტენციალი.

➤ 8409

1940

### 10 ოქტომბერი

მწერალთა კავშირის გზაზე შეხვედრილ სიმონ წვერავას ეკითხება, ხომ არაფერი იცის სტალინური პრემიის შესახებ, რაზეც წვერავა პასუხობს, რომ ჯერ არაფერი ისმის, თუმცა, მისი ინფორმაციით, პრემიის ერთ-ერთი კანდიდატი გალაკტიონიც არის. ამასვე ეუბნება შალვა რადიანიც, რომელიც მწერალთა სასახლის კარებთან ხვდება. იგი ჰპირდება გალაკტიონს, რომ მის კანდიდატურას აქტიურად დაუჭერს მხარს და მისთვის თავს გადაადებს.

➤ 8410

1940

### 14 ოქტომბერი ან შემდეგ

იოსებ იმედაშვილის ნაჩუქარი წიგნის „ციბრუტა“ ბოლო გვერდზე უსათაუროდ წერს 1934 წლის 31 აგვისტოთი დათარიღებულ ლექსს „ბედნიერების ახალი წიგნით...“.

➤ 8411

1940

### 15 ოქტომბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ სჯერა იესო ქრისტეს მიერ წყლის ღვინოდ გარდაქმნა, მაგრამ ამ ღვინით ვინმეს დათრობას ვერ იჯერებს.

➤ 8412

1940

**15 ოქტომბრის შემდეგ**

წერს დიდ საბჭოთა ენციკლოლოპედიაში გასაგზავნ წერილს. აცნობებს, რომ მისი შემოქმედების შესახებ სტატიაზე დასართავად უგზავნის იმ წელს გადაღებულ ორ ფოტოსურათს შესარჩევად.

➤ 8413

1940

**16 ოქტომბერი**

ანგარიშობს ოჯახის დანახარჯს 16 სექტემბრიდან 26 ოქტომბრამდე და იგებს, რომ დაუხარჯიათ 9.451 მანეთი.

➤ 8414

1940

**16 ოქტომბერი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤ 8415

1940

**17 ოქტომბერი**

კალე ზობოხიძისაგან იგებს, რომ რუსეთის მწერალთა კავშირს სტალინის პრემიაზე წამოუყენებია გიორგი ლეონიძის კანდიდატურა. ლეონიძის მხარდასაჭერად რუს მწერალთა წრეში აქტიურობს პიოტრ პავლენკო. ოღლა დარიუსი ეუბნება გალაკტიონს, რომ ახლა ყველაფერი ნათელია. იგი ფიქრობს, რომ ლეონიძეს ეს საქმე წინდაწინ ჰქონდა დაწყებული და სწორედ ამასთან არის დაკავშირებული გალაკტიონის თხოულებათა მესამე ტომის, ასევე პოემა „აკაკი წერეთლის“ გამოცემის დაგვიანება. მიუხედავად ყველაფრისა, გალაკტიონი დარწმუნებულია, რომ ხალხს ძალიან უყვარს და ამისი დასტურია მისი საღამო უნივერსიტეტში.

➤ 8416

1940

**19 ოქტომბერი**

გაზეთებში კითხულობს, რომ სტალინურ პრემიაზე წარდგენილია გიორგი ლეონიძე. მიიჩნევს, რომ უსამართლობამ გაიმარჯვა, რადგან ლეონიძის ეპოპეა დაწერილია არა მიმდინარე წელს (რაც დაჯილდოვების პირობებით იყო მოთხოვნილი), არამედ ერთი წლით ადრე. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ლეონიძის ნაწარმოებზე დადებითი აზრი აქამდე თუ არავის გამოუთქვამს, ახლა დაიწყება მისი ყალბი ქება-დიდება.

➤ 8417

1940

**22 ოქტომბერი**

დღიურში წერს, რომ რუსთაველის თეატრში 9 საათზე ნიკო ბერძენიშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ქართველი ხალხის როლი და მისი ძალა უცხოელთა შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლაში, XIV-XVIII საუკუნეებში“. აინტერესებს, თამაშობდა თუ არა რაიმე როლს მაშინდელი ქართული კლასიკური მწერლობა უცხოელთა შემოსევის წინააღმდეგ ბრძოლაში, არის თუ არა შემორჩენილი მასალები ზეპირსიტყვიერებაში უცხოელთა მომხვდურთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

➤ 8418

1940

## 22 ოქტომბერის შემდეგ

უბის წიგნაკში პოეზიის თემასთან დაკავშირებით ინიშნავს სიტყვებს: ერთფეროვნება, ხალხურობა, უიდეობა და სხვ.

➤ 8419

1940

## 22 ოქტომბერის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ალიო მაშაშვილი ნამდვილი პარტიულ-ბოლშევიკური, ოქტომბრის მოწინავე პოეტია და მოჰყავს მის შესახებ გამოთქმული ფრაზები.

➤ 8420

1940

## 22 ოქტომბერის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ლეო ქიაჩელი არავითარ ზომებს არ იღებს თავმჯდომარეობისთვის.

➤ 8421

1940

## 22 ოქტომბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ნავი არ უნდა გასწირო შენი...“.

➤ 8422

1940

## 22 ოქტომბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ აკაკი შანიძეს აქვს მოსე ჯანაშვილისა და მისი სურათები.

➤ 8423

1940

## 22 ოქტომბრის შემდეგ

წერს ლექსს „აი ია“.

➤ 8424

1940

## 26 ოქტომბერი

იოსებ იმედაშვილი უძღვნის თავის წიგნს „ციბრუტა“ წარწერით: „ძვირფას გალაქტიონს სიყვარულით ავტორისგან“.

➤ 8425

1940

## 28 ოქტომბრის შემდეგ

ლადო გუდიაშვილის მეუღლე – ნინო გუდიაშვილი ჩუქნის იგორ ურუმაძის წიგნს „იაკობ ნიკოლაძე“, რომელშიც დაბეჭდილია მოქანდაკის მიერ შესრულებული გალაქტიონ ტაბიძის ბიუსტის ფოტორეპროდუქცია და აღნიშნულია, რომ ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნით იაკობ ნიკოლაძემ წარმოაჩინა შემოქმედების სრულიად სხვა მხარე.

➤ 8426

1940

## 31 ოქტომბერი

გალაქტიონ ტაბიძე იღებს ვინმე კოგორსკის წერილს, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ რამდენად მართებული იყო პოეტის თხზულებების მესამე ტომის დაბეჭდვა არასტანდარტულ ქაღალდზე. ადრესანტი განმარტავს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მან კონსულტაცია გაიარა

სახელმწიფო გამომცემლობათა გაერთიანების პოლიგრაფიულ სექტორთან და ყველაფერი წესრიგშია.

➤ 8427

1940

### 31 ოქტომბრის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი ბარათს იწყებს რომენ როლანის სიტყვებით ბეთჰოვენის შესახებ, შემდეგ აღწერს მზის სხივებს, რომლებიც გალაკტიონის „ატმის ყვავილებს აგონებს“ და საუბარს აგრძელებს პოეზიასა და ლიტერატურის კრიტიკაზე. მისი თქმით, ან პოეტი უნდა იყო, ან პოეზიის კარგად გასმოდეს, რომ შენიშნო ლექსის ყველა ელფერი და შუქჩრდილი. ძვირფას კრიტიკოსებს უნდა შეეძლოთ დიდ პოეზიაში, კერძოდ გალაკტიონის ლექსებში ბრილიანტის დაუსრულებელი ნაკადების შემჩნევა. ეს აზრი ოლიას უჩნდება გაზეთის „პრავდა“ 23 ივლისის ნომერში იმ სტატიის წაკითხვის შემდეგ, რომელშიც გალაკტიონი უდიდეს ქართველ პოეტად არის მოხსენიებული, მაგრამ არაფერი კონკრეტული არ არის ნათქვამი მისი ლექსების შესახებ. ოლია ინტერესდება, იყო თუ არა გალაკტიონი ექიმებთან, მოახერხა თუ არა იმ წიგნების შეძენა, რომლებსაც ოლია ურჩევდა. წერს, რომ თბილისში მათი შოვნა ვერ მოხერხდება, მაგრამ შეიძლება შეძენა მოსკოვისა და ლენინგრადის გამომცემლობებისგან. უყვება, რომ ახლახან წაიკითხა ბიკენტი ვერესაევის წიგნი „გოგოლი ცხოვრებაში“, ახლა კი კითხულობს რომენ როლანის წიგნს ჰექტორ ბერლიოზსა და სხვა ცნობილ მუსიკოსებზე. სწერს, რომ წერილი 19 სექტემბერსაც გაუგზავნა. ძალიან აინტერესებს გალაკტიონის ლექსების ბოლოდროინდელი რუსული თარგმანები.

➤ 8428

1940

### ოქტომბერი

მონაწილეობს მწერალთა კლუბში გამართულ ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილ საღამოში.

➤ 8429

1940

### ოქტომბერი

მარიკა მიქელაძე უძღვნის უსათაურო ლექსს „შენ პოეტებში იყავ პირველი...“.

➤ 8430

## ნოემბერი

1940

### 6 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ 27 ნოემბერს მწერალთა კლუბში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსების კითხვის საღამო.

➤ 8431

1940

### 6 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ ქვეყნდება ბესარიონ ჟღენტის წერილი „პოეტი და რევოლუცია“, რომელშიც გალაკტიონის ლიტერატურული პორტრეტია წარმოდგენილი. კრიტიკოსის თქმით, ქართული დეკადანსის პოეზიამ უმაღლესი გამოხატულება გალაკტიონის ლირიკაში ჰპოვა. პოეტის პირველი წიგნიდან ნათელი გახდა, რომ მისთვის ხსნილი იყო გზა ევროპული და რუსული დეკადენტური პოეზიისაკენ. მიუხედავად ამისა, ავტორი არასოდეს მისულა ეპიგონობის საზღვრებამდე, არ მოწყვეტია ეროვნული ლიტერატურის ტრადიციას. გალაკტიონის მეორე წიგნი რევოლუციის წინარე ქართული პოეზიის ნამდვილი სიმდიდრეა. გალაკტიონისთვის თავიდან ბუნდოვანი იყო რევოლუციის არსი, შემდეგ კი პოეტმა შეიმეცნა

მისი საერთაშორისო და ისტორიული მნიშვნელობა. ბესარიონ ჟღენტის თქმით, მიუხედავად დიდი ოსტატობისა, პოეტს უჭირს კონკრეტული სინამდვილის ასახვა. ეს ნაკლი აქვს მის უკანასკნელ პოემებს „აკაკი წერეთელი“ და „საუბარი ლირიკის შესახებ“.

➤ 8432

1940

### 6 ნოემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „რაზე ვმუშაობთ 1941 წელს“ იბეჭდება ქართველი მწერლების გეგმები. გალაკტიონ ტაბიძე წერს, რომ 1940 წელს დაწერა პოემები „საუბარი ლირიკის შესახებ“, „აკაკი წერეთელი“ და „კავკასიონის ქარი“ და რომ ეს უკანასკნელი მოკლე ხანში დაიბეჭდება. პოეტის თქმით, 1941-ში აპირებს მოგზაურობას საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და დაწერს წიგნს ამ შთაბეჭდილებებზე. გარდა ამისა, გამოვა მისი ნაწერების მეოთხე ტომი, საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა დაბეჭდავს მის ახალ ლექსებს, „ზარია ვოსტოკას“ გამომცემლობა გამოსცემს მის ახალ თარგმანებს და პოეტი გამოსაცემად მოამზადებს ყველა ტომს, რომელიც დაგეგმილი იყო ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის დადგენილებით.

➤ 8433

1940

### 6 ნოემბრის შემდეგ

დღიურში აკეთებს ჩანაწერს „მცირე განმარტება“, რომელიც ეხება ბესარიონ ჟღენტის წერილს „პოეტი და რევოლუცია“, კერძოდ კრიტიკოსის მოსაზრებას, რომ გალაკტიონს არ შეუძლია „მომთხრობელობით“ ლექსზე, ანუ პოეტურ ეპოსზე წარმატებით მუშაობა. აღნიშნავს, რომ წერილი სუსტია და საქმე გვაქვს ერთგვარ ლიტერატურულ შეთქმულებასთან მის წინააღმდეგ.

➤ 8434

1940

### 18 ნოემბრამდე

ადგენს სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში საკუთარი შემოქმედებისადმი მიძღვნილი სადამოთა ციკლის გეგმას. ვარაუდობს 520 თემატური სადამოს ჩატარებას, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებს 300-მდე მომხსენებელი, 700-ზე მეტი პოეტი, 500-ზე მეტი მსახიობი, 700-ზე მეტი მომღერალი და რომელთაც დაესწრება 43 000-ზე მეტი მაყურებელი. სადამოს თავმჯდომარეებად ვარაუდობს ივანე ჯავახიშვილს, ივანე ბერიტაშვილს, იაკობ ნიკოლაძეს, მოსე თოიძეს, გერონტი ქიქოძეს, თედო სახოკიას, ალექსანდრე აბაშელს და სხვ.

➤ 8435

1940

### 18 ნოემბრის შემდეგ

წერს 23 ნოემბერს ბერიას სახელობის კლუბში გასამართი თავისი პოეზიის სადამოს მოსაწვევი ბარათის ტექსტს.

➤ 8436

1940

### 18 ნოემბრის შემდეგ

რუსულ ენაზე აკეთებს მოკლე ჩანაწერს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალების შესახებ. აღნიშნავს, რომ მისი სახით ქართულმა საზოგადოებამ უდიდესი მეცნიერი და მოქალაქე დაკარგა. იქვე ციტირებს ნიკოლაი ნეკრასოვის ლექსის „დობროლიუბოვის ხსოვნას“ ტაეპებს.

➤ 8437

1940

### 20 ნოემბრამდე

აფრთხილებენ, 20 ნოემბრამდე შეიტანოს ლიტვონდის სალაროში საწევრო გადასახადი 25 მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში მოეხსნება ყველანაირი დახმარება, როგორც ლიტვონდის წევრობიდან მექანიკურად გარიცხულს.

➤ 8438

1940

### 20 ნოემბერი

წერს თხოვნის ტექსტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის დავით ყიფშიძის სახელზე, რომ დაეხმაროს ელექტროტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ სვეტლანა ჩერნიავესკაიას, სწავლა გააგრძელოს ლიტერატურის ფაკულტეტზე.

➤ 8439

1940

### 22 ოქტომბერი - 23 ნოემბერი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერებს, ლავრენტი ბერიას სახელობის კლუბში მისი საღამოს მოწყობის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. იწერს კლუბის თანამშრომლების ტელეფონის ნომრებს და მონაწილე მწერლების სიას: ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, იონა ვაკელი, ვასილ გორგაძე, სიმონ კლდი-აშვილი, თედო სახოკია, მარიამ გარიყული, მარიკა მიქელაძე, იასამანი, ლევან მეტრეველი, კალე ბობოხიძე, გიორგი კაჭახიძე, სოლომონ თავაძე, ელენე ქართველიშვილი და სიო კალანდაძე (ხიდისთაველი).

➤ 8440

1940

### 23 ნოემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ცნობა, რომ 23 ნოემბერს ბერიას სახელობის კულტურის სახლში იმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო. მოხსენებას პოეტის მოღვაწეობის შესახებ წაიკითხავს შალვა რადიანი, სიტყვით გამოვლენ ცნობილი ქართველი მწერლები, საღამოს დაასრულებს საკონცერტო განყოფილება.

➤ 8441

1940

### 23 ნოემბერი

ლავრენტი ბერიას სახელობის კულტურის სახლში იმართება გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული საღამო. შალვა რადიანი კითხულობს მოხსენებას პოეტის შემოქმედების შესახებ. სიტყვით გამოდიან: ვასილ გორგაძე, მარიკა მიქელაძე, კალე ბობოხიძე, სიო კალანდაძე, ანდრო თევზაძე. გალაკტიონი კითხულობს ლექსებს. საღამოს ასრულებს საკონცერტო განყოფილება. ღონისძიების დასასრულს გალაკტიონს ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ქალი ყვავილებს მიმართმევს.

➤ 8442

1940

### 23 ნოემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს 23 ნოემბერს გამართულ პოეზიის საღამოზე მიღებულ შთაბეჭდილებებს. აღნიშნავს, რომ დარბაზი გადაჭედილი იყო დამსწრეებით. კმაყოფილია შალვა რადიანის მიერ წაკითხული მოხსენებით. ფიქრობს, რომ აუდიტორიაზე შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა ვასილ გორგაძის გამოსვლამ, ასევე მარიკა მიქელაძის, სიო კალანდაძისა და კალე ბობოხიძის სიტყვებმა. ანდრო თევზაძის გამოსვლამ ხალხის აღტაცება გამოიწვია. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ეს ერთი იმ იშვიათ საღამოთაგანი იყო, რომელმაც დიდებულად ჩაიარა.

➤ 8443



1940

### 23 ნოემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, ლავრენტი ბერიას სახელობის კლუბში გამართული მისი საღამოს ნაკლოვანებების შესახებ. აღნიშნავს, რომ არ გამოცხადდნენ: ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, მიხეილ კინწურაშვილი და სხვები. ლიტფონდის ფოტოგრაფი მთვრალი იყო და არაფერი გადაუღია, საღამოს გახსნისას ბნელოდა და შუქი მხოლოდ შალვა რადიანის გამოსვლისას აანთეს, მთავლიტის წარმომადგენელი ებრალიძე კი საზიზღრად იქცეოდა.

➤ 8444

1940

### 23 ნოემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ კომუნისტში იყო განცხადება ბერიას სახელობის კლუბში გამართული მისი საღამოს შესახებ. გახარებულია, რომ მის მასალებს შეემატა ვასილ გორგაძისა და მარიამ გარიყულის მოგონებები. ინტერესდება სიო კალანდაძის მისდამი მიძღვნილი ლექსის თარიღით.

➤ 8445

1940

### 27 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ინფორმაცია, რომ მიმდინარე დღეს მწერალთა კლუბში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსების კითხვის საღამო.

➤ 8446

1940

### 27 ნოემბერი

მწერალთა კლუბში იმართება გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსების კითხვის საღამო, რომელზეც შესავალი სიტყვით გამოდის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ირაკლი აბაშიძე, მოხსენებას გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსების შესახებ კითხულობს შალვა რადიანი. მომხსენებლის თქმით, პოეტის ლექსებში აზრების სირთულე არღვევს თხრობის სისადავეს და მუსიკალობას. შემდეგ თავის ახალ ლექსებს კითხულობს თავად გალაკტიონ ტაბიძე, რომელსაც დარბაზი მქუხარე ტაშით ეგებება. თავიანთ შთაბეჭდილებებს გამოთქვამენ: ერემია ასტვაცატუროვი, გიორგი ქუჩიშვილი, ვანო წულუკიძე და ბესარიონ ჟღენტი.

➤ 8447

1940

### 28 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ინფორმაცია 27 ნოემბერს მწერალთა კლუბში გამართული გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსების კითხვის საღამოს შესახებ.

➤ 8448

1940

### 28 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ინფორმაცია 23 ნოემბერს ლავრენტი ბერიას სახელობის კულტურის სახლში გამართული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს შესახებ.

➤ 8449

1940

## **28 ნოემბრის შემდეგ**

ჟურნალში „ოქტომბრელი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სიხარულით გავალ ხალხში“.

➤ 8450

**1940**

### **ნოემბერი**

აბასთუმანში წერილს უგზავნის ოლღა დარიუსის დისშვილს ლაინე ბარტელისს და ატყობინებს, რომ აბასთუმნის ინსტიტუტში ყოფნის ვადა ჯანმრთელობის სახალხო კომისარ მაჭავარიანის ბრძანებით ერთი თვით გაუგრძელეს და ამის შესახებ დეპეშაც გაგზავნეს. ურჩევს, რომ ვადის გახანგრძლივებაზე დროულად აცნობოს ბატონ მიქაძეს. სთხოვს, მოიფიქროს, ამ ერთი თვის შემდეგ ისევ აბასთუმანში გადაწყვეტს დარჩენას თუ თბილისში დაბრუნდება და ამის შესახებ მისწეროს თავის დეიდას – ოლღა დარიუსს.

➤ 8451

## **დეკემბერი**

**1940**

### **2 დეკემბრის შემდეგ**

იღებს ძმის, აბესალომ ტაბიძის წერილს, რომელიც ატყობინებს, რომ ჭყვიშიდან ცოლ-შვილიც სამტრედიამი გადაიყვანა საცხოვრებლად. სწერს, რომ მათი ეზოს ნაწილი კოლექტივმა გადაიზომა. მშობლიური სახლი რომ არ გაფუჭებულიყო, აბესალომმა ოთხი ათასი მანეთი დახარჯა მის კრამიტით გადახურვაში. გალაკტიონისგან ითხოვს განცხადების შეტანას, რომ ეზო არ ჩამოართვან. ასევე სთხოვს, რომ მის ცოლს, ტატიანას მიეგზავნოს რუსთაველის ძეგლის გვერდით მდებარე პროკურატურაში. მოკითხვას უთვლის ოლიას.

➤ 8452

**1940**

### **4 დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მახსოვს, როცა მხატვრებს ლხინი გვექონდა გამოსათხოვარი...“.

➤ 8453

**1940**

### **4 დეკემბერი**

კარგავს პორტფელს ლექსების 1500 სტრიქონით. ფიქრობს, რომ ყველაზე საშინელი დღეა მის ცხოვრებაში.

➤ 8454

**1940**

### **4 დეკემბერი**

მისგან მიდის ოლღა დარიუსი.

➤ 8455

**1940**

### **4 დეკემბერი**

უბედურია ძმისგან – აბესალომ ტაბიძისგან მიღებული წერილის გამო, რომლითაც აცნობებს, რომ ჭყვიშის ეზოს ნაწილი კოლექტივს გადასცეს და მეორე ნაწილსაც ჩამოართმევენ, თუ ზომებს არ მიიღებენ.

➤ 8456

**1940**

### **4 დეკემბერი**

ავად არის.

➤ 8457

1940

**5 დეკემბერი**

რუსულ გაზეთში „სავეტსკაია აფხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სტალინი“ თარგმანი.

➤ 8458

1940

**6 დეკემბერი**

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობას უგზავნის განცხადებას, რომ 1946 წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანონ მისი წიგნი „პოეზიის ხელოვნება“, რომელშიც შევა ლექსები და პოემები პოეზიის დანიშნულების შესახებ, მათ შორის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა, სულ იქნება, დაახლოებით, 5-6 ათასი სტრიქონი. წერს, რომ ასეთი წიგნი ქართულ ენაზე არ არსებობს და ძალიან საჭიროა ახალგაზრდებისთვის.

➤ 8459

1940

**6 დეკემბერი**

წიგნის „პოეზიის ხელოვნება“ მოსამზადებლად გეგმავს, დაათვალიეროს სხვადასხვა წიგნი და შეარჩიოს მასალა პოეზიის ხელოვნების შესახებ. ფიქრობს, რომ იგივე ტექსტები გამოდგება ვიქტორ გოლცვეის სტატიისთვისაც, რომელიც უნდა დაიბეჭდოს მოსკოვის ჟურნალში „ნოვი მირ“.

➤ 8460

1940

**30 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „საახალწლო ლექსი საბჭოთა ესტონეთს“.

➤ 8461

1940

**30 დეკემბერი**

აკეთებს ჩანაწერს სტალინური პრემიის ირგვლივ განვითარებული ამბების შესახებ. აღნიშნავს, რომ გიორგი ლეონიძე წინდაწინ გაემგზავრა მოსკოვში საქმეების ჩასაწყობად. ჟიურიმ, რომელსაც უნდა შეერჩია კანდიდატები, მას 4 ხმა მისცა, 10 ხმა კი ნიკოლაი ასევემა მიიღო. ფიქრობს, რომ ეს ლეონიძის დიდი დამარცხებაა და არა ქართული პოეზიისა, როგორც ზოგიერთებს სურთ წარმოაჩინონ. ასევე სისულელედ და პრემიის არადირსად მიაჩნია ასევეის პოემა მაიაკოვსკის შესახებ. გალაკტიონი მიუთითებს, რომ დადის ხმები, რომელთა თანახმადაც, სახალხო კომისართა საბჭო აპირებს მიიღოს დადგენილება, რომ პრემია გაიცეს არა უკანასკნელი წლის, არამედ ბოლო ხუთი წლის მხატვრული პროდუქციის მიხედვით. ამასთანავე, ჯილდო გადაეცეს არა ერთ, არამედ სამ პოეტს. ფიქრობს, ეს იმითაა გამოწვეული, რომ 1940 წლის ნაწარმოებები პრემიის ღირსად არ ცნეს. ლეონიძე გულგატეხილი ჩანს, ეს იგრძნობა მისი ბოლო ხანს გამოქვეყნებული ელეგიური ლექსიდან.

➤ 8462

1940

**30 დეკემბერი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ლექსს „საახალწლო ლექსი საბჭოთა ესტონეთს“.

➤ 8463

1940

### 30 დეკემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ინფორმაცია სათაურით „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა III ტომი“ და ამ ტომის ფოტო. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ წიგნი გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობამ შალვა რადიანის რედაქტორობით, აქვს ლედერინის ყდა, მასში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა ახალია და ღირს 12 მანეთი. აქვე დასახელებულია ცალკეული ლექსები, რომლებიც შედის განყოფილებებში: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „ძველი მოტივებიდან“, „მოგონებები ევროპაზე“ და „საუბარი ლირიკის შესახებ“.

➤ 8464

1940

### 30 დეკემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „გ. ტაბიძე – ლირიკა“, რომელიც წარმოადგენს რეცენზიას პოეტის კრებულზე „ლირიკა“. კრიტიკოსი საუბრობს პოეტის მიერ განვლილ შემოქმედებით გზაზე და თემატურად მიმოიხილავს ახალ წიგნში წარმოდგენილ მასალას.

➤ 8465

1940

### დეკემბერი

მოსკოვის ჟურნალში „კრასნაია ნოვ“ იბეჭდება მიხაილ ზენკევიჩის ბიბლიოგრაფია 1940 წელს მოსკოვში, გამომცემლობის „მხატვრული ლიტერატურა“ მიერ დაბეჭდილ წიგნზე „გალაკტიონ ტაბიძე. რჩეული ლექსები“. აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძე ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა პოეტია, მის შემოქმედებას მკითხველთა ფართო წრე კარგად იცნობს ნიკოლოზ ტიხონოვის რედაქტორობით, 1937 წელს გამოცემული რჩეულით. მაგრამ ახალი გამოცემა მნიშვნელოვნად შევსებულია და ასახავს პოეტის გრძელ და რთულ შემოქმედებით გზას 1908 წლიდან 1937 წლამდე. მიმოხილულია წიგნის სამი განყოფილება ციტატების მოხმობით. ხაზგასმულია, რომ გალაკტიონ ტაბიძე ახალგაზრდობაში ქართული სიმბოლიზმის ტიპური წარმომადგენელი იყო და მისდევდა პოლ ვერლენის ანდერძს ლექსის მუსიკალობის შესახებ. მან ახალი რიტმებითა და რითმებით გაამდიდრა ქართული პოეზია, მაგრამ რეაქციის წლებმა მარტოობისა და უიმედობის განცდა გამოიწვია მის შემოქმედებაში. ავტორი წიგნის მეორე ნაწილს პოეტის გარდაქმნის პერიოდად მიიჩნევს, როდესაც ამარცხებს მარტოობას და სურს ბოლომდე მიჰყვეს რევოლუციის მიღწევებს. წიგნის მესამე ნაწილს უწოდებს გამარჯვებული სოციალიზმის სადღესასწაულო ჰიმნს და ხალხის მოწოდების საყვირს. ავტორისთვის მხოლოდ ის არის დასანანი, რომ კრებულში არ შევიდა სახალხო პოეტის უკანასკნელი სამი წლის ლექსები.

➤ 8466

1935-1940

წერს უსათაურო ლექსს „მოთას „უკვდავი“-ს სახელდება – ხალხის გულია...“.

➤ 8467

1935-1940

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენი ზღვის არმნახველებს...“.

➤ 8468

1940 ან ადრე

წერს „სალიტერატურო გაზეთისადმი“ გასაგზავნი წერილის მონახაზს, რომელშიც აღნიშნავს, რომ არსებული სახით დაბეჭდვა იმ წერილისა არ შეიძლება, რადგან რაც იქ არის ნათქვამი გიორგი ლეონიძის ალიტერაციებზე, სინამდვილეში გალაკტიონის მონაპოვარია. რაც შეეხება

წერილის ავტორის მტკიცებას, რომ გიორგი ლეონიძის ალიტერაციები ბუნებრივია, გალაკტიონისა კი – ხელოვნური, „მიქარვას“ უწოდებს.

➤ 8469

1940

წერს ლექსს „მესხის გამოხედვა“.

➤ 8470

1940

იოსებ კაკაბაძისა და ევგენი ოდიშარიას მიერ შედგენილ წიგნში „ქართული ლიტერატურის ქრესტომათია არაქართული სკოლისათვის“ იბეჭდება გალაკტიონის მოკლე ბიოგრაფია და ლექსები „მწვერვალები ახალი მთების“ და „ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა ძლიერებით“.

➤ 8471

1940

კითხულობს პარმენ ლორიას რომანს „დელი მურადი“, ფიქრობს, რომ სათაურად აჯობებდა მთავარი გმირის – ანდროს სახელის გატანა და ამის შესახებ სწერს ავტორს. პარმენ ლორია უსაზღვროდ გახარებულია იმით, რომ გალაკტიონმა მისი რომანი წაიკითხა და თან წერილიც მისწერა.

➤ 8472

1940

წერს მოკლე დასკვნას აკაკი წერეთლის პოემების – „თამარ ცბიერისა“ და „პატარა კახის“ – კონსტანტინ ბოგდანოვსკისეულ თარგმანებზე. მიუთითებს, რომ თარგმანი წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მთარგმნელმა მოახერხა მაქსიმალურად მიახლოებოდა ორიგინალს და შეძლებისდაგვარად გადმოეცა ორიგინალის ლიტერატურული ღირებულება.

➤ 8473

1940

ათვალიერებს იაკობ გოგებაშვილის გამოფენას, მოსწონს გადიდებული წიგნები – „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“, ჩარჩოში ჩასმული ტრანსპარანტები და კოტე ქავთარაძის მიერ შესრულებული პორტრეტი.

➤ 8474

1940

წერს უსათაურო ლექსს „მთაწმინდის მთვარიდან მოსკოვის მთვარემდე...“.

➤ 8475

1940

წერს უსათაურო ლექსს „ეს ცხოვრება არის სავსე...“.

➤ 8476

1940

წერს უსათაურო ლექსს „შენ ვაზებში დგახარ ლაღი...“.

➤ 8477

1940

აინტერესებს, რა უნდა მისგან ქეთევან ჭირაქაძეს, რომელიც ხშირად ესაუბრება ხოლმე და რა კავშირი აქვს მას ფუტურისტებთან.

➤ 8478

**1940**

წერს უსათაურო ლექსს „ერთნი მეტყვიან: იფხიზლე...“.

➤ 8479

**1940**

წერს უსათაურო ლექსს „თუ არსებობ – სადმე ცაში...“.

➤ 8480

**1940**

წერს ლექსს „ფიჭვი ბიჭვინთის“ („მწერვალზე მიდის...“).

➤ 8481

**1940**

წერს უსათაურო ლექსს „ზღვა შლის წვიმების ფანტელს...“.

➤ 8482

**1940**

დღიურში წერს, რომ იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, შალვა აფხაიძის და სიმონ ჩიქოვანის ტაქტიკაა, მოჰპარონ რითმები და თან ებრძოლონ. ფიქრობს, რომ თავის შემოქმედებას ვერ უვლის.

➤ 8483

**1940**

წერს უსათაურო ლექსს „თუნდაც მშვიერი პოეზია...“.

➤ 8484

**1940**

წერს უსათაურო ლექსს „ცხოვრება არ ღირს...“.

➤ 8485

**1940**

დღიურში წერს, რომ არ ცდილობს ლექსთწყობის კანონების აღმოჩენას, მხოლოდ შემოქმედებითად მუშაობს. როგორც პოეტი და მოქალაქე, ემსახურება ხალხსა და რევოლიუციას.

➤ 8486

**1940**

წერს ლექსს „წარსულის მწუხარება“.

➤ 8487

**1940**

მუშაობს პოემაზე „აკაკი წერეთელი“ და დღიურში ექვს პუნქტად წერს მოგონების გეგმას: უქიმიერიონი, თბილისის სემინარია, ხარაგაულის სადგური, ქუთაისის სალიტერატურო სადამო, ცისფერყანწელების აზრი აკაკიზე, თავადიშვილების აზრი – მესტვირე და ბანქოს მოთამაშე, რა გააკეთა აკაკიმ თავისი ლირიკით. აღნიშნავს, რომ უნდა წაიკითხოს „ჩემი თავგადასავალი“ და დიმიტრი ბენაშვილის მონოგრაფია.

➤ 8488

**1940**

თავისი პირველი პორტრეტის სანახავად სტუმრობს კორნელი სანაძეს და ახლის დახატვას სთავაზობს. სურს მუხლზე დაყრდნობილი, მარჯვენა ხელით სკამის ზურგზე ჩამოყრდნობილი, მარცხენაში კი გადამლილი წიგნით დახატოს. სანაძე თხოვნას უსრულებს და ფანქრით ხატავს მის პორტრეტს.

➤ 8489

**1940**

წერს უსათაურო ლექსს „ლექსები, ღვინო...“.

➤ 8490

**1940**

წერს ლექსს „ტუია“ („მწვერვალთან, სადაც ჰყვავის ტუია...“).

➤ 8491

**1940**

აკეთებს ფილიპე მახარაძისადმი საჩუქრად გადასაცემ წიგნზე გასაკეთებელი მიძღვნილი წარწერის მონახაზს.

➤ 8492

**1940**

წერს უსათაურო ლექსს „განა ლექსს სიკვდილი დასძლევს? პირიქით!..“.

➤ 8493

**1940**

კითხულობს რუსულად გამოცემულ არისტოფანეს კომედიას „სიმდიდრე (პლუტოს)“ და აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 8494

**1940**

კითხულობს ლიდია მეგრელიძის წიგნს „დარბეული ოჯახი“, აკეთებს ხაზგასმებს და ასწორებს ტექსტს.

➤ 8495

**1940**

კითხულობს არნო ონელის ლექსების კრებულს „ფრიადოსნები“, გარეკანზე ხატავს პორტრეტს და აკეთებს მინაწერებს.

➤ 8496

**1940**

„მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის“ მეორე გამოცემის მერვე ტომში იბეჭდება მცირე მოცულობის საენციკლოპედიო სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც აღნიშნულია, რომ გალაკტიონი გამოჩენილი ქართველი პოეტია, რომლის შემოქმედების ადრეულ ეტაპზეც გავლენა მოახდინა სიმბოლიზმმა. პოსტრევოლუციურ ხანაში პოეტმა დაძლია სიმბოლისტური მიდრეკილებები და აღწერა სოციალისტური მშენებლობის სურათები. მითითებულია, რომ გალაკტიონი დაჯილდოებულია „სახალხო პოეტის“ წოდებითა და ლენინის ორდენით.

➤ 8497

**1940**

წერს უსათაურო ლექსს „რაც ოცნებებმა მზიურ ჰყვეს...“.

➤ 8498

**1940**

წერს პოემას „სანაპირო“ („იყო ცხრაას ორმოცი წლის გაზაფხულის დამლევია...“).

➤ 8499

**1940 ან შემდეგ**

წერს ავტობიოგრაფიას.

➤ 8500

**1940 ან შემდეგ**

ფურცელზე წერს ფრაზებს, რომლებსაც შემდეგ იყენებს ლექსებში „ქუჩა“ და „კაფეში“.

➤ 8501

**1940 ან შემდეგ**

ეცნობა 1940 წლის კალენდარს წიგნში „სოციალიზმის ქვეყანა“ აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 8502

**1940 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მეგობარ პოეტს“ („სანამ ცოცხალი განიცდი...“).

➤ 8503

**1940 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ამ ჩემს თმებში ვერცხლის ჩრდილებს...“.

➤ 8504

**1940 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რაც მომმადლა ბედისწერამ...“.

➤ 8505

**1940 ან შემდეგ**

წერს ლექსს „დაბმული ჭინკა“ („ჩემი სამწერლო მაგიდის ფეხზე...“).

➤ 8506

**1940 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ჰანგი მსმენელს“ („მოდის ჩანგით წრფელი და ჯადოსანი...“).

➤ 8507

**1940 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ოკვანე“ („მთლად დატვირთულ ნავთის გემებს...“).

➤ 8508

**1940 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ქარის პირისპირ...“.

➤ 8509

**1940 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „შორი გზიდან თვით ზღვამდის...“.

➤ 8510



## 1941-მდე

წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსს „მტერს კი სწყუროდა განავარდებით...“.

➤ 8511

## 1941 ი ა ნ ვ ა რ ი

### 1941

#### 1 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება მწერალთა, მსახიობთა, მუსიკოსთა და რეჟისორთა ანკეტები „რაზე ვიმუშავეთ 1941 წელს“, რომელიც იწყება გალაკტიონის შესახებ ინფორმაციით. პოეტი მიუთითებს, რომ 1940 წელს დაასრულა პოემები „აკაკი წერეთელი“, „საუბარი ლირიკის შესახებ“ და „კავკასიონის ქარი“, ხოლო 1941 წელს აპირებს მოგზაურობას საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რის საფუძველზეც დაწერს წიგნს. ასევე აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს სახელმწიფო გამომცემლობა გეგმავს მისი თხზულებების მეოთხე ტომის გამოცემას, ხოლო გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ ახალი თარგმანების დაბეჭდვას.

➤ 8512

### 1941

#### 1 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ესტონეთი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 8513

### 1941

#### 1 იანვრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ რაც საამაყო აქვს, მიაღწია არა კაბინეტური შრომით, არამედ ხალხში ყოფნით. ამით არის გენიალური და ძვირფასი ყველასათვის, ამან განაპირობა მისი წარსული, აწმყო და მომავალი, დიდება, ძლევამოსილება, თაყვანისცემა და აღტაცება. მაგრამ არასდროს ყოფილა თავბრუდახვეული ამ გარემოებით ისე, რომ არ სცოდნოდა ნამდვილი სიმართლე ან სიყალბე. იქიდან ესალმებოდნენ აკაკი წერეთელი და აკადემიკოსი ნიკო მარი. ყველა დაბრმავებული იყო მისი გამარჯვებებით, მის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდნენ ცისფერყანწელები, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ალიო მაშაშვილი, ილო მოსაშვილი, ელიზბარ პოლუმორდვინოვი, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, სიმონ ჩიქოვანი. ისეთი დამარცხება კი, როგორც ცისფერყანწელებმა განიცადეს, ლიტერატურის ისტორიას არ ახსოვს. ტიცინან ტაბიძეს გეგონა, რომ შარლატანობით გაიტანდა თავს, პაოლო იაშვილს – იხსნიდა იდუმალი ბედი, ვალერიან გაფრინდაშვილი – არასამართლიანი ორგანიზატორული საქციელებით აპირებდა გამარჯვებას. ალი არსენიშვილი ფიქრობდა, რომ ყინვაზე გაცურებით მოახერხებდა მის განადგურებას, ივანე ყიფიანი ეხუმრებოდა, ნიკოლო მიწიშვილს ორ სკამზე ჯდომით გაჰქონდა თავი, სანდრო ცირეკიძე ფიქრობდა, რომ ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად მოახერხებდა მის დაცინვას. ამათთან ერთად ახალგაზრდობა მოუშხამეს გრიგოლ ლალიძემ, შოთა დადიანმა, დათიკო მესხმა და რაჟდენ დათეშიძემ.

➤ 8514

### 1941

#### 2 იანვარი

მწერალთა წრეში უსმენს ლეო ქიაჩელისა და აკაკი ბელიაშვილის საუბარს. ქიაჩელი სინანულით ამბობს, რომ „გვადი ბიგვა“ ვერასგზით ვერ მიიღებს პრემიას, რადგან რომანის გაგზავნა დაგვიანდა და მისი წაკითხვა ვერ მოესწრება. ბელიაშვილი ანუგეშებს, რომ მოვალენი არიან, წაიკითხოთ. გალაკტიონი ცალკე გაიყვანს სიმონ წვერავას და ეუბნება, რომ პრემიას, ალბათ,

„გვადი ბიგვა“ მიიღებს, რაზეც წვერავა ეთანხმება. პოეტი ამბობს, რომ, ჩანს, ნომინანტების ახალი სია გაიგზავნა მოსკოვში. თანამოსაუბრე უდასტურებს და აღნიშნავს, რომ ლეონიძე და ჩიქოვანი სიაში არიან. გალაკტიონი ფიქრობს, რომ მთავრობა გაწამაწიაშია, ან მართლა ვერ მოინახა საპრემიო ნაწარმოებები, ან არ სურთ ფულის დახარჯვა.

➤ 8515

1941

#### 4 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი „გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა III ტომი“ და ტომის ფოტო. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ წიგნი გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობამ შალვა რადიანის რედაქტორობით, მასში მოთავსებული ლექსების უმრავლესობა ახალია და ღირს 12 მანეთი. აქვე დასახელებულია ცალკეული ლექსები, რომლებიც შედის განყოფილებებში: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „ძველი მოტივებიდან“, „მოგონებები ევროპაზე“ და „საუბარი ლირიკის შესახებ“.

➤ 8516

1941

#### 5 იანვარი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება სტატია „ქართული პოეზიის ანთოლოგია რუსულ ენაზე“. მასში საუბარია გამოცემაზე, რომელიც მოიცავს ქართულ მწერლობას ძველი დროიდან თანამედროვეს ჩათვლით და რომელსაც გამოსცემს მოსკოვის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს ვიქტორ გოლცევმა, ალექსანდრე აბაშელმა და სიმონ ჩიქოვანმა, ხოლო იმ ფუნდამენტური კვლევის ავტორები, რომელიც წიგნს ახლავს, არიან: კორნელი კეკელიძე, გერონტი ქიქოძე, შალვა რადიანი, ბესარიონ ჟღენტი და მიხეილ ჩიქოვანი. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ წიგნის მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია თანამედროვე პოეტები, რომელთაგან პირველ ადგილზე დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 8517

1941

#### 6 იანვარი

მწერალთა კავშირში ესწრება კრიტიკოსების სხდომას. პირველი გამომსვლელის, სანდრო შანშიაშვილის სიტყვით, კრიტიკოსები ვერ ხვდებიან ან განათლება არ ჰყოფნით, სათანადოდ შეაფასონ ნაწარმოები. გალაკტიონ ტაბიძეზე ამბობენ, რომ დიდი პოეტია, მაგრამ შემდეგ არ აღრმავებენ ამ აზრს. ალკა სულავა პასუხობს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ყველა წაიკითხავს. სანდრო შანშიაშვილი ეთანხმება და აღნიშნავს, რომ ეს მისი ნიჭის წყალობაა და არა კრიტიკის.

➤ 8518

1941

#### 6 იანვარი

განცხადებით მიმართავს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, ირაკლი აბაშიძეს და ითხოვს, რომ საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცეს მისი პოემა „კავკასიონის ქარი“.

➤ 8519

1941

#### 9 იანვარი

რადიოდან იგებს, რომ სტალინური პრემია მიიღეს: ლეო ქიაჩელმა, მიხეილ ჭიაურელმა, აკაკი ხორავამ და ინჟინერმა არჩილ ქურდიანმა. დღიურში ინიშნავს, რომ ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა ჟიურის გადაწყვეტილებას. ამბობენ, რომ ქიაჩელი იმსახურებდა ჯილდოს, ჭიაურელი – არა,

ინჟინერმა ქურდიანმა კი თანაავტორის ინტელექტუალური საკუთრება მიითვისა. შალვა დადიანი უკმაყოფილოა, რომ ის არ წარადგინეს პრემიაზე, ნაწყენი დარჩენილა კონსტანტინე გამსახურდიაც, რომელიც ავტომობილის შეძენას გეგმავდა. ამბობენ, ლეონიძის სცენარი გიორგი სააკაძეზე სტალინს გულუბრყვილობის გამო დაუწუნებია და მას პრემიის იმედი არ უნდა ჰქონოდაო. ინიშნავს კალე ბობოხიძის სიტყვებს გიორგი ლეონიძის შესახებ, ავმა ძალღმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო. ბობოხიძის თქმით, ვინმე უფრო ცნობილი რომ წარედგინათ ქართული პოეზიიდან, ჯილდოს უსათუოდ აიღებდა.

➤ 8520

1941

### 9 იანვრის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „1905 წლის რევოლუციის ხალხური ლექსიკონი“, რომელშიც განმარტავს რევოლუციასთან დაკავშირებულ ხალხში გავრცელებულ გამოთქმებს და ფრთიან ფრაზებს.

➤ 8521

1941

### 14 იანვრამდე

ოლია ოკუჯავას გადასახლებაში უგზავნის 300 მანეთს.

➤ 8522

1941

### 14 იანვრის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას წერილს, რომელშიც საუბარია მის უსაზღვრო სიყვარულზე. სწერს, რომ მისგან 300 მანეთი მიიღო 14 იანვარს და არ უნდა მეტჯერ გაუგზავნოს, რადგან შემდეგ გალაკტიონი დარჩება მშვიერი. ცრემლები ახრჩობს და მეტს ვედარაფერს სწერს.

➤ 8523

1941

### 15 იანვარი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ქვეყნდება მიხეილ დავითაშვილის სტატია „გალაკტიონ ტაბიძის ახალი ლექსები“, რომელშიც საუბარია პოეტის თხზულებათა მესამე ტომზე, რომელიც 1940 წელს გამოიცა. წერილის ავტორის თქმით, გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მესამე ტომი დასტურია პოეტის ბოლოდროინდელი შემოქმედებითი მიღწევებისა. ის საუბრობს პოეტის ცალკეულ ლექსებზე და მიუთითებს, რომ თანამედროვეობის არც ერთი მნიშვნელოვანი თემა არ რჩება გალაკტიონის ყურადღების მიღმა. ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, რომ პოეტი დიდი გულისყურით ეპყრობა ნაწარმოების მხატვრულ ფორმას. მისი ახალი ლექსები გამორჩეულია რიტმული, კომპოზიციური და ტროპული სიახლეებით. წერილის ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს გალაკტიონის ევროპული ციკლის ლექსებს, ასევე პოემას „საუბარი ლირიკის შესახებ“, რომელიც დასტურია იმისა, რომ გალაკტიონი მეცხრამეტე საუკუნის ქართველი კლასიკოსების ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებელია.

➤ 8524

1941

### 17 იანვარი

დღიურში წერს, რომ ალექსანდრე აბაშელი აღარ ხუმრობს და შეტევაზე გადადის. გულუბრყვილო კრიტიკოსებს აწერინებს, რომ მისი წიგნი „მზის სიცილი“ ოპტიმისტურია, თუმცა ღრმად პესიმისტური და დეკადენტური ნაწარმოებია. ფიქრობს, რომ ეს მის წინააღმდეგ არის მიმართული, გალაკტიონი პესიმისტი იყო, ის კი – ოპტიმისტი. კონსტანტინე გამსახურდიას დააწერინა, რომ ერთი წლის განმავლობაში გამოცემული პატარა წიგნაკით გვერდით ამოუდგა მოწინავე საბჭოთა პოეტებს, მათ შორის, მასაც ოცი წლის განმავლობაში დემონსტრაციული

დუმილის შემდეგ. აბაშელმა გამოაჩინა ძველ „ცისარტყელაში“ ალფაბეტის წესით დაბეჭდილი ავტორები, რაც საშუალებას მისცემს, სხვების გვერდით კი არა, ყველაზე წინ იდგეს. ამავე წესით ააწყო ბორის სერებრიაკოვს წიგნი, რადგან ის მოსკოვში გამოსაცემი ქართული პოეზიის ან-თოლოგიის სარედაქციო კოლეგიის წევრია და იქაც აპირებს ალფაბეტის მიხედვით წიგნის შედგენას. ამავე გზით მიდიან ვიქტორ გოლცევი, ალიო მაშაშვილი და სიმონ ჩიქოვანი. ალექსანდრე აბაშელმა მოინდომა თებერვალში გამოსაცემი, საქართველოს გასაბჭოების XX წლისთავისადმი მიძღვნილი მწერალთა კავშირის კრებულშიც, ავტორების ალფაბეტით ბეჭდვა. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ მანამდე ყველა წიგნი თუ ჟურნალი იხსნებოდა მისი ლექსებით. აინტერესებს, როგორ დამთავრდება ეს დუელი.

➤ 8525

1941

### 19 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება განცხადება სათაურით „ლენინის საღამო მწერალთა კლუბში“. მასში ნათქვამია, რომ 21 იანვარს მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართება ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის ირაკლი აბაშიძე. მოხსენებებით გამოვლენ: შალვა რადიანი, დემნა შენგელაია, ლეო ქიაჩელი, ბესარიონ ჟღენტი და ერემია ასტვაცატუროვი და მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, ალიო მაშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, იონა ვაკელი, ალექსანდრე აბაშელი, ილო მოსაშვილი, სანდრო ეული, კარლო კალაძე და გიორგი ქუჩიშვილი.

➤ 8526

1941

### 20 იანვრის შემდეგ

პაატა გუგუშვილის წიგნის „ქართული ჟურნალისტიკა“ წინასიტყვაობაში აკეთებს ხაზგასმებს, წერს კომენტარებსა და კითხვის ნიშნებს.

➤ 8527

1941

### 21 იანვარი

მონაწილეობას იღებს მწერალთა კავშირის კლუბში საღამოს 8 საათზე გამართულ ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში და კითხულობს ბელადისადმი მიძღვნილ ახალ ლექსს „ლენინის ხსოვნა“.

➤ 8528

1941

### 22 იანვარი

დღიურში წერს, რომ 21 იანვარს ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს შემდეგ, რომელიც მისი ლექსით გაიხსნა, იოსებ გრიშაშვილმა განაცხადა, ქალაქიდან არ ვკითხულობ ლექსებსო და ის ჰყავდა მხედველობაში. მან სტამბაშიც იჩხუბა, მწერალთა კავშირის კრებული მისი ლექსით რომ არ დაიწყეს. ფიქრობს, რომ იოსებ გრიშაშვილმა ახალი დუელი წამოიწყო მასთან.

➤ 8529

1941

### 22 იანვრის შემდეგ

იღებს აბესალომ ტაბიძის წერილს, რომელშიც მძა კმაყოფილებას გამოთქვამს გაზეთში “ზარია ვოსტოკა” გალაკტიონის თხზულებათა მესამე ტომის შესახებ გამოქვეყნებული რეცენზიით. ინტერესდება, დაწერა თუ არა განცხადება, რომ ჰყვიშის ეზო არ ჩამოართვან. ავალეხს, მივიდეს განათლების კავშირის თავმჯდომარესთან, აუხსნას, რომ მისი ძმის – აბესალომ ტაბიძის

დამსახურებულ მასწავლებლად წარდგენის საბუთები მასთან არის და გაიგოს, რა გადაწყდა. თუ მისვლას ვერ მოახერხებს, დარეკოს მაინც. მოკითხვას უთვლის ოლღა დარიუსს.

➤ 8530

1941

**24 იანვრამდე**

წერს ლექსს „მასთან არიან“.

➤ 8531

1941

**22-24 იანვარი**

წერს ლექსს „უნივერსიტეტისთვის“. სათაური გადაშლილია.

➤ 8532

1941

**24 იანვარი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი „ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სადამო მწერალთა კლუბში“, რომელშიც ნათქვამია, რომ ღონისძიება გახსნა მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ირაკლი აბაშიძემ, მოხსენება გააკეთა შალვა რადიანმა, სიტყვით გამოვიდა ბესარიონ ჟღენტი, თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს: დემნა შენგელაიამ, გალაკტიონ ტაბიძემ, სანდრო ეულმა და იოსებ გრიშაშვილმა.

➤ 8533

1941

**24 იანვარი**

გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ რედაქციაში შეხვედრას მართავს თბილისის მუშა კორესპონდენტებთან, რომლებიც უძღვნიან ყვავილებს. ღონისძიებაზე კითხულობს მონაკვეთებს ახალი პოემიდან და საუბრობს შემოქმედებითი მუშაობის თავისებურებათა შესახებ. გალაკტიონის შემოქმედების თაობაზე მოხსენებით გამოდის ბესარიონ ჟღენტი.

➤ 8534

1941

**24 იანვარი**

აცნობებენ, რომ ჟურნალისთვის „მნათობი“ გადაცემული მისი ლექსი „ლენინის ხსოვნა“ შეუმოკლებია ამ გამოცემის პასუხისმგებელ რედაქტორს – ალიო მამაშვილს. ნაწარმოების ტექსტში ამგვარი ჩარევის გამო გალაკტიონი უკმაყოფილოა.

➤ 8535

1941

**24 იანვარი**

გაზეთში „კომუნისტი“ დასაბეჭდად აგზავნის ლექსს „ახალი ტფილისი“.

➤ 8536

1941

**24 იანვარი**

დღიურში ინიშნავს, რომ დეპეშათა სააგენტოს საშუალებით უნდა შეიტყოს ყველა რაიონული გაზეთის სია და მისამართები.

➤ 8537

1941

**24 იანვარი**

მუშაობს პოემაზე „ბარიკადებზე იბრძოდა ქალი“ („გახსოვთ, რა ქარმა გადაიარა...“).

➤ 8538

**1941**

**25 იანვრამდე**

წერს ლექსს „ორი რატი“.

➤ 8539

**1941**

**25 იანვრამდე**

ჟურნალს „მნათობი“ იანვრის ნომრისთვის დასაბეჭდად უგზავნის ლექსს „ლენინის ხსოვნა“.

➤ 8540

**1941**

**25 იანვრამდე**

საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებულისთვის მწერალთა კავშირს გადასცემს ლექსს „მშობლიურო ჩემო მიწავ!“.

➤ 8541

**1941**

**25 იანვრამდე**

ჟურნალს „ოქტომბრელი“ დასაბეჭდად გადასცემს ლექსს „ჩვენ“.

➤ 8542

**1941**

**25 იანვრამდე**

ბორის სერებრიაკოვს რუსულენოვანი წიგნისთვის „საბჭოთა საქართველოს პოეტები“ სათარგმნად გადასცემს ლექსებს.

➤ 8543

**1941**

**25 იანვრამდე**

ლექსებს აგზავნის მოსკოვში ქართული პოეზიის ანთოლოგიისთვის.

➤ 8544

**1941**

**25 იანვრამდე**

ლექსებს აგზავნის სამხრეთ ოსეთის ანთოლოგიაში შესატანად.

➤ 8545

**1941**

**25 იანვრამდე**

ლექსებს ჰპირდება გაზეთების – „ზარია ვოსტოკა“, „ხორურდანი ვრასტანი“ და „იზვესტია“ რედაქციებს.

➤ 8546

**1941**

**25 იანვრამდე**

ამზადებს მასალას კომუნისტური პარტიის სრულიად-საკავშირო XVIII კონფერენციისთვის.

➤ 8547

1941

**25 იანვარი**

დღიურში ინიშნავს, რომ გამომცემლობისთვის „ფედერაცია“ მოსამზადებელი აქვს წიგნი „მშობლიური ჩემო მიწავ“. მასალები აქვს მისაწოდებელი ჟურნალისთვის „მნათობი“, უნივერსიტეტის გაზეთისთვის, „სალიტერატურო გაზეთისთვის“, „ახალგაზრდა კომუნისტისთვის“, „კომუნისტისთვის“, „ხორუდანი ვრასტანისთვის“, „ზარია ვოსტოკასთვის“, „იზვესტიასთვის“ და „საბლიტგამში“ გამოსაცემი წიგნისთვის „პოეზიის ხელოვნება“.

➤ 8548

1941

**25 იანვრის შემდეგ**

ლექსს გადასცემს გაზეთის „ხორუდანი ვრასტან“ რედაქციას.

➤ 8549

1941

**25 იანვრის შემდეგ**

ლექსს უგზავნის გაზეთის „იზვესტია“ რედაქციას.

➤ 8550

1941

**25 იანვრის შემდეგ**

ბორის სერებრიაკოვის მეშვეობით გაზეთს „ზარია ვოსტოკა“ უგზავნის სერებრიაკოვის მიერვე ნათარგმნ ნაწყვეტს ლექსიდან „მშობლიური ჩემო მიწავ“.

➤ 8551

1941

**26 იანვარი**

მწერალთა კავშირიდან აცნობებენ, რომ მიღებულია მიკოლა ბაჟანის დეპეშა, უკრაინელი პოეტის, პავლო ტიჩინას დაბადებიდან 50 წლის და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 30 წლის იუბილეზე დასწრების თხოვნით. იგებს, რომ მწერალთა კავშირმა უკვე გააგზავნა მისალოცი დეპეშა, მაგრამ თავადაც ფიქრობს მილოცვას და დეპეშის გასაგზავნად იგებს ტიჩინას მისამართს.

➤ 8552

1941

**27 იანვრამდე**

ტროლეიბუსში ხვდება მოსე თოიძეს, რომელიც აღტაცებით საუბრობს მის ლექსზე, უქებს როგორც ფორმას, ისე შინაარსს.

➤ 8553

1941

**27 იანვრამდე**

პლექხანოვის (ადმამენებლის) პროსპექტზე ყურადღებას აქცევს გაჩერებული ტრამვაის ვატმანის ჩხუბსა და შეჯგუფებულ ხალხს. მათ შუაგულში დგას მოსე თოიძე და ძალიან ბრაზობს, რომ ვატმანი ვაგონში არ უშვებს ქალს, რომელსაც ხელში სამოვარი უჭირავს. მხატვარი იმარჯვებს და ვატმანი თანხმდება, რომ სამოვრიანი რუსის ქალი წაიყვანოს. გალაკტიონ ტაბიძის კითხვაზე, თუ რა ხდება, მოსე თოიძე პასუხობს, რომ ძლივს იშოვა ძველი ავეჯის მაღაზიაში იმ ტიპის სამოვარი, წინათ რომ გორში იყენებდნენ და სტალინის სურათის დასახატად სჭირდება.

➤ 8554

1941

**27 იანვარი**

სათაურით „მეთვრამეტე კონფერენცია“ ვრცლად ჩამოწერს გასაშუქებელ თემებს და საკითხებს ლექსის „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“.

➤ 8555

1941

**27 იანვარი**

რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ბორჯომის მაღაზიაში ხვდება მოსე თოიძეს, რომელსაც ძალიან უხარია მისი ნახვა. გალაკტიონი მოაგონებს 1893 წელს ჟურნალში „კვალი“ გამოქვეყნებულ მის ნახატს – წვიმაში ქუჩის კედელთან შეყუჟულ პატარა ობოლ მათხოვრებს. მოსე ეუბნება, რომ იმ დროს არავითარი სპეციალური სამხატვრო განათლება არ ჰქონდა მიღებული, ისე ხატავდა. მოსეს მაღაზიაში გაუგებრობა შეემთხვევა, 1 ბოთლი ბორჯომის ნაცვლად 1 ჭიქას აძლევენ და როდესაც უკმაყოფილებას გამოთქვამს, აღმოჩნდება, რომ თავად შემლია და არასწორი ქვითარი მიუცია გამყიდველისთვის.

➤ 8556

1941

**27 იანვარი**

წერს უკრაინელი პოეტის, პავლო ტიჩინასთვის დაბადებიდან 50 წლის და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 30 წლის მისალოცი დეპეშის ტექსტს. წუხილს გამოთქვამს, რომ ამ დღესასწაულში პირადად ვერ იღებს მონაწილეობას. უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს უკრაინისა და საბჭოთა კავშირის სასახელოდ.

➤ 8557

1941

**28 იანვარი**

დღიურში იწერს მოსე თოიძის შესახებ სხვადასხვა ამბავს: ოღლა დარიუსის მონათხრობს, რომ მოსემ მისი ქალიშვილის სასწავლებლიდან მისულ გამგეს კითხვაზე მიუგო, რომ ოთხი შვილი ჰყავს, ქალმა კი უთხრა, რომ დოკუმენტში ხუთია აღნიშნული. მოსემ უპასუხა, რომ მასზე უკეთესად დოკუმენტი ვერ იტყვის სიმართლეს. მაშინ მისმა მეუღლემ ხუთივე შვილი გამოიყვანა და მხატვარი გაოცდა, რომ მართლაც ხუთი შვილი ჰყოლია. აღნიშნავს, რომ მოსე ხან ლევ ტოლსტოის მიმდევარი იყო, ხან კი რეპინის მიზამდით ვეგეტარიანელობა დაიწყო და კინაღამ შიმშილით მოკვდა. მხატვრის სახლში ერთხელ ხანძარი გაჩნდა, მაგრამ ისე იყო ხატვით გართული, რომ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა და აღტაცებული იყო ოთახის არაჩვეულებრივი განათებით.

➤ 8558

1941

**28 იანვარი**

გამოდის 1941 წლის საბავშვო კალენდარი, რომლის 2 მარტის ფურცელზე დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ფოტო და ლექსი „მხარი მხარს!“.

➤ 8559

1941

**28 იანვარი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლევან ასათიანის წერილი „პავლო ტიჩინა“, რომელიც ეძღვნება ცნობილი უკრაინელი პოეტის ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს. მასში ნათქვამია, რომ პავლო ტიჩინას ქართველი კლასიკოსების: დავით გურამიშვილის, აკაკი



წერეთლისა და სხვათა გარდა ნათარგმნი აქვს თანამედროვე ქართველი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

➤ 8560

1941

**29 იანვარი**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ქვეყნდება სტატია „მუშა კორესპონდენტების შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 25 იანვარს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე შეხვდა მუშა კორესპონდენტებს. პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა, რომელმაც მიმოიხილა პოეტის შემოქმედებითი ევოლუციის ეტაპები. გალაკტიონმა დამსწრეებს მოუთხრო ლექსებზე მუშაობის პროცესის შესახებ და წაიკითხა შესავალი ახალი პოემისა, რომელიც საქართველოს გასაბჭოების ოცი წლისთავს ეძღვნება.

➤ 8561

1941

**30 იანვარი**

წერილს იღებს ხობის საშუალო სკოლის ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ მიხეილ დოჭვირისგან. უძღვნის კომუნისტურ სალამს და დაბეჯითებით ითხოვს, რომ პოეტმა განუმარტოს, რას გულისხმობს ლექსის „ლურჯა ცხენები“ ფრაზაში „სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს.“

➤ 8562

1941

**31 იანვარი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ ქვეყნდება სტატია „მუშა კორესპონდენტების შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 25 იანვარს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე შეხვდა მუშა კორესპონდენტებს. პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი. გალაკტიონმა წაიკითხა შესავალი ახალი პოემისა, რომელიც საქართველოს გასაბჭოების ოცი წლის თავს ეძღვნება. დასასრულს, პოეტმა უპასუხა დამსწრეთა შეკითხვებს.

➤ 8563

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1941

**თებერვლამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ერთხელ ლელიან-ჭაობიან“.

➤ 8564

1941

**1 თებერვალი**

წერს ლექსს „კონფერენციის დიდებულის პატივსაცემად“.

➤ 8565

1941

**2 თებერვალი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“.

➤ 8566

1941

## **2 თებერვლის შემდეგ**

გაზეთში „კომუნისტი“ დაბეჭდილი ლექსი „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ საყოველთაო მოწონებას იმსახურებს და ფურორს ახდენს. პოეტს ისეთი პირებიც კი უქებენ მას, რომლებიც მისი თაყვანისმცემლები არ არიან.

➤ 8567

1941

## **2 თებერვლის შემდეგ**

ლექსი „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ ითარგმნება სომხურ ენაზე და იბეჭდება გაზეთში „სოვეტაკენ ჰაიასტან“.

➤ 8568

1941

## **3 თებერვლის შემდეგ**

ბორის სერებრიაკოვი რუსულად თარგმნის ლექსს „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ და გაზეთის „იზვესტია“ თბილისელი კორესპონდენტი მას ამ გაზეთში დასაბეჭდად გზავნის.

➤ 8569

1941

## **3 თებერვლის შემდეგ**

ბორის სერებრიაკოვი აცნობებს, რომ მის მიერ რუსულად ნათარგმნი ლექსი „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ გაზეთში „იზვესტია“ უკვე აწყობილია დასაბეჭდად.

➤ 8570

1941

## **3 თებერვლის შემდეგ**

ლექსის „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ ნაწყვეტს რუსულად თარგმნის ვლადიმირ ვასილენკო.

➤ 8571

1941

## **7 თებერვლის შემდეგ**

საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“ იხსნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „მშობლიურო ჩემო მიწავ“.

➤ 8572

1941

## **7 თებერვლის შემდეგ**

ბორის სერებრიაკოვის მიერ ქართველი პოეტების რუსულად ნათარგმნი ლექსების კრებულში „საბჭოთა საქართველოს პოეტები“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების: „ნაძვის ხეებს ეღვარება...“, „საქართველოს კარებს გასცდა...“ და „ორი სამყარო“ თარგმანები.

➤ 8573

1941

## **10 თებერვალი**

ესწრება ავეტიკ ისაკიანის საღამოს მწერალთა კავშირში და მის პატივსაცემად გამართულ სადილს სასტუმრო „ტფილისში“. ანტერესებს, როგორ გამოეხმაურება ამას პრესა.

➤ 8574

1941

## 10 თებერვლის შემდეგ

დღიურში იწერს კნუტ ჰამსუნის გამოსვლის ტექსტს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ადრე მწერლებისგან მოითხოვდნენ, კომუნისტები გამხდარიყვნენ და ვინც ამ ჯგუფს არ ეკუთვნოდა, იმათ ზიზღით უყურებდნენ. მწერლებმა მსხვერპლი გაიღეს და პოზიციები მაინც არ დათმეს. ჰამსუნი აღნიშნავს, რომ სააგიტაციო ლაპარაკი ხელოვნებაზე დიდ შემოქმედად ვერავის ჩამოაყალიბებს.

➤ 8575

1941

## 10 თებერვლის შემდეგ

მომავალი გამოფენისთვის დღიურში ინიშნავს, რა მასალა დასჭირდება ექსპოზიციისთვის. ჩამონათვალშია: თავისი ფოტო, რომელზეც ლენინის ორდენი უკიდია, წიგნების ყველა ტომის ფოტოები, სალიტერატურო ბიულეტენი „გალაკტიონი“, რომელშიც მასზე ლექსებისა და სტატიების ავტორთა პორტრეტებია.

➤ 8576

1941

## 12 თებერვლამდე

ვალერიან ცაგარეიშვილი წერს მუსიკას გალაკტიონ ტაბიძის ლექსისთვის „მშობლიური ჩემო მიწავ!“.

➤ 8577

1941

## 12 თებერვლამდე

ბორის სერებრიაკოვი გალაკტიონ ტაბიძის ლექსის თარგმანს აგზავნის გაზეთში „კომსომოლსკაია პრავდა“.

➤ 8578

1941

## 12 თებერვალი

რადიოთი გადასცემენ ლექსის „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ სომხურ თარგმანს.

➤ 8579

1941

## 12 თებერვალი

ფოსტალიონი გადასცემს მოსკოვიდან გაგზავნილ 96 მანეთსა და 3 თებერვლის წერილს, რომლითაც აცნობებენ, რომ ეს თანხა 1937 წლის 20 აპრილის „სალიტერატურო გაზეთიდან“ ეკუთვნოდა.

➤ 8580

1941

## 12 თებერვალი

გალაკტიონ ტაბიძესთან სახლში მიდის ლენა. გალაკტიონი იმ დროს ფიქრობს ცრუმორწმუნეობაზე და დღიურში იწერს, რომ ლენა ცრუმორწმუნეა.

➤ 8581

1941

## 12 თებერვალი

ბესარიონ ჟღენტე თანხმობას აცხადებს, რომ წიგნად გამოიცეს „კავკასიონის ქარი“.

➤ 8582

1941

**12 თებერვალი**

მოსკოვის გაზეთში „ლიტერატურნაია გაზეტა“ ნახსენებია, რომ გალაკტიონ ტაბიძემ დაბადებიდან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით მისალოცი დეპეშა გაუგზავნა პავლო ტიჩინას.

➤ 8583

1941

**12 თებერვალი**

სტამბაში ნახულობს მწერალთა კავშირის კრებულში „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“ დაბეჭდილ თავის ლექსს „მშობლიური ჩემო მიწავ“ და აღნიშნავს, რომ დიდებულადაა გამოცემული.

➤ 8584

1941

**12 თებერვალი**

რეკავს ტელეფონი, ყურმილს იღებს და ეუბნება, რომ გალაკტიონ ტაბიძის ბინაა, მაგრამ ყურმილს უკიდებენ.

➤ 8585

1941

**12 თებერვალი**

დღიურში წერს, რომ არ არის ცრუმორწმუნე, მაგრამ ზუსტად მაშინ, როდესაც ფიქრობდა აკადემიის ფილიალის ტელეფონში ციფრების ბედნიერ განლაგებაზე: 6-9-9-6. ფოსტალიონმა 4 წლის დაგვიანებით მიუტანა მოსკოვიდან გაგზავნილი ჰონორარი – 96 მანეთი. წერს, რომ პწკარედებთან დაკავშირებით ეშმაკობენ, მაგრამ იმედი აქვს, რომ საქმე გამოსწორდება.

➤ 8586

1941

**12 თებერვლის შემდეგ**

კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე – ივანე გოკიელი ეუბნება, რომ ვალერიან ცაგარეიშვილის მუსიკა მისი ლექსისთვის „მშობლიური ჩემო მიწავ“ იშვიათია. წუხს, რომ გუნდი არ ჰყავთ, მაგრამ სურს, რომ რადიოში მაინც შესრულდეს.

➤ 8587

1941

**13 თებერვალი**

ირაკლი აბაშიძე აცნობებს, რომ „კავკასიონის ქარის“ დაბეჭდვა გაჭიანურდება, ბესარიონ ჟღენტი კი ვერ უბედავს ამის თქმას,

➤ 8588

1941

**13 თებერვლის შემდეგ**

წერს სალალობო უსათაურო ლექსის „გვადიმ მოიპარა თხა...“ ორ ვარიანტს.

➤ 8589

1941

**13 თებერვლის შემდეგ**

წერს ლექსის „სტალინს საქართველოსგან“ ორ ვარიანტს.

➤ 8590

1941

### 13 თებერვლის შემდეგ

ბესარიონ ჟღენტი წიგნის „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“ შესავალ წერილში „ქართული საბჭოთა მწერლობის ნოვატორული თვისებანი“ აღნიშნავს, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში სათანადოდ ჯერ კიდევ არ აღდგენილა და განვითარებულა კლასიკური ქართული პოეზიის დიდი ეპიკური ტრადიციები. გალაკტიონ ტაბიძის პოემები ქართული საბჭოთა პოეტური ეპოსის აღმოცენების მხოლოდ პირველი ცდაა.

➤ 8591

1941

### 14 თებერვალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი შუამდგომლობს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საპენსიო კომისიის წინაშე. რადგან ავადმყოფობის გამო გალაკტიონ ტაბიძე ვერ ეწევა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას, ითხოვენ მისთვის პერსონალური პენსიის გადიდებას.

➤ 8592

1941

### 14 თებერვლის შემდეგ

ბესარიონ ჟღენტის წიგნში „თანამედროვე ქართული ლიტერატურა“ მისი პოემების არასათანადო შეფასების გამო გალაკტიონი წერს პოეტური შარჟის „20 წლის თავზე (ნოვატორული ლექსი)“ ორ ვარიანტს. ერთი იწყება ფრაზით: „ქართველ მწერლებს ოცი წლის თავს...“, მეორე კი – სიტყვებით: „მოგილოცავთ მწერლებს, რომ გულნატკენი არ იქნეთ...“.

➤ 8593

1941

### 13 თებერვლის შემდეგ

ქუჩაში ხვდება ბესარიონ ჟღენტს და იქვე მყოფი ირაკლი აბაშიძის, შალვა დადიანის, ილო მოსაშვილისა და სხვების თანდასწრებით ეუბნება მის წიგნზე დაწერილ თავის პოეტურ შარჟს. ბესარიონ ჟღენტი წითლდება.

➤ 8594

1941

### 14 თებერვალი

საარტილერიო სკოლაში ჩატარებულ სადამოხე ქართულად კითხულობს „მთაწმინდის მთვარეს“ და რუსულად – „იდეას“, რაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

➤ 8595

1941

### 14 თებერვალი

საარტილერიო სკოლაში ჩატარებულ სადამოხე გაკეთებულ მოხსენებაში ბესარიონ ჟღენტი სანდრო შანშიაშვილზე უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე გალაკტიონ ტაბიძეზე.

➤ 8596

1941

### 14 თებერვალი

საარტილერიო სკოლაში ჩატარებულ სადამოხე სანდრო შანშიაშვილი ლექსის წაკითხვაზე უარს ამბობს, რადგან უკმაყოფილოა, რომ გალაკტიონ ტაბიძემ პირველმა წაიკითხა. ბოლოს მაინც ითანხმებენ.

➤ 8597

1941

#### 14 თებერვალი

საარტილერიო სკოლაში ჩატარებულ სადამოხე ბორის სერებრიაკოვს სცენიდან სთხოვენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ სრული თარგმანის ან ნაწყვეტის წაკითხვას. ის ამბობს, რომ წაიკითხავს არა თარგმანს, არამედ თავის ორიგინალურ ლექსს და კითხულობს გალაკტიონის ლექსის თარგმანს. გალაკტიონი გაკვირვებული რჩება.

➤ 8598

1941

#### 14 თებერვლის შემდეგ

ლექსისთვის „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ გაზეთიდან „კომუნისტი“ იღებს ჰონორარს – 1500 მანეთს.

➤ 8599

1941

#### 14 თებერვლის შემდეგ

ლექსისთვის „კონფერენციის პარტიულის პატივსაცემად“ გაზეთიდან „სოვეტიკან ჰაიასტან“ იღებს ჰონორარს – 250 მანეთს.

➤ 8600

1941

#### 14 თებერვლის შემდეგ

დღიურში აკეთებს ჩანაწერს მისი დაბადებიდან 50 წლის აღსანიშნავის საიუბილეო გამოფენასთან დაკავშირებით. რადგან გამოფენის მიზანია პოეტის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის წარმოჩენა, ფიქრობს, რომ უნდა შედგეს გამოფენის მომწყობი კომიტეტი, რომლის წევრები იქნებიან მთავრობის, მწერალთა კავშირის, მხატვართა კავშირის, განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები, კომიტეტმა უნდა შეადგინოს გეგმა და შეარჩიოს ან ააგოს შესაფერისი შენობა გამოფენისათვის.

➤ 8601

1941

#### 14 თებერვლის შემდეგ

დღიურში იწერს მისამართებსა და ტელეფონის ნომრებს ძველი სემინარიელებისა: დომენტი არონიშიძე, თედო ბეგიაშვილი, ილო მოსაშვილი, ვასო გორგაძე, აკაკი სირაძე, გენადი მიხელაძე, აკაკი მარგიანი, ლადო გეგეჭკორი, გალაკტიონ ტაბიძე, გოგლა ლეონიძე, გიორგი კახაია.

➤ 8602

1941

#### 15 თებერვლის შემდეგ

საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ მხატვრულ კრებულში „XX წელი“, იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ახალი თბილისი“.

➤ 8603

1941

#### 16 თებერვალი

„ლიტერატურული გაზეთი“ ბეჭდავს ლევან ასათიანის სტატიას „საქართველოს საბლიტგამის გეგმა“, რომელშიც სხვა ავტორებს შორის მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 8604

1941

### 17 თებერვლამდე

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ აინტერესებს, როგორი გამოვიდა ივანე ვეფხვაძის დახატული სურათი და დავით გველესიანის მიერ გამოფენისთვის შესრულებული პორტრეტი. როგორ არის საქმე ლიტერატურის მუზეუმთან დაკავშირებით. აღნიშნავს, რომ საჭიროა ყველა წიგნის ფოტო. იგებს, რომ ლექსი არა „ბერიას კრებულში“, არამედ სხვა კრებულში იბეჭდება.

➤ 8605

1941

### 17 თებერვალი

ქუთაისელ ფოტოგრაფ დათიკო მხეიძეს სჩუქნის წიგნს „აკაკი წერეთელი“ მიძღვნილ „დ. მხეიძეს ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 8606

1941

### 17 თებერვალი

ირაკლი აბაშიძის, ნიკო კიკნაძის, ალექსანდრე ჭეიშვილისა და კალე ბობოხიძის გადაწყვეტილებით, „სახელგამის“ გეგმაში არ შეაქვთ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეოთხე ტომის გამოცემა.

➤ 8607

1941

### 17 თებერვალი

დღიურში აღნიშნავს, რომ გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ დაბეჭდილია ბესარიონ ჟღენტის საზიზღარი წერილი.

➤ 8608

1941

### 17 თებერვლის შემდეგ

დღიურში აღნიშნავს, რომ 100 ქართველ პოეტს აქვს დაწერილი ლექსი, სტატია ან გამოხმაურება მის შესახებ. მათ შორის არიან XIX საუკუნის მწერლები და პოეტებიც. ამ ავტორებად დასახელებული ჰყავს: აკაკი წერეთელი, ნიკო მარი, დავით კლდიაშვილი, ვალერიან გუნია, დომინიკა ერისთავი, შიო მღვიმელი, ტრიფონ რამიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, ია ეკალაძე, ნარკანი, ეთიმ გურჯი, ვასილ ბარნოვი, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, ალექსანდრე აბაშელი, ალექსანდრე შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი და სხვ.

➤ 8609

1941

### 17 თებერვლის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „შენ გაზაფხულის დამეზე მღერი...“.

➤ 8610

1941

### 21 თებერვალი

გაზეთს „კომუნისტი“ გამოსაქვეყნებლად აძლევს ლექსს.

➤ 8611

1941

**21 თებერვალი**

მონაწილეობს ცენტრალური კომიტეტის მიერ გამართულ სალიტერატურო საღამოში და კითხულობს ლექსს „სტალინს საქართველოსგან“. ფიქრობს, რომ კარგად წაიკითხა, მაგრამ იოსებ გრიშაშვილი ამტკიცებს, რომ ლექსი აუცილებლად ზეპირად უნდა თქვა.

➤ 8612

1941

**14-20 თებერვალი**

ლექსს „სტალინს საქართველოსგან“ კითხულობს მწერალთა კავშირის საღამოზე.

➤ 8613

1941

**21 თებერვალი**

მონაწილეობს პლახანოვის სახელობის კლუბში გამართულ საღამოში, რომელიც მისი ტრიუმფით გვირგვინდება, სთხოვენ „მერის“, „ლურჯა ცხენებისა“ და სხვა ლექსების წაკითხვას.

➤ 8614

1941

**23 თებერვალი**

წითელარმიელთა სახლის საღამოზე ბორის სერებრიაკოვი კითხულობს გალაკტიონის ლექსის თარგმანს.

➤ 8615

1941

**23 თებერვალი**

მონაწილეობს მწერალთა კავშირის მიერ ორგანიზებულ საღამოში.

➤ 8616

1941

**23 თებერვლამდე**

წერილს უგზავნის სერგო ჯინჭველაშვილს, ინტერესდება მისი მოგონებით აკაკი წერეთელზე და საუბრობს მუხიანში დიდი პოეტის მოგზაურობის შესახებ არსებული მოგონებების ცალკე წიგნად გამოცემის შესახებ.

➤ 8617

1941

**23 თებერვალი**

„ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ქართული ლიტერატურა 20 წლის მანძილზე“ ირაკლი აბაშიძე მიმოიხილავს უკანასკნელი ოცწლეულის ქართული ლიტერატურის განვითარების გზას და მოკლედ ახასიათებს ცალკეულ მწერალთა შემოქმედებას. გალაკტიონ ტაბიძის შესახებ სტატიაში ნათქვამია, რომ იგი რევოლუციამდელი ქართული პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია, რომელიც რევოლუციის გამარჯვების პირველივე დღეებიდანვე სოციალიზმის გამარჯვებათა მომღერალი გახდა და შექმნა რიგი ბრწყინვალე მხატვრული ქმნილებებისა.

➤ 8618

1941



### **23 თებერვლის შემდეგ**

წერილს იღებს სერგო ჯინჭველაშვილისგან, რომელიც უგზავნის თავის მოგონებას ფაცია გალდავაზე. სწერს, რომ აკაკი წერეთლის შესახებ მოგონება წარდგენილი აქვს ქართული ლიტერატურის მუზეუმში გიორგი ლეონიძესთან. ფიქრობს, რომ აკაკი წერეთლის მუხიანში მოგზაურობის შესახებ არსებული მოგონებების ცალკე წიგნად გამოცემა კარგი აზრია და ცოტაოდენი შემოსავლის მოტანაც შეუძლია.

➤ 8619

1941

### **23 თებერვლის შემდეგ**

ვრცელ წერილს უგზავნის საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს, ირაკლი აბაშიძეს და უკმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად სახალხო პოეტის ტიტულისა და ლენინის ორდენის მინიჭებისა, მას ხელსაყრელი სამუშაო გარემო არ აქვს. კრიტიკა მის შემოქმედებას მიკერძოებულად აფასებს, გამომცემლობები საქმეს უჭიანურებენ და თავად ადრესატმაც „ლიტერატურნაია გაზეტაში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში გალაკტიონი რევოლუციამდე პოეტად მოიხსენია, რითაც ხაზი გადაუსვა საბჭოთა პერიოდში მის მოღვაწეობას. ამიტომ პირდაპირ უსვამს კითხვას, აღიარებს თუ არა ის გალაკტიონს საბჭოთა პოეტად. წერილის ბოლოს კი სთხოვს, რომ თავისი კეთილგანწყობა გამოხატოს გალაკტიონის საიუბილეო საღამოს ოპერის თეატრში ჩატარების იდეის მხარდაჭერით.

➤ 8620

1941

### **24 თებერვლამდე**

კრებულში „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, აქვეყნებს ლექსს „მშობლიურო ჩემო მიწავ!“.

➤ 8621

1941

### **24 თებერვალი**

დღიურში წერს, რომ ალექსანდრე აბაშელი დამარცხდა კრებულებში ავტორების ალფაბეტის წესით ბეჭდვის საქმეში.

➤ 8622

1941

### **24 თებერვალი**

ესწრება ოპერის თეატრში გამართულ საქართველოს გასაბჭოების XX წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

➤ 8623

1941

### **24 თებერვალი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ირაკლი აბაშიძის წერილი „ქართული მწერლობის აღმავლობის წლები“, რომელშიც ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების ოცწლეულს, თუ როგორ აისახა სოციალისტური აღმშენებლობა უახლეს ქართულ ლიტერატურაში. ირაკლი აბაშიძე ახასიათებს იმჟამინდელი ქართული პოეზიის, პროზისა და კრიტიკის წარმომადგენელთა შემოქმედებას. გალაკტიონის შესახებ წერილში აღნიშნულია, რომ იგი რევოლუციამდე ქართული პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია, რომელიც პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე გახდა სოციალიზმის მომღერალი.

➤ 8624

1941

**24 თებერვალი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება სტატია „ქართველი მწერლები – საბჭოთა საქართველოს“, რომელიც ეძღვნება „ფედერაციის“ მიერ გამოცემულ ამავე დასათაურების მხატვრულ კრებულს და ნათქვამია, რომ იგი იხსნება სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „მშობლიურო ჩემო მიწავ“.

➤ 8625

1941

**24 თებერვალი**

ბესარიონ ჟღენტს სტატიაში „გმირული ეპოქის მწერლობა“ მოჰყავს ციტატა გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია...“ და დასძენს, რომ პოეტის ეს სიტყვები მოწმობს ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციების ახალი ძალით აღდგენას საბჭოთა ეპოქაში.

➤ 8626

1941

**24 თებერვალი**

სტატიაში „ქართული წიგნი“ მიმოხილულია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ქართულ ენაზე გამოცემული ლიტერატურა და ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძის წიგნები გამოვიდა 15-ჯერ და მათი საერთო ტირაჟი შეადგენს 43300 ცალს.

➤ 8627

1941

**25 თებერვალი**

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ბეჭდავს ბორის სერებრიაკოვის მიერ ნათარგმნ ნაწყვეტს გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „მშობლიურო ჩემო მიწავ“, სათაურით („სტალინი ჩვენთან არის“).

➤ 8628

1941

**25 თებერვალი**

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ბეჭდავს ა. ელიადის სტატიას „სტალინის სახე ქართულ ლიტერატურაში“. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს სახალხო პოეტი – გალაკტიონ ტაბიძე სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებში გადმოგვცემს წარსულში ცხოვრების სიბნელეს, რომელიც მშრომელმა ხალხმა, სტალინის ხელმძღვანელობით დაამარცხა და შექმნა ახალი, ბედნიერი ცხოვრება.

➤ 8629

1941

**25 თებერვალი**

გაზეთი „პრავდა“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ვლადიმირ დერჟავინისეულ თარგმანს.

➤ 8630

1941

**25 თებერვალი**

გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „შრომა, მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული“.

➤ 8631

1941

**25 თებერვალი**

გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“ აქვეყნებს ლექსს „რევოლუციურ საქართველოს“.

➤ 8632

1941

**25 თებერვალი**

უკრაინული გაზეთის „უკრაინსკი კომსომოლცის“ 25 თებერვლის ნომერში იბეჭდება მიკოლა ნაჩიბინის მიერ ნათარგმნი გალაკტიონის ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“.

➤ 8633

1941

**25 თებერვლის შემდეგ**

წერს გეგმას პოემისა, რომლის მთავარი გმირები არიან რატი და ევა.

➤ 8634

1941

**27 თებერვალი**

ესწრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაფუძნებასთან დაკავშირებით გამართულ პირველ სესიას.

➤ 8635

1941

**28 თებერვალი**

მიდის შემნახველ სალაროში და არსებული წესისამებრ, გამოსაცვლელად მიაქვს ლენინის ორდენის წიგნაკები.

➤ 8636

1941

**თებერვალი**

ჟურნალში „ოქტომბრელი“ იბეჭდება ლექსი „ჩვენ“.

➤ 8637

1941

**მარტამდე**

წერს ლექსს „მთებს გახედე!“.

➤ 8638

**მ ა რ ტ ი**

1941

**1 მარტამდე**

გიორგი სვანიძე წერს მუსიკას გალაკტიონ ტაბიძის რუსულად ნათარგმნი ლექსისთვის „დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის გათავისუფლებულ ძმებს“.

➤ 8639

1941

**1 მარტი**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს სათაურით „მუსიკის შესახებ“. მიმოიხილავს მახვილის დასმის საკითხს დიმიტრი არაყიშვილისა და თამარ შავერზაშვილის მიერ მის ლექსებზე – „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ და „მხარი მხარს“ დაწერილ სიმღერებში. ორივე სიმღერას აქებს, მაგრამ

ფიქრობს, რომ კარგი იქნება მუსიკალური მახვილის ქართული გამოთქმის მახვილთან თანხვედრა, ამიტომ საჭიროა ლექსების ახლიდან დაწერა, რომლებიც მუსიკას უნდა შეესაბამებოდეს. აღნიშნავს, რომ ჯერ არ მოუსმენია ვალერიან ცაგარეიშვილის „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელიც ძალიან უქო ივანე გოკიელმა. წერს, რომ ეს სამი ნაწარმოები შესწორებული სახით უნდა გადაეცეს რადიოს გუნდს, რომ იმდროინდელ მის დიდ სადამოზე. ეუბნებიან, რომ მის ლექსებზე დიმიტრი არაყიშვილის კიდევ ორი მუსიკალური ნომერი არსებობს.

➤ 8640

**1941**

**1 მარტი**

გეგმავს, ხელი შეუწყოს საკუთარ ლექსებზე სიმღერების შექმნას. ინიშნავს, იმ ლექსებს, რომლებზეც უკვე შექმნილია სიმღერები: ვალერიან ცაგარეიშვილის „მშობლიურო ჩემო მიწავ“, თამარ შავერზაშვილის „მხარი მხარს“, დიმიტრი არაყიშვილის „პოეზია უპირველეს ყოვლისა“.

➤ 8641

**1941**

**2 მარტი**

ტელეფონით ესაუბრება ექიმ გიორგი ნათაძეს, რომლის წერილი წაიკითხა გაზეთში და ვინაობის დაუსახელებლად ეკითხება C ვიტამინის შემცველის შესახებ. პროფესორი ურჩევს ასკილის ნაყოფს, რომელიც უნდა მოხარშოს და სადილამდე მიიღოს.

➤ 8642

**1941**

**2 მარტი**

მიდის ხალხური შემოქმედების გამოფენაზე და გაიცნობს სოფელ ტყვიაველ ახალგაზრდა მხატვარს – შალვა მარადაშვილს, რომელიც ჩუქნის ქვაზე შესრულებულ თავის უზარმაზარ, ნამუშევარს „კახეთი“ და ძალიან ახარებს. მხატვარი ჰპირდება, რომ გააკეთებს ექსპონატებს პოეტის გამოფენისთვის.

➤ 8643

**1941**

**2 მარტი**

ეროვნულ გალერეაში გამოფენილია ივანე ვეფხვაძის ეტიუდი, რაც ძალიან ახარებს.

➤ 8644

**1941**

**2 მარტი**

სადამოს იღებს გაზეთის „პრავდა“ ახალ ნომერს, რომელშიც დაბეჭდილია მისი ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ვლადიმირ დერჟავინის მიერ შესრულებული თარგმანი, რაც დიდ სიხარულს ანიჭებს.

➤ 8645

**1941**

**2 მარტი**

დღიურში აღნიშნავს მარტის მნიშვნელოვან დღეებს: 8 მარტი – ქალების დღე, 14 მარტი - კარლ მარქსის გარდაცვალების დღე (1883), 18 მარტი კი – კომუნისა და რემედასის დღე.

➤ 8646

**1941**

**3 მარტამდე**

სახელმწიფო გამომცემლობაში 1941 წლის საგამომცემლო გეგმის შემუშავებისას, ირაკლი აბაშიძე ამბობს, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ცოტა უნდა შეისვენოს.

➤ 8647

1941

### 3 მარტი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს სახელმწიფო გამომცემლობაში 1941 წლის საგამომცემლო გეგმის შემუშავებისას ირაკლი აბაშიძის ნათქვამის შესახებ, გალაკტიონ ტაბიძემ უნდა შეისვენოსო. ფიქრობს, რომ ირაკლი აბაშიძემ თვითონ უნდა დაისვენოს, რადგან მწერალთა კავშირში მისი მდივნობა მხოლოდ თვითრეკლამა და არავინ იცის, კავშირის საქმე როგორ წარიმართება. სურს, რომ არ გაართულოს ურთიერთობა და დაარწმუნოს, რომ მის მხარესაა. აღნიშნავს, რომ თავი უნდა დაიცვას, რადგან საარსებო წყაროს ართმევენ. საშინელებად მიაჩნია, რომ მიუხედავად გამუდმებული შრომისა, თავს ვერ აღწევს უკიდურეს სიღარიბეს, ერთსა და იმავე მონძებში წლობით სიარულს, სუფთა პერანგის არქონას, კარგავს თავმოყვარეობას და ემალება ხალხს. წერს, რომ ბუნებით არ არის შურიანი და ბოროტი ადამიანი, მაგრამ სიღარიბეს შეუძლია ასეთად გახადოს. ფიქრობს, რომ საზოგადოება ყოველ ღონეს ხმარობს, რომ სიმალლიდან ძირს დაანარცხოს და უსახურად აქციოს. ასკვნის, რომ საჭიროა არსებობისათვის ბრძოლა და მოიხმობს რუსთველის ფრაზას: „რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!“.

➤ 8648

1941

### 3 მარტი

მიდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უნივერსიტეტის გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი – ვარლამ მიქაძე გადასცემს საქართველოს გასაბჭოების XX წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერს „სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. გრძნობს უდიდეს სიხარულს იმის გამო, რომ იშვიათი სილამაზით გამოცემულ ფერად გაზეთში პირველსავე გვერდზე ფაქსიმილეთი არის დაბეჭდილი მისი ლექსი „შრომა, მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული“. ფიქრობს, რომ უნივერსიტეტი მას მხარს უჭერს.

➤ 8649

1941

### 3 მარტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხვდება სიმონ ყაუხჩიშვილს, მოსე გოგიბერიძესა და კონსტანტინე კაპანელს. სიმონ ყაუხჩიშვილი ალტაცებით საუბრობს აკადემიის სესიებისა და იქ გაკეთებული მოხსენებების შესახებ. გალაკტიონი ნანობს, რომ პირველი სესიის გარდა სხვებსაც არ დაესწრო.

➤ 8650

1941

### 3 მარტი

მწერალთა კავშირში ხვდება ვიქტორ გოლცევს, რომელიც ეუბნება, რომ მოსკოვის ჟურნალისტთვის „ნოვი მირ“ ამზადებს მის შესახებ დიდ სტატიას. სათარგმნად და ამ სტატიაში გამოსაყენებლად სთხოვს მის ლექსებს პოეზიის შესახებ.

➤ 8651

1941

### 3 მარტი

დღიურში წერს, რომ ქართული პოეზიის ანთოლოგიაში, რომელიც მოსკოვში უნდა გამოცემულიყო, უამრავი შეცდომაა დაშვებული და ამის გამო დიდი არეულობაა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ვიქტორ გოლცევს საქმე ცუდად არის.

➤ 8652

1941

3 მარტი

სიმონ ჩიქოვანი და გიორგი კაჭახიძე თანხმდებიან გალაკტიონ ტაბიძის საღამოს მოწყობაზე, პოეტი კი ფიქრობს, ღირს თუ არა მისი გამართვა.

➤ 8653

1941

3 მარტი

სხვა ქართველ მწერლებთან და უკრაინის დელეგაციასთან ერთად მიდის აკაკი წერეთლის საფლავზე მთაწმინდის პანთეონში. უკრაინელები ყვავილებით ამკობენ პოეტის სამარეს და იღებენ ფოტოს.

➤ 8654

1941

3 მარტი

უკრაინის დელეგაციასთან ერთად აკაკი წერეთლის საფლავზე ყოფნისას პავლო ტიჩინა ჰპირდება თავისი წიგნების გაგზავნას წარწერებით. ის და მიკოლა ბაჟანი ეპატიუებიან უკრაინაში. ტიჩინა აღნიშნავს, რომ მატერიალურად აღარ უჭირს, რადგან იღებს აკადემიის წევრობის ჯამაგირსა და წიგნების ჰონორარს, რომლებიც რეგულარულად გამოდის.

➤ 8655

1941

3 მარტი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ ირაკლი აბაშიძე საექვოდ იქცევა და ფიქრობს, რომ ამის შესახებ სერიოზულად უნდა დაეღაპარაკოს. უკანასკნელ დროს ლიტერატურული მუშაობისთვის მისთვის შექმნილ არახელსაყრელ პირობებსა და მის მიმართ უარყოფით განწყობას გალაკტიონი სწორედ მას უკავშირებს. ფიქრობს, რომ ირაკლი აბაშიძის მიერ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ გამოქვეყნებულ სტატიაში „დიდი და მნიშვნელოვანი მონაპოვარი“ ხაზგასმულია ალიო მაშაშვილის, გიორგი ლეონიძისა და ილო მოსაშვილის ძალა, გალაკტიონი კი ჩრდილშია და მხოლოდ რევოლუციამდელ საუკეთესო პოეტად იხსენიება. აღნიშნავს, რომ მწერალთა კავშირის მდივანმა პატიოსნად უნდა უპასუხოს, აღიარებს თუ არა მის დამსახურებას ხალხის წინაშე, ღირსია თუ არა ის სახალხო პოეტის წოდებისა და ლენინის ორდენის. წერს, რომ სამუშაოდ საჭიროებს ასპარეზსა და საარსებო წყაროს და ირაკლი აბაშიძემ ამხანაგურად უნდა შეუწყოს ხელი. სურს, მისი საღამო მოეწყოს ოპერის სახელმწიფო თეატრში, რადგან პოეტებს სჭირდებათ ფართო აუდიტორია. ფიქრობს, რომ თეატრის ადმინისტრაცია არ დააბრკოლებს და ირაკლი აბაშიძემაც აუცილებლად უნდა დაუჭიროს მხარი.

➤ 8656

1941

3 მარტი

ერევნის გაზეთი „სტალინეც“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სონეტი“ ალექსანდრ სტეპანოვისეულ თარგმანს.

➤ 8657

1941

3 მარტი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ „კავკასიონის ქარის“ დაბეჭდვა შეიძლება მოხერხდეს ცალკე ლექსებად შვიდ პერიოდულ გამოცემაში და მასალას ასე ანაწილებს: „სალიტერატურო გაზეთში“

– „ახალი მთები“, გაზეთში „კომუნისტი“ – „დიდი ქალაქები“, გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ – „კომპიენის ტყე“, ჟურნალებში „რემედასი“ და „მნათობი“ – „ომი“, ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ – „პარიზი“. აღნიშნავს სახელმწიფო გამომცემლობის, საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის, „ზარია ვოსტოკას“ და „ფედერაციის“ წიგნებს. ინიშნავს ლექსების თემატიკას: ქალის შესახებ – „ბარიკადებზე იბრძოდა ქალი“, „იტალიელი ქალი“, „ევა“, „როსმე რვა მარტი“. თავდაცვისა და წითელი არმიის, ინდუსტრიის, კოლექტივიზაციის, სოციალისტური მშენებლობისა და პირველი მაისის შესახებ. წერს, რომ სტალინზე ბევრი ლექსი აქვს დაწერილი. საჭიროდ მიიჩნევს მხატვრების, არტისტებისა და მწერლების წიგნების გამოცემას მაღალი ხარისხით. ბოლოს აჯამებს, რომ საჭიროა შვიდი პერიოდული ორგანოს „აღება“, სამი წიგნის გამოცემა და სადამოს მოწყობა ოპერის თეატრში.

➤ 8658

1941

4 მარტი

ნამალადევში, პლენანოვის სახელობის კლუბში შაქრო ნავთლულელი (კირაკოზოვი) უძღვნის და კითხულობს ექსპრომტს „პოეზიის ქურუმო!..“.

➤ 8659

1941

4 მარტი

ირაკლი აბაშიძე ჩუქნის წიგნს წარწერით: „საქართველოს სახალხო პოეტს, საყვარელ გალაქტიონს, ძვირფას და მარად დაუვიწყარ წიგნების შემომქმედს, ვუძღვნი ამ ჩემს პატარა ნაშრომს ღრმა პატივისცემით“.

➤ 8660

1941

4 მარტი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება 3 მარტს აკაკი წერეთლის საფლავზე მყოფი უკრაინელი და ქართველი მწერლების: ანდრეი მალიშკოს, მიკოლა ბაჟანის, ვიქტორ გოლცევის, ალექსანდრ კორნიეჩუკის, პავლო ტიჩინას, სიმონ ჩიქოვანის, ლევან ასათიანის, გალაკტიონ ტაბიძისა და ირაკლი აბაშიძის ფოტო.

➤ 8661

1941

4 მარტი

ალექსანდრე აბაშელი სთავაზობს, მოამზადოს ლექსები გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკა“ წიგნად გამოცემისთვის. გალაკტიონი ცდილობს გაარკვიოს, შესაძლებელი იქნება თუ არა ძველი თარგმანების გამოყენება. ის აპირებს გეგმის წარდგენას, მაგრამ შიშობს, დიდი დრო არ მოანდომონ მის გაცნობას და არ გააჰიანურონ ხელშეკრულების გაფორმება.

➤ 8662

1941

4 მარტი

დღიურში მიმოიხილავს ერევნის გაზეთში „სტალინელი“ გამოქვეყნებულ საქართველოს კომკავშირის მდივნის, ალიო მირცხულავას სტატიას „სტალინის ტომი“ („Сталинское племя“), რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს კომკავშირმა აღზარდა არაერთი შესანიშნავი პოეტი, მათ შორის, ახალგაზრდების საყვარელი და ორჯერ ორდენოსანი პოეტი – ალიო მაშაშვილი. გალაკტიონს ეცინება მირცხულავას ასეთ შეფასებაზე. ეს ვითომდა ყველასათვის საყვარელი პოეტი მწერალთა კავშირმა ერთხმად გააშავა და ირაკლი აბაშიძემ ყრილობაზე უარყოფითად შეაფასა. მას ნორმალური ქართული ენით ერთი ლექსიც კი არ აქვს დაწერილი, იპარავს

განწყობილებებს სხვისი ლექსებიდან, ეწევა მხოლოდ თვითრეკლამას, სურს ყველას სათავისოდ გამოყენება და მწერლებს ეზიზღებათ. გალაკტიონი იხსენებს, როგორ ცდილობდა ალიო მირცხულავა კონსტანტინე კაპანელის დაყოლიებას, რომ კარგი ჰონორარის ფასად სტატია დაეწერა მასზე. აქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ცენტრალურ კომიტეტს დიდი შრომა დასჭირდება მირცხულავასა და ვიქტორ გოლცევის მიერ შედგენილი რუსულად ნათარგმნი ქართული პოეზიის ანთოლოგიის ხარვეზების აღმოსაფხვრელად. განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს გალაკტიონში ის, რაც ალიო მამაშვილმა ერთ-ერთ კომკავშირელს დააწერინა რუსულ გაზეთში. ახალგაზრდა სიხარულს გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ეწვია რუსთაველისა და მამაშვილის სამშობლოს. პოეტი ფიქრობს, რომ ასეთი ამბიციური ადამიანები ხელს უშლიან მწერლობის ნორმალურ განვითარებას.

➤ 8663

1941

6 მარტი

ტელეფონით ესაუბრება საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს – ილია თავაძეს. აცნობებს, რომ უკანასკნელ პერიოდში ბევრს მუშაობს როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქე, რასაც ადასტურებს მრავალ გაზეთში გამოქვეყნებული მისი ლექსები. წერა მიაჩნია მის უპირველეს მოვალეობად, მაგრამ მწერალთა კავშირი და გამომცემლობები არ ახალისებენ საამისოდ. მუდმივად მუშაობს საბჭოთა კულტურის ინტერესებიდან გამომდინარე და სურს, რომ მისი შემოქმედება დაფასდეს. სთხოვს თანხმობასა და მხარდაჭერას ფართო მასშტაბის ლიტერატურული საღამოს მოსაწყობად ოპერის სახელმწიფო თეატრში. შესაძლებელია, რომ საღამომ გამოაკეთოს მისი მატერიალური მდგომარეობა, რაზეც დამოკიდებულია მისი მომავალი მუშაობა. ილია თავაძე პასუხობს, რომ ამის შესახებ წინა დღეს უკვე ელაპარაკა ირაკლი აბაშიძე, ერთი დღით მიემგზავრება საგარეჯოში და დაბრუნებისთანავე აცნობებს თავის გადაწყვეტილებას.

➤ 8664

1941

6 მარტი

მწერალთა კავშირში ირაკლი აბაშიძე აცნობებს, რომ ილია თავაძეს გადასცა მისი თხოვნა ოპერის თეატრში საღამოს მოწყობის შესახებ. თავაძემ მოითხოვა, რომ მწერალთა კავშირმა ოფიციალურად მისწეროს ამის შესახებ. მართლაც გაუგზავნეს ოფიციალური წერილი და ელოდებიან გადაწყვეტილებას. გალაკტიონ ტაბიძე ეუბნება, რომ თვითონაც ესაუბრა ილია თავაძეს. ირაკლი აბაშიძე ინტერესდება, იყო თუ არა ეს პირისპირ შეხვედრა. გალაკტიონი პასუხობს, რომ ტელეფონით ესაუბრა.

➤ 8665

1941

6 მარტი

მწერალთა კავშირის კანცელარიაში ნახულობს მისი საღამოს მოწყობის შესახებ ილია თავაძისადმი მწერალთა კავშირის მიმართვის ტექსტს, რომელიც ძალიან მოკლეა და მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ გალაკტიონ ტაბიძე ითხოვს ოპერის თეატრში ფასიანი ლიტერატურული საღამოს გამართვის ნებართვას. ფიქრობს, რომ უარს მიიღებს, მაგრამ არ იცის, როგორი ფორმით.

➤ 8666

1941

7 მარტი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება სტატია „მწერლები საარტილერიო სასწავლებელში“, რომელშიც ნათქვამია, რომ ძირითადი მომხსენებლის, ბესარიონ ჟღენტის შემდეგ სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ წაიკითხა თავისი ლექსები ქართულ და რუსულ



ენებზე. გამომსვლელთა შორის დასახელებულები არიან ასევე: ალექსანდრე შანშიაშვილი, როდიონ ქორქია და ბორის სერებრიაკოვი, რომელმაც წაიკითხა გალაკტიონ ტაბიძისა და ალექსანდრე შანშიაშვილის ლექსების თარგმანები.

➤ 8667

1941

9 მარტამდე

იგებს, რომ მხატვარმა ბორის სემიონოვმა მეხსიერებით ძალზე საინტერესოდ დახატა მისი პორტრეტი.

➤ 8668

1941

9 მარტი

დღიურში აკეთებს ვრცელ ჩანაწერს ბორის სერებრიაკოვის მიერ ნათარგმნი ლექსების კრებული „საბჭოთა საქართველოს პოეტები“ შესახებ. აღნიშნავს, რომ წიგნში ექვსი ლექსი რედაქტორის – ვალერიან გაფრინდაშვილისაა, ოთხ-ოთხი – ალიო მაშაშვილისა და კონსტანტინე ჭიჭინაძის, სამ-სამი – გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე აბაშელის, შალვა აფხაიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის და ასე შემდეგ. ფიქრობს, რომ ამ წიგნით ქართულ თანამედროვე პოეზიაზე შთაბეჭდილება ვერ შეიქმნება და სათაურიც პირობითია. ეჭვობს, რომ წიგნზე ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად ან მის გარეშე ვიღაც დაინტერესებული პირი მუშაობდა. წერს, რომ პოეტების ალფაბეტის მიხედვით განთავსება უფრო აბნელებს თანამედროვე პოეზიის მდგომარეობას, რომ გიორგი ქუჩიშვილის მხოლოდ ერთი ლექსის დაბეჭდვა შეურაცხმყოფელია, ალექსანდრე აბაშელის ლექსით „ფალადაური“ წიგნის გახსნა კი წარმოუდგენელი. ნაკლად მიიჩნევს, რომ „სტალინი“ მხოლოდ დავით გაჩეჩილაძის ლექსს აქვს სათაურად. ფიქრობს, რომ ალექსანდრე აბაშელმა ბორის სერებრიაკოვზე ცუდად იმოქმედა. მას სურს, რომ ლექსების ალფაბეტით დაბეჭდვის ინიციატორად თავად არ გამოჩნდეს, მაგრამ ამის საშუალება არ უნდა მიეცეს. აღნიშნავს, რომ „ზარია ვოსტოკას“ რედაქცია ალექსანდრე აბაშელმა მის წინააღმდეგ გამოიყენა. ლექსით „შალვა დადიანს“ ის ცდილობს მწერლის წინ წამოწევას, თვითონ კი მიაჩნია, რომ შალვა დადიანი ლექსის მიძღვნისა და წიგნის ცენტრში მოთავსების ღირსი არ იყო. ალექსანდრე აბაშელს თავი გააქვს ალფაბეტით და მისი თანამზრახველები არიან კონსტანტინე ჭიჭინაძე, ბორის სერებრიაკოვი, კონსტანტინე გამსახურდია, ვალერიან გაფრინდაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, გერონტი ქიქოძე, პავლე ინგოროყვა და ვანო წულუკიძე. აღნიშნავს, რომ ამ ძალიან სუსტ ფრონტს თავი ეშმაკობით გააქვს, თუმცა, ეს მწერლები ხშირად დადიან „ზარია ვოსტოკაში“ და მჭიდროდ მოიკიდეს ფეხი „სალიტერატურო გაზეთში“.

➤ 8669

1941

9 მარტი

ოპერის თეატრში საღამოს ჩატარების შესახებ ილია თავაძისგან პასუხს ვერ იღებს და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 8670

1941

9 მარტი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ მწერალთა კავშირში სრული გულგრილობაა ყველაფრისადმი, მოიშორეს საქართველოს გასაბჭოების XX წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და დამშვიდნენ. ალიო მაშაშვილს ცხვირაწეულობის გამო შეარქვეს „ზენიტკა“.

➤ 8671

1941

## 11 მარტი

სახლში მისდის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ალექსანდრ პუშკინის თექვსმეტტომეულის მერვე ტომის პირველი და მეორე წიგნები.

➤ 8672

## 1941

### 12 მარტამდე

ორი წლის მანძილზე მიღებულ ჰონორარსა და პენსიას, რამდენიმე ათეულ ათას მანეთს მთლიანად ახარჯავს ოლღა დარიუსს და მის დისშვილს, ლაინე ბარტელისს.

➤ 8673

## 1941

### 12 მარტი ან ადრე

სოხოვენ ჟურნალისთვის „ოქტომბრელი“ ლექსის მიწოდებას 10 დღეში.

➤ 8674

## 1941

### 12 მარტი

ოპერის თეატრში საღამოს ჩატარებასთან დაკავშირებით ილია თავაძისგან პასუხს ვერ იღებს და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 8675

## 1941

### 12 მარტი

დღიურში წერს, რომ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაგვიანებით დაიბეჭდა ქრონიკა „მწერლები საარტილერიო სასწავლებელში“, რომელშიც სხვათა შორის მისი მონაწილეობაცაა აღნიშნული. წერს ამ ნომრის პუბლიკაციების შესახებ თავის შთაბეჭდილებებს. აღნიშნავს, რომ ლევან ასათიანის სტატიაში, რომელიც „მკითხველის“ ფსევდონიმით არის დაბეჭდილი, ძალიან არის შექებული მიკოლა ბაჟანი. მოსწონს კონსტანტინე გამსახურდიას სტატია „საქართველოს სსრ აკადემია“ და ალექსანდრე ბარამიძის სტატია „აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე“. აღნიშნავს, რომ მაცვალა მრევლიშვილის ლექსში „საქართველოს აკადემია“ გამოყენებულია მისი ძველი რითმა ლექსიდან „გოტიეს“ – „აკადემია – ნაკადებია!“.

➤ 8676

## 1941

### 12 მარტი

დღიურში აკეთებს ამონაწერებს გაზეთიდან „ლიტერატურული საქართველო“ მიხეილ ლერმონტოვის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეებისათვის მზადების შესახებ და ურთავს თავის კომენტარებს. აღნიშნავს, რომ გამომცემლობა „ფედერაცია“ გამოსცემს კონსტანტინე ჭიჭინაძის თარგმანს „დემონი“ და გერონტი ქიქოძის თარგმანს „ჩვენი დროის გმირები“. აპირებს გერონტის ჰკითხოს, „გმირებია“ თუ „გმირი“, რომ არ გამოედავონ. თბილისის უნივერსიტეტი ბეჭდავს ლერმონტოვის რჩეული ლექსებისა და პოემების, გალაკტიონის აზრით, სუსტი მთარგმნელების – მიქელ პატარიძის, კოლაუ ნადირაძის, დავით გაჩეჩილაძისა და ბაბილინას მიერ შესრულებულ თარგმანებს. კონსტანტინე ჭიჭინაძეს არ სურს მათში გარევა, რადგან მისი თარგმანი ცალკე გამოდის. ბიოგრაფიას წერს ლევან ასათიანი, ლერმონტოვის კრებულს ამზადებენ დავით ყიფშიძე, გიორგი ლეონიძე და სიმონ ჯანაშია. ირაკლი აბაშიძე და გიორგი ლეონიძე გამოფენას აწყობენ ლიტერატურულ მუზეუმში, უნივერსიტეტი მართავს სამეცნიერო სესიას, კინოსტუდია გიორგი ლეონიძის სცენარით უშვებს მოკლეთირაჟიან ფილმს „ლერმონტოვი საქართველოში“, თბილისში იდგმება პოეტის ბიუსტი და სახლებზე კეთდება მემორიალური დაფები.

➤ 8677

1941

12 მარტი

მიდის ფილარმონიაში, სადაც წყდება მისი საღამოს გამართვის საკითხი და იგეგმება პროგრამის შედგენა 14 მარტისთვის.

➤ 8678

1941

12 მარტი

მიდის კომპოზიტორთა კავშირში მუსიკისთვის ლექსების შესარჩევად. ფიქრობს, სასიმღეროდ კარგი იქნება ლექსები: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „მოდინ ლეგიონები“, „აგერ წინამძღვრიანთ-კარის“, „ვიგონებ ყრმობას“, „დაჰკა წერაქვი“, „და სისინებდენ, სისინებდენ ჩალის ღერები“, „Larix sibirica“, „მთვარის ნაამბობიდან“, „Ars longa vita brevis“, „იყოს პირველი თანასწორთ შორის“, „სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი“, „გამხიარულდი, ბუხარო“, „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავლო ქარო“, „მე ხომ სხვა ვარ“, „მთაგორების ზემო“, „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“, „ულევი, უანგარიშო“.

➤ 8679

1941

12 მარტი

ოღლა დარიუსი მხატვარ რევაზ რევაზიშვილს ტელეფონით უხსნის, რომ ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია და ეძებს სამუშაოს. ასევე აცნობებს, რომ მალე ჩამოვა მისი დისშვილი, ლაინე ბარტელისი, რომელიც დაავადებულია ტუბერკულოზით და მასთან აპირებს საცხოვრებლად გადასვლას. რევაზ რევაზიშვილი ჰპირდება სამუშაოს. ოღლა გალაკტიონსაც ეუბნება, რომ მისგან მიდის და სთხოვს ფულს, რადგან, მისი აზრით, მთელი ჰონორარი მას ეკუთვნის. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ოღამ კრიზისის მოახლოება იგრძნო და გარბის, მას კი ტერორს უწყობს. პოეტის აზრით, ის უსინდისოდ იქცევა, გალაკტიონი კი თავდადებით ემსახურებოდა და კვლავ მზად არის, რომ დაეხმაროს.

➤ 8680

1941

12 მარტი

ფიქრობს, რომ მატერიალურად დაეხმარება ჰონორარი, რომელიც შეიძლება აიღოს მწერალთა კავშირის კრებულისთვის „სამშობლო“, რადგან მასში გამოქვეყნებული აქვს ორი ლექსი: „ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით“ და „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“. ამ კრებულთან დაკავშირებით ასევე აფიქრებს მასში მასალის განლაგება ავტორთა გვარების ანბანური თანმიმდევრობის პრინციპით, რაც სრულ უაზრობად მიაჩნია.

➤ 8681

1941

12 მარტი

რეკავს გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციაში ჰონორარის თაობაზე და ჰპირდებიან, რომ 18 მარტს გადაუხდიან.

➤ 8682

1941

12 მარტი

შემნახველ საღაროში აქვს 400 მანეთი, 300 მანეთი პენსია და ხელზე 300 მანეთი. ფიქრობს, რომ ამ თანხით საქმეს ვერ წამოიწყებს, საღამოსაც ვერ გამართავს. ერგება კიდევ ჰონორარები

კრებულიდან „სამშობლო“, ჟურნალებიდან – „მნათობი“ და „ოქტომბრელი“. სულ 2000 მანეთიც არ გამოდის, ლაინე ბარტელის სჭირდება 3000 მანეთი. ბინის ქირა და ელექტროენერგია გადაუხდელი აქვს და თავის რჩენაც საჭიროა.

➤ 8683

1941

12 მარტი

გეგმავს წიგნის „Art Poetique“ შედგენას, რომელშიც შეიტანს ყველა ლექსს პოეტური ხელოვნების შესახებ და წამყვან ხაზად ექნება 1914 წელს დაბეჭდილი პირველი წიგნის სტრიქონები: „ვის უნახავს შავი წიგნი, წიგნი წითელ ასოებით, დაწერილი სისხლის წვეთით დაწერილი სასოებით?“ გამოცემაში შეიტანს ლექსებს: „ბრძოლაში ვეძებ თავდავიწყებას“, „პოეზია“, „მუსიკა არის და სილამაზე“, „იმ შორ გაზაფხულს“, „პარალელი“, „მთაწმინდის მთვარე“, „და გავალ ქარში როგორც მოცარტი“, „გოტიეს“, „დროშები ჩქარა“. ფრაგმენტებს წიგნებიდან „პაციფიზმი“, „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“, „აკაკი წერეთელი“, „კავკასიონის ქარი“, 1927 წლის წიგნიდან, თხზულებების I, II, და III ტომებიდან. ფიქრობს, რომ დაბეჭდოს წიგნების ყდები და მოკლე წინასიტყვაობა. მთავარი იდეა იქნება არა ხელოვნება ხელოვნებისათვის, არამედ განცდილი და გულწრფელი ხელოვნება ხალხისთვის – „პოეტი არის მებრძოლი, ახალი ქვეყნის მჭედელი, წინა დგას ცხარე ბრძოლებში, როგორც ქვითკირის კედელი“.

➤ 8684

1941

12 მარტი

ოღლა დარიუსი უცხადებს, რომ მის გადასარჩენად ერთი წამითაც არ მოშორდება, ეჩხუბება, გავა თუ არა სახლიდან, ყველგან თან მიჰყვება და დროს აკარგინებს. ცდილობს, გამოიყვანოს წყობიდან, ტირის და ემუქრება, რომ მისგან მიდის, რადგან არ აფასებენ, ითხოვს ფულს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ამ ქალს კავშირი აქვს მის მოწინააღმდეგეებთან და ამიტომ უწყობს პროვოკაციებს და ავრცელებს ხმას, რომ სმა დაიწყო. ამ ჭორის გამო შეიძლება ცენტრალურმა კომიტეტმა პოეტი სამკურნალოდ გაგზავნოს.

➤ 8685

1941

12 მარტი

მწერალთა კავშირში ხვდება ირაკლი აბაშიძეს და უხსნის, რომ ოპერის თეატრში სადამოს გამართვის თაობაზე პასუხის ასე დაგვიანება არ შეიძლება, რადგან არავითარი საარსებო საშუალება არა აქვს და მისი წიგნებიც ამოღებულია საგამომცემლო გეგმიდან. ირაკლი აბაშიძე იქვე მყოფ პოლიკარპე კაკაბაძესთან ისე იკვირვებს, თითქოს თავად არაფერ შუაში იყოს. პოლიკარპე ეუბნება, რომ მწერალს თვეში 100 მანეთი მაინც უნდა ჰქონდეს, მიუხედავად იმისა, დაწერს რამეს თუ არა და რომ ჟურნალში „მნათობი“ მას ასე ჰქონდა საქმე მოწყობილი.

➤ 8686

1941

12 მარტი

მწერალთა კავშირში ხვდება ალკა სულავას, ლავროსი ძიძიგურს, ვანო ბერიკაციშვილს და გობრონ აგარელს. საუბრობენ ლიტერატურულ გავლენებზე. გალაკტიონს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დაგეგმილი შეხვედრა იყო და არა შემთხვევითი.

➤ 8687

1941

12 მარტი

საღამოს ძალიან ჩხუბობს ოლღა დარიუსთან, რადგან მეტის გაძლება აღარ შეუძლია. ეს ქალი მისგან სულ ფულის გამოძალვას ცდილობს და უკანასკნელ ძალებს აცლის.

➤ 8688

1941

13 მარტი

ძმას, აბესალომ ტაბიძეს ჭყვიშიდან თბილისში ჩაჰყავს შვილი – ვასილ ტაბიძე, რომელსაც ხელთოფისგან დაზიანებული აქვს თვალი. ავადმყოფს ათავსებენ რკინიგზის საავადმყოფოში. აბესალომი სოფელში ბრუნდება, მისი მეუღლე ტატინა ცინცაძე კი თბილისში რჩება.

➤ 8689

1941

13 მარტი ან შემდეგ

გალაკტიონის ძმისწული, ვასილ ტაბიძე საავადმყოფოში წევს თვალის დაზიანების გამო. მის სანახავად მისული პოეტი საუბრისას ინტერესდება სოფლის ამბებით და ძმისწულს ეკითხება დედამისის საფლავზე დარგული თუთის ხე ისევ დგას თუ არა, ვასიკო კი პასუხობს, რომ ხე ძალიან დიდი გაიზარდა, ირგვლივ ყველაფერს ჩრდილავდა და მოჭრეს.

➤ 8690

1941

14 მარტი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „ალექსანდრე აბაშელი“. ავტორი აღნიშნავს, რომ ალექსანდრე აბაშელი „აზრის“ პოეტია და ამით განსხვავდება გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილისგან, რომელთა შემოქმედებაში ჭარბობს უშუალობა, გრძნობები და ლირიზმი.

➤ 8691

1941

14 მარტის შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი სწერს, რომ იმდღევანდელმა საოცარი ფერის თოვლმა გაახსენა გალაკტიონის სიტყვები „ისფერ თოვლის“. მონატრა ქართული გაზაფხული. წუხს, რომ გალაკტიონისგან წერილებს არ იღებს და ფიქრობს, აღწევს კი თავად მისი წერილები ადრესატამდე? უყვება, რომ კითხულობს მაქსიმ გორკის რომანს „ხალხში“ და შტეფან ცვეიგის რომანებს „რომენ როლანი“ და „მარსელინა ვოლმარი“. სთხოვს, ჯანმრთელობას გაუფრთხილდეს.

➤ 8692

1941

15 მარტი

იმართება გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრა ილია ჭავჭავაძის სახელობის მესამე სკოლის მოსწავლეებთან. იღებენ საპატიო პიონერად და უძღვნიან ყვავილებს, კითხულობენ ლექსებს, მღერიან, ატარებენ ფიზკულტურულ ვარჯიშებს. აღნიშნავს, რომ იშვიათი საღამო იყო და მოსწავლე ლია კაიშაურმა დიდი ოსტატობით წაიკითხა მისი ლექსი „პროლოგი 100 ლექსის“.

➤ 8693

1941

15 მარტი

ოპერის თეატრში საღამოს მოწყობის შესახებ ცენტრალური კომიტეტის მდივან ილია თავაძისგან ისევ ვერ იღებს პასუხს. გამოაქვს დასკვნა, რომ არ რთავენ საღამოს გამართვის ნებას და აღარ უნდა ჩააცვიდეს.

➤ 8694

1941

15 მარტი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ შალვა რადიანის სტატია ალექსანდრე აბაშელზე ისეთია, როგორც მას ეკუთვნის, არც საქებარი და არც საგინებელი. მაგრამ მისთვის გაურკვეველია, სტატიის ავტორი რატომ ახსენებს გალაკტიონს იოსებ გრიშაშვილის გვერდით. ფიქრობს, რომ მათი წაჩხუბება სურს და შალვა რადიანი თანდათან ნაკლებად აფასებს მას.

➤ 8695

1941

16 მარტი

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის მესამე სკოლაში მართავს პიონერებთან შეხვედრას. მოსწავლეები კითხულობენ პოეტის ლექსებს. თავად გალაკტიონი კითხულობს ნაწყვეტს პოემიდან „რევოლუციონური საქართველო“. ღონისძიების ბოლოს პიონერები პოეტს თაიგულს უძღვნიან.

➤ 8696

1941

17 მარტი

წერს ლექსს „პარიზის კომუნა“.

➤ 8697

1941

17 მარტი

ოპერის თეატრში სადამოს მოწყობის შესახებ ილია თავაძისგან ისევ ვერ იღებს პასუხს და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 8698

1941

17 მარტი

ოღლა დარიუსი თავის მოწამლვას ცდილობს.

➤ 8699

1941

17 მარტი

დღიურში წერს, რომ გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ გამოქვეყნებული შალვა რადიანის სტატია „ალექსანდრე აბაშელი“ სისულელეა. იქვე მუხლებად ჩამოწერს უკანასკნელ ხანებში მის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს: 1. ალიო მამაშვილისა და ილია თავაძის ჩარევით მისი თხზულებების მესამე ტომის გამოცემა დააგვიანეს. 2. მეოთხე ტომის გამოცემა ალიო მამაშვილის დამსახურებით გეგმაში არ შეიტანეს. 3. „კავკასიონის ქარი“ არ გამოსცეს. 4. ალექსანდრე აბაშელმა თავისი მომხრეების მხარდაჭერით წამოიწყო კრებულებში ავტორების ანბანური რიგით შეტანა. 5. მთავრობის პრემიები ილია თავაძის ინიციატივით დაურიგეს გალაკტიონის მოწინააღმდეგეებს. 6. ირაკლი აბაშიძეს არ მისცეს ოპერაში მისი სადამოს გამართვის უფლება. ამას დიდ საიდუმლოდ მიიჩნევს, რადგან სახლში მუდამ არწმუნებდნენ, რომ მას სწორედ ირაკლი აბაშიძე მტრობს.

➤ 8700

1941

## 17 მარტის შემდეგ

ლექსი „პარიზის კომუნა“ გამოსაქვეყნებლად მიაქვს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, თუმცა მის დაბეჭდვაზე უარს ეუბნებიან იმ მოტივით, რომ გაზეთის მთელ ნომერს გიორგი დიმიტროვის წერილს უთმობენ.

➤ 8701

1941

## 17 მარტის შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, სათაურით „დამარცხებანი“, რომელშიც ჩამოთვლის, რა წარუმატებლობანი იწვნია უკანასკნელ ხანებში. აღნიშნავს, რომ ვერ მოახერხა თანხმობის მოპოვება ოპერისა და ბალეტის თეატრში სალამოს ჩატარებაზე, პრემიები სხვებმა მიიღეს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ უარი უთხრა ლექსის – „პარიზის კომუნა“ – დაბეჭდვაზე, „მწერალთა კავშირში“ სხვისი სალამოები ტარდებოდა და სხვ.

➤ 8702

1941

## 18 მარტი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ დილიდან ფიქრობს, რა იდეა აქვს გამოხატული ლექსში „სავსე კაკლები“. ასწლოვანი კაკლის ხის გარშემო ქუხს ქარი, წარსულს ცვლის მომავალი და ხის ხმაური ჰგავს შავი ზღვის ხმაურს. კაკლის ხე გადაქცეულია ქნარად და მის ახლოს მოკისკისე, მზით მთვრალი ბავშვი არ წუხს. აღნიშნავს, რომ ლექსის იდეაა სრულყოფილებისა და ნაყოფიერების გადმოხატვა, რომელიც თან სდევს ახალი ცხოვრების სილადეს. ხმაური აქ უდრის მუსიკას და ამ მხრივ ლექსი განაგრძობს პოეზიაში მის მიერ დაფუძნებულ „მუსიკისა და სილამაზის“ ხაზს. მუსიკა ფართოვდება და გადადის ხვაში, შემდეგ კი ვითარდება რომანში, პიესაში, ლექსში და მთავრდება ძირითადი იდეით, რომ თანამედროვეობას სჭირდება სისავსე. წერს, რომ პოეზია უნდა ხმაურობდეს შავი ზღვის ხმაურის მსგავსად, შავი ზღვა და კაკლის ხე ქართული კოლორიტი და არ უნდა აირიოს სხვა კოლორიტში. ფიქრობს, რომ ამის დასტურია 1927 წელს გამოცემული მისი წიგნის ლექსების სათაურები. „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „ვიგონებ ყრმობას“ და სხვა ლექსები ეხმიანება სტრიქონს „ჩვენი შავი ზღვის ხმაურის გვარად“. იხსენებს, რომ მხატვარი დავით გველესიანი, რომელმაც ქართული კარგად არ იცოდა, მოიხიბლა „სავსე კაკლების“ იმ ტაეპით, რომელშიც კაკლის ხის ხმაური შედარებულია შავი ზღვის ხმაურთან, რადგან მას მოესმა ახალი ხმა. ვარლამ მახარობლიძემ „ლურჯა ცხენები“ მთების ფონზე დახატა და სურათი გამოფენილი იყო მასწავლებლის სახლში. ფიქრობს, რომ ის სიახლე და ნოვატორობა, რომლის გზითაც მიდის თანამედროვე პოეზია, განსხვავდება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის, ბაჩანას, პარმენ ცახელის კოლორიტიგან, ამას კი კარგად ახსნა და შეფასება სჭირდება. აღნიშნავს, რომ მისი ლექსიდან „სავსე კაკლები“ მოდის მაყვალა მრეკლიშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მამაშვილის პოეზია, ლეო ქიაჩელისა და ნიკო ლორთქიფანიძის პროზა, გერონტი ქიქოძისა და პავლე ინგოროყვას კრიტიკა.

➤ 8703

1941

## 18 მარტის შემდეგ

იბეჭდება სიმონ ხუნდაძის წიგნი „ნარკვევები“, რომელშიც შესულია გალაკტიონის შემოქმედების შესახებ ავტორის მიერ 1933 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი.

➤ 8704

1941

## 19 მარტი

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებას ლიტერატურის დარგში ღირსშესანიშნავი ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მიკუთვნების შესახებ და იგებს, რომ პრემიები მიენიჭათ ლეო ქიაჩელს რომანისთვის „გვადი ბიგვა“ და გიორგი ლეონიძეს პოემისთვის „ბელადის ყრმობა“. ფიქრობს, რომ კომისიისა და საზოგადოების აზრი ჯერ კიდევ მაშინ გაიყო, როდესაც არაღირსეული კანდიდატები იქნენ წარდგენილი. ხალხის თქმით, კომისიის წევრებმა თავიანთი თავი წარადგინეს პრემიაზე, მაგრამ მთავრობის დამოკიდებულება სხვაგვარი აღმოჩნდა, მან კომისიას მადლობა გამოუცხადა. ხალხის თქმით, კომისია ალექსეი ტოლსტოის ირონიით მოიხსენიებდა, მაგრამ საბოლოოდ იგი პრემირებულთა სიაში აღმოჩნდა, ხალხის თქმით, კომისიის წევრები ამბობდნენ, რომ ლეონიძის პოემა არც კი ჰქონდათ წაკითხული, მაგრამ საბოლოოდ პრემია მანაც მიიღო. ამ ჩანაწერის კეთებისას გალაკტიონთან ოთახში შედის არქიტექტორი ვანო ფიოლია და პოეტი იძულებულია წერა შეწყვიტოს.

➤ 8705

1941

19 მარტი

ტროლეიბუსით მგზავრობისას ესმის ორი ქალის საუბარი, რომელთა თქმით, სტალინური პრემია 10000 მანეთი ლეო ქიაჩელისთვის კი არ უნდა მიეცათ, არამედ მისთვის, ვინც მის „გვადი ბიგვას“ ბოლომდე წაიკითხავდა. ერთ-ერთი ქალი ამბობდა, ქიაჩელს უთქვამს, ჟიური არც წაიკითხავს ჩემს რომანს, მაგრამ ცენტრალური კომიტეტი წარადგენს და პრემიას მომცემენო. გალაკტიონის აზრით, ქვეყანა ჩალით რომ არ იყოს დახურული, ასეთი რამეები არ მოხდებოდა.

➤ 8706

1941

20 მარტს ან ადრე

მოლაპარაკება აქვს ჟურნალთან „რემედასი“ ლექსის დაბეჭდვის თაობაზე.

➤ 8707

1941

20 მარტი

ტელეფონით ესაუბრება ირაკლი აბაშიძეს და იგებს, რომ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ილია თავაძე გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50 წლისთავის იუბილეს ოპერის თეატრში აღნიშვნის წინააღმდეგია, მაგრამ თანახმაა, რომ გამომცემლობაში „ფედერაცია“ კრებული გამოუცენ. როდესაც გალაკტიონი ეკითხება აბაშიძეს, რატომ ამბობს თავაძე უარს მის იუბილეზე, ვერაფერს პასუხობს.

➤ 8708

1941

20 მარტი

ტროლეიბუსით ოპერის თეატრის წინ გავლისას ხელახლა გრძნობს წყენას, რომ არ აძლევენ იქ სადამოს გამართვის უფლებას. ფიქრობს, რომ ისევ იწყება მიჩქმალვის პოლიტიკა, რადგან ეშინიათ დიდი სახალხო დემონსტრაციის. დღიურში წერს, რომ ერჩივნა თავიდანვე ეთქვათ უარი სადამოს გამართვაზე და ამდენ ხანს ამაო მოლოდინში არ ყოფილიყო.

➤ 8709

1941

20 მარტი

ალექსანდრე აბაშელი აცნობებს, რომ დაახლოებით, 10 დღეში ელოდება ცენტრალური კომიტეტისგან „ზარია ვოსტოკაში“ გამოსაცემი გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსულენოვანი



თარგმანების წიგნის „მშობლიური ჩემო მიწავ“ გეგმის დამტკიცებას და ჰპირდება, რომ მისი დამტკიცებისთანავე დადებს მასთან ხელშეკრულებას.

➤ 8710

1941

20 მარტი

რაჟდენ გვეტაძე აცნობებს, რომ 10 დღეში ელოდება ცენტრალური კომიტეტისგან „ფედერაციაში“ გამოსაცემი გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსულენოვანი თარგმანების წიგნის „მშობლიური ჩემო მიწავ“ გეგმის დამტკიცებას და ჰპირდება, რომ მისი დამტკიცებისთანავე დადებს მასთან ხელშეკრულებას.

➤ 8711

1941

20 მარტი

კონსტანტინე ჭანტურიშვილი აცნობებს, რომ 10 დღეში ელოდება ცენტრალური კომიტეტისგან საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში გამოსაცემი გალაკტიონ ტაბიძის წიგნის „პოეზიის ხელოვნებაზე“ გეგმის დამტკიცებას და ჰპირდება, რომ მალევე გაუფორმებს საბუთებს.

➤ 8712

1941

20 მარტი

თბილისიდან სამტრედიიაში ბრუნდებიან მისი რძალი – ტატიანა ცინცაძე და ძმისშვილი – ვასილ ტაბიძე, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. ოღლა დარიუსის დისშვილი – ლაინე ბარტელისიცი უკეთაა.

➤ 8713

1941

12, 20 მარტი

იღებს უვადო პასპორტს.

➤ 8714

1941

20 მარტი

დღიურში წერს, რომ ის საქმეს აკეთებს და სტალინურ პრემიებს სხვებს – გიორგი ლეონიძესა და ლეო ქიაჩელს აძლევენ. აღნიშნავს, რომ ქვეყანა ჩალითაა დახურული და ასე არ შეიძლება. ამიტომ, იმედი აქვს, რომ ვითარება შეიცვლება.

➤ 8715

1941

21 მარტი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს მიმდინარე დღეს მწერალთა სასახლეში გასამართი ილია სელვინსკის სადამოს შესახებ. აღნიშნავს, რომ საქართველოს გასაბჭოების დღეს მას ოპერის თეატრში შეხვდა და თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ადამიანის შთაბეჭდილება დაუტოვა. ბორის ბრიკი სელვინსკის შესახებ წერდა, რომ რევოლუციური გამოსვლების დროს ის ყირიმის მწერალთა სახლში ისვენებდა, ამიტომაც მოსკოვში, ნიადაგი შერყეული აქვს. ფიქრობს, რომ ეს ადვილი გასაგებია მისი ერთ-ერთი წიგნისა და გაზეთის „პრავდა“ შეფასების მიხედვით. მოჰყავს ციტატები ვლადიმირ მაიაკოვსკის გარდაცვალების გამო სელვინსკის მიერ დაწერილი ლექსიდან და ასკვნის, რომ ეს არის მთელი მისი პოეზიის ხელოვნება და გალაკტიონის ვარაუდით ამ პათოსით წაიკითხავს ის თავის ტრაგედიასაც: „აბდალახის შვილი ბაბეკი“.

➤ 8716

1941

**21 მარტი**

მწერალთა სასახლეში ესწრება ილია სელვინსკის საღამოს. მწერალი კითხულობს თავის ახალ ტრაგედიას „აბდალახის შვილი ბაბეკი“ გალაკტიონ ტაბიძის აზრით ნაწარმოები სუსტია, მაგრამ გამომსვლელები: ბესარიონ ჟღენტი, შალვა სოსლანი, სიმონ ჩიქოვანი და გიორგი ცაგარელი ძალიან აქებენ. მხოლოდ კოლაუ ჩერნიავესკი ლაპარაკობს სწორად და პატიოსნად. თავის დასკვნით სიტყვაში თავად ილია სელვინსკი დასცინის მათ ხოტბას და აღნიშნავს, რომ ქართველებმა სუფრაზე ერთმანეთის დაუსრულებელი ქება-დიდება იციან. სელვინსკი თავს ნოვატორად მიიჩნევს, რომლის ნაწარმოებებისთვის საჭიროა ახალი თეატრი და მსახიობები. გალაკტიონი გაკვირვებულია იმის აღმოჩენით, რომ სიმონ ჩიქოვანი რუსულად ძლივს საუბრობს. იოსებ იმედაშვილი გალაკტიონს ეუბნება, რომ დიდი პატივი იყო მისი ამ საღამოზე დასწრება, თავად პოეტი კი ფიქრობს, რომ სწორად მოიქცა საღამოზე სიტყვით რომ არ გამოვიდა.

➤ 8717

1941

**22 მარტი**

მწერალთა სასახლეში ხვდება წყალტუბოდან დაბრუნებულ უკრაინელ მწერლებს – იანკა კუპალასა და იაკუბ კოლასს. მათთან ერთად არიან ირაკლი აბაშიძე, ილო მოსაშვილი და რაჟდენ გვეტაძე. იანკა კუპალა გალაკტიონს სადილად ჰპატიჟებს. გალაკტიონი თანხმდება, მაგრამ ვერ ახერხებს წასვლას. იგებს, რომ უკრაინელ მწერლებთან სადილად ყოფილან და კარგად შეზარხომებულან ირაკლი აბაშიძე და კარლო კალაძე. გალაკტიონს აინტერესებს, კიდევ ვინ იყო.

➤ 8718

1941

**22 მარტი**

ოლღა დარიუსის დისშვილისთვის – ლაინე ბარტელისთვის, რომელიც დაავადებულია ტუბერკულოზით, შვიდთვიანი მკურნალობის შემდეგ, ისევ შოულობს ორთვიან საგზურს.

➤ 8719

1941

**22 მარტი**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს თავის ტექსტებზე დაწერილი მელოდიების შესახებ. დიმიტრი არაყიშვილს გარდა ლექსისა „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ მუსიკალური ნაწარმოებები ჰქონია მის კიდევ ორ ტექსტზე. გრიგოლ ჩხიკვაძე უქებს ვალერიან ცაგარეიშვილის მიერ გუნდისთვის დაწერილ სიმღერას „მშობლიურო ჩემო მიწავ“. გალაკტიონს აინტერესებს, თუ ასეთი კარგია, რატომ არ გამოსცემენ.

➤ 8720

1941

**22 მარტი**

ხვდება პოლიო აბრამიას და გიგლა მეზუკეს, რომლებიც აცნობებენ, რომ რადიოში ძალიან სურთ მისი საღამოს მოწყობა და სთხოვენ, რომ შეადგინოს პროგრამა.

➤ 8721

1941

**22 მარტი**

მასთან მისულ სავლე აბულაძეს ადგილზე არ ხვდება და როდესაც მისი ვიზიტის შესახებ ატყობინებენ, ფიქრობს, ალბათ მასწავლებელთა სახლში საღამოს გამართვა სურთო.

➤ 8722

1941

**22 მარტი**

სამტრედიიდან ტელეფონით ურეკავენ ძმა – აბესალომ ტაბიძე და რძალი – ტატინა ცინცაძე, მაგრამ სახლში არ ხვდება.

➤ 8723

1941

**22 მარტი**

ეუბნებიან, რომ ბონდო კეშელავა ეძებდა, მაგრამ არ დაუბარებია, რატომ.

➤ 8724

1941

**22 მარტი**

ეუბნებიან, რომ გიორგი ქუჩიშვილმა ლეო ქიაჩელს სტალინური პრემიის მიღება მხურვალედ მიულოცა, რაზეც აპოლონ წულაძეს უთქვამს, მთელი პრემია არ აუღია, ნახევარი აიღო და ნახევარი უნდა მიგელოცაო. ქუჩიშვილი გაბრაზდა, შენ ვინ გეკითხება, მე შენში ეჭვი მეპარებაო, აპოლონ წულაძეს კი ამაზე უპასუხია, ეჭვი რომ გეპარება, ეგ არაფერია, სამწუხარო ის არის, ჭკუა რომ გეპარებაო.

➤ 8725

1941

**23 მარტი**

გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“ იბეჭდება შ. სიმონიშვილის გამოხმაურება გალაკტიონის თხზულებათა მესამე ტომზე. რეცენზიის ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ახალ წიგნს თემატური თვალსაზრისით და მას საბჭოთა პოეზიის დიდ მიღწევად მიიჩნევს. კრიტიკოსი მიუთითებს, რომ სოციალიზმის წარმატებათა ჩვენებისათვის პოეტი მიმართავს კონტრასტს. იგი ერთმანეთს უპირისპირებს სოციალისტურსა და კაპიტალისტურ საზოგადოებას, გვიჩვენებს მათ ნამდვილ სახეს და კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის საბჭოთა სამშობლოს სიდიადეს. წერილის ავტორი ასევე მაღალ შეფასებას აძლევს პოემას „საუბარი ლირიკის შესახებ“. ეს ნაწარმოები, მისი აზრით, წარმოადგენს ფილოსოფიურ ტრაქტატს ლირიკის წარმოშობისა და განვითარების შესახებ, რომელშიც პოეტმა შეძლო სწორად გადმოეცა ლირიკის არსი და მართებულად შეეფასებინა სხვადასხვა ეპოქის ლირიკოსები.

➤ 8726

1941

**23 მარტი**

მასწავლებელთა სახლის გამგისგან იგებს, რომ არსებობს ორი წრე, სამხატვრო-პედაგოგიური, რომელსაც მეცადინეობა აქვს თვეში ორჯერ და ახალგაზრდებისა, რომლებიც იკრიბებიან თვეში სამჯერ. გალაკტიონს შესაძლებლად მიაჩნია გრაფიკის შეცვლა და ზედიზედ რამდენიმე საღამოს ჩატარება და ფიქრობს, რომ თუ მისი საღამოები ჩატარდა, ორივე წრე გაერთიანდება. ამისთვის საჭიროდ მიაჩნია სავლე აბულაძესთან პროგრამისა და ტექნიკური შესრულების შეთანხმება, წინასწარი დაგეგმვა და უმთავრესი ხაზის მოძებნა.

➤ 8727

1941

**23 მარტი**

მხატვრების კლუბში ხვდება ალექსანდრე ციმაკურიძეს, რომელიც ეკითხება, რატომ არ მილოცავო. გალაკტიონმა არ იცის, რა უნდა მიულოცოს, მაგრამ, მას შემდეგ, რაც თეოდორ ჩუდეცი უხსნის, რომ ციმაკურიძე დააჯილდოვეს დამსახურებული ხელოვანის წოდებით,

გულწრფელად ულოცავს მას. მხატვარი უყვება, როგორ გაიგო ეს სასიხარულო ამბავი. თავდაპირველად 25 თებერვალს შაქრო ქურდიანს უთქვამს, რადიომ გადმოსცაო, მაგრამ ეგონა, რომ ეხუმრებოდა. დაურეკავს ჯერ მოსე თოიძესთან, შემდეგ – დავით კაკაბაძესთან, მაგრამ ორივეს უთქვამს, არაფერი გაგვიგიაო. დაღონებული წასულა სახლში, მეორე დილით კი, მთელი სამხატვრო აკადემია ულოცავდა და დარწმუნდა, რომ ეს ამბავი მართალი ყოფილა. ციმაკურიძე ამბობს, რომ ფულზე მეტად დაფასება უხარია. ის გალაკტიონ ტაბიძესაც უთითებს მის ლენინის ორდენზე და ეუბნება, რომ ეს და სახელია ყველაფერი.

➤ 8728

1941

23 მარტი

მხატვრების კლუბში იაკობ ნიკოლაძე ეუბნება, რომ თავისივე ინიციატივით აპირებს მისი ბიუსტის გაკეთებას მარმარილოსაგან. შემდეგ საყვედურობს, 25 თებერვალს ოპერის თეატრში რომ გემახდი, რატომ ჩემ გვერდით არ დაჯექიო და ეუბნება, სერგეი მიხალკოვმა შენზე თქვა, შესანიშნავი ადამიანია, ძალიან ჭკვიანი და დიდი პოეტიო.

➤ 8729

1941

23 მარტი

მხატვრების კლუბში ლადო გუდიაშვილი ამბობს, ყველა პოეტი რომ გალაკტიონის მსგავსი გვყავდეს, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყევდაო.

➤ 8730

1941

23 მარტი

დღიურში წერს, რომ მხატვრების კლუბში ირაკლი აბაშიძე ბოდბის იხდიდა, მეჩქარება, ალიო მამაშვილის ძმის პანაშვიდზე მივდივარო. იქვე აღნიშნავს, რომ გიორგი ლეონიძის გამრომ-გამოდრომის შესახებ ვილაცას ეპიგრამა დაუწერია.

➤ 8731

1941

23 მარტს შემდეგ

იაკობ ნიკოლაძე მარმარილოსგან აკეთებს გალაკტიონის ბიუსტს.

➤ 8732

1941

24 მარტი

ჟურნალ „მნათობს“ დასაბეჭდად გადასცემს ლექსს „პარიზის კომუნა“ და სალამოს აცნობებენ, რომ ლექსი გაგზავნილია ასაწყობად.

➤ 8733

1941

24 მარტი

მწერალთა სასახლეში ესწრება ბონდო კეშელავას სალამოს. მოსწონს საზოგადოება, ახალგაზრდა მეგრული ქალები. ბონდო კითხულობს რვეულიდან და არც ისე კარგად. ბესარიონ ჟღენტი აღნიშნავს, რომ ბონდო კეშელავას არ გამოუცია წიგნი, არც პრესაში იბეჭდება, მაგრამ მაინც ამდენი ხალხი შეიკრიბა. შემდეგი გამომსვლელი ალიო ადამია ამბობს, რომ არ არის ბესარიონ ჟღენტივით ორატორი, რასაც ხალხის ხარხარი მოჰყვება. ბონდო კეშელავა კითხულობს, 1924 წელს სერგეი ესენინის გავლენით დაწერილ ლექსს და ამბობს, რომ ამ ლექსზე პასუხისმგებელი არ არის, რასაც ხალხის სიცილი მოჰყვება, აბა ჩვენ ხომ არ ვიქნებით პასუხისმგებელიო. გრიგოლ

აბაშიძე შიშობს, კემელავა არ გაბრაზდეს და ბესარიონ ჟღენტსაც ისე არ გაართყას, როგორც ჩემს ძმასო. კარლო კალაძე აღნიშნავს, ძალიან უცნაური საღამოაო, სიმონ წვერავა კი ასკვნის, კემელავას პოლიტიკური გამჭრიახობა აკლიაო.

➤ 8734

1941

24 მარტი

ბონდო კემელავას საღამოზე მწერალთა სასახლეში ხარიტონ ვარდოშვილი აღნიშნავს, რომ XX საუკუნე დაცემისა და დეკადანსის ხანაა, ერთადერთი გალაკტიონ ტაბიძე ამდღა და პოეზიას სხვა სახე მისცაო. დიმიტრი ბენაშვილი და ალექსანდრე გომიაშვილი გალაკტიონს სთავაზობენ, საღამო მოაწყოს კონსერვატორიაში. პოეტი შალვა დემეტრაძეს ეუბნება, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა უკვე გადაწყვიტა მისი წიგნის „მშობლიური ჩემო მიწავ“ გამოცემა. ის პასუხობს, რომ ლენინგრადიდან (ამჟამინდელი პეტერბურგიდან) დაბრუნდება მათში და კარგად გამოსცემენ წიგნს. გალაკტიონის თხოვნას, წინასწარ დაიდოს ხელშეკრულება, თანხმდება. ბონდო კემელავა მადლობას უხდის, რომ მის საღამოს დაესწრო. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ბონდო კემელავა ადვილად ვერ დამკვიდრდება პოეზიაში, მაგრამ მას შეუძლია სარგებლობის მოტანა, თუ სწორ გზას გაჰყვება. კემელავას ლექსები – „თბილისს“, „აკაკის“, „ვაჟას“ – ქართული კოლორიტია, გალაკტიონის აზრით, ის გალაკტიონის დიდ გავლენას განიცდის, მაგრამ საღამოზე ამის შესახებ არაფერი უთქვამთ.

➤ 8735

1941

24 მარტი

ხვდება მიწათმოქმედების სახალხო კომისარს, რომელსაც სთხოვს, რომ სამსახურში ადადგინონ მისი სემინარიული მეგობარი, ვეტეჟიმი გიორგი კახაია.

➤ 8736

1941

24 მარტი

საღამოს მასთან სამტრედიიდან ჩადის რძალი – ტატანა ცინცაძე, ჩააქვს დაკლული ქათმები, კვერცხი და ღორის ხორცი.

➤ 8737

1941

24 მარტი

დილით ხვდება ნიკოლოზ იაშვილი, რომელიც, პოეტის აზრით, მისი თაყვანისმცემელი გენიალური ახალგაზრდაა და კარგად ესმის თანამედროვე სტილი.

➤ 8738

1941

24 მარტი

აინტერესებს, რატომ არ დართეს ოპერის თეატრში საღამოს გამართვის ნება. ფიქრობს, რომ მწერალთა სასახლეში არსებულ პოეტების სექციას უნდა ჩამოსცილდეს სიმონ ჩიქოვანი, რადგან იგი განგებ ამღვრევს წყალს.

➤ 8739

1941

24 მარტი

ჟურნალისტისთვის „ოქტომბრელი“ დაწერილ ლექსს „გაზაფხული“ გადასცემენ სტამბას.

➤ 8740

1941

**24 მარტი**

კითხულობს მოსკოვის ჟურნალში „კრასნაია ნოვ“ დაბეჭდილ მიხეილ ზენკევიჩის ბიბლიოგრაფიულ სტატიას მოსკოვში 1940 წელს გამოცემული მისი წიგნის „რჩეული ლექსები“ შესახებ და თავის შთაბეჭდილებებს წერს დღიურში. აღნიშნავს, რომ სტატია გადაბეჭდილია გაზეთიდან „პრავდა“, მაგრამ ამის შესახებ მითითებული არ არის. ამ პუბლიკაციიდან გამოყოფს საყურადღებო მოსაზრებებს, რომ გალაკტიონ ტაბიძე ერთ-ერთი უძლიერესი საბჭოთა პოეტია და რომ კრებული ასახავს მისი შემოქმედების რთულ გზას 1908 წლიდან 1937 წლამდე. რაც შეეხება იმ აზრს, რომ ავტორის სურვილით, ლექსები დაყოფილია სამ პერიოდად, არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ სამ პერიოდად დაყოფა მისი სურვილი არ ყოფილა. რედაქტორებს – ვალერიან გაფრინდაშვილსა და ვიქტორ გოლცევეს სურდათ თავიანთი სიმბოლისტობის გამართლება, და ისიც სიმბოლისტად გამოაცხადეს. შენიშნავს იმასთან დაკავშირებით, რომ წიგნში არ შესულა ბოლო სამი წლის ლექსები, გალაკტიონი მარტივად ხსნის იმ ფაქტით, რომ წიგნი მომზადდა 1937 წელს და მისი გამოცემა სამი წლით დაგვიანდა. ისევე, როგორც საქართველოში დაუგვიანეს თხზულებათა მესამე ტომის გამოცემა. პოეტის აზრით, ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ მისთვის სტალინური პრემია არ მიეცათ.

➤ 8741

1941

**24 მარტი**

შალვა რადიანი უქებს მიხეილ ზდანევიჩის ბიბლიოგრაფიულ სტატიას გალაკტიონის „რჩეული ლექსების“ შესახებ, რომელიც თავად გალაკტიონს დიდად არ მოსწონს. პოეტი ფიქრობს, რომ შალვა რადიანს ან ის ჰგონია სულელი ან თავად არის ასეთი.

➤ 8742

1941

**25 მარტი**

სერგო ჯინჭველაშვილის ცოლს მასთან მიაქვს თავისი ქმრის მოგონებები აკაკი წერეთელზე, რომლიდანაც ჩანს, რომ მას უნდოდა 1913 წელს სოფელ მუხიანში მოგზაურობისას, ხეხილიან ეზოში, თუთის ხის ქვეშ გაშლილ სუფრასთან მსხდომი აკაკი წერეთლის, დავით კლდიაშვილის, ვარლამ რუხაძისა და გალაკტიონ ტაბიძის დახატვა. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ მასაც ძალიან კარგად ახსოვს ეს დღე, განსაკუთრებით კი ღობესთან მიბმული ცხენები და ყვავილების დიდი თალი.

➤ 8743

1941

**26 მარტი**

მასთან სახლში არიან ძმა – აბესალომ ტაბიძე და რძალი – ტატიანა ცინცაძე. დილით აბესალომი ესაუბრება, რომ მოუწყობელია, ერთ ოთახში ცხოვრობს ცოლითა და შვილებით. გალაკტიონი ახსენებს, რომ 38 წლის ასაკში შეემლო თბილისში მოწყობა, რადგან სამუშაო ადგილი მისთვის ნაშოვნია ჰქონდათ. აბესალომი ყველაფერს გალაკტიონს აბრალებს, ვხედავდი, რომ ილუპებოდი და ამის ყურება არ შეემლო. გალაკტიონი კი ამას სხვაგვარად ხედავს, როცა ის ილუპებოდა, ძმა მის გვერდით არ დარჩა და მიატოვა. ახლა, როდესაც აბესალომმა სახლი გაყიდა და თანხა გაანიავა, ისევ გალაკტიონს მიადგა. აბესალომი მთავრობასთან შუამდგომლობას სთხოვს, რომ მათი ძველი ეზო დაუტოვონ. ტატიანას არ ემეტება ეზოში მდგარი ცაცხვის დათმობა, რადგან მისი მოჭრით 500 მანეთის შოვნა შეიძლება. გალაკტიონი შფოთავს, რომ დედის მიერ დარგული ცაცხვი უნდა მოჭრან. იხსენებს ძმასთან მუდმივ დაპირისპირებას ხეებთან დაკავშირებით. დედა დასდევდა, რომ აბესალომს ხეები არ მოეჭრა, ის ნაჯახს უღერებდა, მაგრამ დედა არ ნებდებოდა. აბესალომი ჩუმად მაინც ჭრიდა ხეებს. დედის გარდაცვალებისთანავე, აბესალომმა ხეები სულ

გაკაფა და შეშად გამოიყენა. გალაკტიონს ვერ გაუგია, რაში დასჭირდა მათი სოფლის სახლის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ შეტრიალება და მისთვის იერსახის შეცვლა. პოეტს აგონდება, რომ ასეთი უკუღმართობისა და თავმოუბმელობის გამო მათმა ბიძაშვილმა, ტიცვიანმა აბესალომს ჟორის-კარლ ჰიუსმანის გმირის სახელი დეზ ესენტი შეარქვა.

➤ 8744

1941

26 მარტი

დღიურში იწერს, მისი თანამედროვე მწერლები როგორ აღწევენ წარმატებას. გიორგი ლეონიძის მოხერხებულობაზე ლექსიც კი გამოუთქვამთ: „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად რომანი / ნახევრად ლეონიძისა გამრომა-გამოდრომანი!“ ლეო ქიაჩელზე კი ამბობენ, რომ სტალინური პრემიის ღირსი არ იყო, მაგრამ თავისი მეგრელობით გაიმარჯვაო და მიანიშნებს სხვა მეგრელებზე: კირილე პაჭკორია, შალვა დადიანი.

➤ 8745

1941

26 მარტი

მიდის მწერალთა სასახლეში და ნახულობს ირაკლი აბაშიძეს, რომელიც უყვება ილია სელვინსკის მონათხრობს, რა ხერხს მიმართა ბორის პასტერნაკმა, როდესაც საკუთარ ლექსებს აღარ უბეჭდავდნენ. თურმე მაგ დროს დაიწყო ქართველი პოეტების თარგმნა და თავისი საუკეთესო ლექსები, რომელთა დაბეჭდვაც ვერ მოახერხა, ამ თარგმანებში შეაპარა. რა თქმა უნდა, თარგმანები დიდებული გამოვიდა, ქართველი პოეტები თავს იწონებდნენ, როგორც კარგები ვართო და პასტერნაკი ჩუმად იცინოდა. სელვინსკის აზრით, კარგი თარგმანი მაინც ის არის, რომელიც ორიგინალთან ახლოსაა. ირაკლი აბაშიძისგანვე იგებს, რომ ცენტრალური კომიტეტი გამომცემლობების ახალ გეგმებს 30 მარტამდე დაამტკიცებს.

➤ 8746

1941

26 მარტი

მწერალთა კავშირში ხვდება მაყვალა მრეველიშვილი, რომელიც ეუბნება, რომ ვერ გაბედა მისთვის წიგნის მირთმევა, მაგრამ ჰპირდება, რომ მიუტანს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ნიჭიერი ქალია.

➤ 8747

1941

26 მარტი

ლეო ქიაჩელს სოლომონ თავაძე ეკითხება, პირადი მდივანი ხომ გჭირდებაო, ის კი პესიმისტურად აქნევს ხელს. გალაკტიონი ქიაჩელს რაღაც შინაგან ცვლილებას ამჩნევს. ადრე თუ პოეტების სადამოებს საერთოდ არ ესწრებოდა, 24 მარტს ბონდო კეშელავას სადამოზე პრეზიდენტობაში იჯდა. გალაკტიონი დღიურში წერს, ამით გაამაყებულმა ბონდო კეშელავამ თავი ისე მედიდურად დამიკრა, თითქოს სტალინური პრემია მას ჰქონოდა აღებულიო.

➤ 8748

1941

26 მარტი

კბილს იღებს სტომატოლოგ ოტტო ჰაინესთან. კბილის ექიმი უამბობს, რომ მისი შვილი მოსკოვში სწავლისას ამხანაგს გაეცნო, როგორც ჰაინე. თანამოსაუბრემ კი საპასუხოდ პუშკინად წარუდგინა თავი. გალაკტიონს ეს აგონებს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ამბავს.

➤ 8749

1941

**26 მარტი**

მწერალთა კავშირში საუბრობენ გოტჰოლდ ლესინგის კომედიაზე „მინა ფონ ბარნჰელმი ანუ ჯარისკაცული ბედნიერება“, რომელშიც ერეკლე მეორეა ნახსენები, შემდეგ დიდხანს მსჯელობენ ომზე. გალაკტიონი წუხს, რომ უსარგებლოდ მიდის დღე.

➤ 8750

1941

**27 მარტამდე**

მიდის საბჭოთა საქართველოს 20 წლისთავისადმი მიძღვნილ მხატვართა გამოფენაზე. ფიქრობს, რომ იოსებ შარლემანის „აწყური“ იშვიათი ნახატია, რომლის მსგავსი გამოფენაზე არ მოიპოვება და ყველა აქცევს ყურადღებას, რადგან ნამდვილი ოსტატის ნამუშევარია – ყოველმხრივ საინტერესო, კეთილშობილური, დახვეწილი და სათუთი – მაგრამ კრიტიკამ ვერ შეაფასა სათანადოდ. ნახატის იდეა იგივეა, რაც მისი ლექსების – „იმ ვენეციურ ხიდეზე“ და „ავტომობილი და ურემი“. სულ სხვაა ირაკლი აბაშიძის „ავტო და დმანისი“.

➤ 8751

1941

**27 მარტამდე**

ბორის სერებრიაკოვი ატყობინებს, რომ გაზეთის „უკრაინსკი კომსომოლეცი“ 25 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია მისი ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ მიკოლა ნაჩიბინისეული თარგმანი.

➤ 8752

1941

**27 მარტი**

მიდის საჯარო ბიბლიოთეკაში გაზეთის „უკრაინსკი კომსომოლეცის“ სანახავად, რომლის 25 თებერვლის ნომერში დაბეჭდილია მისი ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ თარგმანი, მაგრამ გაზეთი ბიბლიოთეკას ჯერ არ აქვს მიღებული.

➤ 8753

1941

**27 მარტი**

რეკავს შემნახველ სალაროში, სადაც გამოსაცვლელად მიტანილი აქვს ლენინის ორდენის წიგნაკები. სალაროდან პასუხობენ, რომ სამი დღის წინ მიიღეს წიგნაკების უკანასკნელი პარტია, მაგრამ მისი საბუთები მათ შორის არ იყო. მოსკოვიდან წერილობით აცნობეს, რომ გალაკტიონ ტაბიძის წიგნაკს და სხვა დოკუმენტებს დამატებით გაუგზავნიან. სთავაზობენ ერთი კვირის შემდეგ დარეკვას. ოღლა დარიუსი ფიქრობს, რომ სიურპრიზია მოსალოდნელი. გალაკტიონსაც უჩნდება ცუდი მოლოდინი. ასე რომ არ იყოს, რაღა მისი წიგნაკია გამონაკლისი, მაგრამ იცის, რომ ამ საქმეში ვერაფერს გახდება. თუ არ დაუბრუნებენ, აღმოჩნდება, რომ აღარ არის ლენინის ორდენოსანი. თავს ინუგეშებს, რომ ასე არ მოექცევიან.

➤ 8754

1941

**27 მარტი**

დღიურში წერს, რომ ჟურნალის „მნათობი“ იანვრის ნომერი იხსენება მისი ლექსით „ლენინის ხსოვნა“, ისე როგორც 30 წლის მანძილზე ბევრი ჟურნალის, კრებულისა და წიგნის დასაწყისში თავსდებოდა ხოლმე მისი ლექსები. ფიქრობს, ეს გამოცემები რომ შეიკრიბოს და გამოიფინოს, უპირველესი დოკუმენტი იქნება იმის დასამტკიცებლად, რომ ქართულ მწერლობაში ის არის ცენტრალური ფიგურა. იცის, რომ ამას არავინ უარყოფს, მაგრამ უნდათ, ემბაკობით წაართვან



პირველი ადგილი: სანდრო აბაშელს კრებულებში ავტორების ალფაბეტის მიხედვით შეტანით, ალიო მაშაშვილს – კომკავშირლობით, იოსებ გრიშაშვილს – არ იცის, რით, მაგრამ იცის, რომ ისიც თავდადებით იბრძოდა პირველი ადგილისთვის კრებულში „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“. აღნიშნავს, რომ აქა-იქ იმარჯვებს მხოლოდ ალფაბეტი, ერთხელ ალიო მაშაშვილსაც გაუღიმა ბედმა და მისი ლექსი „ჩიმჩაირა“ თხუთმეტი წლის წინ ვალია ბახტამემ მოათავსა პირველ ადგილას, მაგრამ მთავარი ადგილი უდავოდ მისია და ეს უდიდესი გამარჯვებაა. ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი და ალიო მაშაშვილი დამარცხებულნი არიან. ფიქრობს, რომ ამ ფრონტზე გამოსვლას შეგნებულად გაურბის გიორგი ლეონიძე, მაგრამ მოსალოდნელია მისი გამოსვლა რომელიმე მხრიდან. ახსენდება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 80 წლის იუბილე და ფიქრობს, საჭიროა მზადების სასწრაფოდ დაწყება, ისე როგორც მიხაილ ლერმონტოვის გარდაცვალებიდან 100 წლის იუბილესთვის.

➤ 8755

1941

27 მარტი

სალამოს მეორედ მიდის მხატვრების გამოფენაზე შარლემანის ნამუშევრის „აწყური“ ხელახლა სანახავად, მაგრამ გალერეაში გაჩენილი ხანძრის გამო, ყველა ნახატი ჩამოხსნილი ხვდება მათი გადარჩენის მიზნით. მის კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია ხანძარი, პასუხობენ, რომ სახურავზე ღამით ბიჭები ასულან, სვამდნენ, ეწეოდნენ და დაუდევრობით ხანძარი გააჩინეს. მეხანძრეებმა მალე ჩააქრეს, მაგრამ გამოფენა აირია.

➤ 8756

1941

27 მარტი

ჟურნალში „კრასნაია ნოვ“ დაბეჭდილი მიხეილ ზენკევიჩის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიიდან, რომელშიც საუბარია მოსკოვში 1940 წელს გამოცემული გალაკტიონის წიგნის „რჩეული ლექსები“ შესახებ, იწერს ერთ პასაჟს „მთაწმინდის მთვარის“ შესახებ და არ ეთანხმება ავტორს. წერს, რომ „მთაწმინდის მთვარის“ აზრი უკავშირდება პოეზიის არსებობას, მის სიდიადეს და მემკვიდრეობას. ახსენდება თავისი პირველი წიგნის გარეკანი, ქალი ჩანგით და ნიცმეს წერილები ვაგნერიანობის თემაზე, რომელშიც საუბარია კარმენის ავტორის – ბიზეს სიმსუბუქეზე, ფიქრობს ქნარისა და ჩანგის პრობლემაზე, როგორ გადადის ქნარი ჩანგში.

➤ 8757

1941

27 მარტი

დაგვიანებით გამოდის ჟურნალის „მნათობი“ იანვრის თვის ნომერი, რომლის მხატვრული ლიტერატურის განყოფილება იხსნება გალაკტიონის ლექსით „ლენინის ხსოვნა“.

➤ 8758

1941

27 მარტი

ფიქრობს სალამოების დეკადაზე, რომელიც მასწავლებლის სახლში უნდა მოეწყოს. ამ საკითხთან დაკავშირებით მეორე დღეს ელოდება სავლე აბულაძეს. ფიქრობს, რომ სალამოები უნდა ჩატარდეს წყნარად და საქმიანად, რადგან ჯერ კიდევ არის ოპერის თეატრში სალამოს გამართვის მოლოდინი.

➤ 8759

1941

27 მარტი

იგებს, რომ ჟურნალის „მნათობი“ მეორე ნომერი მალე გამოვა და მესამეც აწყობილია. ერთში იბეჭდება მისი „საიუბილეო“ და მეორეში – „პარიზის კომუნა“.

➤ 8760

1941

27 მარტი

დღიურში იწერს, რომ ახალი გადაწყვეტილებით, პრემიების მიმღებ პირებს ლაურეატები ეწოდებათ.

➤ 8761

1941

27 მარტი

ანტერესებს ვინ არიან ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორები და როდის დაიწყება მათი ბეჭდვა.

➤ 8762

1941

27 მარტი

დღიურში წერს, რომ მწერალთა სასახლეში შალვა სოსელიას რუსული რომანის „ოქროს საწმისი“ კითხვა სრული მარცხით დამთავრდა და ამით ლეო ქიაჩელიც უკმაყოფილო დარჩა. ნიკო ლორთქიფანიძეს უთქვამს, რომანი კარგი გამოვა, თუ მასზე 10 წელს კიდევ იმუშავებო.

➤ 8763

1941

28 მარტი

ხვდება ალექსანდრე აბაშელს, რომელიც უკმაყოფილოა კრიტიკოსებით და გული აქვს აცრუებული კრიტიკაზე. პოეტი მისგან იგებს, რომ მისი რუსული წიგნის „მშობლიური ჩემო მიწა“ რედაქტორობა მინდობილი ჰქონია გარი ბებუთოვს და ამიტომ, ცოტა ხნის წინ, როდესაც ალექსანდრ სტეპანოვს უთხოვია აბაშელისთვის გალაკტიონის ლექსების თარგმნის უფლება, მან ბებუთოვთან გაუშვა. ბებუთოვი გაბრაზებულა, რატომ მიგზავნიან არაკეთილსინდისიერ მთარგმნელებს, თუ რედაქტორი ვარ, ვისაც მინდა, იმას მივცემ ლექსებს სათარგმნად, თუ არა და რედაქტორობაზე უარს ვიტყვიო. ალექსანდრე აბაშელი დათანხმებულა, ოღონდ საქმე გააკეთე და ხელს არავინ შეგიშლისო.

➤ 8764

1941

28 მარტი

წერს უსათაურო ლექსის „რა მშვენიერი ხმა აქვს ბელურას...“ სამ ვარიანტს.

➤ 8765

1941

28 მარტი

დღიურში იწერს გიორგი ლეონიძის უსათაურო ლექსის „თქვენ მოდიხართ ყრილობაზე...“ ფრაზაზე: „აღარ გვინდა საქართველო ვარდ-ბულბულის ქვეყნად“ დიმიტრი ბენაშვილის შენიშვნას. ბენაშვილის თქმით, უგემოვნობისა და პოეტური გრძნობის უქონლობის გარდა, ისიც გაურკვეველია, რას ერჩის პოეტი ვარდსა და ბულბულს. აღნიშნავს, რომ ეს გამოწვეულია არასერიოზული დამოკიდებულებით საპასუხისმგებლო თემისადმი, მაგრამ დასძენს, რომ ასეთი შეცდომა ლეონიძესთან მხოლოდ კერძო ხასიათისაა. გალაკტიონ ტაბიძეს კი მიაჩნია, რომ გიორგი ლეონიძისგან ეს პირველი შემთხვევა არ არის. ის იხსენებს აკაკი წერეთლის გამოფენას, სადაც ლეონიძე ცდილობდა დაეჩრდილა დიდი პოეტის მიღწევები. მისი სიტყვებია, აკაკი

უბრალო მესტვირეაო. გალაკტიონის აზრით, ლეონიძე თავად დგას მესტვირეების პოზიციებზე და ფოლკლორს ანადგურებს. პოეტი იქვე უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ საჭიროა ფოლკლორის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა.

➤ 8766

1941

**28 მარტი**

გეგმავს, რომ მის რუსულ წიგნში მხოლოდ ახალი, ძირითადად, 1937 წლის შემდეგდროინდელი ლექსები უნდა შევიდეს და წიგნის სავარაუდო სათაურად ჩაინიშნავს ფრაზას „ივერიის ქარი“.

➤ 8767

1941

**28 მარტი**

გეგმავს, რომ მის წიგნში, „რჩეული ლექსები“, რომლის გამოცემასაც აპირებს „ფედერაცია“, მასალამ უნდა შეადგინოს 5000 სტრიქონი, ხოლო თუ ერთ სტრიქონს ორად დაყოფს, ისე როგორც ლექსებში „ქალაქი წყალქვეშ“ და „მე და ღამე“ გააკეთა, მაშინ – 10000 სტრიქონი გამოვა. მიაჩნია, რომ ერთი წინასიტყვაობა არ არის საკმარისი. ერთი უნდა იყოს საერთო მიმოხილვის მსგავსი და თითო წინასიტყვაობა შალვა რადიანის, გიორგი აბზიანიძის, დიმიტრი ბენაშვილისა და აკაკი გაწერელიას ავტორობით.

➤ 8768

1941

**28 მარტი**

დღიურში ინიშნავს, რომ საბავშვო ლიტერატურულ გამომცემლობაში გამოსაცემი აქვს წიგნი, რომლითაც აპირებს დაპირისპირებას იმ პოეტების პოზიციასთან, რომლებსაც არ უნდათ საქართველო „ვარდ-ბულბულის ქვეყნად“.

➤ 8769

1941

**28 მარტი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ვასილ ბაიაძის მცირე ბიბლიოგრაფიული წერილი გალაკტიონის თხზულებათა ახლად გამოცემულ მესამე ტომზე. წერილის ავტორი ამ წიგნს აფასებს, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას საბჭოთა პოეტური კულტურის ფრონტზე.

➤ 8770

1941

**29 მარტი**

სტუმრობს მასწავლებელთა სახლის ლიტერატურულ-პედაგოგიური წრის ხელმძღვანელი, სავლე აბულაძე. თანხმდებიან, რომ მასწავლებელთა სახლში ერთი საღამო გაიმართება აპრილში, სხვა საღამოები კი – წლის ბოლოს, რისთვისაც საჭიროა იმ თემების დაზუსტება, რომლებიც უნდა დაამუშაონ მომხსენებლებმა.

➤ 8771

1941

**29 მარტი**

ურეკავენ ჟურნალის „ოქტომბრელი“ რედაქციიდან და სთხოვენ ლექსს მაისის ნომრისთვის.

➤ 8772

1941

**29 მარტი**

გიორგი ლეონიძის უსათაურო ლექსის „თქვენ მოდიხართ ყრილობაზე...“ ფრაზის „აღარ გვინდა საქართველო ვარდ-ბულბულის ქვეყნად“ საპასუხოდ, წერს ლექსს „ვარდები“, რომელიც უნდა შეუერთოს ლექსს ქუთაისის შესახებ.

➤ 8773

**1941**

**29 მარტი**

საჭიროდ მიაჩნია, დააზუსტოს უახლოეს ხანებში გამოსაცემი თავისი წიგნების შინაარსები, მაგრამ ჯერ საგამომცემლო გეგმები ცენტრალურ კომიტეტში არ არის დამტკიცებული. ფიქრობს, რომ შეიძლება მისი გამოცემები გეგმიდან ამოაგდონ, მაგრამ იმედოვნებს, რომ ორს თუ არა, ერთს მაინც დაუტოვებენ.

➤ 8774

**1941**

**30 მარტი**

ერთი კვირის დაგვიანებით მოსკოვიდან უბრუნებენ ლენინის ორდენის განახლებულ წიგნაკს, სამგზავრო ბილეთსა და ფულის კუპონებს.

➤ 8775

**1941**

**30 მარტი**

სტუმრობს ბორის სერებრიაკოვი და სთხოვს სათარგმნად ლექსებს ლენინზე და პირველ მაისზე. ამასთან დაკავშირებით გალაკტიონი დღიურში იწერს სტალინის სიტყვებს, რომ ლენინი დაბადებული იყო რევოლუციისთვის, ის ნამდვილად იყო რევოლუციური აფეთქებების გენია და რევოლუციური ხელმძღვანელობის უდიდესი ოსტატი.

➤ 8776

**1941**

**30 მარტი**

როდღიონ ქორქია სთავაზობს აპრილში გალაკტიონის საღამო მოეწყოს ცეკავშირში.

➤ 8777

**1941**

**30 მარტი**

სიო ხიდისთაველს სთავაზობს, რომ საჯარო ბიბლიოთეკაში მისი საღამო აპრილში მოეწყოს. ფიქრობს, რომ საღამოზე უკეთ გამოიყენოს თავისი ფოტოები და 1927 წელს გამოცემული გაზეთი „გალაკტიონი“.

➤ 8778

**1941**

**30 მარტი**

გიორგი აბზიანიძე ეუბნება, რომ დიდი ბრძოლა დასჭირდა საბჭოთა საქართველოს ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ მხატვართა გამოფენაზე მისი სურათის დასაკვიდებლად. გალაკტიონს აინტერესებს, ვინ უწევდა წინააღმდეგობას.

➤ 8779

**1941**

**31 მარტი**

ფიქრობს, რომ დილიდან იგრძნობა გაზაფხულის პირველი, ნამდვილად მზიანი დღე. ქარი ქრის, რომელიც ხანდახან ძლიერდება. ეზო წააგავს ფრანგი მხატვრის, გუსტავ დორეს ილუსტრაციას, გაფენილ ზეწრებს ქარი აფრიალებს, ქალს უნდა მათი ჩამოხსნა, მაგრამ უძნელდება.

➤ 8780

1941

**31 მარტი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის მესამე სკოლიდან აცნობებენ, რომ 15 მარტის შეხვედრასთან დაკავშირებით მოსწავლეები უმზადებენ ალბომს.

➤ 8781

1941

**31 მარტი**

გიორგი ქუჩიშვილი ბოდბის მოხდით უბრუნებს ვალს და გალაკტიონი ეუბნება, რომ არ იყო საჭირო.

➤ 8782

1941

**31 მარტი**

ესაუბრება თავისი რუსულენოვანი წიგნის „მშობლიური ჩემო მიწავ“ რედაქტორ გარი ბებუთოვს. ეუბნება, რომ წიგნში ძირითადად უნდა შევიდეს ახალი ლექსები, რომლებიც უნდა თარგმნონ კარგმა პოეტებმა, მაგალითად, პაველ ანტოკოლსკიმ და ვლადიმირ დერჟავინმა. შეიძლება საქმეში ჩაერთონ ისეთებიც, რომელთაც მანამდე არ უცდიათ თარგმნა, მაგრამ შეუძლიათ. უარი უნდა ეთქვათ არაკეთილსინდისიერ მთარგმნელებს, მაგალითად, ბორის ბრიკს. გამოცემა დაიწყება 1941 წლის ლექსებით და გაგრძელდება დადმავალი ქრონოლოგიით: 1940, 1939 და სხვ. თანხმდებიან, რომ ლექსებს თავად გალაკტიონი დააღაგებს. აპირებენ, რომ შეიმუშავონ მთარგმნელებისადმი მიმართვა და მომზადდეს კარგი პწკარედები. თანხმდებიან, რომ მუშაობა დაიწყება როგორც კი გეგმა დამტკიცდება.

➤ 8783

1941

**31 მარტამდე**

ოლღა დარიუსის დისწული, ლაინე ბარტელისი სამკურნალოდ ჩაჰყავს აბასთუმანში.

➤ 8784

1941

**31 მარტი**

სტუმრობს შალვა რადიანის სტუდენტი ელენე რუხაძე და აძლევს დაწერილ შეკითხვებს მის პოეზიასთან დაკავშირებით. აინტერესებს, როგორია მისი ლექსების ფორმა ზოგადად და კონკრეტულად კი I და II პერიოდებში, რა გამოხატა პოემაში „აკაკი წერეთელი“ და აქვს თუ არა დაწერილი სხვა პოემები 1940-1941 წლებში. პოეტი დღიურში იწერს, რომ ასე გავიდა მარტი – ქალების თვე და თვეც ქალის შეკითხვებით დამთავრდა.

➤ 8785

1941

**31 მარტი**

დღიურში აჯამებს მარტის მიღწევებს: აღნიშნავს, რომ მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის მესამე სკოლის მოწაფეებთან შეხვედრა. უხარია, რომ მისი ლექსით „გაზაფხული“ გაიხსნება საბავშვო ჟურნალის „ოქტომბრელი“ მარტის ნომერი, ამ თვეში მიიღო გაზეთის „პრავდა“ ნომერი მოსკოვში რუსულად გამოსული მისი რჩეული ლექსების შესახებ,

ვალერიან ცაგარეიშვილის მიერ გუნდისთვის დაწერილი სიმღერა „მშობლიურო ჩემო მიწავ“, ივანე ვეფხვაძის მიერ დახატული ეტიუდი, შალვა მარადაშვილის ნაჩუქარი ქვაზე შესრულებული ნამუშევარი „კახეთი“, უნივერსიტეტის გაზეთის საქართველოს გასაბჭოების XX წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში დაბეჭდილი მისი ლექსი „შრომა, მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული“, გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ დაბეჭდილი აკაკი წერეთლის საფლავზე უკრაინელ და ქართველ მწერლებთან გადაღებული ფოტო, ალექსანდრ სტეპანოვის რუსულად ნათარგმნი „კავკასიონის ქარი“, ირაკლი აბაშიძისა და სანდრო ეულის წიგნები წარწერებით, ბორის სერებრიაკოვის მიერ ქართველი პოეტების რუსულად ნათარგმნი ლექსების კრებული „საბჭოთა საქართველოს პოეტები, „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილი ქრონიკა „მწერლები საარტილერიო სასწავლებელში“, მოსკოვის ჟურნალში „კრასნაია ნოვ“ დაბეჭდილი მიხეილ ზენკევიჩის ბიბლიოგრაფია გალაკტიონ ტაბიძის წიგნის „რჩეული ლექსები“ შესახებ, ჟურნალის „მნათობი“ იანვრის ნომრის გახსნა ლექსით „ლენინის ხსოვნა“, გაზეთში „კომსომოლეც უკრაინი“ მისი ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ თარგმანი, ბორის სემიონოვის დახატული მისი პორტრეტი. ასკვნის, რომ ეს ყველაფერი ძალზე მნიშვნელოვანია.

➤ 8786

1941

31 მარტი

დღიურში ჩამოწერს მარტის თვეში განცდილ წარუმატებლობებს. ჩამონათვალშია: ოპერის თეატრში სადამოს გამართვისთვის ბრძოლის წაგება, სტალინური პრემიის ვერ მიღება, კრებულებში ავტორების ანბანური რიგით განლაგების ნაწილობრივ დამკვიდრება, გაზეთში „კომუნისტი“ ლექსის „პარიზის კომუნა“ ვერ დაბეჭდვა, მწერალთა კავშირში არა მისი, არამედ ილია სელვინსკის და ბონდო კემელავას სადამოების გამართვა.

➤ 8787

1941

31 მარტი

დღიურში დაუმთავრებელი საქმეების ნუსხაში წერს, რომ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ჟურნალში „რემედასი“ ლექსის დაბეჭდვა და რადიოში სადამოს გამართვა. იქვე წერს მომავალი თვის გეგმას: „ზარია ვოსტოკას“, „ფედერაციის“, „საბლიტგამის“ წიგნებზე მუშაობა, სადამოები ცეკავშირში, მასწავლებლის სახლში, საჯარო ბიბლიოთეკაში, რადიოსა და ფილარმონიაში, ქართული კოლორიტის იდეის გაღრმავება და ლექსების დაწერა მათისათვის. აინტერესებს იაკობ ნიკოლაძის მარმარილოს ბიუსტი.

➤ 8788

1941

31 მარტი

ფიქრობს, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმსა და „ლიტერატურულ საქართველოში“ მატულობს ოპოზიციური განწყობა მის წინააღმდეგ. ეს კონფლიქტი დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ ადრე მხოლოდ ფარულად მიმდინარეობდა. დარწმუნებულია, რომ მწერალთა კავშირის სხვებისთვის დათმობას არასოდეს დაუშვებს. ამიტომ, ელოდება დიდ შეჯახებას. ფიქრობს, რომ მტრები ირაზმებიან და მტკიცდებიან, მაგრამ აუცილებლად გამჟღავნდება, რომ სურთ მისი მიღწევების სხვებისთვის მიკუთვნება. სწერა, რომ საკუთარ წარმატებებს არავის დაუთმობს.

➤ 8789

1941

31 მარტის შემდეგ

იბეჭდება აკაკი გაწერელიას წიგნი „წიგნები და ავტორები“, რომელშიც შესულია კრიტიკოსის 1938 წელს გამოქვეყნებული სტატია გალაკტიონის შემოქმედებაზე.

➤ 8790

1941

**31 მარტის შემდეგ**

აბასთუმნიდან იღებს წერილს ოლღა დარიუსის დისშვილისგან, ლაინე ბარტელსისგან, რომელიც იქ ტუბერკულოზზე მკურნალობს. ლაინე უდიდეს მადლობას უხდის მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის. სწერს, რომ ეს არ დაუმსახურებია, რადგან ბევრი უარყოფითი თვისება აქვს, მაგრამ აპირებს, რომ საკუთარი ხასიათის გამოსწორებაზე იმუშავოს. აცნობებს, რომ უახლოეს დღეებში ინსტიტუტში გადაიყვანენ და უჩნდება გამოჯანმრთელების იმედი. უყვება, რომ ექსკურსიაზე წაიყვანეს აბასთუმნის ობსერვატორიაში, რომელიც სიდიდით მეორეა საბჭოთა კავშირში, მაგრამ იმის გამო, რომ დღის საათები იყო, ტელესკოპში არაფერი უჩვენებიათ. უგზავნის კოცნას და მოკითხვას უთვლის თავის აღმზრდელ დეიდას.

➤ 8791

**აპრილი**

1941

**31 მარტი - 1 აპრილი**

კითხულობს ენციკლოპედიას და აინტერესებს, ვინ იყო 1896 წელს გარდაცვლილი კომპოზიტორი და გაზეთების მუსიკალური განყოფილების რედაქტორი ალექსანდრე სოლომონის ძე რაზმაძე.

➤ 8792

1941

**31 მარტი - 1 აპრილი**

აინტერესებს, რა წერილი აქვს დაწერილი მის შესახებ გიორგი ჭუმბურიძეს, რომელიც უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს.

➤ 8793

1941

**31 მარტი - 1 აპრილი**

აინტერესებს, ვინ არის უნივერსიტეტის სტუდენტი ელენე რუხაძე, რომელიც შალვა რადიანის ხელმძღვანელობით წერს ნაშრომს გალაკტიონის შესახებ.

➤ 8794

1941

**31 მარტი - 1 აპრილი**

აინტერესებს ჟურნალის „მნათობი“ თანამშრომელი ახალგაზრდა კაცის გვარი, რომელიც დიდი ყურადღებით ექცევა.

➤ 8795

1941

**31 მარტი - 1 აპრილი**

აინტერესებს სახელგამის ჯიხურის გამგის – ახალგაზრდა სიმპათიური კაცის გვარი, რომელიც ყოველთვის ეუბნება, რომ სხვა ავტორებისგან განსხვავებით, მისი წიგნები კარგად იყიდება.

➤ 8796

1941

**31 მარტი - 1 აპრილი**

დღიურში ინიშნავს კორნელი კეკელიძისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლის ტელეფონის ნომრებს.

➤ 8797

1941

**31 მარტი - 1 აპრილი**

ვერ იხსენებს, როდისთვის დაპირდა უნივერსალის საკანცელარიო განყოფილების გამგე ქაღალდს.

➤ 8798

1941

**31 მარტი - 1 აპრილი**

აინტერესებს, შეუძლია თუ არა სავლე აბულამეს ლექსების თარგმნა.

➤ 8799

1941

**31 მარტი - 1 აპრილი**

წერს უსათაურო ლექსს „სდგას სილენი – მარად მძლავრი...“.

➤ 8800

1941

**1 აპრილი**

უტყდება კბილებზე მიმაგრებული ფოლადის ხიდი. მიდის სტომატოლოგთან, ოტტო ჰაინესთან. ექიმი ეუბნება, რომ ბოლო კბილი, რომელზეც დამაგრებული იყო ხიდი, მორყეულია. თუ ეს სიბრძნის კბილი აღარ ვარგა, იმ ოთხ კბილს ველარაფერზე დაამაგრებს. იბარებს სამ დღეში, რომ გაარკვიონ, სიბრძნის კბილის მდგომარეობა.

➤ 8801

1941

**1 აპრილი**

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობიდან „მხატვრული ლიტერატურა“ იღებს 27 მარტს პეტრე ჩაგინის ხელმოწერით გამოგზავნილ დაზღვეულ ბარათს. აცნობებენ, რომ მაქსიმ გორკის გარდაცვალებიდან 5 წლისთავის აღსანიშნავად სახელმწიფო გამომცემლობა გამოსცემს დიდ კრებულს მწერალთა მოგონებებით, საუბრებითა და წერილებით მაქსიმ გორკისთან. ძალიან სთხოვენ, მიიღოს მონაწილეობა წიგნში, შეატყობინოს, თანახმაა თუ არა და მასალა გაუგზავნოს აპრილში ან მაისის დასაწყისში. აპირებს პასუხის გაგზავნას, რომ მაისის პირველ რიცხვებში მიაწოდებს მოგონებებს მაქსიმ გორკის შესახებ.

➤ 8802

1941

**1 აპრილი**

აგზავნის წერილს კიევში, გაზეთის „უკრაინის კომკავშირელი“ რედაქციაში. სთხოვს, გაუგზავნონ ორი ეგზემპლარი გაზეთისა, რომელშიც 25 თებერვალს დაიბეჭდა მიკოლა ნაჩიბინის მიერ უკრაინულად ნათარგმნი მისი ლექსი „მშობლიური ჩემო მიწავ“ და თუ ეკუთვნის, ჰონორარიც.

➤ 8803

1941

**1 აპრილი**

მასთან მიდიან ნამალადევის კლუბის წარმომადგენლები, რომელთაც სურთ 4 აპრილს მისი საღამოს გამართვა და ეუბნებიან, რომ ნებართვა აქვთ მწერალთა კავშირიდან. გალაკტიონისთვის მათი შეთავაზება მისაღებია.

➤ 8804



1941

**1 აპრილი**

დილით ოლღა დარიუსი ეუბნება, ტელეფონს რაღაც ემართებაო და როცა მიახედებს ნიშნს მოუგებს, დღეს პირველი აპრილიაო. გალაკტიონს არ მოსწონს ასეთი ხუმრობები.

➤ 8805

1941

**1 აპრილი**

კონსტანტინე ჭანტურიშვილი სთხოვს, რომ სამი დღის შემდეგ მივიდეს წიგნის „პოეზიის ხელოვნება“ გამოცემაზე ხელშეკრულების გასაფორმებლად.

➤ 8806

1941

**1 აპრილი**

სადამოს ურეკავენ ტელეფონით. უცნობი ქალიშვილი ეუბნება, აბესალომ ტაბიძის მოსწავლე ვარ, დღეს ჩამოვედი სამტრედიიდან და აბესალომმა შემოგიტვალათ, ბავშვი კარგად არისო. გალაკტიონი ეკითხება, რომელ ბავშვზე მეკითხება, ვასიკო ტაბიძე ხომ აქ არისო. უცებ აწყვეტინებენ, რას დამაბარებთ აბესალომთანო და პასუხობს, ყველანი კარგად ვართო. ქალიშვილი გულიანად კისკისებს, დღეს პირველი აპრილია, მოტყვილება ადვილიაო. გალაკტიონი ისევ ღიზიანდება საპირველაპრილო ტყუილით.

➤ 8807

1941

**2 აპრილი**

გორის პედაგოგიური ინსტიტუტიდან სთხოვენ, მონაწილეობა მიიღოს 12 აპრილს, სადამოს 8 საათზე, ინსტიტუტის შენობაში, გორის მშრომელთათვის გასამართ ქართული საბჭოთა პოეზიის დიდ სადამოში. სწერენ, რომ ხარჯები ანაზღაურებული იქნება. სადამოს დეტალების შესახებ ესაუბრება ვანო წულუკიძეს.

➤ 8808

1941

**2 აპრილი**

გამომცემლობების „ფედერაცია“ და „ზარია ვოსტოკა 1942 წელს გამოსაცემი წიგნების – „მშობლიური ჩემო მიწავ“ და საბავშვო გამომცემლობის მიერ გამოსაცემი წიგნის „პოეზიის ხელოვნება“ შესახებ პასუხს ვერ იღებს.

➤ 8809

1941

**2 აპრილი**

განაგრძობს პოემის „საუბარი ვარდების შესახებ“ წერას. ფიქრობს, რომ შესანიშნავი გამოდის.

➤ 8810

1941

**2 აპრილი**

მოსწონს სოლომონ ყუბანეიშვილის წიგნი „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე“ და კმაყოფილია იმით, რომ ავტორს სურს ასეთივე მატთანის მომზადება მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

➤ 8811

1941

## 2 აპრილი

საღამოს მასთან მიდის შალვა რადიანის სტუდენტი ელენე რუხაძე, რომელიც გალაკტიონს უკითხავს მასზე დაწერილ მონოგრაფიას და ეუბნება, რომ მის გარდა ბევრს აქვს გალაკტიონზე ნამუშევარი. პოეტს არ მოსწონს, რომ ახალგაზრდა იმეორებს შალვა რადიანის აზრებს, ფიქრობს, რომ სავლე აბულაძის წერილი უკეთესი იყო, მოკლე, სხარტი და ზრდილობიანი, ეს ქალი კი წარსულს, გულგატეხილობას, უიმედობას მიმოიხილავს და ეს ძალიან მოსაბეზრებელია. დადებითად აფასებს სერგო ჯავშანიძის აზრს, რომ საქართველოში გალაკტიონი ერთადერთი პოეტია, რომელმაც მწვერვალს გადიების დაუხმარებლად მიაღწია. აგონდება პოლიკარპე კაკაბაძის აზრი, მოღალატეს რომ მეგობრად გაიხდი, საქმე წაგებული გაქვსო.

➤ 8812

1941

## 2 აპრილი

დღიურში იწერს, რომ მწერალთა კავშირში კინკლაობა გრძელდება. 31 მარტს დღით ადრე იაკინთე ლისაშვილის რომანის „კეცხოველი“ გარჩევისას, სიმონ ჩიქოვანს უთქვამს, რომ ბიოგრაფიული რომანების წინააღმდეგია, ირაკლი აბაშიძე კი შეკამათებია, რომ ეს დიდი პოლიტიკური შეცდომაა. გალაკტიონს ის აკვირვებს, რომ რომანის ბეჭდვაზე რეცენზია სიმონ ჩიქოვანმა დაწერა.

➤ 8813

1941

## 2 აპრილი

კითხულობს მაქს ნორდაუს წიგნს „გენიისა და ტალანტის ფსიქო-ფიზიოლოგია“ და ფიქრობს, რომ ბევრი რამ მას ეხება. იწერს ციტატას, რომ გენიოსი მხოლოდ თავისი ინტელექტუალური ძალების საშუალებით გადაამუშავებს მიღებულ შთაბეჭდილებებს ხალხისთვის გასაგებ ხელოვნების ნაწარმოებად. შემდეგ დაუყოვნებლივ ჩნდებიან მიმზამველები, პარაზიტები. საილუსტრაციოდ ნორდაუს მოჰყავს ჩარლზ დარვინის მიერ აღწერილი ატლანტის ოკეანეში არსებული ხრიოკი ადგილები, სადაც ფრინველის პირველად გამოჩენას დაუყოვნებლივ მოჰყვება პარაზიტების, ბუზების, მიკრობების გაჩენა, რომლებიც ფრინველების სისხლს წოვენ. უნაყოფო კუნძული იწყებს სიცოცხლით აფუსფუსებას. ლიტერატურის შემთხვევაში ეს თავისებური ბუზები და ჯღიბები ხელოვნურად იმეორებენ გენიოსის ნაწარმოებს, შემდეგ კი ფუძნდება კრიტიკული და ესთეტიკური სკოლები, რომლებიც სარგებლობენ გენიისა და მისი მიმზამველების საჭმლის მონელებით, ბოლოს კი გამოდიან ლიტერატურის ისტორიკოსები და გაჭირვებით ჰყვებიან, როგორ მოხდა ყოველივე ეს, რის შედეგადაც იქმნება ეროვნული ლიტერატურა მეორეხარისხოვანი მწერლებით, ესთეტიკური სისტემებით, კრიტიკული ნაწარმოებებით, ლიტერატურის ისტორიითა და მონოგრაფიებით.

➤ 8814

1941

## 2 აპრილის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ხედავ, გაშლილი სივრცეა წინა...“.

➤ 8815

1941

## 3 აპრილი

აკრავენ აფიშებს ინფორმაციით, რომ 4 აპრილს ნაძალადევში, პლეხანოვის სახელობის კლუბში 18 საათზე მოეწყობა გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურულ-მხატვრული საღამო.

➤ 8816

1941

### 3 აპრილი

საღამოს 8 საათზე მიდის მწერალთა კლუბში, მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის მიერ გამოცხადებულ შეხვედრაზე, რომელზეც უნდა მომხდარიყო ბაბილინა ხოსიტაშვილის მიერ ნათარგმნი მიხაილ ლერმონტოვის პოემის „მწირი“ კითხვა-განხილვა, მაგრამ საღამო არ ტარდება. გალაკტიონის აზრით, მთარგმნელთა სექციის ხელმძღვანელი – სიმონ ჩიქოვანი ინტერესს არ იჩენს და მიუხედავად ბევრი ხალხის მისვლისა, კითხვა მეორედ გადაიდება. იგებს, რომ სიმონ ჩიქოვანი ამ დღეს მიიღეს პარტიის წევრად და ფიქრობს, რომ ველარავინ გამოგლეჯს ხელიდან პოეტებისა და მთარგმნელების სექციების ხელმძღვანელობას.

➤ 8817

1941

### 4 აპრილი

ნაძალადევაში, პლენხანოვის სახელობის კლუბში, 18 საათზე იწყება გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურულ-მხატვრული საღამო. ფარდის ახდის შემდეგ, პოეტის გამოჩენისთანავე, ყველა ფეხზე დგება და სცენაზე მიაქვთ ყვავილები. შესავალი სიტყვით გამოდის პედაგოგი მაცაბერიძე, ვრცელ სიტყვას გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე წარმოთქვამს ბესარიონ ჟღენტი. საღამოში მონაწილეობენ პოეტები და მწერლები: გიორგი ლეონიძე, გიორგი ქუჩიშვილი, როდიონ ქორქია, ბორის სერებრიაკოვი, მაყვალა მრეველიშვილი, გიორგი კაჭახიძე, ანდრო თევზაძე და ვასილ გორგაძე. მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობენ: ვასო გომიაშვილი, თამარ ჭავჭავაძე, სერგო ზაქარიაძე, ანა ვარდიაშვილი ტრიოს თანხლებით. ფოიეში გამოფენილია წიგნები და თეატრი გაჭედულია ხალხით. გიორგი ლეონიძე კითხულობს ლექსს „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, გიორგი ქუჩიშვილი – „პროლოგი 100 ლექსის“, სოლომონ თავაძე – „მთაწმინდის მთვარეს“, თამარ ჭავჭავაძე – „მერის“, „მოდინან ლეგიონები“ და სხვ. გიორგი კაჭახიძე და მაყვალა მრეველიშვილი კითხულობენ თავიანთ ლექსებს, რომლებიც საღამოს შეეფერება. ბორის სერებრიაკოვი კითხულობს ლექსის „მშობლიური ჩემო მიწავ“ თარგმანს, ალექსანდრ სტეპანოვი – „კავკასიონის ქარის“ თარგმანის შესავალს, გრიგოლ ტაბატაძე – ლექსს, რომელიც წაკითხული ჰქონდა „ზარია ვოსტოკას“ საღამოზე. როდიონ ქორქია კითხულობს ახალ მოხსენებას „წითელი არმია“ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“, სიმონ წვერავა წარმოთქვამს ემოციურ სიტყვას, რომელშიც გალაკტიონს საქართველოს XX საუკუნის პოეზიის მწვერვალს უწოდებს, საინტერესოდ გამოდინან ანდრო თევზაძე და შაქრო ნავთელუდელი. დასასრულ გალაკტიონ ტაბიძე კითხულობს ლექსებს: „ოცი წელი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“ და „რევოლუციურ საქართველოს“, რასაც დიდი ოვაციებით ხვდება საზოგადოება. შემდეგ იმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობენ თამარ ჭავჭავაძე, ვასო გომიაშვილი და მედუდუკეთა ანსამბლი. საღამოს ესწრება გიორგი ჭუმბურიძე და აღფრთოვანებული გადაეხვევა პოეტს. იწერენ სტენოგრამას და იღებენ ფოტოებს.

➤ 8818

1941

### 4 აპრილი

ნაძალადევაში, პლენხანოვის სახელობის კლუბში გამართულ საღამოსთან დაკავშირებით უბის წიგნაკში იწერს, რომ აფიშაში გამოცხადებულთაგან საღამოს არ დაესწრნენ: შალვა დადიანი, რომელმაც თქვა ლიბრეტოზე ვმუშაობო. იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც თქვა სიცხე მაქვსო. სიმონ ჩიქოვანი, რომელმაც თქვა თუ მოსკოვში არ წავედი მოვალო, მაგრამ არც მოსკოვში წასულა და არც საღამოზე მისულა და ირაკლი აბაშიძე, რომელმაც თავად შეიტანა თავისი გვარი პროგრამაში, მაგრამ საღამოზე არ მისულა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ეს ოთხი თაღლითი განაგრძობს მის წინააღმდეგ ბრძოლას. პოეტი თავდაპირველად ფიქრობდა, რომ მათ მსგავსად ლეონიძეც რაღაცას მოიმიზეზებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მთლიანობაში, მისი აზრით, ძალიან კარგი საღამო გამოვიდა.

➤ 8819

1941

#### 4 აპრილი

დღიურში ანალიზებს ნაძალადევეში, პლენარის სახელობის კლუბში გამართულ სადამოს. იგი მოეწყო ძალიან სწრაფად, აფიშა გამოაკრეს წინა დღეს, პროგრამა წინასწარ არ იყო განსაზღვრული და სცენაზე სახელდახელოდ იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ფიქრობს, რომ მწერალთა კავშირში რაღაც ხდება, სადამო შეთანხმებული იყო, მაგრამ მდივანი – ირაკლი აბაშიძე არ მივიდა. სადამოს მომწყობს, წიგნთსაცავის გამგეს, გალაკტიონმა კატეგორიულად უთხრა, რომ აფიშაში არ გამოეცხადებინათ ის პირები, რომლებიც არ დაჰპირდებოდნენ, რომ ნამდვილად მივიდოდნენ, მაგრამ მაინც შეიტანეს. წერს, რომ აშკარად ჩანს თეთრი ძაფებით ნაკერი პოლიტიკა – მისი და სხვების სადამოების საშუალებით პოპულარობა მოუპოვონ გიორგი ლეონიძეს, რომლის მიმართაც ხალხი ანტიპათიურადაა განწყობილი. ყოველ სადამოს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის აიძულებს სხვებს, იგრძნონ, რომ ის წარმოადგენს ძალას, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს. უნდა გამოიგონოს ხერხი, რითაც შესაძლებელი იქნება ალაპარაკდნენ ისინი, რომლებიც განგებ დუმან. ამ ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ მასთან ყალთაბანდობა არ გაუვათ. ფიქრობს, რომ მწერალთა კავშირის წევრთა მესამედი მის მხარეზეა, ორი მესამედი კი განზე დგას, მაგრამ მათგან ბევრი შეიძლება მიიმხროს. ასეთები არიან: გუგული ბუხნიკაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, კონსტანტინე გამსახურდია, დავით გაჩეჩილაძე, რაჟდენ გვეტაძე, სეზმან ერთაწმინდელი, ხარიტონ ვარდოშვილი, იონა ვაკელი, პავლე ინგოროყვა, იაკინთე ლისაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი, დავით სულიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, დემნა შენგელაია, გრიგოლ ცეცხლაძე, ალექსანდრე ჭეიშვილი, ანა ხახუტაშვილი, გიგო ხეჩუაშვილი, ბაბილინა ხოსიტაშვილი, ნატალია აზიანი, არტემ ახნაზაროვი, ვლადიმერ გეგეჭკორი, ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, კონსტანტინე კაპანელი, პლატონ კეშელავა, კატო მიქელაძე, ნინო ნაკაშიძე, თედო სახოკია და ალექსანდრე ყანჩელი. ფიქრობს, თუ მას ამ 30 მწერლის ხმა მიემატება, გაიმარჯვებს, მაგრამ ამას დიდი ენერჯია სჭირდება.

➤ 8820

1941

#### 4 აპრილი

დღიურში წერს, რომ იწყება გორის ეპოპეა – პედაგოგიურ ინსტიტუტში მშრომელთათვის გასამართი საბჭოთა პოეზიის დიდი სადამოებისთვის მზადება. შიშობს, რომ ამ სადამოებმა არ შეაფერხოს გამოსაცემი წიგნების – გამომცემლობის „ფედერაცია“ მიერ „მშობლიურ ჩემო მიწავ“, გამომცემლობის „ზარია ვოსტოკას“ მიერ რუსულად „მშობლიურ ჩემო მიწავ“ და საბავშვო გამომცემლობის მიერ „პოეზიის ხელოვნება“ – მომზადების საქმე. საგამომცემლო გეგმები შეიძლება მალე დამტკიცდეს და არ შეიძლება, რომ წიგნები მზად არ ჰქონდეს. ისე უნდა იმუშაოს, რომ ერთმა საქმემ მეორეს ხელი არ შეუშალოს.

➤ 8821

1941

#### 4 აპრილი

დღიურში ანბანური თანმიმდევრობით ჩამოწერს მწერალთა კავშირის იმ წევრების სიას, რომელთაც სხვადასხვა დროს გამოთქმული აქვთ აზრი მის შესახებ: აბაშელი ალექსანდრე, ასათიანი ლევან, ახვლედიანი დარია, ბენაშვილი დიმიტრი, ბობოხიძე კალე, გაწერელია აკაკი, გელოვანი მირზა, გორგაძე ვასო, გარიყული მარიამ, დადიანი შალვა, ეთიმ გურჯი, თავაძე სოლომან, კასრაძე დავით, ლორთქიფანიძე კონსტანტინე, მეგრელიძე ლიდია, მიქელაძე მარიკა, მოსაშვილი ილო, ნატროშვილი გიორგი, ჟურული ვარლამ, ჟდენტი ბესარიონ, რადიანი შალვა, სერებრიაკოვი ბორის, სულავა ალკა, ქორქია როდიონ, ქუჩიშვილი გიორგი, შანშიაშვილი სანდრო, შენგელაია დემნა, წვერავა სიმონ, წულუკიძე ივანე, ხიდისთაველი სიო. შემდეგ აღმოაჩენს, რომ ვიღაცები გამორჩა და ამატებს: ასტვაცატუროვი ერემია, მებუკე გიგლა, ლორთქიფანიძე ნიკო, მეტრეველი ლევან, აბაშიძე ირაკლი, აფხაიძე შალვა, გამსახურდია კონსტანტინე, გრიშაშვილი იოსებ, კლდიაშვილი სიმონ, მამაშვილი ალიო, მრეველიშვილი მაცვალა, ნადირაძე

კოლაუ, შენგელაია დემნა, ყიფიანი ივიკა, შანიძე ალექსანდრე, კეშელავა პლატონ, შუბლაძე ვერა, თევზაძე ანდრო, კაშმაძე შალვა.

➤ 8822

1941

#### 4 აპრილი

დღიურში ანბანურად ჩამოწერს იმ მწერლების სიას, რომლებიც შეგნებულად გაურბიან მის შესახებ სიტყვის თქმას ან ორაზროვნად საუბრობენ: აბაშიძე ირაკლი, აბაშიძე გრიგოლ, ავალიანი ვლადიმერ, აფხაიძე შალვა, ბალიაური ლადო, ბუხნიკაშვილი გუგული, გაბესკირია ვიქტორ, გამსახურდია კონსტანტინე, გაჩეჩილაძე დავით, გაჩეჩილაძე გიორგი, გვეტაძე რაჟდენ, გომიაშვილი ალექსანდრე, გრიშაშვილი იოსებ, ერთაწმინდელი სეზმან, ეული სანდრო, ვარდოშვილი ხარიტონ, ვაკელი იონა, ინგოროყვა პავლე, კალაძე კარლო, კაჭახიძე გიორგი, კინწურაშვილი მიხეილ (იასამანი), კლდიაშვილი სერგო, ლეონიძე გიორგი, ლისაშვილი იაკინთე, მარიჯანი, მარგიანი რევაზ, მაშაშვილი ალიო, მრეველიშვილი მაცვალა, მჭედლიშვილი იოსებ, ნადირაძე კოლაუ, პატარიძე მიქელ, პოლუმორდვინოვ ელიზბარ, სულიაშვილი დავით, ტატიშვილი იოსებ, ფაშალიშვილი სიკო, ქვარიანი სიმონ, ქიაჩელი ლეო, ქიქოძე გერონტი, ქუთათელი ალექსანდრე, შენგელაია დემნა, ჩაჩიბაია ივანე, შენგელია ალექო, ჩიქოვანი სიმონ, ჩიქოვანი მიხეილ, ჩხეიძე ბორის, ცეცხლაძე გრიგოლ, ყიფიანი ივიკა, ჭეიშვილი ალექსანდრე, ჭიჭინაძე კონსტანტინე, ჯაბუშანური გაბრიელ, ხახუტაშვილი ანა, ხეჩუაშვილი გიგო, ხოსიტაშვილი ბაბილინა, ხომტარია ილია. შემდეგ აღმოაჩენს, რომ სამი ადამიანი გამორჩა და ამატებს: ადამია ალიო, შანიძე ალექსანდრე, ბელიაშვილი აკაკი.

➤ 8823

1941

#### 4 აპრილი

დღიურში ანბანურად ჩამოწერს იმ მწერლების სიას, რომელთა სიტყვას მის შესახებ ექნებოდა მნიშვნელობა, მაგრამ არ აქვთ თქმის საშუალება: ალლაძე ილია, აზიანი ნატალია, ახნაზაროვი არტემ, გეგეჭკორი ლადო, დანელია სერგი, ერისთავი-ხომტარია ანასტასია, კაკაბაძე პოლიკარპე, კაპანელი კონსტანტინე, კეშელავა პლატონ, მიქელაძე კატო, ნაკაშიძე ნინო, სახოკია თედო, ყანჩელი ალექსანდრე, ჭეიშვილი ალექსანდრე.

➤ 8824

1941

#### 4 აპრილი ან შემდეგ

ირაკლი აბაშიძის ნაჩუქარ კრებულში ლექსის „ავტო და დმანისი“ ქვეშ წერს, რომ მხატვართა გამოფენაზე არის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, იოსებ შარლემანის სურათი „აწყური“. ნახატს იდეით უკავშირებს თავის ლექსებს - „ავტომობილი და ურემი“ და „ვენეციის ხიდი“, ასევე ირაკლი აბაშიძის ლექსს. აღნიშნავს, რომ ამ სურათს ყველამ მიაქცია ყურადღება, ისეთი კეთილშობილური, დახვეწილი და სათუთია. ფიქრობს, რომ კარგი იქნებოდა მისი შეძენა.

➤ 8825

1941

#### 4 აპრილი ან შემდეგ

ირაკლი აბაშიძის ნაჩუქარ ლექსების კრებულში ლექსში „ქანდაკება მთაწმინდაზე“ ხაზს უსვამს სტრიქონებს და მიუთითებს თავისი თუ სხვისი რომელი ლექსის გავლენითაა დაწერილი. სიტყვების: „მე ხშირად მესმის შრიალი მშვიდი, როგორც ბალახზე დაცემა რთვილის“ გასწვრივ წერს: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“, სიტყვების: „ნელა ჩადგება დიდუბის უკან და მერე ისევ განმეორდება“ გასწვრივ - „ყველაფერი იგი ისევ ისე განმეორდება“, სიტყვების: „მე მთისკენ გავწევ ნაბიჯით ჩქარით“ გასწვრივ - „ტაძრიდან გასულს

ნაბიჯი ჩქარი („მერი“), ხოლო სიტყვებთან „იმ გრიგალებში ჩაცმული ქართან“ მიაწერს, რომ ეს მისი წინადადებაა.

➤ 8826

1941

### 5 აპრილი

ოლღა დარიუსი დღიურში საყვედურით უწერს, რომ მასზე არავითარი თხოვნა და გაფრთხილება არ მოქმედებს. ისევ სვამს. ამიტომ ცხოვრება აუტანელი და არასაჭირო ხდება. სთხოვს, შეხედოს ბენიამინ პოპოვს, გიორგი ქუჩიშვილს, ფიოდორ ჩუდეცკის და მთვრალ მაწანწალებს ქუჩაში, სმამ არც ერთ მათგანს არ მოუტანა ბედნიერება.

➤ 8827

1941

### 2-6 აპრილი

ბიძაშვილთან, სოფიო ტაბიძესთან ერთად ათვალეიერებს მამის, ვასილ ტაბიძის კუთვნილ, XVII საუკუნის ხელნაწერ წიგნს „სწავლანი სულიერნი ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე აღმსარებლისა სტოდიელთა წინამძღვარისა თვისთა მოწაფეთა მიმართ“. სოფიო გაკვირვებულია, როგორი წვრილი ასოებით არის ნაწერი, პირველ გვერდზე თავლის სანთლის ლაქას ამჩნევს და გალაკტიონს ეუბნება, რომ, სავარაუდოდ, ამ წიგნს ღამ-ღამობით გულმოდგინედ კითხულობდნენ.

➤ 8828

1941

### 6 აპრილი

დღიურში აღწერს მამის, ვასილ ტაბიძის კუთვნილი წიგნის „სწავლანი სულიერნი ღირსისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანე აღმსარებლისა სტოდიელთა წინამძღვარისა თვისთა მოწაფეთა მიმართ“ – პირველ გვერდს, წარწერებს ყდაზე, საინტერესო წარწერებს ფორზაცზე, ფორზაცის მეორე გვერდს და ნუმერაციას. აღნიშნავს, რომ ყველა თავის სათაური კინოვარიტაა შესრულებული და როდესაც შალვა რადიანმა ნახა წიგნი, წამოიძახა, რომ გაიგო, საიდან გაჩნდა გალაკტიონის ლექსში სტრიქონები: „ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს კინოვარი... ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. წერს, რომ წიგნს XVII საუკუნეს მიაკუთვნებენ, რადგან ამ საუკუნეში ქართული კალიგრაფია უმაღლეს მწერვალზე იყო.

➤ 8829

1941

### 2-7 აპრილი

დოდო თოდრიას აძლევს წიგნს და სურათს.

➤ 8830

1941

### 2-7 აპრილი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ 7 აპრილს 2-ის ნახევარზე მისასვლელია მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

➤ 8831

1941

### 7 აპრილი

რადიოში უსმენს გიორგი ლეონიძეს, რომელიც საკუთარ ლექსებს კითხულობს. გალაკტიონი წარმოიდგენს, თითქოს ის მუხლმოდრეკილია და პარტიისგან დაფასებას ითხოვს. აინტერესებს, სტალინური პრემია ხომ მისცეს და ახლა რაღა უნდა. პოეტის აზრით, ლეონიძის ღირსია

განუწყვეტელი დითირამბია საკუთარი თავისადმი, მისი კითხვის მუსიკალური მანერა კი ტიცან ტაბიდის მიბაძვაა. ლეონიძეს გაფეტიშებული ჰყავს საიათნოვა, ფიროსმანი და ვაჟა-ფშაველა და ზოგჯერ ამ თავის კერპებსაც უტოლებს თავს. ამავე გადაცემაში გალაკტიონი ისმენს, რომ ვიღაც მოხსენებით გამოდის ლეონიძის შემოქმედების შესახებ, თამარ ჭავჭავაძე კი თავდავიწყებით კითხულობს მის ლექსებს. გალაკტიონს ახსენდება ერთი კურიოზი. როდესაც ოპერაში „ტოსკა“ დაიდგა, გიორგი ლეონიძემ გაზეთში ეს ოპერა „მწუხარებად“ მოიხსენია, რადგან სიტყვა „ტოსკა“ რუსულად მწუხარებას ნიშნავს.

➤ 8832

1941

### 7 აპრილამდე და შემდეგ

გიორგი აბზიანიძე წერს მონოგრაფიას გალაკტიონ ტაბიდის შესახებ.

➤ 8833

1941

### 7 აპრილის შემდეგ

ჟურნალში „ოქტომბრელი“ იბეჭდება ლექსი „გაზაფხული“.

➤ 8834

1941

### 8 აპრილამდე

წერს ლექსს „კავშირი გულთა შორის“.

➤ 8835

1941

### 8 აპრილი

გამომცემლობიდან „ფედერაცია“ მოაქვს დასათვალისწინებლად მისი წიგნისთვის „მშობლიური ჩემო მიწავ“ აკაკი გაწერელიასა და შალვა დემეტრაძის მიერ შერჩეული ლექსები. ძირითადად მოსწონს, მაგრამ უნდა, რომ დაამატოს ახლებიც.

➤ 8836

1941

### 9 აპრილი

მასთან მიდის სავლე აბულაძე და აცნობებს, რომ მასწავლებელთა სახლში საღამო დაინიშნა 20 აპრილისათვის. ადგენენ განცხადების ტექსტს და თემების მიახლოვებით სქემას, რომელზეც იმუშავენ წრის წევრები.

➤ 8837

1941

### 9 აპრილი

გაზეთში „სტალინელი“ ქვეყნდება განცხადება „ქართული პოეზიის საღამო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 12 აპრილს 7 საათზე გორის პედაგოგიური ინსტიტუტი აწყობს პოეზიის გრანდიოზულ საღამოს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ალიო მამაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე და ილო მოსაშვილი.

➤ 8838

1941

### 9 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს ქრონიკას, რომ 10 აპრილს, მუშა და სოფლის კორესპონდენტთა კაბინეტში მოეწეობა სტალინური პრემიების ლაურეატების – ლეო ქიაჩელისა და გიორგი ლეონიძის შეხვედრა ძირეული პრესის მუშაკთა და მუშა კორესპონდენტთა აქტივთან, რომელზეც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, ირაკლი აბაშიძე გააკეთებს მოხსენებას ლაურეატების შემოქმედების შესახებ, შემდეგ კი ლეო ქიაჩელი და გიორგი ლეონიძე დამსწრეებს გაუზიარებენ შემოქმედებითი მუშაობის მეთოდებს.

➤ 8839

1941

### 9 აპრილის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „საიუბილეო“ („დაე, ქარიშხალთ ქარიშხალში...“), რომელიც ეძღვნება საქართველოს გასაბჭოების 20 წლის თავს.

➤ 8840

1941

### 9 აპრილის შემდეგ

ჟურნალის „მნათობი“ 1941 წლის თებერვლის ნომერში იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის წერილი კრებულის „საბჭოთა საქართველო“. შესახებ. აღნიშნულია, რომ მასში გამოხატულია უსაზღვრო მადლიერება სტალინისადმი, ხალხის მზადყოფნა გმირული ბრძოლებით მოპოვებული თავისუფლების თავისი სისხლით დასაცავად, რასაც ადასტურებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომლითაც იხსნება წიგნი.

➤ 8841

1941

### 9 აპრილის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის ვრცელი, მიმოხილვითი ხასიათის სტატია „საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა“, რომლის ერთი ნაწილი ეთმობა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. კრიტიკოსის აზრით, პოეტის რევოლუციამდელი ლირიკა შეიცავდა ყველა წინაპირობას პოეტის შემოქმედებითი ბუნების განახლებისთვის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე იგი ყოველგვარი მერყეობის გარეშე გახდა ახალი ცხოვრების მომღერალი, ხოლო დროთა განმავლობაში მისი შემოქმედება გამდიდრდა უფრო და უფრო ღრმა თემებითა და იდეებით. სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ ლექსების ციკლში „მოგონებანი ევროპაზე“ ნაჩვენებია კაპიტალისტური სამყაროს მწვავე წინააღმდეგობათა ამსახველი სურათები.

➤ 8842

1941

### 9 აპრილის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ილია თავაძის სტატია „ქართველი ხალხის ხელოვნება“. ავტორი მსჯელობს ქართველებისათვის განსაკუთრებით ძვირფასი და საყვარელი პოეტების შესახებ და უპირველესად ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს.

➤ 8843

1941

### 11 აპრილი

„ლიტერატურული საქართველოს“ საინფორმაციო წერილში „ქართული საბჭოთა პოეზიის საღამო გორში“ ნათქვამია, რომ 12 აპრილს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინსტიტუტის კლუბში აწყობს ქართული საბჭოთა პოეზიის დიდ საღამოს, რომელზეც მიწვეულები არიან: გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ალიო მამაშვილი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი და ირაკლი აბაშიძე.



➤ 8844

1941

11 აპრილი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ინფორმაცია ჟურნალის „მნათობი“ მესამე ნომრის შესახებ და მასში მოთავსებულ პუბლიკაციათა შორის ნახსენებია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „პარიზის კომუნა“.

➤ 8845

1941

11 აპრილი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება სტატია „გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებითი სადამო პლენანოვის სახელობის კლუბში“, რომელშიც საუბარია 4 აპრილს ჩატარებული სადამოს შესახებ.

➤ 8846

1941

12 აპრილი

ოლღა დარიუსთან ერთად ჩადის გორში, ათვალიერებს გორის ციხეს და სთხოვს, რომ მისი კედლის გამოსახულებები ჩაიხატოს. ოლღა დარიუსი ხატავს, როგორც შეუძლია და იქვე მიახატავს კაცის ფიგურას, რომელსაც გალაკტიონი თავის თავს მიაძგავს. პოულობენ მინანქრიან ნამტვრევს. შემდეგ გაივლიან გორის ბაზარში, სადაც ძვირად ყიდულობენ ერთ კილო ვაშლს და მიდიან სტალინის სახლ-მუზეუმის დასათვალიერებლად.

➤ 8847

1941

12 აპრილი

გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში მშრომელთათვის გამართული ქართული საბჭოთა პოეზიის დიდი სადამო ინსტიტუტის კლუბში იმართება. მომხსენებელი იპოლიტე ვართაგავა დამსწრეთ თავის ყოფილ მოსწავლეებზე გალაკტიონ ტაბიძესა და გიორგი ლეონიძეზე მოუთხრობს. მომხსენებელი ალექსანდრე ლლონტი გალაკტიონს პოეზიის ჯადოქარს, ხოლო მის შედევრებს ქართული პოეზიის სვეტიცხოველს უწოდებს. ვასო ბაიაძე სტუმარ პოეტებს პოეზიის გენერალიტეტად, ხოლო გალაკტიონს პოეზიის მთავარსარდალად მოიხსენიებს. გალაკტიონი კითხულობს ლექსებს – „მთაწმინდის მთვარე“, „რევოლიუციონური საქართველო“ და „მშობლიური ჩემო მიწავ“.

➤ 8848

1941

12 აპრილი

გორში გამართული ქართული პოეზიის სადამოს დასრულების შემდეგ გვერდით გაიხმობს ალექსანდრე ლლონტს და ეუბნება, როგორც აქ ითქვა, გალაკტიონი ლექსის ჯადოქარია, სვეტიცხოველია, ლექსის მთავარსარდალია, მაგრამ რატომ ხდება ისე, რომ პრემიებს სხვები იღებენო.

➤ 8849

1941

13 აპრილი

რესპუბლიკის სახალხო არტისტ პავლე ფრანგიშვილის მიწვევით გორში მყოფ ქართველ მწერლებთან ერთად ნახულობს წარმოდგენას „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და ხვდება თეატრის კოლექტივს.

➤ 8850

1941

**8-14 აპრილი**

გამომცემლობიდან „ფედერაცია“ მოაქვს წიგნის „მშობლიური ჩემო მიწავ“ ამონაბეჭდი, ითვლის სტრიქონებს და გადაწყვეტს, დაამატოს ერთ იმდენზე მეტი – 3543 სტრიქონი და ჩამოწერს დასამატებელ ლექსებს მესამე ტომიდან: „ვარდები“, „მშობლიური ჩემო მიწა!“, „ახალი ტფილისი“, „კავკასიონის ქარი“, ნაწყვეტი პოემიდან „უძველესი ქალაქები“, ნაწყვეტი პოემიდან „კაფე კორსოს ქუჩაზე“, ნაწყვეტი პოემიდან „კომპიენის ტყე“, „Larix sibirica“, „Ars longa, vita brevis“ და ნაწყვეტი პოემიდან „აკაკი წერეთელი“. აინტერესებს, რამდენი გვერდი შეიძლება იყოს დიდი ფორმატის წიგნი და რამდენი ლექსი შეიძლება დაეტიოს. აღნიშნავს, რომ წიგნს უნდა დაერთოს შენიშვნები, გიორგი აბზიანიძის მონოგრაფია და ფაქსიმილე.

➤ 8851

1941

**14 აპრილი**

დღიურში ინიშნავს, რომ მოსამზადებელია პირველი მაისისთვის. უნდა მოაგვაროს კოსტიუმის საქმე და ლექსი გააგზავნოს „მნათობში“.

➤ 8852

1941

**14 აპრილი**

დღიურში იწერს რითმებს.

➤ 8853

1941

**15 აპრილი**

აკეთებს ჩანაწერს 20-იან წლებში მიუსაფარ ბავშვებთან ერთად გადაღებული ფოტოს შესახებ. აღნიშნავს, რომ ერთ დღეს რკინიგზის სადგურთან შეხვდნენ უპატრონო ბავშვები, რომლებიც რუსეთიდან იყვნენ ჩამოსულნი. მათი მშობლები სამოქალაქო ომში დაღუპულიყვნენ და საქართველოს უკეთესი ჰავის გამო მოაშურეს. გალაკტიონის თქმით, იმავე დღეს იგი შეხვედრია შიო მღვიმელს, რომელსაც გალაკტიონისა და ბავშვების ფოტოსურათის ნახვისას ცრემლი მორევია და პოეტისთვის სურათი გამოურთმევია. გალაკტიონი მიუთითებს, რომ მთავრობის მზრუნველობით პატარები საბავშვო სახლებში დაბინავდნენ, სადაც მათ უვლიდნენ და ასწავლიდნენ. მათთან შეხვედრის ამბავი კი მას შემდეგ გაახსენდა, რაც აჩვენეს შიო მღვიმელის ქაღალდებში აღმოჩენილი ის ფოტოსურათი.

➤ 8854

1941

**15-16 აპრილი**

დღიურში სათაურით „იდეა სადამოებისა“ ჩამოთვლის სად შეიძლება სადამოების გამართვა მაისის განმავლობაში. ჩამონათვალშია: მწერალთა კავშირი, უნივერსიტეტი, ცეკავშირი, მარჯანიშვილის, გრიბოედოვისა, რუსთაველის, მუსიკალური კომედიისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრები, საჯარო ბიბლიოთეკა, ჯაფარიძის სახელობის ბაღი, ვოროშილოვის, ბერიას, ძერჟინსკის, ორჯონიკიძის, გორკის სახელობის კლუბები, ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლა, ხალხური შემოქმედებისა და წითელი არმიის სახლები, წითელი არმიის, პიონერების, მხატვართა, ნავთლულის, საზოგადოებრივი კვებისა და საქართველოს ალპიური კლუბები, სახელმწიფო კინომრეწველობა, მშობელთა უნივერსიტეტი, თბილისის საბჭო, ფუნქციონორი, საქართველოს ესტრადა, ფილარმონია, „კომუნისტისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“

რედაქციები. ასევე ნათქვამია, რომ სადამოების გამართვა შეიძლება ფიზკულტურელებთან, 1 მაისს რადიოში და 10 მაისს მასწავლებელთა სახლში.

➤ 8855

1941

15-16 აპრილი

დღიურში სათაურით „იდეა სამაისო რეიდის“ ჩამოთვლის ლექსების რაოდენობებს, რომლებიც უნდა მიაწოდოს ჟურნალ-გაზეთებს: 28 ლექსი – „კომუნისტს“, 28 – „ახალგაზრდა კომუნისტს“, 28 – „ზარია ვოსტოკას“, 1 – „მნათობს“, 4 – „ლიტერატურულ საქართველოს“, 4 – „ნიანგს“, 14 – „საბჭოთა მასწავლებელს“, 1 – „ჩვენს თაობას“.

➤ 8856

1941

15-16 აპრილი

დღიურში წერს თბილისის მასწავლებლის სახლის ლიტერატურულ-პედაგოგიურ წრესთან 20 აპრილს გასამართი შეხვედრის მოსამზადებელი სამუშაოების შესახებ. თარიღად განსაზღვრავს 17-20 აპრილს. აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ სავლე აბულაძის გამოსვლა დამთავრდება ლექსით. თავად აპირებს, ისაუბროს პოეზიის საკითხებზე. სიტყვებით გამოვლენ: სოლომონ ცაიშვილი, იოსებ იმედაშვილი, გრიგოლ ცხვედიანი, ნიკო გურგენიძე, გრიგოლ ჯაფარიძე, ივანე ხალიფაშვილი, იპოლიტე ვართაგავა. დასკვნით ნაწილში ისაუბრებენ წრის მუშაობის შესახებ. მოსამზადებელია აფიშა, განცხადება, განათება. ინიშნავს მასწავლებელთა კლუბის გამგის – ლევან პროკოფაშვილის ტელეფონს. სტენოგრაფისტი ქალები უნდა მივიდნენ სადამოს 8 საათზე. მოსამზადებელია ჟურნალი „ლომისი“ და გაზეთი „პოეზიის დღე“, ასევე მსახიობი დეკლამატორი. თუ სიტყვისთვის ბევრი კაცი ჩაეწერება, სადამო შეიძლება გაგრძელდეს 21 და 22 სექტემბერს. საჭიროა, ინფორმაცია მიაწოდონ სიმონ წვერავას, ობოლ მუშას და ნიკოლოზ იაშვილს. ინიშნავს, რომ დასჭირდება გიორგი აბზიანიძის, სოლომონ ყუბანიეშვილის, დიმიტრი ბენაშვილისა და დავით კასრაძის მონოგრაფიები.

➤ 8857

1941

16 აპრილის შემდეგ

დღიურში იწერს ამონარიდებს ლექსებიდან: „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“, „აგერა! აჰანდე!“, „სიცოცხლის მტევნები“, „თავისუფალი და ძლიერი ადამიანი“, „გასწი, იარე!“, „სამაისო სიმღერებიდან“, „მისდევს რგოლს რგოლი...“, „დღიურ პროზიდან“, „როგორ არ იცით, თუ რა ძალაა“, „ქუხდე, გულისთქმავ!“, „ღიმილი“, „მეცნიერება მედგარ შრომასთან“, „და მაინც კვნესდე“, „იქაურ გულსაც დახედა დრომა“, „ჩვენ, არა ერთი ცხოვრების კიდე...“ და „სადაც ალპებია, ველად“.

➤ 8858

1941

16 აპრილის შემდეგ

დღიურში იწერს გრიგოლ ვენაძისა და ოთარ ეგაძის ტელეფონის ნომრებს და ინიშნავს, რომ მომდევნო დღეს უნდა შეხვდეს კორნელი სანაძეს.

➤ 8859

1941

16 აპრილის შემდეგ

აკეთებს პროზაულ ჩანახატს, ღამით, წვეულების შემდეგ უკუნ სიბნელეში შინ მიმავალი როგორ დაემგზავრება ვიღაც ქალბატონს, რომელმაც ხმაზე იცნო და მისდამი პატივისცემა გამოხატა.

➤ 8860

1941

### 16 აპრილის შემდეგ

დღიურში იწერს გამომცემლობაში „ფედერაცია“ გამოსაცემი წიგნისთვის „მშობლიური ჩემო მიწავ“ დასამატებელი ლექსების სტრიქონების რაოდენობას სათაურების მიხედვით.

➤ 8861

1941

### 16 აპრილის შემდეგ

დღიურში იწერს, რომ გამომცემლობას: „ზარია ვოსტოკა“ უნდა ჩააბაროს პოემების 2000 ბჭკარი, „ფედერაციას“ – პოემების – 1364, სახელმწიფო გამომცემლობას – IV ტომის 5000, საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობას პოემის „მწყემსი“ – 2000, „რემედასს“ – 2000. სულ – 37.092 სტრიქონი.

➤ 8862

1941

### 16 აპრილის შემდეგ

წერს განცხადებას რუსული გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ სახელზე. სთხოვს, შეიტანონ გეგმაში მისი პოემების პატარა წიგნი, საერთო სათაურით „კაფე კორსოს ქუჩაზე“, რომელშიც შევა პოემები: „კაფე კორსოს ქუჩაზე“, „კომპიენის ტყე“, „პარიზის კომუნა“ და „ლტოლვილები“, სულ 3000 სტრიქონი.

➤ 8863

1941

### 16 აპრილის შემდეგ

წერს ლექსს „საპირველმისო მისაღმება შოთა რუსთაველს“.

➤ 8864

1941

### 18 აპრილი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის „მშობლიური ჩემო მიწავ“ ნაწყვეტის თარგმანი, რომელიც შესრულებულია თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტ ვ. ვასილენკოს მიერ.

➤ 8865

1941

### 18 აპრილი

სტატიაში „ქართული საბჭოთა პოეზიის საღამო გორში“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, მიმოხილულია 12 აპრილს გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მიერ ინსტიტუტის კლუბში მოწყობილი ქართული საბჭოთა პოეზიის საღამო. მასში ნათქვამია, რომ საღამოს წარმატება განაპირობა ცნობილი პოეტების: გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ალიო მამაშვილისა და იოსებ გრიშაშვილის მონაწილეობამ. საღამო გახსნა ფაკულტეტის დეკანმა ალექსანდრე ღლონტმა. ქართული საბჭოთა პოეზიის მოკლე მიმოხილვით გამოვიდა ვანო წულუკიძე. სტუდენტების მიერ წაკითხულ მოხსენებათა შორის დასახელებულია: მ. ხუციშვილის „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის თავისებურება“ და ე. კოროტკოვას „გალაკტიონ ტაბიძე, როგორც სოციალისტური რევოლუციის პოეტი“. შემდეგ გალაკტიონ ტაბიძემ და სხვა პოეტებმა წაკითხეს ლექსები და აუდიტორია მქუხარე ტაშით მიეგება მათ.

➤ 8866

1941

**19 აპრილი**

გაზეთი „კომუნისტი“ რადიოგადაცემების ქრონიკაში ბეჭდავს ინფორმაციას, რომ მიმდინარე დღის 21 საათსა და 30 წუთზე გაიმართება ლიტერატურული გადაცემა „მიკროფონთან გ. ტაბიძე“, რომელსაც დაეთმობა 35 წუთი.

➤ 8867

1941

**19 აპრილი**

სადამოს 21 საათსა და 30 წუთზე მონაწილეობს ლიტერატურულ რადიოგადაცემაში „მიკროფონთან გ. ტაბიძე“.

➤ 8868

1941

**19 აპრილის შემდეგ**

ბორის სერებრიაკოვი აცნობებს, რომ ლექსის „Eesti“ რუსული თარგმანი გაზეთიდან „ზარია ვოსტოკა“ გადაბეჭდილია ესტონეთში, ტალინის გაზეთში.

➤ 8869

1941

**19 აპრილის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რა მშვენიერია ცა საქართველოსი...“.

➤ 8870

1941

**19 აპრილის შემდეგ**

ჟურნალის „მნათობი“ მესამე ნომერში იბეჭდება ლექსი „პარიზის კომუნა“ („ამგვარად სავსე დღის საწყაული...“), რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ეჟენ პოტიეს სიტყვები: „აჰა, მოედო ხალხი ქუჩებს და ყველა მღერის, პირველად მღერის გამარჯვება და პოეზია.“

➤ 8871

1941

**20 აპრილი**

სადამოს 8 საათზე ტარდება გალაკტიონ ტაბიძის სადამო მასწავლებლის სახლში. სავლე აბულაძე კითხულობს მოხსენებას, სიტყვით გამოდიან გრიგოლ ჯაფარიძე და ილია სიხარულიძე, ახალგაზრდა პოეტები კითხულობენ ლექსებს.

➤ 8872

1941

**20 აპრილი**

მართავს შეხვედრას თბილისის მასწავლებლის სახლის ლიტერატურული წრის წევრებთან. სიტყვით გამოდიან სიმონ წვერავა, სავლე აბულაძე და სხვები.

➤ 8873

1941

**20 აპრილის შემდეგ**

საკუთარი ბიბლიოგრაფიისათვის უბის წიგნაკში ინიშნავს დაუბეჭდავ მასალებს, კერძოდ, თბილისის მასწავლებლის სახლის ლიტერატურული წრის წევრებთან შეხვედრაზე გამომსვლელთა სიტყვებსა და მოხსენებებს.

➤ 8874

1941

## 20 აპრილი ან შემდეგ

დღიურში ჩამოწერს იმ ას პოეტს, ვისაც მის შესახებ ლექსი, ესე ან ნარკვევი აქვს დაწერილი: სანდრო შანშიაშვილი, დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი, ვალერიან გუნია, განდევილი, შალვა დადიანი, ია ეკალაძე, ტრიფონ რამიშვილი, შიო მღვიმელი, გიორგი ქუჩიშვილი, ვარლამ რუხაძე, ნიკო კურდღელაშვილი, ილო მოსაშვილი, ლიდია მეგრელიძე, დარია ახვლედიანი, ლავრენტი ძიძიგური, ლიდია მეგრელიძე, ოლიმპიელი, ალექსანდრე აბაშელი, ბობოხიძე კალე, გელოვანი მირზა, გორგაძე ვასო, გარიყული მარიამ, იეთიმ გურჯი, თავაძე სოლომონ, მიქელაძე მარიკა, ლორთქიფანიძე კონსტანტინე, ჟურული ვარლამ, ქორქია როდიონ, შენგელაია დემნა, ხიდისთაველი სიო, გრიშაშვილი სოსო, მრეველიშვილი მარიკა, ნადირაძე კოლაუ, ყიფიანი ივიკა, შუბლაძე ვერა, თევზაძე ანდრო, კაშმაძე შალვა, გიორგი გაგუა, სოსო ამაშუკელი, ნიკოლოზ ჭილაშვილი, ექვთიმე ჭანიშვილი, კონსტანტინე რატიშვილი, დავით გაბრუაშვილი, ირაკლი ტოფაძე, გიორგი სიდომილი, გიორგი შინატეხელი, ქეთევან ქუჩუკაშვილი, ვახტანგ ხუციშვილი, ვასილ გუჯაბიძე, ვასილ კირვალიძე, ეკატერინე გაბაშვილისა, ნათელა ვეშაპელი, ლიუვენა, ვალიკო ციურელი, გივი ორჯონიკიძე, გრიგოლ ტაბატაძე, გრიგოლ აროსია, გიორგი ლომთათიძე, სევერიან ისიანი, საფო მგელაძე, იოსებ გვანცელაძე, ილია ხინველი, იოსებ გვანცელაძე, რაუდ გოგობია, თუში, აშულ-მურადი, სავლე აბულაძე, ვერა კუპრაშვილი, ნინო ტყემელაშვილი, ვარდენ კურტანიძე, ბანსპიჩო ჩიჩუა, ანდრო ჭავჭავანიძე, გერონტი ტულუში, ვანო ბეროშვილი, ვლადიმერ სულაბერიძე, შაქრო ნავთელუდელი, მიხეილ უზნაძე, ლადო მაჭავარიანი, სევერიან მუსერიძე, გუგული ნასარიძე, ვანიონ დარასელი, გიორგი სამხარაძე, შალვა შავგულიძე, რუბენ აკოფოვი, რიურიკ ივნივი, ბორის ბრიკი.

➤ 8875

1941

## 25 აპრილი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი სათაურით „გალაქტიონ ტაბიძის შეხვედრა მასწავლებელთა სახლის ლიტერატურული წრის წევრებთან“, რომელშიც ნათქვამია, რომ ეს შეხვედრა შედგა 20 აპრილს. მომხსენებელმა სიმონ წვერაძემ ისაუბრა გალაქტიონ ტაბიძის როლზე ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების საქმეში, სავლე აბულაძემ კი პოეტის შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე. მწერალმა ილია სიხარულიძემ და დოცენტმა გრიგოლ ჯაფარიძემ ხაზი გაუსვეს გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების მნიშვნელობას ახალგაზრდების კომუნისტურად აღზრდის საქმეში. აღინიშნა, რომ მისი პოეზიის მიხედვით ახალგაზრდები დაამუშავებენ ლენინისა და სტალინის სახეს მის შემოქმედებაში, თემებს: გ. ტაბიძე, როგორც ინტერნაციონალური სოლიდარობის მომღერალი, საბჭოთა პატრიოტიზმი გ. ტაბიძის პოეზიაში და სხვა. ახალგაზრდა პოეტებმა: შალვა ბაკიძემ და მიხეილ ზანგურაშვილმა წაიკითხეს გალაქტიონისადმი მიძღვნილი ლექსები. დასასრულ თავად პოეტმა წაიკითხა ლექსები: „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რევოლუციონური საქართველო“ და „მთაწმინდის მთვარე“.

➤ 8876

1941

## 26 აპრილამდე

მიემგზავრება აფხაზეთში „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანის გამოცემისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

➤ 8877

1941

## 26 აპრილი

აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში ესწრება „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური გამოცემისადმი მიძღვნილ საბჭოთა პოეზიის საღამოს და ზის საპატიო პრეზიდენტში.

➤ 8878

1941

26 აპრილი

სიტყვით გამოდის სოხუმის სახელმწიფო თეატრში „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანის გამოცემისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე.

➤ 8879

1941

26 აპრილი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ვეფხისტყაოსანი აფხაზურ ენაზე“ აღნიშნულია, რომ აფხაზურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ გამოსვლასთან დაკავშირებით სოხუმში, აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში, 26 აპრილს გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი პოეტები: ირაკლი აბაშიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ილო მოსაშვილი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, რაჟდენ გვეტაძე და კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

➤ 8880

1941

27 აპრილი

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ ქვეყნდება წერილი „სალიტერატურო საღამო აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 27 აპრილს აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში გაიმართა უმნიშვნელოვანესი ფაქტის – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანის დაბეჭდვისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელსაც დაესწრნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული მუშაკები და ინტელიგენციის წარმომადგენლები. სიტყვით გამოვიდნენ ქართველი მწერლები, მათ შორის საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 8881

1941

27 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო წერილი „საბჭოთა პოეზიის საღამო სოხუმში“, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, რომ მიმდინარე წლის 26 აპრილს აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში შედგა „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური გამოცემისადმი მიძღვნილი საბჭოთა პოეზიის საღამო, რომელიც ნამდვილ დღესასწაულად იქცა. პრეზიდენტში მსხდომ პოეტთაგან დასახელებულია შოთა რუსთაველის პოემის მთარგმნელი დიმიტრი გულია, გალაკტიონ ტაბიძე, ირაკლი აბაშიძე, ილო მოსაშვილი და სხვები. საკუთარი ლექსები წაიკითხეს გალაკტიონ ტაბიძემ, ილო მოსაშვილმა და კონსტანტინე ჭიჭინაძემ.

➤ 8882

1941

27 აპრილის შემდეგ

ადგენს მის შესახებ არსებული პუბლიკაციებისა და ზეპირი გამოსვლების ნუსხას, რომელიც 245 ერთეულს მოიცავს.

➤ 8883

1941

29 აპრილი

უბის წიგნაკში იწერს, რომ გასაგზავნი აქვს დეპეშა სამტრედიაში, მომდევნო დღეს კი მისასვლელია მწერალთა კავშირში და ელოდება პოლიო აბრამიას ზარს.

➤ 8884

1941

**29 აპრილი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ აპირებს მოსკოვში გამგზავრებას, მაგრამ არ იცის, როდის. აინტერესებს, ვინ არის საღამოს მოსაწყობად მოსკოვიდან თბილისში ჩასული კაცი და მოხერხდება თუ არა მისი ნახვა. ფიქრობს, რომ ვასილი კაჩალოვი საქმეში არ უნდა ჩაერიოს. ვერ ხვდება, რა საჭიროა ორ-ორი პოეტის – რევოლუციამდელის და რევოლუციის შემდეგდროინდელის – საღამოების ცალ-ცალკე მოწყობა, თითქოს ის, ვინც რევოლუციის შემდეგ დაიწყო მოღვაწეობა, ცალსახად სჯობდეს და თითქოს ის, ვინც რევოლუციამდე დაიწყო წერა, ისევ არ აგრძელებდეს. აინტერესებს, გაზეთის „კრასნაია ნოვ“ რედაქციაშია თუ არა იგორ სევერიანინი. ვარაუდობს, რომ სხვები დიდი ხანია ემზადებიან ჩუმად, მას კი სრულიად მოუმზადებლად უხდება წასვლა.

➤ 8885

1941

**29 აპრილის შემდეგ**

აინტერესებს, ბორის სერებრიაკოვმა უკვე გადასცა რადიოს მისი ლექსების რუსული თარგმანები თუ ჯერ მზად არა აქვს.

➤ 8886

1941

**29 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს ა. აბალაურის ლექსს „გენია გალაკტიონის“.

➤ 8887

1941

**29 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ კოლია კანდელაკს უნდა შეხვდეს 17 მაისს 12 საათზე.

➤ 8888

1941

**29 აპრილის შემდეგ**

ექსპრომტად წერს ლექსს „აჰა, შენ გგონია პიანისტი დაეცა...“.

➤ 8889

1941

**29 აპრილის შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს, რომ ყოველდღიურ გაზეთში „წითელ-არმიელი“ 1932 წლის 10 დეკემბრის №284-ში დაიბეჭდა ცნობა სამხედრო მწერალთა ცენტრალური წრის თავმჯდომარედ გალაკტიონ ტაბიძის დამტკიცების შესახებ.

➤ 8890

1941

**29 აპრილის შემდეგ**

ერემია ასტვაცატუროვი უამბობს, რომ მიუხედავად ირაკლი აბაშიძის, სანდრო ეულისა და სიმონ ჩიქოვანის დიდი ხნის წინააღმდეგობისა, მისი წერილი დაიბეჭდა. დაიბარეს ცეკაში, მთელი მწერლობა აღელვებულიაო, მან კი აზრი არ შეიცვალა. ამ საკითხის შესახებ მოიწვიეს მწერალთა პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომაო, ლეო ქიაჩელი დიდი უსინდისო კაცი ყოფილა და რაღაც პოლიტიკას აწარმოებსო. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ მას ამ კრებაზე არ მიიწვევდნენ და



ქიჩელის შესახებ ისედაც ასე ფიქრობდა. ჟურნალის „ჩვენი თაობა“ მეორე ნომერი გასაყიდად არ გამოსულა. გამოვიდა №2-3, მაგრამ ერემია ასტვაცატუროვის წერილი მასში გამოქვეყნებული არ არის. მას ცვლის გაბრიელ ჯაბუშანურის ტრაბახით სავსე წერილი, რომელშიც საუბარია მის და სიმონ ჩიქოვანის შესახებ.

➤ 8891

1941

### 29 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს რუსულენოვან მასალებს: პანტელეიმონ პეტრენკოსა და ბორის ბრიკის თარგმანებს, 1934 წლის 17 ივნისს ლენინგრადის ხელოვნების აკადემიის შენობაში გამართულ საღამოს, პწკარედებს, დაუბეჭდავ თარგმანებს, გაზეთებში დაბეჭდილ თარგმანებს, 1936 წლის 4 სექტემბერს რუსულ გაზეთში „პრავდა“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას ლენინის ორდენით მისი დაჯილდოვების შესახებ, 1934 წლის 20 სექტემბერს მაქსიმ გორკის წერილს ალექსანდრ პუშკინის საიუბილეო კომიტეტში მისი არჩევის შესახებ. მისი თხზულებების სამი ტომის, „ეპოქისა“ და სხვა გამოცემების ისტორიას.

➤ 8892

1941

### 29 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს წიგნებს, რომლებშიც შესულია წერილები მის შესახებ. ჩამონათვალშია 1941 წელს სიმონ ხუნდაძის გამოცემული „ნარკვევები“, რომელშიც თავს „გალაკტიონ ტაბიძე“ ეთმობა 352-370 გვერდები და გალაკტიონი ნახსენებია ბესარიონ ჟღენტის წინასიტყვაობაშიც. აქვეა ჩანიშნული აკაკი გაწერელიას ლიტერატურული ნარკვევების კრებული „წიგნები და ავტორები“, რომელშიც თავს „გალაკტიონ ტაბიძე“ უკავია 201-212 გვერდები.

➤ 8893

1941

### 29 აპრილის შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის წერას „იფროთხილა, ფრთა გაშალა...“.

➤ 8894

1941

### 30 აპრილი

უნიშნავენ პენსიას და აძლევენ საპენსიო ბარათს.

➤ 8895

1941

### აპრილი

ჟურნალში „რემედასი“ იბეჭდება ლექსი „1 მაისი“.

➤ 8896

1941

### აპრილი

ფილარმონიის საზაფხულო დარბაზში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის საღამოზე მოხსენებით გამოდის სიმონ წვერაძე.

➤ 8897

მ ა ი ს ი

1941

### მაისამდე

წერს ლექსს „სამაისო“.

➤ 8898

1941

1 მაისამდე

წერს ლექსს „სალამი მაისს“.

➤ 8899

1941

1 მაისი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სალამი მაისს“ („ვით არ ვადიდო ქვეყანა ჩემი...“) ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 8900

1941

1 მაისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „სალამი მაისს“.

➤ 8901

1941

9 მაისის შემდეგ

წერილს იღებს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ახალი კინდლის მეშვიდე კლასის მოსწავლე დავით წოწონავასგან. მას აინტერესებს, როგორ უნდა გაიგოს ჟურნალის „ჩვენი თაობა“ 1938 წლის ნომერში ამოკითხული ფრაზა, რომ გალაკტიონმა აღადგინა ბარათაშვილისეული რომანტიკულ-სიმბოლისტური პოეტური ხმა. მოსწავლეს აინტერესებს, არის თუ არა მე-19 და მე-20 საუკუნის მწერლების ლიტერატურას შორის განსხვავება როგორც ფორმით, ისე შინაარსით.

➤ 8902

1941

10 მაისის შემდეგ

გიორგი ქუჩიშვილის წიგნში „რჩეული ლექსები“ აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 8903

1941

15 მაისი

წერს ლექსს „კლარა ცეტკინა“.

➤ 8904

1941

16 მაისის შემდეგ

სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონში ხაზგასმებს აკეთებს სიტყვებზე და ბოლო გვერდზე წერს რითმებს.

➤ 8905

1941

17 მაისი ან შემდეგ

იღებს ილია ხინველის წერილს. ატყობინებს, რომ გალაკტიონის ლექსის „სალამი მაისს“ მანქანაზე გადაბეჭდილ ასლში, რომელიც მას გადაეცა, მბეჭდავის შეცდომა იყო. გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებული ფრაზის „ხმოვან სიმღერას“ ნაცვლად ეწერა „სამოვან სიმღერას“ და რადგან მარცვალთა რაოდენობა ირღვეოდა, ადრესანტმა ჩაასწორა ფრაზით „შვების

სიმღერას“. სწერს, რომ რედაქციის მდივანს გააგზავნინა მისთვის ჰონორარი და დიდ ბოდიშს უხდის მისი უკიდურესი სიმცირის გამო.

➤ 8906

1941

### 23 მაისის შემდეგ

წერილს იღებს სერგო ჯინჭველაშვილისგან, რომელიც სთხოვს მისი საქმის მოსაგვარებლად სადავო მისვლას, პენსიის აღებამდე 51 მანეთის სესხებას და რამდენიმე საწერი ფურცლის მიწოდებას.

➤ 8907

1941

### 26 მაისამდე

წერს ლექსს „ო, სიხარულო შემოქმედების“.

➤ 8908

1941

### 26 მაისის შემდეგ

ჟურნალში „ოქტომბრელი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მოდის მაისი“.

➤ 8909

1941

### აპრილ-მაისი

მთაწმინდის პარკში იმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო, რომლის დასასრულს მადლობის შემდეგ გალაკტიონი კითხულობს ლექსს „მთაწმინდის მთვარე“ და სწორედ, ამ დროს მთვარე ამოანათებს, რასაც დამსწრე საზოგადოება ტაშის გრიალით ეგებება. როცა დარბაზი წყნარდება და პოეტი ლექსის კითხვას აგრძელებს, მსმენელთა ერთი ჯგუფი სწორედ მაშინ იწყებს ტაშის დაკვრას. აღმოჩნდება, რომ დარბაზში უცხოელები სხედან, რომელნიც თარჯიმნისგან იგებენ ამ საოცარი დამთხვევის შესახებ და თავადაც ტაშით გამოხატავენ ემოციას.

➤ 8910

1941

### მაისი

უბის წიგნაკში ოლღა დარიუსი უწერს, რომ ტუნგუსკის მეტეორიტი ჩამოვარდა 1908 წლის 30 ივნისს დილის 7 საათზე. მეტეორიტის ვარდნას აკვირდებოდნენ მთელი ცენტრალური ციმბირის ტერიტორიაზე. ის დაახლოებით 10 წამის განმავლობაში მიფრინავდა ცაზე ცეცხლოვანი ბურთის ისეთი სიკაშკაშით, რომ მზის ფონზეც კი ჩანდა. მეტეორიტი დიდი სიჩქარით დაეცა მიწაზე.

➤ 8911

1941

### მაისი

უბის წიგნაკში იწერს სიკო ფაშალიშვილის სტალინის სამოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსის – „სალამი საქართველოდან“ სათაურს, რომელიც ჟურნალში „რემედასი“ გამოქვეყნდა 1939 წელს და ლიდია მეგრელიძის სტატიის სათაურს „ცოტა რამ ფოთის თეატრის ისტორიისათვის“, რომელიც ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ დაიბეჭდა 1940 წელს.

➤ 8912

1941

### მაისი

უბის წიგნაკში იწერს, რომ შალვა დადიანზე სტატიები აქვთ ერემია ასტვაცატუროვს და შალვა რადიანს, ჟურნალში „პიონერი“ დაიბეჭდა წერილი „სახელოვანი იუბილარი“, ალკა სულავამ გამოაქვეყნა „ხალხის საყვარელი მწერალი“. სიმონ ქვარიანმა – „შალვა დადიანი“, ჟურნალში „ოქტომბრელი“ კი დაიბეჭდა ლექსი.

➤ 8913

1941

მაისი

ადგენს გასული ორი წლის ბიბლიოგრაფიულ ნუსხას, რომელშიც შედის როგორც მისი თხზულებები, ისე ის პუბლიკაციები, რომლებიც მას ან მის შემოქმედებას ეძღვნება.

➤ 8914

1941

მაისი

ჟურნალში „რემედასი“ იბეჭდება ლექსი „კლარა ცეტკინა“.

➤ 8915

1941

**ზაფხული ან შემდეგ**

ელბაქიდის (ამჟამად გალაკტიონის) ხიდთან ხვდება ლავროსი კალანდაძეს და სთავაზობს ცოტაოდენი კონიაკის დაღევას. ლავროსი კალანდაძე ამბობს, რომ მართლაც კარგი იქნება, შესვან პოეზიის სადიდებელი, რადგან პოეზიაა კაცობრიობის ერთ-ერთი მთავარი მხსნელი. გალაკტიონი პასუხობს, რომ პოეზიის როლის ასეთი გაზვიადება ზეცასაც არ ესამოვნება. მართალია, პოეზია გრძნობის აგიზგიზებაც არის და წამებაც, მაგრამ ხანძრის ჩასაქრობად წყლის შადრევანია საჭირო... პოეზიაში კი ერთი წვეთი წყალიც არ უნდა იყოსო.

➤ 8916

1941

**ზაფხული ან შემდეგ**

ხვდება შალვა კაშმაძეს და ლავროსი კალანდაძეს. ლავროსი კალანდაძის სიტყვებს მისი პესიმიზმის შესახებ პასუხობს, რომ სინამდვილეში ძალიან უყვარს ცა, დედამიწა, სიცოცხლე, დროგამოშვებით კი, არა მხოლოდ მას, ყველა ადამიანს ეუფლება სევდა.

➤ 8917

1941

**ზაფხული ან შემდეგ**

მეგობრებთან საუბრისას იხსენებს, როგორ ენამწარედ უთხრა ერთხელ გიორგი ქუჩიშვილმა, ჯიბეში მორიელი ხომ არ გიზის, ხელის ჩაყოფა და ფულის ამოღება რომ გეშინიაო. სინანულით აღნიშნავს, რომ იმ დროს მართლა არ ჰქონდა ფული.

➤ 8918

1941

**ზაფხული ან შემდეგ**

მეგობრებთან საუბრისას ამბობს, რომ მარადისობასთან შეზიარების სურვილი, რომელიც მას იპყრობს, ზოგიერთს განდიდება და პატივმოყვარეობა ჰგონია.

➤ 8919

1941

**ზაფხული ან შემდეგ**

შალვა კაშმაძეს ურჩევს, ლექსების წერას თავი დაანებოს და კრიტიკას მიჰყვეს. ამბობს, რომ ლექსი მუხთალია, ხანდახან ფეხს გამოგიშლის. საერთოდ წერა ბნელი საქმეა, ლექსის წერა კი უფრო მეტად.

➤ 8920

## ი ვ ნ ი ს ი

1941

### ივნისამდე

კარზე უკაკუნებს მარიამ გარიყულს, კარის სახელოურში მოსაწვევ ბარათს უტოვებს, რომლითაც იწვევს მიმდინარე დღეს მის საღამოზე. მარიამ გარიყული ესწრება მშრომელთათვის განკუთვნილ ამ საღამოს და სიტყვასაც წარმოთქვამს.

➤ 8921

1941

### 5 ივნისის შემდეგ

ჟურნალში „პიონერი“ იბეჭდება ლექსი „პირველი მაისი“.

➤ 8922

1941

### 22 ივნისამდე

პლენანოვის (დავით აღმაშენებლის) პროსპექტისა და მარქსის (ზაარბრიუკენის) მოედნის გავლით საბჭოს ქუჩისკენ (არნოლდ ჩიქობავას) მიაქვს ტიტე სიხარულიძის მიერ გაკეთებული თავისი ბიუსტი, გზაში ჩერდება პაპიროსის საყიდლად, ბიუსტს დახლზე დებს, თავადაც იქვე ჯდება და გამყიდველ სომეხ ქალს ესაუბრება. როცა იგებს, რომ შვიდი შვილის დედაა, თითოეულის ბედნიერებას უსურვებს და ეშვადობება. ჟურნალისტი აბიბო თომამე შორიდან ამჩნევს გალაკტიონს და საგანგებოდ მიდის დახმარების შესათავაზებლად. პოეტი ეუბნება, რომ ბიუსტი მსუბუქია. ჟურნალისტი ეხმარება მის მხარზე დადებამდე და გალაკტიონი საბჭოს ქუჩისკენ აგრძელებს გზას.

➤ 8923

1941

### 22 ივნისის შემდეგ

ქართველ მწერლებთან ერთად ათვალისწიერებს პიონერთა სასახლესა და მის სასწავლო კაბინეტებს. ომის დაწყების გამო შენობაში სიჩუმეა გამეფებული. ანა ვარდიანის საკონცერტო ბრიგადა კოსპიტალში წასასვლელად ემზადება, მაგრამ გალაკტიონის დანახვაზე ყოვნდებიან, „სულიკოსა“ და „ციცინათელას“ უმღერიან.

➤ 8924

1941

### 22 ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „ლაშქრული“.

➤ 8925

1941

### 22 ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „მამული, გესმის, როგორ გეძახის?“.

➤ 8926

1941

### 22 ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „რაოდენი“.

➤ 8927

1941

**22 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჰიტლერის გულში უდავო...“.

➤ 8928

1941

**22 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენი საზღვრები გადმოილახა...“.

➤ 8929

1941

**22 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რატომდაც, როცა არემარეს...“.

➤ 8930

1941

**22 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მეგობრებო! მეორდება...“.

➤ 8931

1941

**24 ივნისი**

წერს ლექსს „მამულო, სიცოცხლეო“.

➤ 8932

1941

**26 ივნისი ან ადრე**

არჩევს მასალებს რუსული წიგნისთვის „მშობლიური ჩემო მიწავ!“ და დღიურში 38 მუხლად იწერს, რა სჭირდება. ჩამონათვალია: ლექსების პანტელიმონ პეტრენკოსეული თარგმანები პატარა ხელნაწერი რვეულიდან, მისივე ნახატები და 112 ნაწარმოები, რომლიდანაც რაღაცები ამოხეულია, გაზეთში „ვეჩერნი ტბილისი“ გამოქვეყნებული სტატია „პეტრენკოს ხსოვნას“ და გაზეთ „კომუნისტის“ სტატია, ხელმოწერით „ამხანაგების ჯგუფი“. გარი ბებუთოვის გეგმა გალაკტიონის რჩეულისთვის და ბორის ბრიკის გეგმა მისი ლექსების კრებულისთვის, კონსტანტინ ბოგდანოვსკის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ნიკოლაი ტიხონოვის, ალექსანდრ შჩერბაკოვის, ელენე შერრის, ივანე ჩერქეზიშვილის, ნატალია ასტაფიევას, რიურიკ ივნევის, ბორის სერებრიაკოვისა და ვიაჩესლავ ივანოვის ცალკეული ლექსების თარგმანები. ოლია ოკუჯავასა და სხვათა პწკარედული თარგმანები, ბორის ბრიკის ლექსი გალაკტიონის შესახებ, 1934 წელს ლენინგრადში გამართული მისი საღამოს მოსაწვევი ბარათი, ფოტოები და მოგონებები. ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლიდან 25 წლისთავთან დაკავშირებით 1933 წელს მიღებული 6 მისალოცი დეკემა, ამიერკავკასიის სახელმწიფო გამომცემლობის წერილი. მაქსიმ გორკისა და სხვათა წერილები ალექსანდრ პუშკინის იუბილეზე, სამი საინტერესო ამონაწერი 1929 წელს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კონგრესზე ახერბაიჯანსა და სომხეთში მოგზაურობის შესახებ. მოსაწვევი ბარათი ტაგანროგში გამართულ ანტონ ჩეხოვის საღამოზე, კარიკატურა – ლევ ტოლსტოი, ალექსანდრ პუშკინი და ნიკოლაი გოგოლი დამწყებ მწერლებთან. გაზეთში „წითელარმიელი“ გამოქვეყნებული ლიტერატურული ქრონიკა „შორს თავ-მჯდომარეობა“. რუსული გაულექსავი სტრიქონები „მსოფლიოს ბარიკადებზე“. პოპოვის რადიოგადაცემა „საქართველოს სახალხო პოეტი ლენინგრადში“, დავით კლდიაშვილისა და

სანდრო შანშიაშვილის წერილების რუსული თარგმანები, გაზეთის „პრავდა“ 1936 წლის ნომერი მისი პორტრეტით და რუსული ტექსტი „მე ჩამოვედი“.

➤ 8933

1941

### 26 ივნისი ან ადრე

წიგნისთვის „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ ჩამოწერილი მასალების 38 მუხლიდან ცალკე იწერს ზუსტად ნახევარს, რომლებიც მზად აქვს და აღნიშნავს, რომ დანარჩენი დასამუშავებელია.

➤ 8934

1941

### 26 ივნისი ან ადრე

დღიურში წერს რადიოგადაცემის გეგმას, რომლის მიხედვითაც შესავალ და შემაჯამებელ სიტყვებს წარმოთქვამს დიქტორი. წასაკითხი ლექსების ჩამონათვალშია: „თოვლის დიაგანალი“ („წვიმის გრძელ-გრძელი დიაგანალი“), „ბაყაყი მსგავსი დელაროკისა“, „არ დაგელევა“, „მისი ბუნება“, „ორი ძალა“, „კრიზისისგან თავის დაღწევა“, „გასტელოს ხსოვნას“, „ორდენოსანი საქართველო“, „ერთა მეგობრობა“, „სტალინი“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა!“, „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“ და „რასაც სარაცინი წინად!“. გალაკტიონის ლექსებზე დაწერილი მუსიკალური ნომრების სიაშია: ივანე გოკიელის „ლაშქრული“, შალვა თაქთაქიშვილის „მშობლიურო ჩემო მიწავ“, ანდრია ბალანჩივადის „გულთა კავშირი“, დიმიტრი არაყიშვილის „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, თამარ შავერზაშვილის „მხარი მხარს“, ვალერი ჯვარიძის „მე და ღამე“, მასსენეს „მე-რი“, ვალერიან ცაგარეიშვილის „მშობლიურო ჩემო მიწავ!“, დები იშხნელების „გახსოვს, მერი“, გიორგი სვანიძის საგუნდო სიმღერა, იონა ტუსკიას „მანონ ლექსკო“ და რევაზ გაბიჩვადის რომანსი, რომელსაც შეასრულებს მომღერალი მიხეილ ყვარელაშვილი.

➤ 8935

1941

### 26 ივნისი ან ადრე

წერს ლექსს „ჰე, მამულო“.

➤ 8936

1941

### 26 ივნისი ან ადრე

სხვადასხვა გამოცემიდან არჩევს ლექსებს და დღიურში იწერს სათაურებს, გვერდების მითითებით. ჩამონათვალშია: „მანონ ლესკო“, „ჩვენ არ გვინდა სხვისი რბევა“, „ქვეყნად ბევრი არმიაა“, „განა მისთვის ამშვენებს“, „რწმენით იარ“, „ჩემი სიმღერა“, „სამშობლოს“, „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“ და „მხარი მხარს“.

➤ 8937

1941

### 26 ივნისი ან ადრე

წერს 1930 წლის ციკლში „რევოლიუციონური საქართველო“ შემავალი ლექსის „თანდათან, თანდათან ახალი ქვეყანა შენდება“ ვარიანტს უსათაუროდ „წაიღო ცხოვრებამ ოცნება...“.

➤ 8938

1941

### 26 ივნისი ან ადრე

წერს ლექსს „ყოველი მხრიდან“.

➤ 8939

1941

**26 ივნისი ან ადრე**

გაზეთისთვის „კომუნისტი“ წერს უსათაურო ლექსის „ვარაზის ხევის სახლიდან...“ ვარიანტებს.

➤ 8940

1941

**26 ივნისი ან ადრე**

სალამოს 10-ის ნახევარზე იმართება რადიოგადაცემა „გალაკტიონ ტაბიძე მიკროფონთან“, რომელიც გრძელდება 28 წუთს. საუბრობს შალვა რადიანი, დავით სპირანდი და ნაზი კერესელიძე კითხულობენ ლექსებს: „დროშები ჩქარა!“, „პროლოგი ასი ლექსის“, „სიმღერის მიხდა მე წამოწყება“, „დღიურ პროზიდან“, „არიან დღენი“, „ცხრას თვრამეტი“, „მღვრიე ქარი“, „რა საჭიროა სიტყვები“, „ლენინი“, „მისდევს რკალს რკალი“, „სალამოხანად მთაწმინდაზე“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „მშობლიური ჩემო მიწავ“.

➤ 8941

1941

**27 ივნისი**

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის წერილი „სამშობლოსათვის“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს პატრიოტული გრძნობის გამოვლენის თავისებურებებს ქართულ პოეზიაში და ყურადღებას აჩერებს გალაკტიონის ლექსზე „მშობლიური ჩემო მიწავ“, რომელიც თანამედროვე სამოქალაქო ლირიკის შედეგად მიაჩნია.

➤ 8942

1941

**28 ივნისი**

მონაწილეობს უნივერსიტეტის წინ გამართულ ახალგაზრდობის ანტიფაშისტურ მიტინგში ამბობს მოკლე, მაგრამ ემოციურ სიტყვას და ახალგაზრდებს ლექსით მიმართავს.

➤ 8943

1941

**ივნისი**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემთვის სანატრელია მხოლოდ ეს ხმა, ეს ფერი...“.

➤ 8944

1941

**ივნისი ან შემდეგ**

წერს ლექსს „იავნანა“.

➤ 8945

**ი ვ ლ ი ს ი**

1941

**9 ივლისი**

დღიურში იწერს, რომ იმის თქმა, თითქოს მის ლექსებში ნაკლები პოლიტიკური აქცენტებია, ვიდრე ალიო მირცხულავას შემოქმედებაში და მისი ანტიფაშისტური ლექსების უგულვებლყოფა, დივერსიაა.

➤ 8946

1941

**31 ივლისი**

წერს ლექსს „ადამიანი“.

➤ 8947



## აგვისტო

1941

### 15 აგვისტომდე

თარგმნის ჯორჯ გორდონ ბაირონის პოემიდან „გარდაქმნილი მახინჯი“ ერთ სტროფს „პოს გადაღმა, ქედებს იქით...“.

➤ 8948

1941

### 15 აგვისტომდე

წერს ლექსის „რასაც სარაცინი წინად“ სამ ვარიანტს.

➤ 8949

1941

### 15 აგვისტომდე

უბის წიგნაკში იწერს ციტატებს მოლიერის პიესიდან „სასაცილო პრესიოზები“ და უილიამ შექსპირის პიესიდან „ციმბელინი“.

➤ 8950

1941

### 15 აგვისტომდე

უბის წიგნაკში ლათინურად იწერს ციტატას პუბლიუს ოვიდიუს ნაზონის პოემიდან „ფასტი“ და თარგმანს: „ძლიერ ადამიანს დედამიწა ყოველგან სამშობლოდ ექნება, როგორც თევზს ზღვა“.

➤ 8951

1941

### 15 აგვისტომდე

აეჭვებს ოლლა დარიუსის ქმედებები და ინტერესდება, ვის შეხვდა, საიდან რეკავდა და რამდენად იყიდა პაპიროსი.

➤ 8952

1941

### 15 აგვისტომდე

აღიზიანებს ის ფაქტი, რომ ოლლა დარიუსის მიერ აღზრდილი დისწული – ლაინე ბარტელისი დეიდას არ უჯერებს და გალაკტიონის ოჯახში ბრძანებებს იძლევა.

➤ 8953

1941

### 15 აგვისტომდე

რუსულად წერს, არ აპირებს, მოუბოდიშოს ვიღაც ნამირალას.

➤ 8954

1941

### 15 აგვისტომდე

ვარაზის ხევის თემაზე წერს ლექსის რამდენიმე ვარიანტს.

➤ 8955

1941

### 15 აგვისტომდე

წერს „ვარაზის ხევის ლექსების“ სამ ვარიანტს.

➤ 8956

1941

**15 აგვისტომდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ საყიდელი აქვს პაპიროსი და ასანთი. ასევე უნდა გაიკეთოს მასაჟი, მიიღოს აბაზანები და გაარკვიოს მოსამსახურის საკითხი.

➤ 8957

1941

**15 აგვისტომდე**

ცდილობს, გაიხსენოს, რამდენ ქალს იცნობს. ამისათვის თავდაპირველად ჩამოწერს ორგანიზაციებს, სადაც მის ნაცნობი ქალები მუშაობენ. ჩამონათვალშია: „ფედერაციის“, „ზარია ვოსტოკას“, „კომუნისტის“, საბავშვო ლიტერატურისა და სახელმწიფო გამომცემლობები. მწერალთა და მხატვართა კავშირები. მარჯანიშვილის, რუსთაველის, გრიბოედოვისა და ოპერის თეატრები. სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულება (სობესი), შემნახველი სალარო, რადიო, განათლების სახალხო კომისარიატი, უნივერსიტეტის სამკურნალო კომისია. გარდა ამისა, იხსენებს თავისი ეზოსა და ნათესავ ქალებს. ფიქრობს, რომ სულ 1000 იქნება.

➤ 8958

1941

**15 აგვისტო**

იმყოფება სამკურნალო კომბინატში, ინიშნავს ექიმების: ივანე ფრანგულიანის, გაბრიელ პონდოევისა და ივანე დემურის სახელებსა და გვარებს და იმ პროცედურათა ჩამონათვალს. რომლებიც მათ დაუნიშნეს.

➤ 8959

1941

**15 აგვისტო ან შემდეგ**

„ვარაზის ხევის ლექსების“ მეორე ვარიანტს ასწორებს განსხვავებული მეღნიით და სათაურს „ვარაზის ხევი“ ცვლის სათაურით „ვენეციური ხიდე“.

➤ 8960

1941

**16 აგვისტო**

იმყოფება სამკურნალო კომბინატში და ინიშნავს ექიმების – ივანე დემურის, ხარამისა და საბაშვილის სახელებსა და გვარებს. იწერს, რომ საღამოს 6 საათზე ისინჯავენ სიცხეს და რომ საღამოს ვესტიბიულში შუქებს აქრობენ.

➤ 8961

1941

**17 აგვისტო**

იმყოფება სამკურნალო კომბინატში და ექიმი გობრონიძე აძლევს საძილე წამლის ფხვნილს.

➤ 8962

1941

**17 აგვისტოს შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსის „ისეთმა ქარმა დაბეროს...“ სამ ვარიანტს.

➤ 8963

1941

**17 აგვისტოს შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს საბჭოთა ბეჭდვის კომბინატის იმ ჯიხურებსა და მაღაზიებს, რომლებშიც გაიყიდება მისი დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის ბილეთები.

➤ 8964

1941

### 17 აგვისტოს შემდეგ

იწყებს უსათაურო ლექსის „თუ ქადაგებენ, რომ სიცოცხლე არაფერია...“ წერას.

➤ 8965

1941

### 17 აგვისტოს შემდეგ

დღიურში წერს მასზე დაწერილი სტატიებისა და ლექსების ავტორების სიას: დავით კლდიაშვილი, განდევილი, ვასილ ბარნოვი, შალვა დადიანი, ვალერიან გუნია, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ია ეკალაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, შიო მღვიმელი, ეკატერინე გაბაშვილი, ეთიმ გურჯი, დარია ახვლედიანი, ნიკო მარი, ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, მირზა გელოვანი, მარიკა მიქელაძე, კალე ბობოხიძე.

➤ 8966

1941

### 17 აგვისტოს შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „უძვირფასესი ყველაზე...“.

➤ 8967

1941

### 17 აგვისტოს შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს: „პოეზია მარადი / სიბრძნის ასპარეზია. / ყველას ჩემგან სალამი, / ვინაც ჩემს მხარეზეა!“.

➤ 8968

1941

### 17 აგვისტოს შემდეგ

წერს ფრაგმენტებს ლექსისთვის სათაურით „მინას“.

➤ 8969

1941

### 17 აგვისტოს შემდეგ

უბის წიგნაკში სათაურით „ქალები თბილისში“ წერს, რომ ქალაქი დარჩათ ქალებს – დედებს, ცოლებს, დებს, ქალიშვილებს, რადგან მამები, შვილები, ქმრები და ძმები ფრონტზე გაიწვიეს. ამ ვითარებამ საგრძნობლად შეცვალა თბილისის სახე და ღამით იშვიათი წესრიგი დამყარდა. შეღამებიდან გათენებამდე მორიგეობენ დიასახლისები. „ქალთა დიქტატურა“ იგრძნობა საავადმყოფოებში – სამკურნალო კომისიაში ექიმების უმრავლესობა ქალია. ასევეა დაწესებულებებში, სასწავლებლებში, კანცელარიებსა და სავაჭრო ორგანიზაციებში.

➤ 8970

1941

### 17 აგვისტოს შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „აქ თუ...“.

➤ 8971

1941

## 17 აგვისტოს შემდეგ

მასალას ამზადებს გაზეთებში „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“ დასაბეჭდად.

➤ 8972

1941

## 17 აგვისტოს შემდეგ

წერს აკროსტიქს „ფარსადანი“.

➤ 8973

1941

## 17 აგვისტოს შემდეგ

უბის წიგნაკში სათაურით „რითი მებრძვიან“ წერს, რომ სამამულო ომის შესახებ მის ლექსებს არ ბეჭდავენ გაზეთებში „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“. პირველ ადგილას დაყენებულია მისი ძველი მოწინააღმდეგე იოსებ გრიშაშვილი, რითაც სურთ მისი დაჩრდილვა. ფიქრობს, რომ ეს შედეგია მისი დასმენის, ამის შესახებ არსებობს დადგენილება და ინსტრუქცია, ჯგუფი ძლიერია, მაგრამ მასთან ვერაფერს გახდება. ადრე მის სადამოებს ჰქონდა მოულოდნელობის ელფერი, ვერაფრის მოწესრიგებას ასწრებდა და უნდოდათ, რომ სადამო თან ყოფილიყო და თან არ ყოფილიყო.

➤ 8974

1941

## 17 აგვისტოს შემდეგ

უბის წიგნაკში წერს, რომ პირველი საკითხია ბინის შენარჩუნება. გარდა ამისა, საჭიროა ნავთი და 5 კილო ლობიო.

➤ 8975

1941

## 17 აგვისტოს შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს ვასილი სლოვაჩენსკის ნათქვამს, რომ ყოველი მწერალი ახლა ინჟინერია.

➤ 8976

1941

## 30 აგვისტოს შემდეგ

იღებს ოლია ოკუჯავას მიერ გადასახლებიდან გაგზავნილ წერილს. ადრესანტი წუხს, რომ მის ამბებს ისევ ვერ იგებს. სწერს, რომ მუჭა-მუჭა შეუფროვა სხივები და უგზავნის მილიონობით მზეს. სთხოვს, გაუფრთხილდეს თავის ჯანმრთელობას და ამით ოლიასაც გააბედნიერებს. ძალიან ენატრება, ძალიან უნდა შინ ყოფნა, შორიდან ეხვევა და ჰკოცნის გალაკტიონს, მის წიგნებსა და თითოეულ ხელნაწერს.

➤ 8977

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1941

## 2 სექტემბერი

წერს ლექსს „2 ენკენისთვე, 1941 წელი“.

➤ 8978

1941

## 2 სექტემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „სამშობლო“ („ჩვენ ღარიბები ვიყავით მეტად...“).

➤ 8979

1941

#### 4 სექტემბერი

სამკურნალოდ წვევა ვაკეში მდებარე სამედიცინო კომბინატში.

➤ 8980

1941

#### 4 სექტემბერი

შალვა კაშიაძე იგებს, რომ გალაკტიონი სამკურნალოდ დაწვა ვაკის კომბინატში და პალატაში შეუზღავანის მოკლე ბარათს. ინტერესდება, რა სტკივა, ხომ არაფერი სჭირდება და როდის გამოეწერება. ფიქრობდა მისთვის თავისი წიგნის მიტანას, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან საავადმყოფოში, ალბათ, ვერ გადახედავდა.

➤ 8981

1941

#### 6 სექტემბრამდე

წერილს იღებს დარია ახვლედიანისგან. სწერს, რომ ორშაბათს ეწერება საავადმყოფოდან. მატერიალურად იმდენად ხელმოკლედ არის, რომ პურის საყიდელი და სახლში წასასვლელად ეტლის დასაქირავებელი თანხაც კი არ აქვს. ამიტომ ძალიან სთხოვს, ასესხოს 500 მანეთი და შემდეგ ყოველთვიურად 50-50 მანეთად დაუბრუნებს.

➤ 8982

1941

#### 6 სექტემბრამდე

უყვებიან, თითქოს გიორგი ლეონიძემ დარია ახვლედიანს სთხოვა, რომ ლიტერატურის მუზეუმისთვის აკაკი წერეთელზე მოგონებების წერისას ტექსტიდან გალაკტიონ ტაბიძის სახელი ამოეღო, თორემ ჰონორარს ვერ მიიღებდა. აჯერებენ, რომ მატერიალურად შეჭირვებულმა ახვლედიანმა შეასრულა ეს მოთხოვნა და მუზეუმისთვის გადასაცემ მასალებში არ შეიტანა გალაკტიონის სახელი, მაგრამ მოგონების სრული ვარიანტი გადასცა თავად გალაკტიონს.

➤ 8983

1941

#### 6 სექტემბერი

სამკურნალო კომბინატის მესამე სართულის ფანჯრიდან ხედავს, რომ ვიღაცას ასაფლავებენ. კუბოსთან მხოლოდ ორიოდე გვირგვინი დევს და მიცვალებულს ვაკის სასაფლაოსკენ 10-15 კაცისაგან შემდგარი პროცესია მიჰყვება. გალაკტიონი და მის გვერდით მდგომი ორი ქალბატონი ფიქრობენ, რომ ბავშვის დაკრძალვაა და იმიტომ არის ასე ცოტა ხალხი. პოეტი პროცესიის მონაწილეთა შორის ამოიცნობს გიორგი ქუჩიშვილს, არნო ონელს და შალვა კაშიაძეს და ხვდება, რომ ეს არა ბავშვის, არამედ მხცოვანი მწერალი ქალის, დარია ახვლედიანის დაკრძალვაა. გალაკტიონი იმდენად იმედგაცრუებულია გარდაცვლილისადმი ასეთი უყურადღებობით, რომ მის გვერდით მდგომ ქალებს აღარ ეუბნება, ვისი დაკრძალვაა.

➤ 8984

1941

#### 11 სექტემბერი

იოსებ სტალინის მიერ 8 სექტემბერს ხელმოწერილი დადგენილების საფუძველზე გალაკტიონ ტაბიძის მეუღლეს – ოლია ოკუჯავას ქალაქ ორიოლის ციხის სხვა 156 პოლიტიკურ პატიმართან ერთად ხვრეტენ ქალაქის მიმდებარე მედვედევოს ტყეში.

➤ 8985

1941

**29 სექტემბრამდე**

კრებულში „ჩვენ გავიმარჯვებთ“ იბეჭდება ლექსი „ჩვენ გავიმარჯვებთ!“.

➤ 8986

1941

**29 სექტემბრის შემდეგ**

იღებს აბესალომ ტაბიძის წერილს, რომელშიც მმა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ გალაკტიონს ვერც სახლში ნახულობს და ვერც ტელეფონზე უკავშირდება. ადრესანტი აღნიშნავს, რომ ასე იყო ერთი თვის წინათაც. ატყობინებს, რომ ფეხზე ეგზემა აქვს, თბილისში მის სამკურნალოდ ჩავიდა და 30 სექტემბერს უკან ბრუნდება.

➤ 8987

**ოქტომბერი**

1941

**9 ოქტომბერი ან შემდეგ**

იღებს ოჩამჩირის რაიონის სოფელი ახალი კინდლის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლის დათიკო წოწონავას წერილს. ადრესანტი ეკითხება, XX საუკუნის ქართველი მწერლების შემოქმედებაში არის თუ არა, როგორც ფორმით, ისე შინაარსით განსხვავება. გალაკტიონი პასუხობს, რომ განსხვავება არის და სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ არ იცის, მიიღებს თუ არა მის პასუხს ადრესატი.

➤ 8988

1941

**9 ოქტომბრის შემდეგ**

იგებს, რომ ჟურნალის „ჩვენი თაობა“ 1938 წლის დეკემბრის ნომერში, ერემია ასტვაცატუროვის სტატიაში „გალაქტიონ ტაბიძე“, ნახსენები ყოფილა, რომ გალაკტიონმა ადადგინა ნიკოლოზ ბარათაშვილისებური რომანტიკულ-სიმბოლისტური პოეტური ხმა და ამ ფრაზას იწერს ბლოკნოტში.

➤ 8989

1941

**11 ოქტომბერი**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება ცნობა, რომ გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის წიგნი „ლირიკა“, რომელშიც შესულია პოეტის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები.

➤ 8990

1941

**12 ოქტომბერი**

მასთან სტუმრად არის თბილისში სამკურნალოდ ჩასული მმა. გალაკტიონი სახლიდან გადის შუადღის 2 საათზე, მთვრალი ბრუნდება ღამის პირველზე და ჩხუბობს ოღლა დარიუსთან.

➤ 8991

1941

**13 ოქტომბერი**

მმა სახლში უტოვებს წერილს, უყვება, როგორ აუტანლად იქცეოდა ღამით და სწერს, რომ ღვინო აკარგინებს ადამიანურ სახეს. სთხოვს, თავი ხელში აიყვანოს, რადგან მისი ლოთობის გამო ყველას ტანჯავს, ვისაც ის უყვარს.

➤ 8992

**ნოემბერი**

1941

## 5 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „სოციალისტური ლირიკის მთავარი თემა“, რომელშიც ციტირებულია სტროფი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „პრესა“ და ნათქვამია, რომ პოეტის მთელი რიგი ლექსები გამოხატავს სოციალისტური ინდუსტრიის შეჭრას ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებაში.

➤ 8993

1941

## 5 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება განცხადება, რომ მიმდინარე დღის საღამოს 8 საათზე მწერალთა სასახლეში ჩატარდება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელზეც სიტყვით გამოვლენ: შალვა რადიანი, სანდრო ეული, იაკინთე ლისაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ბესარიონ ჟღენტი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე გამსახურდია, როდიონ ქორქია და სიმონ წვერავა, ხოლო საკუთარ ნაწარმოებებს წაიკითხავენ: ალექსანდრე აბაშელი, ირაკლი აბაშიძე, კალე ბობოხიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, დავით გაჩეჩილაძე, რაჟდენ გვეტაძე, ალექსანდრე გომიაშვილი, იონა ვაკელი, სანდრო ეული, გიორგი კაჭახიძე, გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მამაშვილი, ილო მოსაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ქუჩიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია და სიმონ ჩიქოვანი.

➤ 8994

1941

## 5 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება გიორგი ნატროშვილის წერილი „ჩვენი სამშობლო“, რომელშიც განხილულია არაერთი საბჭოთა პოეტის ნაწარმოები და მათ შორის ნახსენებია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ყველა წითელარმიელი იდგეს, როგორც ლომი“.

➤ 8995

1941

## 5 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება დიმიტრი ბენაშვილის სტატია „სოციალისტური სოფელი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“, რომელშიც ის ამბობს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს არაერთი ნაწარმოები მიუძღვნია განახლებული საბჭოთა სოფლისთვის და მოჰყავს ციტატა ლექსიდან „შრომა ხმაურობს – ხმაურობს პოეზია!“

➤ 8996

1941

## 7 ნოემბერი

გაზეთში „საბჭოთა სოფელი“ იბეჭდება ლექსი „მასა – სტალინია მძლავრი და სტალინი – არის მასა“.

➤ 8997

1941

## 8 ნოემბერი

ხუთ საათსა და 35 წუთზე წერს უსათაურო ლექსს „მას შემდეგ, რაც ზღვა და მიწა...“.

➤ 8998

1941

## 20 ნოემბრამდე

წერს ლექსს „ლენინგრადი“.

➤ 8999

1941

### 22 ნოემბერი

გაზეთში „ავანგარდი“ იბეჭდება ლექსი „მასთან ბრძოლა, მასთან ბრძოლა“.

➤ 9000

1941

### 20 ნოემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „ლენინგრადი“.

➤ 9001

1941

### ნოემბერი

ერთ ცივ საღამოს მწერალ დარია ახვლედიანის ვაჟ ოთარ ახვლედიანთან ერთად მწერალთა კავშირისკენ მიმავალს კარგად ჩაცმული, თავზე გარიბალდის ქუდიანი ნაცნობი ჩაუვლის. გალაკტიონი რაღაცას მიაძახებს. კაცი მობრუნდება და მოუბოდიშებს, ვერ გიცანითო, პოეტი კი პასუხად ექსპრომტს დააწევს: „გარიბალდით ისე დადის, გეგონებათ ცხრა გზის გმირი, შეფასება ისეთი აქვს, როგორც ყურმოჭრილი ვირი“.

➤ 9002

## დეკემბერი

1941

### 9 დეკემბერი

მწერალი და პედაგოგი ბართლომე პერტაია აჩვენებს ვაჟა-ფშაველას უბის წიგნაკს და და ეუბნება, რომ მისმა ვაჟმა, ვახტანგმა აჩუქა. გალაკტიონი ვერ იჯერებს, როგორ შეიძლებოდა ვაჟას შვილს ასე გაეჩუქებინა მამის ჩანაწერები და ფიქრობს, რომ უბის წიგნაკი პატარაიას შეიძლებოდა სხვაგან შეეძინა.

➤ 9003

1941

### 9 დეკემბერი

ვაჟა-ფშაველას უბის წიგნაკის ჩანაწერებით შთაგონებული წერს უსათაურო ლექსს „ერთს უბეში შენი წიგნი უბის...“.

➤ 9004

1941

### 16 დეკემბრამდე

გაზეთის „ქობულეთელი კოლმეურნე“ რედაქტორი სთხოვს მის გაზეთში გამოსაქვეყნებლად ლექსის გაგზავნას.

➤ 9005

1941

### 16 დეკემბერი

გაზეთს „ქობულეთელი კოლმეურნე“ უგზავნის პატარა ლექსს. ბოდიშს უხდის მისი სიმცირის გამო და ჰპირდება, რომ თუ მასთან თანამშრომლობა კიდევ დასჭირდებათ, შეეხმიანონ. სწერს, რომ ჰონორარი არ უნდა, მაგრამ თუ მის ლექსს დაბეჭდავენ, მიაწოდონ გაზეთის ორი ეგზემპლარი.

➤ 9006

1941



**21 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „თავდადებულთა მილიონები“.

➤ 9007

**1941**

**21 დეკემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „თავდადებული მილიონები“.

➤ 9008

**1941**

**26 დეკემბრის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „თავდადებული მილიონები“ („სამშობლოსათვის თავდადების დრონი მეფობენ...“).

➤ 9009

**1941**

აგრძელებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „მტერს კი სწყუროდა განავარდებით...“.

➤ 9010

**1941**

განცხადებით მიმართავს ქუთაისის რაიკომის მდივან ლევან გაბრიაძეს და სთხოვს თავისი სემინარიელი მეგობრის გიორგი კახაიას დახმარებას, რომელიც ვეტექიმად მსახურობდა ქუთაისში ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე №2 ბაზარში და იმის გამო, რომ ბრალი დასდეს ცემში მდებარე ხორცის საკონტროლო სადგურის სხვისთვის მიყიდვაში, მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა და სამსახურიდან გაათავისუფლეს. კახაიას მტკიცებით მან საკონტროლო სადგური კი არ გაყიდა, არამედ ბაზრის დირექტორის თანხმობით დროებით სარგებლობაში გადასცა სხვა პირს. ამიტომ გალაკტიონი ლევან გაბრიაძეს სთხოვს, დაეხმაროს მას სამსახურში აღდგენაში.

➤ 9011

**1941**

დღიურში იწერს იმ ამბავს, 1914 წელს აკაკი წერეთელთან ერთად ისიდორე კვიციანიძის ჟურნალ-გაზეთების კანტორაში მისი ყოფნისას ჟანდარმებს ჩხრეკის ჩატარება რომ უნდოდათ, მაგრამ მხცოვან პოეტს რომ მოერიდნენ.

➤ 9012

**1941**

წერს უსათაურო ლექსს „გზა უვრცესი გახსნილი აქვს...“.

➤ 9013

**1941**

წერს უსათაურო ლექსს „რად მინდა მთვარე, შვალამის გედი...“.

➤ 9014

**1941**

წერილობით გამოთქვამს თავის დასკვნას, რომ სავლე აბულაძის უკანასკნელი პოემა მოეწონა და მცირეოდენი ტექნიკური შესწორებების შემდეგ აუცილებლად უნდა გამოიცეს.

➤ 9015

**1941**

დილით ოთახში ხვდება ოლღა დარიუსის წერილი, რომელშიც აღწერს, როგორ იქცეოდა წინა ღამით მთვრალი გალაკტიონი. წერს, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის. თითქოს გალაკტიონში ორი პიროვნებაა ჩასახლებული, ერთი კეთილი და ყურადღებიანი, მეორე კი სასტიკი და დაუნდობელი. წერს, რომ უაზრობაა გალაკტიონის სიტყვები, თითქოს ოლღა ცდილობს პოეტის გამეგებას თავისივე სახლიდან. წერს, რომ ის თავად წავა, რადგან მეტი აღარ შეუძლია ამ დაძაბულობისა და შეურაცხყოფების ატანა.

➤ 9016

**1941**

წერს მხატვრულ ტექსტს, სახელწოდებით „პროზაული ფრაგმენტები“, რომელშიც ასახულია რუსეთის სამოქალაქო ომისა და რევოლუციების პერიოდი. თხზულების მთავარი გმირია ახალგაზრდა ქართველი რატი, რომელიც ერთვება რევოლუციურ ბრძოლებში.

➤ 9017

**1941**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს ჩანგისა და ქნარის ურთიერთმიმართებაზე.

➤ 9018

**1941**

აკეთებს ჩანაწერს სახელწოდებით „კალე ბობოხიძე“, რომელშიც აღწერს, თუ როგორ წაიკითხა კალე ბობოხიძემ მწერალთა ვიწრო წრეში საკუთარი პოემა და როგორ ცდილობდნენ დამსწრე მწერლები, რომ მალე დაესრულებინა კითხვა.

➤ 9019

**1941**

კითხულობს პავლე ინგოროყვას წიგნს „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, აკეთებს ხაზგასმებსა და მინაწერებს.

➤ 9020

**1941**

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კლუბში თავისი პოეზიის საღამოს დაწყებამდე გიორგი ლეონიძესთან ერთად ათვალთვლებინებენ ქარხანას და იმ საამქროს, სადაც 1926 წლის 26 ივნისს მუშათა მიტინგზე სიტყვით გამოვიდა იოსებ სტალინი. კლუბში ხალხი ტაშით ხვდება. საღამოზე ბესარიონ ჟღენტი ვრცლად მიმოიხილავს გალაკტიონის ცხოვრება-შემოქმედებას. სიტყვებით გამოდიან როდიონ ქორქია და სიმონ წვერავა. გიორგი ლეონიძე კითხულობს ლექსს „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსებს კითხულობენ გიორგი ქუჩიშვილი, მაცვალა მრევლიშვილი, ანდრო თევზაძე და მუშა-პოეტები. ბორის სერებრიაკოვი დაპოვანეს კარაპეტინი კითხულობენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების საკუთარ თარგმანებს რუსულ ენაზე. დასასრულს, პოეტი მადლობას მოახსენებს იქ მყოფთ და კითხულობს ლექსებს: „ოცი წელი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“ და „რევოლუციურ საქართველოს“. შემდეგ იმართება კონცერტი, რომელშიც მონაწილეობს თამარ ჭავჭავაძე, ვასო გომიაშვილი და ტრამვაი-ტროლეიბუსების მედუდუკეთა ანსამბლი.

➤ 9021

**1941 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რუსთაველის სტრიქონების...“.

➤ 9022

**1941 შემდეგ**

მწერალთა სასახლეში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროს მის ბაღში მყოფი გალაკტიონი ესაუბრება ახალგაზრდა პოეტ ოთარ ჭელიძეს. უცნაურ ხმაზე დაკვირვებით, რომელიც ბაღში ისმის, გალაკტიონი ხვდება, რომ ვიღაც ცდილობს მწერალთა ბაღის კედელში სარკმლის გაჭრას, რაც მწერლებს მყუდროებას დაურღვევს და კედელსაც დაზარავს. გალაკტიონი თანამოსაუბრეს ეუბნება, რომ ყმაწვილკაცობისას ერთი თავისზე უფროსი პოეტის ლექსები მოსწონდა, რომელიც ღვინოს პირს არ აკარებდა, მაგრამ კინტოებისა და ღვინის ქებას შეაღია თავისი მუხა. პოეტთაგან ყველაზე მეტად ვისი იმედიც ჰქონდა, დაილუპა, მეორემ კი თავი მოიკლა.

➤ 9023

### 1941 შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს რუსი დირიჟორის ალექსანდრ გაუკის შესახებ. გალაკტიონი მას ახასიათებს ობივატელ, სამაგელი ჩვევების მქონე ადამიანად, რომელიც არა ხელოვანის, არამედ ჩინოვნიკის მსგავსად იქცევა.

➤ 9024

\* \* \*

### 1942-მდე

უბის წიგნაკში იწერს სახელმწიფო გამომცემლობაში წარსადგენი განცხადების მონახაზს. მიუთითებს, რომ ცენტრალური კომიტეტის მიერ ჯერ კიდევ 1933 წელს იყო დადგენილი მისი თხზულებების აკადემიური გამოცემის მომზადება, თუმცა ამ საქმის დაწყება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. სახელმწიფო გამომცემლობისაგან ითხოვს, მომავალი წლის გეგმაში შეიტანონ მისი წიგნის გამოცემა. აღნიშნავს, რომ 1942 წელს სრულდება 50 წელი მისი დაბადებიდან, ამიტომ მიზანშეწონილია რჩეული თხზულებების ერთტომეულის გამოცემა.

➤ 9025

### 1942

#### იანვრამდე

წერს ლექსის „ეს წელიწადი ახალი“ სამ ვარიანტს.

➤ 9026

## 1942

### ი ა ნ ვ ა რ ი

### 1942

#### 1 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ახალი წელი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 9027

### 1942

#### 27 იანვრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „ეს წელიწადი ახალი“.

➤ 9028

### 1942

#### იანვარი ან შემდეგ

ივან ტურგენევისეული თარგმანის მიხედვით თარგმნის ჯორჯ ნოელ გორდონ ბაირონის ლექსს „მე დამესიზმრა მწარე სიზმარი...“.

➤ 9029

### თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

### 1942

## 11 თებერვალი

დღიურში წერს, რომ სჭირდება სამამულო ომის ეპიზოდების ამსახველი წიგნის – „სამშობლოსათვის! სტალინისათვის!“ და ლექსების კრებულის „ჩვენ გავიმარჯვებთ!“ შექმნა. და ამ წიგნებში მონაწილე ავტორთა სურათების შოვნა. მოსწონს ირაკლი თოიძის პლაკატი „დედა-სამშობლო გეძახის“, ქალის გამოსახულებით, რომელსაც ხელში სამხედრო ფიცის ტექსტი უკავია. ფიქრობს, რომ ეს გამოსახულება გამოიყენოს ლექსისთვის „რასაც ბარბაროსი წინად...“. აღნიშნავს, რომ გამოფენისათვის ასევე გამოადგება ყდა რუსული წიგნისა, სათაურით „მოსკოვი“.

➤ 9030

1942

## 11-22 თებერვალი

წერს უსათაურო ლექსის „ფრონტის წინაშე...“ პირველ ორ ვარიანტს.

➤ 9031

1942

## 11-22 თებერვალი

დღიურში იწერს მასალებს, რომლებიც დასჭირდება შემოქმედებითი სადამოს ჩასატარებლად. მათ შორის არის: ივანე გოკიელის მუსიკა ლექსისთვის „ლაშქრული“, გრიგოლ მირზოევის პლაკატი „ორდენოსანი საქართველო“, ლექსი – „ახალი ადამიანი“, ლექსების „მწერალი გრიმში“, „ახალი წელი“ და „Eesti“ ბორის სერებრიაკოვისეული და ლექსის „წითელი არმია“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანები, პოეტური კრებული „ჩვენ გავიმარჯვებთ“, წითელარმიელთა კრებული, ჟურნალის „მნათობი“ 1941 წლის იანვრის ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა მისი ლექსი „ლენინის ხსოვნა“ და თებერვლის ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა ლექსი „საიუბილეო“.

➤ 9032

1942

## 11-22 თებერვალი

დღიურში იწერს მისთვის საჭირო სამ ფრანგულ ენციკლოპედიას.

➤ 9033

1942

## 22 თებერვალი

წერს უსათაურო ლექსის „ფრონტის წინაშე...“ ბოლო ვარიანტს.

➤ 9034

1942

## 22 თებერვლის შემდეგ

დღიურში ინიშნავს მიხეილ ზანდუკელის 1935 წელს ბათუმში, უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისთვის გამოცემული წიგნის „ახალი ქართული ლიტერატურა“ გვერდებს, რომლებზეც ნათქვამია, რომ თანამედროვე პოეზიაში ყურადღებას იქცევს ლექსის ტემბრი. ავტორს მაგალითად მოჰყავს გალაკტიონ ტაბიძის პოემა „ჯონ რიდი“, რომლის რიტმი არაჩვეულებრივი აღზნებითა და გატაცებით გადმოსცემს რევოლუციურ ცხოვრებას ნგრევით, სიცოცხლის სიყვარულითა და სინამდვილის საშინელი სურათით.

➤ 9035

1942

## 22 თებერვლის შემდეგ

დღიურში რუსულად იწერს თემების ჩამონათვალს: წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი, პარტიზანები და არმია, სამშობლო, მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, პარტია, დიდი

ლენინის დროშა, წინ გამარჯვებისკენ, ორდენოსანი საქართველო და გათავისუფლებული გერმანელი ხალხი.

➤ 9036

1942

**23 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „წითელი არმია“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 9037

1942

**27 თებერვლის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „ორ ათეულ წლით და კიდევ მეტი“.

➤ 9038

## მ ა რ ტ ი

1942

**მარტამდე**

დიდთოვლობისას მარჯანიშვილის თეატრის მოპირდაპირე მხარეს ფრთხილად მოდის შეზარხოშებული გალაკტიონი. ფეხი უცურდება და ძირს გამოტოვს აკაკი გეჭაძე და მისი ორი მეგობარი სწრაფად წამოაყენებენ. პოეტი მათი ეროვნებით ინტერესდება და როცა გაარკვევს, რომ ქართველები არიან, კოცნის, ეალერსება და იწყებს ომის საშინელებაზე, მის გაჭიანურებაზე საუბარს. წუხს იმის გამო, რომ ევაკუირებული რუსი ლტოლვილები ზვავივით მოაწყდნენ საქართველოს. ეს კი საფრთხეს უქმნის ქართველთა ზნეობას. რადგან ბევრი უკან აღარ დაბრუნდება, „სული შეგვერყვნება, გაგვითახსირდება“.

➤ 9039

1942

**28 მარტამდე**

წერს უსათაურო ლექსს „სიტყვები ვერ მიპოვნია...“, რომელსაც უძღვნის არტემ ახნაზაროვს.

➤ 9040

## ა პ რ ი ლ ი

1942

**17 აპრილის შემდეგ**

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რუსული თარგმანების კრებულს „მშობლიური ჩემო მიწავ“.

➤ 9041

1942

**20 აპრილამდე**

წერს უსათაურო ლექსს „გაშლიდა გაზეთს“.

➤ 9042

1942

**20 აპრილამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ძმებო, მტერი ძლიერია...“.

➤ 9043

1942

**20 აპრილი**

მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია“ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებულს „მშობლიური ჩემო მიწავ“ დასაბეჭდად გადასცემს სტამბას.

➤ 9044

1942

28 აპრილი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ლენინგრადი“ ელიზბარ ანანიაშვილისეული თარგმანი.

➤ 9045

## მ ა ი ს ი

1942

1 მაისი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პირველი მაისი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 9046

1942

4 მაისი

შაითან ბაზარში (ამჟამინდელ ვახტანგ გორგასლის მოედანზე) ხვდება გერონტი ქიქოძეს და როდესაც უყვება, რომ აპირებს თავისი 50 წლის აღსანიშნავად საიუბილეო შემოქმედებითი საღამოს მოწყობას, ქიქოძე ჰპირდება, რომ მოკლე შესავალი სიტყვით გამოვა.

➤ 9047

1942

6 მაისის შემდეგ

გერონტი ქიქოძე ორი დღის განმავლობაში კითხულობს გალაკტიონის ლექსებს, რომ მისი საღამოსთვის შესავალი სიტყვა დაწეროს, მაგრამ თანდათან უფრო უმტკიცდება აზრი, რომ გალაკტიონს აქვს რაღაც მეექვსე გრძნობა, ზეგრძნობა, რომლითაც სამყაროს ითვისებს. მისი მიდგომა მოვლენებისადმი იმდენად მოულოდნელია, რომ შეუძლებელია მისი ახსნა. ქიქოძის აზრით, ყოველი მცდელობა გალაკტიონის პოეზიის ინტერპრეტაციისა, შექმნიდა მისი გატლანქების, გავულგარების შთაბეჭდილებას. წერილის ავტორი მიიჩნევს, რომ გალაკტიონის ლირიკის საუკეთესო ინტერპრეტაცია მუსიკალური პიესებით შეიძლებოდა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპოზიტორი გალაკტიონის „მონათესავე სულით იქნებოდა აღჭურვილი და მას სულით სულში ჩახედვის ნიჭი ექნებოდა“. აქედან გამომდინარე, ადრესანტი ბოდიშს უხდის დაპირების შეუსრულებლობისთვის და სთავაზობს, რომ თუ შესავალი სიტყვა აუცილებელია, ვინმე სხვამ დაწეროს, პირადად მას კი მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნება ასეთი საღამო მხოლოდ ლექსების კითხვით და მუსიკალური პიესების შესრულებით წარიმართოს.

➤ 9048

1942

19 მაისი

მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაცია“ გასცემს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კრებულის „მშობლიური ჩემო მიწავ“ 2500 ტირაჟით ბეჭდვის ნებართვას.

➤ 9049

1942

19 მაისის შემდეგ

ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის პოეტური კრებული „მშობლიური ჩემო მიწავ“, რომელიც აერთიანებს 20 ლექსს: „მშობლიური ჩემო მიწავ“, „თავდადებული მილიონები“, \*\*\* („ჩვენ ღარიბები ვიყავით მეტად...“), „რასაც სარაცინი წინად“, \*\*\* („აი აქ, ამ ქალაქისთვის...“), „მამული

სიცოცხლო“, „მასთან ბრძოლა“, \*\*\* („არც სილაჟვარდე...“), „წელიწადი ახალი“, „მფრინავი“, „ჩანგო“, „ძმებო“, „\*\*\* („ქვეყნად ბევრი არმიია...“), „სამშობლოს“, „დიდი არმია“, „ბაყაყი მსგავსი დელაროკისა“, „ორი ძალა“, „კრიზისისაგან თავის დაღწევა“, „მე გამოვშორდი ავადმყოფ მხარეს“, „ირაკლის ხმალი“.

➤ 9050

1942

25 მაისი

განცხადებით მიმართავს გამომცემლობას „ფედერაცია“ და ითხოვს, რამდენადაც მისი ლექსების კრებული „მშობლიური ჩემო მიწავ“ შეიძლება გამოცემულად ჩაითვალოს, ჰონორარი ჩაურიცხონ მოლოტოვის რაიონის შემნახველ სალაროში.

➤ 9051

1942

29 მაისი

წერს ლექსს „მაგრამ უკვდავი არის სამშობლო“.

➤ 9052

1942

30 მაისი

წერს უსათაურო ლექსს „ერთის ხისგან კეთდება...“.

➤ 9053

## ივნისი

1942

ივნისამდე

თბილისის რკინიგზელთა მეოთხე სკოლის მეთავეკლასელი მიხეილ ქვლივიძე მისდამი მიძღვნილ ლექსთან „გალაკტიონ ტაბიძეს“ ერთად უგზავნის მოკლე ბარათს. სწერს, რომ ძალიან უყვარს მისი ლექსები, თავად ახლა იწყებს წერას და ცდილობს, პოეზიის ღირსეული მსახური გახდეს.

➤ 9054

1942

5 ივნისის შემდეგ

ოლია ოკუპაციას გადასახლებიდან გამოშვებული უმცროსი ძმა ვასილ ოკუპაცია თბილისში დაბრუნებისთანავე გალაკტიონის სანახავად მიდის. პოეტი ქუჩაში დგას და ვიღაცას ესაუბრება. ვასილი იქვე დგება და არაფერს ეუბნება, აინტერესებს, იცნობს, თუ ვერა. ბოლოს ვეღარ ითმენს და პირდაპირ ეკითხება, ვერ მცნობო? გალაკტიონი გულმოდგინედ აკვირდება, უცებ ამოიძახებს, „ვასია, ძვირფასო!“, აქვითინებული გულში იხუტებს და სახლში აჰყავს.

➤ 9055

1942

29 ივნისის შემდეგ

წერს ლექსს „საბჭოთა კავშირის გმირის მ. გახოვიძის პატივსაცემად“.

➤ 9056

1942

29 ივნისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ომმა შესცვალა ზეცა კრიალა...“.

➤ 9057

1942

**29 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს საკუთარი ლექსის „ჰე, მამულო...“ ტექსტს სათაურის გარეშე.

➤ 9058

**ი ვ ლ ის ი**

1942

**15 ივლისი**

იაროსლავლში ოლია ოკუჯავას უგზავნის ფულს, 200 მანეთის ოდენობით.

➤ 9059

1942

**19 ივლისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „გმირ მიხეილ გახოკიძეს“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 9060

1942

**19 ივლისის შემდეგ**

რუსულენოვან კრებულში „ქართველი ხალხის გმირი შვილი – მიხეილ ლევანის ძე გახოკიძე“ იბეჭდება მისი ლექსი „გმირ მიხეილ გახოკიძეს“.

➤ 9061

**ა გ ვ ის ტ ო**

1942

**3 აგვისტო**

იაროსლავლში ოლია ოკუჯავასთან გაგზავნილ წერილს და ფულს უკან უბრუნებენ.

➤ 9062

1942

**11 აგვისტო**

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობას. წერს, რომ შალვა რადიანისა და პროკლე კეკელიძის მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოში შეტანილი მისი ლექსებისთვის ჰონორარის სახით ერგება სამას მანეთამდე, მაგრამ არ აძლევენ, რადგან „მნათობისთვის“ არ აქვს მიწოდებული მასალები. ითხოვს, რომ ჰონორარი მისცენ და „მნათობს“ აუცილებლად მიაწვდის მასალებს.

➤ 9063

1942

**11 აგვისტო ან შემდეგ**

რუსულად იწყებს ლექსის წერას დარიალისა და ბრძოლების შესახებ.

➤ 9064

1942

**23 აგვისტოს შემდეგ**

აბასთუმნიდან იღებს ოლღა დარიუსის დისშვილის ლაინე ბარტელსის წერილს. მადლობას უხდის, რომ მისი წყალობით ახერხებს იქ მკურნალობას და ფიქრობს სამუდამოდ დარჩენაზე. იმედოვნებს, რომ თუ მოინდომებს, შესაძლოა რაიმე სამსახური იშოვოს. სწერს, რომ აბასთუმანში კარგი სივრცეა, მაგრამ შიმშილობაა. ამიტომ წონაში მომატების ნაცვლად დაიკლო და წოლითი რეჟიმი გამოუწერეს. სწერს, რომ იქ ისვენებს პოეტი ლადო ასათიანი, რომელიც ავადმყოფობის გამო საშინლად გამოიყურება, მაგრამ არავის უყვარს, რადგან თავისი თავი ღმერთი ჰგონია.

➤ 9065



1942

31 აგვისტომდე

წერს ლექსს „ელგუჯას დაბრუნება“.

➤ 9066

1942

31 აგვისტო

რადიოთი გადასცემენ გალაკტიონის ახალ ლექსებს: „კავკასიის ჯარს“, „ელგუჯას დაბრუნება“, „კვლავინდებურად“.

➤ 9067

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

1942

სექტემბრამდე

წერს ლექსს „ჩანგო, ვით წინად, ეხლაც მოველი“.

➤ 9068

1942

1 სექტემბრამდე

მთარგმნელი ივან ნოვიკოვი ალექსანდრე აბაშელს უტოვებს გალაკტიონის ორი ლექსის – „მე და ღამე“ და „მთაწმინდის მთვარე“ – თარგმანებს.

➤ 9069

1942

1 სექტემბერი

დღიურში იწერს თავისი 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმას. იმედოვნებს, რომ იუბილე იქნება ისეთი, როგორსაც არ ელიან, დიდი, დაუვიწყარი და ამასთანავე შემოსავლიანი. გეგმავს ღონისძიებების გამართვას მწერალთა კავშირში, კლუბებში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, აზერბაიჯანში, სომხეთში, სახელმწიფო გამომცემლობაში, სხვა გამომცემლობებში. ასევე აპირებს წიგნების გამოცემას სომხურად, აზერბაიჯანულად და ფრანგულად.

➤ 9070

1942

1 სექტემბერი

შულავერიდან დაბრუნებული, მალარიით დაავადებული ოლღა დარიუსი სამკურნალოდ მიჰყავს დისპანსერში.

➤ 9071

1942

1 სექტემბერი

დღიურში ჩაწერილი ფრაზით „გახსოვდეს 17 ნოემბერი“ საკუთარ თავს შეახსენებს, რომ ხდება 50 წლის.

➤ 9072

1942

1 სექტემბერი

ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია დასაბეჭდად სთხოვს ახალ ლექსს „ელგუჯას დაბრუნება“, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს ალიო მაშაშვილის იმ ლექსის ნაცვლად, რომელიც მანამდე არაერთგზისაა დაბეჭდილი.

➤ 9073

1942

### 1 სექტემბერი

იწყებს მზადებას 50 წლის იუბილეს აღსანიშნავი ღონისძიებებისათვის. გეგმავს, საქმეში ჩართოს შალვა დადიანი. შიშობს, რომ შეიძლება ღონისძიების საკადრისად ჩატარებას ხელი შეუშალოს მიმდინარე ომმა, თუმცა მაინც იმედი აქვს, რომ მოხერხდება საღამოების ჩატარება მწერალთა კავშირში, კლუბებში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ასევე შესაძლებლად მიაჩნია მისი წიგნები გამოსცენ სახელმწიფო გამომცემლობამ, გამომცემლობებმა: „ფედერაცია“, „ზარია ვოსტოკა“, ტექნიკა და შრომა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ, მათ შორის სომხურ, აზერბაიჯანულ და ფრანგულ ენებზე. მიზნად ისახავს თანმიმდევრულად განახორციელოს გეგმების ნაწილი მაინც, რომ ღონისძიება გამოვიდეს „დაუვიწყარი, გულწრფელი და ამასთანავე შემოსავლიანი“.

➤ 9074

1942

### 4 სექტემბერი ან შემდეგ

წერს ლექსს „მოხსენ ტყვიამფრქვეველი“.

➤ 9075

1942

### 7 სექტემბერი

რადიოთი გადასცემენ გალაკტიონის ახალ ლექსებს: „მთის გულისცემა“, „გმირული ნანგრევები“, „ლარიქს სიბირიკა“.

➤ 9076

1942

### 7 სექტემბერი

დღიურში ჩაწერილი ფრაზით „გახსოვდეს 17 ნოემბერი“ საკუთარ თავს შეახსენებს, რომ ხდება 50 წლის.

➤ 9077

1942

### 7 სექტემბერი

ჟურნალ „მნათობიდან“ ავანსად იღებს ჰონორარს, 250 მანეთს ლექსისათვის „ელგუჯას დაბრუნება“.

➤ 9078

1942

### 7 სექტემბერი

ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ჰპირდება, რომ 16 გვერდს დაუთმობენ ჟურნალის მე-9 ნომრისათვის.

➤ 9079

1942

### 7 სექტემბერი

საქართველოს რადიოსგან იღებს შეთავაზებას, მონაწილეობა მიიღოს საბავშვო გადაცემაში.

➤ 9080

1942

## 9 სექტემბერი

რადიოსთვის ამზადებს სამ ლექსს: „ციხე არაგვის პირად“, „შელამება სოფლად“ და „ბარბაროსი“.

➤ 9081

1942

## 9 სექტემბერი

დღიურში ჩაწერილი ფრაზით „გახსოვდეს 17 ნოემბერი“ საკუთარ თავს შეახსენებს, რომ ხდება 50 წლის.

➤ 9082

1942

## 9 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ჩემო ლექსებო გქონდესთ...“.

➤ 9083

1942

## 10 სექტემბრამდე

წერს შალვა დადიანისადმი მიძღვნილ სალალობო ლექსს „ალბომში! ჩაროზი“ და ათარიღებს 1939 წლით.

➤ 9084

1942

## 10 სექტემბერი

7 სექტემბერს გამართულ რადიოგადაცემასთან დაკავშირებით, დღიურში წერს, რომ ვიღაცები ხელს უშლიან. ეჭვობს, რომ გიორგი ცაგარელი არ არის მის მხარეს, რადგან სამი წარდგენილი ლექსიდან მხოლოდ ერთი „მთის გულისცემა“ გადასცა, ორი კი – „გმირული ნანგრევები“ და „ლარიქს სიბირიკა“ – არა. იგებს, რომ ლირიკას გაურბიან და სურთ რეალური, ყოველდღიური ლექსების გაშვება. ფიქრობს, რომ ან არ ესმით, ან ესმით და ხელს უშლიან. ასკვნის, რომ რადიოსთვის ლექსებს იღებს გიორგი ცაგარელი, კითხულობს და დირექტივებს იძლევა ხულიგანი და ფუტურისტი ლეო ესაკია, საქმეში ერევა თაღლითი კარლო კალაძე და ცენტრალური კომიტეტი. აინტერესებს, ჩაშლილია თუ არა მისი რადიოსთან თანამშრომლობა, ვინ დააყენა რადიოსა და მწერლობას შორის კავშირის განსამტკიცებლად კარლო კალაძე, რომელიც მუდამ ხელს უშლის.

➤ 9085

1942

## 10 სექტემბერი

შუადღის 1-2 საათზე კარგავს საბუთებს. მათ შორისაა: უვადო პასპორტი, სამხედრო ბილეთი, ორდერის წიგნაკი, ორდენის საპენსიო წიგნაკი, საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ გაცემული საპენსიო წიგნაკი, პურის ბარათი, სასურსათო ბარათი და შემნახველი სალაროს წიგნაკი.

➤ 9086

1942

## 11 სექტემბერი

წერს განცხადებას წინა დღეს დაკარგული საბუთების შესახებ, უთითებს მისამართს და ტელეფონის ნომერს.

➤ 9087

1942

## 17 სექტემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ლექსი „ელგუჯას დაბრუნება“.

➤ 9088

1942

## 20 სექტემბერი

მილიციის მეხუთე სარაიონო განყოფილების სახელზე წერს განცხადებას, რომ ტრამვით მგზავრობისას მოპარეს მილიციის ამ განყოფილების მიერ გაცემული უვადო პასპორტი, სამხედრო ვალდებულებისგან გათავისუფლების ბილეთი და საკავშირო მწერალთა კავშირის წევრობის წიგნაკი.

➤ 9089

## ოქტომბერი

1942

## 11 ოქტომბრის შემდეგ

ადგენს თავის შემოქმედებაზე შექმნილი კრიტიკული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას.

➤ 9090

1942

## 11 ოქტომბრის შემდეგ

ბლოკნოტში საკუთარი ხელით გადაწერს ზაქარია ჭიჭინაძის 1927 წლის 20 მაისის წერილს.

➤ 9091

## ნოემბერი

1942

## 3 ნოემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის სამი ლექსი: „მთის გულისცემა“, „გმირული ნანგრევები“, „კავკასიის ჯარს“.

➤ 9092

1942

## 17 ნოემბერი

დღიურში აკეთებს ჩანაწერს, რომ შეუსრულდა ორმოცდაათი წელი.

➤ 9093

1942

## 17 ნოემბრის შემდეგ

დღიურში იგონებს პოეტ ბეგლარ ახოსპირელთან პირველი შეხვედრისა და გუბერნატორის მიერ მათი დაპატიმრების ბრძანების გაცემის ამბავს.

➤ 9094

1942

## 17 ნოემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არა ამაოდ საბჭოთა გმირში არის წესრიგი სავსე ძალღონით...“.

➤ 9095

1942

## 17 ნოემბრის შემდეგ

დღიურში წერს, რომ ადამიანი უშიშარი ხდება მას შემდეგ, რაც გადაიტანს თავს დატეხილ მოულოდნელ საშიშროებებს და იქვე წერს, პირადად მას რა გადაუტანია. ჩამონათვალშია: დედის მიერ ღამით მარტო დატოვება, სიბნელეში სასაფლაოს გავლა, ღმერთის გამოწვევა, მთვრალი დარაჯების თავდასხმა, დედის გამო ადიდებულ მდინარეში შესვლა, რევოლვერის და ხანჯლის

ტრიალში არაერთგზის აღმოჩენა, მამადავითის ქუჩაზე ყაჩაღების თავდასხმა, უნივერსიტეტის ქუჩაზე სროლაში მოხვედრა 1917 წლის ოქტომბერში, ტყვიის სულ ახლოს ჩავლა 1915 წელს, მატარებელზე თავდასხმა 1918 წელს, ზღვაში ცურვის დროს ძალის გამოცლა, კონფლიქტი ვინმე ცეცხლივით და შეურაცხყოფის ატანა, წყალდიდობის დროს სხვენისთვის თავის შეფარება, სასულიერო სასწავლებლიდან სემინარიაში არ გაგზავნის შიში, 1917 წლის შიმშილობა და ლიტერატურული გზის არჩევასთან დაკავშირებული საშიშროება.

➤ 9096

**1942**

### **17 ნოემბრის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ თებერვლის რევოლუცია ნგრევის დასაწყისი იყო. იგი ბევრისთვის მოულოდნელი იყო, მისთვის კი არა, რადგან საფუძველი უკვე მზადდებოდა დიდი ომისა და კრიზისების სახით. ვადის განსაზღვრაშიც არ შემცდარა, რადგან თუ სხვა მოვლენები ნელა მიმდინარეობს, რევოლუციური მოძრაობა, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, არნახული სისწრაფით მიექანება წინ.

➤ 9097

**1942**

### **17 ნოემბრის შემდეგ**

აგროვებს მასალას ამირანისა და კავკასიონის მთების თემაზე და იწერს ციტატებს როგორც საკუთარი, ისე სხვა პოეტების ლექსებიდან. წერს, რომ სანახავია ხალხური ლექსები და გადმოცემები და ინიშნავს ავტორთა გვარებს, მათ შორისაა: იოჰან ვოლფგანგ გოეთე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა, მამია გურიელი, სულხან-საბა ორბელიანი, სანდრო შანშიაშვილი და ჟან-ჟაკ რუსო.

➤ 9098

**1942**

### **17 ნოემბრის შემდეგ**

დღიურში აღწერს ჭყვიშის ეზოს: მდინარის პირად მდგარ ნეკერჩხალს, კომშებს, ეკლის ხეს, რომელიც აგრონომმა ფხაკაძემ აკაციად მოიხსენია და გალაკტიონის დედამ ამის გამო სახუმარო ლექსი გამოუთქვა. იგონებს ტყეში უხვად გადახლართულ შქერს, რომლის ტოტებში ჰამაკვივით შეიძლება მოსვენება, ალკოჰოლივით გამაბრუებელ ზაფხულის სიცხეს, გზის იქით პაპის გაშენებულ ხეივანს, ალუჩის ექვს ხეს, რომელთა ნაყოფიდანაც არაყს ხდიდნენ. ფარდაგივით მოქარგულ ჭალას და სამოვარს, სადაც საბალახოდ დაჰყავდა მისი ოჯახის მარჩენალი ძროხა – „წაბულა“. აგონდება, რომ ბავშვობაში მასაც წაბლისფერი თმა ჰქონდა და შემდეგ გაუშავდა.

➤ 9099

**1942**

### **17 ნოემბრის შემდეგ**

ნომრებით ჩამოწერს 18 ტაეპს ლექსისთვის „კავშირი გულთა შორის“ და ბოლოში ცდილობს მათგან ერთი სტროფის შეკვრას.

➤ 9100

**1942**

### **20 ნოემბრის შემდეგ**

რუსულ კრებული „კავკასია ურღვევია“, რომელშიც გამოქვეყნებულია აზერბაიჯანული, სომხური და ქართული ლექსები, იბეჭდება სემიონ ოლენდერის მიერ ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დიდი არმია“ („Великая армия“).

➤ 9101

1942

27 დეკემბერი

წერილს იღებს საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებისგან, რომლებსაც სურდათ, რომ გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი სალამო და მის შესახებ მოხსენების წაკითხვა მიმდინარე წლის ბოლოს ან ახალი წლის პირველ კვირაში მოესწროთ. სწერენ ტელეფონის ნომერს და სთხოვენ შეატყობინოს, რომელი დღეა მისთვის მოსახერხებელი, რომ სალამო იმ დროისთვის დანიშნონ.

➤ 9102

1942

27 დეკემბერი

სტუმრობს ფოტოხელოვან დავით მხეიძეს და ფოტოსალონის ალბომში ტოვებს ასეთ ჩანაწერს: „დიდი ბუნებრივობა, სიუბრალოე, იშვიათი არტისტულობა, გრძნობა სინამდვილისა, კულტურა და მგზნებარე ნიჭი – აი რა არის ძვირფასი ჩვენი ოსტატის ფოტოხელოვნებაში. ჩემი პორტრეტები პირდაპირ შედევრებია. დიდი მადლობა დავით მხეიძეს“.

➤ 9103

1942

ორჯერ სტუმრობს სოფელ დიდმის სკოლის დირექტორს ვლადიმერ ჯიბუტს. ბოლო სტუმრობისას სამ დღეს ატარებს ჯიბუტის ოჯახში და წერს რამდენიმე ლექსს. მასპინძელს უკითხავს ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ზღვის თემაზეა დაწერილი და საუბრობს აჭარაზე.

➤ 9104

1942

ილია აროსია უბის წიგნაკში უწერს თავის უსათაურო ლექსს „იმ წმინდა ოცნების ლანდი ვარ...“, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს გალაკტიონის სიტყვები: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები“.

➤ 9105

1942

წერს ლექსს „ჯარი სიმღერით მოდის“.

➤ 9106

1942

წერს უსათაურო ლექსს „ვითარცა მეფემ განვლიე...“.

➤ 9107

1942

წერს პირველ ვარიანტს ლექსისა „მეგლის გახსნა“ („წარწერა კარანდაშით შოთა რუსთაველის ძეგლზე“).

➤ 9108

1942

სახელგამში ხვდება მხატვარ მიხაილ ვადბოლსკის. საუბრობენ ქართველ მებრძოლებზე, რომელთაც სისხლი უღვრიათ რუსულ არმიაში და დავიწყებას მისცემიან. ასევე მსჯელობენ ქართული კულტურის სიძველეებზე და წარსულის საქართველოზე, როგორც ქრისტიანობის ბურჯზე აღმოსავლეთში.

➤ 9109

1942

თბილისში გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ გამოსცემს რუსულენოვან კრებულს „ქართველი ხალხის გმირი შვილი მიხეილ ლევანის ძე გახოკიძე“, რომელშიც იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „გმირ მიხეილ გახოკიძეს“.

➤ 9110

### 1942 ან შემდეგ

დრამატურგ გენო ქელბაქიანის ერთ-ერთი პიესის გმირი მეოთხე მოქმედებაში გალაკტიონის ლექსს წარმოთქვამს. ეს ამბავი გალაკტიონს ძალზე ახარებს. მაგრამ პიესას იწუნებენ. ცოტა ხნის შემდეგ ხვდება პიესის ავტორს და ინტერესდება მისი დადგმის თარიღით ქელბაქიანი მოწყენით ეუბნება, რომ პიესა ჩაუგდეს. გალაკტიონი ხუმრობით გადაულაპარაკებს, მხოლოდ მეოთხე მოქმედება რომ დავდგათო?

➤ 9111

### 1942 ან შემდეგ

ალექსანდრე ქუთათელთან ერთად სვამს ღვინის სარდაფში. როდესაც სახლში წასასვლელად გამოდიან, ხედავს მეუბოვე ჰასანას და ალექსანდრე ქუთათელს წარუდგენს, როგორც ცნობილ რომანისტს. მეუბოვეს ჰგონია, რომ ამ ახალგაჯნობილს რამანა ჰქვია და ასე მიმართავს მას. ქუთათელი ბრაზდება, გალაკტიონი კი ხითხითებს.

➤ 9112

## 1943

### ი ა ნ ვ ა რ ი

### 1943

#### 3 იანვრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის მიერ 1943 წლის 29 ნოემბერს პოეტის იუბილეზე წაკითხული მოხსენება „გალაკტიონ ტაბიძე“. კრიტიკოსი მიზნად ისახავს პოეტის 35-წლიანი შემოქმედებითი გზის დახასიათებას. ვრცელ წერილში მსჯელობა წარმართულია რამდენიმე ძირითადი საკითხის ირგვლივ: 1. გალაკტიონის ადრეული პოეზია. 2. პოეტის მეორე წიგნი. 3. გალაკტიონის ლიტერატურულ ტრადიციასთან დამოკიდებულების საკითხი. 4. გალაკტიონი და რევოლუცია. 5. გალაკტიონის საბჭოთა პერიოდის პოეზია. ისევე როგორც სხვა საბჭოთა კრიტიკოსები, ბესარიონ ჟღენტიც პოეტის პირველ წიგნში გამეფებულ სევდიან განწყობილებას სოციალური მიზეზებით ხსნის. თუმცა აქვე მიუთითებს, რომ ამ განწყობათა გვერდით გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებაში ვლინდება მეზრძოლი, ოპტიმისტური სულისკვეთებაც. ბესარიონ ჟღენტის დაკვირვებით, გალაკტიონის პოეზიისათვის ადრეულ ეტაპზე დამახასიათებელი იყო მისწრაფება რთული პოეტური სახეებისაკენ, რაც მის პოეტურ სტილს იმთავითვე გამოარჩევდა ე. წ. „დემოკრატიული სკოლის“ შემოქმედთა რიტორიკული პოეტიკისაგან. „არტისტულ ყვავილებს“ ბესარიონ ჟღენტი ქართული დეკადანსის მწვერვალად მიიჩნევს, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძე გვევლინება უკვე დასრულებულ დეკადენტად. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსისათვის მიუღებელია წიგნის საერთო სულისკვეთება, მისი აზრით, პოეტური ტექნიკის ათვისების, მელოდიურობისა და სახეობრივი ორიგინალურობის თვალსაზრისით „არტისტულ ყვავილებში“ გალაკტიონ ტაბიძემ ქართული ლექსი უმაღლესი სრულყოფილების დონეზე აიყვანა, კრებულის მნიშვნელობა კი ბევრად გასცდა ეროვნული ლიტერატურის საზღვრებს. კრიტიკოსის თქმით, გალაკტიონის პოეზიაში განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია სამყაროს აღქმის იმპრესიონისტულმა მანერამ. მასთანაა დაკავშირებული, კრიტიკოსის აზრით, გალაკტიონის შემოქმედებაში სიტყვის განტვირთვა ობიექტური, საკომუნიკაციო ფუნქციისაგან და მისი ბგერითი მხარის აქცენტირება. ბესარიონ ჟღენტი ხაზს უსვამს იმ ფაქტორს, რამაც, მისი აზრით, განაპირობა გალაკტიონის სწრაფი ფერისცვალება. ამის მიზეზი, კრიტიკოსის თქმით, ისაა, რომ გალაკტიონს არ გაუწყვეტია კავშირი ეროვნული ლიტერატურის ტრადიციასთან. ამ თვალსაზრისით ჟღენტი ერთგვარ შეპირისპირებას ახდენს გალაკტიონსა და „ცისფერყანწელებს“ შორის. კრიტიკოსის ინტერესის სფეროში ექცევა გალაკტიონის რევოლუციასთან დამოკიდებულების საკითხიც. წერილის

ავტორი ფიქრობს, რომ თავდაპირველად გალაკტიონის პოზიციაში ერთგვარი გაურკვეველობა შეინიშნებოდა, თუმცა პოეტმა სწრაფადვე დაძლია შინაგანი გაორება და ალტაცებით გაჰყვა რევოლუციას. გალაკტიონის პოეზიაში ახალი თემებისა და მოტივების გამოჩენამ, პოეტის მსოფლმხედველობრივმა ევოლუციამ, ბესარიონ ჟღენტის თქმით, ავტორის წინაშე გარდუვალად დააყენა პირად-ინტიმური თემების, ეფემერებისა და ფანტასტიური სურათების განსახიერებისათვის გამომუშავებული პოეტური ფორმის განახლებისა და საფუძვლიანი გარდაქმნის აუცილებლობა. მისი შეხედულებით, ამ სიძნელის გადალახვისათვის წარმოებულ დიდ შემოქმედებით ბრძოლაში პოეტი ყოველთვის ვერ ახერხებდა შეენარჩუნებინა პოეტური დონე. ამის დასტურად მიაჩნია კრიტიკოსს პოემა „ჯონ რიდი“. შემდეგ წერილის ავტორი გადადის გალაკტიონის საბჭოთა პერიოდის პოეზიის იდეურ-თემატურ დახასიათებაზე. მის პოსტრევოლუციურ შემოქმედებაში გამოყოფს პატრიოტიზმის, სამშობლოს დაცვის, მტერზე შურისძიებისა და ინდუსტრიული აღმავლობის თემებს და მსჯელობს მათ შესახებ.

➤ 9113

1943

11 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „ზევით რომ ერთი და ლურჯი ცაა...“.

➤ 9114

1943

20 იანვარი

წერილს იღებს საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებისგან. აცნობებენ, რომ მისდამი მიძღვნილ საღამოს ატარებენ 24 იანვარს, კვირას, საღამოს 8 საათზე. მომხსენებლად აპირებდნენ გერონტი ქიქოძეს, მაგრამ ოჯახური პირობების გამო მან ვერ შეძლო და თავადვე ურჩია აკაკი გაწერელია. გარდა ამისა, მსახიობები და ახალგაზრდები წაიკითხვან გალაკტიონისა და მისდამი მიძღვნილ ლექსებს. სწერენ, რომ 100-ზე მეტი მოსაწვევი, რომელშიც აღნიშნულია, რომ შეხვედრას გალაკტიონი დაესწრება, დაიბეჭდა და უკვე დაურიგდა ბიბლიოთეკის მკითხველებს. სთხოვენ, რომ ღონისძიებამდე ერთხელ იქნებ შეუაროს ან აცნობოს, სად და როდის შეძლებენ მის ნახვას. სასურველია, რომ მისგან ავტოგრაფიც აიღონ.

➤ 9115

1943

20 იანვრამდე

წერს ლექსს „სევასტოპოლის დამცველს“.

➤ 9116

1943

20 იანვრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ რუბრიკით „ისტორიის ახალი გვერდი“ და ხელმოწერით „გალაკტიონი“, იბეჭდება ლექსები: „ისტორიის ახალი გვერდი“, „ჰე მამულო“, „გზა გამარჯვების“, „მოგონება სევასტოპოლზე“, „გმირის გამარჯვება“ და „მაგრამ უკვდავი არის სამშობლო...“. მათ შორის უადგილობის გამო ვერ ხვდება ლექსი „ტყეები“.

➤ 9117

1943

29 იანვარი

წერს ლექსს „მეომრებო!“.

➤ 9118

1943



**29 იანვარი**

წერს ლექსს „არ დავინდოთ“.

➤ 9119

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

**1943**

**11 თებერვლამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ომს სურს შესცვალოს ზეცა კრიალა...“.

➤ 9120

**1943**

**11 თებერვლამდე**

წერს ლექსს „არაგვის ქარი“.

➤ 9121

**1943**

**11 თებერვალი**

სახელმწიფო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი გასცემს გალაკტიონ ტაბიძის წიგნის „მამულო, სიცოცხლეო“ ტირაჟის ბეჭდვის ნებართვას.

➤ 9122

**1943**

**11 თებერვლის შემდეგ**

თავისი ლექსების კრებულს „მამულო, სიცოცხლეო“ ჩუქნის ლადო ბზვანელს წარწერით: „ორიათასი წერილის ავტორს – დამსახურებულ პედაგოგს, ძვირფას ქართველს, უსაყვარლეს ადამიანს, ნიშნად უღრმესი პატივისცემისა“.

➤ 9123

**1943**

**11 თებერვლის შემდეგ**

ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის პოეტური კრებული „მამულო, სიცოცხლეო“, რომელიც 28 ლექსს აერთიანებს. ეს ნაწარმოებებია: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „მშობლიური ჩემო მიწავ“, „მთის გულისცემა“, „გმირს გაუმარჯოს“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“, „ელგუჯას დაბრუნება“, „მშობლიური მოწოდებით“, „თავდადებული მილიონები“, „ჩვენ ღარიბები ვიყავით მეტად“, „რასაც სარაციანი წინად“, „მამულო, სიცოცხლეო“, „მასთან ბრძოლა“, „გასტელო“, „ჩანგო!“, „მმეზო“, „დიდი არმია“, „ირაკლის ხმალი“, „მებრძოლი პოეტი“, „პირველი მათის“, „ომს სურს შესცვალოს ზეცა კრიალა“, „სამშობლოს გზას მრავალფერს“, „სამშობლოს წინსვლა“, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „რწმენით იარ“, „ქალაქი წყალქვეშ“, „ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა“, „ოცნებაო ჩემო ძველო“, „შრომით ისევ აღდგენილი“.

➤ 9124

**1943**

**15 თებერვალი**

განცხადებას წერს საქართველოს ლიტერატურული ფონდის სახელზე. აცნობებს, რომ მიემგზავრება სოფლად წიგნზე მუშაობის დასამთავრებლად და ითხოვს დახმარებას 500 მანეთის ოდენობით.

➤ 9125

**1943**

**22 თებერვლამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მუდმივ თოვლით განათებული...“.

➤ 9126

1943

### 22 თებერვლის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ ხელმოწერით „გალაკტიონი“ იბეჭდება ლექსი „ლენინი“.

➤ 9127

1943

### 23 თებერვალი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „წითელ არმიას“ რიურეკ ივნივისეული თარგმანი.

➤ 9128

1943

### თებერვალი

პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავად მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ საღამოს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სახელით ხსნის მისი დირექტორი კორნელი კეკელიძე. იგი აღნიშნავს, რომ მიესალმება გალაკტიონ ტაბიძისთვის სახალხო პოეტის წოდების მინიჭებას და იმ ფაქტს, რომ ბეჭდურ გამოცემებში უკვე მის სახელს გვარის გარეშე მოიხსენიებენ, როგორც შოთას, აკაკის, ილიას და ვაჟას.

➤ 9129

## მ ა რ ტ ი

1943

### მარტი

დღიურში ჩამოთვლის თებერვლისა და მარტის შემოსავალ-გასავალს: სახელმწიფო გამომცემლობიდან აიღო 3156 მანეთი, ჟურნალიდან „მნათობი“ – 400, პენსია – 525. ამ 4191 მანეთიდან დახარჯა 1130 მანეთი. აქდან პალტოზე 430 და ფეხსაცმელზე – 500. აპირებს სესხების აღებას ლიტერატურული ფონდიდან და სოციალური უზრუნველყოფიდან.

➤ 9130

1943

### მარტი

დღიურში იწერს, რომ აპირებს ხელშეკრულებების დადებას გამომცემლობებთან: „ზარია ვოსტოკა“, საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობა და „ფედერაცია“. შესაძლებლად მიაჩნია რადიოსაღამოსა და ჩვეულებრივი საღამოს ჩატარება და თარგმანების მომზადება გამომცემლობისთვის „ზარია ვოსტოკა“.

➤ 9131

## ა პ რ ი ლ ი

1943

### 20 აპრილი

გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება სერგი ჭილაიას სტატია „ლექსები სამშობლოზე“, რომელიც ეძღვნება გალაკტიონის წიგნს „მამულო, სიცოცხლე“. კრიტიკოსი აღტაცებით საუბრობს პოეტის ლექსებზე: „მშობლიური ჩემო მიწავ“, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „ელგუჯას დაბრუნება“ და სხვ. სერგი ჭილაია მიიჩნევს, რომ გალაკტიონმა ახალი შთაგონება მისცა პატრიოტიზმის თემას ქართულ პოეზიაში და შექმნა სამოქალაქო ლირიკის ორიგინალური ნიმუშები. კრიტიკოსი იმასაც მიუთითებს, რომ ყველა ლექსი ერთი დონის არ არის, რაც არღვევს წიგნის მხატვრულ მთლიანობას. ამ გარემოებას სერგი ჭილაია იმით ხსნის, რომ გალაკტიონი ბოლო პერიოდში ზედმეტად ბევრს წერს და ეს გავლენას ახდენს ლექსების

ხარისხზე. ამ დროს იქმნება პოეტური შტამის შექმნის საშიშროება. წერილის ავტორი ასევე არ იწონებს პოეტის ცალკეულ ენობრივ ექსპერიმენტებს.

➤ 9132

**1943**

**აპრილი**

წერს გეგმას პიესისათვის, რომლის მთავარი პერსონაჟებიც არიან მოსისხლე გვარების წარმომადგენელი, შეყვარებული ქალი და ვაჟი. ლექსის ფორმით ამუშავებს პიესის ცალკეულ ეპიზოდებს.

➤ 9133

**1943**

**აპრილი**

შეზარხოშებული გამოდის ლუდხანიდან. ამ დროს შიგნით შესვლას აპირებს ახალგაზრდა, რომელსაც ბაზარში ნაყიდი ყველი და კიტრი მოაქვს. გალაკტიონი ერთ კიტრს გამოართმევს და ეკითხება, თუ იცნო. ახალგაზრდა სიამოვნებით უდასტურებს. ამ დროს ქუჩაში პაპიროსის გამყიდველის ხმამაღალი შემახილი ისმის: „პაპიროსი, პაპიროსი!“. გალაკტიონი უცებ ექსპრომტად მიმართავს მას: „მეპაპიროსე ბიჭო, მე შენთან მოსვლას მიჯობს ას კილომეტრზე კროსი, მეპაპიროსე ბიჭო, მომეცი პაპიროსი“. მეგობრებთან ერთად იქ მყოფი ვლადიმერ მახარაძე ქალაქდზე იწერს მის სიტყვებს.

➤ 9134

## მ ა ი ს ი

**1943**

**მაისი**

ქუთაისელ ფოტოგრაფ დათიკო მხეიძეს სჩუქნის წიგნს „მამულო სიცოცხლე“ მიძღვნით: „მეგობარს, ძმას, მამულიშვლს, ძვირფას ძვირფას დათიკოს ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. 1943 წლის მაისი“.

➤ 9135

**1943**

**გაზაფხული**

პლენაროვის პროსპექტზე ხვდება ფოტოგრაფ ვასილ ტოტოჩიას ცოლისდას თანაკურსელ გოგონებთან და მათთან ერთად იღებს ფოტოს. შემდეგ ფოტო თავად გამოაქვს ატელიედან და ტოტოჩიებისთვის მიაქვს სახლში.

➤ 9136

## ი ვ ნ ი ს ი

**1943**

**22 ივნისი**

უბის წიგნაკში იწერს, გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ 1860 წლის 8 სექტემბერს გელათის ტაძარში წარმოთქმული ქადაგებიდან პავლე მოციქულის სიტყვებს: „კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს“.

➤ 9137

**1943**

**22 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში სათაურით „კავკასიონი“ წერს ლექსების სიას: „კავკასიის ჯარს“, „გმირული ნანგრევები“, „არაგვი“, „ჯიხვი მთაზე“, „ლილე“, „ბოროტი ძერა“, „აგრეთვე ძველი რკინეულობა“, „დილა მთებში“, „ჩვენ ერთნი ვართ – თუმც სხვადასხვა“, „აჰა, საცაა დაიძვრის გემი“, „წითელი ჯარი კავკასიონთან“, „ორი არწივი“, „სად არის ევა?“.

➤ 9138

1943

**22 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მშობლიურ ჰანგებს დაუგდე ყური...“.

➤ 9139

1943

**22 ივნისის შემდეგ**

უსათაუროდ იწყებს ლექსის წერას „მგზნებარე ხელით ჩართულს, გადართულს...“.

➤ 9140

1943

**22 ივნისის შემდეგ**

ოლღა დარიუსს უწერს ბარათს, რომ არ დახვდა სახლში, სადილად ვერ მივა და საღამოს 9 საათამდე შინ, მარჯანიშვილის ქუჩაზე, არ ელოდოს.

➤ 9141

1943

**22 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს 60 მხატვრის სიას, მათ შორისაა: ალექსანდრე ციმაკურიძე, შალვა მამალაძე, სოსო გაბაშვილი, აპოლონ ქუთათელაძე, მოსე თოიძე, ირინა შტენბერგი, დავით გველესიანი, ქეთევან მაღალაშვილი, უჩა ჯაფარიძე, იოსებ ვეფხვაძე, შალვა ძნელაძე, კირილ ზდანევიჩი, ნიკოლოზ კანდელაკი, ნინო ბრაილოვსკაია, იაკობ ნიკოლაძე, პეტრე ბლიოტკინი, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი, ნინა თამამშევა, ლადო გუდიაშვილი, გიგო ზაზიაშვილი, ირაკლი თოიძე, კორნელი სანაძე, შალვა მაყაშვილი, თამარ აბაკელია, ელენე ახვლედიანი, დავით ქუთათელაძე, გრიგოლ მესხი, თეოდორე ჩუდეცკი, მიხეილ ვადბოლსკი.

➤ 9142

1943

**22 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს იური კარსკის თარგმანებს.

➤ 9143

1943

**26 ივნისი**

წერს ლექსს „სტანსები“ („აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი“).

➤ 9144

1943

**29 ივნისი**

იმყოფება სახლში, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე ბინაში და დილით წერს ლექსს „გომბეშო ირანის საკონსულოს ბაღიდან“.

➤ 9145

**ი ვ ლ ი ს ი**

1943

**ივლისამდე**

წერს ლექსს „ქართული ორნამენტი“.

➤ 9146

1943

ივლისამდე  
წერს ლექსს „თასი“.  
➤ 9147

1943  
28 ივლისი  
წერს ლექსს „ღრუბლები ძაუგთან“.  
➤ 9148

1943  
29 ივლისი  
ტრამვით მგზავრობისას კარგავს პურისა და შაქრის ბარათს და სამ მგზავრს სთხოვს, რომ დაუდასტურონ ფაქტი.  
➤ 9149

## აგვისტო

1943  
2 აგვისტომდე  
წერს ლექსს „მხრები ყაზბეგის“.  
➤ 9150

1943  
2 აგვისტომდე  
წერს ლექსს „პიამა ნატროშვილი“.  
➤ 9151

1943  
2 აგვისტომდე  
ეცნობა კრებულს „ქართველი ხალხის გმირი შვილები“ და კონსტანტინე ლორთქიფანიძის სტატიის „აკაკი რობაქიძის გმირობა“ წაკითხვის შემდეგ წერს ლექსს „ომი მწვერვალებზე“.  
➤ 9152

1943  
2 აგვისტომდე  
წერს ლექსს „სიმართლისათვის“.  
➤ 9153

1943  
2 აგვისტომდე  
წერს ლექსს „იავნანა“.  
➤ 9154

1943  
2 აგვისტოს შემდეგ  
ჟურნალში „მნათობი“ საერთო სათაურით „ლექსების რკალიდან – „ისტორიის ახალი გვერდი“ იბეჭდება შემდეგი ლექსები: „მხრები ყაზბეგის“, „ღრუბლები ძაუგთან“, „იავნანა“, „ქართული ორნამენტი“, „სიმართლისათვის“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „პიამა ნატროშვილი“, „საარაკო ბრძოლის ჟამმა...“, „თასი“.  
➤ 9155

1943

### **3 აგვისტო**

დღიურში იწერს წყლის გამყიდველისა და მოქალაქის საუბარს იმის შესახებ, თუ რატომ ვერ ხერხდება, რომ ზაფხულობით თბილისში წყალი ცივ მდგომარეობაში იყიდებოდეს. ირკვევა, რომ ყინული ძალიან იაფია, მაგრამ მისი ადგილზე მიტანა ასჯერ მეტი ჯდება. ამიტომ საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა ტრანსპორტირების პრობლემის გადაჭრა.

➤ 9156

1943

### **3 აგვისტო**

წერს პატარა მინიატიურას იმის შესახებ, თუ როგორ დაუვარდა ბარგის გადამტან ცხრა იეზიდს პიანინო იმის გამო, რომ ვიღაც დაეჯახათ და როგორ დაიტრაბახა იქვე მდგომმა რაჭველმა, რომ მას სულ მარტოს ბურბუმელასავით მსუბუქად აჰქონდა ხოლმე პიანინო აღმართზე.

➤ 9157

1943

### **3 აგვისტო**

წერს პატარა მინიატიურას ზამთარ-ზაფხულ ქვაფენილზე ფეხშიშველა მოსიარულე ადამიანზე – პოეტ ტერენტი გრანელზე.

➤ 9158

1943

### **3 აგვისტო ან შემდეგ**

3 აგვისტოს დაწერილ მინიატიურაში, რომელშიც საუბარი იყო პიანინოს გადამტან იეზიდებზე, პიანინოს ანაცვლებს პალმით.

➤ 9159

1943

### **5 აგვისტო**

განცხადებას წერს ქალაქ თბილისის ვაჭრობის სამმართველოს დირექტორის სახელზე. აღნიშნავს, რომ 29 ივლისს ტრამვაიში დაკარგა პურისა და შაქრის ბარათი და ითხოვს, რომ მისცენ ახალი.

➤ 9160

1943

### **5 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მიმდინარე დღეს 24 საათზე დედაქალაქი მოსკოვი სალუტით აღნიშნავს ქალაქების ორიოლისა და ბელგოროდის გათავისუფლებას და იქვე იწყებს ლექსის წერას ამ თემაზე.

➤ 9161

1943

### **6 აგვისტო**

ეცნობა გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, იმის თაობაზე, თუ როგორ გაათავისუფლა საბჭოთა ჯარმა გერმანელთაგან ქალაქები ორიოლი და ხარკოვი ხუთ აგვისტოს, ოცდაოთხი საათის განმავლობაში. საბჭოთა ჯარის ამ წარმატებულ შეტევით მოქმედებას უძღვნის ლექსს სათაურით „5 აგვისტო, 24 საათი“.

➤ 9162

1943

### **8 აგვისტო**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „5 აგვისტო, 24 საათი“, რომელიც ეძღვნება საბჭოთა არმიის მიერ ქალაქების – ორიოლისა და ხარკოვის გერმანელთაგან გათავისუფლებას.

➤ 9163

1943

12 აგვისტო

დღიურში იწერს, რომ შალვა რადიანი მასთან ითანამშრომლებს.

➤ 9164

1943

13 აგვისტო

კომპოზიტორთა კავშირში კრებაზე ხვდება შალვა მშველიძეს.

➤ 9165

1943

13 აგვისტოს შემდეგ

დღიურში იწერს ოპერის თეატრში გასამართ საიუბილეო საღამოში სასურველ მონაწილეთა სიას. მათ შორის არიან: პეტრე შარია, ირაკლი აბაშიძე, ლეო ქიაჩელი, ბესარიონ ჟღენტი, ილო მოსაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, სანდრო ეული, შალვა რადიანი, შალვა დადიანი და სიმონ ჩიქოვანი.

➤ 9166

1943

13 აგვისტოს შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მაიმედე! ედემი ამ...“.

➤ 9167

1943

17 აგვისტოს შემდეგ

წერს ლექსს „ბრიანსკის ტყეები“, რომელიც ეძღვნება საბჭოთა კავშირის ჯარების მიერ ბრიანსკის ოლქის გასათავისუფლებლად განხორციელებულ შეტევით ოპერაციას.

➤ 9168

1943

24 აგვისტომდე

წერს ხარკოვის ფაშისტებისაგან გათავისუფლებისადმი მიძღვნილ ლექსს „სიცხადე“.

➤ 9169

1943

24 აგვისტო

ცალკე პლაკატად იბეჭდება გალაკტიონის ლექსი „სიცხადე“, რომელიც ხარკოვის ფაშისტებისაგან გათავისუფლებას ეძღვნება.

➤ 9170

1943

24 აგვისტო

საქართველოს რადიო გადასცემს გალაკტიონის ლექსს „სიცხადე“.

➤ 9171

1943

**24 აგვისტო**

მწერალთა კავშირში კითხულობს ლექსს „სიცხადე“.

➤ 9172

**1943**

**24 აგვისტოს შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს საკუთარი ლექსის – „სიცხადე“ – შესახებ. აღნიშნავს, რომ იგი ცალკე პლაკატის სახით დაიბეჭდა 1943 წლის 24 აგვისტოს, ხოლო მისი რუსული თარგმანი შეასრულა ბორის სერებრიაკოვმა. მიუთითებს, რომ ლექსმა საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც ორიგინალურმა, ნოვატორულმა თხზულებამ.

➤ 9173

**1943**

**31 აგვისტო**

უბის წიგნაკში ინიშნავს სამოქმედო გეგმას. აპირებს, 2 ოქტომბრისთვის დაჯავშნოს ოპერის თეატრი, შეარჩიოს ფოტოსურათები, გაარკვიოს, გადაბეჭდა თუ არა მბეჭდავმა ლექსები, მოაწესრიგოს პურის ტალონთან დაკავშირებული საკითხი.

➤ 9174

**1943**

**ზაფხული**

გიგო ზაზიაშვილთან და მიხეილ ვადბოლსკისთან ერთად ხეთაგუროვის ქუჩიდან „ვორონცოვის ხიდი“ (ამჟამად გურამ დოჩანაშვილის ხიდი) ალექსანდრეს ბალისკენ (ამჟამად გიორგი ლეონიძის და ცხრა აპრილის ბაღები) მიდის. გზად ჯარისკაცების მწყობრად სიმღერით მიმავალ რაზმს ხვდებიან. გალაკტიონი ქუდს იხდის, ჯარისკაცებს უქნევს და აღტაცებით ამბობს, რომ ეს ის დაუმარცხებელი ძალაა, რომელთანაც ჰიტლერი ვერაფერს გააწყობს.

➤ 9175

**1943**

**ზაფხული**

საბურთალოს ბაზარში მაწანწალებს ღვინით უმასპინძლდება და როდესაც ერთ-ერთი ვიატკელი ლტოლვილი საკუთარ ლექსებს წაუკითხავს, ღვინის ტიკთან ჩაცუცქულ კახურქუდიან გლეხს სთხოვს, რომ ყველაზე დიდი ჭიქა პოეტს ჩამოუსხას. გალაკტიონი პოეტს ჭიქას უჭახუნებს და გარშემო ტაში ქუხს. წასვლისას გალაკტიონი მოშორებით ჩერდება და უბის წიგნაკში რაღაცას იწერს.

➤ 9176

**1943**

**ზაფხული**

საბურთალოს ბაზარში ხვდება მხატვარ მიხეილ ვადბოლსკის, ისინი საუბრობენ და პლენარის (დავით აღმაშენებლის) გამზირისკენ მიემართებიან, გზად ჩელუსკინელების მოედანზე (გმირთა მოედანი) ხვდებიან მოსკოვიდან ევაკუირებულ მწერალ ვიკენტი ვერესაევს, რომელიც შეწუხებულია იმის გამო, რომ ნავთი ვერ იშოვა. გალაკტიონი და ვადბოლსკი აგრძელებენ გზას და საუბრობენ გიგო ზაზიაშვილის შესახებ.

➤ 9177

**1943**

**აგვისტოს შემდეგ**

წერს ლექსს „ახალი ქალაქის აღება“.

➤ 9178



## სექტემბერი

1943

### 8 სექტემბრამდე

წერს ლექსს „დონის ბასეინი“.

➤ 9179

1943

### 8 სექტემბერი

მეორე მსოფლიო ომის ამსახველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პლაკატზე „ხიშტით და კალმით“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დონის ბასეინი“.

➤ 9180

1943

### 14 სექტემბრამდე

ქუჩაში შემთხვევით ხვდება თავის ძველ ნაცნობს – ნინო კვირიკაძეს. მას შემდეგ, რაც ნინოს მეუღლე დავით ებანოძე 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა და ნინოს სახლი დააცლევინეს, ის ერთ ოთახში ცხოვრობს მეექვსეკლასელ ქალიშვილ ნუნუსთან ერთად, მეთერთმეტეკლასელ ვაჟ დავითს კი ზრდის დედამისი – ეკატერინე ღვინჯილია-კვირიკაძე. გალაკტიონი და ნინო ქორწინებიან და ეს უკანასკნელი თავის შვილებთან ერთად გალაკტიონთან გადადის საცხოვრებლად.

➤ 9181

1943

### 14 სექტემბერი

წიგნის „ზღვა ახმაურდა“ მოსამზადებლად 11:15 საათზე თბილისიდან მიფრინავს სოხუმში. დანიშნულების ადგილზე ჩადის 12:10 საათზე. დღიურში აღნიშნავს, რომ მატარებლით 14-საათიანი მგზავრობის ნაცვლად თვითმფრინავით მხოლოდ 1 საათი დასჭირდა.

➤ 9182

1943

### 14 სექტემბერი

ნინო კვირიკაძესთან ერთად, ბინავდება სოხუმის სასტუმროს „აფხაზეთი“ მყუდრო ნომერში და ათვალეურებს თბილისიდან ჩატანილ მასალებს წიგნისთვის „მოგონებები აფხაზეთზე“. ავად არის გრიპით, მაგრამ ფიქრობს, რომ უნდა გაუძლოს.

➤ 9183

1943

### 14 სექტემბერი

სოხუმში ხვდება პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორს – იოსებ ბოცვაძეს, რომელიც ეუბნება, რომ მიაკვლია ალექსანდრე ჭავჭავაძის უცნობ ლექსს.

➤ 9184

1943

### 14 სექტემბერი

სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელი შესჩივის ქაღალდის უქონლობას, მაგრამ რამდენადაც გალაკტიონის წიგნის გამოცემის ხელშეკრულებაზე ხელი უკვე მოწერილი აქვს, იძულებულია, გამოსავალი იპოვოს.

➤ 9185

1943

## 23 სექტემბრამდე

დღიურში ინიშნავს, რომ უნდა შეხვდეს უჩა ჯაფარიძესა და ერემია ასტვაცატუროვს.

➤ 9186

1943

## 23 სექტემბრამდე

დღიურში იწერს, რომ პოლიტიკური მოლაპატეობა უნდა დარჩეს მოლაპატეობად, მაგრამ კულტურისთვის არ არის მათი მოლაპატეობად აღიარება.

➤ 9187

1943

## 23 სექტემბრამდე

დღიურში მიმოიხილავს პოეზიის ორ მხარეს – შემოქმედებითსა და ტექნიკურს. აღნიშნავს, რომ მხატვრული შემოქმედების ნიჭი თანდაყოლილია როგორც გარეგნული სილამაზე ან ძლიერი ხმა და მისი მოპოვება ძალისხმევით არ შეიძლება. პოეტებად იბადებიან, მაგრამ დიდი შრომითაც შესაძლებელია ლექსთწყობის სწავლა და მეტნაკლებად ლამაზი ლექსის დაწერა. წერს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გრიგოლ ორბელიანის გარეგნულად უფორმო ლექსებშიც იგრძნობა გენიალურობა, მაგრამ ნიჭის გამოსახატად აუცილებლად მიაჩნია ლექსის ტექნიკის დაუფლება. ფიქრობს, რომ მწერალთა კავშირის პოეტების სექციამ დამწყებ პოეტს უნდა გაუადვილოს მუშაობა და მიაწოდოს წიგნი, რომელიც გააშუქებს ქართული პოეზიის მიღწევებს, შეასწავლის დამოკიდებულებას რედაქციებთან, პროზაიკოსებსა და კრიტიკოსებთან, მოძმე რესპუბლიკების პოეტებთან, ხელოვნების დარგებთან – მუსიკასთან, ფერწერასა და არქიტექტურასთან, თეატრსა და კინოსთან. ესაუბრება პოეზიის შემოსავლიანობაზე, წიგნების, პრესისა და რადიოს, სადამოებისა და პლაკატების მაგალითების განხილვით აუხსნის პოეზიის ნორმალური განვითარების დამაბრკოლებელ მიზეზებს და მეორე მსოფლიო ომის პერიოდის პოეზიის თავისებურებებს.

➤ 9188

1943

## 23 სექტემბერი

დღიურში წერს, რომ მის და მიმდებარე ეზოში მცხოვრები ექვსი პიონერი ბავშვი, რომლებიც, ალბათ, კომუნისტების შვილები არიან, თავხედურად იქცევიან და რომ მათი მეთაურია კონსტანტინე ლორთქიფანიძის შვილი.

➤ 9189

1943

## 26 სექტემბრის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის ამსახველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პლაკატზე „ხიშტით და კალმით“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დნეპროპეტროვსკი“.

➤ 9190

1943

## 29 სექტემბერი

ელო ანდრონიკაშვილი უძღვნის უსათაურო ლექსს „არასოდეს არ ყოფილა მთვარე ასე ნაზი...“.

➤ 9191

## ოქტომბერი

1943

## 1 ოქტომბრამდე

დღიურში ინიშნავს პლაკატების თემატიკას: „ქართველი მწერლები“, „ბიოგრაფია“, „პოეზიისთვის“.

➤ 9192

1943

ოქტომბრამდე

წერს ლექსს „შეხედეთ“.

➤ 9193

1943

1 ოქტომბრამდე

წერს პროზაულ ტექსტს, რომელიც საფუძვლად ედება პოემას „გამოგონება“.

➤ 9194

1943

1 ოქტომბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „იმ ქურდსა, როგორც წესია“...

➤ 9195

1943

1 ოქტომბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „არღვევს გარემოცვას საგვარდიო პოლკი“...

➤ 9196

1943

1 ოქტომბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „არა სთქვა ჩიტირეკია – ის ქურდი, ვგონებ, ლეკია...“.

➤ 9197

1943

1 ოქტომბრამდე

საკუთარი ლექსების „რჩეულში“ გამოსაქვეყნებლად არედაქტირებს ადრე დაწერილ ლექსს „კატასტროფა“ („თუმც ცოცხალი ვარ...“) და ახალ ვარიანტს სათაურად აძლევს „წერილი მეგობარ ექიმს“.

➤ 9198

1943

1 ოქტომბრამდე

წერს ლექსს „გვარდიის დროშა“.

➤ 9199

1943

1 ოქტომბრამდე

წერს უსათაურო ლექსის „შეხედე, როგორ დაყურებს ქედებს...“ სამ ვარიანტს.

➤ 9200

1943

1 ოქტომბრამდე

ომის თემაზე იწყებს ლექსის წერას სათაურით „დნეპროპეტოვსკი“, მაგრამ მუშაობის პროცესში მოქმედების ადგილი გადააქვს კავკასიაში, სადაც ასევე მიმდინარეობს ბრძოლები და სათაურად აწერს „ძაუგი“.

➤ 9201

1943

**1 ოქტომბრამდე**

დღიურში იწერს თავის საიუბილეო წლებს: 1943 – 35, 1948 – 40, 1953 – 45 და 1958 – 50. მისი დაბადების წელთან დაკავშირებული გაუგებრობის გამო ათვლას იწყებს 1892-იდან.

➤ 9202

1943

**1 ოქტომბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ცნობა „გალაკტიონ ტაბიძის საღამო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ მწერალთა კავშირი გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავთან დაკავშირებით, ოქტომბერში აწყობს მხატვრულ-ლიტერატურულ საღამოს და მხარს უჭერს მისი თხზულებების აკადემიურ გამოცემას.

➤ 9203

1943

**1 ოქტომბერი**

დღიურში წერს გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებული ცნობის „გალაკტიონ ტაბიძის საღამო“ შესახებ, რომელიც მოთავსებულია ბოლო გვერდზე, შეუმჩნეველ ადგილას და რეზონანსი არ ექნება. არც „იუბილე“ და „სახალხო პოეტი“, არც საღამოს დრო და ადგილი არ არის აღნიშნული. დამახინჯებულია მთავრობის 1933 წლის დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ უნდა გამოიცეს ნაწარმოებთა სრული აკადემიური გამოცემა. ასკვნის, რომ გაზეთის ექვსსტრიქონიან განცხადებაში ექვსი დიდი გაუგებრობაა. ფიქრობს, რომ „კომუნისტის“ რეპორტიორმა, აპოლონ ნუცუბიძემ ეს ცნობა მწერალთა კავშირის ოქმებიდან ამოიღო და გაუგებრობის სათავეც იქ არის.

➤ 9204

1943

**5 ოქტომბრამდე**

ხელოვნების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, პავლე კანდელაკი პირდება, რომ ოპერის თეატრს დაუთმობს და თავისი გამოცდილებით დაეხმარება საღამოს მოწყობაში, მაგრამ მწერალთა კავშირმა უნდა იშუამდგომლოს.

➤ 9205

1943

**5 ოქტომბრამდე**

ბესარიონ ჟღენტს აცნობებს თავისი შემოქმედებითი საღამოს ოპერის თეატრში გამართვაზე პავლე კანდელაკის თანხმობას, რაზეც ჟღენტი პასუხობს, რომ საღამოს მოწყობის ადგილს მწერალთა კავშირის კომისია გადაწყვეტს. გალაკტიონს ეჭვი უჩნდება, რომ ირაკლი აბაშიძე ისევ წინააღმდეგია ოპერის თეატრში მისი საღამოს გამართვის.

➤ 9206

1943

**5 ოქტომბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ განცხადების „გალაკტიონ ტაბიძის საღამო“ გამოქვეყნებიდან ოთხი დღეა გასული, მაგრამ მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომისია ჯერაც არ აურჩევია. დასახელებულია სამი კანდიდატი – ლევან ასათიანი, სიმონ წვერავა და ანდრო თევზაძე. გალაკტიონი ფიქრობს, რომ საღამოს ნაჩქარევად და უმნიშვნელოდ ჩატარება სურთ.

➤ 9207

1943

## **5 ოქტომბერი**

წერს ავტობიოგრაფიას და გადასცემს დასაბეჭდად. ფიქრობს, რომ სულ წინ უნდა იაროს, რომ მტრებმა არ დაასწრონ.

➤ 9208

**1943**

## **7 ოქტომბრამდე**

წერს საბჭოთა სამხედრო მოღვაწის – პორფილე ჩანჩიბაძისადმი მიძღვნილ ლექსს „ჩანჩიბაძე“.

➤ 9209

**1943**

## **7 ოქტომბერი**

გაზეთში „კომუნისტი. საფრონტო ფურცელი“ იბეჭდება საბჭოთა სამხედრო მოღვაწის – პორფილე ჩანჩიბაძისადმი მიძღვნილი ლექსი „ჩანჩიბაძე“.

➤ 9210

**1943**

## **23 სექტემბერიდან 6 ოქტომბრამდე**

მისი დაბადებიდან 50 და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 35 წლისთავის აღსანიშნავად ოპერაში გასამართ საიუბილეო საღამოსთან დაკავშირებით, დღიურში წერს ოცდაორი პროზაიკოსის, თოთხმეტი კრიტიკოსის (რომელთაგან ცხრა მისი მომხრეა), ხუთი დრამატურგისა და შერეული ჟანრის ოთხი წარმომადგენლისგან შემდგარ სიას.

➤ 9211

**1943**

## **6 ოქტომბერი**

მწერალთა კავშირის მდივანი ირაკლი აბაშიძე მიდის სოხუმში ისე, რომ დაპირების მიუხედავად, პრეზიდენტი კრებაზე არ ირჩევს გალაკტიონ ტაბიძის საღამოს მომწყობ კომისიას. საქმეთა მმართველი იროდიონ ქავჭავაძე პოეტს აცნობებს, რომ ირაკლი აბაშიძე 8 ოქტომბერს დაბრუნდება და მანამდე, თუ საჭირო იქნება, თვითონ დაამტკიცებს ოქმს კომისიის შექმნის შესახებ. გალაკტიონმა არ იცის, როგორ მოიქცეს, რადგან ორ დღეში უნდა დადგინდეს საორგანიზაციო კომისიის მუშაობის გეგმა, ამიტომ მეორე დღისთვის გეგმავს პეტრე შარიას ნახვას.

➤ 9212

**1943**

## **6 ოქტომბერი**

შალვა რადიანი გადასახედად გადასცემს ლექსების შედგენილ „რჩეულს“ და სთხოვს, რომ გასწორებული დაუბრუნოს.

➤ 9213

**1943**

## **6 ოქტომბერი**

დღიურში წერს, რომ საჭიროა მისი ლექსების „რჩეულის“ საბოლოოდ გადახედვა, ახალი მასალით შევსება და სუსტი ადგილების ამოღება. ინიშნავს ლექსებს „მხარძლიერი (ხარკოვის ცა)“ და „კვლავინდებურად ამოდის მზე და ისევ ჩადის“.

➤ 9214

**1943**

## **6 ოქტომბერი**

ერემია ასტვაცატუროვი სთხოვს ავტობიოგრაფიას და ნამდვილი ლექსის დაწერას, არა ისეთებისას, როგორც გიორგი ლეონიძე წერს.

➤ 9215

1943

**6 ოქტომბერი**

ესაუბრება შოთა ბერიტაშვილს, რომელიც მისი პორტრეტის დახატვას აპირებს და ამისთვის სთხოვს ფოტოს. ლაპარაკისას ირკვევა, რომ ნახატის შესაქმნელად მხატვარს ორი-სამი დღე სჭირდება.

➤ 9216

1943

**6 ოქტომბერი**

მისი დაბადებიდან 50 და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 35 წლისთავის აღსანიშნავად ოპერაში გასამართ საიუბილეო საღამოსთან დაკავშირებით, ბენო გორდეზიანი აცნობებს, რომ უბრალო პლაკატის დაბეჭდვასაც კი ორი თვე დასჭირდება, რადგან ლითოგრაფიაში თანამშრომლების დეფიციტია, გალაკტიონს კი რამდენიმე ფერადი პლაკატის დაბეჭდვის სურვილი აქვს. საჭიროა ცინკოგრაფიის კლიშეების დამზადება და მხატვრების მიერ დამუშავება, მრავალი ნებართვა და ქაღალდი. პოეტი დღიურში იწერს, რომ ქაღალდი შეიძლება ჰქონდეს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობას, სახელმწიფო გამომცემლობას ან ფედერაციას. საჭიროდ მიაჩნია ფოტოქაღალდიც სურათების გადასაღებად. ურჩევნ ნოემბრისთვის ისეთი პატარა წიგნის გამოცემას, რომელიც ყუმბარასავით იფეთქებს, ყველას ალაპარაკებს და წერილებს დააწერინებს.

➤ 9217

1943

**6 ოქტომბრის შემდეგ**

ფიქრობს წარსულზე და დღიურში იწერს, რომ არსებობს ისეთი მოგონება, რომელიც ადამიანს არასდროს დაავიწყდება. ფიქრს აწმყოსა და ამქვეყნიურ სინამდვილეზე აგრძელებს და გამოთქვამს აზრს, რომ სიცოცხლე მხოლოდ აქ არის. შემდეგ კი ღმერთს შესთხოვს, არ უღალატოს. ჩანაწერს ასრულებს ანდაზით, რომლის მიხედვითაც, ცდა ბედის მონახვერეა.

➤ 9218

1943

**10 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ო, რუსთაველო...“ თარგმანი.

➤ 9219

1943

**12 ოქტომბრამდე**

წერს ლექსს „გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე“.

➤ 9220

1943

**12 ოქტომბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ლექსი „გენერალი ლესელიძე“.

➤ 9221

1943

### **15 ოქტომბრის შემდეგ**

აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში ყოფნისას იგებს საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფილ ჯინჭარაძის გარდაცვალების ამბავს. საბჭოს თავმჯდომარე გარდაცვალების ცნობას, მიხეილ კალინინის წერილს და დოკუმენტებს გადასცემს გმირის აქვითინებულ დედას, რაც გალაკტიონზე მძიმედ მოქმედებს და თვალეზი ეცრემლება.

➤ 9222

**1943**

### **15 ოქტომბრის შემდეგ**

წერს მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მფრინავის – ისრაფილ ჯინჭარაძისადმი მიძღვნილ ლექსს „აჭარელი მფრინავი“.

➤ 9223

**1943**

### **20 ოქტომბრის შემდეგ**

ადგენს 1941-43 წლებში გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი, ქართველი პოეტების მიერ სამამულო ომის თემატიკაზე შექმნილი ლექსების სიას.

➤ 9224

**1943**

### **28 ოქტომბერი**

ტელეფონით ურეკავს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი ნიკოლოზ კიკნაძე და თავისთან იწვევს. გამომცემლობაში მისულ გალაკტიონს სთავაზობს რჩეულ ნაწარმოებთა წიგნის გამოცემას. პოეტი გაკვირვებულია შეთავაზებით. იგი ნიკო კიკნაძეს ეუბნება, რომ აუცილებელია არა რჩეულის, არამედ მისი თხზულებების სრული აკადემიური კრებულის გამოცემა. გამომცემლობის დირექტორი ჰპირდება, რომ ერთ კვირაში დაუბრუნებს პასუხს.

➤ 9225

**1943**

### **28 ოქტომბერი**

სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელი პოეტი გობრონ აგარელი როდესაც იგებს, რომ გალაკტიონს სურს თავისი თხზულებების სრული აკადემიური გამოცემა, ეუბნება, რომ კარგად იცის, როგორ გამოცემაზეც არის საუბარი და რომ მასში სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი მთელი შემოქმედება. გამომცემლობიდან გამოსვლისას იგი გალაკტიონს გადასცემს პეტრე შარიას სიტყვებს, რომლებიც მას გალაკტიონის შესახებ უთქვამს: დაეხმარეთ ამ კაცს წიგნის გამოცემაში, ის პოეტია მთელი არსებითო.

➤ 9226

**1943**

### **31 ოქტომბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მე ვინახულებ...“.

➤ 9227

**1943**

### **31 ოქტომბერი**

წერს ლექსს „31-ე ქალთა სკოლას“ („მახარებს თქვენი მხურვალე გრძნობა...“).

➤ 9228

**ნოემბერი**

**1943**

**ნოემბრამდე**

წერს ლექსს „მას, განათებულს ივერიის მზით“.

➤ 9229

**1943**

**2 ნოემბერი**

ბაბილინა ხოსიტაშვილი უძღვნის ლექსს „სიტყვა სადღეგრძელო გალაქტიონისადმი“.

➤ 9230

**1943**

**6 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გალაქტიონ ტაბიძის ლექსები – „ყაზბეგის მხრები“ და „მე კავკასიის ქედები მთხოვენ“ სათაურით „სალამი XXVI“.

➤ 9231

**1943**

**6 ნოემბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაქტიონ ტაბიძის ლექსის „დიად ოქტომბერს“ რიურის ივენვისეული თარგმანი.

➤ 9232

**1943**

**20 ნოემბერი**

წერს ლექსს „დნეპროპეტროვსკი“.

➤ 9233

**1943**

**21 ნოემბერი**

დილის 9 საათზე სახლში აკითხავს ლადო ბზვანელი. გალაქტიონი შინ არ ხვდება და ესაუბრება მის ცოლს, ნინო კვირიკაძეს. სთხოვს, რომ მისი რვეული „სამი სურათი“ მეუღლეს დაუტოვოს, რომ მომდევნო დღეს გაუაროს და წაიღოს. სურვილს გამოთქვამს, რომ დაესწროს 29 ნოემბერს ოპერის თეატრში პოეტის იუბილეს და მოკლე სიტყვითა და ლექსით მიულოცოს, როგორც მისი სოფლის მასწავლებელმა. სთხოვს, რომ მიმსალმებელთა სიაში ჩაწერონ და გაუგზავნონ სამი მოსაწვევი. სთხოვს, რომ პასუხი ამ თხოვნაზე მეუღლეს დაუბაროს.

➤ 9234

**1943**

**24 ნოემბერი**

ფრონტზე მყოფი მირზა გელოვანი უძღვნის უსათაურო ლექსს „მე თქვენ გიგონებთ კრძალვით და რიდით...“ და უგზავნის.

➤ 9235

**1943**

**26 ნოემბერი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ ქვეყნდება შალვა რადიანის სტატია „პოეტის გზა“, რომელშიც გალაქტიონის შემოქმედებითი გზაა მიმოხილული. კრიტიკოსი იმეორებს თავის ადრინდელ წერილებში გამოთქმულ შეხედულებებს გალაქტიონის რევოლუციამდელი და მის შემდეგდროინდელი პოეზიის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ პოეტმა იცის მხატვრული შემოქმედების ყველა საიდუმლო და მისი ლექსები უნაზეს ფორმებშია ჩამოსხმული. შალვა რადიანი ეხება გალაქტიონის ბოლო პერიოდის ლირიკას და საუბრობს მისი მებრძოლი პატრიოტიზმის შესახებ.



➤ 9236

1943

### 26 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ალექსანდრე საჯაიას ლექსი – „საიუბილეო მიძღვნა გალაკტიონს“.

➤ 9237

1943

### 26 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება სტატია „გალაკტიონ ტაბიძის საღამო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 29 ნოემბერს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50 და პოეტური შემოქმედების 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. მოხსენებას „გალაკტიონ ტაბიძე და ახალი ქართული პოეზია“ წაკითხავს ბესარიონ ჟღენტი. საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: ალექსანდრე აბაშელი, გიორგი ლეონიძე, ალიო მაშაშვილი, კარლო კალაძე, სანდრო ეული, ვიქტორ გაბესკირია და სხვები. დასასრულს გაიმართება საკონცერტო განყოფილება.

➤ 9238

1943

### 26 ნოემბერი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ ქვეყნდება გიორგი ნატროშვილის სტატია „საბჭოთა ეპოქის მომღერალი“. წერილის ავტორი ცდილობს დახატოს გალაკტიონის შემოქმედებითი პორტრეტი. კრიტიკოსის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ ეტაპზე გალაკტიონ ტაბიძე სიმბოლიზმის მისტიკურ ტრადიციებს მიჰყვებოდა, იგი მაინც ნაციონალურ პოეტად რჩებოდა, რადგან ღრმად იყო დაკავშირებული ეროვნული მწერლობის ჯანსაღ ნაკადთან. გიორგი ნატროშვილის თქმით, ევროპული პოეზიის გავლენამ გალაკტიონი ვერ მოსწყვიტა ლიტერატურულ ტრადიციას და ქართული რომანტიზმის სულიერი გაქანება კვლავ რჩება მისი პოეზიის ლაიტმოტივად.

➤ 9239

1943

### 26 ნოემბერი

გალაკტიონის სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ იბეჭდება კოლექტიური მიმართვა „ხალხის საყვარელი პოეტი“, რომელსაც ხელს აწერენ: ალექსანდრე აბაშელი, იოსებ გრიშაშვილი, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი და გრიგოლ აბაშიძე. საიუბილეო მიმართვაში აღნიშნულია, რომ ქართული მოდერნიზმის განმტკიცება გალაკტიონ ტაბიძის სახელთან არის დაკავშირებული და მისი ღვაწლი ახალი ლექსის რეფორმისათვის დიდმნიშვნელოვანია. პოლ ვერლენის შემოქმედებით აღტაცებულმა ქართველმა პოეტმა ჩვენს პოეზიაში რაფინირებული მელოდიების გადმონერგვა სცადა და ნაწილობრივ შეცვალა იმდროინდელი ქართული ლექსის მუსიკალური იერი.

➤ 9240

1943

### 27 ნოემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ვანო შადურის სტატია „ლენინგრადი და ქართული კულტურა“. ავტორს მოჰყავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ლენინგრადი“ და აღნიშნავს, რომ ორდენოსანმა სახალხო პოეტმა ლენინის ქალაქის ეპიკური ბრძოლების განსაკუთრებული სახე შექმნა და გადმოსცა ქართველი ხალხის სიყვარული და თავდადება ლენინგრადისადმი.

➤ 9241

1943

**28 ნოემბრამდე**

ურა ჯაფარიძის თხოვნით დადის მის სახელოსნოში და მხატვარი ქმნის გალაკტიონის პორტრეტს. პოეტი ძალიან ცდილობს, რომ უმოძრაოდ ყოფნით გამოწვეული დაღლა არ შეიმჩნიოს.

➤ 9242

1943

**28 ნოემბრამდე**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება სტალინური პრემიის ლაურეატ ურა ჯაფარიძის მიერ შესრულებული პორტრეტი „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 9243

1943

**28 ნოემბერი**

მარია ბარათაშვილი უძღვნის ლექსს „გალაკტიონი“ („ის ყველგან არის!..“).

➤ 9244

1943

**28 ნოემბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „დიადი არმიის მსვლელობა“ რიურიკ ივნევისეული თარგმანი.

➤ 9245

1943

**28 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი“ იბეჭდება ლექსი „სიმართლისათვის“ („მიაგდებს მერანს მხედარი...“).

➤ 9246

1943

**28 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის საღამო“. მასში ნათქვამია, რომ 29 ნოემბერს საღამოს 8 საათზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგება გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50 და შემოქმედებითი მოღვაწეობიდან 35 წლის საიუბილეო საღამო. მოხსენებით „გალაკტიონ ტაბიძე და ახალი ქართული პოეზია“ გამოვა ბესარიონ ჟღენტი, სიტყვით გამოვლენ მწერლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და წითელი არმიის წარმომადგენლები, ლექსებს წაიკითხავენ: ალექსანდრე აბაშელი, გრიგოლ აბაშიძე, რაჟდენ გვეტაძე, გიორგი ლეონიძე, ალიო მამაშვილი, კარლო კალაძე, სანდრო ეული, ვიქტორ გაბესკირია, გიორგი ქუჩიშვილი, კალე ბობოხიძე, ალექსანდრე საჯაია, ანდრო თევზაძე და იოსებ ნონეშვილი. დასასრულ შედგება კონცერტი საბჭოთა კავშირისა და რესპუბლიკის სახალხო არტისტებისა და სხვა მსახიობების მონაწილეობით.

➤ 9247

1943

**28 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც კრიტიკოსი საუბრობს გალაკტიონის პირველი წიგნის პესიმიზმზე, რომელიც გამოწვეული იყო 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით, წერს მის სიმბოლიზმზე და იმ ცვლილებებზე, რომლებიც განიცადა მისმა პოეზიამ სოციალისტურ ეპოქაში.

➤ 9248

1943

### 29 ნოემბრამდე

წერს განცხადების ტექსტს, რომ 6 დეკემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი სალიტერატურო საღამო, მაგრამ შემდეგ თარიღს გადააკეთებს 29 ნოემბრად.

➤ 9249

1943

### 29 ნოემბრამდე

წერს განცხადება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის სახელზე და ითხოვს, რომ 6 დეკემბერს, ორშაბათს დარბაზი დაუთმონ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს ჩასატარებლად.

➤ 9250

1943

### 29 ნოემბრამდე

წერილს იღებს პოლიო აბრამიასგან, რომელიც სულითა და გულით ულოცავს დაბადებიდან 50 წლის იუბილეს. სწერს, რომ ავადმყოფობის გამო თავად ვერ დაესწრება საიუბილეო ღონისძიებას და იმ ერთი მოსაწვევით, რომელიც მას მწერალთა კავშირმა გაუგზავნა, მეუღლეს უშვებს, მაგრამ ძალიან სწყდება გული ადრესანტის ქალიშვილს და სთხოვს, რომ მის პოეზიაზე შეყვარებული ორი ახალგაზრდისთვის კიდევ გაუგზავნონ ბილეთები.

➤ 9251

1943

### 29 ნოემბერი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 50 და პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენებას კითხულობს ბესარიონ ჟღენტი. იუბილარს სიტყვით მიმართავს აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, რომელიც გალაკტიონს ქართული ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციათა გამგრძელებელს უწოდებს. მეცნიერი შენიშნავს, რომ ჟურნალ „მნათობის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებული ლექსები ხელმოწერილია არა „გალაკტიონ ტაბიძის“, არამედ უბრალოდ „გალაკტიონის“ სახელით. ეს ფაქტი კორნელი კეკელიძეს პოეტის შემოქმედების სახალხო აღიარების უპირველეს დასტურად მიაჩნია, რადგან ქართული ლიტერატურის ისტორიაში მხოლოდ ერთეულთ ხვდათ პატივი, რომ სახელით ყოფილიყვნენ მოხსენიებულნი, კერძოდ, შოთას, ბესიკს, აკაკის, ილიას და ვაჟას. მეცნიერის თქმით, ამიერიდან გალაკტიონიც უერთდება ამ სასიქადულო სახელებს. გალაკტიონი კითხულობს ლექსს „მთაწმინდის მთვარე“. შუა კითხვაში ლექსი ეშლება. იბნევა და მიუხედავად იმისა, რომ მსმენელები მქუხარე ტაშით აჯილდოებენ, კითხვას წყვეტს და სავარძელს უბრუნდება. პოეტი განცდილ მარცხზე ნერვიულობს და მარიკა ბარათაშვილი ცდილობს მის დამშვიდებას.

➤ 9252

1943

### 29 ნოემბერი

მსახიობი ნუცა ჩხეიძე წერილობით ულოცავს დაბადებიდან 50 და ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებიდან 35 წლისთავს. დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს, რომ თავის ლექსებში „კვლავ მოჰქარგოს მარგალიტებით“ ხალხის ფიქრები და გრძნობები.

➤ 9253

**1943**

### **29 ნოემბერი**

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 50 და პოეტური მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე შალვა დადიანი კითხულობს გალაკტიონის ლექსს „სიმართლისათვის“ („მიაგდებს მერანს მხედარი“).

➤ 9254

**1943**

### **შემოდგომა**

შედის რუსთაველის პროსპექტზე მდებარე კაფეში. ხედავს კუთხეში მორიდებით მჯდომ გოგონას, მიემართება მისკენ და ითხოვს მაგიდასთან დაჯდომის ნებას. თანხმობის მიღების შემდეგ საუბარს უბამს. როცა იგებს, რომ გოგონა გვარად ბაგრატიონია, აღტაცებას ვერ ფარავს და ეუბნება, რომ ძალიან კარგია, როცა ასეთ მშვენიერ გოგონას ასე ღარიბულად აცვია. ცოტა ხნის შემდეგ ქალიშვილი წასვლას დააპირებს, რათა დროულად მიუტანოს პური თავის მოხუცებს. ამის გაგონებაზე გალაკტიონი თავად შეიძენს ბუფეტში დიდ თეთრ პურს და გადასცემს ქალიშვილს. შემდეგ უცბად გადის ქუჩაში და ბრუნდება ჩამოხეული აფიშით ხელში. აჩვენებს აფიშას ახალგაზრდა ქალიშვილს და ეუბნება, რომ მასზე მისი სიტყვებია დაბეჭდილი. შემდეგ აცილებს გოგონას ქუჩამდე და ეშვადობება.

➤ 9255

## **დეკემბერი**

**1943**

### **3 დეკემბერი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება სტატია „გალაკტიონ ტაბიძის საღამო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 29 ნოემბერს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 50 და პოეტური შემოქმედების 35 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ბესარიონ ჟღენტმა წაიკითხა მოხსენება „გალაკტიონ ტაბიძე და ახალი ქართული პოეზია“. სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. საქართველოს პოეტების სახელით საიუბილეო თარიღი გალაკტიონს მიულოცა გიორგი ლეონიძემ. იუბილარმა წაიკითხა თავისი ლექსები.

➤ 9256

**1943**

### **12 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „გაზაფხულის იისფერო მზერავ“.

➤ 9257

**1943**

### **12 დეკემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „მოსკოვი“.

➤ 9258

**1943**

წერს ლექსს „ბათუმი“.

➤ 9259

**1943**

წერს უსათაურო ლექსს „კვლავ გამობრწყინდება ვარსკვლავი ჩემი...“.

➤ 9260

**1943**

წერს უსათაურო ლექსს „არ ამოდ...“.

➤ 9261

**1943**

წერს ლექსს „ოდას შეუცვლია ფაცხა“.

➤ 9262

**1943**

წერს უსათაურო ლექსს „მშობლიურ ჰანგებს დაუგდე ყური...“, რომელსაც რეფრენად გასდევს ფრაზა „ეს გენიაა გალაკტიონის“.

➤ 9263

**1943**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი წერილს უგზავნის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროს, ბენო გოგუას და სთხოვს, მიმდინარე წლის 15 ნოემბრისათვის (ორშაბათი) დაუთმონ სახელმწიფო ოპერის თეატრი, რათა აღინიშნოს გ. ტაბიძის დაბადების 50-ე და პოეტური მოღვაწეობის 35-ე წლისთავი.

➤ 9264

**1943 ან შემდეგ**

ნინო კვირიკაძეს უძღვნის ლექსს სახელწოდებით, „რვა მარტი“.

➤ 9265

**1943 ან შემდეგ**

ერთხელ ქალაქგარეთ ეკლესიაში შესვლისას გალაკტიონი მგალობლებს ხმას აყოლებს და ხალხის ყურადღებას იქცევს თავისი მშვენიერი ბარიტონით. წირვის შემდეგ მღვდელი დაეძებებს, ეს რა ხმა ჰქონია ამ კაცსო.

➤ 9266

**1943 ან შემდეგ**

ერთ-ერთ შეხვედრისას კონსტანტინე გამსახურდია ეუბნება, მიუხედავად იმისა, რომ ქართული სიტყვის ესთეტი ხარ, რატომღაც ჩაცმულობას ყურადღებას არ აქცევო. გალაკტიონი გადაიხარხარებს, ხუთ თითს გაშლის და პასუხობს, რომ ეს ხუთი თითი მან პოეზიას დაადო და 50 წლის შემდეგ მისი პოეზიის თაყვანისმცემლებისთვის სულ ერთი იქნება რა აცვია მას დღეს, პოეზია მარადიულია და ჩაცმულობა მასთან არაფერი მოსატანია.

➤ 9267

**1943 ან შემდეგ**

ნინო კვირიკაძეს უძღვნის სახუმარო ლექსს „ბარბიუსზე ლექსს ვერა ვწერ...“.

➤ 9268

**1943 ან შემდეგ**

წერს სატირულ ლექსს „რადაცა მიკიბ-მოკიბულს ჩემზე ამბობდა პეტრუხა...“.

➤ 9269

### 1943 ან შემდეგ

საქართველოს რადიო გადმოსცემს სიუჟეტს „საბჭოთა ლიტერატურის გამოჩენილი მწერლები გალაკტიონ ტაბიძეზე“. ტექსტს კითხულობს მსახიობი გიორგი საგინაშვილი. აქ არის ეპითეტები: „ჯადოქარი პოეზიის“, „თვით ეპოქაა ლექსურ პოეზიაში“ და სხვ. ამის შემდეგ მსახიობები კითხულობენ პოეტის ლექსებს. თამარ ჭავჭავაძე კითხულობს ტექსტებს: „ძველი და ახალი ხიდი“, „სალამი საქართველოს“, „იდეა“ და „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“, გიორგი დავითაშვილი კი კითხულობს ლექსებს: „სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი“, „ქალაქი წყალქვეშ“, „70 წლის პოეტი ქუჩაში მიდის“, „ლიუმინანტი“, „მუმების სიტყვა ევროპიდან“ და სხვ.

➤ 9270

### 1943 ან შემდეგ

წერს ლექსს „ვიკტორ გიუგო“ („რომ მტერს პასუხი მიუგოს...“).

➤ 9271

### 1943 ან შემდეგ

საკუთარი ინიციატივით მართავს ლიტერატურულ საღამოს. მწერალთა კავშირიდან ურჩევნ, რომ სხვა დროისთვის გადადოს, მაგრამ მაინც ატარებს და თითქმის ცარიელი დარბაზის წინაშე აღმოჩნდება. საღამოს შემდეგ შინაურთა წრეში ამბობს, რომ პოეტის მოსაკლავად ტყვია არ არის აუცილებელი, მოგვიანებით კი მეუღლეს ნინო კვირიკაძეს უყვება, რომ მაიაკოვსკიმ მას შემდეგ მოიკლა თავი, რაც თავისი შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენა მოაწყო და მნახველები არ ჰყავდა. მისი აზრით, ეს ყველაფერი მტრებმა მოუწყვეს.

➤ 9272

\* \* \*

### 1943 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ბალდათელი ხარ, სასმისს / გამოვეთხოვოთ, ნინო...“.

➤ 9273

### 1944

#### 1 იანვრამდე

მუშაობას იწყებს პოემაზე კავკასიონის შესახებ. ჩაფიქრებული აქვს, რომ ნაწარმოები მშობლიურ მოტივებზე შექმნას, რამაც, მისი აზრით, სამომავლოდ პოემის მნიშვნელობა და წარმატება უნდა განაპირობოს.

➤ 9274

### 1944

#### 1 იანვრამდე

ყოველდღიურად მიდის გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში, ეცნობა მებრძოლთა მიერ ფრონტიდან გამოგზავნილ ამაღელვებელ ლექსებს, დიდძალ მასალას, ხოლო შაბათობით მწერალთა სასახლეში მოწყობილ შეხვედრებზე თავის კოლეგებსა და დამსწრე საზოგადოებას უკითხავს ამ ნაწარმოებებს.

➤ 9275

### 1944

#### 1 იანვრამდე

ერთ-ერთი გამომცემლობისთვის მუშაობს ავტობიოგრაფიაზე.

➤ 9276

1944

1 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ საერთო სათაურით „მრავალ ახალ წელს!“ ქვეყნდება სამი ლექსი: „შეხედეთ“, „ვინც იცის“ და „მრავალ ახალ წელს!“.

➤ 9277

1944

1 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ რუბრიკით „სახალწლო ანკეტები“ ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და გრიგოლ აბაშიძის ტექსტები. მწერლები საუბრობენ მათ მიერ გასულ წლებში ჩატარებული სამუშაოების შესახებ და, ასევე, მსჯელობენ სამომავლო გეგმებზე. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ახალ, 1944 წელს აპირებს სახელმწიფო გამომცემლობას გადასცეს ყველა ის ნაწარმოები, რომლებიც 35 წლის განმავლობაში შექმნა. მისი ვარაუდით, ეს მასალა 35 000 სტრიქონს შეადგენს და გამომცემლობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, პოეტის თხოულებათა სრული კრებული, რომელიც დღემდე გამოქვეყნებულ ყველა ნაწარმოებს გააერთიანებს, მალე უნდა გამოიცეს. ანკეტაში ასევე ნათქვამია, რომ პოეტი ევროპაში ომის დაწყების პირველივე დღეებიდან აწარმოებდა დღიურს და ამ ჩანაწერების მიხედვით შექმნა პოემები: „კაფე კორსოს ქუჩაზე“, „კომპიენის ტყე“ და „ევროპა“. გალაკტიონი საუბრობს მიმდინარე საქმეების შესახებაც და აღნიშნავს, რომ ამჟამად მუშაობს პოემაზე კავკასიონის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, მნიშვნელოვანი ნაწარმოები უნდა გამოვიდეს. გარდა ამისა, პოეტი ამზადებს ავტობიოგრაფიას ერთ-ერთი გამომცემლობისთვის და, ყოველივე ამის პარალელურად, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციაში ყოველდღიურად ეცნობა ფრონტიდან გამოგზავნილ ამალელებელ ლექსებს.

➤ 9278

1944

1 იანვრის შემდეგ

თავისი ლექსების „რჩეულის“ გამოსაცემად გამომცემლობას აბარებს 35 წლის მანძილზე მის მიერ გამოქვეყნებულ ლექსებსა და პოემებს, დაახლოებით 35000 სტრიქონს.

➤ 9279

1944

1 იანვარს ან შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის ამსახველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პლაკატზე „ხიშტით და კალმით“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მრავალ ახალ წელს“, ოთარ ეგაძის რედაქტორობითა და შოთა ბერიტაშვილის მხატვრული გაფორმებით.

➤ 9280

1944

1 იანვარს ან შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის ამსახველ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პლაკატზე „ხიშტით და კალმით“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მრავალ ახალ წელს“ რუსული თარგმანი „Грядущим годам“, ოთარ ეგაძის რედაქტორობითა და შოთა ბერიტაშვილის მხატვრული გაფორმებით.

➤ 9281

1944

4 იანვრის შემდეგ

უმის წიგნაკში იწერს გაზეთებში – „კომუნისტი“ და „მებრძოლი“ – ქართველი პოეტების მიერ სამამულო ომის თემაზე გამოქვეყნებული ლექსების ჩამონათვალს.

➤ 9282

1944

### 5 იანვრის შემდეგ

ნიკოლაი დერჟავინის ბუკლეტის „შეტევა აღმოსავლეთზე“ გარეკანზე აწერს გერმანული სათაურის რუსულ თარგმანს „Наступление на восток“ და სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 9283

1944

### 25 იანვარი

გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციაში მის სანახავად მიდის მწერალი და პედაგოგი ნინო ტყემელაშვილი, მაგრამ ვერ ნახულობს.

➤ 9284

1944

### 26 იანვარი

მწერალი და პედაგოგი ნინო ტყემელაშვილი წერილთან ერთად უტოვებს თავის ნარკვევს „ქართველი ქალი მეომარი“. წერს, რომ ლიტერატორებმა და ისტორიკოსებმა მოიწონეს და თუ გალაკტიონსაც მოეწონება, უშუამდგომლოს „კომუნისტის“ რედაქციასთან, რომ დაუბეჭდონ. ფიქრობს, რომ, როგორც სააგიტაციო მასალა, მალე უნდა დაბეჭდონ. სთხოვს, დაეხმაროს, რადგან დიდი დრო და ენერგია დაახარჯა ამის დაწერას და მისი პუბლიკაცია მორალურადაც და მატერიალურადაც შეეწევა ამ შიმშილობის დროს. სთხოვს, რომ თუ რაიმე იქნება ჩასასწორებელი, მთავარი ლიტერატურული სამმართველოს თანამშრომლის, ბოლშევიკი აგიტატორის, ეკა მღებრიშვილის საშუალებით მიაწვდინონ ხმა.

➤ 9285

1944

### 26 იანვარი

გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატების სიას. მათ შორის მხატვრული ლიტერატურის დარგში დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 9286

1944

### 27 იანვრის შემდეგ

წერს ლენინგრადის ბლოკადის დასრულებისადმი მიძღვნილ ლექსს „იისფერი ფურცლები“.

➤ 9287

1944

### იანვარი

წერს ლექსს „ახალი წელი“ („გასწიე ფარდები...“).

➤ 9288

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1944

### 7 თებერვალი

სადამოს უმართავენ გიორგი ერისთავის სახელობის გორის თეატრში. გალაკტიონის შემოქმედების შესახებ მოხსენებას კითხულობს სოლომონ ხუციშვილი. სიტყვით გამოდიან დავით ლაშქარაძე, ელენე ვირსალაძე, სიმონ სხირტლაძე და ვასილ ზაიაძე. გალაკტიონი



კითხულობს ლექსებს, მათ შორის ლექსს „მშობლიური ჩემო მიწავ“. საღამოს შემდეგ პოეტს ფოიეში ხვდებიან დაჭრილი ჯარისკაცები, რომლებიც აღტაცებულნი არიან ლექსით „მშობლიური ჩემო მიწავ“. ისინი გადაეხვევიან პოეტს და ეუბნებიან, რომ კვლავ ფრონტზე მიემართებიან სამშობლოს დასაცავად. გალაკტიონი გზას ულოცავს.

➤ 9289

1944

### 22 თებერვლის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენი გულგამხარებელი...“.

➤ 9290

1944

### 23 თებერვალი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „წითელ არმიას“ თარგმანი.

➤ 9291

1944

### 22 თებერვლამდე

მწერალთა კავშირში გალაკტიონ ტაბიძის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად არჩევის საკითხის განხილვისას ერთი მწერალი ამბობს, გალაკტიონს ღვინო უყვარს, სულ მთვრალი დადის და შეგვარცხვენსო. გალაკტიონი მშვიდად ეკითხება: შენ ძამიკო, ღვინო არ გიყვარს? არაო, პასუხობს ის. არც ოდესმე მთვრალი ყოფილხარო? ეკითხება გალაკტიონი. პასუხად იღებს არასდროსო. ამის შემდეგ გალაკტიონი ღიმილით მიმართავს პრეზიდიუმს, რომ მისი ეს ოპონენტი აირჩიონ აკადემიკოსად.

➤ 9292

1944

### 22 თებერვლამდე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მწერლების აკადემიკოსებად არჩევის საკითხი დგას, პარტიის ცენტრალური კომიტეტი გვერდს უვლის გალაკტიონს და კანდიდატად სხვა პოეტს ასახელებს. შემფოთებული აკაკი გაწერელია კონსტანტინე გამსახურდიასთან მიდის და შესჩივის ამ ამბავს. ისინი ერთად მოინახულებენ აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ სიმონ ჯანაშიას, რომელიც ასევე მიიჩნევს, რომ გალაკტიონის აურჩევლობა აკადემიის სირცხვილი იქნება და ავალებს აკაკი გაწერელიას, დაწეროს სათანადო დახასიათება-ატესტაცია გალაკტიონის აკადემიკოსობის კანდიდატად წარსადგენად.

➤ 9293

1944

### 22 თებერვლამდე

მეცნიერებათა აკადემიის საექსპერტო კომისია ნამდვილ წევრად ასარჩევად უწევს რეკომენდაციას და კენჭისყრისას ყველაზე მეტ ხმას იღებს.

➤ 9294

1944

### 22 თებერვალი

ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

➤ 9295

1944

## 22 თებერვლის შემდეგ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრებთან ერთად იღებენ ვიდეოფორზე.

➤ 9296

1944

## 23 თებერვლამდე

წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსს „იდიდე, სამშობლოვ! ერთა მეგობრობის...“.

➤ 9297

1944

## 23 თებერვლამდე

უბის წიგნაკში რუსულად იწერს სერგეი მიხალკოვისა და ელ-რეგისტანის დაწერილ საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

➤ 9298

1944

## 23 თებერვალი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „წითელ არმიას“ თარგმანი მთარგმნელის მიუთითებლად.

➤ 9299

1944

## 23 თებერვალი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს, რომ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ დაიბეჭდა მისი ლექსის თარგმანი, აინტერესებს, ვისია და როგორია, რადგან მთარგმნელი ხელს არ აწერს.

➤ 9300

1944

## 24 თებერვალი

მოკლე წერილს იღებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ნიკო მუსხელიშვილისგან. ატყობინებს, რომ მეცნიერებათა აკადემიამ მხედველობაში მიიღო მისი დამსახურება მშობლიური ლიტერატურის წინაშე და აირჩია აკადემიის ნამდვილ წევრად.

➤ 9301

1944

## 25 თებერვალი

თბილისში შემთხვევით ხვდება მივლინებაში მყოფ ჯარისკაც იროდიონ ჯგერენაიას. მიუხედავად სამხედრო სამოსისა, ცნობს მას, გადაეხვევა, პლენხანოვის გამზირზე მდებარე ფოტოატელიეში შეჰყავს, მასთან ერთად სურათს იღებს და მისამართს იწერს, რომ ფოტო გაუგზავნოს. სთხოვს ჯარისკაც ამხანაგებს გადასცეს გალაკტიონის გულთბილი სალამი, ემშვიდობება და შინ მშვიდობით დაბრუნებას უსურვებს.

➤ 9302

1944

## 27 თებერვალი

წერს უსათაურო ლექსს „გუგუნო ქართულ ბუხრის...“.

➤ 9303

1944

## თებერვალი

ბერლინში გამომავალ ემიგრანტულ ჟურნალში „ქართველი ერი“ „ლეგიონერი თამაზის“ ფსევდონიმით იბეჭდება უცხოეთში მცხოვრები ქართველი პოეტის ილია შენგელიას სტატია „სიმბოლიზმი საქართველოში“. ავტორი გალაკტიონ ტაბიძისა და ცისფერწყანწელთა შემოქმედებაზე დაყრდნობით მიზნად ისახავს ქართული სიმბოლიზმის, როგორც ლიტერატურულ-კულტურული მოვლენის დახასიათებას. ილია შენგელია აღნიშნავს, რომ გალაკტიონი თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში მოიტანა მანამდე არნახული პოეტური სიმსუბუქე და მუსიკალურობა. გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის თავისებურებაზე მსჯელობისას კრიტიკოსი მიუთითებს, რომ გალაკტიონი თავისი ბუნებით არ არის ანალიტიკოსი პოეტი, მისი ლექსებისათვის არაა დამახასიათებელი ინტელექტუალიზმი. ისინი მკითხველს უპირატესად ხიბლავენ პოეტური სინატიფითა და გასაოცარი მელოდიურობით. კრიტიკოსი ღიად უპირისპირდება საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებულ კლიშეს პოეტის შემოქმედების ე. წ. ორი პერიოდის შესახებ. თუმცა ამავდროულად იგი სხვაგვარ უკიდურესობას ავლენს, როცა საერთოდ უარყოფს გალაკტიონის საბჭოთა პერიოდის ლექსებს, როგორც ავტორის „შემოქმედებითი სიკვდილის“ გამომხატველს. ილია შენგელია საუბრობს იმის თაობაზე, თუ რა აუტანელი იდეოლოგიური ზეწოლის ქვეშ, როგორი ცენზურისა თუ თვითცენზურის პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა გალაკტიონს და, საერთოდ, – ქართველ მწერლებს. კრიტიკოსის თქმით, მას ჰქონდა შესაძლებლობა, დაბეჭდვამდე გასცნობოდა პოეტის ლექსებს „აწმყოს დიდება დიდი“ და „მთავორების ზემო“, რომელთა ცალკეული ტაეპები ავტორს ცენზურის იძულებით გადაუკეთებია.

➤ 9304

## მ ა რ ტ ი

1944

### მარტის დასაწყისი

იროდიონ ჯგერენაიას უგზავნის დაპირებულ ფოტოებს.

➤ 9305

1944

### 5 მარტი

პარმენ რურუა უძღვნის უსათაურო ლექსს „ვნახე სიზმარში მგოსანი იგი, ვისაც არა ჰყავს ქვეყნად ბადალი...“.

➤ 9306

1944

### 7-9 მარტი

სამი დღის განმავლობაში რადიოში კითხულობენ გალაკტიონის ლექსებს: „თავდადებული მილიონები“, „სამშობლო“, „ირაკლის ხმალი“, „სამშობლოს წინსვლა“. „დიდო არმია“ და „ჩონგური“.

➤ 9307

1944

### 9 მარტის შემდეგ

კითხულობს სერიით „დიადი სამშობლოს მწერალი-პატრიოტები“ გამოცემულ წიგნს ივან ტურგენევის შესახებ და აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 9308

1944

### 9 მარტის შემდეგ

წერს ლექსს „სიმფონია ფესვების“.

➤ 9309

1944

**23 თებერვალი - 13 მარტი**

უბის წიგნაკში იწერს თავისი ლექსის „მაშ, დიდება მზეს!“ რუსულ თარგმანს სათაურით „Грядущим годам“.

➤ 9310

1944

**23 თებერვალი-13 მარტი**

წერს უსათაურო ლექსს „მიჰქრიან ზვირთნი მოგონებათა...“.

➤ 9311

1944

**23 თებერვალი - 13 მარტი**

უბის წიგნაკში წერს მოსკოვში გასამართ ქართული ლიტერატურის სადამოებში მონაწილე მწერლების სიას: ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, ალიო მაშაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, ილო მოსაშვილი, შალვა აფხაიძე, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გრიგოლ აბაშიძე, ბესარიონ ჟღენტი, ალექსანდრე ქუთათელი, რაჟდენ გვეტაძე. აინტერესებს, როდის, რამდენი ხნით და რა ტრანსპორტით მიდიან, ფიქრობს, რომელი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა წაიღოს.

➤ 9312

1944

**23 თებერვალი - 13 მარტი**

უბის წიგნაკში წერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტებისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შემადგენლობაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებების დირექტორების სიას.

➤ 9313

1944

**14 მარტი**

მუშთაიდის ბაღთან მდებარე ლუდის დახლოთან ბევრი ხალხია თავმოყრილი და გალაკტიონი შეესწრება შეზარხოშებული რკინიგზელის წაკინკლავებას რუს მეზღვაურთან. რკინიგზელი მეზღვაურს აგინებს და ამბობს, რომ ქართველი კაცის დედა საცვალში ხუთი ათას მანეთს იხდის, რუსები კი სულ უსაცვლებოდ დადიან. ამ სიტყვებზე ზოგს ხარხარი აუტყდება, ახალგაზრდები კი გალაკტიონს მისჩერებიან და როგორც კი ის გაიღიმებს, თავადაც იღიმებიან.

➤ 9314

1944

**14 მარტის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს მეტეხის ტაძრის კედელზე შემორჩენილ ლექსს: „მეფემ ირაკლიმ ეს ციხე მტერსა წაართო ძალადო...“.

➤ 9315

1944

**14 მარტამდე**

სახელმწიფო გამომცემლობას გადაწყვეტილი აქვს გალაკტიონ ტაბიძის „რჩული“ თხუთმეტიათასი სტრიქონის მოცულობით დაბეჭდოს, თავად პოეტს კი სურს ორმოცათასიანი. მას გამომცემლობაში მუშის დახმარებით მიაქვს წიგნში შესატანი მასალის უზარმაზარი შეკვრა

და წიგნის წინასიტყვაობის ავტორს, შალვა რადიანს დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ გამომცემლობამ გალაკტიონის სურვილი დააკმაყოფილოს.

➤ 9316

1944

21 მარტი

მოკლე წერილს უგზავნის ამხანაგ გოლაშვილს და შეახსენებს, რომ 25 მარტს ბათუმის მატარებლის საერთაშორისო ვაგონის 4 ბილეთი უნდა დაიჯავშნოს ბათუმში გალაკტიონის საღამოს მოსაწყობად წამსვლელთათვის.

➤ 9317

1944

27 მარტი

ბათუმის სახელმწიფო თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო, რომელზეც გიორგი სალუქვაძე კითხულობს ლექსის „მე და დამე“ საკუთარ რუსულ თარგმანს და პოეტისადმი მიძღვნილ ლექსს.

➤ 9318

1944

27 მარტი

ბათუმის სახელმწიფო თეატრში გამართულ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამოზე, ნესტორ მალაზონია უძღვნის ლექსს „ტაბიძეს უთქვამს ქართული ლექსი“.

➤ 9319

## მაისი

1944

6 მაისი

რუსულ გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „ქართული ლიტერატურა დიდი სამამულო ომის დღეებში“. ავტორი წერს, რომ მაისის პირველ ნახევარში მოსკოვს ესტუმრებიან ქართველი მწერლები ომის პერიოდში შექმნილი ნაწარმოებების წარსადგენად. კრიტიკოსი მიმოიხილავს სხვადასხვა პოეტის ლექსებს. აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ომის დაწყების შემდეგ ორი წიგნი გამოაქვეყნა – „მამულო, სიცოცხლეო“ და „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელიც იწყება სტალინისადმი მიძღვნილი ლექსით. მოჰყავს ლექსის „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ვლადიმირ დერჟავინისეული რუსული თარგმანის ბოლო სტროფი.

➤ 9320

1944

9 მაისამდე

უბის წიგნაკში იწერს მოსკოვში გასამართ ქართველი მწერლებისა და ხელოვანების საღამოებში მონაწილეთა სიას: მარიჯანი, იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, დემნა შენგელია, ალექო შენგელია, რაჟდენ გვეტაძე, აკაკი ბელიაშვილი, ლევან ასათიანი, სიმონ ჩიქოვანი, ილო მოსაშვილი, კარლო კალაძე, ირაკლი აბაშიძე, ვიქტორ გაბესკირია, კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლდიაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი, შალვა აფხაიძე.

➤ 9321

1944

9 მაისამდე

უბის წიგნაკში წერს მოსკოვში წასასვლელად საჭირო ტანსაცმლისა და ნივთების სიას: საცვლები, ლურჯი და თეთრი აბრეშუმის პერანგი, პირსახოცი, ჯიხვის ყანწი, პურის საჭრელი დანა, კოვზი.

➤ 9322

**1944**

**9 მაისამდე**

წერს გერისადმი – ნუნუ ებანოიძისადმი მიძღვნილ ლექსს „კალათ-ბურთი“.

➤ 9323

**1944**

**13 მაისი**

მონაწილეობს მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გამართულ ქართველი მწერლებისა და ხელოვანების დიდ საღამოში.

➤ 9324

**1944**

**13 მაისი**

რუსულ გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ ქართული წარწერით „საღამი მზიური საქართველოს ხელოვნების ოსტატებს!“ ქვეყნდება ნიკოლაი ტიხონოვის სტატია „მეგობრების შეხვედრა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქართველ და რუს პოეტებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში პირველად ხვდებიან ერთმანეთს მოსკოვში. ქართველი პოეტები 10 წლით ადრე გაიცნო რუსმა მკითხველმა, თუმცა, თარგმანებით ვერ მოხერხდა ქართული პოეზიის სიმდიდრის სრულად ასახვა, რადგან ენის თავისებურებების წარმოჩენა უაღრესად რთული აღმოჩნდა. ამ შეხვედრაზე ქართველი პოეტები ფართოდ არიან წარმოდგენილნი, სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძით დაწყებული, ახალგაზრდა პოეტ გრიგოლ აბაშიძით დამთავრებული. სტატიას შემდეგ დაბეჭდილია ნიკოლაი ტიხონოვის მიერ ნათარგმნი გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.

➤ 9325

**1944**

**16 მაისი**

მონაწილეობს მოსკოვის უმაღლესი არმიის საომარ-პოლიტიკური კურსების კლუბში გამართულ ქართველი მწერლების საღამოში.

➤ 9326

**1944**

**18 მაისი**

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „აკადემიის კიბეზე...“.

➤ 9327

**1944**

**18 მაისი**

მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საღამოებთან დაკავშირებით, საკავშირო რადიოკომიტეტი გადასცემს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს. ვასილი კაჩალოვი კითხულობს ლექსების – „ჰე, მამულო!“ („О, родина, тебя люблю“) და „ყაზბეგი“ („Как-же мне не дорожить тобою, о, Казбек?“) თარგმანებს, ნიკოლაი პერშინი კი – ლექსის „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ თარგმანს („Каждый имеет любовь свою“).

➤ 9328

**1944**

**19 მაისი**

ლექსებს კითხულობს მოსკოვში, წითელი არმიის ცენტრალურ სახლში გამართულ ქართული ლიტერატურისა და მუსიკის საღამოზე.

➤ 9329

1944

20 მაისი

მონაწილეობს მოსკოვის მსახიობთა სახლში გამართულ ქართველი მწერლებისა და ხელოვანების დიდ საღამოში.

➤ 9330

1944

21 მაისი

მონაწილეობს მოსკოვის ოფიცერთა კლუბში გამართულ ქართველი მწერლების საღამოში.

➤ 9331

1944

21 მაისი

რუსული გაზეთი „ტრუდ“ ბეჭდავს ცნობას სახელმწიფო გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის განყოფილების მიერ დაგეგმილი ქართველი მწერლების საუკეთესო პოეტური და პროზაული ნაწარმოებების 1944 წლის თარგმანების გამოცემის შესახებ. მათ შორის, პირველ ადგილას მოხსენიებულია სახალხო პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის ერთტომეული, შემდეგ – სიმონ ჩიქოვანის, იოსებ გრიშაშვილის, ირაკლი აბაშიძისა და ლეო ქიაჩელის ნაწარმოებები. ლექსები ნათარგმნია ნიკოლაი ტიხონოვის, ბორის პასატერნაკის, ვლადიმირ დერჟავინის, ვლადიმირ ზვიაგინცევისა და სხვათა მიერ.

➤ 9332

1944

21 მაისი

რუსულ გაზეთში „კომსომოლსკაია პრავდა“ იბეჭდება 1943 წელს გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებული ლექსის „სალამი XXVI“ სერგეი სპასსკისეული თარგმანი სათაურით „ყაზბეგი“ – „Казбек“. ლექსი აერთიანებს 1943 წელს დაწერილ ორ ლექსს „ყაზბეგის მხრები“ და „მე კავკასიის ქედები მთხოვენ“.

➤ 9333

1944

21 მაისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „რა ძვირფასია ყიჟინა გმირის...“.

➤ 9334

1944

21 მაისის შემდეგ

ითვლის ლექსების სტრიქონებსა და რაოდენობას: თხზულებების I ტომი – 2664 სტრიქონი და 141 ლექსი, II ტომი – 5720 სტრიქონი და 130 ლექსი, III ტომი – 2872 სტრიქონი და 266 ლექსი, კრებული „მამულო სიცოცხლეო – 1496 სტრიქონი და 28 ლექსი. სულ: 12752 სტრიქონი და 665 ლექსი.

➤ 9335

1944

22 მაისი

მოსკოვში გამართულ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საღამოებთან დაკავშირებით, საკავშირო რადიოკომიტეტი გადასცემს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს. პოეტი კითხულობს ნიკოლაი ტიხონოვის ნათარგმნ ლექსს „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, მსახიობი ნიკოლაი

პერშინი – სემიონ ოლენდერის თარგმანს „დიდი არმია“ და სერგეი სპასსკის თარგმანს „ყაზბეგი“, მარინა გოლდინა კი – სერგეი შერვინსკის თარგმანს „ფიცი“ და ადელინა ადალისის თარგმანს „სევასტოპოლის დამცველს“.

➤ 9336

**1944**

**23 მაისი**

წერილს იღებს მისი პოეზიის პატივისმცემელი უცნობი პირის, კაპიტან ამბროსი შენგელიასგან.

➤ 9337

**1944**

**24 მაისი**

მონაწილეობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ ქართული ლიტერატურის საღამოში.

➤ 9338

**1944**

**25 მაისი**

დებს ხეკშეკრულებას მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობასთან მისი რჩეული ლექსების თარგმანების გამოცემის შესახებ.

➤ 9339

**1944**

**25 მაისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ყველას თავისი აქვს სახსოვარი“ ნიკოლოზ ტიხონოვისეული თარგმანი.

➤ 9340

**1944**

**9-26 მაისი**

იმყოფება მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე.

➤ 9341

**1944**

**26 მაისი**

მონაწილეობს მოსკოვის მწერალთა კლუბში გამართულ ქართული კლასიკური პოეზიის საღამოში.

➤ 9342

**1944**

**28 მაისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის 1943 წელს დაწერილი ორი ლექსის „ყაზბეგის მხრები“ და „მე კავკასიის ქედები მოხოვენ“ სერგეი სპასსკის მიერ ერთ ლექსად გაერთიანებული თარგმანი სათაურით „ყაზბეგი“.

➤ 9343

**1944**

**29 მაისის შემდეგ**

ამიერკავკასიის პოეზიის კრებულში „მრისხანება და სიყვარული“ ანგარიშობს სტრიქონების რაოდენობას.



➤ 9344

1944

**მაისი**

მოსკოვის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობასთან აფორმებს ხელშეკრულებას ლექსების თარგმანების წიგნის გამოცემის თაობაზე.

➤ 9345

1944

**მაისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჩამოსვლას, ნახვას ძმისა და ტოლის...“.

➤ 9346

1944

**ზაფხულამდე**

ათვალისწინებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემას და ხაზს უსვამს სამოცამდე სტრიქონს და სტროფებს, ნომრავს ზოგან მელნიტ და ფანქრით მოხაზავს და სარჩევს თავისუფალ გვერდზე წერს ავთანდილისადმი მიძღვნილი ლექსის „მხედარი“ ორ ვარიანტს. პირველი მელნიტ ნაწერი უსათაუროა, მეორე კი, „მხედარი“ რვასტრიქონიანია: „ძლივსღა სცანა ველად გაიჭრა უდარებელი მგოსანი“...

➤ 9347

## ივნისი

1944

**ზაფხულამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ბოსტნიდან, სადაც კამა და ქინძი...“.

➤ 9348

1944

**ზაფხულამდე**

უბის წიგნაკში წერს „ვეფხისტყაოსნის“ ციტატებს.

➤ 9349

1944

**ზაფხულამდე**

ასწორებს ლექსს „ახალი წელი“ („გასწიე ფარდები“) და მისი ახალი ვარიანტი შეაქვს კრებულში „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ სათაურით „გასწიე ფარდები“.

➤ 9350

1944

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „ოქროს ნავით“.

➤ 9351

1944

**ზაფხულამდე**

წერს უსათაურო ლექსს „არ დაგავიწყდეს ოქროს საღამო...“.

➤ 9352

1944

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „თამარი ზღვის პირად“.

➤ 9353

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ბობოქარ ტალღებს გასცქერის...“.

➤ 9354

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ის ადგილები, სადაც ყრმობა მიტარებია“.

➤ 9355

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „ქალი ლიმონებში“.

➤ 9356

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „სანატორია“.

➤ 9357

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „სიძველენი“.

➤ 9358

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „რომ შეჰქმნა რამე დიადი“.

➤ 9359

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „მე შენს ყვავილებს ვზოგავ“.

➤ 9360

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“.

➤ 9361

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „მზის ამოსვლა ზღვაზე“.

➤ 9362

**1944**

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „სხვა ყვავილები“.

➤ 9363

1944

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „ყოველ გრიგალში“.

➤ 9364

1944

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „ცხენი“.

➤ 9365

1944

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „ორმოცი წლის წინ“.

➤ 9366

1944

**ზაფხულამდე**

წერს ლექსს „ცა გაქვს ისეთი“.

➤ 9367

1944

**ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ოდეს ართობს მტერს...“.

➤ 9368

1944

**23 ივნისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სამშობლო“ მიხეილ სვეტლოვისეული თარგმანი.

➤ 9369

## ი ვ ლ ი ს ი

1944

**3 ივლისი**

ბათუმში მეულლესთან – ნინო კვირიკაძესთან ერთად იმყოფება ბაღში და წერს უსათაურო ლექსს „ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს...“.

➤ 9370

1944

**25 ივლისი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ნიკო მუსხელიშვილი აძლევს მოწმობას, რომელშიც აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძე არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად 1944 წლის 22 თებერვლიდან.

➤ 9371

## ა გ ვ ი ს ტ ო

1944

**2 აგვისტო**

აკეთებს ჩანაწერს, რომ მისმა ლექსმა – „რას ნიშნავს დღევანდელი დღე“ – დიდი წარმატება ჰპოვა მწერალთა წრეში. პოეტ ალიო ადამიას იგი წაუკითხავს ხელოვნების სასახლეში და პუბლიკას ძლიერ მოსწონებია. გაიოზ იმედაშვილს უთქვამს, რომ ამ ნაწარმოების სახით იშვიათ ლექსს გაეცნო სამხედრო მფრინავზე. გალაკტიონისთვის წარმატება მიულოცავთ პლატონ კეშელავას, სანდრო ეულს, გიორგი კაჭახიძეს, სიმონ წვერავას და ლიტერატურული ფონდის თანამშრომლებს.

➤ 9372

**1944**

**17 აგვისტოს შემდეგ**

მოსკოვში, ქართველ პოეტთა რუსულ კრებულში „გამარჯვება“ ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის მიერ ომის თემაზე დაწერილი 6 ლექსი: მიხეილ სვეტლოვის ნათარგმნი „ჰე, მამულო!“, ნიკოლაი ტიხონოვის – „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, ვლადიმირ დერჟავინის – „მშობლიურო ჩემო მიწავ“, სერგეი სპასსკის – „ყაზბეგი“, ადელინა ადალისის „სევასტოპოლის დამცველს“ და სერგეი შერვინსკის – „ფიცი“.

➤ 9373

**1944**

**ზაფხული**

ისვენებს ბათუმის სასტუმროში „პირველი მაისი“ და წერს ლექსების ციკლს ზღვის თემაზე.

➤ 9374

**1944**

**ზაფხული**

სასტუმროდან ყოველ დილით გადის ზღვის სანაპიროზე და შუადღემდე იქ რჩება. შემდეგ სასტუმროში სადილობს და ათიოდე წუთის შემდეგ სამუშაოდ ემზადება: წელს ზემოთ იხდის იცვამს ფოსტლებს და საწოლთან მიდგმულ საწერ მაგიდასთან ჯდება. წერს, ხევს, ხმამაღლა კითხულობს და ასე მუშაობს შუალამემდე. შემდეგ ვახშობს, ცოტა ხნით ქუჩაში გადის, დაბრუნებული ნაწერს გადახედავს და იძინებს.

➤ 9375

**1944**

**ზაფხული**

ერთ დილას ბათუმის ზღვისპირა პარკში გარინდული დგას, ვერ ამჩნევს როგორ უახლოვდება ნესტორ მალაზონია და არც მისი ძახილი ესმის, სანამ წინ არ დაუდგება. ერთად სეირნობენ პარკის შუაგულამდე. გალაკტიონი ანდობს თავის გულისტკივილს იმის გამო, რომ ქართველი პოეტები ზღვის შესახებ არაფერს წერენ და ჰპირდება, რომ დღეიდან სულ ზღვა იქნება მისი ლექსის უცვლელი თემა.

➤ 9376

**1944**

**ზაფხული**

სადამოს 8 საათზე სასტუმროში აკითხავს ნესტორ მალაზონია. გალაკტიონი აღტაცებული ეგებება და ახლადდაწერილი ლექსის „დასაწყისი“ ხელნაწერს აწოდებს. მალაზონია ხმამაღლა იწყებს ლექსის კითხვას, მაგრამ კარგად არ გამოსდის. პოეტი ხელნაწერს გამოართმევს და თავად აგრძელებს კითხვას, დიდი გატაცებით და მშფოთვარედ. კითხვის დასრულების შემდეგ ის აღტაცებულ ნესტორს სთხოვს, რომ გამოსაცემ წიგნში „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ ეს ლექსი პირველ ადგილას დაბეჭდონ.

➤ 9377

1944

### **ზაფხული**

ციხისძირის ჰოსპიტალში დაჭრილებს მოინახულებს და ლექსებს უკითხავს. შემდეგ იქვე განთავსებულ პიონერთა ბანაკში მიდის და უმცროსკლასელებს ტკბილეულით უმასპინძლდება.

➤ 9378

## **ოქტომბერი**

1944

### **3 ოქტომბრის შემდეგ**

აკეთებს ჩანაწერს „ბაგრატის ტაძარი“, რომელშიც მოკლელაა აღწერილი ეს ისტორიული ძეგლი.

➤ 9379

1944

### **7 ოქტომბრამდე**

წერს ლექსს „იმიჰთვინა“ („რა ბედნიერი ხალხი ვართ ყველა...“).

➤ 9380

1944

### **7 ოქტომბერი**

უბის წიგნაკში იწერს შავიზღვისპირეთიდან თბილისამდე მატარებლით მგზავრობით მიღებულ შთაბეჭდილებებს. აღნიშნავს, რომ ახალი მატარებლის გარემო ძალიან სუფთა და მოწესრიგებულია, მგზავრობა კი სასიამოვნოა და არა დამღლელი.

➤ 9381

1944

### **7 ოქტომბერი**

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა გასცემს გალაკტიონ ტაბიძის წიგნის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ ტირაჟის ბეჭდვის ნებართვას.

➤ 9382

1944

### **7 ოქტომბრის შემდეგ**

ბათუმში იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის მარინისტული კრებული „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, რომელიც 73 ლექსსა და 3 პოემას აერთიანებს. ეს ნაწარმოებებია: ლექსები: „ვინ იყო ის?“, „კავკასიონის პროფილი“, მზის ამოსვლა ზღვაზე“, „ბათუმი“, „რას ნიშნავს დღევანდელი დღე“, „შრომა – მეცნიერებასთან“, „მოხუცი პაპა“, „სალამო მთების“, „მეხედე!“, „მოგზაურობა ვერცხლისფერ ბილიკით“, „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“, „დაუძლეველი“, „ოცნება აჭარისწყალთან“, „მზის ფერადები“, „სანატორია“, „ის ადგილები“, „კაშკაშა მზის მხურვალეებით“, „სიმფონია მცენარეების“, „სიმფონია ფესვების“, „შედულება ოცნებისა და სინამდვილის“, „ბუნება-მოქანდაკე“, „ღია არ დაგრჩეს კარი“, „მხურვალეებით მცენარეების“, „მხარე, გეთაყვა, ცა გაქვს ისეთი“, „ოქროს ნავს მიესაჭა-რა“, „ბოსტნიდან, სადაც კამა და ქინძი“, „ცხენი“, „ბობოქარ ტალღებს გასცქერის“, „დგება შემოდგომა“, „სამხრეთ დაბლობზე“, „ქალი ლიმონებში“, „სხვა ყვავილები“, „გასწიე ფარდები“, „ჩვენი ძველი დროშები“, „სიძველენი“, „თამარი ზღვის პირად“, „შოთა რუსთაველი ზღვის პირად“, „აკაკი წერეთელი შავ ზღვასთან“, „აჭარის სილაჟვარდში“, „გემი „დალანდი“, „მაისმა ისევ მოიტანა“, „ისტორიული გემი“, „ჩემო მენავე“, „ქარის პირდაპირ“, „იალქანი დაუცხრომელი“, „არგონავტები ახალი დროის“, „ბავშვები ზღვის პირად“, „არ დაგავიწყდეს!“, „ამ სტრიქონებს ვწერ“, „ზღვაში გადვისვრი ბედითი ბადეს“, „ზღვის სიმფონია“, „მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას“, „გრიგალის შემდეგ“, „იბობოქრე ცხოვრების ზღვავ“, „სანთლები“, „გემზე“, „ზღვაზე სცურავს ნაფოტივით“, „მიყვარს ქარიშხალი“, „მოადგა ნაპირს ათასი ნავი“, „წყნარი ზღვა“, „მეოცნებე მოსვენებაზე“, „სად ოდესმე მეოცნებე აფრებით“, „შენ ზღვის პირად“, „ორი ზღვა შეხვდა ერთი-მეორეს“, „ზღვას სალამო ედებოდა მუქი“, „ქალაქი

წყალზე“, „ზღვის ზედაპირი“, „აინთო შვება და სითამამე“, „ლეღვას ფერადები“, „როგორც მენავემ ძველი სანავე“, „ლილიან ფრთებით“, „ორმოცი წლის წინ“, „დასასრული“, პოემები: „ძლეული სენი“, „ხალხი – ამირანი“.

➤ 9383

1944

#### 7 ოქტომბრის შემდეგ

ადგენს ანგარიშის მონახაზს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში წარსადგენად. აღნიშნავს, რომ აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა მისი წიგნი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. კრებულში სხვა ლექსებთან ერთად დაბეჭდილია „კავკასიონის პროფილი“, რომელსაც ეპიგრაფად უძღვის რუსთაველის სტრიქონები.

➤ 9384

1944

#### 7 ოქტომბრის შემდეგ

უბის წიგნაკს ასათაურებს: „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ (წიგნი მეორე), მედიცინა ქართულ პოეზიაში.

➤ 9385

1944

#### 7 ოქტომბრის შემდეგ

კითხულობს თავისი ლექსების კრებულს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, ასწორებს და ამატებს ახალ სტროფებს. უსათაურო ლექსთან „ყოველ გრიგალში...“ აღნიშნავს, რომ მის მიერ წაკითხული ეს ლექსი ფირზეა ჩაწერილი.

➤ 9386

1944

#### 7 ოქტომბრის შემდეგ

კითხულობს თავის წიგნს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ და ასწორებს სტრიქონებს. აწერს, რომ პოემები შეადგენს 1532 სტრიქონს.

➤ 9387

1944

#### 7 ოქტომბრის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს მოგონებას სათაურით „დიასამი“. მცხეთაში დიასამის ვინაობა ბავშმაც კი იცის. XI საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე მთელი საქართველო მოფენილი იყო დიასამის მსგავსი, კეთილშობილი ექიმებით, რომელთა ცოდნა და გამოცდილება გასაოცარია და სიყვარულით სარგებლობდნენ. დიასამის წინაპრებიც ექიმები იყვნენ. ასახელებს მედიცინასთან დაკავშირებულ ქართველ ქალებს – თამარ მეფეს, რუსუდან დედოფალს, მარიამ დედოფალს, ქართველთა განმანათლებელ წმინდა ნინოს. აღნიშნავს ბათუმის კათოლიკეთა ეკლესიის წინ მდგარ წმინდა ნინოს ქანდაკებას, რომელიც დიდებულია და არასდროს დაავიწყდება მისი სახე, ასევე, თამარ მეფის ფრესკას ბეთანიაში, რომლითაც უბრწყინვალესი ქართველი პოეტები იყვნენ შთაგონებულნი.

➤ 9388

1944

#### 29 ოქტომბრის შემდეგ

უბის წიგნაკში იოსებ გრიშაშვილის შესახებ აკეთებს ჩანაწერს სათაურით „ასე ადვილად ფონს ვერ გავა“. ინიშნავს, დააკვირდეს იოსებ გრიშაშვილის წიგნებს ქრონოლოგიური თვალსაზრისით,

რადგან ექვობს, გრიშაშვილი მალავს, რომ ბევრი მისი რითმა გალაკტიონისეულია. იხსენებს, რომ გიორგი ქუჩიშვილი გაოცებული იყო გრიშაშვილის თავხედობით. ფიქრობს, რომ გრიშაშვილის სტილი უზრდელობაა. აგონდება ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვები, რომელიც გრიშაშვილს „აბანოს ბიჭად“ მოიხსენიებდა. ირონიულად ახსენებს გრიშაშვილის ფსევდონიმებს. აღნიშნავს, რომ ეწყინება კიდეც, ვინმემ გრიშაშვილი მის მოწაფედ რომ მიიჩნიოს. ფიქრობს, იოსებ გრიშაშვილი ვერ აღწევს პოეტურ სისადავეს და ვერ ადის თავისუფლების იმ სიმაღლემდე, რომელსაც მიაღწიეს პუშკინმა, აკაკიმ, გალაკტიონმა. გრიშაშვილი ლექსების შესწორებისას უფრო აფუჭებს მათ. თემატურად მისი პოეზია ერთფეროვანი და ღარიბია. მიუხედავად იმისა, რომ ხვდება ფსევდონიმი „გრიშაშვილი“ არ ვარგა, ჯიუტად არ იცვლის მას. გალაკტიონის აზრით, გრიშაშვილი ხელს უშლის კრიტიკოსებს, გაერკვიონ მის შემოქმედებაში და თავი მოაქვს საკუთარი ბიბლიოთეკით. ფიქრობს, გრიშაშვილის შემოქმედებას არავითარი კავშირი არ აქვს ალექსანდრე ჭავჭავაძესა და საიათნოვასთან, რის დამტკიცებასაც იგი ისწრაფვის. გალაკტიონის თქმით, გრიშაშვილი ატყუებს სერგი ჭილაიას, თითქოს აკაკის ეთქვას, გრიშაშვილი ქუხსო. აპირებს გაეცნოს გიორგი ჯიბლაძის წერილს იოსებ გრიშაშვილზე, რომელშიც მოელის, რომ ბევრ სისულელეს წაიკითხავს.

➤ 9389

**1944**

**ოქტომბერი**

ჟურნალში „მნათობი“ ფსევდონიმით „ნ. ი.“ იბეჭდება რეცენზია რუსულენოვან კრებულზე „Гамарджвеба“, რომელშიც შეტანილია ქართველი პოეტების მიერ 1941-1944 წლებში დაწერილი ლექსები. ავტორთა ჩამონათვალი ანბანურ რიგზეა დალაგებული და მასში შედის გალაკტიონ ტაბიძე. ცალკე არის აღნიშნული, რომ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ალიო მამაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ირაკლი აბაშიძე, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი და გრიგოლ აბაშიძე კრებულში კარგად და რჩეული ლექსებით არიან წარმოდგენილნი, მაგრამ, სამწუხაროს, სუსტი თარგმანებით არის მოცემული ზოგიერთი მათი საუცხოო ლექსი.

➤ 9390

## ნოემბერი

**1944**

**6 ნოემბერი**

წერს ლექსს „გახსოვდეს, გახსოვდეს“, რომელიც შთაგონებულია ზურაბ ანტონოვის პიესით „მზის დაბნელება საქართველოში“.

➤ 9391

**1944**

**7 ნოემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი“ იბეჭდება ლექსი „გახსოვდეს. გახსოვდეს!“ („გახსოვდეს მარად, ყოველგზის...“).

➤ 9392

**1944**

**11 ნოემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მოკრიალებულ ეზოს...“.

➤ 9393

**1944**

**შემოდგომა**

ფრონტიდან დაბრუნებული დაჭრილი სტუდენტები რ. ხვედელიძე და მისი მეგობარი თბილისის სტუდენტულაქიდან სურსათის საყიდლად ივრის ბაზრობაზე მიდიან იქ ღვინის რიგში ხედავენ გალაკტიონს, რომელიც ღვინოს აგემოვნებს. პოეტი მიესალმება სტუდენტებს და

ეუბნება „აქეთ რიონი, იქით რიონი, შუაში არის გალაკტიონი“. შემდეგ ღვინით ავსებს ჭიქებს ამხანაგებს აწოდებს და სადღეგრძელოს ამბობს: „სისხლი სისხლის წილ, ფამისტ ჯალათებს სამარედ ექცეთ ჩვენი მამული“.

➤ 9394

## დეკემბერი

1944

### 2 დეკემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი გიორგი ჯიბლაძე სსრ მეცნიერებათა აკადემიაში წარსადგენად ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის დახასიათებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ის არის ამ კავშირის აქტიური წევრი და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.

➤ 9395

1944

### 3 დეკემბერი

წერს ლექსს „მანასეიზმი“.

➤ 9396

1944

### 5 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „ბატუმსკი რაბოჩი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „წითელ არმიას“ თარგმანი.

➤ 9397

1944

### დეკემბერი

წერს ლექსს „ახალი წელი“.

➤ 9398

1944

ქუთაისში იღებს ფოტოსურათს ვალერიან ლალიაშვილთან, ევგენი ფურცხვანიძესთან, გიორგი სამხარაძესთან, ვლადიმერ გუგუშვილთან, შოთა ქურიძესთან, რუთა ბეროძესთან და ენვერ სადიკოვთან ერთად.

➤ 9399

1944

მას შემდეგ, რაც 1944 წლის 1 იანვარს პირველად სრულდება საბჭოთა კავშირის ჰიმნი, ჯერი დგება რესპუბლიკების ჰიმნების შექმნაზე. ირაკლი აბაშიძე გალაკტიონ ტაბიძეს არც კი აგებინებს, ისე კრებს სხვა ქართველ პოეტებს, რომ ერთობლივად დაწერონ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი, მაგრამ არაფერი გამოსდით. ამის შემდეგ გალაკტიონი იგებს, რომ საბოლოოდ, ეს პატივი წილად ხვდათ ალექსანდრე აბაშელსა და გრიგოლ აბაშიძეს. ამაზე გული სწყდება არა მხოლოდ გალაკტიონს, არამედ მის თაყვანისმცემლებსაც. დიმიტრი თომაშვილი პირდაპირ ეუბნება, ქართული ჰიმნი აუცილებლად შენ უნდა დაგეწერაო.

➤ 9400

1944

დღიურში იწერს სვანეთის ყოფა-ცხოვრების შესახებ ლევან მეტრეველის, ანტონ ჭუმბურიძის, თეოდორ ჩუდეცკის, ვიქტორ მირზაშვილის, დავით კაკაბაძისა და კოლაუ ჩერნიავესკის ნაამბობებს.



➤ 9401

**1944**

წერს უსათაურო ლექსს „ამ არჩევნებში...“.

➤ 9402

**1944**

წერს ლექსის „მრავალ ახალ წელს!“ („ჩემო თბილისო, ქუთაისო, ასპინძა, მცხეთა...“) ექვს ვარიანტს.

➤ 9403

**1944**

წერს უსათაურო სახუმარო ლექსის „თხის პარვისთვის ამ ქიაჩელს...“ ორ ვარიანტს.

➤ 9404

**1944 ან შემდეგ**

მწერალთა კავშირში წარადგენს რუსულ ენაზე დაბეჭდილ ავტობიოგრაფიას.

➤ 9405

**1945**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1945**

**1 იანვარი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება დავით შამათავას რეცენზია მოსკოვში გამოცემულ პოეტურ კრებულზე „ქართველი მეომრები“, რომელშიც წარმოდგენილია ქართველი პოეტების მიერ ომის თემაზე შექმნილი ლექსები. რეცენზენტი ეხება გალაკტიონის ლექსს „გმირს გაუმარჯოს!“ და მას მაღალ შეფასებას აძლევს.

➤ 9406

**1945**

**1 იანვარი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „დგება ახალი წელი“.

➤ 9407

**1945**

**1 იანვარი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მრავალ ახალ წელს“.

➤ 9408

**1945**

**2 იანვარი**

დღიურში წერს, რომ სახელმწიფო გამომცემლობა მალე გამოსცემს „რჩეულს“, ხოლო საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობისთვის წიგნი მოსამზადებელი აქვს. არ იცის, როდის დაბეჭდავს „ზარია ვოსტოკა“ მის წიგნს „ლირიკა“ და გამოსცემს თუ არა ამავე წიგნს მოსკოვის გამომცემლობა.

➤ 9409

**1945**

**2 იანვარი**

წერს უსათაურო სახუმარო ლექსს „აკადემიის კედლებთან...“.

➤ 9410

1945

**3 იანვარი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გიორგი ჯიბლაძის სტატია „დიდი სტალინის სახე ომის პერიოდის ქართულ პოეზიაში“, რომელშიც აღნიშნულია, რომ სტალინი არის ყველა დროის უდიდესი ადამიანი, მის სახელს უკავშირდება ძალადობის ბორკილების მსხვერვეა და თავისუფლებისმოყვარე ერთა ზეიმი, რაც კარგად გამოხატა გალაკტიონ ტაბიძემ ლექსში „რას ნიშნავს დღევანდელი დღე“.

➤ 9411

1945

**7 იანვარი**

დღიურში წერს, რომ დავით თურდოსპირელი 57 წლისაა, მისი ძმა გიორგი ქუჩიშვილი კი – 59-ის.

➤ 9412

1945

**7 იანვარი**

დღიურში წერს, რომ ექიმ მიხეილ წინამძღვრიშვილს უნდა შეხვდეს დილით კლარა ცეტკინის (ამჟამად მ. წინამძღვრიშვილის) ქუჩაზე ვორონცოვის (ამჟამად ზაარბრიუკენის) მოედანთან.

➤ 9413

1945

**8 იანვარი**

დღიურში წერს, რომ კუკიის სასაფლაოზე ყოფილა ქართველ ხელოვანთა პანთეონი. ახსენდება იქ დაკრძალული ავქსენტი ცაგარელი და გულისტკივილით აღნიშნავს, რომ იგი ბევრმა სმამ და ცოტა საჭმლის მიყოლებამ იმსხვერპლა.

➤ 9414

1945

**8 იანვარი**

მწერალთა სასახლეში გამართულ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ფრონტელების საღამოზე კითხულობს ლექსებს.

➤ 9415

1945

**8 იანვრის შემდეგ**

დღიურში წერს მწერალთა სასახლეში გამართული მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ფრონტელების საღამოს შესახებ, რომ შესავალი სიტყვა თქვა ბესარიონ ჟღენტმა, ლექსები წაიკითხეს ვარვარა მესხიშვილმა, ვლადიმერ ბრაგინმა, ივან ბოდროვმა, რიურიკ ივნევმა, ბორის სერებრიაკოვმა და მათ შორის საუკეთესო იყო ვარვარა მესხიშვილი.

➤ 9416

1945

**8 იანვრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „კალამთან – გუთნის კვალია...“.

➤ 9417

1945

## 10 იანვარი

დღიურში წერს, რომ 1870-1880-იან წლებში ხალხში მომწიფდა მუდმივი თეატრალური დასის დაარსების სურვილი. გაზეთის „დროება“ მოწოდებას თანხის შესაგროვებლად გვიან გამოეხმაურნენ. მაიორმა იასონ იოსელიანმა ქართულ თეატრს 300 თუმანი შესწირა, რის შედეგადაც თეატრი სწრაფად განვითარდა, საჯარო კრების მოსაწვევად ილია ჭავჭავაძემ დააგზავნა წერილები, დაარსდა კომიტეტი და მუდმივი დასი. თეატრალური სეზონი გაიხსნა ბარბარე ჯორჯაძის კომედიით „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ 1879 წლის 5 სექტემბერს. ამის შემდეგ ქართველ სცენისმოყვარეს მსახიობი ეწოდა. აღნიშნავს, რომ ასეთივე ქველმოქმედი იყო ივანე იოსელიანი, რომელმაც დიდი თანხა გაიღო რომანოზ ფანცხავას ჟურნალის „განთიადის“ გამოსაცემად.

➤ 9418

1945

## 13 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „მოჰფენია ფერი ლილის...“.

➤ 9419

1945

## 15 იანვარი

თარგმნის ვლადიმერ მაიაკოვსკის ფრაზას ლექსიდან «Не юбилейте»: „დაზოგვილი ნაღმია / უზოგველი მანეთი, / მტრის რიგების გამრღვევი – / რომ ვერ სცნონ ერთმანეთი“.

➤ 9420

1945

## 18 იანვარი

დღიურში ინიშნავს მისი პორტრეტის ავტორის – გიგო ზაზიაშვილის სახელსა და გვარს.

➤ 9421

1945

## 19 იანვარი

გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციას გადასცემს ავტობიოგრაფიასა და ფოტოს.

➤ 9422

1945

## 19 იანვარი

დღიურში წერს, რომ სიონში იყო წყალკურთხევა.

➤ 9423

1945

## 19 იანვარი

დღიურში ინიშნავს თეოდორ ჩუდეცკისთან შეხვედრას გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციასთან და შეხვედრებს მეცნიერებათა აკადემიაში.

➤ 9424

1945

## 20 იანვარი

აზერბაიჯანიდან იღებს დეკემას, რომ შეთავაზებაზე თანახმა არიან.

➤ 9425

1945

**21 იანვარი**

რადიოში კითხულობენ გალაკტიონის ლექსს „ლენინი“.

➤ 9426

**1945**

**23 იანვარი**

დღიურში ინიშნავს ალექსეი ტოლსტოის სტატიას „საბჭოთა ლიტერატურის მეოთხედი საუკუნე“ და ვანო შადურისას – „პეტერბურგი და ქართული კულტურა“.

➤ 9427

**1945**

**25 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „ცა როგორ გადავუხურო...“.

➤ 9428

**1945**

**26 იანვარი**

გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ ქრონიკის რუბრიკაში ქვეყნდება ინფორმაცია, რომ აფხაზი მწერლები მუშაობენ ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსების აფხაზურ თარგმანებზე.

➤ 9429

**1945**

**26 იანვარი**

სადამოს 8 საათზე დიქტორის წინასიტყვაობის შემდეგ რადიოში კითხულობენ გალაკტიონის ლექსებს.

➤ 9430

**1945**

**28 იანვარი**

დღიურში იწერს რა ილუსტრაციებისთვის დასჭირდება კლიშეები. ჩამონათვალშია: ყველა წიგნი ერთად, 1914 წელს გამოცემული პირველი წიგნი, მეორე წიგნი, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ ცალ-ცალკე, ომის შესახებ, აკაკი და გალაკტიონი.

➤ 9431

**1945**

**28 იანვრის შემდეგ**

გაზეთი „პრავდა“ ხელახლა სთხოვს ლექსს, რომელიც, ვანო შადურის ცნობით, პირველი გაგზავნისას ტელეგრაფს დამახინჯებულად გადაუცია და დაბეჭდვა ვერ გაუბედავთ.

➤ 9432

**1945**

**29 იანვარი**

ნინო კვირიკაძე გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ ქრონიკაში კითხულობს, ამჟამად გალაკტიონის წიგნზე მუშაობენ აფხაზეთის პოეტებიო და გაკვირვებულია, რადგან გალაკტიონს ჯერ მათგან პასუხი არ მიუღია.

➤ 9433

**1945**

**30 იანვარი**

მასალებს სთხოვენ გაზეთიდან „ლიტერატურა და ხელოვნება“ და ჟურნალიდან „პიონერი“ და ორთავეს ჰპირდება.

➤ 9434

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1945

### 2 თებერვალი

პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიდის რაიკომის მდივან დონაძის სანახავად, მაგრამ არ ხვდება.

➤ 9435

1945

### 2 თებერვალი

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის ფეხსაცმლის საშოვნელად მსუბუქი მრეწველობის კომბინატში და ჰპირდებიან, რომ პასუხს მალე ეტყვიან.

➤ 9436

1945

### 2 თებერვალი

თავს შეუძლოდ გრძნობს, და ჰაერზე დადის.

➤ 9437

1945

### 3 თებერვალი

სტალინურ პრემიაზე წარსადგენი საბუთებისთვის მწერალთა კავშირი რუსულ ენაზე აკეთებს გალაკტიონ ტაბიძის პუბლიკაციების ნუსხას.

➤ 9438

1945

### 5 თებერვლის შემდეგ

კითხულობს ჟურნალს „მნათობი“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 9439

1945

### 7 თებერვალი

ავად არის გრიპით და სიცხე აქვს.

➤ 9440

1945

### 7 თებერვალი

ჟურნალიდან „პიონერი“ ლექსს სთხოვენ, მაგრამ უარით ისტუმრებს.

➤ 9441

1945

### 8 თებერვალი

მწერალთა კავშირიდან უთვლიან, რომ სტალინურ პრემიაზე მის წარდგენასთან დაკავშირებით საჭიროა სურათები და კიდევ დამატებითი მასალები.

➤ 9442

1945

### 11 თებერვალი

ბორის სერებრაიკოვი სთხოვს თავისი ლექსების კრებულს მოსკოვში რუსული ჟურნალისთვის „ნოვი მირ“ გასაგზავნად.

➤ 9443

1945

**12 თებერვალი**

მონაწილეობს აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 30 წლის აღსანიშნავ სადამოში, რომელიც იმართება რუსთაველის თეატრში.

➤ 9444

1945

**12 თებერვალი**

ჟურნალი ჰიონერი ისევ სთხოვს ლექსს და ძალიან წუხს, რომ ვერ აძლევს.

➤ 9445

1945

**15 თებერვალი**

იღებს პენსიას.

➤ 9446

1945

**18 თებერვლის შემდეგ**

წერილს იღებს მმისგან. აბესალომი ატყობინებს, რომ მისი უფროსი ვაჟი – ვასილი სკოლას ოქროს მედალზე ამთავრებს და ნოდარიც, რომელიც მეშვიდე კლასშია, ძალიან კარგად სწავლობს. ავალეებს, რომ მიწათმოქმედების კომისარიატში მივიდეს და მიწის მფლობელობაზე საბუთები გააფორმოს. თუ აბესალომისას ვერ მოახერხებს, თავისი მაინც გააკეთოს. სთხოვს, რომ ეს საქმე ორ-სამ დღეში მოაგვაროს. მოკითხვას უთვლის გალაკტიონის ცოლს, ნინო კვირიკაძეს.

➤ 9447

1945

**23 თებერვალი**

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ინფორმაცია, რომ მიმდინარე დღის პირველ საათზე მწერალთა კავშირში გიორგი ცაგარელი კითხულობს გალაკტიონის ლექსების რუსულ თარგმანებს.

➤ 9448

1945

**23 თებერვალი**

მწერალთა კავშირში გიორგი ცაგარელი კითხულობს გალაკტიონის ლექსების რუსულ თარგმანებს.

➤ 9449

1945

**25 თებერვლის შემდეგ**

ლექსების კრებულს „დაფიონი“, ტიტულზე სათაურის ქვეშ აწერს: „ანუ „გააზნაურებული მდაბიონი“. სარჩევში აღნიშნავს, რომ გიორგი სალუქვაძის და ნანა გვარიშვილის ლექსები კარგია, პარმენ რურუასი – იდიოტობა და სისულელე, შოთა როყვასი – მასხრობა.

➤ 9450

1945

**26 თებერვალი**

სთხოვენ, რომ მომდევნო დღეს დაესწროს აკადემიის საერთო კრებას.

➤ 9451

**1945**

**26 თებერვალი**

ორ ბილეთს უგზავნიან რუსთაველის თეატრში დაგეგმილ თვითმოქმედი გუნდის კონცერტზე, მაგრამ ვერც ის და ვერც ნინო კვირიკაძე ვერ მიდიან.

➤ 9452

**1945**

**27 თებერვალი**

დილით ცუდად გრძნობს თავს და ამიტომ აკადემიაში საერთო კრებაზე ვერ მიდის, წევს საწოლში და მუშაობს ლექსზე „გუგუნი ქართულ ბუხრის“.

➤ 9453

**1945**

**თებერვალი ან ადრე**

სახლში ჰყავს გარდაცვლილი დარია ახვლედიანის ვაჟი. ლექსის დაწერას აპირებს და ბავშვმა რომ ხელი არ შეუშალოს, აძლევს ფანქარს, ფურცლებს და ეუბნება, სცადე, იქნებ შენც დაწერო ლექსიო. ბიჭი დიდხანს წვალობს და ასეთ სტროფ წერს: „ვდგევარ, გავყურებ ჩემი სარკმლიდან, მოჩანს მთაწმინდა ვით ბახტრიონი, არ ვიცი რა ვქნა, ან რა დავწერო, რით გავახარო გალაკტიონი“. გალაკტიონი გადაიხარხარებს და ბიჭს ჩაიხუტებს.

➤ 9454

## მ ა რ ტ ი

**1945**

**4 მარტი**

წერს უსათაურო ლექსს „საჩრდილობელი ცაცხვისა მგზავრს ისრებს მზისას არიდებს...“.

➤ 9455

**1945**

**4 მარტი**

ცდილობს ღვინის სმისა და სიგარეტის წევისთვის თავის დანებებას. ოთახში წინ და უკან დადის. წვერის პარავისას ამჩნევს, რომ კანი გაღიზიანებული აქვს. ნინო კვირიკაძე ცხელი წყლით აბანინებს სახეს და ოდეკოლონს უსვამს გაღიზიანებულ ადგილებზე. სახლიდან მიდის და შეხარბოშებული ბრუნდება. ცოლს ეუბნება, რომ ჯერ ავად არის და თავის გადაწყვეტილებას ღვინისა და სიგარეტისთვის თავის დანებებაზე ვერ შეასრულებს.

➤ 9456

**1945**

**4 მარტი**

მეორედ იბეჭდება გალაკტიონის წიგნი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“.

➤ 9457

**1945**

**7 მარტამდე**

ბინის ფული აქვს შესატანი, მაგრამ თანხა არა აქვს. წინა დღეს აკადემიაში აღებული თანხიდან ძალიან ცოტა დარჩა. პენსიაც აღებული აქვს, მაგრამ მომდევნო თვისას წინასწარ აძლევენ. სამკურნალო კომბინატში დაწოლაზე უარს ამბობს.

➤ 9458

1945

7 მარტი

ნინო კვირიკაძე ნაწყენია, რომ გალაკტიონი საკუთარ თავზე არ ზრუნავს და სახლიდან მიდის.

➤ 9459

1945

8 მარტამდე

მწერალთა კავშირის პოეზიის სექცია იხილავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების გიორგი ცაგარლისეულ რუსულ თარგმანებს წიგნისთვის „ლირიკა“, რომელიც წლის პირველ ნახევარში უნდა დაბეჭდოს გამომცემლობამ „ზარია ვოსტოკა“, ვლადიმირ ელსნერის რედაქტორობით. თარგმანი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე, რადგან მუსიკალურია და ახლოსაა ორიგინალთან. თარგმანის შესახებ საუბრობენ სიმონ ჩიქოვანი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ბესარიონ ჟღენტი, ვიქტორ გაბესკირია, გრიგოლ ცეცხლაძე, გიორგი ჯიბლაძე, აკაკი გაწერელია და სხვები. გამოთქვამენ სურვილს, რომ გამოცემას დაემატოს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიისთვის დამახასიათებელი კიდეც რამდენიმე ლექსი. ამავე წიგნის დაბეჭდვა ასევე განზრახული აქვს მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურის გამომცემლობას – „გოსლიტიზდატს“.

➤ 9460

1945

8 მარტი

გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ ბეჭდავს სტატიას „გალაკტიონ ტაბიძის რჩეულ ლექსთა კრებული რუსულ ენაზე“.

➤ 9461

1945

8 მარტი

სადამოს 12 საათზე აკითხავს ნინო კვირიკაძეს და ჰპირდება, რომ სამკურნალო კომბინატში წვება.

➤ 9462

1945

8 მარტი ან შემდეგ

დღიურში წერს, რომ მისი რჩეულის ბეჭდვა დაჩქარდა.

➤ 9463

1945

8 მარტი ან შემდეგ

მწერალთა კავშირში იწონებენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების გიორგი ცაგარლისეულ რუსულ თარგმანებს და გადასცემენ გამომცემლობას „ზარია ვოსტოკა“ წიგნის „ლირიკა“ დასაბეჭდად.

➤ 9464

1945

8 მარტი ან შემდეგ

რუსული ჟურნალი „ნოვი მირ“ სთხოვს ლექსებს.

➤ 9465

1945

9 მარტი

დილით სახლში ბრუნდება ნინო კვირიკაძესთან ერთად და ისევ აპირებს საავადმყოფოში დაწოლას.

➤ 9466



**1945**

**10 მარტი**

ნინო კვირიკაძე უბის წიგნაკში წერს, რომ გალაკტიონი ძალიან შეცვლილია.

➤ 9467

**1945**

**11 მარტი**

ორი დღეა შეუძლოდაა და სახლიდან არ გადის.

➤ 9468

**1945**

**12 მარტი**

ისევ ვერ დგება. იბარებს ექიმი ივანე ფრანგულიანი და პირდება მომდევნო დღეს მისვლას.

➤ 9469

**1945**

**13 მარტი**

გაზეთში „კომუნისტი“ სპეციალური კორესპონდენტის სტატიაში „გაზაფხული ქუთაისში“ გამოყენებულია გალაკტიონის ფრაზა „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი“ სიო.

➤ 9470

**1945**

**13 მარტი**

ვერც თავად მიდის და არც ნინო კვირიკაძეს უშვებს ექიმ ივანე ფრანგულიანთან.

➤ 9471

**1945**

**14 მარტამდე**

წერს ლექსს „ვისი არის ეს გუგუნნი“.

➤ 9472

**1945**

**14 მარტამდე**

წერს ლექსს „ძალა – იარაღი“.

➤ 9473

**1945**

**14 მარტამდე**

წერს ლექსს „ახალი ტფილისის დაფუძნება“.

➤ 9474

**1945**

**14 მარტამდე**

წერს ლექსს „სარკმელი“.

➤ 9475

**1945**

**14 მარტამდე**

წერს ლექსს „მამ დიდება მზეს“.

➤ 9476

1945

14 მარტამდე

წერს ლექსს „ემიე ჰანგი სიხარულისა“.

➤ 9477

1945

14 მარტი

ლიტერატურისა და გამომცემლობების საკითხების მთავარი სამმართველო – „მთავლიტი“ ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის „რჩეულის“ დასაბეჭდად გადაცემას და იწყება წიგნის გამოცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤ 9478

1945

14 მარტი

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის ექიმ ივანე ფრანგულიანთან.

➤ 9479

1945

17 მარტი

მწერალთა კავშირში წარადგენს რუსულ ენაზე შევსებულ პირად საქმეს.

➤ 9480

1945

18 მარტი

ხვდება ექიმ გაბრიელ პონდოევს და აცნობებს, რომ ესმის ხმაური – ხან შუმანის, ბეთჰოვენის, ჭიანჭურისა და როიალის მუსიკაა ერთმანეთში არეული, ხან კი – თითქოს კოლო დასწივის ყურთან. ექიმს გაოცებისგან გაფართოებულ თვალებსა და სახეზე ამჩნევს შიშს, რომ საწყალი გალაკტიონი შეიშალა.

➤ 9481

1945

19 მარტამდე

დღიურში წერს საავადმყოფოში საჭირო ნივთებისა და პროდუქტების სიას: ელექტროგამათბობელი, წინდები, ქინძისთავები, ფანქარი, სათლელი, ქალაღები, ქალაღის ორი დიდი პარკი, თუთუნი, პაპიროსის ქალაღი, საპონი, კბილის ჯაგრისი, ფხვნილი, ჩვარი, ცხვირსახოცი, ოდეკოლონი, ბამბა, კვერცხი, მაწონი, რძე, კარაქი, ვაშლი, პილპილი, ნიორი, ხახვი, კონსერვები, ყველი, შაქარი, ნამცხვარი, ძმარი.

➤ 9482

1945

19 მარტამდე

დღიურში ინიშნავს სამკურნალო სამმართველოს რესპუბლიკური პოლიკლინიკისა და საავადმყოფოს მისამართსა და ტელეფონის ნომერს.

➤ 9483

1945

19 მარტამდე

დღიურში იწერს სტაციონარული ავადმყოფებისთვის სავალდებულო შინაგანაწესს.

➤ 9484

1945

19 მარტი

წვება სამკურნალო კომბინატის მეშვიდე პალატაში. მკურნალობენ ექიმები – გაბრიელ პონდოევი და ელისაბედ ვოზდეიჟენსკაია-ხარაძისა.

➤ 9485

1945

19 მარტი ან შემდეგ

წევს საავადმყოფოში და წერს მინდობილობას მეუღლის, ნინო კვირიკაძის სახელზე, რომ ქალაქის ლომბარდიდან გამოატანონ მის მიერ დაგირავებული ნივთები.

➤ 9486

1945

19 მარტი ან შემდეგ

მწერალთა კავშირში იმართება დისკუსია გიორგი ნატროშვილის მოხსენების – „სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზია“ – შესახებ. სიტყვით გამოდის სანდრო შანშიაშვილი, რომელიც კრიტიკულ შეხედულებას გამოთქვამს გალაკტიონის ახალი კრებულის – „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ – შესახებ. მისი აზრით, ეს წიგნი ვერ დგას გალაკტიონ ტაბიძის პოეტური შემოქმედების სიმაღლეზე, რადგან ლექსების დიდი ნაწილის თემა ბუნდოვანია, პარალელები, შედარებები, ეპითეტები და მეტაფორები უადგილო და ალოგიკური. ზოგიერთ ლექსში არც აზრია, არც გრძნობა და ფორმაც გაურკვეველი და ქაოტურია. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ბესარიონ ჟღენტი, რომელიც აცხადებს, რომ გალაკტიონის ახალ წიგნში ვხვდებით ბრწყინვალე ლექსებს და არ არის სწორი ის საზომი, რომლითაც სანდრო შანშიაშვილი მსჯელობს გალაკტიონის პოეზიაზე, რადგან გალაკტიონი არ არის სურათების მხატვარი პოეტი, მისი მთავარი მიზანი მკითხველში ნაირნაირ განწყობილებათა აღძვრაა, რასაც იგი შესანიშნავად ახერხებს.

➤ 9487

1945

20 მარტი

საავადმყოფოში ნახულობენ ექიმი ივანე ფრანგულიანი, ივანე გაჩეჩილაძე და მთარგმნელი შერმანი, რომელსაც ატანს პურისა და შაქრის ბარათებს.

➤ 9488

1945

21 მარტამდე

დღიურში წერს, რომ გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოქვეყნდა ქრონიკა აფხაზეთის წიგნის შესახებ და რუსულ გაზეთში „ლიტერატურა ი ისკუსტვო“ – აკაკი წერეთლის საღამოს შესახებ.

➤ 9489

1945

21 მარტი

საავადმყოფოში კიდევ ერთხელ კითხულობს სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“. ექიმი უყვება თავის სამწუხარო ამბავს. აქვს მძიმე სულიერი განწყობილება, რადგან გადაუღებლად თოვს და ოთახები არ თბება, ცივა და სურდო აქვს. აბაზანა არ არის, ცუდად კვებავენ – დილას და საღამოს მხოლოდ ჩაი, სადილად უცხიმო სუფი და სხვა რამ. ფიქრობს, რომ ეს უბედურებაა.

➤ 9490

1945

22 მარტი

საავადმყოფოში ცოლს – ნინო კვირიკაძეს მიაქვს ლობიო, მჭადი, ახალი ხახვი და „ვეფხისტყაოსანი“. უამბობს, რომ მწერალთა კავშირში ჩატარდა საღამო „ქართული პოეზია სამამულო ომის პერიოდში“, რომელზეც გამოვიდა დიმიტრი ბენაშვილი და აქვს გალაკტიონ ტაბიძის 1944 წელს გამოცემული ლექსების კრებული „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“.

➤ 9491

1945

23 მარტი

იმყოფება საავადმყოფოში და წერს ლექსს „გახსოვს?“

➤ 9492

1945

23 მარტი

ნახულობს ექიმი გაბრიელ პონდოევი. ცოლსა და ცოლისძმას – ნინა და კალისტრატე კვირიკაძეებს მიაქვთ ხორცის ერთი ნაჭერი და რამდენიმე ღერი პაპიროსი. ის კი მეტს ელოდა, რადგან მიცემული აქვს 600 მანეთი. ვინმე მარუსია არ აცლის ლექსზე მუშაობას. საღამოს ნათურა იწვება და რჩება სიბნელებაში. ფიქრობს, რომ კომმარების დღეა.

➤ 9493

1945

24 მარტი

ექიმი ელისაბედ ვოზდვიჟენსკაია-ხარაძისა უნიშნავს ელექტროკაბინეტში მკურნალობას, დარსენვალის პროცედურებს, წოლით რეჟიმს. აქვს მაღალი სისხლის წნევა, მაგრამ აღარ ახველებს და ხელები აღარ უკანკალებს.

➤ 9494

1945

25 მარტი

საავადმყოფოში გერს – ნუნუ ებანოიძეს მიაქვს ყველი და ძმარი, ნადია მიქელაძეს კი – უზარმაზარი ტორტი. აკეთებენ ელექტროობას, ირთვება რადიო. სამკურნალო დაწესებულების დიასახლისი არ მოსწონს, რადგან მიკერძობებულია და მეტ ყურადღებას აქცევს რუსებსა და ებრაელებს. კითხულობს გი დე მოპასანის 25 მოთხრობას.

➤ 9495

1945

26 მარტი

სინჯავს გაბრიელ პონდოევი და ასკვნის, რომ სისხლი უნდა გამოუშვან, მაგრამ არ ეშინია. ნინას კვირიკაძეს მიაქვს ელექტროგამათბობელი, რომელიც კარგად ათბობს ოთახს. არ მოსწონს, რომ მის ოთახში სხვა პაციენტის შესახლებას აპირებენ.

➤ 9496

1945

27 მარტი

დღიურში იწერს 19 მარტიდან 26 მარტის ჩათვლით ყოველდღიურ ტემპერატურას: 19/III. 36,8. 20/III. 36,7-37,3. 21/III. 36,8-37,4. 22/III. 37,1-36,8. 23/III. 36,8-36,6. 24/III. 36,8-37,0. 25/III. 36,7-37,0. 26/III. 37,2-37,3.

➤ 9497

**1945**

**27 მარტი**

ელისაბედ ვოზდვიჟენსკაია-ხარაძისა არ ეთანხმება გაბრიელ პონდოევს, რომ მას დიდი სისხლის წწევა აქვს. იღებს დარსენვალის პროცედურას. აწუხებს კბილები და მუწუკები.

➤ 9498

**1945**

**27 მარტი**

იწყებს ლექსის „მეთევზეები“ წერას.

➤ 9499

**1945**

**27 მარტი**

საავადმყოფოში ნინო კვირიკაძეს მიაქვს იები, თუთუნი, სურსათი და აბრეშუმის ცხვირსახოცი. გალაკტიონი იღებს დარსენვალის პროცედურას. ნინა და ექიმი უსიამოვნოდ შელაპარაკდებიან და ექიმი აღნიშნავს, რომ ნინა თვითონ არის სამკურნალო.

➤ 9500

**1945**

**27 მარტი**

დღიურში წერს, რომ საბჭოთა არმიამ აიღო პოლონეთის ქალაქი გდინია.

➤ 9501

**1945**

**28 მარტი**

საავადმყოფოში იღებს მეექვსე პროცედურას, სინჯავენ რენტგენზე, უდგენენ მიოკარდიტს და მისგან გამოწვეულ სხვა მოვლენებს. ნინო კვირიკაძეს მიაქვს თუთუნი, პური, ხორცი, ლობიო. ნერვიულად ლაპარაკობს ექიმ ქალზე და ამტყუნებს გალაკტიონს.

➤ 9502

**1945**

**29 მარტი**

ნახულობენ ექიმები – გაბრიელ პონდოევი, ელისაბედ ვოზდვიჟენსკაია-ხარაძისა და საავადმყოფოს გამგე – კერესელიძე, რომლის ბავშვებსაც სურთ მისი გაცნობა. ბაღში გაზაფხულის პირველი პეპლის დანახვის გამო ფიქრობს, რომ ზამთარი დამთავრდა და გაზაფხული უშველით.

➤ 9503

**1945**

**30 მარტი**

იმყოფება საავადმყოფოში. წერს ლექსს „აღელვებულ ზღვაზედა“.

➤ 9504

**1945**

**30 მარტი**

იმყოფება საავადმყოფოში და წერს ლექსს „მოჰყევ, შავო მერცხალო“.

➤ 9505

**1945**

## 31 მარტი

დღიურში იწერს სამკურნალო კომბინატში მომხდარ ამბავს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი და ერთ-ერთი ინსტიტუტის ლექტორი – ივანე ციციშვილი, რომელსაც კიბო ჰქონდა, თვითმკვლელობის მიზნით მესამე სართულიდან გადამხტარა, მაგრამ ჯერ ხეზე ჩამოკიდებულა, მერე გინეკოლოგიურ განყოფილებაში ჩავარდნილა და მხოლოდ ხელი მოუტეხავს, გინეკოლოგიურ განყოფილებაში მწოლიარე ორსულ ქალს კი შიშისგან მშობიარობა დაწყებია.

➤ 9506

1945

## 31 მარტი

საავადმყოფოში კვდება საბჭოთა კავშირის გმირი, რომელსაც ფილტვში ტყვიის ნატეხი ჰქონდა.

➤ 9507

1945

## 31 მარტი

კანზე წამალს უსვამენ და შვებას გრძნობს. იკეთებს მეშვიდე პროცედურას.

➤ 9508

1945

## 31 მარტი

საავადმყოფოში ნახულობს გერი – დუთუ ებანოიძე და მიაქვს წიგნაკები. ატანს დისთვის – ნუნუ ებანოიძისთვის 100 მანეთს, რომელიც იმ დღეს კაუნასში მიდის. სტუმრობენ დავით თურდოსპირელი და საავადმყოფოს გამგე სამი ბავშვით.

➤ 9509

1945

## 31 მარტი

დღიურში წერს, რომ საბჭოთა არმიამ აიღო პოლონეთის ქალაქი დანციგი (ამჟამად გდანსკი).

➤ 9510

1945

## 31 მარტი

ადგენს აპრილის გეგმას: 22 აპრილამდე აპირებს დაწეროს პოემისთვის „მშვიდობის წიგნი“ არანაკლებ 800 სტრიქონი. მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს ჯანმრთელობასა და კვებას, თამბაქოსა და ღვინოზე კი უარი თქვას.

➤ 9511

## აპრილი

1945

### 1 აპრილი

საავადმყოფოში მონახულების დღე აქვს, მაგრამ ცოლი – ნინო კვირიკაძე არ მიდის.

➤ 9512

1945

### 1 აპრილი

საავადმყოფოში ცივი წყლით იზელს ტანს და თავს უფრო მხნედ გრძნობს.

➤ 9513

1945

### 1 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „სხვა შემოდგომა არ სჩანს...“.

➤ 9514

**1945**

**2 აპრილი**

დილის 7 საათზე რადიო აცხადებს, რომ გამოდის სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ნაწერები. ფიქრობს, რომ ამ სასიხარულო ცნობასთან დაკავშირებით უნდა შეწყვიტოს თამბაქოს მოწევა.

➤ 9515

**1945**

**2 აპრილი**

საავადმყოფოში ცივი წყლით იზელს ტანს, უტარებენ ფიზიოთერაპიულ პროცედურას და შემოწმებას გადის ექიმ ელისაბედ ხარაძესთან.

➤ 9516

**1945**

**2 აპრილი**

ცოლი – ნინო კვირიკაძე მის მოსანახულებლად საავადმყოფოში ისევ არ მიდის.

➤ 9517

**1945**

**2 აპრილის შემდეგ**

თავისი ლექსების რჩეულიდან ჭრის შალვა რადიანის წინათქმას „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“, ასწორებს სტრიქონებს, იღებს აზნაცებს, სათაურსა და მთელ ტექსტში შლის „გალ. ტაბიძეს“ და აწერს „გალაკტიონი“.

➤ 9518

**1945**

**2 აპრილის შემდეგ**

სახელმწიფო გამომცემლობა 4000 ტირაჟით, შალვა რადიანის რედაქტორობითა და წინასიტყვაობით, ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების რჩეულს. ერთვის დავით ქუთათელაძის მიერ შესრულებული პორტრეტი.

➤ 9519

**1945**

**2 აპრილის შემდეგ**

განცადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს. სწერს, რომ მისი „რჩეული“ მათი დაანგარიშებით 15492 სტრიქონის მოცულობისაა და გალაკტიონი სტრიქონში ჰონორარად ითხოვს 15 მანეთს, იმდენივეს, რამდენსაც მათგან იღებენ სხვა პოეტები. აქედან მას უკვე აღებული აქვს 80 ათასი მანეთი და უნდა, რომ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით ბარემ ბოლომდე გაუსწორონ ანგარიში.

➤ 9520

**1945**

**3 აპრილი**

ნინო კვირიკაძე კვლავ არ აკითხავს საავადმყოფოში. გალაკტიონი ფიქრობს, რომ მის აკადემიურ ულუფას იყენებს და მასზე ეკონომიას აკეთებს. გალაკტიონს პურის ის რაოდენობა არ ყოფნის, რომელსაც საავადმყოფოში აძლევენ და სხვას ავალეებს მისთვის პურის ყიდვას. მოხუცი ქალი უყვება, რომ ქენევის სანატორიუმში წერილების მიღებას

უკრძალავდნენ, რადგან ოჯახური უსიამოვნებების მოშორება ყველაზე მეტად რგებს ადამიანს. აღნიშნავს, რომ მართალია.

➤ 9521

1945

3 აპრილი

სინჯავს ექიმი, იზელს ტანს და უტარებენ ფიზიოთერაპიულ პროცედურას.

➤ 9522

1945

3 აპრილი

განაგრძობს პოემის „მშვიდობის წიგნი“ წერას შემუშავებული გეგმის მიხედვით.

➤ 9523

1945

3 აპრილი

დღიურში აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომში გერმანელები ინგლისელებს საექვოდ უთმობენ ქალაქებს. უკრაინა და ბელორუსია 25 აპრილიდან 26 ივნისამდე მიწვეულნი არიან სან-ფრანცისკოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) კონფერენციაზე.

➤ 9524

1945

4 აპრილი

საავადმყოფოში იწონება და 73,8 კილოა.

➤ 9525

1945

4 აპრილი

საავადმყოფოდან, სამხედრო შენაერთისა და მუსიკის თანხლებით, მიასვენებენ უკრაინელ საბჭოთა გმირს. მას, ანდერძის თანახმად, დაკრძალავენ სიმფეროპოლში, რომლის დაცვისთვის გმირის წოდება მიენიჭა.

➤ 9526

1945

4 აპრილი

საავადმყოფოში ცოლს – ნინო კვირიკაძეს მიაქვს ერთი კილო პური, ერთი ქილა მაწონი, სამი შეკვრა თუთუნი და ატმის ყვავილების რტო. უცნაურად იქცევა, თითქოს ნაწყენია, მის ოთახში არ შედის, გაურბის მისგან დავალებების მიღებას. გალაკტიონი ისევ ფიქრობს, რომ ზედმეტად დაეპატრონა მის აკადემიურ ულუფას.

➤ 9527

1945

4 აპრილი

იტარებს ფიზიოთერაპიულ პროცედურას, სინჯავს ექიმი გაბრიელ პონდოევი და ადგენს, რომ ეგზემა აქვს.

➤ 9528

1945

4 აპრილი



ასრულებს პოემის „მშვიდობის წიგნის“ წერის დღიურ გეგმას.

➤ 9529

**1945**

**4 აპრილი**

ლექსების რჩეულის გამოცემასთან დაკავშირებით, ტელეფონით ესაუბრება სახელგამის თანამშრომლებს – გიორგი იამანიძესა და ლავროსი კალანდაძეს. ფიქრობს, რომ საჭიროა ხელმეორედ დარეკვა.

➤ 9530

**1945**

**7 აპრილი**

პოემის „მშვიდობის წიგნი“ დაწერისთვის 31 მარტის გეგმას ცვლის ახლით – 27 აპრილისთვის უნდა დაწეროს 1760 სტრიქონი, დღეში – 200 სტრიქონი.

➤ 9531

**1945**

**7 აპრილი**

გახარებულია, რომ 11 ფიზიოთერაპიული პროცედურის გაკეთების შედეგად სისხლის წნევის ზედა ზღვარი 200-დან 150-ზე ჩამოუვიდა, ქვედა კი – 90-ზე.

➤ 9532

**1945**

**7 აპრილი**

დღიურში წერს, რომ ლენინის ორდენის დაფუძნების 15 წლისთავია, 1930 წლის 6 აპრილიდან. მეორე მსოფლიო ომამდე დაჯილდოვდა 7250, ომის დროს – 35636, სულ 15 წლის მანძილზე კი – 42886 ადამიანი.

➤ 9533

**1945**

**7 აპრილი**

ცოლი – ნინო კვირიკაძე, დაპირების მიუხედავად, საავადმყოფოში ისევ არ აკითხავს.

➤ 9534

**1945**

**8 აპრილი**

ისევ ელოდება ცოლის – ნინო კვირიკაძის მისვლას საავადმყოფოში, მაგრამ ის კვლავ არ მიდის.

➤ 9535

**1945**

**8 აპრილი**

ასრულებს პოემისთვის „მშვიდობის წიგნი“ დასახულ დღიურ გეგმას. ფიქრობს, რომ თუ ყოველდღე ასე იმუშავებს, წელიწადნახევარში, ანუ 984 დღეში, მზად ექნება 196.800 სტრიქონი, ხოლო ამაზე ორჯერ მეტში, 393.600 სტრიქონში ჰონორარის სახით მიიღებს 5.904,000 მანეთს. აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არის 1669 ტაეპი, ესე იგი 6676 სტრიქონი. უნდა, რომ ავიდეს 78.000 სტრიქონზე, მაგრამ ფიქრობს, როს ასე ვერავინ შეძლებს მუშაობას.

➤ 9536

**1945**

**9 აპრილი**

წერს პოემისთვის „მშვიდობის წიგნი“ გეგმით განსაზღვრულ არა ასს, არამედ ოთხას სტრიქონს, რასაც არ მოელოდა და რეკორდად მიიჩნევს.

➤ 9537

**1945**

**9 აპრილი**

ნინო კვირიკაძე კვლავ არ მიდის მოსანახულებლად. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ის უსინდისოა და ღალატობს. პოეტს კანის ტკივილი აწუხებს და წამლები არ მიაქვს.

➤ 9538

**1945**

**9 აპრილი**

ნახულობენ ექიმები – გაბრიელ პონდოვეი და ელისაბედ ხარაძე. ფიზიოთერაპიულ პროცედურას ვერ იტარებს, რადგან დენი არ არის.

➤ 9539

**1945**

**9 აპრილი**

მაგიდის კალენდარში, რომელშიც მითითებულია შარლ ბოდლერის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, აღნიშნავს, რომ ის გარდაიცვალა 46 წლის.

➤ 9540

**1945**

**10 აპრილამდე**

ნინო კვირიკაძე წერს „სულელურ“ ლექსებს, რომლებშიც გალაკტიონს მტრად მოიხსენიებს.

➤ 9541

**1945**

**10 აპრილი**

საავადმყოფოში ნინო კვირიკაძეს მიაქვს ლობიო, მჭადი და კანის წამალი. გალაკტიონს არ უმხელს ამდენი ხნით დაკარგვის მიზეზს და უცნაურად იქცევა. პოეტი უკმაყოფილოა, რომ 19 მარტის შემდეგ თავისი 1000 მანეთიდან თავად მან მხოლოდ 250-ის მოხმარება შეძლო. ცოლი აყვედრის, რომ აკადემიკოსს არ შეჰფერის ფულის ანგარიში. ასევე ურჩევს, რომ თუ მუშაობა ღლის, ნაკლები წეროს.

➤ 9542

**1945**

**10 აპრილი**

დავით გვრიტიშვილი ჩუქნის თავის წიგნს „ქართველი სტალინგრაძელები“ წარწერით: „დიდად პატივცემულ პოეტ-აკადემიკოსს გ. ტაბიძეს უღრმესი პატივისცემით, ავტორი“.

➤ 9543

**1945**

**10 აპრილი**

წერს 200 სტრიქონს პოემისთვის „მშვიდობის წიგნი“.

➤ 9544

**1945**

**10 აპრილი**

ნახულობენ ექიმები – გაბრიელ პონდოევი და ელისაბედ ხარაძე და უტარდება ფიზიოთერაპიული პროცედურა.

➤ 9545

**1945**

**11 აპრილი**

დავით შერმანს მისთვის საავადმყოფოში მიაქვს თავისი თარგმანი.

➤ 9546

**1945**

**11 აპრილი**

იღებს მეცნიერებათა აკადემიიდან ხელფასს და 200 მანეთს აძლევს ცოლს, რომელსაც საავადმყოფოში მიაქვს წიგნები და კვლავ ეღვრება წამალი.

➤ 9547

**1945**

**12 აპრილი**

ნინო კვირიკაძეს საავადმყოფოში მიაქვს კვერცხი, ყველი, ტარანი და შაქრის დიდი მარაგი და აბანინებს ტანს.

➤ 9548

**1945**

**12 აპრილი**

წინა დღეს ნინო კვირიკაძის მიერ მისთვის მიტანილ წიგნებში პოულობს ცოლის ლექსებს, რომლებშიც მინიშნებაა შურისძიების წყურვილზე და საკუთარი თავი „მკვლელად“ არის მოხსენიებული.

➤ 9549

**1945**

**13 აპრილი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება გიორგი ნატროშვილის მოხსენება „სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზია“, რომელშიც გალაკტიონი მოხსენიებულია იმ პოეტთა შორის, რომელთა შემოქმედების მიმართაც დიდ ინტერესს ავლენენ ქართველი მეზრძოლები.

➤ 9550

**1945**

**13 აპრილი**

დღიურში წერს, რომ გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი – ფრანკლინ რუზველტი და რომ საბჭოთა არმიამ აიღო ვენა.

➤ 9551

**1945**

**13 აპრილი**

დღიურში აღნიშნავს, რომ საფრანგეთიდან ჩამოიყვანეს ექვთიმე თაყაიშვილი.

➤ 9552

**1945**

**13 აპრილი**

ფიქრობს სალიტერატურო საღამოს მოწყობაზე.

➤ 9553

1945

13 აპრილი

დღიურში წერს დავით გვრიტიშვილის მონათხრობს, 1940 წელს ხელოვნების მუშაკთა სახლში ლექციის კითხვის დროს ივანე ჯავახიშვილის გარდაცვალებაზე. მას ბოლო სიტყვა „საჭ...“ ვერ დაუმთავრებია, ძირს დაცემულა და იქვე გარდაცვლილა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ შესაძლოა ეს იყო სიტყვა „საჭიროა“.

➤ 9554

1945

14 აპრილი

საავადმყოფოში იწონება და 73,2 კილოა.

➤ 9555

1945

14 აპრილი

აწუხებს ტანზე გამონაყარი. უტარდება ფიზიოთერაპიული პროცედურა. ნახულობენ ექიმები – ივანე ფრანგულიანი და ელისაბედ ხარაძე. ფრანგულიანი აცნობებს, რომ იმ დღეს სტუმრები უნდა ეწვიონ. პოეტი ფიქრობს, რომ კარგი დღეა.

➤ 9556

1945

14 აპრილი

საავადმყოფოში სტუმრობს უმანგი ჩხეიძე, მიაქვს ხაჭაპური და დიდხანს საუბრობენ.

➤ 9557

1945

14 აპრილი

საავადმყოფოში საღამოს კითხულობს აკაკი წერეთლის ნაწარმოებებს.

➤ 9558

1945

14 აპრილი

დღიურში წერს, რომ თეოდორ რუზველტი გარდაიცვალა იმ დროს, როდესაც მის პორტრეტს მხატვარი ხატავდა. მეორე დღეს მას სიტყვა უნდა წარმოეთქვა რადიოთი იმის შესახებ, რომ თანამედროვე ომი ყველაზე უფრო მხეცური ომია, რაც კი ისტორიას ახსოვს.

➤ 9559

1945

14 აპრილი

მაგიდის კალენდარში, რომელშიც მითითებულია ვლადიმირ მაიაკოვსკის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, აღნიშნავს, რომ მაიაკოვსკის დღეები უფერულად ტარდება.

➤ 9560

1945

15 აპრილი

საავადმყოფოში ნახულობს გიორგი ქუჩიშვილი და აცნობებს სამწუხარო ამბავს, რომ სამი დღის წინ გარდაიცვალა ივანე იოსელიანი.

➤ 9561

**1945**

**15 აპრილი**

საავადმყოფოში ნინო კვირიკაძეს მიაქვს იები, პური, დანაყილი ნიგოზი და შემწვარი თევზი. ფიქრობს, რომ ატყუებს, უცნაურად იქცევა, ისე უბღვერს, თითქოს მისი ვალი ჰქონდეს. არ უკვირს, რომ მამამისი ნინას ასეთი მზერის გამო „ქვახვრეტას“ ეძახდა. როცა გალაკტიონი ეკითხება, ფული თუ აქვს, ნინა ირონიულად პასუხობს, რომ თვითონვეა ფული.

➤ 9562

**1945**

**15 აპრილი**

პოემისთვის „მშვიდობის წიგნი“ მზად აქვს 1400 სტრიქონი, გეგმის შესასრულებლად რჩება 360 სტრიქონი.

➤ 9563

**1945**

**16 აპრილი**

მთელი დღე ფიქრობს ახალგარდაცვლილ ივანე იოსელიანზე. გალაკტიონის აზრით, კარგი იქნებოდა მასზე წიგნის დაწერა, რადგან ის იყო თანამედროვე ქართველი ახალგაზრდობის ყველაზე ნათელი გამოვლენა.

➤ 9564

**1945**

**16 აპრილი**

ისევ აწუხებს კანზე გამონაყარი და იტარებს ფიზიოთერაპიულ პროცედურას.

➤ 9565

**1945**

**16 აპრილი**

პოემას „მშვიდობის წიგნი“ ამატებს 100 სტრიქონს.

➤ 9566

**1945**

**16 აპრილი**

ხელახლა კითხულობს ავქსენტი ცაგარლის 1936 წელს გამოცემულ კომედიებს. უკვირს, რას მიედ-მოედება რედაქტორი და წინათქმის ავტორი – იოსებ გრიშაშვილი.

➤ 9567

**1945**

**17 აპრილი**

დღიურში წერს, რომ საავადმყოფოს ბაღში ნამდვილი ბულბული სტვენს და საერთოდ საოცარი დღეა.

➤ 9568

**1945**

**17 აპრილი**

ნახულობენ ექიმები – ივანე ფრანგულიანი, ელისაბედ ხარაძე და საავადმყოფოს გამგის თანაშემწე. აწუხებს გამონაყარი კანზე და ტუჩის შიდა მხარეს, მაგრამ ფიქრობს, რომ საგანგაშო არაფერია.

➤ 9569

1945

17 აპრილი

პოემას „მშვიდობის წიგნი“ ამატებს 100 სტრიქონს.

➤ 9570

1945

17 აპრილი

დღიურში წერს, რომ ექვს საათზე კრძალავენ ივანე იოსელიანს, ამინდი კი მოღრუბლულია და დიდი თოვლი მოდის.

➤ 9571

1945

18 აპრილი

ნახულობენ ექიმები. აწუხებს მხოლოდ გამონაყარი, სხვა მხრივ ყველაფერი თითქოს რიგზე აქვს.

➤ 9572

1945

18 აპრილი

საავადმყოფოში ისმენს ლექციას თანამედროვე პოლიტიკის შესახებ და ფიქრობს, რომ სუსტია.

➤ 9573

1945

18 აპრილი

პოემისთვის „მშვიდობის წიგნი“ წერს 100 სტრიქონს. სურს, რომ დასახული გეგმა გადამეტებით შეასრულოს.

➤ 9574

1945

18 აპრილი

საავადმყოფოში აწვენენ ალექსანდრე ყანჩელს.

➤ 9575

1945

18 აპრილი

სეირნობს საავადმყოფოს ბაღში თევზებიან აუზთან.

➤ 9576

1945

18 აპრილი

გაზეთში „პრავდა“ კითხულობს გიორგი ალექსანდროვის სტატიას ილია ერენბურგის წინააღმდეგ.

➤ 9577

1945

**20 აპრილი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ გალაკტიონ ტაბიძისა და ოცამდე სხვა ქართველი მწერლის ხელმოწერით იბეჭდება ვანო იოსელიანის ნეკროლოგი.

➤ 9578

1945

**20 აპრილი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ცნობა, რომ 19-28 მარტს მწერალთა კავშირში მიმდინარეობდა დისკუსია გიორგი ნატროშვილის მოხსენების – „სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზია“ – გარშემო. აღნიშნულია, რომ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა სანდრო შანშიაშვილი, რომელმაც კრიტიკული შეხედულება გამოთქვა გალაკტიონ ტაბიძის ახალი კრებულის – „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ – შესახებ.

➤ 9579

1945

**22 აპრილი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ სათაურით „ომის პერიოდის ქართული პოეზია“ იბეჭდება ვლადიმერ ტატიშვილის წერილი, რომელშიც განხილულია ამ თემისადმი მიძღვნილი სხდომა საქართველოს მწერალთა კავშირში, რომელზეც გიორგი ჯიბლაძემ განიხილა გალაკტიონის ახალი წიგნი „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, რომელშიც წარმოდგენილია ყველა ლექსი, რაც კი პოეტს 1912 წლიდან დაუწერია აჭარის შესახებ. მომხსენებელმა ისაუბრა პოეტის გამორჩეულ ნიჭსა და ოსტატობაზე, მაგრამ დასძინა, რომ კრებულში არის წარუმატებელი მხატვრული სახეებიც. რაც შეეხება ომის თემას, ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ გალაკტიონ ტაბიძემ სამამულო ომის პერიოდში მრავალი შესანიშნავი ლექსი დაწერა საბჭოთა გმირების სადიდებლად.

➤ 9580

1945

**23 აპრილი**

მოსკოვში იწონებენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსების გიორგი ცაგარლისეულ თარგმანებს „ზარია ვოსტოკას“ მიერ გამოსაცემი რუსული წიგნისთვის „ლირიკა“. მთარგმნელი ფიქრობს, რომ თუ გალაკტიონი სტალინურ პრემიას მიიღებს, წიგნის ჰონორარი მოიმატებს.

➤ 9581

1945

**23 აპრილი**

საავადმყოფოში ნინო კვირიკაძეს მიაქვს ხაჭაპური, ლობიო და მწვანილი. გალაკტიონს ლობიო და მწვანილი მოსწონს, მაგრამ ხაჭაპური, რომელშიც ხიწვებს აღმოაჩენს, მუცელს ატკივებს.

➤ 9582

1945

**23 აპრილი**

თვალყურს ადევნებს ბერლინში მიმდინარე ამბებს.

➤ 9583

1945

**23 აპრილი**

მაგიდის კალენდარში 23 აპრილის ფურცელზე, იქ, სადაც წერია, რომ 1889 წლის ამ დღეს დაიბადა იოსებ გრიშაშვილი, ირონიულად მიაწერს, ეს თუ არ აღინიშნა, ისე როგორ იქნებაო.

➤ 9584

**1945**

**27 მარტი-24 აპრილი**

დღიურში იწერს სხეულის ყოველდღიურ ტემპერატურას: 27/III. 36,4-36,9. 28/III. 36,3-37,2. 29/III. 36,7-36,8. 30/III. 36,8-36,8. 31/III. 36,7-37,4. 1/IV. 36,6-36,8. 2/IV. 36,3-36,8. 3/IV. 36,6-37,0. 4/IV. 36,2-36,8. 5/IV. 36,7-37,2. 6/IV. 37,2-37,0. 7/IV. 37,0-36,8. 8/IV. 36,6-36,8. 9/IV. 36,5-36,6. 10/IV. 36,6-37,0. 11/IV. 36,8 -37,0. 12/IV. 36,8-37,0. 13/IV. 36,5-36,9. 14/IV. 36,8-36,9. 15/IV. 36,3-37,1. 16/IV. 36,6 -37,3. 17/IV. 36,6-36,1. 18/IV. 36,4-36,7. 19/IV. 36,4-36,7. 20/IV. 36,6-36,6. 21/IV. 36,6-36,6. 22/IV. 36,6-36,8. 23/IV. 36,4-39,2. 24/IV. 36,6.

➤ 9585

**1945**

**24 აპრილი**

პოემისთვის „მშვიდობის წიგნი“ დასახულ გეგმას გადამეტებით ასრულებს. წერს კიდევ ას სტრიქონს და 1760 სტრიქონის ნაცვლად მზად აქვს 2500. დღიურში წერს, რომ რჩება ერთადერთი მეგობარი „მშვიდობის წიგნი“.

➤ 9586

**1945**

**24 აპრილი**

ნინო კვირიკაძეს საავადმყოფოში მიაქვს პური და სხვა პროდუქტი.

➤ 9587

**1945**

**24 აპრილი**

დღიურში წერს, რომ საბჭოთა არმია ბერლინში შევიდა და 25 აპრილს სან-ფრანცისკოში უნდა გაიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) კონფერენცია.

➤ 9588

**1945**

**28 აპრილამდე**

1937 წელს „ფედერაციის“ მიერ გამოცემული პეტრე უმიკაშვილის წიგნის „ხალხური სიტყვიერება“ I ნაწილიდან კითხულობს ლექსებსა და ანდაზებს.

➤ 9589

**1945**

**28 აპრილამდე**

არქანჯელო ლამბერტის წიგნის „სამეგრელოს აღწერა“ ალექსანდრე ჭყონიასეული თარგმანის შესახებ, რომელიც 1938 წელს გამოსცა „ფედერაციამ“, დღიურში იწერს, რომ ძლიერ საჭირო წიგნია.

➤ 9590

**1945**

**28 აპრილი**

ექიმი გაბრიელ პონდოევი ესაუბრება მისი ფიზიკური მდგომარეობისა და მკურნალობის შესახებ. უხსნის, რომ მისი ავადმყოფობა გამოწვეულია არა ორგანული დაავადებებით, არამედ



ყოფითი პირობებით, როგორცაა ცუდი ბინა, ჰაერი და საჭმელი და მძიმე გონებრივი სამუშაოთი. ურჩევს, რომ ძირფესვიანად შეცვალოს ცხოვრების რეჟიმი, შეიმუშაოს მშვიდი, აუღელვებელი ყოფისა და საზრდოობის წესები, მოერიდოს პესიმისტ და გულჩათხრობილ ადამიანებს და იზრუნოს თავის თავზე. ჰპირდება, რომ თუ ზღვაზე დასვენებას მოინდომებს, სამკურნალო კომისიიდან გაუშვებენ.

➤ 9591

**1945**

**29 აპრილი**

ეწერება საავადმყოფოდან. სახლში ხვდება არეულობა და ყველაფერი ხელახლა უნდა მოაწესრიგოს.

➤ 9592

**1945**

**29 აპრილი**

დღიურში რუსულად იწერს იმ ადამიანის სახელს, გვარს და მამის სახელს, რომელიც სამკურნალო კომბინატის მესამე სართულიდან გადახტა და ცოცხალი გადარჩა. ეს არის ივანე გიორგის ძე ციციშვილი.

➤ 9593

**1945**

**29 აპრილი**

დღიურში ინიშნავს ჟურნალში „მნათობი“ ვანო შადურის მიერ მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიას „ლენინგრადი და ქართული კულტურა“, რომელშიც საუბარია მის შესახებ და მოყვანილია ლექსი „ლენინგრადი“.

➤ 9594

**1945**

**29 აპრილი**

იგებს, რომ მის შესახებ საუბარი იყო რომელიღაც რადიოგადაცემაში და ინტერესდება, რა ითქვა.

➤ 9595

**1945**

**29 აპრილი**

თავისი ლექსების თარგმანების წიგნის „ლირიკა“ გამოცემასთან დაკავშირებით დღიურში იწერს გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების თანამშრომლის – მიხეილ დავითაშვილის ტელეფონის ნომერს.

➤ 9596

## მ ა ი ს ი

**1945**

**1 მაისი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება გიორგი ნატროშვილის მოხსენების „სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზია“ ირგვლივ გამართული დისკუსიის მასალები, მათ შორის – ბესარიონ ჟღენტის სიტყვა „ქართული პოეზიის მთავარი ტენდენციები“, რომელშიც აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძე ერთ-ერთი უპირველესი იყო ქართველ პოეტთაგან, რომელთაც სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე დაადასტურეს თავიანთი შემოქმედების ცხოველმყოფელობა.

➤ 9597

**1945**

**1 მაისი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება გიორგი ჯიბლადის სტატია „შემოქმედებითი ოსტატობისათვის“, რომელშიც იგი ეხმაურება გალაკტიონის კრებულს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. ჯიბლადე მიუთითებს, რომ ამ წიგნმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მისი შეხედულებით, მართალია, მასში ვხვდებით ცალკეულ სუსტ სტრიქონებსა და მხატვრულ სახეებს, მაგრამ მთლიანობაში წიგნი გალაკტიონის დიდი პოეტური ნიჭის დასტურია. მაღალ შეფასებას აძლევს კრიტიკოსი პოეტის სამამულო ომის პერიოდის ლირიკასაც.

➤ 9598

**1945**

**9 მაისამდე**

მეგობრობს პროლეტარ მწერალ ფეოდორ პეჩალინთან. ომის გამო დიდი გაჭირვებაა და გადაწყვეტს, მეგობარს იმით დაეხმაროს, რომ მის 7-8 წლის შვილობილს იური მაჭავარიანს პალტო უყიდოს. იურის ცოლი ძალიან უარობს, მაგრამ გალაკტიონს ის და ბავშვი მაღაზიაში მიჰყავს და პალტოს ურჩევს.

➤ 9599

**1945**

**9 მაისამდე**

ქალაქ მარიენბურგის მისადგომებთან სასიკვდილოდ დაჭრილ ქართველ ოფიცერს ჯიბეში გალაკტიონ ტაბიძის კრებული აღმოაჩნდება.

➤ 9600

**1945**

**9 მაისამდე**

დარია ახვლედიანის ვაჟისთვის სასამართლო ბინის ჩამორთმევას აპირებს. გალაკტიონი მიჰყვება პროცესზე, ისმენს საქმის ვითარებას და ისეთი ემოციური სიტყვით გამოდის, რომ ყველა აღფრთოვანებული რჩება. საქმე ბიჭის სასარგებლოდ წყდება, მოწინააღმდეგეები კი ჩურჩულდებიან, რაღა ახლა გამოჩნდა ეს კაციო.

➤ 9601

**1945**

**9 მაისი**

1943 წელს დაწერილ ორ ლექსში „ბრიანსკის ტყეები“ და „მშობლიურ ჰანგებს დაუგდე ყური...“ შეაქვს გარკვეული ცვლილებები, რის შედეგადაც ქმნის მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებისადმი მიძღვნი ნაწარმოებს „მშობლიურ ჩანგებს დაუგდე ყური“.

➤ 9602

**1945**

**9 მაისი**

წერს ლექსს „დიდება“.

➤ 9603

**1945**

**9 მაისი**

წერს ლექსს „გამარჯვების დღესასწაული“.

➤ 9604

**1945**

**9 მაისი**

დილაადრიან ასწორებს 1945 წლის 30 მარტს, საავადმყოფოში ყოფნისას დაწერილ ლექსს „მოჰყევ, შავო მერცხალო“. ტექსტში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის შედეგად ქმნის ნაწარმოების ახალ რედაქციას, რომელიც საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას ეძღვნება. ეს ლექსი, სათაურით „გამარჯვება“, იმავე დღეს მიაქვს გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციაში.

➤ 9605

**1945**

**9 მაისი**

წერს ლექსს „დღეს ჩამოვხსენი ფერადი რუკა“.

➤ 9606

**1945**

**9 მაისი**

მონაწილეობს თბილისში მწერალთა კავშირში გამართულ სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგში და კითხულობს ლექსს. რეჟისორი ირაკლი კანდელაკი ამ ფაქტს იღებს კინონარკვევში „გამარჯვების დღესასწაული“.

➤ 9607

**1945**

**9 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებისადმი მიძღვნილი ლექსი „გამარჯვება“.

➤ 9608

**1945**

**9 მაისი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ლექსი „გამარჯვების დღესასწაული“.

➤ 9609

**1945**

**9 მაისის შემდეგ**

წერს ლექსს „იმ ომის დროს ჩვენ ყველანი...“.

➤ 9610

**1945**

**9 მაისის შემდეგ**

წერს ლექსს „სვანის დაბრუნება“.

➤ 9611

**1945**

**9 მაისის შემდეგ**

მასთან სტუმრად მიდის ნოდარ კაკაბაძე მეგობრებთან ერთად, მაგრამ პოეტი სახლში არ ხვდებათ. შენობიდან გამოსულები ხედავენ, რომ გალაკტიონი სახლის წინ არის, ნასვამი. როცა ახალგაზრდები ეუბნებიან, რომ მასთან იყვნენ და არ დახვდათ, პოეტს მძარცველები ჰგონია და ეუბნება: მე ერთი საწყალი პოეტი ვარ, არაფერი მაბადია, ჩემთან რა უნდა ნახოთო. შეცბუნებული ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი, იმის დასამტკიცებლად, რომ ქურდები არ არიან, იწყებს ვერლენის ლექსის დეკლამაციას ფრანგულ ენაზე. გალაკტიონი ფრანგულადვე ამთავრებს ფრაზას. მცირეხნიანი საუბრის დასასრულს პოეტი ეუბნება ახალგაზრდებს, რომ მწერლობა ყველაზე ღარიბი და უმადური საქმიანობაა.

➤ 9612

1945

**9 მაისის შემდეგ**

ვარლამ ჟურულთან ერთად იმყოფება სასადილო „ოლიმპიაში“. უცებ ესმის, რომ იქვე მყოფი ახალგაზრდები იწყებენ მისი ლექსების დეკლამაციას. გალაკტიონი მიდის მათთან და ეკითხება, იციან თუ არა, ვის ლექსებს კითხულობენ. როდესაც მათგან დადებით პასუხს იღებს, ეუბნება, რომ ის არის გალაკტიონი. ერთ-ერთი ახალგაზრდა პასუხობს, რომ ეს შეუძლებელია, რადგან პოეტების მეფეს ასეთ სარდაფში არაფერი ესაქმება. გალაკტიონი თავის მაგიდასთან ბრუნდება და შემდეგ ვარლამ ჟურულთან ერთად მალევე ტოვებს სასადილოს.

➤ 9613

1945

**15 მაისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მე ამ ქუჩის მეცოდება...“.

➤ 9614

1945

**15 მაისი**

იმყოფება ქუთაისში და წერს ლექსს „არც ერთი ომი არ წაგვიგია“.

➤ 9615

1945

**15 მაისი**

დღიურში ინაშნავს მომდევნო დღის გეგმას: შალვა აფხაიძესთან შეხვედრას, გრიგოლ ცეცხლაძისთვის ლექსისა და ერემია ასტვაცატუროვისთვის წერილის გადაცემას.

➤ 9616

1945

**17 მაისი**

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „დილა გამარჯვებისა“ („გახსოვს, წინათ, შარშანწინ...“).

➤ 9617

1945

**17 მაისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „გამარჯვება“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 9618

1945

**20 მაისი**

წერილს იღებს სოსიკო ფანცხავასგან. სწერს, რომ ბევრი ეძება ქალაქის ქუჩებშიც და სხვადასხვა დაწესებულებებშიც, მაგრამ ვერ შეხვდა და ბოლოს უგზავნის წერილს. სწერს თავისი ბიცოლის მისამართს, სთხოვს რომანოზ ფანცხავაზე მოგონების დაწერას და იქ მისთვის მიწოდებას.

➤ 9619

1945

**21 მაისი**

ნინო კვირიკაძე უბის წიგნაკში იწერს, რომ გალაკტიონის „რჩეული“ აგვიანებს.

➤ 9620

**1945**

**23 მაისი**

იღებენ საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს რეპორტიორები.

➤ 9621

**1945**

**23 მაისი**

პირად ბიბლიოთეკაში გადააწყდება მწერლისა და მთარგმნელის კოლაუ ჩერნიავსკის მიერ 1927 წელს ნაჩუქარ პოეტურ კრებულს „წერილები“ (ლექსები), ათვალთვებს წიგნს და წერს ჩერნიავსკისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „მე შენი წიგნი შემხვდა შემთხვევით...“.

➤ 9622

**1945**

**24 მაისი**

ვერიკო ანჯაფარიძე თავის საიუბილეო საღამოზე კითხულობს გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „დილა გამარჯვებისა“ და საზოგადოება აღტაცებული რჩება.

➤ 9623

**1945**

**26 მაისი**

უბის წიგნაკში სათაურის გარეშე იწერს მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებისადმი მიძღვნილი ლექსის „გამარჯვება“ პირველ სტროფს.

➤ 9624

**1945**

**26 მაისი**

ლექსის მიწოდებას სთხოვს გაზეთი „კომუნისტი“.

➤ 9625

**1945**

**27 მაისი**

წინო კვირიკაძესთან ერთად მიმავალს საბუთს სთხოვენ და თან არ აღმოაჩნდება. ამიტომ წინოს ტოვებს „საწინდრად“ და თავად მიდის საბუთების მოსატანად.

➤ 9626

**1945**

**29 მაისი**

იბეჭდება 9 ქართველი კლასიკოსის: შოთა რუსთველის, დავით გურამიშვილის, რაფიელ ერისთავის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონის ღია ბარათები.

➤ 9627

**1945**

**30 მაისი**

ლექსს სთხოვენ გაზეთში „ბოეც“ გამოსაქვეყნებლად.

➤ 9628

**1945**

**30 მაისი**

ფილარმონიის გახსნასთან დაკავშირებით, საზაფხულო გეგმაში შეაქვთ გალაკტიონის ლიტერატურულ-შემოქმედებითი საღამო.

➤ 9629

1945

31 მაისი

დღიურში ინიშნავს, რომ მეორე დილით უნდა ნახოს დიმიტრი არაყიშვილი და საღამოს 6 საათზე მივიდეს საჯარო ბიბლიოთეკაში.

➤ 9630

1945

მაისი ან შემდეგ

წერს ლექსს „კარგია მტრისგან თავის დახწევა“.

➤ 9631

1945

მაისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ჟურნალ „ოგონიოკის“ 1945 წლის 1-21 ნომრებში დაბეჭდილი სურათებისა და ფოტოების ჩამონათვალს.

➤ 9632

1945

მაისის შემდეგ

გიორგი ქუჩიშვილთან და ვახტანგ გორგანელთან ერთად მიემგზავრება გურჯაანში, სადაც იმართება მისდამი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. გზად ჩერდებიან სოფელ მანავთან, პროდუქტს ყიდულობენ მოხუცი გამყიდველისაგან და სახელდახელო სუფრას შლიან მდელოზე. გამყიდველი ქალბატონი ცნობს გალაკტიონს და სახლში ეპატიჟება. პოეტი უარს ამბობს მიპატიჟებაზე, მაგრამ ინტერესდება, რატომ აცვია შავი სამოსი. ქალბატონი პასუხობს, რომ შვილები ომში დაეღუპა. გაგონილით შეწუხებული გალაკტიონი პატივისცემის ნიშნად კაზის კალთაზე ემთხვევა, ამხნეებს და ემშვიდობება. გურჯაანში გამართულ საღამოზე მოხსენებით გამოდის გიგლა მებუკე. საღამოს დასრულების შემდეგ გალაკტიონი მას მაღლობას უხდის და სთხოვს თბილისში დაგეგმილ საღამოებზეც გამოვიდეს სიტყვით.

➤ 9633

## ივნისი

1945

1 ივნისი

ოპერის თეატრთან ხვდება მაღალი აგებულების კომპოზიტორს, კოტე ფოცხვერაშვილს. როდესაც ისინი აკაკი წერეთლის ბიუსტს მიუახლოვდებიან, გალაკტიონი ფიქრობს, რომ აკაკი წერეთელი კიდევ უფრო დიდი ტანისა იყო და კოლოსალურ ყურადღებას იქცევდა. უხერხულობას გრძნობს კოტე ფოცხვერაშვილის გვერდით, რადგან ის კოჭლობს, ავადაა და წამლის პატარა ბოთლი უჭირავს. კომპოზიტორი ეუბნება, რომ არ მუშაობს, რადგან მაინც უნდა მოკვდეს და აღარ უნდა ოპერა. ზაქარია ფალიაშვილმაც დაწერა ოპერა, მაგრამ ვერ უშველა და გარდაიცვალა. გალაკტიონს ახსენდება ძველ იუმორისტულ ჟურნალში დახატული კარიკატურა, კოტე ფოცხვერაშვილის ადგილი რომ აღარ იყო პანთეონში და ფეხები სამარის იქით დარჩენოდა. აფიქრებს კომპოზიტორის გულის აცრუება, რაც დავწერე, ისიც არ უნდა გამეკეთებიაო და ზოგადად, ადამიანების აპათია. ამ დროს ტროლეიბუსის გაჩერებასთან მიდის ექვსი მომღერალი ლილიპუტი ქალი, რომელთა შორის დგება კოტე ფოცხვერაშვილი და ვიღაც წამოიძახებს – გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში.

➤ 9634

1945

## 2 ივნისი

წერს ლექსს „დღეს გამარჯვების აღმნიშვნელი ძვირფასი დღეა“.

➤ 9635

1945

## 3 ივნისი

წვერს იპარსავს საპარიკმახეროში „ჰიგიენა“.

➤ 9636

1945

## 10 ივნისი

ამირან გაბესკირია მაგიდის კალენდრის ამ დღის ფურცელზე მიუწერს, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა გადატანილია 17 ივნისისთვის. ის ამავე ღონისძიების შესახებ აღნიშვნას აკეთებს კალენდრის 17 ივნისის ფურცელზეც.

➤ 9637

1945

## 12 ივნისამდე

სახელმწიფო გამომცემლობა გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის სქელტანიან წიგნს „რჩეული“. წიგნი იხსნება შალვა რადიანის სტატიით „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“, რომელშიც მიმოხილულია პოეტის ბიოგრაფიული და შემოქმედებითი ცხოვრების გზა. „რჩეულში“ შეტანილია შემდეგი ლექსები: „ჩემი სიმღერა“; „სამშობლო“; „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“; „არ გიღალატებთ!“; „იავნანა“; „ხალხის აწმყო, ხალხის ხვალე“; „მშობლიურო ჩემო მიწავ“; \*\*\* („ოცნებაო, ჩემო ძველო“); „კიდევ მრავალ ახალ წელს!“; „მამულო, სიცოცხლეო!“; „ჩვენ“; „ღრუბლები ძაუგთან“; „სიმართლის დროშა“; „მოგონება სევასტოპოლზე“; „დიდი არმია“; „მშობლიური მოწოდებით“; „შეხედეთ!“; „მფრინავი“; „ეს წელიწადი“; „კავკასიონის კლდეებზე მეომარი სდგას მზიანი“; „სამშობლოსთვის არის იგი მღერა“; \*\*\* („მას, განათებულს ივერიის“); „ახალი ტფილისის დაფუძნება“; „თასი“; „ვისი არის ეს გუგუნი?“; \*\*\* („როგორც მერანი“); „მწვერვალი“; „ირაკლის ხმალი“; „სიცხადე“; „ელგუჯას დაბრუნება“; „სარკმელი“; „სადღაც, ყინულზე ცეცხლი ანთია“; „მთვარის ნაამბობიდან“; „სტალინი“; „ეს წელიწადი“; „პიონერო, იყავ ღირსი“; „გორი“; „პოეზიის ინტეგრალები“; „სამშობლოს“; „შრომა და მოსვენება“; „გამხიარულდი, ბუხარო“; „ახალი მეკვლე“; \*\*\* („საბჭოთა ხალხის გმირული“); \*\*\* („ფერი მზესა და ქარს მოჰყავს“); „იმიტომ ხდება რევოლუცია“; „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“; „ეს რა ნიაღვრებს ვეზუვი ისვრის?“; „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთ-ახალი“; \*\*\* („დღევანდელი დღის“); „ლენინისა და სტალინის გზით“; „ჩვენ მნათობი ცეცხლის ფერია“; „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“; „პირველი მაისი“; „მოდის მაისი“; „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ დროის, ეპოქის და სივრცის გარედე“; „შვებული“; „არმიელი ვარ“; „მზეა ისე მგზნებარე“; „სანამ არ დამსხვრეულან“; „სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის“; „ცაზე ლეგიონი“; „ჩვენი არმია გზას მიჰყავს მზიანს“; „იდეა“; „ქალაქი წყალქვეშ“; „გაზაფხული“; „მთის გულისცემა“; „სადამო ნისლში“; „მხრები ყაზბეგის“; „ისევ მესხის გამოხედვა“; „გმირს გამარჯვება!“; „გზა გამარჯვების!“; „გამარჯვებას თანაბრად სწერს“; „იბარური“; \*\*\* („გაზაფხულია. ხე ფოთოლს ისხამს“); „დროშები ჩქარა!“; „ათრობდა ხალხთა მწუხარება“; „პროლოგი 100 ლექსის“; „სიმღერის მინდა მე წამოწყება“; „ბოძთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი“; „ჩაჰკეტა კარი“; „გემი „დალანდი“; „ურიცხვ დროშებში“; „არიან დღენი“; „ცხრაას თვრამეტი“; „რამდენიმე დღე პეტროგრადში“; „იყო“; „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“; „რა საჭიროა სიტყვები? მჯერა!“; „მღვრიე ქარი“; „მას გახელილი დარჩა თვალები“; „რევოლუციონერის ხსოვნას“; „მშვიდზე-მშვიდი“; „გზებზე გავედით“; „სადამოხანად მთაწმინდას რომ დაფარავს ნისლი“; „ფერადი შუშები“; „ახალი ნანა“; „ემიე ჰანგი სიხარულისა“; „ბეწვზე გადარჩენილს“; „ღვიძავს რკინისგზის სახელოსნოებს“; „ნავთსადგურთან“; „ეჯახება ბორბალს ბორბალი“; „მეზღვაურებო!“; „პოეტი“; „უძლეველი არმია“; „მქედლების ქუჩა“;

„მოგონება“; „რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!“; „ელოდნენ რევოლუციას“; „მორი ალპების წყაროზე წმინდა, სამხრეთის მზეზე უდიადესი“; „სიმღერავ“; „ოცნება და სინამდვილე“; „ფიქრები რატაციონის გრგვინვაში“; „ჩემო მენავე“; „გულს მიეც სული და დაუქუხებს სიმღერის ლტოლვა ტიტანიური“; „მეტეხს იქით, ცა, აჰა, ნათლდება“; „რაც დავიწყებით არ იბინდება“; „სამაისო სიმღერებიდან“; „აყვავილებულ საღამოს“; „კლდეებს ამტვრევენ“; „რა იყო შენი ბავშვობა?“; „გახსოვს ის ქარბუქი?“; „ჩემო სიმღერავ, მაღლა, სულ მაღლა!“; „სიმღერა კარგი მხოლოდ მასისთვის“; „ეფინება სიხარული“; „საღამო ხანად ისევ იმ ნანად“; „ქართული ორნამენტი“; „სტანსები“; „ხმა უჩვეულო“; „ავდარი“; „ქუჩებს ყვავილი მოეფინება“; „სიხარულით ეგებება დღის საღამო!“; „ყოველ სტრიქონზე“; „სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში“; „სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით“; „ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი“; „ცისარტყელა“; „მე მასთან ვარ ისევ ისე“; „ელსადგური ტყეში“; „დიდი ზამთარი“; „საღამო ახალ გზით გაერთიანებულ საქართველოს!“; „ღელვას – ფერადები“; „უზარმაზარი მსოფლიო ქნარი“; „აღტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას“; \*\*\*(„პროექტორი“); „მკაცრია ამ დროს“; „იგი დრო ენამ ვერ გამოხატა“; „განთიადზე კი“; „ახალ იმედათ“; „მოდულუნებენ ზვირთნი მტკვარისა“; „ჰყვება ტფილისი სხვადასხვა ჰანგებს“; „ჩრდილმა გადაიქროლა“; „უტეხი ხმებით“; „მატარებელში“; „შავი ზღვის პირად“; „ცა, ზღვა და მიწა“; \*\*\*(„გუმინ ქარმა და გრიგალმა“); „სწორედ ისეთი, როგორც ვიყავ ოცი წლის წინად“; „მწვერვალი გადაიხარა“; \*\*\*(„უზარმაზარ კლდეს მიემსხვრა“); „უნდა ვიცოცხლოთ, უნდა ვიცოცხლოთ“; „ცეცხლის სახმილი გამოცდის რკინას“; „სიცოცხლის მტევნები“; „მხოლოდ ეს გული“; „არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს“; „გზაზე“; „არგონავტები ახალი დროის“; „სადღეგრძელო“; „დაჰკარ, ორკესტრო!“; „ბრძოლათა თასი“; „უკმარობის ნიაღვარი“; „მოელვარე გზით“; „ფიქრი თვალს აწევს“; „გადაეფარა იგი მრავალ ხმას“; „მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს“; „წყალს იქით რომ ერთი სახლია“; „გზა ახალ-ახალ გადამთოვრების“; „ახლა – განა ისეთი დროა?“; „სტრიქონები“; „ყველგან დირიჟორად არის ინჟენერი“; „ჩვენ ის გვიყვარს“; „მაინც სწამდა გამარჯვება“; „ფრაგმენტი“; „მხოლოდ იდეა“; „ჩვენ ავდიოდით საღრჩობელაზე“; „არწივების თავდასხმა ჰაეროპლანზე“; „ჰქუხდე, გულისთქმავ!“; „რამდენ ღამეს მოელო ბოლო“; „როგორ არ იცით, თუ რა ძალაა“; „დამშვიდდი, ქარო!“; „თანასწორი“; „ერთხელ საღამოთი“; „მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე“; „რვა მარტი“; „მატარებელიც მოიჭრა თუჯის“; „გულში ცეცხლია“; „აჰა, თენდება“; „გაუმარჯოს მებრძოლ თაობას“; „არგონავტები ახალი დროის“; „ინტერნაციონალი“; „თანდათან, თანდათან, ახალი ქვეყანა შენდება“; „ყოველი მხრიდან“; „ხმამაღლა! ხმამაღლა! ხმამაღლა!“; „მხარი მხარს, მხარი მხარს!“; „მოგზაურობა ვერცხლის ბილიკით“; „მზე თვალეებში ჩაგვეწვეთება და თვალს სინათლე მოემატება“; „მწვერვალები ახალი მთების“; „შეხედე!“; „კოლხიდის დაბლობზე“; \*\*\*(„საღამო მთების“); „დაუძლეველი“; „რად გვინდა თავი ცოცხალი!“; „ძველი და ახალი ხიდი“; „რევოლუციონური საქართველოს ცხოვრების ფურცლებიდან“; „სიმღერა“; „ოქტომბრის სიმფონია“; „ქარი“; „ტბა ალპიურ ზონაზე“; \*\*\*(„ჩამავალი მზის ფერადო კიდევ“); „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“; „ავდარი“; „სადაც ალპებია ველად“; „იერი“; \*\*\*(„მე ხომ სხვა ვარ“); \*\*\*(„ცაზე მიდის ერთადერთი“); \*\*\*(„წყალტუბოდან ქუთაისში“); „აწმყოს დიდება დიდი“; \*\*\*(„ნიავი, ია, ნარგიზი“); „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“; „გამონაკლისი“; \*\*\*(„მთაგორების ზემო“); \*\*\*(„ჩვენ დავინიშნოთ ეს ადგილი“); „გამოცოცხლება“; „აღემატება ყოველგვარ ძალას“; „მგზავრის სიმღერა“; „ჩვენი შავი ზღვა“; „ალპები“; „სტანსები“; „ფრაგმენტი“; „მატარებლიდან“; \*\*\*(„ზღვა წყნარია ნამეტანი“); „სანატორიუმში“; „პოემა ვეფხისა“; „პრესა“; „ქარი ვარდებში“; „ფიქრი ზღვის პირას“; „რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ“; „მოგონება მშობლიური მხარის“; „ფიქრები სამშობლოზე“; „იმ დღეს რომ იყო“; „ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე“; „ვეზუვი“; „უცხოელი პოეტი“; „უმუშევარი“; „წარწერა ანატოლ ფრანსის სურათზე“; „ტირიფი“; „მოდის“; „პატარა პიერი“; \*\*\*(„აგერ შემოდგომობის“); „ვოლტერის ძეგლთან“; „მელანქოლიური მოსიმღერე“; „ბარელიეფი“; „გოტიეს რომანიდან“; „ქიმერა“; „დაბრუნებისას“; „რუსთაველი პარიზში“; „ახალ ცხოვრებას გაუმარჯოს“; „ვით ხეს ფოთლები“; „მე მახსოვს მისი სახე“; \*\*\*(„მეგონა: ღამე ფლობს იუნგ-ფრაუს“); \*\*\*(„სადღაც დარჩა შორს“); „მუშის სიტყვა“; \*\*\*(„მეტყვი: როგორც ეს გრიგალი“); \*\*\*(„მზადა ვარ მარად“); „პუშკინი პარიზში“; „მოხუცი მწიგნობარი“; „ლუმანიტე“; „ქუჩის მომღერალი“; „ქალაქისაკენ“; „სიკვდილი უმუშევრისა“; „უბინაო დედა“; „უცხოელი ბავშვი“; „მისტერია წვიმამი“; „მონ-



პარნასი“; „აბისინელი ჯარისკაცი“; „ავტო-მოტო-ველო“; \*\*\* („ეხლა ძვირფასო მოგონება“); „ეიფელის კოშკზე“; \*\*\* („უღრმესს, ურთულესს“); \*\*\* („თუმც ცოცხალი ვარ“); „დღიურ პროზიდან“; \*\*\* („როგორც მენავემ“); „ხელი იმ წამების დროს რომ არ გამოგიწოდეს“; „როგორ ებრძოდენ ზარებს ზარები“; „ქარი არხევდა იტალიანურ შობის ხეს ტრიპოლისში“; „ქარი, ამწევი ფარდის“; „ლურჯა ცხენები“; „მთაწმინდის მთვარე“; „ეს მშობლიური ქარია“; „კახეთის მთვარე“; „ალაზნთან“; „მივდიოდით ალაზნის ველად“; \*\*\* („წინანდალეული ნათელა“); „მხოლოდ გული...“; „გახედე: კახეთი!“, „თეთრი პელიკანი“; „საღამო“; „სანთელი“; „ტფილისი“; „ტფილისის ზეცა მოწამეა“; „ქრონიკა ერთი დღის“; „აივანზე“; „ოპერის თეატრთან“; „ახალი მზე“; „აი, რა მზის სიზმარია“; „მეტეხი იდგა რუხი, პიტალო“; „უცნობი ქუჩის დასასრულთან“; „მთაწმინდის იქით“; „15 საუკუნე“; \*\*\* („როცა დაეცა შური ბინდისა“); „ადრიანი გაზაფხული“; „სდგას ხეივანი სასახლის წინ“; „ტფილისს სძინავს მძიმე ძილით“; „კაკლის ხე მთაწმინდაზე“; \*\*\* („დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია“); „პირიმზე“; „უნაზესი ხელნაწერი“; „ზღაპარი“; „იშლებიან ყანები“; „პირიმზეს“; „არაგვი“; „გამოსალმება“; „ზღაპრებიდან“; „საღამო“; „მამული“; „სერენადა“; „ჭარხალი“; „არწივებს ჩასძინებოდათ“; „ომნიბუსით“; „ღვინოს დააბრალებენ“; „ეს მძინარე მთა და ველი“; „წერილი სოფლიდან“; „შინდისის ჭადრებს“; „ალვის ხის გადარჩენა“; „შენ რაღას იტყვი?“; „ძველის ძველ ღვინოს“; \*\*\* („ო, მეგობრებო, ჩვენი სერობა“); „მივაშუროთ!“; „დროა“; „იქით ნუში, აქეთ ნუში“; „სადღეგრძელო იყოს მისი“; „ალის თასი“; „მოდის ჭალების სული მცურავი“; „შავი ყორანი“; „ჩემო იარალი“; „მესაფლავე“; „ცხოვრება ჩემი“; „მივარდნილი აივანი“; „ტყე დაბურული“; „როგორც წუხილი არაგვის კიდის“; „ხელოვნება“; „როდესაც მთვარე ანათებს დღისით“; „შუადღის გულმოდგინება“; „ბალახები“; „ყანები“; „გზაში“; „ძველი რვეულიდან“; „შენ რაღას იტყვი, ყანავ“; „გაგონდება თუ არა“; „ეს წინად იყო“; „მუხები“; „ცელი ჰკვივის“; „აყვავილებულ ველებს საღამი“; „მოგონება ჩვენი ჭალისა“; „ძველი წისქვილი“; „პირველ თაველებს“; „გზად ვეშურები. მგზავრი“; „აგერა! აჰანდე!“; „მთვარე ჭაში“; „ქალავ“; „შორი ყინული კავკასიონის“; „ქალს მთებიდან“; „მცხეთიდან“; „მხოლოდ ნანა“; „იცვალნენ დრონი“; „სასახლე ძველი“; „დაგიფარებენ“; \*\*\* („აქ მარმარილოს მაღალი სვეტი“); „დღე გაფითრდა იაგუნდის“; \*\*\* („კარს გაუღებენ მას წინაპრები“); „ციხის ნანგრევებთან“; „ჩვენ ავაშენეთ მაღალი კოშკი“; „დაბრუნება“; „გორიდან“; „ავჭალის იქით“ „გახსოვს? რა დრო იყო ის დრო!“; „მცხეთამდე“; \*\*\* („ელვარე და ლომფერი“); „რა მშვენიერი მინდვრებია“; „გვირაბებიდან“; „ღამე ხეობაში“; „ჩვენი საუკუნე“; „მშობლიური ეფემერა“; „პოეზია – უპირველეს ყოვლისა“; „წელიწადები წავლიან ძველნი“; „მგლოვიარე სერაფიმები“; „შენ ერთი მაინც“; \*\*\* („მიყვარდა. ჰანგი გრძნობით გამთბარი“); „როცა აქტეონი, ძედ არისტეას“; „უნაზესი ხელნაწერი“; „იქ პოეტების ფრიალებს დროშა“; „წიწამურში რომ მოკლეს ილია“; „შერიგება“; „კაცი, რომელმაც გაბედა“; „მე არა ერთხელ მქონია ფრთები“; „გააფთრებული რომ იყოს ვეფხვი“; „აკაკის ლანდი“; „შიშველი“; „ვიგონებ რა იმ მიქელ-ანჯელოს“; „ობელისკი“; „ჩვენი დრო ისევ რუსთაველს ელის“; „ის დირიჟორი“; „ვაგნერი“; „მარმალლო“; „აუჩქარა ცხენმა გზაში“; „ედარებოდა შემლილს“; \*\*\* („მალე ფერ-გადამლილი“); „სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“; \*\*\* („როცა გარშემო ღამე ბნელია“); „აჰა, ბინდდება“; „მუსიკა – უეცარი“; „გოტიეს“; \*\*\* („ორი ზღვა შეხვდა“); „რუს პოეტს“; „ადარ არის მენესტრელი“; „წერილი მეგობრებისადმი“; „ქალი და ხელოვნება“; „პარალელი“; „შემოქმედება“; „ვუალისა და ვიოლეს შესახებ“; „ისევ ეფემერა“; „ათოვდა ზამთრის ბაღებს“; „ოფორტი“; „გადია“; \*\*\* („თბილ ბალიშებზე ისვენებს კატა“); \*\*\* („ხომალდს მიყვება“); „ზამთრის მოტივებიდან“; „თოვლი“; „ალგები თოვლში“; „თეთრი ქარები“; „თოვლი იყო ირიბი, ალმაცერი“; \*\*\* („თეთრ თოვლის ქვეშ“); „ზამთარი ძნელი“; \*\*\* („დგება თეთრი დღეები“); „მწუხარება შენზე“; „სინამდვილეში ოცნებისას“; „რაც უფრო შორს ხარ“; „ვინ არის ეს ქალი?“; „გავიდა ხანი“; „სიშორით შენით“; „ნუგეში“; „ძველი მოტივით“; „შენ ზღვისპირად“; „VOILES“; \*\*\* („ო, დღეს შემოდგომაა“); „შენი სადღეგრძელო“; „სადღაც მინახავს“; „მერი“; „მოვა... მაგრამ როდის?“; „არ-დაბრუნება“; „\*\*\* (ეს იყო ოქტომბრის დამლევს“); „მე და ღამე“; „უხილავი“; „სიჩუმის ანგელოსი“; „სიხარული ბრძოლაში“; \*\*\* („ხშირად ვოცნებობ“); „ახალ ცისკართან“; „ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს!“; „სულ ადვილია რწმენა“; „დუმილი“; „კორდზე“; „კვნესის ვოლტორნი“; „დასძინებია ალერსიან ბაღს“; „ხომლი“; „ცა თოვლით ფენილი“; \*\*\* („აჩრდილი ჩუმი“); „ღამევ, რა მოგივიდა?“; „ამ ბნელი ღამით“; „ეს იყო ძველი, ნაცნობი აზრი“; „მთვარე მთას ამოეფარა“; „უდაბნო“; „პრიმიტივი“; „კვლავ აელვარდა ირმის ნახტომი“; „როგორც

სინათლე მოხეტიალე“; „ცად აზიდულა ვით მარმარილო“; „ჩუმი შრიალით ხის ფოთლები მეგებებიან“; „დღეს დღეები ეცლება“; „სარკმელთან“; „მე მოვალ“; „განწირულება“; „სიზმრები“; „უკანასკნელ დღეს“; „სიკვდილი მთვარისგან“; „გუშინ, მთელი დღე“; „ის მიდიოდა ქუჩაში ერთი“; „იდუმალი მეორე სახე“; „სამრეკლო უდაბნოში“; „სიბერე“; „ჭიანჭურები“; \*\*\* („გეგებდი ყველგან“); „ავდრის მოლოდინი“; „სად?“; „რომელი საათია?“; „დამშვიდობება“; „ატმის ყვავილები“; „ბედს იქით!“; „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს!“; „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“; \*\*\* („იმ ვარდისფერ ატმებს“); „ის წაიყვანა ოცნებამ მისმა“; „დომინო“; „უცნაური სასახლე“; „ჰორიზონტიდან ზენიტამდე“; „ღამე დღეს შეხვდა“; „უსიყვარულოდ“; „თვალეები“; „ჩემი ვარსკვლავი“; „ნიაღვარი“; „რა რიგ მწყურია“; „ექვი“; „ველთა შორის გამოისმა“; „მივალ, გადავკოცნი...“; „ღელავდენ...“; „მერის თვალეები“; „ქალმა დამწყევლა ლამაზმა“; „თვალს ნაზი და მთვარეული“; „ღვინისფერო მდინარე!“; „ცამეტი წლის ხარ“; „მთელი დღე ვგრძნობდი“; „დამწველი თავის სიმშვენიერით“; „ზღვაზე სცურავს ნაფოტივით“; „ორი ასული ნეტარი“; „ვისმენ დანატრულ ხმას“; „როდესაც მთვარით“; „ალვის ხეები მშვილდისარს ხრიან“; „არსებობის გული“; „ხელები“; „აუზისაგან“; „მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით“; „მოგონება“; „ეს იყო თხუთმეტი წლის“; „წინად“; „ლანდი – არა-ქვეყნიური“; „ვერსად, ვერასდროს...“ ; „მაინც დავიმსახურე“; „სანამ შორს იყავ“; „ხალხური მოტივებიდან“; „დადგა აგვისტო“; „ერთ დროს“; „შენ თუ მოელი?“; „მე ვინც მიყვარდა“; „ათი ქალწული“; „10 წლის წინად“; „წერილიდან მისდამი“; „ხიდი რიალტო მთის მდინარეზე“; „ისევ ოცნება და „სიყვარული“; „შენ აღტაცებით ისევ ენთები“; „მწოლარე“; „ახსნა“; „მზეო თიბათვისა“; „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“ „მამათა სავანეში“; „სადამო სოფლად“; „შემოდგომის ყვავილები“; „მატარებელში“; „შემოდგომის“; „მოტივებიდან“; „შემოდგომის ფრაგმენტი“; „შემოდგომა“; „გაჰქრენ ზაფხულის დღენი“; „ფოთლები“; „ავადმყოფს“; „ყვითელი ფოთოლი“; „უკანასკნელი დღე“; „შენ და შემოდგომა“; „შემოდგომის დღე“; „ჰორიზონტი ოდნავ ღელავს“; „მაშინ ცას უფრო სხვა ფერი ჰქონდა“; „ასე რისთვის?“; „უკანასკნელი თანამგზავრი“; „ქარი ქანაოზს ქნარად“; „შემოდგომის დილა“; „შემოდგომის დღე“; „ძველი წიგნების გვერდებს არეულს“; „გულო, რა გემართება?“; „ერთხელ...“; „შრიალებს ჩალა“; „სულ რამდენიმე წლის წინ“; „რა სევდიან ნანას ამბობს ქარი“; „შენ და შემოდგომა“; „ქარით დატირებული“; „შემოსილნი გამჭვირვალე ბლონდებით“; „სახლი ტყის პირად“; „ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა“; „შეშლილივით დააღებს კარებს“; „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა“; „დგება შემოდგომა“; „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“; „დღემ გაიარა!“; „გზაზე ფოთლები ჰყრია“; „გვიანი ოცნება“; „მოსვლას აპირებს წვიმა“; „ქარი“; „ტყემ წამიყვანა!“; „დგება ნაზი შემოდგომა“; „სიმების კვდომა...“; „მუხა“; „ტყეში“; „დაღამდება ტყეში ოდეს“; „ვერხვები“; „იარე, კაცი შენ აღარ გქვია“; „ვარ გენია რიმანელი“; „როგორც კი დილა გათენდება“; „მწვანე ზოლი მთის“; „ორი მრისხანე სტიქის ბრძოლა“; „უბედურ საათს არვინ დაგიცავს“; „მწარე იავნანა“; „მე მძინარე ვარ...“; „დღეთა კარებთან ვდგევარ“; „წუხილით“; „ვერ გაიგონეს...“; „მიცქირე თვალში“; „ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი“; „გაიცქირება მომავლისაკენ“; „სული უსახლო“; „ყველაფერმა იცვალა ფერი“; „სული მწუხარე“; „მაგრამ მე რა ვქნა?“; „დალუქულ ფოლიანტთან“; „გამლილ წალკოტში“; „ბრმა ცალი თვალით“; „სხვა... ყველაფერი...“; „ერთმა წუთმა“; \*\*\* („გული მღელვარებს“); „გრძნობა, რომელიც დაკარგულია“; \*\*\* („ამაოა მთლად ცხოვრება“); „სამგლოვიარო ეტლების ფრენა“; „სასწაულს“; „ბინდის სტუმარი“; „ამაო ცდა“; „შავით შემოსილხარ როგორც“; „ორი ზარი“; „ბედისწერა“; „ბნელ ქიმერებში“; „დახუჭული თვალეები“; „ქალწული“; „ქარებს ქარობა!“; „მიცვალეზულის ხსოვნა“; „ორი“; „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“; „ღრუბლები ოქროს ამურებით დასახლებული“; „სამი ღრუბელი“; „ახალი მოსახლეობა“; „სინანული“; „მზის ჩასვლა“; „დაღლილ წამწამთ ქვეშ“; „ვით აფეთქება“; „სადამო“; „ეფემერა“; „ყორანი“; „ედგარი მესამედ“; „სად დასასრული იყო“; „მე მესიზმრება“; „ლაჟვარდ ცაზე დღეა თეთრი კრავების“; „ჰაერი“; „მოჩვენება ნანგრევებში“; „თვალუწვდენელი... დაუსაბამო“; „სახალწლო ეფემერა“; „გეტერა“; „ყველაფერმა იცვალა ფერი“; „იმედთა ნაცვლად“; „ო, გიპოვე“; „ოდეს მთვარის ნაზი შუქი“; „სიტყვა პოეტის“; „მარტო არა ხარ“; „მიყვარს მარტო ქარიშხალი“; „ტყის პირად“; „ჟამსა სევდისას“; „რაა ახალი?“; „შუადამისას“; „ზვირთები რბიან“; „ხალხი ირევა, ხალხი ფუსფუსებს“; „როგორც აჩრდილნი“; „ოდესღაც, სადღაც...“; „დღეთა – გარდასულთა“; „გახსოვს?“; „გადაუღებლად“; „შენს ცისფერ თვალებს“; „სთვლემს ტყის ნაპირი“; „ზღვის პირად მდგარი“; „ის ჩამომშორდა. როგორც

სიზმარი“; „სიტყვა და ლოცვა“; „შემოდგომა“; \*\*\* („მთის მწვერვალებს“); „მახსოვს“; „სარეცელთან“; „ნათელი“; „რა არის შენთან“; „რომანი“; „ახალი წელი“; „ძალა – იარაღი“; „რამდენჯერა ვსტევი“; „ერთი გავარდნილი კაცი“; „როდესაც ხალხთა ჟრიაშულში გადვიკარგები“; „ვით გრიგალის შემდეგ ტყე-ველი“; „ოჰ, სად... სადა...“; „მე ვუკვირდები ამ უძირო ზღვას“; „ქარიშხლის შემდეგ“; „მიმდერე რამე“; „განახლდა გული“; „არასდროს ისე არ მენატრება თავისუფლება“; „პორტრეტი“; „მეზავრის სიმღერა“; „დარიალისა ვიწრო კლდეებში“; „გარდაცვალება“; „ოცნება კლდეზე“; \*\*\* („რომ მომცა ფრთები“); --- („სქელი ღრუბელი“); „მე ამ ყვავილებს“; „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“; „ეს გრიგალია სიახლის“; „პირველი ვარდი“; „გურიის მთები“; „მოედანზე“; \*\*\* („გაფერძნოთაღდა მთვარე სავსე“); „ხანდახან მშფოთარ ქალაქის ხმაში“; „როგორც სიზმარი“; „აფიშა, როგორ...“; „რა მშვენიერი იყო ნამი...“; „მე დავიბადე განთიადისას“; „ყვავილები“; „ყვავილები – წუთები“; „ყვავილების ქალი“; „შენ და ზამბახი“; „სროლის ხმა მთაში“; „ბავშვები კაფეში“; „უბინაო ბავშვები“; „ალუჩა, შვიდი წლის ბავშვი“; „ი.ა“; „ბავშვი გაზეთში“; „ამაო ძახილი“; „ბავშვობის დღეები“; „გემზე“; „მიწა გამოჩნდა“; „ანძები“; „ლურჯი ხომალდი“; „შენ ზღვის პირად“; „ლილიან ფრთებით“; „სანთლები“; „მე ერთადერთი მქონდა წუხილი“; „ფარული ტკივილებით“; „შენ გვიანდები“; „მაისმა ისევ მომიტანა ლაჟვარდის ზღვები“; „მღელვარება“; „რა დროს რომანსეროა“; „წყნარი ზღვა“; „მეოცნებე აფრებით“; „როგორც სიმღერა“; „წამი წამს ეზიდება“; „მფარველი იალქნები“; „წყალზე“; „ლოცვაზე უფრო“; „სასაფლაოზე“; „რაც იქნეს – იქნეს“; „დრო“.

➤ 9638

1945

12 ივნისი

იძენს მუდმივ კალამს.

➤ 9639

1945

12 ივნისის შემდეგ

სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული მისი „რჩეულის“ გამო წარადგენენ სტალინურ პრემიაზე, მაგრამ მოსკოვიდან ჩამოსულ პრემიების მინიჭებელი კომისიის თავმჯდომარეს ვილაც ყურში აწვევებს, რომ გალაკტიონს სტალინზე მხოლოდ ერთი ლექსი აქვს დაწერილი, ლავრენტი ბერია კი საერთოდ არ უხსენებიაო. ამის გამო იცვლება გადაწყვეტილება, რეცენზენტებს სასწრაფოდ ახალ რეცენზიებს აწვრინებენ და სტალინის პრემია სიმონ ჩიქოვანს ენიჭება პოემისთვის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“.

➤ 9640

1945

12 ივნისის შემდეგ

კითხულობს თავისი ლექსების რჩეულს, ასწორებს სტრიქონებს და წერს ლექსის „მშობლიური ჩემო მიწავ!“ ახალ ვარიანტს.

➤ 9641

1945

14 ივნისი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ცნობა, რომ 18 ივნისს მწერალთა სასახლეში იმართება ნიკო ლორთქიფანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მწერლები და ნიკო ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილ ლექსს წაიკითხავს გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 9642

1945

22 ივნისი

გიორგი ჯიბლაძე ეუბნება, რომ მწერალთა კავშირში მისი „რჩეულის“ გამოცემასთან დაკავშირებით დაგეგმილი საღამო ფართო მასშტაბით უნდა ჩატარდეს.

➤ 9643

**1945**

**22 ივნისი**

დღიურში 1886 წლის ჟურნალიდან „თეატრი“ იწერს სვიმონ ტაბიძის მიერ მამუკა ორბელიანისადმი მიძღვნილ აკროსტიხს, რომელიც რედაქციისთვის გადაუცია ნინო ორბელიანს. იქვე აღნიშნავს, რომ ჟურნალში დაბეჭდილია ალექსანდრე ყაზბეგის ლექსი.

➤ 9644

**1945**

**22 ივნისი**

დღიურში ინიშნავს სამხატვრო აკადემიაში მისი „რჩეულის“ გამოცემასთან დაკავშირებით დაგეგმილი საღამოსთვის გამოსაყენებელი მასალის ავტორებს: აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს, ვასილ ბარნოვს, ია ეკალაძეს, ვალერიან გუნიას, განდევილს, დავით კლდიაშვილს, შალვა დადიანს, ზაქარია ჭიჭინაძესა და სანდრო შანშიაშვილს.

➤ 9645

**1945**

**22 ივნისის შემდეგ**

27 მუხლად ჩამოწერს ქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებულ თემებს.

➤ 9646

**1945**

**22 ივნისის შემდეგ**

სტალინის პრემიის ლაურეატების სერიით გამოცემულ იგორ ბელზას წიგნში „ვ. ი. შებალინი“ აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 9647

**1945**

**23 ივნისი**

დღიურში იწერს სტენოგრაფისტის მისამართს, რომელიც მზად იქნება სამხატვრო აკადემიაში გასამართი საღამოს ჩასაწერად.

➤ 9648

**1945**

**24 ივნისი**

სამხატვრო აკადემიაში გასამართ საღამოსთან დაკავშირებით, დღიურში ინიშნავს ენტუზიასტებს – ტარიელ ვარდაძესა და ეთერ ანდრონიკაშვილს, რომლებიც შეინახავენ აფიშებსა და მოსაწვევ ბარათებს.

➤ 9649

**1945**

**25 ივნისი**

სამხატვრო აკადემიაში გალაკტიონის „რჩეულის“ გამოსვლასთან დაკავშირებით იმართება მისი შეხვედრა თანამშრომლებთან, რომელიც პოეტისათვის მოულოდნელად ძალიან კარგად ტარდება, შესანიშნავად გამოდიან ბესარიონ ჟღენტე და სტუდენტები. გალაკტიონი ფიქრობს, რომ გრანდიოზული საღამო ჩატარდა და კარგი იქნება კლიშეებითა და ანბანით ცალკე

გამოცემული სტენოგრამა, რომელიც მალე უნდა დამზადდეს და ამ საქმეს მიხედოს სხვა საქმეების პარალელურად.

➤ 9650

**1945**

**25 ივნისი**

მწერალთა კავშირში, გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქციაში, ერთ-ერთი მაგიდის შუშის ქვეშ ნახულობს ბარათს ივანე იოსელიანის დამკრძალავი კომიტეტის შესახებ, რომელშიც თვითონაც არის მოხსენიებული ივანე წულუკიძესთან, პოლიკარპე კაკაბაძესთან, აკაკი გაწერელიასა და ნიკოლოზ კანდელაკთან ერთად.

➤ 9651

**1945**

**25 ივნისი**

სამხატვრო აკადემიის თანამშრომლებთან გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრაზე სიტყვას ამბობს ილია ხოშტარია. პოეტი იმედოვნებს, რომ ის სიტყვით გამოვა მწერალთა კავშირის დაგეგმულ სადამოზეც.

➤ 9652

**1945**

**25 ივნისი**

ლადიძის წყლების პავილიონში შემთხვევით ფეხს ფეხზე გაკრავს ქალს, რომელიც ამის გამო „ბრუციანს“ უწოდებს და გალაკტიონი პირველად აღიქვამს მხედველობის დაქვეითებით გამოწვეულ დისკომფორტს.

➤ 9653

**1945**

**25 ივნისის შემდეგ**

წერს უთარილო და უსათაურო ლექსს „თუმცა ნაცნობებს ბევრს ვიგონებ ავალიანებს...“, რომელსაც უძღვნის პროზაიკოს ივანე იოსელიანის ხსოვნას.

➤ 9654

**1945**

**26 ივნისამდე**

სახელმწიფო გამომცემლობიდან იღებს „რჩეულის“ საავტორო 10 ეგზემპლარს. არ იცის, რა ქნას, რადგან ყველას ვერ დაურიგებს საჩუქრად და მრავალი სთხოვს. ყველა ამბობს, რომ დიდებული წიგნია.

➤ 9655

**1945**

**26 ივნისი**

სასახლის ქუჩაზე, ამჟამინდელ რუსთაველის პროსპექტზე ტროლეიბუსისკენ მიმავალი კაცი გალაკტიონის „რჩეულს“ კითხულობს და კინაღამ ავტომობილი ეჯახება. პოეტი უბის წიგნაკში იწერს, რომ ეს ფაქტი არასდროს დაავიწყდება.

➤ 9656

**1945**

**26 ივნისი**

ვენერა ურუმადე ახსენებს, რომ „რჩეულის“ ჩუქებას დაჰპირდა.

➤ 9657

1945

**26 ივნისი**

მოლარე ქალი გალაკტიონს საყვედურობს, რომ კინოში არ მიესალმა. პოეტი პასუხობს, რომ წარმოუდგენელია, დაენახა და არ მისაღმებოდა. ირკვევა, რომ ქალი ხუმრობს. მას გალაკტიონი 9 მაისზე გადაღებულ ფილმში უნახავს, რომლის კადრებშიც მშვენივრად კითხულობდა გამარჯვებისადმი მიძღვნილ ლექსს.

➤ 9658

1945

**26 ივნისი**

წიგნების ნომერ მეორე მაღაზიიდან აცნობებენ, რომ მისი „რჩეული“ ძალიან კარგად იყიდება და, ძირითადად, ახალგაზრდები იძენენ.

➤ 9659

1945

**26 ივნისი**

თავს აბეზრებს და ენერგიას აცლის მხატვარი დავით გველესიანი, რომელსაც, მისი აზრით, ტყუილად არ უწოდებენ „ცოცხალ ლემს“. ვერ გაუგია, რატომ აიჩემა გალაკტიონის პორტრეტის ხატვა.

➤ 9660

1945

**26 ივნისი**

დღიურში ინიშნავს სომხურ ენაზე მისი ლექსების მთარგმნელის, გაზეთ „სოვეტიკან ვრასტანის“ თანამშრომლის, ჰოვანეს კარაპეტიანის მისამართს.

➤ 9661

1945

**26 ივნისი**

ტელეფონით საუბრისას ლენა სტურუა ეუბნება, რომ გალაკტიონი დიდი პოეტია და მხოლოდ მომავალი შესძლებს მის დაფასებას.

➤ 9662

1945

**26 ივნისი**

თავისი „რჩეულით“ ხელში მიმავალს, ქუჩაში აჩერებს უცნობი, ართმევს წიგნს, სიყვარულით ათვალთქვებს და ეუბნება, რომ შესანიშნავი გამოცემაა, გალაკტიონს მთელი საქართველო აფასებს და მხოლოდ თავად არ აფასებს საკუთარ თავს.

➤ 9663

1945

**26 ივნისი**

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი გიორგი ჯიბლაძის თავმჯდომარეობით იღებს დადგენილებას, რომ გალაკტიონ ტაბიძის რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემის გამო 2 ივლისს გაიმართება საღამო შემდეგი პროგრამით: შესავალი სიტყვა – გიორგი ჯიბლაძე, მოხსენება პოეტის შემოქმედების შესახებ – შალვა რადიანი, სიტყვები – აკაკი გაწერელია, ბესარიონ ჟღენტე და შალვა რადიანი, ლექსების კითხვა – გალაკტიონ ტაბიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, პიერ კობახიძე და თამარ ჭავჭავაძე.

➤ 9664

1945

**26 ივნისი**

ბერიას მოედანზე მდებარე მაღაზიასთან ხვდება დავით დონდუა, რომელიც უამბობს, რომ ხნიერმა კაცმა მოითხოვა მისი „რჩეულს“ და ფასი – ასი მანეთი ეძვირა. შემდეგ წიგნი გადაშალა, წაიკითხა პირველი ლექსი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, აღელდა, ამოიოხრა და თქვა, რომ ამ ლექსის გამო რამდენიმე ათას მანეთადაც შეიძენდა ამ წიგნს, იყიდა და კმაყოფილი წავიდა.

➤ 9665

1945

**26 ივნისი**

ბერიას, ამჟამინდელი თავისუფლების მოედანზე მდებარე მაღაზიაში გალაკტიონ ტაბიძის „რჩეულის“ მყიდველი გამყიდველს ეკითხება, არ რცხვენიათ, გალაკტიონს მხოლოდ ას მანეთად რომ აფასებენ? ის კი პასუხობს, რომ გალაკტიონს კი არა, მის წიგნს აფასებენ ასე.

➤ 9666

1945

**26 ივნისი**

სახელმწიფო გამომცემლობის საწყობში მიდის იოსებ იმედაშვილი. ის გაღიზიანებულია, რომ გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული“ უბრალო ყდით მისცეს და აცვლევენებს ლიდერიანის ყდიანზე.

➤ 9667

1945

**26 ივნისი**

ახალგაზრდები კოლექტიურად იძენენ გალაკტიონ ტაბიძის „რჩეულს“.

➤ 9668

1945

**26 ივნისი**

სახელმწიფო გამომცემლობის საწყობის გამგე – მელიტონ თევდორაძე პოეტს აცნობებს, რომ მისი „რჩეული“, მაღალი ფასის მიუხედავად, ძალიან სწრაფად იყიდება. ორ კვირაში 2000 ცალზე მეტი გაიყიდა.

➤ 9669

1945

**26 ივნისი**

სომხის ბაზრის ბუკინისტი პოეტს ეუბნება, რომ იმ რაოდენობის წიგნი არასდროს გაუყიდა, რა რაოდენობითაც მისი „რჩეული“ გაყიდა.

➤ 9670

1945

**26 ივნისი**

გაზეთის „კომუნისტი“ გამომცემლობის გვერდით წიგნის მაღაზია „რჩეულის“ გამოცემის პირველ დღესვე ჰყიდის 40 ცალს და კიდევ მოითხოვს 60 ეგზემპლარს.

➤ 9671

1945

**30 ივნისი**

წერს უსათაურო ლექსს „და დაწყებული ჟურნალ „მნათობით“.

➤ 9672

## ი ვ ლ ი ს ი

1945

### 29 ივნისი – 2 ივლისი

სახელმწიფო ბანკში თანხის ასაღებად მისული არკვევს, რომ მოლარეს ბუღალტრისთვის ხელი არ მოუწერინებია მის საბუთებზე. იმით გაღიზიანებული პოეტი, რომ სხვისი დაუდევრობის გამო ახლა მას უნდა ერბინა ბუღალტერთან, მოლარეს „სულელს“ უწოდებს, შემდეგ კი ნანობს, რომ ამ სიტყვის წამოცდენით ახალი მტერი გაიჩინა.

➤ 9673

1945

### 29 ივნისიდან 3 ივლისამდე

გახარებულია თავისი ახალი „რჩეულის“ წარმატებით. ახსენდება 1943 წელს დაწერილი უსათაურო ლექსი „მშობლიურ ჰანგებს დაუგდე ყური...“, რომელსაც რეფრენად გასდევს ფრაზა „ეს გენიაა გალაკტიონის“ და უბის წიგნაკში იწერს ნაწარმოების ტექსტს.

➤ 9674

1945

### 29 ივნისიდან 3 ივლისამდე

თბილისის თემაზე გამოცხადებულ კონკურსში სოლომონ ცაიშვილის მიერ პრემიის მიღებასთან დაკავშირებით ექსპრომტად წერს ეპიგრამას: „გაცოცხლოს ჩემო სოლომან / ხმისა შენისა სოლომან!“, შემდეგ კი ფიქრობს, სოლომონმა რომ გაიგოს, ჩემდამი მეგობრულ დამოკიდებულებას მტრული განწყობით შეიცვლისო.

➤ 9675

1945

### 29 ივნისიდან 3 ივლისამდე

ჟურნალში „მნათობი“ ლევან ასათიანი აპირებს აკაკი წერეთლის მიერ რუსულად წარმოთქმული სიტყვის გამოქვეყნებას, გალაკტიონი კი ამბობს, რომ უმჯობესი იქნებოდა ქართული თარგმანის დაბეჭდვა. შემდეგ ახსენდება, რომ ფიოდორ ტიუტჩევის წიგნში რუსულის გვერდით არის ფრანგული ტექსტები და არც აკაკი წერეთლის შემთხვევაში დაშავდებოდა რამე თუ ტექსტს ორიგინალის ენაზე გამოაქვეყნებდნენ. შიშობს, რომ ამ თავისი დაუფიქრებლობით ლევან ასათიანი არ გადაიმტეროს.

➤ 9676

1945

### 29 ივნისიდან 3 ივლისამდე

დღიურში წერს, რომ ხელოვანთათვის ჩვეული დაუდევრობა უკვე ხასიათის განუყოფელ ნაწილად ექცა, არადა ფიქრობს, რომ თავადაც უნდა შეემძლოს სხვებივით თავის დაჭერა.

➤ 9677

1945

### 29 ივნისიდან 3 ივლისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ვარდისფერ ხალად მზე შემოგიგე...“.

➤ 9678

1945

### 29 ივნისიდან 3 ივლისამდე

დღიურში იწერს ამონარიდებს თავისი შემოქმედების შესახებ სანდრო შანშიაშვილის გამოსვლიდან. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ცხოვრების ტალღები გალაკტიონს აქეთ-იქით



ახეთქებს და ამ დროს დიდ გენიოსსაც შეიძლება ფეხი დაუსხლტეს. [აღნიშნავს, რომ დიდ პატივს სცემს მას, პირველი ქებაც თავად უძღვნა, როდესაც საქები იყო, მაგრამ აკრიტიკებს მის ბოლო წიგნს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. ყველამ კარგად იცის პოეტის ავ-კარგი, მაგრამ კრიტიკოსები განგებ დუმიან იმის გამო, რომ ის ლენინის ორდენოსანი, სახალხო პოეტი და აკადემიკოსია, არადა, საბჭოთა მწერლობის ასამაღლებლად სიმართლე უნდა თქვას. აინტერესებს, გიორგი ნატროშვილმა თუ მისი ნაკლი დაინახა, რატომ ვერ ხედავს გალაკტიონისას. აღნიშნავს, რომ ლექსები როგორი ვარიაციებითა და ემოციებითაც არ უნდა იყოს ნაწერი, მათ ერთი თემა უნდა აერთიანებდეს, თემიდან უნდა მომდინარეობდეს შედარებები, ეპითეტები, მეტაფორები და დასკვნაც ამ თემას უნდა აგვირგვინებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა თვალ-მარგალიტებითა და რითმებითაც არ უნდა იყოს პოეზია შემკული, მაინც ფორმალისტურია.

➤ 9679

1945

### 3 ივლისი

ელენე ბაქრაძე-ქართველიშვილი უამბობს, რომ პეტრე შარიაშვილთან გამოიძახა, გალაკტიონის პიროვნულ ღირსებებზე და მის „რჩეულზე“ დიდხანს ესაუბრა და უთხრა, მისი მსგავსი პოეტი რუსეთშიც არ არის, მაგრამ წიგნში ბევრი ზედმეტი რამ შეუტანიაო. გალაკტიონი თანამოსაუბრეს უხსნის, რომ მას შემდეგ, რაც წიგნი შალვა რადიანს გადასცა, მისთვის არავის არაფერი უკითხავს, ისე ასწორებდნენ და საკორექტუროდაც კი არ გადაუციათ მისთვის. პოეტი ფიქრობს, რომ საჭიროა სადამო მწერალთა კავშირში.

➤ 9680

1945

### 3 ივლისი

წვერს იპარსავს სალონში „ჰიგიენა“. ახალგაზრდა პარიკმახერი ქალი ესაუბრება რელიგიაზე და ირონიულად დასძენს, რომ ქაშვეთის ეკლესიის ვალი აქვს, რადგან ღმერთს მანეთიანი სანთელი ისე აუნთო, რომ საფასური არ გადაუხდია.

➤ 9681

1945

### 5 ივლისი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ცნობა, რომ 25 ივნისს თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოეწყო გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრა მხატვრებთან. პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბესარიონ ჟღენტი. გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: გიორგი ქუჩიშვილმა, ანდრო თევზაძემ, მარიკა ბარათაშვილმა, ასევე სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა გიგლა ფირცხალავამ და მიხეილ ქვლივიძემ. სადამოს დასასრულს ლექსები წაიკითხა თავად გალაკტიონმა.

➤ 9682

1945

### 5 ივლისი

შემოსასვლელ კარზე ზარს რეკავს უცნობი, რომელიც მოწყალებას სთხოვს, ამბობს რომ „დიდებაზე“, ღვთის წინაშე აღთქმა აქვს დადებული და ყველაფერს რასაც მოაგროვებს ღმერთს შესწირავს.

➤ 9683

1945

### 8 ივლისი

რადიოში იმართება გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურულ-მუსიკალური გადაცემა.

➤ 9684

1945

3-9 ივლისი

წერს უსათაურო ლექსს „იქნება შევძლო ცივ სამარეში...“.

➤ 9685

1945

3-9 ივლისი

იურისტი დ. ლორთქიფანიძე უყვება ივანე იოსელიანის თავს გადახდენილ უცნაურ ამბებს და მისსავე გამონათქვამებს. იოსებ გრიშაშვილის შესახებ უთქვამს, რა უნიჭო თავი აქვსო, პაოლო იაშვილზე – დიდი სულელია, მაგრამ მომწონს მისი ლექსი „წერილი დედასო“.

➤ 9686

1945

3-9 ივლისი

წერს უსათაურო ლექსს „მხატავს მხატვარი...“.

➤ 9687

1945

3-9 ივლისი

დილით დანიელ ჭონქაძის ქუჩაზე ასვლისას პორტუგელი ემბიმება და პოულობს ტვირთის შემსუბუქების რაღაც უბრალო ხერხს, შემდეგ კი დღიურში იწერს, რომ სურს, გააფართოოს ეს იდეა.

➤ 9688

1945

3-9 ივლისი

ხვდება დომენტი ოყროშიძეს, რომელსაც გალაკტიონის „რჩეული“ შეუძენია, მაგრამ თავისი ქალიშვილის გარდა არავის აძლევს, რადგან 1927 წელს გამოცემული წიგნი წაღება-წამოღებაში დაუხიეს.

➤ 9689

1945

9 ივლისი

ჩადის მცხეთაში და უყურებს მზის დაბნელებას, რომელიც იქიდან იწყება და ავჭალაში მთავრდება.

➤ 9690

1945

10 ივლისი

ნინო ნაკაშიძე უყვება, რომ ვასილ წერეთელს მისი ნაცნობი შეჰყვარებია, მაგრამ უარი მიუღია. უთქვამს საქართველოში ქალი ვინ დალიაო და მალევე შეურთავს ცოლი. შეაბერდნენ ერთმანეთსო, მაგრამ ერთხელ განუცხადა, რომ მასთან იცხოვრებს, მაგრამ სხვა შეუყვარდა. ცოლს ცემა-ტყეპით გაუგდია სახლიდან.

➤ 9691

1945

10 ივლისი

დღიურში იწერს, რომ დიდი მითქმა-მოთქმაა ჩიტო თაყაიშვილზე.

➤ 9692

**1945**

**10 ივლისი**

იგებს, რომ ირაკლი აბაშიძეს ნიშნავენ საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის გამგის თანაშემწედ.

➤ 9693

**1945**

**10 ივლისი**

იგებს, რომ სიმონ ჩიქოვანი თბილისში დაბრუნდა.

➤ 9694

**1945**

**10 ივლისი**

მწერალთა კავშირში გასამართი გალაკტიონ ტაბიძის საღამო ინიშნება 16 ივლისისთვის და პოეტს უკვირს, ასე რატომ გადაიდო.

➤ 9695

**1945**

**10 ივლისი**

დღიურში იწერს 11 ივლისს მწერალთა კავშირში ჩასატარებელი კრების პრეზიდიუმისა და გამგეობის წევრების სიას, რომელთა შორის თვითონაც არის.

➤ 9696

**1945**

**11 ივლისი**

მოკლე წერილს უგზავნის გამომცემლობას „ზარია ვოსტოკა“. სწერს, რომ, მისი აზრით უმჯობესი იქნებოდა ლექსების გამოქვეყნება თარიღების გარეშე, რადგან ძნელია გასარკვევია ბევრი ლექსის დაწერის მიახლოებითი თარიღიც კი და ქრონოლოგია მაინც არ გამოდის.

➤ 9697

**1945**

**11 ივლისი**

ხვდება ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორ ვარლამ მახარობლიძეს, რომელიც გალაკტიონს უზიარებს თავის აზრს რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის შესახებ, მიაქვს გეგმა და ჰპირდება, რომ მალე შეატყობინებს დეტალებს. ოთარ ეგაძე ამბობს, რომ ცაგერის რაიკომმა ან რომელიმე ორგანიზაციამ უნდა იშუამდგომლოს მწერალთა კავშირთან საღამოს მოწყობის შესახებ. შემდეგ მწერალთა კავშირმა უნდა შეათანხმოს ცენტრალურ კომიტეტთან და ორ კაცს დაევალოს ორგანიზება. ურჩევს ალექსანდრე სიგუას, რომელიც იქ ჩავა და ყველაფერს მოაწყობს. მათი საუბრისას შეუერთდებათ შარუხ ჩარკვიანიც და გალაკტიონი დღიურში წერს, რომ ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა.

➤ 9698

**1945**

**11 ივლისი**

„რჩეულის“ გამოცემასთან დაკავშირებით მწერალთა კავშირში გასამართი საღამოსთვის, რომელიც გადაიდო 16 ივლისისთვის დღიურში წერს მონაწილე მწერალთა და ლექსების დეკლამატორ მსახიობთა სიას: ალიო მამაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გრიგოლ აბაშიძე, ილო მოსაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, დავით სულიაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, აკაკი ბელიაშვილი, ლეო ქიაჩელი, იაკინთე ლისაშვილი, რაჟდენ გვეტაძე,

გიორგი ნატროშვილი, სერგო ზაქარიაძე, პიერ კობახიძე. აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა სტენოგრამები და ამის შესახებ უნდა შეუთანხმდეს ცოლს, ნინო კვირიკაძეს.

➤ 9699

**1945**

**11 ივლისი**

დღიურში ინიშნავს, რომ რაღაცები შესათანხმებელი აქვს გამომცემლობასთან „ზარია ვოსტოკა“ და ფუნქციულორზე მდებარე სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკთან, რომელსაც აქვს სპეციალური გამოშვება.

➤ 9700

**1945**

**11 ივლისი**

ადგენს განცხადების ტექსტს საქართველოს ლიტერატურისა და გამომცემლობების მთავარი სამმართველოსადმი (მთავლიტი), მისადმი მიძღვნილი მასალების 300-500 ტირაჟით დაბეჭდვის ნებართვისთვის.

➤ 9701

**1945**

**13 ივლისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „გმირებს სიმღერა საქართველოსი“.

➤ 9702

**1945**

**15 ივლისი**

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობისადმი მიმართვასთან ერთად წერილს უგზავნის ვინმე ანდროს. სთხოვს, გეგმაში შეიტანონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მისი წიგნის გამოცემაში

➤ 9703

**1945**

**16 ივლისი**

მწერალთა კლუბში ტარდება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო. შესავალი სიტყვით გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი გიორგი ჯიბლაძე, რომელიც მოკლედ ახასიათებს მის შემოქმედებას და როლს ახალი ქართული პოეზიის განვითარებაში. შემდეგი მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გალაკტიონმა ახალი მოტივები შემოიტანა ქართულ ლირიკაში, რაშიც ხელი შეუწყო ქართული და მსოფლიო პოეზიის საუკეთესო ტრადიციების ცოდნამ. მომხსენებელი ასევე საუბრობს მის ღვაწლზე ომის წლებში, როდესაც ის საბჭოთა ხალხს მოევიდინა მგზნებარე „პოეტ-ტრიბუნად“ და მოუწოდებდა ბრძოლისაკენ. აკაკი გაწერელიამ ისაუბრა გალაკტიონის პირველ ორ წიგნზე, რომელთაგან ერთი რომანტიკულია, მეორე კი – სიმბოლისტური, აღსავსე ახალი ფორმებითა და ლირიკული შედევრებით. საბჭოთა პერიოდში მის მოღვაწეობასთან დაკავშირებით მომხსენებელი ამბობს, რომ ოქტომბრის რევოლუციამ მას შესძინა სრულიად ახალი ტონუსი, ძლიერი პათეტიკა, სიხარულის ზეიმის განცდა და გალაკტიონი ინდივიდუალისტური შემოქმედიდან თანდათან გარდაიქმნა საბჭოთა ქვეყნის ტრუბადურად. ვანო წულუკიძემ აღნიშნა, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ეროვნულ ნიადაგზე დაამყნო რუსული და ევროპული პოეზიის ფორმალური მიღწევები და ისაუბრა მისი ლექსის მუსიკალურობაზე. საღამოს მეორე განყოფილებაში რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა სერგო ზაქარიაძემ წაიკითხა გალაკტიონის „მერი“, შემდეგ კი გამოვიდა თავად გალაკტიონი და წაიკითხა საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვებისთვის მიძღვნილი თავისი ბოლოდროინდელი ლექსები.

➤ 9704

1945

**11-19 ივლისი**

დღიურში ინიშნავს, რომ სიმონ ჩიქოვანს, რომლის რედაქტორობითაც მოსკოვში უნდა დაიბეჭდოს ქართული პოეზიის ანთოლოგია, უნდა გადასცეს სხვადასხვა დროს დაწერილი თავისი 15 ლექსის რუსული თარგმანები. ითვალისწინებს იმასაც, რომ გადასაცემი თარგმანების სტრიქონთა საერთო რაოდენობა იქნება 500. პოეტი ჩამოთვლის ანთოლოგიაში შესატან რამდენიმე ლექსს: „გურიის მთები“, „მე და ღამე“, „ლურჯა ცხენები“, „ჩემი გულია დღეს ეს შავი ზღვა“, „შენ იძინე!“ („იავნანა“), „მთებში“, „ფიცი სამშობლოს“.

➤ 9705

1945

**20 ივლისამდე**

წერს ილო მოსაშვილისადმი მიძღვნილ ეპიგრამას „თუმც უავტოოდ დამირჩი, ილო...“.

➤ 9706

1945

**20 ივლისი**

სასადილოში უცნობი ინტელიგენტი ეუბნება, რომ დილით მოსკოვის რადიოში ნიკოლაი ტიხონოვისა და სხვათა მიერ თარგმნილ გალაკტიონის ლექსებს კითხულობდა ევგენი ლებედევი.

➤ 9707

1945

**22 ივლისი**

იმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო ფუნქულიორზე.

➤ 9708

1945

**23 ივლისი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების პლენუმზე პრეზიდიუმის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი გალაკტიონ ტაბიძის ახალი წიგნის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ შესახებ „მწუხარებით აღნიშნავს“, რომ როცა პოეტი რომანტიული იერით აღწერს აჭარის პეიზაჟებს, იგი თავის სიმაღლეზეა, მაგრამ როცა გადადის თანამედროვე სინამდვილის აღწერაზე, „ბუნდოვანება ისადგურებს მის შთაგონებაში“ და მისთვის არასაკადრის ნაწარმოებს ვლებულობთ. შემდეგ ის გალაკტიონს დადებით კონტექსტში მოიხსენიებს ომის თემაზე დაწერილ ლექსებზე საუბრისას.

➤ 9709

1945

**23 ივლისის შემდეგ**

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, ფუნქულიორზე, 22 ივლისს გამართულ გალაკტიონ ტაბიძის საღამოს შემდეგ რუსულ ენაზე გამოდის სპეციალური გაზეთი „გალაკტიონი“, რომელშიც იბეჭდება ვასილ ბარნოვის „გალაკტიონ ტაბიძეს“, შალვა დადიანის „დიდი შემოქმედი“, ია ეკალაძის „ზარი – ერთხელ საუკუნეში“, დავით კლდიაშვილის „შვენება და სიამაყე ქართული ლირიკული პოეზიის“, სანდრო შანშიაშვილის „დიდი ლირიკოსი“, გიორგი ქუჩიშვილის „გალაკტიონ ტაბიძეს“.

➤ 9710

1945

**23 ივლისის შემდეგ**

სპეციალურ რუსულ გაზეთში „გალაკტიონი“ იბეჭდება კორნელი კეკელიძის მიერ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში პოეტის დაბადების 50 და მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა სათაურით „ჩვენი საყვარელი და დიდებული გალაკტიონი“.

➤ 9711

1945

### 23 ივლისის შემდეგ

სპეციალურ რუსულ გაზეთში „გალაკტიონი“ ქვეყნდება 1943 წლის რუსული გაზეთიდან „ბოეც რკკა“ („მშრომელ გლეხთა წითელი არმიის მებრძოლი“) გადმობეჭდილი ირაკლი ანდრონიკაშვილის სტატია „საქართველოს სახალხო პოეტი“. ავტორი წერს, რომ პოეტისა და მისი უჩვეულოდ მუსიკალური და ღრმად მგრძნობიარე ლექსების მიმართ დიდი სიყვარული გამოხატა ხალხმა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში პოეტის დაბადების 50 და მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე. იმ დღეს არა მხოლოდ თეატრი, არამედ მთელი რუსთაველის პროსპექტი სავსე იყო შემოქმედის თაყვანისმცემლებით. აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს, ისე როგორც შოთა რუსთაველს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და ვაჟა-ფშაველას მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ. მოკლედ გადმოსცემს ბიოგრაფიულ ცნობებსა და შემოქმედების მოტივებს.

➤ 9712

1945

### 23 ივლისის შემდეგ

სპეციალურ რუსულ გაზეთში „გალაკტიონი“ იბეჭდება შალვა რადიანის „ახალი პოეტური კულტურის ფუძემდებელი“. ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძემ შექმნა ახალი პოეტური მიმართულება, გააერთიანა ევროპისა და საქართველოს საუკეთესო კულტურული ტრადიციები; მისმა შემოქმედებამ დიდი როლი ითამაშა ქართული პოეზიის განვითარებაში, გაამდიდრა ის მუსიკალური ჰარმონიითა და მრავალფეროვნებით, მას განსაკუთრებული ჟღერადობა შესძინა და შემთხვევითი არ არის, რომ XX საუკუნის პოეზიის მუსიკალურობის ფუძემდებელია.

➤ 9713

1945

### 23 ივლისის შემდეგ

სპეციალურ რუსულ გაზეთში „გალაკტიონი“ იბეჭდება აკაკი გაწერელიას „ახალი ქართული პოეზიის ცენტრალური ფიგურა“. ავტორი აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძე თავისი პოეზიით ღირსეული გამგრძელებელია დიდებული წინაპრების – შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას – ტრადიციების. მის ემოციური შთაგონებას, სალექსო კულტურის დახვეწილობასა და ნოვატორულ თვისებებს არ ჰყავს ბადალი თანამედროვეობაში. უდიდესია მისი გავლენა XX საუკუნის ქართულ პოეზიაზე. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თაობამ სცადა მიებაძა მისთვის, ვერც ერთმა შეძლო სალექსო ტექნიკით, მხატვრული სიტყვითა და რიტმით პოეზიის ამგვარად გამდიდრება. ამიტომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება უსაზღვროდ უყვართ როგორც რიგით, ისე დახვეწილი გემოვნებისა და მაღალი მოთხოვნილების მკითხველებს.

➤ 9714

1945

### 23 ივლისის შემდეგ

სპეციალურ რუსულ გაზეთში „გალაკტიონი“ იბეჭდება ფრაგმენტი აკაკი წერეთელზე დარია ახვლედიანის მოგონებიდან. ავტორის კითხვაზე, რა აზრის არის ახალგაზრდა პოეტებზე, აკაკი

პასუხობს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს დიდი მომავალი აქვს, რადგან ბევრი სიახლე შეაქვს ქართული პოეზიის საგანძურში.

➤ 9715

1945

### 23 ივლისის შემდეგ

სპეციალურ რუსულ გაზეთში „გალაკტიონი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის „რჩეულის“ გამოსვლასთან დაკავშირებით სამხატვრო აკადემიის კოლექტივთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვების სტენოგრამა სათაურით „დიდი წიგნი“.

➤ 9716

1945

### 23 ივლისის შემდეგ

სპეციალურ რუსულ გაზეთში „გალაკტიონი“ იბეჭდება 1934 წელს მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით ლენინგრადის ლიტერატურული წრეებისა და მკითხველების მიერ გამოგზავნილი საიუბილეო ადრესი, ალექსანდრ პროკოფიევის ხელმოწერით.

➤ 9717

1945

### 23 ივლისის შემდეგ

სპეციალურ რუსულ გაზეთში „გალაკტიონი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ქრონიკა.

➤ 9718

1945

### 25 ივლისი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ვრცელი ინფორმაცია სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის საღამოს შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 16 ივლისს გაიმართა მწერალთა კლუბში.

➤ 9719

1945

### 25 ივლისი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება გიორგი ნატროშვილის სტატია „შემოქმედებითი შთაგონების წყარო“, რომელიც ეძღვნება ლავრენტი ბერიას ცნობილი წიგნის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გამოძახილს ქართულ ლიტერატურაში. წერილში აღნიშნულია, რომ დასახელებულმა წიგნმა შემოქმედებითი ბიძგი მისცა არაერთი მხატვრული ქმნილების დაბადებას. მათ შორის სტატიის ავტორი ასახელებს გალაკტიონის ლექსებს: „გორი“, „ორმოცი წლის წინ“ და „ძლეული სენი“.

➤ 9720

## ა გ ვ ი ს ტ ო

1945

### 2 აგვისტო

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება საქართველოს საბჭოთა მწერლების პლენუმზე სიმონ ჩიქოვანის მიერ 23 ივლისს წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ის კრიტიკულად აფასებს გალაკტიონ ტაბიძის ახალ წიგნს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“. პლენუმის მიმოხილვის ამ ნაწილს სათაურად აქვს „უსაგნო ლირიკა და მხატვრული ოსტატობის საკითხები“.

➤ 9721

1945

## 2 აგვისტო

დღიურში ინაშნავს, რომ ვარლამ დონდუასთვის მისაცემი აქვს თავისი რჩეული ნაწარმოებების კრებული.

➤ 9722

1945

## 2 აგვისტოს შემდეგ

მიძღვნიტ ლადო გუდიაშვილისადმი წერს უსათაურო ლექსს „ყრმობის ხნის შენი ხმა, თავდადება...“ და შემდეგ მიძღვნას გადახაზავს.

➤ 9723

1945

## 4 აგვისტოს შემდეგ

კორნელი კეკელიძე ჩუქნის თავის წიგნს „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ წარწერით: „ქართული პოეზიის სიამაყეს, სახალხო პოეტს, აკადემიკოსს გალაქტიონს, სიყვარულით“.

➤ 9724

1945

## 6 აგვისტოს შემდეგ

წერს ლექსს „მაისი და მშვიდობიანობა“.

➤ 9725

1945

## 9 აგვისტო

მონაწილეობას იღებს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 30 წლის თავზე რუსთაველის თეატრში გამართულ ღონისძიებაში და კითხულობს ვაჟასადმი მიძღვნილ ლექსს.

➤ 9726

1945

## 9 აგვისტო

წერს ლექსის „იალქნები“ სამ ვარიანტს.

➤ 9727

1945

## 2-12 აგვისტო

დღიურში იწერს სტრიქონებს ზღვის თემაზე დაწერილი ხალხური ლექსებიდან. აღნიშნავს, რომ ზღვა არ უყვართ საქართველოში, რადგან არ ეთვისება ჩვენს ბუნებას და ფიქრობს ახალი ლექსების კითხვის მოწყობას „ზღვის მოტივებიდან“.

➤ 9728

1945

## 2-12 აგვისტო

დღიურში იწერს რუსული გაზეთის „პიონერსკაია პრავდა“ 1945 წლის 24 ივლისის ნომრიდან იან საშინის ლექსს „მეზღვაური“.

➤ 9729

1945

## 2-12 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „ფრინველები ზღვას გაჰკვივან...“.



➤ 9730

1945

2-12 აგვისტო

წერს ლექსს „ნუ გენანება ხმის გამეტება“ („როცა ზღვის სუნთქვა გულზე გედება...“).

➤ 9731

1945

12 აგვისტო

დღიურში წერს მიმართვის ტექსტს ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარი სამმართველოსადმი („მთავლიტი“). ითხოვს, რომ სადამოებისთვის დაბეჭდონ მისი ფოტოსურათი 2000-იანი ტირაჟით.

➤ 9732

1945

12 აგვისტო

ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ სამმართველოს („მთავლიტს“) მიმართავს განცხადებით, სალიტერატურო სადამოსათვის სტამბაში „ტექნიკა და შრომა“ დაბეჭდონ საქართველოს სახალხო პოეტის, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის – გალაკტიონ ტაბიძის ორი სურათი 4.000 ეგზემპლარად.

➤ 9733

1945

12 აგვისტოს შემდეგ

დღიურში იწერს ტალონებით მისაღები საკვებისა და პაპიროსის რაოდენობას.

➤ 9734

1945

13 აგვისტო

ელბაქიდის აღმართზე ხვდება ვასილ ქავჭარაძეს, რომელიც მასთან მიდიოდა ფულის სათხოვნელად, მაგრამ შეხვედრისას მორიდების გამო ვერაფერს ეუბნება და შემდეგ უგზავნის წერილს. უხსნის, რომ სიმინდის მოსავლის იმედად არის, მაგრამ ოქტომბრამდე დრო არ ითმენს და სასწრაფოდ სჭირდება სასესხებლად 1300 მანეთი. სწერს, რომ როგორც არ უნდა იყოს გალაკტიონის პასუხი, მისთვის ხელის ჩამორთმევა და სალამი არანაირ თანხად არ უღირს.

➤ 9735

1945

23 აგვისტო

სიმონ ჩიქოვანთან, შალვა დადიანთან, ლეო ქიაჩელთან და სხვა მწერლებთან ერთად ხელს აწერს ქეთევან ნიკოლოზის ასული ირემაძის ნეკროლოგს, რომელიც იბეჭდება გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“.

➤ 9736

1945

25 აგვისტომდე

აკეთებს ჩანაწერს გამომცემლობა „ზარია ვასტოკაში“ ჩაბარებული წიგნის – „ლირიკა“ – შესახებ. მიუთითებს, რომ წიგნის მთარგმნელია გიორგი ცაგარელი, ხოლო რედაქტორი – ვლადიმირ ელსნერი. ცდილობს გაარკვიოს, გამოდგებიან თუ არა მისი პოეზიის შესახებ მომხსენებლებად ელსნერი ან რიურიკ ივნივი. გეგმავს წიგნის წარდგენა მოაწყოს რუსთაველის თეატრში, ან კონსერვატორიაში, საქმეში ჩართოს პრესა და რადიო. წამოიღოს გამომცემლობიდან 50 წიგნი და

დაარიგოს წიგნის ეგზემპლარები მეცნიერებათა აკადემიაში. შიშობს, რომ ამჯერადაც ისე არ დაემართოს, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე – ჩამოწერს გეგმებს და საბოლოოდ არაფერი სრულდება.

➤ 9737

1945

### 25 აგვისტოს შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ზევიდან ბრწყინავს ცა წმინდა...“.

➤ 9738

1945

### 25 აგვისტოს შემდეგ

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ 5000 ტირაჟით, ვლადიმირ ელსნერის რედაქტორობით, სევერიან კეცხოველის ყდის გაფორმებითა და დავით ქუთათელაძის შესრულებული პორტრეტით, ბეჭდავს გიორგი ცაგარელის მიერ რუსულად ნათარგმნი ლექსების კრებულს „ლირიკა“.

➤ 9739

1945

### 26 აგვისტო

პარმენ რურუა გადასცემს 1933 წლის იუბილეზე უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად დაწერილ ლექსს „ლექსი გალაკტიონზე“ („პოეზიაში დამკვიდრდა დღეს ოქროს ხანა...“).

➤ 9740

1945

### 28 აგვისტო

ნინო კვირიკაძე უტოვებს მოკლე ბარათს, რომ სადილად წავიდა.

➤ 9741

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1945

### 6 სექტემბერი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ანგარიში სიმონ ჩიქოვანის მიერ წაკითხული მოხსენების „საბჭოთა ლიტერატურა 1944-45 წლებში“ ირგვლივ გამართული დისკუსიის შესახებ. აღნიშნულია, რომ დისკუსიის მონაწილე ილია ხომტარიამ არ გაიზიარა ის შეფასება, რომელიც სიმონ ჩიქოვანმა მისცა გალაკტიონ ტაბიძის, ალიო მამაშვილისა და ვიქტორ გაბესკირიას ომის პერიოდში შექმნილ ლექსებს.

➤ 9742

1945

### 12 სექტემბერი

კითხულობს ალექსეი ჟემჩუჟნიკოვის ლექსების კრებულს, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 9743

1945

### 12 სექტემბერი

ალექსეი ჟემჩუჟნიკოვის ლექსების კრებულს ნინო კვირიკაძე მიაწერს გალაკტიონის ლექსს: „წინაპართ ჩვენთა საყვარელ ხელით / ციხე-დარბაზნი ჩვენ აგვიგია / არც ერთი ომი, არც ერთი ომი / არც ერთი ომი არ წაგვიგია“.

➤ 9744

1945

### 12 სექტემბრის შემდეგ

ქართული პატრიოტული პოეზიის რუსული თარგმანების ანთოლოგიაში იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ოთხი ლექსი: ვლადიმირ დერჟავინის ნათარგმნი – „მშობლიური ჩემო მიწავ“, ნიკოლაი ტიხონოვის – „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, სერგეი შერვინსკის – „ფიცი“, მიხაილ სვეტლოვის – „ჰე, მამულო“.

➤ 9745

1945

### 12 სექტემბრის შემდეგ

ქართული პატრიოტული პოეზიის რუსული თარგმანების ანთოლოგიაში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. ლევან ასათიანის წინათქმას აწერს, რომ თანამედროვე პოეტების არმოხსენიება თავხედობაა. რაფიელ ერისთავის ლექსის „სამშობლო ხევსურისა“ ვერა ზვიაგინცევასეული თარგმანის ბოლო ორ სტროფს ცვლის თავისი თარგმანით და აღნიშნავს, რომ ასე უკეთესი იქნებოდა.

➤ 9746

1945

### 14 სექტემბერი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ჩეხოსლოვაკელი პოეტის ონდრა ლისოგორსკის სტატია „ერთი თვე საქართველოში“, რომელშიც ავტორი საქართველოში გატარებული ერთთვიანი პერიოდის შესახებ საუბრობს. იგი აღნიშნავს, რომ შეხვდა არაერთ ქართველ პოეტს, თუმცა ზოგიერთის გაცნობა ჯერ ვერ მოახერხა. მათ შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძე, რომლის შესახებაც სტატიის ავტორის თქმით, მას ბევრი საინტერესო რამ სმენია.

➤ 9747

## ოქტომბერი

1945

### 6 ოქტომბერი ან შემდეგ

კითხულობს გაზეთ „კომუნისტის“ 6 ოქტომბრის ნომერს, რომელშიც დაბეჭდილია სტატია სათაურით „ნიკოლოზ ბარათაშვილის სამშობლო სოფელში“. ინტერესდება ამ პუბლიკაციით, რადგან მასში მოთხრობილია სოფელ მარაბდის, ცხრა ძმა ხერხეულიძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის წინაპართა შესახებ, ასევე, გადმოცემულია ინფორმაცია სოფელ მარაბდაში ჩატარებული, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების თაობაზე.

➤ 9748

1945

### 12 ოქტომბრის შემდეგ

კითხულობს ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულს. წიგნის დასასრულს სათაურით „ბარათაშვილის რითმა“ წერს, რომ ბარათაშვილის და გრიგოლ ორბელიანის რითმები არ მისდევს შოთა რუსთაველის ხაზს – ნამდვილ, შეუდარებელ მუსიკალურ რითმებს ქართული მახვილებით. ფიქრობს, რომ შესაძლებელია, გავლენა იქონია ანტონ კათოლიკოზის პოეტიკამ, ან ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ რითმის მეტისმეტად ამჩატებამ, ან რუსთაველის რითმის სიმახვილის დაკარგვამ და მომაბეზრებლად მიჩნევამ. აღნიშნავს, რომ ბარათაშვილი ეყრდნობა მხოლოდ შინაგან რიტმს და სრულიად შორდება რუსთაველს. წერს, რომ არსებობს ორი სხვადასხვა მერანი – ავთანდილისა და ბარათაშვილის მერანი, საჭირო იყო მათი შეთავსება და მან ეს მოახერხა, რადგან „ლურჯა ცხენები“ რუსთაველის რითმას იცავს და ბარათაშვილის რიტმს იყენებს, მაგრამ ამ სქემას სჭირდება გაშლა და გაღრმავება.

➤ 9749

1945

**12 ოქტომბრის შემდეგ**

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსების კრებულის დასასრულს წერს უსათაურო ლექსს „ხელში მიპყრია ბარათი შლილი...“.

➤ 9750

1945

**21 ოქტომბრამდე**

წერს ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „ვდგევარ და გულთან მიპყრია ქნარი“.

➤ 9751

1945

**21 ოქტომბერი**

გაზეთში „საბჭოთა მასწავლებელი“ იბეჭდება ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „ვდგევარ და გულთან მიპყრია ქნარი“.

➤ 9752

1945

**21 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ნიკორწმინდა“ თარგმანი.

➤ 9753

**ნოემბერი**

1945

**5 ნოემბერი**

ილია ხომტარია ჩუქნის თავის ლექსების წიგნს წარწერით: „ქართველი ხალხის დიდ პოეტს, გ. ტაბიძეს სახსოვრად ავტორისგან“.

➤ 9754

1945

**29 ნოემბერი**

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი დიმიტრი პოლიკარპოვი წერილს უგზავნის საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს სიმონ ჩიქოვანს იმასთან დაკავშირებით, რომ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ დასაბეჭდად გამზადებული გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა (თარგმანი გიორგი ცაგარლისა) არცთუ წარმატებული თარგმანია და მასალაც არ არის კარგად შერჩეული. ერთ-ერთი ლექსი „რამდენიმე დღე პეტროგრადში“ ამკარად ოქტომბრის რევოლუციას ეძღვნება, მაგრამ მისი პოლიტიკური შინაარსი ორაზროვანია. წერილის ავტორი ფიქრობს, რომ ასეთი წიგნი რუს მკითხველს არასწორ შთაბეჭდილებას შეუქმნის ქართველი პოეტის შემოქმედების შესახებ. ამიტომ, ადრესატს სთხოვს, გამოსვლამდე მიაქციოს ყურადღება ამ წიგნს.

➤ 9755

1945

**29 ნოემბრის შემდეგ**

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ 5000 ტირაჟით, ვლადიმირ ელსნერის რედაქტორობით, სევერიან კეცხოველის ყდის გაფორმებითა და დავით ქუთათელაძის შესრულებული პორტრეტით, ბეჭდავს გიორგი ცაგარელის მიერ რუსულად ნათარგმნი ლექსების კრებულს „ლირიკა“.

➤ 9756

## დეკემბერი

1945

### 2 დეკემბერი

ჩადის ქუთაისში და ბინავდება სასტუმროში „ქუთაისი.“ გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისი“ თანამშრომლები მიაართმევენ გაზეთის იმდღევანდელ ნომერს, რომელშიც ერთი გვერდი გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება-შემოქმედებას ეძღვნება. ნომერში დაბეჭდილია ვლადიმერ გუგუშვილის წერილი „გალაქტიონ ტაბიძე“, მიხეილ ალავიძის „გალაქტიონ ტაბიძე და ქუთაისი“, არჩილ გურჯიძის, რუთა ბეროდის და გიორგი სამხარაძის მისადმი მიძღვნილი ლექსები: „გალაქტიონ ტაბიძე ქუთაისში“, „გალაქტიონ ტაბიძეს“ და „წარწერა გ. ტაბიძის ლექსების წიგნზე“.

➤ 9757

1945

### 2 დეკემბერი ან შემდეგ

თხოვნით მიმართავს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს – გრიგოლ ნარსიას, რომ ამ ქალაქში, რომელშიც გაატარა ბავშვობა-სიჭაბუკე და გამოსცა პირველი წიგნი, გამოუყონ მიწის ნაკვეთი სახლის ასაშენებლად. ნარსია დიდი ენთუზიაზმით ხვდება მის წინადადებას და დახმარებას აღუთქვამს. გალაკტიონი სამოსახლოს რიონის ნაპირას ირჩევს, უბანში, რომელსაც ჭომას უწოდებენ და იწყებს მშენებლობის ორგანიზებას. მოგვიანებით, როდესაც ისევ მიდის საქალაქო კომიტეტში, გრიგოლ ნარსია სრულიად სხვაგვარ განწყობაზე ხვდება და უარით ისტუმრებს.

➤ 9758

1945

### 2 დეკემბერი

გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“ იბეჭდება გ. გუგუშვილის სტატია „გალაქტიონ ტაბიძე“, რომელშიც მიმოხილულია გალაკტიონის საბჭოთა პერიოდის ლირიკა.

➤ 9759

1945

### 2 დეკემბერი

გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“ იბეჭდება მიხეილ ალავიძის სტატია „გალაქტიონ ტაბიძე და ქუთაისი“, რომელშიც საუბარია ქუთაისისადმი პოეტის დამოკიდებულებაზე.

➤ 9760

1945

### 2 დეკემბერი

გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“ „გიორგი გიასელის“ ფსევდონიმით იბეჭდება გიორგი სამხარაძის ლექსი „წარწერა გ. ტაბიძის ლექსების წიგნზე“.

➤ 9761

1945

### 2 დეკემბერი

გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“ იბეჭდება რუთა ბეროდის ლექსი „გალაქტიონ ტაბიძეს“.

➤ 9762

1945

### 3 დეკემბერი

ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან გ. ნარსიასთან და კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანთან ნ. იმნაიშვილთან ერთად მიდის საავტომობილო ქარხნის მშენებლობაზე, ათვალერებს კორპუსებისათვის გაჭრილი ბალავარს და ხარაჩოებში ჩასმულ მშენებარე შენობებს, ესაუბრება მშენებლებს.

➤ 9763

1945

### 3 დეკემბერი

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო, რომელიც ანშლაგით ტარდება. პოეტს მისასალმებელი სიტყვებით მიმართავენ სახალხო არტისტი დოდო ანთაძე, მწერალი ვლადიმერ გუგუშვილი, ლექტორი მიხეილ ალავიძე. პოეტები დომენტი თომაშვილი, გიორგი გასელი და არჩილ გურჯიძე კითხულობენ მისადმი მიძღვნილ ლექსებს. ლექსებს კითხულობენ მოსწავლეებიც. გალაკტიონი იწონებს ლილი ნუცუბიძის ლექსს. ახალგაზრდა ქალიშვილს მადლობას უხდის და შუბლზე ეამბორება. გალაკტიონი კითხულობს ლექსებს: „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“ და სხვ. ლექსის უკანასკნელი ტაეპების წარმოთქმისას – „ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და ღამე, მე და ღამე“ – შემთხვევით ქრება ელექტროენერგია და დარბაზში სიბნელე ისადგურებს. მსახიობი დოდო ანთაძე პრეზიდენტიდან გასძახებს სცენის შუაგულში მდგომ გალაკტიონს, აჰა, ბატონო, აგიხდათ, მართლა თქვენ ორნი დარჩითო. მოსწავლეები პოეტს მართმევენ ცოცხალი ყვავილების თაიგულებს. დასასრულს იმართება კონცერტი. საღამოს დასრულების შემდეგ პოეზიის თაყვანისმცემლები გალაკტიონს ხელში აყვანილს მიაცილებენ სასტუმრომდე.

➤ 9764

1945

### 4 დეკემბერი

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის კლუბში იმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო. დარბაზი სავსეა სტუდენტებითა და მეცნიერ-მუშაკებით. საღამოს ხსნის პედინსტიტუტის დირექტორი დოცენტი ლუკა ჭელიძე, მოხსენებით გამოდის დოცენტი კონსტანტინე მეძველია, ფატი გოკიელი და სხვები. გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსებს კითხულობენ არჩილ გურჯიძე და მიხეილ კაკიტელაშვილი. პოეტი კითხულობს საკუთარ ლექსებს.

➤ 9765

1945

### 5 დეკემბერი

იმართება ქუთაისელი მწერლებისა და პრესის მუშაკების შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან.

➤ 9766

1945

### 5 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „დროშები“ ვლადიმერ დერჟავინისეული თარგმანი.

➤ 9767

1945

### 6 დეკემბერი

იმყოფება ქუთაისში და წერს უსათაურო ლექსს „ნანგრევი ბევრი მინახავს...“.

➤ 9768

1945

## 9 დეკემბერი

გაზეთში „ინდუსტრიალური ქუთაისი“ იბეჭდება ლექსი „ახალგაზრდობას“ („ნანგრევი ბევრი მინახავს...“).

➤ 9769

1945

## 14 დეკემბრამდე

დღიურში იწერს კავკასიაში არსებული ფრინველებისა და ცხოველების სიას.

➤ 9770

1945

## 14 დეკემბრამდე

დღიურში იწერს ძმის ნაამბობს სხვადასხვა პროფესიის მოხერხებული ადამიანების შესახებ.

➤ 9771

1945

## 14 დეკემბრამდე

დღიურში წერს სომხურ ენაზე ნათარგმნი ქართველი მწერლების სიას: ილია ჭავჭავაძე, ლავრენტი არდაზიანი, ლალიონი, ეგნატე ნინოშვილი. ფიქრობს, რომ სომხები მას რატომღაც გვერდს უვლიან. ფიქრობს, რომ ეს საკითხი მოსაგვარებელია და ეჭვი აქვს, რომ სომეხი მთარგმნელი და კრიტიკოსი სურენ ავჩიანი არ სწყალობს, რადგან ის აგროვებს სომხებისთვის მასალებს.

➤ 9772

1945

## 14 დეკემბერი

წერს ლექსს „დინამო“.

➤ 9773

1945

## 14 დეკემბერი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ცნობა 1945 წლის 3, 4 და 5 დეკემბერს ქუთაისში ჩატარებული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოებისა და შეხვედრების შესახებ.

➤ 9774

1945

## 14 დეკემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „შუადღისას – როცა გზაზე...“.

➤ 9775

1945

## 14 დეკემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „თანდათან ციდან დაემგება სამხრეთის ღამე...“.

➤ 9776

1945

## 14 დეკემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ო, რა ხანაში გვიხდება ყოფნა...“.

➤ 9777

**1945**

**14 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მზემან სხივი ზღვას მიმართა...“.

➤ 9778

**1945**

**14 დეკემბრის შემდეგ**

სათაურით „პარიჟი“ დღიურში იწერს ილია ჭავჭავაძის ლექსს, რომელიც მიძღვნილია პარიზის კომუნის დაცემის დღისადმი.

➤ 9779

**1941-1945**

გზად ხვდება ბელეტრისტ ვანო იოსელიანსა და პოეტ აკაკი გაწერელიას და სადილად სადღაც სხდებიან. გალაკტიონი და ვანო იგონებენ პეტროგრადის რევოლუციის დღეებს. ფლობერსა და დოსტოვესკიზე საუბრისას გალაკტიონი მსოფლიო პროზის ისეთ ცოდნას ამჟღავნებს, რომ თანამოსაუბრეები გაკვირვებულები არიან. უცებ ქუჩის მეორე მხარეს ფანჯარაში ყვავილების თაიგულს მოჰკრავს თვალს და და ხმამაღლა ციტირებს სტროფს რუსული პოეზიიდან ვარდებისა და კარმენის შესახებ.

➤ 9780

**1941-1945**

წერს ლექსს „ევროპაში“.

➤ 9781

**1941-1945**

ხშირად სტუმრობს ფოტოგრაფ ვასილ ტოტორიას ოჯახს. ლაბადის ჯიბეები სავსე აქვს ხოლმე იმდროისთვის ძნელად საშოვნელი ძეხვით და არყით და როცა ტოტორიები სუფრას შლიან, მოულოდნელად ამომდვრენს ჯიბიდან თავის ნობათს. ერთხელ, ოჯახის უფროსი გახუმრებას გადაწყვეტს – საკიდზე ჩამოკიდებული ლაბადის ჯიბიდან ჩუმად ამოაცლის ძეხვს და როცა გალაკტიონი სიურპრიზის გაკეთებას და ჯიბიდან ძეხვის ამოღებას დააპირებს, ჯიბეში არაფერი ხვდება.

➤ 9782

**1941-1945**

ვერის ხიდთან შემთხვევით ხვდება ლილია მეგრელიძეს და სთხოვს, სახლში გაჰყვეს. სტუმარი ამჩნევს, რომ ბინა დიდი ხნის მოუწესრიგებელი და დაულაგებელია.

➤ 9783

**1945**

სტუმრობს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ორგანოს „ლენინის დროშის“ კოლექტივს. ათვალეირებს გაზეთის უახლოესი ნომრების შეკვრას და მის ყურადღებას ახალი სალაშქრო-სამწყობრო სიმღერების ნოტები იქცევს. აქებს რედაქციის ინიციატივას ნიჭიერი არაპროფესიონალი მეომარი ავტორების მოზიდვის გამო.

➤ 9784

**1945**

გაზეთის „ლენინის დროშა“ რედაქციაში გალაკტიონ ტაბიძის სტუმრობის მეორე დღეს პეტრე შამათავა კაპიტან ბორის შეწირულს გზავნის გალაკტიონთან ბინაზე, რომ სთხოვოს



გაზეთისათვის რამდენიმე ლექსი. გალაკტიონი გულთბილად იღებს ჟურნალისტს და ლექსებსაც ურჩევს.

➤ 9785

**1945**

გაზეთის „ლენინის დროშა“ მესამე გვერდზე იბეჭდება გალაკტიონის ლექსები და შალვა რადიანის წერილი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. გაზეთის რამდენიმე ეგზემპლარს რედაქცია სახლში მიაართმევს პოეტს და ის მადლიერებას გამოხატავს.

➤ 9786

**1945**

საბჭოთა მეომრებს ძალიან მოსწონთ გაზეთში „ლენინის დროშა“ გამოქვეყნებული მისი ლექსები და გალაკტიონს უგზავნიან სიყვარულით და მადლიერებით აღსავსე წერილებს. მათ შორის არის ზემდეგ ვახტანგ კორძაიას წერილი მოქმედი არმიიდან.

➤ 9787

**1945**

სანიტარულ აგიტაციურ თეატრში ყოფნისას იღებენ ვიდეოფირზე.

➤ 9788

**1945**

იბეჭდება შალვა რადიანის წიგნი „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა“, რომელშიც ერთი თავი ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძეს. კრიტიკოსი იმეორებს პოეტის შესახებ თავის ადრინდელ ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს.

➤ 9789

**1945**

რუსულ ენაზე თარგმნის საკუთარი ლექსის „აზრი გენიალური ჰარმონიისა“ ორ სტროფს.

➤ 9790

**1945**

კითხულობს ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების კრებულს, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 9791

**1945**

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების კრებულის გარეკანზე წერს, რომ მეცნიერებათა აკადემიის შესახებ შენიშვნებისთვის უნდა ჰქონდეს ცალკე რვეული. აღნიშნავს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ამბებმა დიდ უხერხულობაში ჩააყენა აკადემია და უფრო დიდი სკანდალია მოსალოდნელი იოსებ გრიშაშვილის აკადემიკოსად არჩევის შემთხვევაში. აპირებს გაიხსენოს დეტალები პოეტების მეფედ თავის არჩევაზე, მაქსიმ გორკის სიტყვები: გალაკტიონი ჟღერს ამაყად. აინტერესებს, ვინ ადგენს მისი ლექსების პროგრამას და მნიშვნელოვნად მიაჩნია კარგი მკითხველების ყოლა.

➤ 9792

**1945**

წერს უსათაურო ლექსს „იყო პატარა ძელქვა...“.

➤ 9793

**1945**

ეცნობა ვუკოლ ბერიძის შედგენილ საავიაციო ტერმინთა ლექსიკონს, აკეთებს ხაზგასმებსა და მინაწერებს.

➤ 9794

### 1945 ან შემდეგ

წერს ავტობიოგრაფიას.

➤ 9795

### 1945 ან შემდეგ

ქართული ხალხური ზღაპრის „ხელმწიფე და გლეხის ქალი“ გამოცემაში ხაზავს სიტყვებსა და აწერს რითმებს: „ხელმწიფე – მწიფე-მწიფე, ხე მწიფე“, „დაბერდა – გადაფერდა“, „მომეწონება – ხსოვნება, გონება“, „მოუცადა – უწადა“, „თელვა – ელვა“, „ყიდავას – იდვას“, „ქეჩა მოთელა – იმოტელა“.

➤ 9796

### 1945 ან შემდეგ

კითხულობს თავისი ლექსების რუსული თარგმანების კრებულს „ლირიკა“ და ტექსტებთან უთითებს დაწერის თარიღებს.

➤ 9797

\* \* \*

### 1946-მდე

დავით კასრაძესთან ერთად ადის გელათის მონასტერში. ეკლესიის კარი ღია ხვდებათ. შემოეგებებათ ბერი მათე კერესელიძე ყოფილი გამომცემელი და ფილიმონ ქორიძის თანამოაზრე. იგი ხარობს გალაკტიონის გაცნობით და ეუბნება, რომ მის შემოქმედებას კარგად იცნობს, განსაკუთრებით მოსწონს ლექსი „შემოქმედება“ და მას პოეზიის „ახალ ღმერთს“ უწოდებს. გალაკტიონი დაიმორცხვებს. შემდეგ ბერი გელათს ათვალთვლებინებთ და ტაძრის ისტორიაზე ესაუბრებათ. პოეტი აღფრთოვანებული შეჰყურებს ტაძარსა და მის შემოგარენს და უცებ სიმღერის სურვილი უჩნდება. სთხოვს დავით კასრაძეს, რომ „შენ ხარ ვენახი“ იგალობონ. პირველს კასრაძე ამბობს, მეორე ხმას მათე კერესელიძე და გალაკტიონი ცდილობს ბანი მიაშველოს, მაგრამ კასრაძე მორიდებით აჩერებს, სხვა დროს ვიმღეროთო. გალაკტიონს გული სწყდება და ეუბნება, ილიაც არ მღეროდა, მაგრამ სუფრის პირველი თამადა იყო. კასრაძე დასძენს, რომ ილიას თამადაობის დროს მისი სიმღერის ნაკლს ილია წინამძღვრიშვილის მოწაფეების სიმღერა ფარავდა. გალაკტიონი კი ეუბნება, რომ იმ დროს ილიას გულში სიმფონიები გუგუუნებდა, რადგან „განდეგილზე“ ფიქრობდა.

➤ 9798

## 1946

### ი ა ნ ვ ა რ ი

#### 1946

##### 1 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „გათენდა ცხრაას ორმოცდაექვსი...“.

➤ 9799

#### 1946

##### 10 იანვარი

ხატავს ქალსა და მაგიდაზე ყვავილებს, ნახატს ქვემოთ მიაწერს: „3 საათია ღამის“.

➤ 9800

#### 1946

##### 15 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „აკვარიუმში ფერადი თევზი...“ („ულტრაიისფერ სხივებით მთებზე...“).

➤ 9801

**1946**

**23-24 იანვარი**

სალამოს 9 საათიდან ღამის 3 საათამდე ცოლთან – ნინო კვირიკაძესთან ერთად კითხულობს ბორის პასტერნაკის მიერ ნათარგმნ უილიამ შექსპირის დრამას „რომეო და ჯულიეტა“.

➤ 9802

**1946**

**23-24 იანვარი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1946-1950 წლების გეგმაში აკეთებს ხაზგასმებსა და მინაწერებს. ინიშნავს გამოცემებს: საქართველოს ისტორია და არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენა“.

➤ 9803

**1946**

**25 იანვარი**

დღიურში წერს, რომ გარდაიცვალა სერგო ერისთავი და წინა დღეს დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე, აღნიშნავს, რომ არაფერი ტკიოდა და სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. იგებს, რომ დასაფლავებას ბევრი ხალხი დაესწრო და სიტყვით გამოვიდა შალვა დადიანი. დღიურში იწერს, როგორ ხუმრობდნენ ამ პროცესიის დამსწრენი გამომსვლელებზე, ვითომ მის სიტყვებზე მიცვალეულმა უღვაშები აათამაშა და კუბოდან ამოსძახა, მალე გამოგივლი და ღვინის დასალევად ერთად წავიდეთო.

➤ 9804

**1946**

**25 იანვარი**

წერს ლექსს „ელეგია“ („ღამეებს ვათევ: კვლავ სიხარულით...“).

➤ 9805

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

**1946**

**7 თებერვლის შემდეგ**

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 53-ე ტომში ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის შესახებ სტატია და პორტრეტი. სტატიაში აღნიშნულია, რომ გამოჩენილი ქართველი პოეტის შემოქმედების ადრეული პერიოდი უკავშირდება 1905 წლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის იდეებს. პირველი წიგნი გამოიცა 1914 წელს. რეაქციის პერიოდში სიმბოლისტების გავლენით მისი ლექსებისთვის დამახასიათებელია სევდის, უიმედობისა და ინდივიდუალიზმის მოტივები, მაგრამ მალევე წერს, რომ მზად არის, მოსალოდნელი ქარიშხლის შესახვედრად გაშალოს ფრთები. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ უპირობოდ დგება პროლეტარიატისა და რევოლუციის მხარეს. წერს ლექსების ციკლს „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „რევოლიუციონური საქართველო“. დიდი სამამულო ომის პერიოდში აქვეყნებს ლექსების ორ კრებულს – „მშობლიური ჩემო მიწავ“ და „მამულო სიცოცხლეო“, რომლებიც პატრიოტიზმითაა გაჯერებული. გალაკტიონ ტაბიძე სიტყვის დიდოსტატია, მისი ლექსები გამოირჩევა გამომსახველობით, სახეების მრავალფეროვნებით, მუსიკალურობით, რიტმის ორიგინალურობითა და კომპოზიციურობით. 1933 წელს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო პოეტის წოდება, 1936 წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, 1944 წელს კი, აირჩიეს საქართველოს აკადემიის ნამდვილ წევრად.

➤ 9806

1946

### 8 თებერვალი

წერს უსათაურო ლექსს „შავი ზღვის ნაპირს რომ ჩამოუვლის...“.

➤ 9807

1946

### 9 თებერვლამდე

წერს ლექსს „ხელოვანთა ხმა“ („ბედნიერი ხარ! გაქვს ხმის უფლება...“).

➤ 9808

1946

### 15 თებერვლის შემდეგ

გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ დაბეჭდილ რუსულენოვან კრებულში „სამშობლო“, ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის რვა ლექსის თარგმანი. მათ შორისაა ლექსების „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ და „და სისინებდნენ, სისინებდნენ ჩალის ღერები...“ ნიკოლაი ტიხონოვისეული, ლექსის „მშობლიური ჩემო მიწავ“ – ვლადიმირ დერჟავინისეული და ლექსების: „ყოველ სტრიქონზე“, „სადღეგრძელო იყოს მისი“, „ოდეს ართობს მტერს...“ (სამი სტროფი), „ჩვენი ელვარე ოქროს ეპოქა“ და „დროშები ჩქარა!“ – გიორგი ცაგარლისეული თარგმანები.

➤ 9809

1946

### 24 თებერვალი

გაზეთი „სახალხო განათლება“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „სამშობლო“.

➤ 9810

1946

### 24 თებერვალი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სამშობლოს სადღეგრძელო“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 9811

1946

### 25 თებერვლამდე

სათაურით „მშობლიური ჩემო მიწავ“ დღიურში 21 პუნქტად აჯამებს ამ ლექსთან დაკავშირებულ მოვლენებს: ლექსით გაიხსნა 1941 წელს გამოცემული საქართველოს გასაბჭოების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „ქართველი მწერლები საბჭოთა საქართველოს“, სხვა ლექსებთან ერთად ამ სათაურით 1941 წელს დაიბეჭდა ცალკე წიგნი, 1943 წელს შეტანილ იქნა წიგნში „მამულო სიცოცხლეო“, 1942 წლის რუსულ გამოცემაში – „მშობლიური ჩემო მიწავ“ და 1946 წლის რუსულ კრებულში „სამშობლო“, 1944 წლის რჩეულ ლექსებში, მოსკოვში გამოსაცემ „საქართველოს პოეტების ანთოლოგიაში“. ლექსის ვლადიმერ დერჟავინისეული თარგმანი გამოქვეყნდა რუსული გაზეთის „პრავდა“ 1941 წლის 25 თებერვლის ნომერში, მიკოლა ნაჩიბინის უკრაინული თარგმანი – ამავე თარიღის კიევის გაზეთში „კომსომოლც უკრაინი“, ასევე ითარგმნა სომხურად. რადიომ რამდენჯერმე გადასცა თბილისში, მოსკოვსა და სხვა ქალაქებში. რადიოში გუნდმა შეასრულა ვალერიან ცაგარეიშვილის დაწერილი სიმღერა, წაიკითხეს პიერ კობახიძემ და თამარ ჭავჭავაძემ. 1943 წლის 29 ნოემბერს ოპერაში გამართულ საიუბილეო საღამოზე თვითონ პოეტმა წაიკითხა და იმავე საღამოზე ბესარიონ ჟღენტმა მოხსენებაში აღნიშნა, რომ ამ ლექსმა წამყვანი როლი ითამაშა ქართულ პოეზიაში. წაკითხულ იქნა თბილისის სანაგიტ თეატრსა და ჯაფარიძის სახელობის კლუბში, გორსა და ქუთაისში. დაიბეჭდა რაიონულ გაზეთებში.

➤ 9812

1946

**25 თებერვლამდე**

წერს უსათაურო ლექსს „სადღაც კვნესის ლაზისთა...“.

➤ 9813

1946

**25 თებერვლამდე**

წერს უსათაურო ლექსს „გმადლობ, ქალაქო, მიწოდე, მე საქართველოს გენია...“.

➤ 9814

1946

**25 თებერვალი**

ცოლთან ერთად მარჯანიშვილის თეატრში ესწრება გენო ქელბაქიანის კომედიას „შესაფერი ჯილდო“, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძის წიგნები ორჯერაა ნახსენები. აღფრთოვანებულები ბრუნდებიან შინ. ნინო კვირიკაძე აღნიშნავს, რომ ქართულ ინტელიგენციას ღრმად აქვს შეგნებული გალაკტიონის ბუმბერაზობა, რომ დადგმას აპირებენ სომხური, მოზარდ მაყურებელთა და სხვა თეატრები.

➤ 9815

1946

**25 თებერვალი**

აქვს 400 მანეთი, რომლიდანაც 20 მანეთს ხარჯავს პაპიროსში, 7-ს თეატრში და 7-ს კინოში.

➤ 9816

1946

**25 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „სავეტსკაია აზხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „გამარჯვება“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 9817

1946

**26 თებერვალი**

20 მანეთს ხარჯავს პაპიროსში, 25-ს პირის გაპარსვაში, 5-ს ტროლეიბუსში, 80-ს 200 გრამ კაკაოში, 15-ს რძეში, 10-ს პურში და ანგარიშობს, რომ ორ დღეში დახარჯა 202 მანეთი.

➤ 9818

1946

**26 თებერვალი**

საქართველოს ლიტფონდის დირექტორი და ბუღალტერი ოფიციალურად სთხოვენ, რომ ერთი კვირის განმავლობაში დაფაროს მის სახელზე არსებული დავალიანება 750 მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებიან მიმართონ იძულებითი გადახდის ფორმებს.

➤ 9819

1946

**28 თებერვალი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად იმყოფება ექსკურსიაზე ზედა დიმში და ცოლი უბის წიგნაკში უწერს ლექსს „გატუნას“.

➤ 9820

1946

9 მარტი

ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე – ალექსანდრე ფარულავა ჰპირდება 5 აპრილამდე მასთან შეხვედრის მოწყობას, მანამდე კი ურჩევს სალამოს გამართვას ახალგაზრდა ლენინურ კომუნისტურ კავშირში (ალკკ) და თვითონვე რეკავს იქ.

➤ 9821

1946

9 მარტი

ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირის (ალკკ) თბილისის კომიტეტის მდივანი – მამია მეგრელიშვილი ჰპირდება 5 აპრილამდე მასთან შეხვედრის მოწყობას ან პიონერთა სასახლეში ან მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც სალამო ფასიანი იქნება.

➤ 9822

1946

9 მარტი

ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა აპირებს გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრას სან-აგიტ თეატრში, 25 მარტს, რომლის მოსაწყობად იმუშავებს ბიბლიოთეკის მთელი კოლექტივი. ფიქრობს, რომ გაურბიან გახმაურებას, რაც არ მოსწონს და ფიქრობს, რომ რაიმე ხერხს უნდა მიმართოს, მოამზადოს ეფექტური იდეა და ფაქტის წინაშე დააყენოს მშიშარა ორგანიზატორები, რომლებსაც არ სურთ აფიშის დაბეჭდვა. თანახმაა, რომ მონაწილეები გამოცხადებულნი იყვნენ აფიშაზე, რადგან ორიგინალური აფიშა მოულოდნელად იფეთქებს და ყველას აალაპარაკებს. ფიქრობს, რომ აფიშას „აკაკი და გალაკტიონი“ გააკეთებს მომდევნო წლის დიდი გამოფენისთვის.

➤ 9823

1946

13 მარტი

მიუხედავად აღებული ვალდებულებისა, ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა ოთხი დღის მანძილზე არაფერს აკეთებს გალაკტიონ ტაბიძის სალამოს მოსაწყობად. გალაკტიონი მიჰყავთ თბილისის აღმასკომში ივანე ბუჩაშვილთან, რომელსაც ექვემდებარება ქალაქის ბიბლიოთეკები. ის ეკითხება, რა საჭიროა მყვირალა აფიშა „აკაკი და გალაკტიონი“, რადგან მას მთელი ქვეყანა იცნობს და ეს საკმარისია. ის უხსნის, რომ მნიშვნელოვანია ლიტერატურული მემკვიდრეობისა და პარალელების აღნიშვნა. ბუჩაშვილი ჰპირდება, რომ ამ ამბავს შეუთანხმებს პოლიტგანათლების კომიტეტის თავმჯდომარეს – ვალერიან ხატიაშვილს.

➤ 9824

1946

13 მარტი

ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გასამართი სალამოს გამო მიდის პოლიტგანათლების კომიტეტის თავმჯდომარესთან – ვალერიან ხატიაშვილთან და გადასცემს პროგრამას, რომელიც სიმონ მჭედლიძეს ავალებს საქმის გარკვევას და სიმონ წვერავასთან შეთანხმებას.

➤ 9825

1946

14 მარტი

ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გასამართი სალამოს გამო ურეკავს სიმონ მჭედლიშვილს, მაგრამ ის თათბირზეა და ვერ უკავშირდება. შემდეგ ხვდება

რუსთაველის პროსპექტზე და იგებს, რომ აფიშაზე აკაკი წერეთლის სახელი არ იქნება. უკმაყოფილოა და ფიქრობს, რომ სხვანაირად უნდა მიხედოს საქმეს.

➤ 9826

1946

18 მარტამდე

უბის წიგნაკში წერს სიტყვით გამოსვლის მონახაზს, რომელშიც მიუთითებს, რომ ქართველი ინტელიგენციის სახელით მხარს უჭერს ლავრენტი ბერიას უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს წევრობის კანდიდატად დასახელებას.

➤ 9827

1946

18 მარტის შემდეგ

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის დაბეჭდილ წიგნში „თაიგული“ ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მშობლიური ჩემო მიწა“.

➤ 9828

1946

25 მარტი

ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა უწყობს მკითხველებთან შეხვედრას და რეჟისორი ვლადიმერ ალავიძე ფირზე აღბეჭდავს ამ საღამოს.

➤ 9829

## აპრილი

1946

1 აპრილამდე

უბის წიგნაკში იწერს ღონისძიების აფიშის მონახაზს. მიუთითებს, რომ 1946 წლის 1 აპრილს მარჯანიშვილის თეატრში გაიმართება შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტ, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძესთან. მომხსენებელი იქნება სიმონ წვერავა. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და მსახიობები: ალექსანდრე აბაშელი, გიორგი ქუჩიშვილი, პიერ კობახიძე, ვერიკო ანჯაფარიძე და სხვები. საღამოს ბოლო ნაწილში სცენაზე წარმოდგენილი იქნება გენო ქელბაქიანის ოთხმოქმედებიანი კომედიის „შესაფერი ჯილდო“ ბოლო მოქმედება.

➤ 9830

1946

3 აპრილი

წერს მისალოც წერილს გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისისადმი“.

➤ 9831

1946

3 აპრილი

წერილს უგზავნის გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისი“ ყოფილ რედაქტორს – შოთა ქურიძეს. წერს, რომ ეს გაზეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული პოეზიის განმტკიცების საქმეში და ულოცავს გაზეთის დაარსების 25 წლისთავს.

➤ 9832

1946

20 აპრილი

წერილს იღებს სოფელ ზემო მაჩხანელი ც. ნატროშვილისგან, რომელიც თავის თავს წარადგენს ფსევდონიმით „ალექსანდრე მაჩხანელი“. წერს, რომ 1945 წლიდან მუშაობს პოემაზე „გალაკტიონ ტაბიძე“ და დაწერილი აქვს 30 თავი, მაგრამ მუშაობის გასაგრძელებლად სჭირდება მეტი

ბიოგრაფიული მონაცემები. სწერს, რომ ყველაფერი აქვს წაკითხული, რაც გალაკტიონს გამოუქვეყნებია და რაც მის შესახებ დაწერილა, მაგრამ უკმაყოფილოა იმით, რომ ბიოგრაფიული ცნობები მწირია და გალაკტიონის შესახებ არცერთი საფუძვლიანი პოეტური ნაწარმოები არ დაწერილა. სწერს, რომ თუ ადრესატის სურვილი იქნება, პოემის რამდენიმე თავს გაუგზავნის და თუ პოეტი თავისი ცხოვრების შესახებ ჩანაწერებს მიაწვდის, პოემის დამთავრებას 1950 წლისთვის შეძლებს.

➤ 9833

**1946**

**22 აპრილი**

წერს უსათაურო ლექსს „შავი ზღვის პირად აღმართულო ნანგრევო ტაძრის...“.

➤ 9834

**1946**

**27 აპრილი**

საქართველოს მწერალთა კავშირის მისამართზე მისდის აფხაზეთის საბჭოთა მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის, ხუბუტი ბლაჟბას წერილი. აცნობებს, რომ მიმდინარე წლის 16 მაისს აფხაზეთის მწერალთა კავშირი სოხუმის სახელმწიფო თეატრში გეგმავს გალაკტიონის შემოქმედებისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოს და, რამდენადაც საღამო უნდა ჩატარდეს პოეტის მონაწილეობით და საჭირო იქნება სოხუმში ჩასვლა, სთხოვს, მისცეს თანხმობა ღონისძიების ამ რიცხვში ჩატარებაზე.

➤ 9835

**1946**

**აპრილი**

წერს ლექსს „ნერგი ევკალიპტის“.

➤ 9836

## მაისი

**1946**

**4 მაისის შემდეგ**

იბეჭდება გიორგი ჯიბლაძის წიგნი „მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“, რომელშიც ერთი ნარკვევი გალაკტიონ ტაბიძეს ეძღვნება. ავტორი საბჭოთა კრიტიკაში შემუშავებული მიდგომების მიხედვით მსჯელობს გალაკტიონის პოეზიაზე. კრიტიკოსი პოეტის შემოქმედებაში ორ პერიოდს გამოყოფს და თემატურად ახასიათებს თითოეულ მათგანს.

➤ 9837

**1946**

**5 მაისამდე**

წერილს უგზავნის სერგო ჯინჭველაშვილს, რომელშიც ჰპირდება მისთვის გაგზავნილი მასალის გამოქვეყნებას და აკაკი წერეთლის მოგონებების გამოცემას.

➤ 9838

**1946**

**7 მაისი**

წერს უსათაურო ლექსს „მე დაგინახე – მხრები მოხრილი...“.

➤ 9839

**1946**

**7 მაისი**

წერს უსათაურო ლექსს „არ გაპატივა! შენს გულში ერთი...“.



➤ 9840

**1946**

**15 მაისი**

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების „კავკასიონი“, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „ყაზბეგი“, „გამარჯვება“ და „სამშობლოს სადღეგრძელო“ თარგმანები.

➤ 9841

**1946**

**15 მაისი**

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი „სამშობლო“.

➤ 9842

**1946**

**15 მაისი**

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება ხუბუტი ბლაჟბას სტატია „საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც მიმოხილულია პოეტის შემოქმედებითი ევოლუციის გზა.

➤ 9843

**1946**

**15 მაისი**

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ იბეჭდება ხუტა ბერულავას გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი „ძვირფასი სტუმარი“.

➤ 9844

**1946**

**15 მაისი**

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ იბეჭდება შალვა ტაბიძის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი „სახალხო პოეტს“.

➤ 9845

**1946**

**15 მაისი**

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ იბეჭდება ცნობა, რომ ბოლო ხანებში გამოვიდა გალაკტიონის „რჩეული“, რომელიც ხუთი განყოფილებისაგან შედგება და თან ერთვის შალვა რადიანის წერილი „გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედება“.

➤ 9846

**1946**

**15 მაისი**

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ იბეჭდება აფხაზეთის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის განცხადება, რომ 16 მაისს აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართება საქართველოს სახალხო პოეტის, გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო. მოხსენებას გალაკტიონის შემოქმედების შესახებ წაიკითხავს სიმონ წვერავა, სიტყვით გამოვა თავად პოეტიც, ღონისძიებას დაასრულებს საკონცერტო განყოფილება.

➤ 9847

**1946**

## 15 მაისი

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ იბეჭდება ხუბუტი ბლაჟუბას სტატია „თანამედროვე ქართული პოეზიის სიამაყე“. ავტორი მიმოიხილავს გალაკტიონის პოეტური მოღვაწეობის ეტაპებს და მიუთითებს, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული პოეზიის ჩამოყალიბებაში.

➤ 9848

## 1946

### 16 მაისამდე

ჩადის სოხუმში მისდამი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

➤ 9849

## 1946

### 17 მაისი

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აფხაზია“ იბეჭდება ცნობა, რომ 17 მაისს სოხუმის სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართება საქართველოს სახალხო პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

➤ 9850

## 1946

### 17 მაისი

სოხუმის სახელმწიფო თეატრში იმართება გალაკტიონის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

➤ 9851

## 1946

### 18 მაისის შემდეგ

სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცნობარში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 9852

## 1946

### 18 მაისის შემდეგ

ათვალიერებს სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცნობარის ყდას და ჩვეულებრივ გრაფიკული გაფორმებაში საკუთარ შემოქმედებაზე მინიშნებას ხედავს. წიგნზე ხატია შვიდი ტომი, რომელთაგან ოთხი ვერტიკალურად აწყვია, სამი კი – ჰორიზონტალურად. გონებაში პარალელს ავლებს საკუთარი თხზულებების გამოცემასთან. ჩაფიქრებული შვიდტომულიდან მისი ოთხი ტომია უკვე გამოცემული და სამი მოლოდინშია. წიგნის გარეკანზევე აწერს ამ აღწერილობას და იმასაც აღნიშნავს, რომ იქვე, ქვედა ნაწილში სამელნე და მასზე ჩამოდებული ორი საწერ-კალამი ხატია, თითქოს იმის ნიშნად, რომ წერა გრძელდება.

➤ 9853

## 1946

### 18 მაისის შემდეგ

სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცნობარის შესავალ წერილში აღნიშნული ფაქტის შესახებ, რომ ქართველი ხალხის ისტორია შეიცავს ქვეყნის გათავისუფლებისთვის ბრძოლის არც ისე მცირე სასახელო ფურცელს, წერს, რომ საქართველოს ისტორიის ყველა ფურცელი დიდებულია.

➤ 9854

**1946**

**18 მაისის შემდეგ**

სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცნობარის შესავალი წერილის ფრაზას არქეოლოგიის მიმართულებით უზარმაზარი სამუშაოების ჩატარების შესახებ აწერს, რომ გათხრების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, რადგან ბევრი რამ შეიძლება დაიკარგოს.

➤ 9855

**1946**

**18 მაისის შემდეგ**

სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ცნობარის შესავალ წერილს ბოლოს აწერს გიორგი ქუჩიშვილის სიტყვებს: „გალაკტიონს, ხალხისაგან განდიდებულს“.

➤ 9856

**1946**

**19 მაისი**

წერს უსათაურო ლექსს „მადლობა აფხაზეთს...“.

➤ 9857

**1946**

**20 მაისი**

აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში იმართება მისი საღამო. ღონისძიების დასასრულს კითხულობს აფხაზეთის ციკლის ლექსებს. შემდეგ დიმიტრი გულიასა და სხვა პოეტებთან ერთად ათვალთქმობს სოხუმის ბოტანიკურ ბაღს, ბაგრატის ციხეს და ბესლეთის ხიდს და იღებს ფოტოებს.

➤ 9858

**1946**

**20 მაისი**

ესაუბრება გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ კორესპონდენტს, მაღლიერებას გამოხატავს მისთვის გამართული ლიტერატურული საღამოს გამო და ატყობინებს, რომ აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა უახლოეს ხანში გეგმავს მისი ლექსების კრებულის გამოცემას.

➤ 9859

**1946**

**20 მაისი**

სოხუმიდან ბრუნდება თბილისში.

➤ 9860

**1946**

**21 მაისი**

გაზეთში „სოვეტსკაია აფხაზია“ იბეჭდება ლექსის „მადლობა აფხაზეთს...“ თარგმანი.

➤ 9861

**1946**

**21 მაისი**

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ ნ. ვენაძის ხელმოწერით ქვეყნდება სტატია „საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე სოხუმში“. მასში საუბარია 17 მაისს სოხუმში გამართული გალაკტიონის პოეზიის საღამოს შესახებ და აღნიშნულია, რომ პოეტმა რამდენიმე დღე დაჰყო აფხაზეთში, შეხვდა ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებს და დაათვალიერა ღირსშესანიშნაობები.

➤ 9862

1946

21 მაისი

გაზეთში „სოვეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება სტატია „საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე სოხუმში“, რომელშიც მოთხრობილია 20 მაისს სოხუმში გამართული გალაკტიონის პოეზიის საღამოს შესახებ. აღნიშნულია, რომ სოხუმში ყოფნის პერიოდში პოეტმა დაწერა რამდენიმე ლექსი. აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა ამზადებს პოეტის ახალ კრებულს, ასევე მოსკოვში მიმდინარეობს მუშაობა გალაკტიონის თხზულებათა ერთტომეულის გამოსაცემად.

➤ 9863

1946

26 მაისი

გაზეთში „საბჭოთა აფხაზეთი“ იბეჭდება გალაკტიონის უსათაურო ლექსი „მადლობა აფხაზეთს...“

➤ 9864

## ივნისი

1946

1 აპრილის – 8 ივნისი

წერს გიორგი ქუჩიშვილისადმი მიძღვნილ ლექსს „გიორგი“.

➤ 9865

1946

1 აპრილი – 8 ივნისი

იწყებს ლექსის წერას სათაურით „ძუძუთ დედა“.

➤ 9866

1946

1 აპრილი – 8 ივნისი

წერს უსათაურო ლექსს „მე არ მინდოდა შენთვის გამხელა...“.

➤ 9867

1946

1 აპრილი – 8 ივნისი

მუშაობს თხზულებების IV ტომზე, მოჰყავს და განმარტავს სტრიქონებს ლექსებიდან: „გზა გამარჯვების“ („კვლავ შეგვახვედრებს გამარჯვება...“), „ჰე, მამულო!“, „ფიცი“, „კავშირი გულთა შორის“, „ისტორიის ახალი გვერდი“, „ჩანგო ვით წინად“, „იავნანა“, „შუქი აღმოსავლეთით“.

➤ 9868

1946

1 აპრილი – 8 ივნისი

წერს უსათაურო ლექსს „ჩემი ლექსების გულო!..“.

➤ 9869

1946

1 აპრილი – 8 ივნისი

წერს უსათაურო ლექსს „ეული! დაჭრილი იმ იმედებით!..“.

➤ 9870

**1946**

**1 აპრილი – 9 ივნისი**

წერს უსათაურო ლექსს „ამ სიტყვით ვამთავრებ...“.

➤ 9871

**1946**

**1 აპრილი – 9 ივნისი**

წერს უსათაურო ლექსს „თანაბრად ტრიალებს...“.

➤ 9872

**1946**

**10 ივნისამდე**

წერს ლექსს „წიგნი“.

➤ 9873

**1946**

**11 ივნისამდე**

წერს ლექსს „ჩვენს ყრმობის ხანში“ („ჩვენს ყრმობის ხანში ბევრი ყოფილა...“).

➤ 9874

**1946**

**11 ივნისამდე**

წერს ლექსს „ზღვის ზეფირი“.

➤ 9875

**1946**

**11 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემო გოგონა!..“.

➤ 9876

**1946**

**11 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ზოგთ რა ეჟღერათ, ზოგთ ეხნათ...“.

➤ 9877

**1946**

**16 ივნისი**

ძმა, აბესალომ ტაბიძე ხელს აწერინებს სახუმარო ხელწერილზე, რომ გალაკტიონი 30 ივნისს ჩავაჭყვიშში და თან ჩაიტანს ხელნაწერებს, რომელთა დამუშავების შემდეგაც წიგნს წარუდგენს აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობას.

➤ 9878

**1946**

**17 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „აგერ მოხუცი ძხნე წელით ასით...“.

➤ 9879

**1946**

**17 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ქვეყანაზე არის სიმი...“.

➤ 9880

1946

18 ივნისამდე

წერს ლექსს „ის სიხარულიც“.

➤ 9881

1946

18 ივნისამდე

წერს ლექსს „სდუმს ძველისძველი ცხუმი“.

➤ 9882

1946

20 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ყოფილან მწარე დღეები...“.

➤ 9883

1946

20 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „იმ სივრცეს ჰაეროვანი...“.

➤ 9884

1946

24 ივნისი

წერს ლექსს „ლომის ხმაური“ („ტყეში, დღეა თუ ბნელა...“).

➤ 9885

1946

26 ივნისი

წერს ლექსს „შეხედე, რა ცაა!“

➤ 9886

1946

26 ივნისის შემდეგ

რუსული თანამედროვე ლიტერატურის ქრესტომათიაში აკეთებს ხაზგასმებსა და ჩანახატებს, ხოლო ფორზაცზე წერს რითმებს.

➤ 9887

1946

29 ივნისამდე

წერს ლექსს „სხვაა ბეთჰოვენი...“.

➤ 9888

1946

29 ივნისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ერთხელ... 20 წლის წინათ“.

➤ 9889

1946

31 ივნისი

წერს განცხადების მონახაზს, რომელშიც ითხოვს მომდევნო წლისთვის ფრანგულენოვანი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების გამოწერას.

➤ 9890

1946

იენისი

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „გურულო, შენ ოდას იგეფ?...“.

➤ 9891

## ი ვ ლ ი ს ი

1946

4 ივლისის შემდეგ

წერილს იღებს მმისგან. აბესალომი ატყობინებს, რომ პეტრე ჭარაიას ჰქონია ნაშრომი „აფხაზეთი და აფხაზნი“, რომელიც მოსე ჯანაშვილმა მთლიანად შეიტანა რუსულ ენაზე გამოცემულ ამავე დასათაურების წიგნში. ურჩევს, რამდენადაც გალაკტიონი აფხაზეთის თემაზე წერს, იშოვოს ეს წიგნი და გაეცნოს. მოაგონებს, რომ აკაკი წერეთლის „გამზრდელიც“ აფხაზეთზეა დაწერილი. სთავაზობს, მეუღლესთან ერთად ჩავიდნენ მასთან სამტრედიისში და იქ იმუშაოს. მოკითხვას უთვლის ნინო კვირიკაძეს.

➤ 9892

1940

15 ივლისის შემდეგ

საგურამოში ყოფნისას საერთო მხიარულებაში დიდად არ მონაწილეობს. უყვარს ილიას კაკლის ხის ქვეშ ჯდომა და საგურამოელ გლეხებთან. აქვე ხვდება და ესაუბრება სტუმრად მყოფ მიკოლა ბაჟანს და ნიკალაი ტიხონოვს.

➤ 9893

1946

16 ივლისამდე

წერს რითმებს სიტყვებისთვის „ჟუგა“ და „ასიდა“.

➤ 9894

1946

16 ივლისი

წერს პოემას „ჟუგა და ასიდა“.

➤ 9895

1946

16 ივლისის შემდეგ

დღიურში 12 პუნქტად წერს თხზულებების IV ტომის გეგმას: I. წინასიტყვაობის (ოქროს ქნარი) ჩამატება. II. ზღვის ლირიკა. III. აფხაზეთი ისტორიული ძეგლებით. IV. აფხაზეთის აწმყო. V. ერთა მეგობრობის მოტივები. VI. ფოლკლორი. VII. ხელოვნების მოტივები. VIII. ხელოვნებაზე – ხელოვნება გრძელთა, სიცოცხლე მოკლე (Ars longa vita brevis). IX. პოემები: „ჟუგა და ასინდა“, „ბამბურა მურა“. X. მერხეულა. XI. დასასრული – მშობლიური ჩემო მიწავ“. XII. დასასრული – მაღლობა აფხაზეთს. აღნიშნავს, რომ ლექსების ნუმერაცია თავიდან ბოლომდე უნდა გაკეთდეს რომაული ციფრებით, თარიღები და ადგილები კი – პეტიტით.

➤ 9896

1946

16 ივლისის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არიან ქვეყნები სხვა...“.

➤ 9897

1946

**16 ივლისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ზღვიდან ჟღერს თქმა აფხაზური...“.

➤ 9898

1946

**16 ივლისის შემდეგ**

უსათაუროდ წერს პოემის „დიდედას სათვალეები“ პირველ 6 სტროფს: „მთელი საათია – ზანდუკის კიდეთა...“.

➤ 9899

1946

**16 ივლისის შემდეგ**

ასწორებს 1946 წლის 19 მაისით დათარიღებული ლექსის „მადლობა აფხაზეთს“ ბოლო სტროფს „მადლობის სიმღერას...“.

➤ 9900

1946

**16 ივლისის შემდეგ**

დღიურში იწერს ზღვასთან დაკავშირებით გასარკვევ საკითხებს: რა ტერიტორია უჭირავს საქართველოში ზღვას. რესპუბლიკები, რომელთაც არა აქვთ ზღვა. ზღვა აფხაზეთისა და აჭარის ფოლკლორსა და მწერლობაში. ზღვის თემა „ვეფხისტყაოსანში“. ზღვა და ატომის ენერჯია. „ახალი ათონი“ – 1910 წლის „კავკასიის კალენდრიდან“.

➤ 9901

1946

**16 ივლისის შემდეგ**

დღიურში ინიშნავს დასაწერი ლექსების თემებს: სადღაც კი, ტყვარჩელი, ენგური, ბზიფი, ახალი ათონი, „ჭიხვინი ცხენის, კოდორი ჩქარი, ერლახი, ქეთვანი, აბრისკილი, მახაჯირობა, ჩონგური, „აფხიარცა“ (ჩონგურის მსგავსი საკრავი), საკოლმეურნეო ზაღები, აფხაზეთის ბუნება, ბუმბერაზი ზღვა, გამირობა და სიყვარული.

➤ 9902

1946

**16 ივლისის შემდეგ**

დღიურში ინიშნავს ტოპონიმებს, რომლებზეც უკვე აქვს ლექსები ან აპირებს მათ შექმნას: პარიზი, ვერსალი, ტიულიერი, ელისეის მინდვრები, ბულონის ტყე, პერ-ლა-შეზი, ნოტრ-დამი, ტრიანონი, მოსკოვი, პეტროგრადი, კიევი, ნეჟინი, უკრაინა, დონბასი, სოხუმი, ბედია, რიწა, გალი, მწარა, გუდაუთა, ეშერი, დრანდი, ილორი, მოქვი, ახალი ათონი, ტამიში, ტყვარჩელი, გულრიპში, თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თიანეთი, ყაზბეგი, ძაუგი, საქართველოს სამხედრო გზა, გელათი, მცხეთა, რკინისგზა სოხუმი-მოსკოვი, ჰაერიზე, ფსირცხა, გაგრა, კილასური, რეიმსი, ვარშავა, ბერლინი, სადგური ნეგორელი. აქვე ჩამოწერს გემების სახელებს, რომლებითაც უმოგზაურია: „საქართველო“, „აფხაზეთი“, „უკრაინა“, „დალანდი“.

➤ 9903

1946

**16 ივლისის შემდეგ**

წერს ლექსს „ცხენის ჭიხვინი“.



➤ 9904

**1946**

**16 ივლისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მიყვარს დილით მზეზე ბზინვა ბზიბის...“.

➤ 9905

**1946**

**16 ივლისის შემდეგ**

ლექსების წერისას ინიშნავს დროს და ითვლის წუთში რამდენ სტრიქონს წერს, შემდეგ გამოჰყავს საშუალო არითმეტიკული რიცხვი და ადგენს, რომ ერთ საათში წერს 2400 სტრიქონს.

➤ 9906

**1946**

**16 ივლისის შემდეგ**

წერს ლექსს „აფხიარცა“.

➤ 9907

**1946**

**16 ივლისის შემდეგ**

დღიურში 12 პუნქტად წერს აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი წიგნისთვის გეგმას: წინასიტყვაობის („ოქროს ქნარი“) ჩამატება, ზღვის ლირიკა, აფხაზეთი ისტორიული ძეგლებით, აფხაზეთის აწმყო, ერთა მეგობრობის მოტივები, ფოლკლორი, ხელოვნება გრძელია, სიცოცხლე მოკლე (Ars longa vita brevis), პოემები: „ჟუგა და ასინდა“, „ბამბურა მურა“, მერხეულა, დასასრული – „მშობლიური ჩემო მიწავ“, დასასრული – „მადლობა აფხაზეთს“. სურს, რომ ლექსების ნუმერაცია თავიდან ბოლომდე გაკეთდეს რომაული ციფრებით, თარიღები და ადგილები კი – პეტიტით.

➤ 9908

**1946**

**19 ივლისი**

წერს უსათაურო ლექსს „მოგონებამან შენს ჩრდილში ნახა...“.

➤ 9909

**1946**

**25 ივლისი**

წერს ლექსს „გამბედავო და მაგარო ხელო“.

➤ 9910

**1946**

**25 ივლისი**

წერს ლექსს „ზღვა ახმაურდა“.

➤ 9911

**1946**

**31 ივლისი**

რუსულ ენაზე წერს ავტობიოგრაფიას.

➤ 9912

**1946**

## 31 ივლისი

რუსულ ენაზე წერს განცხადების მონახაზს, რომელშიც ითხოვს ფრანგულენოვანი ჟურნალების გამოწერას 1947 წლისათვის.

➤ 9913

## აგვისტო

### 1946

#### 6 აგვისტო

იგებს, რომ მეცნიერებათა აკადემიამ აგვისტოს თვეში აკადემიის წევრებისთვის უნდა მიიღოს ავტომობილები. იმის გამო, რომ ავად არის და თავად ვერ მიაღწევნებს თვალს, რომ ავტომობილების განაწილების დროს უკვე შედგენილი სიიდან არ გამოტოვონ, წერილს უგზავნის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელ მირდატს და სთხოვს, რომ ამაზე მან იზრუნოს.

➤ 9914

### 1946

#### 10 აგვისტოს შემდეგ

ივანე იოსელიანის მოთხოვნების კრებულში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 9915

### 1946

#### 14 აგვისტოს შემდეგ

პოლიო ირეთელის მოთხოვნების კრებულის წინათქმის ზემოთ წერს: „პოლიოს უყვარს მუ...რაბა“. მოთხოვნის „მღერის ისაკო“ წაკითხვის შემდეგ იხსენებს ისაკოს, რომელსაც კარგად იცნობდა. ის ქალაქის სახლმმართველობაში მუშაობდა, შესანიშნავად ცეკვავდა და ყველას, მათ შორის, შიო მღვიმელსაც ძალიან ეხმარებოდა. აღნიშნავს, რომ მათთან ერთად მოთხოვნაში ნახსენებ ისტორიულ აივანზეც უქეიფია 1921-1922 წლებში. იცნობდა ისაკოს შვილსაც, რომელიც ძალიან ყოჩაღი კაცი იყო, მაგრამ ყველა წვეულებას სკანდალით ამთავრებდა, შემდეგ თავად თავს იძვრენდა, გალაკტიონი კი ხათაბალაში ეხვეოდა.

➤ 9916

### 1946

#### 23 აგვისტო

ყიდულობს საქაღალდეებს.

➤ 9917

### 1946

#### 23 აგვისტო

აკეთებს ჩანაწერს, რომ წინა ღამეს შეიშალა ალფეზ ხელაძის მეუღლე.

➤ 9918

### 1946

#### 24 აგვისტო

დღიურში იწერს, რომ აგვისტოს სიცხეში ადამიანები, განსაკუთრებით მანდილოსნები, ქუჩაში სიარულისას ხშირად ელაპარაკებიან საკუთარ თავს.

➤ 9919

### 1946

#### 24 აგვისტო

აკეთებს ჩანაწერს, რომ ღამის 12 საათზე მისი ძმა, აბესალომი წამომდგარა და ბაზარში საყიდლებზე წასვლას აპირებდა, ვიდრე ნინო კვირიკაძემ არ გადააფიქრებინა.

➤ 9920

1946

**24 აგვისტო**

აკეთებს ჩანაწერს, რომ სახელმწიფო გამომცემლობამ მისი წიგნი უნდა გამოსცეს მიმდინარე წლის უკანასკნელ კვარტალში, მას კი ჯერ არაფერი აქვს მზად. ფიქრობს, რომ რაღაცამ სასტიკად შეუშალა ხელი. ასევე სანახევროდ აქვს მომზადებული წიგნი აფხაზეთზე.

➤ 9921

1946

**25 აგვისტო**

აკეთებს ჩანაწერს მიმდინარე სამუშაოების შესახებ. მიუთითებს, რომ მუშაობს თხზულებათა მეხუთე და მეექვსე ტომებისა და წიგნის – „პოეზიის ხელოვნება“ – მომზადებაზე.

➤ 9922

1946

**26 აგვისტო**

ქვიშხეთიდან იღებს გიორგი ქუჩიშვილის წერილს. აცნობებს, რომ მათმა საერთო ნაცნობმა კოტე ვეფხვაძემ გაუკეთა ოპერაცია და ახლა ქვიშხეთში ისვენებს. სწერს, რომ ბევრი მნახველი ჰყავს, მაგრამ ყველაზე მეტად გალაკტიონის წერილმა გაახარა. მოაგონდა მათი ერთად მოგზაურობა საქართველოს კუთხეებში. იმედოვნებს, რომ გალაკტიონის მუშაობა აფხაზეთის წიგნზე წარმატებით დაგვირგვინდება. კმაყოფილებას გამოთქვამს გალაკტიონის ძმის, აბესალომის საცხოვრებლად თბილისში გადასვლის გამო. მოიკითხავს მას და გალაკტიონის მეუღლეს ნინო კვირიკაძეს.

➤ 9923

1946

**29 აგვისტო**

საპასუხო წერილს უგზავნის გიორგი ქუჩიშვილს. სწერს, რომ მათი ბედი ძალიანს ჰგავს ერთმანეთს. აღნიშნავს, რომ იშვიათია ისეთი თავმდაბალი და პატიოსანი პოეტი, როგორც გიორგი ქუჩიშვილია. გალაკტიონი იგონებს, როგორ ატარებდნენ ისინი დროს ერთად. გადასცემს მეუღლისა და ძმის მოკითხვას.

➤ 9924

1946

**30 აგვისტო**

წერს ავტობიოგრაფიას.

➤ 9925

1946

**31 აგვისტო**

რუსულ ენაზე წერს ავტობიოგრაფიას.

➤ 9926

**ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი**

1946

**17 ივლისი – 2 სექტემბერი**

წერს გიორგი ქუჩიშვილისადმი მიძღვნილი ლექსის „სიმფონია გიორგობისთვის“ გეგმას. აპირებს წარმოაჩინოს მისი მშობლიური სოფლის ბუნება და როგორ აისახა ის გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებაში. სათაურის ქვეშ „ქუჩის სიმფონია“ აპირებს, გააერთიანოს სამი პერიოდი ძველი, რევოლუციური და ინდუსტრიულ-კოლექტიური.

➤ 9927

1946

**17 ივლისი – 2 სექტემბერი**

წერს გიორგი ქუჩიშვილისადმი მიძღვნილი ლექსის „სიმფონია გიორგობისთვის“ ერთ სტროფს უსათაუროდ „და შემოიჭრა უამიდობა...“.

➤ 9928

1946

**17 ივლისი – 2 სექტემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „ზღვიდან ჟღერს თქმა აფხაზური...“.

➤ 9929

1946

**17 ივლისი – 2 სექტემბერი**

დღიურში ხატავს ტიციან ტაბიძის პორტრეტებს.

➤ 9930

1946

**17 ივლისი – 2 სექტემბერი**

ფიქრობს, რომ უნდა აღადგინოს ჟურნალში „განათლება“ დაბეჭდილი ლექსი „ყვითელი ფოთოლი“, რომელიც წაიკითხა ქუთაისში სადამოზე წამღერებით, გაბედულად როგორც მეამბოხემ. დარბაზი სულგანაბული უსმენდა და მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. აკაკი წერეთელმა, რომელიც სადამოს ესწრებოდა, შეაქო და ჰკითხა, რაჭველი ხომ არ იყო, რადგან რაჭველები ლაპარაკობენ ასე გაბმით. ეგონა, რომ გალაკტიონ ტაბიძე ლექსს კი არ კითხულობდა, არამედ მღეროდა და ეს იყო ნამდვილი ქართული კითხვა.

➤ 9931

1946

**31 მაისი - 3 სექტემბერი**

წერს ლექსს სათაურით „რკალიდან „ამწვანებული კომბალი“ („გზა მთებისგან გადიხარა...“).

➤ 9932

946

**3 სექტემბერი**

1908 წლიდან 1946 წლამდე თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალების მოსაწესრიგებლად ჩამოწერს 46 საქაღალდის შინაარსს. მათ შორისაა: ჟურნალ-გაზეთები, იკონოგრაფიული მასალა, მიწერ-მოწერა, სხვების ხელნაწერები, ასი პოეტის ხელნაწერი და დაბეჭდილი ლექსები მის შესახებ. წერილები და მიმართვები ფრონტიდან, ფრონტელების სადამოები მწერალთა სასახლეში. 1918 წლის იუბილე კონსერვატორიაში, 1923 წელს იუბილე რუსთაველის თეატრში, 1928, 1933 და 1943 წლების იუბილეები ოპერის თეატრში, 1938 წელს იუბილე მწერალთა კავშირში, 1934 წლის სადამო ლენინგრადში, 1940 წლის სადამო საგურამოში, სადამოები ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, გორში, აფხაზეთში, ქუთაისში, მოსკოვში, თბილისის უნივერსიტეტში, ბერიას კლუბში, ნაძალადევში, ნავთლულში, ფილარმონიასა და ფუნქციულიორზე, ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში, პიონერთა სასახლეში. სემინარიისა და ჟურნალის „ფასკუნჯი“ მასალები. კინოსა და მხატვარ-მოქანდაკეების მასალები, მუსიკალური ნაწარმოებები, მის სადამოებზე გამომსვლელი არტისტებისა და მკითხველების მასალები. თუ როგორ ესმით მხატვრებს, მოქანდაკეებსა და მსახიობებს მისი ლექსები. ჭყვიშის, ქუთაისის, ბაღდათის მასალები. მოგზაურობები კახეთში, დონბასსა და პარიზში.

➤ 9933

1946

### 3 სექტემბერი

ლიტერატურული მასალების მოსაწესრიგებლად ჩამოწერს 50 საქაღალდის შინაარსს: ლექსების პირველი წიგნი – 1914, „არტისტული ყვავილები“ – 1919, „ჯონ-რიდი“ – 1924, მონოგრაფია ბიბლიოფილზე – 1921, „ლექსები“ – 1927, „ეპოქა“ – 1930, „რევოლიუციური საქართველო“ – 1931, „პაციფიზმი“ – 1930, თხზულებების I ტომი – 1937, II ტომი – 1935, III ტომი – 1940, „აკაკი წერეთელი“ – 1940, „ლირიკა“ – 1940, „მშობლიური ჩემო მიწავ“ – 1942, „მამულო სიცოცხლეო“ – 1943, „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ – 1944, რჩეული – 1945. ლექსების გამოცემები რუსულ ენაზე – 1933, 1937, 1938, 1940, 1942, 1945. „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალები“, ჟურნალი „ლომისი“, ბიულეტენი „გალაკტიონი“ – 1927, ჟურნალის „მნათობი“ მასალები, მწერალთა კავშირისა და მეცნიერებათა აკადემიის საბუთები. 1944 წელს მოსკოვის ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მასალები, მოსკოვის აღწერა. მასალები თეატრზე, თბილისის, სვანეთის, მესხეთის, ფშავ-ხევსურეთის შესახებ. ცალკე-ცალკე უნდა განთავსდეს დაუმთავრებელი პოემა, პოემები – „მწყემსი“, „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, „ამირანი“, „ძლეული სენი“, „ფიქრები მერხეულასთან“, „ჟუგა და ასინდა“, „ციხის საიდუმლო“, „კაფე სამი პალმა“, „გეტერა“, „მესაფლავე“, „ელგუჯას დაბრუნება“, „ჯონ რიდი“.

➤ 9934

1946

### 3 სექტემბერი

თავისი ლექსების ისტორიის მასალების მოსაწესრიგებლად ჩამოწერს 46 საქაღალდის შინაარსს: „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „პირიმზე“, „თოვლი“, „მერი“, „მე და ღამე“, „ატმის ყვავილები“, „შემოდგომის მოტივებიდან“, „ქარიშხლის შემდეგ“. „Lart poetique“-სთან დაკავშირებით – 57 ლექსი 1927 წლის წიგნიდან, ლექსები თხზულებების I, II და III ტომებიდან, პოემიდან „საუბარი ლირიკის შესახებ“, აფხაზეთის წიგნიდან, „ოქრო აჭარის ლაჟვარდიდან“, გაზეთიდან „პოეზიის დღე“, ჟურნალიდან „ლომისი“, „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალიდან“ და სხვ.. ერთა მეგობრობაზე დაწერილი ლექსები, გეგმები, მტრები, ხელშეკრულებები, მასწავლებლობის პერიოდი, რადიო, გურჯაანის საღამო, 1905 წლის რევოლუცია, მეორე მსოფლიო ომის პლაკატები. მისდამი მიძღვნილი ლექსების რუსული თარგმანები, რუსული ჟურნალი, გაზეთის „კომუნისტი“ მასალები. სომხური თარგმანები, აზერბაიჯანის, უკრაინისა და ოსეთის საქაღალდეები. მოსკოვის, სახელგამისა და საბლიტგამის წიგნების გეგმები. ფოტოები, სახელმძღვანელოები, ახლობელი პოეტები, რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილისა და ოპერის თეატრები. ზღვის თემა და ქართულ სკოლასთან დაკავშირებული მასალები. მასალები მასზე და აკაკი წერეთელზე და მასზე და შიო მღვიმელზე.

➤ 9935

1946

### 6 სექტემბრამდე

განცხადებით მიმართავს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორ კონსტანტინე ერისთავს. აცნობებს, რომ მისი ძმისწული ვასილ პროკლეს ძე ტაბიძე წინა წელს სწავლობდა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველ კურსზე. პირველ სემესტრში ყველა გამოცდა ჩააბარა, მაგრამ მეორეში ვერა, რადგან ავად იყო. წარუდგენს ავადმყოფობის ცნობას და სთხოვს, რომ აღადგინონ პირველ კურსზე.

➤ 9936

1946

### 6 სექტემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობაზე მოხსენებას „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები“ კითხულობს პეტრე შარია. მომხსენებელი მძაფრად აკრიტიკებს „აკადემიურ ჯგუფს“, „ცისფერყანწელების“ ჯგუფს და ფუტურისტების ჯგუფს, რის

შემდეგაც ახსენებს გალაკტიონ ტაბიძეს, ამბობს, რომ იგი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიის უდიდესი წარმომადგენელია, რომელმაც მწერლების ანტირევოლუციური ფრონტი გაარღვია და საბჭოთა პლატფორმას მიაშურა. შარიას თქმით, გალაკტიონმა „გადადგა სასახელო ნაბიჯი, რომელიც რუსულ ლიტერატურაში მისმა უფროსმა სულიერმა მოძმემ, ალექსანდრე ბლოკმა გადადგა“.

➤ 9937

**1946**

### **7 სექტემბერი**

თამარ ჭავჭავაძე დილის რადიოში, ნახევარი საათის მანძილზე კითხულობს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს: „ჩემი სიმღერა“, „ჰე, მამულო“, „ხალხის აწმყო“, „ხალხის ხვალე“, „ხალხის დიდი მომავალი“, „ახალი ტფილისის დაფუძნება“, „გორი“. პოეტი გადაცემით ძალიან კმაყოფილია.

➤ 9938

**1946**

### **7 სექტემბერი**

საქართველოს საბჭოთა მწერლობის III ყრილობაზე შესავალ სიტყვას ამბობს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე – სიმონ ჩიქოვანი. წარადგენს 1939 წელს ჩატარებული II ყრილობის შემდეგ, მწერალთა კავშირის მუშაობის შვიდწლიან ანგარიშს. აღნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ქართველი მწერლები თავდადებით მუშაობდნენ ფაშისტური გერმანიის დასამარცხებლად. ძველი თაობიდან პირველ რიგში ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს და მის ლექსს „მამულო, სიცოცხლეო!“.

➤ 9939

**1946**

### **7 სექტემბერი**

ნინო კვირიკაძე ჩუქნის ლეონიდ ლეონოვის წიგნს „ომის წლების სტატიები“ წარწერთ: „ჩემს გატუნიას მისი ნუციკოსაგან“.

➤ 9940

**1946**

### **7 სექტემბრის შემდეგ**

კითხულობს ლეონიდ ლეონოვის წიგნს „ომის წლების სტატიები“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 9941

**1946**

### **8 სექტემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „სინამდვილე და ოცნება...“.

➤ 9942

**1946**

### **8 სექტემბერი**

დღიურში იწერს საქართველოს მწერალთა III ყრილობაზე პარმენ ლორიას წარმოთქმული სიტყვიდან ფრაზას, რომ საკვირველია ის სენსაციები, რომელიც მოუწყვეს მწერალთა კავშირში გამართულ სადამოზე ახალგაზრდა პოეტ ანა კალანდაძეს, რადგან ეს ხდება იმ ქვეყანაში, „სადაც იყო ილია, ვაჟა და სადაც არის გალაკტიონი“.

➤ 9943

**1946**

## 10 სექტემბრის შემდეგ

იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ლექსების ხარიტონ ვარდოშვილისეული თარგმანების წიგნის წინათქმაში, ლექსების სტრიქონებსა და შენიშვნებზე აკეთებს ხაზგასმებს. ნომრავს რითმებს და წერს, რომ მთარგმნელები ყოველთვის სარგებლობენ სხვების რიტმითა და რითმებით, წიგნში სამასი ასეთი რითმაა. ავტორი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ყურადღებას არავინ მიაქცევდა ამ საკითხს. გალაკტიონი ითვლის, კრებულში რამდენი თეთრი ლექსია და რამდენი გართიმული სტრიქონი. აღნიშნავს, რომ „ქიმიური“ რითმებით გართიმული ნაწილის ერთი მესამედი – 600 სტრიქონი, რაც ახალი ამბავია ქართულ პოეზიაში და უწოდებს „ხარიტონიზმს“.

➤ 9944

1946

### 7-11 სექტემბერი

მონაწილეობს საქართველოს საბჭოთა მწერლობის III ყრილობაში.

➤ 9945

1946

### 7-11 სექტემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლობის III ყრილობის შესახებ დღიურში გაკეთებულ ჩანაწერში ყურადღებას ამახვილებს ქართული პოეზიის როლზე, პოეზიასთან შედარებით პროზის ჩამორჩენასა და ლიტერატურულ კრიტიკაზე. ასახელებს მონაწილეებს: პეტრე შარიას, ლეო ქიაჩელს, სიმონ ჩიქოვანს, კონსტანტინე ჭიჭინაძეს, გრიგოლ აბაშიძეს, იოსებ გრიშაშვილს, სანდრო აბაშელს. აღნიშნავს, რომ პეტრე შარიას ფანქარი დაუვარდა და სანდრო აბაშელი მივარდა ასაღებად.

➤ 9946

1946

### 7-11 სექტემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლობის III ყრილობაზე გამოკრულ ერთ-ერთ პლაკატზე ნახულობს ვლადიმერ მაიაკოვსკის სტრიქონებს ლექსიდან „რა გეიუბილეებათ“, რომელშიც საუბარია თითოეული მანეთის დაზოგვის აუცილებლობაზე. ვერ იხსენებს ავტორისეული ორიგინალის სიტყვებს, მაგრამ ქართული ტექსტი არ მოსწონს, მას დღიურში იწერს და თავისებურად ასწორებს.

➤ 9947

1946

### 7-11 სექტემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლობის III ყრილობაზე ვიდაც გამომსვლელი ირონიით ამბობს, რომ ერთ-ერთი ავტორის ლექსში შეხვდა სიტყვა „კესანე“, რომლის მნიშვნელობა არ იცოდა. იგი მსმენელთ მიანიშნებს, რომ ასეთ გაურკვეველ სიტყვებს პოეტები არ უნდა იყენებდნენ. ამის საპასუხოდ გალაკტიონი უბის წიგნაკში წერს, რომ 1893 წელს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნდა ბაჩანას ლექსი „კესანე“ და იქვე განმარტებული იყო, რომ „კესანე“ მთის ყვავილია. პოეტი დამატებით იმასაც აღნიშნავს, რომ ბაჩანას ამ ლექსის შესახებ ვრცელი საუბარი აქვს ჭოლა ლომთათიძეს თავის ნაწარმოებში „ციხის დღიურებიდან“.

➤ 9948

1946

### 11 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ჩქარი დენა ზვირთზე ზვირთის...“.

➤ 9949

1946

**19 სექტემბერი**

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი ლექსების კრებულისთვის დღიურში ინიშნავს საბავშვო თემაზე დაწერილ 50 ლექსსა და 1400 სტრიქონს, ლექსს „მგელი და ცხვარი“, თხზულებების I ტომიდან – ბავშვები სამოქალაქო ომში და წიგნიდან „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ – პოემას „მწყემსი“, სულ – 1720 სტრიქონს.

➤ 9950

1946

**19 სექტემბრის შემდეგ**

იღებს ჟურნალს „მნათობი“ წარწერით „ამხ. გალაკტიონ ტაბიძეს“, აკეთებს ხაზგასმებს. ბოლო გვერდზე ითვლის, ჟურნალში რამდენი ლექსი, სტრიქონი, სათაური და აბზაცია. ფიქრობს, რომ მისი ლექსების დაბეჭდვისთვის 20 გვერდია საჭირო, თუ დაამატებს ლექსს „ზღვა ხმაურობდა“.

➤ 9951

1946

**20 სექტემბერი**

ავტობუსით მიემგზავრება სოხუმიდან დრანდაში. თვალში ხვდება, რომ ავტობუსში ბევრი შავოსანი ქალია. მოსწონს მეგრელების ზრდილობა და ხალისიანი საუბარი. გაივლიან კელასურის ხიდსა და გულრიფშს. სოფელი დრანდა სრულიად განადგურებულია, უძველეს ტაძარში კი კლუბია გახსნილი. ნავსადგურში დგას ლამაზი ანძებიანი პატარა გემი „ამრა“, რაც აფხაზურად „მზეს“ ნიშნავს.

➤ 9952

1946

**23 სექტემბერი**

დრანდაში ნახულობს მეცნიერებათა აკადემიის ბაღს, რომელიც, მისი აზრით, უპირველესია საბჭოთა კავშირში როგორც მცენარეებით, ისე ადგილმდებარეობით. ფიქრობს, სირცხვილი იქნებოდა, რომ საუკეთესო ბაღი საბჭოთა კავშირში საქართველოს ტერიტორიაზე არ ყოფილიყო.

➤ 9953

1946

**24 სექტემბრამდე**

სოხუმში, აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობას დასაბეჭდად აბარებს კრებულს „ზღვა ახმაურდა“.

➤ 9954

1946

**24 სექტემბერი**

სოხუმის აეროპორტში პოულობს ფანქარს და ინახავს.

➤ 9955

1946

**24 სექტემბერი**

თვითმფრინავით საათნახევრიანი ფრენის შემდეგ ბრუნდება სოხუმიდან თბილისში. ფიქრობს, რომ შესანიშნავი გადაფრენა იყო და აგონდება თეოფილ გოტიეს ლექსი „მკვეთრად თეთრის სიმფონია“.

➤ 9956



1946

**24 სექტემბერი**

25 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე აპირებს აფხაზეთში გამოსაცემი წიგნის „ზღვა ახმაურდა“ ერთხელ კიდევ გადათვალთვალებას, ზოგი მასალის შემოკლებასა და ახალი ლექსების ჩამატებას. პარალელურად თხზულებების IV ტომი უნდა შეადაროს დედნებს და დაელაპარაკოს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ ნიკოლოზ კიკნაძეს.

➤ 9957

1946

**25 სექტემბერი**

დღიურში იწერს, რომ ალექსანდრე აბაშელის წიგნი მზად არის გამოსაცემად, კონსტანტინე გამსახურდიას 40-ფორმიანი წიგნი სასწრაფოდ იწყობა და რომ იოსებ გრიშაშვილს ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

➤ 9958

1946

**25 სექტემბერი**

იწყებს უსათაურო ლექსის „ვით ყავისფერი დროშა...“ წერას.

➤ 9959

1946

**25 სექტემბრის შემდეგ**

ეცნობა რუსულ ჟურნალს „ახალი სამყარო“. წერს უსათაურო ლექსს „ჩემო აღმზრდელი დედა...“.

➤ 9960

1946

**27 სექტემბერი**

გიორგი ჯიბლაძე ჩუქნის თავის წიგნს „მხატვრული შემოქმედების ნარკვევები“ წარწერით: „დიდ ქართველ პოეტს, გალაკტიონ ტაბიძეს ღრმა პატივისცემით“.

➤ 9961

1946

**სექტემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მოგილოცავთ, ბავშვებო...“.

➤ 9962

1946

**სექტემბრის შემდეგ**

ჟურნალის „მნათობი“ 1929 წლის №8-9-ში გამოქვეყნებული ჭოლა ლომთათიძის მოთხრობის მიხედვით „აქრე სინათლე, აქრე, მე მაინც ავანთებ მას!..“ წერს უსათაურო ლექსს „აქრე სინათლე, აქრე...“.

➤ 9963

**ოქტომბერი**

1946

**5 ოქტომბერი**

იმყოფება კინოში. წერს ლექსს „შემოდგომა“ („აღავსე, მზეო!..“).

➤ 9964

1946

**12 ოქტომბერი**

სახელმწიფო გამომცემლობას აბარებს თხზულებების IV ტომს.

➤ 9965

1946

**25 სექტემბერი – 21 ოქტომბერი**

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი ლექსების კრებულისთვის დღიურში 17 პუნქტად წერს ლექსების სიას: „მამულო სიცოცხლეო“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „დილა გამარჯვებისა“, „ცხენი“, ადგილები პოემიდან „ამირანი“, „ბავშვები კაფეში“, „ომში მყოფ ქართველ ქალს“, „მფრინავი“, „ბავშვები ზღვის პირად“, „სტანსები“, „ელგუჯას დაბრუნება“, „დასვენება“, „იავნანა“, ლექსები სამოქალაქო ომის დროიდან, „ატმის ყვავილები“, „თეთრი ქარები“, ლექსები სპორტის თემაზე.

➤ 9966

1946

**25 სექტემბერი – 21 ოქტომბერი**

დღიურში იწერს 1945 წელს გამოცემული რუსული და ქართული პერიოდული გამოცემების – „იზვესტია“, „პრავდა“, „ზარია ვოსტოკა“, „ლიტერატურნაია გაზეტა“, „სოვერსკოიე ისკუსტვო“ „კომუნისტი“ და „ლიტერატურა და ხელოვნება“ სრული და ნაკლული კომპლექტების ნუსხას.

➤ 9967

1946

**21 ოქტომბრის შემდეგ**

წერს ლექსს „ეგვენას ბაღი“.

➤ 9968

1946

**21 ოქტომბრის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი თხზულებების IV ტომში სათაური არც ერთ ლექსს არ უნდა ჰქონდეს.

➤ 9969

1946

**21 ოქტომბრის შემდეგ**

დღიურში წერს, რომ „მნათობში“ მისი სახელი „გალაკტიონი“ შეცვლილია „გალაქტიონად“, თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც არ სიამოვნებს.

➤ 9970

1946

**21 ოქტომბრის შემდეგ**

წერს უსათაურო სალალობო ლექსს „ქიზიყელ შანშიაშვილსა...“.

➤ 9971

1946

**22 ოქტომბერი**

იმყოფება სოხუმში, კითხულობს ნიკოლაი ბრაუნის რუსული ლექსების კრებულს „ჩემი ნათელი მხარე“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. ერთ-ერთ ლექსს აწერს, რომ მისთვის გაუგებარია, ადამიანები რას ელოდებიან და ზაფხულის პერიოდში რატომ კარგავენ ძვირფას დროს.

➤ 9972

1946

## **24 ოქტომბერი**

დილის 11 საათსა და 11 წუთზე თბილისის სადგურში წერს ლექსს „ავჭალიდან – ტფილისამდე“ („დიდ განთიადის ნთებით...“).

➤ 9973

**1946**

## **22-25 ოქტომბერი**

დღიურში შავად წერს სოხუმში, აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობაში პისჩიკისთვის გასაგზავნად დეპეშას. აცნობებს, რომ ვერ მოასწრო მისი ნახვა და იმედოვნებს, რომ თბილისში შეხვდებიან.

➤ 9974

**1946**

## **22-25 ოქტომბერი**

დღიურში შავად წერს სოხუმში, აფხაზეთის მწერალთა კავშირში ხუხუტი ბლაჟბასთან გასაგზავნად დეპეშას. აცნობებს, რომ ვერ მოასწრო მისი ნახვა და რომ წიგნი „ზღვა ახმაურდა“ უკვე ჩააბარა გამოსაცემად.

➤ 9975

**1946**

## **25 ოქტომბერი**

ადგენს სოხუმში, აფხაზეთის რეგიონულ კომიტეტში ივანე ტუსკაძესთან გასაგზავნად დეპეშას. აცნობებს, რომ ვერ მოასწრო მისი ნახვა და რომ წიგნი „ზღვა ახმაურდა“ უკვე ჩააბარა გამოსაცემად.

➤ 9976

**1946**

## **25 ოქტომბერი**

ადგენს სოხუმში, აფხაზეთის მწერალთა კავშირში დიმიტრი გულიასთან გასაგზავნად დეპეშას. აცნობებს, რომ ვერ მოასწრო მისი ნახვა და რომ წიგნი „ზღვა ახმაურდა“ უკვე ჩააბარა გამოსაცემად.

➤ 9977

**1946**

## **30 ოქტომბერი**

დილის ექვს საათსა და თხუთმეტ წუთზე წერს გიორგი ქუჩიშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ლექსს „გიორგი ქუჩიშვილი“.

➤ 9978

**1946**

## **30 ოქტომბერი**

თხოვნით მიმართავს თბილისის გათბობის სამმართველოს, რომ პირადი საჭიროებისთვის მისცენ 8 კუბომეტრი შეშა.

➤ 9979

**1946**

## **31 ოქტომბერი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება მეგობარი მწერლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი ლექსი „გიორგი ქუჩიშვილს. 60 წლის შესრულების გამო“.

➤ 9980

1946

**ოქტომბერი**

ჟურნალში „პიონერი“ იბეჭდება ლექსი „ადამიანი“.

➤ 9981

1946

**ოქტომბერი**

ჟურნალში „მნათობი“ აქვეყნებს ლექსს „სადაც ეხლა ზვირთებს სძინავთ“.

➤ 9982

**ნოემბერი**

1946

**1 ნოემბერი**

გაკვირვებულია იმით, რომ მისი თხზულებების IV ტომის რედაქტორმა, გიორგი ნატროშვილმა, 20 დღის განმავლობაში ვერ მოახერხა წიგნის გადათვალიერება. სახელმწიფო გამომცემლობის სალიტერატურო განყოფილების გამგე, ალექსანდრე ჭეიშვილი ამშვიდებს, რომ ნატროშვილი მხატვრული ლიტერატურის კარგად მცოდნე და თვითონაც მწერალია. ფიქრობს, ძალიან გაუმართლა, თუ მართლაც ასეთი რედაქტორი ჰყავს მის წიგნს და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 9983

1946

**3 ნოემბერი**

მოსკოვში წერილს უგზავნის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობის დირექტორს და სთხოვს, აცნობონ, როგორ მიდის მისი წიგნის გამოცემის საქმე. წერს, რომ ხელშეკრულება გაფორმდა ჯერ კიდევ 1944 წლის მაისში. საჭიროდ მიიჩნევს, რომ წიგნს დაემატოს ბოლო ორი წლის ლექსების 5000 სტრიქონი წერს, რომ დასტურის მიღებისთანავე გააგზავნის ამ დამატებითი მასალის პწკარედულ თარგმანებს. აინტერესებს, ვინ იქნება რედაქტორი და მისგან, როგორც ავტორისგან კიდევ რამე ხომ არ არის საჭირო.

➤ 9984

1946

**4 ნოემბერი**

ლენინგრადიდან უგზავნიან თხოვნას, რომ თბილისის მუზეუმს შეასყიდვიონ მხატვარ კუზმა პეტროვოდკინის რომელიმე ნამუშევარი. წერილს თან ურთავენ მისი რეპროდუქციების ფოტოებს.

➤ 9985

1946

**5 ნოემბრის შემდეგ**

წერილს სწერს მოსკოვში ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორს, სოფია ხითაროვას. სთხოვს, აცნობონ წიგნის გამოცემის საქმის მიმდინარეობის შესახებ, რომლის ხელშეკრულება გაფორმდა 1944 წლის მაისში. თუ შესაძლებელია, სურს, წიგნს კიდევ დაემატოს 5000 სტრიქონი, შეატყობინონ, ვინ იქნება რედაქტორი და რით შეიძლება, რომ დაეხმაროს.

➤ 9986

1946

**5 ნოემბრის შემდეგ**

წერს ლექსის „სიმფონია გიორგობისთვის“ სამ ვარიანტს.

➤ 9987

1946

**5 ნოემბრის შემდეგ**

დღიურში ქართული და რუსული ასოებით იწერს ჰომეროსის „ოდისეადან“ ბერძნულ შესავალს და თარგმნის ქართულად. იგონებს, ბერძნულის მასწავლებელი, როგორ უხსნიდათ ამ ფრაზას და მოჰყავს დიალოგი მოსწავლეებს შორის, რომლებსაც არ ესმოდათ ბერძნული.

➤ 9988

1946

**5 ნოემბრის შემდეგ**

მუშაობს მოსკოვში ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდ რუსულ რჩეულ ლექსებზე. ინიშნავს ქართულ მოტივებზე დაწერილი ლექსების გიორგი ცაგარლისეულ თარგმანებს 1945 წელს გამოცემული კრებულიდან „ლირიკა“, 1937 და 1940 წლებში დაბეჭდილი წიგნებიდან „რჩეული ლექსები“ და 1942 წელს გამოცემული რუსული კრებულიდან „მშობლიური ჩემო მიწავ“.

➤ 9989

1946

**5 ნოემბრის შემდეგ**

დღიურში ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი რუსული რჩეული ლექსებისთვის წერს, რომ 1945 წელს გამოცემულ მის ქართულ რჩეულში არის 15.543 სტრიქონი, ამოღებულია 1.378 და რჩება 18.365. აინტერესებს, აქედან რამდენი სტრიქონია ნათარგმნი. დღიურში ინიშნავს, რომ რიურიკ ივნეევა თარგმნა ლექსი „ცხრა გენერალი“.

➤ 9990

1946

**5 ნოემბრის შემდეგ**

დღიურში აჯამებს მოსალოდნელ ხარჯებს: სამი კარკასისა და მათი გადმოტანისთვის – 400 მანეთი, კაფელი გადმოტანით – 750 მანეთი, აგური – 50 მანეთი, ხელოსანი - 2.000 მანეთი, ნიკელის საწოლები - 1.500 მანეთი, ელექტროგამათობელი - 300 მანეთი, სულ – 5.400 მანეთი. აღნიშნავს, რომ მეცნიერებათა აკადემიიდან იღებს 700 მანეთს, ამატებს ორი თვის პენსიას, 400 მანეთს და სულ იღებს 2100 მანეთს.

➤ 9991

1946

**5 ნოემბრის შემდეგ**

აპირებს შემოქმედებითი საღამოს გამართვას და აჯამებს თავის ერთი თვის შემოსავალს: პენსია – 1.000 მანეთი, აკადემიის ჯამაგირი – 1.400 მანეთი, მნათობის ჰონორარი – 7.725 მანეთი, რაც შეადგენს – 10.125 მანეთს, ამას გარდა აქვს 7.000 მანეთი, სულ – 17.125 მანეთი.

➤ 9992

1946

**5 ნოემბრის შემდეგ**

ადგენს ხარჯთაღრიცხვას, რა თანხები დასჭირდება საღამოების გამართვაზე ერთი წლის განმავლობაში: 50 მომხსენებელი, 50 მხატვარი, 50 კომპოზიტორი – თითოს 500 მანეთი, 50 მომღერალი და 50 მსახიობი – თითოს 300 მანეთი და 500 მანეთი სხვა ხარჯებისთვის.

➤ 9993

1946

**7 ნოემბერი**

მისი თხზულებების IV ტომის შესახებ რედაქტორის, გიორგი ნატროშვილის პასუხი ისევ არ არის. როდესაც გალაკტიონი იგებს, რომ ის თავისი მეგობრის, გიორგი ლეონიძის წიგნის რედაქტორიც არის, ეჭვი უჩნდება, პირველ რიგში მეგობრის წიგნს ჩააბარებს გამომცემლობას, შემდეგ კი – გალაკტიონისას. მართლაც ასე ხდება.

➤ 9994

1946

### 7 ნოემბრის შემდეგ

ნახულობს გიორგი ნატროშვილის მიერ რედაქტირებულ და სახელგამისთვის გადაცემულ თხზულებათა IV ტომს. გაცეხულია, რომ 11 ათასი სტრიქონის ნაცვლად მასში 2 ათასი სტრიქონიდაა დატოვებული, დანარჩენები კი ფანქრით უხეშად არის გადახაზული. ბრაზობს, რომ გიორგი ნატროშვილი წიგნს უმახინჯებს, ალექსანდრე ჭეიშვილი ხელს უწყობს ამას, ნიკო კიკნაძეს კი უხარია, რომ წიგნი ნაკლები მოცულობისა იქნება და გამომცემლობას მისი ბეჭდვა უფრო იაფი დაუჯდება. გალაკტიონი თავდაპირველად ფიქრობს, რომ ეს საკითხი ცენტრალურ კომიტეტში გაიტანოს განსახილველად, მაგრამ ამას შეიძლება წიგნის გამოცემის გაჭიანურება მოჰყვეს.

➤ 9995

1946

### 10 ნოემბერი

მწერალთა კავშირში ხვდება ლიტველი მწერლების დელეგაციას, სჩუქნის მათ საკუთარ წიგნებს და ინიშნავს იმათ სახელებსა და გვარებს, რომლებიც დაასაჩუქრა.

➤ 9996

1946

### 10 ნოემბრის შემდეგ

პეტრე შარიას ჰპირდება იმ რუსულენოვანი „რჩეულის“ ჩუქებას, რომელსაც იმხანად ამზადებს გამოსაცემად.

➤ 9997

1946

### 10 ნოემბრის შემდეგ

დღიურში ინიშნავს, რომ მეცნიერებათა აკადემიაში არ აქვთ ფული და დიდი ეკონომიაა საჭირო. უნდა მივიდეს აკადემიასა და გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკა“, ალექსანდრე პომორსკიმ და იური ვერხოვსკიმ უნდა თარგმნონ მისი ლექსები. აინტერესებს, რომელ საათზე იწყება მწერალთა კავშირში იური ვერხოვსკის საღამო.

➤ 9998

1946

### 10 ნოემბრის შემდეგ

სურს, გადახედოს თხზულებების IV ტომის კორექტურას.

➤ 9999

1946

### 10 ნოემბრის შემდეგ

აინტერესებს, როდის გამოვა „მნათობის“ სექტემბერ-ოქტომბრის ნომერი, რომელშიც დაიწყო მისი ლექსების ბეჭდვა ციკლიდან „ზღვა ახმაურდა“.

➤ 10000

1946

## 10 ნოემბრის შემდეგ

ფიქრობს, რომ ჯერ საჭირო არ არის სადამოების გამართვა. მართალია, ინდუსტრიული ინსტიტუტისთვის მზადაა აქვს გეგმა ინდუსტრიის მოტივებზე, მაგრამ არც ამ სადამოს ჩატარებას ჩქარობს. ფიქრობს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციაში გამართულ სადამოებს უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა ელფერი. ჩაფიქრებული აქვს შემდეგი სადამოები: პიონერების, ალპინისტთა კლუბის, სვანეთის, ხევსურეთის, მცხეთის, სომხების, „ზარია ვოსტოკას“, „კომუნისტისა“, „სახელგამის“, კომპოზიტორების, ხელოვნების საქმეთა კომიტეტის, რკინიგზელების, ბავშვების, მასწავლებლების, გეოგრაფების, უნივერსიტეტების, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, მშენებლების, ძველი თბილისის, ახალი თბილისისა და პროფკავშირების. მისი აზრით, დიადი სადამოები გამოვა.

➤ 10001

1946

## 15 ნოემბრამდე

რედაქტორის მიერ თხზულებების IV ტომში დატოვებულ 2 ათას სტრიქონს ნაწილებად ჰყოფს და გამოჰყავს 5200 სტრიქონი. ამ ვარიანტს მანქანაზე აბეჭდინებს და ხელახლა წარსადგენად ამზადებს. მართალია, გადაბეჭდვა 700 მანეთი უჯდება, მაგრამ ამ სახით წიგნის მოცულობა ნაკლებ ზარალდება.

➤ 10002

1946

## 15 ნოემბრამდე

რუსული პწკარედის გასაკეთებლად თამარ აბაშიძეს უგზავნის ლექსს „გმირული ნანგრევები“.

➤ 10003

1946

## 15 ნოემბრამდე

უთანხმდება ბესარიონ ჟღენტს მოსკოვში გამოსაცემი „რჩეული ლექსებისთვის“ მასალების სწრაფად შერჩევაზე. ფიქრობს, რომ მთავარია რუსული წიგნის გამოცემა, რისთვისაც საჭიროა ბევრი პწკარედული თარგმანი, 125 ლექსის 5.000 სტრიქონი მაინც. ფიქრობს, მათ შორის იყოს ლექსები 1944 წლის რჩეულიდან. საჭიროა მთარგმნელების მოძიება და საქმის დაჩქარება. ეთანხმება მთარგმნელი ფატი თვალთვამის მოსაზრებას, რომ ამ საქმეში უნდა ჩააბან ბორის პასტერნაკიც და სხვა მთარგმნელებიც.

➤ 10004

1946

## 15 ნოემბრამდე

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობისთვის, რომელიც ჰპირდება წიგნის გამოცემას, აპირებს მოამზადოს 3000 სტრიქონი და საქმე ამით დაამთავროს.

➤ 10005

1946

## 15 ნოემბრამდე

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი წიგნისთვის „ზღვა ახმაურდა“ არ აქვთ ქალაქი და ფიქრობს, რომ ამ საქმეში წიგნის რედაქტორი – გიორგი ჯიბლაძე დაეხმარება, მაგრამ საკუთარი თავის გარდა მაინც არავისი იმედი აქვს.

➤ 10006

1946

## 15 ნოემბრამდე

დღიურში წერს, რომ სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი თხზულებების IV ტომიდან და აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი წიგნიდან „ზღვა ახმურდა“ უნდა დაათვალიეროს რედაქტორების მიერ ამოღებული მასალები და რუსული წიგნისთვის „რჩეული ლექსები“ შეარჩიოს თარგმანისთვის საჭირო ტექსტები. ინიშნავს წიგნებიდან ამოღებულ პოემებსა და ლექსებს: „აკაკი წერეთელი“, „ჟუგა და ასიდა“, „ციხის საიდუმლო“, „სამი პალმა“, „ამირანი“, „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, „ძაუგიდან ბერლინამდე“, „ძლეული სენი“, „საუბარი ლირიკის შესახებ“, „ბარიკადებზე იბრძოდა ქალი“, „გამარჯვების დღე“, „კლასობრივი ბრძოლა“.

➤ 10007

1946

### 15 ნოემბრამდე

აპირებს რვეულების შექმნასა და გამოსაცემი წიგნებიდან ამოღებული ლექსების მათში დალაგებას, რადგან ეს ლექსები მისი ვალუტაა.

➤ 10008

1946

### 15 ნოემბრამდე

ფიქრობს, რომ უნდა დაათვალიეროს და დააღაგოს 1946 წლის გაზეთები მოსკოვის, კიევის, ბელორუსიისა და სხვა მასალების მიხედვით.

➤ 10009

1946

### 15 ნოემბრამდე

დღიურში წერს, რომ სომხებს ძალიან გაუმართლათ, გაზეთებში ყოველდღე ქვეყნდება მათზე სტატიები, რადგან ყველგან თავისი ხალხი ჰყავთ. აღნიშნავს, რომ ქართველებს არავის იმედი აქვთ და თვითონ უნდა აკეთონ ყველა საქმე.

➤ 10010

1946

### 15 ნოემბრამდე

დღიურში წერს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად არჩევის წინ იოსებ გრიშაშვილი ყველგან ცდილობს გამოჩენას.

➤ 10011

1946

### 15 ნოემბრამდე

დღიურში წერს, რომ სტენოგრაფია საუკეთესო საშუალებაა დიდი ნაწარმოების ჩასაწერად, რადგან აზრი იმაზე ბევრად უფრო სწრაფად გამოითქმის, ვიდრე კალამი წერს. შეიძლება, ორმა ლაკონიურმა სტრიქონმა დაიტოს უზარმაზარი პოემა. სისწრაფე არავისთვის ისე საჭირო არ უნდა ყოფილიყო, როგორც ფიოდორ დოსტოევკისთვის, რადგან ის ქმნიდა სხვაგვარ დიდ ტილოებს.

➤ 10012

1946

### 17 ნოემბერი

გალაკტიონ ტაბიძის დაბადების დღესთან დაკავშირებით, რადიოში ერთი საათის განმავლობაში კითხულობენ ლექსებს და მოხსენებას მისი შემოქმედების შესახებ.

➤ 10013



**1946**

**18 ნოემბერი**

ესწრება ალექსანდრე ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს რუსთაველის სახელობის თეატრში, რომელიც უგემურად ტარდება. იოსებ გრიშაშვილი ძალიან უღიმღამოდ გამოდის, რაც კარგი არ იქნება მისი აკადემიკოსად არჩევისთვის.

➤ 10014

**1946**

**18 ნოემბრის შემდეგ**

მიხეილ ჩიქოვანის წიგნზე „ქართული ფოლკლორი“ აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 10015

**1946**

**15-20 ნოემბერი**

დღიურში წერს, რომ თხზულებების IV ტომმა გაიარა შემოკლება-დამახინჯების პირველი პერიოდი, ისე რომ სახე თითქმის დაკარგა. იგებს, რომ ხელნაწერი გადაეცა ტექნიკურ რედაქტორს, ბენო გორდეზიანს სტამბაში გასაგზავნად და გორდეზიანი ატყუებს, რომ წიგნი უკვე სტამბაშია გაგზავნილი. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ამ ფუტურისტს საქმის შეფერხება სურს, მაგრამ ვერაფერს გახდება.

➤ 10016

**1946**

**15-20 ნოემბერი**

სახელმწიფო გამომცემლობა ბანკში ურიცხავს თხზულებების IV ტომის ჰონორარს.

➤ 10017

**1946**

**15-20 ნოემბერი**

თამარ აბაშიძისგან, რომელსაც გადასცა რუსული წიგნისთვის სათარგმნად ლექსი „გმირული ნანგრევები“, პასუხი იგვიანებს.

➤ 10018

**1946**

**15-20 ნოემბერი**

უკმაყოფილოა, რომ ნუნუ ებანოიძე, რომელსაც სთხოვა გამომცემლობიდან „ფედერაცია“ ივანე იოსელიანის წიგნის წამოღება, დავალებას არ ასრულებს.

➤ 10019

**1946**

**15-20 ნოემბერი**

აბესალომ ტაბიძე, რომელსაც სთხოვა ჭყვიშიდან თავისი ლექსების 1914 წლის გამოცემის, დედის სურათისა და ივანე ჯავახიშვილის რედაქტორობით გამომცემული საქართველოს რუკის ჩატანა, ხელცარიელი ჩადის. წუხს, რომ ახლობლებიც კი არ უსრულებენ თხოვნას, რის გამოც საქმე უფუჭდება.

➤ 10020

**1946**

**15-20 ნოემბერი**

მოსკოვში გამოსაცემი „რჩეულისთვის“ ბესარიონ ჟენტს გადასცემს ლექსების თარგმანების სრულ სიას და თარგმანების ნაწილს, „ქართულ „რჩეულს“ და თხზულებების IV ტომს,

რომლებშიც ხაზგასმული აქვს სათარგმნი ლექსები. მაგრამ საქმე ნელა მიიწევს წინ. ფიქრობს, რომ საჭიროა ბევრი პწკარედული თარგმანი, რადგან იმ ეტაპზე რუსული წიგნია მთავარი. ალექსანდრ პუშკინის უსათაურო ლექსიდან „ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი...“ მოჰყავს სტრიქონი – „ჩემი სახელით აივსება დიდი რუსეთი...“.

➤ 10021

1946

17-20 ნოემბერი

დღიურში წერს, რომ ლიტველი მწერლების დელეგაციის ჩამოსვლა და მწერალთა კავშირში 10 ნოემბერს გამართული შეხვედრა მისთვის სასარგებლო იყო და კარგად გაშუქდა გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“.

➤ 10022

1946

17-20 ნოემბერი

იწყებს საოჯახო საქმეების მოგვარებას – ელექტრონის შესაერთებლების დასაყენებლად იხდის 450 მანეთს და პირსაბანის მოსაწყობად 100 მანეთს. აპირებს პალმების, ფარდებისა და ნიკელის ორი საწოლის შეძენას, კაფელის სამი ღუმელის დადგმას, ელექტროზარის დაყენებას კაბინეტში და შემოსასვლელში. ოცნებობს პიანინოზე, ხალიჩასა და ერთ დივანზე. სურს, სევერიან კეცხოველს დაახატვინოს არწივი, რომელიც გიორგი ცაგარლის ნათარგმნი რუსული ლექსების წიგნის „ლირიკა“ ყდაზეა გამოსახული. ფიქრობს, დროა, სახლში კარგად მოეწყოს, რადგან სხვაგან რა მოხდება – არ იცის.

➤ 10023

1946

17-20 ნოემბერი

სურს, რომ ახალი წელი აღინიშნოს მისი ლექსებით – „მამ, დიდება მზეს“, „გამხიარულდი, ბუხარო“, „ეს წელიწადი ახალი“, რომლებსაც შეასრულებს გუნდი, გადაიცემა რადიოთი და გამოქვეყნდება ყველა გაზეთსა და ჟურნალში.

➤ 10024

1946

25 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის თეატრში იმართება პოეტ გიორგი ქუჩიშვილის დაბადების 60 და მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნი საღამო. გალაკტიონი წუხს, რადგან იუბილარი საღამოს ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება. სხვა პოეტებთან ერთად ისიც კითხულობს ქუჩიშვილისადმი მიძღვნილ ლექსს. საღამოს დასასრულს გიორგი ქუჩიშვილის სამადლობელ სიტყვას სპეციალური რადიოხაზით გადასცემენ დარბაზში მყოფ საზოგადოებას. საღამოს დასრულების შემდეგ სევდიანი გალაკტიონი სიმონ წვერავასთან ერთად რუსთაველის გამზირს მიუყვება. წვერავა ქუჩიშვილის მონახულებას სთავაზობს, მაგრამ გალაკტიონი მის შეწუხებას ერიდება.

➤ 10025

1946

ნოემბრის შემდეგ

წერს ლექსს „ატომის ენერჯია“ („რაა ატომის ენერჯია? ნუ გედარდებათ!..“).

➤ 10026

## დეკემბერი

1946

3 დეკემბერი

აკეთებს განაცხადს შემდეგი რუსულენოვანი ჟურნალ-გაზეთების გამოწერაზე: „პრავდა“, „იზვესტია“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „კულტურა ი ჟიზნი“, „პეტერბურგსკაია გაზეტა“, „უჩიტელსკაია გაზეტა“, „სოვეტსკოე ისკუსტვო“, „ზვეზდა“, „ზნამია“, „კნიჟნაია ლეტოპის“, „ლეტოპის გაზეტნიხ ვირეზოვ“, „ლეტოპის ჟურნალნიხ სტატიე“, „ლეტოპის რეცენზიი“, „ლიტერატურა ვ შკოლე“, „ნოვი მირ“, „ოკტიაბრ“, „ოგონიოვ“ და „ზარია ვოსტოკა“. ასევე იწერს ქართულენოვან გაზეთს „კომუნისტი“.

➤ 10027

1946

5 დეკემბერი

ჯიბიდან ამოართმევენ პასპორტს და 600 მანეთის აკრედიტივს.

➤ 10028

1946

7 დეკემბერი

ეცნობა რუსულ გაზეთს „ლიტერატურნაია გაზეტა“, ჩამოწერს და აანალიზებს ტექსტის კითხვის სხვადასხვა მანერას. აღნიშნავს, რომ მოუთმენლად, აჩქარებულად კითხვა უსარგებლო და საზიანოა, უსისტემო თუთიყუშობა და წიგნის უაზროდ ფურცვლა; უყურადღებოდ კითხვა სხვა საკითხებზე ფიქრს ნიშნავს, ამიტომ გასავარჯიშებლად საჭიროა მცირე ტექსტის მხოლოდ 4-5 წუთით კითხვა; ნახტომებით კითხვა არათანმიმდევრული და ზერეღეა, სჯობს პატარა ტექსტის საფუძვლიანად წაკითხვა; გაბმით კითხვა დიაკვნისებური, შეუსვენებელი, პასიური და მალე დამღლეღია, ამ დროს საჭიროა 10 წუთით შესვენება; მიტოვებული და დაუსრულებელი კითხვა კი – ასუსტებს ნებისყოფას.

➤ 10029

1946

10 დეკემბერი

განცხადებით მიმართავს სტალინის რაიონის სახალხო მილიციის უფროსს. ატყობინებს, რომ 5 დეკემბერს ამოართვეს პასპორტი და 600 მანეთის აკრედიტივი. ითხოვს ახალი პასპორტის მიცემას.

➤ 10030

1946

13 დეკემბრამდე

წერს ლექსს „ომგადახდილი აფხაზი“.

➤ 10031

1946

13 დეკემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენ ვიგონებდით ჩვენს სიყმაწვილეს...“.

➤ 10032

1946

13 დეკემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „არა მშობლიურ ზრუნვათა ზემო...“.

➤ 10033

1946

13 დეკემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ჩემმა ახალგაზრდობამ, დღემან პირმომცინარემ...“.

➤ 10034

1946

**13 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მრავალ მხარეს მოგზაური...“.

➤ 10035

1946

**13 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემმა სამშობლომ მშვენიერმა...“.

➤ 10036

1946

**13 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ფირუზისფერ ტალღებზე...“.

➤ 10037

1946

**13 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „დილა. სკოლისკენ. მელანი... ჩანთა...“.

➤ 10038

1946

**13 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „თრთის დასავლეთი, აწითლებს ზღვას...“.

➤ 10039

1946

**13 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „გამარჯვება, აფხაზეთო, შენი...“.

➤ 10040

1946

**13 დეკემბრის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის საქმეთა მდივნის პეტრე შარიას მოხსენება „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს ქართულ მწერლობაში შექმნილ ვითარებას. გალაკტიონის შესახებ პეტრე შარია აღნიშნავს, რომ იგი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი ქართველი პოეტია, რომელიც „თანამგზავრთაგან“ ყველაზე სწრაფად გადავიდა საბჭოთა მწერლობის პოზიციებზე და გაიმეორა ის გაბედული და სასახელო ნაბიჯი, რომელიც რუსულ ლიტერატურაში მისმა უფროსმა სულიერმა მოძმემ – ალექსანდრე ბლოკმა გადადგა.

➤ 10041

1946

**13 დეკემბრის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ საერთო სათაურით „ზღვა ახმაურდა“ იბეჭდება უსათაურო ლექსები: „ზღვა ახმაურდა...“, „ფირუზისფერ ტალღებზე...“, „მრავალ მხარეს მოგზაური...“, „ჩვენ შევექმენით, ჩვენი არის...“, „გამარჯვება, აფხაზეთო, შენი...“, „თრთის დასავლეთი, აწითლებს ზღვას...“, „დილა. სკოლისკენ. მელანი... ჩანთა...“, „გათენდა ცხრაას ორმოცდაექვსი...“, „ჩემმა

ახალგაზრდობამ, დღემან პირმომცინარემ...“, „სადაც ახლა ზვირთი ბზინავს...“, „არა მშობლიურ ზრუნვათა ზემო...“, „გახსოვს, როგორ შეხვდნენ, მერი...“, „არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე...“, „მოჰფენია ფერი ლილის...“, „მოგონებებმა შენს ჩრდილში ნახა...“, „ჩვენ ვიგონებდით ჩვენს სიყმაწვილეს...“, „მდიდარზე მდიდარ ბარში შეველი...“, „ჩემმა სამშობლომ მშვენიერმა...“, „აფხაზი, ომგადახდილი...“, „მშობლიურ ჩანგებს დაუგდე ყური...“.

➤ 10042

1946

### 21 დეკემბერი

მონაწილეობს გორში სტალინის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელსაც ასევე ესწრებიან: ვერიკო ანჯაფარიძე, ნატა ვაჩნაძე, ლეო ქიაჩელი, დავით სულიაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, შალვა აფხაიძე, ნიკოლოზ ჩაჩავა, რეზო მარგიანი, გივი გაჩეჩილაძე, მიხეილ კავსაძე და სხვები. გალაკტიონი დღიურში იწერს, რომ თავად გენიალურად გამოვიდა, მაგრამ ყველა სხვა მონაწილე მწერალსა და პარტიულ მუშაკსაც გენიალურობის პრეტენზია ჰქონდა.

➤ 10043

1946

### 21 დეკემბერი

გორში სტალინის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის ასწორებს ლექსს „გორი“. აღნიშნავს, რომ ამ ლექსით გაიხსნა 1939 წელს გამოცემული კრებული „ბელადს ქართველი მწერლები“, წერს საღამოში მონაწილეთა სიას.

➤ 10044

1946

### 25 დეკემბრამდე

თხზულებების VI ტომისთვის 12 პუნქტად ადგენს სამუშაო გეგმას. წერს, რომ 60 ლექსისთვის სჭირდება 60 სიტყვის ძირის შერჩევა და 30.000 ახალი რითმა, თითო ლექსისთვის – 500. ამ რითმების სუფთად ჩამოსაწერად სჭირდება 150-200-გვერდიანი ცალკე რვეული. მკითხველი რომ არ დაღალოს, უნდა შეამციროს ახალი გამოგონებები, გასაგები სიახლეები კი აუცილებელი და სასიამოვნოა მკითხველისთვის. უნდა გამოიყენოს სიტყვარები, კალენდრები, ქართლის ცხოვრება, სახარება, მუსიკალური ტერმინები, ენციკლოპედიები, ჟურნალ-გაზეთები, გრამატიკა, ეტიმოლოგია. ანგარიშობს, რომ თუ 500 რითმას ერთ დღეში დაწერს, 30000-ს ორი თვე მოუნდება და ამიტომ უნდა გამოიხსოს ხერხი, რომ დღეში ათასი რითმა ჩაწეროს. ლექსების მთლიანი გართმევა ძნელია, მაგრამ დიდი სიახლეა და ამ პრინციპს არ უნდა გადაუხვიოს. საჭიროდ მიაჩნია ხუთთვიანი კალენდარული გეგმის შემუშავება, რომელიც დაიწყება 1947 წლის პირველი იანვრიდან. მუშაობის მტკიცე საფუძველი უნდა გახდეს ყველა წინანდელი გამოცდილების გამოყენება.

➤ 10045

1946

### 8 სექტემბრიდან 28 დეკემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „უდიადესო სახელო...“.

➤ 10046

1946

### 8 სექტემბრიდან 28 დეკემბრამდე

დღიურში წერს, რომ გრიგოლ ორბელიანი 1870-იან წლებში ჟურნალში „ცისკარი“ ლექსებს ბეჭდავდა ფსევდონიმით „ძველი სემინარისტი“.

➤ 10047

1946

**8 სექტემბერი - 28 დეკემბერი**

დღიურში აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებაში დიპლომატიური ატაშეს თანამდებობაზე მომუშავე მწერალმა გივი მელაძემ ნარკვევის „თავისუფლებისათვის მებრძოლი ევროპის პოეზია“ წერისას ისარგებლა ფრანგული გამოცემით L'Année des poètes, რომელშიც მოცემულია პოეტების ბიოგრაფიები.

➤ 10048

1946

**8 სექტემბერი - 28 დეკემბერი**

დღიურში წერს მწერალთა კავშირის პარტ-ჯგუფში გაერთიანებული 18 მწერლის სიას. ჩამონათვალში არიან: ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, შალვა აფხაიძე, დიმიტრი ბენაშვილი, რაქდენ გვეტაძე, ალექსი გომიაშვილი, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, რევაზ მარგიანი, ალიო მაშაშვილი, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, დემნა შენგელაია, ალექსანდრე ჭეიშვილი, სიმონ ჩიქოვანი, იაკინთე ლისაშვილი, გიორგი კაჭახიძე.

➤ 10049

1946

**8 სექტემბერი - 28 დეკემბერი**

ჩადის კასპში და დღიურში მოკლე პუნქტებად იწერს ინფორმაციას კასპის ქარხნების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, მუშა-მოსამსახურეების შესახებ. საუბრობს ხალხის საყვარელი გმირის, არსენას უკანასკნელ სიტყვებზე, რომ კასპის ერთ დიდ კლდეში დამალული სამასი თუმანი ღარიბებისთვის დაერიგებინათ. აღნიშნავს, რომ კასპის დიდი კლდე დიდი მოძღვრების სიმბოლოა და ამ სიტყვებით მთელი ქართველი ხალხი ლაპარაკობს. მოჰყავს გოეთეს სიკვდილის წინ ნათქვამი – „სინათლე, მეტი სინათლე“, ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი სიტყვები – „რას სჩადიხართ“ და ასკვნის, რომ დიდი ხალხის უკანასკნელ სიტყვებში ჩანს მათი ცხოვრების შინაარსი და მისწრაფება.

➤ 10050

1946

**8 სექტემბერი - 28 დეკემბერი**

დღიურში იწერს იაკუბ კოლასის ლექსის „ბელორუსიის ტყეებს“ თარგმანს და აღნიშნავს, რომ პოეტი იყენებს მიმართვის ფორმას. იქვე ინტერესდება, კიდეც ვის აქვს გამოყენებული ეს ფორმა, გარდა იმისა, რომ თავადვე აქვს ლექსში „მერი“.

➤ 10051

1946

**31 სექტემბერი - 28 დეკემბერი**

იონა ვაკელი ეხმაურება გიორგი ქუჩიშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ მის ლექსს „პოეტი-ტრიბუნი“.

➤ 10052

1946

**30 დეკემბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ჩვენს სამშობლოს, ბედნიერს“ თარგმანი.

➤ 10053

1946

**დეკემბერი**

ჟურნალის „მნათობი“ 1931 წლის №11-12-ში დაბეჭდილი შალვა რადიანის სტატიიდან „ორი პოეტი“ დღიურში იწერს ციტატას იმის შესახებ, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გალაკტიონ ტაბიძეს, როგორც სხვა პოეტებს, ახასიათებდა პესიმიზმი. ფიქრობს, რომ კრიტიკოსი ამ შეხედულების მიხედვით თითხნიდა მისი თხზულებების იმ ტომებს, რომლის რედაქტორიც იყო. ფიქრობს, შეცდომას უშვებდა როცა ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევდა.

➤ 10054

**1946**

### **დეკემბერი**

კითხულობს ჟურნალის „მნათობი“ 1931 წლის №11-12-ში დაბეჭდილ შოთა ძიძიგურის სტატიას „ქართული სალიტერატურო ენა“. მის ყურადღებას იქცევს ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც მკვლევარი უარყოფითი ასპექტით განიხილავს მწერლების მიერ კუთხური ლექსიკის გამოყენებისა და ნეოლოგიზმების შექმნის პროცესს. შემდეგ კი დღიურში ინიშნავს ცალკეულ ციტატებს სტატიის ამ მონაკვეთიდან.

➤ 10055

**1946**

წერილს უგზავნის გიორგი ქუჩიშვილს. მოაგონებს, რომ ბევრი კარგი დრო გაუტარებიათ ერთად. ახსენებს, როგორ ეძებდნენ ერთხელ ბაღში ღამით დივერსანტებს და მეზობელი ავერინა შერჩათ ხელთ.

➤ 10056

**1946**

ბენედიქტე ჩიქობავა უკეთებს ლექსების რუსულ პწკარედებს და ეხმარება ახალი თუ წინათ თარგმნილი ლექსების რედაქტირებაში.

➤ 10057

**1946**

საქართველოს გასაბჭოების XXV წლისთავთან დაკავშირებით, როგორც საქართველოს აკადემიის წევრს, ლიმიტის გარეშე, მაღაზიიდან 900 მანეთად აძლევენ 4000 მანეთის ღირებულების სანოვაგეს – ორ კილო შაქარს, ორ კილო კარაქს, ერთ კილო შოკოლადის კანფეტს, ორ კილო წმინდა შოკოლადს, 50 ფორთოხალს, 10 კილო ვაშლს, სამ კილო ლორს, სამ კილო თევზს, ორ კილო ძეხვსა და სოსისს, ორ კილო ყველს.

➤ 10058

**1946**

უსათაუროდ წერს პოემის „დიდედას სათვალეები“ ფრაგმენტს „დიდედა იდგა – შემცველი მოგონებათა სავსეთა...“.

➤ 10059

**1946**

დღიურში იწერს ჟურნალის „მნათობი“ ნომრებს, რომლებშიც დაიბეჭდა მისი ლექსები და მისდამი მიძღვნილი სტატიები.

➤ 10060

**1946**

დღიურში წერს, რომ ჟურნალში „მნათობი“ 1935 წელს მისი არც ერთი ლექსი არ დაბეჭდილა. იმ დროს მთავარი რედაქტორი იყო გიორგი ყურულაშვილი და პასუხისმგებელი მდივანი – ლევან ასათიანი. ამიტომ ყველაფერი გასაგებია.

➤ 10061

**1946**

დღიურში წერს, რომ ჟურნალში „მნათობი“ 1936 წელს მისი არც ერთი ლექსი არ დაბეჭდილა და ეს მისთვის გასაგებია. „მნათობის“ იმ წლის №12-ში დაბეჭდილი საქართველოს განათლების სახალხო კომისრის – აკაკი თათარიშვილის სტატიის „ხალხთა მეგობრობის პოეზიის“ გამო, რომელიც ეძღვნება საქართველოს გასაბჭოების 15 წლისთავს და მენშევიკური დემოკრატიის სამარცხვინო წლების გამოხმაურებად უპირველეს ყოვლისა მოჰყავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პრესა“ ვრცელი ციტატა ციკლიდან „რევოლიუციონური საქართველო“.

➤ 10062

**1946**

დღიურში წერს, რომ ჟურნალში „მნათობი“ 1937 წლის №12-ში გამოქვეყნებული ბესარიონ ჟღენტის „შოთა რუსთაველი და სოციალისტური თანამედროვეობა“ ზერელე სტატიაა. მასში მოყვანილია მისი ლექსის სათაური „ჩვენი დროც ახალ რუსთაველს ელის“ და აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძე გარემოცვისადმი ღრმა პოეტურ დამოკიდებულებას ზოგჯერ რუსთაველის სტროფებში გარდატეხს.

➤ 10063

**1946**

დღიურში წერს, რომ ჟურნალში „მნათობი“ 1937 წელსაც მისი არც ერთი ლექსი არ გამოქვეყნებულა. პოეტის აზრით, რედაქციამ და ჟურნალის პასუხისმგებელმა მდივანმა – ლევან ასათიანმა ისევ შეგნებულად არ გამოაქვეყნეს ამ წლის პუბლიკაციების სია.

➤ 10064

**1946**

დღიურში წერს, რომ ჟურნალში „მნათობი“ 1944-1945 წლებში მისი არც ერთი ლექსი არ დაბეჭდილა.

➤ 10065

**1946**

საამკინძაო ცეხში აძლევს შეკვეთას, რომ აუკინძონ 1945 წლის გაზეთები და ჟურნალები: „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „პრავდა“, „იზვესტია“, „ლიტერატურნაია გაზეტა“, „ლიტერატურა ი ისკუსტვო“ და „ოგონიოკი“ და რამდენიმე წიგნი.

➤ 10066

**1946**

წერს უსათაურო ლექსს „შორია არე კამაროვან განსასვენებლის...“.

➤ 10067

**1946**

წერს უსათაურო ლექსს „შორია არე კამაროვან განსასვენებლის...“.

➤ 10068

**1946**

ფირზე იღებენ მის შეხვედრას თბილისის 1 მაისის სახელობის რაიონის მშრომელებთან სანკულტურის თეატრში.

➤ 10069

**1946**



## 11 ივნისი

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „ო, ნეტავი სულ მექარია...“.

➤ 10070

## 1946 ან შემდეგ

ეცნობა წიგნს „სტალინური კონსტიტუცია საბჭოთა კავშირის ხალხების პოეზიაში“. უკანა ფორზაცზე წერს ანა კალანდაძის ლექსიდან „ყაყაჩოსა სიწითლითა“ სტრიქონებს: „თეთრი ნისლი ნისლებს ირევს - ეს ხომ „ლურჯა ცხენებია?“.

➤ 10071

## 1946 ან შემდეგ

კითხულობს აკაკი შანიძისა და ივანე ჯავახიშვილის მომზადებულ წიგნს „გიორგი მთაწმინდელის ენა“ და აკეთებს მინაწერებს.

➤ 10072

## 1946 შემდეგ

აკეთებს მინაწერებს საბჭოთა საქართველოს ჰიმნის ტექსტზე, რომლის ავტორებიც არიან გრიგოლ აბაშიძე და ალექსანდრე აბაშელი. აღნიშნავს, რომ ჰიმნის ტექსტი მოძველებული იყო 1946 წელსვე. გარდა ამისა, მასში ვხვდებით აზრობრივ შეუსაბამობებსა და ტექნიკურ ხარვეზებსაც.

➤ 10073

## 1946

სურათს იღებს პოეტსა და პედაგოგ დომენტი თომაშვილთან და სჩუქნის მას წარწერით: „სახსოვრად ძვირფას დომენტის“.

➤ 10074

## 1946 ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „თუ წუთი შეგხვდა...“.

➤ 10075

\* \* \*

## 1947-მდე

1947 წლის მაღალი გემოვნებით გაფორმებულ ცნობარ-კალენდარში იბეჭდება გალაკტიონის ლექსის „ფიცი“ უკრაინული თარგმანი.

➤ 10076

## 1947

### იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „სიახლე დღეთა ესევითარი...“.

➤ 10077

## 1947

### ი ა ნ ვ ა რ ი

## 1947

### 1 იანვარი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ლექსი „საახალწლო“.

➤ 10078

## 1947

### 1 იანვარი

უმის წიგნაკში მთებისა და ამომავალი მზის ფონზე ფერადი ფანქრებით ხატავს გემს, რომელსაც ანძების ნაცვლად მიხატული აქვს თარიღი 19-, 1 – 1. -47. ქვემოთ მიწერილია „ავრორა“, არის ფაქსიმილე გ. ტაბიძე და თარიღი 1947. ნახატის ბოლოს მოზრდილი ასოებით წითელ და ლურჯ ფერებში არის მინაწერი „ფონი – გასავალს“.

➤ 10079

1947

#### იანვრის დასაწყისი ან შემდეგ

გაზეთის „იზვესტია“ 1946 წლის 11 ოქტომბრის ნომრიდან დღიურში იწერს ინფორმაციას ლენინგრადელი მწერლების საანგარიშო-საარჩევნო კრების შესახებ, რომელზეც სსრკ მწერალთა კავშირის ლენინგრადის განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ალექსანდრ პროკოფიევი და ილაპარაკა პოლიტიკური შეცდომებისა და საბჭოთა ლიტერატურის წინაშე მდგარი დიდი მიზნების შესახებ. კრებაზე მიიღეს მუშაობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების რეზოლუცია და აირჩიეს ახალი გამგეობა.

➤ 10080

1947

#### იანვრის დასაწყისი ან შემდეგ

დღიურში იწერს, რომ უნდა მოახერხოს ბოლო სამი თვის განმავლობაში ლიტერატურის გარშემო მოსკოვში, თბილისში, ლენინგრადსა და კიევში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების შესწავლა.

➤ 10081

1947

#### 11 იანვარი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ლექსი „ხმას ვაძლევ სტალინს“.

➤ 10082

1947

#### 14 იანვარი

კითხულობს 1928 წელს შექმნილ ნიკო ლომოურის წიგნს „ქრისტიანი ლეკები“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. აღნიშნავს, რომ ქვესათაური „ფოტოგრაფიული ამბები“, რევოლუციურ ამბებს, ანუ ნამდვილი ცხოვრებიდან აღებულს უნდა ნიშნავდეს. აინტერესებს, რატომ ახსენებს ნიკო ლომოური თავის მოთხრობებში ხშირად სახელ „სვიმონს“. წერს, რომ ქართლური ენა არ ჰგავს ეგნატე ნინოშვილის ენას, ლაკონიზმი არ ახასიათებთ ნიკო ლომოურს, ლალიონსა და მელანას.

➤ 10083

1947

#### 14 იანვარი

ნიკო ლომოურის მოთხრობის „ქრისტიანი ლეკები“ ფინალით მოხიბლული შენიშნავს, რომ მწერალმა გამოიყენა ცენზურის „გაცურების“ იშვიათი ხერხი – გმირს სიმართლე ათქმევინა, რომ ავაზაკს ფიზიკურად უნდა გაუსწორდნენ და არა საჩივრების წერით. მას ხალხიც აჰყვას სიტყვებით, რომ მამა-პაპას აღარ ჰგვანან ვაჟკაცობით და გაქალაჩუნდნენ. მაგრამ ბოლოს გმირი თავჩაღუნული უსიტყვოდ დააყენა, აღარაფერი ათქმევინა და ხალხიც სულგანაბული წარმოაჩინა.

➤ 10084

1947

#### 20 იანვრამდე

იღებს გიორგი ქუჩიშვილის წერილს, რომელიც აუწყებს, რომ წინა დღეს მასთან ორმა ქალმა დარეკა და იკითხა გალაკტიონ ტაბიძის საცხოვრებელი ადგილი. უპასუხა, რომ ცხოვრობს ქვედა სართულზე, მაგრამ საავადმყოფოში წევს. სთხოვეს მისთვის წერილის გადაცემა, რომელსაც უგზავნის. ჰპირდება, რომ ორ დღეში ინახულებს.

➤ 10085

1947

**20 იანვარი**

გარდაიცვალა გალაკტიონის მეგობარი და მეზობელი პოეტი გიორგი ქუჩიშვილი.

➤ 10086

1947

**20 იანვრის შემდეგ**

ხვდება ილია ავლამე და ეუბნება, რომ ვისაც გიორგი ქუჩიშვილის გარდაცვალება აცნობა, ყველას მასავით ცრემლი მოადგა.

➤ 10087

1947

**20 იანვრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მგოსნის ერთი ლექსი...“.

➤ 10088

1947

**21 იანვარი**

არის გიორგი ქუჩიშვილის სამთავრობო დამკრძალავი კომისიის წევრი. არ მოსწონს პეტრე შარიას თვითნებური ჩარევები ამ კომისიის მუშაობაში და გარდაცვლილის ოჯახის უცნაური მონური მორჩილება ყველა მისი ახირებისადმი. კომისიის წევრები თავდაპირველად თანხმდებიან გალაკტიონის წინადადებას, რომ პოეტი პარასკევს, 24 იანვარს დაიკრძალოს დიდუბის პანთეონში, ვინაიდან 22 იანვარი, ლენინის ხსოვნის დღე, უქმეა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და პრესაში გარდაცვალების ცნობის გავრცელება ვერ მოესწრება. ოჯახიც თანახმაა, მაგრამ როცა ამის შესახებ პეტრე შარიას ტელეფონით აცნობებენ, ის კატეგორიულად მოითხოვს, რომ დაკრძალვა 23 იანვარს დაინიშნოს.

➤ 10089

1947

**21 იანვარი**

უბის წიგნაკში იწერს გიორგი ქუჩიშვილის გარდაცვალებით და მისი დამკრძალავი კომისიის მუშაობით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს. აღნიშნავს, რომ თანამდებობის პირები უხემად იჭრებიან ოჯახებში. შეშფოთებულია, რომ მომაკვდავ გიორგი ქუჩიშვილს ღამე უთიეს ლორთქიფანიძის და ჩხიკვაძის ქალებმა, რომელთაც კონსტანტინე ლორთქიფანიძის თქმით, დაურეკა გიორგი ქუჩიშვილის მეუღლემ, ვასასიმ. შეშფოთებულია, რომ ამავე დროს, არც მას და არც სხვა მეზობლებს არ აცნობეს გიორგი ქუჩიშვილის ჯანმრთელობის კრიტიკული მდგომარეობა. მსჯელობს ასეთი დამოკიდებულების გამომწვევ მიზეზებზე. ასკვნის, რომ ამიერიდან საქართველოში მას არ ეგულება არც ერთი პატიოსანი ოჯახი.

➤ 10090

1947

**21 იანვარი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ქვეყნდება ნეკროლოგი, რომელშიც ნათქვამია, რომ წინა დღეს დილით ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოეტი გიორგი ქუჩიშვილი.

იქვე აღნიშნულია, რომ პოეტის დაკრძალვის ორგანიზებისთვის შეიქმნა სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ვიქტორ კუპრაძე, სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ხორავა, გალაკტიონ ტაბიძე და მდივანი ალექსანდრე გომიაშვილი.

➤ 10091

1947

22 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ქვეყნდება გიორგი ქუჩიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერს მწერალთა კავშირის 65 წევრი, მათ შორის მეოთხეა გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 10092

1947

22 იანვარი

გაზეთი „კომუნისტი“ ბეჭდავს გიორგი ქუჩიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოსამშვიდობებელ წერილს, რომელსაც სხვა მწერლებთან ერთად ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 10093

1947

23 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ჩემს ყრმობის ხანში...“.

➤ 10094

1947

23 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „როგორც მფლობელი ფასუდებ ტახტის...“.

➤ 10095

1947

23 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „მე არაერთხელ მინახავს...“.

➤ 10096

1947

23 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „გემზე ვდგევართ ჩვენ ვარდებით...“.

➤ 10097

1947

23 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ზღვის სიყვარული...“.

➤ 10098

1947

23 იანვარი

ესწრება გიორგი ქუჩიშვილის გადასვენებას მწერალთა სასახლეში, მის სამოქალაქო პანაშვიდს და გამოსვენებას მწერალთა სასახლის შენობიდან დღის 3 საათზე.

➤ 10099

1947

**23 იანვარი**

მონაწილეობს გიორგი ქუჩიშვილის დაკრძალვის ცერემონიაში დიდუბის პანთეონში. ცრემლით აცილებს უკანასკნელ გზაზე. გულისტკივილით ახსენდება მისი სიტყვები ლექსიდან, რომელიც გამოქვეყნდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“: „ჩემს პროცესიას ამშვენებდეს გალაკტიონი, გვარად ტაბიძე და ტიტულით მეფე-მგოსანი...“.

➤ 10100

1947

**23 იანვრის შემდეგ**

ჟურნალი „მნათობი“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლის „ზღვა ახმაურდა“ გაგრძელებას, რომელიც აერთიანებს უსათაურო ლექსებს: „ჩემს ყრმობის ხანაში...“, „მე არაერთხელ მინახავს...“, „რა კარგზე კარგი...“, „გემზე ვდგევართ ჩვენ ვარდებით...“, „შუადღისას, როცა ზღვაზე...“, „შავი ზღვის პირად...“, „ზღვის სიყვარული...“, „როგორც მფლობელი...“.

➤ 10101

1947

**20-24 იანვარი**

წერს მეგობრის – პოეტ გიორგი ქუჩიშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „ვერ გაიმარჯვებს ყორანი შავი...“.

➤ 10102

1947

**24 იანვრის შემდეგ**

წერს პროზაულ ესკიზს „რაც იყო და არ იყო“.

➤ 10103

1947

**24 იანვრის შემდეგ**

უსათაუროდ წერს პოემის „დიდედას სათვალეები“ ერთ სტროფს „ანდუყავარ სანადიროდ...“.

➤ 10104

1947

**24 იანვრის შემდეგ**

წერს ლექსს „ისტორიის ერთი გვერდი“ („შენ ისტორიას სწერდი ანბანით...“).

➤ 10105

1947

**25 იანვარი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება მეგობარი მწერლის, გიორგი ქუჩიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „შენ გმირს უმღერდი“.

➤ 10106

1947

**25 იანვარი ან შემდეგ**

გაზეთიდან „Заря Востока“ რუსულად იწერს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას წერილის სათაურს: „ისტორიული სიმართლის უხეში დამახინჯება“ და გაზეთის გამოსვლის ცნობებს.

➤ 10107

1947

## 27 იანვრის შემდეგ

სანდრო შანშიაშვილის რჩეული ნაწერების წიგნის სატიტულო გვერდზე აწერს: „სანდრო შანშიაშვილის რჩეულის ნაწერები ერთ ტომად. შანშიაშვილი ანუ სულ მშია-მშია-მშიაშვილი. ეულიც აქედანაა – „დამშეული“. ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს და სვამს კითხვის ნიშნებს.

➤ 10108

1947

## 27 იანვრის შემდეგ

ვაჟა-ფშაველას ლექსების პირველი ტომის სატიტულო გვერდზე წერს შენიშვნებს, რომ წინა 4 გვერდი ცარიელია, წარწერა „ლექსები“ არ ესადაგება წარწერას „ვაჟა-ფშაველა“, რომ აკაკი შანიძე არის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და აინტერესებს, რედაქტორობისას მან უფრო მეტი შრომა გასწია თუ ალექსანდრე აბაშელმა. ფიქრობს, რომ ვაჟა-ფშაველას პორტრეტი მე-6 გვერდზე კი არა, უფრო გამოსაჩენ ადგილას უნდა დაებეჭდათ. მწერლის ბიოგრაფიაში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. ინიშნავს ლექსებს ზღვისა და შიმშილის მოტივებზე.

➤ 10109

1947

## 28 იანვრამდე

წერს უსათაურო ლექსს „სულ არ ვივლი ამ ქვეყანას...“.

➤ 10110

1947

## 28 იანვრამდე

წერს ლექსს „მუმლი წყდებოდა“.

➤ 10111

1947

## 28 იანვრამდე

წერს ლექსს „დნეპრი“.

➤ 10112

1947

## 28 იანვრამდე

წერს ლექსს „არაგვი“.

➤ 10113

1947

## 28 იანვრამდე

წერს ლექსს „თავისუფლება ქალის“.

➤ 10114

1947

## 28 იანვრამდე

წერს ლექსს „აი, მძლავრი მთების ხაზი“.

➤ 10115

1947

## 28 იანვრამდე

წერს ლექსს „ღრუბლები შორი, აფრები შორი“.

➤ 10116

1947

**28 იანვრამდე**

წერს ლექსს „მშვენიერი აფხაზეთის“.

➤ 10117

1947

**28 იანვრამდე**

ცვლილებები შეაქვს 1941 წელს დაწერილ უსათაურო ლექსში „ვარაზის ხევის სახლიდან...“ და ქმნის ნაწარმოების ახალ ვარიანტს, რომელიც შეაქვს თავისი რვატომეულის მეოთხე ტომში სათაურით „ვენეციურ ხიდეზე“.

➤ 10118

1947

**28 იანვრამდე**

წერს ლექსს „დაიდრა ქვეითი ჯარი“.

➤ 10119

1947

**28 იანვრამდე**

წერს ლექსს „რკინის ჯაჭვით“.

➤ 10120

1947

**28 იანვრამდე**

წერს ლექსს „ერთხელო, – ჰყვება შარდენი“.

➤ 10121

1947

**28 იანვრამდე**

წერს ლექსს „რად მინდა ქვეყნად ცხოვრება“.

➤ 10122

1947

**28 იანვრამდე**

წერს ლექსს „მე დნეპრს ვიცნობ ახლო“.

➤ 10123

1947

**28 იანვრამდე**

წერს ლექსს „მესხის დაბრუნება“.

➤ 10124

1947

**28 იანვრამდე**

წერს ლექსს „ადამიანის ბორკილებში ჩაჭედვისათვის“.

➤ 10125

1947

## 28 იანვრამდე

წერს ლექსს „აფხიარცა!“.

➤ 10126

1947

## 28 იანვრამდე

წერს ლექსს „ყარაია“.

➤ 10127

1947

## 28 იანვრამდე

წერს ლექსს „არწივი“.

➤ 10128

1947

## 28 იანვრამდე

განცხადებით მიმართავს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ ნიკო კიკნაძეს. უხსნის, რომ მასა და გამომცემლობას შორის კამათი აღარ მთავრდება, არადა საქმე ეხება ისეთ საკითხს, რაც არის მხოლოდ ავტორისა და რედაქტორის გადასაწყვეტი. წერს, რომ იძულებულია უარი თქვას მისი თხზულებების მეოთხე ტომის მათ მიერ გამოცემაზე.

➤ 10129

1947

## 28 იანვარი

სახელმწიფო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი გასცემს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეოთხე ტომის ტირაჟის ბეჭდვის ნებართვას.

➤ 10130

1947

## 28 იანვრის შემდეგ

სახელმწიფო გამომცემლობა გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეოთხე ტომს, რომელიც აერთიანებს შემდეგ ლექსებს: „ადამიანის ბორკილებში ჩაჭედვისათვის“; „აი, მძლავრი მთების ხაზი.“; „ამირანი, მიჯაჭული კავკასიონის მთებზე“; „არაგვი.“; „არაგვის ქარი“; „\*(„არ დაგავიწყდეს“); „არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე“; „არ დავინდობთ, ვინც არ გვინდობს“; „აფხაზი ომგადახდილი“; „აფხიარცა, როგორ ჟღერდი.“; „აჭარელი მფრინავი“; „აჭარის სილაჟვარდემი“; „ახალი წელი“; „ბავშვები ზღვის პირად“; „ბათუმი“; „ბარათაშვილი“; „ბოსტანიდან, სადაც“; „\*(„ბობოქარ ტალღებს გასცქერის“); „გახსოვს?“; „გამარჯვების პირველი სალუტი“; „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“; „გახსოვდეს მარად“; „გათენდა ცხრასს ორმოცდა ექვსი“; „დაბრუნება სვანეთში“; „დაიმრა ქვეითი ჯარი“; „დიადი მონათება“; „დილა გამარჯვებისა“; „დილა, სკოლისკენ, მელანი, ჩანთა..“; „დიდება“; „დნეპრი“; „დნეპროპეტროვსკი“; „დონის ბასეინს“; „ელგუჯას დაბრუნება“; „ერთხელო, ყვება შარდენი“; „ეს წელიწადი ახალი“; „ესტონეთს“; „ვისი არის ეს გუგუნი!“; „ვენეციურ ხიდეზე“; „ვესპერი“; „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“; „ვწერ ამ სტრიქონებს“; „ზღვა ახმაურდა“; „ზღვის სიყვარული“; „თავისუფლება ქალის“; „თამარი ზღვის პირად“; „თასი“; „თრთის დასავლეთი, აწითლებს ზღვას“; „იავნანა“; „იმერის დაბრუნება“; „ის გამოხედვა მზიური“; „ის ადგილები, სადაც ყრმობა გიტარებია“; „ისეთმა ქარმა დაჰბერა“; „ისევ მესხის გამოხედვა“; „ირაკლი მომგები ასი ომის“; „ისტორიის ახალი გვერდი“; „კავკასიონის დასაცავად“; „კავკასიონის კლდეებზე“; „კავშირი გულთა შორის“; „კამკაშა მზის მხურვალეება“; „კვლავ შეგვახვედრებს გამარჯვება“; „კლდეთ სდგას ჩვენი მამული“; „ლენინგრადს“; „ლენინგრადის ფაბრიკა ბლოკადის დღეებში“; „მამული, სიცოცხლეო!“; „მადლობა აფხაზეთს“; „მაისის დღეები“; „მას განათებულს ივერიის მზით“; „მამ,



დიდება მზეს“; „მახაჯირი“; „მე კავკასიის ქედები მთხოვენ“; „მე დნეპრს ვიცნობ ახლო“; „მე შენს ყვავილებს ვზოგავ“; „მესხის დაბრუნება“; „მთავარსარდლის შორსმჭვრეტელო მზერავ“; „მთებს გახედე, რატი!“; „მიაგდებს მერანს მხედარი“; „მრავალ მხარეთ მოგზაური“; „მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა“; „მუშლი წყდებოდა“; „მშობლიურო ჩემო მიწავ“; „მშობლიურ ჩანგებს დავუგდებ ყურს“; „მშვენიერი აფხაზეთის“; „მშფოთარებაში დინჯი“; „მხარე, გეთაყვა.“; „ნანგრევები შავი ზღვის პირად“; „ო, სიხარულო შემოქმედების“; „ომი მწვერვალებზე“; „ომში მყოფ ქართველ ქალს“; „ორი სამყარო“; „ოქროს ნავი“; „რა კარგზე კარგი დროა – თენება“; „რად მიწადა ქვეყნად ცხოვრება“; „რატი რატიშვილი“; „რიცა“; „რკინის ჯაჭვით“; „რომ შეჰქმნა რამე დიადი“; „როგორ მერანი“; „სადაც ეხლა ზვირთებს სძინავთ“; „სამხრეთ დაბლობზე“; „სამშობლოსათვის თავდადების დრონი მეფობენ“; „სანატორია“; „საქართველოს ვარსკვლავი“; „სევასტოპოლის დამცველს“; „სიძველენი“; „სიმფონია ფესვების“; „სულ არ ვივლი ამ ქვეყანას“; „სტალინი“; „სტალინგრადთან“; „სხვა ყვავილები“; „ტყვარჩელი“; „ფირუზისფერ ტალღებზე“; „ქარი მოარხევს დროშებს“; „ქართული ორნამენტი“; „ქვეყანა გახდა მუდმივი მზე“; „ღრუბლები შორი, აფრები შორი“; „ყაზბეგის მხრები“; „ყოველი დღე“; „შავი ზღვის პირად“; „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“; „შუქი აღმოსავლეთით“; „ჩანგო, ვით წინად ეხლაც მოველი“; „ჩემმა ახალგაზრდობამ“; „ჩემს ყრმობის ხანში“; „ჩვენ შევექმენით, ჩვენი არი“; „ჩვენთვის სიცოცხლე ყველაფერს ნიშნავს“; „წიგნების შესახებ“; „ხარკოვს“; „ხედავ, გაშლილი სივრცეა წინა“; „ჯარი სიმღერით მიდის“; „ჰე, მამულო“.

➤ 10131

1947

### 28 იანვრის შემდეგ

თხზულებების IV ტომის ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს, ასწორებს, აღნიშნავს რომელი ლექსის რამდენი სტრიქონი უნდა გაერთიანდეს ერთ სტრიქონად.

➤ 10132

1947

### 28 იანვრის შემდეგ

ადგენს თხზულებათა მეხუთე ტომის მოსამზადებელ გეგმას. მიუთითებს, რომ აუცილებელია პოემების „ათას ცხრაას ორმოცი წელი“ და „სამი პალმა“ გადამუშავება. თხზულებათა მეოთხე ტომისა და კრებულის „ზღვა ახმაურდა“ შედარება დაუბეჭდავი ლექსების გამოსავლენად. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ლექსების შეგროვება. პოემა „აკაკი წერეთლის“ გადახედვა. „იმერის დაბრუნების“ მეორე ვარიანტის შექმნა. დაგროვილი მასალების ზუსტი სიის შედგენა.

➤ 10133

1947

### 28 იანვრის შემდეგ

თხზულებების IV ტომის ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს, ითვლის და ასწორებს სტრიქონებს. წერს ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს, ლექსი სად გამოქვეყნდა, ვინ თარგმნა ან რომელმა მსახიობმა წაიკითხა. ლექსზე „ჰე, მამულო“, აღნიშნავს, რომ 1944 წელს მოსკოვში წაიკითხა ვასილი კაჩალოვმა, მუსიკის ავტორია დიმიტრი არაყიშვილი, კორნელი კეკელიძე კი გამოეხმაურა სიტყვებით – უნდა გვახსოვდეს სამშობლო, პოეზია და ადამიანი. ლექსის „თასი“ შესახებ წერს, რომ შესანიშნავად კითხულობდა პიერ კობახიძე და რუსულად თარგმნა სერგეი შერვინსკიმ. ლექსის „ჩანგო, ვით წინად, ახლაც მოველი“ პირველ სტროფს აწერს სტრიქონებს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემიდან „ბედი ქართლისა“: „ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს არად მიაჩნის უბედურება“. ლექსის „სამშობლოსათვის თავდადების დრონი მეფობენ“ შესახებ აღნიშნავს, რომ დაიბეჭდა ბევრგან და ითარგმნა რუსულად. ლექსზე „ჯარი სიმღერით მიდის“ წერს, რომ საინტერესოა პარალელი ლექსთან „საუბარი ლირიკის შესახებ“. ლექსს „ელგუჯას დაბრუნება“ აწერს, ვინ თქვა, თითქოს ამ ლექსის ავტორი პოემას ვერ დაწერსო და ამატებს ახალ

სტროფს: „დღეს, როდესაც წყნარია / მშობლიური ბუნება, / რაღაც სულ სხვაგვარია / ელგუჯას დაბრუნება“.

➤ 10134

1947

### 30 იანვარი

დაკარგული პასპორტის გამო მესამედ მიაკითხა კომისარიატს, სადაც მის პასპორტს ვერ პოულობდნენ. საქმეში ჩაერთო კომისარი, რომელმაც თანამშრომლებს აუხსნა ვინ არის გალაკტიონი და დაავალა მისთვის პასპორტის შინ მიტანა.

➤ 10135

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1947

### 1 თებერვალი

ედიშერ ყიფიანი უძღვნის ლექსს „ლექსი მთელმა საქართველომ იცოდა“.

➤ 10136

1947

### 2 თებერვალი

უბის წიგნაკში გრაფიტის ფანქრით ხატავს გემს, რომელსაც ანძების ნაცვლად აქვს თარიღი 19-2 / 2-47, მინაწერი 1917. ნახატის ქვეშ არის ფაქსიმილე „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 10137

1947

### 6 თებერვალი

სიტყვით გამოდის და ლექსს კითხულობს ქ. თბილისის მეშვიდე საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კრებაზე, რომელშიც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატად კენჭს იყრის ლავრენტი ბერია.

➤ 10138

1947

### 7 თებერვლის შემდეგ

კითხულობს ჟურნალს „მნათობი“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. ალიო მამაშვილის ლექსზე „მაშინ რა ვიყავი?“ აწერს, რომ აბსოლუტურად არაფრის მთქმელია.

➤ 10139

1947

### 7 თებერვლის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს მარიამ გარიყულის მოგონებას „განვლილი გზა“. აღნიშნავს, რომ მასაც ახსოვს სახალხო თეატრის შენობა, იცნობდა მოგონებაში ნახსენებ ყველა პირს – მარიამ დემურას, გიორგი ლასხიშვილს, შაქრო ბილანიშვილს, გრიგოლ რცხილაძეს, ილია აგლაძეს. დიდებულად მიაჩნია, რომ მარიამ თათეიშვილ-რატიანმა ფსევდონიმად „გარიყული“ აირჩია სცენიდან გარიყვის გამო. გერონტი ქიქოძის „სახალხო გაზეთის“ რედაქტორობის შესახებ წერს, რომ ის პერიოდი იქნებოდა, როდესაც ხოლერის შესახებ მონოგრაფიას წერდა. პაოლო იაშვილთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მწერალთა ყრილობაზე გრიგოლ რცხილაძეს სკამი კინაღამ დაარტყა თავში. ფიქრობს, რომ ამ მოგონების მთავარი ღირსება გულწრფელი და სამართლიანი თხრობაა – აკაკის ტრამვიდან გადმოსვლა, ილია ანდრეევის ქუჩაზე, ეკატერინე გაბაშვილის ისტორია, იროდიონ ევდოშვილი როგორც თეატრალი, ილია აგლაძე როგორც რედაქტორი, თებერვლის დღეები ქუთაისში, ტრამვაი რუსთაველის პროსპექტზე, სამტრედიის ეზოების აღწერა კი – შედეგურია.

➤ 10140

1947

### 7 თებერვლის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს ალექსანდრე აბაშელის ნიკოლაი ნეკრასოვისადმი მიძღვნილ ლექსებს, ასევე ალიო მაშაშვილისა და ვასილ გორგამის მიერ ნათარგმნ იმავე ავტორის ლექსებს, ხაზს უსვამს რითმებს და აღნიშნავს, რომ მისი რითმები აქვთ გამოყენებული.

➤ 10141

1947

### 9 თებერვალი

გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „არჩევნების დღე“.

➤ 10142

1947

### 11 თებერვალი

უბის წიგნაკში წერს განცხადების შავ პირს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სახელზე, სადაც აღნიშნულია, რომ ბინაში, რომელშიც იგი 1935 წლიდან ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, რომ ახალი აშენებულია, ჩამოდის წყალი და უკვე საჭიროებს რემონტს, რომ სამოთახიან ბინაში 6 სული ცხოვრობს, მას მუშაობისთვის საჭირო პირობები არა აქვს, ვერ განუთავსებია ბიბლიოთეკა და ამის გამო პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი სოფელში და კიდევ სხვა ოჯახში არის განთავსებული. აღნიშნავს, რომ ბინის ღირსება მისთვის იმაში მდგომარეობს, რომ ის მეორე სართულზე მდებარეობს, რაც მისთვის, გულით ავადმყოფისთვის აუცილებელია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ითხოვს დახმარებას ახალი ბინის აღმოჩენაში, რომ როგორმე მოეწყოს და მიიღოს საშუალება გულდადებით ემსახუროს საერთო საქმეს. განცხადებაზე თარიღის დასმის შემდეგ აღნიშნავს, რომ მხოლოდ ეს განცხადება საკმარისი არ იქნება.

➤ 10143

1947

### 11 თებერვალი

განცხადებით მიმართავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილს. წერს, რომ ჟორესის (ამჟამინდელი მარჯანიშვილის) ქუჩის 4 ნომერში სამოთახიან ბინაში ცხოვრობს ექვსი სული, რის გამოც სამუშაო პირობები არა აქვს. წიგნები და ხელნაწერები ბინაში რომ ვერ ეტევა, ზოგი სოფლად აქვს და ზოგი სად. წერს, რომ მისი ბინის ერთადერთი დადებითი მხარე ისაა, რომ მეორე სართულზეა, რაც მისნაირი გულით ავადმყოფისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ითხოვს მისთვის ახალი ბინის გამოძებნას.

➤ 10144

1947

### 11 თებერვალი

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სახელზე დაწერილ განცხადებასთან დაკავშირებით ურჩევნ, რომ ბინა მოითხოვოს იმ სახლში, რომელსაც აშენებენ მეცნიერებათა აკადემიის წევრებისთვის და ისიც განცხადების ბოლოს ამატებს ამ თხოვნას.

➤ 10145

1947

### 13 თებერვალი

მხატვართა კლუბში ათვალისწინებს სხვადასხვა მხატვრების პლაკატების გამოფენას, რომელიც მასზე ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს. პლაკატები მდარე გემოვნებით არის შექმნილი, ხოლო

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის მოტივებზე შექმნილი ხუთი თუ ექვსი პლაკატი გამოფენილი არ არის, ამასთანავე წარმოდგენილია ირაკლი აბაშიძის, ალიო მირცხულავას და სხვათა ლექსებზე შექმნილი პლაკატები. იგი ასკვნის, რომ ყოველივე გამოწვეულია წინასწარ განსაზღვრული ჯგუფობრივობით და აღნიშნავს, რომ მისთვის მოულოდნელია ლადო გუდიაშვილის გავლენა მხატვართა კლუბის გამგეობაზე.

➤ 10146

1947

### 16 თებერვალი

უბის წიგნაკში წერს განცხადების შავ პირს, თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საკურორტო სამმართველოს უფროსის სახელზე, სადაც სთხოვს ავადმყოფი ძმისწულის სამკურნალოდ თებერვლიდან სექტემბრის ბოლომდე წყნეთში გამოუყონ ერთი ოთახი.

➤ 10147

1947

### 21 თებერვალი ან მანამდე

ისმენს მის ლექსზე „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ მარიამ მაჭავარიანის მიერ დაწერილ მშვენიერ რომანსს და აღტაცებულია მისი მუსიკალური ნიჭით.

➤ 10148

1947

### 21 თებერვალი

მარიამ მაჭავარიანს ჩუქნის თავის „რჩეულს“ წარწერით: „ქ-ნ მარიამ მაჭავარიანს – ნიშნად აღტაცებისა მისი მუსიკალური ნიჭით, უუმშვენიერესი რომანსის მოსმენის შემდეგ, უღრმესი პატივისცემით, გ. ტაბიძე. 1947. 21 თებერვალი“.

➤ 10149

1947

### 23 თებერვლამდე

აქვს სურვილი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 23 თებერვლიდან 3 მარტამდე საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის პატივსაცემად ჩატარდეს სალიტერატურო-მუსიკალური დეკადა. უბის წიგნაკში ხატავს ღონისძიების აფიშის ესკიზს. დაწვრილებითი ინფორმაციის განთავსებას ვარაუდობს ღონისძიების პროგრამაში.

➤ 10150

1947

### 23 თებერვალი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ლექსი „დღეს გამარჯვების აღმნიშვნელი ძვირფასი დღეა“.

➤ 10151

1947

### 23 თებერვალი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ხელმოწერით „საქართველოს სახალხო პოეტი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილი ლექსის „დღეს გამარჯვების აღმნიშვნელი ძვირფასი დღეა“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 10152

1947

### თებერვალი

რადიოში კითხულობენ მის ლექსებს.

➤ 10153

1947

### თებერვალი ან შემდეგ

ეცნობა რუსულ მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალს „ოქტომბერი“, აკეთებს ხაზგასმებს. სარჩევთან წერს მწერალთა სიას – ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ვალერიან გუნია, ტრიფონ რამიშვილი, განდევილი, ზაქარია ჭიჭინაძე, კოტე მაცაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, შიო მღვიმელი, ბაჩანა, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავი-ხომტარია, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი, მელანია, შიო არაგვისპირელი, დუტუ მეგრელი, რომანოზ ფანცხავა, ვალერიან შალიკაშვილი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, სიმონ ხუნდაძე, იაკობ ფანცხავა, გრიგოლ გველესიანი. აღნიშნავს, რომ ყველა მათგანს ჰქონდა ის უდიდესი საზოგადოებრივობის გრძნობა, რომელმაც თავდადებამდე მიიყვანა ორი მოწინავე მოღვაწე – ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. შემდეგი წლების საბჭოთა მწერლობის უფროსმა თაობამ ცოცხალი კავშირი დაამყარა რევოლუციამდელ და ახალ მწერლობას შორის.

➤ 10154

1947

### თებერვალი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „დამვიწყებელი თვისტომთა...“.

➤ 10155

1947

### თებერვალი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ვერაფრით შენს გულს ვეღარ მოვიგებ...“.

➤ 10156

1947

### 1 მარტამდე

უბის წიგნაკში იწერს, რომ მიმდინარე დღესვე ქიმიურ კომბინატში უნდა შეიძინოს ტრაფარეტისთვის საჭირო საღებავი, საკოლმეურნეო ბაზარში იპოვოს ტრაფარეტის გამკეთებელი და იპოვოს მღებავი; წინასწარ დაათვალიეროს ადგილები, კარდონზე გააკრას ძველი სურათები და ახალი სურათის ლითოგრაფია გააკეთებინოს.

➤ 10157

1947

### 1 მარტამდე

უბის წიგნაკში იწერს, რომ 9 მარტამდე საჭიროა ორჯონიკიძის ქუჩაზე სტამბაში ქალაღდის მიტანა აფიშებისთვის, რომლებზეც მითითებული იქნება მწერალთა კავშირის მომხსენებლები და მონაწილეები. ასევე საჭიროა აფიშების გამკვერელების შოვნა და იმის მოფიქრება, თუ სად ჯობს მათი გაკვრა, ამ ადგილების სიის შედგენა, ბილეთების წინასწარ დამზადება და ორგანიზაციებში დანაწილება, ზრუნვა მუსიკალური ნაწილის ორგანიზებაზე და კონსერვატორიაში კიოსკის მოწყობა.

➤ 10158

## მ ა რ ტ ი

1947

### 1 მარტი

ადგენს ჩამონათვალს საკუთარი ლექსებისა, რომლებიც ეხება ქართული ორნამენტის თემას.

➤ 10159

1947

**1 მარტი**

საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის ქართული საზოგადოების ლიტერატურის სექციაში იმართება სხდომა, რომელიც ეძღვნება ვენერა ურუშაძის მიერ მომზადებული ქართული პოეზიის ანთოლოგიის ინგლისურ ენაზე თარგმანების კითხვას. სხვა ნაწარმოებებთან ერთად ვენერა ურუშაძე კითხულობს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ინგლისურ თარგმანებს.

➤ 10160

1947

**3 მარტის შემდეგ**

კითხულობს რუსულ ჟურნალს „ზვეზდა“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. დასასრულს წერს, რომელ წელს და სად გაიმართა მისი სადამოები: 1921 – პოეტების მეფის სადამო, 1921 – კონსერვატორია, 1923 – ქართული კლუბი, 1928 – რუსთაველის თეატრი, 1933 – ოპერის თეატრი, 1938 – რუსთაველის თეატრი და მწერალთა სახლი, 1943 – ოპერის თეატრი.

➤ 10161

1947

**8 მარტი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ცნობა, რომ საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის ქართული საზოგადოების ლიტერატურის სექციაში გაიმართა სხდომა, რომელიც მიეძღვნა ვენერა ურუშაძის მიერ მომზადებული ქართული პოეზიის ანთოლოგიის ინგლისურ ენაზე თარგმანების კითხვას და მთარგმნელის შემოქმედების განხილვას. სხვა ნაწარმოებებთან ერთად ვენერა ურუშაძემ წაიკითხა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ინგლისური თარგმანები.

➤ 10162

1947

**9 მარტამდე**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასამართი სადამოების დეკადისთვის ადგენს მონაწილე მწერლების, ორგანიზაციებისა და მუზეუმების სიას.

➤ 10163

1947

**9 მარტამდე**

უბის წიგნაკში იწერს კონსერვატორიის დარბაზში დეკადაზე სავარაუდო გამომსვლელთა ვინაობას. აღნიშნავს, რომ ალექსანდრე აბაშელი თანახმაა 9 მარტს დაესწროს სადამოს თუ მას ავტომობილით მიიყვანენ კონსერვატორიაში. იქვე აღნიშნავს, რომ აბაშელის ლექსი სცენაზე სხვამ უნდა წაიკითხოს.

➤ 10164

1947

**9 მარტამდე**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასამართი სადამოების დეკადისთვის ადგენს ვალერი ჯვარიძის მიერ მის ლექსებზე შესრულებული სიმღერების სიას: „ლესელიძე“, „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „მშობლიური ჩემო მიწავ“, „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, „მე და ღამე“, „მერი“, „ლურჯა ცხენები“, „მესაფლავე“, „ორი ზარი“.

➤ 10165

1947

**9 მარტამდე**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გასამართი სადამოების დეკადისთვის ინიშნავს, რომ საჭიროა 275 სკამი ნომრებით, მწერალთა კავშირის ჯიხური, ფაქსიმილე და თითოეული სადამოსთვის ცალკე აფიშა.

➤ 10166

1947

### 9 მარტამდე

ადგენს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გასამართი სადამოების მოსაწვევს, რომელშიც აღნიშნულია, რომ 9-19 მარტს იმართება საქართველოს მგონის, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის – გალაკტიონ ტაბიძის ათი სადამო. ბილეთები იგზავნება დეკადის პირველი სადამოსთვის. ვინც არ მოინდომებს მასზე დასწრებას, ბილეთები უნდა დააბრუნოს 9 მარტამდე, ხოლო ვინც ისურვებს სხვა სადამოებზე დასწრებას, ტელეფონით უნდა შეატყობინონ მეცნიერებათა აკადემიას ან კონსერვატორიას.

➤ 10167

1947

### 9 მარტამდე

ცვლის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის პატივსაცემად ჩასატარებელი სალიტერატურო-მუსიკალური დეკადის თარიღებს. ღონისძიების ჩატარებას ვარაუდობს 9 მარტიდან 19 მარტამდე.

➤ 10168

1947

### 9 მარტი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „9 თებერვალი“ („ხელოვანთა ხმა“) ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 10169

1947

### 18 მარტის შემდეგ

ეცნობა რუსულ ჟურნალს „საბჭოთა წიგნი“. რედაქციის წინათქმაში აკეთებს ხაზგასმებს და წერს, რომ მხატვრული ლიტერატურის სახელწოდება შეჰფერის მხოლოდ პროზას, პოეზია კი უფრო რთული ხელოვნებაა. L'Art poétique – პოეტიკის ხელოვნებაა და როგორც ფრანგი პოეტი ამბობდა, პოეზიის გარეშე ყველაფერი ლიტერატურაა. მხოლოდ მხატვრული ლიტერატურაა ხელოვნება და არა ყოველგვარი ლიტერატურა. ასახელებს ალექსანდრე ყაზბეგს, რომელიც პოეტი არ არის, მაგრამ ქმნის მხატვრულ ნაწარმოებებს. ფიქრობს, რომ იგივე ითქმის გაბრიელ დანუნციოს ავანტიურაზე. აინტერესებს, ვინმემ თუ იცის, ამ თვალსაზრისით რა ხდება საზღვარგარეთ.

➤ 10170

1947

### 18 მარტის შემდეგ

წერს ლექსს „საქართველოს ჩაი“.

➤ 10171

1947

### 18 მარტის შემდეგ

ეცნობა რუსულ ჟურნალს „ახალი სამყარო“, ლექსებისა და სტატიების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს და წერს შთაბეჭდილებებს. ალექსეი იუგოვის სტატიაში „გრამატიკა ისტორიის დასაცავად“ აღნიშნულ ფაქტზე, რომ 15 წელი მუშაობდა ნაშრომზე „სიტყვა“, წერს, რომ ხარიტონ

ვარდოშვილი 3 წლის მანძილზე თარგმნიდა იოჰან ვოლფგანგ გოეთეს ლექსებს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, იუგოვი კი სხვაა.

➤ 10172

1947

**23 მარტამდე**

დღიურში იწერს ახალი მთვარის გამოჩენის რიცხვებს 1947 წლის თვეების მიხედვით. აღნიშნავს, რომ ზოგი გიჟდება ყოველი ახალი მთვარის დროს. ინიშნავს ახალი მთვარის გამოთვლის მეთოდს და ასკვნის, რომ ახალმთვარეობა იქნება 23 მარტს.

➤ 10173

1947

**24 მარტი**

წერს უსათაურო ლექსს „მე რომ მკითხონ: – რა გვინდა, რომ...“.

➤ 10174

1947

**26 მარტის შემდეგ**

კითხულობს რუსულ ჟურნალს „ახალი სამყარო“, აკეთებს მინაწერებსა და შენიშვნებს.

➤ 10175

1947

**26 მარტის შემდეგ**

რუსული ჟურნალის „ახალი სამყარო“ გარეკანის შიდა მხარეს წერს ლექსის „უცნობი მეცხვარის სამარე“ ორ ვარიანტს.

➤ 10176

1947

**31 მარტი**

იწონის 84 კილოს.

➤ 10177

1947

**31 მარტის შემდეგ**

კითხულობს ჟურნალს „მნათობი“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 10178

1947

**მარტის ბოლო**

სტუმრობს მხატვარ კორნელი სანაძეს, რომელიც მის პორტრეტს ხატავს.

➤ 10179

1947

**მარტი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჟინიანი ჭაბუკი...“.

➤ 10180

აპრილი

1947

**4 აპრილი**



მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს აძლევს მინდობილობას, რომ იგი უფლებამოსილია სახელმწიფო ბანკის შემნახველი სალაროდან გამოიტანოს მისი 1000 მანეთი.

➤ 10181

1947

6-7 აპრილი

წერს ლექსს „ხიდი“.

➤ 10182

1947

6-9 აპრილი

წერს ლექსს „დაცვა ძველი ძეგლებისა“ („გავიხსენოთ ადგილები, სადაც ძველი ძეგლებია...“).

➤ 10183

1947

8 აპრილი

წევს ქალაქ თბილისის მეორე საავადმყოფოში და ხატავს ხედს რომელიც მოჩანს მისი ფანჯრიდან, კატას ფანჯარასთან და საავადმყოფოს პაციენტს.

➤ 10184

1947

8 აპრილი

წევს ქალაქ თბილისის მეორე საავადმყოფოში და ხატავს ნინო კვირიკაძის პორტრეტს.

➤ 10185

1947

8 აპრილი

იწონის 86 კილოს და 800 გრამს.

➤ 10186

1947

9 აპრილი

სოხუმში წერილს უგზავნის საოლქო კომიტეტის გამგეს ვანო ტუსკაძეს და ბოდიშს უხდის, რომ ვერ შეუარა. ატყობინებს, რომ წიგნი „ზღვა ახმაურდა“ გამომცემლობას გადასცა და წინასწარ უხდის მადლობას მისი გამოცემისთვის.

➤ 10187

1947

9 აპრილი

წერილს უგზავნის სახელგამის დირექტორ ნიკო კიკნაძეს. სწერს, რომ გადაათვალიერა თავისი თხზულებების მეოთხე ტომი და გაკვირვებული დარჩა იმით, რომ თავად წიგნში მითითებული არ არის ტომის ნომერი და წლები 1941–1945, რისი აუცილებლობის შესახებაც იცოდა ალექსანდრე ჭეიშვილმა. სთხოვს, თუ წიგნი აკინძული არ არის, ესენი ჩაასწორონ, მაგრამ თუ ეს წიგნს დააგვიანებს, ნუ შეწუხდებიან.

➤ 10188

1947

17 აპრილი

იწონის 86 კილოს და 800 გრამს.

➤ 10189

**1947**

**19 აპრილი**

შედის საპარიკმახეროში და მომსახურებაში იხდის 20 მანეთს. ყიდულობს პაპიროსს, ღვინოს და მეულლეს ნინო კვირიკაძეს აძლევს 110 მანეთს.

➤ 10190

**1947**

**19 აპრილი**

კორნელი სანაძესთან ერთად მიდის ყინწვისში. გზაში ტკბებიან მცხეთის ღირსშესანიშნაობებით, წიწამურში პატივს მიაგებენ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას, რუისის ტაძრის დათვალიერებისას სოფლის მაცხოვრებლები პატივისცემით და სიყვარულით ხვდებიან. ყინწვისში აღტაცებულები არიან ტაძრის ფრესკების სილამაზით. სამწვერისთან შესვენებისას სანაძე იწყებს პორტრეტის პატარა ეტიუდის ხატვას, გზად წრომში გაივლიან, სადაც ადგილობრივი მაცხოვრებლები მის ლექსებს კითხულობენ და სტუმრად დარჩენას სთხოვენ, მაგრამ უდროობის გამო უარს ეუბნებიან.

➤ 10191

**1947**

**20 აპრილი**

ყიდულობს მაწონს, რომელშიც იხდის 65 მანეთს. 20 მანეთად იძენს პაპიროსს.

➤ 10192

**1947**

**25 აპრილი**

იწონის 86 კილოს და 250 გრამს.

➤ 10193

**1947**

**25 აპრილის შემდეგ**

ეცნობა რუსულ მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალს „ოქტომბერი“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 10194

## მ ა ი ს ი

**1947**

**1 მაისი**

უბის წიგნაკში მუშაობს ფუნაგორიაზე სახელწოდებით „გამოცანა“, რომელშიც ნახსენებია ნიკოლოზ ჩაჩავა და სიმონ ჩიქოვანი.

➤ 10195

**1947**

**1 მაისი**

უბის წიგნაკში წერს მოგონებას მოლაღურზე - მწიფობელაზე, რომლის სიმღერა ბავშვობიდანვე აწუხებდა, დიდ სიამოვნებას გვრიდა.

➤ 10196

**1947**

**5 მაისი**

განცხადებით მიმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. რამდენადაც სჭირდება თბილისის მეორე საავადმყოფოდან მკურნალობის გასაგრძელებლად კოჯორში გადასვლა, სთხოვს, რომ 6 მაისს დილის 9 საათიდან შუადღის 2-3 საათამდე ათხოვონ მსუბუქი ავტომანქანა.

➤ 10197

**1947**

**6 მაისი**

წერილს სწერს ძმას, აბესალომ ტაბიძეს. ატყობინებს, რომ მიდის კოჯორში, მაგრამ კარგი აგარაკები სულ დაკავებულია და ჯორებისა და ვირების ტერიტორიაზეა თუ იშოვის ადგილს. სწერს, რომ ბოლო შეხვედრისას გამხდარი მოეჩვენა. ამიტომ ექიმს ეჩვენოს, ტანი წყლით დაიზილოს, ივარჯიშოს და თავს გაუფრთხილდეს. სთხოვს, რომ თუ მოწაფეები ლიტერატურაში დავალების წერისას მის შემოქმედებაზე რაიმე ორიგინალურს ან საინტერესოს იტყვიან, გადააწერინოს და შეუნახოს, რადგან აინტერესებს არაპროფესიონალების აზრი.

➤ 10198

**1947**

**7 მაისი**

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის კოჯორში. აკეთებს ჩანაწერს გზად შეხვედრილი ცხვრის ფარისა და სახასიათო ქცევისა და ჩაცმულობის მწყემსის შესახებ.

➤ 10199

**1947**

**7 მაისი**

წერს უსათაურო ლექსს „ფეხებზედაც მშვენიერი...“.

➤ 10200

**1947**

**7-9 მაისი**

იმყოფება კოჯორში, წერს ლექსს „კუმისი“.

➤ 10201

**1947**

**7 მაისი ან შემდეგ**

იმყოფება კოჯორში, ხატავს ქოროღლის (აზეულას, კოჯორის) ციხეს.

➤ 10202

**1947**

**7 მაისი ან შემდეგ**

იმყოფება კოჯორში, ხატავს საავადმყოფოს ერთერთ შენობას.

➤ 10203

**1947**

**7 მაისი ან შემდეგ**

იმყოფება კოჯორში, ხატავს ტიცვიანის პორტრეტს.

➤ 10204

**1947**

**9 მაისი**

ავტომობილით მიემგზავრება უძოსკენ. უბის წიგნაკში აღწერს უძოს მიდამოებს და იხატავს მთების მწვერვალებს. იწყებს მუშაობას ლექსზე „უძო“.

➤ 10205

**1947**

**11 მაისი**

ისვენებს კოჯორში. იწონის 89 კილოს და 100 გრამს.

➤ 10206

**1947**

**13 მაისი**

ისვენებს კოჯორში, იწონის 89 კილოს და 500 გრამს.

➤ 10207

**1947**

**17 მაისი**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ ქვეყნდება სანდრო შანშიაშვილის წერილი „ტალანტები და თაყვანისმცემლები“, რომელშიც ავტორი საბჭოთა კრიტიკოსებს – ბესარიონ ჟღენტსა და შალვა რადიანს გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილის შემოქმედების არასწორ ინტერპრეტაციაში ადანაშაულებს. შანშიაშვილი ბესარიონ ჟღენტს გალაკტიონის რევოლუციამდელი პოეზიის შეფასების საკითხზე ედავება. იგი მიუღებლად მიიჩნევს კრიტიკოსის შეხედულებას, რომ გალაკტიონის ლექსების მეორე წიგნი შეუდარებელი სიმდიდრეა რევოლუციის წინაპერიოდის ქართული პოეზიისა. წერილის ავტორი ჟღენტს ადანაშაულებს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული წარსულის რეაბილიტაციის მცდელობაში და აღნიშნავს, რომ თეორიული გამართლებები არ უნდა მოვუძებნოთ გალაკტიონის ბუნდოვანებით აღბეჭდილ სიმბოლისტურ ლირიკას.

➤ 10208

**1947**

**17 მაისი**

წერს ლექსს „უძო“.

➤ 10209

**1947**

**19 მაისი**

ინიშნავს, გაარკვიოს, დაიბეჭდა თუ არა მისი თხზულებების მეოთხე ტომი, აწერია თუ არა ფასი და რა ღირს. როგორ იგეგმება წიგნის გავრცელება.

➤ 10210

**1947**

**19 მაისის შემდეგ**

განცხადებით მიმართავს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას და ითხოვს, რომ გაუგზავნონ მისი თხზულებათა მეოთხე ტომის ათასი საავტორო ეგზემპლარი.

➤ 10211

**1947**

**25 მაისი**

იწონის 89 კილოს.

➤ 10212

**1947**

**გაზაფხული**

ათვალისწინებს კოლაუ ჩერნიავსკის ლექსების კრებულს, რომელიც ავტორმა აჩუქა 1927 წელს, მიძღვნილი წარწერით: „ქართველ პოეტთა მეფეს“. ამ წიგნის სატიტულო გვერდზე აწერს ჩერნიავსკისადმი მიძღვნილი, 1945 წლის 23 მაისს დაწერილი უსათაურო ლექსის „მე შენი წიგნი შემხვდა შემთხვევით...“ მეორე სტროფს.

➤ 10213

## ივნისი

1947

### 1 ივნისი

საერთო რვეულში წერს შენიშვნებს კოტე მარჯანიშვილის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე. აღნიშნავს, რომ ძალიან კარგად იცნობდა კოტე მარჯანიშვილს. წერს, რომ საქართველოში დაბრუნებულ 50 წლის მარჯანიშვილს ჰქონდა უმდიდრესი თეატრალური გამოცდილება. აღნიშნავს, რომ მარჯანიშვილის საქართველოში დადგმული პირველი სპექტაკლი იყო „ცხვრის წყარო“ საიდანაც დაიწყო ქართული თეატრის ახალი გზა - გზა რევოლუციური რომანტიკის და ემოციური ზეგავლენის. აღნიშნავს, რომ მარჯანიშვილის მუშაობა საქართველოში განისაზღვრება 10 წლით, თუმცა მისი გარდაცვალების შემდეგაც ქართული თეატრი განაგრძობს მსვლელობას მის მიერ გაკაფული გზით. გალაკტიონი წერს, რომ მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვის ემყარებოდა მარჯანიშვილი მუშაობისას, მსახიობსა თუ რეჟისორს, მისი აზრით აქ მთავარია მათი შეერთება, რითაც იქმნება რევოლუციური რომანტიკა და ემოციური ზეგავლენა. წერს, რომ რუსეთიდან ჩამოსულ მარჯანიშვილს საქართველოში დახვდა ჩვენი პოეზიის მიერ შესანიშნავად დაფუძნებული იდეურობა და შემთხვევითი არ იყო, რომ თეატრის ირგვლივ დარაზმულ დრამატურგებს შორის თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ჟურნალ „მნათობის“ ერთ-ერთმა დამაარსებელთაგანმა, „ყვარყვარე თუთაბერის“ ავტორმა პოლიკარპე კაკაბაძემ.

➤ 10214

1947

### 1 ივნისი

საერთო რვეულში წერს გეგმას და შენიშვნებს ნაწარმოებისთვის, რომლის პერსონაჟები არიან პოეტი იოველი და მამამისი, ომიდან დაბრუნებული ლაპტევი, ხოლო მოქმედება ქუთაისში მიმდინარეობს.

➤ 10215

1947

### 2 ივნისი

საერთო რვეულში წერს შენიშვნებს ერთი სახელწოდებით გაერთიანებული, მაგრამ განსხვავებული თვისებების მქონე საგნებსა და მოვლენებზე. ადარებს მუსიკალურ ინსტრუმენტებს სალამურსა და ბუკს, რომლებიც სრულიად სხვადასხვა ხმას გამოსცემენ, ადარებს ქალის ბაგეებს - ჯიოკონდას ბაგეს და მარსელიეზას მომღერალი ქალის ხახას, მოჰყავს მაგალითად აკაკი წერეთლის განსხვავებული ლექსები, იდუმალებით სავსე „საიდუმლო ბარათი და „მიჯაჭვული ამირანი“, წერს დემონსტრაციების შესახებ, იგონებს 1905 თუ 1906 წლის მრისხანე დემონსტრაციას წითელ ხიდთან, ქუთაისში, რომელშიაც თავად მონაწილეობდა. ჩანაწერი დაუსრულებელია.

➤ 10216

1947

### 2 ივნისი და შემდეგ

კითხულობს, თარგმნის და საერთო რვეულში ქართულად და რუსულად იწერს ციტატებს სხვადასხვა რუსულად გამოცემული წიგნებიდან და პერიოდული პრესიდან სხვადასხვა ეპოქის რევოლუციური მოძრაობების, რევოლუციაში მონაწილე მწერლობის, თბილისის სემინარიის და იოსებ ჯუღაშვილის შესახებ. მათ შორის არის გ. ვ. პლენანოვის „ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება“, მ. პ. პოგოდინის „ისტორიული წერილები და ჩანაწერები ყირიმის ომის

გაგრძელებისთვის“, ლენინის „თხზულებანი“, ტ. XVIII, გლებოვის „ისტორიული ადგილები“, ლ. პ. ბერიას „ლადო კეცხოველი“, წიგნიდან „ტფილისის ქართული მართლმადიდებლური სასულიერო სემინარიის რუსი მასწავლებლის მოგონებებიდან“ და „ოსებ ბესარიონის მე სტალინის“ ბიოგრაფია. ამზადებს სტალინის ბიოგრაფიაში დასახელებული კრებულების, წიგნების, ბროშურების და პერიოდიკის სიას.

➤ 10217

1947

16 ივნისი

კინოსტუდიის შეკვეთის შესასრულებლად მუშაობს ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსის ვარიანტებზე სათაურებით: „მე-XIX-დან მე-XX საუკუნეში“, „რამდენიმე წელი მე-XIX საუკუნეში“, უსათაუროდ: „ო, მამულო, როგორ ბრწყინავს ცვარით მსხმოიარე ზვარი...“. წერს სცენარის მონახაზს. დოკუმენტურ ფილმში ილიას ლექსის საპასუხოდ მთაწმინდაზე უნდა წაიკითხოს თავისი ახალი ლექსი „გაზაფხული“.

➤ 10218

1947

19 ივნისი

ისვენებს კოჯორში, ომონიმური რითმებით წერს ლექსს „სონეტი სოლომანს“.

➤ 10219

1947

23 ივნისი

იმყოფება კოჯორში.

➤ 10220

1947

23 ივნისი

იმყოფება კოჯორში. აკეთებს ჩანაწერს რადიოსთან დამოკიდებულებაზე. ცდილობს გაიხსენოს, როდის გამოვიდა რადიოთი პირველად, მის რომელ ლექსებშია ნახსენები რადიო, რა გადაცემები მიეძღვნა მის ლექსებს რუსულ და ქართულ ენებზე, ასევე მის ლექსებზე შექმნილი რომელი სიმღერები გადაიგა რადიოთი.

➤ 10221

1947

26 ივნისს ან შემდეგ

გაზეთიდან „ახალგაზრდა კომუნისტი“ №76, იწერს ზაჰესის 20 წლის შესრულების გამო დაბეჭდილი წერილს „ზაჰესი – საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის პირველი შვენება“.

➤ 10222

1947

27 ივნისი

წერს უსათაურო ლექსს „გარს მომეხვივნენ დღენი...“, რომელიც მთაგონებულია რუსი მწერლის – დენის დავიდოვის ასეთივე დასაწყისის მქონე ლექსით.

➤ 10223

1947

28 ივნისი

წერს ლექსს „წამყე ბეთანიისაკენ!“.

➤ 10224

1947

**29 ივნისი**

მუშაობს უსათაურო ლექსზე „მე რომ მკითხონ...“.

➤ 10225

1947

**ივნისის ბოლო**

შოვში წერილს უგზავნის ვანოს. უყვება, როგორ მშვიდ გარემოში მკურნალობდნენ კოჯორში და სურვილს გამოთქვამს, რომ იქაც ისეთივე პირობები ჰქონდეს.

➤ 10226

**ი ვ ლ ი ს ი**

1947

**ივლისამდე**

კითხულობს ვახუშტი ბატონიშვილის წიგნის „საქართველოს ისტორია“ 1904 წლის გამოცემას და მის ბოლო ყდაზე წერს ლექსს „ვდგევარ ხომლის კლდეზე“.

➤ 10227

1947

**1 ივლისამდე**

მეუღლესთან, ნინო კვიციკაძესთან ერთად ისვენებს კოჯორში, დამოუკიდებელ ოთახში, რომელიც კოჯორის სტაციონარის დირექტორმა პროფესორმა არკადი გოცირიძემ აშოვნინა. ოთახს აქვს ორი აივანი არაჩვეულებრივი ხედებით. საუზმე, სადილი და ვახშამი ადგილზე მიაქვთ.

➤ 10228

1947

**1 ივლისი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ მალე მზად იქნება თხზულებების მეოთხე ტომი. მიზნად ისახავს 9 ივლისამდე მოამზადოს წიგნის ყდის ფოტოები, ბიბლიოგრაფიული ცნობა პრესისათვის, სპეციალური წერილი რადიოსთვის და მიძღვნილი წარწერის ტექსტები იმ ეგზემპლარებისთვის, რომელთაც საჩუქრად დაარიგებს.

➤ 10229

1947

**1 ივლისი**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემებრ პოეტი უცებ იცნობა...“.

➤ 10230

1947

**1 ივლისის შემდეგ**

წერს გიორგი ახვლედიანისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „გიგზავნი ამ წიგნს...“.

➤ 10231

1947

**3 ივლისი**

განცხადებით მიმართავს საქართველოს რადიო-კომიტეტის ბუღალტერიას და სთხოვს, რომ მისი ძმისწულის, ვასილ ტაბიძის ხელით გაუგზავნონ მისი კუთვნილი ჰონორარი.

➤ 10232

1947

#### 4 ივლისი

შემნახველ სალაროში ხსნის წიგნაკს და ანგარიშზე შეაქვს 6860 მანეთი.

➤ 10233

1947

#### 7 ივლისი

კინოსტუდიასთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც უნდა დაწეროს ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსის 15 სტრიქონი და წაიკითხოს მის საფლავთან 5 აგვისტოს.

➤ 10234

1947

#### 17 ივლისი

ვარჯიშობს საბეჭდ მანქანაზე ბეჭდვაში.

➤ 10235

1947

#### 17 ივლისის შემდეგ

ეცნობა მარკ ჟიკოვის რუსულ ენაზე დაბეჭდილ ბროშურას „თანამედროვე პოლონური ლიტერატურა“, მის ყურადღებას იპყრობს ჟიკოვის მიერ ციტირებული ფინალური სტროფი პოლონელი პოეტის – ლიუციან შენვალდის ლექსისა „წითელი არმია“. ამ სტრიქონებისგან მიღებული შემოქმედებითი იმპულსის შედეგად იქვე, ბროშურაზე წერს უსათაურო ლექსს „ბრწყინავს ჩვენი საუკუნე...“.

➤ 10236

1947

#### 19 ივლისი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის წერილი ლიტერატურის პირუთვნელი ისტორიისათვის (პასუხად სანდრო შანშიაშვილს)“. კრიტიკოსი პასუხს უბრუნებს სანდრო შანშიაშვილს, რომელმაც იგი გალაკტიონის რევოლუციამდელი შემოქმედების რეაბილიტაციის მცდელობაში დაადანაშაულა. ბესარიონ ჟღენტის თქმით, სანდრო შანშიაშვილის თავგამოდება გაუგებარია თუნდაც იმის გამო, რომ გალაკტიონს სრულიად არ გამოუჩენია თავისი ძველი შემოქმედებითი პოზიციებისაკენ სწრაფვა. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ თუ ვინმეა სადღეისოდ მხილების ღირსი, უპირველესად, ეს სწორედ შანშიაშვილია, რომელიც კრიტიკულად არ ეპყრობა თავის ძველ თხზულებებს და რჩეულ ნაწერთა წიგნში შეაქვს ისეთი ნაწარმოებები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ „საბჭოთა ხალხის მაღალ მორალურ შეგნებასთან“.

➤ 10237

1947

#### 21 ივლისამდე

ქუთაისში გავლით მყოფი ატელიეში შეუვლის ფოტოგრაფ დავით მხეიძეს, რომელიც ძალიან გაიხარებს მისი სტუმრობით, სურათს უღებს და სასაუბროდ ეპატიჟება, მაგრამ გალაკტიონი ჩქარობს, მეუღლე მანქანაში ელოდება და გზა უნდა განაგრძონ.

➤ 10238

1947

#### 21 ივლისამდე

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად იღებს ფოტოს ქუთაისში ოქროს ჩარდახთან.

➤ 10239

1947



## **21 ივლისამდე**

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან და პოეტ გიორგი სამხარაძესთან ერთად ქუთაისიდან მიემგზავრება შოვში, გზად გაივლიან ხვანჭკარაში, დანიშნულების ადგილზე სადამო ხანს ჩადიან და ბინავდებიან შოვის სანატორიუმში „კურზალი“. სანატორიუმის მთავარ ექიმ ლადო გასვიანს პოეტი უყვება ხვანჭკარაში სტუმრობის ამბებს და პროფესორ არკადი გოცირიძის მიერ მისთვის გამოწერილ მკურნალობის დანიშნულებას.

➤ 10240

1947

## **21 ივლისი**

შოვიდან თბილისში წერილს უგზავნის ძმას, აბესალომ ტაბიძეს და ატყობინებს, რომ ის და მისი მეუღლე, ნინო კვირიკაძე კარგად ისვენებენ.

➤ 10241

1947

## **21 ივლისის შემდეგ**

კინოოპერატორი იგორ კრეჰსი იღებს გალაკტიონის ყოველდღიურობას, დასვენებას შოვში, სამუშაო ოთახში, რიგით დასვენების დღეებს, რაც თავს იყრის კინოჟურნალში „საბჭოთა საქართველო N29“.

➤ 10242

1947

## **22 ივლისი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ შოვში სეირნობისას შეხვდა უცნობი გუდამოკიდებული მამაკაცი – ერასტი ჩალაძე, რომელიც მოდიოდა მთიდან და გალაკტიონი სურათით იცნო.

➤ 10243

1947

## **23 ივლისის შემდეგ**

იმყოფება შოვში და წერილს იღებს ძმისგან. აბესალომი ატყობინებს, რომ თბილისში საშინელი სიცხეებია, კიდევ სამ-ოთხ დღეს დარჩება, რომ წიგნაკები აიღოს და მერე ჭყვიშში გაემგზავრება. 22-23 აგვისტოს ისევ აპირებს თბილისში დაბრუნებას და სამსახურის დაწყებას.

➤ 10244

1947

## **25 ივლისის შემდეგ**

პაველ ანტოკოლსკის ლექსების რჩეულის უკანა ფორზაცზე წერს უსათაურო ლექსს „სიონის სანთელი ჰქრებოდა და ინგრეოდა კედელი...“.

➤ 10245

1947

## **ივლისი**

შოვში ყოფნისას სურათს იღებს პატარა დამსვენებელ ხათუნა სამხარაძესთან.

➤ 10246

1947

## **ივლისი**

საბეჭდ მანქანაზე ბეჭდავს ლექსს „ვდგევარ ხომლის კლდეზე“, ბეჭდვის დასრულების შემდეგ იწყებს ტექსტის ფანქრით გასწორებას.

➤ 10247

1947

**ივლისის ბოლოდან**

შოვის სამედიცინო პერსონალი ზედმიწევნით ასრულებს პროფესორ არკადი გოცირიძის მიერ გალაკტიონისთვის დანიშნული მკურნალობის მითითებებს და ყველანაირად ცდილობს, რომ პოეტი სასმელსაც მოარიდოს.

➤ 10248

**ა გ ვ ი ს ტ ო**

1947

**1 აგვისტო**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ცნობა, რომ მიმდინარე დღეს 21 საათსა და 20 წუთზე რადიოთი გადმოიცემა სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

➤ 10249

1947

**1 აგვისტო**

რადიოთი გადმოიცემა სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

➤ 10250

1947

**2 აგვისტო**

რვეულში იწერს, რომ 2 აგვისტოს შოვში მოვიდა თოვლი.

➤ 10251

1947

**5 აგვისტო ან ადრე**

იმყოფება შოვში და კითხულობს ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას წიგნს „საქართველოს ისტორია“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. აღნიშნავს, რომ მასალები ინახება აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, საქართველოს მუზეუმში, საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტსა და მეტეხის მუზეუმში, რომ ქართული ანბანი წარმოშობილია არაუგვიანეს VII საუკუნისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

➤ 10252

1947

**5 აგვისტო ან ადრე**

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ჩაკრულ ბაგრატიონთა სამეფო სახლის მთავარი შტოს გენეალოგიურ ტაბულაზე წერს თავისი პოემის „იგი – ომია“ სხვადასხვა სტრიქონს: „ლურჯ ხაზებად და ტირებად ჰკიდია ევროპის რუკა...“.

➤ 10253

1947

**5 აგვისტო**

იმყოფება შოვში, კითხულობს 1946 წელს გამოცემულ წიგნს „საქართველოს ისტორია“, ფიქრობს ქართული ანბანის ისტორიაზე და წიგნზევე იწყებს ლექსის „ჰიმნი – ქართული ანბანის“ წერას. მის ზედა სართულზე ცხოვრობს რაიკომის თანამშრომლის ოჯახი და ჩამოდის ბავშვების საშინელი ხმაური, მაგრამ გალაკტიონი თავს ძალას ატანს და ლექსის წერას მაინც ამთავრებს.

➤ 10254

1947

**9 აგვისტოს შემდეგ**

წიგნის „სამოქალაქო ომის ისტორია საბჭოთა კავშირში“ მეორე ტომზე, რომელიც მიმოიხილავს 1917 წლის პროლეტარულ რევოლუციას, წინა ფორზაცზე წერს, რომ შეაგროვებს ამ თემაზე არსებულ ყველა ლიტერატურულ-მხატვრულ მასალას თავისი შემოქმედებიდან, გადახედავს თავის არქივში არსებულ წიგნებსა და ხელნაწერებს, დაამზადებინებს ქალაქის ჩარჩოებს, ფოტოებს, პლაკატებს და მოაწყობს გამოფენას მწერალთა კავშირში.

➤ 10255

1947

10 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „პირველ აგვისტოს დამით...“.

➤ 10256

1947

11 აგვისტოს შემდეგ

წერილს იღებს ძმისგან. აბესალომი ატყობინებს, რომ წინა დღეს დაბრუნდა თბილისიდან სამტრედიაში. მანამდე იცდიდა, იქნებ გალაკტიონი და წინა დაბრუნდნენო. უხარია, რომ კარგად ისვენებენ. სწერს, რომ 25 აგვისტოს ისევ ჩავა თბილისში, მანამდე კი ის და მისი მეუღლე ტატიანა, ბავშვებს ჩაკითხავენ ჭყვიშში.

➤ 10257

1947

15 აგვისტო

დილის ცხრის ოცდამდე წუთზე შოვში მყოფი გალაკტიონი გრძნობს მიწისძვრას. მიწის რყევისას ფანჯრის მინები ძაგძაგებს.

➤ 10258

1947

15 აგვისტო

შოვში დღის პირველ საათზე ათწუთიან მოულოდნელად წამოსულ კოკისპირულ წვიმას ასწრებს სახლში შესვლას. გამოდარების შემდეგ აკვირდება, როგორ იკრიფება მთებზე სულ ახლოს ჩამოწოლილი ნისლი და მზე ირგვლივ ყველაფერს როგორ აბრჭყვიალებს.

➤ 10259

1947

17 აგვისტომდე

მოქანდაკე სილოვან კაკაბაძე ქვიშაქვისგან ქმნის გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტს.

➤ 10260

1947

17 აგვისტო

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ინტერვიუ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან სტალინის პრემიის ლაურეატ მოქანდაკე სილოვან კაკაბაძესთან. იგი ამბობს, რომ დაასრულა მუშაობა გალაკტიონ ტაბიძის ქვის ქანდაკებაზე.

➤ 10261

1947

17 აგვისტო

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ინტერვიუ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან, კომპოზიტორ შალვა მშველიძესთან. იგი ამბობს, რომ მუშაობს ოქტომბრის

სოციალისტური რევოლუციის 30-წლისთავისადმი მიძღვნილ ორატორიაზე „კავკასიონი“, რომელშიც გამოყენებული იქნება გალაკტიონ ტაბიძის და სხვათა ლექსები.

➤ 10262

1947

#### 21 აგვისტოს შემდეგ

ეცნობა კრებულს „ლექსები მოსკოვზე“. ბოლოს აწერს, რომ მემამულეებისა და გენერლების საკარმიდამო ეზოებში 28 ჰექტარი უკავიათ გრეიფრუტის ნარგავებს.

➤ 10263

1947

#### 24 აგვისტომდე

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად ისვენებს შოვში. კურორტის დირექტორის – სიმონ ყურაშვილის დავალებით დურგალი ნიკოლოზ ვაჩაძე მთის ფერდობზე ნამკნარში პოეტისთვის საგანგებოდ აკეთებს ხის მრგვალ მაგიდას. ნიკოლოზ ვაჩაძე მუშაობის პროცესში ნიკორწმინდის ტაძარსა და მის ჩუქურთმებზე ესაუბრება გალაკტიონს. დაინტერესებულ პოეტს სურს ტაძრის მონახულება, მაგრამ ვერ ახერხებს. დურგლის მონათხრობისა და საკუთარ წარმოსახვის მიხედვით წერს ლექსს „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

➤ 10264

1947

#### 24 აგვისტომდე

კურორტ შოვის დირექცია უმართავს საღამოს, რომელზეც მოხსენებით გამოდის გიორგი სამხარაძე. გალაკტიონი წარმოთქვამს სამადლობელ სიტყვას, რომლის სტენოგრაფიულ ჩანაწერს აკეთებს საქართველოს რადიო. პოეტი კითხულობს ახალ ლექსებს და კურორტის დირექტორს უძღვნის საკუთარ ფოტოსურათს მისადმი მიძღვნილი ლექსით. საღამოს შემდეგ იმართება ბანკეტი, რომლის დასრულებისას პოეტი კითხულობს „ნიკორწმინდას“ და სხვა ახალ ლექსებს.

➤ 10265

1947

#### 24 აგვისტომდე

კურორტ შოვის დირექტორს – სიმონ ყურაშვილს და ამავე კურორტის მთავარ ექიმს ვლადიმერ გასვიანს მაღლიერების ნიშნად უძღვნის უსათაურო ლექსს „ყველგან გვყოლოდეს ადამიანნი...“.

➤ 10266

1940

#### 24 აგვისტომდე

შოვში ყოფნისას მონაწილეობას იღებს და სიტყვით გამოდის პოეზიის საღამოზე. გალაკტიონი მადლობას უხდის ღონისძიებაზე დამსწრეებს და იგონებს 1917 წლის მოვლენებს, როცა, მისი თქმით, არალეგალურად ცხოვრობდა ქუთაისში და გამუდმებით დაპატიმრებას ელოდა. გალაკტიონის მიხედვით, ამ პერიოდში ექსპრომტად დაიწერა ლექსი „დროშები ჩქარა“, როცა პოეტს ქუთაისის თეატრთან აცნობეს, რომ რევოლუცია მოხდა.

➤ 10267

1947

#### 24 აგვისტომდე

რეჟისორი ალექსანდრე ჯალაიაშვილი იღებს დოკუმენტურ ფილმს სახელწოდებით „საბჭოთა საქართველო“. შოვში გადაღებული კადრების გარდა, რეჟისორს ერთ კადრად ჩაფიქრებული აქვს აჩვენოს გალაკტიონი მთაწმინდაზე. პოეტს სთხოვენ, დაწეროს ლექსი, რომელიც გამოეხმაურება

ილია ჭავჭავაძის ლექსს „გაზაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთოლი...“), რათა მასზე შეიქმნას სიმღერა, რომელიც ჩართული იქნება ამ ფილმში ვლადიმერ გერმესაშვილის შესრულებით.

➤ 10268

1947

#### 24 აგვისტო ან ადრე

ნინო კვირიკაძესთან ერთად შოვიდან მიდის ბაღდათში, სტუმრობს მეუღლის სოფელს და კმაყოფილი რჩება ნინოს დედის ეკატერინე ღვინჯილია-კვირიკაძის სტუმართმოყვარე დახვედრით. თბილისში დაბრუნებული მას უძღვნის და ხელნაწერის სახით უგზავნის ლექსს „მადლობა დედა“.

➤ 10269

1947

#### 24 აგვისტო ან ადრე

იმყოფება ბაღდათში, წერს უსათაურო ლექსს „თუმცა საწყალი მგოსანი ვარ, არ გამაჩნია...“.

➤ 10270

1947

#### 24 აგვისტო

რეჟისორ ალექსანდრე ჯალიაშვილის თხოვნის გათვალისწინებით იწყებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „ტყის შრიალებს ფოთოლი...“. რეჟისორის ჩანაფიქრის შესაბამისად, ლექსი ეხმაურება ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებს „გაზაფხულს“.

➤ 10271

1947

#### 24 აგვისტო

წერს ლექსის ორ ვარიანტს სათაურით „წარწერა ილია ჭავჭავაძის წიგნზე“ და უსათაუროდ „ტყის შრიალებს ფოთოლი“.

➤ 10272

1947

#### 25 აგვისტო

მიემგზავრება შოვიდან ქუთაისში და ბინავდება სასტუმროში „ქუთაისი“.

➤ 10273

1947

#### 25 აგვისტოს შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „ნიკორწმინდა. ელექტროსადგური“, რომელშიც იხსენებს თუ როგორ შეიქმნა მისი ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“. გალაკტიონის თქმით, როდესაც შოვში ყოფნისას ნიკორწმინდელი დურგალი მას სამუშაო მაგიდას უმზადებდა, თან მოუთხრობდა ნიკორწმინდის ჩუქურთმების შესახებ. პოეტის თანახმად, იგი დაჰპირებია დურგალს, რომ აუცილებლად დაწერდა ლექსს ამ ტაძრის შესახებ, რაც შეასრულა კიდევ. ისტორიულ ძეგლებზე ზრუნვა, გალაკტიონის თქმით, თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

➤ 10274

1947

#### 26 აგვისტო

მეცნიერებათა აკადემიის ბულალტერიას ქუთაისიდან უგზავნის ელვა-დეპეშას თხოვნით, რომ კუთვნილი ხელფასი გადაუგზავნონ სასტუმრო „ქუთაისის“ მისამართზე.

➤ 10275

1947

**26 აგვისტო**

ტარდება გალაკტიონის შეხვედრა ქუთაისის ქალაქკომის, ახალგაზრდა კომუნისტების, გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისი“ და ქუთაისის მწერალთა კავშირის გაერთიანებულ წარმომადგენლებთან. შესავალი სიტყვით გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, დოცენტი გიორგი სამხარაძე. დამსწრეები კითხულობენ გალაკტიონისადმი მიძღვნილ საკუთარი ლექსებს. პოეტი გამოდის სიტყვით. ღონისძიებას აგვირგვინებს კომკავშირის მდივანი, რომელიც ამბობს, რომ გალაკტიონი უპირველესი მწერალია მთელ საბჭოთა კავშირში და მაშასადამე ევროპაშიც.

➤ 10276

1947

**26 აგვისტო**

იმყოფება ქუთაისში, წერს უსათაურო ლექსს „როცა ფერხულში...“.

➤ 10277

1947

**26 აგვისტოს შემდეგ**

გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისი“ ქრონიკაში იბეჭდება ცნობა ქუთაისში 26 აგვისტოს გალაკტიონთან ჩატარებული შეხვედრის შესახებ.

➤ 10278

1947

**28 აგვისტომდე**

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად ქუთაისიდან ბრუნდება შოგში.

➤ 10279

1947

**28 აგვისტო**

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან და დოცენტ დიმიტრი კოპალიანთან ერთად შოვიდან ისევ ჩადის ქუთაისში.

➤ 10280

1947

**25-29 აგვისტო**

ასწორებს ლექსს „ქებათა ქება ნიკორწმინდა“ და სათაურით „ნიკორწმინდა“ აგზავნის გაზეთის „ინდუსტრიალური ქუთაისი“ რედაქციაში გამოსაქვეყნებლად.

➤ 10281

1947

**29 აგვისტო**

გაზეთი „ინდუსტრიული საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ 26 აგვისტოს საქართველოს კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა და გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისი“ რედაქციამ მოაწყვეს ახალგაზრდა ინტელიგენციის შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტთან, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძესთან. შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარემ გიორგი სამხარაძემ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ გალაკტიონ ტაბიძემ წაიკითხა უკანასკნელი დღეების განმავლობაში დაწერილი ლექსები და რომ დამსწრეები სიყვარულით და გულთბილი გრძნობით შეხვდნენ მას. მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის

მდივანმა, ხოლო გალაკტიონისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა სილოვან ახვლედიანმა, არჩილ გურჯიძემ და ვასილ გვეტაძემ.

➤ 10282

1947

**30 აგვისტო**

გაზეთში „ინდუსტრიალური ქუთაისი“ სათაურით „ნიკორწმინდა“ იბეჭდება ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“.

➤ 10283

1947

**30 აგვისტო**

გაზეთის „სიმართლე“ რედაქტორ შ. ჯავახიძეს ულოცავს გაზეთის მეხუთასე ნომრის გამოსვლას და უსურვებს, რომ კვლავაც ღირსეულად ეტარებინოთ მებრძოლი პრესის სახელი. წერილს ამთავრებს ორი ტაეპით თავისი ლექსიდან პრესის შესახებ: „პრესა მღელვარე მასის თვალთა / პრესა თვალთა მილიონების“.

➤ 10284

1947

**30 აგვისტო**

გაზეთი „ინდუსტრიული საქართველო“ აქვეყნებს უჩა ჯაფარიძის მიერ დახატულ გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტს და ლექსს „ნიკორწმინდა“.

➤ 10285

1947

**30 აგვისტო**

მონაწილეობს ქუთაისის რაიონის კულტურის სახლში გამართულ გაზეთ „სიმართლის“ მეხუთასე ნომრის გამოსვლისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოში.

➤ 10286

1947

**31 აგვისტო**

გაზეთი „ინდუსტრიული საქართველო“ აქვეყნებს ვრცელ განცხადებას რომელშიც ნათქვამია, რომ 1 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართება საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო და კონცერტი. განცხადებაში წარმოდგენილია გამომსვლელთა ვრცელი სია.

➤ 10287

1947

**აგვისტო**

წერს ლექსს „შოდა“.

➤ 10288

1947

**აგვისტო**

კურორტ შოვეში გეგმავს შეხვედრას მკითხველებთან. აპირებს ღონისძიების რამდენიმე აფიშის დამზადებას, ბილეთების საკითხის მოგვარებას და შეხვედრის ფოტოების გადაღებას.

➤ 10289

1947

### 1 სექტემბერი

აკეთებს ჩანაწერს, რომ ცენტრალური კომიტეტის დავალებით ქუთაისის მწერალთა კავშირმა მოაწყო მისი დიდი სალიტერატურო საღამო. ჰქონდა შეხვედრა მწერლებთან. საღამოები ჩატარდა შოვში და ბაღდადშიც. აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრებიდან და საღამოებიდან დაუგროვდა დიდძალი მასალა.

➤ 10290

1947

### 1 სექტემბერი

ქუთაისში მყოფი უბის წიგნაკში ხატავს ტყეში მობალახე ირემს, ქვეშ აწერს ნახატის შესრულების თარიღს და ადგილს.

➤ 10291

1947

### 1 სექტემბერი

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ტარდება საქართველოს სახალხო პოეტის და აკადემიკოსის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო.

➤ 10292

1947

### 1 სექტემბრის შემდეგ

რუსული წიგნისთვის 1940–1941 წლების რუსული პერიოდული პრესიდან და კრებულებიდან ინიშნავს საკუთარი ლექსების 21 თარგმანს.

➤ 10293

1947

### 3 სექტემბერი

გაზეთი „ინდუსტრიული საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ 30 აგვისტოს ქუთაისის რაიონის კულტურის სახლში შედგა გაზეთ „სიმართლის“ მეხუთასე ნომრის გამოსვლისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სახალხო პოეტმა, აკადემიკოსმა გალაკტიონ ტაბიძემ.

➤ 10294

1947

### 3 სექტემბერი

გაზეთი „ინდუსტრიული საქართველო“ აქვეყნებს ცნობას, რომ 1 სექტემბერს, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში ჩატარდა საქართველოს სახალხო პოეტისა და აკადემიკოსის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო. შესავალი სიტყვა წარმოთქვა მხცოვანმა პოეტმა დომენტი თომაშვილმა და მანვე წაიკითხა პოეტის ლექსი „ნიკორწმინდა“. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა დოცენტი გიორგი სამხარაძე, პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს: მიქელ პატარიძემ, სილოვან ახვლედიანმა, არჩილ გურჯიძემ, ვასილ გვეტაძემ, შოთა ნიჟარაძემ, ვახტანგ გოგოლაშვილმა. გალაკტიონმა წაიკითხა თავისი რამდენიმე ლექსი. დამსწრე საზოგადოება გულთბილად შეხვდა სახალხო პოეტის გამოსვლას და დასასრულ გაიმართა კონცერტი.

➤ 10295

1947

### 6 სექტემბერი

წერს ლექსს „მოსკოვი“.



➤ 10296

1947

### 12 სექტემბრამდე

აგარაკიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნებულ პოეტს აკითხავს რეჟისორ ალექსანდრე ჯალიაშვილის ასისტენტი და სთხოვს, გადასცეს დაპირებული ლექსი, რომელზეც სიმღერა უნდა დაიწეროს და შემდეგ კი დოკუმენტურ ფილმში უნდა ჩართონ. რადგან ლექსზე მუშაობა გალაკტიონს დასრულებულად არ მიაჩნია, სტუმარს ეუბნება, რომ ნაწარმოები ჯერ არ აქვს დაწერილი. რეჟისორის ასისტენტი უხსნის, რომ გადამღებ ჯგუფს ძალიან ეჩქარება. ამის შემდეგ პოეტი ექსპრომტის სახით უწერს ლექსს „ტყის შრიალებს ფოთოლი...“, რომელზეც მუშაობაც რამდენიმე დღის წინ დაიწყო.

➤ 10297

1947

### 12 სექტემბრამდე

ასრულებს მუშაობას რეჟისორ ალექსანდრე ჯალიაშვილის თხოვნით დაწერილ უსათაურო ლექსზე „ტყის შრიალებს ფოთოლი...“.

➤ 10298

1947

### 12 სექტემბერი

ადის მთაწმინდის პანთეონში, სადაც რეჟისორი ალექსანდრე ჯალიაშვილი იღებს დოკუმენტურ ფილმს სახელწოდებით „საბჭოთა საქართველო“. რეჟისორს ერთ კადრად ჩაფიქრებული აქვს აჩვენოს გალაკტიონი მთაწმინდაზე. იღებენ კინოქრონიკაში. ფოტოგრაფი ბორის ბური (ჯავახიშვილი), პოეტს უღებს მრავალ ფოტოს სხვადასხვა პირებთან და ჯგუფებთან ერთად.

➤ 10299

1947

### 12 სექტემბერი

ფოტოს იღებს პოეტთან და პედაგოგთან სიმონ სხირტლამესთან და სახელმწიფო კინოწარმოებასთან არსებული სამსახიობო სკოლის მოსწავლეებთან: ლეილა აბაშიძესთან, ოთარ კობერიძესთან და სხვებთან ერთად.

➤ 10300

1947

### 19 სექტემბერი

აკვთებს ჩანაწერს, რომ თებერვლის რევოლუცია ქორივით დააცხრა ქუთაისს. წერს, რომ იმ პერიოდში იგი მხატვარ თედორე ჩუდეცკისთან ერთად ცხოვრობდა ჯიბო იაშვილის კუთვნილ სახლში. ორივეს ძლიერ უჭირდა მატერიალურად. როცა ფული ჩაუვარდებოდათ ხელში, რესტორნებში ხარჯავდნენ, მეორე დღეს კი კვლაც არსებობისთვის ბრძოლა უწევდათ. გალაკტიონი იგონებს, რომ ამ დროს კავშირი ჰქონდა გაწყვეტილი შინაურებთან. პოეტის თქმით, მას, ბეგლარ ახოსპირელთან ერთად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის ორი კვირით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და ყოველდღე ელოდა დატუსაღებას. ბედად მოხდა თებერვლის რევოლუცია, პოლიცემისტური ლავრენტი მახარაძე თავად დააპატიმრეს და ეტლით გამოიყვანეს პოლიციიდან. ხალხს მისი დასჯა სურდა, მაგრამ ეტლში მყოფმა ევგენი გეგეჭკორმა, რომელმაც სიტყვით მიმართა საზოგადოებას, არ მისცათ ამის უფლება. გალაკტიონის თქმით, ისიც შეკრებილთა შორის იყო და უტყერდა, თუ როგორი მობუზული იჯდა ეტლში უწინ არწივივით ლაღი პოლიციის უფროსი. უცებ მისი და მახარაძის თვალები შეხვდა ერთმანეთს და პოეტმა გაიფიქრა: „აი, მე რომ მიპირებდი დაჭრას, ახლა თავად ხარ დატუსაღებული“. გალაკტიონის

გვერდით მდგარი ბეგლარ ახოსპირელი ხმამაღლა უყვიროდა პოლიცემისტერს იმავეს, რასაც გალაკტიონი გულში ფიქრობდა.

➤ 10301

1947

### 21 სექტემბერი

იმყოფება აფხაზეთში, ახალ ათონში. წერს ლექსს „ახალი ათონი“.

➤ 10302

1947

### 21 სექტემბერი

ხუხუტი ბლაჟბასთან ერთად მიემგზავრება ახალი ათონის დასასვენებელ სახლში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ანდრია ჭოჭუას მოსანახულებლად. სხდებიან ათონის მონასტრის გვერდით აშენებულ პატარა სახლში, საიდანაც უმშვენიერესი ხედი იშლება. უბის წიგნაკში წერს ლექსს „ამ ხილულ ოცნებას თან სდევნ ჯადონი...“. შემდეგ ამოხევეს ფურცელს და ლექსს ბლაჟბას სჩუქნის.

➤ 10303

1947

### 21 სექტემბერი

ხუხუტი ბლაჟბასთან ერთად ათვალიერებს ომის დროს დაბომბილ სოხუმს, ახალ მშენებლობებს, ხედავს დანგრეულ სახლს და წერს ლექსს „დანგრეული სახლი სოხუმში“.

➤ 10304

1947

### 21 სექტემბერი ან შემდეგ

სოხუმში ტარდება გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

➤ 10305

1947

### 21 სექტემბერი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „სახელად მთას ჰქვია ახალი ათონი...“.

➤ 10306

1947

### 23 სექტემბერი

იმყოფება სოხუმის აეროდრომზე და ძველი ქართული სტილიზებული ენით აკეთებს ჩანაწერს იმერის შესახებ, რომელსაც ერთადერთი შვილი მოუკვდა და სთხოვა მხატვარს, დაეხატა მისი პორტრეტი. მხატვარი უარობდა, რადგან არასოდეს ენახა იმერის შვილი. ბოლოს ვეღარ გაუძლო მამის ხვეწნას და თავისი წარმოსახვით დახატა მაღალი, ლამაზი, ჩოხით მორთული ვაჟკაცი. ნახატის ნახვისას გარდაცვლილის მამამ თქვა: რა დაგმართნია ასეთი, შვილო, საიქიოს, რომ ასე გამოცვლილხარო.

➤ 10307

1947

### 27 სექტემბერი

ქუთაისის ავტო-ქარხნის დირექტორთან ბორის ბუკიასთან ერთად ათვალიერებს ქარხნის მშენებარე ობიექტებს და უკვე მწყობრში ჩამდგარ საამქროებს. მომენტს ქარხნის ფოტოგრაფი მ. ზატოკა აღბეჭდავს. ფოტოსურათზე გამოსახული არიან გალაკტიონი, მისი მეუღლე ნინო კვირიკაძე და ქარხნის დირექტორი ბორის ბუკია. პოეტი მშენებარე ქარხნის პირველ დირექტორს

ჩუქნის თავისი თხზულებათა მეოთხე ტომს ბორის ბუკიასადმი მიძღვნილი უსათაურო ლექსით „გიძღვნიტ ამ წიგნს გამოწვეულს...“.

➤ 10308

1947

### სექტემბერი

იბეჭდება სტალინისადმი მიძღვნილი საბავშვო ჟურნალის „ოქტომბრელი“ მეცხრე ნომერი განახლებული სახელწოდებით „დილა“ და მასში იბეჭდება ნაწყვეტი გალაკტიონ ტაბიძის ლექსიდან „გორი“.

➤ 10309

1947

### სექტემბერი

აკაკი გაწერელია ჟურნალ „მნათობში“ აქვეყნებს ნარკვევს „მახვილი ქართულ ლექსში“, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გალაკტიონ ტაბიძე ერთადერთი პოეტია, რომელიც პროსოდითულ ნიუანსებს იყენებს ვრცელ რიტმულ პერიოდში – სტროფში.

➤ 10310

1947

### სექტემბერი

წერს გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეებისადმი მიძღვნილ სახუმარო ლექსს „გრ. და ირ. აბაშიძეებს“ („გული მომიკლა მე თქვენმა ჩაგვრამ...“).

➤ 10311

1947

### სექტემბერი

წერს ალექსანდრე აბაშელისადმი მიძღვნილ სახუმარო ლექსს „ა. აბაშელს“ („აბაშელი ალფაბეტით წინ დაუდგება სხვებსაო...“).

➤ 10312

## ოქტომბერი

1947

### 1 ოქტომბრის შემდეგ

გიორგი ბაქრაძის წიგნში „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ ნომრავს მისთვის საინტერესო გაზეთებსა და ჟურნალებს 1903 წლიდან და აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 10313

1947

### 7 ოქტომბერი

მეცნიერებათა აკადემიის მივლინებით იმყოფება მოსკოვში და იწყებს უკრაინელ პოეტ პავლო ტიჩინასთვის გასაგზავნი წერილის წერას. მოიკითხავს ადრესატს და გაკვირვებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ საკმაოდ დიდი ხანია არც უნახავთ ერთმანეთი და არც შეხმანიანებიან.

➤ 10314

1947

### 12 ოქტომბერი

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ცნობა, რომ 28 სექტემბერს, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო გამოფენისთვის

მოსკოვში თვითმფრინავით გაიგზავნა სახვითი ხელოვნების ქართველ ოსტატთა ნამუშევრები, მათ შორის მოქანდაკე სილოვან კაკაბაძის მიერ შესრულებული გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტი.

➤ 10315

1947

### 15 ოქტომბრის შემდეგ

გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისი“ კრებულში „ქართველი პოეტები ქუთაისს“ იბეჭდება ლექსები --- („წყალტუბოდან ქუთაისში...“), „გახსოვს?“ და „რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!“.

➤ 10316

1947

### 15 ოქტომბრის შემდეგ

ლექსების კრებულში „ქართველი პოეტები ქუთაისს“ გიორგი სამხარაძის წინასიტყვაობის სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებსა და კრიტიკულ კომენტარებს. დასაწყისში აღნიშნავს, რომ წიგნში სიმართლის ღალატი იგრძნობა.

➤ 10317

1947

### 16 ოქტომბრამდე

ლექსს „ვერცხლად იფრქვევა ღამე...“, ციკლიდან „გოლიათური ნაბიჯები“, გაზეთში „საბჭოთა აჭარა“ გამოსაქვეყნებლად წერილთან ერთად უგზავნის პარმენ ლორიას ბათუმში. სწერს, რომ მისი ლექსების ამ ციკლს რედაქტორობს ალექსანდრე გომიაშვილი, რომელიც იმხანად მის გვერდით შემორჩენილ ერთადერთ მეგობრად მიაჩნია. წუხს, რომ მთელმა თბილისმა გარიყა. გალაკტიონი მოკითხვას უთვლის აჭარელ პოეტებს და განსაკუთრებული ყურადღებით გამოყოფს ახალგაზრდა გიორგი სალუქვაძეს.

➤ 10318

1947

### 16 ოქტომბრის შემდეგ

ბათუმიდან იღებს პარმენ ლორიას საპასუხო წერილს. ადრესანტი ჰპირდება გაგზავნილი ლექსის გამოქვეყნებას და ამხნევეს, რომ გალაკტიონს ხალხი არ გარიყავს და არ დაივიწყებს. შეიძლება ერთეულებმა მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატონ, მაგრამ ეს ვერაფერს დააკლებს ხალხის განუზომელ სიყვარულს მისდამი.

➤ 10319

1947

### 16 ოქტომბრის შემდეგ

გაზეთში „საბჭოთა აჭარა“ გამოსაქვეყნებლად ბათუმში პარმენ ლორიას უგზავნის ლექსს „აღარ მცალიან“.

➤ 10320

1947

### 18 ოქტომბერი ან შემდეგ

დღიურში სათაურით „შენიშვნები“ იწერს, რომ 1939 წელს მისი ლექსით „გორი“ გაიხსნა სტალინის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი წიგნი „ბელადს ქართველი მწერლები“, შემდეგ კი მოჰყავს ციტატები რვა წლის შემდეგ რუსულ გაზეთებში „პრავდა“ და „იზვესტია“ გამოქვეყნებული სტატიებიდან, რომლებშიც მის ამ ლექსში გამოთქმული აზრებია გამეორებული.

➤ 10321

1947

**19 ოქტომბრამდე**

კითხულობს რუსულად გამოცემულ ვლადიმერ მაიაკოვსკის თხზულებების კრებულს ერთ ტომად, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. აინტერესებს, მაიაკოვსკიმ იცოდა თუ არა ქართული ენა.

➤ 10322

1947

**19 ოქტომბრამდე**

წერს უსათაურო ოთხსტრიქონიანი ლექსის „მთაა თუ ველი / თუ ბრძოლის ველი, / სტრიფონ, ყველაფერს / აჩნს შენი ხელი...“ ოთხ ვარიანტს და თითოეულს აწერს კრიტიკულ შენიშვნებს.

➤ 10323

1947

**19 ოქტომბრამდე**

გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქციის სახელით, ადგენს გაზეთებში „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“ 19 ოქტომბრის ნომერში გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტს, რომელშიც მოცემულია გალაკტიონის თხზულებების IV ტომის ანოტაცია და ყდის კლიშე.

➤ 10324

1947

**19 ოქტომბრამდე**

ვლადიმერ მაიაკოვსკის თხზულებების კრებულში წერს, რომ ერთ-ერთ გვერდზე განმარტებულია იმ რუსული სამხატვრო-ლიტერატურული ჯგუფის „ლეფის“ (ხელოვნების მარცხენა ფრონტი) მნიშვნელობა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვლადიმერ მაიაკოვსკი. აღნიშნავს, რომ მაიაკოვსკის ახალი პოეტიკის დასაწყისად სერიოზულად მიაჩნია თავისი დაბადების წელი – 1893.

➤ 10325

1947

**19 ოქტომბრამდე**

ვლადიმერ მაიაკოვსკის თხზულებების კრებულში ლექსზე „მარცხენა მარში (მეზღვაურებს)“ აწერს, რომ რეფრენი არ იყო პოპულარული რუსულ ლიტერატურაში, არ შეინიშნება არც ალექსანდრე პუშკინის, არც მიხეილ ლერმონტოვისა და ფიოდორ ტიუტჩევის პოეზიაში, მოგვიანებით გამოჩნდა ვალერი ბრიუსოვის შემოქმედებაში, საქართველოში კი, გვხვდება V საუკუნიდან.

➤ 10326

1947

**20 ოქტომბრის შემდეგ**

აკაკი გაწერელიას წიგნის „სიკვდილი ბარათაშვილისა“ უკანა გარეკანზე წერს თავის ბიოგრაფიულ მონაცემებს: „დასაწყისი პერიოდი: 1. სვეტის თავი და ბაგრატიონი. 2. ბაგრატის ტაძრის ნანგრევი. 3. მოგონებები ლექსებიდან. რა ხდება ტფილისში? 1. შეითანბაზრის პოეზია. 2. რეაქცია... თბილისის სემინარია და სხვ.

➤ 10327

1947

**20 ოქტომბრის შემდეგ**

სხვადასხვა ავტორის ლექსების კრებულში „ოქტომბრის ვარსკვლავი“ სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებსა და ჩანახატებს, ნომრავს მისთვის საინტერესო სტროფებს, დებს ორ ფურცელს

თავისი წიგნის „ზღვა ახმაურდა“ სათაურების, სტრიქონებისა და გვერდების რაოდენობების მითითებით.

➤ 10328

1947

### 22 ოქტომბრამდე

ამუშავებს საქართველოს ხელოვნების ისტორიისადმი მიძღვნილ სხვადასხვა მონოგრაფიებსა და კრებულებს და რვეულში ინიშნავს ქართული ტაძრების, ჩუქურთმების, ფრესკების, ორნამენტების, არქეოლოგიური ძეგლების, სხვადასხვა არქეოლოგიური მასალების, ქართული შესამოსელის ფოტომასალასა და მხატვრების მიერ შესრულებულ ვიზუალურ მასალას.

➤ 10329

1947

### 22 ოქტომბერი

დაგვიანებით იღებს „ლიტერატურნაია გაზეტას“ თანამშრომელ ვ. ერმოლოვის დეპეშას, რომლითაც ის სთხოვს სათარგმნი ლექსების გაგზავნას. გალაკტიონი უგზავნის პწკარედებს და სთხოვს, რომ თარგმნისას ტექსტები არ შეამოკლოს.

➤ 10330

1947

### 22 ოქტომბერი

შალვა ამირანაშვილი ჰპირდება, რომ მიაწოდებს საქართველოს ხელოვნების ისტორიისადმი მიძღვნილ სხვადასხვა მასალებს.

➤ 10331

1947

### 22 ოქტომბერი

რვეულში ადგენს 30 ოქტომბერს, ოთხშაბათს, მასწავლებლის სახლში დაგეგმილი საღამოს პროგრამას. აფერადებს ფერადი ფანქრებით.

➤ 10332

1947

### 22 ოქტომბრის შემდეგ

სანდრო ეულის თხოულებანის სატიტულო გვერდზე ფსევდონიმებთან დაკავშირებით წერს, რომ სწორია სანდრო ეული – ქურიძე, ალიო მაშაშვილი – მირცხულავა, იაკინთე ლისაშვილი – ხომერიკი, იონა ვაკელი – მეგრელიძე. ამის შესახებ რედაქტორი შენიშნავს, რომ 1909-1918 წლებში სანდრო ეული ლექსებს ბეჭდავდა თავისი ნამდვილი გვარით – ქურიძით. ეული დაურქმევია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ხაზგასმებსა და მცირე კომენტარებს აკეთებს ლავროსი კალანდაძის ბიოგრაფიულ-კრიტიკულ მიმოხილვასა და სარჩევში.

➤ 10333

1947

### 22 ოქტომბრის შემდეგ

ინიშნავს რომ ალექსანდრ პუშკინის ნაწარმოებები თარგმნილია 18 ენაზე.

➤ 10334

1947

### 23 ოქტომბერი

მასწავლებელთა სახლში ხვდება გამგეს მოსე ნოზაძეს და მომხსენებელს გრიგოლ ორახელაშვილს. მათთან ათანხმებს 30 ოქტომბერს გასამართი საღამოს პროგრამას.

იგეგმება გამომსვლელების თანმიმდევრობა, ლექსების დეკლამაცია, გალაკტიონის გამოსვლა, სიმღერები გალაკტიონის ტექსტებზე, კინოჩვენება. ბილეთების გაყიდვა. აფიშისა და გაზეთის მომზადება.

➤ 10335

1947

### 23 ოქტომბერი

მასწავლებელთა სახლში ესაუბრება გრიგოლ ორახელაშვილს, რომელიც უნივერსიტეტში ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე შალვა რადიანის ხელმძღვანელობით სწავლობს. საუბრისას გრიგოლ ორაგველიძე გალაკტიონს სთავაზობს დისერტაციის თემად მისი შემოქმედების არჩევას და აღნიშნავს, რომ არ ეთანხმება რადიანის მოსაზრებას, თითქოს გალაკტიონი წარსულში პესიმისტურ ლექსებს წერდა. გალაკტიონი თვლის, რომ ორახელაშვილი ენერგიული კაცია და ავალებს მას სადღესასწაულო გაზეთის რედაქტორობას და 30 ოქტომბერს მასწავლებელთა სახლში გასამართ ღონისძიებაზე მოხსენებით გამოსვლას.

➤ 10336

1947

### 23 ოქტომბერი

მოკლე წერილით მიმართავს ახალგაზრდა ლიტერატორებს. ბოდიშს უხდის, რომ გადაუდებელი საქმეების გამო ვერ ესწრება მათ კონფერენციას და უსურვებს გამარჯვებებს.

➤ 10337

1947

### 23 ოქტომბერი

გეგმავს მასწავლებელთა სახლში 30 ოქტომბერს გასამართ ღონისძიებაზე კინოჩვენების მოწყობას, კინოფირების მოსაპოვებლად აპირებს განცხადებით მიმართოს ვლადიმერ მაჭავარიანს. იმედი აქვს, რომ ერასტი ხაჩიძე და მიხეილ ჭიაურელი დაეხმარებიან კინოფირების მოძიებაში.

➤ 10338

1947

### 23 ოქტომბერი

რვეულში ინიშნავს, რომ გრიგოლ ორახელაშვილის თქმით, შალვა რადიანი მასზე წერს მონოგრაფიას. არ მოსწონს, რომ რადიანის მონოგრაფია აგებულია იდეაზე, რომ გალაკტიონის წარსული პესიმისტური იყო. ორახელაშვილი ამბობს, რომ ის ვერ წავა შალვა რადიანის წინააღმდეგ, რადგანაც მან შეიძლება მისი ნაშრომი ჩააგდოს. გალაკტიონს ეჭვი ეპარება შალვა რადიანის ასეთ ვერაგობაში, მაგრამ თვლის, რომ რადიანი წააგებს თუ მონოგრაფიაში ზემოთხსენებულ იდეას გაატარებს, ხოლო მას არ აწყობს, რომ მონოგრაფია ჩავარდეს. თვლის, რომ საჭიროა მომხსენებელი, რომელიც ამ აზრს დაუპირისპირდება და ასეთად მიაჩნია დიმიტრი ბენაშვილი, რომელიც ერთხელ გალაკტიონის ლექსში „სანთლები და იდეალი“ გამოხატულ ოპტიმიზმის აზრს იცავდა. თვლის, რომ უნდა მოელაპარაკოს ბენაშვილს და მიაწოდოს მის ხელთ არსებული მასალები, რადგან მისი პირდაპირი ჩარევა ამ საქმეში უხერხული იქნება.

➤ 10339

1947

### 25 ოქტომბერი

სოხუმში წერილს უგზავნის საოლქო კომიტეტის გამგეს ვანო ტუსკაძეს და ბოდიშს უხდის, რომ ვერ შეუარა. ატყობინებს, რომ წიგნი „ზღვა ახმაურდა“ გამომცემლობას გადასცა, მალე მიაწვდის პწკარედებს და წინასწარ უხდის მადლობას მისი გამოცემისთვის.

➤ 10340

1947

### 25 ოქტომბერი

კითხულობს გაზეთს „ლიტერატურა და ხელოვნება“. გრიგოლ აბაშიძის ლექსს „მტკვრის სიმფონია“ აწერს თავისი ლექსის სათაურს „ოქტომბრის სიმფონია“ და აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 10341

1947

### 25 ოქტომბრის შემდეგ

კითხულობს რუსულ ჟურნალს „ხალხთა მეგობრობა“. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს, წერს რითმებს. პიოტრ სკოსირევის სტატიის „მრავალნაციონალური საბჭოთა ლიტერატურის ოცდაათი წელი“ აბზავს, რომ რუსეთში 1917–1923 წლების სამოქალაქო ომმა გამოიწვია ლიტერატურული სკოლებისა და ჯგუფების დაარსება, რომლებსაც არ ესმოდათ პროლეტარული რევოლუციის გრანდიოზული ამოცანები, აწერს, რომ საქართველოში ამ დროს შეიქმნა ცისფერყანწელების, ფუტურისტების, პროლეტარებისა და მემარცხენეობის დაჯგუფებები.

➤ 10342

1947

### 26 ოქტომბერი

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ცნობა, რომ ყოველკვირეული საბავშვო ჟურნალი „ოქტომბრელი“ მეცხრე ნომრიდან გამოდის განახლებული სახელწოდებით „დილა“ და რომ ნომერში დაბეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი.

➤ 10343

1947

### 30 ოქტომბერი

მასწავლებელთა სახლში იმართება გალაკტიონ ტაბიძის საღამო. საღამოს ხსნის მასწავლებელთა სახლის გამგე მოსე ნოზაძე. სიტყვით გამოდიან: სავლე აბულაძე, როდიონ ქორქია, კალე ბობოხიძე, მასწავლებელთა სახლის წრის წარმომადგენელი ახალგაზრდა პოეტი, ვერა შუბლაძე, შერმანი. საკუთარი ლექსებს კითხულობს გალაკტიონი. მეორე ნაწილში გალაკტიონის ლექსებს კითხულობენ მსახიობები.

➤ 10344

1947

### 30 ოქტომბრის შემდეგ

უბრუნდება 23 ოქტომბრის ჩანაწერს და აღნიშნავს, რომ დაგეგმილი ღონისძიებებიდან ბევრი ჩაიშალა. გრიგოლ ორახელაშვილი გამოდგა „ჟულიკი“, მისმა მოხსენებამ არ ივარგა, გაზეთი არ დაბეჭდილა, ხოლო აფიშები არ გაკრულა. ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთები საერთოდ არ გაყიდულა. შესავალი სიტყვა არ წარმოთქმულა. ხუთი სხვადასხვა კინოქრონიკიდან ნაჩვენები იყო მხოლოდ ერთი – შოვში გადაღებული ქრონიკა.

➤ 10345

1947

### 30 ოქტომბრის შემდეგ

წერს ლექსს „იგავ-არაკები – კუჩხა და საათი“.

➤ 10346

1947

### აგვისტო-ოქტომბერი

წერს ლექსს „განჭვრეტა ოცდაათი წლის“.



➤ 10347

## ნოემბერი

1947

### 5 ნოემბერი

მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში იხსნება ქართველ მხატვართა და სკულპტორთა გამოფენა, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის ოცდაათი წლისთავისადმი. გამოფენაზე სხვა ესპონატთა შორის წარმოდგენილია სკულპტორ სილოვან კაკაბაძის მიერ შექმნილი ბიუსტი „საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 10348

1947

### 7 ნოემბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მეჩვიდმეტე წელი“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 10349

1947

### 7 ნოემბერი

მხატვარი მოსე თოიძე ფანქრით ხატავს მის პორტრეტს პროფილში, სვანური ფარფლებიანი ქუდით და პაპიროსით ხელში.

➤ 10350

1947

### 13 ნოემბერი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ოქტომბრის სიმღერა“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 10351

1947

### 15 ნოემბერი

უბის წიგნაკში იწერს, რომ სჭირდება 2 საერთო რვეული, კონვერტები და ქაღალდები, ცხვირსახოცები და ოდეკოლონი.

➤ 10352

1947

### 15 ნოემბერი

უბის წიგნაკში წერს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში უნდა ჩატარებულიყო ოქტომბრის რევოლუციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სესია, მაგრამ სიმონ ჯანაშიას გარდაცვალების გამო გადაიდო. იგებს, რომ სიმონ ჯანაშია გარდაცვალების წინა დღეს მუზეუმში ყოფილა, სადაც დიდი გამოფენის სამზადისი იყო და უთქვამს, რომ ივანე ჯავახიშვილის სურათი საუკეთესო ადგილას დაეკიდათ.

➤ 10353

1947

### 15 ნოემბერი

უბის წიგნაკში იწერს, რომ 1947 წლის 15 ნოემბერს დილის 5 საათზე გარდაიცვალა აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია.

➤ 10354

1947

### 15 ნოემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მისი გადაცურვა მახსოვს მხარულითა...“.

➤ 10355

1947

### 15 ნოემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში რუსულად წერს განვლილი წლის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ.

➤ 10356

1947

### 15 ნოემბრის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „დიდი განთიადის დიდი ცისარტყელა...“.

➤ 10357

1947

### 18 ნოემბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ქვეყნდება სამგლოვიარო წერილი სიმონ ჯანაშიას გარდაცვალების გამო, წერილს მეცნიერებათა აკადემიის სხვა თანამშრომლებთან ერთად ხელს აწერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 10358

1947

### 18 ნოემბერი

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტის ალკვ ბიურო აწყობს შეხვედრას გალაკტიონ ტაბიძესთან.

➤ 10359

1947

### 22 ნოემბრამდე

შემნახველი სალაროდან გამოაქვს 6835 მანეთი და რჩება 25 მანეთი.

➤ 10360

1947

### 25 ნოემბერი

იმყოფება მეზობლად მცხოვრები მწერალი ქალის – მარიამ გარიყულის ოჯახში. მარიამის პატარა შვილიშვილს, უტანდარ რატიანს, რომელსაც მამა მეორე მსოფლიო ომში დაეღუპა, უძღვნის ლექსს სათაურით „უტანდარს“.

➤ 10361

1947

### ნოემბერი

უბის წიგნაკში წერს, რომ უნივერსიტეტში ტარდება ლექტორიუმი და იწერს გამომსვლელების სიას და მათი მოხსენებების სათაურებს.

➤ 10362

1947

### ნოემბრის შემდეგ

კითხულობს ჟურნალს „ბოლშევიკი“, აკეთებს ხაზგასმებს, კომენტარებსა და ჩანახატებს.

➤ 10363

1947

### ნოემბრის შემდეგ

ჟურნალის „ბოლშევიკი“ თავფურცელზე 62 პუნქტად წერს თეატრთან დაკავშირებული სადამოებისთვის გეგმას, მათ შორის, აღნიშნავს მოხეტიალე თუ სხვა მსახიობებს, ქუთაისისა და თბილისის თეატრების წარმოდგენებს, პუბლიკაციებს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, აკაკი წერეთლის იუბილეს ოპერის თეატრში, სცენაზე მისი პირველი გამოსვლის ჩაშლას ქუთაისის სცენაზე, აკაკისთან ერთად გამოსვლას სცენაზე და აკაკის აზრს მისი ლექსების კითხვის შესახებ, მოგზაურობას აკაკისთან ერთად სოფელ მუხიანში, მოგზაურობას დავით კლდიაშვილთან ერთად, სადამოებს ფოთში, ჭიათურაში, ბათუმსა და ოზურგეთში, ეგნატე ნინოშვილის სადამოს, მეარღნეებს, კონსტანტინ ბალმონტთან შეხვედრას. თეატრში წაკითხულ თავის ლექსებს – „გურიის მთები“ და „მთაწმინდის მთვარე“, ცენზურის მიერ ნებადართული პიესის ნაცვლად სხვა პიესის დადგმას, ინციდენტს იროდიონ ევდომვილის სადამოზე. წერს, რომ აღდგენილი აქვს სადამოების ზოგი აფიშა.

➤ 10364

1947

### ნოემბრის შემდეგ

ჟურნალის „ბოლშევიკი“ ბოლო გვერდზე წერს სიმონ ჩიქოვანისადმი მიძღვნილ, უსათაურო, სახუმარო ლექსს „ჩიქოვანის უბდა-აბდა...“.

➤ 10365

## დეკემბერი

1947

### 1 დეკემბრამდე

ილია ჭავჭავაძის დღეების დროს მწერალთა კავშირიდან გამოსული გალაკტიონი იქვე მდგარ მუხრან მაჭავარიანს მკლავში ხელს გამოსდებს და მასთან ერთად წასვლას სთავაზობს. მაჭავარიანი უხერხულ მდგომარეობაშია, რადგან გრძნობს, რომ გალაკტიონს იგი დასალევად მიჰყავს, მას კი ჯიბეში გახვრეტილი გროშიც არ უდევს, რომ დაპატიჟოს. გზად ხვდებათ რეზო ჯაფარიძე და რეზო ინანიშვილი, რომლებსაც მუხრანი ეპატიჟება იმ იმედით, რომ მათ მაინც ექნებათ ცოტაოდენი თანხა. ჩადიან ილია ჭავჭავაძის (ამჟამად შალვა დადიანის) ქუჩაზე მდებარე სარდაფში, სადაც შესანიშნავ ღვეზელებს აცხობენ და კარგ კახურ ღვინოს ყიდიან. გალაკტიონი ღვეზელს და ღვინოს უკვეთავს. სუფრაზე ილიას ახსენებენ და მუხრანი გალაკტიონის ლექსს „წიწამურში რომ მოკლეს ილია“ კითხულობს. გალაკტიონს მოსწონს მისი წაკითხული ლექსი და კოცნის. შემდეგ ინანიშვილი და ჯაფარიძე სთხოვენ მუხრანს ილიასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი წაიკითხოს, მაგრამ მას გალაკტიონის რცხვენია და უარობს. გალაკტიონი ამხნეებს და ისიც ლექსის ხმამაღლა თქმას ბედავს. გალაკტიონს თვალები ცრემლით ევსება და ეუბნება, რომ ამ დღიდან მათ უნდა იმეგობრონ, რადგან მუხრანის თვალებს თავისი მეგობრის – გიორგი ქუჩიშვილისას ამსგავსებს.

➤ 10366

1947

### 1 დეკემბერი

მონაწილეობს რუსთაველის თეატრში გამართულ ილია ჭავჭავაძის დაბადების 110 და გარდაცვალების 40 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სადამოში და კითხულობს ლექსს. კინოჟურნალისთვის „საბჭოთა საქართველო 1947“ ამ ფაქტს ფირზე აღბეჭდავს კინორეჟისორი ოთარ ჭიაურელი.

➤ 10367

1947

### 5 დეკემბერი

გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება სტატია „საერთო საკავშირო მხატვრულ გამოფენაზე“, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოსკოვში 5 და 6 ნოემბერს გაიმართა ოქტომბრის რევოლუციის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა მხატვრებმა და სკულპტორებმა. სტატიასთან ერთად გაზეთში დაბეჭდილია გამოფენის ერთ-ერთი მონაწილის, სილოვან კაკაბაძის სკულპტურის – „საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“ – ფოტოსურათი.

➤ 10368

1947

### 19 დეკემბერი

შუადღის სამ საათსა და ოცდახუთ წუთზე იმყოფება ფილარმონიის ახლოს, ბაღში. მიირთმევს შოკოლადს, აკვირდება შოკოლადის შესაფუთ ქაღალდს, რომელზეც გამოხატულია ტალღები და შემდეგ ამავე ქაღალდზე წერს უსათაურო ლექსს „ტალღაო, ჩემო ლამაზო ტალღა...“.

➤ 10369

1947

### 20 დეკემბერი

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ცნობა, რომ 22 დეკემბერს საქართველოს მუზეუმში გაიხსნება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, რომელიც „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ 30 წლისთავს მიეძღვნება. სესიაზე მოისმენენ შალვა რადიანის მოხსენებას: „გალაკტიონ ტაბიძე და მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეტური ტრადიციები“.

➤ 10370

1947

### 20 დეკემბერი

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ცნობა, რომ 22 დეკემბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქართული ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის კონცერტზე პირველად გაჟღერდება ოლგა ბარამიშვილის რომანტიკული კანტატა „გამარჯვებათა შემოქმედს“, რომელიც შექმნილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსის გიორგი ცაგარლისეულ თარგმანზე.

➤ 10371

1947

### 22 დეკემბერი

საქართველოს მუზეუმში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ 30 წლისთავს ეძღვნება, შალვა რადიანი კითხულობს მოხსენებას: „გალაკტიონ ტაბიძე და მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეტური ტრადიციები“.

➤ 10372

1947

### 25 დეკემბრამდე

წერს უსათაურო ლექსის „რამდენიმე დღე მივდივარ...“ ახალ ვარიანტს, ლექსს სათაურად არქმევს „სტუმრად“, შემდეგ კი ტექსტს ამზადებს კრებულში „ზღვა ახმაურდა“ გამოსაქვეყნებლად.

➤ 10373

1947

### 25 დეკემბრამდე

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობას დასაბეჭდად გადასცემს კრებულს „ზღვა ახმაურდა“.

➤ 10374

1947

**25 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსის „ვიღაცამ თავის გამიხსნა ქალა...“ ახალ ვარიანტს, ლექსს სათაურად არქმევს „დანგრეული სახლი სოხუმში“, შემდეგ კი ტექსტს ამზადებს კრებულში „ზღვა ახმაურდა“ გამოსაქვეყნებლად.

➤ 10375

1947

**25 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსის „ო, მერამდენედ უნდა გითხრა კიდევ მადლობა...“ ახალ ვარიანტს, ლექსს სათაურად არქმევს „სხვაგან სადაა“, შემდეგ კი ტექსტს ამზადებს კრებულში „ზღვა ახმაურდა“ გამოსაქვეყნებლად.

➤ 10376

1947

**25 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსის „ყვავილებით მოხატულო...“ ახალ ვარიანტს, ლექსს სათაურად არქმევს „ნაკადულო, ნაკადულო“, შემდეგ კი ტექსტს ამზადებს კრებულში „ზღვა ახმაურდა“ გამოსაქვეყნებლად.

➤ 10377

1947

**25 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „აგე, იმ ჩრდილქვეშ“.

➤ 10378

1947

**25 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „ორნამენტი“.

➤ 10379

1947

**25 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „მარადისი დიდება გმირებს“.

➤ 10380

1947

**25 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „მეცხრე სიმფონია“.

➤ 10381

1947

**25 დეკემბრამდე**

წერს ლექსს „აზრი გენიალური ჰარმონიისა“.

➤ 10382

1947

**25 დეკემბრამდე**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის – ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელზე ადგენს განცხადებას, რომ მუშაობს წიგნზე, რომლის დამთავრება მოითხოვს მოსკოვში გამგზავრებას მასალის დასაზუსტებლად და სთხოვს, მისცეს ორი თვის მივლინება სათანადო რეკომენდაციით.

➤ 10383

1947

### 25 დეკემბერი

ავხაზეთის სახელგამში ხელმოწერილია დასაბეჭდად გალაკტიონ ტაბიძის წიგნი „ზღვა ახმაურდა“. რედაქტორი გიორგი ჯიბლაძე.

➤ 10384

1947

### 25 დეკემბრის შემდეგ

კითხულობს ილია სტეკოლნიკოვის წიგნს „ელვა და ჭექა-ქუხილი“ აკეთებს ხაზგასმებსა და მინაწერებს.

➤ 10385

1947

### 25 დეკემბრის შემდეგ

ილია სტეკოლნიკოვის წიგნის „ელვა და ჭექა-ქუხილი“ წინა ფორზაცზე წერს, რომ ავხაზეთის სახელგამმა თითქმის დაამთავრა მისი წიგნის „ზღვა ახმაურდა“ ბეჭდვა.

➤ 10386

1947

### 25 დეკემბრის შემდეგ

ილია სტეკოლნიკოვის წიგნის „ელვა და ჭექა-ქუხილი“ უკანა ფორზაცზე წერს, რომ 1921-1922 წლებში ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძის დიდი მეგობრის, გერმანელი მწერლის – არტურ ლაისტის წერილი „ზღვა და ქართველები“. ავტორი აღნიშნავდა, რომ საქართველოს აქვს მშვენიერი ზღვის სანაპიროები, მაგრამ ქართულ ლიტერატურაში არ ჩანს ზღვის მოტივები, შოთა რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანშიც“ კი ზღვა მხოლოდ გაკვრითაა ნახსენებო. დასკვნა იყო, რომ ქართველებს არ უყვართ ზღვა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ არტურ ლაისტის შეხედულების სიმართლესთან შესაბამისობის გარკვევა მკვლევარების საქმეა, მაგრამ უდავოა, რომ ზღვის თემატიკა ქართულ ლიტერატურაში რუსთაველის შემდეგ არა ჩანდა, ეს მოძრაობა დაიწყო მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ. ეს მოტივები არის მის პირველ და მეორე წიგნებში, თხზულებათა I, II, III და IV ტომებში, ცალკე წიგნად არის გამოცემული „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ და ჟურნალში „მნათობი“ ცოტა ხნის წინ გამოაქვეყნა ლექსების ციკლი „ზღვა ახმაურდა“.

➤ 10387

1947

### 31 დეკემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ხვალ დაიწყება მწველი...“.

➤ 10388

1947

### 31 დეკემბერი

მატარებლით მიემგზავრება ავხაზეთში, სოხუმში, ცოლის ნინო კვირიკაძის და გერის ნუნუ ებანოიძის თანხლებით.

➤ 10389

1947

**ზამთარი**

პიონერთა სასახლეში იოსებ გრიშაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან და იოსებ ნონეშვილთან ერთად ესწრება მახარაძის (ამჟამინდელი ოზურგეთი) რაიონის მოსწავლეთა სპექტაკლს „ზამთრის ზღაპარი“ და ნაძვის ხის გარშემო წრეში ბავშვებთან ერთად დგება.

➤ 10390

1945-1947

წერს სახუმარო ლექსს „ჩერჩილს რომ „ე“ გამოაკლო“ („ჩერჩილი ენით ხმაურობს...“).

➤ 10391

1947 ან ადრე

გიგლა მეზუკე ახალ მოხსენებას წერს გალაკტიონის შემოქმედების შესახებ და მასთან სახლში მისულ პოეტს უკითხავს. გალაკტიონს მოსწონს. მაგრამ აქვს შენიშვნაც თავის „ცისფერყანწელობასთან“ დაკავშირებით. ის გიგლას ახსენებს ქუთაისში სოციალ-დემოკრატების გაზეთებში თავისი თანამშრომლობის ამბავს და ეკითხება, ცისფერყანწელი რომ ვყოფილიყავ, ხსენებული გაზეთის რედაქტორები სათანამშრომლოდ როგორ გამიკარებდნენო. უკვირს საიდან იგონებს მეზუკე მისი ფუტურისტობის და სიმბოლისტობის ამბავს და სთხოვს, უკვე დაწერილი მოხსენებიდან საბჭოთა პერიოდამდე დაწერილი ლექსების ანალიზის ამოღებას და პირდაპირ საბჭოური პერიოდით დაწყებას. გალაკტიონი აძლევს გეგმას, რომელშიც აღნიშნულია, როდის ჩატარდა მისი იუბილეები და ამ გეგმაში უწერია 1908 და 1914, მისი პირველი პუბლიკაციებისა და პირველი წიგნის გამოსვლის წლები. მეზუკე ხვდება, რომ ახალი მოხსენების დაწერა მოუწევს და ხალისი ეკარგება.

➤ 10392

1947

კითხულობს ვახუშტი ბაგრატიონის წიგნს „საქართველოს გეოგრაფია“, სარჩევში აკეთებს ხაზგასმებსა და აღნიშვნებს.

➤ 10393

1947

წერს ლექსს „ქებათა ქება“.

➤ 10394

1947

იბეჭდება საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე ყრილობაზე წაკითხული პეტრე შარიას მოხსენება „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები“, რომელშიც მომხსენებელი გალაკტიონ ტაბიძის შესახებ, ამბობს, რომ იგი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზიის უდიდესი წარმომადგენელია, რომელმაც მწერლების ანტირევოლუციური ფრონტი გაარღვია და საბჭოთა პლატფორმას მიაშურა.

➤ 10395

1947

კითხულობს პეტრე შარიას მოხსენებას „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები“. ხაზგასმებით აღნიშნავს ადგილებს, სადაც შარია მკაცრად აკრიტიკებს ლიტერატურულ ჯგუფებს „აკადემიურ ჯგუფს“, „ცისფერყანწელების“ ჯგუფს და ფუტურისტების ჯგუფს და იმ ფრაზებს, სადაც საუბრობს გალაკტიონის საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლის შესახებ.

➤ 10396

1947

წერილს უგზავნის მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობას. ინტერესდება, როგორ მიდის მისი ლექსების თარგმანების კრებულის გამოცემის საქმე. საჭიროდ მიიჩნევს ახალი პწკარედული თარგმანების 10 ათასი სტრიქონის დამატებას, რომლებიც მზადდება. გეგმავს პირადად ჩასვლას მოსკოვში. სწერს, რომ წიგნის გამოცემა ძალიან ეჩქარება, რადგან 1948 წელს სრულდება მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წელი.

➤ 10397

**1947**

მოკლე წერილს უგზავნის სემინარიიდან თავის ძველ ნაცნობს, პედაგოგ ტერენტი ვეფხვაძეს. სწერს, რომ ვლადიმერ გილიაროვსკის ლექსის თარგმნა თავად ვერ მოახერხა და სხვას ათარგმნინა. დასძენს, რომ მთარგმნელი წინააღმდეგი არ იქნება, თუ თარგმანს ვინმე ჩაუსწორებს.

➤ 10398

**1947**

წერს უსათაურო ლექსს „მე დღეს პირველად ხელთ ვიღებ კალამს...“.

➤ 10399

**1947**

წერს უსათაურო ლექსს „დღეს, როდესაც წყნარია...“.

➤ 10400

**1947**

ეცნობა საკავშირო რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიის ცნობარს. აკეთებს ხაზგასმებს და წერს, რომ რუსეთის აკადემია დაარსდა ეკატერინე I-ის დროს, 1725 წელს და პირველი სხდომა იმავე წლის 12 ნოემბერს შედგა.

➤ 10401

**1947**

ალექსანდრე აბაშელის ლექსების კრებულზე დართულ ბესარიონ ჟღენტის წინათქმაში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 10402

**1947**

ეცნობა რუსული წიგნების ბიბლიოგრაფიულ ჟურნალს „წიგნის ქრონიკა“, დასაწყისში სათაურით „კომპეები“ წერს ლექსის ორ სტრიქონს: „ნეტა, თუ არის სადმე ქვეყანა / რომ აშვენებდეს კომპი ამდენი“.

➤ 10403

**1947**

წერს უსათაურო ლექსს „შენ რომ სურათი მთხოვე, ო, მერი...“.

➤ 10404

**1947**

წერს უსათაურო ლექსს „ცაზე ანთებულ რიჟრაჟის შუქი...“.

➤ 10405

**1947**

კითხულობს იური კოლინსკის რუსულ ბროშურას „ველასკესი“. ავტორის ერთ-ერთ მოსაზრებას, რომ ველასკესმა დაძლია ადამიანის შინაგანი უძრაობა, იგრძნო და გამოსახა მისი სამყაროს



სირთულე, ხაზს უსვამს და წერს, რომ იგივე შეიძლება ითქვას მისი ლექსის „ელგუჯას დაბრუნება“ და პოემის „ჟუგა და ასიდა“ შესახებ.

➤ 10406

**1947**

მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილი ჯერ თიხაში ძერწავს, შემდეგ კი ხეში გამოკვეთს გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტს.

➤ 10407

**1947 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ოთხი არაგვი“.

➤ 10408

**1947 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გახსოვს? ძაუგთან მომხდურთა ჯარმა“.

➤ 10409

**1947 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ქობულეთი“.

➤ 10410

**1947 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მე მეგობრებს ვთხოვ...“

➤ 10411

**1947 ან შემდეგ**

წერს ლექსს „სამხრეთ-ოსეთი“.

➤ 10412

**1947 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ლიახვი და მტკვარი. ლიახვის სათავესთან“.

➤ 10413

**1947 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მცხეთა“.

➤ 10414

**1947 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მცხეთის რაიონში“.

➤ 10415

**1947 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ჯვრის მონასტრის მშენებლები“.

➤ 10416

**1947 ან შემდეგ**

ევნობა ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის კატალოგს და აკეთებს აღნიშვნებს. სერგეი ორლოვის ქანდაკების „ალექსანდრე ნეველი“ რეპროდუქციის ქვეშ წერს, რომ ალექსანდრეს ეზოში კონინდარი ისევ წელამდეა, რადგან უკანასკნელი წლის მანძილზე არავინ დაუპატიჟებია და მის ეზოში არავის გაუვლია, ამიტომ ასეთ უპურმარილო კაცს ხმას ვერ მისცემს.

➤ 10417

## 1948 ი ა ნ ვ ა რ ი

1948

### დასაწყისი

„ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიაში“ ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის ათი ლექსი: „მშობლიურო ჩემო მხარევ“, „მოგონება სევასტოპოლზე“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ვისი არის ეს გუგუნი“, „მაღალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალ-ახალი“, „ქალაქი წყალქვეშ“, „ბოდთან ტრამვაის უცდიდა მგზავრი“, „მწვერვალები ახალი მთების“, „წყალტუბოდან ქუთაისში...“, „ეს მშობლიური ქარია“.

➤ 10418

1948

### დასაწყისი

პოემისთვის „სამი პალმა“ დასამატებლად წერს სტრიქონებს „აღღვებულ მოედნები...“.

➤ 10419

1948

### დასაწყისი

1948 წელს გამოცემული „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიის“ გამო წერს ლექსს „წიგნის 381 გვერდი“.

➤ 10420

1948

### დასაწყისი

წერს ლექსს „პოეტს“ („გერქვას უნიჭო...“).

➤ 10421

1948

### დასაწყისი

ამთავრებს ლექსებს: „სათვალეები შუბლზე, ანუ მიმავალი და მომავალი თაობა“, „ირაკლი მეფე ცხენზე (ცხენის ჭიხვინი)“, „ამწვანებული კომბალი“, „აღავსე, მზეო, ეს შემოდგომა“, „1908 წელი“.

➤ 10422

1948

### 1 ი ა ნ ვ ა რ ი

სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მიწვევით დილის 8 საათზე ცოლთან ნინო კვირიკაძესთან და გერთან ნუნუ ებანოიძესთან ერთად მატარებლით ჩადის სოხუმში. რკინიგზის სადგურზე ხვდებიან იოსებ ბოცვაძე, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები და თანამშრომლები. აბინავებენ სასტუმროს „აფხაზეთი“ კომფორტულ ნომერში. შემდეგ ის და ბოცვაძე ქალაქგარეთ სეირნობენ და ათონის მყუდრო რესტორანში სადილობენ. სადილის შემდეგ იოსები სასტუმროში აცილებს, დასვენებას სთხოვს და რომ არავინ შეაწუხოს, გასაღებით გარედან უკეტავს კარს. 7-ის ნახევარზე დაბრუნებულ ბოცვაძეს გალაკტიონი გაღიმებული ეუბნება, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ის ერთადერთია, ვინც მისი დაპატიმრება შემლო. ინსტიტუტში ათვალიერებს მისადმი მიძღვნილ გამოფენას, ძალიან მოსწონს და იოსებ ბოცვაძეს სთხოვს, სადამოს დასრულების შემდეგ გამოფენის მასალები და სტუდენტთა გამოსვლები, ლექსები და სიტყვები მას გადასცენ. კითხულობს ლექსებს და მათ შორის, „სალამი

ახალგაზრდობას“. შეხვედრაზე იოსები, როგორც მომხსენებელი, გალაკტიონის შემოქმედების პერიოდებზე საუბრობს, რაც არ მოსწონს პოეტს და ეუბნება, რომ არავითარი პერიოდები მის შემოქმედებაში არ არსებობს. იგი ერთიანია.

➤ 10423

1948

1 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ახალ წელს გილოცავთ!“ თარგმანი.

➤ 10424

1948

1 იანვარი

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“, აკეთებს ხაზგასმებსა და ჩანახატებს ხრამჭვისის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავების შესახებ სტატიაზე და გიორგი ლეონიძის პოემაზე „სამგორი“.

➤ 10425

1948

1 იანვარი

ნინო კვირიკაძეს ჩუქნის 1948 წლის კალენდარს წარწერით: „ჩემს ოქრო ნინას - გალაკტიონისაგან. 1948 წ.“

➤ 10426

1948

2 იანვარი

მაგიდის კალენდრის 2 იანვრის ფურცელზე, რომელზეც არის ინფორმაცია, რომ 1926 წლის ამ დღეს გარდაიცვალა შიო არაგვისპირელი, სხვადასხვა ფერის ფანქრებით და მელნით წერს მცირე მოგონებას ამ მწერლის შესახებ და აღნიშნავს, რომ იგი გარდაიცვალა 59 წლის ასაკში.

➤ 10427

1948

2 იანვარი

აფხაზეთის სახელგამში აზუსტებს წიგნის „ზღვა ახმაურდა“ ბეჭდვის ვადებს და სხვადასხვა დეტალებს. პირდებიან წიგნის ამავე თვის ბოლომდე დაბეჭდვას.

➤ 10428

1948

4 იანვარი

უბის წიგნაკში წერს, რომ ბათუმში იმყოფება და საშინელი დღეა.

➤ 10429

1948

4 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ქვეყნდება პავლე ხუჭუას წერილი „სიმფონიურ კონცერტებზე“, რომელშიც ნათქვამია, რომ საგულისხმო მოვლენად იქცა, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ 30 წლისთავის აღსანიშნავად, ოლგა ბარამიშვილის მიერ შექმნილი რომანტიკული კანტატა ბარიტონის, გუნდისა და ორკესტრისათვის, სახელწოდებით „გამარჯვებათა შემოქმედს“. წერილში ნათქვამია, რომ ტექსტების ავტორია საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, ხოლო თარგმანი ეკუთვნის გიორგი ცაგარელს.

➤ 10430

**1948**

**4 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 4 იანვრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1799 წლის ამ დღეს დაიბადა ადამ მიცკევიჩი, წერს, რომ 1893 წლის „კვალში“ ამ ავტორის შესახებ მშვენიერი წერილები იბეჭდებოდა და იქვე იყო მოთავსებული ლექსის „სად ხარ, ჩემო სიყმაწვილევ“ თარგმანი. ასევე აღნიშნავს, რომ იგი 56 წლის ასაკში გარდაიცვალა.

➤ 10431

**1948**

**4 იანვრის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს აკაკი გაწერელიას პუბლიკაციის სათაურს ჟურნალ მნათობში „მახვილი ქართულ ლექსში“, რომელშიც მაგალითებია მოხმობილი გალაკტიონის პოეზიიდან.

➤ 10432

**1948**

**4 იანვრის შემდეგ**

ფიქრობს რუსულ ენაზე წიგნის გამოცემას სათაურით „პოეზიის ხელოვნება“, ჩამოწერს, საიდან უნდა ამოკრიბოს მასალები წიგნისთვის და აღნიშნავს, რომ გამოვა ერთი დიდი ტომი.

➤ 10433

**1948**

**4 იანვრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს მიხეილ ლერმონტოვის პოემის „ზღაპარი ბავშვებისათვის“ პირველ სტროფს.

➤ 10434

**1948**

**5 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 5 იანვრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1943 წლის ამ დღეს გარდაიცვალა ნიჭიერი ნიკოლოზ შენგელაია, აღწერს მასთან ურთიერთობის რამდენიმე საყურადღებო ეპიზოდს და იქვე აღნიშნავს, რომ ცნობილი კინორეჟისორი 41 წლის ასაკში გარდაიცვალა.

➤ 10435

**1948**

**6 იანვრამდე**

უკვე ამობეჭდილია გალაკტიონ ტაბიძის წიგნი „ზღვა ახმაურდა“ და ავტორს აკითხებენ კორექტურას. გალაკტიონი აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობას სწერს, რომ მის მიერ აღმოჩენილი შეცდომები 30-ე და 43-ე გვერდებზე უმნიშვნელოა და ფურცელზევე შეიძლება ჩასწორება. შესაბამისად, სწერს, რომ ელოდება წიგნის გავრცელებას.

➤ 10436

**1948**

**6 იანვარი**

სოხუმის სახელმწიფო გამომცემლობაში იწყებენ გალაკტიონის წიგნის „ზღვა ახმაურდა“ ბეჭდვას.

➤ 10437

**1948**

**6 იანვარი**

სოხუმში ცოლთან – ნონო კვირიკაძესთან ერთად ცხოვრობს სასტუმრო „აფხაზეთში“.

➤ 10438

**1948**

**6 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „მშფოთარეა ჩვენი ზღვა...“.

➤ 10439

**1948**

**6 იანვარი**

ნინო კვირიკაძის მეურვეობით აღშფოთებული წერს ორსტრიქონიან ლექსს: „ნინა, მისწერე დედაშენს ეკას – რომ თავდადებით მსახურობ ჩეკას“.

➤ 10440

**1948**

**6 იანვარი**

მუშაობს უსათაურო ლექსებზე: „მშფოთარეა ჩვენი ზღვა...“, „ფერი მზესა და ზღვას მოჰყავს“.

➤ 10441

**1948**

**6 იანვარი**

იმყოფება სოხუმში და უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ წერს ისევ იმ ფანქრით, რომელიც სოხუმის აეროპორტში თითქმის ორი წლის წინად იპოვა.

➤ 10442

**1948**

**8 იანვარი ან შემდეგ**

კითხულობს გაზეთს „ნორჩი ლენინელი“ და პირველი გვერდის ველზე უსათაუროდ წააწერს ლექსს: „ცაო, ზღვაო, ბიჭვინთა...“.

➤ 10443

**1948**

**9 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „კიდევ ბევრი მოგვსვლოდეს...“.

➤ 10444

**1948**

**9 იანვარი**

მაგიდის კალენდრის იმ ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1878 წლის 8 იანვარს დაიბადა ნიკოლაი ნეკრასოვი და 1642 წლის ამავე დღეს – გალილეო გალილეი, წერს მცირე მოგონებას იმის შესახებ, როგორ წაიკითხა ბავშვობაში მნათობის ძველ ნომერში ნეკრასოვის ლექსის „ფიქრები საპარადო შესავალთან“ ანტონ ფურცელაძისეული სუსტი თარგმანი. მიიჩნევს, რომ ნეკრასოვიც რომ სწვევოდა კავკასიას, ისიც პუშკინით, ლერმონტოვივით და გრიბოედოვივით გარდაიქმნებოდა. იხსენებს ბავშვობაში წაკითხულ ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ნათარგმნ ლექსს გალილეო გალილეის შესახებ. ფიქრობს, რომ კარგი იქნებოდა ამ ქართველი მოღვაწის ლექსების, მოთხრობებისა და კრიტიკული წერილების შეკრება და გამოცემა.

➤ 10445

**1948**

**9 იანვარი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად რკინიგზის სადგურში აცილებს ნუნუ ებანოიძეს, რომელიც თბილისში დიპლომის დასაცავად მიემგზავრება.

➤ 10446

**1948**

**9-10 იანვარი**

იმყოფება აფხაზეთში, წერს ლექსს „საუბარი ტალღებთან“.

➤ 10447

**1948**

**10 იანვარი**

უბის წიგნაკში წერს, რომ ვიღაც მიუგზავნეს მტრებმა, მაგრამ ნიღაბს ახდის, როგორც მას, ისე გამომგზავნელებს.

➤ 10448

**1948**

**10 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 10 იანვრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1883 წლის ამ დღეს დაიბადა ალექსეი ტოლსტოი მიაწერს მასთან შეხვედრისა და დამეგობრების ეპიზოდს პარიზის ანტიფაშისტურ კონგრესზე 1935 წელს.

➤ 10449

**1948**

**10 იანვრის შემდეგ**

წერს ლექსს „მწუხრზე ორასი წლის ჭადრის ქვეშ გამალეს სუფრა“ („მწუხრზე ორასამდე წლის რომ ჭადარია...“.

➤ 10450

**1948**

**10 იანვრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „იციო, რას გეტყვით, მეგობრებო, დამიგდეთ ყური...“.

➤ 10451

**1948**

**11 იანვარი**

დილის ცხრის ნახევარზე მონაწილეობას იღებს არჩევნებში.

➤ 10452

**1948**

**11 იანვარი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად სასტუმროდან „აფხაზეთი“ საცხოვრებლად გადადის სანატორიუმში „განთიადი“.

➤ 10453

**1948**

**11 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 11 იანვრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1919 წლის ამ დღეს დაილუპა ვასილ კიკვიძე, მიაწერს, რომ მასზე ლექსი ჰქონდა, რომელსაც ვეღარ პოულობს.

➤ 10454

**1948**

**12 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 12 იანვრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1876 წლის ამ დღეს დაიბადა ამერიკელი მწერალი ჯეკ ლონდონი, მიაწერს, რომ იგი 40 წლის ასაკში გარდაიცვალა. იქვე აღნიშნავს, რომ ძალიან მოსწონს მისი „მარტინ იდენი“ და „ზღვის მგელი“, წერს, რომ ჯეკ ლონდონმა მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა და 1922 წელს დაწერილი „ეფემერა“ („ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები...“) ამ ამერიკელი მწერლის შთაგონებით შეიქმნა.

➤ 10455

**1948**

**13 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 13 იანვრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1870 წლის ამ დღეს გარდაიცვალა ქართველი მწერალი ლავრენტი არდაზიანი, მიაწერს, რომ მან 48 წელი იცოცხლა. იქვე აღნიშნავს, რომ კიროვის სახელობის, ამჟამად ვერის ბაღში, სადაც ადრე სასაფლაო და ეკლესია იყო, დარჩენილია მხოლოდ ლავრენტი არდაზიანისა და დანიელ ჭონქაძის საფლავები, უწინ კი ამ სასაფლაოზე დაკრძალულნი იყვნენ თამარ ყანჩელი, დავით პავლიაშვილი და გიონ საგანელი.

➤ 10456

**1948**

**13 იანვარი**

კალენდრის ფურცელზე წერს, რომ რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა ქართველი იურისტი და ლიტერატორი – ალექსანდრე ყანჩელი, რამაც მის ყველა ნაცნობს დაწყვიტა გული.

➤ 10457

**1948**

**14 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 14 იანვრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1876 წლის ამ დღეს დაიბადა მგზნებარე რევოლუციონერი ლადო კეცხოველი, მიაწერს, რომ სულ უცოცხლია 27 წელი. იქვე აღნიშნავს, რომ ბავშვობაში ჰქონდა არალეგალური ჟურნალი „ბრძოლა“, რომელშიც დახატული იყო მეტეხის ციხეში გისოსებს მიღმა მყოფი ლადო კეცხოველი და ქვემოთ იყო სამგლოვიარო წერილი მისი მკვლელობის შესახებ.

➤ 10458

**1948**

**15 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 15 იანვრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1795 წლის ამ დღეს დაიბადა ალექსანდრე გრიბოედოვი, მიაწერს, რომ რუსი პოეტი 34 წლის ასაკში გარდაიცვალა, მას კი ამ ასაკში უკვე ჰქონდა „ზარნიშიანი წიგნი“. იგონებს, რომ ბავშვობაშივე წაკითხული ჰქონდა გრიბოედოვის ყველა ნაწარმოები, რვეულებში ხატავდა მის პორტრეტებს, ხატავდა სხვა მწერლებისა და გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეტებსაც: ბაირონს, წმიდა ნინოს, დარვინს და ეს ნახატები მოსწონდა ვარლამ მახარობლიძეს.

➤ 10459

**1948**

**16 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 16 იანვრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1847 წლის ამ დღეს დაიბადა რუსული ავიაციის ფუძემდებელი ნიკოლაი ჟუკოვსკი, მიაწერს, რომ პირველი

ავიატორი ნახა ქუთაისში, 1914 წელს. მან სულ 30 წუთის განმავლობაში იფრინა და განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იქ მყოფ კონსტანტინე გამსახურდიაზე.

➤ 10460

**1948**

### **16 იანვრის შემდეგ**

კითხულობს პარმენ ცახელის ლექსებისა და პოემების კრებულს. წიგნის დასაწყისში წერს, რომ შესასწავლია დიდი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება, ზაქარია ჭიჭინაძის მოგონება წიგნში „აკაკი წერეთელი“, მისი მოღვაწეობა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში; თავის საღამოებზე ცახელის დასწრების შესახებ მოსამებნი აქვს განცხადებები გაზეთში „სამშობლო“.

➤ 10461

**1948**

### **16 იანვრის შემდეგ**

პარმენ ცახელის ლექსებისა და პოემების კრებულში კომენტარებს აკეთებს თინა ჯიბლაძის წინათქმაზე. არ მიაჩნია მართებულად, რომ ცახელის შემოქმედების საგანი მხოლოდ სამშობლოს წარსული დიდებაა, რადგან მას აქვს თანამედროვეობის ამსახველი 1905 წლის ლექსებიც, რომლებიც არ არის წიგნში შეტანილი და უნდა მოიძებნოს. აღნიშნავს, რომ 1949 წელს შესრულდება 30 წელი პოეტის გარდაცვალებიდან. საჭიროდ მიიჩნევს, გაირკვეს, რაში გამოიხატება ცახელის მსუბუქი და მარტივი ენით დაწერილ ლექსებზე აკაკი წერეთლის პოეზიის გავლენა. ფიქრობს, რომ „მსუბუქი ლექსის“ დაწერა ყველა პოეტის მოვალეობაა.

➤ 10462

**1948**

### **17 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 17 იანვრის ფურცელზე რომელზეც აღნიშნულია, რომ 1945 წელს ამ დღეს საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს პოლონეთის დედაქალაქი ვარშავა, წერს, რომ ვარშავაში იყო 1935 წელს. იხსენებს მატარებლის გამცილებელ ქალს, რომელიც ხშირად აღებდა საბჭოთა დელეგატების კუპებს კარს სხვადასხვა შეთავაზებებით, რამაც გალაკტიონს აფიქრებინა, რომ გამცილებელი მათ უთვალთვალებდა.

➤ 10463

**1948**

### **18 იანვარი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ცნობა, რომ ამავე წლის 7 ივნისს ბესარიონ ბელინსკის გარდაცვალებიდან 100 წელი სრულდება და ამ თარიღის ფართოდ აღნიშვნისათვის შექმნილია რესპუბლიკური კომიტეტი, რომლის წევრია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 10464

**1948**

### **18 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 18 იანვრის ფურცელზე რომელზეც აღნიშნულია, რომ 1654 წლის ამ დღეს უკრაინა შეუერთდა რუსეთის სახელმწიფოს წერს სტრიქონებს „შეგებრალება თვითონ კაინიც, თუ გაიარე გზა უკრაინის“ და იქვე დასძენს, რომ კარგად ახსოვს კიევი და ნეჟინი.

➤ 10465

**1948**

### **19 იანვარი**



მაგიდის კალენდრის ფურცელზე რომელზეც აღნიშნულია, რომ 1865 წლის ამ დღეს დაიბადა ვალენტინ სეროვი, მიაწერს, რომ რუსი მხატვარი 56 წლის ასაკში გარდაიცვალა და იქვე იგონებს მის დიდებულ ნახატს, რომელზეც მეოცნებე ბავშვები ზღვას გაჰყურებენ.

➤ 10466

**1948**

**20 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 20 იანვრის ფურცელზე რომელზეც აღნიშნულია, რომ 1848 წლის ამ დღეს დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი, მიაწერს, რომ ქართველი მწერალი გარდაიცვალა 45 წლისა. იგონებს, რომ ყაზბეგს ბავშვობიდანვე გატაცებით კითხულობდა. ახსოვს 1893 წლის გაზეთ „კვალის“ დეკემბრის ნომრები, რომლებიც ალექსანდრე ყაზბეგის გარდაცვალებას მიემძვნა. უკვირს, რომ მწერლის დაბადებიდან 100 წლისთავი არაფრით არ აღინიშნა.

➤ 10467

**1948**

**20 იანვარი ან შემდეგ**

კითხულობს ლეო ქიაჩელის მიერ გაზეთ „კომუნისტის“ 20 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული რომანის – „ჯოტოს მამა“ – შესავალს და გაზეთის ფურცელზე აწერს ირონიულ კომენტარებს.

➤ 10468

**1948**

**22 იანვარი**

მაგიდის კალენდრის 22 იანვრის ფურცელზე რომელზეც აღნიშნულია, რომ 1798 წლის ამ დღეს გარდაიცვალა ერეკლე მეორე, გაკვირვებული მიაწერს, რომ ამ თარიღიდან 150 წელი არ აღინიშნა.

➤ 10469

**1948**

**22 იანვარი**

იმყოფება სოხუმში, წერს ლექსს „ახალგაზრდობას“.

➤ 10470

**1948**

**22 იანვარი**

იმყოფება სოხუმში, წერს ლექსს „ისევ ახალგაზრდობას“.

➤ 10471

**1948**

**23 იანვარი**

ხვდება სოხუმის პედაგოგიკური სასწავლებლის სტუდენტებს და ამ შეხვედრით შთაგონებული წერს ლექსს „ახალგაზრდობას“.

➤ 10472

**1948**

**24 იანვარი**

აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი უზავნის მუზეუმის შრომების პირველ გამოშვებას წარწერით.

➤ 10473

**1948**

**26 იანვარი**

სოხუმშია, უბის წიგნაკში იწერს შენიშვნებს ქართული ენის, რუსთაველის ენის შესახებ. აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი ენის შესახებ პირდაპირ ამბობს: „განაღა სთქვას ერთი-ორი, ურიგო და შორი-შორი / ჩემი სჯობსო გაიძახის, უცილობლობს ვითა ჯორი“. წერს, რომ გრიგოლ ორბელიანი აღნიშნავს: „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. ინიშნავს აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას სახელებს, რომ მომავალში ჩაწეროს მათი გამონათქვამები ქართული ენის შესახებ.

➤ 10474

1948

### 26 იანვრის შემდეგ

ჟურნალი „მნათობი“ სათაურით „გალაკტიონ ტაბიძე“ ბეჭდავს სერგი ჭილაიას მონოგრაფიის ერთი თავის „ქართული რომანტიზმი და გ. ტაბიძე“ პირველ ნაწილს. მასში ნათქვამია, რომ დიდია გალაკტიონ ტაბიძის გავლენა არა მხოლოდ მისი შემდგომი თაობის, არამედ მის თანამედროვე პოეტებზეც, თავის მხრივ კი გალაკტიონის შემოქმედება სათავეს იღებს ნიკოლოზ ბარათაშვილის მემკვიდრეობიდან. სევდის მოტივს გალაკტიონის ლირიკაში კრიტიკოსი ხსნის იმით, რომ მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში პოეტის სამშობლო კოლონიურ მდგომარეობაში იყო. სტატიის ავტორის თქმით ბარათაშვილის უიმედობა გამოიწვია 1832 წლის შეთქმულების მარცხმა, გალაკტიონისა კი 1905 წლის რევოლუციის შემდეგ გაბატონებულმა რეაქციამ. გალაკტიონის პირველ წიგნში კრიტიკოსი ხედავს რომანტიკულ განწყობებს, მეორეში – სიმბოლისტურს და ასკვნის, რომ მისი პოეზია გახდა რომანტიზმისა და სიმბოლიზმის შემაერთებელი ხაზი. ჭილაიას თქმით, გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების საბჭოთა წყობამდელი ხანა უკვე ისტორიის საკუთრებაა, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კი მის შემოქმედებაში დამკვიდრდა ოპტიმიზმის, პერსპექტივისა და ცხოვრების სიყვარულის ცხოველმყოფელი ძალა.

➤ 10475

1948

### 27 იანვარი

იმყოფება აფხაზეთში, წერს უსათაურო ლექსს „რომ ლექსი იყოს ურყევი ძალის...“.

➤ 10476

1948

### 27 იანვარი

მაგიდის კალენდრის 27 იანვრის ფურცელზე რომელზეც აღნიშნულია, რომ 1756 წლის ამ დღეს დაიბადა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, წერს სტრიქონებს თავისი ლექსიდან „შერიგება“, რომელშიც ეს გენიალური კომპოზიტორია ნახსენები.

➤ 10477

1948

### 30 იანვარი

რუსულ ენაზე წერს წერილს აფხაზეთის სახელგამის დირექტორის მოადგილეს პისჩიკს. ატყობინებს, რომ უგზავნის სტალინური პრემიის ლაურეატის უჩა ჯაფარიძის მიერ დახატული საკუთარი პორტრეტის ფოტოასლებს აფხაზეთის სახელგამში გამოსაცემი წიგნისთვის. აღნიშნავს, რომ ფოტოსურათები დამზადებულია უჩა ჯაფარიძის პირადი მეთვალყურეობით. წერს, რომ ვინაიდან ყველასათვის ცნობილია ამხანაგ პისჩიკის წიგნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება წინასწარ უხარია, რომ წიგნის ყდა ლამაზი და ლაზათიანი იქნება. თხოვს, რომ პისჩიკმა თვალყური ადევნოს წიგნზე წარწერილ მის სახელს, რომ უნდა იყოს „გალაკტიონ ტაბიძე“ და არა „გალაკტიონ“, კ და არა ქ.

➤ 10478

1948

**30 იანვარი**

სოხუმის მასწავლებელთა სახლი აწყობს შეხვედრას გალაკტიონ ტაბიძესთან. შეხვედრის დასასრულს იმართება ვახშამი.

➤ 10479

**1948**

**30 იანვრის შემდეგ**

აფხაზეთის სახელგამში რუსულ ენაზე აგზავნის წერილს აფხაზეთის სახელგამის დირექტორის მოადგილის - პისჩიკის სახელზე, სადაც სთხოვს შეატყობინოს, მიიღო თუ არა მან გალაკტიონის პორტრეტი.

➤ 10480

**1948**

**იანვარი**

წერს ლექსს „იდიდე, სამშობლოვ, იდიდე!“.

➤ 10481

**1948**

**იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „კიდევ ბევრი მოგვსვლოდეს...“.

➤ 10482

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

**1948**

**2 თებერვალი**

სანატორიუმში „განთიადი“ იხურება, ამის გამო საცხოვრებლად ბრუნდება სასტუმრო „აფხაზეთში“.

➤ 10483

**1948**

**2 თებერვალი**

3 თებერვლისთვის ელოდება წიგნის „ზღვა ახმაურდა“ ბეჭდვის დასრულებას.

➤ 10484

**1948**

**3 თებერვალი**

მწერალთა კავშირში წარადგენს რუსულ ენაზე ნაბეჭდ ორგვერდიან ავტობიოგრაფიას.

➤ 10485

**1948**

**3 თებერვალი**

იღებს ცნობას, რომ წიგნის „ზღვა ახმაურდა“ ყდაზე საღებავი ჯერ არ გამშრალა და წიგნი მზად არ არის.

➤ 10486

**1948**

**4 თებერვალი**

წერს სახუმარო ლექსს „სადღაც კი არის ვაშინგტონი, ნიუ იორკი...“

➤ 10487

**1948**

#### 4 თებერვალი

წიგნის „ზღვა ახმაურდა“ ყდაზე საღებავი კარგად არ გამშრალა და წიგნის ბეჭდვა მომდევნო დღისთვის გადაიდო, რადგანაც გალაკტიონმა უნდა შეამოწმოს.

➤ 10488

1948

#### 5 თებერვალი

მწერალთა კავშირში წარსადგენად რუსულ ენაზე ადგენს საკუთარი თხზულებების ნუსხას 17 მუხლად.

➤ 10489

1948

#### 5 თებერვალი

თავს შეუძლოდ გრძნობს და ამის გამო ვერ მიდის სტამბაში წიგნის ყდის სანახავად.

➤ 10490

1948

#### 6 თებერვალი

მიდის აფხაზეთის სახელგამის სტამბაში, კმაყოფილია წიგნის „ზღვა ახმაურდა“ ყდით, გულითად მადლობას უხდის თანამშრომლებს და ყველას ემშვიდობება.

➤ 10491

1948

#### 7 თებერვალი

სოხუმში გამოდის გალაკტიონ ტაბიძის კრებული სათაურით „ზღვა ახმაურდა“, წიგნი პირველი. მასში იბეჭდება 67 ლექსი და 1 პოემა: „ქალაქი წყალქვეშ“, „რიცა“, „აფხაზეთო, აფხაზეთო!“, „ფირუზისფერ ტალღებზე“, „ვესპერი“, „ტყვარჩელი“, „ვით არ მიყვარდეს“, „იმ ვენეციურ ხიდეზე“, „ჰყვება შარდენი“, „მახაჯირები“, „იავნანა“, „გოგონა“, „აგე, იმ ჩრდილქვეშ“, „სტუმრად“, „სხვაგან სადაა?“, „ეკვალიპტი“, „ორნამენტი“, „გამარჯობა, აფხაზეთო შენი!“, „(„მოჰფენია ფერი ლილის...“), „მილიონებში ხელის მრეველი“, „ნაკადულო, ნაკადულო“, „ცხენოსანი“, „აწითლებს ზღვას ზეცის კაშკაში“, „ზღვა ახმაურდა“, „ვარდები“, „შარდა ამთა“, „ჩვენი კოდორი“, „ფიქრები კოდორთან“, „სადღაც კი...“, „თავდადებული მილიონები“, „ომს სურს“, „(- ვისი არის ეს გუგუნი...“), „(„მთავარსარდლის შორსმჭვრეტელო მზერავ...“), „(„ის, მოსკოვი, არ დაინდობს...“), \*\*\* („ისეთმა ქარმა დაჰბერა...“), „ისტორიის ახალი გვერდი“, „ტყვარჩელთან“, „(„...დიადი ცოდნა მოანათებს...“), „მამ დიდება მზეს“, „(„დრო მიგვითითებს...“), „ახალი წელი“ („ბართან თუ მღერენ მთები...“), „9 მაისი, 1945 წელი“, „დიდება“, „მზის ამოსვლა საქართველოში“, „გამარჯვების დღე“, „სტალინს“, „დანგრეული სახლი სოხუმში“, „გულთა კავშირი“, „გათენდა ცხრაას ორმოცდა ექვსი“, „დღეს ჩამოვხსენი ფერადი რუკა“, „აზრი გენიალური ჰარმონიისა“, „ომგადახდილი აფხაზი“, „მარადისი დიდება გმირებს“, „აფხიარცა“, „(„მშფოთვარებაა გარედ...“), „არ ვარ ობოლი ამ ქვეყანაზე“, „დილა“, „პოეტი და მასა“, „დიმიტრი გულიას“, „მესხის გამოხედვა“, „დიდებულო შოთა“, „გზით, ჩვენ მიერ...“, „გამბედავო და მაგარო ხელო“, „ილიას მოტივი“, „მეცხრე სიმფონია“, „ხმამაღლა!“, „მადლობა აფხაზეთს“, „ჟუგა და ასიდა“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“.

➤ 10492

1948

#### 7 თებერვალი

აფხაზეთის სახელგამის დირექტორის მოადგილეს პისჩიკს სასტუმრო „აფხაზეთში“ მიაქვს გალაკტიონთან ახალი წიგნის „ზღვა ახმაურდა“ საავტორო ცალები.

➤ 10493

**1948**

**7 თებერვალი**

სასტუმრო „აფხაზეთში“ გალაკტიონთან დასამშვიდობებლად მიდის დოცენტი იოსებ ზოცვაძე.

➤ 10494

**1948**

**7 თებერვალი**

სასტუმრო „აფხაზეთიდან“ იოსებ ზოცვაძის და ნინო კვირიკაძის თანხლებით მიდის სოხუმის რკინიგზის სადგურში.

➤ 10495

**1948**

**7 თებერვალი**

საღამოს 6 საათსა და 10 წუთზე დაძრული მატარებლით სოხუმიდან მიემგზავრება თბილისში.

➤ 10496

**1948**

**7 თებერვლის შემდეგ**

თავის წიგნს „ზღვა ახმაურდა“ წარწერით ჩუქნის კლიმენტი გოგიავას.

➤ 10497

**1948**

**8 თებერვალი**

დილის 9 საათზე მატარებლით ბრუნდება თბილისში.

➤ 10498

**1948**

**8 თებერვალი**

მწერალთა კავშირში ესწრება თათბირს კრიტიკის შესახებ.

➤ 10499

**1948**

**9 თებერვალი**

თავს შეუძლოდ გრძნობს.

➤ 10500

**1948**

**9 თებერვალი**

შემრწუნებულია მწერალთა კავშირში ჩატარებული კრიტიკის შესახებ თათბირზე მომხდარი ინციდენტით, ბესარიონ ჟღენტსა და ვასო პატარაიას კონფლიქტით. ფიქრობს, რომ ეს არის გადაგვარება, გახრწნა, ერთმანეთის სიძულვილი, რომ ეს კონფლიქტი არასოდეს დაავიწყდება.

➤ 10501

**1948**

**10 თებერვალი**

წერს ლექსს „შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა“ („ცხოვრებამ თუმც ბევრი ცრემლი დამადინა...“).

➤ 10502

**1948**

**11 თებერვალი**

წერს ლექსს „კავკასიონი“.

➤ 10503

**1948**

**11 თებერვალი**

წერს ლექსს „დილიჯანსი“.

➤ 10504

**1948**

**11 თებერვლის შემდეგ**

სოხუმიდან თბილისში დაბრუნებული იგებს, რომ მეცნიერებათა აკადემიამ ხელფასი სოხუმის ფოსტაში გადაუგზავნა. ამიტომ დეპეშას აგზავნის და ითხოვს, რომ 11 თებერვალს მის სახელზე ჩარიცხული თანხა დააბრუნონ თბილისში მისი ბინის მისამართზე, ჟორესის ქუჩის 4 ნომერში.

➤ 10505

**1948**

**14 თებერვლის შემდეგ**

სოხუმიდან იღებს იოსებ ბოცვაძის წერილს. აცნობებს, რომ სოხუმიდან მისი წასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა, გარდა იმისა, რომ ამინდი გაფუჭდა. სწერს, რომ გალაკტიონის წიგნი ჯერ არ გამოსულა გაყიდვაში და დაინტერესებული მკითხველები აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის გამგეს თავს აბეზრებენ შეკითხვებით. ბოდიშის მოხდით შეახსენებს, რომ გალაკტიონი ადრესანტს დაჰპირდა ამ წიგნის ჩუქებას თავისი პოეტური ძღვნით. სთხოვს, აცნობოს, როდისთვის ექნება მზად მასალები თავისი პოეტური მოღვაწეობის დასაწყისის შესახებ, რომ თბილისში ორდღიანი ჩასვლა იმ დროს დაამთხვიოს. ასევე ინტერესდება, როდის აპირებენ თბილისში ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნას. მოკითხვას უთვლის პოეტის მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს.

➤ 10506

**1948**

**15-16 თებერვალი**

თავს შეუძლოდ გრძნობს.

➤ 10507

**1948**

**17 თებერვალი**

შინ, საკუთარ კაბინეტში მუშაობს მეხუთე ტომის მასალების შესარჩევად. კითხულობს პოემებს. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო პოემას „სამი პალმა“.

➤ 10508

**1948**

**18 თებერვალი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც აიღებს ხელფასს.

➤ 10509

**1948**

**18 თებერვალი**

მეცნიერებათა აკადემიაში მემანქანისგან ჩაიბარა ლექსის „კომუნისტური მანიფესტი“ რუსული თარგმანის ნაბეჭდი თაბახები.

➤ 10510

**1948**

**18 თებერვალი**

ლექსის „კომუნისტური მანიფესტი“ რუსული თარგმანი მიაქვს გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ რედაქციაში, სურვილით, რომ ლექსი გაზეთში დაიბეჭდოს 21 თებერვალს კომუნისტური მანიფესტის პირველი გამოცემიდან 100 წლის აღსანიშნავად. ამის პირობას არ აძლევენ.

➤ 10511

**1948**

**19 თებერვალი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად ყიდულობს ერთი კვირის სამყოფ პროდუქტებს.

➤ 10512

**1948**

**19 თებერვალი**

კითხულობს ჟურნალში „მნათობი“ №1, მოთავსებულ სერგი ჭილაიას მისდამი მიძღვნილი მონოგრაფიის პირველი თავს.

➤ 10513

**1948**

**20 თებერვალი**

სალამოს ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის საწერი ქაღალდის შესაძენად. ქაღალდის შეძენის შემდეგ სწრაფად ბრუნდება შინ და განაგრძობს მუშობას მეხუთე ტომის მასალებზე. ნინო კვირიკაძისთვის ყიდულობს ნუშის ხაჭაპურებს და ვაშლს.

➤ 10514

**1948**

**21 თებერვალი**

დილით ტელეფონით უკავშირდება იოსებ იმედაშვილი და ატყობინებს, რომ გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ დაიბეჭდა მიხეილ ბახტაძის წერილი, რომელშიც მოხსენიებულია გალაკტიონის სიტყვებზე დაწერილი კანტატა.

➤ 10515

**1948**

**21 თებერვალი**

იოსებ იმედაშვილი სთხოვს მისი სრული ბიბლიოგრაფიის მიწოდებას.

➤ 10516

**1948**

**21 თებერვალი**

იოსებ იმედაშვილს ჰპირდება აფხაზეთში გამოცემულ თავის წიგნს „ზღვა ახმაურდა“.

➤ 10517

**1948**

**21 თებერვალი**

იწყებს ზრუნვას საკუთარი სრული ბიბლიოგრაფიის შედგენაზე.

➤ 10518

**1948**

**21 თებერვალი**

მაგიდის კალენდრის 21 თებერვლის ფურცელზე რომელზეც აღნიშნულია, რომ 1944 წლის ამ დღეს გარდაიცვალა გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე, წერს, რომ ლესელიძის შესახებ მისი ლექსი დაიბეჭდა გაზეთში „კომუნისტი“, იგივე ლექსი უსათაუროდ არის შეტანილი პოეტის თხზულებათა მეოთხე ტომში და კრებულში „ზღვა ახმაურდა“. ლექსი რუსულად თარგმნა რიურიკ ივნევა და ეს მშვენიერი თარგმანი მოთავსებულია მიხეილ დავითაშვილის მიერ კონსტანტინე ლესელიძეზე დაწერილ მონოგრაფიაში.

➤ 10519

**1948**

**21 თებერვალი**

გადაწყვეტს, რომ რიურიკ ივნევს გამოართვას კონსტანტინე ლესელიძეზე დაწერილი პოემის „ცხრა გენერალი“ თარგმანი.

➤ 10520

**1948**

**21 თებერვალი**

მეცნიერებათა აკადემიაში ესწრება ბესარიონ ბელინსკის საიუბილეო კომიტეტის სხდომას. მის ყურადღებას იქცევს ის, რომ ვიქტორ კუპრამეს ამკარად გამოხატული რუსიფიკატორული მიმართულება აქვს, იოსებ გრიშაშვილი საორგანიზაციო რუტინის ფაციფუცშია, ალექსანდრე ქუთელია დიდად ფილოსოფოსობს, ნიკოლოზ მუსხელიშვილი კი იდიოტურად იქცევა. თავი კარგად უჭირავთ ნიკო კეცხოველს, გიორგი ჯიბლაძეს, ვლადიმერ მაჭავარიანსა და ვასილ ეგნატაშვილს. ბესარიონ ჟღენტი და სერგი დანელია ჩვეულ ამპლუაში არიან. თავად გალაკტიონი კი ხმას არ იღებს, რადგან მიაჩნია, რომ ამ ხალხთან თავის გამოდება საჭირო არ არის.

➤ 10521

**1948**

**22 თებერვალი**

მაგიდის კალენდრის 22 თებერვლის ფურცელზე რომელზეც აღნიშნულია, რომ საბჭოთა არმიამ 1944 წლის ამ დღეს გაათავისუფლა ქალაქი კრივოი როგი წერს, რომ ამაზე ლექსი ჰქონდა დაწერილი.

➤ 10522

**1948**

**23 თებერვალი**

მაგიდის კალენდრის ფურცელზე, რომელზეც აღნიშნულია, რომ 1945 წლის ამ დღეს გარდაიცვალა ალექსეი ტოლსტოი, წერს, რომ ის და ტოლსტოი ერთად იყვნენ პარიზის ანტიფაშისტურ კონგრესზე 1935 წელს. აღნიშნავს, რომ რუსი მწერალი ყოველთვის ცალკე დადიოდა და რომ მწერლებმა მის აფიშას რაღაც „ოინი უყვეს“.

➤ 10523

**1948**

**24 თებერვალი**

სოხუმიდან აბრუნებენ გალაკტიონის მეცნიერებათა აკადემიიდან ჩარიცხულ ხელფასს.

➤ 10524

**1948**

**25 თებერვალი**

ზრუნავს პროდუქტების შექმნაზე.

➤ 10525



1948

**27 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „კომუნისტური მანიფესტი“ თარგმანი.

➤ 10526

1948

**29 თებერვლამდე**

სლოვაკურ ენაზე ითარგმნება გალაკტიონის ერთ-ერთი ლექსი.

➤ 10527

**მ ა რ ტ ი**

1948

**11 მარტი**

სტუმრობს მეზობლად მცხოვრებ მწერალ ელიზბარ ზედგინიძეს. იშლება მცირე სუფრა. პირველი სადღეგრძელო გალაკტიონის მოზრძანებისა ისმევა. მასპინძლის პატარა გოგონას, ცისმარას საწერ-კალამს გამოართმევს, მიდის საწერ მაგიდასთან, წერს ექსპრომტს „ცისმარა ჩვენი ოცნება ეს არის პატიოსნება...“, ხმამაღლა კითხულობს და ფურცელს გოგონას სახსოვრად გადასცემს.

➤ 10528

1948

**15 მარტი**

წერს მოკლე ავტობიოგრაფიას.

➤ 10529

1948

**17 მარტი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი წერს გალაკტიონ ტაბიძის დახასიათებას რუსულ ენაზე. დოკუმენტს ხელს აწერენ კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი და საქმეთა მმართველი იროდიონ ქაჭყარაძე.

➤ 10530

1948

**19 მარტის შემდეგ**

ნიკოლაი პიკსაროვის ბუკლეტზე „გორკი და მეცნიერება“ აკეთებს ხაზგასმებასა და კომენტარებს.

➤ 10531

1948

**მარტი ან შემდეგ**

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ კითხულობს გრიგოლ იმედაძის ლექსს სათაურით „მშობლიურ სტალინს“ და იქვე მიაწერს სახუმარო ორსტროფიან ტექსტს „წავიკითხე შენი ლექსი, იმედაძე გრიგოლ...“.

➤ 10532

**ა პ რ ი ლ ი**

1948

**3 აპრილი**

კითხულობს 2 აპრილის გაზეთ „პრავდას“ რომელშიც გამოქვეყნდა ცნობა 1947 წელს ლიტერატურასა და კინემატოგრაფიაში თვალსაჩინო ნაშრომებისთვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ. აღნიშნავს, რომ პრემია არ მიუღია არც ერთ ქართველს და საკავშირო მასშტაბით არც ერთ ხეირიან პოეტს. თვლის, რომ სტალინური პრემიებით დააჯილდოვეს

საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი მწერლები და, ერთადერთი, ვისაც პრემია მართლაც ეკუთვნოდა იყო ილია ერენბურგი.

➤ 10533

**1948**

**3 აპრილი**

იწყებს სტალინური პრემიებით დაჯილდოვებული მწერლების ბიოგრაფიებისა და შემოქმედების შესწავლას.

➤ 10534

**1948**

**5 აპრილამდე**

წერს ლექსს „ხრამჭესი“.

➤ 10535

**1948**

**5 აპრილი**

სახელმწიფო გამომცემლობაში „ფედერაცია“ მოსალოდნელი 9 ათასი მანეთის ნაცვლად, რომელიც მისთვის უნდა მიეცათ, უწერენ 3 ათას მანეთს.

➤ 10536

**1948**

**5 აპრილი**

ემებს და ველარ პოულობს აფხაზეთის სახელგამიდან გაგზავნილი ჰონორარის თორმეტი ათასი მანეთის მისაღებ ქვითარს.

➤ 10537

**1948**

**5 აპრილი**

მიდის საქართველოს უცხოეთთან კავშირის საზოგადოების სხდომაზე დასასწრებად, მაგრამ სხდომა არ ტარდება.

➤ 10538

**1948**

**5 აპრილი**

სადამოს მაღაზიებში ამაოდ ეძებს პურს, რომელიც არსად არ იყიდება.

➤ 10539

**1948**

**5 აპრილი**

სწუხს, რომ მთელი დღის განმავლობაში არ დაუწერია არც ერთი სტრიქონი.

➤ 10540

**1948**

**5 აპრილი**

დღიურში იწერს, რომ უბედური დღე აქვს, ცხრადღიანი კარჩაკეტილობის შემდეგ ქალაქში საქმეებზე პირველად გავიდა, ერთ დღეში 5 უსიამოვნება შეემთხვა და ძალიან ცუდ ხასიათზეა.

➤ 10541

**1948**

## 5 აპრილი

უბის წიგნაკში წერს განცხადების შავ პირს საქართველოს უცხოეთთან კავშირის საზოგადოების პრეზიდენტის სახელზე, რომელშიც ითხოვს, რომ მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის 40 წლის შესრულებასთან დაკავშირებით საზოგადოების პრეზიდენტი მიიღოს ზომები, რათა მისი ნაწერების კრებულები გადაითარგმნოს და გამოიცეს უცხო ენებზე, მაგალითად ფრანგულად და სთავაზობს წიგნის გეგმის წარდგენას პირველი მოთხოვნისთანავე. წერს, რომ მთარგმნელებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ 1944 წელს გამოცემული „რჩეულით“, თხზულებათა მეოთხე ტომით და ომის შემდგომ დაწერილი ლექსებით.

➤ 10542

1948

## 5 აპრილი

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი პიერ კობახიძე თეატრში კითხულობს გალაკტიონის ლექსს „მერი“ და პუბლიკის დიდ მოწონებას იმსახურებს.

➤ 10543

1948

## 5 აპრილი

განცხადებით მიმართავს საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების პრეზიდენტს და სთხოვს, რომ სალიტერატურო ასპარეზზე მისი გამოსვლის 40 წლისთავთან დაკავშირებით გადაათარგმნინონ და გამოსცენ მისი ნაწერების კრებულები უცხო ენებზე, მაგალითად, ფრანგულად. აღნიშნავს, რომ მთარგმნელებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ 1944 წელს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული მისი „რჩეულით“, 1946 წელს გამოცემული თხზულებათა მეოთხე ტომით და ომის შემდეგდროინდელი ლექსებით. წერს, რომ გეგმის წარდგენა შეუძლია მოთხოვნისთანავე.

➤ 10544

1948

## 6 აპრილი

დღიურში იწერს, რომ მისი ლექსი გაზეთ „კომუნისტში“ ერთ კვირაში დაიბეჭდება.

➤ 10545

1948

## 6 აპრილი

მუშაობას აგრძელებს პოემის „სინათლის ყვავილი“ ტექსტზე. ნაწარმოების ერთ-ერთ მცირე მონაკვეთს აძლევს დამოუკიდებელი ლექსის სახეს. პოემისგან გამოცალკევებულ ფრაგმენტს სათაურად არქმევს „ასის წლისანი“ („მრავალ არიან ჩვენში კაცნი...“), შემდეგ კი ასწორებს ამ ტექსტს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსს რამდენიმე ახალ ტაეპს უმატებს, მუშაობის ტემპით მაინც უკმაყოფილოა.

➤ 10546

1948

## 6 აპრილი

პოულობს აფხაზეთის სახელგამიდან გაგზავნილი ჰონორარის მისაღებ ქვითარს, რომელიც დაკარგული ეგონა და იღებს თორმეტი ათასი მანეთს.

➤ 10547

1948

## 6 აპრილი

მკერავს უკვეთავს ახალ ტანსაცმელს.

➤ 10548

1948

6 აპრილი

დღიურში იწერს, რომ უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების კრება შედგება მომდევნო დღეს და აპირებს, რომ დაესწროს.

➤ 10549

1948

6 აპრილი

პური არ იშოვება, ამიტომ გალაკტიონი და ნინო კვირიკაძე ყიდულობენ სიმინდის ფქვილს.

➤ 10550

1948

7 აპრილი

ესწრება უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების კრებას. პრეზიდენტში უსმენს მომხსენებელ ნიკოლოზ მიქავას, რომელიც აცხადებს, რომ საზოგადოების მიერ დახარჯულია ერთი მილიონი და სამასი ათასი მანეთი, ბევრი საქმეა გაკეთებული, თუმცა ცოტა ჩანს. კულტურული კავშირი დამყარებულია მთელ ევროპასთან, აზიასთან, ამერიკასთან. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბევრგან ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ახსენებს, რომ ნათარგმნია გალაკტიონის ლექსები. კმაყოფილია ვლადიმერ მაჭავარიანის გამოსვლით, რომელიც მოითხოვს უცხოეთისთვის საქართველოს თანამედროვე პოეზიის გაცნობას. აღნიშნავს, რომ ეს მისთვის მთავარია.

➤ 10551

1948

7 აპრილი

განაგრძობს მუშაობას ლექსზე „ასის წლისანი“, მაგრამ საქმე ისევ ნელი ტემპით მიდის.

➤ 10552

1948

7 აპრილი

მკერავს 1300 მანეთს უხდის ნინო კვირიკაძისთვის პალტოს შესაკერ ქსოვილში.

➤ 10553

1948

7 აპრილი

დილით რადიოთი ისმენს პოეტ ვარლამ ჟურულის ლექსებს „შრომის სიმღერები“, რომელსაც პიერ კობახიძე და მედეა ჩახავა კითხულობენ. თვლის, რომ გადაცემა კარგი გამოვიდა, რადგან ლექსები თემატურად იყო შერჩეული. ფიქრობს, რომ ვარლამ ჟურულს ემჩნევა მისი გავლენა როგორც რიტმის, რითმის, ასევე თემატიკისა და წყობის მხრივ, რაც სრულიად არ ამცირებს პოეტს, არამედ მას მეტ შნოსა და სიღინჯეს სძენს. აინტერესებს რა აზრის არის ამაზე თავად ვარლამ ჟურული.

➤ 10554

1948

8 აპრილი

ადარებს რედაქტორებისთვის გადაცემული ლექსების სიებს მეოთხე ტომისა და წიგნის „ზღვა ახმაურდა“ სარჩევებს და აღმოაჩენს, რომ მეოთხე ტომში შეტანილი არ არის მის მიერ გადაცემული 92 ლექსი, ხოლო კრებულში „ზღვა ახმაურდა“ – 70 ლექსი.

➤ 10555

**1948**

**9 აპრილი**

მაგიდის კალენდრის 9 აპრილის ფურცელზე, რომელზეც არის ინფორმაცია, რომ 1821 წლის ამ დღეს დაიბადა შარლ ბოდლერი, ხოლო გარდაიცვალა 1867 წელს, მიაწერს, რომ იგი 46 წლის ასაკში გარდაიცვალა.

➤ 10556

**1948**

**10 აპრილი**

ამუშავებს 1941 წლით დათარიღებულ ლექსებს: „ჩვენ გავიმარჯვებთ“, „ცხრა მაისია“, „მჭედელი“ და აკეთებს ჩანაწერს, რომ ლექსები საბოლოოდ არის გასწორებული.

➤ 10557

**1948**

**10 აპრილი**

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „სახეს, ნინო, ხვინჯილია...“.

➤ 10558

**1948**

**11 აპრილი**

მთელი დღე მომდევნო დილის 4 საათამდე ამუშავებს და ასწორებს ორმოც ძველ ლექსს.

➤ 10559

**1948**

**11 აპრილი**

1800 მანეთს უხდის მკერავს ნინო კვირიკაძის პალტოს შეკერვაში.

➤ 10560

**1948**

**13 აპრილის შემდეგ**

ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ იბეჭდება შალვა რადიანის ნარკვევი „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“, რომელშიც კრიტიკოსი იმეორებს გალაკტიონის შემოქმედების შესახებ თავის ადრეულ ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს.

➤ 10561

**1948**

**14 აპრილი**

მაგიდის კალენდრის 14 აპრილის ფურცელზე, რომელზეც არის ინფორმაცია, რომ 1930 წლის ამ დღეს გარდაიცვალა ვლადიმერ მაიაკოვსკი და 1695 წელს ამავე დღეს – ფრანგი მეიგავე ლაფონტენი, იწერს შემთხვევას ფურნეში, სადაც პური არ არის, მაგრამ კედელზე გაკრულია ვლადიმერ მაიაკოვსკის სურათი. მეფურნე, კითხვაზე თუ როდის იქნება პური, პასუხობს ისეთივე გულმოსული სახით, როგორც სურათზე აქვს მაიაკოვსკის, რომ პური იქნება ხვალ. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ მაიაკოვსკი გარდაიცვალა 18 წლის წინად, რომ იგი მღეროდა მომავალზე და ისიც ამბობდა „ხვალ“. იქვე წერს ლექსის ერთ კუპლეტს, სადაც სვამს კითხვას, „რატომ მაინც „ხვალ“, რატომ არა – დღეს?“.

➤ 10562

**1948**

#### **14 აპრილის შემდეგ**

კითხულობს მაქსიმე რამიშვილის წიგნს „გურიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 10563

**1948**

#### **15 აპრილი**

ყიდულობს 632 მანეთის ღირებულების 20 მეტრ ნარმას და 10 მეტრ აბრეშუმს.

➤ 10564

**1948**

#### **16 აპრილი**

ტელეგრაფში იხდის სოხუმთან სატელეფონო საუბრის თანხას.

➤ 10565

**1948**

#### **16 აპრილი**

სურს სატელეფონო აბონენტების ახალი წიგნის შექმნა, მაგრამ იგებს, რომ ჯერ არ გამოსულა.

➤ 10566

**1948**

#### **16 აპრილი**

მისი ლექსების გამოქვეყნების თაობაზე მოლაპარაკებას გეგმავს ჟურნალის „მნათობი“ და გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქციებთან.

➤ 10567

**1948**

#### **16 აპრილი**

ცდილობს გაარკვიოს, როგორ უნდა დარეკოს მოსკოვში.

➤ 10568

**1948**

#### **16 აპრილი**

მკერავისგან მიაქვს 6 აპრილს შეკვეთილი ახალი კოსტიუმი.

➤ 10569

**1948**

#### **18 მარტი**

გაზეთი „ნორჩი ლენინელი“ აქვეყნებს სტატიას დამსახურებული მასწავლებლის თომა ფერაძის შესახებ, რომლის გამოჩენილ მოსწავლეთა შორის დასახელებულია სახალხო პოეტი-აკადემიკოსი გალაკტიონ ტაბიძე და დაბეჭდილია მისი ფოტოსურათი.

➤ 10570

**1948**

#### **19 აპრილი**

აკეთებს ჩანაწერს რაჟდენ კალაძის შესახებ, რომ მისი ოჯახი იმთავითვე ცნობილი იყო თავისი ბოროტებით, უმადურობით, გაუტანლობით. ეს ყველაფერი უპირველესად გამოიხატებოდა ოჯახის უფროსის, რაჟდენის საზოგადოებრივ გამოსვლებში. სიტყვით გამოსვლისას იგი ყოველთვის ვიდაცას ესხმოდა თავს, მათ შორის ზოგჯერ – ფილიპე მახარაძეს. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ეს მყრალი ადამიანი გაქრა თბილისის ჰორიზონტიდან, თუმცა მემკვიდრეებად

დატოვა მეუღლე ანეტა და შვილი კარლო, რომელთაც შემდეგ დაემატათ რძალი თამარ აბაკელია. ოჯახმა მტკიცედ გააგრძელა რაჟდენის მიერ დაწყებული ბოროტების გზა. გალაკტიონის თქმით, თამარ აბაკელია თავს არ ზოგავს, რომ დიდ მოქანდაკედ წარმოაჩინოს თავი. იგი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, რომ თავისთან მიიპატიჟოს უცხოელი სტუმრები და აჩვენოს მათ საკუთარი, ევროპულად მორთული ბინა. შემდეგ ეს სტუმრები მიდიან და აქებენ, მას, როგორც ულამაზეს ქართველ ქალს. გალაკტიონის აზრით, იგი სრულიადაც არაა ლამაზი. მის მზერაში ჩანს სიამაყე, რომელიც არაფრითაა გამართლებული. ფიქრობს, რომ შეიძლება უცხოელებს, რომლებიც ჩვენში ეგზოტიკას ეძებენ, მოსწონთ თამარ აბაკელია თავისი მანერულობის გამო. პოეტი მიუთითებს, რომ მოქანდაკის წარმატებას დიდად უწყობს ხელს მისი მეუღლე, კარლო კალაძე. გალაკტიონი მას ახასიათებს, როგორც უნიჭოს, ქედმაღალს, ცინიკოსს, თუმცა ამავდროულად დიპლომატ და გაიძვერა „მოსაქმეს“. კალაძის სამეგობრო შედეგება მისი მსგავსი დეგენერატებისაგან, რომლებიც ებრძოდნენ ძველ მწერლებს. ისინი ყოველთვის ერთად არიან და ახერხებენ სალიტერატურო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სადავეების ხელში ჩაგდებას. როდესაც საჭიროება მოითხოვს, ისინი მარჯვდენ ეფარებიან დამსახურებულ მწერალთა სახელებს, ხოლო როცა შესაძლებლობა ეძლევათ, ამავე მწერლებს თავს ესხმიან. გალაკტიონი მიუთითებს, რომ თავად გამოუცდია მათი ამგვარი ქცევა. აღნიშნავს, რომ კარლო კალაძემ დედის გარდაცვალებაც კი საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა და ნეკროლოგში დედის გარდაცვალება 29 ქართველ მწერალს გამოაცხადებინა.

➤ 10571

**1948**

**19 აპრილი**

მაგიდის კალენდრის 19 აპრილის ფურცელზე, რომელზეც არის ინფორმაცია, რომ 1821 წლის ამ დღეს გარდაიცვალა 1788 წელს დაბადებული ბაირონი, მიაწერს, რომ მისი დაბადებიდან 160 წელი სრულდება. აღნიშნავს, რომ რადიოთი გადმოსცეს გივი გაჩეჩილაძის მიერ ნათარგმნი ბაირონის ლექსები, რომლებიც მას გალაკტიონის რითმებით და წყობით უთარგმნია ინგლისურიდან ქართულად. იხსენებს, რომ სემინარიაში გიორგი ლეონიძემ ნახა ბაირონის წიგნი გალაკტიონის წარწერით: „საქართველოში შენ ერთი მაინც“.

➤ 10572

**1948**

**22 აპრილი**

ელაპარაკება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდან თავის თანაკლასელსა და მეგობარს გენადი მიხელიძეს.

➤ 10573

**1948**

**23 აპრილი**

სანდრო შანშიაშვილის მიერ, როგორც ლიტერატურული კორპორაციის „არიფიონი“ წევრისთვის, 1928 წლის 23 აპრილს ნაჩუქარ წიგნზე „შოთას ბეჭედი“ წარწერას – „არიფს გალაქტიონ ტაბიძეს“ – ქვეშ უწერს: „არ იფსა სანდრო შანშიაშვილო!“.

➤ 10574

**1948**

**22-24 აპრილი**

ესწრება მწერალთა კავშირის გამგეობის სპეციალურ პლენუმს.

➤ 10575

**1948**

**25 აპრილი**

დღიურში წერს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმის შთაბეჭდილებებს. აღნიშნავს, რომ ის ფორმალური აღმოჩნდა, პრეზიდიუმი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე – სიმონ ჩიქოვანი ძალიან ცუდად მუშაობენ, მათ მალიდან უჭერენ მხარს და პლენუმზე გამომჟღავნებულ ბოროტმოქმედებებს ჩქმალავენ. ოპოზიციონერების: კონსტანტინე გამსახურდია, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ვიქტორ გაბესკირია, სოლომონ თავაძე, დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი ჯიბლაძე, ალექსანდრე ქუთათელი ერთი ნაწილი მართლაც გამოხატავდა კრიტიკულ პოზიციას, ზოგი კი მხოლოდ დამსწრეებს უხვევდა თვალს. ასკვნის, რომ მწერალთა კავშირისაგან არავითარი იმედი აღარ აქვს, რადგან იქ ყველა სინდისგარეცხილია.

➤ 10576

**1948**

### **27 აპრილამდე**

საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოება თარგმნის და ვენაში გამოსცემს წიგნს, რომელშიც არის გალაკტიონის ლექსი.

➤ 10577

**1948**

### **27 აპრილი**

პირველად იცვამს ახალ კოსტიუმს, აქვს კარგი განწყობა და კმაყოფილია ხალხის ყურადღებით, მოწიწებით, ინტერესითა და სიყვარულით. იხსენებს რუსულ ანდაზას, რომლის მიხედვითაც ადამიანს მისი სამოსის შესაფერისად ეგებებიან.

➤ 10578

**1948**

### **27 აპრილი**

დღიურში წერს, რომ „წიგნის პალატა“ საიუბილეოდ გამოსცემს ბიბლიოგრაფიას და ამ საქმისთვის პალატის გამგემ გამოჰყო მეცნიერ-მუშაკი თინა ნაკაშიძე, რომელიც ერთგული და ამ დარგში გამოცდილების მქონე ადამიანია. აღნიშნავს, რომ წიგნის პალატის გამგე ძალიან კარგი კაცია. წერს, რომ თინა ნაკაშიძე ადგენს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დაბეჭდილ სახელმძღვანელოებში მოთავსებული ლექსების სიას. გარდა იმისა, რომ ივსება მისი ბიბლიოგრაფიული მასალა, გალაკტიონს ეს იმის გასარკვევადაც აინტერესებს, თუ რომელი გამოცემებიდან ერგება ჰონორარი.

➤ 10579

**1948**

### **27 აპრილი**

დღიურში ინიშნავს, რომ კერძო შეკვეთით, ან სახელგამის №2 მაღაზიის მეშვეობით „დინამოში“ შესაძლებელია გამოფენისთვის ჩარჩოების დამზადება. იქვე წერს, რომ სამხატვრო ფონდი, რომელიც შიო ჩიტაძის ქუჩის №8-ში მდებარეობს, იაფად ამზადებს ჩარჩოებს და იქ გამგედ მუშაობს ძალიან კარგი კაცი ანდრო ლევანის ძე ჯავახიშვილი.

➤ 10580

**1948**

### **27 აპრილი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად იღებს სამკურნალო კომისიის წიგნაკებს, რომელთაც, მისი აზრით, დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

➤ 10581

**1948**



## 27 აპრილი

დღიურში ინიშნავს, რომ სტეკლოგრაფიის გამოყენებით წიგნების ბეჭდვა შესაძლებელია მცირე ტირაჟით და რომ მიუხედავად სიძვირისა, ორმოცდაათგვერდიანი წიგნის 50 ცალი ღირს 500 მანეთი, ხარჯი წიგნის სარგებლობასთან შედარებით უმნიშვნელოა.

➤ 10582

## 1948

### 27 აპრილი

დღიურში იწერს, რომ საბეჭდ მანქანაზე ერთ ან რამდენიმე ეგზემპლარად დიდი წიგნის გადაბეჭდვა, მაგალითად მეხუთე და მეექვსე ტომებისა, ჯდება ყოველი 30 სტრიქონი 3 მანეთი, ამის შესაბამისად 3000 სტრიქონი, ანუ 100 ფურცლის გადაბეჭდვა, ღირს 3000 მანეთი.

➤ 10583

## 1948

### 27 აპრილი

ხვდება იპოლიტე ვართაგავას და იგებს, რომ მას დაუმთავრებია გალაკტიონზე მოგონებების წერა. ამ მოგონებების მიხედვით, გალაკტიონი არის მშვიდი, წყნარი და მორიდებული. პოეტ-მწერალთა არცერთ დაჯგუფებას არ მიეკუთვნება. ცხოვრობს და მუშაობს განმარტოებულად“ მისი ზნეობრივი ბუნება არ ითმენს „კვაჭობას“ და ინტრიგებს.

➤ 10584

## 1948

### 27 აპრილი

იგებს, რომ ექიმა ლადო გასვიანმა, რომელიც, მისი აზრით, შესანიშნავი პიროვნებაა, გამოსცა წიგნი „შოვი“, რომლის მთელი ტირაჟი წაუღიათ რაჭაში. დღიურში აღნიშნავს, რომ ამ წიგნში მოთავსებულია მისი ლექსი, რომელიც საჭიროა ბიბლიოგრაფიისთვის.

➤ 10585

## 1948

### 27 აპრილი

რუსთაველის გამზირზე „კულტსაქონელში“ 24 მანეთად იძენს ღია ბარათის ზომის 100 ცალ ფოტოქაღალდს. ყურადღებას აქცევს, რომ 100 ცალი დიდი ზომის ფოტოქაღალდი 120 მანეთი ღირს.

➤ 10586

## 1948

### 27 აპრილი

კარლ მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკიდან მიაქვს 1908 წლის ჟურნალ „ჩვენი კვალიდან“ გადაღებული და დაბეჭდილი სამი ფოტო: ჟურნალში გამოქვეყნებული გალაკტიონის ლექსი „შავი ღრუბელი“, ჟურნალის „ჩვენი კვალი“ ყდა და ლადო დარჩიაშვილის პორტრეტი. მიაჩნია, რომ ამ დაწესებულების თანამშრომლები: ფოტოგრაფი დიდებულიძე და ბიბლიოგრაფი თამარ მაჭავარიანი იშვიათი ყურადღებით ეპყრობიან, რაც დასაფასებელია.

➤ 10587

## 1948

### 27 აპრილი

ხვდება თეო კეკელიძეს და ლადო ჯაფარიძეს, რომლებიც ძველი მეგობრები არიან და აღნიშნავს, რომ ასეთი მეგობრობა იშვიათია.

➤ 10588

1948

**27 აპრილი**

სადამოს აბესალომ ტაბიძეს რკინიგზის ქალთა სკოლიდან გალაკტიონისთვის მიაქვს ახალგაზრდა პოეტის ნოდარ დუმბაძის მისდამი მიძღვნილი ლექსი „ვუძღვნი გალაკტიონს!“ („შენ მოხველ, როგორც ლექსის მესია...“), რომელიც პოეტში ღრმა ემოციებს იწვევს. მას მიაჩნია, რომ ლექსი ახალგაზრდული, გულწრფელი და ემოციურია. აღნიშნავს, რომ უწოდებს „ლექსის მესიას“, რომელმაც ბევრს წასცხო მგოსნის მირონი. ყურადღებას ამახვილებს სტრიქონებზე: „როგორც იმ მხარეს იმერეთისას, / ოდითგან მოჰქუხს შმაგი რიონი, / რომ მკითხონ, ვის სცნობ ოსტატს ლექსისას, / ვიტყვი: ყველას სჯობს გალაკტიონი“, „მე მაინც მინდა იქ ვიყო დიდხანს, / სადაც შენა ხარ და შენი ღამე“, „და მეც დავარქვი ჩემს პოეზიას / მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონი“ და სხვ. იწონებს ნოდარ დუმბაძის მეორე ლექსსაც „საქართველო“. დღიურში წერს, რომ ეს ავტორი ახალგაზრდებში პოპულარობით სარგებლობს.

➤ 10589

1948

**27 აპრილი**

საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებაში ხვდება ნიკოლოზ მიქავას, რომელსაც უთანხმდება, რომ შეარჩევს 50 ლექსს უცხო ენებზე სათარგმნად. ნიკოლოზ მიქავა ჰპირდება, რომ ლექსების ნაწილი ითარგმნება საქართველოში, ხოლო ნაწილი ინგლისში, ამერიკასა და ვენაში. გალაკტიონი ვარაუდობს შესარჩევი ლექსების წლების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილებას: 1908-1917, 1918-1928, 1928-1938, 1938-1948.

➤ 10590

1948

**27 აპრილი**

იღებს რუსულენოვანი გამოცემის „საგაზეთო სტატიების მატთანე“ 1947 წლის ოქტომბერ-დეკემბრის ნომერს, რომლის 43-ე გვერდზე არის ჩანაწერი: „Табидзе Г. 29492, 31345.“ გალაკტიონმა არ იცის, რას ნიშნავს ეს ციფრები და სურს გაარკვიოს, რადგან, მისი აზრით, ეს საჭიროა ბიბლიოგრაფიისთვის.

➤ 10591

1948

**27 აპრილი**

ათვალიერებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ ვარლამ ქაჯაიას წიგნს „ნიკო ცხვედაძე“, 77-ე გვერდზე კითხულობს აბესალომ ტაბიძის წერილს, რომელშიც კარგად არის აღწერილი 1908–1914 წლები და ფიქრობს, რომ ამ წიგნს გამოიყენებს გამოფენისთვის.

➤ 10592

1948

**27 აპრილი**

იღებს პირობას, რომ 16 მაისისთვის უნივერსალური მიიღებს პალტოს.

➤ 10593

1948

**27 აპრილი**

დღის ბოლოს დღიურში 19 მუხლად ჩამოწერს, რამდენი საქმე მოაგვარა, გაარკვია ან წინ წასწია და ამას „სადაზვერვო გაფრენებს“ უწოდებს. სურს, რომ კიდევ უფრო აქტიური იყოს და ეს რიცხვი

100-მდე გაზარდოს, მხოლოდ ისე, რომ არ დაიღალოს. ჩამონათვალის პირველ მუხლთან მოცემული ანდაზის დასაწყისს „ადამიანს მისი სამოსის შესაფერისად ეგებებიან...“ აქ ბოლომდე ციტირებს: „ხოლო აცილებენ მისი გონიერების შესაფერად“.

➤ 10594

1948

27 აპრილი

უბის წიგნაკში იწერს, რომ ალექსანდრე გომიაშვილი შუა სიტყვის დროს განგებ გაჩერდა.

➤ 10595

1948

28 აპრილი ან ადრე

გასარკვევი აქვს მოსკოვში თავისი „რჩეულის“ გამოცემის მდგომარეობა და ფიოდორ გოლოვენჩენკოსთან დასაკავშირებლად ნიკოლაი ტიხონოვს მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობის მისამართს, სადაც ის მუშაობს.

➤ 10596

1948

28 აპრილი

მაგიდის კალენდრის 22 აპრილის ფურცელზე, რომელზეც არის ინფორმაცია, რომ 1903 წლის ამ დღეს დაიბადა პოეტი და ორდენოსანი ალიო მამაშვილი (მირცხულავა) ხოლო 1813 წელს ამავე დღეს გარდაიცვალა დიდი რუსი მხედართმთავარი მიხეილ კუტუზოვი, მიაწერს შორისდებულებს: „უი, უი!“ და ირონიით აღნიშნავს, რომ მამაშვილი კუტუზოვის გვერდით არის მოხსენიებული.

➤ 10597

1948

28 აპრილი

წიგნის ზაზის გამგე მელიტონ თევდორაძე ფოტო-ქაღალდების შეძენას თვითღირებულებით სთავაზობს, რაც შესაძლებელი გახდება სამაისო დღესასწაულების შემდეგ.

➤ 10598

1948

28 აპრილი

საკუთარ არქივში ეძებს მისდამი მიძღვნილ ლექსებს და დღიურში იწერს, რომ ჯერჯერობით აღმოაჩინა 111 ლექსი, ისიც არასრულად, აღნიშნავს, რომ სიაში მხოლოდ ლექსების სათაურებია. გეგმავს ავტორების გვარების შეტანას ბიბლიოგრაფიაში მას შემდეგ, რაც იპოვის ლექსებს.

➤ 10599

1948

28 აპრილი

დღიურში ინიშნავს, რომ მისდამი მიძღვნილი ლექსების რიცხვს შეემატა სამი ახალგაზრდის: ლევთერ ფარცვანიას, ნოდარ დუმბაძისა და დავით კვიციანიას ლექსები. აღნიშნავს, რომ აქვს სია, რომელშიც 169 ავტორია წარმოდგენილი და რომ მას, საშუალოდ, წელიწადში ხუთ ლექსს უძღვნიან.

➤ 10600

1948

28 აპრილი

უკვეთავს საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბარს მოსკოვში ფიოდორ გოლოვენჩენკოსთან 30 მაისის საღამოს 18.00 საათისთვის.

➤ 10601

**1948**

**28 აპრილი**

საკუთარ არქივში პოულობს 1908 წლის „აკაკის კრებულის“ ყდას. დღიურში იწერს, რომ გამოფენისთვის საჭიროა ალმანახის „პირველი ტალღა“ და სასულიერო სემინარიის იმდროინდელი ფოტო. აღნიშნავს, რომ სხვა საგამოფენო მასალები უკვე მზად აქვს.

➤ 10602

**1948**

**28 აპრილი**

არკვევს 1908 წლის საგამოფენო მასალების ხარისხს და რაოდენობას და შედეგებს იწერს დღიურში. აღნიშნავს, რომ სულ მის ხელთ არის მხოლოდ 31 ექსპონატი, მათ შორის ფოტომასალა, ჟურნალები, წერილები და სხვ.

➤ 10603

**1948**

**28 აპრილი**

წერს ახალ ვარიანტს ლექსისა „ძეგლის გახსნა“ („რუსთაველის ძეგლის გახსნის გამო“).

➤ 10604

**1948**

**29 აპრილი**

გამოფენისთვის მოიპოვებს ფოტოს „სახლი პრესის ქუჩაზე“, რომელზეც გამოსახულია შენობა რომელშიც მოთავსებული იყო გაზეთების „ახალი კვალის“ და „ამირანის“ რედაქციები, სადაც მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა. აღნიშნავს, რომ ფოტოს ახლავს ნეგატივი.

➤ 10605

**1948**

**29 აპრილი**

საკუთარ არქივში საიუბილეო გამოფენისთვის აარჩევს მისდამი მიძღვნილ 14 ლექსს, რომელთა დაკავშირება შესაძლებელია 1908 წელთან. დღიურში იწერს ამ ლექსების ავტორების გვარებს.

➤ 10606

**1948**

**30 აპრილი**

18 საათისთვის შეკვეთილი აქვს სატელეფონო საუბარი მოსკოვში ფიოდორ გოლოვენჩენკოსთან და უბის წიგნაკში იწერს, რომ 7 საათზე საჭიროა შეკვეთის დადასტურება ტელეფონით.

➤ 10607

**1948**

**30 აპრილი**

წერს უსათაურო ლექსს „თევზმა თევზს უთხრა...“.

➤ 10608

**1948**

**30 აპრილის შემდეგ**

ემზადება მარჯანიშვილის თეატრში საკუთარი სადამოს ჩატარებისთვის. უბის წიგნაკში იწერს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობების, ფილარმონიის და რადიოს ტელეფონის ნომრებს.

➤ 10609

**1948**

**აპრილი**

ჟურნალში „ისკუსსტვო“ იბეჭდება სილოვან კაკაბაძის მიერ 1947 წელს შექმნილი გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტის რეპროდუქცია.

➤ 10610

## მ ა ი ს ი

**1948**

**1 მაისი ან შემდეგ**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ კითხულობს გიორგი ჯიბლაძის სტატიას, რომელშიც ის მკაცრად აკრიტიკებს გიორგი ლეონიძეს პოემაში „სამგორი“ სიმბოლიზმის ელემენტების გამოვლენის გამო. პუბლიკაციაში მოხმობილია არაერთი სტროფი პოემიდან და ერთგან გალაკტიონი გაზეთის კიდეზე აწერს, როგორ აჯობებდა კონკრეტული სტროფის დაწერა.

➤ 10611

**1948**

**5 მაისი**

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ბესარიონ ჟღენტი მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობაში ალექსანდრა რიაზინინას სახელზე აგზავნის დეკემას გალაკტიონ ტაბიძის მოსკოვში გამოსაცემი წიგნის შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ წიგნის რედაქტირებული მასალები გაგზავნილია მოსკოვში მთარგმნელის, ფატი თვალთვამის მეშვეობით.

➤ 10612

**1948**

**6 მაისი**

მაგიდის კალენდრის ფურცელზე წერს, რომ საინტერესოა მაქსიმ გორკის გადაწყვეტილება პირველი მოთხრობა შავრაზმულ გაზეთ „კავკაზში“ დაებეჭდა. აღნიშნავს, რომ ბევრ რამეს ნიშნავს კარგი ამხანაგი და იხსენებს, რომ 1908 წელს მისმა მეგობარმა კოტე ვეფხვაძემ გადააფიქრებინა „კავკაზში“ რუსულ ენაზე ლექსის დაბეჭდვა. ირონიით დასძენს, რომ ეს დიდებული დებიუტი იქნებოდა.

➤ 10613

**1948**

**6 მაისი**

მეცნიერებათა აკადემიაში წერს განცხადებას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიენტის, აკადემიკოსის ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელზე, რომელშიც ლიტერატურის დარგში კვლევითი მუშაობის ჩასატარებლად ითხოვს ერთთვიან მივლინებას მოსკოვში და საჭირო ხარჯების ანაზღაურებას.

➤ 10614

**1948**

**6 მაისი**

უბის წიგნაკში წერს მეცხრამეტე საუკუნის რუსი პოეტის ივან აკსაკოვის ლექსის სტროფს, რომელშიც ნათქვამია, რომ საეკლესიო ზარი ქრისტიანებს მწუხრის ლოცვაზე უხმობს, ასევე წერს, რომ მომდევნო დღეს კვირაა და დასვენება სამუშაოსგან.

➤ 10615

**1948**

**8 მაისი**

იძენს 1947 წელს საქართველოს წიგნის პალატის მიერ გამოცემულ წიგნს „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ (1819-1945), რომლითაც ძალიან უკმაყოფილოა, აღნიშნავს, რომ წიგნი საზიზღარია და რომ მის შესახებ შეტანილი მცდარი ინფორმაცია იოსებ გრიშაშვილის ოინები უნდა იყოს.

➤ 10616

**1948**

**8 მაისი**

ესმის, როგორ ესაუბრება მისი მეუღლე ნინო კვირიკაძე მოსამსახურე ქალს ფილოსოფიურ საკითხებზე და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 10617

**1948**

**8 მაისი**

გრიგოლ ორახელაშვილი გადასცემს ბესარიონ ჟღენტის რეცენზიას თავის კვლევაზე გალაკტიონ ტაბიძის შესახებ. გალაკტიონი კითხულობს და ფიქრობს, რომ „საცოდაობა“.

➤ 10618

**1948**

**8 მაისის შემდეგ**

იწყებს 1947 წელს საქართველოს წიგნის პალატის მიერ გამოცემული წიგნის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“ დამუშავებას და უბის წიგნაკში იწერს მისთვის საყურადღებო ინფორმაციას.

➤ 10619

**1948**

**10 მაისამდე**

სახლში ახვედრებენ სონია ტაბიძის მიერ დატოვებულ წერილს, რომელშიც სთხოვს მისი სკოლის პედკოლექტივთან და მოსწავლეებთან შეხვედრაზე მისვლას.

➤ 10620

**1948**

**10 მაისი**

საპასუხო წერილს უგზავნის სონია ტაბიძეს. ბოდიშს უხდის, რომ ავადმყოფობის გამო ვერ ესწრება მისი სკოლის პედკოლექტივისა და მოსწავლეების საღამოს. სთხოვს, თუ შეძლებს, მიაწოდოს მოხსენებების ტექსტები და ლექსები, რომლებსაც დიდი სიამოვნებით გაეცნობა.

➤ 10621

**1948**

**10 მაისი**

ნინო კვირიკაძე ჩუქნის უბის წიგნაკს წარწერით: „გატუნიას ნინოსაგან“.

➤ 10622

**1948**

**5–11 მაისი**

ემზადება მოსკოვში წასასვლელად და უბის წიგნაკში წერს რუსი მწერლების სახელებისა და გვარების 38-კაციან სიას და სურს მათი მისამართების გარკვევა.

➤ 10623

**1948**

**5–11 მაისი**

უბის წიგნაკში მოკლედ აღწერს ფორმალიზმთან, უცხოეთის წინაშე ქედის მოხრის და რუსულ ნაციონალიზმთან ბრძოლის ეგიდით მოსკოვში დაწყებულ დისკუსიებს. წერს, რომ პირველი იერიში ანდრეი ჟდანოვმა მიხეილ ზოშჩენკოსა და ანა ახმატოვაზე მიიტანა, რის შემდეგაც „დისკუსია“ გაღრმავდა. აღნიშნავს, რომ კრიტიკას ვერ გადაურჩნენ მუსიკოსები და იხსენებს ვანო მურადელის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას. წერს, რომ კამათში იმარჯვებდა ხალხურობა, უბრალოება, სისადავე, ეროვნულობა, მელოსი. აღნიშნავს, რომ, როგორც წესი, ისინი, ვის წინააღმდეგაც ილაშქრებდნენ, იძულებულნი იყვნენ ელიარებინათ შეცდომები, პრაქტიკაში კი განაგრძობდნენ ძველი გზით სიარულს. წერს, რომ ასეთ დისკუსიებს ნაკლებად აქვს დადებითი მხარეები, რადგანაც შედეგი არ მოჰყვება, მაგრამ ბევრი გამოჰყავთ „სააშკარაოზე“, ისინი ეგებიან მახეში, გულუბრყვილოდ ჰგონიათ რომ მათი ოპოზიციონერობა არ ეხება სახელმწიფოებრიობას, და თუ ეხება, ეს უნებლიე შეცდომაა, სინამდვილეში კი ეს დისკუსიები სახელმწიფოს მიერ მზადებაა შემდგომი აქტებისთვის. წერს, რომ ერთ ქალს ჰკითხა, ვის თანაუგრძნობს საზოგადოება, რაზედაც პასუხად მიიღო, რომ დღეს არა აქვს მნიშვნელობა, ვის თანაუგრძნობს საზოგადოება.

➤ 10624

**1948**

**11 მაისი**

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობაში ფიოდორ გოლოვენჩენკოსა და ალექსანდრა რიაბინინას სახელზე აგზავნის დეკლარაციას, რომელშიც ნათქვამია, რომ 1944 წელს საქართველოს მწერალთა კავშირსა და მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობას შორის გაფორმებული იყო ხელშეკრულება გალაკტიონ ტაბიძის რჩეული თხზულებების რუსულ ენაზე გამოცემის შესახებ. სიმონ ჩიქოვანი პრეზიდენტი სახელით სთხოვს ადრესატებს დაჩქარდეს წიგნის გამოცემა და აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი დაინტერესებულია, რომ სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის წიგნი რუსულ ენაზე გამოვიდეს კარგი თარგმანებით და გაფორმებით. დასასრულს დასძენს, რომ ელის მათ პასუხს.

➤ 10625

**1948**

**13 მაისი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი აძლევს საგარანტიო წერილს 2 500 მანეთის ასაღებად.

➤ 10626

**1948**

**მაისის შუა რიცხვებამდე**

მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობაში აგზავნის ტელეფონოგრამას. ატყობინებს, რომ მისი რჩეული თხზულებების კრებულის გამოცემაზე გამომცემლობამ მასთან ხელშეკრულება დადო 1944 წლის 25 მაისს, მაგრამ საქმე ძალიან გაჭიანურდა. თითქმის ოთხი წელი გადის და წიგნი გამოცემული არ არის. ატყობინებს, რომ მაისის შუა რიცხვებში აპირებს მოსკოვში ჩასვლას და, თუ გამომცემლობას საწინააღმდეგო არაფერი ექნება, წიგნისთვის დასამატებელი 5 ათასი სტრიქონის ჩატანას. შესაბამისად, მთლიანად გამოვა 15 ათასი სტრიქონი. მიმდინარე წლის შემოდგომაზე სრულდება მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წელი და სასურველია, რომ მისი რუსული თარგმანების რჩეული თუ ზაფხულში არა, სექტემბრის დასაწყისში მაინც იყოს გამოცემული.

➤ 10627

**1948**

**16 მაისი**

მიდის უნივერსიტეტში ახალი პალატოს შესაძენად.

➤ 10628

**1948**

**18 მაისამდე**

ამზადებს მასალებს მოსკოვში გამოსაცემი რუსული წიგნისთვის. საკანცელარიო რვეულს სათაურად აწერს – „დროშები ჩქარა“ და ადგენს 1908 – 1917 და 1917 – 1930 წლების რჩეული ლექსების ქრონოლოგიურ სიებს თხზულებათა პირველი და მეორე ტომებიდან. ლექსების სათაურების სიების შედგენაში მას მეუღლე, ნინო კვირიკაძეც ეხმარება. 1929 წლით დათარიღებული ლექსების სათაურების გასწვრივ აღნიშნავს, რომ ამ ლექსების შემდეგ ჩამოწერილი ლექსები სათარგმნად ჯერ არ გადაუცია.

➤ 10629

**1948**

**18 მაისამდე**

რუსული თარგმანების წიგნისთვის რჩეული ლექსების სიის შედგენისას უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ ვალერიან გაფრინდაშვილმა მის ერთ ლექსზე „ლურჯა ცხენები“ „დაისების“ მთელი წიგნი ააგო.

➤ 10630

**1948**

**18 მაისამდე**

სათაურის ქვეშ „Ars Poetique“ წერს სტროფს, რომელიც მთავრდება სიტყვებით: „რომანი, პოემა - ლექსი თუ წერილი, / სტრიქონი ყოველი - არის პოლიტიკა, / უთეთრეს ძაფებით მიკერ-მოკერილი!“

➤ 10631

**1948**

**18 მაისი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად ავტობუსით მიემგზავრება თბილისის აეროპორტში.

➤ 10632

**1948**

**18 მაისი**

დილის რვის ნახევარზე თბილისის აეროპორტიდან მიემგზავრება მოსკოვში. ფურცელზე წერს, რომ ამუშავდა თვითმფრინავის „დუგლასის“ პროპელერი და მანქანა დაიძრა აეროდრომიდან, აღნიშნავს, რომ მზემ შეანათა ფანჯარაში, ხოლო თვითმფრინავმა გარს შემოუარა აეროდრომს და 9 წუთის შემდეგ მოწყდა მიწას. პოეტი დაწვრილებით აღწერს, რომ თანდათან თბილისი რჩება მარცხნივ, თეთრად მოჩანს მთაწმინდა, მტკვარი და უამრავი სახლი. წერს, რომ ადიან ღრუბლებზე მალდა, მათი თვითმფრინავის ქვეშ კი ტრიალებს ორი არწივი და ეს არ არის ფანტაზია.

➤ 10633

**1948**

**18 მაისი**



ფურცელზე წერს, რომ დილის 9 საათსა და 15 წუთზე თვითმფრინავი ეშვება სოხუმის აეროდრომზე, სადაც მან სამი თუ ოთხი წლის წინ იპოვა ბედნიერების მომტანი ფანქარი. იწერს „მშვენიერი აფხაზეთისადმი“ მიძღვნილი საკუთარი ლექსის – „მადლობა აფხაზეთს“ სტრიქონებს: „სალამი აფხაზეთს, მის მზეს და მის ძალას. მის წინ მოწიწებით მე ვიხდი ჩაბალახს“.

➤ 10634

**1948**

**18 მაისი**

ფურცელზე წერს, რომ ათს ათი წუთი აკლია და თვითმფრინავი აფრინდა სოხუმის აეროდრომიდან, ხოლო თორმეტ საათსა და ოცდახუთ წუთზე როსტოვში დაეშვა.

➤ 10635

**1948**

**18 მაისი**

ფურცელზე წერს, რომ პირველ საათზე თვითმფრინავი აფრინდა როსტოვიდან, ხოლო ხუთ საათზე დაეშვა მოსკოვის ვნუკოვოს აეროდრომზე.

➤ 10636

**1948**

**18 მაისს ან შემდეგ**

უბის წიგნაკში რუსულ ენაზე წერს ლექსს, რომელშიც ნათქვამია რომ თვითმფრინავს, რომელიც ღრუბლების თავზე ამყად მიფრინავს, ერთი საათი დასჭირდა საქართველოდან მოსკოვში ჩასაფრენად. პოეტი მოსკოვს ძველი მეგობარივით ესალმება და ბოდიშს უხდის, რომ დიდი ხანია არ უნახავს. ეკითხება თუ ახსოვს 1917 წელი, როდესაც პოეტი სპასის კარიბჭესთან რევოლუციას უმღეროდა.

➤ 10637

**1948**

**18 მაისს ან შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს ერთტაეპიან ლექსს ამირანსა და ქართველ ხალხზე „კლდეს მიჯაჭვეულს რომ მოსავდა...“.

➤ 10638

**1948**

**19 მაისი**

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობაში საუბრობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების რედაქციის გამგე ალექსანდრა რიაზინინასთან, რომელიც უსახელებს 1944 წლის ხელშეკრულებით განსაზღვრული წიგნის გამოცემის დაგვიანების მიზეზებს. უყვება, რომ წიგნის რედაქტორობა მინდობილი ჰქონდა ბესარიონ ჟღენტს, რომელსაც დაევალა მასალების შერჩევა, დალაგება და სხვა. ჟღენტის მივლენილმა ფატი თვალთვადემ რიაზინინასთან მიიტანა წიგნი, რომლის სარჩევში მონიშნული ჰქონდა იმ ლექსების სათაურები, რომელთა თარგმნასაც აპირებდა. რიაზინინამ აღნიშნა, რომ მან სანდოდ არ მიიჩნია თვალთვადის მუშაობა და უარი უთხრა. ბესარიონ ჟღენტის მიერ 5 მაისის დეპეშის შესახებ რიაზინინამ თქვა, რომ უსაყვედურა ბესარიონ ჟღენტს, რადგან სარჩევში ლექსების მონიშვნა რედაქტორობა არ არის და არ გაკვირვებია, რომ პასუხად მიღებული მისი მამხილებელი დეპეშა ბესარიონ ჟღენტს გალაკტიონისთვის არ უჩვენებია.

➤ 10639

**1948**

**19 მაისი**

საუბრობს ალექსანდრა რიაზინინასთან საკუთარი ლექსების თარგმანების ახალი წიგნის გამოცემის შესახებ. სთავაზობს ლექსების პწკარედების დამზადებას თბილისში. საუბრობენ წიგნის ახალი რედაქტორის ვინაობაზე, თუმცა ვერ თანხმდებიან. რიაზინინა სთავაზობს მთარგმნელების კანდიდატურებს. გალაკტიონი ჰპირდება წიგნის ახალი გეგმის შედგენას. რიაზინინა აღნიშნავს, რომ საჭიროა ახალი ხელშეკრულების დადება, ვინაიდან ჰონორარი 1944 წლის შემდეგ გაზრდილია და ძველი ხელშეკრულების გაუქმება აჯობებს. აღნიშნავს, რომ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოაწეროს ფიოდორ გოლოვენჩენკომ, რომელიც ტაშკენტიდან ერთ კვირაში უნდა ჩამოვიდეს. სთხოვს გალაკტიონს, რომ გააცნოს მისი მეუღლე ნინა. უწერს საკუთარ ტელეფონს და მისამართს.

➤ 10640

**1948**

### **19 მაისის შემდეგ**

რუსულ ენაზე ადგენს მოსკოვში გამოსაცემი თარგმანების წიგნის ახალ გეგმას, რომელშიც მასალა ქრონოლოგიურად იქნება დალაგებული. ინიშნავს რა მასალები აქვს ნათარგმნი გიორგი ცაგარელს და ადგენს დარჩენილი სათარგმნი მასალების სიას.

➤ 10641

**1948**

### **21 მაისის შემდეგ**

კიევიდან იღებს ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტის ლექტორ გიორგი ნაზარენკოს წერილს. ატყობინებს, რომ ახლახან წაიკითხა ლევან ასათიანის წიგნი „აკაკი წერეთლის ცხოვრება“, რომელშიც კარგად არის ასახული მე-19 და მე-20 საუკუნეებში ქართველი და უკრაინელი ლიტერატორების ურთიერთობა. ამ შთაბეჭდილების ქვეშ მყოფს სურვილი გაუჩნდა, რომ 1947 წლის უკრაინული ცნობარ-კალენდრიდან გადმოეწერა გალაკტიონის ლექსის „ფიცი“ თარგმანი და პოეტისთვის გაეგზავნა. გარდა ამისა, ინტერესდება, მიიღო თუ არა თავისი ერთი ლექსის ადრესანტის მიერ 29 თებერვალს გაგზავნილი სლოვაკური თარგმანი. სურვილს გამოთქვამს, რომ გალაკტიონის ბიბლიოგრაფიაში ეს მასალებიც იყოს.

➤ 10642

**1948**

### **22 მაისი**

მიდის საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირში სადაც სურს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრ ფადეევის, ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ რედაქტორის პიოტრ სკოსირევის და მწერალთა კავშირის გენერალური მდივნის მოადგილის ნიკოლაი ტიხონოვის ნახვა. არც ერთი მათგანი მოსკოვში არ აღმოჩნდება, მათ მოვალეობას ასრულებს მწერალთა კავშირის მდივანი ანატოლი სოფრონოვი.

➤ 10643

**1948**

### **22 მაისი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ქვეყნდება ანა აგლამის სტატია მოქანდაკე სილოვან კაკაბაძის სახელოსნოს შესახებ, რომელშიც მოქანდაკის საუკეთესო ნამუშევართა შორის დასახელებულია გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტი.

➤ 10644

**1948**

### **23 მაისი**

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ მოსკოვში ჩავიდა გიორგი ჯიბლაძე. იმედს გამოთქვამს, რომ მისი ჩასვლა გალაკტიონის წიგნის გამოცემის საქმესაც ეხება.

➤ 10645

**1948**

**23 მაისი**

უბის წიგნაკში წერს, რომ მთარგმნელ ფატი თვალთვამეს, მისი თქმით, ნათარგმნი აქვს მისი ლექსების ორი ათასი სტრიქონი. აღნიშნავს, რომ მთარგმნელს აღებული აქვს ჰონორარი, ამიტომ მან ეს თარგმანები უნდა წარმოადგინოს და რომ ეს თარგმანები შესამოწმებელია. აღნიშნავს, რომ დანარჩენი ლექსების თარგმანებს თავად უზრუნველყოფს. ფიქრობს, რომ მთავარია წიგნის მომზადება, ხოლო გამოცემა ადვილი იქნება.

➤ 10646

**1948**

**24 მაისი**

ტელეფონით ესაუბრება ვიქტორ გოლცევს, სთავაზობს წიგნის რედაქტორობას, გოლცევი უარს არ ამბობს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ძალიან დატვირთულია რადგან კანდიდ ჩარკვიანის პირადი დავალებით რედაქტორობს კარლო კალაძის, სერგო კლდიაშვილის და მხატვრული ნარკვევების წიგნებს. აინტერესებს, არის თუ არა გალაკტიონის წიგნი შეტანილი გეგმაში. იგი გამოთქვამს გიორგი ჯიბლაძესთან შეხვედრის სურვილს.

➤ 10647

**1948**

**24 მაისი**

ტელეფონით ესაუბრება გიორგი ჯიბლაძეს, რომელსაც სთავაზობს მოსკოვში გამოსაცემი თარგმანების წიგნის რედაქტორობას. ჯიბლაძე სიამოვნებით თანხმდება და ამბობს, რომ ყველაფერში შემღებისამებრ დაეხმარება.

➤ 10648

**1948**

**24 მაისი**

წერს ლექსს „რა კარგია, სამშობლოვ“.

➤ 10649

**1948**

**24 მაისი**

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ საჭიროა მწერალთა კავშირში მისვლა, რაც არ ავნებს, რადგან იურიდიულად ყველაფერში მართალია.

➤ 10650

**1948**

**24 მაისის შემდეგ**

ხუტა ბერულავას წიგნში „ზღვის სუნთქვა“ ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 10651

**1948**

**25 მაისი**

დილის ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე რადიოთი ისმენს ანატოლი ოლხოვის ლექსებს.

➤ 10652

**1948**

## 25 მაისი

დილით ესაუბრება გიორგი ჯიბლაძეს, რომელსაც მოსწონს გალაკტიონის მიერ შეთავაზებული წიგნის ქრონოლოგიური დაყოფა. პოეტს ესმის ჯიბლაძის სატელეფონო საუბარი გოლცევთან, რის შედეგადაც ის ამცნობს, რომ უკვე მოელაპარაკა ვიქტორ გოლცევს. გალაკტიონი უკმაყოფილოა, რადგან ეჭვი ეპარება გოლცევის კეთილგანწყობაში და არ მოსწონს, რომ გეგმას ხელშეკრულებაზე წინ აყენებენ. გიორგი ჯიბლაძე გალაკტიონს ურჩევს სოფია ხითაროვასთან დაკავშირებას, რადგან მისი აზრით ხითაროვა საუკეთესო შემსრულებელია. გალაკტიონს ეჭვი ეპარება ამ შეფასებაში, რადგან 1944 წლის ხელშეკრულებას ხელი სწორედ ხითაროვამ მოაწერა, მაგრამ წიგნი არ გამოცემულა. ამ შეთავაზებების საფუძველზე ეჭვი შეაქვს გიორგი ჯიბლაძის კეთილგანწყობაში და ვარაუდობს, რომ ის შესაძლებელია მის მოწინააღმდეგეებს უჭერდეს მხარს. სახავს წინააღმდეგობების დაძლევის გზებს და იმედს ამყარებს საქართველოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერაზე, რომელიც გიორგი ჯიბლაძის თქმით მას აქვს. ასკვნის, რომ ჯიბლაძე მოსკოვში მხოლოდ და მხოლოდ მისი წიგნის საქმისთვის ჩავიდა.

➤ 10653

## 1948

### 25 მაისი

შუადღისას ალექსანდრა რიაზინინას გადასცემს გამოსაცემი რუსული თარგმანების წიგნის გეგმას, რომელშიც ასახულია გალაკტიონის ხედვა: ლექსების ქრონოლოგიურად დალაგება, რედაქტორის როლი და სტრიქონების რაოდენობა. რიაზინინა იხმობს სოფია ხითაროვას და მასალებს მას გადასცემს. შეხვედრაზე არ ცხადდება გიორგი ჯიბლაძე, რის გამოც ორ დღეს კარგავენ.

➤ 10654

## 1948

### 25 მაისი

საღამოს გიორგი ჯიბლაძე მიდის გალაკტიონთან, შეხვედრაზე არგამოცხადებისთვის ბოდიშს უხდის და დახმარებას ჰპირდება 27 მაისს ხელშეკრულების გაფორმებაში.

➤ 10655

## 1948

### 25 მაისი

საღამოს უბის წიგნაკში იწერს დღის შთაბეჭდილებებს. აღნიშნავს, რომ სწორედ ამ დღეს გასდის ვადა 1944 წელს 4 წლით დადებულ ხელშეკრულებას. აღნიშნავს, რომ ალმანახის „დრუჟბა ნაროდოვ“ და მწერალთა კავშირის ნაციონალური კომისიის ლიტერატურული კონსულტანტი არკადი დეევი კარგი კაცია, მაგრამ საკუთარი გამოცდილებიდან ასკვნის რომ მისი ნდობა არ შეიძლება. აქვე აღნიშნავს, რომ ხითაროვაც კარგი ქალია, მაგრამ აქაც დიდად არ აიმედებს. ფიქრობს, რომ მათ შორის დიდი და ჩუმი კავშირი არსებობს და ვარაუდობს, რომ ორივენი სომხები შეიძლება იყვნენ. თვლის, რომ ალმანახი „დრუჟბა ნაროდოვ“ მის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას იჩენს და ასკვნის, რომ საჭიროა სიფხიზლე.

➤ 10656

## 1948

### 25 მაისის შემდეგ

მოსკოვიდან წერილს იღებს სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის რედაქტორ სოფიო ხითაროვასაგან. აცნობებს, რომ მისი რუსულენოვანი ერთტომეულის რედაქტორად ის არის დანიშნული, მაგრამ ბევრ წინააღმდეგობას აწყდება, რადგან მასალა, რომელიც გასარედაქტირებლად გადაეცა, ძალიან მოუწესრიგებელია. ბევრ ლექსს არ ახლავს ტრანსკრიპტი, ხშირად არ არიან მითითებული მთარგმნელები, პწკარედებში გამოტოვებულია ლექსის სტრიქონები. სწერს, რომ წიგნი დაყოფილი იქნება ექვს განყოფილებად: „წარსული წლების

ლირიკიდან“, „ეპოქა“, „მოგზაურობა ევროპაში“, „ომის პერიოდის ლირიკა“, „სიცოცხლის მტევნები“ (ომისშემდგომი ლირიკა) და აინტერესებს, მისაღები იქნება თუ არა ეს გალაკტიონისთვის. ადრესანტს მოჰყავს უამრავი მაგალითი, როცა ლექსის თარიღები სხვა წყაროებში განსხვავდება გალაკტიონის მიერ წარდგენილ მასალაში მითითებული თარიღებისგან და სთხოვს, თითოეულ მათგანთან დაკავშირებით მისწეროს საბოლოო პასუხი.

➤ 10657

1948

28 მაისი

ნახევარი საათი სიამოვნებით ისმენს რადიოგადაცემას ბესარიონ ბელინსკის შესახებ, რომელსაც კითხულობს დიქტორი ალექსანდრ კისელიოვი.

➤ 10658

1948

29 მაისამდე

„ზარია ვოსტოკას“ რედაქცია რუსულ ენაზე ბეჭდავს ნიკოლაი ტიხონოვის თარგმნილი ქართველი პოეტების ლექსების კრებულს „საბჭოთა საქართველოს პოეტები“. მასში შეტანილია გალაკტიონის ლექსების „შემოდგომა ტრანშეებში“ („და სისინებდენ, სისინებდენ ჩალის ღერები“), ... („საღამოხანად, მთაწმინდას რომ დაჰფარავს ნისლი“), „შენ, ფოლადივით ცივი თვალებით“ და „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ თარგმანები.

➤ 10659

1948

29 მაისი

რუსული გაზეთის “ზარია ვოსტოკა” რუბრიკაში „ახალი წიგნები“ იბეჭდება ცნობა, რომ გამოიცა ნიკოლაი ტიხონოვის რჩეული თარგმანების კრებული „საბჭოთა საქართველოს პოეტები“. ცნობაში აღნიშნულია, რომ კრებულში შეტანილია 18 პოეტის ლექსები და პოეტების ანბანურ ჩამონათვალში მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 10660

1948

29 მაისის შემდეგ

ნიკოლაი ტიხონოვის თარგმნილი ქართველი პოეტების ლექსების კრებულში „საბჭოთა საქართველოს პოეტები“, ალექსანდრე აბაშელის ნაწარმოების „ლექსის თარიღი“ თარგმანის სათაურის გასწვრივ წერს საკუთარი ლექსის სტრიქონებს: „დრო, დრო აღნიშნე! მიაწერე ლექსს/ ყოველი წუთი დღე და საათი.“

➤ 10661

1948

30 მაისი

გიორგი ჯიბლაძე დადებით რეზოლუციას აძებს გალაკტიონის მიერ მომზადებულ რჩეულ ლექსთა სიას რუსულად გამოსაცემი კრებულისთვის.

➤ 10662

1948

30 მაისი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ ქვეყნდება სიმონ ჩიქოვანის წერილი „ქართული საბჭოთა მწერლობის ახლანდელი ვითარება და ჩვენი ამოცანები“, რომელშიც მიმოხილულია ქართული პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა და კრიტიკის წინაშე მდგარი პრობლემები და გამოწვევები. სიმონ ჩიქოვანი სადავოდ ხდის კრიტიკოს სერგი ჭილაიას მოსაზრებას

ლიტერატურის ტრადიციასთან გალაკტიონ ტაბიძის დამოკიდებულების საკითხზე. იგი მიუთითებს, რომ ჭილაია ტენდენციურად აშუქებს გალაკტიონის რევოლუციამდელ პოეზიას. ჩიქოვანი ეჭვქვეშ აყენებს კრიტიკოსის თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ გალაკტიონ ტაბიძე XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ლიტერატურული ტრადიციების უშუალო მემკვიდრეა. იგი ხაზგასმით მიუთითებს, რომ თავის ადრეულ შემოქმედებაში პოეტი თითქმის არ ინტერესდებოდა სოციალური და ეროვნული პრობლემატიკით, რითაც დიამეტრულად უპირისპირდებოდა XIX საუკუნის ქართველ პოეტებს. წერილის ავტორის აზრით, გაუმართლებელია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში „შეხვედრებზე“ საუბარი, რადგან შეხვედრები შეიძლება ერთსა და იმავე დროში მოღვაწე პოეტთა შორის არსებობდეს და თუ ბარათაშვილის ლექსებისადმი მიმსგავსებულ ნაწარმოებებს რომელიმე თანამედროვე პოეტი წერს, იგი ეპიგონია და არა მისი თანამოაზრე. მაგრამ გალაკტიონს ამას ვერ დავაბრალებთ, რადგან იგი ნაკლებად ბაძავდა ბარათაშვილს და თავისი პოეტური ბუნებით სრულიად სხვა პოეტური სამყაროს წარმომადგენელი იყო. ჩიქოვანის მოსაზრებით, გალაკტიონისა და ბარათაშვილის გენეტიკურ ნათესაობაზე ვერ ვისაუბრებთ მხოლოდ იმის გამო, რომ გალაკტიონთან ხანდახან ვხვდებით ბარათაშვილის ინტონაციას, რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებიდან მომდინარე ზოგიერთ მხატვრულ სახესა თუ ფრაზას. ბარათაშვილი მკაფიო კლასიკური აზროვნების პოეტია, გალაკტიონი კი – იმპრესიონისტი. სიმონ ჩიქოვანის თვალსაზრისით, ბარათაშვილისაგან განსხვავებით, ადრეული გალაკტიონ ტაბიძისათვის უცხო იყო სოციალური პრობლემატიკა და პიროვნული შთაბეჭდილებებისა და განცდების ფილოსოფიური განზოგადება. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად კრიტიკოსი გვთავაზობს ლექსების – „შემოღამება მთაწმინდაზე“ და „მთაწმინდის მთვარე“ – შეპირისპირებით ანალიზს. გალაკტიონ ტაბიძის ადრეული შემოქმედების მთავარი წყარო, ჩიქოვანის აზრით, საძიებელია არა ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებში, არამედ ევროპული დეკადანსის პოეზიაში. ის ფაქტი, რომ გალაკტიონი თავის ადრეულ ლექსებში ახსენებს ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა სახელებს, როდი მიუთითებს მათ შემოქმედებასთან მისი პოეზიის სიღრმისეულ კავშირზე. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ, მართალია, გალაკტიონის ადრეულ პოეზიაში ვხვდებით არასიმბოლისტური ხასიათის ლექსებსაც, მაგრამ ისინი გენეტიკურად უფრო აკაკის შემოქმედებასთან ამჟღავნებს კავშირს, ვიდრე ბარათაშვილის ლირიკასთან. აკაკისთან გალაკტიონის სულიერი სიახლოვის დასტურად მიაჩნია ჩიქოვანს ის ფაქტიც, რომ „მთაწმინდის მთვარეში“ ბარათაშვილამდე აკაკი წერეთელია მოხსენებული. აქვე ჩიქოვანი საგანგებოდ იმასაც შენიშნავს, რომ გალაკტიონის ადრეულ ლირიკის კავშირი აკაკის პოეზიასთან მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათისა იყო და შემდეგში გალაკტიონმა საწინააღმდეგო შემოქმედებითი გზა აირჩია, აიღო რა გეზი რუსულ-ევროპული სიმბოლიზმისაკენ.

➤ 10663

**1948**

**31 მაისი**

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება დაიდება მთარგმნელებთან და არა მასთან, როგორც ავტორთან, მაგრამ იძულებულია, რომ ამ პირობას დათანხმდეს.

➤ 10664

**1948**

**გაზაფხული**

დილით რუსთაველის ძეგლთან ხვდება კორნელი სანაძეს და ავტომანქანით ბეთანიისკენ მიემგზავრებიან. ბეთანიაში ეკლესიის გალავანში ხის ძირას გალაკტიონი წამოწვება და ჩათვლემს. შემდეგ ტაძარში შედიან, პოეტი თამარ მეფის ფრესკასთან სანთელს ანთებს. ტაძრის ეზოში სანაძე საგზალს ამოალაგებს და შეექცევიან. შემდეგ მხატვარი მოლბერტს გაშლის და ხის ძირას ჩაძინებული გალაკტიონის ჩანახატს აკეთებს. ხუთი საათისთვის ისევ ტაძარში შედიან და

გალაკტიონი ისევ თამარ მეფის ფრესკასთან მიდის. ბეთანიიდან წყნეთის გავლით თბილისში ბრუნდებიან.

➤ 10665

**1948**

### **გაზაფხული ან შემდეგ**

სტუმრობს კორნელი სანაძეს და დიდხანს საუბრობენ პოეზიასა და ხელოვნებაზე. გალაკტიონი დიდად კმაყოფილია ბეთანიაში ყოფნით და კორნელი ახლა ორდღიან გასვლას სთავაზობს ყინწვისის შემოგარენში. გალაკტიონს გამომცემლობაში აქვს საქმეები და ორდღიან გასვლაზე უარს ამბობს, მაგრამ თანხმდება ატენში მატარებლით ერთდღიან გასვლაზე.

➤ 10666

**1948**

### **გაზაფხული ან შემდეგ**

კვირა დღეს დილის ექვს საათზე რკინიგზის სადგურში ხვდება კორნელი სანაძეს და მიემგზავრებიან ატენისკენ. გორში რკინიგზის სადგურიდან ავტოსადგურში მიდიან. ქუჩაში ხალხი მათ დანახვაზე ჩერდება და გალაკტიონს გზას უთმობს. ავტოსადგურში უკვე ყველა ბილეთი გაყიდულია, მაგრამ გალაკტიონის სახელს რომ იგებენ, ბილეთები საიდანღაც ჩნდება. სოფელ ატენამდე ერთი კილომეტრით ადრე კორნელი სანაძე ავტობუსს აჩერებს, გალაკტიონს სთხოვს ავტობუსიდან ჩამოვიდეს და ირგვლივ მიმოიხედოს. გზას ფეხით აგრძელებენ და ატენის სიონს უახლოვდებიან. ფრესკების თვალიერების შემდეგ ტაძრის ეზოში თივის ბულუღზე მიწვებიან და იძინებენ. უცებ ჟრიამული ესმით. თურმე ადგილობრივებს, რომლებმაც გალაკტიონი იცნეს, სუფრა გაუშლიათ და მათ გამოღვიძებას ელოდებიან. იწყება მოლხენა, ცეკვა და სიმღერა. საღამოს ხუთ საათზე მასპინძლები ავტოსადგურამდე მანქანით აცილებენ სტუმრებს და ემშვიდობებიან.

➤ 10667

## **ივნისი**

**1948**

### **1 ივნისი**

იმ საერთო რვეულს რომელშიც თავისი თხზულებების პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე ტომებიდან და კრებულიდან „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ რუსულად გამოსაცემი კრებულისთვის შერჩეული ლექსების გადაწერას აპირებს, რუსულად აწერს „გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული თხზულებები. შეადგინა და შეარჩია გ. ტაბიძემ. მოსკოვი, 1948, 1 ივნისი“.

➤ 10668

**1948**

### **2 ივნისი**

უბის წიგნაკში წერს ერთტაეპიან ლექსს რუსულ ენაზე, რომელშიც ნათქვამია, რომ მას შემართებაც აქვს და ფულიც, ორი კაცისთვის სამყოფი, ახლობლების და მეგობრების საკეთილდღეოდ.

➤ 10669

**1948**

### **7 ივნისი**

ესწრება ბესარიონ ბელინსკის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენის გახსნას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაქსიმ გორკის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

➤ 10670

**1948**

## **8 ივნისს ან ადრე**

უბის წიგნაკში წერს, რომ მოსკოვში გამოსაცემი წიგნის რედაქტორის დანიშვნის შესახებ დაწერილ განცხადებაში მითითებული აქვს, რომ წიგნის რედაქტორად სასურველია დაინიშნოს ამხანაგი გიორგი ჯიბლაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში.

➤ 10671

**1948**

## **8 ივნისს ან ადრე**

იმყოფება მოსკოვში და უბის წიგნაკში რუსულად წერს განცხადების შავ პირს, რომ 1918 წელს ერთი ბოლშევიკის მხურვალე რეკომენდაციით, რომელიც გაზეთ „პრავდაში“ მუშაობდა და რომლის სახელი არ ახსოვს, მიიღეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ბოლშევიკების პარტიის წევრად. აღნიშნავს, რომ პარტიის რაიკომი მაშინ მდებარეობდა ამჟამინდელი ძერჟინსკის მოედნის მიმდებარე ერთერთ ქუჩაზე. აინტერესებს, თუ არის შენახული 1918 წლის პარტიის წევრების სია და თუ არის იქ მითითებული გალაკტიონ ტაბიძე. იმ შემთხვევაში თუ სია შემონახულია და იქ მისი სახელი არის მითითებული, აინტერესებს, შესაძლებელია თუ არა ამონაწერის მიღება.

➤ 10672

**1948**

## **8 ივნისი**

აკეთებს ჩანაწერს სახელწოდებით „პუშკინის ძეგლთან“, რომელშიც აღნიშნავს, რომ მოსკოვში არსებული პუშკინის ძეგლი ადრე უფრო დიდი ეჩვენებოდა, რადგან იგი არც თუ ისე მაღალი სახლების გარემოცვაში თავადაც რელიეფურად იყო აღმართული, ახალა კი მას ჩრდილავს მრავალსართულიანი შენობები. პოეტი იგონებს, რომ 1917 წელს პოეტის ძეგლი წითელი მატერიით იყო შემოსილი და მასთან იმართებოდა ფრონტიდან გამოქცეული ჯარისკაცების მიტინგები. გალაკტიონის თქმით, ერთხელ, მორიგი მიტინგისას, ძეგლის კვარცხლბეკზე ავიდა ინტელიგენტური გარეგნობის ადამიანი. იგი საუბრობდა პეტროგრადის რევოლუციურ ბრძოლაზე. ჯარისკაცებს რაღაც არ მოეწონათ მის სიტყვებში, არასანდო პიროვნებად მიიჩნიეს, ადგილიდან ჩამოათრიეს და გადაწყვიტეს საბჭოში წაეყვანათ, რათა მისი ვინაობა გაერკვიათ. პოეტი მიუთითებს, რომ, ბრბო მას არ აცოცხლებდა, საქმეში უცაბედად გამოჩენილი ერთი ჩოხიანი იმერელი რომ არ ჩარეულიყო. იგი გვერდით ამოუდგა ორატორს და ზრდილობიანად აჩერებდა მასზე თავდასხმის მოსურნეთ. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოდან გამოსულმა ერთმა სამხედრო პირმა ორატორი სანდო ადამიანად, პეტროგრადელ ვეჟილად გამოაცხადა, ბრბო მაინც მის დახვრეტას მოითხოვდა, რის საშუალებაც მათ იმერელმა არ მისცა. იგი ოსტატურად უზღუდავდა ხალხს ვეჟილთან მიახლოების საშუალებას და ეუბნებოდა, რომ პირადად იცნობდა ექვმიტანილს, როგორც ღირსეულ პიროვნებას. საბოლოოდ მოსკოვის საბჭოში გაირკვა, რომ ორატორს არაფერი ბრალი არ მიუძღოდა და ხალხიც დამშვიდდა. იმერელმა კი კარისკაცებს მიმართა, რომ იგი შორიდან იცნობდა ვეჟილს, რომელიც კავკასიელი იყო წარმოშობით და მასთან არავითარი მეგობრული თუ ნათესაური სიახლოვე არ აკავშირებდა. იმერელს ისიც უთქვამს, რომ რევოლუციამ ადამიანებს სინდისი და პატიოსნება არ უნდა დააკარგინოს.

➤ 10673

**1948**

## **8 ივნისს ან ადრე**

უბის წიგნაკში წერს ხუთსტრიქონიან უსათაურო ლექსს „ჩვენ მოვიარეთ მიწა და წყალი“.

➤ 10674

**1948**

## **8 ივნისი**



გზავნის სასწრაფო დეპეშას თბილისში, მწერალთა კავშირის მდივნის, ალექსანდრე გომიაშვილის სახელზე, რომელშიც სთხოვს შეატყობინოს, გაუგზავნეს თუ არა შეპირებული თანხა ტელეგრაფით. მისამართად უთითებს სასტუმროს „მოსკოვი“.

➤ 10675

**1948**

### **8 ივნისი**

ესწრება ბესარიონ ბელინსკის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სესიას მეცნიერებათა აკადემიაში, საიდანაც ფეხით ბრუნდება სასტუმრო „მოსკოვი“ და გზად ჩერდება გოგოლის ძეგლთან. უბის წიგნაკში აღწერს გოგოლის ძეგლს. ფიქრობს, რომ ბელინსკი უსათუოდ ასეთ გოგოლს სწერდა თავის უკანასკნელ წერილს, ავადმყოფს, ფიქრებში წასულს, წელში უღონოდ მოხრილს, სავარძელში უღონოდ ჩასვენებულს. წერს, რომ ძეგლი არაფერს ოპტიმისტურს არ გამოხატავს, მოქანდაკეს უხვად მიმოუფენია მის კვარცხლბეკზე გოგოლის სულით და ხორციტ უარყოფითი, საზიზღარი პერსონაჟები, რაც გოგოლის შემოქმედების რეალიზმს ასახავს. უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ ბელინსკისადმი მიძღვნილ ამ დღეს, მთელი ქვეყანა იხსენიებს მეცნიერის სანიმუშო ნაშრომს „წერილს გოგოლისადმი“.

➤ 10676

**1948**

### **8 ივნისი**

უბის წიგნაკში წერს 1917 წლის მოგონებას თუ როგორ ბრუნდებოდა ღამით შინ ირაკლი ამირეჯიბთან ერთად ელენე ბაქრაძესთან სტუმრობის შემდეგ და როგორ გაჩერდნენ გოგოლის ძეგლთან. აღნიშნავს, რომ მას შემდეგ ოცდაათმა წელმა გაიარა, ის აკადემიის სესიიდან ფეხით ბრუნდება და კვლავ დგას იმავე ძეგლის წინ ისევ იმ ხესთან, მის ძველ ნაცნობ ხესთან, რომელიც ცოცხალია. აღნიშნავს, რომ „მისი“ ძველი არბატი უფრო განათებული და გაფართოვებულია და რომ იქ თითოეული სახლი ნაცნობია მისთვის. ამ სახლებს ახლა გარს უვლის ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტრამვაი, ახლოსაა მეტრო და ეს ყველაფერი გოგოლის დროს არ იყო. წარმოიდგენს, რომ გოგოლის ძეგლიც იმავეზე ფიქრობს.

➤ 10677

**1948**

### **8 ივნისი**

უბის წიგნაკში რუსულ ენაზე წერს უსათაურო ლექსს.

➤ 10678

**1948**

### **8 ივნისი**

გულდასმით ათვალთვლებს ბესარიონ ბელინსკის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაქსიმ გორკის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, უბის წიგნაკში დაწვრილებით იწერს გამოფენილი მასალების სიას, იხატავს ექსპონირებული პორტრეტებისა და წიგნების განლაგებას.

➤ 10679

**1948**

### **9 ივნისი**

მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობას წერილობით ატყობინებს, რომ შეუძლია თავისი წიგნის პწკარედული თარგმანების 10 ათასი სტრიქონი სექტემბრამდე თბილისშივე მოამზადებინოს მთარგმნელებს. ითხოვს, რომ გამოუწერონ შესაბამისი თანხა, რომელსაც ამ საქმის შემსრულებლებს გადაუხდის. აღუთქვამს, რომ სექტემბერში ამ პწკარედებთან ერთად მიაწვდის სიასაც, ვის რამდენი გადაუხადა.

➤ 10680

1948

**11 ივნისის შემდეგ**

იოსებ გრიშაშვილის წიგნში „ძველ თეატრში“ სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 10681

1948

**12 ივნისამდე**

ძმას, ახესალომ ტაბიძეს უგზავნის დეპეშას და ატყობინებს, რომ მეუღლესთან ერთად მშვიდობით ჩავიდა მოსკოვში.

➤ 10682

1948

**12 ივნისის შემდეგ**

წერილს იღებს ძმისგან, რომელიც ატყობინებს, რომ მისი დეპეშა მიიღო, მაგრამ დანაპირები ყოველდღიური წერილები, როგორც ჩანს, დაავიწყდა. სწერს, რომ 1 ივლისისთვის გამოცდები დამთავრდება და თავისუფალი იქნება. სთხოვს, ნინამ გაიკითხოს, იშოვება თუ არა მოსკოვში სელის მსგავსი ქსოვილი, რომლისგანაც აფრებს ამზადებდნენ. უსურვებს გამარჯვებას, მაგრამ იქვე დასძენს, რომ ის უკვე გამარჯვებულია და მისი სახელი ისტორიაშია შესული.

➤ 10683

1948

**16 ივნისი**

დილის 7 საათსა და 10 წუთზე მოფრინავს მოსკოვის ვნუკოვოს აეროდრომიდან და 4 საათზე არის თბილისში.

➤ 10684

1948

**17 ივნისი**

ესწრება მეცნიერებათა აკადემიის სხდომას, რომელზეც პეტრე შარიას ათავისუფლებენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრობიდან და ხსნიან ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან. მის ნაცვლად აკადემიის პრეზიდიუმის წევრად ირჩევენ ვიქტორ კუპრაძეს, ხოლო ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად დროებით ნიშნავენ სავლე წერეთელს.

➤ 10685

1948

**18 ივნისი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის რევაზ გაბიჩვაძის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ 30-ზე მეტი კომპოზიტორი მუშაობს კამერული ვოკალური და ინსტრუმენტული ნაწარმოებების შექმნაზე და რომ ამ ნაწარმოებთა უმეტესი ნაწილი გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე საჯაიას, რევაზ მარგინის და იოსებ ნონეშვილის ტექსტებზე იქმნება.

➤ 10686

1948

**18 ივნისი**

იმყოფება მუშტაიდის ბაღში. შინ დაბრუნების შემდეგ წერს ლექსს „მშვიდობის ჰანგებს როცა გაიგებს“.

➤ 10687

**1948**

### **19 ივნისი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება სერგი ჭილაიას სტატია „ძველი დავა ახალი ფორმით“, რომელიც წარმოადგენს პასუხს სიმონ ჩიქოვანის სტატიაზე „ქართული საბჭოთა მწერლობის ახლანდელი ვითარება და ჩვენი ამოცანები“. სერგი ჭილაია არ იზიარებს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მისეული ინტერპრეტაციის წინააღმდეგ ჩიქოვანის მიერ გამოთქმულ არც ერთ შენიშვნას. იგი არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიას გარკვეული კავშირი აქვს სიმბოლიზმთან, მაგრამ მიაჩნია, რომ მის შემოქმედებაში წარმართველი მაინც კლასიკური მწერლობის ტრადიციაა. კრიტიკოსის აზრით, რევოლუციის შემდეგ გალაკტიონის სწრაფი ფერისცვალებაც სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული.

სერგი ჭილაია სიმონ ჩიქოვანს ფაქტობრივ შეცდომებშიც სდებს ბრალს. იგი მცდარად მიიჩნევს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თვალსაზრისს, რომ რევოლუციამდელმა გალაკტიონმა მხოლოდ ერთ ქართველ პოეტს, აკაკი წერეთელს უძღვნა ლექსი. სერგი ჭილაიას თქმით, გალაკტიონ ტაბიძემ აკაკი წერეთელზე უფრო ადრე მოიხსენია შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე. ჭილაია აგრეთვე არ იზიარებს სიმონ ჩიქოვანის მიერ ბარათაშვილისა და გალაკტიონის ლექსების („ფიქრნი მტკვრის პირას“ და „ახალ ტალღას“) შედარების შედეგად მიღებულ დასკვნას და აცხადებს, რომ გალაკტიონმა ამ ლექსში ახალი შინაარსით აავსო ბარათაშვილის საზოგადოებრივი თვალსაზრისი და მისი მეზრდოლი ბუნება დაუკავშირა რევოლუციას. წერილის დასკვნით ნაწილში სერგი ჭილაია აღნიშნავს, რომ სიმონ ჩიქოვანის მიერ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ირგვლივ გამოთქმული არც ერთი მოსაზრება გასაზიარებელი არ არის და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი თავისი მოხსენებით უნებურად „ცისფერყანწელთა“ პოზიციაზე დადგა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ გალაკტიონი ეროვნული პოეტი არ იყო და მისი დეკადენტური პოეზია ქართულ მწერლობაში ნიადაგს ვერ პოულობდა. კრიტიკოსის თქმით, ამის ფონზე არასერიოზულად მოჩანს სიმონ ჩიქოვანის მხრიდან გალაკტიონის პოეზიის სიდიადის მტკიცება, რადგან წარმოუდგენელია დიდი პოეტი იყოს ის, რომელსაც ნაციონალური არაფერი გააჩნია და დეკადენტადაა გამოცხადებული.

➤ 10688

**1948**

### **23 ივნისი**

დილით ადრე ამდგარს მუშაობის შემდეგ შუადღისას ჩასთვლემს. ესიზმრება, მატარებლით მგზავრობს დედასთან ერთად, რომელიც რაღაცას ეძებს და ეუბნება შვილს, რომ მისთვის განკუთვნილ ფულს ვედარ პოულობს. გალაკტიონი მიუთითებს, რომ საფულე საწოლზე დევს. დედა სამჯერ უმეორებს სიტყვას „შარმანდინა“. გამოღვიძების შემდეგ გალაკტიონი ნანახი სიზმრის შესახებ ჩანაწერს აკეთებს.

➤ 10689

**1948**

### **23 ივნისი**

სამსახურში არ ხვდება და წერილს უტოვებს ვინმე ნიკოლოზს. სთხოვს, რაც შეუძლია მალე გადაუთარგმნოს და თანხას პირადად მიაწვდის. ტელეფონზე შეეხმიანოს საღამოსვე ან მომდევნო დილას.

➤ 10690

**1948**

### **24 ივნისის შემდეგ**

ჟურნალ „მნათობში“ ქვეყნდება სერგი ჭილაიას წერილი „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც ავტორი მსჯელობს გალაკტიონის პოეტური ევოლუციის გზაზე და მიუთითებს, რომ ადრეული გალაკტიონისათვის სრულიად არ იყო უცხო სოციალური პრობლემებისადმი ინტერესი. თავისი მოსაზრების დასტურად კრიტიკოსი გალაკტიონის რევოლუციამდელი შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსს მოიხმობს და იქ, სადაც ჭირს ლირიკული სუბიექტის სევდიანი განწყობის კონკრეტული მიზეზის ამოკითხვა, ამას სოციალური კონტექსტით ხსნის. სერგი ჭილაია უცვლელად იმეორებს 30-იანი წლების საბჭოთა კრიტიკაში დამკვიდრებულ იმ იმ თვალსაზრისს, რომ ლექსი „პირველი მაისი“ პოეტმა 1908 წელს დაწერა და წაიკითხა არალეგალურ შეკრებაზე. ცისფერისადმი განსაკუთრებულ ლტოლვას კრიტიკოსი გალაკტიონის რომანტიკული მსოფლშეგრძნების დასტურად მიიჩნევს. პოეტის ადრეულ შემოქმედებაში სიკვდილის აპოლოგიაც სერგი ჭილაიას მიერ სიმბოლისტურ-რომანტიკულ მოტივადაა გამოცხადებული, თუმცა, მისი თქმით, ამ საკითხის განსახიერების თვალსაზრისით გალაკტიონი არასოდეს მისულა ევროპული რომანტიზმისა და სიმბოლიზმისათვის დამახასიათებელ უკიდურესობამდე და მისთვის უცხო იყო ნოვალისის რადიკალიზმი. ლიტერატურულ ტრადიციასთან დამოკიდებულების საკითხში სერგი ჭილაია გალაკტიონის „ცისფერყანწელებთან“ შეპირისპირებას მიმართავს. კრიტიკოსის თქმით, ამ უკანასკნელთაგან გალაკტიონს ის გარემოება განსხვავებს, რომ მას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ქართული პოეზიის ჯანსაღ ნაკადთან. საბჭოთა პერიოდის შემოქმედების განხილვისას კრიტიკოსი საგანგებოდ მიუთითებს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს პოსტრევოლუციურ ეპოქაშიც არ გაუწყვეტია კავშირი რომანტიზმის ტრადიციებთან, ოღონდაც ეს რომანტიზმი ახალ დროში ახალი შინაარსით დაიტვირთა.

➤ 10691

**1948**

**26 ივნისი**

ესაუბრება სახალხო გუნდის ლოტბარ მიხეილ კავსაძეს, იწერს მისგან კახური მრავალჟამიერის სტროფებს, რომლებშიც ნახსენებია ყბედი და მძინარე ავი ცოლი. კავსაძე ეუბნება, რომ ფორმალისტი არ არის, 70 წლისაა, ფული არა აქვს და თვალების მკურნალობა სჭირდება. წუხს, რომ პირები, ვისაც არაფერი გაეგება ხალხური სიმღერისა სპობენ ქართულ ეროვნულ სულს. ცნობილ ლოტბარს აინტერესებს, ხომ არ წაუკითხავს გალაკტიონს მის მიერ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ გამოქვეყნებული წერილი.

➤ 10692

**1948**

**27 ივნისი**

წერილს უგზავნის ბენო ჩიქობავას. სწერს, რომ მისი პწკარედული თარგმანები ძალიან კარგია, რადგან დაცულია როგორც აზრობრივი, ისე კულტურული შესაბამისობები, აუცილებლობისას კი ფრჩხილებში წარმოდგენილია სინონიმები. სთხოვს, რომ ლექსების სათაურებს დაუმატოს ტრანსკრიფცია და ასე გააგრძელოს მუშაობა.

➤ 10693

**1948**

**29 ივნისი**

სიმონ ჩიქოვანი წერილს და 12-გვერდიან „ლიტერატურულ შენიშვნებს“ უგზავნის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის მდივან როსტომ შადურს, რომელშიც იცავს პლენუმზე გამოთქმულ თავის მოსაზრებას, რომ გალაკტიონის ადრეული შემოქმედება, ძირითადად, აღბეჭდილია სიმბოლისტური და პესიმისტური განწყობილებებით.

➤ 10694

**1948**

## **29 ივნისი ან შემდეგ**

სერგი ჭილაია სიმონ ჩიქოვანის „ლიტერატურულ შენიშვნებთან“ დაკავშირებით ექვსგვერდიან განმარტებას უგზავნის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის მდივან როსტომ შადურს, რომელშიც ასაბუთებს, რომ გალაკტიონის პირველი პერიოდის პოეზია მე-19 საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს.

➤ 10695

## **ივლისი**

**1948**

### **1 ივლისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ პირველი აპრილიდან პირველ ივლისამდე დაეხარჯა 7 ათასი მანეთი.

➤ 10696

**1948**

### **2 ივლისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მასწავლებლის სახლში აქვთ ფოტოლაბორატორია.

➤ 10697

**1948**

### **2 ივლისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთან პოეტ პავლო ტიჩინასთან გასაგზავნი დეპეშის ტექსტს, რომელშიც გულითად მადლობას უხდის დიდებული წიგნისთვის და მომავალში ვრცელი წერილის გაგზავნას ჰპირდება.

➤ 10698

**1948**

### **2 ივლისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს აფხაზეთის სახელგამის დირექტორთან ივანე პაპასკირთან და მის მოადგილესთან პისჩიკთან გასაგზავნი დეპეშის ტექსტს, რომელშიც ნათქვამია, რომ გამომცემლობა საქწიგნს სურს აფხაზეთში გამოცემული წიგნის „ზღვა ახმაურდა“ სრული ტირაჟის შექმნა და სთხოვს საბუთების სასწრაფოდ გაფორმებას. აგრეთვე ითხოვს საავტორო ჰონორარის სასწრაფოდ გაგზავნას მისი სახლის მისამართზე.

➤ 10699

**1948**

### **2 ივლისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს განცხადების ტექსტს, რომელშიც ნათქვამია, რომ კომკავშირის 30 წლისთავთან დაკავშირებით გადაწყვეტილია გამოიცეს ქართველი მწერლების კრებული ლენინური კომკავშირის და საბჭოთა ახალგაზრდობის შესახებ. კრებულის სარედაქციო კოლეგია მონაწილეობის მსურველებისგან ითხოვს მასალის წარდგენას 20 აგვისტომდე.

➤ 10700

**1948**

### **3 ივლისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს კოლაუ ნადირაძის მისამართს: კლარა ცეტკინის №17.

➤ 10701

**1948**

### **3 ივლისი**

მიდის მწერალთა კავშირში და სხდომის დაწყებამდე უბის წიგნაკში ინიშნავს მწერალთა საუბრების ნაწყვეტებს და წერს, რომ სიმონ ჩიქოვანი წავიდა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

➤ 10702

**1948**

### **3 ივლისი**

12 საათზე იწყება მწერალთა კავშირის სხდომა რომელსაც თავმჯდომარეობს სიმონ ჩიქოვანი და გალაკტიონის გარდა ესწრებიან: პასუხისმგებელი მდივანი ალექსანდრე გომიაშვილი, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, ილო მოსაშვილი, გიორგი ნატროშვილი, დავით სულიაშვილი და ლეო ქიაჩელი. შალვა დადიანი სხდომას არ ესწრება, რადგან უკრაინაში იმყოფება. სხდომაზე განიხილება გალაკტიონ ტაბიძის განცხადება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წლის შესრულებასთან დაკავშირებით ოპერის თეატრში საიუბილეო სადამოს მოწყობის თაობაზე.

➤ 10703

**1948**

### **4 ივლისამდე**

კითხულობს ალექსანდრე ღლონტის ახლადგამოცემულ წიგნს „ქართული ზღაპრები და ლეგენდები“.

➤ 10704

**1948**

### **4 ივლისამდე**

რუსთაველის გამზირზე ხვდება ალექსანდრე ღლონტს, რომელიც რესტორანში ჰპატიჟებს. გალაკტიონი საუბარს ჩამოაგდებს მისი თანამოსაუბრის ახლადგამოცემულ წიგნზე „ქართული ზღაპრები და ლეგენდები“ და ინტერესდება ორი ზღაპრით, რომლებიც ტრადიციულად „ჭირი იქა, ლხინი – აქა“-თი კი არ მთავრდება, არამედ სიტყვებით: „ეგ არის და გორის ციხე“. გალაკტიონს ამ ფრაზაზე ლექსის დაწერის სურვილი უჩნდება.

➤ 10705

**1948**

### **4 ივლისი**

მუშაობს ლექსზე „ეგ არის და გორის ციხე“ და ტექსტის დასაწყისში აღნიშნავს, რომ ეს არის შემახილი, რომელსაც იყენებენ ნებისმიერი საქმის კეთილად დასრულების დროს.

➤ 10706

**1948**

### **4 ივლისი**

ცდილობს სამსახურში ტელეფონით დაუკავშირდეს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორ ვალერიან ხატიაშვილს, მაგრამ პასუხობენ, რომ ადგილზე არ არის. გალაკტიონის აზრით, ხატიაშვილი იმიტომ მედიდურობს, რომ პოეტის მიერ ჩაფიქრებული საქმის აღსრულება მასზეა დამოკიდებული. ამიტომ გალაკტიონი ძალიან ბრაზდება და ფიქრობს, რომ „ყოფას უტირებს“.

➤ 10707

**1948**

### **4 ივლისი**

ტელეფონით ესაუბრება ნიკოლოზ ჩაჩავას, რომელიც სთავაზობს მომდევნო დღეს გორში სალიტერატურო სადამოში მონაწილეობას და გალაკტიონი თანხმდება.

➤ 10708

1948

**4 ივლისი**

ტელეფონით უკავშირდება გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ რედაქტორს, გიორგი ნატროშვილს, აინტერესებს, დაიბეჭდება თუ არა გაზეთში მწერალთა კავშირის 3 ივლისის დადგენილება 11 ოქტომბერს ოპერის თეატრში გალაკტიონის საიუბილეო საღამოს ჩატარების შესახებ, რაზეც თანამოსაუბრე პასუხობს, რომ გამოქვეყნების საკითხს ის და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი შეათანხმებენ კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და გაზეთში ამის შემდეგ გამოაქვეყნებენ. გალაკტიონი ნატროშვილს სთხოვს, რომ მის გარეშე განცხადება არ გამოაქვეყნონ. ფიქრობს, რომ მის არაკეთილისმსურველებს სურთ ის გორში გაიტყუონ, რათა კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ინიციატივა ხელთ იგდონ და საღამო ჩაშალონ.

➤ 10709

1948

**4 ივლისი**

ტელეფონით უკავშირდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილეს აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში გიორგი ჯიბლაძეს, მადლობას უხდის მხარდაჭერისთვის და ატყობინებს, რომ წინა დღეს მწერალთა კავშირში დადებითად გადაწყდა საკითხი 11 ოქტომბერს მისი საღამოს ოპერის თეატრში ჩატარების შესახებ. ჯიბლაძე პასუხობს, რომ წინა დღეს ელაპარაკა მწერალთა კავშირის წარმომადგენლებს ამ საკითხზე. გალაკტიონი ვარაუდს გამოთქვამს, რომ ჯიბლაძესთან მივლენ მისი საღამოს შესახებ განცხადების გამოქვეყნების შესათანხმებლად და მისი გულისხმიერების იმედი აქვს.

➤ 10710

1948

**4 ივლისი**

ტელეფონით ესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს სიმონ ჩიქოვანს რომელიც გადასცემს ნიკოლოზ ჩაჩავასგან მიღებულ ინფორმაციას, რომ კულტურის სახლის თაოსნობით გორში სალიტერატურო საღამოზე მიდიან არა მომდევნო დღეს, არამედ ერთი დღის შემდეგ, პარასკევს.

➤ 10711

1948

**4 ივლისი**

ტელეფონით ესაუბრება წიგნის პალატის თანამშრომელს თინა ნაკაშიძეს, რომელიც ატყობინებს, რომ გორში გამოდის გაზეთი „სტალინელი“, რომლის რედაქტორია შალვა ჩუბინიძე. თანამოსაუბრე კარნახობს ამ გაზეთის რედაქტორის, რედაქციისა და სტამბის ტელეფონის ნომრებს. შეახსენებს, რომ ელოდება მასალებს ბიბლიოგრაფიისთვის.

➤ 10712

1948

**5 ივლისი**

დღის 5 საათზე ცხინვალის მატარებლის მესამე კლასის ვაგონით მიემგზავრება გორში. გზაში უბის წიგნაკში იწერს ვაგონში გაგონილ ცალკეულ შეძახილებს.

➤ 10713

1948

**8 ივლისის შემდეგ**

კითხულობს ოლგა ჩეჩეტკინას წიგნს „ინდოეთი სასწაულების გარეშე“ და წიგნის შიდა გარეკანზე წერს უსათაურო ლექსს „ომი – წარმავალი ქარის.“.

➤ 10714

**1948**

**15 ივლისი**

აქვს ახალი წიგნის კარადები, რაც ძალიან ახარებს.

➤ 10715

**1948**

**16 ივლისამდე**

მკითხველებთან შეხვედრაზე გამოსვლისთვის აღწერს იმ შემთხვევას რომელიც საფუძვლად დაედო პოემას „ბამბურა მურა“. ჩანაწერის მიხედვით, ეს ამბავი მას შეემთხვა 1916 წელს, პოემაც ძალიან მალე, მეოთხე დღეს დაწერა, მაგრამ როდესაც ამხანაგებს წაუკითხა, დაუწუნეს არაესთეტიურობის გამო. მაშინ გამომცემლებმაც ამავე მიზეზით არ დაუბეჭდავს, ახლა კი მისი დაბეჭდვა სურს როგორც ისტორიული დოკუმენტისა.

➤ 10716

**1948**

**16 ივლისი**

ესწრება ლიტერატურულ სადამოს რომელშიც მონაწილეობენ ვახტანგ გორგანელი, მარიჯანი, იოსებ ნონეშვილი, იოსებ გრიშაშვილი, მსახიობი ელენე სიბილა და მომღერალი დები – თარხნიშვილები.

➤ 10717

**1948**

**16 ივლისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ შეხვედრას უწყობენ 17 ივლისს, სადამოს 7 საათზე, პლენხანოვის (ამჟამად აღმამენებლის) 105 ნომერში, პიონერთა ბაღში.

➤ 10718

**1948**

**16 ივლისი**

წერილს იღებს ელენე შერისგან. ადრესანტი სწერს, რომ მის მეზობელს, ინჟინერ ლია მებუკეს ძალიან უნდა მის სადამოზე დასწრება და ატანს ამ წერილს, თავად მას კი, მისდა სამწუხაროდ, ფეხები სტკივა და ისევ უშვებს ხელიდან ამ შესაძლებლობას. სთხოვს, რომ თუ მომდევნო დღეს მის სახლამდე მიღწევას შეძლებს, შეუაროს ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე. წერილის ბოლოს სწერს, რომ მოსკოვიდან ჩამოუვიდა თავისი საბავშვო წიგნი.

➤ 10719

**1948**

**17 ივლისამდე**

17-დან 28 ივლისამდე გეგმავს ღონისძიებებს მასწავლებელთა სახლში და განზრახული აქვს მოძებნოს 10 კარგი მომხსენებელი.

➤ 10720

**1948**

**17 ივლისი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ გაზეთში „კომუნისტი“ არ არის გამოქვეყნებული ცნობა ილია აგლაძის გარდაცვალების შესახებ.



➤ 10721

1948

18 ივლისი

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება ილია აგლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი, რომელსაც ხელს აწერს მწერალთა კავშირის 58 წევრი, მათ შორის მემვიდეთა გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 10722

1948

18 ივლისი

ესწრება ილია აგლაძის პანაშვიდს მწერალთა კავშირში და დასაფლავებას დიდუბის პანთეონში.

➤ 10723

1948

23 ივლისი

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „გმადლობთ, უფალო, რამეთუ მოგვეც სასიამოვნო სადილი ესე...“.

➤ 10724

1948

23 ივლისის შემდეგ

ვარლამ თოფურისა და ივანე გიგინეიშვილის შედგენილ ორთოგრაფიულ ლექსიკონში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. ქართული ანბანის ნიმუშს აწერს, რომ აკლია ძველი ანბანის ასო-ნიშნები იოტა (ა), ხარი (ვ) და უბრჯგუ (უ).

➤ 10725

1948

23 ივლისის შემდეგ

ვარლამ თოფურისა და ივანე გიგინეიშვილის შედგენილ ორთოგრაფიულ ლექსიკონში მიმოიხილავს სიტყვათა ფორმებს: ფრენს – ფრენა, შფოთავს – შფოთვა, მშფოთარი. წერს, რომ ითქმის ფრინველი და არა მფრინველი, რადგან ხალხური ფორმა და გრამატიკის კანონთან უძღვრება. მეორე მხრივ, არსებობს „მფრინავი“ და „თვითმფრინავი“. აღნიშნავს, რომ მსგავსი ვითარებაა მისი სახელის მართლწერასთან დაკავშირებითაც.

➤ 10726

1948

26 ივლისი

ჟურნალი „მნათობი“ ბეჭდავს სერგი ჭილაიას სტატიის „გალაკტიონ ტაბიძე“ მეორე ნაწილს, რომელშიც ავტორი პოეტის შემოქმედებას 1908 წლიდან მიმოიხილავს და ასკვნის, რომ მან გაიარა ვრცელი და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა და ამ გზით დასძლია წვრილბურჟუაზიული უიმედობა, უპერსპექტივობა და მისტიციზმი და რევოლუციური რომანტიზმის, სოციალისტური რეალიზმის ჯანსაღი განწყობილებებით ამღერდა დიდ საბჭოთა ეპოქაში.

➤ 10727

1948

26 ივლისი

ჟურნალი „მნათობი“ რუბრიკაში ბიბლიოგრაფია ბეჭდავს დავით შამათავას წერილს „გალაკტიონ ტაბიძე – ზღვა ახმაურდა“, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გიორგი ჯიბლაძის რედაქტორობით გამოცემულ ლექსების კრებულს და ასკვნის, რომ წიგნი მრავალმხრივია საინტერესო. მასში ახალი პეიზაჟი და ახალი ადამიანებია

დახატული. გარდა ამისა, პოეტური სიტყვის „კარგი წამოწყებაა მხატვრულ ლიტერატურაში ამ ულამაზესი კუთხის, აფხაზეთის, ფართოდ საჩვენებლად“.

➤ 10728

**1948**

**27 ივლისი**

უბის წიგნაკში წერს, რომ 1948 წლის 11 ოქტომბერს სრულდება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წელი. აღნიშნავს, რომ ამ თარიღის შესახებ მწერალთა კავშირში ყველამ იცის, მაგრამ არ უნდათ რომ ეს დღე აღინიშნოს. ხელმძღვანელობა ეფარება ალექსანდრე ყაზბეგის იუბილეს და სურთ რომ ამ დიდი სახელით გალაკტიონის იუბილე მიიჩრდილოს. წერს, რომ მწერალთა კავშირი სანდრო შანშიაშვილის 40 წლის იუბილესთვის ემზადება, გალაკტიონი კი თვლის, რომ მისი შემოქმედების 40 წლის იუბილე არაფრით არ ჩამოუვარდება სანდრო შანშიაშვილის „უნიჭოდ გატარებულ წლებს“. წერს, რომ მისი 40 წლის სალიტერატურო მუშაობის იუბილეს მიჩქმალვის წინააღმდეგ ხმა უნდა ამოიღოს ყოველმა პატიოსანმა ქართველმა. განზრახული აქვს, 15 აგვისტოსთვის დაასრულოს მოსკოვში გამოსაცემი წიგნის მომზადება, რომ არაფერმა შეუშალოს ხელი საიუბილეო თარიღის მომზადებაში. აპირებს ხალისიან ბრძოლას უკეთესი მომავლისთვის და წერს: „რწმენა ჩემის სიმართლისა ჩემთანაა. წინ! წინ! წინ! გაუმარჯოს მოქმედებას, გამბედაობას, სიცოცხლეს! გაუმარჯოს ხალისიან ბრძოლას, ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის... გაუმარჯოს ხვალინდელ დღეს!“

➤ 10729

**1948**

**27 ივლისი**

წერილით მიმართავს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმს, რათა მიიღონ ყოველგვარი ზომები სალიტერატურო ასპარეზზე მისი გამოსვლის მე-40 წლისთავის შესაფერისად აღსანიშნად.

➤ 10730

**1948**

**27 ივლისი**

განცხადებით მიმართავს საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს. სწერს, რომ მიმდინარე წლის 11 ოქტომბერს (ძველი სტილით 28 სექტემბერს) სრულდება 40 წელი მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან და იმედს გამოთქვამს, რომ პრეზიდიუმი მიიღებს დადგენილებებს ამ დღის შესაფერისად აღნიშვნისათვის.

➤ 10731

**1948**

**28 ივლისი ან ადრე**

მოსკოვში გამოსაცემი წიგნისთვის „რჩეული ლექსები“ ორიათას-ორიათას სტრიქონს გადასცემს სათარგმნად ბენო ჩიქობავასა და დავით შერმანს. წერს, რომ სათარგმნი დარჩა 1917 წლამდე დაწერილი ლექსები, მეორე ტომის ნაწილი და ომისშემდგომი პერიოდის მასალები.

➤ 10732

**1948**

**28 ივლისი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის კინოთეატრში და ნახულობს ალექსანდრე ჯალიაშვილის სრულმეტრაჟიან ფილმს „საბჭოთა საქართველო“, რომელშიც ნაჩვენებია 1947 წლის აგვისტოში შოვში გადაღებული კადრები. გალაკტიონი ჩანს თივის თიბვის დროს და დიქტორი აცხადებს „სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე“. პოეტი კმაყოფილია ამ კადრებით და თვლის, რომ ეს სურათი ნაწილობრივ პლაკატია, რომ ეს შესანიშნავი რეკლამაა, რომელიც აუცილებელია 11

ოქტომბრისთვის, მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წლისთავის წარმოსაჩენად. ფიქრობს, რომ ეს კინოფილმი მისი გამარჯვებაა. უბის წიგნაკში წერს: „გაუმარჯოს თივის თიბვას! გაუმარჯოს ასპარეზის გასუფთავებას ომისათვის!“.

➤ 10733

**1948**

**28 ივლისი**

უბის წიგნაკში წერს, რომ მის ცოლს, ნინო კვირიკაძეს თავი გალაკტიონის გადამრჩენელად წარმოუდგენია და ხელს უშლის მუშაობაში. პოეტი თვლის, რომ ეს უკიდურესი სისულელეა და აღარ შეუძლია ყოველ წუთს ნერვიულობა.

➤ 10734

**1948**

**28 ივლისი**

თავს უყრის მის შესახებ ასი სხვადასხვა მწერლის მიერ დაწერილ ლექსს, ესესა და ნარკვევს, რომელთა წარმოდგენაც უნდა თავისი ხელოვნებისადმი მიძღვნილ გამოფენაზე და უბის წიგნაკში იწერს, რომ არ ასვენებს „ასი მწერლისა“ და „გამოფენების“ იდეა.

➤ 10735

**1948**

**28 ივლისი**

კითხულობს 26 ივლისს გამოსულ ჟურნალ „მნათობს“, რომელშიც სერგი ჭილაიას და დავით შამათავას კარგი წერილებია მისი შემოქმედების შესახებ და ფიქრობს, რომ ეს დიდი გამარჯვებაა.

➤ 10736

**1948**

**28 ივლისი**

უბის წიგნაკში წერს, რომ 11 ოქტომბერს სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წლისთავის აღნიშვნა იქნება მისი მოღვაწეობის შემაჯამებელი დღე, თუმცა მანამდე კიდევ ბევრი ბრძოლა ექნება გადასახდელი და ამ დღის მომზადებას მთელი თავისი დრო და ენერჯია უნდა დაუთმოს.

➤ 10737

**1948**

**28 ივლისი**

უბის წიგნაკში წერს, რომ წიგნზე, რომელსაც მოსკოვში გამოსაცემად ამზადებს, დამოკიდებულია მისი მომავალი. ამიტომ მის ბოლომდე მოსამზადებლად წვრილმანი საქმეებისგან უნდა გათავისუფლდეს.

➤ 10738

**1948**

**28 ივლისი**

საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომელ ნიკოლოზ აკერმანს მოსკოვში გამოსაცემი წიგნისთვის „რჩეული ლექსები“ პწკარედების გასაკეთებლად მიაქვს გალაკტიონის პოემის „ეპოქა“ ორიათასი სტრიქონი.

➤ 10739

**1948**

**29 ივლისამდე**

ყოველი თვის ბოლოს უხდება საექიმო კომისიის რიგში დგომა თეთრი პურის ტალონისთვის ცნობის ასაღებად.

➤ 10740

**1948**

**29 ივლისი**

ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში საუბრობს პასუხისმგებელ მდივან ნიკა აგიაშვილთან და იწონებს ჟურნალში დაბეჭდილ დავით შამათავას წერილს „გალაკტიონ ტაბიძე – ზღვა ახმაურდა“, რაზეც ნიკა აგიაშვილი მრავალმნიშვნელოვნად პასუხობს, რომ შეიძლებოდა უფრო მეტის და უკეთესად თქმაც. გალაკტიონი ფიქრობს, რომ რა თქმა უნდა შესაძლებელი იყო ამის გაკეთება, მაგრამ იგი ამითაც კმაყოფილია, რადგანაც ახალგამოცემული წიგნის შესახებ სრული დუმილი ცუდია. იმედი აქვს, რომ ოდესმე ვინმე ამ წიგნზე უკეთესად იტყვის და დაწერს.

➤ 10741

**1948**

**29 ივლისი**

ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში საუბრობს ჟურნალის პასუხისმგებელ რედაქტორ ირაკლი აბაშიძესთან და ეუბნება, რომ 11 ოქტომბერს, მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წლისთავი სრულდება, რაც ასე თუ ისე უნდა აღინიშნოს. ირაკლი აბაშიძე წუხს, რომ ამის შესახებ არ იცოდა და თარიღს ინიშნავს, აგრეთვე აინტერესებს, უთხრა თუ არა გალაკტიონმა ამის შესახებ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს და ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორს სიმონ ჩიქოვანს, რაზეც გალაკტიონი პასუხობს, რომ ჩიქოვანისთვის არაფერი უთქვამს.

➤ 10742

**1948**

**29 ივლისი**

საქართველოს მწერალთა კავშირში პასუხისმგებელ მდივანს ალექსი გომიაშვილს ოფიციალურად უცხადებს, რომ 11 ოქტომბერს სრულდება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წელი. გომიაშვილი ინიშნავს თარიღს და აღიარებს, რომ ამ თარიღის შესახებ არ იცოდა. ამბობს, რომ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის მდივანი, როსტომ შადური შვებულებაშია და ჰპირდება, რომ ჩამოსვლისთანავე მოელაპარაკება ამის შესახებ. ადრე შადურს თავად უკითხავს, რატომ არ ეწყობოდა გალაკტიონის საღამო, სადაც შესაძლებელი იქნება აზრთა გაცვლა-გამოცვლაო. გომიაშვილს უთქვამს, ასეთი საღამო დისკუსია იქნება და არა იუბილეო. გალაკტიონიც ეთანხმება, რომ იუბილე ნიშნავს შეჯამებას და განსხვავდება დისკუსიისგან.

➤ 10743

**1948**

**29 ივლისი**

აფხაზეთის მწერალთა კავშირში სამუშაოდ გადასული სიმონ წვერავა ეუბნება, რომ გამოვიდა კრებული „აფხაზეთის ბაღები“, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძის არაერთი ლექსია დაბეჭდილი.

➤ 10744

**1948**

**29 ივლისი**

საქართველოს მწერალთა კავშირში საუბრობს აფხაზეთის მწერალთა კავშირთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ თანამშრომელ სიმონ წვერავასთან, რომელიც, მისი თანხმობის შემთხვევაში, სთავაზობს აფხაზეთში აგარაკის მოწყობას, რაზეც პოეტი პასუხობს რომ ეს მისი ოცნებაა.

➤ 10745

**1948**

**29 ივლისი**

საქართველოს მწერალთა კავშირში საუბრობს გამომცემლობა „ხელოვნების“ ხელმძღვანელ ანდრო თევზაძესთან, რომელიც გალაკტიონს თანამშრომლობას სთხოვს საქმეების საკეთებლად. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ანდრო თევზაძე გამოსადეგი კაცია და აინტერესებს, რატომ დადიან ერთად ის და მხატვარი შალვა ბერიტაშვილი.

➤ 10746

**1948**

**29 ივლისი**

საქართველოს მწერალთა კავშირში საუბრობს ახალგაზრდა მწერალთან ლადო ავალიანთან, რომელსაც უწონებს ნოველას ნიკოლოზ ბარათაშვილზე, რადგან თვლის, რომ ახალგაზრდა კაცს გამხნეება სჭირდება.

➤ 10747

**1948**

**29 ივლისი**

საქართველოს მწერალთა კავშირში ხვდება ბორის ჩხეიძეს, რომელიც ძალიან ღლის საკუთარ თავზე გაუთავებელი ლაპარაკით და ვიდაცების მიმართ თავისი უკმაყოფილებით.

➤ 10748

**1948**

**29 ივლისი**

მიდის ლიტფონდში ალიო მაშაშვილთან და ითხოვს 7 ათასი მანეთის სესხად მიცემას. ალიო მაშაშვილი სთხოვს საგარანტიო დოკუმენტს, თუნდაც ჟურნალ „მნათობიდან“. გალაკტიონს ეჭვი უჩნდება, რომ მისი თავიდან მოცილება უნდა, რადგან „მნათობი“ არ არის სამეურნეო ორგანიზაცია და გარანტიებს არ გასცემს. პოეტი ფიქრობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, იშვოს საგარანტიო დოკუმენტი და აიღოს სესხი. იქვე ლიტფონდში ამჩნევს აკაკი სირაძეს, რომელიც მისი აზრით ძალიან კარგი კაცია, მაგრამ ლიტერატურულ ფონდში ისიც მაშაშვილივით არაფერს აკეთებს.

➤ 10749

**1948**

**29 ივლისი**

ლიტფონდში ხვდება იონა ვაკელს და უქებს ლექსებს. იონა ვაკელი კმაყოფილია და იღიმება, მაგრამ, რაც შეეხება გალაკტიონისთვის სესხის მიცემას, ისიც ვერაფრით ეხმარება.

➤ 10750

**1948**

**29 ივლისი**

ლიტფონდში ხედავს ალიო მაშაშვილის მოსაცდელში მორიდებით ჩამომჯდარ კონსტანტინე კაპანელის (ჭანტურაიას) ძმას, რომელიც ერთ დროს ივანე ჯავახიშვილს დაუნიშნეს უფროსად. ის გალაკტიონთან ზრდილობიანად იქცევა, მაგრამ პოეტის აზრით მისგან ხეირიანი საქმე არ არის მოსალოდნელი.

➤ 10751

**1948**

**29 ივლისი**

დღიურში წერს, რომ ყოველი თვის ბოლოს დიდი დრო ეკარგება თეთრი პურის ტალონის ასაღებად და დასძენს, რომ ეს საკითხი მომდევნო დღეს აუცილებლად უნდა მოაგვაროს.

➤ 10752

1948

29 ივლისი

სახელმწიფო გამომცემლობაში ყოფნისას საქმიანი და ზრდილობიანი ალექსანდრ მიასნიკოვი აძლევს ხუთ კილო მშვენიერ ქაღალდს. გალაკტიონი იქვე ხედავს უსაქმოდ მყოფ გობრონ აგარელსა და მიხეილ იაშვილს, გერჰარტ ჰაუპტმანის პერსონაჟები – შლიუკი და იაუ აგონდება და ფიქრობს, რომ სახელგამი უმოქმედო ორგანიზაციაა.

➤ 10753

1948

29 ივლისი

ბაღდათიდან თბილისში ჩადის ნინო კვირიკაძის ძმა კალისტრატე, რომელიც გალაკტიონს ატყობინებს რომ მოსკოვში გამოსაცემი წიგნისთვის პწკარედული თარგმანების გაკეთება შეუძლია მიქელ პატარიძეს.

➤ 10754

1948

29 ივლისი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წლისთავთან დაკავშირებით არ უნდა დაავიწყდეს დაკავშირება ფოსტა-ტელეგრაფის პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თანამშრომელ სიმონ ხანთაძესთან და გაზეთ „წითელარმიელის“ რედაქტორ ვანიონ დარასელიასთან.

➤ 10755

1948

30 ივლისამდე

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილების თანამშრომელი მარკ ზლატკინი ეუბნება, რომ მისი ლექსების რუსულენოვანი გამოცემა შეტანილია გამომცემლობის 1949 წლის გეგმაში.

➤ 10756

1948

30 ივლისი

მწერალთა კავშირში გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქციაში ელოდება რედაქტორ გიორგი ნატროშვილს და ისმენს თანამშრომლების საუბრებს. როდესაც ნატროშვილს ნახულობს, ატყობინებს, რომ 11 ოქტომბერს სრულდება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წელი. ამაზე თანამოსაუბრისგან პასუხად იღებს, რომ არ იცოდა ამის შესახებ და ეს თარიღი აუცილებლად უნდა აღინიშნოს. ნატროშვილი ეკითხება, აქვს თუ არა შეტანილი განცხადება მწერალთა კავშირის კანცელარიაში. გალაკტიონი პასუხობს, რომ აქვს, მაგრამ რეალურად ჯერ ოფიციალურად არავისთვის მიუმართავს, საქმის კურსში არიან მხოლოდ ირაკლი აბაშიძე და ალექსანდრე გომიაშვილი.

➤ 10757

1948

30 ივლისი

27 ივლისის თარიღით წერს განცხადებას მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სახელზე, რომელშიც ატყობინებს, რომ 1948 წლის 11 ოქტომბერს სრულდება მისი სალიტერატურო

ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წელი, რაც საზოგადოებრივ წრეებში უკვე იციან და იმედს გამოთქვამს, რომ პრეზიდენტი მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ ეს თარიღი შესაფერისად აღინიშნოს.

➤ 10758

**1948**

**30 ივლისი**

მწერალთა კავშირის მემანქანე ქალი გალაკტიონის განცხადების გადაბეჭდვისას სახელს შეცდომით ბეჭდავს, „გალაკტიონის“ ნაცვლად „გალაქტიონს“, რის გამოც მისგან იღებს შენიშვნას, რომ ორმოცამდე მის წიგნს აწერია გალაკტიონი და არა გალაქტიონი და განცხადებას თავიდან აბეჭდინებს. შეწუხებული ქალი ბოდის იხდის, წუხს, რომ შეცდომა დაუშვა, რადგან აქამდე სახელს ყოველთვის სწორად ბეჭდავდა.

➤ 10759

**1948**

**30 ივლისი**

მწერალთა კავშირის პრეზიდენტის კანცელარიაში შეაქვს 27 ივლისით დათარიღებული განცხადება, რომელშიც პრეზიდენტს ატყობინებს, რომ 1948 წლის 11 ოქტომბერს სრულდება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წელი. მდივანი ქალი შტამპით ადასტურებს განცხადების მიღებას და ეუბნება, რომ საკითხი პირველსავე სხდომაზე განიხილება.

➤ 10760

**1948**

**30 ივლისი**

მწერალთა კავშირის გამგეობის კანცელარიიდან გასვლისას ხვდება მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელ მდივან ალექსანდრე გომიაშვილს, რომელსაც ატყობინებს, რომ კანცელარიაში შეიტანა განცხადება იმის თაობაზე, რომ 1948 წლის 11 ოქტომბერს სრულდება მისი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან 40 წელი. ალექსანდრე გომიაშვილი კმაყოფილებას გამოთქვამს, ხოლო გალაკტიონი იმედოვნებს, რომ მწერალთა კავშირის გამგეობა საკითხს დადებითად გადაწყვეტს. ამ განცხადების შეტანით და კონკრეტულ პირებთან თავისი საიუბილეო თარიღის შესახებ საუბრით კმაყოფილი რჩება და ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნა მხრებიდან.

➤ 10761

**1948**

**30 ივლისი**

მწერალთა კავშირში ხვდება კოლაუ ნადირაძეს, რომელსაც ჰპირდება თავისი ლექსების გადაცემას რუსული პწკარედების გასაკეთებლად.

➤ 10762

**1948**

**30 ივლისი**

კალისტრატე კვირიკაძეს გალაკტიონთან მიჰყავს ნ. კიკნაძე, რომელსაც გალაკტიონი ჰპირდება თავისი ლექსების გადაცემას რუსული პწკარედების გასაკეთებლად.

➤ 10763

**1948**

**30 ივლისი**

დღიურში იწერს, რომ ოთარ ჭელიძემ მწერალთა კავშირში მიიტანა პოემა.

➤ 10764

**1948**

**30 ივლისი**

ბესარიონ ჟღენტისგან იგებს, რომ „ზარია ვოსტოკა“ არ დაელოდება 1949 წელს და თბილისში პარალელურად გამოსცემს გალაკტიონის იმ წიგნს, რომელიც მოსკოვში გამოდის. გალაკტიონი კმაყოფილი რჩება იმით, რომ საქმეს კარგი პირი უჩანს და ჰპირდება, რომ წიგნისთვის თარგმანები დროულად იქნება მზად.

➤ 10765

**1948**

**30 ივლისი**

დღიურში ინიშნავს, რომ გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქციაში ლადო სირბილაძეს აქვს ბევრი ქალაქი, რომელსაც ყაზბეგის წიგნის დასაბეჭდად იყენებენ. გალაკტიონი იმედოვნებს, რომ მისი წიგნისთვისაც დარჩება.

➤ 10766

**1948**

**30 ივლისი**

კალისტრატე კვირიკაძესთან ერთად მიდის წიგნის მაღაზიაში, სადაც ორივენი ყიდულობენ რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის „სამოქალაქო ომის ისტორია სსრკ-ში“ მეორე ტომს.

➤ 10767

**1948**

**30 ივლისი**

სამკურნალო კომბინატის კარდიოლოგი რეკვავა, რომელთანაც გალაკტიონი მკურნალობს, ერთ პრაგმატულ, არასამედიცინო რჩევას აძლევს გალაკტიონსა და მის მეუღლეს – ნინო კვირიკაძე – თუ საექიმო კომისიაში ცალ-ცალკე მივლენ, პურის წიგნაკს ორივეს მისცემენ. მართლაც, ხერხი ჭრის და პურის წიგნაკს ორთავეს აძლევენ.

➤ 10768

**1948**

**30 ივლისი**

მუხრანიდან ჩამოაქვთ ამბავი, რომ მისი ძალი მურიკელა იქ შესანიშნავად გრძნობს თავს.

➤ 10769

**1948**

**30 ივლისი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი შეეცდება ხელი შეუშალოს მისი იუბილეს ჩატარებას, ხოლო თავად შეეცდება, რომ ეს არ დაუშვას.

➤ 10770

**1948**

**30 ივლისი**

ცოლისძმა, კალისტრატე კვირიკაძე სახლამდე აცილებს ნ. კიკნაძეს, რომელმაც უნდა გააკეთოს გალაკტიონის ლექსების პწკარედები და შეესწრება ემოციურ სცენას, როგორ ემთხვევა ის გალაკტიონის წიგნს. ამის შესახებ ცოლისძმა უყვება გალაკტიონს და ის უბის წიგნაკში იწერს მონათხრობს.

➤ 10771

**1948**



### **30 ივლისი**

მაგიდაზე გადაშლილი აქვს ილია ერენბურგის რომანი „ქარიშხალი“, რომლისთვისაც მას სტალინური პრემია მიანიჭეს და უცებ თვალში ხვდება ფრაზა იმის შესახებ, რომ პატარა ლუიმ მფრინავობა გადაწყვიტა, ლანსიე კი ამბობს, ჩვენ პეგასზე დავფრინავდით, ეს კი რა მატერიალისტი თაობაა, მოტორი ურჩევნიათო.

➤ 10772

### **1948**

#### **30 ივლისი**

მომდევნო დღეს გეგმავს პავლო ტიჩინასთვის დეპეშის გაგზავნას.

➤ 10773

### **1948**

#### **30 ივლისი**

ქართველი მწერლები: შალვა დადიანი, ლევან ასათიანი და ალექსანდრე ბარამიძე, რომლებიც უკრაინის ქალაქ მირგოროდში დავით გურამიშვილის ძეგლის სამირკველის ჩაყრის ცერემონიალს უნდა დასწრებოდნენ ადგილზე ჩასულებიც კი არ იყვნენ, რომ თბილისიდან სიმონ ჩიქოვანმა დეპეშით მოითხოვა შალვა დადიანის უკან დაბრუნება. გალაკტიონი ვერ ხვდება, რა უნდა ყოფილიყო მისი ასე სასწრაფოდ გამოძახების მიზეზი და დღიურში წერს ამის შესახებ.

➤ 10774

### **1948**

#### **31 ივლისი**

ფიქრობს, რომ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციის და პროპაგანდის მდივანი, როსტომ შადური მხარს დაუჭერს იუბილეს მოწყობაში და დღიურში იწერს, რომ ის მოსკოვშია და 5 აგვისტოს შეიძლება დაბრუნდეს თბილისში. სურვილი აქვს, მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ალექსანდრე გომიაშვილმა და პრეზიდენტმა იცოდნენ, რომ შადური მის მხარესაა.

➤ 10775

### **1948**

#### **31 ივლისი**

მზადებას იწყებს სალიტერატურო ასპარეზზე მისი გამოსვლიდან 40 წლის აღსანიშნავი იუბილესთვის. რვეულში იწერს შიო მღვიმელის, ვარლამ რუხაძის, გიორგი ქუჩიშვილის, დარია ახვლედიანის მისდამი მიძღვნილ ლექსებს. წერს, რომ შიო მღვიმელის ლექსი მშვენიერია. იწერს გიორგი ქუჩიშვილის მეორე ლექსსაც და მისი გალაკტიონისადმი მიძღვნილი სხვა ლექსების სათაურებს: „შენ ჩვენს შორის...“, „გამძლე დირიჟაბლი“, „ანდერძიდან“ და ჩაინიშნავს, რომ ასევე მნიშვნელოვანია ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი მისივე წერილიც გალაკტიონის შესახებ.

➤ 10776

### **1948**

#### **31 ივლისი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად ტრამვაით მიდის შემნახველ სალაროში. ტრამვაიში ნინო საყვედურობს იმის გამო, რომ ვიღაც მათ წინ ურიგოდ დადგა, შემნახველ სალაროში კი საყვედურობს იმის გამო, რომ შეეძლოთ რიგში არ ჩამდგარიყვნენ და სალაროსთან ურიგოდ მისულიყვნენ.

➤ 10777

### **1948**

#### **31 ივლისი**

ცოლთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად შედის კიროვის (დღევანდელი ლეონიძის) ქუჩაზე მდებარე უნივერსიტეტში. გამყიდველი გალაკტიონს ლიმონათის ნაცვლად შეცდომით ლუდს უხსნის, რაზეც ცოლი ბრაზდება, ეჩხუბება და მიდის. მწერალთა კავშირისკენ მიმავალს ისევ ხვდება და ისევ ეჩხუბება, ბოლოს კი როდესაც გალაკტიონი გიორგი ცაგარელს თარგმანების შესახებ ესაუბრება, ნინო კვირიკაძე მათ საუბარში ერევა და ცაგარელს უყვება, როგორი სუსტი და უნებისყოფია გალაკტიონი. ეს პოეტის აღშფოთებას იწვევს.

➤ 10778

**1948**

**31 ივლისი**

ცოლთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის მწერალთა კავშირში, სადაც ცოლის აღშფოთებას იწვევს ის, რომ ვიღაც ქალი გალაკტიონს გამოელაპარაკება.

➤ 10779

**1948**

**31 ივლისი**

ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის კინოთეატრში, სადაც ღიზიანდება მეუღლის თავისუფალი ქცევით. ეჩხუბება, თითქოს ნინო სადაცაა იდაყვით შეეხება რიგში მათ გვერდით მდგომ მამაკაცს, ხოლო ლოჟაში ჯდომისას თითქოს ცდილობს მათ უკან მჯდომი მამაკაცის ყურადღების მიქცევას. გალაკტიონი დგება და გადის ლოჟიდან. ცოლიც უკან მიჰყვება და წამით არ ტოვებს მარტო.

➤ 10780

**1948**

**31 ივლისი**

ვერ პოულობს სათვალეს და ცოლი, ნინო კვირიკაძე დახმარების ნაცვლად ცინიკური კომენტარებით ნერვებს უშლის.

➤ 10781

**1948**

**31 ივლისი**

მთარგმნელ დავით შერმანს გალაკტიონთან შინ მიაქვს და უკითხავს მისი ლექსების ახალ თარგმანებს. კითხვის პროცესში ერევა ნინო კვირიკაძე, რაც გალაკტიონის უკმაყოფილებას იწვევს. შერმანს მიაქვს ჰონორარი, ხუთასი მანეთი, რომელსაც გალაკტიონი უხდის პწკარედული თარგმანების დამზადებაში.

➤ 10782

**1948**

**31 ივლისი**

დღიურში აღწერს თავის ურთიერთობას მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან. წერს, რომ ბოლო არ ედება უსიამოვნებებს, რომ ცოლმა ერთ დღეში თორმეტჯერ აუშალა ნერვები, რომ იგი ერთი წუთითაც არ ტოვებს მას მარტოს და შემთხვევას არ უშვებს რომ რამე უსიამოვნება არ მიაყენოს, რაც აუტანელია. აღნიშნავს, რომ ეს ხდება ისეთ დროს, როდესაც იგი იუბილესთვის ემზადება. პოეტი წერს, რომ მეუღლე ყველაფერში ცინიკურად უშლის ხელს და ასე ცხოვრება შეუძლებელია. წერს, რომ უკვირს, ასეთ პირობებში როგორ ახერხებს რაიმეს გაკეთებას. იხსენებს, რომ ნინო ცოტა ხნით მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როდესაც პოეტმა ამ სიდუხჭირის დროს ორასი გრამი კარაქი უყიდა.

➤ 10783

**1948**

### 31 ივლისი

მწერალთა კავშირში ვანო წულუკიძე უყვება ამბავს რომლის თვითმხილველი გახდა: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი გალაკტიონის გამო მოსკოვში საკავშირო მწერალთა კავშირში და „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციაში გაუკრიტიკებიათ და არავინ არ დაეთანხმა მის აზრს გალაკტიონის შესახებ.

➤ 10784

### 1948

#### 31 ივლისი

უბის წიგნაკში იწერს, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილეს აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში გიორგი ჯიბლაძეს უნდა შეხვდეს ორშაბათს, 2 აგვისტოს 12 საათზე.

➤ 10785

## ა გ ვ ი ს ტ ო

### 1948

#### 1 აგვისტო

უსმენს რადიოგადაცემას. რკინიგზელების დაკვეთით სრულდება დები იშხნელების „ღამეა ბნელი“, „ისევ შენ და ისევ შენ“ და „სულიკო“. უბის წიგნაკში იწერს, რომ ეს დაკვეთა არ უნდა იყოს რკინიგზელების, და რადიოში ხმა „საზიზღრად“ ისმოდა. მისი აზრით, ეს ჰგავდა პროვოკაციას და შეიძლება ყოფილიყო „ფორმალისტების“ მორიგი ხრიკი. მისი აზრით, ეს შეიძლება უკავშირდებოდეს იმ ფუტურისტს, რომელიც რადიოში მუშაობს და ფიქრობს, რომ ის აუცილებლად უნდა გამომჟღავნდეს.

➤ 10786

### 1948

#### 1 აგვისტო

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება ცნობა, რომ საუკეთესო ლირიკული სიმღერის გამოსავლენად ჩატარებულ კონკურსში პირველი პრემია არავის მიუღია. მეორე პრემია მიენიჭა კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანს სიმღერისთვის „არ დაიდარდო დედაო“, რომელიც შეიქმნა გიორგი ლეონიძის ლექსზე, მეორე დამატებითი პრემია მიენიჭა კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძეს კარლო კალაძის ტექსტზე დაწერილი სიმღერისთვის „რუსთავი“, მესამე პრემია მიიღო ოთარ თაქთაქიშვილმა ვარლამ ჟურულის ტექსტზე დაწერილი სიმღერისთვის „ახალ თბილისს“. ჟიურიმ ასევე გასცა რეკომენდაცია შალვა თაქთაქიშვილის მიერ გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე შექმნილი ნაწარმოების „მაისის სიმღერა“ შესრულებაზე.

➤ 10787

### 1948

#### 2 აგვისტო

დღიურში წერს, რომ მოსკოვის რუსული კრებულისთვის გამზადებულია 1917–1921 წლების მასალები.

➤ 10788

### 1948

#### 2 აგვისტო

გალაკტიონთან შინ მიდის ნ. კიკნაძე და პწკარედების დასამზადებლად მიაქვს რამდენიმე ლექსი.

➤ 10789

### 1948

#### 2 აგვისტო

მთარგმნელი არეთა ბახტაძე შინ აკითხავს და მიაქვს წიგნის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ გამზადებული პწკარედული თარგმანები. გალაკტიონი ფიქრობს, რომ იგი გულმოდგინე ქალია, თუმცა ხელს უშლის ოჯახური უსიამოვნებები. აინტერესებს, როგორი თარგმანები გამოუვიდა.

➤ 10790

1948

## 2 აგვისტო

ხვდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილეს აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში და თავისი რუსული თარგმანების წიგნის რედაქტორს გიორგი ჯიბლაძეს, რომელიც იწონებს წიგნზე მუშაობის გეგმას. მისი აზრით, მართებულია გალაკტიონის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის 40 წლისთავის აღნიშვნა, უბოდიშებს, რომ ვერ დაესწრება სამშაბათს, 3 აგვისტოს დანიშნულ სხდომას მწერალთა კავშირში, რადგანაც შვებულებაში მყოფი უფროსის, როსტომ შადურის მოვალეობების შესრულება უწევს. ჰპირდება სიმონ ჩიქოვანთან მოლაპარაკებას. გალაკტიონი უყვება მას იმის შესახებ, რომ მოსკოვში საკავშირო მწერალთა კავშირში და „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციაში არავინ არ დაეთანხმა სიმონ ჩიქოვანის აზრს გალაკტიონის შესახებ, რაზეც შადური პასუხობს, რომ ეს არ იცოდა. ეუბნება, რომ თავის ახალგამოცემულ წიგნში „ხელოვნება და სინამდვილე“ გალაკტიონზე ბევრგან აქვს სიტყვა ჩართული და ჰპირდება წარწერით ჩუქებას. პოეტი ფიქრობს, რომ ჯიბლაძეს არ ეტყობა ენთუზიაზმი მისი იუბილეს გამართვასთან დაკავშირებით, მაგრამ ვარაუდობს, რომ თანდათან ჩაერთვება, რადგან მზამზარეულ საქმეზე არასდროს ამბობს უარს.

➤ 10791

1948

## 2 აგვისტო

კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ხვდება პროპაგანდის სექტორის თანამშრომელს გაჩეჩილაძეს. ის გალაკტიონს თბილი სიტყვებით ეგებება, ჩვენი სიცოცხლე ხარ, ჩვენი შვენება და სიამაყეო, ხოლო იქვე მყოფი ვალოდია ჭიაურელი პოეტს ირიბად უყურებს.

➤ 10792

1948

## 2 აგვისტო

დღიურში წერს, რომ შალვა დადიანი, რომელიც მწერალთა კავშირის პრეზიდენტმა უკრაინიდან დეპეშით გამოიძახა, თბილისში დაბრუნდა.

➤ 10793

1948

## 2 აგვისტო

დღიურში იწერს, რომ დავით ნახუცრიშვილის ვაჟი გიორგი კარგი ადამიანი უნდა იყოს და არა იმიტომ, რომ გალაკტიონს აქვს, არამედ თავისთავად.

➤ 10794

1948

## 2 აგვისტო

დღიურში იწერს სანდრო შანშიაშვილსა და რაჟდენ გვეტაძეზე დაწერილ სატირულ ლექსს „მზახალმა უთხრა მზახალსა“ და გამოთქვამს ვარაუდს რომ არის მცდელობა მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეობიდან სიმონ ჩიქოვანის გადაყენების.

➤ 10795

1948

## 3 აგვისტო

მწერალთა კავშირში ტარდება პრეზიდენტის სხდომა რომელზეც ერთხმად იღებენ წინადადებას გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მუშაობის 40 წლის იუბილეს 11 ოქტომბერს აღნიშვნის შესახებ. დღიურში წერს, რომ სხდომას მწერალთა კავშირის გამგეობის წევრების გარდა სხვა მწერლებიც ესწრებოდნენ. საკითხის დადებითად გადაწყვეტას მხარს უჭერს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილე აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში გიორგი ჯიბლაძე.

➤ 10796

1948

6 აგვისტო

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „გორის კულტურის პარკსა შიგან დიდხანს ვიარე...“.

➤ 10797

1948

6 აგვისტო

მეუღლესთან ნინო კვირიკაძესთან და მწერლებთან: სიმონ ჩიქოვანთან, შალვა დადიანთან, ირაკლი აბაშიძესთან, რევაზ მარგიანთან, გიორგი შატბერაშვილთან, ნიკოლოზ ჩაჩავასა და აკაკი ბელიაშვილთან ერთად ჩადის გორში. შეხვედრას უწყობენ ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში. ღონისძიებას მისასალმებელი სიტყვით ხსნის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი. საკუთარ ლექსებს კითხულობენ სიმონ ჩიქოვანი და ირაკლი აბაშიძე. გალაკტიონი შეხვედრის დასასრულს კითხულობს ლექსებს თავისი თხზულებების მეოთხე ტომიდან.

➤ 10798

1948

6 აგვისტო

ნაშუადღევს მეუღლესთან ნინო კვირიკაძესთან ერთად სტუმრობს სტალინის სახლმუზეუმს და გაზეთს „სტალინელი“. რედაქციაში ერთი საათი რჩება, თანამშრომლებს, მათ შორის რედაქტორ შალვა ჩუბინიძეს, წარწერით ჩუქნის თავის თხზულებათა მეოთხე ტომს წარწერით, აძლევს რჩევა-დარიგებას რედაქციის წევრებს, უამბობს მაქსიმ გორკისთან შეხვედრის ამბავს და ჰპირდება, რომ საიუბილეო ნომრის გამოშვების დღეს მათ რედაქციას ისევ ეწვევა. შემდეგ რედაქტორის კაბინეტში მაგიდასთან ჯდება და წერს ლექსს „ეგ არის და გორის ციხე“.

➤ 10799

1948

6-7 აგვისტო

გორში იღებენ ვიდეოფირზე.

➤ 10800

1948

7 აგვისტო

გორში მიდის გაზეთის „სტალინელი“ რედაქციაში და რედაქტორის შალვა ჩუბინიძის კაბინეტში ეცნობა ახალ ნომერს. ამ დროს გაზეთის ფოტოგრაფი უღებს ფოტოს.

➤ 10801

1948

7 აგვისტო

სტუმრობს სტალინის სახლ-მუზეუმს. მუზეუმში წარმოდგენილი ექსპონატებიდან მის ყურადღებას იმსახურებს სარკე და სურა. ათვალიერებს სტალინის ყრმობის დღეებისადმი მიძღვნილ გამოფენას.

➤ 10802

**1948**

**7 აგვისტო**

გორში ათვალეერებს სტალინის სახელობის ქუჩის მშენებლობას.

➤ 10803

**1948**

**7 აგვისტო**

სტუმრობს გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს. ინიშნავს, რომ მომავალში საჭიროა მისი კარგად შესწავლა.

➤ 10804

**1948**

**7 აგვისტოს შემდეგ**

გორის გაზეთის „სტალინელი“ რედაქტორი შალვა ჩუბინიძე ვრცელი და თბილი წარწერით სახსოვრად გადასცემს 1948 წლის 7 აგვისტოს რედაქციაში მისთვის გადაღებულ ფოტოს.

➤ 10805

**1948**

**7 აგვისტოს შემდეგ**

წერილს იღებს ძმისგან, რომელიც ატყობინებს, რომ 5 აგვისტოს დაბრუნდა კისლაგოდსკიდან, მაგრამ მთელი თვის განმავლობაში ტკივილები არ ასვენებდა. სწერს, რომ ბენო ჩიქობავა არ უნახავს, მაგრამ იმედი აქვს, რომ გალაკტიონის ლექსებს თარგმნის.

➤ 10806

**1948**

**8 აგვისტო**

კითხულობს გაზეთს „ლიტერატურა და ხელოვნება“, აკეთებს ხაზგასმებს გიორგი ნატროშვილის სტატიაზე ალიო მირცხულავას რჩეულის შესახებ, ქართველი საბჭოთა მწერლების მოთხრობების ახალი კრებულის ბიბლიოგრაფიაზე.

➤ 10807

**1948**

**8 აგვისტო**

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოქვეყნებულ ზაქარია ედილის სტატიას „ყურადღება საინგილოს ისტორიულ ძეგლებს“, რომელშიც საუბარია უყურადღებოდ მიტოვებული ეკლესიებისა და კიდობნების განადგურების შესახებ, აწერს, რომ აღმამფოთელები ამბავია.

➤ 10808

**1948**

**8 აგვისტო**

წერს ლექსს „ასი წლის ჭადარი“.

➤ 10809

**1948**

**18 აგვისტო**

ქუჩაში ესმის ვიღაცის ყვირილი: „წყეულიმც იყოს ჩემი სამშობლო, რომელმაც გასწირა ქართველი კაცი!“ ფიქრობს, რომ ვინც ყვირის, ან მთვრალია, ან პროვოკატორი, რადგან ამ სიტყვებს იგი მწერალთა სახლის სიახლოვეს იძახის. ეს შემთხვევა მოაგონებს წარსულს, როდესაც საავადმყოფოში იწვა და მის პალატასთან ფუტურისტები ყვიროდნენ.

➤ 10810

**1948**

**19 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს, რომ ნინო კვიციანი რუსული წიგნის მაკეტისთვის ერთ საათში გადაიწერა სამი ლექსი 1908 წელს მისი რედაქტორობით გამოსული სემინარიის ხელნაწერი ჟურნალიდან „შუქი“.

➤ 10811

**1948**

**19 აგვისტო**

ნ. კვიციანი პწკარედების გასაკეთებლად მიაქვს გალაკტიონის 7 ლექსი.

➤ 10812

**1948**

**20 აგვისტო**

მიდის მწერალთა კავშირში და ალექსანდრე გომიაშვილს გადასცემს თავის პოემას „ახალგაზრდა ქალი მოხვეის“.

➤ 10813

**1948**

**22 აგვისტო**

უბის წიგნაკში ინიშნავს მასალებს ბიბლიოგრაფიისთვის მეშვიდე კლასის „მშობლიური ლიტერატურის“ სახელმძღვანელოდან.

➤ 10814

**1948**

**22 აგვისტო**

უბის წიგნაკში წერს, რომ „მნათობელას“ ანუ ირაკლი აბაშიძეს არ უნდა რომ ჟურნალ „მნათობში“ გალაკტიონის ასე თუ ისე რთული ნაწარმოები დაიბეჭდოს. ამიტომ მისი მხრიდან სიფრთხილეა საჭირო. გეგმავს საქმის შემოვლითი გზებით მოგვარებას. აქვე გასათვალისწინებელია კონსტანტინე ლორთქიფანიძის ფაქტორიც, რომელსაც „მნათობის“ რედაქციაში არანაირი თანამდებობა არა აქვს, მაგრამ ირაკლი აბაშიძეს ეხმარება.

➤ 10815

**1948**

**22 აგვისტო**

უბის წიგნაკში წერს, რომ ალიო მირცხულავას მწერლების 400 მეტრი მატერია მიუთვისებია და მისი საქმე ცუდად არის. ასევე წერს რომ სახელმწიფო გამომცემლობაში, ფედერაციაში და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში მიმდინარეობს კადრების ცვლა.

➤ 10816

**1948**

**22 აგვისტო**

უბის წიგნაკში წერს, რომ ალექსანდრე ყაზბეგის საიუბილეოდ მისი თხზულებების თარგმნა ფერხდება.

➤ 10817

**1948**

**24 აგვისტო**

ამუშავებს პირველი ტომის მასალებს, წერს, რომ უსათაურო ლექსში „ზღვაში გადვისვრი ბედითი ბადეს“ აჯობებს სიტყვა გულის ნაცვლად იყოს სული.

➤ 10818

1948

აგვისტო

ალაგებს რუსულად გამოსაცემი წიგნის ქართულ მასალებს.

➤ 10819

1948

აგვისტო

კითხულობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის გამგის სერგი ჭილაიას წერილის „გალაკტიონ ტაბიძე“ მეორე ნაწილს „მნათობში“ და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჭილაია რადიანის მხარეს გადავიდა და გალაკტიონს დალატობს.

➤ 10820

1948

აგვისტო

წერს ლექსს „ნახვამდის, 1953 წლამდის“.

➤ 10821

1948

აგვისტო

სტუმრობს გორს და ხვდება ოთარ ჩხეიძეს.

➤ 10822

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

1948

2 სექტემბერი

განცხადებით მიმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუღალტერიას. სწერს, რომ მათგან სამივლინებოდ აღებული თანხიდან ყოველთვიურად ერიცხება 700 მანეთი. ითხოვს, რომ ორი თვით შეუჩერონ გადარიცხვა და შემდეგ ერთბაშად დაფარავს სრულ თანხას.

➤ 10823

1948

6 სექტემბრის შემდეგ

იმერეთის სოფელ ბაღდათიდან იღებს მიქელ პატარიძის წერილს. აცნობებს, რომ დაპირებისამებრ, მოამზადა პოემის „საუბარი ლირიკის შესახებ“ და ლექსების: „გორი“ და „ახალგაზრდა მოხვევის ქალი“ რუსული პწკარედული თარგმანები. მასალას ერთი კვირის დაგვიანებით აგზავნის, რადგან თბილისში წამლები ვერავინ იპოვა. წერს, რომ პოემიდან გამოტოვა რამდენიმე სტრიქონი, მაგრამ ისეთი არა, რომ ტექსტი დაეზიანებია. აღფრთოვანებულია ცალკეული ეპიზოდებით, მაგალითად, სვანურ სოფელ ლალავერის შესახებ. სწერს, რომ თუ გალაკტიონს კიდევ დასჭირდება მისი დახმარება, დაუკავშირდეს ან მასალა მიაწოდოს თბილისში მცხოვრებ მის ვაჟ რამაზს. მოიკითხავს ადრესატის მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს.

➤ 10824

1948

8 სექტემბერი



ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი თინა ზიბზიბაძე უბის წიგნაკში უწერს მისდამი მიძღვნილ საკუთარ ლექსს.

➤ 10825

1948

### 8 სექტემბერი

ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოადგილე პავლე კანდელაკი იუბილეს გადასახდელად ოპერის თეატრის გამოყოფაზე ეუბნება, რომ ამის გადაწყვეტილება დიმიტრი ბენაშვილმა უნდა მიიღოს. გალაკტიონი ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის დიმიტრი ბენაშვილთან, რომელიც ამბობს, რომ შემოქმედებით სადამოებზე უფრო მნიშვნელოვანია წიგნების დროული გამოცემა.

➤ 10826

1948

### 8 სექტემბერი

ნინო კვირიკაძესთან ერთად არის სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც 12 სექტემბერს უნდა გაიმართოს მისი შემოქმედებითი საღამო და გამოფენა.

➤ 10827

1948

### 8 სექტემბერს ან შემდეგ

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის თინა ზიბზიბაძის მიერ მის უბის წიგნაკში ჩაწერილი ლექსის გასწვრივ წერს ფრაზების ვარიაციებს.

➤ 10828

1948

### 9 სექტემბერი

დილის 8 საათზე ნინო კვირიკაძესთან ერთად არის სტამბაში, სადაც მისი 12 სექტემბრის საღამოს აფიშა უნდა ააწიონ. ამობეჭდილ ცალზე გალაკტიონი ასწორებს შეცდომებს. შემდეგ მიდიან მუზეუმში ჩიტო კალანდაძის სანახავად, რომელიც ადგილზე არ არის, მაგრამ დაბრუნებისას ქუჩაში ხვდებიან და ერთად არკვევენ ნეგატივების საქმეს. შემდეგი საქმეა გამოფენისთვის სურათების ამობეჭდვა. გრიგოლ მესხი ასწავლის, რომ პიონერთა სასახლეში არის ლაბორატორია. იქ დახვდებით ნაცნობი ქუთაისელი ფოტოგრაფი და ჰპირდება მომდევნო დღის 12 საათისთვის ფოტოების ამობეჭდვას. აგვარებენ, რომ სილოვან კაკაბაძის ბიუსტიც 11 საათზე პარკში მიიტანონ. ამ დროისთვის პრობლემად რჩება მუზეუმის ის ნეგატივები, რომლებიც თანამშრომელს სახლში წაუღია. 4 საათზე არკვევენ, რომ აფიშის ბეჭდვა შეუჩერებიათ, რადგან ზედ არ იყო დირექტორის რეზოლუცია. როგორც იქნა დირექტორი აგზავნის რეზოლუციას და 5 საათზე აფიშა მზად არის. შემდეგ დეზერტირების ბაზარში ყიდულობენ ლურსმნებს, გზად გაივლიან ქაღალდზე, ყიდულობენ პურს და მიდიან სახლში, სადაც წინა დღეს მოხარშული ლობიო აქვთ.

➤ 10829

1948

### 12 სექტემბრამდე

განცხადებით მიმართავს „საქწიგნის“ დირექტორ ანდრო თევზაძეს. წერს, რომ 12 სექტემბერს სერგო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში იმართება მისი შემოქმედებითი საღამო და გამოფენა, რომლისთვისაც სჭირდებათ 300 ფურცელი კარგი ქაღალდი და სთხოვს, რომ ნაღდ ანგარიშზე გამოუწერონ.

➤ 10830

**1948**

**12 სექტემბრამდე**

გეგმავს შემოქმედებითი საღამოსა და გამოფენის მოწყობას ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. „კომუნისტის“ სტამბა ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით აპირებს 5000-ტირაჟიანი ერთჯერადი გაზეთის დაბეჭდვას ამ პარკის დირექტორის რედაქტორობით.

➤ 10831

**1948**

**12 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ უნდა გაარკვიოს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მისი საიუბილეო გამოფენისთვის მიიტანეს თუ არა მისი პორტრეტი და სილოვან კაკაბაძის მიერ შესრულებული მისი ბიუსტი. აინტერესებს, დაიბეჭდება თუ არა აფიშები, იქნებიან თუ არა რადიოსა და პრესის წარმომადგენლები, გაიყიდება თუ არა ბილეთები.

➤ 10832

**1948**

**12 სექტემბრამდე**

განცხადებით მიმართავს მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს, შალვა მამალაძეს. აცნობებს, რომ 12 სექტემბერს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ეწყობა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო და გამოფენა და სთხოვს, გამოყონ მხატვრები თეატრის დარბაზისა და გამოფენის მხატვრული გაფორმებისთვის. რამდენიმე დღით ათხოვონ სტენდები და გალაკტიონთან დაკავშირებული ექსპონატები.

➤ 10833

**1948**

**12 სექტემბრამდე**

განცხადებით მიმართავს საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირს. აცნობებს, რომ 12 სექტემბერს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ეწყობა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო და სთხოვს, გამოყონ ერთი მომხსენებელი და რამდენიმე მწერალი საღამოში მონაწილეობის მისაღებად.

➤ 10834

**1948**

**12 სექტემბერი**

უბის წიგნაკში ინიშნავს შესასრულებელი ამოცანების სიას. გეგმავს, მეცნიერებათა აკადემიაში გამოაწერინოს მივლინებისათვის საჭირო თანხა. სახელმწიფო გამომცემლობაში აღკვეთოს მისი სახელის დამახინჯებით დაბეჭდვის განზრახვა. ფიქრობს, რომ საჭიროა გამომხაურება სამსონ ფირცხალავას საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომზე, რომელიც თანამედროვე ქართული პოეზიის ენას ეხება.

➤ 10835

**1948**

**12 სექტემბერი**

იმართება მისი საიუბილეო საღამო და გამოფენა ორჯონიკიძის სახელობის კლუბში.

➤ 10836

**1948**

**12 სექტემბერი**

წერს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გამართული საიუბილეო გამოფენისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „თითქო მთიდან ნიაღვარი...“, რომელშიც აღნიშნავს, რომ ასეთი დიდებული გამოფენა მანამდე არასოდეს ჰქონია.

➤ 10837

1948

12 სექტემბერი

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გამართულ საიუბილეო გამოფენაზე ექსპონირებულია სევერიან კაკაბაძის ქანდაკება „გალაკტიონ ტაბიძე“, რითაც პოეტი განსაკუთრებით კმაყოფილია.

➤ 10838

1948

12 სექტემბერი

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გამართულ საიუბილეო გამოფენაზე გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფოტოკორესპონდენტი იღებს გამოფენის ფოტოებს და გალაკტიონ ტაბიძეს ბავშვების გარემოცვაში.

➤ 10839

1948

12 სექტემბერი

კმაყოფილია ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გამართულ საიუბილეო გამოფენაზე ბავშვების წინაშე თავისი გამოსვლით და ამის შესახებ წერს უბის წიგნაკში.

➤ 10840

1948

12 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს შთაბეჭდილებებს ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გამართული თავის საიუბილეო გამოფენასთან დაკავშირებით. აღნიშნავს როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს და კმაყოფილებას გამოთქვამს საზოგადოების ინტერესით.

➤ 10841

1948

12 სექტემბერი

უბის წიგნაკში ხატავს მთაწმინდას და უკეთებს წარწერას: „მთაწმინდის მთვარეები. მთვარეები მთაწმინდის“.

➤ 10842

1948

12 სექტემბერი

წერს სახუმარო, უსათაურო ლექსს „ბალი და კომში...“. იქვე, უბის წიგნაკში, ერთ მხარეს ხატავს გოგონას სახეს, მეორე მხარეს კი – პოეტს, ალბომითა და კალმით ხელში.

➤ 10843

1948

12 სექტემბერი

უბის წიგნაკში წერს რეკომენდაციის შავ პირს. ის შუამდგომლობს მიხეილ ვაძბოლსკის, რომ წარდგენილი საბუთების საფუძველზე ხელი შეუწყონ გალაკტიონთან დაკავშირებული მასალების დამუშავებასა და მონოგრაფიის შექმნაში, რაც პოეტს საჭირო საქმედ ესახება.

➤ 10844

**1948**

**12 სექტემბერი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება ცნობა, რომ მიმდინარე დღეს, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში იმართება სკოლის მოსწავლეების დიდი სეირნობა. ტექსტში ნათქვამია, რომ დღისით ისინი შეხვდებიან სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს და ქართული თეატრალური ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწეს შალვა დადიანს, ხოლო საღამოს სკოლის მოსწავლეთა ზეიმში მონაწილეობას მიიღებს 20-მდე მწერალი, პოეტი და ხელოვნების მოღვაწე, ასევე საბჭოთა კავშირის გმირი, პოლკოვნიკი, მწერალი დიმიტრი მედვედევი.

➤ 10845

**1948**

**12 სექტემბერი**

შალვა დადიანთან ერთად მონაწილეობას იღებს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარებულ ტანკისტის დღის აღნიშვნაში და ხვდება სკოლის მოსწავლეებს.

➤ 10846

**1948**

**12 სექტემბერი**

სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გალაკტიონის შემოქმედებით საღამოზე სიტყვით გამოდიან შალვა დადიანი და იონა ვაკელი.

➤ 10847

**1948**

**12 სექტემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს იონა ვაკელის სიტყვებს, რომლებიც, გალაკტიონის მოწმობით, მას წარმოუთქვამს 1948 წლის 12 სექტემბერს სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ახალგაზრდებთან შეხვედრისას. ვაკელს განუცხადებია, რომ ქართული პოეზია მსოფლიოში მოწინავეა და სხვა ისეთი პოეტი, როგორცაა გალაკტიონ ტაბიძეა, მთელ მსოფლიოში არ მოიპოვება.

➤ 10848

**1948**

**14 სექტემბერი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება ცნობა, რომ გორში თბილ ვითარებაში ჩატარდა ქართველი მწერლებისა და გორის მშრომელთა შეხვედრა, რომელიც გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ სიმონ ჩიქოვანმა. ცნობაში ნათქვამია, რომ სიტყვით გამოვიდნენ ლევან ასათიანი, შალვა დადიანი, აკაკი ბელიაშვილი, საკუთარი ლექსები წაიკითხეს სიმონ ჩიქოვანმა, გალაკტიონ ტაბიძემ, რევაზ მარგიანმა და სხვებმა.

➤ 10849

**1948**

**14 სექტემბერი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება ცნობა, რომ თბილისში ხალისიანად და ცოცხლად აღინიშნა ტანკისტის დღე. დღისით ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში სკოლის მოსწავლეები შეხვდნენ სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს: შალვა დადიანს, პიერ კობახიძეს და სხვებს. იქვე იბეჭდება ფოტოკორესპონდენტ ვ. ტარხოვის მიერ გადაღებული გალაკტიონის ფოტო ბავშვებთან.

➤ 10850

**1948**

**15 სექტემბრის შემდეგ**

წერილს იღებს ვასილ გორგაძისგან, რომელიც ბოდიშს უხდის, რომ ვერ დაესწრო მის შემოქმედებით საღამოს და ვერც ტელეფონით აცნობა თავისი მოუცლელობის შესახებ. სწერს, რომ იმჟამად სოხუმშია და დავალებული აქვს ლიტერატურული საღამოების მოწყობა თემაზე“ სამშობლო, დიდი ბელადი სტალინი და მისი თანამებრძოლი ლავრენტი ბერია ქართულს საბჭოთა პოეზიაში“. აცნობებს, რომ საღამოებს ამშვენებს გალაკტიონის ლექსების ციტირება, რომელთაგან ყველაზე გენიალურია „მშობლიურო ჩემო მიწავ“. მოკითხვას უთვლის ნინო კვირიკაძეს.

➤ 10851

**1948**

**17 სექტემბერი**

ქალაქ ცხაკაიას საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებით ამავე ქალაქში მდებარე მცხეთის ქუჩას ენიჭება საქართველოს სსრ სახალხო პოეტისა და აკადემიკოსის – გალაკტიონ ტაბიძის სახელი.

➤ 10852

**1948**

**18 სექტემბერი**

ჩადის ქალაქ ცხაკაიაში სადაც პარტიის ადგილობრივი რაიონული კომიტეტის ორგანიზებით კულტურის სახლის საზაფხულო თეატრში იმართება მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

➤ 10853

**1948**

**18 სექტემბერი**

იმყოფება ქალაქ ცხაკაიაში (ახლანდელი სენაკი), წერს ლექსს „ორი ლელო“.

➤ 10854

**1948**

**18 სექტემბერი**

წერს ლექსს „საბოდიშო ლექსი იმის გამო, რომ ვერ ვესწრები ყაზბეგის დღეებს“.

➤ 10855

**1948**

**18 სექტემბერი**

იმყოფება ქალაქ ცხაკაიაში (ამჟამინდელი სენაკი), მისდამი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს შემდეგ წერს სამადლობელ ლექსს „მადლობა, დიდი მადლობა!“

➤ 10856

**1948**

**18 სექტემბერი**

კითხულობს გაზეთს „ზარია ვოსტოკა“ და უბის წიგნაკში იწერს, რომ მარჯანიშვილის ქუჩისა და პლენხანოვის გამზირის კვეთაზე სახლის მშენებლობა წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.

➤ 10857

**1948**

**19 სექტემბერი**

გაზეთ „ავანგარდში“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსები: „ჩემი სიმღერა“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“ და „სამშობლო“.

➤ 10858

1948

### 19 სექტემბერი

გაზეთ „ავანგარდში“ ქვეყნდება ქალაქ ცხაკაიას, ამჟამინდელი სენაკის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილება მცხეთის ქუჩისთვის საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ.

➤ 10859

1948

### 19 სექტემბერი

ქალაქ ცხაკაიას სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოსწავლეებთან შეხვედრის შემდეგ რამდენიმე ფოტოს იღებს ბავშვებთან, ასევე გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორ ვლადიმერ წირღვავასა და მის შვილებთან ერთად.

➤ 10860

1948

### 19 სექტემბერი

ქალაქ ცხაკაიას რაიონულ გაზეთში „ავანგარდი“ იბეჭდება ცნობა, რომ 18 სექტემბერს ქალაქს ესტუმრა საქართველოს სსრ სახალხო პოეტი, აკადემიკოსი გალაკტიონ ტაბიძე და რომ საზაფხულო თეატრში გაიმართა ორდენოსანი მგოსნის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო, რომელიც ცხაკაიას რაიკომის პარტიული კომიტეტის გამგემ გახსნა. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ პოეტს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ქალაქის საზოგადოებას და რამდენიმე ლექსი წაიკითხა.

➤ 10861

1948

### 19 სექტემბერი

ქალაქ ცხაკაიას რაიონულ გაზეთში „ავანგარდი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსები „ჩემი სიმღერა“, „სამშობლო“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ და „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“. ამავე გვერდზეა მოთავსებული პოეტის პორტრეტი და ცხაკაიას საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილება რომლითაც ცხაკაიას ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა გალაკტიონ ტაბიძის სახელი. გაზეთში ასევე იბეჭდება ვალერიან უჩანეიშვილის სტატია: „ხალხის საყვარელი პოეტი“, რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული გალაკტიონის შემოქმედება და ნათქვამია, რომ მისი პოეზიის ძირითადი საგანი პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარულია.

➤ 10862

1948

### 19 სექტემბერი

ქალაქ ცხაკაიას სახელმწიფო დრამატულ თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრა მოსწავლეებთან. პოეტი დამსწრეთ უკითხავს რამდენიმე ლექსს, მათ შორისაა „მადლობა, დიდი მადლობა“, რომელიც დაწერა წინა დღეს გამართული ლიტერატურული საღამოს შემდეგ.

➤ 10863

1948

### 20 სექტემბერი

640 სტრიქონის მოცულობის ლექსებთან: „ახალგაზრდობას“, „ისევ ახალგაზრდობას“, „რიდ-ფარმა“, „ახალგაზრდა ქალი მოხევის“ და „ეგ არის და გორის ციხე“ ერთად განცხადებას უტოვებს

ჟურნალის „მნათობი“ რედაქტორს, ირაკლი აბაშიძეს და ითხოვს, რომ ჰონორარის ანგარიშში გამოუწერონ 5 ათასი მანეთი.

➤ 10864

1948

### 23 სექტემბერი

გაზეთში „ავანგარდი“ იბეჭდება ლექსი „მადლობა, დიდი მადლობა“, აქვეა ცნობა რომ 19 სექტემბერს ქალაქ ცხაკაიაში (ახლანდელი სენაკი) შედგა მოსწავლეების პოეტთან შეხვედრა, რომელზეც გალაკტიონმა ბავშვებს წაუკითხა ეს ლექსი და თან უამბო, რომ იგი წინა დღეს გამართული ლიტერატურული საღამოს დასრულების შემდეგ დაწერა.

➤ 10865

1948

### 23 სექტემბერი

ქალაქ ცხაკაიას, ამჟამინდელი სენაკის, სახელმწიფო დრამატულ თეატრში შეხვედრას მართავს მოსწავლე ახალგაზრდობასთან. შეხვედრას შესავალი სიტყვით ხსნის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ვალერიან უჩანეიშვილი. მოსწავლეები კითხულობენ გალაკტიონის ლექსებს. შემდეგ სიტყვით გამოდის თავად პოეტი და კითხულობს სახელდახელოდ დაწერილ ლექსს „მადლობა, დიდი მადლობა!“

➤ 10866

1948

### 23 სექტემბერი

გაზეთში „ავანგარდი“ იბეჭდება ცნობა, რომ 19 სექტემბერს ქალაქ ცხაკაიას, ამჟამინდელი სენაკის, დრამატულ თეატრში მოეწყო შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან.

➤ 10867

1948

### 23 სექტემბერი

ლამით არ სძინავს, ეწევა პაპიროსს და ფიქრობს, რომ ბედი დასცინის და უფორიაქებს რწმენას ადამიანის, კულტურისა, ხელოვნებისადმი – ყველაფრისადმი, რაც ძვირფასია მისთვის. ეს ბედი, რომელსაც უქმნიან ადამიანები, მათ შორის ახლობლებიც, უკარგავს საკუთარი თავისადმი პატივისცემასაც კი. გული სწყდება, რომ ყველა, ვინც გულით ეწაფებოდა მის შემოქმედებას, ახლა გულგრილი გახდა მისადმი.

➤ 10868

1948

### 24 სექტემბერი

საშინელ განწყობაზე ეღვიძება და დღიურში იწერს ღამის კომმარებს.

➤ 10869

1948

### 24 სექტემბერი

ავადმყოფ ძმასთან, აბესალომთან, რომელიც გალაკტიონის სახლში იმყოფება, ჩამოდის მეუღლე ტატიანა და გალაკტიონის ცოლისძმა – კალისტრატე კვირიკაძე.

➤ 10870

1948

### 24 სექტემბერი

სახლში აკითხავს მისი ლექსების პწკარედულად მთარგმნელი ნიკოლოზ აკერმანი.

➤ 10871

1948

24 სექტემბერი

წუხს, რომ მისი ძმისშვილი ვასიკო ძალიან მოუხერხებელია და ვერაფერს აკეთებს.

➤ 10872

1948

24 სექტემბერი

კომმარით განიცდის, რომ ძმის, აბესალომის მდგომარეობა რთულდება და საავადმყოფოში გადასაყვანი.

➤ 10873

1948

24 სექტემბერი

გერისგან, ნუნუ ებანოძისგან იგებს, რომ არ არის კმაყოფილი უნივერსიტეტში სამსახურით.

➤ 10874

1948

24 სექტემბერი

ძმის, აბესალომის მოსანახულებლად გალაკტიონთან სახლში მიდის კორნელი კეკელიძე, მეუღლესთან, მინადორა კასრაძესთან ერთად.

➤ 10875

1948

24 სექტემბერი

საღამოს, როდესაც ოთახში ანთებს შუქს და ალებს ფანჯარას, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდგარი ორი ახალგაზრდა ხმამაღლა აგდებულად იძახის მის სახელს. პოეტს გული სტკივა, რომ პირველად მის სიცოცხლეში ასე ღიად დასცინიან. ფიქრობს, რომ ამას იმსახურებს, რადგან ვერ უსწორდება მის დამჩაგვრელ ბედს. დღიურში იწერს, რომ მავანნი მის ამ მდგომარეობამდე მიყვანას დიდი ხანია ცდილობდნენ. ვერ წარმოუდგენია ასეთი დამცირების ატანა და ფიქრობს, რომ ამ უსამართლობას უნდა შეებრძოლოს.

➤ 10876

1948

25 სექტემბერი

მძიმედ ავადმყოფი ძმა, აბესალომ ტაბიძე სამკურნალოდ გადაჰყავს საავადმყოფოში.

➤ 10877

1948

25 სექტემბერი

დღის ხუთ საათზე, როდესაც მეუღლესთან ნინო კვირიკაძესთან ერთად საავადმყოფოდან მომავალი სახლს უახლოვდება, ვიღაცა ზემო სართულიდან აგდებს ლამპის შუშას, რომელიც დიდი ხმაურით იმსხვრევა. მეუღლე ეუბნება, რომ შუშა ჩხიკვაძის ბინიდან გადმოაგდეს და პოეტი ასკვნის, რომ ეს არ იქნებოდა შემთხვევითობა.

➤ 10878

1948

25 სექტემბერი

უგროვდება საქმეები და გადაწყვეტს, რომ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს.



➤ 10879

1948

27 სექტემბერი

წერს განცხადებას, რომ სალიტერატურო საქმეებისთვის მიემგზავრება მოსკოვში და ითხოვს თვენახევრის ხელფასს.

➤ 10880

## ოქტომბერი

1948

3 აგვისტო - 2 ოქტომბერი

უბის წიგნაკში წერს მოგონებას 1915 წელს ქუთაისში ჟურნალ-გაზეთების კანტორაში „იმერეთი“ კონსტანტინე ბალმონტთან და ვარლამ რუხამესთან ერთად ფოტოსურათის გადაღების შესახებ და დაწვრილებით აღწერს კანტორა „იმერეთის“ ინტერიერს.

➤ 10881

1948

3 აგვისტო - 2 ოქტომბერი

გეგმავს 11 ოქტომბერს ოპერის თეატრში ჩასატარებელ ღონისძიებას და უბის წიგნაკში იწერს, რომ საიუბილეო კომიტეტმა უნდა მოამზადოს შესავალი სიტყვა. იწერს სერგო ზაქარიაძის და ილია ბახტაძის გვარებს, რომელთა შეყვანაც სურს საიუბილეო კომიტეტში. ფიქრობს თემაზე „ყაზბეგი და გალაკტიონი“, სურვილი აქვს, რომ იარსებოს კინოფილმმა „მე და აკაკი“. ემზადება ყაზბეგის იუბილეზე, ოპერისა და მარჯანიშვილის თეატრების სეზონის გახსნაზე გამოსასვლელად.

➤ 10882

1948

3 აგვისტო - 2 ოქტომბერი

უბის წიგნაკში მესამე პირში იწერს მონახაზს ავტობიოგრაფიისთვის.

➤ 10883

1948

2 ოქტომბერი

ღამით თბილისში ისეთი ძლიერი ქარია, რომ ლეწავს ხეებს და სახურავებს ხდის სახლებს. გალაკტიონის სულშიც ასეთივე ქარიშხალია, რადგან პირველის 2 წუთზე გარდაეცვალა ძმა, აბესალომ ტაბიძე.

➤ 10884

1948

2 ოქტომბერი

წერს ძმის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ლექსს „აბესალომის ხსოვნას“.

➤ 10885

1948

2 ოქტომბერი

წერს ძმის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „რითი ვინუგემო თავი...“.

➤ 10886

1948

2 ოქტომბრის შემდეგ

ასწორებს ძმის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ლექსს „აბესალომის ხსოვნას“, ქმნის ნაწარმოების ახალ, უსათაურო ვარიანტს „სული ჩვენი ოჯახის იყო დიდი ილია...“. ლექსის ამ ახალ, უსათაურო ვარიანტს ბეჭდავს საბეჭდ მანქანაზე, ბეჭდვის დასრულების შემდეგ იწყებს ტექსტის კიდევ ერთხელ სწორებას.

➤ 10887

1948

### 2 ოქტომბრის შემდეგ

მგლოვიარე გალაკტიონი უშვებს წვერს და გადაწყვეტს, რომ ძმის ხსოვნის პატივსაცემად არასოდეს გაიპაროს.

➤ 10888

1948

### 3 ოქტომბერი

უბის წიგნაკში წერს ძმის ნეკროლოგის ტექსტს.

➤ 10889

1948

### 3 ოქტომბერი

რძალთან, ტატიანა ცინცაძესთან და ძმისშვილებთან, ვასილ და ნოდარ ტაბიძეებთან ერთად გაზეთში „კომუნისტი“ აქვეყნებს განცხადებას ძმის, პროკლე (აბესალომ) ტაბიძის გარდაცვალების გამო.

➤ 10890

1948

### 4 ოქტომბერი

განცხადებით მიმართავს ლიტერატურულ ფონდს და ძმის გარდაცვალების გამო სესხად ითხოვს სამი ათას მანეთს.

➤ 10891

1948

### 3-6 ოქტომბერი

მის სახლში, მარჯანიშვილის ქუჩის ოთხ ნომერში 7 საათიდან ტარდება ძმის, აბესალომ ტაბიძის პანაშვიდები. გულმოკლული გალაკტიონი გმინავს და ჩუმად ქვითინებს.

➤ 10892

1948

### 6 ოქტომბერი

სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე გომიაშვილი, შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, ილო მოსაშვილი, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ნატროშვილი და დავით სულიაშვილი გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით თანაგრძნობას უცხადებენ ძმის, პროკლე (აბესალომ) ტაბიძის გარდაცვალების გამო.

➤ 10893

1948

### 2 ოქტომბრიდან 7 ოქტომბრამდე

უბის წიგნაკში წერს მისი ძმის, აბესალომ ტაბიძის სამოქალაქო პანაშვიდების ჩატარებასთან და დაკრძალვასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გეგმას. საჭიროდ მიიჩნევს სამგლოვიარო გვირგვინების მიტანის პროცესის ფირზე გადაღებას, თავად გვირგვინების აღწერას და ფოტოგრაფირებას. ამიტომ აპირებს, რომ გაზეთში „კომუნისტი“ ან ლიტერატურულ ფონდში

შეიძინოს რამდენიმე ფოტოფირი. ასევე სურვილი აქვს, რომ მისი ძმის გასვენებას მწერალთა კავშირიდან დაესწრონ ბესარიონ ჟღენტი ან შალვა დადიანი.

➤ 10894

1948

### 7 ოქტომბერი

მარჯანიშვილის ქუჩის ოთხ ნომერში მდებარე გალაკტიონ ტაბიძის ბინიდან 5 საათზე გამოასვენებენ მის ძმას, აბესალომ ტაბიძეს და კრძალავენ ვაკის სასაფლაოზე. დაკრძალვის წინ გალაკტიონი მიცვალებულს კუბოში ფარულად უდებს რაღაც კონვერტს.

➤ 10895

1948

### 7 ოქტომბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ მისი ძმის, აბესალომ ტაბიძის გასვენების დროს ვერის ხიდზე მთელი თბილისის მასწავლებლობა შეიკრიბა.

➤ 10896

1948

### 7 ოქტომბრის შემდეგ

ინტერვიუს ასაღებად სახლში აკითხავს ჟურნალისტი და პოეტი ალექსანდრე ნატროშვილი. გალაკტიონი მას კაბინეტში ეპატიჟება და პასუხობს 30-ზე მეტ კითხვას. შემდეგ თავად ეკითხება სადაურობას და ჰყავს თუ არა დედმამიშვილები. უხარია, როცა გაიგებს, რომ სტუმარს 9 დედმამიშვილი ჰყავს და სინანულით იხსენებს თავის გარდაცვლილ ძმას, აბესალომს. კითხვაზე რატომ არის მისი შემოქმედების პირველ პერიოდში პესიმისტური მოტივები, პასუხობს, რომ რევოლუციამდე ქვეყანაში რეაქცია მძვინვარებდა, რაც ბუნებრივია, მის პოეზიაშიც აისახა. იქვე ეცნობა ნატროშვილის ლექსებს, უწონებს და აძლევს რჩევებს. შემდეგ ჩუქნის დიდ ფორმატზე დაბეჭდილ თავის ფოტოსურათს წარწერით: „ახალგაზრდა პოეტს ალექსანდრე ნატროშვილს ნიშნად პატივისცემისა“. ერთად სადილის შემდეგ იწერს ნატროშვილის მისამართს, აწერინებს საკუთარ ტელეფონს და სთავაზობს, რომ თავისუფალ დროს დაურეკოს, ესტუმროს ან მისწეროს. ჰპირდება თავისი რჩეული ნაწერების გაგზავნას.

➤ 10897

1948

### 8 ოქტომბრის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს ქართველი ქირურგის გრიგოლ მუხაძის შესახებ. მიუთითებს, რომ იგი სულიერად მთლიანი, მტკიცე ხასიათის პიროვნება იყო. გალაკტიონის თქმით, გრიგოლ მუხაძისა და მისი ექიმების დიდი მზრუნველობის შედეგად მძიმედ დაავადებული და სულიერად დაღლილი მალე გამოჯანმრთელდა.

➤ 10898

1948

### 9 ოქტომბრის შემდეგ

კითხულობს ალექსანდრე პუშკინის ნაწარმოებების რუსულ კრებულს. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 10899

1948

### 11 ოქტომბერი

მიუხედავად მწერალთა კავშირის გამგეობის კრებაზე 3 აგვისტოს მიღებული გადაწყვეტილებისა, ისე დგება გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მუშაობის 40 წლის საიუბილეო თარიღი, 11 ოქტომბერი, რომ ამ დღის აღსანიშნად ვერაფერს ასწრებენ.

➤ 10900

**1948**

**11 ოქტომბერი**

სალიტერატურო მუშაობის 40 წლის იუბილეს აღნიშვნის საკითხის გასარკვევად, მეუღლესთან ნინო კვირიკაძესთან ერთად ხვდება სიმონ ჩიქოვანს, სერგი ჭილაიას, კანდიდ ჩარკვიანს და როსტომ შადურს.

➤ 10901

**1948**

**11 ოქტომბერი**

ესწრება მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ სხდომას და გაკვირვებულია იმით, რომ პეტრე შარია და შალვა ნუცუბიძე, რომლებიც ყველას დაპირისპირებულები ჰგონია, ერთმანეთის მიერ წამოჭრილ წინადადებებს უჭერენ მხარს.

➤ 10902

**1948**

**11 ოქტომბერი**

დღიურში წერს, რომ იუბილეს გადახდისათვის ბრძოლის პირველი ტური წააგო და იწყებს მეორე ტურს. იწერს ალექსანდრე გომიაშვილის სიტყვებს, რომ გალაკტიონის იუბილეები არასდროს ქრონოლოგიურად სწორად არ ყოფილა აღნიშნული და რომ იუბილე დეკემბრამდე მოეწყობა. მანამდე სანდრო შანშიაშვილისა ჩატარდება, ალექსანდრე ყაზბეგისა კი უკვე ჩატარდა და ხელს არ შეუშლის.

➤ 10903

**1948**

**12 ოქტომბრამდე**

იწერს გოგლი-მოგლის რეცეპტს რომელიც ხმის მოსაყვანად სჭირდება.

➤ 10904

**1948**

**12 ოქტომბერი**

დღიურში წერს მოგონებას ცისფერყანწელებზე და ათიანი და ოციანი წლების სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებზე. აღნიშნავს, რომ ცისფერყანწელები კორექტურულ შეცდომებს ხშირად უცვლელად ტოვებდნენ და განგებაც კი ამახინჯებდნენ სიტყვებს, რომ ტექსტი გაუგებარი გამხდარიყო. მათი თქმით, ლექსი, რომელსაც ყველა გაიგებდა ლექსი არ იყო. გალაკტიონის აზრით, სწორედ კორექტურული შეცდომები ხდიდა გაუგებარს რაჟდენ გვეტაძის „ვირების მესიას“ და გიონ საგანელის „დრუმოს“. იხსენებს პოეტ რაულ გოგობიას შემთხვევას, რომელსაც სახელად რაჟდენი ერქვა, მაგრამ მას შემდეგ რაც ასოთამწყობმა მისი სახელი შეცდომით ააწყო, სწორედ ეს ფორმა „რაულ“ ფსევდონიმად აიღო. გალაკტიონი წერს, რომ ერთი ჯგუფის წევრმა, რომელიც აფიშების კორექტურას ასწორებდა, ნახა, რომ „ჯადოსნური სალამურების“ ნაცვლად ასოთამწყობს „ჭიდოსნური სალამურები“ აეწყო, მაგრამ განგებ არ გაასწორა. ამ „მიგნებით“ აღტაცებულმა პოეტებმა კი ერთ-ერთ კაფეს უწოდეს „ჭიდოსნური სალამურები“. პოეტი წერს, რომ ერთ დროს თბილისში სოკოებივით იყო მომრავლებული ქართული და რუსული მემარცხენე ჯგუფები. ჟურნალში „მეოცნებე ნიამორები“ ალექსეი კრუჩიონიხი, რომელიც რუსულ ენას ანგრევდა, უტიფრად იყო გამოცხადებული რუსული ლიტერატურის ლენინად. ფუტურისტები, იმაჟინისტები, სიმბოლისტები და დეკადენტები

პირველობისთვის იბრძოდნენ. გალაკტიონი წერს, რომ ეს ხანა იყო ყოველგვარი დაცემულობისა, ენის სიწმინდის რღვევის, არევ-დარევის და გაუგებრობის. ყველა ამ ჯგუფს ხალხმა უწოდა საერთო სახელი „ფუტურისტები“. იხსენებს, როგორ დადიოდა ილია ზდანევიჩი საზოგადოების ყურადღების მისაქცევად უზარმაზარი ცილინდრით. ერთმა ჯგუფმა კი უქუდოდ სიარული შემოიღო ანდაზის „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“ პოზიციასთან დასაპირისპირებლად. გალაკტიონი იხსენებს იმ მატერიალურ სივიწროვეს, რომელშიც უხდებოდათ ცხოვრება ხანშიშესულ მწერლებს: ვასილ ბარნოვს, შიო მღვიმელს, ზაქარია ჭიჭინაძეს, შიო არაგვისპირელს, კოტე მაცაშვილს, განდევილს, ეკატერინე გაბაშვილსა და სხვებს. აღნიშნავს, რომ პაოლო იაშვილი ხშირად იყო კონფერანსიედ მიწვეული სხვადასხვა ღონისძიებაზე, რაც შემოსავლიანი საქმე იყო. იხსენებს, რომ არავინ არ იცის, რა სახსრებით ახერხებდა ცხოვრებას გრიგოლ რობაქიძე, რომელსაც იშვიათი ლექციების გარდა სხვა სამსახური არ ჰქონია.

➤ 10905

**1948**

### **12 ოქტომბერი ან შემდეგ**

დღიურში იწერს მოგონებას, იმის შესახებ თუ 1918 წელს რუსეთიდან თბილისში დაბრუნებულს სასტუმრო „პრინაში“ როგორ მიაკითხა ჟანდარმმა, ჩაატარა ჩხრეკა და ფურცელ-ფურცელ ათვალიერა მისი ნაწერები.

➤ 10906

**1948**

### **14 ოქტომბრის შემდეგ**

კითხულობს ახალგაზრდა მწერლების ლექსებისა და მოთხრობების კრებულს, სარჩევში აკეთებს ხაზგასმებსა და აღნიშვნებს.

➤ 10907

**1948**

### **17 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება გალაკტიონის ძმის, დამსახურებული მასწავლებლის პროკლე ტაბიძის სტატია „საჭიროა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო“, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ წელს სრულდება პოეტ გალაკტიონ ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის 40 წელი. მისი ნაწარმოებები ფართოდაა ცნობილი და მოსწავლეებმა მცირე ასაკიდან იციან მისი ლექსები, მაგრამ არ არსებობს ამ პოეტის შემოქმედების სრულყოფილი კრიტიკული გარჩევა, წიგნი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის. პედაგოგი აღნიშნავს, რომ არც სხვა მწერლების ნაწერები არ არის სათანადოდ განხილული და დასძენს, რომ აუცილებელია გამოცდილი ლიტერატურათმცოდნეებისგან და პედაგოგებისგან შეიქმნას კომისია და დაევალოს ქართული ლიტერატურის ასეთი სახელმძღვანელოს შექმნა.

➤ 10908

**1948**

### **18 ოქტომბრის შემდეგ**

მოსკოვიდან იღებს მთარგმნელ იგორ პოსტუპალსკის ვრცელ წერილს. რამდენადაც მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობას გადაწყვეტილი აქვს გალაკტიონის ლექსების რუსული თარგმანების წიგნის გამოცემა, ადრესანტი ინტერესდება, ხომ არ ისურვებდა პოეტი მის ჩართვას ამ საქმეში. აცნობებს, რომ ქართული არ იცის და თარგმნა შეუძლია მხოლოდ პწკარედების მეშვეობით, მაგრამ ქართული კულტურა და პოეზია მისთვის უცხო არ არის. ცოტა ხნის წინ მოამზადა რუსული თარგმანები ალექსანდრე შანშიაშვილის ერთტომეულისთვის. შეიძლება ყველაფერი არა, მაგრამ რამდენიმე ლექსის თარგმანი ძალიან კარგად გამოუვიდა და ამიტომ ფიქრობს, რომ ამ საქმეს უნდა მიჰყვეს. ინტერესდება, იცნობს თუ არა გალაკტიონი მაქსიმ

რილსკის, პაოლო ტიჩინას, მიკოლა ბაჟანის, ლეკონტ დე ლილისა და სხვათა მისეულ თარგმანებს. სწერს, რომ წაკითხული აქვს გალაკტიონის ლექსების არაერთი თარგმანი, რომელიც პერიოდიკაში გამოქვეყნდა, იცნობს რუსულენოვან კრებულებს და ფიქრობს, რომ მათი უმრავლესობა უხარისხო რუსულით არის თარგმნილი. ბევრი კარგი პოეტის თარგმანებიც კი უვარგისია. ამ მხრივ უფრო გაუმართლა სიმონ ჩიქოვანს. თავად დაინტერესებულია გალაკტიონის არა ორი-სამი ლექსის, არამედ დიდი მოცულობის მასალის თარგმნით, რომ ეს მისი ცხოვრების ნაწილად იქცეს. თან ურჩევნია თუნდაც რთული, მაგრამ საუკეთესო ლექსების თარგმნა. პოსტუპალსკი გალაკტიონს სთავაზობს ამ წიგნის რედაქტორობასაც. მიიჩნევს, რომ კარგად შეუძლია მასალის შერჩევა და ორგანიზება და მიუთითებს თავისი რედაქტორობით გამოცემულ წიგნებს. თან აქვე აღნიშნავს, რომ არ უყვარს მუშაობის პროცესში სათარგმნი მასალის ავტორის ჩარევა. წერილის ბოლოს პოსტუპალსკი ადრესატს სთხოვს, თუ მისი, როგორც მთარგმნელის ჩართულობის სურვილი ექნება, ამის შესახებ აცნობოს ალექსანდრა რიაბინინასა და სოფია ხითაროვას, ხოლო თუ სურვილი ექნება, რომ მას მიანდოს წიგნის რედაქტორობა, ოფიციალური წერილი გაუგზავნოს მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ ანატოლი კოტოვს.

➤ 10909

1948

19 ოქტომბერი

ნინო კვირიკაძე ჩუქნის უბის წიგნაკს ყდაზე ქარხნული წარწერით „ლექსების ალბომი“, გარეკანის კუთხეში აწერს თარიღს და ძღვნას „ნუციასაგან“.

➤ 10910

1948

19 ოქტომბრის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს მხატვარ ნიკოლოზ კანდელაკის მისამართს.

➤ 10911

1948

19 ოქტომბრის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს მეტალისტების კლუბის მისამართს და მისი დარაჯის სახელს – აპოლონი.

➤ 10912

1948

20 ოქტომბერი

ფურცელზე წერს რიცხვს „1908“ და მიაწერს, რომ თუ ამოვატრიალებთ ამ რიცხვს, 8061 გამოვა.

➤ 10913

1948

21 ოქტომბერი

საკუთარი ბიბლიოგრაფიული მასალების მოსაპოვებლად გეგმავს მისვლას პიონერთა სასახლის ლიტერატურის კაბინეტში ქეთევან ანანიშვილთან შესახვედრად. ფიქრობს, რომ ბიბლიოგრაფიის შეგროვებაში ეთერ შუშანიასაც შეუძლია დახმარება.

➤ 10914

1948

26 ოქტომბერი

მწერალთა კავშირიდან მარჯანიშვილის თეატრის დირექციაში მიაქვს კავშირის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი განცხადება, რომელშიაც მოთხოვნილია, რომ 9 ნოემბერს სახალხო პოეტ

გალაკტიონ ტაბიძის საღამოსთვის მწერალთა კავშირს დაეთმოს თეატრის დარბაზი. თეატრის დირექცია თანხმდება. პოეტს აინტერესებს, რა პირობებით დაეთმოება თეატრი და იწყებს ზრუნვას აფიშისთვის.

➤ 10915

1948

### 26 ოქტომბრის შემდეგ

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი ივანე გვინჩიძე გალაკტიონის საღამოს თეატრში მოწყობის შესახებ საკითხს ათანხმებს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან, რაც იწვევს აფიშის ბეჭდვის დაგვიანებას სამი დღით.

➤ 10916

1948

### 27 ოქტომბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ საერთო სათაურით „სამი ლექსი ლენინურ კომკავშირს“ და ხელმოწერით „გალაკტიონი“ იბეჭდება ლექსები: „ახალგაზრდობას“, „ისევ ახალგაზრდობას“ და „ეგ არის და გორის ციხე“.

➤ 10917

1948

### 29 ოქტომბერი

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში თავისი საღამოს მოწყობასთან დაკავშირებით თეატრის დირექტორის ივანე გვინჩიძის ინიციატივით გალაკტიონი ხვდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილეს აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში გიორგი ჯიბლაძეს.

➤ 10918

1948

### 29 ოქტომბერი

კითხულობს გაზეთს „სახალხო განათლება“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. ლოზუნგთან „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“ აწერს: „ასეთია ჩემი აზრი, ასეთია ჩემი შთაბეჭდილება!“.

➤ 10919

1948

### 30 ოქტომბერი

მუშაობს ჰიმნის „მშობლიური ჩემო მიწავ“ ტექსტზე და ხალხური მოტივებიდან მისთვის მუსიკის შერჩევაზე.

➤ 10920

1948

### 30 ოქტომბერი

გრიგოლ ორახელაშვილთან სატელეფონო საუბრისას იგებს სერგი ჭილაიას ნათქვამს, სანდრო შანშიაშვილის იუბილეს შემდეგ გალაკტიონ ტაბიძეს დიდ იუბილეს ვეღარ გავუმართავთ, მთავრობისა და პარტიის დავალებაა, რომ მწერალთა კავშირმა პატარა საღამო მოუწყოსო. გალაკტიონი ახლდა ხვდება, რატომ უთხრა წინა დღეს გიორგი ჯიბლაძემ მარჯანიშვილის თეატრის დირექტორ ივანე გვინჩიძეს, გალაკტიონს მწერალთა კავშირი პატარა საღამოს უმართავსო. პოეტი ძალიან ღელავს, ფიქრობს, რომ ასეთ ვითარებაში წონასწორობის არ დაკარგვა შეუძლებელია, მაგრამ მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ საჭიროა ბრძოლა დიდი საღამოსთვის.

➤ 10921

1948

**30 ოქტომბერი**

ეცნობა გრიგორი ფესჩენკოს რუსულ კრებულს „ვიოლინოზე დაკვრის შესასწავლი დაწყებითი სკოლა“. ყდის სათაურის ქვეშ რუსულად აწერს: „სტრადივარიუსის სახელობის ავტომობილში“.

➤ 10922

1948

**30 ოქტომბერი**

რუსულ კრებულში „ვიოლინოზე დაკვრის შესასწავლი დაწყებითი სკოლა“ დაბეჭდილ საბჭოთა კავშირის ჰიმნზე აწერს თავისი ლექსების სტრიქონებს: „ო, ერთა ძმობის დროშავ, თანასწორობის დროშავ, ო, მშობლიური მიწავ, ჩემო მზიურო მიწავ“. წერს, რომ ტექსტში 7-ჯერ არის ნახსენები სიტყვა „ხალხი“, 3-ჯერ – „თავისუფლება“, 4-ჯერ – „დიდება“, 3-ჯერ – „დაე“, 11-ჯერ – „ჩვენი“. იწუნებს რითმებს, აღნიშნავს, რომ უკეთესად შეიძლებოდა დაწერილიყო, მუსიკა კარგია, მაგრამ ჰიმნისთვის არა.

➤ 10923

1948

**30 ოქტომბერი ან შემდეგ**

რუსული კრებულის „ვიოლინოზე დაკვრის შესასწავლი დაწყებითი სკოლა“ უკანა ფორზაცზე სათაურით „ქართული მწერლობის 100 ვეტერანი“, ადგენს მწერლებისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრების 115-პირიან სიას.

➤ 10924

1948

**30 ოქტომბერს ან შემდეგ**

ანგარიშობს რამდენი კაცი ეტევა მარჯანიშვილის თეატრში და მისი ანგარიშით გამოდის 799.

➤ 10925

1948

**30 ოქტომბერს ან შემდეგ**

უბის წიგნაკში აღწერს, რამდენი ინსტანციის გავლა დასჭირდა მარჯანიშვილის თეატრში საღამოს მოწყობის ნებართვის მისაღებად. თეატრის დირექტორმა ივანე გვინჩიძემ მოითხოვა მიწერილობა მწერალთა კავშირიდან, რომელიც მასთან უკვე იყო წარდგენილი. ის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაუკავშირდა გიორგი ჯიბლაძეს, რომელიც, თავის მხრივ, დაუკავშირდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს – სიმონ ჩიქოვანს, ჩიქოვანი დაუკავშირდა მთავლიტში დიმიტრი ბენაშვილს, ხოლო ბენაშვილი კვლავ ჯიბლაძეს, ის – ისევ ჩიქოვანს, ჩიქოვანი კი ისევ ბენაშვილს. წერს, რომ ეს პროცესი ერთი კვირა გრძელდებოდა, სანამ ამ საქმეში თავად არ ჩაერთო. ამის შემდეგ როგორც იქნა რეპერტუკომმა დაამტკიცა სტამბაში გასაგზავნი აფიშის ტექსტი, რომელიც 150 ცალად უნდა დაბეჭდილიყო. აფიშის ასაწყობად დაუყოვნებლივ გაემურა სტამბაში, წაიღო ქალაღი და კლიშეები, მაგრამ უთხრეს, რომ 2 საათი უკვე გვიანია და აფიშის აწყობა მეორე დღისთვის აღუთქვეს. აფიშის ამწყობს დიდი ქრთამი მისცა, რომ მას გულიანად ემუშავა და კარგი აფიშა გაეკეთებინა.

➤ 10926

1948

**30 ოქტომბერს ან შემდეგ**

წერს აფიშის გასაკრავი ადგილების ასპუნქტიან სიას.

➤ 10927



1948

**30 ოქტომბერს ან შემდეგ**

მესამე პირში იწერს ფრაგმენტს ომის წინათგრძნობის შესახებ თავისივე ლექსიდან „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“.

➤ 10928

1948

**30 ოქტომბერი**

აკეთებს ჩანაწერს მარჯანიშვილის თეატრში გასამართი ღონისძიების შესახებ. ჩამოწერს შესასრულებელი ამოცანების გეგმას, რომელთა შორის დასახელებულია: პროგრამის შეთანხმება სიმონ ჩიქოვანთან და ივანე გვინჩაძესთან. ახალგაზრდების მობილიზაცია. მეცნიერებათა აკადემიის წევრების მოწვევა, მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა კავშირებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების წევრთა სიების შედგენა და მათი მოწვევა.

➤ 10929

1948

**30 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” ს. ბორისოვის ფსევდონიმით იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ისევ ახალგაზრდობას“ სიმონ შერისეული თარგმანი.

➤ 10930

1948

**სექტემბერი-ოქტომბერი**

წერს ზმას მარიკა ბარათაშვილზე: „ო, მარი! კაბა რათა შვილივით იყოს მოვლილი“.

➤ 10931

**ნოემბერი**

1948

**2 ნოემბერი**

ღამით წერს ლექსს „საათი“.

➤ 10932

1948

**2 ნოემბერი**

აკეთებს ჩანაწერს „ხელოვანის ტრაგედია“. აღნიშნავს, რომ ხელოვანი, რომელიც კომპრომისზე მიდის, თავს ინუგეშებს, რომ ნებისმიერ დროს შეძლებს დაუბრუნდეს სწორ გზას, მაგრამ რაკი ერთხელ მოსწყდება საკუთარ გეზს, აგრძელებს იოლი გზით სიარულს, კმაყოფილდება იაფფასიანი ტაშითა და აღიარებით. ხოლო როდესაც გადაწყვეტს დაუბრუნდეს ძველ გზას, ვეღარ პოულობს მას. სწორ გეზთან ერთად კარგავს ყალბ შარავანდედსაც, რადგან იგი მოსწყინდებათ და ტაშსაც აღარავინ დაუკრავს. ასე რჩება მარტოდმარტო და აქედან იწყება მისი ტრაგედია. ურემი რომ გადაბრუნდება, ხელოვნების ჭეშმარიტი გზა მერე გამოჩნდება. თუმცა ხელოვანი უკვე ჭაღარაშერთული იქნება და ვეღარაფერს იღონებს.

➤ 10933

1948

**2 ნოემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „კაცს საწუთრო როგორ აბნევს...“.

➤ 10934

1948

**3 ნოემბრამდე**

ლიტერატურის მთავარ სამმართველოში იღებს თავისი შემოქმედებითი სადამოსთვის აფიშების ბეჭდვის ნებართვას. ეუბნებიან, რომ ეს იქნება დიდი სადამო.

➤ 10935

1948

### 3 ნოემბრის შემდეგ

აფხაზეთის სახელგამი ბეჭდავს კლასგარეშე საკითხავ წიგნს არაქართული სკოლების V–VIII კლასებისათვის – „მხატვრული ლიტერატურა“, რომელშიც სათაურით „სამშობლოს“ მოთავსებულია ლექსი „ჰე, მამულო“.

➤ 10936

1948

### 3 ნოემბრის შემდეგ

აფხაზეთის სახელგამის გამოცემაში „კლასგარეშე საკითხავი წიგნი არაქართული სკოლების V–VIII კლასებისთვის – მხატვრული ლიტერატურა“, ალექსანდრე აბაშელის ლენინისადმი მიძღვნილ ლექსში „22 იანვარი“ მონიშნავს ცალკეულ რითმებს და წერს, რომ მისგან აქვს აღებული. აკეთებს კრიტიკულ კომენტარებს სტალინისადმი მიძღვნილ ხალხურსა და იოსებ გრიშაშვილის ლექსებზე. აღნიშნავს, რომ წიგნში ოფიციალურად 15 ავტორია, მაგრამ რეალურად მათი რაოდენობა ბევრად მეტია.

➤ 10937

1948

### 4 ნოემბრამდე

გეგმავს სადამოს ჩატარებას კონსერვატორიაში.

➤ 10938

1948

### 4 ნოემბერი

სადამო, რომლის ჩატარებაც დაგეგმილი იყო კონსერვატორიაში, არ ტარდება.

➤ 10939

1948

### 6 ნოემბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ეს იქნება, იქნება“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 10940

1948

### 9 ნოემბრამდე

საკუთარით ხელით ასწორებს საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილ განცხადებას, რომ 8 ნოემბერს მარჯანიშვილის თეატრში გაიმართება შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან. განცხადების ტექსტში პოეტი ცვლის თარიღს, 8-ის მაგიერ უთითებს 9 ნოემბერს, ასწორებს შეცდომით დაწერილ საკუთარ სახელს „გალაქტიონი“, ხოლო წოდებას „სახალხო მგოსანი“ ცვლის „სახალხო პოეტით“.

➤ 10941

1948

### 9 ნოემბერი

მარჯანიშვილის თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის სადამო. დარბაზი გადაჭედებულია, მაგრამ მთავარი მომხსენებელი არ მოდის და სადამო ლამის არის, ჩაიშალს. ამ მოვალეობის შესრულებას სთხოვენ იონა ვაკელს. მიუხედავად იმისა, რომ ის მწერალია და არა კრიტიკოსი,

კარგ მოხსენებას აკეთებს. მაღლიერი გალაკტიონი რამდენჯერმე აკითხავს სახლში და უმეორებს, შენ გადამარჩინეო.

➤ 10942

1948

### 10 ნოემბერი

იმის გამო, რომ კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 9 ნოემბერს გამართულ გალაკტიონ ტაბიძის საღამოს ჩატარებასა და თეატრის დათმობაზე არ იყო გაცემული სამმართველოს ნებართვა, ხოლო რეპერტუკომმა პროგრამა წინასწარი შეთანხმების გარეშე დაამტკიცა, საღამო არაორგანიზებულად ჩატარდა. არ გამოცხადდა მომხსენებელი და კონცერტში მონაწილე მსახიობებიდან მივიდა მხოლოდ სამი. ამიტომ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე პავლე კანდელაკი გამოსცემს ბრძანებას, რომ მსგავსი ქმედებები აღარ განმეორდეს.

➤ 10943

1948

### 12 ნოემბერი

დღიურში იწერს, რომ 40 დღე გავიდა მისი ძმის აბესალომ ტაბიძის გარდაცვალებიდან.

➤ 10944

1948

### 17 ნოემბერი

წერს ლექსს „დღეს შემისრულდა“.

➤ 10945

1948

### 19 ნოემბერი ან შემდეგ

ჩადის მოსკოვში და ბინავდება ჩამომსვლელ მეცნიერთა სახლში გორკის ქუჩაზე.

➤ 10946

1948

### 19 ნოემბერი ან შემდეგ

მოსკოვში ჩასვლისთანავე უბის წიგნაკში ინიშნავს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლის, ალექსანდრა რიაბინინას სახელსა და გვარს.

➤ 10947

1948

### 22 ნოემბერი

მის მიერ ამ დღისთვის დაგეგმილი საღამო ოპერის თეატრში არ ტარდება.

➤ 10948

1948

### 22 ნოემბრის შემდეგ

მოსკოვიდან იღებს თავისი რუსულენოვანი თარგმანების მომავალი წიგნის რედაქტორის იგორ პოსტუპალსკის წერილს. სწერს, რომ 1949 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მოსკოვში ელოდება. სთხოვს, გამგზავრებამდე ორიოდ დღით ადრე აცნობოს ჩასვლის დრო. აცნობებს, რომ კითხულობს გალაკტიონის მიერ მისთვის უკვე მიწოდებულ პწკარედებს და უამრავი კითხვა უჩნდება. სთხოვს, რომ ახალი პწკარედების გარდა მოსკოვში თან წაიღოს: თავისი ლექსების ყველა რუსულენოვანი გამოცემა, თუნდაც ერთი ეგზემპლარი ჰქონდეს, ძირითადი ქართულენოვანი გამოცემები, რომ საჭიროების შემთხვევაში ლექსის დედანთან გადამოწმება შეძლონ, იმ ლექსების სათაურები და დასაწყისი ფრაზები, რომელთა შეტანაც სურს ამ

გამოცემაში, მასალის განაწილების თავდაპირველი მონახაზი წიგნების ან წლების მიხედვით. ასევე დროებით უშოვოს: ქართულ-რუსული ლექსიკონი, ქართული ენის სახელმძღვანელო დამწყებთათვის, ქართულ-რუსული გრამატიკა. სთხოვს, რომ თუ ვლადიმერ ელსნერს შეხვდება, დაელაპარაკოს თარგმანების გაკეთებაზე და თუ გიორგი ცაგარელს შეხვდება, სთხოვოს, ხომ არ აქვს შემორჩენილი „ზარია ვოსტოკას“ მიერ გამოცემული გალაკტიონის მისეული თარგმანების წიგნის ორიოდე ეგზემპლარი.

➤ 10949

1948

29 ნოემბრამდე

განცხადებით მიმართავს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციის და პროპაგანდის მდივანს, როსტომ შადურს. შეახსენებს, რომ მიმდინარე წელს სრულდება გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის ორმოცი წელი და მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ამ თარიღის შესაფერის დონეზე აღნიშვნის შესახებ. სწერს, რომ საჭიროდ მიაჩნია სადამოს ჩატარება ოპერის თეატრში 29 ნოემბერს. ორგანიზებას უზრუნველყოფს მწერალთა კავშირი.

➤ 10950

1948

19-30 ნოემბერი

იცის რომ მისი წიგნი გეგმაში უკვე შეტანილია და ფიქრობს, რომ აჩქარებით შეიძლება საქმე გაფუჭდეს. ამიტომ უპირველეს მიზნად ისახავს ხელშეკრულების დადებას.

➤ 10951

1948

19-30 ნოემბერი

უბის წიგნაკში წერს, რომ ილია ვეკუას თანამშრომელი სულაქველიძე ერთი ღამით დარჩა მოსკოვში და გაემგზავრა ლენინგრადში წიგნების შესაძენად. აღნიშნავს, რომ ის კარგი ადამიანია.

➤ 10952

1948

19-30 ნოემბერი

იხსენებს, როგორ დაინახა კრასნოდარის აეროპორტში ძლიერ ქარში უცნაური სისწრაფით მგორავი რაღაც მრგვალი ფიგურა, რომელიც მას ცხოველი ეგონა. როგორც აუხსნეს, ეს მცენარე „გორგორა“ იყო, რომელსაც რუსები „პერეკატიპოლეს“ ეძახიან. აგონდება, რომ ეს სიტყვა ძალიან ლამაზად ჰქონდა გამოყენებული ლექსში „შემოდგომა“ მაქსიმილიან ვოლოშინს და იწერს ამონარიდს, რომელიც დავიწყებული ჰქონდა.

➤ 10953

1948

19-30 ნოემბერი

უფუჭდება ჩემოდნის საკეტი და პრობლემის მოგვარებაში ეხმარებიან მის ოთახში მცხოვრები ბაქოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი, ფილოსოფოსი რაშიდ ნარულაევი და ტიშინის ბაზრობის მეწვრილმანე, რომელსაც, როგორც ირკვევა, შვილი ჰყავს აფხაზეთში. გალაკტიონი იმდენად მაღლიერია მათი, რომ ამის შესახებ უბის წიგნაკში წერს.

➤ 10954

1948

19-30 ნოემბერი

ოთახში მასთან ერთად ცხოვრობს ბაქოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი, ფილოსოფოსი რაშიდ ნარულაევი, რომელსაც შთამბეჭდავი წიგნი აქვს გამოცემული ნიზამიზე.

➤ 10955

**1948**

**19-30 ნოემბერი**

უბის წიგნაკში იწერს სასტუმროს მორიგე ქალის ლარისა ალექსანდრეს ასულის ნათქვამს, რომ მისი და თბილისში ივანე ჯავახიშვილის ოჯახში ცხოვრობს.

➤ 10956

**1948**

**19-30 ნოემბერი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ 1918 წელს მოსკოვში ყოფნისას ტვერის ქუჩაზე მდებარე გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში განთავსებულმა კომუნისტური პარტიის უჯრედმა ის პარტიის წევრად მიიღო ამავე გაზეთის თანამშრომლის, მეგრელი რევოლუციონერის რეკომენდაციით, რომლის გვარსაც ვეღარ იხსენებს.

➤ 10957

**1948**

**19-30 ნოემბერი**

უბის წიგნაკში იწერს მოგონებას 1918 წელს მოსკოვის კინოთეატრში ლამაზი ქალი რომ მიუჯდა გვერდით და სიბნელეში ხელზე ხელს უჭერდა. გალაკტიონი მას თავის წარმოსახვაში თეოფილ გოტიესა და ალექსანდრ ბლოკის მიერ შექმნილ იდუმალეზით მოცულ გმირებს ადარებდა, ტიცინ ტაბიძემ კი უთხრა, მეძავი იქნებოდაო და გული დასწყვიტა.

➤ 10958

**1948**

**19-30 ნოემბერი**

უბის წიგნაკში წერს, რომ მოსკოვი ძალიან სწრაფად იცვლება. ერთი თვით იქიდან წასულ ადამიანს შეიძლება ქალაქში დაბრუნებისას იმდენი სიახლე დახვდეს, რომ ბევრი ადგილი სრულებით ვერ იცნოს,

➤ 10959

**1948**

**19-30 ნოემბერი**

მოსკოვში მყოფი გალაკტიონი უკანასკნელად ათვალისწინებს თავისი წიგნის ხელნაწერებს. ის მზად არის გადასაცემად, სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი ნიკოლოზ კიკნაძე ხელს აწერს ხელშეკრულებას, წიგნს სტამბაში გზავნიან და რედაქტორებს აკითხებენ.

➤ 10960

**1948**

**19-30 ნოემბერი**

უბის წიგნაკში წერს შინაარსს პოემისა „ომი და ხელოვნება“.

➤ 10961

**1948**

**ნოემბერი**

წერს ლექსს „ის ერთი შეხება ნიავის“ („ის ერთი, ის ერთი შეხება ნიავის...“).

➤ 10962

1948

### 1 დეკემბრამდე

უბის წიგნაკში იწერს მოსკოვიდან საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანისთვის გასაგზავნი დეპეშის ტექსტს. მასში აღნიშნულია, რომ 1948 წელს სრულდება გალაკტიონის შემოქმედებითი მუშაობის 40 წელი. პოეტი მიმართავს თხოვნით, ნება დაერთოს მწერალთა კავშირს, რომ 20 დეკემბერს ოპერის თეატრში გაიმართოს მისი ლიტერატურული საღამო. აღნიშნავს, რომ ღონისძიებიდან შემოსულ თანხას გადასცემს პარტიას კულტურის მიზნებისთვის. თხოვს, რომ ოპერის თეატრში საღამოს გამართვის შესახებ მითითება მიეცეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის მდივან როსტომ შადურს.

➤ 10963

1948

### 1 დეკემბრამდე

უბის წიგნაკში იწერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების მდივნის, როსტომ შადურის სახელზე გასაგზავნი დეპეშის ტექსტს. მასში საუბარია თბილისის ოპერის თეატრში გასამართი საღამოს შესახებ და ასევე ნათქვამია, რომ პოეტი მოსკოვიდან თბილისში ორ დღეში ბრუნდება.

➤ 10964

1948

### 1 დეკემბრამდე

ხვდება საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გენერალურ მდივან ალექსანდრ ფადეევს.

➤ 10965

1948

### 2 დეკემბრის შემდეგ

იღებს მოკლე წერილს მიქელ პატარიძისგან. სწერს, რომ თუ ამ ბარათს მასთან მიიტანს ადრესანტის ვაჟი რამაზი, ეს იმას ნიშნავს, რომ გასაჭირი აქვთ და მიანიშნებს, რომ სჭირდებათ გალაკტიონის ლექსების 1800 სტრიქონის პწკარედული თარგმანების ჰონორარი.

➤ 10966

1948

### 3 დეკემბრამდე

მოსკოვიდან ბრუნდება თბილისში.

➤ 10967

1948

### 3 დეკემბრამდე

რუსი მწერალი და ჟურნალისტი სიმონ ევგენოვი მოსკოვში შეხვედრისას ეუბნება, რომ ევროპის თემაზე დაწერილ ლექსებზე დიდი მოთხოვნილებაა და რომ 1935 წელს პარიზის ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილე გალაკტიონის მიერ ამ თემაზე დაწერილი ლექსები ძვირფასი მასალაა პრესისთვის, განსაკუთრებით კი „ლიტერატურნაია გაზეტასთვის“.

➤ 10968

1948

### 10 დეკემბრის შემდეგ

იბეჭდება აკაკი გაწერელიას წიგნი „ლიტერატურული ნარკვევები“, რომელშიც შესულია კრიტიკოსის 1938 წელს გამოქვეყნებული სტატია გალაკტიონის შემოქმედებაზე.

➤ 10969

**1948**

**25 დეკემბერი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სალამი ახალგაზრდობას“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 10970

**1948**

**დეკემბერი**

თმა და წვერმოშვებული მგლოვიარე გალაკტიონი შემთხვევით ხვდება იპოლიტე ვართაგავას, რომელიც უსამძიმრებს ძმის გარდაცვალების გამო და ტკივილი რომ არ განუახლოს ლექსებზე ჩამოუგდებს საუბარს. გალაკტიონი პასუხობს, რომ ლექსების წერას ახლა უფრო მეტ დროს უთმობს და ემშვიდობება.

➤ 10971

**1947 ან 1948**

იღებენ ვიდეოფირზე.

➤ 10972

**1948**

საქართველოს სსრ მუსიკალური ფონდი ბეჭდავს შალვა თაქთაქიშვილის მუსიკის ნოტებს გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე „მაისის სიმღერა“ („გაჰქრა ზამთარი გულთ გამყინველი...“). ტექსტს ახლავს შალვა თაქთაქიშვილისეულივე რუსული თარგმანი.

➤ 10973

**1948**

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ გამოსცემს ბორის სერებრიაკოვის რჩეულ თარგმანებს, სათაურით „საქართველოს პოეტები“, რომელშიც სხვა ცნობილ ქართველ ავტორებთან ერთად იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსები.

➤ 10974

**1948**

უბის წიგნაკში საქართველოს სახალხო პოეტის სახელით წერს მოსკოვის გამომცემლობაში „საბჭოთა მწერალი“ გასაგზავნი განცხადების მონახაზს, რომელშიც ითხოვს 1949 წლის საგამომცემლო გეგმაში ჩაისვას მისი წიგნის „ლექსები და პოემები“ გამოცემა. განზრახული აქვს ამავე განცხადების გაგზავნა გამომცემლობაში „ოგონიოკი“, აგრეთვე უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, სამხრეთ-ოსეთის ავტ. რესპუბლიკის, აფხაზეთის, აჭარის, ჩეხოსლოვაკეთის, იუგოსლავიის და ბულგარეთის სახელმწიფო გამომცემლობების სახელზე.

➤ 10975

**1948**

მეულლესთან ნინო კვირიკაძესთან ერთად დაგვიანებით მიდის მწერალთა კავშირში ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების რუსული თარგმანების განხილვაზე. დარბაზი ფეხზე დგება, პრეზიდიუმში მჯდომი ბესო ჟღენტე საგანგებოდ ჩადის მასთან მისასაღმებლად. გალაკტიონი იქვე ნახულობს და მოიკითხავს გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ თანამშრომლებთან ერთად მყოფ ალექსანდრე ნატროშვილს.

➤ 10976

**1948**

წერს სახელმწიფო გამომცემლობაში წარსადგენი განცხადების მონახაზს, რომელშიც აღნიშნავს, რომ წინა წელს ითხოვა 1948 წლის გეგმაში თავისი თხზულებების მეხუთე ტომის შეტანა,

რომელიც შეიცავს მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ლირიკას და რამდენიმე ადრინდელ პოემას. მიუთითებს, რომ ეს მასალები თანამედროვეობის აქტუალურ საკითხებს ეხება და მათი გამოქვეყნება გვიანდება. ითხოვს, თუ ვერ მოხერხდება ტომის დაბეჭდვა, ცალკე წიგნად მაინც გამოქვეყნდეს ეს მასალები.

➤ 10977

**1948**

რადიოსთან თანამშრომლობის შესახებ 1942 წლის 10 სექტემბრის ჩანაწერს მოგვიანებით მიაწერს, რომ ეს საკითხი ჩაშლილია.

➤ 10978

**1948**

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობას. წერს, რომ მომზადებული აქვს თავისი თხზულებების მეხუთე ტომი, რომელშიც შედის ომამდელი, ომისა და შემდეგდროინდელი ლექსები, დაახლოებით 10 ათასი სტრიქონი და ითხოვს, რომ გამოიცეს 1949 წლის პირველ კვარტალში.

➤ 10979

**1948**

განცხადებით მიმართავს მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობას და ითხოვს, რომ 1949 წლის გეგმაში ჩასვან მისი რუსულენოვანი „რჩეულის“, 5 ათასი სტრიქონის მოცულობის ლექსებისა და პოემების გამოცემა, რომლის პწკარედული თარგმანებიც უკვე მზად აქვს.

➤ 10980

**1948**

ღამის 12 საათსა და 40 წუთზე ნინო კვირიკაძეს უძღვნის სახუმარო ლექსს „ჩემო ნინო, 48 წლის 40 წუთი...“.

➤ 10981

**1948**

წერს ლექსს „იდიდე, მშვიდობავ!“

➤ 10982

**1948**

კითხულობს თევდორე კიკვიძის წიგნს „პატარა მოთხრობა“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 10983

**1948**

კითხულობს ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიას, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 10984

**1948**

წერს ლექსს „ახალგაზრდა ქალი მოხევის“ („ალბად ამგვარი...“).

➤ 10985

**1948**

კითხულობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1948 წლის ცნობარს და წერს 1941 და 1944 წლებში არჩეული აკადემიის ნამდვილი წევრების სიას.

➤ 10986



**1948**

მხატვარი ანატოლი იარ-კრავჩენკო ხატავს გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტს.

➤ 10987

**1948**

ვერის ბაზარში ყიდულობს შავ ლეკვს, მურიკას.

➤ 10988

**1948**

აკეთებს ჩანაწერს საქართველოს უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების შესახებ. აღნიშნავს, რომ ასეთი ორგანიზაციების არსებობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა თანამედროვეობაში. მიუთითებს, რომ ორგანიზაციის მუშაობის გასაძლიერებლად საჭიროა მეტი სისტემურობის დანერგვა მუშაობის პროცესში.

➤ 10989

**1948 ან შემდეგ**

კითხულობს მარიკა ბარათაშვილის ლექსების წიგნს, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. კრებულის პირველ ლექსთან „მთამსვლელების სიმღერა“ წერს შეკითხვას, რამ აიძულა ავტორი ამ ლექსით გაეხსნა თავისი წიგნი და უსადაგებს რამდენიმე პასუხს: შესაძლებელია, რომ ავტორს ის თავის საუკეთესო ლექსად მიაჩნია, ან ავტობიოგრაფიულია და უყვარს რაიმე მოგონების გამო, ან სხვებმა ურჩიეს კრებულის ამ ლექსით დაწყება, ან სხვა უფრო პატრიოტული ლექსით წიგნის გახსნა ტრაფარეტი იქნებოდა, ან ეს თემა ხსნის წიგნის მთელ შინაარსს.

➤ 10990

**1948 ან შემდეგ**

გალაკტიონის გერი – ნუნუ ებანოიძე თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდის კაპიტანია და შეჯიბრებიდან ახალდაბრუნებული ვერ ასწრებს პოლიტეკონომიის გამოცდისთვის მომზადებას. ამიტომ დედამისი – ნინო კვირიკაძე გალაკტიონს სთხოვს, უნივერსიტეტის რექტორს – ნიკო კეცხოველს დაურეკოს და უთხრას, ვითომ ნუნუ ავად არის. გალაკტიონი თხოვნას ასრულებს, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ვითომდა ავადმყოფი ნუნუ იმ დღეს უნივერსიტეტში მიდის, შემთხვევით ხვდება რექტორს, საუბრობენ შეჯიბრების შესახებ და ავადმყოფობის არაფერი ეტყობა.

➤ 10991

**1948 ან შემდეგ**

მოსკოვში წერილს უგზავნის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობის დირექტორ ანატოლი კოტოვსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების რედაქციის გამგე ალექსანდრა რიაზინინას. სთხოვს, რაც შეიძლება სწრაფად შეატყობინონ, შეტანილია თუ არა გეგმაში მისი წიგნის გამოცემა და როდის იქნება საჭირო მისი მოსკოვში ჩასვლა.

➤ 10992

**1948 ან შემდეგ**

წიგნში „ზღვა ახმაურდა“ ლექსების სათაურებს აწერს, მანამდე თხზულებების რომელ ტომში დაიბეჭდა ან თუ საერთოდ არ გამოქვეყნებულა.

➤ 10993

**1948 ან შემდეგ**

კითხულობს შალვა დადიანის მოგონებებს აკაკი წერეთელზე, ინიშნავს აბზაცებს, გარეკანზე კი წერს თავისი ლექსების სათაურებს.

➤ 10994

## 1948 ან შემდეგ

კითხულობს რუსულად ალექსანდრ ეგოლინის წიგნს „საბჭოთა ლიტერატურის ოცდაათი წელი“. აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. შესავალში აღნიშნულ ფრაზას ფრიდრიხ ენგელსის დამოკიდებულებაზე მწერლობასთან დაკავშირებით, აწერს, რომ მან არ იცოდა ქართული ლიტერატურა, მაგრამ შესანიშნავად იცნობდა რუსულ მწერლობას.

➤ 10995

## 1948 ან შემდეგ

კითხულობს ხუტა ბერულავას ლექსების კრებულს. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. ლექსის „მე ვარძიის კიბეებზე ავდიოდი“ სათაურთან აწერს: „წარსულის იდეალიზაცია“, იქვე მოჰყავს თავისი ლექსის „მარმარილო“ პირველი სტრიქონი: „აჰყვე კიბეებს, სადაც სფინქსი ქვებს ეფერება“. წიგნის დასასრულს წერს ვალ. მაჭავარიანის ფრაზას: „ჭკუისაგან გამომიყვანაო“.

➤ 10996

## 1949 ი ა ნ ვ ა რ ი

### 1949

#### 1 იანვარი

რუსულ გაზეთში „ბატუმსკი რაბოჩი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ახალი წლის სიმღერა“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 10997

### 1949

#### 1 იანვარი

გაზეთში „კომუნარი“ იბეჭდება ლექსი „მრავალ ახალ წელს!“.

➤ 10998

### 1949

#### 1 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ახალი წლის სიმღერა“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 10999

### 1949

#### 1 იანვრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს ლეო ქიაჩელის რომანს „ჯოტოს მამა“, ხაზს უსვამს სტრიქონებს და აწერს შენიშვნებს.

➤ 11000

### 1949

#### 4 იანვარი

მანქანაზე აბეჭდინებს, რას საქმიანობდა და რა შედეგები მიიღო განვლილ წელს. აღნიშნულია, რომ 1948 წელს მუშაობდა თხზულებათა მეხუთე ტომზე და რუსულენოვან რჩეულზე, რომელიც უნდა გამოსცეს მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობამ. ნათქვამია, რომ ამავე წელს აფხაზეთში გამოვიდა მისი წიგნი „ზღვა ახმაურდა“.

➤ 11001

### 1949

#### 5 იანვრის შემდეგ

სერგი ჭილაიას წიგნში „ლიტერატურული წერილები“ იბეჭდება სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“. ავტორი მიმოიხილავს პოეტის შემოქმედებას 1908 წლიდან და მიჯნავს ორ პერიოდს – რეაქციის დროისა და სოციალისტური რევოლუციის შემდგომს. მსჯელობს ადრეულ პერიოდში პოეტისთვის დამახასიათებელ მისტიკურ-დეკადენტურ განწყობილებაზე, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო „ცისფერყანწელების“ გავლენით და აქედან მომდინარეობდა 1919 წლის კრებულის ბუნდოვანი და უსაგნო ლექსები. ვრცლად მსჯელობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებით პოეტის შთაგონებაზე. აღნიშნავს, რომ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ მისი ოპტიმისტური პოეზიის წყარო გახდა აღორძინებული სამშობლო და საბჭოთა ეპოქამ წარმოშვა მისი ნათელი ლირიკა.

➤ 11002

**1949**

### **5 იანვრის შემდეგ**

კითხულობს სერგი ჭილაიას წიგნს „ლიტერატურული წერილები“ და მის შესახებ სტატიაში ხაზს უსვამს სტრიქონებს, რომ გალაკტიონ ტაბიძემ ბრწყინვალე ლირიკით ახალი ხანა დაამკვიდრა ქართულ მწერლობაში და ახალი ჟღერადობა მისცა ქართულ ლექსს.

➤ 11003

**1949**

### **10 იანვრის შემდეგ**

წინო კვირიკაძესთან ერთად ნახულობს გერმანელი რეჟისორის ჰანს შტაინჰოფის ფილმს „რემბრანდტის ცხოვრება“, რაც მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და ამბობს, რომ ხელოვანისთვის ერთადერთი ბედნიერება არის ღვთისგან ბოძებული ნიჭის მაქსიმალური რეალიზაცია, უბედურებად კი შეიძლება მივიჩნიოთ ამაში ხელისშემშლელი გარემოებანი.

➤ 11004

**1949**

### **21 იანვარი**

გაზეთში „განთიადი“ იბეჭდება ლექსი „ლენინის ხსოვნა“.

➤ 11005

**1949**

### **26 იანვარი**

სამედიცინო შემოწმების შემდეგ სამკურნალო კომისია წერს დასკვნას, რომ გალაკტიონს აქვს მკვეთრად გამოხატული ნევროზი, ჰიპერტონია და კარდიოსკლეროზი.

➤ 11006

**1949**

### **28 იანვარი**

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის კანდიდ ჩარკვიანის 1949 წლის 25 იანვარს წაკითხული მოხსენება, რომელშიც მოხსენიებულია გალაკტიონ ტაბიძე. მოხსენებაში ნათქვამია, რომ საქართველოს საუკეთესო საბჭოთა პოეტებმა სამამულო ომის დროს შექმნეს შესანიშნავი ლექსები საბჭოთა მებრძოლებზე, გმირულ ლენინგრადზე, სტალინგრადის ეპოპეაზე და კავკასიის დაცვაზე.

➤ 11007

**1949**

### **31 იანვარი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომისია ჩუქნის წიგნს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ წარწერთ: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ გალაკტიონ ტაბიძეს კომისიისგან“.

➤ 11008

1949

### 31 იანვრის შემდეგ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კომისიის მიერ ნაჩუქარ წიგნში „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ აკეთებს ხაზგასმებს და განმარტებულ სიტყვებთან მოჰყავს შესაბამისი სათაურები ან სტრიქონები თავისი ლექსებიდან: „აჰანდე! ა, ჩემი ჩანგი თანამგზოვარი, ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“, „იმ დღეებს ძეგლი უნდა აუგო“, „ბრწყინავს თეატრი“, „მიჰქონდათ ბაირალი“, „ცვრიან ბალახში“, „ლურჯა ცხ.“, „ატმის ყვავილები“, „ყოველი ბანდა და კონტრაბანდა“, „როცა გათენდა, გადაადენდა“.

➤ 11009

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1949

### თებერვლამდე

უბის წიგნაკში იწერს ცნობებს ციმბირის შესახებ და იწყებს მუშაობას ლექსზე „ლარიქს სიბირიკა“.

➤ 11010

1949

### თებერვლამდე

უბის წიგნაკში იწერს თავისი თხზულებათა VI ტომის სავარაუდო რედაქტორების გვარებს და ფორმების რაოდენობას. ფიქრობს, რომ 7 ფორმა ძალიან ცოტაა სრულყოფილი ტომისთვის. სახელმწიფო გამომცემლობის სტამბის თანამშრომელ სანდროსგან იგებს, რომ სტამბა გადატვირთულია სახელმძღვანელოებით და იმისათვის, რომ წიგნი დროულად დაიბეჭდოს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაა საჭირო. გალაკტიონი ფიქრობს, რომ წიგნის დაბეჭდვა მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში აჯობებს.

➤ 11011

1949

### 3 თებერვალი

ისმენს გაზეთ „პრავდის“ რადიოგადაცემას, რომელშიც კითხულობენ ვრცელ წერილს იმ კრიტიკოსთა წინააღმდეგ, ვინც არ იწონებს თანამედროვე თემებზე დაწერილ პიესებს, ან გვერდს უვლის მათ. დასახელებულია რამდენიმე გვარი. რადიოგადაცემაში ნათქვამის, რომ ეს სისტემა ანტინაციონალურია. ამ საკითხში გალაკტიონი ეთანხმება „პრავდას“.

➤ 11012

1949

### 3 თებერვალი

რადიოთი ისმენს იმ პროზაიკოსთა სიას, რომელთაც 1948 წელს გამოსცეს წიგნები. აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლეო ქიაჩელს და მის რომანს „მთის კაცს“. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ რომანი იბეჭდებოდა სათაურით „ჯოტოს მამა“. რადიოგადაცემის მსვლელობისას ითქვა, რომ „როსმე სახელოვანი ქართული პოეზია წელს ჩამორჩა“, რადგან პოეტებს არა აქვთ დამუშავებული კონკრეტული თემები, რაც გალაკტიონის აღმფოთებას იწვევს, იგი თვლის, რომ ეს „აშკარა გამოსვლაა პოეზიის წინააღმდეგ პროზის სასარგებლოდ“, მისთვის ეს დამაფიქრებელი ამბავია, მაგრამ გასაგები. არკვევს, რომ რადიოგადაცემის ტექსტი სიმონ ჩიქოვანს ეკუთვნის.

➤ 11013

**1949**

**15 თებერვლამდე**

წინა წლის ოქტომბერში მისთვის ნაჩუქარ უბის წიგნაკში წინო კვირიკაზე უწერს, რომ მოიგონოს იგი იმდენჯერ, რამდენჯერაც ლექსს დაწერს და ხელს აწერს: „შენი „ნუცია“.

➤ 11014

**1949**

**15 თებერვლამდე**

წერს სტროფს, რომლის ჩამატებას ვარაუდობს ლექსში „მამულო, სიცოცხლო“.

➤ 11015

**1949**

**15 თებერვლამდე**

მუშაობს უსათაურო ლექსზე „სანაპიროზე, ზვირთების ხმაზე“.

➤ 11016

**1949**

**15 თებერვალი**

წერს მეექვსე ტომში დასაბეჭდად გამზადებული ლექსებისა და პოემების სიას რომელზეც მუშაობა დაასრულა და იქვე უთითებს სტრიქონების რაოდენობას.

➤ 11017

**1949**

**15 თებერვალი**

მისი ტომის მბეჭდავებისთვის ადგენს მასალის განლაგების პრინციპებს. მოითხოვს, რომ ყველა ლექსი გვერდის შუაში დაიბეჭდოს, მარცხნიდან და მარჯვნიდან თანაბარი დაშორებით, ყოველი ახალი თავი უნდა დაიწყოს ახალი გვერდიდან, თუნდაც წინა თავის ბოლოში დიდი თავისუფალი ადგილი იყოს დარჩენილი.

➤ 11018

**1949**

**17 თებერვალი**

წერს უსათაურო ლექსს „როცა იგრძნობს, რომ ჯიბეში ფული მაქვს...“.

➤ 11019

**1949**

**18 თებერვალი**

სტუმრობს მეზობლად მცხოვრები მწერალი ქალის – მარიამ გარიყულის ოჯახს, სადაც შეესწრება როგორ მღერიან მარიამის რძალი გულიკო (ქეთევან) მეტრეველი-რატიანისა და მარიამის დისშვილი მარგარიტა წეროძე შეუძლოდ მყოფი მწერლის გასამხიარულებლად ძველ ქართულ სიმღერებს. გალაკტიონს ძალიან მოსწონს მათი ნამღერი და სთხოვს შეასრულონ ივანე კერესელიძის ლექსზე დაწერილი სიმღერა „ახ მეზურნევ“. ქალბატონები ასრულებენ პოეტის თხოვნას და მისივე თხოვნით რამდენჯერმე იმეორებენ. ამის შემდეგ გალაკტიონი შემსრულებლებს უძღვნის ექსპრომტს სახელწოდებით „გულიკოს (ქეთევანს), მარგარიტას“.

➤ 11020

**1949**

**18 თებერვალი**

ფურცელზე იწერს მღებავის მოსწრებულ გამოთქმას ბევრი ლაპარაკის მოყვარული ადამიანების შესახებ.

➤ 11021

**1949**

**21 თებერვალი**

გობრონ ციციშვილი (აგარელი) უძღვნის და უბის წიგნაკში უწერს ლექსს „პატარა ტოროლა“.

➤ 11022

**1949**

**21 თებერვალი**

ოქტომბერში მისთვის ნაჩუქარ უბის წიგნაკში ნინო კვირიკაძე უწერს: „მარად გახსოვდეს შენი „ნუცია“!

➤ 11023

**1949**

**24 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსები „შენ გვაჩუქე სიცოცხლე“, „საბჭოთა ქვეყანას“ და პოემის ნაწყვეტის ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11024

## მ ა რ ტ ი

**1949**

**2 მარტამდე**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მეცნიერებათა აკადემიაში პეტრე შარიაშვილი დაცინვით ჰკითხა გიორგი ახვლედიანს, გული როგორ გაქვსო.

➤ 11025

**1949**

**2 მარტი**

სამკურნალოდ წვება კარდიოლოგიის ინსტიტუტში.

➤ 11026

**1949**

**5 მარტის შემდეგ**

ლავრენტი ბერიას წიგნში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ III თავთან, რომელშიც საუბარია რეაქციის ეპოქის სტალინისეულ შეფასებაზე, წერს ავტობიოგრაფიის ფრაგმენტს იმის შესახებ, რომ ოქტომბრის რევოლუციის დროს ხშირად გაისმოდა მისი ლექსის სახელწოდება „დროშები ჩქარა“, რომ ამ ლექსს მთელი ისტორია აქვს და საბჭოთა კავშირის ყველა ენაზეა ნათარგმნი. იმ დროს სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც 10 წლით ადრე სწავლობდა სტალინი. 1908 წელს რედაქტორობდა არალეგალურ ხელნაწერ ჟურნალს „შუქი“, რომლის გარშემო შემოკრებილი იყვნენ რევოლუციონერი სემინარიელები.

➤ 11027

**1949**

**8 მარტამდე**

უბის წიგნაკის პირველ გვერდზე რუსულად წერს, რომ ზედმიწევნით ძვირფასია ყოველი დღე.

➤ 11028

**1949**

## **8 მარტამდე**

უბის წიგნაკში წერს იმ გორაკების, გორების, მთების და მთის მწვერვალების სიას, რომელზეც ასულა, სიაში ჩამოთვლილია 62 გორაკი და მთა.

➤ 11029

**1949**

## **8 მარტამდე**

უბის წიგნაკში პუნქტებად სქემატურად ინიშნავს ბავშვობის მოგონებას სათაურით „რიონზე“. მოგონება 41 პუნქტისგან შედგება.

➤ 11030

**1949**

## **8 მარტი**

უბის წიგნაკში წერს, რომ საღამოს „ალექსანდროვის ბაღში“ გაიცნო ვინმე სევერიანე ლიპარტელიანი, რომელმაც წვერის გაპარსვა ურჩია.

➤ 11031

**1949**

## **10 მარტამდე**

მოსკოვიდან იღებს მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის დეპეშას მისი თარგმანების წიგნთან დაკავშირებით. სთხოვენ მასალის ჩატანას.

➤ 11032

**1949**

## **10 მარტი**

უბის წიგნაკში წერს, რომ კინოთეატრში გადის მხატვრული ფილმი „ცხოვრება რემბრანდტისა“ და ხატავს კინოთეატრის სცენას.

➤ 11033

**1949**

## **10 მარტი**

უბის წიგნაკში წერს ბავშვობის პატარა მოგონებას, იხსენებს გლახაკს რომელმაც ბავშვობაში უთხრა უცნაური სიტყვა „კანასტა“. ვარაუდობს სიმონ ყაუხჩიშვილისა და კორნელი კეკელიძის ნაშრომებში მოიძიოს ეს სიტყვა. ნინო კვირიკაძე ეუბნება მოხუცი ბაბუასგან გაგონილ გამოცანას, რომელშიც მსგავსი ჟღერადობის სიტყვები არის და ამ გამოცანას იწერს უბის წიგნაკში. აქვე ინიშნავს მასალებს კოზმან ათონელის შესახებ.

➤ 11034

**1949**

## **10 მარტი**

მკურნალობს კარდიოლოგიის ინსტიტუტში. მის პალატაში პაციენტი აკაკი ბაღათურია ხმამაღლა იწყებს პოეტის ლექსების კითხვას. დაინტერესებული პაციენტები სხვა პალატებიდანაც შემოდიან და გალაკტიონს ოვაციას უწყობენ. პოეტი ძალიან ნასიამოვნები რჩება.

➤ 11035

**1949**

## **10 მარტის შემდეგ**

მოსკოვიდან იღებს თავისი მომავალი რუსულენოვანი თარგმანების წიგნის რედაქტორის იგორ პოსტუპალსკის წერილს. სწერს, რომ ჯერ კიდევ იანვარში ელოდა მის მოსკოვში ჩასვლას, მაგრამ არც ჩავიდა და არც შეეხმიანა. ინტერესდება, ჯანმრთელობის პრობლემები ხომ არ აქვს ან

პწკარედების თარგმანი ხომ არ გაჭიანურდა. აცნობებს, რომ სასურველია მისი მოსკოვში ჩასვლა და მასალის სრულად ჩატანა მარტის ბოლოსთვის, რომ აპრილში მუშაობა დაიწყონ და ზაფხულში წიგნი დასაბეჭდად მზად იყოს. სწერს, რომ ქართული ენის თვითმასწავლებელი იშოვა, კითხვა ისწავლა და ახლა ბევრი რამის გარკვევა ქართულ ტექსტში თავადვე შეუძლია, მაგრამ არა აქვს ქართულ-რუსული ლექსიკონი.

➤ 11036

1949

11 მარტი

კარდიოლოგიის ინსტიტუტის პაციენტი აკაკი ბაღათურია ფურცელზე უწერს თავის მისამართს.

➤ 11037

1949

11 მარტი

უბის წიგნაკში წერს, რომ „ალექსანდროვის ბაღში“ შეხვდა მიტროფანე ლალიძეს. ინიშნავს ამ შეხვედრის და საუბრის დეტალებს და იქვე წერს რითმას: გურული – ჩაბალახით მობურული.

➤ 11038

1949

11 მარტი

უბის წიგნაკში იწერს აკაკი ბაღათურიას მისამართს და აღნიშნავს, რომ მას უნდა გაეგზავნოს წიგნები.

➤ 11039

1949

11 მარტის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს მეექვსე ტომში გამოსაქვეყნებელი 10 პოემის სათაურს: „რიდ ფარმი“, „აკაკი წერეთელი“, „ჟუგა და ასიდა“, „ბამბურა მურა“, „სანაპირო“, „9 მაისი“, „1941“ („მამული, სიცოცხლე“), „1942 წ.“, „მოხევის ქალი“ და „ხრამჭესი“. შემდეგ „რიდ ფარმს“ ცვლის პოემით „ორი ლელო“.

➤ 11040

1949

11 მარტის შემდეგ

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ 1 მაისს ბათუმში კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან, გიორგი ახვლედიანთან და მეცნიერებათა აკადემიის სხვა წარმომადგენლებთან ერთად უნდა დაესწროს ღონისძიებას.

➤ 11041

1949

11 მარტის შემდეგ

კინოთეატრ „რადიუმში“ ვარაუდობს გამართოს გამოფენა სახელწოდებით „გალაკტიონი“, ითვლის კინოთეატრში არსებული ადგილების რაოდენობას და ასკვნის, რომ გალერეის გარდა კინოთეატრში დაახლოებით 800 ადგილია.

➤ 11042

1949

13 მარტი



უბის წიგნაკში იწერს ვასილ კაპანაძის სიტყვებს, გალაკტიონის ჯანმრთელად ყოფნაა მთავარი, თორემ მასთან შედარებით ჩვენ ისეთივე უმნიშვნელოები ვართ, როგორც ანდაზაშია ნათქვამი: „მინდორშია ქინძარაო, გინდ ყოფილა, გინდ არაო“.

➤ 11043

**1949**

**25 მარტამდე**

კარდიოლოგიის ინსტიტუტის ექიმი-კარდიოლოგი გივი კორინთელი უსვამს დიაგნოზს, რომ გულის კუნთის ფუნქციის მუშაობა აქვს დაქვეითებული.

➤ 11044

**1949**

**25 მარტამდე**

უბის წიგნაკში წერს ლექსს, რომელიც გულის ღრმა ტკივილს უკავშირდება.

➤ 11045

**1949**

**25 მარტამდე**

რუსული გაზეთებიდან უბის წიგნაკში იწერს ცნობებს ანრი ბარბიუსის საფლავის შესახებ.

➤ 11046

**1949**

**25 მარტამდე**

რუსული გაზეთებიდან უბის წიგნაკში იწერს კრიტიკულ შეხედულებებს მიხეილ ლუკონინის პოემის შესახებ.

➤ 11047

**1949**

**25 მარტამდე**

რუსული გაზეთებიდან უბის წიგნაკში იწერს ინფორმაციას პაველ ლუბაევის მიერ მორდოვულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის შესახებ.

➤ 11048

**1949**

**25 მარტი**

უბის წიგნაკში გაზეთიდან იწერს ცნობას, რომ 26 მარტს შედგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელზეც განიხილება 1948 წლის ქართული საბჭოთა ლიტერატურის მუშაობის შედეგები.

➤ 11049

**1949**

**25 მარტი**

ეწერება კარდიოლოგიის ინსტიტუტიდან, სადაც 24 დღე მკურნალობდა. გაწერისას ხელი მოაწერინეს დოკუმენტზე, რომელიც მისი შრომისუნარიანობის დაკარგვას ეხება. ნერვიულობს, რადგან თვლის, რომ ეს დოკუმენტი სჭირდებათ მის ლიტერატურულ მტრებს, რომელთაც სურთ, რომ მან მწერალთა კავშირში აღარ იმუშავოს.

➤ 11050

**1949**

**25 მარტი**

უმის წიგნაკში რუსულად იწერს ანატოლი ლენსკის ლექსს „ეკალიპტი“.

➤ 11051

## აპრილი

1949

### 4 აპრილი

რადიოთი ისმენს მეცხრამეტე საუკუნის რუსი კომპოზიტორის მილი ბალაკირიოვის სიმფონიურ პოემას „თამარი“.

➤ 11052

1949

### 5 აპრილის შემდეგ

კითხულობს ივან ტურგენევის წიგნს „გაზაფხულის ნიაღვრები“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. დასასრულს წერს, რომ არათუ მისი პოეზიის გაგება, მისი სახელის სწორად დაწერაც არ ეხერხებათ.

➤ 11053

1949

### 7 აპრილი

თავისი თხზულებების მეექვსე ტომის რედაქტორ გრიგოლ აბაშიძეს გადასცემს პოემებს.

➤ 11054

1949

### 10 აპრილი

უმის წიგნაკში წერს, რომ რკინიგზის ქალთა მეორე სკოლა გეგმავს მისი ლიტერატურული სადამოს მოწყობას ნაძალადევის მუშათა კლუბში, რომლის დირექტორი არის სანდრო ეულის ბიძაშვილი ქურდიე. სადამოს მოწყობაზე მუშაობს მასწავლებელი თამარ ცაგარელი, რომელსაც ეხმარება კრიტიკოს ლავროსი კალანდაძის მეუღლე და მარიამ გარიყულის შვილი ცუცუნა კალანდაძე. აღნიშნავს, რომ ნაძალადევის კლუბის გამგედ მუშაობს ცნობილი არტისტის არჩილ გომიაშვილის ძმა ილია გომიაშვილი. წერს, რომ გამოვა კედლის გაზეთი და სპეციალური ხელნაწერი ჟურნალი. აღნიშნავს, რომ კინოგადაღებას უხელმძღვანელებს დავით რონდელი, რომელიც თამარ ცაგარელის ნათესავია. კმაყოფილია, რომ სპეციალურ თემებს შეემატა თემა: „გალაკტიონ ტაბიძე, როგორც ახალი ეპოქის შემქმნელი ქართულ მწერლობაში“, რომელიც სერგი ჭილაიას ახალი წიგნის მიხედვით დამუშავდება.

➤ 11055

1949

### 15 აპრილი

კინოთეატრში უყურებს ჯუზეპე ვერდის ცხოვრებაზე გადაღებულ კინოფილმს „ერთი სიცოცხლის ისტორია“.

➤ 11056

1949

### 15 აპრილი

კინოთეატრშია. ფილმის დაწყებამდე ლოჯაში ორი სტუდენტი გოგონა შედის და ეცნობა. ერთერთს, გვარად ცოფურაშვილს სადიპლომო თემად არჩეული აქვს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება, რომლის ერთი თავი ნოვატორობას შეეხება, სადაც იგი ზოგადად წერს გალაკტიონის ნოვატორობის შესახებ, მაგრამ უნდა უფრო კარგად განავითაროს ეს თემა და რჩევას სთხოვს. გალაკტიონი წუხს, რომ ფილმის დაწყებამდე ბევრი ვერაფერი უთხრა სტუდენტს.

➤ 11057

1949

### 15 აპრილი

რუსულ გაზეთში “ზარია ვოსტოკა” იბეჭდება ცნობა, რომ 26 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით მუშაობდა საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელმაც განიხილა „1948 წლის ქართული საბჭოთა ლიტერატურა“. სტატიაში ნათქვამია, რომ პოეზიის შესახებ მოხსენება გააკეთა კარლო კალაძემ, რომელმაც ახსენა გალაკტიონ ტაბიძის პატრიოტული პოეზია, მაგრამ არ დაუსახელებია მისი არც ერთი ნაწარმოები.

➤ 11058

1949

### 16 აპრილი

უბის წიგნაკში იწერს შთაბეჭდილებებს წინა დღეს ნანახი ფილმის შესახებ. აღნიშნავს, რომ ფილმის შესავალში იყო ფრაზა: „Яркий драматизм Верди“. იწყებს სიტყვისთვის „Яркий“ ქართული შესატყვისების შერჩევას. თვლის, რომ ქართულ თარგმანში ვერდის დრამატიზმს ამ სიტყვის ყველა მნიშვნელობა შეეფერება. აღნიშნავს, რომ საქართველოში ხშირად ურევენ ერთმანეთში პესიმიზმს და დრამატიზმს. სვამს კითხვას: რა არის პესიმიზმი, რა არის დრამატიზმი, რა განსხვავებაა მათ შორის, განა შექსპირის დრამატიზმი პესიმიზმის ტურია? იხსენებს, რომ მისი წიგნის გამოსვლისთანავე კრიტიკა ორ ფრთად დაიყო, პირველნი ალექსანდრე აბაშელი და ხომლელი აღნიშნავდნენ მისი ნაწარმოებების დრამატიზმს, ხოლო მეორე ფრთა – მიხეილ წულუკიძე, აკაკი პაპავა და სხვები ლაპარაკობდნენ მის პესიმიზმზე.

➤ 11059

1949

### 16 აპრილი

უბის წიგნაკში აღწერს შეხვედრას კინოთეატრში, სადაც სტუდენტმა ქალებმა მისი ნოვატორობის შესახებ დაუსვეს კითხვა. მსჯელობს, თუ რა არის ნოვატორი. წუხს, რომ ერთი ხეირიანი წერილიც არ არის მის ნოვატორობაზე. თვლის, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა გაიშალოს აკაკი წერეთლის ფრაზა მის შესახებ, რომ იგი ბევრი სიახლის შემომტანია ქართულ მწერლობაში.

➤ 11060

1949

### 16 აპრილის შემდეგ

მასწავლებელი თამარ ცაგარელი უამბობს ნამძალადევის მუშათა კლუბში დაგეგმილი ლიტერატურის სადამოსთვის ჩატარებული სამუშაოს შესახებ. სთხოვს, რომ სადამოს დაესწრონ მწერლები. გალაკტიონი ცოტა დაბნეულია, არ იცის ვის შეიძლება მიმართოს ამ თხოვნით.

➤ 11061

1949

### 16 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს ქართული წვლილის შესახებ ბიზანტიურ ლიტერატურაში.

➤ 11062

1949

### 16 აპრილის შემდეგ

უბის წიგნაკში წერს, რომ მარჯანიშვილის ქუჩის 4 ნომერთან ეზოში აგურის ღობის დაშლის შედეგად გაჩნდა „არალეგალური“ ქუჩა, რაც მოსახლეობას გარკვეულ საფრთხეებს უქმნის, რადგანაც დაირღვა ეზოს სიმყუდროვე და იქ კრიმინალები დათარეშობენ. აგრეთვე არ არის

კმაყოფილი სახლის ფასადის მდგომარეობით, თვლის, რომ იგი საჭიროებს რეკონსტრუქციას, ვინაიდან არ შეეფერება მის წინ მდებარე წიგნის პალატის არქიტექტურას.

➤ 11063

1949

**23 აპრილი**

თავისი თხოვლებების მეექვსე ტომის რედაქტორ გრიგოლ აბაშიძეს გადასცემს მასალის დანარჩენ ნაწილს.

➤ 11064

1949

**27 აპრილი**

„ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში ხვდება ბორის კორნეევს, რომელიც ეუბნება, რომ მალე დაუბრუნდება გამომცემლობის სალიტერატურო ნაწილის გამგის თანამდებობას. შეფიქრებულ გალაკტიონს, უცნაურად ეჩვენება, რომ კორნეევი დროებით ჩამოშორებული იყო თავის მოვალეობას. პოეტი ვარაუდობს, რომ შეიძლება კორნეევს რამე კონფლიქტი მოსვლოდა მისი ლექსების გამო, რომლებიც მხოლოდ სახელის – „გალაკტიონის“ ხელმოწერით იბეჭდებოდა. უხარია, რომ ძველ თანამშრომელს თავის ადგილზე აბრუნებენ და ის პოეტისადმი კეთილგანწყობას ინარჩუნებს.

➤ 11065

1949

**29 აპრილი**

უბის წიგნაკში წერს განცხადების შავ პირს საბინაო სამმართველოს სახელზე, აღნიშნავს, რომ არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და სახალხო პოეტი. წერს, რომ იგი ცხოვრობს ჟორესის ქუჩის 4 ნომერში და არა აქვს საწყობი სხვადასხვა ნივთებისთვის, ამიტომ ნებას ითხოვს ააშენოს იგი საცხოვრებელი სახლის ეზოში.

➤ 11066

1949

**მარტი-აპრილი**

უბის წიგნაკში ინიშნავს მუსიკოს ილიკო ქურხულის მისამართს.

➤ 11067

1949

**აპრილი**

უბის წიგნაკში სათაურით ზარბაზანი აღწერს თბილისის რკინიგზის სადგურთან მდებარე მოედანს, როგორც დედაქალაქის სახეს. ფაეტონების კოფოებზე სთვლემენ მეეტლეები, ცარიელი დუქნის წინ მედუქნე ჩამომჯდარა და მდარე ლიტერატურას კითხულობს. მეკურტნე რაჭველები ხმამაღლა საუბრობენ და წარამარა „ქვე-ქვეს“ გაიმახიან, მილიციელი რაღაც მიზეზით გაცხარებით უსტვენს, უცებ კი ისმის ზარბაზნის დაქუხება, რომელიც 12 საათის შესრულებას აუწყებს ქალაქს.

➤ 11068

1949

**აპრილი**

უბის წიგნაკში იწერს მწერლების ტელეფონის ნომრებს.

➤ 11069

1949

## **აპრილი**

უბის წიგნაკში ინიშნავს რომ სტეკლოგრაფიაში მბეჭდავი როზა 300-მდე გვერდის დაბეჭდვისას გვერდში იღებს 21 კაპიკს, ხოლო 300 გვერდზე მეტის დაბეჭდვისას – 16 კაპიკს.

➤ 11070

## **1949**

### **30 აპრილის შემდეგ**

კითხულობს ნ. ბოკუჩავას წიგნს „ვოკალური ხელოვნების საკითხისათვის“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 11071

## **მ ა ი ს ი**

## **1949**

### **1 მაისამდე**

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში დასაბეჭდად მიაქვს ლექსი „სიმღერა 1 მაისის“.

➤ 11072

## **1949**

### **1 მაისი**

ესწრება საპირველმაისო საღამოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში. აკაკი შანიძის დაჟინებული თხოვნით ადგილს იკავებს პრეზიდიუმში. თვალსაჩინო ადგილას ჯდომა აშფოთებს, რადგან გადაჩვეულია ყურადღების ცენტრში ყოფნას, თავს უხერხულად გრძნობს. მეცნიერებათა აკადემიაში საპრეზიდიუმო მაგიდასთან პირველად არის მიწვეული, ეს დიდი პატივია მისთვის. დასამშვიდებლად ჯიბიდან იღებს ლექსის ხელნაწერებს და თვალს ავლებს. აკაკი შანიძე იგებს რა, რომ ეს საპირველმაისო ლექსია „სიმღერა 1 მაისის“, აუდიტორიის წინაშე მის წაკითხვას სთხოვს, რაც უპრეცედენტოა მეცნიერებათა აკადემიაში. გალაკტიონს უხერხულეზა და აკაკი შანიძე სთავაზობს ლექსის თავად წაკითხვას. ის თვალს გადაავლებს ლექსს და რამდენიმე ცვლილებას სთავაზობს პოეტს, რაზედაც გალაკტიონი ეთანხმება. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ სიტყვას ითხოვს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკაკი შანიძე, აუდიტორიას ამცნობს, რომ გალაკტიონმა ექსპრომტი დაწერა და აპირებს მის წაკითხვას. დარბაზი ცოცხლდება და გაისმის მოთხოვნა, რომ ლექსი გალაკტიონმა თავად წაკითხოს. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი აცხადებს, რომ საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე წაკითხავს ლექსს „პირველი მაისი“. გალაკტიონი მიემართება ტრიბუნისკენ და დარბაზში უეცრად ჩამოვარდნილ სიჩუმეში დინჯად, თავდაჯერებით კითხულობს ლექსს. იმართება ოვაციები. აკადემიკოსები ხელს ართმევენ. გიორგი ახვლედიანი ყოველ პირველ მაისს ლექსით გამოსვლას სთავაზობს. აღტაცებული გალაკტიონი უბის წიგნაკში იწერს: „აკადემიის ტრიბუნიდან პირველად გაისმა პოეტის ხმა... მე გავიმარჯვე.“

➤ 11073

## **1949**

### **1 მაისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს იმ აკადემიკოსების გვარებს, რომლებიც დაესწრნენ მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ სხდომას.

➤ 11074

## **1949**

### **1 მაისი**

საქართველოს რადიო გადასცემს გალაკტიონის ლექსს „პირველი მაისი“.

➤ 11075

**1949**

**1 მაისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სიმღერა პირველი მაისის“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11076

**1949**

**1 მაისი**

გაზეთში „კომსომოლსკაია პრავდა“ იბეჭდება საპირველმაისო ლექსის თარგმანი.

➤ 11077

**1949**

**1 მაისის შემდეგ**

ლექსის „სიმღერა 1 მაისის“ თარგმანი იბეჭდება სომხურ გაზეთში „ხორურდინ ვრასტან“ („საბჭოთა საქართველო“).

➤ 11078

**1949**

**4 მაისი**

წერს მეგობარი მწერლის, გიორგი ქუჩიშვილისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „გიორგი ეხლა...“.

➤ 11079

**1949**

**5 მაისი**

ახალი თარიღით წერს და შეაქვს განცხადება საბინაო სამმართველოში ჟორესის ქუჩის 4 ნომერში, თავისი საცხოვრებელი სახლის ეზოში საწყობი სათავსოს ასაშენებლად ნებართვის მიცემის თხოვნით.

➤ 11080

**1949**

**6 მაისამდე**

უბის წიგნაკში იწყებს პალინდრომებზე მუშაობას („ის ია, თუ ქალაქია“).

➤ 11081

**1949**

**6 მაისამდე**

უბის წიგნაკში იწერს გაგონილ ფრაზებს ვერის აღმართის კიბეებზე ასვლის სირთულესთან დაკავშირებით. როგორც ამბობენ, იქ ასვლაზე უფრო ადვილია ბახმაროში ან იალბუზზე ასვლა და რომ მყინვარწვერზე ასული ადამიანი ასე არ დაღლილა, როგორც ვერის აღმართზე ასვლისას დაიღალა.

➤ 11082

**1949**

**6 მაისამდე**

ხვდება ძველ ნაცნობს გამომცემელ ვასილ გადილიას, რომელსაც 1908 წლის მოგონებათა გეგმას გადასცემს.

➤ 11083

**1949**

## 6 მაისამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ 1182 სტრიქონში და გამომცემლობამ „მოლოდოი სტალინეც“ 12790 სტრიქონში უნდა გადაუხადონ 1319 მანეთი და 90 კაპიკი და 1319 მანეთი და 80 კაპიკი.

➤ 11084

1949

6 მაისი

მხატვარი ვასილ შუხაევი ნოემბერში დაგეგმილი სამხატვრო გამოფენისთვის ასრულებს გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტს.

➤ 11085

1949

6 მაისი

მიდის გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში.

➤ 11086

1949

6 მაისი

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მხატვარი ალექსეი ბალაბუევი გალაკტიონს სთავაზობს მისი პორტრეტის დახატვას ნებისმიერ დროს.

➤ 11087

1949

6 მაისი

უბის წიგნაკში წითელი და ლურჯი ფანქრით ხატავს გადაშლილ წიგნს და ყვავილს. აწერს „სახელგამის წიგნი“ და ათარიღებს 6 მაისი 1949 წელი.

➤ 11088

1949

6 მაისი

უბის წიგნაკში წითელი და ლურჯი ფანქრით ხატავს მამაკაცს, რომელიც კითხულობს წიგნს, აწერს: „სახელგამი“ და ათარიღებს 6 მაისი 1949 წელი.

➤ 11089

1949

9 მაისი

ასწორებს 1946 წლის 25 იანვარს დაწერილ ლექსს „ელეგია“ („ღამეებს ვათევ: კვლავ სიხარულით...“), ქმნის ნაწარმოების ახალ, უსათაურო რედაქციას „ღვინოს არ ვსვამდი, ეხლა დავიწყე...“.

➤ 11090

1949

9 მაისი

უბის წიგნაკში წერს უსათაურო ლექსის „ღვინოს არ ვსვამდი, ეხლა დავიწყე“, რამდენიმე ვარიანტს. ასათაურებს „პოეტების მეფის სიმღერა“, შემდეგ სათაურს შლის. ლექსის ორ ვარიანტს აწერს ხელს და ათარიღებს 1949 წლის 9 მაისი.

➤ 11091

1949

**9 მაისი**

ეცნობა მხატვარ ლევ ლოგაჩს.

➤ 11092

**1949**

**9 მაისი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს, რომ ვიქტორ გოლცევეს დაუწერია სტატია „გიორგი ლეონიძის პოეზია“, რის გამოც გოლცევეს ადარებს მაქციერა ჩიტს.

➤ 11093

**1949**

**9 მაისი ან შემდეგ**

იხსენებს დედამისის სიტყვებს იმის შესახებ, რომ ბატონობა კარგია, რადგანაც თუ საქმე გაფუჭდა, სხვას დააბრალებ, ხოლო თუ გაკეთდა, წარმატებას საკუთარ თავს მიაწერ.

➤ 11094

**1949**

**9 მაისი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს მასალებს თბილისის შესახებ.

➤ 11095

**1949**

**9 მაისი ან შემდეგ**

წერს 1900–1917 წლების მოგონების სქემატურ გეგმას.

➤ 11096

**1949**

**8 მაისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ცხრა მაისის სიმღერა“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11097

**1949**

**9 მაისი**

გაზეთში „ტყვარჩელის მაღაროელი“ იბეჭდება ლექსი „დიდო არმია!“.

➤ 11098

**1949**

**9 მაისი**

მიდის ნამძალაღევის მუშათა კლუბში სადაც აღინიშნება „პრესის დღე“. ორგანიზატორები თხოვენ პრეზიდიუმში აბრძანებას და ლექსის წაკითხვას. კითხულობს თხოვულებათა პირველ ტომში დაბეჭდილ ლექსს „პრესა“.

➤ 11099

**1949**

**9 მაისი**

გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება ლექსის „გამარჯვების დღე“ (გორი) თარგმანი.

➤ 11100

**1949**



## 9 მაისის შემდეგ

მასწავლებელ თამარ ცაგარელს გალაკტიონთან მიაქვს ნამალადევის მუშათა კლუბში 15 მაისს 5 საათზე დაგეგმილი ლიტერატურის სადამოსთვის გამზადებული მოსაწვევი ბარათი და პროგრამა. გალაკტიონი იგებს, რომ სკოლის თითქმის ყველა მოსწავლემ მოინდომა საკუთარი ლექსის წაკითხვა და მასწავლებელი და დირექტორი ძლივს აუდიან ლექსების გასწორებას. მოსწავლე მერი მიქაბერიძეს პროგრამაში ჩასამატებლად მიაქვს გალაკტიონის თხზულებათა მესამე ტომის კლიშე.

➤ 11101

1949

10 მაისი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ჩვენი გამარჯვება“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11102

1949

10 მაისი

ხვდება გენადი მიხელაძეს, რომელთანაც ერთად სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.

➤ 11103

1949

10 მაისი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებს, ეძებს ამ სიტყვების ძირებს და ქმნის ახალ აბსტრაქტულ არსებით სახელებს.

➤ 11104

1949

10 მაისი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს რომ მისი ახალი წიგნიდან ამოღებულია ორი ლექსი: „ცხენი“ და „გახსოვდეს მარად“.

➤ 11105

1949

10 მაისი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს რომ ნამალადევის კლუბში დაგეგმილ სადამოზე უნდა მოხდეს ფოტოფიქსაცია მომხსენებლების, მომღერლების, ლექსებით გამომსვლელების, სპექტაკლის. ასევე გადაღებულ უნდა იქნას მისი ფოტოები სხვადასხვა ჯგუფებთან ერთად, მომხსენებლებთან, მისი გამოსვლა ტრიბუნასთან და ყვავილების მირთმევის მომენტი.

➤ 11106

1949

12 მაისამდე

სახელგამის დირექტორს ნიკო კიკნაძეს 1949 წლის გამოსაცემი წიგნების გეგმაში შეაქვს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მეექვსე ტომი. ალექსანდრე ჭეიშვილი მწერალთა კავშირში მწერლებს აცნობს ამ გეგმას და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი ამტკიცებს.

➤ 11107

1949

12 მაისი

თხზულებათა მეექვსე ტომი გადაეცემა სახელგამის საწარმოო სექტორს, რომლის ერთ-ერთ ცეხს ხელმძღვანელობს იარალოვი.

➤ 11108

**1949**

**12 მაისი ან შემდეგ**

რვეულში წერს გრიბოედოვის, ლენინის და ვაჟა-ფშაველას ციტატებს განათლების შესახებ საკუთარი კომენტარებით, რის შემდეგაც წერს ნაწყვეტებს საკუთარი ლექსებიდან წიგნის შესახებ, აღნიშნავს, რომ აქვს დაუბეჭდავი პოემა წიგნზე. ჩანაწერის ბოლოს აღნიშნავს, რომ სახელმწიფო გამომცემლობას დასაბეჭდად გადასცა თხზულებათა მეექვსე ტომი.

➤ 11109

**1949**

**12 მაისი ან შემდეგ**

თავისი თხზულებების მეექვსე ტომის მაკეტი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მიაქვს რედაქტორ გრიგოლ აბაშიძესთან. იგი აღტაცებით ამბობს, რომ მშვენიერი წიგნი გამოვა და კითხვას იწყებს.

➤ 11110

**1949**

**12 მაისი ან შემდეგ**

გალაკტიონის თხზულებების მეექვსე ტომის რედაქტორი გრიგოლ აბაშიძე რეზოლუციას ადებს წიგნს და ასაწყობად გადასცემს ნიკო კვიციანიძეს, რომელიც სტრიქონებს ითვლის.

➤ 11111

**1949**

**12 მაისი ან შემდეგ**

რვეულში წერს უსათაურო ლექსს მეექვსე ტომის შესახებ („ცხრაას ორმოცდა ცხრა. გზა გავიგნეთ...“).

➤ 11112

**1949**

**14 მაისი**

თხზულებათა მეექვსე ტომის ხელნაწერი ასაწყობად გადაეცემა გაზეთ „კომუნისტის“ სტამბას.

➤ 11113

**1949**

**15 მაისი**

სალამოს ხუთი საათისთვის მიდის ნამალადევის მუშათა კლუბში. ესწრება მისდამი მიძღვნილ, რკინიგზის ქალთა მეორე სკოლის მოსწავლეების მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ ღონისძიებას. ისმენს უფროსი კლასის მოსწავლეების მომზადებულ თემებს. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ერთ-ერთი გოგონას – მეათე კლასელი ლ. ქუმელაშვილის მიერ წაკითხული მოხსენება „გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფია“. ამ შთაბეჭდილების შედეგად პოეტი წერს გოგონასადმი მიძღვნილ ლექსს „ჩემს ნორჩ ბიოგრაფს ლ. ქუმელაშვილს“. ლიტერატურული სალამოს შემდეგ იმართება ბანკეტი, რომელიც ღამის სამ საათამდე გრძელდება. პოეტს ასაჩუქრებენ პალეხელების მიერ მოხატული სამელნიით და ვერცხლის კალმისტრით. ასევე გადასცემენ მისი და მისი შემოქმედების შესახებ დაწერილ ექვს მოხსენებას და ათ ლექსს.

➤ 11114

**1949**

## 15 მაისის შემდეგ

ზესტაფონის რაიონის მეორე სვირის საშუალო სკოლაში მისაწვევად სახლში აკითხავენ მასწავლებელი თამარ ცაგარელი და მოსწავლე მერი მიქაბერიძე. პოეტის მეუღლე ნინო კვირიკაძე მათ პოეტის კაბინეტში შეუძღვება. გალაკტიონს სანთელი უნთია და ისე გატაცებით მუშაობს, რომ სტუმრების მისვლას ვერც იგებს. ცოტა ხნის შემდეგ დგება, დარაბას ალებს, ნაცნობ მასწავლებელს ესალმება და სტუმრობის მიზეზს ეკითხება. მიწვევაზე თანხმდება და ახლადდაწერილ ლექსსაც უკითხავს „ცხოვრების გზაზე მენავეს ტალღა სცემს ნაონავარი...“ შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი მერი მიქაბერიძე იმავე დღეს წერს გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსს და სკოლაში პოეტთან შეხვედრაზე კითხულობს.

➤ 11115

1949

## 16 მაისი

უბის წიგნაკში წერს, რომ არასოდეს დაავიწყდება 15 მაისის ლიტერატურული საღამო, რომელიც ნამალადევის მუშათა კლუბში ჩატარდა რკინიგზის ქალთა მეორე სკოლის ორგანიზებით. ფიქრობს, რომ ხალხს იგი უყვარს. უსიამოვნოდ ახსენდება მხოლოდ ის, რომ სწყუროდა და წყალი 3 საათის დაგვიანებით მიუტანეს. მიუხედავად დიდებული ბანკეტისა და საჩუქრებისა, გული სწყდება, რომ ვერ მოხერხდა ფოტო და კინოგადაღება.

➤ 11116

1949

## 16 მაისი

მეექვსე ტომი გადაეცემა „კომუნისტის“ რედაქციის სტამბას.

➤ 11117

1949

## 16 მაისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ინფორმაციას ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე კონსტანტინე ჭიჭინაძესა და შალვა აფხაზიშვილს შორის გამართული პოლემიკიდან მეტაფორებისა და მსოფლმხედველობის შესახებ. იხსენებს საკუთარ აზრს დრამატიზმსა და პესიმიზმზე. შემდეგ ახსენდება პუშკინის ფრაზის „ნიჭი ამაო, ნიჭი შემთხვევითი“ ირგვლივ გამართული პოლემიკა. სურვილი უჩნდება მოიძიოს ბესარიონ ბელინსკის წერილი და რუსეთის ეკლესიის პატრიარქ ფილარეტის ლექსი.

➤ 11118

1949

## 16 მაისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს სიტყვის „გადაიქცა“ 9 სხვადასხვა მნიშვნელობას.

➤ 11119

1949

## 16 მაისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს რომ ქალაქ ჭიათურის პირველი საშუალო სკოლის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და სურთ მისი საღამოს მოწყობა.

➤ 11120

1949

## 22 მაისი

ნინო კვირიკაძესთან ერთად არის მცხეთაში და ადიან სარკინეთში, სადაც გათხრების შედეგად მნიშვნელოვანი ისტორიული მასალა იქნა აღმოჩენილი.

➤ 11121

1949

23 მაისი

წერს მონახაზს ლექსისათვის „ახალგაზრდობას“.

➤ 11122

1949

25 მაისამდე

წერილს იღებს გრიგოლ ორახელაშვილისგან, რომელიც აპირებს მისი ბიოგრაფიის დაწერას ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული მოვლენების ფონზე. წერილთან ერთად უგზავნის 70 გვერდის მოცულობის პირველ თემას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია“. ძალიან სთხოვს, რომ ყველაფერი წაუშალოს, რაც არ მოეწონება და დროულად დაუბრუნოს ჩასწორებული, რადგან ამის გარეშე ვერ იწყებს მუშაობას მეორე თემაზე „ინდუსტრიალიზაცია“.

➤ 11123

1949

25 მაისი ან შემდეგ

წერილს იღებს გრიგოლ ორახელაშვილისგან, რომელიც წერს მის ბიოგრაფიას ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული მოვლენების ფონზე. სწერს, რომ საბოლოო ჩასწორებამდე მანქანაზე გადაბეჭდვას არ გეგმავს, რადგან ძვირი ჯდება. აცნობებს, რომ უნდოდა თემების „სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია“, „კულტურული რევოლუცია“ და „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“ ერთად მიტანა, მაგრამ გადაწყვიტა ჯერ პირველი თემა მიეტანა, რომ გაეგო, რაიმე ხომ არ არის შესაცვლელი ან სხვა თემებში გადასატანი. სწერს, რომ მისი 1925-1933 წლების ბიოგრაფიული ცალკეული ელემენტები უკვე შეტანილი აქვს თავში „სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია“ ამავე წლების სხვა ბიოგრაფიული ფაქტების შეტანას კი აპირებს მომდევნო თავებში. ამიტომ დამთხვევები და აზრობრივი წინააღმდეგობები არ იქნება. სთხოვს, რომ აცნობოს თავისი აზრი.

➤ 11124

1949

26 მაისი

თავისი თხზულებების მეექვსე ტომის ბეჭდვასა და აკინძვაზე პასუხისმგებელ პირს, ზაქარია პაპუკაშვილს გაზეთ „კომუნისტის“ სტამბაში გადასცემს ამ ტომში შესატან გასწორებულ პოემას „აკაკი წერეთელი“.

➤ 11125

1949

26 მაისი

ჩადის ჭიათურაში მომდევნო დღეს დანიშნულ ლიტერატურულ საღამოზე დასასწრებად. რკინიგზის სადგურზე მოსწავლეები და ქალაქის მოსახლეობა თაიგულებით ხვდებიან და აბინავებენ ალექსანდრე შანიძის ოჯახში.

➤ 11126

1949

27 მაისი

იმყოფება ლიტერატურულ საღამოზე ჭიათურაში და კიდევ ერთ ღონისძიებაზე დასასწრებად იქვე რჩება.

➤ 11127

**1949**

**27 მაისი**

იმყოფება ჭიათურაში. წერს ლექსს „შავი ოქროს ქალაქი“.

➤ 11128

**1949**

**27 მაისი**

ჭიათურის პირველი საშუალო სკოლის დირექციის, მშობელთა კომიტეტისა და ლიტერატურის შემსწავლელი წრის ინიციატივით ჭიათურის პირველ საშუალო სკოლაში ეწყობა შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან. საზეიმო შეხვედრა 7 საათსა და 30 წუთზე იწყება. ჭიათურის ახალი თეატრის შენობიდან ძველ თეატრამდე მოსწავლეები პოეტს ყვავილებს უფენენ და აჰყავთ ლამაზად მორთულ სცენაზე. უძღვნიან აკროსტიქს „გაუმარჯოს გალაკტიონს“. პოეტი კითხულობს „მთაწმინდის მთვარეს“ და ექსპრომტად დაწერილ ლექსს „შავი ოქროს ქალაქი“. შემდეგ მოსწავლეები დაფნის გვირგვინით ამკობენ. პოეტი უსაზღვროდ ბედნიერია და ჰპირდება მათ, რომ ყოველი წლის 27 მაისს ესტუმრება. ჭიათურლები შორაპნის სადგურზე აცილებენ. სადგურზეც დიდძალი ხალხი იკრიბება. გალაკტიონი გამომშვიდობებისას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ნატო მუმლაძეს შუბლზე და ხელზე ეამბორობა და კიდევ ერთხელ იმეორებს დაპირებას, რომ სიამოვნებით ეწვევა მათ ყოველ წელს.

➤ 11129

**1949**

**28 მაისი**

ისევ ჭიათურაშია. თბილისში მყოფ ნინო კვირიკაძეს კი გაზეთიდან „პრავდა“ მისდის უწყება გალაკტიონისთვის ჰონორარის გამოწერის შესახებ.

➤ 11130

**1949**

**28 მაისის შემდეგ**

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ 28 მაისს გაზეთში „ჭიათურელი მალაროელი“ გამოქვეყნდა ა. ფერაძისა და მ. თაბაგარის სტატია „ერთი დღე მარგანეცის ქალაქის ცხოვრებიდან“, რომელშიც აღწერილია ჭიათურაში მისი ჩასვლა.

➤ 11131

**1949**

**31 მაისამდე**

უბის წიგნაკში იწერს რომ „ალპინისტების კლუბის“ დარბაზი, რომელიც კიროვის სახელობის პარკში მდებარეობს, იტევს 80 კაცს.

➤ 11132

**1949**

**31 მაისი**

სახელგამში ხვდება სიმონ წვერავას, რომელიც ახალი ჩამოსულია აფხაზეთიდან, სადაც მწერალთა გამომცემლობას ხელმძღვანელობს. გალაკტიონი ეუბნება, რომ აპირებს აფხაზეთისადმი მიძღვნილი წიგნის „ზღვა ახმაურდა“ მეორე ნაწილის გამოცემას, რაზედაც სიმონ წვერავა პასუხობს, რომ პირველი წიგნი კარგია, მაგრამ აფხაზეთის სახელგამში არ მოსწონთ მისი ყდის გაფორმება, კერძოდ კი უჩა ჯაფარიძის ნახატი.

➤ 11133

**1949**

**მაისის ბოლო**

უბის წიგნაკში იწერს სხვადასხვა ცნობებს მაღაროელების შესახებ.

➤ 11134

1949

**მაისის ბოლო**

უბის წიგნაკში წერს: „ქართული მწერლობის 100 ვეტერანი გალაკტიონ ტაბიძეს“ და, როგორც ჩანს, ფიქრობს ამ მასალის შეგროვებას.

➤ 11135

1949

**მაისის ბოლო**

გაიცნობს და უბის წიგნაკში იწერს 78 წლის ჭიათურელი მაღაროელის სამსონ კუპატაძის სახელსა და გვარს. აღნიშნავს, რომ ის ტიპური ზემო იმერელია და იქვე წერს მისდამი მიძღვნილ ერთ სტროფს.

➤ 11136

## ი ვ ნ ი ს ი

1949

**1 ივნისამდე**

უბის წიგნაკში წერს უსათაურო ლექსებს: „დაბა იმერეთის სიციხე გაგანია“ და „მთაში მოკრეფილ ყვავილთა კონა“.

➤ 11137

1949

**1 ივნისამდე**

უბის წიგნაკში წერს სიტყვას „დინება“, იქვე უთითებს 1927 წლის წიგნის „ლექსები“ 36-ე გვერდზე დაბეჭდილ ლექსს, რუსულ-ქართული ლექსიკონის გვერდს 1022 რომელზეც ამ სიტყვის რუსული მნიშვნელობაა და აპირებს ასევე მისი განმარტების მოძიებას სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში.

➤ 11138

1949

**1 ივნისს ან შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს დოცენტ თამარ ნუცუბიძის ნაშრომს „შავი ზღვა“.

➤ 11139

1949

**1 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს მასალებს, რომლებიც გამოსადეგია ინდუსტრიალიზაციის თემის დასამუშავებლად.

➤ 11140

1949

**3 ივნისი**

გაზეთში „ჭიათურის მაღაროელი“ იბეჭდება ლექსი „შავი ოქროს ქალაქი“.

➤ 11141

1949

**5 ივნისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ალექსანდრ პუშკინისადმი მიძღვნილი ლექსის „გულითადი მაღლობა!“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11142

1949

7 ივნისი

თხოვნით მიმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, უშუამდგომლონ მცხეთის სასოფლო საბჭოსთან, რათა გამოუყონ მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლისა და ეზოს მოსაწყობად.

➤ 11143

1949

7 ივნისი

განცხადებით მიმართავს მცხეთის სასოფლო საბჭოს და ითხოვს მცხეთაში მიწის ნაკვეთის გამოყოფას საცხოვრებელი სახლისა და ეზოს მოსაწყობად.

➤ 11144

1949

10 ივნისი

მცხეთის მკვიდრი მოქალაქე მრევლიშვილისგან სამი თვით თვეში 400 მანეთად ქირაობს ოთახს სამზარეულოთი და აფორმებს მასთან ხელშეკრულებას.

➤ 11145

1949

23 ივნისი

სამსონ ფირცხალავა ჩუქნის თავის წიგნს „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში 40-6 ს.ს. ძვ. წ.“ წარწერით: „სასიქადულო ქართველ პოეტს, ძვირფას გალაკტიონ ტაბიძეს, რომლის პირველი ლექსი მე გამოვაქვეყნე ჩემს ჟურნალში, გულით ვუძღვნი ამ ჩემს ნაშრომს“.

➤ 11146

1949

25 ივნისამდე

უბის წიგნაკში იწერს გიგო ხეჩუაშვილის მისამართს.

➤ 11147

1949

25 ივნისამდე

უბის წიგნაკში აღწერს ლიხის ახალი სადგურის ხედებს, აღნიშნავს რომ ლიხი ცვარ-ნამითაა დაფარული და მთები სხვანაირია და რომ მზის ამოსვლის შემდეგ იქაური მთები „ჰგვანან მერანის საფრენებს“.

➤ 11148

1949

25 ივნისამდე

კითხულობს გრიგოლ ორახელაშვილის ნაშრომს მისი შემოქმედების შესახებ და უბის წიგნაკში იწერს შენიშვნებს. აღნიშნავს, რომ შესაძლებელი იყო ელექტროფიკაციაზე უკეთესი ლექსის შერჩევა, გაკვირვებულია, რომ ორახელაშვილი წერს მის მონაწილეობაზე ზაჰესის არხის გაყვანაში, აკვირვებს „პაციფიზმიდან“ მიწის თხრაზე უადგილოდ მოყვანილი სტრიქონები, მაშინ როდესაც იქ არსებითად პაციფიზმის დასამარება იგულისხმება.

➤ 11149

**1949**

**25 ივნისი**

მიდის მწერალთა კავშირში, სადაც არავინ არის აივანზე „მოლაყბე“ ქალების გარდა.

➤ 11150

**1949**

**25 ივნისი**

მიდის სახელმწიფო გამომცემლობაში სადაც ესაუბრება აკაკი შანიძეს, გალაკტიონის ჩივილზე, რომ მერვე კლასის სახელმძღვანელოში სხვა პოეტების ათ-ათი ლექსია დაბეჭდილი, ხოლო მისი – მხოლოდ ერთი, შანიძე პასუხობს, რომ ეს სრულებით არაფერს ნიშნავს და ერეკლე მეფესა და გლეხის საუბარს უყვება: მეფე ერეკლემ მის მასპინძელ გლეხს უთხრა, რომ იგი ბედნიერია, რადგან 10 ვაჟი ჰყავს, ხოლო გლეხმა უპასუხა, ნეტავ ერთი შვილი მყავდეს და თქვენისთანაო. ეს მოსწრებული მონათხრობი გარშემომყოფთა სიცილს იწვევს. გალაკტიონი იმდენად კმაყოფილია, რომ საუბარს უბის წიგნაკში იწერს.

➤ 11151

**1949**

**25 ივნისი**

მიდის გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქციაში, სადაც არავინ არ ხვდება ახალგაზრდა პოეტ ვახტანგ გორგანელის გარდა. მაგიდაზე თვალს მოკრავს მოსკოვიდან ამავე გაზეთის საჩივართა განყოფილებაში გამოგზავნილ წერილს და გულში ფიქრობს, რომ არავინაა წამკითხველი.

➤ 11152

**1949**

**25 ივნისს ან შემდეგ**

კითხულობს საქართველოს თეატრალური საზოგადოების თეატრის, დრამატურგიისა და კრიტიკის კაბინეტის გამგის როდიონ ქორქიას წერილს გერონტი ქიქოძის სახელზე, რომელშიც იგი ატყობინებს, რომ 7 ივლისს დღის 2 საათზე დანიშნულია საქართველოს თეატრალური საზოგადოების საბჭოთა თეატრის, დრამატურგიისა და კრიტიკის კაბინეტის აქტივის სხდომა. წერილს სიტყვასიტყვით იწერს უბის წიგნაკში.

➤ 11153

**1949**

**25 ივნისს ან შემდეგ**

ელენე ტყემელაშვილი უბის წიგნაკში უწერს მისდამი მიძღვნილ საკუთარ ლექსს რომელშიც სთხოვს დაწეროს ლექსი მშვიდობაზე ისე, როგორც ამაზე ამბობს ჰერბერტ უელსი.

➤ 11154

**1949**

**25 ივნისს ან შემდეგ**

იპოლიტე ვართაგავა უბის წიგნაკში უწერს მოკლე დახასიათებას, რომელშიც ნათქვამია, რომ აკაკი წერეთელმა გალაკტიონი „უნიჭიერეს ახალგაზრდა პოეტად აღიარა“. ის მშვიდი, წყნარი, მორიდებული ადამიანია, პოეტ-მწერალთა არც ერთ დაჯგუფებაში არ ურევია. ცხოვრობს და მუშაობს განმარტოებულად, ის არ არის კომბინაციის ადამიანი, „კვაჭობას“ მისი ზნეობრივი ბუნება არ ითმენს. ყოველგვარი ინტრიგა სამარცხვინოდ მიაჩნია და სხვ.

➤ 11155

**1949**

**25 ივნისის შემდეგ**



უბის წიგნაკში ინიშნავს „აკადემ-წიგნის“ ბიბლიოთეკაში დაცულ გამოცემებს: სარგის კაკაბაძე „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“ პირველი და მეორე ტომები და 1907 წლის „კავკასიის კალენდარი“.

➤ 11156

**1949**

**თებერვლიდან 30 ივნისამდე**

აგრძელებს მუშაობას ლექსზე „ლარიქს სიბირიკა“, წერს ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტს.

➤ 11157

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „სანაპიროზე, ზვირთების ხმაზე...“.

➤ 11158

**1949**

**30 ივნისამდე**

სახელმწიფო გამომცემლობას აბარებს თხზულებათა რვატომეულის მეექვსე ტომს და იწყება წიგნის რედაქტირება.

➤ 11159

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „უცნობ მეომართა სამარე უღელტეხილზე“.

➤ 11160

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „დროშები მაღლა!“.

➤ 11161

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „ო, ხეო სიმართლისაო“.

➤ 11162

**1949**

**30 ივნისამდე**

ასწორებს 1939 წლის 7 ოქტომბერს დაწერილ უსათაურო ლექსს ლექსს „აფხაზეთის მთებს ქალაქთ ღრუბელით...“. ტექსტზე მუშაობის შედეგად იქმნება ნაწარმოების ახალი ვარიანტი, უსათაურო ლექსი „სად ელლინელთა მთაა – გიმნეტი...“.

➤ 11163

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ნუ გვინდა...“.

➤ 11164

**1949**

**30 ივნისამდე**

ასწორებს 1946 წელს დაწერილ ლექსს „რკალიდან „ამწვანებული კომბალი“. ნაწარმოების ახალ ვარიანტს, სათაურით „ტურა-მელა“ („გზა მთებისგან გადიხარა...“), ამზადებს თხზულებათა რვატომეულის მეექვსე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 11165

**1949**

**30 ივნისამდე**

მუშაობას აგრძელებს ლექსზე „ასის წლისანი“ („მრავალ არიან ჩვენში კაცნი...“), რომელიც 1948 წლის 6 აპრილს პოემისაგან „სინათლის ყვავილი“ დამოუკიდებელ ნაწარმოებად გამოჰყო. ასწორებს ამ ლექსს და ამზადებს მას თხზულებათა რვატომეულის მეექვსე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 11166

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „მეომარი“ (მტერი გვეომებოდა, რა გინდა, საიდანა...“).

➤ 11167

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „იცოცხლე კიდევ ას წელიწადს!“ („ტყეს არასოდეს სიცოცხლე არ გამოეცლება...“).

➤ 11168

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „ერთგული ცხენი“ („აქ ხუროთმოძღვარს მისმა მონამ...“).

➤ 11169

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „განძები ტყეებში“ („რამდენი განძი ავდრიანით გაჰქრა ამინდით...“).

➤ 11170

**1949**

**30 ივნისამდე**

ასწორებს 1935 წელს, საფრანგეთში ყოფნის დროს დაწერილ უსათაურო ლექსს „მახსოვს, ოდესღაც ზღვაზე...“. ნასწორებ ტექსტს, სათაურით „ოქროს ქნარი“, ამზადებს თხზულებათა რვატომეულის მეექვსე ტომში დასაბეჭდად.

➤ 11171

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „ათასი წელი – ერთი წუთი“ („რაც ერთი ათას წელს უბრუნდება...“).

➤ 11172

**1949**

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „მრავალშვილიან დედას“ (მრავალშვილიან დედას ახსოვს მრავალი ჯვარცმა...“).

➤ 11173

1949

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „ძველი რედაქტორი“ („განთიადია. ასე საცნაურს...“).

➤ 11174

1949

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „დიდება უშბას“ („ალტაცების ხმა მოსცა ხევმა, ღრმამა და ქუშმა...“).

➤ 11175

1949

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „ცაცხვი ზღვის პირად“ („წვიმით ოდეს შრიალია ცაცხვისა...“).

➤ 11176

1949

**30 ივნისამდე**

წერს ლექსს „განთიადი“ („სოფლად მგზავრობა მომელის...“).

➤ 11177

1949

**30 ივნისი**

სახელმწიფო გამომცემლობა ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეექვსე ტომის დასაბუქდად გადაცემის ნებართვას, რის შემდეგაც იწყება წიგნის გამოცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤ 11178

1949

**30 ივნისის შემდეგ**

იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეექვსე ტომი, რომელშიც შედის 63 ლექსი და 3 პოემა. ეს ნაწარმოებებია: „ახალგაზრდობას“, „ისევ ახალგაზრდობას“, „სანაპიროზე, ზვირთების ხმაზე“, „ჩვენი საზღვრები გადმოილახა“, „მარგვლას რომ მორჩა გლეხოზა“, „გაშლიდა გაზეთს“, „ო, ვიგრძენი თუ არა ჟამთა სიალმაცერე“, „უხსოვარ ხნით“, „ოდეს ართობს მტერს“, „ცდა ხალხის ღონის“, „რატომღაც, როცა არემარეს გრგვინვა გაჰქონდა“, „ვით არ ვადიდო ქვეყანა ჩემი“, „განვლო მაისმა“, „დგება ახალი წელი“, „მე ამ მაისის სულ ახალი ვიგრძენ ნათელი“, „დიდება კიდევ ქალაქს და სოფელს“, „მრავალ ჟამიერ გუგუნებდეს ხმა“, „მშობლიურ ჩანგებს დაუგდე ყური“, „ვით, სამშობლო, არ ვადიდო“, „ქვეყნად ამიერთ ბნელის მაშუქარი“, „ხმას ვაძლევ სტალინს“, „დროშები მაღლა, სულ მაღლა, მაღლა“, „შავი ოქროს ქალაქი“, „და ჩემს სამშობლოს იქით კი“, „მოსკოვი“, „უცნობ მეომართა სამარე“, „უღელტეხილზე“, „ადამიანი“, „სად ელლინელთა მთაა – გიმმეტი“, „ორი ლელო“, „ასის წლისანი“, „ასი წლის ჭადარი“, „იცოცხლე კიდევ ას წელიწადს“, „გზით, ჩვენ მიერ გაკვალილით“, „იდიდე, სამშობლოვ, იდიდე“, „ჰიმნი ქართულ ანბანს“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“, „ოქროს თასი ორნამენტებით“, „განძები ტყეებში“, „ბუხართან“, „დიდება უშბას“, „მეწყერი“, „ვდგევარ ხომლის კლდეზე“, „ძველი რედაქტორი“, „მე რომ მკითხოხონ“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „უძო“, „კუმისი“, „ოქროს ქნარი“, „და არის ქვეყნები სხვა, რომელთაც არა აქვთ ზღვა“, „მრავალშვილიან დედას“, „ტალღაო, ჩემო ლამაზო ტალღა“, „რა კარგია, სამშობლოვ“, „მეომარი“, „ყარაია“, „ტურა-მელა“, „განთიადი“, „Larix sibirica“, „ერთგული ცხენი“, „თუ საქმე მიდგა ცხენზედა“, „შესდგა ცხენი“, „მხედარი ქალი“, პოემები: „აკაკი წერეთელი“, „ჟუგა და ასიდა“ და „ბამბურა მურა“. წიგნი სრულდება ლექსით „ეგ არის და გორის ციხე“.

➤ 11179

1949

**30 ივნისის შემდეგ**

წერს მოკლე ავტობიოგრაფიას ქართულ და რუსულ ენებზე.

➤ 11180

**ი ვ ლ ი ს ი**

1949

**1 ივლისი**

რვა ათას მანეთს აძლევს ინჟინერ-მშენებელს 18 კვ.მ ავტოფარეხის ასაშენებლად.

➤ 11181

1949

**1 ივლისი**

გაზეთ „კომუნისტის“ სტამბაში აწყობილია თხზულებათა მეექვსე ტომი, მაგრამ გამორჩენილია პოემა „აკაკი წერეთელი“, რომელიც სტამბაში ზაქარია პაპუკაშვილს უნდა მიეტანა. გალაკტიონი მისგან იგებს ამის შესახებ და იძულებულია, თავად მიიტანოს პოემა სტამბაში. ის აღშფოთებულია, რომ ადამიანი, რომელსაც წიგნის ბეჭდვისა და აკინძვის პროცესის მეთვალყურეობა ევალება, უყურადღებობას იჩენს და მის გამო დაშვებული შეცდომის გამოსწორებას ერთი კვირა დასჭირდება.

➤ 11182

1949

**1 ივლისი**

ესაუბრება მეექვსე ტომის რედაქტორს, გრიგოლ აბაშიძეს, რომელიც ატყობინებს, რომ 2 ივლისს ხუთი დღით მიემგზავრება ლიკანში.

➤ 11183

1949

**1 ივლისი**

გაზეთ „კომუნისტში“ კითხულობს გერასიმე ფირცხალავას წერილს ბესარიონ ჟღენტის შესახებ და ეთანხმება მის აზრს, რომ ბესარიონ ჟღენტი უპრინციპო კრიტიკოსია, მაგრამ თვლის, რომ თავად სტატის ავტორი, კომუნისტური პარტიის წევრი ფირცხალავა მეღანქოლიურია, ისევე, როგორც სხვა ყველა ქართველი კრიტიკოსი: შალვა დადიანი, ერემია ასტვაცატუროვი, ბესარიონ ჟღენტი, გიორგი აბზიანიძე, ლევან ასათიანი, განსაკუთრებით კი გიორგი ნატროშვილი და სიმონ ჩიქოვანი. აღნიშნავს, რომ ენციკლოპედიაში კარგად არის დაწერილი სტატია მეღანქოლიის შესახებ და იხსენებს რუსი პოეტი-ფუტურისტის, ალექსეი კრუჩონიხის წიგნს «Малохолія в капоте». მის სათაურში მეღანქოლიურობასთან შერწყმულია სიტყვა малохольный, რომელიც აღნიშნავს არანორმალურს, სუსტს, სულებს, უცნაურობებისა და გადახრების მქონეს.

➤ 11184

1949

**1 ივლისი**

იწყებს ავტოფარეხის მშენებლობას, რითაც აღტაცებულია და უბის წიგნაკში წერს, რომ ეს მისი პირველი პრაქტიკული წამოწყებაა.

➤ 11185

1949

**1 ივლისს ან შემდეგ**

მასთან მისული ბიძაშვილის სიმონ ტაბიძის თხოვნით უკავშირდება ვიქტორ კუპრაძეს. უხსნის, რომ მისი ბიძაშვილის შვილს ზეინაბ ტაბიძეს მათემატიკაში ნიშანი დააკლეს და ოქროს მედალი

დააკარგინეს და სთხოვს, რომ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარებისას მასზეც გავრცელდეს ოქროს მედალოსნის უფლებები. ვიქტორ კუპრაძე თანხმდება, რომ შეხვდეს გოგონას.

➤ 11186

1949

## 2 ივლისი

ზის კაფეში „მეტრო“ ლენინის ქუჩაზე, რომელსაც თვითონ კაფე „რაჭუნკას“ ეძახის. უბის წიგნაკში წერს, რომ მარმარილო ბევრად უფრო გამძლეა ვიდრე ქალაღი, ადარებს მათ თვისებებს, ასკვნის, რომ მარმარილო უკვდავია და აინტერესებს ქართული მარმარილოს თვისებები.

➤ 11187

1949

## 2 ივლისის შემდეგ

ხვდება მიხეილ ჩიქოვანი, რომელიც ეუბნება, რომ რუსულ ენაზე გამოცემული ქართული პოეზიის ანთოლოგიის შემდგენლები ფოლკლორული მასალებით მან მოამარაგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის არც შემდგენელთა შორისაა ნახსენები და არც ჰონორარი მიუღია. მიხეილ ჩიქოვანის აზრით, ეს ყველაფერი სიმონ ჩიქოვანის ოინებია. იგი აცნობებს გალაკტიონს, რომ წიგნის გავრცელების შემდეგ იგეგმება ანთოლოგიის განხილვა მეცნიერებათა აკადემიაში. გალაკტიონი ფიქრობს, რომ დისკუსია ახლო ხანში არ ჩატარდება, რადგან წიგნს მხოლოდ ავტორებს ურიგებენ. მიაჩნია, რომ გამომცემლები რაღაცას უფრთხიან და ანთოლოგიას ფართო საზოგადოებას უმაღავენ. იხსენებს ძმისშვილის, ნოდარ ტაბიძის ნათქვამს, რომ წიგნი უნივერსიტეტში იყიდებოდა და მალევე დაიტაცეს.

➤ 11188

1949

## 2 ივლისის შემდეგ

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გამომცემლობა „მხატვრული ლიტერატურა“ ვიქტორ გოლცევისა და სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობით რუსულ ენაზე ბეჭდავს წიგნს „საქართველოს პოეზია“, რომელშიც სხვა ქართველი პოეტების თხზულებებთან ერთად წარმოდგენილია გალაკტიონის ლექსები: „გურიის მთები“, „მე და ღამე“, „ლურჯა ცხენები“, „როდესაც საღამოს...“, „ლენინი“, „განახლებული საქართველოს სიმღერა“, „აფხაზეთი“, „პირველი მაისი“, „ანრი ბარბიუსი ანტიფაშისტურ კონგრესზე“, „მთებში“, „ოქტომბრის ოცდაათი წლისთავისადმი“, „ფიცი“.

➤ 11189

1949

## 2 ივლისის შემდეგ

კითხულობს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნს „საქართველოს პოეზია“. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. სარჩევთან აღნიშნავს, რომ 41 მთარგმნელის მიერ არის ლექსები ნათარგმნი და ანბანურად ჩამოწერს გამოცემაში დაუბეჭდავი 44 პოეტის სიას:

➤ 11190

1949

## 5 ივლისი

იწყებს ავტოფარების შენებას.

➤ 11191

1949

## 7 ივლისი

აკითხავს მასწავლებელი ნიკოლოზ ჯიბლაძე და აცნობებს, რომ პიონერებისა და მოსწავლეების შეხვედრა მასთან შედგება 17 ივლისს 7 საათზე პლენარის კლუბში.

➤ 11192

1949

10 ივლისი

ამოწმებს პირველი ივლისიდან 9 ივლისის ჩათვლით მცხეთაში დასვენებისას მიღებულ გაზეთებს: „პრავდა“, „იზვესტია“, „კომსომოლსკაია პრავდა“, „ლიტერატურნაია გაზეთა“, „უჩიტელსკაია გაზეთა“, „მოლოდოი სტალინეც“, „ზარია ვოსტოკა“, „კომუნისტი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „სახალხო განათლება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, აღნიშნავს, რომ აკლია გაზეთ „იზვესტიას“ ერთი ნომერი, ყველა სხვა გაზეთი სრულად მიიღო და სამი გაზეთი ზედმეტიც კი არის. აინტერესებს ყოველდღიურ გაზეთებს რატომ იღებს სხვადასხვა დღეებში.

➤ 11193

1949

14 ივლისამდე

კითხულობს ანატოლი მილლერის წიგნს „თურქეთის უახლესი ისტორიის ნარკვევები“, აკეთებს ხაზგასმებს. წიგნის ფორზაცზე წერს, რომ უნდა შედგეს მოსწავლეების მასთან შეხვედრა პლენარის სახელობის კლუბში, აინტერესებს პარტიულ ნიკოლოზ ჯიბლაძეს ხომ არ აქვს რაიმე კავშირი გიორგი ჯიბლაძესთან. ჩამოწერს 17 ივლისს გასამართ სადამოზე გამომსვლელთა სიას: კალე ბობოხიძე, ვერა შუბლაძე, ანდრო თევზაძე, მარიამ გარიყული, იონა ვაკელი, ილია ხოშტარია, ანა ღვინიაშვილი. საჭიროდ მიაჩნია ყველა მწერლისა და მარჯანიშვილის ქუჩის №4-დან მისი ეზოს პიონერების დაპატიჟება, რომ სადამო დემონსტრაციად და ზეიმად გადაიქცეს. ➤ შიშობს, რომ ვერ მოესწრება, რადგან თვითონაც უნდა მოემზადოს და არ იცის, შეგნებული აქვთ თუ არა სადამოს მომწყობებს, ვისთან აქვთ შეხვედრა.

11194

1949

16 ივლისი

მთავრდება მისი ავტოფარეხის მშენებლობა და შედეგა.

➤ 11195

1949

17 ივლისამდე

უბის წიგნაკში იწერს, რომ 17 ივლისს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა დასვენებისა და კულტურის პარკში ლიტერატურული წრე უწყობს შეხვედრას, რომელსაც დაესწრებიან მედალოსანი რუსი ბავშვები. შეხვედრის ორგანიზატორია ნიკოლოზ ჯიბლაძე, რომელთანაც გალაკტიონი არკვევს მოხსენების თეზისების, აფიშებისა და პროგრამების საკითხებს.

➤ 11196

1949

17 ივლისი

7 საათზე პიონერთა და მოსწავლეთა კულტურის პარკში ტარდება მასთან შეხვედრა.

➤ 11197

1949

19 ივლისი

განცხადებით მიმართავს მცხეთის რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს. წერს, რომ აქვს მცხეთაში დასახლების სურვილი და ითხოვს დახმარებას სახლის აშენებაში.

➤ 11198

**1949**

**21 ივლისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „დიდ სტალინს“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11199

**1949**

**22 ივლისი**

ავად უხდება მეუღლე, ნინო კვირიკაძე.

➤ 11200

**1949**

**23 ივლისი**

მცხეთაში მგზავრობს ავტობუსით, რომელიც ჩერდება მტკვრის პირას გაშენებულ ილია მრევლიშვილის ბაღის წინ, ჩადის ბაღის დასათვალიერებლად. ბაღში მრავლად არის ხეხილის ხეები, რაც ძალიან მოსწონს. იხსენებს, როგორ მიადგნენ ბაღს მტკვრის პირიდან ნავებით რუსები და ალუბლის ხეებს ტოტები დაამტვრიეს.

➤ 11201

**1949**

**23 ივლისი**

სეირნობს მცხეთის ბაზარში და რვეულში ინიშნავს იქ მოსმენილ მისთვის საინტერესო წინადადებებს.

➤ 11202

**1949**

**23 ივლისი**

ახსენდება, რომ პუშკინის გამოფენაზე ნახა ნახატი „მცხეთობა“, რომელზეც კარგად არის გამოსახული მესტვირე, რომელსაც უსმენენ გლეხები. არ ახსოვს ვინ არის ნახატის ავტორი და აპირებს ამის გარკვევას თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორ ნიკოლოზ ბადრიაშვილთან.

➤ 11203

**1949**

**23 ივლისი**

მცხეთაში სეირნობისას ახსენდება ხალხური ლექსი არსენა მარაბდელზე და ერთ სტრიქონს იწერს რვეულში: „მოუბრუნდება არსენა, კამეჩივით შეუბღვერსა“.

➤ 11204

**1949**

**23 ივლისი**

მცხეთაში სტალინის ქუჩის 8 ნომერთან, სადაც გალაკტიონმა საზაფხულო აგარაკი იქირავა ხვდება ორ ქალს, რომელთაგან ერთერთს აგრესიულმა კამეჩმა ფეხი დაუზიანა. გალაკტიონი ესაუბრება ამ ქალებს, შემდეგ კი კამეჩის პატრონს, მოხუც კოლმეურნეს, რომელსაც ეს კამეჩი ბაწრით ტუჩებგაკრული და რქებზე ბაწარშემოხვეული მიჰყავდა. მოხუცმა უამბო, რომ მის გარდა ამ კამეჩს ვერავინ ეკარება, არის ძალიან ურჩი და ყველას ერჩის, განსაკუთრებით ინტელიგენციას, ქალებსა და ბავშვებს. დასაკლავად არ ემეტება, რადგან მუშა ძალაა, მაგრამ ვერც ყიდის, რადგანაც ყველამ გაიგო მისი აუტანელი ხასიათის შესახებ. ნინო კვირიკაძეს აშინებს მოხუცი გლეხის ნაამბობი და დიასახლისის გამოელაპარაკება დეტალების დასაზუსტებლად. დიასახლისი

პასუხად სხვა უფრო აგრესიული კამეჩის ამბავს უყვება მათ, რომელმაც მცხეთის ახალი გზის მშენებელი მუშები აითვალწუნა და ერთერთი კინალამ მოკლა.

➤ 11205

**1949**

**23 ივლისი**

მცხეთაში გალაკტიონის მეუღლეს ნუნუ კვირიკაძეს უწევს სიციხე. მანამდე გრიპით ავადმყოფობდა მისი ქალიშვილი – ნუნუ ებანოიძე.

➤ 11206

**1949**

**23 ივლისი**

უნდა რომ ნიკო მარის ყოფილმა სტუდენტებმა უამბონ, როგორი იყო მარი ლექციების კითხვის დროს. ფიქრობს, რომ ამის შესახებ გარკვეული მასალები არის თავად ნიკო მარის წიგნში „იაფეტური სემინარები“. იხსენებს, რომ ნიკო მარის ყოფილი სტუდენტები არიან ვარლამ დონდუა და კარპეზ დონდუა.

➤ 11207

**1949**

**27 ივლისი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა თხოვნით მიმართავს მცხეთის რაიალმასკომის თავმჯდომარეს, რომ გალაკტიონ ტაბიძეს მცხეთაში გამოეყოს სამოსახლო ნაკვეთი ინდივიდუალური მშენებლობისათვის.

➤ 11208

**1949**

**29 ივლისი**

განცხადებით მიმართავს სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოს. წერს, რომ მარჯანიშვილის ქუჩის 4 ნომერში მდებარე მის ბინაში ზედა სართულებიდან ჩამოსული წყლით ჩამორეცხილი და ჩამონგრეულია სამზარეულოსა და სააბაზანოს ჭერი და დაზიანებულია ნივთები. ითხოვს შესაბამის რეაგირებას.

➤ 11209

**1949**

**29 ივლისი**

მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს აწვევენ საავადმყოფოში. ჰგონიათ, რომ აქვს ტიფი. მაგრამ აღმოჩნდება ანთება.

➤ 11210

**1949**

**31 ივლისამდე**

იწყებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „თვლებში უკრთის ნაზი ცვარი ცის“. სათაურად აწერს ჯერ „ბავში პირველ მაისს“, შემდეგ „მაისი და ბავშვები“.

➤ 11211

**1949**

**31 ივლისამდე**

უბის წიგნაკში იწერს ფრაზას, რომელიც მეუღლის ნინო კვირიკაძის დედამ ეკატერინე ღვინჯილია-კვირიკაძემ უთხრა შვილისშვილ ნუნუ ებანოიძეს: „ოი, რა ფოც-მოტოვებული ხარ“.



იქვე ინიშნავს უცხო სიტყვის მნიშვნელობას: ფოც-მოტოვებული – ჩქარი. აკავშირებს მას სიტყვასთან მოტორი და იწყებს ლექსის წერას სათაურით „მოტო“.

➤ 11212

**1949**

**31 ივლისამდე**

თხზავს პიერ კობახიძისადმი მიძღვნილ ლექსს, რომლის წარწერას აპირებს მისთვის საჩუქრად გადასაცემ წიგნზე.

➤ 11213

**1949**

**31 ივლისი**

გაუმართავი უთოს გამო შინ გადაეწევა ელექტროგაყვანილობა. წუხს და ამ ფაქტს იწერს უბის წიგნაკში.

➤ 11214

**1949**

**31 ივლისი**

მიდის საავადმყოფოში ავადმყოფი მეუღლის, ნინო კვირიკაძის მოსანახულებლად.

➤ 11215

## ა გ ვ ი ს ტ ო

**1949**

**11 აგვისტო ან ადრე**

მის მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს ექიმები უსვამენ ფილტვების დისიმინირებული ქვემწვავე ტუბერკულოზის დიაგნოზს და უნიშნავენ წამალ სტრეპტომიცინს, რომელიც არ იშოვება.

➤ 11216

**1949**

**11 აგვისტო**

მეუღლისთვის, ნინო კვირიკაძისთვის სტრეპტომიცინის საშოვნელად მიდის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ზაქარია კეცხოველთან, რომელიც სამსახურში არ ხვდება. გალაკტიონი წერს განცხადებას წამლის თხოვნით და ტოვებს მისაღებში.

➤ 11217

**1949**

**11 აგვისტოს შემდეგ**

მეუღლისთვის, ნინო კვირიკაძისთვის ტუბერკულოზის წამლის საშოვნელად ხვდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეს ზაქარია კეცხოველს, რომელიც ურჩევს მეუღლეს უშოვოს საგზური ცემში, კეჩხოვში ან გაგრაში.

➤ 11218

**1949**

**11 აგვისტოს შემდეგ**

უბის წიგნაკის ფორზაცზე ბიბლიოგრაფიისთვის იწერს 1948 წლის 8 მარტის პუბლიკაციას გაზეთში „ნორჩი ლენინელი“ რომელშიც მისი და მრავალი თაობის აღმზრდელი პედაგოგის ილია ფერაძის ფოტოებია გამოქვეყნებული.

➤ 11219

**1949**

**13 აგვისტომდე**

კითხულობს ლიტერატურული სადამოს აფიშას, რომელიც 13 აგვისტოს 9 საათზე უნდა გაიმართოს მედიცინის მუშაკთა ვოროშილოვის სახელობის კლუბში. უბის წიგნაკში იწერს ამ ინფორმაციას და გამომსვლელთა ვინაობას.

➤ 11220

**1949**

**13 აგვისტომდე**

უბის წიგნაკში წერს, რომ მისი ლექსების თარგმანების ღირსება მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული თავად ლექსების დონით, რადგან „ოქრო - ტალახშიაც ოქროა“. იქვე ინიშნავს ლევ ტოლსტოის ნათქვამს, რომ ლერმონტოვის ლექსმა „ბოროდინო“ მისცა იმპულსი, დაეწერა უზარმაზარი რომანი „ომი და მშვიდობა“.

➤ 11221

**1949**

**13 აგვისტომდე**

უბის წიგნაკში წერს, რომ ქართულ ლიტერატურაში ის არის ლექსების ციკლებად პუბლიკაციის ფუძემდებელი და ჩამოთვლის საკუთარ წიგნებს, რომლებშიც ლექსები დაბეჭდილია ციკლებად. ფიქრობს, რომ თუ კრიტიკა ამ ფაქტს არ აღნიშნავს და ამორდება ამ გზას, იგი იქნება ყალბი, მიუღებელი, გზასამცდენი და შვეა ჩიხში.

➤ 11222

**1949**

**15 აგვისტო**

მეუღლისთვის, ნინო კვირიკაძისთვის სანატორიუმის საგზურის სათხოვნელად დიდხანს ელოდება ჯანმრთელობის დაცვის მინისტრ ალექსანდრე ხელიძეს და უბის წიგნაკში წერს ერთსტროფიან ლექსს „ხელიძესთან“.

➤ 11223

**1949**

**17 აგვისტო**

წერს ლექსს „ჟღერს აღმართი“ („ბარათაშვილის ჟღერს აღმართი...“).

➤ 11224

**1949**

**17 აგვისტო ან შემდეგ**

ნინო კვირიკაძე მილიარული ტუბერკულოზის დიაგნოზით წევს თბილისის პირველ საავადმყოფოში. გალაკტიონი გვერდიდან არ შორდება და ექიმი ალექსანდრე წულუკიძე იძულებულია პალატაში საწერი მაგიდა დაუდგას. იქ ყოფნისას პოეტი მეუღლეს ორ პატარა ლექსს უწერს.

➤ 11225

**1949**

**17 აგვისტო ან შემდეგ**

მოსკოვში კალათბურთელთა სპორტული შეჯიბრებიდან დაბრუნებულ გერს – ნუნუ ებანოიძეს გალაკტიონი სიამაყით ეუბნება, რომ დედამისი – ნინო კვირიკაძე სიკვდილს ხელიდან გამოსტაცეს და უკითხავს საავადმყოფოში დაწერილ ლექსს „ჟღერს აღმართი“.

➤ 11226

**1949**

**18 აგვისტომდე**

ავლაბარში ისმენს ორი ქალის საუბარს. ერთი მეორეს ეკითხება ჩავლილი მწერლის ვინაობას, მეორე პასუხობს, ამბობენ, მკითხავიაო.

➤ 11227

**1949**

**18 აგვისტო**

დეპეშას აგზავნის სოხუმში სასტუმრო „აფხაზეთის“ დირექტორის სახელზე, რომელშიც თხოვს, რომ შეუნახონ ოთახი 21 აგვისტოსთვის, რადგანაც მეუღლესთან ერთად სოხუმში ჩასვლას და სასტუმროში დაბინავებას აპირებს. ხელს აწერს, როგორც აკადემიკოსი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 11228

**1949**

**19 აგვისტო**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მომდევნო დღეს უნდა მივიდეს ექიმთან.

➤ 11229

**1949**

**20 აგვისტომდე**

წერს ლექსს „ადმართი“ („სწრაფდახმარების ეტლი, ნიში ნათელის მცემლის...“).

➤ 11230

**1949**

**20 აგვისტო**

პირველ საათზე მიდის მიღებაზე ექიმ ძიძიგურთან. ზის მოსაცდელში, იწერს პაციენტების საუბარს: ერთი პაციენტი მეორეს ეკითხება ასაკს და ეუბნება, რომ 60 წლისა იგი უკვე გადასულია სიცოცხლის ზღვარს მიღმა, აღარ არის მათი წრისა და პეტრე-პავლესია, გულისხმობს მოციქულებს პეტრესა და პავლეს. მეორე კი ყვება, რომ ჭიანჭველები შეესივნენ, ერთი გულზე შეაცოცდა, მაგრამ არ მოუკლავს, აიყვანა და ქვემოთ ჩამოსვა.

➤ 11231

**1949**

**20 აგვისტო**

მეუღლე, ნინო კვირიკაძე ეწერება საავადმყოფოდან.

➤ 11232

**1949**

**20 აგვისტო**

ღამის 12 საათზე მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მიემგზავრება სოხუმში.

➤ 11233

**1949**

**21 აგვისტო**

მეუღლესთან ნინო კვირიკაძესთან ერთად ჩადის სოხუმში და ბინავდება სასტუმროში „აფხაზეთი“.

➤ 11234

**1949**

**23 აგვისტო**

სოხუმში სახლის აშენების ნებართვის მისაღებად მიდის აფხაზეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტში საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის სოხუმის ქალაქკომის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან აკაკი მგელაძესთან შესახვედრად.

➤ 11235

1949

### 26 აგვისტომდე

წერს ლექსს „აკაკი და ილია ზღვის პირად“ („დადგა ზღვის პირად, ვით ბუმბერაზ მუხების ლანდი...“).

➤ 11236

1949

### 26 აგვისტომდე

საკანცელარიო რვეულში აკეთებს ჩანაწერს სათაურით „ამპარტავანი თათარი ეზოში დადის მამალი“, რომელიც ლექსის „მივარდნილი აივანი“ დაწერის ისტორიას ეხება.

➤ 11237

1949

### 26 აგვისტო

იმყოფება სოხუმში, სასტუმროში „განთიადი“. წერს უსათაურო ლექსს „აფხაზეთის წვიმა მიყვარს...“.

➤ 11238

1949

### 26 აგვისტოს შემდეგ

საკანცელარიო რვეულში აწებებს სოხუმში ცალკეულ ფურცლებზე გაკეთებულ ჩანაწერებს: ლექსს „აფხაზეთის წვიმა მიყვარს“, ლექსების ფრაგმენტების „ახმაურდა! მზიური ზღვა ახმაურდა“, „ზღვა ახმაურდა - შავი ზღვიდან ნიავი ჰქრის“, მაქსიმე ტანკის ლექსის „სიტყვა მგოსნისა“ არასრული თარგმანის ავტოგრაფებს, აგრეთვე მისადმი მიძღვნილი შალვა კაშმაძის უსათაურო ლექსის „ლიხის მთას რომ გადასცდები“ საკუთარი ხელით გადაწერილ ავტოგრაფს. ამასთან ერთად აკრავს ასევე ცალკეულ ფურცლებზე ჩაწერილ ტელეფონის ნომრებს და ცალკეულ ჩანაწერებს.

➤ 11239

1949

### 26 აგვისტოს შემდეგ

ათვალისწინებს სოხუმში გამართულ მხატვართა გამოფენას. იწერს ნახატების სათაურებსა და გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატების შესრულების ტექნიკას, ავტორთაგან აღნიშნავს მხოლოდ უჩა ჯაფარიძეს.

➤ 11240

1949

### 26 აგვისტოს შემდეგ

1948 წელს აფხაზეთის სახელგამის მიერ გამოცემული ხუტა ბერულავას ლექსთა კრებული „ზღვის სუნთქვა“ ყდაზე აკეთებს ჩანახატს.

➤ 11241

1949

### 26 აგვისტოს შემდეგ

რუსულ ენაზე წერს ავეტიკ ისაკიანისადმი მიძღვნილ ლექსს.

➤ 11242

1949

**26 აგვისტოს შემდეგ**

იმ საკანცელარიო რვეულში, რომელშიც აგროვებს მასალებს აფხაზეთის თემაზე, აწებებს 1949 წელს აფხაზეთის სახელგამის მიერ გამოცემული მურმან ლებანიძის ლექსთა კრებულის „აფხაზეთი“ ყდას.

➤ 11243

1949

**26 აგვისტოს შემდეგ**

იმ საკანცელარიო რვეულში, რომელშიც აგროვებს მასალებს აფხაზეთის თემაზე, აწებებს 1949 წლის 23 აგვისტოს აფხაზეთის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტში საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის სოხუმის ქალაქომის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან აკაკი მგელაძესთან შესახვედრად გამოწერილ საშვს.

➤ 11244

1949

**29 აგვისტოს შემდეგ**

წერს ლექსს „რომ ძმურ ხალხებს არ სურთ ომი“.

➤ 11245

1949

**აგვისტო**

გიორგი ჩიქობავას უძღვნის ერთსტროფიან სახუმარო ლექსს „გოგის“ („ხმელეთით გინდ ყელს ჩაიბი თოკი...“).

➤ 11246

1949

**აგვისტო**

წერს უსათაურო ორტაეპედს „თრთის გერონტი გერონტინი“.

➤ 11247

**ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი**

1949

**17 სექტემბერი**

პირველად დგება ავადმყოფობის შემდეგ.

➤ 11248

1949

**19 სექტემბერი**

მეუღლესთან ნინო კვირიკაძესთან ერთად ათვალიერებს სოხუმის ბოტანიკურ ბაღს.

➤ 11249

1949

**19 სექტემბრის შემდეგ**

საკანცელარიო რვეულში აწებებს მწერალთა კავშირის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული სამძიმრის განცხადების ამონაჭერს მწერალ გიორგი შატბერაშვილის მამის ივანე შატბერაშვილის გარდაცვალების გამო.

➤ 11250

1949

### 19 სექტემბრის შემდეგ

იწყებს მოგონების წერას ჭყვიშში მეზობლების სახლებს შორის არსებული ტირიფის წნელიანი ღობის შესახებ, რომელშიც მეზობლების ერთმანეთთან დასაკავშირებლად არ იყო გათვალისწინებული გადასასვლელი.

➤ 11251

1949

### 19 სექტემბრის შემდეგ

საკანცელარიო რვეულში აწებებს საბავშვო შოკოლადის კანფეტის ქაღალდს, რომელზეც ბავშვი და თუთიყუშია გამოსახული.

➤ 11252

1949

### 19 სექტემბრის შემდეგ

საკანცელარიო რვეულში აწებებს გაზეთის ამონაჭერს ჰიტლერის არმიის ფელდმარშალის მანშტეინის გასამართლების შესახებ.

➤ 11253

1949

### 21 სექტემბერი

აპირებს შეაგროვოს ყველაფერი, რაც კი დაწერილა ხეების შესახებ და შექმნას ნაწარმოები, რომელშიც ყველა ხის ამბავი დაუკავშირდება ერთ ხეს. ფიქრობს, რომ ამ ხერხით ემოციის კონდენსაცია მოხდება. აგონდება თავისი ლექსი „ატმის ყვავილები“.

➤ 11254

1949

### 22 სექტემბერი

ფიქრობს რომ მისი პორტრეტები საუკეთესო და იმედის მომცემია. იხსენებს იმ მხატვართა და მოქანდაკეთა გვარებს, ვისაც ის დაუხატავს ან გამოუქანდაკებია, გაუფორმებია მისი წიგნები. ესენია: იაკობ ნიკოლაძე, უჩა ჯაფარიძე, ბარბარე ბებუთაშვილი-გაბუნია, გრიგოლ მესხი, დავით ქუთათელაძე, დავით გველესიანი, კორნელი სანაძე, გოგი თოიძე, სილოვან კაკაბაძე, ვალერიან სიღამონ-ერისთავი, ირაკლი ტოფაძე, ვასილი კროტკოვი, თევდორე ჩუდეცკი, იოსებ შარლემანი, ანატოლი იარ-კრავჩენკო, დავით კაკაბაძე, ეთერ ანდრონიკაშვილი, კონსტანტინე ხუციშვილი, კოტე ქავთარაძე, დავით წერეთელი, სერგეი სუდეიკინი, ლადო გუდიაშვილი.

➤ 11255

1949

### 22 სექტემბერი

ათვალისწინებს სოხუმში ასაშენებელი სახლის პროექტს. დღიურში ინიშნავს, რომ ეს იქნება გალაკტიონის ვილა ან ნინოს კოტეჯი. წერს, რომ არსებობს პატარა ორსართულიანი, ხუთოთახიანი სახლის პროექტი, ქვედა სართული ქვის ან აგურის არის, ხოლო ზედა წაბლის ხის.

➤ 11256

1949

### 22 სექტემბერი

აღტაცებულია დილის 7 საათზე წვიმის შემდეგ დასავლეთით სოხუმის ცაზე გამოჩენილი ცისარტყელით, რომელსაც დიდხანს აკვირდება. ფიქრობს, რომ იგი გასაოცარი და კარგის მომასწავებელია.

➤ 11257

1949

**22 სექტემბერი ან შემდეგ**

დღიურში წერს, რომ ახლახან გამოვიდა იოსებ გრიშაშვილის წიგნი და ამის შესახებ ცნობა უკვე დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკასა“ და „ლიტერატურულ გაზეთში“. ფიქრობს, რომ მისი მეექვსე ტომი და ეს წიგნი უნდა დაეჯახოს ერთმანეთს. წერს იოსებ გრიშაშვილის შესახებ თავის შეხედულებებს და მოგონებას 1908 წელს მისი გაცნობის შესახებ.

➤ 11258

1949

**22 სექტემბერი ან შემდეგ**

იხსენებს ლენინგრადის ბლოკადის დროს ქარხანაში მომხდარ ეპიზოდს, როდესაც ინჟინერმა ჩამტვრეული ფანჯრის ნაცვლად ფანერის ჩასმა დაავალა მუშას, ის კი ლომით ხელში კარგახანს გაშემებულივით იდგა. ინჟინერს შეეშინდა, მოკვლას ხომ არ მიპირებსო, მუშამ კი ლომი ისროლა და უზარმაზარი ვირთხა მოკლა.

➤ 11259

1949

**22 სექტემბერი ან შემდეგ**

ახსენდება, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელების მიერ სოხუმის დაბომბვისას დაინგრა 45 სახლი. 1947 წელს ხუხუტი ბლაჟბასთან ერთად ქალაქის დათვალიერებისას ერთი ასეთი დანგრეული სახლი თავადაც ნახა და დაწერა ლექსი „დანგრეული სახლი სოხუმში“. ძალიან აინტერესებს იმ დაბომბვების დროინდელი ამბების მოსმენა. აღნიშნავს, რომ დანგრეული სახლები სოხუმში აღარ არის, მათი ადგილი დაიკავა ახალმა შენობებმა. გერმანელები ძირითადად გემებს ბომბავდნენ, მაგრამ ზოგიერთი ჭურვი ქალაქის შენობებს ხვდებოდა. ერთმანეთს ადარებს, როგორ უცბად წაშლის ხოლმე ზღვა დაბომბილი და ჩაძირული გემის ნაკვალევს და როგორი დიდი დრო სჭირდება ხმელეთზე დანგრეული ქალაქისთვის ძველი იერსახის დაბრუნებას. თვლის, რომ მღვიმეებს და ბუნებრივ თავშესაფრებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, მათ წინ მდებარე კორდზე უნდა გაიხსნას სკვერი. ფიქრობს, რომ ამ მღვიმეებში შესაძლებელია მოეწყოს მუდმივმოქმედი გამოფენა „ქართველი მწერლები სამამულო ომში“.

➤ 11260

1949

**22 სექტემბერი ან შემდეგ**

წერს ცალკეულ სტრიქონებს ლექსისთვის „პუშკინს“.

➤ 11261

1949

**22 სექტემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ დაკარგული აქვს რუსულად თარგმნილი თავისი 6 ლექსის ქართული დედანი. ჩამოწერს ამ ლექსებს და მათ მთარგმნელებს: „ორი ნაპირი“, თარგმანი პანტელეიმონ პეტრენკოსი, „განთავისუფლებულ ძმებს – უკრაინელ და ბელორუს“, „პირველი მაისი“, თარგმანი ბორის ბრიკის, „ჯონ რიდის შესახებ“, „თანამგზავრი“ თარგმანი დიმიტრი სტრელცოვის.

➤ 11262

1949

**22 სექტემბერი ან შემდეგ**

გაზეთებში დასაბეჭდად წერს საინფორმაციო განცხადებას მისი თხოვლებათა მეექვსე ტომის გამოსვლის შესახებ.

➤ 11263

1949

### 22 სექტემბერი ან შემდეგ

იწერს აკაკი გაწერელიას მისამართს.

➤ 11264

1949

### 22 სექტემბერი ან შემდეგ

იწყებს მასალის მომზადებას თხოვლებათა მეშვიდე ტომისთვის, წერს პოემების სათაურებს, უკანასკნელ პერიოდში დაწერილი ლექსების სიას და შენიშვნებს მათი გადამუშავებისთვის. აპირებს, რომ მეშვიდე ტომში შესატანად გაარედაქტიროს ლექსები და პოემები კრებულიდან „ოქრო აჭარის ლაქვარდში“.

➤ 11265

1949

### 22 სექტემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ნერვოპათოლოგ ე. დ. დემუროვა-შაგინიანის მისამართს და ტელეფონის ნომერს.

➤ 11266

1949

### 22 სექტემბერი ან შემდეგ

ფიქრობს, რომ იოსებ გრიშაშვილის ლექსი „მელა და კიბო“ ავტობიოგრაფიულია და ავტორის მუშაობის სტილს ასახავს. ამიტომ ამ ლექსს ყველამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ლექსი-იგავის მიხედვით, მელამ კიბო სირბილის შეჯიბრში გამოიწვია. კიბომ ხერხი იხმარა, მელას კუდზე აეკრო და მთელი გზა მას ატარებინა თავი, ბოლოს კი, როცა მელამ კუდი მოიქნია, ძირს ჩამოხტა, პირისპირ დაუდგა და უთხრა, რა ხანია აქ გელი, მე გაჯობეო.

➤ 11267

1949

### 22 სექტემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში აღმფოთებული იწერს ფრაზას იოსებ გრიშაშვილის ლექსიდან, რომელშიც მთელი პასაჟია მისგან აღებული.

➤ 11268

1949

### 22 სექტემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს აკაკი წერეთლის მიერ მის შესახებ გამოთქმულ აზრს: „თქვენ მეკითხებით - ვინ მომწონს თანამედროვე მწერლობაში? გიპასუხებთ: ვაჟა-ფშაველა და ცახელი, ახალგაზრდებში კი – გალაკტიონ ტაბიძე. მას უდიდესი სიახლე შემოაქვს ჩვენს პოეზიაში“.

➤ 11269

1949

### 22 სექტემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს იოსებ იმედაშვილის მისამართს.

➤ 11270



1949

**22 სექტემბერი ან შემდეგ**

წერს განცხადებას მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ნიკო მუსხელიშვილის სახელზე, რომელსაც თან ურთავს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წლის 21 ივნისის დადგენილების ასლს. დადგენილებაში ნათქვამია: 1. გალაკტიონ ტაბიძეს ენიჭება სახალხო პოეტის წოდება, 2. სოცუზრუნველყოფის კომისარიატს ევალება მისთვის პერსონალური პენსიის დანიშვნა, 3. მომარაგების სახალხო კომისარიატს ევალება მისი უზრუნველყოფა სპეციალური მომარაგებით, 4. ჯანმრთელობის კომისარიატს ევალება მისი კურორტზე გაგზავნა მთელი სეზონით, 5. სახელმწიფო გამომცემლობას ევალება მისი თხზულებების სრული აკადემიური კრებულის გამოცემა. დადგენილებას ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე და კომიტეტის მდივანი თენგიზ ჟღენტაძე.

➤ 11271

1949

**22 სექტემბრის შემდეგ**

წერს ლექსს „ნახევარი საუკუნე“ („გავიარეთ, გადავლახეთ საუკუნის ნახევარი...“).

➤ 11272

1949

**22 სექტემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს ირაკლი აბაშიძისადმი მიძღვნილ ვრცელ ფუნაგორიას სათაურით „მოხეტიალე მონუმენტი“ და ქვესათაურით „ირაქლი“, ცალკე წერს რითმებს ამ ლექსისთვის.

➤ 11273

1949

**22 სექტემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწყებს ლექსის წერას სათაურით „არა მონური შრომა“.

➤ 11274

1949

**22 სექტემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს ლექსს „ჩემი მაგიდა შოვში“ („მოგონებათა თოვის...“).

➤ 11275

1949

**22 სექტემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს ლექსს „ლეკურ-ლეკურ ითამაშოს“.

➤ 11276

1949

**23 სექტემბერი ან ადრე**

იმყოფება სოხუმში და კითხულობს ალექსანდრ ოლენიჩ-გნენეკოს წიგნს „კავკასიის მთებში“. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 11277

1949

**23 სექტემბერი**

სოხუმში წერს უსათაურო ლექსს „ვინ დასთვალოს შუქი ზეცას...“.

➤ 11278

1949

**23 სექტემბერი**

სოხუმში წერს უსათაურო ლექსს „სახოკია ნეტა...“.

➤ 11279

1949

**23 სექტემბერი**

სოხუმში წერს უსათაურო ლექსს „ხელთ რულეტკა უპყრავს რომელს...“.

➤ 11280

1949

**27 სექტემბერი**

საღამოს ტარდება სოხუმის ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც ამტკიცებს გალაკტიონ ტაბიძისთვის ჩერნიავესკის მთაზე სამშენებლო მიწის ნაკვეთის გადაცემას.

➤ 11281

1949

**27 სექტემბერი**

უბის წიგნაკში იწერს სოხუმშიშენის გამგის ლეონიდ გვათუას მისამართს და ტელეფონის ნომრებს.

➤ 11282

1949

**27 სექტემბერი**

უბის წიგნაკში იწერს სოხუმის მთავარი არქიტექტორის ზურაბ თავართქილაძის მისამართს და ტელეფონის ნომერს.

➤ 11283

1949

**27 სექტემბერი**

უბის წიგნაკში წერს, რომ დილით ადრე მასთან მივა სახლის დამპროექტებელი ინჟინერი.

➤ 11284

1949

**27 სექტემბერი**

გეგმავს მოლაპარაკებას სოხუმის ქალაქკომის პირველ მდივან აკაკი მგელაძესთან, რომ მისი სახლის მშენებლობა სოხუმშიშენს დაეკისროს.

➤ 11285

1949

**28 სექტემბერი**

უბის წიგნაკში იწერს სოხუმის საარქიტექტურო განყოფილების ტელეფონის ნომერს. ოცნებობს, რომ მისი სახლი სოხუმში იქნება ორსართულიანი, ქართული სტილის და ექნება სვანური, ან სხვა უფრო ჩვეულებრივი კოშკი. ამასთან დაკავშირებით ახსენდება მიქელანჯელოს სიმალის იდეა, იაკობ ნიკოლაძისადმი მიძღვნილი საკუთარი წერილი, თავისი ლექსები „მთებში“ და „საუბარი ლირიკის შესახებ“. იხსენებს სტრიქონებს ლექსიდან „თრთის დასავლეთი, აწითლებს ზღვას“. ფიქრობს, რომ არ არის აუცილებელი ბესარიონ ჟღენტივით, რომელიც მის ლექსს არჩევდა, გეგონოს, როგორც ეს მოდაშია მწერალთა კავშირში, რომ დილას ადამიანს უნდა უთხრა „ღამე მშვიდობის“, ხოლო საღამოს – „დილა მშვიდობისა“. ფიქრობს, რომ, თუ მომავალზე გინდა ორიენტირება, კაცს დილიდან უსურვებ მშვიდობიან საღამოს და საღამოდან – მშვიდობის

დილას. იქვე წარმოიდგენს, რა შეიძლება გაიფიქრონ გულრიფშელმა, გურულმა და მეგრელმა ლამაზმა ქალებმა, თუ დილით მშვიდობიან სადამოს უსურვებ. ასკვნის, რომ ყველა ნოვატორის ბედი ასეთია და იხსენებს გალილეო გალილეის გასამართლებას.

➤ 11286

1949

### 28 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს, რომ გარდაიცვალა მისი მეგობარი მხატვარი დავით გველესიანი და პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დაკრძალეს.

➤ 11287

1949

### 28 სექტემბერი

წერს რითმებს და ცალკეულ ფრაზებს.

➤ 11288

1949

### 28 სექტემბერი

მიდის დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში ალექსანდრე ჩოგოვაძესთან, რომელიც სთავაზობს სახლის მზა სტანდარტულ პროექტს და ყველა ხარჯს უანგარიშებს თვითღირებულებით. უმატებს მხოლოდ 0,5 პროცენტს ერთი ინჟინრის ასაყვანად მშენებლობის მეთვალყურეობისთვის. გალაკტიონს აქვებებს სტანდარტული პროექტი, მაგრამ მოსწონს, რომ ის მზად არის და დრო არ დაეხარჯება.

➤ 11289

1949

### 28 სექტემბერი

იღებს ამონაწერს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის ოქმიდან, რომელშიც ნათქვამია, რომ სოხუმში მცხოვრებ საქართველოს სახალხო მწერალ გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძეს თავისუფალი მიწის ფონდის მიწის ნაკვეთ №385-დან გამოეყოს 600 კვ. მ. ფართობი სოხუმის მთის რაიონში №6. დადგენილებას ხელს აწერენ: სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ა. ჟვანია და სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელი მდივანი კ. ხარატაშვილი. ამონაწერის სისწორეს ამოწმებს ალექსანდრე ჩოგოვაძე.

➤ 11290

1949

### 28 სექტემბერი

სოხუმის მთავარ არქიტექტორ ზურაბ თავართქილაძესთან ერთად სახლის პროექტის შესათანხმებლად მიდის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივან შოთა გეთიასთან.

➤ 11291

1949

### 28 სექტემბერი

რვეულში იწერს, რომ სოხუმში მისთვის სახლის ასაშენებლად გადაცემული მიწის ნაკვეთის სიგანე 15 მეტრია, მეზობლებისა – ბოკუჩავას 24, ხოლო გენერლის 2 1/2.

➤ 11292

1949

## **28 სექტემბერი**

სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომში თავმჯდომარის მოვალეობის დროებით შემსრულებელ ა. ჟვანიას სახელზე შეაქვეს განცხადება სახლის ასაშენებლად სესხის მიცემის თხოვნით. ჰპირდებიან, რომ მის თხოვნას დააკმაყოფილებენ.

➤ 11293

1949

## **29 სექტემბერი**

განცხადებით მიმართავს სოხუმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეს ა. ჟვანიას. წერს, რომ საკუთარი სახსრებითა და კომუნალური ბანკიდან აღებული გრძელვადიანი სესხით სურს აიშენოს სოხუმში ხუთოთახიანი სახლი სამზარეულოთი მათი საინჟინრო განყოფილების პროექტის მიხედვით და ითხოვს, რომ მისცენ სესხის მაქსიმალური რაოდენობა, რაც გათვალისწინებულია მისი კატეგორიის მუშაკებისათვის.

➤ 11294

1949

## **30 სექტემბერი**

მიდის სოხუმში მშენის გამგესთან ლეონიდ გვათუასთან შესახვედრად, მაგრამ გვათუა ნაპირსამაგრი სამუშაოების შესამოწმებლად დახვდება წასული. სოხუმში მშენის თანამშრომლები აჩვენებენ მისი სახლის მშენებლობის პროექტს და მიწის ნაკვეთის საბუთებს. ამავე დღეს ხვდება ალექსანდრე ჩოგოვაძეს და პროექტის ავტორს.

➤ 11295

1949

## **30 სექტემბერი**

განცხადებას წერს საქართველოს სახელმწიფო დაგეგმარების კომიტეტის სახელზე და ითხოვს არაგემიური ფონდიდან გამოუყონ სახლის ასაშენებლად საჭირო რკინის მასალა.

➤ 11296

1949

## **30 სექტემბერი**

განცხადებით მიმართავს სამშენებლო წარმოების სამინისტროს, რომ კასპის ცემენტის ქარხანამ გემის გადაჭარბების ანგარიშში გამოუყოს სახლის ასაშენებლად საჭირო ერთი ვაგონი ცემენტი.

➤ 11297

1949

## **30 სექტემბერი**

იგებს, რომ მისი მშენებარე სახლის მეზობლად უნდა იცხოვროს რუსმა გენერალმა, რომელიც ერთ-ორ წელიწადში სხვაგან აპირებს გადასვლას.

➤ 11298

1949

## **30 სექტემბრის შემდეგ**

თბილისში მატარებლით დასაბრუნებლად ყიდულობს 4 ბილეთს პლაცკარტის ვაგონში.

➤ 11299

## **ოქტომბერი**

1949

## **7 ოქტომბერი**

სოხუმში სერგო დათუაშვილი უძღვნის ერთსტროფიან ლექსს.

➤ 11300

1949

**7 ოქტომბრის შემდეგ**

სოხუმში ყიდულობს ფოტოქაღაღდს „მიმოზა“.

➤ 11301

1949

**7 ოქტომბრის შემდეგ**

წერს ლექსს ირაკლი აბაშიძის შესახებ სათაურით „ირ. აბაშიძეს“ („აკლია სული...“).

➤ 11302

1949

**10 ოქტომბრამდე**

ავადმყოფი მეუღლისთვის პრეპარატ სტრეპტომიცინის გამოსაყოფად თხოვნით მიმართავს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

➤ 11303

1949

**10 ოქტომბერი ან შემდეგ**

ოფიციალურ პასუხს იღებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან. მასში ნათქვამია, რომ სტრეპტომიცინის გამოყოფის საშუალება არა აქვთ და მის თხოვნას ვერ აკმაყოფილებენ.

➤ 11304

1949

**29 ოქტომბერი**

განცხადებით მიმართავს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას და ითხოვს, რომ მომდევნო, 1950 წლის გეგმაში შეიტანონ მისი თხოვრებების მეშვიდე ტომის გამოცემა.

➤ 11305

**ნოემბერი**

1949

**2 ნოემბრის შემდეგ**

იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის წიგნი „თანამედროვე ქართული მწერლობა“, რომელშიც ერთი ნარკვევი გალაკტიონს ეძღვნება. კრიტიკოსი იმეორებს თავის ადრინდელ ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს გალაკტიონის პოეზიის შესახებ.

➤ 11306

1949

**6 ნოემბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სამშობლოს, ოქტომბერს“ თარგმანი.

➤ 11307

1949

**12 ნოემბერი**

საღამოს სტუმრად მიდის დიმიტრი არაყიშვილთან. ძალზე აღელვებული ჩანს, ან ჩუმად არის, ანკი მოკლედ პასუხობს კომპოზიტორის შეკითხვებს. შემდეგ სთხოვს რაიმეს დაკვრას. დიმიტრი არაყიშვილი ჯდება როიალთან და უკრავს თავის რომანსებს, ხალხურ სიმღერებს და პასაჟებს საკუთარი ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“. გალაკტიონი უხმოდ უსმენს. პაუზებისას სთხოვს, რომ კიდევ დაუკრას. როდესაც კომპოზიტორი დაკვრას წყვეტს, ხედავს, რომ

გალაკტიონს თვალები უბრწყინავს და გახალისებულია. იგი კომპოზიტორს გადაკოცნის, შემდეგ მაგიდასთან ჯდება, ორიოდ წუთში წერს ექსპრომტს „მსგავსი რამ მე არ მსმენია! ეს ხმაა მზისა და ჩრდილის,...“ და სიტყვებით, რომ ეს საღამო მისთვის დაუვიწყარი იქნება, გადასცემს დიმიტრი არაყიშვილს.

➤ 11308

1949

18 ნოემბერი

მწერალ მარიამ გარიყულის ოჯახში სტუმრობისას მისი რძლის გულიკო (ქეთევან) მეტრეველ-რატინისა და დისშვილის მარგარიტა წეროდის მიერ ფორტეპიანოზე შესრულებული მელოდიებით აღფრთოვანებული გალაკტიონი უძღვნის მათ ექსპრომტს: „თქვენ უკრავდით, თქვენ მღეროდით...“.

➤ 11309

1949

23 ნოემბრამდე

უბის წიგნაკში იწერს ალექსანდრ დიუმას რომანის „გრაფი მონტე-კრისტო“ დასაწყისს რომელშიც მოხსენიებულია კუნძული რიონი.

➤ 11310

1949

23 ნოემბერი და შემდეგ

წერს ლექსს „1950“ („ძვირფას მეგობარს, თანამებრძოლს, თანამოკალმეს...“).

➤ 11311

1949

23 ნოემბრის შემდეგ

ავად არის, აქვს მაღალი ტემპერატურა და ვერ მუშაობს.

➤ 11312

1949

23 ნოემბრის შემდეგ

გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ რედაქციას უგზავნის წერილს. ატყობინებს, რომ მძიმე ავადმყოფობის გამო არ შეუძლია არც წერა და არც ვინმესთვის ტექსტის კარნახი. ამიტომ ითხოვს, რომ გაზეთის ეს ნომერი მისი წერილის გარეშე დაიბეჭდოს.

➤ 11313

1949

23 ნოემბრის შემდეგ

მუშაობს უსათაურო ლექსზე „ტყენი, მინდორი და თხემი“.

➤ 11314

1949

25 ნოემბერი

იღებს ორდერს არამიანცის საავადმყოფოში დასაწოლად.

➤ 11315

დეკემბერი

1949

3 დეკემბერი

გრიგოლ ორახელაშვილი, რომელიც წერს გალაკტიონის ბიოგრაფიას ქვეყანაში მიმდინარე ისტორიული მოვლენების ფონზე, წერილთან ერთად უტოვებს ნაშრომის მომდევნო თავს „კულტურული რევოლუცია“ და აცნობებს, რომ კიდევ ერთი თავი „სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია“ ჯერ არ დაუსრულებია. შესჩივის, რომ სკოლაში მოსწავლეების რვეულების სწორებასთან ერთად უამრავი საზოგადოებრივი საქმით ტვირთავენ. იმის გამო, რომ სხვებიც მუშაობენ გალაკტიონის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, არ უნდა, რომ მის მიერ მოფიქრებული თავები და ქვეთავები გამოიყენონ და გალაკტიონს სთხოვს, რომ არავის უთხრას. აპირებს, რომ მომდევნო შაბათს 12 საათზე მივიდეს გალაკტიონთან და კონსულტაციები მიიღოს მისგან, უკვე დაწერილ თავებში რა არის გასასწორებელი.

➤ 11316

1949

### 5 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება იოსებ სტალინის სამოცდაათი წლის იუბილესადმი გალაკტიონ ტაბიძის მიერ მიძღვნილი ლექსის „მასწავლებელი, ბელადი, გამარჯვებების შემოქმედი“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11317

1949

### 5 დეკემბერი ან შემდეგ

დღიურში აღნიშნავს, რომ სტალინური კონსტიტუციის დღეს სტალინის 70 წლისთავის შესრულების გამო შემდგარი კომიტეტის წევრთა სიის გამოქვეყნებას დაემთხვა გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ მისი სტალინისადმი მიძღვნილი ლექსის თარგმანის პუბლიკაცია, რამაც საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წერს, რომ ლექსზე ლაპარაკობდნენ სახელგამში, „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში, მწერალთა კავშირში, თეატრებში და საუბრობდნენ კერძო პირებიც. უხარია, რომ პირველმა თქვა სახალხო პოეტის ტონის მიმცემი სიტყვები, რომელსაც დაეყრდნობიან სხვები და ფიქრობს, რომ კარგია ინიციატივის ხელში ჩაგდება, რაც ყოველთვის გამარჯვებით მთავრდება.

➤ 11318

1949

### 5 დეკემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთლის მთარგმნელს ვახტანგ ერისთავს, გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ პირველი პრემია მიუღია ბარათაშვილის „მერანის“ თარგმანისათვის.

➤ 11319

1949

### 13 დეკემბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მონაწილეობდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ დისკუსიაში და იწერს სხვა მონაწილეთა გვარებს.

➤ 11320

1949

### 13 დეკემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ მისასვლელია პიონერთა სასახლეში და მწერალთა კავშირში.

➤ 11321

1949

### 14 დეკემბერი

დეპეშას უგზავნის სოხუმის საქალაქო საბჭოს კომუნალური განყოფილების ეკონომისტს, ალექსანდრე ჩოგოვაძეს. სთხოვს, სასწრაფოდ აცნობონ, როგორ არის თანხების ჩარიცხვისა და მშენებლობის საქმეები. მოკითხვას გადასცემს მეუღლისგან, ნინო კვირიკაძისგან.

➤ 11322

1949

15 დეკემბერი

შეხვედრას უწყობენ ქალთა მეოთხე სკოლაში.

➤ 11323

1949

15 დეკემბრის შემდეგ

რუსულ კრებულში „დიდ სტალინს“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანები: გიორგი კრეიტანის „დიდ სტალინს“, „სამშობლოს, ოქტომბერს“ და „მასწავლებელი, ბელადი, გამარჯვებების შემოქმედი“, ვლადიმირ დერჟავინის „მშობლიურო ჩემო მიწავ!“, ალექსანდრ კოჩეტკოვის „დიდება სტალინს“, ბორის სერებრიაკოვის „მასთან არიან“.

➤ 11324

1949

19 დეკემბერი

იწვევს პიონერთა სასახლის ლიტერატურული წრე.

➤ 11325

1949

20 დეკემბრამდე

იცვლება ჟურნალის „მნათობი“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა და გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც ჟურნალის დაარსებიდან იყო მისი წევრი, გაჰყავთ კოლეგიიდან.

➤ 11326

1949

21 დეკემბრამდე

წერს ლექსს „თავიდანვე თავდადებით“.

➤ 11327

1949

21 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „დიდ სტალინს“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11328

1949

21 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „დიდ სტალინს“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11329

1949

21 დეკემბერი



მონაწილეობს გორში სტალინის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოში და კითხულობს ლექსებს. სახელწოდებით „21 დეკემბერი გორში“ საღამოს იღებს კინორეჟისორი ირაკლი კანდელაკი.

➤ 11330

1949

### 21 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „სავეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება იოსებ სტალინის სამოცდაათი წლის იუბილესადმი გალაკტიონ ტაბიძის მიერ მიძღვნილი ლექსების „მასწავლებელი, ბელადი, გამარჯვებების შემოქმედი“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11331

1949

### 22 დეკემბრის შემდეგ

სტალინის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ჟურნალში „მნათობი“ ხელმოწერით გალაკტიონ ტაბიძე – საქართველოს სახალხო პოეტი, იბეჭდება ლექსი „სტალინს (70 წლის შესრულების გამო)“.

➤ 11332

1949

### 22 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს გორში 1949 წლის 22 დეკემბერს გამართულ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმზე მიღებულ მიმართვას ლექსად „ხალხთა დიდ ბელადს მშობლიურ სტალინს“. რითმებსა და სტრიქონებს ხაზს უსვამს და აწერს, რომ მისგანაა მითვისებული.

➤ 11333

1949

### 26 დეკემბრის შემდეგ

მოსკოვიდან იღებს თავისი მომავალი რუსულენოვანი თარგმანების წიგნის რედაქტორის იგორ პოსტუპალსკის საპასუხო წერილს. ბალმონტის თარგმანებთან დაკავშირებით, სწერს, რომ ეს თარგმანები ვერ იშოვა, მაგრამ მთავარმა რედაქციამ მათი გამოყენება მაინც არააუცილებლად და უდროოდ მიიჩნია. სწერს, რომ ავადმყოფობისა და ოჯახური პირობების გამო გალაკტიონი თითქმის მთელი წლის განმავლობაში მიუწვდომელი იყო და იმის გამო, რომ წიგნის მომზადების დრო მკაცრად ჰქონდათ განსაზღვრული, რედაქცია იძულებული გახდა რედაქტორის ანუ მის აზრს დაყრდნობოდა მთარგმნელებისა და თარგმანების შერჩევაშიც და წიგნის შედგენაშიც. ამ გადაწყვეტილების წყალობით წიგნი უკვე მზად არის, მოწონებულია მთარგმნელთა საბჭოს რეცენზენტების მიერ და იბეჭდება. სავარაუდოდ, გამოვა თებერვალში. ადრესანტი დარწმუნებულია, რომ ეს გამოცემა წინებზე ბევრად სრული, თარგმანების ხარისხითა და გაფორმებით ბევრად უკეთესი იქნება. რაც შეეხება წიგნის ამონაბეჭდების გალაკტიონისთვის გაგზავნას, ალექსანდრა რიაზინინა უთვლის, რომ გამომცემლობათა მთავარი პოლიგრაფიული სამმართველოს გადაწყვეტილებით ავტორებს ამონაბეჭდებს აღარ უგზავნიან. ასევე აცნობებს, რომ წიგნის მოცულობა თავდაპირველად დაგეგმილზე პატარაა, მაგრამ წიგნაკიც არ ეთქმის, სოლიდური ტომია და არ არის გამორიცხული, რომ გამომცემლობამ მალევე დაგეგმოს უფრო სრული კრებულის გამოცემა. რამდენადაც წიგნი უკვე სტამბაშია, მასში ახალი მასალის ჩამატება შეუძლებელია, მაგრამ თუ გალაკტიონს სურვილი ექნება და ადრესანტის სახელზე გააგზავნის ახალ პწკარედებს, მათ აუცილებლად გამოიყენებენ პერიოდიკაში თარგმანების გამოსავეყნებლად ან ახალი კრებულისთვის. რამდენადაც ეს გამოცემა უკვე გაკეთებული იქნება, სთავაზობს იფიქროს ახალ პერსპექტივებზე. გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკა“ პოეზიის განყოფილებას ხელმძღვანელობს ბესარიონ ჟღენტი, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს

გალაკტიონის შემოქმედებას და კარგი იქნებოდა, რომ საბჭოთა საქართველოს საიუბილეოდ, 1951 წელს წელს გამოეცათ მისი ლექსების რუსული თარგმანების დიდი ტომი, 15 ათასი სტრიქონი, როგორც ეს პოეტს უნდოდა. ადრესანტს სასურველად მიაჩნია, რომ მასში განურჩევლად კი არ შეიტანონ ყველაფერი, რაც კი თარგმნილია, არამედ ყურადღება მიაქციონ ხარისხს. პოსტუპალსკი მიიჩნევს, რომ გალაკტიონის დიდი კრებული აუცილებლად უნდა გამოსცეს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმაც“. ამისათვის ურჩევს, რომ დროულად დაელაპარაკოს ამ გამომცემლობის მთავარ რედაქტორ ანატოლი ტარასენკოვს. სწერს, რომ თუ სხვა რედაქტორი არ ჰყავს შერჩეული, ორივე ამ გამომცემის რედაქტორობა შეუძლია ადრესანტმა აიღოს თავის თავზე. წერილის ბოლოს უმორჩილესად სთხოვს, რომ გაუგზავნოს თავისი ქართულენოვანი ტომეულები და გამოცემები, რადგან გარკვეული პირების დახმარებით აპირებს წიგნის დაწერას გალაკტიონის შემოქმედებაზე. ურჩევს, რომ თუ ეს წიგნები სახლში არ აქვს და ბუკინისტებში ან გამომცემლობებში უნდა მოიძიოს, ვინმე დაიხმაროს.

➤ 11334

1949

27 დეკემბერი

ბრუნდება გორიდან.

➤ 11335

1949

31 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ეს იქნება, იქნება...“ ნაწყვეტის ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11336

1949

მეზობლად მცხოვრები მწერალი ქალის – მარიამ გარიყულის შვილიშვილს – უტანდარ რატინს, რომელსაც 1947 წლის ნოემბერში მიუძღვნა ლექსი სათაურით „უტანდარს“, უძღვნის კიდევ ერთ ექსპრომტს „არის, უტანდარ, ქვეყანა ერთი...“. ახალი ლექსის წერისას პოეტი ჯერ ბოლო ტაეპს წერს, შემდეგ კი – ლექსის საწყის მონაკვეთს ქმნის.

➤ 11337

1949

ორ ჭაღარა მანდილოსანთან ერთად სეირნობს საგურამოში, როდესაც ხვდება მუხრან მაჭავარიანს და გულთბილად გადაკოცნის.

➤ 11338

1949

მოსკოვსა და ლენინგრადში რუსულ ენაზე ვიქტორ გოლცევისა და სიმონ ჩიქოვანის რედაქტორობით გამოდის ანთოლოგია „საქართველოს პოეზია“, რომელშიც შეტანილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსებიც. წიგნი მხატვრულად გაფორმებულია ირაკლი თოიძის მიერ და ახლავს მოკლე ბიბლიოგრაფია ქართველ პოეტთა ლექსების რუსული თარგმანებისა.

➤ 11339

1949

კორნელი სანაძე ფანქარში ხატავს გალაკტიონ ტაბიძის კიდევ ერთ პორტრეტს.

➤ 11340

1949

კითხულობს საქართველოს ეკლესიის კალენდარს, აკეთებს ხაზგასმებსა და მინაწერებს.

➤ 11341

**1949**

კითხულობს მიტროფანე ლალიძის წიგნს „მაღალხარისხოვანი ხილული წყლების წარმოება საქართველოში“, აკეთებს ხაზგასმებსა და აღნიშვნებს.

➤ 11342

**1949**

აკეთებს ჩანაწერს ლეო ქიაჩელის შესახებ. ინიშნავს გამოარკვიოს, არსებობს თუ არა რეალურად სოფელი ქიაჩი; თუ არსებობს, რა კავშირი აქვს მას ლეონ შენგელაიასთან; სად დაიბადა რეალურად მწერალი; რატომ არ შეირჩია მან ფსევდონიმად იმ სოფლის სახელი, სადაც სინამდვილეში დაიბადა; არის თუ არა რელიგიური ნაკადი ქიაჩელის შემოქმედებაში; რა კავშირი აქვს ქიაჩელს სიმონ ჩიქოვანთან; მიუთითებს, რომ მეგრული წარმოშობის მწერლების უმრავლესობა სულ მისტიკოსები არიან.

➤ 11343

**1949**

წერს ერთსტროფიან ლექსს „წელს და მრავალ თხუთმეტ მაისს“

➤ 11344

**1949**

წერს ლექსს „ილიასთან“ („ილია, ჩვენი მწერლობის დიადი მამამთავარი...“).

➤ 11345

**1949**

წერს უსათაურო ლექსს „აჰა, ეს წიგნი, რომლითაცა ჩვენ...“.

➤ 11346

**1949**

წერს უსათაურო ლექსს „იყო ცხრაას ცხრა, ოპერას თითქო...“.

➤ 11347

**1949**

წერს ლექსს „ლოგოგრიფი“ („სდგება ხუთი ნაწილით...“).

➤ 11348

**1949 ან შემდეგ**

იოსებ ნონეშვილის ლექსების კრებულის „ქარიშხლის შემდეგ“ სტრიქონებსა და სათაურს „ქეთევან ირემადე“ ხაზს უსვამს. სატიტულო გვერდზე წერს, რომ აინტერესებს, რომელი ქარიშხალი იგულისხმება, სამამულო ომის ქარიშხლის შემდეგ ილია ერენბურგს აქვს დაწერილი წიგნი „ქარიშხალი“ („Буря“). ფიქრობს, რომ ეს სიტყვა ამ პერიოდის გადმოსაცემად მოძველებულია და არ არის ამომწურავი. აღნიშნავს, რომ მასაც აქვს გამოყენებული „ქარიშხალი“ 1905 წლის რევოლუციისთვის, მაგრამ ეს წინად იყო.

➤ 11349

**1949 ან შემდეგ**

კითხულობს ელიზავეტა ვიშნევსკაიას შედგენილ წიგნს „ჩვენი ზღვა“, აკეთებს ხაზგასმებსა და აღნიშვნებს, სარჩევზე აწერს: „მხოლოდ ზღვა“. ინიშნავს, რაც მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით მოსწონს – ყდის ცისფერი ფერი და ყუა, პირველი გვერდი აფრიანი

ხომალდებით, ტექსტების დასაწყისში ხაზი და დასასრულს ლუზა, ასევე წიგნში განთავსებული რეპროდუქციები.

➤ 11350

#### 1949 ან შემდეგ

ელიზავეტა ვიშნევსკაიას შედგენილი წიგნის „ჩვენი ზღვა“ ბოლოს წერს, რომ ეთილიანი ბენზინი შხამია, არ შეიძლება სხეულზე მიკარება, რადგან კანიდან წამლავს ორგანიზმს. ამ ბენზინის გაუფრთხილებლად გამოყენება სიცოცხლისთვის საშიშია, მანქანის მძლოლი კარგად უნდა იცნობდეს მისი შენახვის, გადაზიდვისა და გამოყენების შესახებ სანიტარულ წესებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ყველა ნავთბაზასა და ბენზინის ჩამოსასხმელ პუნქტზე.

➤ 11351

#### 1949 ან შემდეგ

რუსულად კითხულობს ლევ ტოლსტოის წიგნს „ბავშვობა. მოზარდობა. ახალგაზრდობა“. აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 11352

#### 1949 ან შემდეგ

წერს უსათაურო სახუმარო ლექსს „ჰაუპტმანმა „ჩაძირული ზარი...“

➤ 11353

#### 1949 ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს, რომ მწერალთა კავშირში ყოველთვის მოწყენილობა ისადგურებს, როდესაც მხატვრული შემოქმედების შესახებ მიმდინარეობს საუბარი, გამოცოცხლება მხოლოდ მაშინ იწყება, როცა საუბარი შეეხება ჰონორარს, მივლინებას, რედაქტორად დანიშვნას, პრემიაზე წარდგენას და ა. შ. უკვირს, როგორ უძლებენ მწერლები ერთმანეთს.

➤ 11354

#### 1940-იანი წლების ბოლო

თინა ჯიბლადის თაოსნობით არსდება არაოფიციალური ლიტერატურული სალონი ე. წ. „ცისფერი საღამოები“, რომელიც ხშირად ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების კითხვას და მის პოეზიაზე საუბარს.

➤ 11355

\* \* \*

#### 1950-მდე

წერს ლექსს „აი – ია“.

➤ 11356

#### 1950-მდე

წერს ლექსს „შორს რომ სჩანს, ის რა გემია...“.

➤ 11357

#### 1950-მდე

წერს ლექსს „თვალწინ ზღვა აღიმართა“.

➤ 11358

#### 1950-მდე

წერს ლექსს „ლექსი, დაწერილი უამინდობაში“.

➤ 11359

**1950-მდე**

წერს უსათაურო ლექსს „საწყალ პოეტის შხამი და ჟანგი...“.

➤ 11360

**1950-მდე**

წერს ლექსს „ინტერვენცია“ („მშვიდი სოფელია, თუ მძლე ქალაქია...“).

➤ 11361

**1950-მდე**

წერს უსათაურო ლექსს „მთელი დღე წვიმის ეკიდა ქსელი...“.

➤ 11362

**1950-მდე**

წერს უსათაურო ლექსს „როგორც ზღაპრული მზეთუნახავი...“.

➤ 11363

**1950-მდე**

წერს უსათაურო ლექსს „ზღვისპირად შენი, ძმავ, თავდადება...“.

➤ 11364

**1950-მდე**

წერს ლექსს „ნავით – უკვდავებისაკენ“ („მეტყვიან უცხო სიტყვას რომელნი?...“).

➤ 11365

**1950-მდე**

წერს ლექსს „პორტრეტი“ („თავბრუდამხვევი იყო წამები...“).

➤ 11366

**1950-მდე**

წერს უსათაურო ლექსს „შვენოდა ჰაერს ფოთლების ბნევა...“.

➤ 11367

**1950-მდე**

წერს ლექსს „ამომავალ მზეს“.

➤ 11368

**1950-მდე**

წერს ლექსს „ზღვაზე გრიალებს გრიგალი“.

➤ 11369

**1950-მდე**

წერს უსათაურო ლექსს „შენს თეთრ შუბლზე თვით გენიის...“.

➤ 11370

**1950**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1950**

**1 იანვარი**

რუსულ გაზეთში „ზა ბოლშევისტსკიი პორტ“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ახალი წლის სიმღერა“ ნაწყვეტის თარგმანი.

➤ 11371

1950

**1 იანვარი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „წინ!“ თარგმანი.

➤ 11372

1950

**1 იანვრის შემდეგ**

იწერს ფრანგული ჟურნალის „Les Temps nouveaux“-ის 1950 წლის 1-ელი იანვრის ნომრის მოწინავე წერილში გამოთქმულ აზრს, რომ მთავრდება პირველი ნახევარი საუკუნისა, რომელსაც ბადალი არ ჰყავს ისტორიაში მოვლენათა სიდიადისა და სოციალური ძვრების თვალსაზრისით.

➤ 11373

1950

**14 იანვარი**

წერს პატარა სატირულ სტროფს: „დიდებულზე დიდებული ამბით / სდგას ტომარა გატენილი ბამბით“.

➤ 11374

1950

**17 იანვრის შემდეგ**

რუსული გაზეთიდან „პრავდა“ იწერს პასაჟებს მიხაილ ბუბენოვის კრიტიკული წერილიდან ვალენტინ კატაევის ახალი რომანის „საბჭოთა ხელისუფლებისთვის“ შესახებ“. ბუბენოვი ცდილობს ცნობილი მწერლის იდეოლოგიური კუთხით გაკრიტიკებას.

➤ 11375

1950

**17 იანვრის შემდეგ**

დღიურში აკეთებს ჩანაწერს ნიკო მარის მიერ 1924 წელს რუსულ ენაზე წაკითხული ლექციების ციკლის შესახებ სახელწოდებით „პირინეის გურია“.

➤ 11376

1950

**19 იანვარი**

იოსებ მეგრელიძე ჩუქნის ნიკო მარის რუსულ წიგნს „ქართული ენა“ წარწერით: „უღრმესი პატივისცემით ძვირფას გალაკტიონ ტაბიძეს სიყვარულით გამომცემელ ი. მეგრელიძისგან“.

➤ 11377

1950

**19 იანვრის შემდეგ**

კითხულობს ნიკო მარის რუსულ წიგნს „ქართული ენა“, აკეთებს ხაზგასმებსა და ჩანახატს.

➤ 11378

1950

**27 იანვრამდე**

დღიურში იწერს იმერიზმებს, ანდაზას და უილიამ შექსპირის ფრაზას: „ადამიანო, ადამიანო! ცრუ და ვერაგო“.

➤ 11379

1950

**27 იანვარი**

უბის წიგნაკში იწერს ძველი სიმღერის ტექსტს: „მიყვარს ვარდი, მიყვარს ია“...

➤ 11380

**1950**

**27 იანვარი**

ალექსანდრ პუშკინის რომანიდან „კაპიტნის ქალიშვილი“ უბის წიგნაკში იწერს იგავს „არწივი და ყვავი“, რომელშიც ყვავი არწივს ურჩევს მასავით ლემის ჭამას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, მაგრამ არწივი ხვდება, რომ ლემის ჭამას ვერ შეძლებს.

➤ 11381

**1950**

**25 იანვარი**

სამკურნალოდ წვება კარდიოლოგიის ინსტიტუტში.

➤ 11382

**1950**

**25 იანვარი**

კარდიოლოგიის ინსტიტუტში მკურნალობისას უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს ავადმყოფებისა და სამედიცინო პერსონალის შესახებ.

➤ 11383

**1950**

**27 იანვარი**

უბის წიგნაკში განმარტავს ტერმინს „ელექტროენცეფალოგრაფია“.

➤ 11384

**1950**

**25 იანვარი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში რუსულ ენაზე იწერს ამონარიდს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ დაბეჭდილი წერილიდან „გ. ნ. ლეონიძის შემოქმედებითი საღამო“, კერძოდ, თავად იუბილარის, გიორგი ლეონიძის ფრაზას, რომელშიც ის მაღლობას უხდის იოსებ სტალინს ხალხისთვის წერის უფლება რომ მისცა.

➤ 11385

**1950**

**27 იანვრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს „გლახის ნაამბობის“ ფრაზას „შენ მითხარი გზაო!? აჰა დამითმია გზა, გზა მშვიდობისა!“

➤ 11386

**1950**

**31 იანვარი**

წერს პროზაულ ჩანახატს „ცილინდრი ზღვაზე“. იხსენებს, თუ როგორ მოუთხრობდა ვასილ არაბიძეს, რომ ერთხელ აფხაზეთში პოეზიის საღამო კინაღამ ჩაშალა კოკისპირულმა წვიმამ. პასუხად არაბიძე მიუგებს, რომ ეს არაფერია იმასთან შედარებით რაც მსახიობებს გადახდათ თავს. კოტე მესხს მოუნდომებია საიუბილეო წარმოდგენის გამართვა აფხაზეთში და მსახიობთა დასი ნავებით წაუყვანია. მას თავისი ცილინდრი ჩაუბარებია დავით მგალობლიშვილისთვის, რომელსაც ზღვის ღელვის დროს იგი წყალში ჩავარდნია. კოკისპირულმა წვიმამ ჩაშალა იუბილე,

რომელიც მსახიობისათვის შემოსავლის მიღების წყარო იყო. ვასილ არაბიძე არტისტის მღელვარე ცხოვრებას ზღვაზე მოთამაშე ცილინდრს ადარებს.

➤ 11387

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1950

### 5 თებერვლამდე

წერს ლექსს „ჩამორჩენილი მაყარი“ („მსგავსად შეშლილთა წყაროთა...“).

➤ 11388

1950

### 5 თებერვლამდე

სასაუბრო მეტყველებიდან ინიშნავს უცხო სიტყვათა უადგილო და დამახინჯებული ხმარების შემთხვევებს.

➤ 11389

1950

### 5 თებერვლამდე

უყვებიან სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლის მიტუმა ერისთავისა და მისი მამის დიალოგის შესახებ, რომელსაც უბის წიგნაკში იწერს. მიტუმას სილოვან ხუნდაძისგან დავალებად ჰქონია თხზულების დაწერა, მაგრამ ზარმაცობდა და საქმეს ბოლო წუთებისთვის დებდა. ამაზე მამას უთქვამს, დროულად დაიწყე წერა, თორემ გალაკტიონ ტაბიძე ხომ არ ხარ, ერთ ღამეში ისეთი შთაგონება მოგივიდეს „მე და ღამე“ დაწერო.

➤ 11390

1950

### 5 თებერვალი

იმყოფება კარდიოლოგიის ინსტიტუტში. წერს უსათაურო ლექსს „იმ ჯოჯოხეთურს ვიგონებ ვარვარს...“.

➤ 11391

1950

### 20 იანვარი - 9 თებერვლამდე

გალაკტიონის კარდეოლოგიის ინსტიტუტში მკურნალობის პერიოდში მეუღლე ნინო კვირიკაძე აკადემიიდან იღებს პოეტის ხელფასს სამი ათასი მანეთის ოდენობით, ისვამს სამ ოქროს კბილს, ყიდულობს კაბას და ბალტიისპირეთში სამოგზაუროდ გზავნის ქალიშვილს. საავადმყოფოდან გამოსული გალაკტიონი იმითლა ინტერესდება, ეყო თუ არა ნინოს ფული შემის საყიდლად.

➤ 11392

1950

### 9 თებერვლამდე

კარდიოლოგიის ინსტიტუტში მკურნალობისას იგებს, რომ მისი მკურნალი ექიმი ვახტანგ ლითანიშვილი ლექსებს წერს და სთხოვს, წაკითხოს თავისი პოეტური ნიმუშები, რაზედაც ექიმი სთანხმდება და საკუთარი ლექსები წასაკითხად მიაქვს მისთვის.

➤ 11393

1950

### 9 თებერვალი

ექიმების უყურადღებობით უკმაყოფილო ეწერება კარდიოლოგიის ინსტიტუტიდან.

➤ 11394



1950

### 12 თებერვალი

ლექსები გადასაბეჭდად მიაქვს გამოუცდელ მემანქანესთან, რომელიც გვერდს იაფად, 2 მანეთად კი უბეჭდავს, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი შეცდომა მოსდის. იმ დასკვნამდე მიდის, რომ მემანქანე სიიაფით არ უნდა შეარჩიოს და, საერთოდ, რაც იაფია, უხარისხია.

➤ 11395

1950

### 13 თებერვლის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ამ ჟურნალის 1949 წლის ნომრების შინაარსი, რომლიდანაც ჩანს, რომ წლის მანძილზე გალაკტიონის მხოლოდ ერთი ლექსი დაიბეჭდა, სათაურით „სტალინს (70 წლის შესრულების გამო)“.

➤ 11396

1950

### 14 თებერვალი ან ადრე

დღიურში იწერს, რომ ახალგაზრდა პოეტ არჩილ სულაკაურს რამდენიმე ლექსი აქვს გამოქვეყნებული „მნათობში“ და რომ მის შესახებ ამბობენ, დიდი ენთუზიასტიაო.

➤ 11397

1950

### 14 თებერვალი

აკეთებს ჩანაწერს „როგორ ჰკითხულობდა კაჩალოვი ჩემს ლექსებს“, რომელშიც იხსენებს მსახიობ ვასილი კაჩალოვის დეკლამაციურ ოსტატობას. გალაკტიონის თქმით, მისი გვარის გამოცხადებისთანავე თეატრის დარბაზს საოცარი გამოცოცხლება ეტყობოდა. პოეტი აღნიშნავს, რომ მისთვის დაუვიწყარია საღამო, რომელზეც მსახიობმა წაიკითხა მისი ლექსი „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. კაჩალოვს ჰქონდა უნარი სწვდომოდა მსმენელთა გულს, გაებრუებინა ის თავისებური ლირიკულობით. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მსახიობი მსმენელზე ახდენდა ლექსის ფინალის კითხვის დროს, როდესაც ხმას უმაღლებდა. გალაკტიონის თქმით, ასეთივე პათოსით წაიკითხა კაჩალოვმა ლექსი „ფიცი“, რომელიც „მოქნეული ხმლის წკრიალივით“ ისმოდა. პოეტი აღნიშნავს, რომ მისთვის დაუვიწყარია არტისტის საშემსრულებლო ოსტატობა.

➤ 11398

1950

### 14 თებერვალი

ტრამვაიში ხვდება თავის ძველ ნაცნობს, მხატვარსა და არქიტექტორ ვლადიმერ წილოსანს და იგებს, რომ ის რუსთაველის ძეგლის პირდაპირ დიდ შენობას აშენებს. აგონდება, რომ სწორედ მას მოახატინა 1924 წელს ჟურნალ „მნათობის“ ყდა.

➤ 11399

1950

### 14 თებერვლის შემდეგ

საბჭოთა კავშირი დიდი ზარზემით აღნიშნავს ჩინეთთან მეგობრობას. მოქანდაკე თამარ აბაკელია ქმნის ქართული ორნამენტებით შემკულ „მეგობრობის თასს“, რომელიც ამ ზეიმისადმი მიძღვნილ კონკურსში იმარჯვებს. ამ თასს ჩინეთში ბროლისგან ასხამენ და თამარის მეუღლეს – კარლო კალაძეს თვითმფრინავით ჩამოაქვს თბილისში. ამის აღსანიშნად ცოლ-ქმარი წყნეთის აგარაკზე აწყობს ბანკეტს, რომელზეც მეგობრობის თასი საპატიო კვარცხლბეკზეა დაბრძანებული. უცებ კარი იღება და სტუმრებით გადაჭედოდა ოთახში შემოდის საწვიმარში, რეზინის ჩექმებსა და ყურებამდე ჩამოფხატულ შლაპაში გამოწყობილი გალაკტიონი. იგი დინჯად ავლებს თვალს ჯერ საზეიმოდ გამოწყობილ საზოგადოებას, შემდეგ საკუთარ

ჩაცმულობას და გაკვირვებით კითხულობს: „მე აქ რა მინდა? მაგრამ ჩემი თამრიკოსა და კარლოსთვის ხომ უნდა მიმელოცა?“ ის კვარცხლბეკიდან დინჯად იღებს თასს, ღვინით უვსებენ, ცოტას მოსვამს და უცებ თასი იატაკს ენარცხება. დარბაზს გმინვა აღმოხდება, თამარ აბაკელიას გული მისდის. სამარისებურ სიჩუმეში მხოლოდ გალაკტიონის ხმა ისმის: „მე აქ რა მინდოდა?“ და ის სიბნელეში უჩინარდება.

➤ 11400

1950

14-15 თებერვალი

მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს აქვს სიცხე და საღამოს 7 საათიდან მომდევნო დილის 9 საათამდე შვიდჯერ უსინჯავს სიცხეს და უბის წიგნაკში წერს მონაცემებს. დილით ტემპერატურა უკვე 37.1-ზე არის დასული.

➤ 11401

1950

15 თებერვალი

ხვდება მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს შალვა მამალაძეს, რომელიც ამავე კავშირის მიერ მოწყობილი საღამოების შესახებ ესაუბრება. გალაკტიონის შეთავაზებაზე, რომ მისი პოეზიის საღამოც გამართოს, ჰპირდება, რომ გაზაფხულისთვის დაგეგმავს.

➤ 11402

1950

15 თებერვალი

აპროტესტებს, რომ მისი გავლენა ახალგაზრდა პოეტებზე საკმაოდ დიდია, მაგრამ არ შეიძლება ეს მიაწერონ მხოლოდ სუსტ ახალგაზრდა მწერლებს. დარწმუნებულია, რომ არა მარტო ახალგაზრდები, არამედ მთელი ქართული მწერლობა განიცდის მის გავლენას.

➤ 11403

1950

15 თებერვალი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოეწყოს მისი საღამო მხატვართა კავშირში. კერძოდ, გეგმავს 1900-1950 წლებში გადაღებული ფოტოსურათების მიხედვით ცნობილი მხატვრების მიერ მისი 50 პორტრეტის შექმნას.

➤ 11404

1950

15 თებერვალი

ლექსომბინატში მიდის სტომატოლოგ ქალთან, გვარად შანიძესთან, რომელიც ეუბნება, რომ მკურნალობის დაგვიანების გამო ოთხ კბილს აღარაფერი ეშველება ამოღების გარდა და თან მათ ნაცვლად არაფრის ჩასმა არ მოხერხდება.

➤ 11405

1950

15 თებერვალი

ვლადიმერ მაიაკოვსკის თვითმკვლელობიდან ოცი წლის შემდეგ მიმართავს მას ლექსით „ორგანიზებული დევნა“ („ოჰ, ქუჩებს გვიან...“).

➤ 11406

1950

15 თებერვალი

სათაურით „სტუდენტობა“ აკეთებს ვრცელ ჩანაწერს ახალგაზრდა პოეტთა კრებულზე, რომლის გამოცემასაც აპირებს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ძალიან აინტერესებს იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად გაიგო ახალგაზრდობამ თანამედროვე ცხოვრების გამოწვევები და როგორ შესძლო მისი ლიტერატურული ასახვა. ასევე სურს გაიგოს, რომელი თანამედროვე მოწინავე პოეტის გზას მიჰყვებიან. არიან ისინი სრულიად თავისუფალნი და წრფელნი თავიანთ სათქმელში თუ ვინმეს ან რაიმეს გავლენის ქვეშ არიან. გალაკტიონმა იცის, რომ მისი გავლენა ახალგაზრდა პოეტებზე, და არა მხოლოდ მათზე, ძალიან დიდია, მაგრამ შიშობს, რომ მისი კოლეგები შეეცდებიან ეს გავლენა დაინახონ მხოლოდ სუსტ ახალგაზრდა პოეტებში. ფიქრობს, რომ თუ ახალგაზრდა პოეტთა წრეს მართლაც ბესარიონ ჟღენტი ხელმძღვანელობს, ის იმდენად მტრობს გალაკტიონს, რომ აუცილებლად შეეცდება ჩამოაშოროს მას ეს ახალგაზრდობა. პოეტის აზრით, მთავარია, რა სიახლე მოაქვს ამ ახალგაზრდობას. იხსენებს, როგორ შემოიტანა თავად მან ახალი სხივი ალმანახებით „პირველი ტალღა“ და „კოლხიდა“ საუკუნის დასაწყისში.

➤ 11407

1950

### 15 თებერვალი

ჩანაწერს აკეთებს ივანე ტურგენევის დამოკიდებულების შესახებ საფრანგეთის იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრ – ლეონ გამბეტასადმი, რომელიც მოღვაწეობის პირველი ეტაპის ფოტოებზე სულ მოღუშული იყო, შემდეგ კი სულ იღიმებოდა, ფოტოებზე მისი ასეთი გარდასახვა კი აგონებს ვლადიმერ ლენინს.

➤ 11408

1950

### 15 თებერვალი

ქუჩაში ხვდება შეზარხოშებული ვარლამ ჟურული, რომელიც სტუდენტებს ელაპარაკება და გალაკტიონის მისვლისას პოეტს ეუბნება, ესენი სულ თქვენი მოწაფეები არიანო.

➤ 11409

1950

### 15 თებერვალი ან შემდეგ

იხსენებს 1948 წელს მის შემოქმედებით სადამოუხე შალვა დადიანის და იონა ვაკელის სიტყვით გამოსვლას და აკეთებს ჩანაწერს, რომ როგორმე იშოვოს მათი გამოსვლის ჩანაწერები.

➤ 11410

1950

### 15 თებერვალი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს პოლიკარპე კაკაბაძის შესახებ. მის პიროვნულ თვისებათაგან გამოყოფს სიღინჯეს, გონიერებას, შრომისმოყვარეობას. მოსწონს მისი პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ და თვლის, რომ ავტორი თანამედროვე ქართული დრამატურგიის ფუძემდებელთაგანია.

➤ 11411

1950

### 16 თებერვალი

აღმოჩნდება, რომ სტომატოლოგი ქალბატონი, გვარად შანიძე გალაკტიონს ჯერ კიდევ ქუთაისიდან იცნობს და მოაგონებს, რომ ის და ეპარქიის სასწავლებლის კიდევ ათი რევოლუციონერი გოგონა მონაწილეობდნენ საფიჩხიაზე გალაკტიონის საპატივცემულოდ გამართულ შეკრებაში. პოეტი ვარაუდობს, რომ ეს იქნებოდა 1914 წელს.

➤ 11412

1950

## **16 თებერვალი**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის გამგის, ვარლამ მიქაძისგან იგებს, რომ გამოდის სტუდენტების კრებული, რომელშიც გალაკტიონის პოეტური სკოლის არაერთი მიმდევრის ლექსია.

➤ 11413

**1950**

## **16 თებერვლის შემდეგ**

მურმან ლებანიძის ლექსების კრებულის სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 11414

**1950**

## **17 თებერვალი**

უბის წიგნაკში იწერს გასული წლის ჰონორარებს და ანგარიშობს დაქვითული თანხის რაოდენობას.

➤ 11415

**1936-1950**

## **19 თებერვლამდე**

კითხულობს ფრანგი მოაზროვნისა და სოციოლოგის სენ-სიმონის მემუარებს.

➤ 11416

**1950**

## **19 თებერვალი**

ავიანებს და ძლივს უსწრებს იოსებ მჭედლიშვილის დასაფლავებას. აგონდება სენ-სიმონის მემუარებში წაკითხული, რომ ენის კიბოთი გარდაიცვალა ჰერცოგი ანტონენ ლოზენიც.

➤ 11417

**1950**

## **19 თებერვალი**

იოსებ მჭედლიშვილის დასაფლავებაზე ხვდება ბესარიონ ჟღენტს. ის ეუბნება, რომ წინა წელს მოსკოვსა და ლენინგრადში გამოცემული ანთოლოგიის „ქართული პოეზია“ წინასიტყვაობისთვის დაწერა ახალი ქართული პოეზიის მიმოხილვა, მაგრამ მისი გვარი არ მიუწერიათ და ტირაჟის სიმცირის გამო წიგნიც კი ვერ უშოვია. ბესარიონ ჟღენტი გალაკტიონს გადასცემს ალექსანდრე რიაზინინას სიტყვებს, რომ მისი წიგნი მალე გამოვა და სულ 8000 სტრიქონი იქნება.

➤ 11418

**1950**

## **19 თებერვალი**

მომდევნო დღისთვის გეგმავს ფედერაციაში მისვლას ჰონორარის ასაღებად და ბესარიონ ჟღენტისგან მისი ახალგამოსული წიგნის საჩუქრად მისაღებად. ასევე აპირებს სტალინის სახელობის აღმასრულებელი კომიტეტიდან ლენინის ორდენოსნობის მოწმობის წამოღებას სახელმწიფო გამომცემლობაში წარსადგენად და სტომატოლოგთან ვიზიტს.

➤ 11419

**1950**

## **20 თებერვლის შემდეგ**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემულ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს.

➤ 11420

1950

**22 თებერვალი**

წერილს უგზავნის თავის მკურნალ ექიმს ვახტანგ ლითანიშვილს, რომელიც მას კარდიოლოგიის ინსტიტუტში მკურნალობდა. სწერს, რომ სიამოვნებით გაეცნო მის ლექსებს. ბოდიშს უხდის, რომ საავადმყოფოდან ისე გაეწერა, დაპირებული წიგნი არ გადაუცია. ჰპირდება, რომ მალე ინახულებს და იმ ლექსსაც წაუკითხავს, რომელზედაც საუბარი ჰქონდათ.

➤ 11421

1950

**26 თებერვლამდე**

ასწორებს 1936 წლის მარტში დაწერილ უსათაურო ლექსს „მხოლოდ მსოფლიო, გენიალურ ჰარმონიის აზრს...“, ამზადებს ნაწარმოების ტექსტს თხზულებათა რვატომეულის მეშვიდე ტომში დასაბეჭდად სათაურით „მოგონებათა ცა“.

➤ 11422

1950

**26 თებერვლამდე**

წერს უსათაურო ლექსს „მშობლიური ჩემო ზეცა...“.

➤ 11423

1950

**26 თებერვლამდე**

წერს ლექსს „ხალხური მოტივებიდან“ („კლდეში ხმალი გადუნახავთ...“).

➤ 11424

1950

**26 თებერვლამდე**

წერს ლექსს „სავსე ვართ ქვეყნის მზიურ დღეებით“ („სავსე ვართ ქვეყნის მზიურ დღეებით...“).

➤ 11425

1950

**26 თებერვლამდე**

წერს ლექსს „მახსოვს ზაფხული“ („მახსოვს ზაფხული ტობანიერის...“).

➤ 11426

1950

**26 თებერვალი**

ასწორებს 1935 წლის 15 აპრილს დაწერილ უსათაურო ლექსს „აბა, კარგად დაფიქრდი...“. ლექსის ახალ ვარიანტს, სათაურით „აბა, კარგად დაფიქრდი“, ამზადებს თხზულებათა რვატომეულის მეშვიდე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 11427

1950

**26 თებერვალი**

წერს ორ ვარიანტს უსათაურო ლექსისა „ამ გაზაფხულზე ბუბა...“

➤ 11428

1950

## 27 თებერვლამდე

წერს ლექსს „დარჩნენ ქვიშანი“.

➤ 11429

1950

## 12 - 27 თებერვალი

წერს უსათაურო ლექსს „რას შფოთვენ, რა გზით მიმოვლენ...“.

➤ 11430

1950

## 27 თებერვლამდე

წერს ლექსს „შეხვედრა მთაში“ („აგერ მადლიანი ქედი...“).

➤ 11431

1950

## 27 თებერვალი

უბის წიგნაკში იწერს, რომ ბენო ჩიქობავა გააკეთებს მის საბავშვო კრებულს.

➤ 11432

1950

## 27 თებერვალი

ადგენს გადასაწერი ტექსტების სიას: „პირველი მაისი“ (ლექსი წაკითხული აკადემიაში), „გიორგი ქუჩიშვილს“ (ორივე ლექსი), „მოხუცი მთამსვლელი“, „ავტომობილზე“ („ხან თხრილებია...“), „შეხვედრა მთაში“, „დილიჟანსით“, „წარწერა ამერიკელი ავტორის წიგნზე“, „ტყის აშრიალდა ფოთოლი“, „ფაზისი“, „დარჩნენ ქვიშანი“, „შოვიდან ისარმა“, „მშვენიერო ჩემო ზეცავ“, „მაღლა ავსწიოთ“, „პროლეტარული ოკტომბერის გამარჯვებისთვის“, „ხელით რომ მიჰყავთ პატარა ცხვარი“, „შეხედე, რა ცაა“, „ჩვენს ყრმობის ხანში“, „ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს“, „ტყეში დღეა თუ ბნელა“, „მეგობარ პოეტს“, „და გიგანტი ყოველ დროის“, „ეროვნებანი“, „ბუნების განახლება“, „რუსთაველის ძეგლის გახსნა“, „ვიდრე ხვალ“, „სიზარმაცევ, დამანებე თავი“, „დგება შემოდგომა“, „შოთა“, „მუხლი პოეტის“ და პოემები.

➤ 11433

1950

## 28 თებერვლამდე

ასრულებს მასალების ამობეჭდვას წიგნებიდან „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ და „ზღვა ახმაურდა“, ამონაბეჭდთან ადარებს პოემას „ამირანი“ და პოულობს თხზულებათა მეშვიდე ტომში შესატან ლექსებს: „ტყის აშრიალდა ფოთოლი“, „კლდეში ხმალი გადაუნახავთ“, „ის ერთი, ის ერთი შეხება ნიავის“, „ცხრა თებერვალი“, „მთელი საათია ზევიდან, ქვევიდან“, „შუქს“, „მთას მიეფარა“, „გადანახული დროშები“.

➤ 11434

1950

## 28 თებერვალი

ნინო კვირიკაძე ამთავრებს მეშვიდე ტომის მასალების ამობეჭდვას წიგნიდან „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ და „ზღვა ახმაურდა“. სულ არის 2600 სტრიქონი.

➤ 11435

1950

## 28 თებერვალი

ხვდება მხატვარ ალექსანდრე ბაჟბეუკ-მელიქოვს, რომელიც შინ ეპატიჟება, ათვლიერებინებს თავის ნამუშევრებს და აცნობს დას. ეს ხნიერი ქალბატონი გალაკტიონს უყვება, რომ დედამისი იცნობდა ალექსანდრე ყაზბეგს. გალაკტიონი ასევე იგებს, რომ მასპინძლის ქალიშვილი მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს. პოეტს მოსწონს ეს ოჯახი, მაგრამ ძალიან წუხს მათი საცხოვრებელი პირობების გამო. ვერც კი წარმოუდგენია, როგორ შეიძლება ასეთ პატარა ოთახში ხატოს ადამიანმა. დამშვიდობებისას მასპინძელი ჩუქნის თავის ტილოს „ოქროს ქალიშვილი“. შინ დაბრუნებული გალაკტიონი უბის წიგნაკში იწერს ამ შთაბეჭდილებებს და ამთავრებს სიტყვებით: „უნდა დავეხმარო!“.

➤ 11436

## მ ა რ ტ ი

1950

### 1 მარტი

მეუღლე ნინო კვირიკაძე ულოცავს გაზაფხულის პირველ დღეს და უყვება სიზმარს, თითქოს გალაკტიონი ისეთი მაღალი იყო, ოთახში ძლივს ეტეოდა და ვითომ ჩექმები იყიდა თავისთვისაც და ნინოსთვისაც. ამბობს, რომ ეს კარგი ნიშანია. ახსენდებათ, რომ ამ დღეს საწარმოო საქონელზე ფასების კლებაა გამოცხადებული. რიგრიგობით მოდის წყნეთელი მერძევე და მუხრანელი მემაწვნე, რომლებსაც თავიანთ საქონელზე ჯერ ფასები არ დაუკლიათ, რადგან ელოდებიან, შეასრულებს თუ არა ხელისუფლება სიტყვას და დაიკლებს თუ არა პურის ფასი.

➤ 11437

1950

### 1 მარტი

აგრძელებს მუშაობას თავისი თხზულებების მეშვიდე ტომის მომზადებაზე და საკუთარ ნაწერებში პოულობს მასში შესატან ახალ ლექსებს.

➤ 11438

1950

### 1 მარტი

ტრამვავით მიდის კბილის ექიმთან. ტრამვავის ბილეთზე ჯერ არ არის დაკლებული ფასი, მაგრამ უნივერსიტეტზე წარწერაა გამოკრული, რომ ყველაფრის ფასები დაკლებულია. კბილის ექიმი ეუბნება, რომ მას ათსულიანი ოჯახი ჰყავს და ამ ფასდაკლებებით თვეში ათას მანეთს დაზოგავს.

➤ 11439

1950

### 1 მარტი

ახსენდება და დღიურში იწერს, რომ 1949 წლის დეკემბერში გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთი“ მოწინავე გვერდზე დაბეჭდა მისი ლექსი იოსებ სტალინზე.

➤ 11440

1950

### 1 მარტის შემდეგ

იღებს ცნობას, რომ დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და სარგებლობს შეღავათებით და მაშინვე მიაქვს სახელმწიფო გამომცემლობაში.

➤ 11441

1950

### 3 მარტი

აღმოაჩენს, რომ მის ტომეულებში მანამდე გამოუქვეყნებელი პოემების ჩამონათვალს აკლია „ორმოცი წლის წინად“ და „ძლეული სენი“.

➤ 11442

1950

### 6 მარტი

თხზულებათა მეშვიდე ტომისთვის ძველ რვეულებში პოულობს ლექსებს და ადგენს მათ სიას: „ლომის ხმაური“ („ტყეში, დღეა თუ ზნელა...“). „ნეგორელოე“, „ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს“, „ჩვენს ყრმობის ხანში ბევრი ყოფილა“, „შეხედე, რა ცაა!“, „ხელით რომ მიჰყავთ პატარა ცხვარი“, „კრემლი“, „ძრწის ტევტონი“, „პარიზის სეზონი“, „აბა, კარგად დაფიქრდი“, „ეხლა გაუბედაობა?“, „ლენინ, ლენინ!“ (შვეიცარიაში), „დაცვა ძველი ძეგლებისა“, „ბერლინი“, „ულევი, უანგარიშო“, „ვარშავიდან ბერლინამდე მიმავალი შარავ“, „მონ-მარტრში შენი თვალები“, „ვერსალში“ („შენ ისვენებდი, მრავალის მომსწრეს...“), „ქარი ჩადგება. ქარი ჩადგება“ და „კაბინეტიდან მასაში“. ფიქრობს, რომ შალვა რადიანის წინააღმდეგობა რომ არა, ეს ტექსტები უკვე გამოქვეყნებული იქნებოდა მისი თხზულებების მესამე ტომში.

➤ 11443

1950

### 6 მარტი

თავისი თხზულებების მეშვიდე ტომისთვის წიგნიდან „ზღვა ახმაურდა“ იწერს ლექსების სიას და უთითებს გვერდებს. ჩამონათვალშია ლექსები: „ვით არ მიყვარდეს“, „აგე, იმ ჩრდილ ქვეშ“, „სტუმრად“, „სხვაგან სადაა?“, „ევკალიპტი“, „ორნამენტი“, „ოცნების მდიდარ ბაღში“, „ნაკადულო“, „ვარდები“, „შარდა ამთა“, „ჩვენი კოდორი“, „სადღაც კი...“, „ომს სურს“, „ტყვარჩელთან“, „დანგრეული სახლი სოხუმში“, „დღეს ჩამოვხსენი“, „აზრი გენიალური ჰარმონიისა“, „მარადისი დიდება გმირებს“, „მშფოთარებაა გარედ“, „პოეტი და მასსა“, „მესხის გამოხედვა“, „დიდებულო შოთა“, „გამბედავო და მაგარო ხელო“, „ილიას მოტივი“, „მეცხრე სიმფონია“, „ხმამაღლა“ და აღნიშნულია, რომ მათ უნდა დაემატოს „მოჰფენია ფერი ლილის“, „ისტორიის ახალი გვერდი“ და „გულთა კავშირი“.

➤ 11444

1950

### 6 მარტი

წიგნიდან „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ მეშვიდე ტომში შესატანად არჩევს შემდეგ ლექსებს: „მზის ამოსვლა ზღვაზე“, „შრომა, მეცნიერებასთან“, „მოგზაურობა ვერცხლის“, „დაუძლეველი“, „ოცნება აჭარის წყალთან“, „სიმფონია მცენარეების“, „შედულება ოცნებისა და სინამდვილის“, „ბუნება – მოქანდაკე“, „მხარე, გეთაყვა“, „დგება შემოდგომა“, „ქალი ლიმონებში“, „გასწიე ფარდები“, „ჩვენი ძველი დროშები“ და „არ დაგავიწყდეს“.

➤ 11445

1950

### 6 მარტი

თხზულებათა მეშვიდე ტომისთვის პოულობს კიდევ შვიდ ლექსს და აკეთებს სიას: „მთელი საათია“, „დასვენების შუქს განაზნებს“, „რა ტკბილია დასვენება“, „კლდეში ხმალი გადუნახავთ“, „გადანახული დროშები“, „მთას მიეფარა“ და „ის ერთი შეხება ნიავის“. ბოლოში კი მიაწერს ამ ლექსების სტრიქონების საერთო რაოდენობას.

➤ 11446

1950

### 6 მარტი

ხელახლა ითვლის პოემის „1939“ სტრიქონებს და არკვევს, რომ 580 სტრიქონია და არა 478.

➤ 11447

1950



## 6 მარტის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „რაღაც ჩურჩულის ხმა...“.

➤ 11448

1950

## 6 მარტის შემდეგ

დღიურში წერს თვის ძველ პედაგოგზე, კალიგრაფიის მასწავლებელ ფხაკაძეზე, რომლის ხასიათშიც სიმშვიდე უცნაურად ერწყმოდა მრისხანებასა და დაუნდობლობას.

➤ 11449

1950

## 6 მარტის შემდეგ

შოთა რუსთაველზე ანტონ კათალიკოსის სიტყვების მიხედვით წერს უსათაურო ლექსს „შოთა ბრძენ იყო...“

➤ 11450

1950

## 6 მარტის შემდეგ

იხსენებს 1911 წელს ქუთაისის გაზეთებში ამოკითხულ ინფორმაციას ამერიკაში მცხოვრებ წარმატებულ ქალზე, გვარად ტაბიძეზე და ინტერესდება, საიდან უნდა მოხვედრილიყო ამერიკაში.

➤ 11451

1950

## 6 მარტის შემდეგ

ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს შესახებ ფიქრობს, რომ მისი მოღვაწეობისთვის საქართველოში ნიადაგი უკვე მომზადებული იყო.

➤ 11452

1950

## 21 მარტი

წერს ლექსს „წარწერა წიგნზე“ („იფნის ნორჩ ხეებს მედგარი...“).

➤ 11453

1950

## 24 მარტი

ვერის ხიდთან მდებარე სადალაქოდან კმაყოფილი გამოდის და კარგ ხასიათზე მყოფი მიუყვება სანაპიროს ჩელიუსკინელების, ამჟამინდელი თამარის ხიდისკენ. ახსენდება წლების წინ ამ ქუჩაზე მომხდარი ერთი ამბავი: გლეხის ქალს კალათით ფეხშეკრული ქათამი მიჰყავდა, ქათამს ფეხები შეუხსნია, უცებ ამოფრინდა და ვიღაცის მაღალღობიან ეზოში ჩაფრინდა. ქალმა ბევრი უტრიალა ეზოს, მაგრამ ვერაფერი მოახერხა და ხელმოცარული წავიდა. გალაკტიონი წუხს, რომ ასეთი უსიამოვნება მაინცადამაინც ისედაც გაჭირვებულ ღარიბებს ემართებათ.

➤ 11454

1950

## მარტი

წერს ლექსს „მაღლობა დედას“ („ომის გამწირველ დღეთა...“).

➤ 11455

1950

## 24 მარტის შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ბრწყინავდეს მთის კიდე...“

➤ 11456

## აპრილი

1950

### 1 აპრილი ან შემდეგ

რუსთავის კოლონიიდან იღებს მწერალ დარია ახვლედიანის ვაჟის, ოთარ ახვლედიანის წერილს. აცნობებს, რომ პასპორტის დაკარგვისთვის მისჯილი აქვს ორი წლით პატიმრობა. არის შიმშილსა და აუტანელ პირობებში. სთხოვს, დედის, დარია ახვლედიანის ნაწერები თუ გამოქვეყნდა, ცოტაოდენი თანხა გაუგზავნოს, ხოლო თუ არ გამოქვეყნებულა, ლექსები გაუგზავნოს, რომლის ყიდვასაც ვიღაც ჰპირდება. სთხოვს, რომ მალე გამოეხმაროს.

➤ 11457

1950

### 6 აპრილი

ავადმყოფობის გამო მინდობილობას უწერს ძმისწულს, ვასილ ტაბიძეს, რომ აიღოს მეცნიერებათა აკადემიაში მისი ხელფასი.

➤ 11458

1950

### 17 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „ქალაქთა ბნელთა თვალუწვედენელ...“.

➤ 11459

1950

### 18 აპრილი ან შემდეგ

წერილს იღებს მთარგმნელ ელენე შერისგან. ის გულდაწყვეტილია, რომ გალაკტიონის პირველი მთარგმნელი დღეს აღარავის ახსოვს. გაზეთში წაუკითხავს, რომ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ აპირებს გალაკტიონის, იოსებ გრიშაშვილისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსების რუსულ ენაზე გამოცემას და გადაწყვიტა, რომ გალაკტიონს, როგორც ყველაზე უბრალო და დიდებულ ადამიანს, შეეხმიანოს. ის ადრესატს ახსენებს, რომ „ზარია ვოსტოკას“ მიერ 1938 წელს გამოცემულ მის კრებულში მასალის ერთი მესამედი სწორედ ელენე შერის მიერ იყო თარგმნილი. ადრესანტი ძალიან უკმაყოფილოა იმით, რომ ხსენებულ გამოცემაში მისი თარგმანები საშინელი შეცდომებით იყო დაბეჭდილი და მოლაპარაკებებსაც კი აწარმოებდა მის მიერ თარგმნილი პოემის „ჯონ რიდი“ ხელახალ გამოცემაზე. მოგვიანებით გამოვიდა ამ პოემის ცაგარლისეული თარგმანი, რომელიც შერის აზრით არაფრით ჯობია მისას. სთხოვს, რომ პოემის „ჯონ რიდი“ და ლექსების: „მთაწმინდა“, „თეთრი პელიკანი“ და „ლურჯა ცხენები“ მისეული თარგმანები იქნებ შეიტანონ ახალ კრებულში. სწერს, რომ მის მიერ თარგმნილი „ლურჯა ცხენები“ 12 თუ 15 წლის შემდეგ თარგმნა ანტოკოლსკიმ და მთელი რიგი ფრაზებისა მისგან აიღო. ადრესანტი გალაკტიონს უყვება, როგორ დაკარგა 8 წლის წინ ბინა, როგორ არის შეკედლებული ვიღაცის ხუხულაში, სადაც საშინელ პირობებში უხდება ცხოვრება და უკიდურესად გაუუარესდა ჯანმრთელობა. ამის გამო აპირებს წყალტუბოში გადასვლას საცხოვრებლად. პენსია არაფერზე ყოფნის და გალაკტიონს სთხოვს, იქნებ როგორმე დაეხმაროს თარგმანების გამოქვეყნებაში. სთავაზობს, რომ ამაზე დაელაპარაკოს გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ მთავარი რედაქტორის მოადგილე ბესარიონ ჟღენტს ან კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის მდივან როსტომ შადურს.

➤ 11460

1950

### 22 აპრილი

წერს სიმონ ჩიქოვანისადმი მიძღვნილ, უსათაურო, სახუმარო ლექსს „ეს უნიჭო ჩიქოვანი...“.

➤ 11461

1950

23 აპრილი

უბის წიგნაკში იწერს, რომ ველარ პოულობს ელენე შერვაშიძის წერილს, რომელიც გუმინ მაგიდაზე ედო. ფიქრობს, რომ შეიძლება ეს მისი მეუღლის, ნინო კვირიკაძის ოინებია.

➤ 11462

1950

26 აპრილი

სიმონ ევგენოვთან, მერაბ კლიმიაშვილთან და გივი გეგელაშვილთან ერთად ბევრს დადის ავტომობილის შესაძენად და შუადღის სამ საათზე ახალი ავტომობილით ბრუნდება შინ.

➤ 11463

1950

26 აპრილი

ოპერისა და ბალეტის თეატრში ესწრება დავით თორაძის ბალეტს „გორდა“. აღტაცებულია წარმოდგენის ცალკეული სცენებით. ბალეტის მიმდინარეობისას გალაკტიონის ლოჟაში შედის ანდრო თევზაძე, რომელიც ეუბნება, რომ მთელი ახალგაზრდობა მის გვერდითაა. პოეტს ეს სიტყვები ძალიან სიამოვნებს. თვალში არ მოუდის ბალეტის ლიბრეტოს ავტორი ოთარ ეგაძე.

➤ 11464

1950

26 აპრილი

მასთან სტუმრად მისულ არჩილ სულაკაურს უყვება, როგორ იყიდა ავტომობილი და როგორ დაღალა ბევრმა სიარულმა.

➤ 11465

1950

27 აპრილი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მოსაგვარებელია ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საკითხი.

➤ 11466

## მ ა ი ს ი

1949

მაისამდე

წერს ლექსს „ნავთის კოშკები“ („ვარდებისა და ქალის მაგიერ...“).

➤ 11467

1950

1 მაისამდე

დიდი პოპულარობით სარგებლობს გალაკტიონის ლექსი „მაისი და მშვიდობა“. გალაკტიონმა ის წაიკითხა მეცნიერებათა აკადემიაში საზეიმო საპირველმაისო სხდომაზე, დაიბეჭდა გაზეთებში „ზარია ვოსტოკა“ და „ლენინის დროშა“ და დღის პირველ საათზე რადიო გადაცემაში წაიკითხა ეროსი მანჯგალაძემ.

➤ 11468

1950

1 მაისი

გეგმავს საჯარო ბიბლიოთეკაში მისვლას და პერიოდული პრესიდან თავისი ცალკეული ნაწარმოებების პირველნაბეჭდი ტექსტების მოპოვებას. სახელმწიფო გამომცემლობაში მისვლას. გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ სტამბაში თხზულებათა მეშვიდე ტომის ჩაბარებას. სტამბის გამგესთან მოლაპარაკებას წიგნის გამოსვლის ვადებთან დაკავშირებით. მწერალთა კავშირის უკანასკნელი პლენუმის სტენოგრამის მოპოვებას. ეთერ შუშანიას დისერტაციის დაცვის დაჩქარებას.

➤ 11469

**1950**

**1 მაისი**

გაზეთში „ავანგარდი“ იბეჭდება ლექსი „მოდის მაისი“.

➤ 11470

**1950**

**1 მაისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მშვიდობა და მაისი“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11471

**1950**

**1 მაისი**

რუსულ გაზეთში „სავეტსკაია აზნაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სალამი მაისს“ („ვით არ ვადიდო ქვეყანა ჩემი...“) ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11472

**1950**

**1 მაისი**

გეგმავს პოემის „პაციფიზმი“ გადათვალთვლებას, რათა იქიდან ამოკრიფოს ისეთი მასალა, რაც უშუალოდ პაციფიზმს არ უკავშირდება, მაგალითად, „მოჯამაგირის მონოლოგი“ და შეიტანოს თავისი თხზულებების მერვე ტომში.

➤ 11473

**1950**

**1 მაისი**

გეგმავს გადაათვალთვროს ლექსი „ცხოვრება არის ორგანიზაცია“.

➤ 11474

**1950**

**1 მაისი**

გეგმავს, რომ პოემებს დაუმატოს „ოქტომბრის სიმფონია“ და სხვა ტექსტები თანამედროვე მასალებიდან.

➤ 11475

**1950**

**1 მაისი**

გეგმავს, რომ ტექსტი „მღერიან ორმოცის წლისანი“ მერვე ტომში შეცვლილი სათაურით შეიტანოს.

➤ 11476

**1950**

## 2 მაისი

მეცნიერებათა აკადემიის ბალში ხვდება გერონტი ქიქოძესა და პოდპოლკოვნიკ სპიცინს. ეს უკანასკნელი სიცილით იხსენებს, ერთხელ სუფრასთან როგორ სთხოვა გალაკტიონს ღვინის მიწოდება და მან შეცდომით მდოგვი მიაწოდა. პოეტს ძალიან მოსწონს გერონტი ქიქოძის თავაზიანი და შთამბეჭდავი საუბარი.

➤ 11477

## 1950

### 2 მაისი

მისი გერი ნუნუ ებანოძე ცხენს ხედავს და ამბობს, როგორ ჩემსავით გამხდარა ეს საცოდავიო. გალაკტიონი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს.

➤ 11478

## 1950

### 3 მაისი

მეცნიერებათა აკადემიაში ვილაც დოცენტი ესაუბრება მისი წიგნის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში მეორე ნაწილის გამოცემაზე. რუსი მწერალი და ჟურნალისტი სიმონ ევგენოვი თავის თავზე იღებს გალაკტიონის საღამოს მუსიკალურ და დეკლამაციის ნაწილს. ამას გარდა დასჭირდება კარგი მომხსენებელი და ფიქრობს, ამაში დაიხმაროს „ზარია ვოსტოკას“ თანამშრომელი ბორის კორნევი.

➤ 11479

## 1950

### 3 მაისი

მეცნიერებათა აკადემიაში ხვდება ალექსანდრე თვალჭრელიძეს, რომელიც ძალიან უქებს მის ლექსს „მაისი და მშვიდობა“, რომელიც „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა.

➤ 11480

## 1950

### 3 მაისი

აკითხავს ბენო ჩიქობავა და უყვება, როგორ მიდის წიგნზე მუშაობა. დღის ბოლოს გალაკტიონი ავტომანქანით აცილებს სახლამდე.

➤ 11481

## 1950

### 4 მაისამდე

გეგმავს 4 მაისს გასაკეთებელ საქმეებს. მათ შორის აღნიშნულია: სახელგამსა და მწერალთა კავშირში მისვლა; გაზეთების შექმნა; ლენინის ორდენის მინიჭების შესახებ ცნობის აღება; გიორგი კრეიტანთან შეხვედრა; მეცნიერებათა აკადემიაში მისვლა ხელფასის ასაღებად; ლექსების თარგმანებისა და ორიგინალების შედარება;

➤ 11482

## 1950

### 4 მაისი

წერილს უგზავნის კორნელი კეკელიძეს. ატყობინებს, რომ ადრესატის ყოფილი მსმენელი ეთერ შუშანია ივნისში უნივერსიტეტში იცავს დისერტაციას გალაკტიონის შემოქმედებაზე და დიდი სურვილი აქვს, რომ ოპონენტი იყოს კორნელი კეკელიძე. გალაკტიონი იხსენებს ადრესატის მიერ მისი შემოქმედების ისტორიულ შეფასებას ოპერის თეატრში და წერს, რომ მისი ოპონენტად გამოსვლა გალაკტიონის დიდი სურვილიცაა.

➤ 11483

1950

**5 მაისამდე**

გეგმავს 5 მაისს გასაკეთებელ საქმეებს. მათ შორის აღნიშნულია: აბანოში წასვლა; „სახელმწიფო ლიტერატურის გამომცემლობის“ მისამართის დაზუსტება მარკ ზლატკინთან; მწერალთა კავშირში მისვლა აგარაკის საკითხთან დაკავშირებით; შეხვედრა გიორგი კრეიტანთან და ბესარიონ ჟღენტთან; მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში წიგნის დაბრუნება და ახალი წიგნის გატანა.

➤ 11484

1950

**1-5 მაისი**

წერს ლექსს „მშვიდობისათვის“ („გაკვაფოთ გზა მშვიდობისა...“).

➤ 11485

1950

**5 მაისი**

ცნობას იღებს მშრომელთა დეპუტატების სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს ფინანსური განყოფილებიდან.

➤ 11486

1950

**5 მაისი**

განცხადებით მიმართავს მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის ბუღალტერიას. უგზავნის მშრომელთა დეპუტატების სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს ფინანსური განყოფილებიდან აღებულ ცნობას და ითხოვს, რომ რუსულ ენაზე გამოცემული ანთოლოგიის „საქართველოს პოეზია“ ჰონორარი გადაურციხონ მისამართზე თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №4.

➤ 11487

1950

**9 მაისი**

რუსულ გაზეთში „ბატუმსკი რაბოჩი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ჩვენი გამარჯვება“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11488

1950

**15 მაისის შემდეგ**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემულ კრებულში „ლიტერატურული ძიებანი“ აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. სატიტულე გვერდზე წერს ლექსს „შაში და კაკაბი“.

➤ 11489

1950

**15 მაისის შემდეგ**

კითხულობს გრიგოლ ხერხეულიძის სტატიას „გიორგი ლეონიძის პოეზია“, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემულ კრებულში „ლიტერატურული ძიებანი“. სტატიაში მოხმობილი ციტატების შესახებ აღნიშნავს, რომ ისინი ნასესხებია სახარებიდან, რუსთაველიდან და მისი პოეზიიდან. გარდა ამისა, ზოგიერთ ფრაზას უსადაგებს ციტატებს თავისი ლექსებიდან. იქვე გამოთქვამს ვარაუდს, რომ გრიგოლ ხერხეულიძე, გიორგი ლეონიძე და გიორგი აბზიანიძე ერთად წერდნენ ამ სტატიას.

➤ 11490

1950

17 მაისი

დომიტრი ბენაშვილი ტელეფონით ატყობინებს, რომ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტი 20 აპრილს მართავს მისი პოეზიის საღამოს და აუცილებლად უნდა წავიდეს.

➤ 11491

1950

19 მაისი

საღამოს „სოიუზტრანსის“ მანქანით მიემგზავრება ბოლნისში.

➤ 11492

1950

20 მაისი

ბოლნისში მყოფი გალაკტიონი დილით ფეხს იტეხს. მიჰყავთ საავადმყოფოში, ქირურგი ისიდორე ერქომანიშვილი ადებს თაბაშირს და აცნობებს ჯანმრთელობის სამინისტროს. უგზავნიან სასწრაფო დახმარების მანქანას და ექიმს, ვასილ ოთხმეზურს, რომელიც თაბაშირის გაშრობამდე გალაკტიონის თბილისში გამგზავრებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.

➤ 11493

1950

21 მაისი

გადაჰყავთ თბილისში და ქალაქის მეორე საავადმყოფოში ხელახლა ადებენ თაბაშირს.

➤ 11494

1950

21 მაისი და შემდეგ

ნინო კვირიკაძე იღებს გალაკტიონისთვის გაგზავნილ 5440 მანეთს და ამის შემდეგ იშვიათად მიდის მის სანახავად, თან ორიოდე წუთით. გალაკტიონი ძალიან განიცდის მომვლელის საჭიროებას და ახსენდება ერთი ევროპელი მწერლის ნაწარმოები, როგორ ღალატობდა ცოლი დამბლადაცემულ ქმარს მის თვალწინ.

➤ 11495

1950

22 მაისამდე

უბის წიგნაკში იწერს ანეკდოტებს, რომლებშიც სიკვდილზე იუმორით არის საუბარი.

➤ 11496

1950

22 მაისამდე

იმყოფება რუსთავეში ნიკოლოზ ქაშაკაშვილთან და ძალიან მოსწონს ქალაქი.

➤ 11497

1950

22 მაისი

საავადმყოფოში აკითხავს მეუღლე, ნინო კვირიკაძე და ეუბნება, რომ სიმდიდრე მას სიკვდილამდე მიიყვანს, თავად კი გააგრძელებს ცხოვრებას ისე, როგორც ცხოვრობდა. გალაკტიონი გაოგნებულია, რატომ აყვედრის ცოლი რაღაც ჰონორარს. განა ის და მისი შვილები მთლიანად გალაკტიონის კმაყოფაზე არ არიან თითქმის 10 წლის განმავლობაში?

➤ 11498

1950

**22 მაისი ან შემდეგ**

იხსენებს თავისი ცხოვრების ქუთაისურ პერიოდს და სურვილი აქვს, რომ თავისი რევოლუციური ისტორიის შესახებ სხვებმაც გაიგონ. საჭიროს მიაჩნია, მოიძებნოს „რევოლუციის მატანის“ მაშინდელი ნომრები და დაიკითხონ მაშინდელი სემინარიელები: ვლადიმერ ტყემალაძე, აგაბო ადგიშვილი და სხვები.

➤ 11499

1950

**22 მაისის შემდეგ**

ჩამოწერს იმ ლექსების სათაურებს, რომლებიც რუსულად არის დაბეჭდილი, მაგრამ ქართული დედნები დაკარგულია: Два города (პეტრენკოსი), 1 Мая (ბრიკის), ნაწყვეტები „ჯონ რიდიდან“, Белоруссия и Украина (სერებრიაკოვის), К 30-летию октября ბრიკისა და სერებრიაკოვის, К Пушкину, Об уверенности (ბრიკის), Спутница моих странствий და Май (სერებრიაკოვის).

➤ 11500

1950

**22 მაისის შემდეგ**

უბის წიგნაკში ჩამოწერს გიორგი სააკაძის თემაზე არსებულ ისტორიულ ლიტერატურას და მხატვრულ ნაწარმოებებს.

➤ 11501

1950

**22 მაისის შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს ქართველ მწერალთა ერთ უცნაურ თვისებაზე. იმის გამო, რომ მხოლოდ საქართველოში პოპულარობის მოპოვება არაფრად მიაჩნიათ მთელს საბჭოთა კავშირში პოპულარულობასთან შედარებით, ნაწარმოების შექმნისას ფიქრობენ რუსულენოვან მკითხველზე და არა ქართველზე. ამის შესახებ სიმონ ჩიქოვანს სადღაც გულწრფელად უთქვამს კიდეც. ამას ემატება ისიც, რომ მთარგმნელები უფრო ხიან კარგი ნაწარმოებების თარგმნას, რადგან ასეთები მათგანაც მაღალ დონეს მოითხოვს. შედეგად ვიღებთ თანამედროვე ლიტერატურის ხარისხის დაცემას.

➤ 11502

1950

**22 მაისის შემდეგ**

უბის წიგნაკში უკმაყოფილებას გამოთქვამს თანამედროვე ქართული არქიტექტურის შესახებ, რომელიც ტრადიციულ იერსახეს ჰკარგავს და მიაჩნია, რომ ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

➤ 11503

1950

**22 მაისის შემდეგ**

უბის წიგნაკში წერს, რომ ხალხს არ მოსწონს თანამედროვე ქართული ოპერები და იძახის ერთი ხეირიანი კომპოზიტორი არ გამოჩნდაო.

➤ 11504

1950

**22 მაისის შემდეგ**



იხსენებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველ იპოლიტ გრეკოვის მკვლელობის დეტალებს.

➤ 11505

1950

**22 მაისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მუშა მძლავრია, ნუ ჩასთვლი დუნეთ...“.

➤ 11506

1950

**23 მაისი**

მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს აძლევს უწყებას, რომლითაც შეუძლია ფოსტიდან აიღოს „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ ჰონორარი – 5400 მანეთი. ასევე ასაღები აქვს მაისის ხელფასი 3 ათასი მანეთი და გალაკტიონი შიშობს, რომ ამ 8400 მანეთს ნინო ისევე გაანიავებს, როგორც გალაკტიონის საავადმყოფოში წოლისას ადრე 3000 მანეთი გაანიავა.

➤ 11507

1950

**მაისის მეორე ნახევარი**

ეცნობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სტუდენტურ აღმანახს „პირველი სხივი“ და ამ გამოცემის შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციას გაზეთებში „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“.

➤ 11508

1950

**აპრილი-მაისი**

ფურცელზე იწერს „არტისტული ყვავილებისათვის“ წამმღვარებულ ეპიგრაფებს და კომენტარს ურთავს, რომ სურდა ამ ციტატების ახსნა მწერალთა კავშირის პლენუმზე, რომელზეც სიმონ ჩიქოვანი მისი დეკადენტობის მტკიცებით გამოვიდა. მიუთითებს, რომ მართალია, ეს ციტატები სიმბოლისტებისაა, მაგრამ რეალისტურია, „ოდნავ რომანტიული განხრით“.

➤ 11509

1950

**მაისი**

აკეთებს ჩანაწერს ავადმყოფობისას გაწეული ხარჯების შესახებ.

➤ 11510

1950

**მაისი**

წერს უსათაურო ლექსს „ეჰ, მეეზოვევ, მაინც ვერ დაგვი...“.

➤ 11511

1950

**გაზაფხული**

ავტობუსით მგზავრობს ბაგების მიმართულებით. გვერდით მიუჯდება სტუდენტი, რომელიც გალაკტიონის ცნობისთანავე მღელვარებისაგან ფეხზე წამოიჭრება. პოეტი ხვდება ახალგაზრდის შეკრთომის მიზეზს და ალერსიანად ეკითხება: მიცანი ხომ, ძამიკო? შემდეგ ინტერესდება, კითხულობს თუ არა მის ლექსებს. დადებით პასუხის მიღების შემდეგ ამბობს, რომ, მართლაც, სხვა ვინ უნდა იკითხონ ახალგაზრდებმა, თუ არა გალაკტიონი, რადგან საქართველოში არ არის სხვა პოეტი. გაკვირვებული ახალგაზრდა ეკითხება: რატომ, განა გრიშაშვილი პოეტი არაა?

გალაკტიონი უკმაყოფილოდ პასუხობს, რომ გრიშაშვილი მასთან სახსენებელი არაა და სტუდენტულად გაჩერებაზე ჩადის.

➤ 11512

## ივნისი

1950

### 1 ივნისი

იწერს ბუკინისტი ლეონ ნაბატოვის ტელეფონის ნომერს და თბილისის ოთხ ადგილმდებარეობას: ვორონცოვის ძეგლი, გრიბოედოვის აკლდამა, ქალაქის თვითმმართველობა და მთაწმინდა.

➤ 11513

1950

### 1 ივნისი ან ადრე

უამბობენ მწერალთა კავშირის ერთ-ერთ წრეში სტუდენტური კრებულის „პირველი სხივი“ განხილვის შესახებ. ეუბნებიან, რომ ვიღაცამ, სავარაუდოდ, სიმონ ჩიქოვანმა თქვა, ამ ჟურნალში ერთადერთი შესანიშნავი ფიგურა არჩილ სულაკაურია და ისიც ჩვენგან არის გაგზავნილი. გალაკტიონი დღიურში იწერს ამ მონათხრობს და დასძენს, რომ არჩილ სულაკაური მშვენიერი ფიგურაა, მაგრამ ამ კრებულში არიან არა ნაკლებ, თუ მეტად არა, დახვეწილი ლექსების ავტორებიც, მაგალითად, ეთერ ბასილაიშვილი და სხვები. პოეტის აზრით, ზოგიერთები განზრახ ცდილობენ იმ ახალგაზრდა პოეტების დაკნინებას, რომლებიც პოეზიაში აგრძელებენ მის ხაზს. მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ სტუდენტების აღმანახს მომხრეც ბევრი ჰყავს: სტუდენტობა, მოწინავე ინტელიგენცია და პრესა. გალაკტიონი იმდენად ინტერესდება ამ განხილვით, რომ სურვილი უჩნდება, ნახოს სტენოგრაფიული ჩანაწერი, თუ ასეთი არსებობს.

➤ 11514

1950

### 4 ივნისი

საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ჩანთას და წერილს უგზავნის ძმისწული ვასილ ტაბიძე. სწერს, რომ ნინო კვირიკაძე შეუძლოდ იყო და იმიტომ ვერ მიაკითხა. უსურვებს მალე გამოჯანმრთელებას.

➤ 11515

1950

### 7 ივნისი

წერს მინიატიურას ცაცია ბიჭის შესახებ.

➤ 11516

1950

### 7 ივნისი

მძლოლს გზავნის ბენო ჩიქობავასთან.

➤ 11517

1950

### 7 ივნისი

მეორედ ხსნიან ძველ თაბაშირს და მესამედ ადებენ ახალს.

➤ 11518

1950

### 8 ივნისი

მძლოლი თავისი საქმეებისთვის ერთი საათით სთხოვს მანქანას.

➤ 11519

1950

**8 ივნისი ან შემდეგ**

წერს ლექსს „თენდება... გათენდა“ („თეთრად თენდება. დავხურავ დიკენსს...“).

➤ 11520

1950

**8 ივნისი ან შემდეგ**

წერს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „შემდგომ თაობათ ბედიღბლისთვის...“.

➤ 11521

1950

**10 ივნისამდე**

საავადმყოფოში უყვებიან, რომ ახალმა დირექტორმა კარგი ქირურგები შემცირებაში მოაყოლა და თავისი მორჩილი ახალგაზრდა, გამოუცდელი კადრები მოიყვანა.

➤ 11522

1950

**10 ივნისამდე**

ბენო ჩიქობავა ადგენს გალაკტიონის კრებულის მაკეტს, რომელშიც 162 ლექსია (4150 სტრიქონი) და დაყოფილია შვიდ განყოფილებად: „მშობლიური ჩემო მიწავ“, „დროშები ჩქარა!“, „განახლდა გული“, „გადანახული დროშები“, „გზაში“, „ანარეკ[ლი]“ და „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“. გალაკტიონი იწერს ამ მონაცემებს და ჩამოწერს ამოსაღებ და ჩასამატებელ ლექსებს.

➤ 11523

1950

**10 ივნისი**

წერს, რომ მისი საავადმყოფოში ყოფნისას 16 დღეში – 25 მაისიდან 10 ივნისამდე მისმა ცოლმა ნინო კვირიკაძემ დახარჯა მისი 9175 მანეთი. იქვე დასძენს, ღმერთმა შეარგოს, ჩემი ბრალიაო.

➤ 11524

1950

**10 ივნისი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ სისხლის წნევის დასაწევად კარგია შავი შოკოლადი. აინტერესებს, ლუმინალზე უკეთესი საძილე პრეპარატი ხომ არ არსებობს.

➤ 11525

1950

**10 ივნისის შემდეგ**

ფურცელზე წერს ქართული სიმღერების ნუსხას 36 მუხლად.

➤ 11526

1950

**10 ივნისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ საავადმყოფოში მიიყვანეს ქალი, რომელიც აივანზე იდგა ბავშვით, აივანი ჩაინგრა და ორივენი ძირს ჩაცვივდნენ. ბავშვი გარდაიცვალა, ქალმა კი ტვინის შერყევა მიიღო.

➤ 11527

1950

**10 ივნისი ან შემდეგ**

იხსენებს სოფელში ალილოზე მოსულ ბავშვებს ძაღლების რომ ემინოდათ და ლობეზე რომ ძვრებოდნენ.

➤ 11528

1950

**10 ივნისი ან შემდეგ**

უკვირდება ფრაზას „წყალივით კითხულობს“ და შემდეგ საუბრობს ბესარიონ ჟღენტის საუბრის მანერაზე, რომელსაც გაუჩერებლად შეუძლია ლაპარაკი, მაგრამ მოსაწყენია.

➤ 11529

1950

**11 ივნისი ან შემდეგ**

გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ 1950 წლის 123-ე ნომერში კითხულობს სტატიებს, რომლებშიც ქუთაისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელოვანი ისტორიის მთხრობილი და ღვაწლმოსილი მსახიობის ლადო (ვლადიმერ) მესხიშვილის ღვაწლზეა საუბარი.

➤ 11530

1950

**11 ივნისი ან შემდეგ**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ კითხულობს გიორგი ნატროშვილის რეცენზიას 1949 წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოსული სტალინისადმი მიძღვნილი ქართველი პოეტების ლექსების კრებულის შესახებ. პუბლიკაციაში გალაკტიონი მხოლოდ ერთგან და ისიც გაკვრით არის მოხსენიებული. პოეტის აზრით, ეს უსამართლობა გამოწვეულია იმით, რომ კარგი ლექსების თარგმნა უფრო უჭირთ მთარგმნელებს

➤ 11531

1950

**14 ივნისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „განიახლე, განიახლე...“.

➤ 11532

1950

**14 ივნისი**

დილით აკითხავს მძღოლი და მისი მანქანა საბურთალოზე მიჰყავს შესაკეთებლად.

➤ 11533

1950

**16 ივნისი**

დილით აკითხავს მძღოლი და ართმევს ავტოფარების გასაღებს, რომ მანქანა შეამოწმოს.

➤ 11534

1950

**17 ივნისი**

ფეხის მოტეხიდან 28 დღის შემდეგ იგებს, რომ ყავარჯნებით სიარულისას თურმე მტკივანი ფეხი მიწაზე საერთოდ არ უნდა დაადოს.

➤ 11535

**1950**

**17 ივნისის შემდეგ**

იგონებს გურიაში მომხდარ ამბავს. რუსი ყაზახები მოუკლავთ რევოლუციონერებს და სოფლის ბოქაულს მოტირალი ქალები მიუყვანია მათ დასატირებლად. ერთ მათგანს დაუტირია: ვაი, რუსო, ვაი, რუსო, / ვით გიტურო რომ არ მსურსო“.

➤ 11536

**1950**

**17 ივნისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რაზე, ჰო, რაზე, აბა რა გინდა...“.

➤ 11537

**1950**

**25 ივნისი**

ისევ ხსნიან ძველ თაბაშირს და მეოთხედ ადებენ ახალს.

➤ 11538

**1950**

**26 ივნისის შემდეგ**

მოსკოვის დიდი თეატრის მისამართზე გზავნის რუსულენოვან დეკემას, რომელშიც მწუხარებას გამოთქვამს ანტონინა ვასილის ასულ ნეჟდანოვას გარდაცვალების გამო.

➤ 11539

**1950**

**ივნისი**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემმა მკითხველმა მკითხა...“

➤ 11540

**1950**

**ივნისი**

არედაქტირებს 1948 წლის აგვისტო-სექტემბერში უბის წიგნაკში ჩაწერილ პოემას „უჩა და ბიკი“.

➤ 11541

**1950**

**ივნისი**

ცოლი – ნინო კვირიკაძე ჩუქნის ვლადიმირ მეზენცევის წიგნს რუსული წარწერით: „გატუნისა ნინოსაგან“.

➤ 11542

**ი გ ლ ი ს ი**

**1950**

**3 ივლისი**

წერს საბავშვო მინიატიურას იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყენა პატარა ბიჭმა ცხოველთა ხმების მიბაძვის უნარი იმისათვის, რომ კატას მისი საუზმე არ შეეჭამა.

➤ 11543

**1950**

**3 ივლისი**

ხელს აწერს სტოკჰოლმის მოწოდებას.

➤ 11544

**1950**

**7 ივლისი**

ხსნიან თაბაშირს, უნიშნავენ მასაჟებსა და აბაზანებს.

➤ 11545

**1950**

**7 ივლისი**

პირველის ნახევარზე მძლოლს წიგნს ატანს ბენო ჩიქობავასთან და შემდეგ სამი საათი ამაოდ ელის მის დაბრუნებას, რომ სამედიცინო პროცედურებისთვის ექიმი მოაყვანიოს. ირკვევა, რომ წიგნის ჩაბარების შემდეგ იგი სადღაც წასულა და სულ არ ფიქრობდა იმაზე, რომ გალაკტიონი ფეხის მოტეხის შემდეგ ჯერ წესიერად ვერც კი დადიოდა.

➤ 11546

**1950**

**8 ივლისი**

მძლოლი 1 საათით სთხოვს მანქანას, რომ დეიდაშვილს ქორწილის დღეს მოემსახუროს, თუმცა უკან მხოლოდ ღამის 4 საათზე ბრუნდება და თან მთვრალი. გალაკტიონზე უძილობა და ნერვიულობა ისე მოქმედებს, რომ მთელი სხეული უკანკალებს. მეუღლე ნინო კვირიკაძე მძლოლს გასაღებს ართმევს, დაგვიანებისთვის საყვედურობს და ეუბნება, რომ გალაკტიონი მანქანას აღარ ათხოვებს.

➤ 11547

**1950**

**10 ივლისი**

გერი, ნუნუ ებანოიძე სთხოვს, რომ მძლოლს, მიშას ორი საათით ათხოვოს ავტომანქანა, ის კი ისევ ღამის 4 საათზე ბრუნდება.

➤ 11548

**1950**

**12 ივლისი**

მძლოლს დილით გალაკტიონთან მიჰყავს ქირურგი მესხი, შემდეგ კი ექიმს უკან აბრუნებს და შუადღემდე იკარგება.

➤ 11549

**1950**

**14 ივლისი**

მძლოლს მანქანა გასარეცხად და შესაკეთებლად მიჰყავს საბურთალოზე და მხოლოდ საღამოს ბრუნდება.

➤ 11550

**1950**

**16 ივლისი.**

დილით მძლოლი ეუბნება, რომ ავტომობილს ნაწილი აქვს დაზიანებული „აქეთ იქით თრევის“ გამო და თავისი თავხედური ტონით გალაკტიონს აღიზიანებს.

➤ 11551

**1950**

**17 ივლისის შემდეგ**

ალეკო შენგელიას ლექსების კრებულის „მე მიყვარს“ სტროფებზე აკეთებს ხაზგასმებსა და აღნიშვნებს. ლექსს „მშობლიური გრძნობა“ აწერს, რომ კარგად გააზრებული, შესანიშნავი ლექსია.

➤ 11552

1950

**27 ივლისი**

დილით ათის ოცდახუთ წუთზე მეულლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მანქანით „პოპედა“ მიემგზავრება ქუთაისისკენ. ჯერ მცხეთაში ჩადიან სამოსახლოს დასათვალიერებლად, გაივლიან საგურამოს და შემდეგ გორისკენ აგრძელებენ გზას. დაძველებული მანქანა ცოტათი ყანყალებს. გაივლიან სოფლებს შავშეთსა და რუისს. საუზმობენ რუისელი კოლმეურნე ქალის ყანაში, რომელიც შესჩივლებს, კოლმეურნეობის ყანა კი დიდია, მაგრამ სარგებლის ნაწილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიაქვს და ნაწილი მოლარესო. აგრძელებენ გზას, გაივლიან ურბნისს, გომს, ოსიაურს, ხაშურს, სურამს, ხუნევს, მოლითს, 4 საათზე უკვე ზესტაფონში არიან და ქუთაისისკენ აგრძელებენ გზას. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ მგზავრობის შესახებ, იწერს, რომ სურამიდან ყვირილამდე მანძილი 68 კილომეტრია და აღწერს გარემოს.

➤ 11553

1950

**27 ივლისის შემდეგ**

მეულლესთან, ნინო კვირიკაძესთან და ამ უკანასკნელის ძმისწულ ახალგაზრდა პედაგოგ ეთერ კვირიკაძესთან ერთად მოტეხილი ფეხის სამკურნალოდ ჩადის წყალტუბოში და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მაშინდელი დირექტორის – ბორის ბუკიას თხოვნით, სამკურნალო წყლებიდან მოშორებით, ქარხნის სპეციალისტთა სახლში ბინავდება. მეხუთე სააბაზანოში წყლის პროცედურების მისაღებად ყოველდღიურად საკუთარი „პოპედით“ დადის, რომელსაც დაქირავებული მძღოლი მართავს. სანატორიუმის პერსონალი დიდი პატივით ხვდება და თავადაც დიდ მადლიერებას გამოხატავს. მკურნალობა იმდენად ეფექტურია, რომ სანატორიუმიდან წასვლამდე არცერთი ყავარჯენი აღარ სჭირდება.

➤ 11554

1950

**27 ივლისის შემდეგ**

სტუმრობს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას.

➤ 11555

1950

**27 ივლისის შემდეგ**

წყალტუბოში აბაზანების მისაღებად მიმავალი მძღოლს სანატორიუმის შესასვლელთან აჩერებს და, მიუხედავად იმისა, რომ სიარული უჭირს, ყავარჯენით შედის ახალგამარგლულ სიმინდის ყანაში და მიწის საოცარი სურნელით ტკბება.

➤ 11556

1950

**27 ივლისის შემდეგ**

წყალტუბოს სანატორიუმის წინ მდებარე სკვერში დიდხანს ესაუბრება მოხუც მეეზოვეს და როდესაც შეახსენებენ, რომ წასვლის დროა, აღტაცებული ამბობს, ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო.

➤ 11557

1950

**27 ივლისის შემდეგ**

მეულლის ძმისშვილ ეთერ კვირიკაძესთან ერთად მიდის მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში. მონატრებული აქვს ძველ ნაცნობებთან და კოლეგებთან საუბარი, მაგრამ იქ

მხოლოდ ახალგაზრდა მწერალი დავით ხუროძე ხვდება. გალაკტიონი დიდხანს საუბრობს მასთან ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ბოლოს სთხოვს, რომ გიორგი სამხარაძესთან ერთად წყალტუბოში ეწვიოს. პოეტი ეთერს სოფელში გზავნის სანოვავის ჩამოსატანად და სიხარულით ელის სტუმრებს. მაგრამ არავინ მიდის. ცდილობს არ შეიმჩნიოს, მეზობელ ინჟინერს ჰპატიჟებს და მიუხედავად იმისა, რომ ღვინოს არ სვამს, ცდილობს, კარგად მოილხინოს.

➤ 11558

## ა გ ვ ი ს ტ ი

1950

### 1 აგვისტოს შემდეგ

იმყოფება დასასვენებლად და იღებს ბენო ჩიქობავას მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. ატყობინებს, რა მდგომარეობაა მისი თხზულებათა მეშვიდე ტომის გამოცემის საქმე და რა პერსპექტივებია გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკა“ ახალი რუსულენოვანი კრებული გამოსაცემად. სწერს, რომ მეშვიდე ტომის პირველი შვიდი ფორმა 27 ივლისს გამოართვა რედაქტორ ანიკო ღვინიაშვილს, კორექტურა გააკეთა და მეორე დილითვე უკან დაუბრუნა. მიმდინარე დღეს ისევ იყო რედაქციაში დანარჩენი ნაწილის წამოსაღებად, მაგრამ ღვინიაშვილმა უთხრა, რომ ჯერ მას უნდა გადაეხედა და 5 აგვისტოსთვის დაიბარა. რუსულენოვან კრებულთან დაკავშირებით, წერს, რომ 29 ივლისს მიაკითხა მარკ ზლატკინს, მაგრამ თბილისიდან იყო გასული და ვერ ნახა. მიმდინარე დღესაც შეუარა და უთხრეს, რომ სამ დღეში იქნება. სწერს, რომ როგორც კი ნახავს, ვითარებას შეატყობინებს.

➤ 11559

1950

### 7 აგვისტო

დეპეშას უგზავნის თბილისში ბენო ჩიქობავას.

➤ 11560

1950

### 7 აგვისტოს შემდეგ

იმყოფება დასასვენებლად და იღებს ბენო ჩიქობავას მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. სწერს, რომ გალაკტიონის თხზულებათა მეშვიდე ტომის დარჩენილი ფორმები, სარჩევის ჩათვლით ანიკო ღვინიაშვილმა გადასცა 5 აგვისტოს, ჩაასწორა და მიმდინარე დღეს დილით დაუბრუნა. სწერს, რომ საკმაოდ ბევრი შეცდომა იყო. 5 აგვისტოსვე ნახა მარკ ზლატკინი და გადასცა გალაკტიონის წერილი. გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ დირექტორი სთავაზობს საბჭოთა პერიოდის ლექსების გამოცემას ფორმის მოცულობით. მისი თქმით, მოსკოვის გამოცემა დიდია, მათ კი ამდენი საშუალება არ აქვთ. წიგნის გამოცემას აპირებენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 30 წლისთავთან დაკავშირებით და ბენო ჩიქობავა ურჩევს ადრესატს, თუ განწყობა ექნება, დაწეროს რამე გასაბჭოებაზე ან საბჭოთა ხალხის 30-წლიან ბრძოლაზე. ჩიქობავამ ზლატკინს სთხოვა, ეჩვენებინა მოსკოვის გამოცემის ანაბეჭდები, მან კი უპასუხა, რომ ბესარიონ ჟღენტს აქვს და საერთოდ, ახალ გამოცემაზეც მას დაელაპარაკოს. ჩიქობავა შეხვდა ბესარიონ ჟღენტს, რომელსაც ანაბეჭდები თან არ ჰქონდა და ორი დღის შემდეგ დაპირდა ჩვენებას, მაგრამ უთხრა, რომ ახალი წიგნისთვის იქიდან ცოტა რამ გამოდგება. ძირითადად ახალი თარგმანები იქნება საჭირო და შემოდგომაზე ჩამოვლენ რუსი პოეტები, რომლებმაც უნდა თარგმნონო. ბენო დაჰპირდა, რომ გალაკტიონთან ერთად შეარჩევდა მასალას ამ წიგნისთვის და რამდენიმე დღეში ჩააბარებდა. გალაკტიონს სთავაზობს, რომ წარადგინონ მათ მიერ ერთტომეულისთვის შერჩეული ლექსები. იქვე სწერს, მათ მიერ ერთტომეულისთვის შერჩეულ ტექსტებზე რა ლექსების დამატება იქნებოდა კარგი მეშვიდე ტომიდან. წერილის ბოლოს სთხოვს, თუ თანახმაა, რომ ბესარიონ ჟღენტს ეს მასალა გადასცეს შესარჩევად, სასწრაფოდ უდეპეშოს. სწერს, რომ მისი თანხმობის გარეშე არაფერს გადასცემს. წიგნის ზომასთან დაკავშირებით, ურჩევს, რომ მოითხოვოს არა ნაკლებ 3 ათასი სტრიქონისა.

➤ 11561



1950

**16 აგვისტოს შემდეგ**

იმყოფება დასასვენებლად და იღებს ბენო ჩიქობავას მიერ თბილისიდან გაგზავნილ წერილს. სწერს, რომ წინა დღეს ნახა ბესარიონ ჟღენტი, აჩვენა ის ლექსები, რომლებიც გალაკტიონთან ერთად ჰქონდა შერჩეული ერთტომეულისთვის და მას ძალიან მოეწონა. სწერს, რომ სულ გადასცა 70 ლექსი და კიდევ დაჰპირდა მიწოდებას. ჟღენტი დაჰპირდა ხუთიოდე დღეში ამ ლექსებიდან შერჩევას. მოცულობასთან დაკავშირებით თავადვე თქვა, 4 ათას სტრიქონამდე უნდა იყოსო. გადაწყვიტეს, რუსი პოეტების შემოდგომაზე ჩამოსვლისთვის მასალა შერჩეული ჰქონდეთ და პწკარედები დამზადებული. რამდენადაც თარგმნა საქართველოში იწარმოებს, გალაკტიონსაც შეეძლება თვალის დევნება. სწერს, რომ ბესომ გადაათვალიერებინა მოსკოვის გამოცემის ამონაბეჭდები და ზოგი თარგმანი ძველებზე უკეთესია. მთარგმნელებია ნიკოლოზ ტიხონოვი, ბუგაევსკი, მუხინა, ზვიაგინცევა, ცაგარელი, პოსტუპალსკი და სხვები. სწერს, რომ ბესარიონ ჟღენტთან შეხვედრას ისევ აპირებს 20-21 აგვისტოს და, თუ გალაკტიონის თანხმობა > იქნება, შეეძლება დაიწყოს უკვე შერჩეული ლექსების პწკარედების მომზადება. სწერს, რომ მეშვიდე ტომზე მუშაობა კარგად მიდის.

11562

1950

**17 აგვისტო**

აკეთებს ჩანაწერს, რომ სოხუმის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების გამგე ნაჭყებია დაჰპირდა, რომ დაიბარებდა სარემონტო კანტორის გამგეს პოეტის აგარაკის მშენებლობასთან დაკავშირებით. მიუთითებს, რომ მისთვის გამოყოფილი ნაკვეთი ისევ მის სახელზეა, თუმცა დაკარგულია პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა დაწყებულიყო მშენებლობა.

> 11563

1950

**17 აგვისტო**

იმყოფება სოხუმში, წერს ლექსს „ისევ ვეფხისტყაოსანზე“ („ღელავს – ქაღალდი...“). და ხატავს რუსთაველის პორტრეტს.

> 11564

1950

**17 აგვისტო**

წერს განცხადებას სოხუმის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების გამგის გ. ნაჭყებიას სახელზე, თხოვნით, რომ ამ განყოფილების სარემონტო კანტორამ განმცხადებლის ხარჯით აუშენოს სახლი – ორი ოთახი, სამზარეულოთი, მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე.

> 11565

1950

**22 აგვისტო**

გეგმავს, რომ წინა წლისგან განსხვავებით ზამთარს მომზადებული შეხვდეს: გაარემონტებინოს ოთახები, მოიმარაგოს საწვავი და მოაწესრიგოს გათბობის საშუალებები. ამ გეგმების შესახებ ჩანაწერს აკეთებს დღიურში.

> 11566

1950

**22 აგვისტო**

სოხუმის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების გამგის, გ. ნაჭყეზიას სახელზე შეაქვს განცხადება სარემონტო კანტორის მიერ მისთვის სახლის აშენების თხოვნით.

➤ 11567

1950

**22 აგვისტო ან შემდეგ**

დღიურში იწერს აფხაზეთის მწერალთა კავშირის შემადგენლობას.

➤ 11568

1950

**23 აგვისტო**

სოხუმის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების გამგე, გ. ნაჭყეზია გალაკტიონ ტაბიძის განცხადებას სახლის აშენების თხოვნით, გადასცემს საბინაო სამმართველოს თანამშრომელ ჭანტურიას.

➤ 11569

1950

**24 აგვისტო**

უარს იღებს სოხუმის აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილების გამგის გ. ნაჭყეზიას სახელზე დაწერილ განცხადებაზე სარემონტო კანტორის მიერ მისი სახლის აშენებასთან დაკავშირებით.

➤ 11570

1950

**26 აგვისტო**

პირველ საათამდე უცდის მთავარ არქიტექტორ ზურაბ თავართქილაძეს.

➤ 11571

1950

**26 აგვისტო**

მხატვარ დავით ქუთათელაძეს ელოდება 1 საათამდე.

➤ 11572

1950

**26-27 აგვისტო**

ხვდება მხატვარ დავით ქუთათელაძეს, რომელიც ეუბნება, რომ სჯობს მისი პორტრეტები მინიან ჩარჩოებში იყოს ჩასმული.

➤ 11573

1950

**26-27 აგვისტო**

იხსენებს გემ „ტიტანიკის“ დაღუპვას და ასკვნის, რომ სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერია, რადგან ოკეანის ტალღებში აღმოჩენილი მილიონერები ალბათ, ნებისმიერ თანხას გადაუხდიდნენ მაწანწალას იმ ფიცრის ნაჭერში, რომელზეც იყო ჩაბლაუჭებული, თუმცა არც ის დათმობდა მას ნებისმიერ თანხის სანაცვლოდ.

➤ 11574

1950

**27 აგვისტო ან ადრე**

სოხუმშია და უბის წიგნაკში რუსულ ენაზე იწერს თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობის – ანასტასია ზუევას სახელს, გვარს და მამის სახელს.

➤ 11575

1950

27 აგვისტო

იწერს სოხუმის სამშენებლო კომპანიის მისამართს, რომელიც შოთა რუსთაველის ქუჩაზე ხუთ ნომერში მდებარეობს.

➤ 11576

1950

27 აგვისტო ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსებს: „ნათლიაჩემი მეწვია...“.

➤ 11577

1950

27 აგვისტო ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსებს: „ჰე, გმირთა-გმირო მამებო...“.

➤ 11578

1950

27 აგვისტო ან შემდეგ

წერს ლექსს „უშთაგონებო ცხოვრების წინააღმდეგ“.

➤ 11579

1950

27 აგვისტო ან შემდეგ

წერს ლექსს „ზამთრისთვის“.

➤ 11580

1950

27 აგვისტო ან შემდეგ

წერს ლექსს „გმირთა-გმირო სტალინ!“, მაგრამ მთლიანად გადახაზავს და წერას წყვეტს.

➤ 11581

1950

27 აგვისტო ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „გზად გურულ ქალს ვეუბნები...“.

➤ 11582

1950

27 აგვისტო ან შემდეგ

დღიურში წერს ორი საწყისის – ლირიკულისა და რევოლუციური დრამატიზმის ისეთ გაერთიანებაზე, როდესაც არცერთი ჩრდილავს მეორეს. მაგალითებად მოჰყავს გოია და ბოტიჩელი, შელი და ბაირონი, მაიაკოვსკი და ესენინი, მაგრამ დასძენს, რომ მათთან ეს ძალიან შორეულია, თავად გალაკტიონის პოეზიაში კი – მთავარი.

➤ 11583

1950

27 აგვისტო ან შემდეგ

რევოლუციის ოცდამეცამეტე წლისთავზე წერს 1917 წლის შესახებ, როგორც გარდატეხაზე კაცობრიობის ისტორიაში, რომლის გამოც ლიტერატურული ეპოქაც ამ თარიღიდან იწყება და მას უკან ვერავინ დააბრუნებს. ჩამოწერს რევოლუციისადმი მიძღვნილ ლექსებს: „დროშები ჩქარა“, „გადანახული დროშები“, „დროშები მალლა, მალლა, სულ მალლა“.

➤ 11584

1950

**27 აგვისტო ან შემდეგ**

გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთისა“ და ქალაქის აღმასკომის თანამშრომელი შოთა აკობია ატყობინებს მწერალ ივანე თარბას, რომელიც თვლის, რომ გალაკტიონ ტაბიძის საღამო აფხაზეთში გრანდიოზულად უნდა აღინიშნოს.

➤ 11585

1950

**29 აგვისტო**

დღიურში იწერს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის – მ. ფაჩულის გვარს.

➤ 11586

1950

**29 აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემთან მოსულნო ვარდის კონებით...“.

➤ 11587

1950

**29 აგვისტო**

ფიქრობს, რომ კაფე „ქიმიერიონში“ როგორმე უნდა აღდგეს სერგეი სუდეიკინის მხატვრობა, უნდა დაიხატოს ოსკარ უაილდის პორტრეტი, ნიღბით, აწეული ხელებით და წიგნით. ასევე ფონად გაკეთდეს ოქროსფერი ხუთქიმიანი ვარსკვლავები ლურჯ ფონზე.

➤ 11588

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

1950

**12 სექტემბერი**

გაზეთ „კომუნისტში“ ქვეყნდება ცნობა, რომ 22 სექტემბერს, პირველ საათზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ეთერ შუშანია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას „გალაკტიონ ტაბიძის პოეტური განვითარების გზა“. ოფიციალურ ოპონენტებად დასახელებულნი არიან აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე და დოცენტი სერგი ჭილაია.

➤ 11589

1950

**14 სექტემბრამდე**

კითხულობს პავლე ხუჭუას 1949 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნს „ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა: ქართული მუსიკა. (მოკლე მიმოხილვა)“ და გარეკანზე აწერს უსათაურო ლექსს „განიახლე, განიახლე...“.

➤ 11590

1950

**14 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „უნდა იცოდე“ („უნდა იცოდე, თუ რად არის ცხოვრება ჩვენი...“).

➤ 11591

1950

14 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მთელს მსოფლიოში რაც ატომია“ („გონს მყოფი განა შეეკითხება...“).

➤ 11592

1950

14 სექტემბრამდე

წერს ლექსს „მესტიის ხიდი“ („მესტიის ხიდი, ო, ჩელტის ხიდი!“).

➤ 11593

1950

14 სექტემბრამდე

წერს ლექსს „აჰა, მივალწიეთ“ („აჰა, მივალწიეთ მწვერვალს ნაპრაღისას...“).

➤ 11594

1950

14 სექტემბრამდე

წერს ლექსს „დიადი წიგნი“ („მალლა ავწიოთ, მეგობრებო...“).

➤ 11595

1950

14 სექტემბრამდე

წერს ლექსს „გადანახული დროშები“.

➤ 11596

1950

14 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ძრწის მომხდური“.

➤ 11597

1950

14 სექტემბრამდე

ასწორებს 1930-1931 წლებში დაწერილ ლექსს „მომავალს რომ ეფერება“, ამზადებს მას თხზულებათა რვატომეულის მეშვიდე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 11598

1950

14 სექტემბრამდე

წერს ლექსს „ბავშვი გზად ვლიდა“ („ბავშვი გზად ვლიდა. ბალახი. ცვარი...“).

➤ 11599

1950

14 სექტემბრამდე

ასწორებს 1946 წლის 15 იანვარს დაწერილ უსათაურო ლექსს „აკვარიუმში ფერადი თევზი...“, ამზადებს მას თხზულებათა რვატომეულის მეშვიდე ტომში დასაბეჭდად სათაურით „ულტრაიისფერ სხივებით მთებზე“.

➤ 11600

1950

**14 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „უკანასკნელი ზამთარი“ („უკანასკნელი დღე არის ზამთრის...“).

➤ 11601

1950

**14 სექტემბრამდე**

წერს ლექსს „ამ გაზაფხულზე ბუბა“ (ამ გაზაფხულზე ბუბა, ბუბა განახა ნეტა...“).

➤ 11602

1950

**14 სექტემბრამდე**

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეშვიდე ტომი სახელმწიფო გამომცემლობის ვიზირებით გადაეცემა წარმოებას და იწყება წიგნის რედაქტირება.

➤ 11603

1950

**14 სექტემბრამდე**

თავისი თხზულებების მეშვიდე ტომის ბეჭდვის დაწყებასთან დაკავშირებით სოხუმიდან ბრუნდება თბილისში.

➤ 11604

1950

**14 სექტემბერი**

სახელმწიფო გამომცემლობა ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეშვიდე ტომის დასაბეჭდად გადაცემის ნებართვას, რის შემდეგაც იწყება წიგნის გამოცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤ 11605

1950

**14 სექტემბრის შემდეგ**

ქვეყნდება გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეშვიდე ტომი, რომელშიც იბეჭდება 109 ლექსი და ფრაგმენტები 5 პოემიდან. ეს ნაწარმოებებია: ლექსები – „მთელი ქართველი ხალხის სახელით“, „ახალი წელი“, „პირველი მაისი“, „თავიდანვე თავდადებით“, „დიადი წიგნი“, „ოქტომბრის გამარჯვებისთვის“, „(„ტყეში დღეა თუ ბნელა...“), „კრემლი“, „აბა, კარგად დაფიქრდი“, „მრავალ შეხვედრით“, „შრომა მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული“, „სავსე ვართ მზიურ დღეებით“, „რაოდენი“, „მშვენიერო ჩემო ზეცა“, „მთელს მსოფლიოში რაც ატომია“, „მომავალს რომ ეფერება“, „სიცხადე“, „მშობლიური მოწოდებით“, „შეხედეთ!“, „გზა გამარჯვების“, „ცხენი“, „მამული, გესმის, როგორ გეძახის?“, „ძრწის მომხდური“, „უნდა იცოდე“, „აგერ, იმ ჩრდილქვეშ“, „სტუმრად“, „სხვაგან სადაა“, „ევკალიპტი“, „ორნამენტი“, „მილიონებში ხელისმრეველი“, „ნაკადულო!“, „ვარდები“, „ჩარდა ამთა“, „ჩვენი კოდორი“, „დღეს ჩამოვხსენი ფერადი რუკა“, „აზრი გენიალური ჰარმონიისა“, „მარადისი დიდება გმირებს“, „წიგნი“, „პოეტი და მასა“, „გამბედავო და მაგარო ხელო“, „ილიას მოტივი“, „მეცხრე სიმფონია“, „ახალი გვერდი“, „გულთა კავშირი“, „(„მოჰყვენია ფერი ლილის...“), „ნერგი ევკალიპტის“, „ულტრაიისფერ სხივებით მთებზე“, „ბუნების განახლება“, „ზღვაზე ბავშვობის ბედნიერ სირბილს“, „ჩვენს ყრმობის ხანში“, „რა ცაა!“, „ბავშვი გზად ვლიდა“, „კოლო-ანოფელესი“, „ბევრნაირი ახდა ნატვრა“, „ცაცხვი ზღვის პირად“, „გაზაფხულია“, „მთელი საათია“, „მახსოვს ზაფხული“, „ერთი ხისგან კეთდება“, „ამ ზაფხულზე ბუბა“, „დარჩნენ ქვიშანი“, „შოვიდან ისარმა სხეპა მოადინა“, „აჰა, მივალწიეთ“, „მზის ამოსვლა ზღვაზე“, „ვერდაძლეული“, „სიმფონია მცენარეების“, „ოცნება

აჭარისწყალთან“, „შედულება ოცნებისა და სინამდვილის“, „ბუნება მოქანდაკეა“, „ცა გაქვს ისეთი“, „ქალი ლიმონებში“, „გასწიე ფარდები“, „ჩვენი ძველი დროშები“, „დანგრეული სახლი სოხუმში“, „დაცვა ძველი ძეგლებისა“, „მესტიის ხიდი“, „დილა სვანეთში“, „გადანახული დროშები“, „შუქი“, „დადგება დრო სანატორელი“, „კოლხიდაში“, „ხალხური მოტივები“, „დგება შემოდგომა“, „დღითი დღე ყოფნა შეიქმნა ძნელი“, „მოგონებათ ცა“, „თვალუწვდენი ქვეყნის“, „ის ერთი შეხება ნიავის“, „ტყის ამრიალდა ფოთოლი“, „ჟღერს აღმართი“, „აღმართი“, „უკანასკნელი ზამთარი“, „პოეტი-ტრიბუნი“, „შენ გმირს უმღერდი“, „თენდება, გათენდა“, „ძეგლის გახსნა“, „უცხოელ პოეტს“, „მატარებელში“, „კედელი“, „ახმაურდეს“, „გიგანტი ყოველი დროის“, „კაბინეტიდან – მასაში“, „ბერლინი“, „ულევი, უანგარიშო“, „შენს ფენილზე მიდი-მოდის“, „მონ-მარტრში“, „შენ ისვენებდი“, „პარიზის სეზონი“, „ნეგორელოე“, „ევროპაში“, „მშობლიური ჩემო მიწავ“. პოემები: „ოთხი დღე“, „გაერთიანება მშენებლობისათვის“, „ამირანი“, „აფეთქება“, „1950“.

➤ 11606

1950

#### 14 სექტემბრის შემდეგ

თხზულებების VII ტომში ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს, ნომრავს ლექსებსა და სტროფებს, ასწორებს ფრაზებსა და სიტყვებს.

➤ 11607

1950

#### 14 სექტემბრის შემდეგ

თხზულებების VII ტომში ლექსის „თავიდანვე, თავდადებით“ სტროფებს ნომრავს, ამატებს სხვა სტროფებს და წერს ლექსის ახალ რედაქციას სათაურით „მაშ, გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ კონსტიტუციას“. წიგნის ბოლოს ასწორებს ლექსში „მშობლიური ჩემო მიწავ“ სტრიქონს – „უდარდებელ წერეთლობას“ – „უდარებელ წერეთლობას“.

➤ 11608

1950

#### 16 სექტემბერი

მეშვიდე ტომის გამოსაცემად მზადების პროცესში მყოფი ანგარიშობს ლექსებისა და პოემების სტრიქონთა რაოდენობას.

➤ 11609

1950

#### 21 სექტემბერი

ალექსანდრე აბაშელის წიგნში „ოქროს საფეხურები“ ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. ლექსის „ახალგაზრდა კოლმეურნის სიმღერა“ წაკითხვის შემდეგ წერს სახუმარო უსათაურო ლექსს „ჩვენში ბევრი პოეტია...“. წიგნის დასასრულს ირონიულად აღნიშნავს, რომ წიგნის ავტორი ს. აბაშელი თავდაპირველად სიმონ აბაშელი ეგონა.

➤ 11610

1950

#### 22 სექტემბერი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ეთერ შუშანია წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „გალაკტიონ ტაბიძის პოეტური განვითარების გზა“. ნაშრომის ოფიციალური ოპონენტები აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე და დოცენტი სერგი ჭილაია დადებითად აფასებენ დისერტანტის შრომას.

➤ 11611

1950

## 22 სექტემბერი

ესწრება ეთერ შუშანიას საკანდიდატო დისერტაციის – „გალაკტიონ ტაბიძის პოეტური განვითარების გზა“ – დაცვას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში.

➤ 11612

1950

## 22 სექტემბერი ან შემდეგ

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს ეთერ შუშანიას მიერ მის შემოქმედებაზე დაცული დისერტაციის დაცვის პროცესის მიმდინარეობის შესახებ.

➤ 11613

1950

## 23 სექტემბრამდე

წერს წერილის მონახაზს სოხუმის სასტუმრო „რიწას“ დირექტორის სახელზე და სთხოვს, შეუნახოს ერთი ნომერი, რადგან 24 რიცხვში უკვე სოხუმში იქნება.

➤ 11614

1950

## 23 სექტემბრამდე

დეპეშას უგზავნის სოხუმში შესვლის გამგე ლეონიდ გვათუას. ატყობინებს, რომ სოხუმში გადარიცხა ათი ათასი მანეთი და 25 რიცხვში უკვე იქ იქნება.

➤ 11615

1950

## 23 სექტემბრამდე

წერს წერილს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის ნიკო კიკნაძის სახელზე და სთხოვს, დაურიცხოს მეექვსე ტომის დარჩენილი ჰონორარი, რადგან უახლოეს დღეებში აფხაზეთში სამკურნალოდ მიემგზავრება.

➤ 11616

1950

## 23 სექტემბერი

თბილისში გადაუღებელი საქმეების მოგვარების შემდეგ ბრუნდება სოხუმში.

➤ 11617

1950

## 26 სექტემბერი

სეირნობის შემდეგ სასტუმრო „რიწაში“ დაბრუნებულს გადასცემენ მოსკოვში ვილაცის მიერ უშიშროების სამსახურში გაგზავნილ დეპეშას, რომელზეც მისამართი სრულად არ იყო მითითებული და უკან დაბრუნდა. გალაკტიონს ვერ გაურკვევია, მას რატომ აძლევდნენ ამ „უცნაურ დეპეშას“ და ამის შესახებ უბის წიგნაკში იწერს.

➤ 11618

1950

## 27 სექტემბრამდე

სოხუმში ყოფნისას იგებს, რომ ცხაკაიას გაზეთ „ავანგარდის“ რედაქტორ ილო წირღვავას აქვს 1948 წლის 18-19 სექტემბერს ცხაკაიაში გამართული საიუბილეო ღონისძიებების შემდეგ გადაღებული მისი ფოტოები.



➤ 11619

1950

### 26-27 სექტემბერი

იმყოფება სოხუმში, სასტუმროში „რიწა“ და წერს ლექსს „ნამები ვაზზე“ („რისთვის მაგონებ, ვაზზე მიმოზნეულო ნამო...“).

➤ 11620

1950

### 27 სექტემბერი

ფიქრობს, რომ წინა დღეს მისთვის გადაცემული დეპეშა სასტუმროს ნომერში მის ჩამოსვლამდე მცხოვრები პირისთვის იყო განკუთვნილი და ცდილობს ამის გარკვევას ამ სასტუმროს ადმინისტრატორთან ან ფოსტაში.

➤ 11621

1950

### 27 სექტემბერი

მიდის სოხუმის მთავარ ინჟინერ სერგი ცინცაბაძესთან, რომ გააყოლოს სპეციალისტი, რომელიც მისი სახლის ასაშენებლად სამირკველს შეამოწმებს და აზომვით სამუშაოებს ჩაატარებს.

➤ 11622

1950

### 27 სექტემბერი

ერთ დასტა ქალაქს ყიდულობს, რომ მემანქანეს სამ ცალად გადააბეჭდვინოს ეთერ შუშანიას დისერტაცია.

➤ 11623

1950

### სექტემბრის ბოლო ან შემდეგ

სოხუმის სასტუმრო „რიწიდან“ თბილისში დეპეშას უგზავნის ბენო ჩიქობავას. სწერს, რომ დაავიწყდა მისთვის მოსკოვში გამოცემული მისი ლექსების თარგმანების წიგნის დატოვება და გამოართვას მათ მთარგმნელ გიორგი ცაგარელს.

➤ 11624

## ოქტომბერი

1950

### 1 ოქტომბერი

განცხადებით მიმართავს აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობას. წერს, რომ 1948 წელს მათ მიერ გამოიცა მისი „ზღვა ახმაურდა“ პირველი წიგნი და ითხოვს, რომ მომდევნო, 1951 წლის გეგმაში შეიტანონ ამავე ფორმატისა და სტრუქტურის რაოდენობის მეორე წიგნის გამოცემა.

➤ 11625

1950

### 8 ოქტომბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ 21 ოქტომბერს პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს შოთა ბასილაიას უნდა შეხვდეს. ამავე დღეს 7 საათზე გაიმართება შეხვედრა პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელზეც მოხსენებით გამოვა იოსებ ზოცვაძე, მონაწილეობას მიიღებს ოთხი ლექტორი და სტუდენტები. ინსტიტუტის მესვეურები ჰპირდებიან, რომ გამოფენასაც მოაწყობენ და ახალგაზრდა პოეტებსაც წააკითხებენ, როგორც გალაკტიონის, ისე საკუთარ ლექსებს.

➤ 11626

1950

### 8 ოქტომბერი

სოხუმშია და წერს ავტობიოგრაფიულ მინიატიურას: როგორ მღერის მთვარიან ღამეში დედა სიმღერას „ჩემი ქმარი სად წავიდა...“ და მისი ჩონგური როგორ იმეორებს იმავეს.

➤ 11627

1950

### 9 ოქტომბერი

დიდი მონდომებით ადგენს ლიტერატურული საღამოს პროგრამას.

➤ 11628

1950

### 9 ოქტომბერი

სოხუმშია და უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ დასჭირდება, წიგნები, ფოტოსურათები და პუბლიკაციები მის შესახებ.

➤ 11629

1950

### 9 ოქტომბერი

სოხუმშია და წერს ლექსს „ინტელიგენცია“ („მე მიყვარს ამ ტაძრის...“).

➤ 11630

1950

### 10 ოქტომბრის შემდეგ

მოსკოვიდან იღებს თავისი მომავალი რუსულენოვანი თარგმანების წიგნის რედაქტორის იგორ პოსტუპალსკის წერილს. აცნობებს, რომ მისი წიგნის სასიგნალო ცალი ხელმოწერილ იქნა ერთი თვის წინ და მოწონებულ იქნა რედაქციის მიერ, მაგრამ, რამდენადაც წიგნი იბეჭდება გერმანიაში, ცოტა აგვიანდება. ურჩევს, რომ სასწრაფოდ გაუგზავნოს შეტყობინება სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მთავარ ბუღალტერ ვალენტინა მასლენნიკოვას, თუ რა მისამართზე გადაუგზავნონ ჰონორარი, რადგან, როგორც კი წიგნის გავრცელებას მოეწერება ხელი, ჰონორარს მაშინვე გამოუწერენ. სთხოვს, რომ როგორც კი წიგნი ხელთ ექნება, ყურადღებით შეაფასოს მთარგმნელებისა და რედაქტორის ნამუშევარი და თუ სურვილი ექნება, დაიწყონ ფიქრი წიგნის შევსებულ გამოცემაზე ჯერ „საბჭოთა მწერალში“, შემდეგ კი სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობაში.

➤ 11631

1950

### 14 ოქტომბრამდე

სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მყოფს ეცნობა ლექტორი დავით თევზაძე და რექტორის კაბინეტისკენ მიემართებიან. თევზაძე გალაკტიონს ინსტიტუტში შემოქმედებითი საღამოს გამართვას სთავაზობს, რადგან იმედი აქვს, რომ კათედრის გამგე იოსებ ბოცვაძე და ინსტიტუტის დირექტორი როსტომ წულუკიძე მხარს დაუჭერენ. გალაკტიონი უცებ საუბრის თემას ცვლის და სოხუმში სახლის გაჭიანურებულ მშენებლობაზე იწყებს საუბარს. შემდეგ რექტორთან ერთად შეხვედრას გეგმავენ. შეხვედრისთვის გალაკტიონი თბილისიდან ჩამოტანილ საკუთარ ადრე გამოცემულ ქართულ და რუსულ კრებულებს, პრესაში გამოქვეყნებულ ათიანი და ოციანი წლების წერილებს და გამოხმაურებებს თევზაძესთან ერთად ინსტიტუტის კლუბის კედლებზე საგანგებოდ დადგმულ დაფებზე ერთი კვირით ადრე გამოფენს. გამოფენას ოფიციალურ გახსნამდეც მრავალი ადამიანი სტუმრობს და თავად გალაკტიონიც არაერთხელ ათვალიერებს.

➤ 11632

1950

**16 ოქტომბერი**

რუსულ ენაზე წერს მოკლე ავტობიოგრაფიას.

➤ 11633

1950

**19 ოქტომბერი**

წერს ლექსს „19 ოქტომბერი“ („არავითარი, არავითარი...“).

➤ 11634

1950

**21 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ახალგაზრდობას“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11635

1950

**21 ოქტომბერი**

სოხუმში მეულლესთან ერთად ესწრება მისდამი მიძღვნილ საღამოს. პროფესორ-მასწავლებელთა მისასალმებელი სიტყვების შემდეგ გალაკტიონი კითხულობს გასაბჭოებამდელ ლექსებს, რასაც დარბაზში და ინსტიტუტის ეზოში შეკრებილი ხალხის ტაში და ოვაციები მოჰყვება. საღამოში მონაწილეობენ ახალგაზრდა პოეტები: ნოდარ ხუნდაძე, ოთარ შამათავა, ამირან მიქაუტაძე, და ალიო ქობალია. საღამოს შემდეგ იწვევენ ბანკეტზე, რომელიც იმართება ელეონორა კანდელაკისა და სერგო აქირთავას ოჯახში. წვეულება დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე და ლხინის დროს ექსპრომტად წერს უსათაურო ლექსს „მე დამავიწყდა ჩემი სიცხარე...“, რომელსაც დავით თევზაძეს ჩუქნის.

➤ 11636

1950

**22 ოქტომბერი**

სოხუმში ყოფნისას პოეზიის მოყვარული სტუდენტები კათედრის გამგესა და ინსტიტუტის დირექტორთან ერთად ჰპატიჟებენ ოჯახში. სუფრის გამლამდე სტუდენტები გალაკტიონს თავიანთ ლექსებს უკითხავენ. პოეტი აღტაცებულია. დავით თევზაძე წამოაყენებს წინადადებას, რომ შექმნან გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტუდენტი პოეტების წრე. ინსტიტუტის დირექტორის როსტომ წულუკიძის თანხმობით არსდება სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გალაკტიონ ტაბიძის სახელობის დამწყებ პოეტთა წრე, რომელსაც დავით თევზაძე ხელმძღვანელობს. სუფრაზე პოეტი აღფრთოვანებული ამბობს სადღეგრძელოებს და კითხულობს ლექსს „სადღეგრძელო იყოს მისი“.

➤ 11637

1950

**23 ოქტომბრამდე**

რამდენჯერმე სტუმრობს სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს და ინტერესდება სტუდენტ მწერალთა წრის ხელნაწერი ჟურნალით.

➤ 11638

1950

**23 ოქტომბერი**

სტუდენტთა კიდევ ერთი ჯგუფი უწევს მასპინძლობას. შეხვედრებს ლაიტმოტივად გასდევს გალაკტიონის ფრაზა „მე სოხუმის მკვიდრი ვარ“, რაც ახალგაზრდებს განსაკუთრებით ახარებს.

➤ 11639

1950

### 25 ოქტომბრის შემდეგ

ასრულებს ზამთრის სეზონისთვის მზადებას. კმაყოფილია, რომ ხელოსანმა ღუმელი მოაწესრიგა, ტელეფონი ჩაირთო და წლის ბოლომდე გადახდილი აქვს.

➤ 11640

1950

### 25 ოქტომბრის შემდეგ

წელიწადნახევრიანი მუშაობის შემდეგ გამომცემლობას გადასცემს თავისი თხზულებების მეხუთე ტომს. გამომცემლობის თანამშრომლები მაშინვე იწყებენ ტექსტის აწყობას.

➤ 11641

1950

### 25 ოქტომბრის შემდეგ

გადაწყვეტს, რომ საწოლი ოთახის კართან მოაწყოს წიგნების კარადა და აუცილებლად გაიკეთოს კაბინეტი.

➤ 11642

1950

### 25 ოქტომბრის შემდეგ

გადაწყვეტს, რომ ხელნაწერებისთვის სახელმწიფო გამომცემლობას შეუკვეთოს დიდი კონვერტები.

➤ 11643

## ნოემბერი

1950

### 2 ნოემბერი

მთარგმნელი გიორგი კრეიტანი რამდენჯერმე ურეკავს, მაგრამ გალაკტიონი შინ არ არის, ბოლოს აკითხავს, რომ წაუკითხოს გაზეთისთვის „ზარია ვოსტოკა“ მის მიერ შესრულებული თარგმანი ლექსისა „ოქტომბერს და მსოფლიოს“, მაგრამ ვერ ნახულობს. რამდენადაც საქმე მოსასწრებია, უტოვებს წერილს, რომ თარგმანი მიაქვს გაზეთში და თუ გალაკტიონი მისი წაკითხვით დაინტერესდება, შეეძლება ან რედაქციაში ნახოს ან თავად მთარგმნელთან.

➤ 11644

1950

### 5 ნოემბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ოქტომბერს და მსოფლიოს“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11645

1950

### 7 ნოემბერი

რუსულ გაზეთში „ტკვარჩელსკი გორნიაკ“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ოქტომბერს და მსოფლიოს“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11646

1950

## 15 ნოემბერი

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მიდის ნიკო მარის ქუჩის ხუთ ნომერში მდებარე საავადმყოფოში და წვება სამკურნალოდ.

➤ 11647

1950

## 17 ნოემბერი

იხსენებს აკაკი წერეთლის მიერ 1914 წელს მისი ლექსების პირველი კრებულის შესახებ ნათქვამს, სიახლეაო, ფიქრობს, რომ ამ წიგნში არის როგორც თემატური, ისე ტექნიკური სიახლეები და ხელახლა უკვირდება მასში გამოქვეყნებულ მასალას. მისი აზრით, სიახლეა ის, რომ გეტერას სახეში გატარებული აქვს აზრი, რომ ხელოვანი სახეებს უნდა იღებდეს ცხოვრებიდან. ლექსში „მე და ღამე“ ჩანს ბუნება, მაგრამ არა ადამიანის გარეშე. წერს, რომ მთვარის და არა მზის სახის ხშირი რეპრეზენტაცია გამოწვეულია იმით, რომ ის არის ვაჟურობის სიმბოლო. აღნიშნავს, რომ ლექსი „ტყეში“ ფორმით არის ნოვატორული. გეგმავს, რომ კრებული ამ კუთხით გულდასმით შეისწავლოს.

➤ 11648

1950

## 19 ნოემბერი ან შემდეგ

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს ერემია ქარელიშვილის რეცენზიას ილო მოსაშვილის პიესის „მისი ვარსკვლავი“ მიხედვით რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმულ სპექტაკლზე, რომელშიც პროფესორ ზედგინიძის ცოლის – დარეჯანის როლი არაჩვეულებრივად შეასრულა თამარ ჭავჭავაძემ და დღიურში იწერს ამონარიდს სტატიიდან.

➤ 11649

1950

## 23 ნოემბერი

ამთავრებს პოემის – „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ – სწორებას.

➤ 11650

1950

## 28 ნოემბერი

წერს ლექსს „ოსეფას დარდები“ („ეს ფულსა მთხოვს...“).

➤ 11651

1950

## 28 ნოემბერი

აგრძელებს პოემის „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ გადაწერას.

➤ 11652

1950

## 28 ნოემბერი ან შემდეგ

იხსენებს, რას ეუბნებოდნენ მოსკოვში იმის შესახებ, თუ როგორ იყენებს ზოგიერთი ფარისეველი მისი პოეტური ტექნიკის მაღალ დონეს სხვა პოეტების დასაკნინებლად და ამის შესახებ წერს დღიურში. შემდეგ დასძენს, რომ მაიაკოვსკის მართლაც საუცხოო ტექნიკა აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას სხვებმა უნდა ჰბადონ.

➤ 11653

1950

## 30 ნოემბრამდე

თავს ცუდად გრძნობს და წვება საავადმყოფოში.

➤ 11654

1950

**30 ნოემბერი**

ესაუბრება საავადმყოფოში მის გვერდით პალატაში მყოფ რეჟისორ შოთა აღსაბაძეს. მისი თანამოსაუბრის თქმით, მსახიობები ნიჭისა და ოსტატობის მიხედვით იყოფიან ოთხ კატეგორიად: ხელოსნები, ხელოსანსა და ხელოვანს შორის მყოფნი, ხელოვანები და გენიოსები.

➤ 11655

1950

**30 ნოემბერი**

წერს მამია დუდუჩავასადმი მიძღვნილ, უსათაურო, სახუმარო ლექსს „დაშინებით გაქცეული...“.

➤ 11656

1950

**ნოემბერი ან შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს ზურაბ ჭუმბურიძის სტატიას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I“.

➤ 11657

## დეკემბერი

1950

**დეკემბრამდე**

აწყობს უახლოესი თვეების გეგმებს და უბის წიგნაკში ინიშნავს. 1950 წლის დეკემბერში განსაზღვრული აქვს თავისი თხზულებების მერვე ტომის გამოსაცემად მომზადება, 1951 წლის იანვარში – ამ ტომის სტამბისთვის გადაცემა, ხელშეკრულების გაფორმება, სასწრაფოდ აწყობა და გამოცემა, ასევე ბენო ჩიქობავას მიერ შედგენილი მისი კრებულის გადახედვა, მასალის რუსულ ენაზე მთარგმნელების მოძებნა და პროცესის დაჩქარება, თებერვალში – მეცხრე ტომზე მუშაობის დაწყება და მეხუთეს დასრულება, მარტში – 20 დღით წყალტუბოში დასვენება, აპრილში – მერვე ტომის გამოცემის უზრუნველყოფა და სოხუმში სახლის მშენებლობის მიხედვა, მაისში – „მშვიდობის წიგნის“ მოსკოვში ჩატანა. იმედოვნებს, რომ ამავე თვეში გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ გამოსცემს მისი ლექსების რუსულ თარგმანებს. ასევე გეგმავს სადამოების ჩატარებას მხატვართა კლუბში, სამხატვრო აკადემიაში, კონსერვატორიაში, უნივერსიტეტსა და რადიოში.

➤ 11658

1950

**28 ნოემბერი - 1 დეკემბრამდე**

ადგენს უნივერსიტეტში გასამართი ლიტერატურული სადამოს გეგმას და ჩამოწერს ფაკულტეტებს. იგებს, რომ უნივერსიტეტს ჰყავს საკუთარი სტენოგრაფისტები, ორკესტრი, ხორო და რადიო, მაგრამ არ იცის, აქვს თუ არა ფოტოლაბორატორია.

➤ 11659

1950

**28 ნოემბერი - 1 დეკემბრამდე**

დღიურში ინიშნავს მეუღლის ნინოს ქალიშვილის ნუნუ ებანოიძის მეგობრის, პროფესორ ყიფშიძის ქალიშვილის ლენა ყიფშიძის სახელს.

➤ 11660

1950

**28 ნოემბერი - 1 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „ამირია, დამირია...“.

➤ 11661

1950

28 ნოემბერი - 1 დეკემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „შენს ძვირფას სურათს...“.

➤ 11662

1950

28 ნოემბერი - 1 დეკემბრამდე

წერს ლექსს „ლექსი ს. აბაშელს“ („ჩვენში ბევრი პოეტია...“).

➤ 11663

1950

1 დეკემბერი

დილით საუბარს აგრძელებს გვერდით პალატაში მყოფ რეჟისორ შოთა აღსაბაძესთან, რომელიც უყვება, როგორ დადგა ოპერის თეატრში კონსერვატორიის მოწაფეთა ძალებით „აბესალომ და ეთერი“. წუხს თეატრში გაბატონებული დაპირისპირებების გამო. მისი აზრით აბესალომის არიას დავით ანდლულაძეზე უკეთ პირადად მისი აღმოჩენილი კეკელია ასრულებს და მას ბერიაც წყალობს. აღსაბაძის აზრით, სიბნელეში კულისებში რომ უნდა გაევილო, მტრებმა განზრახ ახადეს იატაკი, რის გამოც ქვედა სართულზე ჩავარდა და ხელ-ფეხი მოიტეხა. ამ მტრულ დამოკიდებულებებზე გალაკტიონს აგონდება სერგო კლდიაშვილი. პოეტი ფიქრობს, რომ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ხელოვანს ძალიან უნდა ეხმარებოდეს თავისი ოჯახი და როდესაც მეუღლე ნინო კვირიკაძე გალაკტიონს აღსაბაძის ცოლს – ვარიას გააცნობს, პოეტი ეუბნება, რომ მის ქმარს მეტად სჭირდება მხარში დგომა. ურჩევს, გაიგოს, ვინ უწყობს ინტრიგებს და თავადაც დარაზმოს ხალხი ავის მზრახველთა წინააღმდეგ.

➤ 11664

1930

1 დეკემბერი

საღამო ხანს ისევ აგრძელებს საუბარს შოთა აღსაბაძესთან, რომელიც ძალიან წუხს იმის გამო, რომ წინა დღეს რადიოში „აბესალომ და ეთერის“ სპექტაკლზე ისაუბრეს და დამდგმელი შოთა აღსაბაძე არ უხსენებიათ. რეჟისორი იგონებს მოსკოვში მომხდარ მსგავს უსამართლობასაც, როდესაც უკვე გაკრულ აფიშაზე, რომელზეც მხოლოდ მისი გვარი იყო მითითებული, აკაკი ვასაძემ ქალაქი გადააკვრევინა და თავისი გვარი ჩაამატა. აღსაბაძემ გადაწყვიტა, რომ მოსკოვში ქართველის ქართველთან დაპირისპირება არ ივარგებდა და ხმა არ ამოუღია. მისი აზრით, ასეთივე მდგომარეობაშია გალაკტიონიც, რომელთანაც ახლოსაც ვერ მივლენ სხვა პოეტები, მაგრამ ბევრად უფრო ხშირად ჩნდებიან ყველგან.

➤ 11665

1950

1 დეკემბერი

ღამით საავადმყოფოში მყოფი უსმენს მოსკოვის რადიოს გადაცემას „ქართული ხელოვნება“, რომელშიც გადმოსცემენ მშვენიერ ქართულ მელიოდიებს, შემდეგ კი კითხულობენ გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ოქტომბერი და მსოფლიო“ თარგმანს. გალაკტიონს გული სწყდება, რომ ქართული რადიო არ იჩენს სათანადო ყურადღებას მის მიმართ. მეუღლე, ნინო კვირიკაძე ეუბნება, რომ საჭიროა მათთან კონტაქტის დამყარება და გეგმიური მუშაობა.

➤ 11666

1950

## 1 დეკემბერი

სიამოვნებით იხსენებს 1944 წელს მსახიობ ვასილი კაჩალოვის მიერ წაკითხულ მის ლექსებს რადიოში, სცენაზე, ოფიცერთა სახლში და სხვადასხვა ადგილას.

➤ 11667

1950

## 2 დეკემბერი

იმყოფება საავადმყოფოში. ამთავრებს პოემა-ორატორიის „ომი, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ გადაწერას და ფიქრობს, რომ კარგი გამოვიდა.

➤ 11668

1950

## 2 დეკემბერი

გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ ახალ ნომერში კითხულობს „აბესალომ და ეთერის“ დადგმის შესახებ და ამჯერად გრიგოლ კილაძესთან ერთად შოთა აღსაბაძეც არის ნახსენები. ამ სტატიას აკითხებს აღსაბაძის ცოლს – ვარიას, შემდეგ გაზეთს კითხულობს თავად აღსაბაძეც და მშვიდდება. გალაკტიონი იგებს, რომ მსახიობებს წინა დღეს გაუპროტესტებიათ აღსაბაძის გვარის მოუხსენიებლობა და ხელმძღვანელობას ტელეფონით მოუბოდიშებია მისთვის.

➤ 11669

1950

## 3 დეკემბერი

საავადმყოფოშია, დილით უსიამოვნო შეგრძნება აქვს. ახსენდება ექიმ ნინო ერისთავის რჩევა გადანერგვასთან დაკავშირებით და ამის შესახებ ესაუბრება ექიმ ალდადანოვს. ის პასუხობს, რომ ექიმი ხუნდაძე, რომელმაც ეს ოპერაცია უნდა შეასრულოს, 10 დეკემბრისთვის დაბრუნდება შვებულებიდან და მაშინ გაგიკეთებთო. გალაკტიონი კმაყოფილია მისი ყურადღებით და თავისი თხზულებების მეშვიდე ტომის ჩუქებას ჰპირდება. ალდადანოვი ურჩევს, რომ საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ კვირაში ერთხელ მაინც მივიდეს ხოლმე ექიმებთან გაბრიელ პონდოევთან ან ხარაძესთან კონსულტაციისთვის.

➤ 11670

1950

## 3 დეკემბერი

გაზეთისთვის „ზარია ვოსტოკა“ წერს საახალწლო ლექსს.

➤ 11671

1950

## 3 დეკემბერი

შოთა აღსაბაძის მეუღლე, ვარია, იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ აფასებს იოსებ სტალინი გალაკტიონს, პოეტს უყვება, რომ როდესაც ბელადს შესთავაზეს გალაკტიონის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვება, მან პოეტის უფრო მაღალ ჯილდოზე, ლენინის ორდენზე წარდგენა მოითხოვა.

➤ 11672

1950

## 3 დეკემბერი

იხსენებს ჯეკ ლინდისის წიგნის „მომავლის სამყარო“ შესახებ 1950 წლის 7 ნოემბერს გაზეთში „ნოვოე ვრემია“ გამოქვეყნებულ სტატიას „ინგლისელი მწერლის საბჭოური დღიურები“. სტატიაში საუბარია იმის შესახებ, ცდილობს თუ არა საბჭოთა კავშირი ადამიანთა ინდივიდუალობების უგულვებლყოფას და პიროვნების ათქვევას უსახურ მასაში. ინგლისელი



მწერალი ამტკიცებს, რომ ამაში საბჭოთა კავშირს ტყუილად სდებენ ბრალს. გალაკტიონს მოჰყავს ვრცელი ციტატები ამ პუბლიკაციიდან, თავის მხრივ კი დასძენს, რასაც ნიველირებაზე წერენ „ჩვენს შორის დარჩეს, ეს ცოტათი მართალია“. ჩვენთან ხელოვანები ერთმანეთს ჰგვანან და ამას ხელს უწყობს კრიტიკა და რეცენზიები.

➤ 11673

1950

### 3 დეკემბრის შემდეგ

საავადმყოფოში მის მოსანახულებლად მისული ბენო ჩიქობავა უყვება, რომ თბილისში ჩამოსულ „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელ ცნობილ ავსტრიელ პოეტ ჰუგო ჰუპერტს, რომელმაც მწერალთა კავშირში წაიკითხა თავისი თარგმანი, უთქვამს, გალაკტიონ ტაბიძის ბადალი პოეტი ევროპაში არ მოიპოვებო.

➤ 11674

1950

### 3 დეკემბრის შემდეგ

საავადმყოფოში მონახულებენ ძმის, აბესალომის მეუღლე ტატიანა და ძმისშვილები ვასილი და ნოდარი.

➤ 11675

1950

### 3 დეკემბრის შემდეგ

საავადმყოფოში მკერავს მიაქვს ახალშეკერილი პალტო, რომელიც გალაკტიონს მოსწონს.

➤ 11676

1950

### 6 დეკემბრამდე

საავადმყოფოში აკეთებს ჩანაწერს „სათნობათა სია“, რომელშიც ჩამოწერს სხვადასხვა ლიტერატურული წრეების „საგმირო საქმეებს“ მის წინააღმდეგ. პირველ მუხლად იხსენებს, როგორ არ მიეცა საშუალება, მონაწილეობა მიეღო ქართული ჰიმნის შექმნაში. ვერ გაუგია, რის მიხედვით შეირჩნენ ავტორებად ალექსანდრე აბაშელი და გრიგოლ აბაშიძე. ფიქრობს, რომ თაქთაქიშვილის მუსიკა უფრო ელეგიაა, ვიდრე ჰიმნი და მისი ჰიმნად შეთავაზება „მუშლი მუხასასა“ და „ლილეოს“ შემქმნელი ხალხისთვის შეუსაბამობაა. მეორე მუხლში აღწერს, როგორ დაიახლოვა ირაკლი აბაშიძემ რეცენზენტების მთელი ჯგუფი და როგორ წყვილ-წყვილად წერენ რეცენზიებს თუნდაც უმნიშვნელო ნაშრომებზე. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ყველა რეცენზენტი დუმს მათ მიერ განხილული ავტორების პოეზიაზე გალაკტიონის გავლენაზე, თუმცა ეს უდავოა. მესამე მუხლში საუბრობს „მნათობში“ ზურაბ ჭუმბურიძის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაზე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I“. ფიქრობს, რომ ავტორი მიკერძოებულია, რადგან ენციკლოპედიაში ციტირებულ მწერლებს შორის საერთოდ არ ახსენებს გალაკტიონ ტაბიძეს და „ყრუდ“ ახსენებს კლასიკოსებს, მეორე მხრივ, კი ზედმეტად ბუქავს ლავრენტი ბერიას მოხსენების „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ წიგნად გამოცემული ვერსიის სათაურში დაშვებულ კორექტურულ შეცდომას. მეოთხე მუხლად პოეტი განიხილავს „მნათობის“ იმავე ნომერში დაბეჭდილ მამია დუდუჩავას სტატიას „ახალი ქართული ხელოვნება“, რომელშიც საუბრობს იაკობ ნიკოლაძის, გიგო ზაზიაშვილის, გრიგოლ მესხის, დავით კაკაბაძისა და სხვათა შემოქმედებაზე და არ ახსენებს არცერთი მათგანის მიერ შესრულებულ გალაკტიონის პორტრეტებს. პოეტს ეჭვი უჩნდება ესეც ხომ არ არის ირაკლი აბაშიძის ოინები და გალაკტიონის „ბლოკირების“ კიდევ ერთი მცდელობა. ამ მუხლს ამთავრებს ეპიგრამით მამია დუდუჩავაზე („დაშინებით გაქცეული...“). მეხუთე მუხლში განიხილავს გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ 3 დეკემბრის ნომერში, გალაკტიონის აზრით, გამოგონილი პირის – ტ. ჯიბუტის მიერ გამოქვეყნებულ სტატიას „ნათელი გზა“, რომელშიც საუბარია კონსერვატორიის

მცირე დარბაზში მსახიობ ნინო ზედგინიძის მიერ წარმოდგენილ ამავე სახელწოდების კომპოზიციაზე. ავტორებად მითითებულნი არიან კონსტანტინე ჭანტურიშვილი და ივანე გვინჩიძე. ამ პუბლიკაციის მიზანი არა მხოლოდ მსახიობისა და კომპოზიციის ავტორების, არამედ იმ პოეტების: იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანისა და იოსებ ნონეშვილის ქება-დიდებაცაა, რომელთა ლექსებიც გამოყენებულ იქნა კომპოზიციაში. პოეტი უბის წიგნაკში წყენით დასძენს, აბა გალაკტიონ ტაბიძე აქ რა გამოსაჩენი იყო. მეექვსე მუხლად იგი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ უკვე ნახევარი წელია, რაც ირაკლი აბაშიძეს გადასცა პოემა „ომი, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ და ის ისე გათავხედდა, რომ არ ბეჭდავს.

➤ 11677

1950

**6 დეკემბერი**

გადაწერს პოემას „ქიტესა“.

➤ 11678

1950

**7 დეკემბერი**

ეწერება საავადმყოფოდან.

➤ 11679

1950

**7 დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „შემოდგომაა. ბილიკზე...“ („შემოდგომაა. ბილიკზე ბალახს ეცემა ფურცელი...“).

➤ 11680

1950

**7 დეკემბერი ან შემდეგ**

გეგმავს დაუკავშირდეს შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის და ენის ინსტიტუტს და სოხუმის მსგავსად იქაც ჩამოყალიბდეს მისი სახელობის ლიტერატურული წრე.

➤ 11681

1950

**17 დეკემბერი**

მონაწილეობს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში და ხმის მისაცემად მიდის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში განთავსებულ საარჩევნო უბანზე. კინორეჟისორი შალვა ჩაგუნავა ფირზე იღებს ამ მომენტს და შეაქვს კინოჟურნალში „საბჭოთა საქართველო 1950“.

➤ 11682

1950

**20 დეკემბერი**

იხსენებს და უბის წიგნაკში იწერს აკაკი წერეთლის ძმისშვილ გოგონასთან დაკავშირებულ კურიოზს. ბიძას იგი სტომატოლოგთან მიუყვანია კბილის ამოსაღებად და შეშინებული ბავშვი ეხვეწებოდა, კიდევ მიეცი ექიმს ფული, იქნებ თავი დამანებოს და გამიშვასო.

➤ 11683

1950

**23 დეკემბერი**

პომეას – „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ – დასაბეჭდად წარუდგენს ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას.

➤ 11684

1950

## 24 დეკემბერი

თავისი თხზულებების მერვე ტომში შესატანად არჩევანს აკეთებს შემდეგ ლექსებზე: „ოკტომბერი 1950 წ.“, „მე დაგინახე... მხრები მოხრილი“, „დოკებთან“ („ადამიანს ენა ჰქონდეს...“), „აღავსე, მზეო, ეს შემოდგომა“, „ის წისქვილის ქვა!“, „ეს ძველი მუზა!“ (ნაწყვეტი: „რიტმებს არ იმეტებს...“), „რკინას სჭედავდი თუ ლეწდი კალოს“, „ქალს მთებიდან“, „ვინც უყურებდა ზეცას დაწრეტილს“, „ტოტმა, რომელიც სიბნელეს ერთვის“, „მაგრამ მკვდრები იგრძნობენ!“, „იტალიიდან“, „იპატი“, „იაპონელს კი ჰგონია“ „რას სწევ უბიდან, სთქვი, ქალო“, „ძლეული სენი“, „სიმღერა გულით დავაგუგუნოთ“, „ნამები ვაზზე“, „არაჩვეულებრივი ზამთარი ბათუმში 1911 წ.“, „ყოველ გრიგალში თუ ქარიშხალში“, „ყოველი დღე ათარიღებს!“, „მტერი კბილით ითხრის საფლავს“, „გადმოლახა რა ველები შლილი“, „ლენინის გარდაცვალება!“, „მე და აკაკი წერეთელი“, „ქალი კოლექტივში („დარი, დარებია...“), „აურია, დაურია, ხალხს ომებმა გზა და კვალი!“, „ველნი ჰყვავიან, გულო, დაწყნარდი“, „ვთქვი თუ: აი, მოქანდაკე!“, „ჟორესის და პლენანოვის ქუჩებს შუა!“, „როგორ მოაწყდა ოპერას ტალღა!“, „ბავშს ჩაეძინა, ბავშვს ღიმილი არ უქრება“, „ქარო, ჩემი ძმა იყო შენ თითქოს“, „რა გვაქვს საერთო?“ „გადვიხადე ყოფნის სესხი!“, „რომელმა უხვმა გრძნობამ დაბადა“, „ნახტომი ვის სჩვევია ვეფხვისთანა?“, „საქართველოში დღეს ყოველ მგოსნის!“, „შენს მთაწმინდაზე მდგარი“, „სად ოქროსებრ ნაღდი...“, „მთაწმინდიდან გაღმით“, „დღეები დღეებს ასე ცვლის“, „შემოდგომა თბილისში“, „მედოლეს უხარია“, „მე სიმღერა ვთქვი დაფნის“, „სდუმს ძველისძველი ცხუმი“, „ზღვა გლეჯს გალიას“, „წიგნის დაბადება“, „ზღვით ზეფირი მოჰქრის ჩქარი“, „შავი ზღვის ნაპირს რომ ჩამოუვლის“, „ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს“, „აზურმუხტა ზღვა ლალი“, „ტუია“, „ზღვისპირს ახალგაზრდა ქალი“ („მთიბავი ქალი“), „მაღალ მთაზე მოსჩანს ფაცხა“, „ბალო, როგორ თრთის!“, „გვარდიის დროშა!“, „ზღვის სიყვარული“, „რა ამაოდ ძლევას ფიქრობს“, „ორი ძალა“, „ჩემო სტუმრებო, მე ეხლა რა ვარ?“, „ჩემი მეეტლე“, „მთავარია ის, რაზედაც ჩუმად არიან“, „და, რამდენი მეგობარი მყოლია!“, „რას ნიშნავს იყო მგოსანი?“, „გარს მომეხვივნენ დღენი!“, „ხელში ფანდურის მპყრობელი“ („ხევსური“), „მაისტა ერა! ეს“, „რა არის ოქრო აჭარის?, „შენ აღარ ხარ“, „ძირს ინტერვენტი“, „პარიზი, რომი და ლონდონი“, „ოკეანეთა ჯერ უბოლოოდ“, „ატომის ენერჯია“, „თბილისის თავნი კლდიანნი“, „რას შვრება სასახლე, მოხუცდა?“, „რომ გავკაფოთ ბნელი მკვეთრად“, „ჩემი პოეზიის ინტეგრალები“ („საათი“), „ანდლუყაფარ – სანადიროდ...“, „რად მინდა ქვეყნად ცხოვრება“, „წინედ შენი სპეტაკი გზა“, „ვაჟამ სთქვა: არ მოილია“, „წყალდიდობებმა ჭალა მოსილა“, „აგერ ძველის-ძველი მოჰქრის ცხენისწყალი“, „მაღალ კოშკიდან ცისფერ მანდილის“, „ეჰ, რად არა ვარ ცხრამეტი წლისა“, „ძმებო, ამხანაგებო, აღარა გყავს ილია“, „განჭვრეტა წლის“, „ახალგაზრდებო, გვირგვინოსნები“, „მგელმა ბატკანს ჰკითხა“, „შემოსილს დროშის ორდენით“, „შემოდგომაა. ბილიკზე“, „ეჰ, ვაგორებთ და ვაგორებთ ამ წლებს!“, „ქალაღდი სუფთა თეთრი ველივით...“, „მისი სახელი კაპიტალია“, „ცაო, ზღვაო, ბიჭვინთა“, „ეგნ. ნინოშვილის ხსოვნას“, „ჩვენ გვაწვალებდა ძველი მახათა“, „მზის ჩასვლა ზღვაზე“, „დრო საახალწლოს უმატებს სრბოლას“, „თევზი“ („აჰა, ესერა“), „არა, არ დამავიწყდება რკინისგზა, პირველ ნახული“, „რა ამაოდ მიუშვირა ტყვიას მკერდი“, „მას სიარული სხვებთან ერთად არ ეხერხება“, „აი, ამ ქვასთან“ (წარწერა), „საახალწლო ბუხართან“, „იდგა მწვერვალზე ძელქვა“, „ო, ჩემო ლექსო, როს წვეულება“, „იყო, არა იყო-რა“, „ქობულეთელი“, „ავჭალიდან თბილისამდე“, „Ars longa, vita brevis“, „მესამე ზარი“, „წინად მივეპროდით ლურჯა ცხენებით“, „წიგნს დაეწაფეთ, მშრომელნო“, „მაგრამ შეიქმნა ჯაჭვი ვარდების!“, „დიდ არს სამშობლო!“, „აკადემია“ და „აკაკის გარდაცვალების გამო“. გარდა ამისა, მოინიშნავს, რომ ტომში უნდა შეიტანოს ოცი ლექსი პოემიდან „პაციფიზმი“.

➤ 11685

1950

## 24 დეკემბრის შემდეგ

მერვე ტომში შესატანად გადაწერს ლექსს „გალაკტიონის პურმარილით მამაშვილი შეიწყალეს“.

➤ 11686

1950

## 27 დეკემბერი ან ადრე

მკურნალობას იწყებს კბილის ექიმ ვლადიმერ ზაბელინთან.

➤ 11687

1950

## 27 დეკემბერი

კბილის ექიმი ვლადიმერ ზაბელინი ჰპირდება, კბილების ისე მოწესრიგებას, რომ საახალწლოდ ქათმის ტაბაკასაც კარგად მიირთმევს.

➤ 11688

1950

## 24 დეკემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „არა, არ დამავიწყდება...“.

➤ 11689

1950

## დეკემბერი

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება „ჟურნალ „მნათობის“ 1950 წლის ნომრების შინაარსი“, საიდანაც ირკვევა, რომ 1950 წელს ჟურნალში გალაკტიონის არცერთი ლექსი არ დაბეჭდილა.

➤ 11690

1950

## ზამთარი

მწერალთა კავშირში კრების დასრულების შემდეგ, გვიან საღამოს საერთო გარდერობიდან იღებს პალტოს, იცვამს და შინისკენ მიემართება. როდესაც ჯიბეში ხელს იყოფს და გაზეთებს ვერ პოულობს, მერედა აკვირდება პალტოს და ხვდება, რომ სხვისი ჩაუცვამს. გარდერობთან დაბრუნებულს იქ ხვდება იმედგაცრუებული ახალგაზრდა მწერალი კარპე მუმლაძე, რომელსაც თავისი ახალი პალტოს ნაცვლად საკიდზე ვიდაცის ძველი პალტო დახვდა და არ იცოდა, რა ექნა. გალაკტიონი პალტოს უბრუნებს, მოუბოდიშებს და ერთად გამოდიან შენობიდან. ახალგაზრდა მწერალს მისი გაცილება უნდა, მაგრამ თქმას ვერ უბედავს.

➤ 11691

## 1950 ან ადრე

არედაქტირებს ლექსს „კოლხიდა“.

➤ 11692

1950

მოსკოვში რუსულ ენაზე იგორ პოსტუპალსკის რედაქტორობით გამოდის გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული ლექსები“, რომელშიც შედის განყოფილებები: „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“, „მოგონებები ევროპაზე“, „სამშობლო“, „ცხოვრება ჩემი“, „ქვეყანა ემსგავსა მზეს“, „წარსული წლების ლირიკიდან“ და „პოემებიდან“. გამოცემას ახლავს პოეტის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნების ჩამონათვალი.

➤ 11693

1950

თბილისში რუსულ ენაზე იბეჭდება ეთერ შუმანიას საკანდიდატო ნაშრომის „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი გზა“ რეფერატი.

➤ 11694

1950

წერს უსათაურო ლექსს „დღეს სახელმწიფოს ჩავაბარეთ არ არეული...“.

➤ 11695

1950

აღწერს ქუთაისიდან უქიმიერიონისკენ მიმავალ გზებსა და ბილიკებს. ბევრგან უთითებს იმასაც, თუ ვინ ცხოვრობს ამ მიდამოებში.

➤ 11696

1950

კითხულობს გოგი ჩიქობავას სამ ლექსს, აკვირდება რიტმის თავისებურებას და ავტორს ლიტერატურულ მიმდინარეობებზე ესაუბრება.

➤ 11697

1950

წერს პოემებს „ომი და მშვიდობა“, „შემოგვიგზავნეთ იარაღი“, „ქიტესა“, „გამოგონება“, სამასამდე ლირიკულ ლექსს და გამოსაცემად ამზადებს მერვე ტომს.

➤ 11698

1950

გამომცემლობისთვის „ზარია ვოსტოკა“ ასრულებს საკუთარი ლექსების პწკარედულ თარგმანებს.

➤ 11699

1950

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მართავს ლიტერატურულ სადამოებს.

➤ 11700

1950

შემნახველ სალაროში 1947 წელს დატოვებული 25 მანეთიდან უგროვდება 275 მანეთი.

➤ 11701

1950

წერს ლექსს „ეჰ, რად არა ვარ თხუთმეტი წლისა“ („ეჰ, რად არა ვარ თხუთმეტი წლისა...“).

➤ 11702

1950

წერს უსათაურო ლექსს „ათას ცხრაას ორმოცდაათ...“.

➤ 11703

1950

თბილისში ამიერკავკასიის გამომცემლობა ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის კრებულის „ლექსები და პოემები“ მეორე გამოცემას. რედაქტორია გიორგი ბებუთოვი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ნიკოლაი ჩერნიშკოვსა და პიოტრ ბუსირიოვს.

➤ 11704

1950

წერს უსათაურო ლექსს „წარმოსთქვა რა სიტყვა თვისი...“.

➤ 11705

**1950**

წერს უსათაურო ლექსს „ასეთია, ამნაირი...“.

➤ 11706

**1950**

წერს სახუმარო ლექსს „ვერანა!“

➤ 11707

**1950**

წერს უსათაურო ლექსს „როგორ არ მომაგონდეს...“.

➤ 11708

**1950 ან შემდეგ**

კითხულობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული კრებულის „ძველი ქართული ენის ძეგლები“ მეშვიდე წიგნს – „საქმე მოციქულთა“ და სატიტულო გვერდზე წერს უსათაურო ლექსს „თრთიან, როგორც მზის...“.

➤ 11709

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „თრთიან როგორც მზის ანარეკლები...“.

➤ 11710

**1950 ან შემდეგ**

კითხულობს ნიკოლოზ ჩაჩავას ლექსების კრებულს „სიცოცხლეს ვუმდერ“, ხაზს უსვამს სტრიქონებს და აწერს შენიშვნებს. პირველივე ლექსში „ბელადის წიგნი“ 28 პუნქტად წერს არსებულ გრამატიკულ შეცდომებს, არასწორ რითმებსა და ტავტოლოგიებს. ასკვნის, რომ ლექსში 28 სტრიქონია და ამდენივე იდეოლოგიური თუ ენობრივი შეცდომაა. ფიქრობს, რომ წიგნის უმთავრესი ნაკლია ქართული ენის არცოდნა და ფორმალიზმით გატაცება.

➤ 11711

**1950 ან შემდეგ**

გალაკტიონი გოგი ლექავასთან ერთად ღვინის სარდაფში ჩადის თავის ნათესავ ბათასთან, რომელიც იქ მუშაობს და სვამენ. პოეტი სამჯერ სვამს ბათას სადღეგრძელოს და ის ეშმაკურად ჩაუკრავს თვალს თანამეინახეებს, გალაკტიონი დაგვითვრაო. გალაკტიონს, სიმთვრალის მიუხედავად, ეს ფარული ჟესტი არ გამოეპარება და ეუბნება, ჯერ ჩემსავით რვა ტომი დაწერეთ და მერე თქვითო.

➤ 11712

**1950 ან შემდეგ**

თბილისიდან ქუთაისში საკუთარი ავტომობილით მგზავრობისას სურამის უღელტეხილზე ავტომანქანის რადიატორს ჩიტი შეასკდება. გალაკტიონი ბავშვივით განიცდის, გზის პირზე ასაფლავებს და უკან დაბრუნებისას იმ ადგილთან მძლოლს მანქანას აჩერებინებს.

➤ 11713

**1950 ან შემდეგ**

წერს ლექსს „ელეგია დღევანდელი“.

➤ 11714

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მთაწმინდიდან გაღმით...“.

➤ 11715

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მთაწმინდიდან გაღმით...“.

➤ 11716

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სად ოქროსებრ ნაღდი...“.

➤ 11717

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „იგი ლამპარი რომელ წელს ენთო...“.

➤ 11718

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სავსე ნარით და ეკლით...“.

➤ 11719

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემო კარგო ქვეყანავ...“.

➤ 11720

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სიტყვა უნდა სუფთა იყოს...“.

➤ 11721

**1950 ან შემდეგ**

წერს ლექსს „შეხვედრა“.

➤ 11722

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „გული, ოჰ, გული, შემეძლოს ნეტავ...“.

➤ 11723

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მტერს აკრთობს შენი ჩანგი მქუხარე...“.

➤ 11724

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „არ გადაიქცა, არა, სიამედ...“.

➤ 11725

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემთა გრძნობათ წმინდათ-წმინდავ...“.

➤ 11726

**1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ნეტავ ხელახლა“.

➤ 11727

### **1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რომელთაც ჩემზე სურთ უფროსობა...“.

➤ 11728

### **1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მიდის, მიღელავს მოხუცი მტკვარი...“.

➤ 11729

### **1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ვინც გუშინდელი დღის ხსოვნას ჰკარგავს...“.

➤ 11730

### **1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „რა არის სიტყვა უსაგნო, უხვადა და სცვივა ჭრელია...“.

➤ 11731

### **1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „თქვენ გენატრებათ ლოჟა, პარტერი...“.

➤ 11732

### **1950 ან შემდეგ**

წერს ლექსს „მგზავრობა“.

➤ 11733

### **1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „სალამოთი, ნაცნობ შარით...“.

➤ 11734

### **1950 ან შემდეგ**

წერს ლექსს „წარწერა ქვაზე“.

➤ 11735

### **1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მოვიკლავდი თავს, მაგრამ ამით...“.

➤ 11736

### **1950 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „და ეზო მიდამოს...“.

➤ 11737

### **1950 შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ამ დარბაზში, დღეს, მეგობრებო, შემთხვევით მოვხვდი...“.

➤ 11738

### **1950 შემდეგ**

წერს ლექსს „შვიდტომეულის შემდეგ“.

➤ 11739



## 1950 შემდეგ

საკანცელარიო წიგნში საკუთარი თხზულებების ტომებიდან იწერს 1905 წლის მოვლენებისადმი მიძღვნილი ლექსების ჩამონათვალს.

➤ 11740

## 1950 შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს იმ წამოწყებათა შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის დაფასებისათვის. გალაკტიონის თქმით, რუსულ და ქართულ ენებზე ერთ ტომად უნდა გამოიკვს მისი თხზულებების შვიდი ტომი; გალაკტიონის სახელი უნდა ეწოდოს მტკვრის სანაპიროს. უნდა აშენდეს სპეციალური შენობა გალაკტიონის მუდმივი გამოფენისათვის; უნდა მოეწყოს წიგნთსაცავი და ბიბლიოგრაფიული კაბინეტი; სიცოცხლეშივე დაიდგას პოეტის ძეგლი; დაევალოს სახელმწიფო გამომცემლობას გამოსცეს წიგნი „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“, რომელშიც თავმოყრილი იქნება ძველი და ახალი თაობის მწერალთა და კრიტიკოსთა სტატიები პოეტის შესახებ; ქალაქ სამტრედიას ეწოდოს „საგალაკტიონო“. განსაკუთრებული დამსახურებისათვის პოეტს დაენიშნოს პენსია 10 000 მანეთის ოდენობით, ასევე მიეცეს ერთჯერადი დახმარება – 100 000 მანეთი; მოეწყოს დიდი საიუბილეო საღამო ოპერის თეატრში; დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური მკურნალობით უზრუნველყოს პოეტი; დახმარება გაეწიოს აგარაკის მოწყობაში; მიეცეს შესაფერისი ბინა; საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში აღძრულ იქნეს შუამდგომლობა პოეტის თხზულებათა გამოსაცემად; დასაჩუქრდეს ავტომანქანით; სახელმწიფოს ხარზე მოეწყოს მისი სამდივნო და კანცელარია; გაიხსნას გალაკტიონის მუზეუმები ჭყვიშსა და ქუთაისში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაევალოს ავტორის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება.

➤ 11741

## 1951

### ი ა ნ ვ ა რ ი

## 1951

### დასაწყისი

დღიურში იწერს, რომ მიმდინარე წელს არის პაბლო ტიჩინას, ნიკალაი ტიხონოვის, ალექსანდრ ფადეევისა და ილია ერენბურგის საიუბილეო წლები, მომდევნო წელს კი თავად მისი და იაკუბ კოლასის.

➤ 11742

## 1951

### 1 იანვრამდე

წერს ლექსს „ახალი წელი“ და მოკლე მილოცვას ბავშვებისთვის, რომლებიც რადიოში უნდა წაეკითხათ 1 იანვარს დღის 12 საათამდე.

➤ 11743

## 1951

### 1 იანვარი

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აზხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „საახალწლო“ თარგმანი.

➤ 11744

## 1951

### 1 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „საახალწლო სადღეგრძელო“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11745

1951

### 1 იანვარი ან შემდეგ

რუსთავის კოლონიიდან იღებს მწერალ დარია ახვლედიანის ვაჟის, ოთარ ახვლედიანის კიდევ ერთ წერილს. წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მეათე წერილს აგზავნის და გალაკტიონს არცერთზე არ უპასუხია. სწერს, რომ ორი წლით ადრე გადასცა ადრესატს დედამისის ლექსები გამოსაქვეყნებლად, რომ ორიოდე კაპიკი ეშოვა, მაგრამ ისიც კი ვერ გაიგო, გამოქვეყნდა თუ არა. ითხოვს ან თანხის გაგზავნას ან ლექსების უკან დაბრუნებას. აფრთხილებს, რომ თუ ისევ არ შეეხმიანება, იძულებული გახდება მწერალთა კავშირი ჩააყენოს საქმის კურსში.

➤ 11746

1951

### 1 იანვარი ან შემდეგ

გაზეთ „კომუნისტიდან“ იწერს გიორგი ლეონიძის ლექსს „შენი სახელი მზესთან დარჩება“ და მას კრიტიკულ შენიშვნებს ურთავს. აღნიშნავს, რომ ლექსში სოფლის ხვავსა და ბარაქაზე საუბარი და არაფერია ნათქვამი ქალაქში მიმდინარე აღმშენებლობაზე. გალაკტიონს არ მოსწონს ლექსის გრაფიკული ფორმა, ასევე მიუთითებს, რომ ცალკეული ტაეპები აზრობრივად არაზუსტი და ბუნდოვანია, რითმები კი სხვათაგან ნასესხები,

➤ 11747

1951

### 1 იანვარი ან შემდეგ

მერვე ტომში შესატანი მასალების გადათვალთვლებისას აღმოაჩენს, რომ ორმოცდაათი პოემა აქვს დაწერილი, რომელთაგან ორმოცი უკვე დაბეჭდილია.

➤ 11748

1951

### 1 იანვარი ან შემდეგ

ხვდება ელიზბარ ანანიაშვილი და სთხოვს, რომ მისი ლექსების თარგმნის ნება დართოს.

➤ 11749

1951

### 1 იანვარი ან შემდეგ

იმის გამო, რომ უნივერსიტეტში ზამთრის სესიები იანვრის ბოლოს მთავრდება, ფიქრობს, რომ სალიტერატურო საღამოს გამართვა თებერვალში სჯობს.

➤ 11750

1951

### 1 იანვარი ან შემდეგ

აკაკი ხორავა, ბესარიონ ჟღენტი, ჯანო ბაგრატიონი, ბენო ჩიქობავა, მწერალთა კავშირის თანამშრომლები, წიგნის გამყიდველები და სხვები აღტაცებულები არიან რადიოგადაცემით, რომლითაც გადმოიცა მისი მიმართვა ბავშვებისადმი და საახალწლო ლექსი.

➤ 11751

1951

### 1 იანვრის შემდეგ

თავის წიგნებს წარწერით ჩუქნის კბილის ექიმ ვლადიმერ ზაბელინს.

➤ 11752

1951

**2 იანვარი**

ატყობინებენ, რომ თბილისის კინოთეატრებში გადის ქრონიკა „არჩევნები“, რომლის ერთ-ერთ კადრში ფართო რაკურსით ჩანს გალაკტიონი ხმის მიცემის დროს.

➤ 11753

1951

**2 იანვარი**

ბესარიონ ჟღენტთან მოლაპარაკებას აგრძელებს თხოვლობათა მერვე ტომის მოცულობის თაობაზე. 3500-4000 სტრიქონი ეცოტავება, რადგან ამ ზომის წიგნი ბროშურას დაემსგავსება.

➤ 11754

1951

**3 იანვარი**

ასრულებს პოემების „პირველი ენკენისთვე“ და „ძლეული სენი“ გადაწერას.

➤ 11755

1951

**4 იანვარი**

ნანობს, რომ წინა დღეს არ უმუშავია და მაგიდის კალენდარზე მიაწერს, რომ მთავარი მტერია უმოქმედობა.

➤ 11756

1951

**4 იანვარი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მისი მძლოლი ჩასაფრებულია და შესაძლებლობას არ უშვებს ხელიდან, რომ მანქანა თავის ჭკუაზე წაიყვანოს.

➤ 11757

1951

**4 იანვარი**

სოხუმიდან ლეო გვათუა ატყობინებს, რომ წვიმიანი ამინდების გამო გალაკტიონის სახლის მშენებლობა არ დაუწყიათ, მაგრამ მალე შეუდგებიან.

➤ 11758

1951

**4 იანვარი**

სამი პოემა მიაქვს გადასაბეჭდად და ჰპირდებიან, რომ ერთ კვირაში მზად ექნებათ. მანამდე კი ფიქრობს ლექსების მომზადებას გადასაბეჭდად. უხარია, რომ მერვე ტომის საქმე წინ მიდის.

➤ 11759

1951

**4 იანვარი**

თბილისში გამომავალი გაზეთი „ლენინსკოე ზნამია“ უარს ეუბნება ლექსის დაბეჭდვაზე და გალაკტიონი ამის შესახებ უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს.

➤ 11760

1951

#### **4 იანვარი**

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ არ ბეჭდავს მისი ლექსის სერგეი სერებრიაკოვისეულ თარგმანს.

➤ 11761

**1951**

#### **4 იანვარი**

ავად ხდება გრიპით.

➤ 11762

**1951**

#### **4 იანვარი**

თვლის, რომ შინ და გარეთ მტრული თავდასხმების სამიზნეა, რადგან კარლო კალაძე და ახვლედიანი ემუქრებიან, რძალი ტატანა საყვედურობს რომ მათთან სახლში არ გაიარა, მეუღლე ნინო კვლავ ახალი პალტოს შეძენას გეგმავს და გალაკტიონის აკადემიის ხელფასს ელოდება, სახლში ყველაფერი მოუწესრიგებელია, მძლოლი ხელსაყრელ მომენტს ეძებს, რომ ავტომანქანა თავისი საჭიროებებისთვის გამოიყენოს. თავს იმით იმშვიდებს, რომ წიგნის გამოცემის საქმე წინ მიდის.

➤ 11763

**1951**

#### **5 იანვარი**

ვინმე თინიკოზე წერს ოთხტაეპიან უსათაურო ლექსს „მიიარე, მოიარე...“

➤ 11764

**1951**

#### **5 იანვარი**

რამდენჯერმე ურეკავენ და ბულატ ოკუჯავას კითხულობენ. პოეტი კალენდრის ფურცელზე მიაწერს ამ სატელეფონო „თავდასხმის“ ამბავს.

➤ 11765

**1951**

#### **6 იანვარი**

დღიურში იწერს ვლადიმერ მაიაკოვსკის მიერ ქართული ანდაზის „ასე ჩემო მანასეო...“ თემაზე დაწერილ ლექსს „Манасею“.

➤ 11766

**1951**

#### **9 იანვარი**

ადგენს კანდიდ ჩარკვიანის მხარდასაჭერი გამოსვლის ტექსტს, რომელშიც აღნიშნავს, რომ ქართველ მწერლებთან ერთად მხარს უჭერს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წინადადებას, რომ ქართველ ბოლშევიკთა ხელმძღვანელი კანდიდ ჩარკვიანი წარდგენილ იქნას საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

➤ 11767

**1951**

#### **10 იანვარი**

ესწრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა, პროფესორთა, მეცნიერ მუშაკთა და თანამშრომელთა საერთო კრებას, რომელზეც განიხილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანის დასახელება და მხარს უჭერს ამ წინადადებას.

➤ 11768

1951

10-11 იანვარი

თბილისის XX პარტიული კონფერენციის გახსნაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კანდიდ ჩარკვიანი გამოდის პარტიის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შედეგების შემაჯამებელი მოხსენებით, რომელშიც აკრიტიკებს ვაჟა-ფშაველას ენას. მისი გამოსვლა დასაბამს აძლევს ლიტერატურაში ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას. მეცნიერებათა აკადემიის პარტბიუროს მდივანი სერგი ჭილაია აკრიტიკებს გიორგი ლეონიძესა და სიმონ ჩიქოვანს და უარყოფით კონტექსტში იხსენიებს გალაკტიონის მიერ ლექსში „ჩემი სიმღერა“ გამოყენებულ სიტყვას „მგზოვარი“. გალაკტიონი კრიტიკოსის შეფასებას არ იზიარებს, რადგან პოეტური ლიტერატურის მსგავსი შემთხვევები გვხვდება ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე პუშკინის ლექსებშიც.

➤ 11769

1951

11 იანვარი

ინტერესდება გადაიბეჭდა თუ არა თავისი თხზულებების მერვე ტომში შესატანი პოემები „პირველი ენკენისთვე“, „ძლეული სენი“ და ყრმობისდროინდელი ლექსები.

➤ 11770

1951

12 იანვარი

დღიურში იწერს, რომ ვლადიმერ ლენინს უყვარდა ჯეკ ლონდონი.

➤ 11771

1951

13 იანვარი

კალენდრის 13 იანვრის იმ ინფორმაციის გასწვრივ, რომელშიც ნათქვამია, რომ 150 წლის წინ, 1901 წელს სტალინის ხელმძღვანელობით ბათუმში ჩამოყალიბდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაცია, მიაწვინებს თავისი პოემის სათაურს „ძლეული სენი“, რომელიც იმ პერიოდის ამბებს ასახავს.

➤ 11772

1951

14 იანვარი

კალენდრის 14 იანვრის იმ ინფორმაციის გასწვრივ, რომელშიც ნათქვამია, რომ 1903 წელს რუსეთის მეფის ჯალათებმა მეტეხის ციხეში მოკლეს რევოლუციონერი ლადო კეცხოველი, მიაწერს, რომ ახსოვს იმდროინდელი გაზეთების რეაქცია.

➤ 11773

1951

15 იანვარი

თავისი თხზულებების მერვე ტომისთვის აგრძელებს ლექსების გადარჩევას.

➤ 11774

1951

16 იანვარი

შალვა რადიანი მოითხოვს, რომ ჟურნალის „მნათობი“ სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტოს გალაკტიონის ნაწერების ბეჭდვის საკითხი. გალაკტიონი თვლის, რომ პირდაპირ დაწუნება

ეუხერხულება რადიანს და სურს საკუთარი აზრი კოლეგიის წევრებს გამოათქმევინოს. დღიურში იწერს ამ წევრთა სიას.

➤ 11775

1951

16 იანვარი

ისევ განაგრძობს თავისი თხზულებების მერვე ტომისთვის მასალის გადარჩევას და მბეჭდავისთვის მიწოდებას.

➤ 11776

1951

16 იანვარი

აპირებს სოხუმში დეპეშის გაგზავნას თავისი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით.

➤ 11777

1951

16 იანვარი

შუადღისას სადღაც მიდის მანქანით, როდესაც ინსპექცია აჩერებს და გადმოსვლას სთხოვს, რადგან მანქანას საბურავები აქვს დაძველებული.

➤ 11778

1951

16 იანვარი

იმის გამო, რომ ავტომანქანას, რომელიც მას ემსახურება საბურავები დაუძველდა, ნომრებს ხსნიან და ითხოვენ ახალი საბურავების ყიდვას.

➤ 11779

1951

17 იანვარი

მარიკა ბარათაშვილთან ერთად გამოდის მწერალთა კავშირიდან, პლენხანოვის გამზირამდე ფეხით მიდიან. გზაში ქალი ესაუბრება და ამშვიდებს, რომ უსიამოვნებები გულთან არ უნდა მიიტანოს. გალაკტიონი მაღლიერების ნიშნად უწერს პატარა ლექსს სახელწოდებით „მარიკა ბარათაშვილს“ („მაღლობელი ვარ, თქვენი, მარიკა...“).

➤ 11780

1951

21 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ლენინის ხსოვნას“ თარგმანი.

➤ 11781

1951

17 იანვარი

იძენს ახალ ავტომანქანას „პობედა“ სანომრე ნიშნებით 57-51. ГН.

➤ 11782

1951

19 იანვარი

ხვდება სახელმწიფო კინომრეწველობის გარაჟის გამგეს ჯაფარიძეს.

➤ 11783

1951

**20 იანვარი**

ასწორებს იგავ-არაკს ლექსად „კუჩხა და საათი“ და ჩაინიშნავს, რომ შეიძლება ჩაემატოს პოემას „დიდედას სათვალეები“.

➤ 11784

1951

**20 იანვარი**

დილით ჟურნალის „ლიტერატურული მიეზანი“ 1950 წლის ნომერში კითხულობს შალვა რადიანის წერილს მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობისათვის“ და არ მოსწონს, რომ სამშობლოს თემისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ავტორის ნაწარმოებები უბრალოდ ჩამოთვლილია, ყოველგვარი ანალიზისა და შეფასების გარეშე. ჟურნალში ვკითხულობთ: „საკმარისია დავასახელოთ: გ. ლეონიძის „სამშობლოს“, „სიმღერა ბელადზე“, „არ დაიდარდო, დედაო“, გ. ტაბიძის – „სამშობლო, უპირველეს ყოვლისა“, ა. მირცხულავას „ჰიმნი სამშობლოს“, „სამშობლო ბელადისა“, ა. აბაშელის „არ მოუშვა, დაჰკარი“, ს. ჩიქოვანის – „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, ლ. ქიაჩელის „მთის კაცი“, ი. გრიშაშვილის – „ორი სიტყვა“, ი. მოსაშვილის – „სამშობლოვ ჩემო“, „აი, ქართველო, შენი სამშობლო“, კ. კალაძის – „ქართველი მხედრის სიმღერა“, „ბარათი დედას“, „ი. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“, ა. გომიაშვილის „სამი სიმღერა სამშობლოზე“, შ. აფხაიძის „სამშობლოსადმი“, რ. გვეტაძის – „ცხოვრება იწყება თავიდან“, კ. ლორთქიფანიძის – „მწვანე ღილი“, გრ. აბაშიძის – „ძღვევის ქედი“, „სამხრეთ საზღვარზე“, ს. შანშიაშვილის – „კრწანისის გმირები“ და სხვები“. გალაკტიონის აზრით, მხოლოდ დასახელება სულაც არ არის საკმარისი და ასეთ კრიტიკოსებს უწოდებს „ჩამომთვლელებს“. პოეტის აზრით, მნიშვნელოვანია იმის გამოკვეთა, თუ ვის თხზულებაში სად არის რაიმე ნოვაცია.

➤ 11785

1951

**20 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „მტერი მას სძლევს...“.

➤ 11786

1951

**21 იანვარი**

წერს უსათაურო იუმორისტულ ლექსს საქმეების მოზღვავებაზე „დეპეშას მიგზავნის გვათუა...“.

➤ 11787

1951

**21 იანვარი**

უბის წიგნაკში კომენტარს უკეთებს 1948 წლის საიუბილეო საღამოს შესახებ მის მიერ გაკეთებულ ჩანაწერს. აღნიშნავს, რომ საღამო ჩატარდა, მაგრამ ნიკოლოზ ჩაჩავამ შეასრულა რაღაც დავალება და სვამს კითხვას „ვინაა ეს ჩაჩავა“ და ეხება თუ არა მას ამბავი, რომელიც საკითხად გამოიტანა კანდიდ ჩარკვიანმა. იქვე დაცინვით მოიხსენიებს ამ პოეტის წიგნს და მას „ჰენტერას“ უწოდებს.

➤ 11788

1951

**21 იანვარი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ სერგი ჭილაია სანდრო შანშიაშვილს აცხადებს პრიმიტივისტად და ქადაგებს პრიმიტივიზმთან ბრძოლას.

➤ 11789

**1951**

**22 იანვარი**

უკმაყოფილოა, რომ მხატვარ უჩა ჯაფარიძის მიერ მისი პორტრეტის ხატვა გადაიდო.

➤ 11790

**1951**

**23 იანვარი**

თბილისში ძლიერი ქარიშხალია და გალაკტიონი უბის წიგნაკში წერს, რომ ასეთი ამინდი, ალბათ, ბევრს არ ახსოვს.

➤ 11791

**1951**

**23 იანვარი**

გამომცემლობას „სამშობლო“ გადასაბეჭდად აძლევს ლექსებს.

➤ 11792

**1951**

**23 იანვარი**

დღიურში იწერს, რომ ჯერჯერობით გაურკვეველია ჟურნალში „მნათობი“ მისი მასალის ბეჭდვის საკითხი.

➤ 11793

**1951**

**23 იანვარი**

მიემგზავრება აფხაზეთში.

➤ 11794

**1951**

**24 იანვარი**

ბინავდება სასტუმრო „აფხაზეთში“, ნახულობს იმ ტერიტორიას, სადაც მისი სახლი უნდა აშენდეს და კმაყოფილია, რომ საჭირო სამშენებლო მასალა: ქვები, სილა და ხრეში უკვე ადგილზეა.

➤ 11795

**1951**

**26 იანვარი**

კიევში დეპუტას უგზავნის პავლო ტიჩინას, ულოცავს სამოცი წლის იუბილეს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს უკრაინელი ხალხის სადიდებლად.

➤ 11796

**1951**

**28 იანვარი**

სოხუმიდან დეპუტას უგზავნის ნინო კვირიკაძეს, რომ 29 იანვარს შუადღის 2 საათზე თბილისში იქნებიან.

➤ 11797

**1951**

**29 იანვარი**

ბრუნდება აფხაზეთიდან.

➤ 11798



## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1951

### 1 თებერვალი

ხვდება გლდანის სკოლის დირექტორს შუბლაძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს გიორგი ცინცაძეს.

➤ 11799

1951

### 2 თებერვლამდე

ატყობინებენ, რომ პარასკევს, 2 თებერვალს 2 საათზე ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი ატარებს თათბირს და დასწრება სავალდებულოა.

➤ 11800

1951

### 6 თებერვალი

ვლადიმერ ტატიშვილი ჩუქნის თავის წიგნს „ქართველები მოსკოვში“ რუსული წარწერით: „საქართველოს სახალხო პოეტს – გალაკტიონს, ღრმა პატივისცემითა და მადლიერებით იმ უსაზღვრო სიამოვნებისთვის, რომელსაც ყოველთვის ვიღებ ჩვენი დროის პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დიდი და ამავედროულად უბრალო და ღრმა ჰუმანური პოეზიით.“

➤ 11801

1951

### 11 თებერვლამდე

იწყებს სოხუმში სახლის მშენებლობას.

➤ 11802

1951

### 11 თებერვალი

ინიშნავს მოსაგვარებელი საკითხების სიას. მათ შორის ჩამოთვლილია: ავტომობილის შეკეთება, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“ წიგნის თაობაზე მისვლა და ჟურნალ „მნათობის“ საკითხი.

➤ 11803

1951

### 13 თებერვლის შემდეგ

იგებს, რომ გარდაიცვალა გალაკტიონის ლექსების მთარგმნელი გიორგი კრეიტანი.

➤ 11804

1951

### 16 თებერვალი

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სიხარულის დღე“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11805

1951

### 18 თებერვალი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სიხარულის დღე“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11806

1951

## **24 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „ბოლშევიტსკაია პუტიოვკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ვაშა ამ ახალ საქართველოს...“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11807

1951

## **24 თებერვალი**

შეხვედრას უწყობენ გლდანის სკოლაში.

➤ 11808

1951

## **24 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „გაუმარჯოს ჩვენს ოცდაათიწლისთავს!“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11809

1951

## **25 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „სავეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „გაუმარჯოს ჩვენს ოცდაათიწლისთავს!“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11810

1951

## **26 თებერვალი**

ავად ხდება და ექიმი დავით თუშურიანი ათდღიან წოლით რეჟიმს უნიშნავს.

➤ 11811

1951

## **28 თებერვალი**

თავს ცოტა უკეთ გრძნობს და საწოლიდან დგება, მაგრამ გამოჯანმრთელებული არ არის.

➤ 11812

## **მ ა რ ტ ი**

1951

### **5 მარტი**

ექიმი დავით თუშურიანი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით უკმაყოფილოა და ისევ ათდღიან წოლით რეჟიმს უნიშნავს.

➤ 11813

1951

### **5 მარტი**

წერს ლექსს „ერთი ბაღდათელი ქალი“ („ხმაურობდა, მჩქეფარებდა, მღელვარებდა ხანისწყალი...“).

➤ 11814

1951

### **12 მარტი**

ანგარიშობს ოჯახის დანახარჯს და შემფოთებული აღმოაჩენს, რომ თვის დასაწყისიდან უკვე 6000 მანეთია დანახარჯი.

➤ 11815

1956

15 მარტი

წერს ლექსს „გამოთხოვება“

➤ 11816

1951

22 მარტის შემდეგ

იბეჭდება შალვა რადიანის წიგნი „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა“, რომელშიც ერთი თავი ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძეს. კრიტიკოსი იმეორებს გალაკტიონის პოეზიაზე თავის ადრინდელ ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს.

➤ 11817

1951

მარტი

პლენარის პროსპექტზე მდებარე სარდაფ-სასაუზნეში სვამს ელგუჯა მაღრაძესა და ოთარ ჭელიძესთან ერთად. ღვინომორეულები ჩათვლემენ, მაგრამ გალაკტიონის უცნაური, ომახიანი ხმა აღვიძებთ. ორივე გაოცებულია. გალაკტიონი ამას რომ ხვდება, ძველ ხმას იბრუნებს და ეუბნება, თქვენ როგორი ხმის ღირსიცა ხართ, იმ ხმაზე გელაპარაკებითო.

➤ 11818

## აპრილი

1951

16 აპრილის შემდეგ

იბეჭდება პირველი მონოგრაფია გალაკტიონის შემოქმედებაზე – სერგი ჭილაიას წიგნი „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“. წიგნის ავტორი ავითარებს თავის ადრინდელ ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს გალაკტიონის პოეზიის შესახებ. იგი მსჯელობს შემდეგი საკითხების ირგვლივ: პოეტის მსოფლმხედველობა, გალაკტიონის დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციასთან, გალაკტიონის შემოქმედება რეაქციისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, გალაკტიონი და სიმბოლიზმი, გალაკტიონი და მეცხრამეტე საუკუნის ქართული პოეზია, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და გალაკტიონ ტაბიძე, პოეტის რევოლუციის შემდგომი შემოქმედება, გალაკტიონის პოეტური სტილის საკითხი.

➤ 11819

## მაისი

1951

1 მაისი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პირველი მაისი“ („ქუჩებსა და მოედნებზე მიდის, როგორც ქარბუქი...“) ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11820

1951

1 მაისი

გაზეთში „ბოლშევიკური დროშა“ იბეჭდება ლექსი „მშობლიურ სტალინს“.

➤ 11821

1951

1 მაისი

რუსულ გაზეთში „ბოლშევიკ“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სალამი მაისს“ („ვით არ ვადიდო ქვეყანა ჩემი...“) ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11822

1951

## 8 მაისი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სალამი მაისს“ („ვით არ ვადიდო ქვეყანა ჩემი...“) ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11823

1951

## 22 მაისი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება სტატია სათაურით „სიმწიფის ატესტატისთვის“. მასში აღწერილია თბილისის პირველ ვაჟთა სკოლაში ჩატარებული გამოცდა, რომელსაც უძღვებოდნენ დირექტორი ჯაჯუ ჯორჯიკია და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გ. ქუთუბიძე. პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ ჯორჯიკიამ გახსნა საგამოცდო პაკეტი და წაიკითხა თემები, ქუთუბიძემ კი დაფაზე ჩამოწერა: „აკაკი წერეთლის შემოქმედების ძირითადი მოტივები“, „ლეო ქიაჩელის შემოქმედება“ და თავისუფალი თემა „გ. ტაბიძის ეპიგრაფზე: „მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ, რომ დავიცავ შენს ტკბილს ენას, შენს მშვენიერს ჩანგს დავიცავ“. ამის შემდეგ პუბლიკაციაში ნათქვამია, რომ მასწავლებელი დაინტერესდა, რა თემები აირჩიეს მოსწავლეებმა, ჩამოუარა მერხებს და აღმოჩნდა, რომ 45 მოსწავლეს არჩეული ჰქონდა პირველი ორი თემა.

➤ 11824

1951

## 29 მაისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განათლების მინისტრს. აღწერს გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ პუბლიკაციაში „სიმწიფის ატესტატისთვის“ აღწერილ ვითარებას თბილისის პირველ ვაჟთა სკოლაში ჩატარებული გამოცდის შესახებ და გამოხატავს გაოცებას იმასთან დაკავშირებით, რატომ უნდა ყოფილიყო თავისუფალი თემის სათაურად მისი ეპიგრაფი, რატომ უნდა მიეცათ პრესისთვის მისი შეურაცხმყოფელი განცხადება მოსწავლეების მიერ ამ თემის არ არჩევის შესახებ ან რატომ უნდა მოეხსენიებინათ სხვა მწერლები სახელითა და გვარით, გალაკტიონი კი გვართა და სახელის მხოლოდ ინიციალით.

➤ 11825

1951

## 31 მაისი

ავად ხდება გრიპით.

➤ 11826

1951

## მაისი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბუკლეტის „ახლადშემოსული ლიტერატურის საინფორმაციო ბიულეტენი“ სატიტულო გვერდზე წერს უსათაურო ლექსს „ვიყავ ჭკვიანი, გავზდი კრეტინი: / ამწვევლია ტემპერატურის / ასეთნაირი ბიულეტენი...“.

➤ 11827

## ივნისი

1951

## 3 ივნისი

აქვს ანგინა და საერთო სისუსტე. ექიმი უნიშნავს ინჰალაციას და არის გამლიერებულ კვებაზე.

➤ 11828

1951

## 14 ივნისი

ავადმყოფობის შემდეგ პირველად გადის სახლიდან.

➤ 11829

1951

### 16 ივნისის შემდეგ

ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდება სარგის ცაიშვილისა და რევაზ თვარაძის რეცენზია გალაკტიონის თხზულებათა VII ტომის შესახებ. კრიტიკოსები დადებითად ეხმაურებიან პოეტის ახალ წიგნს, მიმოიხილავენ მას თემატურად, ყურადღებას ამახვილებენ სტალინის სახეზე გალაკტიონის პოეზიაში. მსჯელობენ სამამულო ომის თემაზე პოეტის ლირიკაში, ასევე ევროპული ციკლის ლექსებზე, რომლებშიც მხილებულია კაპიტალისტური დასავლეთი. ახალგაზრდა კრიტიკოსები პოეტს საყვედურობენ ენის სიწმინდისადმი უყურადღებობას. რეცენზენტები აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ გალაკტიონის შემოქმედებაში გვხვდება სალიტერატურო ენის დარღვევის მაგალითები, რადგან პოეტი ხანდახან ხმარობს არქაულ ფორმებს, ბუნდოვან გამოთქმებს, ზოგჯერ კუთხურ სიტყვებსაც კი.

➤ 11830

1951

### 19 ივნისი

უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ ჟურნალი „მნათობი“ არ ბეჭდავს მის ლექსს „მშვიდობისათვის“, ხოლო გამომცემლობა „სახელგამი“ არ ბეჭდავს მის წიგნს. ფიქრობს, რომ ამით მავანთ სურთ ჩაშალონ მისი მოახლოვებული 60 წლის იუბილე. ის საჭიროდ მიიჩნევს, რომ თავისი პოზიციის გასამყარებლად უნდა შემოიკრიბოს „რკინიგზელები“ და უნდა მოაწყოს „მშვიდობის სადამო“. გალაკტიონი თვლის, რომ მწერალთა კავშირი განაგრძობს სიმონ ჩიქოვანის ხაზს.

➤ 11831

1951

### 19 ივნისი

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს ივანე გიგინეიშვილის წერილს არნოლდ ჩიქობავას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ და არ მოსწონს. ღელავს იმის გამო, რომ სახელგამში და მწერალთა კავშირში უარყოფითად ხვდებიან მისი წიგნის საგამომცემლო გეგმაში შეტანას.

➤ 11832

1951

### 19 ივნისი

იგებს, რომ გარდაიცვალა პიოტრ პავლენკო, უბის წიგნაკში რუსულად იწერს მისგან გაგონილ ფრაზას ძველი აღთქმიდან და თარგმნის ქართულად: „გარემომადგეს მე ზვარაკნი მრავალნი ჭამებულნი“ (ე. ი. მსუქანნი).“

➤ 11833

1951

### 19 ივნისი

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის მოადგილე ერასტი ტოროტაძეს და სთხოვს, რომ მისი თხზულებების მეშვიდე ტომის ჰონორარი მიმდინარე ან მომდევნო დღეს გადაურიცხონ თუ მთლიანად არა, ნაწილი მაინც.

➤ 11834

1951

### 19 ივნისი

ძლიერი სიცხის გამო ავტომობილით მიდის ქალაქგარედ.

➤ 11835

1951

19 ივნისი

უფუჭდება ტელეფონი.

➤ 11836

1951

19 ივნისი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს რუსულ ფუნაგორიას გიორგი მდივანზე.

➤ 11837

1951

19 ივნისი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს ბრონქიტის საწინააღმდეგო ხალხური წამლის სიროლინის რეცეპტს.

➤ 11838

1951

19 ივნისი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს სახუმარო ლექსს „პინამ მინას“, რომლის ადრესატებია სახელმწიფო გამომცემლობის მოლარე მინა ჩხიკვაძე და მთავარი ბუღალტერი პინა გოლეთიანი.

➤ 11839

1951

20 ივნისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას და ითხოვს, რომ საავტორო ფასებში მიჰყიდონ თავისი თხზულებების მეშვიდე ტომის 50 ეგზემპლარი.

➤ 11840

1951

20 ივნისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს და ითხოვს ამ საზოგადოების წევრად მიღებას.

➤ 11841

1951

21 ივნისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას და ითხოვს, რომ თავისი ჰონორარის ანგარიშში მისცენ მისი თხზულებების მეშვიდე ტომის 100 ეგზემპლარი.

➤ 11842

1951

21 ივნისი

მიემგზავრება სოხუმში.

➤ 11843

1951

ივნისი

აკეთებს კრიტიკულ ჩანაწერებს სიმონ ჩიქოვანის შესახებ. იხსენებს, 1944 წელს როგორ „უხამსად“ მოიქცა იმისათვის, რომ სტალინური პრემია გალაკტიონის ნაცვლად მას მიეღო, როგორი კრიტიკა მოუწყო მწერალთა კავშირში გალაკტიონის წიგნს „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, როგორ

ცდილობს, რომ საკუთარი პოეზიის ენობრივი სიმახინჯეები ნოვატორობად წარმოაჩინოს. წერს, რომ ჩიქოვანმა გარს შემოიკრიბა ფუტურისტები და ებრძვის ყველას, ვინც მისი გუნდის წევრი არ არის, მან გააფუჭა ქართული პოეზიის რუსულენოვანი ანთოლოგია, რომლის რედაქტორიც იყო, მწერალთა კავშირში გააქრო თანამშრომლობითი გარემო და მხოლოდ ფრაქციული ტიპის კრებებიღა იმართება, სტალინურ პრემიებს მხოლოდ თავისიანებს ურიგებს, რედაქტორობს და პოპულარიზაციას უწევს უნიჭო ახალგაზრდა მწერლების წიგნებს და შეეცადა ჩაეშალა გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლის იუბილე.

➤ 11844

**1951**

**ივნისი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს სათაურით „გ. ლეონიძე“, რომელშიც ამტკიცებს, რომ გიორგი ლეონიძეს თავი მასზე უკეთესი ჰგონია. ლიტერატურის მუზეუმში თაღლითობს, როცა უნდა ცისფერყანწელობს, როცა უნდა – არა, სტალინზე წიგნებით ბევრი ფული იშოვა, ქედმაღლობს „პოეტი-აკადემიკოსის“ სახელით, მაგრამ, რეალურად, აკადემიის წევრად არავის აურჩევია, პეტრე შარიამ გაიყვანა.

➤ 11845

## ი გ ლ ი ს ი

**1951**

**3 ივლისი**

წერს რითმებს სიტყვისთვის არაგვი.

➤ 11846

**1951**

**3 ივლისი**

წერს ხალხური სიმღერის „ქვედრულა მოდიდებულა“ ტექსტს.

➤ 11847

**1951**

**3 ივლისი**

იწყებს მუშაობას კანდიდ ჩარკვიანისადმი მიძღვნილი ლექსის ტექსტზე. ერთი სტროფის ირგვლივ აკეთებს ჩანახატს, ხატავს ემმაკისრქებიანი კაცის თავს, რომლის შიგნით არის მოქცეული ტექსტი.

➤ 11848

**1951**

**3 ივლისი ან შემდეგ**

წერს სტალინის პრემიის ლაურეატი ქართველი მწერლების სიას: კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი ლეონიძე, იოსებ ნონეშვილი, დემნა შენგელაია, ხუტა ბერულავა.

➤ 11849

**1951**

**3 ივლისი ან შემდეგ**

წერს 16 პუნქტიან სიას, რომელშიც სხვადასხვა საკითხებზე საქალაქო დედატაშვილებში შეგროვებულ მასალებს აღწერს, მათ შორის არის მასალები მეშვიდე, მერვე და მეცხრე ტომებისთვის, დისერტაციები, აკადემიური გამოცემა, მასალები 60 წლის იუბილეს აღსანიშნავად, სხვადასხვა პოეტების თარგმანები და სხვა მისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

➤ 11850

**1951**

## 7 ივლისის შემდეგ

კითხულობს პავლო ტიჩინას რუსულად ნათარგმნი ლექსების კრებულს „სტალინისთვის, სამშობლოსთვის, მსოფლიოსთვის!“ და აკეთებს ხაზგასმებს. უკანა ფორზაცზე იწერს 1951 წლის 7 ივლისის რუსული გაზეთიდან „ლიტერატურნაია გაზეთა“ ციტატას, რომ უკრაინულ ლიტერატურულ კრიტიკაში აშკარად შეინიშნება ტენდენცია, კლასიკოსებად მიიჩნიონ ის თანამედროვე წამყვანი უკრაინელი მწერლები, რომელთა შემოქმედება ყოველგვარი ნაკლოვანებისგან თავისუფალია და მხოლოდ აღფრთოვანებული ეპითეტების დახმარებით შეიძლება შეფასდეს. აინტერესებს, მართლაც ასეა თუ არა.

➤ 11851

## აგვისტო

1951

### 21 აგვისტო

მწერალთა კავშირში აგროვებს მოგონებებს და სტატიებს აკაკი წერეთელზე. წერილების დაწერას ჰპირდებიან აკაკი გაწერელია და ერემო ქარელიშვილი. ინიშნავს, რომ 11 საათზე ბენო ჩიქობავას თანდასწრებით მარიჯანს გადაეცემა პოემები. ინიშნავს, რომ ბენო ჩიქობავას უნდა მიმართოს თხოვნით პოემებში შეამოწმოს სასვენი ნიშნები და მოაწესრიგოს სხვა სტილისტური საკითხები. ფიქრობს, რომ დასაწერი აქვს თვითეული პოემის მთავარი იდეა და მოკლე შინაარსი. უბის წიგნაკში იწერს მარიჯანისადმი ვილაცის ნათქვამ სიტყვებს ჩონგურზე. აინტერესებს სად იბეჭდება სერგი ჭილაიას წიგნი მის შესახებ და როდის გამოვა.

➤ 11852

1951

### 21 აგვისტო

პირველ საათზე შესაკეთებლად მიაქვს მუდმივი კალამი.

➤ 11853

1951

### 26 აგვისტო

იბადება მარინე ფირცხალავა, გალაკტიონის გერის, ნუნუ ებანოიძის შვილი.

➤ 11854

1951

### 26 აგვისტოს შემდეგ

სურს, რომ გალაკტიონის გერის, ნუნუ ებანოიძის შვილმა, მარინე ფირცხალავამ, მის სახლში იცხოვროს. ნინო კვირიკაძეს სთხოვს ბავშვის მოყვანას და მათ სახლში გაზრდას.

➤ 11855

1951

### 26 აგვისტოს შემდეგ

გალაკტიონის გერის, ნუნუ ებანოიძის შვილს, რამდენიმე კვირის მარინე ფირცხალავას, თავზე გაზეთს აფარებენ, ბავშვი ხელების უნებლიე მოძრაობით გაზეთს აგდებს ძირს. გალაკტიონი სიცილით ამბობს: „ხედავთ, პრესას როგორ ებრძვის, რა ენერგიულად გამოხატავს პროტესტს.“

➤ 11856

1951

### აგვისტო ან შემდეგ

ჟურნალის „მნათობი“ 1951 წლის მერვე ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე წერილიდან „პარტიის სიბრძნით გაშუქებული გზით“, რომელიც, სავარაუდოდ, ირაკლი აბაშიძეს ეკუთვნის, იწერს ვრცელ ციტატებს და შიგადაშიგ ურთავს საკუთარ კომენტარებს: „ჰმ! ამასაც თუ მტკიცება



უნდა!“, „ესაა შეუფასებლობა“ და სხვ. გარდა ამისა, თორმეტ მუხლად ჩამოწერს ყველაზე პათეტიკურ და უაზრო გამონათქვამებს და ბოლოში აჯამებს ორი სიტყვით: „რა ჩამორჩენა?“.

➤ 11857

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

1951

### 2 სექტემბერი

რუსთავის კოლონიაში დარია ახვლედიანის ხელნაწერებს უგზავნის მის ვაჟ, პატიმარ ოთარ ახვლედიანს და ამ პირს აწერინებს ხელწერილს, რომ ჩაიბარა გალაკტიონ ტაბიძისგან დარია ახვლედიანის „ყველა ხელნაწერი“ მისი ვაჟისთვის გადასაცემად.

➤ 11858

1951

### 11 სექტემბერი

სურათს იღებს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებთან ერთად.

➤ 11859

1951

### 15 სექტემბერი ან შემდეგ

რუსთავის კოლონიიდან იღებს მწერალ დარია ახვლედიანის ვაჟის, ოთარ ახვლედიანის კიდევ წერილს. აცნობებს, რომ მიიღო მისგან გაგზავნილი დედის ლექსების „ნაწილი“ და 125 მანეთი, რაც მისთვის გადარჩენის ტოლფასი იყო. ბოდიშს უხდის, რომ აწუხებს, მაგრამ სთხოვს, რომ თავისი ძველი ტანსაცმელი გაუგზავნოს ამ ბარათის მიმტანის ხელით, რადგან ყველაფერი შემოეხა.

➤ 11860

1951

### სექტემბერი ან შემდეგ

შეხვედრას უწყობენ 25-ე საშუალო სკოლაში, სადაც მეთერთმეტე კლასის მოსწავლე ნუგზარ წერეთელი უკითხავს მისდამი მიძღვნილ ლექსს და გადასცემს ამ ლექსის მანქანაზე გადაბეჭდილ ტექსტს. გალაკტიონი ხელს გადახვევს და შუბლზე ეამბორობა.

➤ 11861

## ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი

1951

### 1 ოქტომბერი

იმყოფება სოხუმში, წერს ლექსს „გულით და სულით“ („რონინი წლების, დღეების, წუთის...“).

➤ 11862

1951

### 11 ოქტომბრამდე

იგებს, რომ ბესარიონ ჟღენტს გალაკტიონის რუსულენოვანი წიგნისთვის ლექსები სათარგმნად გადაუცია ვლადიმერ დერჟავინისა და სხვა მთარგმნელებისთვის.

➤ 11863

1951

### 11 ოქტომბერი

დღიურში იწერს ციტატებს კანდიდ ჩარკვიანის მიერ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან, რომლებიც ეხება გალაკტიონის პოემას „ეპოქა“.

➤ 11864

1951

11 ოქტომბერი

რუს კრიტიკოს იოსიფ გრინბერგს მოსკოვში მცხოვრები ქართველი მთარგმნელი ფატი თვალთვაძე გალაკტიონს წარუდგენს როგორც პოეტთა პატრიარქს.

➤ 11865

1951

11 ოქტომბერი

მისთვის მოულოდნელად საავტორო უფლებების დაცვის სამმართველო ჰონორარის სახით აძლევს 200 მანეთს.

➤ 11866

1951

11 ოქტომბერი

კონსტანტინე კაპანელი ჰპირდება, რომ მასზე დაწერს სტატიას.

➤ 11867

1951

11 ოქტომბერი

ხვდება სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ნიკო კეცხოველს და ესაუბრება უნივერსიტეტში თავისი ლიტერატურული სადამოს გამართვის თაობაზე. სთხოვს მის გაძღოლას და სთავაზობს, რომ ამ დღისთვის დაიბეჭდოს უნივერსიტეტის გაზეთის სპეციალური ნომერი. კეცხოველი დახმარებას აღუთქვამს.

➤ 11868

1951

11 ოქტომბერი

ხვდება უნივერსიტეტის გაზეთის პასუხისმგებელ რედაქტორ ვარლამ მიქაძეს და უნივერსიტეტში დაგეგმილ თავის საიუბილეო სადამოსთან დაკავშირებით გაზეთის სპეციალური ნომრის, აფიშებისა და პროგრამების დაბეჭდვაზე ესაუბრება. მიქაძე ჰპირდება, რომ ყველაფერს გააკეთებს, რასაც რექტორი ნიკო კეცხოველი დაავალებს.

➤ 11869

1951

11 ოქტომბერი

უნივერსიტეტში დაგეგმილ თავის საიუბილეო სადამოსთან დაკავშირებით სასწავლებლის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებისას გრძნობს, რომ სტუდენტები გამუდმებით ფეხდაფეხ დაჰყვებიან.

➤ 11870

1951

13 ოქტომბერი

სიტყვით გამოდის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე და მხურვალე ტაშით აჯილდოებენ.

➤ 11871

1951

16 ოქტომბერი

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“, აწერს თავისი პოემიდან „ათას ცხრაას ორმოცი წელი“ ერთ სტროფს: „სანაპიროს ედება როს...“ და პოემიდან „ამბავი ერთი ღამისა“ ერთ სტროფს: „თხრილიდან მსწრაფლ ამოვედი...“.

➤ 11872

1951

### 17 ოქტომბერი

აკეთებს ამონაწერებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე პირველი მდივნის, კანდიდ ჩარკვიანის საანგარიშო მოხსენებასთან დაკავშირებით მწერალთა კავშირის მდივნის, სერგი ჭილაიასა და მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტის, რაფიელ აგლაძის გამოსვლებიდან და იქვე წერს საკუთარ დასკვნებს. სერგი ჭილაიას მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ აღნიშნავს, რომ კანდიდ ჩარკვიანის გამოსვლა მკაცრი არ ყოფილა, ქართველ მეცნიერთა შორის არაჯანსაღი ურთიერთობები სიახლე სრულიად არ არის, პრივილეგირებული მდგომარეობისათვის ზოგი კი არა, ყველა იბრძვის, ჩიქობავას სწორი მოსაზრებაა ისიც, რომ ის ვაჟა-ფშაველას ილიასთან და აკაკისთან ერთად ქართული სალიტერატურო ენის შემქმნელად აღიარებს, სიმბოლისტები და ფუტურისტები ისევ აქტიურები არიან და მათზე წარსულში ლაპარაკი არასწორია, სანდრო შანშიაშვილი კი პრიმიტივიზმის წარმომადგენლად ვერ ჩაითვლება, თუ ამაში პრიმიტიულად წერას ვიგულისხმებთ. რაც შეეხება აგლაძის გამოსვლას, გალაკტიონი წერს, რომ იგი არ უფიქრდება საკუთარ სიტყვებს და ისე გამოსდის, თითქოს ყველა ქართველ მეცნიერს აქვს პრობლემა ურთიერთობებში.

➤ 11873

1951

### 23 ოქტომბერი

ამზადებს ლექსის „ოქტომბრისთვის“ რუსულ პწკარედს.

➤ 11874

1951

### 25 ოქტომბრის შემდეგ

კითხულობს ჟურნალ „დროშის“ მეორე ნომერს, რომელშიც იბეჭდება მიხეილ მრეველიშვილის მოთხრობა „მისი სურათის გმირი“ და თემისადმი ავტორის მიდგომა სხვა ავტორს, გერმანე გიორგაძეს აგონებს, რომელიც ფსევდონიმით „გერმანე შუბიძე“ ხშირად აქვეყნებდა ფელეტონებს გაზეთში „კომუნისტი“.

➤ 11875

1951

### 26 ოქტომბერი

დღიურში იწერს, რომ სახლიდან აკადემიაში და უნივერსიტეტში მისვლას და უკან დაბრუნებას მანქანა ანდომებს 50 მანეთის ბენზინს.

➤ 11876

1951

### 27 ოქტომბერი

მძღოლს დილის 9 საათზე გალაკტიონის გერი – ნუნუ ებანოიძე მიჰყავს უნივერსიტეტში. შემდეგ კარგახანს არ ჩანს და როდესაც ბრუნდება, გალაკტიონს ეუბნება, რომ დედა ჰყავს ავად და სახლში შეიარა. 2 საათზე მას სადილად მიჰყავს გალაკტიონის მეუღლე, ნინო კვირიკაძე, პოეტი კი ამ ყველაფერს დღიურში იწერს.

➤ 11877

1951

## 29 ოქტომბერი

დღიურში რუსულ ენაზე იწერს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ სამხატვრო-სალიტერატურო განყოფილების გამგისა და მთარგმნელის ბორის კორნეევის შვილიშვილის – ნატაშა კორნეევას სახელსა და გვარს.

➤ 11878

1951

## 29 ოქტომბერი

დღიურში იწერს საბავშვო მწერალ თამარ ჩხაიძის სახელსა და გვარს.

➤ 11879

## ნოემბერი

1951

### 6 ნოემბრამდე

ასწორებს 1946 წლის 7 მაისს დაწერილ უსათაურო ლექსს „მე დაგინახე – მხრები მოხრილი...“, ქმნის ნაწარმოების ახალ ვარიანტს, სათაურით „ხელხვავი“ და ამზადებს მას თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომში დასაბეჭდად.

➤ 11880

1951

### 6 ნოემბრამდე

ასწორებს 1946 წლის 5 ოქტომბერს დაწერილ ლექსს „შემოდგომა“ („აღავსე, მზეო!..“), ქმნის ნაწარმოების ახალ ვარიანტს, სათაურით „აღავსე, მზეო“ და ამზადებს მას თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომში დასაბეჭდად.

➤ 11881

1951

### 6 ნოემბრამდე

წერს ლექსს „მახათა“ („ჩვენ გვაწვალეზდა ძველი მახათა...“).

➤ 11882

1951

### 6 ნოემბრამდე

ასწორებს 1946 წლის 11 სექტემბერს დაწერილ უსათაურო ლექსს „ჩქარი დენა ზვირთზე ზვირთის...“, ქმნის ნაწარმოების ახალ ვარიანტს, სათაურით „მეტეხის ხიდთან“ და ამზადებს მას თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომში დასაბეჭდად.

➤ 11883

1951

### 6 ნოემბრამდე

ასწორებს 1935 წლის 19 ივნისს დაწერილ ლექსს „პროლოგი“ („მოკლე, შორი ხმა...“), ქმნის ნაწარმოების ახალ ვარიანტს, სათაურით „შორი ხმა ლოკომოტივის“ და ამზადებს მას თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომში დასაბეჭდად.

➤ 11884

1951

### 6 ნოემბრამდე

ასწორებს 1935 წლის 15 აპრილს დაწერილ უსათაურო ლექსს „აბა, კარგად დაფიქრდი“, ქმნის ნაწარმოების ახალ ვარიანტს, სათაურით „რუსთავი“ და ამზადებს მას თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომში დასაბეჭდად.

➤ 11885

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „მეომრის დაბრუნება“.

➤ 11886

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ვეკვეთეთ მომხდურთ და გავიმარჯვეთ!“.

➤ 11887

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ახალგაზრდებო!“ („ახალგაზრდებო! გვირგვინოსნების...“).

➤ 11888

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ხალხის გენია, ხალხის ნიჭი“ .

➤ 11889

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ავი მუსაიფი“.

➤ 11890

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ვრცელ პასუხს თავისი თხზულებების მეხუთე ტომთან დაკავშირებით რეცენზენტ კალე ბობოხიძის მიერ გაკეთებულ შენიშვნებზე. გალაკტიონი რეცენზენტისგან მოითხოვს ახსნას, რის საფუძველზე ითხოვს ის ტომიდან სამი პოემის: „გამოგონება“, „ცხრაას ორმოცი წელი“ და „სინათლის ყვავილი“ ამოღებას. გალაკტიონს ეჭვი შეაქვს რეცენზენტის კომპეტენციაში და მოითხოვს თავად მის გადამოწმებას კომპეტენციის მხრივ. გალაკტიონი ირონიას ვერ იკავებს იმასთან დაკავშირებით, რომ მის ლექსში ციტირებულ მეფე ერეკლეს ხმალზე წარწერილ სიტყვებთან დაკავშირებით „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“ კალე ბობოხიძე წერს, რომ ეს არის „სიმბოლისტების და ფუტურისტების ზაუმურ სიტყვათა აკრობატიკა“. ერთადერთ რეალურ შენიშვნად გალაკტიონს მიაჩნია რეცენზენტის მიერ „აღმოჩენილი“ მბეჭდავის მიერ დაშვებული შეცდომა, რომლის განქიქებისთვისაც კრიტიკოსს გვერდის ერთი მეოთხედი მიუძღვნია.

➤ 11891

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ამხანაგს“ („ბევრი გრიგალი ქვეყნად გრგვინავდა...“).

➤ 11892

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „მთიბველი ქალი“ („ერთი ახალგაზრდა ქალი...“).

➤ 11893

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ძველი წისქვილის ქვა“ („ეს წისქვილის ქვა, ეს წისქვილის ქვა...“).

➤ 11894

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „მშვიდობა“ („კარი წიგნის თუ მშვიდობის ბჭენი...“).

➤ 11895

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ნასაკირალთან“ („არა სასახლე, ოქროსჩარდახი...“).

➤ 11896

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „წითელი მოედანი“ („იქ ვდგევარ, სადაც მავზოლეუმი...“).

➤ 11897

1951

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „ახალგაზრდებო!“ („ახალგაზრდებო! გვირგვინოსნების ჩვენ მიგვაქვს დროშა...“).

➤ 11898

1951

**6 ნოემბერი**

სახელმწიფო გამომცემლობა გაცემს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომის წარმოებაში გადაცემის ნებართვას.

➤ 11899

1951

**6 ნოემბერი**

რუსულ გაზეთში „ბოლშევიტსკაია პუტიოვკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ოქტომბერს და მსოფლიოს“ თარგმანი.

➤ 11900

1951

**7 ნოემბერი**

რუსულ გაზეთში „ლენინსკი პუტ“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ოქტომბერს და მსოფლიოს“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11901

**დეკემბერი**

1951

**3 დეკემბერი**

ექიმს, ბიოქიმიური ლაბორატორიის გამგეს ქეთევან კანდელაკს პატივისცემის ნიშნად უძღვნის წიგნს.

➤ 11902

1951

**4 დეკემბერი**

რუსულ გაზეთში „ბოლშევისტსკაია პუტიოვკა“ იბეჭდება იოსებ სტალინისადმი გალაკტიონ ტაბიძის მიერ მიძღვნილი ლექსის „მასწავლებელი, ბელადი, გამარჯვებების შემოქმედი“ თარგმანი.

➤ 11903

1951

**8 დეკემბერი**

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“, ინიშნავს სტატიას „მხატვრული თვითშემოქმედების VII რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგები“ და აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 11904

1951

**10 დეკემბრის შემდეგ**

დონბასის გაზეთში „ლიტერატურნაია გაზეტა“ კითხულობს პაველ შადურის ლექსს „მამალი – მთარგმნელი“ და თარგმნის.

➤ 11905

1951

**12 დეკემბერი**

სერგი ჭილაია ამზადებს წიგნს გალაკტიონ ტაბიძეზე, რომლის გამოცემასაც აპირებს „ზარია ვოსტოკა“. კრიტიკოსი გალაკტიონს სთხოვს, მისცეს საახალწლო ლექსი, რითაც პოეტი კმაყოფილი რჩება.

➤ 11906

1951

**12 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ახალი წელი! შენ ისევ ისევ...“.

➤ 11907

1951

**12 დეკემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, როდის, სად, ვისთან ერთად ან რა ვითარებაში გადაუღიათ იგი კინოფირზე.

➤ 11908

1951

**14 დეკემბერი**

თავს ანებებს თამბაქოს მოწევას.

➤ 11909

1951

**15 დეკემბერი**

სახელმწიფო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი გასცემს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომის ტირაჟის ბეჭდვის ნებართვას.

➤ 11910

1951

**16 დეკემბერი**

სახელმწიფო გამომცემლობა ატყობინებს, რომ მისი თხზულებათა მეხუთე ტომის გამოსაცემად სჭირდებათ ის ფოტოსურათი, რომელიც ფოტო სალონის გამგეს ჰქონდა გამოფენილი. ამიტომ გალაკტიონი მასთან გზავნის თავის ძმისშვილს, ნოდარ ტაბიძეს და სთხოვს იმ სურათის გაგზავნას ან იმავე ფოტოს ხელახლა ამობეჭდვას.

➤ 11911

1951

### 16 დეკემბერი

უბის წიგნაკში იწერს, რომ ჟურნალში „მნათობი“ 1924 წელს დაიბეჭდა მისი ლექსი, რომელიც დაწერილი იყო სამაიანის პრინციპით: „ასი პროცენტი ადნობს და დაგავს...“.

➤ 11912

1951

### 16 დეკემბერი

დღიურში წერს მის მიერ ლირიკულ და ეპიკურ ჟანრში დანერგილ პოეტურ საზომზე „სამაიანი“, რომელიც გულისხმობს ერთნაირი მარცვალთა რაოდენობის მქონე სამ-სამი ტაქტებისგან შედგენილ გართიმულ სტროფებს. ხუთმარცვლიანი „სამაიანის“ ნიმუშად მოჰყავს თავისი პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, რვამარცვლიანისად – „ხმები ისმის საარაკო...“, ათმარცვლიანისად – ლექსი დაწერილი წელიწადის დროებზე „ბალო, როგორ თრთის შენი წამწამი...“. პოემებიდან სამაიანის ნიმუშებად ასახელებს ტექსტებს: „ხალხი ამირანი“, „ელგუჯას დაბრუნება“ და „ძლეული სენი“. გალაკტიონი წერს, რომ ლექსის ასეთი დატეხვით ხდება ფრაზის მაქსიმალური შეკუმშვა. მისი თქმით, ასეთი ლაკონიურობით ცნობილნი იყვნენ ლაკონიის (სპარტის) ორატორები და ტერმინიც აქედან იღებს სათავეს. მეორე, მესამე, მეხუთე და მეექვსე სტრიქონებში დინამიკა გადადის სტატიკაში. პოეტის თქმით, ლექსის ეს ფორმა არ გვხვდება ილიასთან, აკაკისთან ან ვაჟასთან და ინტერესდება, ხომ არ არის ბესარიონ გაბაშვილთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან და დავით გურამიშვილთან ან ამ ფორმას ხომ არ ახსენებს მამუკა ბარათაშვილი თავის „ჭაშნიკში“. შემდეგ გალაკტიონი საუბრობს იტალიურ და ფრანგულ ტერცინებსა და ტერცეტებზე და დასძენს, რომ ქართული სამაიანა უფრო ძველი და შინაგანი უბრალოებით გამორჩეულია. პოეტი აქვე განიხილავს ქართულ კულტურაში ძველთაგან გავრცელებული სამი ფორმის შერწყმას: ლექსი, სიმღერა, ცეკვა და სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის ფრესკას.

➤ 11913

1910

### 16 დეკემბერი

სათაურით „წყობა ქვემოთენი“ წერს ტექნიკურ სიახლეზე, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ე. წ „სტამბის ესთეტიკასთან“ დაკავშირებით. საქმე ეხება ქართულ პოლიგრაფიაში გადაუჭრელ პრობლემას, ნაბეჭდ სტრიქონში ყველა ასოს ორ ჰორიზონტალურ ხაზს შორის მოქცევას ისე, როგორც ეს რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ტექსტებში. ქართული ანბანი ამას ვერ შეეგუა, მაგრამ გალაკტიონი შესაძლებლად მიიჩნევს ამ პრინციპით ლექსის დაწერას, მთლიანად მხოლოდ თანაბარი (ა, ი, ო, თ და სხვ.), ან ქვემოთე ასოებით“. მაგალითისთვის მოჰყავს საკუთარი ლექსები „დელე-დელე“ და უსათაურო „ქორი მიაქვს ქარს...“. პოეტი იქვე ასკვნის, რომ პოემის ან ვრცელი რომანის დაწერა ამ ხერხით შეუძლებელია, მაგრამ არცაა საჭირო.

➤ 11914

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს „პოეტები რედაქტორებად“ და ჩამოთვლის ცნობილი ჟურნალ-გაზეთების „კვაჭ“ რედაქტორებს: „ირაკლი აბაშიძე – „მნათობის“, გრიგოლ აბაშიძე – „დროშის“, კარლო კალაძე – „ნიანგის“, გიორგი კაჭახიძე – „ოქტომბრელის“, ნიოგოლ ჩაჩავა – „კედლის გაზეთის“,



რევაზ მარგიანი – „დილის“. შემდეგ ამ სიას ამატებს ჟურნალის „ლიტერატურა და ხელოვნება“ რედაქტორ გიორგი ნატროშვილს, რომელიც მათი შემამკობელია.

➤ 11915

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

ჩანაწერში „როგორია ზოგიერთი პოეტი“ დიალოგების სახით წარმოაჩენს, რომ როცა მათ ერთს სთხოვ, მეორეს აკეთებენ და დანაპირებს არ ასრულებენ.

➤ 11916

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

თანამედროვე მწერალთა თხზულებების სათაურებად ხშირად აწყდება თავისი ლექსების ფრაზებს და დღიურში მოჰყავს ამის მაგალითები: ალექსანდრე ქუთათელის რომანის სათაური „პირისპირ“ აღებულია მისი პოემის „ეპოქა“ წინასიტყვაობიდან, სანდრო ეულის 1951 წელს დაბეჭდილი ლექსების კრებულის სახელწოდება „სიცოცხლე – სიხარულია“ აღებულია პოემა „ეპოქის“ ერთ-ერთი ლექსიდან „სიცოცხლე მაინც სიხარულია“. იაკინთე ლისაშვილის ერთ წიგნს სათაურად მისი ლექსის სტრიქონი აქვს. იოსებ გრიშაშვილთან ხომ არაერთი ასეთი შემთხვევაა.

➤ 11917

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალის „მნათობი“ 1951 წლის მეხუთე ნომრიდან უბის წიგნაკში იწერს სტროფს ალექსანდრე აბაშელის ლექსიდან „ი. ნიკოლაძის ხსოვნას“.

➤ 11918

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალის „მნათობი“ 1951 წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნებული წერილიდან „ანდრო ლომიძე: ახალი მოთხრობები“ იწერს ამ ავტორთან დაკავშირებით ნათქვამს, რომ ის ქართულ საბჭოთა პროზაში თითქმის ერთადერთია, რომელიც ზღვის თემატიკაზე მუშაობს.

➤ 11919

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

რეკავს სახელმწიფო გამომცემლობის ბუღალტერთან და ყურმილს იღებს ირაკლი აბაშიძე, რომელიც ოფიციალური ტონით ელაპარაკება.

➤ 11920

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

დღიურის ჩანაწერში „არასოდეს არ ყოფილა“ თუ „არასოდეს ყოფილა“, ინტერესდება არის თუ არა ორმაგი უარყოფა სწორი ფორმა. ამის გასარკვევად არ მიმართავს არც ილიასა და აკაკის ნაწერებს და არც მეცნიერებათა აკადემიის აზრით ინტერესდება, აკვირდება, როგორ იყენებენ ამ ფორმებს მწერლები. მისი დაკვირვებით, ჟურნალ „მნათობის“ მერვე ნომერში ორმაგი უარყოფის უამრავი შემთხვევაა, მეცხრეში კი – პირიქით.

➤ 11921

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

დღიურში ინიშნავს, რომ 20 დეკემბერს უნივერსიტეტში პროფესორი პეტრე შარია წაკითხავს ლექციას თემაზე „მარქსისტულ-ლენინური ეთიკის ძირითადი საკითხები“.

➤ 11922

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალის „მნათობი“ 1951 წლის მერვე ნომერში კითხულობს გივი გაჩეჩილაძის წერილს „ირაკლი აბაშიძე: ერთი სიმღერა“, რომელიც ფაქტობრივად, ირაკლი აბაშიძის აპოლოგიაა და, რამდენადაც დაბეჭდილია ირაკლი აბაშიძის რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში, გალაკტიონის აზრით, მისი თვითრეკლამაა. ჩანაწერს დღიურში, რომელშიც ამაზე საუბრობს, გალაკტიონი სათაურად აწერს: ირაკლი აბაშიძე (ი რაკ რიბა), რითაც ალუზიურად ირაკლი აბაშიძეს ადარებს იმ კიბორჩხალას, რომელიც უთევზობის დროს თევზობას ეწევა.

➤ 11923

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალის „მნათობი“ 1951 წლის მერვე ნომერში კითხულობს სოლომონ ცაიშვილის წერილს ესტატე მჭედლიძეზე, რომელშიც ავტორი იხსენებს გაზეთში „დროება“ 1885 წლის 98-ე ნომერში დაბეჭდილ წერილს ამ ავტორის შესახებ. „დროების“ ავტორი ხოტბას ასხამს მის დაუნდობელ ლიტერატურულ ბრძოლას სამღვდელოების ერთი ნაწილის მანკიერი ცხოვრების წინააღმდეგ. იქვე ნათქვამია, რომ ამ წერილის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ ბოსლეველი 20 მაისს ქუთაისში ბაგრატიის ტაძრისკენ მიმავალი ვერაგულად მოკლეს.

➤ 11924

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

იხსენებს სამამულო ომისდროინდელ შემთხვევას, როდესაც თბილისში სტუმრად ჩამოსულ რუს მწერალს, უმაღლესი საბჭოს დეპუტატ პიოტრ პავლენკოს თბილისში სტუმრობისას მწერალთა კავშირის მდივანმა ირაკლი აბაშიძემ სამხედრო ფარაჯის შოვნა სთხოვა, რომ სამამულო ომის მონაწილის იერი მიეღო. მაშინ პავლენკომ აბაშიძის ზურგს უკან ჩაილაპარაკა რუსული ანდაზა, უთევზობის დროს კიბორჩხალიც თევზიაო.

➤ 11925

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

ფიქრობს იმაზე, რომ ალექსანდრე ქუთათელს ბრტყელი სახის გამო „ყოყია“ შეარქვეს და დღიურში წერს, რომ მისი თავის მოყვანილობა და ლიტერატურული სტილი კარგად შეესაბამება ერთმანეთს. ზოგადად, აგონდება ფრაზა „სახე სარკვეა სულისა“ და ამ კუთხით უფიქრდება სხვა ავტორებსაც: სერგო კლდიაშვილს და კარლო კალაძეს.

➤ 11926

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალის „მნათობი“ 1951 წლის მეცხრე ნომერში კითხულობს ნაზიმ ჰიქმეთის 1927 წელს დაწერილ ლექსს „სევდა“ და უკვირს, თუ უცხოელი პოეტების ასეთ პესიმისტურ ლექსებს თარგმნიან, ქართველ პოეტებს რაღატომ კიცხავენ სევდის გამო. უბის წიგნაკში იწერს ს. წულუკიძის ციტატას, რომელშიც ის საუბრობს პარმენ ცახელის პოეზიაზე და ხაზს უსვამს, რომ როცა პოეტი ცხოვრების სიმწარეზე წერს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას საიმედო აღარაფერი დარჩენია და პესიმისტია.

➤ 11927

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „და ამოდინხარ, საყვარელო მზევ...“.

➤ 11928

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს, რას ამბობენ ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის პაქტის შესახებ და დღიურში იწერს.

➤ 11929

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ენტონი იდენის სიტყვას და ამ სიტყვისადმი არსებულ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას. იქვე ინიშნავს, რომ იდენი საჭიროდ მიიჩნევს კორეის გასაერთიანებლად ზავის დადებას.

➤ 11930

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

კალენდრიდან იწერს, რომ მსოფლიო საბჭოსთან შეიქმნა კულტურული ურთიერთობების საერთაშორისო კომისია და რომ იდგმება ნაბიჯები ერთა შორის კულტურული ურთიერთობების გასაადვილებლად. ასევე ჩაინიშნავს, რომ აპირებენ, ზეიმით აღინიშნოს ვიქტორ ჰიუგოს დაბადებიდან 150, ლეონარდო და ვინჩის – 500, ნიკოლაი გოგოლის გარდაცვალებიდან 100 და ავიცენას გარდაცვალებიდან 1000 წლის საიუბილეო თარიღები.

➤ 11931

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ფრთამ ვულკანივით ცა ამოხეთქა...“.

➤ 11932

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

აპირებს დალაპარაკებას სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ ანდრო თევზაძესთან თავისი თხზულებების მეხუთე ტომთან დაკავშირებით. ტომზე ფასის მითითებამდე საჭიროა გაირკვეს ავტორის ჰონორარი. აინტერესებს, იცის თუ არა ბუღალტერიამ იმის შესახებ, თუ რა თანხის გადახდას აპირებენ მისთვის და რა ფასი დაეწერება წიგნს.

➤ 11933

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

გეგმავს პოემის „სინათლის ყვავილი“ ერთმოქმედებიან ოპერად გადაკეთებას და მასში შეეყვანება ტომის ციკლიდან „ასწლიანებზე“ ზოგიერთი ლექსის ჩამატებას.

➤ 11934

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

წერს ორ ვარიანტს ლექსისა „მხარეგ მაო ძე-დუნის“ („ნისლი ფარავს რუქით...“).

➤ 11935

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

გაზეთში კომუნისტი კითხულობს საქართველოს დეპუტების სააგენტოს ინფორმაციას 30 ნოემბერს თბილისში ფინ-სიუე-ფინის ხელმძღვანელობით ჩინეთის ლიტერატურის მოღვაწეთა დელეგაციის ჩამოსვლის შესახებ და იწერს უბის წიგნაკში.

➤ 11936

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

გაზეთში კომუნისტი კითხულობს ინფორმაციას 3 დეკემბერს საქართველოს მწერალთა კავშირში ჩინეთის მწერალთა დელეგაციასთან ჩატარებული შეხვედრის შესახებ და იწერს უბის წიგნაკში.

➤ 11937

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

წერს ლექსს „მარში“ („აგებს ელსადგურს...“).

➤ 11938

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს სიტყვებს და პოეტურ ფრაზებს, რომლებიც ერიტმება სიტყვას „მშვიდობა“.

➤ 11939

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს მწერალთა კავშირთან არსებული კინო-კომისიის შედგენილობას და ბრაზობს, რომ 6 კაციდან ნახევარი არ არის მწერალთა კავშირის წევრი.

➤ 11940

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

25 ნოემბრის გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს, რომ 26 ნოემბერს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ეკატერინე გაბაშვილის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. იქვე ეცნობა სერგი ჭილაიას სტატიას „ეკატერინე გაბაშვილი“ და თავის შთაბეჭდილებას დღიურში გამოხატავს სიტყვებით „არა უშავს რა“.

➤ 11941

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

25 ნოემბრის გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტროს მთავარი ონკოლოგის სტატიას „სიახლენი ავთვისებიან სიმსივნეთა მკურნალობაში“ და უბის წიგნაკში იწერს ამ ექიმის გვარს.

➤ 11942

1951

**16 დეკემბრის შემდეგ**

25 ნოემბრის გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს გერმან შუბიდის ფელეტონს „გამომძიებელი გასაჭირში“ არტელ „კომუნაში“ გამოვლენილი დარღვევებისა და დანაშაულის დაფარვის მცდელობების შესახებ და მოსწონს.

➤ 11943

1951

### 16 დეკემბრის შემდეგ

წერს ლექსს „მოჰქრის ქართული ავტომობილი“.

➤ 11944

1951

### 20 დეკემბერი

დღიურში იწერს შალვა რადიანისა და გივი ორჯონიკიძის დაპირისპირების ისტორიას. შალვა რადიანმა გალაკტიონის შესაფასებლად ისე გამოიყენა ფრაზა, რომელიც რუს მწერალ ბელოვს ეკუთვნოდა, რომ ავტორი არ მიუთითებია. გივი ორჯონიკიძემ ამხილა იგი პლაგიატიზმში, მაგრამ ამისათვის თავად დაისაჯა – ასპირანტურიდან გარიცხეს. უსამართლოდ დასჯილმა ახალგაზრდა მკვლევარმა ლავრენტი ბერიას შეატყობინა ეს ამბავი, რის გამოც ამ უკანასკნელმა საკითხის გარკვევა კანდიდ ჩარკვიანს დაავალა. მან რადიანი ცენტრალურ კომიტეტში დაიბარა და ჰკითხა, რატომ გარიცხეს ორჯონიკიძე. რამდენადაც რადიანს ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა, ორჯონიკიძე ასპირანტურაში აღადგინეს.

➤ 11945

1951

### 20 დეკემბერი

დღიურში წერს, რომ შალვა რადიანმა, გიორგი აბზიანიძემ, გიორგი ლეონიძემ, გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძემ და სერგი ჭილაიამ ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ შექმნეს დაჯგუფება მის წინააღმდეგ, რომლის მიზანია გიორგი ლეონიძის სახელის წინ წამოწევა.

➤ 11946

1951

### 20 დეკემბერი

ჟურნალში „მნათობი“ დასაბეჭდად თითქმის ერთი თვის წინ მიტანილ პოემაზე შალვა რადიანს ჯერაც არ აქვს გადაწყვეტილება მიღებული. ჯერ ეუბნებოდა, არ წამიკითხავსო, შემდეგ კი ჩემს აზრს სარედაქციო კოლეგიას მოვახსენებო.

➤ 11947

1951

### 20 დეკემბრის შემდეგ

სათაურით „ირაკლი აბაშიძის საქმენი საგმირონი“ წერს, რომ ირაკლი აბაშიძემ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი მირზა გელოვანი აითვალწუნა იმის გამო, რომ ის გალაკტიონს ეთაყვანებოდა. როდესაც ომი დაიწყო, აბაშიძემ ბევრი ვინმე დაიხსნა ფრონტიდან, მაგრამ ფიზიკურად სუსტი მირზა გელოვანი ომში წასასვლელად გაიმეტა. გალაკტიონი აქვე იგონებს, როგორ ჩავიდა ირაკლი აბაშიძე სოხუმში „ვეფხისტყაოსნის“ დღეების აღნიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე და ადგილობრივ პრესაში დააბეჭდვინა თავისი და თავისი მეგობრების ფოტოები. როდესაც გალაკტიონმა მისი ეს საქციელი გაიკვირვა, უპასუხა, აბა საკუთარ თავს პატივი არ უნდა ვცეთო? გალაკტიონი იგონებს იმასაც, ირაკლი აბაშიძემ ჟურნალის „ჩვენი თაობა“ აწყობილი ნომერი რომ დააშლევინა იერემია ასტვაცატუროვის წერილის გამო, რომელშიც ავტორი გალაკტიონ ტაბიძეს თანამედროვე ლიტერატურის ფუძემდებლად იხსენიებდა. როცა ირაკლი „მნათობის“ რედაქტორად დანიშნეს, ძველი კოლეგია, რომელშიც გალაკტიონიც იყო, დაითხოვა და ახალი შეადგინა, რომელიც არაფერს აკეთებს. ირაკლი, როგორც რედაქტორი ბლოკავს გალაკტიონის

ლექსების ბეჭდვას. პოემის შესახებ, რომელიც თითქმის ერთი თვეა, რაც ჩააბარა, გალაკტიონს პასუხი ჯერაც არ მიუღია. გალაკტიონი დარწმუნებულია, რომ ირაკლი აბაშიძეს ღირსეულ მწერლად არავინ მიიჩნევს და უბის წიგნაკში ინიშნავს აბაშიძის მწერალთა კავშირის კოლეგიის წევრად არჩევისას ნინო ნაკაშიძის ნათქვამს, ეგ რა მწერალიაო.

➤ 11948

1951

**22 დეკემბერი**

ამთავრებს ახალი პოემის წერას.

➤ 11949

1951

**22 დეკემბერი**

იმყოფება საავადმყოფოში და იმედოვნებს, რომ მალე გაეწერება.

➤ 11950

1951

**22 დეკემბერი**

სადამოს 21 საათსა და 30 წუთზე საქართველოს რადიოში რუსულ ენაზე ისმენს საუბარს თემაზე „მხატვრული ლიტერატურის გამოყენება აგიტაციის დროს“, რომელშიც თანამედროვე პოეტთაგან მოიხსენიებენ გიორგი ლეონიძეს, გრიგოლ აბაშიძესა და ლეო ქიაჩელს. უკვირს, როგორ აუარეს გვერდი მის პოეზიას, გადაცემის ტექსტს „უსინდისოდ“ შედგენილს უწოდებს და აინტერესებს, ვინ არის ავტორი.

➤ 11951

1951

**22 დეკემბერი**

იგონებს მწერალთა კავშირში საკუთარ დაუვიწყარ გამოსვლას თარგმანების თაობაზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია სამწუხაროდ, არცერთმა გაზეთმა არ დაბეჭდა.

➤ 11952

1951

**22 დეკემბერი**

კითხულობს 21 დეკემბერს გაზეთში „კომუნისტი“ გამოქვეყნებულ ლევან ასათიანის წერილს „ი. ბ. სტალინის წერილები საბჭოთა მწერლებისადმი“ და ამავე დღეს გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ივანე წულუკიძის მიერ გამოქვეყნებულ რეცენზიას სათაურით „ქართული რევოლუციური პოეზია“ ლევან ასათიანის რუსულენოვან წიგნზე „ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია ლეგალურსა და არალეგალურ ბოლშევიკურ პრესაში 1901-1907 წლებში“. გალაკტიონი ყურადღებას ამახვილებს ამ დამთხვევაზე და მიიჩნევს, რომ ლევან ასათიანის წერილი პროვოკაციული ხასიათისაა.

➤ 11953

1951

**22 დეკემბერი**

დღიურში ირონიულად აღნიშნავს, რომ საქართველოს რადიოს საბავშვო გადაცემათა ციკლი „დაფიონი“ იოსებ გრიშაშვილის პლაცდარმად არის ქცეული.

➤ 11954

1951

**22-23 დეკემბერი**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ კითხულობს ნიკოლოზ გრიბაჩოვის ლექსს „პაექრობა“, რომელშიც აღწერილია პაექრობა მთებს, ყაზბეგსა და არარატს შორის.

➤ 11955

1951

#### 24 დეკემბერი

ფიქრობს, რომ საქართველოს რადიო მას სათანადო ყურადღებას არ უთმობს, აინტერესებს, ვინ არის ლიტერატურული გადაცემების რედაქტორი და ხომ არ მიუძღვით ამაში წვლილი სერგი ჭილაიას, გიორგი ნატროშვილს, შოთა ძიძიგურს ან ლადო სირბილაძეს.

➤ 11956

1951

#### 24 დეკემბერი

ჟურნალში „ოგონიოკი“ რუსულ ენაზე კითხულობს ოთარ კუპრავას ლექსს „რიონი“ და უკვირს, რომ ამ ავტორს მხოლოდ რუსული პუბლიკაციებით და „მნათობის“ რეცენზიებით იცნობს, ქართულად კი მისი არაფერი წაუკითხავს. შემდეგ აგონდება ვასილ ბაიამის შემთხვევა, რომელიც გაზეთისთვის „ლიტერატურა და ხელოვნება“ სტატიების წერისას რუსულენოვანი ლექსების თარგმანებსაც თავად აკეთებდა. ფიქრობს, რომ ასეთი მიდგომა ახლა მოდად იქცა.

➤ 11957

1951

#### 26 დეკემბრამდე

წერს ფრაზას „მტერი სახალხო პოეტის / პირველად ხალხის მტერია“.

➤ 11958

1951

#### 26 დეკემბრამდე

იოსებ გრიშაშვილს უძღვნის უსათაურო კალამბურს „შუბლი“ არ ხარ...“.

➤ 11959

1951

#### 26 დეკემბრამდე

წერს სატირულ ლექსს ხარიტონ ვარდოშვილზე „მაგალითად, გინდ ავილოთ...“.

➤ 11960

1951

#### 26 დეკემბრამდე

კორეაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე წერს ლექსს „არის ქვეყანა...“.

➤ 11961

1951

#### 28 დეკემბერი

გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“ იბეჭდება სერგო მალაფერიძის სტატია „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“, რომელიც წარმოადგენს რეცენზიას სერგი ჭილაიას 1951 წელს გამოცემულ წიგნზე „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“. რეცენზენტი დადებითად აფასებს ნაშრომს, როგორც პირველ მონოგრაფიულ კვლევას დიდი პოეტის შესახებ.

➤ 11962

1951

სოხუმში სანაპიროზე სეირნობისას, მეუღლის ძმისწულს, ნაზი კვირიკაძეს აჩვენებს, თუ როგორ წერდა ვლადიმერ მაიაკოვსკი ლექსებს. ჯერ კარნახობს სარიტმო სიტყვებს და მათი გამოყენებით თხზავს ლექსს „მშვენიერი აფხაზეთის ცა...“.

➤ 11963

### 1951 ან შემდეგ

ზამთრის ერთ დღეს მარჯანიშვილის ხიდთან ხვდება ახალგაზრდა პოეტებს: ჯანსუღ ჩარკვიანს, ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეჭკორს, ოთარ ჭილაძეს, ვახტანგ ჯავახიძეს და თამაზ ბიბილურს. ჩერდება ახალგაზრდების წინაშე და ეუბნება: „სახალხო პოეტი.... ცუდად არ ჟღერს არა? ბოლოს და ბოლოს ოცდათხუთმეტი ტომი დამიწერია“. ახალგაზრდები ქათინაურებს ეუბნებიან. მცირეხნიანი დუმილის შემდეგ გალაკტიონი ამბობს: ახალგაზრდებო, მოდით მტკვარში თავი დავიხრჩოთ. ჯანსუღ ჩარკვიანი ხუმრობით პასუხობს, რომ ახლა ძალიან ცივა და ჯობია ზაფხულისთვის გადადონ. გალაკტიონი ეთანხმება.

➤ 11964

### 1951

ბენო ჩიქობავა გალაკტიონის სხვადასხვა გამოცემებიდან კრებს ლექსებსა და პოემებს და პოეტი ფიქრობს მის გამოცემაზე.

➤ 11965

### 1951

კომპოზიტორი ოლღა ბარამაშვილი წერს კანტატას გალაკტიონ ტაბიძის ტექსტზე „ხალხთა ბედნიერება — მშვიდობა“.

➤ 11966

### 1951

დიდ დროს ანდომებს ლექსის „ქალაღი“ დაწერას და რედაქტირებას.

➤ 11967

### 1951

წერს ნიკოლაი ტიხონოვისათვის გასაგზავნი წერილის მონახაზს, რომელშიც ადრესანტს აცნობებს, რომ უგზავნის კახურ ღვინოს და უსურვებს ჯანმრთელობას.

➤ 11968

### 1951

წერს უსათაურო ლექსს „აგერ ძველის ძველი...“.

➤ 11969

### 1951

წერს უსათაურო ლექსს „მარშან ჩვენი სახლის წინ იდგა ოთხი აფთარი...“.

➤ 11970

### 1951

კვდება გალაკტიონის სიდედრი ეკატერინე ღვინჯილია. პოეტი ესწრება მის პანაშვიდებს და დაკრძალვას.

➤ 11971

### 1951

მონაწილეობს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გამართულ საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების საზეიმო ცერემონიაში. სიტყვით



გამოდის, მხარს უჭერს აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილის კანდიდატურას და გამოსვლას ლექსით ასრულებს. ფაქტს კინორეჟისორი გიორგი გუნია იღებს კინოჟურნალისთვის „საბჭოთა საქართველო 1951“.

➤ 11972

**1951**

წერს უსათაურო ლექსს „უმდერე უსინათლობას...“.

➤ 11973

**1951 ან შემდეგ**

წერს ლექსს „უბის წიგნიდან“.

➤ 11974

**1951 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „და ბერლინი თუ მიწვება...“.

➤ 11975

**1952**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1952**

**დასაწყისი**

განცხადებით მიმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. წერს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ვერ წარადგინა ინფორმაცია 1951 წელს გაწეული მუშაობის შესახებ და დაგვიანებით აცნობებს, რომ ამ წლის განმავლობაში ძირითადად მუშაობდა თავისი თხზულებათა შვიდტომულიდან გამორჩენილ მეხუთე ტომზე.

➤ 11976

**1952**

**1 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემო მკითხველო!..“.

➤ 11977

**1952**

**1 იანვარი**

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „საახალწლო სადღეგრძელო“ გიორგი კრეიტანისეული თარგმანი.

➤ 11978

**1952**

**15 იანვარი**

ფატი ნიშნიანიძე როგორც საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ლექციის თემად ირჩევს გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას და ზოგიერთი საკითხის შესათანხმებლად პოეტს სახლში სტუმრობს. იგი უკითხავს ლექციის მასალას. პოეტი ყურადღებით უსმენს, მაგრამ როგორც კი მისი შემოქმედების ორ პერიოდად დაყოფაზე მიდგება საქმე, კატეგორიულად შენიშნავს, რომ მისი შემოქმედების ორ პერიოდად დაყოფა უმართებულოა. დამშვიდობებისას პოეტი სთხოვს, შეატყობინოს ლექციის ჩატარების თარიღი.

➤ 11979

**1952**

**16 იანვრის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება პეტრე ბახტურიძის რეცენზია სერგი ჭილაიას წიგნზე „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“. რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს ჭილაიას მიერ გაწეულ შრომას. იგი მიუთითებს, რომ გალაკტიონის პოეზია ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიულ კვლევას. პეტრე ბახტურიძის დასკვნით, სერგი ჭილაია სწორად აშუქებს გალაკტიონის ლიტერატურულ ტრადიციასთან დამოკიდებულების, პოეტის მსოფლმხედველობის, ადრეული შემოქმედების გენეზისის საკითხებს. რეცენზენტის აზრით, სერგი ჭილაიას ნაშრომს აქვს გარკვეული ხარვეზებიც. წიგნის ზოგიერთი მონაკვეთი ენობრივად გაუმართავია, ასევე წიგნის ავტორი ზოგჯერ მარჯვედ ვერ არჩევს თავისი მოსაზრების საილუსტრაციო ლექსებს პოეტის შემოქმედებიდან.

➤ 11980

1952

21 იანვარი

რუსულ გაზეთში „ბოლშევიტსკაია პუტიოვკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „უკვდავი ლენინი“ თარგმანი.

➤ 11981

1952

იანვარი ან შემდეგ

იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მეხუთე ტომი, რომელშიც შედის 43 ლექსი და 7 პოემა. ეს ნაწარმოებებია: ლექსები: „სტალინის დროში“, „ვინა სთქვა“, „წითელი მოედანი“, „მშვიდობისათვის“, „ხალხის გენია, ხალხის ნიჭი“, „ყოველ გრიგალში“, „მეტეხის ხიდთან“, „ქალაქი“, „მახათა“, „აღავსე, მზეო“, „სასწავლო წლის დაწყება“, „ბავშვს ჩაემინა“, „ოთხი დრო“, „რუსთავი“, „ჩემო სტუმრებო“, „აბესინელო“, „მტერს უნდა ძლიო“, „იცოდეს ყველამ“, „ოდას შეუცვლია ფაცხა“, „მეომრის დაბრუნება“, „ვეკვთეთ მომხდურთ და გავიმარჯვეთ“, „ხელხვავი“, „ბავშვს ღიმილი არ უქრება“, „19 ოქტომბერი“, „ვჭედოთ მედგრად“, „ახალგაზრდებო“, „გრძნობათა ფერფლი“, „ამხანაგს“, „ქალს მთებიდან“, „ნასაკირალთან“, „შორი ხმა ლოკომოტივის“, „შეხედეთ, მიწა“, „ოქროს ნავით“, „ავი მუსაიფი“, „მთიბველი ქალი“, „მველი წისქვილის ქვა“, „იპატი“, „ხალხი და მთავრობა“, „რადიო“, „ამერიკისა იმგვარ სცემს გული“, „ინგლისი და შეერთებული შტატები“, „ევროპავ, გახსოვს?“ „ინდოელების იყო მიტინგი“. პოემები: „ძლეული სენი“, „ამბავი ერთი ღამისა“, „სინათლის ყვავილი“, „ქიტესა“, „პირველი ენკენისთვე“, „გამოგონება“, „ათას ცხრაას ორმოცი წელი“.

➤ 11982

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1952

2 თებერვლის შემდეგ

კრებულში „დიდება სტალინს“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსი: „სტალინს“ და „სტალინი“.

➤ 11983

1952

2 თებერვლის შემდეგ

ლექსების კრებულში „დიდება სტალინს“ წინასიტყვაობაში და ლექსების სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს. შალვა აფხაიძის ლექსს „ხალხის იმედი“ აწერს: „ნუთუ მხოლოდ იმედი?“, სტალინისადმი მიმართვა – „გმირობის კეთილო მამა“ – ვულგარულად მიაჩნია. იმავე ავტორის ლექსზე „მე მას ვუმღერი“ წერს, რომ ავტორი სტალინზე მეტად თავის თავზე ლაპარაკობს და აღნიშნავს, რომ ის პარტიულია. ლივიუ დელიანუს ლექსის თარგმანის „სახალხო სიყვარული“ პირველ ორ სტრიქონზე – „როდესაც ხედავ დიდ ღუმელებით გადაწითლებულ ურალის მიწას“ – შენიშნავს, რომ მიწის გადაწითლება შეიძლება მხოლოდ ზედაპირიდან, ღუმელი კი ურალში

ძირითადად მიწის ქვეშაა. ლეონის კორნიანუს ლექსის „ხალიჩა“ ბოლოს წერს, რომ ალექსანდრე აბაშელის მიერ ნათარგმნი ეს სტროფი შედევრია. კითხვის ნიშნებს სვამს ილო მოსაშვილის მიერ ნათარგმნი პაბლო ნერუდას ლექსის „ოსებ სტალინი“ სტრიქონებსა და სიტყვების შეთანხმებებთან. ცვლის ჟორჟ ამადუს „სიმღერა საბჭოეთზე“ ხარიტონ ვარდოშვილის ნათარგმნი სტროფს. რაულ გონსალეს ტუნიონის ლექსის „სტალინი“ ირაკლი აბაშიძისეულ თარგმანზე აღნიშნავს, რომ სტრიქონი „შრომის ქვეყანას დაუმკვიდრებ მშვიდობის ერას“ ორაზროვანი და გაუგებარია. იქვე აჯამებს, რომ წიგნში არსებული 142 ლექსიდან 65 ათმარცვლოვანია, 31 – რვამარცვლოვანი, 28 კი – თოთხმეტმარცვლოვანი.

➤ 11984

1952

### 6 თებერვლის შემდეგ

ალექსანდრე ბარამიძის, შალვა რადიანისა და ბესარიონ ჟღენტის ავტორობით გამოცემულ რუსულენოვან წიგნში „ქართული ლიტერატურის ისტორია“ თავი „საბჭოთა საქართველოს პოეტები“ იწყება გალაკტიონ ტაბიძის შესახებ სტატიით. აღნიშნულია, რომ სახალხო პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გამორჩეულია მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზიით, დახვეწილი გემოვნებითა და დიდი ოსტატობით, რომ მოღვაწეობის 40 წლის მანძილზე მან განვლო რთული შემოქმედებითი გზა XX საუკუნის ქართული პოეტური კულტურის უმთავრესი პროცესის ჩამოსაყალიბებლად. ერთვის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და ფოტო, განხილულია როგორც რევოლუციამდელი, ისე შემდგომი პერიოდის ლექსები.

➤ 11985

1952

### 24 თებერვალი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ჩემი სამშობლო“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 11986

1952

### 30 თებერვალი

ოთარ შალამბერიძე უძღვნის ლექსს „გალაკტიონ ტაბიძეს“ („დიდო პოეტო, დე შენი სიტყვა...“).

➤ 11987

## მ ა რ ტ ი

1952

### 2 მარტი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გივი მელაძის სტატია „წიგნი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ“, რომელიც წარმოადგენს რეცენზიას სერგი ჭილაიას წიგნზე „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“. რეცენზენტი მიუთითებს, რომ გალაკტიონი პირველი საბჭოთა პოეტია, რომლის შემოქმედებასაც სპეციალური მონოგრაფია მიეძღვნა, სერგი ჭილაიამ კი ძირითადად მოახერხა გამკლავებოდა დასახულ ამოცანას. წერილის ავტორი თემატურად მიმოიხილავს ნაშრომს და ზოგიერთ შენიშვნასაც გამოთქვამს. მისი თქმით, წიგნში არ არის ნაჩვენები გალაკტიონის ურთიერთობა ქართულ საბჭოთა ლიტერატურასთან, არაა წარმოდგენილი მისი პოეზიის ენობრივი ანალიზი, ასევე არაა მიმოიხილული პოეტის შემოქმედების შესახებ შექმნილი კრიტიკული ლიტერატურა. რეცენზენტის საბოლოო შეფასებით, სერგი ჭილაიას ნაშრომი ქართული კრიტიკის ფასეული შენამენია.

➤ 11988

1952

### 7 მარტი

წერს პაროდიულ ლექსს სერგი ჭილაიასა და ლეო ქიაჩელზე: „ჩვენ არა ერთი დღეს მწერალი გვყავს...“.

➤ 11989

**1952**

**7 მარტი**

კითხულობს გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ მიმდინარე დღის ნომერს. სამგლოვიარო განცხადებას ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვას გარდაცვალების გამო, მწერალთა კავშირის 15 წევრი და სიმონ ყაუხჩიშვილი აწერენ ხელს. გალაკტიონი თვლის, რომ ეს არის დაჯგუფება, რომელთაგან 2-3 ადამიანის გამოკლებით ყველა მისი ლიტერატურული მტერია. ისინიც ისევე მტრობენ, როგორც 1917 და მომდევნო წლებში „ცისფერყანწელები“, ჟურნალი „ცისარტყელა“ და სხვა ლიტერატურული წრეები. ფიქრობს, რომ ამ სამგლოვიარო განცხადებაზე ხელისმომწერთა დიდი უმრავლესობა ხელს შეუშლის ლიტერატურული სადამოს მოწყობაში.

➤ 11990

**1952**

**8 მარტი**

დილით ურეკავს თანაკლასელი გენადი მიხელიძე, რომელიც 1900-1910 წლებში მასთან ერთად სწავლობდა ჯერ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ თბილისის სემინარიაში. ეუბნება, რომ სადამოს 7 საათისთვის მიაკითხავს და მართლაც სტუმრობს. იგი მოგონებებს წერს გალაკტიონზე და თავმოყრილი აქვს 1905 წლის ლექსები, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველ იპოლიტ გრეკოვის შესახებ პროკლამაცია, ინფორმაცია კრებების შესახებ და სხვადასხვა ბიოგრაფიული ფაქტი. გალაკტიონს ახსენდება საკუთარი ჩანაწერები იმავე პერიოდის შესახებ და ფიქრობს, მოძებნოს. ის იწერს მიხელიძის ტელეფონის ნომერს და მზად არის მასთან თანამშრომლობისთვის.

➤ 11991

**1952**

**8 მარტი**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ ნახსენებია ოლღა ბარამაშვილის მიერ გალაკტიონის ლექსზე დაწერილი კანტატა „მშვიდობისათვის“. გალაკტიონი წარმოიდგენს, როგორ გაუხარდებოდა მუსიკის ავტორს გაზეთში მოხსენიება, რადგან მას დევნიან.

➤ 11992

**1952**

**8 მარტი**

სადამოს მეუღლის ქალიშვილს, ნუნუ ებანოიძეს მისთვის მიაქვს გეოლოგ ვალერიან მამუკელაშვილის მიერ მისდამი მიძღვნილი ლექსი „გზაშიც გალაკტიონი.“

➤ 11993

**1952**

**9 მარტი**

გადაუღებლივ თოვას უყურებს თავისი სახლის ფანჯრიდან, გასცქერის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სახელმწიფო გამომცემლობასა და პატარა ბაღს, რომელშიც დგას ის აკაცია, რომელიც 15 წლის წინ გადაარჩინეს გახმობას მან და გიორგი ქუჩიშვილმა. კითხულობს გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ ინფორმაციას, ლენინგორში (ახალგორი) გამართული გიორგი ლეონიძის ლიტერატურული სადამოს შესახებ, რომელზეც მოხსენებით გამოვიდნენ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ეთერ შუშანია და დოცენტი შოთა ძიძიგური. ამის წამკითხველ

გალაკტიონს უსიამოვნო გრძნობა ეუფლება და ფიქრობს, გიორგი ლეონიძე უსამართლოდ არის განდიდებული და შუშანიასა და ძიძიგურის სახით მის ბანაკს კიდევ ორი ადამიანი შეემატა.

➤ 11994

**1952**

**10 მარტი**

ვერის უბანში ახალი ხიდის (ამჟამად გალაკტიონის ხიდად წოდებული) მშენებლობას უძღვნის უსათაურო ლექსს: „ვხედავ, ვხედავ, რა დიდებით მიდის...“.

➤ 11995

**1952**

**11 მარტი**

თავისი ძმისწულის, ნოდარ ტაბიძისგან იგებს, რომ უნივერსიტეტში სტუდენტ ვახტანგ გოგოლაშვილს წაუკითხავს საჯარო ლექცია „ხალხური მოტივები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“ და დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოუწვევია. საკუთარ არქივში აღმოაჩენს ამავე პიროვნების მისადმი მიძღვნილ ლექსს „ზღვა ზღვასთან იდგა...“.

➤ 11996

**1952**

**11 მარტი**

თავისი ვერის, ნუნუ ებანოძისგან იგებს, რომ თბილისის უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე სხვა პოეტებთან შედარებით ყველაზე მეტი (რვა) მისი ლექსია შეტანილი.

➤ 11997

**1952**

**14 მარტამდე**

ავადმყოფობს და სახლიდან არ გადის.

➤ 11998

**1952**

**14 მარტი**

სახელმწიფო გამომცემლობისგან იღებს თავისი თხზულებების მეხუთე ტომის საავტორო ცალეხს, მაგრამ ჰონორარის საქმე ჯერ არ არის გარკვეული.

➤ 11999

**1952**

**14 მარტი**

გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ უგზავნის ჰონორარს იქ დაბეჭდილი მისი ლექსის თარგმანისთვის.

➤ 12000

**1952**

**14 მარტი**

რიგითი წითელარმიელი ჯარისკაცისგან იღებს მისდამი მიძღვნილ ლექსს.

➤ 12001

**1952**

**14 მარტი**

ტელეფონით მოიკითხავს გრიგოლ ცეცხლაძე და ეუბნება, რომ თუ საღამოების გამართვას გადაწყვეტს, მის სამსახურში იგულოს. გალაკტიონს სიამოვნებს, რადგან ეს ერთადერთი პოეტია, რომელიც თავად გამოთქვამს მისი დახმარების სურვილს.

➤ 12002

1952

14 მარტი

ურეკავს კალე ბობოხიძე, რომელიც სერგი ჭილაიასგან მოკითხვას გადასცემს და სთხოვს შეეხმიანოს. გალაკტიონს უკვირს ჭილაია გალაკტიონის მეხუთე ტომზე საშინელი რეცენზიის დაწერის შემდეგ გალაკტიონთან შერცხვენილ ბობოხიძეს რომ ეკითხება მის ამბავს და თავად არ ურეკავს. გადაწყვეტს, არ შეეხმიანოს, რადგან ფიქრობს, რომ ჭილაია მის მტრებს იახლოებს, ან მისი სადამოს მომხსენებლობა სურს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ მასზე უკეთეს მომხსენებელს იშოვის და ჭილაიას, რომლის მონოგრაფიაც სრულიად უვარგისად აღიარეს, თავის სადამოზე მომხსენებლობით რეაბილიტაციას არ გაუკეთებს. ამასთან დაკავშირებით გალაკტიონს ახსენდება ხალხური გადმოცემის მიხედვით, როსტომ ერისთავის მიერ სოლომონ მეფისთვის გაგზავნილი ლექსი: „ეს ასე არ შეიძლება ბასილა და კვირიკაო...“.

➤ 12003

1952

19 მარტი

ოჯახში სტუმრობს მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, თავისი გერის, ნუნუ ებანოძის მეგობარი ელენე ყიფშიძე და აცნობს ამავე თეატრის ახალგაზრდა მსახიობთა მასთან შეხვედრის სურვილს. პოეტი სიამოვნებით ხვდება ამ შეთავაზებას და სადამოს 5 მაისისთვის, პრესის დღისთვის ჩანიშნავენ.

➤ 12004

1952

19 მარტი

მოსანახულებლად სახლში აკითხავს პოეტი ილია (კოჩობა) აროსია.

➤ 12005

1952

19 მარტი

ოჯახში სტუმრობს ლადო მაჭავარიანის ქალიშვილი, ლეილა.

➤ 12006

1952

19 მარტი

ტელეფონზე მისი ჯანმრთელობის ამბავს კითხულობს უცნობი ახალგაზრდა სვანი.

➤ 12007

1952

19 მარტი

ტელეფონით ესაუბრება კორნელი სანაძეს, რომელიც მის პორტრეტს ხატავს. როგორც მისი მეუღლე ეუბნება, პორტრეტში გალაკტიონი მთელ საქართველოს გადაჰყურებს.

➤ 12008

1952

19 მარტი

ტელეფონით ესაუბრება სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის მოადგილე ერასტი ტოროტაძეს წიგნის ჰონორართან დაკავშირებით და ხუთ დღეში ჰპირდება.

➤ 12009

1952

19 მარტი

იგებს, რომ კალე ბობოხიძეს ისევ უკავია სახელგამში ანდრო თევზაძის ადგილი.

➤ 12010

1952

19 მარტი

ტელეფონით ესაუბრება იოსებ გრიშაშვილს, რომელიც მეგობრობას ეფიცება.

➤ 12011

1952

19 მარტი

აკითხავს ვინმე კოტე ალავერდოვი და სთხოვს, რომ მასთან მძლოლად ამუშაოს, გალაკტიონს კი უჭირს გადაწყვეტილების მიღება.

➤ 12012

1952

19 მარტი

ნახულობს, რომ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გიორგი ლეონიძის ხუთი წლით ადრე დაწერილი პოემა „ბერშოულა“ და ფიქრობს, რომ ხალხი ალბათ ირონიით ხვდება ამ ამბავს. თავადაც გაკვირვებულია, რა ზარ-ზეიმით მიანიჭეს მეორე ხარისხის სტალინური პრემია. „ლიტერატურა და ხელოვნება“ ერთ ამბავშია, ბესარიონ ჟღენტი „დავლურს უვლის“, აქებენ და ადიდებენ ლეონიძის პოემებს „ბერშოულა“ და „ფორთოხალა“.

➤ 12013

1952

19 მარტი

იწყებს მუშაობას პოემის „სინათლის ყვავილი“ ინსცენირებაზე.

➤ 12014

1952

19 მარტი

სოხუმში საკუთარი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით დეპეშას გზავნის სოხუმში მშენის გამგე ლეონიდ გვათუასთან.

➤ 12015

1952

20 მარტი

წერს რამდენიმე ლექსს, მოგონებას და ეპიგრამას ბესარიონ ჟღენტზე.

➤ 12016

1952

20 მარტი

12 საათზე რეკავს სოხუმში და იგებს, რომ მეორე სართულის მშენებლობა არ დაუწყიათ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 24000 მანეთია გადახდილი. სალამოს ესაუბრება „სოხუმში მშენის“ მოადგილეს, რომელიც ჰპირდება, რომ 2 აპრილისთვის მიიღებენ აგურს და მშენებლობას განაახლებენ.

➤ 12017

1952

**20 მარტი**

დღიურში იწერს ინჟინერ მიხეილ ჩხიკვაძის ტელეფონის ნომერს.

➤ 12018

**1952**

**20 მარტი**

სჭირდება კოსტიუმი, მუყაოს ქაღალდები, მაკრატელი და ჯიბის დანა. მეუღლე, ნინო კვირიკაძე სჭირდება, რომ ყველაფერს მოუგვარებს.

➤ 12019

**1952**

**23 მარტი**

უბის წიგნაკში ინიშნავს მძღოლის კოტე ალავერდოვის სახელსა და გვარს და ჭონქაძის ქუჩაზე მცხოვრები ვინმე ლომინაძის ტელეფონს.

➤ 12020

**1952**

**24 მარტი**

ტელეფონით ესაუბრება ბესარიონ ჟღენტს, რომელიც ატყობინებს, რომ მისი რუსული წიგნის რედაქტორობა ელიზბარ ანანიაშვილს დაევალა. ის თავადვე თარგმნის მასალის ერთ ნაწილს, მეორეს კი მოსკოველი მთარგმნელები შეასრულებენ. ანანიაშვილი საგანგებოდ ჩავა მოსკოვში, რომ იქაურ რუს პოეტებს ათარგმნინოს ლექსები. გალაკტიონი სთხოვს ანანიაშვილთან შეახვედროს, რადგან ბევრი რამ აქვს შესათანხმებელი და ჟღენტიც სჭირდება. როდესაც ის იგებს გალაკტიონის შვიდტომეულის გამოცემის დასრულების ამბავს, აქებს, რომ ცოცხალი მწერლის ამდენი ტომი წინა საუკუნეშიც არ გამოცემულა, არამცთუ მათ თანამედროვეობაში. სთავაზობს, რომ იუბილესთან დაკავშირებით ან ყველა ტომი ხელახლა გამოიცეს, რადგან მთლიანი ტირაჟები გაყიდულია, ან შვიდივე ტომი ერთ წიგნად დაიბეჭდოს. გალაკტიონს მოსწონს მეორე შეთავაზება.

➤ 12021

**1952**

**24 მარტი**

წერს პაროდის ბესარიონ ჟღენტზე: „რეტი. ცეტი. ბრეტი. კეტი. აი ბესოს ეტიკეტი...“.

➤ 12022

**1952**

**24 მარტი**

სოხუმიდან იღებს არქიტექტორ გიორგი გვათუას დეპეშას, რომ სახლის მშენებლობა აგურის უქონლობის გამო შეჩერებულია.

➤ 12023

**1952**

**29 მარტი**

კითხულობს რუსულ წიგნს „მხატვრული სიტყვა“ და აკეთებს ხაზგასმებს. დასასრულს წერს, რომ გარდაიცვალა სოლომონ ზურგიელიძე, რომლის უკანასკნელი სიტყვები იყო, რომ სიკვდილი არაფერს ნიშნავს, სიკვდილზე საშინელია იმ მომაკვდავის განცდები, რომელიც ხედავს, თუ როგორი დაფარული სიხარულით უცდიან ახლობლები მის გარდაცვალებას.

➤ 12024

**1952**



**30 მარტი**

რუსული წიგნის „მხატვრული სიტყვა“ დასასრულს წერს, რომ კარგი პოეზია მხოლოდ იმ ქვეყანაში შეიძლება შეიქმნას, სადაც კარგი ადამიანები ცხოვრობენ.

➤ 12025

## აპრილი

**1952**

**6 აპრილი**

უბის წიგნაკში წერს, რომ რკინიგზელთა სახლში, რომლის ხელში ჩაგდება ბევრს სურდა, მამა-შვილი ჩიქობავები, რომელთა დახმარებითაც შეიძლება მუდმივი გამოფენის მოწყობა.

➤ 12026

**1952**

**7 აპრილი**

განცხადებით მიმართავს სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს. წერს, რომ ცხოვრობს მარჯანიშვილის ქუჩის 4 ნომერში მეორე სართულზე, სადაც განიცდის ფართობის სივიწროვეს და აწუხებს ქუჩიდან შემოსული ხმაური. ითხოვს, დართონ ნება, რომ ეზოს მხრიდან ოთახს მიაშენოს სამი მეტრის სიგრძის შუშაბანდი, სადაც შეეძლება, მშვიდად იმუშავოს.

➤ 12027

**1952**

**17 აპრილამდე**

თავის ბინაში, კოტე მარჯანიშვილის N 4-ში აპირებს, თავისი მოღვაწეობის ამსახველი გამოფენის გახსნას.

➤ 12028

**1952**

**17 აპრილამდე**

წერს განცხადებას თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე, რომ საზოგადოების მოთხოვნის გამო მის ბინაში გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით, დააკმაყოფილონ სადმე, თუნდაც ახალ მშენებარე სახლში 3-4 ოთახიანი ბინით.

➤ 12029

**1952**

**17 აპრილამდე**

გალაკტიონ ტაბიძის ნაწერების შვიდტომეული მზადაა ერთ წიგნად გამოსაცემად. საჭიროა მხოლოდ კომენტარების მომზადება.

➤ 12030

**1952**

**17 აპრილი**

ასწორებს 1948 წლის 22 იანვარს დაწერილ ლექსს „ისევ ახალგაზრდობას“ და ქმნის ნაწარმოების ახალ, უსათაურო ვარიანტს „ცხოვრების ზღვაზე მენავის...“.

➤ 12031

**1952**

**17 აპრილი**

ასრულებს პოემის „სინათლის ყვავილი“ პიესად გადაკეთებას და აპირებს ნოდარ ჩხეიძის ნახვას ამასთან დაკავშირებით.

➤ 12032

**1952**

**17 აპრილი**

აინტერესებს როგორ დასრულდა მეცნიერებათა აკადემიაში წინა დღის შეხვედრა და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 12033

**1952**

**17 აპრილი**

აინტერესებს, გამომცემლობისგან „ზარია ვოსტოკა“ ხომ არ არის რაიმე სიახლე მოსკოვში მისი „რჩეულის“ გამოცემასთან დაკავშირებით.

➤ 12034

**1952**

**17 აპრილი**

4 საათზე ხელფასის ასაღებად აპირებს მეცნიერებათა აკადემიაში მისვლას, 5 საათზე კი სახლში უნდა დახვდეს ერასტი ტოროტაძეს.

➤ 12035

**1952**

**22 აპრილი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ყველაზე მთავარი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12036

**1952**

**22 აპრილი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით, ალექსანდრე აბაშელს ეძლევა დავალება, წარადგინოს ღონისძიებების პროექტი გალაკტიონ ტაბიძის დაბადების მე-60 წლისთავის აღსანიშნად.

➤ 12037

**1952**

**23 აპრილი**

მწერალთა სასახლეში ეცნობა საბჭოთა მწერალთა კავშირის ცნობარს 1950-1951 წლებისთვის და ნომრავს მწერალთა გვარებს.

➤ 12038

**1952**

**24 აპრილი**

ესაუბრება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორ შალვა რადიანს, რომლისგანაც შეიტყობს, რომ ინსტიტუტის მიერ გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადების დაწყება დამოკიდებულია მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებზე – ალექსანდრე ჯანელიძესა და ნიკო ბერძენიშვილზე.

➤ 12039

**1952**

**25 აპრილი**

ახალი ფეხსაცმლით მიდის სამკურნალო კომბინატის ლაბორატორიაში კუჭის წვენის ამოსაღებად, მაგრამ უარს ეუბნებიან, რადგან უზმოზე უნდა მისულიყო, ის კი დანაყრებულია.

➤ 12040

**1952**

**25 აპრილი**

ამთავრებს ლექსს პირველ მაისზე.

➤ 12041

**1952**

**25 აპრილი**

ტელეფონით ესაუბრება შალვა რადიანს, რომელიც ჰპირდება, რომ 2 საათზე შეხვდება ნიკო ბერძენიშვილს და მისი თხოვლებების აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებით მოელაპარაკებიან აკადემიის პრეზიდენტ ნიკო მუსხელიშვილს.

➤ 12042

**1952**

**25 აპრილი**

ალექსანდრე აბაშელი ეკითხება, როდის უსრულდება საიუბილეო თარიღი. გალაკტიონი პასუხობს, რომ 17 ნოემბერს. აბაშელი დასძენს, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა უნდა აღნიშნოსო. გალაკტიონიც ეთანხმება, მაგრამ დარწმუნებული არ არის, რომ აღნიშნავენ.

➤ 12043

**1952**

**25 აპრილი**

მძლოლი და დამხმარე ქალი ხელფასს სთხოვენ.

➤ 12044

**1952**

**26 აპრილი**

გეგმავს ჩაიტაროს კუჭ-ნაწლავის გამოკვლევა.

➤ 12045

**1952**

**26 აპრილი**

უნივერსიტეტის ყდების გამკეთებელი სახელოსნოდან გამოაქვს ყდაში ჩასმული გავრილ დერჟავინის თხოვლებების 7 ტომი.

➤ 12046

**1952**

**26 აპრილის შემდეგ**

კითხულობს გავრილ დერჟავინის თხოვლებების I ტომს და უკანა ფორზაცზე წერს, რომ გაიფიქრა, დერჟავინი ხომ არ სჯობს ალექსანდრ პუშკინს, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ ეს სისულელეა.

➤ 12047

**1952**

**28 აპრილი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ კორნელი კეკელიძე კარგი კაცია. გეოლოგ გიორგი ძოწენიძეს ახასიათებს, როგორც საზიზღარ ტიპს, საეჭვო პირს, რომელსაც თავი დიდ კაცად მოაქვს და არად მიაჩნია პოეტების საქმიანობა. გალაკტიონი გაკვირვებულია, თუ როგორ მიიღო მან თავის

დროზე სტალინის პრემია. აღშფოთებულია იმის გამო, რომ მოწენიძე თავს ესხმოდა გიორგი ახვლედიანს და ძველ აკადემიკოსებს.

➤ 12048

**1952**

**30 აპრილი**

გონებას კარგავს რედაქციაში.

➤ 12049

**1952**

**აპრილი**

თბილისში მყოფი ავსტრიელი ქართველოლოგი ჰუგო ჰუპერტი ჩუქნის მის მიერ ნათარგმნი ვლადიმერ მაიაკოვსკის ორი პოემის – „ვლადიმირ ილიჩ ლენინ“ და „კარგია“ გამოცემას რუსული წარწერით: „ჩემთვის ძალიან საყვარელ გალაკტიონ ტაბიძეს, საქართველოს სახალხო პოეტს, თავყვანისცემისა და მეგობრობის ნიშნად მისი თავყვანისმცემლისა და საბჭოთა საქართველოს პატრიოტისგან“.

➤ 12050

## მ ა ი ს ი

**1952**

**1 მაისამდე**

აკეთებს ჩანაწერს, რომ 1952 წლის პირველ მაისს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდება მისი ლექსი „პირველი მაისის პატრიოტები“, რომელიც გამომდინარეობს ფართო მასებში.

➤ 12051

**1952**

**1 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“, ხელმოწერით გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი, აქვეყნებს ლექსს „პირველი მაისი“ („წინ, წინ კომუნიზმისკენ...“).

➤ 12052

**1952**

**1 მაისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ვუმღერით პირველ მაისს“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12053

**1952**

**1 მაისი**

გეგმავს რადიოს შეძენას.

➤ 12054

**1952**

**1 მაისი**

რუსულ გაზეთში „ბატუმსკი რაზოჩი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პირველი მაისი“ თარგმანი.

➤ 12055

**1952**

**1 მაისი**

რუსულ გაზეთში „ბოლშევიკ“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სალამი მაისს“ („ვით არ ვადიდო ქვეყანა ჩემი...“) ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12056

1952

3 მაისი

უბის წიგნაკში იწერს, რომ მისმა ახალმა პუბლიკაციებმა მწერალთა კავშირში გამოცოცხლება შეიტანა.

➤ 12057

1952

4 მაისი

უცნობ ქალს მასთან სახლში მიაქვს და ოჯახის წევრებს გადასცემს სამმანეთიანს, რომელიც მწერალთა კავშირიდან გამოატანეს – გალაკტიონ ტაბიძეს წინა დღეს დაუვარდაო. აინტერესებს, ვინ გამოატანა, რატომ მაშინვე არ გადასცეს ან საიდან იციან, რომ მისია და რისი თქმა სურთ ამით.

➤ 12058

1952

5 მაისი

ანდრო თევზაძისგან შეიტყობს, რომ მწერალთა კავშირში გამართული დისკუსიისას პოეტ ოთარ ჭელიძეს განუცხადებია, საუკუნის პირველი ნახევრის ისტორია დასრულებულია როგორც პოლიტიკაში, ისე ლიტერატურაში და ახლა მომავალი ახალგაზრდებს ეკუთვნისო, რასაც მსმენელთა ირონია გამოუწვევია. სხდომის შემდეგ იპოლიტე ვართაგავას უთქვამს, მართალი იყო ჭელიძე, აბა ნახეთ, რას გავს გალაკტიონის მიერ გაზეთში „კომუნისტი“ დაბეჭდილი ლექსიო, ანდრო თევზაძე კი შეკამათებია, მშვენიერი ლექსი იყო.

➤ 12059

1952

6 მაისი

ვუკოლ ბერიძისგან იგებს, რომ მის ვაჟს, ვახტანგს გალაკტიონის სურათი დაუხატავს და ძალიან ნასიამოვნები რჩება.

➤ 12060

1952

6 მაისი

მწერალთა კავშირში ოთარ ჭელიძის გამოსვლის შესახებ დღიურში გაკეთებული ჩანაწერის შემდეგ მის შესახებ წერს სატირულ სტროფს: „ეს ჭელიძე ოთარ, ვერ გახდება შოთა“.

➤ 12061

1952

6 მაისი

მიდის სახელმწიფო გამომცემლობაში და მოითხოვს თანხის გადარიცხვას. სადამოსთვის ჰპირდებიან იმის გარკვევას, ჩაირიცხება თუ არა თანხა მიმდინარე კვირაში.

➤ 12062

1952

6 მაისი

ალექსანდრე აბაშელი არ ესალმება. ამას ემატება კარლო კალაძის შესავალი სიტყვა და ეჭვი უჩნდება, რომ რაღაც მოძრაობას იწყებენ მის წინააღმდეგ.

➤ 12063

**1952**

**6 მაისი**

დღიურში იწერს, რომ წინა დღეს გარდაიცვალა იოსებ იმედაშვილი.

➤ 12064

**1952**

**8 მაისი**

მეცნიერებათა აკადემიაში აზერბაიჯანის სალამოზე დასასწრებად მიდის ვიქტორ კუპრაძესა და ერთ მათემატიკოსთან ერთად. ვიქტორს ჰპირდება თავისი წიგნების მიცემას ავტოგრაფით, რითაც ძალიან ახარებს. მათი თანამგზავრი მათემატიკოსი იხსენებს 1934 წელს ლენინგრადში გამართული გალაკტიონის სალამოს ემოციურ დეტალებს და პოეტს ცრემლი ადგება თვალზე. სალამოს ნიკოლოზ მუსხელიშვილი ხსნის, სიტყვით გამოდიან პაატა გუგუშვილი, მდივან-აკადემიკოსი გიორგი ძოწენიძე და იოსებ გრიშაშვილი. გალაკტიონს არცერთი გამოსვლა არ მოსწონს და უბის წიგნაკში ირონიულ ჩანაწერებს აკეთებს.

➤ 12065

**1952**

**9 მაისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ცხრა მაისი“ თარგმანი.

➤ 12066

**1952**

**14 მაისი**

აპირებს მურმან ლებანიძესთან დაკავშირებას 16 მაისს და იწერს მისი ტელეფონის ნომერს.

➤ 12067

**1952**

**14 მაისი**

ლენტეხის საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლე ციური ქურასბედიანი უბის წიგნაკში უწერს თავის სახელსა და გვარს.

➤ 12068

**1952**

**15 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს მწერალთა კავშირის განცხადებას იმის შესახებ, რომ შეიქმნა ალიო მირცხულავას 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საიუბილეო 13-კაციანი კომისია გიორგი ლეონიძის თავმჯდომარეობით, რომელმაც დაადგინა 25 მაისს პოეტის საიუბილეო სალამოს გამართვა ოპერის თეატრში. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ალიო მირცხულავას იუბილესადმი ასეთი ყურადღება დამაფიქრებელია.

➤ 12069

**1952**

**15 მაისი**

მეუღლე ნინო გადასცემს კალე ბობოხიძის ნათქვამს, რომ მისი „რჩეულის“ გამოცემა შეტანილია 1953 წლის გეგმაში.

➤ 12070

**1953**

## 15 მაისი ან შემდეგ

რადიოთი ისმენს არიას ოპერიდან „რიგოლეტო და ფიქრობს, რომ ის ძალიან გავს ჯუზეპე ვერდის „მეცხრე სიმფონიას“, ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონიას და ქართულ ხალხურ სიმღერას „რამაზად გიხდება...“.

➤ 12071

1952

16 მაისი

აკეთებს იმ მხატვართა ჩამონათვალს, რომელთაც დახატული აქვთ, ან უნდა დახატონ მისი სურათი.

➤ 12072

1952

16 მაისი.

იწყებს აივნის რემონტს.

➤ 12073

1952

16 მაისი

კაბინეტის მოსაცდელში დიდხანს ელოდება მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, გიორგი ლეონიძეს, მაგრამ ამაოდ.

➤ 12074

1952

16 მაისი ან შემდეგ

სახლში სტუმრობს ახალგაზრდა მხატვარ ამირან დგებუაძეს, რომელიც ჰპირდება, რომ პეიზაჟის ფონზე დახატავს მის სურათს და მიართმევს. გალაკტიონი ათვალისწინებს მის დახატულ პეიზაჟებს და ახალგაზრდა მხატვარი მასზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

➤ 12075

1952

17 მაისი

აკეთებს ჩანაწერს, რომ მისი სახლის აივანი თანდათან ლამაზდება და სახელმწიფო გამომცემლობის, პოლიგრაფიული ტრესტისა და წიგნის პალატის თანამშრომლები წინა დღეს აივანს თვალს არ ამორებდნენ. მათ ყურადღებას იქცევდა სამი მუშა, რომლებიც აივანზე ცემენტს ასხამდა. დილისთვის ცემენტი უკვე მშრალი იყო, აივანი კი დაფარულიყო ეზოში მდგარი აკაციის ხიდან ჩამოცვენილი ყვავილებით. წერს, რომ იმ აკაციის 42 ყვავილი სამახსოვროდ შეინახა.

➤ 12076

1952

17 მაისი

ხვდება მწერალ მიხეილ კინწურაშვილს (იასამანს), რომელიც უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს უკრაინული ლიტერატურის შესახებ და მისგან იგებს, რომ უკრაინულ სახელმძღვანელოებში შეტანილია გალაკტიონის ლექსები, მონოგრაფია მის შესახებ და პორტრეტები. გალაკტიონი ინტერესდება, არის თუ არა შესაძლებელი მის იუბილესთან დაკავშირებით უკრაინულ მწერლებთან დაკავშირება. კინწურაშვილი ჰპირდება ამის გაგებას და მასთან სახლში სთავაზობს შეხვედრას. კავშირგაბმულობის მიერ გამოცემულ სატელეფონო წიგნში კინწურაშვილის მხოლოდ ტელეფონია მითითებული. ამიტომ გალაკტიონი მის

მისამართს ნახულობს მწერალთა კავშირის წევრთა სიაში, მაგრამ გაკვირვებულია იმით, რომ იქ სულ სხვა ტელეფონი წერია.

➤ 12077

**1952**

**17 მაისი ან შემდეგ**

ხვდება თბილისში ჩამოსულ მთარგმნელებსა და ლიტერატურათმცოდნეებს – ვიქტორ გოლცევესა და ივან კარაბუტენკოს.

➤ 12078

**1952**

**19 მაისი**

რადიოთი ისმენს მის ლექსზე „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალი ქარო“ კომპოზიტორ ბიძინა ლოღობერიძის მიერ შექმნილ სიმღერას წყალტუბოს მომღერალთა გუნდის შესრულებით.

➤ 12079

**1952**

**22 მაისი**

მწერალთა კავშირში მოხსენებით გამოდის შეზარხოშებული ალექსეი სურკოვი, რომელმაც მანამდე ვიქტორ გოლცევესა და გიორგი ლეონიძესთან ერთად საგურამოში მოიღვინა. სხვა მწერლებისგან განსხვავებით გამომსვლელს გალაკტიონი ტაშით არ ეგებება, რადგან ასეთ მდგომარეობაში ქართველი მწერლების წინაშე გამოსვლას მათ შეურაცხყოფად მიიჩნევს. სურკოვის მოხსენება ძირითადად ტრაფარეტულია, მაგრამ წამოჭრის მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისა და ჟურნალ „მნათობის“ რედაქციის გადახალისების საკითხებსაც. კამათი მეორე დღისთვის გადაიდება.

➤ 12080

**1952**

**27 მაისი**

გალაკტიონ ტაბიძის 60 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად გამოყოფენ კომისიას შალვა რადიანის, სერგი ჭილაიასა და ალექსანდრე გომიაშვილის შემადგენლობით.

➤ 12081

**1952**

**28 მაისი**

იმყოფება მწერალთა კავშირში, ხედავს გიორგი ნატროშვილს და ფიქრობს, საიდან აქვს მას ყველაფრის წერის და ბეჭდვის უფლება. იქვე ამჩნევს, როგორ „კონფიდენციალურად“ შემოდის კალე ბობოხიძე.

➤ 12082

**1952**

**28 მაისის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული ახალი წიგნების ნუსხა, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის მეხუთე ტომი ანდრო თევზაძის რედაქტორობით, რომლის ფასია 12 მანეთი.

➤ 12083

**1952**

**30 მაისი**



საქართველოს ლიტერატურული ფონდის დირექტორ ალექსანდრე გომიაშვილის სახელობე წერს განცხადებას თხოვნით, რომ შეიყვანოს იმ მწერალთა სიაში, რომლებიც სახლის შექმნისას 50-პროცენტის ფასდაკლებით სარგებლობენ.

➤ 12084

**1952**

**31 მაისი**

ქართველი მწერლების დიდ ჯგუფთან ერთად ჩადის ქალაქ სტალინში (ამჟამინდელ ცხინვალში), სადაც ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით სიხარულით ხვდება მას და გიორგი ლეონიძეს. საზეიმო შეხვედრა იმართება საბჭოების სახლის სხდომათა დარბაზში. სადამოუხე მოხსენებას ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაზე კითხულობს სიმონ წვერავა. შემდეგ გალაკტიონი ადის ტრიბუნაზე და მასპინძელთა ხანგრძლივი აპლოდისმენტების შემდეგ კითხულობს ლექსს „სტალინი“. უცებ შუა კითხვისას ხმა ეხლიჩება, კითხვას ვეღარ აგრძელებს და დარბაზში მყოფთ თავის მდგომარეობას ხელით ანიშნებს. მსმენელები ისევ ტაშით აცილებენ. სადამოუხე აზა თიბილოვა ლექსს უძღვნის სახელწოდებით „ხალხის პოეტს, გალაკტიონ ტაბიძეს“.

➤ 12085

**1952**

**31 მაისი**

სტალინში (ამჟამინდელ ცხინვალში) შეხვედრის შემდეგ მწერალთა ჯგუფთან ერთად მონაახულებს ჯავის ხეობას, რის შემდეგაც სუფრასთან ეპატიუებიან. საკმაოდ შეზარხოშებული სადღეგრძელოებს პოეზიასა და მეგობრობაზე პირდაპირ ლექსად ამბობს და ალავერდს გიორგი ლეონიძესთან გადადის.

➤ 12086

**1952**

**მაისი**

სახელმწიფო გამომცემლობა გალაკტიონ ტაბიძის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობას კოტე მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გეგმავს.

➤ 12087

**1952**

**გაზაფხული**

მიხეილ მრევილიშვილი რამდენიმე ქალბატონის თანდასწრებით გალაკტიონს ეუბნება, რომ ბავშვობიდან უყვარს მისი პოეზიის კითხვა და ეს სიყვარული არასოდეს განელებია.

➤ 12088

## ივნისი

**1952**

**3 ივნისი**

განცხადებით მიმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ნიკო მუსხელიშვილს. წერს, რომ ძალიან ბევრი სამუშაო აქვს და ითხოვს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში ერთ კუთხეს.

➤ 12089

**1952**

**6 ივნისი**

მარჯანიშვილის აკადემიურ თეატრში დაგეგმილი სადამოსთვის ეძებს ყუთს, მასალების ჩასალაგებლად.

➤ 12090

**1952**

**6 ივნისი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ 5-6 დღის შემდეგ უნა ჯაფარიძე დაიწყებს მისი პორტრეტის ხატვას.

➤ 12091

**1952**

**12 ივნისი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით, გალაკტიონ ტაბიძის 60 წლისთავის აღსანიშნად დგება კომისია იოსებ ნონეშვილის, ალექსანდრე გომიაშვილისა და სიმონ წვერაგას შემადგენლობით.

➤ 12092

**1952**

**13 ივნისი**

2 საათზე მწერალთა კავშირში აპირებს მისვლას ფოტოსურათების თაობაზე, 8 საათზე კი – ძერჟინსკის სახელობის კლუბში.

➤ 12093

**1952**

**13 ივნისის შემდეგ**

სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ათვალეერებს გამოფენას და ადგენს ექსპონატების სიას. ჩამონათვალშია იოსებ ჯუღაშვილის, შრომის გმირების, მემდაროელების, გენერლების, აკადემიკოსების, მსახიობებისა და სხვათა ქანდაკებები, ნატიურმორტები და ფერწერული ტილოები. მოსწონს, რომ ქანდაკებები ქვისგან და მარმარილოსგან არის დამზადებული.

➤ 12094

**1952**

**15 ივნისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „რუსთავი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12095

**1952**

**16 ივნისი**

კითხულობს გიორგი ლეონიძისათვის მოსკოვიდან გამოგზავნილ დეპეშას. საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს რეკომენდაციას აძლევენ, მოახსენოს თბილისის საქალაქო საბჭოს, რომ წყნეთის აგარაკები უნდა განაწილდეს იმავე პრინციპით, როგორც მოსკოვთან მდებარე პერედელკინოში განაწილდა.

➤ 12096

**1952**

**17 ივნისამდე**

17 ივნისისთვის გეგმავს სტალინირში (ამჟამინდელი ცხინვალი) ჩასვლას, რადგან სასტუმროში აქვს საქმიანი შეხვედრა.

➤ 12097

**1952**

**19 ივნისი**

გერი, ნუნუ ებანოიძე გაზეთის ფურცელზე უწერს თავისი მეგობრის, მსახიობ ელენე (ლენა) ყიფშიძის მისამართს და ეუბნება, რომ აუცილებლად მივიდეს და ნახოს, რათა მოელაპარაკოს მარჯანიშვილის თეატრში დაგეგმილ ღონისძიებასთან დაკავშირებით. ნუნუ ებანოიძე ეუბნება, რომ თეატრის დასი რეპეტიციებს ატარებს პოეტის საღამოსათვის მოსამზადებლად. გალაკტიონი იმახსოვრებს მსახიობი ქალის მისამართს და ავტომობილით მიდის ლენა ყიფშიძის სანახავად. პოეტი და მისი მძღოლი დიდი მონდომებით ცდილობენ მიაგნონ მსახიობის საცხოვრებელს, თუმცა ბოლოს ირკვევა, რომ გერის მიერ მიცემული მისამართი არასწორია.

➤ 12098

**1952**

### **20 ივნისი ან შემდეგ**

მარჯანიშვილის თეატრში ესწრება კარლო გოლდონის პიესის „სასტუმროს დიასახლისი“ მიხედვით გიგა ლორთქიფანიძის მიერ დადგმულ სპექტაკლს, მოსწონს და ბევრს იცინის.

➤ 12099

**1952**

### **26 ივნისი**

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი ლექსისა „ბავშვს ღიმილი არ უქრება...“ გალაკტიონ ტაბიძის ციკლიდან „პაციფიზმი“.

➤ 12100

**1952**

### **29 ივნისი**

მარჯანიშვილის ქუჩაზე ბინაში სტუმრობს კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი და ორატორიისთვის ტექსტის დაწერას სთხოვს. გალაკტიონი თანხმდება.

➤ 12101

**1952**

### **29 ივნისი**

სახლში სტუმრობს კომპოზიტორი ალექსი მაჭავარიანი, რომელიც წერს ორატორიას მის ლექსებზე.

➤ 12102

**1952**

### **30 ივნისამდე**

იჭერს თადარიგს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 30 ივნისს დაგეგმილი თავისი საღამოსთვის და წერს მწერალთა კავშირის და მეცნიერებათა აკადემიის იმ წევრების სიას, ვისაც ბილეთები უნდა გადასცეს.

➤ 12103

**1952**

### **30 ივნისი**

ხვდება ალექსი მაჭავარიანს და იწყებენ მუშაობას ორატორიაზე, მაგრამ თანდათან ირკვევა, რომ მათ სხვადასხვაგვარი წარმოდგენა აქვთ ამ პროცესზე და მუშაობას წყვეტენ.

➤ 12104

**1952**

### **30 ივნისი**

შეხვედრას უწყობს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კომკავშირული ორგანიზაცია. თეატრის დარბაზი გადაჭედებულია. სცენაზე ნახევარწრეზე ჩამწკრივებულია სკამები და დგას სამი

მაგიდა. კულისების ორივე მხრიდან შემოდინ მსახიობები, შემდეგ კი ისმის ტაშის ხმა და აღმოსავლეთ კარებში ჩანს შავ კოსტიუმში ჩაცმული გალაკტიონი, მკერდზე ლენინის ორდენით, რომელსაც ერთ მხარეს უდგას თეთრებში გამოწყობილი მედეა ჯაფარიძე და მეორე მხარეს – შავებში გამოწყობილი დოდო ჭიჭინაძე. ისინი სხდებიან სცენის შუაში მდგომ მაგიდასთან, რომელიც ყვავილებით არის მორთული. სადამოს ხსნის ელენე ყიფშიძე, მან ისაუბრა დარია ახვლედიანის მოგონებაზე, როგორ დაულოცა გალაკტიონს გზა აკაკი წერეთელმა და დაასრულა კორნელი კეკელიძის სიტყვებით იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხის მიერ გალაკტიონის მხოლოდ სახელით მოხსენიება უდიდესი სახალხო აღიარებაა. შემდეგ სიტყვით გამოდის სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენელი. შემდეგ ახალგაზრდა მსახიობები ენაცვლებიან ერთმანეთს და საოცარი ნიჭიერებით კითხულობენ გალაკტიონის ლექსებს. შიგადაშიგ ისმის მუსიკა და სიმღერები მის ლექსებზე. შემდეგ კითხულობენ მის ლექსებს რუსულ (ელენე ყიფშიძე), გერმანულ (დოდო ჭიჭინაძე) და ინგლისურ ენებზე. ძალიან შთამბეჭდავად კითხულობს საკუთარ ლექსს მსახიობი პიერ კობახიძე. თავად გალაკტიონი მადლობას იხდის და კითხულობს ლექსს „ახალგაზრდობა“. მეორე განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა სცენები სპექტაკლებიდან. სადამოს დასასრულს არ წყდებოდა ოვაციები და შემახილები „დიდება გალაკტიონს“.

➤ 12105

## ი ვ ლ ი ს ი

1952

### 1 ივლისი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „შეხვედრა“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12106

1952

### 2 ივლისი

თბილისის დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აძლევს მიწის ნაკვეთს წყნეთის საკურორტო ზონაში.

➤ 12107

1952

### 2 ივლისის შემდეგ

წერს განცხადებას, რომელშიც აღნიშნავს, რომ საქართველოს ლიტერატურულმა ფონდმა 29 აპრილს საბჭოთა მწერალთა კავშირის მდივნისგან მიიღო შეტყობინება მწერლებისთვის აგარაკის ასაშენებლად გრძელვადიანი სესხების მიცემის თაობაზე. ამ შეტყობინებიდან გამომდინარე გალაკტიონ ტაბიძემ ცეკავშირის საქალაქო მშენებლობის ტყით ვაჭრობის თბილისის ბაზიდან შეიძინა სახლი და თბილისის დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოუყო მიწის ნაკვეთი წყნეთის საკურორტო ზონაში. სახლის მშენებლობა ჯდება 40 ათასი მანეთი და ითხოვს, რომ ამის ნახევარი – 20 ათასი მანეთი მისცენ გრძელვადიან სესხად.

➤ 12108

1952

### 3 ივლისი

ითვლის თავისი თხზულებების უკვე გამოცემული შვიდი ტომის გამაერთიანებელი ერთტომეულის სტრიქონთა რაოდენობას, რომელიც 50100-ს შეადგენს.

➤ 12109

1952

### 6 ივლისი

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს ირაკლი აბაშიძის მიერ იანკა კუპალას (ივან ლუცკევიჩის) 70 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიას „იანკა კუპალა“ და ადარებს მას ლიტერატურული ენციკლოპედიის მეხუთე ტომში დაბეჭდილ ლუკაშ ბენდეს ტექსტს. აღმოაჩენს, რომ აბაშიძე კუპალას ბიოგრაფიის მნიშვნელოვან მომენტებს, კერძოდ, უკრაინის აკადემიის წევრობას და სახალხო პოეტობას უგულვებელყოფს. გალაკტიონი ამას არა მხოლოდ იანკა კუპალას, არამედ პირადად მის დამსახურებათა შეგნებულ უგულვებელყოფად მიიჩნევს და ირაკლი აბაშიძის საქციელს „ჟულიკობად“ აფასებს.

➤ 12110

1952

6 ივლისი

იგებს, რომ წინა დღეს გრიგოლ აბაშიძე შესულა თბილისის საქალაქო საბჭოში და პრეტენზია გამოუთქვამს, რა არის, სულ გალაკტიონზე რომ ზრუნავთ და სხვა პოეტები არ გახსოვთო.

➤ 12111

1952

6 ივლისი

4 საათზე რადიო-გადაცემაში „ლიტერატურა და ხელოვნება“ ისმენს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გამართული მისი საღამოს ჩანაწერს და აღშფოთებას ვერ მალავს. გადმოსცემენ მხოლოდ მის და მსახიობ ელენე ყიფშიძის გამოსვლებს. მისი გამოსვლა საშინლად ისმის, რადგან დარბაზშივეა გაკეთებული, მის გაუფრთხილებლად. დაკარგულია დარბაზის რეაქცია, ოვაციები. უჩნდება ეჭვი, რომ ეს მის წინააღმდეგ პროვოკაციაა.

➤ 12112

1952

6 ივლისი

მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში საკუთარი შვიდტომეულის მეექვსე ტომის გადათვალთვალებისას აღმოაჩენს, რომ 1-69 გვერდი წაშლილია. გადაწყვეტს სხვა ბიბლიოთეკებშიც გადაამოწმოს.

➤ 12113

1952

7 ივლისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს მწერალთა კავშირს. წერს, რომ განიცდის მატერიალურ სივიწროვეს და ითხოვს, რომ 10 თვის ვადით სესხად მისცენ 10 ათასი მანეთი.

➤ 12114

1952

7 ივლისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს კომუნალური ბანკის დირექტორს დ. დემეტრაძეს. სწერს, რომ თბილისის საქალაქო საბჭომ წყნეთში გამოუყო მიწის ნაკვეთი სახლის ასაშენებლად. აცნობებს, რომ შეიძინა სტანდარტული სახლი და აპირებს მის დადგმას, რისთვისაც სჭირდება სესხი და ითხოვს 10 ათასი მანეთის მიცემას მოკლე დროით.

➤ 12115

1952

11 ივლისი

გაზეთში „ნორჩი ლენინელი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „წიგნი“.

➤ 12116

1952

**15 ივლისი**

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობას და ითხოვს გამოფენის მოწყობას მისი შებენის დღისთვის, რისთვისაც სჭირდება, რომ 300 ცალი პორტრეტი, ჟურნალი, გაზეთი და სხვ. დააკრან მუყაოზე და გაუკეთდეს არშიები.

➤ 12117

1952

**17 ივლისამდე**

მეცნიერებათა აკადემიის ურთუერთდამხმარე სალაროს თავმჯდომარეს მიმართავს განცხადებით, რომ სამი თვით სესხად მისცენ ერთი თვის ხელფასი, 3000 მანეთი.

➤ 12118

1952

**18 ივლისამდე**

განცხადებით მიმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ნიკო მუსხელიშვილს. წერს, რომ გამოეყო სამოსახლო ადგილი წყნეთში და იქ დასადგმელად უკვე შეიძინა სახლი. ახლა სჭირთა მისი გადატანა და ქვედა სართულზე დაშენება, რისთვისაც ითხოვს ადრესატისადმი დაქვემდებარებული ტექბაზის მეშვეობით. სთხოვს, გასცეს შესაბამისი განკარგულება და ტექბაზისთვის გადასახდელი თანხა გადარიცხონ მისი ხელფასიდან.

➤ 12119

1952

**18 ივლისი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი გალაკტიონის განცხადებას ადებს რეზოლუციას, რომ შესრულდეს მისი თხოვნა და ტექბაზას დაევალოს აღნიშნული სამუშაოების შესრულება.

➤ 12120

**აგვისტო**

1952

**26 აგვისტოს შემდეგ**

ერთი წლის მარინე ფირცხალავას, რომელსაც მოფერებით კაკინას ეძახის, ხელში თავის წიგნს აჭერინებს და სურათს უღებს.

➤ 12121

**სექტემბერი**

1952

**3 სექტემბერი**

ინჟინერ პეტრე მარტიროსოვს წყნეთის აგარაკისთვის უკვეთავს სამი ფანჯრისა და ორი კარის დამზადებას და წინასწარ აძლევს 600 მანეთს იმ პირობით, რომ თუ სამუშაოს 5 სექტემბრამდე არ შეასრულებს, თანხა უკანვე უნდა დაუბრუნოს.

➤ 12122

1952

**3 სექტემბრის შემდეგ**

ინჟინერი პეტრე მარტიროსოვი, რომელსაც გაურიგდა წყნეთის აგარაკისთვის კარ-ფანჯრების დამზადებაზე, დაპირებას არ ასრულებს, მთლიანობაში 1000 მანეთს იღებს და ბედ აღებულ თანხას უკან არ აბრუნებს.

➤ 12123

1952

#### **4 სექტემბერი**

განცხადებით მიმართავს თბილისის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ეპიტაშვილს. წერს, რომ წყნეთის საკურორტო ზონაში მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე მიმდინარეობს მისი სახლის მშენებლობა, მაგრამ ხელს უშლის იმ ტერიტორიაზე მდგარი სოფლის კოოპერატივის კიოსკი, რომელიც უნდა გადაეტანათ, მაგრამ ისევ იქ დგას. სთხოვს სათანადო განკარგულების გაცემას პრობლემის მოსაგვარებლად. ვახტანგ ეპიტაშვილი განცხადებას იმავე დღეს ადებს რეზოლუციას, რომ კიოსკი სასწრაფოდ გადაიტანონ მწერალ გალაკტიონ ტაბიძის სახლიდან მოშორებით.

➤ 12124

1952

#### **სექტემბერი**

თბილისის სახელმწიფო ოპერის თეატრის დირექტორის თანაშემწე აპოლონ (გუგული) ყიფიანი სეზონის გახსნისას ჰპირდება პროგრამის ბუკლეტის ჩუქებას.

➤ 12125

### **ო კ ტ ო მ ბ ე რ ი**

1952

#### **14 ოქტომბერი**

მწერალთა კავშირში აკაკი ბელიაშვილი ინტერესდება გალაკტიონის საიუბილეო საღამოს გამართვის თარიღით და როდესაც პოეტი პასუხობს „17 ნოემბერს“ რამდენჯერმე იმეორებს, რომ კარგია თუ აცივებამდე მოესწრება, რაზეც გალაკტიონს ელიმება.

➤ 12126

1952

#### **14 ოქტომბერი**

მწერალთა კავშირშია და ხედავს როგორ ესაუბრებიან ერთმანეთს დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი, აკაკი ბელიაშვილი და ვიღაც თმახუჭუჭა ახალგაზრდა. შემოდის ლეო ქიაჩელი, რომელიც ხელის ჩამორთმევით ესაღმება გალაკტიონს და ეუბნება, რომ დემნა შენგელაიასა და მარიჯანს ყვარელში მოგზაურობასთან დაკავშირებით ჩხუბი მოუვიდათ.

➤ 12127

1952

#### **14 ოქტომბრის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს შალვა კაშმაძის მიერ მისთვის მიძღვნილ ლექსს „ლიხის მთას რომ გადასცდები...“.

➤ 12128

1952

#### **17 ოქტომბერი**

წერს უსათაურო ლექსს „თუ უხიფათოდ გავსცდი როგორმე...“.

➤ 12129

1952

#### **20 ოქტომბერი**

ეცნობა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის განცხადებას, რომ 3 საათზე დაგეგმილია შეხვედრა მოთხრობის „სუნჩონში ნაპოვნი რვეული“ ავტორთან რ. კიმთან.

➤ 12130

1952

#### **24 ოქტომბერი**

უბის წიგნაკში იწერს ციტატებს საკუთარი ლექსიდან „მე და ღამე“.

➤ 12131

1952

#### 24 ოქტომბერი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ კითხულობს აკაკი თოფურის წერილს „დიადი და წარმტაცი თემა“, რომლის გაცნობის შემდეგაც უბის წიგნაკში იწერს შენიშვნებს სტატიის შესახებ. მიიჩნევს, რომ პუბლიკაციაში მიზანმიმართულადაა უგულვებლყოფილი მისი დამსახურება რევოლუციის წინაშე, ხოლო გიორგი ლეონიძის ღვაწლი გადაჭარბებითაა წარმოჩენილი. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ ქართულ პოეზიაში პირველად მან ახსენა ლენინი და სტალინი, რაც წერილში დავიწყებულია. მისი აზრით, აკაკი თოფურია ისე წარმოაჩენს საქმეს, თითქოს 1934 წლამდე ქართული რევოლუციური პოეზია არ არსებობდა. წარმოუდგენელია წერილი ეხებოდეს ქართულ საბჭოთა პოეზიას და იქ ნახსენები არ იყოს გალაკტიონის სახელი. პოეტი ფიქრობს, რომ ეს სტატია იმ დიდი შეთქმულების ნაწილია, რომელსაც მის წინააღმდეგ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები გიორგი ნატროშვილის თანამონაწილეობით ახორციელებენ. გალაკტიონი მიუთითებს, რომ ახლა ხვდება, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდნენ მისი იუბილეს გადახდას პრეზიდიუმის წევრები.

➤ 12132

1952

#### 24 ოქტომბერი

წერს უსათაურო სტროფს „მრავალწამებულმა ჩემმა სამშობლომა...“.

➤ 12133

1952

#### 25 ოქტომბერი

სტუმრობს სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელი რევაზ ორჯონიკიძე, რომელიც აცნობებს, რომ გამომცემლობის მიერ მისი ახალი წიგნის მოცულობად ნავარაუდევია 12 ფორმა.

➤ 12134

1952

#### 27 ოქტომბერი

სახელმწიფო გამომცემლობაში ხვდება გამომცემლობის თანამშრომელ რეზო ორჯონიკიძეს და ესაუბრება თავისი მომავალი წიგნის შესახებ.

➤ 12135

1952

#### 29 ოქტომბერი

ალექსანდრე ბარამიძის, შალვა რადიანისა და ბესარიონ ჟღენტის ავტორობით გამოცემულ რუსულ წიგნს „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ჩუქნის ცოლს – ნინო კვირიკაძეს წარწერით: „ჩემს ნინოს. ისიც კარგია – ძვირფასო ნინო – ყვავს რომ კაკალი დააგდებინო“.

➤ 12136

1952

#### 29 ოქტომბერი ან შემდეგ

კითხულობს ალექსანდრე ბარამიძის, შალვა რადიანისა და ბესარიონ ჟღენტის ავტორობით გამოცემულ რუსულ წიგნს „ქართული ლიტერატურის ისტორია“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს.

➤ 12137



1952

### 30 ოქტომბერი

დილიდან ტელეფონით უკავშირდება მწერალთა კავშირის მდივანი და ატყობინებს, რომ დეკემბრამდე მივიდა გორიდან, რომლითაც ეპატიჟებიან სტალინის მონუმენტის გახსნის ღონისძიებაზე.

➤ 12138

1952

### 30 ოქტომბერი

ესაუბრება პოეტ სავლე აბულაძეს, რომელიც შესჩივის, რომ მის ლექციებზე რაღაცები არასწორად გამოაცხადეს.

➤ 12139

1952

### 31 ოქტომბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა შუამდგომლობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის აკაკი მგელაძის წინაშე, რომ გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 60 და ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წელი აღინიშნოს იუბილეთი და, ამასთანავე, გამოიცეს ერთტომეული.

➤ 12140

1952

### ოქტომბერი

თბილისის უნივერსიტეტის ეზოში სეირნობისას სტუდენტები ნარგიზა მგელაძე და ეთერ ჯიჯეიშვილი ჩუმიად აედევნებიან. გალაკტიონი ზოოპარკისკენ იღებს გეზს. ნარგიზა ხმამაღლა იწყებს ლექსის „ქარი ქრის“ კითხვას. გალაკტიონი შემობრუნდება, ხელს ხვევს გოგონებს და გზას ლექსით აგრძელებენ. როცა ლექსი თავდება, გალაკტიონი ახლა ეთერისგან ელოდება შემდეგ ლექსს. მაგრამ გოგონა იბნევა, ვერცერთ ლექსს ვეღარ იგონებს. გალაკტიონი რვეულს გამოართმევს, იღებს გულისჯიბიდან წითელ ფანქარს და როცა წერის დაწყება უნდა. ზოოპარკიდან ლომის ბუხუნი ისმის. გალაკტიონი თავს იღებს და ნაღვლიანად ამბობს: „ტოლი დაეძებს ტოლს, იქნებ მასაც წაართვეს ცალი“. შემდეგ რვეულს უბრუნებს და ნერვიული ნაბიჯით ზოოპარკის შესასვლელისკენ მიემართება.

➤ 12141

1952

### აგვისტო-ოქტომბერი

ჟურნალის „დროშა“ მხატვარი ალექსანდრე ბანძელაძე მოსკოვში გამოფენაზე მონაწილეობას გეგმავს და გრიგოლ აბაშიძეს სთხოვს, გალაკტიონთან შუამდგომლობას, რომ ჟურნალის რედაქციაში რამდენიმე სეანსზე მივიდეს. პოეტი თანხმდება. რედაქციის თანამშრომლები დიდი ინტერესით ელიან მის გამოჩენას. ავტომანქანიდან გადმოსულს თან რაღაც დიდი შეკვრა მიაქვს. ბანძელაძე გამოართმევს, სახელოსნოში შეიტანს და თავად მცირე ხნით მოსაწესრიგებლად ტოვებს. უკან დაბრუნებული გაცხელებული შეწყურებს შავ ნაბადსა და ყაბალახში გამოწყობილ პოეტს თავზე ფაფახით, გალაკტიონი ეუბნება, რომ ასეთი ფორმით მოსკოვში გამოფენაზე ყველა მიხვდება, რომ სურათზე ქართველი პოეტია გამოსახული. ბანძელაძე მორიდებით შეახსენებს, რომ ილია და აკაკი ნაბდით არავის დაუხატავს, მაგრამ ამის გამო ისინი არაქართველებად არავის მიუჩნევიან. გალაკტიონი ეთანხმება, იხსნის ალკაზმულობას, სავარძელში ჯდება, თავით ხელს ეყრდნობა და დაახლოებით აკაკი წერეთლის ცნობილი სურათის პოზაში მყოფი პოზირებს. სეანსის დასასრულს ესკიზს დახედავს და იწონებს. მხატვარი შეახსენებს, რომ აკაკის ცნობილ სურათს ჰგავს. ძალიან კარგი, მერე რაო, ეკითხება. იქნებ სხვაგვარად ვცადოთო სთავაზობს ბანძელაძე. გალაკტიონი მაგიდიდან იღებს ფურცელს, მარცხენა ხელს ზურგს უკან იღებს და მხატვარი ხატავს სურათს „გალაკტიონი წიგნს კითხულობს“. სეანსებზე პოეტი სულ ჩქარობს,

სადღაც აგვიანდება, მაგრამ შემდეგ მხატვრის ხატორით მაინც დიდხანს რჩება. ხშირად ნახულობს ნახატს და ავტორს აქებს. ერთხელაც სთხოვს, რომ ორდენი სურათზე მკაფიოდ გამოხატოს. იმის გამო, რომ უჭირს ერთ ადგილზე დგომა, მხატვარი მაგიდაზე სვამს და ფეხქვეშ სვამს შეუდგამს. ერთხელ ამ პოზაში გალაკტიონს ჩაეძინება. მხატვარი მშვიდად აგრძელებს მუშაობას, ვიდრე ოთახში შესული რედაქციის თანამშრომელი შემთხვევით თუნუქის ფირფიტაზე არ დადგამს ფეხს და მისი ხმაურით აღვიძებს.

➤ 12142

1952

**ნოემბრამდე**

ეცნობა გიორგი სალუქვაძის წიგნს „თოვლის ზვავები კავკასიონზე“. დასასრულს წერს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სალიტერატურო წრე ნოემბერში აწყობს სახალხო პოეტისა და მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის – გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ დიდ გამოფენას სათაურით „საბჭოთა საქართველო სახალხო მგოსნის – გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“. ამ წრემ შეარჩია პოეტის შემოქმედების საუკეთესოდ მცოდნე 5 პირი და მათ მიანდო გამოფენისთვის ტექსტების შერჩევა.

➤ 12143

## ნოემბერი

1952

**5 ნოემბერი**

გიორგი აბზიანიძე ჰპირდება, რომ ერთი წლის შემდეგ შეუდგება მასზე მონოგრაფიის წერას.

➤ 12144

1952

**7 ნოემბრამდე**

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ათვალიერებს ალექსანდრე ბანძელაძის მიერ დახატულ თავის პორტრეტს და კმაყოფილია.

➤ 12145

1952

**7 ნოემბერი**

ესწრება საშვიდნოემბრო დემონსტრაციას, რომელზეც აქტიურობენ და ადმინისტრაციულ ნიჭს ამჟღავნებენ ნიკოლოზ ჩაჩავა და იოსებ ნონეშვილი. შორიდან ხედავს პოლიო აბრამიას და უნდა ჰკითხოს, როგორი ადამიანია ვანო წულუკიძე, მაგრამ ვერ ახერხებს მისვლას.

➤ 12146

1952

**7 ნოემბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ოქტომბრის სიმღერა“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12147

1952

**7 ნოემბრის შემდეგ**

დღიურში იხსენებს მწერალთა კავშირში გამართულ საპასუხისმგებლო სხდომაზე როგორ შეუტია ირაკლი აბაშიძემ, ღვინის სმის მეტს არაფერს აკეთებო და როგორ დაეთანხმა გრიგოლ ჩიქოვანი, ეს ხომ ყველამ იცისო.

➤ 12148

1952

## **8 ნოემბერი ან ადრე**

გრიგოლ აბაშიძე ეუბნება, რომ ჟურნალში „დროშა“ გამოსაქვეყნებლად ამზადებს ალექსანდრე (შურა) ბანძელაძის მიერ დახატულ მის პორტრეტს.

➤ 12149

1952

## **8 ნოემბერი**

დღიურში წერს, რომ ნიკოლოზ ჩაჩავამ ჟურნალისთვის „დროშა“ მუზეუმიდან გადაახატვინა ალექსანდრე ბანძელაძის მიერ დახატული მისი პორტრეტი, რომელიც მამია დუდუჩავას და სხვებს არ მოეწონათ.

➤ 12150

1952

## **8 ნოემბერი**

მოსვენებას არ აძლევს ირაკლი აბაშიძის მიერ „ზარია ვოსტოკასა“ და „მნათობის“ რედაქციებში მისთვის მოწყობილი ინტრიგები. ვარაუდობს, რომ აბაშიძე ლამობს გალაკტიონის საიუბილეო საღამოსა და მისი დიდი ერთგომეულის გამოცემის ჩაშლას და არც მალავს მის მიმართ მტრულ განწყობილებას. გალაკტიონი წუხს, რომ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში მხარდამჭერი არავინ ჰყავს.

➤ 12151

1952

## **8 ნოემბერი**

ტელეფონით ურეკავს ირაკლი აბაშიძეს, მაგრამ არავინ პასუხობს.

➤ 12152

1952

## **8 ნოემბერი**

იხსენებს ქუთაისის თეატრში 1911 წლის 5 ოქტომბერს ალექსანდრე აბაშელის თაოსნობით გამართულ სალიტერატურო საღამოს, იხსენებს, როგორ მოეწონა აკაკი წერეთელს მისი მელოდიური კითხვა. სატირულად აღწერს, როგორ დაიცალა დარბაზი და აკაკი წერეთელი როგორ იცდიდა, სანამ აბაშელმა ჰონორარი არ მისცა.

➤ 12153

1952

## **8 ნოემბერი**

იხსენებს, რომ ალექსანდრე აბაშელმა 1912 წელს „ჟულიკურად“ მიიღო გაზეთ „თემის“ მიერ დაარსებული პრემია, რომელიც, წესით, მას ეკუთვნოდა და ასევე „ჟულიკურად“ დატოვა განზე გალაკტიონი 1944 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჰიმნის შექმნის დროს, არადა დიმიტრი თომაშვილმა ძალიან გაიკვირვა, რომ ეს ჰიმნი გალაკტიონს არ დააწერინეს.

➤ 12154

1952

## **8 ნოემბერი ან შემდეგ**

დღიურში წერს, რომ მასწავლებელთა სახლში ლიტერატურული წრის ხელმძღვანელ სავლე აბულაძეს მტრობენ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრები. თავადაც ნანობს, რომ რამდენჯერმე შეიყვანა შეცდომაში და სიტუაციის გამოსწორება უნდა.

➤ 12155

1952

### 8 ნოემბერი და შემდეგ

უბის წიგნაკში ჩამოწერს მწერალთა კავშირის იმ წევრთა სახელებს, გვარებსა და ტელეფონის ნომრებს, რომლებიც არ უწყობენ ხელს მისი იუბილეს გამართვას, ან დუმან და ან ეწინააღმდეგებიან.

➤ 12156

1952

### 11 ნოემბერი

ვინმე ერმოკრატი თალაკვაძე უძღვნის ლექსს სახელწოდებით „გალაკტიონს“.

➤ 12157

1952

### ნოემბრის პირველი ნახევარი

ხაშურის მასწავლებლის სახლის გამგეობა აპირებს გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრის მოწყობას და ატყობინებენ ამის შესახებ.

➤ 12158

1952

### ნოემბრის პირველი ნახევარი

ხაშურის მასწავლებლის სახლს უგზავნის დეპეშას, რომ 15 ნოემბერს დილით ჩავა ხაშურში.

➤ 12159

1952

### 15 ნოემბერი

ჩადის ხაშურში და მიდის მასწავლებლის სახლში, სადაც ხვდება ამ ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ზოია ჩიქოვანი და აჩვენებს გალაკტიონთან 16 ნოემბრისთვის დაგეგმილი შეხვედრის მოსაწვევს. გალაკტიონი ხედავს, რომ ზოიას მაგიდაზე დადებული შუშის ქვეშ აქვს ნიკოლაი გოგოლის 100 წლისთავის საიუბილეო და იოსებ ნონეშვილის საღამოს მოსაწვევეებიც და ხვდება, რომ ნონეშვილისთვის უკეთესი მოსაწვევი დაუმზადებიათ. ნონეშვილის პოეზიაში სახელი „ზოიას“ სიჭარბე. მას აქვს ლექსი ზოია კონსტანტინიანიანსკაიაზე, პოემა ზოია რუხაძეზე და ფიქრში გაუვლის, ზოია ჩიქოვანითაც ხომ არ არის დაინტერესებული.

➤ 12160

1952

### 15-16 ნოემბერი

ხაშურში ქარიანი ამინდია, სასტუმრო ძალზე ჭუჭყიანია, სტალინის პორტრეტიც კი დამტვერილია. მასწავლებლის სახლის გამგეობის თავმჯდომარის მაგიდაზე არცერთ სამელნეში მელანი არ არის და გალაკტიონი უკმაყოფილო რჩება ზოია ჩიქოვანის დახვედრით.

➤ 12161

1952

### 15-16 ნოემბერი

ხაშურის მასწავლებლის სახლის გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში ერთი მასწავლებელი ეუბნება, რომ ძალიან აინტერესებს მისი ადრეული ლექსები, მაგრამ ვერ შოულობს.

➤ 12162

1952

### 16 ნოემბერი

საღამოს 7 საათზე ხაშურის რკინიგზის სასახლეში იმართება შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან. შეხვედრის დასასრულს ხაშურელი პედაგოგები ფოტოს იღებენ პოეტთან.

➤ 12163

1952

### 17 ნოემბერი

განცხადებით მიმართავს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმს მისთვის შემოქმედებითი მივლინების მიცემის თაობაზე. სხდომის გადაწყვეტილებით საქართველოს რაიონებში ახალი ნაწარმოებებისათვის მასალების შესაკრებად მივლინება ეძლევა სამი თვით. დღიურ თანხად უწესებენ 50 მანეთს.

➤ 12164

1952

### 17 ნოემბრის შემდეგ

მწერალთა კავშირის სახელით წერს მიმართვის ტექსტს, რომლის თანახმადაც, მწერალთა კავშირი შუამდგომლობას აღძრავს გალაკტიონ ტაბიძის დაბადებიდან 60 და სალიტერატურო მოღვაწეობიდან 45 წლის შესრულებასთან დაკავშირებით, რათა გამოიცეს პოეტის რჩეული თხზულებანი, რომელიც მომზადდება უკვე გამოცემულ თხზულებათა შვიდი ტომის, პრესაში დაბეჭდილი ლექსებისა და გამოუქვეყნებელი მასალების საფუძველზე. წიგნი შედგენილი იქნება ქრონოლოგიური პრინციპით, დაერთდება წინასიტყვაობა და კომენტარები. წიგნის პროექტი და მაკეტი სახელმწიფო გამომცემლობას წარედგინება ავტორის მიერ.

➤ 12165

1952

### 19 ნოემბერი

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორს ერასტი წივწივადეს. აღნიშნავს, რომ რევაზ ორჯონიკიძესთან ერთად მის მიერ გამომცემლობაში წარდგენილი წიგნი მის ყველა ადრეულ გამოცემაზე სრულია. მიუხედავად ამისა, მასში არ არის შეტანილი ისეთი ლექსები, რომლებიც დაარღვევდა წიგნის მთლიანობას და ისტორიულ კოლორიტს. წიგნი დაყოფილია ხუთ ქრონოლოგიურ ნაწილად: 1908–1917, 1917–1933, 1933–1941, 1941–1945, 1945–1950. წიგნის ასეთი სტრუქტურა უკეთ წარმოაჩენს პოეტის შემოქმედებით ევოლუციას არა მხოლოდ მეცნიერებისთვის, არამედ ფართო მკითხველისთვის. პოეტი ითხოვს, ნება დართონ, პირადად ადევნოს თვალყური რჩეული ნაწერების კორექტურასა და ბეჭდვას.

➤ 12166

1952

### 20 ნოემბერი

ესწრება კონცერტს, რომელზეც სრულდება კომპოზიტორ ოლღა ბარამიშვილის მიერ მის ლექსზე დაწერილი კანტატა „ხალხთა ბედნიერება – მშვიდობა“. გეგმავს კონსერვატორიაში გადააწერინოს კანტატის მუსიკალური ტექსტი, რათა შემდეგ შეძლოს მისი გამოყენება გამოფენაზე.

➤ 12167

1952

### 23 ნოემბერი

რუსთაველის გამზირზე წიგნის მაღაზიაში იძენს ალიო მირცხულავა-მაშაშვილის რჩეული ლექსების კრებულს „სამშობლო ბელადი“. გამყიდველი მაღლობას ეუბნება, რომ ერთადერთი ადამიანია, რომელმაც ეს წიგნი შეიძინა. ამის გამგონე კიდევ რამდენიმე ადამიანი ყიდულობს წიგნს და გამყიდველი მათაც ემადლიერება.

➤ 12168

1952

### 25 ნოემბერი

მწერალთა კლუბში ესწრება ჟურნალის „მნათობი“ რედაქციის მიერ მოწვეულ თათბირს, რომელიც სალიტერატურო კრიტიკის საკითხებს ეხება და დაგეგმილი 8 საათის ნაცვლად 9-ზე იწყება.

➤ 12169

1952

### 27 ნოემბრამდე

წერს ლექსს „მარიკა ბარათაშვილს“ და ადრესატს ურეკავს იმის სათქმელად, რომ ლექსი მიუძღვნა. მარიკა მორიდების გამო ვერ ეუბნება, რომ ლექსი მიაწოდოს და ჰპირდება, რომ მის წამოსაღებად შვილს გაგზავნის, მაგრამ ვერ ახერხებს.

➤ 12170

1952

### 27 ნოემბრის შემდეგ

მწერალთა კავშირის სხდომაზე საუბარი ეხება რუსული ლიტერატურის გავლენას ქართულზე. ზოგიერთი მწერალი გადამეტებულად აფასებს ამ გავლენას. ამით გაღიზიანებული გალაკტიონი ადის ტრიბუნაზე და ამბობს, ამასწინათ „იზვესტიაში“ წავიკითხე, რომ ერთი რუსი დრამატურგი წერს კომედიას „ალაზნის ველი“. აბა რა არის საკომედიო ალაზნის ველზე. იმით გაღიზიანებული გალაკტიონი, რომ ბოლო ხანებში რუსული ლიტერატურის თარგმნას უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ეროვნულ მწერლობას, გამოსვლის ბოლოს ჩაილაპარაკებს, მარტო „პუშკინი-მუშკინი და „გოგოლი-მოგოლი“ რას გვიშველისო.

➤ 12171

1952

### 27 ნოემბრის შემდეგ

ცენტრალურ კომიტეტში აკაკი მგელაძესთან მიდის კარლო კალაძე და უყვება, როგორ გააშარჟა გალაკტიონმა რუსი მწერლის, ნიკოლაი გოგოლის გვარი. ამ ფაქტთან დაკავშირებით სხვა მწერლებსაც აწერინებენ ახსნა-განმარტებას და ისინი კალაძის სიტყვებს ადასტურებენ. ცეკას მდივანს ურჩევენ, რომ პირადად გაესაუბროს პოეტს. ისიც იბარებს გალაკტიონს და ეკითხება თქვენ გითქვამთ, გოგოლი-მოგოლიო. გალაკტიონი მოსწრებულად შენიშნავს, მაგას როგორ ვიტყვოდი ეს ხომ იგივეა მეთქვას „აკაკი-ბაკაკი“, ან უფრო უარესი „გალაკტიონი-მალაკტიონიო“ და ენერგიულად იწყებს საუბარს მის მიერ მომზადებული ახალი ტომის შესახებ. აკაკი მგელაძეს აზნვეს პოეტის ირონია, საუბრის მიმართულებას ცვლის და ეკითხება, ხომ არაფერი გჭირდებათ, რით დაგეხმაროთო. პოეტი წიგნის გამოცემაში დახმარებას სთხოვს და თან შესჩივლებს, იუბილე უნდა მომიწყონ და კოსტიუმი არ მაქვსო. ცეკას მდივანი ვეღარ ახერხებს საუბრის სხვა თემაზე გადატანას. კოსტიუმის ორდერს უწერენ და დიდი პატივით ისტუმრებენ.

➤ 12172

1952

### 27 ნოემბრის შემდეგ

ნასვამია, გადაწყვეტს თავის დახრჩობას და ვერის ხიდიდან ვარდება მტკვარში. გადაარჩენენ და საავადმყოფოში ათავსებენ.

➤ 12173

1952

### 27 ნოემბრის შემდეგ

ნასვამი შეივლის „ალექსანდროვის“ ბაღში. ჯდება უცნობი ახალგაზრდის გვერდით და საუბარს უბამს. ამბობს, რომ სიცოცხლე აღარ ღირს, რადგან ადამიანებს ვერსად გაექცევი, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გზვერავენ და რაც უფრო იძირები მორევში, მით უფრო მრავლდება დაინტერესებული თვალი. ამბობს, რომ რამდენიმე დღის წინ ახალგაზრდებმა გამოიყვანეს მდინარიდან. მდინარეში იმიტომ შევიდა, რომ იგი თითქოს თავისკენ ეძახდა. ახალგაზრდის შეკითხვაზე, რატომ იკლავდა თავს, პასუხობს: იმიტომ, რომ სიცოცხლე აღარ ღირს და უკვე მიაღწია ზღუდეს, რომლის იქითაც მხოლოდ ადგილს ტკეპნის. ამ სიტყვების თქმაზე ცრემლები მოსდის.

➤ 12174

1952

### 27 ნოემბრის შემდეგ

მაჩაბლის ქუჩაზე ხვდება მარიკა ბარათაშვილს. მარიკა მისდამი მიძღვნილი ლექსის შეპირებულ ავტოგრაფზე ჩამოუგდება სიტყვას, მაგრამ გალაკტიონს საუბარი სხვა თემაზე გადააქვს. მარიკა ფიქრობს, რომ პოეტმა ლექსი დაეკარგა და გული სწყდება, რომ შვილი დროულად არ გააგზავნა პოეტთან ხელნაწერის წამოსადებად.

➤ 12175

1952

### ნოემბერი

თბილისში იხსნება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. დირექტორი შალვა ამირანაშვილი წუხს, რომ ექსპოზიციაში გალაკტიონის სურათი არ აქვთ და ალექსანდრე ბანძელაძე გადასცემს მის მიერ შექმნილ პორტრეტს. მუზეუმში მისულ გალაკტიონს თავადაც სიამოვნებს საკუთარი პორტრეტის ნახვა.

➤ 12176

## დეკემბერი

1952

### დეკემბრამდე

ვერის ხიდის მშენებლობის დროს ჯანსუღ ჩარკვიანი ოთარ ჭილაძესთან და გივი სამსონაძესთან ერთად არაყს სვამს. მიდის გალაკტიონი, რომელიც 150 გრამ არაყს უკვეთავს დახლიდარს. იგი ჯერ ორ ყლუპს მოსვამს, პირში გამოივლებს და გადმოაქცევს. დარჩენილს წვერებში შეიზელს და გაცეცხლულ ჯანსუღს ეუბნება, რომ უნდა, ზემელზე გავლისას არყით აქოთებული გამვლელებს მთვრალი ეგონოთ.

➤ 12177

1952

### 4 დეკემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ნეკროლოგი „რაჟდენ გვეტაძის ხსოვნას“, რომელსაც სხვა მწერლებთან ერთად აქვს გალაკტიონ ტაბიძის ხელმოწერაც.

➤ 12178

1952

### 5 დეკემბრამდე

დღიურში იწერს პოლიო ირეთელის ორ მონათხრობს იაკობ გოგებაშვილის შესახებ. ერთში აღწერილია, როგორ ხშირად ცივდებოდა სიცოცხლის ბოლო წლებში და სახლში საბანძოხურული იჯდა ხოლმე. მეორე მოგონების მიხედვით, იაკობს ვახშამი გაუმართეს ქართულ კლუბში, სულ ცოტა ღვინო დალია და იქვე ჩაეძინა. დილისკენ ხელში აყვანილი წაიყვანეს სახლში.

➤ 12179

1952

## 5 დეკემბრამდე

დღიურში იწერს ვალერიან გუნიას მონათხრობს, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დღეს როგორ გადაუკეტა პროცესიას გზა პოლიციამ და ჯარმა. ისინი მოითხოვდნენ, რომ სხვა, ვიქრო ქუჩაზე გადასულიყვნენ, მაგრამ გუნია ინიციატივა თავის თავზე აიღო, გაარღვია კორდონი, წინ გაიჭრა და ხალხიც მიჰყვა.

➤ 12180

1952

## 5 დეკემბერი

წინა დღის გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს რაჟდენ გვეტაძის ნეკროლოგს და ირონიას ვერ ფარავს სიტყვებზე „უმწიკვლო და სპეტაკი“, რადგან თავად გარყვნილ კორუფციონერად იცნობდა გარდაცვლილს.

➤ 12181

1952

## 5 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „დიდი სტალინის კანონი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12182

1952

## 12 დეკემბერი

გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნება“ ქვეყნდება სერგი ჭილაიას წერილი „ნაციონალისტურ ცრურწმენათა ნაშთების შესახებ“, რომელშიც „ნაციონალისტური ხასიათის შეცდომების“ გამო გაკრიტიკებულნი არიან: კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, კოლაუ ნადირაძე, გალაკტიონ ტაბიძე, ირაკლი აბაშიძე და სხვ. წერილის ავტორი შემფოთებულია იმის გამო, რომ ქართველ პოეტებს თავიანთი წიგნების ახალ გამოცემებში კვლავ შეაქვთ რევოლუციამდე დაწერილი ისეთი ლექსები, რომლებიც აშკარა ნაციონალისტურ განწყობილებებს გამოხატავენ. სერგი ჭილაიას ასეთ ნაწარმოებად მიაჩნია გალაკტიონ ტაბიძის „ეფემერა“, კერძოდ ლექსის ტაეპები: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“. ამ სიტყვებში, კრიტიკოსის აზრით, პოეტი შეფარვით ქადაგებს ნაციონალურ შეზღუდულობას და გამოყენებული აქვს რაღაც მისტიკური გაგება „ქართული სისხლისა“. გალაკტიონის ამგვარ განწყობათა სათავეს ჭილაია ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში ხედავს. როგორც კრიტიკოსი აღნიშნავს, მართალია, ეს ლექსი დიდი ხნის წინაა დაწერილი, მაგრამ პოეტი მაინც საყვედურის ღირსია, რადგან ეს ნაწარმოები შეიტანა თავისი რჩეული თხზულებების 1944 წლის გამოცემაში. სერგი ჭილაია იმასაც მიუთითებს, რომ ნაციონალისტური და დეკადენტური მოტივები უცხო არ არის გალაკტიონის უკანასკნელი პერიოდის პოეზიისთვისაც და ამის დასტურია თხზულებათა მეშვიდე ტომი. წერილის ბოლოს კრიტიკოსი აზუსტებს, რომ მის მიერ მოხმობილი მაგალითები მაინც ცალკეული შეცდომებია და არ უნდა ავურიოთ იმ შეცდომებში, რომლებიც გვხვდება ზოგიერთი სხვა მწერლის შემოქმედებაში.

➤ 12183

1952

## 14 დეკემბერი ან შემდეგ

ანდრო თევზაძე მოკლე ბარათით შეახსენებს, რომ დაპირდა ლექსის მიწოდებას მისი ალმანახისთვის.

➤ 12184

1953

## 15 დეკემბერი



წერს უსათაურო ლექსს „შეხედე რა ცაა, ააა ააა...“.  
12185

**1952**

**21 დეკემბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სტალინი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12186

**1952**

**5 -31 დეკემბერი**

წერს ლექს-მოგონებას „ვის მხარეზეა ხალხი“.

➤ 12187

**1952**

**31 დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „ამხ. რედაქტორი საეჭვო წყაროს...“.

➤ 12188

**1952**

**დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „გამოდიხარ სცენაზე...“.

➤ 12189

**1951-1952**

რუსულ ენაზე ავსებს 1949-1951 წლების შემოქმედებითი ანგარიშის ანკეტას.

➤ 12190

**1952**

ჭომისკენ მიმავალ გზაზე მდებარე იმ წყაროს, რომლის კეთილმოწყობაც სთხოვა გალაკტიონმა ინჟინერ ვლადიმერ ჯიქიას, ქუთაისელები გალაკტიონის წყაროს არქმევენ.

➤ 12191

**1952**

რუსთაველზე სეირნობისას ხვდებიან გრიგოლ მესხი და ჯენეტო ჭანტურაია. გალაკტიონი გრიგოლს ახსენებს ქუთაისის ამბებს და ხმამაღლა იცინის. შემდეგ ჭანტურაიას უყვება, რომ როდესაც გრიგოლი მის პირველ პორტრეტს ხატავდა, გალაკტიონს გაცრეცილი პიჯაკი ეცვა და მხატვარმა საკუთარი მოსასხამი ჩააცვა.

➤ 12192

**1952**

პოეტი გიო კანაშვილი „გ. კანანელის“ ფსევდონიმით უძღვნის ლექსს „სახსოვრათ ამხ. – გ. ტაბიძეს“.

➤ 12193

**1952**

წერს უსათაურო ლექსს „შეხედე: ხარობს მხარე ბრწყინვალე...“.

➤ 12194

**1952 ან შემდეგ**

დავთარში იწერს მისადმი მიძღვნილი ლექსებისა და პუბლიკაციების სიას წლების მითითებით.  
➤ 12195

### 1952 ან შემდეგ

კითხულობს ნიკო ბერძენიშვილის, ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას წიგნის „საქართველოს ისტორია“ რუსულ თარგმანს, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. უკანა ფორზაცზე წერს, რომ ვანის შესახებ ინფორმაცია მოთავსებულია 37-ე გვერდზე. ჩამოთვლის მისთვის საჭირო საკუთარი პორტრეტების სიას ქრონოლოგიურად: 1905-1907 წლების არ აქვს და უნდა შეიქმნას, 1908-1912 – სემინარიის პორტრეტი, ის და ბადრიაშვილი, 1913-1914 – პირველ წიგნში გამოქვეყნებული პორტრეტი, 1915-1917 – წიგნის პორტრეტი აბესალომთან ერთად, 1918-1921 – წიგნის პორტრეტი გიორგი ქუჩიშვილთან ერთად, 1921-1925 – II ტომიდან, 1926-1930 – III ტომიდან, 1931-1940 – ორნამენტიანი პორტრეტი, 1941-1945 – IV ტომიდან, 1946-1949 – V ტომიდან.

➤ 12196

### 1952 შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „მე არავისგან ჯილდოს არ ველი...“.

➤ 12197

\* \* \*

### 1953

#### 1 იანვრამდე

გეგმავს მოაწყოს დოკუმენტური გამოფენა „1917 წ. „დროშები ჩქარა!““. ფიქრობს, რომ ეს გამოფენა დაადასტურებს ბესარიონ ჟღენტისა და შალვა რადიანის მოსაზრების სიმკდარეს, რომლის თანახმადაც საბჭოთა მწერლობის ისტორია იწყება „პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის დაარსებიდან“. გალაკტიონი მიუთითებს, რომ ამ ასოციაციის დაარსებამდეც არსებობდა ქართული საბჭოთა პოეზია. ასოციაცია 1922 წელს დაფუძნდა, მაგრამ მალევე დაიშალა. ფიქრობს, რომ ასევე სწორად უნდა გაშუქდეს ჟურნალ „მნათობის“ ისტორია. თავდაპირველად „მნათობის“ სარედაქციო მუშაობას სანდრო ეული წარმართავდა, მაგრამ იგი არადაამაკმაყოფილებელი შედეგების გამო მალე ჩამოაშორეს ჟურნალს. გალაკტიონის თქმით, „მნათობის“ საქმე მას შემდეგ გამოსწორდა, რაც მას იდეურად სათავეში ჩაუდგნენ თავად ის, პოლიკარპე კაკაბაძე და ივანე იოსელიანი. აღნიშნავს, რომ ჟურნალის მეორე ნომერში დაიბეჭდა მისი ლექსი „მღვრიე ქარი“.

➤ 12198

### 1953

#### 1 იანვრამდე

აკეთებს ჩანაწერს მთავარი სააფთიაქო სამმართველოს შესახებ. აღნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციამ ძალით დაიკავა ჟორესის ქუჩაზე არსებული იმ სახლის სარდაფები, რომელიც ჩაფიქრებული იყო მწერალთა საცხოვრისად. ფიქრობს, რომ მწერლებს აუცილებლად ესაჭიროებათ სარდაფები, მათ შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი კლუბიც, რისი გაკეთებაც შეუძლებელია, სანამ სარდაფი სააფთიაქო სამმართველოს აქვს დაკავებული

➤ 12199

### 1953

#### 1 იანვრამდე

ინიშნავს 1953 წლის იანვარში მოსალოდნელ საიუბილეო თარიღებს.

➤ 12200

1953

ი ა ნ ვ ა რ ი

1953

## 1 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი“ იბეჭდება ლექსი „ჰიმნი მშვიდობას“ („შეხედე: ხარობს მხარე ბრწყინვალე...“).

➤ 12201

1953

## 1 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მზე ჩვენთვის ანათებს“ თარგმანი.

➤ 12202

1953

## 1 იანვარი

რუსულ გაზეთში „მოლოდინი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სახალწლო სიმღერა“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12203

1953

## 1 იანვარი

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აზხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ახალი წელი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12204

1953

## 23 იანვრის შემდეგ

მოსკოვიდან იღებს იგორ პოსტუპალსკის წერილს. აცნობებს, რომ სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის გეგმაში შეტანილია მისი ერთტომეული. გამომცემლობის რედაქტორი ალბათ ისევ იქნება სოფიო ხითაროვა, გარეშე რედაქტორი კი ჯერ არ არის შერჩეული. სწერს, რომ დიდი სურვილი აქვს, იყოს ამ წიგნის რედაქტორი. მართალია წინა წიგნის რედაქტირების დროს გარკვეულმა გარემოებებმა შეუშალა ხელი, მაგრამ ამჯერად შესაძლებელი იქნება ბევრი რამის უკეთ გაკეთება: პოემებისა და ლექსების დამატება, ზოგიერთი ცუდი თარგმანის შეცვლა უკეთესით, ზოგიერთ თარგმანში ადგილების ჩასწორება და ახალი მთარგმნელების, მაგალითად, ანა ახმატოვასა და ნიკოლაი ზაბოლოცკის ჩართვა საქმეში. სთხოვს, რომ თუ თანახმაა, თავისი წიგნის რედაქტორობა მას მიანდოს, აუცილებლად უნდა მისწეროს ამის შესახებ გამომცემლობის დირექტორ ანატოლი კოტოვს და ალექსანდრა რიაბინინას. იქვე უწერს ტექსტს, რომლითაც უნდა დაასაბუთოს ამ რედაქტორის არჩევანი, მაგრამ თუ გალაკტიონს რედაქტორად ვინმე სხვა უნდა, ამის შესახებაც აუცილებლად საჩქაროდ უნდა მისწეროს იმავე პირებს, რომ ვინმე უნიციატოვო რედაქტორის ხელში არ მოხვდეს. ასევე უნდა ჩაწეროს, რომ წიგნის მოცულობა უნდა იყოს 10 ან 12 ათასი სტრიქონი. წერილს ამთავრებს იმით, რომ მისი რედაქტორობის შემთხვევაში ხელშეკრულების თანახმად შეეძლება ელიზბარ ანანიაშვილის მიერ „ზარია ვოსტოკასთვის“ გაკეთებული არაჩვეულებრივი თარგმანების გამოყენება.

➤ 12205

1953

## 31 იანვარი

სტუმრობენ რუსი მხატვრები ევგენია სოლონჩენკო და ალექსანდრ მოროზოვი, რომლებიც ჰპირდებიან, რომ დახატავენ მის სურათს რუსულ ენაზე გამოსაცემი ლექსების კრებულისათვის.

➤ 12206

1953

**31 იანვარი**

განცხადებით მიმართავს სახელგამის დირექციას. წერს, რომ თავისი რუსული წიგნის მანქანაზე გადაბეჭდვის ხარჯებს გაიღებს წიგნის ჰონორარიდან.

➤ 12207

**თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი**

1953

**1 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სტალინგრადი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12208

1953

**2 თებერვლამდე**

მოსკოვიდან იღებს ცნობას, რომ „მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის“ გეგმაში შეტანილია მისი წიგნის გამოცემა და რედაქტორობა სურს იგორ პოსტუპალსკის.

➤ 12209

1953

**2 თებერვლამდე**

სტუმრობს მთარგმნელი გიორგი ცაგარელი, რომელსაც გალაკტიონი ავალეებს, რომ მისი სახელით გაგზავნოს წერილი მოსკოვში და თანხმობა განაცხადოს მისი წიგნის რედაქტორად იგორ პოსტუპალსკის დანიშვნაზე.

➤ 12210

1953

**2 თებერვალი**

გალაკტიონის თხოვნით გიორგი ცაგარელი მოსკოვში, „მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობაში“ აგზავნის წერილს, რომ გალაკტიონ ტაბიძე თანახმაა მისი რუსულენოვანი კრებულის რედაქტორად დაინიშნოს იგორ პოსტუპალსკი.

➤ 12211

1953

**3 თებერვლამდე**

ფურცელზე ინიშნავს, რომ 3 თებერვალს უნდა ესტუმროს ელიზბარ ანანიაშვილი.

➤ 12212

1953

**3 თებერვლამდე**

მოქანდაკე ბორის შებუევი ამზადებს გალაკტიონის ბარელიეფს.

➤ 12213

1953

**3 თებერვლამდე**

ფურცელზე ინიშნავს, შეატყობინოს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ ხელმძღვანელს მარკ ზლატკინს, რომ თავიდან იწყებს მასალების გადაბეჭდვას.

➤ 12214

1953

**3 თებერვლამდე**

გეგმავს დაწეროს განცხადება კულტურის მინისტრ ავთანდილ გუნიას სახელზე, რომ საკუთარ თავზე იღებს წიგნის მასალების საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდვის ხარჯებს.

➤ 12215

**1953**

**5 თებერვალი**

თბილისში კალინინის რაიონის მმჩის ბიუროში ქორწინდება ნინა სიმონის ასულ კვირიკაძეზე.

➤ 12216

**1953**

**7 თებერვალი**

პოემების ბეჭდვასთან დაკავშირებით ესაუბრება სიმონ წვერავას და ჰპირდება, რომ კვირანახევარში დამატებით წარუდგენს ტექსტებს: „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“, „პაციფიზმი“, „ბავშვები ყიდდენ პაპიროსებს“, „ოცნება სოხუმჰესთან“ და პოემას კოლექტივიზაციის პირველი დღეების შესახებ.

➤ 12217

**1953**

**8 თებერვლამდე**

ასწორებს ლექსს „ოცნება სოხუმჰესთან“, რომლის დაბეჭდვაც განზრახული აქვს გაზეთის „ლიტერატურა და ხელოვნება“ მეორე ნომერში.

➤ 12218

**1953**

**8 თებერვალი**

ფურცელზე ინიშნავს, რომ 9 თებერვალს ელიზბარ ანანიაშვილი გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკა“ დასაბეჭდად წარადგენს მისი „რჩეული ლექსების“ წიგნს.

➤ 12219

**1953**

**11 თებერვლამდე**

ფურცელზე ინიშნავს, რომ ამირან გაბესკირია თანახმაა იყოს მისი წიგნის რედაქტორი „საბჭოთა ლიტერატურის გამომცემლობაში“.

➤ 12220

**1953**

**11 თებერვლამდე**

ფურცელზე ინიშნავს, რომ მოქანდაკე ბორის შებუევი მზადაა გადასცეს მისი ბარელიეფის ფოტო წიგნში დასაბეჭდად.

➤ 12221

**1953**

**11 თებერვალი**

ფურცელზე ინიშნავს, რომ 12 თებერვალს უნდა შეხვდეს ამირან გაბესკირიას.

➤ 12222

**1953**

**13 თებერვალი**

„ლიტერატურული გაზეთი“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს „იდიდე სამშობლოვ“ და „უკვდავი არის“.

➤ 12223

1953

**13 თებერვლის შემდეგ**

მწერალთა სასახლის წინ მდგომ უცნობ ახალგაზრდას – პოეტ თეიმურაზ ჯანგულაშვილს ეკითხება, შემთხვევით ლექსებს ხომ არ წერო და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ აქებს, ჩვენში ბევრი წერს ლექსებს, მიუხედავად იმისა, რომ ქართული რიგიანად არ იციან, ლექსის წერა კი ძალზე ძნელიაო.

➤ 12224

1953

**24 თებერვალი**

სერგი ჭილაია გალაკტიონ ტაბიძის შესახებ დაწერილ სტატიას, შეთანხმებისამებრ, უგზავნის რუსული ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ რედაქტორ ვიქტორ გოლცევს.

➤ 12225

1953

**24 თებერვლის შემდეგ**

ჟურნალში „დროშა“ იბეჭდება მხატვრის ალექსანდრე ბანძელაძის შესრულებული „გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი“.

➤ 12226

1953

**25 თებერვალი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „საბჭოთა საქართველოს“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12227

1953

**25 თებერვალი**

გაზეთში „გამარჯვების დროშა“ სათაურით „ჩემი ქვეყანა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის ფრაგმენტის ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12228

**მ ა რ ტ ი**

1953

**9 მარტი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მისი ხელით ანთებული ცეცხლი ბრიალებს“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12229

1953

**9 მარტის შემდეგ**

ადგენს საკუთარ ლექსებისა და წიგნების თემებზე შექმნილი სურათებისა და პლაკატების სიას.

➤ 12230

1953

**13 მარტი**

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აზხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მისი ხელით ანთებული ცეცხლი ბრიალებს“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12231

**1953**

**16 მარტამდე**

ხელნაწერში ეცნობა ისიდორე რამიშვილის წიგნს „წიწამურის ტრაგედია“ და დღიურში აკეთებს დასკვნის მონახაზს. დადებითად აფასებს ნაშრომს და აღნიშნავს, რომ ასეთი გამოკვლევების გამოცემა სადღეისოდ აუცილებელია.

➤ 12232

**1953**

**16 მარტი**

მინდობილობას უწერს კოტე ალავერდოვს, რომ მის ნაცვლად აიღოს მარტის პირველი ნახევრის კუთვნილი ხელფასი.

➤ 12233

**1953**

**23 მარტის შემდეგ**

იგებს, რომ 23 მარტს კიევში ჩატარებულ ქართული საბჭოთა ლიტერატურის სადამოხე მიკოლა ბაჟანმა თანამედროვე ქართულ ლიტერატურის ისტორიაზე საუბარი გალაკტიონის შემოქმედებით დაიწყო და ფიქრობს, რომ ეს გამარჯვებაა.

➤ 12234

**1953**

**28 მარტამდე**

სამკურნალო კომბინატში ყოფნისას ისიდორე ოდიშვილი გადასცემს თავის ხელნაწერს წიგნისა „წიწამურის ტრაგედია“.

➤ 12235

**1953**

**28 მარტი**

გულდასმით კითხულობს ისიდორე ოდიშვილის წიგნს „წიწამურის ტრაგედია“, მიიჩნევს, რომ ის დიდი ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომია და წერს, რომ იზიარებს ვერიკო ანჯაფარიძის მოსაზრებას ამ წიგნის გამოცემის აუცილებლობასთან დაკავშირებით.

➤ 12236

**1953**

**28 მარტის შემდეგ**

ეცნობა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებას ამნისტიის შესახებ, რაც ითვალისწინებდა იმ პირთა გათავისუფლებას, რომელთაც პატიმრობა მისჯილი ჰქონდათ ხუთ წლამდე ვადით. უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ეს ისტორიული გადაწყვეტილებაა და ხელს შეუწყობს ქვეყნის წინსვლას, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და კულტურული ცნობიერების ამაღლებას.

➤ 12237

**1953**

**29 მარტი ან ადრე**

იმხანად მძიმე ავადმყოფი ფრანგი ჟურნალისტისა და პოლიტიკოსის ივ ფარჟის სანახავად სამკურნალო კომბინატში მიდის საქართველოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე ვლადიმერ ჭიაურელი. სამკურნალოდ ამავე დაწესებულებაში მყოფი გალაკტიონი მასთან შეხვედრისას ინტერესდება თავისი დაბადებიდან 60 წლისთავის აღნიშვნის ამბით და პასუხად იღებს, რომ ეს საკითხი დღის

წესრიგიდან მოხსნილი არ არის. გალაკტიონს ვერ გაუგია, რატომ უნდა ყოფილიყო საკითხი მოხსნილი და ფიქრობს, რომ ამაში ლეონიძის მომხრეთა ხელი ურევია.

➤ 12238

1953

29 მარტი

წერს უსათაურო ლექსს „ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა...“.

➤ 12239

1953

29 მარტი

წერს უსათაურო სტროფს: „წიწამურის ტრაგედია აქ კვლავ ნათლად დგება...“

➤ 12240

1953

29 მარტის შემდეგ

ცდილობს აღიდგინოს 1903-1908 წლებში ქუთაისთან მდებარე რომელიღაც მთიან სოფელში, ქოხში ჩატარებული არალეგალური კრების დეტალები. იხსენებს, რომ რუსულ ენაზე მოხსენების გამკეთებელი ძალიან ჰგავდა იოსებ სტალინს. ცდილობს გადაამოწმოს ამ წლებში სტალინი ქუთაისში იმყოფებოდა თუ არა. მეხსიერებაში აღიდგენს, რომ ამ კრებას მასთან ერთად ესწრებოდნენ: გენადი მიხელიძე, ყიფშიძე, ბარათაშვილი და მახარობლიძე, რომელთაგან ერთ-ერთმა იცოდა გზა და ყველანი მან მიიყვანა.

➤ 12241

## აპრილი

1953

20 აპრილი

გალაკტიონ ტაბიძის კრებული „ლექსები“ საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობის – „საბლიტგამის“ ვიზირებით გადაეცემა წარმოებას და იწყება წიგნის რედაქტირება.

➤ 12242

1953

26 აპრილი

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“, აკეთებს ხაზგასმებსა და ჩანახატს.

➤ 12243

1953

29 აპრილი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „უკვდავება“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12244

1953

29 აპრილის შემდეგ

წერილს იღებს ძმისწულის, ვასილ ტაბიძისგან, რომელიც ექიმად მუშაობს სოფელ წალკაში. წერს, რომ საკმაოდ ცივა და ცდილობენ ლეკურის ცეკვით გათბნენ. ადგილობრივი ბიბლიოთეკა ღარიბია სამედიცინო წიგნებით. აღმოაჩინა, რომ ბევრი საერთო ძირის სიტყვა აქვთ თურქებს და ქართველებს. რამდენიმე ფრაზა უკვე ისწავლა თურქულად და ცდილობს ენის სწავლას. უსურვებს წარმატებებს და მოკითხვას უთვლის ნინო კვირიკაძეს.

➤ 12245

## მაისი



1953

**მაისის დასაწყისი**

თვეზე მეტია წევს სამკურნალო კომბინატში და მწარე ირონიით იგონებს იმ ფაქტს ივ ფარჟის სანახავად მოსული ცეკვას წარმომადგენლისთვის მისართმევად მოსამსახურე ქალმა საფერფლე რომ გამოართვა და ჯერაც არ დაუბრუნებია.

➤ 12246

1953

**3 მაისი**

უბის წიგნაკში წერს, რომ მეოცე საუკუნე წიწამურის ტრაგედიით დაიწყო და ქართულმა მწერლობამ განიცადა ის მთელი თავისი არსებით.

➤ 12247

1953

**3 მაისის შემდეგ**

წერს სატირულ ლექსს ქართული კრიტიკის შესახებ სათაურით „რჩევა ქართველ მწერლებს“, რომელშიც ირონიულად არის მოხსენიებული ბესარიონ ჟღენტი.

➤ 12248

1953

**3 მაისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს სამკურნალო კომბინატის სანიტარი ქალის ნათქვამ ციტატას სალტიკოვ-შჩედრინის ლექსიდან „ორი ანგელოზი“, რომლის მიხედვითაც ყველაფერი, რაც მშვენიერია, წარმავალია.

➤ 12249

1953

**3 მაისის შემდეგ**

დღიურში იწერს, რომ პარკეტის წყლით მორეცხვა არ შეიძლება.

➤ 12250

1953

**3 მაისის შემდეგ**

დღიურში წერს უსათაურო ლექსს „შენ შუბლს იხსნი და სიბნელეს ლეწავ...“ და დაწერის თარიღად უთითებს 1904 წელს.

➤ 12251

1953

**3 მაისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მთელ საქართველოში 4 ათასზე მეტი წიგნთსაცავია და რომ გამოიყოს 10 ადამიანი, რომლებსაც დაევალებოდა მისი შემოქმედების თითო პერიოდის პუბლიკაციების აღწერა, სრული ბიბლიოგრაფია ექნებოდა.

➤ 12252

1953

**3 მაისის შემდეგ**

უბის წიგნაკში იწერს, რომ სჭირდება შირმა საწერ მაგიდასა და წიგნის თაროებს შორის ჩასადგმელად, კარგი რადიო, ზარის შეცვლა და კაბინეტში შეყვანა, კიბე წიგნების თაროებისთვის, მტვერსასრუტი, ყუთი გასაღებებისთვის, სურსათ-სანოვავისა და

მედიკამენტების კარადებისა და სკამების შექმნა, სამგზავრო ჩანთა ან ყუთი, საწოლ ოთახში დენის გაყვანა, სამაგიდო თამაშები (შაში, ნარდი, ბანქო).

➤ 12253

1953

### 3 მაისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ რუსულ ენაზე გამომავალი რჩეულისთვის ბორის შებუევის მიერ დამზადებული ბარელიეფის გამოყენება შეიძლება საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში გამომავალი წიგნისთვისაც და რომ ამ ბარელიეფის საუკეთესო ქალაქდზე დაბეჭდილი რამდენიმე ფოტო დასჭირდება გამოფენისთვის. ფიქრობს, რომ ქუთათელაძეს ან სხვა მხატვარს დაახატვინოს პორტრეტის რამდენიმე ვარიანტი, თუ სერგი ჭილაია მისი რუსულენოვანი რჩეულისთვის წინასიტყვაობის დაწერას ვერ ასწრებს, წიგნი ამის გამო არ უნდა შეყვინდეს. სერგი ჭილაია იმის მტკიცებით, თითქოს გალაკტიონი ვიღაც მწერლების გავლენას განიცდიდა, ამართლებს იმათ, ვინც გალაკტიონის გავლენით წერს. აინტერესებს, ვინ დაავალა ანანიაშვილს ჭილაიასთვის მისი წიგნის წინასიტყვაობის დაწერა და რაზე შეთანხმდნენ ის და ჭილაია მოსკოვში. აპირებს, რომ წიგნში ლექსებსა და ლექსების სტროფებს შორის დიდი თავისუფალი ადგილები იყოს, მზად არის იბრძოლოს საუკეთესო ქალაქდისთვის. აინტერესებს, რატომ არ გადაახედეს მანქანაზე აკრეფილი ტექსტებისთვის, რამდენი ასოთამწყობი მუშაობს ტექსტის აწყობაზე და საქმის დაჩქარებისთვის ქრთამი ხომ არ სჭირდებათ.

➤ 12254

1953

### 3 მაისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ წყნეთის კარ-მიდამოსთვის სჭირდება ღობის გაკეთება ბავშვთა სანატორიუმის მხრიდან, რკინის საწოლები, საზაფხულო საბნები და ზეწრები, აბაზანისა და ელექტროგაყვანილობის მოწესრიგება, პლიტა, დივანი ორი სავარძლით, ფარდები, რადიო, ტელევიზია, დიდი კარადისა და კიოსკის გადატანა, მაგიდების დადგმა ტყეში, ჰამაკები, ხეივნის მოწესრიგება და ხეების დარგვა.

➤ 12255

1953

### 11 მაისის შემდეგ

კითხულობს დიმიტრი გულიას ლექსების რუსულ კრებულს. წიგნის დასასრულს აწერს: „აქ დიმიტრი გულია, / იქ გიორგი გულია, / თუ პირველი კულია“.

➤ 12256

1953

### 17 მაისის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს გრიგოლ ჩიქოვანის სტატიას დავით გაჩეჩილაძის საბავშვო ლექსების შესახებ, აკეთებს ხაზგასმებს და აწერს, რომ დიდაქტიკურ ლექსებში გაკიცხული დაუფიქრებელი საქციელი, გაუგონრობა, ტყუილი და ყოყორობა დამახასიათებელია ფუტურისტებისთვის.

➤ 12257

1953

### 17 მაისის შემდეგ

ჟურნალის „მნათობი“ უკანა გარეკანზე ანგარიშობს ალიო მირცხულავას წიგნის „ენგური“ ნაბეჭდი ფორმებისა და სტრიქონების რაოდენობას.

➤ 12258

**1953**

**21 ივნისი**

აპირებს თანხის გადარიცხვას სოხუმში მშენებარე სახლისათვის.

➤ 12259

**1953**

**21 ივნისი**

დღიურში იწერს, რა მასალებით არის შესავსები ქართული გამოფენა.

➤ 12260

**1953**

**21 ივნისი**

ანტერესებს, მუშაობს თუ არა წიგნის პალატა მის ბიობიბლიოგრაფიაზე.

➤ 12261

**1953**

**21 ივნისი**

უბის წიგნაკში წერს ლექსს „მოდის მოცარტი, მოდის შოპენი...“

➤ 12262

**1953**

**26 ივნისი**

თხოვნით მიმართავს ლიტფონდს, წყნეთში სახლის დასამთავრებლად სესხის სახით გამოუყონ ათი ათასი მანეთი.

➤ 12263

**1953**

**27 ივნისი**

განცხადებით მიმართავს ლიტერატურულ ფონდს. წერს, რომ წყნეთში სახლის მშენებლობის დასასრულებლად სჭირდება მოკლევადიანი სესხი 10 ათასი მანეთის ოდენობით.

➤ 12264

**1953**

**28 ივნისამდე**

ანდრო თევზაძეს გადასცემს განცხადებას, რომლითაც აჭარის სახელმწიფო გამომცემლობას სთხოვს, რომ მომდევნო წლის გეგმაში შეიტანონ 1944 წელს გამოცემული მისი წიგნის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ მეორე ნაწილის გამოცემა.

➤ 12265

**1953**

**28 ივნისი ან შემდეგ**

იღებს ანდრო თევზაძის წერილს. ადრესანტი შესჩივის, რომ ბათუმში ჩასვლამდე დაკარგა გალაკტიონის მიერ თბილისში მისთვის გადაცემული განცხადება. სთხოვს, ხელახლა დაწეროს და ოფიციალურად გაუგზავნოს. აცნობებს, რომ უკვე დაელაპარაკა კოლეგებს და წიგნს აუცილებლად გამოსცემენ. ხოლო მასალის გაგზავნა როდის იქნება საჭირო, მოგვიანებით შეატყობინებს.

➤ 12266

ი ვ ლ ი ს ი

**1953**

**ივლისამდე**

წერილს უგზავნის თბილისის უნივერსიტეტის რექტორ ნიკო კეცხოველს. შეახსენებს, რომ მისი ნათესავი, ნაზი კალისტრატეს ასული კვირიკაძე წინა წელს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვერ მოხვდა დაგვიანების გამო. წერს, რომ ის ნიჭიერი და შრომისმოყვარე გოგოა და იმედი აქვს, რომ ამჯერად მაინც მიაღწევს მიზანს.

➤ 12267

1953

3 ივლისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს სახელმწიფო კომუნალურ ბანკს. წერს, რომ წყნეთში სახლის მშენებლობის დასასრულებლად სჭირდება სესხი 15 ათასი მანეთის ოდენობით..

➤ 12268

1953

3 ივლისი

განცხადებით მიმართავს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობას და სთხოვს, რომ მომდევნო წლის გეგმაში შეიტანონ 1944 წელს გამოცემული მისი წიგნის „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ იმავე მოცულობის მქონე მეორე ნაწილის გამოცემა.

➤ 12269

1953

3 ივლისი

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობას. სთხოვს, რომ მომდევნო წლის გეგმაში შეიტანონ მისი დაახლოებით 15 ათასი სტრიქონის მოცულობის ლექსების რუსული თარგმანების წიგნის გამოცემა.

➤ 12270

1953

9 ივლისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს ტყის სარეწი კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ს. ი. ჯებაშვილს. აცნობებს, რომ წყნეთში მისი სახლის მშენებლობა თითქმის დასრულებულია. დარჩა მხოლოდ აივანი, რომლისთვისაც სჭირდება 24 მეტრი სიგრძისა და 12 მეტრი სიგანის ფართობის ფიგურები და 4 ექვსმეტრიანი ბოძი, რომელსაც ადრესატი იმავე დღეს ადებს რეზოლუციას და შესაბამის განკარგულებას აძლევს არტელ „ტემპის“ სამხერხავოს.

➤ 12271

1953

31 ივლისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს მწერალთა კავშირს. წერს, რომ იწყებს მუშაობას ნაწარმოებზე, რომელშიც სურს ასახოს აფხაზეთის ახალი ყოფა და ითხოვს მივლინებას, რომ სამუშაო ადგილზე დაასრულოს.

➤ 12272

1953

ივლისის ბოლო ან შემდეგ

ესწრება მსახიობ ვალერიან გუნიას გარდაცვალებიდან 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს და წარმოდგენილ პიესაში მოსწონს ტასო აბაშიძისა და შალვა დადიანის თამაში.

➤ 12273

ა გ ვ ი ს ტ ო

1953

11 აგვისტოს შემდეგ

იბეჭდება შალვა რადიანის წიგნი „ლიტერატურული პორტრეტები“, რომელშიც ერთი ნარკვევი ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძეს. კრიტიკოსი იმეორებს გალაკტიონის პოეზიაზე თავის ადრინდელ ნაშრომებში გამოთქმულ შეხედულებებს.

➤ 12274

**1953**

### **17 აგვისტოს შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ რუბრიკაში „ნაწყვეტები რკალიდან „ყრმობის ლექსები“ ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე სახალხო პოეტი“ საერთო თარიღით 1905-1907 იბეჭდება რომაული ციფრებით დანომრილი ცხრა უსათაურო ლექსი: „მთელი საათია...“, „გოლვიან დღეს ხვეის პირად...“, „მგელი ბატკანს...“, „ელვისებური ბილიკი...“, „-ნუ გეწყინება...“, „დიდედა თვისას უჩივის თვალებს...“, „ამბობს დიდედა...“ და „დიდედა გააოცა...“.

➤ 12275

**1953**

### **21 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს, რომ 1954 წელს გამოსაცემ წიგნთაგან სახელმწიფო გამომცემლობის წიგნი ცენტრალურ კომიტეტშია წარდგენილი დასამტკიცებლად, სამხრეთ ოსეთში გამოსაცემ მისი ლექსებისა და კრიტიკული წერილების წიგნზე დადებულია ხელშეკრულება, და მოსამზადებელია ფედერაციაში „საბჭოთა მწერალი“ გამოსაცემი წიგნი, რომლის გეგმაში შეტანაც დამტკიცებულია მწერალთა კავშირის სამდივნოს მიერ, მაგრამ პრეზიდიუმის სხდომაზე გატანილი არ არის. გეგმა გაგზავნილია მოსკოვში.

➤ 12276

**1953**

### **21 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მეცნიერებათა აკადემიის წიგნთსაცავში აქვთ კარგი სტენდები, რომლებიც გამოადგება გამოფენისთვის და იქ მუშაობს თეოდორ ჩუდეცკის ქალიშვილი ლონდა ჩუდეცკაია.

➤ 12277

**1953**

### **21 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში მუშაობს ქალბატონი ლეილა კოტეტიშვილი და შესაძლებელია დამუშავდეს გალაკტიონის ლექსი „ინტეგრალები“.

➤ 12278

**1953**

### **21 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს, რომ საჯარო ბიბლიოთეკაში შეიძლება კარგი გამოფენისა და მკითხველებთან შეხვედრის მოწყობა, რადგან დიდი შესაძლებლობებია ლამაზი გაფორმებისათვის: არის დიდი დარბაზი და სტენდები. აქვთ საამკინძაო და ბიბლიოგრაფიული განყოფილება, ალბათ ჰყავთ მხატვრები და ფოტოგრაფებიც.

➤ 12279

**1953**

### **21 აგვისტო**

უბის წიგნაკში იწერს, რომ მწერალთა კავშირის წიგნთსაცავის თანამშრომელი თამარ ფოფხაძე უგულოდ ეპყრობა ყოველგვარ სიახლეს და ყველას უარით ისტუმრებს. გალაკტიონს მოსწონს

მწერალთა კავშირის სააქტო დარბაზი და უნდა იქ სადამოს მოწყობა, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, ღირს თუ არა ამ ქალბატონთან დალაპარაკება.

➤ 12280

**1953**

**22 აგვისტო**

აპირებს ლექსების „ელგუჯას დაბრუნება“, „სვანის დაბრუნება“, „რაჭველის დაბრუნება“, „იმერის დაბრუნება“ დროულად შეტანას პოემებში.

➤ 12281

**1953**

**22 აგვისტო**

მიდის საბჭოთა მწერალთა ფედერაციაში, სადაც ჯერ კიდევ არ დაუწყიათ მუშაობა მის წიგნზე და ფიქრობს, რომ როგორმე უნდა დააჩქაროს.

➤ 12282

**1953**

**22 აგვისტო**

მიდის სახელმწიფო გამომცემლობაში და აცხადებს, რომ 1-ლი იანვრიდან ჟურნალში „მნათობი“ იწყებს მუშაობას. იცის, რომ აქ ორი „მავნებელი“ ქალია, მაგრამ ბევრია მისი პატრიოტი.

➤ 12283

**1953**

**22 აგვისტო**

მიდის ოპერის ბაღში და ძალიან მოსწონს გარემო: მიტროფანე ლალიძის ახალი კაფე, სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზია, მხატვრების ატელიე, კონსერვატორია, მხატვართა კავშირი, კულტურის სამინისტრო, სამხატვრო აკადემია.

➤ 12284

**1953**

**22 აგვისტო**

წყნეთის აგარაკზე ტელეფონის დასადგმელად მიდის სატელეფონო ქსელების სადგურში, სადაც ღირექტორი კეთილგანწყობით ხვდება და თხოვნის შესრულებას ჰპირდება.

➤ 12285

**1953**

**22 აგვისტო**

მიდის დიდუბის ახალ ხიდთან მდებარე ქვის კარიერში და ათვალიერებს ქვებს საკუთარი ქანდაკებისთვის. გეგმავს, რომ მეორედ უკვე მოქანდაკესთან ერთად მივიდეს. ძველი მიდამოები ბევრ რამეს ახსენებს და ფიქრობს, რომ თუ გადაარჩენს, ისევ ხელოვნება.

➤ 12286

**1953**

**22 აგვისტო**

ეთერ შუშანია ეუბნება, რომ მოსკოვი გალაკტიონის შემოქმედების შესახებ დაწერილ მის დისერტაციას არ ამტკიცებს, რადგან საქართველოდან ვიღაცას ანონიმური წერილი გაუგზავნია, თითქოს ნაშრომი მისი დაწერილი არ არის. ამიტომ აპირებს მასალების წაღებას და არა უგვიანეს ნოემბრისა მოსკოვში ჩასვლას.

➤ 12287

1953

22 აგვისტო

მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლის ეთერ შუმანიასგან შეიტყობს, რომ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა 1954 წლის იანვარში ოსურ ენაზე გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ დაწერილ მის წიგნს.

➤ 12288

1953

22 აგვისტო

იგებს, რომ საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში მისი ლექსების კრებული მზად არის და მომდევნო კვირაში გადაეცემა სტამბას დასაბეჭდად.

➤ 12289

1953

23 აგვისტო

ნიკო კეცხოველი ჰპირდება რუსულენოვანი წიგნის „ლირიკა“ გამოფენის მოწყობას.

➤ 12290

1953

23 აგვისტო

იუბილესთვის გეგმავს საპრეზენტაციო მასალის გამოსახულებათა გადიდებას და ადგენს სიტყვით გამომსვლელთა სიას.

➤ 12291

1953

24 აგვისტო

7 საათზე აპირებს მხატვარ უჩა ჯაფარიძესთან სახლში მისვლას და პორტრეტის დასახატად თავისი სამი ფოტოსურათის დატოვებას.

➤ 12292

1953

ზაფხული

წყნეთში მყოფი გალაკტიონი ეზოში საქმიანობს. სახელოები და შარვალი აკეცილი აქვს და ნიჩბით ასწორებს სველ ქვიშას. მასთან მიდის პატარა, კოხტად გამოწყობილი შვიდიოდე წლის გოგონა – მზია ხეთაგური და როდესაც იგებს, რომ ეს კაცი პოეტი გალაკტიონ ტაბიძეა, გახარებული ამ ქვიშაში ხტება, შემდეგ თმიდან ბაფთებს იძრობს და გალაკტიონის წინ ქვიშაშივე ყრის. გალაკტიონი ამბობს, რომ რაც ახლა მან გააკეთა, ლექსია.

➤ 12293

1953 ან შემდეგ

აგვისტო

გიორგი ლეონიძე გიორგი შატერაშვილს წყნეთში ეპატიჟება აგარაკის საძირკვლის დასალოცად. გზად ბაზარში შეივლიან და სურსათ-სანოვანებს ყიდულობენ. წყნეთში ასვლისას ლეონიძე გალაკტიონის აგარაკის ეზოსთან აჩერებინებს მანქანას და გალაკტიონს ეხმიანება. შინაურულად ჩაცმული გალაკტიონი მხნედ და ჯანმრთელად გამოიყურება. სტუმრებს ზრდილობიანად მოიკითხავს, ბოდიშს უხდის, სახლში მარტო ვარო და შინ ვერ ეპატიჟება. ლეონიძე და შატერაშვილი ემშვიდობებიან და გოგლას ეზოში სუფრას შლიან. სტუმარი ამჩნევს, რომ გიორგი ლეონიძეს უხასიათობა მოეძალა. თან უკვირს, თუ გალაკტიონს შეეხმიანა, თავისთან რატომ არ დაპატიჟა. ცოტა ხანში ლეონიძე გაიღიმებს, მძღოლს მოიხმობს და გალაკტიონის მოსაყვანად გზავნის. მალე გალაკტიონი ხალისითა და ხელების ფშვნეტით უერთდებათ. გოგლა თამადაობს,

გალაკტიონი მხოლოდ სადღეგრძელოს ამბობს, ჭიქას ოდნავ შეახებს ბაგეს და ვახშამს მხოლოდ ერთი ჭიქით ასრულებს. როცა მთვარე თავს ადგება მათ სუფრას, აქამდე მდუმარე გალაკტიონი ბარათაშვილის ლექსის სტრიქონებს ჩურჩულებს „ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი, ჯერ კიდევ გულზე მაქვს დაჩნეული“.

➤ 12294

## სექტემბერი

1953

### 4 სექტემბერი

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხისათვის“, რომელშიც ავტორი ცდილობს ქართულ ლიტერატურაზე დაყრდნობით იმსჯელოს თეორიულ საკითხზე – ლიტერატურულ ტრადიციასთან შემოქმედის ინდივიდუალურ მიმართებაზე. შალვა რადიანი მიუთითებს, რომ საბჭოთა პოეტები აგრძელებენ მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს, ამის ერთი მაგალითია გალაკტიონ ტაბიძე, რომლის ლექსი „ციხის ნანგრევებთან“, კრიტიკოსის აზრით, ეხმიანება ილიას „ყვარლის მთებს“, ამასთანავე, პოეტი ხშირად ამოდის ხალხური პოეზიის ტრადიციებიდან.

➤ 12295

1953

### 5 სექტემბრამდე

დღიურში იწერს, რომ 5 სექტემბერს მწერალთა კლუბში საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე ჩატარდება ივანე ტურგენევის დაბადებიდან 70 და გარდაცვალებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამო და კონცერტი.

➤ 12296

1953

### 5 სექტემბერი

ესწრება მუშტაიდის ბაღში გამართულ ლევ ტოლსტოის დღეებს, რომელზეც მოხსენებით გამოდის დემნა შენგელაია, მაგრამ უამინდობის გამო საღამო არც ისე მიმზიდველად ტარდება.

➤ 12297

1953

### 5 სექტემბერი ან შემდეგ

ხელოვანთა სახლში ესწრება ვალერიან გუნიას გარდაცვალებიდან 15 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს და მოსწონს ტასო აბაშიძის მოგონებები. ასევე მოეწონა შალვა დადიანის პუბლიკაცია.

➤ 12298

1953

### 8 სექტემბერი

საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობა ხელს აწერს გალაკტიონ ტაბიძის კრებულის „ლექსები“ დასაბეჭდად გადაცემის ნებართვას, რის შემდეგაც იწყება წიგნის გამომცემისთვის საჭირო სასტამბო სამუშაოები.

➤ 12299

1953

### 8 სექტემბრის შემდეგ

საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობა „საბლიტგამი“ გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის კრებულს „ლექსები“. წიგნს დართული აქვს ალექსანდრე ბანძელაძის მიერ გალაკტიონისთვის გადაღებული პორტრეტი და შეტანილია 86 ნაწარმოები. ეს ლექსებია: „ჩემი სიმღერა“, „ახალგაზრდობას“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „სამშობლოს“, „ლენინი“, „(მრავალჟამიერ



გუგუნებდეს ხმა...“), „მამულო, სიცოცხლეო“, „სტალინი“, „ახალი ტფილისის დაფუძნება“, „(„დღევანდელი დღის...“), „ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“, „ეგ არის და გორის ციხე“, „მთელი ქართველი ხალხის სახელით“, „ჰიმნი მშვიდობას“, „იდიდე, სამშობლოვ“, „უკვდავი არის“, „დიადი წიგნი“, „მთელ მსოფლიოში რაც ატომია“, „ნაკადულო, ნაკადულო“, „წიგნი“, „ნერგი ევკალიპტის“, „ზღვაზე ბავშვების ბედნიერ სირბილს“, „დაუძლეველი“, „აღმოსავლეთი“, „ეპოქა იშვა და გაიზარდა“, „ყველა წითელარმიელი იდგეს როგორც ლომი“, „ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით“, „რად გვინდა თავი ცოცხალი“, „შეხედე“, „მზე თვალეზში ჩაგწვეთება და თვალს სინათლე მოემატება“, „ავტომობილი და ურემი“, „ყოველი მხრიდან“, „სალამი ახალგაზრდობას“, „პიონერო, იყავ ღირსი“, „დროშები ჩქარა“, „ტახტი დაეცა“, „ურიცხვ დროშებში“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „რევოლუციონერის ხსოვნას“, „ჩვენ ავდიოდით სახრჩობელაზე“, „რამდენ ღამეს მოელო ბოლო“, „იყო ბურუსი“, „გემი დაღანდი“, „სადღეგრძელო იყოს მისი“, „პირველი მათი“, „პროლოგი 100 ლექსის“, „სანამ არ დამსხვრეულან“, „რვა მარტი“, „ჩემო სიმღერავ, მალა, სულ მალა!“, „არგონავტები ახალი დროის“, „მწვერვალები ახალი მთების“, „იზობოქრე“, „სამშობლო“, „რას იპოვი აქ, საზღვარგარეთ“, „ცხოვრება ჩემი“, „ქალავ“, „შერიგება“, „დროშები მალა, სულ მალა, მალა!“, „ეფინება სიხარული“, „აღტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას“, „არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს“, „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ, დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ“, „მგზავრის სიმღერა“, „აწმყოს დიდება დიდი“, „(„წყალტუბოდან ქუთაისში...“), „პოეზიის ინტეგრალები“, „განახლდა გული“, „მეცხრე სიმფონია“, „რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული“, „სტანსები“, „შრომა მეცნიერებასთან მჭიდროდ დაკავშირებული“, „ჩანგო, ბევრი კარგი დრო“, „(„საღამოს მთების, დღისით ზღვაური...“), „წამყე ბეთანიისაკენ“, „მიყვარს მარტო ქარიშხალი“, „რა იყო შენი ბავშვობა“, „მე და ღამე“, „შენ ზღვისპირად“, „ღელავდნენ“, „ჩემი ვარსკვლავი“, „მანინც დავიმსახურე“, „ატმის ყვავილები“, „(„გაგონდება თუ არა...“), „მიმღერე რამე“, „სტანსები“ და „მალალ მთაზედა ავაგე სასახლე ახალთ ახალი“.

➤ 12300

1953

### 15 სექტემბერი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა თხოვნით მიმართავს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორს, დიმიტრი მჭედლიძეს, 12 ოქტომბერს დაუთმონ თეატრი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამოს ჩასატარებლად.

➤ 12301

1953

### 23 სექტემბერი

პიონერთა სასახლესთან შემთხვევით ხვდება იოსებ ფანცხავას და ინტერესდება ფედია ჩუდეცკის მიერ დახატული გალაკტიონის პორტრეტით, რომელიც მხატვარმა ფანცხავას აჩუქა. მიემართებიან იოსების ბინისკენ გრიბოედოვის ქუჩაზე. გზაში გალაკტიონი ესაუბრება რომანოზ ფანცხავაზე და აღნიშნავს, რომ მათ დიდი სიყვარული აკავშირებდათ. სახლში მისვლისას იოსები უკითხავს რომანოზის ჩანაწერებს მასზე და გალაკტიონს ძალიან მოსწონს. როდესაც ჩუდეცკის ნახატს ნახულობს, იოსებს სთხოვს მის თხოვებას 12 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე გამოსაფენად. გალაკტიონი იგებს, რომ იოსების შედგენილია აკაკი წერეთლისა და რომანოზ ფანცხავას ბიოგრაფიები და სთავაზობს, რომ მისი ბიოგრაფიაც მან შეადგინოს. იოსები პასუხობს, რომ ეს რთული საქმეა, რადგან გაფანტული მასალების თავმოყრა შეიძლება ვერ მოხერხდეს.

➤ 12302

1953

### 24 სექტემბრის შემდეგ

ალიო მირცხულავას ლექსებისა და პოემების კრებულში სტრიქონებსა და რითმებზე აკეთებს ხაზგასმებს, წერს შენიშვნებსა და კომენტარებს. ლექსის „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“ წაკითხვის შემდეგ აღნიშნავს: „ყოჩაღ, ალიო! რომ კითხო, მე ვარ, რაც ვარო, მე და ბარათაშვილიო“. იქვე მოჰყავს ცოლის – ნინო კვირიკაძის ნათქვამი, რომ ალიოს წიგნზე საერთოდ არ უმუშავია, ყველაფერი გალაკტიონისგან აქვს მოპარული და ვერ გაარკვია, ვინ არის წიგნის ავტორი. კრებულის დასასრულს სვამს რიტორულ კითხვას, ამ წიგნის ავტორს შეუძლია თუ არა ჟურნალის „მნათობი“ ხელმძღვანელობა, უნდა აირჩიონ თუ არა ის მწერალთა კავშირის პრეზიდენტში და ასეთი ცუდი წიგნის გამომცემლებს აქვთ თუ არა გემოვნება.

➤ 12303

1953

### 27 სექტემბერი

წერილს იღებს ელენე ბაქრაძისგან. სწერს, რომ 12 ოქტომბერს ოპერის თეატრში მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წლის საიუბილეო საღამოში ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიც მონაწილეობს, მაგრამ მას ბილეთები არ აქვს და სთხოვს, იქნებ დარეკოს და მისთვის სამი თუ არა ორი ბილეთი მაინც შეუკვეთოს, რადგან გული ეტკინება, რომ მის დღეობას არ დაესწროს. აცნობებს, რომ ლადო გუდიაშვილს მიუტანა მისი წიგნი, საიდანაც ხატავს რაღაც ეპიზოდს.

➤ 12304

1953

### 29 სექტემბერი

უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი ალექსანდრე შენგელია უნივერსიტეტის წინ ხვდება და უძღვნის უსათაურო ორსტროფიან ლექსს „ქართული ლექსის ძარღვო მაგარო...“.

➤ 12305

1953

### 29 სექტემბერი

2 საათისთვის სთხოვენ მწერალთა კავშირში პრეზიდენტის სხდომაზე დასწრებას.

➤ 12306

1953

### 29 სექტემბრის შემდეგ

მასთან მიდის ლადო გუდიაშვილი და დასახატად ითხოვს საათს, საათნახევარს. გალაკტიონს უბარებს, რომ დროზე ტელეფონით შეუთანხმდეს.

➤ 12307

1953

### 29 სექტემბრის შემდეგ

სახლში აკითხავს იოსებ (სოსიკო) ფანცხავა, უტოვებს მისამართს და სთხოვს, რომ საღამოს 10 საათზე მიაკითხოს.

➤ 12308

## ოქტომბერი

1953

### 1 ოქტომბრამდე

გეგმავს 9 საღამოს მოწყობას, რომელზეც 9 აკადემიკოსს ეპატიჟება და წერს მომხსენებლებისა და სიტყვით გამომსვლელთა სიას.

➤ 12309

1953

**5 ოქტომბერი**

წერილს იღებს სოსიკო ფანცხავასგან. სწერს, რომ უნდა მისთვის სასარგებლო რაღაცის შეთავაზება. ამიტომ სთხოვს, რომ მიმდინარე კვირაში აუცილებლად ნახოს სახლში 8 საათის შემდეგ ან დაურეკოს სამსახურში ნებისმიერ დღეს 4-ის ნახევრიდან.

➤ 12310

1953

**6 ოქტომბერი**

სახლში ურეკავს მარიამ მაჭავარიანი და ნინო კვირიკაძეს უბარებს, რომ თუ გალაკტიონს სურვილი ექნება, რომ ბათუ კრავეიშვილმა გალაკტიონის შემოქმედებით საღამოზე იმღეროს მის მიერ დაწერილი რომანსები: „გახსოვს მერი“ და „სახსოვარი“, დაუკავშირდნენ.

➤ 12311

1953

**6 ოქტომბერი**

ნინო კვირიკაძე კომპოზიტორებს გადასცემს გალაკტიონის ტექსტს „ნანა“.

➤ 12312

1953

**7 ოქტომბერი**

სახლში აკითხავენ: მუსიკოსი ვალერიან ცაგარეიშვილი, ორი უცნობი ქალი და ერთი უცნობი კაცი, ასევე ინდუსტრიული ინსტიტუტის თანამშრომელი, რომელსაც შესამოწმებლად მოაქვს მოსაწვევი ბარათის ტექსტი და ნინო კვირიკაძეს სთხოვს გალაკტიონის ფოტოსურათს.

➤ 12313

1953

**7 ოქტომბერი**

12 ოქტომბერს ოპერის თეატრში დაგეგმილი გალაკტიონის საიუბილეო საღამოს ბილეთებისთვის სახლში ურეკავენ: მასწავლებელი ქალი მასწავლებელთა სახლიდან, მეორე საშუალო სკოლის ქართული ლიტერატურის მასწავლებელი კაცი, გოგი ჩიქობავა, ვალიკო ქაშაკაშვილი, ელენე ყიფშიძე. ასევე ურეკავენ კომპოზიტორები და სთხოვენ მისვლას ფილარმონიაში.

➤ 12314

1953

**8 ოქტომბერი**

რადიოს ლიტერატურული განყოფილებიდან ურეკავს გამყრელიძე, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციიდან ურეკავენ და მომდევნო დღისთვის სასწრაფოდ ითხოვენ მასალებს. რეკავენ ლენინის რაიონიდან. რამდენიმე სკოლას ერთად უნდა მასთან შეხვედრა, ისევ რეკავენ ინდუსტრიული ინსტიტუტიდან და ითხოვენ ფოტოს.

➤ 12315

1953

**9 ოქტომბერი**

აკითხავენ ინდუსტრიული ინსტიტუტიდან და მიაქვთ ფოტო. მუზეუმიდან ურეკავენ და უბარებენ, რომ ელოდებიან, მცხეთიდან ურეკავს ჯვარშიშვილი, გაზეთიდან „ნორჩი ლენინელი“ – მესხი,

➤ 12316

1953

**9 ოქტომბერი**

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება შალვა რადიანის სტატია „პოეტი და რევოლუცია“. კრიტიკოსი წარმოაჩენს გალაკტიონის ლიტერატურულ პორტრეტს და იმეორებს თავის ადრინდელ ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებებს მის შემოქმედებაზე

➤ 12317

1953

**9 ოქტომბერი**

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება ხუტა ბერულავას წერილი „სახალხო პოეტი“, რომელშიც ავტორი განსჯის საგნად აქცევს მნიშვნელოვან საკითხს – გალაკტიონის თხზულებათა თარგმნის პრობლემას. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთა რუსულ ენაზე თარგმნის საკითხი ჯერ კიდევ ვერ არის მოგვარებული და ხშირად გამომცემლობები აქვეყნებენ მეტად სუსტ თარგმანებს, რომლებიც ოდნავადაც ვერ უახლოვდებიან ორიგინალს. ხუტა ბერულავა მოუწოდებს გამომცემლობებს, მეტი ყურადღებით მოეპყრონ გალაკტიონის პოეზიის თარგმნის საკითხს.

➤ 12318

1953

**9 ოქტომბერი**

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება გრიგოლ აბაშიძის მცირე საიუბილეო მიმართვა „სიტყვის შესანიშნავი ოსტატი“, რომელშიც გალაკტიონი აღიარებულია თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ თვალსაჩინო პოეტად. მისალოცი წერილის ავტორს არც იმის აღნიშვნა ავიწყდება, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება ყოველთვის არ იყო იდეურად მოწინავე. მისმა პოეზიამ განიცადა უცხო დეკადენტური სკოლების გავლენა, მაგრამ პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბოლომდე არ დარჩა ამ გავლენათა ტყვეობაში.

➤ 12319

1953

**9 ოქტომბერი**

„ლიტერატურული გაზეთი“ ბეჭდავს ოთარ შალამბერიძის გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილ ლექსს: „თუ სიმღერაა, იყოს სიმღერა“.

➤ 12320

1953

**10 ოქტომბერი**

კალე ბობოხიძე მოკლე ბარათთან ერთად უტოვებს თავისი მეუღლის – ვერა შუბლამის მიერ გალაკტიონისთვის მიძღვნილ ლექსს. სწერს, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, ვერც თავად და ვერც მეუღლე საღამოს ვერ დაესწრებიან და თავისთვის ნაყიდი ბილეთები აჩუქეს ვერას ძმებს.

➤ 12321

1953

**10 ოქტომბრის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება პეტრე ბახტურიძის წერილი „გალაკტიონ ტაბიძე“. ავტორი მიმოიხილავს პოეტის შემოქმედებას და მას რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდეგდროინდელ ეტაპებად ჰყოფს. წერს, რომ გალაკტიონის შემოქმედებით გზაზე იყო ჩიხში შესვლის და საზოგადოებრივი ვითარებისგან განკერძოების საფრთხე, რომელსაც პოეტმა თავი წარმატებით გაართვა, რადგანაც რა ნეიტრალურ თემაზეც არ უნდა წერდეს ის, მოზიდული რკალივით არის დამაბული და გრძნობათა ნიაღვარს აფრქვევს. კრიტიკოსი ეხება პოეტის ომამდელ და ომისშემდგომ შემოქმედებას და მაღალ შეფასებას აძლევს პატრიოტიზმითა და

რევოლუციური ჰუმანიზმით გაშუქებულ თემებს. ის საბოლოოდ ასკვნის, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე შემოქმედებითი ზრდის და აღმავლობის პერიოდში იმყოფება და „თავისი შემოქმედებით გაამართლებს კომუნიზმის მშენებელი ჯარისკაცის საპატიო სახელს“.

➤ 12322

**1953**

**11 ოქტომბრამდე**

11 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე იწვევენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში.

➤ 12323

**1953**

**11 ოქტომბრამდე**

უბის წიგნაკში იწერს ვაჟა-ფშაველას ფრაზას: „შავად დავიწყე ცხოვრება / და მითავდება შავადა“.

➤ 12324

**1953**

**11 ოქტომბრამდე**

უბის წიგნაკში იწერს 6 ტაეპს თავისი უსათაურო ლექსისა „თბილისი იყო ის ქალი...“.

➤ 12325

**1953**

**11 ოქტომბრამდე**

გაზეთის „ამირანი“ 1908 წლის 169-ე ნომრიდან იწერს თავის უსათაურო ლექსს „მთვარე კამკაშებს...ცა მოქარგული...“.

➤ 12326

**1953**

**11 ოქტომბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ცნობა, რომ 12 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მას სიტყვით გახსნის ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე სერგი ჭილაია. მოხსენებას იუბილარის შემოქმედების შესახებ წაიკითხავს შალვა რადიანი. საღამოს დასასრულს გაიმართება კონცერტი.

➤ 12327

**1953**

**11 ოქტომბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ფოტო და ლექსი „იდიდე სამშობლოვ, იდიდე!“ („კვლავ კიდევ და კიდევ...?“).

➤ 12328

**1953**

**11 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება ბესარიონ ჟღენტის სტატია „სახალხო პოეტი“, რომელიც ეძღვნება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავს. მასში ნათქვამია, რომ გალაკტიონის შემოქმედება არის საბჭოთა საქართველოს ცხოვრების პოეტური ენციკლოპედია და რომ მის ლექსებს აქვს მკითხველზე ემოციური ზემოქმედების დიდი ძალა. სტატიაში ციტირებულია სტროფები გალაკტიონის ლექსებიდან: „საუბარი ლირიკის შესახებ“.

„გულთა კავშირი“, „პირველი მაისი“, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ და სხვ. სტატიაში ნათქვამია, რომ გალაკტიონის შემოქმედებითი წარმატება დაიწყო ქუთაისში რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდების თავყრილობაზე წაკითხული ლექსით „პირველი მაისი“. სტატიის მიხედვით, პოეტის პირველ წიგნში დაბეჭდილ ლექსებში გამოვლენილი პესიმისტური განწყობები გამოწვეული იყო 1905 წლის რევოლუციის მარცხით, მეორე წიგნის ლექსებში კი იგრძნობოდა სწრაფვა დასავლეთევროპული სიმბოლიზმისკენ და ჩანდა დეკადენტური გავლენები. კრიტიკოსის თქმით, ამის მიუხედავად, გალაკტიონში მუდამ ძლიერი იყო ქართული პოეზიის რეალისტური და დემოკრატიული ტენდენციები, რომლებმაც 1917 წლის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ წამყვანი ადგილი დაიკავა მის შემოქმედებაში. გალაკტიონი რევოლუციას პეტერბურგსა და მოსკოვში შეხვდა და თავისი შთაბეჭდილებები არაერთ ლექსში გამოხატა. სტატიაში ნათქვამია, რომ პოეტის ლექსებში ჩანს მისი მადლიერება „უფროსი ძმის“, რუსი ხალხისადმი. ბესარიონ ჟღენტი წერს, რომ გალაკტიონი ჩაება აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობაში, მონაწილეობდა ჟურნალ-გაზეთების გამოცემაში და თავისი სტატიებით საზოგადოებას მოუწოდებდა, გამარჯვებული პროლეტარიატის მხარდაჭერისკენ. ქვეყნის აღმშენებლობაში მიმდინარე ცვლილებების გასაცნობად პოეტმა იმოგზაურა ჯერ საქართველოს მხარეებში, შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიულ ქალაქებში და ამ შთაბეჭდილებებით დაწერა პოეტური ციკლები და პოემები: „პაციფიზმი“, „ეპოქა“ და „მსოფლიო ორკესტრი“.

➤ 12329

1953

11 ოქტომბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის პოემის „საუბარი ლირიკის შესახებ“ ფრაგმენტის იგორ პოსტუპალსკისეული, ლექსის „ჩვენი დღე“ ელენე ნიკოლაევსკაიასა და ირინა სნეგოვასეული, ლექსის „ეკვალიპტი“ – ვერა პოტაპოვასეული და ლექსის „მე მიყვარს მხოლოდ ქარიშხლის ბობოქრობა...“ ნინა მანუხინასეული თარგმანები.

➤ 12330

1953

11 ოქტომბერი

გაზეთში „მგზნებარე კოლხიდელი“ იბეჭდება პავლე ნაცვლიშვილის სტატია „გამოჩენილი საბჭოთა პოეტი (შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო)“, რომელშიც ზოგადააა მიმოხილული გალაკტიონის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები.

➤ 12331

1953

11 ოქტომბერი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „იდიდე, სამშობლოვ!“.

➤ 12332

1953

11 ოქტომბერი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის სტატია „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების 45 წლისთავის აღსანიშნავი საღამო“, რომელშიც ნათქვამია, რომ 12 ოქტომბერს ოპერის თეატრში გაიმართება გალაკტიონისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიება, საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია, ხოლო მოხსენებას თემაზე „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“ გააკეთებს შალვა რადიანი. გარდა ამისა, მისასალმებელი სიტყვებით გამოვლენ მწერლები და მეცნიერები. დასასრულს გაიმართება კონცერტი. ღონისძიება დაიწყება 8 საათზე.

➤ 12333

1953

### 11 ოქტომბერი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება გიორგი ნატროშვილის სტატია „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“, რომელშიც ნათქვამია, რომ გალაკტიონი ეკუთვნის სიტყვის იმ პირველხარისხოვან ოსტატთა რიგს, ახალ გზებს რომ ჰკაფავენ პოეზიაში. კრიტიკოსი მიმოიხილავს პოეტის ადრეულ შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ გალაკტიონ ტაბიძე შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლისთანავე გამსჭვალული იყო განმანთავისუფლებლური იდეებით, რომ იგი პირველი მიესალმა ოქტომბრის რევოლუციას ლექსით „დროშები ჩქარა“, ხოლო ლექსით „ათრობდა ხალხთა მწუხარება“ მრისხანე განაჩენი გამოუტანა ძველ სამყაროს. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ გალაკტიონმა 1921 წლის თებერვლის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, არაერთი მშვენიერი ლექსი მიუძღვნა ქვეყნის აღმშენებლობას, პარტიის თემას, ხალხის მამაცურ ბრძოლას. გიორგი ნატროშვილის აზრით, გალაკტიონის შედეგები განუმტკიცებდა ადამიანებს სამამულო ომში გამარჯვების ურყევ რწმენას. კრიტიკოსს პოეტის დიდ მიღწევად მიაჩნია ის, რომ მან შეძლო, აღებეჭდა ბრძოლით და შრომით წინმაგალი ადამიანის სულიერი სამყაროს თვისებები. მისი აზრით, სწორედ ამის გამო იმსახურებს გალაკტიონის შემოქმედება საბჭოთა მკითხველისგან მაღალ შეფასებას.

➤ 12334

1953

### 11 ოქტომბერი

საღამოს 8 საათზე. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უმართავენ საღამოს და ფეხქვეშ თავის საყვარელ ყვითელ ვარდებს უფენენ. გალაკტიონი კმაყოფილია, მაგრამ როდესაც ახალგაზრდა გამომსვლელი მის შემოქმედებას ორ ნაწილად ყოფს, რევოლუციამდეღად და რევოლუციის შემდეგდროინდელად, გალაკტიონი ვერ ითმენს და უსწორებს – არავითარი ორი პერიოდი არ მქონია, სიმბოლისტი არ ვარო.

➤ 12335

1953

### 12 ოქტომბრამდე

იღებს ოსი პოეტისა და მთარგმნელის ილია კავკაზაგის მოკლე ბარათს. სწერს, რომ უგზავნის მისდამი მიძღვნილ ლექსს „დიდ პოეტს“ და სთხოვს, გადაათარგმნინოს და დააბეჭდვინოს. სთხოვს, გააგებინოს, როდის იქნება მისი იუბილე, შეატანინოს მისი გვარი პროგრამაში და წაიკითხავს როგორც გალაკტიონის ლექსებს, ისე მისდამი მიძღვნილს. აცნობებს, რომ ჟურნალში „ფილიოგი“ დაბეჭდა მისი ორი ლექსი და აგრძელებს სხვების თარგმნასაც.

➤ 12336

1953

### 12 ოქტომბრამდე

ოპერის თეატრში მისი საღამოს გამართვის წინა დღეებში ხშირად მიდის იქ და ყველაფერს ამოწმებს. მთავარი ადმინისტრატორი აჩვენებს საკონცერტო პროგრამას, რომელშიც შედის იოსებ გრიშაშვილის ტექსტზე დაწერილი სიმღერა. გალაკტიონი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ეს ნომერი შეცვალონ და მართლაც მის ნაცვლად მერი ნაკაშიძე ასრულებს გალაკტიონის ტექსტზე დაწერილ მელოდიას.

➤ 12337

1953

### 12 ოქტომბერი

აკაკი შანიძე ჩუქნის თავის წიგნს „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ წარწერით: „სახელოვან პოეტს, გალაკტიონს მისი პოეტური შემოქმედების 45 წლის თავზე“.

➤ 12338

1953

### 12 ოქტომბერი

გაზეთიდან „სახალხო განათლება“ სთხოვენ ოთხ ფოტოსურათს. ურეკავს მოქანდაკე სილოვან კაკაბაძე, აცნობებს, რომ ყველაფერი მზად აქვს და აინტერესებს, ვინ წაიღებს.

➤ 12339

1953

### 12 ოქტომბერი

ოპერის თეატრში იმართება გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 45 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც ხსნის საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია, გალაკტიონის შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოდის შალვა რადიანი, პოეტს სიტყვით ესალმებიან: მწერალთა კავშირის სახელით – გრიგოლ აბაშიძე, მეცნიერებათა აკადემიის სახელით – ალექსანდრე ბარამიძე, უნივერსიტეტის სახელით – აკაკი შანიძე და სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირის სახელით – პოეტი ილია კავკაზაგი. იუბილარისადმი მიძღვნილ ლექსებს კითხულობენ: ალექსანდრე აბაშელი, მაყვალა მრეველიშვილი, ხუტა ბერულავა, ანდრო თევზაძე, არჩილ სულაკაური, ემელიან ქურდიანი, იოსებ ნონეშვილი. გალაკტიონს ასევე ესალმებიან პიონერები და მხარტმევენ დაწულ ჩანგს.

➤ 12340

1953

### 12 ოქტომბერი

ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წლის იუბილესთან დაკავშირებით იღებს თავისი სიყმაწვილის მეგობრის, გენადი მიხელიძის მოსალოც წერილს და საჩუქარს – თბილისის სასულიერო სემინარიის 1908-1909 სასწავლო წლის მოსწავლეთა მიერ უბის წიგნაკში „ტოვარიში“ 28 სექტემბერს გაკეთებული ჩანაწერების ფოტოასლს. იხსენებს 1908 წლის ამ დღეს, კვირას, თბილისის სემინარიის ეზოში როგორ დაულოცეს გალაკტიონს პოეტური მოღვაწეობის გზა და თავად ადრესანტმა როგორ უსურვა პოეტის მიერ ჩაყრილ საფუძველს „ძღვევის გვირგვინით“ დაგვირგვინება.

➤ 12341

1953

### 12 ოქტომბრის შემდეგ

სურვილი აქვს, იშოვოს ჟურნალის „დროშა“ ბოლო ნომერი, რომელშიც მის იუბილეზეა საუბარი და ფიქრობს, ამ ჟურნალის რედაქტორ ვლადიმერ მაჭავარიანს ხომ არ ექნება.

➤ 12342

1953

### 12 ოქტომბრის შემდეგ

წერილს უგზავნის მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე სერგი ჭილაიას. შეახსენებს, რომ მასთან, როგორც ორგანიზატორთან მიჰქონდათ სხვადასხვა ლიტერატურული მასალები. აინტერესებს, ჰქონდა თუ არა შედგენილი იმ მასალების სია და სად არის ამჟამად ის დოკუმენტები. სწერს, რომ ასევე აინტერესებს განსვენებული კონსტანტინე კაპანელის მონოგრაფიის ნახვა გალაკტიონის შესახებ, რომელიც ასევე სერგი ჭილაიას გადაეცა.

➤ 12343

1953

### 13 ოქტომბერი



გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება დ. ჭეიშვილის სტატია „ჩვენი ეპოქის დიდი მომღერალი (გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო)“, რომელშიც ზოგადაა მიმოხილული პოეტის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები.

➤ 12344

**1953**

### **13 ოქტომბერი**

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსის – „ახალგაზრდობას“ – ფაქსიმილე. ლექსს თან ახლავს სარედაქციო შენიშვნა, რომ იგი დაიწერა 1948 წლის 23 იანვარს, როდესაც პოეტი სტუმრობდა სოხუმის პედაგოგიკური სასწავლებლის მოსწავლეებს და პირველად ქვეყნდება.

➤ 12345

**1953**

### **13 ოქტომბერი**

გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“ „კავკაზაგის“ ფსევდონიმით იბეჭდება ოსი მწერლის ილია კაჩმაზოვის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი „ბედნიერების მომღერალი“.

➤ 12346

**1953**

### **13 ოქტომბერი**

გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“ იბეჭდება ალექსანდრე ღლონტის სტატია „დიდი საბჭოთა პოეტი“, რომელიც ეძღვნება გალაკტიონის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის თავს. პუბლიკაციის ავტორი მსჯელობს საკითხებზე: გალაკტიონის ადრეული პოეზია, პოეტის დამოკიდებულება სიმბოლიზმთან, გალაკტიონი და ლიტერატურის ტრადიცია, გალაკტიონის პოეტური ენა. ალექსანდრე ღლონტი მიუთითებს, რომ გალაკტიონმა საოცრად გააფართოვა ენობრივი შემოქმედების საზღვრები, მისი ინტონაცია და რიტმი კი პოეტური ექსპრესიის მწვერვალს აღწევს.

➤ 12347

**1953**

### **14 ოქტომბერი**

გაზეთში „სახალხო განათლება“ იბეჭდება სტატია „გ. ტაბიძის შემოქმედების 45 წლისთავის აღსანიშნავი საღამო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 12 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლის იუბილე. ღონისძიება გახსნა მწერალთა კავშირის მდივანმა სერგი ჭილაიამ. მთავარი მომხსენებელი იყო შალვა რადიანი. პოეტს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ალექსანდრე ბარამიძემ, გრიგოლ აბაშიძემ, აკაკი შანიძემ. გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტებმა. პიონერებმა იუბილარს მიართვეს ჩანგის ფორმით შეკრული ყვავილების გვირგვინი.

➤ 12348

**1953**

### **14 ოქტომბერი**

გაზეთში „სახალხო განათლება“ იბეჭდება სერგი ჭილაიას სტატია „გალაკტიონ ტაბიძე (შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავის აღსანიშნავად)“. წერილის ავტორი მკითხველს აწვდის პოეტის ძირითად ბიოგრაფიულ ცნობებს. სერგი ჭილაია საუბრობს გალაკტიონის მიერ განვლილ შემოქმედებით გზაზე, მიუთითებს, რომ ადრეულ ეტაპზევე პოეტი არ მოსწყვეტია ეროვნული ლიტერატურის ფესვებს და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი გადაჭრით გაემიჯნა მწერლობის ანტირევოლუციურ ფრონტს. პოემებით „ჯონ რიდი“, „ეპოქა“,

„რევოლუციონური საქართველო“ გალაკტიონმა რელიეფურად ასახა ახალი, სოციალისტური სინამდვილე.

➤ 12349

1953

15 ოქტომბრამდე

ურეკავს მხატვარი ვავა გაბუნია და მეორე დღისთვის იბარებს თავისთან.

➤ 12350

1953

15 ოქტომბრამდე

ხვდება მხატვარი აპოლონ ქუთათელაძე და ეუბნება, რომ ის და მისი ვაჟი გურამი მონაწილეობას მიიღებენ გამოფენაში.

➤ 12351

1953

15 ოქტომბრამდე

მოქანდაკე ბორის შებუევი წერილს უტოვებს და თავისთან ეპატიჟება.

➤ 12352

1953

15 ოქტომბრამდე

სტუმრობს მხატვარ მიხეილ ვადბოლსკის და ჰპირდება გალაკტიონის შესახებ წერილის დაწერას.

➤ 12353

1953

15 ოქტომბრამდე

სტუმრობს მსახიობ აკაკი ვასაძეს.

➤ 12354

1953

15 ოქტომბრამდე

ოპერის თეატრში ესწრება პიოტრ ჩაიკოვსკის ოპერას „პიკის ქალი“. მოსწონს მეორე მოქმედების დეკორაცია, განათება და დარბაზის ინტერიერი.

➤ 12355

1953

15 ოქტომბრამდე

სტალინგრადელი სტუმარი იური ოკუნევი სთავაზობს ლექსებისთვის პწკარედების გაკეთებას.

➤ 12356

1953

15 ოქტომბერი ან ადრე

ჟურნალიდან „დროშა“ უბარებენ, რომ სჭირდებათ ახალი ფოტოები სამუშაო მაგიდასთან. ასევე დაიბეჭდება წიგნების ყდები ჟურნალის მთელ გვერდზე. სთხოვენ დარეკოს რედაქციაში ვახტანგ ჭელიძესთან.

➤ 12357

1953

15 ოქტომბერი

ინკასატორი აპირებს, რომ გადაუჭრას დენი და დიდი თხოვნით გადასახდელად ერთ დღეს აძლევენ.

➤ 12358

1953

15 ოქტომბერი

მისი რუსულენოვანი წიგნის რედაქტორ ელიზბარ ანანიაშვილს მოსკოვში უგზავნის დეპეშას და სწერს, რომ გაცემულია მისი უყურადღებობით. წიგნს არ ბეჭდავენ მის დაბრუნებამდე და თუ კიდევ დაიგვიანებს, საგამომცემლო წარმოებიდან ამოიღებენ, რასაც არასდროს აპატიებს.

➤ 12359

1953

15 ოქტომბერი

გაზეთში „ახალგაზრდა სტალინელი“ იბეჭდება ბეჟან ბარდაველიძის სტატია „რევოლუციის მომდერალი“, რომელშიც მოკლედაა დახასიათებული გალაკტიონის პოეტური ევოლუციის გზა.

➤ 12360

1953

15 ოქტომბერი

გაზეთში „ახალგაზრდა სტალინელი“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი „ჩემი სიმღერა“.

➤ 12361

1953

15 ოქტომბერი

გაზეთში „ახალგაზრდა სტალინელი“ იბეჭდება თამაზ ჭილაძის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი „იქუხებს მრავალჯერ კიდევ“.

➤ 12362

1953

15 ოქტომბერი

გაზეთში „ახალგაზრდა სტალინელი“ იბეჭდება არჩილ სულაკაურის ლექსი „გალაკტიონ ტაბიძეს“.

➤ 12363

1953

16 ოქტომბერი

გაზეთში „კომუნარი“ იბეჭდება დ. ჭეიშვილის სტატია „ჩვენი ეპოქის დიდი მომდერალი (გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავის გამო)“, რომელშიც მიმოხილულია გალაკტიონის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა.

➤ 12364

1953

16 ოქტომბერი

გაზეთში „ნორჩი ლენინელი“ იბეჭდება ლ. ჭიჭინაძის სტატია „სახალხო პოეტი“, რომელიც ეძღვნება გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წლისთავს.

➤ 12365

1953

16 ოქტომბერი

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება სტატია „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების 45 წლისთავის აღსანიშნავი საღამო“, რომელშიც მოკლედაა მოთხრობილი ჩატარებული საიუბილეო ღონისძიების შესახებ.

➤ 12366

**1953**

**17 ოქტომბერი**

წყნეთში აგარაკის ეზოს კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მიდის მეზაღვობის სამმართველოში და უთანხმდება აბელ ჯაფარიძეს, რომ ორშაბათს, 19 ოქტომბერს მოამზადოს ნიადაგი, ხეებიდან ფოთლების ჩამოცვენის შემდეგ 15 ნოემბრიდან კი დარგვას დაიწყებენ.

➤ 12367

**1953**

**18 ოქტომბერი**

გაზეთში „საბჭოთა სოფელი“ ქვეყნდება სარედაქციო სტატია „გალაკტიონ ტაბიძე (შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავი)“, რომელშიც მოკლედაა დახასიათებული გალაკტიონის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა.

➤ 12368

**1953**

**18 ოქტომბერი**

გაზეთში „საბჭოთა სოფელი“ იბეჭდება ნოდარ ნარსიას ლექსი „გალაკტიონის სტრიქონები“.

➤ 12369

**1953**

**18 ოქტომბერი ან შემდეგ**

ეცნობა ელიზბარ უბილავას მიერ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიას „შემოქმედებითი თანამეგობრობა“ და გაზეთზევე აკეთებს მინაწერს. აღნიშნავს, რომ ეს წერილი წინასწარგანზრახული მავნებლობაა. მასში ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი იმაზე, რომ სომხური ჟურნალის იმ ნომერში, რომელშიც თითქმის ყველა ქართველი პოეტის ლექსების თარგმანებია მოთავსებული, ვერ ვხვდებით გალაკტიონ ტაბიძის სახელს.

➤ 12370

**1953**

**20 ოქტომბერი**

აკითხავს რუბენ ზუბიაშვილი და ატყობინებს, რომ წყნეთის აგარაკის შემოსაღობად საჭირო ერთი ტონა კბილანებიანი მავთული 3500 მანეთი დაუჯდება.

➤ 12371

**1953**

**20 ოქტომბრის შემდეგ**

ემზადება გაზეთისთვის „კომუნისტი“ მასალის მისაწოდებლად. უნდა მოამზადოს ხუთი სვეტის მასალა, სულ 725 სტრიქონი, მზად კი აქვს მხოლოდ 241.

➤ 12372

**1953**

**22 ოქტომბერი**

წარმატებული და საინტერესო დღე აქვს, რადგან სახელმწიფო გამომცემლობაში, პოლიგრაფიის ტრესტში, წიგნის პალატაში, ინდუსტრიულ ინსტიტუტში, მწერალთა კავშირში, თეატრალურ

საზოგადოებაში, უნივერსიტეტში, პედაგოგიურ ინსტიტუტებში და სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში წარმატებული შეხვედრები ჰქონდა.

➤ 12373

**1953**

**22 ოქტომბერი**

საქართველოს ახალგაზრდული კომუნისტური კავშირის ვანის რაიკომის ბიუროს სხდომა თხოვნით მიმართავს მას და მწერალთა კავშირს, დააკმაყოფილონ გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოს ვანში გამართვასთან დაკავშირებით რაიონის ახალგაზრდობის სურვილი. სხდომაზე წარადგენენ საღამოს მომწყობ საორგანიზაციო კომისიას 6 პირის შემადგენლობით.

➤ 12374

**1953**

**25 ოქტომბერი**

შემთხვევით ხვდებიან შალვა კაშმაძე და კოლაუ ნადირაძე და ფიქრობს, რომ რატომღაც უგუნებოდ არიან.

➤ 12375

**1953**

**27 ოქტომბერი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს ეგზავნება ვანის კომკავშირის რაიკომის ბიუროს სხდომის ამონაწერი გალაკტიონ ტაბიძის მოწვევისა და შეხვედრის მომწყობი საორგანიზაციო კომისიის შექმნის შესახებ.

➤ 12376

**1953**

**29 ოქტომბრამდე**

29 ოქტომბერს იწვევენ მასწავლებლის სახლში.

➤ 12377

**1953**

**29 ოქტომბერი**

საღამოს რვა საათზე თბილისის მასწავლებელთა სახლში ტარდება ფატი ნიშნიანიძის ლექცია გალაკტიონის შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდახუთ წლისთავთან დაკავშირებით. დამსწრე საზოგადოების გულთბილი შეხვედრის გამო პოეტი ხალისდება და სცენაზე ასული სამადლობელ სიტყვას ამბობს. თხოვნაზე, რომ რამდენიმე ლექსი წაიკითხოს, მოიბოდიშებს, რომ ზეპირად არ ახსოვს და იხსენებს ნაწყვეტებს ლექსებიდან „ილია მღერის – ვაჰმე, ანდა რას ნიშნავს ნეტა“...და „მიდიხარ ისე მიგაქვს წვალება“. ის იმდენად კმაყოფილია ლექციით, რომ ამის შემდეგ სხვა შეხვედრებზეც ავალებს ფატის ლექციის წაკითხვას.

➤ 12378

## ნოემბერი

**1953**

**1 ნოემბრამდე**

აფრთხილებენ, 1 ნოემბრამდე წარადგინოს სათანადო საბუთები შემოქმედებითი მივლინების თანხის 5036 მანეთის დანახარჯების შესახებ.

➤ 12379

**1953**

**6 ნოემბრამდე**

წერს ლექსს „მარად მგზნებარე“ („ასე დიდებით მიჰქრის და მოჰქრის...“).

➤ 12380

1953

### 6 ნოემბრამდე

„ლიტერატურული გაზეთის“ რედაქცია სთხოვს რაიმე ლექსის მიწოდებას ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეოდ. გალაკტიონი უგზავნის ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ლექსს „მარად მგზნებარე“.

➤ 12381

1953

### 6 ნოემბერი

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება ლექსი „მარად მგზნებარე“, მაგრამ მასში რედაქციის თანამშრომლებს ავტორთან შეთანხმების გარეშე შეცვლილი აქვთ ორი სტრიქონი.

➤ 12382

1953

### 6 ნოემბრის შემდეგ

ჟურნალში „დროშა“, რუბრიკით „მოღვაწეობის 45 წელი“, იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც ჯერ მოკლედ არის მიმოხილული პოეტის საბჭოთა ხასიათის ლექსების მნიშვნელობა, შემდეგ კი ნათქვამია, რომ გალაკტიონის მიერ ახალი ეპოქისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები მგზნებარე შინაარსითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მშრომელი ხალხის სიყვარულს ავტორისადმი. აქვე არის დაბეჭდილი გალაკტიონ ტაბიძის, მისი ტომეულებისა და ცალკეული გამოცემების ფოტოები, ამასთანავე, მიმოხილულია ოპერის თეატრში 12 ოქტომბერს ჩატარებული, პოეტის მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ძირითადი ასპექტები.

➤ 12383

1953

### 6 ნოემბრის შემდეგ

ჟურნალში „დროშა“ იბეჭდება ლექსი „იდიდე, სამშობლოვ!“

➤ 12384

1953

### 6 ნოემბრის შემდეგ

„ლიტერატურულ გაზეთში“ თავისი ლექსის „მარად მგზნებარე“ შეცვლილი ვერსიის წაკითხვის შემდეგ გალაკტიონი ხვდება გაზეთის თანამშრომელ თეიმურაზ ჯანგულაშვილს და ხითხითით მადლობას უხდის ლექსის ასე „კარგად“ დაბეჭდვისთვის.

➤ 12385

1953

### 6-7 ნოემბერი

ორი დღე საქართველოს რადიოთი ზედიზედ ქართულად და რუსულად გადაიცემა გალაკტიონის ლექსები: „ოქტომბრის დროშით“, „მარად მგზნებარე“ და „დროშები ჩქარა“.

➤ 12386

1953

### 8 ნოემბერი

თბილისის რადიოში მიდის ჰონორარის ასაღებად. ძალიან კარგად ხვდებიან, მაგრამ თანხის მიცემას უგვიანებენ.

➤ 12387

**1953**

**12-14 ნოემბერი**

იმყოფება სოხუმში და ყიდულობს სახლის გადასახურავ შიფერს.

➤ 12388

**1953**

**15 ნოემბრამდე**

წყნეთში აპირებს 40 კვ. მეტრი ავტოფარებისა და 15 კვ. მეტრი სარდაფის აშენებას და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 12389

**1953**

**16 ნოემბერი**

სოხუმის სასტუმრო „აფხაზეთიდან“ დეპეშას უგზავნის საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობის დირექტორს და სთხოვს, სასწრაფოდ აცნობონ, მათი გამომცემლობის წარმოებაში მყოფი თავისი წიგნის ჰონორარი ჩაურიცხეს თუ არა და, თუ ჩაურიცხეს, რამდენი.

➤ 12390

**1953**

**16 ნოემბერი**

სოხუმის სასტუმრო „აფხაზეთიდან“ დეპეშას უგზავნის საქართველოს მერყინსკის სახელობის მეცნიერებათა აკადემიის ბულალტერიას და და მოითხოვს მისი ხელფასის სასწრაფოდ გადაგზავნას.

➤ 12391

**1953**

**16 ნოემბერი**

სოხუმიდან დეპეშას უგზავნის თავის გერს, ნუნუ ებანოძეს და ატყობინებს, რომ 200 მანეთს უგზავნის.

➤ 12392

**1953**

**16 ნოემბერი**

სოხუმიდან ლიტერატურულ ფონდს უგზავნის რაღაც საბუთს და სთხოვს, დეპეშით დაუდასტურონ მისი მიღება.

➤ 12393

**1953**

**16 ნოემბერი**

წარმოდგენას ესწრება სოხუმის თეატრში.

➤ 12394

**1953**

**16 ნოემბერი**

სოხუმში სახლის მშენებლობისთვის ბაზრის ჩიხში 250 შიფერში იხდის 862 მანეთს.

➤ 12395

**1953**

**17 ნოემბერი**

სოხუმში სახლის მშენებლობისთვის მშენებლებს მიაქვთ 4000 ცალი აგური და დიდი რაოდენობით სამშენებლო ქვიშა, რომ დაჩქარებული ტემპით შეუდგნენ მეორე სართულის მშენებლობას.

➤ 12396

**1953**

### **17 ნოემბერი**

სოხუმში მყოფს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი სასწრაფოდ იძახებს თბილისში სხდომაზე დასასწრებად და გალაკტიონს აფიქრებს ეს გარემოება, რადგან არასდროს მიუწვევიათ მსგავს შეხვედრებზე. ეჭვობს, რაიმე ოინს ხმ არ უწყობენ.

➤ 12397

**1953**

### **19 ნოემბრამდე**

თბილისში ელიზბარ ანანიაშვილის რედაქტორობითა და სერგი ჭილაიას წინასიტყვაობით რუსულ ენაზე გამოდის გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული: ლექსები“. მასში შედის ციკლები: „დროშები ჩქარა“, „მამულო, სიცოცხლეო“, „მაისი და მშვიდობიანობა“, „ბილიკები და წლები“, „მშობლიურ ცის ქვეშ“ და პოემები: „ახალი სანაპირო“ და „საუბარი ლირიკის შესახებ“.

➤ 12398

**1953**

### **19 ნოემბრის შემდეგ**

ეცნობა თავისი ლექსების რუსული თარგმანების რჩეულს, სარჩევში აკეთებს აღნიშვნებს და წერს, რომ წიგნში შეტანილია 171 ლექსი.

➤ 12399

**1953**

### **21 ნოემბრამდე**

სოხუმში წერს ლექსს „პალმის რტოო“.

➤ 12400

**1953**

### **21 ნოემბერი**

იმყოფება სოხუმში, წერს უსათაურო ლექსს „რტოო პალმისა, მშვიდობის რტოო...“.

➤ 12401

**1953**

### **23 ნოემბრამდე**

უბის წიგნაკში იწერს სოხუმის სახელმწიფო თეატრში 23 ნოემბერს გასამართი სადამოს აფიშის ტექსტს.

➤ 12402

**1953**

### **24 ნოემბერი**

კმაყოფილია სოხუმში მისი სახლის მშენებელთა ენთუზიაზმით და გულდამშვიდებული არის იმით, რომ საამშენებლო მასალაც უკვე ადგილზეა მიზიდული. მეზობელმა მის სახლზე მიდგმული მესერი აიღო და ამის შემდეგ ეზოც უფრო ფართო ჩანს.

➤ 12403

**1953**



## 26 ნოემბერი

ბანკის დირექტორი თანხის 15 პროცენტს აძლევს და დანარჩენს ჰპირდება მას შემდეგ, რაც განისაზღვრება სახლის მშენებლობის რამდენი პროცენტია შესრულებული.

➤ 12404

1953

### ნოემბერი

ჩამოწერს 89 ლექსის სიას, რომელშიც პირველი ნომრით არის „გემი ვით არ იცნობს?“.

➤ 12405

1953

### ნოემბერი

სოხუმის სასტუმროში ღამის სამ საათზე თორმეტფურცლიან რვეულს, რომელშიც რითმები უწერია, გარეკანზე აწერს „N1 რითმების რვეული / ხან ქვიშა, ხან ოქრო რეული“, შემდეგ კი ავსებს სტანდარტულ გრაფებს, რომელი სკოლის მოსწავლეა „რომანტიკოსთა“, რომელი კლასის: „I“, სახელი და გვარი „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 12406

1953

### ნოემბერი

ჟურნალში „პიონერი“ იბეჭდება ლექსი „ახალგაზრდობას“.

➤ 12407

1953

### ნოემბერი

თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის ლიტერატურულ წრეს იოსებ ფანცხავას ინიციატივით გალაკტიონ ტაბიძის სახელს ანიჭებენ. წრის წევრები შეიმუშავებენ პროგრამას, რომლის მიხედვით, მათი ამოცანაა პოეტის შემოქმედების შესწავლა.

➤ 12408

1953

### ნოემბერი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „ო, სიმღერავ!..“.

➤ 12409

## დეკემბერი

1953

### 1 დეკემბერი

განცხადებით მიმართავს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორ ვალერიან ხატიაშვილს და ითხოვს ნებართვას, რომ მემანქანეს გადააბეჭდვინოს მათ ბიბლიოთეკაში დაცული ჟურნალის „პირველი ტალღა“ 1909 წლის პირველი ნომერი.

➤ 12410

1953

### 3 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე სახალხო პოეტი“ იბეჭდება ლექსი „ოქტომბრის დროში“ („...და საამაყო იმ წოდებას...“).

➤ 12411

1953

### 3 დეკემბრის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ ქვეყნდება გიორგი მერკვილაძის სტატია „შენიშვნები 30-იანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურაზე“, რომელშიც მიმოხილულია 30-იანი წლების ქართული მწერლობის ძირითადი ტენდენციები. სტატიის ავტორი უპირველესად გალაკტიონის შემოქმედებას ეხება და მიუთითებს, რომ 30-იან წლებში გალაკტიონის ლირიკაში სულ უფრო იზრდება რეალისტური მოტივები. გიორგი მერკვილაძე ეკამათება იმ კრიტიკოსებს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ გალაკტიონის ადრეულ პოეზიაში სიმბოლისტურ-დეკადენტურ მოტივებს წარმართველი მნიშვნელობა ჰქონდა. კრიტიკოსის მტკიცებით, გალაკტიონის ადრეულ ლირიკაში მართალია, ვხვდებით სევდიან განწყობილებებს, მაგრამ წარმართველი მნიშვნელობა პოეტის შემოქმედებაში იმთავითვე ჰქონდა რევოლუციურ განწყობას, რომელსაც პოეტი რიგ ლექსებში ავლენდა. 30-იან წლებში კი მან განავითარა სოციალისტური რეალიზმის ტრადიციები.

➤ 12412

**1953**

### **7 დეკემბერი**

ესწრება მარიამ გარიყულის დაბადებიდან 70 წლისა და სამწერლო მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოს.

➤ 12413

**1953**

### **12 დეკემბრამდე**

უბის წიგნაკში იწერს, რომ 12 დეკემბერს საღამოს 7-8 საათზე უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი ატარებს მის საღამოს.

➤ 12414

**1953**

### **15 დეკემბრამდე**

მცხეთის კლუბში 15 დეკემბერს გასამართი საღამოსთვის ადგენს სტუმართა და მუსიკალური განყოფილების მონაწილეთა სიას.

➤ 12415

**1953**

### **15 დეკემბერი**

უბის წიგნაკში ინიშნავს მოსაგვარებელი საკითხების სიას, რომელთა შორისაც ჩამოთვლილია: წიგნების გამოცემა, პორტრეტის, პლაკატისა და პატარა სურათების მომზადება, წყნეთისა და სოხუმის სახლების კეთილმოწყობა, ხელნაწერებისა და წიგნების მოწესრიგება, ქუთაისში, სოხუმსა და ბათუმში საღამოების ორგანიზება, აკადემიური გამოცემის მომზადება და სხვ.

➤ 12416

**1953**

### **15 დეკემბერი**

აკეთებს ჩანაწერს „1915-16 წ.წ. ბალმონტი ქუთაისში“, რომელშიც აყალიბებს გეგმას კონსტანტინ ბალმონტის საქართველოში სტუმრობაზე დასაწერი მოგონებისათვის.

➤ 12417

**1953**

### **15 -21 დეკემბერი**

გეგმავს, რომ უჩა ჯაფარიძეს წიგნისთვის დახატვინოს პორტრეტი, გააკეთებინოს ვინიეტები ქართული სტილის ორნამენტით და დაახატვინოს ყველა ლექსის საწყისი ასო, როგორც ეს აკაკი წერეთლის გამოცემაში იყო. სურვილი აქვს, თუ მოხერხდება, წიგნს დაერთოს სხვადასხვა

პერიოდის მისი ფოტოსურათები და მხატვართა მიერ დახატული პორტრეტები. ფიქრობს, რომ თუ ესენი ცალკე ფურცლებზე იქნება, წიგნის სარედაქციო სამუშაოებს ხელს არ შეუშლის.

➤ 12418

1953

### 21 დეკემბერი

ნერვიულობს სოხუმში მშენებარე სახლზე, სამშენებლო მასალა ხომ არ იფანტება ან უამინდობის გამო ხომ არ ფუჭდება.

➤ 12419

1953

### 21 დეკემბერი

ლიტერატურული საქმიანობისთვის 22 დეკემბრიდან 15 დღით ეძლევა სამივლინებო მოწმობა ბათუმსა და სოხუმში.

➤ 12420

1953

### 22 დეკემბრამდე

გალაკტიონთან შესახვედრად და ბათუმში სადამოს გამართვაზე შესათანხმებლად აჭარის მწერალთა კავშირი თბილისში გზავნის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტს, ახალგაზრდა პოეტ შოთა როყვას და მის კიდევ ერთ პოეტ მეგობარს. გახარებული გალაკტიონი სთავაზობს წიგნის რედაქტორ ანდრო თევზაძესთან მისვლას, რადგან ფიქრობს, რომ შეხვედრაზე ისიც უნდა ახლდეს. გალაკტიონი ბიჭებს თავის მანქანაში სვამს და ყველანი ერთად მიდიან თევზაძესთან. გზაში პოეტი ბიჭებს სიგარეტს და ასანთს სთავაზობს. სტუდენტებს ასანთი თავადაც აქვთ, მაგრამ უცებ როყვა ამბობს, რომ ახალგაზრდა პოეტებისთვის კარგი იქნებოდა გალაკტიონის მიერ ანთებული ასანთიდან მოკიდება, რომ მისი ცეცხლი გადასდებოდათ. გალაკტიონს მოსწონს მისი ნათქვამი და ეკითხება: როგორა თქვი ძამიკო? ჩემი ცეცხლიო, არა? და იცინის.

➤ 12421

1953

### 22 დეკემბერი

ბონდო კეშელავასთან, ანდრო თევზაძესა და მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მატარებლით ჩადის ბათუმში, სადაც ბათუმის სახელმწიფო თეატრში უნდა გაიმართოს მისი პოეზიის სადამო. რკინიგზის სადგურზე აჭარის ყოველი კუთხიდან იკრიბებიან მისი პოეზიის თავყვანისმცემლები. გალაკტიონი დახვედრით გულაჩუყებულია. ბინავდება სასტუმროში „ინტურისტი.“

➤ 12422

1953

### 22 დეკემბერი

ბათუმში გამართულ სადამოზე ბონდო კეშელავა უძღვნის ლექსს „გალაკტიონს“ („მომავონდება დღეს ყრმობა ჩემი...“).

➤ 12423

1953

### 22 დეკემბერი ან შემდეგ

ბათუმში კოლონადებთან სურათს იღებს ანდრო თევზაძეს, ფრიდონ ხალვაშსა და ილია რურუასთან ერთად. სასტუმროს რესტორანში ძალზე ცოტას სვამს და პარიზში ყოფნის შესახებ უამრავ საინტერესო ამბავს უყვება სუფრის წევრებს. ყვება, რომ პარიზულ შთაბეჭდილებებს მიუძღვნა ლექსი „ჩვენს იქ ყოფნაში საფრანგეთის აკადემიას...“.

➤ 12424

1953

### 22 დეკემბერი ან შემდეგ

„ინტურისტში“ სადილის შემდეგ მეუღლესთან, ფრიდონ ხალვაშთან და ანდრო თევზაძესთან ერთად თეატრისკენ მიემართება. გზად ნინო კვირიკაძე ხალვაშს შესჩივის, რომ გალაკტიონი ყურადღებას არ აქცევს საკუთარ გარეგნობას. უყვება, რომ ერთხელ დაძინებულისთვისაც კი სცადა ფრჩხილების დაჭრა და შეაშინა.

➤ 12425

1953

### 22 დეკემბერი ან შემდეგ

ბათუმელ მწერლებთან ერთად იღებს ფოტოსურათს. ჯგუფში არიან ნანა გვარიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, პარმენ რურუა, ნესტორ მალაზონია, მამია ვარშანიძე, პარმენ ლორია, ილია რურუა, ფრიდონ ხალვაში და გიორგი სალუქვაძე.

➤ 12426

1953

### 22 დეკემბერი ან შემდეგ

სეირნობს ბათუმის ბულვარში და ნინო კვირიკაძესთან ერთად იღებს ფოტოს.

➤ 12427

1953

### 22 დეკემბერი ან შემდეგ

ბათუმში მოწყობილ ლიტერატურულ საღამოზე ახალგაზრდა პოეტები სჩუქნიან ვერცხლის პორტიგარს, კალამს და ბლოკნოტს ვერცხლის წარწერიანი ფირფიტით: „გალაკტიონს ბათუმელ უმცროს თანამოკალმეთაგან, 1953 წ.“.

➤ 12428

1953

### 22 დეკემბერი ან შემდეგ

ბათუმელ მწერლებთან ერთად ათვალთქვამს აჭარის ღირსშესანიშნაობებს და იღებენ ფოტოებს.

➤ 12429

1953

### 23 დეკემბერი

ბათუმის მასწავლებლის სახლში გამართულ საღამოს ფრიდონ ხალვაში ხსნის და სცენაზე გალაკტიონს ეპატიჟება. დარბაზი ფეხზე მდგარი ოვაციებს უმართავს. პოეტი კითხულობს მოხსენებას თავის ბათუმში გამოცემულ წიგნზე „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“, საუბრობს ზღვის პოეზიის დაფუძნებაზე, ყვება ლექსის „მთაწმინდის მთვარე“ შექმნის ისტორიას, და კითხულობს ამ ლექსს. გამოსვლას აჭარის რადიომაუწყებლობის მუშაკები ფირზე იწერენ. ლექსის წაკითხვის შემდეგ გალაკტიონი ტრიბუნას ტოვებს და გასასვლელისკენ მიემართება, მაგრამ ფრიდონ ხალვაში უკან აბრუნებს და საღამო გრძელდება. ღონისძიების ბოლოს გალაკტიონი ნიშანს აძლევს, რომ ფარდა დახურონ და ადელვებელი ამბობს: „გადავრჩით, გადავრჩით!“.

➤ 12430

1953

### 24 დეკემბერი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ტარდება შეხვედრა გალაკტიონ ტაბიძესთან. საღამოზე მოხსენებას გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების

შესახებ კითხულობს მწერალი ილია რურუა. გიორგი სალუქვაძე კითხულობს მოხსენებას „ზღვა გალაკტიონის შემოქმედებაში“. გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსებს კითხულობენ პოეტები ნანა გვარიშვილი, ფრიდონ ხალვაში, შოთა როყვა, ბონდო კეშელავა და ანდრო თევზაძე. შემდეგ ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობები კითხულობენ გალაკტიონის ლექსებს. სადამოს დასასრულს გალაკტიონი გალაკტიონი კითხულობს ლექსებს: „1950“, „მთაწმინდის მთვარე“ და სხვ., მაღლობას უხდის დამსწრე საზოგადოებას და ჰპირდება, რომ ამ სადამოს არასდროს დაივიწყებს.

➤ 12431

**1953**

### **24 დეკემბერი ან შემდეგ**

ბათუმიდან მატარებლით ბრუნდება თბილისში ფრიდონ ხალვაშთან ერთად. გალაკტიონი თანამგზავრს უყვება ოციან წლებში მომხდარ ამბავს, წიფის გვირაბში ნანახი მისი მოგვარე ქალისა და მატარებლის ძარცვის შესახებ.

➤ 12432

**1953**

### **25 დეკემბერი ან შემდეგ**

გაზეთ „კომუნისტის“ ეგზემპლარზე აწერს ხალხური სიმღერის – „ალილოს“ – ტექსტს.

➤ 12433

**1953**

### **25 დეკემბრის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ვასილ ბაიადის სტატია „მთელი გულით“, რომელშიც განხილულია, თუ როგორ არის ასახული გორის თემა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. კრიტიკოსი საუბრობს გალაკტიონის ლექსზე „გორი“. ამ ნაწარმოებში, მისი თქმით, ისტორიულ ფონზეა ნაჩვენები რევოლუციური გარდატეხა, ლაკონიურადაა გადმოცემული სტალინის მოღვაწეობის რამდენიმე მომენტი. ლექსი გვირგვინდება საბჭოთა მოქალაქეების ბედნიერი ცხოვრების სურათით.

➤ 12434

**1953**

### **30 დეკემბერი**

ასწორებს თავის ლექსს „მამ დიდება მზეს“ და ტექსტის ახალი ვარიანტს სათაურით „მრავალ ახალ წელს“ აგზავნის ბაღდათში, ადგილობრივ გაზეთში გამოსაქვეყნებლად.

➤ 12435

**1953**

### **30 დეკემბრის შემდეგ**

თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსების კრებულის უკანა ფორზაცზე წერს, რომ სადამოს ტარიელ იაშვილს თეატრალურ ინსტიტუტში აუცილებლად უნდა გაუგზავნოს წიგნი.

➤ 12436

**1952 --1953**

წყნეთში ხშირად დადის შალვა რადიანთან ერთად და, რამდენადაც მისი აგარაკი პიონერთა ბანაკის ახლოს მდებარეობს ხშირად ესაუბრება ბავშვებს.

➤ 12437

**1953**

მწერალთა კავშირის ბულალტერს სიმონ კახიანს უწერს ექსპრომტს: „თქვენს კეთილ ხელში, ბატონო სიმონ, / მთვარის სიმებმაც უნდა ისიმონ“.

➤ 12438

**1953**

თბილისში გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ ელიზბარ ანანიაშვილის რედაქტორობითა და სერგი ჭილაიას წინასიტყვაობით გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის რუსულენოვან კრებულს „რჩეული“.

➤ 12439

**1953**

შემნახველი სალაროდან გამოაქვს 275 მანეთი და ანგარიშზე ცოტას ტოვებს.

➤ 12440

**1953**

აკეთებს ჩანაწერს: „სტალინის შესახებ რაც ლექსებია... ჰმ...“.

➤ 12441

**1953**

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ჩუქნიან მხატვრულად გაფორმებულ ხელნაწერ ალბომს. დასაწყისში განთავსებულია პოეტის გრაფიკული პორტრეტი და ნოდარ ჩხეიძის წინათქმა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ახალი ქართული პოეზია აკაკისა და ვაჟას პოეტური მემკვიდრეობის სიმაღლეზე აიყვანა და უჩვეულოდ მრავალფეროვანი გახადა გალაკტიონ ტაბიძემ. ალბომში ჩაწერილია პოეტისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ავტორის ლექსები: ოთარ ჭილაძის „გაზაფხული (ნაწყვეტი პოემიდან)“, თამაზ ჭილაძის „იქუხებს მრავალჯერ კიდევ“, ჯანსუღ ჩარკვიანის „გალაკტიონის სურათზე“, არჩილ სულაკაურის „გალაკტიონ ტაბიძეს“, ვახტანგ ჯავახიძის „დაუწერელი ლექსის სადღეგრძელო“, ალექსანდრე შენგელაიას „გალაკტიონს“, ზაურ ბოლქვაძის „სიტყვას გეტყვი“ და სხვა.

➤ 12442

**1953 ან შემდეგ**

დეპეშის ბლანკზე აკეთებს მინაწერს, რომ ლიტერატურული პროცესების გააქტიურებისათვის აუცილებელია მწერლების მატერიალური დაინტერესება. ეს ის საკითხია, რომელიც დროულად გადაჭრას საჭიროებს.

➤ 12443

**1953 შემდეგ**

ახსენდება, რომ მძიმედ ავადმყოფმა დარია ახვლედიანმა ჩაიწერა მოგონება, რომლის მიხედვითაც აკაკი წერეთელი გალაკტიონ ტაბიძეს ახალგაზრდა პოეტთაგან საუკეთესოდ მიიჩნევდა. ასევე ახსენდება ვილაცის ნათქვამი, თითქოს გიორგი ლეონიძე, რომელიც იმ დროს ლიტერატურულ მუზეუმს ხელმძღვანელობდა მისულა ავადმყოფ დარიასთან და შეუთავაზებია ამ მოგონების შექმნა, თუ ხელნაწერიდან ამოიღებდა მონაკვეთს, რომელშიც აკაკის მიერ გალაკტიონის ქება იყო წარმოდგენილი. დარია ახვლედიანს თითქოს ახლობლების რჩევით მიუღია ლეონიძის შემოთავაზება, გადაუწერინებია თავისი მოგონება გალაკტიონის ეპიზოდის გარეშე და მუზეუმისთვის მიუყიდა, მაგრამ მოგონების სრული ვარიანტი გალაკტიონისთვის მიუწოდებია, რომ ავთენტური სრული ვერსია მას შეენახა. ამ მონათხრობთან ერთად გალაკტიონი უბის წიგნაკში იწერს იმასაც, თითქოს გიორგი ლეონიძემ რომელიღაც მწერლისგან მუზეუმისთვის შეიძინა დავით კლდიაშვილის, ვასილ ბარნოვის, დომინიკა ერისთავის, ია ეკალაძის, ზაქარია ჭიჭინაძისა და შიო მღვიმელის გამოხმაურებები გალაკტიონის შესახებ და მუზეუმში შენახვის ნაცვლად გააქრო.

➤ 12444

## 1954 ი ა ნ ვ ა რ ი

1954

### 3 იანვრამდე

წერს ლექსს „მრავალ ახალ წელს!“ („ძვირფასო მეგობრებო!..“).

➤ 12445

1954

### 3 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“, ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე, სახალხო პოეტი“ იბეჭდება ლექსი „მრავალ ახალ წელს“ („ძვირფასო მეგობრებო!..“).

➤ 12446

1954

### 6 იანვარი

გაზეთში „მეტალურგიისათვის“ იბეჭდება ლექსი „მრავალ ახალ წელს“.

➤ 12447

1954

### 7 იანვარი

ინიშნავს გეგმას, თუ როგორ უნდა გადაამუშავოს პოემა „სინათლის ყვავილი“.

➤ 12448

1954

### 9 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „სუფთა სინდისი, სისპეტაკე და სიმკვეთრეა...“.

➤ 12449

1954

### 12 იანვარი

ხვდება სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორ რეზო ორჯონიკიძესა და დირექტორ გიორგი მერკვილაძეს. მათთან ათანხმებს დეტალებს გამოსაცემი „რჩეულის“ საკითხებს.

➤ 12450

1954

### 19 იანვარი

სტალინის პრემიაზე წარსადგენად მწერალთა კავშირში თავს უყრის გალაკტიონ ტაბიძის საბუთებს რუსულ ენაზე და თან ურთავს ნუსხას, რომელშიც არის: ფოტო, მწერალთა კავშირის წევრის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია და ანკეტა. რუსულ ენაზე შედგენილ წარდგინებაში ნათქვამია, რომ მისი პრემიაზე წარდგენის საფუძველი გახდა 1953 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ლექსები.

➤ 12451

1954

### იანვარი

ჟურნალის „მნათობი“ რედაქციაში ეცნობა ნიკა აგიაშვილს და როცა იგებს, რომ დიხაშხოელია, იხსენებს 1908 წელს დიხაშხოში მისი მამრად ყოფნის ამბებს. დეიდის ქმრის, თადეოზ ნამიჭეიშვილის ხსენებისას აგონდება, რომ სახელი „გალაკტიონი“ მან შეურჩია მასაც და თავის ვაჟსაც. უხსნის, რომ ეს სახელი ბერძნული სიტყვა „გალაკტოსიდან“ მოდის და რძიანს ნიშნავს.

დასძენს, რომ რძე ცუდ ხასიათზე აყენებს და საერთოდ არ უყვარს, მაგრამ თავისი სახელი ძალიან მოსწონს.

➤ 12452

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1954

### 19 თებერვლამდე

ხელზე იღებს ტრავმას და წვება საავადმყოფოში. მკურნალობს ქირურგი ღვამიჩავა.

➤ 12453

1954

### 19 თებერვალი

წერს ლექსს „ნ. ჯავახიშვილს“ („ხარობდეს მხარე ერთა ძმობის მზით!..“).

➤ 12454

1954

### 21 თებერვლამდე

ხელის დაზიანების გამო წევს ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში.

➤ 12455

1954

### 21 თებერვალი

ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომელი, გალაკტიონის მეუღლის ძმისწული ეთერ კვირიკაძე იგებს პოეტის ავადმყოფობის ამბავს, წერილს უგზავნის ნინო კვირიკაძეს და გალაკტიონს მალე გამოჯანმრთელებას უსურვებს.

➤ 12456

1954

### 25 თებერვალი

უსმენს საქართველოს რადიოს, რომელშიც საქართველოს გასაბჭოების 33-ე წლისთავთან დაკავშირებით რუბრიკაში „ქართველი პოეტები საქართველოზე“ მსახიობები კითხულობენ პოეტების ლექსებს. მოსწონს მსახიობი ქალის მიერ წაკითხული მისი ლექსი „რევოლუციური საქართველო“ და პიერ კობახიძის მიერ წაკითხული ლექსი „საქართველოს მდინარეები“.

➤ 12457

1954

### 25 თებერვალი

უბის წიგნაკში იწერს, რომ მისი ლექსის „ეგ არის და გორის ციხე“ შესახებ იქნება დავით გვრიტიშვილის წიგნში „გორის ისტორია“.

➤ 12458

1954

### 27 თებერვალი

საავადმყოფოს პალატაში მასთან ერთად მკურნალობს გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ თანამშრომელი ნიკოლაი პავჩინსკი, რომელიც გალაკტიონს წიგნის გამოცემაში დახმარებას ჰპირდება.

➤ 12459

1954

### 27 თებერვალი



საავადმყოფოს მოინახულებენ ექიმი კურორტოლოგი დიმიტრი ჯავახიშვილი და ენათმეცნიერი ლეო კვაჭაძე, რომელთათვისაც გალაკტიონს უკვე ნაჩუქარი აქვს თავისი წიგნები მიძღვნივთ.

➤ 12460

1954

### 27 თებერვალი

საავადმყოფოში მწოლიარეს მოინახულებენ მეუღლე ნინო კვირიკაძე და მისი ქალიშვილი ნუნუ ებანოიძე. უყვებიან, მოსკოვის რადიოს მიერ სტალინის პრემიაზე წარდგენილ მწერალთა სიის შესახებ, რომელთა შორის გალაკტიონიც არის.

➤ 12461

1954

### 27 თებერვალი

წერს ლექსს „გალაკტიონის მარში“ („მხარი მხარს, მხარი მხარს...“).

➤ 12462

1954

### 27 თებერვლის შემდეგ

წერს უკანასკნელი თვეების განმავლობაში მის მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მოვლენებს: ოპერის თეატრში აღინიშნა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ჩატარდა კიდევ 30 ღონისძიება მისი მონაწილეობით და 300 ღონისძიება მის დაუსწრებლად. „ზარია ვოსტოკამ“ რუსულ ენაზე გამოსცა მისი „რჩეული“, რომელიც წარდგენილ იქნა სტალინის პრემიაზე. სახელმწიფო გამომცემლობას გადასცა 25 ფორმის, დაახლოებით 20 ათასი სტრიქონი მასალა. მოსკოვში სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობა შეუდგა მის მიერ წარდგენილი წიგნების თარგმნას. აგრძელებს მუშაობას თავისი თხზულებების მეცხრე და მეათე ტომებზე. ლექსებს აქვეყნებს გაზეთებში „კომუნისტი“ და „ლიტერატურული საქართველო“ და ჟურნალში „მნათობი“. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების შესაბამისად შეუდგა მისი თხზულებების აკადემიური გამოცემის მომზადებას.

➤ 12463

1954

### 28 თებერვალი

საავადმყოფოში მოინახულებს აპოლონ მახარაძე და აჩვენებს მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტას“ ნომერს, რომელშიც დაბეჭდილია სტალინის პრემიაზე წარდგენილი 26 მწერლის სია და მათ შორის არის გალაკტიონ ტაბიძეც.

➤ 12464

1954

### 28 თებერვალი

საავადმყოფოში თავის მძღოლს მიაქვს გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, რომელშიც დაბეჭდილია მისი წერილი გრიბოედოვის თეატრის შესახებ.

➤ 12465

1954

### 28 თებერვალი

საავადმყოფოში კითხულობს ჟურნალს „ნიანგი“, რომელშიც იოსებ გრიშაშვილის თარგმანი ნატალია კონჩალოვსკაიას ლექსისა „ტყუპი ძმები“ იწყება გალაკტიონისეული ფრაზით „ჩენ ორნი ვართ...“ ეს ფაქტი და ჟურნალის გარეკანზე ნაბადმემოსხმული ნიანგის კარიკატურა, რომელიც

იწვევს ასოციაციას ფრაზასთან „მე ვარ და ჩემი ნაზადი“ გალაკტიონს შემთხვევითობად არ მიაჩნია და ამიტომ დღიურში იწერს.

➤ 12466

**1954**

**28 თებერვალი**

ნიკალაი პავჩინსკის ძალიან აღიზიანებს გალაკტიონის წინააღმდეგ წარმართული ინტრიგები და მოსწონს მისი ტაქტიკა, რაც პოეტს ახარებს.

➤ 12467

**1954**

**თებერვალი**

ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“ ქვეყნდება თბილისის ვაჟთა მე-7 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის გ. იასეშვილის სტატია „გ. ტაბიძის შემოქმედების სწავლება XI კლასში“. საბჭოთა კრიტიკაში ჩამოყალიბებულ მიდგომების გათვალისწინებით ნაშრომში წარმოდგენილია მეთოდური მითითებები, თუ როგორ უნდა შეასწავლოს პედაგოგმა გალაკტიონის ბიოგრაფია და შემოქმედება მოსწავლეებს ისტორიული და სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით.

➤ 12468

## მ ა რ ტ ი

**1954**

**1 მარტი**

ნიკოლაი პავჩინსკი ტელეფონით ატყობინებს, რომ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის დავალებით ბორის კორნეევი წერს რეცენზიას გალაკტიონის წიგნზე.

➤ 12469

**1954**

**1 მარტი**

ინტერესდება, გამოიცა თუ არა ბროშურის სახით ვასილ მჟავანაძის საანგარიშო სიტყვა საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-16 ყრილობაზე და მწერალთა კავშირში ჩატარდა თუ არა თათბირი ან კრება მის განსახილველად.

➤ 12470

**1954**

**1 მარტი**

ქირურგი ღვამიჩავა აძლევს საავადმყოფოდან გაწერის ნებას.

➤ 12471

**1954**

**1 მარტი**

ქირურგი ანდრია ღვამიჩავა ეუბნება, რომ მისი საავადმყოფოდან გაწერა უკვე შეიძლება.

➤ 12472

**1954**

**2 მარტი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ გარდაიცვალა მისი ექიმი არკადი გოცირიძე.

➤ 12473

**1954**

**3 მარტი**

საავადმყოფოში გადაჰყავთ ფიზიოლოგიურ მკურნალობაზე. არ მოსწონს ექიმ ღვამიჩავას მისადმი დამოკიდებულება, ფიქრობს, რომ მტრულად და უყურადღებოდ ექცევა.

➤ 12474

**1954**

**3 მარტი**

გარდაიცვალა გალაკტიონ ტაბიძის ექიმი არკადი გოცირიძე.

➤ 12475

**1954**

**3 მარტი**

კითხულობს გაზეთ კომუნისტის სტატიას „დაუდევრობის ნაყოფი“, რომელშიც გაკრიტიკებულია ჟურნალი „ნიანგი“, გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის დაბადება-გარდაცვალების შესახებ გამოქვეყნებულია მცდარი ინფორმაციის გამო და ამის შესახებ იწერს დღიურში.

➤ 12476

**1954**

**3 მარტი**

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს წერილს საქართველოში მხატვრული თვითმოქმედების მერვე რესპუბლიკური ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის შექმნის შესახებ. უცებ ახსენდება, რომ ბართლომე კუხიანიძეს მის ლექსზე „მაღალ მთაზედა ავაგე“ დაწერილი აქვს საგუნდო სიმღერა და უბის წიგნაკში იწერს, რომ მოიძიოს ესეც და სიმღერა „წყალტუბოდან ქუთაისშიც“.

➤ 12477

**1954**

**12 მარტი**

არედაქტირებს ლექსს „სტუდენტების მარში“.

➤ 12478

**1954**

**13 მარტი**

მოსკოვში დეპეშას უგზავნის სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მთავარ რედაქტორ ალექსანდრა რიაბინინას და სთხოვს, შეატყობინოს, რა მდგომარეობაშია მისი წიგნის გამოცემის საქმე.

➤ 12479

**1954**

**13 მარტი**

სოხუმში დეპეშას უგზავნის სოხუმმშენის გამგე ლეონიდ გვათუას და სთხოვს, შეატყობინოს, როგორ მიდის მისი სახლის მშენებლობა.

➤ 12480

**1954**

**13 მარტი**

სოხუმში დეპეშას უგზავნის ინჟინერ შურა ტაბიძეს და სთხოვს, შეატყობინოს, როგორ მიდის სახლის მშენებლობა.

➤ 12481

**1954**

**27 მარტი**

7 საათზე თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის ლიტერატურულ წრის კლუბში ეწყობა შეხვედრა სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან. ღონისძიების პროგრამაშია მოხსენება, მისასალმებელი სიტყვები, გალაკტიონისა და მისდამი მიძღვნილი ლექსების წაკითხვა და მხატვრული განყოფილება.

➤ 12482

**1954**

**14 აპრილი**

სოხუმში სახლის გაჭიანურებულ მშენებლობაზე წერს ლექსს სახელწოდებით „სოხუმის სახლის პრობლემა“.

➤ 12483

**1954**

**14 აპრილი**

არკვევს, რომ სოხუმის სახლის მშენებლებმა მისი გაგზავნილი ფული მიიღეს, მაგრამ გადახურვა ჯერ არ არის დასრულებული და არც ჭერი და იატაკია დასრულებული.

➤ 12484

**1954**

**15 აპრილი**

თბილისიდან ტელეფონით ესაუბრება სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელ ა. ჟვანიას და ბუღალტერს. მიუხედავად იმისა, რომ თანხა სრულად აქვს გადახდილი, ბუღალტერი მაინც მოითხოვს 10 000 მანეთის ჩარიცხვას და ეუბნებიან, რომ სოხუმში ჩასვლაა საჭირო.

➤ 12485

**1954**

**17 აპრილი**

ხვდება მშენებლობის მინისტრ გიორგი ჯაბუას, რომელიც ჰპირდება, რომ გასცემს სახლის მშენებლობის დაუყოვნებლივ გაგრძელების განკარგულებას.

➤ 12486

**1954**

**17 აპრილამდე**

ცხინვალში იბეჭდება მისი წიგნი, რომლის გამოსვლას ეხმაურება გაზეთი „კომუნისტი“. ამასთან დაკავშირებით „ზარია ვოსტოკაში“ იბეჭდება რევაზ ასაევის წერილი და საქართველოს რადიო უძღვნის გადაცემას.

➤ 12487

**1954**

**17 აპრილი**

მწერალი ანიკო ღვინიაშვილი ატყობინებს, რომ მხატვართა კლუბში ეწყობა გალაკტიონის საღამო. გალაკტიონი თავის მხრივ მომხსენებლის შერჩევას ჰპირდება.

➤ 12488

**1954**

**17 აპრილი**

სინანულით აღნიშნავს, რომ თბილისის მხოლოდ ერთ სკოლაში არსებობს მისი სახელობის ლიტერატურული წრე.

➤ 12489

**1954**

**აპრილი ან შემდეგ**

წყნეთის ტყეში დილით ადრე სასეირნოდ გასული პოეტი და მთარგმნელი ალექო შენგელია თვალს მოჰკრავს გალაკტიონს, რომელსაც სამოსზე და წვერებზე ფოთლები და წიწვები აქვს მიკრული და შემახილით „ეჰეჰეი!“ ისე მხნედ მიუყვება აღმართს, რომ გამხმარ ტოტებს მის ფეხქვეშ ლაწა-ლუწი გააქვს. შენგელია იმდენად მონუსხული რჩება სანახაობით, რომ მისალმებასაც ვერ ახერხებს.

➤ 12490

**მ ა ი ს ი**

**1954**

**1 მაისი**

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პირველი მაისი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12491

**1954**

**7 მაისის შემდეგ**

კითხულობს სერგი დანელიას რუსულად ნაბეჭდ წიგნს „რუსული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს. გამოსაშვებ ცნობებთან წერს, რომ აინტერესებს წიგნის გამოცემის თარიღი, თუ წარმოებას გადაეცა 7 აპრილს და ხელმოწერილია დასაბეჭდად 7 მაისს.

➤ 12492

**1954**

**9 მაისი**

ადგენს წყნეთის აგარაკზე ჩასატარებელი სამუშაოების გეგმას.

➤ 12493

**1954**

**14 მაისის შემდეგ**

იმყოფება სოხუმში, ეცნობა შალვა ინალიფას წიგნს „ესეები აფხაზების ქორწინებისა და ოჯახის ისტორიაზე“, აკეთებს ხაზგასმებს და წერს რითმებს.

➤ 12494

**1954**

**14 მაისის შემდეგ**

შალვა ინალ-იფას წიგნის „ესეები აფხაზების ქორწინებისა და ოჯახის ისტორიაზე“ ფორზაცზე წერს: „გალაკტიონოლოგია, გალაკტიონოლოგიის საფუძვლები, გალაკტიონოლოგები“.

➤ 12495

**1954**

**14 მაისის შემდეგ**

წერს ლექსს „გათენდა“ („მოდის ქვეყნად ერთი მზერა...“).

➤ 12496

**1954**

**14 მაისის შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსის „მთა და ბარად...“ სამ ვარიანტს.

➤ 12497

**1954**

**31 მაისის შემდეგ**

კითხულობს დიმიტრი არაყიშვილის წიგნს „დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერათა კილოს წყობა“, აკეთებს ხაზგასმებს. წიგნის დასასრულს იწერს ბრიტანელი ფელდმარშალის – ბერნარდ მონტკომერის 1945 წლის მუქარას, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხების, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება აუცილებელია და გარდაუვალი, ახალი ომი ნამდვილი დღესასწაული იქნება, რადგან მრავალი ადამიანი ამოწყდება. ასკვნის, რომ ატომური იარაღი დამანგრეველი ძალაა და საშინელ შედეგებს მოიტანს.

➤ 12498

**ივნისი**

**1954**

**3 ივნისი**

ესწრება საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობას, რომელზეც ირჩევენ საბჭოთა კავშირის მწერლების მეორე ყრილობის დელეგატად.

➤ 12499

**1954**

**18 ივნისი**

განცხადებით მიმართავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საქმეთა მმართველს გ. კავკასიძეს და ავადმყოფობისა და მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ითხოვს ივნისის მეორე ნახევრის ხელფასს.

➤ 12500

**1954**

**20 ივნისი**

აკეთებს ჩანაწერს „ივნის ბაღი“, რომელშიც ჩამოთვლის წყნეთის აგარაკის ეზოს კეთილმოწყობისთვის საჭირო სამუშაოებს.

➤ 12501

**1954**

**21 ივნისამდე**

ისვენებს წყნეთში.

➤ 12502

**1954**

**21 ივნისი**

წყნეთიდან თბილისში დაბრუნებულს ბინის კარი ღია ხვდება და ამჩნევს, რომ მის ოთახში ვიღაც არის ნამყოფი.

➤ 12503

**1954**

**21 ივნისი**

მიდის სახელმწიფო გამომცემლობაში, სადაც სახელმძღვანელოებში შეტანილი მისი ლექსების თითოეულ სტრიქონში ბუღალტერი ოთხმოც კაპიკს აძლევს.

➤ 12504

**1954**

## 21 ივნისი

ბენო ჩიქობავასგან შეიტყობს, რომ მისი წიგნი ჯერ კიდევ არ აქვს მზად.

➤ 12505

## 1954

### 21 ივნისი

ნაცნობი მკერავი, გვარად ჰენდელი, სთავაზობს მისგან 1500 მანეთად შეიძინოს უკვე შეკერილი კოსტიუმი, მაგრამ გალაკტიონს ძალიან ეძვირება.

➤ 12506

## 1954

### 21 ივნისი

ხვდება კრეიტანის ქვრივი, ორლოვა-კრეიტანი, რომელიც მეუღლის წიგნის შესახებ ესაუბრება.

➤ 12507

## 1954

### 21 ივნისი

ნაცნობი ფოტოგრაფი ახსენებს სტალინის ფრაზას „გალაკტიონი სად არის?“, რომელიც მან თქვა ქართველ მწერლებთან სურათის გადაღებისას, გალაკტიონი კი ფიქრობს, თუ ასე აფასებდა, რატომ არ მიანიჭა სტალინის პრემია.

➤ 12508

## 1954

### 21 ივნისი

იწყებს თავისი შემოქმედებითი გამოფენისთვის სურათების შეგროვებას.

➤ 12509

## 1954

### 22 ივნისი

დღიურში წერს ნახევარი წლის მანძილზე გადატანილი განსაცდელების სიმძიმის შესახებ.

➤ 12510

## 1954

### 22 ივნისი

მოსკოვში წიგნის გამოცემის გაჭიანურებას უძღვნის უსათაურო ლექსს „პრობლემა ისევ პრობლემად რჩება...“

➤ 12511

## 1954

### 22 ივნისი

ღელავს იმის გამო, რომ მისი „რჩეული“ ჯერ კიდევ არ არის რედაქტირებული და გადაცემული დასაბეჭდად სახელმწიფო გამომცემლობაში. იმედი არ აქვს, რომ წიგნის გამოცემა უახლოეს თვეებში მოესწრება.

➤ 12512

## 1954

### 22 ივნისი

ესაუბრება მშენებლობის მინისტრ გიორგი ჯაბუას, რომელიც ჰპირდება, რომ სოხუმში მის სახლს მალე გადახურავენ.

➤ 12513

## ი გ ლ ი ს ი

1954

### 1 ივლისამდე

აკეთებს ჩანაწერს, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი სერგი ჭილაია თავის ერთ ფელეტონში განიხილავს 122 ქართველი მწერლის შემოქმედებას და უპირველესად მას ესხმის თავს. გალაკტიონის აზრით, ჭილაიას სტატია უნდა ჩაითვალოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ერთგვარ ანგარიშად, თუ შეიძლება ანგარიში ეწოდოს იმთავითვე პოლემიკური პათოსით, არასწორი დასკვნებითა და თვითრეკლამით აღსავსე უბადრუკ წერილს.

➤ 12514

1954

### 1 ივლისამდე

აკეთებს ჩანაწერს მწერალთა კავშირში გასამართი ყრილობის შესახებ, რომელმაც უნდა შეაჯამოს ქართული საბჭოთა მწერლობის მიერ 1946 წელს ჩატარებული მესამე ყრილობიდან განვლილი გზა. ჩანაწერის მიხედვით, ყრილობის ამოცანები უნდა ყოფილიყო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის ეფექტურობის შეფასება. როგორ ასრულებდა ქართული მწერლობა თავის პატრიოტულ ვალს ხალხის, სამშობლოს წინაშე, როგორ ამკვიდრებდა ადამიანთა ცნობიერებაში ახალ, სოციალისტურ შეგნებას.

➤ 12515

1954

### 1 ივლისი

პრეზიდიუმის სხდომაზე გაკეთებულ მოხსენებაში კარლო კალაძე აცხადებს, რომ პროექტი თავის ხელმოწერასთან არ უნდა უთითებდეს სიტყვებს „სახალხო პოეტის“ და ასევე, ხელმოწერაში მხოლოდ სახელს არ უნდა იყენებდეს. ბუნებრივია, ის პირდაპირ მიუთითებს გალაკტიონზე, რადგან ის არის ერთადერთი სახალხო პოეტი. მომხსენებელი იმასაც დასძენს, რომ გალაკტიონს სუსტი ლექსებიც აქვს, თუმცა ჩამოთვლისგან თავს იკავებს და უარყოფს რაიმე რევოლუციურს პოეტის ადრეული პერიოდის შემოქმედებაში.

➤ 12516

1954

### 1 ივლისი

საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობაზე ქართული პოეზიის შესახებ მოხსენებით გამოდის კარლო კალაძე, რომელიც სხვა ავტორთა გარდა ეხება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებასაც. კალაძე აღნიშნავს, რომ გალაკტიონის ტომეულები უყურადღებოდ და შედგენილი და ზოგიერთი ლექსი ორჯერაა დაბეჭდილი. მისი თქმით, გამოქვეყნებული ლექსების ნაწილი არ შეეფერება გალაკტიონის კალამს. კალაძეს მიაჩნია, რომ რედაქტორებმა ვერ გაბედეს პოეტისთვის უარის თქმა მისი ზოგიერთი სუსტი ლექსის დაბეჭდვაზე. გამომსვლელის აზრით, „დროა ნამდვილი გულითადი სიყვარულით დავიცვათ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება თვით გალაკტიონ ტაბიძისაგან“. მისთვის ასევე მიუღებელია ნაწარმოებების პუბლიკაციისას ყველგან იმის აღნიშვნა, რომ სახალხო პოეტია. კარლო კალაძის გამოსვლის შემდეგ გალაკტიონს ესარჩლება არჩილ სულაკაური, რომელიც აცხადებს, რომ გალაკტიონ ტაბიძე გალაკტიონ ტაბიძისაგან კი არ უნდა დავიცვათ, არამედ – კრიტიკოსებისაგან.

➤ 12517

1954

### 3 ივლისი

სიტყვით გამოდის საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობაზე. წარადგენენ ყოველგვარი რეგალიის გარეშე, სიტყვებით: „სიტყვა ეძლევა პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს“. თავის გამოსვლაში საუბრობს ლიტერატურული სინდისის შესახებ. აღნიშნავს, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის



განმავლობაში მის მიერ დაწერილია არა ასი, ორასი, ან ათასი, არამედ შვიდი ათასი ლექსი და მის მიერ სიყრმიდანვე არჩეული გზა მხარდაჭერილი იყო ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მიერ. აცხადებს, რომ მას მიენიჭა წოდება საქართველოს სახალხო პოეტისა, რაც იყო ლიტერატურული სინდისის მკაფიო გამოვლინება. გამოსვლის დასასრულს კითხულობს ლექსს „სუფთა სინდისი სისპეტაკე და სიმკვეთრეა...“.

➤ 12518

1954

7 ივლისამდე

აკეთებს ჩანაწერს, რომ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში 1950 წლიდან არსებობს მისი სახელობის დამწყებ მწერალთა წრე.

➤ 12519

1954

7 ივლისამდე

უფუჭდება სატელეფონო ხაზი. რამდენჯერმე წერს განცხადებას, რომ შეუკეთონ, მაგრამ ძალიან აგვიანებენ.

➤ 12520

1954

11 ივლისი

გაზეთში „კუტაისკაია პრავდა“ რუსულ ენაზე იბეჭდება რაფიელ შამელაშვილის სტატია „ქართული პოეზიის გამორჩეული ოსტატი“, რომელიც ეხება 1953 წელს „ზარია ვოსტოკას“ მიერ გამოცემულ გალაკტიონ ტაბიძის „რჩეულს“.

➤ 12521

1954

13 ივლისი

წერს უსათაურო ლექსს „არც ქიზიყში, არც დვალეთში, არც ჰერეთში...“

➤ 12522

1954

13 ივლისი

არისტო ჭუმბაძე მწერალთა სასახლეში კითხულობს მოთხრობას, რომელშიც ნახსენებია სვინტრი. მსმენელთა ინტერესიდან გამომდინარე, მწერალი რამდენჯერმე განმარტავს, რომ სვინტრი ბალახია იმერეთში. ამით გახალისებული გალაკტიონი წერს სახუმარო ლექსს „სვინტრი“ („არც ქიზიყში, არც დვალეთში, არც ჰერეთში...“).

➤ 12523

1954

17 ივლისის შემდეგ

კითხულობს შალვა ინალიფას რუსულენოვან წიგნს „ესეები აფხაზების ქორწინებისა და ოჯახის ისტორიის შესახებ“, აკეთებს ხაზგასმებსა და მცირე შენიშვნებს.

➤ 12524

1954

21 ივლისი

განცხადებას წერს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ გიორგი მერკვილაძის სახელზე და სთხოვს, შემდეგი წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანონ მისი თხზულებათა მერვე და მეცხრე

ტომები, რაც გულისხმობს დაახლოებით შვიდი ათასი სტრიქონის მოცულობის მასალის ბეჭდვას.

➤ 12525

**1954**

**22 ივლისი**

მიდის სახელმწიფო გამომცემლობაში და მიაქვს წინა დღეს დაწერილი განცხადება, რომლითაც ითხოვს შემდეგი წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანონ მისი თხოვულებათა მერვე და მეცხრე ტომები. განცხადებას კითხულობს გამომცემლობის დირექტორი გიორგი მერკვილაძე და ტექსტს უკეთებს შენიშვნას, რომ განცხადების განხილვის დროს წარმოდგენილი უნდა იყოს გამოსაცემი წიგნების გეგმა.

➤ 12526

**1954**

**22 ივლისი**

ტელეფონით ესაუბრება სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის მოადგილეს – დავით დუმბაძეს. იგი პოეტს ჰპირდება, რომ გალაკტიონის თხოვულებათა რვატომეულის მერვე ტომს აუცილებლად შეიტანენ საგამომცემლო გეგმაში.

➤ 12527

**1954**

**22 ივლისი**

სტამბაში მიაქვს თავისი „რჩეული“, ინტერესდება გამოცემის ვადებით და პროცედურებით.

➤ 12528

**1954**

**ივლისი**

წერს უსათაურო ლექსს „თანამედროვე ქართული პროზის შესახებ“.

➤ 12529

## ა გ ვ ი ს ტ ო

**1954**

**12 აგვისტოს შემდეგ**

ჟურნალის „მნათობი“ ტიტულზე წერს, რომ „მნათობი“ ქვას აგდებს, თავს უშვერს და მას თავში ქვას ახლევინებს.

➤ 12530

**1954**

**12 აგვისტოს შემდეგ**

კითხულობს ჟურნალს „მნათობი“, აკეთებს ხაზგასმებს, დასაწყისში განთავსებულ სტალინის პორტრეტს ახატავს ჩიბუხს.

➤ 12531

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

**1954**

**1 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში იწერს განცხადების ტექსტს, რომ თბილისში, ჯორჯიაშილის ქუჩაზე, ლიტერატურის მუზეუმის შენობაში იხსნება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა და შემდეგ ჩამოწერს გეგმას, რა სჭირდება ამისთვის.

➤ 12532

**1954**

## 2 სექტემბერი

აკადემიაში სალაროსთან ხელფასის ასაღებად მისულს ხვდება მძლოლი თებერვლის თვის ჯამაგირის წასაღებად. როდესაც გალაკტიონი ჩანიშნული საათების მიხედვით აძლევს თანხას, ედავება, ემუქრება და მწერალთა კავშირში საჩივარს უტოვებს.

➤ 12533

1954

## 19 სექტემბრამდე

დრამატურგი გენო ქელბაქიანი ჰპირდება თავისი პიესის ხელნაწერის თხოვებას წასაკითხად.

➤ 12534

1954

## 24 სექტემბრის შემდეგ

კითხულობს აკაკი წერეთლის თხზულებების III ტომს. ლექსის „ბოდვა“ სტროფზე: „თაფლს ცოცხლებისთვის ვამზადებ, / მკვდრებისთვის წმინდა სანთელსო, / და ვაკავშირებ ორ სოფლის / სიტკბობას და ნათელსო“ აწერს, რომ წაიღო შოთა ნიშნიანიძემ. სარჩევში 1908 წლის ლექსების გასწვრივ აღნიშნავს, რომ მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან 50 წელი სრულდება 1958 წელს.

➤ 12535

1954

## 24 სექტემბრის შემდეგ

ქვეყნდება სერგი ჭილაიას წიგნი „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა“, რომლის ერთი მცირე მონაკვეთი გალაკტიონ ტაბიძეს ეძღვნება. ნაშრომში ნათქვამია, რომ გალაკტიონი 1922 წლიდან მტკიცედ დგას საბჭოთა ლიტერატურისათვის მებრძოლთა რიგებში, ემსახურება ახალ იდეებს, როგორც მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატი. წიგნში ნახსენებია პოეტის შემოქმედების სიმბოლისტურ პერიოდთან დაკავშირებული „ზოგიერთი შეცდომა“, რომელიც, კრიტიკოსის აზრით, მან მალევე გამოასწორა. გალაკტიონი ეცნობა ამ წიგნს და უკმაყოფილო რჩება ნაშრომის შინაარსით, განსაკუთრებით იმით, რომ სერგი ჭილაია მას არ წარმოაჩენს, როგორც ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელს.

➤ 12536

## ოქტომბერი

1954

## 1 ოქტომბერი

წერს უსათაურო ლექსს „და მახსოვს ცხრაას ჩვიდმეტი...“.

➤ 12537

1954

## 6 ოქტომბერი

სოხუმის დრამატულ თეატრში ესწრება წარმოდგენას. ამჩნევს, რომ თითქმის ცარიელ დარბაზში ჭარბობენ რუსი მსახურელები, რომლებიც ყურსასმენებს იყენებენ. კმაყოფილია მომსახურე პერსონალით, არ მოსწონს მხოლოდ მოლარე ქალი. ინიშნავს იმ მსახიობთა ვინაობას, რომელთა ჩართვაც, მისი აზრით, შეიძლება ლიტერატურულ სადამოებში.

➤ 12538

1954

## 8 ოქტომბერი

ქაღალდზე წერს შესასრულებელი ამოცანების ჩამონათვალს, რომელთა შორისაც არის ხე-ტყის ვალის გასტუმრება, სურათებისათვის ჩარჩოების შოვნა, წიგნის ბეჭდვის საკითხის მოგვარება, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“ მისვლა და სხვ.

➤ 12539

1954

**9 ოქტომბერი**

სოხუმში ყოფნისას მოკლე მონაცემებს იწერს მხატვარ კოტე ერისთავის, სამხატვრო ფონდის დირექტორ ნიკო თაბუკაშვილის, მოქანდაკე ბიძინა ლოლობერიძისა და მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ჭოლა კუკულაძის შესახებ.

➤ 12540

1954

**18 ოქტომბერი**

სადამოს 8 საათზე ესწრება აზერბაიჯანული, სომხური და ქართული ლიტერატურის სადამოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში და დღიურში იწერს, რომ ეს სადამო არ უნდა დაივიწყოს.

➤ 12541

1954

**21 ოქტომბერი**

გაზეთში „ლიტერატურნაია გაზეტა“ კითხულობს სტატიას „საბჭოთა რესპუბლიკების მწერალთა მეგობრობა“, რომელშიც თავადაც არის მოხსენიებული.

➤ 12542

1954

**25 ოქტომბერი**

გიორგი მელქაძე უძღვნის ლექსს სახელწოდებით „სახ. დიდ პოეტს გალაკტიონს“.

➤ 12543

1954

**25 ოქტომბერი**

ადგენს დღის სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო გამომცემლობაში თანხა უნდა ჩაურიცხოს ვინმე გიორგისა და ილიკოს. ასევე საქმეები უნდა მოაგვაროს მწერალთა და მხატვართა კავშირებში და გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ რედაქციებში.

➤ 12544

1954

**27 ოქტომბრამდე**

იწერს მხატვართა ტელეფონის ნომრებსა და მისამართებს. ჩამონათვალში არიან: ელენე ახვლედიანი, ალექსანდრე ბანძელაძე, გიორგი გორდელაძე, გიორგი ვეფხვაძე, აპოლონ ქუთათელაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, შალვა მამალაძე, ქეთევან მაღალაშვილი და დავით ნაცვლიშვილი.

➤ 12545

1954

**27 ოქტომბერი**

სოხუმთან დასაკავშირებლად მიდის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში და ხანგრძლივი მოლოდინისას ისმენს რიგში მდგომთა გაღიზიანებულ საუბრებს უწესრიგობის შესახებ.

➤ 12546

1954

## 27 ოქტომბრის შემდეგ

იწერს მხატვარ მიხეილ გიორგაძის ტელეფონის ნომერს.

➤ 12547

1954

## 29 ოქტომბერი

დღიურში ინიშნავს 27 ოქტომბერს სატელეფონო სადგურში სოხუმთან დაკავშირების მოლოდინში მოსმენილ დიალოგებს.

➤ 12548

1954

## 31 ოქტომბრამდე

დღიურში იწერს მისთვის საინტერესო ღონისძიებათა თარიღებს: 31 ოქტომბერს მხატვართა კავშირში, 1 ნოემბერს – რუსთაველის თეატრში, 8 ოქტომბერს – მარჯანიშვილის თეატრში და 15 ნოემბერს – გრიბოედოვის თეატრში.

➤ 12549

1954

## ოქტომბერი

ჟურნალ „მნათობში“ იბეჭდება კარლო კალაძის წერილი „ქართული საბჭოთა პოეზიის საკითხები“. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ წლების განმავლობაში პიროვნების კულტი შექმნილი იყო არა მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ ლიტერატურაშიც, რამაც ძალზე შეაფერხა საბჭოთა მწერლობის განვითარება, გაბატონებულ პოეტებს მორჩილი და დამფრთხალი კრიტიკა სიტყვას ვეღარ უბედავდა. წერილის ავტორი საგანგებოდ გამოყოფს ორ პოეტს, რომელთა მიმართაც, მისი აზრით, საბჭოთა კრიტიკა ზედმეტ შემწყნარებლობას იჩენდა. ერთი მათგანია იოსებ გრიშაშვილი, რომელიც, კალაძის თქმით, გადამეტებული ქების გამო სათანადო პასუხისმგებლობით აღარ ეპყრობოდა თავის პოეტურ პროდუქციას, მეორე პოეტად კი იგი გალაკტიონს ასახელებს. კარლო კალაძე მძაფრად ეკამათება გიორგი მერკვილაძეს, რომელიც, მისი აზრით, „ხელოვნურად აზვიადებს გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ რევოლუციონერობას“ და ლამობს ხელოვნურად ჩამოაშოროს გალაკტიონს დეკადენტის სახელი. წერილის ავტორი არამხოლოდ ძველ „ცოდვებს“ უხსენებს გალაკტიონს, არამედ მიუთითებს, რომ მისი ლექსები სავსებით არც ახლას თავისუფალი დეკადენტური რეციდივებისაგან. კალაძის თვალსაზრისით, გალაკტიონმა რევოლუციის შემდეგაც ვერ მოახერხა სავსებით გათავისუფლება სიმბოლიზმის გავლენისაგან და იგი ვერ იქცა სოციალისტური სინამდვილის ტიპურ გამომხატველად.

➤ 12550

## ნოემბერი

1954

## 1 ნოემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ვაშა მშობლიურს, განუქრობელს...“.

➤ 12551

1954

## 6 ნოემბერი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „გამარჯვებების გზით“ ავრელი ლევიტისეული თარგმანი.

➤ 12552

1954

## 6 ნოემბერი

ესწრება სხდომას მწერალთა კავშირში. მომხსენებელია გეგეშიძე.

➤ 12553

**1954**

**6 ნოემბერი**

იოსებ მეგრელიძე ჩუქნის თავის წიგნს „გადმოცემები რუსთაველის შესახებ“ წარწერით: „ჩემ უსაყვარლეს პოეტს“.

➤ 12554

**1954**

**9 ნოემბერი**

წერს ლექსს „იფნის ბალი“ („რაც გაჩნდა ეს ხეივანი...“).

➤ 12555

**1954**

**9 ნოემბერი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საცნობარო კრებულის დასასრულს წერს, რომ 1944 წლიდან აკადემიიდან მიღებული ხელფასი შეადგენს 395.000 მანეთს.

➤ 12556

**1954**

**12 ნოემბერი**

კითხულობს „ლიტერატურულ გაზეთს“, აკეთებს ხაზგასმებს. შოთა ნიშნიანიძის ლექსს „შემოდგომა“ აწერს, რომ ერთ წინადადებაში 43 სიტყვაა, გივი ძნელაძის ლექსში „ხვეისწყალი“ კი – ერთ წინადადებაში 62 სიტყვაა.

➤ 12557

**1954**

**12 ნოემბერი**

შეხვედრას უწყობენ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

➤ 12558

**1954**

**13 ნოემბერი ან შემდეგ**

ეცნობა სიმონ კინწურაშვილის მიერ გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილ სტატიას „ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ და იწერს ავტორის მოსაზრებას, რომ შეუსაბამოა ჟურნალის ფურცლებზე ერთმანეთის გვერდით თავისი ხასიათით სრულიად განსხვავებული სურათების მოთავსება. ასეთი შემთხვევის მაგალითად კინწურაშვილის სტატიაში მოყვანილია კორნელი სანაძის ნამუშევრის „გალაკტიონ ტაბიძე“ და კახი ხუციშვილის ნატურმორტის დაბეჭდვა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ერთსა და იმავე გვერდზე.

➤ 12559

**1954**

**13 ნოემბერი ან შემდეგ**

გაზეთ „კომუნისტში“ ეცნობა განცხადებას, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში იხსნება ახალი სეზონი.

➤ 12560

**1954**

**21 ნოემბერი**

წერს ქართველ მწერალთა 33-კაციან სიას და მიუთითებს, რომ მათგან 20 ცოცხალი აღარ არის.  
➤ 12561

**1954**

**23-24 ნოემბერი**

რუსთველური დაბალი და მაღალი შაირის მონაცვლეობით წერს 15 სტროფს

➤ 12562

**1954**

**24 ნოემბერი**

წერს ლექსს სახელწოდებით „ლექსი დაწერილი ქვიშის საათით 10 წუთში“ („ვიწყებ სადამოს მოწყობას...“).

➤ 12563

**1954**

**24 ნოემბრის შემდეგ**

თბილისშია და იღებს ლავრენტი ძიძიგურის მიერ წყალტუბოდან გაგზავნილ წერილს. სწერს, რომ იქ კარგი ამინდებია და ელიან მის ჩასვლას.

➤ 12564

**1954**

**25 ნოემბერი**

წერს სატირულ ლექსს „მე ირაკლის ამ საკითხზე შევეკითხე ტელეფონით...“.

➤ 12565

**1954**

**25 ნოემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „გაფიქრებასებრ ჩქარი, გარეთ ზუზუნებს ქარი...“.

➤ 12566

**1954**

**29 ნოემბერი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი თხოვნით მიმართავს თბილისის სამხატვრო აკადემიის დირექტორს, მწერალთა ყრილობასთან დაკავშირებული გამოფენისთვის ათხოვოს იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტის ორიგინალი ან ასლი.

➤ 12567

**1954**

**30 ნოემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „აქ ბევრ წიგნებს რაღაც ბინდი ეფარება...“.

➤ 12568

## დეკემბერი

**1954**

**1 დეკემბერი**

ტელეფონით ესაუბრება სოხუმს.

➤ 12569

**1954**

**1 დეკემბერი**

ესწრება მარქს-ენგელს-ლენინის სახელობის ინსტიტუტში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ორგანიზებულ შემოქმედებით საღამოს, რომელსაც უძღვება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ მუსხელიშვილი.

➤ 12570

**1954**

## **2 დეკემბერი**

სათაურით „მუსხელიშვილი“ დღიურში იწერს წინა დღით გამართული საღამოს შთაბეჭდილებებს. სიამოვნებით იხსენებს საკუთარ გამოსვლაზე დამსწრეთა ოვაციების, თუმცა არ მოსწონს საღამოს დამთავრებისას სცენაზე თავისი დაბნეულობა და ზედმეტი ნერვიულობა ლექსის კითხვის დროს. აშფოთებს მწერალთა შორის გაუცხოება, თავის გამოჩენის გადამეტებული წყურვილი, შეჯიბრის პრინციპი, უგულობა და სიცივე. მომხსენებელთა შორის შედარებით მისაღებად თვლის ბესარიონ ჟღენტის გამოსვლას.

➤ 12571

**1954**

## **3 დეკემბერი**

მიდის პოლიგრაფიის სამმართველოს ხელმძღვანელ ბორის ნანიტაშვილთან და შეახსენებს, რომ წიგნი ასაწყობად ჯერ კიდევ მაისშია გადაცემული. ის კი ჰპასუხობს, რომ აწყობა ჯერ არ დაუწყიათ და ქალაქის შოვნაც გართულებულია.

➤ 12572

**1954**

## **8 დეკემბერი**

საფინანსო განყოფილებაში იხდის 180 მანეთს.

➤ 12573

**1954**

## **10 დეკემბრამდე**

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსს გიორგი ქადაგიძეს სთხოვს 10 დეკემბრისთვის მოსკოვის მატარებელზე ორი რბილი საერთაშორისო ბილეთის დაჯავშნას.

➤ 12574

**1954**

## **8-10 დეკემბერი**

გრიბოედოვის თეატრის მსახიობი ივან რუსინოვი კითხულობს გალაკტიონის ლექსის რუსულ თარგმანს სათაურით „Закрой, скорей ворота“.

➤ 12575

**1954**

## **დეკემბრის პირველი ნახევარი**

მოსკოვში მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ პირთა სიაში არ არის გალაკტიონის გვარი. არჩეული დელეგატები მთავრობის სასახლეში ხვდებიან ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ვასილ მჟავანაძეს. როდესაც ის ეცნობა მათ სიას, გაცეხებული ეკითხება ირაკლი აბაშიძესა და სერგი ჭილაიას რატომ არ არის ჩამონათვალში გალაკტიონი. ალექო შენგელაია პასუხობს, გალაკტიონისთვის სად ეცალათ, გამორჩათო. დარბაზში ჯერ ფრუტუნია, შემდეგ თავშეკავებული სიცილი ისმის. მჟავანაძე საკუთარი ხელით ამატებს დელეგატთა სიაში გალაკტიონის სახელსა და გვარს.

➤ 12576



1954

**15 დეკემბრამდე**

ხვდება კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილს, რომელიც შესჩივის, რომ დაბერდა, ძალია გამოეცალა. კომპოზიტორის შეკითხვაზე, თუ როგორაა პოეზიის საქმე, გალაკტიონი პასუხობს, რომ ემზადებიან მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობისათვის. კოტე ფოცხვერაშვილი ეუბნება პოეტს, რომ მზად აქვს პოეზიის ჰიმნი, რომელიც მის ტექსტზე დაწერა. გალაკტიონს უხარია, რადგან ფიქრობს, რომ შეიქმნა კიდევ ერთი შესანიშნავი სიმღერა, რომლის გამოყენებაც შეიძლება შემოქმედებით სადამოებზე.

➤ 12577

1954

**15 დეკემბრამდე**

ხვდება გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ ხელმძღვანელ მარკ ზლატკინს. ზოგადად მოიკითხავენ ერთმანეთს. ეუფლება განცდა, რომ ზლატკინი მისი მოწინააღმდეგეების ბანაკშია.

➤ 12578

1954

**15 დეკემბრამდე**

მოსკოვში გალაკტიონ ტაბიძე მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის ქართველ დელეგატებთან ერთად არ მიემგზავრება. ის მეორე დღეს ჩადის საერთაშორისო ვაგონით. კურსკის ვაგზალზე მატარებელი მგზავრებისგან იცლება, ის კი ჯერ კიდევ კუპეში ზის და სიგარეტს აბოლებს. მის დასახვედრად საგანგებოდ გაგზავნილ მიხეილ ქვლივიძეს, რომელიც მოსკოვში ქართული ლიტერატურის დარგში კონსულტანტია, სანამ გაიცნობს, დაცინვით იღებს, ქართულად დასმულ კითხვებზე რუსულად პასუხობს და კუპედან ბარგის გატანას ავალებს, მაგრამ ცოტა ხანში უარყოფითი განწყობა გადაუვლის და თბილად ესაუბრება. ქვლივიძეს პოეტი მიჰყავს სასტუმროში „მოსკოვი“ და ინდივიდუალურ ნომერში აბინავებს.

➤ 12579

1954

**15 დეკემბერი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში თავისი ძველი ჩანაწერის ბოლოში, რომელშიც საუბარი იყო იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა ალექსეი სურკოვი საქართველოს მწერალთა კავშირში შეზარხოშებული 1952 წლის 22 მაისს და როგორ არ დაუკრა მას ტაში გალაკტიონმა, 1954 წლის დეკემბრის შემდეგ ამატებს ფრაზას, რომ სურკოვმა, რომელიც 1954 წელს მოსკოვში საქართველოს დეკადის დროს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, გალაკტიონს სამაგიერო გადაუხადა.

➤ 12580

1954

**15 დეკემბერი ან შემდეგ**

მოსკოვში მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაში მონაწილეობისას გალაკტიონი თვალს გადაავლებს ქართული დელეგაციის თავადური წარმოშობის პოეტებს და ამბობს, მრავლად არიან დადიანები, აბაშიძეები, ლორთქიფანიძეები, ჩიქოვანები, მაგრამ ხალხი სად არისო.

➤ 12581

1954

**15 დეკემბერი ან შემდეგ**

სასტუმროში „მოსკვა“ კარზე მორიდებული კაკუნით ისმის. გალაკტიონი კარს აღებს და ხმამაღლა შესძახებს: „ვასიოკ“. მის სანახავად მიდის ოლია ოკუჯავას ძმა ვასილი.

➤ 12582

1954

## 15 დეკემბერი ან შემდეგ

საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის დროს მოსკოვში ყოფნისას მანქანით უხდება მგზავრობა ქართველ მწერლებთან ერთად. გალაკტიონი, რომელიც გაბრაზებულია მათი სურვილით, რომ გალაკტიონი უკანა პლანზე გადაწიონ, მძლოლს ეკითხება, წერს თუ არა ლექსებს და უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ ვითომდა გაკვირვებით მიუთითებს უკანა სავარძელზე მჯდომ მწერლებზე და ეუბნება, რატომ, შე კაცო, ესენი ყველანი წერენ და შენ რა ღმერთი გაგიწყრაო.

➤ 12583

1954

## 15 დეკემბრამდე

მოსკოვში მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის წინა დღეს საკავშირო გამგეობის მდივანი კონსტანტინ ვორონკოვი რესპუბლიკების ლიტერატურის კონსულტანტებს სთხოვს, დაასახელონ „პატრიარქი“ მწერლები ჟანრების მიხედვით, რომ პრეზიდენტში ეს რჩეულები დასვან. ქვლივიძე ქართულ პოეზიაში გალაკტიონს ასახელებს, პროზაში ლეო ქიაჩელსა და დრამატურგიაში – შალვა დადიანს. იგი ვერ ითვალისწინებს, რომ ერთი ქართველი პოეტი – ირაკლი აბაშიძე ისედაც უნდა მჯდარიყო პრეზიდენტში, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი და მას იქ მეორე ქართველი პოეტის გამოჩენა არ ესია მოგონებოდა.

➤ 12584

1954

## 15 დეკემბერი

მწერალთა ყრილობა სვეტებიან დარბაზში იხსნება. მიხეილ ქვლივიძის გაოცებას საზღვარი არ აქვს, როცა პრეზიდენტში გალაკტიონს ვერ დაინახავს. ათვალისწინებს პარტერს, მაგრამ გალაკტიონი არც იქ ჩანს. შემდეგ იარუსებზე, ვესტიბულში და ბოლოს ჩაბნელებულ და უკაცრიელ ქანდარაზე აღმოაჩენს ბოლო რიგში თავზე შლაპაჩამოფხატულს. ქვლივიძე ინტერესდება რატომ არ არის იგი პრეზიდენტში. გალაკტიონს ჰგონია, რომ დარბაზის დატოვებას სთხოვენ, გაღიზიანებული რუსულად პასუხობს, რომ ამის უფლება არა აქვთ და მოსაწვევს აჩვენებს. ქვლივიძე ეუბნება, რომ მის დასახმარებლად არის მისული და უმეორებს თავის გვარს. გალაკტიონი პასუხობს, რომ იცის მისი ვინაობა და ისიც იცის, რომ ის მხატვარცაა. გახარებული ქვლივიძე კონსტანტინ ვორონკოვთან გარბის და ეკითხება, რატომ არ ზის გალაკტიონი პრეზიდენტში, რაზეც პასუხად იღებს, ირაკლი აბაშიძემ მითხრა, გალაკტიონი მთვრალი იქნება და პრეზიდენტში არ შემოუშვათო.

➤ 12585

1954

## 15 დეკემბერი

გაზეთის „სტალინელი“ მესამიათასე ნომრის გამოსვლას ვერ ესწრება, რადგან მოსკოვში საბჭოთა მწერალთა ყრილობაზე იმყოფება. სანაცვლოდ, რედაქციას მოსკოვიდან დეპეშას უგზავნის, რომელშიც საიუბილეო ნომრის გამოსვლას ულოცავს და წარმატებებს უსურვებს. დეპეშას სადამოუხე კითხულობენ და ოვაციებით ხვდებიან.

➤ 12586

1954

## 18 დეკემბრამდე

მოსკოვში მყოფი მიდის ლიტერატურისა და ხელოვნების სტალინური პრემიის კომიტეტში თავისი დაჯილდოვების საქმის გასაგებად და კარგს ვერაფერს ისმენს. ფიქრობს, რომ ამ საქმეს ასე იოლად ვერ მიატოვებს.

➤ 12587

1954

**18 დეკემბერი**

დილით სახელმწიფო ლიტერატურის გამომცემლობაში ხვდება მის ხელმძღვანელ არკადი დევს.

➤ 12588

1954

**18 დეკემბერი**

მოსკოვში მყოფი შეიტყობს, რომ რომ ერევანში მისი წიგნი უკვე გამოიცა.

➤ 12589

1954

**18 დეკემბერი**

ესაუბრება უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენელ მიკოლა ბაჟანს, რომელიც ჰპირდება მისი წიგნის მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემას.

➤ 12590

1954

**18 დეკემბერი**

მოსკოვში მიმდინარე მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობაზე, მოხსენებით „საბჭოთა ლიტერატურის მდგომარეობა და ამოცანები“ გამოდის ალექსეი სურკოვი და გალაკტიონ ტაბიძის გარდა ყველა საბჭოთა მწერლის შემოქმედებას ეხება.

➤ 12591

1956

**18 დეკემბერი**

სურკოვის მოხსენების გამო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე იწვევს ქართველ მწერალთა კრებას და აცხადებს, რომ მომხდარის გამო მომხსენებელს ვერ უსაყვედურებენ. მას მხარს უჭერენ ალექსანდრე შანშიაშვილი, აკაკი ბელიაშვილი და ლეო ქიაჩელი. გალაკტიონის სახელის რეაბილიტაციას მოითხოვენ: ბესარიონ ჟღენტი და ანდრო თევზაძე. საბოლოოდ, კრებას არავითარი დასკვნა არ გამოაქვს მომხდარის შესახებ.

➤ 12592

1956

**18 დეკემბერი**

კითხულობს გაზეთს „ვეჩერნაია მოსკვა“ და მოსწონს მასში დაბეჭდილი წერილი სალიტერატურო წრეების შესახებ.

➤ 12593

1956

**18 დეკემბერი**

ინტერესდება ალექსეი სურკოვის პიროვნებითა და მწერლური ოსტატობით და ყიდულობს მის წიგნს.

➤ 12594

1956

**18 დეკემბერი**

მოსკოვში გულთბილი შეხვედრის შემდეგ ბელორუსი პოეტი იაკუბ კოლასი მინსკში ეპატიჟება. გალაკტიონსაც სურს, თავისი კეთილგანწყობა გამოხატოს და გადაწყვეტს, რომ თბილისში ჩასვლისას თავისი ახალგამოცემული წიგნი გაუგზავნოს წარწერით.

➤ 12595

1954

**20 დეკემბრამდე**

მოსკოვშია და წერს მინიატიურას „სადმე, მეათე სართულს ზევით...“. მშიერ სტუდენტს მეძველმანისთვის პიჯაკის მიყიდვა უნდა, რომ საკვები იყიდოს, ის კი აჩვენებს ნახვრეტებს ჯიბეებში და სახელოზე. გალაკტიონს ეს მეძველმანე თავისი წიგნების შემდგენლებს აგონებს. ისეთ ლექსებს ამოუჩხრეკენ ხოლმე და შეიტანენ მის კრებულებში, რომელთა გამოცემაც დიდად არ სიამოვნებს.

➤ 12596

1956

**20 დეკემბერი**

ხვდება გამომცემლობის „სოვეტსკი პისატელ“ საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის განყოფილების გამგე სერგეი კირიანოვს და თანხმდებიან, რომ გალაკტიონი 15 მარტს გადასცემს წიგნის მასალას, რომლის მოცულობა 5 000 სტრიქონს შეადგენს. ლექსების უმეტესობას მოსკოველი, ნაწილობრივ კი ქართველი პოეტებიც გადათარგმნიან. წიგნის რედაქტორად ნიკალაი სიდორენკოს მოიაზრებენ.

➤ 12597

1954

**20 დეკემბერი**

ფრიდონ ხალვაში უძღვნის ლექსს „გალაკტიონისადმი“ („არის ღიმილი და სიყვარული...“).

➤ 12598

1954

**20 დეკემბერი**

მოსკოვიდან თბილისში ტელეფონით ესაუბრება მეუღლე ნინო კვირიკაძესა და მის შვილიშვილ მარინე ფირცხალავას.

➤ 12599

1954

**20 დეკემბერი**

მოსკოვიდან თბილისში ტელეფონით ცდილობს დაუკავშირდეს სახელმწიფო გამომცემლობას და პოლიგრაფიის სამსახურს, მაგრამ ამაოდ. ამიტომ გზავნის დეპეშას. სთხოვს, შეატყობინონ, როგორ არის წიგნის ბეჭდვის საქმე.

➤ 12600

1954

**26 დეკემბრამდე**

მწერალთა კავშირის მეორე ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში ყოფნისას ძმისშვილთან, ნოდარ ტაბიძესთან ერთად საღამოხანს შედის რესტორანში, სადაც შემთხვევით ხვდება ბელორუსიის სახალხო პოეტს იაკუბ კოლასს და გულთბილად ესაუბრებიან ერთმანეთს.

➤ 12601

1954

**27 დეკემბერი**

მოსკოვში მყოფი სასტუმროს ნომერში ფიქრობს ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის მხატვრულ ოსტატობაზე და მის პერსონაჟთა მეტყველების განუმეორებელ კოლორიტზე.

➤ 12602

1954

**27 დეკემბერი**

სასტუმროში „მოსკვა“ ყოფნისას უცნაური რამეები ხდება: ჯერ ტელეფონზე ურეკავს ვიღაც და მიმართავს, როგორც გალაკტიონ ალმასხანის ძეს, შემდეგ კარზე უკაკუნებენ, დეპეშაო და ვიღაც პირდაპირ თავხედურად ეჭრება ოთახში.

➤ 12603

1954

**28 დეკემბერი**

მოსკოვიდან გამომგზავრებამდე კიდევ ერთხელ მოინახულებს სერგეი კირიანოვსა და არკადი დევეს, ელაპარაკება თავისი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით და ემშვიდობება.

➤ 12604

1954

**28 დეკემბერი**

თავს შეუძლოდ გრძნობს და ფიქრობს, რომ სასტუმროს დერეფანში გაცივდა.

➤ 12605

1954

**29 დეკემბრამდე**

იწყებს პოემის წერას ოსეთზე.

➤ 12606

1954

**29 დეკემბერი**

მოსკოვიდან გამომგზავრებამდე ისევ აღიზიანებს ირაკლი აბაშიძის საქციელი.

➤ 12607

1954

**29 დეკემბერი**

მოსკოვიდან თბილისში ბრუნდება მატარებლის საერთაშორისო ვაგონით და წერს ლექსს „ახალი სიმართლე“ („ჩვენმა ჩანგმა გამონახა უახლესი ჰანგი ქართლის...“).

➤ 12608

1954

**29 დეკემბერი**

მოსკოვიდან თბილისისკენ მგზავრობისას წერს ლექსს „ვერავითარი ატომი“ („ო, შვიდი ტომი, მერე რა ტომი...“) და მის ვარიანტს „ცხრა ტომი“ („ძეგლად აღვმართე ჩემი ცხრა ტომი...“).

➤ 12609

1954

**29 დეკემბერი**

მოსკოვიდან თბილისისკენ მგზავრობისას წერს ლექსს „მინდვარადა სდგას ერთი ზვინი...“.

➤ 12610

1954

**29 დეკემბერი**

მატარებლით მოემგზავრება მოსკოვიდან თბილისისკენ, მგზავრობისას, საერთაშორისო ვაგონში, წერს ლექსს „ცხრა ტომი“ („ძეგლად აღვმართე ჩემი ცხრა ტომი...“).

➤ 12611

**1954**

**28-31 დეკემბერი**

წერს ლექსს „ახალი სიმართლე“ („ჩვენმა ჩანგმა გამონახა...“).

➤ 12612

**1954**

**28-31 დეკემბერი**

მოემგზავრება მოსკოვიდან თბილისისკენ. მგზავრობის დროს წერს უსათაურო ლექსს „მინდვრადა სდგას ერთი ზვინი...“.

➤ 12613

**1954**

**31 დეკემბერი**

ყრილობის მონაწილე მწერლებთან ერთად მოსკოვიდან ბრუნდება საქართველოში.

➤ 12614

**1954**

**31 დეკემბერი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ მატარებელი გაჩერდა ხარაგაულში, სადაც ასწავლიდა 40 წლის წინ.

➤ 12615

**1954 ან ადრე**

დეპეშას აგზავნის რევაზ ასავეთან. შეახსენებს, რომ დეკემბერში მის ჟურნალში გამოქვეყნდა გალაკტიონის ლექსები და სთხოვს ჰონორარის გაგზავნას. ასევე ინტერესდება, როგორ მიდის ოსური წიგნისთვის მისი ლექსების თარგმნის საქმე.

➤ 12616

**1954**

სტუმრობს მეცნიერებათა აკადემიას. ესაუბრება აკადემიის პრეზიდენტ ნიკო მუსხელიშვილს. მისი კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ მიდის იქვე მდგომ ახალგაზრდა მეცნიერთან და უსვამს შეკითხვებს, საიდანაა წარმოშობით, აქვს თუ არა მეცნიერული ხარისხი, უყვარს თუ არა პოეზია და სხვ. პასუხების მოსმენის შემდეგ ეუბნება, რომ ისეთი დრო მოვიდა, როცა ყველა მეცნიერებისკენ ილტვის, მთავრობა კი მზადაა ხელი შეუწყოს ყველას, ნიჭიერსაც და უნიჭოსაც, ასე კი საქმე არ გამოვა, რადგან უნიჭოები წალეკავენ ქვეყანას და მეცნიერების ასეთი ხალხურობა არ ვარგა. ამბობს, რომ ჩვენი მეცნიერება სრულიად დანაგვიანებულია. შემდეგ ემშვიდობება თანამოსაუბრეს და ტოვებს მეცნიერებათა აკადემიის შენობას.

➤ 12617

**1954**

იბეჭდება გიორგი მერკვილაძის წიგნი „სოციალისტური რეალიზმის შესახებ“, რომელშიც განხილულია სოციალისტური რეალიზმის თეორიული პრობლემები და საბჭოთა პოეზიის განვითარების ტენდენციები. სხვა საკითხთა გვერდით ავტორი მიზნად ისახავს აჩვენოს „რეალიზმის მოტივების ზრდისა და დამკვიდრების ზოგიერთი დამახასიათებელი მომენტი გალაკტიონის შემოქმედებაში“. გიორგი მერკვილაძე, სხვა საბჭოთა კრიტიკოსების დარად, გალაკტიონის ადრეულ ლირიკაშივე ცდილობს დაინახოს რევოლუციური სულისკვეთება. იგი განიხილავს გალაკტიონის 30-40-იანი წლების პოეზიას, როგორც ქართული სოციალისტური რეალიზმის მიღწევათა თვალსაჩინო ნიმუშს. საუბრობს შრომის ჰეროიკაზე, ახალი ადამიანის სახეზე და კაპიტალისტური სამყაროს სიმახინჯის ასახვაზე გალაკტიონის შემოქმედებაში.

➤ 12618

**1954**

ფოტოს იღებს ნინო ნაკაშიძესთან და ქეთევან მეგრელიძესთან ერთად.

➤ 12619

**1954**

ხვდება რევაზ ორჯონიკიძე, რომელიც ატყობინებს, რომ მისი მერვე ტომი შეტანილია 1955 წლის გეგმაში.

➤ 12620

**1954**

ფოტოს იღებს ქეთევან მეგრელიძესთან ერთად.

➤ 12621

**1954**

**14 აპრილი**

წერს უსათაურო ლექსს „ქვა-კირის და ხე-ტყის...“.

➤ 12622

**1954**

წერს უსათაურო ლექსს „მთა და ბარად დაფნით მშკობელს...“.

➤ 12623

**1954 ან შემდეგ**

ეცნობა კატალოგს „საკავშირო სამხატვრო გამოფენა – 1952“, აკეთებს ხაზგასმებს, ყდაზე წერს საბჭოთა კავშირის 16 რესპუბლიკის სიას.

➤ 12624

**1954 ან შემდეგ**

კითხულობს ალექსანდრე ბარამიძის, ლევან ასათიანისა და ბესარიონ ჟღენტის წიგნს „საქართველოსა და უკრაინის კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“ და აკეთებს ხაზგასმებს. გამოცემის დასკვნით ნაწილს მოწინავე ქართველი მწერლების მიერ უკრაინული პოეზიის თარგმნის შესახებ აწერს, რომ ეს არის სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძისა და ირაკლი აბაშიძის „თარეში“.

➤ 12625

**1954 ან შემდეგ**

კითხულობს შალვა ჩხეტიას რედაქტორობით გამოცემულ რუსულ წიგნს „დოკუმენტები საქართველოს ისტორიის შესახებ“, აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს ჭყვიშისა და საჭილას შესახებ.

➤ 12626

**1954 ან შემდეგ**

კითხულობს მარია ოვსიანიკოვას რუსულ წიგნს „ქალები სახალხო ბედნიერებისთვის ბრძოლაში“ და აკეთებს ხაზგასმებს.

➤ 12627

**1955**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

1955

1 იანვარი

გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“ იბეჭდება ლექსი „მრავალ ახალ წელს“.

➤ 12628

1955

7 იანვარი

„ლიტერატურულ გაზეთში“ კითხულობს ირაკლი აბაშიძის სიტყვას საბჭოთა მწერლობის მეორე საკავშირო ყრილობაზე და თავის დამოკიდებულებას გამომსვლელისადმი გამოხატავს ორტაეპიანი და ორენოვანი სატირული სტროფით „გაჰკრა ქლიბი ირაკლიმა / На безрыбье И рак рыба“, რომელსაც იწერს დღიურში.

➤ 12629

1955

7 იანვარი

წერს უსათაურო ლექსს „გული მისი არის მდომი...“.

➤ 12630

1955

7 იანვარი

აპირებს, ორ საათზე დაესწროს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას, აინტერესებს, ვინ არის პრეზიდიუმის მდივანი. ასევე, ცდილობს, გაარკვიოს, აქვს თუ არა აზრი სამომავლოდ პრეზიდიუმის კრებებზე დასწრებას.

➤ 12631

1955

7 იანვარი

გალაკტიონის კარადა, რომელიც მწერალთა კავშირში მიატანინა პოეტმა, საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავენ: მარიჯანი – მარიამ ტყემალაძე, იროდიონ ქავჭავაძე, რევაზ ჯაფარიძე, ემანუელ ფეიგინი და ბესარიონ ჟღენტი. მარიჯანი აღნიშნავს, რომ კარადა მოცულობით ძალიან დიდია, ბესარიონ ჟღენტი კი აზუსტებს კარადის სიდიდეს და ამბობს, რომ „პოეტების შკაფში“ თავად პოეტებიც კი მოთავსდებიან. ამ დროს იროდიონი კარადის გაღებას და მის დათვალიერებას ცდილობს.

➤ 12632

1955

7 იანვარი

იმყოფება მწერალთა კავშირში, ხვდება რევაზ ჯაფარიძეს, რომელიც ზეპირად ამბობს მის ლექსებს, მათ შორის ლექსს „მისტერია წვიმაში“. პოეტს ეს ფაქტი ახარებს და უბის წიგნაკში ინიშნავს.

➤ 12633

1955

8 იანვარი

ქუჩაში შემთხვევით ხვდება კრიტიკოს ლავროსი კალანდაძეს და მასთან ერთად ელოდება ტრამვაის.

➤ 12634

1955

8 იანვარი



ფიქრობს, რომ იოსებ ნონეშვილი მისი პოეზიის ჭეშმარიტი გულშემატკივარი და მისი პატრიოტია და ამის შესახებ იწერს უბის წიგნაკში.

➤ 12635

1955

### 9 იანვრამდე

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ რუსულ ენაზე გამოსცემს ანთოლოგიას სახელწოდებით „ქართული საბჭოთა პოეზია“. წიგნში შეტანილია ქართველ პოეტთა მიერ 1934-1954 წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებების – ლექსებისა და პოემების თარგმანები. როგორც ანთოლოგიის ანოტაციაშია ნათქვამი, წიგნისათვის საგანგებოდ შეირჩა ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც საბჭოთა ყოფას, დიდი სამამულო ომისა და ამ ომის შემდგომ პერიოდს ირეკლავს. საქართველოს სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანებს ანთოლოგიაში თითქმის ოცდასამი გვერდი აქვს დათმობილი. დაბეჭდილია ლექსები: „სამშობლოს“, „ჩემი სიმღერა“ („ყველას რაიმე აქვს სახსოვარი...“), „აწმყოს დიდება დიდი“, „წითელი მოედანი“, „მოსკოვი“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „\*\*\* დღევანდელი დღის თვალი“, „ფიქრები რატაციონის გრგვინვაში“, „ქალაქი წყალქვეშ“, „სამშობლოს“, „გულთა კავშირი“, „მაისი და მშვიდობა“, „მოხუცი ქალი“, „პარიზი. ეს ხმა“, „აყვავილდა ყაყაჩო“, „ვით არ მიყვარდეს“, „მუხები“, „დამშვიდდი, ქარო“, „დიდი ზამთარი“, „ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს!“, „გაზაფხული“, „მატარებლიდან“, „მინდვრებში“, „სადამოხანად, მთაწმინდას რომ დაფარავს ნისლი“, „რატი რატიშვილი“, „ანრი ბარბიუსი ანტიფაშისტურ კონგრესზე“, „ომგადახდილი აფხაზი“ და ფრაგმენტი პოემიდან „საუბარი ლირიკის შესახებ“. წიგნს ერთვის ინფორმაცია ანთოლოგიაში შეტანილი თხზულებების ავტორთა შესახებ. საქართველოს სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის შესახებ შედგენილ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საბჭოთა პერიოდის შემოქმედებაზე.

➤ 12636

1955

### 9 იანვარი

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც 1955 წლის 7 თებერვალს ოპერის თეატრში მოეწყობა მისი დიდი შემოქმედებითი საღამო. ამ ცნობას ხელმოწერით ადასტურებენ გალაკტიონ ტაბიძე და შალვა რადიანი.

➤ 12637

1955

### 9 იანვარი

ხვდება კონსტანტინე ჭიჭინაძეს, საუბრობენ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ანთოლოგიის – „ქართული საბჭოთა პოეზია“ – შესახებ. ირკვევა, რომ კონსტანტინე ჭიჭინაძე ამ ანთოლოგიით უკმაყოფილოა, თუმცა მოსწონს წიგნში შეტანილი გიორგი ცაგარლის მიერ შესრულებული თარგმანები და, ასევე, ამავე კრებულში დაბეჭდილი, სხვადასხვა ავტორთა მიერ შესრულებული გალაკტიონის ლექსების თარგმანები.

➤ 12638

1955

### 9 იანვარი

იმყოფება მწერალ მიხეილ კინწურაშვილის (იასამანი) დაკრძალვაზე და არ მოსწონს გამომსვლელთა გამოსამშვიდობებელი სიტყვები.

➤ 12639

1955

### 9 იანვარი

თავისი ქაღალდების გადათვლიერებისას არჩევს მის შესახებ 300 მწერლის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ მნიშვნელოვან მასალას.

➤ 12640

**1955**

**9 იანვარი**

იწყებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „მიანგრია რა მთა კლდეებით გადანარაგვი...“.

➤ 12641

**1955**

**9 იანვარი ან შემდეგ**

ასრულებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „მიანგრია რა მთა კლდეებით გადანარაგვი...“, ქმნის ნაწარმოების ახალ ვარიანტს სათაურით „ორი არაგვი“ („მიანგრია რა მთა...“).

➤ 12642

**1955**

**10 იანვარი**

ტროლეიბუსით მგზავრობისას ჯიბიდან აცლიან 100 მანეთს.

➤ 12643

**1955**

**10 იანვარი**

ფიქრობს საღამოს ჩატარებასა და მისთვის აფიშების მომზადების საკითხზე. კალენდრის ფურცელზე იწერს, რომ ოპერის აფიშები სხვადასხვანაირია, კარგია ოპერის თეატრის მომღერლის, სახალხო არტისტ ვერა დავიდოვას აფიშები, თუმცა, გალაკტიონის აზრით, უკეთესის მომზადებაც შეიძლება.

➤ 12644

**1955**

**10 იანვარი**

კალენდრის ფურცელზე მონიშნავს მის წინაშე არსებულ ამოცანებს და მოსაგვარებელ საკითხებს, რომლებიც უკავშირდება პოემებს, ქართული და რუსული წიგნების გამოცემას.

➤ 12645

**1955**

**11 იანვარი**

მბეჭდავისაგან იგებს, რომ მისი ადრეული შემოქმედების, კერძოდ, 1905 წლის მასალის ერთი ნაწილი უკვე გადაბეჭდა.

➤ 12646

**1955**

**12 იანვარი**

კალენდრის ფურცელზე აკეთებს მინაწერს, რომ შალვა ღამბაშიძე – მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი – უკმაყოფილოა მწერალთა ყრილობით, რადგან გალაკტიონი სათანადოდ არ წარმოაჩინეს. შალვა ღამბაშიძის სიტყვებიდან გამომდინარე აკეთებს დასკვნას, რომ მარჯანიშვილის თეატრი მის მხარეზეა.

➤ 12647

**1955**

**12 იანვარი**

ყიდულობს წიგნების სამ ახალ კარადას და 60 საქაღალდეს. აღმოაჩენს, რომ ერთ-ერთ ახალნაყიდ კარადას ჩამოსაშლელი მაგიდა ახლავს და იმდენად კმაყოფილია, რომ უბის წიგნაკში იწერს პატარა ექსპრომტს: „აღმოჩენები ახალთახალი / შეხედე, ქვეყნად რაოდენია“.

➤ 12648

1955

12 იანვარი

სახელმწიფო გამომცემლობისგან იგებს, რომ მისი წიგნი, „რჩეული“, მზად იქნება ერთ კვირაში.

➤ 12649

1955

12 იანვარი

ბენო ჩიქობავას ავალებენ გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა VIII ტომის შედგენას და ის პოეტს სთავაზობს, რომ პოემებზე მუშაობა უკვე დაიწყო.

➤ 12650

1955

12 იანვარი

ჟურნალისტა და პოეტ ავრელი ლევიტს აძლევს რეკომენდაციას, რომ მიიღონ მწერალთა კავშირის წევრად.

➤ 12651

1955

12 იანვრამდე

ათვალეირებს თავისი ლექსების 1954 წლის „რჩეულს“ და აღმოაჩენს ერთ-ერთ თავს, სახელწოდებით „პოეტი ტრიბუნი“, რომელიც გამოადგება ციკლისთვის „Art poetique“. აქვე პოულობს არაერთ ისეთ ლექსს, რომლებიც მის ტომეულებში არ არის და შესატანია.

➤ 12652

1955

14 იანვარი

იწყებს კაბინეტის მოწესრიგებას და ხელნაწერების დალაგებას.

➤ 12653

1955

14 იანვარი

კალენდრის ფურცელზე აკეთებს მინაწერს, რომ მომდევნო დღეს აპირებს წყნეთში წასვლას.

➤ 12654

1955

14 იანვარი

ირაკლი აბაშიძე და სერგი ჭილაია სთხოვენ მწერალთა კავშირის მგოსანთა სექციაში მუშაობას.

➤ 12655

1955

14 იანვარი

სახელმწიფო გამომცემლობაში ისევ ეუბნებიან, რომ მისი წიგნი, „რჩეული“, რომელიც 1954 წელს უნდა გამოცემულიყო, ერთ კვირაში იქნება მზად.

➤ 12656

1955

15 იანვარი

ატყობინებენ, რომ 24 იანვარს მწერალთა კავშირში გამგეობის პლენუმი დაგეგმილი.

➤ 12657

1955

15 იანვარი

ხელნაწერების გადათვალისწინებისას უჩნდება იდეები სამ გამოცემასთან დაკავშირებით. ესენია: თავისი შვიდტომეული, ქართველი მწერლების გამოცემა და პოემების გამოცემა. ფიქრობს, რომ ამისთვის დასჭირდებიან აქტიურად და კულტურულად მომუშავე ადამიანები, რომლებიც მასალას შესაბამისად დაალაგებენ.

➤ 12658

1955

15 იანვარი

იმყოფება წყნეთში.

➤ 12659

1955

16 იანვარი

კალენდრის ფურცელზე აკეთებს მინაწერს, რომ წინა დღეს იმყოფებოდა წყნეთში და კმაყოფილია იქ თავისი სახლის ადგილმდებარეობით.

➤ 12660

1955

17 იანვრამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას მწერალთა კავშირის სექციების საანგარიშო კრებების შესახებ. მიუთითებს, რომელი სექციის კრება რომელ დღეს არის დაგეგმილი. ჩანაწერის მიხედვით, პოეტების სექციის კრება უნდა ჩატარდეს 17 იანვარს, დღის 2 საათზე.

➤ 12661

1955

17 იანვარი

სიტყვით გამოდის მწერალთა კავშირის პოეტების სექციის შეკრებაზე და ერთხმად ირჩევენ ამ სექციის ბიუროს თავმჯდომარედ.

➤ 12662

1955

17 იანვარი

სალამოს 8 საათზე მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაში ესწრება მწერალთა მეორე საკავშირო ყრილობის შედეგების განხილვას და თავადაც გამოდის სიტყვით.

➤ 12663

1955

17 იანვარი ან შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ არასოდეს დაავიწყდება 1955 წლის 17 იანვარი, ის დღე, როდესაც პოეტების სექციის ბიუროს თავმჯდომარედ აირჩიეს.

➤ 12664

1955

## 17 იანვრის შემდეგ

მწერალთა კავშირში სიტყვით გამოდის მწერალთა სხდომაზე. აღნიშნავს, რომ თავის დროზე ავადმყოფობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაში. როდესაც ყრილობის მონაწილე ქართველი მწერლები სტუმრებიან იოსებ სტალინს, მას გაკვირვება გამოუთქვამს, რომ მათ შორის გალაკტიონი არ იმყოფებოდა. პოეტი აღნიშნავს, რომ ეს ამბავი მოსკოვიდან კოლეგებმა ჩამოუტანეს და ამ ფაქტმა მას შემოქმედებითი მუშაობის უდიდესი სტიმული მისცა. გალაკტიონის თქმით, ის ჯერ კიდევ 1917 წელს შეხვდა სტალინს სმოლნში და მხურვალედ მიესალმა მას. თავის სიტყვაში პოეტი ეხმიანება ზოგიერთი მწერლის მიერ გაჟღერებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ თანამედროვე ქართული პოემა კრიზისს განიცდის. იგი მიუთითებს, რომ პირადად მის მიერ დაწერილია 50-მდე პოემა, რომელიც ჯერ კიდევ მოელის თავის მკვლევარს. გალაკტიონის ამ სიტყვებს რეპლიკით ეხმაურება ხუტა ბერულავა, რომელიც ირონიულად ჩაურთავს, რომ 50 პოემა მთლიანად ქართულ პოეზიაში არაა დაწერილი. გალაკტიონი არ ეთანხმება მას და პოემის ჟანრის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობაზე აგრძელებს საუბარს, გამოსვლის ბოლოს კი მიუთითებს, რომ მწერლობა ღირსეულად უნდა მოემზადოს ისეთი თარიღებისათვის, როგორებიცაა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 40 წლის და 1905 წლის რევოლუციიდან 50 წლის თავი.

➤ 12665

1955

## 17 იანვრის შემდეგ

მწერალთა კავშირში პოეზიის სექციის თავმჯდომარედ არჩევის პერიოდში ყოველდღე ორ საათზე მიდის ადგილზე და ხუთ საათამდე იქ იმყოფება. ესაუბრება ახალგაზრდა მწერლებს და აძლევს რჩევა-დარიგებებს. ერთხელ ამბობს, რომ ადრე გატაცებული იყო ტეოფილ გოტიეს არტისტული სტილით და ლექსიც კი უძღვნა მას, მაგრამ ახლა მისი მხატვრული შემეცნების სტილი რეალისტურია.

➤ 12666

1955

## 17 იანვრის შემდეგ

აყალიბებს მწერალთა კავშირის პროექტების სექციის სამომავლო მიზნებს. გეგმავს სექციის ეგიდით ლექციების, ექსკურსიების მოწყობას, კავშირის დამყარებას სხვადასხვა ლიტერატურულ წრებთან, ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან და სხვ.

➤ 12667

1955

## 17 იანვრის შემდეგ

მწერალთა კავშირში პოეზიის სექციას ხელმძღვანელობს. ამიტომ სამსახურში ყოველთვის ადრე ცხადდება და თავის ოთახში მუშაობს. მწერალი რევაზ ჯაფარიძე რაღაც ცნობის ასაღებად ერთხელ სასახლეში ადრიანად მიდის და შემთხვევით გალაკტიონის ოთახის კარს შეაღებს. დამორცხვებულს გალაკტიონი ჭიქა ღვინოზე ეპატიჟება. გზად რევაზ ინანიშვილსა და მუხრან მაჭავარიანს შემოიერთებენ და შედიან დადიანის ქუჩაზე მდებარე სახინკლეში. ხინკალს და ორი ბოთლ „თელიანს“ უკვეთავენ. პოეტი ჩაფიქრებული ზის. ახალგაზრდებიც ჩუმად შეჰყურებენ. ჯაფარიძე იხტიბარს არ იტებს და თამადაობს. პირველ სადღეგრძელოს სამშობლოზე გალაკტიონის „მამულის“ მიხედვით ამბობს. მეორე სადღეგრძელოს გალაკტიონს უძღვნის, როგორც მეფე-პოეტს, მაგრამ უგუნებობას ესეც ვერ უფანტავს. შემდეგ თამადა მუხრან მაჭავარიანს როგორც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მომავალ დიდ პოეტს ადღეგრძელებს. გალაკტიონი ყურადღებას ამახვილებს ფრაზაზე „მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი“ და მაჭავარიანს წარმატებას უსურვებს. სუფრის დასასრულს გალაკტიონი პალტოს ჯიბიდან ბლუჯა ფულს იღებს და ახალგაზრდებს სთხოვს, დახარჯული თანხა იქიდან გადაიხადონ. სახინკლედან გამოსულები ტაქსის აჩერებენ. გალაკტიონს წინა სკამზე უთმობენ ადგილს. მძღოლი ცნობს პოეტს და ეკითხება შინ მიიყვანოს თუ სხვაგან. პოეტს სიამოვნებს მძღოლის ყურადღება, მაგრამ

არ პასუხობს, ის კი უფრო უშინაურდება და შეჰკადრებს, ასე ადრინად ნასვამს რომ გნახავთ, ვაითუ მეუღლე გაგიბრაზდეთო. ახალგაზრდებს ჰგონიათ, რომ გაბრაზებული გალაკტიონი მძლოლს მანქანას გააჩერებინებს და რაღაც აუგს ეტყვის, მაგრამ ის მხრებში თავჩარგული ხმადაბლა იმეორებს: „ვინ მეუღლე, სად არის მეუღლე?“.

➤ 12668

1955

### 17 იანვრის შემდეგ

აკეთებს ჩანაწერებს მწერალთა კავშირის პოეტების, პროზაიკოსების, კრიტიკოსებისა და მთარგმნელების სექციების სამუშაო გეგმების შესახებ.

➤ 12669

1955

### 18 იანვარი

ესწრება მწერალთა კავშირის მთარგმნელთა სექციის სხდომას. უკმაყოფილოა მათი მუშაობით, რადგან სხდომაზე სულ ათი კაცია. ირონიულად განაწყობს ის ფაქტი, რომ ამ ათი ადამიანიდან შვიდი გამგეობის წევრებად აირჩიეს. კმაყოფილი დარჩა გერონტი ქიქოძის გამოსვლით. შალვა აფხაიძის მიერ წარმოთქმული სიტყვა კი არ მოეწონა, მაგრამ სწორედ ის აირჩიეს სექციის თავმჯდომარედ.

➤ 12670

1955

### 19 იანვარი

უთანხმდებიან, რომ ავლაბარში მოსწავლე-ახალგაზრდობასთან შეხვედრა 25 იანვარს მოეწყოს.

➤ 12671

1955

### 19 იანვარი

უბის წიგნაკში იწერს 1954 წლის მუშაობის ანგარიშს. მიუთითებს, რომ 1954 წელი ძირითადად დაუთმო საკუთარი თხზულებების შვიდი ტომიდან მასალების შერჩევას რჩეული ლექსების მოზრდილი ერთტომეულისათვის, რომელიც უკვე გადაცემულია დასაბეჭდად. ასევე მიუთითებს, რომ გასულ წელს მონაწილეობა მიიღო მრავალ ლიტერატურულ ღონისძიებაში, მათ შორის – მოსკოვში გამართულ მწერალთა საკავშირო ყრილობაში, რომელზეც დელეგატად იყო მივლინებული საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ.

➤ 12672

1955

### 19 იანვარი

ესწრება მწერალთა კავშირის პროზაიკოსთა სექციის სხდომას, რომელზეც სექციის თავმჯდომარედ ირჩევენ კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. გალაკტიონი ისმენს კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, ალექსანდრე ჭეიშვილის, ლეო ქიაჩელის, დემნა შენგელაიას გამოსვლებს. პოეტს არ მოსწონს არც არჩევნები, არც გამომსვლელთა საუბარი და უბის წიგნაკში იწერს, რომ პროზაიკოსები უკულტურო ხალხია.

➤ 12673

1955

### 19 იანვარი

მწერალთა კავშირში ხვდება ხუტა ბერულავას. მისი საუბარი და ქცევა უცნაურად ეჩვენება, მაგრამ ვერ ხვდება, რაშია საქმე. ამ საკითხზე ფიქრისას იმასაც კი ვარაუდობს, რომ, შესაძლოა, ხუტა ბერულავას არ სიამოვნებდეს ის ფაქტი, რომ პოეტებმა საკუთარი სექციის ბიუროს

თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გალაკტიონი. აპირებს, დაელაპარაკოს ამ თემაზე და გაარკვიოს.

➤ 12674

1955

### 20 იანვრამდე

ხვდება მისი „რჩეულის“ გამოცემაზე პასუხისმგებელ პირს – ზაქარია პაპუკაშვილს, რომელიც აწვდის ინფორმაციას წიგნის ბეჭდვის პროცესის შესახებ. გალაკტიონი ამ საუბრის შემდეგ უბის წიგნაკში ინიშნავს „რჩეულის“ რომელი ფორმებია უკვე მზად და რომელი – ჯერ კიდევ დასაბეჭდი.

➤ 12675

1955

### 20 იანვრამდე

სხვა პოეტებთან ერთად მონაწილეობს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ მოწყობილ საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილ შეხვედრაში. ღონისძიებაზე გამოდის სიტყვით, საუბრობს სამომავლო შემოქმედებითი გეგმების შესახებ და კითხულობს თავის ახალ ლექსს.

➤ 12676

1955

### 20 იანვარი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ იბეჭდება სტატია „საბჭოთა მწერლების ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი საღამო“. საინფორმაციო ხასიათის წერილში ნათქვამია, რომ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ მოწყობილ საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი შეხვედრა. ღონისძიება გახსნა აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა, მოხსენება წაიკითხა მწერალთა კავშირის მდივანმა სერგი ჭილაიამ. ამის შემდეგ კი თავიანთი შემოქმედებითი გეგმები დამსწრე აუდიტორიას გაუზიარეს საქართველოს სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ, კარლო კალამემ, რევაზ მარგიანმა, იოსებ ნონეშვილმა, ხუტა ბერულავამ და სხვებმა. გარდა ამისა, დასახელებულმა ავტორებმა წაიკითხეს თავიანთი ახალი ნაწარმოებებიც.

➤ 12677

1955

### 20 იანვარი

ესწრება მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციის კრებას, რომელზეც მოხსენებას კითხულობს მაყვალა მრეველიშვილი და სიტყვით გამოდიან: ალექსანდრე შანშიაშვილი, სიმონ მთვარაძე, იონა ვაკელი და შალვა დადიანი. სხდომას თავმჯდომარეობს შალვა დადიანი. გალაკტიონი გამომსვლელთა მოსმენისას თანდათან ირონიით იმსჯვალეა, თუმცა, იმდღევანდელ ამბებზე ფიქრისას მაინც აღნიშნავს, რომ მაყვალა მრეველიშვილს, ალექსანდრე შანშიაშვილსა და იონა ვაკელს ორატორული ნიჭი აქვთ. მოსწონს კონსტანტინე ლორთქიფანიძის გამოსვლაც, რომელიც მას დადებით კონტექსტში ახსენებს.

➤ 12678

1955

### 20 იანვარი

ოჯახური პრობლემები ხელს უშლის მუშაობაში. აღიზიანებს ის ფაქტი, რომ გარკვეული დროის წინ დაიკარგა ავტოფარების გასაღები და ეს პრობლემა ჯერაც მოუგვარებელია. გარდა ამისა, საშინლად ყვირის შვილიშვილი, მარინე ფირცხალავა.

➤ 12679

1955

**20 იანვარი**

ხვდება ილია აროსიას, რომელიც ატყობინებს, რომ წინა დღეს რადიოში მეგრულად იმღერეს მისი ლექსი „მხარი მხარს“. ასევე აცნობებს, რომ იბეჭდება მისი წიგნის, „რჩეული“, უკანასკნელი ფორმები და მეორე, განსხვავებული ფერის გარეკანის მქონე ეგზემპლარები. აროსიას ინფორმაციით, წიგნის ბეჭდვის პროცესი, სავარაუდოდ, თებერვლამდე გასტანს.

➤ 12680

1955

**20 იანვრის შემდეგ**

რადიოში ისმენს, როგორ მღერიან მეგრულად მის ლექსზე „მხარი მხარს, მხარი მხარს!“ დაწერილ სიმღერას.

➤ 12681

1955

**21 იანვარი**

იგებს, რომ მისი „რჩეულის“ ბეჭდვა დაწყებულია და როდესაც დასრულდება, მხოლოდ მაშინ მოხდება ბულალტერიის მიერ წიგნის ფასის დადგენა. ახლა აინტერესებს, როდის მოხდება ეს.

➤ 12682

1955

**21 იანვარი**

კითხულობს გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ 20 იანვრის ნომერს, რომელშიც დაბეჭდილია სტატია „საბჭოთა მწერლების ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი სადამო“. სტატიაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილ სადამოზე თავიანთი შემოქმედებითი გეგმები საზოგადოებას გაუზიარეს საქართველოს სახალხო პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ და სხვა პოეტებმა. წერილში ასევე ნათქვამია, რომ პოეტებმა წაიკითხეს ახალი ლექსებიც. სტატიის წაკითხვის შემდეგ გაზეთში გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რომელიც უშუალოდ მას და სხვა პოეტებს შეეხება, უბის წიგნაკში ინიშნავს.

➤ 12683

1955

**21 იანვარი.**

ესწრება ოფიცერთა სახლში გამართულ სადამოს, ისმენს ბესარიონ ჟღენტის მოხსენებას. დაინტერესებულია, რატომ არ გამოცხადდა სადამოზე ლავროსი კალანდაძე, რომლის დაჟინებული თხოვნითაც გადაწყვიტა ამ ღონისძიებაზე მისვლა თავად მან. მის ყურადღებას იქცევს დარბაზის სიცილი, როდესაც ბესარიონ ჟღენტი დარბაზიდან გადასროლილ, ფურცელზე დაწერილ შეკითხვას დახედავს და სერიოზული სახით პასუხობს.

➤ 12684

1955

**21 იანვარი**

ესაუბრება ილია ხომტარიას, რომელიც აქებს თავის ახალ წიგნს „ლექსები და პოემები“. ხომტარია დიდ იმედებს ამყარებს ამ კრებულზე, დარწმუნებულია, რომ წიგნის წაკითხვის შემდეგ ყველა მლიქვნელობას დაუწყებს, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც აქამდე ანგარიშს არ უწევდნენ. გალაკტიონს აოცებს პოეტის ასეთი თავდაჯერება და უბის წიგნაკში ინიშნავს მის სიტყვებს.

➤ 12685



1955

## 21 იანვარი

ესაუბრება ერთ-ერთ პოეტს, რომელიც ლაპარაკისას აღნიშნავს, რომ მთელი ლიტერატურული ეპოქა გალაკტიონმა და მიხეილ შოლოხოვმა დაიპყრეს. გალაკტიონს ახსენდება იქვე გამოფენილი კარიკატურა – უზარმაზარი წიგნი და შოლოხოვის პატარა ფიგურა. პოეტის დაკვირვებით, კარიკატურის აზრი ის არის, რომ ზოგჯერ მწერალი საკუთარი წიგნის სიმაღლეს ვერ აღწევს. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, აინტერესებს, მისი თანამოსაუბრეც რაიმე მსგავს ქვეტექსტს ხომ არ გულისხმობს.

➤ 12686

1955

## 21 იანვარი

მწერალთა კავშირის საბავშვო სექციის სხდომაზე ზის პრეზიდენტში, ასევე ესწრება სალამოს ოფიცერთა სახლში და ორივეგან უღებენ ფოტოებს.

➤ 12687

1955

## 21 იანვრის შემდეგ

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის „რჩეულს“. წიგნში შეტანილია შემდეგი ლექსები: „გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა“, „გამხიარულდი ბუხარო“, „დროშები ჩქარა“, „მე ვოცნებობ ახალ საქართველოზე“, „ლარიქს სიბირიკა“, „ართობდა ხალხთა მწუხარება“, „კოლხიდის დაბლობზე“, „ოქტომბრის სიმფონია“, „ეკვალიპტი“, „იდეა“, „პროლოგი ასი ლექსის“, „შედუღება ოცნებისა და სინამდვილის“, „ბევრნაირი ახდა ნატვრა“, „გემი დალანდი“, „ოცნება აჭარისწყალთან“, „მღვრიე ქარი“, „ჩრდილმა გადაიქროლა“, „როგორ ებრძოდნენ ზარები ზარებს“, „მთვარის ნაამბობიდან“, „ინტერნაციონალი“, „მაშინ ამღერდა“, „ქარბუქი მუსიკის ხმათა“, „განიახლე, განიახლე“, „ენამ ვერ გამოხატა“, „რა ხანა იყო“, „ჰყვება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს“, „ურიცხვ დროშების მოსიმღერენი“, „თენება ქალაქში“, „ათასზე გადაამრავლა“, „ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“, „თანასწორი“, „ძველი და ახალი ხიდი“, „ახალი დღისთვის მზადება“, „ამირანი მიჯაჭვული“, „შავი ოქროს ქალაქი“, „რამდენ ღამეს მოელო ბოლო“, „ავტომობილი და ურემი“, „გაუმარჯოს მებრძოლ თაობას“, „ხუთწლედ ითხ წელიწადში“, „იმიტომ ხდება რევოლუცია“, „ტყვარჩელი“, „რევოლუციურ საქართველოს“, „ახალი ქვეყანა შენდება“, „ეპოქა იშვა და გაიზარდა“, „პრესა“, „ისტორიის ახალი გვერდი“, „სტალინი“, „ახალი ნანა“, „არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს“, „1950“, „სალამი ახალი გზით გაერთიანებულ საქართველოს“, „ამისთვის იბრძვის ჩვენი ეპოქა“, „სტანსები“, „სამშობლოს“, „სამაისო სიმღერებიდან“, „სამშობლოს“, „სალამი მაისს“, „ეგ არის და გორის ციხე“, „ჩვენი ელვარე ოქროს ეპოქა“, „ნეტავ მალე მიაღწევდე მიზანს“, „გამარჯვებას თანაბრად წერს“, „მაღალი კოშკი“, „ქალაქი წყალქვეშ“, „მშობლიური ჩემო მიწავ“, „თავისუფალი და ძლიერი ადამიანი“, „სანთელი“, „მწვერვალები ახალ მთების“, „მასთან არიან“, „ჩვენს ძვირფას სტალინს“, „ქუხდე, გულისთქმავე!“, „ვით არ მიყვარდეს სამშობლო ჩემი“, „დაუძლეველი“, „ქართული ორნამენტი“, „არგონავტები ახალი დროის“, „სიძველენი“, „მიჰყევ, გაუგონე ბორბლებს!“, „მამული საყვირმა დაჰკრა“, „დამიბრუნე ჩემი სამშობლო“, „მხარი მხარს“, „სადღეგრძელო იყოს მისი“, „მჭედლების ქუჩა“, „წამყე ბეთანიისაკენ“, „ამუშავდი, მანქანაო!“, „შრომა და მოსვენება“, „ჩემი ქუთაისი“, „უძო“, „არაგვი“, „ჯარი სიმღერით მიდის“, „კუმისი“, „მშობლიური მოწოდებით“, „მშვენიერი აფხაზეთი“, „თავდადებული მილიონები“, „შოთა რუსთაველი შავი ზღვის პირად“, „მფრინავი“, „არა აქვთ ზღვა“, „იავნანა“, „მხარე, გეთაყვა“, „მეტეხის ხიდთან“, „ესტონეთს“, „ვისი არის ეს გუგუნნი?“, „მოსკოვი“, „დნეპრი“, „კრემლი“, „სტალინგრადთან“, „სალამი ახალგაზრდობას“, „სევასტოპოლის დამცველს“, „ისევ ახალგაზრდობას“, „ბათუმი“, „დროშები მაღლა!“, „ხარკოვს“, „კავკასიონის კლდეებზე“, „ჩვენში და მათთან“, „ირაკლი მომგები ასი ომის“, „მოგონება მშობლიური მხარის“, მრავალჟამიერი გუგუნებდეს ხმა“, „ფიქრები სამშობლოზე“, „დილა გამარჯვებისა“, „ჰანრი ბარბიუსი კონგრესზე“, „დიდება“, „იმ დღეს პარიზში“, „დაბრუნება

სვანეთში, „ეიფელის კოშკზე“, „იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო“, „ლუმანიტე“, „გამარჯვების დღემ ირიჟრაჟა“, „სიკვდილი უმუშევრისა“, „გამარჯვების პირველი სალუტი“, „ბარელიეფი“, „მქუხარე წელი“, „პარიზი“, „კედელი“, „რეიმსი“, „გავუწოდოთ ერთმანეთს ხელი“, „ბალთან ძეგლია“, „მპურად შეკვაკვირდეთ“, „ვუსურვოთ ესპანეთს“, „ბავშვს ღიმილი არ უქრება“, „გვადალკვივირი“, „ჩვენი ჯარი ძლიერია“, „ნეპოლში“, „დარჩენ ქვიშანი“, „რური“, „მუმლი წყდებოდა“, „რადიო“, „მაისი და მშვიდობა“, „ლანკაშირში“, „მშვიდობისათვის“, „მოხუცი ქალი“, „იდიდე, მშვიდობა!“, „უცხოელი ბავშვი“, „უბინაო დედა“, „გადანახული დროშები“, „ბანანები“, „მისი ბუნება“, „ათას ცხრაას ხუთია“, „პირველი მაისი“, „თვითმფრინავით“, „და მაინც ვკვნესდე“, „ატმის ყვავილები“, „ევროპის დიპლომატი“, „გულში ცეცხლია“, „ევროპის უფერული დღე“, „გურიის მთები“, „ჩემს სამშობლოს“, „იქით ნასაკირალთან“, „შავი ყორანი“, „მრავალი სული მონათესავე“, „ბრმა ცალი თვალით“, „რა მშვენიერი იყო ნამი“, „ინგლისი და შეერთებული შტატები“, „მე დავიბადე განთიადისას“, „ინდოელების იყო მიტინგი“, „სხივი ტალღებში“, „დღე დღევანდელი“, „ამაო ძახილი“, „მკაცრია ამ დროს“, „სამშობლოსათვის“, „იქ ვიღაც კვნესის“, „ყვავილები სამშობლოსათვის“, მამულო, სიცოცხლეო!“, „არწივებს ჩასძინებოდათ“, „შავი ღრუბელი“, „ჰე, მამულო!“, „თასი“, „მგზავრის სიმღერა“, „კავშირი გულთა შორის“, „უკმარობის ნიაღვარი“, „ბევრი ჩიხი, ბევრი ხვეული“, „სიცოცხლის მტევნები“, „ქალავ“, „ოცნება კლდეზე“, „გამონაკლისი“, „კოლხიდაში“, „სარეცელთან“, „მიმღერე რამე“, „ლანდი არაქვეყნიური“, „ნუგუმს“, „ცამეტი წლის ხარ“, „მაინც სწამდა გამარჯვება“, „ვერხვები“, „ფერად-ფერადი“, „ალვები თოვლში“, „მე ამ ყვავილებს ვატარე, „შენ ზღვის პირად“, „პორტრეტი“, „სინათლის ყვავილი“, „სინამდვილეში ოცნებისას“, „ვერსად, ვერასდროს“, „მხოლოდ იდეა“, „მშვიდობით“, „ჩვენ ავდიოდით სახრჩობელაზე“, „უსიყვარულოდ“, „ელოდნენ რევოლუციას“, „ქარი ჰქრის“, „მარადისი იმედი“, „ცხრათვალა“, „მალაროებში“, „სად ვპოვებ შვებას?“, „მოელვარე გზით“, „ორი ზარი“, „სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით“, „მთაწმინდის მთვარე“, „გასწიე, იარე!“ „ყვითელი ფოთოლი“, „ბარეკადებზე იბრძოდა ქალი“, „ლურჯა ცხენები“, „ჩემო მენავე“, „მე და ღამე“, „იბობოქრე“, „სასაფლაონი“, „ქარი“, „უდაბნო“, „მიყვარს მარტო ქარიშხალი“, „ოცნებაო, მოიგონე“, „მე და ზამზახი“, „დასძინებია ალერსიან ბაღს“, „კვლავ ტალღებს ელის“, „გემზე“, „ზევით ასწიეთ მზე, ზევით!“, „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა“, „ამოვდივარ!“, „სანთლები“, „განახლდა გული“, „მეზღვაურს“, „წერილი მეგობრებისადმი“, „რომ მომცა ფრთები“, „მაინც ვიცი“, „დგება შემოდგომა“, „ფიქრი ზღვის პირას“, „შემოდგომის დღე“, „შენ რაღას იტყვი? „ახალი წელი“, „არასდროს ისე არ მენატრება“, „ბედს იქით“, „გამოსალმება“, „პარალელი“, „სად გაქრა“, „სტრიქონები“, „იმ ცეცხლს გაუმარჯოს და ამ განათებას“, „ვიგრძენ უდიდესი ბედნიერება“, „გზადაგზა“, „ზღვა ახმაურდა“, „ციხის ნანგრევებთან“, „ო, გიპოვე!“, „ტყის პირად“, „მერი“, „შერიგება“, „სადღაც მინახავს“, „გახსოვს ის ქარბუქი?“, „წინანდალელი ნათელა“, „რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!“, „გავიდა ხანი“, „ერთხელ“, „თვალეში“, „ავდარი“, „შენს ცისფერ თვალებს“, „მიდუღუნებენ ზვირთნი მტკვარისა“, „ჩემი ვარსკვლავი“, „დღე გაფითრდა იაგუნდის“, „ღამე დღეს შეხვდა“, „ვარდისფერი საფეხურები“, „მიცქირე თვალში“, „მეოცნებე აფრებით“, „ღიმილი“, „ზღვა წყნარია ნამეტანი“, „უცნაური სასახლე“, „გაზაფხულია“, „მესაფლავე“, „ეფინება სიხარული“, „მოვა, მაგრამ როდის?“, „რაც დავიწყებით არ იბინდება“, „გახსოვს?“, „ვისმენ დანატრულ ხმას“, „მერის თვალეში“, „მწვანე ზოლი მთის“, „უხილავი“, „რაც უფრო შორს ხარ“, „დაიძინე!“, „ვარსკვლავიანი კამარა ბრწყინავს“, „პოეტი-ტრიბუნი“, „ძველი წისქვილი“, „დუმლი“, „ცას არ ესმის“, „პოეტი არის მებრძოლი“, „სიმფონია ფესვების“, „პოეტი“, „განთიადმა სტყორცნა შუბი“, „ჩვენ, პოეტები საქართველოსი“, „აჰა, თენდება“, „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“, „უცხოელ პოეტს“, „სალამო“, „ეპოქა სჭედს ხელოვანს“ „სალამო ტბის პირად“, „თვითეული პოეტი ახლა ინჟინერია“, „მუსიკა უეცარი“, „მისდევს რგოლს რგოლი“, „ცად აზიდულა“, „აკაკის ლანდი“, „ტყემ წამიყვანა“, „დიდებულო შოთა“, „აღარა გყავს ილია“, „არ მინახავს შენი არე“, „მესხის გამოხედვა“, „ბუნება მოქანდაკეა“, „ხელოვნება“, „ცაზე ღრუბელთ კრებულია“, „იქ პოეტების ფრიალებს დროშა“, „ბუხართან“, „რაა ეს გრძნობა?“, „ვარდები“, „ცისარტყელა“, „საუბარი ლირიკის შესახებ“, „შრიალებს ჩალა“, „ვეზუვი“, „მსუბუქი ღრუბელი“, „ახალი მეკვლე“, „ღამე ხეობაში“, „პოეტს“, „დილა სვანეთში“, „მიყვარდა ჰანგი“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „ცელი კვიის“, „ისევ ეფემერა“, „შემოდგომის მოტივებიდან“

„შემოქმედება“, „იერი“, „აწმყოს დიდება დიდი“, „ჩემი ხმა“, „მუხა“, „აქტეონი ძე არისტეას“, „ისევ ლურჯა ცხენები“, „კავკასიონი ჩანს მიმზიდველი“, „განჭვრეტა ოცდაათი წლის“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „დარჩება ხსოვნად შთამომავლობას“.

➤ 12688

1955

17 – 22 იანვარი

ფიქრობს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის სამომავლო მუშაობაზე და იმ ატმოსფეროზე, რომელიც ამ სექციაშია.

➤ 12689

1955

17 – 22 იანვარი

გეგმავს 22 იანვარს გალაკტიონის სახელობის სალიტერატურო წრის ხელმძღვანელ სოსიკო ფანცხავასთან მისვლას. ამ მიზნით უბის წიგნაკში ინიშნავს მის მისამართს. რამდენადაც ფანცხავა გარკვეული პერიოდის წინ გალაკტიონის შემოქმედებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობდა, პოეტი აპირებს, რომ ახალ ვითარებაში, როგორც პოეტების სექციის თავმჯდომარემ, კიდევ უფრო ინტენსიურად ითანამშრომლოს მასთან.

➤ 12690

1955

17 – 22 იანვარი

ფიქრობს საკუთარი პოეზიის საღამოს შესახებ, რომელიც ოპერისა და ბალეტის თეატრში უნდა მოეწყოს. ღონისძიების ჩასატარებლად არაერთი ფორმალური საკითხის მოგვარებაა საჭირო, რის გამოც სურს, ამ საქმეში ჩართოს მეცნიერებათა აკადემია და ოპერის თეატრის ყოფილი დირექტორი – მამია დუდუჩავა.

➤ 12691

1955

22 იანვარი

იმყოფება მწერალთა კავშირში, ესწრება კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეთა სექციის სხდომას, რომელზეც სიტყვით გამოდის დიმიტრი ბენაშვილი. პოეტის აზრით, კრიტიკოსი ძალიან კარგად საუბრობს მის შესახებ. ამავე სხდომაზე ბიუროს თავმჯდომარედ ირჩევენ ბესარიონ ჟღენტს.

➤ 12692

1955

22 იანვარი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ რადიოში ისაუბრეს კალე ბობოხიძის პოეტურ მოღვაწეობაზე და სიტყვაც არ დაუძრავთ მისი შემოქმედების ხარისხზე. განსაკუთრებით აღაშფოთებს ის ფაქტი, რომ არ აღუნიშნავთ, თუ ვისგან მომდინარეობს ამ ავტორის მთავარი სახეები. ამ საქციელს პოეტი უწოდებს ვირობას, რადგან თვლის, რომ ხდება მიმდინარე სალიტერატურო პროცესში გალაკტიონ ტაბიძის როლისა და დამსახურების მიზანმიმართული დაკნინება.

➤ 12693

1955

22 იანვარი ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს საკუთარი პოემის – „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“ – შესახებ. მიუთითებს, რომ ნაწარმოების გამო ჟურნალი „მნათობი“ აიკრძალა, ეგზემპლარები მაკრატლებით დაჭრეს და გაანადგურეს. პოემა არაა შეტანილი თხზულებათა არც ერთ წიგნში.

➤ 12694

1955

### 22 იანვარი ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის სამომავლო გეგმების შესახებ. მიუთითებს, რომ სექციამ კავშირი უნდა დაამყაროს ყველა რესპუბლიკის პოეტების სექციებთან. მას უნდა ჰქონდეს საკუთარი მატერიალური ბაზა. ჰყავდეს საკუთარი მდივანი და ჰქონდეს კანცელარია, წიგნსაცავი, ავტომობილი. სექციამ უნდა მოაწიოს ლიტერატურული საღამოები. მოამზადოს ანთოლოგიები ქართულ და რუსულ ენებზე. ჩაატაროს ღონისძიებები ატომური ენერჯის არასწორად გამოყენების წინააღმდეგ. სექციამ უნდა უხელმძღვანელოს საბავშვო პოეზიის განყოფილებას. ასევე უნდა ჩაატაროს პაოლო იაშვილის, ტიცინ ტაბიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის საღამოები.

➤ 12695

1955

### 23 იანვარი

კალენდრის ფურცელზე იწერს, ვინ რომელი სექციის თავმჯდომარედ აირჩიეს მწერალთა კავშირში.

➤ 12696

1955

### 23 იანვარი

ეძებს თავისი თხზულებათა „შვიდტომეულის“ ფოტოს და ამავე გამოცემის გარეკანის ნახატს. მიიჩნევს, რომ საჭიროა ამ ფოტოს გადახატვა ტუშით და კლიშეს მომზადება გამოფენისთვის.

➤ 12697

1955

### 23 იანვრის შემდეგ

თავისი თხზულებათა „შვიდტომეულის“ ფოტოს მიხედვით გამოფენისთვის ამზადებინებს კლიშეს.

➤ 12698

1955

### 25 იანვრამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს სტრიქონებს თავისი ლექსიდან „დროშები ჩქარა“: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“.

➤ 12699

1955

### 25 იანვრამდე

25 იანვარს, 4-დან 6 საათამდე გეგმავს შეხვედრას თბილისის 26 კომისრის რაიონის (ახლანდელი ავლაბარი) სკოლის მოსწავლეებთან.

➤ 12700

1955

### 25 იანვარი

ესწრება მწერალთა კავშირის პლენუმს, რომელზეც მწერალთა კავშირის თავმჯდომარე – ირაკლი აბაშიძე აცხადებს, რომ კრიტიკოსთა სექციამ უკვე დაიწყო მუშაობა. ეს განცხადება აბნევს კრიტიკოსთა სექციის ხელმძღვანელს – ბესარიონ ჟღენტს, ხოლო დარბაზში სიცილს იწვევს, რადგან ერთი დღის არჩეული სექცია მუშაობას ასე სწრაფად ვერ დაიწყებდა.

➤ 12701

1955

### 25 იანვრის შემდეგ

იმყოფება მწერალთა კავშირში. უბის წიგნაკში ინიშნავს პოეტების – გრიგოლ აბაშიძის, ხუტა ბერულავას, ალექსანდრე გომიაშვილის, კარლო კალაძის, რევაზ მარგიანის და იოსებ ნონეშვილის ტელეფონის ნომრებს. ასევე, აპირებს დააზუსტოს და ჩაიწეროს ალექსანდრე შენგელაიასა და სიმონ ჩიქოვანის ნომრებიც. ფიქრობს, რომ ეს ინფორმაცია, მისთვის, როგორც პოეზიის სექციის თავმჯდომარისათვის, მნიშვნელოვანია.

➤ 12702

1955

### 25 იანვრის შემდეგ

მწერალთა კავშირში ყოფნისას იგებს, რომ ირაკლი აბაშიძე მივლინებით გაემგზავრა მოსკოვში. აზუსტებს და უბის წიგნაკში ინიშნავს იმ სასტუმროს სახელწოდებას და იმ ოთახის ნომერს, რომელშიც მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დაბინავდა. ფიქრობს, რომ შესაძლებელია, ეს ინფორმაცია დასჭირდეს ირაკლი აბაშიძესთან წერილის გასაგზავნად ან ტელეფონზე დასარეკად.

➤ 12703

1955

### 27 იანვარი

მიდის მწერალთა კავშირში და იკავებს პოეტების სექციის თავმჯდომარის მაგიდას. ხუტა ბერულავას თხოვნით პოეზიის სექციის სხდომას ინიშნავს არა 29 იანვარს, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, არამედ - 1 თებერვალს.

➤ 12704

1955

### 28 იანვრამდე

ხვდება მცხეთის კულტურის სახლის თანამშრომელს – დავით მამალაძეს, რომელიც სთხოვს, დაგეგმოს მცხეთაში პოეზიის საღამო და უბის წიგნაკში უწერს საკუთარ სახელსა და გვარს, ასევე, მცხეთის კულტურის სახლის მისამართს. პოეტი დავით მამალაძესთან საუბრისას ინიშნავს ამავე დაწესებულების დირექტორის სახელსა და გვარსაც, რადგან თუ პოეზიის საღამოს ჩატარებას გადაწყვეტს, ბუნებრივია, აუცილებელი იქნება კულტურის სახლის დირექტორთან დეტალებზე მოლაპარაკება.

➤ 12705

1955

### 28 იანვრამდე

სამეცნიერო სხდომაზე დასასწრებად იწვევენ მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც 28 იანვარს მოხსენება უნდა წაიკითხოს მკვლევარმა გივი მიქაძემ. მოგვიანებით იგებს, რომ დაგეგმილი სხდომა გადაიდო.

➤ 12706

1955

### 29 იანვარი

ქართველ მწერლებთან ერთად მიემგზავრება ქალაქ რუსთავში და მონაწილეობს საქართველოს კომპარტიის ქალაქ რუსთავის საქალაქო კომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ინიციატივით რუსთავის კულტურის სახლში გამართულ ქართველ მწერალთა შეხვედრაში მეტალურგებთან და მშენებლებთან. შეხვედრას შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ ჩალაძე. მოხსენებას თემაზე „რუსთავი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“ აკეთებს სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საგეგმო განყოფილების უფროსი გიორგი გურული. მწერლები კითხულობენ ლექსებსა და ნაწყვეტებს პროზიდან. დასასრულს იმართება რუსთავის კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტი და აჩვენებენ ახალ ფილმს „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“.

➤ 12707

**1955**

**31 იანვარი**

იმყოფება ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის სკოლაში, ხვდება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.

➤ 12708

**1955**

**31 იანვარი**

რუსული გაზეთიდან „პრავდა“ იწერს ინფორმაციას, რომ მხატვრული ლიტერატურა გამოცემების რაოდენობით მეოთხე ადგილზეა.

➤ 12709

**1955**

**იანვარი**

ფიქრობს აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების გამართვაზე და ანბანური თანმიმდევრობით ინიშნავს იმ მწერლების სიას, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ ღონისძიებაში.

➤ 12710

**1955**

**იანვარი**

სურს დაუკავშირდეს ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს – სიმონ კუხიანიძეს, რომლის მამამ – ბართლომე კუხიანიძემ 1945 წელს გალაკტიონის ლექსის „მალაღ მთაზედა ავაგე“ მიხედვით დაწერა საგუნდო სიმღერა. აპირებს, ხმა მიაწვდინოს ამ პიროვნებას, რათა გამოაგზავნინოს სიმღერის ნოტები. ვარაუდობს, რომ სახელმწიფო გამომცემლობის ქუთაისელი თანამშრომლის – მელიტონ თევდორაძის დახმარებით შეძლებს მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგის მისამართისა და ტელეფონის ნომრის დადგენას.

➤ 12711

**1955**

**იანვარი ან შემდეგ**

უბის წიგნაკში ინიშნავს მწერალთა კავშირის წევრ პოეტთა სიას. ჩამონათვალში ცალ-ცალკე ჯგუფებად გამოჰყოფს მისი აზრით ოდნავ საიმედო და ნეიტრალურ მწერლებს. პირველ ჯგუფს მიაკუთვნებს: ალიო ადამიას, კალე ბობოხიძეს, ქეთევან ქუჩუკაშვილს, ლიდია მეგრელიძეს, კოლაუ ნადირაძეს, ილია სიხარულიძეს, სოლომონ თავაძეს. ხოლო მეორე ჯგუფში აერთიანებს: გრიგოლ აბაშიძეს, ალექსანდრე შენგელიას, იოსებ ნონეშვილს, ანდრო თევზაძეს, გრიგოლ ხეჩუაშვილს, გიორგი ცაგარელს, გრიგოლ ცეცხლაძეს, კონსტანტინე ჭიჭინაძესა და რევაზ მარგინს. გარდა ამისა, აკვირდება, რომ 1950-1951 წლებში შედგენილი ოფიციალური სიის

მიხედვით მწერალთა კავშირში ორმოცი პოეტი გაერთიანებული, ხოლო მწერალთა კავშირის თანამშრომელ თამარ ანდლულაძის მიერ ცოტა ხნის წინ გადაცემული სიის მიხედვით – ორმოცდაშვიდი. ამ ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ ბოლო წლებში მწერალთა კავშირის შვიდი ახალი პოეტი შეჰმატებია.

➤ 12712

1955

#### იანვარი ან შემდეგ

ესაუბრება კრიტიკოს გიორგი ხუხაშვილს. საუბრიდან არკვევს, რომ ხუხაშვილს სურს დაწეროს წერილი გალაკტიონის წიგნზე „რჩეული“. პოეტი ფიქრობს, რომ ამავე პიროვნებას შეუძლია გააკეთოს მოხსენება მისი თხზულებათა შვიდი ტომის შესახებ.

➤ 12713

1955

#### იანვარი ან შემდეგ

ფიქრობს სახელმწიფო გამომცემლობის საქმიანობის შესახებ. მიიჩნევს, რომ გამომცემლობამ წიგნები უნდა გამოაქვეყნოს მკითხველის მოთხოვნისა და ინტერესის გათვალისწინებით. კერძოდ, ჯერ უნდა დაბეჭდოს სარეკლამო ეგზემპლარები, რომელთა გაყიდვის პროცესზე დაკვირვება საშუალებას მისცემს გამომცემლობას განსაზღვროს სრული ტირაჟის მოცულობა და მხოლოდ ამის შემდეგ განახორციელოს ამა თუ იმ წიგნის მასობრივი გამოცემა.

➤ 12714

### თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1955

#### 12 თებერვლამდე

ინიშნავს გამოჩენილ მოღვაწეთა და მნიშვნელოვან მოვლენათა საიუბილეო თარიღებს 1955 წლისათვის.

➤ 12715

1955

#### 17 იანვრიდან თებერვლამდე

როგორც მწერალთა კავშირის პოეტების სექციის ხელმძღვანელი ფიქრობს ამ სექციის სამომავლო მუშაობაზე. აპირებს, მოამზადოს ანთოლოგია, რომელიც გააერთიანებს კლასიკოს და თანამედროვე ავტორთა პოეტურ ნაწარმოებებს.

➤ 12716

1955

#### 1 თებერვალი

ალექსანდრე გომიაშვილთან, იოსებ ნონეშვილთან, ხუტა ბერულავასთან და ალექო შენგელიასთან ერთად ესწრება პოეტების სექციის ბიუროს პირველ სხდომას. სხდომის მდივანია თამარ ანდლულაძე.

➤ 12717

1955

#### 1 თებერვალი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ცნობა, რომ 29 იანვარს გალაკტიონ ტაბიძემ სხვა ქართველ მწერლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ინიციატივით ქალაქ რუსთავის კულტურის სახლში გამართულ ქართველი მწერლების შეხვედრაში მეტალურგებთან და მშენებლებთან.

➤ 12718

1955

**1 თებერვალი**

იმყოფება მწერალთა კავშირში, სადაც მის ყურადღებას იქცევს კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვები. მწერალი ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგეს – დავით ჩხიკვიშვილს მჯღაბნელს უწოდებს.

➤ 12719

1955

**1 თებერვალი**

ანტერესებს, გამოიკა თუ არა სერგი ჭილაიას წიგნის „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ რუსული თარგმანი.

➤ 12720

1955

**1 თებერვალი**

უბის წიგნაკში ინიშნავს მკვლევარ გიორგი ჯიბლაძის ტელეფონის ნომერსა და სახლის მისამართს.

➤ 12721

1955

**2 თებერვალი**

დილის ხუთ საათზე აკეთებს ჩანაწერს, რომ გადაწერა 1.180 სტროფი. ანგარიშობს გადაწერილი სტრიქონების რაოდენობასაც. რადგან თითო სტროფში რვა-რვა სტრიქონია, ირკვევა, რომ მთლიანად გადაუწერია 9,440 სტრიქონი.

➤ 12722

1955

**3 თებერვალი**

ვოროშილოვის სახელობის კლუბში აკაკი ბელიაშვილთან, სანდრო ეულთან და ალექსანდრე გომიაშვილთან ერთად ესწრება ამომრჩევლებთან შეხვედრას და მოსწონს დიმიტრი ბენაშვილის გამოსვლა.

➤ 12723

1955

**3 თებერვალი**

ემზადება აკაკი წერეთლის გარდაცვალების ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოსთვის. ცდილობს, კოლეგების დახმარებით დაამყაროს კავშირი გაზეთებთან და რადიოსთან. პრესასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებლობას იღებს პოეტი ალექსანდრე (ალეკო) შენგელია, რომელიც მიდის რედაქციებში და სთხოვს, დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ საინფორმაციო სტატიები გამოაქვეყნონ. იგი, უპირველესად, „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომელს – ბენო თათარიშვილს აცნობებს ღონისძიების შესახებ, რომელიც სიხარულით ხვდება ამ ცნობას. ალექსანდრე შენგელიას რედაქციებში ჰპირდება, რომ კვირას, 8 თებერვალს უთუოდ გამოაქვეყნებენ საინფორმაციო ხასიათის სტატიებს ღონისძიების შესახებ. გალაკტიონის ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მწერალთა კავშირის თანამშრომელი თამარ ანდლულაძე რედაქციებში გასაგზავნ ცნობებში გალაკტიონ ტაბიძეს არ მოიხსენიებს, როგორც საქართველოს სახალხო პოეტს. ასევე იქცევა თეიმურაზ ჯანგულაშვილიც: სტუმრებისთვის განკუთვნილ მოსაწვევ ბარათებში არც ის მოიხსენიებს გალაკტიონ ტაბიძეს როგორც საქართველოს სახალხო პოეტს. გალაკტიონი ესაუბრება ორივეს, აძლევს შენიშვნას, რის შედეგადაც ისინი პოეტის მითითებით ასწორებენ ტექსტს.

➤ 12724



1955

### 3 თებერვალი

იგებს, რომ თეატრის კრიტიკოსი და მუსიკათმცოდნე ილია ზურაბიშვილი მძიმედ არის ავად. აღეგებს ეს ინფორმაცია, მით უფრო, ზურაბიშვილის ასაკის გათვალისწინებით, რომელმაც უკვე ოთხმოც წელს გადააბიჯა.

➤ 12725

1955

### 4 თებერვალი

„ლიტერატურულ გაზეთში“ კითხულობს ინფორმაციას მწერალთა სექციების შესახებ.

➤ 12726

1955

### 4 თებერვალი

მწერალთა კავშირში ესწრება სტუდენტებთან შეხვედრას და სიტყვიერად გამოდის.

➤ 12727

1955

### 7 თებერვლამდე

ფიქრობს ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩასატარებელი დიდი შემოქმედებითი სადამოს შესახებ, რომელიც 7 თებერვალსა დაგეგმილი. სურს, დაუკავშირდეს თეიმურაზ ჯანგულაშვილს და გაარკვიოს, მზად არის თუ არა მოსაწვევები და გადასცა თუ არა ჟურნალ-გაზეთებს ღონისძიების შესახებ ინფორმაცია.

➤ 12728

1955

### 7 თებერვლამდე

ფიქრობს თავის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ. იხსენებს მწერალთა პირველი და მეორე საკავშირო ყრილობების ამბებს, იმას, თუ როგორი სიტუაცია იყო მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე 1934 წელს, როცა სტალინი ცოცხალი იყო და როგორ შეიცვალა ვითარება მეორე საკავშირო ყრილობის დროს, 1954 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ. ასევე ახსენდება, სულ ცოტა ხნის წინ როგორ აირჩიეს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარედ. ამის შემდეგ იწყებს ფიქრს სამომავლო გეგმებსა და განსახორციელებელ გამოცემებზე. უპირველესად, აპირებს, გამოსცეს თხზულებათა აკადემიური კრებული და პოემების წიგნი.

➤ 12729

1955

### 7 თებერვალი

წიგნებისა და ხელნაწერების შესანახად ყიდულობს კარადას და დანიშნულებიდან გამომდინარე უწოდებს „ჭკვიან კარადას“. აღნიშნავს, რომ ეს კარადა ძალიან მოსწონთ ნინო კვირიკაძეს, ლავროსი კალანდაძესა და თამარ ანდლულაძეს.

➤ 12730

1955

### 7 თებერვალი

ამზადებს აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ სადამოხე გამოსასვლელ სიტყვას. ჩანაწერში გალაკტიონი აკაკის უდიდეს ქართველ პოეტად მოიხსენიებს, რომელიც ილია ჭავჭავაძესთან ერთად ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოდრაობის სულისჩამდგმელი იყო. აკაკი წერეთლის, როგორც ხელოვანის მთავარი თავისებურება, გალაკტიონის აზრით, ის იყო, რომ იგი მუდმივად გამოხატავდა ხალხის, ფართო მასების მისწრაფებებსა და ინტერესებს.

➤ 12731

1955

### 8 თებერვალი

ემზადება აკაკი წერეთლის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ საღამოზე სიტყვით გამოსვლისათვის. უბის წიგნაკში იწერს წარმოსათქმელი სიტყვის ტექსტს, სადაც აკაკი წერეთლის პოეზიის მნიშვნელობაზე მსჯელობის პარალელურად დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე ქართულ პოეზიაზე საუბარს. საგანგებოდ არის ხაზგასმული მეოცე საუკუნეში მოღვაწე ქართველი საბჭოთა პოეტების ხალხთან სიახლოვე და მათი თანამონაწილეობა უკეთესი მომავლის მშენებლობის პროცესში.

➤ 12732

1955

### 8 თებერვალი

მისთვის მოკლე ბარათი მიაქვთ სოსიკო ფანცხავასგან, რომელიც სთხოვს, რომ ბარათის მიმტანს გაატანოს რაც შეიძლება მეტი ბილეთი, რადგან საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის გალაკტიონის სახელობის ლიტერატურულ წრის წევრებსაც სურთ აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ საღამოზე დასწრება.

➤ 12733

1955

### 8 თებერვალი

მაღალ დონეზე ატარებს აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ საღამოს.

➤ 12734

1955

### 9 თებერვალი

ესწრება მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომას. გაკაპასებული სიტყვით გამომსვლელების შემხედვარეს უჩნდება განცდა, რომ ბაზარში იმყოფება. ფიქრობს, რომ მწერლები ოდნავადაც არ სცემენ პატივს ერთმანეთს. ხედავს, რომ ბესარიონ ჟღენტსა და ალექსანდრე გომიაშვილს შორის შელაპარაკება ლამის ფიზიკურ დაპირისპირებამდე მიდის. იოსებ ნონეშვილს ვიღაც ხუტა ბერულავას სახელს უწოდებს, რაც მის განაწყენებას იწვევს. სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, კარლო კალაძე და ალიო მირცხულავა აკრიტიკებენ სავლე აბულაძესა და თედო სახოკიას. გალაკტიონი ეუბნება სიმონ ჩიქოვანს, რომ არ შეიძლება მწერალთა ძველ თაობაზე თავდასხმა და რომ თედო სახოკია პატივით მოპყრობას იმსახურებს.

➤ 12735

1955

### 7-11 თებერვალი

კითხულობს უბის წიგნაკში ჩანიშნულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც 1955 წლის 7 თებერვალს ოპერის თეატრში უნდა ჩატარებულიყო გალაკტიონ ტაბიძის დიდი შემოქმედებითი საღამო. ამ ტექსტის ქვემოთ აკეთებს მინაწერს, რომ დაგეგმილი ღონისძიება გადაიდო 7 მარტისთვის. მინაწერს ხელმოწერით ადასტურებენ გალაკტიონ ტაბიძე და შალვა რადიანი.

➤ 12736

1955

### 11 თებერვალი

დიდი შემოქმედებითი სადამო, რომლის ჩატარებაც დაგეგმილი იყო ოპერის თეატრში ჯერ 7 თებერვალს, ხოლო შემდეგ – 7 მარტს, შალვა რადიანთან შეთანხმებით ამჯერად 14 მარტისთვის გადაიდება.

➤ 12737

1955

### 11 თებერვალი

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მდივნის სახელით წერს განცხადებას, მიმართავს ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორს, სთხოვს, რომ დაეთმოს ოპერის თეატრი 7 მარტისათვის, რათა მოეწყოს საქართველოს სახალხო პოეტის, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სადამო.

➤ 12738

1955

### 11 თებერვალი

მიდის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ხვდება შალვა რადიანს და გადასცემს განცხადებას, რომლითაც ითხოვს ნებართვას, რომ 7 მარტს ოპერის თეატრში ჩატარდეს მისი პოეზიის სადამო. შალვა რადიანი, თავის მხრივ, ამ განცხადებას გადასცემს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელ ვახტანგ ქოჩორაძეს. სადამოს ჩატარების საკითხი ქოჩორაძის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. ამის გამო პოეტი ამ პიროვნების ქმედებებს დაკვირვებით ადევნებს თვალს და მოგვიანებით, იმ დღის ამბების გახსენებისას, აღნიშნავს, რომ ქოჩორაძემ მასზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

➤ 12739

1955

### 12 თებერვალი

მწერალთა კავშირში მისულს თავის სამუშაო მაგიდაზე ხვდება ანონიმური წერილი, რომელშიც წერილის ადრესატის კადნიერებასა და თავხედობაზეა საუბარი. ამ ფაქტით შეფიქრიანებულია. ეჭვობს, რომ შეიძლება ეს წერილი მას ეხებოდეს.

➤ 12740

1954

### 15 თებერვლამდე

აკეთებს მწერალ ლადო ტატიშვილისთვის გადასაცემ წიგნზე წასაწერი მიძღვნილი ტექსტის მონახაზს.

➤ 12741

1955

### 15 თებერვალი

წერს მისასალმებელი სიტყვის ტექსტს თბილისის მასწავლებლის სახლთან არსებული ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის 20 წლისთავთან დაკავშირებით. აღნიშნავს, რომ დასახელებულ წრეს გულწრფელი პატივისცემის ნიშნად გადასცემს თავისი პოემების ხელნაწერებს.

➤ 12742

1955

### 16 თებერვალი

გეგმავს სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ ბიჭიკო გოცაძესთან ერთად ნავთლულში წასვლას.

➤ 12743

1955

**17 თებერვლამდე**

ინიშნავს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის – ვახტანგ ქოჩორაძის სახელსა და გვარს და ტელეფონის ნომერს. გეგმავს, შეხვდეს ამ პიროვნებას და მიიღოს ოპერისა და ბალეტის თეატრში დიდი შემოქმედებითი სადამოს ჩატარების ნებართვა.

➤ 12744

1955

**17 თებერვალი**

მწერალთა კავშირში მხატვარი ანატოლი ბაბუნაშვილი ფანქრით ხატავს მის პორტრეტს პროფილში. უკეთია სათვალე და კითხულობს.

➤ 12745

1955

**17 თებერვალი**

ოპერის თეატრში სადამოს ჩატარების ნებართვის მისაღებად მიდის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც ხვდება ვახტანგ ქოჩორაძეს. საუბრისას ატყობს, რომ ქოჩორაძე კეთილგანწყობილია მის მიმართ, ასევე იგებს იმასაც, რომ იგი უკვე დაჰკავშირებია მეცნიერებათა აკადემიას, კერძოდ, უსაუბრია ამბერკი გაჩეჩილაძესთან. გალაკტიონთან საუბრისას ქოჩორაძე ითხოვს დაგეგმილი ღონისძიების ზუსტ პროგრამას, რომელიც უნდა გადასცეს დავით მჭედლიშვილს – ცკ-ის მდივანს იდეოლოგიის დარგში. ვახტანგ ქოჩორაძესთან საუბრის შემდეგ გალაკტიონი მიდის მეცნიერებათა აკადემიაში, ხვდება შალვა რადიანს, უთანხმდება, რომ ოპერაში ჩასატარებელი ღონისძიების პროგრამის გეგმას მეორე დღეს წარუდგენს. ამ საუბარს ესწრება შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიის განყოფილების ხელმძღვანელი მამია დუდუჩავაც.

➤ 12746

1955

**19 თებერვლამდე**

უბის წიგნაკში იწერს გეგმას, რომ მოაწესრიგოს თავისი მასალები. მიზნად ისახავს, გადაარჩიოს და ერთმანეთისაგან განაცალკევოს ხელნაწერები, წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, საქალაქდებები, ფოტოსურათები, აფიშები.

➤ 12747

1955

**19 თებერვლის შემდეგ**

აკაკი ხინთიბიძის წიგნში „ი. გრიშაშვილის პოეზია“ აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს. აღნიშნავს, რომ არასწორია მისი პირველი წიგნების შინაარსითა და ფორმით ბესიკისა და საიათნოვას პოეზიასთან დაკავშირება. ასევე არ იზიარებს მოსაზრებას, რომ ის არის ქართული ენის შესანიშნავი მცოდნე და მისი სიწმინდის თავგამოდებული დარაჯი.

➤ 12748

1955

**19-20 თებერვალი**

იწყებს საკუთარი არქივის მოწესრიგებას, თუმცა ბოლომდე ვერ ახერხებს.

➤ 12749

1955

**21 თებერვალი**

წერილს იღებს სოსიკო ფანცხავასგან, რომელიც უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტში გალაკტიონის სადამო რამდენჯერმე გადაიდო პოეტის მოუცლევლობის გამო.

➤ 12750

1955

### 23 თებერვალი

დღისით, ისევე როგორც წინა დამით თბილისში ძლიერი ქარია. ქარი ყველაფერს ლეწავს წყნეთშიც, მწერალთა კავშირში კი ამტვრევს პოეტების სექციის ოთახის მინებს. სტიქიის შედეგების ხილვისას გალაკტიონს ახსენდება, რომ ეს ის ოთახია, რომელშიც 1921 წელს, უბინაობის დროს ცხოვრობდა.

➤ 12751

1955

### 24 თებერვალი

გორის გაზეთში „სტალინელი“ იბეჭდება ლექსი „იდიდე სამშობლოვ!“.

➤ 12752

1955

### 24 თებერვალი

ოთარ ჩხეიძის ინიციატივით ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტი უმართავს შეხვედრას. პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოდის სიმონ გაჩეჩილაძე და გალაკტიონი კითხულობს ლექსებს.

➤ 12753

1955

### 24 თებერვალი

შეხვედრას უწყობს გორის პედაგოგიური ინსტიტუტი და ქალაქის საზოგადოება. სადამოს დაწყებამდე ათვალთვრებს გაზეთს „სტალინელი“, რომელშიც ერთი გვერდი მის ცხოვრება-შემოქმედებას ეძღვნება და მოსწონს ნომერი. შეხვედრაზე სიტყვით გამოდიან პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორები გიორგი ჩიტაია და ნოდარ ალანია. პოეტისადმი მიძღვნილ ლექსებს კითხულობენ ფ. ჯანაშვილი, ა. კარტოზია და მ. ძველია. დასასრულს პოეტი მადლობას უხდის მასპინძლებს და კითხულობს რამდენიმე ლექსს.

➤ 12754

1955

### 26 თებერვალი

რუსულ გაზეთში „მოლოდინი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სიხარულის დღე“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12755

1955

### 27 თებერვალი

წერს ლექსს „ერთი ლექსი“ („ყოველ ახალ წლის დასაწყისს...“).

➤ 12756

1955

### 18 იანვრიდან-28 თებერვლამდე

წერს ლექსის „ძეგლი ერთი ლექსისა“ რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტს.

➤ 12757

1955

**18 იანვარი-28 თებერვალი**

ემზადება ერთი ლექსისადმი მიძღვნილი ღონისძიების „ერთი ლექსის საღამოს“ მოსაწყობად, რომლის ორგანიზატორიც იქნება თვითონ, როგორც მწერალთა კავშირის პოეტების სექციის თავმჯდომარე.

➤ 12758

1955

**28 თებერვალი**

ჩანაწერების გასაკეთებლად იღებს ახალ უბის წიგნაკს და სათაურად აწერს: ერთი ლექსის საღამო.

➤ 12759

1955

**28 თებერვალი**

მწერალთა კავშირის კლუბში დიდებულად ატარებს ერთი ლექსის საღამოს.

➤ 12760

1955

**28 თებერვალი**

ხვდება აგრონომ ილია ნაკაშიძეს რომელიც უბის წიგნაკში უწერს საკუთარ მისამართს და ასევე დიღმის სანერგე მეურნეობის მისამართს. სურს, წყნეთში, საკუთარი აგარაკზე, ვაზის სხვადასხვა ჯიში გააშენოს და სწორედ ამ მეურნეობიდან აპირებს ნერგების წაღებას.

➤ 12761

1955.

**28 თებერვალი**

ინიშნავს ბინათა მომარაგების სამმართველოს წარმომადგენლის გვარს. ფიქრობს, რომ ეს პიროვნება დაეხმარება წყნეთის სახლის რემონტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგებაში.

➤ 12762

1955

**28 თებერვალი**

იგებს, რომ იოსებ იმედაშვილის ქალიშვილს აქვს მიხეილ აბრამიშვილისა და ვახტანგ კოტეტიშვილის საარქივო მასალები. ეს ცნობა მის ინტერესს იწვევს და უბის წიგნაკში ინიშნავს ამ ფაქტს.

➤ 12763

**მ ა რ ტ ი**

1955

**1 მარტი**

ესწრება თბილისის 47-ე სკოლაში გამართულ ღონისძიებას, რომელიც შუადღის ორ საათზე იწყება. შეხვედრა იხსნება ბესარიონ ჟღენტის გამოსვლით. კრიტიკოსი კითხულობს მოხსენებას გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ. გალაკტიონი ადის სცენაზე და ბავშვებთან ერთად იღებს სამახსოვრო ფოტოს.

➤ 12764

1955

**1 მარტი**

იმყოფება ღვინის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის დიდმის მეურნეობაში. მევენახეობისა და ვაზის ჯიშების შესახებ ესაუბრება დაწესებულების დირექტორს – დავით სანაძეს და მთავარ აგრონომს – აკაკი ხუციშვილს. უთანხმდება, რომ ხუთშაბათს შუადღის პირველიდან ორ საათამდე წყნეთში მიუტანენ მის მიერ შერჩეულ დაფესვიანებულ ერთწლიან ნამყენ ნერგებს, კერძოდ, თავრიზის ოცდაათ და შავთითას სამოცდაათ ნერგს. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე პოეტი დაკვირვებით ეცნობა ვაზის სხვადასხვა ჯიშის სპეციფიკას და მათ სახელწოდებებს უბის წიგნაკში ინიშნავს. ასევე ინიშნავს მეურნეობის დირექტორის – დავით სანაძის ტელეფონის ნომერს.

➤ 12765

1955

2 მარტი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით განცხადებით მიმართავს სახელმწიფო ოპერის თეატრის დირექტორ დიმიტრი მჭედლიძეს და ითხოვს დარბაზის დათმობას 21 მარტს გალაკტიონ ტაბიძის საღამოს მოსაწყობად.

➤ 12766

1955

2 მარტი

იმყოფება თბილისში. ტელეფონით უკავშირდება დიდმის მევენახეობის მეურნეობას და სთხოვს, მოამზადონ ვაზის ნერგები მეორე დღისთვის. ასევე რეკავს წყნეთის კოლმეურნეობის საბჭოში და სთხოვს, ვაზის ნერგებისათვის დაახვედრონ ერთი სატვირთო მანქანა ნაკელი. თავის მძღოლს, ოჰანას სთხოვს, როგორმე სატვირთო მანქანა იშოვოს, რომლითაც მოხერხდება ნაკელის გადატანა. ფიქრობს, რომ საქმის მოსაგვარებლად საჭირო გახდება მისი წყნეთში ასვლა, თუმცა, საბოლოოდ, სიტუაციიდან გამომდინარე, აღმოჩნდება, რომ ყველაფერი თბილისიდან მოგვარდა და წყნეთში ასვლა აღარ გახდა აუცილებელი.

➤ 12767

1955

2 მარტი

მწერალ რევაზ მარგიანს ესაუბრება 1905 წლის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ, რომლის ჩატარებასაც მწერალთა კავშირი გეგმავს.

➤ 12768

1955

3 მარტი

იმყოფება მცხეთაში თავის მძღოლთან, ოჰანასთან ერთად. სანერგე მეურნეობიდან მიაქვთ ვაზის ნერგების ნაწილი წყნეთის აგარაკზე ვენახის გასაშენებლად.

➤ 12769

1955

4 მარტი

იმყოფება ლენინის (ახლანდელი კოსტავას) ქუჩაზე მდებარე საქართველოს ღვინის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტში. სურს, ამ ორგანიზაციის რომელიმე წარმომადგენელს დაელაპარაკოს ვაზის ნერგების შექმნისა და ვენახის გაშენების თაობაზე.

➤ 12770

1955

4 მარტი

აპირებს დიღმის სანერგე მეურნეობაში მისვლას, რათა ვაზის ნერგების მომდევნო ნაწილის წაღებაზე დაელაპარაკოს აგრონომ ილია ნაკაშიძეს.

➤ 12771

**1955**

**4 მარტი**

ფიქრობს წყნეთის სახლის რემონტზე, აპირებს წავიდეს წყნეთში და თვითონ ჩაერთოს სარემონტო სამუშაოების დაგეგმვის პროცესში. გადაწყვეტილი აქვს, დაუკავშირდეს ბინათა მომარაგების სამმართველოს წარმომადგენელს, რომელიც დაეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში.

➤ 12772

**1955**

**4 მარტი**

ახსენდება, რომ 12 მარტს მწერალთა კავშირში დაგეგმილია ღონისძიება „ერთი ლექსის საღამო“, რომლის ძირითადი მონაწილე თვითონ არის. აინტერესებს, რა ეტაპზეა ამ საღამოს სამზადისი.

➤ 12773

**1955**

**4 მარტი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ დილიდან ძალიან ექავება ხელის გული, ფიქრობს, რას უნდა ნიშნავდეს ეს. ახსენდება გავრცელებული ცრურწმენა, რომ ხელის გულის ქავილი შემოსავალთანაა დაკავშირებული. მიდის „სახელმწიფო გამომცემლობაში“ და არკვევს, რომ ასაღები აქვს ჰონორარი 128, 844 მანეთის ოდენობით.

➤ 12774

**1955**

**6 მარტი**

წერს უსათაურო ლექსს „გადავშალე კალენდარი...“.

➤ 12775

**1955**

**6 მარტი**

ფიქრობს წყნეთის აგარაკის რემონტზე, სურს მოაწესრიგოს როგორც ეზო, ისე სახლი. კერძოდ, აპირებს, გაარემონტოს სახლის ორივე სართული, შეაკეთებინოს და შეაღებინოს ღობე, მოავგაროს კიბის პრობლემა

➤ 12776

**1955**

**6 მარტი**

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად იმყოფება წყნეთში. გეგმავს სახლის რემონტს და ეზოს მოწესრიგებას. ასევე, აპირებს სახლის სახურავის შეცვლას. უბის წიგნაკში ნინო კვირიკაძე იწერს შესაღები ღობის სიგრძეს, ასევე, ინიშნავს მეორე სართულზე არსებული გასარემონტებელი ოთახების ფართს, რათა ეს მონაცემები აცნობონ ხელოსანს.

➤ 12777

**1955**

**7 მარტამდე**

წერს აფიშის ტექსტს ღონისძიებისათვის, რომელიც მიეძღვნება მისი თხზულებების შვიდი ტომის გამოსვლიდან 5 წლის თავს.



➤ 12778

1955

7 მარტი

წერს რეკომენდაციას ნოე ზომლეთელის რჩეული ნაწარმოებების რუსულ ენაზე გამოსაცემად. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ ამ პოეტმა ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1905 წელს და ძალიან პოპულარული იყო საქართველოს ფართო მასებში. ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წიგნის გამოცემა.

➤ 12779

1955

7 მარტი

ინტერესდება მოხსენებით „ახალი ოჯახური ანორმალობის“ შესახებ.

➤ 12780

1955

7 მარტი

ელოდება იანვრის ბოლოს გამოცემული 1954 წლის „რჩეულის“ გაყიდვა-გავრცელებასთან დაკავშირებულ ოფიციალურ ნებართვას.

➤ 12781

1955

7 მარტი

აინტერესებს, არის თუ არა საჯარო ბიბლიოთეკაში რუსი პოეტის – ალექსეი მერზლიაკოვის კრებული.

➤ 12782

1955

7 მარტი

იმყოფება მწერალთა კავშირში, პოეტების სექციაში, სადაც მსჯელობენ თანამედროვე პოეზიის განვითარების ტენდენციებზე. იმართება დიდი კამათი, რომელშიც მონაწილეობენ: ლავროსი კალანდაძე, სერგო კლდიაშვილი, თამარ ანდლულაძე, მარიამ ტყემალაძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, გიორგი შატბერაშვილი და სხვები. მოგვიანებით, ამ დისკუსიის შესახებ ფიქრისას, პოეტი უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მარიჯანმა – მარიამ ტყემალაძემ მისი პოზიცია გაიზიარა და მხარი დაუჭირა. ამის გათვალისწინებით, გალაკტიონი აპირებს, რომ სამომავლოდ თვითონაც დაუჭიროს მხარი მას. ფიქრობს, რომ ეს კამათი, რომელსაც სათავე ახალგაზრდა ფილოსოფოსმა – ვენორი ქვაჩახიამ დაუდო, მალე მთელს საქართველოს მოედება. სურს, რომ მწერალთა კავშირის პოეზიის სექციამ საკუთარი პოზიციის გამოსახატად შეარჩიოს ოთხი მომხსენებელი.

➤ 12783

1955

7 მარტი

გალაკტიონ ტაბიძის შვიდტომეულის გამოსვლიდან ხუთი წლისთავის აღსანიშნავად იგეგმება შვიდი საღამოს ჩატარება. ღონისძიებები უნდა გაიმართოს 25-დან 31 მარტის ჩათვლით თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში. საღამოებში მონაწილეობას მიიღებენ კრიტიკოსები და ლიტერატორები – ბესარიონ ჟღენტი, ეთერ შუმანია, ილია ბახტაძე, სოლომონ ცაიშვილი, სერგი ჭილაია, რომლებიც ღონისძიების ფარგლებში მოხსენებებს წაიკითხავენ როგორც გალაკტიონის ნაწარმოებების, ისე სხვა ავტორთა შემოქმედების შესახებ.

➤ 12784

1955

**8 მარტი**

გადასცემენ სერგი ჭილაიას რუსულენოვან მონოგრაფიას „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“.

➤ 12785

1955

**8 მარტი**

ფოტოგრაფი გალაკტიონს გადასცემს მის ორ ფოტოპორტრეტს, რომლებიც გარკვეული დროის წინ გადაუღო.

➤ 12786

1955

**8 მარტი**

მწერალი თეოფილე კეკელიძე გალაკტიონს გადასცემს ალექსანდრე აბაშელის 1915 წელს გამოქვეყნებული სტატიის – „ყვითელი ფოთოლი“ ფოტოებს. ეს ფაქტი პოეტს ახარებს, რადგან აბაშელის სტატია მის ადრეულ პოეზიას ეძღვნება.

➤ 12787

1955

**8 მარტი**

კითხულობს რუსული გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ 8 მარტის ნომერს, მოსწონს მურმან კიკვაძის რეცენზია „სპექტაკლი ხალხის გმირ ქალიშვილზე“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ სპექტაკლს – „მაია წყნეთელს“ ეძღვნება.

➤ 12788

1955

**8 მარტი**

აწუხებს ის ფაქტი, რომ იანვრის ბოლოს დაბეჭდილი 1954 წლის „რჩეულის“ გაყიდვა-გავრცელებასთან დაკავშირებული ოფიციალური ნებართვა ჯერ კიდევ არ არის გაცემული, რის გამოც, მაღაზიებში ეს წიგნი ჯერ არ გაუტანიათ.

➤ 12789

1955

**8 მარტი**

აპირებს მხატვართა კავშირის პრეზიდიუმის მდივანთან – ვლადიმერ ლემონჟავასთან მისვლას და დიდი ხნის წინ დაგეგმილ იმ პოეზიის საღამოს შესახებ საუბარს, რომლის მოსაწყობადაც სპეციალური კომისია გამოყო მხატვართა კავშირმა.

➤ 12790

1955

**9 მარტი.**

დილით იმყოფება წყნეთში, ფიქრობს ახლომდებარე ადგილების – პანტიასა და აბრამეთის შესახებ. წყნეთიდან ბრუნდება თბილისში და მიდის მხატვართა კავშირში. გზად, კულტურის სამინისტროს ახლოს, ხვდება მეგობარ მხატვარს – მიხეილ ვადბოლსკის. უამბობს, რომ მხატვართა კავშირმა დიდი ხანია კომისია გამოჰყო მისი საღამოს მოსაწყობად, თუმცა რეალურად არაფერს აკეთებენ. გალაკტიონი და მიხეილ ვადბოლსკი ერთად მიდიან მხატვართა კავშირში და ესაუბრებიან ამ კავშირის პრეზიდიუმის მდივანს – ვლადიმერ ლემონჟავას, რომელიც მხატვართა კომისიის ძველ, 1954 წელს შედგენილ სიას გადასცემს გალაკტიონს. პოეტის თხოვნით ამ სიას ემატება მიხეილ ვადბოლსკი. ამ საუბრის დროს შემოდის მხატვართა კავშირის წევრი შალვა

კვასხვაძე და ისიც ერთვება მსჯელობაში. გადაწყვეტენ, რომ ორი დღის შემდეგ, 11 მარტს შეუდგნენ მუშაობას, რადგან ამ დროისათვის ვადბოლსკის უკვე მზად ექნება ლონისძიების პროექტი, ხოლო მომდევნო შეხვედრას აპირებენ 15 მარტს, დღის სამ საათზე. გალაკტიონი ამ შეთანხმებით კმაყოფილია, ფიქრობს, რომ მხატვართა მონაწილეობა მისი პოეზიის საღამოს მომზადების პროცესში შესანიშნავი წამოწყებაა. ასევე გეგმავს, საღამოს სამზადისში ჩართოს თავისი ძმისშვილი ნოდარ ტაბიძე.

➤ 12791

**1955**

**10 მარტი**

11 საათზე ესწრება აკადემიის საერთო კრებას. ისმენს ნიკო კეცხოველის, ალექსანდრე ბარამიძის, ვარლამ თოფურიას, ნიკო ბერძენიშვილის და ალექსანდრე ჯანელიძის გამოსვლებს. ხვდება მიხეილ ვადბოლსკის.

➤ 12792

**1955**

**11 მარტი**

იმყოფება მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც კორნელი კეკელიძესთან, აპოლონ ცანავასთან, აკაკი შანიძესა და სხვა მეცნიერებთან ერთად ესწრება სხდომას.

➤ 12793

**1955**

**12 მარტი ან შემდეგ**

მწერალთა სახლში გალაკტიონ ტაბიძის ინიციატივით იმართება „ერთი ლექსის“ რიგით მეორე საღამო. საღამოს ესწრებიან იოსებ გრიშაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე, გიორგი შატერაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, მუხრან მაჭავარიანი, ნაზი კილასონია და სხვები. საღამოს თავად პოეზიის სექციის ბიუროს თავმჯდომარე გალაკტიონი ხსნის. ის განმარტავს ერთი ლექსისა და კერძოდ, პოეზიის დანიშნულებას და აქცენტს აკეთებს იმ თანამედროვე პოეტებზე, რომლებიც მხოლოდ თითო-ოროლა შესანიშნავი ლექსით დარჩნენ მკითხველთა მეხსიერებაში. გალაკტიონი აღნიშნავს, რომ პირველი ასეთი საღამო მიემდგნა ქართველ კლასიკოსებს და კითხულობს სპეციალურად ამ საღამოსთვის დაწერილ ლექსს „ერთი ლექსი“.

➤ 12794

**1955**

**12 მარტამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს მხატვართა კავშირის მიერ რამდენიმე დღის წინ გადაცემულ, 1954 წლის 8 ოქტომბერს შედგენილ მხატვართა სიას. სიაში დასახელებულ მხატვრებს: უჩა ჯაფარიძეს, ლადო გრიგოლიას, კონსტანტინე ჭანკვეტაძეს, შალვა კვასხვაძეს, დიმიტრი თავაძეს მონაწილეობა უნდა მიეღოთ გალაკტიონის შემოქმედებითი საღამოს მოწყობაში. ამ სიას, გალაკტიონის თხოვნით, 1955 წლის 9 მარტს მიამატეს მიხეილ ვადბოლსკი. პოეტი იქვე ინიშნავს, რომ მხატვრებთან შეხვედრა დაგეგმილია 12 მარტს, სწორედ ამ დროიდან უნდა განახლდეს დიდი ხნის წინ ჩასატარებელი ლონისძიებისათვის მოსამზადებელი სამუშაოები.

➤ 12795

**1955**

**12 მარტი**

ფიქრობს უახლოეს დღეებში განსახორციელებელ გეგმებზე. აპირებს მხატვართა კავშირში მისვლას და იმ მხატვრებთან ერთად მუშაობას, რომლებიც ჩართულნი არიან მისი შემოქმედებითი საღამოს ორგანიზებაში. ასევე გეგმავს, დაელაპარაკოს ბინათა მომარაგების სამმართველოს წარმომადგენელს, რომელიც უნდა დაეხმაროს წყნეთის სახლის რემონტთან

დაკავშირებული დოკუმენტაციის მოწესრიგებაში. სადამოს ექვს საათზე აპირებს კულტურის სამინისტროს კლუბში მისვლას.

➤ 12796

**1955**

**12 მარტი**

დღიურში წერს, რომ სურს შეიძინოს სერგი ჭილაიას რუსულენოვანი მონოგრაფიის „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ რამდენიმე ეგზემპლარი.

➤ 12797

**1955**

**12 მარტი**

აპირებს სახელმწიფო გამომცემლობაში მისვლას და გარკვევას, როდის იქნება შესაძლებელი იანვრის ბოლოს დაბეჭდილი 1954 წლის „რჩეულის“ გაყიდვა-გავრცელებასთან დაკავშირებული ოფიციალური ნებართვის მიღება.

➤ 12798

**1955**

**12 მარტი**

განცხადებით მიმართავს თბილისის საბინაო სამმართველოს უფროს ვლადიმერ ჩომახიძეს და წყნეთში თავისი ბინის მშენებლობის დასამთავრებლად ითხოვს დახერხილი ხის მასალას 5 კუბური მეტრის ოდენობით, ოთხნახევარ კუბურ მეტრ დაბალხარისხიან ფიცარს მიწის შემოსაკავებლად და 45 ცალ საყრდენს.

➤ 12799

**1955**

**14 მარტი**

აპირებს, დღის ორ საათზე შეხვდეს ბიჭიკო გოცაძეს, რომელიც უნდა დაეხმაროს წყნეთის სახლის რემონტის დაგეგმვის საქმეში. ბიჭიკო დათქმულ დროს არ მიდის, რის გამოც შეხვედრა არ ტარდება.

➤ 12800

**1955**

**14 მარტი**

ძალიან აღიზიანებს ის ფაქტი, რომ მეტისმეტად გაჭიანურდა იანვრის ბოლოს დაბეჭდილი 1954 წლის „რჩეულის“ გაყიდვა-გავრცელებასთან დაკავშირებული ოფიციალური ნებართვის მიღება.

➤ 12801

**1955**

**14 მარტი**

აპირებს მწერალთა კავშირში მისვლას და გარკვევას, თუ რა სახის „ანთოლოგიების“ გამოცემაა დაგეგმილი და ამ „ანთოლოგიებში“ მისი რომელი ნაწარმოებების შეტანას აპირებენ.

➤ 12802

**1955**

**14 მარტი**

აფიქრებს ის ფაქტი, რომ ვერ მოახერხა მეცნიერებათა აკადემიაში მისვლა და, შესაბამისად, არ იცის იქაური ახალი ამბები.

➤ 12803

1955

**14 მარტი**

გახარებულია იმის გაგებით, რომ მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობის საკითხი დადებითად გადაწყდა და გამოფენის გამართვა პრობლემას აღარ წარმოადგენს.

➤ 12804

1955

**14 მარტი**

ხვდება „სახელმწიფო გამომცემლობის“ თანამშრომელს, მწერალ ნოე კაკუშაძეს. ესაუბრება თავისი „რჩეულის“ შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს დაიბეჭდა და, მიუხედავად ამისა, ამ დრომდე ვერ მოხერხდა წიგნის გაყიდვა-გავრცელებასთან დაკავშირებული ოფიციალური ნებართვის მიღება. კაკუშაძე განუმარტავს, რომ „რჩეული“ 12 მარტს გადაეგზავნა ვასილ მჟავანაძეს და დავით მჭედლიშვილს. ეს ინფორმაცია გალაკტიონის გაოცებას იწვევს და უჩნდება კითხვა, ოფიციალურ პირებს ყველა ახლადგამოცემულ წიგნს უგზავნიან თუ მაინცდამაინც მისი „რჩეულით“ დაინტერესდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ცდილობს, გაარკვიოს, რა დრო დასჭირდება ამ წიგნის გაყიდვა-გავრცელებასთან დაკავშირებული ოფიციალური ნებართვის მიღებას. თუმცა ამ კითხვაზე პასუხს ვერავინ აძლევს. სამაგიეროდ, გადასცემენ „რჩეულის“ საავტორო ეგზემპლარებს და იბარებენ 15 მარტს ბულალტერთან, ჰონორარის საკითხის გასარკვევად, ხოლო 16 მარტს – გამომცემლობის დირექტორთან სასაუბროდ.

➤ 12805

1955

**15 მარტი**

აპირებს, შეხვდეს ბესარიონ ჟღენტს და დაელაპარაკოს პოეზიის სექციის მიერ დაგეგმილი და ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ასევე, სურს, გაარკვიოს 1954 წლის „რჩეულის“ საკითხი, რადგან სურს იმის გარკვევა, მოხერხდა თუ არა წიგნის გაყიდვა-გავრცელებასთან დაკავშირებული ოფიციალური ნებართვის მიღება.

➤ 12806

1955

**15 მარტი**

ფიქრობს მოსაგვარებელი პრობლემების შესახებ. აპირებს, გაარკვიოს წყნეთის სახლის რემონტისა და სოხუმის სახლის მშენებლობის საკითხი. ასევე, გეგმავს შეაკეთებინოს ავტომანქანა.

➤ 12807

1955

**15 მარტი**

იგებს, რომ ვიდრე შინ არ იმყოფებოდა, მასთან სახლში მისულან პოეტები – კალე ბობოხიძე და თეიმურაზ ჯანგულაშვილი.

➤ 12808

1955

**15 მარტი**

იგებს, რომ, როგორც იქნა, გამოდის მისი წიგნი და წერს „შოთა ილია, აკაკი, ვაჟა, / დღეს ჩემი წიგნიც გამოდის, ვაშა!“.

➤ 12809

1955

**16 მარტი**

იმყოფება მწერალთა კავშირში, სადაც ესწრება პრეზიდენტის სხდომას. სხდომაზე ბესარიონ ჟღენტი იგებს, რომ მიამაგრეს რუსულ სექციასთან, ხოლო პოეზიის სექციასთან მიამაგრებულად გამოაცხადეს გრიგოლ აბაშიძე, მიუხედავად იმისა, რომ იგი ბიუროს წევრია. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე გალაკტიონი აკეთებს დასკვნას, რომ პრეზიდენტის წევრებსაც ამაგრებენ მწერალთა კავშირის კონკრეტულ სექციებთან. მის გაოცებას იწვევს ისიც, რომ ჯერ კვარტალი არ დასრულებულა და მწერალთა კავშირის ადმინისტრაციამ უკვე შესრულებული სამუშაოს შეჯამებაზე დაიწყო საუბარი და თან უარყოფით კონტექსტში. კერძოდ, ითქვა, რომ სექციებმა მუშაობა შეანელეს. გალაკტიონი აკვირდება მწერლების საქციელს და მისდამი მათ დამოკიდებულებას. აღიზიანებს გრიგოლ აბაშიძის გამომწვევი საქციელი, ასევე, ლავროსი კალანდაძის სიტყვები, რომ აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი ღონისძიება რეალურად პარადული საღამო იყო. არ მოსწონს სერგი ჭილაიას, ბესარიონ ჟღენტისა და ირაკლი აბაშიძის საქციელიც. თუმცა მიიჩნევს, რომ მათ ყურადღება არ უნდა მიაქციოს და თავისი საქმის კეთება უნდა გააგრძელოს.

➤ 12810

1955

**16 მარტი**

აპირებს, შეიაროს მეცნიერებათა აკადემიაში და აიღოს კუთვნილი ხელფასი, ხოლო ამის შემდეგ გეგმავს წავიდეს ნავთლულში და შეხვდეს ბიჭიკო გოცაძეს, რომელიც უნდა დაეხმაროს წყნეთის სახლის რემონტის დაგეგმვის საქმეში.

➤ 12811

1955

**16 მარტი**

მძლოლთან ერთად იმყოფება ავტომანქანების სახელოსნოში და ცდილობს, ხელოსანს აუხსნას, რა სჭირს მის ავტომობილს.

➤ 12812

1955

**16 მარტი**

აპირებს, შეიძინოს რუსული პოლიტიკური ჟურნალის „პარტიული ცხოვრება“ მეოთხე ნომერი და გაეცნოს „ლიტერატურულ გაზეთს“.

➤ 12813

1955

**16 მარტის შემდეგ**

იღებს მწერალ დარია ახვლედიანის ვაჟის, ოთარ ახვლედიანის წერილს. შეახსენებს, რომ 1949 წლის 13, 14 და 15 აპრილს ის დადიოდა გალაკტიონთან თბილისში და სთხოვდა შუამდგომლობას დედამისის, იმხანად უკვე გარდაცვლილი დარია ახვლედიანის ლექსების გამოსაცემად. საქმე ის არის, რომ ადრესანტს წაუყენეს ბრალი, თითქოს ზუსტად ამ რიცხვებში ტყიბულში მონაწილეობდა ქურდობაში. სთხოვს, რომ უმაღლეს სასამართლოში მივიდეს და განაცხადოს, რომ ამ დღეებში ოთარ ახვლედიანი თბილისში იმყოფებოდა, რითაც უდანაშაულო ადამიანს აჩუქებს თავისუფლებას.

➤ 12814

1955

**17 მარტი**

აპირებს, დილის ათ საათზე შეხვდეს ბიჭიკო გოცაძეს, რომელიც უნდა დაეხმაროს წყნეთის სახლის რემონტის დაგეგმვის საქმეში. ამ შეხვედრის შემდეგ, დილის თერთმეტ საათზე გეგმავს მძღოლთან ერთად მანქანის ნაწილების შესაძენად წასვლას. გარდა ამისა, დღის განმავლობაში სურს შეიაროს „სახელმწიფო გამომცემლობაში“ და წიგნის მაღაზიაში, სადაც უნდა შეიძინოს სერგი ჭილაიას რუსულენოვანი მონოგრაფიის „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“ რამდენიმე ეგზემპლარი. ასევე აპირებს, შეიძინოს რუსული პოლიტიკური ჟურნალის „პარტიული ცხოვრება“ მეოთხე ნომერი.

➤ 12815

**1955**

**17 მარტი**

ანგარიშობს თუ რამდენი სტრიქონის დაწერას მოახერხებს თვეების განმავლობაში, თუ დღეში ას სტრიქონს დაწერს.

➤ 12816

**1955**

**19 მარტი**

ანგარიშობს, თუ რა რაოდენობის თანხა ჰქონდა ცხრა მარტს და რა დარჩა ათი დღის შემდეგ – ცხრამეტე მარტს. ირკვევა, რომ 10 426 მანეთიდან დარჩენილი აქვს მხოლოდ 6 496 მანეთი. ფიქრობს, რომ დაუხარჯავს ნახევარი თვის ხელფასი – 4 000 მანეთი.

➤ 12817

**1955**

**19 მარტი**

ათვალისწინებს კალენდარს, აკვირდება სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების პირველი და ბოლო რიცხვები რომელი დღეებია. უბის წიგნაკში ინიშნავს ამ ინფორმაციას, ცალკე იწერს თითოეულ თვეში ორშაბათი დღე რომელ რიცხვებშია. ფიქრობს, რადგან ორშაბათ დღეს დიდ თეატრებში სპექტაკლები არ იმართება, მისი შემოქმედებითი საღამოების მოწყობა სწორედ ამ დღისთვის შეიძლება დაიგეგმოს.

➤ 12818

**1955**

**19 მარტი**

იოსებ გრიშაშვილთან, მარიამ ტყემალაძესთან, რევაზ მარგიანთან, აკაკი ბელიაშვილთან, მიხეილ მრევლიშვილთან და ლავროსი კალანდაძესთან ერთად მონაწილეობს პიონერებისათვის მოწყობილ საღამოში. უკმაყოფილოა იმით, რომ აუდიტორიის წინაშე სახალხო პოეტის ტიტულით მის წარდგენას არ აპირებდნენ და მხოლოდ რევაზ მარგიანის შენიშვნის შემდეგ შეაცვლევინეს ღონისძიების წამყვანს აზრი. ასევე არ მოსწონს ის, რომ მომხსენებელმა ლავროსი კალანდაძემ დაარღვია რიგითობა, ჯერ სხვები – აკაკი ბელიაშვილი და მიხეილ მრევლიშვილი დაასახელა და მხოლოდ შემდეგ – გალაკტიონ ტაბიძე. პოეტის ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ბავშვები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იოსებ გრიშაშვილსა და მარიამ ტყემალაძეს.

➤ 12819

**1955**

**19 მარტი**

უბის წიგნაკში ინიშნავს უცნობ პირთა დიალოგს ინტრიგებისა და ინტრიგების შესახებ. საუბარს კომიკურ ელფერს აძლევს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ თანამოსაუბრეს არ ესმის სიტყვის „ინტრიგანი“ მნიშვნელობა და ინტრიგობას ღვაწლად მიიჩნევს.

➤ 12820

1955

**19 მარტი**

წერს ირაკლი აბაშიძისა და სერგი ჭილაიასადმი მიძღვნილ სახუმარო, უსათაურო ტექსტს „ჩამოდის მოსკოვიდან ირაკლი“.

➤ 12821

1955

**19 მარტი**

მწერალთა კავშირში ხვდება პოეტ ოვანეს კარაიანს და უბის წიგნაკში ინიშნავს მისი ტელეფონის ნომერს.

➤ 12822

1955

**20 მარტი**

აპირებს, მძღოლთან ერთად წავიდეს ავტომანქანის ნაწილების შესაძენად, ასევე გეგმავს წყნეთის აგარაკისთვის ხეხილის ნერგების შეძენას და წყნეთის სახლისთვის გასაღებების დამზადებას.

➤ 12823

1955

**21 მარტამდე**

აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც გეგმავს საკუთარი თხზულებების შვიდი ტომისათვის მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოს. მიუთითებს, რომ ცალკე ღონისძიების გამართვაა საჭირო ბოლო ხანს გამოცემული მისი „რჩეულის“ წარსადგენად. ვარაუდობს, რომ მოეწყობა გამოფენა, ხოლო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები, მწერლები და კრიტიკოსები.

➤ 12824

1955

**21 მარტი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ „მე და ღამე“ რევოლუციური ლექსია და იგი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, ისევე როგორც – „შემოგვიგზავნეთ იარაღი“.

➤ 12825

1955

**23 მარტამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მიერ ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. მიუთითებს, რომ 23 მარტს დაგეგმილია ანდრო თევზაძის გამოსვლა, ხოლო 31 მარტს თვითონ აპირებს წაიკითხოს მოხსენება, რომელშიც მიმოხილული იქნება წინა – 1954 წლის ლიტერატურული პროდუქცია.

➤ 12826

1955

**25 მარტი**

ფიქრობს მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის მიერ მისი ხელმძღვანელობით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. გეგმავს, რომ სექციის წევრები შეკრიბოს ორ კვირაში ერთხელ და მათთან ერთად მოაწყოს ქართული ბალადის საღამო, ასევე – ხალხთა ძმობის საღამო. გარდა ამისა, სურს, პოეზიის სექციამ გარკვეული დრო დაუთმოს იოსებ ნონეშვილისა და ანდრო თევზაძის ნაწარმოებების მოსმენასა და განხილვას.

➤ 12827

1955



## 25 მარტი

სამკურნალო კომბინატთან არსებული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან დებს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ბიბლიოთეკაში საქართველოს სახალხო მწერლის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესწავლის მიზნით მოეწყობა სპეციალური კუთხე, სადაც განთავსდება პოეტის თხზულებათა ყველა გამოცემა, ასევე, მისი შემოქმედების შესახებ დაწერილი სტატიები, მონოგრაფიები და გალაკტიონთან დაკავშირებული ფოტო-დოკუმენტური მასალა. ხელშეკრულების თანახმად, ეს კუთხე უნდა მოეწყოს არაუგვიანეს ერთი თვის ფარგლებში.

➤ 12828

1955

## 27 მარტამდე

იგებს, რომ კულტურის სამინისტროს სალექციო ბიუროში ილია ბახტაძე კითხულობს ლექციას „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება“. ინიშნავს სალექციო ბიუროს მისამართს იმ შემთხვევისთვის, თუ ლექციაზე დასწრებას მოახერხებს.

➤ 12829

1955

## 29 მარტი

ემზადება მწერალთა კავშირში გასამართი ქართული ბალადის სადამოსათვის. გეგმავს გადაბეჭდოს საკუთარი ბალადები, მონაწილეობა მიიღოს ღონისძიების საორგანიზაციო საქმეებში, მოამზადოს ტექსტი განცხადებისათვის და შეადგინოს მონაწილეთა სია.

➤ 12830

1955

## 30 მარტი

განაგრძობს მზადებას მწერალთა კავშირში გასამართი ქართული ბალადის სადამოსათვის. გეგმავს გადაბეჭდვინოს ფრანსუა ვიიონის ბალადა.

➤ 12831

1955

## 30 მარტი

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“, სათაურთან აწერს: „გალაკტიონი და შოთა რუსთაველი, გალაკტიონი და გურამიშვილი, გალაკტიონი და ბარათაშვილი, გალაკტიონი და ილია, გალაკტიონი და აკაკი, გალაკტიონი და ვაჟა, გალაკტიონი – ფუძემდებელი ახალი საბჭოთა თემატიკის“.

➤ 12832

1955

## 31 მარტი

მიდის შრომის სასახლეში, რომ თავის ბიძაშვილს, იოსებ ტაბიძეს საგზურის საქმე მოუგვაროს.

➤ 12833

1955

## 31 მარტი

აკეთებს ჩანაწერს, რომ 3-4 აპრილს ძერჟინსკის კლუბის ფოტოატელიეში მზად იქნება დედის ერთი დიდი ფოტო და 6 პატარა.

➤ 12834

1955

### **31 მარტი**

დილით მიდის შრომის სასახლეში, ცდილობს, დაელაპარაკოს შრომის მინისტრს ან მის მოადგილეს და სთხოვოს საგზური თავისი ბიძაშვილის – იოსებ ტაბიძისთვის. აპირებს, ოფიციალურ პირებს უთხრას, რომ სულ ერთია, რომელი თვის საგზურს მისცემენ, აპრილის, მაისის თუ ივნისის, მთავარია, მოახერხოს საგზურის მიღება. გალაკტიონი ვერც ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას ახერხებს და ვერც პრობლემის მოგვარებას. შრომის სასახლის თანამშრომლები ურჩევენ, რომ ხელახლა მივიდეს დღის ორი საათის შემდეგ.

➤ 12835

**1955**

### **მარტი**

ფიქრობს, თუ რა არის მოსაწესრიგებელი წყნეთის აგარაკზე საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად. უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ გასარემონტებელია სახლის ორივე სართული, გარდა ამისა, განსახლებელია დარაბები, აუზი, ფანჩატური და აივანი, შესაღებია ღობე, მოსაგვარებელია კიბის პრობლემა.

➤ 12836

## **აპრილი**

**1955**

### **აპრილამდე**

ფიქრობს საკუთარი ნაწარმოებების რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ. იგებს, რომ რუსი პოეტი და მთარგმნელი – ალექსანდრ მეჟიროვი თბილისში იმყოფება. უბის წიგნაკში ინიშნავს იმ სასტუმროს სახელსა და ტელეფონის ნომერს, რომელშიც მეჟიროვია დაბინავებული.

➤ 12837

**1955**

### **აპრილამდე**

უბის წიგნაკში უწერენ მეგრული ფოლკლორული ლექსის „ჭვინს, თუნს“ სტრიქონებს. შემდეგ კი ამავე ლექსის მიხედვით თვითონ იწყებს უსათაურო ტექსტის „ფაზს მორიდება სხვისი როდი აქვს“ წერას.

➤ 12838

**1955**

### **აპრილამდე**

ფიქრობს, რომ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ლეილა ლორთქიფანიძეს, რომელმაც წინა წელს დისერტაცია დაიცვა საბავშვო მწერლის – შიო მღვიმელის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ, შეუძლია დაწეროს მონოგრაფია „ბავშვები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“.

➤ 12839

**1955**

### **აპრილამდე**

აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც ჩამოთვლის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას და მიუთითებს, რომ საბჭოს წევრებს უნდა გაეგზავნოს მისი წიგნები. პოეტის აზრით, მკვლევართათვის წიგნების გადაცემა იქნება პირველი ნაბიჯი მისი თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადების დაწყების გზაზე.

➤ 12840

**1955**

### **აპრილი ან ადრე**

საქართველოს მწერალთა კავშირი ალექსანდრ მეჟიროვს, სთავაზობს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის თარგმნას და უფორმებს ხელშეკრულებას. ფილოსოფოს ვენორი ქვაჩაჩიასთან ქართულ მწერლობასა და ვაჟა-ფშაველას ზაბოლოცკისეულ თარგმანებზე ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მეჟიროვი ხვდება, რომ ძალიან რთულ საქმეს შეეჭიდა, უარს ამბობს გალაკტიონის პოეზიის თარგმნაზე და უკან ბრუნდება.

➤ 12841

1955

### 3 აპრილამდე

დედის – მაკრინე ადგიშვილის ძველი ფოტო მიაქვს ფოტო-ატელიეში და სთხოვს ფოტოგრაფს, ამ ფოტოს მიხედვით დაუმზადოს ერთი დიდი და ექვსი პატარა სურათი. ფოტოგრაფი ჰპირდება, რომ ფოტოები მზად იქნება სამ ან ოთხ აპრილს. პოეტს ეს ამბავი ახარებს და აპირებს, თავისი დეიდების, ბიძის და სხვა ნათესავების ფოტოპორტრეტებიც მოიპოვოს და შემდეგ, თუ საჭირო იქნება, ხელახლა დააბეჭდვინოს ფოტოგრაფს.

➤ 12842

1955

### 3 აპრილი

სადამოს შვიდ საათზე ბრუნდება მუსიკათმცოდნისა და თეატრალური კრიტიკოსის – ილია ზურაბიშვილის დაკრძალვიდან. წერს გარდაცვლილისადმი მიძღვნილ ლექსს „გუმინ“ („ზურაბიშვილი ილია რაინდი იყო ნამდვილი...“).

➤ 12843

1955

### 4 აპრილამდე

ფიქრობს მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის მიერ უახლოეს პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. უბის წიგნაკში ინიშნავს აპრილსა და მაისში მწერალთა კავშირში ჩასატარებელი სადამოების თემატიკას და ჩატარების რიცხვებს. ჩანაწერის მიხედვით, ოთხ აპრილს დაგეგმილია „ქართული ბალადის სადამო“, შვიდ აპრილს – იოსებ ნონეშვილის ლექსების წიგნის განხილვა, თოთხმეტ და ჩვიდმეტ აპრილს – ვლადიმერ მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი ღონისძიებებია, ხოლო მაისში – ჩრდილოკავკასიელი მწერლების სადამო.

➤ 12844

1955

### 4 აპრილამდე

ამზადებს განცხადებას ოთხ აპრილს მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ჩასატარებელი ღონისძიების – „ქართული ბალადის სადამოს“ შესახებ. განცხადების მიხედვით, ღონისძიებაზე შესავალ სიტყვას იტყვის სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, ხოლო გიორგი კალანდაძე წაიკითხავს მოხსენებას „ქართული ბალადა“. სადამო იწყება რვა საათზე და დასწრება თავისუფალია.

➤ 12845

1955

### 4 აპრილამდე

მწერალთა კავშირში ხვდება გიორგი კალანდაძეს, რომელიც უთანხმდება, რომ ოთხ აპრილს დაგეგმილ ბალადისადმი მიძღვნილ სადამოზე წაიკითხავს მოხსენებას „ქართული ბალადა“.

➤ 12846

1955

### 4 აპრილამდე

ამზადებს შესავალი სიტყვის ტექსტს „ქართული ბალადის სადამოსათვის“. სიტყვაში აღნიშნავს, რომ ღონისძიების მიზანია ქართული პოეზიის ისტორიის ერთი საინტერესო საკითხის – ბალადის ჟანრის თავისებურებების გაშუქება მსოფლიო პოეზიის მდიდარი ისტორიის გათვალისწინებით.

➤ 12847

1955

#### 4 აპრილი

ესწრება მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარებულ „ქართული ბალადის სადამოს“. ისმენს გიორგი კალანდაძის მოხსენებას „ქართული ბალადა“. უბის წიგნაკში ინიშნავს ბალადის სახეობების სახელწოდებებს: საგმირო ბალადასა და სამონადირეო ბალადას.

➤ 12848

1955

#### 6 აპრილამდე

იგებს, რომ 6 აპრილს, 1 საათზე მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ივანე გომელაური წაიკითხავს ლექციას „ატომური ენერგიით მოქმედი ელექტროსადგური“, ხოლო ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება კინოფილმი „ატომგულის შემადგენლობა“. აპირებს, აუცილებლად დაესწროს ამ ღონისძიებას.

➤ 12849

1955

#### 6 აპრილამდე

კითხულობს სერგი ჭილაიას წიგნს „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა“, აკეთებს ხაზგასმებს მის შესახებ დაწერილ მონაკვეთზე.

➤ 12850

1955

#### 6 აპრილი

მწერალთა კავშირში ესწრება სერგი ჭილაიას წიგნის „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა“ შესახებ გამართულ დისკუსიას.

➤ 12851

1955

#### 6 აპრილი

კედლის კალენდრის ფურცელზე აკეთებს მინაწერს, რომ დღეს ტყავი გააძრეს სერგი ჭილაიას, რადგანაც იგი არ იშლის უშნო ლაპარაკს.

➤ 12852

1955

#### 6 აპრილი

აკეთებს სახუმარო ხასიათის ჩანაწერს მწერალთა კავშირის შესახებ. მისი აზრით, მწერალთა კავშირი უნდა დაიყოს შემდეგ სექციებად: 1. მწვერვალთა კავშირი, სადაც გაერთიანდებიან საუკეთესო მწერლები ანუ ლიტერატურული მწვერვალები. 2. მწერალთა კავშირი, რომელიც გააერთიანებს ჩვეულებრივ მწერლებს. 3. მწერელთა კავშირი, რაც გულისხმობს არამწერლებს მწერალთა კავშირში. 4. გადამწერელთა კავშირი ანუ კრიტიკოსების სექცია. 5. მიმომწერელთა კავშირი, სადაც კანცელარიის მუშაკები გაერთიანდებიან. 6. ჩამწერელთა კავშირი, რომელიც მეჭონორარე ავტორებს გულისხმობს. 7. მწერთა კავშირი, რომელიც აერთიანებს მწერებს და სხვადასხვა პარაზიტებს ანუ მწერალთა კავშირთან ხელოვნურად დაკავშირებულ ადამიანებს.

გალაკტიონი ფიქრობს, რომ ეს „სექციები“ ზუსტად ასახავს საქართველოს მწერალთა კავშირში არსებულ ვითარებას.

➤ 12853

1955

7 აპრილი

მისი ინიციატივით ტარდება მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მორიგი, მეოთხე სადამო, სადაც განიხილავენ იოსებ ნონეშვილის ახალ წიგნს „ყაზახეთის ველებზე“. გალაკტიონი გამოდის მისასალმებელი სიტყვით. ის აღნიშნავს, რომ იოსებ ნონეშვილი ორი თვის განმავლობაში ქართველ პატრიოტებთან ერთად იმყოფებოდა ყაზახეთის ყამირ მიწებზე და სწორედ ამ შთაბეჭდილებების შედეგად დაიწერა მისი წიგნი, რომელიც ახლა საჯაროდ განსახილველადაა წარდგენილი პოეტების სექციის სხდომაზე. ამის შემდეგ პოეტი სიტყვას გადასცემს წიგნის ავტორს – პოეტ იოსებ ნონეშვილს.

➤ 12854

1955

9 აპრილი

იძენს მრგვალ მაგიდას.

➤ 12855

1955

9 აპრილი

წერს სახელმწიფო გამომცემლობის ხელმძღვანელის სახელზე წარსადგენი განცხადების მონახაზს, რომელშიც მიუთითებს, რომ დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდის და ითხოვს წიგნის ჰონორარის, 30 000 მანეთის გადარიცხვას შემნახველ სალაროში.

➤ 12856

1955

4-10 აპრილი

ოთხიდან ათ აპრილამდე მწერალთა კავშირის პოეზიის სექცია გალაკტიონ ტაბიძის ხელმძღვანელობით გეგმავს ქართული ბალადის სადამოების მოწყობას. ღონისძიებები გაიმართება ოთხ, ხუთ, ექვს, შვიდ, რვა და ცხრა აპრილს და წარმოდგენილი იქნება მოხსენებები შემდეგ საკითხებზე: „ბალადის წარმოშობისა და განვითარების გზები – ქართული ხალხური ბალადის საწყისები“, „ქართული ხალხური საგმირო, სამონადირეო და სატრფიალო ბალადები“, „საყოფაცხოვრებო ბალადები და ბალადები, რომლებშიც აისახა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა“, „ომის, სალდათობის, საწესო, სარწმუნოებრივი ხასიათის და ხალხურ თქმულებებზე აგებული ბალადები“ და „ხალხური ბალადის ანარეკლი ქართულ მხატვრულ მწერლობაში“. ვარაუდობს, რომ კარგი იქნება, თუ ღონისძიებებზე შესავალ სიტყვას იტყვის გრიგოლ აბაშიძე, მაგრამ მოგვიანებით გადაიფიქრებს და ბალადის სადამოებისთვის შედგენილ გეგმაში მწერლის სახელსა და გვარს გადახაზავს.

➤ 12857

1955

12 აპრილი

მანქანით აწყობს ექსკურსიას უძოზე. უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს გაზაფხულის ხედები, ახსენდება ბავშვობა, ოდესღაც დიდი სიმალიდან რომ დაეშვა ბარისკენ. გზად ათვალიერებენ უზარმაზარ ჭურს, შემდეგ პოეტის ყურადღებას მეცხვარე და ცხვრის ფარა იპყრობს. შინდისში შეჩერდებიან მძღოლის – არტურას ნათესავებთან. გალაკტიონი ინტერესით აკვირდება მძღოლის უმცროსი ნათესავის, შვიდი წლის სანდრიკას საქციელს. შემდეგ გარემოს ათვალიერებს და უცებ გაუელვებს კითხვა: „ნუთუ ველირსები წყნეთში საკუთარ სახლს“?

➤ 12858

**1955**

**14 აპრილი**

წერს ერთსტროფიან უსათაურო ლექსს „თუ მაიაკოვსკის სწამდა...“.

➤ 12859

**1955**

**19 აპრილამდე**

გეგმავს გამართოს 1905 წლის მოვლენებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ უფროსი თაობის მწერლები და კრიტიკოსები.

➤ 12860

**1955**

**20 აპრილი**

წყნეთის აგარაკის რემონტის შესახებ უთანხმდება ორ მუშას და წინასწარ გადასცემს ორას მანეთს იმ პირობით, რომ მუშაობას დაიწყებენ მეორე დღიდანვე და 1 მაისამდე რემონტის საწყის ეტაპს დაასრულებენ კიდევ.

➤ 12861

**1955**

**21 აპრილი**

წყნეთში რგავენ რქაწითელის 197 ნერგს.

➤ 12862

**1955**

**25 აპრილამდე**

იმყოფება წყნეთში, იფნის ბაღში, წერს უსათაურო ლექსს „თვალეზს ნორჩ ლომის უკრთის ფერი ცის...“, რომელსაც რეფრენად გასდევს სიტყვები: „საქართველო სდგას, საქართველო სდგას“.

➤ 12863

**1955**

**25 აპრილამდე**

იმყოფება წყნეთში, იფნის ბაღში, წერს უსათაურო ლექსს „იქ სად მზისფერი...“.

➤ 12864

**1955**

**25 აპრილი**

მიდის გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციაში და გამოსაქვეყნებლად მიაქვს სუფთა ფურცელზე გადაწერილი ხუთი ლექსი: „მომავალი“, „ხალხთ მეგობრობას როცა გაიგებს...“, „და მახსოვს...“, „იქ სად მზისფერი...“, „მიძღვნილი სულით...“.

➤ 12865

**1955**

**25 აპრილი**

წერს ანტისაბჭოთა ხასიათის ჩანახატს სათაურით „წყაროსთან“. მასში აღწერილია წყაროსთან შეკრებული გლეხებისა და ქალაქელი ქალის საუბარი, საიდანაც აშკარად ჩანს კომუნისტებისადმი ირონიული დამოკიდებულება.

➤ 12866

1955

**29 აპრილი**

ინიშნავს წყნეთის სახლის რემონტისთვის შეძენილი და შესაძენი სარემონტო მასალების სიას და ანგარიშობს მუშებისთვის გადასახდელი თანხის რაოდენობას.

➤ 12867

1955

**30 აპრილი**

ფიქრობს წყნეთის სახლის რემონტზე, ჩამოწერს რემონტისათვის საჭირო მასალას და მიუთითებს შესაბამის თანხასაც, რაც საჭიროა ამ მასალის შესაძენად. ირკვევა, რომ რემონტისათვის ამ ეტაპზე საჭიროა 2 978 მანეთი.

➤ 12868

1955

**აპრილი**

ვიდაცისგან ისმენს და უბის წიგნაკში იწერს, როგორ დაუწერა მეგრელმა ლექტორმა მეგრულ სტუდენტს ორიანი იმიტომ, რომ არ იცოდა რამდენი ჭადარი დგას აბაშის სადგურთან.

➤ 12869

1955

**აპრილი**

პრესის ჯიხურთან გაზეთების რიგში დგას და მის გარშემო ახალგაზრდები იკრიბებიან. გალაკტიონს ჰგონია, რომ ასე სიყვარულის გამოსახატად შემომეხვივნენ ირგვლივ და უხარია, მაგრამ მათთან გასაუბრებით არკვევს, რომ უბრალოდ გაზეთებს ელოდებიან. იმედგაცრუებული პოეტი ამბობს, რომ მარტო გაზეთები არ კმარა, ახალგაზრდებმა ლექსები და სხვა რამეებიც უნდა იკითხონ და სწრაფად ტოვებს იქაურობას.

➤ 12870

1955

**მარტი-აპრილი**

ფიქრობს, თუ რა სახის მნიშვნელოვანი ღონისძიებები შეიძლება ჩატაროს მწერალთა კავშირის პოეტების სექციამ მისი ხელმძღვანელობით. აკეთებს ჩანაწერს სათაურით „დიდი კულტურული წლისთავები“ და ინიშნავს, რომ 15 ივნისს სრულდება ფრიდრიხ შილერის გარდაცვალების 150 წლისთავი, 26 სექტემბერს – ადამ მიცკევიჩის გარდაცვალების 100 წლისთავი, ხოლო – 26 ნოემბერს უოლტ უიტმენის წიგნის – „ბალახის ფოთლების“ გამოცემიდან 100 წელი. ასევე ინიშნავს, რომ 21 მაისს ემილ ვერჰარნის დაბადებიდან 100 წელი ხდება, გრიგოლ ორბელიანის დაბადებიდან – 155 წელი, ხოლო ვიქტორ ჰიუგოს გარდაცვალებიდან – 70 წელი. ვარაუდობს, რომ გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ საღამოზე მოხსენებას წაიკითხავს აკაკი გაწერელია, ვიქტორ ჰიუგოსადმი მიძღვნილ საღამოზე კი – გერონტი ქიქოძე. გარდა ამისა, აპირებს, რომ პოეტების სექციამ ღონისძიებით აღნიშნოს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე – 9 მაისი და საზღვაო დღე – 24 ივლისი. ჩასატარებელ ღონისძიებათა შორისაა ეკატერინე გაბაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც 28 ივნისს უნდა მოეწყოს და ივანე მაჩაბლისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც 8 ივლისს უნდა ჩატარდეს.

➤ 12871

1955

**მაისამდე**

ფიქრობს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მიერ მაისში, ივნისსა და ივლისში მისი ხელმძღვანელობითა და თანამონაწილეობით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. უბის წიგნაკში ინიშნავს ღონისძიებების ჩატარების განრიგს. ჩანაწერის მიხედვით, მაისში დაგეგმილია

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, იმავე თვეში უნდა მოეწყო პოეტების შეხვედრა ორთაჭალის კოლმეურნეებთან. 19 ივნისს უნდა ჩატარდეს გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, ივნისშივეა დაგეგმილი ანდრო თევზაძის წიგნის განხილვა. ინიშნავს იმასაც, რომ ანდრო თევზაძის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს კრიტიკოსი ლავროსი კალანდაძე. 8 ივლისს დაგეგმილია ივანე მაჩაბლის საღამო, ასევე ივლისში იგეგმება ღონისძიების მოწყობა სამხედრო თავდაცვით ლიტერატურულ კომისიასთან ერთად და უოლტ უიტმენის საღამო.

➤ 12872

**1955**

**მაისამდე**

უბის წიგნაკში აღნიშნავს მარტისა და აპრილის შემოსავლისა და გასავლის რაოდენობას. ხარჯი 16 772 მანეთია, ხოლო შემოსავალი – 38 522. აქვე ჩამოწერს უახლოეს პერიოდში მოსალოდნელ ხარჯებს, მიუთითებს, რომ დურგლებისთვის გადასახდელი აქვს 3000 მანეთი, სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ ბიჭიკო გოცამისთვის 1000 მანეთი, მესერისა და სამშენებლო მასალებისთვის ერთად სჭირდება 1500 მანეთი. ანგარიშისას აღმოაჩენს, რომ არ ახსოვს, რაში დაიხარჯა 1000 მანეთი.

➤ 12873

**1955**

**მაისამდე**

იმყოფება წყნეთში, ივნის ბაღში. წერს უსათაურო ლექსს „მაისი მოდის ხელთ სავსე თასით...“.

➤ 12874

## მ ა ი ს ი

**1955**

**1 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“ ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი“ იბეჭდება ლექსი „მშვიდობის მაისი“ („მაისი მოდის სიმართლის თასით...“).

➤ 12875

**1955**

**1 მაისი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მაისი და მშვიდობიანობა“ პავლე ანტოკოლსკისეული თარგმანი.

➤ 12876

**1955**

**1 მაისი**

რუსულ გაზეთში „კუტაისკაია პრავდა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პირველი მაისი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 12877

**1955**

**5 მაისი**

სტალინგრადელი (დღევანდელი ვოლგოგრადი) პოეტი იური ოკუნევი წარწერით ჩუქნის 1954 წელს გამოცემულ საკუთარ წიგნს „ლექსები“.

➤ 12878

**1955**

**5 მაისი**



ესაუბრება პოეტ იური ოკუნევის, რომელიც უამბობს სტალინგრადის (დღევანდელი ვოლგოგრადი) შესახებ. ლაპარაკისას ირკვევა, რომ იური ოკუნევის დაუწყია ქართველი პოეტების ნაწარმოებების თარგმნა. ამასთან დაკავშირებით იგი იხსენებს რუსი მწერლისა და მთარგმნელის – პავლე ანტოკოლსკის ხუმრობას, რომელსაც ოკუნევისთვის, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, უთქვამს, რომ თუ ქართული პოეზიის თარგმნას დაიწყებს, დაიღუპება, რადგან სხვას ველარაფერს მოახერხებს.

➤ 12879

**1955**

**6 მაისი**

ფიქრობს წყნეთის აგარაკის რემონტზე. უბის წიგნაკში რუსულ ენაზე აკეთებს ჩანაწერს რემონტისათვის საჭირო სამშენებლო მასალებისა და მუშებისთვის გადასაცემი თანხის შესახებ.

➤ 12880

**1955**

**7 მაისი**

ფიქრობს, რომ უკვე გადაიდგა ნაბიჯები წყნეთის სახლის შიდა კედლების შესაღებად, რადგან საჭირო მასალა უკვე მიტანილია აგარაკზე, მეორე დღეს კი მივა ხელოსანი და მუშაობას დაიწყებს.

➤ 12881

**1955**

**8 მაისი**

გამოდის საღამოზე მასწავლებელთა სახლში. პოეტს დარბაზში შესვლისთანავე ხედებიან ფეხზე ადგომითა და ოვაციებით. კითხულობს ლექსს, სიტყვით გამოსვლის დასასრულს კი იხსენებს სემინარიის წლებს.

➤ 12882

**1955**

**8 მაისი**

მძლოლსა და სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ ბიჭიკო გოცაძეს გალაკტიონის ავტომობილი მისი ნებართვის გარეშე მიჰყავთ, რაც გალაკტიონს აღიზიანებს და შეურაცხყოფილად აგრძნობინებს თავს, მაგრამ ისინი მალევე ბრუნდებიან და პოეტს წყენა გადაუვლის.

➤ 12883

**1955**

**9 მაისამდე**

ადგენს განცხადების ტექსტს, რომლის თანახმადაც 9 მაისს მწერალთა კავშირში გაიმართება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 10 წლის თავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 12884

**1955**

**9 მაისამდე**

ფურცელზე იწერს თავისი გერის – ნუნუ ებანოიძის ქალიშვილის – მარინე ფირცხალავას ნათქვამ ფრაზებს.

➤ 12885

**1955**

**9 მაისამდე**

სტუმრად არის იოსებ ნონეშვილთან. იქვე არიან ვიქტორ გოლცევი და გიორგი ლეონიძე.

➤ 12886

**1955**

**9 მაისი**

ატყობინებენ, რომ გამარჯვების დღის აღსანიშნავი საღამო გადაიდო.

➤ 12887

**1955**

**9 მაისი**

უბის წიგნაკში წერს, რომ მისმა მძღოლმა ისევ დაუკითხავად წაიყვანა მანქანა.

➤ 12888

**1955**

**10 მაისი**

იმყოფება წყნეთში და 11-დან სამის ნახევრამდე ელოდება მძღოლსა და სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ ბიჭიკო გოცამეს.

➤ 12889

**1955**

**13 მაისი**

გრძელდება წყნეთის აგარაკის რემონტი. ამჯერად სახლში მუშაობას იწყებენ მღებავები. პოეტი თვალყურს ადევნებს სამუშაოების პროცესს და ამ თემასთან დაკავშირებულ ყოველ მნიშვნელოვან დეტალს უბის წიგნაკში ინიშნავს.

➤ 12890

**1955**

**14 მაისი**

ესწრება იოსებ გრიშაშვილის პოეზიის საღამოს, რომელზეც გამომსვლელთა ერთ ნაწილს სომხები წარმოადგენენ. გარდა ამისა, ღონისძიებაში მონაწილეობენ სერგი ჭილაია, თამარ ანდლულაძე, მარიამ ტყემალაძე – მარიჯანი და თეიმურაზ ჯანგულაშვილი. პოეტის ყურადღებას იქცევს დამსწრე საზოგადოების სიმცირე. გალაკტიონს განსაკუთრებით აღიზიანებს ის ფაქტი, რომ იოსებ გრიშაშვილი ცდილობს, ამ საღამოს მიმდინარეობისას დააფუძნოს შეხედულება, თითქოს თვითონ არის თანამედროვე საქართველოს მთავარი პოეტი. გალაკტიონის აზრით, ეს განზრახვა ვერ განხორციელდა, მოხდა პირიქით: ამ ღონისძიებამ ცხადყო გრიშაშვილის თანამედროვე ქართული ლიტერატურასთან დაშორების ამბავი. ზოგადი შთაბეჭდილებიდან გამომდინარე პოეტი აკეთებს დასკვნას, რომ იოსებ გრიშაშვილს სურს თბილისელი სომხების დრომად იქცეს ქართველი მწერლების წინააღმდეგ.

➤ 12891

**1955**

**14 მაისი**

გრძელდება წყნეთის აგარაკის რემონტი და გალაკტიონი უბის წიგნაკში იწერს, რომ სახლში უკვე ორი დღეა, რაც მღესავეები მუშაობენ.

➤ 12892

**1955**

**14 მაისი**

მანქანის რეგისტრაციის მიზნით ავტონისპექციაში მიდის მძღოლთან ერთად.

➤ 12893

**1955**

## 14 მაისი

ინიშნავს დღის განმავლობაში განსახორციელებელი საქმეების გეგმას. ჩამონათვალშია: დილის 6 საათზე ინსპექციაში მისვლა, 11 საათზე – მწერალთა კავშირში, ხოლო 12 საათზე წყნეთში წასვლა. აპირებს წყნეთის აგარაკზე ბოძებისა და ლურსმნის წაღებას და სახლის შეღებვის მოგვარებას.

➤ 12894

## 1955

### 15 მაისი

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „სანაპიროს აკეთებენ“.

➤ 12895

## 1955

### 15 მაისი

უბის წიგნაკში იწერს ერთ-ერთი მუშის – ვინმე ოჰანას მიერ ნათქვამ უსათაურო, სახუმარო ლექსს „კაცი რომ მოგეწყინება“.

➤ 12896

## 1955

### 15 მაისი

წყნეთში დიდი სეტყვავა, რომელიც ლეწავს და ანადგურებს ხეებს. გალაკტიონი ადგილობრივი მოსახლეობისგან იგებს, რომ ასეთი ძლიერი სეტყვა დიდი ხანია არ ყოფილა.

➤ 12897

## 1955

### 16 მაისი

ატყობინებენ, რომ მასწავლებელთა სახლში იგეგმება სალიტერატურო სადამო, რომლის ერთ-ერთი მონაწილეც თვითონ უნდა იყოს.

➤ 12898

## 1955

### 16 მაისი

სიმონ ჩიქოვანზე სატირული ლექსის დასაწერად უბის წიგნაკში ჩამოწერს სიტყვებს და მათი გამოყენებით ადგენს ფრაზებს, რომლებიც იწყება კავშირით „თუ“ და სრულდება მიმართვით „სიმონ“. ბოლოს აქცევს ლექსად („თუ ჩანგს სიმი არ აქვს...“) და სათაურით „რჩევა მნათობის რედაქტორს, სიმონ ჩიქოვანს“ მიაწერს ჟურნალის „მნათობი“ იმ გვერდზე, სადაც მთავარი რედაქტორის – სიმონ ჩიქოვანის გვარი წერია.

➤ 12899

## 1955

### 16 მაისი

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს ალიო მირცხულავას ლექსს „სტალინს“, ხაზს უსვამს მისგან აღებულ რითმებს და აწერს „ჩქიმი!“ (ჩემი).

➤ 12900

## 1955

### 16 მაისის შემდეგ

ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ იბეჭდება ქსენია სიხარულიძის სტატია „გალაქტიონ ტაბიძე და ხალხური შემოქმედება“. მკვლევარი მიუთითებს, რომ გალაკტიონმა შემოქმედების საწყის ეტაპზევე გამოავლინა ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი, რისი დასტურიცაა ადრეულ ლექსებში პოეტის მიერ ფოლკლორული სიუჟეტების, თემებისა და მხატვრული

სახეების გამოყენება. ქსენია სიხარულიძე აღნიშნავს, რომ გალაკტიონისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო ამირანის მხატვრული სახე, რომელიც პოეტის პოსტრევიზიული შემოქმედებაში განთავისუფლებული სამშობლოს სიმბოლოდ გვევლინება. მკვლევრის თვალსაზრისით, გალაკტიონის პოეზიაში ახალი შინაარსითაა დატვირთული არამხოლოდ ქართული ფოლკლორიდან, არამედ ბერძნული მითოლოგიიდან მომდინარე სახეებიც. სტატიის ავტორის შეხედულებით, გალაკტიონის ლირიკაში თავს იჩენს ხალხურ შემოქმედებასთან ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური დაახლოების ტენდენციაც. კრიტიკოსის თქმით, გალაკტიონის შემოქმედება ხალხური მუსიკისადმი დიდი სიყვარულითაა გამთბარი. პოეტის ლექსებში არაერთგან ვხვდებით მოხეტიალე მუსიკოსის მხატვრულ სახეს, ლექსის მხატვრულ სამკაულად კი ხალხურ საკრავებს: სალამურს, ჩონგურს, ფანდურს, ქამანჩას, სტვირს და ა. შ. ქსენია სიხარულიძე მიუთითებს, რომ პოეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენს ხალხური შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჟანრის – ზღაპრისადმი და, ისევე როგორც ილია და აკაკი, ხშირად იყენებს საწესო, სააკვნო სიმღერების ფორმასა და კილოს. ფოლკლორული ჟანრებიდან პოეტი აგრეთვე სარგებლობს გამოცანის ფორმით. ხალხური შემოქმედების ზეგავლენით ხსნის მკვლევარი გალაკტიონის პოეზიაში პალინდრომის გამოჩენასაც.

➤ 12901

1955

### 16 მაისის შემდეგ

ჟურნალში „ლიტერატურული მიეზანი“ იბეჭდება დიმიტრი ბენაშვილის ნაშრომი „პოემის სპეციფიკის საკითხისათვის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“. ახასიათებს რა ქართული საბჭოთა პოემის განვითარების ტენდენციებს, დიმიტრი ბენაშვილი მიუთითებს, რომ გადაჭრით შეიძლება ითქვას, ქართული საბჭოთა პოეტური ეპოსისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გალაკტიონ ტაბიძეს, რადგან მის სათავეებთან გალაკტიონის „ჯონ რიდი“ დგას. მიუხედავად ამ ნაწარმოების ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობისა, დიმიტრი ბენაშვილის თქმით, ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ გალაკტიონ ტაბიძე ამ ცდის დროს დამარცხდა, როგორც ეპიკოსი. კრიტიკოსი ცდილობს ამ გარემოების მიზეზთა ახსნას. იგი მიუთითებს, რომ გალაკტიონის წარუმატებლობა განაპირობა ეპიკური პოეზიის ბუნების გაუთვალისწინებლობამ. წერილის ავტორის თქმით, ეპოსის საფუძველი მოქმედების გაშლაა, „ჯონ რიდი“ კი თავად მთავარი გმირი კი არ მოქმედებს, არამედ პოეტი მოგვითხრობს მის თავს გადამხდარ ამბებზე, რაც უკარგავს თხრობას ეპიკურ ხასიათს. ამავე ნაკლოვანებით ხასიათდება, კრიტიკოსის აზრით, პოემა „აკაკი წერეთელიც“, რადგან გალაკტიონ ტაბიძისათვის აკაკი მასალაა, რომელიც საბაზად იქცევა მხოლოდ საკუთარი სურვილების გადმოსაცემად. აღნიშნულის გათვალისწინებით „აკაკი წერეთელი“ ვრცელ ლექსად უფრო აღიქმება, ვიდრე პოემად. მიუხედავად ამ ხარვეზებისა, დიმიტრი ბენაშვილის თქმით, გალაკტიონის ამ პოემებმა შეამზადა ნიადაგი ქართული საბჭოთა პოეტური ეპოსის განვითარებისათვის.

➤ 12902

1955

### 17 მაისი

ფიქრობს წყნეთის აგარაკზე არსებული პრობლემების მოგვარებაზე. ინიშნავს, რომ საჭიროა თბილისიდან ბოძებისა და ლურსმნების წაღება. ფიქრობს, რომ ასევე, აუცილებელია წყნეთის სახლში მრგვალ მაგიდაზე ცელოფანის იმგვარად გადაკვრა-გადაფარება, რომ სიმეტრია დაცული იქნეს და ნაკეცი არ დაეცოს. სამომავლოდ გეგმავს აგარაკზე არსებულ ყველა მაგიდას, ეზოშიც და სახლშიც, ასეთივე ცელოფანი გადააკრას.

➤ 12903

1955

### 17 მაისი

იწერს, რა თანხა უნდა გადაუხადოს მძღოლს, მღებავს და ოჯახის დამხმარე ქალს. ანგარიშობს, მთლიანად რამდენი მანეთი დასჭირდება ამ ადამიანების ანაზღაურების გასასტუმრებლად.

➤ 12904

**1955**

**17 მაისი**

შუადღის სამ საათზე აპირებს მეცნიერებათა აკადემიაში მისვლას.

➤ 12905

**1955**

**18 მაისი**

ითვლის მოსალოდნელ ხარჯებს, იწერს თუ რა თანხა უნდა გადაუხადოს დამხმარეებს, რომლებიც წყნეთის აგარაკის რემონტში ეხმარებოდნენ. ახსენდება ერთ-ერთი დამხმარის – არკადის საქციელი და ფიქრობს, რომ მას წინასწარ ფული არასდროს არ უნდა მისცეს. გარდა ამისა, უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მეუღლის – ნინო კვირიკაძის კაბისთვის გადასახდელი აქვს 100 მანეთი.

➤ 12906

**1955**

**19 მაისი**

იგებს, რომ გარდაიცვალა შალვა ღამბაშიძე და რომ მიმდინარე დღეს ასევე არის ლევან ასათიანის დაკრძალვა. ორივე ინფორმაციას უბის წიგნაკში ინიშნავს.

➤ 12907

**1955**

**19 მაისი**

ათვალისწინებს ჟურნალ „დროშის“ ახალ ნომერს, კითხულობს გრიგოლ აბაშიძის სტატიას „მონტესკიე“, რომელიც ფრანგ მწერალსა და ფილოსოფოსს შარლ ლუი დე მონტესკიეს ეძღვნება. სტატიის და, ზოგადად, ჟურნალის მიმართ ირონიულად არის განწყობილი. ფიქრობს, რომ „დროშის“ ამ ნომერში არაერთი ინტრიგაა, ხოლო გრიგოლ აბაშიძემ მონტესკიეს შეახებ ბევრი არაფერი იცის.

➤ 12908

**1955**

**21 მაისი ან შემდეგ**

ესწრება მსახიობ შალვა ღამბაშიძის დაკრძალვას.

➤ 12909

**1955**

**25 მაისი**

რადიოთი გადმოსცემენ, რომ უკრაინელმა კომპოზიტორმა ლაზარენკომ დაწერა მუსიკა გალაკტიონ ტაბიძის ტექსტზე.

➤ 12910

**1955**

**28 მაისი**

იმყოფება წყნეთში, ათვალისწინებს თავის ეზოს და ახსენდება, რამდენი სირთულე გამოიარა ღობის გაკეთებისას და ვინ ეხმარებოდა აგარაკის შეღობვაში.

➤ 12911

1955

28 მაისი

უბის წიგნაკში იწერს ქუჩაში უცხო ადამიანების მიერ ნათქვამ ფრაზებს. მის ყურადღებას იქცევს ის, რომ მოსაუბრეები იყენებენ ქალაქური ჟარგონს, იმერულ დიალექტს და რუსულ სიტყვებს.

➤ 12912

1955

28 მაისი

იმყოფება წყნეთში მძლოლთან და დამხმარესთან ერთად. მათი საუბრის მოსმენისას გალაკტიონის ყურადღებას იქცევს „ატანა“ ზმნის უჩვეულო ფორმა „აიტანება“, რის გამოც უბის წიგნაკში ინიშნავს მოსმენილ დიალოგს.

➤ 12913

1955

28 მაისი

გეგმავს წყნეთის სახლთან მესრის გაკეთებას, რისთვისაც საჭირო იქნება, ორმოების ამოღება და ფიცრების დახერხვა, რასაც 6 დღე დასჭირდება. ფიქრობს სკამების გაკეთებას სახლის გვერდით დიდ ფართობზე, წყლის ონკანის გვერდით, ხეების ჩრდილში, ეზოს შესასვლელ და აღმოსავლეთის კარებთან, მუხის კორდთან, საპირფარეოსთან, ხეივანსა და ტყეში. დღიურში აკეთებს ჩანაწერებს ამ გეგმის შესახებ.

➤ 12914

1955

28 მაისი

წყნეთში ყოფნისას უსმენს ადგილობრივთა ლაპარაკს და უბის წიგნაკში იწერს მისთვის უცხო, კოლორიტულ ფრაზებს. გარდა ამისა, აზუსტებს და ინიშნავს, თუ რა უნდა გაკეთდეს აგარაკის მოსაწესრიგებლად. ფიქრობს, რომ აუცილებელია მომარაგებული სამშენებლო მასალის გადარჩევა, გადანაწილება და სათანადოდ დალაგება. ახსენდება, რომ სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელ ბიჭიკო გოცაძისთვის გადასახდელი აქვს 1200 მანეთი.

➤ 12915

1955

29 მაისი

წყნეთიდან ბრუნდება თბილისში და სასტუმრო „ტფილისის“ წინ აწმენდინებს ფეხსაცმელს. ფეხსაცმელზე მიმხმარი ტალახის მიხედვით მწმენდავი ასკვნის, რომ რაიონში იყო და გალაკტიონი პასუხობს, რომ წყნეთიდან ახალჩამოსულია.

➤ 12916

1956

29 მაისი

ფიქრობს, რომ შესაძლებელია მოეწყოს ღონისძიება, რომელიც მიემდგვნება თემას: „1905 წელი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“. მისი ვარაუდით, ამ ღონისძიებაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღონ: სოლომონ ცაიშვილმა, იპოლიტე ვართაგავამ, სავლე აბულაძემ, გიორგი ქავთარაძემ, გრიგოლ ხეჩუაშვილმა, ბეჟან სვანიძემ, მიხეილ კვინიკაძემ, ილია კაზმაჩოვმა, გიორგი თავზარაშვილმა, ელენე დიდიმამიშვილმა და სხვებმა.

➤ 12917

1956

29 მაისი

ფიქრობს თემაზე „1905 წელი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“ და წერს უსათაურო ექსპრომტის „თითქო სიახლე ჰქროდა საამო“ ორ ვარიანტს.

➤ 12918

**1955**

**30 მაისი**

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ გიორგი მერკვილაძეს. სთხოვს, რომ ბულალტერიამ გადაურიცხოს ჰონორარი, რომელსაც დიდი ხანია ელოდება. იქვე აღნიშნავს, რომ მატერიალურ შეჭირვებას განიცდის და მისთვის ამ თანხის მიღება ძალიან მნიშვნელოვანია.

➤ 12919

**1955**

**30 მაისის შემდეგ**

კითხულობს ჟურნალს „მნათობი“, გრიგოლ აბაშიძის ლექსის „ცხრა მაისი“ სტრიქონებზე აკეთებს ხაზგასმებს და 12 პუნქტად ჩამოწერს შენიშვნებს: „მაგრამ ვინც კვლავ ომზე ფიქრობს“ – „ომს ფიქრობს“. „მათ იცოდნენ“ – „მან იცოდეს“. „არ ვყოფილვართ არასოდეს“ – „არასოდეს ვყოფილვართ“. „მათ თავზედაც“ – „მტრების თავზე“. „გაცამტვერდა განზრახული“ – „განზრახვა“. „გაცამტვერებულში შეგრიალდა“ – „როს ბერლინში შეგრიალდა“. „შუქი ბნელი კვამლის ფარდას სჭრის“ – არ არის აღმართვა. „და ბერლინში შეგრიალდა გამარჯვების გაზაფხული“ – გამოდის, რომ დასრულებული არ არის გამარჯვება, ის ჯერ გაზაფხულია. თუ ის ომი გამარჯვებით დაგვირგვინდა – დამარცხებით რომ დაგვირგვინებულიყო, მაშინ რა მოხდებოდა. „ბნელი კვამლი“ – არსებობს არაბნელი კვამლი? შეიძლება ხანძრად გადაიქცეს ის, რაც გაცამტვერდა?

➤ 12920

**1955**

**30 მაისის შემდეგ**

ჟურნალში „მნათობი“ კითხულობს იოსებ გრიშაშვილის ლექსს „ჩემი თბილისი“, აკეთებს ხაზგასმებსა და შენიშვნებს: თუ ფუტკარს უწოდებს თავის თავს, მეზვრე როგორ არის. რა რითმაა „ახალი არი – ნალვერდალი“. ასკვნის, რომ ლექსის მიხედვით, გრიშაშვილს წარსულში თანაგრძნობა აკლდა და მისი გზა გამრუდებული იყო.

➤ 12921

**1955**

**31 მაისი**

იმყოფება წყნეთში და ფიქრობს აგარაკის მოწესრიგებაზე. მისი აზრით, დაუყოვნებლივ მოსაგვარებელია ელექტროგაყვანილობის მავთულების საკითხი.

➤ 12922

**1955**

**მაისი**

იგებს, რომ მის ბიძაშვილს, იოსებ ტაბიძეს ჯერ კიდევ არ მიუღია ის საგზური, რომლის მოპოვებაშიც თავად ეხმარებოდა და უბის წიგნაკში ინიშნავს, რა არის საჭირო საქმის ბოლომდე მისაყვანად. ჩამონათვალშია: გასაუბრება სამინისტროს ინსპექტორთან, კალინინის (ახლანდელი მთაწმინდის) რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში მისვლა და მინისტრთან საბუთების კიდევ ერთხელ მიტანა.

➤ 12923

**1955**

**მაისი**

მძლოლს არ აძლევს მანქანის საკუთარ საქმეებზე წყევანის ნებას, რის გამოც ეს უკანასკნელი საყვედურობს, რომ გალაკტიონი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს.

➤ 12924

**1955**

**მაისი**

ფიქრობს წყნეთის აგარაკის რემონტზე, უბის წიგნაკში რუსულ ენაზე ინიშნავს იმ სარემონტო მასალების ჩამონათვალს, რომლებიც აგარაკის მოსაწესრიგებლად არის საჭირო.

➤ 12925

**1955**

**მაისი**

იმყოფება წყნეთში, აკვირდება თავისი აგარაკის მოწესრიგების პროცესს, უსმენს დამხმარეების საუბარს და უბის წიგნაკში იწერს ფრაზებს, რომლებიც საინტერესოდ და უცნაურად ეჩვენება.

➤ 12926

**1955**

**მაისი**

ფიქრობს, რომ თბილისში ცოტადა დარჩა სუფთა ქართულით მოლაპარაკე ოჯახები და დღიურში წერს ამის შესახებ.

➤ 12927

**1955**

**გაზაფხული**

ტრამვიით მგზავრობს და თავისთვის ბუტბუტებს, რომ ტომები დაწერა, მაგრამ ვინაა გამგები და ვის ადარდება. ამბობს, რომ დაიღალა და რომ ასე იყო პუშკინიც. შემდეგ გვერდზე მდგომ გოგონას მაჯაში ჰკიდებს ხელს და ეკითხება: „ხომ სწორია ქალიშვილო?“ გოგონა ვერ ცნობს და არაფერს პასუხობს. ტრამვიდან ჩასვლაში ეხმარება და შინ მიაცილებს ახალგაზრდა სტუდენტი მურმან ტურავა. გალაკტიონი ეკითხება, რატომ იჩენს უცნობისადმი ყურადღებას, რაზეც თანამგზავრი პასუხობს, რომ გალაკტიონს მთელი ქვეყანა იცნობს. როცა ხედავს, როგორ ესამოვნა გალაკტიონს მისი სიტყვები, ეკითხება, ვინ არის, მისი აზრით, საქართველოში სიდიდით მეორე პოეტი. გალაკტიონი პასუხობს, რომ მან უკეთ იცის. მაშინ ახალგაზრდა ერთი ცნობილი პოეტის გვარს ასახელებს, გალაკტიონი კი ეუბნება, რომ მისი არაფერი წაუკითხავს. პოეტი წყნეთში ასასვლელად ტაქსის აჩერებს. მურმან ტურავა ცდილობს, მგზავრობის თანხა გადაუხადოს, მაგრამ მძლოლი ფულს არ ართმევს და ამბობს, რომ გალაკტიონს თავად მოემსახურება. პოეტს ასეთი ყურადღება ძლიერ ახარებს.

➤ 12928

**1955**

**ივნისამდე**

სამსახურში ხშირად აკითხავს თბილისის საკოლმეურნეო ბაზარში ღვინის წერტში მომუშავე ალექსანდრე ტაბიძეს. საუბრობენ, სუფრას შლიან და მოილხენენ. ერთხელ, როცა გალაკტიონი უძღვება სუფრას, სიმღერას წამოიწყებს, მაგრამ მასპინძელი შეაჩერებს, ხელმძღვანელობის ყურადღება არ მივიქციოთო. პოეტიც ემორჩილება, მაგრამ რაღაცა თითქოს აკლდება და ალექსანდრეს ივნისში ვანში დაგეგმილ საღამოზე მასთან ერთად წასვლას სთავაზობს.

➤ 12929

**ივნისი**

**1955**

**2 ივნისი**



იმყოფება წყნეთში, ათვალიერებს თავის ეზოს, აკვირდება ახლომახლო არსებულ ორმოებს და შემდეგ უბის წიგნაკში ინიშნავს ამ ორმოების ჩამონათვალს.

➤ 12930

**1955**

**2 ივნისი**

დაქირავებული მუშა თუ მძღოლი სთხოვს ჯამაგირს, მაგრამ ფული არა აქვს და მეორე დღეს მიცემას ჰპირდება.

➤ 12931

**1955**

**2 ივნისი**

ესაუბრება ალექო შენგელიას, რომელიც აცნობებს, რომ ჟურნალ „მნათობის“ მეშვიდე ნომერში იბეჭდება ოთარ ჩხეიძის რომანი „ბურუსი“, რომელშიც პროზაიკოსი ახსენებს გალაკტიონს.

➤ 12932

**1955**

**4 ივნისი**

ტროლეიბუსით მიდის №9 აბანოში. მგზავრობისას აზუსტებს, რომ მისი ბინიდან ამ აბანოს მიმართულებით ყოველ დილით დადის ტროლეიბუსი. გადაწყვეტს, რომ სხვა დროსაც ისარგებლოს ამ მარშრუტით და კვირაში ორჯერ იაროს აბანოში. აპირებს, გაარკვიოს, ქალაქის ამავე მხარესაა თუ არა საექიმო პუნქტიც. თუ აღმოჩნდება, რომ სამედიცინო პუნქტი აბანოსთან ახლოსაა, მაშინ აბანოში სიარულის პარალელურად, მარტივად მოახერხებს ექიმთან გეგმიურ ვიზიტებზე მისვლასაც.

➤ 12933

**1955**

**4 ივნისი**

აკვირდება №9 აბანოს ახლოს უსაფრთხოების მიზნით ქართულ და რუსულ ენებზე გაკეთებულ წარწერას, რომელიც მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ თელასის მიწისქვეშა მაღალი ძაბვის კაბელთან შეხება სიცოცხლისთვის სახიფათოა. ამ ინფორმაციას ინიშნავს უბის წიგნაკში.

➤ 12934

**1955**

**5 ივნისის შემდეგ**

მოკლე წერილს იღებს ლავრენტი ძიძიგურისგან, რომელიც სთხოვს მოკლე დროით 200 მანეთის სესხებას.

➤ 12935

**1955**

**6 ივნისი**

ადგენს აგარაკისთვის საჭირო ნივთების სიას, რომელთა შეძენასაც აპირებს. მათ შორის არის რამდენიმე ცოცხი და გასაღები.

➤ 12936

**1955**

**4 ივნისი**

ადის წყნეთში, იქ დარჩენას აპირებს და მძღოლს აბარებს, რომ მის ცოლს, ნინო კვირიკაძეს უთხრას, მაგრამ ამ უკანასკნელს ავიწყდება დანაბარების შესრულება.

➤ 12937

1955

### 6 ივნისი

ოჯახი ნერვიულობს, რომ გალაკტიონი ღამით სახლში არ მისულა და მისი ძმისწული, ნოდარ ტაბიძე დილითვე ადის წყნეთში. გალაკტიონი უხსნის, რომ მძღოლს დააბარა მათთვის ამბის შეტყობინება და დიდი სიამოვნებით ათვალთვლებინებს ეზოს. 20-მდე სკამლოგინი დაუდგამს და 2 მაგიდა. გალაკტიონი ფულს ეკონომიურად ხარჯავს, რასაც ოჯახის წევრებიც და ძმისწულიც მის ძუნწობას მიაწერს. ნინო კვირიკაძე ფიქრობს, რომ წყნეთში ჩუმ-ჩუმად სვამს, მაგრამ ნოდარს მსგავსი არაფერი უნახავს. ნინო ამბობს, რომ თავის ძველ ბინაში აპირებს გადასვლას ბესიკის ქუჩაზე.

➤ 12938

1955

### 9 ივნისი

დილით გალაკტიონი სადღაც აპირებს წასვლას, მაგრამ აღმოაჩენს, რომ მანქანა მის გერს ყავს წაყვანილი. როცა აპროტესტებს, რომ სულ ასე ხდება, ცოლი ნინო კვირიკაძე სიტყვას ბანზე უგდებს და იცინის.

➤ 12939

1955

### 10 ივნისი

იმყოფება თეატრალური საზოგადოების სტამბაში, ისმენს იქ მყოფთა საუბარს და უბის წიგნაკში ინიშნავს იქ გაგონილ ზოგიერთ ფრაზას.

➤ 12940

1955

### 13 ივნისი

ფიქრობს უახლოეს პერიოდში მოსაგვარებელ საქმეების შესახებ. აპირებს, მომდევნო დღეს შეხვდეს აკაკი გაწერელიას და დაელაპარაკოს გრიგოლ ორბელიანის ხსოვნის საღამოს შესახებ, რომელიც 20 ივნისისთვის არის დაგეგმილი და შეუთანხმდეს ამ ღონისძიებაში მონაწილეობის თაობაზე. ასევე, სურს, პირადად მოაგვაროს რომანტიკოსი პოეტის საღამოსთან დაკავშირებული საორგანიზაციო და ტექნიკური საქმეების ნაწილი. გარდა ამისა, მიიჩნევს, რომ მწერალთა კავშირის პოეტების სექციის სამომავლო მუშაობისათვის საჭიროა შოთა რუსთაველის საიუბილეო ღონისძიების წევრთა შეკრება. მოსაგვარებელი პრობლემების სიმრავლე აშფოთებს, მით უფრო, რომ ხედავს, ღონისძიების ჩასატარებლად ჯერ არაფერი გაკეთებულა. პარალელურად, მოსაგვარებელი აქვს სხვა საქმეებიც: კერძოდ, უახლოეს დღეებში მისასვლელია მეცნიერებათა აკადემიის საქმეთა მმართველთან, ასევე, დასადგენი აქვს პოეტ ვასილ გვეტაძის მისამართი, რადგან ვარაუდობს, რომ ეს პიროვნება სამომავლოდ მონაწილეობას მიიღებს მის შემოქმედებით საღამოებში.

➤ 12941

1955

### 14 ივნისი

ფიქრობს მწერალთა კავშირის პოეზიის სექციის მიერ ივნისის თვეში მისი ხელმძღვანელობით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. უბის წიგნაკში ჩამოწერს დაგეგმილი საღამოების სიას. ჩანაწერის მიხედვით, 20 ივნისს უნდა ჩატარდეს გრიგოლ ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, 23 ივნისს უნდა მოეწყოს პოეტების შეხვედრა ორთაჭალის კოლმეურნეებთან, 25 ივნისისთვის დაგეგმილია ანდრო თევზაძის შემოქმედებითი საღამო, ხოლო 30 ივნისს შემაჯამებელი ღონისძიება, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ანგარიში პოეტების სექციის მიერ წინა თვეებში მოწყობილი ღონისძიებების შესახებ.

➤ 12942

**1955**

**15 ივნისი**

მწერალთა კავშირში ხვდება ვანიდან ახალდაბრუნებულ ფატი ნიშნიანიძეს, რომელმაც რაიონის ყველა დაწესებულებაში წაიკითხა ლექციები გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების შესახებ. ქალი ვანელებისგან დიდ მოკითხვას გადასცემს.

➤ 12943

**1955**

**17 ივნისი**

ათვალისწინებს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნს „ქართველი საბავშვო მწერლები“. ირონიულადაა განწყობილი ამ გამოცემის მიმართ, მით უფრო, რომ შემდგენლებს იოსებ გრიშაშვილი საბავშვო მწერლად მიუჩნევიათ. აინტერესებს, თუ ვინ შეადგინა ეს წიგნი.

➤ 12944

**1955**

**18 ივნისი**

ხვდება ახალგაზრდა მწერალი ელიზბარ მაისურაძე, რომელიც აცნობებს, რომ სახელმწიფო გამომცემლობა მალე დაბეჭდავს მის წიგნს „გარდაბნული მაყრები“. გალაკტიონი მისგანვე იგებს მისთვის მნიშვნელოვან ამბავს, რომ ორგანიზაციამ „საერთაშორისო წიგნი“ მოითხოვა მისი ლექსების კრებული 3500 ეგზემპლარი მთელ ევროპაში გასავრცელებლად. პოეტს ახარებს ეს ფაქტი, რადგან მიიჩნევს, რომ მისი წიგნის ევროპაში გავრცელება უზარმაზარი მიღწევაა.

➤ 12945

**1955**

**18 ივნისი**

მძლოლის ნაცვლად იხდის 75-მანეთიან ჯარიმას.

➤ 12946

**1955**

**19 ივნისამდე**

ფიქრობს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მიერ ივნისში მისი ხელმძღვანელობითა და თანამონაწილეობით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. უბის წიგნაკში ინიშნავს ღონისძიებების ჩატარების განრიგს. კერძოდ, 19 ივნისს დაგეგმილია გრიგოლ ორბელიანის დაბადებიდან 155 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 21 ივნისს – აკაკი წერეთლის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, 23 ივნისს იგეგმება ქართველი პოეტების შეხვედრა ორთაქალის კოლმეურნეებთან, ხოლო 25 ივნისს – ფრიდრიხ შილერის საღამო.

➤ 12947

**1955**

**19 ივნისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს სტრიქონებს ალექსანდრ ბლოკის ლექსიდან „ბგერა ახლოვდება“.

➤ 12948

**1955**

**20 ივნისამდე**

ემზადება მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მიერ მისი ხელმძღვანელობით 23 ივნისს, ორთაქალაში ჩასატარებელი ღონისძიებისათვის. ცდილობს, შეადგინოს გეგმა და გაარკვიოს, რა პრობლემებია გადასაწყვეტი ღონისძიების ჩატარებამდე. ასევე, სურს ურთიერთობა დაამყაროს

პრესასთან და რადიოსთან, რათა საღამოს შესახებ ინფორმაცია სათანადოდ მიეწოდოს საზოგადოებას. ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ მოხერხდება ღონისძიების კინოფორზე გადაღება. გარდა ამისა, სურს, ღონისძიების ფორმატიც დააზუსტოს. ამ მიზნით, გეგმავს 20 ივნისს შეხვედეს ორთაჭალის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს. მათთან საუბრისას აპირებს გაარკვიოს საღამოში მოსწავლეების ჩართვის, კლუბის მოწყობისა და ეზოს განათების უზრუნველყოფის საკითხები. ვარაუდობს, რომ ღონისძიების ფარგლებში პოეტები შუადღის ორი საათიდან გაეცნობიან ადგილობრივ მეურნეობას: მებაღეობა-მეზოსტნეობას, მეაბრეშუმეობას და მეცხოველეობას, დაათვალიერებენ თევზსაშენსა და ვენახებს, დააკვირდებიან მოსავლის აღების პროცესს, ხოლო საღამოს რვა საათზე დაიწყება პოეზიის საღამო.

➤ 12949

**1955**

### **20 ივნისამდე**

ფიქრობს გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ, რომელიც მწერალთა კავშირის პოეტების სექციამ 20 ივნისს უნდა ჩაატაროს. აპირებს, მოამზადოს საღამოს გეგმა, გადაწყვიტოს, თუ ვინ გახსნის ღონისძიებას, ვინ გააკეთებს მოხსენებას, ვინ წაიკითხავს რომანტიკოსი პოეტისადმი მიძღვნილ ლექსებს და ასევე, გრიგოლ ორბელიანის ნაწარმოებებს.

➤ 12950

**1955**

### **20 ივნისამდე**

უბის წიგნაკში იწერს გრიგოლ ორბელიანის ლექსს „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“.

➤ 12951

**1955**

### **20 ივნისამდე**

ფიქრობს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მიერ ჩასატარებელი, გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ. უბის წიგნაკში ინიშნავს გეგმის მონახაზს, რომლის მიხედვითაც საღამო უნდა გახსნას პოეტების სექციის ხელმძღვანელმა გალაკტიონ ტაბიძემ, შემდეგ კი სიტყვით უნდა გამოვიდნენ: სერგი ჭილაია, იოსებ გრიშაშვილი, სოლომონ ცაიშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ხუტა ბერულავა და იოსებ ნონეშვილი. ღონისძიებაზე გრიგოლ ორბელიანის ლექსი უნდა წაიკითხოს პოეტმა ნოდარ გურუშიძემ.

➤ 12952

**1955**

### **20 ივნისამდე**

ემზადება მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მიერ მისი ხელმძღვანელობით ჩასატარებელი გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილი ღონისძიებისთვის. უბის წიგნაკში ინიშნავს ფრაგმენტს სიტყვისას, რომლითაც უნდა გახსნას რომანტიკოსი პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ჩანიშნული ტექსტის მიხედვით, გალაკტიონი მოწვეულ საზოგადოებას მოკლედ განუმარტავს შეკრების მიზეზს და სიტყვას გადასცემს გერონტი ქიქოძეს, საღამოში მონაწილეობას მიიღებენ კონსტანტინე ჭიჭინაძე, აკაკი გაწერელია და სხვები.

➤ 12953

**1955**

### **20 ივნისი**

გიორგი ლეონიძესთან, კონსტანტინე გამსახურდიასა და იოსებ გრიშაშვილთან ერთად პავლე ინგოროყვას კანდიდატურას წარადგენს მეცნიერებათა აკადემიაში.

➤ 12954

1955

**20 ივნისი**

წერს უსათაურო ლექსს „გულით ვგრძნობ ყოველ მდიდარ სალაროს...“.

➤ 12955

1955

**21 ივნისი**

კითხულობს რუსულ გაზეთს „ლიტერატურნაია გრუზია“. სათაურთან აწერს: „აკაკი წერეთელი – პოეტი და მოაზროვნე“.

➤ 12956

1955

**23 ივნისამდე**

აპირებს, 23 ივნისს მონაწილეობა მიიღოს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის ღონისძიებაში, რომელიც ქართველი პოეტების ორთაჭალის კოლმეურნეებთან შეხვედრას გულისხმობს. სხვა ავტორებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობს მუხრან მაჭავარიანი.

➤ 12957

1955

**29 ივნისამდე**

უბის წიგნაკში წერს პოეტ ანდრო თევზაძის ლიტერატურულ სადამოუხე წასაკითხი შესავალი სიტყვის მონახაზს. სიტყვაში ანდრო თევზაძის პოეზიის მთავარ ღირსებად ასახელებს განსაკუთრებულ მოწიწებას კულტურული მემკვიდრეობისადმი.

➤ 12958

1955

**მაისი-ივნისი**

აკეთებს ჩანაწერს სათაურით „სამი შოფერი“, რომელშიც გადმოსცემს საჩაიეში მომხდარ ინციდენტს და აქცენტირებულად რამდენჯერმე იმეორებს ფრაზას „მოსძვრა ბრაგვანი“.

➤ 12959

**ი ვ ლ ი ს ი**

1955

**5 ივლისი**

ცენტრალური სალექციო ბიურო აქვეყნებს ბრძანებას, რომ 1955 წლის 9 ივლისს ვანის სარაიონო კულტურის ცენტრში ჩატარდება საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი თემატური სადამო და რომ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ვანში სამი დღით არიან მივლინებულნი: გალაკტიონ ტაბიძე, ვახტანგ გურგენიძე, ფატი ნიშნიანიძე და ანდრო თევზაძე.

➤ 12960

1955

**8 ივლისამდე**

ვახტანგ გურგენიძე ჯგუფთან ერთად გადაწყვეტს გალაკტიონის იმერეთში სტუმრობა ფირზე ჩაიწეროს და ამისთვის კინოსტუდიის ხელმძღვანელობას მიმართავს, მაგრამ უარს იღებს, რადგან პიროვნების კულტის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის გამო ნებისმიერ პირზე აკრძალული აქვთ ფილმის გადაღება. მაშინ ვახტანგ გურგენიძე კულტურის მინისტრის მოადგილეს ვლადიმერ ჭიაურელს მიმართავს, გალაკტიონ ტაბიძის შესახებ თითქმის არაფერია გადაღებული და იქნებ ნება მოგვცეთო. მინისტრის მოადგილეს გულთან მიაქვს თხოვნა და კინოსტუდიის დირექტორს ავალებს გააყოლონ ამ ჯგუფს კინოოპერატორები.

1955

**8-9 ივლისი**

ლამის 12 საათზე ვახტანგ გურგენიძესა და ფატი ნიშნიანიძესთან ერთად ავტომანქანით მიდის რკინიგზის სადგურზე. მძღოლი მათ კეთილ მგზავრობას უსურვებს და ემშვიდობება. ამის შემდეგ ადიან მატარებელში და პირველის თხუთმეტი წუთისთვის სხდებიან ფოთის მატარებლის საერთაშორისო კუბეში. საუბრობენ სამცხე-საათაბაგოს შესახებ, იხსენებენ ქლუხორს, რომელიც 1943 წელს შეუერთდა საქართველოს, ხოლო 1955 წლის მარტში ჩამოერთვა და სტავროპოლის მხარეს მიეკუთვნა. ამბობენ, რომ კარგი იქნებოდა მოგზაურობა ამ ტერიტორიაზე. გალაკტიონს აფორიაქებს ლავროსი კალანდაძისა და ანდრო თევზაძის დაგვიანება, მაგრამ თავს იმით იმშვიდებს, რომ დაგეგმილი ღონისძიების ძირითადი მონაწილეები: საღამოების გამხსნელი, მომხსენებელი და თვითონ უკვე აქ არიან და, შესაბამისად, ღონისძიებას არავითარ შემთხვევაში ჩაშლა არ ემუქრება. ლამის პირველ საათამდე ხუთი წუთი რჩება. ვახტანგ გურგენიძე და ფატი ნიშნიანიძე ვაგონიდან ბაქანზე გადიან და იქ ელოდებიან დაგვიანებულებს. პოეტი ფიქრობს, რომ თუ ლავროსი კალანდაძე და ანდრო თევზაძე არ მივლენ, ეს იქნება შეგნებული არმისვლა და დაგეგმილი ღონისძიებების ჩაშლის მცდელობა. ამ ფიქრის დროს საათი რეკავს თორმეტჯერ, გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი და მგზავრებს უერთდება ლავროსი კალანდაძე. ახლა უკვე ოთხნი არიან და გალაკტიონი მშვიდდება. იწყებენ საუბარს, იხსენებენ შალვა დადიანს, თედო სახოკიას, ლეო ქიაჩელს, ნინო ნაკაშიძეს, იპოლიტე ვართაგავას, მარიამ გარიყულსა და სხვა ასაკოვან მწერლებს. განსაკუთრებით ბევრს საუბრობენ შალვა დადიანზე. ლაპარაკისას ახსენდებათ გერონტი ქიქოძე და მისი ასაკი, ის ფაქტი, რომ კრიტიკოსი უკვე 75 წლისაა კიდევ ერთხელ აგონებს მათ დროის სწრაფწარმავალობას. საუბრისას ლავროსი კალანდაძე უკმაყოფილებას გამოთქვამს სალექციო ბიუროს საქმიანობის გამო, რადგან ფიქრობს, რომ კულტურულ ღონისძიებებზე დასასწრებ ბილეთებს კარგად არ ანაწილებენ. გალაკტიონი მიიჩნევს, რომ ლავროსის უკმაყოფილება უსაფუძვლოა. დიდხანს საუბრობენ იმ დისკუსიაზე, რომელიც წამოიწყო ვენორი ქვაჩახიანი, როდესაც „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოაქვეყნა სტატია „მეცნიერული სკოლების შესახებ“ და სათავე დაუდო პოლემიკას მეცნიერებისა და ხელოვნების საკითხებზე, რაც, საბოლოოდ, გადაიზარდა „კომუნისტსა“ და „ახალგაზრდა კომუნისტს“ შორის დაპირისპირებაში. საუბრისას განიხილავენ 8 აპრილს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილს „ავამადლოთ კომუნისტების აქტივობა“, ასევე, ახსენებენ ლავროსი კალანდაძის „ლიტერატურულ გაზეთში“ 25 თებერვალს გამოქვეყნებულ სტატიას „სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დასაცავად“, რომელიც ხელოვნებაში ფორმალისტური პრინციპების წინააღმდეგაა მიმართული. ამ საუბრისას ჩაემინებათ კიდევ.

1955

**9 ივლისი**

ვანის რაიონის კომკავშირის რაიონული კომიტეტის აპარატის მუშაკების მიწვევით მიემგზავრება ვანში. რაიონის ცენტრში ზღვა ხალხი იკრიბება. მათი გულწრფელი ემოციური დახვედრა გალაკტიონს გულს უჩუყებს.

1955

**9 ივლისი**

იმყოფება ფოთის მატარებელში ვახტანგ გურგენიძესთან, ფატი ნიშნიანიძესთან, ლავროსი კალანდაძესთან და ანდრო თევზაძესთან ერთად. იღვიძებს დილის რვა საათზე, იხედება ფანჯრიდან და ხვდება, რომ უკვე იმერეთში იმყოფებიან, აკვირდება დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელ ტყეებს, ველებს, ოდებსა და ფაცხებს. თერთმეტის ნახევარზე უკვე სამტრედიაში არიან. მატარებლიდან ჩასულებს სადგურში ხვდებათ რაიკომის

მდივანი და გალაკტიონის რძალი – ძმის, აბესალომის მეუღლე ტატიანა ცინცაძე-ტაბიძე. ვანისკენ მიემგზავრებიან ავტომანქანა „ზიმით“. ახსენდება, რომ მთავარი გზა ადრე მის სახლთან ჩაივლიდა, ახლა კი მიმართულება შეცვლილია და მთის ძირას გაყვანილი ახალი გზით მიემართებიან მისი მშობლიური კუთხისაკენ. პოეტს აოცებს, რომ ახლა მანქანით მგზავრობს იმ გზაზე, რომელზეც მისი სიყმაწვილის დროს დილიჯანსაც კი არ ჩაუვლია. რაიონის დათვალიერების შემდეგ სოფელ სალხინოში, ვანის რაიკომის მეორე მდივნის ნოე ლორთქიფანიძის ოჯახში ასწლოვანი კოპიტის ქვეშ გამართულ დიდებულ სუფრაზე მასპინძლის მემვიდეკლასელი გოგონა ინეზა ვერულაშვილი გალაკტიონს მისადმი მიძღვნილ ლექსს უკითხავს. პოეტი მადლობის ნიშნად გოგონას გადაკოცნის და ლექსს თავის პორტფელში ინახავს. ნადიმზე გალაკტიონი გიტარის თანხლებით მღერის სიმღერას „მახსოვს პირველად სასწავლებელში“. მშობლიური კუთხის ხილვა პოეტს ახსენებს სტრიქონებს თავისი პოემიდან „მშვიდობის წიგნი“ და უბის წიგნაკში იწერს იმ სტროფს პოემიდან, რომელიც ორ მთას შორის მდებარე სოფელ შუამთას ეძღვნება. ნოე ლორთქიფანიძის მეუღლის, მერი სანიკიძის თხოვნით გალაკტიონი კითხულობს ლექსს „მერი“, შესანიშნავ ხასიათზე მყოფი სუფრასთან მხიარულობს, მღერის და ცეკვავს.

➤ 12964

1955

9 ივლისი

საღამოს შვიდ საათზე გალაკტიონი თანხლებ პირებთან ერთად სასტუმროდან ვანის კულტურის სახლისკენ მიემართება, სადაც უნდა ჩატარებულიყო შეხვედრა, მაგრამ იმდენი ხალხია შეკრებილი, რომ გადაწყვეტენ საღამო რაიონის ცენტრში ღია ცის ქვეშ გამართონ. მოედნის ტრიბუნაზე სტუმრებთან ერთად რაიონის ხელმძღვანელები გიორგი ლილუაშვილი, გერმანე მაღლაკელიძე, იერემია სიგუა, ნოე ლორთქიფანიძე და სხვები დგანან. საღამოს ვახტანგ გურგენიძე ხსნის, გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ფატი ნიშნიანიძე საუბრობს, მწერალთა კავშირის სახელით სიტყვას კრიტიკოსი ლავროსი კალანდაძე ამბობს, პოეტი ანდრო თევზაძე გალაკტიონისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებთან ერთად კითხულობს ლექსს „გურიის მთებს“, პოეტს ესალმებიან ვანის საშუალო სკოლის მოსწავლე ლეილა ნიკოლეიშვილი და ვანის საშუალო სკოლის დირექტორი ალექსანდრე ნადირაძე. დასასრულს გალაკტიონი მადლობას უხდის დამსწრე საზოგადოებას.

➤ 12965

1955

9 ივლისი

ღია ცის ქვეშ გამართული შეხვედრის შემდეგ საზოგადოება პოეტთან ერთად კულტურის სახლისკენ მიემართება, სადაც იმართება კონცერტი კულტურის სახლის დირექტორ ლევან გერსამიას ხელმძღვანელობით. კითხულობენ პოეტის ლექსებს. კონცერტის შემდეგ იმართება ვახშამი.

➤ 12966

1955

9 ივლისი

მაგიდის კალენდარში წერს, რომ ვანშია და მღერის ტრიო.

➤ 12967

1955

9 ივლისის შემდეგ

ფიქრობს იმ ადგილების შესახებ, რომლებიც ივლისის თვეში მოინახულა. ახსენდება მშობლიური ვანი და სოფელი შუამთა, სადაც ცხრა ივლისს იმყოფებოდა. შუამთის მოგონება

ახსენებს სტრიქონებს თავისი პოემიდან „მშვიდობის წიგნი“ და უბის წიგნაკში იწერს ნაწარმოების იმ სტროფს, რომელიც ორ მთას შორის მდებარე სოფელ შუამთას ეძღვნება.

➤ 12968

1955

### 9 ივლისის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს, რომ არ მოეწონა ვანში ფატი ნიშნიანიძის გამოსვლა, რადგან მან უფრო ვრცლად ისაუბრა გალაკტიონის შემოქმედების ადრეულ პერიოდზე, რაც პოეტს არც უსაფრთხოდ მიაჩნია და არც მიზანშეწონილად.

➤ 12969

1955

### 10 ივლისი

ჩადის მშობლიურ ჭყვიშში, მონატრებული ათვალიერებს საკუთარ ეზოს, სახლ-კარს და სურათს იღებს დედის, მაკრინე ადვიშვილის საფლავთან.

➤ 12970

1955

### 10 ივლისი

მაგიდის კალენდარში წერს: „ჩემს ჭყვიშში!!!“.

➤ 12971

1955

### 10 ივლისი

დილით სასტუმროდან ავტომანქანებით შუამთისაკენ მიემართებიან. მოსახლეობა გზადაგზა უმართავს სახელდახელო შეხვედრებს, შუადღისას შუამთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და რაიონის მშრომელთა სახელით სიტყვას წარმოთქვამენ ვანის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე გერმანე მალლაკელიძე, ტექნიკუმის დირექტორი ნინო აფხაზავა და მოსწავლეები. მოსწავლე ჟორა მახარაძე კითხულობს გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსს სახელწოდებით „სალამი გალაკტიონ ტაბიძეს“. წინადადებით გამოდიან, რომ ჭყვიშში გალაკტიონის მშობლიურ სახლს სახლ-მუზეუმის სტატუსი მიენიჭოს, რასაც დამსწრე საზოგადოება ოვაციით ხვდება. სადილი გერმანე მალლაკელიძის ეზოში იმართება.

➤ 12972

1955

### 10 ივლისი

სოფელ ჭყვიშში მშობლიურ სახლთან მიახლოებისას გალაკტიონ ტაბიძეს ეგებებიან ძმის, აბესალომის მეუღლე ტატიანა ცინცაძე-ტაბიძე, პოეტის სახლის მომვლელი ელპიტე ბახტაძე, ტაბიძეების გვარის უხუცესი, ბიძაშვილი დიმიტრი ტაბიძე, ტიციანის ძმა პედაგოგი სიმონ ტაბიძე მეუღლითურთ, მხცოვანი ბიძა დიმიტრი ტაბიძე. გალაკტიონი შედის სახლში, ათვალიერებს მას და აივნის მოაჯირთან მჯდომი ესაუბრება შინაურებს. შემდეგ ჩადის რაიონის სანაპიროზე. მდინარის სანაპიროდან უკან ყანებით ბრუნდება, რასაც ოპერატორები ვართან კურიანი და არტურ პოლოსოვი ფირზე იღებენ კინოჟურნალისთვის. ვახშმის შემდეგ, რომელზეც გრძელდება მისალმებები და სიტყვით გამოსვლები, ისევ აკითხებენ რამდენიმე ლექსს. როცა სთხოვენ „მერის“ წაკითხვას, პასუხობს, რომ ზეპირად არ ახსოვს, მაგრამ მაშინვე მიუტანენ თავის ერთ-ერთ გამოცემას საჭირო გვერდზე გადაშლილს და კითხულობს. ვახშმის შემდეგ ათვალიერებს მშობლიურ სახლს, უხარია ძველი ნივთების ნახვა, იხსენებს შენობაზე მიყუდებულ კიბეზე ფეხის დაუკარებლად მხოლოდ ხელებით რომ ადიოდა ხოლმე. მიდის მშობლების სასაფლაოზე და უკან დაბრუნებული შეივლის ტიციან ტაბიძის სახლში, სადაც



ნათესავეები არიან თავმოყრილნი და ყველანი იხსენებენ ტიცინას. იმავე საღამოს სხდებიან მანქანებში და ბრუნდებიან თბილისში.

➤ 12973

1955

10 ივლისი

ჭყვიშში პოეტის პატივსაცემად იშლება სუფრა. პოეტის ბავშვობის მეგობარი ეთერი სტუმრებს უამბობს, 6 წლის გალაკტიონი როგორ განიცდიდა მეზობლის მწუხარებას ტუბერკულოზით გარდაცვლილი ბავშვის გამო და ოცნებობდა „ჭლექის ექიმი“ გამოსულიყო. წვეულების ბოლოს, სამადლობელ სიტყვაში გალაკტიონი აღნიშნავს, რომ იგი სისხლი და ხორცია თავისი ხალხისა და თუ რამ კეთილია მასში, ხალხის დამსახურებაა. ამბობს, რომ დედისგან გაუგონია, არსებობს ერთი მწივანა ჩიტი, რომელსაც საკუთარი ხმის გარდა არაფერი ესმის და მისი ხმა შესაზარია. მაგრამ არსებობს იადონიც, რომელიც ყურს უგდებს ბუნების ხმას და თავისი ჰანგებით ესაუბრება მას. გალაკტიონის თქმით, პოეტიც ასეთი უნდა იყოს.

➤ 12974

1955

10 ივლისი

ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი იღებს გადაწყვეტილებას სოფელ ჭყვიშში გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმის გახსნისა და შუამთის კულტურის სახლისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ და სთხოვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს დააკმაყოფილონ ეს თხოვნა.

➤ 12975

1955

10 ივლისი

შუადღისას გალაკტიონის ეზოში იშლება სუფრა. ლხინი დიდხანს გასტანს. გალაკტიონი ღვინოს არ სვამს, ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ სავსე ჭიქას ისევ მაგიდაზე დგამს.

➤ 12976

1955

10 ივლისი

ვანში მოგზაურობისას ვინმე ავთანდილ ჩხიროძე გალაკტიონს სჩუქნის დოქებსა და კეცებს და პოეტი წერს უსათაურო ექსპრომტს „ერთ დოქს“.

➤ 12977

1955

11 ივლისი

ვანიდან ჯგუფთან ერთად მიემგზავრება თბილისში. გზად სამტრედიიაში შეივლიან გალაკტიონის რძლის, ტატიანა ცინცაძე-ტაბიძის ძმის ოჯახში.

➤ 12978

1955

12 ივლისამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს ცნობას, რომ 12 ივლისს თედო ბეგიაშვილი წაიკითხავს მოხსენებას ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ.

➤ 12979

1955

15 ივლისი

მიდის ვახტანგ გურგენიძესთან, რომელიც აძლევს ივლის-აგვისტოში მესხეთ-ჯავახეთში დაგეგმილი გალაკტიონის შემოქმედებითი სადამოების აფიშას.

➤ 12980

1955

16 ივლისი

მძლოლი იღებს თავის კუთვნილ ხელფასს და მოულოდნელად უცხადებს, რომ მომდევნო დღიდან ტოვებს სამსახურს.

➤ 12981

1955

17 ივლისი

ინიშნავს, რომ მძლოლმა იმუშავა მხოლოდ 12-იდან 1 საათამდე.

➤ 12982

1955

19 ივლისამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ 19 ივლისს ვასილ გორგაძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

➤ 12983

1955

19 ივლისამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ 19 ივლისს გაიმართება ქართველი მწერლების შეხვედრა მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივთან. შესავალ სიტყვას იტყვის სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. მოხსენებას თემაზე „თანამედროვე ქართული პოეზია მშვიდობისათვის ხსოვნაში“ წაიკითხავს სერგი ჭილაია.

➤ 12984

1955

20 ივლისი

ემზადება ბოლნისსა და ვარძიაში წასასვლელად. მძლოლი ეუბნება, რომ მანქანას ტექმომსახურება აქვს გასავლელი და 150 მანეთს სთხოვს. გალაკტიონი ეუბნება, რომ ამდენი არა აქვს. ნოდარ ტაბიძეს ახსენდება, რომ ერთი კვირით ადრე ვანიდანაც 6 ათასი მანეთი ჩამოიტანა, ბანკში 130 ათასი მანეთი აქვს და თავისი უსაფრთხოებისთვის ფულს მაინც ვერ იმეტებს.

➤ 12985

1955

21 ივლისი

გაზეთში „ლიტერატურნაია გრუზია“ ნათქვამია, რომ გამოვიდა სერგი ჭილაიას წიგნი „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“.

➤ 12986

1955

21 ივლისი

ემზადება ბოლნისში გასამგზავრებლად, სადაც დაგეგმილია ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა და პოეზიის სადამოს ჩატარება.

➤ 12987

1955

## 21 ივლისი

ბოლნისისკენ მიმავალი უყურებს შავნაბადას მთას, აღტაცებულია პეიზაჟით და უბის წიგნაკში იწერს, რომ შავნაბადა იშვიათი სანახავია. სადამო არაჩვეულებრივად ტარდება და პოეტი კმაყოფილი ბრუნდება.

➤ 12988

1955

## 22 ივლისი ან შემდეგ

ფიქრობს მწერალთა კავშირში არსებულ ვითარებაზე, მიიჩნევს, რომ ამ ორგანიზაციას მწერლობასა და ხელოვნებასთან ცოტა რამ აკავშირებს, რადგან იქ ჩინოვნიკური სულისკვეთებაა გაბატონებული. გალაკტიონის აზრით, ეს უნდა შეიცვალოს და ყინული უნდა გალხვეს. მისი შეხედულებით, ამ ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა დაარსდეს ყოველკვირეული ჟურნალი „პოეზიის დღე“. პოეტს ახსენდება ანდაზა: „აჩქარებითა სოფელი, არავის მოუჭამია“ და გადაწყვეტს, არ იჩქაროს, ნელნელა, თანმიმდევრულად განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი.

➤ 12989

1955

## 22 ივლისი ან შემდეგ

ათვლიერებს „ლიტერატურული გაზეთის“ 22 ივლისის ნომერს, კითხულობს ვლადიმერ ჯიბუტის პუბლიკაციას „ნაშრომი ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაზე“. სტატიაში განხილული და შეფასებულია სერგი ჭილაიას მიერ 1954 წელს გამოცემული წიგნი „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა“. რეცენზიის კითხვისას გალაკტიონი იწყებს ფიქრს სერგი ჭილაიას წიგნის შესახებ და დაასკვნის, რომ ჭილაია ისეთივე ვერაგია, როგორც ბესარიონ ჟღენტა. პოეტის აზრით, ორივე კრიტიკოსი ცდილობს, დაუპირისპირდეს იმ იდეას, რომლის მიხედვითაც, გალაკტიონ ტაბიძე ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელია.

➤ 12990

1955

## 23 ივლისამდე

ფიქრობს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სადამოს შესახებ, რომელიც მწერალთა კავშირის პოეტების სექციამ უნდა მოაწყოს. უბის წიგნაკში იწყებს ამ ღონისძიების გეგმის შედგენას. აპირებს, სადამო თვითონ გახსნას, როგორც პოეტების სექციის ხელმძღვანელმა. სადამოზე უნდა მოეწყოს მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენაც, რომელსაც ღონდა ჩუდეცკაია უხელმძღვანელებს.

➤ 12991

1955

## 24 ივლისი

ინიშნავს სტრიქონებს ალექსანდრ ბლოკის ლექსიდან „მეგობრებს“.

➤ 12992

1955

## 25 ივლისი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ივნისის პლენუმის დადგენილებით გალაკტიონი გივი კილურაძესა და ვახტანგ გურგენიძესთან ერთად 27 ივლისიდან 5 აგვისტომდე მივლენილია ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბაკურიანის ასპინძისა და ადიგენის საზაფხულო საძოვრებზე მწყემსებისთვის ლექცია-საუბრების ჩასატარებლად. გურგენიძე კინოსტუდიიდან ისევ ითხოვს კინოოპერატორის გაყოლებას, მაგრამ უარს იღებს, რადგან ვანის გადაღებებისთვის კულტურის მინისტრ ავთანდილ გუნიასგან სასტიკი საყვედური მიუღიათ.

➤ 12993

1955

## 26 ივლისამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ 26 ივლისს პავლე ლუდუშაური წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“.

➤ 12994

1955

## 26 ივლისამდე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა ერთთვიანი კურსების ხელმძღვანელობა სთხოვს მწერალთა კავშირის პირველ მდივანს – ირაკლი აბაშიძეს, რომ გასცეს ნებართვა, რათა 26 ივლისს, დილის 11 საათზე მოეწყოს მწერლების შეხვედრა დასახელებული კურსის მსმენელებთან. ღონისძიება უნდა ჩატარდეს თბილისის უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, ფიზიკის აუდიტორიაში. ირაკლი აბაშიძე ამ თხოვნას დადებითად პასუხობს. მისი გადაწყვეტილების თანახმად, შეხვედრაში მონაწილეობა უნდა მიიღონ გალაკტიონ ტაბიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, ბესარიონ ჟღენტმა, იოსებ ნონეშვილმა და სხვა მწერლებმა.

➤ 12995

1955

## 26 ივლისი

დილის 11 საათზე მიდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა ერთთვიანი კურსების ხელმძღვანელობის მიერ მწერალთა კავშირთან ერთად დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. მალე ირკვევა, რომ მწერალთა ერთი ნაწილი (იოსებ გრიშაშვილი, ბესარიონ ჟღენტი, იოსებ ნონეშვილი), ვისაც მონაწილეობა უნდა მიეღო ამ ღონისძიებაში, სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს მისვლას. შეხვედრა მაინც ტარდება. გალაკტიონი კითხულობს თავის ლექსებს: „მე და ღამე“ და „პოეტი-ტრიბუნი“.

➤ 12996

1955

## 26 ივლისი

ვახტანგ გურგენიძესთან და გივი კილურაძესთან ერთად იმყოფება მთავრობის სახლში, სადაც სამცხე-ჯავახეთში დაგეგმილი მოგზაურობის შესახებ უნდა გაესაუბრონ ოფიციალურ პირებს. შეხვედრამდე დარჩენილ დროს მოსაცდელ დარბაზში ატარებენ. გალაკტიონი ესაუბრება ვახტანგს და გივის და ფიქრობს, რომ ორივე გენიალური ადამიანია. მოსაცდელი დარბაზის თვალიერებისას პოეტის ყურადღებას იპყრობს დარბაზში არსებული მყუდროება და ყურადღებიანი თანამშრომელი ქალი. კედლებზე საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა პორტრეტებია. აკვირდება ვლადიმერ ლენინის, ნიკოლაი ბულგანინის, ვიაჩესლავ მოლოტოვისა და სტალინის სურათებს. შენიშნავს, რომ სტალინის პორტრეტი დანარჩენებზე უფრო დიდია. მოსაცდელ დარბაზში ყოფნისას ახსენდება მიმდინარე პოლიტიკური ამბები, კერძოდ, ის, რომ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაი ბულგანინი, უმაღლესი პრეზიდიუმის წევრი ნიკიტა ხრუშჩოვი, თავდაცვის მინისტრი გიორგი ჟუკოვი და უმაღლესი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები იმყოფებიან შვეიცარიაში, ჟენევაში, ოთხი სახელმწიფოს მთავრობის მეთაურთა თათბირზე. გალაკტიონი პოზიტიურადაა განწყობილი ამ პოლიტიკური მოვლენის მიმართ და ფიქრობს, რომ მთავრობის მოსაცდელ დარბაზშიც კი იგრძნობა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დამყარების განწყობა.

➤ 12997

1955

## 26 ივლისი

ემზადება ბორჯომსა და მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობისათვის. ცდილობს, მოასწროს ყველა იმ საქმის გაკეთება, რომელთა მოგვარებაც აუცილებელია გამგზავრებამდე.

➤ 12998

1955

## 27 ივლისი

დილის შვიდ საათზე მანქანით აკითხავს ვახტანგ გურგენიძე და ერთად მიდიან რკინიგზის სადგურზე, სადაც ხვდებათ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კიოსკის გამგე გერმანე მარშანია. ვახტანგ გურგენიძე ეძებს ისტორიკოს გივი კილურაძეს, რომელიც მათთან ერთად უნდა გაემგზავროს. გალაკტიონი სადგურის წინ დგას და ელოდება, თან გარემოს ათვალერებს. ფიქრობს, რომ სადგური ძალიან არის შეცვლილი და სულ სხვაგვარი გარემოა ახლა, ვიდრე ათი წლის წინ იყო. პოეტის ყურადღებას იქცევს მგზავრების სიუხვეც. პოეტი ფიქრობს მესხეთ-ჯავახეთის შესახებ და ახსენდება თავისი ლექსის „მშობლიური ჩემო მიწავ“ სტრიქონები: „რაჭა-ლეჩხუმია შორით, ახლო – მესხეთ-ჯავახეთი“. გივი კილურაძის მოსვლის შემდეგ სხდებიან მატარებლის საერთო ვაგონში და ათ საათზე მიემგზავრებიან ბორჯომისკენ.

➤ 12999

1955

## 27 ივლისი

თბილისიდან ბორჯომისკენ მატარებლით მგზავრობისას აკვირდება მგზავრებს, ითვლის, მათ რაოდენობას. აღმოჩნდება, რომ ვაგონში სულ ოთხმოცი მგზავრია და მათი ერთი ნაწილი – თხუთმეტი ადამიანი წიგნს ან გაზეთს კითხულობს. მკითხველთა შორის არიან ქალები, კაცები და ხანშიშესულებიც. ახსენდება, რომ 1907 წელს, როდესაც მის ბიძას, იუსტინე ტაბიძეს რიონის სადგურში ამოუტანეს გაზეთი, რომელშიც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ამბავი ეწერა, მთელ ვაგონში მხოლოდ ერთი ადამიანი კითხულობდა, თუმცა კი ინტერესით ყველას ძალიან აინტერესებდა გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია. პარალელურად პოეტი მატარებლის ფანჯრიდან ათვალერებს გარემოს, მცხეთაში ყოფნისას საათს დახედავს და აღმოაჩენს, რომ მცხეთამდე მისასვლელად ექსპრესს მხოლოდ ოცდახუთი წუთი დასჭირდა.

➤ 13000

1955

## 27 ივლისი

მატარებლით მგზავრობისას ესაუბრება უნივერსიტეტის დოცენტ, ისტორიკოს გივი კილურაძეს, რომელიც იხსენებს 1937-1938 წლებში შალვა რადიანის მიერ გამოქვეყნებულ სტატიას, რომელშიც იგი აღტაცებას გამოთქვამდა კალე ფეოდოსიშვილის სტრიქონებით: „მე დედას მოვკლავ, მამას დავადრჩობ, რევოლუციამ თუ კი მიბრძანოს!“.

➤ 13001

1955

## 27 ივლისი

ბორჯომში ყოფნისას უბის წიგნაკში ინიშნავს ბორჯომელი ექიმის სიტყვებს მტრედების ცხოვრების წესის შესახებ. მისი თქმით, მტრედები არასდროს სხდებიან სხვის ბუდეში და არასოდეს წყვილდებიან სხვის მეწყვილესთან.

➤ 13002

1955

## 27 ივლისი

შუადღის ორ საათზე ვახტანგ გურგენიძესთან და გივი კილურაძესთან ერთად ჩადის ბორჯომში. მიემართებიან კულტურის სახლისკენ. პოეტი უკმაყოფილოა კულტურის სახლის

თანამშრომელთა გულგრილი დახვედრით და უბის წიგნაკში იწერს, რომ ბორჯომში „გამარჯობა არ იციან“. განსაკუთრებით აოცებს ერთ-ერთი თანამშრომლის, მეტსახელად შერის დამოკიდებულება და ის, რომ ეს ადამიანი ყველაფრით უკმაყოფილოა, მათ შორის, საკუთარი ზედმეტსახელითაც კი. არკვევს, რომ ბორჯომის კულტურის სახლში სულ ოცდაცხრა ადამიანი მუშაობს. ფიქრობს, რომ ამდენივე იმუშავენს შუამთის კულტურის სახლშიც, რომელიც მისი სახელობის იქნება. აღმოჩნდება, რომ ადგილობრივ თანამშრომელთა შორის არის ერთი იმერელიც – 1944 წელს ჭიათურიდან გადმოსახლებული ქალბატონი. კულტურის სახლში სტუმრებს უმასპინძლდებიან. პოეტს რჩება შთაბეჭდილება, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, განსაკუთრებით საჭმელ-სასმელთან დაკავშირებით. ამ ფიქრისას კიდევ ვიღაც უერთდება მოსაუბრეებს. იგი საღმის გარეშე, პირდაპირ იწყებს ლაპარაკს, შემდეგ კი მიდის. პოეტს აოცებს უცნობის ასეთი ქცევა, მისი უსალმობა. გარდა ამისა, განაწყენებულია ვახტანგ გურგენიძის და გივი კილურაძის საქციელითაც, რადგან მათ თავიანთი ჩანთები პოეტს დაუტოვეს და თავად სადღაც წავიდნენ. ამის გამო გალაკტიონი იძულებულია ოთახიდან არსად გავიდეს და თანამგზავრების ნივთებს მიაქციოს ყურადღება. ახსენდება, რომ ვახტანგი და გივი ასევე მოიქცნენ დილითაც, თბილისის რკინიგზის სადგურში, როდესაც მატარებელს ელოდებოდნენ. მაშინაც გალაკტიონს დაუტოვეს ჩანთები და თვითონ სადღაც გაქრნენ.

➤ 13003

1955

27 ივლისი

ბორჯომში ყოფნისას ახსენდება საუბარი ალექსანდრე გომიაშვილთან წიგნის ბეჭდვის თავისებურებების შესახებ. საუბრისას ირკვევა, რომ ალექსანდრეს სტამბაში შეუნიშნავს მბეჭდავის შეცდომა. გალაკტიონს ეს ფაქტი აფიქრებინებს, რომ ყოველთვის აუცილებელია მბეჭდავის მიერ გადაბეჭდილი ტექსტის გადამოწმება. ახსენდება ისიც, რომ შალვა რადიანი არ ენდობა მბეჭდავებს და სტამბაში პირდაპირ ხელნაწერი მიაქვს და არა საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი. ფიქრობს, რომ შალვას საქციელი მართებულია და მისი ასეთი ქმედება ტექსტში შეცდომების არსებობის ალბათობას ამცირებს.

➤ 13004

1955

27 ივლისი

იმყოფება ბორჯომის კულტურის სახლში, საიდანაც ვახტანგ გურგენიძესა და გივი კილურაძესთან ერთად დღის ბოლოს უნდა გაემგზავროს სამცხე-ჯავახეთში. ათვალიერებს გარემოს, მის ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კულტურის სახლში მხოლოდ და მხოლოდ ვლადიმერ მაიაკოვსკის სურათი აქვთ და არცერთი ქართველი მწერლის პორტრეტი არ არის გამოფენილი. გარდა ამისა, დაწესებულებაში დგას შოთა რუსთაველის დიდი ქანდაკება. პოეტი ესაუბრება კულტურის სახლის წარმომადგენლებს, რომლებიც სთხოვენ, რომ სამცხე-ჯავახეთიდან დაბრუნებისას ბორჯომში მოაწყოს ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა. კულტურის სახლის თანამშრომლებზე საერთო შთაბეჭდილებიდან გამომდინარე გალაკტიონი სკეპტიკურადაა განწყობილი ამ შემოთავაზების მიმართ, რადგან არ სჯერა, რომ ეს ადამიანები, რომლებიც რამდენიმე საათის წინ გულგრილად შეხვდნენ, ორიოდ დღის შემდეგ მისდამი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზებას ნამდვილად მოისურვებენ და მოახერხებენ.

➤ 13005

1955

27 ივლისი

ვახტანგ გურგენიძესთან და გივი კილურაძესთან ერთად ათვალიერებს ბორჯომის პარკს, თან ელოდება ავტომანქანას, რომელმაც ახალქალაქიდან უნდა ჩააკითხოს. პარკის დათვალიერებისას ადგილობრივები განუმარტავენ, რომ აქ ოდესღაც აკაკი წერეთელი ყოფილა და ლექსიც კი დაუწერია. ავტომანქანა იგვიანებს და უკვე ღამეა, როცა პოეტი და მისი თანამგზავრები

ბორჯომელებს ემშვიდობებიან და ახალქალაქისკენ მიემგზავრებიან. გალაკტიონს გული წყდება, რომ არაერთი საინტერესო ადგილი დარჩათ დაუთვალიერებელი. გაივლიან ახალციხეს, სადაც პოეტი ხედავს ნაცნობ აფიშებს, რომლებიც საზოგადოებას გალაკტიონის სამცხე-ჯავახეთში ჩასვლას ამცნობს. შუალამისას გადიან ახალციხიდან, პოეტი მანქანიდან გაჰყურებს სივრცეს, ამჩნევს, რომ იწყება უტყეო ადგილები, აღარ ჩანს ბორჯომის ხეობის მშვენიერი პეიზაჟები. გარემოს დათვალიერება უძნელდება, რადგან ახალი მთვარეა და მის სუსტ შუქზე შეუძლებელია ბუნების სურათების კარგად აღქმა. ასფალტი სრულდება, მანქანას უკვე სიარული უჭირს. ბოლოს მიაღწევს ახალქალაქამდე და დაბინავდებიან სასტუმრო „ჯავახეთში“, სადაც ელემენტარული პირობებიც კი არ არის: არც ცალკე ოთახებია სტუმრებისთვის, არც ელექტროგანათება, ოთახს ოდნავ ანათებს ნავთის სანათური. გალაკტიონი სამ ადამიანთან ერთად ბინავდება, დაძინება უჭირს, რადგან თან სხვების ხვრინვის ხმა აწუხებს, თან რაღაც სპეციფიკური სუნია.

➤ 13006

1955

### 28 ივლისი

იმყოფება ახალქალაქში ვახტანგ გურგენიძესთან და გივი კილურაძესთან ერთად. დილით ყველაზე ადრე იღვიძებს, სასტუმროს ოთახს ტოვებს და პირის დასაბანად ეზოში გადის. მოსწონს წყლის სიცივე, ცდილობს, ოპტიმისტურად განეწყოს და საკუთარ თავს ჩააგონებს, რომ დღემ დიდებულად უნდა ჩაიაროს. აკვირდება ბუნებას, ამინდს, გარემოს. ახსენდება, რომ ვახტანგს და გივის ისევ სძინავთ, რადგან წინა დღეს ყველანი ძალიან დაიღალნენ. თანდათან უმძაფრდება ცნობისმოყვარეობა, აინტერესებს, რა მოხდება იმ დღეს, სად წავლენ, რას დაათვალიერებენ. პარალელურად, ითვლის ივლისის ბოლომდე დარჩენილ დღეებს და აღმოაჩენს, რომ სამი დღის შემდეგ უკვე პირველი აგვისტოა, ზაფხულის უკანასკნელი თვის პირველი დღე. ზაფხულზე ფიქრისას კიდევ უფრო საოცრად ეჩვენება, რომ ივლისის ბოლოა და მაინც ასეთი სიცივეა. ცოტა ხნის შემდეგ ვახტანგ გურგენიძე და გივი კილურაძეც იღვიძებენ და ეზოში ჩადიან, იწყებენ საუბარს ახალქალაქის მოსახლეობაზე. გივი ამბობს, რომ ადგილობრივები, რომელთა უმრავლესობა სომხები არიან, ღარიბი და, ამავე დროს, ძალზე უკულტურო ხალხია. ვახტანგი პასუხობს, რომ ქართველები აქედან დიდი ხნის წინ დაიძრნენ დასავლეთ საქართველოსკენ. მსჯელობენ იმ გვარის ადამიანებზე, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ. ახსენდებათ მიქელაძეები და ხალხური ლექსის სტრიქონები ამ გვარის სიღარიბის შესახებ: „მიქელაძემ ქორწილი ქნა ფეხდამწვარი წიწილითა“.

➤ 13007

1955

### 28 ივლისი

ფიქრობს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მუშაობაზე. ადგენს გეგმას, თუ რა ღონისძიებები უნდა ჩატაროს მისი ხელმძღვანელობით ამ სექციამ სექტემბრის დასაწყისიდან იანვრამდე. სურს, ყოველ თვეში მოახერხოს ოთხი საღამოს ჩატარება, ისე, რომ წლის ბოლომდე მოესწროს თექვსმეტი ან ჩვიდმეტი ღონისძიების მოწყობა. პოეტის აზრით, დაგეგმილი საღამოები შესაძლოა იყოს თემატური და მოიცავდეს: მხატვართა, მუსიკოსთა და არქიტექტორთა კავშირებისათვის ღონისძიებების გამართვას, ასევე, აკადემიკოსებისათვის ცალკე შეხვედრის მოწყობას, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული პოეზიის საღამოების ჩატარებას, შეხვედრებს კულტურის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, „სახელმწიფო გამომცემლობისა“ და სხვადასხვა სალიტერატურო წრის წარმომადგენლებთან. მისი აზრით, პოეტების სექცია მხოლოდ თბილისში მოღვაწე ხელოვანებთან შეხვედრებით არ უნდა შემოსაზღვროს. ღონისძიებებში უსათუოდ უნდა ჩაერთოს ქუთაისის, ბათუმის, ცხინვალისა და სოხუმის ინტელიგენცია. დარწმუნებულია, რომ ამ ღონისძიებათა ორგანიზების პროცესში აუცილებლად დასჭირდება მდივანი, რადგან საღამოების მოწყობისას უამრავი ტექნიკური ხასიათის პრობლემა იქნება მოსაგვარებელი.

➤ 13008

1955

## 28 ივლისი

ვახტანგ გურგენიძესთან და გივი კილურაძესთან ერთად იმყოფება ახალქალაქში. დილით მიდიან რაიკომში, შემდეგ საუზმობენ, თან საუბრობენ ადგილობრივების ცხოვრების წესზე, მათ ისტორიაზე. საუზმის შემდეგ გაემართებიან ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად, მონახულებენ აბულის ძველ ეკლესიას. იღებენ ფოტოებს, ათვალიერებენ გარემოს და აგრძელებენ გზას საზაფხულო სამოვრებისაკენ. უგზოობის გამო ხშირად თავად უხდებოდათ მანქანის აგორება აღმართში. აბულის მთას სამხრეთიდან უხვევენ და თვალწინ ენით აუწერელი სილამაზე ეშლებათ. ეწვევიან სამოვრებზე სიღნაღის რაიონის მწყემსების სადგომებს. გალაკტიონს მოსწონს ბრიგადის ხელმძღვანელის, ილო შიხაშვილის ლურჯა ცხენი და ზურგზე მოექცევა. უჩვეულოდ გახალისებულ პოეტს მის ლექსებს უკითხავენ მწყემსები: გლახო ძმანაშვილი, ვასილ ხუნაშვილი და სხვები. ისევ მიიწევენ მთებისკენ. გალაკტიონის ყურადღებას იქცევს ის, რომ გარშემო ხეები არ არის და, მიუხედავად ამისა, ბუნება მშვენიერია. პოეტი შენიშნავს ქვების განსაკუთრებულ სიუხვეს. გზადაგზა ისევ იღებენ ფოტოებს. მალე მანქანა უფუჭდებათ და მწყემსებისგან ნათხოვარი საბარგო მანქანით აგრძელებენ გზას. აღიან ციცაბო მთაზე და როდესაც ტბასთან მიაღწევენ, გალაკტიონს აღფრთოვანება და გაოცება იპყრობს. უზარმაზარი, ლამაზი ტბის ხილვა აღფრთოვანებს პოეტს, ათვალიერებს მიმდებარე ტერიტორიას და ხედავს, რომ ოთხივე კუთხით სოფლებია, თუმცა ისეთი სოფლები, როგორც მას აქამდე არასოდეს უნახავს: ბანიანი სახლებით და უმცენარო ეზოებით. აგონდება ხალხური ბალადა „თავფარავნელი ჭაბუკი“. ახსენდება, რომ ფარავნის ტბასთან არასდროს ამოსულან არც ილია, არც ვაჟა და არც აკაკი, არც მისი თანამედროვე მწერლები. აცნობიერებს, რომ პირველია ცნობილ პოეტთაგან, ვინც ამ მიდამოს ეწვია.

➤ 13009

1955

## 28 ივლისი

ფარავნის ტბასთან იშლება სუფრა. გალაკტიონი ინტერესდება მწყემსების საქმიანობითა და ცხოვრების წესით და არკვევს, რომ ზოგ მათგანს ორმოცდაათი წელი აქვს სამოვრებზე გატარებული. პოეტის ყურადღებას იქცევს მწყემსების ყოფასთან დაკავშირებული დეტალები: კომბალი, ნაბდები, ფაფახები, კარვები, ძაღლები, აგრეთვე ისიც, თუ როგორ ფრთხებიან და გარბიან ცხვრები ავტომანქანის დანახვისას. ვახტანგ გურგენიძესთან და გივი კილურაძესთან ერთად პოეტი მწყემსებს ურიგებს ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს და ამჩნევს, რომ ძალიან უხარიათ. იღებენ ფოტოებს. ერთი ახალგაზრდა მწყემსი პოეტს აოცებს მისი ლექსების ცოდნით, გალაკტიონი კი დაპირებას იძლევა, რომ მათი ცხვრის ფარასავით მრავალრიცხოვან ლექსებს დაწერს. სადამოვდება, პოეტი აკვირდება ბუნებას, გასცქერის მთებს, მინდვრებს, წყაროებს და აღფრთოვანებულია მათი სილამაზითა და დიდებულებით. ფიქრობს, რომ არასდროს დაავიწყდება მესხეთ-ჯავახეთის ქვებით მოფენილი მიდამო. გონებაში თვალს გადაავლებს ამ ადგილების ისტორიულ წარსულს და გული წყდება, რომ აქ, სადაც ოდესღაც საქართველო ბრწყინავდა, ახლა ქართველობა უმცირესობას წარმოადგენს და მხოლოდ ექვსი ქართული სოფელია დარჩენილი. მწყემსები ქვის ქოხში ანთებენ ცეცხლს. გალაკტიონი და მისი თანამგზავრები სითბოში გადაინაცვლებენ და აგრძელებენ მეცხვარეებთან საუბარს. მსჯელობენ სულხან-საბას სიტყვების შესახებ: „მესხეთ-ჯავახეთში ცხოვრობს ხალხი მსგავსი ქართლის ხალხთა, გახონა“. ირკვევა, რომ „გახონა“ დამამცირებელი სიტყვაა. ახსენდებათ ვაჟა-ფშაველას შეგონება განათლების აუცილებლობაზე. გალაკტიონი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა ეს ტერიტორია მსოფლიო მნიშვნელობის დასვენებისა და გართობის ადგილად ქცეულიყო. ის მწყემსებს ჰპირდება, რომ თბილისში დაბრუნებისას მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლებს უამბობს ამ კუთხის შესახებ და ურჩევს, რომ ოჯახებით ჩავიდნენ იქ, თან დაისვენონ და თან შეისწავლონ. ღამდება. სტუმრები ემშვიდობებიან მწყემსებს და ისევ ახალქალაქისკენ ბრუნდებიან.



➤ 13010

1955

28 ივლისი

თავფარავნის მონახულებისა და მწყემსებთან შეხვედრის შემდეგ ვახტანგ გურგენიძესთან და გივი კილურაძესთან ერთად ღამით ბრუნდება ახალქალაქის ცენტრში. ადგილობრივები სტუმრებს ვახშმად მიიპატიჟებენ რაიკომის თანამშრომლის ოჯახში. ვახშმის შემდეგ ბრუნდებიან სასტუმრო „ჯავახეთში“. დაძინებამდე პოეტი ფიქრობს იმდღევანდელ შთაბეჭდილებებზე, ნანახ ადგილებზე, ადამიანებზე, მთებზე, რომელთა მსგავსი არასდროს უნახავს. მისი აზრით, ამაზე უკეთესი მთები შეუძლებელია სადმე სხვაგან იყოს. ცდილობს, ემოციები უბის წიგნაკში გადაიტანოს. აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც აღწერს მთელი დღის ამბებს და საკუთარ შთაბეჭდილებებს.

➤ 13011

1955

29 ივლისი

დილის თერთმეტი საათისთვის იმყოფება სასტუმრო „ჯავახეთში“. იხსენებს წინა დღის ამბებს, თან სამომავლო გეგმებზე ფიქრობს. კარგ ხასიათზეა. აცნობიერებს, რომ მსგავსი ამაღლებული სულიერი განწყობილება იშვიათად თუ დაუფლება. ჯანმრთელობის პრობლემები, გაცივება და გულთან დაკავშირებული გარკვეული ჩივილები, რაც სიმაღლისგან უნდა იყოს გამოწვეული, მის ხასიათზე უარყოფით გავლენას ვერ ახდენს. სასტუმროს ნომერში ელოდება ვახტანგ გურგენიძესა და გივი კილურაძეს, რომლებიც რამდენიმე საათის წინ გავიდნენ სასტუმროდან, ჩანთები დატოვეს და პოეტს დაუბარეს, რომ მალე დაბრუნდებოდნენ, თუმცა ჯერ კიდევ არ ჩანან. გალაკტიონი ვარაუდობს, რომ მისი თანამგზავრები შემდგომი მოგზაურობის ამბის მოსაგვარებლად წავიდნენ. იწყებს ფიქრს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებისა და ყოფის შესახებ. ახსენდება მწყემსის ნათქვამი, რომ ცხვარში რაღაც დაავადება გაჩნდა. შემდეგ აგონდება ახალქალაქის დათვალეირებისას ნანახი მშვენიერი, აღმოსავლური შეფერილობისა და ფორმის კიდობნები, რომელთაც ადგილობრივი დურგალი ამზადებს. უკვე თორმეტი საათი იწყება, ვახტანგი და გივი ჯერ კიდევ არ დაბრუნებულან. პოეტი ჯავახეთზე ფიქრს აგრძელებს და უბის წიგნაკში იწერს გართიმულ ორსტრიქონედს: „მწყემსს მწერვალიდან გადავახედე: აბა, დახედე: ჰა, ჯავახეთი“.

➤ 13012

1955

29 ივლისი

ახალქალაქის სასტუმროში ახლადმისული აივანზე გადის და უბის წიგნაკში იწყებს ლექსის წერას. როდესაც ოთახში ბრუნდება და ჩანაწერში რაღაცას ასწორებს, ვახტანგ გურგენიძე უღებს ფოტოს. გალაკტიონი მას და გივი კილურაძეს უკუთხავს ახლადდაწერილ ლექსს სახელწოდებით „მესხეთ-ჯავახეთი“. ისინი აღტაცებულები ეხვევიან და გულში იკრავენ.

➤ 13013

1955

29 ივლისი

იღვიძებს დილაადრიან. მის თანამგზავრებს – ვახტანგ გურგენიძესა და გივი კილურაძეს ჯერ კიდევ სძინავთ. პირს იბანს ყინულივით ცივი წყლით, ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თბილისშიც ასეთივე წყალი ჰქონდეთ. გრძნობს, რომ გაცივდა, თუმცა ცდილობს ჯანმრთელობის მდგომარეობას ყურადღება არ მიაქციოს. აპირებს, აფთიაქში შეიაროს და შეიძინოს გრიპის საწინააღმდეგო პრეპარატი კალცექსი. ვიღაც ბავშვს სთხოვს, მიასწავლოს გზა აფთიაქამდე. ბავშვი თან უხსნის, რომელ მხარეს წავიდეს, თან აფთიაქამდე მიაცილებს პოეტს. გალაკტიონს ახარებს ეს ჟესტი და ფიქრობს, როგორი ზრდილობიანი აღმოჩნდა უცნობი ბავშვი.

➤ 13014

1955

### 29 ივლისი

ემზადება ტაბაწყურის ტბისკენ გასამგზავრებლად. გონებაში გაუელვებს სიტყვები „უკანასკნელი ომნიბუსი“, რაც მის შეძრწუნებას იწვევს. თავს იმშვიდებს, რომ ეს მოგზაურობა უკანასკნელი არ იქნება. აგრძელებს ფიქრს, ახსენდება მესხეთ-ჯავახეთთან დაკავშირებული ხალხური ლექსის სტრიქონი: „მე ჯავახეთს რა მინდოდა“, ასევე, იხსენებს თავის ლექსებს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ და „მესხის გამოხედვა“. ფიქრობს წინა დღით გადაღებულ ფოტოებზე, აინტერესებს, როგორი სურათები გამოვა. ახსენდება, რომ უკვე ოცი დღეა, რაც ვახტანგ გურგენიმესთან ერთად მოგზაურობა დაიწყო. აცნობიერებს, რომ მიუხედავად დროის სიმცირისა, ამ ოც დღეში მის ცხოვრებაში ბევრი ახალი რამ მოხდა. გონებაში ჩამოთვლის იმ ადგილებს, რომლებსაც ვახტანგთან ერთად ესტუმრა. შემდეგ ბრუნდება სასტუმროს ოთახში და იწყებს ფიქრს, რომ მოგზაურობის დროს ნანახი ადამიანები ხშირად იხსენებენ მეორე მსოფლიო ომის ამბებს. აგონდება სასტუმროს დამლაგებელი ქალის ნათქვამი, რომ მისი ქმარი ომიდან აღარ დაბრუნებულა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამ ფიქრისას ახსენდება, რომ უკვე მეოთხე დღეა გაზეთი არ წაუკითხავს და არ იცის, რა შედეგები მოჰყვა ჟენევაში ოთხი სახელმწიფოს მთავრობის მეთაურთა თათბირს და როგორ განვითარდა მოვლენები. ცდილობს, გაარკვიოს ეს ამბავი, მაგრამ აღმოჩნდება, რომ ადგილობრივებმა ამ საკითხის შესახებ არაფერი იციან.

➤ 13015

1955

### 29 ივლისი

ახალქალაქის სასტუმროში ხანმოკლე დასვენების შემდეგ თანმხლებ პირებთან ერთად სტუმრობს სოფელ ჭობარეთის პიონერთა ბანაკს. 4 საათზე იმართება საზეიმო შეხვედრა, რომელზეც შეკრებილთ სიტყვით მიმართავს ბანაკის უფროსი. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოდის ახალქალაქის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი თამარ ლაზარაშვილი. პოეტისადმი მიძღვნილ ლექსებს კითხულობენ მოსწავლეები: ჟუჟუნა წინწკალამე და ეთერ ლაზარაშვილი. გალაკტიონი მაღლობას უხდის მოსწავლეებს, უკითხავს ლექსს „ახალგაზრდობა“ და ახალდაწერილ ლექსს „მესხეთ-ჯავახეთი“. შემდეგ მასპინძლები სუფრასთან ჰპატიჟებენ სტუმრებს.

➤ 13016

1955

### 29 ივლისი

ღამით ჩადიან აწყურში, ათვალიერებენ ციხეს და უძველესი საეპისკოპოსო ტაძრის ნანგრევებს, იხსენებენ 1770 წელს ერეკლე მეორის მიერ თურქების დამარცხებასა და გენერალ ტოტლებენის ღალატს.

➤ 13017

1955

### 29 ივლისი

საღამოხანს ახალქალაქის კულტურის სახლში იწყება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. კულტურის სახლამდე პოეტს ოვაციებით მიაცილებენ. საღამოზე სიტყვას ამბობს ახალქალაქის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი თამარ ლაზარაშვილი. შემდეგ რაიონის ქართული სასწავლებლის პედაგოგი ფილოლოგი არსენ კარაპეტიანი კითხულობს გალაკტიონისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსს „დიდ მგოსანს“. პოეტს სიტყვით მიმართავენ რაიონის სომხური სკოლის დირექტორი და რუსული საშუალო სკოლის მეთევკლასელი მოსწავლე. გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსებს ასევე კითხულობენ ადგილობრივი

მცხოვრებლები. გალაკტიონი მადლობას უხდის მასპინძლებს, კითხულობს საკუთარ ლექსებს და ჰპირდება, რომ მესხეთ-ჯავახეთზე დაწერს პოემას.

➤ 13018

1955

29 ივლისი

იმის გამო, რომ ძნელადსავალი გზებია, ეგრეთწოდებული „კოლხოზნიკის“ ტიპის მანქანით აგრძელებენ გზას წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის საზაფხულო საძოვრებისკენ. გალაკტიონის სტუმრობა მწყემსებს დაუჯერებლად ეჩვენებათ და ძალზე უხარიათ. პოეტი მანქანიდან გადადის და არემარეს აღტაცებით ათვალიერებს. შემდეგ გამოთქვამს სურვილს ახლოდან ნახოს ჯავახეთის არაგვი და მისი მიმდებარე სოფლები.

➤ 13019

1955

29 ივლისი

მთიდან დაბლა ეშვებიან და ჩადიან სოფელ არაგვში, შემდეგ განაპირა სოფელ ხანდოსკენ აგრძელებენ გზას. გალაკტიონს ახსენდება ლექსი „ფაშა ჩამოხტა ხანდოსა, კარგისა მასპინძლისასა ხან მაწონსა სჭამს, ხან დოსა“. ადგილობრივი სამშენებლო ბრიგადის წევრები სოფელს ათვალიერებინებენ. გალაკტიონი თამამგზავრებს ჩამორჩება, კალოსთან მიდის, კვერზე დგება და ნიშა ხარებით ირგვლივ უვლის. მასთან მისულ ვახტანგ გურგენიძეს კი სთხოვს, რომ სიმღერა „კალოსპირული“ შემოსძახონ. გურგენიძე დროს იხელთებს და სურათს უღებს.

➤ 13020

1955

29 ივლისი

ხანდოსა და სხვა სოფლების მონახულების შემდეგ ახალქალაქში ისვენებენ და გზას სამცხე-ჯავახეთის საეპისკოპოსო ტაძარ კუმურდოსაკენ აგრძელებენ. გალაკტიონი მდუმარედ უვლის გარშემო ტაძრის ნანგრევებს, გული სტკივა, რომ ასე უპატრონოდ არის მიტოვებული ეს უძველესი ძეგლი და განიზრახავს ამის შესახებ აუცილებლად დაწეროს თბილისში დაბრუნებისას. ვახტანგ გურგენიძე იღებს ფოტოსურათებს.

➤ 13021

1955

29 ივლისი

კუმურდოს შემდეგ თურქეთის საზღვრამდე მდებარე სოფელ კარწახთან მიდიან. ათვალიერებენ სოფლის ტბას. ადგილობრივი მცხოვრებლები და ქართველი მესაზღვრეები სიხარულით ხვდებიან. ახალქალაქის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი თამარ ლაზარაშვილი ტელეფონით ესაუბრება სასაზღვრო რაზმის დაცვის უფროსს, ატყობინებს გალაკტიონის სტუმრობის შესახებ და სთხოვს, რომ საზღვართან მიახლოების ნება დართონ. ცოტა ხანში საზღვრის დაცვის უფროსი მათთან წიგნებით ხელში მოდის. ერთ წიგნში გალაკტიონის ფოტო და რუსული ლექსებია დაბეჭდილი, მეორე კი რუსული სკოლების მოსწავლეთათვის განკუთვნილი რუსული ლიტერატურის ქრესტომათიაა, რომელშიც გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არის მოთხრობილი. ეს ფაქტი პოეტზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს.

➤ 13022

1955

27-30 ივლისი

ბორჯომის ხეობის მშვენიერი პეიზაჟებისაგან მიღებული შემოქმედებითი იმპულსის შედეგად წერს ლექსს „ბორჯომის ხეობა“.

➤ 13023

1955

30 ივლისი

კარწახიდან წამოსვლის შემდეგ მოინახულებენ სოფელ ოკამს, სადაც მეზობელ სოფელ ქალდიდან გადმოსახლებული ქართველები ცხოვრობენ. გალაკტიონი და მისი თანმხლებნი სოფლის წყაროსთან უსმენენ ადგილობრივების ნაამბობს ამ მხარის ავბედით წარსულზე. გალაკტიონს ცრემლი ერევა, შემდეგ ემშვიდობებიან მწყემსებს და შედიან სოფელში. ხვდებიან მოსავლის ასაღებად ყანებში გასულ მოსახლეობას. გალაკტიონი ესაუბრება ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელ ლევან მაისურაძეს და სოფლის ახალგაზრდობას.

➤ 13024

1955

30 ივლისი

ახალქალაქის სასტუმროდან ვარძიისაკენ იღებენ გეზს. გზად უძველეს ციხე-ქალაქ ხერთვისთან ისვენებენ. მოინახულებენ წუნდის ეკლესიას და სოფელ ნაქალაქევს, ასევე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ნანგრევებად ქცეულ თმოგვის ციხეს, ვანის ქვაბებს და უახლოვდებიან ვარძიას.

➤ 13025

1955

30 ივლისი

საცალფეხო ბილიკით ადიან მაღლა და თითქმის სრულად ათვალეიერებენ ვარძიის კომპლექსს, რის შემდეგაც დაბლა ეშვებიან და მტკვრის პირას სადილობენ. ნასადილევს ვახტანგ გურგენიძის მშობლიურ სოფელ საროსკენ იღებენ გეზს. გალაკტიონი ინტერესდება სოფლის ისტორიით და ისმენს თქმულებას შოთა რუსთაველის შესახებ. საღამოს 7 საათზე სასოფლო კლუბში იმართება გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი შეხვედრა, რომელსაც ხსნის არსენ ასპანიძე, შემდეგ ვახტანგ გურგენიძე წარმოთქვამს სიტყვას და კითხულობს პოეტის ლექსს „რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარს“. დარბაზი ფეხზე მდგარი ოვაციებით ხვდება პოეტს. შემდეგ გივი კილურაძე კითხულობს გალაკტიონის ლექსებს. დასასრულს სტუმარი მადლობას უხდის მასპინძლებს და არსენ ასპანიძის ოჯახში ვახშობენ. გალაკტიონს მასპინძელი თამადა მეოცე საუკუნის 20-იანი წლებში გათურქებული მესხების ამ რეგიონის მოსახლეობაზე თავდასხმისა და საკუთარი ოჯახის ტრაგედიაზე უამბობს. გალაკტიონი ეუბნება, რომ ტაბიძეებიც წარმოშობით მესხებიდან არიან.

➤ 13026

1955

30 ივლისი

ფიქრობს მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობის შესახებ. ცდილობს, ემოციები პოეტურ ტექსტად გარდაქმნას. იწყებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „გადმოვლახეთ მთა და სერი...“. წერს ამ ლექსის რამდენიმე სტროფს.

➤ 13027

1955

30 ივლისი ან შემდეგ

წერს ლექსს „ვარძია“.

➤ 13028

1955

ივლისი

კმაყოფილია, რომ ივლისის თვეში მშობლიური კუთხე მოინახულა. უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ მოგზაურობას აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

➤ 13029

1955

ივლისი

წერს ლექსს „მეგობარ პოეტს“ („თუ პოეზიის ხარ ფალავანი“).

➤ 13030

1955

ივლისი

წერს სახუმარო, უსათაურო ლექსს „მწერთა კავშირში ჩოთქმა“, სადაც ამჟღავნებს მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას პროზაიკოსების მიმართ.

➤ 13031

1955

ივლისი

თბილისში კინოთეატრში „რუსთაველი“ ნახულობს დოკუმენტურ ფილმს „გალაკტიონი ვანის მშრომელებთან.“

➤ 13032

## ა გ ვ ი ს ტ ო

1955

1 აგვისტომდე

აწუხებს სახსრების, განსაკუთრებით, მუხლების ტკივილი, რომელიც უძლიერდება სიარულისა და დაჯდომის დროს. კიბეზე მარტივად ადის, მაგრამ ჩასვლა უჭირს.

➤ 13033

1955

1 აგვისტო

ასპანიძეების ოჯახიდან ასპინძისაკენ მიემგზავრებიან. გალაკტიონი მძღოლს სთხოვს, ავტომანქანა ნელა ატაროს, რომ გარემო უკეთ დაათვალიეროს. მტკვრის პირას ნასოფლარ ხვილიშასთან ნახულობენ ეკლესიის ნანგრევებს და გალაკტიონი ისმენს ლეგენდას ამ სოფელთან დაკავშირებით. თანამგზავრებთან ერთად იხსენებს ერეკლე მეორის მიერ 1700 წელს ამ ადგილებში გამართულ ბრძოლას, როცა გამარჯვებულმა მეფემ ორთაბრძოლისას თურქთა სარდალს კოხტა ბელადს თავი მოჰკვეთა. შემდეგ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ათვალიერებენ ასპინძის აბანოებს და ჩადიან ასპინძაში.

➤ 13034

1955

1 აგვისტო

ასპინძაში ადგილობრივი ხელმძღვანელების თანხლებით ათვალიერებენ რაიონის ცენტრს, კულტურის ცენტრის ბაღში იღებენ სურათებს და ადიან ასპინძის ციხეზე. შესვენების შემდეგ ემშვიდობებიან მასპინძლებს და რაიადმასკომის თავმჯდომარის ლ. ისაკაძის თანხლებით ახალციხისკენ მიემგზავრებიან. ასპინძისა და ახალციხის შუა გზაზე ჩერდებიან სოფელ რუსთაველი. ისაკაძეს გალაკტიონი სთავაზობს სოფლის შესასვლელთან შოთა რუსთაველის ძეგლის დადგმას, შემდეგ მანქანაში სხდებიან და ახალციხისკენ აგრძელებენ გზას. სოფელ მინაძის მისადგომებთან ისვენებენ და გასცქერიან საფარის მონასტერს, სამცხის ათაბაგთა საგვარეულოს. საავტომობილო გზის უქონლობის გამო მონასტრის დათვალიერებას ვერ ახერხებენ და მიემგზავრებიან ახალციხეში.

➤ 13035

1955

**1 აგვისტო**

ჩადიან ახალციხეში, ისვენებენ ქალაქის ბაღში, ათვალიერებენ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს და ქალაქის უძველეს ნაწილს რაბათის ციხეს. შემდეგ ადიგენისკენ იღებენ გეზს. გზად სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მცირერიცხოვანი ქართული მოსახლეობის წარსულსა და დღევანდელიობაზე საუბრობენ.

➤ 13036

1955

**1 აგვისტო**

ჩადიან ადიგენში. 12 საათზე რაიონის ხელმძღვანელობა და ადგილობრივი მოსახლეობა რაიონის ცენტრში ხვდება გალაკტიონს. შემდეგ ადიგენიდან აჭარისკენ მიმავალ გზაზე ულამაზეს ადგილას, ცივწყაროზე უმართავენ სადილს. წვეულების შემდეგ პოეტი მადლობას უხდის მასპინძლებს.

➤ 13037

1955

**1 აგვისტო**

ცივწყაროზე სადილის შემდეგ გალაკტიონ ტაბიძე და მისი მხლებლები ზარზმის მონასტერს სტუმრობენ. გალაკტიონი იხსენებს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას“, ტაძრის ეკვდერის მაშენებლის იოანე სულას ძის წარწერას და მოწიწებით ათვალიერებს უძველეს ჩუქურთმებს. მისი თხოვნით ვახტანგ გურგენიძე ტაძრის ნანგრევების ფონზე ცხენის ქანდაკებასთან უღებს ფოტოს.

➤ 13038

1955

**1 აგვისტო**

ჩადის ადიგენში და გულდასმით ათვალიერებს ზარზმის მონასტერს. 8 საათზე კი იმართება შეხვედრა, რომელზეც კითხულობს ლექსს „მესხეთ-ჯავახეთი“.

➤ 13039

1955

**1 აგვისტო**

ადიგენის ხელმძღვანელობა სთავაზობს აბასთუმნის დათვალიერებას და პოეტიც თანმხლებ პირებთან ერთად იქეთ მიემგზავრება. საღამოს 7 საათისთვის ჩადიან აბასთუმანში და ათვალიერებენ სამკურნალო სანატორიუმებს. აბასთუმანი პოეტს ლაღო ასათიანს ახსენებს, რომელიც, თავისი უკურნებელი სენის გამო დიდ დროს ატარებდა იქ.

➤ 13040

1955

**1 აგვისტო**

გალაკტიონზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ზღვის დონიდან 1700 მეტრზე ყანობილის მთაზე აღმართული სამთო ასტროფიზიკური ობსერვატორია. ახალგაზრდა მეცნიერები დიდი პატივისცემით იღებენ სტუმარს და დაღამებისას ტელესკოპით ათვალიერებინებენ ციურ სხეულებს.

➤ 13041

1955

**1 აგვისტო**

დამის 12 საათზე გალაკტიონი და მისი თანმხლები პირები ჩადიან ბორჯომში. სასტუმრო გადატვირთულია, რაიონის ხელმძღვანელობა კი თავს არ იწუხებს მათ დაბინავებაზე. ამიტომ ვახტანგ გურგენიძეს ისინი საკუთარი მშობლების სახლში მიჰყავს. გალაკტიონს სიამოვნებს მასპინძლების გულთბილი მიღება და თავს კარგად გრძნობს.

➤ 13042

1955

## 2 აგვისტო

იმყოფება ბორჯომში, ვახტანგ გურგენიძის მშობლების ოჯახში. დილით ათვალიერებს გურგენიძეების სახლის მიმდებარე გარემოს და ინტერესდება რატომ არ დაარქვეს იმ ქუჩას მესხეთ-ჯავახეთის სახელი იქაური მაცხოვრებლების წარმოშობის მიხედვით. ვახტანგ გურგენიძის მამა უამბობს, რომ ჯერ კიდევ სოფელ საროში ცხოვრების დროს ოჯახში ჰქონდათ „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი წიგნი, რომელიც ოჯახის ახლობელს მოუპარავს და სანაცვლოდ ცხვრები გაუგზავნია. საუზმეზე სუფრას შლიან და მასპინძლებს უკვირთ, რომ გალაკტიონი არ სვამს. პოეტი უხსნის, რომ მგზავრობისას არ უყვარს ღვინის დალევა. ის საუბრობს მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე და მასპინძლებთან ერთად მღერის მესხურ „მრავალჟამიერს“, ცოტა ხნის შემდეგ კი გადის შუშაბანდში და უბის წიგნაკში წერს ლექსს „ბორჯომის მუხა“.

➤ 13043

1955

## 2 აგვისტო

შუადღისას გალაკტიონი გურგენიძეების ოჯახს ემშვიდობება, თანმხლებ პირებთან ერთად ათვალიერებს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, რაიონის ბიბლიოთეკას, წიგნის მაღაზიას, ლიკანის სანატორიუმს და ისვენებს მისთვის გამოთავისუფლებულ სასტუმრო „ბორჯომის“ ნომერში.

➤ 13044

1955

## 2 აგვისტო

საღამოს 9 საათზე რაიონის კულტურის სახლში უწყობენ შეხვედრას. საღამო სადღესასწაულო სახეს იღებს. მას კულტურის განყოფილების გამგე ხსნის და შემდეგ მიმოიხილავენ მის შემოქმედებას. მისასალმებელი სიტყვით გამოდიან სტუდენტები და მოსწავლეები. შეხვედრაზე გადაწყდება, რომ ბორჯომის საბავშვო ბიბლიოთეკას გალაკტიონ ტაბიძის სახელი მიენიჭოს. დასასრულს გალაკტიონი მაღლობას უხდის შეხვედრის მონაწილეებს და კითხულობს ლექსებს. „რევოლუციურ საქართველოს“, „მესხეთ-ჯავახეთი“ და „ბორჯომის მუხა“. შეხვედრის შემდეგ იმართება კონცერტი და ვახშამი. დამეს სასტუმროში ათენებენ.

➤ 13045

1955

## 2 აგვისტოს შემდეგ

ვარძიაში მოგზაურობის შემდეგ უუარესდება ჯანმრთელობის მდგომარეობა და უძლიერდება სახსრების ტკივილი.

➤ 13046

1955

## 3 აგვისტო

დილით ბორჯომიდან თბილისისკენ მიემგზავრება. გორთან ის და მისი თანმხლები პირები ათვალიერებენ არქეოლოგიურ გათხრებს და შემდეგ აგრძელებენ გზას თბილისისკენ.

➤ 13047

1955

### 3 აგვისტოს შემდეგ

წერილს იღებს ლავრენტი ძიძიგურისგან, რომელიც ნაწყენია იმაზე, რომ გალაკტიონს ბარათით სთხოვა 200 მანეთის სესხება და ის არც კი შეხმიანებია. სთხოვს, დაუბრუნოს გალაკტიონის სურათი, რომელიც პოეტმა მისგან ითხოვა იმ პირობით, რომ დაუბრუნებდა.

➤ 13048

1955

### 6 აგვისტო

ყიდულობს 2000 ცალ სხვადასხვა ზომის ჩარჩოს ფოტოსურათებისთვის.

➤ 13049

1955

### 8 აგვისტო

თავის ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს აჩვენებს სოფელში გადაღებულ სურათებს და ეჩვენება, რომ ანდრო თევზაძე მასზე მეტ ფოტოში ჩანს. საერთოდ აინტერესებს ფოტოგრაფია და ნოდარს სთავაზობს, რომ შეიძინონ ფოტოაპარატი და წყნეთში ლაბორატორია მოაწყონ.

➤ 13050

1955

### 9 აგვისტომდე

ფიქრობს ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამოს შესახებ, რომლის მოწყობასაც, როგორც მწერალთა კავშირის პოეტების სექციის ხელმძღვანელი, 23 ივლისს აპირებდა, მაგრამ ღონისძიების ჩატარება დაგეგმილ დროისათვის ვერ მოხერხდა. ამჯერად სურს, ღონისძიება ცხრა აგვისტოსთვის გადაიტანოს. გეგმავს, უშუალოდ ჩაერთოს გამოფენის მოწყობაში და თვითონ შეარჩიოს შესაფერისი თემებიც და ქვეთემებიც. გარდა ამისა, აპირებს, ღონისძიებამდე გაეცნოს ვაჟა-ფშაველას შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, წაიკითხოს ნარკვევები ისეთი საკითხების შესახებ, როგორიცაა: გმირის სახე ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, თემისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა, ვაჟას თანამედროვე სოფელი და მისი მოსახლეობა, საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძვლები მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში. სურს, მწერლის შესახებ არსებული ლიტერატურიდან გამოფენისთვისაც შეარჩიოს ტექსტები. გარდა ამისა, უბის წიგნაკში ინიშნავს, თუ რა საკითხებია გადასაწყვეტი საღამოს ჩასატარებლად.

➤ 13051

1955

### 9 აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „უბრწყინვალეს გზას რომ სახავს...“.

➤ 13052

1955

### 9 აგვისტო

გიორგი ლეონიძესთან ერთად გვირგვინით ამკობს ვაჟა-ფშაველას საფლავს მთაწმინდაზე. შემდეგ მწერალთა ჯგუფს გამოეყოფა, ბარათაშვილის საფლავთან მიდის, ვახტანგ გურგენიძეს სურათის გადაღებას სთხოვს და ეუბნება, რომ ამ ადგილზე გალაკტიონის საფლავი იქნება.

➤ 13053

1955

### 9 აგვისტო



ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 40 წლისთავის აღსანიშნავად გალაკტიონ ტაბიძესა და გიორგი ლეონიძეს მთაწმინდის პანთეონში მწერლის საფლავთან მიაქვთ ცოცხალი ყვავილების დიდი გვირგვინი წარწერით „ვაჟა-ფშაველას ქართველი მწერლებისგან“. საფლავს ყვავილებით ამკობენ სხვა მწერლებიც და ვაჟა-ფშაველას სახელობის ბიბლიოთეკის მუშაკები.

➤ 13054

**1955**

**10 აგვისტო**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ვლადიმერ გინზბურგის მიერ გადაღებული ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 40 წლისთავის აღსანიშნავად მთაწმინდის პანთეონში პოეტის საფლავთან შეკრებილი მწერლებისა და თბილისის ინტელიგენციის ჯგუფური ფოტო, რომელზეც გამოსახულნი არიან: გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, პავლე ინგოროყვა, შალვა რადიანი, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე შანიძე და სხვები.

➤ 13055

**1955**

**10 აგვისტო**

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“, ინიშნავს ვაჟა-ფშაველას 40 წლისთავისთვის დაბეჭდილ ინფორმაციას „გუმინ მთაწმინდაზე“ და გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“ გამოქვეყნებულ სტატიას პოეტ ანდრო თევზაძეზე.

➤ 13056

**1955**

**10 აგვისტო**

გაზეთში „კომუნისტის დროშით“ იბეჭდება ლექსი „ბორჯომის მუხა“.

➤ 13057

**1955**

**10 აგვისტო**

გაზეთში „ოქტომბრის დროშით“ იბეჭდება ლექსი „მესხეთ-ჯავახეთი“.

➤ 13058

**1955**

**12 აგვისტო**

იმყოფება წყნეთში, წერს უსათაურო ლექსს „რა სჯობს მუდამ მზად ყოფნას, რომ ცხოვრება განაგო...“.

➤ 13059

**1955**

**12 აგვისტო**

იმყოფება წყნეთში, იფნის ბაღში, წერს ლექსს „იფნის შოლტივით მოქნეულ გზაზე“.

➤ 13060

**1955**

**12 აგვისტო**

ვახტანგ გურგენიძე გალაკტიონს უთანხმდება, რომ ვაჟას გარდაცვალების მეორმოცე წლისთავზე გაემგზავრებიან დუშეთსა და ჩარგალში. პოეტი შეხვედრას მარჯანიშვილის მოედანზე დილის ათ საათზე ნიშნავს. მათთან ერთად კრიტიკოსი ლავროსი კალანდაძეც მიემგზავრება.

➤ 13061

1955

#### 12 აგვისტოს შემდეგ

ეცნობა რუსულ ჟურნალს „ხალხთა მეგობრობა“ და ინიშნავს შოთა ლომსაძის მოხსენებას „სანაპიროს თემა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“.

➤ 13062

1955

#### 14 აგვისტო

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლავროსი კალანდაძის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“, რომელიც წარმოადგენს გამოხმაურებას პოეტის 1954 წელს გამოცემულ რჩეულზე. ამ წიგნს კრიტიკოსი აფასებს, როგორც მნიშვნელოვან მოვლენას ქართული ლიტერატურისათვის, თუმცა შენიშნებს გამოთქვამს შემდგენლის მისამართით. იგი გაუმართლებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ წიგნში შეტანილი არ არის გალაკტიონის შედეგები „რომელი საათია“, „შემოდგომის ფრაგმენტი“, ხოლო „ლექსი, რომლითაც რჩეული იხსნება, საერთოდ არ ეკუთვნის გალაკტიონის რჩეულ ლექსთა რიცხვს“. ლავროსი კალანდაძე იმასაც აღნიშნავს, რომ თემატური განყოფილებები არ არის სათანადოდ შერჩეული და ლექსების უსისტემო განლაგება დიდად გაუძნელებს მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეიქმნას პოეტის მსოფლმხედველობრივ ევოლუციაზე. იგი მიიჩნევს, რომ შემდგენელს აუცილებლად უნდა დაეცვა ქრონოლოგიური პრინციპი.

➤ 13063

1955

#### 14 აგვისტო

დილით დათქმულ დროს ვახტანგ გურგენიძე და ლავროსი კალანდაძე ხვდებიან გალაკტიონს და მისი მანქანით მიემგზავრებიან. საჭეს მისი მძღოლი არტო უზის. მცხეთაში ჩასულები ჩერდებიან სვეტიცხოველთან, მდუმარედ გარს უვლიან ტაძარს, მაგრამ შიგ არ შედიან ისე აგრძელებენ გზას. წუთით შეისვენებენ წიწამურში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილას და საუკუნის ამ დანაშაულზე საუბრობენ. ნატახტართან შესვენებისას გალაკტიონი იხსენებს პლატონ იოსელიანის შეფასებას რუსეთ-საქართველოს ისტორიასთან მიმართებით და მოსწონს მისი თვალსაზრისი. შემდეგ ახსენებს ზაქრია ჭიჭინაძის წიგნს პლატონ იოსელიანზე და მის ფრაზას იმის შესახებ, თუ როგორ იწინასწარმეტყველა პლატონ იოსელიანმა ქართველი ერის გარუსება.

➤ 13064

1955

#### 14 აგვისტო

ადიან დუშეთში და ბინავდებიან სასტუმროს მეორე სართულზე, ე. წ. რაიკომის ნომერში, რაც ზოგი მწერლის უკმაყოფილებას იწვევს. საღამოს დაწყებამდე ათვალთვლებენ რაიონის ცენტრს, ბიბლიოთეკას, საზაფხულო თეატრს, ბაზარს და შენობას, სადაც მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა ილია ჭავჭავაძე. შემდეგ სასტუმროში ბრუნდებიან, ადიან აივანზე და სკამზე მჯდომს ვახტანგ გურგენიძე უღებს სურათს. სასტუმროში საუბრობენ ვაჟა ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და მისი ვაჟის, ლევან რაზიკაშვილის ტრაგიკულ ბედზე. გალაკტიონი გამოთქვამს აზრს, რომ ვაჟა ჰომეროსია, თუმცა ჰომეროსი ვერ ამალდებდა ვაჟას მთებამდე და ვერც დადაბლდებდა მისი „შვლის ნუკრის ნაამბობამდე“. ვაჟა უფრო მეტად მითითრიც არის და თანამედროვეც. ასევე, ამბობს, რომ მისი და ვაჟას ცხოვრება ბევრით ჰგავს ერთმანეთს. ვაჟას სიღარიბეში, წვალეზასა და შიმშილში ამოხდა სული და გალაკტიონიც ასეთ დღეშია. ვაჟას საკუთარ თავს იმითაც ამსგავსებს, რომ ორივემ პედაგოგობით დაიწყო მოღვაწეობა. გალაკტიონის თქმით, ასეთი ადამიანები, თითქმის ყველა, სიცოცხლეში უბედურები არიან.

➤ 13065

1955

## 14 აგვისტო

ლავროსი კალანდაძის რეცენზიას „გალაკტიონის რჩეულის გამო“ კითხულობს შემახილებით: „აბა ჰე, აბა ჰე... გავახაროთ, გავახაროთ... ხალხი, ძამიკო ხალხი, აბა ვინ? ვნახოთ!“.

➤ 13066

1955

## 14 აგვისტო

თეიმურაზ ჯანგულაშვილი უძღვნის ლექსს, სახელწოდებით „ჩარგალი, 1955 წლის 14 აგვისტო“.

➤ 13067

1955

## 14 აგვისტო

იმყოფება დუშეთის საზაფხულო თეატრში, სადაც უნდა ჩატარდეს ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ღონისძიება. პოეტი რამდენიმე პიროვნებასთან ერთად დანიშნულ დროზე ადრე მიდის თეატრში და იკავებს საკუთარ ადგილს. ათვალეიერებს გარემოს. მალე თეატრი ხალხით ივსება. აოცებს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ნახევარი საათის წინ თეატრში კაცის ჭაჭანება არ იყო, ახლა კი იქაურობა გადაჭედებულია. დიდხანს ელოდებიან ღონისძიების დაწყებას, დრო გადის, ფარდა კი არ იწევა. იგრძნობა, რომ ფარდის მიღმა ემზადებიან კონცერტის დასაწყებად. პოეტი აკვირდება ფარდას, რომელიც ირხევა, რადგან მის მიღმა ვიღაც მოძრაობს. აუდიტორია იცდის, თან მოუთმენლობა იპყრობს ყველას, გალაკტიონს ეს ამბავი აშფოთებს, ვერ ხვდება, ასე რა მიზეზით იქცევინან ორგანიზატორები, რის გამო აცდევინებენ ხალხს, ან რატომ არ შეიძლება, რომ ყველაფერი თავის დროზე გაკეთდეს.

➤ 13068

1955

## 14 აგვისტო

დუშეთის საზაფხულო თეატრში ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილ შემოქმედებით საღამოსთან დაკავშირებით ბევრი რამითაა უკმაყოფილო, უპირველესად კი იმით, რომ ვიღაცები ფშაური სტილით კითხულობენ გრძელ, გაჭიანურებულ ლექსებს, მათ შორის არის გიორგი ლეონიძის მიერ მოწვეული პიროვნება, რომლის გამოსვლაც ძალიან გაიწეა. ასევე აღიზიანებს ადგილობრივი პედაგოგის მიერ წაკითხული ლექსის შინაარსი, რადგან ავტორს ნაწარმოებში ვაჟას მტრად აკაკი წერეთელი ჰყავს ნაგულისხმევი. ფიქრობს, რომ, ზოგადად, საღამოს კუთხური ელფერი მიეცა, რაც, მისი აზრით, მოსაწონი არ არის. ბესარიონ ჟღენტის მოხსენების მოსმენისას რჩება შთაბეჭდილება, რომ მან ვაჟა დაახასიათა თანამედროვე პოეზიისაგან სრულიად მოწყვეტილად. გარდა ამისა, მოხსენების ნაკლად მიიჩნევს იმასაც, რომ კრიტიკოსის გამოსვლა ძალიან გაჭიანურდა. ასევე უკმაყოფილოა გიორგი ლეონიძის შესავალი სიტყვით, რადგან, პოეტის აზრით, სიტყვა არ არის ამსახველი ვაჟას დიაპაზონისა და ამ მწერლის ხალხურობის. ფიქრობს, რომ ნორმალურია სიკო ფაშალიშვილის გამოსვლა, მოსწონს ოთარ ჭილაძის წაკითხული ლექსი, ასევე, ანდრო თევზაძის გამოსვლა, პოზიტიურად არის განწყობილი ნაზი კილასონიას მიმართ, რომელმაც ვაჟას ლექსი „არწივი“ წაიკითხა. ადგილობრივი გამომსვლელებიდან პოეტის ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა ქალი და კაცი, რომლებიც მასთან იყვნენ მისულები მწერალთა კავშირში და ლექსების რვეული მიუტანეს შესაფასებლად. ანალიზებს საკუთარ გამოსვლას, ფიქრობს, რომ მისი გამოსვლა გამორჩეულად, ფენომენალურად კარგი იყო, რადგან წასაკითხი ტექსტი – შესავალი ნაწილი პოემისა „საუბარი ლირიკის შესახებ“ („ვიგონებ ყრმობას. / შორს, ძლიერ შორს, ჭალების მიღმა...“) – კარგად იყო შერჩეული. მის ყურადღებას იქცევს ისიც, რომ აუდიტორია კარგად შეხვდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ფეხზე მაინც არ წამოდგნენ. პოეტის აზრით, ეს და სხვა ფაქტები მეტყველებს დამსწრე საზოგადოების უკულტურობაზე. ამჩნევს, რომ საზაფხულო თეატრის იქით, ბაღში მდგარ ხეებზე ბავშვები ასულან და ისე უსმენენ გამომსვლელებს. ფიქრობს, რომ ყველანაირ მაყურებელს ისინი

სჯობიან. აკვირდება მომღერალთა გუნდსაც, არ მოსწონს მათ მიერ შესრულებული მუსიკალური ნომრები, თუმცა იმას კი შენიშნავს, რომ მშვენიერი კოსტიუმები აცვიათ.

➤ 13069

1955

#### 14 აგვისტო

დუშეთში ჩატარებული ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ღონისძიების შემდეგ იმართება საზეიმო ვახშამი, რომელიც გათენებამდე გრძელდება. გიორგი ლეონიძე გალაკტიონს იმჟამინდელი საქართველოს პირველ პოეტად მოიხსენიებს, მის სადღეგრძელოს სვამს, ახლოს მიდის და გადაეხვევა. გურგენიძე ამ ფაქტს ფოტოზე აღბეჭდავს. გალაკტიონი ვახშამზე მყოფი საზოგადოებით კმაყოფილია, თუმცა სადღეგრძელოების შინაარსი სულელურად ეჩვენება და არ მოსწონს, რომ თამადას ბევრი მნიშვნელოვანი ადამიანის სადღეგრძელო გამორჩა. პოეტს აღიზიანებს ის ფაქტიც, რომ გიორგი ლეონიძის შემოქმედების მოყვარული ვიღაც მეზურნე „არ დაიდარდო, დედაოს“ მღერის. სუფრასთან ყოფნისას გალაკტიონი ესაუბრება ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე, მოწვეულ სტუმრებს. გაიცნობს ერთ პატივსაცემ ადამიანს, რომელთან საუბრისასაც არკვევს, რომ მოქანდაკე ბიძინა ავალიშვილს თურმე ეს კაცი ურჩევს ქანდაკებისთვის საჭირო ხეებს. გალაკტიონი ეუბნება, რომ ავალიშვილი მისი ქანდაკების გაკეთებას აპირებს, თანამოსაუბრე ჰპირდება, რომ მშვენიერ ხეს უშოვის მოქანდაკეს. ვახშამისას გალაკტიონი დუშეთის რაიონის მომღერალთა გუნდთან ერთად მღერის „მრავალჟამიერს“ და მსმენელთა აღტაცებას იწვევს. იქვე მყოფი ალექსანდრე გომიაშვილი ამბობს, რომ გალაკტიონს პირველი ხმა შვენის, რადგან პირველი პოეტია. ამ სიტყვების გაგონებისას პოეტს ახსენდება, რომ მსგავსი ქება გომიაშვილისგან სხვა დროსაც მოუსმენია, კერძოდ, ერთხელ მან საზოგადოების თანდასწრებით განაცხადა, რომ სახალხო პოეტი მხოლოდ ერთია – გალაკტიონი. პოეტი ხვდება, რომ მაშინაც და ახლაც გომიაშვილი სპეციალურად, მის გასაგონად ამბობდა ამ ყველაფერს.

➤ 13070

1955

#### 14 აგვისტო

დუშეთში ყოფნისას ესაუბრება ადგილობრივ მოსახლეობას. პოეტს უამბობენ, რომ იქვე არის ადგილი, რომელსაც პლატონიანთ მიწას უწოდებენ, რადგან იქ ცხოვრობდა პლატონ იოსელიანი. შეახსენებენ იმასაც, რომ ილია ჭავჭავაძე აქ მსახურობდა და დუშეთშივე დაწერა „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან“. პოეტი ხვდება იქ მყოფ ვანელესაც, რომლებიც გალაკტიონს შესჩივიან, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ძალზე უკულტუროა.

➤ 13071

1955

#### 14-15 აგვისტო

ვაჟა-ფშაველას საიუბილეო დღეებში ყოფნისას სიტყვას ჩამოუგდებენ ორი გალაკტიონის – რევოლუციამდელისა და რევოლუციის შემდეგდროინდელის არსებობაზე. გალაკტიონი ამბობს, რომ ეს ბესარიონ ჟღენტმა მოუგონა, თორემ როგორ შეიძლება ერთი ადამიანი იყოს „ორი პოეტი“.

➤ 13072

1955

#### 15 აგვისტო

ფიქრობს წინა დღეს გამართული, ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი ღონისძიების შესახებ. იგონებს მისთვის საინტერესო საუბრებს, ადამიანებს, ფაქტებს და ამ ყოველივეს უბის წიგნაკში ინიშნავს.

➤ 13073

1955

#### 15 აგვისტო

დილით გზას აგრძელებენ ჩარგლისკენ. იქ თბილისიდან ჩასული ახალგაზრდა მწერლები ხვდებათ, რომლებიც გალაკტიონს გარს ეხვევიან. საზეიმო მიტინგს ხელმძღვანელობს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. მიტინგზე სიტყვით გამოდიან აკაკი შანიძე, ალექსანდრე ბეგიაშვილი და წინა დღეს დუშეთის გამომსვლელები. საღამოს ესწრება ვაჟას მეუღლე თამარ დიდებაშვილი. უღებენ ფოტოებს. ფიქრობს, რომ ძალიან კარგი ფოტოები გამოვა. განსაკუთრებით აინტერესებს ვაჟა-ფშაველას ქვრივთან – თამარ დიდებაშვილთან გადაღებული ფოტო, რადგან დარწმუნებულია, რომ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფოტო-დოკუმენტია. პოეტისადმი მიძღვნილ ლექსებს კითხულობენ პოეტის ვაჟი ვახტანგ რაზიკაშვილი, მისი ვაჟი ალექსანდრე რაზიკაშვილი და ბაჩანას ვაჟი პავლე რაზიკაშვილი. გალაკტიონი ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ლექსს კითხულობს. შემდეგ კონცერტი იმართება, რასაც ჭალაში გამილილი სუფრა აგვირგვინებს. გალაკტიონი დიდხანს არ რჩება სუფრასთან და ვახტანგ გურგენიძესა და ლავროსი კალანდაძესთან ერთად მალევე თბილისისკენ მიემგზავრება. გზაში მდუმარედ ზის და მხოლოდ თავისთვის ლაპარაკობს: „თავისუფლება ხალხს... ხალხი, ჩვენი ხალხი“.

➤ 13074

1955

### 15 აგვისტო ან შემდეგ

წერს სახუმარო, უსათაურო ლექსის „მოგონებებით მარადით“ რამდენიმე ვარიანტს. ნაწარმოების ადრესატია გიორგი ლეონიძე, რომელსაც, ლექსის მიხედვით, ჩარგალში ყოფნისას, ერთ ხელში გამუდმებით ყანწი ეჭირა, ხოლო მეორეში – ინდაურის ბარკალი.

➤ 13075

1955

### 15 აგვისტოს შემდეგ

ჩარგლიდან დაბრუნების შემდეგ იგებს, რომ დუშეთში მყოფი ორი სხვა მწერლის – კარლო კალაძისა და ალექსანდრე გომიაშვილის ავტომანქანები დაზიანებულია, გარდა ამისა, ორი ადამიანი, რომლებიც ველოსიპედით მგზავრობდნენ, ხრამში გადაცვენილან. ავარიას და უბედურ შემთხვევას გზაზე დიდი არეულობა გამოუწვევია. ამ ამბების გაგების შემდეგ იწყებს ფიქრს, თუ რა კარგად მოიქცნენ ის და რამდენიმე სხვა ადამიანი, თავის დროზე რომ დაბრუნდნენ თბილისში, რადგან საერთო არეულობაში არავინ იცის, რა მოუვიდოდათ.

➤ 13076

1955

### 15 აგვისტოს შემდეგ

ათვალისწინებს 14-15 აგვისტოს ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე გადაღებულ ფოტოებს, აკვირდება ვინ როგორ გამოიყურება სურათებზე, შემდეგ კი უბის წიგნაკში ინიშნავს იმ პიროვნებების სიას, რომლებიც, მისი აზრით, ფოტოებზე გამოირჩევიან. ჩამოთვლილთა შორის არიან: ვახტანგ გურგენიძე, ვასილ გვეტაძე, ალექსანდრე შანიძე, ლავროსი კალანდაძე, ნოდარ გურუშიძე, ვახტანგ რაზიკაშვილი, ვანო წულუკიძე, ალექსანდრე ბეგიაშვილი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი და სხვები.

➤ 13077

1955

### 16 აგვისტო

იმყოფება წყნეთში. ძლიერი წვიმაა. გაჰყურებს წვიმიან პეიზაჟს და თან უბის წიგნაკში იწყებს სახუმარო, უსათაურო ლექსის „ვიყიდეთ დივანი“ წერას.

➤ 13078

1955

## 19 აგვისტომდე

19 აგვისტოსთვის იგეგმება გალაკტიონის შემოქმედებითი საღამოს მოწყობა წყნეთში.

➤ 13079

1955

## 19 აგვისტომდე

ფიქრობს, შესაძლებელია თუ არა, რომ წყნეთის ბავშვთა სახლს მიენიჭოს მისი სახელი. აინტერესებს, ღირს თუ არა ამ თემასთან დაკავშირებით ოფიციალურად საკითხის აღძვრა.

➤ 13080

1955

## 20 აგვისტო

წყნეთში, პოეტის სააგარაკო სახლის გვერდით მდებარე პიონერთა ბანაკის ინიციატივით ეწყობა გალაკტიონთან შეხვედრა. ბავშვები ლექსებითა და სიმღერებით მიმართავენ მას და საპატიო პიონერად ირჩევენ, რაც გალაკტიონს ძალიან ახალისებს. ის სამადლობელ სიტყვას წარმოთქვამს და შეხვედრას ცოტა ხნის წინ დაწერილი ლექსით ასრულებს: „ბევრი რამ მაქვს მე თქვენთან სამძო, საამხანაგო, რკინიგზელთა შვილების პიონერთა ბანაკო“.

➤ 13081

1955

## 22 აგვისტო

იმყოფება აფხაზეთში, ბალნეოლოგიურ კურორტ ავადჰარაში. უსმენს რუსულ სიმღერას და ამჩნევს, რომ აკაკი წერეთლის „სულიკოს“ მოტივზე მღერიან. პოეტი ვიღაცას სთხოვს, ამ სიმღერის ტექსტის ფრაგმენტი ჩაუწეროს უბის წიგნაკში.

➤ 13082

1955

## 26 აგვისტოს შემდეგ

ოთხი წლის მარინე ფირცხალავას, რომელსაც მოფერებით კაკინას ეძახის, პირადად ასწავლის ქართულ ანბანს.

➤ 13083

1955

## 27 აგვისტოს შემდეგ

ეცნობა ჟურნალ „ნიანგის“ მე-16 ნომერს, რომელშიც მის ყურადღებას იპყრობს იუმორისტული ჩანახატი ქართველი მწერლების დაუდგმელი ძეგლების შესახებ და რვეულში აკეთებს ამონაწერებს.

➤ 13084

1955

## 27 აგვისტოს შემდეგ

დღიურში იწერს, რომ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სალიტერატურო წრე აქვეყნებს ლიტერატურისმცოდნეობისთვის ძალიან საჭირო, სრულიად უცნობ დოკუმენტებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი რევოლუციამდელი შემოქმედების ღრმად შესწავლისათვის.

➤ 13085

1955

## 28 აგვისტო

თბილისის მცხოვრები ლეონ ბეჟიტაშვილი წინადადებით მიმართავს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესა და ლიტერატურული გაზეთის რედაქტორს, რომ პოეტების ისეთივე შეხვედრა

მკითხველებთან, როგორც 11 სექტემბერს აქვთ დაგეგმილი მოსკოვის წიგნის 18 მაღაზიაში, ჩატარდეს საქართველოს ქალაქებშიც. მისი აზრით, ასეთი შეხვედრისას სასურველია არა პოეტების მიერ საკუთარი ლექსების კითხვა, არამედ ის, რომ მკითხველებს მათთან ჰქონდეთ ცოცხალი კომუნიკაცია. წერილის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ პირადად მას ძალიან აინტერესებს გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრა.

➤ 13086

1955

28 აგვისტო

წერს ოლია ოკუჯავას ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსს „გენიალური თვალები“.

➤ 13087

1955

28 აგვისტო

კაფე „რუსთაველში“, რომელსაც „მასსაჩუჭეტს“ უწოდებს. იხსენებს ოლია ოკუჯავას გადასახლებისადმი მიძღვნილ, 1936 წელს დაწერილ ლექსს „სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“, შემდეგ კი ქმნის ნაწარმოების ახალ, ვრცელ, უსათაურო რედაქციას „სარკმელი საღამომ და ფარდამ დაბურდა“, რომელსაც მოიაზრებს ლექსთა ჯგუფის – „ციკლი ლექსებისა სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნდა“ – ნაწილად.

➤ 13088

1955

28 აგვისტო ან შემდეგ

ფიქრობს უახლოეს თვეებში განსახორციელებელი გეგმების შესახებ. უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, ჩამოთვლის იმ დაწესებულებებს, რომლებშიც 1955 წლის შემოდგომაზე საქართველოს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მიერ ორგანიზებული შეხვედრები მოეწყობა. სია 31 პუნქტს აერთიანებს, ჩამონათვალში შეტანილია: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სხვადასხვა ტიპის კვლევითი ინსტიტუტები და ბიბლიოთეკები.

➤ 13089

1955

20-დან 29 აგვისტომდე

უბის წიგნაკში იწერს რუსული გაზეთის – „ლიტერატურნაია გაზეტა“ 20 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას „პოეტის დღე“, რომელშიც ნათქვამია, რომ მოსკოვის პოეტების სექციას მიუღია გადაწყვეტილება, 11 სექტემბერს რუსეთის დედაქალაქის თვრამეტი წიგნის მაღაზიაში მოაწიოს პოეტების შეხვედრა მკითხველთან. სტატიის თანახმად, ამ ღონისძიებაში მონაწილეობას სამოცხე მეტი ლიტერატორი მიიღებს. დანიშნულ დღეს თვრამეტივე წიგნის მაღაზიაში წიგნებს პოეტები გაყიდიან, ისინი წაუკითხავენ მკითხველებს თავიანთ ლექსებს, უამბობენ სხვა პოეტების ნაწარმოებებისა და, ზოგადად, პოეზიის შესახებ. იქვე იწერს ვინმე ლეონ ბეჟიტაშვილის მიერ მწერალთა კავშირის პირველ მდივან ირაკლი აბაშიძესთან და „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორ გიორგი ნატროშვილთან გაგზავნილ წერილს, რომელშიც ასეთივე ღონისძიების საქართველოში გამართვისა სურვილია გამოთქმული. ბეჟიტაშვილი განსაკუთრებით დაინტერესებულია გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრით.

➤ 13090

1955

29 აგვისტო

ემზადება ათ სექტემბერს დაგეგმილი შემოქმედებითი საღამოს მოსაწყობად. ღონისძიებასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ ესაუბრება „სახელმწიფო გამომცემლობის“ თანამშრომელ თამარ გოცირიძეს და ფატი ნიშნიანიძეს.

➤ 13091

1955

30 აგვისტო

ხვდება ირაკლი აბაშიძეს, რომელიც სთხოვს, გამოვიდეს სიტყვით 7 ოქტომბერს, დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. გალაკტიონი თანხმდება. გარდა ამისა, ფიქრობს, რას იტყვის ირაკლი აბაშიძე საქართველოში ისეთივე „პოეტების დღის“ მოწყობის თაობაზე, როგორც 11 სექტემბერს არის დაგეგმილი მოსკოვის წიგნის თვრამეტ მაღაზიაში.

➤ 13092

1955

31 აგვისტომდე

რვეულში ინიშნავს, რომ სოხუმში მისი სახლის მშენებლობისთვის გადაირიცხა 10 000 მანეთი და კიდევ უნდა დაემატოს 6 000.

➤ 13093

1955

31 აგვისტო

თავის გერ დავით ებანოიძესთან ერთად რეკავს ორგანიზაცია „სოხუმმშენში“ არქიტექტორ გიორგი გვათუასთან დასაკავშირებლად. ის ადგილზე არ ხვდება, მაგრამ თანამშრომლებისგან იგებს, რომ სოხუმში მისი სახლისთვის სამშენებლო მასალებს მიიტანენ პირველ სექტემბერს. გეგმავს, სამ სექტემბერს გადაამოწმოს, ეს დანაპირები შესრულდება თუ არა.

➤ 13094

1955

31 აგვისტო

იმყოფება წყნეთში, უსმენს ორი უცნობის საუბარს. დიალოგი პოეტის ყურადღებას იქცევს მისი შინაარსის აბსურდულობის გამო. ერთი პიროვნება მეორის შეკითხვას, თუ რომელი საათია, უცნაურად პასუხობს, ბოდიშს იხდის და ამბობს, რომ საათი მისი არ არის, სხვას ეკუთვნის. თანამოსაუბრე კითხვას უმეორებს, თუმცა ის მაინც არ ეუბნება რომელი საათია, მხოლოდ უპასუხოების მიზეზს განმარტავს: უხსნის, მისი საკუთარი საათი რომ იყოს, აუცილებლად ეტყოდა, ახლა კი, რადგან საათი სხვას ეკუთვნის, კითხვაზე პასუხს ვერ გაცემს.

➤ 13095

1955

ივლისი-აგვისტო

წერს უსათაურო სახუმარო ლექსს „რაკი შვეიციინე“.

➤ 13096

1955

აგვისტო

წერს უსათაურო ლექსს „რაც კი აგვისტოთი“.

➤ 13097

1955

ზაფხული

ელბაქიდის ქუჩის ბოლოში ხიდთან ჩაფიქრებული დგას და მტკვარს გაჰყურებს, როდესაც ჩუმად უახლოვდება და გადაკოცნის მისი თანასოფლელი სტუდენტი გოგონა ალექსანდრა ნანაძე. გალაკტიონი შესჩივის, რომ ბერდება და დამტირებელი არავინ ჰყავს. შემდეგ ყვავილების სიყვარულზე იწყებს საუბარს. იხსენებს როგორ რგავდა დედა ეზოში მისთვის ყვავილებს,



როგორი გაკვირვებული დარჩა ყვავილების სიმრავლით ქუთაისში მისი ბინის გასაჩხრეკად მისული ჟანდარმი და ამბობს, რომ ყვავილები ყოველთვის ჰმატებდა შრომის ძალას და თავისი ცხოვრების მძიმე წლებში უკანასკნელ გროშებს ამიტომ ხარჯავდა მათზე.

➤ 13098

1955

### **ზაფხული ან შემდეგ**

ნინო კვირიკაძესთან და მის შვილიშვილებთან – მარინე ფირცხალავასთან და ზურაბ ებანოძესთან ერთად ისვენებს წყნეთში, სეირნობენ ტყეში და აკეთებენ ჰერბარიუმს.

➤ 13099

## **ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი**

1955

### **1 სექტემბრამდე**

იგებს ლეონ ბეჟიტაშვილის წერილის შესახებ, რომლითაც მან მიმართა მწერალთა კავშირის პირველ მდივან ირაკლი აბაშიძესა და ლიტერატურული გაზეთის რედაქტორ გიორგი ნატროშვილს და რომელშიც ადრესანტის განსაკუთრებული ინტერესი იყო გამოხატული გალაკტიონ ტაბიძისა და მისი შემოქმედების მიმართ. ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 13100

1955

### **1 სექტემბერი ან ადრე**

კითხულობს ოთარ ჩხეიძის რომანს „ბურუსი“, რომელშიც მწერალი იყენებს გალაკტიონისეულ ეპითეტს „აჩონჩხილი“ და თან აღნიშნავს, როგორც გალაკტიონი იტყოდაო. რომანში მისი სახელის ხსენება პოეტის აღფრთოვანებას იწვევს, რადგან ამ ფაქტს საყოველთაო აღიარების საწინდრად მიიჩნევს.

➤ 13101

1955

### **1 სექტემბერი**

გეგმავს პოეზიის სადამოების ჩატარებას 10 და 12 სექტემბერს სახელმწიფო გამომცემლობასა და ქალაქის საბჭოში.

➤ 13102

1955

### **1 სექტემბერი**

უბის წიგნაკში ჩაინიშნავს, რომ უნდა შეხვდეს მოქანდაკე შაქრო გორგაძეს, რომელიც აკადემიაში ქანდაკებების ჩამომსხმელად მუშაობს.

➤ 13103

1955

### **1 სექტემბერი**

სოლომონ ლეკიშვილს ავალეებს ქალაქის აღმასკომში წასვლას და მისი სადამოს ჩასატარებლად იქაური კულტურის განყოფილებასთან საქმის მოგვარებას. იგებს, რომ კულტურის საკითხები პირადად ეხება აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს – ბორის ლომიძეს.

➤ 13104

1955

### **1 სექტემბერი**

ჩაინიშნავს, რომ გაარკვიოს, „ლიტერატურნაია გაზეტას“ რომელ ნომერში დაიბეჭდა სერგი ჭილაიას წერილი.

➤ 13105

1955

1 სექტემბერი

აფხაზეთის კომერციულ ბანკს ურიცხავს 1156 მანეთს.

➤ 13106

1955

1 სექტემბერი

აგონდება ჯონ რიდის რომანის სათაური „ათი დღე, რომელმაც შეძრა სამყარო“ და ფიქრობს, რომ მომდევნო ათმა დღემ უნდა შეძრას არა სამყარო, არამედ მის გარშემო არსებული ატმოსფერო. ადგენს გეგმას, თუ რა უნდა გააკეთოს მომდევნო დღეებში. პოეტის განწყობაზე დადებითად მოქმედებს ის, რომ შემოდგომის პირველი დილა მზიანი და მშვენიერია.

➤ 13107

1955

1 სექტემბერი

წერილს იღებს ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის უნივერსიტეტის ლექტორ გიორგი ნაზარენკოსგან.

➤ 13108

1955

1 სექტემბერი

კითხულობს „ზარია ვოსტოკას“ 30 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ შალვა აფხაიძის სტატიას ანრი ბარბიუსის შესახებ. ახარებს, რომ მასში იგი მოხსენიებულია, როგორც 1935 წლის მწერალთა ანტიფაშისტური კონგრესის მონაწილე საქართველოს სახალხო პოეტი.

➤ 13109

1955

1 სექტემბერი

ოსი პოეტი და მთარგმნელი ილია კაჩმაზოვი წარწერით უძღვნის საკუთარი ლექსებისა და პოემების ახალგამოცემულ კრებულს „ოქროს მთები“.

➤ 13110

1955

1 სექტემბერი

ქუთაისიდან იღებს გაზეთს, რომელშიც მისი ლექსია დაბეჭდილი. ამავე გაზეთის ამონაჭერს უგზავნის მეუღლის, ნინო კვირიკაძის ბიძაშვილი, ქუთაისში მცხოვრები ეთერ კვირიკაძე.

➤ 13111

1955

1 სექტემბერი

ახალქალაქიდან იღებს გაზეთს „ოქტომბრის დროშით“, რომლის 10 აგვისტოს ნომერშიც დაბეჭდილია მისი ლექსი „მესხეთ-ჯავახეთი“.

➤ 13112

1955

1 სექტემბერი

ლაგროსი კალანდაძე და ირაკლი აბაშიძე სთხოვენ დავით გურამიშვილის საიუბილეო ღონისძიებისათვის ლექსის დაწერას და სიტყვის მომზადებას.

➤ 13113

1955

**1 სექტემბერი**

იმყოფება წყნეთში და კმაყოფილია იმით, რომ კარგი ამინდია.

➤ 13114

1955

**1 სექტემბერი**

რვეულში ინიშნავს, რომ ფატი ნიშნაინძეს სურს მისი პოეზიის საღამო მოეწყოს ქუთაისში, ვახტანგ გურგენიძეს კი – წითელწყაროში, ამაჟამინდელ დედოფლისწყაროში.

➤ 13115

1955

**1 სექტემბერი**

გახარებულია, რადგან უბრუნებენ კალამს, რომელიც დაკარგული ეგონა.

➤ 13116

1955

**1 სექტემბერი**

რვეულში ინიშნავს, რომ 2 სექტემბერს უნდა შეხვდეს სოლომონ ლეკიშვილს და გამომცემლობა „საქიგნის“ თანამშრომელ მიშა გოცირიძეს.

➤ 13117

1955

**1 სექტემბერი**

აპირებს, განაგრძოს თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის მომზადებასა და გამოცემაზე ზრუნვა.

➤ 13118

1955

**2 სექტემბერი**

ფიქრობს, რომ ჯონ რიდის რომანის სათაურის – „ათი დღე, რომელმაც შეძრა სამყარო“ – მიხედვით დაგეგმილი „ათი დღე, რამაც უნდა შესძრას კაცობრიობა“ დაიძრა ადგილიდან და მის მიერ პირველ სექტემბერს დასახული გეგმების შესასრულებლად ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

➤ 13119

1955

**2 სექტემბერი**

ცდილობს, ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში დააზუსტოს, როდის გაიმართება მისი პოეზიის საღამო. აღმასკომის კულტურის განყოფილებაში მის მიერ გაგზავნილ პირს, სოლომონ ლეკიშვილს ეუბნებიან, რომ არაფერი იციან გალაკტიონთან დაკავშირებული ღონისძიების შესახებ და მხოლოდ იოსებ გრიშაშვილის პოეზიის საღამოს გასამართად ემზადებიან.

➤ 13120

1955

**2 სექტემბერი**

ვახტანგ გურგენიძეს ესაუბრება თავისი პოეზიის საღამოს შესახებ, რომელიც ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის დარბაზში უნდა ჩატარდეს. პოეტს სურს, ღონისძიება აუცილებლად 10 სექტემბერს მოეწყოს. ვახტანგ გურგენიძე ცდილობს ეს საკითხი მოაგვაროს და

აღმასრულებელ კომიტეტში კიდევ ერთხელ აგზავნის სოლომონ ლეკიშვილს. იგი ამჯერადაც ვერ ახერხებს საქმის მოგვარებას, რადგან აღმასრულებელი კომიტეტში არ ხვდება ის პირი, ვინც ღონისძიებების ჩატარებაზეა პასუხისმგებელი.

➤ 13121

1955

## 2 სექტემბერი

ვახტანგ გურგენიძე ხელს აწერინებს დოკუმენტზე, რომლის თანახმადაც გალაკტიონის ჰონორარს მიიღებს ფატი ნიშნიანიძე, რადგან მან პოეზიის სადამოებზე სამი ლექცია უნდა წაიკითხოს.

➤ 13122

1955

## 2 სექტემბერი

3 საათზე მიდის კულტურის სამინისტროსთან არსებულ ცენტრალურ სალექციო ბიუროში და იგებს, რომ სოლომონ ლეკიშვილმა ვერ მოახერხა ქალაქის აღმასკომში მისი პოეზიის სადამოს საკითხის გარკვევა. საქმის მოსაგვარებლად ვახტანგ გურგენიძე უკავშირდება აღმასკომის პარტიულ ბიუროს, ესაუბრება მდივანს, რომელიც ამბობს, რომ ღონისძიებისთვის მათ მიერ შერჩეულ დღეს, 10 სექტემბერს, დარბაზი დაკავებულია, თუმცა გალაკტიონის პოეზიის სადამოს ჩატარება შესაძლებელია ერთი დღით ადრე. თარიღზე თანხმდებიან და ღონისძიება ინიშნება 9 სექტემბერს. გალაკტიონი ამ გადაწყვეტილებით კმაყოფილი რჩება.

➤ 13123

1955

## 2 სექტემბერი

კულტურის სამინისტროში ყოფნისას ათვალთვლებს კედლის გაზეთს, რომელშიც 28 ივლისს, თავფარავნის ტბის ახლოს, მწყემსებთან ერთად გადაღებული მისი ფოტოა გამოქვეყნებული. კითხულობს ტექსტსაც და გადაწერას აპირებს.

➤ 13124

1955

## 2 სექტემბერი

აპირებს, 12 სექტემბრისთვის დაგეგმოს პოეზიის სადამო სახელწოდებით „პოეტის დღე“, რომელიც ჩატარდება სახელმწიფო გამომცემლობის კლუბში. გამომცემლობა „საქწიგნის“ თანამშრომელი, მიშა გოცირიძე ჰპირდება, რომ დაეხმარება საორგანიზაციო საკითხებში და, გარდა ამისა, პოეზიის სადამოზე მოხსენებასაც წაიკითხავს. იგი უხსნის პოეტს, რომ აფიშები საჭირო არ არის, რადგან თვითონ უზრუნველყოფს დამსწრე საზოგადოების მობილიზებას. მიშა გოცირიძის თქმით, ღონისძიებას 200 თანამშრომელი მხოლოდ მისი აპარატიდან დაესწრება და მოეწყობა გამოფენაც.

➤ 13125

1955

## 2 სექტემბერი

გამომცემლობა „საქწიგნის“ თანამშრომელი მიშა გოცირიძე აჩვენებს მუხრან მაჭავარიანის 1955 წელს გამოცემულ კრებულს „ლექსები“ და რომელიღაც ლექსზე ეუბნება, რომ ვერ გაიგო.

➤ 13126

1955

## 2 სექტემბერი

გამომცემლობა „საქწიგნის“ თანამშრომელი მიშა გოცირიძე ეუბნება, რომ გაზეთებში უნდა განთავსდეს ინფორმაცია 12 სექტემბრისთვის დაგეგმილი პოეზიის საღამოსა და გამოფენის შესახებ. გალაკტიონი ფიქრობს, რომ საჭიროა კარგი საინფორმაციო ტექსტის მომზადება და ამ საკითხზე ესაუბრება მწერალთა კავშირის თანამშრომელ თამარ ანდლულაძეს.

➤ 13127

1955

## 2 სექტემბერი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ ედიშერ ყიფიანმა შენიშნა ოთარ ჩხეიძის რომანში „ბურუსი“ ის მონაკვეთი, რომელშიც მწერალი გალაკტიონს ახსენებს.

➤ 13128

1955

## 2 სექტემბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ თეიმურაზ ჯანგულაშვილს ძალიან გაუხარდა 14 აგვისტოს, ჩარგალში, ვაჟაობაზე, გალაკტიონთან და ნოდარ გურუშიძესთან ერთად გადაღებული ფოტოს ნახვა.

➤ 13129

1955

## 2 სექტემბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ „გახსენებათა საღამოების“ ფარგლებში, 19 სექტემბერს გაიმართება პარმენ ცახელის საღამო.

➤ 13130

1955

## 2 სექტემბერი

ახარებს იმ ფაქტის გაგება, რომ აკადემიკოსი ალექსანდრე თვალჭრელიძე ყოველთვიურად 1500 მანეთით ეხმარება პარმენ ცახელის ოჯახს.

➤ 13131

1955

## 2 სექტემბერი

ინიშნავს დღის განმავლობაში მოსაგვარებელი საკითხების სიას. უპირველესად, აპირებს, შეხვდეს სოლომონ ლეკიშვილს და დააზუსტოს, რა გაარკვია აღმასკომში ყოფნისას, მოხერხდება თუ არა გალაკტიონის შემოქმედებითი საღამოსა და გამოფენის ჩატარება ათი სექტემბრისთვის. გარდა ამისა, სურს შეხვდეს ვახტანგ გურგენიძეს და ფატი ნიშნიანიძეს, რადგან დაგეგმილი საღამოს მოწყობა ამ ადამიანების ჩარევისა და დახმარების გარეშე ვერ მოხერხდება. ასევე, უნდა შეიაროს „სახელმწიფო გამომცემლობაში“ და შეხვდეს ამ გამომცემლობის თანამშრომელ თამარ გოცირიძეს, რომელსაც მოელაპარაკება გამოფენისთვის აუცილებელი დასაბეჭდი მასალის თაობაზე. ყოველივე ამის პარალელურად კი უნდა იზრუნოს ოჯახის ფინანსურ უზრუნველყოფაზეც.

➤ 13132

1955

## 2 სექტემბერი

ტობანიერიდან ჩამოსული 80 წლის ნოე სანიკიძე მიდის გალაკტიონთან და ეუბნება, რომ წერაკითხვა მამამისმა, ვასილ ტაბიძემ ასწავლა. სტუმარი გულისტკივილს უზიარებს, რომ ვანი ძალიან ჩამორჩენილია და მშობლიური კუთხე პოეტისგან დახმარებას ელის.

➤ 13133

1955

### 3 სექტემბერი

წყნეთიდან თბილისში ჩასული მიდის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში, რათა შეამოწმოს, 9 სექტემბერს დაგეგმილი მისი პოეზიის საღამოს შესახებ განცხადება არის გაკრული, როგორც დაჰპირდნენ, თუ არა. აღმოაჩენს, რომ არავითარი განცხადება ჩასატარებელი საღამოს შესახებ ამ ორგანიზაციას არ გამოუკრავს. ამ ფაქტს ძალიან არ განიცდის, რადგან ფიქრობს, რომ ღონისძიებამდე ოთხიოდე დღით ადრეც რომ იყოს განცხადება, არც ეს იქნება დაგვიანებული.

➤ 13134

1955

### 3 სექტემბერი

ფიქრობს, რომ ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში 9 სექტემბრისთვის დაგეგმილი პოეზიის საღამოს შინაარსზე ზრუნვა და ღონისძიების რიხიანად დაგვირგვინება. ვერ გადაუწყვეტია, უკვე დაიწყოს საამისო სამზადისი თუ ამ საქმეს ორი დღის შემდეგ, ორშაბათიდან შეუდგეს. დარწმუნებულია, საღამოს წარმატებით ჩატარებას ხელს შეუწყობს ვახტანგ გურგენიძის მხრივ აქტიურობა.

➤ 13135

1955

### 3 სექტემბერი

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში 9 სექტემბერს ჩასატარებელი პოეზიის საღამოს შესახებ აპირებს დაელაპარაკოს ვახტანგ გურგენიძეს, ბესარიონ ჟღენტსა და პიერ კობახიძეს. უბის წიგნაკში ინიშნავს ვახტანგ გურგენიძისა და ბესარიონ ჟღენტის ტელეფონის ნომრებს.

➤ 13136

1955

### 3 სექტემბერი

ათვალისწინებს ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის დარბაზს, სადაც მისი პოეზიის საღამო უნდა ჩატარდეს. დარბაზი ძალიან მოსწონს და ფიქრობს, რომ ტრიბუნასთან აუცილებლად უნდა დადგან ყვავილების თაიგული.

➤ 13137

1955

### 3 სექტემბერი

გეგმავს 9 სექტემბერს ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის დარბაზში ჩასატარებელ საღამოს, ფიქრობს, რომ აუცილებელია მოსაწვევების დაბეჭდვა. მისი აზრით, ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლებიც.

➤ 13138

1955

### 3 სექტემბერი

ათვალისწინებს ძველ ხელნაწერებს, მოულოდნელად პოულობს საკუთარ ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, ალიო ადამია გაზეთში „მუშა“ დაბეჭდილ ლექსში მოითხოვდა გალაკტიონის დახვრეტას. აინტერესებს, რომელ წელს გამოაქვეყნა ეს ლექსი ადამიამ. ამის გასარკვევად აპირებს, მიმართოს საჯარო ბიბლიოთეკას.

➤ 13139

1955

### 3 სექტემბერი

მძლოლი სთხოვს დაეხმაროს ხე-ტყის მასალების შექმნაში.

➤ 13140

1955

#### 4 სექტემბერი

ვერის ხიდიდან (ამჟამად გალაკტიონის ხიდი) ჩელუსკინელების ხიდამდე (ამჟამად თამარ მეფის ხიდი) ათვალიერებს სანაპიროს. დარწმუნებულია, რომ ამ ტერიტორიას დიდებული მომავალი აქვს. სეირნობისას კარგ გუნებაზეა, რადგან, მართალია, კვირა დღეა და მუშები არსად სჩანან, მაგრამ მათი შრომის კვალი ირგვლივ ყველაფერს ეტყობა. მუშებზე ფიქრისას ახსენდება „არსენას ლექსის“ ფინალური მონაკვეთი და ამ ნაწარმოების ერთ ფრაზას, გარკვეული ცვლილებით, იწერს უბის წიგნაკში: „ჩემი ათასი მანეთი ნაპირთ ერთ დიდ კლდეში დევსა!“. კარგ განწყობაზე დგება და ფიქრობს, რომ ეს სწორედ ერთ-ერთია იმ ათი დღიდან, რომელსაც მოაქვს ფუნდამენტური ცვლილებები.

➤ 13141

1955

#### 4 სექტემბერი

იმყოფება წყნეთში, იფნის ბაღში. წერს უსათაურო ლექსს „ჩვენი იფნის ტყიდან ისმის...“.

➤ 13142

1955

#### 4 სექტემბერი

უბის წიგნაკში იწერს 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „მოწმეა რბევის და თარემის“.

➤ 13143

1955

#### 5 სექტემბერი

იგებს, რომ 9 სექტემბრისთვის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში დაგეგმილი მისი პოეზიის საღამო ვერ ჩატარდება, რადგან სოლომონ ლეკიშვილმა, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ჰქონდა მინდობილი გალაკტიონისაგან, მისი ორგანიზება ვერ მოახერხა. გაურკვეველობა და თარიღის შეცვლის აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ, როგორც აღმოჩნდა, არც აღმასკომის მდივანმა არც თავმჯდომარემ არაფერი იცოდნენ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ. საბოლოოდ, გალაკტიონისა და ფატი ნიშნიანიძის აქტიურობის შედეგად ხერხდება პოეზიის საღამოს 22 სექტემბრისთვის გადატანა.

➤ 13144

1955

#### 5 სექტემბერი

კონსტანტინე ჭიჭინაძესთან და სერგო კლდიაშვილთან საუბრობს მწერლებისადმი არასათანადო დამოკიდებულებაზე. აღნიშნავენ, რომ საქართველოში მათ შესაფერი დაფასება არ აქვთ და მწერლობის საქმე, ზოგადად, დაქვეითებულია. აინტერესებს, რამეს შეცვლის თუ არა ამ თვალსაზრისით მის მიერ 12 სექტემბრისთვის დაგეგმილი ღონისძიება „პოეზიის დღე“.

➤ 13145

1955

#### 6 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ამ ოდესმე მხიარული...“.

➤ 13146

1955

**6 სექტემბერი**

იმყოფება წყნეთში, წერს უსათაურო ლექსს „ნისლი მთიდან მოდის დაბლა...“.

➤ 13147

1955

**6 სექტემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „ადგილები, სადაც დღის...“.

➤ 13148

1955

**6 სექტემბერი**

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში ჩასატარებელი გალაკტიონის პოეზიის საღამოს საკითხი კვლავ ეჭვქვეშ დგას, რადგან კულტურის მინისტრს, ავთანდილ გუნიას არ მოსწონს ღონისძიების ფორმატი, კერძოდ ის, რომ პოეზიის საღამოზე ლექცია უნდა წაიკითხოს ფატი ნიშნიანიძემ. გალაკტიონი ცდილობს, დაგეგმილი საღამო მაინც შედგეს, თუ აღმასკომის დარბაზში არა, მაშინ რუსთაველის თეატრში.

➤ 13149

1955

**6 სექტემბერი**

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში ჩასატარებელი პოეზიის საღამოს ჩაშლაში გალაკტიონი ადანაშაულებს ცეკას კულტურის განყოფილების ინსტრუქტორ ელგუჯა მალრაძეს, რომელმაც კულტურის მინისტრს, ავთანდილ გუნიას ყურადღება გაამახვილებინა იმ ფაქტზე, რომ პოეზიის საღამოზე ლექცია უნდა წაეკითხა ფატი ნიშნიანიძეს. ამ ქალბატონის ხსენებამ მინისტრის გაღიზიანება გამოიწვია, დაიწყეს მისი ვინაობის გარკვევა და საბოლოოდ საღამო გააუქმეს.

➤ 13150

1955

**6 სექტემბერი**

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში ჩასატარებელი გალაკტიონის პოეზიის საღამოს ფორმატის გამო საყვედური მიიღო ვახტანგ გურგენიძემ. კულტურის მინისტრის ავთანდილ გუნიასა და ცეკას კულტურის განყოფილების ინსტრუქტორის, ელგუჯა მალრაძის უკმაყოფილება და საღამოს ჩაშლა გამოიწვია იმან, რომ პოეზიის საღამოზე გალაკტიონის შემოქმედების შესახებ ლექცია უნდა წაეკითხა ფატი ნიშნიანიძეს. როდესაც ეს გაიგო თავად ფატი ნიშნიანიძემ, აღნიშნა, რომ ყოველივე მწერალთა კავშირის ინტრიგა და ოინები იქნებოდა და იგი ამ გაურკვევლობის შესახებ ინფორმაციას ცეკამდე მიიტანდა. ვახტანგ გურგენიძემ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელთან – ზურაბ ახვლედიანთან სცადა თავის მართლება იმით, რომ ფატი ნიშნიანიძის ლექციებს გალაკტიონიც უნდა დასწრებოდა. მიუხედავად ამისა, საღამო მაინც გაუქმდა.

➤ 13151

1955

**6 სექტემბერი**

აპირებს აღმასრულებელ კომიტეტის ნაცვლად პოეზიის საღამო ჩაატაროს რუსთაველის თეატრში. თეატრის დირექტორი პავლე კანდელაკი ღონისძიების ჩასატარებლად პოეტისგან ითხოვს ოფიციალურ ნებართვას და თანხას 2 000 მანეთის ოდენობით.

➤ 13152

1955



## 6 სექტემბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას, რომ გადააყენეს ცეკას მეორე მდივანი ვალერიან მელქაძე და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი გივი ვარდოსანიძე. ფიქრობს, რომ ეს ცვლილებები შეიძლება რაღაც კუთხით შეეხოს მისი თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის გამოცემის საკითხს.

➤ 13153

1955

## 6 სექტემბერი

თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის საკითხის გარკვევის მიზნით აპირებს განცხადებით მიმართოს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორს და ცეკას. გადაწყვეტილი აქვს, უახლოეს დღეებში შეხვდეს ცეკას მდივანს იდეოლოგიის დარგში – დავით მჭედლიშვილს.

➤ 13154

1955

## 6 სექტემბერი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ სერგი ჭილია არ ბეჭდავს 12 სექტემბერს ჩასატარებელი პოეზიის სადამოსთვის მოსაწვევ ბარათებს.

➤ 13155

1955

## 6 სექტემბერი

გაღიზიანებულია მძღოლის საქციელის გამო, რომელიც ცდილობს იშოვოს ხე-ტყის მასალა და გალაკტიონსაც თან დაატარებს თავის საქმეებზე.

➤ 13156

1955

## 6 სექტემბერი

ახსენდება სექტემბრის დასაწყისში ჩაფიქრებული გეგმა ათი უმნიშვნელოვანესი, გარდამტეხი ცვლილებების მომტანი დღის შესახებ და უბის წიგნაკში იწერს ფრაზას: „10 დღე, რამაც შესძრა კაცობრიობა“.

➤ 13157

1955

## 6 სექტემბერი

იწყებს მუშაობას ლექსზე „წიგნები ხალხს“ („ჩვენი ასოთამწყობი, მხნე და გულით მართალი...“), წერს ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტს.

➤ 13158

1955

## 6-7 სექტემბერი

გაბრაზებულია ცეკას კულტურის განყოფილების ინსტრუქტორ ელგუჯა მადრაძეზე, რომელმაც ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში ჩასატარებელი პოეზიის სადამო ჩაუშალა. სურს გაიგოს, რატომ არ უნდა ელგუჯა მადრაძეს მოეწყოს მისი ღონისძიება, მაშინ, როცა იმავე დაწესებულებაში უკვე გაიმართა სხვა პოეტების – იოსებ ნონეშვილისა და იოსებ გრიშაშვილის სადამოები.

➤ 13159

1955

## 7 სექტემბერი

ადგენს გეგმას, რომელიც მომდევნო დღეს უნდა განახორციელოს: აპირებს 12 სექტემბერს მწერალთა კლუბში ჩასატარებელი პოეზიის საღამოს შესახებ განცხადების მომზადებას და გაკვრას მწერალთა კავშირში. ასევე, გადაწყვეტილი აქვს პრესაში გამოსაქვეყნებელი საინფორმაციო ტექსტის მომზადება ამავე ღონისძიების შესახებ. გარდა ამისა, გეგმავს შესავალი სიტყვის დაწერას და იმ პოეტებთან შეთანხმებას, რომლებმაც საღამოში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

➤ 13160

1955

### 7 სექტემბერი

აპირებს 12 სექტემბერს მწერალთა კლუბში ჩასატარებელი პოეზიის საღამოზე სიტყვით გამოსვლისას აქცენტი გააკეთოს მწერალთა კავშირში არსებული პოეზიის სექციის მუშაობაზე, ახსენოს ოსი მწერლისა და მთარგმნელის ილია კავკაზაგის „სპეციალური საღამო“, რომლის მოწყობასაც გეგმავს ეს სექცია.

➤ 13161

1955

### 7 სექტემბერი

ირკვევა, რომ გამომცემლობა „საქიგნის“ თანამშრომლის, მიშა გოცირიძის მოთხოვნით 12 სექტემბრისთვის დაგეგმილი ღონისძიება „პოეზიის დღე“ მოეწყობა არა მბეჭდავთა კლუბში, არამედ – მწერალთა კლუბში.

➤ 13162

1955

### 7 სექტემბერი

ჩატარდება თუ არა რუსთაველის თეატრში გალაკტიონის პოეზიის საღამო, რომლის მოწყობაც თავდაპირველად ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში იგეგმებოდა, მაგრამ ვერ მოხერხდა, ისევ გაურკვეველია. გალაკტიონი ფიქრობს, რომ უმჯობესია, ჯერ მწერალთა კლუბში ჩასატარებელ ღონისძიებას – „პოეზიის დღეს“ მიხედოს.

➤ 13163

1955

### 7 სექტემბერი

ვერ პოულობს იმ პოეტების სიას, რომლებიც 12 სექტემბრისთვის დაგეგმილ ღონისძიებაზე – „პოეზიის დღე“ – უნდა გამოვიდნენ.

➤ 13164

1955

### 8 სექტემბერი

მწერალთა კავშირში კიბეზე ხვდება ირაკლი აბაშიძეს, რომელიც სთხოვს, პირველ საათზე მასთან შევიდეს. გალაკტიონი ფიქრობს, რადგან აბაშიძე თავისთან იბარებს, რაღაც სერიოზული საქმე უნდა ჰქონდეს, თან უბის წიგნაკში ინიშნავს საუბრის სავარაუდო შინაარსსაც. მისი აზრით, დიალოგი შეიძლება უკავშირდებოდეს 7 ოქტომბრისთვის დაგეგმილ დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილ ღონისძიებას ან კიდევ – გალაკტიონის შემოქმედებით საღამოს, რომლის მოწყობასაც სალექციო ბიურო აპირებს.

➤ 13165

1955

### 8 სექტემბერი

იმყოფება მწერალთა კავშირში და ესაუბრება მწერალთა კავშირის პირველ მდივან ირაკლი აბაშიძეს, რომელიც ეუბნება, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილებით მწერალთა კავშირი აღარ აპირებს პავლე ინგოროყვას წარდგენას აკადემიის წევრობის კანდიდატად. ამ საუბრის შემდეგ გალაკტიონი აკეთებს დასკვნას, რომ აკადემიაში დაუმსახურებლად იმარჯვებს ალექსანდრე ბარამიძე.

➤ 13166

1955

### 8 სექტემბერი

გეგმავს, 11 სექტემბერს მივიდეს საქართველოს წიგნით ვაჭრობის სამმართველოში და შეხვდეს იმ პირებს, რომელთა საქმიანობაც წიგნის გამოცემასთან არის დაკავშირებული, ასევე, სურს, მოელაპარაკოს ამ დაწესებულების ხელმძღვანელებს და მათთან შეთანხმებით მოაწყოს ღონისძიება, რომელშიც საქართველოს წიგნით ვაჭრობის სამმართველოს თანამშრომლებს შესაძლებლობა ექნებათ პოეზიის შესახებ ესაუბრონ პოეტებს. ფიქრობს, რომ ეს იქნება იმ მასშტაბური ღონისძიების თავისებური ვერსია, რომელიც 11 სექტემბერს არის დაგეგმილი მოსკოვის წიგნის თვრამეტ მაღაზიაში და პოეტების მკითხველებთან შეხვედრას გულისხმობს. სურს, რომ ეს ღონისძიება 12 სექტემბერს ჩატარდეს.

➤ 13167

1955

### 9 სექტემბრამდე

ემზადება 9 სექტემბერს დაგეგმილი მისი შემოქმედებითი საღამოსთვის. ფიქრობს, რა არის მოსაგვარებელი ღონისძიების სათანადოდ ჩასატარებლად. აპირებს, პრესაში გამოსაქვეყნებლად მოამზადოს განცხადების ტექსტი, ასევე, გეგმავს, შეუთანხმდეს პოეტებს და კრიტიკოსებს, რომლებიც საღამოზე სიტყვით უნდა გამოვიდნენ. სურს, მომზადდეს ღონისძიების სტენოგრაფიული ჩანაწერიც.

➤ 13168

1955

### 9 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „აქ ოდესმე მხიარული“.

➤ 13169

1955

### 9 სექტემბერი

წყნეთში წერს ლექსს „აღმოჩენა 9 ნაბიჯის“.

➤ 13170

1955

### 10 სექტემბერი

ბორის კანდელაკი ჩუქნის თავის წიგნს „მთაწმინდა“ წარწერით: „სახალხო პოეტს, პატივცემულ გალაკტიონ ტაბიძეს კეთილსახსოვრად“.

➤ 13171

1955

### 10 სექტემბრის შემდეგ

კითხულობს ბორის კანდელაკის წიგნს „მთაწმინდა“, აკეთებს ხაზგასმებს და სარჩევთან აწერს საკვლე აბულაძის მისალმებას ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისადმი.

➤ 13172

1955

### 12 სექტემბრამდე

წერს 12 სექტემბერს ქართველ მწერლებსა და „საქწიგნის“ მუშაკებს შორის დაგეგმილი შეხვედრის შესავალი სიტყვის ტექსტს, რომელშიც საუბარია ზოგადად წიგნისა და ბეჭდვის ისტორიაზე საქართველოში. პოეტის შესავალ სიტყვაში ჩართულია უსათაურო ლექსი „ხშირად გამახსენდება...“, რომელიც, გალაკტიონის თქმით, მან სპეციალურად ღონისძიებასთან დაკავშირებით დაწერა.

➤ 13173

1955

### 12 სექტემბრამდე

სურს 20 სექტემბერს მოეწყოს მწერლების შეხვედრა სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლებთან. ფიქრობს ღონისძიების ფორმატზეც, უბის წიგნაკში ინიშნავს შეხვედრის გეგმას, რომლის მიხედვითაც, შესავალი სიტყვით გამოვა საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, მოხსენებას წაიკითხავს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის მოადგილე დავით დუმბაძე, სიტყვით გამოვლენ სხვა მწერლები და ამავე გამომცემლობის თანამშრომლები. ღონისძიება უნდა დაიწყოს საღამოს 7 საათზე.

➤ 13174

1955

### 12 სექტემბერი

ფიქრობს დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიების შესახებ, რომელიც მწერალთა კავშირის ინიციატივით უნდა ჩატარდეს 7 ოქტომბერს. ღონისძიების ორგანიზატორები არიან ირაკლი აბაშიძე და სერგი ჭილაია. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელის – ირაკლი აბაშიძის თხოვნით ამ ღონისძიებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს გალაკტიონმა. სწორედ ამიტომ, პოეტი განსაკუთრებულად აკვირდება ღონისძიებისთვის მზადების პროცესს და უბის წიგნაკშიც ინიშნავს ცალკეულ დეტალებს მონაწილეთა შესახებ.

➤ 13175

1955

### 14 სექტემბერი

აკეთებს ჩანაწერს, რომ შესრულდა ზუსტად ხუთი წელი იმ დღიდან, რაც დასაბეჭდად ხელი მოაწერეს მისი თხზულებების მეშვიდე ტომს.

➤ 13176

1955

### 15 სექტემბერი ან ადრე

თეოდორ ჩუდეცკის მიერ დახატულ თავის პორტრეტს გადასცემს მწერალთა კავშირის თანამშრომელ თამარ ანდლულაძეს.

➤ 13177

1955

### 14-15 სექტემბერი

აპირებს, მოძებნოს ჟურნალ „მნათობის“ მეშვიდე ნომერი, რომელშიც ოთარ ჩხეიძის რომანის – „ბურუსის“ პირველი ნაწილია დაბეჭდილი.

➤ 13178

1955

### 14-15 სექტემბერი

„ზარია ვოსტოკას“ ფოტოგრაფი გადასცემს ცხრა ფოტოს, რომლებიც ძალიან მოსწონს.

➤ 13179

**1955**

**14-15 სექტემბერი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ მისი გერის, ნუნუ ებანოიძის მეგობარი დასწრებია გამომცემლობა „საქწიგნი“ გამართულ მის პოეზიის სადამოს და ღონისძიების ფოტოებიც გადაუღია.

➤ 13180

**1955**

**14-15 სექტემბერი**

სურს, მოძებნოს მხატვარი, ვინც მოუმზადებს განცხადებას 20 სექტემბერს, სადამოს 7 საათზე დაგეგმილი ღონისძიების შესახებ. განცხადების ტექსტის მიხედვით: ღონისძიებაზე მწერლები შეხვედებიან სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლებს, შესავალ სიტყვას წარმოთქვამს გალაკტიონ ტაბიძე, მოხსენებას წაკითხავს გამომცემლობის დირექტორი დავით დუმბაძე, სიტყვით გამოვლენ მწერლები და გამომცემლობის თანამშრომლები.

➤ 13181

**1955**

**14-15 სექტემბერი**

აპირებს ლექსი „ახალი სანაპირო“ გადასცეს 20 სექტემბრის ღონისძიების მონაწილე ერთ-ერთ მომხსენებელს.

➤ 13182

**1955**

**14-15 სექტემბერი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მწერალთა კავშირის თანამშრომელი თამარ ანდლულაძე თანახმაა მონაწილეობა მიიღოს 20 სექტემბერს დაგეგმილ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის სადამოში.

➤ 13183

**1955**

**14-15 სექტემბერი**

ემზადება, რომ გადაიხადონ გერის – დავით ებანოიძისა და მისი შვილის, ზურაბ ებანოიძის დაბადების დღეები.

➤ 13184

**1955**

**14-15 სექტემბერი**

იგებს, რომ კულტურის მინისტრმა ავთანდილ გუნიათ საყვედური გამოუცხადა ვახტანგ გურგენიძეს გალაკტიონის ვანში ყოფნის ამსახველი კინო-კადრების გადაღების გამო და ბრაზობს. ფიქრობს, რომ კულტურის მინისტრი მის წინააღმდეგაა განწყობილი და სწორედ ამიტომ მის მტრებს ემხრობა.

➤ 13185

**1955**

**14-15 სექტემბერი**

წერს ერთსტროფიან, უსათაურო სატირულ ლექსს „რას გაიგებს გუგია, ირგვლივ რა გუგუნია...“, რომლის ადრესატია კულტურის მინისტრი ავთანდილ გუნია.

➤ 13186

1955

**14-15 სექტემბერი**

სალაროდან გამოაქვს 14 000 მანეთი.

➤ 13187

1955

**14-15 სექტემბერი**

უბის წიგნაკში იწერს მწერალთა კავშირის თანამშრომლის – თამარ ანდღულაძის ტელეფონის ნომერს.

➤ 13188

1955

**14-15 სექტემბერი**

ესაუბრება მწერალ გენო ქელბაქიანს, რომელიც აფრთხილებს, რომ მწერალთა კავშირში არაფრის დატოვება არ შეიძლება, რადგან იქ ყველაფერი იკარგება. საუბრისას გენო ქელბაქიანი უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებს მწერალთა კავშირის თანამშრომელ თამარ ანდღულაძეს.

➤ 13189

1955

**14-15 სექტემბერი**

უბის წიგნაკში ინიშნავს პოეტისა და ისტორიკოსის შოთა ლომსაძის მისამართს.

➤ 13190

1955

**14-15 სექტემბერი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ ლექსის „სანაპირო“ ავტოგრაფი გადასცა მწერალთა კავშირის თანამშრომელ თამარ ანდღულაძეს.

➤ 13191

1955

**14-15 სექტემბერი**

20 სექტემბერს მწერალთა კლუბში დაგეგმილ პოეზიის საღამოსთან დაკავშირებით უბის წიგნაკში ინიშნავს ფერადი ბეჭდვის სტამბის საწყობის გამგისა და ბრიგადირის გვარებს. აქვე იწერს, რომ პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენელია შოთა ჯიჯიეშვილი და სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის მოადგილე – ერასტი ტოროტაძე.

➤ 13192

1955

**14-15 სექტემბერი**

სურს, მოიპოვოს იმ სემინარიელების მოგონებები მის შესახებ, რომლებიც ამ სასწავლებელში 1908–1910 წლებში სწავლობდნენ.

➤ 13193

1955

**15 სექტემბრის შემდეგ**

აინტერესებს, რა ვითარებაა სოხუმში, მის მშენებარე სახლში, სადაც 15 სექტემბრისთვის იატაკი უნდა ყოფილიყო დაგებული, კედლები – შელესილი და კიბე – გაკეთებული. აპირებს, გაარკვიოს რამ შეუშალა ხელი ყოველივე ამის მოსწრებას. სურს, დააზუსტოს კარისა და ფანჯრების საკითხიც.

➤ 13194

1955

### 16 სექტემბრამდე

აპირებს ეთერ შუშანიას გადასცეს თეოდორ ჩუდეცკის მიერ დახატული თავისი პორტრეტის ფოტოასლი, ასევე, დედის – მაკრინე ადგიშვილის სურათი. გეგმავს, ახალგაზრდა მკვლევარისთვის მოამზადოს ჭყვიშში, მათი ოჯახის ბიბლიოთეკაში არსებული იმ წიგნების ჩამონათვალი, რომლებსაც სიჭაბუკეში ეცნობოდა. სურს, ეთერ შუშანიასთან საუბრისას ყურადღება გაამახვილოს ბაგრატის ტაძრის ნანგრევების შესახებ დაწერილ თავის ნაწარმოებებზე.

➤ 13195

1955

### 16 სექტემბერი

ურევავს თამარ ანდლულაძეს და ეკითხება, მასთან დატოვებული პორტრეტი და ფაქსიმილე გადასცა თუ არა 20 სექტემბრისთვის დაგეგმილი ღონისძიების ორგანიზატორებს. იგებს, რომ ხელნაწერი მოსწონებიათ და წაუღიათ, ხოლო სურათი – არა, რადგან ფორმატი საჭიროზე დიდი აღმოჩნდა.

➤ 13196

1955

### 16 სექტემბერი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ ყველა შეწუხებულია იმ ამბით, რომ ხელისუფლების ჩარევის გამო ვერ მოხერხდა მწერალთა კავშირიდან პავლე ინგოროყვას წარდგენა აკადემიის წევრობის კანდიდატად.

➤ 13197

1955

### 16 სექტემბერი

ხვდება ეთერ შუშანიას, რომელმაც 1950 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „გალაკტიონ ტაბიძის პოეტური განვითარების გზა“, ამჟამად კი გამოსაცემად ამზადებს წიგნს „გალაკტიონ ტაბიძე: ცხოვრება და შემოქმედება“.

➤ 13198

1955

### 17 სექტემბრამდე

აპირებს 17 სექტემბერს, 12 საათზე შეხვდეს სახელმწიფო გამომცემლობის პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის წევრ შოთა ჯიჯიეშვილს.

➤ 13199

1955

### 17 სექტემბრამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ საგამოყენოდ მოსაგვარებელია დარბაზისა და სტენდების საკითხი, ასევე, გასარკვევია იმ მასალის რაობაც, რაც უნდა გამოიფინოს. ფიქრობს, რომ 17 სექტემბერს ეცოდინება ზუსტი თარიღი, როდის გაიხსნება მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

➤ 13200

1955

### 17 სექტემბერი

წერს პოლიგრაფტრესტის პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის წევრის – თინა ლეჟავასადმი მიძღვნილ უსათაურო, ერთსტროფიან სახუმარო ლექსს „უნდა მენახა ლეჟავა თინა“.

➤ 13201

1955

### 17 სექტემბერი

ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფება წყნეთში და წუხს იმის გამო, რომ მისი გერის, ნუნუ ებანოიძის შვილს, მარინეს სიცხე აქვს.

➤ 13202

1955

### 18 სექტემბერი

გალაკტიონის მეუღლე, ნინო კვირიკაძე მიდის მეცნიერებათა აკადემიაში, იღებს პოეტის კუთვნილ ხელფასს და მთლიანად ხარჯავს.

➤ 13203

1955

### 18 სექტემბერი

გალაკტიონის ბინაში იმყოფება ტელეფონის შემმოწმებელი, რომელიც ცდილობს, ადადგინოს დაზიანებული სატელეფონო ხაზი. მუშაობის პროცესში ნინო კვირიკაძე მას დაუმსახურებელ შეურაცხყოფას აყენებს, „დურაქს“ უწოდებს, რის გამოც გაჯავრებული კაცი საქმეს მიატოვებს და მიდის.

➤ 13204

1955

### 19 სექტემბრამდე

ფიქრობს მწერალთა კავშირის პოეტების სექციის მიერ მისი ხელმძღვანელობით ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ. მისი გეგმის მიხედვით, მომდევნო შეხვედრა უნდა ჩატარდეს 19 სექტემბერს. ამის შემდეგ კი შეხვედრები ოქტომბერში უნდა გაგრძელდეს. სურს, ოქტომბერში მოაწყოს ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ფიქრობს, ოქტომბერშივე ჩაატაროს სერგეი მესხისა და იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები. გარდა ამისა, უნდა, რომ პოეტების სექციის მიერ ოქტომბერში ღონისძიებით აღინიშნოს სანდრო ეულის დაბადებიდან 65, ხოლო ავეტიკ ისააკიანის დაბადებიდან 80 წლის იუბილე.

➤ 13205

1955

### 19 სექტემბერი

წერს უსათაურო ლექსს „ეს სექტემბერი ტყის ფოთლებს ითვლის...“.

➤ 13206

1955

### 19 სექტემბერი

გალაკტიონის ბინაში ტელეფონი არ მუშაობს, პოეტს ახსენდება, რომ ეს ყველაფერი მეუღლის – ნინო კვირიკაძის ბრალია, რადგან წინა დღეს ქალს კონფლიქტი ჰქონდა ტელეფონის შემმოწმებელთან.

➤ 13207

1955

### 19 სექტემბერი



უბის წიგნაკში ინიშნავს განცხადების ტექსტის სამ ვარიანტს. მათში ნათქვამია, რომ 29 სექტემბერს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის კლუბში შედგება გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრა სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლებთან. ღონისძიებას გახსნის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორი ვალერიან დოლიძე, გალაკტიონის პოეზიის შესახებ მოხსენებას გააკეთებს სერგი ჭილაია, ხოლო სიტყვით გამოვლენ მწერლები და ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის თანამშრომლები. საღამო 6 საათზე დაიწყება, ღონისძიებაზე დასწრება შესაძლებელი იქნება მოსაწვევი ბარათებით.

➤ 13208

1955

### 19 სექტემბერი

ღამის ათის ნახევარზე უცდის წყნეთისკენ მიმავალ ავტობუსს, ლოდინის დროს წერს უსათაურო ლექსს „იმედს, რაღაცნაირ იმედს...“.

➤ 13209

1955

### 19 სექტემბერი ან შემდეგ

რამდენიმე დღეა გალაკტიონის ბინას ელექტროენერგია არ მიეწოდება. პოეტის აზრით, ეს მისი მეუღლის – ნინო კვირიკაძის ბრალია, რადგან ქალმა სამჯერ დაიბარა ელექტრიკოსი და შინ არც ერთხელ არ დახვდა. გარდა ამისა, მან სანტექნიკოსს საჭირო თანხა ბოლომდე არ გადაუხადა, რის გამოც მოუგვარებელი დარჩა სააბაზანოში წყალგაყვანილობის პრობლემა.

➤ 13210

1955

### 19 სექტემბერი ან შემდეგ

აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც ჩამოთვლის მისი მეუღლის – ნინო კვირიკაძის მიერ ბოლო პერიოდში ჩადენილ გამაღიზიანებელ ქმედებებს. განსაკუთრებით აწუხებს ის, რომ ქალი განაგრძობს ინტრიგებს და გამუდმებით უფუჭებს ხასიათს, რის გამოც ვერ ახერხებს მუშაობას. ეს სიტუაცია გაუსაძლისია გალაკტიონისთვის, რადგან უამრავი საქმე აქვს და დამხმარე კი არავინ ჰყავს.

➤ 13211

1955

### 20 სექტემბერი

გალერეის დირექტორთან, ხელოვნებათმცოდნე მიხეილ თოფურასთან შეთანხმებით უბის წიგნაკში ინიშნავს, თუ რა არის გასაკეთებელი მისი შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოსაწყობად. სურს, გამოფენისთვის თავმოყრილ იქნას ყველაფერი, რაც შექმნილა სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების თემაზე, იქნება ეს სკულპტურა, ფერწერა თუ გრაფიკა. გადაწყვეტილი აქვს, ხელნაწერები განთავსდეს სტენდებზე, ასევე გამოიფინოს მისი გამოცემების ყდები, მომზადდეს მასალები „ქართველი მწერლები გალაკტიონის შემოქმედების შესახებ“, „რუსეთი და უცხოეთი გალაკტიონის შესახებ“, ცალკე სტენდი დაეთმოს თემას „გალაკტიონი ოქტომბერში“. გარდა ამისა, პოეტის აზრით, აუცილებელია, დაიბეჭდოს აფიშები და მოსაწვევი ბარათები, მომზადდეს შთაბეჭდილებების წიგნი, მოხდეს საგამოფენო დარბაზის რადიოფიცირება. ჩანაწერის მიხედვით, გამოფენა უნდა გაიხსნას ნოემბრის პირველ დღეებში. გეგმას ხელს აწერენ გალაკტიონ ტაბიძე და მიხეილ თოფურია.

➤ 13212

1955

### 20 სექტემბერი

ფიქრობს, რომ ნოემბრის დასაწყისისთვის დაგეგმილი მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოსაწყობად აუცილებელია ნებართვა პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან, ამისათვის კი საჭიროა, რომ მწერალთა და მხატვართა კავშირებმა წერილობით უშუამდგომლონ.

➤ 13213

1955

### 20 სექტემბერი

პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის წევრთან – შოთა ჯიჯიეშვილთან უკვე შეთანხმებულია გალაკტიონის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობის საკითხი, თუმცა, გალაკტიონის აზრით, ჯიჯიეშვილი საბოლოო, ოფიციალური თანხმობის გასაცემად უცდის სახელმწიფო გამომცემლობის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელის ბარნაბ პატარაიასა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი მალენკოვის გადაწყვეტილებას.

➤ 13214

1955

### 20 სექტემბერი

აპირებს ნოემბრის დასაწყისში დაგეგმილი გამოფენისთვის გააკეთებინოს მამის – ვასილ ტაბიძის პორტრეტი.

➤ 13215

1955

### 21 სექტემბერი

უჩნდება შიში, რომ შესაძლებელია მის მიერ დაგეგმილი გამოფენა ჩაიშალოს, რადგან თანხმობა უნდა მიიღოს სახელმწიფო გამომცემლობის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელის ბარნაბ პატარაიასაგან, რომელმაც ცოტა ხნით ადრე უარი უთხრა მათთან საღამოს მოწყობაზე იმ მიზეზით, რომ დაწესებულების დირექტორი, გიორგი მერკვილაძე თბილისში არ იმყოფებოდა. გალაკტიონის შიში არ მართლდება, ბარნაბ პატარაია პოზიტიურად ხვდება ღონისძიების იდეას და იმასაც კი ეუბნება, რომ შემდეგში თვითონ მოუწყობს ისეთ გამოფენას, როგორც სახალხო პოეტს ეკადრება. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ მთავარი ლიტერატურული სამმართველოს წარმომადგენლისგანაც იღებს ოფიციალურ თანხმობას და ხელს უწერენ დასაბეჭდ მასალებზე.

➤ 13216

1955

### 21 სექტემბერი

გალაკტიონის მიერ დაგეგმილი, მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობის საკითხი დადებითად წყდება, რაც პოეტს ძალიან ახარებს. ვარაუდობს, რომ 26 სექტემბრისთვის უკვე მოსაწვევი ბარათებიც იქნება მზად.

➤ 13217

1955

### 21 სექტემბერი

გამოფენის მოწყობის შესახებ ოფიციალური თანხმობის მიღების შემდეგ აფიშისა და მოსაწვევი ბარათების ტექსტებს დასაბეჭდად გადასცემს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორის თანაშემწეს, ვალერიან დოლიძეს. დარწმუნებულია, თუ რამე მოულოდნელი არ მოხდა, ორ-სამ დღეში აფიშა გაიკვრება. ფიქრობს, კარგი იქნება, მოსაწვევების დაბეჭდვამდე პოლიგრაფტრესტი თუ გამოუყოფს ერთ ოთახს, რომელშიც გამოფენისთვის საჭირო მასალებს დაალაგებს.

➤ 13218

1955

### 21 სექტემბერი

დარწმუნებულია, რომ მის მიერ დაგეგმილი გამოფენა ძალიან კარგი გამოვა. ელოდება, როდის დაიბეჭდება ამ გამოფენისთვის მომზადებული აფიშები.

➤ 13219

1955

### 21 სექტემბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ 26 სექტემბერს მწერალთა კავშირში ჩატარდება პარმენ ცახელის საღამო.

➤ 13220

1955

### 21 სექტემბერი

სახელმწიფო გამომცემლობაში მიაქვს განცხადება და ითხოვს, 1956 წლის გეგმაში შეიტანონ თხოვლობათა რვატომეულის მერვე ტომის გამოცემა. ვერ გადაუწყვეტია, ახლავე ითხოვოს თუ არა მეცხრე ტომის გამოცემაც, რადგან ჯერჯერობით ამ ორიდან არცერთი ტომი არ აქვს მომზადებული.

➤ 13221

1955

### 21 სექტემბერი

კულტურის მინისტრთან მიაქვს განცხადება და აცნობებს, რომ 1956 წელს სურს თხოვლობათა რვატომეულის მერვე ტომის გამოცემა. მინისტრის განმარტებით, 1955 წლის ნოემბერში მოხდება 1956 წლის საგამომცემლო გეგმის განხილვა და ამ დროისთვის სამინისტროს შეუძლია შეიტანოს გეგმაში გალაკტიონის წიგნი. მინისტრისგან ამგვარი პასუხის მიღების შემდეგ უჩნდება შიში, რომ შესაძლებელია ტომი ახლავე მოითხოვონ, მას კი მასალა ჯერ არა აქვს მომზადებული ისეთი სახით, რომ წარდგენა შეიძლებოდეს.

➤ 13222

1955

### 21 სექტემბერი

წყნეთიდან სპეციალურად ჩადის თბილისში, რომ დაესწროს პარტიურსა და რეპორტიორების კრებას, თუმცა განცხადებიდან იგებს, რომ კრება გადაიდო 29 სექტემბრისთვის. ამჩნევს, რომ განცხადების ტექსტში შეუსაბამობაა: წერია „ორშაბათი, 29 სექტემბერი“, მაშინ, როცა 29 სექტემბერი რეალურად არის ხუთშაბათი და არა – ორშაბათი. დაინტერესებულია, რატომ აირჩიეს კრების თარიღად მაინცდამაინც 29 სექტემბერი, ის დღე, როდესაც შეხვედრა აქვს ასოთამწყობებთან. ამგვარი დამთხვევის გამო აპირებს დაგეგმილი შეხვედრა გადასწიოს 1 ოქტომბრისთვის. დარწმუნებულია, რომ განცხადება დაწერილია თეიმურაზ ჯანგულაშვილის ხელით და ფიქრობს, რომ სწორედ მას ეცოდინება სიმართლე თუ ვინ შეარჩია კრების თარიღი, ვის სურდა ამ ხერხით ჩაეშალა გალაკტიონის საღამო: სერგი ჭილაიას, ირაკლი აბაშიძეს, გიორგი ლეონიძეს თუ კარლო კალაძეს. ფიქრობს, რომ ამ ადამიანებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. აინტერესებს, იცოდნენ თუ არა მათ გალაკტიონის მიერ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ სახელმწიფო გამომცემლობის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელის ბარნაბ პატარაიასგან.

➤ 13223

1955

### 22 სექტემბერი

ბევრს ფიქრობს მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის შესახებ, რომელიც ნოემბრის დასაწყისში უნდა გაიხსნას. უბის წიგნაკში ჩამოწერს, რა სახის მასალა არის

მოსამზადებელი საგამოფენოდ: წიგნები, კედლის გაზეთები, პორტრეტი, წარწერები, ფოტოები. გეგმავს, გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები დაანაწილოს შემდეგი ქრონოლოგიური პერიოდების მიხედვით: 1908-1914, 1914-1918, 1918-1923... ასევე, აპირებს საჩქაროდ მოაგვაროს გამოფენის აფიშის საკითხი.

➤ 13224

1955

### 22 სექტემბერი

აპირებს, 1 ოქტომბერს იზრუნოს გამოფენასთან დაკავშირებულს საკითხებზე, მივიდეს სახელმწიფო გამომცემლობის ბუღალტერიაში, გაარკვიოს, როდის გადაირიცხება თანხა. ასევე გეგმავს, დაელაპარაკოს გამომცემლობის დირექტორ გიორგი მერკვილაძეს და ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის დირექტორ ვალერიან დოლიძეს. აპირებს, მივიდეს მწერალთა კავშირში, შეხვდეს ირაკლი აბაშიძეს, თამარ ანდღულაძეს, სერგი ჭილაიასა და თეიმურაზ ჯანგულაშვილს.

➤ 13225

1955

### 23 სექტემბრამდე

აპირებს მივიდეს მწერალთა კავშირის კრიტიკოსთა ბიუროში და 3 საათზე შეხვდეს ბესარიონ ჟღენტს.

➤ 13226

1955

### 24 სექტემბერი

დილით წერს ლექსს „24 სექტემბერი, 1955, დილა“ („ჩემი სახლის აივნიდან მოჩანს კავკასიონი...“).

➤ 13227

1955

### 24 სექტემბერი

წერს ლექსს „24 სექტემბერი, 1955“ („ამ დარბაზში, დღეს, მეგობრებო...“).

➤ 13228

1955

### 25 სექტემბერი

ოთახში ხვდება ძმისწულის, ნოდარ ტაბიძის წერილი. ატყობინებს, რომ სახლმმართველს არ შემოუვლია და ვერც ადგილზე ნახა. სამი-ოთხი დღით მიდის სამტრედიისში. ამიტომ ბინის ქირა ვერ გადაიხადა და ფულს უტოვებს მაგიდაზე, რომ როცა რწმუნებული შემოვივლის, გადაიხადოს.

➤ 13229

1955

### 26 სექტემბერი

იმყოფება წყნეთში, იფნის ბაღში, წერს უსათაურო ლექსს „მტკვარს ვერის პირად...“.

➤ 13230

1955

### 27 სექტემბრის შემდეგ

ყურნალში „მნათობი“ იბეჭდება მამია ებრალიძის ნაშრომი „გალაკტიონ ტაბიძე და ძველი ქართული პოეზია“, რომელშიც ავტორი ცდილობს ძველ ქართულ მწერლობასთან გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მიმართების თავისებურებათა ნათელყოფას. მამია ებრალიძე, უპირველეს ყოვლისა, პოეტის „ვეფხისტყაოსნისადმი“ დამოკიდებულებაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ არც ერთი პოეტი, გარდა არჩილისა, რომელმაც რუსთაველსა და

თეიმურაზ პირველს მეტად ვრცელი პოემა-გაბასება მიუძღვნა, თავის მხატვრულ ქმნილებებში არ შეხებია რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“ იმდენჯერ, რამდენჯერაც შეეხო გალაკტიონ ტაბიძე. მამია ებრალიძის აზრით, რუსთაველის მხატვრული სამყაროს ზემოქმედება გალაკტიონის პოეზიაზე, უპირველეს ყოვლისა, მსოფლმხედველობრივ სფეროშია საძიებელი: მკვლევრის აზრით, ახალ დროის ქართველ მწერალთაგან რუსთაველის ჰუმანისტური ტრადიციების გამგრძელებლად უპირველესად გალაკტიონი გვევლინება. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ყველასათვის თვალსაჩინოა გალაკტიონის პოეზიის ლექსიკური სიმდიდრე, რაც დიდწილად იმითაა განპირობებული, რომ პოეტს საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ძველი ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით – „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური ლექსიკა. კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონის პოეზიაში დადასტურებულ იმ ცალკეულ სიტყვებსა და ლექსიკურ ფორმებზე, რომელთა გენეტიკური პირველწყაროც, მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ უნდა იყოს. საგანგებოდ ჩერდება მკვლევარი ვეფხვის პოეტურ სახეზე, რომელსაც გალაკტიონი ხშირად იყენებს შედარებისა თუ მეტაფორის კომპონენტად. შემდეგ მამია ებრალიძე განიხილავს საკითხს, – თუ როგორ ვლინდება გალაკტიონის შემოქმედებითი კავშირი „ვეფხისტყაოსანთან“ ტროპული მეტყველებისა და პოეტური სინტაქსის სფეროში. მისი შენიშვნით, გალაკტიონი უბრალოდ კი არ იმეორებს უკვე არსებულ მხატვრულ სახეს, არამედ გადაამუშავებს და თავისებური ნიუანსით ამდიდრებს მას.

მკვლევარი საუბრობს აგრეთვე გალაკტიონის დამოკიდებულებაზე ძველი ქართული პოეზიისადმი მეტრიკის სფეროშიც. მისი თქმით, ძველი მეტრებიდან ყველაზე ხშირად გალაკტიონი მიმართავს შავთელურ-ჩახრუხაულს. მამია ებრალიძე ყურადღებას ამახვილებს დავით გურამიშვილის შემოქმედებისადმი გალაკტიონის პოეზიის მიმართების ერთ ასპექტზეც. იგი აღნიშნავს, რომ შემოქმედების საწყის ეტაპზე, სავარაუდოდ, გალაკტიონი გატაცებული უნდა ყოფილიყო დავით გურამიშვილის სარწმუნოებრივი ხასიათის ლექსებით. ამის თქმის საფუძველს მკვლევარი იმ გარემოებაში ხედავს, რომ გალაკტიონის ადრეული ლექსების ერთი ნაწილი მისტიკური იერითაა აღბეჭდილი. კრიტიკოსი გალაკტიონის შემოქმედებაში ამჩნევს ბესიკის სატრფიალო პოეზიის გამოძახილსაც.

➤ 13231

**1955**

### **30 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 30 სექტემბერს, 12 საათზე აკადემიაში არის აკადემიის წევრთა საერთო კრება.

➤ 13232

**1955**

### **30 სექტემბერი ან შემდეგ**

გაზეთ „კომუნისტის“ 30 სექტემბრის ნომრიდან იწერს ცნობას იმის თაობაზე, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების ქალაქის საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება გენერალ ლესელიძის ძველი სანაპიროს სკვერიდან გადაიტანოს ლესელიძის ქუჩის სკვერში.

➤ 13233

**1955**

### **აგვისტო-სექტემბერი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ვილაცის ნათქვამ ფრაზას, რომ გალაკტიონ ტაბიძის სახელი უნდა დაერქვას თბილისის ერთ-ერთ ქუჩას, მაგრამ უშუალოდ თბილისში და არა მის გარეთ.

➤ 13234

**1955**

### **სექტემბერი**

ატყობინებენ, რომ სოხუმში მისი აგარაკის საამშენებლო სამუშაოები შეჩერებულია.

➤ 13235

1955

**სექტემბერი**

უბის წიგნაკს საწყის გვერდზე მიაწერს „ბედნიერი წიგნაკი“.

➤ 13236

1955

**სექტემბერი**

უკმაყოფილოა დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიების სამზადისით, რადგან, მისი აზრით, არავინ არის დაინტერესებული ამ საქმით. ფიქრობს, რომ ღონისძიებისთვის მომზადებული გამოფენა არეული, არათანმიმდევრული გამოდის, მხატვრების ნამუშევრებში კი აშკარად იგრძნობა დაშორება გურამიშვილის პიროვნებასთან, მის გარემოსთან. შაბლონურად და არასაინტერესოდ ეჩვენება ალექსანდრე ბარამიძის მონოგრაფია „დავით გურამიშვილი“. ფიქრობს, რომ ასე შეიძლება ნებისმიერ ავტორზე დაიწეროს. არ მოსწონს ისიც, რომ მონოგრაფიაში გამოტოვებულია კლასიკოსი მწერლის ცხოვრების არაერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, მიუხედავად იმისა, რომ მათი პოეტურად გაშლა და წარმოდგენა სავსებით შესაძლებელი იყო. ამჩნევს იმასაც, რომ საიუბილეო და საგამოფენო კომისიის წევრები, ასევე, მთარგმნელები და პრესის თანამშრომლები მხოლოდ საკუთარ შემოსავალზე ფიქრობენ და არ ადარდებთ, როგორ ჩაივლის ღონისძიება. მათ საქციელში არ იგრძნობა არანაირი პასუხისმგებლობა, არც ენთუზიაზმი და საქმით გატაცება. აშფოთებს ისიც, რომ ორგანიზატორები აპირებენ ვაჟა-ფშაველას ეზოში გამართული ბანკეტის მსგავსი მოაწყონ საგურამოში და კვლავ მიწოდორზე გაშალონ სუფრა. ფიქრობს, რომ მოსაწონი არ არის, რადგან საჭიროა კულტურული ღონისძიების მოწყობა და არა – ღრეობა.

➤ 13237

1955

**სექტემბერი**

ფიქრობს თავისი ბიძაშვილის – ტიციან ტაბიძის ტრაგიკულ აღსასრულზე. იხსენებს ვიღაცის მონათხრობს, რომ ტიციანი აწამა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელმა ნიკიტა კრიმიანმა. ამრწუნებს იმის გაცნობიერება, რომ კრიმიანმა ეს საშინელება ოცდაერთი წლის ასაკში ჩაიდინა.

➤ 13238

1955

**სექტემბერი**

იმყოფება „მნათობის“ რედაქციაში, სურს შეხვდეს მიხეილ მაღრაძეს, მაგრამ ვერ ახერხებს. კითხულობს იქვე განთავსებულ ტექსტს, რომლის მიხედვითაც მაღრაძესთან შეხვედრა შესაძლებელია ორშაბათობით, 14-დან 18 საათამდე. ამ ოფიციალური ინფორმაციის შთაგონებით წერს ერთსტროფიან, უსათაურო სახუმარო ლექსს „მაღრაძე ჩვენი მნათობთ მანთობი“.

➤ 13239

**ოქტომბერი**

1955

**2 ოქტომბრამდე**

აპირებს 2 ოქტომბერს, 2 საათზე შეხვდეს კორნელი კეკელიძეს.

➤ 13240

1955

**6 ოქტომბერი ან ადრე**

6 ოქტომბერს 6 საათზე ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის კლუბში მასთან დაგეგმილი შეხვედრის მოსაწვევეს სიტყვებით „ძვირფასზე ძვირფასს“ უგზავნის ვახტანგ გურგენიძეს.

➤ 13241

1955

### 6 ოქტომბერი

არიგებს გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის ბილეთებს. „გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სალიტერატურო წრის“ ხელმძღვანელს, ილია ადეიშვილს გადასცემს 39 ბილეთს, ვახტანგ გურგენიძეს – 9-ს, აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭრელიძეს კი – 2-ს. ბილეთებს ტოვებს მწერალთა კავშირში თეიმურაზ ჯანგულაშვილთან, ასევე – მეცნიერებათა აკადემიაში. საბოლოოდ არიგებს ასზე მეტ ბილეთს და დასარიგებელი რჩება 86.

➤ 13242

1955

### 6 ოქტომბერი

ტარდება გალაკტიონის შეხვედრა სახელმწიფო გამომცემლობის ასოთამწიფობებთან. ამ საღამოს პოეტი დიდი მოუთმენლობით ელოდა, რადგან აქ უნდა დასმულიყო საკითხი მტკვრის სანაპიროსთვის გალაკტიონის სახელის მინიჭების შესახებ. მართლაც ვახტანგ გურგენიძე დამსწრეთ აცნობებს, რომ საღამოს თავმჯდომარის სახელზე მუშებმა გაგზავნეს წერილი, რომელშიც ითხოვდნენ მტკვრის სანაპიროსთვის გალაკტიონის სახელის მინიჭებას. მოგვიანებით თავად სხდომის თავმჯდომარე ამბობს, რომ ასეთ სერიოზულ საკითხს შეთანხმების გარეშე ვერ გადაწყვეტს. გალაკტიონი იმედეგაცრუებული რჩება.

➤ 13243

1955

### 6 ოქტომბერი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს თავის მომხრეთა რაოდენობის ზრდის შესახებ და „გ. სვანიძის ხელმოწერით წერს ლექსს „დიდი გალაკტიონის ვიყოთ პატრიოტები...“.

➤ 13244

1955

### 8 ოქტომბერი

გალაკტიონის ოჯახი წყნეთშია, თავად კი თბილისში დაბრუნდა, მაგრამ სახლში არ ასულა. 10 საათზე მწერალთა კავშირში უნდა ყოფილიყო და ტელეფონი გამუდმებით რეკავს მის სახლში. ძმისწულმა, ნოდარ ტაბიძემ არ იცის, სად ეძებოს, მაგრამ უცებ ურეკავენ მწერალთა კავშირიდან, რომ გალაკტიონი ვიღაცამ სცემა და მილიციის განყოფილებაშია. ნოდარი სასწრაფოდ მიდის და ნახულობს, რომ ბიძამისს ტანსაცმელი დასვრილი და სისხლიანი აქვს და თან მთვრალია. იქვე არის ის პიროვნებაც, პურის საცხობის საწყობის გამგე შოთა ბაზარაშვილი, ვინც ხელი გაართყა. ისიც მთვრალია. გალაკტიონს საექიმო შემოწმებაზე აგზავნიან და შემდეგ სახლში უშვებენ.

➤ 13245

1955

### 9 ოქტომბერი

მონაწილეობს საგურამოში გამართულ დავით გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. იქიდან მიდის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში და გზად რუსი სტუდენტების თხოვნით მათთან ერთად იღებს სურათს.

➤ 13246

1955

## 10 ოქტომბერი

გალაკტიონი სახლშია მთვრალი, საინფორმაციო ბიუროში რეკავს და მწერალ ჭილაძის ტელეფონის ნომერს ითხოვს, მაგრამ უარს ეუბნებიან და უთიშავენ.

➤ 13247

1955

## 11 ოქტომბერი

ფურცელზე ინიშნავს, რომ მძლოლმა ერთი საათი დააგვიანა და ის და ირმა საქმეებზე ვეღარ წავიდნენ.

➤ 13248

1955

## 13 ოქტომბრის შემდეგ

წერილს იღებს თიანეთში მცხოვრები, X კლასის მოსწავლის, 16 წლის ბესიკ ხარანაულისგან. ყმაწვილი სწერს, რომ გათამამდა და გადაწყვიტა მისთვის რამდენიმე ლექსის გაგზავნა. სთხოვს, თუ ძალიან არ შეწუხდება, მისწეროს თავისი აზრი ამ რვა ლექსის შესახებ. ბოდიშს უხდის, რომ აწუხებს, მაგრამ იმედი აქვს მისი სულგრძელების.

➤ 13249

1955

## 14 ოქტომბრის შემდეგ

წვება პლენარის გამზირზე მდებარე მიხეილის საავადმყოფოში.

➤ 13250

1955

## 18 ოქტომბრამდე

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც 21 ოქტომბერს გაიმართება გალაკტიონთან შეხვედრა მესტიაში. ღონისძიების ჩატარების ინიციატორები არიან რაიონული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნიკოლოზ გუჯეჯიანი და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე რაჟდენ ჯაფარიძე. თბილისიდან გამგზავრებას აპირებს 18 ოქტომბერს, მეორე დღეს, შუადღის 12 საათზე უკვე ზუგდიდში იქნება, სადაც დაბინავდება სასტუმრო „ოდიში“. სამეგრელოში დაახვედრებენ მანქანას, რომლითაც გაემგზავრება მესტიისკენ.

➤ 13251

1955

## 18 ოქტომბერი

მასთან შეთანხმებით ინიშნება შეხვედრა თბილისის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმებთან.

➤ 13252

1955

## 19 ოქტომბერი

წერს უსათაურო ლექსს „ამხანაგებო! ვით დაგიხატოთ“, რომელიც ეძღვნება თბილისის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმებს.

➤ 13253

1955

## 19 ოქტომბრის შემდეგ



საავადმყოფოში მის პალატაში წევს პაციენტი შალვა ჟორდანიანი. მასა და მის ცოლზე წერს სახუმარო ლექსს „ფლანი და ფსტანი“.

➤ 13254

1955

### 21 ოქტომბრამდე

ნოდარ ტაბიძეს გალაკტიონისთვის საავადმყოფოში მიაქვს მისი ხელფასი – 1000 მანეთი და გალაკტიონი ჩუქნის 100 მანეთს.

➤ 13255

1955

### 20 ოქტომბერი

ნოდარ ტაბიძე სტუმრად არის კორნელი კეკელიძესთან, რომელიც დედის მხრიდან ენათესავება და საუბარი ჩამოვარდება გალაკტიონზე. კორნელი ამბობს, რომ აკადემიაში ძალიან გაბრაზებულები არიან მასზე, ცალკე ლოთობისა და ჩხუბის გამო და ცალკე იმიტომ, რომ თავისი დაუსწრებლობის გამო ორჯერ ჩაშალა აკადემიის წევრთა არჩევნები. მესამედ უკვე ცენტრალურ კომიტეტს შეატყობინეს და იქიდან თანხმობა მიიღეს, მის გარეშე ჩაატარეთო. ზოგიერთი მოითხოვდა აკადემიიდან მის გარიცხვასაც კი. ბრაზობდნენ, რომ აკადემიის წევრობის ღირსად თავისი თავის გარდა არავინ მიაჩნდა.

➤ 13256

1955

### 21 ოქტომბერი

მიხეილის სახელობის საავადმყოფოში აკითხავს მეუღლე, ნინო კვირიკაძე და ეჭვი უჩნდება, რომ ნასვამია. ტანსაცმელი იქვე აქვს და საავადმყოფოდან გასვლა არ გაუჭირდება. ისიც შეუძლია, ვინმეს ფული მისცეს და მოატანინოს. ნინო სახარჯო ფულს სთხოვს, მაგრამ არ აძლევს. კონფლიქტი რომ აირიდოს, ნინო აღარ ეკამათება, მიდის, ბესარიონ ჟღენტისგან საშვს თხოულობს და საღამოს ისევ აპირებს მისვლას.

➤ 13257

1955

### 19-22 ოქტომბერი

წერს უსათაურო ლექსს „ნება მომეცით შევაქო ლექსით...“.

➤ 13258

1955

### 22 ოქტომბრამდე

მკურნალობს თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში. როცა გამომჯობინდება, ახალგაზრდა ექიმები ს. ხაფავას ინიციატივით გადაწყვეტენ საავადმყოფოს კლუბში პოეტს პოეზიის საღამო გაუმართონ. მთავარი ექიმის გ. ქობალიას თანხმობის შემდეგ იგეგმება ღონისძიება. მოხსენებას გალაკტიონის ცხოვრება-შემოქმედებაზე ექიმი პავლე ფირფილაშვილი გააკეთებს, ლექსებს ექიმები ს. ხაფავა, რ. სიგუა და რ. სარალიძე წაიკითხავენ. ფირფილაშვილი და ხაფავა მოინახულებენ გალაკტიონს და თავიანთ განზრახვას გაანდობენ. გალაკტიონს ცრემლი ერევა და მადლობას მოახსენებს და სთავაზობს სხვა დროისთვის გადადონ მასთან შეხვედრა, მაგრამ ბოლოს, მაინც დაყაბულდება. ფირფილაშვილი მოხსენების დაწერის შემდეგ ხვდება პოეტს და სთხოვს, გაეცნოს. გალაკტიონი გადაათვალიერებს, შემდეგ უკან უბრუნებს და სთხოვს თავად ხმამაღლა წაიკითხოს. მოსწონს ტექსტი, ექიმს გულში იკრავს და სთხოვს ხელნაწერის ასლი დაუტოვოს. შემდეგ უბის წიგნაკიდან რამდენიმე ლექსს უკითხავს, ესაუბრება საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე. ბოლოს, სთხოვს საავადმყოფოს ფოტოგრაფი მოძებნოს და მასთან ერთად სურათს იღებს.

➤ 13259

1955

### 22 ოქტომბრამდე

თბილისის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმებისა და პაციენტების სახელით ადგენს მიმართვის ტექსტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსადმი. მიმართვის თანახმად, საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრის შემდეგ ღონისძიების დამსწრეები ითხოვენ გათვალისწინებულ იქნას გალაკტიონის უდიდესი როლი ქართული ლიტერატურის განვითარებაში და, ვინაიდან იგი თითქმის ოცდახუთი წელია, რაც სანაპიროს მახლობლად ცხოვრობს, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ეწოდოს „გალაკტიონის სანაპირო“.

➤ 13260

1955

### 22 ოქტომბერი

სალამოს რესპუბლიკური საავადმყოფოს კლუბში იმდენი ხალხი იკრიბება, რომ დარბაზის ფანჯრებს აღებენ და ავადმყოფებს ასე ასმენინებენ. სალამოზე გალაკტიონი კითხულობს სპეციალურად ამ დღისთვის დაწერილ ლექსს „ნება მომეცით შევაქო ლექსით სინათლე-არა უსინათლობა...“. სალამოს მეორე განყოფილება პოეტის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს ეთმობა. გულაჩუყებული გალაკტიონი სიხარულს ვერ მალავს. სალამოს შემდეგ საავადმყოფოს დირექცია და პერსონალი პალატამდე აცილებს და გალაკტიონი მათ სათითაოდ კოცნით ემშვიდობება.

➤ 13261

1955

### 23 ოქტომბრამდე

აპირებს, 23 ოქტომბერს მოეწიოს შეხვედრა თბილისის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ექიმებთან. სურს, ამ შეხვედრის ფარგლებში დამსწრე საზოგადოებამ უშუამდგომლოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რათა გალაკტიონის დამსახურების, მისი ღვაწლისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით მეორე სანაპირო ქუჩას ეწოდოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის სახელი.

➤ 13262

1955

### 23 ოქტომბერი

ტარდება შეხვედრა თბილისის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოს ექიმებთან, მუშა-მოსამსახურებთან და ავადმყოფებთან. მონაწილეები იღებენ გადაწყვეტილებას, შუამდგომლობით მიმართონ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რათა მტკვრის ერთ სანაპიროს მიენიჭოს საქართველოს სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის სახელი და ეწოდოს „გალაკტიონის სანაპირო“. პოეტი ადგენს ამ შუამდგომლობის ტექსტს.

➤ 13263

1955

### 23 ოქტომბერი

ეწერება რესპუბლიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილებიდან და შინ ბრუნდება.

➤ 13264

1955

### 30 ოქტომბრამდე

თბილისის მასწავლებელთა სახლში 30 ოქტომბრისთვის იგეგმება შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტთან, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძესთან.

➤ 13265

## ნოემბერი

1955

### 9 ნოემბერი

გეგმავს სახელგამში მისვლას და თხზულებათა მერვე ტომის ჩაბარებას რედაქტორისათვის.

➤ 13266

1955

### 9 ნოემბერი

გეგმავს მოელაპარაკოს სერგი ჭილაიას და პოეტების სექციის საერთო კრება დანიშნოს 19 ნოემბრისათვის. აპირებს კრების მოწვევისათვის აუცილებელი ტექნიკური დეტალების მოგვარებას.

➤ 13267

1955

### 15 ოქტომბრამდე

უბის წიგნაკში აკეთებს ღონისძიების აფიშის მონახაზს. ტექსტის თანახმად, 1955 წლის 15 ოქტომბერს გაიმართება სახალხო პოეტ, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძის შეხვედრა საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომლებთან. მოხსენებას პოეტის შემოქმედების შესახებ წაიკითხავს ალექსანდრე შანიძე.

➤ 13268

1955

### 30 ნოემბერი

გაზეთ „ზარია ვოსტოკადან“ იწერს ცნობას, რომ 29 ნოემბერს თბილისის გრიბოედოვის დრამატული თეატრის მსახიობმა ივან რუსინოვმა მწერალთა კავშირში წაიკითხა ადამ მიცკევიჩის ლექსების რუსული თარგმანები.

➤ 13269

1955

### შემოდგომა

პოეტები ანზორ აბულაშვილი და ნოდარ ნარსია ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე, არაყიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე სასადილოში სხედან, როცა თვალს მოკრავენ იქ შესულ გალაკტიონს. სხვადასხვა სუფრასთან მსხდომი ადამიანები გალაკტიონს სთხოვენ მათთან დაჯდომას, მაგრამ ის უსიტყვოდ ტოვებს სასადილოს.

➤ 13270

## დეკემბერი

1955

### 2 დეკემბერი

ზესტაფონ-არგვეთა-სვირის ახალგაზრდობა გაზეთებიდან იგებს, რომ ქუთაისში დაგეგმილია გალაკტიონთან შეხვედრა და გადაწყვეტს, სვირის სადგურზე დახვდეს პოეტს, ვაგონიდან გაიყვანოს, ჯერ თავად უმასპინძლოს და ქუთაისში შემდეგ გაამგზავროს. ასეც იქცევია. სვირის სადგურზე ხვდებიან პოეტს და მისასალმებელი სიტყვებით და მისადმი მიძღვნილი ლექსებით ხელში აიტაცებენ. შემდეგ კი საგანგებოდ გაშლილ სუფრასთან მიჰყავთ. გალაკტიონს მოსწონს ასეთი ემოციური დახვედრა, კარგად მოილხენს და საკუთარ ლექსებსაც კითხულობს, შემდეგ კი რამდენიმე კაცის თანხლებით სატვირთო მატარებლის მემანქანის კაბინით მგზავრობს ქუთაისისკენ.

➤ 13271

1955

### **3 დეკემბერი**

ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელმწიფო თეატრში დაგეგმილია გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრა. სალამოს მომწყობი კომისიის წევრთა ერთი ნაწილი დილით დოდო ანთაძესთან ერთად ავტომანქანით სადგურ რიონში მიდის მის დასახვედრად, მაგრამ პოეტი მატარებელში არ აღმოჩნდება. გაოგნებული მასპინძლები თბილისში რეკავენ და იგებენ, რომ პოეტი სვრიდან საბარგო მატარებლის მემანქანის კაბინით მიემართება ქუთაისისკენ.

➤ 13272

1955

### **3 დეკემბერი**

ქუთაისში ჩასულ გალაკტიონს აბინავებენ სასტუმროში „ქუთაისი“. სუსხიანი ამინდია, მაგრამ სასტუმროს წინ ხალხი ბუზივით ირევა. თეატრიც გადაჭედულია და შენობის გარეთაც უამრავი ადამიანი ელოდება წარმოდგენის დასრულებას, რომ გალაკტიონი ნახოს. სალამოზე გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ სიტყვით გამოდის პოეტი გიორგი სამხარაძე. მისასალმებელი სიტყვებით მიმართავენ კონსტანტინე მეძველია, მიხეილ ალავიძე, ქუთაისის სტუდენტი ახალგაზრდობა და ადგილობრივი პოეტები. დასასრულს გალაკტიონი კითხულობს ლექსებს, სალამოს შემდეგ კი ახალგაზრდებს იგი ხელში ატაცებული მიჰყავთ სასტუმროში და პოეტი ემოციებისგან ცრემლს ვერ იკავებს.

➤ 13273

1955

### **4 დეკემბერი**

ხვდება ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს.

➤ 13274

1955

### **4 დეკემბერი**

იმყოფება ქუთაისში, ხვდება ქუთაისელ მეგობრებს, გაზეთისა და რადიოს მუშაკებს და ამ შთაბეჭდილებით წერს ერთსტროფიან ლექსს.

➤ 13275

1955

### **6 დეკემბრამდე**

ანდრო თევზაძე უბის წიგნაკში უწერს მისდამი მიძღვნილ ლექსს სახელწოდებით „ექსპრომტად გალაკტიონის სალამოზე“.

➤ 13276

1955

### **7 დეკემბერი**

ქუთაისელ მასპინძლებს ყვავილებით, ათასგვარი საჩუქრითა და პურ-მარილით სავსე ვაგონში შეჰყავთ და თბილისში ამგზავრებენ.

➤ 13277

1955

### **13 დეკემბერი**

აფრთხილებენ, 20 დეკემბრამდე დაფაროს დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნებიან მიმართონ იძულებითი გადახდის საშუალებას.

➤ 13278

1955

**15 დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „ბერია ხვრელს შეძვრა...“.

➤ 13279

**1955**

**21 დეკემბერი**

მოსკოვიდან იღებს ელიზბარ ანანიაშვილის წერილს. აცნობებს, რომ გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ იწყებს მუშაობას მისი კრებულის მოსამზადებლად და სთხოვს, ბოლო 2-3 წელიწადში, „ზარია ვოსტოკას“ მიერ გამოცემული კრებულის შემდეგ მის მიერ დაწერილი ლექსების მიწოდებას. სწერს, რომ თუ ამ მასალას დროულად მიაწვდის, ახალ რუსულენოვან წიგნს იანვრის პირველ ნახევარშივე ჩააბარებს.

➤ 13280

**1955**

**23 დეკემბერი**

წერილს უგზავნის „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორ ელიზბარ ანანიაშვილს და სთხოვს, რომ რუსულ ენაზე გამოსაცემი მისი ლექსების წიგნის რედაქტორად დანიშნონ ბორის ტურგანოვი.

➤ 13281

**1955**

**23 - 25 დეკემბერი**

ავადმყოფობის გამო სამი დღე საწოლში წევს, ძალიან ცუდად არის და მკურნალობს ნემსებით, სამედიცინო ქილებით და წამლებით.

➤ 13282

**1955**

**25 დეკემბრამდე**

წერს უსათაურო ლექსს „აურია, დაურია...“.

➤ 13283

**1955**

**25 დეკემბერი**

ღამით ცოტა უკეთ არის, მაგრამ არ აძინებს და ნერვებს უშლის ავტობუსების ხმაური ვერის ხიდიდან მარჯანიშვილის მოედნამდე, მთვრალეების ღრიანცელი, ზედა მეზობლის ჩუსტების ჭრაჭუნის და სკამების ხრაგუნის. მაგიდაზე პოულობს გრიგოლ ჩხიკვაძის რუსულენოვან წიგნს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპოზიტორები“, გადაათვალიერებს, ფიქრობს, რომ საცოდაობაა და ამაზეც ბრაზდება. ფიქრობს, რომ მისი ავადმყოფობა და ასეთ მდგომარეობაში ყოფნა სამაგიეროა მისი თავდადებისთვის.

➤ 13284

**1955**

**26 დეკემბრამდე**

ემზადება თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოსაწყობად. სურს, მისი ფოტოპორტრეტიდან გამოფენისთვის მოამზადონ დიდი ფორმატის სურათი. ასევე, აპირებს დიდი ფორმატით დააბეჭდონ თავისი თხზულებათა შვიდტომეულის გარეკანის ფოტო. გეგმავს, ქუთაისის იმ ძველი თეატრის სურათის მოპოვებასაც, სადაც შეხვდა თებერვლის რევოლუციას. ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ მოხერხდება ლენინგრადში (დღევანდელი პეტერბურგი) მდებარე, 1917 წლის რევოლუციასთან დაკავშირებულ შენობაში – სმოლნში გადაღებული ფოტოს მოპოვებაც.

➤ 13285

1955

### 26 დეკემბრამდე

აგრძელებს მზადებას ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოსაწყობად და გეგმავს, მოიპოვოს თავისი შემდეგი ფოტოები: თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხანაში ჩატარებულ სადამოუფრო ადადეებული, 1908 წელს გადაღებული, 1914 წელს რუს პოეტ კონსტანტინ ბალმონტთან, 1918 წელს სტუდენტებთან და 1923 წელს – მწერალ ია ეკალაძესთან გადაღებული. გარდა ამისა, შემოქმედებითი მუშაობის ხუთწლეულების მიხედვით, შერჩეული აქვს 1923, 1928, 1933, 1938 1943 და 1948 წლების ფოტოები. სურს, რომ საგამოფენოდ მოამზადებინოს თხზულებათა შვიდტომულზე ია ეკალაძის მიერ გაკეთებული სამახსოვრო წარწერაც.

➤ 13286

1955

### 26 დეკემბერი

ვალერი ბრიუსოვის მიერ ნათარგმნი სომეხი ლირიკოსის – მისაქ მეწარენცის სონეტისაგან („მთებში, მონასტერში“) მიღებული შემოქმედებითი იმპულსით იწყებს მუშაობას უსათაურო სონეტზე „აგერ ღობიდან გიცქერს კამური“.

➤ 13287

1955

### 30 დეკემბრის შემდეგ

მოსკოვიდან იღებს იგორ პოსტუპალსკის წერილს. ულოცავს ახალ წელს და სწერს, რომ სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობაში გადაწყდა გალაკტიონის წიგნის გარეშე რედაქტორად მისი დანიშვნა. წიგნს გაზაფხულისთვის პირადად მოამზადებს ალექსანდრა რიაზინინა. საქმე უფრო რთულად არის გამომცემლობაში „საბჭოთა მწერალი“, რომელიც საერთოდ არ აპირებს საქმეში გარეშე რედაქტორის ჩართვას, რაც წიგნის ხარისხისთვის ძალიან დამაზიანებელი იქნება. ამის მაგალითად მოჰყავს ამ გამომცემლობის მიერ მომზადებული იოსებ გრიშაშვილის წიგნი, რომელმაც პოეტის რეკლამაცია აშკარად დააკნინა რუსი მკითხველის თვალში. ადრესანტი ურჩევს გალაკტიონს, რომ სასწრაფოდ მისწეროს გამომცემლობას „საბჭოთა მწერალი“ და გარეშე რედაქტორად მოითხოვოს ბორის ტურგანოვი, რომელსაც უკვე ნამუშევარი აქვს გალაკტიონის პირველ გამოცემაზე, ზოგადად რედაქტორობის კარგი გამოცდილება აქვს და თან სიამოვნებით გააკეთებს ამ საქმეს.

➤ 13288

1955

### დეკემბერი

ინიშნავს ფრაგმენტებსა და სარიტმო სიტყვებს ვალერი ბრიუსოვის წიგნში „ცდები“ შეტანილი სონეტებიდან („ყვავილებს რიდით სცვივა ფოთლები...“ და „მთაში, მონასტერში ზარების სიმღერა ტირის...“).

➤ 13289

1955 ან ადრე

ჩამოწერს 51 ადამიანის სიას, რომლებსაც მის შესახებ მოგონებები აქვთ დაწერილი.

➤ 13290

1955

წერს იოსებ ნონეშვილისადმი მიძღვნილ უსათაურო სახუმარო ლექსს „ღმერთო, უშველე ტანწვრილ იოსებს“.

➤ 13291

**1955**

წერს ლექსს „ძველი“, რომლის ადრესატი არის სიმონ ჩიქოვანი.

➤ 13292

**1955**

მონაწილეობს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ორგანიზებით ჩატარებულ საღამოში.

➤ 13293

**1955 შემდეგ**

გალაკტიონს ეკითხებიან, რომელი ქართული ლექსია ძეგლის დადგმის ღირსი. ის ჯერ შეყოვნდება, შემდეგ ჩამოთვლის: ბარათაშვილის „მერანს“, ილია ჭავჭავაძის „ქართლის დედას“, აკაკი წერეთლის „განთიადს“, რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისას“ და ამბობს, რომ ვაჟას შედევრთაგანაც არაერთის დასახელება შეიძლება, საკუთარ ლექსებზე კი მოკრძალებული ღიმილით ამბობს, რომ ძეგლის ღირსი ლექსები არ აქვს. მისი აზრით, უნდა მოეწყოს კონკურსი და ეს საკითხი საგანგებო ჟიურიმ გადაწყვიტოს.

➤ 13294

**1955**

წერს ლექსს „დღე და ღამე“.

➤ 13295

**1955**

კორნელი სანაძე ფანქარში ხატავს გალაკტიონ ტაბიძის კიდევ ერთ პორტრეტს. პოეტი სამუშაო მაგიდასთან ზის თავდახრილი. მარცხენა ხელში გადაშლილი ბლოკნოტი უჭირავს, მარჯვენა ხელი კი გადაშლილ წიგნზე უდევს.

➤ 13296

**1955**

წერს უსათაურო ლექსს „ძველი ძეგლის დაცვა ჩვენი უწმინდესი არის ვალი...“.

➤ 13297

**1955**

წერს უსათაურო ლექსს „აქ ნისლი ბეჯითად...“.

➤ 13298

**1955**

წერს უსათაურო ლექსს „დიდზე დიდი გამარჯვებით“.

➤ 13299

**1955**

წერს უსათაურო ლექსს „მათ საფლავებს ვინმე ქვეყნად...“.

➤ 13300

**1955**

წერს უსათაურო ლექსს „ძველი აღთქმის ძველი ჯიში...“.

➤ 13301

**1955**

წერს უსათაურო ლექსს „მოგზაურობდეთ, ქადაგებდეთ...“.

➤ 13302

**1955**

სვეტლანა რაევას წიგნის „მზის სხივები“ ქართული თარგმანის გარეკანზე სათაურთან აწერს: „ულტრაიისფერი, ანუ სოლარიუმის პრობლემა“. ბოლო გვერდზე მოჰყავს ორი სტრიქონი თავისი ლექსიდან „მშობლიურო ჩემო მიწავ!“: „რომ დავიცავ შენს დიდებას, / შენი დროშის ფერს დავიცავ!“.

➤ 13303

**1955 ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „და საამაყო იმ წოდებას – სახალხო პოეტს...“

➤ 13304

**1955 ან შემდეგ**

წიგნიდან „იაკობ ნიკოლაძე. რჩეულ ნაწარმოებთა ალბომი“ იწერს წიგნის შემდგენლისა და რედაქტორის მამია დუდუჩავას სიტყვებს, რომლის თანახმადაც, იაკობ ნიკოლაძე იყო ქართული რეალისტური ქანდაკების ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი შემოქმედების მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა მას აყენებს საუკუნის ისეთ გამორჩეულ ხელოვანთა გვერდით, როგორებიც არიან: გიგო გაბაშვილი, ზაქარია ფალიაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

➤ 13305

**1955 შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „მტევანი, ვაზის ჯვარი...“.

➤ 13306

**1956**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1956**

**იანვრის დასაწყისი**

წერილს უგზავნის მოსკოვში გამომცემლობის „სოვეტსკი პისატელ“ დირექტორ მიხეილ კორნეევს. კმაყოფილებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ გამომცემლობამ გადაწყვიტა მისი რჩეული ლექსების გამოცემა, მაგრამ შიშობს, რომ ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული რედაქტორზე და საჭიროა ისეთი რედაქტორის შერჩევა, რომელიც კარგად იცნობს გალაკტიონის შემოქმედებას. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნი შეიძლება წარუმატებელი აღმოჩნდეს, როგორც ეს მოხდა იოსებ გრიშაშვილის შემთხვევაში. გალაკტიონი წერს, რომ მისთვის სასურველი იქნებოდა ბორის ტურგანოვი, რომელსაც უკვე აქვს ნამუშევარი გალაკტიონის პირველი რუსული წიგნის რედაქტირებაზე. პოეტი სთხოვს ადრესატს, თუ უკვე არ ჰყავთ შერჩეული წიგნის რედაქტორად ვინმე სხვა, მიანდონ ეს საქმე ბორის ტურგანოვს, რომელიც კარგად გადაარჩევს უკვე შესრულებულ თარგმანებს და ახლების სათარგმნად იპოვის კარგ სპეციალისტებს.

➤ 13307

**1956**

**6 იანვარი**

დღიურში იწერს, რომ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის, ელიზბარ ანანიაშვილის პასუხი მის წერილზე, რომელშიც ითხოვდა მისი რუსულენოვანი წიგნის რედაქტორად ბორის ტურგანოვის დანიშვნას, იგვიანებს.

➤ 13308

**1956**



## 7 იანვარი

აპირებს, მივიდეს „მიხაილოვის“ საავადმყოფოსა და სახელმწიფო გამომცემლობაში, რათა წამოიღოს დოკუმენტები ლიტფონდში მისატანად.

➤ 13309

1956

## 7 იანვარი

უბის წიგნაკში ჩამოწერს საკვებ პროდუქტებს (კარაქი, კარტოფილი, ხახვი, ერბო, მაკარონი და სხვ.) და თითოეულთან მიუთითებს იმ თანხას, რაც პროდუქტში გადაიხადა. ანგარიშობს დახარჯული თანხის ჯამსაც, რაც 272 მანეთს შეადგენს.

➤ 13310

1956

## 10 იანვარი

რეჟისორ ვახტანგ ტაბლიაშვილის მიერ მარჯანიშვილის თეატრში დადგმული სპექტაკლისგან – „მაია წყნეთელი“ მიღებული შემოქმედებითი იმპულსით წერს სონეტს „მაია წყნეთელი“.

➤ 13311

1956

## 14 იანვარი

იღებს წერილს რუსული გაზეთიდან „ტრუდ“.

➤ 13312

1956

## 20 იანვარი

აპირებს, თავისი 1954 წლის „რჩეული“ აჩუქოს გივი მიქაძეს. ფიქრობს წიგნზე გასაკეთებელი სამახსოვრო წარწერის შესახებ. უბის წიგნაკში ინიშნავს ამ წარწერის მონახაზს, რომლის მიხედვითაც, პოეტი ახალგაზრდა მკვლევარს წინსვლასა და გამარჯვებას უსურვებს.

➤ 13313

1956

## 20 იანვარი

ქმნის 1946 წლის 25 იანვარს დაწერილი ლექსის „ელეგია“ („ღამეებს ვათევ: კვლავ სიხარულით...“) ახალ რედაქციას სათაურით „უძილო ღამეები“.

➤ 13314

1956

## 21 იანვარი

აღიზიანებს ოჯახის დამხმარე ქალის – ირმა პაპაშვილის საოცარი დაუდევრობა. ის ჯერ გალაკტიონის გერის – ნუნუს ახალთახალ კაბას გადააფარებს ღუმელზე გასაშრობად და წვავს, შემდეგ მოუხერხებლობის გამო მაგიდიდან ქილას აგდებს და საბანზე სარჩულს არათანაბრად აკერებს, ბოლოს კი, როდესაც გალაკტიონი საწერ მაგიდასთან ზის და ალექსეი ტოლსტოის წიგნს ხმამაღლა კითხულობს, ეს ქალი მაგიდაზე მდგარ წყლით სავსე ჭიქას წააქცევს და პოეტს ხალათის სახელოს უსველებს. გალაკტიონს ვერ გაუგია, რის გამოა ის ასე განერვიულებული და დაბნეული.

➤ 13315

1956

## 21 იანვარი

მზად აქვს „მშვიდობის წიგნის“ 6 064 სტრიქონი.

➤ 13316

**1956**

**22 იანვარი**

ხუთი დღის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა მისთვის მოაქვთ თვალის წვეთები. მისი ჩაწვეთების შემდეგ გრძნობს მხედველობის გაუარესებას და შიში უჩნდება, ფიქრობს, რამე შეეთქმულება არ იყოს და არ ცდილობდნენ, განზრახ დააბრმავონ.

➤ 13317

**1956**

**24 იანვარი**

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ „მშვიდობის წიგნზე“ მუშაობის დასრულების შემდეგ შეუდგება მოსკოვში ქართული კულტურის დეკადისთვის რუსულენოვანი კრებულის მზადებას.

➤ 13318

**1956**

**24 იანვარი**

აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც საუბრობს მის წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგებზე. წერს, რომ მიზანმიმართულად არ აირჩიეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში. მის წინააღმდეგ მოქმედებს მწერალთა კავშირის სამდივნო (ირაკლი აბაშიძე, გიორგი ლეონიძე, სერგი ჭილაია) და „მავნე ტიპები“ (თამარ ანდლულაძე, მარიჯანი, იროდიონ ქავჭავაძე). გეგმავს გააქტიუროს თხზულებათა აკადემიური გამოცემის საქმე და სწრაფად დაამთავროს პოემა „მშვიდობის წიგნი“.

➤ 13319

**1956**

**25 იანვარი**

მზად აქვს „მშვიდობის წიგნის“ 8 749 სტრიქონი.

➤ 13320

**1956**

**27 იანვარი**

მუშაობს რუსული თარგმანების წიგნის შედგენაზე.

➤ 13321

**1956**

**28 იანვარი**

აპირებს, რომ მომდევნო დღით, 10 საათამდე მოამზადოს ქაღალდი და მელანი, შუადღის 12 საათიდან კი დაიწყოს თავისი პოემის – „მშვიდობის წიგნის“ გადაწერა.

➤ 13322

**1956**

**28 იანვარი**

აპირებს, დაამუშაოს „მშვიდობის წიგნის“ ბოლო თავები, ასევე – გადაათვალიეროს უკვე მომზადებული მონაკვეთები და გარითმოს ტექსტის ის რამდენიმე გვერდი, რომლებიც ჯერჯერობით გაურითმავადა დატოვებული.

➤ 13323

**1956**

**28 იანვარი**

ასრულებს „მშვიდობის წიგნის“ უკანასკნელი თავების დამუშავებას.

➤ 13324

**1956**

**29 იანვარი**

იწყებს პომის „მშვიდობის წიგნი“ გადაწერას.

➤ 13325

**1956**

**31 იანვრის შემდეგ**

მოსკოვიდან საპასუხო წერილს იღებს გამომცემლობის „საბჭოთა მწერალი“ დირექტორ მიხეილ კორნეევისგან. სწერს, რომ მისი წერილი, რომელშიც ითხოვდა საკუთარი წიგნის რედაქტორად ბორის ტურგანოვის დანიშვნას, მიიღეს იანვრის შუა რიცხვებში, მაშინ, როდესაც წიგნის გამოცემაზე მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1955 წლის ნოემბერში, ელიზბარ ანანიაშვილს კი ეს საქმე ოფიციალურად დაავალეს 1956 წლის 4 იანვარს. უახლოეს ხანებში ის გამომცემლობას ჩააბარებს გარედაქტირებულ წიგნს.

➤ 13326

**1956**

**იანვარი**

აკეთებს ჩანაწერს სათაურით „მღეროდა შალიაპინი“, რომელიც ეძღვნება რუს საოპერო მომღერალ ფიოდორ შალიაპინს.

➤ 13327

**1956**

**იანვარი**

იწყებს მუშაობას რუსი საოპერო მომღერლის – ფიოდორ შალიაპინისადმი მიძღვნილ ლექსზე „მოგონება“ („მე ვუსმენდი დიდ მომღერალს...“).

➤ 13328

**1956**

**იანვარი**

ახსენდება, რომ პაოლო იაშვილი მონადირეთა კავშირის წევრი იყო და სანადიროდაც დადიოდა, მაგრამ ვერაფერს კლავდა. ამიტომ, სადახლოში სხვა მონადირეებისგან ყიდულობდა დახოცილ ფრინველებს, წელზე ჩამოიკიდებდა და ასე ბრუნდებოდა დედაქალაქში, სადაც ყველას დიდი მონადირე ეგონა.

➤ 13329

**1956**

**იანვარი**

უბის წიგნაკში ინიშნავს კარლ მარქსის სიტყვებს, რომ პოეზია იწყება იქ, სადაც არის სპეციფიკური მშვენიერი ფორმა, რომლის გარეშეც მაღალი აზრი, ან ობიექტი, როგორც მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, პოეზიას ვერასოდეს შექმნის.

➤ 13330

**1956**

**იანვარი ან შემდეგ**

ასწორებს რუსი საოპერო მომღერლის – ფიოდორ შალიაპინისადმი მიძღვნილ ლექსს „მოგონება“ („მე ვუსმენდი დიდ მომღერალს...“), ქმნის ნაწარმოების ახალ რედაქციას.

➤ 13331

1956

**1 თებერვალი**

ასრულებს „მშვიდობის წიგნის“ 4 312 სტრიქონის გადაწერას.

➤ 13332

1956

**2 თებერვალი**

იღებს თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული წრის ხელმძღვანელის, პოეტ სავლე აბულაძის წერილს. ულოცავს გამოჯანმრთელებას და წუხილს გამოთქვამს, რომ თითქმის ნახევარი წელია, არ შეხვედრია. აცნობებს, რომ მიმდინარე წლის 15 თებერვალს მისი ლიტერატურული წრე აპირებს დაარსების 20 წლისთავის აღნიშვნას. სწერს, რომ ამ წრის გამოცემულ ორ კრებულს გალაკტიონი უკვე უცნობს, მესამე, რომელშიც არის სავლე აბულაძის ლექსი გალაკტიონისადმი, აკინძვის სტადიაშია და მეოთხეც მზადდება. სთხოვს, ნება დართოს, გალაკტიონი გამოაცხადოს მონაწილეთა შორის. იმედს გამოთქვამს, რომ მისვლას შეძლებს და ან ლექსს წაიკითხავს, ან სიტყვით გამოვა.

➤ 13333

1956

**7 თებერვალი**

ასრულებს პოემის „მშვიდობის წიგნი“ გადაწერას.

➤ 13334

1956

**8 თებერვალი**

გადასაბეჭდად გადასცემს პოემას „მშვიდობის წიგნი“.

➤ 13335

1956

**8 თებერვალი**

აკაკი გაწერელის კპირდება, რომ გადასცემს პოემა „მშვიდობის წიგნის“ ერთ გადაბეჭდილ ეგზემპლარს.

➤ 13336

1956

**8 თებერვალი**

აკაკი გაწერელია პატიჟებს ფიოდორ დოსტოევსკისადმი მიძღვნილ სადამოხე, რომელზეც იგი სიტყვით გამოდის.

➤ 13337

1956

**8 თებერვალი**

სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში ყიდულობს ვიქტორ გაბესკირიას წიგნს „ერთტომეული“.

➤ 13338

1956

**8 თებერვალი**

სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიაში გადასცემენ არნო ონელის მიერ მისთვის ნაჩუქარ წიგნს, რომელიც ავტორს წინა წლის ივლისში დაუტოვებია მისთვის გადასაცემად.

➤ 13339

1956

**9 თებერვალი**

დილით ურეკავს მმისშვილი, ნოდარ ტაბიძე და გადასცემს მბეჭდავების შემონათვალს, რომ „მშვიდობის წიგნის“ ტაეპები არასწორადაა დანომრილი და 498-ე ტაეპს მე-600 ტაეპი ებმის. გადაწყვეტს, გააგრძელებინოს გადაბეჭდვა არასწორი ნუმერაციით და სათანადო ადგილას მრავალწერტილი დასვას, თითქოს რამდენიმე თავი გამოტოვებულია.

➤ 13340

1956

**9 თებერვალი**

ნოდარ ტაბიძესთან ერთად მიდის ქალაქის საყიდლად, რათა მბეჭდავებს დროულად მიაწოდონ იგი პოემა „მშვიდობის წიგნის“ გადასაბეჭდად. მარჯანიშვილის მოედანზე ხედავს, რომ ფოტოგრაფს მისი დიდი სურათ აქვს ნიმუშად გამოფენილი, რაც კმაყოფილებას გვრის.

➤ 13341

1956

**9 თებერვალი**

ნოდარ ტაბიძესთან ერთად მიდის ლიტერატურულ ფონდში, სადაც ფონდის დირექტორი ალექსანდრე გომიაშვილი ეუბნება, რომ მალე ახალ ბინაში ჩაასახლებენ. სურვილი უჩნდება, დაათვალიეროს ახალი სახლი, მაგრამ მანამდე მბეჭდავებთან წასვლას გადაწყვეტს.

➤ 13342

1956

**9 თებერვალი**

მიდის მემანქანეების ბიუროში, სადაც გადასაბეჭდად დატოვებული აქვს პოემა „მშვიდობის წიგნი“. მბეჭდავები ეუბნებიან, რომ დიდი პოემა დაუწერია, თუმცა წვრილადაა ნაწერი. ინტერესდებიან, საქმის დასრულების შემდეგ იქნება თუ არა „მაგარიჩი“ ანუ წამახალისებელი ჯილდო. გალაკტიონი ჰპირდება რომ დაუტოვებს საქალაქეებს და წიგნის გამოსვლის შემდეგ ყველას მიაერთმევს წარწერიან ეგზემპლარებს.

➤ 13343

1956

**9 თებერვალი**

წიგნის მალაზიაში ყიდულობს „ქართლის ცხოვრებას“ და შალვა კაშმაძის წიგნს „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“.

➤ 13344

1956

**9 თებერვალი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ სჯობდა მარი ბროსეს შემდეგ საერთოდ აღარ გამოეცათ „ქართლის ცხოვრება“, რადგან წიგნში ურთიერთგამომრიცხავი აზრებია. ვერ გაურკვევია, რას გულისხმობს ცალკეულ ფრაზასთან მიწერილი სიტყვა „შესწორებულია“. რა არის შესწორებული, როგორ და როდის?

➤ 13345

1956

**9 თებერვალი**

აპირებს განსხვავებული სტროფული გრაფიკით ხელახლა გადააბეჭდვინოს პოემა „მშვიდობის წიგნი“. ფიქრობს, რომ უმჯობესია ნაწარმოების ორსტრიქონიანი ტაეპებით აწყობა, რადგან ეს მეტ

მუსიკალობას, შინაგან და გარეგან ძალას მიანიჭებს მას და ფინანსებსაც დაზოგავს. მიაჩნია, რომ ასე უფრო ადვილი იქნება პოემის გავრცელება. გეგმავს ნაწარმოების გადაბეჭდილი ცალები მიაწოდოს რჩეულ ინტელექტუალებს, გავლენიან ლიტერატორებს, რომლებიც შეამზადებენ საფუძველს „მშვიდობის წიგნის“ ტრიუმფისათვის. ფიქრობს, რომ ეს ნაწარმოები საყოველთაო სიყვარულისა და აღიარების ღირსია. მიაჩნია, რომ პოემის წინააღმდეგ მისი მტრებიც დაირაზმებიან და აუცილებელია მათი გათიშვა, რისთვისაც სათანადო მატერიალური საშუალებებია საჭირო.

➤ 13346

**1956**

### **10 თებერვალი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ მტრები იერიშზე გადმოსვლისთვის ემზადებიან, თუმცა თავდასხმას ჯერ ვერ ბედავენ. მწერალთა კავშირში დაპირისპირება მწიფდება. ბესარიონ ჟღენტი დიმიტრი ბენაშვილის წინააღმდეგ ილაშქრებს, ბენაშვილი გიორგი მარგველაშვილს უტევს, მარგველაშვილი კი ძველი თაობის მწერლებს უპირისპირდება. ბრძოლის ატმოსფერო იგრძნობა მეცნიერებათა აკადემიაში, ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაში. ფიქრობს, რომ ამ ფონზე საქმეს ისე უწყობენ, რომ ჩრდილში მოექცეს.

➤ 13347

**1956**

### **10 თებერვალი**

დილის ოთხ საათზე იწყებს მუშაობას უსათაურო ლექსზე „რა კარგი იყო ქუჩა ბალახენის...“ და ქმნის ნაწარმოების ორ ვარიანტს.

➤ 13348

**1956**

### **11 თებერვალი**

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ხვდება შალვა რადიანს, რომელიც მუშაობს გალაკტიონის შემოქმედების შესახებ გამოკვლევაზე. მონოგრაფია მზადდება მოსკოვის ქართველ მწერალთა დეკადასთან დაკავშირებით. რადიანი სთხოვს, მიაწოდოს მასალები ბიოგრაფიისათვის.

➤ 13349

**1956**

### **11 თებერვალი**

ატყობინებენ, რომ გრძელდება პოემა „მშვიდობის წიგნის“ მანქანაზე გადაბეჭდვა და პოემა რამდენიმე დღეში იქნება მზად.

➤ 13350

**1956**

### **11 თებერვალი**

რადიოთი უსმენს თავის ლექსზე „წყალტუბოდან ქუთაისში...“ დაწერილ სიმღერას. უკმაყოფილება ეუფლება იმის გამო, რომ ტექსტი გადაუკეთებიათ და სტროფი ჩაუმატებიათ.

➤ 13351

**1955**

### **11 თებერვალი**

წერს უსათაურო ლექსს „უსპეტაკესი ზეცა...“.

➤ 13352

**1956**

**11 თებერვალი**

ნინო კვირიკაძე ჰპირდება, რომ მიეხმარება ხელნაწერების გადარჩევაში.

➤ 13353

**1956**

**12 თებერვალი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მხატვარი ივანე ვეფხვაძე ხელმძღვანელობს 27 ახალგაზრდა მხატვრის გამოფენას მხატვართა კლუბში და იწერს მისი ტელეფონის ნომერს.

➤ 13354

**1956**

**15 თებერვლამდე**

წერს თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული წრის დაარსებიდან 20 წლის იუბილეზე წარმოსათქმელ სიტყვას, რომელშიც მიესალმება მის ხელმძღვანელს, წევრებს და აცხადებს, რომ საჩუქრად გადასცემს თავისი ლექსებისა და პოემების ხელნაწერებს.

➤ 13355

**1956**

**17 თებერვალი**

მოქანდაკე ნ. კანდელაკი იწყებს მის ქანდაკებაზე მუშაობას.

➤ 13356

**1956**

**18 თებერვალი**

გაზეთში განთავსებული განცხადებიდან იგებს, რომ გარდაიცვალა თედო სახოკია.

➤ 13357

**1956**

**18 თებერვალი**

აკეთებს ჩანაწერს თედო სახოკიას შესახებ, იხსენებს მასთან ურთიერთობის დეტალებს.

➤ 13358

**1956**

**19 თებერვალი**

თხზულებათა მეცხრე ტომის გამოცემის საკითხზე განცხადებით მიმართავს „სახელმწიფო გამომცემლობას“.

➤ 13359

**1956**

**11 თებერვლის შემდეგ**

12 საათზე ატყობინებენ, რომ პოემა „მშვიდობის წიგნი“ გადაბეჭდილია და ეს ძალიან ახარებს. ზუსტად ამ დროს რადიოთი გადმოსცემენ რომსკი-კორსაკოვის „შეჰერაზადადან“ მუსიკალურ ფრაგმენტს. ეს დამთხვევა არწმუნებს, რომ გადაბეჭდილია წიგნი, რომელიც მსოფლიო სახელს მოიპოვებს.

➤ 13360

**1956**

**18 თებერვალი**

წერს უსათაურო ლექსს „ტრფობას სამშობლოსადმი...“.

➤ 13361

**1956**

**18 თებერვალი**

წერს უსათაურო ლექსს „ბერიაა – ნაშენებ...“.

➤ 13362

**1956**

**25 თებერვალი**

რადიოში ისმენს ქართველი პოეტების ლექსებს საქართველოზე და ბრაზდება, რომ მათ შორის არ არის მისი არცერთი ლექსი.

➤ 13363

**1956**

**26 თებერვალი**

მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოში სტუმრად მყოფი სამხატვრო აკადემიის აბიტურიენტი მამია მალაზონია აკეთებს კანდელაკთან პოზირებისთვის მისული გალაკტიონის სწრაფ ჩანახატს, აჩვენებს მას და ავტოგრაფს სთხოვს პოეტს. გალაკტიონი უწერს: „გისურვებთ წინსვლას, გამარჯვებას“, ათარიღებს და ხელს აწერს.

➤ 13364

**1956**

**თებერვალი**

ჟურნალში „პიონერი“ იბეჭდება ლექსი „ორ ზღვას შუა ძველისძველად“.

➤ 13365

## მ ა რ ტ ი

**1956**

**2 მარტამდე**

2 მარტს, საღამოს 8 საათზე აპირებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მისვლას.

➤ 13366

**1956**

**6 მარტი**

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“. აკეთებს ხაზგასმებს ირაკლი აბაშიძის ლექსებზე „ჩანახატები XX ყრილობაზე“. ლექსს „ამხანაგ ჯუ-დეს“ აწერს, თუ რამდენჯერ არის გამოყენებული თითო სიტყვა ერთ ლექსში; ლექსის „დოლორეს იბარური“ შესახებ აღნიშნავს, რომ ამ სათაურით ტიციან ტაბიძესაც აქვს ლექსი.

➤ 13367

**1956**

**7 მარტი**

ფიქრობს, რომ თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომი წარმოებას გადაეცემა წლის მეორე ნახევარში, ივლისიდან სექტემბრამდე პერიოდში.

➤ 13368

**1956**

**8 მარტი**

დილის 8 საათზე სახლში ღვინოებით აკითხავს მთვრალი მეგრელი ნაცნობი, მაგრამ გალაკტიონის მეუღლე ნინო კვირიკაძე ბინაში არ უშვებს და გალაკტიონი დერეფანში ელაპარაკება.



➤ 13369

**1956**

**8 მარტი**

დეპუტას უგზავნის ბათუმში მწერალ პარმენ ლორიას და ულოცავს დაბადებიდან 60 წლისთავს.

➤ 13370

**1956**

**9 მარტამდე**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან იღებს წერილს, რომ 10 მარტს გაიმართება აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვლენ დიმიტრი ბენაშვილი, ივანე გიგინეიშვილი და შალვა რადიანი.

➤ 13371

**1956**

**9 მარტი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან მიღებულ წერილზე, რომლითაც იწვევენ 10 მარტს გასამართ სხდომაზე, მიაწერს სახუმარო ლექსს „დღეს სხდომა...“.

➤ 13372

**1956**

**9 მარტი**

ზემელის აფთიაქთან გაჩერებაზე დგას ნოდარ ტაბიძესთან ერთად, როდესაც უახლოვდებიან სტალინის მხარდასაჭერი დემონსტრაციის მანიფესტანტები შემახილებით: „ხალხო, გალაკტიონი ჩვენთანაა, გაუმარჯოს გალაკტიონს!“ და ცდილობენ თავიანთ წრეში მის მოქცევას. შეკითხვაზე, ხომ უყვარდა სტალინი, გალაკტიონი ირონიით პასუხობს, რაში გამოიხატებოდა ეს „სიყვარული“, როცა თოფს გიშვერენ და ძალით გაწერინებენ ლექსს. სთავაზობენ მათი მსვლელობისთვის შეერთებას, მაგრამ გალაკტიონი ეუბნება, რომ ახლა თავს ცუდად გრძნობს და მოგვიანებით შეუერთდება. დემონსტრანტების ჩავლის შემდეგ მიდის შინ.

➤ 13373

**1956**

**12 მარტამდე**

სურს, რომ 12 მარტს მოეწყოს ერთი ლექსის საღამო.

➤ 13374

**1956**

**12 მარტი**

წერს ლექსს „წარწერა წიგნზე „ქართლის ცხოვრება“ („გმირის სახეს ქარდაქარ თლის...“).

➤ 13375

**1956**

**12 მარტი**

გალაკტიონ ტაბიძის თაოსნობით ტარდება „ერთი ლექსის“ რიგით მესამე საღამო, რომელიც ხალხურ ბალადას ეძღვნება. გალაკტიონი წარმოთქვამს სიტყვას, რომელშიც ყურადღებას ამახვილებს პოეზიის ტექნიკაზე, ქართული პოეზიის ათასწლოვან ისტორიაზე, კერძოდ, ხალხურ შემოქმედებაზე, რადგან მიაჩნია, რომ ფოლკლორის შესწავლა ახალი ფორმების აღმოჩენის საშუალებას იძლევა.

➤ 13376

1956

15 მარტი

წერს მსახიობ ელო (ელენე) ანდრონიკაშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ლექსს „ელო ანდრონიკაშვილის ხსოვნას“ („ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...“).

➤ 13377

1956

15 მარტის შემდეგ

ასწორებს 1956 წლის 15 მარტს დაწერილ, მსახიობ ელო (ელენე) ანდრონიკაშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილ ლექსს „ელო ანდრონიკაშვილის ხსოვნას“, ქმნის ნაწარმოების ახალ, უსათაურო რედაქციას „ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...“.

➤ 13378

1956

16 მარტამდე

კითხულობს ივან ბუნინის ლექსებს, ცალკე ფურცელზე გადაწერს ერთ-ერთ ლექსის „ჩიტებს აქვთ ბუდე, ცხოველებს აქვთ სორო“ ტექსტს.

➤ 13379

1956

16 მარტი

წერს ივან ბუნინის ნაწარმოებით „ჩიტებს აქვთ ბუდე, ცხოველებს აქვთ სორო“ შთაგონებულ უსათაურო ლექსს „შავი ზღვის პირად...“.

➤ 13380

1956

20 მარტი

წერს უსათაურო ლექსს „სადაც არ უნდა ვიქნეთ...“.

➤ 13381

1956

21 მარტი

იღებს თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული წრის ხელმძღვანელის, პოეტ სავლე აბულაძის წერილს, რომელიც უმორჩილესად სთხოვს, რომ მიაწოდოს მის მიერ ამ წრის დაარსებიდან 20 წლის იუბილეზე წარმოთქმული სიტყვის ტექსტი და თავისი აზრი იმ ოთხი კრებულის შესახებ, რომლებიც ამ წრემ გამოსცა. აცნობებს, რომ აპირებენ ამ ოთხი კრებულიდან შერჩეული მასალით ერთი ლიტერატურული აღმანახის გამოცემას.

➤ 13382

1956

23 მარტი

მეცნიერებათა აკადემიაში სხდომას ნასვამი ესწრება და ხმამაღლა იცინის, შემდეგ კი კორნელი კეკელიძესა და კონსტანტინე გამსახურდიას ისე შემაწუხებლად კოცნის, რომ კეკელიძე დარბაზიდან გადის.

➤ 13383

1956

24 მარტი

მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოში სტუმრად მყოფი სამხატვრო აკადემიის აბიტურიენტი მამია მალაზონია აკეთებს კანდელაკთან პოზირებისთვის მოსული გალაკტიონის

კიდევ რამდენიმე სწრაფ ჩანახატებს, აჩვენებს და ისევ სთხოვს პოეტს ავტოგრაფს. გალაკტიონს ეცინება, სახელს ეკითხება, რითმავს მის სახელს და სწრაფად წერს ორტაეპედებს: „...ესე სურათი, მამია...“, „ამა სურათში, ჩემო მამია...“, „სურათი, ჩემო მამია...“, „ამა სურათში, ჩემო მამია“, ყველას ათარილებს და თითოეულ ჩანახატთან აწერს.

➤ 13384

1956

24 მარტი

სტუმრად არის იოსებ ნონეშვილთან და დიდხანს საუბრობენ. გამომშვიდობებისას დიასახლისს – მედეა ნონეშვილს ჩუქნის საკუთარი ხელით დახატულ ავტოპორტრეტს წარწერით: „სურათი ესე ჩემო მამია, სულ სიხარული და სიამეა“.

➤ 13385

1956

24 მარტი

სალამოს 10 საათზე ძლიერ ნასვამო მიჰყავთ სახლში უცნობ ახალგაზრდებს. ცოლს, ნინო კვირიკაძეს ისიც კი მოეჩვენა, რომ მკვდარი იყო.

➤ 13386

1956

25 მარტამდე

კინოფილმისთვის „მაგდანას ლურჯა“ გადაღებული მასალის სანახავად და აზრის გამოსათქმელად კინოსტუდიაში მოწვეული არიან ცნობილი მწერლები და ლიტერატურათმცოდნეები, მათ შორის გალაკტიონ ტაბიძეც. ჩვენების დასრულების შემდეგ იგი წარმატებას ულოცავს გადამღებ ჯგუფს, აქებს ფილმს და ამხნევებს ახალგაზრდა რეჟისორებს რეზო ჩხეიძესა და თენგიზ აბულაძეს.

➤ 13387

1956

25 მარტი

წერს რაჭველებისადმი მიძღვნილ სახუმარო ლექსებს: „ქვე, ქვენ“, „რაჭუნიკებო...“ და „წინად ერისთვებს...“.

➤ 13388

1956

25 მარტი

რუსულ ენაზე აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც აღწერს, როგორ უნდა დაიხატოს მისი პორტრეტი. წერს, რომ აუცილებელია მისი სურათი დაიხატოს მოახლოებული ჭექა-ქუხილის ფონზე, ელვის ბრწყინვალეობაში, რომელიც კვეთს ჩაბნელებული ცის ბნელ ფონს. მხატვარს უნდა ახსოვდეს, რომ იგი ქმნის მეოცე საუკუნის კაცის პორტრეტს და არა დროში დაკარგული ადამიანისა. ეს რთული ამოცანა იქნება, მაგრამ მხოლოდ მხატვრის ფუნჯს შეუძლია მარადიული გახადოს ყველაფერი, რაც ხანმოკლეა და, პირიქით, მარადიული გარდამავლად აქციოს.

➤ 13389

1956

27 მარტი

მწერალთა კავშირიდან ურეკავს მეგრელი ყმაწვილი და შემდეგ სახლშიც აკითხავს. გალაკტიონი ესაუბრება და ფიქრობს, მკვირცხლი ახალგაზრდააო.

➤ 13390

1956

#### თებერვალი-მარტი

მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკი იწყებს გალაკტიონის ქანდაკებაზე მუშაობას. პოეტი დილაობით მიდის მოქანდაკესთან და რამდენიმე საათი პოზირებს.

➤ 13391

### აპრილი

1956

#### 4 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „ყველაფერი შეიძლება მოხდეს...“.

➤ 13392

1956

#### 9 აპრილი

დიმიტრი ბენაშვილი ტელეფონით ატყობინებს, რომ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტი 20 აპრილს მართავს მისი პოეზიის სადამოს და აუცილებლად უნდა წავიდეს.

➤ 13393

1956

#### 10 აპრილი

სახლში ურეკავს დიმიტრი ბენაშვილს, რომ გაარკვიოს ცხინვალში სადამოს ჩატარება ვისი ინიციატივაა, მაგრამ პასუხობენ, რომ დიმიტრი შეუძლოდა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ბენაშვილი ამჯერადაც გაურბის მასთან საუბარს, როგორც ამას აკეთებდა გალაკტიონის თხზულებათა აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებით.

➤ 13394

1956

#### 12 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „ო, გაზაფხულო, მე შენ გიჯერი...“.

➤ 13395

1956

#### 18 აპრილი

დილით ნაბახუსევს ესმის, რომ თავისი ცოლი, ნინო კვირიკაძე ტელეფონით ქალიშვილს, ნუნუ ებანოძეს ელაპარაკება და ირონიულად ეუბნება, რომ მისი ქმარი მოიკითხოს. გალაკტიონს არ უყვარს სიძე ვახტანგ ფირცხალავა, რომელიც საკუთარ ოჯახზე არ ზრუნავს.

➤ 13396

1956

#### 20 აპრილი

ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის მეოთხეკურსელი სტუდენტები გეგმავენ გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრის მოწყობას. ღონისძიების დეტალებს ათანხმებს ალექსანდრე ღლონტი. ის ცხინვალში შოულობს ავტომანქანას „პოზედა“ და სტუდენტ გივი ლიახვისპირელს აგზავნის გალაკტიონის ჩასაყვანად. შეხვედრას კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილიც უნდა დაესწროს. ლიახვისპირელი ბენაშვილთან ერთად აკითხავს პოეტს ბინაზე. გალაკტიონი სტუმრებს სახლში იპატიუებს და უნდა კონიაკით გაუმასპინძლდეს, მაგრამ მეუღლე შეახსენებს, რომ მგზავრობას სასმელი არ უხდება. ნინო სტუდენტს სთხოვს გალაკტიონი სასმელს მოარიდოს, რადგან ნასვამი ძლიერ ღელავს. გზად გალაკტიონის პოეზიაზე საუბრობენ და ლექსებსაც წარმოთქვამენ.

➤ 13397

1956

**20 აპრილი**

ცხინვალისკენ მანქანით მგზავრობის დროს გორში სტალინის სახლთან გავლისას თანმხლებ პირებს ეუბნება, „ეჰ, რა კაცი გვყავდა, სამი წელია აღარაა და ასე მგონია ქვეყნად სიცოცხლე შეწყდა“. შემდეგ სტალინის პრემიაზე მისი წარდგენის და უარყოფის ამბავს იხსენებს და ბენაშვილს ეკითხება, გალაკტიონს სტალინური პრემია ხომ დაამშვენებდაო.

➤ 13398

1956

**20 აპრილი**

ცხინვალში ყოფნისას პაპიროსის კოლოფზე წერს ლექსს, რომელიც იწყება სიტყვებით: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“.

➤ 13399

1956

**20 აპრილი**

ცხინვალში გალაკტიონთან შეხვედრა უნივერსიტეტის დიდ დარბაზში იმართება. ალექსანდრე ლლონტის, დიმიტრი ბენაშვილისა და სტუდენტების მისალმების შემდეგ გალაკტიონი კითხულობს ცხინვალში წამოსვლის წინ დაწერილ ლექსს „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. ბანკეტი სტუდენტ ციალა დურგლიშვილი-კულიჯანოვას ოჯახში იმართება. გახალისებულ გალაკტიონს სტუდენტები ეცეკვებიან და უმღერიან. ეკითხებიან მართლა იყო თუ არა მერიზე შეყვარებული, რაზეც დადებით პასუხს იღებენ. გალაკტიონი ყანწს ცლის და იწყებს საკუთარ ლექსზე დაწერილ სიმღერას „წყალტუბოდან ქუთაისში“. შემდეგ სტუდენტებს უყვება პეტროგრადში გატარებულ დღეებზე, გამოჩენილ რუს და უცხოელ მწერლებთან შეხვედრებზე, ჯონ რიდზე და სხვ. ერთი სტუდენტი აღნიშნავს, რომ „მე და ლამეში“ სიმბოლიზმის კვალი ჩანს, რასაც პოეტი უარყოფს და ამბობს, რომ სიმბოლიზმი კრიტიკოსებმა მოუგონეს. შემდეგ მიუბრუნდება დიმიტრი ბენაშვილს და სთხოვს დაადასტუროს, რომ გალაკტიონი რევოლუციის პოეტია და არა სიმბოლისტი და მოუთხოვს ლექსის „მე და ლამე“ დაწერის ისტორიას. მისი მონაყოლის მიხედვით, ქუთაისის საგუბერნიო ციხეში დატყვევებული იყო პოეტის მეგობარი რევოლუციონერი, რომლისგანაც იგი საიდუმლო ნიშანს ელოდა. ამხანაგები წინასწარ იცვნიენ შეთანხმებულნი, რომ პატიმარი სეირნობისას ციხის ეზოდან ქუჩაში ისროდა პურის გუნდაში გახვეულ საიდუმლო შეტყობინებას. სეირნობისას რევოლუციონერს გადმოუგდია პურის გუნდა, რომელსაც ქუჩაში ძალღი დასტანებია. გალაკტიონის თანახმად, იგი შიშველი ხელებით ეცა ძალღი, კბილებიდან გამოგლიჯა ლუკმა, საჩქაროდ გახლიჩა და შიგ აღმოაჩინა ბარათი, რომელშიც ეწერა: „იარალი შემოგვიგზავნეთო“. პოეტის თქმით, ეს ამბავი დაედო საფუძვლად „მე და ლამის“ დაწერას.

➤ 13400

1956

**21 აპრილი**

დილით ცხინვალიდან დიმიტრი ბენაშვილთან ერთად ბრუნდება თბილისში.

➤ 13401

1956

**22 აპრილი**

სახლშია, სვამს და ოჯახის მიმართ უკმაყოფილებას გამოხატავს, ჩემგან მხოლოდ ფული უნდათ, მე არავის ვედარდები და ამათ ხელში ლექსებსაც ვერ ვწერო.

➤ 13402

1956

**30 აპრილი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მაისი და მშვიდობიანობა“ პავლე ანტოკოლსკისეული თარგმანი.

➤ 13403

**1956**

**მარტი-აპრილი**

ახალგაზრდა პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს ეკითხება, თუ გაუგონია ეჟოვის, ანდრეი ვიშინსკისა და ლავრენტი ბერიას სახელები. დასტურის მიღების შემდეგ ეუბნება, რომ ისინი სტალინის კიტელებივით ჰგვანან ერთმანეთს.

➤ 13404

## მ ა ი ს ი

**1956**

**14 მაისი**

ამჩნევს, რომ წინა ორი კბილი დაუზიანდა. ძალიან ღელავს, რადგან მიიჩნევს, რომ კბილების დაკარგვა სიბერის პირველი ნიშანია.

➤ 13405

**1956**

**14 მაისი**

ფული საერთოდ აღარ აქვს, რის გამოც ათ მანეთს სესხულობს თავისი მეუღლის ნინო კვირიკაძისაგან.

➤ 13406

**1956**

**14 მაისი**

მძლოლთან ერთად მიდის წყნეთიდან თბილისისკენ და მძლოლი სთხოვს წინა თვის ჯამაგირს, მიუხედავად იმისა, რომ იმ თვეში საერთოდ არ უმუშავია.

➤ 13407

**1956**

**გაზაფხული**

პედაგოგიკური ინსტიტუტის მიწისქვეშა გადასასვლელში ორი ახალგაზრდა აჩერებს და უშნოდ ელაზღანდარება. ამ დროს გალაკტიონი შენიშნავს თავის ნაცნობს და ანიშნებს, რომ დაიხსნას სიტუაციიდან. ნაცნობი ხელკავს გამოსდებს და უცნობ ახალგაზრდებს განარიდებს.

➤ 13408

## ი ვ ნ ი ს ი

**1956**

**6 ივნისი**

სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორი რეზო ორჯონიკიძე ჰპირდება, რომ 11 ივნისისთვის „მშვიდობის წიგნზე“ მუშაობა დასრულებული ექნება.

➤ 13409

**1956**

**7 ივნისამდე**

დეპეშას აგზავნის საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის მუზეუმში. ე. წ. პუშკინის სახლში. თანხმობას გამოთქვამს მერვე საკავშირო კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე და სთხოვს, მის ხარჯზე დაუჯავშნონ სასტუმროს ნომერი.

➤ 13410

**1956**

**8 ივნისი**

გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების კრებულის შესახებ არჩილ ჩაჩიბაია „ლიტერატურულ გაზეთში“ აქვეყნებს სტატიას „გალაკტიონ ტაბიძის „რჩეულის“ გამო“, რომელშიც მიდის იმ დასკვნამდე, რომ არავითარი ორი პერიოდი გალაკტიონის შემოქმედებაში არ არსებობს.

➤ 13411

**1956**

**8 ივნისის შემდეგ**

არჩილ ჩაჩიბაიას სტატიას „გალაკტიონ ტაბიძის „რჩეულის“ გამო“, დიდი გამოხმაურება მოჰყვება, რადგან გავრცელებული მოსაზრებისგან განსხვავებულია. პედაგოგიკის ინსტიტუტში დიდი კამათიც კი იმართება ამის შესახებ. გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ არჩილ ჩაჩიბაიას და ვლადიმერ მახარაძეს მთავრობის სასახლის წინ გალაკტიონი ხვდებათ და ხითხითით მიმართავს არჩილს, შენი წერილი გულისყურით წავიკითხე და მართალი ხარ, მე ორი არასდროს ვყოფილვარ. გალაკტიონი მხოლოდ ერთიაო.

➤ 13412

**1956**

**10 ივნისი**

სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორი რეზო ორჯონიკიძე ასრულებს „მშვიდობის წიგნზე“ მუშაობას და გადასცემს წიგნს გამომცემლობის დირექტორს, გიორგი მერკვილაძეს.

➤ 13413

**1956**

**10 ივნისის შემდეგ**

სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი გიორგი მერკვილაძე ეუბნება, რომ პასუხს „მშვიდობის წიგნის“ შესახებ მიიღებს 25 ივნისს. ეს სიტყვები გალაკტიონის გაბრაზებას იწვევს, რადგან მან პოემა დასრულებული სახით ჯერ კიდევ ზამთარში გადასცა გამომცემლობას და საქმე მაინც ასე გაჭიანურდა.

➤ 13414

**1956**

**15 ივნისი**

ჩამოწერს სახლისთვის საჭირო ნივთებს, რომელთა შემენასაც აპირებს. მათ შორის არის: აბაჟურები, სანათურები, სკამები, მაგიდები, საწერი მანქანა, რადიო, სამელნეები, წებო, ფერადი მელანი, მუდმივი კალამი და ფანქრები.

➤ 13415

**1956**

**16 ივნისი**

სოხუმიდან იღებს პირველი სამშენებლო ტრესტის სამმართველოს უფროს გ. ლადარიას წერილს, რომლიდანაც იგებს, რომ სოხუმში მის მშენებარე სახლს 11 მაისიდან მოეხსნა დაცვა და მის უსაფრთხოებაზე ეს ორგანიზაცია პასუხისმგებელი აღარ არის, რადგან გამოყოფილი თანხა არ ანაზღაურებდა დაცვის ხარჯებს.

➤ 13416

**1956**

**18 ივნისი**

მძღოლს თან არ აქვს ავტომობილის პასპორტი, რის გამოც 75-მანეთიანი ჯარიმის გადახდა გალაკტიონს უწევს.

➤ 13417

1956

### 20 ივნისამდე

დეპუტატს აგზავნის სოხუმის მეექვსე საამშენებლო ტრესტის მმართველთან. ატყობინებს, რომ საავადმყოფოში მკურნალობს და როგორც კი შეძლებს, ჩააკითხავს. ადასტურებს 46 ათასი მანეთის დავალიანებას ტრესტისათვის.

➤ 13418

1956

### 20 ივნისი

წერს განცხადებას საქართველოს საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრის სახელზე და ატყობინებს, რომ სოხუმში მისი სახლის მშენებლობა ექვსი წელია მიმდინარეობს და ვერა და ვერ დასრულდა. განცხადებას თან ურთავს სამშენებლო სამმართველოს უფროს გ. ლადარიას წერილსაც, რომლის მიხედვითაც ეს ორგანიზაცია პასუხისმგებლობას იხსნის სამშენებლო ობიექტთან დაკავშირებით. გალაკტიონი უხსნის მინისტრს, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მუდმივად ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, მკურნალობდა და ვერ მოახერხა საამშენებლო ორგანიზაციასთან ანგარიშსწორება. ამიტომ სთხოვს ამ საკითხის მოგვარების ორი თვით გადავადებას.

➤ 13419

1956

### 21 ივნისამდე

უხსნიან პერსონალურ პენსიას.

➤ 13420

1956

### 21 ივნისი

აპირებს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში მიიტანოს ცნობა, რომ არის პერსონალური პენსიონერი და ამის გამო თავისუფალია გადასახადებისგან. ასევე, უნდა გაარკვიოს, თუ რატომ მოუხსნეს პერსონალური პენსია და დააზუსტოს, არის თუ არა შესაძლებლობა პენსია განახლდეს იმავე წლის ნოემბრიდან.

➤ 13421

1956

### 23 ივნისი

წყნეთში, ივნის ბაღში ყოფნისას 1954 წლის უბის წიგნაკის პირველ ფურცელზე წერს, რომ აქ თავისი თხოვრებების მეცხრე ტომისთვის საჭირო ორი ლექსია.

➤ 13422

1956

### 23 ივნისი ან შემდეგ

იმყოფება მწერალთა კავშირში, კითხულობს ირაკლი აბაშიძისა და სერგი ჭილაიას კაბინეტების კარებზე გაკრულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც მწერლებმა შემოქმედებითი მივლინებით, საყოფაცხოვრებო საკითხების, წიგნების გამოცემისა და საავტორო უფლებასთან დაკავშირებული საქმეების გამო განცხადებებით უშუალოდ უნდა მიმართონ საქართველოს ლიტერატურულ ფონდს, გამომცემლობებსა და საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს.

➤ 13423

1956



### **23 ივნისის შემდეგ**

ასწორებს 1954 წლის 28-31 დეკემბერს დაწერილ უსათაურო ლექსს „მინდვრადა სდგას ერთი ზვინი...“, ქმნის ნაწარმოების ახალ, უსათაურო რედაქციას, განსხვავებული დასაწყისით: „მინდვრად იდგა...“.

➤ 13424

**1956**

### **24 ივნისი**

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონისა და ვაჟა-ფშაველას მეუღლის – თამარ დიდუბაშვილის ფოტო, გადაღებული ჩარგალში ვაჟაობის დღესასწაულზე.

➤ 13425

**1956**

### **25 ივნისი**

დილით იმყოფება წყნეთში. კმაყოფილია, რომ წყალი მოვიდა და მძლოლმაც არ ალოდინა. აპირებს თბილისში დაბრუნებას.

➤ 13426

**1956**

### **26 ივნისი**

მოდის წყნეთიდან თბილისისკენ. აღმართზე მანქანა უფუჭდებათ. მძლოლი მიზეზად ასახელებს იმას, რომ წყნეთში, ეზოში წყალი არ ჰქონდათ, ავტომანქანისთვის კი წყლის ჩასხმა აუცილებელი იყო და რადგან ეს ვერ მოხერხდა, სწორედ ამიტომ გაუჩერდათ მანქანა. ეს განმარტება გალაკტიონს აღიზიანებს, რადგან გზად, მას შემდეგ, რაც წყნეთიდან წამოვიდნენ, ათამდე ონკანი შეხვდათ.

➤ 13427

**1956**

### **26 ივნისი**

იმყოფება ნავთლუღის აბანოებთან, სადაც დაინახავს ექიმ ალექსანდრე კეკელიას.

➤ 13428

**1956**

### **27 ივნისი**

მოკლე პუნქტებად აყალიბებს გრძელვადიან სამოქმედო გეგმას. აპირებს ყოფითი, საოჯახო საკითხების მოგვარებას, ასევე ზრუნვას საკუთარი შემოქმედების პოპულარიზაციაზე.

➤ 13429

**1956**

### **29 ივნისი**

იმყოფება უძოს მთაზე. აკვირდება ცისარტყელას. მასთან ერთად იმყოფება ოჯახის დამხმარე ქალი ირმა პაპაშვილი, რომელიც მხიარული შეძახილით ეგებება ცისარტყელის გამოჩენას.

➤ 13430

**1956**

### **29 ივნისი**

უბის წიგნაკში იწერს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის მოადგილის – ერასტი ტოროტაძის, ამავე გამომცემლობის თანამშრომლის – ნოე კაკუშაძის, მხატვარ გიორგი გორდელაძის, „ზარია ვოსტოკას“ დირექტორის – მარკ ზლატკინის, „საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის“ თანამშრომლის – ვიქტორ გაბესკირიასა და „საქწიგნის“ წარმომადგენლის –

შალვა მებურიშვილის ტელეფონის ნომრებს. აქვე იწერს კულტურის სამინისტროს კომპუტატორის, ჟურნალების: „დროშა“ და „საბჭოთა ხელოვნება“ რედაქციების ტელეფონის ნომრებს.

➤ 13431

**1956**

**29 ივნისი**

იმყოფება წყნეთში ოჯახთან ერთად. გერის – ნუნუ ებანოიძის ქმარი, ვახტანგ (ვატა) ფირცხალავა უხეშად ექცევა ოჯახის წევრებს, ხმამალა ესაუბრება და ემუქრება. გალაკტიონს აოცებს ამ ადამიანის უჩვეულო გათავხედება. ვახტანგ ფირცხალავა უპატივცემულობას იჩენს გალაკტიონის მიმართაც, როდესაც იგი ოთახში შედის ფეხზეც კი არ წამოდგება. პოეტი ფიქრობს, რომ ამ კაცის საქციელი აღმაშფოთებელია, რადგან მან აშკარად ვერ დააფასა გალაკტიონის ამაგი და ის, რომ პოეტი მის ცოლსა და შვილს, ნუნუ ებანოიძესა და მარინე ფირცხალავას, უკვე ექვსი წელია მატერიალურად უზრუნველყოფს.

➤ 13432

**1956**

**30 ივნისი**

იმყოფება მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც სადისერტაციო ნაშრომის დაცვა იწყება. ხელს აწერს შესაბამის ოქმს, მაგრამ დაცვას არ ესწრება.

➤ 13433

**1956**

**30 ივნისი**

მეცნიერებათა აკადემიაში ხვდება გიორგი აბზიანიძეს და შალვა რადიანს. აკვირდება შალვა რადიანის საქციელს და ფიქრობს, რომ იგი დიდი ცუდლუტი ვინმეა, რადგან არანაირ უხერხულობასა და სირცხვილს არ გრძნობს იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეებს აკოწიწებს და სიტუაციას სათავისოდ იყენებს.

➤ 13434

**1956**

**30 ივნისი**

წერს შალვა რადიანისადმი მიძღვნილ ორსტროფიან, უსათაურო ეპიგრამას „ყოველი უუნარობა რადიანიდან იწყება“.

➤ 13435

**1956**

**30 ივნისი**

კულტურის სამინისტროსთან ხვდება გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორ სერგო ნადიმაშვილს.

➤ 13436

**1956**

**30 ივნისი**

იგებს, რომ ხელისუფლებაში საუბარი მიმდინარეობს თბილისელების მიერ წყნეთში აშენებული სახლების ჩამორთმევაზე.

➤ 13437

ი ვ ლ ი ს ი

**1956**

**2 ივლისი**

გეგმავს ხელნაწერების შერჩევას გამოფენისთვის და მასალების მომზადებას თხზულებათა მერვე და მეცხრე ტომებისათვის.

➤ 13438

**1956**

**3 ივლისი**

ხვდება „ზარია ვოსტოკას“ დირექტორ მარკ ზლატკინს. საუბრისას ირკვევა, რომ ზლატკინი დაინტერესებულია ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებული წინასწარი სამზადისით, იგი უამბობს გალაკტიონს, რომ სერგი ჭილაია და ბესარიონ ჟღენტი ამჟამად მოსკოვში იმყოფებიან სწორედ დეკადის გამო და ისინი ჩამოიტანენ ღონისძიების დამტკიცებულ გეგმას. ზლატკინი იმასაც ატყობინებს, რომ საგამომცემლო გეგმაში შეტანილია გალაკტიონის წიგნის რუსულ ენაზე გამოქვეყნება, ასევე, ჰპირდება, თუ ქართულად გამოვა რაიმე წიგნი გალაკტიონის შესახებ, ის უზრუნველყოფს იმავე წიგნის რუსულად გამოცემას, გარდა ამისა, პოეტს სთავაზობს, დეკადისთვის გამოაქვეყნოს პოემა. მარკ ზლატკინის აზრით, გალაკტიონმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს რუსულ ლიტერატურულ ორგანოებთან.

➤ 13439

**1956**

**3 ივლისი**

აპირებს საჩქაროდ მოაგვაროს კბილების მკურნალობასთან დაკავშირებული პრობლემები.

➤ 13440

**1956**

**3 ივლისი**

აპირებს შეიძინოს სახლისთვის საჭირო ნივთები: მაგიდა, ჩემოდანი, წებო, სარემონტო მასალები, საშინაო ფეხსაცმელი. გეგმავს შეაკეთებინოს საბეჭდი მანქანა.

➤ 13441

**1956**

**3 ივლისი**

აპირებს სექტემბერში მოაწყოს შეხვედრა ოფიცერთა სახლში, რომლის თემებიც იქნება 1917 წლის რევოლუცია და მეორე მსოფლიო ომი.

➤ 13442

**1956**

**3 ივლისი**

სურს გაადიდებინოს იაკობ ნიკოლაძის მიერ გამოქანდაკებული მისი ბიუსტის ფოტო.

➤ 13443

**1956**

**3 ივლისი**

საკუთარ თავს მოუწოდებს სიფრთხილისკენ და შეახსენებს, რომ არ უნდა დაავიწყდეს კრიტიკოსთა საქციელი და მათი ოინები.

➤ 13444

**1956**

**3 ივლისი**

აპირებს გამოაქვეყნოს ნაწარმოებები გაზეთებში „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკა“.

➤ 13445

1956

**3 ივლისი**

„ზარია ვოსტოკას“ დირექტორ მარკ ზლატკინთან საუბრიდან იგებს, რომ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში იგეგმება ბევრი მნიშვნელოვანი წიგნის გამოცემა, მათ შორის, გამოქვეყნდება კლასიკოსთა წიგნები და ახალგაზრდა პოეტთა ანთოლოგიები.

➤ 13446

1956

**3 ივლისი**

ფიქრობს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის შესახებ, რომელიც მომდევნო წელს უნდა გაიმართოს მოსკოვში. გეგმავს, ამასთან დაკავშირებით ცალკე გამოაქვეყნოს პოემა „მშვიდობის წიგნი“. ასევე, სურს გამოიცეს წიგნი, რომელშიც გაერთიანდება ცნობილ მწერალთა – ვასილ ბარნოვის, დავით კლდიაშვილის და სხვათა მიერ გალაკტიონის შესახებ გამოქვეყნებული სტატიები და სხვა ტიპის მასალები.

➤ 13447

1956

**3 ივლისი**

ხვდება მხატვარ გიორგი გორდელაძესა და მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივან ანგია ბოჭორიშვილს. ორივე მათგანი ჰპირდება დახმარებასა და ხელშეწყობას გამოფენის მოწყობაში.

➤ 13448

1956

**3 ივლისი ან შემდეგ**

გერი, ნუნუ ებანოიძე უქებს მხატვარ იოსებ ბახტაძეს და გალაკტიონი გადაწყვეტს, რომ სხვა მხატვრებთან ერთად ისიც ჩართოს საგამოფენო სამზადისში.

➤ 13449

1956

**3 ივლისი ან შემდეგ**

იგებს, რომ სამკურნალო კომბინატში არის ჩარჩო, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია გამოფენისთვის. ამ ინფორმაციის გაგების შემდეგ წერს სახუმარო, უსათაურო, ხუთსტრიქონიან ლექსს „დიდ გამოფენის შემდეგ...“.

➤ 13450

1956

**6 ივლისი**

წყნეთის გზაზე ხვდება სერგო კლდიაშვილს, რომელიც ეკითხება, როდის წაიღებს მწერალთა კავშირის კარადიდან თავის არქივს. გალაკტიონს ახალისებს იმის წარმოდგენა, რომ მისი წიგნის კარადა ზოგიერთებს მოსვენებას უკარგავს.

➤ 13451

1956

**7 ივლისი**

იმყოფება სამკურნალო კომბინატში და სთხოვენ კარდიოგრამის გადაღებას.

➤ 13452

1956

**7 ივლისი**

ფიქრობს, რომ შესაძლებელია, კრიტიკულ წერილებში, მონოგრაფიებსა და პროზაულ თარგმანებში ფრაგმენტები ლექსებიდან და პოემებიდან დაიბეჭდოს პროზის მსგავსად. ამგვარად ლექსითი ციტატები არც ბევრი ადგილს დაიკავებს და წასაკითხადაც მშვენიერი იქნება.

➤ 13453

1956

9 ივლისი

წყნეთში, იფნის ბაღში იწყებს მუშაობას თხზულებათა მეცხრე ტომზე.

➤ 13454

1956

16 ივლისი

მძღოლს უხდის ჯამაგირს, ის კი, თავის მხრივ, ანაზღაურების მიღებისთანავე ეუბნება, რომ მეორე დღიდან ტოვებს სამსახურს.

➤ 13455

1956

16 ივლისი

აპირებს მივიდეს სტომატოლოგთან და აღიდგინოს დაზიანებული კბილები.

➤ 13456

1956

16 ივლისი

აინტერესებს, რა მოცულობის წიგნი უნდა მომზადდეს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის, ასევე, სურს, გაარკვიოს წიგნის ჩაბარების ვადა, რადგან იცის, რომ აგვისტოში ვერ მოახერხებს დაასრულოს წიგნზე მუშაობა. ამ საკითხის გასარკვევად ესაუბრება მწერალთა კავშირის თანამშრომელ თამარ ანდლულაძეს, რომლისგანაც იგებს სერგი ჭილაიას ნათქვამს, რომ წიგნი სექტემბრის ბოლოს უნდა იყოს მზად.

➤ 13457

1956

17 ივლისი

უბის წიგნაკში ინიშნავს მხატვარ კოტე ერისთავის მისამართს, რადგან ფიქრობს, რომ იგი შეძლებს დაეხმაროს გამოფენის მოწყობაში.

➤ 13458

1956

17-18 ივლისი

მისი მძღოლი, რომელსაც სამსახურიდან წასვლა გადაწყვეტილი აქვს, მხოლოდ თითო საათით აკითხავს.

➤ 13459

1956

19 ივლისი

მიმართავს მწერალ მარიეტა შაგინიანს, როგორც სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენელს და სთხოვს, რომ 1957 წლის საგამომცემლო გეგმაში შეიტანონ მისი ნაწერების მეცხრე ტომი.

➤ 13460

1956

19 ივლისი

განცხადებით მიმართავს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორს. წერს, რომ 1933 წლის ნოემბრის დადგენილების შესაბამისად უკვე გამოცემულია მისი თხზულებების შვიდი ტომი, მერვე გადაცემულია გამოსაცემად და მეცხრე – მანქანაზე დასაბეჭდად. ითხოვს, რომ 1957 წლის გეგმაში შეიტანონ მისი თხზულებების მეცხრე ტომის გამოცემა.

➤ 13461

1956

20 ივლისი

ხვდება ილია ბახტაძესა და აკაკი ვასაძეს.

➤ 13462

1956

20 ივლისი

იმყოფება მდინარე ვერეს ხეობაში და დღიურში აკეთებს ჩანაწერებს თავისი ბავშვობის შესახებ.

➤ 13463

1956

21 ივლისი

ხვდება მწერალ გიგლა მეზუკეს.

➤ 13464

1956

22 ივლისი

აკეთებს მინაწერს ლექსზე „წინ, წინ, სამშობლო მხარე!“ აღნიშნავს, რომ დილით წყნეთში ვახუშტისთვის სარებს თლიდა, რა დროსაც მასთან ბავშვი მივიდა და ჰკითხა, თუ რატომ მუშაობდა ასე ნელა. აღნიშნავს, რომ ამის გაგონებისას მუშაობას დაუჩქარა და თითქოს ასევე დაწერა ეს ლექსიც. გული დაუდო მუშაობას, არ მოეშვა და სწრაფად დაამთავრა.

➤ 13465

1956

22 ივლისი

იმყოფება წყნეთში, დილის ცხრა საათზე წერს უსათაურო ლექსს „წინ, წინ, სამშობლო მხარე...“.

➤ 13466

1956

23 ივლისი

იმყოფება კბილის ექიმ ვლადიმერ ანტონოვიჩთან და უბის წიგნაკში ინიშნავს მის სახელსა და გვარს.

➤ 13467

1956

24 ივლისი

იმყოფება წყნეთში. ათვალეერებს მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ საგამოფენო მასალას: სხვადასხვა გამოცემის გადიდებულ ყდებს, კლიშეებს, ფოტოებს, მხატვართა მიერ შესრულებულ მის პორტრეტებს, ფაქსიმილეს – გალაკტიონი და ორნამენტს, რომელსაც ამშვენებს წარწერა „საქართველოს სახალხო პოეტი“.

➤ 13468

1956

25 ივლისი

მეუღლესთან – ნინო კვირიკაძესთან ერთად მუშაობს თხზულებათა მეცხრე ტომის შედგენაზე, ჩამოწერენ ტომში შესატანი ნაწარმოებების ერთ ნაწილს, ითვლიან მათში სტრიქონების რაოდენობას და ზოგან უთითებენ თარიღს.

➤ 13469

**1956**

**25 ივლისი**

განცხადებით მიმართავს გამომცემლობას „ზარია ვოსტოკა“ და ითხოვს, რომ 1957 წლის გეგმაში შეიტანონ მისი პოემების გამოცემა. წერს, რომ პწკარედულ თარგმანებს გადასცემს აგვისტოს ბოლოს.

➤ 13470

**1956**

**27 ივლისი**

იმყოფება მწერალთა კავშირში, სადაც ხვდება თამარ ანდლულაძეს. მისგან იგებს, რომ ბესარიონ ჟღენტი დაბრუნდა მოსკოვიდან და დეკადის შესახებ ამბები ჩამოიტანა.

➤ 13471

**1956**

**27 ივლისი**

ფიქრობს, რომ საჭირო იქნება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადამდე მოსკოვში გამგზავრება და საქმეების ნაწილის ადგილზე მოგვარება.

➤ 13472

**1956**

**28 ივლისი ან შემდეგ**

ბესარიონ ჟღენტისგან იგებს, რომ 28 ივლისს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეებს ამ ღონისძიების საკითხების შესახებ ჰქონდათ სხდომა.

➤ 13473

**1956**

**29 ივლისი**

იმყოფება სამკურნალო კომბინატში, სადაც ამჩნევს, რომ ჩარჩო, რომელიც ადრე საკუთარი პორტრეტისთვის მოეწონა, ისევ თავის ადგილზეა.

➤ 13474

**1956**

**30 ივლისი**

ინიშნავს რუსულ ენაზე 1950 და 1953 წლებში გამოცემული თავისი ლექსების კრებულების სათაურებს, აპირებს, აღნუსხოს 1950 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული „რჩეული ლექსები“, მოამზადოს ბიბლიოგრაფია. ყოველივე ეს კი ეხმარება დეკადისთვის გამოსაცემი რუსულენოვანი წიგნისთვის მასალის შეგროვებაში.

➤ 13475

**1956**

**30 ივლისი**

მუშაობას აგრძელებს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე. აპირებს, ნათარგმნი ტექსტები შეარჩიოს 1945 წელს რუსულად გამოცემული წიგნიდან „ლირიკა“, რომელშიც გიორგი ცაგარლის მიერ შესრულებული თარგმანებია დაბეჭდილი.

➤ 13476

1956

### 30 ივლისი

აგრძელებს მუშაობას ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე. ანგარიშობს ნათარგმნი, წიგნში შესატანი ლექსებისა და პოემა „ჯონ რიდის“ სტრიქონთა რაოდენობას.

➤ 13477

1956

### 30 ივლისი

მუშაობს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე. აპირებს, 1930-იან წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნებული თავისი ლექსების სამი კრებულიდან: „ლექსები“ (1933), „ლექსები და პოემები“ (1935), „რჩეული ლექსები“ (1937) შეარჩიოს ნაწარმოებები ახალი გამოცემისათვის.

➤ 13478

1956

### 30 ივლისის შემდეგ

ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ იბეჭდება აკაკი ხინთიბიძის წერილი „კონფლიქტის საკითხისათვის ლირიკაში“, რომელიც ეხება ზოგადთეორიულ საკითხს – კონფლიქტის ასახვის თავისებურებებს ლირიკულ პოეზიაში. თავის დებულებათა დამამტკიცებელ მასალად კრიტიკოსი გალაკტიონის შემოქმედებასაც იმოწმებს. აკაკი ხინთიბიძის აზრით, ლირიკას სხვა ლიტერატურული გვარებისაგან რამდენიმე თავისებურება განასხვავებს. კრიტიკოსი სვამს კითხვას: რამდენად ძალუმს ლირიკას, თავისი ერთადერთი გმირის მეშვეობით, კონფლიქტის ასახვა? მკვლევრის აზრით, ეს საკითხით შესაძლებელია და ამის დასტურია მეცხრამეტე საუკუნის ქართული კლასიკური პოეზია, აგრეთვე – გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება, რომლის ლირიკული გმირიც, ხინთიბიძის თქმით, კონფლიქტშია არსებულთან, ეწინააღმდეგება იმ უარყოფითს, რასაც ცხოვრებაში ფესვი აქვს გადგმული, ეწინააღმდეგება ადამიანთა გარკვეულ კოლექტივს, რომელშიც განსახიერებულია ცხოვრების უარყოფითი მხარე. წერილის ავტორის თქმით, გალაკტიონის რევოლუციამდელ ლირიკაშიც აისახა კონფლიქტი პოეტსა და შავბნელ სინამდვილეს შორის, ხოლო 20-30-იანი წლების ლირიკა არის მედგარი ბრძოლა ყოველივე იმისათვის, რაც რევოლუციური იყო.

➤ 13479

1956

### 30 ივლისის შემდეგ

ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ იბეჭდება დიმიტრი ბენაშვილის ნარკვევი „გალაქტიონ ტაბიძის ლირიკა“, რომელიც, ავტორის თქმით, დაწერილია პოეტის პირად არქივსა და მუზეუმებში დაცული მასალების შესწავლის საფუძველზე. ვრცელი ნაშრომი მიზნად ისახავს სამი ძირითადი საკითხის გარკვევას: 1. ეპოქის ხასიათის რომელმა მხარემ განაპირობა გალაქტიონის შემოქმედების ბუნება? 2. როგორია პოეტის შემოქმედებითი კავშირი ქართულ კლასიკურ პოეზიასთან? 3. რა სიახლე შეიტანა მან მდიდარ ქართულ პოეტურ კულტურაში? გალაკტიონის ადრეული შემოქმედების მიმოხილვისას დიმიტრი ბენაშვილი უარყოფს პოეტის სიმბოლისტობას. მისი აზრით, სიმბოლისტები არც რუსეთში, არც საფრანგეთში და არც საქართველოში არანაირი ფორმით არ ყოფილან დაკავშირებულნი რევოლუციასთან. ამიტომაც რევოლუციის დამარცხება ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდებოდა მათი პესიმისტური განწყობილების მიზეზი. ამის საპირისპიროდ, ბენაშვილის თქმით, გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებაში სრულიად აშკარაა რევოლუციის დამარცხებით გამოწვეული სევდა, შესაბამისად, გალაკტიონის სევდიანსა და ნაღვლიან კილოს არაფერი არა აქვს საერთო სიმბოლისტების



ამაოების სევდასთან. კრიტიკოსის განცხადებით, გალაკტიონის ადრეული პოეზიის სიმბოლოზითან დაკავშირება ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის უპატიებელი შეცდომა იყო. დიმიტრი ბენაშვილი მიუთითებს, რომ გალაკტიონის ადრეული შემოქმედება, პოეტური გამოსახვის საშუალებებიდან გამომდინარე, ვერ თავსდება რეალიზმის ფარგლებში. ამასთანავე პოეტი არც კლასიკური რომანტიზმის ტრადიციებს მიჰყვება ზედმიწევნით. ამიტომაც გალაკტიონის ადრეული შემოქმედებითი მეთოდის აღსანიშნავად კრიტიკოსი გვთავაზობს ტერმინს „რომანტიკული რეალიზმი“. ბენაშვილი ხსენებული ტერმინის ასეთ დეფინიციას გვთავაზობს: რომანტიკული რეალიზმის ესთეტიკური მსოფლმხედველობით გამსჭვალული მწერალი რეალურ სინამდვილეს ასახავდა ისეთ მხატვრულ ფორმაში, რომელშიც ადამიანთა ცხოვრება გამოსახული იყო რომანტიკული ელფერით. რომანტიკული რეალიზმი სინამდვილეს უყურებდა არა დინჯი რეალიზმის დამშვიდებული თვალით, არამედ მღელვარე, მოუსვენარი, ზოგჯერ ნერვიული გრძნობით. გალაკტიონის ნოვატორობის საფუძველს კრიტიკოსი სწორედ ამ ახალი მხატვრული მეთოდით სინამდვილის ათვისებაში ხედავს. ბენაშვილი აღნიშნავს, რომ შემოქმედების მეორე პერიოდის დასაწყისშიც გალაკტიონი რომანტიკული რეალიზმის წარმომადგენლად რჩება, შემდეგ კი თანდათან ადგება სოციალისტური რეალიზმის გზას. დიმიტრი ბენაშვილი მსჯელობს ლიტერატურულ ტრადიციასთან პოეტის დამოკიდებულებაზეც. მისი თქმით, ლიტერატორთა ერთი ნაწილი მიზანმიმართულად ცდილობს გალაკტიონი წარმოსახოს ეროვნული ლიტერატურის ტრადიციასთან გაუცხოებულ პოეტად, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. დიმიტრი ბენაშვილი ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონის პოეზიის ფილოსოფიურ პრობლემატიკაზეც და ცდილობს სოციალურ საფუძველზე ახსნას გალაკტიონის ადრეული ლირიკის სევდიანი განწყობილება. იგი საუბრობს გალაკტიონის სატრფიალო ლირიკაზეც. მისი თქმით, გალაკტიონი ამ სფეროშიც ნოვატორია და მან ისეთივე მასშტაბის პოეტური რეფორმა განახორციელა, როგორც თავის დროზე – ნიკოლოზ ბარათაშვილმა. გალაკტიონმა სატრფიალო ლირიკას მიანიჭა ფილოსოფიური სიღრმე და დრამატიზმი. ლირიკის ამ სფეროშიც გალაკტიონი, ბენაშვილის აზრით, რომანტიკული რეალიზმის მიმდევარია. წერილის ავტორი ყურადღებას ასევე უთმობს გალაკტიონის პატრიოტულ ლირიკას. მისი შეხედულებით, გალაკტიონისათვის თითქმის უცხოა ტრაფარეტული პატრიოტიზმი, ნაციონალური აქსესუარების ძიება გალაკტიონის პატრიოტულ ლირიკაში ამო შრომაა. პოეტი არ მიჰყვება ქართული პატრიოტული ლირიკის გატკეპნილ გზას და ახალი პოეტური საშუალებებით ცდილობს ეროვნული კოლორიტის გამოსახვას.

➤ 13480

## ა გ ვ ი ს ტ ო

1956

### 1 აგვისტომდე

ლამის 12 საათზე მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან იწყებს მეცხრე ტომში შესატანი მასალის სიის შედგენას.

➤ 13481

1956

### 1 აგვისტო

იმყოფება წყნეთში და წუხს ალერსიანი, საყვარელი ძაღლის, სახელად „ყურმას“ გამო, რომელიც ავტომობილმა გაიტანა.

➤ 13482

1956

### 1 აგვისტო

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად აგრძელებს მუშაობას მეცხრე ტომში შესატანი მასალის სიაზე. ზოგიერთ ნაწარმოებს ფრჩხილებში ურთავს სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას იქნება ეს პუბლიკაციის თარიღი თუ ის, რომ ლექსი რადიოში იქნა წაკითხული.

➤ 13483

1956

**1 აგვისტო**

ნინო კვირიკაძესთან ერთად ითვლის პოემის „მშვიდობის წიგნი“ სტრიქონებს. ფიქრობს, რომ საჭიროა, არსებულ 6000 სტრიქონს ცოტა კიდევ დაემატოს.

➤ 13484

1956

**1 აგვისტო**

ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის დაგეგმილი აქვს წიგნის გამოცემა, პოემის გამოქვეყნება, ნაწარმოებების თარგმნის უზრუნველყოფა და პუბლიკაცია რუსულ ენაზე. სურს, თანდათანობით მოემზადოს დეკადისთვის. საამისოდ კი, აპირებს, გაარკვიოს მიმდინარე საქმეების საკითხი სახლში, მეცნიერებათა აკადემიაში, საჯარო ბიბლიოთეკასა და „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში.

➤ 13485

1956

**1 აგვისტო**

მიდის მეცნიერებათა აკადემიაში, რომ გაიგოს როგორ მიმდინარეობს მისი პოემის – „მშვიდობის წიგნის“ თარგმნის საქმე. აკადემიაში მისვლამდე მის ყურადღებას იქცევს თექვსმეტი დროშა, რომლებიც ამშვენებს აკადემიის ახლოს მდებარე ბაღს. ამ სურათის ხილვა ამაღლებულ განწყობაზე აყენებს და გაიფიქრებს, რომ ეს თექვსმეტი დროშა შრიალით მოელის „მშვიდობის წიგნს“, რომ მისი პოემა ამ დროშების მფარველობის ქვეშ იქნება. თავისი ნაწარმოების მომავლის სიდიადეში ეჭვი არ ეპარება და გამარჯვებას უსურვებს პოემას. შესანიშნავ ხასიათზე მყოფს მოსწონს ისიც, რომ ასე კარგად იწყება აგვისტოს თვე, ის თვე, რომელთან დაკავშირებითაც ბევრი გეგმა აქვს.

➤ 13486

1956

**1 აგვისტო**

ალიო მამაშვილი ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის კომისიის შესახებ ეუბნება, რომ ისინი თავიანთ პოზიციას გამოიყენებენ და ამ დეკადის ფარგლებში მოსამზადებელ ანთოლოგიას თავიანთი ნაწერებით აავსებენ. გალაკტიონი ფიქრობს, რომ საგულისხმო აზრია.

➤ 13487

1956

**2 აგვისტო**

იგებს, რომ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის კომისია შედგება ექვსი მწერლისაგან. ესენი არიან: ბესარიონ ჟღენტი სერგი ჭილაია, გრიგოლ აბაშიძე, კარლო კალაძე, სიმონ ჩიქოვანი და მიხეილ მრევლიშვილი. იწერს მათ ტელეფონის ნომრებს, რადგან, ფიქრობს, რომ დეკადისთვის მზადების პროცესში მოუწევს მათთან კონტაქტი.

➤ 13488

1956

**2 აგვისტო**

აპირებს, ტელეფონით დაელაპარაკოს ბესარიონ ჟღენტს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის შესახებ. სურს, გაარკვიოს, როდის ჩამოვა რუსეთიდან სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ალექსანდრა რიაზინინა.

➤ 13489

1956

**2 აგვისტო**

ამზადებს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნს. არჩევს მასალებს, რომელთა ერთი ნაწილი ნათარგმნია, მაგრამ სათარგმნი ტექსტების რაოდენობა უფრო მეტია უკვე ნათარგმნზე. ფიქრობს, რომ თარგმანის პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია გაირკვეს პჭკარედების საკითხი, გარდა ამისა, სათარგმნია პომემბის ერთი ნაწილიც. წიგნისთვის საჭირო მასალა, მისი ვარაუდით, გადაბეჭდილი ექნება სექტემბრის ბოლოს.

➤ 13490

1956

**2 აგვისტო**

აპირებს წავიდეს საჯარო ბიბლიოთეკაში და გადაათვალიეროს 1940 წელს ვალერიან გაფრინდაშვილისა და ვიქტორ გოლცევის მიერ რუსულ ენაზე გამოცემული თავისი წიგნი „რჩეული ლექსები“, რათა ამ გამოცემიდანაც ამოკრიბოს უკვე ნათარგმნი მასალა.

➤ 13491

1956

**2 აგვისტო**

ფიქრობს რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის შესახებ. რადგან ამ წიგნში შესატანი მასალის ერთი ნაწილი ჯერ რუსულად ნათარგმნი არ არის, აპირებს დაუკავშირდეს რუს პოეტსა და მთარგმნელ ბორის სერებრიაკოვს, რომელმაც წლების წინ გალაკტიონის რამდენიმე ლექსი უკვე თარგმნა.

➤ 13492

1956

**3 აგვისტო**

უბის წიგნაკში ათვალიერებს 1951 წლის ჩანაწერებს, რომლებშიც აკრიტიკებს შალვა რადიანს და იქვე მიაწერს, რომ ის ჯერჯერობით ისევ თარეშობს.

➤ 13493

1956

**3 აგვისტო**

ასრულებს საკუთარი პომემბის დალაგებას. ფიქრობს, რომ დიდი საქმე მოითავა, მაგრამ მაინც საჭიროა დალაგებული მასალის კიდევ ერთხელ გადახედვა.

➤ 13494

1956

**3 აგვისტო**

გეგმავს, მივიდეს მწერალთა კავშირში და გაარკვიოს ისეთი დეტალები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის სამზადისს. კერძოდ, აპირებს პოეტისა და მთარგმნელის – გიორგი კრეიტანის ქვრივს ორლოვა-კრეიტანს სთხოვოს ის თარგმანები, რომლებიც მისმა მეუღლემ შეასრულა. ასევე აპირებს, შეხვდეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს – ირაკლი აბაშიძეს და გაიგოს, ვინ ადგენს იმ ანთოლოგიას, რომელიც ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის უნდა გამოიცეს.

➤ 13495

1956

**3 აგვისტო**

აპირებს, დაელაპარაკოს ვერიკო ანჯაფარიძეს და სთხოვოს, მონაწილეობა პოეზიის სადამოებში.

➤ 13496

1956

**3 აგვისტო**

აპირებს საჯარო ბიბლიოთეკაში წასვლას და შესწავლას, თუ როგორ ჩატარდა სომხეთის კულტურისა და ხელოვნების დეკადა მოსკოვში. ფიქრობს, რომ ამ საკითხის დაზუსტება საკუთარი მიზნების განხორციელებასა და ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისთვის მომზადებაში დაეხმარება. დარწმუნებულია, მისთვის საინტერესო ამბის გარკვევას ორ საათში მოახერხებს და სწორედ ამ დროის გატარებას გეგმავს ბიბლიოთეკაში. ასევე, ფიქრობს, დეკადისთვის სამზადისში დაიხმაროს ბიბლიოთეკარები, რომელთა მხრიდან დასჭირდება ხელშეწყობა საჭირო მასალის მოძიებაში.

➤ 13497

1956

**3 აგვისტო**

აპირებს შინ იმუშაოს თხზულებათა მეცხრე ტომსა და რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე.

➤ 13498

1956

**3 აგვისტო**

გეგმავს ლიტერატურულ ფონდში მისვლას და გარკვევას, რამე ვალი ხომ არ აქვს. ამის დაზუსტების შემდეგ, ფიქრობს, ამ ფონდიდან სესხის აღებას.

➤ 13499

1956

**3 აგვისტო**

აპირებს სოხუმში გამგზავრებას და საკუთარ მშენებარე სახლთან დაკავშირებული პრობლემების ადგილზე გადაწყვეტას. დრო რომ არ დაკარგოს, გეგმავს, გზაშიც იმუშავოს თავის თხზულებათა მეცხრე ტომსა და რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე.

➤ 13500

1956

**3 აგვისტო**

ფიქრობს, რომ საჭიროა პოემების გადასინჯვა, მათი შერჩევა რუსულ ენაზე სათარგმნად, პწკარედების მომზადება და მთარგმნელებისთვის გადაცემა.

➤ 13501

1956

**3 აგვისტო**

აპირებს, აკადემიაში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით მიადევნოს თვალი, დააკვირდეს რადიანიზაციასა და ლეონიძის ანუ შალვა რადიანისა და გიორგი ლეონიძის გავლენებს და მათი მხარდამჭერების ქმედებებს.

➤ 13502

1956

**4 აგვისტო**

ლადო გეგეჭკორთან ერთად იღებს ფოტოებს ხელში გაზეთით „ზარია ვოსტოკა“, რომელშიც დაბეჭდილია მისი ლექსის „ხალხი“ თარგმანი.

➤ 13503

1956

#### **4 აგვისტო**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ხალხი“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 13504

**1956**

#### **4 აგვისტო**

ფიქრობს რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის შესახებ, ჩამოწერს ამ წიგნის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. უპირველესად, სურს, გაარკვიოს, კონკრეტულად რა მასალები უნდა ითარგმნოს, ასევე, აპირებს მოამზადოს სათარგმნი პოემების საბოლოო სია. გეგმავს, ტექსტების თარგმნასთან დაკავშირებით დახმარება სთხოვოს მწერალთა კავშირს.

➤ 13505

**1956**

#### **4 აგვისტო**

აინტერესებს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის გამოსაცემი ანთოლოგიის შემდგენლის ვინაობა.

➤ 13506

**1956**

#### **4 აგვისტო**

აპირებს, საჯარო ბიბლიოთეკაში გაეცნოს 31 მაისის პერიოდულ პრესას. აინტერესებს ინფორმაცია სომხური კულტურისა და ხელოვნების დეკადის შესახებ.

➤ 13507

**1956**

#### **4 აგვისტო**

აინტერესებს, ხელოვნების სხვა სფეროების წარმომადგენლები როგორ ემზადებიან ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის, ამის გასარკვევად, აპირებს მათთან დაკავშირებას.

➤ 13508

**1956**

#### **4 აგვისტო**

ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის გამოსაცემი წიგნის საილუსტრაციო მასალით გაფორმებისთვის აპირებს მიმართოს მხატვარ თეოდორ ჩუდეცკის. გარდა ამისა, ფიქრობს, რომ საჭიროა, რაც შეიძლება მეტი ფოტომასალის მომზადება.

➤ 13509

**1956**

#### **4 აგვისტო**

ფიქრობს, რომ სამივე წიგნი: ქართულ ენაზე გამოსაცემი, რუსულ ენაზე გამოსაცემი და პოემების კრებული პარალელურად უნდა მომზადდეს. გარდა ამისა, სურს, შეადგინოს მისი შემოქმედების შესახებ არსებული სტატიებისა და გამოხმაურებების კრებული და წიგნი, რომელიც გააერთიანებს ოქტომბრის თემაზე დაწერილ მის ნაწარმოებებს.

➤ 13510

**1956**

#### **4 აგვისტო**

აპირებს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის სამზადისში დახმარება სთხოვს არსენ ჯორჯიაშვილის (ახლანდელი გია ჭანტურიას) ქუჩაზე მცხოვრებ მეზობელს, გვარად ტაბიძეს.

➤ 13511

1956

**5 აგვისტო**

გაზეთში „საბჭოთა ოსეთი“ ქვეყნდება კარპეზ დონაძის რეცენზია გალაკტიონ ტაბიძის „რჩეულზე“. რეცენზენტი თემატურად მიმოიხილავს პოეტის 1954 წელს გამოცემული წიგნს და მას ქართული ლიტერატურის მვირფას შენაძენად მიიჩნევს.

➤ 13512

1956

**5 აგვისტო**

ადგენს რუსულ ენაზე უკვე ნათარგმნი ნაწარმოებების ანბანზე დალაგებულ სიას, თითოეული ტექსტის სათაურს მიაწერს მთარგმნელის ვინაობასა და გამოქვეყნების წელს.

➤ 13513

1956

**6 აგვისტო**

თავისი ლექსების რუსული გამოცემისთვის თავს უყრის 624 ლექსს.

➤ 13514

1956

**8 აგვისტო**

მუშაობს რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე. აპირებს, დაალაგოს პწკარედული თარგმანები, კონკრეტულად, ფიქრობს, ცალკე გადააწყოს უკვე გადაბეჭდილი ტექსტები, განცალკევებით გამოჰყოს ის ტექსტები, რომლებიც მბეჭდავს უნდა გადაეცეს, გარდა ამისა, საჭიროდ მიიჩნევს, გაკეთდეს ანბანური საძიებელი მზა და მოსამზადებელი მასალებისა, თუმცა, პარალელურად ამ ორი კატეგორიის გამიჯვნაც აუცილებლად მიაჩნია.

➤ 13515

1956

**9 აგვისტო**

თავისი ლექსების რუსული გამოცემისთვის თავმოყრილი ლექსების რაოდენობას ზრდის 690-მდე.

➤ 13516

1956

**13 აგვისტომდე**

აკეთებს ჩანაწერს თავისი იუბილეს საორგანიზაციო საკითხების შესახებ. მიუთითებს, რომ საიუბილეო კომიტეტი უნდა შედგებოდეს პარტიის, მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან, სპეციალურად მოწვეული პირებისაგან, მოძმე რესპუბლიკების აღიარებული მწერლებისაგან. საიუბილეო კომიტეტის სახელით უნდა გავრცელდეს მოწოდება ქართულ და რუსულ ენებზე. ფიქრობს, რომ მწერალთა კავშირის მოქმედი ადმინისტრაციული აპარატი ვერ იკისრებს საიუბილეო კომიტეტის ამოცანებს.

➤ 13517

1956

**9 აგვისტო ან შემდეგ**

ანგარიშობს, რომ თავისი ლექსების რუსული გამოცემისთვის სულ სჭირდება 960 ლექსი, შერჩეული აქვს 642 და სათარგმნი რჩება 318.

➤ 13518

**1956**

**16 აგვისტო**

ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ორგანიზატორებისგან ელოდება ინფორმაციას, თუმცა ისინი ჯერჯერობით არ ეხმიანებიან.

➤ 13519

**1956**

**17 აგვისტო**

აკეთებს ჩანაწერს, რომ ცხრა საათზე მის ოთახში შეფრინდა ჩიტი.

➤ 13520

**1956**

**17 აგვისტო**

„ზარია ვოსტოკას“ რედაქციას გადასცემს თერთმეტი პოემის თარგმანებს: „იგი ომია“, „რევოლუციური საქართველო“, „ოქტომბრის სიმფონია“, „ეპოქა“, „სინათლის ყვავილი“, „ოთხი დღე“, „ქიტესა“, „ძლეული სენი“, „ჟუგა და ასიდა“, „ამბავი ერთი ღამისა“ და „აფეთქება“.

➤ 13521

**1956**

**20 აგვისტო**

სთხოვენ, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში აგრონომია-მცენარეთა დაცვის ან მეზღვე-მევენახეობის სპეციალობით სწავლის გაგრძელებაში დაეხმაროს მამით ობოლ თეთნულდ ტყეზუჩავას. ამ მიზნით უბის წიგნაკში ჩაინიშნავს იმხანად სასწავლებლის რექტორის – ივანე სარიშვილის გვარს.

➤ 13522

**1956**

**20 აგვისტო ან შემდეგ**

სავლე აბულაძე გადასცემს პოემის – „აფეთქება“ რუსულ თარგმანს. გალაკტიონი ამოწმებს მოცულობას და ითვლის 696 სტრიქონს.

➤ 13523

**1956**

**26 აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „თითქო რაღაც ამბავი გაუგია...“.

➤ 13524

**1956**

**26 აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „მთიდან მთამდე ცისარტყელა ანათებს...“.

➤ 13525

**1956**

**26 აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „ზემოთიდან წამოსული...“.

➤ 13526

1956

**26 აგვისტოს შემდეგ**

ხუთი წლის მარინე ფირცხალავასთვის, რომელსაც მოფერებით კაკინას ეძახის, პირადად იწერს ფურცელზე თავის ლექსს „ოცნებაო ჩემო ძველო“, უნდა, რომ ბავშვმა ეს ლექსი ზეპირად ისწავლოს და დედამისს – ნუნუ ებანოიძეს სთხოვს, რომ ეს ხელნაწერი შეუნახოს.

➤ 13527

1956

**28 აგვისტო**

ცდილობს, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში, აგრონომია-მცენარეთა დაცვის ან მეზღვე-მევენახეობის სპეციალობით სწავლის გაგრძელებაში დაეხმაროს თეთნულდ ტყეებუჩავას, რომელმაც გამოცდებზე მაღალი შეფასებები მიიღო, მაგრამ ვერაფრით ეხმარება, რადგან ირკვევა, რომ ადგილი არ არის. გალაკტიონი წუხს, რომ ახალგაზრდა, რომელმაც გამოცდები კარგად ჩააბარა, გარეთ რჩება.

➤ 13528

1956

**29 აგვისტომდე**

ფიქრობს, რომ მთარგმნელ სავლე აბულაძეს 29 აგვისტოს მზად ექნება მისი პოემის „გამოგონება“ რუსული თარგმანი.

➤ 13529

1956

**29 აგვისტო**

პირველ საათზე უნდა შეხვდეს მთარგმნელ სავლე აბულაძეს, რომელიც წინა დღეს დაჰპირდა, რომ დანიშნულ დროს მისი ნაწარმოებების თარგმანებს დაახვედრებდა.

➤ 13530

1956

**30 აგვისტო**

უბის წიგნაკში ინიშნავს მილიციელ ვაჟა ბულაჩაურის სახელსა და გვარს.

➤ 13531

1956

**ივლის-აგვისტო**

მეუღლესთან – ნინო კვირიკაძესთან ერთად ადგენს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის გამოსაცემ წიგნს. ამასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის ჩასანიშნად ნინო კვირიკაძე იღებს ცალკე რვეულს და ხუმრობით აწერს, რომ ეს არის „წიგნის შედგენის სკოლის“ მეორე კლასის მოსწავლის – ნინოს რვეული.

➤ 13532

1956

**აგვისტო**

მხატვარ მიხაილ ვადბოლსკისთან ერთად მანქანით სტუმრად მიდის ჩაიკოვსკის ქუჩაზე ზამთრის სასახლის უკანასკნელ კომენდანტ ივანე რატიშვილთან, რომელიც სარდაფში ცხოვრობს. დიდხანს საუბრობენ. მიხეილ ვადბოლსკი ფანქრით ხატავს სურათს „გალაკტიონ ტაბიძე სტუმრად ი. რატიშვილთან“. დამშვიდობებისას მასპინძელი ვადბოლსკის მშვენიერ ჭადრაკის ფიგურებს სჩუქნის და გალაკტიონს ეკითხება, თუ იცის ჭადრაკის თამაში.



გალაკტიონი პასუხობს პოეტი რომ არ ვიყო, მოჭადრაკე ვიქნებოდი, ერთხელ თქვენც დარწმუნდებით ამაშიო.

➤ 13533

**1956 ან შემდეგ**

**ზაფხული**

კლიმენტი გოგიავა პატარა ვაჟთან ერთად აპირებს სოხუმში გამგზავრებას, მაგრამ რკინიგზის სალაროებში ყველა ბილეთი გაყიდულია. მოულოდნელად იგი ხვდება გალაკტიონს და უბილეთობას შესჩივის. გალაკტიონი საკუთარ ბილეთს უთმობს, სთხოვს, რომ სოხუმში მისი სახლის მშენებლობას ყურადღება მიაქციოს და ამბები შეატყობინოს. ცოტა ხნის შემდეგ ვაგონში დაბინავებულ კლიმენტის ისევ გამოეცხადება პოეტი, ქალაქის პარკით ხელში. ბავშვისთვის საგზაოდ სურსათი მიაქვს და კიდევ ერთ რამეს სთხოვს, რომ მისი მშენებარე სახლის კედლები გაზომოს და შეატყობინოს.

➤ 13534

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

**1956**

**სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას, რომ ილია ბახტაძეს სექტემბერში მზად ექნება ლექცია „აკაკი და გალაკტიონი“.

➤ 13535

**1956**

**1 სექტემბერი**

ინტერესით ათვალთვლებს თბილისში გამართულ ოს მხატვართა გამოფენას, გაზეთის „საბჭოთა ოსეთი“ კორესპონდენტს ქართველი და ოსი ხალხის მშობაზე ესაუბრება და გამოფენას ექსპრომტად უძღვნის ლექსს „ამ გამოფენას მე ვესალმები...“.

➤ 13536

**1956**

**3 სექტემბერი**

ინტერესდება უკრაინელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ივან ფრანკოს დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებით, რომელიც მწერალთა კავშირში უნდა ჩატარდეს. უბის წიგნაკში ინიშნავს ერთ შეუსაბამობას: გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებაში საიუბილეო საღამოს დასაწყისად მითითებულია 6 საათი, მწერალთა კავშირის დაფაზე გამოკრულ განცხადებაში კი – 8. ამ გაურკვევლობის შესახებ წერს სახუმარო ლექსს „ფრანკოს დაბადების 100 წლისთავი“.

➤ 13537

**1956**

**3 სექტემბერი**

უბის წიგნაკში ინიშნავს იმ მწერლების სახელებს, რომლებმაც უკრაინელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ივან ფრანკოს დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა. ესენი არიან: კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, კალე ბობოხიძე, გივი გაჩეჩილაძე, ალექსანდრე გომიაშვილი, ვასო გორგაძე, სანდრო ეული, სოლომონ თავაძე, ანდრო თევზაძე, გიორგი მარგველაშვილი, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ბესარიონ ჟღენტაი, სიმონ ფაშალიშვილი, დემნა შენგელაია და სერგი ჭილაია.

➤ 13538

**1956**

#### **4 სექტემბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ 4 სექტემბერს საღამოს 8 საათზე შედგება მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელზეც სერგი ჭილაია წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „1957 წელს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისტების მზადების შესახებ“.

➤ 13539

**1956**

#### **4 სექტემბრამდე**

მწერალთა კავშირში ხვდება სერგი ჭილაიას, რომელიც ინტერესდება გალაკტიონის მდგომარეობით.

➤ 13540

**1956**

#### **4 სექტემბერი**

ესაუბრება მხატვარ დავით ქუთათელაძეს, რომელიც წუხს, რომ მწერალთა კავშირი ყურადღებას არ აქცევს ძველი მწერლების მდგომარეობას და რომ პრეზიდენტის წევრები მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ.

➤ 13541

**1956**

#### **5 სექტემბერი**

მთარგმნელი გადასცემს პოემის „ჟუგა და ასიდა“ რუსულ თარგმანს.

➤ 13542

**1956**

#### **5 სექტემბერი**

წერს გ. ი. გრიგოლავასათვის მისაცემი რეკომენდაციის მონახაზს, რომელშიც აღნიშნავს, რომ დადებითად აფასებს ავტორის მიერ წარმოდგენილ ლექსებს და მცირე შესწორებების შემდეგ შესაძლებლად მიაჩნია მათი დაბეჭდვა.

➤ 13543

**1956**

#### **6 სექტემბერი**

წყნეთში, იფნის ბაღში ყოფნისას მოულოდნელად მის წინ ჩერდება ავტომანქანა და უცნობი მძღოლი ეუბნება, რომ ეძებს შალვა რადიანს, რადგან მას ცეკას ბიუროს სხდომაზე იწვევენ. გალაკტიონს აინტერესებს, რისთვის იბარებენ კრიტიკოსს.

➤ 13544

**1956**

#### **6 სექტემბერი**

წყნეთში, იფნის ბაღში რამდენიმე საათის განმავლობაში ელოდება მთარგმნელ ანდრო პატარაიას, რომელიც არ ჩანს.

➤ 13545

**1956**

#### **17 სექტემბრის შემდეგ**

იბეჭდება ეთერ შუმანიას წიგნი „გალაკტიონ ტაბიძე“, რომლის ყდაზე გამოსახულის თევდორე ჩუდეცკის მიერ დახატული გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი. მონოგრაფიაში შეჯამებულია 30-40-იანი წლების საბჭოთა კრიტიკის ძიებანი გალაკტიონის შემოქმედების კვლევის სფეროში.

ნაშრომის ავტორი ძირითადად იზიარებს და ეყრდნობა გალაკტიონის შემოქმედების განვითარების სერგი ჭილაიასეულ სქემას. იგი გალაკტიონის ადრეულ პოეზიაშივე ცდილობს დამებნოს „რევოლუციურ-მომწოდებლური“ ლექსები და ცდილობს სოციალური შინაარსის ამოკითხვას გალაკტიონის ინტიმურ-რომანტიკულ ლირიკაში. ეთერ შუმანიას მონოგრაფიაში უკიდურეს ფორმას იღებს საბჭოთა კრიტიკოსების მისწრაფება, ჩამოაშორონ გალაკტიონის სახელი სიმბოლიზმის ლიტერატურულ მიმდინარეობას. ნაშრომის ავტორი აღნიშნავს, რომ ცისფერყანწელებისაგან განსხვავებით, გალაკტიონი არასოდეს დაჰპირისპირებია ეროვნული ლიტერატურის ტრადიციას. იგი კატეგორიულად უარყოფს გალაკტიონის კავშირს სიმბოლიზმთან და მიუთითებს, რომ შემოქმედების ადრეულ ეტაპზევე მისთვის „უცხოა და მიუღებელი პოეზიის თვითმიზნობა „სიმღერა სიმღერისათვის“.

➤ 13546

1956

### 17 სექტემბრის შემდეგ

იბეჭდება ეთერ შუმანიას წიგნი „გალაკტიონ ტაბიძე“, რომლის ყდაზე იბეჭდება თევდორე ჩუდეცის გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტი.

➤ 13547

1956

### 20 სექტემბრამდე

აპირებს 20 სექტემბერს საღამოს 10 საათზე შეხვდეს ფატი ნიშნიანიძეს.

➤ 13548

1956

### 20 სექტემბერი

ფოთის მატარებლით მიემგზავრება ტყიბულელ მეზახტეებთან შესახვედრად. შუაღამისას სიამოვნებით ისმენს ვაგონში ახალგაზრდები როგორ მღერიან მის ლექსზე დაწერილ სიმღერას „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო...“, მაგრამ შენიშნავს, რომ სიმღერის ბოლო სტრიქონები „ქუთაისი ქალაქია ინდუსტრიის მშენებელი, წყალტუბო კი მხარე არის მისი დამამშვენებელი“ მას არ ეკუთვნის.

➤ 13549

1956

### 21 სექტემბერი

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება ლექსი „ხალხი“ და უსათაურო „წინ, წინ სამშობლო მხარევ...“.

➤ 13550

1956

### 21 სექტემბერი

ქუთაისში რიონის სადგურიდან ტყიბულისკენ მგზავრობისას გზად ხვდებიან სოფელ ორპირის მოსწავლეები და სკოლის შენობაში შეხვედრას უწყობენ. მოსწავლეები მღერიან გალაკტიონის ლექსზე დაწერილ სიმღერას „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“... პოეტისადმი მიძღვნილ ლექსებს კითხულობენ მოსწავლეები ნინელი ხეთერელი და ნარგიზა ლანჩავა. ბოლოს გალაკტიონი კითხულობს საკუთარ ლექსებს, მადლობას უხდის მასპინძლებს და იხსენებს, რომ მამა, ვასილ ტაბიძე ტყიბულის რომელიღაც სკოლაში მუშაობდა პედაგოგად, მასაც ხშირად ეპატიჟებოდნენ ტყიბულში და როგორც იქნა, მოახერხა ამ რაიონის მშრომელების გაცნობა.

➤ 13551

1956

## 21 სექტემბერი

სოფელ ორპირის მოსახლეობასა და სკოლის დირექტორ ირაკლი ხეთერელთან ერთად იღებს ფოტოს.

➤ 13552

1956

## 21 სექტემბერი

შეხვედრას უწყობენ სოფელ ხრესილის სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები.

➤ 13553

1956

## 21 სექტემბერი

ტყიბულში მემახტეებთან შეხვედრაზე ვასილ გორგაძე მსმენელებს ესაუბრება გალაკტიონ ტაბიძის ახალგაზრდული პერიოდის შემოქმედებაზე და კითხულობს პოეტის ამ პერიოდის რამდენიმე ლექსს. დასასრულს, გალაკტიონი კითხულობს ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ლექსს „ხალხი“.

➤ 13554

1956

## 21 სექტემბრის შემდეგ

გეგმავს შეიაროს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში; გერი ნუნუ ებანოძე გაგზავნოს მეცნიერებათა აკადემიაში მისი კუთვნილი ხელფასის ასაღებად; „ლიტერატურული გაზეთიდან“ ამოწეროს ლექსი „ხალხი“ და მიამატოს გადასაბეჭდ მასალებს და შეიძინოს ქალაღდი.

➤ 13555

1956

## 22 სექტემბერი

ათვალიერებს ტყიბულის ღირსშესანიშნაობებს.

➤ 13556

1956

## 22 სექტემბერი

ტყიბულელი მემახტეები შეხვედრას უწყობენ ლენინის სახელობის მღაროში, სადაც მოწინავე მემახტე ივანე ორჯონიკიძე მუშების სახელით ესალმება და საჩუქრად გადასცემს მემახტეების ქუდს წარწერით „სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს – ტყიბულის სახელობის შახტის მემახტეებისაგან“.

➤ 13557

1956

## 22 სექტემბერი

ტყიბულელ მემღაროელებთან შეხვედრაზე იღებენ ფოტოსურათებს.

➤ 13558

1956

## 22 სექტემბერი

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აზხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ტყვარჩელის შახტებში“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 13559

1956

## **22 სექტემბრის შემდეგ**

იღებს ახალგაზრდების ჯგუფის წერილს. მათ არ მოსწონთ გალაკტიონის ლექსი „ხალხს“ და ეკითხებიან, ნუთუ არ შეეძლო ამაზე უკეთესი ლექსის დაწერა და თუ შეეძლო, რატომ დიდი ბელადის, სტალინის გარდაცვალებამდე არ დაწერა. ადრესანტები ითხოვენ პასუხის გაცემას გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ ფურცლებზე.

➤ 13560

1956

## **23 სექტემბრამდე**

ტყიბულელ მაშახტეებთან შეხვედრისას მოსწავლე ნინელი ხეთერელი უძღვნის ლექსს.

➤ 13561

1956

## **23 სექტემბერი**

ტყიბულელი მასპინძლები გალაკტიონს ქუთაისისკენ მიაცილებენ.

➤ 13562

1956

## **28 სექტემბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსების „ჩვენი დღე“ და „ნათელი ეპოქის ფურცელი“ ელენე ნიკოლაევსკაიასა და ირინა სნეგოვას თარგმანები.

➤ 13563

1956

## **28 სექტემბრამდე**

იმყოფება მწერალთა კავშირში. უბის წიგნაკში ინიშნავს დაფაზე გაკრული განცხადების ტექსტს, რომლის მიხედვითაც 28 სექტემბერს დღის 12 საათზე მწერალთა სახლში შედგება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის IV პლენუმი.

➤ 13564

1956

## **28 სექტემბრამდე**

ათვალიერებს ფსიქიატრიის კვლევითი ინსტიტუტის გაფართოებული სამეცნიერო სესიის თეზისებს და პროგრამას, რომლის მიხედვითაც, სამეცნიერო ღონისძიება იწყება 28 სექტემბერს და მთავრდება 2 ოქტომბერს. გალაკტიონი დაინტერესებულია გამომსვლელთა რაოდენობით, ინიშნავს, რომელ რიცხვში რამდენი მოხსენებაა ჩანიშნული. მის ყურადღებას იქცევს ისიც, რომ სამეცნიერო სესია ეძღვნება შიზოფრენიის კლინიკური პათოფიზიოლოგიის და თერაპიის პრობლემებს.

➤ 13565

1956

## **სექტემბერი**

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება მარინე ახვლედიანის სტატია „ქართველი მწერლები უცხოურ ენებზე“, რომელშიც საუბარია ქართული მხატვრული ლიტერატურის უცხოურ თარგმანებზე. სტატიაში აღნიშნულია, რომ საზღვარგარეთ განსაკუთრებული პოპულარულობით სარგებლობს ქართველი საბჭოთა მწერლების – გიორგი ლეონიძის, ლეო ქიაჩელის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ გრიშაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება.

➤ 13566

1956

## სექტემბერი

ჟურნალი „პიონერი“ ბეჭდავს მის ლექსზე „მშობლიური ჩემო მიწავ“ თ. ხატიაშვილის მიერ გუნდისთვის დაწერილი სამხმიანი სიმღერის ნოტებს.

➤ 13567

## ოქტომბერი

1956

### 4 ოქტომბერი

გალაკტიონის ოჯახი წყნეთშია, ის კი თბილისში ჩადის და სმას იწყებს. ნოდარს აგზავნის მანქანის ჩამოსაყვანად. ნოდარი პოეტის მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს უხსნის, რა მდგომარეობაა, მაგრამ ის თბილისში არ ჩადის, ამბობს, მაგის დევის თავი სად მაქვსო და თან ეუბნება, თუ ნასვამი იყოს, აქ არ ამოიყვანო.

➤ 13568

1956

### 8 ოქტომბერი

წვება ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე სამკურნალო კომბინატში.

➤ 13569

1956

### 10 ოქტომბერი

იმყოფება სამკურნალო კომბინატში. ავადმყოფები სთხოვენ, წაუკითხოს ახალ ლექსები. ეს თხოვნა უჩენს აზრს, რომ კარგი იქნება, თუ საავადმყოფოს სამკითხველო დარბაზში მოეწყობა შეხვედრა ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, 17 ოქტომბერს. ფიქრობს, რომ მკითხველთან შეხვედრა, მისი, როგორც სახალხო პოეტის, მოვალეობაა.

➤ 13570

1956

### 10 ოქტომბერი ან შემდეგ

სურვილი აქვს, რომ ბესარიონ ჟღენტი იყოს მომხსენებელი მკითხველებთან დაგეგმილ შეხვედრაზე.

➤ 13571

1956

### 11 ოქტომბერი

მძლოლი, რომელიც რამდენიმე წუთით ეთხოვება, მთელი საათით აგვიანებს და თან თავისი გამომწვევი ქცევით ნერვებს უშლის.

➤ 13572

1956

### 12 ოქტომბერი

ესაუბრება კორნელი სანაძეს. იგებს, რომ მხატვარს ტილო მზად აქვს და უკვე შეუძლია დაიწყოს გალაკტიონის პორტრეტის ხატვა. იწერს ტელეფონის ნომერს და მისამართს.

➤ 13573

1956

### 15 ოქტომბერი

იმყოფება სამკურნალო კომბინატში. უბის წიგნაკში ინიშნავს აკადემიის ბუღალტერიის ტელეფონის ნომერს, აპირებს, დარეკოს და გაარკვიოს, არის თუ არა ხელფასი და შეუძლიათ თუ არა თანხა გაუგზავნონ. ფიქრობს, გერს, ნუნუ ებანოიძეს მისცეს მინდობილობა და მისი დახმარებით მიიღოს ხელფასი. თუმცა ნუნუს გაგზავნას მალევე გადაიფიქრებს, იმის გამო, რომ

დარწმუნებულია, ის დააგვიანებს მისვლას, ფული კი სასწრაფოდ სჭირდება. ორი დღის შემდეგ სადამო აქვს საავადმყოფოში, ასევე, თანხა უნდა გადაუხადოს სტენოგრაფისტ ქალს.

➤ 13574

**1956**

**16 ოქტომბერი**

აინტერესებს, ჩამოვიდა თუ არა მოსკოვიდან ბესარიონ ჟღენტი.

➤ 13575

**1956**

**16 ოქტომბერი**

აინტერესებს, დაასრულა თუ არა კორნელი სანამემ მისი პორტრეტის ხატვა.

➤ 13576

**1956**

**16 ოქტომბერი**

აპირებს, მერი კუჭაიძეს სთხოვოს, უზრუნველყოს აუდიტორია 17 ოქტომბერს სამკურნალო კომბინატში დანიშნული მისი ღონისძიებისთვის.

➤ 13577

**1956**

**17 ოქტომბრამდე**

გეგმავს, სამკურნალო კომბინატში მოაწყოს პოეზიის სადამო, რომლის თემა იქნება 1917 წელი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში.

➤ 13578

**1956**

**17 ოქტომბრამდე**

მხატვარ კორნელი სანამეს უგზავნის ძველ, სამ მეტრზე მეტი სიგრძის ტილოს, შემდეგ იპარება სამკურნალო დაწესებულებიდან, მიდის მასთან და სთხოვს, სასწრაფოდ დახატოს მისი პორტრეტი, რომელიც რკინიგზელთა სახლში დაგეგმილი შეხვედრისთვის სჭირდება. სანამე ეუბნება, რომ ასეთ მოკლე დროში ამოდენა პორტრეტის ხარისხიანად დახატვას ვერ მოასწრებს, რაზეც გალაკტიონი ბრაზდება, კარს გაიჯახუნებს და მიდის.

➤ 13579

**1956**

**17 ოქტომბერი**

მხატვარ კორნელი სანამეზე გაბრაზებული დღიურში მას მოღალატეს უწოდებს და იმუქრება, რომ მაინც აიძულებს დანაპირები პორტრეტის დახატვას.

➤ 13580

**1956**

**17 ოქტომბერი**

იმ დღეს საავადმყოფოში მკითხველებთან დაგეგმილი შეხვედრა გადატანილია 20 ოქტომბრისთვის.

➤ 13581

**1956**

**18 ოქტომბერი**

საავადმყოფოშია. იღებს აბაზანას, სადილობს და აპირებს მასალების მომზადებას მოსკოვში გასამგზავრებლად.

➤ 13582

1956

### 18 ოქტომბერი

საღამოს 6 საათზე საავადმყოფოში აკითხავენ ძმისწულები – ვასილ და ნოდარ ტაბიძეები. ნოდარი სასიამოვნო სიახლეს აცნობებს, რომ მისი თხზულებების მერვე ტომი შეტანილია სახელმწიფო გამომცემლობის გეგმაში. ამ ტომში პოეტს შეტანილი აქვს თავისი ახალი პოემა „მშვიდობის წიგნი“ და ბიჭებს უხსნის მის მნიშვნელობას. ამბობს, რომ მრავალმხრივ ნოვატორულია. წუხს, რომ საავადმყოფოში წოლის გამო ვერ აგრძელებს რუსეთში გამოსაცემ წიგნზე მუშაობას. ეუბნება, რომ ორ დღეში საავადმყოფოში შეხვედრა აქვს თანამშრომლებთან, რომელზეც ბესარიონ ჟღენტი წაიკითხავს მოხსენებას გალაკტიონის მიმართებაზე 1917 წლის რევოლუციის მიმართ. დიდხანს საუბრობენ და შემდეგ პოეტი კარამდე აცილებს ბიჭებს.

➤ 13583

1956

### 20 ოქტომბრამდე

ადგენს გეგმას, რომლის მიხედვითაც უნდა მოემზადოს მოსკოვში გასამგზავრებლად. აპირებს, გადაათვალიეროს რუსულ ენაზე ნათარგმნი მზა მასალები, გადაარჩიოს 3000-ზე მეტი სტრიქონი, აიღოს მივლინება, ლიტერატურული ფონდიდან მოითხოვოს სესხი, ხოლო აკადემიიდან – ხელფასი. სურს, ვიდრე თბილისში არ იქნება, თანხით უზრუნველყოფილი დატოვოს ოჯახი.

➤ 13584

1956

### 20 ოქტომბერი

სამკურნალო კომბინატში აწყობს შეხვედრას მკითხველებთან და გამოდის სიტყვით. აღნიშნავს, რომ სწორედ ამ საავადმყოფოში 15 წლის წინ დაიწყო წერა პოემისა, რომლის მთავარი მოქმედი პირი იყო ხალხი. ამ ნაწარმოებში მშვიდობის ძიების თემასთან ერთად წარმოჩენილი იყო ძველი, ხელნაწერი წიგნების მნიშვნელობა. გალაკტიონის თქმით, ის „ვეფხისტყაოსნისხელა“ პოემა, რომელიც რვატაეპიანი სტროფებით ჰქონდა ნაწერი, დაკარგა და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ იპოვა მეგობართა დახმარებით. აღნიშნავს, რომ ნაპოვნი ტექსტი სახელმწიფო გამომცემლობას გადასცა მისი თხზულებების მერვე ტომში დასაბეჭდად.

➤ 13585

1956

### 22 ოქტომბერი

საავადმყოფოდან ეწერება და წყნეთში ადის, მაგრამ იქ ისეთი არეულობაა, რომ ისევ თბილისში ბრუნდება.

➤ 13586

1956

### 22 ოქტომბერი ან შემდეგ

დეპეშას აგზავნის მოსკოვში, სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მთავარ რედაქტორს, ალექსანდრა რიაბინინას აცნობებს, რომ იყო მძიმედ ავად და მხოლოდ დღეს გამოეწერა საავადმყოფოდან. ჰპირდება, რომ დაპირებულ წიგნს ჩააბარებს ოქტომბრის ბოლოს. სთხოვს, საპასუხო დეპეშა გაუგზავნოს მისამართზე: მარჯანიშვილის ქუჩა, №4.

➤ 13587

1956



## **23 ოქტომბერი**

სახლშია ნასვამი თავის ძმისწულებთან ვასილ და ნოდარ ტაბიძეებთან ერთად. ჩივის, რომ ბიულეტენის ფული არ გაუნადდეს და ცნობის აღება მოსთხოვეს სამსახურიდან. ხელში უკავია ეს ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ გალაკტიონ ტაბიძემ სახელგამიდან 1955 წელს აიღო 103 ათასი მანეთი, 1956 წელს – 25 ათასი, მაგრამ ეს ფულები ისე ქრება, რომ ვერ იგებს. ამბობს, რომ წუხს ვასიკოს წალკაში მუშაობის გამო და უკვირს, რომ არ სთხოვენ მის გადმოყვანაში დახმარებას.

➤ 13588

1956

## **27 ოქტომბერი**

გალაკტიონის ოჯახი წყნეთში ისვენებს, ის კი თბილისშია ნოდართან ერთად. სახლში უსუფთაობაა. წყნეთიდან ჩამოდის მოსამსახურე, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ გალაკტიონს სახლი დაულაგოს, თანხა შემოაკლდათ და, როგორც კი გალაკტიონი ფულს აძლევს, მაშინვე მიდის.

➤ 13589

## **ნოემბერი**

1956

### **5 ნოემბრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს განცხადებას იმის თაობაზე, რომ 5 ნოემბერს ოპერისა და ბალეტის თეატრში შედგება საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის თემატური საღამო.

➤ 13590

1956

### **7 ნოემბერი**

გაზეთში „ავანგარდი“ იბეჭდება ლექსი „ოქტომბრის სიმფონია“.

➤ 13591

1956

### **13 ნოემბერი**

იმყოფება მწერალთა კავშირში და არ სიამოვნებს სერგი ჭილაიას განაცხადი, რომ მოსკოვში დეკადაზე მიდიან არა პოეზიით, არამედ - პროზით.

➤ 13592

1956

### **21 ნოემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „პოლონეთის ცას ეფარა ბინდი...“.

➤ 13593

1956

### **25 ნოემბრის შემდეგ**

დეპეშას აგზავნის სოხუმის მეექვსე საამშენებლო ტრესტის მმართველთან. ატყობინებს, რომ 25 ნოემბერს საქართველოს კომუნალური ბანკის აფხაზეთის განყოფილებაში დავალიანების ნაწილის დასაფარად გადარიცხა 9 ათასი მანეთი. სთხოვს, ხელახლა დააყენონ დაცვა მის სახლზე, განაგრძონ მშენებლობა და თავადაც მალე ჩავა.

➤ 13594

1956

### **31 ნოემბერი**

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მუშაობს რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე. ნინო კვირიკაძე რვეულში ინიშნავს, თუ რა არის გასაკეთებელი. უპირველესად, აპირებენ, გადაარჩინონ

ნათარგმნი და ის ლექსები, რომლებიც რუსულ ენაზე მხოლოდ პწკარედული თარგმანის სახით არსებობს. გარდა ამისა, შესადგენია სარჩევი. ფიქრობს, რომ წიგნი უნდა აიკინძოს სამ ან ოთხ ეგზემპლარად, ხოლო შემდეგ, მომზადებულ წიგნს უნდა გაეცნოს მწერალთა კავშირი, რომელიც მისცემს ვიზას დასაბეჭდად.

➤ 13595

1956

### 31 ნოემბერი

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად აგრძელებს მუშაობას რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე. ნინო კვირიკაძე რვეულში ინიშნავს, რომ სხვადასხვა მთარგმნელის მიერ ნათარგმნი ერთი და იმავე ლექსის ვარიანტებიდან წიგნისთვის უნდა შეირჩეს საუკეთესო.

➤ 13596

## დეკემბერი

1956

### დეკემბრამდე

დეკემბრამდე აგზავნის მოსკოვში სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მთავარ რედაქტორ ალექსანდრა რიაბინინასთან. სწერს, რომ თბილისიდან ადრესატის გამგზავრების შემდეგ ავად გახდა, წიგნი ვერ დაასრულა და გადაწყვეტილი აქვს დეკემბერში მოსკოვში ჩავიდეს და თავად ჩაიტანოს.

➤ 13597

1956

### 2 დეკემბერი

ნინო კვირიკაძესთან ერთად ადის წყნეთში მოსკოვში გამოსაცემი წიგნის მასალების ჩამოსატანად.

➤ 13598

1956

### 2 დეკემბრის შემდეგ

ნინო კვირიკაძე აწესრიგებს მოსკოვში გამოსაცემი წიგნის მასალებს და უბის წიგნაკში წერს, რომ პწკარედებს აკლია ტრანსკრიფციები, ერთი და იგივე მასალა სხვადასხვა წლებში მეორდება, 1928 წლის საქალაქო საბჭოს დაუთმავრებელი ლექსია „გზაზე ტრამვაის უცდიდა მგზავრი“, ბოლოს გადაბეჭდილ მასალებში სრული სახით არის, 1937 და მომდევნო ორი წლის საქალაქო საბჭოს დაუთმავრებელი მასალაა, არ არის 1917 წლის პწკარედები.

➤ 13599

1956

### 3 დეკემბერი

ქალაქ მახარაძის (ამჟამინდელი ოზურგეთის) გაზეთში „ლენინის დროშა“ იბეჭდება ნაწყვეტი გალაკტიონის პოემიდან „პრესა“.

➤ 13600

1956

### 3 დეკემბერი

ის და ნინო კვირიკაძე მთელი დღე ალაგებენ გალაკტიონის ნაწერებს წლების მიხედვით.

➤ 13601

1956

### 4 დეკემბერი

მეხუთედ ურეკავს შალვა რადიანი და სთხოვს ბიოგრაფიას. მასალის წამოსაღებად საგანგებოდ ადიან წყნეთში, მაგრამ ტექსტს სჭირდება შევსება და გადამუშავება.

➤ 13602

1956

#### 4 დეკემბერი

ტელეფონით ესაუბრება მწერალთა კავშირის მდივან ქალს თამარ ანდლულაძეს. ინტერესდება იმ წიგნის ბედით, რომელიც გადასცა „ზარია ვოსტოკაში“ წარსადგენად. თამარ ანდლულაძე პასუხობს, რომ პოეტის მიერ გადაცემული მასალა მას განსაზღვრული აქვს მოსკოვში გამოსაცემი ანთოლოგიისათვის. გალაკტიონი ეკითხება, ხომ არ გადაუცია რაიმე მასალები „ზარია ვოსტოკასთვის“, ან ხომ არ იცის, ვინ ივარაუდება მისი წიგნის რედაქტორად. თამარ ანდლულაძე ეუბნება, რომ მას ამ გამომცემლობასთან კავშირი არ აქვს და „ზარია ვოსტოკას“ თავად პოეტი უნდა დაკავშირებოდა. გალაკტიონის კითხვაზე, გაგზავნილია თუ არა მასალები მოსკოვში გასამართი დეკადისათვის, თამარ ანდლულაძე ვერაფერს პასუხობს. პოეტი აღნიშნავს, რომ მზად აქვს წიგნი, რომლის გადაბეჭდვასაც ერთ კვირაში მოახერხებს, თუ მწერალთა კავშირიდან დაეხმარებიან და რამდენიმე მემანქანეს დაურიგებენ ხელნაწერს გადასაბეჭდად. თამარ ანდლულაძე ამბობს, რომ მწერალთა კავშირს ამის ფული არ აქვს. შემდეგ გალაკტიონი ინტერესდება, სად წავიდა სერგი ჭილაია, რაზეც თანამოსაუბრე პასუხობს, რომ იგი რუმინეთშია გასასეირნებლად. პოეტი სთხოვს, ყურადღება მიაქციოს მის კარადას და ჰპირდება, რომ ახლო ხანში ინახულებს. დამშვიდობებისას ეუბნება, რომ ის „კარგი ქალია“. ეს სიტყვები აღიზიანებს პოეტის მეუღლეს ნინო კვირიკაძეს და უთიშავს ტელეფონს.

➤ 13603

1956

#### 4 დეკემბერი

საღამო ხანს დიდ ჩემოდანში ალაგებს წიგნის მასალებს. პოულობს „ჟუგა და ასიდას“ პწკარედს, რომელიც დაკარგული ეგონა, ალაგებს ბიოგრაფიებს, ავტობიოგრაფიებს, მონოგრაფიებს და ნარკვევებს მის შესახებ, მეცხრე ტომის მასალებს. ეს ყველაფერი ააქვთ წყნეთში და იმავე მანქანით ბრუნდებიან უკან. მეორე დღეს აპირებს მუშაობის დაწყებას. მძლოლი ეუბნება, რომ მისი სახლი წყნეთში საუკეთესო ადგილასაა და უხარია, რომ მართლაც ასეა.

➤ 13604

1956

#### 5 დეკემბერი

მოსკოვში ქართული დეკადის გამართვის დროისთვის შალვა რადიანს ორი წელია „სოვეტსკი პისატელის“ რედაქციისგან დავალებული აქვს 200-გვერდიანი მონოგრაფიის დაწერა გალაკტიონის შესახებ. გალაკტიონს უნდა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებლად მისი აღიარება კარგად იყოს წარმოჩენილი. შალვა რადიანი ადრე პირველ პოეტად გიორგი ლეონიძეს მიიჩნევდა და გალაკტიონს აინტერესებს, ახლაც იმავე აზრზეა თუ არა. სთავაზობს, რომ წიგნის ყოველ თავს წამძღვარებული ჰქონდეს ციტატები მისი ლექსებიდან. ასევე სურვილი აქვს, წიგნში კარგად იყოს წარმოჩენილი წინა თაობის ქართველი მწერლების აზრი მის პოეზიაზე. წუხს, რომ ვერსად პოულობს ილია ჭავჭავაძის მიერ დედამისისთვის გაგზავნილ წერილს. რადიანს უგზავნის თავის 27-გვერდიან ბიოგრაფიას, გამოსული წიგნების სიას და რამდენიმე ფოტოსურათს. რადიანი კი მხოლოდ მარტივი კითხვებით ინტერესდება: რა ერქვათ მშობლებს და როდის დაიბადა. ეტყობა, რომ სიღრმეებში გარკვევას დიდად არ ცდილობს.

➤ 13605

1956

#### 5 დეკემბერი

ურეკავს ფატი დიდია და ატყობინებს, რომ „მშვიდობის წიგნის“ 6000 სტრიქონი უკვე თარგმნილია და თვის ბოლომდე სხვებიც მოესწრება. ასევე ატყობინებს, რომ მოსკოვიდან ჩამოსვლას აპირებს გალაკტიონის წიგნის რედაქტორი რიაბინინა.

➤ 13606

1956

**6 დეკემბერი**

დღიურში იწერს, რომ სამუშაო აქვს პოემებზე.

➤ 13607

1956

**6 დეკემბერი**

ტელეფონზე ურეკავს ფატი დიდია და ატყობინებს, რომ დეკემბრის დამლევს თბილისში ჩამოდის სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ალექსანდრა რიაბინინა.

➤ 13608

1956

**6 დეკემბერი**

დღიურში იწერს, რომ ალექსანდრე ჭეიშვილი ცინიკურ და მტრულ განწყობილებას ავლენს.

➤ 13609

1956

**6 დეკემბრის შემდეგ**

წერს სატირულ ლექსს ალექსანდრე ჭეიშვილის პროზაზე სათაურით „Банкет у Ариадны“ („ა. ჭეიშვილის პროზას...“).

➤ 13610

1956

**9 დეკემბერი**

გეგმავს ლექსების გადარჩევას და რამდენიმეჯერ დაბეჭდილი ლექსების გამოვლენას, მათი ნაწილის გადათარიღებას და სათაურების შეცვლას, იმგვარ გადანაწილებას, რომ თითოეულ წელში ლექსების მეტ-ნაკლებად თანაბარმა რაოდენობამ მოიყაროს თავი.

➤ 13611

1956

**10 დეკემბრამდე**

გალაკტიონი აპირებს თავისი ტომეულების ხელახლა გამოცემას, რისთვისაც მისი მეუღლე – ნინო კვირიკაძე რვეულში ინიშნავს, რომ საბეჭდ მანქანაზე უნდა იქნას გადაბეჭდილი თხზულებათა IV, V, VI, VII, VIII და IX ტომები. პოეტს გადაწყვეტილი აქვს, თითოეული ტომის გამოცემაზე იბრძოლოს აკადემიაში.

➤ 13612

1956

**10 დეკემბრამდე**

აპირებს მწერალთა კავშირიდან საკუთარი კარადა გადაიტანოს მეცნიერებათა აკადემიაში.

➤ 13613

1956

**10 დეკემბრამდე**

აპირებს განცხადებით მიმართოს მეცნიერებათა აკადემიას, რომ მისი ახალი წიგნისთვის შეირჩეს სარედაქციო კოლეგია.

➤ 13614

**1956**

**10 დეკემბრამდე**

აპირებს განცხადებით მიმართოს კულტურის სამინისტროს, რათა მოეწყოს ღონისძიება მისი მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

➤ 13615

**1956**

**10 დეკემბრამდე**

ადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა მოეწყოს მისი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა.

➤ 13616

**1956**

**10 დეკემბრამდე**

ნინო კვირიკაძე მიიჩნევს, რომ გალაკტიონს ბევრი მტერი და მოწინააღმდეგე ჰყავს. ეს დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა ახლა, ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისტების მზადების პროცესში. ისინი სარგებლობენ პოეტის ავადმყოფობით და ისე იქცევიან, როგორც სურთ. ნინო კვირიკაძე დარწმუნებულია, რომ გალაკტიონი არასდროს არაფერს წერდა პრემიის მიღების მიზნით.

➤ 13617

**1956**

**10 დეკემბერი**

არკვევს 1908-დან 1957 წლამდე დაწერილი რამდენი ლექსის რუსულ ენაზე შესრულებული პწკარედული თარგმანი აქვს. თავის შემოქმედებას ქრონოლოგიის მიხედვით ჰყოფს ხუთწლეულებად და თითოეულ ხუთწლეუდთან მიუთითებს არსებული პწკარედების რაოდენობას. საბოლოოდ ირკვევა, რომ 675 ლექსის რუსულ ენაზე შესრულებული პწკარედული თარგმანი ჰქონია.

➤ 13618

**1956**

**10 დეკემბერი**

აპირებს, 11 დეკემბერს, მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად, დაიწყოს რუსულ ენაზე გამოსაცემ წიგნზე მუშაობის საბოლოო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპი: ეს იქნება მზა მასალის დალაგება ქრონოლოგიურად, წლების მიხედვით, ასევე წლების მიხედვით პწკარედების დაზუსტება, თითოეული წლის ფარგლებში შეტანილი ლექსების სიის შედგენა და საბოლოო, სრული ანბანური სიის მომზადება.

➤ 13619

**1956**

**11 დეკემბერი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ ვერ ახერხებს სულიერი სიმშვიდის მოპოვებას, რადგან გამუდმებით ეფიქრება თხზულებათა მერვე ტომზე.

➤ 13620

**1956**

## 11 დეკემბერი

აგრძელებს წიგნის მასალების დალაგებაზე მუშაობას. ანბანურ ნუსხაში მოხსენიებულ ზოგ ლექსს ვერ პოულობენ. ურეკავს ეთერ შუშანია და ეუბნება, რომ დაავალეს გალაკტიონის მოსკოვში გამოცემულ წიგნთან დაკავშირებით რადიო გადაცემაში საუბარი. გალაკტიონი გაოგნებულია, როგორ შეიძლება ილაპარაკო წიგნის შესახებ, რომელიც ჯერ არც კი გინახავს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ რადგან მოსკოვიდან მისი წიგნი არ გამოუგზავნეს, ალბათ რაღაც არ არის წესრიგში იმ წიგნში და უმაღლავენ. მას არ უნდოდა, რომ წიგნს სერგი ჭილაიას წინასიტყვაობა დართვოდა და ფიქრობს, რომ ეს მაინც გააკეთეს. საერთოდ, შალვა რადიანს, სერგი ჭილაიასა და ეთერ შუშანიას სურთ, რომ გალაკტიონის შემოქმედების განხილვის განსაკუთრებული უფლება ჰქონდეთ, მაგრამ გალაკტიონს ეს არ უნდა და ამ საქმეს მოაგვარებს კიდეც.

➤ 13621

1956

## 12 დეკემბერი

ამთავრებს წიგნის მასალების შეკრებას. სულ გამოდის 381 ლექსი – 7-8 ლექსი თითო წელზე. ჯერ კიდეც დასამატებელია ვიქტორ გოლცევისა და ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ მოსკოვში 1940 წელს გამოცემული წიგნის მასალები და სხვებიც, ამოკრებილი სხვადასხვა წიგნებიდან. ასევე დასამთავრებელი აქვს „ერთი ღამის ისტორია“. ბენო ჩიქობავას მისთვის მიაქვს პომის „ოთხი დღე“ პწკარედული თარგმანი, რომელიც გადასაგზავნია მანქანაზე გადასაბეჭდად. ბენო ასევე სთავაზობს, რომ მოამზადებს ცალკე წიგნს ოქტომბრის რევოლუციაზე გალაკტიონის ნაწერებისას. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ბენო ამას შეძლებს.

➤ 13622

1956

## 12 დეკემბერი

ქართველ მწერალთა საცხოვრებელი მისამართების ჩამონათვალს მიაწერს, რომ ამ სიიდან ათი მწერალი უკვე ცოცხალი აღარ არის.

➤ 13623

1956

## 14 დეკემბრის შემდეგ

უბის წიგნაკში იწერს იმ რუსი რედაქტორებისა და გამომცემლების სახელებსა და გვარებს, რომლებიც დაესწრნენ 14 დეკემბერს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის საკითხებთან დაკავშირებით გამართულ სხდომას.

➤ 13624

1956

## 17 დეკემბერი

ასწორებს 1954 წლის 25 ნოემბერს დაწერილ უსათაურო ლექსს „გაფიქრებასებრ ჩქარი, გარეთ ზუზუნებს ქარი...“, ქმნის ნაწარმოების ახალ რედაქციას სათაურით „ო, ნანა, ნანა, ნანა...“ („გაფიქრებასებრ ჩქარი...“).

➤ 13625

1956

## 19 დეკემბერი

აკეთებს ჩანაწერს, რომ ოჯახში ყველა ცდილობს მის დახმარებას: მეუღლე ნინა მზადაა მუშაობის გასაგრძელებლად, მისი გერი დუთუ ხარაგაულში გაემგზავრა, ნუნუ დაჰპირდა ფოტოს მოტანას, ნინას შვილიშვილებმა ზურაბმა და მარინამ კი ფანქრები გაუთალეს.

➤ 13626

1956

**19 დეკემბერი**

ასრულებს წიგნის მასალების შეკრებას. სულ არის 45 ათასი სტრიქონი და საკმაოდ დიდი მოცულობისაა.

➤ 13627

1956

**20 დეკემბრამდე**

განმეორებით იღებს დეპეშას მოსკოვიდან. სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის ხელმძღვანელი არკადი დეევი ატყობინებს, რომ მისი წიგნი 1957 წლის საგამომცემლო გეგმაშია შეტანილი და საჭიროა სასწრაფოდ წარადგინოს ტექსტი.

➤ 13628

1956

**20 დეკემბრამდე**

დეპეშას აგზავნის მოსკოვში სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის ხელმძღვანელ არკადი დეევთან. სიხარულს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი წიგნი ჩასმულია გამომცემლობის 1957 წლის გეგმაში და ატყობინებს, რომ 20 დეკემბერს მიფრინავს და მიაქვს როგორც დასრულებული თარგმანები, ისე პჭკარედები.

➤ 13629

1956

**20 დეკემბრამდე**

ნინო კვირიკაძე აღნიშნავს, რომ არ იცის, 20 დეკემბრამდე, მოსკოვში გამგზავრებამდე, მოასწრებს თუ არა გალაკტიონი რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის მომზადებას.

➤ 13630

1956

**20 დეკემბრამდე**

სოხუმიდან ატყობინებენ, რომ აუცილებელია გალაკტიონი ჩავიდეს და მიხედოს თავის მშენებარე სახლს. პოეტი ფიქრობს, რომ ერთი დღით ჩასვლა საკმარისი იქნება.

➤ 13631

1956

**21 დეკემბერი**

დილის 7 საათზე თვითმფრინავით მიემგზავრება მოსკოვში. უნდა ჩასულიყო როსტოვის გავლით, თუმცა ნისლის გამო როსტოვის აეროპორტში დაშვება ვერ ხერხდება და შეჩერება უხდება ჯერ ნალჩიკში და შემდეგ – ხარკოვში, რის გამოც უგვიანდება მოსკოვში ჩასვლა.

➤ 13632

1956

**21 დეკემბერი**

იმყოფება მოსკოვში. ესწრება ესტონური კულტურისა და ხელოვნების დეკადას და აღნიშნავს, რომ უგემურად ტარდება.

➤ 13633

1956

**21 დეკემბერი**

იმყოფება მოსკოვში. მიდის „სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობაში“, ხვდება გამომცემლობის დირექტორს – არკადი დეევს, რომელიც არაკეთილგანწყობილებას ამჟღავნებს მის მიმართ. გალაკტიონი აჩვენებს რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის მასალებს: 500 ლექსის და 16 პოემის თარგმანს, ასევე, 600 ლექსის პწკარედს. არკადი დეევი არ თანხმდება 25 000 სტრიქონის მოცულობის წიგნის გამოცემაზე, თანახმაა, წიგნი გამოიცეს 7 000, მაქსიმუმ 10 000 სტრიქონის მოცულობით. გალაკტიონს გამომცემლობის დირექტორის დამოკიდებულება არ მოსწონს, დარწმუნებულია, რომ ის ირაკლი აბაშიძის თანამოაზრეა. ფიქრობს, რომ მიზნის მისაღწევად საჭიროა ზომების მიღება.

➤ 13634

1956

## 22 დეკემბერი

მოსკოვიდან თბილისში მარჯანიშვილის ქუჩის 4 ნომერში ოჯახის წევრებთან აგზავნის დეპეშას. ატყობინებს, რომ დაბინავდა სასტუმრო „მოსკოვში“ და დარჩება 12 დღეს.

➤ 13635

1956

## 22 დეკემბერი

იმყოფება მოსკოვში, მიდის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან – მირიან ჩუბინიძესთან, უამბობს არკადი დეევთან ვიზიტის ამბავს და გამოხატავს სინანულს, რომ გამომცემლობის დირექტორი მისი წიგნის სრული სახით გამოქვეყნებას არ აპირებს. მირიან ჩუბინიძე ეუბნება, რომ დაავალებს რუსეთში ქართველთა წარმომადგენლობის ხელმძღვანელს და ეს საქმე მოგვარდება. გარდა ამისა, გალაკტიონი უყვება იმასაც, რომ მირიან ჩუბინიძის ახლო ნათესავის, რევაზ ორჯონიკიძის რედაქტორობით მომზადებული მისი თხზულებათა მერვე ტომი უკვე დიდი ხანია გადაეცა „სახელმწიფო გამომცემლობას“, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმება ამ დრომდე ვერ ხერხდება. მირიან ჩუბინიძე ამ შემთხვევასთან დაკავშირებითაც ჰპირდება დახმარებას.

➤ 13636

1956

## 22 დეკემბერი

იმყოფება მოსკოვში, ფული თითქმის აღარ აქვს, მხოლოდ ერთი იმედი რჩება, ესაა მოსკოვის ლიტერატურული ფონდი, საიდანაც შესაძლებელია სესხის აღება.

➤ 13637

1956

## 22 დეკემბერი

იმყოფება მოსკოვში, აპირებს გაარკვიოს, სად არის რუსეთში საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლობა, რათა სთხოვოს დახმარება რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის სრული სახით გამოქვეყნების საქმეში.

➤ 13638

1956

## 22 დეკემბერი

იმყოფება მოსკოვში, აპირებს დეპეშა გააგზავნოს საქართველოში რედაქტორ რევაზ ორჯონიკიძესთან და აცნობოს, რომ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ – მირიან ჩუბინიძემ დახმარება აღუთქვა თხზულებათა მერვე ტომის გამოცემასთან დაკავშირებით.

➤ 13639



1956

**22 დეკემბერი**

მოსკოვიდან აპირებს დეპეშის გაგზავნას თბილისში, ოჯახის წევრებთან და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 13640

1956

**23 დეკემბერი**

აინტერესებს, შეიძლება თუ არა მოხერხდეს პოემების რუსულ ენაზე გამოცემა. სულ 30 პოემის თარგმანი აქვს და უნდა, ეს პოემები ცალკე წიგნად დაიბეჭდოს. ფიქრობს, რომ „სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობაში“ ასეთი წიგნის დაბეჭდვის იმედი არ უნდა ჰქონდეს, „საბჭოთა მწერალს“ კი ალბათ უკვე აქვს საკუთარი გეგმა, მაგრამ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით შესაძლებელია პოემების წიგნის გამოცემა იმ შემთხვევაში, თუ საქმეში ჩაერევა რუსეთში ქართველთა ოფიციალური წარმომადგენლობა. აპირებს, ამავე წიგნის გამოცემა სცადოს „ზარია ვოსტოკაში“ და, გარდა ამისა, გაარკვიოს, კიდევ რა გამომცემლობები არსებობს მოსკოვში.

➤ 13641

1956

**24 დეკემბერი**

იმყოფება მოსკოვში, აპირებს დაუკავშირდეს რუსეთში ქართველთა ოფიციალურ წარმომადგენლობას და დახმარება სთხოვოს რუსულად ნათარგმნი პოემების წიგნის ცალკე წიგნად გამოქვეყნებაში.

➤ 13642

1956

**24 დეკემბერი**

იმყოფება მოსკოვში, ფული საერთოდ აღარ აქვს, ფიქრობს, რა გამოსავალი შეიძლება არსებობდეს ამ სიტუაციიდან. სურს, ხელშეკრულება გააფორმოს „სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობასთან“, რათა ავანსის სახით მიიღოს გარკვეული თანხა.

➤ 13643

1956

**24 დეკემბერი**

იმყოფება მოსკოვში და ფინანსური პრობლემების გამო ფიქრობს, უკიდურეს შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართოს რუსეთში საქართველოს წარმომადგენლობას, თუმცა ეს საქციელი ძალიან უხერხულად ეჩვენება.

➤ 13644

1956

**24 დეკემბერი**

მოსკოვში ხვდება მწერალთა კავშირის სამეურნეო ადმინისტრატორ არონ ლიხტენტულს, რომელიც სთავაზობს პარიზში გამგზავრებას. გალაკტიონი ეუბნება, რომ თბილისში დასაბრუნებელი თანხაც კი არ აქვს. ლიხტენტული რეკავს მოსკოვის ლიტერატურულ ფონდში და შოულობს საქართველოში დასაბრუნებელ ბილეთს გალაკტიონისთვის.

➤ 13645

1956

**24 დეკემბერი**

მოსკოვის ლიტერატურული ფონდიდან ითხოვს სესხს.

➤ 13646

1956

**24 დეკემბერი**

მოსკოვის ლიტერატურულ ფონდიდან სესხად იღებს 5 000 მანეთს.

➤ 13647

1956

**24 დეკემბერი**

იმყოფება მოსკოვში, აპირებს შეხვდეს სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მთავარ რედაქტორ ანატოლი სტაროსტინს და ესაუბროს თავისი რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის შესახებ.

➤ 13648

1956

**25 დეკემბერი**

იმყოფება მოსკოვში, აპირებს საკუთარი ლექსების წიგნი აჩუქოს მირიან ჩუბინიძეს, ამზადებს გულთბილ წარწერას, რომელშიც კარგად ჩანს, ერთი მხრივ, მაღლიერება და დიდი პატივისცემა, მეორე მხრივ, ისიც, რომ პოეტი კვლავ ელოდება ადრესატისგან დახმარებას თხზულებათა მერვე ტომის გამოქვეყნების საქმეში.

➤ 13649

1956

**26 დეკემბერი**

იმყოფება მოსკოვში და გადასცემენ რუსულ ენაზე გამოსაცემი თავისი წიგნის 15 ეგზემპლარს. ჰპირდება, რომ მეორე დღეს კიდევ დაუმატებენ 25 ცალს.

➤ 13650

1956

**26 დეკემბერი**

იმყოფება მოსკოვში და ყიდულობს 200 ცალ ჩარჩოს სურათებისთვის. მეტის შეძენაც სურს, მაგრამ ნებას არ აძლევენ.

➤ 13651

1956

**26 დეკემბერი**

სასტუმრო „მოსკვაში“ ხვდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ნიკო მუსხელიშვილს. მუსხელიშვილი ჰპირდება, რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ მისი მითითებით დაიწყება გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება.

➤ 13652

1956

**26 დეკემბერი**

ხვდება სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის დირექტორ არკადი დეევს, რომელიც გალაკტიონის რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის მოცულობის შესახებ ამბობს, რომ ასეთი ფორმატით გალაკტიონ ტაბიძის კი არა, ავეტიკ ისააკიანის წიგნის გამოცემა ვერ შეძლეს. გალაკტიონს სწყინს ეს შედარება, რადგან ავეტიკ ისააკიანი სახალხო პოეტი არ არის, თუმცა არაფერს ამბობს და ფიქრობს, რომ ეს სომხური შეთქმულებაა მის წინააღმდეგ. ახსენდება ავეტიკ ისააკიანის დაკნინებული მდგომარეობაც 1935 წელს, პარიზში, მწერალთა ანტიფაშისტურ

კონგრესზე, თუ როგორ ევედრებოდა დახმარებოდა და სომხეთში წაეყვანა. უკვირს, რომ ახლა ამ პოეტს მასზე მაღლა აყენებენ.

➤ 13653

1956

**27 დეკემბრამდე**

ინიშნავს მოსკოვის მისამართს, საიდანაც 27 დეკემბერს, დღის ბოლოს, უნდა წამოიღოს თავისი რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის 25 ეგზემპლარი. ფიქრობს, რომ საკუთარი წიგნის ეგზემპლარების მოპოვების საქმე ძალიან გაურთულეს და გაღიზიანებულია.

➤ 13654

1956

**27 დეკემბრამდე**

იმყოფება მოსკოვში და იწერს რუსეთში საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლობის ერთ-ერთი წევრის, მიხეილ თოხაძის ტელეფონის ნომერს.

➤ 13655

1956

**27 დეკემბრამდე**

იმყოფება მოსკოვში და ინიშნავს რუსეთის მწერალთა კავშირის მისამართს.

➤ 13656

1956

**28 დეკემბერი**

მოსკოვიდან თბილისში დეპეშას უგზავნის თავისი თხზულებათა რეკტომეულის მერვე ტომის რედაქტორ რევაზ ორჯონიკიძეს, აცნობებს, რომ შეხვდა მის ნათესავს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს – მირიან ჩუბინიძეს, რომელიც არაჩვეულებრივი კაცია და მერვე ტომის ხელშეკრულების გაფორმების დაჩქარებას დაჰპირდა. ულოცავს დამდეგ ახალ წელს.

➤ 13657

1956

**28 დეკემბერი**

მოსკოვიდან თბილისში დეპეშას უგზავნის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ დავით დუმბაძეს, ულოცავს დამდეგ ახალ წელს და სწერს, რომ მისი თხზულებების მერვე ტომის საქმე კარგად არის.

➤ 13658

1956

**28 დეკემბერი**

მოსკოვიდან თბილისში დეპეშას უგზავნის მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს და ატყობინებს, რომ 31 დეკემბერს თბილისში იქნება.

➤ 13659

1956

**დეკემბერი**

მოსკოვის სასტუმროდან „მოსკოვი“ თბილისში დეპეშას უგზავნის პოლიგრაფიული სამსახურის უფროსს, ბორის ნანიტაშვილს და სთხოვს, ტელეგრაფით შეატყობინოს წიგნის გამოცემის მდგომარეობა.

➤ 13660

1956

### დეკემბერი

აღწერს 1956 წელს მის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს, ჩამონათვალში არის, რომ: სახელმწიფო გამომცემლობას გადასცა თავისი ნაწერების მერვე და მეცხრე ტომები. მოსკოვში დასაბეჭდად გადასცა ლექსები და პოემები 60 ათასი სტრიქონის მოცულობით. მოამზადა წიგნები ოქტომბრის რევოლუციის შესახებ. მონაწილეობდა სხვადასხვა ლიტერატურულ სადამოში, შეხვდა ტყიბულის მემდაროელებს, ახალგაზრდობას და სხვ. აგრძელებს მუშაობას თავისი თხზულებების მეათე ტომზე.

➤ 13661

1956

ელიზბარ ანანიაშვილის რედაქტორობით მოსკოვში რუსულ ენაზე გამოდის გალაკტიონ ტაბიძის „რჩეული: ლექსები“. მასში შედის ციკლები: „სამშობლო და მათი“, „ეპოქა“, „ბილიკები და წლები“, „ნათელი ცის ქვეშ“.

➤ 13662

1956

მწერალი თედო ბეგიაშვილი წარწერით სჩუქნის 1956 წელს გამოცემულ თავის წიგნაკს: „ვეფხისტყაოსანზე წასაკითხი ლექციების თეზისები“.

➤ 13663

1956

იბეჭდება გიორგი მერკვილაძის წიგნი „პოეზია და ხალხი“, რომლის ერთი მონაკვეთიც ეხება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს პოეტის მოქალაქეობრივ პოზიციას 20-იან წლებში და აღნიშნავს, რომ იგი ეყრდნობოდა ლიტერატურის დანიშნულების რეალისტურ გაგებას. აქვე გიორგი მერკვილაძე ეკამათება კარლო კალაძეს და რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისთვის დამახასიათებელ „გამოხდომად“ აცხადებს კალაძის მხრიდან გალაკტიონ ტაბიძის წინააღმდეგ გალაშქრებას და იმის მტკიცებას, რომ პოეტის შემოქმედება ამჟამად არაა მთლად თავისუფალი დეკადენტური რეციდივებისაგან.

➤ 13664

1956

წერს უსათაურო ლექსს „ჩოხათ საქილვეში მუხებს...“.

➤ 13665

1956

წერს ლექსს „ქრისტიანე“ („როცა ოცნებას მოვაცლი არტახს...“).

➤ 13666

1956

წერს უსათაურო ლექსს „კაფეს სახე ადევს ბურქის...“.

➤ 13667

1956

წერს უსათაურო ლექსს „ვთქვათ: მთად სამზეო და სანიავე...“.

➤ 13668

1956

იხსენებს პირველ დალევასა და დათრობას ქუთაისში, თეთრ ხიდთან მდებარე დუქანში 1902-1903 წლებში.

➤ 13669

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „ცა წვიმით თავზე გვემხოვა...“.

➤ 13670

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „ცხედართა გროვა თვალწინ გვიწყვია...“.

➤ 13671

**1956**

წერს ლექსს „სტუმრად აკაკი წერეთელთან“ („ცხოვრობს კაცი ჟამმრავალი...“).

➤ 13672

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „თუ ხელოვნება და შრომა...“.

➤ 13673

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „მშვენიერია ქედი...“.

➤ 13674

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „ნუ გგონია ხვავის...“.

➤ 13675

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „უდაბნოში მიდის ზოლი...“.

➤ 13676

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „შენ ზიხარ შენთვის წყნარად...“.

➤ 13677

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „შენ ხარ ის მხეცი, რომელიც ყეფას...“.

➤ 13678

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „გახსოვს? დედა ცეცხლთან სდუმდა...“.

➤ 13679

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „წავალ შაითან ბაზარში...“.

➤ 13680

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „წინ, წინ სინათლისაკენ...“.

➤ 13681

**1956**

წერს უსათაურო ლექსს „მე ეს ფაზისი სად არ მატარებს...“.

➤ 13682

**1956 ან შემდეგ**

ილო მოსაშვილი წერს კიდევ ერთ ლექსს გალაკტიონზე, რომელშიც მას ალექსანდრ პუშკინს ადარებს.

➤ 13683

\* \* \*

**1957**

**იანვრამდე**

ათვალისწინებს 1957 წლის კალენდარს. მის ყურადღებას იქცევს კალენდრის გარეკანი და 9 იანვრის ფურცელზე ნახატი – გემი ზღვაზე.

➤ 13684

**1957**

**ი ა ნ ვ ა რ ი**

**1957**

**დასაწყისი ან შემდეგ**

დეპეშას უგზავნის მოსკოვში სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის უფროს რედაქტორ ანატოლი სტაროსტინს და სთხოვს, ტელეგრაფით შეატყობინოს, მზად არის თუ არა დასაბეჭდად მისი წიგნი.

➤ 13685

**1957**

**10 იანვარი**

იმყოფება სახლში და აკვირდება როგორ ეძებს ოჯახის დამხმარე ქალი – ირმა პაპაშვილი დაკარგულ სამმანეთიანს სხვადასხვა ოთახში, ჯიბეებში, მაგიდეებზე და ბოლოს საკუთარ ჯიბეში პოულობს.

➤ 13686

**1957**

**13 იანვარი**

ადგენს თავისი თხზულებების მეცხრე ტომზე მუშაობის გეგმას. გადაწყვეტილი აქვს მასში შესატანი თხზულებების მთლიანი სიის შედგენა, გადასაწერი მასალის გადარჩევა და გადასაბეჭდების ცალკე გადაწყობა.

➤ 13687

**1957**

**13 იანვრის შემდეგ**

განზრახული აქვს ლიტერატურული ფონდიდან სესხის გამოტანა.

➤ 13688

**1957**

**14 იანვარი**

აკითხავს ქართული ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელი, რევოლუციონერ რაფიელ ჩიხლაძის ქალიშვილი ნინო ჩიხლაძე და მისგან მიაქვს მასალები გიორგი ქუჩიშვილის შესახებ,

რადგან მუზეუმში აპირებენ მეოცე საუკუნის მწერლობის გამოფენის მოწყობას. იწერს მუზეუმის დირექტორ ვანო კაკაბაძის ტელეფონის ნომერს.

➤ 13689

**1957**

**14 იანვარი**

წერს უსათაურო ლექსს „ჩემს გაჭირვებას დღეს ხედავს ყველა...“.

➤ 13690

**1957**

**18 იანვარი**

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“, რომელშიც ეცნობა საინფორმაციო ხასიათის სტატიებს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების – უნგრეთისა და პოლონეთის მიერ ჩინეთთან დიპლომატიური კავშირების გააქტიურების შესახებ.

➤ 13691

**1957**

**18 იანვარი**

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“, რომელშიც ეცნობა საინფორმაციოს ხასიათის სტატიას სამხრეთ კორეაში არსებული ვითარების შესახებ, კერძოდ, იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში გაძლიერდა საომარი მზადება ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით. ეს ინფორმაცია მასში სამხრეთ კორეისადმი უარყოფით განწყობას იწვევს.

➤ 13692

**1957**

**18 იანვარი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნიუ-იორკში, 16 იანვარს, 89 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი იტალიელი დირიჟორი არტურო ტოსკანინი.

➤ 13693

**1957**

**18 იანვარი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ 15 იანვარს გარდაიცვალა ანტონ ჩეხოვის და, იალტაში მისი სახლმუზეუმის დამაარსებელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მარია ჩეხოვა. ფიქრობს, რომ ის უკვე ღრმად მოხუცებული იქნებოდა.

➤ 13694

**1957**

**18 იანვარი**

გაზეთის „კომუნისტი“ ბოლო გვერდზე გამოქვეყნებული სამგლოვიარო განცხადებიდან იგებს, რომ გარდაიცვალა პოეტი შაჰრუხ (შალვა) ჩარკვიანი, რომელსაც პირადად იცნობდა. იხსენებს, რომ შაჰრუხი კანდიდ ჩარკვიანის ნათესავი იყო. აინტერესებს, რამ გამოიწვია მისი სიკვდილი. შარუხ ჩარკვიანზე ფიქრისას აგონდება კოლაუ ნადირაძე, როგორც მწერლებს შორის მასთან ყველაზე დაახლოებული პირი.

➤ 13695

**1957**

**18 იანვარი**

გაზეთის „კომუნისტი“ ბოლო გვერდზე გამოქვეყნებული სამგლოვიარო განცხადებიდან იგებს, რომ გარდაიცვალა გერონტი ქიქოძის ბიძაშვილი, მსახიობი ანეტა ქიქოძე. იწერს ინფორმაციას იმის შესახებ თუ როდის და რა მისამართიდან იქნება გამოსვენება.

➤ 13696

1957

**18 იანვარი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას ადამიანთა შესახებ, რომელთა გარდაცვალებაც იმ დღეს გაიგო და შეშფოთებულია მათი სიმრავლით.

➤ 13697

1957

**22 იანვრამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს თხზულებათა მეცხრე ტომის რუბრიკებად დაყოფის გეგმას, ჩამოწერს თორმეტ სათაურს, რომელთა მიხედვითაც ტომი თორმეტ ნაწილად უნდა დაიყოს.

➤ 13698

1957

**22 იანვარი**

სახელმწიფო გამომცემლობას წარუდგენს თავისი თხზულებების მეცხრე ტომს და წერილობით მოახსენებს მისი სტრუქტურის შესახებ. წიგნი შედგება 12 ნაწილისაგან: ხალხი – ოქტომბერი. ხალხი აშენებს ახალ ქვეყანას. ნანგრევებთან. ხალხი მოითხოვს მშვიდობას. რბევისა და თარეშის წინააღმდეგ. პარიზის გარემოცვა. კომპიენის ტყესთან. ექვსმილიონიანი ჩინეთი. სურამის ციხეში. იფნის შოლტივით მოქნეულ გზაზე. პოეტი და ხალხი და მე ვუსმენდი ხალხს მომდერალს. ითხოვს, რომ საქმეს ნუ დააყოვნებენ და წიგნის ბეჭდვის დროს საშუალება მისცენ, ერთხელ კიდევ გადახედოს მასალებს.

➤ 13699

1957

**25 იანვრამდე**

ასრულებს მუშაობას თხზულებათა მეცხრე ტომზე. უბის წიგნაკში აღნიშნავს, რომ წიგნი დაყოფილია 12 ნაწილად, თითოეულ ნაწილს აქვს მისივე ლირიკიდან მომდინარე სათაური. წიგნში იბეჭდება 106 ლექსი და 4 პატარა პოემა. რადგან სარჩევიც შედგენილია, ფიქრობს, რომ წიგნის სახე უკვე საბოლოოდაა ჩამოყალიბებული.

➤ 13700

1957

**25 იანვრამდე**

ანგარიშობს თხზულებათა მეცხრე ტომში არსებულ სტრიქონთა რაოდენობას, ცდილობს, გამოთვალოს, რომელმა მბეჭდავმა რამდენი სტრიქონი გადაუბეჭდა და კიდევ რამდენი დარჩა გადასაბეჭდი.

➤ 13701

1957

**25 იანვარი**

სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ ვლადიმერ მგალობლიშვილს გადასცემს თავისი თხზულებების მეცხრე ტომს. ტომის გადაცემას ესწრებიან ამავე გამომცემლობის თანამშრომლები – დავით დუმბაძე და შოთა სულაბერიძე. მგალობლიშვილი ეუბნება, რომ პასუხი წიგნის თაობაზე მხოლოდ ათი დღის შემდეგ იქნება. საუბრიდან იგებს, რომ წიგნი უნდა



წაკითხოს შოთა სულაბერიძემ და დასკვნაც მან უნდა დაწეროს. დარწმუნებულია, რომ თებერვლის პირველ დღეებში წიგნთან დაკავშირებით უკვე ყველაფერი გაირკვევა.

➤ 13702

1957

25 იანვარი

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „დღეს სახელგამს გადავეცი“, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გადასცა „სახელმწიფო გამომცემლობას“ თხზულებათა მეცხრე ტომი და როგორი არასერიოზული განწყობა დახვდა გამომცემლობაში.

➤ 13703

1957

27 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ელიზბარ უბილავას ნარკვევი „ანდალალის სტუმრები“, რომელშიც დაღესტანში მოგზაურობის შთაბეჭდილებებია აღწერილი. სტატიაში ნათქვამია, რომ ამ პეიზაჟების ნახვისას გული მღერის ოდესღაც წაკითხულ და მერე შენს სულში ორგანულად შემოჭრილ ლექსის სტრიქონებს და ციტირებს გალაკტიონის სტროფს: „შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა...“.

➤ 13704

1957

27 იანვრის შემდეგ

კითხულობს გაზეთში „კომუნისტი“ დაბეჭდილ ელიზბარ უბილავას ნარკვევს, რომელშიც მისი ლექსის სტროფი: „შავმა ნისლმა დანისლა მთები დაღესტანისა...“ არის ციტირებული, შინ ურეკავს და მადლობას უხდის.

➤ 13705

1957

27 იანვრის შემდეგ

ხვდება ელიზბარ უბილავას, რომელმაც ძალიან თბილად მოიხსენია დაღესტნის შესახებ გამოქვეყნებულ ნარკვევში, მადლიერების ნიშნად გადაეხვევა და ეუბნება: „მივხვდი, ძამიკო, რომ ნამდვილად გყვარებივარ“, რადგან დაღესტნის მთებში გაგახსენდიო.

➤ 13706

1957

29 იანვრამდე

ეცნობა 24 იანვრის გაზეთს „მოლოდოი სტალინეც“.

➤ 13707

1957

29 იანვარი

ფიქრობს, რომ გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკა“ მუშაობს დემნა შენგელაიასთან დაახლოებული ადამიანების ჯგუფი. მისი აზრით, ამას ადასტურებს უშუალოდ დემნა შენგელაიას გამოსვლები და მისივე რუსულენოვანი პუბლიკაციები. დარწმუნებულია, რომ სწორედ ამ ჯგუფობრიობით არის განპირობებული ის, რომ „ზარია ვოსტოკა“ მხოლოდ ფუტურისტებს და მათ მიმდევრებს ბეჭდავს.

➤ 13708

1957

29 ივლისი

იმყოფება ვაკეში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბის წინ. ახარებს, რომ უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტამბა და ისიც, რომ ახალი გზა გაჰყავთ.

➤ 13709

1957

29 იანვარი

იმყოფება ოპერის თეატრში, სადაც ახალგაზრდა ფოტოგრაფი ჩუმად უღებს ფოტოს.

➤ 13710

1957

31 იანვარი

ათვალისწინებს კონსტანტინე გამსახურდიას მიერ 1956 წელს გამოცემულ რომანს „ვაზის ყვავილობა“ და გაკვირვებულია მისი დიდი მოცულობით.

➤ 13711

1957

31 იანვარი

ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ რედაქციაში ათვალისწინებს მხატვარ ნათელა იანქოშვილის ნახატს – ბავშვის ფერად პორტრეტს. ინტერესდება მხატვრის ასაკით და იგებს, რომ 38 წლისაა.

➤ 13712

1957

31 იანვარი

აინტერესებს, ახალგაზრდა პოეტი გიორგი ლეჟავა მიუტანს თუ არა მის შესახებ გამოქვეყნებულ ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიასა და პორტრეტს.

➤ 13713

1957

31 იანვარი

შალვა ფორჩხიძე სამახსოვრო წარწერით ჩუქნის 1954 წელს გამოქვეყნებულ თავისი ლექსების კრებულს „ცისფერ გზაზე“. გალაკტიონს მოსწონს ყურადღება და ფიქრობს, რომ ის ზრდილობიანი კაცია.

➤ 13714

1957

31 იანვარი

მწერლების საუბრიდან იგებს, რომ სახელმწიფო გამომცემლობას დაუმტკიცებია მიმდინარე წლის საგამომცემლო გეგმა და ამ გეგმიდან ბევრი ავტორის წიგნია ამოღებული. ეს ინფორმაცია ინტერესს აღუძრავს, სურს, გაიგოს, შეტანილია თუ არა გეგმაში მისი წიგნი.

➤ 13715

1957

31 იანვარი

ახლახან დამტკიცებული მიმდინარე წლის საგამომცემლო გეგმის შესახებ ესაუბრება პოეტ გიორგი ლეჟავას და იგებს, რომ გეგმის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ექნება სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ დავით დუმბაძეს.

➤ 13716

1957

31 იანვარი

იგებს, რომ დასავლეთ საქართველოში რამდენიმე მიწისძვრა მოხდა და შეშფოთებულია ამ ინფორმაციით.

➤ 13717

**1957**

**31 იანვარი**

აბრაზებს ის გარემოება, რომ მისი წიგნი, თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომი, რომელიც ჯერ კიდევ 1955 წელს მიიტანა გამომცემლობაში, მიმდინარე წლის საგამომცემლო გეგმიდან ამოუღიათ.

➤ 13718

**1957**

**31 იანვრამდე**

ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ რედაქტორი ოთარ ეგაძე სთხოვს, ჟურნალში გამოსაქვეყნებლად გაუგზავნოს ლექსი „ო, ნანა, ნანა, ნანა“.

➤ 13719

**1957**

**31 იანვარი**

მიდის ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ რედაქციაში და რედაქტორს გამოსაქვეყნებლად გადასცემს ლექსს „ო, ნანა, ნანა, ნანა“. ოთარ ეგაძე ლექსის გაცნობის შემდეგ სთხოვს მასში გარკვეული ცვლილებების შეტანას და განახლებული ვერსიის მიწოდებას.

➤ 13720

**1957**

**31 იანვარი**

აინტერესებს, ვინ იქნება მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რომლის ვინაობაც მალე უნდა გაირკვეს. იგებს, რომ პრეზიდიუმის თავმჯდომარეობის სავარაუდო კანდიდატთა შორის არიან დემნა შენგელაია და სიმონ ჩიქოვანი.

➤ 13721

**1957**

**31 იანვარი**

იმყოფება მწერალთა კავშირში, ისმენს ვარაუდებს, თუ ვინ შეიძლება გახდეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ზოგი სიმონ ჩიქოვანს ანიჭებს უპირატესობას, ზოგი – დემნა შენგელაიას. გალაკტიონს არცერთი მათგანი არ მიაჩნია ამ თანამდებობისთვის შესაფერად.

➤ 13722

**1957**

**31 იანვარი**

იგებს, რომ მისი თანასოფლელი ალექსანდრე ტაბიძე შინ დაბრუნებულა, რადგან თბილისში გაუუქმებიათ მისი თანამდებობა. ამ თემაზე ესაუბრება ახალგაზრდა პოეტ გიორგი ლეჟავას, რომელსაც მოსწონს ალექსანდრე ტაბიძის გადაწყვეტილება და აღნიშნავს, რომ სოფელში ყოფნა სჯობს.

➤ 13723

**1957**

**31 იანვარი**

იმყოფება ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციაში, სადაც აჩვენებენ თავის ფოტოს, რომელიც ორი დღის წინ ოპერის თეატრში ჩუმად გადაუღია ახალგაზრდა ფოტოგრაფს. მალულად გადაღებული ფოტო ძალიან მოსწონს და ფოტოგრაფი ჰპირდება, რომ მის ასლს აუცილებლად გადასცემს.

➤ 13724

1957

**31 იანვარი**

ბიბლიოგრაფი ვლადიმირ ჯოჯუა ეუბნება, რომ კარგი იქნება, თუ შეგროვდება გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებული სხვადასხვა ტიპის მასალა: მხატვრების, კომპოზიტორების თუ მოქანდაკეების მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები.

➤ 13725

1957

**31 იანვარი**

ესაუბრება ბიბლიოგრაფ ვლადიმირ ჯოჯუას, რომელიც ჰპირდება, რომ შეადგენს მის ბიობიბლიოგრაფიას. ჯოჯუა საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბიობიბლიოგრაფია შეტანილ იქნეს სახელმწიფო გამომცემლობის შემდეგი წლის გეგმაში. საამისოდ, მისი აზრით, აუცილებელია მწერალთა კავშირის შუამდგომლობა. მწერალთა კავშირის შუამდგომლობის ხსენება გალაკტიონის ირონიულ დამოკიდებულებას იწვევს.

➤ 13726

1957

**31 იანვარი**

იგებს, რომ მალე გამოიცემა ვლადიმირ ჯოჯუას მიერ მომზადებული წიგნი „ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „მნათობის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (1924-1954), რომელიც გააერთიანებს ყველა იმ მასალის შესახებ ინფორმაციას, რაც „მნათობში“ გამოქვეყნდა ჟურნალის დაარსების დღიდან მთელი არსებობის მანძილზე. დარწმუნებულია, რომ დასახელებულ წიგნში მისი უამრავი ნაწარმოების შესახებ იქნება ცნობა.

➤ 13727

1957

**იანვარი**

თავიდან ბოლომდე ათვალიერებს 1957 წლის კალენდარს და უბის წიგნაკში იწერს მისთვის საინტერესო ინფორმაციას, იქნება ეს ილუსტრაციების აღწერილობა, ქართველ და უცხოელ მწერალთა პორტრეტების ჩამოთვლა თუ ცნობები მათი დაბადება-გარდაცვალებისა და საიუბილეო თარიღების შესახებ.

➤ 13728

1957

**იანვარი**

1957 წლის კალენდრის დათვალიერებისას აღმოაჩენს, რომ მისი დაბადების დღე შეტანილია 17 ნოემბრის ნაცვლად 17 დეკემბრის თარიღით. ინიშნავს, რომ 1957 წელს უსრულდება დაბადებიდან 65 წელი.

➤ 13729

1957

**იანვარი**

ფიქრობს ჩასატარებელ ღონისძიებებზე. სურს, ბესარიონ ჟღენტმა წაიკითხოს მოხსენება „1917 წელი გალაკტიონის შემოქმედებაში“. გეგმავს, ღონისძიების გასაფორმებლად მომზადდეს მისი თხზულებების სხვადასხვა გამოცემათა კლიშეები, ასევე, უნდა, რომ დაიბეჭდოს აფიშა.

➤ 13730

1957

**იანვარი**

გეგმავს, მოაწყოს ღონისძიება და აპირებს, საამისო ნებართვა აიღოს ცენტრალური სალექციო ბიუროდან, სადაც ვახტანგ გურგენიძე მუშაობს.

➤ 13731

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1957

**2 თებერვალი**

აპირებს, დაუკავშირდეს ახალციხის პედაგოგიურ სასწავლებელს, კონკრეტულად კი, იოსებ ნებაძეს.

➤ 13732

1957

**2 თებერვალი**

წერს უსათაურო ლექსს „შუბლით წარბებიდან...“.

➤ 13733

1957

**4 თებერვალი**

აკეთებს ჩანაწერს პოემა „მშვიდობის წიგნის“ შესახებ. აღნიშნავს, რომ ნაწარმოებზე მუშაობდა 12 წლის განმავლობაში. თხზულებათა მერვე ტომი ერთი წლის წინ წარადგინა სახელმწიფო გამომცემლობაში, თუმცა ამ ხნის განმავლობაში არავითარი გამოხმაურება არ ყოფილა. ფიქრობს, რომ პოემა „მშვიდობის წიგნი“ ნოვატორულია. შესაძლოა, მასში იყოს გასაუმჯობესებელი ადგილები, თუმცა ამ შემთხვევაში გამომცემლობა ვალდებულია, მიუთითოს ავტორს მათზე. გალაკტიონი მიუთითებს, რომ მზად აქვს თხზულებათა მეცხრე ტომიც, თუმცა შეიძლება იგი გაერთიანდეს მერვე ტომთან და ამ სახით დაიბეჭდოს.

➤ 13734

1957

**7 თებერვალი**

მეცნიერებათა აკადემიაში ესწრება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სხდომას, რომელზეც განიხილავენ გასული წლის ლიტერატურულ პროდუქციას. გამომსვლელთა შორის არიან ბესარიონ ჟღენტი, აკაკი ხინთიბიძე და თინა ჯიბლაძე. სხვა ნაწარმოებებთან ერთად ისინი საუბრობენ გალაკტიონის პოემების შესახებაც. თინა ჯიბლაძისა და აკაკი ხინთიბიძის მოხსენებები გალაკტიონის ირონიულ დამოკიდებულებას იწვევს. იგი იღებს გადაწყვეტილებას, რომ ორი დღის შემდეგ დაგეგმილ ასეთსავე სხდომაზე თავადაც გამოვიდეს სიტყვით.

➤ 13735

1957

**7 თებერვალი ან შემდეგ**

ფიქრობს, რომ თინა ჯიბლაძეს მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ სხდომაზე მოხსენებით გამოსვლისას მკაცრად უნდა გაეკრიტიკებინა რევაზ მარგიანი და განსაკუთრებული ყურადღება მიექცია იმ ფაქტისთვის, რომ რევაზ მარგიანს საბავშვო მწერლობის რედაქტორობა

არ შეეფერება. თუმცა, კმაყოფილია იმით, რომ სხდომის მიმდინარეობისას რევაზ მარგიანისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მაინც გამომჟღავნდა.

➤ 13736

1957

#### 7 თებერვალი ან შემდეგ

კმაყოფილია, იმით რომ მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარებულ სხდომაზე, რომელზეც წინა წლის ლიტერატურულ პროდუქციას მიმოიხილავდნენ, მოხსენებით გამოსვლისას აკაკი ხინთიბიძეს არც კი უხსენებია რევაზ მარგიანის 1956 წელს გამოცემული „რჩეული“.

➤ 13737

1957

#### 7 თებერვალი ან შემდეგ

აპირებს შეხვდეს ოთარ სანებლიძეს და ინტერესდება, სად, რომელ მუზეუმში შეიძლება მისი ნახვა.

➤ 13738

1957

#### 7 თებერვალი ან შემდეგ

აპირებს გადაათვალიეროს ნიკოლოზ ჭილაშვილის 1927 წელს გამოცემული კრებული „ლექსები“, რომელშიც შეტანილია მისდამი მიძღვნილი ლექსი.

➤ 13739

1957

#### 8 თებერვალი

ხვდება თამარ საჯაიასა და ქეთევან ქუჩუკაშვილს. იგებს, რომ ალექსანდრე საჯაიას 1955 წელს გამოცემული „რჩეულიდან“ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი ამოულია რევაზ მარგიანს. მისი აზრით, ეს არ არის შემთხვევითი ამბავი, რადგან რევაზ მარგიანი სისტემატურად გამოდის მის წინააღმდეგ. რწმუნდება, რომ ანტიგალაკტიონური ტენდენცია საგამომცემლო სფეროში არა ანდრო თევზაძემ, არამედ სწორედ რევაზ მარგიანმა გაატარა. ფიქრობს, რომ ეს მწერალი და მისი თანამოაზრეები მის წინააღმდეგ არსებულ დაჯგუფებას წარმოადგენენ.

➤ 13740

1957

#### 8 თებერვალი

ხვდება ახალგაზრდა ასოთამწყობ ქალს, რომელიც დიდ სიყვარულს გამოხატავს გალაკტიონის მიმართ, ეუბნება, რომ ადრეც უმუშავია მის წიგნზე და კვლავაც სიამოვნებით გააკეთებს ამას.

➤ 13741

1957

#### 8 თებერვალი

ესაუბრება ბესარიონ ჟღენტს, რომელიც აღშფოთებულია მარქსიზმისა და იდეალიზმის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილისეული გაგებით.

➤ 13742

1957

#### 8 თებერვალი

აპირებს გადავიდეს იერიშზე, მოითხოვოს, მის მიერ ჯერ კიდევ 1955 წელს წარდგენილი წიგნი, თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომი დააბრუნონ მიმდინარე წლის საგამომცემლო გეგმაში. დარწმუნებულია, რომ მწერალთა ნაწილი მხარს დაუჭერს.

➤ 13743

1957

**8 თებერვალი**

საგამომცემლო გეგმიდან მისი თხზულებების მერვე ტომის ამოღებით განაწყენებული ფიქრობს, რით ახსნის გამომცემლობა იმას, რომ გალაკტიონის მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეოდ შესრულებული არ იქნება მოღვაწეობის 25 წლისთავზე დადებული პირობა მისი თხზულებათა მრავალტომეულის გამოცემის შესახებ.

➤ 13744

1957

**8 თებერვალი**

აპირებს დაესწროს სახელმწიფო გამომცემლობის კრებას და გამოხატოს თავისი პოზიცია მიმდინარე წლის იმ საგამომცემლო გეგმასთან დაკავშირებით, რომლიდანაც მისი წიგნი ამოიღეს. ფიქრობს, რომ კრებაზე აუცილებლად იქნება რევაზ მარგიანი, ვინც მის წინააღმდეგაა განწყობილი.

➤ 13745

1957

**8 თებერვალი**

სახელმწიფო გამომცემლობის მიერ მიმდინარე წლის გეგმიდან მისი თხზულებათა მერვე ტომის ამოღების გამო ცალკეულ პირებზე აღშფოთებული უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს: „შოთა რუსთაველს შეიტანდით თუ არა გეგმაში? ა? ა? ა?“.

➤ 13746

1957

**8 თებერვალი ან შემდეგ**

ამბერკი ჯულაყიძესა და ალექსანდრე კოკაიასთან ერთად იმყოფება სახელმწიფო გამომცემლობაში. ალექსანდრე კოკაია გალაკტიონს და მის შემოქმედებას დადებით კონტექსტში ახსენებს, რაც პოეტს ახარებს და მოგვიანებით ამის შესახებ უბის წიგნაკში წერს.

➤ 13747

1957

**9 თებერვალი**

მეცნიერებათა აკადემიაში ხვდება პოეტ ალექსანდრე ბეგაშვილს, რომელიც უძღვნის ლექსს სათაურით „ექსპრომტი“. ნაწარმოებში გალაკტიონი გამოცხადებულია ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის თანაბარ პოეტად, რომელსაც გული მუდამ ქართული ლექსით ეწვის.

➤ 13748

1957

**9 თებერვალი**

ოპერის თეატრთან მყოფი აცნობიერებს, რომ უცნაურ ჟრჟოლას გრძნობს.

➤ 13749

1957

**11 თებერვალი**

აპირებს ათი დღის შემდეგ შეხვდეს მწერალ გრიგოლ (გუგული) ბუხნიკაშვილს.

➤ 13750

1957

## 11 თებერვალი

აპირებს ათი დღის შემდეგ შეხვდეს მეგობარ მხატვარ – თეოდორ ჩუდეცკის.

➤ 13751

1957

## 11 თებერვალი

აპირებს ოთხი დღის შემდეგ მივიდეს კულტურის სამინისტროში, რადგან სწორედ ამ დროისათვის ბრუნდება საქართველოში მინისტრი ავთანდილ გუნია.

➤ 13752

1957

## 12 თებერვალი

იმყოფება გამოფენაზე, ათვალეირებს ქართველ, რუს და სომეხ მხატვართა ნამუშევრებს. სულ გამოფენილია ოცდახუთი ხელოვანის ას ორმოცდაათზე მეტი ნახატი. უბის წიგნაკში ინიშნავს თითოეული მხატვრის გვარს, გამოფენილი ნამუშევრების რაოდენობას საკუთარ შთაბეჭდილებებს. განსაკუთრებით მოსწონს ეთერ ანდრონიკაშვილის ტილოები.

➤ 13753

1957

## 12 თებერვალი

ადგენს თედორე ჩუდეცკისადმი საბჭოთა ლიტერატურის გამომცემლობის დირექტორის ვიქტორ გაბესკირიას სახელით გასაგზავნი წერილის მონახაზს. წერილში აღნიშნულია, რომ ეთერ შუშანიას წიგნის – „გალაკტიონ ტაბიძე“ – მხატვრად მითითებულია ალექსეი ბალაბუევი, მიუხედავად იმისა, რომ პოეტის პორტრეტის ავტორი თედორე ჩუდეცკია, ბალაბუევს კი მხოლოდ წარწერა ეკუთვნის. წერილში არის დაპირება ჩუდეცკისადმი, რომ მას გადაეგზავნება კუთვნილი ჰონორარი.

➤ 13754

1957

## 14 თებერვალი

მწერალთა კავშირში ესწრება საბჭოებში წარსადგენი წევრების კანდიდატთა არჩევნებს. ფურცელზე ფანქრით ხატავს იოსებ გრიშაშვილის პროფილს. ნახატს ნახულობენ გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი და სერგი ჭილაია. უქებენ გალაკტიონს ხატვის ნიჭს. სანდრო შანშიაშვილი ამბობს, ეს ხომ მაშაშვილიაო. გალაკტიონი ვარაუდობს, რომ შანშიაშვილს ერევა იოსებ გრიშაშვილისა და ალიო მაშაშვილის ფსევდონიმები.

➤ 13755

1957

## 14 თებერვალი

მანქანაზე გადასაბეჭდად გადასცემს თავისი თხზულებათა რვატომეულის მესამე და მეოთხე ტომებს. იგებს, რომ 28 სტრიქონის გადაბეჭდვის ფასი იქნება ერთი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი. ჰპირდებიან, რომ ტექსტი მზად იქნება ოცდახუთ თებერვლამდე.

➤ 13756

1957

## 14 თებერვალი

მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია შუამდგომლობით მიმართავს სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობის დირექტორ არკადი დეევს, რათა მოსკოვში გამოსაცემ წიგნთა შორის შეტანილი გალაკტიონ ტაბიძის წიგნის სტრიქონთა რაოდენობა 10 ათასიდან გაიზარდოს 20 ათასამდე.



➤ 13757

1957

**15 თებერვალი**

დილით სახლში აკითხავს სომხურენოვანი გაზეთის „ხორურდანი ვრასტან“ („საბჭოთა საქართველო“) ფოტოგრაფი და უღებს ფოტოს.

➤ 13758

1957

**15 თებერვალი**

დაგვიანებით, ოთხი საათისთვის მიდის მეცნიერებათა აკადემიაში შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ორ საათზე დაწყებულ სხდომაზე და ესწრება მის ბოლო ნაწილს.

➤ 13759

1957

**15 თებერვალი**

აკადემიაში ხვდება პავლე ინგოროყვასა და სახელმწიფო გამომცემლობის ყოფილ დირექტორს, გრიგოლ აბაშიძეს, რომელიც, პოეტის შეფასებით, მისი მოსახლე მტერია თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის გამოცემის საქმეში.

➤ 13760

1957

**15 თებერვალი**

მეცნიერებათა აკადემიაში ხვდება თავისი მეგობრის, თეოდორ ჩუდეცკის შვილს, ლონდა ჩუდეცკაიას, რომელიც აკადემიის ბიბლიოთეკაში მუშაობს და საუბრობენ გალაკტიონის შემოქმედებასთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიული წიგნის მომზადების შესახებ.

➤ 13761

1957

**15 თებერვალი**

იგებს, რომ წინა ღამით მძარცველებს შინ მიმავალი აკაკი ხორავასთვის პალტო გაუხდიათ.

➤ 13762

1957

**15 თებერვალი**

საღამოს იმყოფება მწერალთა კავშირში და აკვირდება, როგორ მედიდურად შემოდის შენობაში გრიგოლ აბაშიძე, სახელმწიფო გამომცემლობის ყოფილი დირექტორი, რომელიც დირექტორობისას მწერალთა კავშირში არც კი მიდიოდა.

➤ 13763

1957

**16 თებერვალი**

გეგმავს მასალების მომზადებას გაზეთისათვის „ლიტერატურა და ხელოვნება“.

➤ 13764

1957

**17 თებერვალი**

კითხულობს შოთა ლომსაძის ლექსებს და უბის წიგნაკში იწერს ფრაგმენტებს. აპირებს, ჟურნალ „მნათობში“ ნაწარმოებების გამოსაქვეყნებლად რეკომენდაცია გაუწიოს ამ ახალგაზრდა პოეტს.

➤ 13765

1957

**18 თებერვამდე**

ახსენდება რომ გადაღებული აქვს ფოტო ნინო ნაკაშიძესთან და აინტერესებს, ვის შეიძლება ჰქონდეს.

➤ 13766

1957

**18 თებერვალი**

აინტერესებს მოსკოვში გამოსაცემი მისი წიგნის ბედი და ფიქრობს, რომ შეიძლება იქ მყოფმა ირაკლი აბაშიძემ ჩამოიტანოს ამბავი.

➤ 13767

1957

**18 თებერვალი**

წერს, რომ მასალები გადასცა „ზარია ვოსტოკას“, კერძოდ, დევი სტურუას.

➤ 13768

1957

**18 თებერვალი**

ურეკავს ბორის სერებრიაკოვი და უთანხმდება 100 სტრიქონის თარგმნაზე.

➤ 13769

1957

**18 თებერვალი**

ესაუბრება „სალიტერატურო გაზეთის“ თანამშრომელ ერემია ასტვაცატუროვს, რომელიც თანხმდება ლექსების თარგმნაზე.

➤ 13770

1957

**18 თებერვალი**

იგებს, რომ თამარ ვანიძე ბეჭდავს მის მეხუთე-მეშვიდე ტომებს.

➤ 13771

1957

**18 თებერვალი**

ხვდება ილია კავკაზაგს, ნოდარ გურეშიძესა და დავით კასრაძეს. ნოდარ გურეშიძე ჰპირდება თავის წიგნს „მეგობრის თვალით (ორი კვირა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში)“.

➤ 13772

1957

**18 თებერვალი**

შოთა ლომსაძეს ოფიციალურად უთანხმდება, რომ ერთმანეთს უნდა შეხვდნენ მწერალთა სასახლეში 23 თებერვალს, დილის 12 საათზე. შეთანხმების ტექსტს პოეტი იწერს უბის წიგნაკში და ხელს აწერენ ორივენი.

➤ 13773

1957

**19 თებერვალი**

გაზეთს „კომუნისტი“ გამოსაქვეყნებლად გადასცემს ლექსებს და ეუბნებიან, რომ პასუხი ორ-სამ დღეში იქნება.

➤ 13774

1957

**20 თებერვალი**

ათვალისწინებს მხატვართა კლუბის გამოფენას გალერეაში და შემდეგ ცდილობს კორნელი სანაძესთან მისვლას, მაგრამ მისამართს ვერ აგნებს.

➤ 13775

1957

**20 თებერვალი**

მიდის სტამბაში, მაგრამ არავინ ხვდება და ვერაფერს არკვევს.

➤ 13776

1957

**21 თებერვალი**

თავის გერთან, ნუნუ ებანოიძესთან ერთად მიდის კორნელი სანაძესთან, მაგრამ შინ არ ხვდება.

➤ 13777

1957

**22 თებერვალი ან ადრე**

ხვდება კულტურის მინისტრ ავთანდილ გუნიას, რომლისთვისაც უთქვამთ, თითქოს გალაკტიონის თხზულებათა მერვე ტომში ბევრი ადრინდელი მასალაა შეტანილი. პოეტი მინისტრს ექვებს უფანტავს, როცა ეუბნება, რომ ტომის რედაქტორთან ერთად ამოიღო ძველი მასალა. შედეგად გუნია გასცემს განკარგულებას წიგნის დაუყოვნებლივ გამოცემის შესახებ.

➤ 13778

1957

**22 თებერვალი**

შალვა კვასხვაძეს უთანხმდება, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებთან მისი შეხვედრა გაიმართება აპრილში მეცნიერებათა აკადემიაში. ამ შეთანხმების ტექსტს იწერს უბის წიგნაკში და ხელს აწერინებს კვასხვაძეს.

➤ 13779

1957

**22 თებერვალი**

„ლიტერატურულ გაზეთში“ აქვეყნებს ლექსს „წიგნები ხალხს“.

➤ 13780

1957

**23 თებერვალი**

12 საათზე მწერალთა სასახლეში ხვდება პოეტ შოთა ლომსაძეს.

➤ 13781

1957

**23 თებერვალი**

პოეტ შოთა ლომსაძეს უთანხმდება, რომ ერთმანეთს შეხვდებიან მწერალთა სასახლეში 9 აპრილს, დღის 12 საათზე.

➤ 13782

1957

**24 თებერვალი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ ვახტანგ გურგენიძე და ფატი ნიშნიანიძე ბევრ უსარგებლო წამოწყებაში რთავენ, რაც სულიერად ფიტავს და ენერგიას აცლის.

➤ 13783

1957

**24 თებერვალი**

უბის წიგნაკში იწერს მთავრობის დადგენილებას თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის გალაკტიონის სახელის მინიჭების შესახებ და ასოთამწყობებისა და მუშების სურვილს, რომ სანაპიროს დაერქვას მისი სახელი. იქვე წერს ამ სანაპიროზე სიცოცხლეშივე, მოახლოებულ 65 წლისთავთან დაკავშირებით ძეგლის დადგმაზე.

➤ 13784

1957

**24 თებერვალი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ საიუბილეო სადამოსთან დაკავშირებით მთავარია დღის დანიშვნა და მოსაწვევები.

➤ 13785

1957

**24 თებერვალი**

ემზადება ასოთამწყობებთან შეხვედრების ჩასატარებლად. პირველი ღონისძიება დაგეგმილი აქვს ოთხ მარტს. მისი ჩანაფიქრის მიხედვით, ღონისძიების ფარგლებში უნდა მოეწყოს პოეზიის სადამო, ასევე, გაიმართოს გამოფენა. აზუსტებს, რა მასალა აქვს უკვე მზად საგამოფენოდ და რა არის მოსასწრები. ფიქრობს, სიჩქარე და ნერვიულობა სარგებლობას არ მოუტანს.

➤ 13786

1957

**24 თებერვალი**

ემზადება ოთხი მარტისთვის დაგეგმილი პოეზიის სადამოსა და გამოფენის მოსაწყობად, აპირებს, ღონისძიების ფარგლებში ლექსით მიმართოს ასოთამწყობებს და ამ მიზნით ასწორებს თავისი ნაწარმოების – „წიგნები ხალხს“ ბოლო სტროფს, რომელშიც მიმართვის ადრესატები უშუალოდ ამ პროფესიის წარმომადგენლები არიან.

➤ 13787

1957

**24 თებერვალი**

აფიქრებს ის ამბავი, რომ რუსი პოეტი და მთარგმნელი ბორის სერებრიაკოვი სათარგმნად გადაცემულ ტექსტს უკან აღარ უბრუნებს.

➤ 13788

1957

**24 თებერვალი**

ემზადება ოთხი მარტისთვის დაგეგმილი ღონისძიებისთვის. აპირებს, საგამოფენოდ მოამზადოს თეოდორ ჩუდეცკის მიერ შესრულებული მისი პორტრეტი, რომელიც გამოიფინება ამ ღონისძიებისთვის საგანგებოდ შექმნილი დიდი კლასიკოსების რუსთაველის,

გურამიშვილის, ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას პორტრეტებთან ერთად.

➤ 13789

1957

#### 24 თებერვალი

ემზადება ოთხი მარტისთვის დაგეგმილი პოეზიის სადამოსა და გამოფენის მოსაწყობად. აპირებს, პოეტ შოთა ლომსაძის იდეის მიხედვით, საგამოფენოდ მოამზადოს მხატვრულად გაფორმებული ლექსი „წიგნები ხალხს“. საამისოდ, მისი აზრით, საჭიროა მხატვრების განსაზღვრული რაოდენობა, კერძოდ, არანაკლებ ათისა. თუმცა, ფიქრობს, რომ ძალიან კარგი იქნება თუ ლექსის ცხრამეტ მოტივს მხატვრულად ცხრამეტი მხატვარი გააფორმებს.

➤ 13790

1957

#### 24 თებერვალი

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საქართველოს გასაბჭოების 36 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში, პირველ გვერდზე ქვესათაურით: „ფრაგმენტები ახალი პოემიდან „სამშობლო“ იბეჭდება ლექსის „საბჭოთა საქართველოს“ ბორის სერებრიაკოვის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი.

➤ 13791

1957

#### 24 თებერვალი

ფიქრობს, რომ გამოფენის მოსაწყობად დიდი მუშაობაა საჭირო, მაგრამ ღონისძიება თუ ოთხ მარტს ჩატარდება, მაშინ ყველაფერი მოესწრება. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიაჩნია ისიც, რომ ამ დროისათვის თანხაც ექნება საგამოფენო მასალის შესაძენად, რადგან ელოდება ჰონორარსა და ხელფასს ერთად 2600 მანეთის ოდენობით. იმედი აქვს, „ზარია ვოსტოკადანაც“ მიიღებს გარკვეულ ანაზღაურებას. ამ თანხით აპირებს გადაუხადოს ანაზღაურება მხატვარს, ხელოსანს, სტენდების გამკვრელსა და დურგალს.

➤ 13792

1957

#### 24 თებერვალი

ემზადება ოთხი მარტისთვის დაგეგმილი გამოფენის მოსაწყობად. ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ გამოიფინება მისი ფაქსიმილებიც, კერძოდ, ფიქრობს ხელმოწერის შემდეგ ვარიანტებზე: გალაკტიონ ტაბიძე, გ. ტაბიძე, გ. ტ., გალაკტიონი, გალ. ტაბიძე, გალაკტიონ – ტაბიძე და გალაკტიონ ტ.

➤ 13793

1957

#### 25 თებერვამდე

სერგი ჭილაია გალაკტიონის საიუბილეო კომიტეტის მოწვევას არ ჩქარობს და თავს იმით იმართლებს, ჯერ ოქტომბრის დღესასწაულები ჩავატაროთ.

➤ 13794

1957

#### 25 თებერვალი

ინიშნავს იმ ფოტო-მასალის სიას, რომელიც გამოფენისთვის უნდა ჰქონდეს მზად. ფიქრობს, რომ საჭიროა 200-მდე სურათი, მათ შორის ფოტოები: ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომის, მოსკოვის, დემონსტრაციების, მშენებლობის ამსახველი ხუთწლეულების,

საზღვარგარეთის, კერძოდ, პარიზის, მეორე მსოფლიო ომის და თანამედროვე მშვიდობის პერიოდის ამსახველი მასალა. ფიქრობს, რომ ეს სურათები აუცილებლად უნდა ჰქონდეს მზად მეორე დღესვე. ამ მიზნით აპირებს გადასინჯოს ყველა წიგნი, რაც მოეპოვება, ასე შეაგროვოს ფოტოები და შემდეგ წაიღოს სტამბაში, რათა საგამოფენოდ მოამზადებინოს.

➤ 13795

1957

### 25 თებერვალი

აინტერესებს, როგორ მოხდა ისე, რომ რადიო-კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოს გასაბჭოების 36 წლისთავზე არცერთი მისი ლექსი არ წაუკითხავთ რადიოში იმ დროს, როცა წაკითხულ იქნა გიორგი ლეონიძის, იოსებ ნონეშვილისა და სხვათა ნაწარმოებები. ფიქრობს, ეს სპეციალურად მოაწყვეს მისმა მტრებმა და სამომავლოდაც ასეთივე ქმედებაა მოსალოდნელი გიორგი ლეონიძისა და საქართველოს რადიოკომიტეტის თავმჯდომარის – ანტონ კელენჯერიძის მხრივ.

➤ 13796

1957

### 25 თებერვალი

აფიქრებს ის ამბავი, რომ გაზეთ „კომუნისტის“ იმ ნომერში, რომელიც საქართველოს გასაბჭოების 36 წლისთავს მიემდვნა არ დაბეჭდილა მისი არცერთი ნაწარმოები. დარწმუნებულია, გაზეთის რედაქცია რაღაც პროვოკაციას უწყობს და სწორედ ამან განაპირობა მათი ქმედებაც. თუმცა ეს აზრები განწყობას ვერ უფუჭებს, იხსენებს ჩინურ ანდაზას, რომლის მიხედვითაც მტრები ყველაზე კარგი მასწავლებლები არიან.

➤ 13797

1957

### 25 თებერვალი

განცხადებით მიმართავს საქართველოს კულტურის მინისტრ ავთანდილ გუნიას. წერს, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით სურვილი აქვს გამოსცეს წიგნი სახელწოდებით „დროშები ჩქარა“, რომელშიც შევა მასალა დიდი ოქტომბრის დღეების, სოციალისტური გარდაქმნების, სამამულო ომისა და მშვიდობიანი მშენებლობის შესახებ. წიგნი მზადაა და რედაქტორობას თავის თავზე იღებს სერგი ჭილაია. ასევე მზადაა რუსული პწკარედები. გალაკტიონი სთხოვს მინისტრს წიგნის გამოცემას ქართულ და რუსულ ენებზე.

➤ 13798

1957

### 27 თებერვალი

აპირებს, პირველ აპრილს ჩაატაროს თემატური საღამო სახელწოდებით „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლიუცია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“.

➤ 13799

1957

### 27 თებერვალი

ემზადება თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოსაწყობად. გეგმავს, როგორ უნდა გამოიფინოს მასალა სტენდებზე. აპირებს, შეიძინოს ქალაღი, სამაგრები, ჩარჩოს ჩამოსაკიდი რგოლები და ლურსმნები.

➤ 13800

1957

## 27 თებერვალი

ესაუბრება თეოდორ ჩუდეცკის, რომელიც მოუთხრობს დიდი ხნის წინანდელ ამბავს, თუ როგორ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა სტუდენტებს ვლადიმირ პურიშკევიჩმა და ახალგაზრდებმა მეორე დღესვე როგორ გამოაქვეყნეს გაზეთში საპასუხოდ ირონიული წერილი.

➤ 13801

1957

## 27 თებერვალი

წერს ლექსს „ფიქრი შაითან ბაზარზე“ („ამ ღრიალს, ამ ჭუჭყის...“).

➤ 13802

1957

## 27 თებერვალი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ წინა დღეს რადიოთი ლაპარაკობდნენ მარიჯანის პესიმინიზმზე. თვლის, რომ ეს „ოინია“.

➤ 13803

1957

## 28 თებერვალი

გამოფენისთვის მიაქვთ მასალები: გალაკტიონის თხზულებათა რვატომეულის მეოთხე და მეშვიდე ტომების ორ-ორი ეგზემპლარი, საბეჭდო მანქანაზე გადაბეჭდილი „ეპოქა“ და 1954 წელს გამოცემული „რჩეული“.

➤ 13804

1957

## 1 მარტამდე

ცენტრალური სალექციო ბიუროდან იგებს, რომ მის მიერ ჩაფიქრებული ღონისძიება, რომელზეც ბესარიონ ჟღენტმა უნდა წაიკითხოს მოხსენება „1917 წელი გალაკტიონის შემოქმედებაში“ მარტამდე ვერ ჩატარდება.

➤ 13805

## მ ა რ ტ ი

1957

## 1 მარტი

ახალგაზრდა ფოტოგრაფი, რომლის მიერ 29 იანვარს, ოპერის თეატრში მალულად გადაღებული ფოტოც მოეწონა, ამჯერად იღებს გალაკტიონის შეხვედრას ასოთამწყობებთან და მისი შვიდტომეულის ფოტოს.

➤ 13806

1957

## 4 მარტამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს განცხადების ტექსტს, რომლის მიხედვითაც 4 მარტს შედგება ასოთამწყობების შეხვედრა საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან და ღონისძიებაზე დასწრება შესაძლებელი იქნება მოსაწვევი ბარათებით.

➤ 13807

1957

## 6 მარტი

უბის წიგნაკში იწერს მუზეუმებისა და სამხატვრო გალერეის ტელეფონის ნომრებს.

➤ 13808

1957

7 მარტი

უბის წიგნაკში წერს, რომ აუცილებელია მოკლე ბიოგრაფიის შედგენა და გამოცემა.

➤ 13809

1957

7 მარტი

საბოლოოდ ალაგებს მასალებს III–VII ტომების სტენდებისათვის. ასრულებს ამავე ტომებიდან მასალის ამოკრებას „ოქტომბრის წიგნისთვის“.

➤ 13810

1957

7 მარტი

უბის წიგნაკში იწერს, რომ თავისი წიგნის რედაქტორ სერგი ჭილაიასთან ერთად უნდა შევიდეს ცეკას პირველ მდივან ვასილ მჟავანაძესთან.

➤ 13811

1957

7 მარტი

ხვდება ნაზი კილასონიას, რომელსაც გადასცემს ჟურნალ „პიონერისთვის“ ფაქსიმილებს. იგებს, რომ მწერლი ქალი გეგმავს „პიონერის“ მკითხველთან გალაკტიონის შეხვედრის ორგანიზებას და გამოფენის მოწყობას.

➤ 13812

1957

7 მარტი

სახელგამიდან სახლში გადააქვს 24 სტენდი.

➤ 13813

1957

7 მარტი

სახელგამში ნახულობს რეზო ორჯონიკიძეს, რომელიც ჰპირდება, რომ ორშაბათს რეცენზია უკვე მზად იქნება.

➤ 13814

1957

7 მარტი

წერს ეპიგრამას „ლიტერატურულ გაზეთზე“: „მგლური და ტურული – ლიტერატურული“.

➤ 13815

1957

8 მარტი

დილით ბინის კარზე უკაკუნებენ. კარს აღებს პოეტის მეუღლე ნინო კვირიკაძე, რომელსაც გარეთ ხვდება მამაკაცი ღვინის ჭურჭლით და მეგრული კილოთი ეუბნება, რომ „იმის“ ნახვა უნდა. პოეტის მეუღლე ცდილობს სახლში არ შეუშვას დაუპატიჟებელი სტუმარი და სიტყვიერი შელაპარაკების შემდეგ მილიციაში დარეკვით ემუქრება. უცნობი უკან იხევს და მიდის. გალაკტიონი ვარაუდობს, რომ უცნობი კაცი მისი მოწინააღმდეგეებისგან მიგზავნილი იყო და კმაყოფილია, რომ ნინო მას მტკიცედ დაუხვდა.

➤ 13816



1957

**8 მარტი**

ლამის 12 საათიდან 3 საათამდე ნინო კვირიკაძე სიების მიხედვით ალაგებს გალაკტიონის მეცხრე ტომის მასალებს. პირველ სამ სიას რაღაცები აკლია, მეოთხე სიიდან კი არაფერი არ ჩანს. ვერ გაუგია, სად არის ნაკლული მასალები.

➤ 13817

1957

**8 მარტი**

ფატი ნიშნიანიძესთან ერთად იმყოფება პოლიგრაფიულ ტრესტში, ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე.

➤ 13818

1957

**8 მარტი**

რევაზ ორჯონიკიძე გალაკტიონს აძლევს წერილობით პირობას, რომ 11 მარტს სახელმწიფო გამომცემლობის ხელმძღვანელის ვლადიმერ მაგალობლიშვილის თანხმობით მასთან გააფორმებს ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც პოემას „მშვიდობის წიგნი“ დადებითი რეცენზიის წარდგენისთანავე შეიტანენ გამოსაცემი წიგნების გეგმაში.

➤ 13819

1957

**9 მარტი**

პირველ საათზე ხვდება გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს, მწერალ ბენო თათარიშვილს.

➤ 13820

1957

**9 მარტი**

იგებს, რომ გარდაიცვალა პოეტი ივან ნაზარბეგოვი, რომელსაც სიკვდილის წინ უთხოვია, გალაკტიონს შეატყობინეთო.

➤ 13821

1957

**9 მარტი ან შემდეგ**

ივან ნაზარბეგოვის ხსოვნის პატივსაცემად რუსულ ენაზე წერს უსათაურო ლექსს „Для твоей могилы...“.

➤ 13822

1957

**10 მარტი**

წყნეთიდან ჩამოაქვს წიგნისთვის საჭირო მასალები.

➤ 13823

1957

**10 მარტი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ უნდა ჩაეხას ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საქმეებში.

➤ 13824

1957

**11 მარტი**

თავისი თხოულებათა რვატომეულის მერვე ტომის რედაქტორ რევაზ ორჯონიკიძესთან შეთანხმებით, აპირებს სახელმწიფო გამომცემლობასთან გააფორმოს ხელშეკრულება მას შემდეგ, რაც აღნიშნული ტომი საგამომცემლო გეგმაში იქნება შეტანილი.

➤ 13825

**1957**

**11 მარტი**

აპირებს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში მისვლას.

➤ 13826

**1957**

**12 მარტი**

61-ე სკოლის დირექტორი ტელეფონით აცნობებს, რომ მათ მიერ დაგეგმილი ღონისძიება არჩევნების გამო გადატანილია 20 მარტისთვის. თანამოსაუბრის ხმის ტემბრიდან ასკვნის, რომ სკოლის დირექტორი ენერგიული ქალი უნდა იყოს.

➤ 13827

**1957**

**13 მარტი**

წერს უსათაურო ლექსის „ჩვენს პრეზიდენტს მოკლეთ თუ ეზიდენტს მოკვით...“ სამ ვარიანტს.

➤ 13828

**1957**

**15 მარტი**

მასწავლებლის სახლს გადასცემს თავისი შემოქმედების შესახებ არსებულ მასალებს, კერძოდ, ვასილ ბარნოვის, დავით კლდიაშვილისა და სხვა ავტორთა სტატიებს.

➤ 13829

**1957**

**15 მარტი**

უბის წიგნაკში ინიშნავს სერგო შავგულიძის მისამართს და თავისი თხოულებათა მერვე ტომის რედაქტორის – რევაზ ორჯონიკიძის ტელეფონის ნომერს.

➤ 13830

**1957**

**16 მარტამდე**

წერს სახელმწიფო გამომცემლობაში წარსადგენი განცხადების მონახაზს. მიუთითებს, რომ პოემა „მშვიდობის წიგნი“ შეიცავს 2000-ზე მეტ სტრიქონს. ნაწარმოების იდეა ჩამოყალიბებულია წინასიტყვაობაში. გამომცემლობისაგან ითხოვს რედაქტორის დანიშნვას, რათა წიგნი გამოიცეს „ბიბლიოთეკის“ სერიით, შემოკლების გარეშე.

➤ 13831

**1957**

**16 მარტის შემდეგ**

იღებს თავისი თხოულებათა მერვე ტომის რედაქტორ რევაზ ორჯონიკიძის წერილს. ადრესანტი კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო გამომცემლობის ხელმძღვანელი ვლადიმერ მგალობლიშვილი თანახმაა გალაკტიონის პოემის „მშვიდობის წიგნი“ გამოცემაზე. ჰპირდება, რომ შეეცდება უმოკლეს ვადაში მოამზადოს წიგნი ასაწყობად.

➤ 13832

1957

**16 მარტის შემდეგ**

ჟურნალში „საბჭოთა ხელოვნება“ იბეჭდება ლექსი „ნანა“.

➤ 13833

1957

**17 მარტი**

უბის წიგნაკში იწერს, რომ გამოდის ხუტა ბერულავას ლექსების წიგნი, რომელშიც ორი მშვენიერი ლექსია გალაკტიონზე.

➤ 13834

1957

**17 მარტი**

დებს ხელშეკრულებას, რომ 99-ე სკოლის შენობაში მოაწყობს დიდ გამოფენას სახელწოდებით „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“. ხელშეკრულების მიხედვით მასალა გამოფენისთვის უნდა დაგროვდეს 15 მაისამდე, ხოლო გამოფენა უნდა გაიხსნას 1 ივნისს და გაგრძელდეს 3 სექტემბრამდე. ხელშეკრულებას ხელს აწერენ გალაკტიონი და აღნიშნული სკოლის წარმომადგენლები.

➤ 13835

1957

**18 მარტი**

რეზო ორჯონიკიძესთან ერთად იწყებს წიგნზე მუშაობას.

➤ 13836

1957

**19 მარტი**

გეგმავს გარკვეული კომპოზიციური ცვლილებები შეიტანოს პოემის „მშვიდობის წიგნი“ ტექსტში.

➤ 13837

1957

**20 მარტი**

აპირებს, მონაწილეობა მიიღოს თბილისის 61-ე სკოლაში გამართულ შეხვედრაში, რომელიც იმ საღამოს არის დაგეგმილი. იხსენებს, რომ ამ სკოლის დირექტორს რამდენიმე დღის წინ ესაუბრა ტელეფონით და გაიგო, რომ ფატი ნიშნაიანი იმეც აღნიშნულ სკოლაში იმყოფებოდა.

➤ 13838

1957

**20 მარტი**

უბის წიგნაკში ინიშნავს განათლების სამინისტროს კადრების განყოფილების თანამშრომლის, ალექსანდრე შვანგირაძის სამსახურისა და სახლის ტელეფონის ნომრებს.

➤ 13839

1957

**21 მარტი**

ავად არის ისიც, მისი გერი ნუნუ ებანოიძეც და ამ უკანასკნელის ქალიშვილი მარინე ფირცხალავაც. ექიმი მოდის მაგრამ არა მის გასასინჯად.

➤ 13840

1957

**21 მარტი ან ადრე**

ითხოვს თემატური საღამოს „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“, რომელიც პირველ აპრილს უნდა ჩატარებულიყო, გადატანას.

➤ 13841

1957

**21 მარტი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ფრაზას არისტოტელეს პოეტიკიდან: „პოეზია უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორია“.

➤ 13842

1957

**21 მარტი**

ივანე ვეფხვაძის შესახებ 1956 წლის 12 თებერვალს უბის წიგნაკში გაკეთებულ თავის ჩანაწერს: „ვანო ვეფხვაძე - ხელმძღვანელობს 27 მხატვრის (ახალგაზრდების) გამოფენას მხატვართა კლუბში“ უკეთებს კომენტარს, რომ ეს პიროვნება უკვე აღარ ხელმძღვანელობს აღნიშნულ გამოფენას.

➤ 13843

1957

**22 მარტი**

ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს მისთვის მიაქვს კ. ს. ოვანოვის მიერ თარგმნილი მისი ლექსები და კმაყოფილი რჩება.

➤ 13844

1957

**22 მარტი**

იგებს, რომ მინისტრთა საბჭოში მასთან 2 აპრილისთვის დაგეგმილი შეხვედრა გადაიდო სესიის გამო.

➤ 13845

1957

**24 მარტი**

მიდის ვაჟა-ფშაველას მეუღლის თამარ დიდებაშვილის დაკრძალვაზე. ასაფლავებენ დიდუბეში, იმ საფლავში, სადაც მთაწმინდაზე გადასვენებამდე იყო დაკრძალული ვაჟა ფშაველა.

➤ 13846

1957

**25 მარტი**

აკითხავს კოტე რატიანი, მიაქვს გალაკტიონის ფოტო და პლაკატი სტენდისთვის.

➤ 13847

1957

**25 მარტი**

რეზო ორჯონიკიძესთან შეხვედრა 1-ზე აქვს დანიშნული, მაგრამ 5 საათამდე ალოდინებს და შეხვედრის შემდეგ წიგნი სახლში მიაქვს.

➤ 13848

1957

**25 მარტი ან შემდეგ**

იღებს წერილს საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის დავით ენუქიძისაგან, რომელიც როგორც საზოგადოების წევრს, ატყობინებს, რომ გამგეობის მესამე პლენუმმა დაადგინა რაიონებში სისტემატურად მიავლინონ მეცნიერები და მწერლები ლექციების წასაკითხად. ადრესანტი სთხოვს შეატყობინოს, თუ რომელ რაიონში მოახერხებს ლექციის ჩატარებას 10 აპრილისათვის.

➤ 13849

1957

**25 მარტი ან შემდეგ**

აკეთებს მინაწერს საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის დავით ენუქიძისაგან მიღებულ წერილზე. მიუთითებს, რომ გასარკვევია, ენუქიძის სახელი, მამის სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი. დასადგენია, როდის ტარდება გამგეობის მეოთხე პლენუმი. ვინ არიან საზოგადოების გამგეობის წევრები, ასევე ლექტორები, ვინც შეიძლება ჩაებას მისი შემოქმედების შესახებ ლექციის მომზადებაში. მიუთითებს, რომ მოსამზადებელია მოკლე ბიობიბლიოგრაფიული წიგნი მის შესახებ.

➤ 13850

1957

**27 მარტი**

გალაკტიონთან სახლში მიდის თბილისის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული ლიზა მალანია და სთხოვს დაეხმაროს სამსახურის შოვნაში.

➤ 13851

1957

**28 მარტი**

იმყოფება მეცნიერებათა აკადემიაში, ესწრება წლიურ საანგარიშო სხდომას, უსმენს ნიკოლოზ ბერძენიშვილის გამოსვლას. მომხსენებელი მსჯელობს ისტორიულ მეცნიერებაში არსებული მარქსისტული და იდეალისტური მიმდინარეობების შესახებ და თან აღნიშნავს, რომ თვითონ მარქსისტია და არა იდეალისტი. ნიკოლოზ ბერძენიშვილთან ცხარე კამათს აჩაღებენ კონსტანტინე გამსახურდია, ბესარიონ ჟღენტა, გიორგი ლეონიძე და ვარლამ თოფურია, ისე რომ, დაპირისპირება მეცნიერზე თავდასხმის სახეს იღებს. გალაკტიონს აინტერესებს, არსებობს თუ არა ამ კრების სტენოგრაფიული ჩანაწერი და სად შეიძლება ამ ჩანაწერის მოპოვება. კრებისა და ნიკოლოზ ბერძენიშვილის მსჯელობაზე ფიქრისას დღიურში იწერს საკუთარ პოზიციას, რომ არც თვითონ არის იდეალისტი.

➤ 13852

1957

**28 მარტი**

ხვდება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს და გადასცემს რუსულენოვან წიგნს „დიადი ოქტომბრის დროის ქვეშ“ (საბჭოთა რესპუბლიკები 40 წლის განმავლობაში). თავის მხრივ, ნიკო მუსხელიშვილი ამ წიგნს გადასცემს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მდივან-აკადემიკოსს – ანგია ბოჭორიშვილს. პოეტს აინტერესებს, რა შედეგი მოჰყვება აკადემიკოსთა მიერ ამ წიგნის გაცნობას.

➤ 13853

1957

**28 მარტი**

ინიშნავს ალექსანდრე ჩოგოვადის მისამართს.

➤ 13854

1957

### 28 მარტის შემდეგ

ქვეყნდება შალვა ლლონტის წიგნი „ქართველი მწერლების მხატვრული ოსტატობის თავისებურებანი“, რომელშიც დაბეჭდილია ნარკვევი „გ. ტაბიძის პოეზიის რეალისტური მოტივები“. წიგნის ავტორი თვალს მიადევნებს რეალისტური მოტივების განვითარებას გალაკტიონის პოეზიაში და ცდილობს დაამტკიცოს, რომ რეალიზმი პოეტის ადრეულ ლირიკაშივე ქმნიდა მნიშვნელოვან შენაკადს.

➤ 13855

1957

### 29 მარტამდე

29 მარტისთვის გეგმავს მეორე შეხვედრის მოწყობას ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში. ინიშნავს იმ მასალების ჩამონათვალს, რომლებიც, მისი აზრით, აუცილებელია გამოფენის მოსაწყობად. აპირებს, მომზადდეს თხუთმეტი ახალი სტენდი, გამოიფინოს თხზულებათა შვიდი ტომისა და „ეპოქის“ გადიდებული ყდები. როგორც კი სტენდები მომზადდება, გადაწყვეტილი აქვს, მაშინვე დააბეჭდვინოს აფიშა, ღონისძიებაზე მოხსნების წაკითხვა სთხოვოს სერგი ჭილაიას ან ფატი ნიშნანიძეს. გეგმავს, გამოფენის სამზადისში ჩართოს ოჯახის წევრები: მეუღლე – ნინო კვირიკაძე, გერი – ნუნუ ებანოიძე, ნუნუს მეუღლე – ვატა ფირცხალავა, ძმისშვილი – ნოდარ ტაბიძე, ასევე, ოჯახის დამხმარე ქალი ირმა პაპაშვილი. ფიქრობს, რომ ასევე დაეხმარებიან სოსიკო ფანცხავა და „გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატურული წრის“ ხელმძღვანელი ილია ადეიშვილი. აპირებს სტენდების გაფორმება მიანდოს მხატვარს სახელმწიფო გამომცემლობიდან. გეგმავს, გამოფენის ფარგლებში კულტურის მინისტრს გადასცეს წიგნი „დიადი ოქტომბრის დროით“, სურს, წიგნის გადაცემას გრანდიოზული ელფერი ჰქონდეს.

➤ 13856

1957

### 29 მარტი

სურათს იღებს რაფიელ აგლაძესთან, ნიკო მუსხელიშვილთან, სერგი დურმიშიძესთან, ივანე ბერიტაშვილთან, ვლადიმერ ჟღენტსა და პეტრე ქომეთიანთან ერთად. სურათის გადაღების შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი ამბობს, რომ გალაკტიონთან ფოტოს გადაღებით უკვდავებას ეზიარნენ.

➤ 13857

1957

### 29 მარტი

ცენტრალურ კომიტეტში ხვდება მიხეილ კვესელავას.

➤ 13858

1957

### 30 მარტი

აკეთებს ჩანაწერს სათაურით „ხუთწუთების პოემა“, რომელშიც ჩამოთვლის იმ საქმეებს, რომლებიც ხუთ წუთში მოაგვარა ან დაგეგმა, იქნება ეს საგაზეთო პუბლიკაციებზე შეთანხმება, საგამოფენო მასალის მომზადებისათვის ზრუნვა თუ ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ მოლაპარაკება ოფიციალურ პირებთან. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მოლაპარაკება მისი სურვილის მიხედვით სრულდება, მაინც ფიქრობს, რომ აჩქარება არ ივარგებს, რადგან ამგვარ სერიოზულ ამბებზე უფრო ხანგრძლივი ზრუნვაა საჭირო.

➤ 13859

1957

**30 მარტი**

ხუთ წუთში უთანხმდება შალვა მანჯავიძეს, რომ მისი ვაჟი, ვახტანგი, იაკობ ნიკოლაძის ბიუსტის მიხედვით გააკეთებს გალაკტიონის ქანდაკებას. აპირებს, ამ თემაზე შალვა მანჯავიძეს დეტალურად მოელაპარაკოს ორი დღის შემდეგ და დააზუსტოს, როდის შეძლებს ვახტანგი მასთან მისვლას და მუშაობის დაწყებას. ამ საკითხების გარკვევის მიზნით უბის წიგნაკში ინიშნავს შალვა მანჯავიძის ტელეფონის ნომერს.

➤ 13860

1957

**30 მარტი**

გაზეთში „კომუნისტი“ ლექსების გამოქვეყნების თაობაზე ხუთი წუთის განმავლობაში ესაუბრება ელიზბარ უბილავას. თანამოსაუბრე უხსნის, რომ „კომუნისტის“ რედაქცია ძალიან ცდილობს, მალე გამოაქვეყნოს გალაკტიონის ნაწერები და ჰპირდება, რომ ერთ კვირაში დაიბეჭდება გაზეთში მისი ლექსები. გალაკტიონი დარწმუნებულია, რომ ასეც იქნება, თუმცა მას ეს საქმე საჩქაროდ მიაჩნია და აპირებს დამატებით რამე ილონოს პუბლიკაციის დასაჩქარებლად.

➤ 13861

1957

**30 მარტი**

არკვევს, რომ რუსი პოეტი და მთარგმნელი ბორის სერებრიაკოვი მზადაა გადათარგმნოს მასთან დარჩენილი მასალები – გალაკტიონის ლექსების პწკარედები, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოისურვებს „ზარია ვოსტოკას“ წარმომადგენელი დევი სტურუა. ფიქრობს, რომ ეს პრობლემა ადვილად გადაიჭრება, რადგან დევი სტურუა მის მიმართ პოზიტიურადაა განწყობილი. კმაყოფილია, რომ ამ საკითხის გასარკვევადაც მხოლოდ ხუთი წუთი დახარჯა.

➤ 13862

1957

**30 მარტი**

ესაუბრება ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორ დიმიტრი მჭედლიძეს, აცნობებს, რომ ღონისძიების ჩატარების თარიღი – 16 აპრილი უკვე შეთანხმებულია ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგესთან – მიხეილ კვესელავასთან. დიმიტრი მჭედლიძე ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ თვითონაც თანხმობას აცხადებს და ეუბნება, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრი 16 აპრილს გალაკტიონის განკარგულებაში იქნება.

➤ 13863

1957

**30 მარტი**

ურეკავენ მინისტრთა საბჭოდან და ატყობინებენ, რომ მასთან შეხვედრა მოეწყობა 2 აპრილს.

➤ 13864

1957

**30 მარტი**

იგებს, რომ ნავთლულის რკინიგზის კლუბში 6 აპრილს უწყობენ შეხვედრას და ამ დღისთვის საგანგებოდ ამზადებენ კედლის გაზეთს. ახსენდება, რომ ნავთლულში არის მისი სახელობის წიგნთსაცავი, რომელშიც კოტე რატიშვილი და ნათელა რატიანი მუშაობენ. ღონისძიების იდეა ახარებს, მით უფრო, რომ, მისი აზრით, ორგანიზატორებს ენთუზიაზმი ეტყობათ, თუმცა მიიჩნევს, რომ მთავარი ოპერის თეატრში გასამართი საღამოს ორგანიზებაა.

➤ 13865

1957

30 მარტი

იგებს, რომ საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში, რომელშიც იოსებ ფანცხავასა და ილია ადეიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედებს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატურული წრე, იგეგმება მასთან შეხვედრა. ღონისძიება ჩატარდება 4 მაისს. ეს ფაქტი პოეტს ახარებს, რადგან ფიქრობს, რომ დაგეგმილი შეხვედრა ერთი რიგითი ღონისძიება კი არ იქნება, არამედ ამ დღეს გრანდიოზული საკითხი გადაწყდება. მისი აზრით, სწორედ ამ შეხვედრისას შეიძლება გაერთიანდეს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის რამდენიმე წრე და, შესაძლებელია, იქვე მოეწყოს გამოფენა, რომელიც გაგრძელდება მაისის, ივნისის, ივლისის და აგვისტოს განმავლობაში.

➤ 13866

1957

31 მარტი

ინიშნავს მწერალ გიგლა მებუკის სოხუმის სახლის მისამართს.

➤ 13867

1957

31 მარტი

ძმისწულისგან, ნოდარ ტაბიძისგან იგებს, რომ მოსკოვში გამოდის საბჭოთა პოეტების დიდი ანთოლოგია.

➤ 13868

1957

31 მარტი

აკეთებს ჩანაწერს „სად შეიძლება ვიშოვოთ 10000 მანეთი“, რომელშიც განიხილავს დასახელებული თანხის შოვნის რამდენიმე შესაძლებლობას. აღნიშნავს, რომ ლიტერატურული ფონდის დირექტორს, ალექსი გომიაშვილს შეუძლია მისთვის სესხის მიცემა, თუ მას საგარანტიო დოკუმენტს მიუტანს. სახელმწიფო გამომცემლობა არავის აძლევს ამ ცნობას, თუმცა თუ ცენტრალური კომიტეტი ჩაერევა, მის ნებას წინ ვერ აღუდგებიან. ფიქრობს, რომ ცეკაში საკითხის აღძვრა არ არის სასურველი, თუ გამოუვალი მდგომარეობა არ იქნება. ვარაუდობს, რომ უარს ეტყვიან მწერალთა კავშირშიც, რადგან იქ „აბაშიძე-ჭილაია-ლევონიძის შტაბია“. დარწმუნებულია, რომ მისი მოწინააღმდეგეები ყველანაირად ეცდებიან ხელი შეუშალონ.

➤ 13869

1957

მარტი

წერს უსათაურო ლექსს „და დადუმდა ათასი მთა...“.

➤ 13870

## აპრილი

1957

1 აპრილი

იმყოფება ლიტერატურულ ფონდში. წერს განცხადებას ამ ფონდის დირექტორის – ალექსანდრე გომიაშვილის სახელზე, ითხოვს, სესხის სახით, ორი თვით ლიტერატურული ფონდიდან მისცენ ათი ათასი მანეთი და პირობას დებს, რომ სესხს მაისის ბოლომდე გადაიხდის.

➤ 13871

1957



## 1 აპრილი

ჩამოწერს იმ საქმეების სიას, რომელთა მოგვარებასაც უახლოეს მომავალში აპირებს. გეგმავს, მივიდეს მასწავლებლის სახლში, ლიტერატურულ ფონდში, სახელმწიფო გამომცემლობაში, შეხვდეს მოქანდაკეს და ფატი ნიშნიანიძეს. ასევე, სურს, გაარკვიოს ვინ არიან ლიტერატურული ფონდის გამგეობის წევრები და რომელ საათზე აქვთ კრება 2 აპრილს.

➤ 13872

1957

## 1 აპრილი

აპირებს, შუადღის სამ საათამდე შეიაროს მეცნიერებათა აკადემიაში, შემდეგ კი წავიდეს უნივერსიტეტში.

➤ 13873

1957

## 2 აპრილი

საზეიმო შეხვედრას უწყობენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში, სადაც ფეხზე ადგომით და ტაშით ხვდებიან. შესავალი სიტყვით მინისტრთა საბჭოს ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ს. სილაგაძე გამოდის. შემდეგ პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ფოფხაძე, დასასრულს კი დამსწრეთა თხოვნით პოეტი კითხულობს ლექსს „ჩემმა ახალგაზრდობამ, დღემან პირმომცინარემ...“.

➤ 13874

1957

## 2 აპრილი

სადამოს ხუთ საათზე წერს უსათაურო ლექსს „შენი წამწამით...“.

➤ 13875

1957

## 3 აპრილი

რეზო ორჯონიკიძეს სახელმწიფო გამომცემლობაში მიაქვს გალაკტიონის პოემის მხოლოდ მეათედი და გაბრაზებული გალაკტიონი ფიქრობს, ნუთუ პოემის დაჭრას ამდენი დრო სჭირდებაო. ორჯონიკიძე ეუბნება, რომ კვირას სტამბას გადასცემენ.

➤ 13876

1957

## 5 აპრილი

თბილისის 47-ე საშუალო სკოლაში გრანდიოზულ სადამოს უწყობენ, მაგრამ მწერალთა კავშირიდან, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთები დარიგებული ჰქონდათ, არავინ მიდის.

➤ 13877

1957

## 8 აპრილი

უბის წიგნაკში წერს, რომ საჭიროა ლექსი ლენინზე და რომ თემა „ლენინის სახე გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“ შეიძლება კარგად გააკეთოს ბენო ჩიქობავამ.

➤ 13878

1957

## 9 აპრილის შემდეგ

ჟურნალში „კომუნისტური აღზრდისათვის“ ქვეყნდება ისიდორე ოდიშვილის რეცენზია ეთერ შუმანიას წიგნზე „გალაკტიონ ტაბიძე“. მთლიანობაში რეცენზიენტი დადებითად აფასებს

მონოგრაფიას და მიუთითებს, რომ მას აქვს ცალკეული ხარვეზები: მასში ცოტაა ნათქვამი პოეტის ბავშვობისა და ყრმობის, ასევე საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

➤ 13879

1957

#### 11 აპრილი

სტუმრობს ქართული ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელი დავით შულღიაშვილი. მას განზრახული აქვს, რომ კრებულისათვის „ქართველი საბჭოთა მწერლები“ პირველს გალაკტიონს შეავსებინოს მონაცემთა ანკეტა და გამოართვას ერთ-ერთი ლექსის ავტოგრაფი. პოეტი ინტერესდება ამ ჩანაფიქრით და სტუმარს ჰკარნახობს საკუთარ მონაცემებს. შულღიაშვილი ეუბნება, რომ მეორე დღეს მიაერთმევს სტამბურად დაბეჭდილ სპეციალურ ფურცლებს, რომლებზეც გალაკტიონმა თავად უნდა დაწეროს საკუთარი ავტობიოგრაფია და რომელიმე ლექსი.

➤ 13880

1957

#### 11 აპრილის შემდეგ

მოსკოვიდან წერილს იღებს ოჯახის ახლობელი ინჟინრის, სახელად ჟოზესგან, რომელიც 8 აპრილს შეხვდა მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ არკადი დეევს და გაარკვია, რა მდგომარეობაშია გალაკტიონის რუსულენოვანი წიგნის „ლექსები და პოემები“ გამოცემის საქმე. ადრესანტი პოეტს ატყობინებს, რომ უახლოეს დღეებში გამომცემლობა ნათარგმნ მასალას მიიღებს, გადაწყდება, მათგან რა ტექსტები შევიდეს წიგნში და მათში გადაეცემა სტამბას. წიგნი გამოვა დეკადამდე, სექტემბერში. ასევე გამოიცემა 17 სხვა ქართველი მწერლის წიგნი. გამომცემლობის მთავარ რედაქტორ ანატოლი სტაროსტინთან შეხვედრა ჟოზეს აღარ დასჭირვებია, რადგან სერგი ჭილაიას უკვე გაუზიარებია დეკემბრის წიგნის მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით. მთლად 20 ათასი სტრიქონის გამოცემას არ აპირებს, მაგრამ მოცულობას შემდეგისდაგვარად გაზრდის. წერილის ბოლოს ჟოზე გალაკტიონს სწერს, რომ მათის ბოლოს ისევ შეივლის დეევთან და თუ რაიმე სიახლე იქნება, შეატყობინებს.

➤ 13881

1957

#### 12 აპრილი

დავით შულღიაშვილს გალაკტიონთან მიაქვს ანკეტის ფურცლები ბიოგრაფიისა და ლექსის ჩასაწერად, მაგრამ პოეტს არ სცალია. ის უბოდიშებს და სთხოვს, რომ ფურცლები შესავსებად დაუტოვოს და 3 დღის შემდეგ მზად დაახვედრებს.

➤ 13882

1957

#### 15 აპრილი

დაპირებისამებრ დავით შულღიაშვილს ახვედრებს შევსებულ ავტობიოგრაფიას და ლექსის „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“ ავტოგრაფს. გალაკტიონი სტუმარს დიდხანს ესაუბრება გამოცემის საკითხებზე, სთავაზობს რჩევებს და სჩუქნის ლექსების კრებულს წარწერით: „დავით შულღიაშვილს ნიშნად უღრმესი პატივისცემისა. გ. ტაბიძე, 1975 წ. 15 აპრილი“.

➤ 13883

1957

#### 16 აპრილი

ემზადება ღონისძიებისთვის, აპირებს, მწერალთა კავშირსა და მეცნიერებათა აკადემიას შეატყობინოს დაგეგმილი სადამოს შესახებ. ასევე, ფიქრობს, რომ აცნობოს ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგეს, მიხეილ კვესელავას.

➤ 13884

1957

17 აპრილი

წერს უსათაურო ლექსს „ო, ზღვაო, პალმის რტოო...“.

➤ 13885

1957

20 აპრილი

გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ ქვეყნდება რევაზ ორჯონიკიძის რეცენზია ეთერ შუშანიას წიგნზე „გალაკტიონ ტაბიძე“. რეცენზენტი დადებითად აფასებს მონოგრაფიას და მიუთითებს, რომ რიგ საკითხებზე ავტორს ახალი შეხედულებები აქვს გამოთქმული.

➤ 13886

1957

22 აპრილი

წერს ლექსს „გამოსულა!“ („ისტორიის ფურცლებიდან...“).

➤ 13887

1957

22 აპრილი

წერს ლექსს „მოსკოვში... ფეხით“ („თუ ატლანტის ოკეანე...“).

➤ 13888

1957

23 აპრილი

წერს ლუი არაგონისადმი მიძღვნილ სახუმარო უსათაურო ლექსს „ლუი არაგონი... ქედი ბარაკონი“.

➤ 13889

1957

25 აპრილი

ემზადება თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოსაწყობად. არკვევს, რომ სტენდები მზადდება და 26 აპრილს უკვე შეუძლია გადასცეს ტექსტები ამ სტენდებზე განსათავსებლად.

➤ 13890

1957

25 აპრილი

ხვდება გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ლიტერატურული წრის წევრებს.

➤ 13891

1957

25 აპრილი

მეცნიერებათა აკადემიაში ხვდება დიმიტრი ბენაშვილსა და ანგია ბოჭორიშვილს.

➤ 13892

1957

25 აპრილი

ფიქრობს თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის საორგანიზაციო საკითხებზე. აპირებს, სტენდები განათავსოს ისე, როგორც წინა გამოფენისას იყო. სურს, ერთ-ერთ სტენდზე წარმოდგენილი იყოს წარწერა „გალაკტიონოლოგია“, ხოლო ღონისძიება გააფორმოს ორკესტრმა და ამასთანავე, გაკეთდეს შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერი. აპირებს, მოაგვაროს ბანკეტის საკითხიც.

➤ 13893

1957

**26 აპრილი**

აპირებს 12 საათზე მივიდეს კინოსტუდია ქართულ ფილმში და შეხვედეს გულბაათ აბელიშვილს.

➤ 13894

1957

**26 აპრილი**

27 აპრილისთვის ელოდება სესხის მიღებას ლიტერატურული ფონდიდან.

➤ 13895

1957

**26 აპრილი**

აპირებს, გააფორმოს სახელმწიფო გამომცემლობასთან ხელშეკრულება თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის გამოცემასთან დაკავშირებით.

➤ 13896

1957

**26 აპრილი**

აპირებს, მომდევნო დღეს შეხვედეს მხატვარს, რომელიც სტენდებზე გამოსაფენად მოამზადებს მის მიერ გადაცემულ ტექსტებს.

➤ 13897

1957

**26 აპრილი**

გეგმავს მწერალთა კავშირში მისვლას და სერგი ჭილაიასთან შეხვედრას. აპირებს, გადასცეს თავისი თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის მაკეტი.

➤ 13898

1957

**26 აპრილი**

აპირებს სტამბაში მისვლას იმის გასარკვევად, თუ როგორ მიმდინარეობს რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის გაფორმების საქმე.

➤ 13899

1957

**26 აპრილი**

გეგმავს, მოაწესრიგოს პოემა „მშვიდობის წიგნის“ ხელნაწერები.

➤ 13900

1957

**27 აპრილი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ იმავე დღის დილის ცხრა საათისთვის მზად უნდა ჰქონდეს მხატვრისთვის გადასაცემი ტექსტი.

➤ 13901

**1957**

**27 აპრილი**

გეგმავს, 11 საათზე მივიდეს სტამბაში და რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის გაფორმების საკითხი გაარკვიოს.

➤ 13902

**1957**

**27 აპრილი**

აპირებს, 3 საათზე მივიდეს სახელმწიფო გამომცემლობაში და მოაგვაროს თხზულებათა მერვე ტომის გამოცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულების პრობლემა.

➤ 13903

**1957**

**27 აპრილი**

აპირებს, საღამოს 5 საათისთვის მივიდეს ლიტერატურულ ფონდში, სადაც უნდა მიიღოს მის მიერ მოთხოვნილი სესხი.

➤ 13904

**1957**

**27 აპრილი**

აპირებს, საღამოს წავიდეს კინოთეატრში.

➤ 13905

**1957**

**28 აპრილი**

აპირებს, დილის 9-დან 10 საათამდე მივიდეს სტამბაში, 11-დან 12 საათამდე შეხვდეს მხატვარს, რომელსაც გადასცემს საგამოფენო სტენდებზე განსათავსებელ ტექსტებს, ამის შემდეგ, 12-დან 1 საათამდე წავიდეს ლიტერატურულ ფონდში და მიიღოს მის მიერ მოთხოვნილი სესხი. ბოლოს, 1 საათიდან კი შეიაროს სახელმწიფო გამომცემლობაში და გააფორმოს თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის გამოცემასთან დაკავშირებული ხელშეკრულება.

➤ 13906

**1957**

**28 აპრილი**

კმაყოფილია იმ შეხვედრით, რომელიც ნავთლუღის რკინიგზის კლუბში მოუწყვეს.

➤ 13907

**1957**

**28 აპრილი**

საავადმყოფოს ეზოში იღებს ფოტოსურათს ექიმ მურმან ბუხრაშვილთან და ექთან თამარ ტაბატაძესთან ერთად.

➤ 13908

**1957**

**29 აპრილი**

უბის წიგნაკში ინიშნავს იმ სტამბის ტელეფონის ნომერს, სადაც მისი რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნი უნდა დაიბეჭდოს.

➤ 13909

**1957**

**29 აპრილი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ლიტერატურული ფონდის ტელეფონის ნომერს, აპირებს, სამ საათზე მივიდეს ამ ფონდში და მიიღოს მის მიერ მოთხოვნილი სესხი.

➤ 13910

**1957**

**30 აპრილი**

აპირებს, თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მომზადების პროცესში ჩართოს გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სალიტერატურო წრის წევრები, რომლებიც დაეხმარებიან როგორც საგამოფენო მასალის გადატანასა და დალაგებაში, ისე სტენდების მოწყობაში.

➤ 13911

**1957**

**აპრილი**

ჟურნალში „პიონერი“ იბეჭდება უსათაურო ლექსი „უფრო ავმაღლდეთ გარეთ...“.

➤ 13912

## მ ა ი ს ი

**1957**

**1 მაისი**

წერს უსათაურო ლექსს „ტყე იყო ხევამდი...“.

➤ 13913

**1957**

**4 მაისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „გვახსოვს ოქტომბრის დღეთა სიდიდე...“.

➤ 13914

**1957**

**4 მაისამდე**

წერს უსათაურო ლექსს „სალამი ცისკრის ადამიანებს...“.

➤ 13915

**1957**

**4 მაისამდე**

ასწორებს 1935 წელს დაწერილ უსათაურო ლექსს „არ გაგიშვებთ ჟრიამული...“, ქმნის ნაწარმოების ახალ უსათაურო ვარიანტს, განსხვავებული დასაწყისით „გაჰქრეს ბნელი ჟრიამული...“. ნასწორებ ტექსტს ამზადებს თხოულებათა რვატომეულის მერვე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 13916

**1957**

**4 მაისამდე**

ასწორებს 1936 წელს დაწერილ, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრ გრიბოედოვისადმი მიძღვნილ ლექსს „ორი მოკლული პოეტი“, ქმნის ლექსის ახალ უსათაურო ვარიანტს, განსხვავებული დასაწყისით „თბილისის მთანი კლდიანი...“. ნასწორებ ტექსტს ამზადებს თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 13917

1957

#### 4 მაისამდე

ასწორებს 1939-1940 წლებში დაწერილ უსათაურო ლექსს „ჩემს წინ მრისხანე ნიაღვართ მკონი...“, ქმნის ნაწარმოების ახალ უსათაურო ვარიანტს, განსხვავებული დასაწყისით „იფნის ბაღიდან...“. ნასწორებ ტექსტს ამზადებს თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 13918

1957

#### 4 მაისამდე

ასწორებს 1940 წელს დაწერილ ლექსს „ტუია“ („მწვერვალთან, სადაც ჰყვავის ტუია...“) და ქმნის ნაწარმოების ახალ, იმავე სათაურის მქონე ვარიანტს. ნასწორებ ტექსტს ამზადებს თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 13919

1957

#### 4 მაისამდე

ასწორებს 1946 წლის 8 თებერვალს დაწერილ უსათაურო ლექსს „შავი ზღვის ნაპირს რომ ჩამოუვლის...“. ქმნის ნაწარმოების ახალ უსათაურო ვარიანტს და ნასწორებ ტექსტს ამზადებს თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 13920

1957

#### 4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ამ შემოდგომის გზათა სიავით...“.

➤ 13921

1957

#### 4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „სადამო ხანს ქობულეთზე...“.

➤ 13922

1957

#### 4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ჩვენ გავიარეთ...“.

➤ 13923

1957

#### 4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „გზები გაუვალი და გზები გავლილი...“.

➤ 13924

1957

#### 4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ვგრძნობთ, არ გვიხსნის ათასგვარი...“.

➤ 13925

1957

4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ურემს დიდის სიმწრის ალით...“.

➤ 13926

1957

4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „რაც გადმოირღვა...“.

➤ 13927

1957

4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ამაოებავ! ვგრძნობ, რად არ აჰგვი...“.

➤ 13928

1957

4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „ხელშეკრულება, დადებული ერთხელ არაგვთან...“.

➤ 13929

1957

4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „არის მკითხველი მშვენიერი წიგნის...“.

➤ 13930

1957

4 მაისამდე

ასწორებს 1929 წლის 28 ივლისამდე დაწერილ უსათაურო ლექსს „ველარ დაუგებს მახეს...“, კმნის ნაწარმოების ახალ უსათაურო ვარიანტს „იყო მდიდარი სახლის...“. ნასწორებ ტექსტს ამზადებს თხზულებათა რეკტომეულის მერვე ტომში გამოსაქვეყნებლად.

➤ 13931

1957

4 მაისამდე

წერს უსათაურო ლექსს „გემი ვით არ იცნობს...“.

➤ 13932

1957

4 მაისამდე

წერს ლექსს „პარიზი“.

➤ 13933

1957

4 მაისამდე

წერილს იღებს სოსიკო ფანცხავასგან. ადრესანტი სთხოვს, ისეთივე ყურადღება გამოიჩინოს მისი პოეზიით აღფრთოვანებული ახალგაზრდა ბესიკ ადგიშვილისადმი, როგორც რომანოზ ფანცხავამ გამოიჩინა გალაკტიონისადმი და ბარათისთვის თანდართული ლექსი წაკითხოს თავის საღამოზე.



➤ 13934

1957

4 მაისი

სახელმწიფო გამომცემლობა გასცემს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის წარმოებაში გადაცემის ნებართვას.

➤ 13935

1957

4 მაისი

აპირებს, შეხვდეს უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებული მისი სახელობის სალიტერატურო წრის წევრებს, ასევე, გეგმავს, შეიაროს მეცნიერებათა აკადემიაში და ნახოს აკადემიის ბიბლიოთეკის გამგე.

➤ 13936

1957

4 მაისი

აპირებს სახელმწიფო გამომცემლობასა და სტამბაში მისვლას, რათა გაარკვიოს თავისი წიგნების გამოცემის საკითხი.

➤ 13937

1957

4 მაისი

გეგმავს დაურეკოს დიმიტრი ბენაშვილს.

➤ 13938

1957

6 მაისამდე

ფიქრობს, რომ 6 მაისი ბევრი ასპექტით იქნება გადამწყვეტი დღე. აპირებს, შეუკვეთოს 40 ჩარჩო, რომლებიც გამოფენის მოსაწყობისთვის დასჭირდება.

➤ 13939

1957

6 მაისი

აპირებს თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის გახსნისთვის დაბეჭდოს მოსაწვევი ბარათები.

➤ 13940

1957

7 მაისი

სურს თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველ გამოფენაზე სტუმრების უმეტეს ნაწილს სტუდენტები წარმოადგენდნენ და ამის შესახებ წერს დღიურში.

➤ 13941

1957

8 მაისამდე

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბა ბეჭდავს თბილისის საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრის მოსაწვევს და პროგრამას, რომელშიც არის: „შესავალი სიტყვა“, ბესარიონ ჟღენტის მოხსენება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“, ქართველი მწერლების

გამოსვლა, გალაკტიონის სახელობის სალიტერატურო წრის წევრების გამოსვლა და გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება: პოეტის წიგნები, ხელნაწერები, პორტრეტები, მხატვართა ნაწარმოებები, ქანდაკებები და სხვ.

➤ 13942

**1957**

**8 მაისი**

რკინიგზის კვანძის კლუბში იმართება გალაკტიონის სადამო. შესავალი სიტყვის შემდეგ ბესარიონ ჟღენტი კითხულობს მოხსენებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“, გამოდიან ქართველი მწერლები და გალაკტიონის სახელობის სალიტერატურო წრის წევრები. ეწყობა მხატვრული განყოფილება და გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია: პოეტის წიგნები, ხელნაწერები, პორტრეტები, მხატვართა ნაწარმოებები, ქანდაკებები და სხვ.

➤ 13943

**1957**

**9 მაისი**

დიდუბის ქარხანაში ამზადებინებს სტენდების ჩარჩოებისთვის მოვარაყებულ ჯოხებს.

➤ 13944

**1957**

**13 მაისამდე**

წერს ლექსს „პიონერული“ („დიდება მარად დღე...“).

➤ 13945

**1957**

**13 მაისის შემდეგ**

ჟურნალში „პიონერი“ იბეჭდება ლექსი „პიონერული“.

➤ 13946

**1957**

**14 მაისი**

უგზავნიან ვანის რაიონული გაზეთის – „კოლმეურნის მნათობი“ ნომერს.

➤ 13947

**1957**

**22 მაისი**

შეხვედრას უწყობს თბილისის მუშა ახალგაზრდობის მე-19 სკოლა. მოსწავლეები კითხულობენ მისდამი მიძღვნილ ლექსებს, თავად გალაკტიონი კი უკითხავს ლექსს „დღეები ბრუნავს ვით კამათელი...“. შეხვედრის ბოლოს პოეტს და მის თანმხლებ პირებს მასწავლებლები აცილებენ და გზად გალაკტიონი მათ ლექსის „მე და ღამე“ შექმნის ისტორიას უამბობს.

➤ 13948

**1957**

**24 მაისი**

ცდილობს, მოაგვაროს საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში ჩასატარებელი ღონისძიების საკითხი. საამისოდ კი ურჩევს, სახლში დაურევოს ტექნიკუმის კომენდანტს. ეს იდეა არ მოსწონს და ირონიულად განაწყობს.

➤ 13949

**1957**

**24 მაისი**

იგებს, რომ საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმის დარბაზში მის მიერ დაგეგმილი ღონისძიების ჩატარება შეუძლებელია, რადგან ამ დაწესებულებაში ფესტივალი იმართება. ეძებს გამოსავალს, ფიქრობს, იმავე ტექნიკუმის სხვა დარბაზში ჩაატაროს შეხვედრა. ეს ნიშნავს, რომ ფესტივალის გამო ბავშვები ვერ მიიღებენ მის საღამოში მონაწილეობას, მაგრამ მაინც ცდილობს, საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

➤ 13950

**1957**

**25 მაისი**

კმაყოფილია იმით, რომ, მიუხედავად წინააღმდეგობებისა და დაბრკოლებებისა, საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმში შეხვედრა მაინც ჩატარდა,

➤ 13951

**1957**

**25 მაისამდე**

ინიშნავს ინფორმაციას, რომ პიონერთა სასახლეში უნდა მოეწყოს შეხვედრა, რომელშიც მასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ: იოსებ გრიშაშვილი, ნინო ლომთათიძე, ქეთევან ანანიაშვილი, ნინო კაკაბაძე და ფაცია პაიჭაძე.

➤ 13952

**1957**

**27 მაისი**

საფინანსო-საკრედიტო ტექნიკუმიდან თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მასალა სრულად გადააქვს პლენხანოვის, ახლანდელი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე რკინიგზელთა სახლში.

➤ 13953

**1957**

**27 მაისი**

გეგმავს რკინიგზელთა სახლში მოაწყოს ღონისძიება და ამზადებინებს მოსაწვევებს.

➤ 13954

**1957**

**28 მაისი**

აღიზიანებს რკინიგზელთა სახლში დაგეგმილი ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორის, ალექსანდრე ჩოგოვადის საქციელი და მას მოიხსენიებს, როგორც ჩიო-ჩიო-სანს. აპირებს ამავე ღონისძიების თაობაზე ტელეფონით დაელაპარაკოს ჟურნალისტ ილია ბახტაძეს და რკინიგზელთა სახლის კლუბის გამგეს.

➤ 13955

**1957**

**30 მაისამდე**

აპირებს 30 მაისს შეხვედეს მხატვრებს. შეხვედრის ორგანიზატორია პოლიტიკურ ცოდნათა გამავრცელებელი საზოგადოება. ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა ტილოებზე მუშაობა ნახშირით. სურს, წინასწარ იცოდეს, სულ რამდენი მხატვარი მიიღებს მონაწილეობას ღონისძიებაში, რომელშიც გალაკტიონთან ერთად ფატი ნიშნიანიძეც იქნება ჩართული.

➤ 13956

**1957**

**30 მაისი**

აპირებს, მივიდეს მეცნიერებათა აკადემიაში და ნახოს ბესარიონ ჟღენტი.

➤ 13957

**1957**

**30 მაისი**

წერს სახუმარო, უსათაურო ლექსს „ჩიო-ჩიო-სანს“, რომელიც ეძღვნება ალექსანდრე ჩოგოვაძეს.

➤ 13958

**1957**

**30 მაისი**

ინიშნავს იმ ადამიანების გვარებს, რომლებიც, მისი აზრით უნდა ჩაერთონ რკინიგზელთა სახლში დაგეგმილი ღონისძიების მომზადების პროცესში. მათ შორისაა ვახტანგ გურგენიძე, ალექსანდრე ჩოგოვაძე და რკინიგზელთა სახლის კლუბის გამგე ალფაიძე. იმასაც აღნიშნავს, რომ ამ პიროვნებების მხრივ აქტიურობა ჯერჯერობით არ შეიმჩნევა.

➤ 13959

**1957**

**30 მაისი**

ემზადება რკინიგზელთა სახლში დაგეგმილი შეხვედრისა და გამოფენისთვის, აზუსტებს, რომ ბესარიონ ჟღენტი მზად არის აღნიშნულ ღონისძიებაზე მოხსენების წასაკითხად.

➤ 13960

**1957**

**30 მაისი**

ზრუნავს რკინიგზელთა სახლში დაგეგმილი საღამოსა და გამოფენის ჩატარებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებზე, დეტალების გასარკვევად უბის წიგნაკში ინიშნავს რკინიგზელთა ცეხის უფროსის ტელეფონის ნომერს.

➤ 13961

**1957**

**30 მაისი**

რკინიგზელთა სახლში დაგეგმილი საღამოსა და გამოფენის შესახებ ესაუბრება ფატი ნიშნიანიძეს, რომელიც მიიჩნევს, რომ აუცილებელია ღონისძიების შემდეგ მოეწყოს ვახშამი. ეს იდეა გალაკტიონის გაოცებას იწვევს.

➤ 13962

## ივნისი

**1957**

**1 ივნისი**

რკინიგზელთა სახლში რვა ივნისისთვის დაგეგმილი ღონისძიების ექვსას მოსაწვევს გადასცემს რკინიგზელთა სახლის კლუბის გამგეს, რომელიც ჰპირდება, რომ ორი დღის შემდეგ ეს მოსაწვევები მთლიანად დარიგებული ექნება.

➤ 13963

**1957**

**2 ივნისი**

საქართველოს მხატვართა კლუბში ათვალისწინებს თანაკლასელ მხატვარ ვარლამ მახარობლიძის ნახატებს, სვანეთის პეიზაჟებს და უჩნდება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს სვანეთში მოგზაურობს. მისი აზრით, ამ პეიზაჟებში ნათლად ჩანს, რომ მხატვარი სულით და

გულით ემსახურება ხელოვნებას. ხიზლავს ის, რომ ნახატებზე ყველაფერი ქართულია, თვით ფერები და საღებავებიც კი.

➤ 13964

1957

**3 ივნისი**

წერს ლექსს „მხატვარი მთების“ („აქ ძვირფასი მოსჩანს ჩვენი...“). ნაწარმოები შთაგონებულია პოეტის მიერ წინა დღეს გამოფენაზე დათვალიერებული ვარლამ მახარობლიძის ნახატებისაგან მიღებული შთაბეჭდილებით.

➤ 13965

1957

**4 ივნისი**

დეპეშებს უგზავნის მოსკოვში არკადი დეევსა და სოფია ხითაროვას. აცნობებს, რომ დაუყოვნებლივ გამგზავრების საშუალება არა აქვს და დაგვიანებული ხომ არ იქნება, რომ 16-18 ივნისს ჩავიდეს.

➤ 13966

1957

**4 ივნისის შემდეგ**

არკადი დეევი და სოფიო ხითაროვას არ ეხმიანებიან და არ იცის, როგორ გაარკვიოს, რა ხდება.

➤ 13967

1957

**5 ივნისი**

გამომცემლობას „სოვეტსკი პისატელ“ უგზავნის მისი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით შედგენილი ხელშეკრულების სამ ხელმოწერილ ცალს.

➤ 13968

1957

**3 ივნისი**

იმყოფება უძოს მთაზე და უბის წიგნაკში ინიშნავს ნიკოლოზ კახელიშვილის ნაამბობს უძოს მთასთან დაკავშირებული ტრადიციებისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესახებ.

➤ 13969

1957

**6 ივნისი**

აინტერესებს, მიიღეს თუ არა მის მიერ გაგზავნილი დეპეშა და წერილი მოსკოვში, გამომცემლობაში „საბჭოთა მწერალი“. იხსენებს, რომ დეპეშის თანხა გადაიხადა, თუმცა არ მიუთითებია, რომ სასწრაფო იყო. აპირებს, 17 ან 18 ივნისს კიდევ ერთხელ გააგზავნოს წერილი.

➤ 13970

1957

**8 ივნისი**

შეხვედრას და გამოფენას აწყობს რკინიგზელთა სახლში.

➤ 13971

1957

**10 ივნისი**

შეიტყობს, რომ ფატი ნიშნიანიძე საქართველოს განათლების მუშაკთა ჯგუფთან ერთად პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში მიემგზავრება. გალაკტიონს მასთან მიაქვს თავისი ლექსების კრებული და სთხოვს, რომ ბარათთან ერთად როგორმე გადასცეს იმჟამად უკვე ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ანტონინ ზაპოტოცკის. ბარათში პოეტი მოკითხვას უთვლის ადრესატს და სწერს, რომ უგზავნის წიგნს, რომელშიც მოთავსებულია ნაწყვეტები კომინტერნის მეექვსე კონგრესის მონაწილეებისადმი მიძღვნილი პოემიდან „ეპოქა“ სწერს, რომ ეს პოემა 1929 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა. იხსენებს კონგრესის დასრულების შემდეგ ადრესატთან და სხვა დელეგატებთან ერთად მოგზაურობას საბჭოთა კავშირის ინდუსტრიულ ქალაქებში.

➤ 13972

1957

11 ივნისი

გეგმავს თავისი საგამოფენო ექსპონატების გადატანას რკინიგზელთა სახლიდან პლექანოვის სახელობის რკინიგზის კლუბში, რადგან იქ დაგეგმილია კიდევ ერთი გამოფენა და ექსპოზიცია დიდხანს უნდა დარჩეს.

➤ 13973

1957

11 ივნისის შემდეგ

ანგარიშობს, რა რაოდენობის თანხა გადაურიცხეს სახელგამიდან 6 მაისიდან 11 ივნისის ჩათვლით. არკვევს, რომ სულ გადარიცხულია 30 000 მანეთი და გადასარიცხი დარჩა 16 000.

➤ 13974

1957

15 ივნისი

პლექანოვის სახელობის რკინიგზის კლუბში ეწყობა გალაკტიონ ტაბიძის მასშტაბური გამოფენა.

➤ 13975

1957

15 ივნისის შემდეგ

განცხადებით მიმართავს ამიერკავკასიის რკინიგზის უფროს დავით მამაცაშვილს. წერს, რომ 8 ივნისს ამ ორგანიზაციის კლუბში ჩატარდა გალაკტიონ ტაბიძის საღამო და მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა. ეს გამოფენა უფრო ფართო მასშტაბით პლექანოვის სახელობის რკინიგზის კლუბში მოეწყო 15 ივნისსაც. საზოგადოების ინტერესის გამო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი შუამდგომლობს ამიერკავკასიის რკინიგზის წინაშე, რომ ეს გამოფენა კლუბის დიდი ფოიეს ერთ ოთახში მუდმივად დარჩეს და ეწოდოს საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების მუდმივი გამოფენა.

➤ 13976

1957

20 ივნისამდე

აპირებს, წერილი გააგზავნოს მოსკოვში და გაარკვიოს, გამომცემლობაში „სოვეტსკი პისატელ“ მიიღეს თუ არა მის მიერ გაგზავნილი ხელმოწერილი ხელშეკრულებები. სურს გაიგოს, რამდენი იქნება ჰონორარი და როდის შეძლებს თანხის მიღებას.

➤ 13977

1957

20 ივნისი

ტელეფონით ესაუბრება გამომცემლობის „სოვეტსკი პისატელ“ მთავარ ბუღალტერს და ინტერესდება, მიიღეს თუ არა 5 ივნისს მათთვის გაგზავნილი ხელმოწერილი ხელშეკრულებები, დაიანგარიშეს თუ არა ავტორის ჰონორარი და შემღებენ თუ არა თანხის სასწრაფოდ გადარიცხვას.

➤ 13978

1957

22 ივნისი

ინიშნავს ორთქლმავლის და რონოდების შემკეთებელი ქარხნის საწარმოო განყოფილების გამგის მოადგილის – გრიგოლ კაჭკაჭიშვილის ტელეფონის ნომერს და სამუშაო საათებს. აპირებს, დაელაპარაკოს ამ პიროვნებას, რადგან მისი უახლოესი შეხვედრა მკითხველთან რკინიგზელთა სახლშია დაგეგმილი.

➤ 13979

1957

22 ივნისი

წერს ეპიგრამას „ლადნი არიან ბუნებით ბერიას კუდუსუნები“.

➤ 13980

1957

22 ივნისი

სურს გამოფენისთვის გადაარჩიოს ფოტოები და გაადიდებინოს ისე, რომ საგამოფენო სტენდებზე განათავსონ. აპირებს, ფოტომასალის გადარჩევას სამი დღე მოანდომოს. მისი ვარაუდით, თუ 25 ივნისს გადასცემს ფოტოებს გასადიდებლად, 28 ივნისს უკვე მზად იქნება. უბის წიგნაკში ინიშნავს იმ პიროვნების სახელს, გვარსა და მისამართს, ვინც ფოტომასალა უნდა გაადიდოს.

➤ 13981

1957

22 ივნისის შემდეგ

კინორეჟისორი ოთარ ჭიაურელი იღებს კინოჟურნალს „გალაკტიონი მუშებთან“, რომელშიც თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშებთან პოეტის შეხვედრაა აღბეჭდილი.

➤ 13982

1957

27 ივნისი

ანტონინ ზაპოტოცკი წარწერით ჩუქნის ჩეხურ ენაზე გამოქვეყნებულ თავის წიგნს „წითელი ნათება კადნოზე“.

➤ 13983

## ი ვ ლ ი ს ი

1957

1 ივლისი

მთელ დღეს ატარებს წყნეთში. იგებს, რომ პიონერებთან შეხვედრა დაიგეგმა 18 ივლისს.

➤ 13984

1957

2 ივლისი

აკითხავს რეზო ორჯონიკიძე და უყვება ნიკიტა ხრუშჩოვის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობიდან გადაყენების მცდელობის შესახებ.

➤ 13985

1957

6 ივლისი

პიონერთა სასახლეში მისული ხვდება მიხაილ ვაძბოლსკის, რომელიც აქ ჭადრაკის სექციას ხელმძღვანელობს. ვაძბოლსკი ჭადრაკზე ჩამოუგდებს სიტყვას და სთხოვს, რომ ახლა მაინც აჩვენოს საკუთარი შესაძლებლობები. გალაკტიონი ჯერ დაიბნევა, შემდეგ კი თანხმდება, რომ რომელიმე ნორჩ მოჭადრაკეს შეხვდეს. მაგრამ, თითქოს ჭიდაობაში ეჯიბრებოდეს, სთხოვს ტანმორჩილი მოწინააღმდეგე შეახვედროს. ვაძბოლსკი თორმეტიოდე წლის ტანმორჩილ ბიჭუნას შეურჩევს. პოეტი თეთრებით თამაშობს და დასაწყისში სჯაბნის მეტოქეს მაგრამ, როცა გარდაუვალი შამათი ემუქრება, დაფიდან შეუმჩნევლად მეტოქის ეტლს იღებს და მალავს. ბიჭი დაბნეული იყურება აქეთ-იქით. გალაკტიონი გადაიხარხარებს, ჯიბიდან ფიგურას ამოიღებს და დამარცხებას აღიარებს. შემდეგ მოწინააღმდეგეს თავზე ეამბორობა, დიდოსტატობას უწინასწარმეტყველებს და ეუბნება, რომ მან უდიდესი ჯადოქარი დაამარცხა. ყველა მხიარულდება.

➤ 13986

1957

7 ივლისი

მხატვრის დახმარებით საგამოფენო სტენდებისთვის დიდი ფორმატის ფურცლებზე გადააქვს სტრიქონები ლექსებიდან: „მშობლიური ჩემო მიწავ“, „ისევ ახალგაზრდობას“, „მშვიდობისათვის“, „ჰე, მამულო“, „არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს“.

➤ 13987

1957

7 ივლისი

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პიონერთა ბანაკი აწყობს მოსწავლეების შეხვედრას პოეტ-აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძესთან. შეხვედრა ითვალისწინებს მისასალმებელ სიტყვებსა და ლექსებს, ასევე, მოხსენებას გალაკტიონის შემოქმედების შესახებ. ღონისძიების ბოლოს ბაღში გაიმართება დიდი კონცერტი და დაუკრავს სასულე ორკესტრი. შეხვედრა დაიწყება საღამოს 6 საათზე.

➤ 13988

1957

7 ივლისი

შეხვედრას უწყობენ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკში. ბავშვები თაიგულებით ხვდებიან და კითხულობენ მის ლექსებს. პოეტი ესაუბრება, თავადაც უკითხავს ლექსებს და საღამოს დასასრულს ფოტოს იღებს მათთან ერთად.

➤ 13989

1957

10 ივლისი

კითხულობს გაზეთს „კომუნისტი“. სათაურთან აწერს: „მოსკოვი, პარტილეთი – 1917-1918, გალაკტიონ ტაბიძისა და ოლია ოკუჯავას პარტიაში შესვლის შესახებ“.

➤ 13990

1957

12 ივლისი

განცხადებით მიმართავს სტალინის სახელობის ამიერკავკასიის რკინიგზის ვაგონ-სარემონტო ქარხნის დირექტორს. წერს, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40



წლისთავთან დაკავშირებით ხშირად იმართება მისი სალიტერატურო საღამოები და გამოფენები, რომელთათვისაც სჭირდება სტენდები. სთხოვს ორი მეტრის სიგრძისა და ერთი მეტრი სიგანის ოცდახუთი სტენდის დამზადებას, რომლებიც დაიდგმება ერთმეტრიან საფეხურზე.

➤ 13991

1957

13 ივლისი

კითხულობს გაზეთ „კომუნისტის“ 13 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ ტელეგადაცემების პროგრამას, რომელშიც ნათქვამია, რომ პოეტები: გალაკტიონ ტაბიძე, ალიო მირცხულავა და მაყვალა მრევლიშვილი საღამოს რვა საათზე იქნებიან სატელევიზიო სტუდიაში. გადაცემას დაეთმობა თხუთმეტი წუთი.

➤ 13992

1957

13 ივლისი

ალიო მირცხულავასა და მაყვალა მრევლიშვილთან ერთად იმყოფება სატელევიზიო სტუდიაში. ტელეგადაცემა, რომელშიც პოეტები მონაწილეობენ, საღამოს რვა საათზე იწყება.

➤ 13993

1957

16 ივლისი

აინტერესებს, შეძლებს თუ არა, ამ დღეს მოასწროს სახელმწიფო გამომცემლობასა და სტამბაში მისვლა, რათა დროზე გამოიცეს მისი თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომი და, რაკი გამოფენისთვის ყველაფერი მზად არის, პორტრეტების დაბეჭდვა.

➤ 13994

1957

16 ივლისი

სტამბაში ჰპირდებიან, რომ მომდევნო დღისთვის მზად დაახვედრებენ მისი წიგნის ნაბეჭდ ფორმებს.

➤ 13995

1957

16 ივლისი

იმყოფება მტკვრის სანაპიროზე, ათვალეირებს ტერიტორიას, ეძებს შესაფერის შენობას საგამოფენო-სამუზეუმო სივრცისთვის. ფიქრობს, რომ ყველაზე კარგი ადგილია სახელმწიფო გამომცემლობის გვერდით. ასევე მოსწონს პლენხანოვის, ახლანდელი აღმაშენებლის გამზირზე არსებული საგამოფენო შენობა. საბოლოოდ არჩევანს არ აკეთებს, რადგან ფიქრობს, რომ სხვაგანაც შეიძლება გამოიძებნოს მსგავსი სივრცე.

➤ 13996

1957

16 ივლისი

იმყოფება მეცნიერებათა აკადემიაში და საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობის საიუბილეო თარიღთან – ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით ოფიციალურად ითხოვს გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის მოწყობას. იგებს, რომ ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მეცნიერებათა აკადემიას გეგმაში შეაქვს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადება და სამეცნიერო სესიის გამართვა.

➤ 13997

1957

17 ივლისი

წერს მიხეილ ვაძბოლსკისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსს „სიტყვის უთქმელად ვარ მონატრული...“.

➤ 13998

1957

17 ივლისი

ფიქრობს იმ საქმეებზე, რომლებიც წინა დღეს მოაგვარა, პარალელურად, გეგმავს, რა აქვს გასაკეთებელი. აპირებს, მიხეილ ვაძბოლსკისთან ერთად მივიდეს „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში, ამის შემდეგ დარეკოს მწერალთა კავშირში, სადამოს ხუთი საათისთვის კი შეიაროს სტამბაში და გაარკვიოს, რა მდგომარეობაშია მისი წიგნი. ასევე, სურს, გაიგოს, როგორ მიმდინარეობს გამოფენისთვის სამზადისი, სტენდები რა მდგომარეობაშია. ინფორმაცია გამოფენის შესახებ უნდა დააზუსტოს ძმისშვილთან – ნოდარ ტაბიძესთან ერთად.

➤ 13999

1957

17 ივლისი

აგრძელებს თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი საგამოფენო მასალის შევსებას. აპირებს, ამ მიზნით დაბეჭდოს ფოტო – „საქართველოს სახალხო პოეტი“. ასევე, სურს, მოამზადოს სტენდები შესაბამისი წარწერებით. წარწერათა შორის ერთ-ერთი უნდა იყოს „გალაკტიონოლოგია“.

➤ 14000

1957

18 ივლისი

იმყოფება მწერალთა კავშირში და ხვდება უკრაინიდან ჩამოსულ მწერლებს.

➤ 14001

1957

18 ივლისი

უბის წიგნაკში ინიშნავს შესასრულებელი ამოცანების ჩამონათვალს. მათ შორის აღნიშნულია: ნაძალადევი რკინიგზელებთან შეხვედრა. მწერალთა კავშირში, სახელმწიფო გამომცემლობაში, სტამბასა და მეცნიერებათა აკადემიაში მისვლა. კრებულ „გალაკტიონოლოგიის“ დაბეჭდვა. თხზულებათა მერვე ტომის წარდგენა. თხზულებათა დიდი ერთტომეულის შედგენა და თარგმნა რუსულად. მეცხრე ტომისათვის მასალის მომზადება. პწკარედების მომზადება რუსული თარგმანებისათვის. დიდი ლიტერატურული სადამოს გამართვა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მომზადება აფხაზეთსა და მოსკოვში გასამგზავრებლად და „გალაკტიონოლოგიის“ ნომრების ჩასატანად.

➤ 14002

1957

19 ივლისამდე

უბის წიგნაკში წერს, რომ თითქმის ხუთი თვის წინ გადასცა გაზეთ „კომუნისტს“ ლექსები და გერასიმე ფირცხალავას დღემდე არ გამოუქვეყნებია.

➤ 14003

1957

22 ივლისი

სტუმრობს სახელმწიფო გამომცემლობის წიგნის მაღაზიას, სადაც ესაუბრება გამომცემლობის თანამშრომლებს, ათვალთვლებს დოსტოვესკისა და მიცკევიჩის პლაკატებს, ახალ წიგნებს, „ვეფხისტყაოსნისა“ და ლენინის თხზულებათა ახალ გამოცემებს. ესაუბრება მაღაზიაში შესულ მკითხველებს.

➤ 14004

1957

**ივლისი**

ანდრო პატარაიას ჯერ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქციაში აკითხავს, შემდეგ კი სახლში მიჰყვება და წერს ლენინგრადის 250 წლისთავისადმი მიძღვნილ ლექსს „ლენინრადს“, რომელიც ანდროსივე თარგმანით იბეჭდება გაზეთში „ლიტერატურნაია გრუზია“.

➤ 14005

1957

**ივლისის მეორე ნახევარი**

წყნეთში დასასვენებლად და სამუშაოდ ასული რევაზ ინანიშვილი ერთ წვიმიან სადამოს ტყეში გადააწყდება ხავსიან ლოდთან ფეხმორთხმით მჯდომ გალაკტიონს, რომელიც თავს აქეთ-იქეთ აქანებს და რაღაც ლექსის თუ სიმღერის აკორდს დუდუნებს. ამ იდუმალი სურათის მნახველი მწერალი მაშინვე ეცლება იქაურობას, რომ ხელი არ შეუშალოს. რამდენიმე დღის შემდეგ მზიან ამინდში მიდის იმავე ადგილთან და აღმოაჩენს რომ იმ ლოდზე მახვილი საგნით ამოკაწრულია სიტყვა „გალაკტიონი“.

➤ 14006

1956

**ივლისის ბოლო**

ანდრო პატარაიას მიერ რუსულად ნათარგმნი გალაკტიონის ლექსები მის მეუღლეს, ფატი დიდის სახლში მიაქვს პოეტთან. ბინაში ხვდება პოეტის მეუღლე, ნინო კვირიკაძე, რომელიც უხეშად პასუხობს ყველა კითხვაზე და ბოლოს ცხვირწინ უკეტავს კარს. მეზობლად მცხოვრები დავით გაჩეჩილაძე ფატის ეუბნება, რომ პოეტი სამკურნალო კომბინატში წევს. ფატი ურეკავს, ტელეფონზევე ეცნობა და უკითხავს მისი მეუღლის მიერ თარგმნილ ლექსს „მე და ღამე“. გალაკტიონს ძალიან მოსწონს.

➤ 14007

## ა გ ვ ი ს ტ ო

1956

**1 აგვისტომდე**

საავადმყოფოდან გამოწერილი გალაკტიონი მეცნიერებათა აკადემიაში აკითხავს ფატი დიდის და დათქვამენ შეხვედრას ანდროსთან ორი დღის შემდეგ. პოეტს მთარგმნელთან სახლში მიაქვს თავისი პოემა „მშვიდობის წიგნი“, რომელიც ჯერ ქართულადაც არ დაბეჭდილა და სთხოვს რუსულად თარგმნოს. გეგმავს მის მოსკოვში გამოცემას. გალაკტიონი მასპინძლებს უყვება, როგორ აჩვენა დედამისმა, მაკრინე ადგიშვილმა, 8-9 წლის გალაკტიონის ლექსები ილია ჭავჭავაძეს და აცნობს დედამისისთვის ილიას მიერ გაგზავნილ წერილს, რომელშიც აქებს დამწყებ პოეტს და ამბობს, რომ განსაკუთრებული მზრუნველობა სჭირდება.

➤ 14008

1957

**6 აგვისტო**

წერს უსათაურო ლექსს „სოხუმი... ჩვენი ცხუმი...“.

➤ 14009

1957

**14 აგვისტო**

სახელმწიფო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი გასცემს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის ტირაჟის ბეჭდვის ნებართვას.

➤ 14010

**1957**

**20 აგვისტო**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მართალი სიტყვა“ თარგმანი.

➤ 14011

**1957**

**31 აგვისტო**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსები „ოქტომბრის წიგნით“, „თებერვლის შემდეგ“ და „ყველაფერი შეიძლება მოხდეს...“.

➤ 14012

**1957**

**ზაფხული**

ჟურნალის „ცისკარი“ რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე ჯანსუღ ჩარკვიანს აგზავნის წყნეთში მყოფ გალაკტიონთან, რომ ჟურნალისთვის რაიმე ლექსი გამოატანოს. სახლის ღობესთან მდგომი ჩარკვიანი ხედავს წყნეთელ გლეხთან მდგომ პოეტს, რომელიც სათლიდან მუჭით იღებს და მიირთმევს მაცვალს. როდესაც გლეხს ფასს ეკითხება და ყიდვას აპირებს, იგებს, რომ მან მაცვლის სახელი არ იცის ქართულად და „ჟივაკას“ ეძახის. გალაკტიონი ძალიან ბრაზდება. გაოცებულ მაცვლის გამყიდველს, რომელიც მისი ვინაობით ინტერესდება, ჯანსუღ ჩარკვიანი ხუმრობით პასუხობს, ქალაქის მილიციის უფროსიაო.

➤ 14013

**1957**

**ზაფხული**

წყნეთის ავტობუსში ხვდება ცოლშვილთან დასასვენებლად მიმავალ ალექსანდრე ბანძელაძეს და მას მთელი ოჯახით თავის აგარაკზე გადასვლას სთავაზობს. შემდეგ მხატვრობის შესწავლის სურვილს უმჟღავნებს და საჭირო ხელსაწყოების ყიდვაში დახმარებას სთხოვს. აქვს კიდევ ერთი ჩანაფიქრი, რომ მხატვარმა ბალახში ფეხშიშველა მდგომი დახატოს, როგორც რეპინმა დახატა ლევ ტოლსტოი. მეორე დილით ელის მხატვრის გამოჩენას, მაგრამ ის მისვლას ვერ ახერხებს.

➤ 14014

## ს ე ქ ე მ ბ ე რ ი

**1957**

**7 სექტემბერი**

იმყოფება სოხუმში და რუსულ ენაზე წერს აფხაზი მწერლის – დიმიტრი გულიასადმი მიძღვნილ უსათაურო, სახუმარო ლექსს „Гулия – не Гуляние“.

➤ 14015

**1957**

**11 სექტემბერი**

გალაკტიონ ტაბიძე მწერალთა კავშირის ბაღში ზის კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად, როდესაც მათთან მიდის ლადო მრელაშვილი და აცნობს რევაზ მიშველაძეს. გალაკტიონი და კონსტანტინე რაღაც თემაზე მსუბუქი იუმორით საუბრობენ, ვიდრე მათ მწერალთა კავშირიდან წინა თოფჩიშვილი არ უხმობს.

➤ 14016

1957

### 12 სექტემბერი

უბის წიგნაკში ანგარიშობს, რა დაუჯდება საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის 2015 წევრისთვის თავისი 60 წლის იუბილეზე მოსაწვევი ბარათების გაგზავნა ფოსტით, რა დაუჯდება საპაერო (ავია) ფოსტით და რა დაუჯდება, თუ ნახევარს ჩვეულებრივი ფოსტით გაუგზავნის და ნახევარს – საპაეროთი.

➤ 14017

1957

### 17 სექტემბრამდე

ინიშნავს იმ საქმეებს, რომლებიც 17 სექტემბერს მოგვარებული უნდა ჰქონდეს. გეგმაში პირველ ადგილს იკავებს „ზარია ვოსტოკას“ ანთოლოგიაში შესატანი ლექსის გამომცემლობისთვის მიწოდება. გარდა ამისა, აპირებს იგივე ლექსი გადასცეს მხატვარს, რომელიც ნაწარმოების ტექსტს პლაკატზე გადაიტანს.

➤ 14018

1957

### 17 სექტემბრამდე

გამოსაქვეყნებლად მიაქვს ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსის ანდრო პატარაიასეული რუსული თარგმანი.

➤ 14019

1957

### 17 სექტემბრამდე

წერს უსათაურო ლექსს „ჰარიქა, მიშველეთ...“.

➤ 14020

1957

### 18 სექტემბერი

იგებს თავისი ბიძაშვილის, იოსებ ტაბიძის გარდაცვალების ამბავს.

➤ 14021

1957

### 19 სექტემბერი

მიდის თავისი ბიძაშვილის, იოსებ ტაბიძის პანაშვიდზე და ნათესავებთან ერთად იხსენებს 1905 წლის რევოლუციის პერიოდს და სამსონ წითელიშვილის რაზმის ამბებს.

➤ 14022

1957

### 19 სექტემბერი

რვეულს თავფურცელზე აწერს „აკადემიის რვეული“ და იწყებს მასში სხვადასხვა სახის ჩანაწერების კეთებას.

➤ 14023

1957

### 19 სექტემბერი

საკუთარ გამოცემებზე სამუშაოდ მიდის მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც წიგნთსაცავის ახლოს, სამკითხველო დარბაზში უთმობენ საწერ მაგიდას. ძალიან კმაყოფილია იმით, რომ მაგიდა ყველაზე მყუდრო ადგილზეა მოთავსებული.

➤ 14024

1957

### 23 სექტემბერი

ფეხით ლაშქრავს უძოს მთას.

➤ 14025

1957

### 24 სექტემბერი

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „ზემოთიდან წამოვედით“.

➤ 14026

1957

### 27 სექტემბერი

დღიურში იწერს თეი კეკელიძის მონათხრობს იმის შესახებ, იოსებ გრიშაშვილმა ოვანეს თუმანიანის ქალიშვილ აშხენთან გალაკტიონის წარდგენისას როგორ გაკენწლა ტიციან ტაბიძე – ის უფრო კრიტიკოსია, ეს კი ნამდვილი პოეტიო.

➤ 14027

1957

### 28 სექტემბერი

მეცნიერებათა აკადემიაში ხვდება კონსტანტინე გამსახურდიას და საუბრისას შეახსენებს მის მიერ ოდესღაც ხუმრობით ნათქვამს, ქართულ მწერლობაში გალაკტიონი რომ არ ყოფილიყო მის ადგილს ნესტორ ტაბიძე დაიკავებდაო.

➤ 14028

1957

### 28 სექტემბერი

ემზადება მასშტაბური გამოფენისა და პოეზიის სადამოსთვის, გეგმავს, რომ სპეციალურად ამ ღონისძიებებისთვის დაიბეჭდოს გაზეთი. ფიქრობს გაზეთის სათაურსა და მის სტრუქტურაზე, სურს, გამოცემის საწყის გვერდზე განთავსდეს ასოთამწყობების, მბეჭდავების, ამკინძავეების საერთო წერილი. აპირებს, მასში გამოსაქვეყნებლად შეარჩიოს საკუთარი პორტრეტი.

➤ 14029

1957

### 28 სექტემბერი

მეცნიერებათა აკადემიაში ნახულობს ვარლამ თოფურიასა და ანგია ბოჭორიშვილს. შემდეგ გადაინაცვლებს სამკითხველო დარბაზში, სადაც საკუთარი მაგიდა აქვს გამოყოფილი. მოსწონს იქაური სიმყუდროვე და აპირებს, რომ ყოველდღე იაროს იქ სამუშაოდ.

➤ 14030

1957

### 28 სექტემბერი

იმყოფება მეცნიერებათა აკადემიის სამკითხველო დარბაზში. აღიზიანებს გიორგი ჯიბლაძის საქციელი და დარწმუნებულია, რომ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გაირკვევა, თუ ვისი სამუშაო სივრცე აჯობებს.

➤ 14031

1957

**28 სექტემბერი**

ფიქრობს მეცნიერებათა აკადემიის სამკითხველო დარბაზში მუშაობის უპირატესობებზე. აპირებს, იქაურ სამკითხველოში ყოველდღიურად გაეცნოს ჟურნალ-გაზეთებს. დღიურში იწერს იქ მომუშავეთა სახელებს: ფატი დიღია, ანგია ბოჭორიშვილი და დავით გამეზარდაშვილი.

➤ 14032

1957

**28 სექტემბერი**

აპირებს, დაგეგმოს თავისი შემოქმედების სრული აკადემიური კრებულის მომზადება და გამოცემა.

➤ 14033

1957

**28 სექტემბერი**

იმყოფება მეცნიერებათა აკადემიაში და ესწრება აკადემიკოსთა კრებას, რომელზეც კენჭისყრის წესით უნდა აირჩიონ საზოგადოებრივ მეცნიერებათა თავმჯდომარე. ანგია ბოჭორიშვილი, ვისაც მანამდე ეს თანამდებობა ეკავა, კანდიდატად ასახელებს გიორგი წერეთელს. დასახელებულ კანდიდატს მხარს უჭერს არნოლდ ჩიქობავა, რომელიც სიტყვით გამოდის კრებაზე და პოზიტიურ კონტექსტში საუბრობს გიორგი წერეთლის შესახებ. იმართება კენჭისყრა და იმარჯვებს გიორგი წერეთელი ცხრამეტი ხმით ერთის წინააღმდეგ.

➤ 14034

1957

**28 სექტემბერი**

განაწყენებულია გიორგი ჯიბლაძესა და ვიღაც უცნობ პირზე, თუმცა ფიქრობს, რომ ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა და საბოლოოდ, მისი მოწინააღმდეგეები სხვანაირად, მწარედ გაიცინებენ.

➤ 14035

1957

**28 სექტემბერი**

აპირებს ორშაბათს, 30 სექტემბერს მივიდეს ფატი დიღიასთან. ფიქრობს, რომ ამ შეხვედრით დაიწყება გალაკტიონოლოგიის საქმეზე მუშაობა.

➤ 14036

1957

**30 სექტემბერი**

აპირებს, ყოველდღე იაროს მეცნიერებათა აკადემიაში და იმუშავოს აკადემიის სამკითხველო დარბაზში.

➤ 14037

1957

**30 სექტემბერი**

მწერალთა კავშირიდან მეცნიერებათა აკადემიაში გადააქვს თავისი თხზულებათა რვატომეულის მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მერვე ტომების ამონაბეჭდები. როდესაც ამ მასალას სამკითხველო დარბაზში, საკუთარ სამუშაო მაგიდაზე განათავსებს, ამჩნევს, რომ

აკლია მეექვსე ტომი. ეს ფაქტი აფიქრებს და ვერ ხვდება, ამ ტომის წამოღება დაავიწყდა თუ ვინმემ ამოიღო გადმოსატანი მასალებიდან.

➤ 14038

1957

### 30 სექტემბერი

ფიქრობს, რომ აუცილებელია მეცნიერებათა აკადემიაში თავი მოეყაროს მისი თხზულებების ყველა ტომს და მათი შესწავლის შედეგად დადგინდეს, რომელი ტექსტები უნდა დაიბეჭდოს ხელახლა, რათა შეივსოს მისი მომავალი გამოცემა.

➤ 14039

1957

### 30 სექტემბერი

სურს თხზულებათა აკადემიური და არაკადემიური გამოცემების მოსამზადებლად საჭირო ყველა წიგნი და მასალა დაგროვდეს მეცნიერებათა აკადემიაში. უპირველესად, ეს შეეხება წყნეთის სახლში არსებული პოემების ხელნაწერებს, ასევე, მარჯანიშვილის ქუჩაზე, მის ბინაში შენახულ, გადაბეჭდილ ტომებს. მისი აზრით, როცა ყველაფერი ერთად მოიყრის თავს, მეცნიერებათა აკადემიაში იქნება მასალა რუსული პწკარედების მოსამზადებლად გამოძეგმლობა „ზარია ვოსტოკასთვის“ და თხზულებათა სხვა გამოცემებისთვის.

➤ 14040

1957

### 30 სექტემბერი

აპირებს წყნეთში წასვლას, თავისი პოემების ხელნაწერების წამოღებას და მეცნიერებათა აკადემიაში მიტანას. ეს საქმე მნიშვნელოვნად მიაჩნია და ამიტომაც უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ არ უნდა დაავიწყდეს აღნიშნული საკითხის მოგვარება.

➤ 14041

1957

### 30 სექტემბერი

ფიქრობს, თუ რა არის საჭირო საიმისოდ, რომ მისმა თხზულებათა გამოცემებმა და ნაწარმოებების ხელნაწერებმა ერთად მოიყაროს თავი და მომზადდეს ბაზა თხზულებათა აკადემიური და არაკადემიური გამოცემებისთვის. მოსაგვარებელი საკითხების ჩამონათვალი და სირთულე ამრწუნებს, განიცდის იმ არეულობას, რაც მის გარშემოა და არ იცის, როდის დადგება ის დღე, როცა სამომავლო გამოცემებისთვის ყველაფერი დალაგებული და მომზადებული იქნება.

➤ 14042

1957

### 30 სექტემბერი

აპირებს, რომ უახლოეს დღეებში მბეჭდავს გადასცეს თავისი თხზულებათა რვატომეულის პირველი, მეექვსე და მერვე ტომები.

➤ 14043

1957

### სექტემბერი

რუსთაველის პროსპექტზე შემთხვევით ხვდება პოეტ შოთა ბაღდავაძეს, რომელიც თავის ვანელ მეგობრებთან ერთად არის. ახალგაზრდები ესალმებიან და გასაუბრებას ცდილობენ. პოეტი შოთას მამას, დავით ბაღდავაძეს მოიკითხავს. შოთა გამბედაობას იკრებს და ვანის გაზეთის „კოლმეურნის მნათობი“ ოქტომბრის რევიოლუციის საიუბილეო ნომრისთვის ლექსს სთხოვს.



გალაკტიონი ეუბნება, რომ თხოვნას უცებ შეუსრულებს. აჰყავს სასტუმრო „თბილისის“ მეორე სართულზე და მბეჭდავს კარნახობს თავის ახალდაწერილ ლექსს. ქალი ნელა მუშაობს, მაგრამ პოეტი კარნახს აგრძელებს. ბოლოს ნაბეჭდს სათაურად აწერს „40 წელი“, სასვენ ნიშნებს სვამს, „გალაკტიონში“ „ქ“-ს „კ“-დ ასწორებს და მემანქანეს 2 ათმანეთიანს უტოვებს. წამოსვლისას ბაღდავაძეს სთხოვს, რომ ლექსი გაზეთში დაბეჭდვამდე არავის აჩვენოს, განსაკუთრებით თბილისში მყოფებს. ახალგაზრდები პოეტის სადმე დაპატიჟებას ცდილობენ, მაგრამ მწერალთა კავშირში გადაუდებელ საქმეებს იმიზეზებს და ემშვიდობება.

➤ 14044

## ოქტომბერი

1957

### 1 ოქტომბერი ან ადრე

გალაკტიონის თხოულებათა მერვე ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით მასწავლებელთა სახლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელის იური ჩიკვაიძის ინიციატივით იპოლიტე ვართაგავა ამზადებს პოეტის შემოქმედებით საღამოს და ამ შემთხვევისთვის გალაკტიონს სთხოვს ფოტოს, პოეტი კი პასუხობს, რომ დიდი ხანია თავის ყოფილ პედაგოგ იპოლიტე ვართაგავასთან სურს სურათის გადაღება და ითანხმებს.

➤ 14045

1957

### 1 ოქტომბერი

წერს უსათაურო ლექსს „ამ ჩემს მაგიდას რვა უჯრა აქვს...“.

➤ 14046

1957

### 1 ოქტომბერი

გალაკტიონი იური ჩიკვაიძესთან ერთად სტუმრობს იპოლიტეს ვართაგავას წერეთლის ქუჩაზე და იქვე ახლოს მდებარე შიხმანის ფოტოატელიეში სურათის გადასაღებად გაყოლას სთხოვს. პოეტს იგი ხელკავით მიჰყავს შიხმანთან და იღებენ ფოტოს, მაგიდასთან შუაში ზის იპოლიტე ვართაგავა, ხოლო მის გვერდით გალაკტიონ ტაბიძე და იური ჩიკვაიძე.

➤ 14047

1957

### 1 ოქტომბერი

მაღაზიაში მყოფს შემაწუხებლად ექავება ხელისგული, რასაც ამჩნევს ლიმონათის გამყიდველი ქალი და ეუბნება, რომ ეს ფულის მიღების მომასწავებელია.

➤ 14048

1957

### 1 ოქტომბერი

იმყოფება საამკინძაო ცეხში, სადაც ეუბნებიან, რომ მისი თხოულებათა რვატომეულის მერვე ტომი აკინძულია, მაგრამ ჯერ ყდაში ჩასმული არ არის. ჰპირდებიან, რომ ერთ კვირაში დაასრულებენ მუშაობას და წიგნი საბოლოოდ მზად იქნება.

➤ 14049

1957

### 1 ოქტომბრის შემდეგ

იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის თხოულებათა რვატომეულის მერვე ტომი. მასში შედის პოემის „მშვიდობის წიგნი“ ფრაგმენტები და 89 ლექსი: --- („წინ, წინ სამშობლო მხარე...“), --- („რაც გადმოირღვა ზვირთები ვრცელი...“), --- („მოდენილი სულით და გულით...“), --- („ჰაერი, სავსე საღამოს ყინვით, და მოვარდნილი ფიქრის გორები...“), --- („იყო მდიდარი სახლის ერთი მდიდარი

კუთხე...“), “(„ქალაქთა ბნელთა თვალუწვდენელ კალიდოსკოპს...“), “(„წინ, წინ, სინათლისაკენ გასწით თავგამოდებით!..“), “(„ქალიშვილი წიგნით! ჩვენს მშობლიურ გზაზე...“), “(„მუდმივ თოვლით განათებულ ზურმუხტოვან ალკებს შორის...“), “(„გვახსოვს ოქტომბრის დღეთა სიდიდე...“), “(„და დადუმდა ათასი მთა, მომლოდინე მწუხარ ჩრდილის...“), “(„ვგრძნობთ: არ გვიხსნის ათასგვარი ბჭობა, მეფე, თუნდაც ღმერთი...“), “(„გაჰქრეს ბნელი ჟრიამული, ის რუტინა უხუცესი...“), “(„ვთქვათ: მთად სამზეო და სანიავე აღმართე ძეგლი...“), “(„აქ ხილულ ოცნებას თან სდევნ ჯადონი...“), “(„ჩვენ გავიარეთ შინდარი, ტბეთი...“), “(„სალამო ხანს ქობულეთზე ზღვიდან მოდის მშვიდი დარი...“), “(„შავი ზღვის პირად ხე იდგა მრუდე...“), “(„თითქო რაღაც ამბავი გაუგია...“), “(„მთიდან მთაზე ცისარტყელა ანათებს...“), “(„ნაძვის ხეებს ელვარება ანთებს სიახლოვითა...“), “(„ზევიდან ბრწყინავს ცა წმინდა, ქვევით მთებია და ჭალა...“), “(„სიმალღებზე აღმართული ნანგრევო ტაძრის...“), “(„დიდზე დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა ომი...“), “(„მათ საფლავებს ვინმე ქვეყნად თუ იპოვის ნეტა?...“), “(„ამაოებავ! ვგრძნობ, რად არ აპვი...“), “(„მიანგრია რა მთა კლდეებით გადანარავი...“), “(„გემი ვით არ იცნობს ზღვას ვრცელს და განიერს...“), “(„ისტორიულად, მედგარ ჭენებით ყოველ ჟამს, ყოველ საომარ დროში...“), “(„არეს მრავალ გარდასულ წლის გადასცქერის ნანგრევი...“), “(„ხელშეკრულება, დადებული ერთხელ არავთან...“), “(„როცა ფერხულში შედის თამარი...“), „ახალ ტალღას“, “(„აგერ, ღობიდან გიცქერს კამური...“), “(„თბილისის მთანი კლდიანნი გადასახულან მტკვარზე...“), “(„დიდად მჭევრმეტყველობენ, მაგრამ დიდად ცდებიან...“), “(„სალამი ცისკრის ადამიანებს – ამ ზეცას, მიწას და ზღვას მზიანებს...“), “(„სარკმელი საღამომ და ფარდამ დაბურდა...“), “(„სადაც არ უნდა ვიქნეთ, გინდ აქ, გინდ ცხრა მთას იქით...“), “(„ხალხთ მეგობრობა... ეს ნატვრა მამა-პაპათა ან დედათ...“), “(„ნება მომეცით შევაქო ლექსით სინათლე, არა უსინათლობა...“), “(„ეხლა კი დროა, მშრომელო, რომა დაფასდეს შენი ღვაწლი და შრომა...“), “(„ბევრი რამ მაქვს მე თქვენთან სამმო, საამხანაგო...“), “(„კედელს, შექმნილს რაიმეთი, ბრმად გათიშულ ერთა შორის...“), “(„მოგზაურობდეთ, ქადაგებდეთ ქალაქად, სოფლად...“), “(„რტოო პალმისა, მშვიდობის რტოო!..“), “(„ყველაფერი შეიძლება მოხდეს...“), “(„შავი ზღვის ნაპირს რომ ჩამოუვლის...“), “(„აურია, დაურია ხალხს ომებმა გზა და კვალი...“), “(„მლიერზე ძლიერი, მქუხარედ ხმირი...“), “(„ჰომნი მშვიდობას – ბედი ქართლისა...“), “(„ჰიტლერის გულში უდავო რღვევის და გახრწნის ტბორია...“), “(„სალამო ხანად ელვარე რამა მოეფინება პროსპექტებს თრთოლა...“), “(„მოწმეა რბევის და თარეშის ხვადგურის...“), “(„მგელი ბატკანს შეხვდა ნავსად...“), „ჩინეთი“, „პარიზი“, „იფნის შოლტივით მოქნეულ გზაზე“, “(„იქ, სად მზისფერი ეხვევა ცისფერს...“), “(„მუხებს ჩოხათ საქილეში ჩაუწყვიათ რკოები...“), “(„რაც ეს გაჩნდა – ხეივანი ტყის – წერწეტა, ნაზი, ნელი...“), “(„იფნის ბალიდან ნიაღვართ მკონი...“), “(„ნისლი მთიდან მოდის დაბლა, ტყე ალერსით მოითაფლა...“), “(„ამ ოდესმე მხიარული გზით უყვარდათ სიარული...“), “(„ჩვენი იფნის ტყიდან ისმის ხმაურობა უძოს ხევის...“), “(„ზემოთიდან წამოსული ხმაურობენ, ვით მაყრები...“), “(„უსპეტაკესი ზეცა ლურჯი ბროლია მინის...“), “(„რა კარგია, მყინვარო, ხედვა შენი მზიანი...“), “(„აფხაზეთის წვიმა მიყვარს, იცი რად?...“), “(„ამ შემოდგომის გზათა სიავით...“), “(„ო, გაზაფხულო, მე შენ გიჯერი, შენ მერცხალივით შემოიჭერი...“), “(„რისთვის მაგონებ, ვაზზე მიმობნეულო ნამო...“), “(„პირველ აგვისტოს ღამით თოვლი მოვიდა შოვში!..“), „ტუია“, “(„მიცურავს, როგორც ხომალდი ზღვაზე...“), “(„გზები გაუვალი და გზები გავლილი...“), “(„გმირის სახეს ქარდაქარ თლის...“), “(„არის მკითხველი მშვენიერ წიგნის...“), “(„მოხარული ვიყავ და მოხარული ვიქნები...“), “(„მეხედე: ხარობს მხარე ბრწყინვალე, წარსული აწმყო და დიდი ხვალე...“), “(„სუფთა სინდისი, სისპეტაკე და სიმკვეთრეა...“), “(„განა ლექსს სიკვდილი დასძლევს? პირიქით!..“), “(„ურემს დიდის სიმწრის ალით მიათრევდა გზად ყვეარი...“), “(„გიორგი! ეხლა მზრუნველს და მომვლელს...“), “(„ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...“), “(„ილია მღერის – ვაჰმე!..“), “(„ო, ნანა, ნანა, ნანა...“), “(„მე ვუსმენდი ხალხს მომღერალს...“).

➤ 14050

1957

## 1 ოქტომბრის შემდეგ

თხზულებების VIII ტომში ლექსების სათაურებთან აკეთებს აღნიშვნებს.

➤ 14051

1957

1 ოქტომბერი

გეგმავს საკუთარი არქივის დალაგება-მოწესრიგებას. ფიქრობს, რომ ბევრი რამ შეიძლება დაეტიოს ავტოფარეხში, თუმცა, ვიდრე იქ მასალებს განათავსებს, საჭიროა სივრცის კარგად მოწყობა.

➤ 14052

1957

1 ოქტომბერი

აპირებს, მოძებნოს თავისი თხზულებათა რვატომეულის მეექვსე ტომი და მიამატოს აკადემიის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ მასალებს.

➤ 14053

1957

1 ოქტომბერი

ყიდულობს ვალერიან გაფრინდაშვილის 1956 წელს გამოცემულ „რჩეულს“.

➤ 14054

1957

1 ოქტომბერი

ახსენდება მის მიერ ჩაფიქრებული წიგნის – „ასი პოეტი“ – იდეა. ამ გამოცემაში ასი სხვადასხვა პოეტის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები უნდა გამოქვეყნებულიყო, თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა.

➤ 14055

1957

1 ოქტომბერი

წყნეთის ავტობუსის მძღოლი დაჟინებით სთხოვს, რამე დაწეროს სატრანსპორტო სფეროსა და მასში მომუშავე ადამიანებზე.

➤ 14056

1957

2 ოქტომბერი

აკადემიის ბიბლიოთეკიდან გალაკტიონთან მიაქვთ მისი თხზულებათა რვატომეულის მეორე, მესამე, მეოთხე და მეშვიდე ტომები. ამჩნევს, რომ მასალას აკლია პირველი, მეხუთე და მეექვსე ტომები. ახსენდება, რომ პირველი ტომი სადღაც ჰქონდა მანქანაზე გადაბეჭდილი, ხოლო მეხუთისა და მეექვსის საკითხი გაურკვეველია.

➤ 14057

1957

2 ოქტომბერი

იგებს, რომ ლიტერატურის მუზეუმის თანამშრომელ ნინო ჩიხლაძეს, რომელსაც 28 სექტემბერს შეხვდა, მოუძნალებია მის შემოქმედებასთან დაკავშირებული მასალები.

➤ 14058

1957

10 ოქტომბრამდე

ათი ოქტომბრიდან ოც ოქტომბრამდე პერიოდისთვის დაგეგმილია გალაკტიონის შეხვედრები რაჭა-ლეჩხუმის მშრომელებთან ცაგერში, ამბროლაურში, ონსა და ლენტეხში.

➤ 14059

1957

#### 10 ოქტომბერი

ოთახში ხვდება ძმისწულის, ნოდარ ტაბიძის წერილი. ატყობინებს, რომ დაუტოვეს ქვითარი, რომლის მიხედვითაც გადასახდელი აქვთ ივლისის და აგვისტოს ბინის ქირა 181 მანეთი და 76 კაპიკი. ვადა აქვთ მიმდინარე დღის ბოლომდე. სთავაზობს, რომ თანხა დაუტოვოს და გადაიხდის.

➤ 14060

1957

#### 10 ოქტომბრის შემდეგ

იბეჭდება ლევან ასათიანის „რჩეული ნაწერების“ პირველი ტომი, რომელშიც მოთავსებულია კრიტიკოსის 1933 წელს გამოქვეყნებული სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 14061

1957

#### 12 ოქტომბერი

ადგენს აგარაკზე განსახორციელებელი სამუშაოების გეგმას, რომელსაც გალაკტიონთან ერთად ხელს აწერენ მისი მეუღლე ნინო კვირიკაძე, ოჯახის დამხმარე ქალი ირმა პაპაშვილი და შვილიშვილი მარინე ფირცხალავა, რომელიც „კაკინად“ არის მოხსენიებული.

➤ 14062

1957

#### 12 ოქტომბერი

მოკლე ბარათს იღებს სოლომონ ცაიშვილისგან. სწერს, რომ მეოთხე დღეა აკითხავს და ვერ ნახულობს. სჭირდება მისი ფოტოსურათი გაზეთისთვის.

➤ 14063

1957

#### 12 ოქტომბერი

ივანე ბერიტაშვილი ჩუქნის თავის წიგნს „მოდღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში“ წარწერით: „გალაკტიონ ტაბიძეს, პატივისცემით“.

➤ 14064

1957

#### 14 ოქტომბერი

უბის წიგნაკში იწერს, რომ ხრამჭესის ასაშენებლად საბჭოთა კავშირმა გერმანელი ტყვეები გამოიყენა, მშენებლობის დასრულების შემდეგ კი მათი ხელმძღვანელი დახვრიტეს. ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ხრამჭესთან არის გერმანელთა სასაფლაო.

➤ 14065

1957

#### 14 ოქტომბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ საბჭოთა პარტიული მოხელის – პეტრე შარიას სახლი ერთ კვირაში აშენდა. აზუსტებს, რომ შარიას სახლის ახლოს არის ძველი სასაფლაო.

➤ 14066

1957

**14 ოქტომბერი**

არკვევს, რომ წყნეთის გზა, რომელიც ძველი ეგონა, სინამდვილეში შედარებით ახალი ყოფილა, ხოლო ნამდვილად ძველი გზა გადიოდა კონსტანტინე გამსახურდიას სახლის გვერდით.

➤ 14067

1957

**16 ოქტომბრის შემდეგ**

ეცნობა რუსულ ჟურნალს „ხალხთა მეგობრობა“. აკეთებს ხაზგასმებსა და კომენტარებს, დასასრულს ჩამოწერს ჟურნალში ნახსენებ საინტერესო ავტორებს: ვლადიმერ მაიაკოვსკი, ეგიშე ჩარენცი, იანკა კუპალა, ლეო ქიაჩელი, კორნეი ჩუკოვსკი, სამედ ვურგუნი და სხვ.

➤ 14068

1957

**18 ოქტომბერი**

აკვირდება ვარსკვლავებიან ცას, ამჩნევს, რომ ერთი ვარსკვლავი მოწყდება. უბის წიგნაკში ინიშნავს ვილაცის მიერ ნათქვამ ფრაზას ვარსკვლავის მოწყვეტის შესახებ: „შენ წადი, მე არ წამოვალ“. გარდა ამისა, იწერს გავრცელებულ წარმოდგენას, თითქოს ვარსკვლავის მოწყვეტისას თუ რამეს ჩაიფიქრებს ადამიანი, აუცილებლად აუსრულდება. იქვე განმარტავს, რომ, ზოგადად, ძნელია რამის ჩაფიქრება მოასწრო ასეთ უკიდურესად მცირე დროში.

➤ 14069

1957

**18 ოქტომბერი**

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „მამაშვილო, მამაო“, რომლის ადრესატებიც არიან ალიო მამაშვილი და იოსებ გრიშაშვილი.

➤ 14070

1957

**18 ოქტომბერი**

ფიქრობს, რომ ათი რიკულით შეიძლება შესანიშნავი ტრიბუნის გაკეთება, რომელიც გამოადგება სხვადასხვა ღონისძიების დროს.

➤ 14071

1957

**20 ოქტომბრამდე**

გეგმავს ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყოს შემოქმედებითი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მისი წიგნები, ლექსების ილუსტრაციები, პლაკატები.

➤ 14072

1957

**20 ოქტომბრის შემდეგ**

სოხუმიდან იღებს მისი სახლის რემონტზე პასუხისმგებელი პირის – კონსტანტინე ლაზარიდის წერილს. ადრესანტი აგებინებს იმჟამინდელ ვითარებას და ითხოვს დამატებით თანხას.

➤ 14073

1957

**22 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ილიას სიმღერა“ ანდრო პატარაიასეული თარგმანი.

➤ 14074

1957

### 23 ოქტომბერი

ხვდება და ესაუბრება მიტროფანე ჩიქოვანს, შემდეგ კი უბის წიგნაკში ინიშნავს მის ნაამბობს, რომლის მიხედვითაც, რუს მწერალს, ანა ანტონოვსკაიას ილია ჭავჭავაძის იუბილეზე, ოპერაში, უთქვამს, საქართველოს შეუძლია მსოფლიო მასშტაბის შვილები დაჰზადოსო.

➤ 14075

1957

### 23 ოქტომბერი

განცხადებით მიმართავს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ ვლადიმერ მგალობლიშვილს. წერს, რომ 1908 წლის 28 სექტემბერს ერთდროულად დაიბეჭდა მისი თითო ლექსი გაზეთში „ამირანი“ და ჟურნალში „ახალი კვალი“. შესაბამისად, 1958 წელს სრულდება სალიტერატურო ასპარეზზე მისი გამოსვლის 50 წელი. სთხოვს, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით მისი თხზულებების რვა ტომის საფუძველზე გამოიცეს დიდი ერთტომეული. იქვე დასძენს, რომ მასალა მზად ექნება სულ მოკლე ხანში.

➤ 14076

1957

### 24 ოქტომბერი

წერს უსათაურო ლექსს „აი, ამ ადგილიდან“.

➤ 14077

1957

### 26 ოქტომბერი

აპირებს სახელმწიფო გამომცემლობაში შეხვდეს ილია აროსიას, რევაზ ორჯონიკიძეს და ამ ორგანიზაციის პარტიული კომიტეტის წარმომადგენელს, რომ გაარკვიოს წიგნების გამოცემის საკითხი და ასევე, დაელაპარაკოს 15 ნოემბერს სახელმწიფო გამომცემლობაში ჩასატარებელი ღონისძიების შესახებაც.

➤ 14078

1957

### 26 ოქტომბერი

აპირებს ლენინის (ახლანდელი თავისუფლების) მოედანზე არსებულ ფოტოატელიეში ფოტოების გადაღებას.

➤ 14079

1957

### 26 ოქტომბერი

გეგმავს, მწერალთა კავშირსა და მეცნიერებათა აკადემიაში მისვლას. ამ დაწესებულებებში საქმეების მოგვარების შემდეგ ჯერ საპარიკმახეროში უნდა შეიაროს, შემდეგ კი, იქვე, საპარიკმახეროსთან არსებულ სადურგლოში და დურგალს მოელაპარაკოს.

➤ 14080

1957

### 26 ოქტომბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მოსაგვარებელი აქვს პერანგისა და წინდების მოწესრიგების საქმე.

➤ 14081

1957

**29 ოქტომბერი**

იმყოფება სახლში, ელოდება დურგალს, რომელიც ოთხი საათისთვის უნდა მივიდეს და მოაგვარებინოს გასაღებების პრობლემა.

➤ 14082

1957

**29 ოქტომბერი**

აპირებს მეორე დილით რკინიგზელთა სახლიდან ძმისშვილის – ნოდარ ტაბიძისა და ორიოდე მუშის დახმარებით მისი შემოქმედების ამსახველი გამოფენის სტენდები გადაიტანოს სახელმწიფო გამომცემლობაში, სადაც 15 ნოემბერს მისი პოეზიის საღამო და გამომცემლობის თანამშრომლებთან შეხვედრა უნდა მოეწყოს.

➤ 14083

1957

**29 ოქტომბერი**

გეგმავს დაუკავშირდეს ქუთაისელ მკვლევარ ქეთევან სანიკიძეს და მოაგვაროს ქუთაისში დაგეგმილი ღონისძიების საკითხი. ფიქრობს, რომ ეს ღონისძიება, რომელიც გულისხმობს გამოფენის მოწყობასაც და მკითხველთან შეხვედრასაც, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება და დაემსგავსება იმ ერთ დღეს, რომელიც შესძრავს კაცობრიობას.

➤ 14084

1957

**29 ოქტომბრამდე**

29 ოქტომბერს იგეგმება გალაკტიონის შემოქმედებითი საღამოს მოწყობა ქუთაისში.

➤ 14085

1957 ან ადრე

**ოქტომბერი**

ილიას საიუბილეო დღეებში ქართველ მწერალთა ჯგუფთან ერთად სტუმრობს საგურამოს და საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე ეუბნება, რომ ის არის თანამედროვეობის ილია და ერთადერთი რამ აკლია – ტყვია შუბლში!

➤ 14086

1957

**ოქტომბერი**

წერს ოქტომბრის რევოლუციის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილ ლექსს „ორმოცი წელი“.

➤ 14087

1957

**ოქტომბერი**

მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე საჩვენებლად სხვა კულტურულ ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულია ქართული წიგნის გრაფიკისა და პლაკატის გამოფენა, რომელიც დეკადამდე თბილისში სიმონ ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის პირველ სართულზე იხსნება. გალაკტიონი ხშირად სტუმრობს ამ გამოფენას და შთაბეჭდილებების სპეციალურ წიგნში წერს, რომ ქართული წიგნის გამოფენა მუდმივმოქმედი უნდა იყოს და გამოფენის ხელმძღვანელებს მისი წიგნების გამოფენასაც სთავაზობს.

➤ 14088

## ნოემბერი

1957

### 1 ნოემბერი

გახარებულია, იმით, რომ სტამბაში მიტანისთანავე, საოცრად სწრაფად დაიბეჭდა საგამოფენო სტენდზე გასაკრავი წარწერა „გალაკტიონოლოგია“. ეს სიტყვა, მისი აზრით, ახალი, ისეთი ლიტერატურული მოძრაობის აღმნიშვნელია, რომელიც უახლოეს მომავალში შესძრავს კაცობრიობას. აღფრთოვანებისგან აღარც ის ახსოვს, სად გაეზნა გაზეთები, აღარც ხელჯოხი ახსენდება, მხოლოდ და მხოლოდ გალაკტიონოლოგიასთან დაკავშირებული აზრებით და იდეებითაა გატაცებული. საგამოფენო სტენდებისთვის ქართულ და რუსულ ენებზე მომზადებული, წარწერა „გალაკტიონოლოგია“ შეუმჩნეველი არ რჩებათ სტამბის თანამშრომლებს. ასოთამწყობები და სტამბის ზედამხედველი ინტერესდებიან ამ სიტყვის მნიშვნელობით. მათი ყურადღება გალაკტიონს პოზიტიურ ემოციებს კიდევ უფრო უძლიერებს და ფიქრობს, რომ დიდებული დღეა, რადგან იწყება გალაკტიონოლოგიით საზოგადოების დაინტერესება.

➤ 14089

1957

### 2 ნოემბერი

ატყობინებენ საბოლოო, დაზუსტებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლებთან მისი შეხვედრა მოეწყობა 15 ნოემბერს. კმაყოფილია, რადგან მოსწონს ღონისძიებისთვის შერჩეული თარიღი.

➤ 14090

1957

### 2 ნოემბერი

მეცნიერებათა აკადემიისკენ მიმავალს, გზად ხვდება ილია ფალიანი, რომელიც გამოელაპარაკება და ჰკითხავს, მიიღო თუ არა მისთვის გაგზავნილი მისდამი მიძღვნილი ლექსი.

➤ 14091

1957

### 2 ნოემბერი

იმყოფება მეცნიერებათა აკადემიაში, ზის საკუთარ მაგიდასთან და ფიქრობს, რომ უნდა ისარგებლოს შექმნილი სამუშაო პირობებით. ათვალისწინებს მასალას და ამჩნევს, რომ უკვე საკუთარი თხზულებათა რვატომეულის ყველა ტომი აქვს, გარდა პირველისა. ფიქრობს, მოხერხდება თუ არა რომ მომზადდეს მისი დიდი ერთტომეულები სახელმწიფო გამომცემლობისთვის, „ზარია ვოსტოკასა“ და მეცნიერებათა აკადემიისთვის. ამგვარი მასშტაბური გამოცემების განსახორციელებლად, მისი აზრით, საჭირო იქნება დიდი მუშაობის ჩატარება შინ და გარეთ, ოჯახის ორგანიზება და ჯანმრთელობის აღდგენა.

➤ 14092

1957

### 2 ნოემბერი

მეცნიერებათა აკადემიაში ყოფნისას, სამომავლოდ გამოსაცემ წიგნებსა და ჩასატარებელ ღონისძიებებზე ფიქრის დროს, ახსენდება, რომ აკადემიაში არის საამკინძაო, სავარაუდოდ, არიან მხატვრებიც. იმედი აქვს, რომ მხატვრები დაეხმარებიან იმ სტენდის გაფორმებასა და სასტენდო წარწერების მომზადებაში, რომლებიც სახელმწიფო გამომცემლობაში 15 ნოემბერს დაგეგმილ შეხვედრაზე უნდა გამოიფინოს. ფიქრობს, რომ ამგვარი დახმარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა სახელმწიფო გამომცემლობაში არავინ არაფრის გამკეთებელი არ არის და, შესაბამისად, ღონისძიების ორგანიზებაშიც ვერავის ჩართავს.



➤ 14093

1957

## 2 ნოემბერი

რუსულ გაზეთში „სავეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება ფრაგმენტები გალაკტიონ ტაბიძის ახალი პოემიდან „სამშობლო“ სათაურით „საბჭოთა საქართველოს“. თარგმანი შესრულებულია ბორის სერებრიაკოვის მიერ.

➤ 14094

1957

## 2 ნოემბერი ან შემდეგ

ინიშნავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის თანხა დახარჯა ბოლო ორი თვის განმავლობაში. მიუთითებს, რომ ორ სექტემბერს შემნახველ სალაროში ჰქონდა 9. 324 მანეთი და 80 კაპიკი, ორ ოქტომბერს – 6 424 მანეთი, ხოლო ორ ნოემბერს აქვს – 2 000. მისი გამოთვლით, ორ თვეში დახარჯული თანხის ოდენობა შეადგენს 7 324 მანეთს.

➤ 14095

1957

## 5 ნოემბრამდე

აპირებს სახელმწიფო გამომცემლობაში მისვლას, თანამშრომლებთან შეხვედრას და საკუთარი წიგნების გამოცემის საკითხის გარკვევას. ასევე გეგმავს, დააზუსტოს სახელმწიფო გამომცემლობაში 15 ნოემბერს ჩასატარებელი ღონისძიების საკითხი.

➤ 14096

1957

## 6 ნოემბერი

გაზეთ „კომუნისტის“ პირველ გვერდზე იბეჭდება ოქტომბრის რევოლუციის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსი „ორმოცი წელი!“.

➤ 14097

1957

## 7 ნოემბერი

რუსთაველზე ხვდება პოეტ ალექსანდრე შანიძეს და მასთან ერთად იღებს ფოტოს.

➤ 14098

1957

## 7 ნოემბერი

ვანის რაიონული გაზეთში „კოლმეურნის მნათობი“ აქვეყნებს ლექსს „40 წელი“.

➤ 14099

1957

## 7 ნოემბერი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ოქტომბრის წიგნით“ ანდრო პატარაიასეული თარგმანი.

➤ 14100

1957

## 7 ნოემბერი

დღიურში წერს, რომ სოხუმში მისი სახლი ჯერ ისევ დაუსრულებელია.

➤ 14101

1957

**9-10 ნოემბერი**

საიუბილეო ერთტომეულის მოსამზადებლად შეისწავლის თხზულებათა რვატომეულის თითოეულ ტომს. მუშაობას იწყებს პირველი ტომით, აღმოჩნდება, რომ ეს ტომი სამ ეგზემპლარად აქვს გადაბეჭდილი. ფიქრობს, რომ ამ ტექსტების ორიგინალებთან შედარება შესაძლებელი იქნება მხოლოდ საჯარო ბიბლიოთეკაში.

➤ 14102

1957

**9-10 ნოემბერი**

ნინო კვირიკაძესთან და ოჯახის დამხმარე ქალთან – ირმა პაპაშვილთან ერთად ალაგებს თავისი თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის მასალას, ამზადებს საიუბილეო გამოცემაში შესატანად ტექსტებს, რისთვისაც ფურცლებად შლიან სტამბაში დაბეჭდილ წიგნს და შერჩეულ ლექსებს აწებებენ თაბახის ფურცლებზე. მუშაობის შედეგად მერვე ტომის მასალის შერჩევის შედეგად გამოდის 127 გვერდი.

➤ 14103

1957

**10 ნოემბერი**

ალაგებს თხზულებათა რვატომეულის მერვე ტომის მასალებს, რის შემდეგაც წერს უსათაურო ლექსს „ჩვენ ვსარგებლობთ ხელუხლები ფონდით“.

➤ 14104

1957

**10 ნოემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „ყოველ დილით ხილი იგრძენ ხილად“.

➤ 14105

1957

**10 ნოემბერი**

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად თავისი საიუბილეო ერთტომეულის მოსამზადებლად შეისწავლის თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომში შეტანილ მასალას. ნინო კვირიკაძის დაკვირვებით, თხზულებათა მეორე ტომის ტექსტები მთლიანად შედის „ოქტომბრის წიგნში“. გალაკტიონს ახსენდება, რომ ეს წიგნი გადასცა სერგი ჭილაიას, ხოლო მისი ასლი შენახული აქვს აკადემიაში. გადაწყვეტს, რომ მომდევნო დღეს „ოქტომბრის წიგნი“ აკადემიიდან შინ წაიღოს.

➤ 14106

1957

**10 ნოემბერი**

მუშაობს საიუბილეოდ გამოსაცემ დიდ ერთტომეულზე. წიგნის შედგენის მიზნით შეისწავლის თხზულებათა რვატომეულის მესამე ტომის მასალებს, ითვლის ამ ტომიდან შერჩეული, ხელახლა გამოსაქვეყნებელი ლექსებისა და სტრიქონების რაოდენობას. საბოლოოდ ირკვევა, რომ მესამე ტომი შეიცავს 6 117 სტრიქონს და აერთიანებს ას ორმოცდაცხრა ლექსსა და ერთ პოემას.

➤ 14107

1957

**10 ნოემბერი**

აგრძელებს მუშაობას საიუბილეოდ გამოსაცემ დიდ ერთტომეულზე, დეტალურად შეისწავლის თხზულებათა რვატომეულის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ტომებს, არკვევს, რა ნაწარმოებები უნდა შეიტანოს ახალ გამოცემაში, რომელი ტექსტები აკლია, მათგან რომლებია სასწრაფოდ გადასაბეჭდი და ჩასამატებელი ახალი გამოცემის მაკეტში.

➤ 14108

1957

### 10 ნოემბერი

ერთტომეულის შესადგენად გადასინჯული რვატომეულის მასალის დალაგების შედეგად არკვევს, თითოეული ტომიდან რამდენი სტრიქონი შევა ერთტომეულში. ამის შემდეგ აჯამებს დიდ ერთტომეულში შესატანი ლექსებისა და პოემების სტრიქონების რაოდენობას და იღებს 55000 სტრიქონს.

➤ 14109

1957

### 10 ნოემბერი ან შემდეგ

აპირებს განცხადებით მიმართოს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ ვლადიმერ მგალობლიშვილს და მოითხოვოს საიუბილეო, დიდი ერთტომეულის გამოცემა, რომელიც შედგენილი იქნება თხზულებათა რვატომეულში შეტანილი ნაწარმოებებისაგან.

➤ 14110

1957

### 12 ნოემბერი

სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის სახელზე წერს განცხადებას რჩეული თხზულებების ერთტომეული გამოცემის თაობაზე.

➤ 14111

1957

### 13 ნოემბერი

ანტერესებს, რა პასუხს მიიღებს სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის, ვლადიმერ მგალობლიშვილისაგან, რომელსაც უკვე წარუდგინა განცხადება თავისი თხზულებათა დიდი ერთტომეულის გამოცემის თაობაზე. უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას, რომ ოფიციალური პასუხი მის განცხადებას დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, დეკემბრის შუა რიცხვებში გაეცემა.

➤ 14112

1957

### 13 ნოემბერი

უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს, რომ რამდენიმე დღის წინ მწერალთა კავშირში გამართულ სხდომაზე მწერალთა გამოსვლებს ასაკის გამოვლინების ნიშნები ეტყობოდა. სანდრო შანშიაშვილი ხაზს უსვამდა თავის მოხუცებულობას, იოსებ გრიშაშვილი კი მიკნავებული ხმით საუბრობდა თავის ხანდაზმულობაზე, ასეთივე იყო კონსტანტინე გამსახურდიას, გამოსვლა, რომელშიც იგი უარყოფდა განსხვავებას პოეზიასა და პროზას შორის. გაკვირვებულია სერგი ჭილაიას სიტყვებით, რომ მოსკოვის დეკადაზე უმთავრესად ქართულ პროზას წარადგენენ. ამფოთებს ქართული პოეზიის უგულვებელყოფა. ფიქრობს, რომ ვიდაცებს სურთ პოეტები და პროზაიკოსები ერთმანეთს დაუპირისპირონ. მიაჩნია, რომ პოეზიის ჩრდილში მოქცევისთვის იღვწიან ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია და სერგი ჭილაია, რომელთაც მხარს უჭერს მწერალთა კავშირის სამდივნო. შედეგად დეკადაზე ქართული მწერლობა გათიშული მიდის. ფიქრობს, რომ სიმონ ჩიქოვანი, ირაკლი აბაშიძე და სერგი ჭილაია მიზანმიმართულად იბრძვიან მის წინააღმდეგ, რათა დეკადაზე სათანადოდ არ წარმოჩნდეს მისი ღვაწლი.

➤ 14113

1957

### 13 ნოემბერი

იღებს, რომ 20 ნოემბერს, ერთ-ერთი მწერლის საღამოს დაესწრება და შესავალ სიტყვას იტყვის გამომცემლობის დირექტორი ვლადიმერ მგალობლიშვილი. ამავე საღამოზე მოხსენებით უნდა გამოვიდეს ფატი ნიშნიანიძეც. ფიქრობს, ისარგებლოს შემთხვევით და როგორმე ფატი ნიშნიანიძეს ამ ღონისძიებაზე ათქმევინოს, რომ აუცილებელია გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვატომეულის დიდ ერთტომეულად გამოცემა. ფიქრობს, რომ შეხვედრაზე ამგვარი განცხადების გაკეთება ეფექტური იქნება, რადგან ღონისძიებას გამომცემლობის დირექტორის გარდა პოეტებიც დაესწრებიან.

➤ 14114

1957

### 14 ნოემბერი

გაზეთის „კოლმეურნის მნათობი“ რედაქტორ შოთა ბაღდავაძისგან იღებს იმ ნომერს, რომელშიც მისი ლექსი „40 წელი“ არის დაბეჭდილი.

➤ 14115

1957

### 15 ნოემბერი

იღებს წერილს სოხუმის სახლის რემონტზე პასუხისმგებელი პირის – კონსტანტინე ლაზარიდისაგან, რომელიც ატყობინებს, რომ შეთანხმებისამებრ, როცა გალაკტიონი და ნინო კვირიკაძე წავიდნენ სოხუმიდან, წერილი მისწერა, მაგრამ პასუხი არ მიუღია და ამიტომ ხელახლა სწერს. აცნობებს სოხუმის სახლში მიმდინარე რემონტის დეტალებს, სთხოვს, დამატებით გაუგზავნოს 250-300 მანეთი, რათა დასრულდეს იატაკის დაგება. გარდა ამისა, ატყობინებს იმასაც, რომ უკვე იწყებს ელექტროგაყვანილობის მოწესრიგებასაც და თითოეული ჭალის ფასი იქნება 650-700 მანეთი. სთხოვს, აცნობოს, დააყენონ თუ არა ეს ჭალები და რამდენი. ითხოვს, მალე გასცეს პასუხი, რათა რემონტი დროულად დასრულდეს.

➤ 14116

1957

### 16 ნოემბერი

კონსტანტინე ლაზარიდს, რომელიც მისი სოხუმის სახლის რემონტს ხელმძღვანელობს, სწერს წერილს და უგზავნის 400 რუბლს, რათა ბოლომდე დააგონ ოთახებში იატაკი. ასევე, აცნობებს, რომ ჭალების შექმნა და დაყენება ჯერჯერობით საჭირო არ არის, ამას მაშინ მოაგვარებს, როცა თვითონ ჩავა სოხუმში. სთხოვს, დეპუტით შეატყობინოს როგორ მიდის მშენებლობის საქმე, კერძოდ, გააგებინოს ინფორმაცია აივნის, სააბაზანოსა და სამზარეულოს რემონტის შესახებ და მოგვარებულია თუ არა წყლის გაყვანის საკითხი.

➤ 14117

1957

### 16 ნოემბერი

წერს მოსკოვში, სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორთან, არკადი დევეთან გასაგზავნ წერილს, სთხოვს, გაარკვიოს, ვინ იქნება მისი რუსულ ენაზე გამოსაცემი წიგნის რედაქტორი. გარდა ამისა, აინტერესებს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი წიგნის შესახებ, კერძოდ, რამდენ ფორმას მოიცავს, რამდენი სტრიქონი იქნება მასში შეტანილი და როდის გამოიცემა. ამავე შინაარსის წერილის გაგზავნას აპირებს მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელ სოფია ხითაროვასთან და სერგი ჭილაიასთან.

➤ 14118

1957

### 16 ნოემბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს ახალგაზრდა პოეტის – გიორგი მექოშვილის სახელსა და გვარს.

➤ 14119

1957

### 20 ნოემბერი

ვარაუდობს, რომ ბევრმა იცის მისი სამომავლო გეგმების შესახებ, რადგან, როგორც კი სახლში იტყვის რამეს, მეორე დღესვე ცნობილია საზოგადოებისთვისაც. მისი აზრით. ინფორმაცია შინიდან გააქვთ ოჯახის წევრებს. ეჭვობს, რომ მისი ბოლო პერიოდის იდეების შესახებ, გარდა ოჯახისა, შესაძლებელია გაეგოთ სტამბიდან, ასევე – ბესარიონ ჟღენტისა და სერგი ჭილაიასგან. უკვირს, რატომ უშლიან ხელს მისი სამომავლო ჩანაფიქრის განხორციელებას, თუმცა დარწმუნებულია, რომ მიუხედავად წინააღმდეგობებისა, მაინც ყველაფერს მოაგვარებს.

➤ 14120

1957

### 20 ნოემბერი

დამით ეცნობა გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1957 წლის 16 ნოემბრის ნომერს. მის ყურადღებას იპყრობს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 1914 წელს აკაკი წერეთლის მონაწილეობით ქუთაისში გამართული ლიტერატურული სადამო ფოტოზე აღუბეჭდავს ფოტოგრაფ ნიკო საღარაძეს და ახლა, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, ეს ფოტომასალა უსასყიდლოდ გადაუცია საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივისთვის. ყურადღებით აკვირდება გაზეთში გამოქვეყნებულ ფოტოს, რომელზეც აღბეჭდილნი არიან: ტიცინი ტაბიძე, გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე), იროდიონ ევდომვილი, ვარლამ რუხაძე, აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ლადო დარჩიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ისიდორე კვიციანიძე, გალაკტიონ ტაბიძე, აკაკი სვანი (მარგიანი), ბარნაბა გალაზონია (გელა), მიხეილ ჯანოვეი (ნემო), ია ეკალაძე, ილია ბახტაძე, თეოფილე ხუსკივაძე, კონსტანტინე გამსახურდია (აბაშისპირელი), ჯაჯუ ჯორჯიკია, დავით მეზუკე (ცვარ-ნამი), ლელი ჯაფარიძე. გალაკტიონი ითვლის ფოტოზე აღბეჭდილ ადამიანებს, ჰყოფს მათ სხვადასხვა თაობების წარმომადგენლებად, ინიშნავს, რამდენია მათ შორის ცოცხალი, აღწერს რამდენიმე პიროვნების ჩაცმულობას, გამომეტყველებას, ხასიათს, ცდილობს, ივარაუდოს, რას ფიქრობდნენ ისინი ფოტოს გადაღების დროს. ბოლოს კი სინანულით აღნიშნავს, რომ ფოტოზე გამოსახულთაგან ყველა, მის გარდა, საკმაოდ უზრუნველყოფილი იყო მატერიალურად, მას კი, იმ დღეს სადილის ფულიც კი არ ჰქონდა. ახსენდება ისიც, რომ ყველას პატივს სცემდა, თუმცა არცერთ მათგანთან დაახლოებული არ ყოფილა ისე, რომ საკუთარ გაჭირვებაზე ესაუბრა, პირიქით, სიდუხჭირეს არც კი იმჩნევდა და თავი ლორდივით ეჭირა. აგონდება ისიც, რომ დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში იყო მისი ბიძაშვილი, ტიცინი ტაბიძე, რომელსაც მაშინ ჯერ კიდევ ტიტია ერქვა. იმასაც აღნიშნავს, რომ ზოგიერთების, მაგალითად, კონსტანტინე გამსახურდიასაგან განსხვავებით, ახალგაზრდობაში მას არავინ დახმარებია და რასაც მიაღწია, მხოლოდ საკუთარი ძალით, სხვების დაუხმარებლად. სურათზე დაკვირვებისა და მისი აღწერის პროცესი ძალიან მოსწონს და ფიქრობს, თითოეული ფოტოს შესახებ რომ ამდენი წეროს ავტობიოგრაფია გამოუვა.

➤ 14121

1957

### 20 ნოემბერი

ახსენდება 1914 წლის ამბები და თავისი პირველი ლექსების წიგნის გამოქვეყნების პერიოდი, ზაფხული, როდესაც ბიძაშვილთან, ტიცინი ტაბიძესთან ერთად იმყოფებოდა ჭყვიშში და შესწიოდა, რომ მის ახლადგამოცემულ ლექსების კრებულს ბედი არ ჰქონია, რადგან ომი დაიწყო და წიგნის ნაცვლად გერმანია შეუდგა ქვეყნის აფეთქებას.

➤ 14122

1957

### 20 ნოემბერი

ლამით იხედება ფანჯრიდან, უყურებს პირველ თოვლს, ფიქრობს, რომ წყნეთშიც თოვლი იქნება. გრძნობს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ატყობს, რომ გრიპი თანდათან უკან იხევს.

➤ 14123

1957

### 20 ნოემბერი

მასთან სტუმრად მოდის ბიძაშვილის, ეთერ ტაბიძის ქმარი და შვილი, რომელიც, როგორც ირკვევა, მშვენიერ ლექსებს წერს. სტუმრების გაცილების შემდეგ ახსენდება ბავშვობა, ჭყვიშის ეზო, ბავშვური ჩხუბის დროს ეთერი როგორ გაიქცეოდა და ღობის მეორე მხრიდან გასაბრაზებლად როგორ ემახდა „გალოკტიანი გამოშტრილი“ – ე. ი. გამოშტერებული გალაკტიონი.

➤ 14124

1957

### 20 ნოემბერი

საქართველოს ლიტფონდის დირექტორი და ბუღალტერი ატყობინებენ, რომ მასზე ირიცხება დავალიანება შემოქმედებითი მივლინებისთვის გაცემული მიზნობრივი თანხა 3 000 მანეთი და ითხოვენ ხსენებული დავალიანების დაუყოვნებლივ დაფარვას.

➤ 14125

1957

### 20 ნოემბრის შემდეგ

იბეჭდება გრიგოლ კვიციანი „მეტყველების სტილის საკითხები“, რომელშიც ერთი პარაგრაფი ეთმობა გალაკტიონის პოეტური სტილის დახასიათებას. ავტორის თქმით, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკის აღნიშნულ თავისებურებებს მივყავართ ისეთ დიდ თანამედროვე ხელოვანთან, როგორცაა გალაკტიონ ტაბიძე. გალაკტიონის ლირიკა, კრიტიკოსის აზრით, გენეტიკურად სწორედ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფილოსოფიური მღელვარებით აღბეჭდილი“ პოეზიასთანაა დაკავშირებული. ქართული პოეზიის წინაშე გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთ დამსახურებად გრიგოლ კვიციანი იმას მიიჩნევს, რომ პოეტმა ჩვენს ლიტერატურაში მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვა ფილოსოფიური იერით შეღებილ, უცხო, შორეულ ლექსიკას. ავტორი მიუთითებს კიდევ ერთ არსებით ასპექტზე, რაც ბარათაშვილისა და გალაკტიონის ფილოსოფიური ლირიკის საწყისად გვევლინება – ეჭვის გრძნობაზე. კრიტიკოსის თქმით, ნიკოლოზ ბარათაშვილი გალაკტიონის წინამორბედი იყო არამხოლოდ ფილოსოფიური წყურვილისა და გრძნობათა მხატვრული გამოსახვის, არამედ პოეტური ლექსიკის თვალსაზრისითაც. თუ ბარათაშვილმა ქართულ პოეზიაში დაამკვიდრა ცისფერის კულტი, ბედისა და ქროლვის მოტივები, გვაზიარა იდუმალებისა და ბუნდოვანების, მინიშნების ესთეტიკას, გალაკტიონმა თავისებურად განავითარა ბარათაშვილის პოეტური ენა. გრიგოლ კვიციანი საუბრობს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის არამხოლოდ საერთო, არამედ განმასხვავებელ ნიშნებზეც. მართალია, ორივე ხელოვანის მიერ გამოძღვარებული ფილოსოფიური წყურვილი თავისთავშივე შეიცავდა ლირიზმს, მაგრამ გალაკტიონთან, გრიგოლ კვიციანის დაკვირვებით, ამ ნიადაგზე წარმოშობილ ლირიზმს აღარ გააჩნდა ბარათაშვილისებური მღელვარების ხარისხი. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი თვითონ ეძებდა პასუხს და ამიტომ ძიებისათვის დამახასიათებელ მღელვარებასაც ამჟღავნებდა, ხოლო გალაკტიონი კი სხვების მიერ უკვე მოწოდებულ უიმედო პასუხს ეყრდნობოდა. გალაკტიონის პოეზიის ერთ თავისებურებას, რაც მას ძლიერ აახლოებს ნიკოლოზ

ბარათაშვილთან, კრიტიკოსის თქმით, გრძნობათა აწმყო წარმოადგენს. იგი თავის წარსულზე ხშირად ლაპარაკობს, მაგრამ იმგვარად, რომ განცდის ხარისხით ეს წარსული აწმყოსგან არ გამოირჩევა, თუმცა თუ ბარათაშვილი მაინც ახერხებდა მორეოდა, დაუფლებოდა საკუთარ გრძნობებს, გალაკტიონს „გრძნობები ისე დაეუფლნენ, რომ ხანდახან ისინი ურეფლექსიო განცდების სახითაც კი გვევლინებოდნენ“. სწორედ ამ გარემოებით ხსნის გრიგოლ კიკნაძე იმ ფაქტს, რომ თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები მყარი კომპოზიციით ხასიათდება და მის ლექსებში ყოველთვის თვალსაჩინოა სემანტიკური კავშირი სტროფებს შორის და სტროფებს შიგნით, გალაკტიონის სიმბოლისტურ პოეზიაში ეს კავშირები ხშირად ნათელი არაა და პოეტი ზოგჯერ თავისუფალ ასოციაციებსაა აყოლილი. მკვლევარი მიუთითებს, რომ გალაკტიონის სიმბოლისტური პერიოდის პოეზიას ტრადიციული პოეზიის კრიტერიუმებით, ტრადიციული პოეტიკის გადმოსახედიდან ვერ შევაფასებთ, რამდენადაც გალაკტიონის მხატვრულ აზროვნებას ჩვეულებრივი ლოგიკა კი არ წარმართავს, არამედ თავისებური პოეტური ლოგიკა, რომელიც ასოციაციებს ეყრდნობა.

➤ 14126

1957

### 21 ნოემბერი

აპირებს ოჯახისათვის საკვების მომარაგებას, ჩამოწერს, რა რაოდენობის შაქარი, კარაქი, კარტოფილი, მაკარონი, ბრინჯი და სხვა პროდუქტი დასჭირდებათ ზამთრისთვის. სურს ეს ყოველივე შეიძინონ ორი დღის განმავლობაში.

➤ 14127

1957

### 21 ნოემბრის შემდეგ

იგებს სოლომონ ცაიშვილის გარდაცვალების ამბავს, რომელიც, მისი აზრით, ძალიან კარგი კაცი იყო. დარდობს, რომ ავადმყოფობის გამო უკანასკნელ გზაზე ვერ გააცილა. აინტერესებს, როგორ არის გარდაცვლილის ვაჟი, ახალგაზრდა ლიტერატორი სარგის ცაიშვილი, რომლის შესახებ ბოლო პერიოდში არაფერი სმენია.

➤ 14128

1957

### 25 ნოემბერი

კითხულობს ავსტრალიელი მწერლის ფრენკ ჰარდის მოთხრობას „ათი შილინგი“ და უბის წიგნაკში იწერს ამ ნაწარმოების ერთ ფრაგმენტს, რომელიც შეეხება წიგნთსაცავის ახლოს, პარკისკენ მიმავალ, ღარიბულად, მაგრამ სუფთად ჩაცმულ, მიუსაფარ კაცს, რომელიც იძულებულია ღამე ღია ცის ქვეშ გაატაროს.

➤ 14129

1957

### 25 ნოემბერი

ავსტრალიელი მწერლის ფრენკ ჰარდის მოთხრობისგან – „ათი შილინგი“ მიღებული შთაბეჭდილებით იწყებს ლექსის წერას, მაგრამ ორიოდვე სტრიქონის შემდეგ აღარ აგრძელებს.

➤ 14130

1957

### 27 ნოემბერი

იმყოფება სახლში ნინო კვირიკაძესა და ოჯახის დამხმარე ქალთან – ირმა ჰაპაშვილთან ერთად. საკუთარ კაბინეტში მყოფს ესმის, რომ მეორე ოთახში ტელეფონი განუწყვეტლივ რეკავს. ბოლოს ყურმილს იღებს ირმა, ორიოდვე წინადადებას ეტყვის უცნობს, მერე ყურმილს გადადებს, ნინო კვირიკაძესთან მიდის, რაღაცას ატყობინებს და კვლავ ტელეფონს უბრუნდება, უცნობთან

საუბარს აგრძელებს, გვარს ეკითხება, კვლავ გადადებს ყურმილს და ნინოს აცნობებს, რომ ვინმე ჟორდანია რეკავს. ამ ცერემონიების და ნინოსთან მოლაპარაკების შემდეგ ირმა შედის გალაკტიონის კაბინეტში და ატყობინებს, რომ ტელეფონთან სთხოვენ. გალაკტიონს ქალების ქმედება ირონიულად განაწყობს, თავისი კაბინეტიდან გამოდის და ტელეფონის ყურმილს იღებს. თანამოსაუბრე შალვა ჟორდანია ეუბნება, რომ მიხეილის სახელობის საავადმყოფოში იწვნენ ერთად, მაგრამ გალაკტიონი ვერ იხსენებს. ჟორდანიას სურს, რომ გალაკტიონი მის ნაწერებს გაეცნოს, მაგრამ ისე კი, რომ ნაწერების შინიდან გატანა არ მოუხდეს, სწორედ ამის გამო სთხოვს, მასთან სახლში მისვლას. ჰპირდება, რომ მანქანას გაუგზავნის. გალაკტიონი ეუბნება, რომ გრიპი აქვს და მისვლას ვერ მოახერხებს. ნინო კვირიკაძეს ეს ყველაფერი უცნაურად ეჩვენება, ამბობს, რომ ეს ჟორდანია შეიძლება მოგზავნილი იყოს. გალაკტიონს მეუღლის ვარაუდი რეალობად მიაჩნია, რადგან თვითონაც ჰგონია, რომ მის მოქიშპე ლიტერატორებს სურთ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის წინ რამე ხიფათს გადაჰკიდონ.

➤ 14131

1957

### 27 ნოემბერი

ფიქრობს მოსკოვში ჩასატარებელი ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის შესახებ, აღელვებს იმის გაცნობიერება, რომ შესაძლებელია, ლიტერატურულმა მტრებმა ხელი შეუშალონ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილეობაში. საექვოდ ეჩვენება ის ფაქტი, რომ მის სახლში ბოლო ერთი კვირის მანძილზე უცნაური ხალხი დადის სტუმრად, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც მანამდე მასთან არასდროს ყოფილან. ვარაუდობს, რომ რაღაცას უწყობენ, რათა თავისი მიზნების და ლიტერატურული ჩანაფიქრების განხორციელების საშუალება არ მისცენ.

➤ 14132

1957

### 28 ნოემბერი

ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს აწვდის თავისი თხზულებების მერვე ტომს და ეუბნება, რომ ის ზომით სამჯერ დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მტრებმა მოახერხეს და ამ ზომაზე დაიყვანეს. მტრებს შორის ასახელებს გიორგი ლეონიძეს, ალიო მაშაშვილს, სიმონ ჩიქოვანს და ირაკლი აბაშიძეს. მათ ბერიას კულებს ეძახის. ამბობს, რომ ისინი ბერიაზე წერდნენ ლექსებს და მისი კეთილგანწყობით სარგებლობდნენ. გალაკტიონი კი ბერიას არ უყვარდა და დღემდე უკვირს, რომ დაჭერას და დახვრეტას გადარჩა. ყვება, რომ ფუტურისტებს, ცისფერყანწელებს, არიფიონს, გრიშაშვილს, გამსახურდიას და გრიგოლ ცეცხლაძესაც კი („თოლაბულისის სარტყელი“) თავ-თავისი ხაზი და მიმართულება ჰქონდათ, მაგრამ გალაკტიონი არცერთთან არ მოიაზრებოდა. თავხედობად მიიჩნევს იმას, რომ ალიო მაშაშვილმა დაწერა „მე და ბარათაშვილი“ და ისევ ბეჭდავს. წერს, რომ გერონტი ქიქოძემ არიფიონის ჯგუფი სათავისოდ მოიხმარა, თუმცა სულისჩამდგმელი მიხეილ ჯავახიშვილი იყო. პოეტი ამბობს, რომ სიმართლის უთქმელობა ბუნდოვანებას იწვევს. თაროდან იღებს იოსებ გრიშაშვილის „სახალხო კალენდარს“ და საიათნოვას სახელით გამოქვეყნებულ ლექსზე ამბობს, რომ ეს რეალურად იოსებ გრიშაშვილის გადაკეთებულია, მაგრამ ასეთი ფაქტების შესახებ არავინ იცის და როდესაც გალაკტიონმა თავის ჟურნალში აღნიშნა, რომ საიათნოვა მეორეხარისხოვანი პოეტია, გაუკვირდათ. გრიშაშვილი რომ გაიძახის, ძველი თბილისიო, განა თბილისს მარტო კინტოები შეადგენდნენ, ალბათ მალე გაირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსანიც“ თბილისშია დაწერილი. პოეტი იხსენებს მისდამი ვასილ ბარნოვისა და დავით კლდიაშვილის კეთილგანწყობას და აღნიშნავს, რომ მათ იგი არამიკერძოებულობისთვის მოსწონდათ, აფასებდნენ, რომ ის ხალხის ფიქრებს, გრძნობებს, წუხილს და სიხარულს გამოხატავდა. გულისტკივილით აღნიშნავს, რომ მას თავისი ხაზის გასატარებლად არც ჟურნალი აქვს და არც გაზეთი და მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრიც კი არ არის. სასაცილოდ მიაჩნია მის გვერდით გიორგი ლეონიძისა და სიმონ ჩიქოვანის ხსენება, რადგან ძალიან განსხვავდებიან. ამბობს, რომ მომავალი წლისთვის მისი მიზანი ქართულ და რუსულ ენებზე წიგნების მომზადებაა.



➤ 14133

1957

**28 ნოემბერი**

ტელეფონით ატყობინებენ, რომ გარდაიცვალა კრიტიკოს რომანოზ ფანცხავას მეუღლე.

➤ 14134

1957

**28 ნოემბერი ან შემდეგ**

წერს ხარიტონ ვარდოშვილისა და გიორგი კაჭახიძისადმი მიძღვნილ სახუმარო ლექსს „ერთს ჰქვია გიორგი, მეორეს ხარიტონ...“.

➤ 14135

1957

**28 ნოემბერი ან შემდეგ**

წერს გიორგი კაჭახიძისადმი მიძღვნილ ეპიგრამას „...ხელში ნაჯახითა“.

➤ 14136

1957

**28 ნოემბერი ან შემდეგ**

წერს ლექსს „ვაშინგტონი“.

➤ 14137

1957

**30 ნოემბერი**

ძმისწული ნოდარ ტაბიძე ესაუბრება მისი თხზულებების მერვე ტომზე. აღნიშნავს, რომ ყველაზე მეტად მოსწონს განყოფილებები: „იფნის შოლტივით მოქნეულ გზაზე“ და „პოეტი და ხალხი“, ლექსებიდან კი „აფხაზეთის წვიმა მიყვარს...“. გალაკტიონს სურს, რომ ტომი ასახავდეს ხალხის ინტერესებს და სურს, რომ გადახედოს ნიკიტა ხრუშჩოვის მოხსენებას, რომელშიც ის საუბრობს მწერლობის წინაშე მდგარი ამ მოთხოვნის შესახებ. გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ კითხულობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ლენინური პრემიის კანდიდატების სია 31 დეკემბრამდე უნდა იყოს წარდგენილი. გალაკტიონი ამბობს, სტალინური პრემია არ მომცეს და ეს მაინც უნდა ავიღო. ფიქრობს, ამისათვის მისი თხზულებების მერვე ტომი კარგი მიზეზია, მაგრამ ფიქრობს, ვინ უნდა წარადგინოს. აკადემიას უფლება არა აქვს, მწერალთა კავშირი კი უარს ეტყვის. გალაკტიონი გეგმავს, რომ ეს ტომი „ზარია ვოსტოკას“ გამოაცემინოს და პრემიაზე წარდგენაში ამ გამომცემლობის დირექტორი მარკ ზლატკინი დაიხმაროს. ნოდარს უთანხმდება, რომ ორშაბათს გაყვეს დიმიტროვის ქარხანაში სტენდების წამოსაღებად.

➤ 14138

1957

**30 ნოემბერი**

მეუღლეს, ნინო კვირიკაძეს ეუბნება, რომ მომდევნო დღეს თავისი ერთადერთი პალტო უნდა ჩაიცვას, რაზედაც მეუღლე ჩაიცინებს, რომ იმ პალტოს ჩაცმა აღარ შეიძლება. გალაკტიონი მიუგებს, რომ შესაძლებელია პალტოს დაკერება და გაწმენდა და სთხოვს, წაიღოს მკერავთან. მეუღლე უარს ამბობს იმ მოტივით, რომ პალტოს ხელში ვერ დაიჭერს. საუბარში ერევა გალაკტიონის გერი ნუნუ, რომელიც აცხადებს, რომ უმჯობესია ახალი პალტო შეიძინონ, რომელიც სულ 1000 მანეთი დაჯდება. გულმოსული გალაკტიონი იძახის, რომ ამდენი ფული არ აქვს. მეუღლე ეუბნება, რომ შეუძლია ფული შემნახველი სალაროდან გამოიტანოს, სკამზე აგდებს მის პალტოს და ოთახიდან გადის. გალაკტიონი ღელავს, რადგან მომდევნო დღეს შეხვედრა აქვს პიონერთა სასახლეში. დღის ბოლოს ნინო კვირიკაძე პალტოს დაკერებას იწყებს.

➤ 14139

1957

### 30 ნოემბერი

ტელეფონით ურეკავენ მხატვარ ფედია ჩუდეცკის ოჯახის წევრები და ატყობინებენ, რომ მხატვარი ცუდად არის. სთხოვენ დახმარებას.

➤ 14140

1957

### ნოემბერი

წერს უსათაურო ლექსს „არის ძალა ჩემს მხარეში...“.

➤ 14141

## დეკემბერი

1957

### 1 დეკემბერი

აპირებს შეხვდეს სერგი ჭილაიას და გაიგოს, ხომ არ არის რამე სიახლე რუსულ ენაზე გამოსაცემ მის ლექსების წიგნთან დაკავშირებით. ასევე აინტერესებს, ვინ შეიძლება მიიღოს მისი ახალი წიგნის შედგენის ნებართვა და ხომ არ იქნება ეს ჟურნალ „ცისკრის“ პასუხისმგებელი მდივანი რევაზ თვარაძე.

➤ 14142

1957

### 1 დეკემბერი

2 საათზე აპირებს პიონერთა სასახლეში მისვლას მასწავლებელ ნინო კაკაბაძესთან შესახვედრად.

➤ 14143

1957

### 3 დეკემბრამდე

ქვეყნდება გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ მომზადებული ქართველ და საქართველოში მოღვაწე არაქართველ მწერალთა ნაწარმოებების კრებული „დიად ოქტომბერს“, რომელშიც შეტანილია გალაკტიონის ოქტომბრის რევოლუციის ორმოცი წლისთავისადმი მიძღვნილი ლექსი „ორმოცი წელი“.

➤ 14144

1957

### 3 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „ლიტერატურნაია გაზეტა“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის სტატია, რომელიც ეძღვნება გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მიერ გამოქვეყნებულ ქართველ და საქართველოში მოღვაწე არაქართველ მწერალთა ნაწარმოებების კრებულს – „დიად ოქტომბერს“. გალაკტიონი კითხულობს ამ სტატიას და უბის წიგნაკში იწერს იმ მონაკვეთს, რომელშიც ნათქვამია, რომ კრებული იხსნება საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის ლექსით „ორმოცი წელი“.

➤ 14145

1957

### 8 დეკემბერი

ტიციან ტაბიძის ლექსების რუსულ ენაზე გამოცემულ კრებულში კითხულობს ავტობიოგრაფიას და თავის ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს ეუბნება, რომ 23 უზუსტობა მონიშნა.

➤ 14146

1957

### 8 დეკემბერი

იგებს სიახლეს, რომ იგეგმება პალეოგრაფიული ინსტიტუტის გახსნა და ისტორიულ-გეოგრაფიული ენციკლოპედიის გამოცემა. თაბახის ორ ფურცელზე ჩამოწერს თავის მოსაზრებებს სასურველი პროექტების შესახებ.

➤ 14147

1957

### 9 დეკემბერი ან ადრე

ემზადება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობის მისაღებად. უბის წიგნაკში იწერს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლების: მიხეილ კვესელავას, ციცო ჯიშკარიანისა და ისიდორე დოლიძის ტელეფონის ნომრებს, ასევე ინიშნავს სერგი ჭილაიას სახლისა და სამსახურის ტელეფონის ნომრებს, რადგან ფიქრობს, რომ ამ ადამიანებთან ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისათვის მზადების პროცესში აუცილებლად მოუწევს დაკავშირება.

➤ 14148

1957

### 9 დეკემბერი

აწესრიგებს დოკუმენტებს და აგვარებს იმ ფორმალობებს, რომლებიც აუცილებელია მისი კანდიდატურის ლენინურ პრემიაზე წარსადგენად. შემდეგ მიდის მწერალთა კავშირში, ხვდება კავშირის მდივანს – სერგი ჭილაიას და გადასცემს ამ დოკუმენტებს მოსკოვში გასაგზავნად. სერგი ჭილაია, თავის მხრივ, გალაკტიონის დოკუმენტაციას გადააბარებს მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველს, იროდიონ ქავჭავაძეს. ირკვევა, რომ გარდა ამ დოკუმენტებისა, საჭიროა კიდევ ორი ფოტოსურათი და ეს ფოტოსურათები გალაკტიონმა უახლოეს დღეებში უნდა მიიტანოს მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველთან.

➤ 14149

1957

### 9 დეკემბერი

იმყოფება მწერალთა კავშირში, სადაც მწერლები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები საუბრობენ მისი პოეზიის შესახებ. მსჯელობაში ერთვება საქართველოს რადიო-კომიტეტის ჟურნალისტი გივი თევზაძე, რომელიც საუბრის დასრულების შემდეგ მოულოდნელად ქრება. ჟურნალისტის ასე სწრაფი გაუჩინარება პოეტის გაცეცხას იწვევს.

➤ 14150

1957

### 9 დეკემბერი

უბის წიგნაკში ინიშნავს რადიო-კომიტეტის ჟურნალისტის, გივი თევზაძის სამსახურის მისამართს.

➤ 14151

1957

### 9 დეკემბერი

გოგი ჩიქობავას შესასწორებლად მისთვის სახლში მიაქვს გალაკტიონის თხზულებათა მეორე ტომის მასალები და აიმედებს, რომ პირველ ტომზე მუშაობა კარგად მიდის, ამჟამად შესადარებელია მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი უკვე გამოცემულთან. გალაკტიონს მოსწონს მისი დიდი ერთტომეულის მზადების პროცესი და აიმედებს ისიც, რომ ჩიქობავას მისი ძმისწული ნოდარ ტაბიძე დაეხმარება.

➤ 14152

1957

### 9 დეკემბერი

სასიამოვნო წერილს იღებს კრასნოდარის მხარის სოფელ იზვარინოს საბავშვო ბიბლიოთეკიდან და უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ აუცილებლად უნდა უპასუხოს.

➤ 14153

1957

### 9 დეკემბერი ან შემდეგ

კამოს ქუჩაზე მდებარე საავიაციო ტექნიკუმის თანამშრომელ მიხეილ ჯიბუტს საკუთარი იუბილესთვის უკვეთავს სურათის ჩარჩოებს და ძელსკამებს.

➤ 14154

1957

### 10 დეკემბერი

მოწმის სახით კითხავენ ოლია ოკუჯავას რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. წერილობით ჩვენებაში პოეტი მიუთითებს, რომ ოლია გაიცნო 1913 წელს, როდესაც იგი ქუთაისის ქალთა გიმნაზიის მოსწავლე იყო. პოეტს თან ახლდა ტიცინ ტაბიძე, რომელსაც უთქვამს ბიძაშვილისთვის, რომ გოგონას „გენიალური თვალები“ აქვსო. გალაკტიონის თქმით, ქუთაისში ოკუჯავების ოჯახი გამოირჩეოდა თავისი პატიოსნებით. ოლია ხალისიანი და ცოცხალი ბუნების გოგონა იყო. 1914 წლიდან იგი ასწავლიდა ჭიათურის ქალთა გიმნაზიაში, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმეებში. იგი ყველგან დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. იმთავითვე გამოირჩეოდა პირდაპირობით, კომუნისტური იდეურობით. 1917 წელს წყვილი მოსკოვში გაემგზავრა, სადაც გალაკტიონის თქმით, იგი რევოლუციური პროცესების დღიურს აწარმოებდა, ხოლო ოლია მას ეხმარებოდა. მოსკოვში ყოფნისას პოეტმა მოამზადა ლექსების კრებული, თუმცა იქ დაბეჭდვა ვერ მოახერხა, რადგან ვერ იშოვა ქართული შრიფტი. ოლია საქართველოში გასაბჭოების შემდეგ დაბრუნდა. თბილისში მან მუშაობა დაიწყო მუშათა და გლეხთა ინსპექციაში. გალაკტიონის თქმით, ერთხელ თავად მძიმედ დაავადდა და მიხაილოვის საავადმყოფოში მოათავსეს, გამოწერისას კი ოლია უკვე დაპატიმრებული დახვდა ტროცკიზმის ბრალდებით. პოეტის მტკიცებით, ოლია არასოდეს ყოფილა ტროცკისტი და სინამდვილეში ლენინის მხურვალე მხარდამჭერი იყო.

➤ 14155

1957

### 10 დეკემბერი

ესაუბრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის თანამშრომელ იოსებ ბოცვამეს და მასთან ერთად გეგმავს 1958 წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩასატარებელ ღონისძიებას.

➤ 14156

1957

### 10 დეკემბერი

ფიქრობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1958 წლის თებერვალში ჩასატარებელი ღონისძიების შესახებ. უბის წიგნაკში ინიშნავს შეხვედრის ორგანიზატორის, ამავე უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის თანამშრომლის, იოსებ ბოცვამის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რომ სასწავლო პროცესი 7 თებერვლიდან განახლდება. იქვე იწერს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პერიოდულ გამოცემათა დარბაზის თანამშრომლის – თინა რუხაძის სახელსა და გვარს და აღნიშნავს, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატშიც აქვთ

ტელეფონი. ფიქრობს, რომ ეს ინფორმაცია საჭირო იქნება ღონისძიებისათვის მზადების პროცესში.

➤ 14157

1957

10 დეკემბერი

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე – ირაკლი აბაშიძე რუსეთის მწერალთა კავშირის თანამშრომელს, მწერალ სერგეი სმირნოვს უგზავნის დეკემას და აცნობებს, რომ ლენინურ პრემიაზე სურთ წარადგინონ საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. ასევე ატყობინებს, რომ დამატებით დოკუმენტაციას უახლოეს დღეებში გაუგზავნიან.

➤ 14158

1957

10 დეკემბერი

პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი საჩუქრად გადასცემს თავის 1957 წელს გამოცემულ კრებულს „ლექსები“ და თავფურცელზე წააწერს გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსს.

➤ 14159

1957

10 დეკემბერი

მეუღლე ნინო კვირიკაძე ატყობინებს, რომ შუადღის სამ საათზე საქართველოს რადიოს მოუსმინოს. გადასცემენ მუსიკალური კვარტეტის მიერ გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე „გახსოვს, მერი“ ოთარ დიხამინჯიას მიერ დაწერილ სიმღერას, რომელსაც ადრე დები იმხნელები ასრულებდნენ. გალაკტიონს ძალიან მოსწონს და თვალზე ცრემლი ადგება.

➤ 14160

1957

10 დეკემბერი

მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე ფოტოატელიეს თანამშრომლებს: შალვა ჩოფიკაშვილს, დავით ჩიქოვანს და გიორგი ამირიძეს უძღვნის უსათაურო ლექსს „დათიკო, გიორგი, ვით ნიუ-იორკი...“.

➤ 14161

1957

11 დეკემბერი

იმყოფება მწერალთა კავშირში, სადაც სამუელ მოძღვრიშვილი სამახსოვრო წარწერით გადასცემს 1957 წელს გამოცემულ თავის პოეტურ კრებულს „ლექსები“.

➤ 14162

1957

13 დეკემბერი

წყნეთისკენ მიმავალ ავტობუსში ისმენს მგზავრების საუბარს რადიოსა და რადიო-გადაცემების წამყვანების შესახებ. უბის წიგნაკში ინიშნავს ერთ-ერთი მათგანის ნათქვამს, რომ უცნაური დრო დადგა, რადგან ლაპარაკში ადამიანები ანაზღაურებას იღებენ.

➤ 14163

1957

14 დეკემბერი

გალაკტიონის ბინაში, მის სამუშაო კაბინეტში დგამენ ტელეფონს. მისი ნომერია 3-47-31. გალაკტიონის ლიტერატურული მდივანი და თანაშემწე გიორგი ჩიქობავა ისეთი აღტაცებულია ამ ფაქტით, თითქოს ეს ტელეფონი პირადად მისთვის იყოს განკუთვნილი.

➤ 14164

1957

### 15 დეკემბერი

იმყოფება წყნეთში. ისმენს ადგილობრივ მცხოვრებთა საუბარს და უბის წიგნაკში ინიშნავს რამდენიმე კოლორიტულ ფრაზას.

➤ 14165

1957

### 16 დეკემბრამდე

მეცნიერებათა აკადემიაში იწყება მუშაობა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ტომის მომზადებაზე.

➤ 14166

1957

### 16 დეკემბერი

იწყებს უსათაურო, სახუმარო ლექსის – „ხვალ, ხვალ, ხვალ“ წერას, მაგრამ ტექსტზე მუშაობას არ ასრულებს.

➤ 14167

1957

### 16 დეკემბერი

ფიქრობს თავისი თხზულებების აკადემიური გამოცემის შესახებ, გეგმავს, ამ გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევას და ამ მიზნით მეცნიერებათა აკადემიაში მისვლას. სურს დაელაპარაკოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელს – ფილოლოგ შოთა ვაშაყმაძეს. ასევე, აპირებს, დააზუსტოს, აკადემიური გამოცემის პირველი ტომის მომზადების პროცესს ნამდვილად დიმიტრი ბენაშვილი ხელმძღვანელობს თუ ვინმე სხვა შეარჩიეს.

➤ 14168

1957

### 16 დეკემბერი

თავისი თხზულებების აკადემიური გამოცემის პირველი ტომის შესახებ ფიქრისას ახსენდება ორი პიროვნება – მიხეილ ჩიქოვანი და ალექსანდრე ბარამიძე, რომელთა ჩართვაც, მისი აზრით, ამ გამოცემის მომზადებაში გარკვეული კუთხით შესაძლებელი იქნებოდა. შემდეგ აანალიზებს, რომ მიხეილ ჩიქოვანი გიორგი ლეონიძის თანაშემწეა და, სავარაუდოდ, ამგვარი გამოცემაზე სამუშაოდ ვერ მოიცლის, ასევე საეჭვოდ მიიჩნევს ალექსანდრე ბარამიძის ჩართულობის საკითხსაც, რადგან მკვლევარი მეცნიერებათა აკადემიაში უკვე აღარ მუშაობს.

➤ 14169

1957

### 16 დეკემბერი

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „შიშმა, რიდმა, და ჯონ რიდმა...“.

➤ 14170

1957

### 16 დეკემბერი

იმყოფება გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციაში, წერს ლექსს „მაისის დროშები“ („მაისო, არა ატომის...“).

➤ 14171

1957

17 დეკემბერი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება სტატია გალაკტიონის შესახებ და მისი ლექსების „სამშობლოს“, „ქართული ორნამენტი“, „გაგონდება თუ არა...“ ვლადიმერ ბუგაევსკის, მარკ ტალოვისა და გიორგი ცაგარლისეული თარგმანები.

➤ 14172

1957

17 დეკემბერი

მწერალთა კავშირის მდივან სერგი ჭილაიასა და საქმეთა მმართველ იროდიონ ქავჭარაძეს ესაუბრება ლენინურ პრემიაზე საკუთარი კანდიდატურის წარსადგენად გასაგზავნი აუცილებელი საბუთების შესახებ.

➤ 14173

1957

17 დეკემბერი

ფიქრობს სამომავლოდ ჩასატარებელ ღონისძიებებზე და უბის წიგნაკში ინიშნავს იმ ადამიანების სახელებსა და გვარებს, რომლებმაც, შესაძლებელია, მონაწილეობა მიიღონ მის საღამოებში ან დახმარება გაუწიონ ამა თუ იმ საორგანიზაციო საკითხის მოგვარებაში.

➤ 14174

1957

17 დეკემბერი

უბის წიგნაკში იწერს, რომ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ გამოქვეყნდა კარგი სტატია მის შესახებ და ლექსების თარგმანები.

➤ 14175

1957

17 დეკემბერი

რადიოთი ისმენს მისადმი მიძღვნილ წერილს, შემდეგ კი ვერიკო ანჯაფარიძე და აკაკი ვასაძე კითხულობენ მის ლექსებს და ძალიან კმაყოფილი რჩება.

➤ 14176

1957

17 დეკემბერი

ქუთაისის გაზეთში „სტალინელი“ იბეჭდება ახალგაზრდა პოეტისა და კრიტიკოსის სიმონ არველაძის სტატია „ქართული საბჭოთა პოეზიის მშვენება“ (გ. ტაბიძის დაბადების 65 წლისთავის გამო).

➤ 14177

1957

18 დეკემბერი

სრულდება ლენინურ პრემიაზე გალაკტიონ ტაბიძის წარდგენის პროცედურისთვის დოკუმენტებისა და დეპეშების გაგზავნა მოსკოვში.

➤ 14178

1957

**18 დეკემბერი**

მეუღლე ნინო კვირიკაძე ეხმარება ერთტომეულზე მუშაობის დასრულებაში. წიგნში შეტანილია ცხრა ტომის მასალა და მოიცავს 2784 გვერდს. გალაკტიონი ფიქრობს, რომ მომდევნო დღეს გადასცეს დასაბეჭდად სახელმწიფო გამომცემლობას.

➤ 14179

1957

**18 დეკემბერი**

იმყოფება მწერალთა კავშირში, აკვირდება მოსკოვში, ლენინურ პრემიაზე მისი კანდიდატურის წარსადგენად გასაგზავნი საბუთების მოწესრიგება-მომზადების პროცესს. აძრწუნებს იმ ფაქტის გაცნობიერება, რომ მოსკოვში გასაგზავნი ეს საბუთები მწერალთა კავშირში მზადდება ზუსტად იმ ადგილას, სადაც 1937 წელს თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა.

➤ 14180

1957

**18 დეკემბერი**

სრულდება მოსკოვში, ლენინურ პრემიაზე საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის კანდიდატურის წარსადგენად აუცილებელი დოკუმენტაციის მომზადების პროცესი. მწერალთა კავშირიდან იგზავნება ოფიციალური საბუთები და შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის დეპეშები. პოეტი ფიქრობს, რომ ლენინურ პრემიაზე მისი კანდიდატურის წარსადგენად უკვე ყველაფერი მზად არის.

➤ 14181

1957

**19 დეკემბერი**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი შუამდგომლობს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ისიდორე დოლიძის, წინაშე, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დაევალოს მის რჩეულ თხზულებათა ერთტომეულის გამოცემა.

➤ 14182

1957

**19 დეკემბერი**

იგებს, რომ სერგი ჭილაია ამზადებს რუსულ ენაზე გამოსაცემ მონოგრაფიას სახელწოდებით „ქართული პროზა“. ახსენდება, კრიტიკოსის მიერ ბოლო პერიოდში არაერთხელ ნათქვამი სიტყვები, რომ მოსკოვში 1958 წლის მარტში გასამართ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე საქართველო პროზით უნდა წარმოჩინდეს და არა პოეზიით. ეჭვობს, რომ სწორედ პროზისადმი ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭება და პოეზიის ერთგვარი უგულვებელყოფა შეიძლება იყოს ლენინურ პრემიაზე მისი წარდგენის დაგვიანების მიზეზი.

➤ 14183

1957

**19 დეკემბერი**

ეჭვი უჩნდება, რომ მწერალთა კავშირის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ცდილობენ ლენინურ პრემიაზე მისი წარდგენისთვის ხელის შეშლას. ამით ხსნის იმ ფაქტს, რომ მისი დოკუმენტაცია ძალიან გვიან, კერძოდ, 18 დეკემბერს გაგზავნეს მოსკოვში. საბუთების მიღების ბოლო ვადა არის 20 დეკემბერი და მათი დაგვიანებით მიღების შემთხვევაში შესაძლოა გალაკტიონის კანდიდატურა არც კი განიხილოს.

➤ 14184



1957

**19 დეკემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ ხელმოწერით „გალაკტიონ ტაბიძე, საქართველოს სახალხო პოეტი“ იბეჭდება ლექსი „ახალი სიმღერა“ („არა ატომის, სისხლის ღვრის...“).

➤ 14185

1957

**19 დეკემბერი**

სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის საბაზით სახელმწიფო გამომცემლობა ერთტომეულს არ იტოვებს. თანამშრომლებთან საუბრისას გალაკტიონი ხვდება, რომ გამომცემლობის დირექტორი – ვლადიმერ მგალობლიშვილი ზემდგომი პარტიული მუშაკების მითითების გარეშე ბეჭდვას არ დაიწყებს. ამიტომ პოეტი მიდის ცენტრალურ კომიტეტში მიხეილ კვესელავასთან, რომელიც წიგნის მაკეტს თავისთან იტოვებს და დახმარებას ჰპირდება.

➤ 14186

1957

**20 დეკემბერი**

გალაკტიონი უკმაყოფილოა იმით, რომ მისი 65 წლის იუბილეს ეხმაურებიან მხოლოდ საქართველოს რადიო, გაზეთი „მოლოდინი სტალინეცი“ და ქუთაისის გაზეთი „სტალინელი“. მწერალთა მთავარი ორგანო „ლიტერატურული გაზეთი“ კი უგულვებელყოფს მის იუბილეს და ტიცინ ტაბიძის გამოუქვეყნებელი ნაწერების შესახებ აქვეყნებს წერილს.

➤ 14187

1957

**20 დეკემბერი**

კარგავს და კვლავ პოულობს უბის წიგნაკს, რომელშიც „ლიტერატურული გაზეთიდან“ ჰქონდა ამონაწერი რუსულ ენაზე გამოცემული კრებულის შესახებ, სახელწოდებით „დიად ოქტომბერს“, რომელიც 1957 წელს გამოსცა „ზარია ვოსტოკამ“.

➤ 14188

1957

**22 დეკემბერი**

სერგი ჭილაიასგან შეიტყობს, რომ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ისიდორე დოლიძე ავალეებს გამომცემლობას გალაკტიონ ტაბიძის სრული ერთტომეულის გამოცემას. შესაბამისად, ერთ დღეში უკვე ეცოდინება, გაუგზავნეს თუ არა გამომცემლობის დირექტორ ვლადიმერ მგალობლიშვილს შესაბამისი ბრძანება, როდის უნდა გადასცეს მას წიგნი, ვინ იქნება რედაქტორი, როდის დაიდება ხელშეკრულება 56 709 სტრიქონის მოცულობის გამოცემაზე. გალაკტიონი ჩქარობს წიგნის გადაცემას, რომ შემდეგ უარი არ უთხრან დაგვიანებისთვის.

➤ 14189

1957

**22 დეკემბერი**

ატყობინებენ, რომ მწერალთა კავშირი 1958 წლის 10 თებერვალს ხელოვნების მუშაკთა სახლში გეგმავს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით საღამოს გამართვას. პოეტი ფიქრობს, რომ ბევრი მხატვარი სჭირდება ამ შეხვედრის მოსამზადებლად და ახსენდება გოგი ჩიქობავას თანმხლები მხატვარი, რომელიც დაეხმარებოდა.

➤ 14190

1957

## **22 დეკემბრის შემდეგ**

ემზადება 10 თებერვალს ხელოვნების მუშაკთა სახლში ჩასატარებელი ღონისძიებისათვის. უბის წიგნაკში ინიშნავს ამ დაწესებულების დირექტორისა და თანამშრომლების სახელებსა და გვარებს, და იქვე იწერს ხელოვნების მუშაკთა სახლის ტელეფონის ნომერს.

➤ 14191

1957

## **23 დეკემბრამდე**

ჟურნალის „საბჭოთა ქალი“ რედაქტორი თეო აბაშმაძე ამზადებს მოხსენებას, რომლისთვისაც გალაკტიონი აწვდის ინფორმაციას თავისი თხზულებების რვა ტომის შესახებ.

➤ 14192

1957

## **23 დეკემბრამდე**

ჟურნალის „საბჭოთა ქალი“ რედაქტორ თეო აბაშმაძეს დასაბეჭდად გადასცემს ლექსს „ხალხის ნებაა, რომ ჩვენს პლანეტას...“.

➤ 14193

1957

## **23 დეკემბერი**

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად მიემგზავრება სოხუმში თავისი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად. ჰპირდებიან, რომ 15 იანვრისთვის მშენებლობას საბოლოოდ დაასრულებენ.

➤ 14194

1957

## **23 დეკემბერი**

ტელეფონით საუბრისას მიხეილ კვესელავა აცნობებს, რომ 25 დეკემბერს გაგზავნის მიმართვას სახელმწიფო გამომცემლობაში და სთავაზობს წიგნი დროულად წარადგინოს. გალაკტიონი ურეკავს ცენტრალური კომიტეტის მდივან ისიდორე დოლიძეს და მისი მდივნისგან იგებს, რომ მიხეილ კვესელავას დოლიძესთან უკვე ულაპარაკია და რადგან კვესელავამ თქვა 25 დეკემბერს გაგზავნით მიმართვას სახელმწიფო გამომცემლობაში, ასეც იქნება.

➤ 14195

1957

## **24 დეკემბერი**

გალაკტიონი და მისი მეუღლე ნინო კვირიკაძე სოხუმში არიან წასულები, როდესაც მათთან ბინაში მიდის ფოსტალიონი და მიაქვს გალაკტიონის ჰონორარი. გალაკტიონის გერი პოულობს პასპორტს და თანხას იბარებს.

➤ 14196

1957

## **24 დეკემბერი**

ჩამოწერს, რა არის აუცილებლად გასაკეთებელი სოხუმის მშენებარე სახლში საიმისოდ, რომ იქ ელემენტარული საცხოვრებელი პირობები შეიქმნას. მისი აზრით, მოსაგვარებელია იატაკის, ფანჯრების, შელესვის, წყალგაყვანილობის და ელექტროგაყვანილობის საკითხები, ასევე, ეზოს შემოღობვისა და გარე კიბეების პრობლემაც. ყოველივე ამის შესახებ ესაუბრება სახლის მშენებლობასა და რემონტზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც არწმუნებს, რომ 15 იანვრისთვის ეს პრობლემები მოგვარებული იქნება. გალაკტიონი უკმაყოფილოა შექმნილი სიტუაციით, მაგრამ

აღარაფერს ამბობს, ფიქრობს, რომ მთავარია, 15 იანვარს მაინც იყოს ეს საკითხები გადაწყვეტილი და რემონტის ძირითადი ეტაპი დასრულებული.

➤ 14197

1957

### 25 დეკემბერი

დილით მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან ერთად ბრუნდება სოხუმიდან. აპირებს, დააზუსტოს გადაბეჭდეს თუ არა საბეჭდ მანქანაზე მისი ადრეული პოემა „მწყემსი“ და აღმოაჩენს, რომ მისი პოემები: „მშვიდობის წიგნი“ და „მწყემსი“ ჯერ კიდევ არ გადაუბეჭდავთ. შემდეგ გამომცემლობაში მიდის წიგნის წარსადგენად, მაგრამ თანამშრომლები შველიძე და უბილავა უადგილობის მიზეზით წიგნს არ იტოვებენ, თუმცა წიგნის დაბეჭდვაზე თანახმა არიან. ბინაში ეძებს და პოულობს ახალი წლისთვის დაწერილ ლექსს.

➤ 14198

1957

### 25 დეკემბერი

გამომცემლობაში მიდის თავისი ერთტომეულის მაკეტის ჩასაბარებლად. უადგილობის საბაბით წიგნს არ იტოვებენ, მაგრამ ეუბნებიან, რომ იციან ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ და აუცილებლად დაუბეჭდავენ.

➤ 14199

1957

### 25 დეკემბერი

ცდილობს გაარკვიოს, როდის ჩაიბარებს სახელმწიფო გამომცემლობა მის მიერ მომზადებული თხზულებათა დიდი ერთტომეულის მაკეტს. ამ საკითხის დასაზუსტებლად მიმართავს გამომცემლობის ხელმძღვანელობას. სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომლის, მწერალ ნიკოლოზ შველიძისგან იგებს, რომ დაწესებულება მუშაობას განაახლებს პირველი იანვრიდან, ხოლო მანამდე გამოსაქვეყნებელი წიგნების მაკეტებს არ იბარებენ, რადგან გამომცემლობაში სრული ანარქიაა და მოსალოდნელია, მიღებული მასალა სადმე დაიკარგოს.

➤ 14200

1957

### 25 დეკემბერი

აინტერესებს, როგორ დამოკიდებულებას გამოამჟღავნებენ მისი თხზულებათა დიდი ერთტომეულის გამოცემისადმი ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები – მიხეილ კვესელავა და ისიდორე დოლიძე.

➤ 14201

1957

### 25 დეკემბერი

სურს, გაარკვიოს, მზად არის თუ არა პუბლიკაციისათვის მისი პოემა „მშვიდობის წიგნი“.

➤ 14202

1957

### 25 დეკემბერი

ინტერესდება, სად არის ძველი ხუცური ხელნაწერი წიგნი, რომელიც აქამდე მის პირად, საგვარეულო წიგნთსაცავში ინახებოდა.

➤ 14203

1957

## 25 დეკემბერი

აპირებს, დააზუსტოს, როდის ჩაიბარებს მეცნიერებათა აკადემია მისი აკადემიური გამოცემის თხზულებათა პირველი ტომის მასალებს.

➤ 14204

1957

## 25 დეკემბერი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი – სოლომონ ყუბანეიშვილი, რომელმაც მუშაობა უნდა დაიწყოს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებების აკადემიურ გამოცემაზე, პოეტისგან ერთბაშად მოითხოვს პირველი ხუთი ტომის მასალებს.

➤ 14205

1957

## 25 დეკემბერი

აპირებს, დაელაპარაკოს თავის ძმისშვილს – ნოდარ ტაბიძეს და გაარკვიოს, როდის დაასრულებს იგი გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ტომის მასალებზე მუშაობას.

➤ 14206

1957

## 25 დეკემბერი

ცდილობს, განსაზღვროს რა სავარაუდო ხარჯები ელოდება 1958 წლის პირველი იანვრიდან და ასევე, გაითვალისწინოს ასაღები ჰონორარების რაოდენობაც.

➤ 14207

1957

## 25 დეკემბერი

აპირებს, თავისი თხზულებების აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად მოაწესრიგოს უკვე გამოქვეყნებულ თხზულებათა რვატომეულის მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ტომებში შეტანილი მასალა, კერძოდ, ამ ტომებში დაბეჭდილი შედარებით ადრეული ლექსები.

➤ 14208

1957

## 25 დეკემბერი

ბინაში ეძებს და ძლივს პოულობს ახალი წლისთვის დაწერილ ლექსს.

➤ 14209

1957

## 26 დეკემბერი

ისევ მიდის გამომცემლობაში, მაგრამ მხატვრული ლიტერატურის რედაქციის თანამშრომლები ელიზბარ უბილავა და ნიკოლოზ შველიძე ერთტომეულის მაკეტს ისევ არ იტოვებენ. გალაკტიონს ეჭვი უჩნდება, რომ მიხეილ კვესელავას ისიდორე დოლიძისთვის შესაბამისი გადაწყვეტილება ჯერაც არ გაუფიქრებია.

➤ 14210

1957

## 27 დეკემბერი

გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციას გადასცემს ლექსს „მრავალ ახალ წელს“.

➤ 14211

1957

**27 დეკემბერი ან ადრე**

ამთავრებენ მისი პოემების – „მშვიდობის წიგნი“ და „მწყემსი“ გადაბეჭდვას.

➤ 14212

1957

**27 დეკემბერი**

ლექსის „საახალწლო“ თარგმანი გამოსაქვეყნებლად მიაქვს გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ რედაქციაში.

➤ 14213

1957

**27 დეკემბერი**

უბის წიგნაკში ჩამოწერს იმ ავტორების სიას, რომელთა მისდამი მიძღვნილი ლექსებიც უკვე თარგმნილია რუსულ ენაზე.

➤ 14214

1957

**28 დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს „მოვწყდები... ფიქრით...“.

➤ 14215

1957

**29 დეკემბერი**

ეცნობა გაზეთ „კომუნისტის“ 29 დეკემბრის ნომერს და იწერს რამდენიმე ცნობას: საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა და საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიის ჩატარების თარიღებს; ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, არნოლდ ჩიქობავას გამოსვლებს.

➤ 14216

1957

**29 დეკემბერი**

წერს ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებისადმი მიძღვნილ ეპიგრამას „თუ რომ მწერლობას კაცი აკლია...“.

➤ 14217

1957

**29 დეკემბერი**

ნანობს, რომ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ გადაუთვალისწინებლად მისცა ლექსის „გილოცავთ ახალ წელს“ ანდრო პატარაიასეული თარგმანი. იმედოვნებს, რომ რედაქცია გაასწორებს ლექსში გაპარულ შეცდომებს. გაკვირვებულია იმით, რომ მთარგმნელი რედაქციიდან მაშინ გაუჩინარდა, როცა გალაკტიონი მის პასუხს ელოდა.

➤ 14218

1957

**29 დეკემბერი**

ნაახალწლევს გეგმავს პოემა „მშვიდობის წიგნი“ წაიკითხოს ბენო ან გიორგი ჩიქობავასთან ერთად.

➤ 14219

1957

**29 დეკემბერი**

აკეთებს ჩანაწერს, რომ საჭიროა მაგიდის კალენდარი.

➤ 14220

1957

**29 დეკემბერი**

წერს უსათაურო სტროფს: „ესაუბრება იმერს იმერი...“.

➤ 14221

1957

**29 დეკემბერი**

წერს უსათაურო ლექსს: „იქ, სად ტალღების აწყდება თქორი...“.

➤ 14222

1957

**31 დეკემბერი**

ხვდება სოლომონ ყუბანეიშვილი და ეუბნება, რომ მისი თხზულებების აკადემიური გამოცემის პირველი ტომი უკვე შეტანილია აკადემიის გეგმაში და სთავაზობს, რომ ძმისწული ნოდარ ტაბიძე დაახმაროს.

➤ 14223

1957

**30 დეკემბერი**

მეცნიერებათა აკადემიაში ხვდება გიორგი ლეონიძეს, რომელიც ათვალიერებს მომდევნო წლის საგამომცემლო გეგმას და ამბობს, რომ 1958 წელს აუცილებლად უნდა მოგვარდეს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის საკითხი.

➤ 14224

1957

**30 დეკემბერი**

სოლომონ ყუბანეიშვილს ოფიციალურად ავალბენ გალაკტიონის თხზულებათა დიდი ერთტომეულის დამუშავებას. მკვლევარი ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ ამ საქმეში დაეხმარება ახალგაზრდა ჟურნალისტი, პოეტის ძმისშვილი, ნოდარ ტაბიძე. გარდა ამისა, სოლომონ ყუბანეიშვილი მოითხოვს, უთხრან, როდის გადაეცემა წიგნის მაკეტი. გალაკტიონი ჰპირდება, რომ ნაახალწლევს მიაწვდის ყოველგვარ მასალას. ეს საუბარი პოეტს არწმუნებს, რომ წიგნის გამოცემა მის მომზადებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას, რომ საქმე დააჩქაროს.

➤ 14225

1957

**31 დეკემბერი**

გალაკტიონი ნოდარ ტაბიძეს გულისტკივილით ეუბნება, რომ ცეკამ დაადგინა მისი დიდი კრებულის გამოცემა, მაგრამ სახელმწიფო გამომცემლობა აცხადებს, ჯერ არავითარი მომართვა არ მიგვიღიაო. შემდეგ გალაკტიონი უყვება სოლომონ ყუბანეიშვილთან შეხვედრის ამბავს და სთავაზობს მისი თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ტომის მომზადებაში მონაწილეობის მიღებას. ნოდარი მზაობას გამოთქვამს. გალაკტიონი უხსნის, რა მასალის შეტანაა საჭირო პირველ ტომში და მათ შორის ასახელებს პოემას „მშვიდობის წიგნი“.

➤ 14226

1957

### დეკემბერი

დღიურში ჩაინიშნავს, რომ მოსე გვასალა ცხოვრობს ზუგდიდში და მან ბევრი რამ იცის ოლიას უკანასკნელი დღეების შესახებ.

➤ 14227

### 1957 ან ადრე

წერს უსათაურო ლექსს „ხალხის ნებაა...“.

➤ 14228

### 1957 ან ადრე

წერს ლექსს „მრავალ ახალ წელს“ („მხნე, მქუხარე და ხანგრძლივი ტაში...“).

➤ 14229

1957

იმყოფება გაზეთ „კომუნისტის“ კლუბში, ათვალეერებს გარემოს, ფიქრობს, რომ აქ შეიძლება პოეზიის სადამოების მოწყობა, სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამართვა. ითვლის ადგილებს, აკვირდება სცენას, ვარაუდობს, რომ კედლის გამოყენება შესაძლებელია საგამოფენო მასალისთვის, მოსწონს რომ დარბაზში დგას პიანინო, იქვეა საჩაიე და ჰყავთ შესაბამისი პერსონალი.

➤ 14230

1957

იმყოფება წყნეთში, იფნის ბაღში და უბის წიგნაკში ინიშნავს გრიგოლ ორბელიანის პოემის „სადღეგრძელო“ სტრიქონს „ცისკარმან აღმოსავლეთი ვარდისა ფერად შეჰლება“. შემდეგ ამ ფრაზისაგან მიღებული შემოქმედებითი იმპულსით იწყებს ლექსის წერას და ქმნის უსათაურო ნაწარმოების „აღმოსავლეთის ცისკარით“ რამდენიმე ვარიანტს. ლექსის თავდაპირველ ვარიანტებს რეფრენად გასდევს პოემა „სადღეგრძელოდან“ მომდინარე ფრაზა, ხოლო საბოლოო ვარიანტში ორბელიანის სტრიქონთან ასეთი პირდაპირი კავშირი აღარ შეინიშნება.

➤ 14231

1957

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „ეს – ვალიას, ეს თედორეს“.

➤ 14232

1957

ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია უარს ეუბნება პოემის „მშვიდობის წიგნი“ დაბეჭდვაზე.

➤ 14233

1957

მხატვრებს 16 ვეებერთელა სტენდზე დიდი ასოებით ახატვინებს თავისი თექვსმეტი ლექსის სტრიქონებს და მწერალთა კავშირს სთხოვს ამ ლექსების გამოფენის მოწყობას. ეს ლექსებია. „დრომები ჩქარა“, „მე და ღამე“, „გემი დაღანდი“, პროლოგი ასი ლექსის, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ქალაქი წყალქვეშ“, „ლურჯა ცხენები“, „მთაწმინდის მთვარე“, „ეფემერები“, „ისევ ეფემერები“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „რევოლუციურ საქართველოს“, „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, „ოცნებაო ჩემო ძველო“, „მერი“, მაგრამ მწერალთა კავშირიდან უარს იღებს. გალაკტიონი ფარხმალს არ ყრის, ქირაობს სატვირთო მანქანას, სტენდებს ზედ აწყობს და წყნეთში საკუთარი აგარაკის ღობეზე გამოფენს. უხარია, როცა

გამვლელ-გამომვლელი კითხულობს მის ლექსებს და რომ ასეთი გამოფენა საქართველოში სხვას არავის აქვს.

➤ 14234

1957

გრიბოედოვის სახელობის თეატრში აკითხავს დირექტორ დოდო ანთაძეს და სთხოვს ამავე თეატრში რუს საზოგადოებასთან შეხვედრის მოწყობას. ანთაძე თანხმდება, ნიშნავენ შეხვედრის სავარაუდო დროს და აკეთებენ საღამოს პროგრამის მონახაზს.

➤ 14235

1957

კორნელი სანაძე ფანქარში ხატავს გალაკტიონ ტაბიძის კიდევ ერთ პორტრეტს. პოეტს შლაპა ახურავს და მარჯვენა ხელში სიგარეტი უჭირავს.

➤ 14236

1957

გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციის წინ ხვდება სემინარიელი ნაცნობი ლადო გეგეჭკორი, შეჰყავს იქვე მდგომ ფოტოატელიეში და მასთან ერთად გაზეთის „კომუნისტი“ კითხვისას ილ- ებს სურათს.

➤ 14237

1957

პიონერთა სასახლის ლიტერატურული კაბინეტი აწყობს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატურულ საღამოს. შეხვედრას სხვებთან ერთად ესწრებიან მაშინდელი მოსწავლეები: რეზო თაბუკაშვილი, გურამ ასათიანი, თამაზ ჩხენკელი, მელორ სტურუა. საღამოს შემდეგ ეწყობა სუფრა. ილხენენ და საუბრობენ პოეზიაზე. მოულოდნელად რეზო თაბუკაშვილი ეკითხება, ვინ არის საქართველოში სიდიდით მეორე პოეტი, გალაკტიონი კი ღიმილით პასუხობს, არ შეიძლება ძამიკო, პირდაპირ მეექვსედან დაგვეწყო?.

➤ 14238

1957

მიხაილ ვადბოლსკი ჩუქნის თავის წიგნს „ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე“ და უამბობს თუ როგორ უყვარდათ ჭადრაკი ვოლტერს, რუსოსა და ნაპოლეონს. თან დასძენს, რომ ვოლტერი ყოველი წაგებული პარტიის შემდეგ ნანობდა, ამაზე დრო როგორ დაკარგე, ამ დროში რომელიმე კომედიის ნახევარ აქტს დავწერდიო. გალაკტიონი გაიცინებს და ეუბნება, რომ ვოლტერივით ისიც ასე ფიქრობს, როცა ერთხელ საქმეს მოწყვეტილი ისევ იმასვე მიუბრუნდება.

➤ 14239

1957

წერს უსათაურო ლექსს „წინად ნევა...“.

➤ 14240

1957

თბილისში გამართულ წიგნის ბაზრობაზე რეჟისორი სიკო დოლიძე კინონარკვევისთვის „აყვავებული საქართველო“ ფირზე აღბეჭდავს გალაკტიონს წიგნის შერჩევის პროცესში.

➤ 14241

1957 ან შემდეგ

მწერალთა კავშირში მყოფ ახალგაზრდა ლიტერატურათმცოდნე ნინო ანანიაშვილსა და მის მეგობარ გოგონას პოეზიისა და სიყვარულისადმი თავის დამოკიდებულებაზე ესაუბრება.



ამბობს, რომ სიყვარულში ფიზიკური სიახლოვე, კოცნა არ სწამს. ამ დროს კაბინეტიდან გამოდის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ლეონიძე და როდესაც ცდილობს, რომ მათ სწრაფად ჩაუაროს, გალაკტიონი ალერსიანად ჩაავლებს ხელს, შეაჩერებს და ეუბნება: „დაწერე ჩემზე რამე, ხომ დაწერ?“. გოგლაც ჰპირდება, რომ დაწერს და სწრაფად მიდის.

➤ 14242

## 1958 ი ა ნ ვ ა რ ი

1958

1 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „მრავალ ახალ წელს“.

➤ 14243

1958

1 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ გულთბილად ესალმებიან ასოთამწყობები, ტროლეიბუსში კი ხვდება რედაქტორი ბენო თათარიშვილი და ეუბნება, რომ მისი ლექსი გაზეთს ამშვენებს.

➤ 14244

1958

1 იანვარი

გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ მეორე გვერდზე, იბეჭდება ლექსის „გილოცავთ ახალ წელს“ ანდრო პატარაიასეული თარგმანი. გალაკტიონი უკმაყოფილო რჩება იმით, რომ მისი ლექსი მეორე გვერდზე უღიმღამო ადგილას დაბეჭდეს, სხვა პოეტების ლექსები კი უფრო თვალსაჩინოდ. ის ფიქრობს, რომ ეს რედაქტორ ირაკლი ჩხიკვიშვილისა და იოსებ გრიშაშვილის ოინებია. ფიქრობს, რომ ასეთ ოინებს უნდა მოელოდეს გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეებისგანაც და თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივან გიორგი გეგეშიძისგანაც.

➤ 14245

1958

1 იანვარი

დღიურში წერს, რომ თბილისის 1500 წლის იუბილეს სათავესოდ გამოყენებას შეეცდებიან იოსებ გრიშაშვილი და გიორგი ლეონიძე. გალაკტიონი არ აპირებს მათ ორთაბრძოლაში ჩართვას, მაგრამ ყურადღებას გადაიტანს მისი გეგმებიდან.

➤ 14246

1958

1 იანვარი

თავის უახლოეს გეგმებში შეაქვს: დიდი ერთტომეულის გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობაში, თხზულებათა აკადემიური კრებულის პირველი ტომის გამოცემა, დიდი წიგნის გამოცემა საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში, დიდი წიგნის გამოცემა „ზარია ვოსტოკაში“, წიგნის გამოცემა მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობაში, გამარჯვების მიღწევა მოსკოვის დეკადაზე, მეცნიერების დარგ „გალაკტიონოლოგიის“ დაფუძნება, მწერალთა კავშირის სამდივნოს განმტკიცება, საიუბილეო კომიტეტის დროულად დამტკიცება, დიდი გამოფენების მოწყობა თბილისსა და მოსკოვში, სადაც წარმოდგენილი იქნება 100 პოეტის მიერ გალაკტიონისთვის მიძღვნილი ლექსები.

➤ 14247

1958

3 იანვარი

გამომცემლობაში „საბჭოთა საქართველო“ ხვდება გამომცემლობის თანამშრომლებს – ნიკოლოზ შველიძესა და ელიზბარ უბილავას და ოფიციალურად გადასცემს თავისი თხზულებების დიდი ერთტომეულის მაკეტს.

➤ 14248

**1958**

**3 იანვარი**

ემზადება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობის მისაღებად და დიდი ერთტომეულის გამოსაცემად. უბის წიგნაკში იწერს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლების: მიხეილ კვესელავას, ციცო ჯიმკარიანისა და ისიდორე დოლიძის და სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის – ვალოდია მგალობლიშვილის ტელეფონის ნომრებს, რადგან ფიქრობს, რომ ამ ადამიანებთან უახლოეს მომავალში მოუწევს დაკავშირება.

➤ 14249

**1958**

**3 იანვარი**

უბის წიგნაკში ინიშნავს მეუღლის – ნინო კვირიკაძის ბიძაშვილის, ქუთაისში მცხოვრები ეთერ კვირიკაძის მისამართს.

➤ 14250

**1958**

**6 იანვარი**

იგებს, რომ მისი თანაშემწე და ლიტერატურული მდივანი – გიორგი ჩიქობავა ავად არის და იმ დღეს მუშაობას ვერ შეძლებს. ვარაუდობს, რომ ვერც სახელგამის დირექტორი, ვლადიმერ მგალობლიშვილი შეძლებს დაგეგმილ ღონისძიებაზე გამოსვლას. ეს ყოველივე საფიქრალს უჩენს, რადგან არ იცის, ვის შეიძლება სთხოვოს მისი შემოქმედების შესახებ მოხსენების მომზადება და წაკითხვა.

➤ 14251

**1958**

**10 იანვრამდე**

პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან მიხეილ კვესელავა რეკავს სახელმწიფო გამომცემლობაში და ავალებს, რომ გალაკტიონის წიგნი მიიღონ. რადგანის თქმა უნდათ, მაგრამ ეუბნება, მაგაზე სხვა დროს ვილაპარაკოთო.

➤ 14252

**1958**

**10 იანვრამდე**

რეზი თვარაძე უტოვებს მის მიერ შედგენილ გალაკტიონის „რჩეულს“. მასში 10 ათასი სტრიქონია, გალაკტიონს კი ხუთჯერ მეტი უნდა. ნოდარ ტაბიძეს ეუბნება, რომ ურჩიოს ან საბავშვო ლიტერატურულ გამომცემლობაში მიიტანოს გამოსაქვეყნებლად, ან „საბჭოთა მწერალში“.

➤ 14253

**1958**

**10 იანვრამდე**

ნოდარ ტაბიძეს ეკითხება, რამდენად შეიძლება გაყიდოს სტამბურად ამობეჭდილი თავისი სურათი, რომელიც 3-ათასიანი ტირაჟით დააბეჭდვინა. ფიქრობენ, რომ გაყიდვას თავად ვერ მოახერხებენ და მაღაზიებს გადასცემენ, ხელზე ცოტა თანხა დარჩებათ.

➤ 14254

1958

**10 იანვარი**

ნოდარ ტაბიძე ეუბნება, რომ ნახა რკინიგზელთა სახლის ადმინისტრატორი გიორგაძე და დიმიტროვის ქარხნიდან სტენდების გამოტანაზე უთხრა, ნამძვის ხის ზეიმები ტარდება და ორი დღის შემდეგ წავიდეთ წამოსაღებადო. გალაკტიონი ეჭვობს, რომ რაღაცას იტყუება და ნოდარს სთხოვს, იმ ცეხის უფროსის გვარის გაგებას, რომელმაც სტენდები გაუმზადა, რომ თავად მივიდნენ და წამოიღონ.

➤ 14255

1958

**10 იანვარი**

იღებს დეპუტას, რომლიდანაც იგებს, რომ გარდაეცვალა ბიძაშვილი აგაბო ადეიშვილი. ფიქრობს, რომ წასვლით ვერ წავა, მაგრამ დეპუტა უნდა გაუგზავნოს.

➤ 14256

1958

**10 იანვარი**

ნოდარ ტაბიძე შეახსენებს პროკლე კეკელიძის შემონათვალს, მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელოდან ამოიღეს გალაკტიონის ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, მაგრამ პროკლეს არ უნდა, რომ სახელმძღვანელოში გალაკტიონი ასე „მჭლედ“ იყოს წარმოდგენილი და სთავაზობს ლექსიდან იმ სტროფის ამოღებას, რომელშიც სტალინია ნახსენები. თუ გალაკტიონი დათანხმდება, ლექსს ისევ შეიტანენ სახელმძღვანელოში. იღებენ პოეტის მეოთხე ტომს, რომ ნახონ, რა არის შესამოკლებელი. გალაკტიონი გადახაზავს „სტალინს“ და ერთს გაიფიქრებს, „ლენინი“ ხომ არ ჩავწერო, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრებს და მთელ სტროფს გადახაზავს.

➤ 14257

1958

**10 იანვარი**

ნოდარ ტაბიძეს ესაუბრება იმის შესახებ, რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების გარეშე არაფერი წყდება, არც ნობელის პრემია და არც დეპუტატად არჩევა.

➤ 14258

1958

**10 იანვარი**

აკეთებს ჩანაწერს ბიძაშვილის, აგაბო ადეიშვილის შესახებ. აღნიშნავს, რომ ყუმურიდან მიიღო დეპუტა მისი გარდაცვალების თაობაზე. მიუთითებს, რომ როდესაც უკანასკნელად შეხვდა, მისი სახე არ მოეწონა. თავად აგაბოც ავადმყოფობას უჩიოდა და თავისმა მდგომარეობამ აიძულა, თხოვნით მიემართა გალაკტიონისთვის, რომ დახმარებოდა ქალიშვილის უმაღლეს სასწავლებელში მოწყობაში. გალაკტიონი წუხს, რომ დრომ ნათესავები ერთმანეთთან გააუცხოვა, არადა ბავშვობაში მთელ ზაფხულს ატარებდა აგაბოს ოჯახში, ისევე როგორც აგაბო და მისი და ასინეთი გალაკტიონის დედასთან ქუთაისში. პოეტი მიუთითებს, რომ ასინეთი არ აფასებდა დედამისის ამაგს, შეურაცხყოფას აყენებდა და ატირებდა მას. ამის გამო პოეტმა ურთიერთობა გაწყვიტა ნათესავებთან და თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში მათთან კონტაქტი არ ჰქონია. გალაკტიონი იგონებს ბიძის, კოზმანის, გარდაცვალებას და აღნიშნავს, რომ დღემდე ახსოვს მომაკვდავის უკანასკნელი წუთები, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ადამიანის გარდაცვალებას შეესწრო. ჩანაწერში პოეტი ასევე ახსენებს აგაბოს მეორე დას, ანტისას, რომელსაც ხმა გაუვრცელეს, რომ შეშლილების ოჯახიდან იყო, რის გამოც ქალიშვილმა დაოჯახებაზე უარი თქვა. გალაკტიონის თქმით, ის და ანტისა ბავშვობაში კარგი მეგობრები იყვნენ და უყვარდათ მდინარის პირას ყოფნა. პოეტი იგონებს, რომ ქუთაისში ცხოვრებისას აგაბო

რევოლუციონერთა შეკრებებს ესწრებოდა და ერთხელ იგი გალაკტიონთან გაგზავნეს, რომ მიეყვანა კრებაზე ლექსების წასაკითხად. პოეტის თქმით, იგი მივიდა რევოლუციონერებთან და აღტაცებულნი დატოვა თავისი ლექსებით. გალაკტიონის შეფასებით, აგაბომ საკუთარი თავისთვის იცოცხლა და არავისთვის დაუტოვებია რაიმე მოსაგონარი.

➤ 14259

1958

17 იანვარი

16 იანვრის რუსულ გაზეთში „იზვესტია“ კითხულობს ლენინურ პრემიაზე წარდგენილთა სიას. ნახულობს, რომ გალაკტიონ ტაბიძე 28-ე ნომრად არის მოხსენიებული. ძალიან უხარია, რადგან მატერიალურად ცოტა გაიმართება წელში და თან შესაძლებელი გახდება, რომ მისი წიგნები საზღვარგარეთაც გამოსცენ. კითხულობს პრემიაზე წარდგენილთა სრულ სიას და ეძებს, მათგან ვის იცნობს და ვის არა.

➤ 14260

1958

17 იანვარი

ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს ესაუბრება თავისი ერთტომეულის შესახებ, რომელშიც გაერთიანებული უნდა იყოს მისი შვიდივე ტომის მასალა. ეუბნება, რომ წიგნი წარუდგინა სახელმწიფო გამომცემლობას და ელის პასუხს. რევაზ თვარაძემ მიუტანა მის მიერ მომზადებული გალაკტიონის რჩეული ლექსების მაკეტი, რომელშიც 15 ათასი სტრიქონია და, გალაკტიონის აზრით, ძალიან პატარაა. ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ტომის მომზადებელი მას შეხმიანებოდა და ერთად ემუშავათ. ისიც არ იცის, რომელ გამომცემლობაში აპირებს თვარაძე წიგნის მიტანას. უჯრიდან იღებს დიდ შეკვრას და ძმისწულს აჩვენებს მასში მოთავსებულ ნუსხა-ხუცურით დაწერილ ძველ ხელნაწერ წიგნს, რომელიც სასულიერო პირს, ბერს უჩუქებია მისთვის. ამბობს, რომ ამ ხელნაწერის შთაგონებით დაიწყო პოემის „მშვიდობის წიგნი“ წერა ჯერ კიდევ 1916 წელს. რამდენადაც ნუსხურის კითხვა დავიწყებული აქვს, უნდა, რომ ვინმეს გადააწერინოს ეს წიგნი მხედრულით და დაწვრილებით გაეცნოს. ფიქრობს, რომ აკადემიური გამოცემის სქოლიოებსა და შენიშვნებში ვრცლად უნდა იყოს ინფორმაცია ამ წიგნის შესახებ. შემდეგ ძმისწულს აჩვენებს სოლომონ მეფის ბრძანებას, რომლითაც ტაბიძეებს გადაეცათ ჭყვიშის მამული. ფოტოს, რომელზეც გაზეთების „ამირანი“ და „ახალი კვალი“ რედაქციების შენობაა და 1905 წლის ერთ პროკლამაციას, რომელთან დაკავშირებითაც ლექსი აქვს დაწერილი. შემდეგ ეუბნება, რომ კარგი იქნება, თუ ნოდარს მუდმივი კავშირი ექნება გალაკტიონის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაზე მომუშავე მეცნიერთა ხელმძღვანელთან, სოლომონ ყუბანეიშვილთან და ერთ დიდ საერთო რვეულში დაწვრილებით ჩაიწერს, რა კეთდება პირველ ტომთან დაკავშირებით.

➤ 14261

1958

17 იანვარი ან შემდეგ

ეცნობა „ლიტერატურულ გაზეთს“. ინიშნავს ნიკო სამადაშვილის მისამართს და შეხვედრის თარიღს – 20 თებერვალს.

➤ 14262

1958

18 იანვარი

ერთწლიანი შესვენების შემდეგ ისევ სვამს, სახლში ხმაურით შედის და ცოლთან იმ დროს სტუმრად მყოფ ვინმე ლუსიას შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავს. შემდეგ ძმისწულის, ნოდარის კარზე აკაკუნებს და აცრემილებული შესჩივის, რატომ არ მანებებენ თავს, ჩემი სიკვდილი რატომ უნდათო. ნინო კვირიკაძე ჩუმად მეზობელთან და იქ მყოფ თავის მყოფ

ქალიშვილსა და შვილიშვილს პალტოებს გაუტანს, რომ ღამე სხვაგან გაათიონ. მოგვიანებით ნოდარი საქმლის საყიდლად ჩადის მაღაზიაში და ნინო გალაკტიონისთვის სიგარეტის „კურორტი“ მოტანას ავალებს.

➤ 14263

1958

### 26 იანვარი

ემზადება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის. უბის წიგნაკში რუსულ ენაზე ინიშნავს იმ ადამიანთა სახელებსა და გვარებს, რომლებსაც მისი შემოქმედების შესახებ მნიშვნელოვანი აზრი აქვთ გამოთქმული სტატიის ან ლექსის სახით. ჩამოთვლილ პიროვნებებს შორის დასახელებულნი არიან: ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა დადიანი, აკაკი გაწერელია, ია ეკალაძე, შალვა რადიანი, შიო მღვიმელი, გიორგი ქუჩიშვილი, სანდრო შანშიაშვილი და სხვები. ზოგან უთითებს სტატიის სახელწოდებასაც ან იმ ეპითეტს, რომლითაც ესა თუ ის ავტორი მოიხსენიებს მას.

➤ 14264

1958

### 26 იანვარი

ემზადება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადისთვის. საკუთარი შემოქმედების შესახებ დაწერილი სტატიებისა და ლექსების ერთი ნაწილის გადასინჯვის შემდეგ ფიქრობს, რომ საჭიროა კიდევ ორმოცი ავტორის ნაწარმოებთა მოძიება საიმისოდ, რომ პუბლიკაციების რიცხვმა ასს მიაღწიოს. თუმცა მალევე ხვდება, რომ ტექსტების შეკრება, გადამუშავება და თარგმნა რუსულ ენაზე ასე საჩქაროდ ვერც მოხერხდება და არც არის აუცილებელი. ამის გათვალისწინებით, აპირებს, კარგად გამოიყენოს ის მასალა, რომელიც უკვე ხელთ აქვს. იმდენად უხვია მისი შემოქმედების შესახებ არსებული გამოხმაურებები, რომ არცერთ თანამედროვე მწერალზე ამდენი მასალა არ არსებობს. გეგმავს, საქმეს რეალისტურად შეხედოს და გადამეტებული ფანტაზიებით დამატებითი პრობლემები არ შეიქმნას.

➤ 14265

1958

### 26 იანვარი

გერს, ნუნუ ებანოიძეს, მოაქვს ქალაქი, რომლის ხარისხითაც გალაკტიონი უკმაყოფილო რჩება.

➤ 14266

1958

### 26 იანვარი

ღამით იხსენებს საკუთარი ცხოვრების ადრეულ წლებს და სინანულით ანალიზებს, რომ არ აგონდება ვინმეს მხრიდან მისდამი გამოვლენილი ალერსიანი დამოკიდებულება. მიუხედავად იმისა, რომ ჰყავდა დედა, ნათესავები, მეზობლები, თბილი დამოკიდებულება მაინც არავის გამოუჩენია. ფიქრობს, რომ ამ მხრივ იგი სრულიად გამოირჩეოდა სხვა ბავშვებისაგან, რომელთაც სითბო და მოფერება არ აკლდათ. აინტერესებს, რამ განაპირობა ეს, რატომ ჰქონდა ასეთი საშინელი ბავშვობა. დარწმუნებულია, რომ ამ ყოველივემ გავლენა მოახდინა მის ცხოვრებაზე. ცდილობს, გაიხსენოს ერთი ადამიანი მაინც, ვინც მას ბავშვობაში მოჰფერებია, მაგრამ ვერ ახერხებს გახსენებას და ძალიან განიცდის.

➤ 14267

1958

### 26 იანვარი

ღამით უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მისი ძმისშვილი, ნოდარ ტაბიძე ავად არის.

➤ 14268

1958

28 იანვარი

გაზეთში „კომუნისტი“ კითხულობს საქართველოს კომუნისტური პარტიის მეთვრამეტე ყრილობაზე პირველი მდივნის, ვასილ მჭავანაძის მიერ წაკითხულ საანგარიშო მოხსენებას და უკვირს, რომ პროზით კმაყოფილებას გამოთქვამს და პოეზიაზე წინ აყენებს. ფიქრობს, რომ კრიტიკის მიმართ შენიშვნები სამართლიანია, მაგრამ ყველა ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების მთავარი მიზეზი პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ზოგიერთი უხეირო ხელმძღვანელია. პარტიის რჩეულები, რაც არ უნდა უხეიროები იყვნენ, ხელშეუხებელი არიან. თავის ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს ეუბნება, რომ სიმართლეს ვერავინ აღიარებს, ვერავინ იტყვის აუგს ირაკლი აბაშიძეზე, სიმონ ჩიქოვანსა და გიორგი ლეონიძეზე, ისევე, როგორც სერგი ჭილაიაზე. ეუბნება, რომ ხელმძღვანელობა უნიჭო პარტიულებს აწინაურებს და ნიჭიერ უპარტიოებს გასაქანს არ აძლევს. შემდეგ საუბრობენ თბილისის კეთილმოწყობის ხარვეზებზე. ნოდარი ამბობს, თურმე ერევანი ბოლო წლებში ისე აშენდა და გალამაზდა, ნიუ-იორკს დაემსგავსაო. თბილისის ჩამორჩენას გალაკტიონი იმით ხსნის, რომ აღმასრულებელ კომიტეტში ბევრი უნიჭოა თავმოყრილი, ილიასა და აკაკის ძეგლიც კი ვერ აუგიათ. შემდეგ ამბობს, რომ თბილისში დადგმული ძეგლებიდან ყველაზე მეტად ილიას საფლავზე მდგარი იაკობ ნიკოლაძის „მწუხარე საქართველო“ მოსწონს. შემდეგ წუხილით დასძენს, რომ ნიკოლაძე მის ბიუსტს აკეთებდა, მაგრამ არ დასცალდა, რადგან გალაკტიონი ვერ ახერხებდა საათობით პოზირებას.

➤ 14269

1958

28 იანვარი

ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს ესაუბრება მწერალთა კავშირში არსებული უსიცოცხლო ვითარების შესახებ. ამბობს, რომ არ არის ჯანსაღი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და არ დუღს ცხოვრება. საქმეთა მმართველი იროდიონ ქავჭავაძე და მისი მბეჭდავი ქალი სულ რაღაც ჭორებს და ინფორმაციებს აგროვებენ კავშირის თითოეულ წევრზე და საიდუმლოდ ინახავენ. ამბობს, რომ მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძის დაჭერაში და პაოლო იაშვილის თვითმკვლელობამდე მიყვანაში მათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. გალაკტიონი იხსენებს, როგორ აიძულებდა ერთ-ერთ სხდომაზე ლავრენტი ბერია ტიციან ტაბიძეს, რომ თავისი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები და განზრახვები ეღიარებინა და როგორ უსინდისოდ დაადგა პირზე კონსტანტინე ლორთქიფანიძე. ასევე იხსენებს, ამ რეპრესიების დროს როგორ დეპრესიაში ჩავარდა ვალერიან გაფრინდაშვილი.

➤ 14270

1958

იანვარი

ჟურნალში „საბჭოთა ქალი“ იბეჭდება უსათაურო ლექსი „ხალხის ნებაა, რომ ჩვენს პლანეტას...“.

➤ 14271

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1958

1 თებერვალი

მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი პოეტი სავლე აბულაძე შინ აკითხავს და რადგან ვერ ნახულობს, უტოვებს წერილს. შეახსენებს, რომ მისთვის გადასახდელი აქვს წინა წლის სექტემბერში ქართულიდან რუსულად თარგმნილი სამი პოემის: „გამოგონება“, „ჟუგა და ასიდა“ და აფეთქება (სულ 1648 სტრიქონი) თანხა. შეახსენებს, რომ 800 მანეთი გალაკტიონს მისთვის მისაცემი დარჩა ჯერ კიდევ 1948 წელს თარგმნილი პოემისთვის

„სანაპირო“. უბოდიშებს, რომ აწუხებს, მაგრამ ოჯახური და მატერიალური პირობები აიძულებს თავისი კუთვნილი თანხის მოთხოვნას.

➤ 14272

1958

#### 4 თებერვალი

სტუმრობს გოგი ჩიქობავა, რომელსაც გალაკტიონი, მასთან მყოფი სტუმრები და ოჯახის წევრები სადილის შემდეგ ფორტეპიანოზე დაკვრას სთხოვენ. გალაკტიონი ნუნუსა და მის მეგობარ ზეინაბ მუშკუდიანთან ერთად კინტოურს ცეკვავს და აცხადებს, რომ ამ ცეკვას ყველაზე კარგად ლადო გუდიაშვილი ასრულებს. შემდეგ ნიკო სულხანიშვილის გუნდში სიმღერის დროს იხსენებს და ადღეგრძელებს ბეთჰოვენს, მოცარტს, ბახს, შოპენს და ზაქარია ფალიაშვილს. მეუღლის დღეგრძელობისას ის მათი ურთიერთობის ისტორიას იხსენებს, დამშვიდობებისას კი გოგის საკუთარ ფოტოსურათს სჩუქნის.

➤ 14273

1958

#### 12 თებერვალი

ძმისწულ ნოდარ ტაბიძესთან ერთად დილის 10 საათზე აჩერებს ტაქსის, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე ცენტრალური შემნახველი სალაროდან გამოაქვს თანხა და მიდის ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სამკურნალო კომბინატში. ექიმი კერესელიძე შემოვლაზეა და მთელი საათი ელოდებიან. როდესაც კაბინეტში შევლენ, ექიმი შინაურულად მოიკითხავს და ეკითხება, სვამს თუ არა. გალაკტიონი პასუხობს, რომ გული აწუხებს და ჰგონია, რომ გრიპი აქვს. კერესელიძე ეუბნება, რომ თავისუფალი ადგილები არა აქვთ, მაგრამ მეორე დღისთვის იბარებს ნოდარს და ეუბნება, რომ შეიძლება მოახერხოს რაიმეს გამონახვა. უკანა გზაზე ფეხით მოუყვებიან ჭავჭავაძის გამზირს და ქუჩაში ხვდებით გალაკტიონის ძველი შეყვარებულის, რაისა ჩიხლაძის ძმა. ჩერდებიან და ერთმანეთს მოიკითხავენ. როცა გზას გააგრძელებენ, გალაკტიონი ნოდარს უყვება მშვენიერი რაისა ჩიხლაძის შესახებ და ეუბნება, რომ ორიოდე ლექსი მიუძღვნა ინიციალებით. ამბობს, რაისას ეგონა, მის მეტს არავის შევიყვარებდი და არასოდეს დავშორდებოდი, მაგრამ როცა დავშორდით კი ექიმს გაყვა ცოლადო. მელიქიშვილის ქუჩაზე გალაკტიონი ორ ჭიქა ლუდს სვამს და გზას აგრძელებენ. გალაკტიონი იხსენებს, როგორ აპირებდნენ რუსთველოლოგიისთვის ცალკე შენობის გამოყოფას და ლეო ქიაჩელის სიტყვებმა, რუსთაველს უფრო დიდი შენობა ეკადრებაო, როგორ ჩაშალა ეს განზრახვა. ბელინსკის ქუჩის კუთხეში ხვდებით ტიცინის მეუღლე, ნინა ტაბიძე. გალაკტიონი ეკითხება, როგორ მიდის ტიცინის წიგნის გამოცემის საქმე. ნინა ირიბად საყვედურობს, რომ გალაკტიონი არ ღებულობს მონაწილეობას ამ საქმეში, გალაკტიონი კი პასუხობს, რომ მზად არის გაუკეთოს, რაც შეუძლია. როდესაც გზას აგრძელებენ და ნინას დაშორდებიან, გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ნინაც ტიცინივით სულ ებრძვის. ადრე ბიძაშვილთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა. ტიცინი დიდ პატივს სცემდა, მასწავლებელს და მარტოობის ორდენის რაინდს უწოდებდა, მაგრამ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა პოზიცია. სანამ ტაქსს გააჩერებდნენ და შინ დაბრუნდებოდნენ, გალაკტიონი იხსენებს ცისფერყანწელთა უცნაურ ქცევებს, მაგალითად, როგორ შეაკერინა პაოლომ კრილოვის ქუჩაზე მცხოვრებ თერძს კოსტიუმი, ჩაიცვა და ფულის გადაუხდელად გაიქცა. თერძი გაეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია. როგორ დაპატიჟა მანვე მწერლები რესტორნის ცალკე კუპეში, შემდეგ კი სუფრასთან ვიღაც თავისი ნაცნობი მიიწვია და მთელი წვეულების თანხა იმას გადაახდევინა.

➤ 14274

1958

#### 12 თებერვალი

ბუკინისტურ მაღაზიაში ყიდულობს ჟურნალ „ცისკრის“ 1862 წლის ნომერს და წარწერით ჩუქნის თავის ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს.

➤ 14275

1958

**13 თებერვალი**

წვება ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე სამკურნალო კომბინატში.

➤ 14276

1958

**21 თებერვალი**

გალაკტიონს სახლში აკითხავს რეზო ორჯონიკიძე და მიაქვს რევაზ თვარაძის რეცენზია პოეტის მერვე ტომზე, რომლის გამოქვეყნებასაც აპირებს ავტორი. ნინო კვირიკაძეს ეუბნება, რომ რევაზ თვარაძე ირაკლი აბაშიძის სიძეა და ალბათ ამიტომ დაწერა ასეთი საშინელი რეცენზია.

➤ 14277

1958

**21 თებერვალი**

საავადმყოფოდან რეკავს სახლში, მაგრამ ცოლი ტელეფონთან არ მიდის და დამხმარე ქალი ატყუებს, თითქოს მას კბილი სტკივა, ყბა გასივებული აქვს და სტომატოლოგთან არის წასული. ასევე ეუბნება, რომ მასთან ექვსის ნახევარზე მისი გერი, ნუნუ ებანოიძე მივა.

➤ 14278

1958

**23 თებერვალი**

სამკურნალო კომბინატში კითხულობს გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი“ გამოქვეყნებულ რევაზ თვარაძის რეცენზიას თავისი თხზულებების მერვე ტომზე. ფიქრობს, რომ სტატია კულტურულად არის დაწერილი და ავტორი კარგად ფლობს კალამს.

➤ 14279

1958

**23 თებერვალი**

წევს სამკურნალო კომბინატში, იპარსავს წვერს, იჭრის თმას და კარგად გამოიყურება. მის სანახავად მიდის ძმისწული ნოდარ ტაბიძე და საუბრობენ რევაზ თვარაძის რეცენზიაზე. ნოდარი შეახსენებს, რომ მას და სოლომონ ცაიშვილს მისი თხზულებების მეშვიდე ტომზეც ჰქონდათ რეცენზია ჟურნალ „მნათობში“. გალაკტიონი ამბობს, რომ რევაზ თვარაძე ნიჭიერი ბიჭი ჩანს და გალაკტიონის რჩეულიც მშვენივრად შეადგინა, მაგრამ პოეტი მის გამოქვეყნებას იმიტომ არ დათანხმდა, რომ პატარა იყო. პალატაში შემოდის ავადმყოფი, რომელიც გალაკტიონს პაპიროსს სთხოვს. გალაკტიონი აძლევს და როდესაც ის ოთახიდან გადის, ნოდარს უყვება მის ამბავს. ახალგაზრდობაში თურმე ლექსებს წერდა და მიუტანია მწერალთა კავშირში. კარლო კალაძეს მოსწონებია, მაგრამ ირაკლი აბაშიძეს უყვირია, ეს რა ლექსებიაო. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ახალგაზრდებს წახალისება სჭირდება. ემანუილ აფხაიძე და სერგი ჭილაია კი წაიკითხავენ გაზეთში უცნობი ავტორის ლექსებს და იცინიან, ეს რა პოეტიაო. შემდეგ გალაკტიონი საუბრობს ქუთაისის ლიტერატურული წრეების სიმრავლეზე და იხსენებს ბალმონტის ჩასვლას ქუთაისში. შემდეგ საუბრობენ ნოდარის სადისერტაციო თემაზე და მოსალოდნელ დეკადაზე. გალაკტიონი ექვს გამოთქვამს, რომ მოსკოვში ქართული კულტურის დეკადაზე მის წაყვანას არ აპირებენ.

➤ 14280

1958

**25 თებერვალი**

ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს მიაქვს მისთვის ტანსაცმელი და ეწერება საავადმყოფოდან.

➤ 14281



**1958**

**იანვარ-თებერვალი**

ავადმყოფობს. აქვს მძიმე სულიერი მდგომარეობა. დილაობით ოთახში ბოლთას სცემს და გამუდმებით დასცქერის თავის მოცახცახე თითებს. დღის მეორე ნახევრამდე ვერაფერს ჭამს, მხოლოდ ჩაით კმაყოფილდება. მეუღლე ნინო და ოჯახის სხვა წევრები მარტოს არ ტოვებენ, უკითხავენ და ესაუბრებიან. ექიმი ამხნევებს, რომ შეუძლია აჯობოს დაავადებას და გამოჯანმრთელდეს. ამ სიტყვებს თავდახრილი ისმენს და ხანდახან ხმამაღლა იცინის.

➤ 14282

**1958**

**იანვარ-თებერვალი**

ურეკავენ მწერალთა კავშირიდან და მოსკოვში დეკადაზე გამგზავრებას სთავაზობენ, მაგრამ ავადმყოფობის გამო თავდაპირველად უარს ამბობს.

➤ 14283

**მ ა რ ტ ი**

**1958**

**6 მარტი**

ძმისწულოს, ნოდარ ტაბიძეს წერილს ატანს მაქსიმ გორკის სახელობის კლუბის დირექტორთან და სთხოვს, რომ 10 მარტისთვის დაგეგმილი მისი საღამო გადადონ და კლიშე გაუგზავნონ წერილის მიმტანის ხელით.

➤ 14284

**1958**

**11 მარტი**

სასაუბრეში სვამს ოთარ ჭელიძესთან ერთად და თვრება. სახლში ამბავი მიაქვთ ამის შესახებ და მისი ძმისწული ნოდარ ტაბიძე და მოსამსახურე ქალი აკითხავენ წამოსაყვანად. ძლივს ახერხებენ ტაქსით სახლამდე მიყვანას და შემდეგ კიბეებზე აყვანას.

➤ 14285

**1958**

**14 მარტი**

სახლშია და მოსკოვში ქართული კულტურის დეკადაზე წასასვლელად ემზადება თავის მდივან გიორგი ჩიქობავასთან ერთად. სახლში არიან ნინო კვირიკაძე, ნუნუ ებანოიძე და მისი ამხანაგები და ბავშვები. ნუნუს ამხანაგები თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. შემდეგ უერთდებათ ნოდარ ტაბიძე. გალაკტიონს ტელეფონზე ურეკავენ და როგორც კი საუბარს იწყებს, ნოდარი ამჩნევს, რომ მეორე ოთახში ყურმილს იღებს მისი ცოლი – ნინო და არც ეუხერხულება, რომ ამას აკეთებს. ის აკონტროლებს გალაკტიონის ყველა ნაბიჯს.

➤ 14286

**1958**

**16 მარტი**

წერს ლექსს „დეკადის დროშები“ („ხელოვანნი ვართ და სწორედ ახლა, ცხრაას ჩვიდმეტმა...“).

➤ 14287

**1958**

**17 მარტამდე**

პროფილში გადაღებულ თავის ორ ფოტოსურათთან ერთად ვინმე მაიორი კოსტროვის ხელით მოსკოვში წერილს უგზავნის სახელმწიფო გამომცემლობაში დასაბეჭდად გამზადებული მისი რუსულენოვანი წიგნის „ლექსები და პოემები“ რედაქტორს, სოფია ხითაროვას. იმედს

გამოთქვამს, რომ მისი დამსახურებით წიგნი მიმზიდველი და საინტერესო იქნება. გულითად მოკითხვას უთვლის გამომცემლობის დირექტორს, არკადი დეევს.

➤ 14288

1958

17 მარტამდე

მოსკოვში დეპეშას უგზავნის ლიტერატურული გამომცემლობის დირექტორს, არკადი დეევს. იმედს გამოთქვამს, რომ მისი წიგნი უკვე მზად არის დასაბეჭდად. ინტერესდება, მიიღეს თუ არა შუამდგომლობა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის, სერგი ჭილაიასგან სტრიქონების რაოდენობასთან დაკავშირებით.

➤ 14289

1958

17 მარტამდე

მოსკოვში დეპეშას უგზავნის მისი რუსულენოვანი წიგნის „ლექები და პოემები“ რედაქტორს, სოფია ხითაროვას და სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის დირექტორს, არკადი დეევს. ინტერესდება, უკვე იბეჭდება თუ არა მისი წიგნი, რამდენი ფორმაა და როდის უნდა ჩავიდეს მოსკოვში ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად.

➤ 14290

1958

17 მარტამდე

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას გამოსაქვეყნებლად გადასცემს ლექსს „დეკადის დროები“, რომელიც 22 მარტს უნდა წაიკითხოს მოსკოვში, ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე გამოსვლისას.

➤ 14291

1958

17 მარტამდე

ნაწილობრივ გამოჯანმრთელებული გადაწყვეტს მონაწილეობა მიიღოს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკავშირო დეკადაში.

➤ 14292

1958

17 მარტი

მატარებლით მიემგზავრება რუსეთში ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობის მისაღებად. თან ახლავს ლიტერატურული თანამემწე და მდივანი – გიორგი ჩიქობავა. გზაში გიორგი ჩიქობავა ავად ხდება და იძულებულია ადლერში ჩავიდეს მატარებლიდან და სოხუმის გავლით დაბრუნდეს უკან.

➤ 14293

1958

20 მარტი

გალაკტიონის გერი, ნუნუ ებანოიძე მის ძმისწულ ნოდარ ტაბიძესთან იხსენებს იმ ამბავს, ნასვამი გალაკტიონი ძლივს რომ აიყვანა სახლში და იცინის, ფეხზე ვერ იდგა და მაინც იმას იძახდა, კარი გამიღეთ, პოეტების მეფე მოდისო.

➤ 14294

1958

17-21 მარტი

მოსკოვის მატარებლით მგზავრობისას ვაგონში მასთან ერთად არის გიორგი ლეონიძე, რომელიც თვრება და თანამგზავრებს ლაპარაკით თავს აბეზრებს, რაც გალაკტიონს ძალიან აღიზიანებს.

➤ 14295

**1958**

**21 მარტამდე**

რუსეთის მიმართულეებით მატარებლით მგზავრობისას ხვდება დაბრკოლებას, მეწყერის გამო გზაში განსაზღვრულზე ერთი დღით მეტი სჭირდება, რის გამოც მატარებელს მოსკოვში ჩასვლა აგვიანდება.

➤ 14296

**1958**

**21 მარტამდე**

მოსკოვში რუსულ ენაზე გამოდის გალაკტიონ ტაბიძის „ლექსები და პოემები“, რომელშიც შედის ციკლები: „ადრეული ლირიკიდან“, „ეპოქა“, „ლექსები ევროპაზე“, „ომის წლების ლექსები“, „ცხოვრების მტევნები“ და „პოემები“.

➤ 14297

**1958**

**21 მარტი**

ჩადის მოსკოვში ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობის მისაღებად. მატარებლის სადგურში ხვდებიან სერგი ჭილაია და მიხეილ ქვლივიძე. მიართმევენ ულამაზეს თაიგულს. მიემართება სასტუმროსკენ „მოსკვა“, თან მიაქვს თაიგულიც, რომელიც სასტუმროს მომსახურე პერსონალის ყურადღებას იპყრობს. ყვავილებისთვის გამოუძებნიან ვაზას. კმაყოფილია, რადგან ეს შესანიშნავი თაიგული სასტუმროში მის ნომერს ამშვენებს. მწერალთა სახლში იმართება შეხვედრა ქართველ პოეტებთან. შეხვედრის დღეს ქართველი პოეტები დათქმულ ადგილას იკრიბებიან, მაგრამ გალაკტიონი მათ შორის არ არის, რადგან ეტყობა ვიღაცას მისი გაფრთხილება ავიწყდება. შეხვედრისას ცნობილი რუსი პოეტები ქებით მოიხსენიებენ ქართველ პოეზიასა და პოეტებს, თუმცა გალაკტიონს არ ახსენებენ. უცებ ფრიდონ ხალვაშის გვერდით ცარიელ სკამზე ჯდება გალაკტიონი, ყურადღებით უსმენს პოეტ სემიონ კირსანოვის გამოსვლას და ირონიულად ეკითხება ფრიდონ ხალვაშს, რაზე საუბრობს გამომსვლელი. პასუხის მიღებისას გალაკტიონს ისტერიულად ეცინება. შემდეგ ხალვაშს სთავაზობს მასთან ერთად სურათის გადაღებას. მათ უერთდებათ ივანე თარბა. გალაკტიონი ხელგადახვეული იღებს მათთან სურათს, შემდეგ ტაქსს აჩერებს და მწერალთა სასახლიდან მიდის.

➤ 14298

**1958**

**21 მარტი**

კმაყოფილია რუსეთის მწერალთა კავშირის ერთ-ერთი წევრის, უცნობი, სიმპათიური კაცის საქციელით, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია წიგნებით სავსე მძიმე ჩემოდნის მატარებლის ვაგონიდან გადატანაში და, გარდა ამისა, ავტომობილამდეც მიაცილა.

➤ 14299

**1958**

**21 მარტი**

ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილე ქართველ მწერალთა ნაწილი მიდის მოსკოვის ახლოს მდებარე სოფელ გორკაში, სადაც ცხოვრების გარკვეული მონაკვეთი გაატარა ვლადიმერ ლენინმა. წასვლას სთავაზობენ გალაკტიონსაც, მაგრამ ის სასტუმროში დარჩენას ამჯობინებს.

➤ 14300

1958

21 მარტი

ფიქრობს მომდევნო დღის, 22 მარტის შესახებ, როდესაც ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე უნდა გამოვიდეს – კრემლის ე. წ. სვეტებიან დარბაზში უნდა წარსდგეს დამსწრეთა წინაშე. იცის, რომ უნდა წაიკითხოს თავისი ლექსი „დეკადის დროშები“ ქართულად, მიუხედავად იმისა, რომ აქვს ამავე ლექსის რუსული თარგმანიც, ორგანიზატორები ავტორისგან მოითხოვენ ლექსის ორიგინალის ენაზე წაკითხვას, რადგან, წესდების თანახმად, ამ მასშტაბურ ღონისძიებაზე ნაწარმოების რუსული თარგმანი მხატვრული კითხვის ოსტატმა, დეკლამატორმა უნდა წაიკითხოს.

➤ 14301

1958

21 მარტი

ათვალისწინებს 21 მარტის რუსულ გაზეთებს, აკვირდება, რომ პერიოდული გამოცემების უმრავლესობა ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის შესახებ წერს. ამჩნევს იმასაც, რომ ერთ-ერთ გაზეთის მეთაურ წერილში კალე ბობოხიძის სტრიქონებია ციტირებული.

➤ 14302

1958

21 მარტი

აკვირდება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე მყოფი მწერლების: სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეების საქციელს, ამჩნევს, რომ ისინი რაღაცას ეშვებოდნენ, რის შედეგადაც ადგილობრივი გაზეთები უმეტესად მათ შესახებ წერენ. აპირებს, ეს უსამართლობა დეკადის დასრულებამდე როგორმე გამოასწოროს.

➤ 14303

1958

21 მარტი

სასტუმროში „მოსკვა“ ხვდება ქართველ მწერლებს, რომლებიც ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე დასასწრებად მასზე ადრე ჩავიდნენ. ეკითხება, ხომ არ იციან, გამოვიდა თუ არა მისი წიგნი „ლექსები და პოემები“, რომელიც რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობას უნდა გამოეჭვეყნებინა. ყველა პასუხობს, რომ წიგნის შესახებ არაფერი იციან. ამავე თემაზე ესაუბრება სიმონ ჩიქოვანსაც, რომელიც ასევე არ აღმოჩნდება საქმის კურსში. გალაკტიონი ხვდება, რომ ვიდრე ის მოსკოვში ჩავიდოდა, ყველა ქართველი მწერალი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ საქმეებს იგვარებდა და მისი წიგნის ამბის გასაგებად ვერავინ მოიცალა.

➤ 14304

1958

21 მარტი

სასტუმრო „მოსკვას“ მეათე სართულზე თავის ნომერში აკითხავს ფოტოგრაფი, რომ როგორც საქართველოს სახალხო პოეტსა და დეკადის მონაწილეს ფოტოები გადაუღოს. ერთი საათის მანძილზე დაატარებს პოეტს ფოტოების გადასაღებად სასტუმროს დერეფანში. ფოტოებს უღებენ სხვა მწერლებსაც, მათ შორის გიორგი ლეონიძეს. გალაკტიონი წუხს, რომ ფოტოგადაღება ასე გაჭიანურდა, გიორგი ლეონიძე კი ხუმრობით ამბობს, რომ ეს ფოტოგრაფი ვიღაცის მოგზავნილი უნდა იყოს მათ შესაწუხებლად.

➤ 14305

1958

## 21 მარტი

ხვდება კრიტიკოსსა და მთარგმნელ ვანო წულუკიძეს და იგებს, რომ ის ამზადებს მონოგრაფიას, რომლის პირველი მონაკვეთიც გალაკტიონს ეძღვნება. წულუკიძე ეუბნება, რომ ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ რედაქცია აპირებს გალაკტიონ ტაბიძის მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით მთელი ნომერი მას მიუძღვნას.

➤ 14306

1958

## 21 მარტი

სასტუმრო „მოსკვაში“ ხვდება მხატვარ კორნელი სანაძეს, რომელიც ეუბნება, რომ ამზადებს მის პორტრეტს.

➤ 14307

1958

## 21 მარტი

რუსეთში, სასტუმრო „მოსკვაში“ ხვდება მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკს, მაგრამ ვერ ასწრებს იმის კითხვას, ამთავრებს თუ არა მის ბიუსტს, რომელზე მუშაობაც დაწყებული აქვს.

➤ 14308

1958

## 21 მარტის შემდეგ

დღიურში წერს, რომ სხვადასხვა პირის ხელშია გიგო ზაზიაშვილის, დავით გველესიანის, ვასილი კროტკოვის, ნიკიფორე კულეშის, ვავა გაბუნიას, ქეთევან მაღალაშვილის, ირაკლი ტოფაძის, გვეტაძის, კოტე ქავთარაძის, დავით კაკაბაძის, რევაზ რევაზიშვილის, ნიკოლაი ჩერნიშკოვის, ოლღა დარიუსის, ლადო გუდიაშვილის, სერგეი სუდეიკინის, ბორის სემიონოვის, თედორე ჩუდეცის მიერ შესრულებული მისი პორტრეტები, ივანე ვეფხვაძის ეტიუდი. იაკობ ნიკოლაძის, ნიკოლოზ კანდელაკისა და ტიტე სიხარულიძის ბიუსტები და წიგნის „მამულო სიცოცხლეო“ ყდა.

➤ 14309

1958

## 21 მარტი

სასტუმრო „მოსკვაში“ ხვდება იმ სიმჰათიურ მამაკაცს, რომელიც მოსკოვის რკინიგზის სადგურში დახვდა, წიგნებით სავსე, მძიმე ჩემოდანი გადმოატანინა მატარებლის ვაგონიდან და შემდეგ ავტომობილამდე მიაცილა. ის შეახსენებს, რომ ერთმანეთს ადრევე იცნობდნენ და სწორედ მან გაამგზავრა 1935 წელს პარიზში. გალაკტიონიც იხსენებს, რომ 1935 წელს, საფრანგეთში გამგზავრებამდე სწორედ მან შეაძენინა კოსტიუმი, საკმარისი თანხაც უშოვა და ყველა სირთულის მოგვარებაში დაეხმარა. საუბრისას ირკვევა, რომ ეს მამაკაცი ამჟამად რუსეთის მწერალთა კავშირში მუშაობს.

➤ 14310

1958

## 21 მარტი

იმყოფება რუსეთში, სასტუმრო „მოსკვაში“. უცნაურად ეჩვენება ის ფაქტი, რომ თავისი ნომრის კარებს ვერც აღებს და ვერც კეტავს, ხოლო სართულის მორიგე ქალი ამ ყოველივეს უმარტივესად ახერხებს.

➤ 14311

1958

## 21 მარტი

საღამოს სასტუმრო „მოსკვას“ ვესტიბიულში სასიამოვნოდ საუბრობს მწერლებთან – მამია ასათიანთან, ალექსანდრე ქუთათელთან და დეკადის მონაწილე ოს პოეტთან. თანამოსაუბრეები აქებენ გალაკტიონის რუსულ ენაზე გამოცემულ ახალ წიგნს „ლექსები და პოემები“, ასევე იხსენებენ 1910-20-იანი წლებში გამოქვეყნებულ მის ნაწარმოებებს, მათ შორის ლექსს „თეთრი პელიკანი“.

➤ 14312

**1958**

**21 მარტი**

იმყოფება მოსკოვში, სადაც იწყება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადა. დეკადის ოფიციალურ გახსნას ელოდება სასტუმროში „მოსკვა“, რომლის მეათე სართულზეც არის დაბინავებული.

➤ 14313

**1958**

**21 მარტი**

იმყოფება სასტუმროში „მოსკვა“. რამდენადაც მეორე დღეს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე ლექსი უნდა წაიკითხოს, სურს, ამ გამოსვლისთვის ტანსაცმელი წინასწარ ჰქონდეს მზად. ამის გამო აპირებს, სასტუმროს მომსახურე პერსონალს სთხოვოს კოსტიუმის დაუთოვება.

➤ 14314

**1958**

**21 მარტი**

იმყოფება სასტუმროში „მოსკვა“ და ხვდება ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძეს, რომელიც გალაკტიონის თხოვნით, უბის წიგნაკში უწერს რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორის – არკადი დეევის ტელეფონის ნომერს.

➤ 14315

**1958**

**21 მარტი**

იმყოფება მოსკოვში, ემზადება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობის მისაღებად. პარალელურად, სურს დაუკავშირდეს რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ არკადი დევს და გაარკვიოს, გამოიცა თუ არა მისი წიგნი „ლექსები და პოემები“, რომელიც რუსულ ენაზე უნდა დაბეჭდილიყო. ამ მიზნით უბის წიგნაკში ინიშნავს წესს, თუ როგორ უნდა დარეკოს სასტუმროს ტელეფონიდან საქალაქო ტელეფონზე, კერძოდ კი, სახელმწიფო გამომცემლობაში.

➤ 14316

**1958**

**21 მარტი**

სასტუმროში „მოსკვა“ ხვდება რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ არკადი დევს, რომელიც სთხოვს სადეკადო ლექსს ქართული გაზეთისთვის „კომუნისტი“. გალაკტიონი ეუბნება, რომ ჯერ კიდევ თბილისში ყოფნისას გადასცა ლექსი – „დეკადის დროშები“ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას.

➤ 14317

**1958**

**21 მარტი**

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი – არკადი დეევი გადასცემს რუსულ ენაზე გამოცემული მისი ახალი წიგნის – „ლექსები და პოემები“ ორ ეგზემპლარს. გალაკტიონი ათვალერებს თავის წიგნს, რომელიც 9 938 სტრიქონს შეიცავს. ამის შემდეგ ანგარიშობს, რა რაოდენობის ჰონორარი შეიძლება მიიღოს, თუ თითო სტრიქონში 10 მანეთს გადაუხდიან, იმასაც გამოითვლის, რა თანხას გადასცემენ თუ სტრიქონში 5 მანეთის გადახდას გადაწყვეტენ. ამ გამოთვლას თავს ანებებს, ფიქრობს, რომ ანგარიშს აზრი არ აქვს, რადგან არ იცის, სტრიქონში რამდენს გადაუხდიან. ახსენდება, რომ რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობასთან ამ წიგნის თაობაზე ხელშეკრულება არ აქვს გაფორმებული. არკადი დეევი ჰონორართან დაკავშირებით მხოლოდ იმას განუმარტავს, რომ თანხის ნაწილს ახლავს მისცემენ, ხოლო მეორე ნაწილს მოგვიანებით გაუგზავნიან. გალაკტიონის შეხვედრას არკადი დეევთან თვალს ადევნებს სიმონ ჩიქოვანი, რაც პოეტის გაღიზიანებას იწვევს.

➤ 14318

**1958**

**21 მარტი**

გაზეთ „კომუნისტი“ პირველ გვერდზე იბეჭდება გალაკტიონის ლექსი „დეკადის დროები“, რომელიც პოეტმა 22 მარტს უნდა წაიკითხოს მოსკოვში, ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე გამოსვლისას.

➤ 14319

**1958**

**21 მარტი**

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება საინფორმაციო ხასიათის სტატია: „ქართული კულტურის ზეიმი“, რომელიც ეძღვნება მოსკოვში მიმდინარე ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის მასშტაბებსა და მნიშვნელობას. სტატიაში ნათქვამია, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ სტუმრებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ ქართული კლასიკური და თანამედროვე მწერლობის შესანიშნავ ნიმუშებს, ისეთ ავტორთა უკვდავ ქმნილებებს, როგორებიც არიან: შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები.

➤ 14320

**1958**

**21 მარტი**

ურეკავენ გაზეთის „ვეჩერნაია მოსკვა“ რედაქციიდან. გალაკტიონი ეუბნება, რომ ჩამოტანილი აქვს ათი ახალი ლექსი და უსახელებს სათაურებს. ასევე, ესაუბრება დეკადის შესახებ, უზიარებს საკუთარ აზრებს და სურვილებს ამ მასშტაბური ღონისძიების შესახებ. ჟურნალისტი ჰპირდება, რომ მასალა მომდევნო დღეს დაიბეჭდება. პოეტი კმაყოფილია, რომ მისი მოსკოვში ვიზიტით დაინტერესდნენ.

➤ 14321

**1958**

**21 მარტი ან შემდეგ**

მოსკოვის მწერალთა კავშირის დარბაზში ხვდება რუს კოლეგებს, რომლებიც მისი ლექსების თარგმანებს კითხულობენ. შეხვედრიდან კმაყოფილი ბრუნდება.

➤ 14322

**1958**

**21 მარტი ან შემდეგ**

სასტუმროში მის მეზობლად მცხოვრები ბორის ჭიაურელი გულბათ ტორამესა და გალაკტიონს საღამოს თავის ნომერში იწვევს და დიდხანს საუბრობენ. პოეტი ამბობს, რომ ქართველ

მთარგმნელთაგან მის ლექსებს საუკეთესოდ თარგმნიან ვალერიან გაფრინდაშვილი და გიორგი ცაგარელი. ძალზე მოსწონს ელენე შერვაშიძე-დობროდეევას მიერ ნათარგმნი „ლურჯა ცხენები“.

➤ 14323

1958

### 21 მარტი ან შემდეგ

მურმან ლებანიძე ანთოლოგიიდან აღებული ჰონორარით ორ რუს პოეტთან ერთად რესტორანში ეპატიჟება, მაგრამ გალაკტიონი უარს ეუბნება, რადგან საქმეები აქვს, გეგმავს თავადაც აიღოს ანთოლოგიის ჰონორარი და „იზვესტიისა“ და „პრავდის“ რედაქციებშიც შეიაროს.

➤ 14324

1958

### 21 მარტი ან შემდეგ

იმყოფება რუსეთში, სასტუმროში „მოსკვა“. აპირებს, მოიპოვოს 21 მარტს დაწყებული ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის პროგრამა. გარდა ამისა, გეგმავს თავისი გამოსაქვეყნებელი ლექსების თარგმანები გადასცეს სხვადასხვა რუსულ პერიოდულ გამოცემას. ასევე, სურს, იპოვოს ისეთი დეკლამატორი, რომელიც შეძლებს მისი ნაწარმოებების მხატვრულად წაკითხვას.

➤ 14325

1958

### 21 მარტი ან შემდეგ

ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობის მისაღებად იმყოფება მოსკოვში. უბის წიგნაკში ინიშნავს, იმ აუცილებელ ნივთებს, რომელთა შეძენასაც აპირებს რუსეთის დედაქალაქში. ჩამოთვლილ ნივთებს შორის არის: ხელთათმანები, მაჯის საათი, საქალაქდები, ქალაქი, საწერი კალამი და მაკრატელი.

➤ 14326

1958

### 21 მარტი ან შემდეგ

იმყოფება მოსკოვში, ადგენს გეგმას. დასაწყისისთვის, აპირებს, გაიგოს ადგილობრივი პერიოდული გამოცემების რედაქციების მისამართები, გადაბეჭდოს საკუთარი ნაწარმოებების ხელნაწერები, მოიპოვოს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის პროგრამა და აფიშები, ასევე, გაარკვიოს, სად დაბინავდნენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ირაკლი აბაშიძე და მწერალთა კავშირის მდივანი სერგი ჭილაია, რათა საჭიროების შემთხვევაში მარტივად დაუკავშირდეს მათ.

➤ 14327

1958

### 21 მარტი ან შემდეგ

ემზადება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე ლექსით გამოსვლისათვის. აპირებს, გააგზავნოს დეპეშა თბილისში და ოჯახის წევრებს შეატყობინოს ინფორმაცია თავისი მდგომარეობის შესახებ.

➤ 14328

1958

### 21 მარტის შემდეგ



მოსკოვში ქართული ლიტერატურის დეკადის დღეებში სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელი – არკადი დეევი შეამჩნევს, რომ დერეფანში მიმავალ გალაკტიონს სიარული უჭირს და ურჩევს, წყალტუბოში წავიდეს, რადგან თავად იქ ოთხჯერ იყო და ძალიან მოუხდა. გალაკტიონს გული სწყდება, დეევი მოსკოვიდან ახერხებს წყალტუბოში სიარულს, მე კი თბილისიდან ვერ ჩავსულვარო.

➤ 14329

1958

### 21 მარტის შემდეგ

მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ჩასული ქართველი მწერლები ხვდებიან მოსკოვის მოქალაქეებს, საწარმო დაწესებულების მუშაკებს, ბიბლიოთეკებს, მაგრამ გალაკტიონი არ ერევა ამ ორომტრიალში. სასტუმროს ნომერში ზის და ინიციატივას არ იჩენს. თუ ვინმე შეხვედრას შესთავაზს, მაშინ აქტიურდება. არც შემაჯამებელ შეხვედრას ესწრება, რომელზეც მონაწილეებს ორდენებით აჯილდოებენ. მიუხედავად ამისა, საკავშირო პრესაში გაშუქებულ დეკადის მასალებში მისი სახელი პირველობს.

➤ 14330

1958

### 21 მარტის შემდეგ

მოსკოვში შალვა რადიანსა და მის მეუღლესთან მერი გომართელი-რადიანთან სადილობს რესტორან „არაგვი“ და მხოლოდ მინერალურ წყალს მიირთმევს. სუფრის საფასურის გადახდას აპირებს, მაგრამ რადიანი ნებას არ აძლევს. სადილის შემდეგ გორკის ქუჩაზე სეირნობენ და შემდეგ სასტუმროს ფოიეში სურათს იღებენ.

➤ 14331

1958

### 21 მარტის შემდეგ

მოსკოვში ყოფნისას არსად დადის, ლიტერატურულ სექციებზეც კი ფორმალურად გამოჩნდება და მალევე უჩინარდება. დაინტერესებულია მოაგვაროს საკუთარი წიგნის მოსკოვში გამოცემის საკითხი. წუხს, რომ მოსკოვში რესტორნის „არაგვი“ გარდა არ არსებობს ქართული კულტურის კერა. იმასაც განიცდის, რომ რუსეთში დავიწყებულია ქართველ განმანათლებელთა და სამხედრო მოღვაწეთა ღვაწლი, პეტერბურგში ქართული კოლონიის დამსახურებაც მიჩქმალულია და ქართველთა მიერ აშენებული ლომონოსოვის უნივერსიტეტის შენობის ფასადს ამ ფაქტის აღმნიშვნელი წარწერაც აღარ ამშვენებს.

➤ 14332

1958

### 21 მარტის შემდეგ

საქართველოდან მოსკოვში აგზავნიან გაზეთ „კომუნისტის“ 21 მარტის ნომერს, რომლის პირველ გვერდზეც გალაკტიონის ლექსი – „დეკადის დროები“ არის დაბეჭდილი. პოეტი სხვა მწერლებთან ერთად იმყოფება სასტუმროში „მოსკვა“, სადაც მოაქვთ გაზეთის ეს ნომერი და ყველა ათვალიერებს.

➤ 14333

1958

### 21 მარტის შემდეგ

მოსკოვში ხვდება კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილს, რომელსაც დიდი ხანია სურს გალაკტიონის ლექსებზე მუსიკალური ნაწარმოების შექმნა, მაგრამ მისდამი მოკრძალების გამო ამის შესახებ ვერ ეუბნებოდა. სწორედ ამ საღამოს კი მისი ლექსის „მე და ღამე“ ტექსტზე ქმნის არაჩვეულებრივ მელოდიას და გადაწყვეტს ციკლის შექმნას.

➤ 14334

1958

22 მარტი

გაზეთში „ვეჩერნიია მოსკვა“ იბეჭდება სტატია „მათ გულითადად ესალმებიან მოსკოველები“, რომელშიც ნათქვამია: „გალაკტიონ ტაბიძე და შალვა დადიანი, ირაკლი აბაშიძე და კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე და იოსებ გრიშაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და იოსებ ნონეშვილი, გრიგოლ აბაშიძე და სიმონ ჩიქოვანი, მარიკა ბარათაშვილი და კარლო კალაძე, ამ ქართველი პროზაიკოსების, პოეტებისა და დრამატურგების სახელები... კარგად არის ნაცნობი საბჭოთა მკითხველისთვის“ და ისინი გულითადად ესალმებიან მათ ქართული კულტურის დეკადაზე მოსკოვში.

➤ 14335

1958

22 მარტი

სასტუმრო „მოსკვას“ ნომერში ურეკავს მიხეილ ქვლივიძე და აცნობებს, რომ საღამოს, რვის ნახევარზე უნდა გამოვიდეს კრემლის სვეტებიან დარბაზში და ქართულ ენაზე წაიკითხოს თავისი ლექსი. მიხეილ ქვლივიძე განუმარტავს, რომ ლექსის ორიგინალის ენაზე წაკითხვა საჭიროა, რათა ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე მყოფმა დამსწრე საზოგადოებამ მოისმინოს ქართული ლექსის ჟღერადობა. ასევე ეუბნება, რომ მისი გამოსვლით გაიხსნება შეხვედრა და თან აფრთხილებს, რომ ლექსი, რომლის წაკითხვასაც აპირებს, უნდა იყოს მოკლე, რადგან მისი გამოსვლის შემდეგ სცენა უნდა დაეთმოს რუს არტისტებს. გალაკტიონს ახსენდება, რომ ეს ის ქვლივიძეა, ვინც მას წინა დღეს მოსკოვის რკინიგზის სადგურში დახვდა და ყვავილები მიართვა. პოეტს მიხეილ ქვლივიძის არგუმენტი დამაჯერებლად არ ეჩვენება, აეჭვებს, რატომ არ აკითხებენ ლექსს რუსულად, რისი ეშინიათ დეკადის ორგანიზატორებს. ამ ეჭვებიდან გამომდინარე, აპირებს საგანგებოდ დააკვირდეს, აფხაზი პოეტი, დიმიტრი გულია რა ენაზე წაიკითხავს ლექსს – აფხაზურად თუ რუსულად, დიდ ლექსს წაკითხებენ მას თუ პატარას. თავად აპირებს, წაიკითხოს „დეკადის დროშები“, მით უფრო, რომ ეს ლექსი სპეციალურად დეკადისთვის დაწერა და თან ტექსტიც მცირე ზომისაა.

➤ 14336

1958

22 მარტი

იმყოფება მოსკოვში, ესწრება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადას. მწერალი ალექსანდრე ქუთათელი სთავაზობს ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეის დათვალიერებას, მაგრამ გალაკტიონი უარს ამბობს, რადგან გალერეაში წასვლის გუნებაზე არ არის.

➤ 14337

1958

22 მარტი

ხვდება მამია ასათიანი, რომელიც გადასცემს კრემლის სვეტებიან დარბაზში შესასვლელ ბარათს და გადაკოცნის. პოეტს მწერლის ასეთი ყურადღება სიამოვნებს და ფიქრობს, რომ მამია ასათიანი მისი ერთგული ადამიანია, მისი პატრიოტია.

➤ 14338

1958

22 მარტი

რუსულ ლიტერატურულ გაზეთში „ლიტერატურნია გაზეტა“ ქვეყნდება გია მარგველაშვილის სტატია, რომლის ერთი მონაკვეთი ეძღვნება საქართველოს სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. გალაკტიონი სტატიაში წარმოჩენილია, როგორც გამორჩეული

ქართველი პოეტი, „რევოლუციური საქართველოს“, „ეპოქისა“ და „მსოფლიო ორკესტრის“ ავტორი.

➤ 14339

1958

22 მარტი

ათვალეირებს 22 მარტის რუსულ გაზეთებს და ასკვნის, რომ თითოეული პერიოდული გამოცემა სავსეა ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის საზეიმო გახსნის შესახებ სტატიებით. უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ მისი შემოქმედების შესახებაც არის საინტერესო მსჯელობა გაზეთში „ლიტერატურნაია გაზეთა“ გამოქვეყნებულ გია მარგველაშვილის სტატიაში და „ვეჩერნაია მოსკვაც“ მისი სახელით იწყებს პუბლიკაციას.

➤ 14340

1958

22 მარტი

ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე, კრემლის სვეტებიან დარბაზში, სადაც, პროგრამის მიხედვით, თექვსმეტმა პოეტმა უნდა გააცნოს საკუთარი ნაწარმოებები აუდიტორიას, კითხულობს ლექსს „დეკადის დროშები“. ღონისძიების ლიტერატურული ნაწილი იწყება სადამოს რვის ნახევარზე, გალაკტიონის გამოსვლით. პოეტის სახელის გამოცხადებას დარბაზი მქუხარე ტაშით ეგებება. ლექსის წაკითხვის შემდეგ იგი გადის ფოიეში, სადაც ყველა ულოცავს ბრწყინვალე გამოსვლას, ეუბნებიან, რომ დიდებული, მაღალი, სასიამოვნო ტემბრის ხმა აქვს. ამის შემდეგ გამოდის რუსი პოეტი და მთარგმნელი პავლე ანტოკოლსკი, რომელიც კითხულობს მის მიერ შესრულებულ გალაკტიონ ტაბიძის ლექსის – „მაისი და მშვიდობა“ რუსულ თარგმანს. გალაკტიონი კმაყოფილია საკუთარი გამოსვლით, ახარებს ისიც, რომ არც ერთი სხვა პოეტის ლექსის თარგმანი მთარგმნელს არ წაუკითხავს ისე კარგად, როგორც პავლე ანტოკოლსკიმ წაკითხა მისი ლექსის თარგმანი. სწორედ ამის გამო მადლობას უხდის რუს პოეტსა და მთარგმნელს, უბის წიგნაკში კი ინიშნავს, რომ პავლე ანტოკოლსკი მშვენიერი პოეტია და ახასიათებს ზრდილობა.

➤ 14341

1958

22 მარტი

მის გამოსვლას დეკადაზე კინორეჟისორები შალვა ჩაგანავა და გიორგი ხომერიკი ფირზე აღბეჭდავენ კინონარკვევისთვის „მეგობართა ზეიმი მოსკოვში“.

➤ 14342

1958

22 მარტი

იმყოფება კრემლის სვეტებიან დარბაზში. უსმენს ქართველ პოეტებს, ადარებს საკუთარ და მათ გამოსვლებს ერთმანეთს და ასკვნის, რომ მის გარდა ხმა არცერთს არ უვარგა. ასევე ფიქრობს, რომ შალვა დადიანის და მარიკა ბარათაშვილის გარდა, დანარჩენი ავტორების მიერ წაკითხული ლექსები მოისუსტებდნენ. მიუხედავად ამისა, მიაჩნია, რომ მთლიანობაში ღონისძიება მაინც ნორმალურად, კულტურულად ჩატარდა.

➤ 14343

1958

22 მარტი

თავისი ექვსი ლექსის რუსულ თარგმანს სერგი ჭილაიას რჩევით გადასცემს რუსეთში მოღვაწე ქართველ კინოდრამატურგ გიორგი მდივანს, რომელიც ჰპირდება, რომ მათ გამოქვეყნებაში დაეხმარება.

➤ 14344

**1958**

**22 მარტი**

ხვდება გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ დირექტორ მარკ ზლატკინს, რომელიც ეუბნება, რომ „ზარია ვოსტოკა“ გამოსაცემად ამზადებს მის წიგნს და უკვე დაწყებულია შედგენის პროცესი. ეს ინფორმაცია ახარებს და ფიქრობს, რომ, როგორც კი საქართველოში დაბრუნდება, მაშინვე დაეხმარება „ზარია ვოსტოკას“ ამ მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებაში. გარდა ამისა, აპირებს თბილისში დაბრუნებისთანავე ჩაერთოს თავისი თხზულებების აკადემიური გამოცემის პირველი ტომის მომზადების პროცესშიც.

➤ 14345

**1958**

**22 მარტი**

სადამოს ესაუბრება რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ არკადი დეევს, რომელიც ეუბნება, რომ კრემლის სვეტებიან დარბაზში მხოლოდ მისი, რუსულ ენაზე ახლახან გამოცემული წიგნი „ლექსები და პოემები“ იყიდებოდა. არკადი დეევთან დიალოგისას ახსენდება მასთან ადრინდელი, ნეგატიური შინაარსის საუბრებიც და, მართალია ამჯერად მის კეთილგანწყობას გრძნობს, მაინც ფიქრობს, რომ მისი რეალური დამოკიდებულება გამოჩნდება გალაკტიონისთვის ჰონორარის რაოდენობის განსაზღვრისას.

➤ 14346

**1958**

**22 მარტი**

ესაუბრება შალვა დადიანსა და მისი ოჯახის წევრებს. ყველანი ეუბნებიან, რომ მისი გამოსვლა კრემლის სვეტებიან დარბაზში იშვიათი რამ იყო. საუბრისას ირკვევა, რომ განსაკუთრებით მოსწონებიათ გალაკტიონის ხმა, მაღალი და კარგი ტემბრი, ასევე ისიც, რომ აუდიტორია პოეტის გამოსვლას დიდებულად შეხვდა.

➤ 14347

**1958**

**22 მარტი**

ესაუბრება მამია ასათიანს, რომელიც ატყობინებს, რომ ჰონორარის მიღება ირაკლი აბაშიძის საქციელის გამო ყოვნდება.

➤ 14348

**1958**

**22 მარტი**

უბის წიგნაკში იწერს ყველა იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რაც იმ დღეს მოხდა ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე. საგანგებოდ აღნიშნავს იმას, რომ ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები – ვასილ მჟავანაძე და გივი ჯავახიშვილი.

➤ 14349

**1958**

**23 მარტი**

მოსკოვში ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე ყოფნისას მასთან მიდის მწერალი რევაზ მარგიანი და ესაუბრება წინა დღეს, კრემლის სვეტებიან დარბაზში მისი გამოსვლის თაობაზე. ეუბნება, რომ გალაკტიონი დიდებულად წარსდგა აუდიტორიის წინაშე, ხალხიც და მთავრობაც ერთნაირი აღტაცებით შეხვდა პოეტს. განსაკუთრებით აღნიშნავს, თუ როგორ

მოეწონა გალაკტიონის გამოსვლა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველს მდივან ვასილ მუავანაძეს. რევაზ მარგიანის თქმით, განსაკუთრებით ეფექტური იყო ის, რომ მის მიერ წაკითხული ლექსი იყო მოკლე და სხარტი. მწერალი აღნიშნავს, რომ გრძელი ლექსების კითხვა ასეთ ღონისძიებაზე მომგებიანი არ არის და სწორედ ამის გაუთვალისწინებლობის გამო ბევრი სხვა ავტორის გამოსვლა უღიმღამო იყო.

➤ 14350

**1958**

**23 მარტი**

რევაზ მარგიანს მოსწონს გალაკტიონის რუსულ ენაზე გამოცემული ახალი წიგნი „ლექსები და პოემები“ და პოეტთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ეს გამოცემა „ძლიერ დიდი წიგნია“. გალაკტიონი მის მიერ გამოთქმულ აზრს, როგორც ამ ახლადგამოცემულ წიგნთან დაკავშირებულ ერთ-ერთ პირველ შეფასებას, უბის წიგნაკში ინიშნავს.

➤ 14351

**1958**

**23 მარტი**

მოსკოვში, სასტუმრო „მოსკვასთან“ შემთხვევით ხვდება გიორგი ლეონიძესა და ალექსანდრე ქუთათელს. გიორგი ლეონიძე გალაკტიონს ეკითხება, ნასადილევა თუ არა და სთავაზობს ერთად სადილობას სასტუმროს რესტორანში. თავის მხრივ, ალექსანდრე ქუთათელიც ეპატიჟება პოეტს. გალაკტიონი ეუბნება, რომ მათთან სადილობას ვერ შეძლებს, რადგან საქმეები აქვს და ეჩქარება. გულში კი იმეორებს ფრაზას – „დროშები მაღლა, მაღლა, სულ მაღლა!“ – თავის ლექსიდან „დეკადის დროშები“ იმის ნიშნად, რომ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის მიმდინარეობისას ჯერ კიდევ ბევრი რამე აქვს მოსასწრები და დროის დაკარგვა არ შეუძლია.

➤ 14352

**1958**

**23 მარტი**

მოსკოვში ყოფნისას ხვდება მწერალ ელიზბარ ზედგინიძის ვაჟს – გურამს, რომელიც უზიარებს წინა დღის შთაბეჭდილებებს, კერძოდ, ესაუბრება კრემლის სვეტებიან დარბაზში მისი გამოსვლის თაობაზე, ეუბნება, რომ გალაკტიონი დიდებულად წარსდგა აუდიტორიის წინაშე და ლექსი გამორჩეული არტისტულობით წაიკითხა.

➤ 14353

**1958**

**23 მარტი**

მწერალ ელიზბარ ზედგინიძის ვაჟი – გურამი უჩვენებს გაზეთ „კომუნისტის“ 21 მარტის ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილ ლექსს „დეკადის დროშები“, რომელიც გალაკტიონმა 22 მარტს წაიკითხა მოსკოვში, ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე გამოსვლისას. გურამ ზედგინიძე ეუბნება, რომ, სავარაუდოდ, ეს ლექსი და წინა დღეს პოეტის მიერ აუდიტორიის წინაშე წაკითხული ნაწარმოები ერთი და იგივე არ უნდა იყოს. ეს შენიშვნა გალაკტიონის დაინტერესებას იწვევს, იგი ათვალისწინებს გაზეთში გამოქვეყნებულ თავის ლექსს და ხვდება, რომ ნაწარმოების ბოლო სტრიქონები „კომუნისტის“ რედაქციას შეუცვლია. წინა დღის წარმატებული გამოსვლის ფონზე იმ წუთას ეს უმნიშვნელოდ ეჩვენება.

➤ 14354

**1958**

**23 მარტი**

ათვალისწინებს რუსულ ენაზე გამოცემულ თავის ახალი წიგნს „ლექსები და პოემები“. ითვლის წიგნში შეტანილი ნაწარმოებების რაოდენობას, უბის წიგნაკში ინიშნავს როგორც ლექსებისა და პოემების მთარგმნელების, ასევე, გამომცემლობის დირექტორის, მხატვრის, რედაქტორის, ტექნიკური რედაქტორისა და კორექტორის ვინაობას. ფიქრობს, რომ თითოეული იმსახურებს უგულითადეს მადლობას ასეთი მშვენიერი წიგნის გამოცემისათვის.

➤ 14355

**1958**

**23 მარტი**

ლამის თორმეტის ნახევარზე სასტუმრო „მოსკვას“ დერეფანში ხვდება გიორგი ლეონიძე, რომელიც ახლაც, ისე როგორც თბილისიდან მოსკოვის მიმართულებით მატარებლით მგზავრობისას, მთვრალია. ის ეკითხება გალაკტიონს, თუ რა აძლებინებს მარტოს, თან ურჩევს, დაუძახოს რომელიმე ქალს და ცოტა გაერთოს. ამ სიტყვების მოსმენისას გალაკტიონი სიცილს იწყებს. გიორგი ლეონიძე მიდის იქვე მახლობლად მყოფ სასტუმროს თანამშრომელ ქალთან, საუბარს უწყებს და თან გალაკტიონზე ანიშნებს. ქალი უსმენს და რუსულ ენაზე ეუბნება უარს. გალაკტიონი ხვდება, თუ რა შინაარსი უნდა ჰქონდეს გიორგი ლეონიძისა და რუსი ქალის საუბარს: მისი აზრით, ლეონიძე სთხოვს, ვინმე ქალი მოუყვანოს გალაკტიონს. პოეტის ვარაუდით, ქალი მიხვდა, რომ თანამოსაუბრე ხუმრობდა. ამის შემდეგ ლეონიძე ქალთან ლაპარაკს წყვეტს და კვლავ გალაკტიონთან ბრუნდება, სთხოვს მას, გაჰყვეს თავის ნომერში და ერთად დალიონ ღვინო. გალაკტიონი არ მიჰყვება, მადლობას უხდის და ჰპირდება, რომ სხვა დროს შეუვლის. გიორგი ლეონიძე მიდის, გალაკტიონი კი აღშფოთებულია მისი საქციელით, რადგან მიიჩნევს, რომ მსგავსი ქცევა ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილე მწერალს არ შეეფერება.

➤ 14356

**1958**

**23 მარტი**

გრძნობს, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა წინა დღეებთან შედარებით გაუმჯობესებულია. სახსრების ტკივილიც მცირდება, თუმცა ფეხები მაინც სტკივა. ახსენდება რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ არკადი დეევის რჩევა წყალტუბოსთან დაკავშირებით.

➤ 14357

**1958**

**23 მარტი**

ლამის თორმეტ საათზე სასტუმრო „მოსკვას“ დერეფანშია, როცა მასთან მიდი უცნობი ინტელიგენტი ქალიშვილთან ერთად, ესალმება, როგორც პოეტების მეფეს და თავის ქალიშვილს რუსულად ეუბნება, რომ ხელზე ემთხვიოს. ამ დროს კრემლის საათი თორმეტჯერ რეკავს. გალაკტიონზე ეს შთაბეჭდილებას ახდენს და ამ ფაქტს უბის წიგნაკში ინიშნავს.

➤ 14358

**1958**

**24 მარტამდე**

გეგმავს 24 მარტს გასაკეთებელ საქმეებს. მათ შორის ჩამოთვლილია: ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის პროგრამის გაგება, „სახელმწიფო ლიტერატურის გამომცემლობაში“ მისვლა, რუსულ ენაზე გამოცემული „ლექსებისა და პოემების“ რედაქტორის სოფია ხითაროვასათვის მადლობის გადახდა, წიგნის ეგზემპლარების გაგზავნა მოსკოვიდან თბილისში და ჰონორარის საკითხის მოგვარება.

➤ 14359

1958

**24 მარტი**

იმყოფება სასტუმროს „მოსკვა“, საკუთარ ნომერში, როდესაც ვიღაც რეკავს ტელეფონზე. გალაკტიონი იღებს ყურმილს და უცნობი ქალი საკუთარი სახელისა და გვარის დაკონკრეტების გარეშე სთხოვს, დაალაპარაკოს ნინა. გალაკტიონი აღშფოთებულია ამ თხოვნით, რადგან დარწმუნებულია, რომ ვიღაცას სურს გაიგოს, მოსკოვში მარტო იმყოფება თუ ოჯახთან ერთად. ცოტა ხნის შემდეგ სატელეფონო ზარი მეორდება. გალაკტიონი კვლავ იღებს ყურმილს, პოეტის ხმის გაგონებისას ქალი მოუბოდიშებს და ეუბნება, რომ სხვასთან რეკავდა.

➤ 14360

1958

**24 მარტი**

ფიქრობს რუსულ ენაზე გამოცემული თავისი ახალი წიგნის – „ლექსები და პოემები“ შესახებ. ადარდებს ის ფაქტი, რომ რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობასთან ხელშეკრულება არა აქვს გაფორმებული და, შესაბამისად, ჰონორარის საკითხიც ჯერჯერობით გაურკვეველია.

➤ 14361

1958

**24 მარტი**

შუადღის 12 საათზე მიდის რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობაში, სადაც დიდხანს ელოდება დირექტორ არკადი დეევს. ბოლოს ახერხებს მის ნახვას, ესაუბრება კრემლის სვეტებიან დარბაზში გამართული ქართველების სადეკადო საღამოს შესახებ და ეკითხება, მოეწონა თუ არა ღონისძიება. გამომცემლობის დირექტორი ეუბნება, რომ ეს საღამო არ მოეწონა, რადგან, მისი აზრით, საჭირო არ იყო ღონისძიების ზედმეტად გადატვირთვა ცეკვითა და მუსიკალური ნომრებით. გალაკტიონი ეთანხმება არკადი დეევს, რადგან ისიც მიიჩნევს, რომ მართლაც ბევრი რამ იყო ზედმეტი და ეს, თავის მხრივ, საღამოს ორგანიზატორების ბრალი ჰგონია.

➤ 14362

1958

**24 მარტი**

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ არკადი დეევს ესაუბრება თავისი ახალი, რუსულ ენაზე გამოცემული წიგნის – „ლექსები და პოემები“ შესახებ, სურს დაადგინოს ამ გამოცემისათვის მისაღები ჰონორარის რაოდენობა. ამ მიზნით, არკადი დეევს შეახსენებს, რომ წიგნში არის 9 932 სტრიქონი. გამომცემლობის დირექტორი უპასუხებს, რომ არასწორად გამოუანგარიშებია, რადგან წიგნში, მისი აზრით, ბევრად მეტი სტრიქონია. საუბრისას ირკვევა, რომ რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობაში არამხოლოდ უშუალოდ ლექსების ტექსტი, არამედ – სათაურებიც სტრიქონებად ითვლება. გამომცემლობის დირექტორი ჰონორარის საკითხზეც აწვდის ინფორმაციას. მისი თქმით, პირველად დაბეჭდილი ლექსის თითოეულ სტრიქონში 20 მანეთს გადაუხდიან, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში – 14 მანეთს. ეს ცნობა გალაკტიონს ახარებს, რადგან მოელოდა, რომ სტრიქონში 5 მანეთს გადაუხდიდნენ. კიდევ უფრო ზუსტი ინფორმაციისთვის არკადი დეევი პოეტს სთხოვს, ერთი კვირის შემდეგ, 31 მარტს, ისევ მივიდეს მასთან გამომცემლობაში.

➤ 14363

1958

**24 მარტი**

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობიდან ბრუნდება სასტუმროში „მოსკვა“. გახარებულია, რადგან გაიგო, რომ რუსულ ენაზე ახლახან გამოცემულ წიგნში „ლექსები და პოემები“ ბევრად მეტ ჰონორარს გადაუხდიან ვიდრე თავად ვარაუდობდა. სასტუმროს კარებთან ხვდება კრიტიკოს ბესარიონ ქლენტის ქალიშვილი – ნინო და გულითადად ესალმება. გალაკტიონს

მოსწონს გოგონას მისდამი დამოკიდებულება და მოგვიანებით უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ბესარიონ ჟღენტის ქალიშვილი ძალზე კულტურული ბავშვია. იქვე, სასტუმროს ვესტიბიულში ხვდება სერგი ჭილაიასა და გრიგოლ აბაშიძეს, რომლებიც აგროვებენ მწერლებს ერთ-ერთ მორიგ ღონისძიებაზე წასაყვანად. გალაკტიონი ეუბნება, რომ ავად არის, თუმცა ამ სიტყვებს არცერთი მათგანი ოდნავ ყურადღებასაც არ აქცევს, თითქოს არც კი გაუგონიათ. ეს ამბავი გალაკტიონს აღაშფოთებს და უბის წიგნაკში მათ მოიხსენიებს, როგორც უკულტურო ადამიანებს.

➤ 14364

**1958**

**24 მარტი**

კითხულობს რუსული გაზეთის „პრავდა“ პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ საინფორმაციო ხასიათის სტატიას სათაურით „ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა“. წერილში მიმოხილულია მოსკოვში ქართველ ხელოვანთა, მათ შორის, მწერალთა მიერ, დეკადის დღეებში ჩატარებული ის ღონისძიებები, რომლებზეც ქართველმა ავტორებმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს, ერთი მხრივ, ქართული კლასიკური ლიტერატურა, ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე ქართული მწერლობა. გალაკტიონი ფიქრობს, რომ ეს ყველაზე დასამახსოვრებელი წერილია იმ სტატიებს შორის, რაც ამ მასშტაბურ ღონისძიებას მიემდგნა, მით უფრო, რომ წერილში სხვა საინტერესო ფაქტებთან ერთად განხილულია თბილისის გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ სადეკადო ნომრები.

➤ 14365

**1958**

**25 მარტი**

რუსული გაზეთის „იზვესტია“ პირველ გვერდზე იბეჭდება გალაკტიონის ლექსის „40 წელი“ რუსული თარგმანი სათაურით „ფერი თხუთმეტ მოძმე დროშის“. გალაკტიონი კითხულობს გაზეთს და მოსწონს ის ფაქტი, რომ პირველ გვერდზე დაბეჭდვა, ფქტობრივად, მისი მნიშვნელობის აღიარებაა.

➤ 14366

**1958**

**25 მარტი**

ფიქრობს, შეიძინოს ავტომანქანა და სურს, გაარკვიოს, რა არის საამისოდ საჭირო.

➤ 14367

**1958**

**25 მარტი**

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობიდან ურეკავს რუსულ ენაზე გამოცემული მისი ახალი წიგნის – „ლექსები და პოემები“ რედაქტორი სოფია ხითაროვა და უთანხმდება, რომ მეორე დღეს შეხვდება რუსეთის მწერალთა კავშირში. ასევე აცნობებს, რომ მასთან ერთად იქნება იმავე გამომცემლობის თანამშრომელი ელისო ჯალიაშვილი. გალაკტიონი აპირებს, გაარკვიოს, შესაძლებელია თუ არა სამომავლოდ რუსულ ენაზე კიდევ ორი წიგნის გამოსაცემად მომზადება რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობასთან თანამშრომლობით. ასევე გეგმავს, რომ საკუთარი თხზულებების რვატომეულის მერვე ტომის ორი ეგზემპლარი გადასცეს სოფია ხითაროვას.

➤ 14368

**1958**

**26 მარტამდე**

მოსკოვში რუსულ ენაზე წიგნად გამოდის სერგი ჭილაიას კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელსაც ერთვის გალაკტიონის თხზულებათა ბიბლიოგრაფია.

➤ 14369



**1958**

**26 მარტი**

ურეკავენ რუსული გაზეთის „იზვესტია“ რედაქციიდან და სთხოვეს რედაქციაში მისვლას წინა დღეს გამოქვეყნებული ლექსის „ფერი თხუთმეტ მოძმე დროში“ ჰონორარის ასაღებად.

➤ 14370

**1958**

**26 მარტი**

სასტუმროში „მოსკვა“ გალაკტიონთან მიდის რადიო-გადაცემის კორესპონდენტი, ესაუბრება ქართული პოეზიის შეახებ და იწერს ამ საუბარს.

➤ 14371

**1958**

**26 მარტი**

სასტუმროდან „მოსკვა“ მიდის რუსეთის მწერალთა კავშირში, სადაც შუადღის თორმეტ საათზე იწყება ქართული პოეზიის განხილვა. ესწრება ამ სხდომას, თუმცა განხილვა მასზე უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენს და უბის წიგნაკში იმ დღის ამბების გახსენებისას ამ ღონისძიებას კრეტიულს უწოდებს.

➤ 14372

**1958**

**26 მარტი**

სადილობს კონსტანტინე ჭიჭინაძესთან, ალექსანდრე გომიაშვილსა და რევაზ ასაევთან ერთად. საუბრობენ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის შესახებ. ალექსანდრე გომიაშვილი სვამს გალაკტიონის სადღეგრძელოს და ამბობს, მიუხედავად იმისა, სხვები იტყვიან თუ არა ხმამაღლა, გალაკტიონი მაინც გენიაა და პირველი პოეტი საქართველოსიო. ამ სადღეგრძელოს შემდეგ კონსტანტინე ჭიჭინაძე კვლავ დეკადის საკითხს უბრუნდება, ხოლო გალაკტიონი ოს პოეტს, რევაზ ასაევს ატყობინებს, რომ ორი კვირის შემდეგ ცხინვალში ჩასვლას აპირებს.

➤ 14373

**1958**

**26 მარტი**

იმყოფება სასტუმროში „გრანდ ოტელი“, სადაც თორმეტ მხატვართან ერთად აღმოჩნდა სუფრასთან. ამ მხატვრებს შორის არიან უჩა ჯაფარიძე და შალვა მამალაძე. მხატვრები ოვაციებს უმართავენ გალაკტიონს, ამავე დროს, უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებენ იმ მწერლებს, რომლებიც ზედმეტად აქტიურობენ და საკუთარი თავის წარმოსაჩენად რედაქციებს არასწორ ცნობებს აწვდიან. მხატვართა კლუბის ხელმძღვანელი, შალვა მამალაძე გალაკტიონს სთავაზობს მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობას. პოეტი აღფრთოვანებულია მხატვრებთან შეხვედრითა და საუბრით. გეგმავს, როგორც კი თბილისში დაბრუნდება, მაშინვე დაიწყოს მზადება გამოფენისათვის და განახორციელოს მისი კარგა ხნის წინანდელი გეგმა, რომელიც გააერთიანებს ასი ავტორის მიერ გალაკტიონისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს და მხატვართა ნამუშევრებს. ფიქრობს, რომ ეს გამოფენა დიდებული იქნება, მით უფრო, თუ უჩა ჯაფარიძეც მხარს დაუჭერს.

➤ 14374

**1958**

**26 მარტი**

ხვდება რუსულ ენაზე გამოცემული თავისი ახალი წიგნის რედაქტორ სოფია ხითაროვას, რომელიც ეუბნება, რომ სურს მოაწყოს გალაკტიონისა და მთარგმნელების შეხვედრა. პოეტი

გამოთქვამს თანხმობას და სოფია ხითაროვა აცნობს მისი ლექსების ერთ-ერთ მთარგმნელს – პოეტ კლარა არსენევას.

➤ 14375

**1958**

**26 მარტი**

რუსეთის მწერალთა კავშირში ყოფნისას და სხვადასხვა პირებთან შეხვედრისას უღებენ ფოტოებს. დღიურში იწერს, რომ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე უამრავი ფოტო გადაუღეს და კარგი იქნება თუ ვინმე შეაგროვებს.

➤ 14376

**1958**

**26 მარტი**

ატყობინებენ, რომ მეორე დღეს, 27 მარტს, გრძელდება მწერალთა კავშირში დაწყებული ქართული პოეზიის განხილვა.

➤ 14377

**1958**

**26 მარტი**

უსმენს მწერლების საუბარს, რომლებიც 1949 წელს გარდაცვლილ რუს პოეტსა და მთარგმნელ მიხეილ გოლოდნის ახსენებენ. გალაკტიონს ახსენდება, რომ ამ მთარგმნელს მისი ერთი ლექსიც აქვს ნათარგმნი.

➤ 14378

**1958**

**26 მარტი**

იგებს, რომ გამოქვეყნებულა სერგი ჭილაიას რუსულ ენაზე დაწერილი მონოგრაფია – „გალაკტიონ ტაბიძე: კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი“. გაცემულია, რომ მოსკოვში გამოცემული წიგნი ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე არც კი გამოაჩინეს, თითქოს საგანგებოდ მალავენ ყველაფერს, რაც მას უკავშირდება.

➤ 14379

**1958**

**26 მარტი**

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორი სოფია ხითაროვა ეუბნება, რომ გამომცემლობის თანამშრომლებმა გამოიანგარიშეს რუსულ ენაზე გამოცემულ მის ახალ წიგნში – „ლექსები და პოემები“ – არსებული სტრიქონების რაოდენობა და დაადგინეს, რომ სულ არის 9 645 სტრიქონი. გალაკტიონს ეგონა, რომ წიგნში 9 932 სტრიქონი იქნებოდა, რადგან თვითონ ასე გამოთვალა. ხვდება, რომ ჰონორარის რაოდენობა უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ვარაუდობდა, თუმცა, ამაზე აღარ დარდობს.

➤ 14380

**1958**

**26 მარტი**

სურს, როგორმე მოიპოვოს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ორგანიზატორთა ოფიციალური სია და გაარკვიოს, ვინ გეგმავს ჩასატარებელ ღონისძიებებს.

➤ 14381

**1958**

**26 მარტი**

ვიდაცას ესაუბრება ავტომობილის შექმნის თაობაზე, მაგრამ თანამოსაუბრე არ ურჩევს და ბოლოს გალაკტიონიც გადაიფიქრებს.

➤ 14382

**1958**

**26 მარტი**

მოსკოვის რადიო გადაცემას უძღვნის საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს. გადაცემის წამყვანი მსმენელს აცნობებს, რომ ესაუბრა ქართული ხელოვნებისა და კულტურის დეკადაზე მყოფ პოეტს, რომელსაც მალე ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავი უსრულდება და საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიცემა მის თხზულებათა სრული კრებული. გადაცემაში ასევე აღნიშნავენ, რომ გალაკტიონის თხზულებების რუსულ ენაზე სათარგმნად ოცდაათი რუსი პოეტი მუშაობს და საიუბილეოდ გამოქვეყნდება ქართველი მწერლის რუსულ ენაზე ნათარგმნი თხზულებების კრებულიც. გალაკტიონი ამ გადაცემის მოსმენას ვერ ახერხებს, მაგრამ მის შინაარსს გრიგოლ ბერძენიშვილისა და შალვა რადიანისაგან იგებს. ძალიან ახარებს ეს ინფორმაცია და უბის წიგნაკში ინიშნავს რადიო-გადაცემის შინაარსს.

➤ 14383

**1958**

**26 მარტი**

ხვდება ოს პოეტს, რევაზ ასაევს, რომელიც ესაუბრება ოსეთში არსებულ სიტუაციაზე. უხსნის, რომ იქ მისთვის მიუღებელი გარემო იყო, რადგან მწერალთაგან ადგილზე მხოლოდ შოვინისტები დარჩნენ, როგორცაა, მაგალითად, თევდორე გაგლოითი – იგივე გაფეზი. სწორედ ამის გამო რევაზ ასაევს სწავლა მოსკოვში, მაქსიმ გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში გაუგრძელება. ოსი პოეტი შეახსენებს გალაკტიონს 1956 წელს ცხინვალში მის ვიზიტს, როდესაც საქართველოს სახალხო პოეტს შესანიშნავი დახვედრა მოუწყვეს.

➤ 14384

**1958**

**26 მარტი**

ხვდება მხატვარს, რომელიც ეუბნება, რომ მასთან ინახებოდა ვასილი კროტკოვის მიერ დახატული გალაკტიონის პორტრეტი, რომელიც გადასცა მხატვართა მუზეუმს. ეს ინფორმაცია გალაკტიონს აოცებს, რადგან თანამოსაუბრეს შეეძლო ეს პორტრეტი პირადად მისთვის გადაეცა. გარდა ამისა, პოეტს აინტერესებს, თანამოსაუბრეს აქვს მისი სხვა პორტრეტები თუ არა. ასევე, ცდილობს გაიხსენოს რა ბედი ეწია სხვა მხატვრის – გრიგოლ მესხის მიერ შესრულებულ მის პორტრეტს.

➤ 14385

**1958**

**26 მარტი**

ხვდება მურმან ლებანიძეს, რომელიც ეპატიჟება ორ რუს პოეტთან სასაუბროდ. გალაკტიონი უარს ეუბნება. მურმან ლებანიძე ატყობინებს, რომ თვითონ უკვე მიიღო მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ „ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“ შეტანილი ნაწარმოებებისთვის ჰონორარი. გალაკტიონი გადაწყვეტს, მეორე დღეს მივიდეს გამომცემლობაში იმავე „ანთოლოგიაში“ დაბეჭდილი თავისი ლექსებისთვის განსაზღვრული ჰონორარის მისაღებად. ასევე, გეგმავს, გარკვევის გაზეთებში „პრავდა“ და „იზვესტია“ გამოქვეყნებული ნაწარმოებებისთვის განკუთვნილი ჰონორარის საკითხიც.

➤ 14386

**1958**

**26 მარტი**

ხვდება სანდრო შანშიაშვილის მეუღლეს, მარიამ კასრაძეს, რომელიც გალაკტიონს გამორჩეულად ზრდილობიანი ღიმილით ესალმება. ამგვარი შეხვედრა პოეტზე პოზიტიურ შთაბეჭდილებას ახდენს და უბის წიგნაკში ინიშნავს კიდევ ამ ფაქტს.

➤ 14387

**1958**

**26 მარტი**

ფიქრობს იმ გადაცემის შესახებ, რომელიც მოსკოვის რადიომ მის შემოქმედებას მიუძღვნა. დარწმუნებულია, რომ ამ გადაცემას დიდი მნიშვნელობა ექნება მისი სამომავლო გეგმების, კერძოდ კი, გამოსაცემი წიგნების მომზადება-გამოქვეყნების განხორციელების საკითხში.

➤ 14388

**1958**

**27 მარტი**

იმყოფება რუსეთის მწერალთა კავშირში, სადაც დილის 11 საათიდან ესწრება ქართული პოეზიის შესახებ დისკუსიას. სხდომაზე გამოდიან რუსი მწერლები და კრიტიკოსები, აქებენ სიმონ ჩიქოვანს და ხელისუფლების პოზიციის გამომხატველ სხვა ქართველ ავტორებს, რაც გალაკტიონის გაღიზიანებას იწვევს. იონა ვაკელი ამბობს, რომ დისკუსიის ასე წარმართვა წინასწარ იყო „ჩაწყობილი“. ეს სიტყვა დისკუსიის მსმენელ ქართველ ავტორთა შორის სწრაფად ვრცელდება და შემდეგ თვითონაც იმეორებენ მას სხდომის შესახებ საუბრისას.

➤ 14389

**1958**

**27 მარტი**

იმყოფება რუსეთის მწერალთა კავშირში, ისმენს რუს და უკრაინელ მწერალთა გამოსვლებს, რომლებიც ქართული პოეზიის შესახებ საუბრობენ. ერთ-ერთი უკრაინელი მწერალი გამოსვლისას პირველ რიგში ასახელებს გალაკტიონ ტაბიძეს, ხოლო შემდეგ – სხვა ქართველ ავტორებს, ასევე აღნიშნავს, რომ პავლო ტიჩინასთან ერთად უკრაინაში ამზადებენ საქართველოს სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა თარგმანებს. გალაკტიონს ეს ინფორმაცია პოზიტიურად განაწყობს, მოსწონს ისიც, რომ ერთ-ერთი რუსი ავტორი სიტყვით გამოსვლისას პირველად სწორედ მას ასახელებს. ერთ-ერთი მომხსენებელი ახსენებს გიორგი ქუჩიშვილს. გარდაცვლილი ქართველი პოეტის ხსენებას დარბაზი ემოციით და ტაშით ხვდება. სხდომის განმავლობაში ბევრს საუბრობენ რუსეთში მოღვაწე ქართველ მწერალ მიხეილ ქვლივიძეზე. გალაკტიონის აზრით, მიხეილ ქვლივიძის სახელის ასე წინ წამოწევა ჩაწყობილი უნდა იყოს.

➤ 14390

**1958**

**27 მარტი**

რუსეთის მწერალთა კავშირში ყოფნისას ფოტოგრაფები უღებენ ფოტოებს, ხან – ცალკე, ხან – სხვა მწერლებთან ერთად. კმაყოფილია და ფიქრობს, რომ მთელი გამოფენისთვის საკმარისი ფოტოები გადაუღეს.

➤ 14391

**1958**

**27 მარტი**

რუსეთის მწერალთა კავშირში ყოფნისას ამჩნევს, რომ სიმონ ჩიქოვანთან დაახლოებული პოეტი ნიკოლოზ ჩაჩავა დადის მწერალთა შორის და ეშმაკურად ათვალიერებს ხალხს. გალაკტიონის აზრით, ის სიმონ ჩიქოვანის აგენტი უნდა იყოს.

➤ 14392

**1958**

**27 მარტი**

რუსეთის მწერალთა კავშირში ხვდება თავის დიდი ხნის ნაცნობ პოეტ სერგეი გოროდეცკის, ესაუბრება და უბის წიგნაკშიც ინიშნავს ამ შეხვედრის ამბავს. ჩანაწერში გოროდეცკის გულწრფელ კაცს უწოდებს. ასევე ხვდება პოეტსა და მთარგმნელს ნიკოლაი ზაბოლოცკის და ახსენდება, რომ ამ პიროვნებას მისი ლექსებიც აქვს ნათარგმნი.

➤ 14393

**1958**

**27 მარტი**

რუსეთის მწერალთა კავშირში ქართული პოეზიის შესახებ გამართული დისკუსიის ერთ-ერთი მსმენელი გალაკტიონს ჩურჩულით ეუბნება, რომ ამ დისკუსიაში გოჭებს ადიდებენ და ლომები ავიწყდებათ. პოეტი ხვდება, რომ თანამოსაუბრეს ლომად ის მიაჩნია და ამ რეპლიკას მოგვიანებით უბის წიგნაკში ინიშნავს.

➤ 14394

**1958**

**28 მარტი**

მონაწილეობს ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში და სხვა მწერლებთან ერთად ხვდება სამხედროებს, რომლებიც ოვაციებს უმართავენ. საღამოს წამყვანია რუსი მწერალი სემიონ კირსანოვი. ღონისძიებაზე სიტყვით გამოდის აკაკი ბელიაშვილი, რომლის გამოსვლაც გალაკტიონის მოწონებას იმსახურებს.

➤ 14395

**1958**

**28 მარტი**

აკვირდება რუსეთის მწერალთა კავშირში ქართველ ავტორთა საქციელს და უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ზოგიერთი მათგანი ხულიგნობას განაგრძობს.

➤ 14396

**1958**

**28 მარტი**

იმყოფება რუსეთის მწერალთა კავშირში და ისმენს სანდრო ეულის გამოსვლას ფორმალისტების წინააღმდეგ. იონა ვაკელის აზრით, ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაზე ზოგი ავტორის წინ წამოწევა და მათ შემოქმედებაზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება შემთხვევითი კი არ არის, არამედ – ჩაწყობილია ხელისუფლების წარმომადგენლებთან. გალაკტიონი აკვირდება, რომ დეკადის განმავლობაში მწერლობაზე საუბრისას ხშირად იყენებენ სიტყვას „ჩაწყობილი“.

➤ 14397

**1958**

**28 მარტი**

ათვალთვრებს გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ მიერ რუსულ ენაზე გამოცემულ „ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგიას“. ფიქრობს საკუთარი ლექსების თარგმანებზე, შენიშნავს, რომ ცნობილ პოეტსა და მთარგმნელ ნიკოლაი ტიხონოვს მისი მხოლოდ ოთხი ლექსი აქვს ნათარგმნი, ხოლო სხვა პოეტების – ბევრად მეტი. ამჩნევს იმასაც, რომ ანთოლოგიის შემდგენელს, სიმონ ჩიქოვანს წიგნში საკუთარი ლექსები უხვად შეუტანია. მიუხედავად ამისა, გალაკტიონი ამ კრებულით მაინც კმაყოფილია, რადგან მის ლექსებს თოთხმეტი გვერდი ეთმობა.

➤ 14398

**1958**

**28 მარტი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ იგორ ურუშაძის 1958 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „იაკობ ნიკოლაძის ძირითად სკულპტურულ ქმნილებათა ნუსხა“ შეტანილია მის მიერ 1941 წელს გამოქანდაკებული გალაკტიონის ბიუსტის ფოტო.

➤ 14399

**1958**

**28 მარტი**

ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში მომზადებულ ქართველ ხელოვანთა პლაკატზე გალაკტიონ ტაბიძის ფიგურა ყველაზე მასშტაბურადაა გამოხატული. ეს ფაქტი პოეტ კალე ბობოხიძის ყურადღებას იქცევს და იგი სხვებსაც უზიარებს საკუთარ შთაბეჭდილებას.

➤ 14400

**1958**

**28 მარტი**

ანტერესებს, გამოვიდა თუ არა ცალკე წიგნად ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში გამართული დისკუსიის ამსახველი მასალა.

➤ 14401

**1958**

**28 მარტი**

ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე ყოფნისას შემთხვევით ხვდება საქართველოს კულტურის მინისტრ დავით ჩხიკვიშვილს.

➤ 14402

**1958**

**29 მარტი**

უსმენს მოსკოვის რადიოს. გადაცემის წამყვანი აცხადებს, რომ სიტყვით გამოვლენ გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები. პოეტს აღიზიანებს, რომ წამყვანები იცავენ ფორმალობებს და გამომსვლელებს ანბანური თანმიმდევრობით აცხადებენ და არა – მათი პოეზიის მასშტაბებისა და მნიშვნელობის მიხედვით.

➤ 14403

**1958**

**29 მარტი**

სასტუმრო „მოსკვას“ საკუთარ ნომერში ყოფნისას ტელეფონი არაერთხელ რეკავს, მაგრამ როდესაც გალაკტიონი ყურმილს იღებს, არავინ პასუხობს.

➤ 14404

**1958**

**29 მარტი**

მოსწონს ის ფაქტი, რომ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ფარგლებში უკვე სამჯერ გამოვიდა სიტყვით და სამივეჯერ გამომსვლელთა შორის რიგით პირველი იყო. უბის წიგნაკში ინიშნავს იმ ინფორმაციასაც, რომ რუსულ გაზეთებში „პრავდა“ და „იზვესტია“ გამოქვეყნდა მისი ნაწარმოებები, ხოლო რადიომ გადასცა მასთან ინტერვიუ.

➤ 14405

**1958**

**29 მარტი**

აპირებს, დამღლედი დღის შემდეგ მიიღოს აბაზანა და საღამოს კარგად დაისვენოს. ასევე, გეგმავს გაცივებისა და ხველების საწინააღმდეგო წამლების დაღეევას.

➤ 14406

**1958**

**29 მარტი**

რუსეთის წიგნის პალატაში ეწყობა საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძესთან შეხვედრა, რომლითაც პოეტი კმაყოფილი რჩება. იქვე, წიგნის პალატაში ყიდულობს პლაკატს თავისი პორტრეტით და ოქტომბრის რევოლუციისადმი მიძღვნილ წიგნს „ოქტომბერი მოსკოვში“.

➤ 14407

**1958**

**29 მარტი**

საღამოს მიწვეულია ქართული ხელოვნებისა და კულტურის დეკადის ფარგლებში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე, თუმცა ამის შესახებ არ ატყობინებენ. ღონისძიების ორგანიზატორები საყვედურს ეუბნებიან ნიკოლოზ ჩაჩავას, რადგან მას უნდა ეცნობებინა გალაკტიონისათვის ამ შეხვედრის შესახებ და ბილეთებიც გადაეცა. ეს ინფორმაცია გალაკტიონს ჩაჩავასადმი ირონიულად განაწყობს და უბის წიგნაკში იწერს სახუმარო სტრიქონს: „ჩაჩავა ხან ავა, ხან ჩავა“.

➤ 14408

**1958**

**29 მარტი**

მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობა სთხოვს ავტობიოგრაფიას. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში ყოფნისას ვერ მოახერხებს მიაწოდოს, სთავაზობენ, თბილისში დაბრუნების შემდეგ აუცილებლად გაუგზავნოს ფოსტით.

➤ 14409

**1958**

**29 მარტი**

აპირებს, ლენინური პრემიის შესახებ დაელაპარაკოს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელ ისიდორე დოლიძეს და ცნობილ რუს პოეტ ნიკოლაი ტიხონოვს.

➤ 14410

**1958**

**29 მარტი**

აპირებს, ლენინური პრემიის შესახებ დაელაპარაკოს ირაკლი აბაშიძეს და გარკვიოს, რის გამო არ არის წარდგენილი ამ პრემიაზე.

➤ 14411

**1958**

**29 მარტი**

უბის წიგნაკში იწერს 1920-იან წლებში დაწერილი ლექსის – „სადღეგრძელო იყოს მისი“ განსხვავებულ ვარიანტს.

➤ 14412

**1958**

### **30 მარტი**

სასტუმროს თანამშრომელი ქალი გადასცემს მოსკოვში გამოცემული წიგნის „ლექსები და პოემები“ თოთხმეტ საავტორო ცალს, ასევე, „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ ორ ეგზემპლარს.

➤ 14413

**1958**

### **30 მარტი**

პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ტარდება ქართული ხელოვნებისა და კულტურის დეკადის ფარგლებში დაგეგმილი ბოლო საღამო, რომელიც გალაკტიონის აზრით, დიდებული გამოდის.

➤ 14414

**1958**

### **30 მარტი**

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია როსია“ იბეჭდება გალაკტიონის უსათაურო ლექსის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ რუსული თარგმანი სათაურით „წმინდა ვალი“. გალაკტიონი კითხულობს რუსულ ტექსტს და ფიქრობს, რომ ლექსი შესანიშნავად არის თარგმნილი.

➤ 14415

**1958**

### **31 მარტი**

აპირებს, ჩამოწეროს გეგმა, რის გაკეთება სურს დღის განმავლობაში და წერას იწყებს, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრებს.

➤ 14416

**1958**

### **მარტამდე**

შეუძლოდ მყოფს ანდრო პატარაია სახლში აკითხავს თარგმანზე ხელის მოსაწერად. პოეტის მეუღლე უხეშად ხვდება სტუმარს და კოჭში სკამს ახვედრებს. შეწუხებული გალაკტიონი სტუმარს შესჩივის, ხომ ხედავ რა დღეში ვარ, სახლი არ გამაჩნიაო.

➤ 14417

**1958**

### **მარტამდე**

ლექსომბინატში მის სანახავად მისულ ფატი დიდიას შესჩივის, რომ მის ლექსებს დეკადისადმი მიძღვნილ კრებულში თვითნებურად ბეჭდავენ.

➤ 14418

**1958**

### **მარტი**

მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და კულტურის დეკადაზე სვეტებიან დარბაზში კითხულობს სპეციალურად დეკადისთვის დაწერილ ლექსს, რომლის რეფრენია „ო, გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ“. აუდიტორია აღფრთოვანებით ხვდება მის გამოსვლას.

➤ 14419

**1958**

### **მარტი**

დევი სტურუა და გიორგი ხუციშვილი სასტუმროდან „მოსკვა“ გამოდიან და ლიხაჩოვის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში აპირებენ წასვლას. სასტუმროსთან მდგომ



გალაკტიონსაც ეპატიუებიან და ტაქსით მიდიან. გზად გალაკტიონი მძღოლს იუმორით ესაუბრება ლექსების წერაზე და თანამგზავრებს ახალისებს.

➤ 14420

## აპრილი

1958

### 6 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ საერთო სათაურით „მადლობა მშობლიური მოსკოვის მშრომელებს“ ქვეყნდება ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილე ქართველ ხელოვანთა – ვერიკო ანჯაფარიძის, შალვა მშველიძის, შალვა დადიანის, ირაკლი აბაშიძის, მარიკა ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, აკაკი ვასაძის და სხვათა მცირე გამოხმაურებები და რეპლიკები. გალაკტიონის გამოხმაურებაში „მარად დაუვიწყარი დღეები“ აღწერილია, თუ როგორ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა დეკადამ და ამ მასშტაბური ღონისძიების ფარგლებში მოწყობილმა შეხვედრებმა კოლეგებთან და დამსწრე საზოგადოებასთან. პოეტი გამოთქვამს სიხარულს მისი ნაწარმოებების რუსულენოვანი თარგმანების გამოქვეყნების გამო და აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია თხზულებათა სრული კრებული, რომელსაც მოსკოვის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა გამოსცემს უახლოეს პერიოდში მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. გალაკტიონის თქმით, მოსკოვში გატარებული დღეები ქართველ მწერალთათვის დაუვიწყარ მოგონებად დარჩება.

➤ 14421

1958

### 6 აპრილი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება გალაკტიონის ფოტო გადაღებული პავლო ტიჩინასა და კონსტანტინე ჭიჭინაძესთან ერთად, მოსკოვის ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის დასკვნით საღამოზე, პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

➤ 14422

1958

### 12 აპრილი

მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის ფარგლებში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე სიტყვით გამოდის სომეხი პოეტი გევორქ ემინი, რომელიც საუბრობს სომხურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე და აღნიშნავს, რომ სომეხ მკითხველს ძალიან უყვარს გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა.

➤ 14423

1958

### 21 აპრილი

წევს ვაკის სამკურნალო კომბინატში.

➤ 14424

1958

### 24 აპრილი

იმყოფება საავადმყოფოში – ვაკის სამკურნალო კომბინატში. ზუსტად არ იცის, რამდენ დღეს გაგრძელდება მკურნალობის პროცესი და როდის მისცემენ შინ დაბრუნების ნებას.

➤ 14425

1958

### 24 აპრილი

საავადმყოფოში მკურნალობისას ექიმი ქალი, გვარად ნემსიწვერაძე, სთხოვს ბიოგრაფიას და გალაკტიონი ჰპირდება, რომ თხოვნას შეუსრულებს. გეგმავს, საავადმყოფოდან გასვლის შემდეგ, ერთ კვირაში, დაწეროს ავტობიოგრაფია, მით უფრო, რომ თავადაც სჭირდება მისი ახალი, სრული ვერსია.

➤ 14426

**1958**

**26 აპრილი**

ეწერება საავადმყოფოდან და აღმოაჩენს, რომ მისმა ცოლმა, ნინო კვირიკაძემ მისი საავადმყოფოში ყოფნისას 10 ათასი მანეთი დახარჯა, რომელიც გალაკტიონმა მოსკოვიდან ჩამოიტანა. კიდევ ამდენი დარჩა, მაგრამ არ აძლევს. გალაკტიონი მოსკოვიდან ელის ჰონორარიდან დარჩენილი კიდევ 47 ათასის გადმორიცხვას.

➤ 14427

**1958**

**28 აპრილი**

ძმისწულთან, ნოდარ ტაბიძესთან ერთად შედის ბაღში, ახალშეღებულ სკამზე ჯდება და კოსტიუმი ესვრება. სახლში მისული მოსამსახურეს სთხოვს, რომ ქიმწმენდაში წაიღოს. მეუღლე, ნინო კვირიკაძე ეუბნება, რომ კოსტიუმის გაწმენდა 50 მანეთი დაჯდება და მოსამსახურეს თანხაც მან გაატანოს.

➤ 14428

**1958**

**29 აპრილი**

კითხულობს რუსულ გაზეთს „თბილისი“ და აწერს, რომ მოსკოვში გამართულ ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადაში მონაწილეობისა და საავადმყოფოებში ყოფნის შემდეგ პირველად დაჯდა თავის მაგიდასთან სამუშაოდ.

➤ 14429

**1958**

**აპრილი**

მოსკოვის დეკადიდან დაბრუნების შემდეგ მეუღლეს უამბობს მოსკოვურ შთაბეჭდილებებს. რომ ქართული დელეგაციის წევრებიდან ყველა მოუცლელი იყო და მხოლოდ ვახტანგ გურგენიძე იჩენდა მის მიმართ თანაგრძნობას.

➤ 14430

**1958**

**აპრილი**

ჩანაწერების გასაკეთებლად იღებს ახალ რვეულს, პირველ გვერდზე აწერს წელს და თვეს – 1958 წლის აპრილი და ასევე ფრაზას: „არ დაიკარგოს ამაოდ არცერთი მზიანი დღე“.

➤ 14431

**1958**

**აპრილი**

ფიქრობს ზედიზედ 100 საღამოს ჩატარებაზე.

➤ 14432

**1958**

**აპრილი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „ჭინჭარ-ეკალი, იფქლი, დეკა და...“.

➤ 14433

## მაისი

1958

1 მაისი

გაზეთში „კომუნისტი“ იბეჭდება ლექსი „მაისის დროშებით“.

➤ 14434

1958

1 მაისი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პირველი მაისის დილით“ თარგმანი.

➤ 14435

1958

3 მაისამდე

ემზადება რუსთავში 10 მაისს დაგეგმილი პოეზიის საღამოში მონაწილეობის მისაღებად. დეტალების დასაზუსტებლად აპირებს, 3 მაისს, 11 საათზე შეხვდეს ღონისძიების ორგანიზატორებს.

➤ 14436

1958

9 მაისი

აპირებს საღამოს მოემზადოს მეორე დღეს, 10 მაისს, რუსთავში ჩასატარებელი ღონისძიებისათვის. მონიშნავს ორიოდე მნიშვნელოვან ფაქტს თავისი მოღვაწეობიდან, რომელთა შესახებ, მისი აზრით, ღონისძიებაზე აქცენტი უნდა გაკეთდეს: ესაა პოეტის აკადემიკოსად არჩევა და უკვე გამოცემული თხზულებათა რვატომეულის შვიდი ტომი.

➤ 14437

1958

9 მაისი

აკეთებს დიალოგის ფორმის ჩანაწერს მოღალატე ცოლისა და ეჭვიანი ქმრის შესახებ. ცოლ-ქმრის საუბრიდან გამომდინარე, ქალი, ქმრის აზრით, მუდმივად უცნაურად ესაუბრება მას, ხოლო კაცი – მისთვის გაუგებარი სიტყვების მიღმა ყოველთვის ცოლის ღალატს ან საეჭვო სიტუაციას წარმოიდგენს.

➤ 14438

1958

10 მაისამდე

უბის წიგნაკში ინიშნავს 10 მაისს რუსთავში ჩასატარებელი ღონისძიების გეგმას, რომლის მიხედვით, საღამო შედგება ოთხი ნაწილისგან: შესავალი სიტყვა, მოხსენება, ლიტერატურული ნაწილი და კონცერტი. ღონისძიებაზე მწერალი კარპე მუმლაძე წაიკითხავს მოხსენებას: გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება.

➤ 14439

1958

10 მაისი

მონაწილეობს რუსთავში, მეტალურგთა კულტურის სასახლეში მოწყობილ შეხვედრაში. ღონისძიებას მოკლე შესავალი სიტყვით ხსნის მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. ამის შემდეგ მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებულ

ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი, მწერალი კარპე მუმლაძე კითხულობს მოხსენებას თემაზე – „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“. გალაკტიონს ოფიციალური სიტყვებით ესალმებიან ადგილობრივი მწერლები, პიონერები და ქალაქის საწარმოთა მოწინავე თანამშრომლები. პოეტი გულთბილ მადლობას უხდის ღონისძიებაში მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას რამდენიმე ახალი ლექსს უკითხავს. შეხვედრის დასასრულს იმართება დიდი კონცერტი.

➤ 14440

**1958**

**10 მაისი**

რუსთავში, მეტალურგთა კულტურის სასახლეში მოწყობილი შეხვედრის შემდეგ მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი გიორგი თავხელიძე გალაკტიონს ჭადრაკის თამაშს სთავაზობს. პოეტი სიამოვნებით თანხმდება. რაღაც მომენტში მხედრით სვლას დააპირებს, მაგრამ გულშემატკივრები ანიშნებენ, რომ არასწორი ნაბიჯია. პოეტი თავიდან უკან აბრუნებს მხედარს. მაგრამ მალევე გადაიფიქრებს და სიტყვებით, ჭადრაკში სვლის უკან დაბრუნება არ შეიძლებაო, ისევ მხედარს გადაადგილებს. გალაკტიონი ამ პარტიას აგებს, მაგრამ საბოლოოდ მიკრომატჩი ფრედ 1:1 სრულდება.

➤ 14441

**1958**

**11 მაისამდე**

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას, რომ 11 მაისს ორთქლმავლებისა და რონოდების შემკეთებელი ქარხნის საწარმოო განყოფილების გამგის მოადგილის, გრიგოლ კაჭკაჭიშვილის დაბადების დღეა.

➤ 14442

**1958**

**11 მაისი**

გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკა“ მიაქვს 1940 წელს რუსულ ენაზე გამოცემული რჩეული ლექსების კრებული. გამომცემლობის თანამშრომელი გიორგი ბებუთოვი სთხოვს, წარადგინოს ახალი წიგნის გეგმა, რომელშიც ასახული იქნება მისი ლექსები, დაწერილი 1917 წლის შემდეგ. გალაკტიონის აზრით, რადგან ჯერ კიდევ რამდენიმე თვე აქვს მოსამზადებლად, შესაძლებელია მოესწროს პოემების თარგმნა ამ წიგნში შესატანად.

➤ 14443

**1958**

**12 მაისი**

ესწრება მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც სარეწაო კოოპერაციის კულტურის ცენტრალურ სახლში იმართება. ღონისძიებაზე შესავალ სიტყვას ამბობს ავთანდილ სვანი, შემდეგ სიტყვით გამოდის ბესარიონ ჟღენტი. ღონისძიებაში მონაწილეობენ სკოლის მოსწავლეები, გალაკტიონის სახელობის ლიტერატურული წრის წევრები, ასევე პოეტები ალიო მამაშვილი და ვახტანგ გოგოლაშვილი და მსახიობები ივანე რუსინოვი და იაკობ ტრიპოლსკი.

➤ 14444

**1958 ან ადრე**

**14 მაისი**

აპოლონ წულაძე უძღვნის ლექსს „რატომ არ მიყვარს გალაკტიონი პოეზიის დღეს“. იქვე სწერს წერილს და ურჩევს მიბადოს მას და დატკბეს სიცოცხლით, ერიდოს სევდას, მტერმა არ უნდა ნახოს თვალცრემლიანი, დაუშრეტელ რწმენასა და იმედს უსურვებს.

➤ 14445

**1958**

**14 მაისი**

დეპუტის ფურცელზე იწერს, რომ გამოცემულ უნდა იქნეს მისი დიდი ფორმატის, 500-გვერდიანი წიგნი, ასევე რევაზ თვარამის მიერ კარგად შედგენილი „რჩეული“ – „საბჭოთა ლიტერატურის გამომცემლობაში“ და თარგმანები – „ზარია ვოსტოკაში“.

➤ 14446

**1958**

**14 მაისი**

განცხადებით მიმართავს სტალინის სახელობის თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორ ნიკოლოზ კიკვაძეს და სთხოვს მარინე ვახტანგის ასულ ფირცხალავას მიღებას პირველ კლასში.

➤ 14447

**1958**

**15 მაისი**

მიემგზავრება აფხაზეთში სოხუმის სახლში არსებული სიტუაციის გასარკვევად. აპირებს, პირადად შეამოწმოს რა ეტაპზეა სარემონტო სამუშაოები.

➤ 14448

**1958**

**17 მაისი**

იმყოფება სოხუმში და დღის განმავლობაში არაერთ უსიამოვნო სიტუაციაში ეხვევა. დღე იწყება იმით, რომ სასტუმროში ნორმალური საუზმე არ ხვდება, შემდეგ შემნახველ სალაროში უპასპორტოდ ფულს არ აძლევენ და იძულებულია, იკამათოს და ასე მოახერხოს საკუთარი თანხის გამოტანა. საჭირო თანხა გამოაქვს, მაგრამ ბანკის თანამშრომელი გზაში ეწევა და ფულს უკან აბრუნებინებს. ამის შემდეგ სასტუმროში მიდის, სადაც ეუბნებიან, რომ მისი პასპორტი უვარგისია. რჩება სასტუმროში, ცდილობს, საკუთარ ნომერში იმუშაოს, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან სასტუმროს ადმინისტრატორი თავისთან იბარებს და იძულებულია, მუშაობას შეეშვას. როდესაც ამ ყველაფრის შემდეგ ნომერში ბრუნდება, ითვლის იმ თანხას, რაც აქვს და დანაკლისს აღმოაჩენს. ამდენი არასასიამოვნო ამბით დატვირთული უბის წიგნაკში აკეთებს ჩანაწერს სათაურით „წვრილმანი უსიამოვნებანი“ და თან ცდილობს, თავი დაიმშვიდოს ოდესღაც გურულებისგან გაგონილი სიტყვებით „მაი აფერია“.

➤ 14449

**1958**

**19 მაისი**

წერს განცხადების მონახაზს სოხუმის სამშენებლო სამმართველოს უფროსის სახელზე, რომელშიც ითხოვს, რომ მის მშენებარე სახლში დროულად იქნას დასრულებული სამშენებლო სამუშაოები.

➤ 14450

**1958**

**19 მაისი**

მეხუთე დღეა იმყოფება სოხუმში, აკვირდება სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს. მიიჩნევს, რომ სახლის რემონტი თითქმის დამთავრებულია და საჭიროა მხოლოდ ორი-სამი კვირა, ყველაფრის მოსაწესრიგებლად. აპირებს დააზუსტოს გეგმა, რომლის მიხედვითაც მომდევნო ორი-სამი კვირის განმავლობაში რემონტზე პასუხისმგებელი პირი – კონსტანტინე

ლაზარო იხელმძღვანელებს. ასევე, ვიდრე სოხუმშია, ფიქრობს, მაქსიმალურად დაეხმაროს ლაზაროს რემონტისათვის საჭირო მასალისა და ტექნიკის შოვნა-მოხიზებაში.

➤ 14451

**1958**

**19 მაისი**

ესაუბრება სოხუმის სახლის რემონტზე პასუხისმგებელ პირ კონსტანტინე ლაზაროს და ძალიან ბრაზობს მასზე, რადგან ლაზარო იხელმძღვანელებს პირობებს ყურადღებას არ აქცევს და შეთანხმებულ ვადაში, რომელიც ორი კვირის შემდეგ იჭურება, ვერ ასწრებს რემონტის დასრულებას. პოეტს აღაშფოთებს ის ინფორმაცია, რომ იატაკის ხელოსანი მისთვის უკითხავად თურმე მის სახლში ცხოვრობს, თან პარკეტი ძალიან ცუდად დაუგია და გასამრჯელოდ 2000 მანეთსაც ითხოვს. აპირებს, ლაზაროს თავი აღარ მოატყუებინოს, ხოლო ხელოსანს ხულიგნობისთვის პასუხი მოსთხოვოს.

➤ 14452

**1958**

**19 მაისი**

იმყოფება ოჯახის წევრებთან ერთად. შვილიშვილი კაკინა – მარინე ფირცხალავა – სთხოვს, ხელში აიყვანოს, რათა მისწვდეს კარადის თავს და ლენტი ჩამოიღოს. პატარა ბავშვის ასეთი აზრიანი თხოვნა გალაკტიონზე შთაბეჭდილებას ახდენს და უბის წიგნაკში ინიშნავს მის სიტყვებს.

➤ 14453

**1958**

**19 მაისი**

ფიქრობს თავისი თხოვლებების დიდი ერთტომეულის შესახებ, რომლის გამოცემაც საიუბილეოდ აქვს ჩაფიქრებული. უბის წიგნაკში ჩამოწერს რამდენიმე სათაურს, რომლებიც, მისი აზრით, წიგნის რუბრიკების სახელწოდებებად გამოდგება.

➤ 14454

**1958**

**20 მაისი**

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის სტატია „სახალხო პოეტი რუსთავის მუშებთან“, რომელშიც მიმოხილულია 10 მაისს რუსთავში, მეტალურგთა კულტურის სასახლეში მოწყობილი შეხვედრა გალაკტიონთან. სტატიის მიხედვით, შეხვედრას ესწრებოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეტალურგები, მშენებლები და მოსწავლეები. შეხვედრა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა. მოხსენება თემაზე – „გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება“ წაიკითხა მეტალურგთა კულტურის სასახლესთან არსებული ლიტერატურული წრის ხელმძღვანელმა, მწერალმა კარპე მუმლაძემ, ხოლო შემდეგ პოეტს ოფიციალური სიტყვებით მიესალმნენ ადგილობრივი პოეტები, პიონერები და ქალაქის საწარმოთა მოწინავე თანამშრომლები. გალაკტიონმა გულთბილი მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილეებს და დამსწრე საზოგადოებას რამდენიმე ახალი ლექსი წაუკითხა. შეხვედრის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

➤ 14455

**1958**

**22 მაისი**

დეპუტას აგზავნის მოსკოვში სახელმწიფო ლიტერატურული გამომცემლობის მთავარ ბუღალტერთან და სთხოვს, ლიტერატურულ ფონდში წარსადგენად სასწრაფოდ გაუგზავნოს

ცნობა რუსულენოვანი წიგნების „რჩეული“ და „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ გალაკტიონის მიერ ჰონორარების აღების შესახებ.

➤ 14456

1958

22 მაისი

მწერალთა კავშირში ესწრება გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანის – „ლაშარელას“ განხილვას, მაგრამ ნაწარმოების შესახებ მსჯელობა იდეოლოგიური დაპირისპირების ხასიათს იღებს და ღონისძიება გადააქვთ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში.

➤ 14457

1958

22 მაისი

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში ესწრება გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანის – „ლაშარელას“ განხილვას და გაკვირვებულია, რომ მწერლები თითქმის არ ესწრებიან და ძირითადად ახალგაზრდობაა.

➤ 14458

1958

22 მაისი

ფიქრობს საკუთარ მატერიალურ შესაძლებლობებზე. უბის წიგნაკში ინიშნავს იმ რედაქციების ჩამონათვალს, რომლებიდანაც ჰონორარს ელოდება. ჩანაწერის მიხედვით, ჰონორარი მისაღები აქვს გამომცემლობიდან „ზარია ვოსტოკა“, ასევე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციიდან. გარდა ამისა, ელოდება ანაზღაურებას სახელმწიფო გამომცემლობიდან და მეცნიერებათა აკადემიიდან. აგონდება, რომ მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ლექსების ჰონორარი ჯერ არ მიუღია. განსაზღვრავს, საიდან შეიძლება შემოსავლის მიღება სამომავლოდ, ფიქრობს, ლიტერატურული ფონდიდან სესხის აღების თაობაზეც. ახსენდება, რომ გარკვეული თანხა აქვს შემნახველ სალაროშიც. მატერიალური სახსრების მობილიზება სჭირდება როგორც მიმდინარე, ყოველდღიური ხარჯების გასასტუმრებლად, ისე სოხუმის სახლში სარემონტო სამუშაოების დასასრულებლად.

➤ 14459

1958

22 მაისი

ესაუბრება სერგი ჭილაიას, ცდილობს, გაარკვიოს თავისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებების საკითხი: როდის და რა ტიპის ღონისძიებები ჩატარდება ან ვინ მიიღებს მონაწილეობას. სერგი ჭილაია ეუბნება, რომ კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა, ორი დღის განმავლობაში, კერძოდ, 24 მაისამდე შეედგინა ღონისძიებების გეგმა პოეტის მიერ მწერალთა კავშირისათვის მიწოდებული მონახაზის მიხედვით.

➤ 14460

1958

22 მაისი

იღებს ჰონორარს გაზეთიდან „კომუნისტი“, ასევე გამომცემლობიდან „ზარია ვოსტოკა“, მთლიანად ეს თანხა შეადგენს 3 600 მანეთს. გარდა ამისა, შემნახველ სალაროში კიდევ აქვს 1 534 მანეთი. ანგარიშობს, რომ მთლიანობაში აქვს 5 000 მანეთამდე და ფიქრობს, რომ კიდევ ერთი ამდენი თანხა სჭირდება.

➤ 14461

1958

**22 მაისი**

აპირებს, გაარკვიოს, როგორ მიმდინარეობს სოხუმის სახლის რემონტი, პროცესი დასარულისკენ მიდის თუ ჯერ ისევ შეფერხებულია.

➤ 14462

**1958**

**22 მაისი**

ანტერესებს, გამოიყო თუ არა ოფიციალური კომისია მისი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მოსაწყობად. ფიქრობს, რომ ეს ამბავი ირაკლი აბაშიძეს ეცოდინება, როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს და აპირებს, დაელაპარაკოს ამ საკითხზე.

➤ 14463

**1958**

**22 მაისი**

ფიქრობს სამომავლოდ გამოსაცემ წიგნებზე, აპირებს შეიმუშავოს გეგმა, რომლის მიხედვითაც განახორციელებს საიუბილეოდ დაგეგმილ გამოცემებს.

➤ 14464

**1958**

**22 მაისი**

საღამოს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში ხვდება სერგი ჭილაიას, რომელიც ეუბნება, რომ მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხი და ღონისძიებაში მონაწილე პირთა ვინაობა ოფიციალური წარმომადგენლებთან უკვე საბოლოოდ დააზუსტა იმ სიის მიხედვით, რომელიც მას გალაკტიონმა გადასცა.

➤ 14465

**1958**

**23 მაისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ვილაცის სიტყვებს, რომელმაც კიდევ ორასი წლის სიცოცხლე უსურვა.

➤ 14466

**1958**

**23 მაისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს მონაცემებს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო გამომცემლობისგან 1958 წლის 1 იანვრიდან 23 მაისამდე ჰონორარის სახით გაცემულია 83788 მანეთი.

➤ 14467

**1958**

**23 მაისის შემდეგ**

წერს ლექსს „ცოტა, ცოტა დაიცა“ („სიჩუმეს გადაეცა ქვეშ მიწა და ზენა ცა...“).

➤ 14468

**1958**

**24 მაისი**

სურს, მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში მხატვრებიც იყვნენ ჩართულნი. ამ მიზნით არკვევს მხატვართა კავშირის პრეზიდიუმის წევრების ვინაობას, უბის წიგნაკში ინიშნავს მათ სახელებს, გვარებსა და პოზიციას: უჩა ჯაფარიძე (თავმჯდომარე), თენგიზ ღვინიაშვილი (მოადგილე), ლადო ლემონჯავა (მდივანი), ვალერიან თოფურიძე, აპოლონ ქუთათელაძე, კორნელი სანაძე, რობერტ სტურუა, ბენო გორდეზიანი და ზაქრო მაისურაძე. აპირებს, მივიდეს მხატვართა კავშირში ორ



საათისთვის, როდესაც პრეზიდენტის სრული შემადგენლობა იკრიბება. პარალელურად, აზუსტებს იმასაც, რომ სამხატვრო გალერეის დირექტორია ხელოვნებათმცოდნე მიხეილ თოფურია, ვისი ჩართულობაც ასევე მნიშვნელოვანი იქნება ღონისძიებების მზადების პროცესში.

➤ 14469

**1958**

**24 მაისი**

ფიქრობს, რომ თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების დაგეგმვა-მომზადებაში დასჭირდება კულტურის სამინისტროს დახმარება, რადგან მათ შეუძლიათ უზრუნველყონ ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა ჩართულობა.

➤ 14470

**1958**

**26 მაისამდე**

იმყოფება მწერალთა კავშირში, კითხულობს განცხადებას, რომ მწერალთა კლუბი 26 მაისს აწყობს პოეტ ვახტანგ ნადარეიშვილის ხსოვნის საღამოს. უბის წიგნაკში ინიშნავს ამ ღონისძიებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, შესავალ სიტყვას იტყვის ირაკლი აბაშიძე, ხოლო მოხსენებას წაიკითხავს გიორგი შატბერაშვილი. საღამომი მონაწილეობას მიიღებენ მწერლები: გრიგოლ აბაშიძე, ხუტა ბერულავა, ნოდარ გურუშიძე, გიორგი ლეონიძე, ალექსანდრე მაისურაძე, მუხრან მაჭავარიანი, სილოვან ნარიმანიძე, გიორგი ქავთარაძე, მორის ფოცხიშვილი, ნიკოლოზ ჩაჩავა, გივი ძნელაძე და თამარ ჯავახიშვილი. ღონისძიება დაიწყება 8 საათზე.

➤ 14471

**1958**

**26 მაისი**

იმყოფება ალექსანდრეს (ახლანდელი 9 აპრილის) ბაღში ზის სკამზე, ისვენებს, ათვალიერებს გარემოს, ფიქრობს, რომ ყველაფერი შეცვლილია, რადგან წინათ აქ არც აუზი, არც კინო, არც სტადიონი და არც ეს ძეგლები იყო. იხსენებს ძველ დროს და იმ ადამიანებს, ვისთანაც აქ წლების წინ ყოფილა. უპირველესად, აგონდება ბაჩანა რაზიკაშვილი, რომლის მიმართაც ჭაბუკობიდანვე განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და მისი უბრალოების გამო პირადად გაცნობისას კიდევ უფრო შეუყვარდა. იხსენებს, რომ სწორედ ამ ბაღში შეხვდა იგი ბაჩანას წლების წინ პირველად და უკანასკნელად. ამ დროს ვაჟა-ფშაველას ძმა უკვე ძალზე მოხუცი იყო, გალაკტიონი კი – ძალიან ახალგაზრდა. აგონდება, პოეზიაზე საუბრისას როგორ უთხრა ხანდაზმულ მწერალს, რომ ვაჟას „კესანე“ შედეგია, ისევე როგორც ბაჩანას „მუხავ, მიყვარხარ, ტიალო“.

➤ 14472

**1958**

**26 მაისი**

ალექსანდრეს (ახლანდელი 9 აპრილის) ბაღში ყოფნისას ახსენდება თბილისში სასწავლებლად ჩამოსვლის პირველი დღეები, ამ ტერიტორიაზე სემინარიელებთან ერთად სეირნობა და ის ამბავი, წყლის დასალევად ონკანი რომ მოუშვა და ვეღარ კეტავდნენ.

➤ 14473

**1958**

**26 მაისი**

წერს უსათაურო, სახუმარო ლექსს „ირაკლი აბაშიძე ხვალე, 27 მაისს“, რომელიც ეძღვნება მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოსკოვში გამგზავრებას.

➤ 14474

**1958**

**26 მაისი**

მწერალთა კავშირში ესწრება მწერალთა კლუბის მიერ ჩატარებულ პოეტ ვახტანგ ნადარეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს და ისმენს გამომსვლელთა აზრებს. მის ყურადღებას იქცევს ვახტანგ ნადარეიშვილის შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებული ერთი თავისებურება, კერძოდ, ის, რომ ნადარეიშვილი თურმე ჯერ პროზად დაწერდა ლექსს, შემდეგ გართმავდა და ასე გამოვიდოდა ლექსი. გალაკტიონი ამ ფაქტს უბის წიგნაკში ინიშნავს და საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს, რომ ასე მოქცევა ძალზე ადვილი საქმეა, მაგრამ ამ ქმედებას აქვს რაღაც წინააღმდეგობა, რადგან მისი აზრით, ლექსი თავიდანვე ლექსად უნდა იწერებოდეს.

➤ 14475

**1958**

**26 მაისი**

ისვენებს ალექსანდრეს (ახლანდელი 9 აპრილის) ბაღში და იხსენებს იმ ადამიანებს, ვისთან ერთადაც ამ ბაღში სხვადასხვა დროს ყოფილა. უყურებს ხეებს და აგონდება, ათწლეულების წინ, დაახლოებით 1918 წელს, ევგენი დვალთან და ვიღაც მჭედელთან ერთად იმ ხეების ქვეშ როგორ გაშალეს სუფრა და მოილხინეს. იხსენებს, იმასაც, სხვა დროს, ამავე ბაღში, გიორგი ქუჩიშვილსა და სიო კალანდაძესთან ერთად ყოფნისას, უკვე შექეიფიანებულებმა როგორ გადაიღეს ფოტო და რა სასაცილოდ ირყეოდნენ გადაღებისას.

➤ 14476

**1958**

**26 მაისი**

ალექსანდრეს (ახლანდელი 9 აპრილის) ბაღში დასვენებისას იხსენებს ნახევარი საუკუნის წინ, 1908 წელს, ამავე ბაღში, როგორ დაესწრო საინტერესო ლექციას, რომლისგან გამოწვეული შთაბეჭდილებები ჯერაც არ გაჰქრობია. ასევე იგონებს ამ ბაღის შესახებ დავით პავლიაშვილის ნაამბობს, კერძოდ იმას, თუ როგორ შეხვდა ძალზე სუსხიანი ზამთრის ერთ დღეს პავლიაშვილი ბაღში უპალტოოდ მჯდომ ნიკო სულხანიშვილს. იხსენებს, იმასაც, რომ ნიკო სულხანიშვილი მოგვიანებით თვითონაც გაიცნო და მის გუნდშიც კი მღეროდა ვახტანგ კოტეტიშვილთან ერთად.

➤ 14477

**1958**

**27 მაისი**

აპირებს იმუშაოს თავისი თხზულებების დიდი ერთტომეულის მაკეტზე, წიგნი დაყოს მონაკვეთებად და თითოეულ ნაწილს მოუფიქროს სათაური რუბრიკის სახით. ასევე, გეგმავს, მოამზადოს ამავე წიგნის სარჩევი.

➤ 14478

**1958**

**27 მაისის შემდეგ**

ხშირად მიდის გამომცემლობაში „საბჭოთა საქართველო“, სადაც საკუთარი დიდი ერთტომეულის გამოცემას აპირებს. გალაკტიონს ორმოცთაბახიანი წიგნის გამოცემა სურს, რედაქცია კი ოცდაათთაბახიანს სთავაზობს. იგი ჯერ უარზეა, მაგრამ შემდეგ თანხმდება და წარადგენს გოგი ჩიქობავას დახმარებით მომზადებულ მასალას.

➤ 14479

**1958**

**28 მაისი**

არკვევს, რა როდენობის თანხა მიიღო გამომცემლობიდან „საბჭოთა საქართველო“ 1957 წლის 12 აპრილიდან 1958 წლის 12 აპრილამდე. მისი ანგარიშით, მიღებული ჰონორარი შეადგენს 74 546 მანეთს.

➤ 14480

**1958**

**28 მაისი**

მწერალთა კავშირის ადმინისტრაცია გეგმავს 12 ოქტომბერს, ოპერის თეატრში საქართველოს სახალხო პოეტის, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის – გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მუშაობის 50 წლის საიუბილეო ღონისძიების მოწყობას და აპირებენ, განცხადებით მიმართონ ოპერის თეატრის ხელმძღვანელობას დარბაზის დასათმობად. გალაკტიონი ადგენს განცხადების ტექსტს.

➤ 14481

**1958**

**28 მაისი**

სურს, აიღოს სესხი მწერალთა კავშირის ლიტერატურული ფონდიდან. დილითვე მიდის ფონდში, რომ შეხვდეს დაწესებულების დირექტორ ალექსანდრე გომიაშვილს, მაგრამ ადგილზე არ ხვდება.

➤ 14482

**1958**

**28 მაისი**

მიდის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის – ვასილ მუჯანაძის თანაშემწის, გივი მელაძის სანახავად, რომ დაელაპარაკოს თავისი შემოქმედებითი მუშაობის 50 წლის საიუბილეო ღონისძიებების შესახებ. ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლები გარკვეულ დახმარებას ჰპირდებიან, მაგრამ გივი მელაძის ნახვას ვერ ახერხებს და ფიქრობს, რომ ემალება.

➤ 14483

**1958**

**28 მაისი**

ხვდება ირაკლი თოიძეს და ეუბნება, რომ საიუბილეოდ დაგეგმილი წიგნის გამოცემამდე ცოტა დრო დარჩა. მხატვარი ჰპირდება, რომ მუშაობას დაუყოვნებლივ შეუდგება. ირაკლი თოიძეს ამ დროისთვის უკვე შექმნილი აქვს გალაკტიონის სამი პორტრეტი და მუშაობს წიგნისთვის საჭირო პორტრეტებზე. ის გალაკტიონს სთხოვს, რომ პროფილში გადაიღოს ფოტო და მიუტანოს, რადგან ამით შეძლებს პორტრეტზე მუშაობის დაჩქარებას. გალაკტიონი აპირებს, მეორე დღესვე შეასრულოს თოიძის თხოვნა.

➤ 14484

**1958**

**28 მაისი**

ლიტერატურულ ფონდში ყოფნისას ხვდება მწერალ სიკო ფაშალიშვილის შვილს – თენგიზს და დაკვირვების შედეგად ასკვნის, რომ მას თავი ზრდილობიან კაცად მოაქვს, მაგრამ უზრდელოზე უზრდელია.

➤ 14485

**1958**

**28 მაისი**

განცხადებით მიმართავს საქართველოს ლიტერატურულ ფონდს და ითხოვს 15 ათასი მანეთის სესხად მიცემას ოთხი თვის ვადით.

➤ 14486

**1958**

**30 მაისი**

იმყოფება მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც მის ყურადღებას იქცევს ნიკო მარის პორტრეტი. უბის წიგნაკში ინიშნავს იმ პიროვნებათა ვინაობას, ვისაც იმ დღეს აკადემიაში ხვდება: მიხეილ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, მამია ებრალიძე, გიორგი წერეთელი, გიორგი ჯიბლაძე, გიორგი ციციშვილი, ქსენია სიხარულიძე, კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი შანიძე, დიმიტრი ბენაშვილი, გიორგი აბზიანიძე და ანგია ბოჭორიშვილი.

➤ 14487

**1958**

**30 მაისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს ინფორმაციას თავისი თხოვრებათა სრული აკადემიური გამოცემის პირველი ტომის შესახებ. ჩანაწერის მიხედვით, მისი მოცულობა იქნება 480 გვერდი, წიგნი მზად უნდა იყოს 1958 წლის დეკემბერში. გამოცემის მომზადებას ხელმძღვანელობს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების გამგე დავით გამეზარდაშვილი. გამოცემის მომზადებაში მონაწილეობას იღებენ ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლები: რომან მიმინოშვილი, ნელი მახარაძე და ე. ებრალიძე.

➤ 14488

**1958**

**30 მაისი ან შემდეგ**

ვახტანგ გურგენიძე თავისი ახალგაზრდა ნათესავის ხელით უგზავნის წერილს და სთხოვს, რომ მისი ლექსები გააცნონ მწერალთა კავშირის პოეტების სექციას, ამ სექციის რომელიმე ავტორიტეტულ წევრს. თუ ტელეფონით ვერ შეძლებს სექციის წევრებთან დაკავშირებას, პატარა წერილი მისწეროს რომელიმე მათგანს, რაც ნებისმიერისთვის დიდი ბედნიერება იქნება. გურგენიძე ჰპირდება, რომ თბილისში ჩასვლისას ინახულებს.

➤ 14489

**1958**

**მაისი**

გალაკტიონი პოლიგრაფიის სამმართველოს ხელმძღვანელის, ბორის ნანიტაშვილის კაბინეტშია. ის ჯერ ბოლთას სცემს, შემდეგ კი ალებს ფანჯარას და ნანიტაშვილს ეკითხება, აქედან რომ კაცი გადავარდეს, დაილუპება თუ არაო. შემფოთებული ნანიტაშვილი პასუხობს, რასაკვირველიაო. გადავხტებოდი, მაგრამ თქვენს სახელს ვუფრთხილდებო, ეუბნება გალაკტიონი და კაბინეტიდან გადის.

➤ 14490

**1958**

**მაისი**

ჟურნალში „ლიტერატურნაია გრუზია“ იბეჭდება გალაკტიონის ლექსი თბილისზე.

➤ 14491

**1958**

**გაზაფხული**

ორჯონიკიძის პარკში შეხვედრას უმართავენ მას და ლადო გუდიაშვილს. ღონისძიების შემდეგ რადიოკომიტეტის ახალგაზრდა თანამშრომლების თინა კობალაძის და ლამარა კიკილაშვილის თხოვნით აკეთებს აუდიოჩანაწერს ლექსისა „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. წასაკითხი ლექსის შერჩევის დროს, როდესაც გალაკტიონი მაგიდასთან ზის და წიგნს ათვალიერებს, უცნობი ფოტოკორესპონდენტი მათ სურათს უღებს.

➤ 14492

**1958**

### **გაზაფხული**

ავტობუსით მგზავრობს წყნეთისკენ. როდესაც იმ ადგილს უახლოვდებიან, რომელსაც წყნეთელები გადასახედს უწოდებენ, მის გვერდით მჯდომ პატარა ქოჩორა ბიჭს ხელს გადახვევს და ეუბნება, რომ ამ ადგილას უნდა აიგოს ქართველი ქალის ძეგლი. მას ერთ ხელში ხმალი ექნება, მეორეში კი – წიგნი. ეს იქნება მაია წყნეთელის, თამარ ვაშლოვნიელის, ქეთევან წამებულის და ზოგადად ყველა ქართველი ქალის ძეგლი, რომელიც ქართველებს სიყვარულს, შრომასა და თავდადებას ასწავლის.

➤ 14493

## **ი ვ ნ ი ს ი**

**1958**

### **2 ივნისამდე**

ანგარიშობს, რომ აუცილებელი ხარჯების შემდეგ 2 ივნისს დარჩება 3 891 მანეთი, შემნახველ სალაროში აქვს 1 900, სახლში – 1 500 და მთლიანობაში გამოდის 7 291 მანეთი.

➤ 14494

**1958**

### **3 ივნისი**

მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ფონდში ხვდება გერონტი ქიქოძეს და იგებს, რომ სამი ოპერაცია გადაუტანია. გერონტი შედის ლიტერატურული ფონდის დირექტორ ალექსანდრე გომიაშვილთან, უჩვენებს ბიულეტენებს და ესაუბრება ამ ოპერაციების შესახებ. გალაკტიონი აკვირდება, რომ როცა გერონტი სადმე მიდის, არსად არ ჩქარობს და დიდხანს რჩება. პოეტი ფიქრობს, რომ ეს კარგია.

➤ 14495

**1958**

### **3 ივნისი**

ხვდება სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელს, მწერალ ნიკოლოზ შველიძეს და ესაუბრება გამოსაცემი წიგნების თაობაზე. შველიძე მოულოდნელად გალაკტიონისთვის მიუღებელ პოზიციაზე აღმოჩნდება. პოეტი აღშფოთებულია მისი დამოკიდებულებით და უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ ამ კაცმა ნიღაბი მოიხსნა და აღმოჩნდა, რომ აქამდე მისი ქმედება მხოლოდ თვალთმაქცობა იყო.

➤ 14496

**1958**

### **3 ივნისი**

ხვდება სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორ დავით დუმბაძეს და ესაუბრება წიგნის გამოცემის თაობაზე. საუბრისას გამომცემლობის დირექტორი გამუდმებით ცვლის გამოსაქვეყნებელი წიგნის მოცულობას, ბეჭდვითი საწყობის გამგის – ვ. მელაძის თანდასწრებით 400 გვერდს ასახელებს, გალაკტიონთან კი – ხან 320 და ხან – 160 გვერდს. ეს ფაქტი პოეტის აღშფოთებას იწვევს და უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ დუმბა-დუმბა გაიძვერა ყოფილა და, რეალურად, მას და მის თანამშრომლებს ქრთამი უნდათ, რომ წიგნი ნორმალურად გამოსცენ, მაგრამ გალაკტიონი ქრთამის მიცემას არ აპირებს.

➤ 14497

**1958**

**4 ივნისი**

იმყოფება მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ფონდში დირექტორ ალექსანდრე გომიაშვილთან შესახვედრად და მდივანი ქალის სატელეფონო საუბრიდან იგებს, რომ ქვიშხეთში წასულა და, სავარაუდოდ, მეორე დღეს დაბრუნდება. ასევე იგებს, რომ გამგეობის კრება ჯერ არ ჩატარებულა.

➤ 14498

**1958**

**4 ივნისი**

აპირებს თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით გასამართი გამოფენის სტენდები და ჩარჩოები მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტიდან გადაიტანოს თბილისის პირველი გიმნაზიის საგამოფენო დარბაზში და მომდევნო ორი დღის განმავლობაში იქვე მიიტანოს ის საგამოფენო მასალებიც, რაც შინ აქვს.

➤ 14499

**1958**

**4 ივნისი**

მეუღლესთან, ნინო კვირიკაძესთან, მის შვილიშვილ მარინე ფირცხალავასთან და მოსამსახურე ქალ ირმასთან ერთად მიემგზავრება სოხუმში. თბილისის ბინაში რჩებიან გერი – ნუნუ ებანოიძე და ძმისწული – ნოდარ ტაბიძე. ნუნუ ნოდარს ეკითხება, რამდენი თანხა დაუტოვა ბიძამ. როცა ის პასუხობს, 100 მანეთიო, გაკვირვებას გამოხატავს, ჩვენ გალაკტიონს ვუთხარით, რომ 300 მანეთი დაეტოვებინა და ისევ იძუნწაო.

➤ 14500

**1958**

**6 ივნისი**

აკეთებს მინაწერს ვახტანგ გურგენიძისაგან მიღებულ წერილზე, რომ კარგი იქნება, თუ თბილისში დაარსდება ლიტერატურული წრე, რომლის წევრებიც იქნებიან ახალგაზრდა მწერლები, განსაკუთრებით – მესხეთ-ჯავახეთიდან და მათი მონაწილეობით ლიტერატურული საღამოები მოეწყობა.

➤ 14501

**1958**

**10 ივნისი**

წერს უსათაურო ლექსს „ო, ზღვაო, რა ხარ, რა ხარ?..“.

➤ 14502

**1958**

**11 ივნისი**

მეუღლისთვის – ნინო კვირიკაძისთვის იღებს თბილისში გასამგზავრებელ ბილეთს და ანგარიშობს, რა თანხას ატანს.

➤ 14503

**1958**

**14 ივნისი**

სოხუმის ზღვისპირა პარკში სანატორიუმის წინ სკამზე ჩამომჯდართან მიდის სოხუმის თეატრის მსახიობი გიორგი სულიკაშვილი, გაეცნობა და დიდხანს საუბრობენ. გალაკტიონს ის ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენს.

➤ 14504

1958

16 ივნისი

წერს ლექსს „ნინოშვილის შესახებ“.

➤ 14505

1958

17 ივნისი

იმყოფება სოხუმში, წერს ლექსს „ამაოდ ელი წერილზე პასუხს...“.

➤ 14506

1958

18 ივნისამდე

სოხუმშია და იღებს თბილისში გასამგზავრებელ ბილეთს 18 ივნისისთვის.

➤ 14507

1958

18-19 ივნისი

18 ივნისს სოხუმიდან მატარებლით მიემგზავრება და 19-ში ჩადის თბილისში.

➤ 14508

1958

21 ივნისი

ემზადება საკუთარი შემოქმედებითი სადამოსათვის, რომელიც 30 ივნისს უნდა ჩატარდეს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დარბაზში. უბის წიგნაკში ინიშნავს ინსტიტუტის ქართული ფილიალის მისამართს, ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და დირექტორის – ვარლამ ესაიაშვილის ტელეფონის ნომრებს, რადგან ფიქრობს, რომ მათთან ხშირი კომუნიკაცია დასჭირდება.

➤ 14509

1958

23 ივნისი

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივან ბესარიონ ჟღენტთან და საქმეთა მმართველ იროდიონ ქავჭავაძესთან ერთად განცხადებით მიმართავს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორ დიმიტრი მჭედლიძეს და ითხოვს, რომ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი სადამოს ჩასატარებლად 7 ივლისს დაუთმონ თეატრის დარბაზი.

➤ 14510

1958

26 ივნისი

გეგმავს შაბათობით თავისი შემოქმედებითი სადამოების ჩატარებას და ჩამოწერს 28 ივნისიდან 29 აგვისტომდე ყველა შაბათის თარიღს.

➤ 14511

1958

28 ივნისამდე

უბის წიგნაკში იწერს 28 ივნისს მარქსის, ენგელსისა და ლენინის ინსტიტუტში გასამართი სადამოს ანონსს.

➤ 14512

1958

29 ივნისი

განცხადებით მიმართავს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ქართული ფილიალის დირექტორ ვარლამ ესაიაშვილს, აცნობებს, რომ მომდევნო დღეს, 30 ივნისს, ფილიალის შენობაში დაგეგმილი აქვს შემოქმედებითი სადამო, მაგრამ დროის უკმარისობის გამო ვერ მოახერხა მასთან პირადად შეხვედრა. წერს, რომ გამოფენის გაფორმებაზე 5000 მანეთია დახარჯული და რომ ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთები გაეგზავნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კიროვის სახელობის უნივერსიტეტის, პედაგოგიური ინსტიტუტისა და სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის პროფესურას და ორთქლმავალშემკეთებელი ქარხნის მოწინავე მუშებს. იქვე დასძენს, რომ ბილეთების შეძენა ხდება მხოლოდ ნებაყოფლობით და რაც არ გაიყიდება, ავტორი უკან დაიბრუნებს. აღნიშნავს, რომ ზოგადად ყველა ხარჯს თავის თავზე იღებს, მაგრამ სჭირდება დარბაზი. სთხოვს, გასცეს განკარგულება, რომ დაგეგმილი სადამო შედგეს და 30 ივნისის შუადღის 12 საათამდე გადაწყვეტილება შეატყობინოს.

➤ 14513

## ი ვ ლ ი ს ი

1958

1 ივლისის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება ვლადიმერ ჯიბუტის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე“. მასში საუბარია იმის შესახებ, რომ პოეტმა მოღვაწეობა დაიწყო მძიმე რეაქციის წლებში და არსებულ ისტორიულ ვითარებას ეხმიანებოდა ლექსებით „პირველი მათი“ და „გადანახული დროშები“. სტატიაში ფართოდ არის საუბარი გალაკტიონის საბჭოთა პატრიოტიზმზე, სალექსო ფორმების ნოვატორულობაზე, ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ პოეზიაზე.

➤ 14514

1958

5 ივლისი

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში ხვდება დირექტორ ივანე კაკაბაძეს და ესაუბრება თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის თაობაზე. კაკაბაძე, გალაკტიონთან შეთანხმებით, განცხადებით მიმართავს სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური კაბინეტის დირექტორ ვალიკო მუშკუდიანს და მუზეუმის ადმინისტრაციის სახელით სთხოვს შესაფერისი დარბაზის დათმობას 9 ივლისიდან.

➤ 14515

1958

7 ივლისამდე

უბის წიგნაკში იწერს 7 ივლისს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გასამართი სადამოს ანონსს.

➤ 14516

1958

9 ივლისი

დილის 8 საათიდან აგვარებს გამოფენასთან დაკავშირებულ საკითხებს და უშუალოდ არის ჩართული სტენდებზე საგამოფენო მასალის გაკვრის პროცესში.

➤ 14517

1958



## 9 ივლისი

ორ საათზე აპირებს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ფონდში მისვლას და იმის გარკვევას, მოხერხდება სესხის მიღება თუ არა.

➤ 14518

1958

## 9 ივლისი

მიდის მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ფონდში, მაგრამ ვერ ახერხებს სესხის საკითხის გარკვევას. აპირებს, მეორე დღეს, დილის ათ საათზე კიდევ ერთხელ მივიდეს და ისევ სცადოს.

➤ 14519

1958

## 9 ივლისი

გეგმავს მწერალთა კავშირში მისვლას, რათა დააზუსტოს თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით გასამართი საიუბილეო ღონისძიებების საკითხი.

➤ 14520

1958

## 9 ივლისი

კულტურის სამინისტროში ხვდება კულტურის მინისტრს, რომელსაც ესაუბრება თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო ღონისძიებებისა და უახლოეს პერიოდში გამოსაცემი წიგნის – დიდი ერთტომეულის შესახებ. კულტურის მინისტრი ურეკავს ამ წიგნის გამოცემაზე ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს, სახელმწიფო გამომცემლობის თანამშრომელ ნიკოლოზ შველიძეს და ავალებს, რომ წიგნთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძეს.

➤ 14521

1958

## 9 ივლისი

წყნეთში საკუთარი არქივის დალაგებისას მის ყურადღებას იპყრობს მიხეილ ვაძბოლსკის მიერ ხუთი წლის წინ დაწერილი სტატია, რომელშიც ავტორი გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის მოწყობას ითხოვს. ახსენდება, რომ ამ სტატიის გამოქვეყნებაზე უარი თქვა „ზარია ვოსტოკას“ მაშინდელმა რედაქტორმა დავით ჩხიკვიშვილმა და უბის წიგნაკში იწერს, რომ ამ საქციელის გამო ჩხიკვიშვილი ოდესმე პასუხს აგებს. არქივის დალაგებისას ასევე პოულობს: შემნახველი სალაროს ორ წიგნაკს, თხზულებათა შვიდტომეულის ფოტოებს, ღია ბარათებს, ნიკო კეცხოველის მიერ გადაღებულ ჭყვიშის სახლის ფოტოს, პარიზის აფიშის ნახევს, სამკითხველო დარბაზის ბილეთს, სათვალეს, მის ბუდეს და კიდევ არაერთ მივიწყებულ ნივთს.

➤ 14522

1958

## 9 ივლისი

წყნეთში საკუთარი არქივის დალაგებისას აღმოაჩენს ორ მოწმობას. პირველი მათგანი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეობის მიერ 1908 წლის 17 ივნისსაა გაცემული და პოეტის დაბადების თარიღად 1891 წლის 5 ნოემბერია მითითებული. ანგარიშობს, რომ ამ ცნობის შესაბამისად 70 წელი შეუსრულდება 1961 წლის 5 ნოემბერს. ფიქრობს, ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად სრულიად არ გრძნობს სიბერეს და გადაწყვეტს, რომ ეს მოწმობა მუდმივად წყნეთის სახლში ჰქონდეს და სხვაგან არსად წაიღოს. მეორე მოწმობა, რომელსაც არქივის დალაგებისას პოულობს არის ცნობა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სახალხო პოეტის – გალაკტიონ ტაბიძის

მედლით დაჯილდოების თაობაზე. მოწმობის მიხედვით, პოეტს მედალი მიენიჭა დიდი სამამულო ომის დროს თავდადებული შრომისათვის.

➤ 14523

**1958**

**9 ივლისი**

წყნეთის სახლში არსებული პირადი არქივის დალაგება-დათვალიერებისას არაერთ მივიწყებულ ნივთთან ერთად პოულობს წიგნებსა და გაზეთებს. კერძოდ, საბჭოთა მწერლების 1950-1951 წლის ცნობარს, რომლის აღმოჩენაც ახარებს, რადგან მისი აზრით, ეს საჭირო წიგნია. მის ყურადღებას იქცევს 1945 წლის გაზეთ „კომუნისტის“ 6 ოქტომბრის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილის სამშობლო სოფელში“. პოეტი გადახედავს გაზეთს და იხსენებს, რომ აქ სოფელ მარაბდის, ცხრა ძმა ხერხეულიძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის წინაპართა შესახებ არის ინფორმაცია. ასევე აღმოაჩენს ალფესი ხელაძის სტატიას ილია ჭავჭავაძის შესახებ, გადახედავს და ამბობს, რომ მშვენიერი წერილია.

➤ 14524

**1958**

**9 ივლისი**

წყნეთში პირადი არქივის დალაგებისას პოულობს თავის ათასამდე ფოტოს, მაგრამ უმრავლესობა უხარისხოა. აინტერესებს, შეიძლება თუ არა მათი ხარისხის გაუმჯობესება. აპირებს, ამის შესახებ ჰკითხოს მხატვრებს და აჩვენოს კიდეც ეს ფოტოები. გარდა ამისა, პოულობს საკუთარი ლექსის – „სამგლეს და სამაღლეს – მწერალთა სასახლეს“ ხელნაწერს. გადაწყვეტს ცალკე საქალაქო აილოს და არქივის მოწესრიგების დროს ნაპოვნი ლექსები იქ მოათავსოს, ასევე, ცალკე ალაგებს პროზაულ ფრაგმენტებსაც.

➤ 14525

**1958**

**9 ივლისი**

წყნეთში პირადი არქივის დალაგებისას აღმოაჩენს სხვადასხვა კომისიის სიებს. პირველი არის 1958 წლის მარტში მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნებისა და კულტურის დეკადის კომისიის წევრთა სია, რომელშიც არიან: სერგი ჭილაია, ბესარიონ ჟღენტი, მიხეილ მრევლიშვილი, გრიგოლ აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი და კარლო კალაძე. ამ გვარების წაკითხვის შემდეგ გალაკტიონი ასკვნის, რომ მათი ჩართულობით დეკადა უკეთესად ვერც ჩაივლიდა. მეორე სიაში ჩამოწერილია სულხან-საბა ორბელიანის საიუბილეო კომისიის წევრები. გალაკტიონს ახსენდება, რომ 1958 წელს სულხან-საბას გარდაცვალებიდან 300 წელი სრულდება. კლასიკოსის იუბილესთვის მზადება ჯერ კიდევ 1956 წელს დაიწყო, მაგრამ საქმე არავის გაუკეთებია.

➤ 14526

**1958**

**9 ივლისი**

წყნეთში პირადი არქივის დალაგებისას აღმოაჩენს 1956 წლის უბის წიგნაკის ფურცლებს. ბოლო ჩანაწერი 9 ივლისითაა დათარიღებული და დამთხვევა აკვირვებს, რადგან კვლავაც 9 ივლისია. ნაპოვნი ფურცლების თვალიერებისას რვეულს პეპელა ეცემა და პოეტს ახსენდება სოხუმში ნანახი უზარმაზარი პეპელა. არქივში ასევე აღმოაჩენს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1955 წელს ჩატარებული საღამოს აფიშას, რომელშიც თავადაც მონაწილეობდა.

➤ 14527

**1958**

## 9 ივლისი

წყნეთში პირადი არქივის დალაგებისას აღმოაჩენს ელენე დიდიმამიშვილის 1956 წელს გამოცემულ წიგნს „ვარძის გაზაფხული“, რომელიც თბილისში ყოფნისას უჩუქებია ავტორს წარწერით: „დიდ პოეტს, ხალხის საყვარელს, აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძეს – უღრმესი პატივისცემით – ავტორი. 1956 წ., დედაქალაქი“. არქივის მოწესრიგებისას ასევე პოულობს გრიგოლ გორგაძის მიერ 1923 წლის 1 სექტემბერს მისთვის გაგზავნილ პირად წერილს, რომელშიც ადრესანტი უზიარებს შთაბეჭდილებებს ბათუმში 12 აგვისტოს გამოქვეყნებული „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მეცხრე ნომრის შესახებ. მასალის დალაგებისას შენიშნავს უცნაურ ნივთს, რომელიც თავდაპირველად ხის კოვზი ჰგონია, დაკვირვების შემდეგ კი ხვდება, რომ კოვზისებური სოკო უნდა იყოს. აოცებს ეს ამბავი და გაიფიქრებს, რომ ზოგჯერ ბუნებას უყვარს ასეთი ხუმრობა.

➤ 14528

## 1958

### 9 ივლისი

წყნეთის სახლში არსებული საკუთარი არქივის დალაგებისას აღმოაჩენს გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ 1956 წლის 24 ივნისის ნომერს, რომელშიც დაბეჭდილია გალაკტიონისა და ვაჟა-ფშაველას მეუღლის – თამარ დიდებაშვილის ვაჟაობის დღესასწაულზე ჩარგალში გადაღებული ფოტო. ის ჩართულია ვ. ვოლსკის სტატიაში „ხანგრძლივი სიცოცხლის ალბომი“.

➤ 14529

## 1958

### 9 ივლისი

აფიქრებს წყნეთის სახლის პირად არქივში ნაპოვნი მიხეილ ვადბოლსკის სტატია, რომელშიც ავტორი ითხოვს თბილისში გალაკტიონ ტაბიძის მუზეუმის მოწყობას. გეგმავს, ეს სტატია საბეჭდო მანქანაზე 100 ეგზემპლარად გადააბეჭდვინოს, რათა საჭირო ხალხს წააკითხოს, უპირველესად კი – კულტურის მინისტრს აჩვენოს. ასევე ვარაუდობს, რომ შესაძლებელია ამ მართლაც მნიშვნელოვანი სტატიის შესახებ თათბირის გამართვაც.

➤ 14530

## 1958

### 9 ივლისი

ფიქრობს უახლოეს დღეებში განსახორციელებელი გეგმების შესახებ. აპირებს, იზრუნოს თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენისთვის მუდმივი საგამოფენო დარბაზის მოპოვებისათვის, მანამდე კი, აუცილებლად უნდა იპოვოს ადგილი, სადაც დროებით მოათავსებს საგამოფენო მასალას. სურს, შეხვდეს კულტურის მინისტრს და დაელაპარაკოს ამ და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც მისი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებს უკავშირდება. გარდა ამისა, გეგმავს სახელმწიფო გამომცემლობაში მისვლას და გარკვევას, თუ როგორ მიდის დიდი ერთტომეულის გამოცემის საქმე, რა ეტაპზეა წიგნის ბეჭდვა და როდის გამოიცემა. სურს, საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტრუქტურებთან გააფორმოს ხელშეკრულება, რათა შემდეგ ყველაფერი შეთანხმების მიხედვით მოეწყოს. პარალელურად, აპირებს, დარეკოს სოხუმში და გაარკვიოს, დასრულდა თუ არა მისი სახლის რემონტი.

➤ 14531

## 1958

### 10 ივლისი

გეგმავს, რომ სახელმწიფო გამომცემლობაში შეხვდეს მისი ერთტომეულის გამოცემაზე პასუხისმგებელ პირს – ნიკოლოზ შველიძეს, რომელსაც წინა დღეს კულტურის მინისტრმა

დაავალა პრობლემების მოგვარებაში დახმარებოდა გალაკტიონს. სურს, რომ გაუფორმონ ხელშეკრულება წიგნის გამოცემის თაობაზე.

➤ 14532

**1958**

**10 ივლისი**

გეგმავს, რომ საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი ცხოვრების ამსახველი გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით დაელაპარაკოს სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური კაბინეტის დირექტორ ვალიკო მუშკუდიანს და წარუდგინოს ოფიციალური დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, უფლება აქვს, აღნიშნული სკოლის საგამოფენო დარბაზში მოაწყოს გამოფენა.

➤ 14533

**1958**

**10 ივლისი**

აპირებს, დილის 10 საათზე მივიდეს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ფონდში სესხის ასაღებად.

➤ 14534

**1958**

**10 ივლისი**

სახელმწიფო გამომცემლობაში მბეჭდავ ქალთან მიაქვს მიხეილ ვაძბოლსკის სტატია და იღებს პირობას, რომ შუადღის პირველი საათისთვის გადაბეჭდილი ექნება.

➤ 14535

**1958**

**10 ივლისი**

ისევ ფიქრობს იმაზე, თუ რა შეიძლება გაკეთდეს საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი მუდმივი გამოფენის მოსაწყობად.

➤ 14536

**1958**

**10 ივლისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ შვილიშვილისთვის, მარინე ფირცხალავასთვის საყიდელი აქვს კარაქი და პური.

➤ 14537

**1958**

**10 ივლისი**

აპირებს, გაარკვიოს რა სიტუაციაა სოხუმის სახლში, დასრულდა სარემონტო სამუშაოები თუ – არა. ასევე გეგმავს „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში მისვლას და დაზუსტებას, როდის გამოქვეყნდება მის მიერ გადაცემული ნაწარმოებები და როდის შეძლებს კუთვნილი ჰონორარის მიღებას.

➤ 14538

**1958**

**11 ივლისი**

აპირებს, რომ საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით, შეხვდეს ლიტერატურის მუზეუმის დირექტორ ივანე კაკაბაძეს და ამავე მუზეუმის იმ თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებელია საგამოფენო მასალის მომზადებაზე.

➤ 14539

**1958**

**11 ივლისი**

იგებს, რომ გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ აპირებს უახლოეს პერიოდში რუსულ ენაზე გამოსცეს შალვა რადიანის მონოგრაფია „გალაკტიონ ტაბიძე“, რაც დიდად არ ახარებს.

➤ 14540

**1958**

**11 ივლისი**

შეწუხებულია იმით, რომ საკუთარი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების დაგეგმვისა და მომზადების პროცესი ნელა მიდის და დასახული გეგმებიდან ჯერჯერობით ვერცერთი განახორციელა. ამის გათვალისწინებით, გადაწყვეტს, ახალგაზრდებს სთხოვოს დახმარება, რომ როგორმე დაგროვებულ საქმეს თავი გაართვას.

➤ 14541

**1958**

**11 ივლისის შემდეგ**

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ რუსულ ენაზე გამოსცემს შალვა რადიანის მონოგრაფიას „გალაკტიონ ტაბიძე“.

➤ 14542

**1958**

**12 ივლისი**

ცდილობს მოაგვაროს საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის საკითხი. სურს, რომ გამოფენა უახლოეს მომავალში მოეწყოს სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის საგამოფენო დარბაზში, მაგრამ ამავდროულად მოიძებნოს ადგილი მუდმივი გამოფენისთვის. ყოველივე ამის თაობაზე ესაუბრება ოფიციალურ პირებს და უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარების მიზნით ლიტერატურის მუზეუმი გამოყოფს კომისიას.

➤ 14543

**1958**

**12 ივლისი**

აპირებს, სახელმწიფო გამომცემლობიდან წამოიღოს მიხეილ ვადბოლსკის სტატიის მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი.

➤ 14544

**1958**

**12 ივლისი**

მწერალთა კავშირის მდივანი და საქმეთა მმართველი სთხოვენ სამხატვრო გალერეის დირექტორს, რომ გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით გალერეაში გაიმართოს მისი შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენა.

➤ 14545

**1958**

**13 ივლისი**

ცდილობს მოაგვაროს საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის საკითხები, მაგრამ რეალური შედეგი ჯერ კიდევ არ ჩანს.

➤ 14546

1958

**14 ივლისი**

აპირებს მაქსიმალურად გამიყენოს საკუთარი შესაძლებლობები, რათა როგორმე გადაწყდეს საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობის საკითხი. გარდა ამისა, ცდილობს, სახელმწიფო გამომცემლობასთან დროულად გაფორმდეს ოფიციალური ხელშეკრულება მისი დიდი ერთტომეულის გამოცემის თაობაზე.

➤ 14547

1958

**15 ივლისამდე**

ხვდება რუს პოეტსა და მთარგმნელ ალექსანდრ კოჩეტკოვს და საუბრისას არკვევს, რომ ის ცხოვრობს საგურამოში და თარგმნის ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებს. თანამოსაუბრე ეუბნება, რომ შესრულებული სამუშაოს ერთი ნაწილი უკვე გადასცა სტამბას, ხოლო 15 ივლისამდე ყაზბეგის შემოქმედებაზე მუშაობას მთლიანად დაასრულებს. ეს ინფორმაცია გალაკტიონის ყურადღებას იქცევს და ფიქრობს, როგორმე ალექსანდრე კოჩეტკოვს თავისი ლექსების თარგმნა შესთავაზოს, მით უფრო, რომ ლაპარაკისას მთარგმნელმა დაიჩვილა, რომ მობეზრდა პროზის თარგმნა.

➤ 14548

1958

**15 ივლისამდე**

მამადავითზე ადის ფატი დიდიასა და ანდრო პატარაიასთან ერთად, კითხულობს რუსულად თარგმნილ „მშვიდობის წიგნს“ და ანდროს თარგმანს უქებს.

➤ 14549

1958

**15 ივლისამდე**

იგებს, რომ რუსი პოეტი და მთარგმნელი ბორის სერებრიაკოვი მალე გამოსცემს წიგნს რუსულ ენაზე სათაურით „რჩეული თარგმანები“ და ეს კრებული გაიხსნება გალაკტიონის 1941 წელს დაწერილი ლექსის – „თასი“ – თარგმანით.

➤ 14550

1958

**15 ივლისი**

თავისი საიუბილეო ღონისძიებების მოწყობასთან დაკავშირებით უბის წიგნაკში იწერს მწერალ ნინა თოფჩიშვილის, მთარგმნელ იროდიონ ქავჭავაძისა და კრიტიკოს ბესარიონ ჟღენტის ტელეფონის ნომრებს, რადგან ფიქრობს, რომ ღონისძიებებისათვის მომზადების პროცესში ამ ადამიანებთან ხშირი კომუნიკაცია დასჭირდება.

➤ 14551

1958

**15 ივლისი**

მწერალთა კავშირში ატყობინებენ, რომ დაბარებული ყოფილა მინისტრთა საბჭოში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრ მირონ ჩუბინიძესთან. იგებს, რომ ეს ინფორმაცია ჰქონდა სერგი ჭილაიას, თუმცა, რატომღაც გალაკტიონს არ გააგებინა. ვარაუდობს, რომ მინისტრთა საბჭოში მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებით იბარებდენ. ფიქრობს, რომ შესაძლოა შეიქმნა რაღაც პრობლემა. საკითხის გასარკვევად უბის წიგნაკში ინიშნავს მირონ ჩუბინიძის, სერგი ჭილაიასა და მწერალთა კავშირის ტელეფონის ნომრებს.

➤ 14552

**1958**

**15 ივლისი**

სტალინის სახელობის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგიური კაბინეტის დირექტორ ვალიკო მუშკუდიანს ესაუბრება აღნიშნული სკოლის საგამოფენო დარბაზში თავისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობის თაობაზე, მაგრამ მუშკუდიანი უარს ეუბნება და რამდენიმე მიზეზს ასახელებს. ამბობს, რომ განათლების სამინისტროს შესაბამისი განყოფილება არ იღებს გალაკტიონის ღონისძიებაზე პასუხისმგებლობას და საგამოფენო მასალაში ბევრი რამაა ისეთი, რისი გამოფენაც არ შეიძლება, რომ შენობაში ჯერ რემონტია დაგეგმილი და შემდეგ კონფერენციის ჩატარება და რომ დაპირება იყო რამდენიმე დღეზე და ვადა ამოიწურა.

➤ 14553

**1958**

**15 ივლისი**

აპირებს, საღამოს ოთხი საათის შემდეგ შეხვდეს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილების თანამშრომელ მარკ ზლატკინს.

➤ 14554

**1958**

**15 ივლისი**

აპირებს, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ გამოსაქვეყნებლად გადასცეს თავისი ლექსები „სუფთა სინდისი...“, „სადაც არ უნდა ვიქნეთ...“, „ხალხის მომღერალი“, „ო, ნანა, ნანა, ნანა“ და პოემა „მშვიდობის წიგნი“.

➤ 14555

**1958**

**15 ივლისის შემდეგ**

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ რუსულ ენაზე გამოსცემს რუსი პოეტისა და მთარგმნელის – ბორის სერებრიაკოვის წიგნს „რჩეული თარგმანები“. სხვა ავტორთა ნაწარმოებების თარგმანებთან ერთად კრებულში შეტანილია გალაკტიონის ლექსების – „თასი“, „მერი“, „მე და ღამე“, „გურიის მთები“, „ლურჯა ცხენები“ – თარგმანები.

➤ 14556

**1958**

**19 ივლისი**

საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით განცხადებით მიმართავს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის დირექტორს. წერს, რომ მიმდინარე წელს სრულდება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავი, რაც ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით საზეიმოდ იქნება აღნიშნული და სასურველია, რომ ლიტერატურის მუზეუმმა მოაწყოს მისი შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენა.

➤ 14557

**1958**

**20 ივლისი**

იმყოფება წყნეთში, იფნის ბაღში, წერს უსათაურო ლექსს „რაც იფნიბაღმა განვიცადე დღეს...“.

➤ 14558

**1958**

## 20 ივლისი

იმყოფება ივნის ბაღში. წერს უსათაურო ლექსს „ვეომები მტვერს, წიგნთსაცავებს ვსძრავ...“.

➤ 14559

## 1958

### 23 ივლისი

თავისი ახალი ქართული რჩეულის შედგენაზე მომუშავე ახალგაზრდა პოეტ ვახტანგ ჯავახიძეს წარწერთ: „ნიშნად უღრმესი პატივისცემის“ ჩუქნის ახალგამოსულ რუსულენოვან რჩეულს.

➤ 14560

## 1958

### 23 ივლისის შემდეგ

ჟურნალში „ცისკარი“ იბეჭდება გევორქ ემინის სტატია „ამაღლევებელი საკითხები“, რომელშიც ავტორი საუბრობს სომხურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე და აღნიშნავს, რომ სომეხ მკითხველს ძალიან უყვარს გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა.

➤ 14561

## 1958

### 24 ივლისის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება თამაზ ჭილაძის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის ბუნებისათვის“. წერილის ავტორი უპირველეს ყოვლისა, ლირიკული პოეზიის სპეციფიკაზე ესაუბრება მკითხველს და მიუთითებს, რომ ლირიკა არ წარმოადგენს სინამდვილის პირდაპირ, სწორხაზოვან აღქმას. ჭეშმარიტი პოეტი მხოლოდ გარესამყაროდან მიღებულ შთაბეჭდილებებს კი არ ასახავს, არამედ ზოგჯერ პირიქით, გარესამყაროში საკუთარი განწყობის შესატყვის მოვლენებს ეძებს და მოძრაობაში მოჰყავს საგნები. თავისი მოსაზრების დასტურად თამაზ ჭილაძეს მოჰყავს გალაკტიონის ლექსი „დედოფალა“. იგი აღნიშნავს, რომ ამ პატარა ლირიკულ ლექსში თავს იჩენს საგნების ამეტყველების სურვილი, გარემოს გაცოცხლებისა და მასზე ამაღლების ცდა. გალაკტიონის სიმბოლიზმთან კავშირზე საუბრისას თამაზ ჭილაძე აღნიშნავს, რომ გალაკტიონმა განიცადა ფრანგული სიმბოლიზმის „შედარებით ნათელი ფრთის“ ზეგავლენა და მისთვის უცხო დარჩა დეკადენტიზმის უკიდურესობანი. კრიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს გალაკტიონის პოეზიის ფერწერულობაზე. იგი აღნიშნავს, რომ პოეტის ზოგიერთი ლექსის კითხვის დროს რჩება შთაბეჭდილება, თითქო ის ამ ლექსებს კი არ წერდა, არამედ ხატავდა. თამაზ ჭილაძის აზრით, გალაკტიონის პოეტური ოსტატობის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა მისი უნარი, მოათავსოს სიტყვა ისეთ კონტექსტში, როდესაც ერთი სიტყვა ქმნის ლექსის მთლიან განწყობილებას. ამის ნიმუშად გალაკტიონის შემოქმედებიდან ესეისტს მოაქვს სიტყვა „თოვლის“ გამოყენების ნაირნაირი შემთხვევები, როდესაც ეს ლექსიკური ერთეული თავისი პოეტური სურნელით ავსებს მთელ ნაწარმოებს. საგანგებოდ ჩერდება კრიტიკოსი გალაკტიონის ლექსის მუსიკალურობაზე. იგი მიუთითებს: პოეტური ნაწარმოების მუსიკალურობა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ იგი ადვილად იმღერება. ჭეშმარიტ პოეზიას ამავედროულად უნდა ჰქონდეს შინაგანი მელოდია, ლირიკული თრთოლა, რითაც გალაკტიონის ლექსები უხვადაა დაჯილდოებული.

➤ 14562

## 1958

### 25 ივლისის შემდეგ

კითხულობს რუსულ გაზეთს „პრავდა“. აკეთებს ხაზგასმებს. წერს, რომ მოსკოვის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ დასაბეჭდი მისი ლექსებისა და პოემების წიგნი უნდა იყოს ყველა რუსულ გამოცემაზე წონიანი.

➤ 14563



1958

**26 ივლისი**

დილით გალაკტიონი თავის ძმისწულს, ნოდარ ტაბიძეს აძლევს 25 მანეთს. ნოდარს სამი დღის წინ ნათქვამი აქვს, რომ მის კმაყოფაზე გადადის და ამიტომ ეცოტავება.

➤ 14564

1958

**26 ივლისი**

დილით ვახტანგ ჯავახიძე ურეკავს ნოდარ ტაბიძეს, რადგან დავალებული აქვს გალაკტიონის წიგნის შედგენა და სჭირდება მისი დახმარება ტექსტების დათარიღებასთან დაკავშირებით. ნოდარი გალაკტიონთან შედის და ამის თაობაზე ესაუბრება. პოეტი საერთოდ არ აქცევს ყურადღებას თარიღებს და ვახტანგ ჯავახიძესაც უთვლის, როგორც უნდა, ისე დაათარიღოს, ოღონდ, დროულად შეადგინოს. რამდენიმე საათს მუშაობენ ვახტანგ ჯავახიძე და ნოდარ ტაბიძე გალაკტიონის ლექსების დათარიღებაზე, მაგრამ ხვდებიან, რომ საქმე ძალიან რთულად არის. ლექსების უმრავლესობა სხვადასხვა კრებულში სხვადასხვაგვარად არის დათარიღებული. ამიტომ გადაწყვეტენ, რომ ეს მომავლის საქმეა, როცა შეისწავლიან გალაკტიონის მთელ არქივს, ამ ეტაპზე კი გადაწყვეტენ, რომ თემატურ რკალებად დააღაგონ.

➤ 14565

1958

**31 ივლისი**

უბის წიგნაკში ინიშნავს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კულტურისა და ხელოვნების განყოფილების ტელეფონის ნომერს და იმასაც, რომ აღნიშნულ რედაქციაში მისვლა ან დარეკვა შუადღის 12 საათიდან არის შესაძლებელი. აპირებს, დაელაპარაკოს რედაქციის თანამშრომლებს და გაარკვიოს, მის მიერ დასაბეჭდად გადაცემული ნაწარმოებების გამოქვეყნებისა და კუთვნილი ჰონორარის საკითხი.

➤ 14566

1958

**31 ივლისი**

აპირებს, მოაგვაროს საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობის საკითხი და იზრუნოს მუდმივი საგამოფენო დარბაზის მოპოვებისათვის, სადაც განათავსებს საკუთარ ორმოცდაათწლიან შემოქმედებით მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მასალებს. მიიჩნევს, რომ გამოფენის მომზადების პროცესში აუცილებლად უნდა ჩაერთოს მხატვარი ირაკლი თოიძე და მოქანდაკე ნიკოლოზ კანდელაკი. საიუბილეო ღონისძიებების ორგანიზებასთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ საჭირო იქნება მწერალთა კავშირის თავმჯდომარის – ირაკლი აბაშიძისა და მდივნის – სერგი ჭილაიას აქტიური ჩართულობა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უბის წიგნაკში ერთად იწერს ტელეფონის ნომრებს იმ 11 პირისა, რომლებთანაც ამ საკითხების მოსაგვარებლად ხშირი კონტაქტი დასჭირდება.

➤ 14567

1958

**31 ივლისი**

იწყებს აქტიურ მზადებას საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოსაწყობად პირველ საშუალო სკოლაში. აპირებს, დღის განმავლობაში საგამოფენო მასალისთვის მოამზადოს ჩარჩოები და მოძებნოს ადგილი მათი გამოფენისთვის, გადათვალოს სტენდზე განსათავსებელი ფურცლების რაოდენობა თემაზე „საბჭოთა საქართველო გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“, ასევე, გეგმავს, სასტენდოდ მოამზადოს მხატვრების: ვავა გაბუნias, დავით გველესიანის, ირაკლი ტოფაძის, თეოდორ ჩუდეცკის, ირაკლი თოიძის, უჩა ჯაფარიძის, კორნელი სანაძის, გრიგოლ მესხისა და უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული

თავისი პორტრეტები. გარდა ამისა, აპირებს, გამოფენისთვის გაადიდოს ირაკლი გამრეკელის მიერ შექმნილი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ გარეკანი, ნიკოლოზ ჩერნიშკოვის შესრულებული პორტრეტი თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომიდან, ასევე – ვალერიან სიღამონ-ერისთავისა და ვასილ კროტკოვის მიერ დახატული პორტრეტები. აპირებს, ამ და გამოფენასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარებაში დახმარება სთხოვოს მხატვრებს და პირველი სამუალო სკოლის პედაგოგიური კაბინეტის დირექტორ ვალიკო მუშკუდიანს.

➤ 14568

**1958**

**31 ივლისი**

საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენისთვის ვერ შოულობს დიდ ჩარჩოებს და, რადგან დრო ცოტა აქვს, გადაწყვეტს ადრინდელი საგამოფენო მასალისაგან ძველი ჩარჩოების გამოთავისუფლებას და გამოყენებას.

➤ 14569

## ა გ ვ ი ს ტ ო

**1958**

**1 აგვისტომდე**

გამოსაქვეყნებელი ლექსებით ანდრო პატარაიასთან ერთად მიდის გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ რედაქციაში, სადაც ბორის სერებრაკოვისა და ვ. ხაცკევიჩის მიერ ნათარგმნ ლექსებს გადასცემენ. არ მოსწონს ხაცკევიჩის ნათარგმნი, მაგრამ არ იმჩნევს.

➤ 14570

**1958**

**1 აგვისტო**

გაზეთი „ზარია ვოსტიკა“ ბეჭდავს სერგი ჭილაიას წერილს „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც აღნიშნავს, რომ ქართული საბჭოთა ლირიკის ფუძემდებელი გალაკტიონ ტაბიძე არის ლექსის დიდოსტატი, მან გრძელი და რთული შემოქმედებითი გზა გაიარა და დღეს საბჭოთა კომუნისტური მშენებლობის ეპოქის მომღერალია.

➤ 14571

**1958**

**1 აგვისტო**

გაზეთი „ზარია ვოსტიკა“ ბეჭდავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების „ოქტომბერი“, „მშვიდობის წიგნი“, „პოეზია“ და „ტუია“ ანდრო პატარაიასეულ თარგმანს.

➤ 14572

**1958**

**1 აგვისტო**

გაზეთი „ზარია ვოსტიკა“ ბეჭდავს ვ. ხაცკევიჩის მიერ თარგმნილ გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „ლექსები უკვდავია“.

➤ 14573

**1958**

**2 აგვისტო**

მიდის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში და დირექტორ ვანო კაკაბაძეს სთხოვს, რომ ხელოვნების მუშაკთა სახლში გასამართი მისი საიუბილეო საღამოსთვის გამოფენის მოწყობაში დაეხმარონ. კაკაბაძე ინსტიტუტის თანამშრომლებს დავით შულღიაშვილსა და ნინო ჩიხლაძეს ავალებს მის დახმარებას.

➤ 14574

1958

### 3 აგვისტო

დავით შულღიაშვილი და ნინო ჩიხლაძე ხელოვნების მუშაკთა სახლში ხვდებიან გალაკტიონს, ახდენენ საგამოფენო მასალების და ტექსტების კლასიფიკაციას და იწყებენ ექსპოზიციის მოწყობას თემაზე „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება“. პოეტი კმაყოფილია მათი მუშაობით და სასახლის ბუფეტში ეპატიჟება. იქ იხსენებს ამბავს როგორ აპირებდნენ ქუთაისის ბულვარში ხაშის ჭამას ის, ტიცინი ტაბიძე და პაოლო იაშვილი, მაგრამ საჭირო თანხა ვერ შეაგროვეს. ბედად, შალვა დადიანი შენიშნეს, რომელმაც ხარჯი თავის თავზე აიღო, მაგრამ ხაში ყველგან გათავებული იყო და ყაურმით გაუმასპინძლდა. შალვას სადღეგრძელო პაოლომ ექსპრომტად შესვა ლექსით: „ამ ჩვენ შალვა დადიანმა, თუმცა ბევრი გვაურვა, მაგრამ მაინც გაგვიჩინა მშვენიერი ყაურმა“. პაოლოს არც ტიცინი ჩამორჩა და მანაც ექსპრომტით ადღეგრძელა შალვა: „ამ ჩვენ შალვა დადიანმა, ახოვანმა, მადიანმა, ისე კარგად დაგვაპურა, შიმშილთ გრძნობა დაგვიამდა“.

➤ 14575

1958

### 4 აგვისტო

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ოქტომბერი“ თარგმანი.

➤ 14576

1958

### 4 აგვისტო

„რჩეულის“ გამოსაცემად უფორმებენ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც სტრიქონში გადაუხდიან 20 მანეთს, გამოცემათა რიგის მიხედვით.

➤ 14577

1958

### 4 აგვისტო

აპირებს მოიმარაგოს საგამოფენო სტენდების მოსამზადებლად საჭირო მასალა და ნივთები, მათ შორის, ლურჯი ქაღალდი და ჩარჩოები. გარდა ამისა, გეგმავს ოთახიდან გამოიტანოს სტენდები და ისე შეათვალიეროს საგამოფენო მასალა. ამის შემდეგ კი ფიქრობს, შეიაროს სახელმწიფო გამომცემლობაში და დააზუსტოს, დიდი ერთტომეულის გამოცემის თაობაზე დასადებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არის რამე სიახლე, თუ არა. გარდა ამისა, აპირებს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში მისვლას და ჰონორარის მიღებას. სურს, რომ როგორც გამომცემლობის, ისე რედაქციის თანამშრომლებს გადასცეს საკუთარი შემოქმედებითი სადამოს ბილეთები. ბილეთების დარიგებას ასევე აპირებს მეცნიერებათა აკადემიაში, მწერალთა კავშირსა და ქალაქის საბჭოში.

➤ 14578

1958

### 5 აგვისტო

დავით შულღიაშვილსა და ნინო ჩიხლაძეს დატვირთული სამუშაო დღის ბოლოს რესტორანში „ინტურისტი“ ეპატიჟება, დიდებულად მასპინძლობს და სთხოვს, მის სადამოს აუცილებლად დაესწრონ.

➤ 14579

1958

### 6 აგვისტომდე

კითხულობს რუსულ ჟურნალს „ლიტერატურნაია გრუზია“, აკეთებს ხაზგასმებს და ბოლო გვერდზე ინიშნავს 6 აგვისტოდან 12 ნოემბრამდე ოთხშაბათები რომელ რიცხვებში უწევს. წერს, რომ 12 ნოემბერს თბილისის დაარსებიდან 1500 წლის აღსანიშნავი საღამოა.

➤ 14580

**1958**

### **6 აგვისტო**

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის განცხადება, რომლის მიხედვითაც, 6 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი და ხელოვნების მუშაკთა სახლი აწყობს გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით საღამოს.

➤ 14581

**1958**

### **6 აგვისტო**

ხელოვნების მუშაკთა სახლში იმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობენ პოეტები, პროზაიკოსები და ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები. ღონისძიების პარალელურად, ამავე დაწესებულების ფოიეში იხსნება პოეტისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. გალაკტიონი კითხულობს რამდენიმე ლექსს. პოეტს მართმევენ ხილით, შამპანურებითა და თაიგულებით სავსე კალათას, სუვენირებსა და ადრესებს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. პოეტი მადლობას უხდის სტუმრებს და შემდეგ მათთან ერთად ხელახლა ათვალიერებს გამოფენას. გაზეთის კორესპონდენტი მას გამოფენის ფონზე სურათის გადაღებას სთავაზობს, მაგრამ გალაკტიონი არ თანხმდება და სურათს ირაკლი თოიძესა და დავით შულღიაშვილთან ერთად იღებს.

➤ 14582

**1958**

### **7 აგვისტო**

დღიურში აკეთებს მცირე ჩანაწერს, რომ დაეკარგა თავისი თხზულებების აკადემიური გამოცემის პირველი ტომის მასალები და შემდეგ აღადგინა.

➤ 14583

**1958**

### **7 აგვისტოს შემდეგ**

დღიურში იწერს, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მისმა მეგობარმა, მხატვარმა ირაკლი ტოფაძემ გადასცა იშვიათობად ქცეული გალაკტიონ ტაბიძის 1914 წლის გამოცემა, რომელშიც იდო მხატვრის მისადმი მიძღვნილი ლექსი.

➤ 14584

**1958**

### **8 აგვისტო**

დილის ათის ნახევარზე იმყოფება მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში. სურს, გაარკვიოს, როგორ უნდა მიიღოს ძერჟინსკის (ახლანდელი ინგოროყვას) ქუჩის 13 ნომერში, მეცნიერებათა აკადემიის წინ მის მიერ შერჩეულ ორსართულიან სახლზე დამატებითი, მესამე სართულის დაშენების ნებართვა. მისთვის საინტერესო საკითხზე პასუხის მისაღებად აღმასკომის თანამშრომლები იბარებენ 10 სექტემბერს, დილის 10 საათზე.

➤ 14585

**1958**

### **8 აგვისტო**

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში შემთხვევით ხვდება ექიმ ლევან წერეთელს, ჩერდება და ესაუბრება აკაკი წერეთლის რომელიღაც ლექსის შესახებ, შემდეგ კი უბის წიგნაკში ინიშნავს ამ პიროვნების მისამართსა და ტელეფონის ნომერს.

➤ 14586

**1958**

### **20 აგვისტომდე**

აპირებს, 20 აგვისტოს შეხვდეს თბილისის მთავარ არქიტექტორ ალექსანდრე თევზაძეს და დაელაპარაკოს ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში საგამოფენო პავილიონის აშენების თაობაზე, სადაც უნდა მოაწყოს საკუთარი შემოქმედებითი გზის ამსახველი მუდმივი გამოფენა.

➤ 14587

**1958**

### **21 აგვისტო**

აპირებს, ფილიპე მახარაძის (ახლანდელი გერონტი ქიქოძის) ქუჩაზე მდებარე ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში პავილიონის აშენებას, ასევე, ძერჟინსკის (ახლანდელი ინგოროყვას) ქუჩაზე მის მიერ შერჩეულ ორსართულიან სახლზე დამატებითი, მესამე სართულის დაშენების ნებართვის მოპოვებას. როგორც პავილიონი, ისე დაშენებული სართული პოეტს სჭირდება საკუთარი შემოქმედებითი გზის ამსახველი გამოფენების მოსაწყობად. ამ გეგმების განსახორციელებლად, ბუნებრივია, აუცილებელია ოფიციალური ნებართვა, რის გამოც გალაკტიონი არკვევს და უბის წიგნაკში ინიშნავს კალინინის, ახლანდელი მთაწმინდის რაიონის რაიონული საბჭოს აღმასკომის არქიტექტორ ვიქტორ ჯორბენაძის ტელეფონის ნომერსა და მისამართს და ამავე რაიონის მთავარი ინჟინრის ტელეფონის ნომერს. ფიქრობს, რომ ამ პიროვნებათაგან მიღებული თანხმობა და შედგენილი გეგმა დაეხმარება მშენებლობის ნებართვის მოპოვებაში.

➤ 14588

**1958**

### **23 აგვისტო**

აღმოაჩენს, რომ ამოუვარდა კბილი, რომელიც 1950 წლიდან დაბეჭენილი ჰქონდა.

➤ 14589

**1958**

### **30 აგვისტო**

კითხულობს საკუთარ უბის წიგნაკში გაკეთებულ 9–14 ივლისის ჩანაწერებს და იხსენებს იმ გეგმებს, რომელთა შესრულებაზეც აღნიშნულ პერიოდში ზრუნავდა. შემდეგ გონებაში თვალს გადაავლებს ამის მომდევნო პერიოდს და ხვდება, რომ არცერთი საქმე არ დასრულებულა. ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ორი, მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა: მუდმივი საგამოფენო სივრცის პოვნა და მიხეილ ვადბოლსკის სტატიის საჭირო ადამიანებისთვის გაცნობა. მიუხედავად ამისა, თავს იწუგებებს იმით, რომ პრობლემების მოსაგვარებლად ნაბიჯები გადადგმულია და შეუძლებელია მის ქმედებებსა და ინიციატივებს შესაბამისი შედეგები არ მოჰყვეს.

➤ 14590

**1958**

### **ივლისი-აგვისტო**

იგებს, რომ საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის მიერ გამოყოფილი უფროსი მეცნიერ-მუშაკები, რომელთაც ევალებათ საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ

ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენისთვის საექსპოზიციო გეგმის შედგენა.

➤ 14591

**1958**

**ივლისი-აგვისტო**

იგებს, რომ ხელოვნების მუშაკთა სახლის ადმინისტრაცია უთმობს სივრცეს თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოსაწყობად. მაგრამ, როგორც არკვევს, ამ დაწესებულების დარბაზში შესაძლებელი იქნება მხოლოდ 1958 წლის მარტში მისი ხელოვნებისა და კულტურის დეკადაზე ყოფნის ამსახველი მასალის გამოფენა. აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ საჭიროა მეტი ფართობი, რათა მთლიანად მოხერხდეს არსებული საგამოფენო მასალის სტენდებზე განთავსება მისი ორმოცდაათწლიანი შემოქმედებითი გზის სრულყოფილად წარმოსაჩენად. საამისოდ სურს, გამოუყონ დამატებითი ფართობი ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში, რომელსაც გამოიყენებს საგამოფენო პავილიონის მოსაწყობად. პოეტის აზრით, ეს პავილიონი უნდა აიგოს უსწრაფესად, ერთი თვის განმავლობაში. ფიქრობს, რომ ამის მოსაგვარებლად საჭირო იქნება ოფიციალური დადგენილება ფართობის გამოყოფის თაობაზე და ინჟინრის მიერ შედგენილი პავილიონის გეგმა.

➤ 14592

**1958**

**ივლისი-აგვისტო**

არკვევს, რომ ხელოვნების მუშაკთა სახლის ეზოში არსებული ფართობი, სადაც მას საგამოფენო პავილიონის მოწყობა სურდა, უკვე განკუთვნილი ყოფილა კინოთეატრისთვის და იწყებს ფიქრს სხვა სივრცის მოძიებაზე.

➤ 14593

**1958**

**ივლისი-აგვისტო**

იმედი აქვს, რომ ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორ უშანგი თავაძისა და სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის დირექტორ ივანე კაკაბაძის დახმარებით შეძლებს პავილიონის მოწყობას ხელოვნების მუშაკთა სახლის ბაღის იმ მონაკვეთში, რომელიც ჯერ არავისთვის გამოუყვიათ. მისი აზრით, ამ იდეის განსახორციელებლად დასჭირდება ინჟინერი, რომელიც საგამოფენო პავილიონს დააპროექტებს.

➤ 14594

**1958**

**ივლისი-აგვისტო**

უბის წიგნაკში ინიშნავს ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორ უშანგი თავაძისა და სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის დირექტორ ივანე კაკაბაძის ტელეფონის ნომრებს, რადგან სწორედ ამ ადამიანების ხელშეწყობით აპირებს საკუთარი ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის მოწყობას. ამავე მიზეზით, უბის წიგნაკში იწერს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის უფროსი მეცნიერ-მუშაკების: ნინო ჩიხლაძისა და დავით შულღიაშვილის ტელეფონის ნომრებს.

➤ 14595

**1958**

**ივლისი-აგვისტო**

ურეკავს ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორ უშანგი თავაძეს და სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმის დირექტორ ივანე კაკაბაძეს და ეკითხება, შეძლებენ თუ არა მასთან

შეხვედრას მეორე დილის ცხრა საათისათვის. არკვევს, რომ უშანგი თავაძე მხოლოდ 10 საათზე შეძლებს მისვლას.

➤ 14596

**1958**

**ივლისი - აგვისტო**

სადამო ხანია. წყნეთიდან დაბრუნებული გალაკტიონი რუსთაველის პროსპექტზე სვენებ-სვენებით მიდის, როდესაც მისკენ მიმავალ ახალგაზრდებს გურამ რჩეულიშვილი და ნუგზარ წერეთელი გამოეყოფიან. ისინი პოეტს ესალმებიან და სახლში გაცილებას სთავაზობენ. გალაკტიონი თანხმდება და ყველანი ტროლეიბუსით ჩადიან ელბაქიდის დაღმართზე. ტრანსპორტიდან ჩასვლისას გალაკტიონი ტროლეიბუსის გამცილებელ, მოხუც რუს ქალს ხელზე კოცნის, რითაც ძალიან აბედნიერებს.

➤ 14597

**1958**

**აგვისტო**

ალექსანდრე ბანძელაძესთან ერთად რუსთაველის პროსპექტზე მიმავალს შეხვდება გურამ თიკანაძე და ფოტოს უღებს.

➤ 14598

**1958**

**ზაფხული**

ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართული გამოფენის „გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრება და შემოქმედება“ და მკითხველთა კონფერენციის დასრულების შემდეგ გალაკტიონთან მიდის საფრანგეთიდან დაბრუნებული მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი სერგი წულაძე და უყვება იმის შესახებ, თუ რა იციან საფრანგეთში თანამედროვე ქართული მწერლობის შესახებ.

➤ 14599

**1958**

**ზაფხული**

ხელოვნების მუშაკთა სახლში გამოფენის დასრულების შემდეგ სურათს იღებს გიორგი ნატროშვილსა და სერგი წულაძესთან ერთად.

➤ 14600

## ს ე ქ ტ ე მ ბ ე რ ი

**1958**

**1 სექტემბრამდე**

ინიშნავს ინფორმაციას უახლოეს პერიოდში დაგეგმილი სამი შემოქმედებითი სადამოს შესახებ: პირველი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს, მიემდგვნება თბილისის დაარსების 1500 წლისთავს, მეორე – ოქტომბრის რევოლუციის 41-ე წლისთავს, მესამე კი – მისი მოღვაწეობის 50 წლის იუბილეს. პოეტის აზრით, სამივე ღონისძიება ოქტომბერში უნდა ჩატარდეს.

➤ 14601

**1958**

**1 სექტემბრამდე**

გეგმავს, პირველ სექტემბერს შეხვდეს ინჟინერ გორსკის და დაელაპარაკოს ძერჟინსკის (ახლანდელი ინგოროყვას) ქუჩაზე მის მიერ შერჩეულ ორსართულიან სახლზე დამატებითი, მესამე სართულის დაშენების შესახებ. აუხსნას, რომ დაშენებულ სართულზე სურს მოაწყოს საკუთარი შემოქმედებითი გზის ამსახველი მუდმივი გამოფენა.

➤ 14602

1958

### 1 სექტემბრამდე

თბილისის 39-ე საშუალო სკოლის დირექტორ ვარლამ თავაძეს უთანხმდება ამ სკოლაში ჩასატარებელი ღონისძიების შესახებ, რომელიც მიემდგვნება დედაქალაქის დაარსების 1500 წლისთავს და რომელშიც მონაწილეობას მიიღებს გალაკტიონი. ფიქრობს, რომ სამომავლოდ, ღონისძიებისთვის მზადების პროცესში, დამატებითი დეტალების დაზუსტება იქნება საჭირო, რის გამოც უბის წიგნაკში ინიშნავს ვარლამ თავაძის ტელეფონის ნომერს.

➤ 14603

1958

### 1 სექტემბრამდე

ფიქრობს 39-ე საშუალო სკოლაში ოქტომბერში ჩასატარებელი იმ თემატური საღამოს შესახებ, რომელიც თბილისის დაარსების 1500 წლისთავს მიემდგვნება. აპირებს, ღონისძიებისთვის შეარჩიოს შესაბამისი ლექსები თავისი შემოქმედებიდან. გეგმავს, წაიკითხოს ლექსი „ჰყვება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს“, ასევე, ნაწარმოებები დედაქალაქის სანაპიროების შესახებ, რომლებიც თავის თხზულებათა რვატომეულის მეექვსე ტომში ორი ციკლის სახით („პირველი მაისი სანაპიროზე“, „ცხრა მაისი სანაპიროზე“) აქვს შეტანილი.

➤ 14604

1958

### 1 სექტემბერი

მას და მის გერს – ნუნუ ებანოიძეს ამ უკანასკნელის ქალიშვილი მარინე ფირცხალავა ერთად მიჰყავთ პირველ კლასში. სკოლის ეზოში ბავშვები ჟრიაშულით გარს ეხვევიან პოეტს, რაც ძალიან ახალისებს. სკოლიდან წამოსვლისას მარინესთვის წიგნებს ყიდულობს და ეუბნება, დაიმახსოვრე შენ გზა საქართველოს სახალხო პოეტმა დაგილოცაო. მთელი დღე სადღესასწაულო განწყობაზეა. საღამოს სუფრასთან გოგონას განსაკუთრებული ინტონაციით უკითხავს ლექსს „მარინა, მარინა ა...“ და ჰპირდება, რომ ასწავლის ლექსის ისე კითხვას, როგორსაც ბავშვობაში მას ასწავლიდნენ.

➤ 14605

1958

### 2 სექტემბრამდე

გეგმავს ლიტერატურული საღამოების ციკლს, რომელიც პოეტის ჩანაფიქრით უნდა მიემდგნას მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლის თავს. ვარაუდობს, რომ საჭირო იქნება დაახლოებით 12 ღონისძიების ჩატარება. გეგმავს გამოფენის მოწყობას, მოხსენებებისა და ლექციების წაკითხვას. პოეტი ფიქრობს, რომ ღონისძიებების ორგანიზება უნდა მოხდეს ლიტერატურის მუზეუმის სახელით.

➤ 14606

1958

### 7 სექტემბერი

იღებს თბილისის მასწავლებელთა სახლთან არსებული ლიტერატურული წრის ხელმძღვანელის, პოეტ სავლე აბულაძის წერილს, რომლითაც კიდევ ერთხელ ითხოვს მის მიერ თარგმნილი პოემებისთვის ანაზღაურებას. სწერს, რომ ამ დრომდე ამის შესახებ არავისთვის არაფერი უთქვამს და სექტემბრის ბოლომდე ისევ დაელოდება. არ უნდა, რომ მათი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობა ამ უსიამოვნებამ გააფუჭოს.

➤ 14607

1958

### 9 სექტემბრის შემდეგ



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ბეჭდავს ქართველი პოეტების ლექსთა კრებულს „ჩვენი თბილისი“, რომელშიც შედის გალაკტიონის ოთხი ლექსი: უსათაურო („ოცნებაო ჩემო ძველო...“), „ახალი თბილისის დაფუძნება“, „ჰყვება თბილისი სხვადასხვა ჰანგებს“ და „მთაწმინდის მთვარე“.

➤ 14608

1958

### 10 სექტემბერი

იმყოფება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში, რომელსაც, „მასსაჩუხეტს“ უწოდებს. ელოდება ალექსანდრე ჩოგოვაძეს, ვისთან ერთადაც უნდა შეხვდეს ინჟინერ გორსკის მოადგილეს და დაელაპარაკოს მის მიერ შერჩეულ ორსართულიან სახლზე დამატებითი, მესამე სართულის დაშენების შესახებ. ვიდრე ალექსანდრე ჩოგოვაძე იგვიანებს, აკვირდება გარემოს, თვალს ადევნებს სხვების საქმიანობას. ლოდინისას, აღმასკომის დერეფანში შემთხვევით ხვდება თავისი დეიდის – გვიტია ადვიშვილი-რუსაძის შთამომავლებს, რომლებიც სთხოვენ, შევიდეს ვასილ მჟავანაძის თანაშემწესთან – გივი მელაძესთან, აუხსნას მათი მდგომარეობა და დახმარება სთხოვოს. პოეტს ნათესავების დამოკიდებულება და საქმის მოგვარების ამგვარი მცდელობა აღიზიანებს.

➤ 14609

1958

### 10 სექტემბერი

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში ყოფნისას აკვირდება ინჟინერ გორსკის მოადგილის საქმიანობას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, როგორ და რა სახით მოხერხდება ორსართულიან შენობაზე მესამე სართულის დაშენება, სადაც გალაკტიონმა საკუთარი შემოქმედებითი გზის ამსახველი მუდმივი გამოფენა უნდა მოაწყოს. პოეტს აღიზიანებს გორსკის მოადგილის სასაცილო, საბრალო და ამავე დროს, საშიში გამომეტყველება, არ მოსწონს ისიც, თუ როგორ ცდილობს ეს კაცი დოკუმენტაციის მოწესრიგებასთან დაკავშირებული სირთულეების მიზეზად გამოყენებას. ყოველივე ამის თვალყურებისას ამჩნევს, რომ ვიღაც ქალს მოაქვს განცხადება აღმასკომის იმ სხდომის შესახებ, რომელზეც პოეტისთვის საინტერესო საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.

➤ 14610

1958

### 10 სექტემბერი

გათენებისთანავე გამოდის სახლიდან, გარეთ წვიმს და სიგრილეა, სულ არ იგრძნობა, რომ წინა დღეს, ჯერ კიდევ აგვისტოსთვის ჩვეულ აღმურში იყო გახვეული თბილისი. მიემართება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისკენ, სადაც უნდა შეხვდეს ალექსანდრე ჩოგოვაძეს. რადგან ჩოგოვაძე აგვიანებს, პოეტი მარტო შედის აღმასკომის შენობაში, ადის მეორე სართულზე, დერეფანში პოულობს მყუდრო ადგილს, სადაც მშვენიერი მაგიდა დგას და იწყებს წერას ბოლოდროინდელი ამბების შესახებ. ფიქრებსა და ოცნებებში ისე ერთობა, ვერ ამჩნევს ალექსანდრე ჩოგოვაძის მისვლას. ერთად ადიან მესამე სართულზე, სადაც უნდა შეხვდნენ ინჟინერ გორსკის მოადგილეს, ვინც გააცნობს დასკვნას იმის თაობაზე, შესაძლებელია თუ არა, გალაკტიონმა მესამე სართული დააშენოს მის მიერ შერჩეულ სახლს ძერჟინსკის ქუჩაზე. საუბრისას ირკვევა, რომ გორსკის მოადგილეს დავიწყებია გალაკტიონისთვის მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევა და მოზოდიშებით სთხოვს, რომ მივიდეს საათნახვერის შემდეგ, მიიყვანოს მუშები, რათა მოხერხდეს სახლისთვის საძირკვლის შემოწმება. ლაპარაკისას თანამოსაუბრე ხშირად ახსენებს სიტყვას „ქაღალდი“ საბუთის, დოკუმენტის მნიშვნელობით, რაც გალაკტიონის ყურადღებას იქცევს. ის ამ ადამიანს ზედმეტსახელად „ქაღალდის კაცს“ შეარქმევს და ასეც იხსენიებს მოგვიანებით გაკეთებულ თავის ჩანაწერებში.

➤ 14611

1958

### 10 სექტემბერი

ალექსანდრე ჩოგოვაძესა და მუშებთან ერთად მიდის მერჟინსკის ქუჩაზე არსებულ იმ ორსართულიან სახლთან, რომელზეც მესამე სართულის დაშენება სურს, რათა შემდეგ მუდმივი გამოფენა მოაწყოს. ამ დროს მეზობელი სახლიდან გამოდის მოხუცი ქალი, ეგებება გალაკტიონს და ეუბნება, რომ მისი აწ გარდაცვლილი შვილი სამკურნალო კომბინატიდან იცნობდა პოეტს. ქალი გამოხატავს სიხარულს იმის გამო, რომ გალაკტიონის შემოქმედების ამსახველი საგამოფენო სივრცე სწორედ მის მეზობლად იქნება. პარალელურად, მუშები იწყებენ მიწის თხრას და სახლის საძირკვლის შემოწმებას. მათი ცქერისას პოეტს ახსენდება თავისი ლექსის – „დაჰკა წერაქვი!“ სტრიქონები: „დაჰკა წერაქვი, დაჰკა წერაქვი, ჰეი, დაჰკარი! გადმოანგრე მძიმე ლოდები ნიადაგარი“. ალექსანდრე ჩოგოვაძე აკვირდება მუშაობის პროცესს და გალაკტიონს ეუბნება, რომ შეუძლია უკვე წავიდეს და მოიყვანოს აღმასკომიდან შესაბამისი პირი, ვინც შეაფასებს საძირკვლის მდგომარეობას.

➤ 14612

1958

### 10 სექტემბერი

მერჟინსკის, ახლანდელი ინგოროყვას ქუჩიდან ბრუნდება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში, სადაც დილით უკვე იმყოფებოდა. აპირებს, ნახოს ინჟინერ გორსკის მოადგილე, ვინც უნდა შეაფასოს მის მიერ შერჩეული ორსართულიანი სახლის მდგომარეობა და გადაწყვიტოს, მოხერხდება თუ არა ამ შენობაზე საგამოფენო დარბაზისთვის მესამე სართულის დაშენება. აღმასკომში მისულს ეს ადამიანი თავის ოთახში არ ხვდება, იქ მომუშავეები ეუბნებიან, რომ სადღაც წავიდა, მაგრამ არ იციან, სად. გალაკტიონი გადაწყვეტს, იქვე დაელოდოს და მის მაგიდასთან ჩამოჯდება, იღებს რვეულს და იწყებს იმდღევანდელი ამბების ჩაწერას. დრო გადის, გორსკის მოადგილე კი არა და არ ჩანს. პოეტი იძულებულია დაელოდოს, თან ისმენს იმავე დაწესებულების ერთ-ერთი თანამშრომლის საუბარს, რომელიც ჰყვება სვანეთში თავისი მოგზაურობის ამბავს. მონათხრობი პოეტს ახსენებს წლების წინ გაგონილ სვანურ გამონათქვამს: „მიბინავ-ლიზი-ლიჩედი“, რაც ნიშნავს „დაგვიწყია სვლა-წასვლა“. რადგანაც დილიდან სხვადასხვა საქმის მოსაგვარებლად დადის, გადაწყვეტს, საკუთარი „სვლა-წასვლა“ დეტალურად აღწეროს და ასეც იქცევა, პარალელურად კი ეფიქრება იმის შესახებ, თუ რას საქმიანობენ ახლა მუშები მერჟინსკის ქუჩაზე, განაგრძობენ თუ არა ისევ მუშაობას. საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომლებზე დაკვირვებისას პოეტს უჩნდება აზრი, რომ მთელი დღის განმავლობაში აქ მომუშავე ადამიანები არაფერს აკეთებენ, მხოლოდ ლაპარაკობენ.

➤ 14613

1958

### 10 სექტემბერი

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან ბრუნდება მერჟინსკის, ახლანდელი ინგოროყვას ქუჩაზე, სადაც მის მიერ შერჩეულ სახლთან მუშები მიწას თხრიან. იმედი აქვს, რომ ინჟინერ გორსკის მოადგილე, რომელსაც აღმასკომში ელოდებოდა, შესამღებელია, იქ იყოს მისული. პოეტის მოლოდინი არ მართლდება. მერჟინსკის ქუჩიდან მიდის მეცნიერებათა აკადემიაში, შეივლის აკადემიის სასაუზმეში, წაიხემსებს და კვლავ განაგრძობს ინჟინერ გორსკის მოადგილის ძებნას, რისთვისაც კიდევ ერთხელ მიდის აღმასკომში. ამჯერად, კაცი, ვისაც რამდენიმე საათია ეძებს, სამუშაო ადგილზე დახვდება. გალაკტიონი აცნობებს საქმის ვითარებას და ერთად მიდიან მერჟინსკის ქუჩაზე სახლის საძირკვლის შესამოწმებლად. როგორც კი ინჟინერ გორსკის მოადგილე დაინახავს, როგორ ამოუთხრიათ ქუჩის პირას მუშებს მიწა, აღშფოთებული ამბობს, რომ მსგავსი რამის ჩადენა უნებართვოდ არ შეიძლებოდა. შემდეგ პოეტს სთავაზობს ნაცნობი ინჟინრის მოყვანას მეორე დღისთვის, ვისაც შეამოწმებინებს არსებულ ვითარებას. ამდენი გაურკვევლობის გამო გალაკტიონს უჩნდება აზრი, რომ

აღმასკომში მომუშავე „ქალაქის კაცს“ შესაძლოა გასამრჯელოს თუ ქრთამის მიღების სურვილი ამოძრავებდეს და ამიტომ ართულებდეს ასე ყველაფერს. საბოლოოდ თანხმდებიან იმაზე, რომ მეორე დღეს, დილის ცხრა საათზე, გალაკტიონთან და ალექსანდრე ჩოგოვაძესთან ერთად „ქალაქის კაცის“ ნაცნობი ინჟინერი მივა პოეტის მიერ შერჩეულ სახლთან და შეაფასებს საძირკვლის მდგომარეობას.

➤ 14614

1958

### 10 სექტემბერი

რადგან მშენებლობის ნებართვის მიღება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მეორე დღისთვის გადაიდო, გალაკტიონი შედის ლენინის (ახლანდელი თავისუფლების) მოედანზე არსებულ ერთ-ერთ კაფეში, ძალას იკრებს და შემდეგ მიემართება მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკისაკენ, სადაც სადამოს ხუთ საათამდე რჩება. სამკითხველო დარბაზში ეცნობა ჟურნალ-გაზეთებს, ამჩნევს, რომ მის საყვარელ, ძველ მაგიდასთან ალექსანდრე ჩოგოვაძე მოკალათებულია. აკვირდება იმ ადამიანის სახეს, ვისთან ერთადაც თითქმის მთელი დღე ცდილობდა საგამოფენო სივრცის პრობლემის მოგვარებას. შენიშნავს, რომ ჩოგოვაძეს თმა საერთოდ არ აქვს, სათვალე კი უცნაურად, ნესტოებზე აქვს დამაგრებული.

➤ 14615

1958

### 10 სექტემბერი

უბის წიგნაკში აღწერს მთელი დღის ამბებს, თხრობისას ზმნების უმეტესობა არის პირველ თურმეობითში, რაც ჩანაწერს განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს. ჩანაწერის ფორმა შთაგონებულია პოეტის მიერ ერთ დროს გაგონილი სვანური ფრაზით „მიბინავ-ლიზი-ლიჩედი“, რაც ნიშნავს „დაგვიწყია სვლა-წასვლა“.

➤ 14616

1958

### 11 სექტემბერი

დილით ძალიან ადრე იღვიძებს, ემზადება წინა დღეს წამოწყებული საქმეების მოსაგვარებლად, ახალ კოსტიუმს იცვამს, ჯიბეში იდებს ტროლეიბუსის „ბედნიერ ნომერს“ და მიდის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში. მეორე სართულზე პოულობს იმავე მაგიდას, რომელთანაც წინა დღეს იჯდა და ალექსანდრე ჩოგოვაძეს ელოდებოდა, კვლავ იმავე მაგიდასთან ჩამოჯდება და საათს დახედავს. აღმოაჩენს, რომ ათის ნახევარია, მაგრამ ჩოგოვაძე ჯერ კიდევ არ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ წინა დღეს ამ დროისათვის შეხვედრაზე შეთანხმდნენ. პოეტი შენიშნავს ძველი გაზეთების – „ზარია ვოსტოკასა“ და „კომუნისტის“ ნომრებს, რომლებშიც გამოქვეყნებულია 1958 წლის მარტში მოსკოვში გამართული ქართული კულტურისა და ხელოვნების დეკადის ამსახველი სტატიები. ათვალთვლებს გაზეთებს, კითხულობს ირაკლი აბაშიძის „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებულ წერილს სათაურით „ლიტერატურული საქართველო“, ასევე, იოსებ გრიშაშვილის „კომუნისტში“ დაბეჭდილ სტატიას „ჩვენ პოეზიის სიყვარულმა დაგვამეგობრა“. კითხვისას რჩება შთაბეჭდილება, რომ ორივე ავტორი თავს იწონებს, ტრაბახობს, რაც მის ირონიულ დამოკიდებულებას იწვევს. ამ დროს გამოჩნდება ალექსანდრე ჩოგოვაძე და ერთად მიდიან ინჟინერ გორსკის მოადგილესთან, რათა დააზუსტონ, კერძოდ ვინ უნდა შეამოწმოს ძერჟინსკის ქუჩაზე არსებული სახლის საძირკვლისა და კედლების მდგრადობა. გორსკის მოადგილე წინა დღით მიცემულ დაპირებაზე უარს ამბობს და ახლა მოითხოვს, კედლის გასახვრეტი აპარატი – შლამბურგი იშოვონ. რადგან პრობლემის მოგვარების სხვა გზა არ არსებობს, გალაკტიონი იწყებს შლამბურგის ძებნას. ფიქრობს, რომ ის შეიძლება ჰქონდეთ სტალინის სახელობის ქარხანაში, სადაც ჯერ კიდევ 1930-იანი წლების დასაწყისისთვის მწერალთა ბრიგადის წევრად იყო მიმაგრებული. მისთვის საჭირო ხელსაწყოს მოპოვების შემდეგ, ქარხნის დათვალთვლებისას

ამჩნევს, რომ უკვე ყველა წასულა. ცდილობს, უკან დაბრუნდეს, დარაჯის დახმარებით და 15 წუთში გაივლის მთელ ქარხანას. ვარაუდობს, რომ გარდა შლამბურგისა, შესაძლებელია, სამომავლოდ კიდევ რამე დასჭირდეს ამავე ქარხნიდან, ამიტომ უბის წიგნაკში ინიშნავს ცეხის გამგის გვარს.

ამის შემდეგ შლამბურგით ბრუნდება უკან, თუმცა ხელსაწყოს გამოყენება ჯერჯერობით არ ხერხდება, ამიტომ, თან რომ არ ატაროს, ხან აფთიაქის საწყოში ტოვებს შლამბურგს დროებით, ხან – მეცნიერებათა აკადემიის სასაუზმეში. ფიქრობს, რომ ამაოდ იშრომა და ეს წვალება, რაც ამ ხელსაწყოს მოსაპოვებლად გადახდა, ცალკე აღწერას იმსახურებს. საბოლოოდ, შლამბურგს ინჟინერ გორსკის მოადგილეს ჩააბარებს. მიუხედავად იმისა, რომ ხელსაწყო იშოვა, მაინც უკმაყოფილოა, რადგან მისი აზრით, მთელი დღე უნაყოფო იყო და თან ძალიან დამღლეო.

➤ 14617

**1958**

### **11 სექტემბერი**

დღის ბოლოს მიდის „ზარია ვოსტოკას“ რედაქციაში, ცდილობს, გაარკვიოს კუთვნილი ჰონორარის საკითხი. რედაქციის თანამშრომლები ეუბნებიან, რომ სექტემბერში ჰონორარი არ გაიცემა და ურჩევენ, კვლავ მიაკითხოს მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

➤ 14618

**1958**

### **11 სექტემბრის შემდეგ**

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“ რუსულ ენაზე ბეჭდავს სერგი ჭილაიას წიგნს „გალაკტიონ ტაბიძე. კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი“. ნაშრომში სერგი ჭილაია იმეორებს გალაკტიონის შემოქმედების შესახებ ადრინდელ პუბლიკაციებში გამოთქმულ შეხედულებებს.

➤ 14619

**1958**

### **12 სექტემბერი**

კითხულობს გაზეთს „თბილისი“, ინიშნავს მისთვის საინტერესო სტატიებს და იწერს სათაურებს: „იშვიათი ხელნაწერები“, „გამოცემების ხარისხი“, „მომრაობა ქუჩების“.

➤ 14620

**1958**

### **12 სექტემბერი**

ცდილობს, გააგრძელოს წინა დღეებში წამოწყებული საქმე და საბოლოოდ გაარკვიოს, მოხერხდება თუ არა ძერჟინსკის ქუჩაზე არსებულ შენობაზე საგამოფენო დარბაზისთვის მესამე სართულის დაშენება. ხვდება ალექსანდრე ჩოგოვადეს, რომელიც ორი დღის განმავლობაში მასთან ერთად დადიოდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად. ამჯერად ჩოგოვადე საკუთარ საქმეს იმიზეზებს და შეხვედრისთანავე მიდის. ის პოეტს უბარებს, რომ მალე დაბრუნდება, მაგრამ გალაკტიონი დარწმუნებულია, რომ დაპირებას არ შეასრულებს. ალექსანდრე ჩოგოვადის წასვლის შემდეგ თვითონაც შინ ბრუნდება, ტანსაცმელს იცვლის, ისვენებს და სამუშაო განწყობილებას იბრუნებს. იწყებს ფიქრს თბილისის 39-ე საშუალო სკოლაში ჩასატარებელი თემატური შემოქმედებითი სადამოს შესახებ, რომელიც მიემდგვნება დედაქალაქის დაარსების 1500 წლისთავს.

➤ 14621

**1958**

### **12 სექტემბრის შემდეგ**

ზრუნავს ძერჟინსკის ქუჩაზე არსებულ ორსართულიან შენობაზე დამატებითი, მესამე სართულის დაშენებისთვის საჭირო ტექნიკური და ფორმალური საკითხების მოგვარებაზე. უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ სახლის კედელი უნდა გაიხვიტოს ორ ადგილას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან გამოგზავნილი მუშების მიერ. გარდა ამისა, აპირებს მოძებნოს დიდი ჩაქუჩი, რაც, მისი აზრით, ამ სამუშაოების ჩასატარებლად იქნება საჭირო. ასევე, ოფიციალურ პირებთან შეთანხმების შემდეგ, გეგმავს, რომ შეადგინოს სახლზე დამატებითი სართულის დაშენების ნებართვის ტექსტი.

➤ 14622

**1958**

### **12 სექტემბრის შემდეგ**

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის – ინჟინერი მელიას სახელით ადგენს მოხსენებით ბარათს, რომლის მიხედვითაც, მელია უფროს ინჟინერს, გვარად თევზაძეს აცნობებს, რომ ძერჟინსკის ქუჩის 13 ნომერში მდებარე სახლს მისი მოთხოვნით გათვალისწინებული შემოწმება ჩაუტარდა და დადგინდა, რომ ამ ორსართულიან სახლზე შესაძლებელია მესამე სართულის დაშენება, სადაც საქართველოს სახალხო პოეტი – გალაკტიონ ტაბიძე მოაწყონს საგამოფენო პავილიონს.

➤ 14623

**1958**

### **15 სექტემბერი**

აპირებს, დილის ცხრის ნახევარზე შეხვდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის – ვასილ მჭავანაძის თანაშემწეს, გივი მელაძეს და დაელაპარაკოს თავისი შემოქმედებითი მუშაობის 50 წლის საიუბილეო ღონისძიებების შესახებ. ასევე, სურს, მელაძეს სთხოვოს დახმარება ძერჟინსკის ქუჩაზე არსებულ ორსართულიან შენობაზე დამატებითი, მესამე სართულის დაშენების ნებართვის მოპოვებაში.

➤ 14624

**1958**

### **15 სექტემბრის შემდეგ**

ქალაქის გამგეობა უარს ეუბნება ძერჟინსკის ქუჩის 13 ნომერში ორსართულიან სახლზე მესამე სართულის დაშენებაზე, იმ მიზეზით, რომ მწერალთა კავშირიდან შუამდგომლობაა წარმოსადგენი, მწერალთა კავშირი კი თავს იკავებს ასეთი შუამდგომლობის გაცემისგან.

➤ 14625

**1958**

### **17 სექტემბერი**

სახლში მარტოა, ნასვამია და როდესაც მისი ძმისწული ნოდარი ბრუნდება, მისი ჩხუბი ესმის. ამ სახლში მუშაობა წარმოუდგენელია, ვინ მოდის და ვინ გადის ვერ გაიგებ, ამიტომ გავდივარ სულ გარეთო.

➤ 14626

## **ოქტომბერი**

**1958**

### **3 ოქტომბერი**

წერს ლექსს „ვასო აბაშიძე“ („მე მახსოვს მისი პატარა ბინა...“).

➤ 14627

**1958**

### **3 ოქტომბერი**

წერს ლექსს „ტასო აბაშიძე“ („გარედ არეა წვიმის...“).

➤ 14628

1958

#### 4 ოქტომბერი

ღამით აკითხავს ლიდია მეგრელიძეს ვახშმობენ და თბილად საუბრობენ. ლიდია მის კოსტიუმზე აწყვეტილ ღილებს შეამჩნევს, გაახდევინებს და უკერებს, გალაკტიონი კი იქვე უწერს ლექსს „ლიდია, შენთან აქ სიმშვიდეა...“ წასვლისას ლიდიასთან რჩება ჩანთა, რომელსაც მასპინძლის ქალიშვილი მარიამი უცებ ჩაურბენინებს. გალაკტიონი ეუბნება, რომ არ უნდა შეწუხებულიყო, იქნებ მას თავად სურდა მის წასაღებად მისვლა.

➤ 14629

1958

#### 4 ოქტომბერი

გალაკტიონის წასვლის შემდეგ ლიდია მეგრელიძე წერს ლექსს „ჩემი პასუხი გალაკტიონს მის შეკითხვაზე „როგორ ხარ?“.

➤ 14630

1958

#### 5 ოქტომბერი

დილით გალაკტიონი თავის ძმისწულ ნოდარ ტაბიძესთან ერთად მიდის რუსთაველის პროსპექტზე და შემნახველი სალაროდან გამოაქვს თანხა. რაღაც ნაწილს ჩუმად იღებს ჯიბეში, შემდეგ კი იღებს მეორე დასტას და ითვლის 300 მანეთს და აქედან 100 მანეთს ნოდარს აძლევს. ნოდარს თანხა ეცოტავება. ფიქრობს, რომ 160 ათასი ბიძამისს მიმდინარე წელს მხოლოდ ერთი გამომცემლობიდან ერგება და თუ „ზარია ვოსტოკამაც“ გამოსცა მისი წიგნი, კიდევ 50-80 ათასი. თუ დეკემბერში ოპერაში გადაიხადა საღამო, იქიდანაც ექნება შემოსავალი. ამიტომ 100 მანეთის მიცემას ძუნწობაში უთვლის. ქუჩაში ხვდებოდა გალაკტიონის ბიძაშვილის, აგაბო ადეიშვილის ქალიშვილი ნანი, რომელსაც პუშკინის სახელობის ინსტიტუტში ჩაუბარებია. ნათესავები ერთმანეთს მოიკითხავენ და გზას აგრძელებენ. გზად რუსთაველზე ფოტოგრაფთან შეივლიან, რომელიც იხსენებს გალაკტიონთან პირველ შეხვედრას. 1941 წელს ომში წასვლის წინ ის და მისი მეგობარი სასაუბრეში იხსდნენ, სადაც ნახეს გალაკტიონი და მან ვაჟა-ფშაველას სიტყვებით დალოცა, გახსოვდეთ, ცოტანი ვართ და თავს გაუფრთხილდით, ხიშტს ნუ წამოეგებითო. გალაკტიონი გზაში რამდენჯერმე ჩერდება და თითო პატარა ჭიქა კონიაკს სვამს. გალაკტიონი ბრაზობს ვასილ მჟავანაძეზე, რომელიც ირაკლი აბაშიძეს დიდ პოეტად თვლის. ამბობს, რომ ამ ვითარებას გაექცა სწორედ გრიგოლ რობაქიძე.

➤ 14631

1958

#### 6 ოქტომბერი

დილით გალაკტიონი თავის გერს, ნუნუს სთხოვს, რომ დაეხმაროს ხელოვნების სახლიდან გამოფენის მასალების ლენა ყიფშიძის ბინაში გადატანაში, მაგრამ ის პასუხობს, რომ არ სცალია და ძმისწული ნოდარი დაეხმაროს. მიდიან გალაკტიონი და ნოდარი მეზობელ ხელოსანთან ერთად პლუხანოვის 46 ნომერში, მაგრამ კარს ვერ აღებენ და მეზობლის მოსვლამდე სხვა საქმეებზე მიდიან. შედიან ფოტოატელიეში და იღებენ სურათს. მწერალთა კავშირთან ხვდებოდა კარლო კალაძე და გალაკტიონი ნოდარს უყვება, როგორ ჯაშუშობდა ის მის წინააღმდეგ. შედიან სახინკლეში, სადაც ხვდებოდა არნო ონელი და გალაკტიონი ცოტას სვამს.

➤ 14632

1958

#### 8 ოქტომბერი

მიდის ლიდია მეგრელიძესთან, რომელიც აჩვენებს იოსებ გრიშაშვილის მიერ იმ დილით მისთვის ნაჩუქარ წიგნს წარწერით: „ჩემს საყვარელ მწერალს, ლიდია მეგრელიძეს („მიმქრალს“) პატივისცემის ნიშნად“, რაც არ სიამოვნებს.

➤ 14633

**1958**

### **11 ოქტომბერი**

ათვალისწინებს ჟურნალ „კვალის“ 1908 წლის კომპლექტს და ყურადღებას შეაჩერებს 28 სექტემბრის ნომერზე, რომელშიც მისი უსათაურო ლექსი „სქელი ღრუბელი“ არის გამოქვეყნებული. ეს ლექსი პოეტისთვის განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან იგი, 1908 წლის 28 სექტემბრის გაზეთ „ამირანში“ დაბეჭდილ უსათაურო ნაწარმოებთან („მთვარე კაშკაშებს“) ერთად პოეტის თხზულებათა პირველ პუბლიკაციას წარმოადგენს. გალაკტიონი აკვირდება ჟურნალ „კვალის“ თარიღს და ფიქრობს, რომ მისი დებიუტიდან უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი გასულა.

➤ 14634

**1958**

### **12 ოქტომბრამდე**

რუსთაველის თეატრში ხვდება სერგო გერსამიას, რომელსაც ესაუბრება 12 ოქტომბერს დაგეგმილი საკუთარი იუბილეს შესახებ და თან ეუბნება, რომ აპირებს მასთან თეატრის მუზეუმში მისვლას, რათა საიუბილეო ღონისძიებისთვის მოიძიოს საგამოფენო მასალა. პოეტი გარკვეულ უხერხულობას გრძნობს, რომ ამ მასალის მოპოვება და შეგროვება თვითონ უწევს. სავარაუდოდ, სწორედ ამის გამო, იგი პირობას აღარ ასრულებს და თეატრის მუზეუმში აღარ მიდის.

➤ 14635

**1958**

### **7-13 ოქტომბერი**

მონაწილეობს ტაშკენტში გამართულ აზიისა და აფრიკის მწერალთა კონფერენციაში, რომელიც ადგილობრივ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ტარდება და ათვალისწინებს იქვე მოწყობილ წიგნების გამოფენას.

➤ 14636

**1958**

### **15 ოქტომბერი ან შემდეგ**

გაზეთის „კომუნისტი“ მესამე გვერდზე წერს უსათაურო ლექსს „ერთხელ მერიით თუ ხიდისთავით...“.

➤ 14637

**1958**

### **17 ოქტომბერი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „შენი იუბილესთვის“ თარგმანი.

➤ 14638

**1958**

### **18 ოქტომბერი**

გაზეთში „ახალგაზრდა სტალინელი“ თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „სადღეგრძელო იყოს მისი“.

➤ 14639

1958

**26 ოქტომბერი ან შემდეგ**

წერს უსათაურო ლექსს „დრომ გასწყვიტა თასმა...“.

➤ 14640

1958

**ოქტომბერი**

წერს ლექსს „სალომე ჩხვიძე“.

➤ 14641

**ნოემბერი**

1958

**7 ნოემბერი**

ისმენს რადიო-გადაცემას, რომელიც ეძღვნება ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს. მის ყურადღებას იქცევს გადაცემის წამყვანის კარგი ბარიტონი და ინტერესდება მისი ვინაობით.

➤ 14642

1958

**7 ნოემბერი**

ფიქრობს სამომავლო გეგმებზე, უბის წიგნაკში ჩამოწერს, თუ რა უმნიშვნელოვანესი საკითხები უნდა მოაგვაროს მომდევნო სამი წლის განმავლობაში. ამ გეგმის მიხედვით, პოეტი, უპირველესად, აპირებს თავისი თხზულებების აკადემიური ცხრატომეულის გამოცემას და ამ გამოცემის თითოეული ტომისთვის ცალკე რედაქტორის შერჩევას, ასევე, თავისი ცალკეული კრებულების აკადემიურად გამოცემას. გარდა ამისა, გეგმავს კომპოზიტორებთან თანამშრომლობას თავის ლექსებზე სიმღერების შექმნის მიზნით, მხატვართა კავშირის დახმარებით კი, აპირებს, უკვე არსებული პორტრეტების, ილუსტრაციების, ბიოგრაფიის სხვადასხვა მონაკვეთთან დაკავშირებული სახვითი მასალის თავმოყრას, გეგმავს მჭიდრო კონტაქტს ლიტერატურულ წრეებთან, რომელთაგან ერთ-ერთს – უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ ლიტერატურულ წრეს, მიენიჭება მისი სახელი. ასევე, სურს რომ ტობანიერში, ბორჯომსა და ნავთლულში გაიხსნას მისი სახელობის ბიბლიოთეკები. სურს, რომ თბილისში, ორთაჭალაში, მისი სახელი მიენიჭოს ერთ-ერთ ქუჩას, ხოლო კომკავშირის მოედანზე დაიდგას შვიდი წიგნის ძეგლი, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს შვიდი უდიდესი ქართველი პოეტის – შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის შემოქმედებას. გეგმის ბოლო პუნქტის მიხედვით, პოეტს სურს შვილიშვილმა – მარინე ფირცხალავამ მოამზადოს კედლის გაზეთი სახელწოდებით „მარინეს გაზეთი“. სამწლიანი გეგმის დასასრულს, ნუმერაციის გარეშე ჩანიშნული კიდევ ერთი საკითხი, რომლის განხორციელებაც სურს გალაკტიონს. ესაა პოეტის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შემსწავლელი, ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალური დარგის – გალაკტიონოლოგიის დაარსება.

➤ 14643

1958

**10 ნოემბერი**

ეწერება საავადმყოფოდან.

➤ 14644

1958

**11 ნოემბერი**



ძმისწულ ნოდარ ტაბიძესთან ერთად მიდის ქალაქის საბჭოში, რომ გაიგოს, რა ვითარებაა მის თხოვნასთან დაკავშირებით. ეუბნებიან, საბუთები მზად არის და შეგიძლიათ გამოფენისთვის ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარე ორსართულიან სახლს დააშენოთ მესამე სართული, მაგრამ ცნობა უნდა მოიტანოთ, რომელიმე ორგანიზაციიდან, რომ თავის თავზე იღებენ ამ რეკონსტრუქციასო. გალაკტიონი სართულის დაშენებას თავისი სახსრებით ფიქრობდა და იცის, რომ ასეთ ცნობას არავინ მისცემს. უკან გაბრუნებული გზაში ნოდარს უყვება, როგორ გაიგო სრულიად შემთხვევით, რომ მისმა გერმა მისი საკუთარი წიგნი, რომელშიც, სავარაუდოდ, უამრავი რამ ექნებოდა მონიშნული, მისთვის უკითხავად ბიბლიოთეკის თანამშრომელ ქალს აჩუქა. გალაკტიონი ამბობს, რომ მუდმივმქმედი მუზეუმი თუ გაიხსენებოდა, მოხდებოდა ყველაფრის აღრიცხვა და ასე უაზროდ არაფერი დაიკარგებოდა.

➤ 14645

## დეკემბერი

1958

### 5 დეკემბერი

შალვა რადიანის თხოვნით წერს ავტობიოგრაფიას, თავადვე ასწორებს და უგზავნის.

➤ 14646

1958

### 17 დეკემბერი

განცხადებით მიმართავს გამომცემლობის „საბჭოთა საქართველო“ დირექტორს. წერს, რომ წარუდგენს მისი თხზულებების მანქანაზე გადაბეჭდილ რჩეულ ერთტომეულს და სთხოვს, რომ მისი მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით გამოსცენ.

➤ 14647

1958

### 18 დეკემბერი ან შემდეგ

წერილს იღებს მწერალ დარია ახვლედიანის კარის მეზობლად მცხოვრები სამთო ინჟინრისგან. ადრესანტი აყვედრის, რომ დარია ახვლედიანისა და მისი ვაჟის – ილიას დაკრძალვაზე მას რომ არ ეზრუნა, არც გალაკტიონს ახსოვდა და არც მწერალთა კავშირს. რაც შეეხება დარიას ვაჟის, ოთარ ახვლედიანის მხარდაჭერას ადრესანტის კუთვნილი სამზარეულოს, საპირფარეოს, აივნის, გათბობის, წყლისა და ეზოს დასაკუთრებაში, რომლებიც მან შემდეგ გაყიდა, გალაკტიონს ამას დათვურ სამსახურად უთვლის, რადგან ოთარ ახვლედიანი ფუქსავატობას იყო მიჩვეული და ამიტომაც მოხვდა ციხეში. მისთვის კარგი თუ უნდოდა, სადმე ქარხანაში უნდა ემოვნა სამსახური, სადაც ბინით უზრუნველყოფდნენ და მუშაობას თავს ვერ დაანებებდა, რომ უბინოდ არ დარჩენილიყო. ადრესანტი გალაკტიონს იმასაც აყვედრის, რომ ერთხელ, 1942 წელს, ღამის 11 საათზე ნასვამმა ელბაქიდის აღმართისა და რუსთაველის პროსპექტის კუთხეში მდგარი სამი გენერლიდან ერთ-ერთს ფეხზე გამოსდო ხელჯოხი და კინაღამ წააქცია. გალაკტიონი სწრაფად დაუყვა დაღმართს, გენერლებმა კი იარაღი ამოიღეს და ამ ამბის შემსწრე ადრესანტს რომ არ დაემოშმინებია, შეიძლება მოეკლათ კიდევ. წერილის ბოლოს ადრესანტი ზემოთქმულის საფუძველზე გალაკტიონს ბრალს სდებს მისი ოჯახის გაუბედურებაში.

➤ 14648

1958

### 26 დეკემბერი

გაზეთ „თბილისში“ იბეჭდება თეიმურაზ ჯანგულაშვილის სტატია „შემოქმედებითი ცხოვრების ნახევარი საუკუნე“. წერილის ავტორი ეხმაურება პოეტის თხზულებათა მერვე ტომის გამოცემას და მოკლედ ახასიათებს გალაკტიონის ლირიკის ძირითად მოტივებს.

➤ 14649

1958

## 26 დეკემბერი

გაზეთის „ლიტერატურული გაზეთი“ რედაქცია აქვეყნებს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას, რომ საზეიმოდ აღინიშნება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ცხოვრების 50 წლისთავი, შეიქმნება კომისია ბესარიონ ჟღენტის, სერგი ჭილაიას, ალიო მირცხულავას, რევაზ მარგიანისა და მამია ასათიანის შემადგენლობით. ასევე გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების ერთტომეულს, გამომცემლობები ზარია ვოსტოკა“ და „საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა (საბლიტგამი) პოეტის ლექსების კრებულებს. აქვეა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი უკვე შეუდგა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემისათვის მზადებას.

➤ 14650

1958

## 26 დეკემბერი

გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“ აქვეყნებს მწერალთა კავშირის განცხადებას, რომ 29 დეკემბერს ოპერის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

➤ 14651

1958

## 26 დეკემბერი

გაზეთ „თბილისში“ იბეჭდება ცნობა, რომ 29 დეკემბერს ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამო. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით პოეტის რჩეული ლექსების კრებულს გამოსცემენ გამომცემლობები „ზარია ვოსტოკა“ და „საბჭოთა ლიტერატურის გამომცემლობა“. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი კი შეუდგა პოეტის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მომზადებას.

➤ 14652

1958

## 28 დეკემბრამდე

წერს ლექსს „შვიდი ახალი წელი“ („ამხანაგებო! წვიმათ უსაშინლესი თალხით...“).

➤ 14653

1958

## 28 დეკემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება ლექსი „შვიდი ახალი წელი“ („ამხანაგებო! წვიმათ უსაშინლესი თალხით...“). იქვეა დაბეჭდილი ვლადიმერ გინზბურგის მიერ გადაღებული ჯგუფური ფოტო წარწერით, რომ „საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე თავის ახალ ლექსს „შვიდი ახალი წელი“ უკითხავს თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის გურამ ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს“.

➤ 14654

1958

## 28 დეკემბერი

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება საინფორმაციო ხასიათის განცხადება, რომლის მიხედვითაც, 29 დეკემბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართება საქართველოს სახალხო პოეტ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

➤ 14655

1958

**28 დეკემბერი**

გაზეთში „კომუნისტი“ ქვეყნდება გიორგი მარგველაშვილის სტატია „გალაკტიონ ტაბიძე (შემოქმედების 50 წლისთავის გამო)“. კრიტიკოსი საუბრობს გალაკტიონისა და ალექსანდრ ბლოკის შემოქმედებითი ნათესაობის შესახებ. მისი აზრით, ამ ორმა ღრმად ეროვნულმა და თვითმყოფადმა პოეტმა ერთნაირად აღიქვა რევოლუცია, როგორც განახლების სტიქია. კრიტიკოსის თქმით, ამ ავტორებს აერთიანებს წარსულიც: თავდაპირველად ისინი სიმბოლისტური სკოლის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ მალევე იგრძნეს ახალი ეპოქის ძალა და, შესაბამისად, რადიკალურად შეცვალეს საკუთარი პოეტური გზა. გიორგი მარგველაშვილი იმოწმებს ფრაგმენტებს გალაკტიონის პოემიდან „ეპოქა“ და აღნიშნავს, რომ ამ ნაწარმოების ცალკეულ სტრიქონებში ალექსანდრ ბლოკის პოემების – „შურისგება“ და „თორმეტნი“ – გავლენა იგრძნობა. კრიტიკოსი საგანგებოდ საუბრობს პოემაზე „ჯონ რიდი“, რათა აჩვენოს, თუ როგორ გააფართოვა და გადაახალისა რევოლუციამ გალაკტიონის შინაგანი სამყარო, მისი შემოქმედების შინაარსი, სტილი და პოეტიკა. გ. მარგველაშვილის თქმით, ცვლილებები იმდენად დიდია, რომ ამ პოემაში შეუძლებელია სიმბოლისტური კრებულის – „არტისტული ყვავილები“ – ავტორის ამოცნობა. იგი მიიჩნევს, რომ მომდევნო წლებში სწორედ პოემის – „ჯონ რიდი“ პოეტიკა გახდა დამახასიათებელი გალაკტიონის შემოქმედებისათვის. სტატიაში ნათქვამია, რომ ჭადარაშერეულ პოეტს დღესაც არა აქვს დაკარგული ახალგაზრდული სულისკვეთება, რაზეც მის მიერ ბოლო პერიოდში შექმნილი ლექსები: „იდიდე, მშვიდობა“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „იმერის დაბრუნება“ და არაერთი სხვა ნაწარმოები მეტყველებს.

➤ 14656

1958

**29 დეკემბრამდე**

შეზარხოშებული გალაკტიონი ნოდარ ტაბიძესთან ერთად მიდის ოპერის წინ და ხედავს იქ თავმოყრილ მომღერლებს გივი ტორონჯაძეს, თენგიზ მუშკუდიანს, ზურაბ ანჯაფარიძესა და კიდევ რამდენიმე მომღერალს. პოეტი მიდის მათთან და ეუბნება, რომ ძალიან უყვარს ოპერის შენობაც და მომღერლებიც, შემდეგ კი ეკითხება, იცნეს თუ არა და რატომ არ მღერიან მის სიმღერებს. ზურაბ ანჯაფარიძე პასუხობს, რომ ძალიან უყვართ და ეუბნება, რომ ოთარ თაქთაქიშვილი წერს მის ლექსებზე მუსიკას და საუცხოო გამოდის. გალაკტიონს უხარია, ხელს ართმევს ყველას და მიდის.

➤ 14657

1958

**29 დეკემბერი**

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში იმართება გალაკტიონის ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავის საიუბილეო საღამო. ღონისძიება უცნაურ ვითარებაში ტარდება. პარტერში სიხალვათეა, იარუსები კი ცარიელია. სცენაზე წითელმანუდგადაფარებულ მაგიდასთან სხედან საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე და მომხსენებელი. იუბილარი ზის სავარძელში მაგიდასა და ტრიბუნას შორის. სცენაზე და დარბაზში არ არის ყვავილები. პოეტი ორატორებს დიდი ყურადღებით უსმენს, ყოველი ტაშის ხმაზე დგება, მადლობას უხდის პრეზიდენტს და თავს უკრავს მაყურებლებს. მართალია, საღამოს დასასრულს სცენაზე მარტოდ დარჩენილ პოეტს დარბაზი ოვაციას უწყობს და დიდხანს არ იშლება, მაგრამ დეკემბრის სუსხში იუბილარი მარტო გამოდის ოპერის თეატრის შენობიდან.

➤ 14658

1958

**29 დეკემბერი**

გაზეთში „თბილისი“ იბეჭდება ეთერ შუშანიას სტატია „გამოჩენილი საბჭოთა პოეტი“, რომელშიც გალაკტიონის ლიტერატურული პორტრეტია წარმოდგენილი.

➤ 14659

1958

### 29 დეკემბერი

ოპერის თეატრში გამართულ საიუბილეო სადამოხე საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი გადასცემს სადაფის ფირფიტებით შემკულ ფანდურს.

➤ 14660

1958

### 29 დეკემბერი

ქუთაისელი ფოტოგრაფი დავით მხეიძე უძღვნის ექსპრომტს: „სავსე ხურჯინით მოვდივარ, ნურც შენ გამიშვებ ცარიელს, / ამივსე შენი წიგნებით, იცოცხლე მრავალჟამიერ!“.

➤ 14661

1958

### 30 დეკემბერი

საუზმობს თავისი ბინის მოპირდაპირე მხარეს, წიგნის სახლის სასაუზმეში, სადაც ხვდება ვახტანგ ჯავახიძეს. ჯავახიძე ულოცავს ლიტერატურული მოღვაწეობის 50 წლისთავს და მადლობას უხდის იუბილეზე მოწვევისთვის. გალაკტიონი მადლიერების ნიშნად ორივე ხელს მხრებზე ადებს. ის აღფრთოვანებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ წინა სადამოს ოპერის თეატრი გადაჭედული იყო და ხალხმა დიდი სიყვარული გამოუცხადა. პოეტს თვალეზი უბრწყინავს და გულწრფელად სჯერა იმის, რასაც ამბობს.

➤ 14662

1958

### 30 დეკემბერი

გაზეთში „საბჭოთა აჭარა“ „შ. შოთაძის“ ფსევდონიმით იბეჭდება შოთა ქურიძის სტატია „გალაქტიონ ტაბიძე: შემოქმედების 50 წლისთავის გამო“, რომელშიც აღნიშნულია, რომ 29 დეკემბერს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება. წერილის ავტორი მოკლედ მიმოიხილავს გალაკტიონის პოეზიას და აღნიშნავს, რომ მკითხველები პოეტს უკვე მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ, რაც უდიდესი სიყვარულისა და აღიარების დასტურია.

➤ 14663

1958

### დეკემბრის მეორე ნახევარი

რუსთაველის გამზირზე შემთხვევით ხვდება მწერალსა და ჟურნალისტ ივანე დავითიანს და ინტერესდება, ვინ თარგმნიდა სომხურად მის ლექსს „მე და ღამე“. დავითიანი ეუბნება, რომ მისი ლექსი უკვე ზედმიწევნით კარგად თარგმნა მ. ქარიშიანმა. შემდეგ გალაკტიონი ინტერესდება, როგორ ჟღერს სომხურად სიტყვები „მე და ღამე“ და როდესაც დავითიანი პასუხობს, გალაკტიონი მადლობას უხდის და გზადაგზა რამდენჯერმე იმეორებს ფრაზას „იეს უ გიმერ“, რომ არ დაავიწყდეს.

➤ 14664

1957 – 1958

შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემისთვის იქმნება სარედაქციო კოლეგია სოლომონ ყუბანეიშვილის, დიმიტრი ბენაშვილისა და აკაკი ხინთიბიძის შემადგენლობით.

➤ 14665

1958

იმყოფება სახელმწიფო გამომცემლობაში, სადაც ხვდება აკაკი ხინთიბიძეს, რომელიც თავისი წიგნის „პოეტური ხელოვნების საკითხები“ რეცენზიის გასაცნობად არის დაბარებული. ახალგაზრდა კრიტიკოსი მხნეობას მოიკრებს და გალაკტიონს ამ რეცენზიის წაკითხვას სთავაზობს, რადგან მისი ნაშრომის ერთი ნაწილი „გალაკტიონის რითმას“ ეთმობა. პოეტი ყოველი აზრის წაკითხვის შემდეგ ნასიამოვნები ფეხზე დგება და ხელს ართმევს ავტორს.

➤ 14666

1958

ჩანაწერების გასაკეთებლად იღებს ახალ, თორმეტფურცლიან რვეულს, გარეკანზე აწერს სიტყვას „გული“, ხოლო რვეულში ინიშნავს ამ სიტყვასთან დაკავშირებულ შესიტყვებებს, ფრაზეოლოგიზმებს, ასევე, გულისგან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებს. ზოგ შემთხვევაში ფრჩხილებში უწერს რუსულ მნიშვნელობებსაც.

➤ 14667

1958

კითხულობს „ვეფხისტყაოსანს“ და რვეულში იწერს იმ სტრიქონებს, რომლებშიც სიტყვა „გული“ ან ამ სიტყვისგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულებია ნახსენები.

➤ 14668

1958

მოსკოვში მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა გამოსცემს გალაკტიონ ტაბიძის კრებულს „ლექსები და პოემები“.

➤ 14669

1958

მიდის ოპერის თეატრში და ლოჟიდან ისმენს მუსორგსკის „ბორის გოდუნოვს“ ირაკლი შუშანიას შესრულებით.

➤ 14670

1959-მდე

მწერალთა სახლის შესასვლელთან ხვდება ანდრო თევზაძესა და ლავროსი კალანდაძეს, რომლებიც ნადირობაზე საუბრობენ. გალაკტიონი ლავროსი კალანდაძეს თავისთან, წყნეთში ეპატიჟება ვეფხვებზე სანადიროდ.

➤ 14671

1959

ი ა ნ ვ ა რ ი

1959

1 იანვარი ან ადრე

მცხეთიდან თბილ და სიყვარულით სავსე საახალწლო მილოცვას იღებს მიხეილ მამულაშვილისგან.

➤ 14672

1959

1 იანვარი

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ახალ წელს გილოცავ, მამულო!“ ანდრო პატარაიასეული თარგმანი.

➤ 14673

1959

**3 იანვარი**

მწერალთა კავშირში წარადგენს ვრცელ ავტობიოგრაფიას.

➤ 14674

1959

**7 იანვარი**

რუსულ გაზეთში „ვეჩერნი ტბილისი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „აფხაზეთის წვიმა მიყვარს...“ კლარა არსენიევასეული თარგმანი.

➤ 14675

1959

**18 იანვარი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „პოეტის სიტყვა“ ანდრო პატარაიასეული თარგმანი.

➤ 14676

1959

**19 იანვარი**

მკურნალობას იწყებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოში, ექიმ გაბრიელ პონდოევთან.

➤ 14677

1959

**19 იანვრის შემდეგ**

„ლიტერატურულ გაზეთში“ იბეჭდება თეიმურაზ ჯანგულაშვილის კაფიების ციკლი, რომელთაგან ერთი ეძღვნება გალაკტიონს.

➤ 14678

1959

**20 იანვარი**

ესწრება საქართველოს მწერალთა მეხუთე ყრილობას, რომელზეც ირჩევენ სსრ კავშირის მწერალთა მესამე ყრილობის დელეგატებს. გალაკტიონი ვერ ხვდება დასახელებულთა შორის. სხდომის დასასრულს თავმჯდომარე კითხულობს, არის თუ არა აზრის გამოთქმის მსურველი. შალვა დადიანი ითხოვს სიტყვას და აცხადებს, რომ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებს ყრილობაზე გამგზავრებას და მის მაგივრად უმჯობესია გაემგზავროს სხვა ღირსეული კანდიდატი. ამ სიტყვების თქმისას მზერას გალაკტიონისკენ მიმართავს. გალაკტიონი დამაბული ელოდება სხდომაზე დამსწრე ფუნქციონერთა პასუხს. ვასილ მჟავანაძე ამბობს, რომ შალვა დადიანის წაუსვლელობა ყრილობაზე არ იქნება და ამით სხდომა სრულდება.

➤ 14679

1959

**28 იანვარი**

რუსულ გაზეთში „სოვეტსკაია აბხაზია“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მშობლიურ პარტიის მითითებულ გზას მივყვები გამარჯვებისკენ“ ანდრო პატარაიასეული თარგმანი.

➤ 14680

1959

**იანვარი ან ადრე**

სტუმრად მისულ მეუღლის ძმისშვილ ეთერ კვირიკაძეს გადასცემს 1908 წელს დაწერილი ლექსის „მტევანი ქვისაგან“ ავტოგრაფს და ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ჩასაბარებლად ატანს იმ ქვის ორნამენტის ნატეხს, რომელიც ბაგრატის ტაძართან ჰქონდა ნაპოვნი. თან ეუბნება, რომ ასეთი მტევნები ბაგრატის ტაძრის ოთხივე კუთხეში იყო გამოკვეთილი.

➤ 14681

1959

**იანვარი ან ადრე**

ქვედა სართულზე განთავსებული მთავარი სააფთიაქო სამმართველოს საკონტროლო-ანალიტიკური ლაბორატორიიდან მის ბინაში ადის წამლების მძაფრი სუნი. გალაკტიონი მიდის ლაბორატორიაში, თანამშრომლებს შესჩივის ამის შესახებ და ეკითხება, რაიმე საწამლავს ხომ არ ამზადებენ. ერთ-ერთი თანამშრომელი – რაისა ჩიხლაძე იუმორით პასუხობს, რომ საწამლავი არ აქვთ და რომც ჰქონდეთ, მისთვის ვერ გაიმეტებენ.

➤ 14682

1959

**იანვარი**

მეუღლის, ნინო კვირიკაძის შვილიშვილი მარინე ფირცხალავა სჩუქნის უბის წიგნაკს წარწერით: „სამახსოვროდ ჩემს საყვარელ ბაბუას მარინესაგან“, პოეტი კი იქვე მიაწერს მოკლე ექსპრომტს: „წიგნაკო, წვათ რიგს შენ განმარინე, მიგზავნის ამ წიგნს ჩემი მარინე“.

➤ 14683

1959

**იანვარი**

ზემელზე კაფეში გურამ რჩეულიშვილი და ნუგზარ წერეთელი მეგობრის დაბადების დღეს აღნიშნავენ. უცებ გალაკტიონი შედის გრძელი, შავი პალტოთი და სქელი რუხი კაშნეთი. მიდის დახლთან და წყალს უკვეთავს. მეგობრები პატივისცემით და მოკრძალებით სუფრასთან ჰპატიჟებენ. ისიც თანხმდება და შამპანურს მიირთმევს. შემდეგ მათ სხვა სუფრის წევრებიც უერთდებიან. გახალისებული გალაკტიონი ახალგაზრდების პროფესიით ინტერესდება. გურამ რჩეულიშვილი კითხვაზე რუსულად პასუხობს და თავს კომერსანტად აცნობს, რაზეც გალაკტიონი ირონიულად იღიმის. გურამი და ნუგზარი ქართული და მსოფლიო პოეზიისადმი, განსაკუთრებით სიმბოლისტი და ცისფერყანწელი პოეტების მიმართ მისი დამოკიდებულებით ინტერესდებიან. გალაკტიონიც აკმაყოფილებს მათ ცნობისმოყვარეობას და ხალისით ერთვება საუბარში. შემდეგ უცებ თითქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფად წამოდგება და წასვლას გადაწყვეტს. ყველას თბილად ემშვიდობება, გურამ რჩეულიშვილს კი ხუმრობით ჩაუღიმებს სიტყვებით, „ამას ცოტა კარტული არ ეკერკებაო“.

➤ 14684

1959

**იანვარი**

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობა „საბლიტგამი“ გადაწყვეტს, გამოსცეს მოწინავე პოეტთა საუკეთესო ლექსთა კრებულები, რომელთაც, შესავლის ნაცვლად, წამძღვარებული ექნება ავტორთა ავტობიოგრაფიები. გამომცემლობის ხელმძღვანელობას სურს, სერიის პირველი წიგნი იყოს გალაკტიონ ტაბიძის „ასი ლექსი“. ამ გადაწყვეტილების შესახებ გალაკტიონს აცნობებს „საბლიტგამის“ დირექტორი ხუტა ბერულავა და პოეტს სთხოვს მოამზადოს კრებულში გამოსაქვეყნებელი ავტობიოგრაფიის ტექსტი.

➤ 14685

1959

## იანვარი

ჟურნალში „ლიტერატურნაია გრუზია“ იბეჭდება შალვა რადიანის წერილი „გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა“, რომელშიც ავტორი აანალიზებს, გალაკტიონ ტაბიძის უდიდეს როლს უახლესი ქართული პოეზიის განვითარებაში და აღნიშნავს, რომ მისი შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს პოეტი სამშობლოს. გალაკტიონი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ალტაცებით შეხვდა ახალ ცხოვრებას და დადგა რევოლუციის მხარეს, რამაც სრულად შეცვალა მისი პოეზიის თემატიკა.

➤ 14686

1959

## იანვარი ან შემდეგ

მიხაილ ვაძბოლსკი ხატავს მის პორტრეტს პალტოთი და ქუდით.

➤ 14687

## თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი

1959

## 5 თებერვალი

რუსულ გაზეთში „ვეჩერნი ტბილისი“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „მიჰყევი ლენინს“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 14688

1959

## 6 თებერვლამდე

ამზადებს „საბლიტგამში“ გამოსაცემ კრებულს „ასი ლექსი“, რომელშიც შეაქვს შემდეგი ნაწარმოებები: „მთაწმინდის მთვარე“, „ცხოვრება ჩემი“, „ლურჯა ცხენები“, „პოეზია – უპირველეს ყოვლისა“, „ეს მშობლიური ქარია“, „მშობლიური ეფემერა“, „მამული“, „სად?“, „არწივებს ჩასძინებოდათ“, „სადღეგრძელო იყოს მისი“, „მოვა, მაგრამ როდის?“, „შენ ერთი მაინც“, „წუხელი ღამით ქარი დაჰქროდა“, \*\*\* („თვალთ ველარას ვხედავ“), „წელიწადები წავლიან ძველი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „გავიდა ხანი“, „ქალავ“, „შინდისის ჭადრებს“, „წინანდალეული ნათელა“, „პირიმზე“, „ბავშვობის დღეები“, „ატმის ყვავილები“, „შენ რაღას იტყვი?“, „იმ ატმებს გაუმარჯოს, იმ ატმის ყვავილებს“, „სანთლები“, \*\*\* („გაგონდება თუ არა...“), „ცამეტი წლის ხარ“, „ცელი კივის“, „დგება შემოდგომა“, „ღვინოს დააბრალებენ“, „შემოდგომის დღე“, „შემოდგომის ფრაგმენტი“, „ვერხვები“, „შემოდგომა უმანკო ჩასახების“ მამათა სავანეში“, „მწუხარება შენზე“, „ქალმა დამწყველა ლამაზმა“, „ორი ზარი“, „შენ ალტაცებით ისევ ენთები“, „უდაბნო“, „შერიგება“, „ჭიანურები“, \*\*\* („იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ...“), „თოვლი“, „ქარი ქანაობს ქნარად“, „მე და ღამე“, „ბედს იქით“, „მაინც დავიმსახურე“, „მერი“, „შენ ზღვისპირად“, „მერის თვალებით“, „რაც უფრო შორს ხარ“, „მუხა“, „ეფემერა“, „კაკლის ხე მთაწმინდაზე“, „არ ღირს იმ ერთ ცრემლად“, \*\*\* („გადმოფრენას ეს ყორანი...“), „მიმღერე რამე“, „ყანები“, \*\*\* („აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი...“), „ისევ ეფემერა“, \*\*\* („რტოო პალმისა...“), „რუს პოეტს“, „უსიყვარულოდ“, „მატარებელში“, „რომელი საათია?“, \*\*\* („მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა...“), „დამშვიდობება“, „მესაფლავე“, „ქარი ჰქრის“, „გამოსალმება“, „გურიის მთები“, „განახლდა გული“, „პროლოგი ასი ლექსისა“, „დროშები ჩქარა“, „რამდენიმე დღე პეტროგრადში“, „მღვრიე ქარი“, „მას გახელილი დარჩა თვალები“, „გემი „დალანდი“, „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, „ქალაქი წყალქვეშ“, „რევოლუციურ საქართველოს“, „ჩემი ქუთაისი“, „ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ“, \*\*\* („ვიგონებ ყრმობას, შორს, ძლიერ შორს...“), \*\*\* („გზები გაუვალი...“), „ჩვენი მნათობი ცეცხლის ფერია“, „წარწერა წიგნზე „მანონ ლესკო“, „იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო“, „მშობლიურო ჩემო მიწავ“, „სამშობლოს“, \*\*\* („ამაოებავ! ვგრძნობ...“), \*\*\* („ვთქვათ: მთად სამზეო...“), \*\*\* („მთვარის ნაამბობიდან...“), „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, \*\*\* („მუხებს ჩოხათ საქილეში...“), \*\*\* („რისთვის მაგონებ...“), \*\*\* („მიდიხარ...“) და „ჩემი სიმღერა“.

➤ 14689



1959

### 6 თებერვლამდე

საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობის დირექტორს ხუტა ბერულავას გადასცემს „ასი ლექსის“ მაკეტს და ჰპირდება, რომ ამ წიგნში შესატან ავტობიოგრაფიასაც მიუტანს.

➤ 14690

1959

### 6 თებერვალი

იმყოფება სახელმწიფო გამომცემლობაში, ცდილობს, გაარკვიოს თავისი წიგნის გამოცემის საკითხი. იგებს, რომ იგი გარკვეული დროის წინ ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე სტამბისთვის გადაუციათ დასაბეჭდად. ამის შემდეგ შედის გამომცემლობის ბუღალტერიაში, ტოვებს განცხადებას და ითხოვს გადაურიცხონ კუთვნილი ჰონორარი.

➤ 14691

1959

### 6 თებერვალი

მიდის გამომცემლობაში თავისი მომავალი წიგნის „რჩული“ რედაქტორ ვახტანგ ჯავახიძესთან. ინტერესდება, საგამომცემლო გეგმაში რატომ არის მითითებული მხოლოდ 20 თაბახი, მაშინ, როდესაც წიგნის მასალები ორმოცი თაბახის მოცულობისაა. ჯავახიძე უხსნის რომ 40 სასტამბო თაბახია, ხოლო საავტორო – 20.

➤ 14692

1959

### 6 თებერვალი

თოვლიანი ამინდია. იმყოფება შინ და უბის წიგნაკში იწერს იმ საკითხებს, რომელთა დაზუსტებას ან მოგვარებას გეგმავს უახლოეს მომავალში. უპირველესად, აინტერესებს, რა ვითარებაა გამომცემლობაში „ზარია ვოსტოკა“, რომელმაც უნდა გამოსცეს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილესადმი მიძღვნილი ლექსებისა და პოემების წიგნი სახელწოდებით „ნახევარი საუკუნე“.

➤ 14693

1959

### 6 თებერვალი

სურს, გაარკვიოს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ როდის აპირებს გადაუხადოს ჰონორარი რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ კრებულში – „თბილისის პოეზიაში“ – შეტანილი მისი ლექსებისათვის. აპირებს, ჰონორართან დაკავშირებით კონკრეტული პასუხის მისაღებად მიმართოს „ზარია ვოსტოკას“ ბუღალტერიას.

➤ 14694

1959

### 6 თებერვალი

აინტერესებს, რა ვითარებაა ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე სტამბაში, როდის გამოვა მისი დიდი ერთტომეული ან კონკრეტულად რა აბრკოლებს წიგნის გამოცემას. ახსენდება, რომ ცოტა ხნის წინ, სახელმწიფო გამომცემლობაში ყოფნისას, ნახა ამავე სტამბის თანამშრომელი გიორგი მაისურაძე, რომელმაც მის დასახმარებლად საგანგებოდ დარეკა სტამბაში, მაგრამ ვერაფერი გაარკვია.

➤ 14695

1959

### 6 თებერვალი

აპირებს, შეიძინოს ერთი ყუთი ბორჯომი, ასევე, გეგმავს, შეიაროს აფთიაქში და იყიდოს თავის ტკივილისა და გრიპის საწინააღმდეგო წამლები.

➤ 14696

1959

### 6 თებერვალი

აპირებს შეიაროს მწერალთა კავშირში და გაიგოს, როდის ტარდება საბჭოთა კავშირის მწერალთა მესამე ყრილობა. აინტერესებს, არის თუ არა მისი სახელი და გვარი იმ ოცდახუთ დელეგატს შორის, რომლებიც მოსკოვში, ყრილობაზე საქართველოს მწერალთა კავშირს წარადგენენ.

➤ 14697

1959

### 6 თებერვალი

საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობის დირექტორი ხუტა ბერულავა სთხოვს მოამზადოს და გამომცემლობაში მიიტანოს ავტობიოგრაფია, რომელსაც შეიტანს გალაკტიონის მიერ მისთვის ცოტა ხნის წინ გადაცემულ პოეტურ კრებულში „ასი ლექსი“. პოეტი ჰპირდება, რომ მეორე დილით მიაწვდის ავტობიოგრაფიას. გალაკტიონს ახსოვს, რომ ავტობიოგრაფიის ტექსტი უკვე მზად ჰქონდა, იწყებს ძებნას, მაგრამ ვერ პოულობს.

➤ 14698

1959

### 6 თებერვალი

იმყოფება საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ ფონდში, მაგრამ ვერ ახერხებს სესხის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის გადაცემას.

➤ 14699

1959

### 6 თებერვალი

ფიქრობს საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობისთვის გამოსაქვეყნებლად გადაცემულ საკუთარ პოეტურ კრებულზე „ასი ლექსი“. მიიჩნევს, რომ საჭიროა წიგნის გამოცემის პროცესს თვალი მიადევნოს. ვარაუდობს, რომ კრებულის რედაქტორობა შესაძლოა რევაზ ორჯონიკიძეს დაავალონ.

➤ 14700

1959

### 6 თებერვალი

გალაკტიონთან სტუმრად მიდის გიორგი ჩიქობავა, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე პოეტის ლიტერატურული თანაშემწე იყო. საუბრობენ მწერლობასა და მწერლებზე. გიორგი უამბობს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქციის ამბებს, კერძოდ, რედაქტორ ოთარ ეგაძესა და ამავე ჟურნალის პასუხისმგებელ მდივან – ვანო წულუკიძესთან დაკავშირებულ ინტრიგებს.

➤ 14701

1959

### 6 თებერვალი

აპირებს, სტამბაში დააბეჭდვინოს აფიშა, რომელზეც ლათინურად იქნება წარწერა „გალაკტიონოლოგია“. გეგმავს, მოაწყოს საღამო, რომელსაც დაესწრებიან მწერლები, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ლიტერატორები და სწორედ ამ შეხვედრაზე ისაუბროს მისი ბიოგრაფიისა და შემოქმედების შემსწავლელი

ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალური დარგის – გალაკტიონოლოგიის არსებობის აუცილებლობაზე.

➤ 14702

1959

#### 7 თებერვალი

თოვლიანი ამინდია. გალაკტიონი ფიქრობს სამომავლო გეგმებზე. უპირველესად ახსენდება გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“, სადაც მისი ლექსებისა და პოემების რუსული თარგმანების წიგნი – „ნახევარი საუკუნე“ იბეჭდება. თარგმანების ეს კრებული პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეს ეძღვნება, ამიტომაც მას გალაკტიონი განსაკუთრებულად ელოდება. აინტერესებს, რა ეტაპზეა წიგნის გამოცემის საქმე, სწორედ ამის გასაგებად გეგმავს „ზარია ვოსტოკაში“ 20 თებერვლისთვის მისვლას და, პარალელურად, აპირებს კუთვნილი ჰონორარის საკითხის გარკვევასაც, რომელიც უნდა გადაეხადათ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ კრებულში – „თბილისის პოეზიაში“ – შეტანილი ლექსებისათვის.

➤ 14703

1959

#### 7 თებერვალი

აპირებს, შეიაროს ორჯონიკიძის ქუჩაზე მდებარე პირველ სტამბაში და გაარკვიოს, როდის დაიბეჭდება მისი ლექსების დიდი ერთტომეული. ასევე გეგმავს მწერალთა კავშირში მისვლას და დაზუსტებას, როდის ტარდება საქართველოს საბჭოთა მწერლების V ყრილობა.

➤ 14704

1959

#### 7 თებერვალი

აპირებს, მოამზადოს ავტობიოგრაფია და გადასცეს საბავშვო ლიტერატურულ გამომცემლობას, სადაც მისი ლექსების ახალი კრებული „ასი ლექსი“ მზადდება გამოსაცემად.

➤ 14705

1959

#### 7 თებერვალი

ათვალისწინებს თავის სამუშაო კაბინეტს და ამჩნევს, რომ ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი. ოთახის თვალისწინებისას პოულობს პლაკატს, რომელიც ოდესღაც სტამბაში დაამზადებინა და რომელზეც რუსულ ენაზეა წერია „გალაკტიონოლოგია“. ასევე მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ კალენდარი, რომელსაც ეძებდა, თურმე წიგნში ყოფილა ჩადებული.

➤ 14706

1959

#### 7 თებერვალი

საბავშვო ლიტერატურული გამომცემლობის დირექტორის – ხუტა ბერულავას თხოვნის გამო იწყებს ავტობიოგრაფიის წერას, როგორც კი დაბადების თარიღს – 1891 წელს დაწერს, ახსენდება, რომ რამდენიმე თვის წინ, წყნეთის არქივის დალაგებისას იპოვა დოკუმენტი, რომელშიც მისი დაბადების თარიღად სწორედ 1891 წელია დაფიქსირებული. აინტერესებს, სად არის ახლა ეს დოკუმენტი.

➤ 14707

1959

#### 7 თებერვალი

მიდის სახელმწიფო ლიტერატურულ გამომცემლობაში და შენობის წინ შემთხვევით ხვდება ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორ ოთარ ეგაძეს, აღიზიანებს მისი საქციელი და მოგვიანებით უბის წიგნაკში იწერს, რომ მან თავი აიგდო.

➤ 14708

1959

#### 7 თებერვალი

უბის წიგნაკში ინიშნავს, რომ პოეტსა და მთარგმნელ იური ლუჩანსკის შესთავაზოს თავისი ნაწარმოებების თარგმნა.

➤ 14709

1959

#### 8 თებერვლამდე

ხვდება სერგი ჭილაიას, რომელიც ეუბნება, რომ მისი რუსულ ენაზე დაწერილი, 1958 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია – „გალაკტიონ ტაბიძე: კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი“ წარმოდგენილი იქნება მოსკოვში, მწერალთა ყრილობაზე.

➤ 14710

1959

#### 8 თებერვალი

მზიანი ამინდია, ადის წყნეთში და მუშაობს თავის კაბინეტში. ფიქრობს, რომ საიუბილეოდ უნდა მოამზადოს გაზეთი და სხვა ახალი არაფერია საჭირო.

➤ 14711

1959

#### 6 თებერვლის შემდეგ

მიდის საბავშვო ლიტერატურულ გამომცემლობაში, ესაუბრება გამომცემლობის დირექტორს – ხუტა ბერულავას და ბოდის უხდის იმის გამო, რომ ვერ მოახერხა გამოსაცემი კრებულისთვის – „ასი ლექსი“ – მოსამზადებელი ავტობიოგრაფიის მიტანა. თან განუმარტავს, რომ ძალიან ეცადა დაეწერა ავტობიოგრაფია, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან „არ ეწერება“.

➤ 14712

1959

#### 11 თებერვლამდე

უბის წიგნაკში იწერს სარიტმო სიტყვებს.

➤ 14713

1959

#### 11 თებერვლამდე

სარიტმო სიტყვებზე აგებს ლექსს „მიყვარს მე ეს ხეობა, მისი ვრცელსახეობა...“.

➤ 14714

1959

#### 11 თებერვალი ან ადრე

უბის წიგნაკში იწერს, რა არის საჭირო მისი შემოქმედებითი საღამოს გასამართად. ჩამონათვალშია: საღამოს მომწყობი კომისია, კედლის გაზეთი, ხალხი მწერალთა კავშირიდან, სამახსოვრო ფოტო, აფიშის გამკეთებელი, წიგნებისა და გაზეთების გამოფენა.

➤ 14715

1959

## 11 თებერვალი ან შემდეგ

ალფავიტიან უბის წიგნაკში ასო „ლ“-ზე იწერს, რომ სიტყვა „ლოგია“ ნიშნავს „სწავლებას“ და ჩამოწერს ამ კომპონენტის შემცველ რთულ სიტყვებს „გეოლოგია“ და „ბიოლოგია“.

➤ 14716

1959

## 14 თებერვლამდე

ნინო კვირიკაძის დაჟინებული მოთხოვნით წვება საავადმყოფოს ნერვიულ განყოფილებაში. მის პალატაში წევს ასაკოვანი კაცი, რომელიც სულ მღერის და ოთახში პოეტი წიგნის წაკითხვასაც ვერ ახერხებს.

➤ 14717

1959

## 14 თებერვალი

ბრძანაწლავის შეტევით იმავე საავადმყოფოში, რომელშიც გალაკტიონი მკურნალობს, აწვევენ ფატი ნიშნიანიძეს და სასწრაფო ოპერაციას უკეთებენ. ნარკოზიდან გამოსული როგორც კი თვალს ახელს, ხედავს გალაკტიონს, რომელიც ალერსიანად ეკითხება, რატომ შეგვაშინეო.

➤ 14718

1959

## 14 თებერვლის შემდეგ

ფატი დიდია ისევ სამკურნალო კომბინატში აკითხავს. გალაკტიონი ღელავს, რადგან არ იცის, ვისი ნათარგმნი ლექსები შეაქვთ მის რუსულენოვან საიუბილეო კრებულში, არც ის იცის, „მშვიდობის წიგნი“ შეიტანეს თუ არა. საუბრისას მეუღლე ნინო კვირიკაძე შემოუსწრებთ. მეუღლე ეუბნება, რომ მას აკრძალული აქვს პოეზიაზე საუბარი. შემფოთებული პოეტი ცდილობს სტუმარი უსიამოვნო საუბრის მოწმე არ გახდეს და ნინოს სთხოვს, დატოვოს პალატა. ფატის სხვა საგანზე გადააქვს საუბარი. ნინო კვირიკაძე გალაკტიონს დაუმორჩილებლობისთვის სამაგიეროს იმით უხდის, რომ მის ემოციურ განცდებს შეეხება, ეუბნება, წლების წინ სწორედ, ამ საწოლში იწვა უშანგი ჩხეიძეო.

➤ 14719

1959

## 14 თებერვლის შემდეგ

საავადმყოფოს დერეფანში ხვდება სოფელ სალხინოს მკვიდრის – ნოე ლორთქიფანიძის მეუღლე მერის და იგებს, რომ მისი ქმარიც იქვე მკურნალობს. პოეტს ახსოვს ამ ოჯახის არაჩვეულებრივად თბილი მასპინძლობა მათ მშობლიურ სოფელში. ის, ნოე, აკადემიკოსი დავით ლორთქიფანიძე და ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელი ბოჭორიშვილი დერეფანში იკრიბებიან და დიდხანს საუბრობენ. ამ უკანასკნელმა გალაკტიონის უამრავი ლექსი იცის, რაც პოეტს ახარებს და ეხუმრება, გალაკტიონი მე ვარ თუ შენო.

➤ 14720

1959

## 15 თებერვლის შემდეგ

ჟურნალში „მნათობი“ იბეჭდება გიორგი მარგველაშვილის წერილი „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელშიც ავტორი მიზნად ისახავს პოეტის შემოქმედებითი ევოლუციის სურათის ჩვენებას. მისი თქმით, გალაკტიონი აკაკი წერეთლის მოწაფე იყო და ახალი პოეტური კულტურის დამამკვიდრებელი. გალაკტიონის ნოვატორობა არ ყოფილა უდანაკლისოდ მიღწეული. პოეტმა სხვათა მიერ გაკვალილი ბილიკებიც მოსინჯა, სანამ საკუთარ ხმას იპოვნოდა. გიორგი მარგველაშვილი აღნიშნავს, რომ საბოლოოდ გალაკტიონმა შეძლო, როგორც აკაკის ეპიგონთა მიერ დამკვიდრებული პოეტური ტრადიციის დაძლიება და კლასიკური პოეზიის ცოცხალი

ტრადიციების გაგრძელება, ასევე მოდერნისტული შტამპის გადალახვა და ყოველივე ეს ტოვებდა გარკვეულ კვალს. კრიტიკოსის თქმით, გალაკტიონის პირველ წიგნში გამოქვეყნებული არაერთი ლექსი „პოეტური ბანალობის“ ნიმუშია. მარგველაშვილი ეხება საკითხსაც, – ვინაა გალაკტიონის ლიტერატურული წინაპარი, ბარათაშვილი თუ აკაკი? კრიტიკოსი იმეორებს სიმონ ჩიქოვანის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც, გალაკტიონი თავისი ლირიკის ბუნებით აკაკის სკოლის წარმომადგენელია და ბარათაშვილის გავლენა გალაკტიონზე მხოლოდ ზედაპირული ხასიათისაა. სიმბოლიზმისადმი გალაკტიონის დამოკიდებულების პრობლემაზე კრიტიკოსი თითქმის არაფერს ამბობს კონცეპტუალური თვალსაზრისით ახალსა და განსხვავებულს და შედარებით ვრცლად ეხება საკითხს – გალაკტიონი და რევოლუცია. იგი მიუთითებს, რომ რევოლუციის თემის დამუშავების მხრივ დიდი მსგავსება შეინიშნება გალაკტიონსა და ალექსანდრ ბლოკს შორის – ორივემ აღიქვა რევოლუცია, როგორც განახლების სტიქია. მარგველაშვილის აზრით, „ტაბიძე ბლოკის მოწაფე იყო... სულიერი ლტოლვით, ადრე შენიშნული და გააზრებული შინაგანი თვისტომობით“.

➤ 14721

1959

### 17 თებერვალი

საავადმყოფოში მოსანახულებლად აკითხავს ფატი ნიშნიანიძე, რომელსაც პოეტი ანდობს ზაფხულში ყვარელში საჩხერესა და თიანეთში მოგზაურობის სურვილს.

➤ 14722

1959

### 22 თებერვალი

სახელმწიფო გამომცემლობიდან ვიღაც ურეკავს მეცხრე ტომთან დაკავშირებით და სასწრაფოდ მიდის, მაგრამ ვინც ურეკავდა, წასული ხვდება.

➤ 14723

1959

### 22 თებერვალი ან შემდეგ

წერს უსათაურო ლექსს „არაგვიშავს, არაგვიშავს, / კლდეს გააპობს არაგვი შავს...“.

➤ 14724

1959

### 22 თებერვალი ან შემდეგ

უბის წიგნაკში წერს სიტყვებს: „ილია ჭავჭავაძე“ და ხატავს სახრჩობელის ყუღღს.

➤ 14725

1959

### 22 თებერვალი ან შემდეგ

უბის წიგნაკში ჩამოწერს წყნეთთან დაკავშირებულ საქმეებს, რომელთა შორისაა: აივანზე შუშაბანდის გაკეთება, სამუშაო მაგიდის შექმნა ან ძველის გამოყენება, გამოფენის მასალების გადატანა თბილისიდან, ბალიშებისა და საბნების შექმნა საწოლებისთვის, ფარდების შექმნა, წამლებით ჰიპერტონიის კონტროლი, საბანაო აუზის კეთილმოწყობა, წყლის, გათბობისა და სახურავის მოწესრიგება, წყალი რომ არ ჩამოდოდეს, მოსამსახურე ქალთან მოლაპარაკება,

➤ 14726

1959

### 24 თებერვალი

რუსულ გაზეთში „მოლოდოი სტალინეც“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ლენინის დროშის ქვეშ“ ვლადიმერ პარტნოვისეული თარგმანი.

➤ 14727

1959

**თებერვალი**

უბის წიგნაკში იწერს გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“, მისი თანამშრომლის გიორგი ბებუთოვისა და სახელმწიფო გამომცემლობის ტელეფონის ნომრებს.

➤ 14728

1959

**გაზაფხული**

თბილისში ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან შენიშნავს ქუჩაში მეგობართან ერთად მოსეირნე მსახიობ თათია ხაინდრავას. ხელეზგაშლილი ჩერდება მის წინ, ეუბნება, რომ ეთაყვანება ამ მშვენიერ ქართველ ქალს და ხელზე ეამბორება. მსახიობი პასუხობს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას დისწული და გალაკტიონის ნიჭის თაყვანისმცემელია. ამის გაგონებაზე გალაკტიონს სახე უბრწყინდება, თათიას ხელს ხვევს და ეუბნება, ნება მომეცი დიდი კონსტანტინეს პატარა დისწულს შუბლზე ვეამბოროო. მსახიობი მეგობართან ერთად სახლამდე გაცილებას სთავაზობს, მაგრამ გალაკტიონი პასუხობს, საჩქარო საქმე მაქვსო და გზას აგრძელებს.

➤ 14729

## მ ა რ ტ ი

1959

**4 მარტი**

გაზეთში „სოვეტსკაია აზხაზია“ იბეჭდება ლექსი „აფხაზეთო, აფხაზეთო!“.

➤ 14730

1959

**5 მარტი**

ეწერება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველოს საავადმყოფოდან, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში მკურნალობდა. დაწესებულება გალაკტიონ ტაბიძის სახელზე გასცემს შრომის უუნარობის ფურცელს. ავადმყოფის დიაგნოზად მითითებულია ჰიპერტონია და ათეროსკლეროზი.

➤ 14731

1959

**12 მარტი**

მოულოდნელად სტუმრობს კორნელი სანაძეს და სთხოვს, მისი ისეთი პორტრეტი დახატოს, რომ დაამახსოვრდეს. კორნელი აკეთებს ჩანახატს. გალაკტიონი კმაყოფილი რჩება და სთხოვს, გამოსახულება რაც შეიძლება გაადიდოს.

➤ 14732

1959

**14 მარტი**

რუსულ გაზეთში „კუტაისსკაია პრავდა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „სიხარულის დღე“ ბორის სერებრიაკოვისეული თარგმანი.

➤ 14733

1959

**15 მარტი**

რუსულ გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ იბეჭდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსის „ჩემი ბიულეტენი“ ანდრო პატარაიასეული თარგმანი.

➤ 14734

1959

15 მარტი

ნასვამი ჩადის თავისი საცხოვრებელი ბინის ქვედა სართულზე მდებარე მთავარი სააფთიაქო სამმართველოს საკონტროლო-ანალიტიკურ ლაბორატორიაში და ესაუბრება თანამშრომლებს.

➤ 14735

1959

მარტის შუა რიცხვები ან ადრე

ძალიან ეჩქარება თავისი ლექსების „რჩეულის“ გამოცემა და ამის შესახებ გამომცემლობაში ესაუბრება წიგნის რედაქტორს ვახტანგ ჯავახიძეს.

➤ 14736

1959

16 მარტი

დასაბეჭდად გადაეცემა ჟურნალი „ცისკარი“, რომელშიც იბეჭდება თეიმურაზ ბადურაშვილის სტატია „ღირსეულ ტრადიციათა განსაგრძობად“. მასში ქართულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესებზეა საუბარი. წერილის ავტორი მიუთითებს, რომ ბოლო დროს ახალგაზრდობის ესთეტიკური გემოვნება დაიხვეწა, რისი დასტურიცაა ის ფაქტი, რომ გალაკტიონ ტაბიძეს ახლა უფრო მეტი მკითხველი ჰყავს, ვიდრე ადრე ჰყავდა.

➤ 14737

1959

16 მარტი

ნოდარ ტაბიძესთან ერთად გამოდის სახლიდან. ტაქსს აჩერებენ და ჭავჭავაძის გამზირზე მიდიან. სამკურნალო კომბინატს რომ უახლოვდებიან, გალაკტიონი მძღოლს გაჩერების უფლებას არ აძლევს და მიდიან სასაუბრეში, სადაც ნოდარს 10 მანეთს ართმევს და 200 გრამ არაყსა და ჯონჯოლს უკვეთავს. დაღევის შემდეგ ცოტა გამოცოცხლდება და რუსთაველის გამზირისკენ აგრძელებენ გზას. გალაკტიონი მძღოლს ემასლაათება. იგებს, რომ ორი ქალიშვილი ჰყავს და შვილიშვილს ელოდება. აბარებს, უთხარი, გალაკტიონი ვნახე და გაუხარდებათო. რუსთაველზე შემნახველ სალაროში შედიან და გალაკტიონს 500 მანეთი გამოაქვს. მანქანაში რომ სხდებიან გალაკტიონს წყნეთში უნდა ასვლა, მაგრამ ნოდარი დაიყოლიებს, რომ სამკურნალო კომბინატში მივიდნენ. ნახულობენ ექიმ პეტრე კერესელიძეს, რომელიც ჰპირდება, რომ კალე ფალავანდიშვილი შეეცდება ადგილი მოუნახოს. ნოდარი გასვლას აპირებს, რომ მძღოლი გაუშვას, მაგრამ გალაკტიონიც თან მიყვება.

➤ 14738

1959

16 მარტი

რუსთაველის პროსპექტზე მდებარე შემნახველი სალაროს კედელზე სიტყვის „მოლარე“ ბოლო მარცვალი წაშლილია და გალაკტიონი მოლარე ქალს ეხუმრება: ეს რა გიწერიათ კედელზე, განა თქვენ „მოლა“ ხართო?

➤ 14739

1959

16 მარტი

პატარა დუქანში შედის, სადაც უკვე მაგიდას უსხედან არნო ონელი, ალევო შენგელია, ოთარ ჭელიძე და ვლადიმერ ჯიბუტი და თავიანთ სუფრასთან ეპატიჟებიან. გალაკტიონი აღელვებულია და თანამეინახეები ცდილობენ მის დამშვიდებას. ტკბილად ესაუბრებიან და აქებენ მის შემოქმედებას, მაგრამ ის თითქოს არც უსმენთ, სადღაც შორს იყურება.

➤ 14740



1959

16 მარტი

მეცნიერებათა აკადემია გალაკტიონ ტაბიძისთვის გადასაცემად იღებს სოფელ ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირის მდივან მაგული ლოლობერიძის წერილს. ადრესანტი პოეტს სთხოვს, რომ მასში ან ივნისში გამონახოს დრო ხონში ჩასასვლელად, ეწვიოს განახლებულ ქალაქს, რომელიც ალექსანდრე წულუკიძის სახელს ატარებს და ივანდიდში მონინახულოს გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა. სთხოვს, რომ პოეტმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს, რათა უზრუნველყონ მისი მგზავრობა.

➤ 14741

1959

17 მარტი ან ადრე

ალექსი ზაკომოდინი გადასცემს ქაღალდზე დაწერილ საკუთარ ლექსს ხელმოწერით.

➤ 14742

1959

17 მარტი

გალაკტიონი საავადმყოფოში დასაწოლად ემზადება. ჯიბეში იღებს 281 მანეთს, შემნახველი სალაროს წიგნაკს, რომელზეც აქვს 26 ათას მანეთზე მეტი, შრომის უუნარობის ფურცელს, მარინე ფირცხალავას ნაჩუქარ უბის წიგნაკს ჩანაწერებით, სავარცხელს, გასაღებებს, პაპიროსს „რეკორდი“ და ასანთის კოლოფებს და ძმისწულ ნოდარ ტაბიძესთან ერთად 10-ის ნახევარზე უსაუზმოდ მიდის სამკურნალო კომბინატში. 10 საათზე უკვე საავადმყოფოში არიან. ექიმ პეტრე კერესელიძეს შესჩივის, რომ გამოვეწერე, მითხრეს, რომ თავისთვის უნდა მომეგლო და მომვლელი ქალის აყვანა გადავწყვიტე, მაგრამ სად არიან კარგი მომვლელები, თან ოჯახმაც გადამაფიქრებინა, ჩვენ ვერ ვეტევიო და მომვლელი სად დავაძინოთო. ამ დროს მოდის კალე ფალავანდიშვილი და გალაკტიონი ძალიან სთხოვს, გამოუნახოს ადგილი.

➤ 14743

1959

17 მარტი

ვესტიბიულში ნახულობს ორი დღის წინ გარდაცვლილი შალვა დადიანის ნეშტის გადასასვენებლად მოსულ მწერალთა ჯგუფის წევრებს და ელიზბარ უბილავას აცნობს თავის ძმისწულს. ირაკლი აბაშიძე ეკითხება, როგორ არის და პასუხობს, რომ ბოლო დროს ავადმყოფობს. იქვეა კონსტანტინე გამსახურდიაც. გალაკტიონი მის გადაკოცნას აპირებს, ის კი, დროის სიმცირის მიზეზით მხოლოდ ხელს ართმევს.

➤ 14744

1959

17 მარტი

შალვა დადიანის ნეშტის გადასვენების შემდეგ მთავარი ექიმის მოადგილე ირაკლი ფალავანდიშვილი თანამშრომლებს ავალეებს, რომ გალაკტიონ ტაბიძე მოათავსონ მეოთხე სართულზე ნერვიული განყოფილების მეშვიდე პალატაში. სანიტარ ოლღა ლევჩენკოს გასახდელში გაჰყავს გალაკტიონი, სადაც ის საავადმყოფოს პიყამოს და ხალათს იცმევს და თავის სამოსს ნოდარ ტაბიძეს ატანს.

➤ 14745

1959

17 მარტი

სამსაათნახევრიანი ლოდინის შემდეგ 13 საათსა და 30 წუთზე გალაკტიონი სანიტარს ლიფტით აპყავს მეოთხე სართულზე და შეპყავს ორადგილიან მეშვიდე პალატაში, სადაც უკვე წევს ორი ავადმყოფი აკაკი დუგლაძე და ალექსანდრე ალავიძე. მესამე საწოლს გაჭირვებით დგამენ მათ საწოლებს შორის, რაც ერთ-ერთი ავადმყოფის მეუღლის საშინელ გაღიზიანებას იწვევს. გალაკტიონი აწყნარებს მას, პალატას ტოვებს და დერეფანში ისე სწრაფად გადის, რომ საწოლთან მდგარ მაგიდაზე რჩება სათვალე.

➤ 14746

**1959**

**17 მარტი**

14 საათზე შედის ნერვიული განყოფილების გამგის, გაბრიელ პონდოევის კაბინეტში სადაც ასევე იმყოფება განყოფილების ექიმი ნინო ოქროპირიძე. ექიმებს ეუბნება, რომ უჩივის ტკივილს გულის არეში და საერთო სისუსტეს. გასინჯვის შემდეგ ირკვევა, რომ მაჯისცემა აქვს 84, წნევა 180/80 და ღვიძლი – ოდნავ გადიდებული. სამ საათზე 92-ე ოთახში, ექიმ გაბრიელ პონდოევის კაბინეტში, ექიმი სუსანა არაქელოვა უსინჯავს გულს და ფილტვებს. ექიმის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ მეოთხე სართულის ვესტიბიულში ბოლოთას სცემს და სიგარეტს ეწევა. 5 საათზე ხვდება საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე და ინტერესდება, როგორ მოეწყო პალატაში. გალაკტიონი პასუხობს, რომ კმაყოფილია და გადაკოცნის. 17 საათსა და 30 წუთზე ესაუბრება ნერვიული განყოფილების ექიმ ირაკლი ფალავანდიშვილს და პროფესორ ანდრია ღვამიჩავას და ისევ დერეფანში გადის. ექთანი ვერა დადიანი ამჩნევს, რომ გალაკტიონი სკამს იღებს და აივანზე გასვლას ცდილობს. ექთანი არ ურჩევს ამის გაკეთებას, რადგან აივანი სველი და ჭუჭყიანია. პოეტი იღებს მის რჩევას და დერეფანში სიარულს განაგრძობს.

➤ 14747

**1959**

**17 მარტი**

18 საათზე შედის სამკურნალო კომბინატის ნერვიული განყოფილების გამგის, გაბრიელ პონდოევის კაბინეტში, რომელშიც იმჟამად არავინაა, იხდის სამედიცინო ხალათს და ავადმყოფის გასასინჯ ტახტზე დებს. შემდეგ სკამი ფანჯარასთან მიაქვს, ადებს, რაფაზე ადის და მეოთხე სართულის სიმაღლიდან ძირს ვარდება. ექიმის მისვლისას ის უკვე გარდაცვლილია.

➤ 14748

## პირთა საძიებელი

ა

**აბაკელია თამარ** (1905-1953) – ქართველი მხატვარი და მოქანდაკე, გრაფიკოსი. კინოსა და თეატრის მხატვარი. მის ნამუშევრებიდან აღსანიშნავია ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“ და ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის ფასადი, რომელიც საქართველოში მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკების პირველი მნიშვნელოვანი ნიმუშია.

**აბაშელი ალექსანდრე (ისაკ ჩოჩია)** (1884-1954) – ქართველი საბჭოთა მწერალი და პოეტი, მუშაობდა თბილისში „კავკაზისა“ და „ნოვია რეჩის“ რედაქციებში. პირველი ქართული ლექსი „შავი აჩრდილი“ 1910 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“, № 28. მისი რედაქციით გამოვიდა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა პირველი სრული კრებული.

**აბაშიძე ანასტასია (ტასო) ვასილის ასული** (1881-1958) – ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვა-აბაშიძის ქალიშვილი, სადებიუტო როლი 1899 წელს ითამაშა თბილისის დრამატულ თეატრში. მოღვაწეობდა რუსთაველის სახელობის თეატრში, ჭიათურისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში. განასახიერებელი აქვს 100-მდე როლი.

**აბაშიძე გრიგოლ** (1914-1994) – ქართველი პოეტი და მწერალი, მუშაობდა ჟურნალების „ნიანგი“, „დროშა“ და „მნათობი“ რედაქტორად, ხელმძღვანელობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტს. პირველი ლექსები 1934 წელს გამოქვეყნდა, პირველი კრებული „ჯაჭვგაუხდელი“- 1938 წელს. სახელი გაუთქვეს ისტორიულმა რომანებმა: „ლამარელა“ და „დიდი ღამე“, „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამალეება“.

**აბაშიძე გრიგოლ (გრიშა) დავითის ძე** (1866-1903) – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პოეტი და პუბლიცისტი. თანამშრომლობდა გაზეთებთან: „ივერია“, „ჯეჯილი“, „მოამბე“. მისი ლექსები დაიბეჭდა 1909 წელს მოსკოვში გამოცემულ კრებულში „ქართველი პოეტების ლექსების კრებული“. წერდა ფსევდონიმებით: „გ. თირელი“, „მენავე“ და შრომანი“.

**აბაშიძე თამარ** (1892-1960) – ქართველი დრამატული მსახიობი. მუშაობდა როსტოვის წითელი არმიის თეატრში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქის: თბილისის, ოზურგეთის, ჭიათურისა და გორის თეატრებში. შესრულებული აქვს მრავალი როლი ქართველ და უცხოელ დრამატურგთა პიესებში.

**აბაშიძე კიტა (ივანე)** (1870-1917) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის დამფუძნებელი და ლიდერთაგანი.

**აბაშიძე კონსტანტინე (კოკი)** (1889-1937) – ქართველი იურისტი, კრიტიკოსი, მწერალი, პუბლიცისტი შემდგომ თანამშრომლობდა გაზეთებში: „სახალხო საქმე“ და „კოლხიდა“, ჟურნალ-გაზეთებთან: „ლომისი“, „ილიონი“, „ქართული მწერლობა“, „მნათობი“ და „საბჭოთა ხელოვნება“. მუშაობდა სახალხო განათლების სამინისტროში მინისტრის პირად მდივნად, პარალელურად ასრულებდა იურიდიული კონსულტანტის მოვალეობას.

**აბაშიძე ლეილა** (1929-2018) – ქართველი კინოს მსახიობი და სცენარის ავტორი და რეჟისორი. კინოში მისი დებიუტი შედგა 1941 წელს ნიკოლოზ პიპინაშვილის ფილმში „ქაჯანა“, დაჯილდოებულია ლენინგრადის III საკავშირო კინოფესტივალის პირველი პრიზით ფილმში

„მეხვედრა წარსულთან“ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის და ტოკიოს II მსოფლიო კინო ფესტივალის I პრიზით.

**აბდუშელი დავით ნიკოლზის ძე** (1890-1926) ქართველი რეჟისორი და მსახიობი. მუშაობდა ჭიათურის სცენისმოყვარეთა დრამატულ წრეში, ქუთაისის და ბათუმის თეატრებში, გორის მუშათა დრამატულ წრეში რეჟისორად და მსახიობად.

**აბზიანიძე გიორგი** (1907-1976) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი და პედაგოგი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი, სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ახალი ქართული ლიტერატურის კურსს.

**აბრამია პოლიო** (1899-1975) – ქართველი მწერალი, ჟურნალის „რემედასი“ რედაქტორის მოადგილე, გაზეთის „კინომუშაკი“ რედაქციის მდივანი, ჟურნალის „ავტოდორი“ მდივანი, გაზეთის „მუშა“ კორესპონდენტი, რადიოკომიტეტის გადაცემების მთავარი რედაქტორი, ჟურნალის „მნათობი“ რედაქციის განყოფილების გამგე, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციის მთარგმნელი. წერდა ფსევდონიმებით: „გაიდე“, „ლაზი“, „მეგრელი“, „კოლხი“, „ოდიშელი“, „ქახსინ“, „ხორბელი“.

**აბრამიშვილი მიხეილ ვლადიმერის ძე** (1892-1939) – ქართველი კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, პედაგოგი. იკვლევდა ძირითადად ესთეტიკისა და პოეტიკის პრობლემებს. ერთ-ერთმა პირველმა გააშუქა იოსებ გრიშაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის პოეზია თანამშრომლობდა ჟურნალებთან „თეატრი და ცხოვრება“ და „ახალი კავკასიონი“, ავტორია წიგნისა „ძველი ქართული თეატრი.“

**აბულაშვილი ანზორ** (1932-2013) – ქართველი პოეტი და ფილოლოგი. მუშაობდა ჟურნალში „დილა“, გამომცემლობის „ნაკადული“ დირექტორად, თანამშრომლობდა გაზეთთან „ახალგაზრდა კომუნისტი“. პირველი ლექსი დაიბეჭდა სიღნაღის რაიონულ გაზეთში „კოლმეურნე“ 1950 წელს.

**აბულაძე ბიძინა ვლადიმერის ძე** (1907-1964) – ქართველი ლიტერატორი, მთარგმნელი და ჟურნალისტი, თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში, ხელმძღვანელობდა ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებებს სხვადასხვა გამომცემლობაში, ნათარგმნი აქვს ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავი ძეგლები: „სიბრძნე ბალავარისა“, და „ამირან-დარეჯანიანი“.

**აბულაძე თენგიზ ევგენის ძე** (1924-1994) – ქართველი კინორეჟისორი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, დაღესტნის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვრული ფილმების: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „ნატვრის ხე“, რეჟისორი, საარჩევნო ბლოკის „მშვიდობა“ დეპუტატი.

**აბულაძე სავლე** (1890-1964) – ქართველი მწერალი, პოეტი და პედაგოგი, წერდა ფსევდონიმით „ციაგი“. 1915 წელს მისი მოთხრობები დაიბეჭდა ია ეკალაძის გაზეთში „სამშობლო“, მისი ლექსები და ჩაწერილი ხალხური ზღაპრები იბეჭდებოდა ჟურნალებში: „ნაკადული“ და „ჯეჯილი“.

**აგმალიანი რაფიელ (რაფაელ) მიხეილის ძე** (1880 -1937) – საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

**აგარელი (ციციშვილი) გობრონ** (1899-1951) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი. 1920 წელს გამოვიდა მისი და ტერენტი გრანელის პირველი წიგნი „პანაშვიდები“, მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სახელმწიფო გამომცემლობაში.

**აგიაშვილი ნიკოლოზ (ნიკა)** (1903-1984) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ჟურნალ-გაზეთების: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სტალინელი“ („ახალი ქუთაისი“), „ჩვენი თაობა“, „კომუნისტი“ და „დროშა“ რედაქციების თანამშრომელი, გამომცემლობის „მერანი“ თარგმნილი ლიტერატურის რედაქციის გამგე.

**აგლაძე (აღლაძე) ილია** (1872-1948) – ქართველი მთარგმნელი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრი, მუშაობდა ილია ჭავჭავაძის გაზეთში „ივერია“ მოღვაწეობდა ქართულ თეატრში და თბილისის სახალხო თეატრში. იყო ხელოვანთა კავშირის საბჭოს წევრი. მუშაობდა გაზეთების: „კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“ და ჟურნალის „მნათობი“ რედაქციებში.

**აგლაძე (აღლაძე) რაფიელ** (1911-1989) – ქართველი მეცნიერი, ელექტროქიმიკოსი და ელექტრომეტალურგი, გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დამაარსებელი და დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკა“ გამოცემის ინიციატორი და პირველი რედაქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

**აგლაძე ანა** (1894-1971) – მომღერალი, პედაგოგი. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ზ. ფალიაშვილის რომანსების ერთ-ერთი პირველი შემსრულებელი.

**ადამია ალიო** (1914-1980) – ქართველი მწერალი. მუშაობდა გაზეთების: „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „კომუნისტი“ რედაქციებში, იყო გამომცემლობის „ხელოვნება“ დირექტორი, გამომცემლობის „მერანი“ და „საბჭოთა საქართველო“ განყოფილების გამგე.

**ადეიშვილი ზესარიონ (ზესიკ)** – ქართველი გერმანისტი, პოეტი, მწერალი და მთარგმნელი.

**ადეიშვილი მაკრინე გიორგის ას** (1863-1935) – პოეტ გალაკტიონ ტაბიძის დედა.

**ავალიანი ვლადიმერ** (1892-1948) – ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ტექნოლოგი, ამიერკავკასიის სატყეო ტექნიკური სასწავლო ინსტიტუტის ხის მექანიკური დამუშავების ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ხის დამუშავების ტექნოლოგიის კათედრის გამგე.

**ავალიშვილი ბიძინა** (1922-2002) – ქართველი მხატვარი და მოქანდაკე. მოქანდაკეთაგან პირველმა გამოიყენა ხე სკულპტურული პორტრეტისათვის. მისი ძირითადი ნამუშევრებია: ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა მონუმენტები.

**ავერჩენკო არკადი** (1880-1925) – რუსი მწერალი, დრამატურგი, სატირიკოსი, თეატრალური კრიტიკოსი, ჟურნალ „სატირიკონის“ რედაქტორი.

**ავჩიანი სურენ** (1904-1984) – სომეხი მწერალი და მთარგმნელი, პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1923 წელს. ავტორია პიესებისა: „სოსი და ვარდითერი“, ქართულიდან სომხურად თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები და "ბედი ქართლისა", კონსტანტინე გამსახურდიას "დიდოსტატის მარჯვენა".

**აივაზოვსკი ივანე კონსტანტინეს ძე** (1817-1900) – სომხური წარმომავლობის რუსი პეიზაჟისტი-მარინისტი, პროფესორი, აკადემიკოსი, რომის პაპის და პარიზის სამხატვრო აკადემიის ოქროს მედლის მფლობელი, სამხატვრო აკადემიის საპატიო წევრი, პარიზის, რომის, ამსტერდამის სანკტ-პეტერბურგის ევროპის რამდენიმე აკადემიის წევრი.

**აკერმანი ნიკოლოზ** (1908-1986) – საქართველოში მოღვაწე რუსი ბიბლიოგრაფი და ბიბლიოფილი, საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის (საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკა) საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების მთავარი ბიბლიოგრაფი. თანაავტორებთან ერთად შეადგინა ქართველ და რუს მწერალთა სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიული საძიებლები.

**აკობია პავლე** (1878-1940) – ქართველი მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი, რევოლუციონერი, პროპაგანდისტი-აგიტატორი. წერდა ფსევდონიმით „თავისუფალი“. თანამშრომლობდა სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთებთან, წერდა პოლიტიკური შინაარსის წერილებს ეროვნული საკითხის შესახებ.

**აკობია შოთა** (1920-1996) – ქართველი პოეტი, მწერალი. 1954-1959 წლებში იყო აღმანახ „ლიტერატურული აფხაზეთის რედაქტორი, რამდენიმე ანთოლოგიისა და კოლექტიური კრებულის შემდგენელი.

**აკოფაშვილი დავით** (1886-1948) – ქართველი მომღერალი. მონაწილეობდა თბილისის საოპერო სტუდიის პირველ დადგმაში დიმიტრი არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. 1908 წლიდან კონცერტებს მართავდა ევროპის, რუსეთისა და საქართველოს ქალაქებში, გამოდიოდა მიშელ დარიალთან, ვიოლონჩელისტ ილია აბაშიძესთან ერთად.

**აკოფიანი (ხეჩუაშვილი) გრიგოლ (გიგო) გასპარის ძე** (1879-1960) – სომხური წარმომავლობის ქართულენოვანი მწერალი, 1898 წლიდან იბეჭდებოდა გაზეთებში: „მოგზაური“, „ნაკადული“, „სახალხო გაზეთი“, „მოამბე“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში. წერდა ფსევდონიმებით: „გ. ხეჩოაშვილი“ და „გიგო თემისხვეელი“.

**აკოფოვი რუბენ** – სომეხი ფოტოჟურნალისტი.

**ალაზანი (გაბუზიანი) ვაჰრამ** (1903-1966) – სომეხი მწერალი.

**ალანია ნოდარ ვასილის ძე** (1924-197?) – ქართველი ფილოლოგი და ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

**ალესანდრო დი მარიანო დი ვანი ფილიპე (სანდრო ბოტიჩელი)** (1445-1510) – იტალიელი მხატვარი. მისი საქვეყნოდ ცნობილი ტილოებია: „ქრისტეს დატირება“, „ივდითის დაბრუნება“, „მეფეთა თაყვანისცემა“, „ვენერას დაბადება“, „მინერვა და კენტავრი“.

**ალექსანდრე ყანჩელი** (1878-1948) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი და იურისტი, ცისფერყანწელების მეგობარი, გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“ აქვეყნებდა ლექსებს, თარგმანებს და ფელეტონებს. იყო გაზეთების „ვოზროჟდენიე“ და „კავკაზსკოე სლოვო“ რედკოლეგიის წევრი, გაზეთის „რესპუბლიკა“ რედაქტორი, მსახიობ სალომე ყანჩელის მამა.

**ალექსანდროვსკი ვასილ ვასილის ძე** (1897-1934) – რუსი საბჭოთა პოეტი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, მოსკოვის პროლეტარული კულტურის ორგანიზაციის წევრი, პირველი ლექსი დაბეჭდა 1913 წელს ჟურნალში „ჟივოე სლოვო“, თანამშრომლობდა გაზეთებთან: „პრავდა“, „რაბოჩი გაზეტ“ და „ლუჩ“.

**ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო) (1857-1920)** – ქართველი მსახიობი და რეჟისორი, პედაგოგი. ხელმძღვანელობდა თბილისისა და ქუთაისის დრამატულ დასებს. ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ქართული სცენისათვის თარგმნა არაერთი დრამატული ნაწარმოები.

**ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ შალვას ძე (1915-1978)** – ქართველი არქიტექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

**ალიგიერი დანტე (1265-1321)** - იტალიელი პოეტი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, გველფების პარტიის წევრი. ავტორია ალეგორიული ხასიათის ლირიკული კრებულისა „ახალი ცხოვრება“, პირველი ფსიქოლოგიური რომანისა ევროპულ ლიტერატურაში „ახალი ცხოვრება“, ტრაქტატებისა და პოემისა „ღვთაებრივი კომედია“.

**ალბაზიშვილი შალვა (1899-1980)** – ქართველი მწერალი, კრიტიკოსი და ხელოვნების მუშაკი, „ფუტურისტ-ლექსების“ ჯგუფის წევრი, წითელი არმიის ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების კულტმუშაკი, მუშაობდა „სახკინმრეწვში“, ხელოვნების სამმართველოში და ჟურნალების „საბჭოთა ხელოვნება“ და „მნათობი“ რედაქციებში. ლიტერატურის და ხელოვნების საკითხებზე წერილებს აქვეყნებდა პრესაში: „ლიტერატურა და სხვა“, „მნათობი“ და „საბჭოთა ხელოვნება“.

**ამაშუკელი ვასილ იაკობის ძე (1886-19??)** – ქართველი რეჟისორი და კინოოპერატორი, საქართველოს სახალხო არტისტი, პირველი ქართული დოკუმენტური ფილმის ავტორი. 1912 წელს გადაიღო აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

**ამირანაშვილი პეტრე (1907-1976)** – ქართველი საოპერო მომღერალი და პედაგოგი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საოპერო ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

**ამირეჯიბი ირაკლი (1907-1969)** – ქართველი ინჟინერი, საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის „ჰიდროენერგოპროექტი“ თბილისის განყოფილების უფროსი ინჟინერი, „ხრამჭეს-1“ ძალოვანი კვანძის დამპროექტებელთა ჯგუფის ხელმძღვანელი, საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის „ჰიდროენერგოპროექტი“ თბილისის განყოფილების „ხრამჭესის“ სექტორის უფროსი; „ნამახვანჭესის“ პროექტის მთავარი ინჟინერი.

**ამირეჯიბი შალვა (1887-1943)** – ქართველი პოეტი და პუბლიცისტი. წერდა ფსევდონიმებით: „ა. ი“, „ფარსმან შარუხი“, „შ. ა“, და „ჩორჩანელი“. გამოსცა ალმანახი „ჩვენი ერი“. იყო ჟურნალის „კლდე“ თანამშრომელი, გაზეთების: „სამშობლო“ და „საქართველოს“ მუდმივი ავტორი. ლექსებს, პროზაულ ნაწარმოებებსა და პუბლიკაციურ წერილებს აქვეყნებდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში: „სამშობლო“, „დამოუკიდებელი საქართველო“, „ბედი ქართლისა“ და „კავკასიონი“.

**ამირეჯიბი-ყანჩელი თამარ (18??-1917)** – ქართველი მსახიობი სანდრო ყანჩელის პირველი მეუღლე, რომელსაც ბალმონტმა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი მიუძღვნა.

**ამიჩისი ედმონდო დე (1846-1908)** – იტალიელი მწერალი.

**ანანიაშვილი ელიზბარ (1912-2000)** – ქართველი მთარგმნელი. მუშაობდა გამომცემლობაში „მოლოდაია გვარდია“ რედაქტორად. საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის ლაურეატი.

**ანდრეევ ლეონიდ ნიკალას ძე (1871-1919)** – რუსი მწერალი, რუსული ლიტერატურის ვერცხლის საუკუნის წარმომადგენელი, რუსული ლიტერატურის ვერცხლის საუკუნის წარმომადგენელი, აქვეყნებდა ფელეტონებს ფსევდონიმით „James Lynch“. მაქსიმ გორკის დახმარებით გამოსცა მოთხრობების პირველი კრებული.

**ანდრონიკაშვილი ეთერ** (1920-2016) – ქართველი მხატვარი და პედაგოგი, ლითოგრაფიების და ლითონოგრაფიურების ავტორი, გრაფიკოსი, ფერმწერი, ქსოვილების მხატვრული გაფორმების კათედრის დოცენტი, დავით კაკაბაძის მეუღლე. მის ნამუშევრებში ასახულია საქართველოს ლანდშაფტური და ინდუსტრიული პეიზაჟები, შესრულებული აქვს გამოჩენილ ადამიანთა პორტრეტები.

**ანდრონიკაშვილი-ვაჩნაძე ნატალია (ნატო)** (1904-1953) – ქართველი კინომსახიობი, საბჭოთა ეკრანის ვარსკვლავი, ქართული კინოს ლეგენდა. 1924 წელს თბილისში შეასრულა პირველი როლი კინოფილმში „არსენა ყაჩაღი“, როლები კოტე მარჯანიშვილის ფილმებში: „ამოკი“ და „კრაზანა“.

**ანდლულაძე დავით** (1895-1973) – ქართველი მუსიკოსი, პედაგოგი, პროფესორი. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, სოლო სიმღერის კათედრის გამგე.

**ანენსკი ინოკენტი ფეოდორის ძე** (1855-1909) – რუსი პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ცარსკოე სელოს ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი, გურევიჩის გიმნაზიის პედაგოგი, ხალხოსან ანენსკის ძმა.

**ანთაძე დოდო კონსტანტინეს ძე** (1900-1978) – ქართველი რეჟისორი და თეატრალური მოღვაწე, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი. მუშაობდა რეჟისორად რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებში, იყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

**ანთაძე-ნაკაშიძე ნინო** (1872-1963) – ქართველი საბავშვო მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი, საბავშვო ჟურნალის „ნაკადული“ დამაარსებელი და რედაქტორი, პირველი ქართული საბავშვო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი, ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციას.

**ანთიძე ვასილ კაპიტონის ძე** (1900-1937) – ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარი, მარმარილოს ფილების წარმოების საქართველოს მრეწველობის დირექტორი.

**ანტოკოლსკი პაველ გრიგორის ძე** (1896-1978) – ებრაული წარმომავლობის რუსი საბჭოთა პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი და თეატრის რეჟისორი. თარგმნიდა ქართულ, ფრანგულ, ბულგარულ და აზერბაიჯანულ ლიტერატურას.

**ანტონოვი ზურაბ** (1820-1854) – ქართველი მწერალი, კომედიოგრაფი, მსახიობი და რეჟისორი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების პროცესში. მუშაობდა გორის გიორგი ერისთავის სახელობის თეატრის დასში, რომელსაც ხელმძღვანელობდა კიდეც. ცნობილია მისი პიესები: „მზის დაბნელება საქართველოში“, „ხევსურთა ქორწილი“, „ქოროლი“.

**ანჯაფარიძე ვერა (ვერიკო)** (1900-1987) – ქართველი თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, თბილისის რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების, ბათუმის თეატრისა და თბილისის „მუშათა თეატრის“, ქუთაისი-ბათუმის აკადემიური დრამის მსახიობი, ბათუმის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

**არამიანცი მიქაელ** (1843-1922) – სომეხი ბიზნესმენი და საზოგადო მოღვაწე. ქველმოქმედი, ბაქოს პირველი გილდიის ვაჭარი, ვაჭართა უმაღლესი გილდიის წევრი. წარმომადგენლობა ჰქონდა



გახსნილი დასავლეთ ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ქალაქებში უდიდეს ქალაქებში. მის სახელს უკავშირდება სომხეთის ეთნოგრაფიული საზოგადოების დაარსება, მანვე გაიღო სოლიდური თანხა სვეტიცხოვლის შეკეთებისათვის.

**არაყიშვილი დიმიტრი** (1873-1953) – ქართველი კომპოზიტორი, მუსიკოსი და პედაგოგი, თბილისის კონსერვატორიის დირექტორი, კათედრის გამგე, საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი, მოსკოვის „მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქართული საზოგადოების“ აქტიური წევრი, მოღვაწეობდა კამერულ-ვოკალური ლირიკის მიმართულებით. კრებდა, იკვლევდა და პროპაგანდას უწევდა ქართული მუსიკის ფოლკლორს.

**არდაზიანი ლავრენტი** (1815-1870) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი, პუბლიცისტი, კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი, ჟურნალის „ცისკარი“ თანამშრომელი. ასპარეზზე გამოვიდა შექსპირის „ჰამლეტის“ პროზაული თარგმანით, ცნობილია მოთხრობით „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“.

**არისტოტელე** (ძვ. წ. აღ. 384-322) – ბერძენი ფილოსოფოსი და ენციკლოპედისტი, პლატონის მოსწავლე და ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი, პლატონთან და სოკრატესთან ერთად თანამედროვე ფილოსოფიის დასავლური სკოლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი დამფუძნებელი, ფორმალური ლოგიკის შემქმნელი.

**არისტოფანე** (ძვ. წ. 446-386) – ძველი ბერძენი დრამატურგი, „კომედიის მამად“ წოდებული, მისი ყველაზე განთქმული კომედიები იყო ათენის დრამატული ფესტივალებისთვის დაწერილი „ჩიტები“. დაწერილი აქვს ორმოცი სპექტაკლი, რომელთაგან დღემდე მოღწეულია თერთმეტი.

**არნო ანტუან-ვენსარ** (1766-1834) – ფრანგი პოეტი და მეიგავარაკე, დრამატურგი და სახელმწიფო მოღვაწე, ავტორი ცნობილი ლექსისა „ფოთოლი“, დრამატურგ ლიუსენ არნოს მამა.

**არონიშიძე დომენტი გიორგის ძე** (18??-19??) – ქართველი დაუდგენელი პროფესიის პირი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმისა და თბილისის ორგანიზაციის წევრი. გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში.

**აროსია გრიგოლ ესტატეს ძე** (1909-1937) – ქართველი რეპრესირებული პარტიული მუშაკი, კომკავშირელი, გაზეთის „წითელი არმიელი“ კომკავშირის სექტორის გამგე.

**არსენევა კლარა სოლომონის ას** (1889-1972) – რუსი პოეტი და მთარგმნელი, მემუარისტი. თარგმნიდა უმეტესად ქართველ და სომეხ მწერალთა შემოქმედებას. ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორი.

**არსენიშვილი ალექსანდრე (ალი)** (1892–1939) – ქართველი კრიტიკოსი და მთარგმნელი. აქვეყნებდა ლიტერატურულ წერილებს რუსულ და ქართულ პრესაში, „ცისფერყანწელების“ მეგობარი და თანამოაზრე.

**არსენიშვილი დავით** (1905-1963) – ქართველი რეჟისორი და თეატრმცოდნე, თბილისის რევოლუციურ თეატრ–სტუდიის რეჟისორი. თბილისის სათეატრო მუზეუმის დამაარსებელი და დირექტორი, შეაგროვა მასალები ალექსანდრე გრიბოედოვისადმი მიძღვნილი გამოფენისათვის და საფუძველი ჩაუყარა მთაწმინდაზე ლიტერატურული მუზეუმის დაარსებას. იყო მოსკოვის ანდრია რუბლიოვის სახელობის ძველი რუსული ხელოვნების მუზეუმის შემქმნელი და პირველი დირექტორი.

**არუე მარი ფრანსუა (ვოლტერი)** (1694-1778) – ფრანგი მწერალი, დრამატურგი, ფილოსოფოსი და გამანათლებელი.

**არციბაშევ მიხაილ (1878-1927)** – პოლონელი მწერალი, დრამატურგი და პუბლიცისტი

**ასაევ ნიკოლაი ნიკოლაის ძე (1889-1966)** – რუსი საბჭოთა პოეტი, მთარგმნელი და სცენარისტი, რუსული ფუტურუზმის წარმომადგენელი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

**ასათიანი გურამ (1928-1982)** – ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გაზეთის „ლიტერატურნაია გაზეტა“ კორესპონდენტი, კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ სასცენარო განყოფილების გამგე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში XIX საუკუნის განყოფილების ხელმძღვანელი, ჟურნალის “ლიტერატურნაია გრუზია” მთავარი რედაქტორი.

**ასათიანი ვლადიმერ (ლადო) (1917-1943)** – ქართველი პოეტი. პირველი ლექსი “თებერვლის დილა” გამოაქვეყნა 1936 წელს ქუთაისის გაზეთში „სტალინელი“. მუშაობდა გაზეთის „ნორჩი ლენინელი“ რედაქციაში, გარდაცვალების შემდეგ 1943 წელს გამომცემლობამ “ფედერაცია” დაბეჭდა მისი კრებული “წინაპრები”.

**ასათიანი ლევან ნიკიფორეს ძე (1900-195)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**ასათიანი მამია ვასილის ძე (1907-1970)** – ქართველი მწერალი, 1935-1937 წლებში მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე.

**ასათიანი მიხეილ (1882-1938)** – ქართველი ექიმი, მეცნიერული ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მუშაობდა მოსკოვის ნევროფსიქიატრიულ სანატორიუმში, რედაქტორობდა ჟურნალს „ფსიქოთერაპია“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის ფსიქიატრიის კათედრის გამგე, ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორი.

**ასლანიშვილი იოსებ (სოსო) (1891-1955)** – ქართველი ექიმ-ენდოკრინოლოგი, მეცნიერი, მთამსვლელი, საზოგადო მოღვაწე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გამოჩენილი კოლექციონერი. გიორგი ნიკოლაძის ექსპედიციასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართული ალპინიზმის განვითარებას, თბილისში დააარსა ენდოკრინოლოგიური ლაბორატორია. სწავლობდა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ენდემური ჩიყვის გავრცელებას და მის ბუნებას.

**ასტვაცატუროვი (ქარელიშვილი) ერემია (1908–19??)** – სომეხი კრიტიკოსი, ჟურნალისტი. 1940 წელს შეადგინა „საქართველოს განსახკომის მოზრდილთა დაუსწრებელი სწავლების პროგრამა „ქართული ლიტერატურა განაკვეთები“. 1938 წელს მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „ნორჩი ლენინელი“.

**აფხაიძე შალვა (1894-1968)** – ქართველი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის აქტიური წევრი. მუშაობდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ხელოვნების მთავარ კომიტეტში, გაზეთში „მუშა“ რედაქციაში, გამომცემლობაში „ტექნიკა და შრომა“, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის დირექტორი.

**აქსაკოვ ივან სერგის ძე (1823-1886)** – რუსი პოეტი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, სლავიანოფილების მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, გაზეთის „რუსი“ გამომცემელი, გამოცემის „მოსკოვსკიი სბორნიკ“ პირველი ტომის რედაქტორი, ყოველდღიური გაზეთის „მოსკვა“ გამომცემელი.

**აღამოვი (ახოსპირელი) ბეგლარ (1880-1921)** – ქართველი პოეტი. სტამბის „ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა“ ასოთამწყობი, ქართული რევოლუციამდელი თეატრის მუშა და

სუფლიორი. გამოცემული აქვს პატარ-პატარა წიგნები – „ლექსები“, „ჩემი ნანინა“ და „ჩემი სიმღერა“.

**აღნაშვილი ლევან** (1897–1937) – ქართველი იურისტი, პედაგოგი და პოლიტიკოსი, მონაწილეობდა კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესის მუშაობაში. იყო ამიერკავკასიის სატყეო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისრის პირველი მოადგილე.

**აღსაბაძე შოთა რევაზის ძე (1896-1966)** – ქართველი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, პედაგოგი. 1927-1928 წლებში მუშაობდა თბილისის მუშათა თეატრებში. 1928-1947 წლებში რუსთაველის თეატრში, 1928-1947 წლებში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

**ახვლედიანი გიორგი** (1887-1973) – ქართველი ენათმეცნიერი და პედაგოგი, პროფესორი, ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის შემქმნელი, კითხულობდა საუნივერსიტეტო კურსებს ენათმეცნიერებასა და ლიტერატურის ისტორიაში. საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ენათმეცნიერების კვლევა-ძიების საქმეს. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება“.

**ახვლედიანი ზურაბ გიორგის ძე (1923-1994)** – ქართველი დამსახურებული ჟურნალისტი და ინჟინერი, მთარგმნელი. ივანე მაჩაბლის პრემიის ლაურეატი, მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი.

**ახვლედიანი სილოვან** (1919-2003) – ქართველი პოეტი. მუშაობდა გაზეთის „სოციალისტური რუსთავი“ რედაქტორად, პირველი ლექსი გამოაქვეყნა გაზეთში „ინდუსტრიული ქუთაისი“.

**ახვლედიანი-ქაჯაია დარია** (1873-1941) – ქართველი მწერალი და პოეტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ქველმოქმედი, საბავშვო ჟურნალის „ნაკადული“ ერთ-ერთი დამფუძნებელთაგანი, საზოგადო მოღვაწისა და მეცენატის გიორგი ახვლედიანის მეუღლე.

**ახმატოვა (გორენკო) ანა ანდრეის ას** (1889-1966) – რუსი პოეტი და მწერალი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი. პირველი ლექსი 11 წლის ასაკში დაწერა. პირველი წიგნი 1912 წელს გამოსცა.

**ახმეტელი ალექსანდრე (სანდრო)** (1886-1937) – ქართველი რეპრესირებული მსახიობი და რეჟისორი. რუსთაველის თეატრის დირექტორი, რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. მისი ინიციატივით დაარსდა მსახიობთა კორპორაცია „დურუჯი“.

**ახნაზაროვი არტემ** (1866-1942) – სომეხი მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე.

**ახუნდოვი ფათალი მირზა** (1812-1878) – აზერბაიჯანელი მწერალი, დრამატურგი, პოეტი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი, შტაბს კაპიტანი, ამიერკავკასიის რეგიონის მართვის ინსტიტუტის თარჯიმანი. მუშაობდა თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში, აღმოსავლური ენების თარჯიმნად. თბილისის სამაზრო სასწავლებელში ასწავლიდა თურქულ და სპარსულ ენებს.

**ბ**

**ბააზოვი გერცელ** (1904-1938) – ებრაული წარმოშობის საქართველოში მოღვაწე დრამატურგი და მწერალი. იყო ჟურნალის „საბჭოთა სამართლი“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი. მისი

ინიციატივით დაარსდა ქართველ ებრაელთა თვითმოქმედი დრამატული დასი „კადიმა“. 1918 წელს ქუთაისის გაზეთში „ბრაელის ხმა“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები.

**ბაბუაძე ივანე (დაისელი ვანლერ) (1903-1932)** – ქართველი პოეტი, ლიტერატურული ორდენის „სომნამბულები“ დამფუძნებელი. თავისი შემოქმედებით მუდმივად აპროტესტებდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას და წითელ დიქტატურას. არააერთხელ იქნა დაპატიმრებული ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის.

**ბაგდატევი სერგეი იაკოვლევის ძე (ბაგდატიან სარქის გაიკის ძე) (1887-1949)** – სომეხი საბჭოთა პარტიული მოღვაწე, სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

**ბაგრატიონი ერეკლე II (1720-1798)** – ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე, „პატარა კახად“ წოდებული, სწორუპოვარი სამხედრო ლიდერი, რომელმაც თბილისი ამიერკავკასიის პოლიტიკურ, კულტურულ და სავაჭრო ცენტრად აქცია. არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა ფეოდალთა შეზღუდვის მიზნით და ენერგიულ ღონისძიებებს ახორციელებდა მრეწველობის და კულტურის მიმართულებით.

**ბაგრატიონი ვახუშტი ვახტანგის ძე (1696-1784)** – ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ქორწინებისგარეშე შვილი, ქართლის გამგებელი, ავტორი სამეცნიერო თხზულებისა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნის შუა ხანებამდე.

**ბაგრატიონი თამარ გიორგი III-ის ასული (1184-1213)** – ქართველი მეფეთ მეფე და დედოფალთ დედოფალი აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შირვანთა და შაჰანშათა და მბრძანებელი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, წმინდანი.

**ბაგრატიონი თეიმურაზ (ანტონ) იესეს ძე I (1720-1788)** – ქართველი საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე, აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მწერალი, მეცნიერი. მან მდიდარი ფილოსოფიურ-თეოლოგიური და ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა ნიადაგი 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატისათვის.

**ბაგრატიონი ირაკლი (ჯანო) კონსტანტინეს ძე (1909-1967)** – ქართველი მოცეკვავე, ქორეოგრაფი, მუსიკალური მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის და ბალეტის თეატრის სოლისტი, პირველი ქართული საესტრადო კოლექტივების ხელმძღვანელი.

**ბაგრატიონი ქეთევან აშოთან მუხრანბატონის ასული დედოფალი, დიდმოწამე** – ქართველი დედოფალი, კახეთის მეფის დავით I-ის მეუღლე, 1605 წელს კახეთის აჯანყების მეთაური, რომელიც შაჰ აბას I-მა შირაზში ქრისტეს სარწმუნოების ერთგულებისთვის სასტიკად აწამა.

**ბადრიაშვილი ნიკოლოზ (1892-1961)** – ქართველი ისტორიკოსი და მწერალი. წერდა ფსევდონიმით „ავლეველი“. დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აღდგენასა და რეორგანიზაციაში. იყო ამ მუზეუმის და მაქსიმ გორკის სახლ-მუზეუმსა და ძველი თბილისის ნაკრძალის დირექტორი.

**ბადრიძე დავით (1899-1987)** – ქართველი მუსიკოსი და პედაგოგი, ლირიული ტენორი, საბოთა კავშირის სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი. მღეროდა ეკატერინბურგის, თბილისის, მოსკოვის დიდი თეატრის საოპერო სცენებზე.

**ზაიაძე ვასილ (ვასო)** (1922-1993) – ქართველი კრიტიკოსი და ჟურნალისტი, მთარგმნელი. იკვლევდა საბავშვო ლიტერატურისა და მომავალი თაობის ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს. ავტორია წიგნებისა: „დრო და მწერალი“, „მწერალი და თანამედროვეობა“.

**ზაირონი გორდონ ნოელ ჯორჯ** (1788-1824) – ინგლისელი „მსოფლიო სევდის“ გამომხატველი პოეტი, რომანტიზმის პროგრესული ფრთის უდიდესი წარმომადგენელი, პარლამენტარი. ლექსების პირველი კრებული „მოცალოების საათები“ გამოსცა 1807 წელს. 1811 წელს გამოაქვეყნა პოემის „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“ პირველი ორი ქება. ავტორია დაუსრულებელი რომანისა „დონ ჟუანი“ და ფილოსოფიური-დრამატული პოემისა „მანფრედი“.

**ზალაბუევ ანატოლი** (1889-1980) — წარმოშობით რუსული წარმომავლობის ქართველი გეოფიზიკოსი. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მკვლევარი.

**ზალაბუევი ალექსეი ანატოლის ძე** (1921-2014) – რუსული წარმომავლობის ფერმწერი, გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

**ზალაკირევი მილი ალექსანდრეს ძე** (1837-1910) – რუსი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი და საზოგადო მოღვაწე. მან პირველმა დაიწყო კავკასიური ჰანგების ჩაწერა. ქართული თემატიკა დაედო საფუძვლად ზალაკირევის სიმფონიურ პოემას „თამარი“.

**ზალანჩივაძე ანდრია მელიტონის ძე** (1905-1992) – ქართველი კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, მელიტონ ზალანჩივაძის ვაჟი და ჯორჯ ზალანჩინის ძმა.

**ზალანჩივაძე ვასილ** (1867-1951) – ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. თბილისის და ქუთაისის ქართული თეატრების მსახიობი. კომპოზიტორ მელიტონ ზალანჩივაძის ძმა, ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელი, თბილისის სანიტგანათლების თეატრის მთავარი რეჟისორი და მსახიობი, მუშაობდა "სახკინმრეწვში", გამოდიოდა ფსევდონიმით „ფილიპე ბარბაქაძე“.

**ზალანჩივაძე მელიტონ** (1863-1937) – ქართველი კომპოზიტორი, ლოტბარი, მომღერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეგზარქოსის მაგალობელთა გუნდის მაგალობელი, ქართული ხალხური სიმღერის გუნდის შემქმნელი, თბილისის ოპერის თეატრის მომღერალი, ხალხური მუსიკის შემკრები და შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელი, სახალხო განათლების სამუსიკო განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს სახალხო არტისტის ვასო ზალანჩივაძის ძმა.

**ზალზაკი ონორე დე** (1799-1850) – ფრანგი მწერალი, რეალიზმის ფუძემდებელი ევროპულ ლიტერატურაში. მისი შემოქმედების მწვერვალია მოთხრობებისა და ნოველებისგან შექმნილი წიგნების კრებული „ადამიანური კომედია“.

**ზალმონტი კონსტანტინ** (1867-1942) – რუსი სიმბოლისტი პოეტი და მთარგმნელი, ცისფერყანწელთა მეგობარი. შეისწავლა ქართული ენა და პირველად სრულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, სამჯერ იმოგზაურა საქართველოში და წაიკითხა მოხსენება „პოეზია როგორც ჯადოქრობა“ და „ოკეანია“.

**ზაჟანი მიკოლა** (1904-1983) – უკრაინელი პოეტი, პუბლიცისტი, კულტუროლოგი და ენციკლოპედისტი.

**ზაჟბუეჟ-მელიქიანი (ზაჟბუეჟ-მელიქოვი) ალექსანდრე** (1891–1961) – სომეხი მხატვარი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიისა და სახელოსნო სასწავლებლის პედაგოგი.

**ბარათაშვილი იოსებ (ოსიკო, იესე) ალექსანდრეს ძე (1874-1937)** – ქართველი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების ერთ-ერთი ლიდერი, რუსეთის იმპერიის პირველი მოწვევის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი.

**ბარათაშვილი მარიამ (მარიკა) (1908-2080)** – ქართველი პოეტი, დრამატურგი და ხელოვნების მუშაკი, ჟურნალის „საქართველოს ქალი“ რედაქტორი, მისი პირველი ლექსი 1936 წელს გამოქვეყნდა, ლექსების პირველი კრებული - 1945 წელს. დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა პიესამ „ჭირჭინა“.

**ბარათაშვილი ნიკოლოზ (ტატო) მელიტონის ძე (1817-1945)** – ქართველი რომანტიკოსი პოეტი. მუშაობდა რიგით ჩინოვნიკად სამართლისა და განჩინების ექსპედიციის კანცელარიაში, ნახიჩევანში მაზრის მმართველის თანაშემწედ, იმავე თანამდებობაზე განჯაში, სადაც ოთხი თვის შემდეგ, მალარიით მძიმედ დაავადებული დაიღუპა. მისი შემოქმედებიდან შემორჩენილია ორმოცამდე ლექსი და ერთი პოემა – „ბედი ქართლისა.“

**ბარამაშვილი ოლგა (1907-1956)** – ქართველი კომპოზიტორი, პიანისტი და პედაგოგი, სოლფეჯიოს სახელმძღვანელოს ავტორი, თბილისის კონსერვატორიის ჰარმონიის და სოლფეჯიოს კურსის პედაგოგი. ავტორია ვოკალურ-სიმფონიური და სარომანსო ციკლებისა ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ალექსანდრე პუშკინისა და სხვა გამოჩენილ პოეტთა ლექსებზე.

**ბარამიძე ალექსანდრე (1902-1994)** – ქართველი ფილოლოგი და მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი. იკვლევდა ძველი ქართული საერო მწერლობის ისტორიას.

**ბარბიუსი ანრი (1873-1935)** – ფრანგი მწერალი და ნოველისტი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი, გონკურის პრემიის ლაურეატი, 1895 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული ‘მოტირალნი’. რამდენჯერმე იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში და სტუმრობდა საქართველოს. ავტორია წიგნებისა: „სტალინი“, „აი რა გაკეთდა საქართველოში“ და სხვა.

**ბარდაველიძე ვერა (1899-1970)** – ქართველი მეცნიერი, ეთნოლოგი და ისტორიკოსი. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ენის ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ენიძე). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრაზე, ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ამ ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე.

**ბარნოვი (ბარნაველი) ვასილ (1856-1934)** – ქართველი მწერალი და პედაგოგი, ქართული ისტორიული რომანის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თბილისის სასულიერო სემინარიაში კითხულობდა ქართული ხალხური სიტყვიერების კურსს. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის იუნკერთა სასწავლებელში. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა თბილისის უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტზე.

**ბარნოვი ალექსი (1906-1977)** – ქართველი ექიმ-ეპიდემიოლოგი, ძველი თბილისის ყოფის მკვლევარი, მუშაობდა ახმეტის რაიონში, საგარეჯოში, გორში, რესპუბლიკურ სანეპიდსადგურში ექიმ-ეპიდემიოლოგად, თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში, მისი ინიციატივით და მწერალთა კავშირის დახმარებით პოეტის საფლავზე დაიდგა ძეგლი, პოეტის ნეშტი ვაკის სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადაასვენეს. მანვე შეადგინა იეთიმ გურჯის ლექსთა კრებული.

**ბასილაიშვილი (ბასილაშვილი) ეთერ მოსეს ასული (1923-2000)** – ქართველი ფილოლოგი და პოეტი, 1950 წლიდან აქვეყნებდა ლექსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალში „პირველი ნაბიჯი“, მუშაობდა ამავე უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე, იკვლევდა სეფარვის ხერხებს (ზმებსა და აკროქტიქებს) „ვეფხისტყაოსანში“.

**ბატკუაშვილი სეზმან (ერთაწმინდელი) (1888-1944)** – ქართველი მწერალი და მთარგმნელი. მუშაობდა კორექტორად სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, წითელი არმიის ქართულ ნაწილებსა და გამომცემლობებში ლიტერატურულ და დრამატულ წრეების ხელმძღვანელად, მთარგმნელ-კორექტორ-გამომშვებად, საქართველოს სახელმწიფო და სავაჭრო დაწესებულებათა მუშა-მომსახურეების კავშირთან არსებული ქართული დასის „ლურჯი ხალათი“ ავტორ-მსახიობად.

**ბაუერზაკსი მ. ი** – სახელმწიფო თეატრის პრიმა ბალერინა. ცეკვავდა ოპერებში „კომელია“ და „ვაკხის გაღვიძება“. მისი ფოტოები იბეჭდებოდა ჟურნალებში „თეატრი და ცხოვრება“ და „ხელოვნება“. იოსებ გრიშაშვილმა მიუძღვნა სონეტი „ბაუერზაკსს“.

**ბაქრაძე ელენე (ბერიშვილი ქართველიშვილი) (1897-1979)** – ქართველი ლიტერატორი, პედაგოგი, ფსიქოლოგი და მთარგმნელი. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრებით პოეტური გაერთიანების „ცისფერყანწელები“ წევრი.

**ბაქრაძე ვლადიმერ (1884-1953)** – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ლიტერატურის კრიტიკოსი. თანამშრომლობდა ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პრესაში, აქვეყნებდა პოლიტიკური ხასიათის წერილებს, უმთავრესად კი ცნობილი იყო როგორც ლიტერატურული კრიტიკოსი. ქართულ კოლონიას თავმჯდომარეობდა ბაქოში და ქართველებისა და კავკასიის ერთა ურთიერთობების შესახებ წერილებს აქვეყნებდა ქართულ ჟურნალში „წყარო“ და აზერბაიჯანულ გაზეთში „კასპი“, ხელმძღვანელობდა პოლონეთის ქართულ მისიას.

**ბახი სებასტიან იოჰან (1685-1750)** – ბაროკოს სტილის გერმანელი კომპოზიტორი და მუსიკოსი, ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს კომპოზიტორი.

**ბახტაძე ვალერიან (ვალაია) (1896-1930)** – ქართველი პოლიტიკური ლიდერი, მონაწილეობდა თებერვლის რევოლუციურ ბრძოლებში პეტერბურგში, მისი ხელმძღვანელობით ბათუმში გამოდიოდა გაზეთი „მუშის სიმართლე“, იყო პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის წევრი. მუშაობდა გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორად, პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის მდივნად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ.

**ბახტაძე ილია (1859-1900)** – ქართველი მთარგმნელი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი. წერდა ფსევდონიმით „ილია ხონელი“. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში „კავკაზი“, „დროება“, „ივერია“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კვალი“, „მომბე“, სატირულ-იუმორისტული ფელეტონების სერიაში „საკვირაო სხარტულა“, „სახელდახელო“, „კვირის საუბარი“, „კვირის სურათები.“ ამხელდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებებს.

**ბახტაძე მიხეილ (1918-19??)** – ქართველი მოცეკვავე და ქორეოგრაფი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი, საქართველოს რკინიგზელთა კულტურის სასახლის დირექტორი.

**ბახტურიძე პეტრე ბესარიონის ძე (1900-1962)** – ქართველი ჟურნალისტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, გაზეთის „სიტყვა

და საქმე” რედაქტორი, გაზეთის „კომუნისტი“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე, ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ლიტერატურულ ნაწილს.

**ბებელი ავგუსტ ფერდინანდ** (1840-1913) – გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი, გერმანელი და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე.

**ბებუთაშვილი-გაბუნია ზარზარე (ვარვარა)** (1891-1971) – ქართველი მხატვარი, პორტრეტისტი, პეიზაჟისტი, ქართველ მხატვართა საზოგადოების წევრი. მისი ნამუშევრები ინახება ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა მუზეუმში, თბილისის მუზეუმებში და საქართველოს სახელმწიფო გალერეაში, მწერალ და ქველმოქმედ დავით იოსების ძე ბებუთაშვილის ქალიშვილი.

**ბებუთოვი გარეგინ (გიორგი?) ვლადიმერის ძე** (1904-1987) – სომეხი ჟურნალისტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, საბჭოთა კავშირის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი. მუშაობდა თბილისში მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობაში რედაქტორად, იყო გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ გამომცემლობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

**ბეგაშვილი ალექსანდრე** (1923-1989) – ქართველი მწერალი. მეორე კურსზე სწავლისას დააპატიმრეს, გაზეთში დაბეჭდილი სტატიის გამო. ციხეში რვა წელი იჯდა. 1964 წელს ცოლად შეირთო ვერიკო წერეთელი.

**ბეგიაშვილი თედო (თევდორე) მალაქიას ძე** (1894-1970) — ქართველი ფილოლოგი, ფოლკლორისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. კითხულობდა ფოლკლორის კურსს უმაღლეს სასწავლებლებში. ავტორია წიგნებისა „ქართული ფოლკლორის ქრესტომათია“ და „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ I წიგნი.

**ბედია ერმილო** (1901-1937) – საქართველოს განათლების სახალხო კომისარი, საქართველოს კომუნისტური პარტიის კულტურულ-პროპაგანდისტული განყოფილების გამგე, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი.

**ბეზიმენსკი ალექსანდრ ილიას ძე** (1898-1973) – რუსი საბჭოთა პოეტი, სცენარისტი, ჟურნალისტი და რედაქტორი.

**ბეთჰოვენი ვან ლუდვიგ** (1770-1827) – გერმანელი კომპოზიტორი და პიანისტი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო აღიარებული კომპოზიტორი დასავლური მუსიკის ისტორიაში.

**ბელი ანდრეი** (1880-1934) – რუსი სიმბოლოსტი პოეტი, მწერალი, დრამატურგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ილუსტრატორი და ფილოსოფოსი.

**ბელიაშვილი აკაკი** (1903-1961) – ქართველი მწერალი და კინოდრამატურგი, პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიების ავტორი, მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია სამტომიანი ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“.

**ბელინსკი ბესარიონ გრიგორის ძე** (1811-1848) – რუსი კრიტიკოსი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი.

**ბენაშვილი დიმიტრი გიორგის ძე** (1910-1982) – ქართველი ლტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

**ბერანჟე დე ჟან პიერ** (1780-1857) – ფრანგი პოეტი სატირიკოსი და შანსონიე, იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტეს მხარდამჭერი და მასზე შეთხზული ლეგენდების თანაავტორი. მისი პირველი სიმღერები შექმნა 1802 წელს, პირველი პოეტური კრებული დაიბეჭდა 1815 წელს.



**ბერაძე ვლადიმერ (ხოზიკა) (1900–1938)** – ქართველი მწერალი. მოღვაწეობდა ლიტერატურის, ჟურნალისტიკის, დრამატურგიის, სატირის, იუმორის, პოლიტიკური ფელეტონების ჟანრში. მისი დრამატიული ნაწარმოები „ხოჭოების დოლი“ წარმატებით იდგმებოდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. იყო ოზურგეთში ახლადგახსნილი ჩაის მეურნეობის სასწავლო ინსტიტუტის დირექტორი, საზოგადოების „საქართველოს ჩაის“ დირექტორის მოადგილე საწარმოო დარგში.

**ბერდსლი (ბრედსლეი) ორბი ვინსენტ (1872-1898)** – ინგლისელი მხატვარი-გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი.

**ბერიტაშვილი შალვა (1908-1962)** – ქართველი მხატვარი, ფერმწერი, წიგნის გრაფიკოსი. თანამშრომლობდა ჟურნალ- გაზეთებთან და გამომცემლობასთან “სახელგამი”; მუშაობდა მხატვრად გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციაში, მეორე მსოფლიო ომის დროს შეასრულა მთელი რიგი პატრიოტული პლაკატები.

**ბერიძე ვახტანგ (1914-200)** – ქართველი ხელოვნებათმცოდნე, მეცნიერი და პედაგოგი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ლექტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

**ბერიძე ვუკოლ (1883-1963)** – ქართველი ენათმეცნიერი და პედაგოგი, რუსთველოლოგი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი. ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში კითხულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კურსს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავდა მრავალი ტერმინოლოგიური ლექსიკონი, მისი რუსთველოლოგიური ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის“ და „შოთას პოეტიკისათვის“.

**ბერნარი სარა (1844-1923)** – ფრანგი უდიდესი მსახიობი, უცნაური და ეპატაჟური თვისებებით დაჯილდოვებული ხელოვანი.

**ბეროძე რუთა (1915-1984)** – ქართველი დრამატურგი, მთარგმნელი, ჟურნალისტი. მუშაობდა ქუთაისში გამომავალი გაზეთების რედაქციებში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1934 წელს გაზეთში „რიონჰესის დამკვრელი“. გამომცემული აქვს ათზე მეტი წიგნი, ავტორია რამდენიმე პიესისა, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ქუთაისის ლადო მესხიშვილის და თოჯინების თეატრებში.

**ბერულავა ხუტა (1924-2004)** – ქართველი მწერალი და პოეტი. იყო გამომცემლობის „ნაკადული“ დირექტორი, ჟურნალის „ცისკარი“ რედაქტორი, გამომცემლობის „განათლება“ დირექტორი. მისი რედაქტორობით გამოიცა ”საბავშვო პოეზიის ანთოლოგია”, „საბავშვო ენციკლოპედია“ და კრებული „იზარდე მწვანე ჯეჯილო“ .

**ბერძენიშვილი ნიკოლოზ (ნიკო) (1895-1965)** – ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

**ბებტერეგ ვლადიმირ მიხეილის ძე (1857-1927)** – ფსიქიატრი, ნერვოლოგი, ფიზიოლოგი, რეფლექსოლოგიის და პათოფსიქოლოგიის ფუძემდებელი რუსთში, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პეტერბურგის ფსიქონერვოლოგიური ინსტიტუტის დამაარსებელი.

**ბიბილური თამაზ** (1934 ) – ქართველი მწერალი და პუბლიცისტი. მუშაობდა გაზეთებში „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „ლიტერატურული საქართველო“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ. მისი ლიტერატურული დებიუტი შედგა 1957 წელს ჟურნალში „ცისკარი“, სადაც მისი მოთხრობები გამოქვეყნდა. 1973 წელს გამოიცა მწერლის პირველი წიგნი - ნარკვევებისა და მინიატურების კრებული. ავტორია რომანებისა ““ამი კითხულისა” და „მთვარის შვილი“.

**ბიბინეშვილი ბართლომე (ბარონ)** (1883-1938) ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, კომუნისტური პარტიის წევრი, რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, გამომცემლობის და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

**ბიბინეშვილი ქსენია** (1898-1966) — ქართველი ექიმი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ორდინატორი.

**ბიურგერი გოტფრიდ ავგუსტ** (1747-1794) – გერმანელი მწერალი, ლიტერატურული მიმდინარეობის „ქარიშხალი და შეტევა“ წარმომადგენელი.

**ბიჩერ სტოუ ჰარიეტ ელისაბედ** (1811-1896) – ამერიკელი აბოლიციონისტი და მწერალი. მის კალამს ეკუთვნის 20-ზე მეტი წიგნი, რომელიც მოიცავს რომანებს, სამოგზაურო მემუარებს და სტატიებისა და წერილების კოლექციას. ავტორია საყოველთაოდ ცნობილი რომანისა „ბიძია თომას ქობი“.

**ბლოკი ალექსანდრ** (1880-1921) – რუსი სიმბოლისტიპოეტი, მწერალი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი.

**ბლუაშვილი ნიკოლოზ** (1900-1938) – ქართველი რეპრესირებული სამხედრო და პარტიული მუშაკი, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი, პირველი ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის სამხედრო კომისარი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე.

**ბობოხიძე კალე** (1904-1982) – ქართველი პოეტი და მთრგმნელი. სხვადასხვა დროს მუშაობდა მასწავლებლად, იყო სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორი, დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში საგამომცემლო საქმის განვითარებას. მან პირველმა გამოსცა ლადო ასათიანისა და ტერენტი გრანელის კრებულები.

**ბოდენშტედტი ფრიდრიხ** (1819-1892) – გერმანელი პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი, თავად მიხეილ გოლიცინის ვაჟების გუვერნანტი, კავკასიის მეფისნაცვლის ნეიდგარტის მიწვევით თბილისში ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა ინსტიტუტს, იყო გაზეთების: „ავსტრიისკიი ლლოიდ“ , „ვეზედსკაია გაზეტა“ და „Die Tägliche Rundschau“.

**ბოდლერი ჟან დე** (1821-1867) – ფრანგი პოეტი, კრიტიკოსი, ესეისტი და მთარგმნელი, დეკადენსის და სიმბოლიზმის ფუძემდებელი. პირველი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალში “არტისტი”. 1858 წელს გამოიცა მისი ლექსების ცნობილი კრებული „ბოროტების ყვაილები“.

**ბოდროვ ივან იაკოვლევის ძე** (1928-2008) – რუსი საბჭოთა მწერალი, ჟურნალისტი და მხარეთმცოდნე, მუშაობდა ქალაქ ტარუსას გაზეთში „ოკტიაბრ“, მონაწილეობდა ალმანახის „ტარუსის ფურცლები“ გამოცემაში. ავტორია ამავე ქალაქის შესახებ ოთხი მხარეთმცოდნეობითი წიგნისა.

**ბოლდოვკინ (ჩაგინ) პიოტრ ივანის ძე** (1898-1967) – რუსი საბჭოთა ჟურნალისტი, პოეტი, პარტიული და საგამომცემლო სფეროს მუშაკი, ლიტერატურული მოღვაწე, აზერბაიჯანის

ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი, რედაქტორი გაზეთებისა: „ნახრიხტენ“, „კრასნაია გაზეტა“, „იზვესტია“ და „ზარია ვოსტოკა“.

**ბონაპარტი ნაპოლეონ** (1769-1821) – საფრანგეთის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი, საფრანგეთის რევოლუციის გენერალი და საფრანგეთის მმართველი, როგორც საფრანგეთის კონსულატის პრემიერ-კონსული და რაინის კავშირის პროტექტორი.

**ბოცვაძე იოსებ (სოსო)** (1914-1981) – ქართველი ჟურნალისტი და ფილოლოგი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის გამგე, ქუთაისის და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტების ლექტორი.

**ბოცვაძე ლუარსაბ** (1866 –1919) – ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, პედაგოგიური ჟურნალის „განათლება“ დამაარსებელი და რედაქტორი, 350-მდე პედაგოგიური ნაშრომის, სტატიისა და სასწავლო პროგრამის ავტორი.

**ბოჭორიშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე** (1892-1937) – ქართველი მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და მწერალთა კავშირის წევრი, ბეჭდავდა ალმანახში „სხივი“, გაზეთებში „თემი“ და „შრომა“. წერდა ფსევდონიმებით: „ადონისი“ „მირზახი“ „მიხეილ დაჩაგრული“.

**ბრაგინ ვლადიმირ გრიგორის ძე** (1896-1972) – რუსი საბჭოთა საბავშვო მწერალი, დრამატურგი, სცენარისტი და ლიბრეტისტი. პრესაში იბეჭდებოდა 1918 წლიდან, იყო ჟურნალების „ზორკა“ და „რაბოტნიკ ზემლი ი ლესა“ თანამშრომელი, ჟურნალის „გუდოკ“ რედაქტორი. ავტორია ფანტასტიკური რომანისა „დაკარგული ათასწლეულის მამიებელი“.

**ბრაილოვსკაია ნინო** (1899-1991) – უკრაინული წარმომავლობის ქართველი მხატვარ-გრაფიკოსი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

**ბრიკი ბორის ილიას ძე** (1904-1942) – რუსი რეპრესირებული პოეტი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. თანამშრომლობდა გაზეთებთან: „ვორონეჟსკაია კომუნა“ და „ვორონეჟსკაია ბედნოტა“. მუშაობდა სამხედრო ცენზურაში. თბილისში ცხოვრების პერიოდში თარგმნა ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები და პოემები და აკაკი წერეთლის პოემა „ნათელა“

**ბრიკ-ირადოვა ელენა იოსიფის ასული** (1883-1957) – რუსი პიანისტი და პედაგოგი, პროფესორი, ვორონეჟის კონსერვატორიის დარსების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი, ლენინგრადის კონსერვატორიასტან არსებული მუსიკალური ტექნიკუმისა და ნიჟიერთა ათწლეულის პედაგოგი, კამერულ-ინსტრუმენტული ანსამბლის კათედრის პროფესორი,

**ბრიულოვი კარლ პავლეს ძე** ( 1799-1852) – რუსი ფერმწერი, მონუმენტალისტი, აკვარელისტი, აკადემიზმის წარმომადგენელი, ალექსანდრე ბრიულოვის ძმა.

**ბრიუსოვი ვალერი** (1873-1924) – რუსი პოეტი, მთარგმნელი და კრიტიკოსი, სიმბოლისტური მიმართულების ფუძემდებელი. იყო ლიტერატურული ჟურნალის „ვესი“ (სასწორი) რედაქტორი. ავტორია ანთოლოგიური სამტომიანი კრებულისა “რუსი სიმბოლისტები”, მასვე ეკუთვნის მეცნიერული ფანტასტიკის ხასიათის რამდენიმე მოთხრობაც.

**ბრონშტეინი (ტროცკი) ლევ დავიდის ძე** (1879-1940) – ებრაული წარმომავლობის რუსი საბჭოთა მარქსისტი, რევოლუციონერი და თეორეტიკოსი, წითელი არმიის დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, წითელი არმიის დამაარსებელი

და პირველი ხელმძღვანელი. პოლიტიუროს დამფუძნებელი წევრი, შიდა პარტიული მემარცხენე ოპოზიციის ლიდერი.

**ბროჯი-მუტინი ენრიკო** (1862-1895) – საქართველოში მოღვაწე იტალიელი მომღერალი და პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. 1899 წელს ჩამოვიდა თბილისში, გამოდიოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, კონცერტებს მართავდა ბათუმში, ქუთაისში, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის მუსიკალურ სასწავლებელსა და ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში.

**ბუაჩიძე ბენიკო** (1905-1937) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მწერალი და პუბლიცისტი. მუშაობდა საქართველოსა და ამიერკავკასიელი პროლეტარული მწერლობის ასოციაციათა საკავშირო გაერთიანების მდივნად. თანამშრომლობდა გაზეთში „ზარია ვოსტოკა“. მუშაობდა მოსკოვის კომუნისტური აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

**ბუაჩიძე იოსებ** (1907-2006) – ქართველი გეოლოგი, ინჟინერი, მეცნიერი და პედაგოგი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიური სექტორის დირექტორი.

**ბუბენოვი მიხაილ სემიონის ძე** (1909-1983) – რუსი საბჭოთა პროზაიკოსი, კრიტიკოსი და ჟურნალისტი. სამამულო ომის თემაზე მიძღვნილი რომანისთვის „არყის ხე“ დაჯილდოებული იყო სტალინური პრემიით.

**ბუგაევსკი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე** (1905-1964) – რუსი პოეტი და მთარგმნელი.

**ბუკია ბორის სიმონის ძე** (1907-1967) – ქართველი ინჟინერი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ქუთაისის საავტომობილო ქახნის მშენებლობის ორგანიზატორი და დირექტორი.

**ბულგანინი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე** (1895-1975) – რუსი საბჭოთა პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი და გენერალ-პოლკოვნიკი, მეორე მსოფლიო ომის, რუსეთის სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მონაწილე.

**ბუნინ ივან ალექსეის ძე** (1870-1953) – რუსი მწერალი, პოეტი და მთარგმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი, პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. 1887 წელს პირველად გამოაქვეყნა ლექსი „ნადსონის საფლავზე“, 1891 წელს კი გამოსცა კრებული „ლექსები“. მას ეკუთვნის წიგნები „ტოლსტოის ცხოვრება“ და „მოგონებები“. წერდა ფსევდონიმებით: „აზიორსკი“ და „ჩუბაროვ“.

**ბურდილაძე ალექსანდრე (არნო ონელი)** (1901-1979) – ქართველი მწერალი. მუშაობდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ორგანოში - ჟურნალში „ხელოვნება“ რედაქციაში ლიტმუშაკად და პასუხისმგებელ მდივნად, მასწავლებლად სოფელ აბარში (ამბროლაურის რაიონი) და სოფ. დიდმის სკოლაში, სადაც მისი ინიციატივით აშენდა კლუბი, რომელშიც სისტემატურად იმართებოდა წარმოდგენები და ლიტერატურული სადამოეხი.

**ბურჯანაძე ვარლამ** (1877-1941) – ქართველი პედაგოგი და მეთოდისტი, საზოგადო მოღვაწე, მეთოდისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ვლადიკავკაზის ქართული სკოლის გამგე. იყო თბილისის საქალაქო საბჭოს სასკოლო კომისიის

თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პროფკავშირების თავმჯდომარე, რედაქტორობდა ჟურნალს „განათლება“.

**ბუსირევ პიოტრ ნიკოლაის ძე** (1900-1974) – რუსი მხატვარი, ილუსტრატორი, პლაკატისტი, სამრეწველო გრაფიკოსი, საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი.

**ბუხარინი ნიკოლაი ივანის ძე** (1888-1938) – რუსი რევოლუციონერი, პოლიტიკური მოღვაწე და პარტიის ლიდერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ცენტრალური კომიტეტის წევრი, ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს კანდიდატი, ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი, კოლექტივიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრული მოწინააღმდეგე.

**ბუხნიკაშვილი გრიგოლ (გუგული)** (1897-1979) – ქართველი დრამატურგი, მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი, საქართველოს და ამიერკავკასიის დრამატურგთა, კომპოზიტორთა და კინოსცენარისტთა საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის დამაარსებელი და მისი გამგეობის პირველი თავმჯდომარე, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი;

**ბლაჟა ხუბუტი** (1914-2000) – აფხაზი მწერალი, ენათმეცნიერი, კრიტიკოსი და ფოლკლორისტი, გაზეთის „აფსნი ყაფში“ რედაქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ამავე ინსტიტუტის ლიტერატურისა და ფოლკლორის განყოფილების გამგე.

**ბ**

**გაბაშვილი (თარხნიშვილი) ეკატერინე** (1851-1938) – ქართველი მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი. დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საბავშვო მწერლობის განვითარებაში. იყო ჟურნალის „ჯეჯილი“ გამოცემის ერთ-ერთი ორგანიზატორი და მისი აქტიური თანამშრომელი.

**გაბაშვილი ბესარიონ (ბესიკი)** (1750-1791) – ქართველი პოეტი და დიპლომატი, რამდენიმე პოემის: „ასპინძისათვის“ და „რუხის ომი“, სახოტბო ოდებისა და სხვადასხვა ტიპის გასართობი სიმღერებად ქცეული ლექსების ავტორი, მისი ლირიკული სატრფიალო ლექსებიდან აღსანიშნავია: „სევდის ბაღს შეველ“ და „ტანო-ტატანო“.

**გაბაშვილი გიორგი (გიგო) ივანეს ძე** (1862-1936) – ქართველი ქართველი ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი, ახალი ქართული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პიონერი ქართული ჟანრული და ბატალური მხატვრობისა, შექმნა მთელი სერია ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტებისა.

**გაბაშვილი იოსებ (სოსო)** (1908-1973) – ქართველი მხატვარი, გრაფიკოსი, ფერმწერი, თეატრის მხატვარი, პროფესორი და პედაგოგი. თანამშრომლობდა ჟურნალებთან „დილა“ და „პიონერი“. აკვარელის ტექნიკით შესრულებული აქვს სერია „საქართველოს ისტორიული ძეგლები“. დიდი ღვაწლი მიუძღვის საბავშვო წიგნის გრაფიკის განვითარებაში.

**გაბიჩვაძე რევაზ** (1913-1999) – ქართველი კომპოზიტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ავტორია კონცერტებისა ვიოლინოსა და სიმფონიური

ორკესტრისათვის, საგუნდო ნაწარმოებების, საესტრადო სიმღერების, მუსიკა დრამატული სპექტაკლებისა და კინოფილმებისათვის.

**გაბრიაძე ლევან** (1906 - 19??) – ქართველი პარტიული და სამეურნეო მოღვაწე, ქუთაისის რაიონული კომიტეტის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. გამოსცა ლიტერატურული აღმანახი „საფირონი“, რედაქტორობდა ცისფერყანწელთა. სალიტერატურო გაზეთს „ბახტრიონი“.

**გაბრუაშვილი დავით** (1869-1943) – ქართველი მუშა, მწერალი. მუშაობდა პარიკმახერად, თბილისის ბულვარში გახსნა საკუთარი სახელოსნო, პირველი კავკასიური პარიკმახერების „არტელი“. 1897 წელს მისი პირველი წერილი დაიბეჭდა გაზეთში „ცნობის ფურცელი“, 1901 წელს გამოვიდა ლექსების პირველი კრებული.

**გაბუნია არტემ** (1896-1940) – ქართველი ხელოვნების მუშაკი. აქტიურად მონაწილეობდა ბორჯომის მუზეუმის მოწყობაში. ეცნობოდა და აგროვებდა ხალხური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს, საქართველოში მოიძია და მუშაობა განაახლებინა ხალხური ხელოვნების სხვადასხვა დარგის ოსტატებს. მოაწყო ექსპერიმენტული სახელოსნო, შეადგინა „საქართველოს ხალხური შემოქმედების გამოფენის კატალოგი“.

**გაბუნია ნატალია (ნატო)** (1859-1910) – ქართველი მსახიობი, ქართული რეალისტური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. მოღვაწეობდა ქართული პროფესიული თეატრის სცენაზე. პარალელურად მონაწილეობდა მუშათა თეატრების სპექტაკლებში, სოფლად კი — მოედნებსა და კალოებზე გლეხობისათვის გამართულ წარმოდგენებში.

**გაგუა დიმიტრი** (1903 19??) – ქართველი რეჟისორი. სხვადასხვა წლებში რეჟისორად მუშაობდა თბილისის წითელ, სოხუმის, ქუთაისის ცხინვალის, ბორჯომისა და მარჯანიშვილის თეატრებში, დიქტორად და რეჟისორად საქართველოს რადიოკომიტეტში.

**გადილია ვასილ** (1872-19??) – ქართველი პუბლიცისტი, პოლიტიკოსი და წიგნის გამომცემელი. წერდა ფსევდონიმით „ვინ-განი“, სოციალ-დემოკრატიული გაზეთის “ჩვენი ცხოვრება” რედაქტორი, პატიმრობის დროს ციხეში დაბეჭდა კარლ მარქსის „ეკონომიური მოძღვრება“, ივანე გომართელის „ადამიანის ნება და ზნეობა“ და კრებული „ალიონი“.

**გავალევიჩი მარიან** (1852-1910) – პოლონელი მწერალი, პუბლიცისტი, თეატრალური მოღვაწე.

**გალაკტიონოვ სტეპან ფილიპის ძე** (1779-1854) – რუსი მხატვარი პეიზაჟისტი, გრავიორი, ლითოგრაფი, წიგნების ილუსტრატორი, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის პროფესორი, აკადემიკოსი.

**გალილეი გალილეო** (1564-1642) – იტალიელი ფიზიკოსი, ასტრონომი, სამეცნიერო რევოლუციის ფუძემდებელი, პოეტი, ფილოლოგი და კრიტიკოსი, თანამედროვე ფიზიკისა და ასტრონომიის მამა. მის მიღწევათა შორისაა ტელესკოპის გაუმჯობესება, რიგი ასტრონომიული დაკვირვებებისა, ნიუტონის პირველი და მეორე კანონები.

**გამბეტა ლეონ** (1838-1882) – ფრანგი სახელმწიფო მოხელე, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი. მან გამოაცხადა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა ჟიულ ფავრთან ერთად.

**გამეზარდაშილი დავით** (1920-1985) - ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ჟურნალისტიკის ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი.

**გამზარდია ონიფანტე (ონისე) ვასილის ძე (1872-19??)** – ქართველი პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, იმერეთის ეპარქიის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე.

**გამრეკელი ირაკლი (1894-1943)** – ქართველი მხატვარი, სცენოგრაფი, ქართული სათეატრო მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გააფორმა ქართველ ფუტურისტთა ჟურნალი „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“, მარჯანიშვილის მიწვევით მუშაობდა მხატვრად შოთა რუსთაველის სახელობისა და ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრებში, გაფორმებული აქვს სპექტაკლები: „ჰამლეტი“, „ანზორი“, „ლამარა“, „აბესალომ და ეთერი“.

**გამსახურდია ალექსანდრე ავქსენტის ძე (1907-1937)** – სოც-ფედერალისტების პარტიის წევრი, საქართველოს შინსახკომის მდივანი.

**გამსახურდია ალექსანდრე სიმონის ძე (1884 –193?)** – ქართველი რეპრესირებული აგრონომი, სამტერსტის მეხილეობის ინსპექტორი, კონსტანტინე გამსახურდიას ძმა,

**გამსახურდია კონსტანტინე (1891-1975)** – ქართველი მწერალი, პოეტი და მთარგმნელი. რედაქტორობდა პერიოდულ გამოცემებს: „პრომეთე“, „ლომისი“, „ილიონი“, „საქართველოს სამრევლო“, „ქართული სიტყვა“. წერდა ფსევდონიმით „კ. აბაშისპირელი“. ხელმძღვანელობდა მწერალთა „აკადემიურ ჯგუფს“, აქტიურად მონაწილეობდა ევროპაში ჩამოყალიბებული „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მუშაობაში. მუშაობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბერლინის საელჩოს ატაშედ.

**გამყრელიძე გიორგი (გუგული) (გრიგოლ ზოდელი) (1903-1075)** – ქართველი პოეტი, მწერალი, ჟურნალისტი. მუშაობდა ვაშინგტონის ბიბლიოთეკაში აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში, რადიოსადგურში „ამერიკის ხმა“ ქართულ განყოფილებაში. ნაყოფიერად თანამშრომლობდა უცხოეთში გამომავალ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებთან: „ბედი ქართლისა“, „თავისუფალი ტრიბუნა“, „კრებული“, საგანგებო აღნიშვნის ღირსია ედგარ პოს ლექსის "ყორანი" მისეული თარგმანი.

**გარიყული (თათეშვილი) მარიამ (1883-1960)** – ქართველი მწერალი და მსახიობი. მუშაობდა თბილისში სახალხო თეატრსა და გორის თეატრში, საბავშვო მოთხრობებს აქვეყნებდა ჟურნალებში „ჯეჯილი“ და „ნაკადული“.

**გარრიკი (ვაჩნაძე) ვახტანგ (1896-1937)** – ქართველი კრიტიკოსი, მთარგმნელი, რეჟისორი, პედაგოგი და პუბლიცისტი. მუშაობდა თბილისის მუშათა კლუბებში მსახიობად, პროლეტკულტურის სტუდიაში რეჟისორად, მოღვაწეობდა სოხუმის ქართულ და აფხაზურ თეატრებში. წერდა ფსევდონიმებით: „არმან დიუვალი“, „გვიდო ფერანტი“, „ფიგარო.“

**გასვიანი ლიდა (1901- 1937)** – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ბოლშევიკი ფემინისტი, კომუნისტური პარტიის წევრი, თბილისის საქალაქო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე. მუშაობდა ლონდონში საბჭოთა საელჩოში, მოსკოვში სხვადასხვა პარტიულ თანამდებობებზე. იყო საბჭოთა მწერალთა კავშირთან არსებული მთარგმნელთა სექციის თავმჯდომარე.

**გასტევ ალექსეი კაპიტონის ძე (1882-1939)** – რუსი პევილოციონერი, მწერალი და პოეტი, პროფესიული კავშირის მოღვაწე, შრომის სამეცნიერო საკავშირო ინსტიტუტის თეორიტიკოსი, პროლეტარული კულტურის ერთ-ერთი იდეოლოგი.

**გასტელო ნიკოლაი ფრანცის ძე (1907-1941)** – რუსი საბჭოთა მფრინავი, 42-ე საავიაციო პოლკის საავიაციო კორპუსის მეთაური, კაპიტანი, საბჭოთა კავშირის გმირი.



**გაუკ ალექსანდრ ვასილის ძე** (1893-1963) – რუსი დირიჟორი და კომპოზიტორი, რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი. მუშაობდა პეტროგრადის მუსიკალური დრამის თეატრში და ოპერისა და ბალეტის თეატრში, ხელმძღვანელობდა ლენინგრადის ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრს, მოსკოვის სახელმწიფო აკადემიურ-სიმფონიურ ორკესტრს, კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

**გაფრინდაშვილი ვალერიან ივანეს ძე** (1889-1941) – ქართველი სიმბოლისტი პოეტი, „ცისფერყანწელთა“ ორდენის დამარსებელი, რედაქტორობდა ჟურნალს „მეოცნებე ნიამორები“, თავმჯდომარეობდა მწერალთა კავშირის მთარგმნელობით სექციასა და გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას.

**გაჩეჩილაძე გივი** (1938-19??) – ქართველი კომპოზიტორი და მუსიკოსი. საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, საქართველოს საქართველოს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის „რერო“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს საესტრადო-სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი.

**გაჩეჩილაძე მიხეილ** (1876–1958) – ქართველი საზოგადო მოღვაწე და მეწარმე, სტამბის მეპატრონე. წერდა ფსევდონიმებით: „მ. ჯ.-ძე“ და „მანოელიძე“. საქართველოში მან შექმნა პირველად ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელი ქსელი, თანამშრომლობდა გაზეთებთან: „ცნობის ფურცელი“ და „ხალხი“, გამოსცა ლიტერატურულ-დრამატულ ნაწარმოებთა კრებული „ჩანგი“, მისი რედაქტორობით გამოდიოდა ყოველდღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული გამოცემა „დროშა“.

**გაჩეჩილაძე სიმონ** (1898-1980) – ქართველი მეცნიერი, მწერალი, ფილოლოგი. წერდა ფსევდონიმებით: „სიმონ წეველი“ და „მედუზა“. კითხულობდა ლექციებს საქართველოს კომუნისტურ უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თელავის, ცხინვალის და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. საქართველოს კომუნისტურ უნივერსიტეტსა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრებს.

**გაწერელია აკაკი** (1909-1994) – ქართველი მწერალი, ფილოლოგი და პედაგოგი, მუშაობდა სახელმწიფო გამომცემლობებში, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, თეატრალურ ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრას.

**გახოკიძე მიხეილის ლევანის ძე** (1909-1973) – ქართველი სამხედრო პირი, სამამულო ომის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი. თავი გამოიჩინა სევასტოპოლის დაცვისთვის წარმოებულ ბრძოლაში.

**გეგეჭკორი ვლადიმერ (ლადო)** (1888-1980) – ქართველი მუსიკოსი და მწერალი. ავტორია ლექსთა კრებულებისა, ავტორი წიგნებისა “ქართული ხალხური სიმღერების ოსტატები” და „სიმღერის მოამაგენი“, გამოვლინა და აღწერა ქართული ხალხური სიმღერის 80-მდე ოსტატი, სახალხო არტისტის გოგი გეგეჭკორის მამა.

**გედევანიშვილი იოსებ** (1872–1939) – ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, მწერალი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, გენერალი.

**გელიშვილი პეტრე** (1870–1938) – ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის



წევრი. იყო მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილე. მუშაობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალში.

**გელოვანი დესპინე დავითის ასული (1880-1934)** – ქართველი მწერალი და პუბლიცისტი, ქველმოქმედი. მისი მოთხრობები, ესკიზები, ეთნოგრაფიული წერილები და კორესპონდენციები იბეჭდებოდა 1898 წლიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „მრომა“, „მეგობარი“, „თემი“, „ამირანი“ და „სახალხო გაზეთი“. ავტორია საყოველთაოდ ცნობილი რომანისა „შორეული ლანდები“.

**გელოვანი მიხეილ (1893- 1956)** – ქართველი თეატრისა და კინოს მსახიობი და რეჟისორი. იყო ბაქოს ქართული თეატრის, მოსკოვის სამხატვრო თეატრის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთაველის თეატრის მსახიობი.

**გელოვანი რევაზ (მირზა) გედეონის ძე (1917-1944)** – ქართველი პოეტი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მუშაობდა გამომცემლობაში „ფედერაცია“, და გაზეთის „საბჭოთა აფხაზეთი“ რედაქციაში. მისი ლექსები 1935 წლიდან იბეჭდებოდა ჟურნალში „ჩვენი თაობა“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში. ავტორია ბალადისა „აონი“, პოემისა „შავნაბადა“ და მრავალი ემოციურობით და ექსპრესიულობით სავსე ლექსისა.

**გენჯიანი აკოფ (კარა-დარვიში) (1872-1930)** – სომეხი ფუტურისტი პოეტი.

**გეორგაძე (გიორგაძე) ვასილ (18??-18??)** – ქართველი მღვდელი, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში იმერეთში მომხდარ ამბოხების აქტიური მონაწილე, სასჯელის მოსახდელად ვლადიმირის გუბერნიის სუზდალის სპსო-ევფიმის მონასტერში გაიგზავნა, საიდანაც 1834 წელს გადაიყვანეს ნოვგოროდის ეპარქიაში, ფილოპოირაპის უდაბნოში.

**გერგესელი (კვერნაძე) ნიკოლოზ (კოლია) ნიკოლოზის ძე (1893–1924)** – ქართველი დრამატურგი, მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე.

**გერმესაშვილი ვლადიმერ (ლადო) (1901-1953)** – ქართველი საოპერო მომღერალი, ლირიკული ტენორი. გამოდიოდა მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. 1937 წელს მონაწილეობდა მოსკოვში ქართული ხელოვნების I დეკადაზე. იყო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და საქართველოს რადიოს სოლისტი.

**გერსამია სერგო (1892 – 1968)** — ქართველი ხელოვნების მუშაკი, თეატრმცოდნე. იყო გაზეთის „ჩვენი ერი“ რედაქტორ-გამომცემელი, მუშაობდა საქართველოს თეატრალურ მუზეუმში.

**გეწაძე აკაკი (1923-200)** – ქართველი მწერალი, მუშაობდა გაზეთის, „კომუნისტი“ საკუთარ კორესპონდენტად რაჭა-ლეჩხუმში, გაზეთის „თბილისი“ ლიტმუშაკად, მწერალთა კავშირის პროზის სექციის მდივნად და დრამის სექციის ბიუროს მდივნად. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1940 წელს, პირველი პოეტური კრებული „ჩემი ასული“ - 1953 წელს.

**გებტმანი გიორგი ნიკოლოზის ძე (1870-1956)** – ქართველი ეკონომ-გეოგრაფი. გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკურ-გეოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში.

**გვაზავა გიორგი (1869-1941)** – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, ადვოკატი. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და პუბლიცისტურ მოღვაწეობას, მისი რედაქტორობით დაფუძნდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების რუსულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „Грузинская мысль“.

**გვაზავა დავით** (1902-1937) – ქართველი პოლიტიკური და პარტიული მოღვაწე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კულტპროპაგანდის დარგში, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორის მოადგილე და პასუხისმგებელი რედაქტორი, ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე.

**გვათუა გიორგი (გიგო) კონსტანტინეს ძე** ( 1829 -1919) ქართველი გენერალი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, ყირიმისა და კავკასიის ომების მონაწილე. მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო წმინდა ანას, წმინდა სტანისლავის და წმინდა ვლადიმირის ორდენებით და ოქროს იარაღით.

**გვათუა ლეონიდე** (1913-1969) – ქართველი ინჟინერი და მეცნიერი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომისა და გამოგონების ავტორი, ტრესტის „სოხუმშენი“ და საქართველოს მშენებლობის სამინისტროს N6 სამშენებლო ტრესტის მმართველი, აფხაზეთის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საშენ მასალათა კომბინატის დირექტორი.

**გვანცელაძე იოსებ** (1885-1943) – ქართველი პოეტი და მხატვარი, პეიზაჟისტი, წერდა ფსევდონიმით „ქნარი“. მუშაობდა გაზეთში „თეატრი და ცხოვრება“ და სხვა პერიოდულ გამოცემაში აქვეყნებდა ლირიკულ ლექსებს, შექმნილი აქვს 400-ზე მეტი ნახატი.

**გვარამია პეტრე (ტუტკუ) იოსების ძე** (1885 –1924) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი, გამომცემელი.

**გვასალია მოსე** (1910 -1985) – ქართველი საბჭოთა მწერალი. პირველი მოთხრობების კრებული „ჩამქრალი კერა“ გამოაქვეყნა 1931 წელს.

**გველესიანი ალექსანდრე** (19??-1943) – ქართველი დირიჟორი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, საქართველოს სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

**გველესიანი გრიგოლ** (1870–1926) – ქართველი პოლიტიკოსი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

**გველესიანი დავით** (1890-1949) – ქართველი მხატვარი და პედაგოგი, ხატავდა თბილისის ძველ უბნებს. ავტორია ფანქრით დახატული სურათების სერიისა „ძველი თბილისი“.

**გვეტაძე ვასილ** (1920-2016) – ქართველი პოეტი, პირველი წიგნი სახელწოდებით „პირველი სიმღერა“ გამოაქვეყნა 1956 წელს. 1984 წლიდან მუშაობდა ჟურნალის „დროშა“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ.

**გვეტაძე რაჟდენ მათეს ძე** (1897-1952) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი. 1913 წელს გამოქვეყნდა მისი ლექსები, ხოლო 1915 წელს პირველი წიგნი „მთვარის ზღაპარი“. ავტორია ცნობილი რომანებისა: „თეო“ და „ჭიაკოკონა“.

**გვინჩიძე ივანე** (1909-1974) – ქართველი მსახიობი. მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი და თეატრის დირექტორი.

**გვრიტიშვილი დავით** (1915-1969) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში, იყო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი. იკვლევდა საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის ისტორიის საკითხები.

**გიგინეიშვილი (მგელაძე) საფო** (1936–1936) – ქართველი მწერალი და პოეტი. თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან. გალაკტიონ ტაბიძის სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავს უძღვნა ლექსი „გალაქტიონ ტაბიძეს“ („თუ წინად თეთრი გედი...“).

**გიგინეიშვილი ივანე** (1909-1982) – ქართველი ენათმეცნიერი, მეცნიერი და პედაგოგი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ჟურნალის „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ქართული ენციკლოპედიის სატრანსკრიფციო ჯგუფის ხელმძღვანელი.

**გიდონი ალექსანდრ** (1885-1943) – ხელოვნებათმცოდნე, კრიტიკოსი, დრამატურგი.

**გილიაროვსკი ვლადიმირ ალექსეის ძე** (1855-1935) – რუსი საბჭოთა პოეტი, მწერალი, ფელეტონისტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, მსახიობი, ლიტერატურათმცოდნე და ჟურნალისტი. წერდა ფსევდონიმებით: „დრუჟა“ „ძიამია გილიაი“, თანამშრომლობდა გაზეთებთან „რუსსკაია გაზეტა“ და „მოსკოვსკი ლისტოკ“, ჟურნალებთან: „ბუდილნიკ“ და „რუსსკაია მისლ“.

**გიორგაძე გრიგოლ გიორგის ძე** (1927-2005) – ქართველი ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ენციკლოპედიის რედაქციის ძველი ისტორიისა და რელიგიის სამეცნიერო-საკონსულტაციო სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

**გიუსმანი შარლ ჟორჟ მარი** (1848-1907) – ფრანგი სიმბოლისტი პოეტი, მწერალი, ხელოვნებათმცოდნე და სახელმწიფო მოხელე, გონკურის აკადემიის პირველი პრეზიდენტი. 1952 წელს მიენიჭა პრემია, როგორც საუკუნის საუკეთესო რომანების ავტორს.

**გობერია მელიტონ** (1878-1914) – ქართველი მწერალი მთარგმნელი და პუბლიცისტი. იყო გაზეთის „ცნობის ფურცელი“ კორესპონდენტი ზუგდიდის მაზრაში. მოღვაწეობდა გაზეთში „სახალხო გაზეთი“. ავტორია ლექსების კრებულებისა „ჰანგები“ და „პარიზის სონეტები“.

**გობრონიძე ევტიხი გიორგის ძე** (1903-1988) – ქართველი ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე საქართველოს დამსახურებული ექიმი.

**გოგებაშვილი იაკობ** (1840–1912) – ქართველი საბავშვო მწერალი, პედაგოგი, პუბლიცისტი, ქველმოქმედი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებასა და საქმიანობაში. მან მთელი თავისი ქონება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა.

**გოგიაშვილი შალვა (კარმელი)** (1899-1913) – ქართველი პოეტი და მწერალი. ცისფერყანწელთა ორდენის წევრი, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: „საქართველო“, „სამშობლო“, „მეოცნებე ნიამორები“, „ბარიკადი“, „რუბიკონი“. 1921 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნი "ბაბილონი". გარაცვალების გამო გამოუცემელი დარჩა ორი ახალი კრებული: „აპოკალიფსის ცხენები" და „თეთრი გიორგი“.

**გოგობერიძე მოსე** (1897-1949) – ქართველი მეცნიერი და ფილოსოფოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელი, პროფესორი, ბუნების დიალექტიკის კათედრის გამგე, ფილოსოფიის კათედრის გამგე. იკვლევდა ქართული ფილოსოფიის, ზოგადი ფილოსოფიის, მარქსისტული ფილოსოფიისა და ისტორიის საკითხებს.

**გოგიჩაძე გიორგი მიხეილის ძე** (1908–1988) – ქართველი საბჭოთა საოპერო მომღერალი, პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი, მოსკოვის რადიოკომიტეტის მხატვრული დასის, ფილარმონიისა და დიდი თეატრის საოპერო სტუდიის სოლისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი.

**გოგოლაშვილი ვახტანგ** (1932-2011) – ქართველი მწერალი, დრამატურგი და მთარგმნელი. იყო თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო-სალიტერატურო სამმართველოს უფროსი.

**გოგოლი ნიკალაი ვასილის ძე** (1809-1852) – უკრაინელი წარმომავლობის რუსი მწერალი და პოეტი, რუსული რეალიზმის მამა. საყოველთაოდ ცნობილია მისი პიესები: „რევიზორი“ და „მკვდარი სულები“.

**გოგობია რაჟდენ (რაუდ)** (1???-19??) – ქართველი სიმბოლისტი პოეტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სენაკის განყოფილების ნამდვილი წევრი. პოეტური კრებულისა „ზამთრის ჩუქურთმა“.

**გოეთე ვოლფანგ იოჰან** (1749-1832) – გერმანელი მწერალი, მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე, ვაიმარის სასახლის მინისტრი. მისი საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებებია: „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, „ფაუსტი“ და დრამა „გეც ფონ ბერლიხინგენი“.

**გოკიელი ივანე (ვანო) რაფიელის ძე** (1899 – 1972) – ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს რადიოკომიტეტის მუსიკალურ გადაცემათა მთავარი რედაქტორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, თბილისის კონსერვატორიის დირექტორი, თბილისში სიმფონიური ორკესტრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**გოლდონი კარლ** (1707-1793) – იტალიელი დრამატურგი და თეატრის რეფორმატორი. იტალიური რეალისტური კომედიის ფუძემდებელი. წერდა კომედიებს, ტრაგიკომედიებს, ინტერმედიებს, ლიბრეტოებს, სცენარებს, ლექსებს. საინტერესოა გოლდონის ქართულ თემაზე დაწერილი პიესა „მშვენიერი ქართველი ქალი“, რომელიც დაიდგა თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში 1981 წელს.

**გოლენიშჩევ-კუტუზოვი მიხაილ ილარიონის ძე** (1745-1813) – რუსი ფელდმარშალი, 1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის მონაწილე, 1812 წლის რუსეთის სამამულო ომის გმირი, რომელმაც რუსეთი ნაპოლეონის დაპყრობისგან იხსნა.

**გოლოვენჩენკო ფიოდორ მიხეილის ძე** (1899-19??) - რუსი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის, დოქტორი, პროფესორი და საზოგადო მოღვაწე.

**გოლცევი ვიკტორ** (1901-1955) – რუსი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ჟურნალის “დრუჟბა ნაროდოვ” რედაქტორი, ქართული ლიტერატურის კარგი მცოდნე და პოპულარიზატორი. ავტორია რამდენიმე წიგნისა და 50–ზე მეტი სტატიისა ქართული ლიტერატურის შესახებ. მანვე შეადგინა ანთოლოგია „ქართული პოეზია“ რუსულ ენაზე.

**გომართელი ივანე გედეონის ძე** (1876–1938) – ქართველი ექიმი, მწერალი და პუბლიცისტი.

**გომელაური ივანე** (1867-1951) – ქართველი მწერალი და პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. კითხულობდა ლექციებს თბილისის კუმკინის სახელობის (ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანი) სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან, აღსანიშნავია მისი სახელმძღვანელო „სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები“.

**გომიაშვილი ალექსანდრე** (1911-1997) – ქართველი პოეტი, ჟურნალის „მნათობი“ პოეზიის განყოფილების გამგე, საქართველოს ლიტერატურული ფონდის დირექტორი, გამომცემლობის

„ცოდნა“ დირექტორი, წიგნის პალატის დირექტორი. 1929 წელს ჟურნალში “ქართული მწერლობა” გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „მთის ბალადა”.

**გორბაჩევ გიორგი ეფიმის ძე** (1897-1937) რუსი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე და ლიტერატურის კრიტიკოსი. კითხულობდა ლექციებს წითელი არმიის სამხედრო-პოლიტიკურ ინსტიტუტში.

**გორგანელი ვახტანგ** (1921-1996) – ქართველი პოეტი. 1947 წელს გამოაქვეყნა პირველი წიგნი „სიცოცხლის ტალღები”. მისი კრებულებიდან აღსანიშნავია: „გზა მთებში” „მთელი გულით” „გზები და მწვერვალები”. ავტორია ასევე საბავშვო ლექსების კრებულებისა.

**გორგაძე ვასილ (ვასო)** (1895–1973) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი. წერდა ფსევდონიმებით: „ცოტნე დადიანი“ და „ვან-გოგი“. 1921 წელს ქუთაისში, ნიკოლორთქიფანიძესთან, დია ჩიანელთან, ჯაჯუ ჯორჯიკიასთან და სანდრო ცირეკიძესთან ერთად დააარსა მწერალთა სახლი, ჩამოაყალიბა საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება, დააარსა ჟურნალი „უქიმერიონი“, იყო ჟურნალის „მნათობი“ სამხატვრო-სალიტერატურო ნაწილის გამგე.

**გორგაძე სერგი რომანოზის ძე** (1876-1929) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ენათმეცნიერი, ისტორიკოსი და პედაგოგი, ქართული ვერსიფიკაციის პირველი სისტემური კურსისა „ქართული ლექსი” ავტორი, ქართული ლიტერატურის ქრესტომათიების: „ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია”, „ჩვენი ახალი მწერლობა” შემდგენელი.

**გორდუზიანი ბენიამინ (ბენო)** (1894-1975) – ქართველი მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე. საქართველოს ფუტურისტული მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გამომცემლობაში "სახელმწიფო გამომცემლობა" მუშაობდა საქმეთა მმართველად, მხატვარ-რედაქტორად, მთავარ მხატვრად, სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგედ.

**გორდელაძე კონსტანტინე (კოტე) გიორგის ძე** (1900-1937) – ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსი.

**გორდონი ზორის მოსეს ძე** (1896-1937) – რუსი პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე, სახელმწიფო უშიშროების უფროსი მაიორი.

**გოროდეცკი სერგეი მიტროფანეს ძე** (1884-1967) – რუსი საბჭოთა პოეტი, მთარგმნელი და პედაგოგი. 1907 წელს დაიბეჭდა მისი წიგნები „იარ”( Яре) და „ველური ნება” თანამშრომლობდა ჟურნალთან „პრობუჟდენიე”. მწერალ მიტროფან გოროდეცკის ვაჟი.

**გოტიე თეოფილ ჟული პიერ** (1811-1872) – ფრანგი პოეტი, დრამატურგი, ნოველისტი, ჟურნალისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი.

**გოტლიბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენი** (1715-1773) – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. მსახურობდა საქსონიის, ნიდერლანდების, პრუსიისა და რუსეთის არმიებში. 1770 წელს საქართველოში ყოფნისას ტოტლებენი თავისი თვითნებური ქმედებებით უპირისპირდებოდა ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე II-ს და საქართველოს ინტერესებს, რის გამოც რუსეთის მთავრობა იძულებული გახდა იგი გაეწვია.

**გოცირიძე არკადი** (1890-1954) – ქართველი ექიმი, ფსიქიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის ფუნქციურ ნერვულ დაავადებათა ინსტიტუტის დირექტორი, ხელმძღვანელობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის

კათედრას, იკვლევდა ბავშვთა ფსიქიატრიის საკითხებს, ნერვოზებს, ფუნქციურ ნერვულ დაავადებებს, შეიმუშავა მკურნალობის მეთოდი, რომელიც „გოცირიძის სიმპტომის“ სახელითაა შესული ფსიქიატრიულ ენციკლოპედიაში.

**გოცირიძე მიხეილ გერასიმეს ძე** (1901-1975) – ქართველი სცენოგრაფი, კინოს მხატვარი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ დამდგმელი მხატვარი, თბილისის თეატრების მხატვარი. გააფორმა სხვადასხვა სპექტაკლი თბილისის მუსიკალურ თეატრსა და მოზარდ მატურებელთა თეატრებში, მუშაობდა დაზღურ ფერწერას და გრაფიკაში.

**გომიაშვილი ვასილ (ვასო)** (1905-1976) – ქართველი მსახიობი, ესტრადის მსახიობთა I საკავშირო კონკურსის ლაურეატი, შოთა რუსთაველისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მსახიობი. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში.

**გრანელი (კვირკველია) ტერენტი სიმონის ძე** (1897-1934) – ქართველი პოეტი. მუშაობდა სხვადასხვა გაზეთის რედაქციებში, 1927 წელს გამოსცა ერთჯერადი გაზეთი „ტერენტი გრანელი“. 1926 წელს გამოსცა ლექსების უკანასკნელი კრებული.

**გრანელი (კვირკველია) ტერენტი სიმონის ძე** (1897-1934) – ქართველი პოეტი. მუშაობდა გაზეთების რედაქციებში, 1927 წელს გამოსცა ერთჯერადი გაზეთი „ტერენტი გრანელი“. 1926 წელს გამოსცა ლექსების უკანასკნელი კრებული.

**გრაფ ოსკარ მარია** (1894-1967) – გერმანელი, ბავარიელი მწერალი, პაციფისტი, ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის აქტიური მხარდამჭერი, მემარცხენე სოციალისტი, მონაწილეობდა საბჭოთა მწერლების საკავშირო პირველ ყრილობაში.

**გრებანი არნულ** (1420-1471) - ფრანგი ხელოვნების მაგისტრი და თეოლოგიის ბაკალავრი, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ორღანისტი, ავტორი სიმღერის მუსიკისა „Mystère de la Passion“.

**გრებენშჩიკოვი გიორგი დიმიტრის ძე** (1883-1964) – რუსი მწერალი, კრიტიკოსი, ჟურნალისტი და სახელმწიფო მოღვაწე. 1924 წლიდან ცხოვრობდა ემიგრაციაში ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**გრიბაჩოვ ნიკალაი მატვეის ძე** (1910-1992) – რუსი საბჭოთა მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე, სამამულო ომში მონაწილეობდა დონისა და სტალინგრადისათვის ბრძოლებში, მუშაობდა ჟურნალისტად გაზეთში „კრასნაია კარელია“, პირველი კრებული „ ევერო-ზაპად“ გამოაქვეყნა 1935 წელს. იყო ჟურნალის „სოვეტსკი სოიუზ“ რედაქტორი.

**გრიბოედოვი ალექსანდრ** (1795-1829) – რუსი პოეტი და დიპლომატი. რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილის ნინოს მეუღლე. მის სახელთანაა დაკავშირებული გაზეთის „ტიფლისსკიე ვედომოსტი“ გამოცემა, სამაზრო სკოლების გახსნა, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დაარსების ცდა და „კომერციული ბანკის“ დაარსება.

**გრიგოლია ვლადიმერ (ლადო)** (1903-1977) – ქართველი მოქანდაკე და მხატვარი, გრფიკოსი. შექმნა შრიფტის მრავალი გარნიტურა და წიგნის სამკაულები, რომლებიც ძველქართულ ხელნაწერებსა და ნაბეჭდი წიგნების დეკორის მასალას დააფუძნა, მისი ნაშრომი „კონსტრუქციული და აკადემიური შრიფტი“ დაედო საფუძლად სამხატვრო აკადემიაში შრიფტის სწავლების დისციპლინას.

**გრიგორიანი კამსარ** (1911-2004) – სომეხი ლიტარატურათმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

**გრინბერგ იოსიფ ლვოვის ძე** ( 1916-1940) – უკრაინელი სამხედრო მოღვაწე.



**გრიშაშვილი იოსებ გრიგოლის ძე** (1889–1965) – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

**გუბერმან მინეი იზრაილის ძე (იაროსლავსკი ემელიან მიხაილის ძე)** (1878-1943) – ებრაული წარმომავლობის რუსი რევოლუციონერი, სახელმწიფო და პარტიული მუშაკი, საბჭოთა კავშირის ანტირელიგიური პოლიტიკის იდეოლოგი და ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**გუბერმანი ბრონისლავ** (1882-1947) – ებრაელი ვირტუოზი მევიოლინე, მოაზროვნე და ისრაელის ფილარმონიის ორკესტრის დამაარსებელი, შოპენის მაზურკებისა და ვალსების, ბახის „Чакона“, ბეთხოვენის „კრეისლერის სონატა“, მენდელსონის და ბრამსის ნაწარმოებების არანჟირების ავტორი,

**გუგუშვილი პაატა** (1905-1987) – ქართველი ეკონომისტი, მეცნიერი და პედაგოგი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს სახალხო მეურნეობის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სოციოლოგიის ლექციათა კურსებს, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და მისი ეკონომიკური სექციის თავჯდომარე, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის რჩეული ნაწერების თხზულებათა 12 ტომეულის რედკოლეგიის წევრი.

**გუდიაშვილი ლადო** (1896-1980) – ქართველი სახალხო მხატვარი და პედაგოგი. მონაწილეობდა 1919 წელს რესტორანის „ქიპერიონი“ მოხატვაში. თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა მონუმენტურ-დეკორატიულ მხატვრობას.

**გულია დიმიტრი** (1874-1960) – აფხაზი მწერალი და პოეტი, პირველი აფხაზური გაზეთის „აფსნი“ რედაქტორი, ჩამოაყალიბა პირველი აფხაზური თეატრალური დასი, კ. მაჭავარიანთან ერთად რუსული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აფხაზური ანბანი, 1910 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი წიგნი, ავტორია რამდენიმე ათეული ლიტერატურული და სამეცნიერო ნაშრომისა.

**გუმბელესკი ლევ ივანის ძე** (1890-1976) – რუსი საბჭოთა მწერალი და რედაქტორი, საბავშვო და სამაწვილო სამეცნიერო-მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებელი რუსეთში, პირველი ლექსი დაბეჭდა 1910 წელს, ავტორია რომანისა „თეთრი მიწები“.

**გუმბელი ნიკოლაი სტეპანეს ძე** (1886-1921) – რუსი პოეტი, მწერალი, აკადემიზმის სკოლის ფუძემდებელი, ოფიცერი, მთარგმნელი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მოგზაური-მკვლევარი. საფუძვლიანად შეისწავლა ფრანგული ლიტერატურა; თარგმნიდა ინგლისურ და ფრანგულ პოეზიას.

**გუნია ავთანდილ** (1912-1997) – ქართველი ეკონომისტი და მეცნიერი, პარტიული მუშაკი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, საქართველოს კულტურის მინისტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი.

**გუნია ვალერიან** (1862 – 1938) – ქართველი დრამატურგი, მსახიობი, პედაგოგი, რეჟისორი, კრიტიკოსი. მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართულ თეატრში რეალისტური მიმართულების დამკვიდრებასა და ქართველ პროფესიონალ მსახიობთა აღზრდის საქმეში. რედაქტორობდა პერიოდულ გამოცემებს, მათ შორის – ჟურნალ „თეატრს“, დააარსა გაზეთი „ცნობის ფურცელი“, იუმორისტული ჟურნალი „ნიშადური“. 1888 წელს გამოსცა „საქართველოს კალენდარი“.

**გურამიშვილი დავით** (1715-1792) – ქართველი მწერალი და სამხედრო პირი, ვახტანგ მეექვსის ჯაბადარბაში, ლეკთა ტყვეობიდან თავის დახსნის შემდეგ მსახურობდა ქართველ და უკრაინელ ჰუსართა პოლკებში, მონაწილეობდა ოსმალეთის, შვეციისა და პრუსიის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობებში, მისმა პოეტურმა მემკვიდრეობამ ერთადერთმა კრებულმა „დავითიანი“ მხოლოდ ავტოგრაფის სახით მოაღწია ჩვენამდე.

**გურგენიძე ვახტანგ** (19??-19??) – ქართველი აღმოსავლეთმცოდნე, ლიტერატორი და პედაგოგი. ხელმძღვანელობდა საკუთარი ინიციატივით დაარსებულ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების არქივს.

**გურეშიძე ნოდარ** (1927-2004) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, მწერალთა კავშირის ლიტერატურული ფონდის დირექტორი, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე. 1946 წლიდან აქვეყნებდა ლექსებს, ავტორია პოეტური კრებულებისა: „ჩემი გაზაფხული“ და „მინ და გარეთ“.

**გურიელი მამია** (1836-1891) – ქართველი პოეტი, ასზე მეტი ლექსის, ერთი პოემისა და რამდენიმე თარგმანის ავტორი. წერდა ფსევდონიმით „ფაზელი“. მისი ყველაზე ცნობილი ლექსია „ადამიანი“.

**გურო ელენე** (1977-1913) – რუსი პოეტი, პროზაიკოსი და მხატვარი

**გურჯიძე არჩილ** (1915-1974) – ქართველი პოეტი. მუშაობდა ალექსანდრე წულუკიძის სახლმუზეუმის დირექტორად, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების გამგედ. იყო ჟურნალის „რიონი“ სარედაქციო კოლეგიის მუდმივი წევრი, გამომცემლობის „საბჭოთა საქართველო“ ქუთაისის ფილიალის რედაქტორი.

**გუსევ-ორენბურგსკი სერგეი ივანის ძე** (11867-1963) – რუსი სასულიერო პირი და მწერალი. რევოლუციამდელი რუსეთის პოპულარული მწერალი. 1904 წელს დაწერა თავისი საუკეთესო ნაწარმოები მოგონება „მამების ქვეყანაში“. ამერიკაში ემიგრაციისას 1924-1925 წლებში ხელმძღვანელობდა ჟურნალს „Жизнь“.

**გუბიი ნიკალაი კალენიკეს ძე** (1887-1965) – რუსი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის ისტორიკოსი და პედაგოგი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**გუჯეჯიანი ნიკოლოზ** (19??19??) – ქართველი პარტიული მუშაკი, მესტიის რაიონული პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

## დ

**და ვინჩი ლეონარდო** (1452-1519) – აღორძინების ხანის იტალიელი არქიტექტორი, მათემატიკოსი, მუსიკოსი, გამომგონებელი, ანატომი, მოქანდაკე, მუსიკოსი, მწერალი, მხატვარი და კარტოგრაფი.

**დაბლიშვილი იეთიმ იბრაიმის ძე (იეთიმ გურჯი)** (1875-1940) – ქართველი სახალხო მელექსე და ლოტბარი, ძველი თბილისის აშუღური პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი. თხზავდა ლექსებს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მისი პირველი წიგნი პოემა „ანაბაჯის ლექსი“ 1909 წელს გამოიცა.

**დადვაძე პავლე** (1887-1938) – ქართველი რეპრესირებული მთარგმნელი, პედაგოგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი,



კოტე მარჯანიშვილთან ერთად რუსული თეატრის დამაარსებელი. თანამშრომლობდა გაზეთებთან: „დროება“, „ჩვენი საქმე“ და „ზარია ვოსტოკა“, ჟურნალთან „თეატრი და ცხოვრება“, მუშაობდა ლექტორად კომუნისტურ უნივერსიტეტში გაზეთის მუშაკთა მოსამზადებელ განყოფილებაში. წერდა ფსევდონიმებით: „დონ“ „პ. თედოსიშვილი და „პარ-დონი“.

**დავადმე პეტრე** (1880-1918) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი და პუბლიცისტი, ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ ერთ-ერთი დამაარსებელი. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა მისი კრიტიკული წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი. რამდენიმე წერილი "დროებაში" გამოაქვეყნა (ოსკარ უაილდის შესახებ-კამათი გრიგოლ რობაქიძესთან). პავლე დავაძის ძმა, წერდა ფსევდონიმებით: „პეტრე დ“ და „ცვარი“.

**დადიანი ნიკოლოზ ტარიელის ძე** (1844-1896) – ქართველი მწერალი, ისტორიკოსი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი, მწერალ შალვა დადიანის მამა.

**დადიანი შალვა ნიკოლოზის ძე** (1874–1959) – ქართველი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი.

**დავიდოვ დენის ბასილის ძე** (1784- 1839) – რუსი პოეტი, ჰუსარული პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, მემუარისრი, გენერალ-ლეიტენანტი, 1812 წლის რუსეთ-საფრანგეთის ომის პარტიზანული მოძრაობის მეთაური.

**დავიდოვ დიმიტრი პავლეს ძე** (1811-1888) – რუსი პოეტი, ეთნოგრაფი და მასწავლებელი, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი, პოეტ დენის დავიდოვის ნათესავი.

**დავიდოვა ვერა ალექსანდრეს ასული** (1906-1993) – საბჭოთა საოპერო მომღერალი, მეცნოსოპრანო, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტი, მისი დებიუტი შედგა ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1929 ვაგნერის ოპერაში „პარსიფალი“. მღეროდა მოსკოვის დიდი თეატრისა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრების სცენებზე.

**დავითაშვილი გიორგი** (1893-1966) – ქართველი თეატრისა და კინოს მსახიობი, მუშაობდა ტაგანროგის თეატრში, თბილისის გრიბოედოვის თეატრში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში, მის მიერ შესრულებული როლების რიცხვი ოთხმოცს აღემატება.

**დავითაშვილი მიხეილ** (1914-1991) – ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. მუშაობდა გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ, გაზეთის „სოფლის ცხოვრება“ რედაქტორად, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობა“ მთავარ რედაქტორად.

**დავითაშვილი ნინო** (1882-1958) – ქართველი მსახიობი. მისი დებიუტი შედგა ავჭალის აუდიტორიასთან არსებულ მუშა-ხელოსანთა თეატრის სცენაზე, სხვადასხვა დროს თამაშობდა თბილისისა და ქუთაისის თეატრებში. რუსთაველის თეატრში შესრულებული აქვს ორასზე მეტი როლი.

**დათეშიძე რაჟდენ** (18??–1926) – ქართველი მეწარმე და ქველმოქმედი. საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას ოჯახში შემონახული ოქროსა და ვერცხლის ძველი მონეტები, XVII საუკუნით დათარიღებული „ვეფხისტყაოსანი“ და იშვიათი სურათების კოლექცია გადასცა, ფინანსური კრიზისის გამო დახურვას გადაარჩინა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, 1919 წელს გამოსცა გალაქტიონ ტაბიძის ლექსების კრებული „არტისტული ყვავილები“.

**დანელია სერგი** (1888-1963) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, პედაგოგი, ფილოსოფოსი, ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული

ლიტერატურის ისტორიის კათედრას, კითხულობდა ისტორიის კურსს, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრაზე ფილოსოფიის დისციპლინათა მასწავლებლად.

**დანილოვსკი ავგუსტ (გუსტავ) (1871-1927)** – პოლონელი პროზაიკოსი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე.

**დარასელია ივანე (დარასელი ვანიონ) (1909-1954)** – ქართველი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ბელეტრისტი, ჟურნალისტი. 1934 წელს გამოაქვეყნა პირველი კრებული „ჩემი ტყვია და ჩემი ლექსები“. ავტორია რომანისა „ჩემი შვილი“. მისი პოემა „კიკვიძე“ იდგმებოდა რუსთაველისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრების სცენებზე.

**დარბინიანი მატეოს კარაპეტის ძე (1889-1937)** – სომეხი მწერალი, ფელეტონისტი, დრამატურგი და პოეტი, სწავლობდა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მონაწილეობდა პროლეტარ მწერალთა გაერთიანების დაარსებაში.

**დარვინი ჩარლზ რობერტ (1809-1882)** – ინგლისელი ბუნებისმეტყველი და მოგზაური, რომელმაც შექმნა მოძღვრება ბუნებრივი გადარჩევის გზით ორგანიზმთა წარმოშობისა და განვითარების შესახებ. მოგზაურობის დროს ჩატარებული ბოტანიკური, ზოოლოგიური, პალეონტოლოგიური, ანთროპოლოგიური და გეოლოგიური დაკვირვებების შედეგები გამოაქვეყნა წიგნში „ძიებათა დღიური“.

**დარჩიაშვილი ვლადიმერ (1872-1916)** – ქართველი პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი და პუბლიცისტი, სამართლისა და ეკონომიკის დოქტორი. აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთთან „კვალი, იყო სოციალ-დემოკრატიული გაზეთების: „სხივი“ და „სამართლის“ ფაქტობრივი რედაქტორი, გამოსცა ჟურნალი „ალიონი“.

**დე ვინი ალფრედ (1797-1863)** - ფრანგი რომანტიკოსი მწერალი და პოეტი, დრამატურგიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, მისი საუკეთესო დრამატული ნაწარმოები იყო ფსიქოლოგიური დრამა „ჩატერტონი“, ჟურნალში „La Muse Française“, 1823-1824 წლებში გამოაქვეყნა პოემა „Dolorida“, ბაირონის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ლექსები „Sur la mort de Byron“ და სტატია „Брюгере де Корюме“.

**დე პარედის ვისენტე გარსია (1845–1903)** – ესპანელი მხატვარი. 1879 წელს მოაწყო პირველი გამოფენა. პოპულარობა მოუტანა ლუდოვიკო XV-ის პერიოდის არისტოკრატების ცხოვრების ამსახველმა ტილოებმა. მისი ნამუშევრების რეპროდუქციები იბეჭდებოდა ხელოვნების ალბომებსა და ფრანგულ მოდურ ჟურნალებში.

**დედაბრიშვილი (არაგვისპირელი) შიო (1867-1926)** – ქართველი მწერალი და ვეტერინარი, ქართველ სტუდენტებთან ერთად ვარშავაში დააარსა „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“, მან შემოიტანა და დაამკვიდრა პროზაული ჟანრის მცირე ფორმები - ფსიქოლოგიური ნოველა, ეტიუდი, ესკიზი, სურათი. მისი შემოქმედებიდან საყურადღებოა მისი რომანი „გაბზარული გული“.

**დეევი არკადი დიმიტრის ძე (1898-1981)** – საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი, აღმანახის „დრუჟბა ნაროდოვ“ ნაციონალური კომისიის ლიტერატურული კონსულტანტი.

**დევდარიანი გაიოზ (1901-1937)** – ქართველი პოლიტიკოსი და თანამდებობის პირი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე. მუშაობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

**დევდარიანი სეით** (1879-1937) – ქართველი რეპრესირებული პოლიტიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, სოციალ–დემოკრატიული პარტიის წევრი.

**დემეტრაძე დავით** (1904-1936) – ქართველი საბჭოთა რეპრესირებული მწერალი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი.

**დემეტრაძე კონსტანტინე** (1904-1936) – ქართველი რეპრესირებული პოლიტიკური მოღვაწე, ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე.

**დემეტრაძე შალვა ივანეს ძე** (1907-1971) – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, მუშაობდა გაზეთში „კომუნისტი“, მოღვაწეობდა გამომცემლობებში: „საბჭოთა მწერალი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „მერანი“. შეადგინა და გამოსცა ტიცინ ტაბიძისა და პაოლო იაშვილის კრებულები.

**დემურია ივანე ვასილის ძე** (1888-1958) – ქართველი რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბათუმის განყოფილების წევრი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების სამკურნალო სანიტარული სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მუშაკი. მუშაობდა თერაპიული განყოფილების ორდინატორად და ტუბერკულოზური განყოფილების გამგედ.

**დერჟავინ გავრილ რომანის ძე** (1743-1716) – რუსი პოეტი და სახელმწიფო მოხელე, სენატორი, საიდუმლო საქმეთა განყოფილების თანამშრომელი, რუსეთის იმპერიის იუსტიციის მინისტრი.

**დერჟავინ ვლადიმირ ვასილის ძე** (1908-1975) – რუსი პოეტი, მხატვარი და მთარგმნელი. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „ზნამენი“ და „კრასნოი ნოვი“. მუშაობდა გამომცემლობაში „პოლიტიზდატ“, 1936 წელს დაბეჭდა ლექსების კრებული.

**დიდიმამიშვილი ელენე** (1919-1997) – ქართველი პოეტი და მუსიკოსი. ახალციხეში მუშაობდა რაიონული გაზეთის რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად, იყო ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი, მუშაობდა მესხეთის თეატრში, აქტიურად მონაწილეობდა ახალქალაქის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**დიდრო დენი** (1713-1784) – ფრანგი განმანათლებელი, მწერალი, ფილოსოფოსი და ენციკლოპედისტი. მისმა წერილებმა საფუძველი ჩაუყარა მხატვრულ კრიტიკას. მისი მნიშვნელოვანი რომანია: „მონაზონი“ და მოთხრობა-დიალოგი „რამოს ძმისწული“.

**დიზელი რუდოლფ** (1858-1913) – გერმანელი ინჟინერ-გამომგონებელი. პირველი მოქმედი ძრავა შექმნა 1897 წელს. 1898 წელს გახსნა საკუთარი ქარხანა დიზელის ძრავების წარმოებისთვის. პირველი გემი დიზელის ძრავით აშენდა 1903 წელს. 1908 წელს აშენდა პირველი სატვირთო მანქანა და პირველი ლოკომოტივი, რომელიც იკვებება დიზელის ძრავით. 1936 წელს პირველად გამოვიდა სამგზავრო მანქანა დიზელის ძრავით.

**დიკენსი ჰუგო ჯონ ჩარლზ** (1812-1870) – ინგლისელი მწერალი, ნოველისტი, დრამატურგი, ჟურნალისტი, რედაქტორი, ჟურნალისტი და ბოტანიკოსი, ხელოვნების სამეფო საზოგადოების წევრი. მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებია: „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, „ოლივერ ტვისტი“ და „ნიკოლას ნიკლბი“.

**დიუმა ალექსანდრ (მამა)** (1802-1870) – ფრანგი მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი. 1835 წელს გამოვიდა მისი პირველი ისტორიული რომანი “იზაბელა ბავარიელი”, გამოსცა რამდენიმე ჟურნალი, იბრძოდა იტალიის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში, სტუმრობდა

საქართველოს. ავტორია რომანებისა „სამი მუშკეტერი“, „ვიკონტი და ბრაჟელონი“, „გრაფი მონტე-კრისტო“.

**დიუპენი ლიუსილ ორორ ამანდინ (ჟორჟ სანდ) (1804-1876)** – ფრანგი ფემინისტი მწერალი, მას ეკუთვნის რომანები: „კომისიონერი“. „როზი და ბლანში“ და „ინდიანა“.

**დოლიძე ისიდორე (1915-1982)** – ქართველი იურისტი, მეცნიერი და პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი.

**დონდაროვა ნატალია (1878-1943)** – სომხური წარმომავლობის ქართველი მწერალი დრამატურგი და პუბლიცისტი. წერდა ფსევდონიმით 1897 წელს დაწერა პირველი პიესა „ინჯილერი და დოხტური“, რომელმაც „ივერიის“ რედაქტორის ილია ჭავჭავაძის მოწონება დაიმსახურა. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან „მოგზაური“, „ჩვენი ცხოვრება“, „სიტყვა“, „დრო“ და „მნათობი“.

**დონდუა დავით დარისპანის ძე (1898-1958)** – ქართველი გეოგრაფი და პედაგოგი. სართველოს გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტისა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, გეოგრაფიული კაბინეტის გამგე, კითხულობდა გეოგრაფიული სწავლების მეთოდის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

**დონდუა კარპეზ (1891-1951)** – ქართველი ენათმეცნიერი და პედაგოგი, მუშაობდა პეტროგრადის უნივერსიტეტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იკვლევდა ზოგად ენათმეცნიერულ პრობლემებს და ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს.

**დორე გუსტავ პოლ (1832-1883)** – ფრანგი თვითნასწავლი მხატვარი, გრაფიკოსი, მოქანდაკე და ფერმწერი. მუშაობდა ხის გრაფიურებზე.

**დოსტოევსკი ფიოდორ მიხეილის ძე (1821-1881)** – რუსი მწერალი, რომანისტი და ესეისტი. მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უდიადესი და გამოჩენილი ფსიქოლოგი. მის ნაწარმოებებს შორისაა თერთმეტი რომანი, სამი ნოველა, ჩვიდმეტი მოთხრობა და სამი ესე, ყველაზე გახმაურებული რომანებია „დანაშაული და სასჯელი“, „იდიოტი“ და „მშენებელი კარამაზოვები“.

**დრაიზერი ალბერტ ჰერმან თეოდორ (1871-1945)** – ამერიკელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალის „ევრი მანსი“ რედაქტორი, მუშაობდა გაზეთებში: „პიტსბურგი“, „ტოლედო“, „ჩიკაგო“ და „სენტ ლუისი“, მისი ყველაზე გახმაურებული რომანებია „დაიკო“ და „ამერიკული ტრაგედია“.

**დროზდოვი ზინობი (1872-1942)** – რუსი საულიერო პირი, არქივისკოპოსი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მეთვალყურე.

**დუდუჩავა ალექსანდრე (შურა) იოსების ძე (1901-1937)** – ქართველი რეპრესირებული მწერალი, კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. კონსერვატორიის რექტორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

**დუდუჩავა მამია (1911-1980)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგი და ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

**დუმბაძე დავით** (1843-1918) – ქართველი ხალხური სიმღერების და საგალობლების შესანიშნავი შემსრულებელი.

**დუმბაძე დავით ვარდენის ძე** (1897-1970) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, კულტურის და მსახურებელი მოღვაწე. გამომცემლობის „საბჭოთა აჭარა“ მთავარი რედაქტორი, გაზეთის „კომუნისტი“ პასუხისმგებელი მდივანი, იყო აჭარის, სახელმწიფო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი, გაზეთების : „იზვესტია“ და „კომუნისტი“ წარმომადგენელი აჭარაში.

**დუმბაძე ნოდარ ვლადიმერის ძე** (1928-1984) – ქართველი მწერალი და სცენარისტი, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

**დუროვ ვლადიმირ ლეონიდეს ძე** (1863-1934) – რუსული და საბჭოთა ცირკის მსახიობი და მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ანატოლი დუროვის უფროსი ძმა.

## ე

**ეზანოიძე დავით მალაქიას ძე** (1895-1937) – ქართველი რეპრესირებული უშიშროების სამსახურის მუშაკი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი.

**ეზანოიძე ნუნუ** (19??- 19??) – ქართველი სპორტსმენი, კალათბურთელი, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, გალაკტიონ ტაბიძის მეორე მეუღლის, ნინო კვირიკაძის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან.

**ეზნერ-ემენბახი მარია ფონ** (1830-1916) – ავსტრიელი მწერალი, დრამატურგი და ფილოსოფოსი, საყოველთაოდ ცნობილია მის რომანი „Мирское дитя“ (მშვიდობის შვილები?)

**ეგაძე ოთარ** (1902-1963) – ქართველი რეჟისორი და პედაგოგი, თეატრმცოდნე, თეატრალური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, კინომსახიობთა თეატრისა და რუსთაველის თეატრის რეჟისორი, რუსთაველზე და ვაკეში თეატრალური სარდაფის დამფუძნებელთაგანი და რეჟისორი.

**ეგაძე ოთარ ნიკოლოზის ძე** (1913-1995) – ქართველი ჟურნალისტი, მწერალი, კრიტიკოსი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის სექტორის გამგე, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების მთავარი სამმართველოს უფროსი, გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ რედაქტორი, ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობის „ხელოვნება“ დირექტორი, საქართველოს კინემატოგრაფიის მინისტრი.

**ეგნატაშვილი ვასილ** (1888-1956) – ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, პედაგოგი და ადმინისტრაციული მუშაკი. წერდა ფსევდონიმებით: „ე.ვ“, „ვ. ეგ- შვილი“, „ლიახვისპირელი“. მუშაობდა გამომცემლობების: „კოლექტივიზაცია“ და „სახელგამი“, და გაზეთის „კომუნისტი“ რედაქციაში პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილედ და მთარგმნელად.

**ედილაშვილი (ედილი) ზაქარია (შაქრო)** (1873-1956) – ქართველი ვეტერინარი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. რედაქტორობდა გორის რაიონულ გაზეთს „წითელი ქართლი“, მუშაობდა კავკასიაში, საინგილოში, ნახიჭევანში, მისი მონოგრაფია საინგილოს შესახებ 1940 წელს პირველად დაიბეჭდა ჟურნალში „მნათობი“. ქართულ პრესაში ხშირად აქვეყნებდა მასალებსა და ფოტოილუსტრაციებს მრავალ საჭირობოროტო საკითხზე ფსევდონიმებით: „შაქრო ედილი“, „ედილი“, „ზ-ედილი“, „კავკაველი“ და „ფრონელი“.

**ედისონი თომას ალვა** (1847-1931) – ამერიკელი მეწარმე და გამომგონებელი ელექტრიფიკაციის სფეროში, მან სახელი გაითქვა ელექტრონათურის, ელექტროსადგურისა და ხმისა და მუსიკის ჩამწერი აპარატის, ფონოგრაფის გამოგონებით.

**ევგენოვი სიმონ** (1897 -1973) – რუსი მწერალი და ჟურნალისტი.

**ევლახიშვილი სერგო** (1872-1946) – ქართველი ანტრეპრენიორი, საოპერო მომღერალი, მსახიობი, თბილისის ოპერის თეატრის დირექტორი. გამოდიოდა მსოფლიოს სხვადასხვა თეატრის სცენაზე.

**ელიავა შალვა** (1883-1937) – ქართველი საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, საქართველოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.

**ელიოზიშვილი კონსტანტინე** (1874-1954) – ქართველი ექიმი, გორის საქალაქო ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე, გორის საავადმყოფოს მთავარ ექიმი, გორის მაზრის მრავალმხრივ პრაქტიკოსი ექიმი. მისი ინიციატივით გაიხსნა საექიმო პუნქტი და აშენდა სამშობიარო სახლი სოფელ ნიქოზში. ავტორია სამედიცინო სახელმძღვანელოებისა ანატომიაში, ჰიგიენასა და ფიზიოლოგიაში.

**ელისი უილიამ უებ** (1806-1872) – ინგლისელი სპორტსმენი, პირველი რაგბისტი. გადმოცემის თანახმად, მან ფეხბურთის თამაშის დროს მან წესი დაარღვია (ბურთი ხელში ბურთით ის შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე), რაც გახდა სპორტის ახალი სახეობის ჩასახვის მიზეზი.

**ელსნერ ვლადიმირ იურის ძე** (1886-1964) – რუსი საბჭოთა პოეტი, მეგობრობდა ნიკალაი გუმილიოვსა და ანა ახმატოვასთან, ავტორია წიგნებისა: „პარისის არჩევანი“ და „პურპურ კიფერი“ რედაქტორი. 1904 წელს გამოცემული ოთტომეულისა “თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია”

**ემეტი რობერტ** (1780-1803) – ირლანდიელი პოლიტიკური მოღვაწე, ნაციონალისტი, რესპუბლიკელი, ორატორი და 1803 წელს ბრიტანელების წინააღმდეგ ამბოხებული ირლანდიელების აჯანყების ხელმძღვანელი.

**ენუქიძე ახელ** (1877-1939) – ქართველი ბოლშევიკი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე, არალეგალური სტამბის „ნინა“ მოწყობის ინიციატორი.

**ენუქიძე ევდოკიმე ერმილეს ძე** (1907-1937) – ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ბეჭდვითი საქმის ინსტრუქტორი, გაასამართლეს ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით.

**ერენბურგი ილია გრიგორის ძე** (1891-1967) – ებრაული წარმომავლობის რუსი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, სცენარისტი, მთარგმნელი, სამხედრო კორესპოდენტი, 1935 წელს პარიზის მწერალთა კონგრესის ინიციატორთაგანი. 1937 წლის 29 დეკემბერს მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა თბილისში ქართველ მწერალთა კავშირის ყრილობაზე.

**ერენხიფე იონა პანტელეიმონის ძე** (1879-1968) – ყოფილი სასულიერო პირი, პუბლიცისტი და გამომცემელი. ხელმძღვანელობდა რუსეთის უწიგნურობასთან ბრძოლის საკავშირო კომისიას, თანამშრომლობდა ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიასთან.

**ერვინ გოი (ლისოგორსკი ონდრა)** (1905-1989) – ჩეხი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, ლიახური ენის შემქნელი, საბჭოთა მწერალთა კავშირის წევრი, ტაშკენტის პედაგოგიური ინსტიტუტის



ლექტორი, პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1926 წელს. მეოცე საუკუნის სამოციან წლებში საბჭოთა კავშირში ლიახურ ენაზე გამოიცა გამოიცა მისი პოეზიის ოთხტომეული.

**ერიკსონი გუსტავ ვაზა (1523-1560)** – შვედეთის მეფე, ვაზების დინასტიის დამაარსებელი.

**ერისთავი გიორგი (1813-1864)** – ქართველი პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა კომედიოგრაფიას, დააარსა ქართული პროფესული თეატრი. მისი პირველი კომედიაა „შეშლილი“, დიდი პოპულარობა მოუტანა დრამამ „გაყრა“.

**ერისთავი დომინიკა (განდევილი) (1864-1929)** – ქართველი პოეტი, მწერალი და ჟურნალისტი. პირველი ლექსი, „ბარათაშვილის ნეშთის გადმოსვენების გამო“, ილია ჭავჭავაძემ გაზეთში „ივერია“ დაუბეჭდა 1893 წელს. თანამშრომლობდა გაზეთთან “ივერია”, როგორც ქართულო ენის კარგი მცოდნე ( იყო პირველი კორექტორი ქალი), დიდი ამაგი დასდო ქართველი ქალის უფლებების დაცვის საქმეს, ერთ-ერთმა პირველმა დააარსა „ქართველ ქალთა საზოგადოება“.

**ერისთავი ნიკოლოზ (კოლა) დავითის ძე (1865-1933)** – ქართველი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე, ქსნის ერისთავების მემკვიდრე, სათავადაზნაურო ბანკის თანამშრომელი, თბილისში დრამატული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. წერდა ფსევდონიმით „ნ. ტყვიაველი“.

**ერისთავი რაფიელ (1824-1901)** – ქართველი მწერალი, ეთნოლოგი და საზოგადო მოღვაწე. მუშაობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში თარჯიმნად, თბილისში - მეფისნაცვლის კანცელარიაში, ქუთაისში - განსაკუთრებულ მინდობილობათა უფროს მოხელედ. დიდი წვლილი მიუძღვის ქართული მუზეუმისა და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საქმეში, იყო ქართული პროფესიული თეატრის ერთ-ერთი დამფუძნებელი, „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დამდგენი კომისიის ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე.

**ერლიხ აროპ ისაიას ძე (1896-1963)** – რუსი საბჭოთა ჟურნალისტი, მწერალი და სცენარისტი, რევოლუციონერი, გაზეთის „გუდოკ“ და „პრავდა“.

**ერჰარდი ვილჰელმ ლუდვიგ (1897-1977)** – გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის ბუნდესკანცლერი ქრისტიან-დემოკრატიული კავშირიდან და ვიცეკანცლერი.

**ესაიაშვილი ვარლამ (1910-1977)** – ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი და პედაგოგი, ქართული ფრონტული გაზეთის „წინ, სამშობლოსათვის“ რედაქტორი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე.

**ესენინი სერგეი ( 1895-1925)** – რუსი პოეტი იმაჟენისტი, ცისფერყანწელთა მეგობარი, მოცეკვავე აისიდორა დუნკანის მეუღლე.

**ეფროსი აბრამ მაკარის ძე (1882-1954)** – რუსი საბჭოთა ხელოვნებათმცოდნე, თეატრმცოდნე, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, მოსკოვის საქალაქო დუმის წევრი, მონაწილეობდა სახელმწიფო მუზეუმების ფონდის და ძირითადი მიმართულებების შექმნაში, იკვლევდა მარკ შაგალის და პუშკინის ნახატებს.

3

**ვადბოლსკი მიხეილ (1899-1990)** – პოლონური წარმოშობის რუსი მხატვარი, ქართული ჰერალდიკური მეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი და ჭადრაკის ისტორიის მკვლევარი. შექმნა ისტორიულ პირთა პორტრეტები, ქართული ისტორიული საგვარეულოთა გერბები,

დროშები, მოიძია ფულისა და ქართული ტანსაცმლის ნიმუშები, სწავლობდა საჭადრაკო თეორიებს საქართველოში, აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

**ვადკოვსკი ანტონ (ალექსანდრ) (1846-1912)** – რუსი სასულიერო პირი, ეპისკოპოსი, საეკლესიო ისტორიის დოქტორი, რუსეთის წმინდა სინოდის წევრი, პეტერბურგის აკადემიის საპატიო წევრი, ყაზანისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიების საპატიო წევრი.

**ვარდაშივილი ანა (1900-1978)** – ქართველი მომღერალი და პედაგოგი, ფილარმონიის სოლისტი, მუშაობდა რადიოკომიტეტში, სადაც ასრულებდა და ქართულ ხალხურ სიმღერებსა და რომანსებს, თბილისის პიონერთა სასახლეში და თბილისის სხვადასხვა სკოლაში ატარებდა კონცერტებს ხ. ტალგაუკოვის მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით.

**ვართაგავა იპოლიტე (1872-1967)** – ქართველი პედაგოგი, კრიტიკოსი, მწერალი და მთარგმნელი, თბილისის სასულიერო სემინარიის რუსული ლიტერატურის ისტორიისა და სიტყვიერების მასწავლებელი, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების საინფორმაციო სექტორის გამგე, ჟურნალების: „ერი“, „საქართველოს მოამბე“, „ცხოვრება და ხელოვნება“ კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის რედაქტორი, წერდა ფსევდონიმებით: „ნეზდემნი“ და „სალგირ“.

**ვასაძე აკაკი (1899-1978)** – ქართველი თეატრისა და კინოს მსახიობი და რეჟისორი, ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის დრამატული და სამხატვრო ხელმძღვანელი, თბილისის რუსთაველის სახელობის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

**ვაშაყმაძე შოთა (1919-19??)** – ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, სამხედრო პირი, უფროსი ლეიტენანტი, მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია რაფიელ ერისთავის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ, ასევე ათზე მეტი მეცნიერული ნაშრომი.

**ვაშაძე რებეკა ისაიას ას (18??-1925?)** – ქართველი პედაგოგი და პოლიტიკოსი, კონსტანტინე გამსახურდიას მეუღლე. 1913 წლიდან ქათველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდგელი წევრი. ჭიათურაში ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენასა და ლიტერატურას.

**ვაშჩენკო გრიგოლ გრიგოლის ძე (1878-1967)** – უკრაინელი პედაგოგი, სწავლული, საზოგადო მოღვაწე, ღვთისმეტყველების დოქტორი, სტალინგრადის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი.

**ვედეკინდ ფრანკ (186-1918)** – გერმანელი მწერალი, ექსპრესიონისტი, პოეტი, დრამატურგი, ჟურნალისტი, სცენარისტი და მსახიობი. თანამშრომლობდა მიუნჰენის სატირულ ჟურნალთან „სიმპლიციზიმუს“, სახელი გაითქვა პიესებით: „პანდორას ყუთი“ და „გაზაფხულის გაღვიძება“.

**ვედეკინდი ფრანკ (1864-1918)** – გერმანელი ექსპრესიონისტი პოეტი, მწერალი და მსახიობი. თანამშრომლობდა სატირულ ჟურნალთან „სიმპლიციზიმუს“, წერდა ტექსტებს პოლიტიკური კაბარესთვის. ცნობილია მისი პიესა „პანდორას ყუთი“ და დრამა „მიწის სუნი“.

**ვეკუა ილია (1907-1977)** – ქართველი მათემატიკოსი, მეცნიერი და პედაგოგი, უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის დიფერენციალური განტოლებების კათედრის პროფესორი, თბილისის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის რექტორი.



**ვეკუა კალისტრატე ივანეს ძე (ფეოდოსიშვილი კალე) (1905-1938)** – ქართველი საბჭოთა პოეტი, საქართველოს პროლეტარული ასოციაციის წევრი, გამოირჩეოდა ბოლშევიკური რევოლუციის და საბჭოთა ხელისუფლებისადმი ფანატიური ერთგულებით.

**ველასკესი სილვა დე როდრიგეს დიეგო (1599-1660)** – ესპანელი მხატვარი, ყველა დროის უდიდესი პორტრეტისტი. განიცდიდა იტალიელი მხატვრების კარავაჯოს და ტიცინის გავლენას. მან შექმნა საეტაპო ნამუშევრები, სახელწოდებით „ჯუჯების სერია“, იგი ასევე ასრულებდა მეფის, მისი ოჯახის წევრების, მთავრობის მეთაურებისა და სხვათა პორტრეტებს, მისი საყოვეთაოდ ცნობილი ნიმუშებია: „ეზოპე და მენიპი“ და „ვენერა სარკეში“.

**ვერდი ფრანჩესკო ფორტუნინო ჯუზეპე (1813-1910)** – იტალიელი კომპოზიტორი, ყველა დროისა და ხალხის ერთ-ერთი უდიდესი საოპერო კომპოზიტორი, საოპერო ხელოვნების რეფორმატორი. მსოფლიო სახელი მოუხვეჭა ოპერებმა: „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „ტრავიატა“, „აიდა“, „ოტელო“.

**ვერლენი მარი პოლ (1844-1896)** – ფრანგი იმპრესიონისტი პოეტი, იმპრესიონიზმისა და სიმბოლიზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი. 1870 წელს გამოვიდა მისი ლექსების კრებული „კეთილი სიმღერა“, საყოველთაო აღიარება მოუტანა კრებულმა „რომანსები უსიტყვოდ“.

**ვერუბიცი ნიკალაი (1889 – 1973)** – რუსი საბჭოთა ჟურნალისტი, მწერალი-მემუარისტი.

**ვერხოვსკი იური (1978-1956)** – საბჭოთა პოეტი და მთარგმნელი.

**ვესპუჩი ამერიგო (1454-1512)** – იტალიელი ვაჭარი, მკვლევარი და კარტოგრაფი. მან აღმოაჩინა, რომ სამხრეთი ამერიკა იმაზე მეტად ფართოვდებოდა სამხრეთისკენ, ვიდრე ევროპელებმა იცოდნენ. ამ ფაქტმა დაარწმუნა, რომ ეს მიწა იყო ახალი კონტინენტის ნაწილი. მის მიხედვით სახელდებულია ამერიკის კონტინენტები.

**ვეფხვაძე ერმალოზ იოანეს ძე (1853-1933)** – ქართველი სასულიერო პირი, დეკანოზი და პედაგოგი, იმერეთის ეპარქიის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურე, ქუთაისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი, ამავე სასწავლებლის მმართველი საბჭოს დეპუტატი, იმერეთის სამღვდელთა XXX საეპარქიო სხდომის დეპუტატი.

**ვეფხვაძე ივანე (1888-1971)** – ქართველი მხატვარი, პორტრეტისტი. დიდი დამსახურება მიუძღვის პორტრეტული და ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის განვითარებაში. მისი პირველი ნამუშევრები გამოჩნდა ქართველ მხატვართა საზოგადოების მიერ მოწყობილ გამოფენაზე. აქედან მოყოლებული იგი რესპუბლიკური გამოფენების მუდმივი მონაწილე იყო.

**ვეფხვაძე კონსტანტინე ფარნაოზის ძე (1898-1974)** – ქართველი ექიმი, ონკოლოგი, მეცნიერული ონკოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე. ხელმძღვანელობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრას.

**ვეშაპელი გრიგოლ გიორგის ძე (1892-1926)** – ქართველი პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, მთავარი კომიტეტის წევრი, პარტიის ორგანოს „საქართველოს“ რედაქტორი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, რედაქტორობდა გაზეთებს: „საქართველო“, „სალი კლდე“ და „მიწა“.

**ვიატე სერგეი იულის ძე (1849-1915)** – რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ფინანსთა მინისტრი, მინისტრათა საბჭოს თავმჯდომარე, ნამდვილი საიდუმლო მრჩეველი, მემუარების ტომების ავტორი.

**ვიგოდსკი დავიდ ისაკის ძე (1893-1943)** – რუსი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, ესპანისტი და მთარგმნელი. თანამშრომლობდა გაზეთებთან: „პოლესიე“, „ნოვიაა ჟიზნ“ და ჟურნალთან „ლექტოპის“, „როსია“ და „ზვეზდა“. მუშაობდა გამომცემლობაში „ვსემირნაია ლიტერატურა“.

**ვირსალაძე ელენე (1911-1977)** – ქართველი ფოლკლორისტი, მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვადასხვა პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრას. თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და გამოქვეყნების საქმეში.

**ვიშინსკი ანდრეი (1883-1954)** – რუსი საბჭოთა იურისტი, საბჭოთა კავშირის პროკურორის მოადგილე და პროკურორი 1933-1939 წლებში, 30-იან წლებში განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

**ვოდოვოზოვა ელისაბედ ნიკოლოზის ასული (1844-1923)** – რუსი საბავშვო მწერალი, პედაგოგი და მემუარისტი.

**ვოზდვიჟენსკაია-ხარაძე ელისაბედ ერმის ასული (1895-1989)** – ქართველი ექიმი, ცნობილი მეცნიერის, არჩილ ხარაძის მეუღლე.

**ვორონკოვ კონსტანტინ ვასილის ძე (1911-1984)** – რუსი საბჭოთა პროზაიკოსი, დრამატურგი და სცენარისტი. საბჭოთა კავშირის ლიტერატურული ფონდის დირექტორი, მონაწილეობდა სოლჟენიცინის საქმის განხილვაში.

**ვრუბელი მიხაილ (1856-1910)** – რუსი მხატვარი, არტ-ნუვოს მიმდინარეობის უდიდესი წარმომადგენელი. ის განუდგა მის თანამედროვე ხელოვნების მიმდინარეობებს გვიანდელი ბიზანტიური და ადრეული რენესანსის მხატვრობის მიმდინარეობის გამაგრებელელები..

**ვურლუნი სამედ (1906-1956)** – აზერბაიჯანელი საბჭოთა სახალხო პოეტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე. აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მეორე ხარისხის სტალინის პრემიის ორჯონის ლაურეატი.

## **ზ**

**ზაბოლოცკი ნიკალაი (1903-1958)** – რუსი პოეტი, თარჯიმანი, მხატვრული თარგმანის თეორეტიკოსი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დიდი წვლილი მიუძღვის რუსულ-ქართული ლიტერატურის ურთიერთობათა განვითარების საქმეში. მან რუსულ ენაზე თარგმნა: „ვეფხისტყაოსანი“, დავით გურამიშვილისა და ქართული კლასიკოსი პოეტების რჩეული ნაწარმოებები.

**ზაზიაშვილი გიორგი (გიგო) (1868-1952)** – ქართველი თვითნასწავლი მხატვარი, ფერმწერი. მუშაობდა როგორც პორტრეტის, ისე ჟანრული ფერწერის დარგში. შექმნა ქართველი კულტურის მოღვაწეთა პორტრეტები. მოხატა ჩუღურეთის წმინდა ნიკოლოზის ტაძარი.

**ზანდუკელი მიხეილ (1889-1968)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, პედაგოგი, ფილოლოგი. კითხულობდა XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს და ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პუშკინის (სულხან-საბას) სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თელავისა და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში.

**ზაპოტოცკი ანტონინ** (1884-1957) – ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, მთავრობის თავმჯდომარე და პრეზიდენტი 1953-1957 წლებში. მეუღლესთან ერთად საქართველოში ყოფნისას მეგზურობას გალაკტიონ ტაბიძე უწევდა.

**ზარდალიშვილი იოსებ (იუზა)** (1883-1943) – ქართველი მსახიობი. ქუთაისის დრამატული დასის ხელმძღვანელი, თბილისის თეატრების კომისარი, ფოთის თეატრის მსახიობი, მისი ინიციატივით ქუთაისში დაარსდა საკოლმეურნეო თეატრი, რომელიც დასავლეთ საქართველოს სოფლებს ემსახურებოდა, თამაშობდა სახასიათო და კომიკურ როლებს კომედიებში და ვოდევილებში.

**ზასოდომსკი პაველ ბლადიმირის ძე** (1843-1912) – რუსი მწერალი. წერდა ფსევდონიმებით: „ვოლოგდინ“ და „სკიტალეც“. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“, „დელო“ და „სლოვო“, ასევე საბავშვო ჟურნალ-გაზეთებთან.

**ზაქარიძე სერგო** (1909-1971) – ქართველი მსახიობი, თეატრის და კინოს დიდოსტატი. რუსთაველის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, მუშაობდა ქუთაის-ბათუმის, თელავისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში, „სახკინმრეწვში“ („კინოსტუდია ქართული ფილმი“). იყო თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგ.

**ზდანევიჩი კირილ მიხაილის ძე** (1892-1967) – პოლონური წარმოშობის ქართველი ფუტურისტი მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი, თეატრალური დიზაინერი. დაჯგუფებების: „ფუტურისტების სინდიკატის“ და „41“-ის წევრი. თანამშრომლობდა მოსკოვის გამომცემლობებთან, თბილისისა და მოსკოვის ფორეგერის თეატრებთან. ძმასთან ილიასთან და ზიგმუნდ ვალიშევსკისთან ერთად აღმოაჩინა და ევროპულ საზოგადოებას გააცნო მხატვარ ნიკო ფიროსმანის შემოქმედება.

**ზდანოვიჩი (მაიაშვილი) გიორგი** (1855–1917) – ქართველი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე.

**ზედგინიძე (პოლუმორდვინოვი) ელიზბარ კონსტანტინეს ძე** (1903-1983) – ქართველი მწერალი, პროზაიკოსი, გაზეთის „ნორჩი პიონერი“ რედაქტორი, თბილისის მოზარდ მაცურებელთა თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. 1927 წელს გამოაქვეყნა მოთხრობების პირველი კრებული.

**ზენკევიჩი მიხაილ ალექსანდრეს ძე** (1886-1973) – რუსი აკმეისტი მწერალი, პოეტი და მთარგმნელი. 1911 წელს გახდა „პოეტების საამქროს“ დამაარსებელთაგანი, 1912 წელს დაბეჭდა პირველი წიგნი „ველური პორფირა“ მუშაობდა ჟურნალის „რაზობნიკ პროსვეშჩენია“, გამომცემლობის „ზემლია ი ფაბრიკა“ და ჟურნალის „ნოვი მირ“ პოეზიის განყოფილების გამგედ.

**ზვიაგინცევა ვერა კლავდის ასული** (1894-1972) – რუსი საბჭოთა პოეტი და მთარგმნელი. სომხეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე.

**ზილვერიჩი ფანი (გაალი ფრანჩესკა)** (1903-1972) – ებრაული წარმომავლობის უნგრელი და ამერიკელი მსახიობი, ომამდელი მუნჯი კინოს ვარსკვლავი, თანამშრომლობდა გერმანულ კინოსტუდიასთან UFA. გადაღებულია ფილმებში: „პატარა დედა“, „პერეტი“, „სკანდალი ბუდაპეშტში“.

**ზლატკინი მარკ** (1898-1995) – რუსი ჟურნალისტი. მუშაობდა თბილისში ცენტრალური გამომცემლობების: „იზვესტია“, „პრავდა“ და „ტრუდი“ ამიერკავკასიის განყოფილების გამგედ. იყო გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ დირექტორი, გამომცემლობის „მერანი“ რუსულ გამოცემათა რედაქციის მთავარი რედაქტორი და მთავარი კონსულტანტი, ქართული ლიტერატურის პოპულარიზატორი.

**ზოლა ფრანსუა ემილ** (1840-1902) – ფრანგი მწერალი, ნატურალიზმის ლიტერატურული მიმდინარეობის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, თეატრალური ნატურალიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი და საფრანგეთის პოლიტიკური ლიბერალიზმის წამყვანი ფიგურა, დრეიფუსის საქმის გამოძიების აქტივისტი.

**ზომერი კარლ რიხარდ** (1866-1939) – გერმანელი მხატვარი, რეპრესირებული ფერმწერი და გრაფიკოსი. საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობისას შექმნა ძირითადად ეთნოგრაფიული ხასიათის ნამუშევრები – პორტრეტები, ყოფითი ბატალური სცენები, არქიტექტურულ ძეგლები და პეიზაჟები.

**ზოშჩენკო მიხაილ** (1895-1958) – რუსი სატირიკოსი მწერალი და მთარგმნელი. 1921 წლიდან ლიტერატურული ჯგუფის „სერაპიონის ძმები“ წევრი. 1922 წელს გამოსცა პირველი წიგნი სატირული ნოველების კრებული.

**ზუევა ანასტასია პლატონის ასული** (1894-1986) – რუსი და საბჭოთა კინოსა და თეატრის მსახიობი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მემუარისტი. თეატრის გარდა მუშაობდა რადიოშიც, ახმოვანებდა მულტფილმებს.

**ზურაბიშვილი ილია** (1872-1955) – ქართველი მწერალი. მუშაობდა თბილისის ოლქის სამმართველოს სისხლის სამართლის საქმეთა განყოფილებაში მდივნის, თანაშემწისა და თარჯიმნის თანამდებობაზე, იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მდივანი, რევოლუციური კომიტეტის საქმეთა სამმართველოში კანცელარიის უფროსი, საკანონმდებლო განყოფილების გამგე. თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის გაზეთთან „ივერია“, წერდა ფსევდონიმით „ელეფთერიძე“.

**თ**

**თაბუკაშვილი რევაზ** (1927-1990) – ქართველი დრამატურგი, მკვლევარი, მწერალი, რეჟისორი, საზოგადო მოღვაწე, სცენარისტი. საქართველოს კულტურის სამინისტროს რედაქტორი, კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ სასცენო განყოფილების უფროსი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივნი, კინოსტუდიასთან „ქართული ფილმი“ არსებულ მწერალთა გაერთიანების დირექტორი.

**თაბუკაშვილი შალვა** (1893-1971) – ქართველი პედაგოგი, მეთოდისტი და ლიტერატორი. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. მუშაობდა გამომცემლობებში: „სახელმწიფო გამომცემლობა“ (სახელგამი) და „საბავშვო ლიტერატურულ გამომცემლობაში“ (საბლიტგამი), ჟურნალის „მომამბე“ რედაქციის დირექტორად.

**თავართქილაძე კონსტანტინე (კოწია)** ( 18 61-193?) – ქართველი მეწარმე და საზოგადო მოღვაწე, ხალხოსანი, ქველმოქმედი. ოზურგეთში გახსნა წიგნის სავაჭრო, სტამბა და უფასო სამკითხველო, იყო ოზურგეთის ქალთა სკოლის მზრუნველი, ააშენა სკოლის შენობა და იქვე მოაწყო სცენა, დაბეჭდა „ჩანგი“, „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“, შეადგინა და გამოსცა დიდი სახალხო და კედლის კალენდრები, იყო სოციალ-დემოკრატიული გაზეთის „ლამპარი“ რედაქტორი.

**თავაძე დიმიტრი** (1911-1990) – ქართველი მხატვარი, თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის რეჟისორის თანაშემწე, მხატვარი, მთავარი მხატვარი და დამდგმელი მხატვარი. სპექტაკლები გააფორმა კიევის, მოსკოვის, ბაქოსა და დაღესტნის თეატრებში.

**თავაძე ილია** (1905-1973) – ქართველი დიპლომატი, მეცნიერი და ფილოსოფოსი, საქართველოს სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი, საბჭოთა საელჩოს პირველი მდივანი პარიზში,

ელჩი სირიასა და ლიბანში, საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორი.

**თავაძე სოლომონ** (1890-1960) – ქართველი მწერალი და პოეტი. წერდა ფსევდონიმით „ობოლი მუშა“. მუშაობდა ჟურნალში „ცისარტყელა“ და გაზეთის „მუშა“ რედაქციაში ლიტმუშაკად. 1912 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „მუშა“ გაზეთში "თემი". 1918 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „მომავალი“.

**თავზარაშვილი გიორგი** (1902-1963) – ლიტერატურათმცოდნე და პედაგოგი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

**თამამშვეა ნანა** (1905-1971) – საქართველოს დამსახურებული მხატვარი

**თამარაშვილი ალექსანდრე (მიხეილ) პეტრეს ძე** (1858-1911) – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომის კათოლიკური ეკლესიის აბატი, თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი.

**თარხნიშვილი მარიამ (მარო) ესტატეს ასული** (1891-1969) – ქართველი მომღერალი, ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ლოტბარი. დასთან, ეკატერინესთან ერთად გორში დაარსა ქართლ-კახური სიმღერების გუნდი. აღსანიშნავია მათ მიერ შესრულებული „დაიგვიანეს“, „ბერიკაცი ვარ“, „კახური მრავალჟამიერი“,

**თაქთაქიშვილი ოთარ** (1924-1989) – ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, საქართველოს საგუნდო კაპელის კონცერტმასტერი და დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს კულტურის მინისტრი. ავტორია საფორტეპიანო კონცერტების, ოპერების, სიმფონიების, საგუნდო და საკრავიერი პიესებისა და მუსიკისა კინოფილმებისა და დრამატული სპექტაკლებისათვის.

**თაყაიშვილი ექვთიმე** (1862-1953) – ქართველი წმინდანი, საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, არქეოლოგი და პედაგოგი, ასწავლიდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო სკოლასა და კლასიკურ გიმნაზიაში ხელმძღვანელობდა თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიას. დააფუძნა ორი სამეცნიერო სერია „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. სამეცნიერო პერიოდული გამოცემის „გეორგიკა“ სარედაქციო საბჭოს წევრი. სამგზის იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველოში), გამოიკვლია და აღწერა ქართული ისტორიული ძეგლები, საფრანგეთში მეურვეობდა საქართველოს ეროვნულ განძს.

**თედორაძე გიორგი** (1889-1944) – მწერალი, ეთნოლოგი, ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ეწეოდა პედაგოგიურ მოთვაწეობას, მუშაობდა მწერალთა კავშირის პოლიკლინიკის გამგედ.

**თევზაია ბიქტორ ვასილის ძე** (1883-1932) – ქართველი სოციალ-დემოკრატი, რევოლუციონერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი. წერდა ფსევდონიმით „ბ. თეკლათელი“. პოლიტიკური ეკონომიკის ლექციების კურსს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

**თევზაძე ანდრო რაჟდენის ძე** (1912-1967) – ქართველი პოეტი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, ჟურნალის „ოქტომბრელი“ პასუხისმგებელი მდივანი. მუშაობდა გაზეთში „კომუნისტი“, საქართველოს რადიოკომიტეტში. იყო მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მდივანი და გამომცემლობის „საბჭოთა აჭარა“ დირექტორი.

**თევზაძე გივი ალექსანდრეს ძე** (1928-1980) – რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომალწიფებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი რედაქტორი.

**თემურლენგი, ტამერლანი** (1336-1405) – შუაზიელი მხედართმთავარი, ემირი გათურქებული მონღოლური ტომის ბეგის, თარაღის შვილი, ვილაიეთის მმართველი.

**თვალთვაძე ფატმან (ფატი)** (1897-1973) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი. რუსულ ენაზე თარგმნიდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებს. მათგან აღსანიშნავია: კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, ალექსანდრე ყაზბეგის „რჩეული“, ვაჟა-ფშაველას „რჩეული“ და სხვა.

**თვალჭრელიძე (ცახელი) პარმენ ივანეს ძე** (1866-1919) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, საბავშვო მწერალი, მთარგმნელი და პუბლიცისტი. 1883 წელს საბავშვო ჟურნალში „ნობათი“ გამოაქვეყნა პირველი ლექსი „მარინე“, ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიასა და წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში.

**თვალჭრელიძე ალექსანდრე** (1881-1957) – ქართველი გეოლოგი, მეცნიერი და პედაგოგი, ქართული გეოლოგიური სკოლის და საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ხელმძღვანელობდა თავისსავე დაარსებულ მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, იყო კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ფუძემდებელი და პირველი დირექტორი.

**თვარაძე რევაზ** (1928-2006) – ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი, ჟურნალის „ცისკრი“ პასუხისმგებელი მდივანი, ქართული ენციკლოპედიის ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების რედაქციის გამგე, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების გამგე და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრის ინსტიტუტის რელიგიების ისტორიის კათედრის გამგე.

**თითბერიძე ამბროსი სიმონის ძე** (1901-1937) – ქართველი სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო კინომრეწველობის დირექტორი. ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, კომუნისტური პარტიის წევრი 1925 წლიდან.

**თოდრია სილიბისტრო (სილია)** (1880-1936) – ქართველი მწერალი-იუმორისტი, პოლიტიკური მოღვაწე, სტამბის მუშაკი, ჟურნალისტი, პროლეტარ მწერალთა ერთი მესვეურთაგანი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოდიოდა გაზეთი „ბრძოლა“ და „კავკაზსკაია პრავდა“. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**თოიძე ირაკლი მოსეს ძე** (1902-1985) – ქართველი მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი, წიგნის ილუსტრატორი, საქართველოს სახალხო მხატვარი.

**თოიძე მოსე ივანეს ძე** (1871-1953) – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, ახალი ქართული ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი. აქტიურად მუშაობდა სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა სფეროში, იყო სახელმწიფო სამხატვრო სტუდიის ხელმძღვანელი.

**თომაძე აზიზო (კუკური) (1916-1984)** – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთის „კომუნისტი“ საკუთარი კორესპონდენტი, ინტელექტუალი.

**თორაძე დავით (1922-1983)** – ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი. მუშაობდა მუსიკალურ-თეატრალურ და სიმფონიურ ჟანრებში. მას ეკუთვნის ოპერები, ოპერეტები, საგუნდო სიმფონიები, საფორტეპიანო კონცერტები და მუსიკა მხატვრული კინოფილმებისათვის.

**თოფაძე ირაკლი (1905-1990)** – ქართველი ინჟინერი. მუშაობდა საქართველოს განათლების სამინისტროს ტექნიკურ განყოფილებაში ტექნიკოსად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში - თავდაცვის ობიექტების სამშენებლო უზნის უფროსად, საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის, ტრესტ საქნავთობისა და სამთამადნო ობიექტების სამშენებლო სამმართველოს უფროსად. იყო საბჭოთა კავშირის ტექნოლოგიურ ინსტიტუტ „ორგწყალმშენის“ თბილისის განყოფილებაში მთავარ სპეციალისტი.

**თოფურია აკაკი (1916-1999)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე და პუბლიცისტი. იყო გაზეთის „სახალხო განათლება“ რედაქციის განყოფილების გამგე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ცხინვალისა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, იყო ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიის კათედრის გამგე.

**თოფურია ვარლამ ტრიფონის ძე (1901-1966)** – ქართველი ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიისა და ქართველურ ენათა განყოფილების გამგე,

**თოფურია მიხეილ (1914-1989)** – ქართველი დამსახურებული ექიმი და პედაგოგი, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პოლიტეკონომიისა და პარტისტორიის კათედრაზე, იყო ცენტრალური რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ზოგადი თერაპიის განყოფილების გამგე, მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში, ხელმძღვანელობდა ენდოკრინოლოგიისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევათა განყოფილებას.

**თუმანიშვილი ალექსანდრე (1821-1871)** – ქართველი სამხედრო პირი, გენერალ-ლეიტენანტი, მაიორი, თერგის ოლქის სამხედრო განყოფილების უფროსი, ნავაგინის 78-ე ქვეით პოლკისა და კავკასიის საარმიო კორპუსის მეოცე ქვეით დივიზიის მეთაური, დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით წარწერით „მამაცობისთვის“.

**თურქია ლეო (ლაუ სორტელი) (1888-1934)** – ქართველი მწერალი, სოციალისტ-ფედერალისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი.

**თუშურიანი დავით ალექსანდრეს ძე** – გალაკტიონის მკურნალი ექიმი.

ო

**იამშიკოვა მარგარიტა (1872-1959)** – რუსი საბჭოთა საბავშვო მწერალი, პროზაიკოსი, მემუარისტი და პუბლიცისტი. წერდა ფსევდონიმით „მარია ალტაევა“.

**იანქოშვილი ნათელა (1918-2008)** – ქართველი მხატვარი, პორტრეტისტი, წიგნის მხატვარი, გრაფიკოსი, „ვეფხისტყაოსნის“ და არაერთი წიგნის ილუსტრატორი, ავტორია სერიებისა: „სვანეთი“, „მექსიკა“, „კუბა“.

**იარალოვი გრიგორ ზოგდანის ძე (????)** – ჟურნალისტი. მუშაობდა განყოფილების გამგედ გაზეთების: „ახალგაზრდა კომუნისტი“, „მუშა“ და ჟურნალის „მნათობი“ რედაქციებში.

**იასენსკი ბრუნო (1901-1938)** – პოლონელი და საბჭოთა მწერალი, პოეტი და დრამატურგი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი, მუშა მწერალთა საერთაშორისო გაერთიანების მდივანი, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი.

**იაუნზემ ირმა პეტრეს ასული (1897-1975)** – რუსი საოპერო მომღერალი, მეცოსოპრანო, რუსეთის და ბელორუსიის სახალხო არტისტი, ასრულებდა მსოფლიოს ხალხთა მუსიკას 50 ენაზე, ავტორი წიგნისა „ხალხთა რევოლუციური სიმღერები“.

**იაშვილი ნიკოლოზ (1900-1981)** – ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აგროეკონომისტი. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარულ ინსტიტუტებში, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს აგრარული პოლიტიკის წარმართვაში.

**იაშვილი პავლე (პაოლო) (1892-1937)** – ქართველი რეპრესირებული პოეტი და მთარგმნელი, „ცისფერყანწელთა“ დაჯგუფების მთავარი წევრი, თანამშრომლობდა გაზეთებთან: „თემი“, „მეგობარი“, „თეატრი და ცხოვრება“ და „კოლხიდა“, რედაქტორობდა ყოველთვიურ ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებს „ოქროს ვერძი“ და „ცისფერი ყანწები“.

**იაშვილი ჯიბრაილ (ჯიბო) დავითის ძე** – პაოლო იაშვილის მამა.

**იბანიესი ვისენტე ბლასკო (1867-1928)** - ესპანელი მწერალი, სოციალური რომანისტი, მე-19 საკუნის მეორე ნახევრის რეალისტური მწერლობის წარმომადგენელი, ავტორია რომანისა „გრანდ გარსი-ფერნანდეს“, „სისხლი და ქვიშა“.

**იბსენი ჰენრიკ (1828-1906)** - ნორვეგიელი დრამატურგი, ნორვეგიული ნაციონალური თეატრის ერთ-ერთი შემქმნელი, მუშაობდა სკანდინავიურ საგებზე დაფუძნებულ დრამებსა და ისტორიულ პიესებზე.

**იდენი რობერტ ენტონი (1897-1977)** – ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე, კონსერვატორული პარტიის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. დიდი წვლილი მიუძღვის ჰოლოკოსტიდან მრავალი ებრაელის გადარჩენაში.

**ივანიძე დესპინე (1871-1914)** – ქართველი მსახიობი. 1891-1992 წლებში პირველად გამოვიდა ქუთაისის თეატრის სცენაზე.

**ივანოვი ვსევოლოდ ვიაჩესლავის ძე (1895-1963)** – რუსი მწერალი, ლიტერატურულ ჯგუფ „სერაპიონის ძმები“ წევრი, დრამატურგი, ჟურნალისტი და სამხედრო კორესპონდენტი. იბეჭდებოდა ჟურნალში: „კრასნაია ზვეზდა“, საბჭოთა კავშირის ლიტერატურული ფონდის ხელმძღვანელი, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით.

**იზრელივე იზრაილ აბრამის ძე (ოკუნევი იური) (1919-1988)** – ებრაული წარმომავლობის რუსი საბჭოთა პოეტი, ჟურნალისტი და რედაქტორი, სამხედრო კორესპონდენტი, გაზეთის „კომსომოლსკაია პრავდა“ კორესპონდენტი, ხელმძღვანელობდა გაზეთთან „მალადოი სტალინეც“ არსებულ ლიტერატურულ გაერთიანებას. იბეჭდებოდა ალმანახებში: „ლიტერატურნიი სტალინგრად“, ჟურნალებში: „ნოვი მირ“ და „ვოლგა“.

**იმედაშვილი გაიოზ იოსების ძე (1906-1990)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. წერდა ფსევდონიმით „კაიუს პელი“.



**იმედაშვილი იოსებ ზაქარიას ძე** (1876-1952) – ქართველი მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე. რედაქტორობდა ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“, გაზეთებს „ხალხის ერთობა“ და „ხალხის თავისუფლება“. წერდა ფსევდონიმით „იოსებ არიმათიელი“. გამოსცა პირველი უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

**იმედაძე ვალერიან** (1899-1963) – ქართველი მკვლევარი, ჟურნალისტი, პარტიული მუშაკი. სხვადასხვა დროს იყო გაზეთების „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „კავშირის ფურცელი“ რედაქტორი.

**ინალიფა შალვა დენისის ძე** (1916-1995) – ქართველი, აფხაზი ეთნოგრაფი, ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის ისტორიისა და ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირების აფხაზური საზოგადოების თავმჯდომარე.

**ინანიშვილი რევაზ** (1926-1991) – ქართველი მწერალი, მუშაობდა გამომცემლობაში „ნაკადული“, ჟურნალში „დილა“ მთავარ რედაქტორად, კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“ სასცენარო განყოფილების სცენარისტად. პირველი მოთხრობა „სახსოვარი“ გამოქვეყნა აღმანახში „პირველი სხივი“ 1950 წელს, პირველი კრებული დაიბეჭდა 1953 წელს.

**ინასარიძე ტრიფონ (ტროფიმე) გიორგის ძე** (1870-1939) – ქართველი წიგნის გამომცემელი ბათუმში, ჟურნალისტი და პრესის გამავრცელებელი.

**ინაშვილი (ვენაძე) გრიგოლ იოზის ძე** (1896-1968) – ქართველი საოპერო მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი.

**ინგოროყვა პავლე** (1893-1983) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, ფილოლოგი, ისტორიკოსი, მეცნიერი, სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების გამგე. იკვლევდა ძველ ქართულ ლიტერატურას, შოთა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“, დააფუძნა ჟურნალი „კავკასიონი“ და გამომცემლობა „ქართული წიგნი“.

**იოზეფ ფრანც** (1831-1916) – ავსტრიის მესამე იმპერატორი და უნგრეთის მეფე, ერთ-ერთი ყველაზე დიდხნიანი მმართველი მთელი მსოფლიო ისტორიის მანძილზე. ჩაახშო 1848–1849 წლების რევოლუციები ავსტრიასა და უნგრეთში. მისმა ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ ბალკანეთში ხელი შეუწყო პირველი მსოფლიო ომის დაწყებას.

**იოსელიანი ივანე (ვანო)** (1890-1945) - ქართველი მწერალი.

**ირემაძე ქეთევან** (1912-1945) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი, ნათარგმნი აქვს რუსი და ევროპელი კლასიკოსების ნაწარმოებები. 1931 წლიდან დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. თარგმნა აბატ პრევოს რომანი „მანონ ლესკო“, ბალზაკის „ოცდაათი წლის ქალი“, დიუმას „ქალი კამელიებით“.

**ისაკიანი ავეტიქ სააკის ძე** (1875-1957) – სომეხი პოეტი, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 1909 წელს ჟურნალში „გედარვესტი“ („ხელოვნება“) გამოაქვეყნა პოემა „აბუ-ლაღამაარი“, ლექსში „თავისუფლების ზარი“ მყინვარწვერისა და მასისის სახით სიმბოლურად წარმოადგინა ქართველი და სომეხი ხალხების ძმობა-მეგობრობა.

**ისიანი სევერიან** (1913-1943) – ქართველი პოეტი, მწერალი და ფილოლოგი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1930 წელს ქუთაისში გაზეთში „მუშა და კოლმეურნე“. პირველი კრებული გამოვიდა 1940 წელს. წერდა ფსევდონიმით „ს. ზოგიშელი“.

**იუგოვ ალექსანდრე** (1902-1979) – რუსი მწერალი. ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და ჟურნალისტი

**იშხნელები თამარ** (1900-1994), **ზინაიდა** (1902-1968), **ნინო** (1898-1967), **ალექსანდრა** 1904-1955) და **მარიამი** (1889-1973) – ქართველი ქალაქური ფოლკლორის სიმღერების შემსრულებელი ოჯახური ანსამბლის წევრები, დები, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, მათი ოჯახური ანსამბლი ოფიციალურად ჩამოყალიბდა 1941 წელს და იარსება 1967 წლამდე. დიდია იშხნელების როლი ქართული სამხმიანი ქალაქური სასიმღერო ფოლკლორის დახვეწის, რეპერტუარის გამდიდრებისა და პროპაგანდის საქმეში.

### 3

**კავსაძე მიხეილ** (1880-1951) – ქართველი მომღერალი და სახალხო გუნდის ლოტბარი. ჩამოაყალიბა ქართული სიმღერა – გალობის კურსები, ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტისა და გორის მომღერალთა ეთნოგრაფიულ გუნდს.

**კავსაძე ალექსანდრე (სანდრო)** (1874-1939) – ქართველი ლოტბარი, მომღერალ-მგალობელი. ლადო აღნიაშვილის გუნდის სოლისტი, აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელი.

**კაკაბაძე დავით ნესტორის ძე** (1889 -1952) – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

**კაკაბაძე ივანე (ვანო)** (18??-1919) – ქართველი სცენისმოყვარე მსახიობი, ფოტოგრაფი და ქველმოქმედი. მუშაობდა თელავის სახელმწიფო თეატრში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა მისი ფოტოები.

**კაკაბაძე იოსებ** (1864-1940) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე. ხელმძღვანელობდა საქართველოს პირველ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას „მესამე დასი“, ორგანიზებას უწევდა საფრანგეთიდან აკრძალული ლიტერატურის გამოგზავნას ამიერკავკასიაში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე.

**კაკაბაძე ნოდარ** (1923- 2007) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გერმანისტი. ავტორია ნაშრომებისა ქართულ-გერმანულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე, იკვლევდა ჰაინრიხ მანისა და თომას მანის შემოქმედებას. მასვე ეკუთვნის „ნარკვევები XX საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან“ და „პორტრეტები და სილუეტები“.

**კაკაბაძე პოლიკარპე** (1893 – 1972) – ქართველი მწერალი და დრამატურგი, ინტენსიურად მუშაობდა ისტორიულ დრამისა და ტრაგედიის ჟანრში. დაარსა ჟურნალი „შვიდი მნათობი“, სადაც დაიბეჭდა მისი პიესები „სისხლი სინათლემდე“ და „სამი ასული“. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა მისი დრამები: „ყვარყვარე თუთაბერი“ და „ლისაბონის ტუსაღები“.

**კაკაბაძე სარგის ნესტორის ძე** (1886-1967) – ქართველი ისტორიკოსი და ფილოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, საქართველოს ისტორიის არქივის გამგე და არქივის ძველი აქტების განყოფილების გამგე, სიძველეთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი, კითხულობდა ლექციებს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, მხატვარ დავით კაკაბაძის ძმა.

**კაკაბაძე სილოვან** (1895–1993) – ქართველი მოქანდაკე, მხატვარი, პროფესორი. 1932 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სამხატვრო აკადემიაში მონუმენტური და დაზღური ქანდაკების დარგში. აღსანიშნავია მისი სკულპტურული პორტრეტები: „რ. ალაძე“ „გ. ტაბიძე“, „სულხან-საბა ორბელიანი“.

**კალანდარიშვილი გრიგოლ** (1905-1966) – ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური ინსტიტუტების ლექტორი და მეცნიერ თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სახელმწიფო კონსერვატორიის ლექტორი, მან პირველმა გამოიკვლია სოლომონ დოდაშვილისა და სხვა ქართველ მოაზროვნეთა შეხედულებანი ლოგიკის შესახებ.

**კალანდაძე (ხიდისთაველი) სიო** (1888-1968) – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. 1915 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი სახელწოდებით „იტირე დედავ მშობელო“. ავტორია წიგნისა „პროლეტარული პოეზია“ და მოთხრობისა „წამების ჯვარი“.

**კალანდაძე ალექსანდრე** (1916–1996) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი, ჟურნალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა კომიტეტში, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ჟურნალისტიკის განყოფილებას.

**კალანდაძე ანა** (1924-2008) – ქართველი პოეტი და მეცნიერი, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი კომისიის წევრი, მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდენტისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

**კალანდაძე გიორგი** (1912-1979) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობას, მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში.

**კალანდაძე ნესტორ** (1874-1942) – ქართველი მწერალი, მხატვარ-კარიკატურისტი და პუბლიცისტი. წერდა ფსევდონიმით „ემმაკი“. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „ეკალი“, „მუამავალი“, „ოხუნჯი“ „ჯოჯოხეთი“ და „ემმაკის მათრახი“, რომლის ფაქტობრივი რედაქტორი იყო. შალვა შარაშიძესთან (ფსევდონიმი „თაგუნა“) ერთად დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული იუმორისა და სატირის განვითარების საქმეში. წერდა ფსევდონიმით „ემმაკი“.

**კალანდაძე პოლიევქტოს (პოლიო ირეთელი)** (1876–1931) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და დრამატურგი.

**კალაძე კარლო** (1907-1988) – ქართველი პოეტი და დრამატურგი, ახალგაზრდა პროლეტარული მწერლების ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი, წერდა ფსევდონიმით „კაკი ეწერელი“. რედაქტორობდა ჟურნალს „პროლეტაფი“, იყო გამომცემლობის „მერანი“ დირექტორი. მისი ინიციატივით ქუთაისში დაარსდა ლიტერატურული გაზეთი „სიტყვა და საქმე“.

**კალაძე რაჟდენ ბართლომეს ძე** (1871-19??) – ქართველი კრიტიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი. აქვეყნებდა კორესპონდენციებს გაზეთებში: „ივერია“ და „კვალი“. იყო ყოველკვირეული ჟურნალის „პირველი ნაბიჯი“ და გაზეთის „ბრძოლა“ რედაქტორი, წერდა

ფსევდონიმებით: „ა-ლაძე“, „არც მტერი არც მოყვარე“, ‘დასელი’, ჟანდენი“, “რ. კ”. პოეტ კარლო კალაძის მამა.

**კამენსკი ვასილ ვასილის ძე** (1884 – 1961) – რუსი ფუტურისტი პოეტი. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1904-იდან. 1914 „კუბოფუტურისტების“ ჯგუფთან (ვ. მაიაკოვსკი, დ. ბურლიუკი) ერთად იმოგზაურა საქართველოში. მისი მთავარი ნაწარმოებებია: პოემები „სტენკა რაზინი“, „ემელიან პუგაჩოვი“, საქართველოს თემატიკას ეძრვნება მისი ლექსები: „თბილისი“, „მატარებელი მიგვაქროლებს“, „არ შემიძლია უთბილისოდ“, „აჭარისტანი“

**კანდელაკი ელეონორა (ნელი)** (1929-2004) – ქართველი მხატვარი პორტრეტისტი და პედაგოგი, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, იყო აკადემიის მოსამზადებელი კურსების დირექტორი. შექმნილი აქვს ქართველ მწერალთა და კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების სერია.

**კანდელაკი ირაკლი ისაკის ძე** (1901-1970) – ქართველი კინორეჟისორი, გადაღებული აქვს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენათა ამსახველი 200-ზე მეტი სიუჟეტი, 100-ზე მეტი დოკუმენტური და სამეცნიერო პოპულარული ფილმი.

**კანდელაკი ნიკოლოზ პორფირეს ძე** (889-1970) – ქართველი მოქანდაკე, პროფესორი, საქართველოს სახალხო მხატვარი, ქართული საქანდაკო სკოლის ფუძემდებელი, ხელმძღვანელობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის მონუმენტური ქანდაკების კათედრას. მუშაობდა ძირითადად სკულპტურული პორტრეტის ჟანრში, შექმნილი აქვს სამოცამდე პორტრეტი.

**კანდელაკი პავლე** (1900-1968) – ქართველი პარტიული ფუნქციონერი, მსახიობი და ხელოვნების მუშაკი, „საქფილმების“ დირექტორი, ხელოვნების სამმართველოს უფროსის მოადგილე, ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საქართველოს კინემატოგრაფიის, შემდეგ კულტურის მინისტრის მოადგილე, კარლ მარქსის სახელობის საჯარო (ახლანდელი პარლამენტი) ბიბლიოთეკის დირექტორი.

**კანდელაკი ქეთევან** (1911-1982) – ქართველი ექიმი და მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიის კათედრის პროფესორი, ამავე ინსტიტუტში მის მიერვე დაარსებული ნეფროლოგიის კურსის ხელმძღვანელი.

**კარა დარვიში (აკოფ განჯიანი აკოფ მანასეს ძე)** (1872 19??) – სომეხი მწერალი. ბეჭდავდა 1983 წლიდან გაზეთში „ნორ-დარე“ (ახალი საუკუნე), 1928 წელს თბილისში გამოსცა წიგნი „ორერიც-ორადჟ“.მეგობრობდა ფუტურისტ პოეტებთან: ვლადიმირ მაიაკოვსკისთან და ვასილი კამენსკისთან.

**კარამზინ ნიკოლაი მიხაილის ძე** (1766-1826) – რუსი მწერალი და ისტორიკოსი, სენტიმენტალური ლიტერატურის მთავარი წარმომადგენელი, რუსული სალიტერატურო ენის რეფორმატორი, რუსეთის საიმპერატორო კარის ერთადერთი ისტორიოგრაფი, პეტერბურგის სამეფო კარის საპატიო წევრი, ჟურნალების: „მოსკოვსკიი ჟურნალ“ და „ვესტნიკ ევროპი“ რედაქტორი.

**კარაპეტიანი (კარაიანი) ოვანეს** (1915-1985) – სომეხი პოეტი და მთარგმნელი. მას ეკუთვნის შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნი“ პირველი სრული პოეტური თარგმანი სომხურ ენაზე, მუშაობდა თბილისში გამომავალი სომხურენოვანი გაზეთის „სოვეტაკან ვრასტანი“ რედაქციაში. გამოცემული აქვს ლექსების 11 კრებული, მათგან ორი „ლექსები“ და „ჩემი ქართული“ ქართულ ენაზეა დაწერილი.

**კარიჭაშვილი დავით** (1862-1927) – ქართველი მწერალი და ისტორიკოსი, უნივერსიტეტის სიძველეთასაცავის მცველი. მისი კრიტიკული პუბლიცისტური წერილები, მოთხრობები და გამოკვლევები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „დროება“, „თეატრი“, „მომხმე“, „ჯეჯილი“, „კვალი“, და „ივერია“. შეადგინა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგი. ავტორია გამოკვლევებისა ქართული ქორონიკონის, ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ და ნაშრომებისა საქართველოს ისტორიაში.

**კასრაძე დავით ილარიონის ძე** (1885-1965) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი, კითხულობდა ლექციებს თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში. იბეჭდებოდა ფსევდონიმებით: „ქართლელი“, „დე-კა“, „დიოგენი“, „X“, „კანდიდი“, „ბარონ დე კანი“.

**კატაევი ვიქტორ პეტრეს ძე** (1897-1974) – რუსი მწერალი, სოციალისტური შრომის გმირი. ნაწარმოებებს აქვეყნებდა 1910 წლიდან. სახელი გაუთქვა ტეტრალოგიის „მავი ზღვის ტალღების“ პირველმა ნაწილმა „თეთრად ფრიალებს აფრა ეული“, რომელსაც მოგვიანებით მოჰყვა შემდგომი ნაწილები: „ხუტორი სტეპში“ და „საბჭოების ძალაუფლებისათვის“

**კაუფმანი დავიდ აბელის ძე (მიგა ვერტოვ)** 1896-1954) – ებრაული წარმომავლობის რუსეთში მოღვაწე საბჭოთა დოკუმენტური კინოს პიონერი, კინოქრონიკის რეჟისორი და კინოს თეორეტიკოსი, სამეცნიერო-ფანტასტიკური ლიტერატურული მოთხრობებისა და სატირული ლექსების ავტორი.

**კაუცკი კარლ იოჰან** (1854-1938) – ჩეხი პოლიტიკოსი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის ლიდერი, გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი.

**კაშიაძე შალვა** (1904-1955) – ქართველი მოყვარული პოეტი, კრიტიკოსი, მკვლევარი, პუბლიცისტი და მუსიკოსი. საქართველოს ილარმონიის სალიტერატურო ნაწილის გამგე. ბეჭდავდა ფსევდონიმით „სილეორეან“.

**კაჩალოვ (შვერუბოვიჩ) ვასილი ივანის ძე** (1875-1948) – რუსი მსახიობი და თეატრის პედაგოგი, მხატვრული ითხვის დიდოსტატი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი.

**კაჩმაზოვი (კავკაზაგი) ილია** (1910-1994) – ოსი მწერალი და მსახიობი. სტალინირის (ცხინვალის) სახელმწიფო თეატრის რეჟისორი-მსახიობი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, სტალინირის რუსული სკოლის მასწავლებელი, სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირის მასიური სექტორის გამგე, ჟურნალის „ფიდიოუგი“ პასუხისმგებელი მდივანი, წერდა ფსევდონიმით „კავკაზაგი“.

**კაჭახიძე გიორგი** (1907-1979) ქართველი პოეტი, საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე. იყო საბავშვო ჟურნალების „პიონერი“ და „ოქტომბრელი“ რედაქტორი. დაჯილდოებული იყო იაკობ გოგებაშვილის მედლით, საპატიო ნიშნის ორდენებით და მედლებით.

**კახიანი მიხეილ (მიხა)** (1896-1937) – ქართველი რეპრესირებული პოლიტიკოსი და ეკონომისტი, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შუა აზიის ბიუროს მეორე მდივანი, საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საკონტროლო კომისიის რწმუნებული ჩრდილოეთ კავკასიაში, გაზეთის „პრავდა“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

**კახიანი ნიკოლოზ საულის ძე (1883-1928)** – ქართველი ქირურგი, საქართველოში მეცნიერული და კლინიკური ქირურგიის ფუძემდებელი, პროფესორი, ეკატერინოსლავის უნივერსიტეტის ანატომიის კატედრის გამგე, თბილისის უნივერსიტეტში ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრის გამგე და სამკურნალო ფაკულტეტის ქირურგიული პათოლოგიის კათედრისა და პროპედევტიკის კლინიკის ხელმძღვანელი.

**კეკელია პოლიო** – ქართველი პუბლიცისტი, ლიტერატურისა და ხელოვნების კრიტიკოსი.

**კეკელიძე თეოფილე (თეო) მარკოზის ძე (1888-1962)** – ქართველი პოეტი და პედაგოგი. წერდა ფსევდონიმით „თეოფილე იანელი“.

**კეკელიძე კორნელი (1879-1962)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი და პედაგოგი. საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი, უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი, სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი, ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტთან არსებულ სიძველეთსაცავს.

**კეკელიძე პროკლე (1905-1990)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, იკვლევდა საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხებს.

**კერენსკი ალექსანდრ ფიოდორის ძე ( 1881-1970)** – რუსი პოლიტიკური მოღვაწე, მენშევიკური პარტიის წევრი, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის ლიდერი, დროებითი მთავრობის მეთაური.

**კერესელიძე ივანე ივანეს ძე (1827-1892)** – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი, საზოგადო მოღვაწე. სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის შვილების მასწავლებელი, განახლებული ჟურნალების „ცისკარი“ და „გუთნის დედა“ რედაქტორი და გამომცემელი, ფელეტონის მამამთავარი საქართველოში.

**კეშელავა ბონდო (1908-1985)** – ქართველი პოეტი და პედაგოგი. მოღვაწეობდა ქუთაისის თეატრში, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა კოტე მარჯანიშვილი, 1923 წელს გამოაქვეყნა პირველი ლექსი, 1950 წელს - ლექსების პირველი წიგნი.

**კეცხოველი ზაქარია (1902-1970)** – ქართველი მეცნიერი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი და სახელმწიფო მოხელე, საქართველოს კომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და კვების მრეწველობის სახალხო კომისარი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრი, ნიკო კეცხოველის ძმა.

**კეცხოველი ნიკოლოზ (ნიკო) (1897-1982)** – ქართველი ბიოლოგი, მეცნიერი, მწერალი და პედაგოგი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი ლიტერატურული ნარკვევის, ნოველისა და მოთხრობის ავტორი.

**კეცხოველი სევერიან (1906-1980)** – ქართველი მხატვარი, მონაწილეობდა სხვადასხვა გამოფენაში, მუშაობდა წიგნის გრაფიკასა და ლითოგრაფიაში, აგრეთვე პორტრეტის ჟანრში, გრაფიკულად გააფორმა „ვეფხისტყაოსანი“.

**კვასხვაძე შალვა (1905-19??)** – ქართველი ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს სურათების გალერეის სწავლული მდივანი და სიმპლეთა დაცვის კომიტეტის ინსპექტორი, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული „მთავარპოლიგრაფსამმართველოს“ უფროსი და მხატვრული რედაქტორი.

**კვაჭაძე ლევან (ლეო) (1908-2011)** ქართველი ენათმეცნიერი, ქართული ენისა და მისი სწავლების მეთოდის მკვლევარი.

**კვერნაძე (გერგესელი) ნიკოლოზ (კოლია) ნიკოლოზის ძე (1893–1924)** – ქართველი დრამატურგი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე.

**კვესელავა მიხეილ (1913-1981)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. თარჯიმნად მონაწილეობდა ნიურნბერგის პროცესში. სხვადასხვა დროს იყო კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ დირექტორი, უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე, უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი.

**კვირიკაძე ღვინჯილია ეკატერინე (18??-19??)** – გალაკტიონ ტაბიძის მეუღლის, ნინო კვირიკაძის დედა.

**კვიციანი ისიდორე გრიგოლის ძე ( 1892-1968)** – ქართველი რეპრესირებული საზოგადო მოღვაწე, მწერალი, გამომცემელი. „მესამე დასის“ წევრი, რეპრესირებული. წერდა ფსევდონიმებით: „ისო“, „ქუთათური მწიგნობარი“, „არიძე“, „ის-არიძე“.

**კიკნაძე გრიგოლ (1909-1974)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მუშაობდა თბილისის პედაგოგიურ სახელმწიფო ინსტიტუტში (ახლ სულხან-საბა), სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მისი თაოსნობით შეიქმნა ვაჟა-ფშაველას კაბინეტი, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა.

**კიკნაძე ნიკოლოზ (1885-1951)** – ქართველი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი. ხელმძღვანელობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თერგ-დაღესტნის კომიტეტს. იყო გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი, გამომცემლობის „სახელმწიფო გამომცემლობა“ დირექტორი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე.

**კილასონია ნაზი (1926-1993)** – ქართველი მწერალი და პოეტი, ჟურნალის „პიონერი“ ლიტერატურული მუშაკი, ჟურნალის „საქართველოს ქალი“ რედაქციის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე. მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1952 წელს აღმანახში „პირველი სხივი“ და გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, პირველი წიგნი - “ლექსები” დაიბეჭდა 1954 წელს.

**კილაძე გრიგოლ ბართლომეს ძე (1902–1962)** – ქართველი კომპოზიტორი, დირიჟორი, პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რუსთაველის თეატრის მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი.

**კინწურაშვილი მიხეილ პავლეს ძე (1885-1955)** – ქართველი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, ფოთის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი და რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე, თბილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების განათლების სტატისტიკის განყოფილების გამგე, გაზეთის "კომუნისტი" რედაქციის მთარგმნელი. წერდა ფსევდონიმებით: “იასამანი”, „ჟგიმარიონი“, „იალონი“.



**კინწურაშვილი სიმონ** (1924-1993) – ქართველი მეცნიერი, არქიტექტორი და ხელოვნებათმცოდნე, „თბილქალაქპროექტის“ არქიტექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციის გამგე.

**კირიენკო-ვოლოშინ მაქსიმილიან ალექსანდრეს ძე** (1877-1932) – რუსი საბჭოთა პოეტი, მთარგმნელი, მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე და ლიტერატურის კრიტიკოსი, მასონთა ლოჟის წევრი.

**კირილოვ ვლადიმირ ტიმოთეს ძე** (1890-1937) – რუსი რეპრესირებული საბჭოთა პოეტი, პროლეტარული მწერლობის წარმომადგენელი, შემდეგ ჩამოშორდა ამ მიმდინარეობას. მისი ლექსების კრებული დაიბეჭდა 1958 წელს.

**კირსანოვ სემიონ** (1906-1972) – რუსი პოეტი, პროზაიკოსი, სამხედრო კორესპონდენტი, რუსულ ლიტერატურაში რითმული პროზის დამწერველი.

**კიდურაძე გივი** (1922-1978) – ქართველი ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის გამგე, ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციების, ასევე ახალი და უახლესი ისტორიის მკვლევარი, მრავალი საენციკლოპედიო სტატიის ავტორი.

**კლდიაშვილი დავით სამსონის ძე** (1862–1931) – ქართველი სახალხო მწერალი და დრამატურგი, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, ვიცე პოლკოვნიკი. მისი პირველი მოთხრობები „მერისხვა“ და „მსხვერპლი“ დაიბეჭდა ჟურნალში „მოამბე“.

**კლდიაშვილი სერგო დავითის ძე** (1893-1986) – ქართველი პოეტი, მწერალი, ნოველისტი. იყო ქართველი სიმბოლისტების ლიტერატურული ჯგუფის „ცისფერყანწელთა“ წევრი, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენისა საპატიო ნიშნის მედლით,

**კლემენზი ლენგჰორნ სემიუელ ( მარკ ტვენი)** (1835-1910) – ამერიკელი მწერალი, სატირიკოსი და იუმორისტი, ამერიკული ლიტერატურის მამა. დიდი პოპულარობა მოიპოვა ნაწარმოებებით: „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ და „ტომ სოიერის თავგადასავალი“.

**კლიგმან ლიპა სამუელის ძე (დელიანუ ლივიუ)** (1911-1967) – მოლდაველი და რუმინელი საბავშვო პოეტი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მოლდაველი ლიტერატურის კლასიკოსი, 1927 წელს ლივიუ დელიანუს ფსევდონიმით გამოსცა პირველი კრებული „Oglinzi fermecate“, დააფუძნა საკუთარი ჟურნალი „Prospect“.

**კობახიძე პეტრე (პიერ)** (1907-1963) – ქართველი მსახიობი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი. სცენაზე შექმნა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გმირების გალერეა.

**კობერიძე ოთარ** (1924-2015) – ქართველი კინოსა და თეატრის მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი, სოხუმისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ მსახიობი და რეჟისორი, შესრულებული აქვს 50-ზე მეტი როლი. როგორც რეჟისორს გადაღებული აქვს ათამდე ფილმი, ავტორია სამი ფილმისთვის დაწერილი სცენარისა.



**კობიძე დავით** (1906-1981) – ქართველი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აღმოსავლეთმცოდნე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრის გამგე.

**კოვალიოვი მიხაილ (ივანე რიურიკ)** (1891-1981) – რუსი პოეტი და მთარგმნელი. იყო ეგოფუტურისტების, ხოლო რევოლუციის შემდეგ – იმპუნიისტთა წრის წევრი, რამდენიმე წელი დაყო საქართველოში. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს ცხოვრებასთან და კულტურასთან. თარგმნიდა ქართველი კლასიკოსებისა და თავის თანამედროვე პოეტების ნაწარმოებებს.

**კოკელაძე გრიგოლ** (1904-1988) – ქართველი კომპოზიტორი, პედაგოგი და ფილოლოგი. იყო ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

**კოლუმბი ქრისტეფორე** (1451-1506) – იტალიელი მეზღვაური-მკვლევარი, ესპანეთის მეფის სამსახურში მყოფი, თავისდაუნებურად ამერიკის აღმომჩენი, პირველმა გადაცურა ატლანტის ოკეანე სუბტროპიკულ და ტროპიკულ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს პოლუსში და აღმოაჩინა ყველა დიდი ანტილის კუნძული, მცირე ანტილის კუნძულები ასევე მთელი რიგი პატარა კუნძულებისა კარიბის ზღვაში და კუნძული ტრინიდადი სამხრეთ ამერიკის სანაპიროსთან.

**კოლცოვი ალექსეი ვასილის ძე** (1809-1842) – რუსი პოეტი, მოაზროვნე და ვაჭარი.

**კომაროვა - ფორშოლგა დიმიტრის ასული** (1873-1961) – რუსი საბჭოთა მწერალი და დრამატურგი, ცნობილი რომანისტი, 1908 წელს ჟურნალში „რუსკაია მისლ“ გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა „იყო გენერალი“. ავტორია მხატვრულ-მემუარული წიგნების „შეშლილი ხომალდი“ და „ყვავი“ „Ворон“????

**კონსტანტინე მეძველია** (1907-1974) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე და ფილოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი, ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1927 წლიდან. პირველი წიგნი 1932 წელს გამოაქვეყნა.

**კონჩალოვსკაია ნატალია პეტრეს ასული** (1903-1988) – საბჭოთა საბავშვო მწერალი, პოეტი და მთარგმნელი.

**კოპე ფრანსუა** (1842-1908) – ფრანგი რომანტიკოსი მწერალი, პოეტი და დრამატურგი. პარნასის სკოლის წარმომადგენელი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, საპატიო ლეგიონის ორდენის მფლობელი. მუშაობდა კომედი ფრანსეზის არქივში და სენატის ბიბლიოთეკაში, ლექსების პირველი კრებული გამოსცა 1866 წელს.

**კორინთელი არჩილ** (1897-19??) – ქართველი ჟურნალისტი და დრამატურგი. 1919 წელს თბილისში ჩამოაყალიბა სიმბოლისტ მწერალთა წრე და გამოსცა ჟურნალი „კრონოსის სარკე“, დუშეთში ხელმძღვანელობდა დრამატულ დასს და მუშაობდა სცენისმოყვარეთა გამგეობაში. წერდა ფსევდონიმებით: „დუშელი“, „ილტოზელი“, „კორნელი“, „თვალი“.

**კორნეევი ბორის ვასილის ძე** (1922-1973) – რუსი მხატვარი, ფერმწერი და პედაგოგი, პროფესორი, რუსეთის დამსახურებული მხატვარი, რუსეთის მხატვართა კავშირის წევრი.

**კორნეიჩუკ ალექსანდრ ევდოკიმეს ძე** (1905-1972) – უკრაინელი საბჭოთა მწერალი, დრამატურგი, ჟურნალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტიკური მოღვაწე.

**კოსტერი ჰენრი (1905-1988)** – გერმანელი და ამერიკელი რეჟისორი და სცენარისტი, კინომცოდნე.

**კოსტერლიც (კოსტერ) ჰენრი (1905-1988)** – გერმანული წარმომავლობის ამერიკელი რეჟისორი, ჟურნალისტი და სცენარისტი, სახელი გაითქვა კინოკომედიებით: „პენი“, „მარადიული ევა“, „ბრიგიტას გზა“.

**კოსტრიკოვ (კიროვ) სერგეი მირონის ძე (1886-1934)** – რუსი რევოლუციონერი, წითელი მეთერთმეტე არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი, პარტიის ლენინგრადის საქალაქო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივანი, რუსეთის კომპარტიის ჩრდილო-დასავლეთის ბიუროს მდივანი, საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი და საორგანიზაციო ბიუროს წევრი.

**კოტეტიშვილი ვახტანგ (1893-1937)** – ქართველი მწერალი, პედაგოგი, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფოლკლორის კათედრაზე, ხელმძღვანელობდა მისი ინიციატივით შემოღებულ პოეტიკის კურსს, ასევე ქანდაკების თეორიისა და ისტორიის კურსს. იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე. მისი პირველი ლიტერატურული წერილი - „საზოგადოებრივი მოტივები არჩილ მეფისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში“ - გამოქვეყნდა 1921 წელს გაზეთში „სახალხო გაზეთი“.

**კოჩეტკოვ ალექსანდრ (1900-1953)** – რუსი საბჭოთა პოეტი და მთარგმნელი. 1926 წელს აღმანახში „ოქროს ზურნა“ დაიბეჭდა მისი ლექსი. საყოველთაო პოპულარობა მოუტანა ბალადამ „ბალადა ი პროკურენном вагоне“, რომელიც ელდარ რაიაზანოვის ფილმში „ბედის ირონია“ დაწერილი მუსიკით გახდა ცნობილი.

**კრილოვი ივან ანდრეის ძე (1769-1844)** – რუსი მეიგავარაკე. მისი პირველი ნაწარმოებია - კომიკური ოპერა „მარჩიელი ქალი“, გამოსცემდა სატირულ ჟურნალებს „პოჩტა დუხოვ“ და „ზრიტელ“. 1809 გამოვიდა კრილოვის იგავ-არაკების ცხრა კრებული, სულ 200-მდე იგავი გამოსცა.

**კროტკოვ ვასილი ანთიმის ძე (1880-1939)** – საქართველოში მცხოვრები რუსი მხატვარი, გრაფიკოსი და ჟურნალისტი, საზოგადოების „რევოლუციის მხატვრების ასოციაცია (PEBMAC)“ წევრი.

**კუზმინ მიხაილ ალექსეის ძე ( 1872-1936)** – რუსი საბჭოთა პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, კრიტიკოსი და კომპოზიტორი, თავისუფალი ლექსის პირველი ოსტატი რუსეთში, მისი ლექსების ციკლი „ფორელი ამსხვრევს ყინულს“ გახდა вехами რუსულ ლიტერატურაში. მან პირველმა შემოიტანა მშობლიურ ლიტერატურაში ერთსქესიანთა სიყვარულის თემა.

**კუპერი ფენიმორ ჯეიმს (1789-1851)** – ამერიკელი რომანისტი, მრავალი საზღვაო ისტორიისა და ისტორიული რომანის ავტორი. მის ყველაზე ცნობილ ნამუშევრებს შორისაა რომანტიკული რომანი „უკანასკნელი მოჰიკანი“.

**კუპრავა ოთარ (1925-977)** – ქართველი მწერალი პოეტი და მთარგმნელი. 1946 წელს გამოაქვეყნა პირველი წიგნი „ლექსები“, ნათარგმნი აქვს ნ. ტიხონოვის, ა. სურკოვის, ა. საფრონოვის, მ. ქარიშისა და სხვათა ნაწარმოებები.

**კუპრამე ვიქტორ (1903-1985)** – ქართველი ფიზიკოს-მათემატიკოსი, პროფესორი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს განათლების მინისტრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებების აკადემიკოს-მდივანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი.

**კურდღელაშვილი ნიკოლოზ** (1872-1938) – ქართველი მთარგმნელი, მწერალი და პედაგოგი. მუშაობდა მასწავლებლად პანკისის, ხაშმის, კავკავის სკოლებში. ბეჭდავდა წერილებს და მოთხრობებს გაზეთში :სხივი”, „მომბე”, „ცნობის ფურცელი” და „ივერია”. მწერალ იროდიონ ევდომვილის დის, ბაბილინა ხოსიტაშვილის მეუღლე. წერდა წერდა ფსევდონიმებით, „ნ.”, „ნარკანი”, „ნარკო”.

**კუსიკოვ (კუსიკიანი) ალექსანდრ ბორისის ძე** (1896-1977) – სომხური წარმომავლობის რუსი ემიგრანტი პოეტი, იმაჟინისტი, 1918 წელს დაბეჭდა ლექსების პირველი კრებული „ალაჰის სარკე”.

**კუტიურე-ვაიანი პოლ** (1892-1937) – ფრანგი მწერალი, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი, საფრანგეთის კომკომუნისტური მოძრაობის მოღვაწე, რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის მხურვალე მხარდამჭერი, პირადად იცნობდა ლენინს, კომინტერნის კონგრესის მონაწილე, არარაერთხელ სტუმრობდა საბჭოთა კავშირში.

**კუხიანიძე ბართლომე** (1878-1957) – ქართველი მუსიკოსი, ლოტბარი, აკადემიური და ეთნოგრაფიული გუნდების დამაარსებელი. ჩამოაყალიბა მშენებელთა პროფკავშირის და პირველი ოთხხმიანი გუნდები რკინიგზის დეპოს მუშა-მოსამსახურეთაგან, ქუთაისის სობოროს საკათედრო ტაძრის პროტოდიაკონის, მოწამისა და წმინდანის ბესარიონ კუხიანიძის ძმა.

**კუხიანიძე სამსონ** (1906-1983) - ქართველი მომღერალი, პედაგოგი, თბილისის საოპერო სტუდიის სოლისტი, საქართველოს ფილარმონიის პირველი ვოკალური კვარტეტის სოლისტი, რადიოკომიტეტის გუნდის სოლისტი, ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე, ქუთაისის მომღერალთა აკადემიური გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი.

## ლ

**ლაისტი არტურ** (1852-1927) – გერმანელი მწერალი, ჟურნალისტი. 1892 წლიდან ცხოვრობდა საქართველოში. ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დაახმარებით თარგმნა „ვეფხისტყაოსანი”, 1887 წელს გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე, თბილისში დააარსა და რედაქტორობდა გერმანულ გაზეთს „Kaukasische Post“, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ავტორია ნაშრომებისა; „ქართველი ხალხი” და „საქართველო, ბუნება, ადათ-წესები და მოსახლეობა”.

**ლამარტინი ალფონს მარი ლუი დე პრა დე** (1790-1969) – ფრანგი რომანტიკოსი მწერალი და პოეტი, პოლიტიკოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. მუშაობდა საფრანგეთის საელჩოში ვენეციასა და ფლორენციაში.

**ლამარტინი დე პრა ლუი მარი ალფონს** (1790-1869) – ფრანგი რომანტიკოსი პოეტი, პროზაიკოსი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და სახელმწიფო მოღვაწე.

**ლამბერტი არქანჯელო** ( ) – იტალიელი მისიონერი, თეატინელთა ორდენის ბერი, რომის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაციის დავალებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, ოდიშის სამთავროში. 1655 გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც აღწერილია XVII საუკუნის შუა წლების ოდიშის სამთავროსა და საერთოდ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ყოფისა და კულტურის, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ვრცელი მიმოხილვა.

**ლასხიშვილი გიორგი** (1866-1931) – ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განათლების მინისტრი. მუშაობდა გაზეთის „ივერია“ რედაქციაში, სადაც ფსევდონიმით „ლალი“ აქვეყნებდა პუბლიკაციებს, თანამშრომლობდა გაზეთებთან: „ნოვოე ობოზრენიე“, „მოამბე“, „კვალი“. იყო გაზეთის „ცნობის ფურცელი“ ფაქტობრივი რედაქტორი. პარიზში ყოფნისას იყო გაზეთის „საქართველო“ ერთ-ერთი რედაქტორი.

**ლაფონტენი ჟან დე** (1621-1695) – ფრანგი პოეტი მორალისტი, დრამატურგი, მეიგავე, ლიბრეტოებისა და ზღაპრების ავტორი, საფრანგეთის აკადემიის წევრი. უპირველესად ცნობილია როგორც იგავ-არაკების ავტორი. მას ეკუთვნის კომედია „საჭურისი“ (ტერენციუსის ამავე სახელწოდების პიესის თავისუფალი თარგმანი), „ჯადოსნური თასი“ და სხვა.

**ლადიმე გრიგოლ ერმალოზის ძე** (1887– 1937) – ქართველი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

**ლადიმე მიტროფანე** (1869-1960) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, უაღკოპოლო სასმელების წარმოების „ლადიმის წყლის“ დამაარსებელი საქართველოში, ქუთაისის „საგამომცემლო ამხანაგობის“ დამაარსებელი. საპატიო ნიშნის ორდენის კავალერი.

**ლაშქარაძე დავით** (1917-2001) – ქართველი ფილოლოგი, მეცნიერი და პედაგოგი, პროფესორი. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, გამოაქვეყნა ასზე მეტი მეცნიერული შრომა უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემებზე, მათ შორის 8 მონოგრაფია.

**ლებანიძე მელქისედეკ არტემის ძე (ალექსანდრე ლორდელი)** (?????) – ქართველი სტამბის მუშაკი, ასოთამწყოები და კორექტორი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუდმივი წევრი.

**ლებანიძე მურმან** (1922-2002) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი, მუშაობდა საყმაწვილო-სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. მისი შემოქმედებითი ინტერესების სფერო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ლირიკული ლექსების პირველი კრებული 1950 წელს გამოაქვეყნა. ავტორია ცნობილი ლექსებისა: „ჩემო თვალნათელო, ჩემო ფრთანათელო“, „უფლისციხესთან“, „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს...“.

**ლებედევ (კორჟენცევ) პლატონ მიხაილის ძე** (1881-1940) – რუსი საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, რევოლუციონერი, ჟურნალისტი, დიპლომატი და მთარგმნელი.

**ლევინსკი იოსებ** (1839-1907) – ავსტრიელი მწერალი და თეატრის კრიტიკოსი.

**ლევიტ ავრელი ისაიას (ისაევიჩ) ძე** (1904-1988) – ებრაელი პოეტი, ჟურნალისტი და მეიგავე. მუშაობდა საქართველოს ტელეგრაფის სააგენტოში კორესპონდენტად. იყო წიგნის „სტალინი და ხაშიმი“ რედაქტორი.

**ლევონტ დე ლილი** (1818-1894) – ფრანგი პოეტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი და საზოგადო მოღვაწე. ავტორია ლექსების კრებულისა „ანტიკური ლექსები“, ტრაქტატისა „საფრანგეთის რევოლუციის პოპულარული ისტორია“ და ჰომეროსის, თეოკრიტეს და ესქილეს თარგმანებისა.

**ლემონჯავა ვლადიმერ** (1905-1979) – ქართველი მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი. მონაწილეობდა საქართველოს რევოლუციონერ მხატვართა ასოციაციის გამოფენაში. მოღვაწეობდა გრაფიკის დარგშიც, შექმნა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ილუსტრაციების სერია, მისი ნამუშევრები ინახება შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში და დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში.

**ლენაუ ნიკოლას (ნიკოლაუს ფრანც ჰიმბშ ედლერ ფონ შტრელენაუ)** (1801-18500 – ავსტრიელი უდიდესი რომანტიკოსი პოეტი, ლირიკოსი.

**ლეონ ნაბატოვი** - ბუკინისტი და ანტიკვარი, იგი მშრალ ხიდზე მუშაობდა და სიძველეებით ვაჭრობდა. ლიტერატურის მუზეუმში დაცულია მისგან შექმნილი ძველი იშვიათი ფოტოსურათები.

**ლეონიდე გიორგი (გოგლა) ნიკოლოზის ძე** (1899-1966) – ქართველი საბჭოთა პოეტი და მწერალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალებს: „გვირგვინი“ და „ფანდური“.

**ლეონოვ ლეონიდ მაქსიმის ძე** ( 1899-1994) – რუსი საბჭოთა მწერალი და დამატურგი, სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 1915 წელს გაზეთში „სევერნოე უტრო“ დაიბეჭდა მისი პირველი ნაწერები. 1925 წელს გამოიცა მისი პირველი რომანი „მაჩვები”(Барсуки). აღიარება მოუტანა რომანმა „რუსული ტყე“.

**ლექავა გიორგი** (1903-1977) – ქართველი არქიტექტორი. მეცნიერულად შეისწავლა საცხოვრებელი სახლები მთა-თუშეთსა და სვანეთში. მონაწილეობდა საქართველოს პავილიონის პროექტირებასა და მშენებლობაში საკავშირო გამოფენაზე, მისი ნამუშევრებია: თბილისში – საქართველოს მთავრობის სახლის ზემო და მთავარი კორპუსები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსის გენერალური გეგმა.

**ლექავა პლატონ** (1881-19??) – ქართველი პოეტი, იუმორისტ-სატირიკოსი. თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებთან: „იმერეთი“, „კოლხიდა“, „ალიონი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ბათუმის გაზეთი“, „ემშაკის მათრახი“. მას ეკუთვნის სიმღერად გავრცელებული ლექსი „მიცოცავს“.

**ლექავა შამშუ (სიმონ) კონსტანტინეს ძე** (1876-1938) – ქართველი ქირურგი, მედიცინის დოქტორი, რევოლუციონერი. კავკასიის საგზაო მშენებლობის სანიტარიული განყოფილების უფროსი.

**ლექნევი აბრაამ ვასილის ძე** (1893-1938) – საბჭოთა ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი და ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურული დაჯგუფების „უღელტეხილი“ (Перевал) წევრი. 1922 წლიდან აქვეყნებდა სტატიებს გაზეთში: „პრავდა“ და ჟურნალებში: „კრასნაია ნოვ“, „ნოვი მირ“, „პროჟექტორ“.

**ლერმონტოვი მიხაილ იურის ძე** (1814-1841) – რუსი პოეტი, რევოლუციური რომანტიკოსი, პროზაიკოსი და სამხედრო პირი. ლექსების წერა 1828 წელს დაიწყო. სახელი გაუთქვა ლექსმა „პოეტის სიკვდილი“, რის გამოც საქართველოში მყოფ დრაგუნთა პოლკში გაამწყესეს. ცნობილია მისი პოემები: „დემონი“, „მწირი“ და რომანი „ჩვენი დროის გმირი“.

**ლესელიძე კონსტანტინე** (1903-1944) – ქართველი მხედართმთავარი, გენერალ-პოლკოვნიკი, მე-18 სადესანტო არმიის სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პირველი ქართული მსროლელი პოლკის ბატარეის მეთაური, ამიერკავკასიის ფრონტის 46-ე და 47-ე არმიის ჯარების სარდალი. თავი გამოიჩინა კავკასიის ქედზე ქლუხორის, მარუხის უღელტეხილებთან და ტუაფესა და ნახევაკუნძულების ნოვოროსიისკისა და ანაპის გათავისუფლებისათვის გამართულ ბძოლებში.

**ლესინგი ეფრაიმ გოტჰოლდ** (1729-1781) – გერმანელი მწერალი, განმანათლებელი, გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ჰამბურგის ეროვნული თეატრის რეცენზენტი, ბრაუნშვაიგის ჰერცოგის ბიბლიოთეკის თანამშრომელი. უმნიშვნელოვანესია

ლესინგის ნაშრომები: „ლაოკოონი ანუ პოეზიასა და მხატვრობას შორის არსებული საზღვრების შესახებ“, „მსჯელობანი იგავ-არაკის თაობაზე“ და „ერნსტი და ფალკი“.

**ლილი დე რუჟე ჟოზეფ კლოდ** ( 1760-1836) – ფრანგი პოეტი და კომპოზიტორი, ფრანგული რევოლუციური ფიქსის „მარსელიეზა“ და რამდენიმე ამ სტილში დაწერილი სიმღერის ავტორი.

**ლინდსეი ჯეკ** (1900-1990) – ავსტრალიური წარმომავლობის ინგლისელი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე და ისტორიკოსი, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის წევრი. 1920-იან წლებში მოთხრობებსა და პიესებს აქვეყნებდა ჟურნალში „The Bulletin“ და „Left Review“, რამდენიმე წიგნი გამოსცა ფსევდონიმით „რიჩარდ პრესტონი“.

**ლიპსკეროვ კონსტანტინ აბრამის ძე** (1889-1954) – რუსი საბჭოთა პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი და მხატვარი.

**ლისაშვილი (ხომერიკი) იაკინთე** (1897-1972) – ქართველი მწერალი და პოეტი. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ინსტრუქტორი, ცეკავშირის გაზეთის “კოოპერაცია” რედაქტორი გამომცემლობის “ფედერაცია” დირექტორი, საქართველოს ლიტერატურული ფონდის დირექტორი, საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს დირექტორი.

**ლოკი ჯონ** (1847-1889) – ირლანდიელი პოეტი.

**ლომთათიძე გიორგი** (1914-1971) – ქართველი არქეოლოგი და მეცნიერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში განაგებდა მის მიერვე დაარსებულ შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებას, მონაწილეობდა ციხე-ქალაქ უჯარმის, ნადარბაზევის, ძველი თბილისის „განჯის კარის“, ურბნისის, ვარციხის, კვეტერის, ხვამლის ექსპედიციებში, ხელმძღვანელობდა მცხეთის მიდამოებში წარმოებულ გათხრებს, ეხმარებოდა ექვთიმე თაყაიშვილს პირადი არქივის მოწესრიგებასა და ნაშრომების რედაქტირებაში.

**ლომთათიძე, ჭოლა (ბიკენტი) ბიბონის ძე** (1879-1915) - ქართველი მწერალი, სოციალ-დემოკრატი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო სათათბიროს მეორე მოწვევის დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან.

**ლომიძე გიორგი იოსების ძე** (1914-1999) – ქართველი საბჭოთა ლიტერატურათმცოდნე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მრჩეველი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**ლომოური ნიკო** (1852-1915) – ქართველი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი და პედაგოგი, მასწავლებლად მუშაობდა გორის სამასწავლებლო სემინარიასა და თბილისის ქალთა პროგიმნაზიაში. ავტორია მრავალი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილისა. მისი პირველი ლექსები 1871 წელს ჟურნალში „მნათობში“ გამოქვეყნდა, 1885 წელს მისი ლექსები ცალკე წიგნად გამოიცა. წერდა ფსევდონიმებით: „არბოელი“, „გორელი“ და „ლევან ცაველი“.

**ლომსაძე შოთა** (1925-2003) – ქართველი ისტორიკოსი, პოეტი და მეცნიერი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ახალი ისტორიის განყოფილების გამგე. პირველი ლექსი 1943 წელს გამოაქვეყნა 392-ე ქართული დივიზიის საფრონტო გაზეთში. ლექსთა პირველი წიგნი „მესხეთის ბუხრები“ 1957 წელს გამოსცა.

**ლონდონ ჯონ გრიფიტ ჯეკ** (1876-1916) – ამერიკელი მწერალი, სათავგადასავლო მოთხრობებისა და სოციალური რომანების ავტორი.



**ლოპე დე ვეგა ი კარპიო არტურო ფელიქს** (1562-1635) – ბაროკოს ეპოქის ესპანელი დრამატურგი და პოეტი. მას მიაწერენ 1500-მდე პიესას, რომელთაგან მხოლოდ 425 შემორჩა დღევანდელ მსოფლიო ლიტერატურას.

**ლორთქიფანიძე გრიგოლ (გიგა)** (1927-2013) – ქართველი რეჟისორი და პოლიტიკური მოღვაწე, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის რექტორი, პოლიტიკური პარტიის „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ წევრი.

**ლორთქიფანიძე დავით ონისიმეს ძე** (1905-1992) – ცნობილი ქართველი მეცნიერი პედაგოგიკის დარგში, აკადემიკოსი.

**ლორთქიფანიძე კირილე** (1839-1919) – ქართველი ენათმეცნიერი, ისტორიკოსი, კალიგრაფი, კრიტიკოსი, პოეტი, პუბლიცისტი და ფინანსისტი, გაზეთის „დროება“ რედაქტორი, ქუთაისის ქალაქის ხმოსანი, ჭიათურის შავი ქვის საზოგადოების მუდმივი წევრი, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის დირექტორი, საფუძველი ჩაუყარა ქუთაისში ქართული გიმნაზიის დაარსებას. ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადასცა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი, შექმნა ახალი ქართული საბეჭდი შრიფტი.

**ლორთქიფანიძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე** (1905-1986) – ქართველი მწერალი და სცენარისტი, ჟურნალების „ლიტერატურნაია გრუზია“, და „ცისკარი“ რედაქტორი და გამომცემლობის „ნაკადული“ დირექტორი.

**ლორთქიფანიძე ნიკოლოზ (ნიკო)** (1880-1944) – ქართველი მწერალი, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის და პრეზიდიუმის წევრი. დრამატული საზოგადოების წევრი თბილისში და ქართველ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე. მისი თხზულებები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ნიშადური“, „საქართველო“, „ივერია“, „თეატრი და ცხოვრება“, „დროება“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ.

**ლორთქიფანიძე ნოე** (1918-2004) – ქართველი ისტორიკოსი, ვანის რაიონის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი.

**ლორია პარმენ** (1896-1978) – ქართველი მწერალი, საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, თანამშრომლობდა ჟურნალთან „ნიანგი“, აქვეყნებდა კორესპონდენციებს, მოთხრობებს, ფელეტონებს ძირითადად, ფსევდონიმით „პ. ობოლი“. არის ოცამდე რომანის, მრავალი მოთხრობისა და ნოველის ავტორი. მათ შორის გამორჩეულია, „მევლუდი“,

**ლუგავსკოი ვლადიმირ** (1901-1957) – რუსი საბჭოთა პოეტი, ჟურნალისტი, სამხედრო კორესპონდენტი, „კონსტრუქცივისტების“ ჯგუფის წევრი, პირველი ლექსი დაბეჭდა 1924 წელს ჟურნალში „ნოვი მირ“, ჟურნალის „ლოკავ“ რედკოლეგიის წევრი.

**ლუთერი მარტინ** (1483-1546) – გერმანელი ბერი, მღვდელი, პროფესორი, თეოლოგი და ეკლესიის რეფორმატორი, ანტისემიტისტი. მისმა სწავლებამ საფუძველი ჩაუყარა რეფორმაციას და ღრმა კვალი დაამჩნია ლუთერანული და პროტესტანტული ტრადიციების დოქტრინებსა და სწავლებას.

**ლუი ჟან** (1744-1804) – ფრანგი მხატვარი.

**ლუკაშევიჩი კლავდია ვლადიმერის ასული** (1859-1931) – რუსი საბავშვო მწერალი და პედაოგი, თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „დეტსკოე ჩტენიე“, „იგრუმეჩკა“, „ზადუმეჩნოე სლოვო“.

**ლუკომსკი გეორგ კრესკენტის ძე** (1884-1952) – რუსი საბჭოთა გრაფიკოსი, აკვარელისტი, არქიტექტურის ისტორიკოსი, თანამშრომლობდა საზღვარგარეთულ ჟურნალებთან “Apollo”, “The Studio”, “Beaux-Arts”, “Renaissance», «Emporium», «L’Amour de l’Art», “Bulletin de la vie artistique”, “Le Figaro“.

**ლუნაჩარსკი ანატოლი ვასილის ძე** (1875-1933) – რუსი საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, მწერალი, ბუბლიცისტი, კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**ლუცევიჩ ივან დომენიკის ძე (იანკა კუპალა)** (1882-1942) – ბელორუსი კლასიკოსი პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი, ბელორუსიის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი.

**ლუხმანოვა (ბაიკოვა) ნადეჟდა ალექსანდრეს ასული** (1844-1907) – რუსი მწერალი, მთარგმნელი, რომანების, პიესებისა და პუბლიცისტური წერილების ავტორი.

**ლუხმანოვა ნადეჟდა ალექსანდრეს ასული** (1844-1907) – რუსი ფემინისტი მწერალი, დრამატურგი, რომანისტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და რედაქტორი. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: „ვსემირნაია ლიტერატურა“, „პეტერბურგსკაია გაზეტა“ და „რუსსკოე ბოგატსტვო“. აღიარება მოუტანა რომანმა „ოცდაათი წლის წინ“.

**მ**

**მაევსკი იოსიფ ალბინის ძე** (1874-1937) – რუსი მთარგმნელი და გამომცემელი.

**მაზურინ გიორგი ალექსანდრეს ძე** (1923-1974) – რუსი პოეტი, მხატვარი, მთარგმნელი, რედაქტორი. საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირში ხელმძღვანელობდა რუსულ სექციას, მუშაობდა ჟურნალის „ლიტერატურნაია გრუზია“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

**მაიაკოვსკი ვლადიმირ ვლადიმირის ძე** (1893-1930) – საქართველოში დაბადებული რუსი პოეტი, დრამატურგი, რუსული ფუტურიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მემარცხენე მხატვრების გაერთიანებების ლიდერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრი, რევოლუციონერი, ჯგუფის „ლევია“ Лев (Левый фронт, მარცხენა ფრონტი) და იმავე სახელწოდების ჟურნალის გამომცემელი. ცნობილია მისი პოემა „მარვლიანი ღრუბელი“, რომელიც ფუტურიზმის ერთგვარ მანიფესტადაა მიჩნეული.

**მაისურაძე ელიზბარ** (1920-1998) – ქართველი მწერალი. პირველი მოთხრობა „ორი მეგობარი“ გამოაქვეყნა 1949 წელს, პირველი წიგნი „მოთხრობები“ - 1951 წელს. ავტორია მოთხრობებისა და ნარკვევების კრებულებისა და რომანებისა: „დაკარგული ოცნებები“ და „ოთხი წელი ჭექა-ქუხილში“.

**მაკდონალდი ჯეიმს რემსეი** (1866-1937) – დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის მდივანი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, ლეიბორისტული პარტიის მდივანი, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე, პაციფისტი, მემარცხენე ჟურნალის „The socialist Review“ რედაქტორი. ევროპულ სოციალისტებთან ერთად სტუმრობდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

**მალაზონია ნესტორ გლახუნას ძე** (1892-1983) – ქართველი პოეტი და პედაგოგი, აჭარის განათლების კომისარიატის კადრების გამგე, გაზეთის „საბჭოთა აჭარა“ რედაქტორი, ბათუმის სახელმწიფო გამომცემლობის წარმოების უფროსი, გაზეთის „საბჭოთა აჭარის“ სტილისტ-მთარგმნელი, გამომცემლობის „სახელგამი“ რედაქტორი.



**მალაშკინ სერგეი ივანის ძე** (1888-1988) – რუსი საბჭოთა მწერალი და პოეტი, 1905 წლის რევოლუციის მონაწილე, მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატი, პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1916 წელს. აღიარება მოუტანა რომანმა „მთვარის მარჯვენა მხარე“.

**მალევიჩი კაზიმირ სევერინის ძე** (1879-1935) – რუსი მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე, გეომეტრიული აბსტრაქტული ხელოვნების პიონერი და რუსული ავანგარდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, სუპრემატიზმის მიმდინერეობის დამფუძნებელი.

**მალენკოვი გიორგი მაქსიმილიანეს ძე** (1902-1988) – რუსი საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

**მალინოვსკი ბრონისლავ კასპერ** (1884-1942) – პოლონური წარმოშობის ბრიტანელი ანთროპოლოგი, ფსიქოანალიზმის დამაარსებელი ანთროპოლოგიასა და სოციოლოგიაში. იკვლევდა ახალი გვინეის კუნძულ ტრობრიანდის, კანარის კუნძულებისა და ავსტრალიის აბორიგენების ეთნოგრაფიას.

**მალიშკო ანდრეი სამუელის ძე** (1912-1970) – უკრაინელი საბჭოთა პოეტი, მთარგმნელი და მომღერალი, ტარას შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატი, ცნობილი სიმღერის „კიევიური ვალსის“ ტექსტის ავტორი.

**მამალაძე შალვა** (1895-1963) – ქართველი მხატვარი, პეიზაჟისტი, კინოს მხატვარი, პროფესორი. მას ეკუთვნის ათასამდე ტილო, დიდი როლი შეასრულა ეროვნული კინემატოგრაფიის განვითარებაში. მან გააფორმა მხატვრული ფილმები: „ნარინჯის ველი“, „დიადი განთიადი“, „კოლხეთის ჩირაღდნები“.

**მამალაძე შალვა** (1895-1963) – ქართველი მხატვარ-პეიზაჟისტი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი. დაჯილდოებული იყო „შრომის წითელი დროშის“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

**მამულაშვილი მიხეილ** (1873-1973) – ქართველი ხელოვნების მუშაკი, ქართველი მეზადე-დეკორატორი, საბალსნო საქმის ერთ-ერთი პოპულარიზატორი საქართველოში. მამულაშვილის მცხეთის ბაღში.

**მამფორია ოთარ** (1924-2000) – ქართველი მწერალი, დრამატურგი, პოეტი და მთარგმნელი. პირველი ლექსი 1940 წელს გამოაქვეყნა, პირველი კრებული „ლექსები და პოემა“ 1956 წელს, ავტორია ლექსთა კრებულებისა, პოემებისა, პიესებისა, სატირულ-იუმორისტული და საბავშვო ნაწარმოებებისა, რომელთაგან აღსანიშნავია „ცისკრის ვარსკვლავი“, „ცისარტყელა ჩანჩქერებში“ და „რჩეული ლექსები“.

**მანდელშტამი ოსიპ ემილის ძე** (1891-1938) – ებრაული წარმომავლობის რუსი პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი. XX საუკუნის ერთ-ერთი გავლენიანი რუსი ხელოვანი, ქართველი „ცისფერყანწელების“ მეგობარი.

**მანი ჰაინრიხ (ლუდვიგ) ლუიცი** (1871-1950) – გერმანელი რეალისტი და სატირიკოსი მწერალი, პროზაიკოსი, სცენარისტი, ბიოგრაფი, დრამატურგი, მთარგმნელი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, თომას მანის უფროსი ძმა. მისი საყოველთაოდ აღიარებული რომანებია: „სიყვარულის ძიებაში“, „პატარა ქალაქი“, „რასებს შორის“ და დრამები: „დიდი სიყვარული“ და „მადამ ლეგრო“.

**მანუჩანი მისაკ** (1906-1944) – სომხური წარმომავლობის ფრანგი პოეტი და კომუნისტი აქტივისტი, ფრანგული წინააღმდეგობის გმირი. მეორე მსოფლიო ომის დროს FTP-MOI-ს სამხედრო კომისარი. აქტიურად მონაწილეობდა კომუნისტურ სომხურ ლიტერატურულ წრეებში.

**მანუხინა ნინა ლეონტის ასული** (1893-1980) – უკრაინელი პოეტი და მთარგმნელი, პოეტისა და მთარგმნელის გიორგი შენგელის მეუღლე, ერთადერთი კრებულის ავტორი.

**მანჯავიძე შალვა** (1916-1980) – ქართველი იურისტი და სახელმწიფო მრჩეველი.

**მაო ძე დუნი** (1893-1976) – ჩინეთის ლიდერი, მაოიზმის ფუძამდებელი, ჩინეთის სამხედრო და პოლიტიკური ლიდერი, მის სახელთან არის დაკავშირებული ჩინეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსი, ყველა ცდა და პოლიტიკური კამპანია, რომელიც ქვეყანაში 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე გატარდა.

**მარგველაშვილი გიორგი (გია)** – ქართველი კრიტიკოსი და პედაგოგი, მუშაობდა ალმანახში „დრუჟბა ნაროდოვ“, ლიტერატურულ ინსტიტუტში კითხულობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს და თანამშრომლობდა ჟურნალთან „ნოვი მირ“, მუშაობდა რადიო-კომიტეტში და საბჭოთა საინფორმაციო ბიუროში, გაზეთში „ლიტერატურული გაზეთი“ პასუხისმგებელ მდივანად, გაზეთში „ზარია ვოსტოკა“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში.

**მარგიანი აკაკი** (1891-1945) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი. წერდა ფსევდონიმებით; „ა. სვანი“ და „ა. სვანელი“. ლექსებსა და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს ბეჭდავდა გაზეთებში: „კოლხიდა“, „განათლება“, „თემი“, „სახალხო გაზეთი“. თარგმნიდა რუს პოეტთა ნაწარმოებებს.

**მარგიანი აკაკი დარისპანის ძე** (1891-1945) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი. წერდა ფსევდონიმებით „სვანი“, „ა. სვანელი“. ლექსებს ბეჭდავდა „გაზეთებში: კოლხიდა“, „განათლება“, „თემი“, „სახალხო გაზეთი“, წერდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს, თარგმნიდა რუს პოეტთა ნაწარმოებებს,

**მარგიანი რევაზ** (1916-1984) – ქართველი პოეტი და მწერალი, მთარგმნელი. იყო ჟურნალების: „ოქტომბრელი“, „პიონერი“, „დროშა“, გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობის „ლიტერატურა და ხელოვნება“ დირექტორი, პირველი ლექსი „მირანგულა“ 1934 წელს გამოაქვეყნა, პირველი წიგნი „ლექსები“ - 1940 წელს.

**მარი ნიკოლოზ (ნიკო)** (1864-1934) – შოტლანდიური წარმომავლობის ქართველი არქეოლოგი, ენათმეცნიერი, ფილოლოგი, პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანი, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

**მარიჯანი (მარიამ ალექსიძე-ტყემალაძე)** – ქართველი საბავშვო მწერალი, პოეტი, მთარგმნელი. საქართველოს მწერალთა კავშირში მუშაობდა საბავშვო ლიტერატურის სექციის მდივან-კონსულტანტი. პირველი ლექსი „ტბა“ 1916 წელს გამოქვეყნდა, პირველი კრებული "ლექსები" - 1921 წელს. 1926 წელს გამოვიდა მისი საბავშვო პოემა „ნელი ცირკში“.

**მარტინ ანდერსენ-ნეკსე** (1869–1954) – დანიელი კომუნისტი მწერალი, საერთაშორისო ლენინური პრემიის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ კომიტეტის წევრი. მატერიალურად ეხმარებოდა ქალაქ სამარაში უპატრონო ბავშვთა სახლს.

**მარქსი კარლ ჰაინრიხ** (1818-1883) – გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, პოლიტიკური თეორეტიკოსი, სოციოლოგი, კომუნისტი და რევოლუციონერი.

**მარჯანიშვილი კოტე** (1872-1933) – ქართველი რეჟისორი და მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი. რეჟისორად მუშაობდა მოსკოვის, ხარკოვის, კიევისა და ოდესის დრამატულ დასებში. მონაწილეობდა ქართული დრამატული სტუდიის შექმნაში. 1928-1930 წლებში ქუთაისში დააარსა დრამატული თეატრი მე-2 სახელმწიფო თეატრის სახელწოდებით.

**მასნე ჟიულ ემილ ფრედერიკ** (1842-1912) – ფრანგი კომპოზიტორი, პედაგოგი, 30-მდე ოპერის

**მასხულია ვასილ ალექსანდრეს ძე** (1865-1951) – ქართველი მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის პირველი საოლქო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყრილობის გაილაშქრა იმ თანამემამულეთა წინააღმდეგ, რომელთაც რუსების – ვოსტორგოვლევიცკების შთაგონებით, მეგრელებისათვის ახალი ანბანის შექმნა განიზრახეს და ავტონომიაზე დაიწყეს ლაპარაკი საქართველოდან განცალკევების მიზნით. მან პირველმა აღძრა საკითხი ქართველ მსახიობთა დასახმარებლად „საპენსიო თანხის“ შედგენისათვის და ქუთაისში ბაგრატის ტაძრის დაცვისათვის.

**მალალაშვილი ქეთევან** (1894-1973) – ქართველი მხატვარი, ფერმწერი-პორტრეტისტი, ოსტატად მუშაობდა ხელოვნების მუზეუმში, სადაც დიდი სერიოზულობითა და მაღალი პროფესიონალიზმით იღებდა საქართველოს სხვადასხვა ტაძრებში ძველი ქართული ფრესკების და მოზაიკების პირებს.

**მალრაძე ელგუჯა** (1927-1999) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, მთარგმნელი, მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალების „ნიანგი“ და „მნათობი“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობის „საბჭოთა საქართველო“ დირექტორი, საქართველოს გამსახვომის თავმჯდომარე, საქართველოს ლიტერატურული ფონდის დირექტორი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.

**მაცაშვილი კოტე** (1875-1927) – ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნული გმირის - მარო მაცაშვილის მამა. მუშაობდა ქართულ სათავადაზნაურო ბანკში დამფასებლად, ამავე ბანკის დირექტორად. აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთებში: „ივერია“, „სახალხო გაზეთი“, „ისარი“, „საქართველო“, „ლომისი“, „თემი“, ჟურნალებში - „საქართველო“, „ფასკუნჯი“, „პრომეთე“ და „ლომისი“. მისი ინიციატივით დაარსდა ფონდი, რომელიც დახმარებას უწევდა ყველა ხელმოკლე ნიჭიერ ახალგაზრდას.

**მაჩაბელი ივანე (ვანო)** (1854-1898) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და მთარგმნელი. გაზეთების: „ივერია“ და „დროება“ რედაქტორი, შექსპირის ტრაგედიების ბრწყინვალე მთარგმნელი, „ვეფხისტყაოსნის“ 1888 გამოცემის რედაქტორი. დიდი დახმარება გაუწია „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრატორს მიხაი ზიჩის, აგრეთვე მარჯორი უორდროპსა და პოემის სხვა უცხოელ მთარგმნელებს. კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვის თხოვნით დაწერა ლიბრეტო ოპერა „ვეფხისტყაოსნისათვის“.

**მაჭავარიანი ალექსი** (1913-1995) – ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, იტალიის ხელოვნების გალერეის „ბრაიდენზის“ ოქროს მედლის ლაურეატი, ვასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრის მუსიკალური განყოფილების გამგე, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი, საქართველოს სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

**მაჭავარიანი ვლადიმერ (ლადო) გიორგის ძე** (1906-1986) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე და პუბლიცისტი, ჟურნალის „დროშა“ რედაქტორი, საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი.

**მაჭავარიანი მუხრან** (1929-2010) – ქართველი პოეტი-აკადემიკოსი, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ჟურნალის „ცისკარი“ პოეზიის განყოფილების გამგე, ჟურნალის „პიონერი“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალის „დილა“ მთავარი რედაქტორი, აღმანახის „საუნჯე“ მთავარი რედაქტორი.

**მხარაძე ფილიპე** (1868-1941) – ქართველი საბჭოთა პოლიტიკური მღვაწე, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოსი, რუსეთის-სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი, კომინტერნის II კონგრესის დელეგატი, საქართველოს გასაბჭოების ინიციატორი და აქტიური მებრძოლი.

**მხარობლიძე ვარლამ** (1890-19??) – ქართველი პედაგოგი და თვითნასწავლი მხატვარი. საქართველოს მხატვართა კავშირის, საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი, ოთხსამდე ფერწერული ტილო და გრაფიკული ნახატის ავტორი. ცაგერის ისტორიული მუზეუმის და სცენისმოყვარულთა დასის დამაარსებელი. დაზიანებული ხელნაწერების, ისტორიული ძეგლების, ეკლესიებში დაცული ნივთების აღდგენისა და სათანადოდ მოვლისთვის აქტიური დამცველი.

**მგალობლიშვილი დავით (დათა)** (1890-1929) – ქართველი დრამატული თეატრის მსახიობი. მწერალ სოფრომ მგალობლიშვილის ვაჟი, მოღვაწეობდა მოსკოვის ოპერეტის თეატრში. მისი პირველი დებიუტი სცენაზე 1909 წელს. შესანიშნავად ასრულებდა კომედიურ როლებს.

**მგალობლიშვილი ვლადიმერ** (1906-1978) – ქართველი ეონომისტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე, მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი

**მგელაძე აკაკი** (1910-1980) – ქართველი პოლიტიკური ლიდერი, სახელმწიფო მოხელე. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის სოხუმის ქალაქკომის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე.

**მგელაძე ნარგიზა** (1937-2002) – ქართველი პუბლიცისტი და ჟურნალისტი, გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ კორესპონდენტი და რედაქტორის მოადგილე, გაზეთის „თბილისი“ რედაქტორი, ჟურნალის „საქართველოს ქალი“ მთავარი რედაქტორი, რამდენიმე წიგნის, პუბლიცისტური წერილებისა და ნარკვევების, მოთხრობების და ფილმის სცენარის ავტორი.

**მდივანი გიორგი** (1905-1981) – ქართველი დრამატურგი და სცენარისტი. იყო გაზეთის „პრავდა“ სამხედრო კორესპონდენტი. მისი პირველი პიესა „ალკაზარი“ 1936 წელს დაიდგა რუსთაველის თეატრში. მას ეკუთვნის ფილმების: „დაკარგული სამოთხე“, „ჩვენი ეზო“, „ხევსურული ბალადა“, „საბუდარელი ჭაბუკი“ სცენარები. სულ საქართველოში მისი სცენარით დაიდგა 21 ფილმი.

**მებუკე დავით** (1892-1961) – ქართველი პოეტი, მწერალი და რეჟისორი. წერდა ფსევდონიმით „ცვარნამი“. მუშაობდა სცენისმოყვარეთა ჯგუფში, მონაწილეობდა წარმოდგენებში, საქველმოქმედო საღამოებში. იყო ხონის თეატრის ხელმძღვანელ-რეჟისორი. მუშაობდა ჰიდრო-მეტეოროლოგიურ მომსახურეობის სამმართველოში აგრო-მეტეოროლოგიის დარგში. ბეჭდავდა ლექსებს სხვადასხვა გაზეთებში, თანამშრომლობდა გაზეთში „ასპიროზში“, ჟურნალებში: „კანდელი“ და „პიონერი“.

**მეგრელი დუტუ ( დიმიტრი ხოშტარია)** (1867-1938) – ქართველი პოეტი, მწერალი და დრამატურგი. შექმნა დრამატული პოემები და პიესები. ავტორია ლექსისა „მე პატარა ქართველი ვარ“. პირველი ლექსი გამოაქვეყნა სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთში „თეატრი“. წერდა პუბლიცისტური და თეორიულ-ლიტერატურული ხასიათის წერილებს.

**მეგრელიშვილი გრიგოლ** (1898-1919) - ქართველი პოეტი, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირულად დაღუპული მოხალისე სტუდენტი იბრძოდა ბათუმთან, აფხაზეთში და ფოცხოვში. პირველი ლექსი 1914 წელს გამოაქვეყნა გაზეთში „თემი“.

**მეგრელიშვილი მამია (19??-19??)** – ქართველი სახელმწიფო მოხელე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. საქართველოს სახელმწიფო კონტროლის მინისტრი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის თავმჯდომარე.

**მეგრელიძე ავქსენტი (1877-1953)** - ქართველი მომღერალი და პედაგოგი, ლოტბარი, ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის გალობის პედაგოგი, ქუთაისის სასულიერო სემინარიის გუნდის ხელმძღვანელი, ფოთში საეკლესიო გუნდის ლოტბარი და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი, თბილისის მეჩონგურე ქალთა ანსამბლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი, შეკრება და ჩაწერა მრავალი ქართული ხალხური სიმღერა და შეადგინა დიდი რეპერტუარი ქართული ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტებისათვის.

**მეგრელიძე იონა (ვაკელი) (1900-1988)** – ქართველი მწერალი, პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი. სხვადასხვა დროს მუშაობდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. მისი პირველი ლექსი „გურია“ 1918 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „მხედარი“, ლექსების პირველი კრებული დაბეჭდა 1922 წელს.

**მეგრელიძე იოსებ (1909-1996)** – ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი და პედაგოგი, აკადემიკოს ი. ორბელთან ერთად კავკასიისმცოდნეობის ასოციაციის დამფუძნებელი და ამავე ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, გორის, ცხინვალის, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური და თეატრალური ინსტიტუტების ქართულ და რუსულ კათედრებზე კითხულობდა ლექციებს ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის დარგში

**მეგრელიძე ლიდია (1883-1968)** – ქართველი რევოლუციონერი, საბავშვო მწერალი, ფემინისტი და ქალთა უფლებების დაცვის აქტივისტი, გალაკტიონ ტაბიძის მხარდამჭერი და მუზა. მართავდა წარმოდგენებს დრამატულ წრეში ბიბლიოთეკა - სამკითხველოების დასახმარებლად. დაარსა ფოთის ქალთა საზოგადოება, თანამშრომლობდა ჟურნალებთან: “პიონერი”, “ოქტომბრელი” და გაზეთთან „ნორჩი ლენინელი“.

**მეი ლევ ალექსანდრეს ძე (1822-1862)** – რუსი მწერალი, პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი. 1840 წელს ჟურნალში „მაიაკი“ დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „გვანაგანი”(Гванაгани) იბეჭდებოდა ჟურნალში „რუსსკოე სლოვო“, იყო კორექტორი და წევრი ჟურნალის რედაქციისა ბიბლიოტეკა დღია ჩტენია”.

**მეიმან ერნსტ (1862-1915)** – გერმანელი პედაგოგი და ფსიქოლოგი, ექსპერიმენტული პედაგოგიკის დამარსებელიც ციურიხის, ლაიპციგის, კენიგსბერგის და ჰამბურგის უნივერსიტეტების პროფესორი, ჟურნალის „ექსპერიმენტული პედაგოგიკა“ დამარსებელი. მას ეკუთვნის შრომების სამტომეული „ლექციები ექსპერიმენტულ პედაგოგიკაში“.

**მელაძე გივი (1919-1999)** – ქართველი დიპლომატი, ფილოლოგი, სახელმწიფო მოხელე, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მუშაობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბეჭდური სიტყვის განყოფილებაში. იყო გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორის მოადგილე, მუშაობდა იუნესკოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობაში.

**მელაძე კარლო ელევთერის ძე (1911-1938)** – საქართველოს რადიოკომიტეტის ლიტერატურული გადაცემის რედაქტორი.

**მეჟიროვი ალექსანდრე (1923-2009)** – რუსი პოეტი და მთარგმნელი, ქართული კულტურის მეგობარი და ქართული პოეზიის ნაყოფიერი მთარგმნელი. მისი თარგმანები გამოქვეყნებულია ცალკე წიგნებად „ქართველი პოეტების ლექსები“, „მეგობრების წიგნი“, „ლექსები და

თარგმანები”, თარგმნა და ცალკე წიგნად გამოიცა ირაკლი აბაშიძის „პალესტინა, პალესტინა” და „რუსთაველის ნაკვალევზე”.

**მერაბიშილი კონსტანტინე** (1906-1991) – ქართველი მოქანდაკე და მხატვარი, საკავშირო სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მონუმენტალისტი, მუშაობდა პორტრეტულ ქანდაკებაშიც. 1937 წელს გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ძეგლის კონკურსში. მონუმენტი დაიდგა 1942 წელს. მას ეკუთვნის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მრავალი სკულპტურული პორტრეტი.

**მერქკოვსკი დიმიტრი სერგის** (1865-1941) – რუსი სიმბოლისტური ლიტერატურის ფუძემდებელი, პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი და ფილოსოფოსი. ათჯერ იყო წარდგენილი ნობელის სახელობის პრემიაზე.

**მერზლიაკოვი ალექსეი ფიოდორის ძე** (1778-1830) – რუსი პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი და მოსკოვის უნივერსიტეტის ენატმეცნიერების განყოფილების პროფესორი.

**მერკვილაძე აფრასიონ** (1871-1907) – ქართველი პოლიტიკოსი, რევოლუციონერი. ხელმძღვანელობდა წითელ რაზმს შორაპნის მაზრაში, ყვირილისა და ჩხარის მიდამოებში, ჭიათურაში.

**მერკვილაძე გიორგი** (1914-1997) – ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, ფილოლოგი გაზეთის „კომუნისტი” რედაქტორი, გამომცემლობის „სახელგამი” დირექტორი, ალმანახის „კრიტიკა” მთავარი რედაქტორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**მერკვილაძე გიორგი** (1914-1997) – ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გაზეთის „კომუნისტი” რედაქტორი, გამომცემლობის „სახელგამი” და ალმანახის „კრიტიკა” მთავარი რედაქტორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი.

**მესხი გრიგოლ** (1884-1971) – ქართველი მხატვარი, ფერმწერი. მუშაობდა ქართული დრამის თეატრში მთავარ დეკორატორად, სადაც შექმნა ქართული სცენის კორიფეთა კოტე მესხის, ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, ნატო გაბუნias და სხვათა პორტრეტები. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, სადაც ხელმძღვანელობდა ხატვისა და ფერწერის კაბინეტს.

**მესხი გრიგოლ** (1884-1972) – ქართველი მხატვარი, ფერმწერი. მუშაობდა ქართული დრამის თეატრში მთავარ დეკორატორად და პიონერთა სასახლეში ხელმძღვანელობდა ხატვისა და ფერწერის კაბინეტს. მას ეკუთვნის ქართული სცენის კორიფეთა და მწერალთა, მათ შორის ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტები.

**მესხი დავით სიმონის ძე** (1860-1943) – ქართველი მთარგმნელი, ჟურნალისტი, დრამატურგი და მსახიობი, თეატრის დეკორატორი და რეკვიზიტორი, გაზეთის „დროება” რედაქციის თანამშრომელი, გაზეთის „შრომა” რედაქტორი. 1940 წელს გამოიცა ჟურნალში „მნათობი“ დაბეჭდილი მისი „მოგონებანი”.

**მესხი იაკობ (კოტე)** (1857-1914) – ქართველი დრამატურგი, მთარგმნელი, მსახიობი, პუბლიცისტი და რეჟისორი, 30-მდე ორიგინალური თუ გადმოკეთებული პიესის ავტორი. მონაწილეობდა ქუთაისის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. როგორც მსახიობი და რეჟისორი მოღვაწეობდა

თბილისის დრამატულ თეატრში. მან პირველმა ჩამოიტანა პარიზიდან ალექსანდრე დიუმას რომანი „მარგარიტა გოტიე“ და თავადვე თარგმნა.

**მესხი სერგი** (1845-1883) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი და ჟურნალისტი. რედაქტორობდა გაზეთს „დროება“, დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის, კრიტიკის, ჟურნალისტიკისა და ქართული თეატრის განვითარების საქმეში, აშუქებდა საქართველოსა და სხვა ქვეყნების სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს, იყო „მამებისა“ და შვილების“ ბრძოლის აქტიური მონაწილე.

**მეტერლინკი მორის** (1862-1949) – ბელგიელი ფრანგულენოვანი მწერალი, ლიბრეტისტი, ესეისტი, დრამატურგი და მთარგმნელი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ლიტერატურული დაჯგუფების „La Jeune Belgique“ (ახალგაზრდა ბელგია) აქტიური წევრი.

**მელვინეთუხუცესი კონსტანტინე** (1891-1972) – ქართველი კომპოზიტორი, პროფესორი. მუშაობდა სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე და თეატრალურ ინსტიტუტში მუსიკის კათედრის გამგედ.

**მეწარენცი მისაქ** (1886-1908) – სომეხი პოეტი. მის შემოქმედებაზე გავლენა მოახდინა ფრანგულმა სიმბოლიზმა. ლექსების წერა 1901-იდან დაიწყო. 1903-დან ნაწარმოებებს ბეჭდავდა პერიოდულ პრესაში. 1907 წელს გამოვიდა მისი პირველი წიგნები „ცისარტყელა“ და „ახალი სიმღერები“.

**მიასნიკოვ ალექსანდრ სერგის ძე** (1913-1982) – რუსი ლიტერატურათმცოდნე. მუშაობდა რედაქტორად და მთავარ რედაქტორად სახელმწიფო გამომცემლობაში, გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში ხელმძღვანელობდა კომპლექსურ თეორიულ განყოფილებას.

**მატლევ ვიან პეტრეს ძე** (1796-1844) – რუსი პოეტი და კამერჰერი, ავტორი პოპულარული ქალაქური სიმღერებისა და ზეპური საზოგადოებისთვის მსუბუქი სატირული პოემისა „კურდიუკოვის სენსაციები“.

**მატლოვი ვიან პეტრეს ძე** (1796-1844) – რუსი პოეტი და კამერჰერი. ავტორი სატირული ლექსებისა და პოემისა „მადამ კურდიუკოვას სენსაცია და შენიშვნები.“

**მიმინოშვილი რომან** (1928-1998) – ქართველი მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი და მეცნიერი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის დეპუტატი.

**მინდაძე ალექსანდრე** (1911-1985) – ქართველი ექიმი, ნერვაპათოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო-პროფილაქტიკური სამმართველოს უფროსი, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კათედრის პროფესორი და კათედრის გამგე.

**მირზახ ვილჰელმ** ( 1871-1918) – გერმანელი დიპლომატი, გერმანიის დესპანი საბერძნეთში, საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი, რუსეთში გერმანიის ჯარების დესპანი,

**მირზახი ვილჰელმ** (1871-1918) - გერმანელი დიპლომატი.

**მირიანაშვილი პეტრე** (1860-1949) – ქართველი მთარგმნელი, პედაგოგი, პუბლიცისტი და ლიბრეტისტი. თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან: „დროება“, „ივერია“, „შრომა“,

„სახალხო გაზეთი“, „თემი“, „მოამბე“, „თეატრი და ცხოვრება“, „ჯეჯილი“. წერდა „კლდიას“ და „მოგზაურის“ ფსევდონიმებით.

**მიროტაძე პლატონ იოსების ძე (1900-1937)** – ქართველი სამხედრო პირი, ბრიგადის კომისარი. 63-ე ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო კომისარის მოვალეობის დროებით შემსრულებელი.

**მირცხულავა (მაშაშვილი) ალიო ანდრეას ძე (1903-1971)** – ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ახალგაზრდული კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების მდივანი, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალების „მნათობი“ და „დროშა“ რედაქტორი, საქართველოს წიგნის პალატის დირექტორი.

**მიუსე დე ალფრედ შარლ ლუი (1810-1857)** – ფრანგული გვიანდელი რომანტიზმის წარმომადგენელი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, ბიბლიოთეკარი და კომპოზიტორი, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, ღირსების ორდენის კავალერი, საფრანგეთის აკადემიის წევრი.

**მიქაბერიძე ალექსანდრე (1866-1943)** – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. აქტიურად თანამშრომლობდა იმდროინდელ ქართულ პრესაში, მონაწილეობა აქვს მიღებული „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ წესდების შემუშავებაში, იყო ქართული გიმნაზიის გამგე და განათლების უწყების ცენტრალურ სამმართველოში დირექტორის მოადგილე.

**მიქავა ნიკოლოზ მარკოზის ძე (1910-1996)** – ქართველი მწერალი, პროზაიკოსი და მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე.

**მიქაუტაძე ამირან (1929–2014)** – ქართველი პოეტი, ფილოლოგი, კორესპონდენტი. 1952–1953 წლებში მუშაობდა აზერბაიჯანის ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადის და სოხომის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლი.

**მიქაძე არჩილ (1896 -1937)** – ქართველი პარტიული მუშაკი, "მსოფლიო პროლეტარიატის პროფკავშირთა" აღმასკომის პრეზიდიუმის წევრი, შრომის სახალხო კომისარი, ვაჭრობის სახალხო კომისარი და საქართველოს „წითელი ჯვრის" ცენტრალური კომიტეტის წევრი.

**მიქაძე გივი (1924-2008)** – ქართველი ფილოლოგი, მეცნიერი და პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, 20-მდე წიგნისა და 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

**მიქელანჯელო დი ლოდოვიკო ბუონაროტი სიმონი (1475-1564)** – იტალიური რენესანსის პერიოდის მოქანდაკე, მხატვარი, არქიტექტორი და პოეტი.

**მიქელანჯელო დი ლოდოვიკო ბუონაროტი სიმონი (1475-1564)** – იტალიელი იტალიური რენესანსის პერიოდის მოქანდაკე, მხატვარი, არქიტექტორი და პოეტი. მისი ცნობილი შედეგებია: „დავითი“, „კენტავრების ბრძოლა“ და „მადონა კიბესთან“, „პიეტა“, მოხატა სიქსტეს კაპელის თაღი.

**მიქელაძე ეკატერინე (კატო) (1878-1942)** – ქართველი პოეტი და პუბლიცისტი. ცხინვალში დაარსა ბიბლიოთეკა, სცენის მოყვარულთა წრე, დადგა უფასო წარმოდგენები. გაზეთში „ბრძოლა“ აქვეყნებდა რევოლუციურ ლექსებს ფსევდონიმით „ხ“, დაარსა რეგონალური ქსელი „ქალთა ლიგა“, გამოსცემდა და რედაქტორობდა გაზეთს „ხმა ქართველი ქალისა“. მუშაობდა ცენტრალურ არქივსა და რევოლუციის მუზეუმში.



**მიქელაძე მარია** (1910-1959) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი, მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტში საბავშვო რადიოს გადაცემათა რედაქტორად. შეიმუშავა მათემატიკის სწავლების სახალისო და მარტივი მეთოდები. მისი პირველი ლექსები, მოთხრობები და თარგმანები საბავშვო ჟურნალებში: „ოქტომბრელი“ და „პიონერი“ ქვეყნდებოდა. მისი პირველი წიგნი, საბავშვო მოთხრობა „ოთხი და მეხუთე“, 1930 წელს გამოიცა.

**მიქელაძე მარია** (1910-1959) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი. მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტში საბავშვო რადიოს გადაცემათა რედაქტორად, მისი პირველი ლექსები, მოთხრობები და თარგმანები ქვეყნდებოდა საბავშვო ჟურნალებში „ოქტომბრელი“ და „პიონერი“. პირველი წიგნი, საბავშვო მოთხრობა „ოთხი და მეხუთე“, 1930 წელს გამოსცა.

**მიქელაძე-ორახელაშვილი მარიამ** (1887-1937) – ქართველი სახელმწიფო მოხელე, პოლიტიკოსი და პედაგოგი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, საქართველოს განათლების სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლესი სკოლების სამმართველოს უფროსი და კოლეგიის წევრი, ჟურნალების: „მშრომელი ქალი“, „წითელი სხივი“, „პედაგოგიჩესკოე ობრაზოვანი“ და „კომუნისტიჩესკოე პროსვეშჩენიე“ რედაქტორი.

**მიშველაძე რევაზ** (1940) – ქართველი მწერალი, პედაგოგი და პოლიტიკოსი, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, ჟურნალების „კრიტიკა“ და „ნუგეში“ მთავარი რედაქტორი, საარჩევნო ბლოკის „საქართველოს აღორძინება“ დეპუტატი.

**მიცკევიჩ კონსტანტინ მიხაილის ძე (კოლასი იაკუბ)** (1882-1956) – ბელორუსი სახალხო პოეტი, მწერალი, დრამატურგი და მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ახალი ბელორუსული ლიტერატურის ფუძემდებელი.

**მიცკევიჩი ადამ** (1798-1855) – პოლონელი რომანტიკოსი პოეტი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე. 1822-1823 წლებში გამოაქვეყნა ორი მცირე პოეტური კრებული, რომლითაც იწყება რომანტიკული მიმდინარეობა პოლონურ ლიტერატურაში. რუსეთში გადასახლებისას დაწერა „ყირიმის სონეტები“ და ბაირონის სულისკვეთების ეპიკური პოემა „კონრად ვალენროდი“.

**მიცხულავა ალიო** (1903-1971) – ქართველი მწერალი და პოეტი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამშრომელი, სხვადასხვა წლებში ჟურნალების: „მნათობი“ და „დროება“ რედაქტორი. საქართველოს წიგნის პალატის დირექტორი. წერდა ფსევდონიმებით: „მაშაშვილი“ და „ბუმერანგი“. 1923 წელს გამოქვეყნდა მისი მოთხრობები და პოემები, ხოლო ლექსთა კრებული – „მერრეხი“, „ბუმერანგის“ ფსევდონიმით, გამოვიდა 1924 წელს.

**მიხეილ ალავიძე** (1916-1996) – ქართველი ისტორიკოსი, ფილოლოგი, კრიტიკოსი, მწერალი, მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი, კითხულობდა ქართული გრამატიკის, სტილისტიკისა და დიალექტოლოგიის კურსებს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგედ.

**მიხეილ ივანეს ძე კალინინი** (1875-1946) – რუსი საბჭოთა პოლიტიკოსი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

**მიხეილიძე გენადი პეტრეს ძე** (18???-19???) – ქართველი დაუდგენელი პროფესიის პირი, გალაკტიონ ტაბიძის ამხანაგი თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლისას.

**მოიმიანი ერნსტ** (1862-1915) – გერმანელი ფსიქოლოგი და პედაგოგი, ჰამბურგის ექსპერიმენტული პედაგოგიკის ინსტიტუტის დამაარსებელი, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის პროფესორი, ციურიჰის, კენიგსბერგის, მიუნსტერის, ლაიფციგის, ჰამბურგის უნივერსიტეტებში. დააფუძნა და რედაქტორობდა ჟურნალებს: „ზოგადი ფსიქოლოგიის არქივი“ და „ექსპერიმენტული პედაგოგიკა“.

**მოლიერი (პოკლენი ჯან ბატისტ)** (1622-1673) – ფრანგი დრამატურგი და თეატრალური მოღვაწე, „კომედი ფრანსეზის“ დამაარსებელი და „მაღალი კომედიის“ ჟანრის ფუძემდებელი.

**მონტენი სენ მიშელ დე დორდონი** (1533-1592) – ფრანგი ჰუმანისტი ფილოსოფოსი, მორალისტი, პოლიტიკოსი, მწერალი, თანამედროვე ესეს ჟანრის ფუძემდებელი.

**მონტესკიე დე ლუი შარლ** (1689-1755) – ფრანგი მწერალი, ადვოკატი და ფილოსოფოსი, ავტორი რომანებისა „სპარსული წერილები“, „განაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის მიზეზების შესახებ“ და „კანონთა გონი“.

**მონტესკიე შარლ ლუი დე** (1689-1755) – ფრანგი მწერალი, ადვოკატი და ფილოსოფოსი, ავტორი რომანებისა „სპარსული წერილები“, „განაზრებები რომაელთა აღზევებისა და დაცემის მიზეზების შესახებ“ და „კანონთა გონი“.

**მორგანი ტომას ჰანტ** (1866-1945) – ამერიკელი ბიოლოგი, გენეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, აშშ-ის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

**მოსაშვილი ილო (ილია)** (1896 -1954) – ქართველი მწერალი, პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი და სცენარისტი, საქართველოს ლიტერატურული ფონდის დირექტორი, ჟურნალის „მოლტი“ პასუხისმგებელი მდივანი და გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი. 1911 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი გაზეთში „სინათლე“.

**მოცარტი ვოლფგანგ ამადეუს** (1756-191) – გერმანელი კომპოზიტორი და ვირტუოზი მუსიკოსი, ორღანისტი და პიანისტი, ბოლონიის ფილარმონიის აკადემიის წევრი, ოქროს შიპიჩი ორდენის კავალერი, ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენელი. მისი მრავალი ნაწარმოები მიჩნეულია სიფონიური, საოპერო და საგუნდო ნაწარმოებების შედეგებად.

**მოციქული პავლე (სავლე)** – იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული, რომელიც თავდაპირველად ქრისტიანებს სდევნიდა, მაგრამ დამსკოს გზაზე უფლის გამოცხადების შემდეგ უფლის მოციქული შეიქნა. მან სამჯერ იმოგზაურა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში და მრავალი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. არსებობს ამ მოგზაურობის დროს პავლე მოციქულის მიერ სხვადასხვა ეკლესიებისადმი მიწერილი 14 ეპისტოლე, რომლებიც ახალი აღთქმის წიგნებს განეკუთვნება.

**მჟავანაძე ვასილ** (1902-1988) – ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, დივიზიის კომისარი, გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, საქართველო ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

**მრეველიშვილი მაყვალა ალექსანდრეს ასული** (1909-1992) – ქართველი საბავშვო პოეტი. მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქტორად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად, იყო მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო სექციის ბიუროს მდივანი, ჟურნალის „დილა“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

**მრეველიშვილი მიხეილ** (1904-1980) – ქართველი მწერალი, დრამატურგი და ეკონომისტი. მუშაობდა გაზეთში „მუშა“ კორესპონდენტად და მხატვრული პროზის ხაზით. მისი პირველი

რომანი დაიბეჭდა 1926 წელს, მუშაობდა ტრესტში „მოსკულტმშენი“ მეგემავად, თბილისში „სამტრესტში“ უფროს ეკონომისტად. იყო საქართველოს რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექტორის მოადგილე.

**მუმლაძე კარპე (1912-2001)** – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ქვემო ქართლში მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და ჟუნალ-ალმანახის „ჩირაღდნები“ მთავარი რედაქტორი. 1959 წელს ჟურნალის „დროშა“ ლიტერატურულ კონკურსში მოთხრობისათვის „თქვენ რას იტყვით“ მიენიჭა მეორე პრემია.

**მურადელი ვანო ილიას ძე (1908-1970)** – ქართველი კომპოზიტორი, საზოგადო მოღვაწე და საქართველოს სახალხო არტისტი, საკავშირო მუსიკალური ფონდის, რუსეთისა და საბჭოთა კავშირის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.

**მურდულია პოლიკარპე (პოკო) (1900-1973)** – ქართველი მსახიობი და რეჟისორი, მოღვაწეობდა რუსთაველის თეატრში, სახელმწიფო ცირკის, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის დირექტორად, მუშაობდა „სახკინმრეწვში“.

**მუსერიძე სევერიან ივანეს ძე (18??-1937)** – ქართველი მწერალი და ჟურნალისტი, გაზეთის „ახალი კოლხეთი“ რედაქტორი, არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „ლახტი“ და „თანამედროვე აზრი“.

**მუსხელიშვილი ნიკოლოზ (1891-1976)** – ქართველი მათემატიკოსი, მეცნიერი და პედაგოგი. საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთერთი დამფუძნებელი, მათემატიკისა და მექანიკის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი.

**მუშიშვილი გიორგი (ხოფერია გრიგოლ) ანდრეას ძე (1899-1938)** – ქართველი ჟურნალისტი, კრიტიკოსი. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების რევოლუციური პარტიის წევრი, თანამშრომლობდა გაზეთთან „სახალხო საქმე“. სხვადასხვა დროს იყო ჟურნალ „რემედასის“ და გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი.

**მუხაძე გრიგოლ (1879-1948)** – ქართველი ექიმი და მეცნიერი, ორთოპედია-ტრავმატოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში, ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტის შექმნის ინიციატორი თბილისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანოზატორი, რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

**მღვიმელი (ქუჩუკაშვილი) შიო ილარიონის ძე (1866-1933)** – ქართველი საბავშვო მწერალი. მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაში“ და ამავე საზოგადოების წიგნის მაღაზიაში გამყიდველად. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1885 წელს გაზეთ „დროებაში“. თანამშრომლობდა ჟურნალებთან; „ჯეჯილი“ და „ნაკადული.“

**მშველიძე შალვა (1904-1984)** – ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. იყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი.

**მჭედლიშვილი (სიბილა) ელენე (1903-1970)** – ქართველი მსახიობი. მოღვაწეობდა ქუთაისის, სოხუმის, ფოთის, ჭიათურის და თბილისის მარჯანიშვილის და თოჯინების

თეატრებში. მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს რადიოს ლიტერატურულ გადაცემებში, კინოსტუდიაში ახმოვანებდა კინოფილმებს.

**მჭედლიშვილი დავით** (1914-2001) – ქართველი ჟურნალისტი. სხვადასხვა დროს იყო რამდენიმე გაზეთისა და ჟურნალის: „კოლმეურნე“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ნორჩი ლენინელი“, „კომუნისტი“, ჟურნალების: „პიონერი“ და „ბოლშევიკი“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტიკა ფედერაციის მდივანი და თავმჯდომარე.

**მჭედლიშვილი იოსებ** (1888 -1950) – ქართველი პოეტი და მწერალი. მისი ლექსები და მოთხრობები იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში: „სახალხო საქმე“, ჟურნალებში „ნაკადული“, „ჯეჯილი“, „ნიშადური“. 1916 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ცალკე წიგნად გამოსცა მისი „მწყემსის წერილები“, ხოლო 1922 წელს დაიბეჭდა ლექსების პირველი ტომი.

**მჭედლიშვილი იოსებ** (1921-19??) – ქართველი ექიმი და მეცნიერი, პროფესორი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის პედიატრიული კათედრის კლინიკური ორდინატორი, მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, პედიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური და ექსპერიმენტული ალერგოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი და ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

**მჭედლიძე დიმიტრი** (1904-1983) – ქართველი საოპერო მოღერალი, ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი, სარეპერტუარო ნაწილისა და საოპერო დასის გამგე, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

## ნ

**ნადიმაშვილი სერგო** (1917-2009) – ქართველი არქეოლოგი, ისტორიკოსი, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი, გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მეცნიერ-მუშაკი არქეოლოგიის დარგში, ამავე მუზეუმის მუზეუმის არქეოლოგიური სექტორის გამგე, თრიალეთის არქეოლოგიურ ექსპედიციის წევრი.

**ნადირაძე ალექსი** (1914-1987) – ქართველი ინჟინერი, მეცნიერი, გამომგონებელი, სამხედრო პირი, მუშაობდა ცენტრალურ აეროჰიდროდინამიკურ ინსტიტუტში ინჟინრად, ჯგუფის ხელმძღვანელად, მას ეკუთვნის მსოფლიოში პირველი მეტეოროლოგიური კვლევითი რაკეტა „MP-1“, იყო საბჭოთა კავშირის კოსმონავტიკის ინსტიტუტის დირექტორი.

**ნადირაძე ნიკოლოზ კოლაუ** (1895-1990) – ქართველი მწერალი, პოეტი და მთარგმნელი, „ცისფერყანწელების“ სიმბოლისტური მიმდინარეობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. პირველი ლექსი დაბეჭდა 1916 წელს ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“, პირველი წიგნი გამოსცა 1920 წელს.

**ნადსონ სემიონ იაკოვლევის ძე** (1862-1887) – ებრაელი წარმომავლობის რუსი პოეტი. 1878 წელს დაიბეჭდა მისი ლექსი „გამთენიისას“ ვაგნერის ჟურნალში „სვეტ“. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „დელო“, „უსტოი“, „რუსსკაია მისლ“ და „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“.

**ნავეყინ პიოტრ მიხაილის ძე** (1841-1919) – რუსი პოეტი, დრამატურგი და სამხედრო მოსამსახურე, 30-მდე პიესის ავტორი. მისი დებიუტი შედგა 1880 წელს. სახელი გაუთქვეს პიესებმა: „მველებური ახლებურად“ და „მეორე ახალგაზრდობა“, თანამშრომლობდა ჟურნალთან „რუსსკი ვესტნიკ“.

**ნაზონი ოვიდიუს პუბლიუს** (მვ. წ.ად. 43-ახ. წ. არ. 17-17) – რომაელი პოეტი, რომელიც ლექსებს წერდა სიყვარულზე, ვირგილიუსსა და ჰორაციუსთან ერთად, ლათინური ლიტერატურული კანონის წარმომადგენლად მიიჩნევა, ითვლება ელეგიების ოსტატად.

**ნათაძე გიორგი** (1892-1965) – ქართველი ექიმი, ჰიგიენისტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ჰიგიენის კათედრის გამგე, პროფესორი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კვების სამეცნიერო კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სანიტ-ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

**ნათაძე გიორგი** (1892-1965) – ქართველი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ჰიგიენის კათედრისა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კვების სამეცნიერო კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარული ჰიგიენის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სსრ ჰიგიენისტთა საზოგადოების დამაარსებელი და თავჯდომარე.

**ნათაძე ლევან (ლეო)** (1880-1922) – ქართველი პედაგოგი, პოლიტიკოსი და ჟურნალისტი. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, მენშევიკების ფრაქციის წევრი, კავკასიის დროებითი მთავრობის სამოსწავლო ოლქის კომისარი, გაზეთების „Борьба“ და „ერთობა“ რედაქტორი, განათლების კომისიის თავმჯდომარე, საკონსტიტუციო, სარეგლამენტო და ხელოვნების კომისიების წევრი.

**ნათაძე ლევან იასონის ძე** (1880-1922) – ქართველი ჟურნალისტი, პედაგოგი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი განათლების კომისიის თავმჯდომარე.

**ნაკაშიძე (ანთაძე) ნინო** (1872–1963) – ქართველი მწერალი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. საბავშვო ჟურნალის „ნაკადული“ დამაარსებელი და რედაქტორი, ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციას.

**ნაკაშიძე ილია** (1866-1923) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე გურიის რეგიონში, თანამშრომლობდა ახლად გახსნილ ქართულ უნივერსიტეტთან, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ლევ ტოლსტოისთან დუხობორების უფლებათა დაცვის საკითხში, მას ეკუთვნის არაერთი საინტერესო წერილი ქართველ, რუს და უცხოელ მწერალთა შემოქმედებაზე.

**ნამიჭეიშვილი თადეოზ სიმონის ძე** – ქართველი საულიერო პირი, გალაკტიონ ტაბიძის დეიდის ეკატერინეს ქმარი, გალაკტიონის მიმრქმელი.

**ნაროუშვილი ფრიდონკონსტანტინეს ძე** (1904-1937) – ქართველი საბჭოთა პოეტი, ბოლშევიკი. იყო „საქართველოს პროლეტარული ასოციაციის“ წევრი, ბოლშევიკური რევოლუციის და საბჭოთა ხელისუფლების მეხოტბე. ებრძოდა ყოველივე ეროვნულს ლიტერატურაში, განაქიქებდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას.

**ნარსია ნოდარ** (1931-1991) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი. მუშაობდა გამომცემლობის „განათლება“ მთავარ რედაქტორად, ნათარგმნი აქვს ჰაინრიხ ჰაინეს და ისიდორ კოზათის ლექსები. პირველი ლექსები დაბეჭდა 1952 წელს, პირველი კრებული - 1960 წელს.

**ნატროშვილი გიორგი** (1910-1998) – ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და მკვლევარი, ჟურნალების: „დროშა“ და „მნათობი“ მთავარი რედაქტორი, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი.

**ნაცვლიშვილი (ზზვანელი) ვლადიმერ (ლადო) (1864-1953)** – ქართველი მწერალი და პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. მუშაობდა მასწავლებლად მერევის, ნიკორწმინდის, ტობანიერის სასწავლებლებში და ქუთაისის საქალაქო სასწავლებელში. ავტორია ნაშრომისა „ქართული ენის პროგრამა და საყმაწვილო ბიბლიოთეკები“.

**ნაცვლიშვილი დავით (დონი) (1899-1971)** – ქართველი გრაფიკოსი, მხატვარი-სატირიკოსი, გალაკტიონ ტაბიძის ბავშვობის მეგობარი. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „დროშა“, „მოლტი“, გაზეთებთან: „კომუნისტი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული გაზეთი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“.

**ნახუცრიშვილი გიორგი (1902-1992)** – ქართველი საბავშვო მწერალი და დრამატურგი. პირველი მოთხრობა თთაგუნისას თავგადასავალი” გამოაქვეყნა ჟურნალში „ნაკადული“; პირველი წიგნი - მოთხრობა „მამამ გამომგზავნა“ - 1933 წელს. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში წარმატებით იდგმებოდა მისი პიესა „ჭინჭრაქა“.

**ნახუცრიშვილი დავით (1874-1932)** – ქართველი მწერალი და მთარგმნელი. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: „კვალი“, „მოგზაური“, „ცნობის ფურცელი“, „ივერია“, „გლეხი“, „ნაკადული“, „თეატრი და ცხოვრება“. იყო ქართული თეატრის ადმინისტრატორი, მონაწილეობა აქვს მიღებული სოფელ ხაშში სახალხო თეატრისა და სამკითხველო-წიგნთსაცავის დაარსებაში.

**ნახუცრიშვილი დავით (1874-1932)** – ქართველი მწერალი და მთარგმნელი. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ივერია“, „თეატრი და ცხოვრება“, „ნაკადული“.

**ნევეჟინ პეტრე მიხეილის ძე (1841-1919)** – რუსი დრამატურგი, პროზაიკოსი და სამხედრო პირი. **ნეკრასოვი ნიკალაი ალექსის ძე (1821-1877)** – რუსი პოეტი, მწერალი და პუბლიცისტი, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსი, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალის „სოვრემენნიკ“ ხელმძღვანელი, ჟურნალის „ოტჩესტვენნიე ზაპისკი“ რედაქტორი.

**ნემიროვიჩ-დანჩენკო ვლადიმირ ივანის ძე (1858-1943)** – რუსი რეჟისორი, თეატრალური მოღვაწე და დრამატურგი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რომელმაც კონსტანტინე სტანისლავსკისთან ერთად დააფუძნა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი, რომელთანაც დაარსა თავისივე სახელობის მუსიკალური თეატრი.

**ნეპლიუევი ივან ივანეს ძე (1693-1773)** – რუსი ადმირალი, საიდუმლო საქმეთა მრჩეველი, სენატორი და კონფერენც-მინისტრი, დიპლომატი და მემუარისტი, სამარის, ორენბურგისა და ჩელიაბინსკის მთავარმართებელი.

**ნერგი ადა (1870-1945)** – იტალიელი პოეტი და მწერალი, რამდენჯერმე იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, მუსოლინის სახელობის იტალიის მთავარი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, იტალიის აკადემიის პირველი წევრი, სოიალისტური მოძრაობის ლიდერის ანნა კულემოვას მეგობარი და იდეური მხარდამჭერი.

**ნიკოლაევსკაია ელენა მატვეის ასული (1923-2006)** – რუსი საბჭოთა პოეტი და მთარგმნელი, სომხეთის კულტურის დამსახურებული მუშაკი. ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მთარგმნელობით სექციას.

**ნიკოლაიშვილი (ვარდოშვილი) ხარიტონ (1895-1970)** – ქართველი პოეტი და მთარგმნელი. იყო გაზეთების "თანამედროვე აზრის" კორექტორი; და "სამშობლო" და "საქართველოს რესპუბლიკა" ქრონიკორი და კორექტორი, ჟურნალის "მნათობი" პოეზიის განყოფილების გამგე. 1914 წელს



გამოაქვეყნა პირველი ლექსი, 1924 წელს გამოვიდა მისი პირველი პოეტური კრებული "ლექსები". წერდა ფსევდონიმით „მგზავრი“ და „ხარიტონ ვარდოშვილი“.

**ნიკოლაიშვილი იასონ** (1865-1941) – ქართველი მწერალი, ფილოლოგი და პედაგოგი. ქუთაისის სააზნაურო სკოლის და ქართულ გიმნაზიის აღმზრდელი და გალობის მასწავლებელი სოფელ ძველ სენაკში. პირველი მოთხრობა „პერიას ოჯახში“ დაიბეჭდა გაზეთში „ივერია“, თანამშრომლობდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებთან, წერდა ფსევდონიმით „ბელზებელი“.

**ნიკოლაძე ეკატერინე** (1854-1931) – ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. შვეიცარიაში აქტიურად იყო ჩართული ქართველი ახალგაზრდობის მიერ დაარსებული საზოგადოების „უღელი“ საქმიანობაში. ქუთაისში ეწეოდა პედაგოგიურ და საქველმოქედო საქმიანობას, პანსიონში შესასვლელად ამზადებდა ბავშვებს, დასთან ანასთან ერთად აწყობდა სახალხო წარმოდგენებს.

**ნიკოლაძე იაკობ** (1876-1951) – ქართველი მხატვარი და მოქანდაკე, ამიერკავკასიის ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოების მასწავლებელი, მისი დიდი მონუმენტური ნამუშევარია ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი „მწუხარე საქართველო“. გამოფენის ცენტრალური პავილიონის დეკორატიული რელიეფი და ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების სერია.

**ნიკოლაძე იაკობ** (1876-1951) – ქართველი პირველი პროფესიონალი მოქანდაკე, ქანდაკების რეალისტური სკოლის ფუნდამენტელი, საქართველოს სახალხო მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი პროფესორი. მისი ნამუშევრებია შოთა რუსთაველის პორტრეტები, ილია ჭავჭავაძის საფლავის ძეგლი „მწუხარე საქართველო“ ასევე აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა პორტრეტები.

**ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო)** (1843-1928) – ქართველი კრიტიკოსი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი. რედაქტორობდა გაზეთს „ნაროდნოე ბოგატსტვო“, მუშაობდა გაზეთში „დროება“, რედაქტორობდა ჟურნალს „კრებული“, პარიზში გამოსცემდა ჰექტოგრაფიულად ნაბეჭდ გაზეთებს „დროშა“ და „ობზორ“, თანამშრომლობდა ჟურნალთან „ოტჩენსტვენნიე ზაპისკი“, იყო ფოთის ქალაქის თავი (მერი).

**ნიწოშვილი (ინგოროყვა) ეგნატე** (1859-1994) – ქართველი მწერალი. მასწავლებლობდა სოფ. ჩოჩხათის სკოლაში. მუშაობდა ასოთამწყობად თბილისის სტამბაში, მოხელედ სოფლის კანცელარიაში, ბათუმის ნავსადგურში, მუშად როტმილდის ქარხანაში. მისი თხზულებები იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებთან: „ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „თეატრი“.

**ნიჟარაძე დავით** (1856-1922) – ქართველი საზოგადო და სამხედრო პირი, ორატორი, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, სამაზრო კომისიის თავმჯდომარე, იმერეთის თავად-აზნაურთა ბანკის ხელმძღვანელი, მეფისნაცვლის საგანგებო მინდობილებათა გენერალი, ქართული გალობის აღმადგენელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე. მისი თაოსნობით აშენდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის შენობა, გენერალ კოტე აფხაზთან ერთად გადასცა ქართველ ერს თავადაზნაურთა ქონება 42 მლნ მანეთის ოდენობით.

**ნიჟარაძე შოთა** (1923-1987) – ქართველი დრამატურგი, პოეტი და ჟურნალისტი. მუშაობდა გაზეთების: „სიმართლისა“ და „სტალინელი“ ქუთაისის რედაქციებში, „ლელოს „ საკუთარ კორესპონდენტად ქუთაისის რეგიონში.

**ნიცშე ვილჰელმ ფრიდრიხ** (1844-1900) – გერმანელი ფილოსოფოსი, ბაზელის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, კომპოზიტორი და ხელოვნების კრიტიკოსი. მისი

უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებია: „ასე იტყოდა ზარატუსტრა“, „ანტიქრისტე“, „მორალის გენიალოგია“.

**ნოვალისი (გეორგ ფილიპ ფრიდრიხ ფრეიჰერ ფონ ჰარდენბერგი)** (1772-1801) – გერმანელი არისტოკრატი, რომანტიკოსი პოეტი, მისტიკოსი, ფილოსოფოსი. მის შედეგებს შორისაა პოეტური კრებულები, „ლამის ჰიმნები“ და დაუსრულებელი რომანები, მათ შორის „ჰაინრიხ ფონ ოფტერდირგენ“.

**ნოვიკოვ ივან ალექსანდრეს ძე** (1877-1957) – რუსი საბჭოთა პოეტი, მწერალი და მთარგმნელი. ცნობილია თავისი რომანებით პუშკინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ასევე სხვა რუსი მწერლების ცხოვრება-შემოქმედებაზე მიძღვნილი ნაწარმოებებით.

**ნოზაძე გიორგი** (19??–1991) – ქართველი ჰუმანიტარი, ვიქტორ ნოზაძის ძმა. პირველი წერილი ქართული ქალაქების შესახებ დაბეჭდა პარიზში ჟურნალის „კავკასიონი“ პირველ ნომერში. იბეჭდებოდა საზღვარგარეთ გამომავალ ქართულ პერიოდულ გამოცემებში: „ერის დიდება“, „ბედი ქართლისა“ და „კავკასიონი“. წერდა ფსევდონიმით „მიხეილ ჩუბინიძე“.

**ნონეშვილი იოსებ** (1918-1980) – ქართველი პოეტი, ჟურნალის „ნიანგი“ რედაქტორის მოადგილე, ჟურნალის რედაქტორი „დილა“, გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ მთავარი რედაქტორი, პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1938 წელს ჟურნალში „ჩვენი თაობა“. პირველი პოეტური კრებული გამოსცა 1940 წელს.

**ნორაკიძე ვლადიმერ** (1905-1993) – ქართველი მეცნიერი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელი, გენეტიკური ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე, პიროვნების ფსიქოლოგიის განყოფილების გამგე.

**ნორის სმიტ გილმან ჩავ ( ჩარლზ ნორის)** (1881-1945) – ამერიკელი მწერალი, დრამატურგი და რედაქტორი, ჟურნალის „Country Life in America“ რედაქტორის თანაშემწე, ჟურნალის „Sunset“ გავრცელების განყოფილების ხელმძღვანელი და ჟურნალის „American magazine“ მხატვრული რედაქტორი.

**ნუცუბიძე თამარ** (1897-1954) – ქართველი გეოგრაფი, მეცნიერი და პედაგოგი, გეოგრაფიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი. დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ტბების შესწავლის საქმეში. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი. გარდა ამისა, თარგმნა რამდენიმე სახელმძღვანელო ჰიდროლოგიაში.

**ნუცუბიძე ლილი** (1927-2002) – ქართველი პოეტი, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების კონსულტანტი, 1959 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ორმოცამდე პოეტური კრებულია და უამრავი ამღერებული ლექსი.

**ნუცუბიძე შალვა** (1888-1969) – ქართველი ფილოლოგი და ფილოსოფოსი, მეცნიერი, პეტერბურგის უნივერსიტეტის ლექტორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პრორექტორი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე. ლაიპციგის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. ინტენსიურად იკვლევდა ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას და მასთან დაკავშირებულ „აღმოსავლური რენესანსის“ საკითხებს.



**ოდისარია ევგენი ნიკოს ძე** (18??-19??) – ქართველი დაუდგენელი პროფესიის პირი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისისა და ლანჩხუთის განყოფილებების წევრი.

**ოდისვილი ისიდორე** (1902-1955) – ქართველი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და იურისტი, საქართველოს უმაღლესი (უზენაესი) სასამართლოს წევრი, უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე. თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის სასამართლო პროცესებს.

**ოკუჯავა მიხეილ (მიშა)** (1883-1937) – ქართველი რეპრესირებული საბჭოთა პოლიტიკური ლიდერი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და ბოლშევიკური ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერი საქართველოში, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი, სახკინმრეწვის დირექტორი, ამიერკავკასიის სახელმწიფო საგემო კომისიის დირექტორის მოადგილე, გალაკტიონ ტაბიძის მეუღლის ოლია ოკუჯავას ძმა.

**ოკუჯავა ოლია** (1888-1941) – ქართველი რეპრესირებული პედაგოგი, კოუნსტუტური პარტიის აქტივისტი, გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე და ბოლშევიკური პოლიტიკური ლიდერის მიხეილ ოკუჯავას და.

**ოლენდერი სემიონ იულის ძე** (1907-1968) – რუსი პოეტი და მთარგმნელი, მუშაობდა გაზეთში „კომსომოლსკაია პრავდა“, სადაც მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა, რედაქტორად გაზეთში „გუდოკ“, 1933 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების პირველი კრებული.

**ოლენიჩ-გენენკო ალექსანდრ პაველის ძე** (1893-1963) – რუსი საბჭოთა მწერალი და პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე. член Омского губернского комитета по всеобщей трудовой повинности. был управляющим делами в Омской губернии. საყოველთაო აღიარება მოუტანა ლუის კეროლის მოთხრობის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ თარგმანმა.

**ოლხონ (პასტუხინ) ანატოლი სერგის ძე** (1903-1950) – რუსი საბჭოთა პოეტი, მთარგმნელი, საბავშვო მწერალი და ლიტერატორი. აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალებს.

**ონიაშვილი დავით** (1883-1937) – ქართველი რეპრესირებული პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, იურდიული კომისიის თავმჯდომარე, საბიუჯეტო-საფინანსო და თვითმმართველობის კომისიების წევრი. თანამშრომლობდა პრესაში „დ-ლის“ და „ოს“ ფსევდონიმებით.

**ორაგველიძე კარლო** (1902-1937) – ქართველი რეპრესირებული ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, წითელი პროფესორი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, განაქიქებდა ივანე ჯავახიშვილის როგორც მეცნიერის ღვაწლს.

**ორახელაშვილი მამია** (1881-1937) – ქართველი ბოლშევიკი და საბჭოთა პარტიული მოღვაწე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის თავმჯდომარე, კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და ბიუროს წევრი, განათლების სახალხო კომისარი, საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

**ორახელაშვილი მიქელაძე მარიამ** (1887-1937) – ქართველი ბოლშევიკი, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნი, საქართველოს კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, განათლების

სახალხო კომისარი. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალები: „მშრომელი ქალი“, „წითელი სხივი“, პოლიტიკოს მამია ორახელაშვილის მეუღლე.

**ორბელიანი გრიგოლ ზურაბის ძე (1804-1883)** – ქართველი პოეტი, საზოგადო მოღვაწე, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, სამხედრო პირი. თბილისში რუსეთის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელი, რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომებისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

**ორბელიანი გრიგოლ ზურაბის ძე (1804-1883)** – ქართველი რომანტიკოსი პოეტი, საზოგადო მოღვაწე და სამხედრო პირი. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იყო დაპატიმრებული. მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში ლეკების წინააღმდეგ რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომებში, იყო თბილისში მთავარმართებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.

**ორბელიანი ელისაბედ (1871-1942)** – ქართველი პოეტი, მთარგმნელი. რედაქტორობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფრანგულ და ინგლისურენოვან გაზეთებს: „თავისუფალი საქართველო“, „საქართველოს რესპუბლიკა“ და „საქართველოს მოამბე“, ფრანგულად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდა ფრანგული და ინგლისური ენის კურსს.

**ორბელიანი მამუკა (მაკარ) თომას ძე (1800-1871)** – ქართველი სამხედრო პირი, რუსეთის იმპერიის გენერალ-მაიორი, მონაწილეობდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში, რუსეთ-ირანის და რუსეთ-ოსმალეთის ომებში. თავი გამოიჩინა ყარსის, ახალქალაქის, ახალციხისა და აწყურის ბრძოლებში.

**ორჯონიკიძე სერგო (გრიგოლ) კონსტანტინეს ძე (1886-1937)** – ქართველი ბოლშევიკი რევოლუციონერი, საბჭოთა სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, პოლიტბიუროს წევრი, სტალინთან დაახლოებული პირი.

**ოტუეი თომას (1651-1685)** – ინგლისელი პოეტი, მსახიობი და დრამატურგი, 1670 წელს შედგა მისი წარუმატებელი დებიუტი თეატრში „Линкольне Инн Филдс“, მისი პირველი პიესა იყო „დონ-კარლოსი“, აღსანიშნავია „ათეისტი“, ტრაგედია „ალკიბიადე“ და ყველაზე წარმატებული დრამა „გადარჩენილი ვენეცია“.

**ოუეტი თომას (1503-1542)** – ინგლისელი პოეტი, სონეტების პირველი ავტორი დიდ ბრიტანეთში, დიპლომატი, მეფე ჰენრი VIII -ის ელჩი იტალიაში, ესპანეთში და საფრანგეთში, ვიცე ადმირალი.

**ოყროშიძე დომენტი (1876-1952)** – ქართველი მწერალი, პედაგოგი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. წრდა ფსევდონიმით „თომაშვილი“. სახალხო მასწავლებლად მუშაობდა სამეგრელოსა და ქვემო იმერეთის სკოლებში, ქართულ გიმნაზიაში. თანამშრომლობდა გაზეთებთან: „ივერია“, „ახალი დროება“, „სახალხო გაზეთი“, „ისარი“ და „ამირანი.“

**ოცხელი პეტრე გრიგოლის ძე (1907-1937)** – ქართველი თეატრის მხატვარი. თბილისის მუშათა თეატრში გააფორმა ანატოლი ლუნაჩარსკის პიესა „ცეცხლის გამჩაღებლები“, შალვა დადიანის „კაკალ გულში“ და კარლ გუცკოვის „ურიელ აკოსტა“ (1929), მოსკოვის მცირე თეატრში ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ და ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო“.

**ომელაშვილი არსენა (1797-1842)** – ქართველი სახალხო გმირი, პოპულარული იყო საქართველოსა და მის მოსაზღვრე მხარეში. ებრძოდა მარბიელ მთიელთა ურდოებს, კოლონიალური პოლიტიკის გამტარებელ ჩინოვნიკებსა და ჩარჩ-ვაჭრებს. მისი ანტიფეოდალური პროტესტი გლეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში გადაიზარდა.

**პაგანინი ნიკოლო** (1782-1840) – იტალიელი მევიოლინე, გიტარისტი და კომპოზიტორი განთქმული ვიოლინოს ერთ სიმზე დაკვრით. მისმა 24 კაპრიზმა გავლენა იქონია ბრამსის, რახმანინოვისა და ლისტის მუსიკაზე.

**პავლე** (1887-1966) – ქართველი მწერალი, მსახიობი და რეჟისორი, გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. გამოდიოდა ავჭალის აუდიტორიის მუშათა დრამატულ, ხარფუხის, ნაძალადევის, ავლაბრის თვითმოქმედ დრამატულ წრეებში. მუშაობდა ქუთაისში, გორში, ჭიათურის დრამატულ თეატრებში. ავტორია წიგნებისა: „როგორ დავეუფლოთ სასცენო ხელოვნებას“ და „რაც ვნახე და განვიცადე“

**პავლენკო პეტრე ანდრეის ძე** (1899-19510 – რუსი საბჭოთა მწერალი, სცენარისტი და სპეციალური კორესპონდენტი, კულტურის მუშაკი, სტალინური პრემიის ოთხგზის ლაურეატი.

**პავლიაშვილი დავით სვიმონის ძე** (1880-1925) – ქართველი ჟურნალისტი და გაზეთების კორესპონდენტი. წერდა ფსევდონიმით „პარდონ“.

**პავლიაშვილი დავით სიმონის ძე** (1878-1925) – ქართველი ეთნოლოგი, პედაგოგი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. თანამშრომლობდა თბილისის თითქმის ყველა პერიოდულ გამოცემასთან, სადაც ბეჭდავდა ეთნოგრაფიულ წერილებს, ქრონიკას, ახალ ამბებს, განცხადებებს, საჭირობოროტო საკითხების შესახებ წერილებსა და სხვა მასალებს ფსევდონიმებით: „ნაპოლეონი“, „ავცია“, „ანჩისხატელი“ და „პარდონ“.

**პავჩინსკი ნიკოლაი ვლადიმირის ძე** – გაზეთის „ზარია ვოსტოკა“ მთავარი რედაქტორი. მოღვაწეობა დაიწყო 1911 წელს ბათუმში.

**პაიჭაძე ფაცია (ლიგია)** (19??- 19??)–ქართველი პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალოსანი, მუშაობდა თბილისის ეროვნული სასახლის შემოქმედ მოსწავლეთა სტუდიის ხელმძღვანელად.

**პაპავა აკაკი** (1890-1964) – ქართველი მწერალი და ჟურნალისტი, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრი და ქალაქის ხმოსანი, რედაქტორობდა საინფორმაციო ჟურნალს „ხელოვნება“. დიდი ღვაწლი მიუძღვის უცხოეთში მოხვედრილ ქართულ სიმკვლეთა შეძენისა და შენახვის საქმეში.

**პაპასკირი ივანე** (1902-1980) – ქართველი მწერალი. ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა 1932 წლიდან. მუშაობდა გაზეთში „აპსნი კაშპი“ ლიტმუშაკად და პარტიული განყოფილების გამგედ, ამავე გაზეთის რედაქტორად, აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობის ლიტმუშაკად და ღირექტორად.

**პარედის ვისენტე გარსია დე** (1845–1903) – ესპანელი მხატვარი. 1879 წელს მოაწყო პირველი გამოფენა. პოპულარობა მოუტანა ლუდოვიკო XV-ის პერიოდის არისტოკრატიების ცხოვრების ამსახველმა ტილოებმა. მისი ნამუშევრების რეპროდუქციები იბეჭდებოდა ხელოვნების ალბომებსა და ფრანგულ მოდურ ჟურნალებში.

**პასტერნაკ ბორის ლეონიდის ძე** (1890-1960) – ებრაული წარმომავლობის რუსი პოეტი და მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 1913 წელს გამოაქვეყნა პირველი პოეტური კრებული „ტყუპი ღრუბლებში“. საქართველოში მოგზაურობისას დაუახლოვდა ცისფერყნწელებს და თარგმნა მათი და ქართველ კლასიკოსთა რჩეული ნაწერები.

**პატარაია ვასილ (ვასო)**(1895-1969) – ქართველი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი და სახელმწიფო მოხელე. წერდა ფსევდონიმებით: „დონ ბაზილი“, „ვასილ დებორნ“, „ტრა-დიცია“. იყო ხელოვნების მუშაკთა კავშირის განყოფილების გამგე, ოპერისა და ბალეტის თეატრის ადმინისტრატორი და რეჟისორი, ქართული სიმფონიური ორკესტრის დირექტორი.

**პატარიძე მიქელ აბესალომის ძე** (1895-1959) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ალპინისტი და ტანმოვარჯიშე, საზოგადოების „შევარდენი“ წევრი.

**პაჭკორია კირილე** (1889-1967) – ქართველი მომღერალი, ლოტბარი და პედაგოგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ერთ-ერთი დირიჟორი. მღეროდა ავქსენტი მეგრელიძის გუნდში, იყო ძუკუ ლოლუას გუნდის სოლისტი, ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი გუდაუთაში, ხელმძღვანელობდა დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდს.

**პენკოვსკი ლევ მინას ძე** (1894-1971) – ებრაული წარმომავლობის რუსი საბჭოთა პოეტი და მთარგმნელი, 1918 წელს დაიბეჭდა მისი ლექსების ერთადერთი კრებული „სულის ბაღში“(В саду души), თარგმნიდა შუა აზიის ხალხურ ეპოსსა და საბჭოთა პოეტების ლექსებს.

**პეტრენკო პანტელეიმონ (პაველ)** (1908-1936) – რუსი და უკრაინელი საბჭოთა პოეტი, მთარგმნელი და მხატვარი, შოთა რუსთაველის პოემის „ვეფრისტეაოსანი“ მთარგმნელი.

**პეტროვ გრიგოლ სპირიდონის ძე** (1866-1925) – რუსი სასულიერო პირი, საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ჟურნალისტი. ცნობილია მისი რომანი „ფინეთი, თეთრი ლილიების ქვეყანა“, რომელიც არაერთხელ გამოიცა სხვადასხვა ენაზე.

**პეტროვსკი დიმიტრი ვასილის ძე** (1892-1955) – რუსი საბჭოთა პოეტი, პროზაიკოსი, კავშირის „Председателей земного шара“ წევრი, ლეფელების მემარჯვენე ფრთის წევრი, რაპის იდეოლოგიის დაუცხრომელი კრიტიკოსი. ცნობილია ნაწარმოებებით: „გალკა“, „ჩერვონოვ კაზაჩესტვო“, ფილოსოფიური ლირიკის კრებულით „პოედინოკ“.

**პეშკოვ ალექსეი მაქსიმის ძე (მაქსიმ გორკი)** (1868-1936) – რუსი მწერალი, დრამატურგი, რომანისტი, პოეტი, პუბლიცისტი, დრამატურგი, ავტობიოგრაფი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი და გამომცემელი, სოციალისტური რეალიზმისა და საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი.

**პეშკოვა ნადეჟდა ალექსის ასული** (1901-1971) – რუსი მხატვარი, პორტრეტისტი, საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი, მაქსიმ გორკის ვაჟის ალექსეი პეშკოვის მეუღლე.

**პისარევი დიმიტრი** (1840-1868) – რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი და მთარგმნელი. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „დელო“ და „ოტეცესტვენნიე ზაპისკი“.

**პლატონი** (ძვ.წ.აღ.427 – 347) – ბერძენი ფილოსოფოსი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კლასიკური ხანის ფილოსოფოსი, იყო სოკრატეს მოსწავლე და არისტოტელეს მასწავლებელი, ფილოსოფიური დიალოგების ავტორი, ათენის აკადემიის დამფუძნებელი.

**პო ედგარ ალან** (1809-1849) – ამერიკელი პოეტი, ნოველისტი, რედაქტორი, კრიტიკოსი და ამერიკული რომანტიზმის ლიდერი, განთქმული მისი საშინელებათა ისტორიებით. პო ერთ-ერთი პირველი ამერიკელი ნოველისტია. ითვლებ დეტექტიური და კრიმინალური ჟანრის ფუძემდებლად.

**პოგოდინ მიხაილ პეტრეს ძე** (1800-1875) – რუსი მწერალი, ისტორიკოსი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, გამომცემელი და კოლექციონერი. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი.

**პოლიკარპოვ დიმიტრი ალექსეის ძე** (1905-1965) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის მდივანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე.

**პოლიშჩუკ ვალერიან ლვოვის ძე** (1897-1937) – უკრაინელი რეპრესირებული საბჭოთა პროლეტარული მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და ლიტერატურის თეორიტიკოსი. თანამშრომლობდა გაზეთებთან „ნაროდნაია ვოლია“, „იზვესტია“ და ჟურნალებთან „შლიახ“ და „გლობუს“.

**პოლონსკი ვიაჩესლავ პაველის ძე** (1886-1932) – რუსი საბჭოთა კრიტიკოსი, რედაქტორი, ჟურნალისტი და ისტორიკოსი, ჟურნალების: „კრასნაია ნივა“, „კრასნოი არხივ“ რედაქტორი, ჟურნალების: „ნოვი მირ“ და „პეჩატ ი რევოლუცია“ მთავარი რედაქტორი.

**პონდოვე გაბრიელ სერგის ძე** (1875–1967) – ნერვოპათოლოგი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV მთავარ სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის კონსულტანტი.

**პონდოვეი გაბრიელ სერგის ძე** (1875-1967) – თბილისელი ექიმი-ნევროპათოლოგი, პროფესორი.

**პოპოვი (კრეიტანი) გიორგი** (1900-1951) – რუსი პოეტი და ჟურნალისტი. თანამშრომლობდა სხვადასხვა გაზეთებთან და ჟურნალებთან. კითხულობდა ლექციებს და მოხსენებებს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირთან არსებულ ლიტერატურულ წრეს. მუშაობდა გაზეთის „Большевицкая путевка“ რედაქტორის მოადგილედ.

**პორტნოვი ვლადიმერ სამუელის ძე** (1927-2007) – რუსი პროზაიკოსი, ჟურნალისტი და მთარგმნელი.

**პოსტუპალსკი იგორ სტეფანის ძე** (1907-1990) – რუსი საბჭოთა მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ბიბლიოგრაფი და მთარგმნელი. 1937 წელს დაპატიმრებული იყო უკრაინული ნაციონალური ორგანიზაციის დაარსებისთვის. თანამშრომლობდა ჟურნალთან „ნოვი მირ“. ფრანგულიდან თარგმნა შარლ ბოდლერის, ერედიას და არტურ რემბოს ლექსები.

**პოტაპენკო იგნატ ნიკოლაის ძე** (1856-1929) – რუსი მწერალი და დრამატურგი,

**პრევი ფრანსუა ანტუან (აბატი)** (1697-1763) – ფრანგი მწერალი, ისტორიკოსი, მთარგმნელი და კათოლიკე მღვდელი. მას ეკუთვნის განმანათლებლური რომანები „ქვეყნისგან განდგომილი წარჩინებული კაცის ჩანაწერები და თავგადასავლები“, „თანამედროვე ბერძენი ქალის ამბავი“, „ინგლისელი ფილოსოფოსი“ და მწერლის ყველაზე ცნობილი ფსიქოლოგიურ-სანტიმენტალური ნაწარმოები „კავალერ დე გრიესა და მანონ ლესკოს ამბავი“.

**პრემაცი ლუიჯი** ( 1814-1891) – იტალიური წარმომავლობის რუსეთში მოღვაწე ფერმწერი-აკვარელისტი, საიმპერატორო ხელოვნების აკადემიის პროფესორი და აკადემიკოსი. მუშაობდა პავლოვსკის ინსტიტუტში, ხელოვნების აკადემიასა და ბარონ შტიგლიცის ხატვის ტექნიკურ სასწავლებელში.

**პრიდვოპოვ ეფიმ ალექსანდრეს ძე (დემიან ზედნი)** (1883-1945) – რუსი საბჭოთა პოეტი, მწერალი, პუბლიცისტი, რევოლუციონერი და საზოგადო მოღვაწე. სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთში „ბეზბოჟნიკ“.



**პრიუდომი სიული** (1839-1907) – ფრანგი პოეტი, ესეისტი, პოეტთა ჯგუფის „პარნასი“ წევრი, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი.

**პროკიფიევ ალექსანდრ ანდრეის ძე** (1900-1971) – რუსი საბჭოთა პოეტი და ჟურნალისტი, სამხედრო კორესპონდენტი და საზოგადო მოღვაწე, ლენინისა და სტალინის პრემიების ლაურეატი, ბორის პასტერნაკისა და სერგეი ბროდსკის იდეური მოწინააღმდეგე.

**პრუსტი მარსელ** (1871-1922) – ფრანგი მოდერნისტური მიდინარეობის მამამთავარი, დეკადენტური რომანის ფუძემდებელი, ავტორი მონუმენტური ნაწარმოებების სერიისა „დაკარგული დროის ძიებაში“, რის გამოც მან ძმები გონკურების სახელობის პრემია დაიმსახურა.

**პრუტკოვ კოზმა პეტრეს ძე** – ლიტერატურული ფსევდონიმი ალექსეი ტოლსტოისა და ძმებ ვლადიმირ და ალექსანდრ ჟემჩუჟნიკოვებისა.

**პურიშკევიჩ ვლადიმირ მიტროფანეს ძე** (1870-1920) – რუსი პოლიტიკური მოღვაწე, მონარქისტი, გამოჩენილი ორატორი.

**პუშკინი ალექსანდრ სერგის ძე** ( 1799 – 1837) — რუსი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ლიტერატურული კრიტიკოსი, რომანისტი, პუბლიცისტი, დრამატურგი, ესეისტი, წიგნების კლექციონერი.

**პშიბიშევსკი სტანისლავ** (1868-1927) – პოლონელი სიმბოლისტი მწერალი და დრამატურგი,

## ჟ

**ჟდანოვი ანდრეი** (1896-1948) – საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, 1930-1940 წლების რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატორი.

**ჟემჩუჟნოვ ალექსეი მიხაილის ძე** (1821-1908) – რუსი ლირიკოსი პოეტი, სატირიკოსი და იუმორისტი.

**ჟიდი გიომ პოლ ანდრე** (1869-1961) – ფრანგი მოდერნისტი მწერალი, პროზაიკოსი, დრამატურგი და ესეისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 1891 წელს შექმნა პირველი ნაწარმოები „ანდრე ვალტერის დღიურები“, ავტორია რომანებისა: „ჭაობი“, „მიწიერი კერპები“ და „საული“.

**ჟორდანია თედო (თევდორე)** (1854 -1916) – ქართველი ისტორიკოსი და ფილოლოგი, პედაგოგი. მუშაობდა თბილისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგად, საეკლესიო მუზეუმის გამგედ, გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურედ, სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსების ინსპექტორად. დიდი მუშაობა გასწია "ქართლის ცხოვრების" შედგენილობისა და ავტორების ვინაობის დასადგენად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი "ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა".

**ჟორდანია ნოე** (1868-1953) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, კავკასიის მენშევიკების ლიდერი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მენშევიკების ფრაქციიდან, საქართველოს რესპუბლიკის დროებითი პარლამენტის თავმჯდომარე, წერდა ფსევდონიმებით: „ანი“, „ნარი“, „კოსტროვი“ და „ნარიძე“.

**ჟუკოვი გიორგი კონსტანტინეს ძე** ( 1896-1974) – რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მარშალი, ოთხჯგზის საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი .

**ჟუკოვსკი ნიკოლაი იაგორის ძე** (1847-1921) – რუსი ფიზიკოსი და ბუნებისმეტყველი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის კათედრის პროფესორი,

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და ამავე აკადემიის ნამდვილი წევრი, მის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული თეორიული მექანიკის განვითარება რუსეთში,

**ჟურული ვარლამ ნიკოლოზის ძე (1908-1965)** – ქართველი პოეტი, ფუტურისტ-ლექსელი ჯგუფის წევრი, პუბლიცისტი. შემდეგ პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლებს, „ახალთაობელებს“ დაუახლოვდა.

**ჟღენტი ბესარიონ დავითის ძე (1903-1976)** – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. საქართველოსმწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, კინოსტუდიის სასცენარო განყოფილების დირექტორი, საქართველოს ლიტერატურის გამგე, გამომცემლობის „ზარია ვოსტოკა“ მთავარი რედაქტორის მოადგილე.

**ჟღენტი თენგიზ (1887-1937)** – ქართველი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, აჭარის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე, კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი, ოდესის სამხედრო კომისარი, აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი.

**რ**

**რაზლე ფრანსუა (1494-1553)** – რენესანსის ეპოქის ფრანგი მწერალი, ჰუმანისტი, ექიმი, ავტორი პამფლეტების და რომანი-დიალოგისა „გრანგანტუა და პანტაგრუელი“. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ადამიანის სხეულის გაკვეთაზე ჩაატარა ცდები. წერდა ფსევდონიმით „ალკოფრიბას ნაზიერი“.

**რადიანი (შეწირული) შალვა (1904-1977)** – ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფილოლოგიის დოქტორი, ჟურნალების: „პროლეტარული მწერლობა“ „დროშა“, „ჩვენი თაობა“, „პიონერი“, გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ რედაქტორი.

**რაზიკაშვილი ლუკა პავლეს ძე (ვაჟა -ფშაველა) (1862-1915)** – ქართველი მწერალი და პოეტი, დრამატურგი, კრიტიკული რეალიზმის საუკეთესო წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწე. პირველი წერილი დაბეჭდა 1879 წელს გაზეთში „დროება“, პირველი მოთხრობა - ამავე გაზეთში 1881 წელს.

**რაზიკაშვილი ნიკო (ზაჩანა) (1866-1928)** – ქართველი პოეტი და მწერალი, ეთნოგრაფი, ვაჟა-ფშაველას ძმა. ასწავლიდა მადაროსკარის, ჩარგლის, დუშეთის, სიღნაღისა და ბოდბის სკოლებში. მწერლობა 80-იან წლებში დაიწყო. მისი შემოქმედების თემატიკას იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა წარმოადგენს.

**რაზმაძე ალექსანდრე სოლომონის ძე (1845-1896)** – ქართველი მუსიკათმცოდნე, კრიტიკოსი, კომპოზიტორი.

**რამიშვილი ნოე (1881-1930)** – ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, მენშევიკების ფრაქციის წევრი, გაზეთის „ერთობა“ რედაქტორი, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველი თავმჯდომარე, საქართველოს შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი.

**რამიშვილი ტრიფონ (1875 –1929)** – ქართველი მწერალი და დრამატურგი.

**რამიშვილი ისიდორე ივანეს ძე (1859-1937)** – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, „მესამე დასის“ დამფუძნებელი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლის გამგე ბათუმში, მან დააფინანსა თავდასხმა სემინარიის რექტორ

ჩუდეცკიზე, რომელიც სასწავლებლიდან გარიცხულმა მოსწავლემ, იოსებ ლალიაშვილმა ხანჯლით მოკლა.

**რატიანი ანა** – კრიტიკოს ლავროსი კალანდაძის მეუღლე.

**რატიშვილი (რატიევი) ივანე** (1869-1958) – ქართველი ხელოვნებათმცოდნე, რუსეთის იმპერიის არმიის ოფიცერი, ზამთრის სასახლის კომენდანტი, პოლიცემისტერის მოვალეობის შემსრულებელი, პეტროგრადის რაიონის ყველა სახელმწიფო სასახლის, მუზეუმებისა და ისტორიული ძეგლების მთავარი კომენდანტი, მთარგმნელად მუშაობდა მოსკოვის სხვადასხვა ორგანიზაციებში.

**რატიშვილი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე** (1886-1956) – ქართველი პოეტი. წერდა ფსევდონიმით „ქსნისპირელი“.

**რაფალოვიჩი სერგეი ლვოვის (ზელიკის) ძე** (1875-1944) – რუსი პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი და თეატრალური კრიტიკოსი. მუშაობდა განათლების სამინისტროში, სახალხო კონტროლის განყოფილებაში და ფინანსთა სამინისტროში. თბილისში რედაქტორობდა ჟურნალს „ოიონი“ „კურანტები“, აღმანახთან „აკემ“, ხელმძღვანელობდა საქართველოში რუს მწერალთა კავშირს.

**რახმანინოვი სერგეი ვასილის ძე** (1873-1943) – რუსი კომპოზიტორი, პიანისტი და დირიჟორი. დიმიტრი შალიაპინთან ერთად გასტროლებით იმყოფებოდა საქართველოში. პოპულარულია მისი „რაფსოდია პაგანინის თემაზე“.

**რევალი (ლოგეროტი) გაბრიელა** (1869-1938) – ფრანგი ნოველისტი და ესეისტი.

**რენიე ანრი დე** (1864-1936) – ფრანგი მწერალი, ნოველისტი და პოეტი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, ლიტერატურული ჯგუფების „პარნასელები“ და „სიმბოლისტები“ წევრი, ავტორი თავისუფალი ლექსებისა და სონეტებისა. პოეტ ჟოზე მარია დე ერედიას ქალიშვილის მეუღლე. ავტორია რომანებისა: „Яшмовая трость“ და „ორჯერ საყვარელი“ (Дважды любимая). წერდა ფსევდონიმით „იუგ ვინი“.

**რეპინი ილია ეფიმის ძე** (1844-1930) – უკრაინული წარმომავლობის რუსი რეალისტი მხატვარი და მოქანდაკე, პერედვიჟნიკის სამხატვრო სკოლის მიმდევარი, მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევრებია: „ივანე მრისხანე კლავს საკუთარ ვაჟს“ და „ბურლაკები ვოლგაზე“.

**რილსკი მაკსიმ ფადეევის ძე** (1895-1964) – უკრაინელი პოეტი, მთარმნელი, ლინგვისტი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი და პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**რიმსკი-კორსაკოვი ნიკოლაი ანდრეის ძე** (1844-1908) – რუსი კომპოზიტორი, პედაგოგი, დირიჟორი, მუსიკათმცოდნე და საზოგადო მოღვაწე. 15 ოპერის, სამი სიმფონიის, ინსტრუმენტული კონცერტების, კანტატების, ვოკალური და სასულიერო მუსიკის ავტორი.

**რობაქიძე გრიგოლ** (1882-1962) – ქართველი სიმბოლისტი პოეტი, მოაზროვნე, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი, თანამედროვე ქართული და გერმანული ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთ ფუძემდებელი, ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრი. ავტორია რომანებისა: „გველის პერანგი“, „ჩაკლული სული“ და „გრავალის მცველი“.

**როდენი რენე ოგიუსტ ფრანსუა** (1840-1917) – ფრანგი მოქანდაკე, თანამედროვე სკულპტურის ფუძემდებელი. მისი თვალსაჩინო ქმნილებებია „მოაზროვნე“, „კალეს მოქალაქეები“ და „კოცნა“.

**როზენფელდ (კამენევი) ლევ ბორისის ძე** (1883-1936) – საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ბოლშევიკი და რევოლუციონერი, ლენინის თანამოაზრე, რუსეთის კომუნისტური



პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიურის წევრი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

**როკველერი ჯონ (1839 – 1937)** — ამერიკელი ბიზნესმენი, მსოფლიოს პირველი მილიარდერი. მისი ქონება სიმდიდრის მწვერვალზე 318 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა და ამ დროს იგი 74 წლის იყო. ახალგაზრდობაში როკველერი მხოლოდ ორ რამეზე ოცნებობდა: ემოვა 100 ათასი დოლარი და ეცოცხლა 100 წელი.

**როლანი რომენ (1866-1944)** – ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომანისტი, დრამატურგი და ესისტი, პედაგოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფრანგული აკადემიის დიდი ლიტერატურული პრემიის მფლობელი, საფრანგეთში იოსებ სტალინის ერთ-ერთი პირველი მხარდამჭერი. ავტორია რომანისა “ჟან-კრისტოფი” და მრავალტომეულისა „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“.

**რომანოვა ასტაფიევა ნატალია (1922-2016)** – პოლონური წარმომავლობის რუსი პოეტი და მთარგმნელი. 1947 წელს შედგა მისი დებიუტი გაზეთში „ლიტერატურული გაზეთი“, ავტორია წიგნებისა „ბუნების რიტმში“, „სიამავე“ და „სიყვარული“.

**რომანოვი ალექსანდრე III (1845-1894)** – რუსეთის იმპერატორი, პოლონეთის მეფე და ფინეთის დიდი ჰერცოგი, იმპერატორ ალექსანდრე II-ის ვაჟი. 1884 წელს გამოსცა კანონი რუსული ენის ფართო მასშტაბით გავრცელების შესახებ იმპერიის ტერიტორიაზე. მეგობრობდა საფრანგეთის სამეფო კართან და გერმანიის კანცლერთან ოტო ფონ ბისმარკთან.

**როჟდესტვენსკი ვსევოლოდ ალექსანდრეს ძე (1895-1977)** – რუსი საბჭოთა პოეტი, მთარგმნელი და სამხედრო კორესპონდენტი, „ახალგაზრდა აკმეისტების“ ჯგუფის წევრი, სრულიად რუსეთის პოეტა კავშირის პეტერბურგის განყოფილების მდივანი.

**როყვა შოთა (1927-1991)** – ქართველი მწერალი, დრამატურგი და ფილოლოგი. პირველი ლექსები 1944 წელს გამოქვეყნდა გაზეთ "საბჭოთა აჭარაში", რასაც მოჰყვა კრებულები პროზისა და პოეზიის სფეროში: "ლია, გელა და სხვები", "მამის ღიმილი" "საქართველოს ეზოები" გამოცემული აქვს სატირულ-იუმორისტული კრებულები.

**რუბაკინი ნიკოლაი ალექსანდრეს ძე (1862-1946)** – რუსი მწერალი, ბიბლიოფილი, ბიბლიოგრაფი და საზოგადოებრივი მოღვაწე. დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთში საგამომცემლო საქმის განვითარებასა და საბიბლიოთეკო საქმეების განვითარებაში.

**რუზველტი დელანო ფრანკლინ (1882-1945)** – ამერიკის შეერთებული შტატების 32-ე პრეზიდენტი, რომელიც ოთხჯერ იქნა არჩეული ამ თანამდებობაზე დემოკრატიული პარტიიდან, მას ხშირად მოიხსენიებენ ამერიკის შეერთებული შტატების სამ უდიდეს პრეზიდენტთა შორის.

**რუმი მუჰამად ჯალალ ად-დინ მუჰამმად (1207-1273)** – სპარსი პოეტი, იურისტი, მუსლიმი სწავლული, თეოლოგი, სუფი მისტიკოსი, რომლის გავლენა ყველა ეთნიკურ და ეროვნულ ბარიერს სცილდება.

**რუმინცევი პეტრე (1725-1770)** – რუსი მხედართმთავარი, გრაფი, გენერალ-ფელდმარშალი, სამხედრო თეორეტიკოსი.

**რუსადე ეპიფანე** – გალაკტიონის დეიდაშვილი.

**რუსინოვი ივანე** (1909-1997) – რუსი მსახიობი, მოღვაწეობდა მოსკოვის, ვიატკის, როსტოვის, სამარის, კრასნოიარსკის, ნორილსკისა და თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახ. თეატრში, მონაწილეობდა ლიტერატურულ საღამოებში, გამოდიოდა ესტრადაზე როგორც მხატვრული კითხვის ოსტატი.

**რუსინოვი ივანე ნიკოლოზის ძე** (1909-1994) საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი.

**რუსო ჟაკ-ჟან** (1712-1778) – ფრანგი ფილოსოფოსი, კომპოზიტორი და განმანათლებელი, საფუძველი ჩაუყარა ბიოგრაფიას, როგორც ლიტერატურულ ჟანრს, ასევე დიდი წვლილი შეიტანა მუსიკაში, როგორც თეორეტიკოსმა, ასევე კომპოზიტორმა, მისმა პოლიტიკურმა იდეებმა და ნაშრომებმა დიდი გავლენა მოახდინეს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ისტორიაზე.

**რუხაძე ვარლამ** (1874-1935) – ქართველი მწერალი, პოეტი და მთარგმნელი. ლექსებს ბეჭდავდა გაზეთებში: „კვალი“, „მოამბე“, „თანამედროვე აზრში“ და სხვა. აქტიურად მონაწილეობდა სალიტერატურო ცხოვრებაში. 1898-1899წწ. გამოაქვეყნა პირველი ლექსები, პირველი წიგნი „ლექსები და მოთხრობები“, რომლებიც 1902 წელს აკრძალა ცენზურამ. წერდა საბავშვო თხზულებებს, ნათარგმნი აქვს ალექსანდრე პუშკინის პოემები.

**რუხაძე ილია ზოსიმეს ძე** (1908 - 1915) — ქართველი პედაგოგი, ქართველთა შორის წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მუშაობდა პედაგოგად საგურამოში, კავკავში და თბილისში.

**რჩეულიშვილი გურამ მიხეილის ძე** (1934-1960) – ქართველი მწერალი და პოეტი, ისტორიკოსი, მწერალთა კავშირის წევრი. პირველმა მოთხრობებმა: „შემოდგომა ბაბუა კოტესი“, „ნელი ტანგო“, „სათაგური“, „სიყვარული მარტის თვეში“ და „თვირთვილა“, რომლებიც დაიბეჭდა ჟურნალში „ცისკარი“ 1957 წელს დიდი აღიარება მოუტანა. მუშაობდა სახელმწიფო მუზეუმში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, მონაწილეობდა ხოვლეგორისა და ქციის არქეოლოგიურ გათხრებში.

**რცხილაძე გრიგოლ (გიგო) სვიმონის ძე** (1876 - 1934) — ქართველი იურისტი, წერა- კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი. მონაწილეობდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დაფუძნებაში. მუშაობდა ამ პარტიის გამოცემის, გაზეთის „ცნობის ფურცლი“ რედაქციაში, წერდა მოწინავე სტატიებს და ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. იყო სოციალ-ფედერალისტური გაზეთების „შრომა“ და „მეგობარი“ რედაქტორი.

**ს**

**საავედრა სერვანტეს მიგელ დე** (15447-1616) – ესპანელი მწერალი. მისი პირველი მნიშვნელოვანი რომანი „გალატეა“, 1585 წელს გამოიცა. საქვეყნოდ ცნობილია მისი რომანი „მახვილგონიერი აზნაური დონ კიხოტ ლამანჩელი“, ასევე ავტორია პოემისა „ფილენა“, რამდენიმე სონეტისა და მრავალი რომანისა, რომლებსაც ჩვენს დრომდე არ მოუღწევიათ.

**სააკაძე გიორგი სიაუშის ძე** (1750-1629) – ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი და სამხედრო სტრატეგი, ზედწოდება დიდი მოურავი.

**საგანელიძე გიორგი (საგანელი გიონ)** (1899 - 1922) – ქართველი სიმბოლისტი პოეტი, „ახალი მწერლობის კავშირის“ წევრი. წერდა ფსევდონიმით „კვაცხუთელი“. ავტორია საკმაოდ უცნაურსახელწოდებიანი წიგნისა „კავრთოთავა“ (1919).

**სადოვსკი ზორის ალექსანდრეს ძე** (1881-1952) – რუსი საბჭოთა პოეტი, მწერალი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან: „ნივა“ „რუსსკაია მისლ“ „სევერნიე ზაპისკი“ და „რეჩ“. მეგობრობდა ანდრეი ბელისთან, ალექსანდრ ბლოკთან და ვალერი ბრიუსოვთან, 1909 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული.

**საიათიანი არუთინ (საიათნოვა)** (1712-1795) – სომეხი პოეტი, ერეკლე მეორის სამეფო კარის საზანდარი. ქართულად წერდა სახოტბო-სატრფიალო ლექსებს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. მეფის მიერ სასახლიდან გაძევების შემდეგ ბერად შედგა ახპატში.

**საიანოვ ბესარიონ მიხაილის ძე** (1903-1959) – რუსი საბჭოთა მწერალი და პოეტი, რედაქტორი, სამხედრო კორესპონდენტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სოციალისტური რეალიზმის მიმდევარი, ჟურნალების: „ლენინგრადი“ და „ზვეზდა“, პასუხისმგებელი მდივანი.

**სალუქვაძე ანანია** (1889-1935) – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების ფრაქციის“ წევრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის გურიის კომიტეტის ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, სამეურნეო-საგამგეო და სამხედრო კომისიების წევრი.

**სამადაშვილი ნიკოლოზ (ნიკო)** (1905-1963) – ქართველი პოეტი და პედაგოგი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა მხოლოდ 1967 წელს გაზეთში „ლიტერატურული საქართველო“, პირველი კრებული „ბეთანია“ გამოვიდა 1973 წელს.

**სამხარაძე გიორგი** (1910-1982) – ქართველი პოეტი და პედაგოგი, გაზეთის „ინდუსტრიული ქუთაისი“ პასუხისმგებელი მდივანი, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი, ქუთაისის დრამატული თეატრის დირექტორი. პირველი პოეტური კრებული „საქართველოს ლაჟვარდები“ გამოაქვეყნა 1947 წელს. წერდა ფსევდონიმებით „გიასელი“, „ლიუვენა“, და „აშულ-მურადი“.

**სანიკიძე მერი** (1920-1986) – ქართველი პედაგოგი, ისტორიკოსი, ნოე ლორთქიფანიძის მეუღლე.

**სარაჯიშვილი დავით** (1848-1911) – ქართველი მრეწველი და ქველმოქმედი, ქიმიისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. რუსეთის იმპერიაში პირველად დავით სარაჯიშვილმა დაიწყო კონიაკის დაყენება და საფუძველი დაუდო ქართული კონიაკის წარმოებას.

**სარაჯიშვილი ივანე (ვანო) პეტრეს ძე** (1879 - 1924) — ქართველი მუსიკოსი, ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, „ლირიკულ - დრამატული ტენორი, საქართველოს სახალხო არტისტი. თანაბარი წარმატებით ასრულებდა, როგორც ლირიკულ ისე დრამატულ პარტიებს, მართავდა კონცერტებს იტალიის სხვადასხვა საოპერო თეატრებში.

**საფაროვა-აბაშიძის მარიამ (მაკო)** (1860-1940) – ქართველი დრამატული და კომედიური მსახიობი და მთარგმნელი. მოღვაწეობდა ქართულ პროფესიულ თეატრში. ქართულად თარგმნიდა რუსულ და ფრანგულ პიესებს. ცნობილი ქართველი მსახიობის, ვასო აბაშიძის მეუღლე და მსახიობ ტასო აბაშიძის დედა.

**საღარაძე ნიკოლოზ (1877- 1963)** — ქართველი ფოტოგრაფი. იღებდა თითქმის ყველა მნიშვნელოვან კულტურულ მოვლენას, რაც ქუთაისში იმართებოდა. მუშაობდა „სოიუზფოტოში“ (საკავშირო ცენტრალიზებული ფოტოორგანიზაცია), იყო პიონერთა

სასახლის ფოტოკაბინეტის პედაგოგი. გადაღებული 8496 პოზიტივი და ნეგატივი გადასცა საქართველოს ეროვნულ არქივს.

**საყვარელიძე პავლე** (1882 -1937) – ქართველი იურისტი და პოლიტიკოსი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის „მენშევიკების“ ფრაქციის წევრი. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი.

**სახოკია თედო** (1868-1956) – ქართველი მწერალი მთარგმნელი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთში მყოფი ქართველების არალეგალური გაზეთის თსაქართველო” თანარედაქტორი. თანამშრომლობდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებთან: „დროება“, „სახალხო გაზეთი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „კავკაზ“, განსაკუთრებით კი „ცნობის ფურცელსა“ და „მოამბესთან“, შეკრიბა ქართული ანდაზები და ხატოვანი სიტყვა-თქმანი.

**საჯაია ალექსანდრე** (1916-1944) – ქართველი პოეტი, მწერალი და მთარგმნელი. მისი პირველი ლექსი 1935 წელს გამოქვეყნდა, 1938 წელს პირველი პოეტური კრებული. მას ეკუთვნის კრებულები: „ნაადრევი ვარდები“ და „ჩემი ზღაპრები“. თარგმნილი აქვს შექსპირის, შელის, ედგარ პოს, ლონგფელოსა და ლორდ რენდალის ნაწარმოებები.

**სევერიანინ იგორ** (1887-1941) – რუსი პოეტი, ეგოფუტურიზმის ლიდერი. მოღვაწეობა დაიწყო 1904 წლიდან. პოპულარობა მოუტანა კრებულმა „მეხთამტეხი თასი“. მისი კრებულებია „ოქროლირა“, „ანანასები შამპანურში“ და „პოეზოანტრაქტი“

**სელვინსკი ილია ლვოვის ძე** (1899-1968) – რუსი საბჭოთა პოეტი, მთარგმნელი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მსახიობი, მოდელი, რეპორტიორი, ცურვის ინსტრუქტორი, გაზეთის „პრავდა“ კორესპონდენტი, კონსტრუქტივისტული ლიტერატურული ცენტრის დამარსებელი.

**სელივანოვსკი ალექსეი პავლეს ძე** (1900-1938) – რუსი საბჭოთა კრიტიკოსი, ჟურნალისტი და რედაქტორი. თანამშრომლობდა გაზეთებთან და ჟურნალებთან: „ნა ლიტერატურნომ პოსტუ“, „ოკტიაბრ“, „მოლოდაია გვარდია“. იყო გაზეთის „ლიტერატურნაია გაზეტა“ მთავარი რედაქტორი.

**სემიონოვ ბორის თეოდორის ძე** (1910-1990) – რუსი მხატვარი, გრაფიკოსი, ილუსტრატორი და ლიტერატორი. თანამშრომლობდა გამომცემლობებთან: „გოსპოლიტიზდატ“, „სოვეტსკიი პისატელ“, იყო ჟურნალის „კასტიორ“ მხატვრული რედაქტორი.

**სენ სიმონი ლუი დერუერუა** (1675-1755) – ფრანგი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე.

**სენკევიჩი ჰენრიკ** (1846-1916) – პოლონელი მწერალი, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი. ცნობილია ისტორიული რომანებით, მათ შორის ყველაზე მეტად მსოფლიო ბესტსელერებით: „ვიდრე ჰზვალ?“, „ცეცხლითა და მახვილით“ და „წარღვნა“.

**სერგეევ (ლავრენიევ) ბორის ანდრეის ძე** (1891-1959) – რუსი მწერალი, პოეტი დრამატურგი, ჟურნალისტი და სამხედრო კორესპონდენტი, მუშაობდა სამხედრო გაზეთში „PKKA“, ლიტერატურული დაჯგუფების „ლოკაფი“ წევრი, ავტორია ცნობილი დრამებისა „რღვევა“, „ლერმონტოვი“, „უბრალო გულის ადამიანები“.

**სერგეი გუსევი-ორენბურგსკი სერგეი ივანის ძე** (1867-1963) – რუსი საულიერო პირი და მწერალი. ლიტერატურული ჯგუფის „სრედა“ წევრი. 1904 წელს დაწერა მოგონება „მამათა ქვეყანაში“, რედაქტორობდა ჟურნალს „ჟიზნი“.

**სეროვი ვალენტინ** (1865-1911) – რუსი მხატვარი გრაფიკოსი და პორტრეტული ჟანრის დიდოსტატი. მისი ცნობილი ნახატია „გოგონა ატმებით“.

**სეტიელი (ფალიანი) ილია** (1886-1966) – ქართველი პირველი სვანი ინჟინერი, სვანური სიმღერების შემქმნელი, ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ლოტბარი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, გენერალი.

**სვეტლოვ მიხაილ არკადის ძე** (1903-1964) – რუსი საბჭოთა პოეტი, დრამატურგი და ჟურნალისტი, სამხედრო კორესპონდენტი, ლენინის პრემიის ლაურეატი.

**სვეტლოვ მიხაილ არკადის ძე (შეინკმან მოტლ არონის ძე)** (1903-1964) – რუსი საბჭოთა პოეტი, დრამატურგი, ჟურნალისტი, სამხედრო კორესპონდენტი, ლენინის და ლენინური კომკავშირის პრემიების ლაურეატი.

**სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი** (1890-1939 ) – რუსი ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი და პუბლიცისტი.

**სიკორსკი ივან ალექსის ძე** (1889-1972) – რუსი წარმომავლობის ამერიკელი სწავლული, ავიაკონსტრუქტორი და ფილოსოფოსი, მსოფლიოში პირველი ოთხმოტორიანი თვითმფრინავის, სამხედრო ბომბდამშენის და სამგზავრო თვითმფრინავებისა და ვერტმფენების შემქმნელი.

**სინკლერ ჰარი ლუისი** (1885-1951) – ამერიკელი რომანისტი და დრამატურგი, პირველი ამერიკელი ნობელიანტი ლიტერატურაში. მისი შემოქმედება ამერიკული კაპიტალიზმისა და მატერიალიზმის კრიტიკითაა ცნობილი. პირველი ნობელიანტი ლიტერატურაში. მისი პირველი რომანი „ლაშქრობა და თვითმფრინავი“ 1912 წელს „ტომ გრაჰამის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა.

**სინკლერი ბილ ეპტონ უმცროსი** (1878-1968) – ამერიკელი სოციალისტი მწერალი, არ არსებობს ამერიკული ცხოვრების სფერო, არც ისეთი ჟანრი, რომელშიც მას კვალი არ დაეტოვოს: დრამა, რომანი, მოთხრობა, პამფლეტი, მემუარები, ჟურნალისტური კვლევები და სოციოლოგიური ნამუშევრები, ფილმების სცენარები და მის მიერ შედგენილი ლიტერატურული ანთოლოგიები.

**სირბილაძე ნიკოლოზ** (1896- 1937) — ქართველი პოეტი. წერდა ფსევდონიმით „ნიკოლო მიწიშვილი“. სისტემატურად თანამშრომლობდა სიმბოლისტთა ბეჭდვით ორგანოებთან 1921 წელს, მისი რედაქტორობით, თბილისში დაარსდა გაზეთი "ფიგარო". იმავე წელს გამოიცა კრებული „პოეტი გრუზიი“, რომლის შემდგენელი და რედაქტორი მიწიშვილი იყო. 1924 წელს პარიზში ჩამოაყალიბა "ქართველ ხელოვანთა კავშირი". რედაქტორობდა ჟურნალს „ქართული მწერლობა“, იყო ლიტფონდის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი დირექტორი. ხელმძღვანელობდა სახელმწიფო გამომცემლობას, რედაქტორობდა გაზეთს “ზარია ვოსტოკა“.

**სიხარულიძე ტიტე** (1912- 1976 შემდეგ) – ქართველი მოქანდაკე. 1932 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1941 წელს მის მიერ შესრულებული გალაკტიონის ბიუსტი აჩუქა სახლმუზეუმს.

**სიხარულიძე ტიტე მახარობელის ძე** (1887-1937) – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამტრედიის განყოფილების ნამდვილი წევრი, სოციალ-ფედერალისტი. გარკვეული პერიოდი მუშაობდა ინსტრუქტორად საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის აბრეშუმის მრეწველობის სამმართველოში.

**სიხარულიძე ქსენია** (1909-1976) – ქართველი ფოლკლორისტი, პედაგოგი და მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის კათედრის გამგე, იკვლევდა ქართული ფოლკლორის

აქტუალურ პრობლემებს: საბავშვო ფოლკლორს, საწესჩვეულებო პოეზიას, საგმირო და საისტორიო ზეპირსიტყვიერებას, ფოლკლორულ-ლიტერატურულ ურთიერთობებს.

**სკოსირევ პიოტრ გეორგის ძე** (1900-1960) – რუსი საბჭოთა მწერალი და ლიტერატურათმცოდნე, საკავშირო მწერალთა კავშირის კოლეგიის წევრი, ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ“ რედაქტორი.

**სნეგოვა ირინა ანატოლის ას** (1922-1975) – რუსი საბჭოთა პოეტი და მთარგმნელი. ნათარგმნი აქვს აკაი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის და სხვა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ პოეტთა ლექსები.

**სოგომონიანი სოგომონ გეორგის ძე (კომიტასი)** (1869-1935) – სომეხი კომპოზიტორი, მომღრალი, მუსიკათმცოდნე, ფოლკლორისტი.

**სოკრატე** (მვ. წ.399- 470 ) – ბერძენი, ათენელი ანტიკური ხანის ფილოსოფოსი.

**სოლოგუბ თეოდორ** (1863-1917) – რუსი სიმბოლისტი და დეკადენტი პოეტი და მწერალი, დრამატურგი, პუბლისისტი და მთარგმნელი.

**სოსელია (სოსლან) შალვა ბესარიონის ძე** (1902-1941) – ქართველი ფუტურისტი მწერალი. 1923 წელს გამოაქვეყნა ლექსების პირველი კრებული, თანამშრომლობდა ჟურნალთან „კრასნაია ნოვა“, ავტორია მოთხრობებისა „აჩა“, „რაში და ქეთევანი“ და დაუსრულებელი რომანისა „ოქროს საწმისი“.

**სოფრონოვი ანატოლი** (1911-1990) – რუსი მწერალი და დრამატურგი.

**სოხაძე ეკატერინე** (1907 -1984) — ქართველი საოპერო მომღერალი, ლირიული სოპრანო. ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, რამდენჯერმე მიწვეული იყო მოსკოვის დიდ თეატრში. შესრულებული აქვს პარტიები პუჩინის, ჩაიკოვსკის, ფალიაშვილის, ბიზეს და სხვატა ოპერებში.

**სპასკი სერგეი დიმიტრის ძე** (1898-1956) – რუსი საბჭოთა პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი და ლიტერატურის კრიტიკოსი, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი. თანამშრომლობდა ჟურნალებთან: „ზვეზდა“ და „ლენინგრადი“. მუშაობდა ჟურნალის „სოვეტსკი პისატელი“ რედაქტორად.

**სტავსკი ვლადიმერ** (1900-1943) – რუსი საბჭოთა მწერალი, პროზაიკოსი, სამხედრო კორესპონდენტი, რედაქტორი, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გენერალური მდივანი.

**სტეკოლნილოვ ილია სამუელის ძე** (1905-1969) – რუსი ფიზიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, კრუჟიანოვსკის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტის პროფესორი, საბჭოთა პირველი ოსცილოგრაფის შემქმნელი, სწავლობდა ელვის წარმოშობის მიზეზებს.

**სტეპანოვ ალექსანდრ ნიკოლაის ძე** (1892-1965) – რუსი საბჭოთა მწერალი, სამოქალაქო ომის მონაწილე, საარტილერიო დივიზიის მეთაური, ებრძოდა თეთრგვარდიელებს როსტოვსა და ეკატერინოდართან, ავტორია მოგონებისა „არტილერისტი“ და გვარდიელის ჩანაწერები“.

**სტეპანოვ ალექსეი სტეპანის ძე** (1858-1923) – რუსი მხატვარი, პეიზაჟისტი, ანიმალისტი, გრაფიკოსი, რუსეთის საიმპერეტორო აკადემიის წევრი, „რუსეთის მხატვართა კავშირის ერთ-ერთი დამარსებელთაგანი.

**სტოლიპინ პეტრე** (1862-1911) – რუსი იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, იმპერიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი, წამოაყენა აგრარული რეფორმა და ხელმძღვანელობდა 1905 წლის რევოლუციის შემდგომ რეაქციას.

**სტურუა დევი** (1931-2001) – ქართველი მეცნიერი, ჟურნალისტი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. მუშაობდა გაზეთების: „ზარია ვოსტოკა“ და „კომუნისტი“ რედაქციებში, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი.

**სტურუა მელიორ** (1928-2021) – ქართველი ჟურნალისტი, პროფესორი, გაზეთის „იზვესტია“ ლიტერატურული მუშაკი და საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების რედაქტორის მოადგილე, ამავე გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ კენედის სახელობის სახელმწიფოს მმართველობის სკოლის თანამშრომელი.

**სტურუა რობერტ ივანეს ძე** (1916-1982) – ქართველი ფერმწერ-მოუმენტალისტი, საქართველოს სახალხო მხატვარი, რეჟისორ რობერტ სტურუას მამა.

**სუდევიკინ სერგეი** (1882-1946) – რუსი მხატვარი, თეატრის დეკორატორი, თანამშრომლობდა ჟურნალთან „ვესი“, თანამშრომლობდა მოსკოვის საოპერო თეატრთან „ერმიტაჟ“, პეტერბურგის მცირე დრამატულ თეატრთან, გააფორმა პოეტ კუზმინის ორი წიგნი, მოხატა თბილისში კაფე „ქიმერიონი“.

**სულაბერიძე ვლადიმერ (ლადო)** (1919-1993) – ქართველი პოეტი. ლექსების პირველი კრებული „ყირიმის ღამეები“ გამოაქვეყნა 1941“მღერიაწ“ და „რჩეული ლირიკა“.

**სულავა ალექსანდრე (ალკა)** (1904-1942) – ქართველი კრიტიკოსი. პირველი ლექსები დაბეჭდა 1925 წელს, პირველი კრიტიკული წერილები დაბეჭდა 1927 წელს.

**სულაკაური არჩილ** (1927-1997) – ქართველი პოეტი და პროზაიკოსი, გამომცემლობის „ნაკადული“ და ჟურნალის „მნათობი“ მთავარი რედაქტორი. 1946 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები გაზეთში „ლიტერატურული გაზეთი“, ლექსების პირველი კრებული გამოსცა 1951 წელს.

**სულიაშვილი დავით** (1884-1964) – ქართველი მწერალი, რევოლუციური მოძრაობის მონაწილე, ბელეტრისტი. იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმეთა მმართველი, ბაქოში რუსეთ-სპარსეთის ამხანაგობის კანტორის მმართველი, ჟურნალის „რევოლუციური მატთანე“ სწავლული მუშაკი, ცენტრალური არქივის განყოფილების გამგე. წერდა ფსევდონიმით „ლიხელი“.

**სულხანიშვილი ნიკო (ნიკოლოზ)** (1871-1919) — ქართველი კომპოზიტორი და მომღერალი. მუშაობდა თელავის სასულიერო სემინარიაში სიმღერის მასწავლებლად, საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ საგუნდო მუსიკას და ამ ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშები შექმნა. ზ. ფალიაშვილთან ერთად გზა გაუკაფა ქართული საბჭოთა საგუნდო ხელოვნების განვითარებას.

**სუმბათაშვილ-იუჟინი ალექსანდრე ივანეს ძე** (1957-1927) – ქართული წარმომავლობის რუსი დრამატურგი და მსახიობი, რუსეთის სახალხო არტისტი, მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობი და დირექტორი, ავტორი ოცამდე პიესისა და ისტორიული დრამებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია საქართველოსთვის მიძღვნილი დრამა „ღალატი“, რომელიც წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე.

**სურკოვ ალექსეი ალექსანდრეს ძე** (1899-1983) – რუსი საბჭოთა პოეტი და ლიტერატურის კრიტიკოსი, პედაგოგი, ჟურნალისტი, სამხედრო კორესპონდენტი და საზოგადო მოღვაწე, სოციალისტური შრომის გმირი. პირველი ლექსები ფსევდონიმით გუტუევსკი გამოაქვეყნა 1918 წელს პეტროგრადის გაზეთში „კრასნაია გაზეტა“.



**სხირტლაძე სიმონ** (1912–1974) – ქართველი მწერალი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი. ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სამხატვრო აკადემიაში, ქორეოგრაფიულ სასწავლებელსა და სხვადასხვა საშუალო სკოლებში.

## ტ

**ტაბიძე დიმიტრი** (1901-1965) – ქართველი მეცნიერი და მეწარმე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის სელექციის განყოფილების გამგე. საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსთან არსებული ცენტრალური ამპელოგრაფიული კომისიის წევრი, სელექციისა და ამპელოგრაფიის განყოფილების გამგე.

**ტაბიძე იუსტინე** (1860-1919) – ქართველი მღვდელი, ტიცინ ტაბიძის მამა. სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს ჩაბმული იყო არალეგალურ საქმიანობაში, რის გამოც სემინარიის რექტორ ჩუდეცკის მკვლელობასთან დაკავშირებით სემინარიიდან გარიცხეს.

**ტაბიძე ნოდარ პროკლეს ძე** ( 1931-2016) – ქართველი მწერალი, ჟურნალისტიკის ისტორიკოსი, მეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის კათედრაზე, ხელმძღვანელობდა პრესის თეორიისა და პრაქტიკის კათედრას, იყო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი, რამდენიმე ჟურნალისა და გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრი, მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი, გალაკტიონ ტაბიძის ძმისწული.

**ტაბიძე ტიცინ (ტიტე)** (1895-1937) – ქართველი სიმბოლისტი, რეპრესირებული პოეტი და მთარგმნელი, ერთ-ერთი დამაარსებელი, ხელმძღვანელი და თეორეტიკოსი “ცისფერყანწელთა” სიმბოლისტური ორდენისა, გაზეთის „ბარიკადი“ რედაქტორი. მისი ნოველები, მინიატურები და ლექსები 1911 წლიდან იბეჭდებოდა გაზეთებში: „კოლხიდა“, „სახალხო გაზეთი“, „თეატრი და ცხოვრება“, გაზეთის “ბარიკადი”,

**ტაბლიაშვილი ვახტანგ** (1914-2002) – ქართველი თეატრისა და კინოს რეჟისორი, მუშაობდა კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატული თეატრის რეჟისორად და მთავარ რეჟისორად, იყო ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი რეჟისორი, მოღვაწეობდა კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“.

**ტალოვი მარკ ვლადიმერის ძე** (1892-1969) – რუსი პოეტი, მთარგმნელი და მემუარისტი.

**ტარასენკოვ ანატოლი კუზმას ძე** (1909-1956) – რუსი პოეტი, ლიტერატურათმცოდნე და რედაქტორი, ბიბლიოფილი. იყო ჟურნალის „ზნამია“ პასუხისმგებელი მდივანი და კრიტიკის განყოფილების გამგე, მუშაობდა სამხედრო კორესპონდენტად გაზეთში „წითელი ბალტიის ფლოტი“, ჟურნალის „სლავიანე“ პასუხისმგებელი მდივანი და ჟურნალის "ნოვი მირ" მთავარი რედაქტორი.

**ტარკოვსკი არსენი** (1907-1989) – უკრაინელი პოეტი და მწერალი, მთარგმნელი, კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი. თანამშრომლობდა გაზეთებთან „გუდოკი“ და ჟურნალთან „პროჟექტორი“.

**ტარუაშვილი სოფრომ გლახას ძე** (18??-18???) - ქართველი მწერალი, წერდა ფსევდონიმით „ს. გლახაშვილი“, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჭიათურის განყოფილების შექმნის ინიციატორი.



**ტატიშვილი იოსებ** (1886-1952) – ქართველი ენათმეცნიერი, მწერალი. თარგმნიდა სომეხ და რუს მწრალთა ნაწარმოებებს. მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის მომზადებაში.

**ტატულოვ გიორგი პეტრეს ძე** (1902-1938) – სომხური წარმომავლობის საქართველოში მცხოვრები რეპრესირებული ეკონომისტი, სარატოვის სათესლე მეურნეობის ხელმძღვანელის მოადგილე.

**ტეტმაიერი (პშერვა-ტეტმაიერი) კაზიმეჟ** (1865-1940) – პოლონელი პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი, პოლონური ლიტერატურის აკადემიის საპატიო წევრი, პოლონეთის მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების თავმჯდომარე.

**ტიადენ ჰაინრიხ** (1873-1949) – გერმანელი მწერალი, მუსიკის პედაგოგი. წერდა ფსევდონიმით „ხორრორ“, კრიმინალურ რომანებს.

**ტიუტჩევ ფიოდორ ივანეს ძე (1803–1873 )** – რუსი მწერალი, პოეტი, დიპლომატი, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი და მთარგმნელი. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 1840 წელს დაწერა რამდენიმე პოლიტიკური სტატია რუსეთისა და სამხრეთის ცივილიზაციის ურთიერთმიმართებაზე.

**ტიჩინა პაველ (პაბლო) გრიგორის ძე (1891–1967)** – უკრაინელი საბჭოთა პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი საზოგადო მოღვაწე. 1943–1948 წწ უკრაინის განათლების სახალხო კომისარი, სოციალისტური შრომის გმირი. სტალინური პრემიის ლაურეატი, 1967 წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე. რედაქტორობდა უკრაინულ გაზეთს „რადა“, იყო ტექნიკური რედაქტორი ჟურნალისა „Світло“ „სინათლე“???

**ტიხონოვი ნიკოლაი სემიონის ძე (1896-1979)** – რუსი საბჭოთა მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური საერთაშორისო პრემიის „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ ლაურეატი, სტალინური პრემიის სამგზის ლაურეატი.

**ტოლსტოი ლევ ნიკალას ძე (1828 -1910)** — რუსი მწერალი. მისი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებებია რომანები: „აღდგომა“, „ანა კარენინა“ და კავკასიის თემისადმი მიძღვნილია მოთხრობა „ჰაჯი მურატი“.

**ტოლსტოი ალექსეი კონსტანტინეს ძე (1817-1878)** – რუსი საბჭოთა მწერალი, პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ტოროტაძე ერასტი** (1886-1963) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტი, ეროვნული საბჭოს მუშათა საკითხების კომისიის წევრი. იყო გამომცემლობების „სახელმწიფო გამომცემლობა“ შემდგომში „სახელგამი“ და „საბჭოთა საქართველო“ დამაარსებელი და დირექტორი. წერდა ფსევდონიმით „ე. ტო-ძე“,

**ტოროშელიძე მალაქია** (1880 -1937) — ქართველი იურისტი და პოლიტიკოსი. განათლების სახალხო კომისარი. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, განათლების სახალხო კომისარი.

**ტოსკანინი არტურო** (1867-1957) – იტალიელი დირიჟორი, მე-19, მე-20 საუკუნეების სახელგანთქმული მუსიკოსი, გამორჩეული ვერდის, ბეთჰოვენის, ბრამსისა და ვაგნერის ნაწარმოებთა შესრულებით.

**ტრეტიაკოვ პაველ მიხაილის ძე** (1832 -1898) — რუსი მეწარმე, კოლექციონერი, ხელოვნების წამახალისებელი და ფილანთროპი, მოსკოვის სხვა ბიზნესმენებთან ერთად დააარსა მოსკოვის სამეწარმეო ბანკი, იყო მისი დირექტორი, დაარსა მოსკოვის კომეციული და ინდუსტრიული კომპანია და რამდენიმე სხვა მსხვილი ფირმა.

**ტუნიონ გონსალეს ენრიკე** (1901-1943) – არგენტინელი პოეტი და ჟურნალისტი, დრამატურგი, რაულ გონსალესის ძმა.

**ტუნიონ გონსალეს რაულ** (190-19740 – არგენტინელი პოეტი და ჟურნალისტი.

**ტურავა მურმან** (1936-2012) – ქართველი მწერალი, ეკონომისტი და პედაგოგი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის ლექტორი, 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. კითხულობდა ლექციებს საქართველო-უკრაინის საერთაშორისო აკადემიაში.

**ტურგანოვ ბორის ალექსანდრეს ძე** (1901-1980) – რუსი პოეტი და მთარგმნელი. თანამოაზრეებთან ერთად გაზეთში „პროლეტარსკაია პრავდა“ შექმნა ლიტერატურული ჯგუფი „იმუმესტვა“, რომელიც ბეჭდავდა გაზეთს „ჟივია გაზეტა“ „ცენტროსტილ“.

**ტურგანოვ ბორის ალექსანდრეს ძე** (1901-1980) – რუსი პოეტი და მთარგმნელი, გაზეთთან „პროლეტარსკაია პრავდა“ დაარსა ლიტერატურული ჯგუფი „იმუმესტვა“, რუსულ ენზე თარგმნა ბაშკირი პოეტების პოეზია.

**ტურგენევი ივან სერგეის ძე** (1818-1883) – რუსი კლასიკოსი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა 1834 წელს. საყოველთაოდ ცნობილია მისი რომანი „მამები და შვილები“, „მონადირის ჩანაწერები“, „პირველი სიყვარული“.

**ტუსკია იონა** (1901-1963) – ქართველი კომპოზიტორი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი. ქართული საკრავიერი და სიმფონიური მუსიკის ფუძემდებელი, დაარსა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება, რომელმაც ჩამოაყალიბა სიმებიანი ორკესტრი,

**ტყეშელაშვილი ილია (ივერიკო) სიმონის ძე** (1899-1986) – ქართველია აგრონომი და მეაბრეშუმე, დიდი ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე, ქუთაისის საგრენაჟო ქარხანის აგრონომ - ინსტრუქტორი, ქუთაისის მეაბრეშუმეობის ზონალურ სადგურის სამეცნიერო ნაწილის დირექტორი. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის აბრეშუმის სამოსწავლო კომბონატში, ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში და მიწვევით კითხულობდა ლექციებს თბილის სასოფლო- სამეურნეო უნივერსიტეტში.

**ტყეშელაშვილი ნინო სოფრომის ასული** (1874-1956) – ქართველი მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი და ქალთა უფლებების დამცველი. მუშაობდა მასწავლებლად, ადგილობრივი პრესისთვის წერდა სტატიებს ქალთა ისტორიული როლისა და უფლებების შესახებ, აქვეყნებდა საბავშვო მოთხრობებს და ზღაპრებს.

## უ

**უაილდი უილს ოსკარფლავერტი ო ფინგალ** (1854-1900) – ირლენდიური წარმოშობის ინგლისელი მწერალი, პოეტი და დრამატურგი. ავტორია საქვეყნოდ ცნობილი ნაწარმოებებისა: „დორიან გრეის პორტრეტი“, „იდეალური ქმარი“, „ქანთერვილის მოჩვენება“ და „მენატურე მილიონერი“.

**უბილავა ელიზბარ** (1917-1997) – ქართველი მწერალი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გამომცემლობის „ნაკადული“ რედაქტორი და ალმანახის „საყმაწვილო

ლიტერატურა” მთავარი რედაქტორი, მუშაობდა გაზეთებში: „საბჭოთა აფხაზეთი”, „კომუნისტი” და ჟურნალში „დრამა”.

**უელსი ჯორჯ ჰერბერტ** (1866-1946) – ბრიტანელი მწერალი და პუბლიცისტი, სამეცნიერო ფანტასტიკის მამა. მას ეკუთვნის 40 რომანი, მოთხრობების რამდენიმე ტომი, ათზე მეტი პოლემიკური ნაწარმოები და ამდენივე ნაშრომი საზოგადოების განვითარებაზე, მისი ცნობილი რომანებია: „დროის მანქანა”, „უჩინარი კაცი”, „სამყაროთა ბრძოლა „პირველი ადამიანები მთვარეზე”.

**უზნაძე მიხეილ** (1???-19??) – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

**უიტმენი უოლტ** (1819-1892) – ამერიკელი მწერალი, პოეტი, ესეისტი ჟურნალისტი და ჰუმანისტი. მისი ყველაზე ცნობილი ნამუშევრებია ლექსებისა და პოემების კრებული „ბალახის ფოთლები” და „Drum-Taps”.

**ულიანოვი ვლადიმირ ილიას ძე (ლენინი)** –1870-1924) – რუსი პოლიტიკოსი, მარქსიზმის თეორეტიკოსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის დამაარსებელი, 1917 წელს რუსეთში ოქტომბრის გადატრიალების ერთ-ერთი ლიდერი.

**ურუშაძე ვასილ** (1879-1952) – ქართველი მსახიობი, ქართული ესტრადის ერთ-ერთ დამაარსებელი და სკეტჩების ავტორი, მუშაობდა ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურისა და სხვა თეატრებში. იყო თბილისის ოპერის თეატრის გამგე, ჭიათურის მუშათა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ბათუმის მუსიკალური ტექნიკუმის დირექტორი, საქვლეგთის(ახლანდელი ფილარმონია) დირექტორის მოადგილე.

**ურუშაძე ვენერა** (1909-1991) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, მთარგმნელი და პედაგოგი. მას ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის” პირველი პოეტური თარგმანი ინგლისურ ენაზე. მისი თარგმანებით გაიცნო ინგლისურ ენაზე მკითხველმა საზოგადოებამ ქართული კლასიკური თუ თანამედროვე პოეზიისა და პროზის მრავალი ნიმუში. ინგლისური ენის სახელმძღვანელოსა და ქრესტომათიის ავტორი.

## ფ

**ფალავანდიშვილი ირაკლი (კალე) ვასილის ძე** (1905-1966) – ქართველი ექიმი, დერმატოლოგი და ვენეროლოგი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე.

**ფალიაშვილი ზაქარია პეტრეს ძე** (1871-1933) – ქართული ეროვნული კლასიკური საკომპოზიტორო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლოტბარი, გუნდის მომღერალი, ორგანისტი, ვალტორნისტი, ქართული ხალხური სიმღერების შემკრები, დირიჟორი, პედაგოგი.

**ფალიაშვილი ლევან** (1895-1976) – ქართველი კომპოზიტორი, მუსიკათმცოდნე და პედაგოგი, თბილისის II სამუსიკო სასწავლებლის მუსიკის თეორიის სასწავლო ნაწილის გამგე, ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი და მუსიკალური თეორიის კათედრის გამგე, ავტორი საორკესტრო და საფორტეპიანო ნაწარმოებების, რომანსებისა და ოპერებისა.

**ფანცხავა რომანოზ** (1861 – 1928) — ქართველი კრიტიკოსი და პუბლიცისტი. წერდა ფსევდონიმით „ხომლედი“. იყო ქართული წიგნების მბეჭდავი ამხანაგობის დაარსების ერთ-ერთი მოთავე,

გაზეთის „კვალი“ კრიტიკის განყოფილების გამგე, რომელშიც აქვეყნებდა კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწერებს.

**ფარულავა ალექსანდრე (1933-19??)** - ქართველი ინჟინერი, სახელმწიფო მოხელე. მუშაობდა „თბილჰიდროპროექტი“ ინჟინრად, იყო ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი და ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

**ფარქოსაძე გიორგი (გუცა) (1892-1949)** – ქართველი პოეტი და პუბლიცისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი, წერდა ფსევდონიმებით: „იმერი“ და „იმერელი“.

**ფაღავა აკაკი (1887-1962)** – ქართველი რეჟისორი, მუშაობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრში რეჟისორის თანაშემწედ, ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, რეჟისორულ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის თეატრებში, თბილისში საფუძველი ჩაუყარა თეატრალურ სტუდიას, რომელსაც 1924 წელს თეატრალური ინსტიტუტის უფლებები მიენიჭა, იყო ამ ინსტიტუტის პროექტორი და თეატრის ისტორიის კათედრის გამგე.

**ფაშალიშვილი სვიმონ (სიკო) (1894-1970)** - ქართველი მწერალი, პოეტი, იუმორისტ-სატირიკოსი მთარგმნელი და ჟურნალისტი. აქტიურად მონაწილეობდა ლიტერატურულ და თეატრალურ ცხოვრებაში. თარგმნა პირველი რევოლუციური პიესა ქართულ ენაზე ვერჰანის „რიჟრაჟი“ და ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალი“. მუშაობდა გაზეთში „მუშა“, ჟურნალების „ტარტაროზი“ და „ნიანგი“ რედაქციებში.

**ფედრუსი** – რომაელი პოეტი, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 15 და ახალი წელთაღრიცხვის 70 წლების მცხოვრები.

**ფეიდტი კონრად (1893-1943)** – გერმანელი კინოსა და თეატრის მსახიობი, მუშაობდა ჰოლივუდშიც.

**ფელისიტე (ბროსე) მარი ( 1802-1880)** – ფრანგი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრი ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. შეისწავლა პარიზში დაცული ქართული ხელნაწერები, გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი, ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები.

**ფერაძე თომა ვასილის ძე (18?-19??)** – ქართველი პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მუშაობდა ქუთაისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის პედაგოგად.

**ფერაძე რუსუდან გიორგის ასული** – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ლიტერატურათმცოდნე.

**ფიროსმანაშვილი ნიკოლოზ (ფიროსმანი) (1862-1918)** – ქართველი პრიმიტივისტი, ანიმალისტი მხატვარი. გიგო ზაზიაშვილთან ერთად გახსნა ფერწერის სახელოსნო, კონდუქტორად მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაზე, შემდეგ ვაჭრობაშიც სცადა ბედი. თბილისელი მედუქნეებისა და მიკიტნების შეკვეთით ხატავდა აბრებს, პორტრეტებსა და სურათებს.

**ფირცხალავა გერასიმე (1912-19??)** – ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი და პედაგოგი, გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ რედაქტორი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე, გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის გამგე.

**ფირცხალავა გიორგი (გიგლა)** (1922-1983) – ქართველი გრაფიკოსი, მოქანდაკე, კარიკატურისტი, საქართველოს სახალხო მხატვარი. პოლიტიკურ კარიკატურებს ბეჭდავდა ჟურნალებში: „ნიანგი“ და „პროკოდილი“, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში და თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

**ფირცხალავა სამსონ გიორგის ძე** (1872-1952) – ქართველი პუბლიცისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მუშაობდა გაზეთის „ივერია“ რედაქციაში, საქართველოს სოციალ დემოკრატიის პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი და ლიდერი, გაზეთის „გლეხი“ ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი, ხელმძღვანელობდა გაზეთს „სახალხო საქმე“. წერდა ფსევდონიმებით „სანვინი“, „კალამი“ და „სიტყვა“.

**ფლობერი გუსტავ** (1821-1880) – ფრანგი უდიდესი რომანისტი. შემოქმედების დიდი ნაწილი მიუძღვნა რელიგიურ თემებს, გაცნობიერებულ დანაშაულსა და ფილოსოფიას. წერდა უმთავრესად სათავგადასავლო ნოველებს, მომდევნო ეტაპზე - ფილოსოფიურ მოთხრობებსა და რომანებს. მისი საყოველთაოდ აღიარებული ნაწარმოებებია: „მადამ ბოვარი“ და „სალამზო“.

**ფორჩხიძე შალვა** (1919-2006) – ქართველი პოეტი. ავტორია საყმაწვილო ლექსებისა და პოემებისა, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა ქართველ პოეტებზე. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1946 წელს. ლირიკული ლექსების პირველი კრებული „საწინდარი“ 1950 წელს.

**ფოცხვერაშვილი კოტე** (1880 -1959) – ქართველი დირიჟორი, კომპოზიტორი, მუსიკოსი, ლოტბარი. იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორის მოადგილე; საქართველოს სახელმწიფო აკადემიური გუნდის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, მეჩონგურე ქალთა ანსამბლის დამაარსებელი, საგუნდო სიმღერებისა და ოპერების ავტორი. არის საქართველოს ყოფილი სახელმწიფო ჰიმნის - დიდება - ავტორი,

**ფრაგონარი ჟან ონორე** (1732-1806) – ფრანგი მხატვარი, ფრანგული როკოკოს მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, ფერმწერი, ინტერიერის დიზაინერი.

**ფრანგულიანი ივანე** (1887-1970) – ქართველი ექიმი, საქართველოს ჯანმრთელობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი, საქართველოს სამკურნალო კომისიის უფროსი და ჯანდაცვის სახელობის კომისრის მოადგილე, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

**ფრანკი ლეონჰარდ** (1882-1961) – გერმანელი პაციფისტი მწერალი, მსოფლიო აღიარება მოუტანეს რომანებმა: „მარცხნივ, იქ, სადაც გულია“, „ქრისტეს მოწაფეები“, „ოქსენფურტელ მამაკაცთა კვარტეტი“.

**ფრანკო ივან იაკოვლევის ძე** (1846-1916) – უკრაინელი მწერალი პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, ბელეტრისტი, მთარგმნელი, მეცნიერი და უკრაინელი ხალხის სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი.

**ფრანსი ანატოლ** (1844-1924) – ფრანგი რომანტიკოსი პოეტი, კრიტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 1872 წელს დაწერა პირველი რომანი „ჟან სერვიენის სურვილი“, აქვეყნებდა ლექსებს ჟურნალებში: „პარნასი“ და „დრო“. გამოქვეყნებული წერილები ცალკე წიგნად გამოსცა სახელწოდებით „ლიტერატურული ცხოვრება“.

**ფრანსისკო ხოსე დე გოია ი ლუსიენტესი** (1746-1828) – ესპანელი მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი, გრავიორი, რომანტიკული სკოლის წარმომადგენელი, ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრი, ამავე აკადემიის ფერწერის განყოფილების ვიცე-დირექტორი, სამეფო კარის მხატვარი.

**ფურცელაძე ანტონ** (1839-1913) – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი. მუშაობდა თბილისის გიმნაზიაში პედაგოგად, ვექილად - ზუგდიდში. დაუახლოვდა ჟურნალის „ცისკარი“ რედაქტორი, ხელმძღვანელობდა ჟურნალებს „მნათობი“ და „გუთნისდედა“.

**ფხაკაძე (ტაბიძე) ელისაბედ ოქროპირის ასული** (1865-1951) – პოეტ ტიცვიან ტაბიძის დედა.

**ფხაკაძე სიმონ ივანეს ძე** (1894-1937) – ქართველი სამხედრო პირი. საქართველოს არმიის ოფიცერი. დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის I, II, III IV ხარისხის ჯვრებით, ასწავლიდა განჯის სამხედრო სკოლაში. რეპრესირებული.

## ქ

**ქავთარაძე კონსტანტინე (კოტე)** (1879-1941) – ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, მხატვარი-რესტავრატორი, ილუსტრატორი, რუსული მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ამიერკავკასიის ხალხთა ყოფის ნივთების რესტავრატორი, საბჭოთა კავშირის ხალხთა ეთნოგრაფიის მუზეუმის მხატვარ-რესტავრატორი.

**ქავთარაძე ქუჩუ (დიმიტრი) სიმონის ძე** ( 1890-1910) – ქართველი პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის მეგობარი. 1908 წელს მასთან ერთად გამოსცა ხელნაწერი ჟურნალი „შუქი“. ლიტერატურული ფსევდონიმი „დემონი.“

**ქავჯარაძე იროდიონ** (1893-1988) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი, მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1909, პირველი წიგნი „მოთხრობები“ 1928 წელს.

**ქართველიშვილი შალვა გრიგოლის ძე** (1890-1937) – ქართველი რეპრესირებული იურისტი, მთარგმნელი და მხატვარი, ივანე მაჩაბლის ქორწინებისგარეშე შვილი, დაინტერესებული იყო ივანე მაჩაბლის გაუჩინარებული კვალის ძიებით და ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მრავალი დეტალიც მან გამოიტანა საამკარაოზე, პოეტ ელენე დარიანის მეუღლე.

**ქაცარავა კორნელი** (1881-1938) – ქართველი პედაგოგი და სახელმწიფო მოღვაწე, ხონის რაიონის ბოლშევიკური კომიტეტის თავჯდომარე. 1917 წლიდან მისი აქტიური მონაწილეობით ხონში ჩამოყალიბდა ახალგაზრდობის ორგანიზაცია „სპარტაკი“, წერდა სტატიებსა და წიგნებს მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლების, საბჭოთა სახალხო განათლების სისტემის აქტუალურ პრობლემებზე.

**ქაჯაია ვარლამ** (1906-1970) – ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. მუშაობდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ-პედაგოგიურ სამუშაოზე. ავტორი და რედაქტორია ათეულობით მწერლის და რამდენიმე ათეული ნაშრომისა.

**ქელბაქიანი გენო** (1910-1974) – ქართველი მწერალი და დრამატურგი, ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა 1927 წლიდან, პერიოდულ გამოცემებში ბეჭდავდა ნარკვევებს, ფელეტონებსა და იუმორისტულ მოთხრობებს. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა თბილისისა და რესპუბლიკის წამყვან თეატრებში.

**ქვარიანი სიმონ** (1868-1946) – ქართველი მწერალი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. მსახურობდა ბათუმში სამხედრო საზღვაო სასწავლებელში ქართულ-ფრანგული ენის ლექტორად, საქართველოს ფინანსურ სახელმწიფო კომიტეტში, საქართველოს მიწის სახელმწიფო კომიტეტში.

**ქვაჩახია ვენო** (1924-1982) – ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, ფილოსოფოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრის გამგე



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი იკვლევდა ლოგიკის, ესთეტიკის, ზოგადი და გამოყენებითი სოციოლოგიის პრობლემებს, 70-ზე მეტი მეცნიერული და პუბლიცისტურ-კრიტიკული ნაშრომის ავტორი.

**ქვლივიძე მიხეილ (1925-2005)** – ქართველი პოეტი, საკავშირო მწერალთა კავშირში საქართველოს წარმომადგენელი. მუშაობდა რედაქტორად საკავშირო გამომცემლობაში „სოვეტსკი პისატელ“, მუშაობდა „მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში“ რუსული რედაქციის გამგედ, კითხულობდა ლექციებს საქართველოს სახელმწიფო და კულტურის უნივერსიტეტებში.

**ქიქოძე გაბრიელ (გერასიმე) (1825-1896)** – ქართველი მაღალი სასულიერო იერარქი, იმერეთის ეპისკოპოსი, წმინდანი, პედაგოგი, მსახურობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ. პარალელურად მუშაობდა თბილისის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში საღვთო სჯულის მასწავლებლად. იყო დავითგარეჯის წინამძღვრი, გორის ეპისკოპოსი. აღსანიშნავია მისი კაპიტალური ნაშრომი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“. მასვე ეკუთვნის არაერთი ნაშრომი საქართველოში ქრისტიანობის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

**ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე (1888-1960)** – ქართველი მწერალი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, მთარგმნელი. პირველი წერილი გამოაქვეყნა 1905 წელს გაზეთში „მოგზაური“. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1910 წლიდან. იყო ლიტერატურული დაჯგუფებისა და აღმანახის „არიფიონი“ ერთ-ერთი მოთავე.

**ქიქოძე პლატონ (18? -19??)** – ქართველი საბჭოთა ჟურნალისტი, „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი.

**ქობალაია ალიო (1927–2006)** – ქართველი ფილოლოგი, პოეტი. 1952–1992 წლებში მუშაობდა ოჩამჩირის რაიონული გაზეთის რედაქციაში. ავტორია გამოუქვეყნებელი ნაშრომებისა ტოპონიმურ, ონომასტიკურ, ეტიმოლოგიურ, ფარზეოლოგიურ, ლექსიკოგრაფიის და ეთნოგრაფიის დარგში, „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ ორტომეულისა.

**ქორქია როდიონ (1894-1984)** – ქართველი მწერალი და მთარგმნელი. თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო შემოქმედებითი განყოფილების გამგე, პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილე, ჟურნალის „პიონერი“ პასუხისმგებელი მდივანი. მისი პირველი მოთხრობა „ნილაბქვეშ“ დაიბეჭდა 1924 წელს ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“.

**ქოჩაკიძე (ჭალადიდელი) გიორგი (1847-1898)** – ქართველი პოეტი და სამხედრო პირი. მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომში, მსახურობდა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში. მისი ლექსები 1868 წლიდან იბეჭდებოდა ჟურნალებში: „დროება“, „მოამბე“ და „ივერია“, პირველი კრებული გამოსცა 1913 წელს.

**ქოჩორაძე ვახტანგ (1918-1972)** – ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, მთარგმნელი და სამხედრო პირი, საქართველოს კინემატოგრაფიის კომიტეტის სასცენო განყოფილების გამგე, საქართველოს კინოსტუდიის დუბლირებული ფილმების ჯგუფის დირექტორი, მუშაობდა მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების სექტორის გამგედ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. იყო საქართველოს უცხოეთთან ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე. მუშაობდა სასცენო განყოფილების გამგედ საქართველოს კინოსტუდიაში.

**ქუთათელაძე (სამსონაძე) პეტრე სამსონის ძე (1898 – 1946)** — ქართველი პედაგოგი, პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი.

**ქუთათელაძე (ქუთათელი) ალექსანდრე** (1898 -1982) — ქართველი მწერალი. ჟურნალის „მნათობი“ რედაქციის, 1952 წლიდან კი საქართველოს მწერალთა კავშირის სექციის პროზისის განყოფილების გამგე. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის მე-7 და მე-8 სკოლებში.

**ქუთათელაძე აპოლონ** (1899-1972) – ქართველი საბჭოთა მხატვარი, ფერმწერი, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი. იყო აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მთავარი მხატვარი, მუშაობდა საბავშვო ლიტერატურის ილუსტრირებაზე.

**ქუთათელაძე დავით** (1901-1958) – ქართველი მხატვარი და გრაფიკოსი. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პერიოდიკასა და გამომცემლობებში როგორც მხატვარი. მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში სასწავლო ნაწილისა და დაზღვევის გრაფიკის სახელოსნოს გამგედ.

**ქუმსიაშვილი ნიკოლოზ (ნიკო)** (1892-1942) – ქართველი ოპერის მომღერალი, დრამატული ტენორი, მღეროდა მიხეილ კავსადის გუნდში, იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი, ლენინგრადის ოპერის თეატრის სოლისტი. 1923 წელს შედგა მისი დებიუტი, შესრულებული აქვს 46 საოპერო პარტია.

**ქურდიანი არჩილ** (1903-1988) – ქართველი არქიტექტორი, პროფესორი. მისი ნამუშევრებია: საქართველოს პავილიონი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოსკოვში, თბილისში - ეროვნული სტადიონი, სტალინის სახლ-მუზეუმი და სასტუმრო „ინტურისტი“ - გორში.

**ქურდიანი ვიქტორ** (1903-1964) – ქართველი პოეტი და დრამატურგი, ფოთის გაზეთის “პონტოსი” და ბათუმის ჟურნალის „ისპირი“ რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატული სექციის ხელმძღვანელი. მისი პირველი ლექსები 1922 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „ბახტრიონი“, ლექსების პირველი კრებული გამოიცა 1929 წელს.

**ქურდიანი ზაქარია** (1909-1983) – ქართველი არქიტექტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თანამშრომელი, თბილისის მთავარი არქიტექტორი. საქართველოს სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტის კოლეგიის წევრი, ქალაქმშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელი.

**ქურიძე ალექსანდრე (სანდრო ეული)** (1890-1965) – ქართველი პოეტი. მუშაობდა არალეგალურ გაზეთში „კომუნისტი“ და შემდეგ იყო მისი რედაქტორი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლიტერატურული ჯგუფ „პროლეტარული მწერლობის“ ერთ-ერთი მეთაური. ჟურნალის „ნიანგი“ რედაქტორი, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

**ქურიძე ნოე (ზომლეთელი )** (1880-1938) – ქართველი პედაგოგი, პოეტი და რევოლუციონერი. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1899 წელს. მონაწილეობდა 1905-1907 წლებში გლეხთა გამოსვლებში, თანამშრომლობდა გაზეთთან „კვალი“. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

**ქურიძე შოთა** (1917-1989) – ქართველი კრიტიკოსი, მკვლევარი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, გაზეთების „ინდუსტრიული ქუთაისი“ და „საბჭოთა აჭარა“ რედაქტორი, აჭარის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობის კომიტეტის თავმჯდომარე, ჟურნალის „ლიტერატურული აჭარა“ რედაქტორი, გამომცემლობის „საქართველო“ აჭარის რედაქციის გამგე.



**ქურხული ილიკო (ილია) (1885 – 1954)** — ქართველი მოხეტიალე მუსიკოსი, მევიოლინე, მესტვირე და მეფანდურე. მისი ინიციატივით ქართულ და რუსულ ენებზე გამოვიდა გაზეთი "ჩემი საქმე." ეწეოდა საქველმოქმედო მოღვაწეობას. მოგზაურობდა ევროპის ქალაქებში და ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციას ეწეოდა.

**ქურიშვილი (ჩხეიძე) გიორგი (1886-1947)** – ქართველი მწერალი. გალაკტიონ ტაბიძის მეგობარი, მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1906 წელს, კრებული-1914 წელს.

**ქურუკაშვილი ქეთევან (1915-2012)** – ქართველი საბავშვო მწერალი და დრამატურგი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1934 წელს. ავტორია კრებულებისა: „ჩვენი ეზოს ბავშვები“, „ბიჭები“, „თბილი პური“, და „ყვავილები მდინარეზე“, მწერალ შიო მღვიმელის ქალიშვილი.

## ღ

**ღამბაშიძე შალვა (1899-1955)** – ქართველი კინოსა და თეატრის მსახიობი, ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ბათუმის თეატრის და თბილისის რუსთაველის თეატრის მსახიობი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

**ღვამიჩავა ანდრია (1900-1983)** – ქართველი ექიმი და მეცნიერი, ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. იყო რესპუბლიკის ონკოლოგიური დისპანსერის მთავარი ექიმი, ონკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. ავტორია მრავალი ნაშრომისა. აღსანიშნავია მონოგრაფიები: „ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ და „კლინიკური ონკოლოგია“.

**ღლონტი ალექსანდრე (1912-1999)** – ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგი და ფოლკლორისტი, გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ განყოფილების გამგე, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის განყოფილების გამგე, გორის და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტებისა ენისა და ლიტერატურის კათედრის დეკანი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე.

**ღლონტი თევდორე (თედო) (1888-1937)** – ქართველი პოლიტიკოსი, დამფუძნებელი კრების წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ფინანსთა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის წევრი, გაზეთის „ზვირთი“ დამაარსებელი და გაზეთის „სახალხო ფურცელი“ რედაქტორი.

**ღლონტი შალვა (1912-1970)** – ქართველი მეცნიერი და პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტისა და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ მუშაკი.

**ღოღობერიძე ბიძინა (1905-1965)** – ქართველი მომღერალი და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, მღეროდა ძუკუ ლოლუას გუნდში, ხელმძღვანელობდა ქუთაისის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდს, თელავის თეატრში მუსიკალურად აფორმებდა სპექტაკლებს და სიმღერას ასწავლიდა მსახიობებს. ხელმძღვანელობდა თბილისში, სარეწაო ტყე-კავშირის მომღერალთა გუნდს და ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, მუსიკალურად გააფორმა ქუთაისის თეატრის მრავალი სპექტაკლი.

**ყაზბეგი რაფიელ (ფიდო)** (1879-1899) – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყაზბეგის ძმა.

**ყანდაუროვი ანტონ ივანის ძე** (1864-1936) – რუსი ილუსტრატორი და მხატვარი, ხელმძღვანელობდა მოსკოვის დიდი და მცირე თეატრებს, 1907-1927 წლებში ხელმძღვანელობდა და პედაგოგობდა თბილისში მისი თაოსნობით დაარსებულ სამხატვრო სასწავლებელში.

**ყანჩელი ალექსანდრე** (1878-1948) – ქართველი იურისტი და ლიტერატორი, „ცისფერყანწელების“ მეგობარი.

**ყანჩელი ირაკლი** (1896 – 1940) — მუშაობდა თბილისის N15 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად, სამმართველოს უფროსად, თბილისის N11 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად, „საქგზაპროექტის“ გენერალურ დირექტორად.

**ყაუხჩიშვილი სიმონ** (1895-1961) – ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი, ფილოლოგი და პედაგოგი, საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ქართული ბიზანტინოლოგიური სკოლის დამაარსებელი. ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო ბიზანტინოლოგიის კათედრის გამგე, ავტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე პირველი და ერთადერთი სახელმძღვანელოსი „ბიზანტიის ისტორია“.

**ყიას ედ-დინ აბუ-ლ-ფათჰ ომარ იბნ იბრაჰიმ ხაიამ ნიშაპურელი (ომარ ხაიამი)** (1048-1113) – სპარსი პოეტი, მკვლევარი და მათემატიკოსი. მსოფლიოსათვის ომარ ხაიამი აღმოჩენილ იქნა მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში, ინგლისელი ედვარდ ფიტცჯერალდის მიერ. პირველი ქართულენოვანი რობაიები მხოლოდ 1924 წელს გამოჩნდა საქართველოში, როდესაც ჟურნალში „კავკასიონი“ გამოქვეყნდა იუსტინე აბულაძის მიერ პწკარედული სახით შესრულებული 24 რობაი.

**ყიფიანი აპოლონ (გუგული)** (1908-1989) – ქართველი კულტურის მუშაკი, იმპრესარიო. მუშაობდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ადმინისტრატორად, მთავარ ადმინისტრატორად, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორის მოადგილედ. იყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი.

**ყიფიანი ივანე (ივი)** (1893-1948) – ქართველი ცისფერყანწელი მწერალი და პოეტი. თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებთან, „მეგობარი“, „სახალხო საქმე“, „ტრიბუნა“ და „მეოცნებე ნიამორები“, მისი ლექსები იბეჭდებოდა კრებულებში: „ჩანგი“, „ახალი პოეზიის ანთოლოგია“. იყო ჟურნალის „მშვილდოსანი“ თანამშრომელი. 1920 წელს მისი რედაქტორობით გამოიცა გაზეთები, „არლეკინ“ და „ტეატრ არლეკინ“. ცნობილია მისი ფანტასტიკური ხასიათის რომანი „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ“.

**ყიფიანი რუბენ ლუარსაბის ძე** (1883–1961) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, თანამშრომლობდა პრესასთან; იყენებდა ფსევდონიმებს: „ასკრიონელი“, „ლეჩხუმელი“, „რ. ლეჩხუმელი“, „მოწაფე“, „რუბენა ლეჩხუმელი“, „P. Кинвари“ და „რალფი“.

**ყიფშიძე გრიგოლ** (1858-1921) – ქართველი მწერალი, ბიბლიოგრაფი, კრიტიკოსი, მთარგმნელი და პუბლიცისტი, სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში: „ივერია“, „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „მოამბე“, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და პარალელურად ჟურნალის და გაზეთის „ივერია“ რედაქციის მდივანი და რედაქტორი, წერდა ფსევდონიმით „გ. გოდორია“.

**ყიფშიძე დავით** (1902-1957) – ქართველი პედაგოგი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს განათლების სახალხო კომისრის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის დოცენტი.

**ყიფშიძე ელენე** (1925-2004) – ქართველი თეატრისა და კინოს მსახიობი, მუშაობდა მარჯანიშვილის თეატრში, თანაბარი ოსტატობით ქმნიდა ჰეროიკულ, დრამატულ და კომედიურ სახეებს. მონაწილეობდა რადიო და ტელესპექტაკლებში, გადაღებულია კინოფილმებში: „ჩარიჩამა“, „თოჯინები იცინიან“, „ბოდბეში, თქვენ გელით სიკვდილი“.

**ყუბანიშვილი სოლომონ** (1901-1986) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი, ფილოლოგი, რუსთაველის პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი, ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ მთავარი რედაქტორი, სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბათუმის, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში.

**ყურაშვილი გიორგი** (1900 – 1978) – ქართველი სამხედრო პირი, გენერალ-მაიორი, სამხედრო მწერალი. მსახურობდა ამიერკავკასიის, უკრაინისა და ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქებში დიდი სამამულო ომის დროს იბრძოდა სამხრეთ-დასავლეთის, ყირიმის, ამიერკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტებზე.

**ყურულაშვილი გიორგი** (1893 -1937) — ქართველი საბჭოთა პარტიული მოღვაწე. მაღალი თანამდებობები ეკავა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, იყო მისი მდივანი, ბიუროს პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

## შ

**შაგინიანი მარიეტა სერგეის ასული** (1888-1982) – სომხური წარმომავლობის საბჭოთა პოეტი, პროზაიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტი და ისტორიოგრაფი, ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი.

**შადური ივანე (ვანო) სიმონის** (1910-1988) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე და მწერალი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე. პირველი მოთხრობები 1930 წელს გამოაქვეყნა, პირველი წიგნი გამოსცა 1945 წელს.

**შადური როსტომ სიმონის ძე** (1908-1951) – ქართველი საბჭოთა პოლიტიკური, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაკი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სწავლული მდივანი, საქართველოს უმაღლესი განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელი.

**შავგულიძე გიორგი** (1910-1959) – ქართველი კინოსა და თეატრის მსახიობი. მუშაობდა ქუთაის-ბათუმის თეატრის დასში, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. 1938 წლიდან მოღვაწეობდა კინოში და დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კინემატოგრაფიის განვითარებაში.

**შავერზაშვილი თამარ** (1901-1955) — ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი. საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბავშვო საფორტეპიანო მუსიკას. მუშაობდა სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ფორტეპიანოს პედაგოგად. ავტორია საფორტეპიანო პიესებისა და რომანსებისა.

**შაკილაშვილი პეტრე** (1767-1852) – ქართული წარმომავლობის რუსი სენტიმენტალისტი მწერალი, მისი ლექსების პირველი კრებული „თავისუფალ აზროვნებათა ნაყოფი“ 1799 წელს გამოიცა. მასვე ეკუთვნის მემუარები „ისტორიული ცნობები ფრანგების მოსკოვში ყოფნის შესახებ 1812 წელს“. რედაქტორობდა გაზეთს „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, გამოსცემდა ჟურნალებს: „მოსკოვსკიი ზრიტელ“, „აგლაია“ და „დამსკი ჟურნალ“.

**შალიაპინი ფიოდორ ივანის ძე** ( 1873-1938) – რუსი საოპერო მომღერალი, რუსული ვოკალური ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი. პირველი ნაბიჯები ვოკალურ კარიერაში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გადადგა, გამოდიოდა ბათუმის „რკინის თეატრის“ სცენაზე.

**შალიკაშვილი ვალერიან** (1874–1919) – ქართველი დრამატურგი, მსახიობი და რეჟისორი. მუშაობდა თბილისის, ქუთაისის, ჭიათურისა და ბაქოს თეატრებში დადაგმული აქვს 50-მდე სპექტაკლი.

**შამათავა პეტრე** (1911-19??) – ქართველი პუბლიცისტი, სცენარისტი და სამხედრო პირი, პოდპოლკოვნიკი. ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთის „ლენინსკაია ზნამია“ ქართული გამოცემის რედაქტორი, ჟურნალის „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქტორი, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავჯდომარის პირველი მოადგილე, ქართული დოკუმენტური სატელევიზიო ფილმების სცენარების ავტორი.

**შანაიევსკი ალფონს ლეონის ძე** (1837-1905) – პოლონური წარმოშობის რუსი ოფიცერი, გენერალ-მაიორი, ოქროს მრეწველი და მეცენატი. მისი სახსრებით დაარსდა მისივე სახელობის მოსკოვის საქალაქო სახალხო უნივერსიტეტი.

**შანიძე აკაკი** (1887-1987) – ქართველი ენათმეცნიერი და პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული და სომხური ენების კათედრის გამგე, ძველი ქართული ენის კათედრის გამგე. დიდია მისი ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულად დადგენის საქმეში. მეცნიერის მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენა-გამომზეურება, ქართული ბიბლიური ტექსტების, ქართული ოთხთავის რედაქციების აკადემიური გამოცემა.

**შანიძე ალექსანდრე** (1907-1994) – ქართველი პოეტი და პედაგოგი. მუშაობდა წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებლად, იყო თბილისის მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მასობრივი განყოფილების გამგე, განათლების სახალხო კომიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფიის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მეთოდისტი.

**შანშიაშვილი ალექსანდრე (სანდრო)** (1888–1979) – ქართველი პოეტი და დარამატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებული იყო სტალინური პრემიითა და შრომის წითელი დროშის ორდენით.

**შაპირი (კისლიაკოვა) ოლღა ანდრეას ასული** (1850-1916) – რუსი მწერალი, ფემინისტი.

**შარაშიძე ქრისტინე (ჩიტო) გიორგის ას** ( 1889-1973) – ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქალთა კომიტეტის წევრი, ხელნაწერთა სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, პირველი ქართველი ლექტორი ქალი. წერდა ფსევდონიმით „ჩ. შ“.

**შარაშიძე შალვა გიორგის ძე (თაგუნა)** (1882-1934) – ქართველი მწერალი, სატირიკოსი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, სატირულ-იუმორისტული ჟურნალის „ემშაკის მათრახი“ რედაქციის თანამშრომელი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. წერდა ფსევდონიმებით: „თაგუნა“, „მ.შ“, „ამური“, „ნაბუქოდონოსორი“, „Enfant Terrible“.

**შარდენი ჟან** (1643-1713) ფრანგი მოგზაური, და იუველირი, ინგლისის სამეფო კარის იუველირი, რაინდი, ინგლისური კომპანიის „ისტ ინდოეთი“ წარმომადგენელი ნიდერლანდებში. იმოგზაურა ინდოეთსა, სპარსეთსა და საქართველოში. ავტორია წიგნისა „ბატონი რაინდი შარდენის მოგზაურობები სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა მიწებზე“.

**შარია პეტრე ათანასეს ძე** (1902 - 1983) — ქართველი საბჭოთა პარტიული და პოლიტიკური მოხელე, მუშაობდა საბჭოთა უშიშროების სამსახურში. 1943-1948 წლებში იყო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის საქმეთა მდივანი.

**შარლემანი იოსიფ ადოლფის ძე** (1880-1957) - ებრაული წარმომავლობის რუსი კლასიკოსი მხატვარი, ფერმწერი, სცენოგრაფი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და გრაფიკის ფაკულტეტის პროფესორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ავტორი.

**შატბერაშვილი გიორგი** (1910-1965) – ქართველი მწერალი და პოეტი, ფოლკლორისტი და ენათმეცნიერი. წლების მანძილზე მუშაობდა ქართული ჟურნალების: „დროშა“, „ცისკარი“ რედაქციებში. ხელმძღვანელობდა ჟურნალის „მნათობი“ რედაქციაში პროზის განყოფილებას, იყო მწერალთა კავშირის კონსულტანტი, ახალგაზრდა მწერლებთან მომუშავე კომისიის ხელმძღვანელი, პროზაიკოსთა სექციის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

**შატობრიანი რენე ფრანსუა ვიკონტი** (1768-1848) – ფრანგი მწერალი და დიპლომატი, ფრანგული რომანტიზმის მამამთავარი.

**შევარდნაძე დიმიტრი** (1885 – 1937) — ქართველი თეატრისა და კინოს მხატვარი. საზოგადო მოღვაწე, ეროვნული სამხატვრო გალერეის ფუძემდებელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბისა და ბეჭდის ავტორი, შექმნა ქართული შრიფტის გრაფიკული მოხაზულობის ახალი ვარიანტი, ავტორია ფერწერული და გრაფიკული პორტრეტებისა.

**შეინკმან მორდუხაი (მოტლ) არონის ძე (სვეტლოვ მიხაილ არკადის ძე)** (1903-1964) – ებრაული წარმომავლობის რუსი საბჭოთა პოეტი, დრამატურგი და ჟურნალისტი, სამხედრო კორესპონდენტი, ლენინური პრემიის ლაურეატი.

**შელეგია რომანოზ (რემა)** (1883-1955) – ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი, ლოტბარი.

**შელი პერსი ბიში** (1792-1822) — ინგლისელი პოეტი, აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ლირიკული პოეტი ინგლისურენოვან პოეზიაში. შელის თანამოაზრეები და უახლოესი მეგობრები იყვნენ ჯონ კიტსი და ჯორჯ გორდონ ბაირონი. მისი მეუღლე იყო ცნობილი ნოველისტი მერი შელი.

**შენგელაია დიმიტრი (დემნა)** (1896 -1980) – ქართველი მწერალი, ფოლკლორისტი, სამწერლო ორგანიზაციის პრეზიდენტისა და ლიტერატურული ჟურნალ გაზეთების რედკოლოგიათა წევრი, პროზისა და მთარგმნელობითი სექციების ხელმძღვანელი, გამომცემლობის „ზარია

ვოსტოკა" მთავარი რედაქტორი, მეორე მსოფლიო ომის წლებში ფრონტული გაზეთის რედაქტორი.

**შენგელაია ლეონ (ლეო ქიაჩელი)** (1884-1963) – ქართველი მწერალი, 1909 წელს გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა, 1916 წელს დაწერა პირველი რომანი „თარიელ გოლუა“. მის ადრინდელ ნოველებში საგრძნობია სიმბოლისტური და იმპრესიონისტული მიმდინარეობისათვის ნიშანდობლივი მოტივები — სკეფსისი, ნიღბის ფილოსოფია, დუმილის თეორია და ბედისწერის პრობლემა.

**შენგელაია ნიკოლოზ** (1901-1943) – ქართველი მთარგმნელი, პოეტი, რეჟისორი, სცენარისტი. პირველი ფილმი „გიული“ მან ლეო პუშტან ერთად გადაიღო. მის შემოქმედებაში მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეული ფილმი იყო ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოების მოტივებზე გადაღებული „ელისო“. თარგმნილი აქვს ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსები.

**შენგელია ალექო** (1914-1975) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი, იყო გამომცემლობის „ნაკადული“ მთავარი რედაქტორი, ლიტერატურული ფონდის დირექტორი. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1938 წელს ჟურნალში „ჩვენი თაობა“, პირველი წიგნი - 1940 წელს.

**შერვაშიძე-ჩაჩბა ელენე (ლენა ხომიაკოვა)** (1891-1926) – მერი შერვაშიძის და, სლავიანოფილოზის იდეის ფუძემდებლისა და ფილოსოფოსის, ა. ს. ხომიაკოვის შვილიშვილის – ალექსეი ნიკოლოზის ძე ხომიაკოვის მეუღლე.

**შექსპირი უილიამ** (1564-1616) – ინგლისელი დრამატურგი, მსახიობი და პოეტი, მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთ ყველაზე დიდებული წარმომადგენელი. ავტორია ორი ეპიკური პოემისა, უამრავი სონეტისა და 37 პიესისა.

**შიუკაშვილი ნიკო** (1870 – 1938) — ქართველი დრამატურგი, მწერალი, პედაგოგი. მუშაობდა სახალხო სკოლის მასწავლებლად ჯერ სოფელ საცხენისში, ხოლო 1894 წელს ახალციხეში, სადაც სათავეში ჩაუდგა სცენისმოყვარულთა მუდმივ დასს. მისი ინიციატივით ხშირად ეწყობოდა წარმოდგენები და შემოსული თანხები საქველმოქმედო საქმეს ხმარდებოდა; ახალციხეში პედაგოგიური მოღვაწეობის დროს დაწერა თავისი პირველი დრამატული თხზულება „გამხმარი ფოთოლი“.

**შიავესკი ხაიმ მოსეს ძე** (1867 -1937) — ებრაელი თეატრისა და სტამბის მეპატრონე ბათუმში. ბრალად ედებოდა ფრანგული დაზვერვის აგენტობა.

**შოლოხოვი ალექსანდრ** (1905-1984) – რუსი მწერალი, ჟურნალისტი და სცენარისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ორგზის სოციალისტური შრომის გმირი. მსოფლიო აღიარება მოუტანა რომანმა „წყნარი დონი“, რომლისთვისაც 1965 წელს მიენიჭა ნობელის პრემია.

**შოპენი ფრანციშეკ ფრედერიკ** (1810-1849) – პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი, ავტორი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებებისა ფორტეპიანოსთვის. მან ახლებურად განმარტა სხვადასხვა ჟანრი: ააღორძინა რომანტიზმზე დაფუძნებული პრელუდია, შექმნა საფორტეპიანო ბალადა, სკერცო გარდასახვა დამოუკიდებელ ნაწარმოებად, გაამდიდრა ჰარმონია და საფორტეპიანო ფაქტურა.

**შპენგლერი გოტფრიდ არნოლდ ოსვალდ** (1880-1936) – გერმანელი ისტორიკოსი, მწერალი, სოციოლოგი, მათემატიკოსი და ფილოსოფოსი. 1918 წელს დაიბეჭდა მისი გახმაურებული ნაშრომი „ევრპის დაისი“, 1922 წელს კი გამოსცა მეორე ნაწილი ნაშრომისა სახელწოდებით „მსოფლიო ისტორიის პერსპექტივები“.

**შტაინჰოფ ფრანც (1882–1945)** – გერმანელი კინორეჟისორი, მსახიობი. მისი სასცენო დებიუტი შედგა ბრაუნშვეიგში. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ლაიპციგის თეატრში მსახიობად და მომღერლად მუშაობდა.

**შტრაუსი რიხარდ გეორგ (1864 -1949)** – გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი, პიანისტი და მევიოლინე, გვიანი რომანტიზმის და ადრეული მოდერნიზმის ერთ-ერთი უმთავრესი წარმომადგენელი,

**შუბერტი პეტერ ფრანც (1797-1828)** – ავსტრიელი კომპოზიტორი, მუსიკაში რომანტიზმის დამფუძნებელი, დაახლოებით 600 ვოკალურიკომპოზიციის, ცხრა სიმფონიისა და მრავალი კამერული და სოლო საფორტეპიანო ნაწარმოების ავტორი, სამეფო კარის კაპელის მგალობელი და შტირიისა და ლინცის მუსიკალურ კავშირთა საპატიო წევრი.

**შუბლაძე ვერა (1917 -1957)** — ქართველი პოეტი. 10 პოეტური კრებულის ავტორი. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ ენაზე რიმა კაზაკოვას მიერ. პოეტ კალე ბობოხიძის მეუღლე. გალაკტიონ ტაბიძეს მიუძღვნა ლექსი „სახელოვან იუბილიარს“.

**შულგინი ვასილ ვიტალის ძე (1878-1976)** – რუსი სამხედრო პირი, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი. ანტობოლშევიკური შეხედულებების მქონე პოლიტიკოსი, თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი იდეოლოგი და ორგანიზატორი, ნაციონალისტი და მონარქისტი.

**შულღიაშვილი დავით ივანეს ძე (1910-1994)** – ქართველი ფილოლოგი და ლიტერატურათმცოდნე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

**შუხაევი ვასილ (1887-1973)** – საქართველოში მოღვაწე რუსი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრის მხატვარი, წიგნის ილუსტრატორი. პეტროგრადისა და თბილისის აკადემიების პროფესორი, მიჩნეულია პუშკინის შემოქმედების საუკეთესო ილუსტრატორად.

**შჩერბაკოვ ალექსანდრ სერგის ძე (1901-1945)** – რუსი საბჭოთა მწერალი, საბჭოთა მწერალთა კავშირის მდივანი, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ხელმძღვანელი, წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური სსამმართველოს ხელმძღვანელი, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი.

## **ჩ**

**ჩაგინ პიოტრ ივანის ძე (1898-1967)** – რუსი საბჭოთა პოეტი, ჟურნალისტი, პარტიული და საგამომცემლო მუშაკი, ლიტერატურული მოღვაწე.

**ჩაიკოვსკი პიოტრ (1840-1893)** – რუსი კომპოზიტორი და დირიჟორი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, მუსიკის კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე, კემბრიჯის უნივერსიტეტის მუსიკის დოქტორი, იგი ხუთჯერ იმყოფებოდა საქართველოში, სადაც მოისმინა და ჩაიწერა ქართული ხალხური სიმღერები, მათ შორის „იავნანა“ გამოიყენა თავის ოპერაში „მაცნატუნა“. ავტორია ოპერებისა: „იოლანტა“, „ევგენი ონეგინი“, და „ორლეანელი ქალწული“.

**ჩალაძე ვასილ (1913-2010)** – ქართველი საზოგადო მოღვაწე და სამხედრო პირი. მუშაობდა რუსთავის ქალაქის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, ქალაქის კომიტეტის პირველ და მეორე მდივნად, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნად, იყო თბილისის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

**ჩარკვიანი დავით** – ქუთაისის თეატრის მსახიობი, რომელიც 1910 წლიდან რუსულ დასში გადავიდა, მსახიობ დესპინე ივანიძის ქმარი.



**ჩარკვიანი კანდიდ** (1907 – 1994) — ქართველი პოლიტიკოსი, ეკონომისტი, მეცნიერი, გაზეთის „კომუნისტი“ პასუხისმგებელი მდივანი, გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ რედაქტორი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

**ჩარკვიანი ჯანსუღ** (1931-1017) – ქართველი პოეტი, ჟურნალის „ცისკრი“ პასუხისმგებელი მდივანი, ჟურნალების „დილა“ და „ცისკარი“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, ჟურნალის „დროშა“ მთავარი რედაქტორი, მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, გამომცემლობის „საბჭოთა საქართველო“ დირექტორი.

**ჩარკვიანი, შალვა (შაჰრუხ) გიორგის ძე** ( 1896-1957 ) – ქართველი პოეტი. მოღვაწეობდა ქუთაისში, ცისფერყანწელების მეგობარი.

**ჩაჩავა ნიკოლოზ** (1901–1971) – ქართველი პოეტი, ჟურნალისტი. 1922 წლიდან ფუტურისტ-ლექსებითა და ლიტერატურულ გაერთიანების წევრი, აღმანახის „ლიტერატურა და სხვა“ რედაქტორი, გაზეთის „დროული“ თანარედაქტორი, „ლიტერატურული გაზეთის“, „ჩვენი თაობისა“ და „დროშის“ თანამშრომელი.

**ჩაჩიბაია არჩილ** (1909-1990) – ქართველი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე და პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს განათლების სამინისტროს ინსპექტორ-მეთოდისტი, პედაგოგიური სასწავლებლის სექტორის უფროსი, კითხულობდა ლექციებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ზუგდიდის მასწავლებელთა ინსტიტუტში.

**ჩაჩიკოვ (ჩაჩიკაშვილი) ალექსანდრ მიხეილის ძე** (1893-1941) – ქართული წარმომავლობის რუსულენოვანი პოეტი და მთარგმნელი, ბელეტრისტი და ფილატელისტი, სამხედრო მოსამსახურე. 1913 წელს მოსკოვში დაბეჭდა ლექსების პირველი კრებული ფსევდონიმით „ა. ჩაროვ“, აქვეყნებდა ლექსებს გაზეთში „გოლოს კავკაზა“.

**ჩახავა მედეა** (1921-2009) – ქართველი თეატრისა და კინოს ლირიულ-კომედიური ხასიათის მსახიობი, მხატვრული კითხვის ოსტატი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასის წევრი, გადაღებულია კინოფილმებში: „ჭრიჭინა“, „გლახის ნაამბობი“, „ბაში-აჩუკი“. მონაწილეობდა რადიო და სატელევიზიო სპექტაკლებში, მხატვრული კითხვის ოსტატი.

**ჩეინი ჯონ გრიფიტ (ჯეკ ლონდონი)** (1876-1916) – ამერიკელი მწერალი, სათავგადასავლო და სოციალური რომანების ავტორი, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი. 1899 წლის იანვარში სან-ფრანცისკოს ჟურნალმა „ოვერლენდ მანზლიმ“ გამოაქვეყნა მისი პირველი მოთხრობა „მათთვის ვინც გზაშია“. აღსანიშნავია მისი მოთხრობების კრებული „მგლის შვილი“ და რომანი „მარტინ იდენი“.

**ჩერანცი ელიშე** (1897-1937) – სომეხი საბჭოთა მთარგმნელი, პოეტი, პროზაიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

**ჩერნიშევსკი ნიკალაი გავრილის ძე** (1828 – 1889) – რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, ფილოსოფოსი და მწერალი.

**ჩერქეზიშვილი ივანე** (1884-1938) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალისტ-რევოლუციონერი, ვეპილი. იყო ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭოს წევრი ესერთა პარტიიდან. ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს.



**ჩესტერტონ კით გილბერტ** (1874 - 1936) – ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი და თეოლოგი, დეტექტიური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. წერდა აგრეთვე ესეებს, ლექსებს, მოთხრობებს და მონოგრაფიებს გამოჩენილ მწერალთა შესახებ.

**ჩესტერტონი კით გილბერტ** (1874-1936) – ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი და თეოლოგი; დეტექტიური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი, წარმომადგენელი, წერდა აგრეთვე ესეებს, ლექსებს, მოთხრობებს და მონოგრაფიებს გამოჩენილ მწერალთა შესახებ. მოიხსენიება, როგორც „პარადოქსების პრინცი“.

**ჩეჩეტკინა ოლგა ივანის ასული** (1909-1996) – რუსი მწერალი, მუშაობდა რედკოლეგიის წევრად და კორესპონდენტად გაზეთში „კომსომოლსკაია პრავდა“, გაზეთის „პრავდა“ უცხოური განყოფილების პოლიტიკურ მიმომხილველად, კომიტეტის „საბჭოთა ქალები“ თავმჯდომარის მოადგილედ, საბჭოეთის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მდივნად.

**ჩიტაია გიორგი** (1890-1986) – ქართველი ეთნოლოგი და ისტორიკოსი, პროფესორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილების გამგე.

**ჩიქვინიძე (კორიშელი) პლატონ** (1883-1937) – ქართველი რეპრესირებული მსახიობი. სხვადასხვა წლებში მოღვაწეობდა ქუთაისის თეატრში, შალვა დადიანის „მოგზაურ დასში“, თბილისის სახალხო სახლში და რუსთაველის თეატრში, მუსიკოსისა და მოქანდაკის ბოცო კორიშელის მამა.

**ჩიქობავა არნოლდ** (1898-1985) – ქართველი ენათმეცნიერი, მეცნიერი, პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრის გამგე, თბილისის ენათმეცნიერების ინსტიტუტის იბერიულ-კავკასიური ენების განყოფილების გამგე და დირექტორი, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“ (ამჟამად „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“) დამფუძნებელი და უცვლელი მთავარი რედაქტორი, 300-მდე სამეცნიერო-კვლევითი ავტორი.

**ჩიქოვანი ილია** (1870-1950) – ქართველი პოეტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი, ქუთაისის ქალაქის თავი (მერი) და მოურავი, გუბერნიის კომისარი, ქუთაისის სახაზინო პალატის მმართველი. თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის გაზეთთან „ივერია“. აქვეყნებდა ლექსებსა და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებს „კვალში“, „ცნობის ფურცელში“ და „მოამბეში“ ფსევდონიმით „ილია პონტოელი“.

**ჩიქოვანი სიმონ** (1902-1966) – ქართველი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, ფილოლოგი. მუშაობდა წითელი არმიის ქართული ნაწილების პოლიტგანყოფილებაში, გაზეთის რედაქციასა და კლუბში. 1922 წელს თანამოაზრეებთან ერთად ჩამოაყალიბა ფუტურისტული ლიტერატურული ჯგუფი და გამოსცა ქართული ფუტურიზმის პირველი საპროგრამო მანიფესტი „საქართველო - ფენიქსი“. მისი აქტიური თანამონაწილეობითა და ხელმძღვანელობით გამოვიდა ქართული ავანგარდისტი მწერლების პერიოდული ორგანოები: "H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>", „ლიტერატურა და სხვა“, „დროული“ და "მემარცხენეობა".

**ჩიხლაძე ზალიკო (ზაალ) რაფიელის ძე** – ქართველი მსახიობი.

**ჩიხლაძე რაფიელ (ეფრემ)** (1877-1919) – ქართველი პოლიტიკოსი, მენშევიკი, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, ამიერკავკასიის სეიმის წევრი, აგრარული და საკონსტიტუციო კომისიების წევრი.

**ჩოგოვაძე მელიტონ** (1867-1910) - ქართველი პედაგოგი. დაარსა და მუშაობდა სოფელ ბანოჯის სამრევლო სკოლაში. იბრძოდა საქართველოს სკოლებში ქართული ენის აღსადგენად. ქუთაისის სასულიერო სემინარიაში იყო ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, ასწავლიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, მუშაობდა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორად.

**ჩოდრიშვილი მიხეილ (მიხა)** (1853-1929) — ქართველი მუშა და პოლიტიკური ლიდერი. მისი ინიციატივით დაარსდა ხელოსან მუშათა ამხანაგობა „შრომა“. იყო საქართველოს სახალხო კომისარიატის კოლეგიისა და საქართველოს რევოლუციური ტრიბუნალის წევრი, საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ-ს ცენტრალური კომიტეტის წევრი.

**ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა)** (1888-1930) – ქართველი სამხედრო მოღვაწე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეროვნული გმირი, პოლკოვნიკი, 1922-1924 წლების ანტისაკოკუპაციო ბრძოლის მეთაური, დაჯილდოებული იყო წმინდა გიორგის ჯვრითა და ოქროს სახელობითი ხმლით.

**ჩოგვაშვილი (ყაზბეგი) ალექსანდრე** (1848-1893) – ქართველი მწერალი, დრამატურგი და მსახიობი, ქართული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, წერდა ფსევდონიმებით: „ მოხუბარიძე“, „მოხევე-თეატრალი“ და „ყაზბეგი“. პირველი მოთხრობა „ციცკა“ 1880 წელს გამოაქვეყნა. თანამშრომლობდა გაზეთებთან: „დროება“ და „ივერია“.

**ჩუბინიძე ვალიკო** (1891 -1988) – ქართველი პოლიტიკოსი, სოციალ-დემოკრატი, 1924 წლის აჯანყების მონაწილე, ქართული პოლიტიკური ემიგრანტი. პარიზში მუშაობდა აკაკი ჩხენკელთან. ორ ტომად გამოსცა „მოგონებანი“ 1918–1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის და 1924 წლის აჯანყების შესახებ.

**ჩუკოვსკი კორნეი ივანის ძე** (1882-1969) – რუსი მწერალი და პოეტი, ლიტერატურის კრიტიკოსი და მთარგმნელი, პოპულარული საბავშვო ლექსის „ექიმი აიბოლიტი“ ავტორი.

**ჩხაიძე თამარ** (1907-1980) – ქართველი მომღერალი, მწერალი და პოეტი, იყო ფილარმონიის სოლისტი. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1937 წელს, ხოლო პირველი წიგნი „ლოთი მამალი“ – 1939 წელს. წერდა ფსევდონიმით „თამარ გურული“.

**ჩხეიძე ბორის** (1902-1979) – ქართველი მწერალი. ლიტერატურული საქმიანობა დაიწყო 1927 წლიდან. ავტორია რომანებისა: „ლიახვის პირას“, „მწვანე ხოდაბუნი“, „ფერო“.

**ჩხეიძე დავით (ჩიანელი დია)** (1890 -1937) – ქართველი მწერალი. მუშაობდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელმწიფო თეატრის დირექტორი. 1918 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი - ნოველებისა და ლეგენდების კრებული „შემოდგომის ცრემლები“.

**ჩხეიძე დავით ანდუყაფარის ძე (თურდოსპირელი)** (1888-1968) – ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მწერალ გიორგი ქუჩიშვილის ძმა, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამფუძნებელი.

**ჩხეიძე ოთარ** (1920-2007) – ქართველი მწერალი და პედაგოგი, ლექციებს კითხულობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტებში. იყო გორის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის,

უცხოური ენებისა და ლიტერატურის კათედრის გამგე. პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა 1940 წელს ჟურნალში „ჩვენი თაობა“.

**ჩხეიძე რევაზ (რეზო) დავითის ძე (1926-2015)** – ქართველი კინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი, მწერლის დავით ჩხეიძის (დია-ჩიანელი) ვაჟი, მხატვრული ფილმების: „ჯარისკაცის მამა“, „მაგდანას ლურჯა“, „ღიმილის ბიჭები“ რეჟისორი.

**ჩხეიძე უშანგი (1898-1953)** – ქართველი თეატრისა და კინოს დარმატული მსახიობი. მონაწილეობდა მუშათა თეატრების წარმოდგენებში, მუშაობდა თბილისის ქართული დრამის, შოთა რუსთაველის და კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში.

**ჩხენკელი აკაკი (1874-1959)** – ქართველი პოლიტიკოსი და დიპლომატი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს ელჩი საფრანგეთში.

**ჩხენკელი თამაზ (1927-2010)** – ქართველი მეცნიერი, მწერალი, პოეტი და ფილოლოგი. მუშაობდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი ასომთავრული ანბანის შექმნის, მისი გრაფიკული და რიცხვული სტრუქტურის შესახებ. მას ეკუთვნის ცნობილი მონოგრაფიები და ლიტერატურული წერილები, მათ შორის მონოგრაფია „ტრაგიკული ნიღბები“.

**ჩხეტია შალვა (1899-1978)** – ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი და პედაგოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მთავარი საარქივო სამართველოს პერიოდული გამოცემის „საისტორიო მოამბე“ რედაქტორი. მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ არქივში საინსპექტორო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგედ, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ, პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა საქართველოს ისტორიის კურსს.

**ჩხიკვაძე გრიგოლ ზაქარიას ძე (1898-1986)** – ქართველი მუსიკათმცოდნე, ფოლკლორისტი და პედაგოგი, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის დამაარსებელი.

**ჩხიკვაძე ნოე (1883-1920)** – ქართველი პოეტი. მის პოეზიაში ნაჩვენებია ბედისაგან განწირულ ადამიანთა უნუგეშო ყოფა (ლექსები: "მონა ქალი", "ცხოვრება", "დიდხანს ვეძებდი". პოპულარულია მისი ლექსი "N-ს".

**ჩხიკვაძე მიხეილ არჩილის ძე (1903-1987)** – ქართველი დამსახურებული არქიტექტორი, პროფესორი, თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურულ ფაკულტეტის კათედრის გამგე, მონაწილეობდა ხრამჭესის, ზაჰესისა და რიონჭესის ნაგებობათა დაპროექტებასა და მშენებლობაში. მუშაობდა მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

**ჩხიკვიშვილი დავით (1921-1987)** – ქართველი ისტორიკოსი, პედაგოგი, მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, საქართველოს კულტურის მინისტრი, თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

## 6

**ცაგარეიშვილი ვალერიან (1901-1974)** – ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, ასო აბაშიძის სახელობის თბილისის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრის სამუსიკო

ნაწილის გამგე, ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი. ეწეოდა პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ მოღვაწეობას სხვადასხვა სამუსიკო სკოლასა და სასწავლებელში.

**ცაგარელი ავქსენტი (1857-1902)** – ქართველი დრამატურგი, მსახიობი. მისი პირველი პიესა იყო კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. სატირულ პამფლეტებს აქვეყნებდა გაზეთში "დროება" სათაურით "დუდუკი".

**ცაგარელი ალექსანდრე (1844-1929)** – ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი და ფილოლოგი, პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე და რექტორი, კთბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გაეცნო ათონის მთის, სინას მთის, პალესტინის ქართულ მწიგნობრულ კერებს და აღწერა ისინი. მისი სრული აღწერილობანი მოიცავს 1194 ერთეულს, რომელთაგანაც 946 ხელნაწერია, 162 ძველი ნაბეჭდი წიგნი და 76 წარწერიანი ნივთი.

**ცაგარელი გიორგი (1893-1955)** – ქართველი საბჭოთა პოეტი, მწერალი, კინოდრამატურგი და მთარგმნელი, ახალგაზრდა ოდესელი პოეტ-ფუტურისტების წრის „სამხრეთ-რუსები“ წევრი, რუსულ ენაზე პირველად თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ აგრეთვე ქართული ხალხური პოეზიისა და ქართველ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებები.

**ცაიშვილი სარგის (1929-1992)** – ქართველი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე.

**ცაიშვილი სოლომონ (1900-1957)** – ქართველი პუბლიცისტი და მკვლევარი. მუშაობდა გაზეთში „კომუნისტი“, მასწავლებლობდა სოფელ პატარძელში, 1932 წლიდან მოღვაწეობას იწყებს პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, მოგვიანებით ქართული ლიტერატურის მუზეუმში. იგი იკვლევდა მშობლიური მწერლობისა და პედაგოგიკის საკითხებს.

**ცელმსი კარლ ავგუსტის ძე** – თბილისის ოპერის თეატრის მთავარი ადმინისტრატორი.

**ცეტკინი კლარა (1857-1933)** – გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მონაწილე, გერმანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ქალთა უფლებების აქტივისტი. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეორე ინტერნაციონალის დაარსებაში, იყო მისი ყველა კონგრესის მონაწილე.

**ცეცხლაძე გრიგოლ (1894-1976)** – ქართველი მწერალი პოეტი და მთარგმნელი, გაზეთების „სახალხო გაზეთი“ და „მეგობარი“ რეპორტიორი, რედაქტორობდა ჟურნალს „თოლაბუსის სარტყელი“, ჟურნალის „ხელოვნება“ და გამომცემლობის „ქართული წიგნი“ მდივანი, ჟურნალის „ნიანგი“ ლიტმუშაკი.

**ციმაკურიძე ალექსანდრე (1882-1954)** – ქართველი მხატვარი და პედაგოგი, პროფესორი, თანამედროვე ქართული რეალისტური პეიზაჟური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი, პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისში, ჯერ მოსე თოიძის სტუდიაში, ხოლო 1930 წლიდან სამხატვრო აკადემიაში. მისი საყვარელი თემა იყო ქართლის პეიზაჟი. მუშაობდა ძირითადად პლენერზე.

**ცინცაბაძე სერგი (1915-1984)** – ქართველი არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე 1961-1975 წლებში. 1961-1975 წლებში იყო აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარე.

**ცინცაძე იაკობ (1872 – 1933)** – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი, ვეპილი. წერდა ფსევდონიმით „ია ეკალაძე“. იყო გორის ვაჟთა გიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი და ჩოხატაურის ახლადდაარსებული გიმნაზიის დირექტორი, ლანჩხუთის ტექნიკუმის მასწავლებელი. მუშაობდა გაზეთის „ქართული“ რედაქტორ-გამომცემლად.

**ცინცაძე კონსტანტინე (კოტე) (1886-1931)** – ქართველი იურისტი. სხვადასხვა ბოლშევიკ-რევოლუციონერებთან ერთად მონაწილეობდა ტერორისტულ აქტებში. იყო ბოლშევიკთა კავკასიის ბიუროს, კავკასიის სამხარეო კომიტეტისა და სამხედრო შტაბის წევრი, თავმჯდომარეობდა კონტრევოლუციასთან, საბოტაჟთან, სპეკულაციასთან და თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედებასთან მებრძოლ საგანგებო საგამომძიებლო კომისიის.

**ცირეკიძე ალექსანდრე (სანდრო) (1894-1923)** – ქართველი პოეტი და მთარგმნელი, „ცისფერყანწელების“ მეგობარი. დააარსა გამომცემლობა „კირჩხიბი“ 1919 წელს შეადგინა „ახალი მწერლობის ანთოლოგია“ 1921 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი "მთვარეულები", მცირე ხნით რედაქტორობდა ჟურნალს „მშვილდოსანი“.

**ცირღილაძე შალვა (1901-1964)** – ქართველი საოპერო მომღერალი. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, მთავარი პარტიები შეასრულა დიმიტრი არაყიშვილის, ვერდის, ბიზესა და სხვათა საოპერო ნაწარმოებებში.

**ციციშვილი ივანე (ვანო) (1888-1940)** – ქართველი ბიბლიოგრაფი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი და ბიბლიოთეკის თანამშრომელი.

**ცომაია ნადეჟდა (1904 -1973)** – ქართველი საოპერო მომღერალი და პედაგოგი. მუშაობდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. მიწვეული იყო ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში.

**ძ**

**ძიმისტარაშვილი სტეფანე (1847-1912)** – ქართველი მწერალი, პედაგოგი, პოეტი და ჟურნალისტი. მასწავლებლად მუშაობდა მარტვილში, სენაკში, ქუთაისში. თავგამოდებით იცავდა სკოლებში ქართული ენის სწავლებას, ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი ქუთაისის სცენის მოყვარულთა იმ წრისა, რომელმაც შემდეგ საფუძველი დაუდო ქუთაისის მუდმივ სცენას. წერდა ფსევდონიმით „კორტოხა“.

**ძიმისტარაშვილი სტეფანე (1847-1912)** – ქართველი მწერალი, პედაგოგი, პოეტი და ჟურნალისტი. წერდა ფსევდონიმით „კორტოხა“. მასწავლებლად მუშაობდა მარტვილში, სენაკში და ქუთაისში. ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია ქუთაისის სცენის მოყვარულთა იმ წრისა, რომელმაც შემდეგ საფუძველი დაუდო ქუთაისის მუდმივ სცენას.

**ძიძიგური ვარლამ (1889-1957)** – ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. ავტორია ქართული ენის სასკოლო მეთოდური სახელმძღვანელოებისა. თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებთან, სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები, კორესპონდენციები, რეცენზიები და ლექსები.

**მიძიგური შოთა ვარლამის ძე (1911-1994)** – ქართველი ენათმეცნიერი, ქართული ენისა და დიალექტების მკვლევარი, ბასკოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**მოწინიძე გიორგი (1910-1976)** – ქართველი მეცნიერი, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

## წ

**წერეთელი ალექსანდრე (ალიოშა) იოსების ძე (1889-1967)** – ქართველი ისტორიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ძველი მსოფლიოს ისტორიის ქართული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

**წერეთელი გიორგი ვასილის ძე (1904-1973)** – ქართველი ენათმეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს და საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის სამეფო სააზიო საზოგადოების საპატიო წევრი.

**წერეთელი ვასილ (1862-1937)** – ქართველი პოლიტიკოსი, ექიმი და პუბლიცისტი. იყო ქუთაისის ამბულატორიის გამგე და ქუთაისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ჰიგიენის მასწავლებელი. იყო გაზეთების: „იმერეთი“, „სამშობლო“ და „ჩვენი ქვეყანა“ რედაქტორი. შეადგინა და გამოსცა „სამეცნიერო-საფილოსოფიო ტერმინოლოგია“, რომელიც წარმოადგენდა ამ ხასიათის პირველ გამოცემას ქართულ ენაზე.

**წერეთელი ირაკლი გიორგის ძე (1881-1959)** – ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის სოციალურ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ჟურნალის „კვალი“ მთავარი რედაქტორი, რუსეთის მეორე დუმის დელეგატი და აგრარული კომისიის წევრი. დროებითი მთავრობის დროს ხელმძღვანელობდა საქართველოს ფოსტას.

**წერეთელი ლექსანდრე იოსების ძე (1889-1967)** – ქართველი ისტორიკოსი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, ძველი მსოფლიოს ისტორიის ქართული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

**წერეთელი ნუგზარ (1935)** – ქართველი მწერალი, პოეტი და ჟურნალისტი, საქართველოს საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს უფროსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-მუშაკი. ავტორია მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებისა „მე ახლაც ოცდაექვსი წლისა ვარ“ და პოეტური კრებულებისა „ყველა სიმღერა იწყება შენით“, და „მარად და ყველგან“

**წერეთელი სავლე (1907-1966)** – ქართველი მეცნიერი, ფილოსოფის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და პედაგოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე, მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი. მის მთავარ მეცნიერულ დამსახურებას წარმოადგენს დიალექტიკურ-ლოგიკური სისტემის შექმნა, რომელიც ცნობილია უსასრულო დასკვნის თეორიის სახელწოდებით.

**წვერავა სიმონ** (1905-1982) – ქართველი საბჭოთა მწერალი. მუშაობდა გამომცემლობების „ფედერაცია“ და „საბჭოთა მწერალი“ დირექტორად. ავტორია ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებულებისა „წერილები ლიტერატურაზე“ და „ნარკვევები ქართულ ლიტერატურაზე“.

**წივწივამე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე** (18??-1916) – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციის წევრი.

**წილოსანი ვლადიმერ ლევანის ძე** (1885-1972) – ქართველი მხატვარ-გრაფიკოსი, არქიტექტორი.

**წინასწარმეტყველი ანგია (ავგია)** – ძველი აღთქმის ერთერთი ბოლო წინასწარმეტყველი, ლევიტელთა ტომიდან იშვა და სპარსეთის მეფის, დარიოსის ზეობისას (ქრისტეს შობამდე ხუთასი წლის წინ) მოღვაწეობდა. უფალმა თავისი რჩეული ერი ანგია წინასწარმეტყველის პირით გაამხნევა და გაუცხადა მათ, რომ აღდგენილი იერუსალიმის მეორე ტაძარი პირველზე დიდებული იქნებოდა.

**წმინდა ნინო მოციქულთასწორი** (296-338) – კაბადოკიელი წმინდანი, ქართველთა განმანათლებელი, მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანი. მისი ხსენების დღე წელიწადში ორჯერ აღინიშნება 1 ივნისს და 27 იანვარს. მისი ცხოვრების ძირითადი რედაქციებია: შატბერდული, ჭელიშური და სინური ხელნაწერების რედაქციები.

**წულამე აპოლონ იოანეს ძე** (1871-1945) – ქართველი ეთნოგრაფი, ქართულ ენაზე მეფუტკრეობის შესახებ პირველი წიგნის ავტორი. მისმა ნაშრომმა „ფუტკარი და მეფუტკრეობა“ სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო კავკასიურ გამოფენაზე ოქროს მედალი დაიმსახურა.

**წულუკიძე ალექსანდრე პეტრეს ძე** (1888-1967) – ქართველი ქირურგი-უროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

**წულუკიძე ივანე (ვანო)** (1899-1983) – ქართველი კრიტიკოსი, მთარგმნელი და პოეტი. ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1916 წლიდან ლექსებითა და პოეტური თარგმანებით. პირველი კრიტიკული წერილები 1917 წელს გამოაქვეყნა. მას ეკუთვნის მხატვრული ნარკვევების წიგნები „მყინვარწვერისაკენ“, „რუსთავი“ და წერილები ქართველ, რუს და უკრაინელ მწერლებზე, თარგმნის პრობლემებზე.

**წულუკიძე მიხეილ** (1887 -1944) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, გერმანიაში ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი. ჩვენამდე მოაღწია მისმა დასრულებულმა და დაუსრულებელმა მოთხრობებმა, ესეებმა, ალექსანდრე ყაზბეგის "ელისოს" მისეულმა თარგმანმა გერმანულ ენაზე, საქმიანმა წერილებმა და ლიტერატურულმა კრიტიკამ.

## **ჭ**

**ჭავჭავაძე ალექსანდრე** (1786-1846) – ქართველი რომანტიკოსი პოეტი, მთარგმნელი, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე. 1804 წლის მთიულეთის ანტიცარისტული აჯანყების რუსეთ-ირანის, შემდგომ რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის მონაწილე, ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

**ჭავჭავაძე თამარ** (1896–1968) – ქართველი თეატრისა და კინოს მსახიობი, თანამედროვე ქართული სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი, კოტე მარჯანიშვილის მოწაფე და მიმდევარი. თამაშობდა თბილისის რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრებში, სოხუმის თეატრში.

**ჭავჭავაძე ილია ზურაბის ძე** (1837-1907) – ქართველი წმინდანი, საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკოსი, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს დეპუტატი, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნაში და ლიბერალური ფასეულობების გავრცელებაში.

**ჭავჭავანიძე-კერესელიძე ნაზი** (1919-1993) – ქართველი მსახიობი, არჩილ კერესელიძის მეუღლე.

**ჭანტურაია (კაპანელი კონსტანტინე)** (1889–1952) – ქართველი ფილოსოფოსი, მწერალი ხელოვნებათმცოდნე. მისი პირველი ნაშრომი დაიბეჭდა გაზეთ „ნაკავკასკაია რეჟი“ სათაურით „Идея страдания в грузинской литературе“ ცალკე წიგნად აქვს გამოცემული ნაწარმოებები: „სული და იდეა“, „სოციალური ესთეტიკის საფუძვლები“. „ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“.

**ჭანტურია ტარიელ** (1932-20??) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი, სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალის „ცისკარი“ რედაქციაში, გამომცემლობებში: „მერანი“ და „ნაკადული“, საქართველოს მხატვრული თარგმანის სარედაქციო კოლეგიაში, მწერალთა კავშირში ლიტერატურულ კონსულტანტად, ლიტერატურის, პირველი ლექსი „ნადირობა“ გამოაქვეყნა 1951 წელს ჟურნალში „დროშა“, პირველი კრებული „ლტოლვა“ გამოვიდა 1964 წელს.

**ჭანტურიშვილი სიო** (1884–1939) – ქართველი დრამატურგი, იურისტი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი. აღსანიშნავია მისის წერილების სერია „სცენური ხელოვნების სიახლეთა შესახებ“.

**ჭარაია პეტრე** (1861-1919) – ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, პედაგოგი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. წერდა ფსევდონიმით “პ. გიორგიძე”. მისი ნაშრომები ქვეყნდებოდა პერიოდულ პრესაში: „მომბე“, „ივერია“, „კვალი“, „სახალხო გაზეთი“, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველურ ენათა შესწავლაში. აღსანიშნავია მისი ნაშრომები: „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“, „ქართული სალიტერატურო ენა და ქართული მართლწერა“ და „ქართულ-მეგრული და მეგრულ-ქართული ლექსიკონი“.

**ჭეიშვილი ალექსანდრე** (1903-1962) – ქართველი მწერალი და კრიტიკოსი, პოლიგლოტი. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, ჟურნალის „ჩვენი თაობა“ რედაქტორი.

**ჭელიძე ვახტანგ** (1917-2005) – ქართველი მწერალი და მთარგმნელი, იყო საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობის „საბლიტგამი“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალის „დროშა“ რედაქტორის მოადგილე, ჟურნალების „ნიანგი“ და „ცისკარი“ რედაქტორი, საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს უფროსი, ხელმძღვანელობდა გამომცემლობას „საბჭოთა საქართველო“, გაზეთის „ლიტერატურული საქართველო“ მთავარი რედაქტორი, გამომცემლობის „ნაკადული“ დირექტორი.

**ჭელიძე ოთარ** (1925-1998) – ქართველი პოეტი და მთარგმნელი. მუშაობდა გაზეთის „ახალგაზრდა კომუნისტი“ და ჟურნალის „ნიანგი“ რედაქციებში. იყო გამომცემლობის „საბჭოთა საქართველო“ მხატვრული რედაქციის გამგე, გამომცემლობის „ნაკადული“ რედაქტორი. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1941 წელს. ცალკე წიგნებადაა გამოცემული მისი პოემები: „რაჭველები“ და „რჩეული პოემები“.

**ჭიაურელი მიხეილ** (1894-1974) – ქართველი კინორეჟისორი. საბჭოთა დიქტატორის, საქართველოს სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის 6-გზის ლაურეატი.



**ჭილაია სერგი** (1912-1993) – ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1941-1944 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 1951 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი.

**ჭიჭინაძე ანა (ხათუნა)** – ქართველი მსახიობი. კოტე მარჯანიშვილის დასის აქტიური წევრი, მუშაობდა რადიოკომიტეტში და „საქფილექტში“ (ფილარმონია), საბჭოთა პარტიული მოღვაწის გიორგი ყურულაშვილის მეუღლე.

**ჭიჭინაძე ზაქარია** (1854-1931) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, გამომცემელი, ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევარ-პოპულარიზატორი, იდეური მიმართულებით ხალხოსანი. დიდი დამსახურება მიუძღვის ქართულ ხელნაწერთა შეგროვებასა და წიგნების გავრცელებაში, განსაკუთრებით აჭარასა და სამხრეთ საქართველოში. მეორედ გამოსცა ბროსე-ჩუბინაშვილისეული "ქართლის ცხოვრება"(ორ ნაწილად), "პარიზის ქრონიკა", გამოაქვეყნა საქართველოში ბატონყმობის ფაქტობრივი მდგომარეობის მასალები(დოკუმენტები).

**ჭიჭინაძე კონსტანტინე** (1891-1960) – ქართველი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი და რუსთაველოლოგი. ჟურნალის „მნათობი“ სტილისტი.1908 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი, 1924 წელს გამოსცა პირველი პოეტური კრებული “რჩეული ლექსებიდან”.

**ჭონქაძე დანიელ** (1830-1860) – ქართველი მწერალი, ქართული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი. ასწავლიდა ოსურ ენას სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში, მისი ერთადერთი ნაწარმოებია მოთხრობა „სურამის ციხე“, რომელიც 1859 -1860 წლებში დაიბეჭდა ჟურნალში „ცისკარი“.

**ჭუმბაძე არისტო** (1880-1971) – ქართველი მწერალი, რედაქტორობდა გაზეთს „კოლხიდა“ და სხვადასხვა ჟურნალებს. წარმომადგენელი, იყო საქართველოს წარმომადგენელი დემოკრატიულ ქვეყნებში, წითელი ჯვრის საზოგადოების განყოფილების გამგე, სახელმწიფო კინომრეწველობაში სასცენო განყოფილების გამგე.

**ჭუმბურიძე ზურაბ** (1926-1022) – ქართველი ენათმეცნიერი და პედაგოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის უფროსი რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის პროფესორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ტექსტოლოგიის განყოფილების გამგე, მეცნიერ-კონსულტანტი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და 2 სახელმძღვანელოს ავტორი.

**ჭყონია ალექსანდრე** (1855-1907) – ქართველი მწერალი, იურისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალის „მოამბე“ რედაქტორი, გაზეთის „ცნობის ფურცელი“ რედაქტორ-გამომცემელი. მან პირველმა გააცნო ქართველ მკითხველს ევროპელი მოგზაურებისა და მისიონერების ცნობები საქართველოს შესახებ, პირველი კორესპონდენცია 1874 წელს დაბეჭდა გაზეთში „დროება“, საკუთარი ხარჯით გამოსცა „ისტორიული ნარკვევი“, წერდა ფსევდონიმით „მაჭახელიძე“.

**ჭყონია ილია** (1860-1927) – ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და მთარგმნელი, გაზეთების „მეურნე“ და „სიმართლის გზა“ რედაქტორი, მისივე რედაქტორობით გამოვიდა ვახტანგ მეექვსის მიერ სპარსულიდან თარგმნილი „ქილილა და დამანა“.

**ხაინდრაგა თათია** (1928-2005) – ქართველი თეატრის მსახიობი, მხატვრული კითხვის ოსტატი, მუშაობდა ბათუმისა და მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრებში, საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტში, თეატრალურ ინსტიტუტში მეტყველების კათედრაზე პედაგოგად, მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას დისწული.

**ხალვაში ფრიდონ** (1925-2010) – ქართველი მწერალი, პოეტი და პოლიტიკოსი, აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის მდივანი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრემიერის კომიტეტის თავმჯდომარე, საარჩევნო ბლოკის „სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირი“ დეპუტატი.

**ხარაძე არჩილ კირილეს ძე** (1895-1976) – ქართველი მათემატიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

**ხატიაშვილი ვალერიან ალექსის ძე** (1906-1951) – გაზეთის „კომუნისტის“ რედაქტორი, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული თვაკულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების კომიტეტის თავმჯდომარე.

**ხახანაშვილი ალექსანდრე** (1866-1912) – ქართველი ისტორიკოსი, ფილოლოგი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, სწავლობდა და აქვეყნებდა საქართველოს, რუსეთისა და საზღვარგარეთის სიძველეთსაცავებში დაცულ ძველ ქართულ ხელნაწერებს, შექმნა ქართული ლიტერატურის კურსი „ქართული სიტყვიერების ისტორია“. მისი ინიციატივითა და მატერიალური დახმარებით მოსკოვში დაარსდა „ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის შემსწავლელი საზოგადოება“, წერდა ფსევდონიმით „ს. პავლიაშვილი“.

**ხახუტაშვილი ანა** (1886-1960) – ქართველი მწერალი და პედაგოგი. ეწეოდა კერძო პედაგოგიურ საქმიანობას და თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებთან, იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიენტი, მასწავლებლობდა ჯერ გორის, ხოლო შემდეგ თბილისის ქალთა გიმნაზიაში. წერდა ფსევდონიმით „ცქვიტი“.

**ხეთაგური მზია** (1945) – ოსი დრამატურგი, მსახიობი, მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი. მუშაობდა ცხინვალის თეატრში, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში, მისი პიესა „ხეტიალა“ დაიდგა თბილისის და ბათუმის თოჯინების თეატრში, ქართულ-ოსური ურთიერთობის მოსაგვარებლად გაწეული უდიდესი ღვაწლისთვის მიღებული აქვს მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სიგელები.

**ხელაია ამბროსი** ( 1881- 1927) — ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი

**ხერხეულიძე გრიგოლ (ქიცა)** (1916-1974) – ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და მეცნიერი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. იკვლევდა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიას და ქართული პოეზიის აქტუალურ პრობლემებს. მისი ძირითადი ნაშრომებია: „გიორგი ლეონიძე“, „თანამედროვეობა და პოეზია“ და „თანამედროვე ქართული პოეზია“.

**ხეჩუაშვილი გიორგი (გიგო)** (1879-1960) – ქართველი დრამატურგი, მწერალი და პოეტი.

**ხილიაკი ვლადიმირ იგნატის ძე** (1843-1893) – რუსი გალიციელი მწერალი და უნიატი სასულიერო პირი, ავტორი მოგონებებისა „პოლონელი პატრიოტი“ და „ხალხური ტირანები“.

**ხინთიბიძე აკაკი** (1924-2008) – ქართველი ფილოლოგი და მეცნიერი. მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტსა და ივანე ჯავახიშვილის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში, იკვლევდა ქართული ლექსის ვერსიფიკაციის საკითხებს. მას ეკუთვნის კვლევები, „პოეტური ხელოვნების საკითხები“, „ლექსმცოდნეობის საკითხები“, „პოეტიკური ძიებანი“ და სხვა.

**ხოდასევიზ ვლადისლავ-ფელიციან** (1886-1939) – რუსი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მემუარისტი და ისტორიკოსი. მისი ლექსების პირველი კრებული „ახალგაზრდობა“ დაიბეჭდა 1908 წელს ლექსების მეორე კრებული „ბედნიერი სახლი“ 1914 წელს. ავტორია წიგნისა „მემუარები, მოგონებები“.

**ხომერიკი ნოე გიორგის ძე** (1883-1924) – ქართველი პოლიტიკოსი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, ამიერკავკასიის სოციალურ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი, დამფუძნებელი კრების წევრი, პარტიული ფსევდონიმი „მიქელგაბრიელი“.

**ხორავა აკაკი** (1895-19720 – ქართველი მსახიობი და პედაგოგი, პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი და დირექტორი. მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, მათ შორის, თბილისის მუშათა ცენტრალურ კლუბსა და სახალხო სახლში. პროფესიულ სცენაზე პირველად გამოვიდა 1923 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში.

**ხოსიტაშვილი-კურდღელაშვილი ზაბილინა ბარბარე ისაკის ასული** (1884-1973) – ქართველი პოეტი, მთარგმნელი, მწერალ იროდიონ ევდოშვილის და.

**ხოფერია (მუშიშვილი) გრიგოლ (გიორგი)** (1899-1938) – ქართველი რეპრესირებული ჟურნალისტი და კრიტიკოსი. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის და შემდეგ კომუნისტური პარტიის წევრი, თანამშრომლობდა გაზეთთან „სახალხო საქმე“, ჟურნალის „რემედასი“ და და გაზეთის „კომუნისტი“ რედაქტორი.

**ხოშტარია დიმიტრი (დუტუ მეგრელი)** (1867-1938) – ქართველი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მწერალ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას მეუღლე. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1888 წელს სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთში „თეატრი.“ 1892 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი „სურათები ჩვენი ცხოვრებიდან“, ხოლო 1893 წელს - მისი ლექსების კრებული „ცრემლები“. ავტორია ცნობილი ლექსისა „მე პატარა ქართველი ვარ“.

**ხრუშჩოვი ნიკიტა სერგის ძე** (1894-1971) – რუსი პოლიტიკოსი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

**ხუნდაძე ნოდარ** (1929-2016) – ქართველი მწერალი, პოეტი, მთარგმნელი და პედაგოგი. მუშაობდა გაგრის საქალაქო გაზეთის „ავანგარდი“ რედაქტორის მოადგილედ და ჟურნალის „ნიანგი“ კორესპონდენტად აფხაზეთში.

**ხუნდაძე სილოვან** (1860-1858) - ქართველი პედაგოგი, ლიტერატორი და პუბლიცისტი. ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამფუძნებელთაგანი, თბილისის უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოების წევრი.

**ხუნდაძე სიმონ** (1897-1933) – ქართველი ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, მკვლევარი, ჟურნალისტი და სოციოლოგი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ისტორიის კათედრის დეკანი, ჟურნალის „ქართული მწერლობა“ რედაქტორი, გამომცემლობების „ქართული წიგნი“, „ფედერაცია“ და „სახელგამი“ დირექტორი. მისი პირველი ნაშრომი „ქართული ინტელიგენციის პროფილი XIX საუკუნეში“ დაიბეჭდა 1927 წელს.

**ხუროძე ვარლამ** (1883-1939) – ქართველი მწერალი, პედაგოგი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. წერდა ფსევდონიმით „მალაქიაშვილი“. იყო თბილისის განათლების განყოფილებასთან არსებული ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტის ხელმძღვანელი და მეთოდისტი. კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

**ხუსკივაძე თეოფილე** (1860-1924) – ქართველი მწერალი, პედაგოგი და ჟურნალისტი, ოჩამჩირეში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილების დამფუძნებელი და ამ განყოფილების თავმჯდომარე, მუშაობდა პედაგოგად ზესტაფონში, იყო მარტვილის მომრიგებელი მოსამართლე, ნოტარიუსი ოჩამჩირეში, ავრცელებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, გახსნა წიგნის მაღაზია, სამკითხველო. წერდა ფსევდონიმებით: „გლეხის შვილი“, „თ . კვალითელი“ და „თარხანი“.

**ხუციშვილი კახი** (1928) – ქართველი მხატვარი, ილუსტრატორი, კინოსტუდიის „ქართული ფილმი“ დამდგმელი მხატვარი, როგორც ილუსტრატორი თანამშრომლობდა გამომცემლობებთან: „ნაკადული“, „მერანი“, „საბჭოთა საქართველო“, „ცოდნა“. გააფორმა ფილმები: „მაგდანას ლურჯა“, „ჩვენი ეზო“, „სხვისი შვილები“ და „დიდოსტატის მარჯვენა“.

**ხუციშვილი კონსტანტინე** (1914-1980) – ქართველი მხატვარი, ფერმწერი და პედაგოგი. მუშაობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ძირითადად მუშაობდა ნატურმორტის ჟანრში, ავტორია ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ფერწერული ტილოებისა და პეიზაჟებისა.

**ხუჭუა პავლე** (1905-1986) – ქართველი მეცნიერი, მუსიკოსი, პედაგოგი და ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, სასწავლო და სამეცნიერო ნაწილის დირექტორის მოადგილე, თეორიულ-საკომპოზიციო ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირექტორი, თბილისის I სამუსიკო სასწავლებლის, კინოსკოლისა და თეატრალური უნივერსიტეტის პედაგოგი.

**ხუხაშვილი გიორგი** (1925-2004) – ქართველი პოეტი, კრიტიკოსი და დრამატურგი, მუშაობდა ჟურნალების: „ნიანგი“ და „ცისკარი“ რედაქციებში, სახელმწიფო გამომცემლობაში, საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირში და კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“, პირველი წიგნი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების კრებული „მწერალი და ცხოვრება“ გამოსცა 1956 წელს.

## ჯ

**ჯაბადარი ალექსანდრე** (1851-1933) – ქართველი მთარგმნელი, ჟურნალისტი და პოლიტიკოსი, რედაქტორ-გამომცემელი. მისი თაოსნობით დაარსდა წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა“, გახსნა წიგნსაცავი სამკითხველი ახლგაზრდობისთვის, მოაწყო სტამბა და ცინკოგრაფია, იყო გაზეთის „ცნობის ფურცელი“ და ყოველკვირეული „სურათებიანი დამატების“ რედაქტორ-გამომცემელი.

**ჯაბუა გიორგი** (1911-1990) – ქართველი ინჟინერი, მეცნიერი და პედაგოგი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ხის დამუშავების კათედრის ხელმძღვანელი, მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრის პროფესორი, თბილისის ხე-ტყის ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი.

**ჯაბუშანიური გაბრიელ** (1914-1968) – ქართველი პოეტი. მუშაობდა სოფლის სამკითხველოში, შემდეგ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. უკვე ცამეტი წლიდან უქვეყნებდნენ ლექსებს საბავშვო ჟურნალ-გაზეთები, კრებდა და იწერდა ხალხური შემოქმედების შედეგებს. 1935 წელს ჟურნალში „ჩვენი თაობა“ გამოქვეყნდა ლექსი „ცხენი“.

**ჯავახაძე ვახტანგ** (1932) – ქართველი პოეტი, გამომცემლობის „საბჭოთა საქართველო“ მთავარი რედაქტორის მოადგილე და მთავარი რედაქტორი. ლექსების პირველი კრებული „საყვარელი ქარები“ 1959 წელს გამოსცა. მისი ძირითადი პოეტური კრებულებია: „ნაწვიმარი ქუჩები“, „ათასი მზე“, „ანაბეჭდი“. საყოველთაო აღიარება მოუტანა გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილმა დოკუმენტურ-მხატვრულმა კრებულმა „უცნობი“.

**ჯავახიშვილი (ადამაშვილი) მიხეილ** (1880-1937) – ქართველი მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ეწეოდა აქტიურ ჟურნალისტურ მოღვაწეობას. რედაქტორობდა გაზეთებს: „ივერია“ და „გლეხი“.

**ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე** (1876-1940) – ქართველი ისტორიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამფუძნებელი, პროფესორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თანამედროვე სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერების ფუძემდებელი, ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართული კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში.

**ჯავახიშვილი დიმიტრი** (1882-1971) — ქართველი ექიმი-კურორტოლოგი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც, თანამშრომლობდა გაზეთთან „კახეთის ხმა“.

**ჯალიაშვილი ალექსანდრე** (1896-1981) – ქართველი მსახიობი და რეჟისორი. საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. კინოში მოღვაწეობა დაიწყო 1927 წლიდან. მუშაობდა სახელმწიფო კინოს მრეწველობის (სახკინმრეწვი) ლაბორატორიაში, რეჟისორის თანაშემწედ მუშაობდა კინოფილმში „დაგვიანებული სასიძო“ დამოუკიდებლად გადაიღო კინონოველები „სადარაჯო ჯიხური“ „განთავისუფლებული მიწა“ და „ხრამქესი“.

**ჯალიაშვილი მერაბ** (1931-1998) – ქართველი რეჟისორი და სცენარისტი, საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურული რედაქციის უფროსი და მუსიკალურ გადაცემათა რეჟისორი, კინოპროგრამათა რედაქციის უფროსი რეჟისორი გადაცემათა, სატელევიზიო დადგმების, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო პროგრამების და მუსიკალური პროგრამების მთავარი რეჟისორი.

**ჯამბაკურ-ორბელიანი ვახტანგ** (1812-1890) – ქართველი რომანტიკოსი პოეტი, სამხედრო პირი, გენერალ-მაიორი, ერეკლე მეორის ასულის თეკლას ვაჟი. მისი ლექსების ნაწილი გამოიცა 1879 და 1881 წლებში. პირველი მნიშვნელოვანი კრებული კი - 1894 წელს.

**ჯანაშვილი მოსე** (1855-1934) – ქართველი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, გეოგრაფი, ეთნოლოგი და პედაგოგი. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში, იყო საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი და გამგე, 1920 წლიდან მოღვაწეობდა უმაღლეს სასწავლებელში. სხვა დარგებთან ერთად იგი გეოგრაფიულ საკითხებს იკვლევდა. XIX საუკუნის ბოლოს გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველო გეოგრაფია“.

